გიორგი ყუფარაძე

„სიტყვამგეობა“

გირჩევთ, ავტორისეულ უახლეს ნაღვაწს, გაეცნოთ
დასვენებულ გონებაზე და კარგ ხასიათზე ყოფნის დროს.
(ამ წიგნით ტკბობას, ცხოვრების დაწყებითი განათლება და
ყოფის მიზერული გათვითცნობიერება სჭირდება)

თბილისი – 2008

UDC (უაკ)821.3531–84
ყ-981

გიორგი ყუფარაძე
„სიტყვამზეობა“

ამჯერად ავტორი გვთავაზობს თავისეულ 19000 აფორიზმს, მაქსიმს, სენტენციას, რომლებიც როგორც ყოველთვის გამოირჩევა საღი აზროვნებით, ცხოვრების რეალური ხედვით და მისთვის დამახასიათებელი სატირაშეპარებული იუმორით. მკითხველისათვის ყველა სადაო კითხვის პასუხი ნაწარმოებშია, თუ მას ყურადღებით გავეცნობით

რედაქტორი: ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი
პროფესორი **ლერი ჩანტლაძე**

ISBN 978-9941-0-0015-7

© გ. ყუფარაძე
2008

წიგნი დაიბეჭდა და აიკინძა ფიზიკის ინსტიტუტის სტამბაში
გამომცემლობა „დავითი“
0177, თბილისი, თამარაშვილის 6

შესავალი

გიორგი ყუფარაძე დროებით ქ. მოსკოვშია „გადასახლებული“. ორივე ქვეყნის მოქალაქეა: როგორც რუსეთის, ასევე საქართველოსი. მისი წიგნები ნათარგმნია რუსულ, ინგლისურ, ნორვეგიულ ენებზე. ლიტერატურული მოღვაწეობა, მეცნიერულისგან განსხვავებით, მაშინ დაიწყო, როდესაც ჩანაწერებმა, შენიშვნებმა, ორიათას გვერდს გადააჭარბა.

მთელი ცხოვრება ჯიბით ატარებს ქაღალდს, ფანქარს, ხოლო პორტატული მაგნიტოფონი მუდამ საწოლთან უდევს უეცრად მოსულ აზრთა დასატყვევებლად. მწერლობაში, როგორც იტყვიან, დაღვინებული მოვიდა. ის მრავალჟანრობრივი მწერალია, მეცნიერია, გამომგონებელია, სპორტის ამაგდარია. ამის ნიმუშია მისი სქელტანიანი წიგნი „ჩემი ყისმათი“, რომელიც გამოიცა 1998 წელს. მასში შევიდა რომანი „კუროტანა“, კომიქსები, პოლიტიკური აზრების მოზაიკა, „მოქალაქე“, აფორიზმები და მის მიერვე გამოგონებული „ჭადრაკი 100“, მიუხედავად ჟანრთა სხვადასხვაობის, იშვიათია, რომ წიგნის სათაური ასე კარგად გამოხატავდეს ნაწარმოების არსს და მწერლის ბუნებას.

მის მიერ შექმნილია შვიდი ახალი დამწერლობა და ქართული ანბანის ორი ახალი შრიფტი.

მის კალამს ქართულ ენაზე ეკუთვნის აგრეთვე „ჩემი ვალი“, „გოროზა“, „გაერთიანებული სამყაროს (გასა) კონსტიტუცია დანახული 22-ე საუკუნის გადასახედიდან“, ორიგინალური კულინარია „ხონურად“, „მზესიტყვაობა“ თხუთმეტი ათასამდე აფორიზმით, ხოლო ამჟამად გვთავაზობს ახალ აფორიზმების კრებულს – „სიტყვამზეობა“-ს რომელიც 19000 აფორიზმს შეადგენს.

დღეს მსოფლიოს შემოქმედთა ძალებით დაიწყო 20 ტომეულის აფორიზმების კრებულის გამოშვება, მაგრამ მათზე თავისი გვარის მიწერის უფლება ერთეულ გენიოსთა ხვედრია.

ქვემოთ, როგორც ყოველთვის, მინდა შემოგთავაზოთ მისი რამდენიმე ფრთაასხმული გამონათქვამები, ასეთებია: „ელამი ჭკუის პატრონი“, „გადაგვარებული განათლება,“ „ვნების დიპლომატია“, „რეაქციული სიყვარული“, „დაუუთავებელი ენერგია“, „კუდის გამოსაბმელი ხელოვნება“, „სექსით დასაკოდი“, „ამბიციების მქონე

ტრადიციები“, „უგონო გონიერება“, „შეკვეთილი ისტორია“, „გვირაბის ფილოსოფია“, „ცხოვრების ნაგლეჯების მოგონებანი“, „განგების ჭიტლაყის კოქტეილი“, „ასაკის ხაბა-ხუბა“, „მრავალჯერადი მამაკაცი“, „ნამუსის წმენდის კორპორაცია“ და სხვა მრავალი.

„ადამიანს ფაქტიურად ვალდებულებები აქვს და არა უფლება, ხოლო რაც შეეხება თავისუფლებას, ეს მისი ცნობიერების ბლეფია.“

აზროვნებას მთლიანობა სჭირდება და აქ „აზრუკები“ მოსატანი არ არის, რადგან მათზე დროის კარგვა ფუჭია.

ყოველთვის ძნელია იმათთან კამათი, რომელთაც სული, მენტალი-ტეტი, ქვის ხანაში აქვთ გადანახული.

ღირსეული მეორე ნახევრის მუქთათ ხელში ჩაგდება უსვინდისობაა, ის თავად უნდა გამოძერწო, მაგრამ ნედლეულის შერჩევაშიც ბედმა არ უნდა გიმუხთლოს.

ტრფობის პლანტაციების გაშენების ნაცვლად უგნურების ყაყაჩოს აშენებენ და კაიფში სიფარულს უპირისპირდებიან.

პოლიტიკაში თეთრის და შავის შერწყმაც ძნელია და გარჩევაც, მაგრამ ვინც ამას მოახერხებს, ის ხდება ქვეყნის შვილიც და თავისი ხალხის ისტორიის წარმომჩენიც.

საგანი იცის, საკითხი არ ესმის და ასეთი ხალხია, ძირითადად, ქვეყნის სამართავ საჭესთან.

ზოგჯერ სახელმწიფოს ისეთი ხელისუფალი დაეპატრონება, ხალხი კი არა, ქვეყანა ეძებს თავშესაფარს.

ქალს, რომელსაც გინდა გაუგო და გაუგე, ქალი არ არის.

ქალი შინაგანად თავის წლებსაც უნდა სჯობნიდეს და მისთვის შერჩეულ გარეგნობასაც.

ქალს უფრო მამაკაცის თავის ჭკუაზე ტარება მოსწონს, ვიდრე თავად მამაკაცი.

ვინც ზოგჯერ უძილობას არ განიცდის, მას ოცნების და თავის გადამოწმების უნარი დაქვეითებული აქვს.

მთელი ცხოვრება კომედიად იქცეოდა, დასაფლავებით რომ არ მთავრდებოდეს.

ეშმაკობა გონიერებას არ გამორიცხავს, ხოლო ვირეშმაკობა – მოხერხებულობას.

დანარჩენი მკითხველმა განსაჯოს.

ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი
პროფ. **ლერი ჩანტლაძე**

ა დ ა მ ი ა ნ ი

1. გონიერების ფარსი ადამიანის სულის საზრდოა.

2. ადამიანს, რომელმაც არ იცის ხალხმა როგორ უნდა იცხოვროს, მას პოლიტიკაში არაფერი ესაქმება.

3. ადამიანები წინააღმდეგნი არ არიან, თუ სხვა მოიპარავს და მათ უწილადებს საჩუქრის, სპონსორობის, ჰუმანიტარული დახმარების სახით, რათა თავად საფარელი საქმე აკეთონ, ან უსაქმურობა მთავრობის უგვანობით გაამართლონ, იმის ნაცვლად, რომ თავად გაისარჯონ, სიხარბე გვერდზე გადადონ და ქურდობის ხელშემწყობნი და თანამონაწილენი არ გახდნენ.

4. ადამიანმა თავად უნდა დართოს ნება თავს, რომ იცხოვროს და არა მხოლოდ იარსებოს.

5. ადამიანები მაშინ არიან სამართლიანი და პატიოსნები, როდესაც დიდი მოვლენის წინაშე დგანან და აღმაფრენისგან არც პატრიოტიზმი ახსენდებათ და არც ის, თუ ,,ვისი გორისა" არიან.

6. ადამიანი ხარ მაშინ, თუ საზოგადოების აღებ-მიცემაში მონაწილეობ, წინააღმდეგ შემთხვევაში შენზე ზრუნვა, როგორც ავადმყოფზე, სახელმწიფომ უნდა იკისროს.

7. მიჩვევაა ადამიანის ბუნების ყველაზე კარგი და ცუდი საწყისი.

8. ადამიანის სულიერი სრულყოფა ყოველთვის დაუმთავრებელი იქნება, რადგან რას უნდა ეთაყვანოს და რისთვის, ხშირად უცნობია, თუ ის კარიერის კიბეზე ასარბენად არ გამოადგება.

9. ნამდვილი ადამიანი გრძნობების ქარცეცხლით და მენეჯერის ნიჭით უნდა იყოს დაჯილდოებული, რათა აფორიაქებულ სულს მატერიალური ბაზისი შეუქმნას და უდანაკარგოდ შეინარჩუნოს.

10. ადამიანი, პირველ რიგში, თავის ოცნებას უნდა ეტრფოდეს, რადგან სხვა ზმანებისას ყოველთვის მოასწრებს და გაითავისებს.

11. ადამიანს ფაქტიურად ვალდებულებები აქვს და არავითარი უფლება, ხოლო რაც შეეხება თავისუფლებას, ეს მისი ცნობიერებისათვის მოგონილი ბლეფია.

12. ადამიანს მაშინ უნდა დაეხმარო, თუ ის შენს ცხოვრებისეულ გამოცდილებას და ხასიათს ეწყობა და პერსპექტივაში რაღაც სასარგებლოს გამოადნობს თავისთვისაც და შენთვისაც.

13. ადამიანები ერთმანეთს ხშირად გადაცდენასაც არ პატიობენ, მაგრამ ბუნების გათავხედებას და მის კატაკლიზმებს საყვედურსაც ვერ უბედავენ, იმდენად ცოდვილად მივიჩნევთ თავს დედამიწაზე.

14. ყველა ადამიანმა თავის დროში უნდა იცხოვროს, წინააღმდეგ შემთხვევაში, რამდენიმე წელი მარცხნივ ან მარჯვნივ შეიძლება მისი ცხოვრების ტრაგედიად იქცეს.

15. ადამიანს ჭკუა კი არ უნდა დავარიგოთ, არამედ ჭკუასთან ახლო მყოფი მაგალითები უნდა მოვიყვანოთ ცხოვრების შესაცნობად.

16. ადამიანი მოკლე დროში მაშინ აღწევს მატერიალურ კეთილ-დღეობას, თუ ის მთელი დატვირთვით მუშაობს და თავის სიამოვნებისთვის არ საქმიანობს.

17. ყველა ადამიანი თავის ეპოქის გადასახედიდან უნდა იქცეს პიროვნებად და ჩვენი გადასახედიდან მისი გადამოწმება მკრეხელობაა.

18. კეთილი ადამიანი სულით შრომისმოყვარე მაწანწალა უნდა იყოს, რომელიც გადაადგილებისთვის ყოველთვის მზად არის.

19. ადამიანის გარეგნული თავმდაბლობა შინაგანი სიამაყით უნდა გალამაზდეს.

20. ადამიანი გადამეტებული სიკეთის კეთებით არ უნდა გავაუპატიუროთ, თორემ თავად გამოვა ცხოვრების საჭურისი.

21. ადამიანის შესაძლებლობა, გულდაჯერება ისე არასოდეს ამაღლდება, რომ მას რამე არ სწამდეს და არ სჯეროდეს.

22. საქმიანია ის ადამიანი, ვისაც შესწევს სხვისი აზრის მოსმენის და დამორჩილების უნარი.

23. ადამიანის გონიერებაზე ძლიერი არაფერია, თუ მას მხარდამჭერებიც ჰყავს ხალხის და მთავრობის სახით.

24. ადამიანს ზომიერად მტერიც უნდა უყვარდეს და მოყვარეც, მაგრამ არა დაუძინებელი ან ყველაფერზე თავის დამკვრელი.

25. ადამიანთა დაპირისპირება არასოდეს არ წყდება, უბრალოდ, ხანდახან ისინი ამ დაპირისპირებით ისვენებენ, ერთობიან.

26. თავზე წარმოდგენა, შეყვარება და მისდამი ეჭვი ადამიანს მთელი ცხოვრება უნდა მართავდეს და აწონასწორებდეს.

27. ადამიანად დარჩენა ყველა დროში უდიდეს შეგნებას, ნებისყოფას და თვითნაბად ნიჭს მოითხოვს.

28. ადამიანი უფრო ადრე ირყვნება, ვიდრე ჩვენ გვგონია და თავად უნდა.

29. ადამიანს დიდი დრო სჭირდება იმის შესაცნობად, რომ ის ბრიყვი და უგნურია, რაც რატომღაც არასოდეს სჯეროდა.

30. ადამიანმა რაც უნდა კოსმოსში იხეტიალოს, ჯერ-ჯერობით მაინც ყოველივეს დედამიწის სასიკეთოდ ცდილობს.

31. ადამიანი მაშინ ხდება სანდო, თუ მას რკინასავით ცეცხლში და წყალში აწრთობ და პერსპექტივის შტამპით დადაღავ.

32. საზოგადოება, რომელიც ცხოვრებას არ უჩივის, გადაგვარების გზაზე დგება, ხოლო იქ, სადაც ცხოვრება აუტანელია – რევოლუციისაზე, ასე, რომ ორივე შემთხვევაში სახეზეა ძველის ნგრევა და გაუხედნავი ახლის შენება, რომელიც ადამიანის შინაგან ბუნებაშია ჩადებული.

33. დიდ პიროვნებას თავმდაბლობა ამშვენებს და მისაწვდომს ხდის, პატარას ამცირებს და იძულებულია იქედმაღლოს, ხოლო ჩვეულებრივი ადამიანები ადამიანებად რჩებიან ისე, რომ არ იციან წარმოსაჩენად რა მოიმოქმედონ.

34. ადამიანმა სამსახურში ღმერთის გადამოწმებული დახასიათება რომ წარადგინოს, მთელი ცხოვრება უმუშევარი დარჩებოდა.

35. ადამიანს არ აქვს უფლება ანგელოზად გახდომაზე იფიქროს – მაშინ ადამიანი არ უნდა დაბადებულიყო.

36. ყველა მოხერხებულ ადამიანს თავისი ,,სასწაული" უნდა ჰქონდეს გადანახული, საჩვენებლად და თავის წარმოსაჩენად.

37. ადამიანი ყოველთვის უნდა ცდილობდეს იყოს ოპტიმისტი, აქვს ამის ნიჭი თუ არა.

38. კარგი ადამიანი კარგი პროფესიაა, მისი სარგებლიანობის განუხილველად.

39. თუ ადამიანი ჭკუაზე მოეგო, ომობანას და ტერორიზმს თავი დაანება, მაშინ ბუნების ძალები გადაირევიან და ომის დონის სტიქიურ უბედურებას თავს მოგვახვევენ, რადგან პლანეტაზე იმდენმა ადამიანმა უნდა იცხოვროს, რის ლიმიტსაც ბუნება გვაძლევს.

40. ადამიანი რა ცოტას ცხოვრობს და რამდენი ამბიცია და მოთხოვნა აქვს სამყაროსა და სხვათა მიმართ.

41. ყველა ადამიანმა თავის ბუნების შესატყვისი ნედლეული უნდა გამოიმუშაოს, რათა თავსაც არგოს და სხვებსაც, საკუთარი თავის გამოძერწვით.

42. ადამიანს ყველაფრის კეთება შეუძლია, მათ შორის, იმისიც, რაც არ მოსწონს და არავინ აძალებს.

43. შექება იმ ადამიანისგანაც გვსიამოვნებს, რომელიც არ მოგვწონს. ამას ადამიანური სისუსტე ჰქვია და განსჯა არ შველის.

44. ადამიანს ანარქია გონიერებაში აქვს, ზოგიერთი ფასეულობის გადაფასებისას.

45. ადამიანს შენი თვალები უნდა შემოაპარო და მისი აზრი გაითვალისწინო, მხოლოდ ამის შემდგომ შეიძლება მის შეცნობაზე ფიქრი.

46. ამ ბოლო დროს, ძაღლიც და კატაც საერთო ენას ნახულობს, რასაც თანამედროვე ადამიანებზე ვერ ვიტყვით.

47. ადამიანის ყოველდღიური გამოღვიძება დაბადების ტოლფასია. ხოლო ნაბახუსევიდან გამოსვლა მეორედ დაბადება.

48. ნუდიზმის მოდას კლიმატი უნდა ახალისებდეს და არა ადამიანის უგონობა.

49. მიმდინარეობას ყველა იცვლის, გარდა ადამიანის შეგნებისა, თუკი რაიმე ინტერესებით არ არის ბლოკირებული.

50. ყველა ადამიანს სინდისის საცავი აქვს, როდის და სად გაჟონავს, თავადაც არ უწყის.

51. ყველა ადამიანი თავისი ისტორიით და ისტერიით ცხოვრობს და დღევანდელობაში გარკვევას ყველას ვერ მოსთხოვთ.

52. თუ ვინმეს უყვარხარ – როგორც ადამიანი რაღაცად ღირხარ.

53. ადამიანი სიამოვნებას მაშინ განიცდის, როდესაც თავის პასუხისმგებლობას უპასუხისმგებლოდ სხვას გადააბარებს.

54. ადამიანის ერთ-ერთი პრობლემა ეგოიზმია, რომელიც გონიერებასთან შეთანხმებით კონტროლს მოითხოვს.

55. სასტუმრო სახლს არ უნდა ჰგავდეს და სახლი – სასტუმროს, მაგრამ გამოცდილების გაზიარება არც ერთს არ აწყენს. ასევეა ადამიანებიც: ერთმანეთს არ უნდა ვგავდეთ, მაგრამ სასარგებლო აზრებს, ყბედობის გარეშე, ერთმანეთს უნდა ვუზიარებდეთ.

56. ყველა ადამიანს თავისი წარსული და გაურკვეველი მომავალი აქვს და ამის არცოდნით სულდგმულობს.

57. არც ერთი ადამიანი არ იმსახურებს იმ ნდობას, რასაც ჩვენ მათ ვუცხადებთ, მაგრამ ხშირად ეს ნდობაა, რომ აღაფრთოვანებს და გაუკეთებელს აკეთებინებს მათ.

58. მათრახით პოეტები არ ხდებიან, მაგრამ ადამიანად ქცევის შანსები რჩება.

59. საოცარია, რატომ ილტვის ადამიანი სახელის დასატოვებლად ამქვეყნად, თუ იმქვეყნად ამის შესახებ ვერაფერს გაიგებს. ალბათ, იმიტომ, რომ ამქვეყნის საზომის გამოყენებას იმქვეყნად ვცდილობთ.

60. ადამიანს ასაკზე ფიქრი უფრო აბერებს, ვიდრე იმქვეყნად გადასახლების პერსპექტივა.

61. ესთეტიკის ტაძარი უნდა იყოს ადამიანის საწყისი და არა ჩამოყალიბებული ასაკოვანი დაბოლოება.

62. ადამიანის დასაქმება და არა გადაკეთება დროის, გარემოს და ტექნიკური პროგრესის ძალადობას და ჩარევას მოითხოვს.

63. გარკვეული გამოცდილების მიუხედავად ადამიანებს აქვთ სურვილი ერთმანეთს უხეშად გაესაუბრონ, თვითნაბადი ამბიციები დაიკმაყოფილონ და თუ ეს საკმარისი არ აღმოჩნდება, მუშტიც დაიხმარონ.

64. კეთილ ადამიანებს მარტოობის უფლება არ აქვთ, რათა სიკეთის საწყისი საფრთხეში არ აღმოჩნდეს.

65. ადამიანის მთავარი ნაკლი ის არის, რომ თავი უცოდველი ჰგონია და წარმოდგენა საკუთარ შესაძლებლობაზე გადამეტებული აქვს, თუმცა დაქვეითებული შეხედულებაც შეცდომა იქნებოდა.

66. ადამიანმა ახალგაზრდობა და სიჭარმაგე ოჯახის წევრებისაგან მოშორებით უნდა გაატაროს, თუ უნდა ცხოვრებისათვის ნაჩუქარი წლები არ დაახურდაოს და მოვალეობის უაზრო მომიზეზებით ხელიდან არ გაეპაროს.

67. ადამიანის კეთილდღეობა დამოკიდებულია არა იმაზე, როგორ ვმუშაობთ, არამედ როგორ გვამუშავებენ და წარგვმართავენ.

68. ზოგ საწარმოში დედისგინება რომ არა, წარმოება პროდუქციის ვერ გამოუშვებდა და არც საქმე გაკეთდებოდა, იმდენად გაურკვეველია ადამიანის ბუნება.

69. არიან ადამიანები, რომელთათვის ღამე რევოლუციის საკეთებლადაა განკუთვნილი, ხოლო დღე – ხულიგნობს – გართობისთვის.

70. უგვანო ადამიანშიც შეიძლება კარგის დანახვა, თუ ის გვაფინანსებს და მასში სასიკეთო რაღაცის დანახვა გულით გვინდა.

71. არის ადამიანი, რომელიც გულით მოგწონს, მაგრამ ცხოვრება მასთან არ განებივრებს, არიან ისეთებიც, რომლებიც იძულებული ხარ მოიწონო, რადგან ამას ბედი გვკარნახობს და გვაიძულებს.

72. საოცარია ბრბოს ბუნება, როგორი ენერგიით შეუძლია უხიაგი ადამიანით აღფრთოვანება და როგორი მონდომებით ბრილიანტის სულით მოჭედილი პიროვნების არ შემჩნევა.

73. მიუხედავად ევოლუციის ანბანის ცოდნისა, ჩემთვის გაუგებარია, რატომ ცდილობს ადამიანი მაიმუნის ნაშიერი იყოს, ალბათ, იმიტომ, რომ ზნეობის საწყისი, ეტყობა, ეცნაურება.

74. ადამიანი დროზე არ მეუფეობს, მაგრამ არც მისი ხელქვეითია, რადგან ყოველივე მისწრაფებაზე და შემთხვევის გამოჭერაზედაა დამოკიდებული.

75. შეფარებული ადამიანი ნაწილობრივ დაუცველი ხდება, მაგრამ არა – უიმედოდ.

76. ადამიანი სისუსტისთვის უფართ, მაგრამ პატივს სცემენ შეუპოვრობისთვის.

77. ადამიანი, რომელიც დიდი ხნის ძებნის შემდეგ შესაფერის სამსახურს ნახულობს, საჭირო მოქალაქე ხდება როგორც საზოგადოებისთვის, ასევე ოჯახისთვის – ორივეს გადასახადს უხდის.

78. ადამიანს სჭირდება მარტოობის ადგილი, სადაც გადამალულ გრძნობებს გამოუშვებს და განავარდების საშუალებას მისცემს.

79. ადამიანი ის არის, რომელიც ყოველთვის მზადაა კეთილშობილური საქციელისთვის და არა ის, ვისაც ზურგი შესაქცევად გამზადებული აქვს დროის და შემთხვევას შესაბამისად.

80. ადამიანი თუ სიფარულისთვის ღალატს ჩადის, მას ეს ცოდვად არ მიაჩნია, მიუხედავად იმისა, რომ ამ სიავეს გრძნობს, მაგრამ სინდისის ქენჯნას არ განიცდის.

81. პიროვნება თავის კარიერის ცენზს უნდა მოერგოს, თუ უნდა ადამიანად დარჩეს.

82. ადამიანი მაშინ ღვინდება, როდესაც სიამოვნებით უყურებს ცხოველებზე და ბავშვებზე გადაცემას და ნახატი ფილმების საყურებლად კინოთეატრშიც დადის.

83. ექსტრასენსით და ჰიპნოზით შეიძლება ადამიანის შეცვლა იმ შემთხვევაში, თუ მას ეს თავის გასამართლებლად და რწმენის მოსაპოვებლად სჭირდება.

84. ადამიანმა თავისი ჭირი თავად უნდა დააჭაშნიკოს, დაჯაბნოს და გადალახოს.

85. ყველა ადამიანს, სამწუხაროდ, თავისი ფასი და ღირებულება ადევს და აქ მორალის დოგმები ვერაფერს გახდება.

86. ბევრჯერ ცხოვრება აკრობატულ ნახტომის სიტუაციაში გვაგდებს, მაგრამ მაინც შეიძლება ადამიანად დარჩე, გააჩნია რა გენი, ჯიში და აღზრდა მოგდევს.

87. ადამიანი კოსმოსთან ჰარმონიაში ცხოვრებას უნდა შეეცადოს და არ დაუპირისპირდეს, თუმცა ძნელად წარმოსადგენია მან ეს მოახერხოს.

88. ჩვენს მიერ გამოგონილ სამყაროს ინტერნეტის საშუალებით უკეთ შევიცნობთ, მაგრამ ადამიანის თანდაყოლილი ბუნების შეცნობაა უმთავრესი.

89. ადამიანი ყველასთან ვერ იქნება კარგად, ეს შავი ხიზილალა არ არის, კარაქიან პურზე თანაბრად გადაუსვათ და მისი ფასისი უცოდინარობის მიუხედავად ყველასთვის სასიამოვნო ნუგბარად გადაიქცეს.

90. ადამიანის ზრუნვაზე და მის ვნების მოთოკვაზე ხელის აღებამ, შეიძლება პრაქტიკულად უარესი შედეგი მოგვცეს, მაგრამ სურვილების თეორიას სად გაექცევი, რომელსაც სხვისი მეთვალყურეობის გარეშე ცხოვრება ოცნებად აქვს გადაქცეული.

91. ოცნების, მიზნის, სიყვარულის გარეშე ადამიანი არარაობაა.

92. საფრთხეში ჩავარდნილი ადამიანის აფექტიან ფანტაზიას ვერავითარი გონება ვერ განჭვრეტს. მაგალითად, ლომისთვის ტუჩებში კბენა.

93. ადამიანს სიბერეში აწვალებს სამშობლოს მიწის ყივილი, პირველი სიყვარულის მოგონება და მშობლების გახსენება, თუ ისინი რაიმედ ვარგოდნენ.

94. ადამიანს ბევრ სხვადასხვა მიწაზე უხდება ცხოვრება, მაგრამ ბედნიერია ის, ვისი ჭიპლარი და გაცივებული სხეული ერთ მიწაში დაიმარხება, რადგან მას სამშობლოს არჩევის პრობლემა არ ჰქონია.

95. ყველა გარემო თავის დროის ადამიანის გამოთაყვანებას ცდილობს და არა – პირიქით.

96. შეხედულებები, ზნეობა, ცვალებადია, მაგრამ არა – ადამიანი და მისი ბუნება.

97. ყველა ადამიანს მოსწონს სხვის საქმეში ჩარევა, განსაკუთრებით მაშინ, თუ მას მომრიგებლის როლს ანდობენ.

98. ადამიანს ფეხები კვებავს, თავი ასულდგმულებს, ხოლო საჭირო ნაცნობობა აცხოვრებს.

99. ადამიანთა ყველაზე დიდი ბედნიერებაა ურთიერთ აზრის გაზიარება, მისვლა-მოსვლა და ამ ურთიერთობის შედეგი რაც უნდა საჭოჭმანო იყოს.

100. დრომ უნდა მოამზადოს ადამიანი იმქვეყნად წასასვლელად და არა – მის ირგვლივ შექმნილმა გარემომ.

101. ადამიანის ლტოლვა მოყვასისადმი ყველა ბედნიერებისა და უბედურების მომტანია, თუმცა გააჩნია ვისი გაცნობა არგუნა მამაზეციერმა.

102. ადამიანი ყოველთვის დგას გამოცდის წინაშე, რომელსაც უკანდასახევი გზა არ აქვს.

103. ყველაზე დიდი კაიფი ადამიანისთვის მშობლის როლის, სიყვარულის სასწაულის და მეცნიერებისთვის მომადლებული ნიჭის რეალიზაცია.

104. ადამიანს ერთი სურს, მეორეს ახმოვანებს, მესამეს აკეთებს, მაგრამ რას ითხოვს მისგან საკუთარი გული და რეალობა ხშირად მისთვისაც უცნობია.

105. პრინციპულობა ადამიანს ალამაზებს, აამაყებს, მაგრამ არ ამდიდრებს და ცხოვრებასაც თავიდან ვერ იწყებს.

106. ადამიანის მაგიური შესაძლებლობა ისევე უნდა გამოიყურებოდეს, როგორც მისი სიჯიუტე ახლის შეცნობის მიმართ.

107. გმირობაა, როდესაც სათქმელიც გაქვს და დროსთან შერწყმული სატრაბახოც.

108. ბუნებას მუდამ ექნება მოუთოკავი ძალა და მისთვის გასაგები საოცრება, რომელსაც ადამიანის გონება ვერასოდეს ჩაწვდება და ვერც ვერაფერს დაუპირისპირებს.

109. ადამიანს თავის გამოჩენის კაპრიზი რომ არ ჰქონდეს, დღეს არც ევოლუციასთან გვექნებოდა საქმე და არც რევოლუციის მოვლენებთან.

110. არავინ იცის ცნობიერების მარაგი ვის როდის და რა ოდენობით აღმოაჩნდება, მაგრამ სიყმაწვილეში დაგროვილი ურთიერთგაგების მარგი ქმედების კოეფიციენტი, ყველა ასაკში უცვლელად გაგვყვება, რადგან ადამიანი ფაქტობრივად არ იცვლება, დღევანდელი ცენზისა და რეგალიების მიუხედავად.

111. თავზე გადამეტებული წარმოდგენის მიუხედავად, ადამიანი ბუნების მონადაა გაჩენილი და არა – მის მბრძანებლად, როგორც ხანდახან თავად ჰგონია.

112. ადამიანის ცხოვრება ბუნების ფერების ყურებაა და მეტი არაფერი, მიუხედავად მისი ამქვეყნად მოვლენის განსაკუთრებულობისა.

113. ადამიანურ სისუსტეში ის ძალაც უნდა იგრძნობოდეს, რომლის გამოყენება, აუცილებელობის შემთხვევაში, გარანტირებული იქნება.

114. საკუთარი ხუშტურის გარეშე ადამიანი ვერც პიროვნებად იქცევა და ვერც მოფასად.

115. დროის თათების წებოვანება სულს ადრე თუ გვიან მიეკვრება და მას გონება მზად უნდა შეხვდეს, რათა ამ ჩაკონებამ ცხოვრების დაისი არ გაგვიმწაროს.

116. იყო ადამიანი ხარისხში, ბედნიერების შეცნობის უდიდესი მწვერვალია და თვითმყოფადი ნიჭი.

117. წესიერ ადამიანს ქრთამის აღებისას სინდისი აწუხებს, უწესოს ეს ზღვარი წაშლილი აქვს, მაგრამ ცხოვრებისაგან ორივეს კუთვნილზე მეტი უნდა, იმსახურებენ ამას თუ არა.

118. მაშინაც კი, როდესაც ცხოვრება უაზროდ გვეჩვენება და სულიერება არარაობად, სიცოცხლეზე ძვირფასი არაფერია, რადგან სამყარო როგორც მისი საკუთრება, ადამიანს ერთხელ ევლინება.

119. ადამიანი მაშინ არის ბედნიერი, როდესაც საკუთარ თავს ჯობნის და სხვას ანგარიშს არ უწევს.

120. ყველაზე უმადური მხეცი ადამიანია – სხვანაირად ის ვერ განვითარდება.

121. ყველა ადამიანს აქვს აზროვნების კრიტიკული წამები, რომელთაც თანდაყოლილი მუხრუჭები უნდა შევაჩვიოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, სანანებელი წამები წუთებად და საათებად გადაგვექცევა.

122. ადამიანი გაცილებით მეტის აღებას უნდა შეეცადოს ცხოვრებიდან, ვიდრე ეკუთვნის, თორემ ბედი უმუხთლებს, ცივილიზაცია უგანებს და სანანებელიც ბევრი დარჩება.

123. ადამიანი რაც უფრო განათლებულია, მით ნაკლები აქვს ცხოვრების გამოცდილება და მისი დაბანგვაც ადვილია, რადგან ამ სამყაროში მოფარფატე სიბინძურეს სერიოზულად ჯერ არ შეხვედრია.

124. ადამიანის უპირველესი ვალია: ღირსეული ნაშიერის დატოვება, გვარის წინაშე ვალის მოხდა, ერის წარმოჩენა, ხალხისთვის თავის მოწონება, სამშობლოს ისტორიაში რაღაცა ხერხებით ადგილის მოპოვება და სამყაროს წინაშე მონანიება, თუ კი მისმა მოვლენამ გარემოს რაიმე ავნო.

125. ადამიანს ძირითადად ენერგიის ხარჯვით და არა ნიჭის სმოკინგით ცნობენ.

126. ადამიანს ,,შენ ხარ ვენახი" მათრახის ტლაშუნით უნდა უძახო, თუ გინდა ქვეყნის მოქალაქედ იქცეს.

127. დოღის ცხენს, მის ორფეხ მოძმისგან განსხვავებით, მომვლელი მეჯინიბე უფრო მოსწონს, ვიდრე მხედარი, რომელიც მისგან მაქსიმალურის ამოღებას მათრახით ცდილობს. რაც შეეხება ადამიანის ბუნებას, მას სულ მათრახით და სასუსნავითყ უნდა ელაპარაკო, რადგან საქმის საკეთებლად დაფავებით საუბარი ყოველთვის შედეგს არ იძლევა.

128. ადამიანი თავისი ბუნებით, საქმით, მზად არის თავისუფლებისთვის, რადგან საზოგადოება ვაგონებისა და ორთქლმავლისაგან შედგება, რომლის გარეშე პროგრესი წინ ვერ მიიწევს.

129. ზოგჯერ ადამიანს ფუფუნების გარკვეული ელემენტი გათბობა, ცხელი წყალი) დროებით უნდა შეუწყვიტოთ, რათა ყოველდღიურობის გარანტირებულმა სიკეთემ არ მოადუნოს, თანაც მისი დაფასება ისწავლოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მის გათავხედებულ მოთხოვნებს ვერ აუვალთ.

130. ადამიანისათვის ყველაზე საამაყოა ის, თუ ცხოვრება ნაოთხალით და ბობღვით არ გაუვლია.

131. ადამაინი, რომელსაც თავისი მცდელობის განხორციელების საშუალება არ ეძლევა და საფარელ საქმიანობას ვერ ეწევა, პოტენცი-

ურად საშიში პიროვნებაა, თუ ცოტათი დარეხვილიცაა და გარემომაც ხელი შეუწყო.

132. დღევანდელი ადამიანი, წინაპართან შედარებით, გარეგნულად და ინტელექტით უკეთ გამოიყურება და სიტყვითაც მოყვარეობს, მაგრამ შინაარსით მის ავისკენ მისწრაფებაში არაფერი შეცვლილა.

133. სასიამოვნო ადამიანი, რთული პიროვნება უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ბრბოში აგვერევა.

134. ადამიანის უმადურობას ზღვარი არ აქვს, ხოლო მისი მადლიერება ყოველთვის საზღვრებშია გამოკეტილი და კეთილისმყოფელის შექებას ვერ იტანს, რადგან ჯიბე გაისქელა და ჰგონია, რომ ამით მის იმიჯს ჩრდილი ადგება.

135. ყველა ადამიანს ფულის უკმარისობა, მთავრობის უვარგისობა და საკუთარი ბედისადმი უკმაყოფილება აერთიანებს.

136. ადამიანი პირველ რიგში იმას ხედავს, რაც აინტერესებს და იმას ამჩნევს, რის შეუმჩნევლობა შეუძლებელია.

137. ადამიანმა უნდა იცოდეს, რა უნდა, ვისგან, რატომ და რა სარგებლობის მოტანა შეუძლია.

138. ,,ჰომო საპიენსს", სანამ ადამიანად იქცეოდა, მრავალი წინაპარი ჰყავდა, მათ შორის: დაუჯერებელი ხასიათის თხა, უზომო მადის მქონე ღორი, მოხერხებული მელა, სისინის მოყვარული გველი, ხეზე მოხტუნავე მაიმუნი და მრავალი სხვა. ამ ხასიათის კოქტეილის მამაზეციერის ფილტრში გატარებით, მივიღეთ გამოუცდელი, გულუბრყვილო არსება, რომელმაც გარემოსთან შეხებით თანდათან დაიწყო წინაპართა ნაბოძები გენის დაბრუნება და მის ანგელოზად ქცევას აღარაფერი ეშველება – ამას უნდა შევეგუოთ აწ და მარადის.

139. ადამიანზე არც კარგის თქმა შეიძლება და არც ცუდის, რადგან არავინ იცის ბოლომდე მისი ღირებულება და ისიც როგორ გასწირავს შემთხვევითობა და ბედი რას მოამოქმედებინებს.

140. კარიერისთვის ბრძოლა იწირავს ყველაზე ძვირფასს: გრძნობათა ჩოჩქოლს და ნიჭის აღმაფრენას. ადამიანი, სხვა შემთხვევაში, ცხოვრების ამ ბედის ნაბოძვარს არაფერზე არ გაცვლის.

141. უნდა ვიცოდეთ, რომ საჭირონი ვართ ჩვენი საქმიანობით და შესაფერისი ანაზღაურებით, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოგვთხოვონ ვიყოთ ადამიანები, გაჭირდება.

142. ადამიანის დარწმუნება უფრო ძნელია, ვიდრე მისი დაყოლიება, როცა გარემო და ირგვლივმყოფნი ძალადობენ კეთილი სურვილებით.

143. ადამიანთა უმრავლესობა გაცილებით უარესია, ვიდრე წარ-მოგვიდგენია. მაგრამ ცნობიერება მათ უკეთ წარმოჩენას ცდილობს.

144. ადამიანმა ისე უნდა იცხოვროს როგორც საჭიროა და არა ისე როგორც შეუძლია, თუ უნდა გარეშეთა რისხვა და შინაურთა გაკიცხვა არ დაიმსახუროს.

145. ეროვნულობას პატივს უნდა ვცემდეთ, მაგრამ არ უნდა ვაფე-ტიშებდეთ, შეცდომაზე უნდა მივთითოთ, მაგრამ მისი გამოსწორების გზებიც თავად უნდა მოიძიოს, სიყვარული უნდა ვიცოდეთ, მაგრამ თავშეკავების უნარიც უნდა გაგვაჩნდეს, ცოდნას უნდა ვეუფლებოდეთ, მაგრამ თავზე არავის უნდა ვახვევდეთ, ასე და ამგვარად, ყალიბდება ადამიანი, რომელიც ცხოვრების ფინიშზე ისე უნდა მივიდეს, რომ თავი ამქვეყნად ყოფით არავის მოაბეზროს.

146. ადამიანს ყოველთვის აცოფებს იქ ყოფნა, სადაც არ სიამოვ-ნებს და ვერ ურიგდება, რომ ამჯერად შემთხვევამ და ბედმა დროებით გაწირა.

147. ბუნების საოცრებებში თავისი უსირცხვილო ცნობისმოყვარე-ობით და ვირეშმაკობით ბრბო არ უნდა დაბორიალობდეს, თუ გვინდა ადამიანს გრძნობების ამოსაფრქვევი რაიმე შევარჩინოთ.

148. ადამიანს მუდმივად საკუთარი ინტერესები ამოძრავებს ყოველ-გვარი გრძნობებისა და ტრადიციული მოტივების გარეშე.

149. ეტყობა, ერთი თაობის მოვლენის დრო ამქვეყნად არც ისე ცოტაა, თორემ თავის განვითარების მანძილზე ადამიანი ამდენის გაკე-თებას ვერ შესძლებდა – როგორც მეცნიერებაში, ასევე ხელოვნებაში.

150. ადამიანისათვის ნალოლიავები სურვილის გაფეტიშებაა მთავა-რი და არა – რეალობასთან შეხვედრა და თავის მოწონება.

151. წოდება, ხარისხი, ცენზი, ჯილდო, თანამდებობა, ეს არის უმოკლესი ფორმა ადამიანის დასახასიათებლად ყოველგვარი დისკუსიის და ყბედობის გარეშე.

152. „ჰომო საპიენსს“ ვერაფერს გაუგებ, ხანდახან ნაძირალაც კი აფექტის შედეგად, თუ ცოდვების გამოსყიდვის მიზნით, ადამიანი ხდება.

153. ძნელია იმ დროში ცხოვრება, სადაც ადამიანობა ოფიციალუ-რადაა გაუფასურებული.

154. ადამიანებს უყვართ ემოციური ამბების მოყოლა, რომელშიც სხვები არიან გაბმულნი, თავად კი განსჯის, ნიშნისმოგების და ჭკუის სწავლების უფლებას იტოვებენ.

155. ადამიანს გამორჩენა და ფული იმონებს და არა – ადამიანი, სწორედ ეს ამყოფებს ვიგინდარას სამსახურში და მონის სტატუსში.

156. გამარჯვება და მარცხია ადამიანის თვითრეალიზაციის გამომ-ხატველი და შემქმნელი.

157. ჯოჯოხეთშიც კი ადამიანმა შემოქმედების და შემართების უნა-რი არ უნდა დაკარგოს.

158. ადამიანს ბიოსფეროს ხუმრობა შეუმჩნეველი არ რჩება, მაგ-რამ ვერც ვერაფერს უბედავს და დაბოღმილი უყურებს ამ სამყაროს გონიერებას.

159. ადამიანი იმ ქაღალდს არ უნდა ჰგავდეს, რომელსაც ყველაფ-რის მოთმენა შეუძლია.

160. ადამიანისთვის უმთავრესია საქმიანობა სათანადო ანაზღაურე-ბით, შემდეგ მოდის შვილი, სამშობლო, მოყვასის სიყვარული. წინააღ-მდეგ შემთხვევაში, ყველაფერი აირევა და თავისა და ბოლოს გაგება ჭირს.

161. ღირსეულ ადამიანს მასზე ზრუნვა ხშირად უხერხულ მდგომა-რეობაში აგდებს, რადგან შიშობს ყურადღება რომ ვერ გაამართლოს და გადამეტებული სიყვარულის დივიდენდების კრედიტად აღება ეუ-ხერხულება.

162. ადამიანები უკვალოდ ქრებიან, მაგრამ სიცოცხლეს სხვადასხვა სიამით და გაგებით ცხოვრებაში აბანდებენ.

163. ადამიანს ოცნება და ყბედობის სურვილი არ უნდა დაუკარ-გოთ, თუ გვინდა მისგან რაიმე გამოდნეს.

164. ადამიანს შეუძლია ყველას გამონათქვამში ჭკუის სალაფავი ნახოს.

165. ადამიანს ბუნებით გარყვნილებისკენ აქვს მიდრეკილება, გონე-ბით – პატიოსნებისაკენ, ხოლო სურვილით იმას აკეთებს, რაზეც ხელი მიუწვდება.

166. თუ ადამიანი ყველაფერზე ნორმალურად რეაგირებს და კე-თილგონიერია, ეს არის მისი ყოფიერების ფინიში, რადგან მას ჯერ არ უცხოვრია.

167. ადამიანი ცდილობს სატრაბახო და თავის მოსაწონი ნაცნო-ბობა ჰქონდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას ლაღად ცხოვრება უჭირს.

168. ადამიანს თუ ყოველწუთს ჩავჩიჩინებთ და ვეტყვით, რომ ის ეღორის ბუნებისაა, ცოტახანში ღრუტუნს დაიწყებს, ხოლო თუ შევა-ქებთ და ვაიძულებთ სხვას დაეხმაროს, მაშინ სიკეთის მთესველად მოგვევლინება.

169. მომდევნო თაობებს ცხოვრება სხვა ექნებათ, მაგრამ ადამიანის რაობისთვის საბოლოოდ რა ჯობს, რამდენად მისაღებია არავინ უწყის.

170. შენიშვნის მიცემა კი არ არის დაგვიანებული, არამედ ადამიანის თავიდან აღზრდის მცდელობა.

171. ადამიანს ბედნიერებისთვის ცოტა რამე-რუმე სჭირდება, ხოლო ისე რომ იცხოვროს როგორც მისი შურთ – შეუძლებლად ბევრი.

172. ადამიანი სტრესიდან უნდა განთავისუფლდეს, ოღონდ სხვის დაუხმარებლად, შეუმჩნევლად.

173. ყველა ადამიანს თავისი ასაფრენი ბუდე აქვს და სხვის ბუდის დაკავებას არ უნდა შეეცადოს თუ უნდა მაღლა აფრინდეს, ამ ბუდეს ზევიდან გადმოხედოს და თუ საჭიროდ ჩათვლის, თითიც დაუქნიოს.

174. ყოფიერების გააზრების სურვილი, კიდევ კარგი, ადამიანს გვიან უჩნდება, თორემ აწმყოში რომ ყოველივე წინასწარ განეჭვრიტა ჭკუიდან გადავიდოდა და ამ ქვეყნად არსებობაზე შეიძლება უარი ეთქვა.

175. სიღარიბე ადამიანის ბუნებაში დევს, რადგან ერთს იმედის გარდა არაფერი აქვს და ბედნიერია, მეორეს ყოველივე თავზესაყრელად აქვს და უბედურია. პირველი თავისი სიამოვნებისთვის იღვწის და მომავლით ცხოვრობს, მეორე თავის წარმოჩენას და სხვისთვის ნიშნის მიგებას ცდილობს.

176. ადამიანის ბუნებას ყოველთვის შეუძლია ჩვენი გაოცება, მას რაც უნდა კარგად ვიცნობდეთ.

177. ადამიანი ფასდება გონიერებით, ერთგულებით და დანაპირების შესრულებით.

178. ადამიანის ღირსებაა რწმენა, ნებისყოფა, შრომისმოყვარეობის ფანატიზმი – ოცნებაშია დასახული.

179. ადამიანი მეტ-ნაკლებად ისჯება თავისი ნამოქმედარისთვის და ეს არის ცხოვრების სამართლიანობის „პერპეტუუმ-მობილე“.

180. ბუნების კანონები ჯერ არავის აუკრძალავს და ადამიანიც ვალდებულია ისე იაზროვნოს და მოიწყოს ცხოვრება, რომ ამბიციებს თავიც არ გადააყოლოს.

181. ადამიანის ყველაზე დიდი შენაძენი მოთმინებაა, რაც უნდა მოუთმენელი სიმდიდრე ზევიდან დაგვყურებდეს, რადგან განგება ყველაფერს ხედავს და თქვენს ბედს გააქტიურებს.

182. სამწუხაროდ, თუ საბედნიეროდ, მიუხედავად ჭორებისა და მასზე ცუდი გამოხმაურებისა, მე კაცში უპირველესად ადამიანს ვხედავ, ვიდრე მასზე ხელს ჩავიქნევდე.

183. ყველა ჩვენგანი უსინდისოდ ცდილობს ცხოვრების სიამით დატკბეს, როდესაც ის რეალობასთან კომპრომისზე მიდის, მაგრამ რას ვიზამთ, ასეთია ადამიანის ბუნება თავისი სისუსტით, ილუზიებით, რწმენით.

184. ადამიანი ფიზიოლოგიურ მოთხოვნებს წინ არ უნდა აღუდგეს, მაგრამ მისი მართვა-მოთოკვა უნდა ისწავლოს.

185. ადამიანი მაინც თავად ირჩევს ცხოვრების გზას, განგების კარ-ნახით იქნება თუ შემთხვევის წახმარებით.

186. ადამიანს და ყველაფრის გაადამიანება შეუძლია, თუ უყვარს – ძაღლის გადაადგილების საშუალებას და მათ შორის „ქალის".

187. ის რაც ადამიანის ყოფიერებისთვის პრაქტიკულია, ოპტიმა-ლურია, გონიერებისთვის მიუღებელია, რადგან მას ფუფუნების ვირუსი მისდაუნებლიედ გადაედება.

188. ქალის სარეცელში უვიზიტო მიწვევა ბედნიერების შეცნობის მცდელობაა, მაგრამ ტრადიციების ზოგიერთი დოგმა, აკრძალვა იცავს საზოგადოებას გადაგვარებისგან.

189. ადამიანი იმაზე უკეთესი ვერ იქნება, რის საშუალებასაც განგე-ბა, დრო და გარემო აძლევს.

190. ადამიანი შთამომავალს იმიტომ აჩენს, რომ მიზეზი ჰქონდეს ქონების დაგროვების და ცხოვრების ქისის ხვრელების ამოვსებისა.

191. ადამიანს თუ საკენკად ფულს მიუგდებენ, ის თანდათანობით კარგავს იმ ამაღლებულ თვისებებს, რომლისთვისაც უყვართ და ელო-ლიავებიან.

192. ადამიანი გაუთავებელი ენერგიითყუნდა იყოს დამუხტული, რა-თა მისი მცდელობა პატივისცემაში, სიყვარულში, გადაიზარდოს.

193. ადამიანის პრეტენზიებს და უმადურობის გრძნობას ვერც ერთი ბანკის ანაბარი ვერ მოთოკავს.

194. დროგადამოწმებულ ადამიანთან საქმის დაჭერაც გსიამოვნებს, დასპონსორებაც და მათი საქმითაც ინტერესდები.

195. მორალის არმქონე ადამიანი, თავისი ცოდნა-უმეცრებით, ნა-ციონალურ ჩოხაში გამოხვეული ყველაზე დიდი დემაგოგია.

196. ადამიანის წესიერების კრიტერიუმია ვალის დროულად დაბ-რუნება და დანაპირების გაუჯანჯლებლად შესრულების უნარი, სხვა ნაკლი მის წესიერებას ვერას დააკლებს.

197. თუ ადამიანს და მის ყოფას ხელფასით შევაფასებთ და არა – შემოსავლებით, ბევრ მათგანზე აზრი უდავოდ შეგვეცვლება.

198. არის ადამაიათა კატეგორია, რომელიც გონიერების ანკესზე თითქოს ეგება, მაგრამ არასდროს არ ამოჰყვება და საჭიროების ჟამს არასდროს გვერდში არ გიდგას.

199. ზოგჯერ ადამიანს, ცნობიერების ტალღების დასახრჩობად, შე-უჯდება გაჯიქების ვირუსი და სულიერების სიღრმეში შეტოპილი, გრძნო-

ბებამღვრეული, რას მოიმოქმედებს, თითიდან გამოწოვილის მომიზეზებით, თავადაც არ უწყის.

200. ტექნიკური პროგრესის წინსვლა, ფუფუნებისკენ მისწრაფება, კანონის მოჩვენებითი პატივისცემა, გადააგვარებს ადამიანთა მოდგმას და მის ყოფნა-არყოფნას ამ პლანეტაზე სათუთოს და სადავიდარაბოს გახდის.

201. ადამიანის ნერვების აშლის მიზეზი ძირითადად უწიგნურობაა და არა უგნურება.

202. სამყაროში ბევრი საოცრება ხდება, მაგრამ ადამიანის ცნობიერებას ადრე თუ გვიან ვერაფერს გამოაპარებს.

203. სიფვარული მეფეთა საქმე არ არის, ის ჩვეულებრივ ადამიანთა ხვედრია.

204. რადგან არ არსებობს ცხოვრების სიბრძნე და გონების დანაგვიანების აუცილებლობა, შესაბამისად, უნდა არსებობდეს მეეზოვე, ქურდი, დამსმენი, პოლიცია, კანონი, სასამართლო და ესეც განგების ნებაა, რადგან ნაკლის და გასვრის გარეშე ადამიანთა მოდგმა ვერ იარსებებს.

205. ზოგჯერ ადამიანის სიხარბის, გაუმაძღრობის, დაკმაყოფილება სამყაროს შესაძლებლობებს აღემატება.

206. ადამიანს ასაკში უჭირს სიფვარულის ენერგიის გადანაწილება, ამიტომ ამ ხელოვნების სამსახურის, ან ტრფობაში აღრეული ვნების გვერდით უნდა დადგეს.

207. ძალაუფლება თუ სიფვარული, ხშირად არჩევანი ჩვენზე არ არის დამოკიდებული, რადგან ადამიანი იმდენად სუსტი არსებაა, რომ რასაც ფეხს წამოკრავს და გაუმართლებს, იმას მიეტმასნება.

208. ადამიანი შინაგან წარმატებას მაშინ აღწევს, როდესაც ის იგრძნობს, რომ მისი გონების საწყისი გულია.

209. ადამიანმა ისე უნდა იცხოვროს, რომ ზევით – ზეცაში ამქვეყნად ყოფნა ჩაუთვალონ, ხოლო ქვევით, ცოდვილ მიწაზე, დაიმახსოვრონ და მისმა მიმდევრებმა ხანდახან გაიხსენონ.

210. თეორიულად და კანონით, ადამიანს გამოსწორების შანსი სიცოცხლის ბოლო წუთამდე უნდა მივცეთ, მაგრამ პრაქტიკულად ეს არც ამართლებს და არც ღირს.

211. ბუნებას და მის კანონებს ვერ გააცურებ, ამიტომ ადამიანი მასთან საერთო ენის გამონახვას ცდილობს და ზოგჯერ ამას ახერხებს კიდეც.

212. უნდა მივესალმოთ საზოგადოებაში მიღებული აზრიდან ყველა იმ გადახრას, რომელიც ადამიანს ალამაზებს, სულს აღუფრთოვანებს და აახალგაზრდავებს.

213. ბუნებას, საზოგადოებას, აქვს კანონები, რომელიც ზოგიერთი ადამიანის ხუშტურს შეღავათს გაუწევს.

214. არსებობენ უგუნური და ავადმყოფი ადამიანები და არავითარ შემთხვევაში – ცუდები. შეიძლება ყოველივე მთლად ასეც არ არის, მაგრამ თავად აზრია საინტერესო და მისაღები.

215. ყველა ჩვენგანს უნდა ჰქონდეს შუცნობელი ,,ის", რომელსაც ვერ გადააბიჯებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ადამიანად ვერ იქცევა.

216. ადამიანმა, პირველ რიგში, თავის რაობას არ უნდა უღალატოს, ხოლო საკუთარ ამბიციებს, ,,მეს", როგორმე მოუვლის და გაუგებს.

217. ადამმა ნეკნის შეწირვის საფასურად ევა მიიღო, ამის შემდგომ ისე გაუცრუვდა იმედები, რომ არავისთვის არაფერი არ შეუწირავს.

218. აღზრდა-ჩამოყალიბებისგან განსხვავებით, ადამიანის საცდუნებელ-გასარყვნელად წუთიც საკმარისია.

219. ცნობილი ადამიანების ბინძურ საცვლებს იმიტომ ქექავენ, რომ თავისი დაივიწყონ, სხვისას შეადარონ და თავისი ჭუჭყის მარგი ქმედების კოეფიციენტი განსაზღვრონ.

220. ადამიანს ასაკის რამდენიმე განზომილება აქვს, მაგრამ ყველაზე ნეიტრალური და ხელმისაწვდომია – ,,დღეს დიდებულად გამოიყურებით".

221. ყველა ადამიანმა უნდა იცხოვროს, ითოხარიკოს თავისი ცხოვრებით, რათა არავისზე სასაყვედურო არ ჰქონდეს, რომ დახურდავდა ვიღაცისთვის და რაღაცისთვის და თავი შეგვაცოდოს.

222. უნარიანი-შემძლე ადამიანები ხშირად უსიყვარულოდ არიან და ასე აგრძელებენ ცხოვრებას, სანამ სიყვარულის ულუფებათ გამოშვებას და მისით თრობას არ ისწავლიან.

223. ადამიანმა შეიძლება თავის რაობა ცხოვრების ნაგლეჯებიდან შეაკოწიწოს და ამ მცდელობიდან წარმატებით გამოვიდეს.

224. ადამიანის სულის ფილოსოფიაა მისთვის საამო აზრების ცოდნა.

225. ინტელექტუალური რესურსების ფლობა, ცბიერ ადამიანსაც აიძულებს ქვეყნის სასიკეთოდ იღვაწოს. თუ დაუჯერებენ, ,,შენ ხარ ვენახოს" წაუმღერებენ და შეაქებენ.

226. ადამიანი რაც უფრო განათლებულია და შემოქმედებითი წვა მეტი ახლავს, თავის დროისთვის მოუმზადებელია.

227. პატარებს აქვთ ბუნებიდან ნაბოძები, საოცრად მომნუსხველი, კოცნა-ალერსი, რომლის წინაშე ყველა ვალში ვართ, თუ ჩვენ ადამიანები გვქვია და სიცოცხლეს ვეტრფით.

228. სამყაროს საოცრების და მოსალოდნელი კატაკლიზმების შესახებ ხალხს აზრი ისე უნდა გაუზიაროთ, რომ ცხოვრება სიამოვნებდეს, რადგან ადამიანისთვის სიცოცხლეზე მეტად სახელის დაიმედებით დატოვებაა ამქვეყნად მთავარი.

229. ,,ბუნებას ცუდი ამინდი არ აქვს", მაგრამ ამ თეზისში კორექტივი თავად ბუნების ძალებს შეაქვთ და ადამიანის მისდამი გათავხედებას წყალდიდობით, ქარიშხლით, გვალვით ოპონირებას უკეთებს და კორექტივები შეაქვს მის აზროვნებაში.

230. ასაკში კაცობის დანახვის მცდელობა ჯიუტი რომანტიკაა, სიკეთის შენს ჭკუაზე მოწველის მცდელობაა, რომელიც ადამიანის ბუნების გასაგებად ყოველთვის არ გამოდგება.

231. ადამიანი ბევრს ვერაფერს დააკლებს სტიქიურ უბედურებას, ამიტომ მორიდებით უნდა ცხოვრობდეს, ყოფის მოწესრიგება-მოთოკვით, რადგან ძალაუფლება მასზე ძლიერთა ხელშია.

232. ადამიანის ცნობიერებაა ყოფიერების საწყისი და ყოველივე გაუცნობიერებელზე მრავალი წერტილის დამსმელი.

233. ადამიანს ორი უმთავრესი ნაკლი ახასიათებს: ერთი იტყუება და მეორეს თქმა არ ეხერხება.

234. ჩვენ იმ სურვილის დაჯერება გვინდა, რომელიც ადამიანის შიგნითაა ჩაღვენთილი – რომ ის ყველაზე ჭკვიანი, მომხიბვლელი და უკეთესია, რათა ცხოვრება გავილამაზოთ და პეწით ვიცხოვროთ.

235. ადამიანის ბუნებას ცხოველური ინსტიქტები განაგებენ, რომელთაც ხანდახან ცხოვრების გამოცდილება და გონებაც გვინდა შევაზილოთ, მაგრამ ხშირად აქედან არაფერი სახეირო არ გამოდის.

236. სისხლში აღრეული სიფვარულის რაობა ძნელი გასაგებია, მაგრამ ამ კოქტეილის მჩქეფარების მქონე ადამიანები გაჭირვების ჟამს ყველაზე მეტად ადგებიან ქვეყანას.

237. ადამიანის ჩამოყალიბება-წარმოჩენაში უმთავრესია მისი რაობის პარამეტრების შეცნობა.

238. ხშირად ადამიანი დროსტარებას, მოხვეჭას, სამსახურს, უფრო წინ აყენებს, ვიდრე ჯანმრთელობას, განათლებას, რწმენას, მიუხედავად იმისა, ამ ბოლო სამის რაობაზეა დამყარებული პირველი სმის საწყისი.

239. ადამიანის საქმიანობას პატივი უნდა ვცეთ, მაგრამ მის უფლება-მოვალეობის აღსრულებას ბოლომდე არ უნდა ვენდოთ, რადგან ის ბუნების შვილია და გარემოების საფირი სუსტი არსება.

240. ადამიანი ზოგჯერ ძველ სიფვარულს უბრუნდება, მაგრამ წყენატკივილი არ იკურნება, მხოლოდ ყუჩდება.

241. ადამიანი ყოველთვის დიდ ბავშვად დარჩება, კანონების რომ არ ერიდებოდეს.

242. ადამიანს წინასწარ რომ შესძლებოდა თავისი ბედ-იღბლის გამოცნობა, იმ რობოტს დაემსგავსებოდა, რომელსაც ადამიანთა მოდგმასთან მსგავსება არ ექნებოდა.

243. ადამიანის რაობის ფსიქოლოგიური, რელიეფური ხედვა და პირველ რიგში შეფასება დამოკიდებულია განათლებაზე და არა შესაძლებლობებზე.

244. კერპებისადმი თაყვანისცემა და გაფეტიშება ადამიანის ბუნებაში დევს თავის მოწონების, ოცნების შესაბამისად, რათა სასაუბრო თემა გამონახოს, ისიამოვნოს.

245. არ არსებობს ადამიანი, რომელსაც ბუნებით სიკეთის კეთება არ სიამოვნებდეს, მაგრამ ამის უფლებას აღზრდა, ძალაუფლება, აგიტაცია, უნდა იძლეოდეს ან ნებით ან იძულებით.

246. ადამიანი ფიქრობს ერთს, ოცნებობს მეორეს, იღებს მესამეს: ვიფიქრეთ როგორმე მიწას ავცილებოდით, ვოცნებობდით ჩიტივით გვეფრინა, შედეგად ბომბდამშენი მივიღეთ; მოხერხდა ატომის დაშლა, მუქთა ენერგიის მოხმარება და ატომური ბომბი ავაფეთქეთ; ვიფიქრეთ კოსმოსში როგორ ავსულიყავით, ოცნებით პლანეტაზე მოგზაურობას ვაპირებთ და სულ იმის შიშში ვართ, სიკეთის ნაცვლად პლანეტათა გადანაწილების ომში არ გავეხვიოთ, რადგან ადამიანის ვერაგული ბუნების გამოსწორებას ვერავითარი ისტორიული გამოცდილება, სწავლა-განათლება, ვერ შველის.

247. ხანდახან, ადამიანის გამოსაცდელად, საჭიროა მისი პროვოცირება, რათა ექსტრემალური პირობებისთვის მზად გვყავდეს და მისი ნდობა შევძლოთ.

248. ადამიანის მანკი, გულგრილობა და შიში, ზოგჯერ მოსაწონიც არის და წესრიგის შემნარჩუნებელიც, როდესაც ბრბოს აღტკინების ფენომენის ამოხსნა საზოგადოებას ხელარეწიფება.

249. მილიონერსაც კი, დამსახურებული მცირე პენსიის, ჰონორარის, აღება უფრო ახარებს, ვიდრე თავისი მილიონების თავქარიანი ხარჯვა და ამ გასამრჯელოთი თავი მოაქვს. ეტყობა. ადამიანს სჭირდება ილუზია, რომ მის დამსახურებას ქვეყანა, რაღაცნაირად აფასებს.

250. ადამიანმა დრო ყოველთვის უნდა იმყოფინოს მოსახდენის და გასაკეთებლის დასაბოლოებლად, ცხოვრების საათის გაჩერებამდე.

251. ადამიანს მაშინ აქვს დაბერების უფლება, როდესაც ის რომელიმე კრიტიკულ ასაკამდე მომწიფდება.

252. ადამიანი ყოველდღიურად თავს უნდა სრულყოფდეს – ოცნებით მაინც, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხორცთან ერთად სულიც პენსიაში გადის.

253. ადამიანი იმიტომ მიჰყავთ იმქვეყნად, რომ ამქვეყნიური მისია ამოწურულია, თუმცა ვინ იცის, შეუმცდარი არავინაა.

254. ადამიანის პირადი ცხოვრებაა უმთავრესი და აქ მას უფლება არ აქვს ბედნიერი არ იყოს.

255. სული ჩვენი სამყაროა, სხეული – ამ ქვეყნის საკუთრება, სიჯიუტე კი ადამიანად გვაქცევს და ფასს გვიმატებს.

256. კარგი ადამიანი ცუდად არ უნდა ცხოვრობდეს, რათა უმადურობა სახელმძღვანელოდ არ იქცეს მომავალი თაობისათვის აღზრდისთვის და კანონიდან გადაცდენისკენ ხელი არ წაუცდეს.

257. მთავარია ადამიანი ფუფუნებას არ შეეჩვიოს და ტვინის უჯრედები არ დაეჟანგოს, თორემ თავის გასამართლებლად, მაღალი იდეალების ტომარას მოითხოვს, შიგ ჩაძვრება და იქიდან დაგვიშენს ,,სამართლიანობის'' და ,,თავისუფლების'' ტყვიების სროლას.

258. რატომღაც დღეს, ადამიანი უფრო სენტიმენტალურია, ვიდრე გულკეთილი და ალალი.

259. სჯობს მკაცრად მოვექცეთ ადამიანს, ვიდრე უყურადღებოდ დავტოვოთ და ხელიდან დაგვისხლტეს როგორც ბიუჯეტის შემავსებელი და ქვეყნის მოქალაქე.

260. ადამიანს ერთი საზომი აქვს – საკუთარი ინდივიდუალობა, რომელზეც ამყარებს აწმყოს და მომავალს, შემთხვევითობის და ,,ნეტას'' ოცნების გათავისებით.

261. ადამიანი თვალებით ამჩნევს, ყურებით ისმენს, ცხვირით სურნელს შეიცნობს, ხოლო გულის კარნახის, გრძნობების ჩოჩქოლის, ჭკუის სასიამოვნო ჭყლეტის გარეშე პირველი სამი აზრს კარგავს.

262. ყველა ,,პლუსზე'' ერთი ,,მინუსი'' რომ მოდიოდეს, ადამიანთა მოდგმას ძაღლი არ დაჰყეფდა.

263. ადამიანი თავისი ბუნებიდან, ინტერესიდან, გამომდინარე, ცრუობს, ყოყლოჩინობს, თავხედობს, მაგრამ არ ვიცით ამაზე ხელი ჩავიქნიოთ, თუ სხვა მატყუარას და ავყას დავუახლოვდეთ და ჩვენც ბედს გავეთამაშოთ.

264. ადამიანმა რომ იცოდეს რა უჯდება დედამიწას მისი დაბადებიდან-სიკვდილამდე შენახვა და იმქვეყნად გადაბარგება, მის თავხედობის, უგუნურების გათვალისწინებით, შეიძლება ამქვეყნად მოსვლაზე თავად ეთქვა უარი.

265. ცოდვები მოუნანიებლად არც თავს უნდა ვაპატიოთ და არც სხვას, თუ გვინდა ადამიანებად ვიქცეთ, ხოლო მოქალაქედ ყოფნისას – არ უნდა შევცოდოთ.

266. ადამიანის დამატებითი დანიშნულებაა უეცარ და უდროო სიკვდილს გადაურჩეს და არა – ამქვეყნად ბინადრობას.

267. ადამიანი ყველა კარგია, თუ ის ადამიანის კოდითაა მოვლენილი ცხოვრებაში სიამის მისაღწევად.

268. ადამიანები მანამ ვართ ჩამოყალიბებულები, სანამ არ გავარკვევთ რატომ ვცხოვრობთ და რისთვის უნდა მოკვდეთ.

269. სიმშვიდე ძლიერი ადამიანების ღირსებაა და არა – კარგი ადამიანის თვისება.

270. ადამიანებს მოთხოვნილებები ერთნაირი გვაქვს, ტრადიციების და მენტალიტეტის მიუხედავად.

271. განგება ადამიანი ორაზროვანი ცდუნებით კარიერიზმი – ძალაუფლებისკენ, ნაციონალიზმი – მომხვეჭელობით აღჭურვა რაც პოლიტიკურ-ვიგინდარიზმის ფუძე-საწყისია.

272. ადამიანის გონებას გენიალობაში გარკვევა იპყრობს, ხოლო ხორცი კვლავ განცხრომისთვის ჩალიჩობს და ყოველივე მცდელობა ფეხებზე ჰკიდია.

273. ქაღალდზე გრძნობების დამაგრებამ ბევრი სისულელე ჩაგვადენინა, არაჯანსაღი ფანტაზია გაგვიღვიძა ცხოველებისაგან განსხვავებით, რომლებმაც ადამიანებზე ნაკლებად არ იციან ტრფობის, კვლავწარმოების და რაინდობის ფასი.

274. ადამიანი დამყოლი – ეყრდნობა გადამეტებულ ნდობას, გრძნობათა ჩოჩქოლს, გაღარიბებულ გამოცდილებას, დევალვირებული ბრბოს აზროვნებას, რომლებსაც ილუზიების სამყაროში მიჰყავს და მარადიული შემეცნებიდან, ჭეშმარიტებიდან, შორს დგას.

275. მგელსა და ადამიანს შორის ის მსგავსებაა, რომ ერთი, თავისი ბიოლოგიის გამო, უკან ვერ იხედება, ხოლო მეორე უკანაც იყურება, განვლილ ყოფასაც ამუღამებს, მაგრამ ისე ცხოვრობს, როგორც მგელი.

276. ადამიანის დასჯა მოფერებითაც შეიძლება, თუკი ის შუბლში კოცნის საფასურად ტყვიის დახლას ელის.

277. ადამიანის ყოფის ავან-ჩავანი სიკვდილამდე: აღზრდა, გარემო, შემთხვევა და გენია.

278. თანამდებობის დაკავება-დაკარგვის შემდგომ ადამიანს საკუთარი გენეტიკური კოდი უფრო ადგება არსებული სიტუაციის მოსანელებლად, ვიდრე გონიერება, გამოცდილება.

279. ძნელია იმ ადამიანის ნახვა, რომელიც გაგიგებს, გიერთგულებს, ყოველგვარი გამორჩენის და დაპირების გარეშე.

280. ადამიანთა საქმიანობა, ყოფა, ვარსკვლავთა სასაფლაოა, იმის მიხედვით, ვინ როგორ ამობრწყინდება, მაგრამ ბოლო ერთი აქვთ – თავიდანვე ცნობილი.

281. ცხოველსა და ადამიანს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი მაშინ ჭამს, როცა შია, მეორე – როდესაც ამისთვის დროს იხელთებს და აქ გონიერება ვერაფერს ხდება.

282. დღევანდელობის გადასახედიდან, ყველაზე დიდ უაზრობაში სახსრების ხარჯვამ შეიძლება დროთა განმავლობაში უდიდესი მოგება მოიტანოს, რადგან ადამიანს „საცალო" სისულელის დანახვა და მასში ფულის ხარჯვა უფრო მოსწონს, ვიდრე ბითუმად გონიერების ნაღვაწი და ყოველდღიურობა, რომელსაც ის დაუფიქრებლად იყენებს. მაგ.: პირამიდები, მეფე ზარბაზანი, პისუარის ბიჭი და არა – მობილური ტელეფონი, თვითმფრინავით მგზავრობა, ინტერნეტი და სხვა დღევან-დელი საოცრებანი.

283. ადამიანის აღზრდის გარეშე დატოვება დანაშაულია, აღმზრდელსა და აღსაზრდელს შორის როგორი ანტაგონიზმიც უნდა ღვიოდეს.

284. ხშირად ადამიანები თავისი უხასიათობით, სიჯიუტით, საკუთარ თავს ჭამენ და აჩიავებენ.

285. ყველა საუკუნეს თავისი დროის შესაფერისი აზროვნების და ჯიშის ადამიანი გამოჰყავს, მაგრამ უტოვებს ქვენა გრძნობებს, შურს, თავხედობას.

286. ადამიანის უბედურება – კეთილდღეობის კატალიზატორი მი-სივე ბუნებაა, თავის მერყეობით და გართობისკენ მიდრეკილებით.

287. ზოგჯერ დროით გადამოწმებული ურთიერთობაც კი სანდო არ არის, ამიტომ პრობლემა მოსაგვარებლად უკონტროლოდ სხვას არ უნდა მივუგდოთ, რადგან ადამიანი მაინც სუსტი არსებაა თავის ბზიკებით, ქვენა გრძნობებით, უმადურობით.

288. ფლორის და ფაუნის წარმომადგენელთა აღუდგენლად განად-გურება, ადამიანის მიერ ჩადენილი გამოუსწორებელი დანაშაულია, რომლის უვიცობას მომდევნო თაობები როგორ მოგვიტევებენ, არავინ უწყის.

289. ადამიანის თავნებობას, სიჯიუტეს, ხშირად უბედურება მოაქვს და იშვიათად – ბედნიერებაც, ამიტომ ეს უკანასკნელი პროგრესის საწყისი და საზოგადოებრივი აზრისთვის საჯილდაოს მიმცემია.

290. აზროვნების და სწორი დასკვნების გამოტანის უნარის მქონე ადამიანები ძალზე ცოტანი არიან და ისინი თავისი გენის, აღზრდის, თანამზრახველთა, მოძიება-მონახვას მოითხოვენ.

291. ძნელი გასაგებია, როდესაც შენთვის სათაყვანებელი ადამიანი გაწბილებს და ნდობის კრედიტს კარგავს, მით უმეტეს, რომ მისი ნებისმიერი ალიბი შენთვის მიუღებელია.

292. ადამიანს თუ გინდა ასიამოვნო, საზოგადოებაში ისეთი კითხვა უნდა დაუსვა, რაზეც პასუხის გაცემა ეამაყება და სასიამოვნო ფაქტების ტომრით მოტანაც შეუძლია.

293. ავტონომიური რობოტი, რომელიც შესძლებს ადამიანების მოსპობას ან მათ ჭკუაზე მოყვანას, არასდროს შეიქმნება, რადგან ის მაინც ადამიანის გონების მზაკვრობის ხელშია.

294. ,,სიკეთიდან სიკეთეს არ ეძებენ", მაგრამ ცდა არ უნდა დავაკლოთ, რადგან ადამიანი იმად არ იქცეოდა, რაც დღეს არის ან მომავალში იქნება.

295. მათრახი და სასუსნავი, შიში და იმედი, გონიერება და თავხედობა, დიქტატურა და თავისუფლება, ყველა მათგანი საზოგადოების ჩამოყალიბებას თავისი გაგებით ემსახურება, მაგრამ ერთი პირობით: ერთდროულად ნერვების მოშვებას და აშვების გარეშე, რადგან ადამიანის ბუნება ამას ვერ უძლებს.

296. იმდენად სათუთი, გაუგებარი, შეუცნობელია, ადამიანის ბუნება, რომ მისი გონების სარქველში ერთდროულად ბუდობს სიკეთე და ბოროტება, ინტერნაციონალიზმი და ქსენოფობია, სიყვარული და სიძულვილი და ასე შემდეგ.

297. ბედნიერებაში დაბნევა ადამიანის თვისებაა, რადგან ჰგონია, რომ მან ეს დაიმსახურა, ხოლო დაფასება-განსჯას მაშინ იწყებს, თუ ეს განგების წყალობა ხელიდან ეცლება.

298. ადამიანი რატომღაც იმაზე მეტს თხოულობს, რაც ეკუთვნის, იმსახურებს და ზოგჯერ თავზესაყრელად აქვს და ეს თავის თავში დაეჭვების, იმედის არქონის ბრალია.

299. ადამიანს აღზრდა, საქმიანობა, საზოგადოება, აყალიბებს, ხოლო რიდი, მომჭირნეობა, პასუხისმგებლობა, მოქალაქედ აქცევს.

300. ერთი დღის საქმიანობით ადამიანის შეფასება მთლად სწორი არ არის, მაგრამ ნიშანდობლივია და დასაფიქრებელია.

301. სანამ ადამიანს აინტერესებს სწავლა, მანძილი, სიახლესთან გათამაშება, მანამდე ის ცოცხლობს და სიცოცხლის ნექტარს სიამის ყლუპებით ეწაფება.

302. ადამიანი უპირველესად გულით, ინტუიციით, უნდა შეფასდეს და არა – ოპონირების და დასკვნების მომთხოვნი ჭკუა-გონებით.

303. ადამიანი თავს მაშინ გრძნობს კომფორტულად, როცა ხვალინდელი დღის არ ეშინია, ალალია, სხვისი არ შურს და სიყვარულისთვის ყოველთვის გამზადებულია.

304. ყველა ადამიანს გულში ერთი ვნების ყუმბარა მაინც უნდა ედოს, რომელიც ვისთვის და როდის აფეთქდება, არავინ იცის.

305. სამწუხაროდ, ადამიანის ავ-კარგი და მისი რაობა უნამუსობის ნაირფერობაზეა აგებული.

306. დაუსაქმებლად და ბიუჯეტის შემავსებლის ფუნქციის გარეშე ადამიანის დატოვება ყველაზე დიდი დანაშაულია ქვეყნის უსაფრთხოების წინაშე.

307. მადლიერების შეგრძნება და მისი სულის მოწოდებით მართვა, ადამიანის ყველაზე დიდი ღირსებაა.

308. ქველმოქმედება თევზის ჭერის სწავლებაა და არა – ჩუქება, რომელიც რყნის ადამიანს და ზედმეტად განძრევის სურვილს უკარგავს.

309. ზოგჯერ ყველაზე ახლობელია ის ადამიანი, ვინც შენგან მოშორებით ცხოვრობს და ერთმანეთს სადღესასწაულო დღეებში არ ივიწყებთ.

310. ბუნება კი ცდილობს ადამიანის სიხარბის, კატაკლიზმების როზგებით გამოსწორებას, მაგრამ მის გაუმაძღრობას ჯერ არაფერი შველის.

311. ადამიანი არ შეიძლება იმაზე კეთილი იყოს, რაც მისთვის განგებამ გაიმეტა და დაუბედა.

312. არი ჰობი, რომელიც ადამიანს თრგუნავს, თავს აძულებს, მაგრამ სანამ მიზანზე ხელი მიუწვდება თავს ვერ ანებებს.

313. ,,გახადე მონა თავისუფალი და ის თავად იქცევა ადამიანად'' – ჯერ-ჯერობით, არ ამართლებს, რადგან ყველაფერი დამოკიდებულია ევოლუციაზე, დროზე, ეკონომიკაზე და არა სურვილზე, მონდომებაზე, მცდელობაზე.

314. ადამიანს ყველაზე მეტად სამყაროს მომავალი აწუხებს, რომელსაც ვერასოდეს ჩაწვდება.

315. ტანჯვა-წამებისათვის, თანაგრძნობა-ურთიერთობისათვის, გულშემატკივრობა-გართობისათვის, უფცართ და სძულთ ადამიანებს ერთმანეთი.

316. ადამიანის პროგატივაა: თავისუფლების მოპოვება, არჩევნების უფლება და სასარგებლო საქმის კეთება.

317. ადამიანი, რომელსაც შენი ამბიციებით ვერაფერს გამოსტყუებ, ქვეყნისთვის საჭირო და გამოსადეგი კაცია.

318. მცირე გადაცდენაც კი, რომელიც ადამიანს სიკეთის კეთების სურვილს დაუკარგავს და დააეჭვებს, ყველაზე დიდი დანაშაულია კაცობრიობის წინაშე.

319. ადამიანის დანიშნულება ღმერთთან, განსჯასთან, სიყვარულთან, დამოკიდებულებაა.

320. ადამიანს ცხოვრებაში ყოველთვის უდგება ის მძიმე დრო, რომელიც თავისი შეგნებით, მცდელობით, დროულად უნდა განვლოს, გადაიტანოს.

321. ვინც სიყვარულს უფრთხის, ის ადამიანური საწყისებისაგან შორს დგას.

322. საოცარია, მაგრამ უფროს-უმცროსობის ინსტიტუტის და მლიქვნელობის წახალისების გარეშე საქმე უფრო ცუდად მიდის, ვიდრე სიმართლის პირში მიხლისას, რადგან ადამის მოდგმას მგრძნობიაროობისკენ მიდრეკილება უფრო მეტი აქვთ, ვიდრე გონიერებისკენ.

323. ადამიანური სიბრიყვის ატანა, დროთა განმავლობაში, ყველას გვიხდება.

324. როდესაც ფლორის და ფაუნის საოცრებას ეცნობი, შთაბეჭდილება გრჩება, რომ ადამიანი ინსტინქტებით ყველაზე ჩამორჩენილი არსებაა, რადგან ეს უკანასკნელი, ცხოველთა სამყაროსაგან განსხვავებით, დაწყვილებასაც კი სხვისი კარნახით და ზედამხედველობით ახერხებს.

325. ყველა ადამიანი ადრე თუ გვიან ხვდება რა უნდა, რა უნდა გაეკეთებინა, რას არ გააკეთებდა, მაგრამ ამისთვის სულ ცოტა, სიცოცხლის ვადის გახანგრძლივება და ახალგაზრდობის დაბრუნება სჭირდება.

326. ადამიანს არ შეუძლია არ იხიმანდროს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ხელფასზე განაწყენებულია.

327. ადამიანს უპირველესად სიყვარული, კარგი სამუშაო, გამართული ოჯახი და გართობისთვის გამოზომილი დრო სჭირდება.

328. ჩემში ადამიანის პატივისცემას, ნდობას, მისი შემართება, განათლება უფრო იწვევს, ვიდრე ყბედობა ეროვნულობაზე და გულზე მუშტის ბრაგუნი.

329. მისტიკური რეალობის, ოცნების ფართო მოხმარების საგანი, ადამიანის უტოპიური აზროვნებაა.

330. როდესაც გვჭირდება არ ვივიწყებთ, რომ ჩვეულებრივი ადამიანები ვართ, მაგრამ სხვისი ცოდვების შენდობა გვჭირს.

331. ადამიანის უმთავრესი „კოზირი" მაინც მოხერხებული გონიერებაა, შემდგომ მოდის მცდელობა, შემთხვევა და საქმის სხვა საკეთებელი ხაბა-ხუბა.

332. ადამიანს ზოგჯერ სიზმრები ნახვა, ოცნებით მკურნალობა სჭირდება და რაც მთავარია, თავიდან ეშმაკების დაფრენა.

333. ადამიანი ფაქტიურად სუსტი არსებაა, რადგან მას ქვენა გრძნობების დათრგუნვა სარწმუნოების, იდეოლოგიის, შიშის ხარჯზე, უხდება, რომელსაც თავად პატიოსნებას, ერთგულებას, პატრიოტიზმს, უწოდებს, მაგრამ არც ის ავიწყდება, რომ ამქვეყნად ერთხელ მოსულმა ზოგჯერ თავი უნდა მოიგიჟიანოს და ბუნებისშვილობა უნდა გამოამზეუროს.

334. ილაპარაკონ, იჭორაონ, ოღონდ არა განსჯის და დასჯის სურვილით, რადგან ადამიანს ნერვების დასამშვიდებლად ლაპარაკი სჭირდება.

335. სამართავად არაპრეტენზიული ადამიანი ჯობს, საქმის საკეთებლად – პრეტენზიული, მაგრამ კანონის მორჩილი.

336. საშუალოდ ადამიანი სიცოცხლის მანძილზე მოიხმარს 46,0 ტონა საკვებს 51 მილიონი კილოკალორიით, სადაც ხორცეულის ოდენობა 7,5 ტონაა, თევზეულის – 2,5 ტონა, პურეულის – 7,5 ტონა, ტკბილეულის – 11 ტონა, რძის ნაწარმის – 8,0 ტონა, ბოსტნეულის – 2,5 ტონა, ხილის – 3,5 ტონა, ცხიმის – 1,4 ტონა, კარტოფილის – 5,5 ტონა, ალკოჰოლს კაცები – 1300 ლიტრს, ქალები – 120, სასმელ წყალს – 4000 დეკალიტრს, ცოცხლობს საშუალოდ 29200 დღეს, 700000 საათს და 42 მილიონ წუთს. ასე და ამგვარად, არც თუ ისე გაუმაძღარი და დაუნდობელი ყოფილა ადამიანთა მოდგმა.

337. სიქაგაცლილი ადამიანი მზადაა ყოველგვარი სისულელის ჩასადენად და თავის გასამართლებლად.

338. წესით არც ერთი ხელისუფლება ხელის ჩამორთმევას არ იმსახურებს, მაგრამ ადამიანის ბუნება გამორჩენისთვის არის გაწვრთნილი და თუ დასჭირდა, ქედსაც მოუხრის და თავსაც დაუკრავს.

339. ვეცადოთ სამყაროს სიდიადე მივიტანოთ ადამიანების შეგრძნებამდე, რათა ხელის გამოღება თუ არა გაფაფხურება მაინც შესძლოს.

340. ადამიანის საჭიროება დამოკიდებულია საზოგადოებაზე და იმ წყობაზე, რომელსაც ნიჭი და მცდელობა ანერვიულებს და ზედმეტ საქმეს უჩენს.

341. ადამიანი ეძებს მისთვის გაუგებარ მოდურ კომფორტს, ესაჭიროება ეს უცნობი ,,იქსი'' მის ცნობიერებას თუ არა.

342. დაუცველი, უსუსური ბუნების ადამიანი, ვიღაცას საკუთარ თავზე მაღლა იმიტომ აყენებს, რომ მასში დამცველის დანახვა სურს.

343. ადამიანები ყოველთვის ვერ უგებენ ერთმანეთს და ესაა მათი ამქვეყნად შემორჩენის მიზეზი.

344. ადამიანისთვის სასიამოვნო ცდუნებას გარეგნულად ყველა ვითომ გულგრილად უყურებს, მაგრამ მასზე უარს არავინ ამბობს.

345. საშუალო ადამიანი სიცოცხლის მანძილზე 50–55 მილიონ კილოკალორიას იღებს, აქედან ორ მესამედს ხარჯავს, რათა საკუთარი თავის და ბუნების წინაშე ვალში არ დარჩეს.

346. ადამიანის ღირსება, ზნეობა, ილუზიებით უნდა იკვებებოდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამქვეყნად ყოფნა გაუსჭირდება.

347. ადამიანთა საერთო საცხოვრებლის დანიშნულება, უმთავრესად, ზნეობის ღირებულებათა შეჯერება. შემდგომ ურთიერთობათა და ყოფისთვის საჭირო ატრიბუტების მოწესრიგება.

348. კონფუცის აზრით, ,,თუ სახელმწიფოში კანონიერება და სამართლიანობა სუფევს, სირცხვილია ღარიბი იყო, თუ პირიქით – გამდიდრებაა სირცხვილი''. ერთია თეორია, რომელსაც პრაქტიკა მხარს იშვიათად უბამს, რადგან ადამიანს სურს იმაზე მეტი მოიხვეჭოს, შეიცნოს, რაც მისთვის არის განკუთვნილი.

349. ტაძართან ახლოს, ფულისგან მოშორებით დგომა, გადაუმოწმებელი თეორიული ღირებულებაა, მაგრამ ყოფის პრაქტიკა ამის წინააღმდეგია, რადგან ადამიანს ამქვეყნად ცხოვრება უნდა და არა ,,დასტუკება'' – აღნიშვნა.

350. ადამიანს რაღაცის უნდა სჯეროდეს, სწამდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი ფანტაზია, შემართება, ქვეითდება, რადგან მარტო ფული, მომხვეჭელობა, პატრიოტიზმს ვერ სჯობნის, თუ ეს უკანასკნელი მასზე ზრუნვით, მომავლის იმედით და თანდაყოლილი ეროვნული გენით არ არის შემაგრებული.

351. პასუხისმგებლობა ადამიანის გამოსასწორებლად, მის სწორ გზაზე დასაყენებლად, ყველაზე უმჯობესი სამკურნალო ელექსირია.

352. უფერული ცხოვრება და დიდი მასშტაბის აუხდენელი ოცნებები სულით პატარა ადამიანის ხვედრია.

353. ერთ მხარეს ჯობს ყურება, თუ სხვადასხვა მხარეს, არავინ უწყის, მაგრამ ეს უკანასკნელი ადამიანს ტვინს ურევს.

354. წამალი ყველა მცენარის ნარევიდან და ქიმიური სინთეზიდან შეიძლება მივიღოთ და გამოვიყენოთ, მაგრამ ადამიანის უპირველესი მკურნალი მაინც შთაგონებაა.

355. ამბიციებმა ადამიანი უნდა აიძულოს თავს აჯობოს და არა – დაკარგოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ჩვეულებრივი მოკვდავია.

356. ჰაეროვანი სახლის მშენებლობა უფრო ადვილია, ვიდრე მისი ნგრევა და ადამიანის დარწმუნება, რომ ეს მისი ფანტაზიაა და სინამდვილედ არასოდეს იქცევა.

357. ადამიანის სურვილია იცხოვროს ისე როგორც მას უნდა, მაგრამ საზოგადოების აწმყო ყოფას დაემორჩილოს.

358. თუ ადამიანი არამზადაა, პირში უნდა მიახალო, რადგან მინიშნებით ვერაფერს გაიგებს.

359. ადამიანი თავის უგვანობის მიზეზს კი არ ეძებს, მემკვიდრეობას ებრძვის, იმის ნაცვლად რომ ევოლუციას ხელი შეუწყოს და თანდაყოლილი ზადი გამოასწოროს.

360. თანდაყოლილი ნაკლია სიხარბე, პატივმოყვარეობისკენ ლტოლვა, რომლის გარეშეც ადამიანთა მოდგმა გადაშენდებოდა.

361. მიუხედავად იმისა, რომ სულიერებას სჯა-ბაასისთვის სარფიანი საკითხი არ გააჩნია, ის ადამიანისთვის მაინც პირველადია.

362. ადამიანს იმდენად ამინდი არ აინტერესებს, რამდენადაც მისი პროგნოზი და ირგვლივმყოფთა პოზიცია.

363. ადამიანი რაც უფრო ,,უნახავია", გაჭირვებაში გაზრდილია, ფუფუნებისკენ და არაორდინალური გართობისკენ უფრო მეტი აქვს მიდრეკილება.

364. ადამიანისათვის აბსოლუტური ღირებულებების, ჭეშმარიტების და სინდისის, გაცნობიერება-გათავისებაა, ყველა პირობებში უცვლელი უნდა დარჩეს.

365. მდინარეებს, ზღვებს, ოკეანეებს თავიანთი შვილები და შვილთაშვილები ჰყავთ და მათაც მოფრთხილება და მხარში ამოდგომა სჭირდება ისევ ადამიანის სასარგებლოდ.

366. ადამიანები ყოფაზე ერთნაირად ვაზროვნებთ, ვფიქრობთ, ვირჯებით, მაგრამ სხვაგვარად ვმაიმუნობთ და სულს ვუზიანებთ ერთმანეთს.

367. ხანდახან ისეთ პიროვნებას გადაეყრები, გსიამოვნებთ, რომ ადამიანი ხარ და არა მარტო ბუნების შვილი.

368. ადამიანი, რომელიც ფულისთვის კაცის კვლას ისწავლის, კაციჭამია ლომია და იზოლირებული უნდა იქნეს.

369. ყველა ადამიანს ამქვეყნად მოვლინების ცოდვა ადევს, რადგან სიცოცხლეს ვიღაცის და რაღაცის ხარჯზე აგრძელებს.

370. ადამიანს უპირველესად ხელფასით აფასებენ და არა იმით, რამდენს შოულობს.

371. უპირატესად ადამიანებს ერთად პროტესტის გამოხატვის სურვილი კრებს და არა ურთიერთპატივისცემა, თანადგომა.

372. ადამიანის დანიშნულებაა სიდიადით იცხოვროს და უბადრუკობა გვერდზე არ გაიკაროს.

373. ადამიანებს სხვაზე გაცინება უყვართ და არა ცარიელი სიცილი.

374. პოპულარულ ადამიანს აღსარება არ გამოსდის, რადგან გარეშენი მას ისე აღიქვამენ, როგორც წარმოუდგენიათ.

375. მუშა კოჟოჟი ყველა ადამიანს თავის საქმიანობის შესაბამისად დამღასავით უნდა ჰქონდეს: ხელის გულზე, გონიერებაში როგორც თავის საქმის, მისწრაფების პროფესიონალი.

376. ყველა ადამიანი, მისდაშეუცნობლად, საკუთარი ფსიქოლოგიური კონფლიქტის მოწესრიგებას ცდილობს.

377. ადამიანი, რომელიც თავს კარგად გრძნობს, განსჯას არ ექვემდებარება, თუ არ ტრაბახობს და ამით თავი არ მოაქვს.

378. ადამიანის მოწოდებაა სხვისადმი სამსახური, თავისსავე საკეთილდღეოდ.

379. ტკივილის გრძნობა გვაქცევს ადამიანად და არა – მისი მოდუნება, დაკარგვა.

380. ზოგჯერ ადამიანი კარგავს პროფესიონალიზმს იმ დარგში, რომელსაც მთელი სიცოცხლე მიუძღვნა და ეს მისთვის უტყვი ტრაგედიაა.

381. ადამიანები იყოფიან ჩვეულებრივებად, არაჩვეულებრივებად. ამ გრადაციის დადგენა ძნელია, ხოლო მათში რაღაცის მოხელთება – ხელოვნება.

382. მშიერ ადამიანს არც პატიოსნება მოეთხოვება და არც მახსოვრობა, რადგან მას ცხოვრების გაკვეთილებმა ანალიზის უნარი დაუქვეითა.

383. ადამიანის არაორდინალურ ქცევაზე გავლენას რა ახდენს ძნელი დასადგენია, მაგრამ მისი ქცევის კოქტეილში რომ რეკლამა, გარემო, შური და თავის წარმოჩენის ინგრედიენტები შედის, ეს უდაოა.

384. საღი აზროვნების ადამიანი საკუთარ თავზე აგებს პასუხს, გონიერი – ოჯახის წევრებზე, ხოლო სუსტი აზროვნების – ყველაზე და ყველაფერზე.

385. ადამიანის ოცნება, ფიქრი, ყოველთვის გაახალგაზრდავება და სიბრძნის დაგროვება იყო, რომელსაც სათანადოდ ვერასოდეს ვერ იყენებდა.

386. ადამიანური მანკია, როდესაც პატარა ხაზის გასმისთვის თავის ამბიციებს ამჟღავნებს.

387. ადამიანთა დასამუნათებლად და შენს ჭკუაზე გადმოსაყვანად, მარტივი იდეალების შეთავაზებაა საჭირო, რომელსაც ხალხის გარკვეული ნაწილი თავის სასარგებლოდ იგებს და იყენებს. მაგ., ნაციონალიზმი.

388. ადამიანის ცდუნებას ისევ ადამიანები აფასებენ, განსჯიან, რადგან სხვა ხელშესახები არბიტრი სამყაროს არ ყავს.

389. ადამიანს არავისი არ ეშინია, თუ ჭკუა, მოხერხება, ინტუიცია, თან ახლავს.

390. ნაკლი ადამიანს ხელს არ უშლის სამყაროს სხვა ბინადართან შედარებით ღირსეულად გამოიყურებოდეს, რადგან მისი გახმოვანების და დაფიქსირების საშუალებებს ფლობს.

391. შეუძლებელია თავი აიძულო არ ისურვოს ის, რისი აღსრულებაც შეუძლებელია, მაშინ დაპროგრამებული რობოტი იქნები და არა – ადამიანი.

392. თუ რკინას ჟანგი ჭამს, ადამიანს ეჭვი უღებს ბოლოს, ხოლო დაპირისპირება საბოლოოდ ანადგურებს.

393. საოცარია, რატომ ვერ უნდა იტანდეს ადამიანი თაგვს, რომელსაც ამდენი დამსახურება აქვს, განსაკუთრებით მედიცინაში, როდესაც ყველა ახალი პრეპარატი მათზე იცდება და მათი უსიტყვო თანხმობით წამლად გვევლინება.

394. ჩვენ უმთავრესად ადამიანის თანამდებობას, შეძლებას, მდგომარეობას ვცემთ პატივს მხოლოდ ერთი პირობით – რაში გამოგვადგება.

395. თანამდებობის დაკარგვას ერთი კარგი თვისება ახლავს, ადამიანი თავის სახეს იბრუნებს და ჩვეულებრივი მოკვდავი ხდება.

396. ადამიანს მოკრძალებული და მუდმივი შემოსავალი სტიმულს უკარგავს და ხელის გამოღებას უშლის.

397. ადამიანის ცხოვრება ერთი საინტერესო, საყოველთაო და უბრალო ექსპერიმენტია.

398. ადამიანს რომ ადამიანურად მოეპყრა, მასში პიროვნების საძირე და კაცობის საწყისი უნდა დაინახო.

399. დემოკრატიას, თავისუფლებას, არც თანასწორობის სტარტის შემოთავაზება შეუძლია და არც სამართლიანი ფინიშის, რადგან ადმიანის ბუნება და მისი ქვენა გრძნობები ამას არ დაუშვებს.

400. ყველა ადამიანი იბადება თავისი ღირსების, თავისუფლების, შეგრძნებით, თანაბარი უფლებით, მაგრამ რამდენად სჭირდება ეს მას, ცხოვრება გვიჩვენებს.

401. ადამიანმა თავისი ნაკეთები საქმე წონით უნდა შეაფასოს და არა – სურვილებით და შეხედულებებით.

402. ადამიანი პრობლემის განსჯას, ფიქრს უქვემდებარებს, გარდა საკუთარი თავისა, რადგან მასში ეჭვი არ ეპარება თუ თვითკრიტიკის „ბაცილამ“ არ შეაწუხა.

403. ადამიანი ამქვეყნად ბედნიერი წამებისთვის არის მოვლენილი და არა – უსასრულო წამებისთვის.

404. საქმისადმი სიყვარული აიძულებს ადამიანს, ყოველგვარი ჭიტლაყის გარეშე თავდავიწყებით იღვაწოს.

405. თავის წარმოჩენა – გამოსაჩენად ადამიანი ბევრ უმნიშვნელო და მოსაბეზრებელ ამბებს ყვება თავისი გამოცდილებიდან და ეს საუბრისთვის მხრის აბმა ჰგონია.

406. სამაყროს არ შეუძლია ადამიანის ყველა სიხარბის დაკმაყოფილება, მიუხედავად მისი განუსაზღვრელი შესაძლებლობისა – გადააგვარებს.

407. რეკლამა 20%-ს იტყუება, გამხელილი გრძნობების 40% მოგონილია, არჩეული მთავრობა დანაპირების 80%-ს არ ასრულებს, ხოლო დანარჩენი პატარ-პატარა ტყუილი ადამიანის ყოფის შესაცნობად და მის დასაფიქსირებლად სჭირდება.

408. წესიერი ადამიანი უფრო ადვილად ცდება და სარფიანად იყიდება, ვიდრე ვიგინდარა და უგვანო.

409. როდესაც ერთი მასტის ადამიანები ვერ მეგობრობენ, ერთმანეთის თანაუგრძნობა-გაგებას მაინც უნდა ცდილობდნენ.

410. რჩევასა და დახმარებას შორის იგივე სხვაობაა, რაც ადამიანის შეცნობაში – ვის უწვდი ხელს, კაცს თუ კაცუნას.

411. საპყრობილეში გამოკეტვას ისევ მთელი ცხოვრება თავდებში ყოფნა ჯობს, თუმცა გააჩნია ადამიანს და მის ნერვიულ სისტემას.

412. ცივილიზაციები კი არ ერკინებიან ერთმანეთს, არამედ – ადამიანთა უგვანობა და გულგრილობა.

413. ტრაგედიაა, როდესაც უდანაშაულო ადამიანს ციხეში გამოამწყდევენ, თორემ დამნაშავე ამისათვის შინაგანად მზადაა და მისი მიზანია სასჯელს მცირე დანაკარგებით ხელიდან დაუძვრეს.

414. ადამიანის დანიშნულება და მოვალეობა, მცდელობის მიუხედავად ერთად ვერ თავსდება, რადგან ამქვეყნად ყოფნა ზოგიერთისთვის გაურკვეველი და მოსაბეზრებელი გახდება.

415. ეგოცენტრიზმი – თავის შენარჩუნების ინსტინქტი – ადამიანებს უფრო მეტად ახასიათებთ, ვიდრე ცხოველებს და ზოგჯერ საფვარელ ადამიანსაც სწირავენ, რადგან ინსტინქტი გონიერებას თიშავს.

416. იმდენად კარგად ვიცნობ ადამიანის ბუნებას, რომ გაბრაზების ჟამს ზოგჯერ წამომცდება – „ხალხის დედაც ვატირე!“ და თქვენ წარმოიდგინეთ, ნერვების მოთოკვის შემდეგ, უმეტეს შემთხვევაში, საკუთარი თავი გამიმართლებია.

417. ადამიანს, რომელსაც წარსული გრძნობების მართვა შეუძლია, აწმყოსა და მომავლის ლაბირინთებსაც განსჯის და წარმართავს.

418. მოღუშული ადამიანი მხოლოდ ყოფის ვაი-ვიშს უყურებს და მასში უინიციატივოდ იკარგება.

419. ადამიანია ის, ვინც ცხოვრების ფასი არ იცოდა და დროულად შეიცნო.

420. ამბობენ, ადამიანის შეცნობა მისი თვალებით შეიძლება, რადგან ისინი არ სტყუიან.

421. ადამიანი მუდმივი დადასტურებაა სულით არისტოკრატიისა, მისი ქმედება რაც უნდა სიბრიყვეს უტოლდებოდეს.

422. ადამიანი, ბიოგრაფის გარეშე, ცარიელი ტომარაა და ისიც – თავმოკრული.

423. ადამიანს ყველაფრის მოწონება, გადატანა, გათავისება შეუძლია, რაც დროს, ტრადიციებს, პროპაგანდას, ემორჩილება.

424. ექიმთა დევიზს „ავადმყოფო ლოგინში...“, ყავლი არ გასდის, რადგან ადამიანი როგორც კი განსაცდელს ხელიდან დაუძვრება, თავის ავყიაობას გამართლებას უძებნის, თავის წარმოჩენაზეც ცდილობს და სხვათა ამაგისთვის საფასურის მიგება უძნელდება.

425. ზოგჯერ ადამიანის, ჭეშმარიტ სახეს სიკვდილისთვის თვალში შეხედვა ან მძიმე დაავადების გადატანა გაამჟღავნებს, მაგრამ, არა იმდენად, რომ შეიცვალოს და სხვა ადამიანად იქცეს.

426. ადამიანის ბუნებამ საკუთარი ჰორმონები ისე არ უნდა დათრგუნოს, რომ ის უკეთ არ გამოიყურებოდეს საკუთარი თავის წინაშე.

427. ადამიანი, თავის უგვანო ბუნების მიუხედავად, მაინც საჭირო არსებაა ამქვეყნად, რადგან ხომ შეიძლება მის მისწრაფებებს, ქმედებებს, თანამედროვენი ვერ უგებდნენ და შურდეთ.

428. შინაგანი რწმენა ადამიანს აიძულებს ისე მოიქცეს, როგორც მისგან არ მოელიან და არც მის ხორციელ ინტერესებს პასუხობს.

429. ცნობილი ადამიანები ხშირად არიან თავიანთი პოპულარობის მონები, ხოლო ფანატები – მათი ნიჭის გათავისებით მომხმარებლები.

430. ადამიანს უაზრო ფუფუნება რჯნის და არა – სიმდიდრის აზრიანი მოხმარების უნარი.

431. ერი ჰგავს იმ ადამიანს, რომელსაც აქვს მიზანი, მომავლის ხედვა და იცის ამ ქვეყნიდან რისი დატოვების შემდგომ უნდა წავიდეს.

432. ადამიანს რაც მეტი ცოდნა აქვს, იმდენად მრავალფეროვან სასარგებლო რჩევა-დარიგებებს იძლევა, ხოლო რაც ნაკლები – უფრო ხშირად ბუნდოვნად გვმოძღვრავს, მაგრამ რაც გამოცდილი აქვს და იცის.

433. ადამიანის რაობისთვის მთავარია ჯანმრთელი ღიმილი, გამბედაობა და ჭკუის სასარგებლოდ ჭყლეტის ღიტინი.

434. ადამიანი ისეთი უნდა მივიღოთ როგორიც არის, თორემ ყველა ჭკვიანი და დაფიქრებული რომ იყოს, მაშინ გონება-მოხერხების ყავლი გაუვიდოდა და მათ სახელებს პატივი და ფასი არ დაედებოდა.

435. ზედმეტად მიწიერი ადამიანები დღევანდელობით ცხოვრობენ, ხოლო ემოციურები მომავლის ოქროს კოშკების შენებით და მოესწრებიან იმ დღეს თუ არა, არც ფიქრობენ და ამისათვის არც იღვწიან.

436. ადამიანი ხშირად უნდა გამოერკვეს ოცნების ბურუსიდან, მიწაზე დაეშვას და ცხოვრება ააწყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სიცოცხლე დაუპურებელი დარჩება.

437. დასპონსორება, კრედიტის მიცემა, ანგარიშის გაწევა. ,,თევზის ჭერის სწავლება", ყოველივე ეს ქველმოქმედებაა, ადამიანებზე ზრუნვაა, რომელსაც ზოგი ბოროტად და ამბიციების დასაკმაყოფილებლად იყენებს.

438. გაჭირვების ჟამს ადამიანი საკუთარ უსუსურობას გაურბის, ცდილობს სხვის იმიჯს ამოეფაროს და ამ მატყუარა ოცნების ხარჯზე თავი დროებით, ცრუ იმედით გაიტანოს.

439. განათლებით, წინდახედულობით, კონტროლით და მზრუნველობით ადამიანი უნდა ვაიძულოთ, რომ ის კანონის მორჩილი იყოს, ჯეელობიდან იმქვეყნად გადაბარგებამდე.

440. ყველა ადამიანმა, ამქვეყნად ყოფნის ალიბი თავისი გემოვნების სამჭედლოში უნდა გამოჭედოს.

441. სამყაროში დღესაც ადამიანის მონახვაა ძნელი, თორემ ხალხი, ბრბო, მასა, თავზესაყრელია.

442. ადამიანის ღირებულებითი პრინციპები და სულიერი მდგომარეობა სხვადასხვაა, მაგრამ მათ შერწყმას და გათავისებას თავისებურად ყველა ცდილობს.

443. ადამიანი მაშინ არის ადვილად სამართავი, როცა საერთო მტერს გამოუძებნით, იდეოლოგიის საწყისებს მიუგდებთ, მიზანს დაუსახავთ და ხანდახან სასუსნავის და მათრახის ალგორითმის გამოყენება არ დაგვეზარება.

444. თავმდაბლობა მაშინ ალამაზებს ადამიანს, თუ მას სხვა რამ არ გააჩნია თავის წარმოსაჩენად.

445. ადამიანი ყველა საიდუმლოს შენახვა რომ შესძლებოდა, ალბათ ბუშტივით გაიბერებოდა და ბოღმით გასკდებოდა ამდენი სისულელის შენახვით.

446. ადამიანები იყოფიან ხელჩამოურთმევლებათ და ხელჩამოსართმევლებათ და საშუალო აქ არ არსებობს.

447. ცივილიზაციის მიუხედავად ადამიანის მგლური ბუნება არ იცვლება, განსაკუთრებით განსაცდელის, შურიანობის და შურისძიების დროს.

448. ძნელია, როდესაც ადამიანს მოუგვარებელი აქვს ურთიერთობა სინამდვილესთან და მხოლოდ აწმყოს პარამეტრებით აპირებს ცხოვრებას.

449. თუ ადამიანი ოცნებაში არ დაფრინავს ე.ი. ცოდვები აქვს აკიდებული და ის უშლის.

450. ადამიანის ოცნებაა ოკეანე დააშოშმინოს და პლანეტა ცეცხლის ალისაგან იხსნას, მაგრამ საქმის კეთება უჭირს, მამაზეციერის წახალისების და ნიჭის დაბერტყვის გარეშე.

451. ადამიანის შინაგანი მოთხოვნილებაა სასიამოვნო კინო-ზღაპრის ყურება პასიური მოთხოვნილების, ოცნების, დასაკმაყოფილებლად და დასაოკებლად.

452. უნივერსალური ღირსება არ არსებობს, რადგან მას სხვადასხვა ბუნების ადამიანები ფლობენ.

453. ადამი სიძუნწემ, უყურადღებობამ, გახადა ექსპანსიური და ცნობისმოყვარე და არა – გველის ჩაფუჩუნებამ.

454. ადამიანის დევიზი უნდა იყოს: სანამ ცოცხალია იცხოვრო საკუთარი თავის შეცნობით, ხოლო როდესაც საიქიოს გადაბარგდები, სხვამ იამაყოს შენი დანატოვარით და პიროვნებით.

455. ადამიანი მაინც ბინძური და მეთავისე არსებაა, რადგან ზოგჯერ ისეთ აზრს გაიელვებს თავში, რომ გონიერება სირცხვილით იწვის. სისაძაგლე კი არ ისვენებს და გონებას აიძულებს ითუხთუხოს.

456. ადამიანი სინათლის, სიხარულის, სინდისის შვილია და კარიერის, ფულის, გართობის, შვილიშვილი.

457. ადამიანს აქვს თავისი ღირებულებების წარმოჩენის უფლება, ოღონდ საკუთარი თავის მოთოკვით, ემოციების დათრგუნვით, რათა ერთის უფლება მეორის შეზღუდვად არ იქცეს.

458. ადამიანის მანკიოერებას, სიამოვნებით იყენებს ათასი ჯურის ყალთაბანდი, ავანტურისტი და ფულის მუქთად შოვნის მაძიებელი თაღლითი.

459. რამდენს გაიღებდა ადამიანი, რომ რომელიმე მისთვის მარცხით დამთავებული გადაწყვეტილება უკან გამოეთხოვა, მაგრამ ამ პოსტულატით ეტყობა არც ცხოვრება გამოვიდოდა და სიცოცხლეც თავის ეშხს დაკარგავდა.

460. ანალიზი და არა განსჯა, ოპონირება და არა ნიშნის მიგება, ეს არის ადამიანთა ურთიერთობის კრედო და ურთიერთპატივისცემის ამოსავალი წერტილიც.

461. ადამიანს სახელის მოხვეჭა ბადებს პიროვნებად და არა – დედის საშო, რადგანა ეს უკანასკნელი სიცოცხლის მიცემის საშუალებაა და არა – უკვდავების.

462. არის ხალხი, რომელთგან ერთი ფულს ახლოს არ უნდა გააკარო, მეორე – მეგობრად არ უნდა იგულო, მესამე – არ უნდა დაინათესაო. ასე, რომ არჩევანი აუცილებელია, რადგან ადამიანები განგებამ სხვადასხვა კატეგორიებად დაახარისხა.

463. არიან ადამიანები, რომლებიც ასაკის მატებასთან ერთად უფრო მეტად ფასდებიან და მიმზიდველი ხდებიან, რასაც აზრების დაღვინება და გონების ,,დაკუპაჟება'' ჰქვია.

464. ადამიანს ან ცივილიზაციის ბზიკი უნდა კბენდეს ან კულტურის ჭია ღრღნიდეს. სხვანაირად ამქვეყნად ყოფნას გემოს ვერ გაუგებს და ვერც ცხოვრების სასიამოვნო წუთებს დააჭაშნიკებს.

465. როდესაც ადამიანი დასახულ მიზანს და დიდხანს ,,ნაცოხნარს'' აღწევს, ებადება ფილოსოფიური კითხვა – ,,რა ფეხებად მინდოდა ეს?'' ან ,,ღირდა კი ამდენ წვალებად?''

466. ადამიანის დეგრადირება მაშინ იწყება, როდესაც თავის ჭკუაზე არც გართობის უფლება აქვს, არც დასვენების და არც მუშაობის, მაგრამ ხელისუფლებას ასეთი ხალხი აძლევს ხელს. ქვეყანაში სიწყნარეა.

467. ადამიანი უპირველესად სინდის-ნამუსია, შემდეგ მოდის მატე-რიალიზმი და კარიერა.

468. ადამიანის ცხოვრების ავ-კარგი დროის და შესაძლებლობების მიხედვით და არა ცივილიზაციის გადასახედიდან უნდა შევაფასოთ.

469. ადამიანი ყველა წყენისა და დამცირებას მოითმენს, თუ ის რევანშისთვის ემზადება და სულით მონა არ არის.

470. მთელი ცხოვრება „ეშმაკი უწყის, რას ვაკეთებთ", მაგრამ ადამიანებად ვრჩებით და ცხოვრების სადავეებს ხელიდან არ ვუშვებთ.

471. ადამიანი დროის სურნელს უნდა ინარჩუნებდეს და გრძნობ-დეს, ასაკის გადასახედი ამის საშუალებას აძლევს თუ არა.

472. საოცარი ნიჭია ადამიანის შესაძლებლობების, მისი ბუნების გაშიფრვა, ხოლო უფრო დიდი ნიჭია მისთვის საინტერესო დასაქმების გამონახვა.

473. ადამიანი უნდა ცხოვრობდეს მასზე შექმნილი მითებით, სასია-მოვნო მოგონებებით, რათა ყოფაში დაკლებული სიამენი ოცნებაში შეივსოს.

474. ტემპერამენტი კარგია საწოლში, შემართება – საქმეში, თავის გამოდება – ყოფის ანალიზში, ხოლო ბიზნესში – ანგარიში-გამორჩენა. მთელი ცხოვრება ადამიანი ამ აქსიომების ამხსნას ანდომებს.

475. ადამიანმა უპირველესად ღალატის და გაწბილების მონელება უნდა ისწავლოს და შემდეგ მიჰყონ ხელი ცხოვრების ალგორითმების ათვისება-გააზრებას.

476. გართობის გარეშე ცხოვრება ულიმღიმოა, მაგრამ გადამეტე-ბული სიგიჟეს ემსგავსება და ადამიანის ფსიქიკაზე, იმიჯზე, შეუმჩნევლად ცუდად მოქმედებს.

477. ადამაინისთვის უმთავრესია, საკუთარი თავის შესწავლა, რო-მელსაც ჩვენთვის გასაგები ცოდნა და აღზრდა სჭირდება.

478. ადამიანი ყველაფერს ეჩვევა, ეგუება, ითვისებს, თუ ნერვების წყვეტას და უგონო აფექტს არ აყვა.

479. მოსაწყენ და ტემპერატურიან ადამიანთა შორის სხვაობა მო-ისპობა თუ ისინი ერთმანეთის ხასიათს მოარგებენ და შეერწყმიან, თანაც ჰიბრიდიც ყოველთვის კარგი გამოდის.

480. პიროვნებაა ის, ვისაც თანამდებობის დაკარგვის შემდგომ პა-ტივს მიაგებენ, მოქალაქეა – ვისაც ყავლის გასვლის შემდეგ ჭკუას ეკითხებიან, მოხერხებულია – რომელიც ყველა დროს ერგება და თავის სასუსნავს ნახულობს, უქნარაა – რომელსაც ყველა და ყველაფერი

ფეხებზე ჰკიდია, ხოლო ადამიანია ის, ვინც ყოფიერების ქარტეხილების ყველა შტურმს გადაიტანს და მომავალს იმედით უყურებს.

481. ბუნებაზე დაკვირვებას გარკვეული დროით შეღავათი მოაქვს ადამიანის გონიერებისთვის, სულისთვის, წინააღმდეგ შემთხვევაში, მან ბრმად რაღაცა უნდა იწამოს.

482. მთავარი სამიზნე ადამიანისათვის მისი ამქვეყნად ყოფნის ფინიშია და როდის გაარტყამს ამ სამიზნეს, არავინ ეკითხება.

483. მთავარია კაცობაში, ერთმანეთის სიყვარულში, საჭირო ქველმოქმედებაში, არ შეგვეშალოს, დანარჩენს ადამიანები ვართ, მოგვიტევებენ.

484. მიტევება – კი, მაგრამ პატიება ადამიანს არ უნდა დასჭირდეს.

485. არიან ადამიანები, რომლებთათვისაც გამარჯვების თქმაც კი საშიშია, რათა თავის მოკეთედ არ ჩაგთვალოს, შენზე ჭორები არ შეთხზას და შენთან ახლო ურთიერთობა თავისი ამბიციების გასაღვივებლად არ გამოიყენოს.

486. მთავარია ადამიანის საბოლოო ღირებულება და არა – საწყისი ფასი.

487. ადამიანს ზოგჯერ სურვილი აქვს მსხვერპლად შეეწიროს საკუთარი ნერვების დაწყნარებას, შური მოთოკოს და ამით სიამოვნება განიცადოს.

488. არიან ადამიანები, რომლებიც ყველა დროსა და წყობას ერგებიან, მაგრამ ყოველთვის უკანა რიცხვით უკმაყოფილონი არიან, რადგან მათ ასეთი ბუნება აქვთ და თავის მოჩვენების გარეშე არც რაიმეს შექმნა შეუძლიათ და არც უბრალოდ არსებობა.

489. ადამიანს წესრიგი და სამართლიანობა სხვათა შესრულებით და მორჩილებით უნდა, თავად წინააღმდეგი არ არის შემთხვევით ისარგებლოს, ყოველ შემთხვევაში, როდესაც ,,პატიოსან" ადამიანებს დავახლოვებივარ, დახმარება და პროტექციის გაწევა უთხოვია, ხშირად – არაკანონიერიც.

490. ჩვენ მშვიდად ვუყურებთ უცხოთა წარმატებას და არ ვმონაწილეობთ მის წარმოჩენა-პოპულარიზაციაში, რაც ადამიანის ცხოვრების ჯოგური პრინციპის გაუგებარ ბუნებაზე მიუთითებს.

491. თეორიულად რაც უნდა კარგი წარმოდგენაც გვქონდეს ადამიანზე, ის მაინც ბუნებით ,,ქაქია".

492. ადამიანს გადაგვარება, – გადაშენების მიზეზი მარადჟამს ფუფუნება, გარყვნილება და საერთოდ, ზნეობაზე ხელისკვრა იყო.

493. როგორც ადამიანი ზოგი ცუდი არ არის, მაგრამ ქვეშქვეშა და ფრთხილია, წინააღმდეგ შემთხვევაში, სააქაოში დიდხანს დამაგრება გაუჭირდებოდა.

494. ადამიანი სტერილურად პატიოსანი ვერ იქნება, რადგან მის ირგვლივ იმდენი საცდუნებელი და ვიგინდარაა, რომ პატიოსნებას გზის გაკვლევა უჭირს.

495. ყველა ადამიანი თავის ბედისწერას განაგებს შემართებით, უჯიათი ხასიათით, შემთხვევის წყალობით და განგების თანხმობით.

496. ტრაგედია ყოველთვის ოპტიმისტურია, რადგან ადამიანმა რეალობის შეცნობა და ბედნიერება ერთდროულად უნდა განიცადოს.

497. ადამიანი იმდენად ცოტა ხნით იმყოფება ამ ქვეყანაზე, რომ დრო არ რჩება თავისი უბედურების შესაცნობად და ეს არის მისთის შვების მომტანი.

498. მიუხედავად სამყაროს მიმართ დაგროვილი ცოდნა-გამოცდილებისა, ადამიანი ვერც უკეთესი გახდა ბუნებასთან მიმართებაში და არც თანამოძმეებს ინდობს, თუ მიზეზი მიეცა.

499. არიან განსაკუთრებული საჯიშე ადამიანები, რომლებმაც თავის ჭკუაზე, გემოზე, უნდა იცხოვრონ, რადგან მათ ჩვეულებრივი არსებობა არ ხერხდება.

500. იდეოლოგიურად სუფთა ან ჭუჭყიანი ადამიანი არ არსებობს, მაგრამ არსებობს კარგი და ცუდი, კეთილი და უკეთური, პატიოსანი და გამამაძღლებული და მათ გარეშე ცხოვრება გაუფერულდებოდა.

501. უბრალო ადამიანური ურთიერთობა დიდი სიმდიდრეა, ვინც მისი ყადრი და კუთვნილი სიამოვნების ფასი იცი.

502. ადამიანებს ერთმანეთის გარეშე ყოფნა უჭირთ, მაგრამ ვერც ერთმანეთს დაჭმას ანებებენ თავს, ეტყობა, სხვაგვარად ვერც ჩვენი მოდგმა დაამშვენებდა სამყაროს.

503. ადამიანთა მთავარი პრობლემა ურთიერთობის დამყარების არცოდნაა, ხოლო ვინც ამ ხელოვნებას ფლობს, მიზანს აღწევს.

504. პირველობა დაუფასებელია, რადგან მაშინ გრძნობ, რომ ადამიანი ხარ და რაღაცად ღირხარ.

505. მხოლოდ მცდელობა ავლენს ამქვეყნად ადამიანის ჭეშმარიტ დანიშნულებას.

506. სამწუხაროდ, მაკიაველი მართალი გახლავთ, როდესაც არ აკნინებს ადამიანს, მაგრამ არც თუ დიდი წარმოდგენის გახლავთ მათზე და ამ ჭეშმარიტების დამადასტურებელი ყოფიერების სერენადა დღემდე გრძელდება.

507. ადამიანს ხშირად კარგი ადამიანის მეგობრობაც წაადგება და პირობითად ცუდისაც, რადგან ყველა საქმიანობა სიკეთის მცდელობით არ კეთდება. საქმის კეთებას კი ყოველთვის სასარგებლოდ მოთარგმნა სჭირდება.

508. არსებობენ ადამიანები, რომლებიც არ კვდებიან და ღირსეულ სიცოცხლეს განაგრძობენ ყველა თაობის ხელში.

509. გონიერთან გონიერი უნდა იყო, მცოდნესთან – მცოდნე, კაცთან – კაცი და ადამიანთან – ადამიანი, რადგან ყველა განათლება ცოდნა არ არის და არც ყველა კაცი ადამიანი.

510. ადამიანი უნდა ცდილობდეს ნათელი აზრების მოპოვებას და არა – მათ გაყალბებას, რაც შეიძლება ზოგს ხელს აძლევდეს, მაგრამ რა ფასად, ზოგჯერ ამის დადგენა არ სურთ.

511. ადამიანთა მოდგმის ჩამოყალიბება ათ პირობაზე და ხუთ-ხუთ ძირითად ცნებაზეა დამყარებული: ფორმა – სხეული, სახე, მოძრაობა, სიცოცხლე, ძალა. გრძნობის ორგანოები – სმენა, ყნოსვა, გემოვნება, შეგრძნება, მხედველობა. ხასიათი – თავმოყვარეობა, სიბრძნე, სრულ-ყოფა, კეთილშობილება, სიკეთის კეთების სურვილი. ბაზისი – გონიე-რება, ფიქრი, ოცნება, სურვილი, განცდა. აღზრდა – წინაპრები, წარ-მომავლობა, მშობლები, დედმამიშვილობა. დამრიგებელი. საფუძველი – მცდელობა, მისწრაფება, შრომა, სიახლის შეცნობა, ახლის შექმნა. გზა-ზე დამყენებელი – ქუჩა, გარემო, შემთხვევა, ყოფა, თანდაყოლილი გენი. უარყოფა – შური, გულგრილობა, თავხედობა, ღალატი. შიში. ტოვებს – შთამომავლობას, ნამოქმედარს, სიყვარულს, განუხორცილებელ ოც-ნებებს, სიხარულის შეგრძნებას, მიაქვს – ღმერთის მორჩილება, სათუო რწმენა, დანანება, თავისი მძორი, სულის ამაღლება.

512. ადამიანის ბუნება ყოველთვის არც გარდაქმნისთვისაა მზად, არც სიახლის შეძენისთვის და არც იმქვეყნად გადასაბარგებლად. ასე, რომ ყოველივეს თავშეკავება, შერჩევა, გათავისება სჭირდება.

513. თუ გინდა ადამიანი თავს დაჩაგრულად არ გრძნობდეს, გვერ-დში უნდა ამოიყენო, აწმყო გაუნათო და საქველო საქმე აკეთებინო.

514. მიუხედავად ტექნიკური პროგრესისა და ცხოვრების დონის ამაღლებისა, ადამიანის ბუნებაში სასიკეთო ცვალებადობა არ შეიმჩნევა.

515. ადამიანის გადაადგილების გრაფიკი ამქვეყნიდან იმქვეყნამდე შეიძლება შემთხვევის უმეცრობამაც შემოგვთავაზოს.

516. ადამიანს თუ კაცობის საკაზმი აკლია, მის გამოსწორებაზე ზრუნვას აზრი არ აქვს.

517. ადამიანს კულტის გარეშე ცხოვრება ყოველთვის უჭირდა, რწმენის იქნება, პიროვნების, თუ ქალის.

518. ცოტა არასოდეს ეყოფა ადამიანს, თუ მას უფლებას მისცემენ.

519. ადამიანის ჭკუის მარგი ქმედების კოეფიციენტი, უამრავი შედარებითი ნაკლოვანების (ყნოსვა, ხედვა, გრძნობა, ინტუიცია) გათვალისწინებით, მაინც ამ სამყაროს ფლორის და ფაუნის წარმომადგენლებზე მეტია.

520. ძაღლუმადური ცხოვრება არავის გვინდა, მაგრამ მის გარეშე ადამიანისა და მისი ყოფის შეცნობას ხეირიანად ვერ ვახერხებთ.

521. ადამიანისთვის ყოველი დღე პრემიერა უნდა იყოს, მაგრამ ეტყობა, ამდენ მღელვარებას ვერ გაუძლებს და ისევ ყოველდღიურობას არჩევს.

522. ადამიანი იგივე ცხოველია, მაგრამ თავისი დროის შესატყვისად გაწვრთნილ-გაკულტურებული.

523. ზოგს მოწმენდილი ცაც ნერვებს უშლის და ესეც ადამიანის გაუგებარი ბუნების ბრალია.

524. სასოწარკვეთილება და გამოუვალი მდგომარეობა ადამიანს სასწაულებს მოახდენინებს.

525. ადამიანს საბოლოოდ ის შერჩება ხელში, რასაც შექმნის და არა ის, რის შეჭმასაც აპირებს.

526. უამინდობა ადამიანს უსუსურობის და სიზარმაცის დასაფარავად სჭირდება.

527. ადამიანმა საკუთარი თავის ასამუშავებელი აგრეგატები თავიდანვე უნდა მოიძიოს და აშენოს.

528. ჩიტი, თანაც გვრიტი, ყველაზე სანატრელი ანალოგია ადამიანის წარმოსაჩენად.

529. ადამიანის ღირსება, კარიერის კიბეზე ასვლით, უკან მოხედვით და ოცნებით ფასდება და არა მარტო სათნოებით და საქმის კეთებით.

530. ადამიანთა მოდგმის უბედურება ისიც არის, რომ სიბრძნე საკმაოდაა, მაგრამ მომხმარებელი ჰყავს ძალზე ცოტა და უნიათო.

531. სამწუხაროა, როდესაც ადამიანი ბუნებისაგან სახეიროს ბევრს ვერაფერს სწავლობს და თვალი სულ წაგლეჯაზე უჭირავს.

532. ლიბერალიზმი ბევრ რამეში ცდება, რადგან ის ადამიანს პრაქტიკულად არ იცნობს და თეორიულ ამბიციებში იჭრება.

533. მთავარი ის კი არ არის, ადამიანი რა დროში იბადება, არამედ რა ღირებულებების აღიარებაზეა ორიენტირებული.

534. კარგია, რომ ადამიანის ნდომა-სურვილს ზოგჯერ განგების ლაგამი აქვს ამოდებული.

535. ბუნების ყველაზე დიდი წურბელა ადამიანია.

536. ადამიანის სიხარბე განუსაზღვრელია, ხოლო მიზანი – გაუგებარი, რადგან ყოფის საკაცობრიო გამოცდილების ამაოებას მეტ-ნაკლებად ყველა იცნობს.

537. მთელი ცხოვრება ადამიანს კენტთან და ლუწთან ურთიერთობა აწუხებს, აწესრიგებს და ზოგჯერ უკანაც მოისვრის.

538. ადამიანებს ერთმანეთი უყვართ, მაგრამ არა თავზე მეტად.

539. სამყაროს თავაშვებულობის კარი ხან ერთ კონტინენტზე ჭრიალებს ხანაც მეორეზე და ამით ადამიანთა მოდგმას ყურის აწევისთვის ამზადებს.

540. კაკალი იმდენად თვითმყოფადი და უკადრებელი ხეა, რომ მასთან სხვა ჯიშის შეჯვარება და სელექცია აზრად არავის მოსვლია. ასევეა ადამიანიც, უკადრებელი არ უნდა აკადრონ თუ ის თვითმყოფადია და ნიჭით სავსე.

541. წმინდანსა და ცოდვილს შორის პრინციპული სხვაობა არ არის, თუკი ადამიანი ხარ და ამადვე დარჩენა გსურს.

542. უნაკლო ადამიანი არ არსებობს, მაგრამ სიდიადესთან შეხვედრისას ნაკლი შეუმჩნეველი გვრჩება.

543. მარადიულობასთან შეჯერებისას, ადამიანის ყოფითი უნარი უფრო ნულისკენ იხრება, ვიდრე ერთისკენ.

544. ხშირად ვცდილობთ ჩვენი საკეთებელი სხვას ვაკეთებინოთ და თავი ამითაც მივიწონოთ, რადგან ეს ადამიანური სისუსტე გვგონია.

545. ადამიანი, რომელიც გაღიზიანებთ, შეიძლება ყველაზე საფარელ ადამიანად გექცეს, თუ შეეჩვიე და შეგიჩვია.

546. იდეა ადამიანის იმუნური სისტემაა, მაგრამ არა იმდენად, რომ გონიერება მას გადააყოლო.

547. ადამიანის ყოფის დევიზია: ეცადოს უსაქმური, უხასიათო, უსახო, უნიათო, უგნური არ იყოს.

548. საკუთარი ხასიათის შეცნობას ადამიანი ვერც თავად ახერხებს და არც სხვისი ოპონირების და შეფასებისა სჯერა.

549. ადამიანი ხშირად იმითაც იწონებს თავს, რომ რაღაც უოცნებია, ასე თუ ისე, უსწავლია და რაღაცაზე წარმოდგენა აქვს.

550. თუ ადამიანს განათლება, საცხოვრებელი და გადაადგილების საშუალება არ გააჩნია, სახელმწიფოს ბრალია, ხოლო თუ ცოდნას ვერ იყენებს, საცხოვრებელს ვერ ინახავს, საწვავის ფულს ვერ შოულობს, ეს მისი უნიათობის ბრალია.

551. ბუნებაში ყოველივე მოწესრიგებულ-დაბალანსებულია, გარდა ადამიანის ცხოვრებისა.

552. იმედი, რწმენა, სიყვარული, ის სასწაულია, რომელიც ადამიანს აცოცხლებს და მარადიულობას ოცნებით აზიარებს.

553. მცენარეები, ცხოველები, არანაკლებ ჭკვიანები არიან, ვიდრე ადამიანები. ასე, რომ ეჭვი ადამიანის უნიკალობაზე ყველა სფეროში გაბუქებულია.

554. ადამიანთა მხოლოდ 30%-ს გააჩნია საკუთარი აზრი, ისიც დეფორმირებული, ხშირად გამოუსადეგარი, ერთეული იშვიათობის გამოკლებით.

555. ადამიანის დარწმუნებაა ძნელი და არა – მისი მოთაფვლა-მოთოკვა.

556. თვალებით ღალატისთვის ყველა ჩვენგანი მზად არის, რადგან ადამიანები ვართ და უცხოს ცქერაში გემო გვინდა ჩავატანოთ.

557. როდესაც ადამიანის ამბიციები დათრგუნულია, მას სწავლა რჩება სიბერემდე, სიქაჩლემდე, სიამოვნების მისაღებად და დროის მოსათოკად.

558. ადამიანები ცოტათი უმადურები, შურიანები, უგვანები, არიან, იმის მიმართაც კი, ვინც მათზე მეტს აკეთებს, საქმეზე გადამკვდარია და მოსვენება დაკარგული აქვს.

559. შემოქმედი ადამიანი „ბრძოლაში" ნახულობს უდიდეს სიამოვნებას, რადგან მას საკუთარ თავთან შერკინება და შედეგის ნახვა სურს.

560. ადამიანმა წინასწარ უნდა იცოდეს, აცნობიერებდეს, სად უნდა დაბერდეს და იქ რატომ უნდა დაიმარხოს.

561. ზოგჯერ თვალახელილი ადამიანები ბრმებივით იქცევიან, რაც მათ დიდ სიამეს ჰგვრით და ვიღაცას ნიშნსაც უგებენ.

562. ფუფუნებას გაცილებით მეტი ადამიანი ეწირება, ვიდრე სიღარიბეს და გაჭირვებას.

563. ადამიანები შემდეგ კატეგორიებად იყოფიან: ვინც ჩვენთან არის, ვინც არ არის, ვინც ზღვაში და კოსმოსშია და ვისაც ყველაფერი ფეხებზე ჰკიდია.

564. ადამიანები ხშირად იღლებიან იდეალებისაგან, თუმცა იძულებულნი არიან მასთან ითანამშრომლონ, მაგრამ არა – ირწმუნონ.

565. ადამიანს თავისნაირის და უფრო უარესის ყურება ახალისებს და ამიტომაც ძალაუფლებას საშუალო დონის და უნიათო მმართველებს ანდობენ.

566. მსგავსი პროფესიის ადამიანები ერთმანეთს უფრო უგებენ, მაგრამ უფრო მეტადაც ექიშპებიან.

567. სიმხდალე და რწმენის დაკარგვა თავიდათავია ადამიანის ყველა უბედურების.

568. ადამიანზე შეიძლება მსჯელობა იმის მიხედვით, რა იცის და რის დამალვის უნარი შესწევს.

569. სამწუხაროდ ხშირად შემთხვევა წყვეტს ადამიანის ბედს და არა გონიერება, სურვილი, რჩევა-დარიგება.

570. ნასწავლი და ნიჭიერი ადამიანი ბუნებით თავისუფალია, თვით-მყოფადია, გულისხმიერია, არაორდინალურია.

571. ადამიანს სიყვარული, გაჭირვება, საფრთხე, აფხიზლებს, მაგრამ ვერ ასწორებს.

572. ყველამ ერთი ადამიანისთვის განკუთვნილი ტკივილი უნდა განვიცადოთ, რათა ამქვეყნად ყოფნა დავაფასოთ.

573. ადამიანს ფასეულობათა მიმართ უნდა ჰქონდეს ნოსტალგია და არა – ფუფუნებისადმი, წყობისადმი, ხელისუფლისადმი.

574. ოქრო გადაამოწმებს ადამიანს და არა – ადამიანი ოქროს.

575. უმტკივნეულო სიტუაციაში ადამიანი ალბათ იმიტომაც იტყუ-ება, რომ მას ეს სიამოვნებს და საკუთარ თავს ელაციცება.

576. ადამიანი, რომელიც ცდილობს წმინდანებს და ანგელოზებს მიბაძოს, ამქვეყნიური ცხოვრება, მისდაუნებლიედ, მოთავებული აქვს.

577. თავიდან დაბადებას სჯობს საერთოდ არ დაიბადო, რადგან ერთიდაიგივე გზის გავლა სხვადასხვა გადასახედიდან ადამიანის ცნობი-ერებას ანგრევს, ანაგვიანებს.

578. ადამიანის ცხოველისადმი სიყვარულს ისიც განაპირობებს, რომ შეუძლია მასთან ისულელოს, ცხოველი კი მხარსაც დაუჭერს და არც გაიცხავს.

579. ადამიანმა ერთდროულად უნდა განვლოს ამქვეყნად ყოფნის კალენდარული დღეები და მისი მოვლინების მიზანი.

580. ადამიანს ყველაზე უკეთ მართავს, რწმენა, მიზანი, დაინტერე-სება და შემდეგ – ფული.

581. ადამიანი, რომლის არც გაჭორვა შეიძლება და არც მასზე საუბარი, უინტერესო განდეგილია.

582. ამბობენ და ასეცაა, სამყაროში გაცილებით მეტია ბრბოს წარმომადგენლები, ვიდრე ნაღდი ადამიანები, მაგრამ ქვეყნის სათავეში მაინც „ვირიშვილები“ ხვდებიან.

583. ადამიანებმა არ იციან მათი ამქვეყნად მოვლენისას რომელი ღირსების ღირსება იმსახურებს ჯილდოს.

584. ერთი ადამიანის გემოვნების მსხვერპლი ყველა ვერ იქნება, რამდე-ნიმე გამონაკლისის გარდა, მაგრამ მოდის განჭვრეტა შეუძლებელია.

585. ხშირად დამსახურებული ადამიანი, ამბიციების გამო, ვერ ხდე-ბა საკუთარი პრეტენზიების ღირსი.

586. საერთაშორისო ენა მხედველობაა და არა – ენის ტარტარი, რადგან ადამიანს, უმთავრესად, ვიზუალურად ვიყვარებთ.

587. საბედნიეროდ, ადამიანებზე ხშირად კარგი წარმოდგენა გვექმნება. ეს მაშინ, როდესაც იბადებიან ადამიანისმაგვარნი და მათთან შედარებით სიტყვა ,,ცხოველი'' ამაყად ჟღერს.

588. ადამიანი შემოქმედია არა მხოლოდ ნიჭით და შემართებით, არამედ ბუნების დახმარებითაც.

589. ოცნების, სურვილების, ცდუნების, გარეშე ადამიანი არ არსებობა და თუ კი არსებობს, საცოდავია.

590. განათლება აიძულებს ადამიანს კითხვები დასვას და პასუხს დაელოდოს, ხოლო გაუნათლებლობას პასუხი მოსთხოვოს.

591. უსაქმურობა, უნიჭობა, გარჯნილების შესაძლებლობა, აფუჭებს ადამიანს და არა – ხალხის გათავხედება.

592. ადამიანი ზოგჯერ თავსაც აკვირვებს და სხვასაც, ისეთი რაიმეს გამოადნობს მისდაუნებლიედ და სიფარულით.

593. ყველა ადამიანი მეტ-ნაკლებად ყალბია, მაგრამ კარგია, რომ ამის დაფარვას ,,ფიცი-მტკიცით'' ცდილობენ.

594. ადამიანი, რომელიც ცოტას ლაპარაკობს და გააზრებულად, ან დიდი მოხელის მსახურია ან თავადაა გენიალური.

595. ჩარჩოებში მოღვაწე ადამიანი ვერასოდეს შემოქმედი ვერ გახდება.

596. დროსაცდენილი ადამიანი დროდაკარგული არსებაა.

597. ადამიანი, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ბუნების დადგენილი კანონებით და ევოლუციის გზით სიარულს ერიდება და როდემდე შერჩება ეს თავხედობა, არავის უწყის.

598. ადამიანს რომ სიამოვნება მივანიჭოთ, უამრავი უსიამოვნება თავად უნდა გადავიტანოთ.

599. ადამიანისთვის რაიმეს დაბრალება ადვილია, ამ ბრალის ამოხსნაა ძნელი, რადგან ყველას სხვა მასზე უარესი ჰგონია.

600. თვითტკბობას მიცემული ადამიანი ცოდოა, რადგან საკუთარი თავის ფასი ვერ გაუაზრებია.

601. სუსტ და უკმაყოფილო ადამიანს ყოველთვის ადვილია აუხსნა, თუ ვინ არის დამნაშავე მის უდღეურობაში და უკეთესი მომავლის იმედით, ვიღაცის და რაღაცის ჯინაზე შენს ჭკუაზე ატარო.

602. გული კულტურას ეთაყვანება, სული რეფორმატორია, ხოლო ადამიანს მთლიანობაში მაინც მისი მეამბოხე ხასიათი განსაზღვრავს და გონის მეგობაიტი განსჯის.

603. ადამიანისთვის ყველაზე დიდი უბედურება დაუსაქმებლობაა, ხოლო სახელმწიფოსთვის – ყველაფრის მიმართ გულგრილობა.

604. ნაღდად ვცხოვრობთ თუ სიზმარში ვართ და ძილში განვაგრძობთ ცხოვრებას, ადამიანთა გარკვეული ნაწილი დღემდე ვერ გარკვეულა.

605. ადამიანის ამქვეყნად ყოფნა ცდუნებით, ნეტარების განცდით, ღირსების ამაღლებით გარდაუვალია, ხოლო მისი გადამეტებული მოთხოვნებიდან თავის დაღწევა: თავშეკავებით, ვნების მოთოკვით, ცხოვრების საფეხურზე ფეხის შედგმით, სიცოცხლის ჭვრეტით, შესაძლებელია და აუცილებელიც.

606. ყველა ადამიანი ფლობს საიდუმლოებებს, რომლის გამხელა თავისი თავისთვისაც არ უნდა.

607. არის წინადადება, რომელზეც უარის თქმა შეუძლებელია, მაგრამ არის ისეთიც, რომლის მიღებაც წარმოუდგენელია, თუ ადამიანური რაიმე შემოგრჩა.

608. ყველა ადამიანის გონიერებას, შეგნებას, მოყვასისადმი სიყვარულს ვერ მოსთხოვ, ამიტომ მას კანონის კიდეც უნდა ეშინოდეს, უფრთხოდეს და პატივსაც უნდა სცემდეს, რადგან სიმკაცრის, მოთხოვნების და მოვალეობის გაცნობიერების გარეშე ხეირიანად არც ქვეყანა იმართება და არც ხალხი.

609. ადამიანი კი არ უნდა შევიცოდოთ, მას პატივი უნდა ვცეთ, რადგან პირველი ქლესობა, მოვალეობის სხვაზე გადავალებაა, ხოლო მეორე პიროვნებაზე ზრუნვა და საზოგადოების ინტერესების დაცვაა.

610. ადამიანი იბადება თავის ნაკლოვანებებით და დადებითი თვისებებით, რომელსაც საზოგადოებამ, ავად თუ კარგად, თავისი ადგილი უნდა მიუჩინოს და სასიკეთო საქმე აკეთებინოს.

611. ვირტუალური, შემოქმედებითი, სულიერი სამყარო აიძულებს ადამიანებს თავის ბედზე დაფიქრდნენ და თავზე წარმოდგენა იქონიონ.

612. წმინდანი არავინაა, მაგრამ შეიძლება ადამიანს ჰქონდეს ის, რაც ყველას ხიბლავს, ახარებს და მისი გავლენის ქვეშ მოაქცევს.

613. უნებისყოფო ადამიანს არც პრინციპები აწუხებს და არც საკუთარი ხასიათი გაჩნია.

614. ადამიანმა უნდა იცხოვროს საკუთარი სიამოვნებისათვის: უბრალოდ, წუხილით, სიხარულით და სიკვდილთან წინასწარი შეგუებით.

615. ადამიანს ყველაზე მეტად მამა-პაპათა ცოდვები დასცინიან და ამათრახებენ.

616. ყბედობა, ფლიდობა, სიძუნწე, შური, ყოყოჩობა, უვიცობა და თავზე წარმოდგენა, მეტ-ნაკლებად, ადამიანების მანკია, რაც ზომიერების ფარგლებში, აუცილებელია, რათა თავი ადამიანად იგრძნო და არა – დაპროგრამებულ რობოტად.

617. ვალები რჯნიან ადამიანის ცნობიერებას და გონიერებასაც ზედ აყოლებენ.

618. ადამიანის მართვის პროგრამის შედგენა შესაძლებელია, მაგრამ მისი მოწესრიგება-ჩამოყალიბება და ყველაზე მორგება გაჭირდება.

619. ადამიანი არც ხელახლა აღიზრდება და არც გადაკეთდება, უბრალოდ, გარემოს ეგუება და სხვებიც ეგუებიან.

620. ნაკრძალი არის ადამიანთა სულის გამოსასყიდი დაწესებულება იშვიათი ფლორის და ფაუნის გადასარჩენად.

621. რატომღაც მოსმენას ლაპარაკი გვირჩევნია და ეს არის ჩვენი აქილევსის ქუსლი.

622. ადამიანის ხასიათს სხვათა შეცნობის მცდელობა „გაშიფრავს".

623. ცუდი წრე, საზოგადოება, „მასმედია", რჯნის ადამიანებს და არა – წიგნი, რომელსაც იშვიათად კითხულობენ.

624. ადამიანის მოშინაურება და კაცად ქცევა უფრო ძნელია, ვიდრე მხეცის გაწვრთნა და მოჯარედ ქცევა, მაგრამ ორივეს სასიკეთო გენი თან უნდა ახლდეს.

625. ცივილიზაციის მიღწევები ხშირად ადამიანის პირუტყვულ მოთხოვნილებებს ეწირება.

626. სიცოცხლისუნარიანობას ადამიანის ბუნება, შემართება, განსაზღვრავს და არა – მისი წვრთნა და ვარჯიში.

627. ღირსეული ადამიანი სიკვდილის შემდგომ იწყებს მეორე სამუდამო და საყოველთაო ცხოვრებას.

628. სამყაროს თავის განვითარების კანონები აქვს, ბუნებას თავისი ხუშტურები, ადამიანს თავისი სურვილები, მაგრამ ეს უკანასკნელი არც პირველის ნებას სცნობს და არც მეორის თავხედობას და ცდილობს ორივეს გადაუჯოკროს, რადგან ის დროებითაა მოვლენილი ამქვეყნად.

629. ადამიანს პატივი უნდა მივაგოთ, მაგრამ არ უნდა ვენდოთ, რადგან თავის სისუსტის გასამართლებლად უამრავ ალიბს დაგვიპირისპირებს.

630. ადამიანში ადამიანის დანახვას და მის ფინიშამდე მიყვანას უნდა ვცდილობდეთ, რასაც იშვიათად ვახერხებთ.

631. ადამიანს უბრალოება ამაღლებს, ოღონდ გონიერთა საზოგადოებაში, და არა არეულ ქვეყანაში.

632. სირთულეს და სიმარტივეს ადამიანი გრძნობებით განსჯის და შემდგომ რთავს გონიერებას.

633. გაწითლების უნარი ადამიანს საფუძველს აძლევს, რომ თავს ჯერ კიდევ ადამიანი უწოდოს.

634. ღირებულებების არმქონე ადამიანი მარტივი და უინტერესოა.

635. თუ ადამიანს ანალიზის უნარი და თავის მოთოკვის ნიჭი არ გააჩნია, მას სხვისი შეცდომების დანახვა არაფერს მისცემს.

636. ადამიანს რომ შეძლებოდა სასარგებლო და უსარგებლო ნივთების საჭიროების ალგორითმის გათავისება, დღეს არც მოდა იქნებოდა, ვერც ტექნიკური პროგრესი იგრიალებდა და ცხოვრების მადლის შეცნობაც გაჭირდებოდა.

637. ადამიანი თავისი ცოდნით, უამრავ უარყოფით მუხტს, ბირთვული იარაღის მაგვარს, აგროვებს, რომლის განეიტრალება კაცობრიობას მუდამ ძვირად უჯდება.

638. ადამიანმა, თუ ის ბუნება-გუნებით თავისუფალია, საცხოვრებლად ის ადგილი უნდა აირჩიოს, სადაც თავს მშვიდად და თავისუფლად იგრძნობს, რადგან ამქვეყნად დაფასება-თავგანწირვაც თავისი გაუგებარი განზომილებით ფასდება.

639. ნაჭუჭში ჩაკეტილი ადამიანი არავის სჭირდება, ის ფასდება იმისდა მიხედვით, სხვას რამდენად შეუძლიან თავის მოწონება მისი ნაცნობობით და მისგან რას გამოელიან.

640. ადამიანის უფლებების დაცვა მხოლოდ ადამიანთა მოდგმისათვისაა და არა – ადამიანთა მსგავსთათვის.

641. ადამიანის უფლება, მისი ცოდნის და მოვალეობის გარეშე, ნულის ტოლია.

642. ადამიანს თუ ყველაფრის უფლებას მივცემთ, ის ყველაფერს იკადრებს და მხეცადაც იქცევა.

643. ენის, ვნების, მადის, დამთრგუნავი სანდო ადამიანია.

644. ადამიანი ბუნებით წინააღმდეგი არ არის კერპად იქცეს, ამიტომაცაა, რომ კერპებს და თაყვანისმცემლებს თავადვე ქმნის.

645. ნიჭის რაღაც ზღვრის გადაბიჯებას ზესამყაროში გაჰყავხარ, ამის მიუხედავად მაინც ადამიანად ვრჩებით.

646. ადამიანი აგებულია ეკონომიკის პრინციპებზე და არა – ყბედობაზე, თუმცა პოლიტიკოსებს ეს არ ეხებათ.

647. ფასდაუდებელია ის ადამიანი, რომელიც დროს არა მარტო უსწრებს, არამედ ამარცხებს კიდეც.

648. ადამიანი სუსტი, უნებისყოფო, ფარისეველი არსებაა, მაგრამ მაინც სიყვარულს და გაგებას იმსახურებს.

649. ხშირად საკუთარი თავის მესაფლავე ის ადამიანია, ვისაც ეს ქვეყანა მარტო სახრავი ჰგონია.

650. ხშირად ადამიანს დასვენება, უქმე დღეები, დროსტარება, უფრო ღლის, ვიდრე შრომა, გარჯა, როცა დროის რაციონალურად მოხმარების კულტურას ნაზიარები არაა.

651. ადამიანებისათვის უსაქმურობის ობის მოკიდება საზოგადოების და მისი მმართველობის ბრალია, რადგან მათ არ იციან ქვეყანა როგორ უნდა მოაწყონ და ხალხის ენერგია როგორ უნდა გახარჯონ.

652. ადამიანის ქცევის ფორმა ხშირად ცვალებადია, გაუზრებელია, რადგან ბიზნესი და ფუფუნებისკენ ლტოლვა იმ სისულელის ჩადენას გვაიძულებს, რომელიც არც გვჭირდება და გვინდა.

653. ადამიანი ემყარება სტერეოტიპებს და ახასიათებს წინასწარ აკვიატებული სიმპატია-ანტიპატიები. ამ ცნობიერების შეცვლა დროის ალიყურს მოითხოვს.

654. გადაწყვეტილებამიღებული ადამიანი უკვე ლამაზიცაა, მიმზიდველიც და საფარელიც.

655. შანსი ყველა ადამიანს უნდა მივცეთ, იმსახურებს ამას თუ არა, რათა თავისი უნიათობა-ბედოვლათობა-უბედობაში სხვა არ გარიოს.

656. ყველა თანამდებობა, სამუშაო ადგილი, თავის რიდს, პეწს და ყოფაში გარკვევას მოითხოვს, სადაც შენი ქმედება შენს მდგომარეობას პატივს უნდა მიაგებდეს ხალხის მორიდებისა და სიყვარულის თანხლებით, ამის შემდგომ ხარ ადამიანი და შენი საქმის წინამძღოლი.

657. ხშირად ადამიანი საკუთარი სიცოცხლის განადგურებით ღირსების და სახელის შენარჩუნებას ცდილობს და ესეც გმირობაა, თუ სხვა შანსს ვერ ხედავს.

658. სიტყვის, ქმედების, თანაგრძნობის უნარის მქონე ადამიანს, როგორც მფარველ ანგელოზს, თვალდახუჭული უნდა ენდო.

659. ნდობა და უნდობლობა, ეს არის ადამიანის ჩამოყალიბების გზა, რომლის გავლას ღირსებით მოახერხებს თუ უღირსად შემთხვევაზე და გამართლებაზეა დამყარებული.

660. დიდ ადამიანურ გამოცდას მოითხოვს, რათა დავტკბეთ ერთმანეთთან ხანმოკლე შეხვედრებით და არა კბენით, ურთიერთ ნაკლის გამოვლენით.

661. ადამიანთა ურთიერთობისთვის უმთავრესია ცხოვრების წესი, შემდეგ მოდის საქმის კეთება, აღსრულება-განსჯით.

662. რამდენი დიდებული ადამიანი წავიდა და მიდის ქვეყნიდან და რა ცოტა გვემატება მათი დიდების შესატყვისი, საუკუნეებთან ჭიდილის და ცოდნის დაგროვების მიუხედავად.

663. ადამიანი ბევრის შემძლეა, მაგრამ ვისთვის?! – რას მოიმოქმედებს, თავადაც არ უწყის.

664. ადამიანისთვის მთავარია იმედი, თავისუფლება, სიყვარული, რომელშიც კეთილდღეობის საშუალებებიცაა ნაგულისხმევი.

665. ვისაც კვნესის გარეშე ტირილი არ შეუძლია, ეს ცრემლიანი იქნება თუ არა, მისი ადამიანური განზომილებები ყოველთვის ეჭვქვეშაა.

666. ადამიანი სამყაროს ნაწილია და მასთან თავისებური ,,დიალოგი'' აქვს, ყოფიერების და ოცნების ყველა ელემენტით.

667. ადამიანს აქვს უფლება აირჩიოს ის ღირებულება, რომლითაც ცხოვრებას აპირებს, მაგრამ ამისათვის, ნაწილობრივ, საზოგადოების ნებაცაა საჭირო.

668. ყველა ადამიანი შინაგანად დატენილია შემოქმედის ტვინით და ევალება მისი ძალის გამოღვიძება და საქმის წარმოჩენა.

669. ადამიანზე, უმთავრესად, გავლენას ახდენს: დარწმუნების უნარი, ემოციების გაფეტიშება, ხულიგნობის ნიჭი და სულიერი შთაგონება.

670. ვხედავ, ვფიქრობ, მსურს – ესაა და ეს ადამიანის სურვილების საბოლოო ჯამი.

671. ხშირად გონიერი ადამიანი ყველა გადაწყვეტილების საპირისპიროდ შემდეგ იღებს სწორ გადაწყვეტილებას და საოცრების აუცილებლობაც ალბათ ეს არის, რადგან წინააღმდეგობების გადალახვის გარეშე პროგრესისთვის ხელის ჩავლება გაჭირდება.

672. ადამიანი კომფორტულად გრძნობს თავს თუ ის სიცოცხლეს ილუზიების სამყაროში ატარებს, რადგან ეს არის მისი უაზრო და უსაქმო ყოფის საუკეთესო წლები.

673. ადამიანს უნდა ეყოს იმდენი გონიერება, რომ თავის ცხოვრების გარკვეული ნაწილი არასერიოზულად გაატაროს.

674. ქვეყნის კონსტიტუცია ადამიანს ბევრი რამის უფლებას აძლევს, გარდა გონების დაკარგვისა და ყოფის განუსჯელობისა.

675. ადამიანს შეუძლია სასწაულის მოხდენა, თუ გამბედაობა, გათავხედება, ეყო და დროულად ჭკუაც მოიხმო.

676. თუ ადამიანი ბედნიერია, ყველაფერი მისაღები და კანონიერია, მცირე გამონაკლისის, შურის, გარდა.

677. სანამ ადამიანი ცოცხალია, გაოცების უნარი ბოლომდე შერჩენილი აქვს.

678. ადამიანია, ვისი ბუნებაც წესრიგს და დისციპლინას ითხოვს, რადგან ეს მისი თანდაყოლილი კოდია.

679. განსაცდელის წუთებში ადამიანს გონება გაუნათდება, რაც მისი ყოფიერების სარკის რეალური გამობრწყინებაა.

680. თეორიულად როგორც ამაყად არ უნდა ჟღერდეს სიტყვა ,,ადამიანი'', პრაქტიკულად სანამ ცხოვრების ალიყურს არ იგემებს, ჭკუაზე ვერ მოდის.

681. განათლება და ტვინის ჭყლეტა ადამიანის ინტუიციას ადუნებს.

682. მშვიდობა და სიმშვიდე დამოკიდებულია ადამიანის სულიერებაზე და მის მიერ განვლილი გზის პოხონდრიაზე.

683. იდეები, ემოციები და სამართლიანობისათვის ბრძოლა ამოძრავებს ადამიანს, რაც მას სიცოცხლეს უხანგრძლივებს და აღაფრთოვანებს.

684. ყველა ადამიანს უნდა მივცეთ წუთიერი სისუსტის, უფლება რადგან შეიძლება იმ დღემ მას ცნობადობა მოუტანოს და დიდებად ექცეს.

685. სამუდამოდ იმქვეყნადაც ჩვენი სულის დარჩენა მოსაბეზრებელი და აუტანელი იქნებოდა, თუ ადამიანი იქაც შეეცდებოდა თავის ბუნების შენარჩუნებას.

686. ადამიანი არც ფიზიოლოგიურად იცვლება, არც სულიერად, მხოლოდ გარეგნობა და ვნების კულტი განიცდის ცვალებადობას და ისიც იძულებით.

687. შემხვედრ იდეებთან ჭიდილიც ადამიანის აკვიატებული გასართობია.

688. ზოგი ადამიანის გამოხედვა სიტყვაზე და ახსნა-განმარტებაზე მეტია.

689. ველით, იმედით ვიკვებებით, გვჯერა – ეს არის ადამიანის შემართების მუდმივი ალგორითმი.

690. სამყაროს არც სილამაზე გადაარჩენს, არც სიმდიდრის დაგროვება და არც ეკოლოგია, მისი ხსნა ადამიანთა ღირსების შენარჩუნებაშია.

691. როდესაც გონება ინიციატივას ახშობს და სინდისი გატვრენილია, ამაზე ძნელი ადამიანი ყოფაში არაფერია

692. ადამიანი თავისი ბუნებით ყოველთვის უკეთურობისაკენ მიილტვის, იმისდამიუხედავად, რომ ხშირად ხელში უარესი შემორჩება და ძველი სანატრელი უხდება.

693. ყველა ადამიანს აქვს სულის კუთხე-კუნჭული, რომელსაც არავის გააკარებს.

694. ადამიანთა 93% ცხოვრების ვაგონია, აქედან 60% საბარგო – სხვისი სათრევი, რადგან მას სხვისი ჩარევის, დაძალების, ნამუსზე შეგდების, გარეშე არც საქმიანობა შეუძლია და არც საკუთარი ცხოვრების მოწყობა.

695. დიდი სხვაობაა ადამიანის სულიერ და ხორციელს მოთხოვნილებებს შორის, რომელიც ცივილიზაციას გათავხედების შედეგად უფრო და უფრო ღრმავდება.

696. ადამიანისთვის უმთავრესია არ მოიწყინოს, არ მოდუნდეს, იმედის ნაპერწკალი არ ჩააქროს, რადგან ერთი ხელის ჩაქნევა და ყველაფერი დამთავრებულია.

697. ციხე ადამიანს არ ასწორებს, უბრალოდ, წლებს აკარგვინებს.

698. რადგან სიცოცხლე თამაშია, ხოლო მოგონება – ცხოვრების ილუზიებით გართობა, ამიტომ ადამიანმა თავისი ყოფა მრავალფეროვნად და სხვადასხვა განზომილებებში უნდა განვლოს.

699. ადამიანის მიზანი უნდა იყოს საკუთარ თავთან ჰარმონიაში ცხოვრობდეს, რადგან სხვა ღირებულებებით ცხოვრება საკუთარი თავის მოტყუებაა, თუ განგებამ განსაკუთრებული ნიჭი არ გიბოძა.

700. განგებამ ქალი მიმზიდველ არსებად იმიტომ გააჩინა, რომ მამაკაცი დახარბებულიყო, ხოლო ქალს სიჩერჩეტე იმიტომაც დაუტოვა, რომ ეს კაცი შეეფარებინა.

701. ადამიანი მუდამ ცოდვილი და შენდობის მთხოვნელია, რადგან შეცდომა გონებას ახალისებს, მითუმეტეს, თუ საკუთარ შეცდომებზე სიამოვნებით სწავლობს.

702. ყველა ადამიანი თავის სიტყვაზე, ქმედებაზე, პასუხს უნდა აგებდეს და თავის მცდელობის დასაცავად რაღაც ადამიანური კეთილდღეობაც უნდა მოიკლოს.

703. ცივილიზაციამ რაც უნდა სიკეთე გამოიმეტოს, მაინც ადამიანს ცნობიერებას ვნებს, რადგან მეტის მიღებას სურვილი უჩნდება.

704. ადამიანი სამყაროს ყველა წარმომადგენელთაგან, ყველაზე მეტად მლიქვნელი, თავნება და თავის დამზღვევია, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ღმერთს, რწმენას, სამშობლოს ვერ გამოთხრიდა.

705. ადამიანის ბოლომდე აღმოჩენა, გაშიფვრა, გამოცდა, შეუძლებელია, რადგან ზოგჯერ მისთვისაც უცნობია სად რას გამოამჟღავნებს.

706. თავის დაჭერა და მისი ფლობა, ეს გარკვეული ფსიქოლოგიაა ადამიანის და არა მისი ბუნება.

707. პაექრობა და არა „მატრაბაზობა“ ხელს უწყობს ადამიანის სასიკეთოდ ჩამოყალიბებაში.

708. ადამიანი თავისი ბუნებით კოსმოპოლიტია, სანამდის მას ნაციონალიზმის და არა პატრიოტიზმის შხამით მოწამლავდნენ.

709. დღეს ადამიანის შეფასება გაადვილებულია: ან ტრიბუნაზე უნდა გეხერხებოდეს საამოდ ყბედობა, ან ინტერნეტში ჩუმად ჩალიჩი.

710. ადამიანი სხვადასხვანაირია, მაგრამ მცდელობა ერთი აქვთ, ეჩოსავით მეტი „მიითალოს“ თავისთვის.

711. სიძულვილი შიმშილის, თავის არარეალიზების, უიმედობის შედეგია და არა – ადამიანის ბუნების.

712. უსიამოვნება, გაწბილება, ნაღველი, ჩივილი, ყოველმა დღემ შეიძლება მოგვიტანოს, მაგრამ არის გამონაკლისი კარგი დღეებისა, რომლისთვისაც ცოცხლობს ადამიანი და ბედნიერების იმედს ამყნობს.

713. ადამიანისთვის დიდი ბედნიერებაა, თუ ის იმ საზოგადოებაში ცხოვრობს, სადაც ყოფნა ეამაყება.

714. ბუნება ადამიანისგან პატივისცემას თხოულობს და არა – სიფარულს, თავდადებას.

715. აუარება ხასიათი, ბუნება, აიწონა-დაიწონა და საოცარია, რომ ადამიანის სიბრძნის გამოცნობის საჭიროება დღესაც დღის წესრიგშია.

716. ზოგჯერ იძულებული ხარ ძველი ცოცხი გადააგდო მისი დამ-სახურების მიუხედავად, ასევეა ასაკოვანი ადამიანის პენსიაში გაშვება.

717. ადამიანის სიხარბეს ბუნების ვერავითარი თავის დაკვრა ვერ დააკმაყოფილებს.

718. ადამიანს ისევ ადამიანი და თავისი უგნურება ვნებს და არა – ეშმაკი და სატანა.

719. ცხოველებსაც რომ ჰქონოდათ თავისი აზრის გამოხატვის საშუალება, რამდენ სათავგადასავლო და სასიფარულო ამბებს მოგ-ვითხრობდნენ ადამიანის დაუხმარებლად.

720. ყველა ადამიანი თავს წარმოაჩენდა, მისთვის რომ შესაფერისი სპორტული სახე და საქმიანობა გამოეგონებინათ.

721. ყველა ადამიანს ნიღაბს ამოფარებული სხვადასხვა სახე აქვს, რომლის გამოჩენა გარემოზე და შემთხვევაზეა დამოკიდებული.

722. ადამიანი ის ეშმაკი არსებაა, რომლის ალგორითმის ბოლომდე შეცნობა თვით სატანასაც არ შეუძლია.

723. ადამიანმა უნდა იკისროს მრჩევლის როლი და არა – ღმერ-თის, რადგან ეს უკვე კლინიკურ მკურნალობას მოითხოვს.

724. ადამიანი შეძახების, შექების, შიშის გარეშე ინერტული ხდება და მისი სული ჭკნობას იწყებს, რადგან სიცოცხლის აზრი ვიღაცის მიმართ პასუხისმგებლობაა.

725. მიზეზთა გამო ადამიანს ურჩხულის გამოგონება სჭირდება, რათა მისი საორჭოფო შეხედულება სამყაროს ბედის ტრიალზე თავის თვალსაწიერიდან დაიკმაყოფილოს.

726. ადამიანი მაშინ არის ჩამოყალიბებული და თავისუფალი, თუ მას შრომის, მოთმიმების, ახლის ძიების უნარი, შესწევს და არა რევო-ლუციური იდეების ფრქვევა სამართლიანობის მომიზეზებით, რომელ-საც საბოლოოდ მაინც ნგრევისკენ მივყვართ.

727. ადამიანის გათავხედებას გარემოს მიმართ საზღვარი არა აქვს, მაგრამ ბუნებისათვის ის მაინც უსუსური ვირეშმაკაა.

728. ადამიანმა თვისი ქცევა-ბუნებით, ჯერ-ჯერობით, მისივე გამოგონილი თავისუფლება-დემოკრატია ვერ დაიმსახურა, რადგან ამ ნაოცნებარი მწვერვალის დასაპყრობად მარტო ტვინის ჭყლეტა, გარჯამცდელობა, არ კმარა, თუ მას გენეტიკური მოთმინება თან არ ახლავს.

729. ადამიანის ჩამოყალიბება-განვითარების პარამეტრები შემდეგია: ჩვილი, ბავშვი, ჯეელი, ახალგაზრდა, ჩოყლაყი, სიძე, მამა, მშობელი, ბაბუა, მოხუცი პლუს ფინიში მოგონებით.

730. ადამიანი, როგორც ბირთვი, ეტყობა ბიოლოგიური პროტონებისა და ნეიტრონებისაგან შედგება, მის ქცევა მათ ხუშტურზეა დამოკიდებული და განგება აქ არაფერ შუაშია.

731. ადამიანი მანამდის რჩება შინაგანად ფსიქოპატი, სანამდის სიყვარულის ანა-ბანას არ ისწავლის.

732. შეფარება-შეძულება ის ლაკმუსია, რომელიც გვაიძულებს ადამიანი საკუთარი გადასახედიდან შევიცნოთ.

733. ადამიანი იბადება თავისი „მე"-თი და ისიც იძულებულია თავისი რწმენით, აკიდებული ვალდებულებებით ყველას დედად ან დედინაცვლად იქცეს.

734. არის ადამიანი, რომელიც თავისი ქვეყნის შესაძლებლობებში ვერ ეტევა და იძულებულია სხვაგან იფრინოს, სადაც დაუოკებელი ენერგიის, ამბიციების, მოთხოვნებს მოთოკავს და დააპურებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, არც თავს გამოადგება და არც სხვას.

735. ადამიანის ბედნიერებაც შეზღუდულია, ამიტომ მისი მცდელობა „ღობე-ყორეს" არ უნდა ედებოდეს.

736. როდესაც ადამიანი იწყებს ფიქრს, ეს უკვე წინგადადგმული ნაბიჯია, ხოლო თუ თავისი ოპონირებასაც ცდილობს, ეს უკვე საქმის საკეთებლად სტარტზე დგომა.

737. ტირილი ადამიანს წმენდს სისულელისა და ტანჯვისაგან ყოველგვარი ძალადობის გარეშე.

738. ადამიანის თეორიული სურვილი პატიოსანად ყოფნის და მისი პრაქტიკული შესაძლებლობა ერთმანეთს არ ემთხვევა, რადგან მეორეს ბევრი კითხვა უჩნდება პირველის მიმართ, რომელიც მოწოდების, ყბედობის, გარდა არაფერს აკეთებს.

739. სამყაროს ზოგიერთ ვარსკვლავს ადამიანივით თავქარიანობა ახასიათებს – რატომ გვესვრის მეტეორიტებს, რა დაუშავეთ, თავადაც არ უწყით.

740. ადამიანმა დანამდვილებით რომ იცოდეს, ეს სამყარო 2-3 საუკუნის შემდეგ გადაშენდება, გაქრება, ის თავის საქმიანობას მაინც განაგრძობს, რადგან მას სხვანაირად ყოფნა არ შეუძლია.

741. ხშირად იმ სისუსტის გამოჩენაც დანაშაულია, რომელიც ადამიანებს ახასიათებთ.

742. არიან გარკვეული ადამიანები, რომლებიც ხალხის გარდა სხვას არავის უფარს, ხოლო ხელისუფლება ყურადღების ღირსადაც არ თვლის.

743. ელექტრონული ჭკუის შეცდომა გაცილებით ძვირი გვიჯდება, ვიდრე ადამიანის, რადგან პირველი მუშაობს, მეორე ფიქრობს.

744. უმეტესად, რატომღაც, ულმობელი აზრები გვებადება, ვიდრე კანონდმებლობისთვის მისაღები და ლმობიერი. სწორედ ამ უკანასკნელის შეუვალობაა, რომ გვიცავს საკუთარი უგნურებისგან, რადგან გულქვაობა ხშირად ადამიანის თანამგზავრია.

745. პასუხისმგებლობის და იდეალების გარეშე ადამიანის აღზრდა წუნია და ამ ზარალის ანაზღაურება ისევ ქვეყანას და ოჯახის ბიუჯეტს მოუწევს.

746. პიროვნება – ნაღვაწით უნდა შეფასდეს, ადამიანი – სიცოცხლის განვლილი ეტაპებით, რადგან პირველისთვის ერის ღირსების წარმოჩენის ეტალონია, ხოლო მეორესთვის – მისი ყოფა-მცდელობაა გასახსენებელი.

747. წარმოდგენით გმირის შექმნა გაცილებით ადვილია, რადგან რეალობისგან განსხვავებით, მას ადამიანური ნაკლი და სისუსტე არ გააჩნია.

748. ნოეს კიდობანს ბევრი სიკეთე მიუძღვის – მან, ფლორასა და ფაუნასთან ერთად, ადამიანის ჯიში და ჯილაგი გადაარჩინა.

749. ადამიანის აზროვნების წიაღისეული გაცილებით მდიდარია, ვიდრე მას თავად იყენებს და სხვასაც უწილადებს.

750. სიძუნწე ადამიანს თუ არ ალამაზებს, ე.ი. სიმახინჯესაც ვერ უშველის.

751. ადამიანს როგორ შეკითხვებსაც დაუსვამთ, ისე გიპასუხებთ და თუ მისი პასუხი არ მოგეწონებათ, თავადვე ხართ დამნაშავე, ვინაიდან კითხვის დასმის ხელოვნებასთან მწყრალად ხართ.

752. ადამიანს ყველაზე დიდი სიზარმაცე სიკვდილთან მიმართებაში ახასიათებს.

753. ადამიანს ვერ გაუგებ რატომ ბუზღუნებს, აპროტესტებს, იბოღმება, უხარია, ენამზეობს, ალბათ იმიტომ, რომ მას აღიარება უნდა, ამქვეყნად სახელის დამკვიდრებით.

754. სურვილი, ოცნება, ნატვრა, განსაზღვრავს ადამიანის ბუნებას, საქმისადმი მიდგომას.

755. ადამიანის მოთხოვნილებათა „პერპეტუუმ-მობილე“ საფულეა, რადგან ის ჩვენი ამბიციების უდიდეს ნაწილს აკმაყოფილებს.

756. ადამიანის ტაძარი-სახელსნო იქაა, სადაც თავის ნიჭს, შესაძ-ლებლობებს, ავლენს, იხარჯება და ქვეყნისთვის და თავისთვის მოგება და სიამოვნებ ერთდროულად მოაქვს.

757. ადამიანს იმდენი ხელფასი უნდა მისცე, ჭკუა რომ არ აურიოს და გამოზომილად ეყოს.

758. ზოგი ბიოლოგიურად ადამიანთა მოდგმას ეკუთვნის, მაგრამ ადამიანობისგან შორს დგას.

759. ძნელია, როდესაც ადამიანი თავის შეუცნობლად ამ ქვეყნიდან გადაბარგდება. რადგან იმქვეყნად ამის დრო და ხალისი აღარ ექნება.

760. ადამიანისთვის რამე-რუმეებზე საუბარი აუცილებელია, რათა საქმის კეთებისთვის მოემზადოს და შეიძლება სარფსაც ხელი გამოვკრას.

761. ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისი დრო, რომელიც მისი სულის ქრონომეტრაჟსაა მორგებული, რათა ის ადამიანად დარჩეს.

762. ყველა ადამიანში ქვითინებს ანგელოზი და ზეიმობს ეშმაკი. რომელი რომელს გადასწონის დამოკიდებულია დროზე, გემოვნებაზე, აღზრდაზე, გენზე.

763. ადამიანის ფანტაზიას სამი განზომილება აქვს: ოცნება, მიზნის მიღწევის მცდელობა, გამართლება.

764. ადამიანს იმ თემაზე უნდა ესაუბრო, რაც სიამოვნებს და გაგიგებს, რასაც ვერ განსჯის ის მისთვის შენ თვითონ უნდა აკეთო.

765. ადამიანი ორი გონიერებითაა აღჭურვილი: ერთი – სხვისთვის, მეორე – თავისთვის.

766. მთავარია ადამიანის დასაქმება და არა მუქთად რაიმეს მიცემა, რათა ინერტულ მათხოვრად არ იქცეს.

767. თავისუფალი დროის დეფიციტს ყველა საქმოსანი, შემოქმედი ადამიანი თავისი გადასახედიდან განიცდის.

768. ადამიანთა უმეტესობა საღ აზროვნებას მოკლებულია და ამ ნაკლის შევსებას და თავის მოწონებას ყბედობის ხარჯზე ცდილობენ.

769. მუსიკა, აზროვნება და სიკეთეზე ფიქრი, ოცნებითაც კი, ადა-მიანთა მოდგმას ზნეობრივად ამაღლებს.

770. ადამიანის დასაფასებელი გრძნობებია: მხედველობა, სმენადობა, ყნოსვა, მეტყველება, გონიერება, თავდადება, დაგემოვნება, შეგრძნება, მომხიბვლელობა, სიყვარულის უნარი და რაც მთავარია ჭკუის მოხმობა.

771. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ადამიანი ყოველივეს ეჩვევა და ეს არის მისი სიცოცხლისუნარიანობის საიდუმლო.

772. ადამიანმა გულით უნდა იცხოვროს და არა მარტო ჭკუა-გონებით, თუ უნდა ამქვეყნიური კაიფი შეიგრძნოს და თავისი ყოფა მხოლოდ მომხვეჭელობაში არ გაფლანგოს.

773. არიან „ღირსეული“ ადამიანები, რომლებიც ცხოვრებას იმ ქვეყნიდან ამ ქვეყნად არ აგრძელებენ და თავს არ გვაბეზრებენ.

774. გამოცდილება გვკარნახობს, რომ წაქცეულს ხელი არ უნდა შეაშველო, მაგრამ ჩვენ მაინც ადამიანები ვართ და კიდევ ერთხელ მიშველიებით ფეხს კვლავ ვიტეხთ.

775. ადამიანი დროისთვის შეწირული ფიგურაა, მაგრამ გააჩნია მისი საქმიანობა, რა დაფინანსების მომტანია.

776. ადამიანს თუ შეცდომის აღიარება არ უჭირს, დასახულ მიზანს ყოველთვის მიაღწევს.

777. სტიქიის ძალასთან ადამიანი უძლურია, ცდა არ უნდა დააკ-ლოს, თუ არ სურს ამ სამყაროდან აღიგავოს.

778. ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომოკური, მდგომარეო-ბა განსაზღვრავს ადამიანის მსოფლმხედველობას და არა – რწმენა, სამშობლოს სიყვარული და პოლიტიკა, რომელიც ქვეყნის ხელისუფა-ლის რაობაზეა დამყნილი.

779. ადამიანი, რომელიც სწრაფად ილტვის მიზნისკენ, ხშირად შედეგსაც აღწევს, ხოლო ვინც აგვიანებს, ის მუდამ ოცნების ოპონირე-ბის ეიფორიაშია.

780. ნდობას, ანალიზით, სარგებელი მოაქვს, ხოლო უკონტროლო მინდობას ვნება, რადგან ადამიანთა მოდგმა ყოველთვის სანდო არ არის.

781. ადამიანი შინაგანად დიქტატორია და ცნობიერებით გადამ-ჭრელ კანონებს ითხოვს. ეს ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს, ხალხის დასანახავად, მაინც, რადგან ჩვენი ისტორია კერპთაყვანისმცემ-ლობიდან მოდის.

782. ადამიანის სულიერების ექიმბაშებია სარწმუნოება, „მასმედია“, ხოლო ხორციელისა – ხელისუფლება, დრო.

783. გრძნობების ეკონომია და ენდორფრიონისადმი (ბედნიერების ჰარმონიის) უყურადღებობა ადამიანს სილაღეს და თავის წარმოჩენის სურვილს უკარგავს.

784. ტანსაცმელი ადამიანის განწყობის, მიდრეკილების, საქმისადმი დამოკიდებულების, გარკვეული ინფორმაცია, კოდია, რაც მისი გამოც-ნობის საშუალებას იძლევა.

785. ადამიანის ფუფუნებისკენ, კარიერისკენ, მიდრეკილებას დროის ყივილი, შექმნილი გარემო, ბედის გაჯიქება, განსაზღვრავს და განსჯის.

786. უპირველესია მამაცობა, გართობა, ქველობა, ამის შემდგომ მოდის პატიოსნება, ღირსება, სახელი, რადგან ბუნებით უნდა დაიბადო ადამიანად, პიროვნებად, შემდგომ მოდის აღზრდა, გარემოების ყივილი.

787. ადამიანი ფასეული გამოცდილების გარეშე ნულს უახლოვდება, ხოლო ნიჭის გარეშე ნული მინუსითაა.

788. ადამიანი უფრო იმედის და ფიქრის ხარჯზე ცხოვრობს, ვიდრე – წინააღმდეგობის დაძლევის და საქმის კეთების მცდელობისა.

789. მოფერება და დაფცავება ადამიანს კი არ ასწორებს, არამედ ეშმაკისფერ ანგელოზად აქცევს თუ მისთვის საინტერესო ცხოვრებისეულ ტვირთს არ ავკიდებთ.

790. ადამიანური სიფარული, ბედნიერება, არ იკარგება, იმისდამიუხედავად, შენ ისევ ამ ადამიანის გვერდზე ხარ თუ არა.

791. ადამიანს თუ ულხინს, უნდა შეახურო, განსაჯო, რათა არ გაყოყოჩდეს, არ მოეშვას, ხოლო თუ უჭირს, უნდა დაუფცავო, მოეფერო, მიეხმარო, რათა გაჭირვება ადვილად გადაიტანოს და სიავედ არ ექცეს.

792. ღირსეულ ადამიანს ხშირად არც ვაფასებთ და ვერც ვამჩნევთ, რადგან უმრავლესობის გონიერება ფიქრით, ოცნებით, შთაგონებით, რეალობასთან ჭიდილს გაურბის და ამქვეყნად დროის გაფანისთვის არიან მოვლენილი და არა მხოლოდ საქმის საკეთებლად.

793. ადამიანი ცხოვრების ფსკერზე იმიტომ ეშვება, რომ მან საინტერესო საქმეს ვერ მიაგნო და ის არავის სჭირდება.

794. ადამიანის როლს ცხოვრებაში ხშირად შემთხვევა, გენი, დრო და მთავრობის „უკულმართობა“ ადგენს.

795. ადამიანი კი არ უნდა განვსაჯოთ, გავწიროთ, არამედ თუ შესაძლებელია, გავუგოთ, მოვეფეროთ, გავუწყრეთ, შევაქოთ და სიკეთის საკეთებლად განვაწყოთ.

796. ცივილიზაცია, ტექნიკური პროგრესი, ფუფუნება, ადამიანს ჰუმანურ გრძნობებს თანდათან უკარგავს და ემოციების მიმართ ყრუდ აქცევს.

797. ჭკვიან ადამიანს ერთი დადებითი გარემოება ახლავს, დროის უგნურებას არ ეპუება და ქვეყანას საშვილიშვილო საქმეს უტოვებს.

798. ყველას ადამიანად ქცევა, გენის მიუხედავად, შესაძლებელია თუ საზოგადოება სამართლიანად მომთხოვნია და თავის მოქალაქეებზე წრფელად ზრუნავს.

799. როდესაც პატივმისაგებ ადამიანს მეტად ეცნობი, უშინაურდები, მით უფრო განიცდის დევალვაციას მისი ავტორიტეტი შენს თვალში, სიდიადის ადამიანობასთან გათანაბრება შენს აზროვნებას უჭირს.

800. ადამიანი მაშინ აღწევს გამარჯვებას, თუ შეგნებით, ქმედებით, მცდელობით, ადამიანად რჩება.

801. ადამიანი მთელი სიცოცხლე გამოცდების ირგვლივმყოფთა აბარებს, რომ ის აღიარონ და ადამიანად დარჩეს.

802. ადამიანისთვის ყველაზე დიდი საჩუქარია დრო და სიცოცხლე – დასამახსოვრებლად გამოყენებით.

803. ბუნება ბევრ ფოკუსს, ილუზიას, საოცრებას გვთავაზობს, რომელთა ამოხსნით ადამიანი ერთობა და თან ცოდნასაც იძენს.

804. ადამიანი მარად თავისი ცოდვების გადასაბრალებელ განტევების ვაცის და ალიბის მოძიებაშია, რადგან ღვთაებრიობა და რწმენის ნიჭი მას მუდამ აკლდა.

805. ადამიანი ყველა დროს ებრძვის და უკმაყოფილოა, ეს მაშინ, როდესაც მისი სერიოზულად დამუღამება და გამოყენება არ იცის.

806. საუბარს, ბაასს, კამათს, ყბედობას, ჭორაობას, ყოველთვის თავისი განზომილება, შეფასება, დაფასება, განსჯა, დაკვალიანება, აქვს ადამიანის ცნობიერებაში და მისი ბედის ორმოტრიალში.

807. ფუჭ ადამიანი ღირსებაზე და ეთიკაზე თავს დებს და თავის სიბრიყვეს ორივე ხელით ებღაუჭება.

808. ადამიანი მოწოდებულია თავის შესაძლებლობებს რეალიზაციისკენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ცხოვრებითაც უკმაყოფილოა, საზოგადოებითაც და სიცოცხლეც არასრულფასოვნად ეჩვენება.

809. ადამიანი ცხოველისგან იმით განსხვავდება, რომ საზოგადოების განვითარების დაუწერელ კანონებს ემორჩილება და ბევრსაც მოჰქარავს. ცხოველი ბუნების განვითარების რეალურ კანონებს ემორჩილება და ბუნებას მისი საწინააღმდეგოც არაფერი აქვს, ადამიანის ქმედებისაგან განსხვავებით.

810. ადამიანმა ყოველივე ცუდი უნდა დაივიწყოს რაც იყო და არა ის რაც ბედის გათავხედების შედეგად აწმყოში იქნება

811. იშვიათია პრობლემა, ადამიანს თავის დროზე, საუკუნეთა ჭიდილში, რომ არ გადაეჭრას, მაგრამ სწორედ თავისი დროის გონიერების უგულებელყოფაა ჩემთვის გაუგებარი და მიუღებელი.

812. შემოქმედებითი და ავანტურისტული ბუნების ადამიანები ღირსების და პატიოსნების დროებით დაკარგვას თავს შეუნდობენ და ახალი ძალით იწყებენ თავმოსაწონის ძიებას.

813. მთავარია, ადამიანმა თავის ბედთან შეთანხმებით ცხოვრება ისწავლოს თუ უნდა სიცოცხლე ექსცესების, შურის და დაყვედრების გარეშე განვლოს.

814. არ არსებობს ადამიანმა გარემოებათა გამო კანონს არ გადაბიჯოს და თავის განუსჯელობის დემონს წილი არ მიუგდოს.

815. ადამიანი უნდა გვიყვარდეს მაგრამ არა ის ვინც „ჭკუას გვასწავლის, გამორჩენას ცდილობს, უფროსობს“ – ამასთან, ჩვენი შესაძლებლობისა და შემთხვევამ შემთხვევით გამოიჩინა, – ყოველივე ამას

შური და სიზარმაცე გვაფიქრებინებს და ეს არის ადამიანის უდიდესი ზადი, რადგან ბედის განსჯას არ ემორჩილება და მის რევიზიას ცდილობს.

816. ყველა ადამიანს აქვს შეცდომის დაშვების და მისი გამოსწორების უფლება, ბოდიშის მოხდით და და არა რეციდივით.

817. წესიერი ადამიანი ყოველთვის მზადაა შეუმჩნეველი გმირობის ჩასადენად, რომელსაც არც არავინ უფასებს და არც საკუთარ ყოფას რგებს.

818. რეალობაში წარსულს რომ აწმყოთი ევაჭრა ან – პირიქით, ადამიანთა მოდგმის ბედს ძაღლიც არ დაჰყეფდა.

819. სინდისს და პატიოსნებას ყველა დროში უცვლელი და ერთი განზომილება აქვს – „ადამიანად დარჩე".

820. არის ადამიანი, რომელიც თავის მოჭარბებულ ენერგიას მოჩვენებითობისთვის ხარჯავს და ამით კმაყოფილებას განიცდის. არიან სხვა მასტის ენერგიის მქონე ადამიანები, რომლებიც რეალურად პიროვნებად იქცევიან და შეუმჩნევლობის მიუხედავად, საზოგადოების უკვდავებას ემსახურებიან.

821. ადამიანი სადაც არ უნდა იყოს გადახვეწილი, გული სამშობლოზე შესტკივა, სულით თავის ხალხში დააბოტებს, მაგრამ იქ ცხოვრობს, სადაც ყოფის მოწყობა შეძლო.

822. არიან ადამიანები რომლებიც ნამდვილად იხარჯებიან, არიან ისეთებიც, თავს რომ გვაჩვენებენ, მაგრამ მათ გაცილებით მეტი პრეტენზიები აქვთ.

823. ადამიანი თავის თავს იმდენს ატყუებს, რამდენ მის მოტყუებასაც ვერავინ შესძლებდა.

824. ადამიანი სუსტი არსებაა და ადვილად ეგუება ახალი ორინტირების ხრიკებს ცივილიზაციის, დროის და პროგრესის სახელით, რომელსაც ყველაფრის უფლება ჰქვია.

825. ადამიანის ყველაზე დიდი სიმდიდრე დეპოზიტზე დადებული ხელუხლებელი წლებია, რომელიც ასაკის მატებასთან ერთად სულიერების გასახსენებელ დივიდენდებს იძლევა.

826. ლოგიკას და კანონზომიერებას ყველაზე მეტად ადამიანის სხეული ემორჩილება, ზოგიერთი გადახრების მიუხედავად.

827. განაჩენი შეიძლება სამართლიანი იყოს, მაგრამ არა – ობიექტური, რადგან ადამიანური სისუსტის ალიბი უშრეტია.

828. შექება ხელოსნობაა, მლიქვნელობა ხელოვნებაა, მაგრამ ადამიანთა მოდგმისთვის ეს უკანასკნელი ახლოცაა და გასაგებიც.

აზრები

829. მსახიობობა თანდაყოლილი დაავადებაა და არა ქრონიკული პროფესია.

830. არის წიგნი გონიერების გურმანებისათვის, არის საზოგადოებრივი გონების კვებისთვის განკუთვნილი ასე, რომ აქ ტირაჟი და მისი ოდენობა არაფერშუაშია.

831. პროგრესი ცივილიზაციის გასართობია და დროის გასაყვანი სათამაშოა.

832. ციტატას შემთხვევაზე მორგება სჭირდება და არა სხვისი გონიერების ტირაჟირება და ამის ცოდნით თავისმოწონება.

833. ზეკაცია ის, ვინც საქმეს გამორჩენის გარეშე აკეთებს და მომავალს უტოვებს იმ პერსპექტივას, რომლითაც თავად ვერ ისარგებლებს. მაგალითად, მეტყვის პროფესია.

834. თეთრი პერანგის მოხერხებულად ხმარების ცოდნა ფასობს და არა მისი ყოველდღიური რეცხვა.

835. სამართლის არსი ყველამ ვიცით, მაგრამ მის მოსმენა არ გვინდა და გვაღიზიანებს.

836. სახიფათო ასაკია, როდესაც ქალი მოგწონს, სასიამოვნო – როდესაც ყველა ქალი მიმზიდველი გეჩვენება, მაგრამ რა არის ხიფათი, არ გახსოვს.

837. ყველა ასაკს თავისი ხედვა და შესაძლებლობა აქვს.

838. შესაძლებლობა ოპტიმიზმის მამაა, შეუძლებლობა პესიმიზმის დედა, ხოლო განუხორციელებლობა იმედთა სასაფლაოა.

839. სამუშაო, პირველ რიგში, სიამეს უნდა გგვრიდეს, შემდეგ – ფულს და კარიერის კიბეზე არბენის სურვილს.

840. არსებათა დაპირისპირების გარეშე დედამიწა ჩამქრალ ვარსკვლავს დაემსგავსებოდა.

841. ზოგიერთი იდეები, დოგმები, კანონები, შეხედულებები ისე ჭუჭყიანდება გამოუყენებლობის გამო, რომ „ქიმწმენდა“ უნდა განიცადოს, რათა კვლავ შეახსენოს თავი მავანთ, რომ ისინი საჭირონია.

842. ისეთი შვილი უნდა გამოვზარდოთ, მშობლებს მის მაგიერ კუთხეში დგომა რომ არ მოუხდეთ.

843. პაექრობა და კამათი არაფერს გვასწავლის, ეს მხოლოდ თავის წარმოჩენის მცდელობაა, რადგან აზრის შეცვლა ყოველთვის შედეგს არ იძლევა.

844. ზოგისთვის საზოგადოების აზრია, რასაც ის ფიქრობს, გრძნობს და ღაღადებს.

845. ოცნება ყველაზე სასიამოვნო ნარკოტიკია, ხოლო ნაოცნებარის ახდენა – ყველაზე დიდი კაიფი.

846. აღზრდის, ეტიკეტის, ტრადიციების, ქონა – არქონა ხელს არ გვიშლის დროის შესატყვისად ვიცხოვროთ, თუ ცხოვრების ალღო არ გვღალატობს.

847. მათემატიკა ყველა იმ მეცნიერების მამაა, რომელთა გამოსავალი მტკიცებას მოითხოვს.

848. ტექნიკური პროგრესი დროს აჩქარებს და არა ადამიანის შეგნებას, რომელიც ევოლუციისთვის გასაგები გზით მიდის.

849. კომპენტენტური ორგანიზაციული აზროვნება არის კოლექტიური გამოცდილების ჩაბარება, ხალხის დასასაქმებლად და შენი უნარის გასამჟღავნებლად.

850. სისულელის თქმა აზრის გამოთქმა არ არის, ის უფრო „ნახირ-ნახირას“ სინდრომია საკითხთან მიმართებაში.

851. აზრი კი არ არის საში'ში, არამედ ამ აზრის წარმოსაჩენი სიტყვების ტირაჟირება.

852. ნაწარმოების ორგაზმია მასში მოყვანილი აფორიზმებად ქცეული აზრები.

853. მეგობრობა გვირაბში, საწინააღმდეგო მხარეებიდან, თანაბარაჩქარებული მოძრაობაა რათა ურთიერთს სანთელი აუნთონ და ერთმანეთი წარმოაჩინონ.

854. შვილს, მშობლებთან შედარებით, ბევრი ეპატიება და ევალება კიდეც, მის აღმზრდელებს ამის საწინააღმდეგო რა მოსაზრებაც უნდა ჰქონდეთ.

855. სურვილსა და ოცნებას შორის ის სხვაობაა, რომ პირველის აღსრულება ყოველდღიური მცდელობითა შესაძლებელი, ხოლო მეორეს აღსრულება სიცოცხლეში ერთხელ თუ ორჯერ უწერია.

856. როდესაც ხელისუფლება ჭკვიანი ხალხის შემჩნევას არ ცდილობს, ან კონკურენციის ეშინია ან მათი გამოყენების უნარი არ შესწევს, სხვა ალგორითმი აზროვნების ამ ჩანჩალის ამოსახსნელად არ არსებობს.

857. სამართლიანობა კარგი სიტყვაა, მაგრამ ძალზე თეორიულია და პირადი.

858. საჯაროდ გამოსვლის დროს გამოთქმებში წონასწორობის დაცვა ყველაზე დიდი გონიერებაა, რომელსაც დროულად ვერ ვაფასებთ, რადგან მკაცრი გამოთქმები მოწინააღმდეგეს გვიმრავლებს და მომხრეებს ძალას მატებს.

859. იუმორის დონე, საუკუნეთა გამოცდილების მიუხედავად, ხალ-ხის უმრავლესობაში დამაკმაყოფილებელზე ზევით არ მაღლდება.

860. ამბიციები და მეგობრობა ერთმანეთთან ვერ თავსდებიან, მიუხედავად იმისა, საერთო ინტერესები აქვთ თუ არა.

861. ყოველთვის სჯობს ის თქვათ რასაც აზროვნებთ და არა – ფიქრობთ, რადგან ამ უკანასკნელში ოცნების ელემენტებიც ურევია.

862. საჩუქარი უნდა ემორჩილებოდეს შემდეგ განზომილებებს: გახ-სენების სიხარულს, სასოებრივ ემოციებს, მილოცვის ხასიათს, შეფუთ-ვნის დიზაინს და კმაყოფილების გრძნობას.

863. ჩვენს ასაკს ანგარიში უნდა გავუწიოთ და პატივიც უნდა მივაგოთ, რადგან სხვა უკეთესი ხანა ჩვენთვის გამორიცხულია.

864. ჭკუა, ღირსება, მოხერხებულობა ყოველთვის აიცილებს უჭკუ-ობას, უღირსობას, საეჭვო გამბედაობას, თუ ვინმე შეუძახებს.

865. გენერლებს უნდათ ბრძანების მორჩილი საზარბაზნე ხორცი, ხოლო ჯარისკაცებს სჭირდებათ გამჭრიახი ჭკუის ოფიცრები, რომლე-ბიც თავიანთი ცოდნა-გამოცდილების გადაცემით მათ სიცოცხლეს და ღირსებას უფრთხილდებიან.

866. ალბათ ტყუილუბრალოდ არაფერი არ ხდება, ყოველივეს თავის გზა, მიზეზი, შემთხვევა განსჯის და განსაზღვრავს.

867. სიღარიბე დამცირებად არ ითვლება, თუ მას გარეშენი არ ხედავენ და შინაურები ბუნტის ხასიათზე არ დგებიან.

868. იმქვეყნად ჩვენი გადაბარგება შეიძლება დროულიც არის და სამართლიანიც, მაგრამ ამაზე ფიქრი დიდი სიბრიყვეა როგორც ამ ისე იმ ქვეყნის გადასახედიდან.

869. ევოლუციის პროცესებისადმი რწმენა გვეხმარება ჩვენი ბოდვი-თი იდეების, ოცნებების, ამოცნობა-ამოხსნაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენი გონების ნაცოხნარის განსჯა აზრს დაკარგავდა.

870. სილამაზის შეცნობასაც აღზრდა სჭირდება, რადგან ისიც დროის ყვილის და მოდის შვილია.

871. წინაპართა დამოძღვრას შთამომავლობა თავისი გადასახედი-დან აფასებს, რომელიც განსჯას ექვემდებარება, მაგრამ თავის დროზე შექმნილ აზრს არ ცვლის.

872. რჩეული აზრები, ცხოვრების პარადოქსები, მაქსიმები, გონების განზომილება, სიბრძნის ჭუკ-ჭუკი, სამეუფეო გონიერება და მრავალი სხვა, არის ქართული მზესიტყვაობის ენციკლოპედიის საწყისი, რომელ-თა გამოშვება, შექმნა, დალაგება, გამდიდრება, მომდევნო თაობების

ხვედრია, რათა ერის გონიერების წარმოჩენის საძირკველს არა ერთი, არამედ სიამაყის რამდენიმე აგური შემატოს.

873. იქ, სადაც არც ფსიქოლოგია და არც ფილოსოფოსი, სულის დამშვიდება რწმენას და მუსიკას უნდა ვანდოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მარტოობის დღესასწაულის მადლის შეცნობა გაგვიჭირდება.

874. საქმის საკეთებელი ხელები გულიდან იზრდება და არა ჭკუაგონების სურვილით.

875. სამყაროში ბუნებრივი შერჩევა გარდაუვალია, მაგრამ სად, როგორ და ვისი გადასახედიდან, ეს ანალიზს მოითხოვს.

876. ჩვენი აგრესიული საუკუნე თითქოს უგუნურებისთვის არის განწირული, მაგრამ რატომღაც სიცოცხლისუნარიანია და თავისი გზით მიდის.

877. გამოცდილ აზროვნებასაც უფულოდ შრომა უჭირს და ეზარება.

878. რეალურ აზროვნებას ყველა ყბედი გაურბის, რადგან მას სიახლის შემოთავაზება, ნიჭი და საქმის კეთება სჭირდება.

879. აზროვნება, საქმის კეთება, პირველადია, ხოლო შედეგად მიღებული ფუფუნება – მეორადი, თუმცა ქალებს ამ საკითხზე თავიანთი მოსაზრება აქვთ და არც თუ უსაფუძვლო.

880. ჭეშმარიტება ხშირად არც არავინ იცის და არც არავინ გეტყვის, მაგრამ შინაგანად გრძნობ და მასზე ფიქრობ.

881. სიყვარული თუ მოვალეობაა – მიუხედავად პირველის აშკარა უპირატესობისა, მეორე ძალადობს და კუთვნილი ლომის წილი მიაქვს.

882. ურთიერთობა ურთიერთიერთსაწინააღმდეგო ხასიათებზეც იქმნება, რადგან ერთმანეთის ნაკლს ავსებენ, ხოლო ცოდნა-გამოცდილება არ განისჯება.

883. აწმყოს უნდა ვეტრფოდეთ და არა – წარსულს, ყავლგასული მოგონებები რაც უნდა სიამით ჟღერდეს.

884. შემთხვევითობა და კანონზომიერება ზოგჯერ ემთხვევა ერთმანეთს და ეს არის ყველაზე მეტად სასიამოვნო საოცრება ჩვენს ყოფაში.

885. სიცოცხლე ყოველთვის ძვირად ფასობს, მიუხედავად იმისა, მისი შენარჩუნების, მოვლა-პატრონობა-დაფინანსების, სურვილი გვიჩნდება თუ არა.

886. საფელპურო, ფართომოხმარების, აზრები არასოდეს მქონია, ჩემთვის ყოველთვის უმთავრესი იყო შედეგი და არა – პროცესის რეკლამირება, რაც ხშირად გაუგებარი რჩებოდა, მაგრამ ეტყობა, აზრის გადაცემას ისე ვერ ვახერხებდი, რომ ყველას გაეგო, მაგრამ ეტყ-

ობა ეს სხვა ხელოვნებას, დროს, მსმენელს, ევოლუციას და ნიჭს მო-ითხოვს.

887. ჩვენ პროდუქტი ვართ ჩვენივე აზროვნებისა, რომლის მიზანია ჩვენს მიერ აღებული მოვალეობა-ვალდებულებები სხვებსაც გადავუნა-წილოთ, რომ ჩვენთვის გასაგები ბედნიერების მიღწევით მეტად ვისია-მოვნოთ, ხოლო წარუმატებლობის შემთხვევაში, სხვაც საქმეში გავიფა-ნოთ და ზოგი რამ გადავაბრალოთ.

888. ხშირად ქალიშვილებს არ ესმით, რომ მამები, პირველ რიგში, მამაკაცები არიან თავის ღირსებით, თავმოწონებით, ხოლო მამებს უჭირთ იმის მიხვედრა, რომ მათი ცუგრუმელები დაქალდნენ და ვნე-ბებისადმი გაუჩნდათ მიდრეკილება. აქ მამა-შვილობის ინსტიტუტი არაფერ შუაშია, რადგან ბუნების კანონს ბედი განაგებს და შემთხვევითობის გათავხედებას წინ ვერავინ აღუდგება.

889. ფილოსოფია მისთვის გასაგები აზრების მტკიცება, მათთან ჭიდილის შედეგად მიღებული კაიფია და მეტი არაფერი.

890. კარიერა, წარმატება, პატივმოყვარეობა, სხვადასხვა ცნებაა, მაგრამ ერთი მიზანი აქვს: თავის გაცნობა. პირველისთვის დასახული მიზნის მიღწევა–შენარჩუნებაა მთავარი და ამასთვის ყველა პოტენციურ კონკურენტს გაწირავს, მეორესთვის საყვარელი საქმის კეთებაა უმთავ-რესი, რომელსაც მისთვის თავად მოაქვს აღიარება, მესამე თანდაყოლი-ლი თვისებაა, რომლისთვისაც აუცილებელია გარკვეული სტატუსის მოპოვება და მარად თავის მოწონება.

891. მართვის ხელოვნებაა, აწმყოს დროებით მოერგოს და თანდა-თან ხელისფლება მოარგოს და არა – პირიქით.

892. მოხერხებულობასა და წესიერებას შორის ის სხვაობაააა, რომ პირველს უნარი აქვს თავის ზადის დამალვის, ხოლო მეორე ნაკლს არ დაუშვებს.

893. ჭკვიანი, მოხერხებულისგან განსხვავებით, ხშირად ცხოვრების უბირია, რადგან მას სამყაროს შეცნობა და აწმყოს იდეალების აღქმა ერთმანეთში ერევა.

894. რეალობის აღქმაც შეფარდებითია, ის ყველას თავისებურად ესმის, განიცდის.

895. ცოდნა, განათლება, საქმის კეთების და კეთილდღეობის სინონი-მად არ გამოდგება, თუ მას შემოქმედებითი ფანტაზია თან არ ახლავს.

896. თვითმკვლელობა სახელმწიფო დანაშაულია, რადგან მან ქვეყ-ნის ინტერესებს ბოლომდე ვერ არგო, ამიტომ მისი სხეულის კრემაცია უნდა მოხდეს და მასზე დასამარხი მიწა არ უნდა გაიცეს.

897. ბუნების ყველაზე დიდი მიგნება, ქალწულობის აპკით ტაბუს დადება და მის საჭიროება მაშინ გამოჩნდა, როდესაც ერთი გათავხე-დებული ცივილიზაცია მეორეთი შეიცვალა და ადამიანთა ურთიერთო-ბის ნორმები სხვადასხვა სარწმუნოების დახმარებით თავიდან გახდა დასადგენი. ეს დღე ელის დღევანდელ ჩვენს ცივილიზაციასაც.

898. ყველა გამარჯვებას ის მარცხიც ახლავს, რომელსაც ადრე ვერც წარმოვიდგენდით.

899. ზოგი, ცხოვრების განვლილ გზას რომ გადახედავს, გულზე შემოეყრება და ოცნებობს თავიდან მოელინოს ამ სამყაროს თავის ჩასწორებებით და ცხოვრების აღქმით.

900. სიძნელეების გადალახვის და კურიოზების გარეშე ზოგი თავს ბედნიერად ვერ გრძნობს.

901. ცხოვრების დაისზე შენთვის სათაყვანებელი ქალს რომ შეხვდე-ბი, გინდა საკუთარ თავს უსაყვედურო: ნუთუ ეს ქალი არ მაძლევდა საშუალებას წყნარად და უდრტვინველად მეცხოვრა და ამის გახსენე-ბაც თავისებური ბედნიერებაა.

902. მასწავლებელია ის, რომლისგან არა მარტო სწავლობენ, არა-მედ სწამთ მისი, მასთან ახლოს ყოფნა უნდათ და მისი ცხოვრების წესი მათთვის მისაღებია.

903. როგორც იარაღი, ასევე ცოდნა, ყველას არ უნდა ვათხოვოთ და ვანდოთ.

904. მყიდველი ყოველთვის მართალია, სანამ შეძენილის განვადებას იხდის და ნივთს საგარანტიო ვადა არ გასვლია.

905. ამერიკელი და ავსტარლიელი მოქალაქენი, დღევანდელი გადა-სახედიდან, აგრესორი ნაძირალების შთამომავლები არიან, ხოლო ევ-როპელები თავისი ხალხის მშიშარა-ხელმოცარული ნაშიერები, ამის შესანიშნავი მაგალითია აშშ-ს გვერდში დგომა გამორჩენის და თავის დაცვის მიზნით.

906. მარადიულობასა და უსასრულობას შორის ის სხვაობაა, რომ პირველისთვის დრო არ არსებობს, ხოლო მეორისთვის დრო არ განისაზღვრება.

907. ჯოჯოხეთური გაუთავებელი ტანჯვა სამოთხედ იქცევა, როდე-საც დასახულ მიზანს აღწევს და ამ წარმატებას ისტორიაში შესასვლით ფასი ედება.

908. საკითხი უნდა განისაჯოს იმ ასაკის, დროის, ყოფის გადასახე-დიდან, რა დროსაც ეს მოხდა და არა – დღევანდლობიდან ქვის სროლით და ყიჟინით.

909. ნაძირალები იბადებიან, მაგრამ ხშირად გარემო, აღზრდა, ამის საშუალებას არ იძლევა და იმქვეყნად შეიძლება ისე გადაბარგდეს, თავისი ბუნება ვერ გაამჟღავნოს და სახელიც დატოვოს.

910. ხასიათის ძალა იმარჯვებს და არა – ჩვენი მცდელობა, რადგან პირველი თუ არა დაგჯა, ვერავითარი გამბედაობა, შემართება ვერ გიშველის.

911. არის ქმედება, რომელსაც არც აზრი აქვს და არც გამართლება, მაგრამ ეს იწვევს გადაჭარბებული შინაგანი ენერგიისაგან დაცლას, რისგან ჯველობაში დრო და დრო უნდა გავთავისუფლდეთ.

912. მეგობრობა, ურთიერთობის დამყარება, სიყვარული, მოვალეობის განცდა, სხვადასხვაა, მაგრამ რომელი რომელს ჯობნის და უჯოკრავს, ამას უმეტესად ჩვენი ბუნება, გარემო, შემთხვევა განსჯის და განსაზღვრავს.

913. გლობალიზაციის მომხრეების და ანტიგლობალისტების სულიერი მამა ოპტიმიზაციაა, რომელიც ყველა გლობალისტის ნათლიაა, ყოველგვარი ნათლი-მირონის გარეშე.

914. გლობალიზაცია, გონივრული და ყველასთვის მისაღები სამყაროს კონსტიტუციის გარეშე, აზრს კარგავს, ხოლო ეს უკანასკნელი – ამ პლანეტის წევრთა ურთიერთგაგების გარეშეა.

915. სოლიდარობა მუდმივია და მუდამ ჩვენთანაა: მწუხრის და მოლხენის, სიმშვიდე-ომიანობის დროსაც და მაშინაც როდესაც ცა მოწმენდილია – ულრუბლოა და არავის არაფერი გვინდა.

916. ვარსკვლავი, ტალანტი, ბევრია, მაგრამ მათში პიროვნება, ქვეყნის მოქალაქეა ცოტა.

917. ჭეშმარიტი ღირებულებაა ის, რაც ხალხს აერთიანებს და არა ის, რაც ვიღაც ხელისუფალის წარმოსაჩენად და გასაყოყოჩებლად თიშავს.

918. აზროვნება, გრძნობა, ნებისყოფა, თავისუფლებისკენ ლტოლვა, ერთმანეთში შერწყმული და მოზომილი უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ღალატია საკუთარი ცხოვრების, ყოფის, სიცოცხლის წინაშე.

919. მიზნის მისაღწევად მთავარია დახვეწილი თავხედობა და აზრების გამბედაობა.

920. აწმყოს გათავხედებას მხოლოდ შენი თავის ფასის ცოდნა, მომავლის იმედი, ბედი და შემთხვევა გადაწონის.

921. საშური აზრის დაკარგვა, ჩვენი სიზარმაცის გამო არ გვეპატიება.

922. საერთო პრობლემის ამოხსნის გზა ყოველთვის მარტივია, თუკი სიახლის შეგრძნებასა და ხედვა-გააზრების ნიჭზეა დამყარებული.

923. ქვეყანაზე ზრუნვა ბარაქა დოვლათის შექმნაა, ხალხზე ზრუნვა – ამ დოვლათის გონიერი გამოყენება.

924. ასაკი სულის და სხეულის თავისებური დავადებაა, თანაც შენი პრეტენზიული აქციები თანდათან კოტრდება და მათი საყვედურებით გამოცოცხლება აზრს კარგავს.

925. თავის დროზე ქონების, სახსრების, დაგროვებაზე უნდა ვიზრუნოთ, რათა ასაკში სახელმწიფომ ჩვენი შენახვა მცირე დანახარჯებით შესძლოს და ამ მცდელობით ორივენი მოგებულები დავრჩეთ

926. აზრთა გაზიარება, ჭორაობა, გვინდა თუ არა, ერთმანეთის თავისებური დასმენაა. ამას თვით ყრუ-მუნჯებიც სჩადიან, თუ ერთმანეთში მასლაათის საშუალება მიეცათ.

927. აზროვნების წესრიგში მოსაყვანად არითმეტიკული ვარჯიშია საჭირო ასიდან ერთამდე დღეში სამჯერ დათვლით.

928. სხვის აზრსაც უნდა დავეთანხმოთ, მაგრამ ოპონირებაც არ უნდა დავივიწყოთ, თორემ თავის შეცნობა, პატივისცემა, გაგვიჭირდება.

929. საინტერესო აზრის გადმონთხევა – გამოთხრას, ცოდნა და თანდაყოლილი ნიჭი სჭირდება.

930. თუ არ გვინდა ყბედად და ემოციების მონად ვინმეს მოვეჩვენოთ, კონკრეტული აზროვნება და უფრო მოკლედ აზრის გადმოცემა უნდა ვისწავლოთ.

931. რატომ უნდა შევიწუხოთ წინ ყურებით თავი, როდესაც აწმყოშია ჩადებული მომავალიც და მისი რეალური შედეგიც – საინტერესოა, მაგრამ ზარმაცი აზრია.

932. აწმყოს მოთვინიერებას მარტო მცდელობა არ შველის, მასში ჩალიჩიც უნდა შეძლო, თუ გინდა შეკაზმულ რაშს ზურგზე მოექცე.

933. დიდი ბედნიერებაა, როდესაც ადამიანმა თავისი ფასი იცის და აქ პროცენტთა ოდენობას აზრი არ აქვს, რადგან შენი ამქვეყნად მოსვლაის აზრი დაბალანსებული გაქვს.

934. გამოუყენებელი ცოდნა დაბლაგვებული იარაღია.

935. ძნელია მომაკვდავი იდეების დაცვა, მაგრამ ზოგი ამას ყველას ჯინაზე ახერხებს.

936. სისულელესთან მიახლოება ღირებულებებთან ბრძოლის დაწყებაა.

937. ღვეზელში ხილფაფაა ჩადებული თუ ბრინჯი ჩაკბეჩის შემდგომ გაიგებ, ასევეა თანამეინახე, მის რაობას თხრობის შემდგომ შევიცნობთ.

938. თავისგან განსხვავებით, აზრების შედღვების შედეგად მიღებულ კარაქს ტვინის შერყვა არ მოყვება.

939. ყველაზე საინტერესო აზრები ნაბახუსევზე და სტრესის შემდეგ მოგვდის, ეტყობა ტვინს შერყვა და მტვრის ჩამოშორება უხდება.

940. იდეოლოგიის სინონიმად იდეალი არ გამოდგება, მაგრამ ამისკენ სწრაფვა საჭიროც არის და აუცილებელიც.

941. გაურკვევლობით გარკვეულობის შეცნობაც ლოგიკაა და არა – პირიქით.

942. მკაცრი ხანჯლიანი ხელის სიკეთისკენ შემოტრიალება შეიძლება, თუ ის არ ხელსყოფს წმინდას და ხელშეუხებელს, რომელსაც ღიმილი და მჭევრმეტყველება ვერ შველის.

943. ზოგჯერ ორგინალური აქსიომების გახსენება – წარმოდგენა დაგვაფიქრებს და აზრს გამოგვტყუებს იმ საკითხზე, ადრე რომ თავს ფიქრით არ შევიწუხებდით.

944. ადამიანი ბევრ რაღაცას გადაიტანს, თუ უბედობის უფლებას მივცემთ და თავის უბედობას დროულად მოინელებს, თუკი ვინმე მის აზრს გაიზიარებს.

945. ერთი შეხედვით უაზრობა ხშირად აზროვნების ბარტყად გვევლინება.

946. ხანდახან გონიერებაში უნებურად დაიბუდებს აზრი, რომ უფრო ჭკვიანი და უკეთესნი ვერასოდეს ვიქნებით.

947. მოყვარულსა და პროფესიონალს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი ფულისათვის იღვწის იდეოლოგიის გარეშე, მეორე – ხელფასისთვის.

948. აზროვნება კარგია, მაგრამ საფარელი საქმის კეთებას ვერაფერი შეედრება.

949. წინაპართა ნამოქმედარი, რაც უნდა არ მოგვწონდეს, მაინც დასაფასებელია, მათ იმდენი გააკეთეს, რომ კრიტიკას ვბედავთ და ვასაბუთებთ ჩვენი გადასახედიდან.

950. ჩემთვის მისაღები დროში გაფილტრული გონიერი სიახლე, აზრია და არა რჩევა–დარიგება, რადგან ამ უკანასკნელს იმათ ვთხოვთ, ვინც ჩვენთვის ავტორიტეტია.

951. არავის უწყის, ცივილიზაციას მიტმასნებული, გაუმაძღარი, წინდაუხედავი ჩვენი საუკუნე სამყაროს რა კატასტროფას გამოსტყუებს.

952. ყოველი ახალი დღე შემართებას, მცდელობას, გონიერებას შანსს აძლევს თავი წარმოაჩინოს.

953. იდეოლოგია იძულებულია მოელაპარაკოს საერთაშორისო გაერთიანებებს, რათა ქვეყანამ თავისი ადგილი გამოძებნოს იდეოლოგიათა ამ ანარქიაში.

954. ჩვენი გაზვიადებული სურვილები რომ ჩვენს შესაძლებლობებს ემთხვეოდეს, მაშინ ეს სამყარო არ იარსებებდა.

955. ნაღველი – სევდა, მწუხარება – დარდი, მათ შორის ის სხვაობაა, რომ პირველი ახლობლებს უნდა გაუზიარო, მეორეს უნდა მოეფერო და თავს შეუძახო.

956. გონიერი აზრები დაკვეთით არ მოდის, მაგრამ წახალისება და შექება ძალზე ეხმარება.

957. რწმენა ითხოვს განსჯას და გადამჭრელ მცდელობას, ცოდნა – ძლევამოსილებას, ღირსებას, გამოცდილებით.

958. ჩვენ არ ვირჩევთ სად ან ვისთან დავიბადეთ, მაგრამ როგორ ვიმუშავებთ, თავს როგორ მოვთოკავთ, ეს უკვე ჩვენს ხელშია.

959. დისკრიმინაცია და წესრიგი სხვადასხვა რამაა, მაგრამ ერთმანეთი სჭირდებათ და ახლოს დგანან.

960. ნამდვილი მშვენიერების განსჯას აზროვნება და ტრადიციებზე აღზრდა არ სჭირდება.

961. არის დარგები, სადაც ინსტრუქცია სისხლით არის დაწერილი, მაგრამ მისი მსახურნი პროფესიონალები და თავის საქმის ფანატები არიან, რასაც მათთვის უდიდესი სიამოვნება მოაქვს. მაგ., თვითმფრინავის გამომცდელები, კასკადიორები, ექსტრიმის მოყვარულები.

962. წარსულის შეცდომების გაქიაქება და ნიშნის მიგება ადვილია, მომავლის განსჯა და განჭვრეტა – ძნელი.

963. აზროვნების ბატონობა დამოკიდებულია დროზე, ძალაუფლების ნებაზე და ეკონომიკაზე.

964. საქმის ცოდნა, შესრულება, მოხერხებულობა, სხვადასხვა ნიჭს, უნარს მოითხოვს, მიუხედავად იმისა, რომ საწყისი ერთი აქვთ მონდომება.

965. აზრი მიდის და მოდის, მაგრამ თავი რჩება და ახალი აზროვნების ჩასანაცვლებლად გვაწუხებს.

966. აზრის მოსვლა ბევრს არ ნიშნავს, თუ არ გამოვიყენებთ, ხალხში არ გავიტანთ, რეკლამას არ გავუკეთებთ, და მისგან სარგებელს არ ვნახავთ.

967. ზოგს უკეთესობისკენ სვლაც კი უხერხულ მდგომარეობაში აყენებს, ცუდზე რომ არაფერი ვთქვათ.

968. ძეგლები მომავალში უფრო ადამიანურ სახეს მიიღებენ და ცვილის მასალით შეიცვლებიან, სულთან ახლოა და სითბოც მეტი აქვს.

969. ეს რიგი-რიგი, როსღა გვეღირსოს ჩვენი ღირსებით ყოფა, რადგან ყოველივე საკუთარი თავის ბრალია, ზარმაცია, უმაქნისია და მუდამ ალიბის ძებნაშია.

970. მოგზაურობა პრაქტიკულად დასვენება არ არის, მაგრამ გააჩ-ნია ინდივიდს, მის მისწრაფებებს და ამბიციებს.

971. ორიგინალურ აზროვნებას, ორიგინალური მეტყველება ვერ შეედრება, მაგრამ ამ უკანასკნელს მეტი თაყვანის მცემელი ყავს.

972. ინტელექტს წარმოაჩენს არა წაკითხულ-დაზეპირებული, არა-მედ საკუთარი აზრი.

973. ოპტიმიზმი და ცინიზმი ერთმანეთისგან შორს დგანან, მაგრამ თუ დასჭირდათ დაახლოებას ერთმანეთს არ ამადლიან.

974. მარტოობა, დაქორწინებული მარტოობაზე, მარტოობის კუ-ბია და არა – კვადრატი.

975. ბრბოში დამკვიდრებული აზრი ხშირად სიბრიყვეა, ამიტომ მას არც უნდა შეეკამათო – წყლის ნაყვაა.

976. საზოგადოებრივ აზრს ერთი ნაკლი აქვს, ყველა თავისი შეხე-დულებისამებრ იყენებს.

977. განათლება თავისებური ტვირთია, განათლებული კაცი სხვის უგვანობას, უმეცრებას, განიცდის, თუნდაც მას არ ეხებოდეს.

978. ბევრს უნდა ვეცადოთ, რომ წინასწარ ნაფიქრალი ყოფის მოსაწყობად გამოდგეს.

979. აუცილებლის და ზედმეტის დადგენა-განსჯა ყოველთვის არე-ულობას იწვევს.

980. მცდელობა და საქმის კეთება სხვადასხვა რამაა, მაგრამ პატი-ვისცემა, დაფასება ორივეს ერგება, რათა მომდევნო ძალისხმევა შედე-გით დამთავრდეს.

981. ხელობისკენ მისწრაფებამ „ჰომო-საპიენსი“ ადამიანად აქცია, ხოლო ფიქრმა და სიახლის ძიებამ მისი ტვინი სამჯერ გაზარდა. თუ ევოლუციის აქსიომებს დავეყრდნობით, ტვინის მოცულობის ზრდამ, მომავალში, თავის ქალის გადიდება უნდა გამოიწვიოს.

982. აზროვნება ძნელი სამუშაოა, მასზე ხელი ყველას არ მიუწვდე-ბა.

983. აზრების გენერატორი თავის ნააზრევის პუნქტუალურ შემ-სრულებლად დიდხანს არ გამოდგება, რადგან მას ამის უფლებას სხვა ახალი აზრი არ მისცემს.

984. ჩვენს აზროვნებას დრო და ჟამის ნეგატივი აბრუნებს და არა – მშვიდი ყოფა.

985. როდესაც რაღაცის კეთებას გვაიძულებენ, თუნდაც ჩვენთვის სასარგებლოსი, ყოველთვის უნებლიე პროტესტს იწვევს.

986. სპარტა იყო თანასწორუფლებიანი თემი, სადაც უზომო შრომა, სიმდიდრე და ზედმეტი მცდელობა დანაშაულად ითვლებოდა, მაგრამ არც საკუთარი აზრის გამოთქმას გიკრძალავდნენ.

987. სიცოცხლე ერთხელ გვეძლევა, რომ ჩვენი სიამოვნებისათვის ვიცხოვროთ, ვანიავოთ და იმასაც იმის გარკვევაში ვხარჯავთ ყოფისთვის რა არის კარგი და რა – ცუდი.

988. ტყის მოხმარებასაც თავისი ალგორითმი სჭირდება: ხშირი ტყე გაქვს – ეცადე არ გაანადგურო, ზედმეტად არ გამოხშირო, საშუალო სიხშირისას – ადამიანის მოდგმა დროებით არ გააკარო, ტყის გარკვეულ მასივს ფლობ – ნაკრძალად აქციე, უნარიანად გამოიყენე, ფლორას და ფაუნას რომ არ ავნო.

989. გულისთქმას ანგარიში უნდა გავუწიოთ, მაგრამ ბოლომდე არ უნდა ავყვეთ, რადგან ყველა უბედურება ხშირად ამ აყოლა-დაყოლის შედეგია.

990. აზროვნება ზოგჯერ მატერიალურიც უნდა იყოს და შედეგიანიც, ყოველდღიური ოცნების და ფიქრის ნეტარებიდან განსხვავებით, მაგრამ პირველი მეორეს მაინც ვერ სჯობნის.

991. ზოგს ამბიციები არ ყოფნის, რომ პირველი იყოს და მუდამ პრიზიორობას ჯერდება.

992. ძველის მარცხი არ არის ხელსაყრელი მომენტი მასთან ანგარიშგასწორებისა, რადგან სხვისი მარცხი ყოველთვის შენს გამარჯვებას არ ნიშნავს.

993. ერთის თავისუფლება იქ თავდება, სადაც მეორე მის მოპოვებას უბედობით ცდილობს.

994. ტექნიკური პროგრესის მიღწევები ყოველთვის არ იძლევა იმის უფლებას, ნაცად რომანტიზმს დაუბრუნდეთ, რადგან დღეს სხვა ეპოქაში ვცხოვრობთ.

995. ცნობილი ადამიანი მაშინ დაფასდება, თუ მას პენსიაში გასვლისას დანამატს დაუწესებენ, პოპულარობის დაკარგვასთან დაკავშირებით.

996. ნიჭი მოვლას და წამახალისებელ მათრახს მოითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება უკვალოდ დაიკარგოს.

997. მოგზაურობა პრაქტიკული ცოდნის დედაა, ყოფიერების თეორიების გადახედვაა და აზროვნების დაგროვებაა.

998. რეალობასა და ოცნებას შორის ზოგჯერ მწუხარება ეჩხირება და დროებით სიცოცხლეს აუფასურებს და აზრს კარგავს.

999. ვაჟკაცობას, გამბედაობასა და გულადობას შორის ის სხვაობაა, რომ პირველს არჩევის საშუალება აქვს, მეორისთვის კი არჩევანი გამორიცხულია, ხოლო მესამეს სითამამე გასდის, მაგრამ ყველა მათგანი გმირობის პოტენციური კანდიდატია.

1000. ალკოჰოლი და სიგარეტი, მცირე ოდენობით, აზრს გვიხსნის, რომელთა ზომიერად მოხმარების უნარი სიფხიზლის მაჩვენებელია.

1001. ეპოქას და თავის დროს არ უსწრებენ, მას ჯანმრთელი აზრებით ეპაექრებიან.

1002. ქვეყნის დასასრულზე – კი, მაგრამ სამყაროს დასასრულზე საუბარს აზრი არ აქვს – ის უკვდავია.

1003. აზრებს დროებით ადგილი უნდა გავუთავისუფლოთ, მოკვდავთა თავებში დასამკვიდრებლად.

1004. იდილია და იდეალი ერთმანეთისგან შორს დგანან, რაც უნდა ერთმანეთს ეტრფოდნენ.

1005. ჩვენი იდეალი არც გასაქელავია და არც ხელწამოსაკრავი, მაგრამ რეალობა გვაიძულებს მის წინაშე ქედი მოვიხაროთ.

1006. მჭევრმეტყველების უნარი დაფასებული ნიჭია, მაგრამ აზროვნების უნართან ახლოსაც ვერ მოვა.

1007. ვარდს შეიძლება ახალი ჯიშის გამოყვანით ფერი შევუცვალოთ, მაგრამ აზრს და პეწს ვერ დავუკარგავთ.

1008. დალტონიკს ფერთა დაშლა არ ეშლება, იმის მიუხედავად, რომ ფერს ვერ არჩევს.

1009. იყო უცხო, მიუკარებელი, მომხიბვლელი, შენიანებში, განსაკუთრებული ნიჭის უფლებამოსილებაა.

1010. ზოგჯერ ხვდები, რომ წინაპრები უფრო გენიალურები იყვნენ, ვიდრე ჩვენ ვართ, მიუხედავად დღევანდელი ცივილიზაციის მიღწევებისა.

1011. ყოველივე შესამჩნევს, უმნიშვნელოს, საინტერესოს სიახლის თვალით, საკუთარი გემოვნებით, გამოყენების სურვილით და რეალურად უნდა შეხედო.

1012. ყველა აზრი სუროგატია, თუ მას სიახლით არ შევაფასებთ და შიგადაშიგ არ გავფილტრავთ.

1013. თავმოყვარეობა ილახება, თუ ჩვენს აზრს მხარს არ უჭერენ, განსაკუთრებით, ჩვენიანების თანდასწრებით.

1014. აზროვნება მაშინაა მისაღები, თუ შეუძლიან თავს რაიმე არგოს.

1015. რჩევა-დარიგების მიცემას თავისი ისტორია აქვს, რომელშიც იმედი, შემართება, ანგარება, თავის წარმოჩენა და ბევრი სხვა მიწიერი ოცნება შედის და შედეგის მიღების შემდგომ გამოყოფს თავს.

1016. სხვისი აზრის გაზიარება კი არ არის მთავარი, არამედ მასში რაციონალური მარცვლის მონახვა.

1017. ჭკვინი ადამიანები, ერთმანეთს ეკამათებიან, კიდეც ეთანხმებიან მაგრამ მაინც საკუთარ აზრზე რჩებიან, გარკვეული კორექტივებით.

1018. ინტერნეტი ინფორმაციის წყაროა და არა ადმიანის აზროვნების.

1019. გამბედაობა და სიმხდალე დამოკიდებულია იმაზე, ვინ არის შენი წინამძღოლი და აზრების გენერატორი.

1020. უტოპია ის არის რის განხორციელებაც არ ხერხდება და ისიც, რაც განხორციელდა, მაგრამ საღი აზრისაგან საოცრად შორს იყო.

1021. ხშირად სიჯიუტე, დაჟინება, თავხედობა, აზროვნებისთვის გაცილებით უკეთ ფასდება ვიდრე გულღიაობა, მოფასობა და ნიჭი.

1022. თეორიულად თაღლითმა ჭკვიანს ვერ უნდა აჯობოს, მაგრამ რა ვუყოთ რეალობას და ადამიანის უცნაურ ბუნებას.

1023. ცენზურა ნიჭს აიძულებს მცირე, ნაუცბათევ, წარმატებაზე არ დახურდავდეს, იაზროვნოს და უფრო მეტად გამოადგეს ქვეყანას, ხალხს, საკუთარ თავს.

1024. ყველა თანდაყოლილი ტენდენცია, ნეგატიურის დავიწყებაა, ხოლო ნათელის და სასიამოვნოდ მოსაგონარის შენარჩუნება.

1025. ბრიყვების აზრი ემთხვევა ერთმანეთს, თორემ შეშლილებს სხვადასხვა აზრები მოსდით და დაობენ.

1026. სიღატაკე, უძლურება, რუდინება კვებავს რევოლუციას და მის საკვებ ნეშომპალად აქცევს, რათა მასზე ვერაგულად დაამყნოს იდეურად ლამაზი და პარაქტიკულად ფუჭ აზრები და ხალხს მხსნელად მოეჩვენოს.

1027. საკუთარი აზრისადმი პატივისცემას სხვათა რჩევის, გამოცდილების გაზიარების, გაფრთხილების შედეგად ვახერხებთ.

1028. თავისადმი პატივისცემა თავისუფალი აზროვნების და ყოფის ანალიზის გარეშე შეუძლებელია.

1029. სამყაროში თუ სიმშვიდე სუფევს, იქ ზესახელმწიფოთა ავტორიტეტი დაბალია, რადგან მათი აზრი არავის სჭირდება და მათზე ფსონს არც არავინ დებს.

1030. აზრი თავისებური ცდუნებაა, მაგრამ ვერც უმისოდ კეთდება საქნელი.

1031. სწავლების ფრიადოსანი იშვიათად გვევლინება ცხოვრების ხუთოსნად, რადგან ნააზრევის დაგროვების და მის გამოყენების უნარი სხვადასხვაა.

1032. ხშირად იძულებულნი ვართ სხვის არჩევანს პატივი ვცეთ, იმის მიუხედავად, მოგვწონს თუ არა ურთიერთობის გასაგრძელებლად.

1033. კეთილისმდომი ბევრია, მაგრამ ცოდვილნი სჭარბობენ და ამიტომაც მათი შეჯერება-განსჯა აზრს კარგავს.

1034. საკუთარ არარეალურ და ნეგატიურ აზროვნებაში „ბანაობა" ხშირად დიდ სიამოვნებას გვრის.

1035. სიბერე ბედნიერება იმიტომაცაა, რომ აქამდე მოაღწიე, ხოლო უბედურება, იმიტომ რომ ჯეელობის გახსენებას თავს ვერ ანებებ და თავის ჩამოწერა ძალზე გვიჭირს.

1036. „არცოდნა არცოდვად" იმ შემთხვევაშია მისაღები, თუ შენს წინაშე პიროვნებაა, ამბიციები არ გააჩნია და მისთვის ამის აღიარება უხერხულობას არ იწვევს.

1037. ჩვენ მეგობრები მაშინ ვართ, როდესაც ერთმანეთს საშუალებას ვაძლევთ ისე დავშორდეთ, რომ საკუთარი თავის წინაშე მართლები დავრჩეთ.

1038. დადგება დრო, როდესაც ინფორმატორს, ჩამშვებს, დამსმენს, ძეგლს დაუდგამენ, იმდენად დიდია მათი ღვაწლი უიმედო კრიმინალურ საქმეთა გახსნაში და სახელმწიფოებრიობის შექმნაში.

1039. შინაგანად გარეგნულისგან განსხვავებით, ფელანი ერთნაირნი ვართ მაგრამ ეს არ გვაძლევს იმის შეგნებას, რომ ერთმანეთს გაუგოთ, საერთო გამოსავალი ვეძებოთ ურთიერთისთვის სიკეთის საკეთებლად.

1040. 21 საუკუნე გონიერების ათასწლეულს უნდა მივაწეროთ, მაგრამ რატომღაც აზროვნების-ფიქრის-კითხვის ფაბრიკა კვლავ გაუნათლებელ, გამოუცდელ კარიერისტთა ხელში აღმოჩნდა და ამ გაუგებრობის გადახარშვა ამ საუკუნეს მრავალი ძვირადღირებულ წელს დააკარგვინებს.

1041. საოცარია შემთხვევის წესი: ათასობით ვარიანტი არსებობს უკანა რიცხვით, რომ ეს არ მომხდარიყო, მაგრამ ყოველივე აწმყოს შედეგით მთავრდება.

1042. დედამიწა სამყაროს საკუთრებაა, მას არ აინტერესებს ვინ როგორ მოასწრო ტერიტორიების მითვისება-შემოკავება, მისთვის მთავარია დემოგრაფიის და ყოფის რაციონალურად მოწესრიგება.

1043. მხოლოდ მომწიფებულ, ცოდნა-გამოცდილებით დაბრძენებულ, ქვეყანას შეუძლია ბუნების კატაკლიზმების და უგონობის ტაიფუნების წინააღმდეგ დგომა ამ სამყაროში.

1044. არის აზრები, რომელთა გაფიქრება ადამიანს არ ალამაზებს, ხოლო გახმოვანება ღირსებას აკარგვინებს.

1045. ცივილიზაციას წარსულიც უნდა ჰქონდეს და მომავალიც, რადგან მარტო აწმყოთი ცხოვრება მას ვერაფერს შეჰმატებს.

1046. აზროვნება და აზრტი სხვადასხვა რამაა, ამიტომაც ვინც ბიზნეს'ში გამოდგება, ის დაზვერვაში უვარგისია, რადგან ანგარიში და დაფიქრება გმირებს არ წარმოშობს.

1047. კაცი, რომელიც ხშირად უკან იყურება და „კუდს" ეძებს, საეჭვო პიროვნებაა და მასზე დანდობა არ შეიძლება.

1048. საერთო აზრი, ერთსულოვნება, მხოლოდ სასაფლაოზე შეიძ-ლება იყოს სადაც უკვე აღარაფერია გასაყოფი, მოსასწრები და სამუხ-თლო.

1049. აზრთა სიმრავლე არავითარ სიკეთის მომტანი არ არის, თუ არ დაიწურა და მის ნაჟურში რეალობა არ გამოჩნდა, რომლის საქმედ ქცევას ძლიერი ძალაუფალი სჭირდება.

1050. არც რწმენის დოგმა დ არც პარტიულობაა მთავარი, უპრია-ნი საკუთარი თავის და აზროვნების წინაშე იყო მართალი.

1051. საეჭვოდ პრეტენზიულია ცხოველთა ზოგიერთი დამცველის პრეტენზიები: თუ მელიას, წავის და მისთანების ბეწვის გამოყენება არ შეიძლება, რა დააშავეს ცხვრებმა, ძროხებმა და სხვებმა, ან რა უნდა ვუყოთ ხვადებს, ხარებს, ვერძებს, კერატებს, მათი ხორცი ჩვენ მივირ-თვათ თუ გარეულ მხეცთა სარჩო გავხადოთ, ასე და ამრიგად სანამ ადამიანი არ შექმნის ხორცეულის ტოლფასს ცილას, აკრძალვაზე საუ-ბარი ყოყლოჩინობაა და მეც მნახეთ-მნახეთაა.

1052. აზროვნების მოთელვასა და გამოსავალს შორის კავშირი მაშინ დამყარდება, თუ ის მატერიალიზმის მათემატიკაში გადაიზრდება და ტოლობად მოგება დაჯდება.

1053. მომავალი კომპიუტერული ჭკუის, სინთეტიკური გულის და ხელოვნური ნერვების საკუთრებაა.

1054. ყველაზე შეურაცხოფილად თავს ის გვაჩვენებს და გვაყვედ-რებს, ვისი აზრის პრაქტიკაში გამოყენების შანსი ნულის ტოლია.

1055. ხშირად სახელი, წარმატება, წამლავს ადამიანის გონებას, განსაკუთრებით თუ მისი აღზევება ადრეული ასაკიდან დაიწყო.

1056. როდესაც მდიდრები ქველმოქმედებენ, ამით ისინი ჩვენს უტ-ვინობას, უნიათობას დასცინიან და ხარკს იხდიან, რათა ამ ცხოვრების აზრზე ჩვენც არ მოვიდეთ და კონკურენტებად არ მოვევლინოთ.

1057. ოპტიმალური ფრაზების მიბნევ-მობნევა შეიძლება, მაგრამ მის თქმას გამოცდილება, ნიჭი და აზროვნება უნდა.

1058. პიროვნება ის არის, ვისაც ხელისუფლება რჩევას ეკითხება და ესაუბრება, ხოლო მის გარეშე ჩვეულებრივი მოკვდავია მიწის გასაპო-ხად და ხანდახან შთამომავალთაგან გასახსენებლად.

1059. მარად შენი ბედის იმედზე ვერ იქნები, ამიტომ ზომიერების დაცვა აუცილებელია მისწრაფებებში, სურვილებში, რათა ცხოვრება არ გავირთულოთ და დროულად გავიაროთ.

1060. პროფესიონალიზმი ყოველთვის თავის ვარდებს იმკის, მოგ-ვწონს ეს პროფესია თუ არა.

1061. სხვადასხვა აზრის განსჯა, მის აქტუალობაზე მოუთითებს, ხოლო თანხვედრილი – საშუალო აქტუალობაზე ე.ი. სიახლის ძიებისკენ ლტოლვას ჯერ კიდევ სძინავს.

1062. ჩვენი უბედურება ის არის, რომ ყველგან და ყველაფერში ვჩქარობთ ან ყოველივეს გულგრილად შევცქერით და ანგარიშს არ ვუწევთ დროის, გარემოს, წარსულის გამოცდილებას, ამიტომაა, რომ ნიჭის მიუხედავად ყოველთვის ვაგვიანებთ და საუკუნეთა წინსვლას კუდში მივყვებით.

1063. სიბერე ჩვენი ბოლო პროფესიაა, რომლის მიზანია როგორმე დიდხანს შემოვრჩეთ დროს, ქვეყანას.

1064. ცივილიზაციის მარწუხებიდან თავის დაღწევაის უნარი ერთე-ულთა ხვედრი და სურვილია.

1065. ფილოსოფია ყველა საკითხზე კითხვას სვამს და ყველაფერზე ბუნდოვანი მინიშნება გამზადებული აქვს, მიუხედავად იმისა ეს ყველას-თვის მისაღებია, გასაგები თუ სამართლიანია, რადგან უამრავი აზროვ-ნება, მჭერმეტყველება, მაგრამ ცოტა საქმე და პასუხისმგებლობა.

1066. საკვების მწკრივი: ბაქტერია-მწერი-ჩიტი-ცხოველი-ადამიანი-ბაქტერია, მაგრამ ამ შესასანსლავი ძეწკვის შემხედვარეს უიმედობა არ უნდა დაგვეუფლოს, რადგან ამ სამყაროში არის კიდევ რაღაცა, რომე-ლიც საქმიანობასაც გვაიძულებს და ზოგჯერ გმირობასაც ჩაგვადენინებს.

1067. ყოველგვარ ჰუმანიზმს, კაცობას, სიკეთის კეთებას, გადახდა უნდა, რადგან ეს ყოველივე უხილავი კრედიტია, რომელიც ადამიანის ჩამოყალიბებას ემსახურება, რათა მომავალში შთამომავალთა ამდაგვა-რი დაფინანსება ჩვენც შევძლოთ.

1068. ერთი შეხედვით ზოგჯერ საკითხი აბსურდად გვეჩვენება, მაგ-რამ გააზრების შემდგომ აზრი გვეცვლება, მის მიმართ სიმპატიებიც გვეუფლება და რეალიზების სურვილიც.

1069. ყველაზე ძნელი სწორი გზის არჩევისა და გამარჯვების მიღწევის შემდეგ ხელის მოცარვა.

1070. მორალისტებად ითვლებიან: ლაროშფუკო, პასკალი, ლაბრიუერი, თეოფრასტე, აღარაფერს ვამბობ ძველ ბერძენ და რომაელ ფილოსოფოსებზე, როდესაც მათ ნამოღვაწარს ეცნობი. იფიქრებთ, რომ მათ შემდგომ არაფრის დაწერა არ შეიძლება, მაგრამ გადის დრო, გონება თავის ხარკს ითხოვს და ამ წვალებით და უდიდესი ნიჭის წვით აშენებულ სასახლეს, შენს გონებაში გამომწვარ აგურს ადებ და თავი ბედნიერი გგონია.

1071. ცოდნა და ინფორმაცია სინონიმები არ არიან, რადგან პირველის კარები ჩვენვე უნდა გავაღოთ, გავისარჯოთ, ხოლო მეორე თავად გაიღოს და ზოგჯერ შეიძლება ხასიათიც გაგვიფუჭოს, რადგან ის ჩვენს ცოდნა-ფანტაზიას ეჭიდავება.

1072. ცოდნა ბედნიერებაა, მომეტებული ინფორმაცია – უბედურება, რადგან გონება დანაგვიანდა და საჭირო ცოდნის დასადები ადგილი უგვანობის ბალასტმა დაიკავა.

1073. სამყაროს შეცნობის მცდელობა ყოფის და ბედნიერების გახანგრძლივებაა, წინააღმდეგ შემთხვევაში, უსაქმურობა დაგვრევდა ხელს, რომელიც ყოველთვის შეიძლება მთლად უბედურებაც არ იყოს, გარემოს ხომ მაინც მოვასვენებდით.

1074. ჭკვიანი, ბედის მუხთლობის მიუხედავად, გამოსავალს ნახულობს, ბრიყვი შემთხვევას ხელებაწეული ხვდება, ხოლო ბრძენი შემთხვევის და ბედის უხასიათობას გვერდს აუვლის და უგნურის მდგომარეობაში არ მოხვდება, მაგრამ ვისთვის რა სჯობს, კიდევ საკითხავია.

1075. შემოქმედებითი პროცესი ყველაზე დიდი გამოცანაა, რადგან თავადაც არ იცი, რას აკეთებ და საიდან მოდის საოცარი და ხშირად შესანიშნავი აზრები.

1076. ამქვეყნად ბევრი გამომძიებელი გვყავს, მაგრამ ძალზე ცოტაა საქმის მცოდნე ანალიტიკოსი და შემოქმედი.

1077. ცივილიზაციის საოცრება ის არის, რომ პირველყოფილი ადამიანის ზნეს უბრუნდება, ტექნიკური პროგრესის წინსვლასთან ერთად.

1078. სიტყვა ფასდება იმის მიხედვით, თუ რა პათოსით, გრძნობითაა წარმოთქმული, ხოლო საქმე – რა მოწოდებით, შთაგონებითაა ნაკეთები.

1079. სხვისი აზრებიდან, იდეებიდან, განსაკუთრებით ის მოგვწონს და ვუფრთხილდებით, რაც ჩვენსას ემთხვევა.

1080. ჩოჩორის ვირისაგან განსხვავებას ძალოვანებს ავალებენ, ხოლო ვირის ვირისაგან განსხვავებით უუნარო ხალხი იბრალებს.

1081. პოლიტიკოსი, სპეცსამსახურის წარმომადგენლი, პოლიციელი, ქურდი, მეძავი, პენსიაში სულიერად არასოდეს გადიან და საჭიროების შემთხვევაში მომქმედ კოლეგას მხარსაც დაუჭერენ, ჭკუასაც დაარიგებენ და გვერდშიაც ამოუდგებიან.

1082. სიმდიდრე, კარიერა, საზოგადოებაში მდგომარეობა, ცვალებადია და ფორტუნამ ზოგჯერ ზურგის ჩვენება იცის, ამიტომ ამისათვის ცხოვრების ყველა ეტაპზე მზად უნდა ვიყოთ, რათა მოშურნეთა დაცინვის და ნიშნის მოგების ობიექტი არ გავხდეთ.

1083. მთავარია, ვისთან აკეთებ საქმეს და არა რისთვის ეწევა ჭაპანს: სულის საამებლად, ტვინის ნაოჭების შესავსებად თუ მუცლის ამოსაყორად.

1084. ინფორმაციის ხანაში, ძნელია ბავშვის აღზრდა, რადგან ისინი, უნებლიედ, მოუწესრიგებელი ცოდნის მაქსიმუმს იღებენ.

1085. მეხსიერება და აზროვნება სხვადასხვა რამაა, მაგრამ ერთმანეთს ამშვენებენ.

1086. აზროვნების მწვერვალზე ფეხის შემოდებაც შეიძლება და ამ ფეხითვე მისი გათელვაც, ამიტომ ყველგან და ყოველთვის გადამლაშებას უნდა ვერიდოთ.

1087. ვინ იცის, სამყაროს აზროვნება და ეკონომიკა რა დღეში ჩავარდებოდა ჩინეთ-ინდოეთში მცხოვრები ხალხები, ტომები, კასტები, ტერიტორიული წარმონაქმნები სეპარატიზმის ბაცილით რომ დაავადებულიყვნენ.

1088. აზროვნება შემართების, რწმენის, მცდელობის, გარეშე ნულის ტოლია.

1089. ტვინიც და აზროვნების კავშირის განხილვა-განსჯა ყველა საუკუნეში დაუმთავრებელია.

1090. ანთებული ლამპარი გვახარებს, იმედს გვაძლევს, კმაყოფილებას გვიმტკიცებს და წინ მიგვიძღვის.

1091. ჭკუის ნაჟურის გაცემა ადვილია, დაკვალიანება და ხელის შეწყობა – ძნელი, რადგან მას გამოცდილება და ნაცნობობა სჭირდება.

1092. დრო, გარემო, პოლიტიკა, შემთხვევა, აქცევს ქალაქს დედაქალაქად და არა – გონიერება და მსჯელობა.

1093. ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია იმ შემთხვევაში, როცა შენს ქვეყანაში ცხოვრობ და სხვათა ზნე-წესის ალტერნატივას არ გთავაზობენ.

1094. საკუთარ აზრებთან თამაში ყველაზე აზარტული გართობაა.

1095. კორუფცია იმიტომაცაა საშიში დაავადება, რომ საღ აზრს ჩუმად ებრძვის და თავის გამორჩენისთვის ქვეყნის და ხალხის ინტერესებს ფეხებზე იკიდებს, ამიტომაცაა საჭირო რომ ის მკაცრად დაისაჯოს.

1096. კაცუნების ოდენობა თუ არ იზრდება, არც მცირდება, რადგან მათ თავის პროცენტული ნიშა უდრტვინველად აქვთ დაკავებული, ალბათ, ვიღაცის და რაღაცის სასარგებლოდ, რადგან ბუნებაში გამოუსადეგარი არაფერია.

1097. სამყაროს, გალაქტიკას, პლანეტებს, თავისი ორკესტრი ჰყავთ, რომლის დირიჟორიც ალბათ მაღალი ღმერთია (ყოველ შემთხვევაში, სხვა სახელი ჩვენთვის უცნობია), ჟღერადობაში კი ყველა ვარსკვლავი ეხმარება.

1098. ცელით ყველაფრის მოთიბვა შეიძლება, აზროვნების გარდა.

1099. აზრთამპყრობელს ისევ დამყრობელი სჯობს, რადგან პირველისგან თავის დაღწევა გაცილებით ძნელია ვიდრე – მეორისგან.

1100. სიხარულით ცაში ასროლილ ქუდს, თავი ისე უნდა შეაგებო, რომ თავზე მოჯდეს და გასწორებაც არ დასჭირდეს, რადგან იგი შენი მხნეობის გამომსახველია.

1101. პროფესიონალიზმს გენთან, ტვინთან, ერთად ხელებიც იძლევა.

1102. არსებობს ალბათობის, ფარდობითობის და პირობითი ეტალონების თეორია, მაგრამ ალალ-მართლობის, კაცურ-კაცობის, ადამიანად დარჩენის თეორია არც არავის დაუწერია და არც არავის უცდია.

1103. პაპუასები უძახე შენ და თავიანთი უმანკოებით, ხანგრძლივი ევოლუციით, შეიძლება მხოლოდ ისინი შემორჩნენ ამ სამყაროს, რადგან განგების საქმეში ცხვირის ჩაყოფას, ნიშნის მიგებას, ცივილიზაციის ბოროტად გამოყენებით, არ ცდილობენ.

1104. მიზანს საშუალებანი მაშინ უდგას გვერდში, თუ მიზანი ადამიანურია, პატრიოტულია და კაცთმოყვარეობა არ აკლია.

1105. „ვირის აბანოს“ არც ერთ ბინადარს, გოგირდის ჭრელ აბანოში ბანაობის სურვილი არ დაუზარალებდა, პირიქით, შეიძლება ცხოვრების აზრზე მოეყვანა და სასიკეთოდ შემოეტრიალებინა.

1106. ჩვენი ყოფა ღვთაებრივი კომედიაა, სადაც ზოგჯერ აპლოდისმენტებითაც გვაჯილდოვებენ თუ რაიმე შესამჩნევს და სასარგებლოს მოვაკვარახჭინებთ.

1107. შემთხვევითობა კანონზომიერების წინამორბედია, მაგრამ მაინც მამინაცვალია.

1108. ცნობიერება ხილვადიცაა, მარგი ქმედების კოეფიციენტის გამოყენებით.

1109. წარსულს საქმის წამოწყებამდე სჭირდება ანალიზი და არა ფოცხზე ფეხის დაბიჯების შემდგომ.

1110. მალთუსის თეორია გადახედვას საჭიროებს მისი უსიტყოდ მხარდაჭერის მხრივ, ოღონდ სახელმწიფოებისთვის დემოგრაფიული კვოტის დაწესებით და გარემოს დაცვის პოტენციალის გაზრდით.

1111. გამოთქმამ, „ზღვა კოვზით დაილევა“ ჭირი მოგჭამა, რადგანაც სამყარომ იწყო დათბობა, ყინულების დნობით და წყლის მატებით.

1112. ცისკრის ვარსკვლავისთვის თვალის შევლება ყველას შეუძლია. სულით შეხებაც შესაძლებელია, მაგრამ სადაოა.

1113. საქციელი არც ნაცნობისა უნდა გაგვიკვირდეს და არც ნათესავისა, როდესაც ქვეყანა თავქვე მიექანება.

1114. აზროვნებას მთლიანობა სჭირდება და აქ „აზრუკები“ მოსატანი არ არის, რადგან მათზე დროის კარგვა ფუჭია.

1115. კაი ყმის მოძიება დღესაც ჭირს და ამას ტექნიკური პროგრესის შესაძლებლობები და საინფორმაციო საშუალებები არ შველის.

1116. ცივილიზაცია მთაშიაც აღწევს და უღრან ტყეშიც, თუ მის მაცდუნებელობას გაითავისებენ.

1117. მფრინავი თეფშები, ადრე თუ გვიან, მოგვევლინებიან და სამყაროს აზროვნებას, ტრადიციებს, თავდაყირა დააყენებენ.

1118. საკუთარი აზრების სხვის თავებში შენახვის მცდელობა სიამაყის შედეგია და არა – შემართებისა.

1119. შეუცნობელი ეტყობა აღარაფერი დარჩება, თუ მანამდე სამყარო არ გადაგვარდა და დედამიწა არ გაქრა.

1120. პიროვნებაა ის, ვისაც უკვდავთა შორის მოხვედრის დიდი შანსი აქვს როგორც ამ, ისე იმქვეყნად.

1121. არსებობს დროგის, დოღის, ცირკის ეტლში გაწვრთნილი, მუშა, ცხენი, ასევეა ჯარისკაცი, მესაზღვრე, პოლიციელი, სახელმწიფო უშიშროების მოხელე, რომლებისაც ცხენებივით სხვადასხვა დანიშნულება აქვთ და სხვადასხვანაირი გაწვრთნა სჭირდებათ.

1122. აზრის დაზღვევას რატომღაც არავინ ითხოვს, იმის მიუხედავად, რომ მასში შეცდომაც, გაწბილებაც და აღმოჩენის ბედნიერებაც მოსალოდნელია.

1123. იდეებიდან, პრინციპებიდან, განთავისუფლების მცდელობა, ყოველთვის სასურველ შედეგს არ იძლევა, რადგან რაღაც წმინდა, სათუთი, იკარგება, თუნდაც გამოუსადეგარი.

1124. ადამიანის უფლებებისაგან განსხვავებით, არის ქალის, ბავშვის, მოხუცებულობის, ცალკე გამოყოფილი, განსაკუთრებული, უფლებები, აფვანილი კვადრატში, რომელიც, სამწუხაროდ, ხშირად დეკლარაციაა და მეტი არაფერი.

1125. ყველაზე დიდი სიმდიდრე სასარგებლო აზრებია, ოღონდ პრაქტიკული გამოყენებით.

1126. აზროვნებას მიჩვეული ტვინი ყოველთვის გადაღლილია.

1127. სურვილი ყოველთვის მეტად ამბიციურია, ვიდრე შედეგი.

1128. აზროვნება ყოველთვის ენის ტარტალსაა ამოფარებული.

1129. სწავლა მანამდე არის შესაძლებელი, სანამ ჭკუა-გონება გიჭრის, იმის მიუხედავად, იყენებ მას პრაქტიკულად თუ არა.

1130. უკვდავების დამსახურებას ხელების დაკაპიწება, გონიერების გადმონთხევა უნდა და არა – მარტოოდენ სურვილი.

1131. სწავლა სიბრძნის ერთ-ერთი მთავარი ატრიბუტია, მაგრამ ნიჭი, ინტუიცია, გამოცდილება, მაინც მასზე წინ დგას.

1132. სწავლის მოთხოვნილება, შესაძლებლობა, სურვილი, სხვადასხვაა, ისევე, როგორც ცოდნის მოხმარება, გამოყენება, დამუღამება.

1133. სიზმარში აზროვნება ადვილია, მასთან ცხადში დარჩენა – ძნელი, რადგან ფიქრი ადვილია, ნააზრევის დაჯერებაა ძნელი.

1134. კარგი კამათი განსჯისთვის განკუთვნილი მიუღებელი აზრია.

1135. ვისაც გაგების უნარი შესწევს, შენი საქმის რეზიუმესაც გაიგებს და დიდ მოხსენებაში საჭირო აზრსაც დაამუღამებს.

1136. ახალი აზრის შექმნა განსაკუთრებულთა ხვედრია, გავრცელება მრავალთა პრეროგატივაა, ხოლო იმ სიახლიდან გამორჩენას ერთეულები ახერხებენ.

1137. ახალ აზროვნებას ახალი სიტყვები სჭირდება რეიტინგის ასამაღლებლად.

1138. კომპლიმენტი სავალდებულო სიცრუეა, რომლის თქმასაც არავინ გავალებს, მაგრამ მაინც პასუხისმგებლობას გრძნობ.

1139. ორატორული ნიჭი დარწმუნების და დაიმედების გარეშე, უსარგებლო, ტყუილი შრომაა.

1140. მისალმებასაც თავის ალგორითმი გააჩნია, რაც თავმდაბლობაზე, აღზრდაზე, აღზევებაზეა, დამოკიდებული.

1141. ,,მამათმავალი'' შეიძლება სიტყვაც იყოს: გაფარჩაკება, გათახსირება, ყიამყრალობა და ასე და ამგვარად.

1142. ერთდროულად ყველა არ შეიძლება შესაწირიც იყოს და შეწირულიც.

1143. სასმისი რაც უნდა პატარა იყოს, ეცადეთ საკუთარი „ჭიქით“ დალიოთ.

1144. ყველა მომდევნო თაობას იმაზე მეტი ეცოდინება, რაც მისმა წინაპრებმა იცოდნენ, მაგრამ სამყაროს უმთავრეს საიდუმლოების გარკვევას ბევრს ვერაფერს შემატებენ.

1145. საზოგადოებრივი აზრი ხშირად უაზრობის განსახიერებაა და იძულებული ხარ, არ შეეპასუხო, რადგან ის ვერ გაგიგებენ როგორც საჭიროა.

1146. აზროვნება და ძალა ადამიანის სახეზე უნდა აღიბეჭდებოდეს, თუ გვინდა პიროვნებად ვაღიაროთ.

1147. ზნეობა და ადამიანის ფიზიოლოგია დაცალკევებასაც და შერწყმასაც მოითხოვს და ყოფის ამ აუცილებელი ალგორითმისთვის სასწავლო-დასამუღამებელი კურსები უნდა შეიქმნას.

1148. გრძნობები და წინათგრძნობები ზოგჯერ აზროვნებასაც სჯობს და შემართებასაც.

1149. ალოგიკური აზროვნება არ არსებობს, რადგან მასაც ჩაწვდომა და განსჯა სჭირდება.

1150. ალოგიკურობისკენ ლტოლვა გონების სითამამის შედეგია.

1151. გამოღვიძებულ აზროვნებას ყოველთვის ახლებური, სხვა ეშხი ახლავს.

1152. ზოგის აზროვნებას დიზაინი და ლამაზად შეფუთვა სჭირდება, რათა ყურად იღონ.

1153. დიდი სიმდიდრეა როდესაც საკუთარი აზრი გაგაჩნია და მისი მომგებიანად საქმეში ჩადება შეგიძლია.

1154. გენიალურ აზრს ვერც ვერავის წაართმევ, ვერც წაამატებ და ვერც შენს ჭკუაზე მოთარგმნი.

1155. მხოლოდ მრუდე სარკეში ყურებამ შეიძლება რაღაც შთაგვაგონოს.

1156. რენესანსი მუდმივი არ არის, ის გარკვეული წლების და დროების მპყრობელია, შემდგომ დროებით ქრება ახალი დამუხტული ენერგია-შესაძლებლობების წარმოსაჩენად. ასე, რომ მისთვის დროებით ჩავარდნა-ამოძვრომა კანონზომიერია.

1157. აზროვნებას მორალი არ აწუხებს ფიქრის და ოცნების დროს.

1158. მორალი ჩვენი ენის საქმიანი ლაპარაკია, რომელსაც ყბედობისკენ მიდრეკილება არ აქვს.

1159. უცნობი აზრი უფრო გადამდები დავადებაა, ვიდრე ნაცნობი და საყოველთაო.

1160. პროფესიის პოპულარობას და საჭიროებას, სამწუხაროდ, დღეს გამორჩენა განსაზღვრავს და არა – საღი აზროვნება.

1161. კაცობრიობა იძულებულია ბუნებას კაბა აუწიოს და თუ არ შეძვრება, შიგ შეიხედოს მაინც.

1162. აზროვნების სარფიან მოპოვებას, გზების წინასწარ მოძიება და აღმოჩენა სჭირდება.

1163. თავისუფალი აზროვნება უნდობლობის და ნდობის საქმეში მოუთმენლობის შედეგია.

1164. გამოცდილებას და საქმის კეთებას ეროვნება არ აქვს.

1165. ზოგიერთი უსამართლობა შეიძლება მომავალში სამართლიანობის და სიმშვიდის გარანტი იყოს.

1166. ტყის შუაგულისკენ რაც მეტად მივიწევთ, უკან მით უფრო მეტი ხრიოკი გვრჩება.

1167. ჯარისკაცი სამშობლოს სიყვარულს სისხლით განბანს, დიპლომატი – ღვიძლის ტკივილით, იმ განსხვავებით, რომ პირველი ვალდებულია ქვეყნისთვის თავი გადადოს, მეორეს კი შეუძლია უამრავ წვეულებებზე ჭამა-სმისგან თავი შეიკავოს.

1168. ენაზე ძალადობაც შესაძლებელია, თუ მისგან ახალი აზრი გამოტყვრება.

1169. არის პროფესია, რომელთა საიდუმლოების გამხელა საკუთარ თავს არ უნდა აკადრო, რათა ისინი უხერხულობაში არ ჩააგდო (მაგ., ილუზიონისტის, ყოფილი მზვერავის, გამომგონებლის).

1170. შთამომავლობა არ გვაპატიებს აზრსაც, რომელიც ძალზე კონიუნქტურული და მიკერძოებულია, რადგან ბოლო აქვს ცუდი.

1171. გონიერება ამღვრეულ აზრებშიც სასარგებლოს ნახულობს, რადგან მას ამ აზრების დაწმენდის ნიჭი შესწევს.

1172. აზრის უმანკოებაცაა ბედნიერება.

1173. ყველა გამარჯვებას აზრი, შინაარსი უნდა ჰქონდეს და არა – მხოლოდ სახელი და დიდება.

1174. კამათი არასოდეს ყოფილა სჯა-ბაასის სინონიმი, რადგან პირველი სხვისთვის ჭკუის სწავლებას ცდილობს, მეორე – საღი აზრების გაზიარებას.

1175. გენიალური აზრები იშვიათად მოგვდის, მაგრამ მათ დროულად დაჭერას და გამოყენებას რატომღაც ყოველთვის ვაგვიანებთ.

1176. უაზრო აზროვნებაც ცხოვრების საჭირო ჟანგია, რომლის ხარისხიანი გადადნობა ერთეულთა ხვედრია.

1177. როგორც ირკვევა, დღეს სამყაროში ყოველივე შესაძლებელია, რასაც ადამიანის ფანტაზია დაუშვებს და გაწვდება.

1178. აზრთან ჭიდილია საინტერესო და არა მისი უსიტყვოდ გათავისება, გადმომღერება.

1179. დაწმენდილი და დაკუპაჟებული აზრის გადმოცემა დიდი ხელოვნებაა.

1180. დიადი შეცდომები შეცოდების, შეყვარების, გააზრების გარეშე არ შეიცნობა.

1181. მოთმინება, გონიერების ფარგლებში, ხელოვნებაა და ერთეულთა ხვედრია.

1182. ხშირად მრავალ გამონათქვამს ერთი საღი განსჯა სჯობს, მხოლოდ სხვებთან საკუთარი აზრის შეჯერებით.

1183. ჯვარზე სიტყვას აკრავენ და არა – აზროვნებას.

1184. გემოვნება საღი აზრის სინონიმად შეიძლება მივიჩნიოთ, რადგან პირველს მასწავლებელი სჭირდება, მეორეს თანდაყოლილი ნიჭი.

1185. ანალიზი და იდეოლოგია, არც ერთი ქვეყნის შენებისათვის ცალ-ცალკე არ გამოდგება.

1186. მხოლოდ შემოქმედს ვერ სპობს სიკვდილი, რადგან ის სამარადჟამო რაღაცას ტოვებს.

1187. ცივილიზებულ სამყაროში ინვესტორი ბიზნესის და ქვეყნის დასაპყრობად ხმალშემართული კი არ მოდის, არამედ წინასწარ გავლილი გეგმით და თავის სულიერების დასაკანონებლად.

1188. ყველგან და ყოველთვის ღირსების შენარჩუნების უნარი განგებისგან მონიჭებული უდიდესი ნიჭია.

1189. ზოგჯერ საკუთარი სიკვდილის პატრონიც არ ვართ, რადგან მომავლის შედეგზე არ ვიფიქროთ, შეუძლებელია.

1190. იყო სრულქმნილი და იყო სასარგებლო, სხვადასხვა ცნებაა, მაგრამ ერთმანეთის გარეშე ყოფნა უჭირთ.

1191. იდეოლოგია თავისებური შეჯიბრია საკუთარ შესაძლებლობებთან, მოთხოვნებთან და არა მხოლოდ რწმენასთან და ზევიდან დაძალებასთან.

1192. მშვიდობის დამყარება მთლიანად გლობუსზე ჯერ-ჯერობით ამ სამყაროს უმთავრესი საზრუნავია, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ასე გვჯერა და სურვილი გვაქვს.

1193. სხვაზე გავლენის მოპოვება ყველაზე დიდი სიმდიდრეა ფილოსოფოსისთვის, რომლის უტყუარი ბაზისია სათავისო ინფორმაციის მოპოვების ხელოვნება.

1194. აზროვნებას ფლორის და ფაუნის აღქმა ფასდაუდებელ სამსახურს უწევს, იმგვარად, რომ ვერც ამჩნევს.

1195. შავი დღეების გადატანა, ნათელი დღეების გარეშე, შეუძლებელი იქნებოდა.

1196. სხვას გარკვეული დროით მიანიჭო ადამიანური სიამოვნება, დაუკარგო დროის შეგრძნება და მოწყვიტო ყოველდღიურობას, ესეც ყოფის ცოდნის ხელოვნებაა კუბში.

1197. თანამდებობის დაკავება, უპირველესად, ზნეობრივი ნაბიჯის გადადგმა და საკუთარი ნაფიქრალ-განსჯილის პრაქტიკაში გადამოწმებაა და არა – ფულის შოვნა.

1198. იყო კარგი, ნიშნავს სხვაც აიყოლიო და მისაბაძი გახდე.

1199. კარგი რომ იყო, ამისათვის აღზრდამ, გარემომ, კანონმა, შემთხვევამაც უნდა დაგიჭიროს მხარი.

1200. ფუჩეჩი მნიშვნელოვანია ყველა პროდუქტ-ნაწარმის შესაფუთად, რათა მან ყურადღება მიიქციოს და კამათი გამოიწვიოს. ე.ი. ჭეშმარიტებისაკენ მივილტვით და მის დადგენას ვეღლაბუცებით.

1201. ბუნებას უყვარს სიმეტრია და არა საშუალო – შეწონილი – გასაშუალოებული.

1202. მჭერმეტყველებამ შედეგი რომ გამოიღოს, საქმეს ხასიათი უნდა მოვარგოთ, რათა სიტყვა დამაჯერებელი გამოვიდეს და მომხიბვლელი ეჩვენოთ.

1203. ფლირტი ეს არის ცოტათი მეტი ყურადღება მოსაუბრისადმი, თვალების გაბრწყინების მოშველიებით, რაც სიამის მომგვრელია ორივესთვის, თუნდაც იმიტომ, რომ თქვენში თუნდაც უმნიშვნელოდ მეტი თანადგომა გამოინახა.

1204. თავად-აზნაურობის ტიტულის მინიჭება სულიერი მდგომარეობა უნდა იყოს და არა ის, თუ ვისი ჯიშის და ჯილაგის ხარ.

1205. რწმენას და საკუთარი თეორიის უცილობას ვერავითარი სიმჟავეთი ვერ ამოშლი, იმდენად გამჯდარია საკუთარ ცნობიერებაში.

1206. ემოციური სიჩლუნგე ყველაზე საშიში დანატოვარია არშემდგარი აღზრდის შედეგად.

1207. აზროვნება ის ნებაყოფლობითი ძალადობაა, რომლის გარეშე სიცოცხლე აზრს კარგავს და არც უიმისოდ ყოფნა შეგვიძლია.

1208. სწავლების აზრი წიგნიერად შეცდენაა, რათა ანალიზის და განსჯის შემდეგ გამოვასწოროთ, ე.ი. ცხოვრებისეული გამოცდილება მივიღოთ.

1209. აზროვნების უნარი მის განხორციელებასა და მოქმედებაშია.

1210. ყოფიერება ყოველთვის ობიექტური არ არის, რადგან ყველაფერი გართულებისკენ მიისწრაფის და დაღვინებაც გვავალია.

1211. პროფესიონალი ხელოსანი ზომიერების შეცნობა-შეგრძნობით გამოიცნობა.

1212. ხელისუფლებისათვის მიუღებელია გადაუმოწმებელი აზროვნების იმპორტი და არა – საკუთარის ქონა, იმისდამიუხედავად, პირველისგან განსხვავებით მეორეს მცდელობა ზურგს უკან არავინ უდგას.

1213. ინტუიცია და ინსტინქტები სხვადასხვაა, მაგრამ ხშირად ეს უკანასკნელი უფრო ხელშესახებია.

1214. აზროვნება ცოდნის ფაქტორია და ეს არის გონიერებათა შეჭიდების საწყისი და მისი მოთარგმნა.

1215. სკოლის უმთავრესი საგანი, ფუნქცია იდეოლოგიურ-პატრიოტული აღზრდაა, შემდეგ – სხვადასხვა საგნის სწავლება და ნიჭის წარმოჩენა შემდგომი გამოყენებით.

1216. უმიზეზოდ შებრალება, თავის მოკატუნება, ყველაზე დიდი დანაშაულია ქვეყნის და საკუთარი თავის წინაშე, რადგან ინიციატივას და საკუთარი თავისადმი რწმენას ვუკარგავთ.

1217. სამყაროში მარტო შავი და თეთრი არ არის, მას უფრო ხშირად სხვადასხვა ელფერი დაჰკრავს, რომელთა რკვევა და ჭვრეტა ყოველთვის საჭირო არ არის.

1218. ცოდვილები ამქვეყნად უფრო აღწევენ რაღაცას და უკეთ ცხოვრობენ, ვიდრე იმქვეყნად, რომელიც გადამოწმებას არ ექვემდებარება – ჩვენ ასე გვინდა.

1219. საკუთარ პრობლემებთან ჯობს ისევ მარტო დავრჩეთ, რათა მისი მოხსნის სურვილი გაგვიჩნდეს.

1220. ადამიანებს რა აჩხუბებთ ან რატომ რიგდებიან, რთული განტოლებაა თანამედროვეთა გადასახედიდან, რადგან აზრს და ანალიზს არ ემორჩილება.

1221. მესანგრეს, ექიმს, გამომძიებელს, შეცდომის უფლება არ აქვს, რადგან პირველი თავის შეცდომას შეიძლება შეეწიროს, ხოლო ბოლო ორის შეცდომაზე მათი ,,კლიენტები'' ზარალდებიან.

1222. ყოფიერება, ცნობიერება, გონიერება, იმისდამიუხედავად, რომ ტყუპები არიან ყოველთვის არ ,,სინონიმობენ'', რადგან პირველი უმთავრეს პრეტენზიას შინაგან სამყაროზე, აზროვნებაზე, განცდებზე აცხადებს, მეორე გარემოზე, მასზე მოქმედ კანონებზე.

1223. არითმეტიკასა და მათემატიკას შორის ის სხვაობაა, რომ პირველს ეკონომიკა, პოლიტიკის სამზარეულოს ნება სჭირდება ქვეყნის

სამართავად, ხოლო მეორესთვის სასუსნავი, მათრახი, იმედის მიცემაც კი საკმარისი არ არის, თუ ქვეყანას მმართველად გონიერება არ მოევ-ლინა.

1224. სულელი, ტუტუცი, ჩერჩეტი, მასხარა, პამპულა, უტვინო, ვიგინდარა, მუსიკის ნოტებივითაა, რომელშიც გულისწყრომა, მრისხა-ნება, შეფასება, ვიღაცის და რაღაცის მიმართაა გამოხატული.

1225. ასკეტიზმია ის, რაც შენთვის განკუთვნილ სისულელეს და ვირეშმაკობას ე.ი. გარკვეულ სილაღესაც შეიწირავს.

1226. სატანა თუ ოპოზიცია, მის არსებობა ყველა სფეროში მისა-სალმებელია, რათა აზროვნება ოპონირებას ფილტრში გაატაროს და სისულელის ჩადენის მცდელობიდან დაიწმინდოს.

1227. თანამდებობა მსხვრევადი ნივთია, რადგან არავინ იცის შემ-თხვევის ქარი საიდან დაუბერავს.

1228. თანამოაზრენი ხშირად ერთ-ერთის აზროვნებით იოლად გადიან.

1229. მტერი იყოფა ოთხ კატეგორიად: მტრად, შენი მეგობრის მტრად, მტრის მტრის მტრად და საკუთარი თავის მტრად.

1230. კეთილდღეობა იაფად არ იყიდება, მას თანდაყოლილი ნიჭი, აღზრდა, გარემო, სჭირდება.

1231. აზროვნება რწმენას მოითხოვს და არა ლოცვას.

1232. ლამაზი სიტყვების რახა-რუხი აზროვნებას არა სჭირდება, დიფრენტები უფრო ბრბოსმაგვარი ხალხისთვისაა განკუთვნილი – და-სამუნათებლად.

1233. მწვავე კრიტიკას დიდი ერუდიცია და მახვილგონიერება სჭირ-დება, მაგრამ მაინც საკუთარი ამბიციების გადასახედიდან.

1234. ქცევას, აღზრდას, ეროტიკულ წრთობას, აზრი ერთი აქვს, მაგრამ პირველის დანახვა სჭირდება, მეორეს – სწავლება, მესამეს – დაკვირვება.

1235. ორგინალური აზროვნება და სიახლე ყველგან შეიძლება მო-იძიო, თუ მათზე ნადირობის ნიჭი გაქვს.

1236. იდეის მითვისება პლაგიატობად არ ჩაითვლება, თუ მას ახალ სულს შთაბერავ.

1237. ჩვენ გაცილებით მეტს ვგრძნობთ და გვესმის, ვიდრე ვიცით და ამის მიზეზი ინტუიციაა.

1238. საკუთარ იდეას, შეხედულებას, მაშინ აქვს აზრი, თუ ის მომხრეებით, თანამდებობით, ძალით არის შემაგრებული.

1239. სიცოცხლის აზრის შეცნობა უსასრულობამდე გრძელდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის დამთავრდებოდა.

1240. აზროვნება ინტელექტზე, შემთხვევაზე, სურვილებზე აგებული განტოლებაა.

1241. მკაცრი შეკითხვა: რუსეთი, განუვითარებელი ქვეყანაა თუ ნედლეულით მოვაჭრე განვითარებადი, რომელიც ასე კარგად არის დაცული ენერგეტიკული კრიზისისაგან – ღმერთმა უწყის, თეორიისაგან განსხვავებით, პრაქტიკა ამ აზრს ვერც მხარს უჭერს და ვერც მათყუნიათობის ფაქტებს უარყოფს.

1242. ჩვენ ხშირად ერთს ვფიქრობთ, სხვას ვლაპარაკობთ, მაგრამ აზრი მაინც მათ შორის უნდა ვეძიოთ.

1243. საკუთარი აზრებით სხვასთან გაჭორიკნება და ყბედობა, თვისებური ფსიქოთერაპია და უფასო ფსიქოანალიზია.

1244. სმენა და მხედველობა წყენას უკეთ აღგაქმევინებს, ვიდრე მახსოვრობა და გონიერება.

1245. უვარგისი ძველის დავიწყება ხშირად ახლის აღქმის საწყისია და გზის გამკვლევიც.

1246. აზროვნება ყველას სჭირდება, ვიგინდარაა თუ ქვეყნის მსახურია.

1247. გამოცდილებას ყველა აფასებს, მაგრამ მიმბაძველი ჰყავს ცოტა.

1248. ყველა ნააზრევს თავის ჰანგზე აჟღერება სჭირდება, რომ დაგიჯერონ და გაღიარონ.

1249. სხვისი აზრების მოსმენა ადვილია, დაწუნება, დაჯერება – ძნელი.

1250. სამყარო ოცნების, იდეების, აზრების, პრინციპების და შეხლა-შემოხლის პროდუქტია, საბოლოოდ რა მხრიდანაც უნდა შევხედოთ.

1251. გრძნობები, სიყვარული, განსჯა, საკუთარი უნდა გქონდეს, ხოლო აზრები, განათლება, გამოცდილება სხვისი უნდა გაიზიარო და საკუთარი უნდა გამოწეწო.

1252. აზროვნებაა სიცოცხლის გვირგვინი და არა მატერიალური კეთილდღეობა.

1253. დამშვიდობებას აზრი არ აქვს, ამქვეყნად თუ არა იმქვეყნად მაინც ერთმანეთს გადავეყრებით.

1254. არსებობს უპირველესი აზრი სიცოცხლის გახანგრძლივება, შენს ჭკუაზე კანონთან შეთანხმებით ცხოვრება და არა ზრუნვა იმაზე,

სიკვდილის შემდეგ შენზე რას იტყვიან, სულერთია, მომდევნო თაობა შენს სახელს ისე წარმოაჩენს, როგორც მოესურვება.

1255. უშფოთველი ცხოვრება, რომელსაც მოსანანიებელი არაფერი აქვს, აზრს კარგავს.

1256. ამ ქვეყნად მოსვლის აზრი ვალის აღებაში, მის დაბრუნებაში და ვალად გაცემაშია. სხვანაირად ვერც სახელს დატოვებ და ვერც შთამომავლობას.

1257. აზრები რომ წესრიგში მოიყვანო, განმარტოება და შენს გემოზე ფიქრი სჭირდება, ხოლო აქედან რა გამოვა, განგების და დროის შესაფერი ნიჭის ნებაა.

1258. რომელია უფრო მნიშვნელოვანი:ცოდნა თუ აზროვნება? ალბათ, ეს უკანასკნელი, რადგან ცოდნის მექანიკურად დაგროვების საშუალება უამრავია, ხოლო აზროვნება ნიჭია და ყველას არ ხელეწიფება.

1259. ქცევისგან განსხვავებით, აზროვნებას ტაბუ არ ადევს, რაც ამ სამყაროს წარმომჩენი და ალბათ დამანგრეველიცაა.

1260. სიმწვავე საჭირბოროტო საკითხების ამოტივტივებისას აუცილებელია, რადგან მასთან შერკინების გარეშე ყოფა აზრს კარგავს.

1261. ქვეყნის ყოფა, მისი მართვის ხელოვნება მაშინ კადნიერდება, როდესაც აზროვნება დევალვირდება და ქვეყნის ,,ტვინები" სხვაგან გადასახლდებიან, იყიდებიან და ნასუფრალშიც ფულს იხდიან.

1262. ადამიანის აზრია ხელშეუხებელი და არა მისი განხორციელების მცდელობა, მიუხედავად იმისა, სიკეთის კეთებისთვის არის შემართული თუ – პირიქით.

1263. ჭკუის სავარჯიშო ჩმახია, უნებლიედ მოსულ აზრთა აბდაუბდა, რომელთა განსჯას, მოწესრიგებას და გონიერების საწყისის მიცემას ფილოსოფია ცდილობს.

1264. პანიკაა სირცხვილი და არა შიში, რომელიც შენს ახლობლებზე ზრუნვითაა გამოწვეული.

1265. აუცილებლობა, დაუგეგმავი ჭკუის ჭყლეტის და ახლის შექმნადახვეწის საწინდარია, თუმცა არც ცალკეული ნიჭის გათავხედებაა ხელწამოსაკრავი, რომელიც თავისი სიამოვნებისთვის იღწვის.

1266. გაჭირვება, უფულობა, უგვანობა უნიჭობის მაჩვენებელია.

1267. ყოველივე ახლის აღქმა, ჭკუაზე წიხლის დაჭერას ითხოვს, ყოველგვარი გადახალისება ქაოს, ყველა ძველის გააზრება ნაღვლიან ღიმოლს, რადგან ასაკი გვევაჭრება და სიახლის გათავისების არც თავი გვაქვს და არც სურვილი.

არჩევნები, პარლამენტი

1268. პოლიტიკური პარტიები ფაქტიურად იმიტომ იქმნება, რომ ამომრჩევლის გული მოინადიროს და არა იმიტომ, რომ ფიქტიური ძალაუფლება მიიტაცოს, მოიპაროს, დაკოდოს.

1269. წინათ მაიას ტომის ყველაზე დიდი ქურუმი ტატუირებას ატარებდა სიამაყის ნიშნად, დღეს რა გვიშლის ხელს, რომ სახელმწიფო მოხელეები მოვხატოთ, რათა ამომრჩეველი იცნობდეს თავის ბელადსა და დეპუტატებს.

1270. პოლიტიკური ტექნოლოგია ის ხელოვნებაა, როდესაც ამომრჩეველს თავის არჩეულთან შეხვედრაც არ უნდა.

1271. პარლამენტის ყველა წევრს თვალი მგლობაზე უჭირავს, თუ გაერთიანდნენ, ხროვის კანონით მოქმედებენ, სარფიან საქმეს ლობირებას უკეთებენ და ხალხისთვის საჩვენებელი დემოკრატიული ბიშტი მუდამ გამზადებული აქვთ.

1272. ვინც არჩევნების დროს ცდუნებას გაუძლებს არ იყოს პოლიტიკური ნაძირალა, დეპუტატის მანდატს იმსახურებს.

1273. ხალხმა პრეზიდენტი კი არ უნდა შეარჩიოს, არამედ თავად უნდა გამონახოს და აირჩიოს.

1274. პირველი პირი უნდა ავირჩიოთ, დანარჩენი მანვე უნდა დანიშნოს და მათზე პასუხიც აგოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამდენი არჩევნების გადამკიდე ხალხიც დანაშაულის მონაწილე ხდება.

1275. ზოგიერთ ამომრჩეველს პოლიტიკური სკანდალის გარეშე კანდიდატის დანახვაც არ უნდა.

1276. არჩევნებით შეიძლება გახდე ქვეყნის მმართველი და არა მისთვის საჭირო მოხელე.

1277. თუ ორი სიავიდან ერთის არჩევა შეიძლება, ის, სიავე არ ყოფილა.

1278. არის ძალაუფლება ზევიდან – განგების კარნახით, არის ძალაუფლება ქვევიდან – ამომრჩევლის ნაჩალიჩარი, მაგრამ ორივეს ფაქტობრივად ადამიანი ირჩევს თავის უგუნურებით და გულგრილობით, რომლითაც თავადვე ზარალდებიან.

1279. ოცნებას და სიფარულს კენჭი არ ეყრება, განსხვავებით არჩევითობიდან მიუხედავად იმისა, საქმის კეთებას ემსახურება თუ ქვეყნის ძლიერებას.

1280. არჩევნები, ფაქტიურად, გიჟის პერანგის ჩამოცმაა ხალხისთვის, რადგან კონსტიტუციის ჩანაფიქრს, – ხარისხიანი მმართველის მოსვლას, – უმთავრესად ვერ უზრუნველყოფს.

1281. არჩევნების დროს პარტიას კი არ უნდა დაუჭირო მხარი, არამედ იმას, ვინც საქმეს გამოადგება და შენც გამოადგები.

1282. ალტერნატიული არჩევნები ყოველთვის უალტერნატივოა, როდესაც ხალხს აზროვნება არ სურს და არჩევანს გულით, წამხედურობით, გარეგნობის ხარჯზე აკეთებს.

1283. ბრბოს ქვეყნის მმართველის არჩევა არ უნდა ვანდოთ, მაგრამ არც უიმისობა იქნება, რადგან თუ მათ უხეში შეცდომის უფლება აქვთ, გონიერებას გადაცდენასაც არ აპატიებენ.

1284. ხელისუფლება თავის ამომრჩევლის წინაშე შეიძლება მართალი იყოს – „რაც ერი – ის მრევლი" – მაგრამ თავის წინაშე არასოდეს, რადგან ის თავის ხალხზე ისე ვერ ამაღლდება რომ მათ თავი უკეთ იგრძნონ.

1285. ხალხის გადაჭარბებული არც დაფასება შეიძლება და არც შეფასება, რადგან თუ ქვეყნის საქმე კარგად მიდის, ამომრჩევლის დამსახურებაა, ხოლო თუ ცუდად – ხელისუფლების, რომელმაც მათი განაწესი ვერ შეასრულა.

1286. კანდიდატს ხმა უნდა მივცეთ სიფარულით, სინდისის ქენჯნით და მოსალოდნელი შედეგების გათვალისწინება – განჭვრეტით.

1287. ფელა ჩვენგანი უფლებით სენატორია, მაგრამ შინაგანად გვაქვს ამის უფლება თუ არა, ამაზე არავინ ფიქრობს, რადგან ხშირად ასარჩევიც არაფერია.

1288. ამომრჩევლის მთელი უბედურება ის არის, რომ ხარისხს არ დაგიდევს, რაც „პიპლი-პიპლოა" იმას ირჩევს.

1289. არჩევნებში ინტელიგენციის მხარის დაჭერას, ისევ საქმიანი ხალხის მხარეზე დგომა ჯობს, რადგან პირველის აზროვნება მერფვია, ქმედება სათუო, ხოლო მეორეთა მხარეზე შემოქმედებითი ნიჭი და მომწიფებული სურვილი დგას.

1290. ზოგი იმდენად ემოციური და არაპრაქტიკულია, რომ საკუთარი ხმაც კი არ უნდა ანდო არჩევნებში.

1291. ფელა თაობა კარიერის სკამისკენ მიისწრაფის და თავის წარმოჩენის ცდაშია, ამიტომ არჩევანს მღვრიე წყალში აკეთებს უგუნურების ხარჯზე, იქნებ დაუმსახურებლად ხელი რაიმეს გამოკრას.

1292. თანამედროვე არჩევნები გიჟის პერანგის შეუმჩნეველი ჩამოცმაა ხალხზე, რათა ძალაუფლებამ ხალხიც გაიფანოს ქვეყნის უგერგილოდ მართვის საქმეში და თანაც ნიშანი მიუგოს, გვაცალეთ, ბატონო, ბალახტარობა და ხელის მოთბობა!

1293. პოლიტიკას ისევ ამომრჩევლის ქვენა ცნობიერება აბინძურებს, რომელსაც არჩევანსაც კი გართობის მიზნით და სეირის საყურებლად აკეთებს.

1294. დეპუტატებს ყბედობისთვის დრო იმიტომ რჩებათ, რომ უსაქმურობისთვის პასუხს არ სთხოვენ და მათ შესაძლებლობებს რეალურად არავინ ამოწმებს.

1295. ყველაზე მეტად იტყუებიან მონადირენი, არჩევნების მომწყობნი და გამარჯვებულის გვერდზე მდგომი ადამიანები.

1296. არჩევნების დროს არავითარი მნიშვნელობა არ აქვს ხალხის, ბრბოს, მასის, ხროვის წარმომადგენელი ხარ თუ პიროვნება, მოქალაქე, ქვეყნის მსახური, თუ შემთხვევამ, განგებამ, არ ინება ჩვენი გზაზე დაყენება.

1297. დეპუტატად არჩევა არ ნიშნავს სინდისის თვითგანადგურების მცდელობას მონანიებით.

1298. ყველა ქვეყნის მმართველს დასაყრდენად პარლამენტი უნდა ჰყავდეს, რომლის ხეირიანად წარმოჩენა ამომრჩეველთა ვალია.

1299. ხელისუფლება ხშირად იმაზე სწრაფად იხრწნება, ვიდრე ამომრჩეველს ჰგონია და ოპონენტები ნიშნს მიუგებენ.

1300. არჩევნები თავისებური ლატარეაა, რომელსაც ხანდახან ფორტუნის რჩეულიც ხელს გამოკრავს.

1301. ყველა არჩევნების შედეგი ოპოზიციისთვის არადამაკმაყოფილებელია.

1302. პოლიტიკოს „მეწაღესა“ და პროფესიონალს შორის დიდი სხვაობაა, რადგან პირველი შეიძლება არჩევნების შემდეგ მთავრობაში მოხვდეს და ხალხს ფეხსაცმელი გახადოს, ხოლო მეორემ უნდა თუ არა, ხალხს ფეხსაცმელს თუ არ ჩააცმევს, ფეხშიშველი სიარული მაინც უნდა ასწავლოს.

1303. ქვეყნის აღმავლობას პიროვნება სჭირდება, რომელიც ყველა დროში იბადება, მაგრამ მისი წარმოჩენა, არჩევა, იშვიათად ხერხდება.

1304. თეორიულად პარლამენტში, მთავრობაში, მოღვაწეობა კატორღული სამუშაოა ქვეყნის და ხალხის საკეთილდღეოდ, პრაქტიკულად კი ყოველივე პირუკუღმა გამოსდით.

1305. პოლიტიკოსი, რომელიც დემოკრატიულ ქვეყანაში ხალხს სიმართლეს უმალავს და თვალის ასახვევად ეღადავება, ნაძირალაა, რადგან ცდილობს მოატყუოს ამომრჩეველი, რომელმაც ძალაუფლებით აღჭურვა და ქვეყნის სამართავად მოიყვანა.

1306. ძალზე ძნელია გავიგოთ ასე უხეიროდ რატომ გვაცხოვრებს ჩვენს მიერ არჩეული ხელისუფლება, ალბათ ჩვენი გულგრილობის გამო.

1307. საზოგადოების აზრი რომ ნდობას არ იმსახურებს, ამას არჩევნები გვიჩვენებს, როცა მათი რჩეული ყბედი და ნაძირალაა.

1308. პოლიტიკაში, ასე თუ ისე, ყველა „ვერკვევით", მაგრამ მაკვირვებს ჩვენი არჩეულის ქმედება, იმდენად უგვანოდ და უსუსურად ექცევა თანამდებობას.

1309. ხელისუფლებამ, ზოგჯერ სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, შეიძლება დაივიწყოს წინასაარჩევნო დაპირება, მაგრამ გულზე ხელების დაწყობის გარეშე.

1310. არჩევნებში გამარჯვება პოპულარობის შედეგია, აღიარება ღირსების დამსახურებაა, მაგრამ ამ უკანასკნელს, პირველისაგან განსხვავებით, გენიალობა სჭირდება, რადგან მარტო ნიჭი არ კმარა.

1311. არჩევნებში ყველას წინააღმდეგ ხმის მიცემა ან საერთოდ არ გამოცხადება, ხელისუფლებისათვის ბიშტის ჩვენებაა იმ განსხვავებით, რომ პირველს ქვეყნის ბედი აწუხებს, მეორეს ფეხებზე ჰკიდია.

1312. თავისი არჩეული მთავრობა, უნდა თუ არა, ხალხმა უნდა აიტანოს, რათა უაზრობასა და „ქაქის" ჭამას გადაეჩვიოს.

1313. ბრბოს, ხალხსა და მოქალაქეს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი არჩევანს ემოციების ხარჯზე აკეთებს, მეორე – საერთო შეხედულებების, ხოლო მესამე – აზროვნება-ანალიზის შედეგად.

1314. ხალხი ხელისუფლებას, არჩევნების მეშვეობით, დროებით ქირაობს, მას კი თანამდებობაზე ყოფნა უტკბება და მუდმივ შტატში ჩარიცხვას ცდილობს.

1315. პარლამენტში მუშა ცხენები უნდა მოღვაწეობდნენ და არა – დოღის.

1316. პოლიტიკაზე მონადირესთვის, არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში ყველაზე ძნელია „მოკლული დათვის ტყავის" თანამდებობის სახით გადანაწილება.

1317. რადგან განგებამ ჩვენს გონიერებას სხვადასხვა გაგრძელება მისცა, ის ერთსულოვან და ჭკვიანურ არჩევანს ვერასოდეს გააკეთებს.

1318. როგორც ცხოვრებამ დაგვანახა, საყოველთაო არჩევნები არავითარ როლს არ თამაშობს ქვეყნის იმიჯის ასამაღლებლად იმ ხარჯებთან შედარებით, რაც მისი ჩატარებისას იხარჯება. უპრიანი ხომ არ იქნება ეს საქმიანობა ერთხელ შერჩეულ უხუცესთა საბჭოს აეღო ხელში, კანდიდატისთვის სახალხო და საყოველთაო გამოცდის ჩაბარებით და ასე გაგვემწესებინა საკვანძო თანამდებობებზე.

1319. თავისუფალ სახელმწიფოში ფარული კენჭისყრით საყოველთაო არჩევნების ჩატარება დემოკრატიის დაცინვაა, რადგან მთავარი

პრინციპი – შენი აზრის სახალხოდ და უშიშრად გამოთქმისა – ხუნდე-ბა.

1320. დეპუტატი ხელშეუხებელია, მაგრამ არა – მისი რქებდადგმუ-ლი ამომრჩევლისთვის.

1321. ხშირად ძალაუფლებას მეთავისე ყეყჩები ისაკუთრებენ, რათა ჭკვიან ხალხში ბუნტი გამოიწვიონ, ბრბოდ აქციონ და ისევ უკეთურები აირჩიონ – დანიშნონ თავის შეხედულებისამებრ.

1322. ქვეყნის პრეზიდენტად არჩევას თავისი განზომილება აქვს: სად, როდის, რისთვის, დროის რა მონაკვეთის ჯამში, რას იხეირებს საზო-გადოება მისგან და არა სიფარულის, გმირობის, ამბიციების რა ინტეგ-რალებს შემოგვთავაზებს „დროის გადასაფანად", რადგან ეს უკვე ის-ტორიკოსების და მწერლების საქმეა.

1323. სამწუხაროდ, ქვეყნის პრეზიდენტს აფექტიური პოტენციალსა, ამბიციების ხარჯზე ირჩევენ და არა მომავლის ჭვრეტის და გონიერების გათვალისწინებით.

1324. მარადმწვანე დეპუტატობა და რამდენჯერმე პარლამენტში ადგილის შენარჩუნება თავისებური ხელოვნება.

1325. საზოგადოებრივი აზრი გონების დაწყნარება-დაღვინების და პოლიტიკისთვის ბრანწის ჩვენების უნარია, რადგან საარჩევნო ფარსს არ წამოეგო და არჩევანიც მოგუდული ჭკუა-გონებით გაკეთდა.

1326. დღევანდელი ცოდნა და პოლიტიკაში დაგროვილი გამოც-დილება იძლევა იმის საშუალებას, რომ ქვეყნის სათავეში შემთხვევითი პირი არ მოვიყვანოთ, მაგრამ ყველა ანალიზის საწინააღმდეგოდ ხალხი მაინც ვიგინდარას ირჩევს, რადგან ის ემოციებით აზროვნებს და არა – გონებით.

1327. ხელისუფლება მკაცრი მამა უნდა იყოს ან მომჭირნე, „ოჯახის მუჭუჭი" დედა, მაგრამ მშობლების არჩევანი მაინც იმ ხალხს ბრალდე-ბა, რომელიც აზრზე არ არის, რა ხდება ამქვეყნად და არც უნდა იცოდეს.

1328. ქვეყანაში, სადაც ყოველივე ქრთამზე, ძალადობაზეა დამოკი-დებული, წესრიგი არასდროს დამყარდება, თუკი ეს ქვეყნის მომდვნო კრიზის მომწყობის მოხერხებულობით არ იქნა აღმოფხვრილი. ამ შემ-თხვევაში დემოკრატია და საყოველთაო არჩევნები უძლურია და სიტყ-ვის მასალაა.

1329. სამწუხაროდ, ხელისუფლებას ის ხალხი იჩევს და ანებივრებს, რომელთაც მასშტაბური და წინდახედული აზროვნება არ გააჩნიათ და არჩევანს ემოციებით, აფექტით და უსუსური ამბიციებით აკეთებენ.

1330. რაც უფრო ბრიყვი, უხეში და გამოუცნობია ცხენი, მისი გამარჯვების უფრო სჯერათ, ასევეა არჩევნებშიც: ბრბო იმას ირჩევს, ვინც ყველაზე სათუოა, ყბედია.

1331. ხელისუფლებაში მოსული, ალბათ, თავისებურად მართალია, ცხოვრების მოწყობას რომ იწყებს და გამოძალვაზე ფიქრობს, რადგან როგორც დღევანდელი გამოცდილება გვკარნახობს, ამ ვაი დემოკრატიის პირობებში, ახალი არჩევნები ვის მოიყვან სათავეში და როდის გამოაგდებენ თავისიანებით შესაცვლელად, არავინ უწყის.

1332. არის გატაცება არჩევანით, რომელიც ყოველთვის გაკვირვებას იწვევს მიუხედავად იმისა, საკითხი გადაწყვეტილი იქნება თუ არა.

1333. სიტყვა ჩიტი არ არის, გაფრინდეს და უკან დაბრუნდეს, მაგრამ თუ დასჭირდათ, გაასამართლებენ, გალიაში ჩასვამენ და სასჯელსაც მოახდევინებენ. ამრიგად, სიტყვის თავისუფლებასაც ფასი ეკარგება თუ ამომრჩეველი ღმერთს არ უქნია.

1334. როდესაც სამარშრუტო ტრანსპორტი, საცობების გამო, გაჩერებიდან მოშორებით, შუა ქუჩაში, ხალხს გადმოსხამს, ეს ყველა მგზავრის სურვილია, მაგრამ საკმარისია უბედური შემთხვევით დამთავრდეს მოძრაობის წესების დარღვევა, ყველა მძღოლს ადანაშაულებს. ასევეა პოლიტიკაშიც: სურვილით ირჩევენ და გარემოებათა გამო საქმეს თუ თავი ვერ გაართვა, გინებას დაუწყებენ თავიანთ რჩეულს.

1335. ყველა სახელმწიფოს ჰყავს ხალხის არჩეული ნაძირალა მმართველობაში, რადგან არსებობს უგნურება ქიშპობის, ბოღმის, შურიანობის, რომელსაც ადამიანის ბუნების უმეცრება ვერსად გაექცევა.

1336. როცა ირკვევა ხალხს ხელისუფლების არჩევანიც კი არ უნდა ვანდოთ, მაგრამ ამბიციების დასამშვიდებლად სხვა ხეირიანი საშუალებაც რომ არ ჩანს?

1337. ოპოზიცია ძალაუფლების მაძიებელი დაჯგუფებაა, რომელიც საარჩევნო ხმების განაღდების შემდგომ დანაპირებთა შესრულებით მაინცდამაინც არ ინტერესდება.

1338. კანდიდატს მაშინ უნდა მივცეთ ხმა, თუ გვეცოდინება: ძუნწია თუ უხვი, ომის მოსურნეა თუ მშვიდობის მომხრე, პატივმოყვარე თუ არა, პატივისცემით სარგებლობს თუ არა, არის სიტყვის კაცი თუ არა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისთვის თავის შეწუხება და არჩევნებზე მისვლა არ ღირს.

1339. არჩევნების შედეგად ცრუქაქუნა შეიძლება პარლამენტიც იყოს, მთავრობაც და ქვეყნის პრეზიდენტიც.

1340. პარლამენტი თავისებური სამშობიაროა, სადაც ჯანმრთელი კანონების ნაცვლად, რატომღაც უდღეური და რახიტიანები იბადებიან.

1341. მოხერხებული და საქმიანი კაცისთვის მთავრობა და პარლამენტი ყოველთვის საჯირითო ადგილი იყო.

1342. არჩევნებს მთელი მონდომებით და გულისყურით მაშინ ატარებენ, როდესაც ასარჩევი არაფერია ან ყოველივე წინასწარ ცნობილია.

1343. ხელისუფლების აბორტზე მის დაბადებამდე უნდა ვიზრუნოთ, ხოლო თუ დაიბადა, მომდევნო არჩევნებამდე უნდა გავუძლოთ.

1344. მართალია, პარლამენტი უქნარათა, ,,შატალოს'' მოყვარულთა საბუდარია, მაგრამ სამაგიეროდ, ,,განტევების ვაცია'', მთავრობა და ხალხი ხშირად მათ ახოცავს ხელს.

1345. კანონის უზენაესობა ცხოველთა მეფისთვისაც ერთია და ხელისუფლებისთვისაც. მაგრამ ამ უკანასკნელს დეპუტატობის დამოძღვრილი კანონებიბიდან თავის დაძვრენა შეუძლია..

1346. პატრიოტიზმი, ნაციონალიზმის სიმებით აჟღერებული, ყველაზე დიდი ქრთამის გაღებაა მოუწესრიგებელი ქვეყნის ამომრჩევლისთვის.

1347. პარლამენტში მოხვედრა გაპრესტიჟებული თავის გამოჩენაა და არა – ღირსეული წარმოჩენა.

1348. დუმის, პარლამენტის, არჩევანი კი არ უნდა მოხდეს, არამედ შერჩევა, ვიღაცა მათზე პასუხს მაინც უნდა აგებდეს ოფიციალურად, რადგან ხალხს ამის სურვილი არ აქვს.

1349. სამშობლოსადმი სიყვარულმა ისე არ უნდა გაგვაბრუოს-გაგვაბრიყოს, რომ ჰიტლერის ტიპის მმართველს ქვეყანა ანდო, რადგან უგვანო ნაციონალიზმის გადაჭარბებული ფანატიზმის ნაყოფს უკლებლივ ყველა ამომრჩეველი მოიმკის.

1350. გაბახებული საყოველთაო არჩევნების შედეგად ხალხი არჩევანის ხალისს კარგავს.

1351. აზროვნების არჩევა მაშინ გვჭირდება, როდესაც რაღაც ასარჩევი გაქვს და არა მაშინ, როდესაც ,,ატარექსი'' გაქვს, არც არაფერზე ნერვიულობ და არც არაფერს ამბობ.

1352. ილუზიონისტი ძალაუფლებამოპოვებული ,,ფოკუსნიკისაგან'' იმით განსხვავდება, რომ პირველი კეთილი ჯადოქარია და ხალხს თავისი ხელოვნებით აოცებს, ხოლო მეორე უხერხემლოა, გულგრილია, ხისტია და დანაპირების შეუსრულებლობით ამომრჩეველს აკვირვებს.

1353. იმის მიუხედავად, რომ ხალხი ირჩევს ხელისუფლებას, რატომღაც ჰგონია რომ ის სჯობს ხელისუფლებას და არა – პირიქით.

1354. საოცარია, რატომ ვემორჩილებით უმრავლესობას, როდესაც ვიცით, რომ ისინი არც მართლები, არც ძლიერნი და ყველაფრის მიმართ გულგრილნი არიან, ალბათ, იმიტომ, რომ ბრბოდ ქცეულებს დავუყვავოთ, გიჟის პერანგი ჩავაცვათ, რათა მეტი სისულელე არ ჩაიდინონ.

1355. ძალისმიერი რეჟიმის დროს ვირჩევთ სულით გარყვნილს, ხოლო დემოკრატიის დროს თავადვე ვირყვნებით, რადგან ერთმანეთის ჯიბრზე არჩევანი ვერ გაგვიკეთებია და უდღეური ფანტაზიის წყალობით გვინდა ვიღაცას ფრთები შევასხათ.

1356. პოლიტიკა ბიზნესისგან განსხვავებით, თავისებური „გართობაა", რადგან ხშირად სიტყვაზე და საქმიანობაზე პასუხს არ აგებს. ფაქტი მომდევნო ულიმღამო არჩევნების შედეგი.

1357. ძნელია, როდესაც ხალხს ხელისუფალი არ უყვარს, მაგრამ ითმენს, რადგან მან სხვა უკეთესის შერჩევა ვერ მოახერხა.

1358. პარლამენტში ხშირად იმაზე კამათობენ რაც მეორეხარისხოვანია, გამომზეურებას არ საჭიროებს და საქმეს არ ხმარდება, რადგან სხვანაირად „გოიმ" პარლამენტარებს თავის წარმოჩენა არ შეუძლიათ.

1359. შეიძლება მთავრობაში აგირჩიონ, მაგრამ მეცნიერად, ხელოვანად და შენი ქვეყნის ნაღდ მსახურად არჩევით ვერ იქცევი.

1360. პოლიტიკასა და არჩევნებს არასოდეს უნდა მოვექცეთ მხდალად და ზანტად, რადგან ეს თავის გაყიდვის ტოლფასია და ზოგჯერ ქვეყნისთვისაც დამღუპველია.

1361. გვინდა-არ გვინდა, არჩევნები მაინც მოხერხებულთა შოუა და ხშირად ხალხის გონიერება-უგუნურობა არაფერ შუაშია.

1362. უმცირესობის მხარეს ყოფნა და ლოდების მოგერიებაა ძნელი, თორემ უმრავლესობაში ყოფნა და ნაირ-ნაირი ქვების სროლა დიდ ვაჟკაცობას არ მოითხოვს.

1363. „ჯავრი პოლიტიკოსები" ამომრჩევლის დარდია, მაგრამ ზოგი მათი მომხრეა, მიმდევარია და მათი საქმიანობის „რეკონსტრუქციას" მოითხოვს.

1364. ხალხი, რომელსაც თავისუფალი არჩევის შესაძლებლობა აქვს, ცდება, რადგან ვერ აზროვნებს და არჩევანს სულით აკეთებს და არა განსჯით, თუ გარეგნობა და ყბედობა მოეწონა.

1365. მასის გემოვნებას, „გონიერებას", საშუალო შეწონილი აზრი არ გააჩნია, მაგრამ რა გინდა ქნა, ხელისუფლებას ის ირჩევს.

1366. დღევანდელი პარლამენტის სხდომების ცარიელ სკამებს რომ უყურებ, ხვდები, რომ ათი პატიოსანი და თავის საქმის მცოდნე პრო-

ფესიონალი თავისუფლად შეცვლიდა პარლამენტის მრავალ წევრს მათთვის პარლამენტის აპარატის შენახვას მეოთხედი თანხა რომ გადაგვეხადა მაგრამ რა ვუყოთ ხალხის ნებას, მათზე გიჟის პერანგის ჩამოცმას და დაფედრებას – რა ხალხიც აირჩიეთ, ის პარლამენტი გყავთო.

1367. ბედნიერების საწარმოებელი ქარხნის მშენებლობას ფელა ასარჩევად გამზადებული კანდიდატი გვპირდება, მაგრამ მისი შენების ნიჭი ერთეულ ბედნიერ გამონაკლისთა ხვედრია.

1368. არჩევნების დროს, გიჟის პერანგის ჩამოცმა ამომრჩევლის ექსცესების და მოჭარბებული ენერგიის დასაოკებლად, წინასწარ გათვლილია, ოღონდ წარმატების მიღწევის შემდგომ გათვლილი, ეს პოლიტიკური მეურვეობა გულგრილობაში გადაიზრდება.

1369. არჩევანის უფლება სიკვდილ-სიცოცხლის გასაყარზე ბედის წყალობაა, თუ განგებაც ჩვენს მხარეს დადგება.

1370. ზოგი პარლამენტარი ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს პარლამენტის ნაცვლად იმ ფსიქიატრიულ საავადმყოფოშია, რომელიც გამოცდილმა ექიმებმა დიდი ხანია დატოვეს და მკურნალობა თავად ითავეს, მით უმეტეს, რომ აქ მოხვედრის დარეხვილ მსურველთ რა გამოლევს.

1371. დეპუტატებს ისეთი გადატვირთული და მკაცრი სამუშაო გრაფიკი უნდა შევთავაზოთ, რომ უსაქმურებს და ფუჭ პოლიტიკოსებს მეორედ კანდიდატებად თავის წამოყენება დაეზაროთ.

1372. არჩევნებამდე ფელა ხალხის სიყვარულზე და მის სამსახურზე დებს თავს, აირჩევენ და ის ამომრჩეველი უნდა იმსახუროს, რომელმაც „თავის მობეზრება“ უკვე მოასწრო.

1373. ფული შურს იწვევს, სიმდიდრე – მორიდებას, გონიერება – პატივისცემას, ძალაუფლება – მოკრძალებას, მაგრამ რას იწვევს მოწოდება, რომ შენ აგირჩიონ და ძალაუფლება განდონ ძნელად გასარკვევია.

1374. სარწმუნოება და საყოველთაო არჩევნები ადამიანის გაბიაბურების, გონიერების დაჩმორების და ხალხის უფლების წარმოჩენა-წართმევის დემონსტრირების ფელაზე აქტიური ფორმა, მაგრამ ჯერ-ჯერობით საზოგადოების მართვის უკეთესი ალგორითმი კაცობრიობას ჯერ ვერ შეუქმნია.

1375. საყოველთაო არჩევნები სინამდვილეში დიდი სიბრიყვეა და ხალხისთვის დაპირებების სათქვლეფის მიგდება, ხელისუფალთა თავის დაზღვევის ალიბით, რადგან გადამეტებული სოციოლოგიის და პოლი-

ტოლოგიის თავზე მოხვევით მოსახლეობის უმეტესი ნაწილის მაინც მოუმწიფებელ ამომრჩევლად.

1376. არჩევანის უფლება თავისებური კაიფია, რადგან თავს პიროვ-ნებად გრძნობ, მოქალაქეობრივ ვალს იხდი და გგონია შენს ნება-სურვილზეა დამოკიდებული ქვეყნის აღმავლობის და ვიღაცის დანიშ-ვნის ბედი.

1377. ბევრი რეგვენი, ჩერჩეტი, აბუეტი და შტერია, ვინც ჩვენ გვმართავს და თავზე გვაზის, მაგრამ არც ამომრჩეველია უცოდველი, როდესაც ამის უფლებას ყველა ვიგინდარას, თავხედს, გაიძვერას, აძ-ლევს.

1378. დემოკრატიაც და დიქტატურაც არჩევნებით იწყება, მაგრამ დროის ჭირვეულობა ერთსაც ჭიტლაყს ამოკრავს და მეორესაც, ეს კონსტიტუციურად მოხდება თუ რევოლუციით.

1379. კენჭისყრა უნდა ჩატარდეს სმენის, მხედველობის, გონიერების, მოშველიებით და არა – გულით, რომელიც არც ისე ხელწამოსაკრავი არგუმენტია, მაგრამ ჭეშმარიტების საზომად მაინც არ გვევლინება.

1380. მობილიზაცია იგივე პატრიოტიზმია, როდესაც ქვეყანა უგნუ-რობის არჩევანის წინაშეა.

1381. არჩევნები თავისებური ეროტიკული შოუა, რომელსაც მეტ-ნაკლებად, ყველა ქვეყანა თავისი ვირეშმაკობით ატარებს.

1382. არჩევანის უფლება ბედნიერების საწინდარი არ არის, თუ თან ბედიც არ დაჰყვა.

1383. არჩევანი გამდიდრებაში შეჭრილ გონიერებას უნდა ვანდოთ, რომლისთვისაც უპირველესი საზოგადოებას გაძლიერება-გამდიდრებაა, მაგრამ ამომრჩეველი ხშირად ყბედს აძლევს უპირატესობას, რადგან პირველის მცდელობა აზროვნება-გამოცდილებით მოძოვა-გადამუშავებას მოითხოვს, ხოლო მეორე სხვის ნაცოხნარს უზრუნველად გვთავაზობს. პირველს ამომრჩეველის მენტალიტეტს ვერ შეეგუება, მეორე ადვილად გასაგებია და ბზინვარებაც არ აკლია.

1384. არჩევითობამ თანდათანობით უნდა ჩამოაყალიბოს ქვეყნის კონსტიტუცია, კანონები და სამართლიანი სახელმწიფოებრიობა და არა ყბადაღებულმა „ხალხის ნებამ“, რომელიც დროის ვიგინდარობის ხმასაა აყოლილი და მისი ბრბოდ გადაქცევა დიდ მცდელობას არ საჭიროებს თუ შემთხვევა და უგნური ხელისუფალი ქვეყნის სათავეში აღმოჩნდება.

1385. უნიჭობას არჩევნები არ სჭირდება, რაც არ უნდა არჩევითობით შევფუთნოთ, ის მაინც უგვანობა და ზარალის მომტანი იქნება.

ახალგაზრდობა, ჯეელობა, ასაკი

1386. ჯეელობა ხანდახან მისთვის გაუთვითცნობიერებელ იდეალებსაც ეწირება, რადგან მან სიცოცხლის ფასი არ იცის, ხოლო ასაკმა იდეები უკვე გადააფასა და სიცოცხლეს ეღრიჯინება ამქვეყნად ზედმეტად ყოფნისათვის.

1387. პატარ-პატარა ნაკლი და დანაკარგები კადრების აღზრდისთვის გარდაუვალია, ეს ხელს უწყობს ახალგაზრდობის დაოსტატებას და პროგრესის წინ წაგდებას.

1388. მომდევნო თაობა ისტორიას საუკუნის გადასახედიდან ავსებს და არ აინტერესებს განვითარების პროცესები, სურვილების შესაძლებლობები, ჰუმანურობა, კაიკაცობა – უბრალოდ ვერ იცლის.

1389. სიცოცხლის სილაღე ახალგაზრდობაში უნდა ვიგემოთ, ხოლო ფასი სიბერეში უნდა დავადოთ.

1390. ჯეელობაში ნატარებ დროს, ადგილს, იმედს, ოცნებას, სიყვარულს წყდიადი არასდროს მიეკარება, რადგან ის ჩვენთვის ყველაზე სათუთი და ძვირფასია.

1391. ჩვენი ბავშვობის ცა ყოველთვის მოწმენდილი გვეჩვენება, რადგან ეს ცხოვრების დაისთან მიახლოების კეთილი შურია.

1392. ბავშვის აღზრდის, თეორია და პრაქტიკა ხშირად ერთმანეთს არ ემთხვევა, რადგან მშობლებისაგან განსხვავებით, მათი ხასიათი, მისწრაფება და ნიჭი სხვადასხვა კუთხითაა გაგებული.

1393. ახალგაზრდობა გვეძლევა ერთხელ და ჩვენი წილი სისულელის ჩასადენად სხვა ასაკი უნდა მოვნახოთ და გადავანაწილოთ.

1394. ცოტა მოთმინება, ცოტა გაგება, ცოტა ტანჯვა და ყველაფერი თავის გზით წავა. სწორედ ეს არის, რომ არ მოგვწონს ახალგაზრდობაში.

1395. ახალგაზრდობას სისხლის მჩქეფარება და მისი დაშოშმინება აწუხებს, ხოლო სიბერეს სისხლის მდგრადობა და მის აჩქეფვაზე ფიქრი.

1396. შვილებს მშობლების ფასს, სიბერეში, მათივე შვილები აგებინებენ.

1397. სულით ახალგაზრდობა კარგია, თუ სხეულს ობი არ აქვს მოდებული.

1398. სიბერის უბედურება ის არის, რომ თავის გადამწიფებული გონიერებით ახალგაზრდობისას ეხმიანება, მაგრამ დროს ვერ მოურგო.

1399. სიბერე გვაძლევს საშუალებას ახალგაზრდობის გამოცდილებას მოკლებული წლები ასაკში იუმორით მოვიხსენიოთ.

1400. ასაკიც ანტიკვარული უნდა იყოს თავისი სტატუსით და შემართებით.

1401. სიამოვნებით ძველ დროს კი არ ვიხსენებთ, არამედ იმ ასაკს, რომელსაც ხშირად ყველაფერი ფეხებზე ეკიდა.

1402. ნოსტალგია ჩვენი ახალგაზრდობის სინონიმია და გადამოწმება იმისა, თუ როგორ შეიძლებოდა დრო უკეთ გვეტარებინა.

1403. სანატრელად გვაქვს ის წლები, როდესაც ჯოჯოხეთიც ფეხებზე გეკიდა და სამოთხეც და გარეშეთა აზრი შენს მიმართ არ გაღელვებდა.

1404. ჯველობაში ბევრს კრიმინალური თუ არა, მასთან მიახლოებული ქმედება მაინც ჩაგვიდენია, მაგრამ კანონის გონიერება შემდეგშიც მდგომარეობს, ახალგაზრდობის ეს თავხედობა ისე არ უნდა დავსაჯოთ, რომ სიბერეში სასიამოვნო გასახსენებელი წავართვათ.

1405. მეგობრობისკენ ლტოლვა ახალგაზრდობის სულის პრეროგატივაა, სადაც გონიერება არ ვაჭრობს, რადგან დაახლოება ღირებულებების გადაფასების გარეშე ხდება.

1406. ჯველობაში ხშირად ჩვენი ამბიციების შავი ხიზილალით დანაყრება ჩვენთვის გასაგებ ტრაბახის ნარკოტიკად მიგვაჩნდა და ეს ამ ასაკს არ გაემტყუნება.

1407. ახალგაზრდობის რომანტიკას, სიჭარმაგის გადასახედიდან, მრავალი წუნი გააჩნია, მაგრამ მათი შეხედულებები მეტასტაზებით არ არის დაავადებული. ამასთან კარგია ის, რომ ჯველობას თავის რომანტიზმის შეფასება არ შეუძლია, რადგან ამისთვის წლები და გამოცდილება არ ჰყოფნით.

1408. ყველას ჩვენი ახალგაზრდობის და „ღირშესანიშნავი“ წარსულის გახსენება გვსიამოვნებს, მისი ხარისხის მიუხედავად.

1409. ახალგაზრდობა ავხორცობაზე ფიქრობს, ასაკი – სიმყუდროვეზე და კარგია, რომ ვერც ერთი თავისი შეხედულებისამებრ ცხოვრებას ვერ ახორციელებს, თორემ გარდამავალი ასაკის „აიწონა-დაიწონა“ ჩვენდა უნებლიედ დაგვეკარგებოდა.

1410. ახალგაზრდობა ცდილობს მომენტი ხელიდან არ გაუშვას, ასაკს ამ შემთხვევების დაჭერის მცდელობით თავი აქვს მობეზრებული, მაგრამ თვალი მაინც მისკენ გაურბის, იქნებ სიბერეში მიწვდეს იმას, რასაც ჯველობაში ვერ შეწვდა.

1411. ახალგაზრდული ეშხის გამოუცდელობას, ცხოვრების უცოდინრობას, ვერავითარი დამაკიაჟებელი ასაკი ვერ შეედრება, რადგან ჩვენი მოჩვენებითი მხნეობა წლების მატების უკუღმართობას ვერ უმკლავდება.

1412. ახალგაზრდების გულს უკეთ ესმის ქვეყნის წინაშე მოვალეობის ფასი ვიდრე ასაკოვან გონიერებას, რადგან ამ უკანასკნელს ბევრი მიზეზი აქვს ძალაუფლების სკამზე წამოსკუპებულ მთავრობას თავი არ შესწიროს.

1413. ახალგაზრდობის პრობლემაა სულის ყივილი, ცხოვრების არცოდნა, მაქსიმალიზმი, რომელიც ზოგჯერ იმ „გმირობაში" გარდისახება, რაც საზოგადოებისთვის, გარემოებათა ყივილის მიხედვით, მისაღებიც არის და მიუღებელიც.

1414. ახალგაზრდულად ყოფნას უნდა ვეცადოთ, მაგრამ საკუთარი ასაკი ყველა დროში ამაყად უნდა ვატაროთ.

1415. თენეიჯერები იმიტომაც არიან ორიენტირებული სუბკულტურაზე, რომ მშობლები, რომლებმაც მათ ხელოვნების ანბანი უნდა ასწავლონ, მატერიალიზმით და კარიერიზმით არიან დაკავებულნი და სანახაობებზეც იშვიათად დადიან, ხოლო ყმაწვილების მოუმწიფებელ გემოვნებას, ფულზე დახარბებული საშუალო დონის შოუმენები იყენებენ და იფანატებენ.

1416. ახალგაზრდობის უმეტესობა იმიტომაც ცხოვრობს უდარდელად, რომ მათი სული დანაგვიანებული არ არის და გონება – დაჭუჭყიანებული.

1417. რამდენ რაღაცას არ ვაფასებთ ახალგაზრდობაში, რაც სიბერეში სანატრელი გვიხდება, რამდენ შეცდომას უშვებთ შუა ასაკში, რომლის გამოსწორება შემდგომ არ ხერხდება.

1418. სიმწიფის ატესტატი, დაღვინებასთან ერთად, პატარა გაუგებრობასაც ქმნის შესაძლებლობასა და უნარს შორის, რომელიც ბედის და გონების გამოყენებით ჯეელობის სასიკეთოდ უნდა გადაიხაროს.

1419. ცხოვრების სტარტზე კრედიტის მიღების უფლება, შესაძლებლობების გამოსავლენად, ყველა ახალგაზრდას უპრობლემოდ უნდა ჰქონდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სიმდიდრის მიმართ შური და ღვარძლი ყოველთვის თან დაჰყვება.

1420. ასაკის მატება მეტ მაგალითებს აცნობიერებს ადამიანის უგვანობისას, მაგრამ ახალგაზრდებისაგან განსხვავებით მათ შემწყნარებლად და გულგრილადაც უყურებს.

1421. ცხოვრების დაისზე კი ხვდები, რა არის კარგი და რა – ცუდი, მაგრამ ახალგაზრდობას ამ დასკვნებით ცხოვრება არ შეუძლია.

1422. ახალგაზრდობის გამზირი, გარკვეული ისტორიით, ყველამ უნდა გაიაროს ოღონდ კისრის მოუტეხლად.

1423. ქალის დაპურებას ჯეელი სექსით ცდილობს, რადგან ამისთვის ფული არ ჰყოფნის და თავმოყვარეობა და უსახსრობის ალიბი მოჭარბებულ ვნებას უნდა ამოაფაროს.

1424. ალბათ, იმ დროს გასახსენებლად არაფერი ჯობს, როდესაც ახალგაზრდა კაცი თავისი მამაკაცური ღირსების ჭკუაზე დადის და ქვეყნის ავ-კარგი ფეხებზე ჰკიდია.

1425. ხელისუფლებისთვის უმთავრესი პირობაა ახალგაზრდობის აღზრდა, პროფილაქტიკა მოვლა-პატრონობით, რათა მომავალში ქვეყ-ნისთვის სრულყოფილი ბიუჯეტის შემავსებელი მიიღოს და არა – მათი დასჯა და უსაქმოდ ციხეში გამოკეტვა.

1426. ახალგაზრდობა ხელუხლებელი ტყის ყვავილია, ოცნებით და იმედიანი გამოძახილით.

1427. ჯეელი მაშინ ხარ, როდესაც თოვლის ბაბუას მოსვლა არ გჯერა, მაგრამ ფიფქია რომ კარებს შემოაღებს და შენს ვნებას დააკმა-ყოფილებს, ამის წინააღმდეგი არ ხარ.

1428. ახალგაზრდობა სიკვდილს ზერელედ უყურებს, რაც მათი თავქარიანობის და გმირობის ჩადენის მიზეზია.

1429. ახალგაზრდობაში სიყვარული ჰობია, შუა ასაკში – ოცნებას-თან თამაში, სიბერეში – ტარგედია, რადგან ბუნების შენთვის მიუღე-ბელ კანონებს ემორჩილები.

1430. მოზარდ-შიშველ ასაკს სიჭკვიანე, სიმხეცე, სიყვარულიც ახ-ლავს, მაგრამ სანატრელი და დაუბრუნებლად გასახსენებელ-დაკარგუ-ლი.

1431. რამდენი რამ არის, ახალგზრდობაში რომ არ ვაფასებთ და გამოცდილების და ცნობიერების საფასურად ასაკში სანატრელი გვიხ-დება.

1432. დღევანდელი უწიგნური ახალგაზრდობა ინტერნეტზე დამ-ყნობილი თაობაა, ხოლო მომავალში რა შთამოვალს მოგვცემს ეს ინფორმაციით დატენილი ჯეელები, ამის განჭვრეტა ჩემს ფანტაზიას აღემატება, ხოლო იმედით დასატკბობად სიცოცხლე არ გვყოფნის.

1433. ახალგაზრდობა ისეთია როგორც ცხოვრების კოჭი დაჯდება და არა ისეთი, როგორც წინაპრის ოცნებით გაგორებულ კამათელს სჭირდება.

1434. ზოგისთვის ახალგაზრდობა-ჯეელობა არასოდეს მთავრდება, რადგან გონება უბერებელი და გენი ჯიუტი აქვს.

1435. ჯეელს, ღიმილიდან დაწყებული „მერსედესით“ დამთავრებუ-ლი, ყველაფერს ჩუქნიან, მაგრამ სულიერების ჩუქება უჭირთ, თუ ოჯახს ტრადიციები არ აქვს და კულტი არ ჰყავს.

1436. ახალგაზრდა კაცი, ქალი უყვარს თუ არ უყვარს სიყვარულს ეფიცება, აბა რა ქნას, უფულობის გამო, ეს სატყუარაც თუ არ დაუგდო, ისე მისი დაუფლება გაუძნელდება.

1437. ახალგაზრდობა ქალისადმი ლტოლვა-ტრფიალია, სიბერე – თავის არიდება და ,,ვერ ვამჩნევ'' – თამაში.

1438. თაობათა ურთიერთობაში საუკეთესო მიგნებაა ზღვარის დადება, რადგან ძალიან დაახლოება დედიკოშვილებს იძლევა, ხოლო ძალიან დაშორება – ვირიშვილებს.

1439. ზოგი თინეიჯერი ისეა გატაცებული სექსის თავისუფლებით, რომ დაორსულების შემდგომ იძულებულია გენეტიკის ლაბორატორიაში დაადგინოს ბავშვის მამა, მის მიერ წარდგენილი პრეტედენტების სიიდან.

1440. ახალგაზრდობის უცოდინრობა, ასაკის გათვალისწინებით, ბევრ რამეში საპატიოა, მაგრამ ამ უკანასკნელსაც ცოდნა ყოველთვის უკვე აღარ ადგება, რადგან ჯეელური შემართება აკლია. ასე, რომ ყოველივეს დაბალანსება უნდა მოესწროს, რათა სანანებელი და გასაყოფი ამქვეყნად ძალზე ცოტა დაგვრჩეს.

1441. ახალგაზრდამ სიჭაბუკე თავის ბედისწერასა და შემთხვევასთან ერთად უნდა განვლოს. აქედან რა გამოვა, განგების ხუშტურზეა დამოკიდებული, რადგან იმქვეყნად მან უნდა ჩაიბაროს ამქვეყნად შექმნილი უნიკალური ნაწარმი.

1442. ჯეელობა ისეთი თავდავიწყებით არ უნდა გაიხსენო ხანდაზმულობაში, რომ დასაცინი და სამკურნალო გახდე.

1443. სამშობლოს სიყვარული ჯეელობაში შენი ახლობლებით, ირგვლიმყოფებთან ერთად იწყება, ასაკში დავიჯერებთ ამ აქსიომას თუ არა.

1444. ახალგაზრდობა და სიბერე ერთმანეთს კიდეც უნდა ენდობოდნენ და ებრძოდნენ, რადგან ამ დაპირისპირების გარეშე თაობათა შორის სითბოს შეცნობა გაჭირდება და ჭეშმარიტების გარდაუვალობასაც ვერ გავითავისებთ.

1445. დღევანდელ ახალგაზრდობას კლიპისტურ-დისკოთეკური მსოფლმხედველობა და შეგნება აქვს და სანამ მათ არ გამოდევნის თავიდან, მანამ მათი ხელოვნების სწორ გზაზე დაყენება გაჭირდება.

1446. ვერცერთი კარიერა, ფუფუნება, ჯეელობაში ვნებით განცხრომას ვერ შეედრება.

1447. ,,თავზე ხელაღებული'' ახალგაზრდობა, ასაკოვნებისაგან განსხვავებით, ცხოვრების შეცნობით იღებს კაიფს, ხოლო ,,ყოფიერების ძველი რაინდები'' – გახსენების მემუარებად გადაქცევაში და კარგია, რომ გონიერების ეს ინსტიტუტი დღემდე თავდაუზოგავად მუშაობს.

1448. ახალგაზრდობას პატიოსნების, სიკეთის, პატრიოტიზმის, შთაგონებით დითირამბები უნდა უმღეროთ და ვამღეროთ, რათა საჭირო-

ების ჟამს დაგროვილი უარყოფითი ენერგია კონტროლით გადმოანთხიოს და გენის გადაგვარება არ მოხდეს.

1449. ახალგაზრდობაში მონაზვნად და ბერად აღკვეცა დანაშაულია, რადგან ამით ღმერთს ეკლესიის მშენებლებს, მრევლს ვუმცირებთ, ხოლო ქვეყანას – ერის შვილს, მეომარს, გადასახადის გადამხდელს და რაც უმთავრესია, კვლავმწარმოებელს.

1450. არა მარტო ახალგაზრდობა მოდის, არამედ ასაკიც ხელიდან გვისხლტება და განვლილი წლების უფერო ეტაპებს სირბილით იხსენებ.

1451. ახალგაზრდობა ვადამდე არ უნდა ჩაწვდეს ცხოვრების სიმართლეს, რათა ოცნება, ჟინი ცხოვრებისა, არ დაკარგოს.

1452. ახალგაზრდობას ჰგონია, რომ არასოდეს დაბერდება, ასაკს – სულით არასოდეს დაეცემა.

1453. სიბერის გადასახედიდან ხვდები, რომ ჯეელობაში ისე კი არა, ასე უნდა გეკეთებინა, მაგრამ ახალგაზრდობაში ასე ვერ იფიქრებდი მოჭარბებული ენერგიის და საფიქრელი დროის უქონლობის გამო.

1454. სიჩერჩეტე ახალგაზრდობის პრეროგატივაა, დაფიქრება, განსჯა – ასაკისა, მაგრამ პირველის გახსენება, მეორისგან განსხვავებით, გვსიამოვნებს და სიცოცხლეს გვმატებს.

1455. ენთუზიაზმის ,,პერპეტუუმ-მობილე" ახალგაზრდობა და სახელმწიფოს პოლიტიკაა მათ მიმართ.

1456. ახალგაზრდობაში რაც უნდა ეცადო, სიბერეში მაინც დაჩამიჩდები, მაგრამ უნდა ეცადო შემართება დრომ არ დაგიხურდაოს.

1457. ახალგაზრდული გულღია სიცილი სასწაულს ახდენს იქაც კი, სადაც მას არ ელიან და ვერც წარმოუდგენიათ.

1458. აგრესია, ტრაბახი, წამხედურობა, ის ყივილია, რომელიც ჯეელის სულში მეტ-ნაკლებადაა დაბუდებული და ამ შეუზავებელი ,,კოქტეილის" გადმოსანთხევად ყოველთვის მზად არის.

1459. ხუმრობა, სიკეთის მხარდაჭერით, უხილავი ფრონტის ჯარისკაცია.

1460. ჩვენი სიტყვების დღევანდელი რახარუხი, მომავალი თაობების ინტერესებს არ ესატყვისება, რადგან ბუნებრივი სიმდიდრეებიდან არაფერს ვუტოვებთ და მის საწყობებში ხელს უნამუსოდ ვყოფთ.

1461. მომდევნო თაობა ყოველთვის უკეთესი არ არის, ტექნიკური პროგრესი რაც უნდა მხარს უჭერდეს.

1462. ახალგაზრდები ქუჩაში უქმად რომ არ დაეხეტებოდნენ, მათი დასაქმებაა საჭირო, ხოლო დანაშაული რომ არ ჩაიდინონ, რომელიმე საყმაწვილო ორგანიზაციაში არიან გასაწევრიანებელი, მოზრდილების შეუმჩნეველი დიქტატით.

1463. მომავალი თაობისთვის წერილით სულის გადახსნა წარსულის გადმონაშთია.

1464. გამოცდილების მქონე ახალგაზრდა უკვე მამაკაცია, რადგან მას თავისი წილი შეცდომები არ ჩაუდენია ე.ი. არც დრო უტარებია.

1465. სული შეიძლება ბოლომდე ახალგაზრდად დარჩეს, მაგრამ პრაქტიკულად ეს 22 წლამდე გრძელდება.

1466. ფელა ლამაზი, უცნაური გარეგნობის, ხასიათის, ქალი ძალადობის ობიექტია ძილის წინ და ძილის შემდეგ, კაცებად საქცევი ყმაწვილებისთვის.

1467. არსებობს: ხალხი და არა – მტრები, მასები და არა – ბრბო, ომის ხელოსნობა და არა – ხელოვნება ეს და სხვა ამგვარი დროულად უნდა ავუხსნათ ახალგაზრდობას თუ გვინდა მათგან ქვეყნის მოქალაქენი მივიღოთ და არა – ნაციონალისტი ყბედები.

1468. ახალგაზრდის დანახვისას თვალები აღფრთოვანდება, მაგრამ შინაგანად ასაკი თანასწორს ეძებს და უკეთ უგებს.

1469. XX საუკუნის ახალგაზრდობა XXI-სგან ჯერ-ჯერობით იმით განსხვავდება, რომ პირველი ინფორმაციის ნაკლებობას წიგნის კითხვით ავსებდა, მეორეს ინფორმაცია თავზესაყრელად აქვს, მაგრამ აზროვნების „ფაილი“ აქვს დანაგვიანებული და მის გაწმენდა-შევსებას, წინაპართა გამოცდილების ნაცვლად, ისევ ინტერნეტით ცდილობს.

1470. ახალგაზრდული სული ფელა ასაკში მისთვის განკუთვნილ ბანკს ხსნის და მიუხარია.

1471. ახალგაზრდობას ერთი ნაკლი აქვს, მისთვის განკუთვნილი კაიფის და ნიჭის ჭენებას არ აფიქსირებს, რადგან თავი უბერებელი ჰგონია.

1472. ჭაბუკები და მამაკაცები ერთმანეთისგან იმით განსხვავდებიან, რომ პირველი ფელაფერს ახლა იწყებს, მეორეს კი ფელაფერი მოთავებული და მოგვარებული ჰგონია.

1473. ბედნიერებაა, როდესაც ჯეელობაში ნათქვამ-ნამოქმედარზე, სიბერეში ხელის ჩაქნევა და ბოდიშის მოხდა არ გიხდება.

1474. ახალგაზრდობის არსი ის არის, რომ ის ან ფელას წინააღმდეგია ან ფელა მისი მოქიშპეა, ოპონენტია და ეს არის მისი ასაკის კაიფი.

1475. გიფართ ერთი, გძინავთ მეორესთან, ფავილებს მესამეს ჩუქნით, მეოთხეს ლექსს უძღვნით, მეხუთეს ტელეფონით აბამთ, მეექვსეს მესიჯებს უგზავნით, მეშვიდესთან დისკოთეკაზე დადიხართ, მერვეს სახლამდე აცილებთ, მეცხრეს ჩოგან-ბურთს ეთამაშებით, მეათეს გირიგებენ. ასე და ამრიგად, ყოველივე ეს ჯეელობის, ენერგიის და სიცოცხლის

შეცნობის სურვილის ბრალია და სულის ყივილი, რომელიც სამწუხაროდ, დიდხანს ვერ გასტანს.

1476. ჯეელობის წლების გახსენება ჩვენი შვილიშვილებისათვის გაუგებარი საიდუმლოებაა.

1477. მოგვწონს თუ არ მოგვწონს, ახალგაზრდობა ყოველთვის მართალია.

1478. რა იქნებოდა ახალგაზრდობის დაბრუნება ყოველ ოც წელიწადში ერთხელ შესაძლებელი რომ ყოფილიყო.?! არაფერი კაცობრიობა გადაშენდებოდა არასაჭირო გამოცდილებით.

1479. სიბერეში ჩვენს ახალაგზრდობას უკან მივტირით, სულს ამით ვმკურნალობთ, სანამ ფეხებს გავფშიკავთ.

1480. პოპ-მუსიკა გაუგებარი აზრების ,,ტაშ-ფანდურით'' მოწოდებაა მოუმწიფებელი ჯეელებისთვის.

1481. დღეს კომპიუტერის გონიერების ზრდის ხარჯზე ახალგაზრდობას არაფრის კეთება არ ეხალისება ინტერნეტის ინფორმაციის და გასართობ საშუალებათა გარეშე.

1482. სათვალე ახალგაზრდისათვის თვალის მოდური ყავარჯენია, რომელსაც იმისდამიუხედავად ხმარობენ, რა სათვალის ჩარჩოა დღეს მოდაში.

1483. ახალგაზრდობამ ცხოვრების ალგორითმი ცუდად იცის, მაგრამ დღევანდელობაში უკეთ ერკვევა.

1484. ნოსტალგია ახალგაზრდობის, განვლილი ცხოვრების, რევიზიაა, ფანტაზიის მიშველებით.

1485. სულიერების ნაგვის დაგროვებაც შეიძლება, მაგრამ მისი გადაყრაა ძნელი, რადგან აქ შენი ახალგაზრდობის განვლილი წლებია და გგონია კიდევ ხვითოს აღმოაჩენ.

1486. ახალგაზრდასა და ხანდაზმულ კლიენტს შორის ის სხვაობაა, რომ ერთს აინტერესებს თავად გამყიდველი, მისი ღიმილი, თვალების დაჟუჟუნება, მეორეს – საქონლის ფასი და მომსახურეობის კულტურა.

1487. ჩვენი ახალგაზრდობის ხელოვნება ფელა დარგში ეჭვს იწვევს და ოპონირების სურვილს აჩენს სასიფვარულო საფედურების თანხლებით.

1488. ახალგაზრდობის სიფვარულით გატაცება. ხანდაზმულობაში სასიფვარულო ჩვევაში გადაიზრდება.

1489. ახალგაზრდა შეუძლებელია ბედის ბოლომდე კმაყოფილი იყოს.

1490. სიბერეს აღარაფერი მოსწონს, იმის მიუხედავად, რომ ახალგაზრდობაში ნაკლზედ ყურადღებას არ ამახვილებდა და ვერც ვერასოდეს ამჩნევდა.

1491. ახალგაზრდობის ასაკს ჯერ-ჯერობით, არც ჭკუა სჭირდება და არც გამოცდილება, რადგან მისი მოჭარბებული ვნებისკენ ლტოლ-ვა, ყოფის აპრობირებულ ალგორითმს ყურად არ იღებს და არც მისი გაგება სჭირდება.

1492. გაუცნობიერებელ ბედნიერებაში ახალგაზრდობის ,,შეთრევა" დაუშვებელია, მითუმეტეს, თუ ის ბუნების კანონებს ეწინააღმდეგება. მაგ. გოგო-ბიჭების მონაზო-ბერებად ნებაყოფლობით აღკვეცა.

1493. გადის ჯეელობის მაქსიმალური ეიფორია, ხვდები რომ ჯერ კიდევ ბევრია საკეთებელი და დროა სატარებელი და იმქვეყნად ეფექ-ტურად წასვლა საჩქარო სულაც არ არის.

1494. ახალგაზრდობა და სიბრძნე მეზობლად ცხოვრობენ, მაგრამ იშვიათად ამჩნევენ ერთმანეთს.

1495. ახალგაზრდული სული უკვდავია, მის დევალვაციას განგება არ დაუშვებს, რადგან სამყარო ადამიანთა გარეშე დარჩება.

1496. ყველანი ქარაფშუტულად ვჟანგლიორობთ ბედთან და გახა-რებულნი ვართ თუ ჯეელობის ეს სიცელქე შეგვრჩება.

1497. ზოგჯერ სსრ კავშირში ყოფნის ნამსხვრევები სასიამოვნოდ აჟღერდება და იმ კარგს გვახსენებს, რომელიც ასაკს ნაღველით შემო-აწვება, თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენმა ჯეელობამ ჭირი მოგჭამათ.

1498. ასაკი ცხოვრებიდან წამავალი მატარებელია, რომელსაც ად-რეულ ასაკში უნდა შეახტე, რათა ბოლო სადგურზე დამშვიდებული მიხვიდე.

1499. ჯეელობას სიცოცხლე არად უღირს, ხოლო ასაკისთვის ამ-ქვეყნად დარჩენის ყველა პარამეტრიც თითქმის მისაღებია.

1500. ახალგაზრდობა მეგობრობის სამჭედლოა, ხოლო სიბერე ამ სამჭედლოში გამოიჭედილი მახსოვრობა.

1501. ყველა თაობა ჯეელობას სიამით იხსენებს და დღევანდელი ყოფის უპირატესობას არად დაგიდევს, რადგან მისი საფუძველი უდარ-დელი ახალგაზრდული წლებით თავის წარმოჩენაა.

1502. ახალგაზრდობის აზრი ყოველთვის ორიგინალურია, მოუ-ლოდნელია, ავანტურისტულია – ეს არის პროგრესის გამღლეტიც და დამპუირებელიც.

1503. ყველა ასაკი თავად ირჩევს გზას ბედის ხელშეწყობით და შემთხვევის დახმარებით, მაგრამ ხელს რას გამოკრავს და როგორ გამოკრავს, ჩასაფრების უნარზეა დამოკიდებული.

1504. ადრეული ასაკი განსჯას ვერ იტანს. ამიტომ ყველა ახალგაზ-რდული ლტოლვები, გადაცდენები, დროის და ბედს უნდა ავკიდოთ.

1505. ახალგაზრდისადმი სიმკაცრის გამოჩენა უფრო სიყვარულის მაჩვენებელია, ვიდრე მისი დასჯის სურვილის და სიძულვილისა.

1506. ასაკის განგებასთან სასაყვედურო არაფერი აქვს, ცხოვრებით რაც უნდა უკმაყოფილი იყოს, რადგან ამქვეყნად მისი მოვლინების ვადა ჯერ არ ამოწურულა.

1507. დღევანდელი გადასახედიდან რამდენი ქმარგარეშე მყოფი ქალის გაბედნიერება შეგეძლო, მათ რომ შენგან ნაშიერი ჰყოლოდა, ან კი თავის დროზე ამას დაგიფასებენ?! საეჭვოა, რადგან ახალგაზრდობაში ყველას თავის გასაფრენი რაში ჰყავს შეკაზმული, ოღონდ ჯირითი შეუძლია თუ არა, ამას არად დაგიდევს.

1508. რამდენია ისეთი ცოდნა, რომელიც მავნე და საეჭვოა ახალგაზრდობისათვის, ხოლო ასაკში საჭიროცაა და ზედგამოჭრილიც, მაგრამ დროის ყივილი და ყავლი უკვე გასულია.

1509. ასაკის მოყრის შედეგად ის სიცარიელე შეიქმნება, რომელიც ახალგაზრდული მოგონებებით და ასაკის გამოცდილებით, უკეთესი მომავლის იმედით უნდა შევავსოთ.

1510. არის „დაავადება“, რომელსაც ახალგაზრდობა ჰქვია და რომლითაც ყველას უნდა დიდხანს იავადმყოფოს.

1511. ახალგაზრდობა ის სიმდიდრეა, რომელიც არავითარ სხვა ყოფაზე არ გაიცვლება, თუ კარიერისკენ მიდრეკილების გენმა არ გადაძალა.

1512. ჩვენი ასაკი უნდა გვიყვარდეს და რიდით უნდა ვუყურებდეთ, თუნდაც იმიტომ, რომ ამ დრომდე მოვიტანეთ და ამის შეცნობის სიამაყე სხვა აზროვნებას და სხვა განზომილებას მოითხოვს.

1513. როდესაც ახალგაზრდა გოგონა ასაკოვან მოხუცს მიყვება ან – პირიქით, ორივე შემთხვევაში სხეულით ვაჭრობასთან გვაქვს საქმე, რადგან ტვინს არავინ ყიდულობს.

1514. მშვიდობის, დაშოშმინების, ბედნიერებას ასაკში ვიგებთ, როდესაც ყოფიერების ბატალიები გადატანილია და სხეულს მოსვენებას სჭირდება.

1515. ახალგაზრდას თავის წარმოსაჩენად სულ მცირე აღიარებაც ახარებს და მზად არის ეს აღფრთოვანება იქვე თავის შეხედულებისამებრ გახარჯოს.

1516. ასაკი ადრე თუ გვიან ამქვეყნად ყოფნის ბალანსის ხარჯვის ხარისხს მოითხოვს, მაგრამ საბოლოო შეფასება-გადაფასება მაინც მომდევნო თაობებს მოუწევთ.

1517. თუ შერკინებისას მოსწავლემ აჯობა მასწავლებელს, ეს უკანასკნელი უნდა დაისაჯოს როგორც დამარცხებული, ხოლო თუ

პირიქით მოხდა, ისევ აღმზრდელზე უნდა გადატყდეს ჯოხი, რადგან კარგად ვერ აღზარდა. ასე, რომ სამართალს ყოველთვის ორი მხარე აქვს, გააჩნია, ვის ნებას ემორჩილება სამართალის ფორტუნა.

1518. ჯეელობა სიცოცხლის გაგრძელებისთვის სიბერეს უხდის ხარკს, ხოლო ეს უკანასკნელი სიკვდილთან საქმეს აწყობს, დროზე ადრე რომ არ წავიდეს.

1519. ყველა ნაშიერს თავის გარდამავალი ასაკის პრობლემა აწუხებს, ამიტომაც მოზრდილი თაობის ვალია მათ ქმედებას დინჯად შეხვდეს, ახალგაზრდობა გაიხსენოს, დრევანდელი გადასახედიდან რაღაც-რაღაცეები შეუნდოს და აპატიოს.

1520. ახალგაზრდობაში დაშვებულ შეცდომებს სიბერეში ვამუღამებთ, მაგრამ ჯეელობის შემართება-ბუნების გადასინჯვის შემდგომ გონიერება ზოგ რამეს გვპატიობს, ჩამოგვაწერს, შეგვინდობს.

1521. ნარკომანი, ნიჭის მიუხედავად, სცენას და საზოგადოებრივ ასპარეზს არ უნდა გავაკაროთ, რადგან მასზე კამათი და ყურადრების კონცენტრირება ახალგაზრდობას რყვნის.

1522. გამონაცვალ, ნახმარ მანქანას უსახსრო დილეტანტები მომავლის იმედით იძენენ, მაგრამ რა პერსპექტივით ქორწინდებიან ყმაწვილები მრავალჯერ ბედნაცვალ ქალზე გაუგებარია, რადგან პირველ შემთხვევასი ცნობილი ფირმის სახელი იზიდავთ, ხოლო მეორე შემთხვევაში საკუთარი უნიათობის მსხვერპლნი ხდებიან და შეჯარებას არქმევენ.

1523. ჩვენ მანამ ვცხოვრობთ, სანამ შთამომავალნი ჩვენს დასაცავად კედელივით არიან აღმართულნი და უკან დახევას არ ფიქრობენ.

1524. გარკვეულ ასაკამდე არც არაფერს ვერიდებით და არც არაფრის გვეშინია, მაგრამ დაიწყება გონების დაღვინება, პერსპექტივაც გამოჩნდება და რიდი და შიში ისე შემოგვეპარება, ვერც გავიგებთ.

1525. მოდის ასაკი, რომელიც გთხოვს რაღაცას და ვიღაცას უხელმძღვანელო, ძირითადად სულს და შეგნებას და არა – გამორჩენას.

1526. ახალგაზრდობაში ფულის კეთება ახლად ათვისებულ სინდისისა და კანონს შორის გადადებულ ბეწვის ხიდზე სიარულია ლაღი და განუმეორებელ სიყმაწვილის ფსონში ჩადებით და იმის მცდელობით, განგებამაც ზურგი არ შეგვაქციოს.

1527. ხანდაზმულობა ერთ ადგილზე დასახლების სურვილს აღგვიძრავს, რადგან სიბერე თავისებური ტვირთია, რომლის ტარებაც ჭირს და ხალისიც გამქრალია.

1528. ამბობენ, ახალგაზრდობა თავისებური სიგიჟეა, რომლის დასადგენად, მშობლების გარდა, თავს არავინ იწუხებს.

1529. ახალგაზრდობაში უნდა ცდილობდე ცოდნის, თავაზიანობის, მჭერმეტყველების, დაუფლებას, ვარჯიშს, რადგან შემდგომ ამისთვის დრო არ დარჩება.

1530. თენეიჯერები უძახე და ხვალ ბევრი მათგანი პრეზიდენტობასა და მინისტრობაზე განაცხადებს პრეტენზიას, დამსახურებლად თუ დაუმსახურებლად, ეს სხვა საქმეა.

1531. მომდევნო თაობებისთვის წინა თაობა ყოველთვის დაღუპულია, რაც უნდა ჯეელობის მოგონებათა სერენადები აჟღერონ.

1532. ასაკის მატებასთან ერთად აქტიური დასვენებითაც ვიღლებით და პასიურითაც და ამასაც შეჩვევა სჭირდება.

1533. ზოგ დაუვაჟკაცებულ ახალგაზრდას შენი და ჩემი დედის გინებისას ეშლება და ამ უგვანობას ,,ვაჟკაცობის'' დამადასტურებელ საბუთად აჟღერებს.

1534. ყველა წინა თაობის მიზანი უნდა იყოს, რომ მომდევნო თაობამ მათ უხიაგობაზე ხელი არ შეიწმინდოს და ბედისგან შერისხულებად არ ჩათვალოს.

1535. კანონზომიერია, როდესაც ახალგაზრდობა სიკვდილზე და ცხოვრების წინაღობებზე არ ფიქრობს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერც საზოგადოება განვითარდებოდა და პროგრესისკენ ნაბიჯსაც ვერ წადგამდა.

1536. ზოგჯერ ხელოვნება ახალგაზრდობას აზროვნებას უცვლის, ამიტომ შემოქმედს სათუთი გრძნობები და ტრადიციების გათვალისწინება სჭირდება.

1537. ასაკი შემორჩენილ ურთიერთობას აფასებს, ხოლო ახალგაზრდობა – მომავალ ურთიერთობებში გამარჯვებას.

1538. სიბერეს თავისთავად სიბრძნე არ მოაქვს, თუ ჯეელობაში ჭკუა არ დაწურე, არ დააღვინე და მისი ნაჟურით არ ისიამოვნე.

1539. წლებს თავისი მახსოვრობა აქვს და მას არაფერი არ ავიწყდება.

1540. გოგონას გრძნობები ყოველთვის წინ დგას, ვიდრე ბიჭის აზროვნება და მდედრის მონადირების სურვილი.

1541. ასაკის მატებასთან ერთად ილუზიები ქრება, მოგონებები კი ძლიერდება.

1542. ზოგჯერ ჩვენი გამოცდილება მომდევნო თაობებისთვის წინა თაობის განვლილი გზის მაჩვენებელია და მეტი არაფერი.

1543. ჩვენს ახალგაზრდობაში მთვარეც უკეთ ანათებდა და მზეც უკეთ გვათბობდა, ქარიც სასიამოვნოდ უბერავდა და ზღვაც უკეთ ლივლივებდა, ხალხიც უკეთესი იყო და ქალებსაც უფრო მოვწონდით.

1544. საშინელებაა, როდესაც ახალგაზრდა პესიმისტი ეკამათება ასაკოვან ოპტიმისტს, რადგან ისინი მათთვის შეუფერებელ ამპლუაში გვევლინებიან.

1545. სიბერე მოხერხებული მდგომარეობაა, თუ ჯელობის მოგონება არ უტევს და ახალგაზრდობის აღზრდას საქმე არ აქვს დავალებული.

1546. ახალგაზრდობისთვის აწმყო – სახელია, იმედი – მომავალია.

1547. ჯელობიდან განსაცდელის მხიარულებაში გადატანა უნდა ვისწავლოთ, რათა ასაკი მასთან შეხვედრა გაგვიადვილებს.

1548. მანიკური – ჰიგიენაა, პედიკური – თავის პატივისცემა, ტატუ – სიურპრიზია, პერსინგი – თავის მოგიჟიანება, ყოველივე ეს სასიამოვნო „ტუსოვკა" – თავშეყრა, სანამ ახალგაზრდები ვართ და სულს სიზარმაცე არ შეპარვია.

1549. სამყაროს შეცვლის და სისულელის ჩადენის სურვილი ყველა ახალგაზრდის ჩუმი ოცნებაა, თუ დრო და გარემომ არ უმტყუნა, ბედად დაღვინება მოასწრო, ყოველივე კარგად მთავრდება.

1550. ის თაობა ამართლებს, რომელიც განათლებულია და არა მხოლოდ ინფორმირებულია, რადგან პირველი სიახლისკენ ილტვის, მეორე – მხოლოდ თავს მოიწონებს.

1551. აღზრდა თავისებური ძალადობაა, კეთილი სურვილებით და მომავლის იმედით.

1552. მოხუცი შვილებს ჭკუას იმიტომ ასწავლის, არიგებს, რომ ფუნქცია არ დაკარგოს.

1553. ასაკი ყველა სიცოცხლის კარზე დროგამოშვებით აკაკუნებს, მაგრამ ცდა არ უნდა დავაკლოთ, რომ ეს კარები რაც შეიძლება გვიან გავაღოთ.

1554. ხშირად ახალგაზრდობა ცხოვრების უღლის დადგმას და აპეურების წაჭერას ეწინააღმდეგება, მაგრამ ამას ისე უნდა შევაჩვიოთ, რომ რაც შეიძლება ნაკლებად ამტვრიოს აპეურები.

1555. დრო ცვლის ადამიანებს, განსაკუთრებით, ასაკში, როდესაც ვნებათა ღელვა მიჩვევა-შეჩვევაში გადადის და ურთიერთობაში მოკრძალებული ხდები.

1556. ახალგაზრდობის გამოუცდელობა ის „ნაკლია" რომელიც წლების მატებასთან ერთად გამოცდილებად იქცევა, მაგრამ ჯელობის სული და შემართება არასოდეს განმეორდება.

1557. ახალგაზრდა, რომელიც ცხოვრების კმაყოფილია და მასზე ფიქრობს, უკვე ახალგაზრდა აღარ არის, გონებრივად უკვე ასაკშია.

1558. ჰორმონების თავაშვება ახალგაზრდობას ყალყზე აყენებს, აცუნ-დრუკებს და დაუღვინებელ მოზარდად წარმოგვიდგენს.

1559. ღმერთმა ნუ ქნას, ახალგაზრდობამ ვადამდე ის გამოცდილება შეიძინოს, რასაც დრო, ასაკი აძლევს, მაშინ სიცოცხლე გაჯანჯლდებო-და და ეშხს დაკარგავდა.

1560. ახალგაზრდული შემართება რომ გამარჯვებას აღწევს, ფე-რისცვალებას განიცდის და ასაკის მატებაზე სერიოზულად არ ფიქ-რობს.

1561. ხშირად ჯველობა ნაწყენი რჩება, როდესაც საგმიროდ და სახელის მოსაპოვებლად სარისკო საქმეზე არ უშვებენ, მაგრამ ეს ახალ-გაზრდულ სიამაყეს უნდა შევუნდოთ, რადგან დასაღვინებელი დრო ისე შემოეპარება, ვერც კი გაიგებს.

1562. მთავარია ახალგაზრდას თავიდან ჩავუნერგოთ ვისი გორისაა და მაშინ ,,კეთილისმდომთა", გარემოს და დროის ცუდი გავლენა უკან დაიხევს.

1563. ზოგჯერ ჯველობაში ჩადენილი იმ სისულელეებით ვამაყობთ, რომელსაც ასაკში გულშიაც არ გავივლებთ და ამას სრულებით არ ვნანობთ, რადგან ის ქმედება იმ დროის, განწყობის, გარემოს, უგნურე-ბის, შესაფასებელია. მაგალითად, შეჯიბრი ნახევარლიტრიანი არყის ბოთლით სმაში, დროის დაფიქსირებით.

1564. ჯველობის აღქმა პირად შთაგონებაზეა დამოკიდებული და არა – საზოგადოების ნებაზე, აზრზე.

1565. თუ მძიმე დანაშაულები გვინდა შევამციროთ, სამართლის, იურისპრუდენციის, სწავლება ახალგაზრდობისთვის აუცილებელია იმის მიუხედავად, რომ ბევრ საძრომიალოსაც ასწავლის სასჯელის თავიდან ასაცილებლად.

1566. მართალია, მომდევნო თაობებს პატივს ვცემთ, მაგრამ მათი უნდა გვეშინოდეს კიდეც. ამიტომ მათი მომავალი პრეტენზიები დღეს უნდა გავითვალისწინოთ.

1567. არის ახალგაზრდული ჭეშმარიტება, არის ცხოვრების დაუღვინებელი გამოცდილება და მათი აღრევა არ ამართლებს, რადგან ერთის პროგრამა მეორის ყოფის წესია, სწორედ ამის შეცნობას უშედეგოდ ცდილობს ,,სიტყვამზეობა".

1568. მადლიერებასაც თავისი უმადურობის ალგორითმი აქვს, რადგან მომდევნო თაობებიც მწიფდებიან და მათაც უნდათ ფხა გამოიჩინონ ე.ი. კონკურენცია უნდა გაგიწიონ.

1569. მოზარდი თაობათა აღქმა პირად ურთიერთობის ანალიზზეა დამოკიდებული და არა იმაზე მათზე რას ამბობენ.

1570. ახალგაზრდული სული წინ ილტვის, ასაკი უკან იყურება, ხოლო მხნეობის ასაკი იმის ცდაშია, სად რა აიღოს, გაითავისოს და რას გაუწიოს ანგარიში.

1571. ახალგაზრდა ადგილსაც ადრე იცვლის და ცნობიერებასაც. მათი შესაძლებლობა, შემართება, უგნურებაც, მომდევნო თაობათა სულში გადადის და სიამოვნებით ისადგურებს.

1572. გამოცდილება თავისებური აქციების პაკეტის ფლობა, რომლის შეძენას ჯეელობა არ ჩქარობს, სანამ არ გაუჭირდება და ცხოვრების ბირჟა გაკოტრებისკენ არ უბიძგებს.

1573. ახალგაზრდობამ დღეს გაცილებით მეტი იცის სექსზე, ვიდრე მათმა მშობლებმა, გარდა ერთისა – რეალური შედეგისა.

1574. ახალგაზრდობა სიცოცხლეს ეტრფის და დაუფიქრებლად ეთამაშება, სიბერე მას აფასებს და უფრთხილდება.

1575. ახალგაზრდობა ოცნების დროა, შუა ასაკი – საქმიანობას, სიბერე – გულგატეხილობის.

1576. ასაკი იმიტომ იძლევა ჭკვიანურ რჩევა-დარიგებებს, რომ მას უჭკუობის ჩადენა უკვე აღარ შეუძლია.

1577. ყველა ასაკს თავისი სიძნელეები ახლავს, რომელიც გამოცდილების შეძენით გვარდება და რომლის გარეშეც თვით სამოთხეში ყოფნაც გაჭირდება.

1578. ვეცადოთ ის ასაკი არ დავკარგოთ, რომელსაც ზრდილობა და წესიერება გათავისებული ჰქონდა.

1579. ყველამ ჩვენი ასაკის შესაფერისი საქმე უნდა ვაკეთოთ, გავერთოთ და არა დროის ყვილს ავყვეთ და შემთხვევას.

1580. ასაკი ცდილობს განვლილ ცხოვრებას სიბინძურის ფუჩეჩი ჩამოაშოროს და ისე დაივიწყოს, რათა დარჩენილი დრო გაიხალისოს, სულს ახალი ფრთები გამოასხას და ამქვეყნად სინათლე დატოვოს.

1581. მოსწავლის აღზრდა სკოლის ისტორიის და ქვეყნის ისტორიის სახელმძღვანელოდან იწყება, რომელსაც უნდა უზრუნველყოფდეს პედაგოგთა და დამრიგებელთა ჯგუფი, რომლებიც პატრიოტიზმს, ეროვნულობას, განათლებას ერთმანეთში ისე გონივრულად შეურევენ და აღზრდის ამ კოქტეილს ისეთი ზომიერი ყლუპებით შეასმევენ, რომ ძალაუფლებაში მოხვედრილი მათი აღზრდილი ამბიციებს მოთოკავს და სიკეთისკენ მიმართავს.

1582. სიბერეში მთავარია ლაღად გაღიმება საკუთარ თავზე და იმის შეცნობა, რომ შინაურები ჭკუას არ გარიგებენ და ხელს არ გიშლიან შენი გადასახედიდან იცხოვრო.

1583. სიყმაწვილე სიბერის მეგობარი არ არის, მაგრამ ურთიერთგაგება და ურთიერთპატივისცემა აუცილებელია.

1584. ახალგაზრდობაში ბევრ სისულელეს ჩავდივართ ჩვენი მაქსიმალიზმით, რითაც ასაკში თავს ვიწონებთ და მოგონებები ღიმილს გვგვრის. მაგ., ი. ჭავჭავაძეს იტალიაში უნდოდა წასვლა ჯუზეპე გარიბალდის რაზმში საბრძოლველად.

1585. ახალგაზრდობამ იცის, რაღაც რომ უნდა აკეთოს, მაგრამ რა – ვერ გარკვეულა. შუა ასაკს ესმის რა საქმიანობაა მომგებიანი და მასში ცხვირის შეყოფას ცდილობს, ხოლო სიბერემ იცის რა როგორ აკეთოს, მაგრამ ზარმაცობს და ხვდება, რომ საბოლოოდ არავინ არაფერს დაუფასებს.

1586. მაქსიმალიზმის გამოვლინება ახალგაზრდობის დაუფიქრებლობის, განუსჯელობის, გამოუცდელობის, პრეროგატივაა, მაგრამ მაინც საინტერესოდ და სასიამოვნოდ გასახსენებელი.

1587. ახალგაზრდობა თავად ბედნიერებაა.

1588. ასაკში ვცდილობთ რომელიმე ახალგაზრდული ოცნების დაბრუნებას, რათა სულს მოვეფეროთ და თავს შევუძახოთ.

1589. ასაკში, სამყაროს საოცრებაში ჩაწვდომის მცდელობისას, მის გაქრობაში ეჭვი აღარ გეპარება ცხოვრების ამაოებას გრძნობ და ამქვეყნად დასამახსოვრებელი საქმის კეთებაზე გული გიცრუვდება.

1590. ახალგაზრდობას ვერც ფულით იყიდი, ვერც შემართებით, ახალგაზრდა სულით უნდა დაიბადო.

1591. ვისაც ჩვენი ახალგაზრდობა არ უნახავს, ის ჩვენი ასაკის კაიფს ვერ ჩასწვდება, რადგან ზოგჯერ ჯეელობის გამონათება გულს გვიჩქროლებს და თავი ისევ ჯეელი გვგონია.

1592. ახალგაზრდული იდიოტიზმის, აღზნების მინიმალური დოზა ყველას უნდა გვახასიათებდეს, თუ გვინდა სიცოცხლის მადლი შევიცნოთ.

1593. ახალგაზრდა კაცი სასმელს თრობით ისე არ უნდა მოიჩვაროს, რომ ქალებს მის დანახვაზე გულზიდება დაეწყოთ და მამრის დანახვა შესძულდეთ.

1594. ახალგაზრდობა უნდა ავღზარდოთ თავისუფლების შეცნობით, ჩუმი ზედამხედველობით და ,,შემთხვევითი" შეთავაზებებით.

1595. მოზარდის განუსაზღვრელ, უდრტვინელ დროს, მის უდიდეს პოტენციალურ ენერგიას, კინეტიკურში გადასაყვანად გარემო, ავტორიტეტი, ინტერესის გაღვივება და მძიმე შრომა სჭირდება, რათა ის კაცად იქცეს, ჩამოყალიბდეს და არა ნაძირლად.

1596. ხანდაზმულობისაგან განსხვავებით, ახლგაზრდობაში იდეით ვცხოვრობთ, რადგან ამ დროს მისწრაფება ამაღლებისკენ, სიკეთის კეთებისკენ გვაქვს, მაგრამ ბედის ჯოკერი რა გზაზე დაგვაყენებს და რა

საქმეს გვაკეთებინებს, დროზე, შემთხვევაზე და გონიერების დაღვინებაზეა დამოკიდებული.

1597. საოცარია, ასაკით რა დიდები ვართ და ჭკუით რა „ახალგაზრდები“ და აქ დაღვინების თეორია ჩვენს ამბიციებს, პატივმოყვარეობას, ვერ სჯობნის.

1598. ახალგაზრდობა გაუთავებელი თავგადასავლებია, კარგი წამოწყებებია, უკეთესი სურვილებია და ბედის წყალობაა.

1599. ყველა თაობას თავისი სადავო პრინციპები აქვს, ხოლო აწმყოს ეს დავა ღიმილს ჰგვრის.

1600. ზოგჯერ თავდადებულ შრომას და გამდიდრებისკენ მისწრაფებას ასაკში იმ დასკვნამდე მივყვართ, რომ მთელი ცხოვრება სიამოვნებაა და არა დროში გადაადგილებული წლები.

1601. თუ არ გიქროდა, არც არასოდეს ყოფილხარ ახალგაზრდა.

1602. ასაკი ზოგჯერ დეგრადირდება, ბავშვობას უბრუნდება და ცხოვრებას ინსტინქტებით და მეტი ხალისით აგრძელებს.

1603. დღეს ყველაზე მეტად ზოგიერთი ახალგაზრდის მომწიფების უნდა გვეშინოდეს, იმდენად ამბიციური, დილეტანტი და პოლიტიკისთვის მოუმზადებელია.

1604. შვილებს რომ მამებისთვის გეომეტრიული პროგრესიით ეჯობნათ, დედამიწა ამდენი ენერგიის გამონათებით დროზე ადრე გაქრებოდა – გვაჯობეთ, მაგრამ ზომიერების ფარგლებში.

1605. ახალგაზრდობაში ბევრი სათუო და სასიამოვნო სისუსტე გვაქვს ჩადენილი, რომელთა გამართლება სიბერის გადასახედიდან გვიჭირს და ალიბი არცაა საჭირო, რადგან ყველა დროს, ასაკს, თავისი ინსტინქტების საჩალიჩო აქვს მისჯილი.

1606. ხანდაზმულობას ის უპირატესობა აქვს, რომ შენს ყოველ მონათხრობს უსიტყვოდ იჯერებენ და აშკარად არ გეკამათებიან.

1607. ახალგაზრდულ მაჭარს ყოველთვის უჭირდა წინა თაობის გაგება, მაგრამ არსებობდა უფროს–უმცროსობის ინსტიტუტი, რომელიც ახალგაზრდობას დაღვინების და უფროსების გაგების საშუალებას აძლევდა. დღეს ტექნიკური პროგრესის შედეგად ამ ინსტიტუტმაც ჭირი მოგვჭამა.

1608. ახალგაზრდობა, სიყვარული, ქომაგობა დანაშაული არ არის, მაგრამ ზოგჯერ ჭკუიდან გადასვლა, გატაცება, იცის, რაც ხშირად ცეცხლთან თამაშს მოგვაგონებს.

1609. ხანდაზმულობა სიყვარულის დარიგებას ჭკუით ცდილობს, ახალგაზრდობა – ვნების გათავისებას, უჭკუოდ.

აფორიზმები, ანეგდოტები, ირონია

1610. კრივში წელსქვევით დარტყმით შეიძლება მოწინააღმდეგე გათიშო, მაგრამ ეს ქმედება დისკვალიფიკაციას ექვემდებარება, ასევეა წელსქვედა იუმორიც, სადაც სიცილმა შეიძლება უზნეობის კულმინაციას მიაღწიოს.

1611. ცხოვრება გვკარნახობს ანეგდოტებს, რომლითაც ვამუნათებთ ყბედობის ხასიათზე მოსულ ხალხს.

1612. იუმორი ის იარაღია, რომელიც ირონიის ტყვიებს ისვრის, მიზანშიც ახვედრებს, მაგრამ არავის ვნებს.

1613. მარჯვე ციტატა და აფორიზმი ორივე გონიერი ხალხის შექმნილია, მაგრამ ერთი განსაზღვრული ავტორიტეტით სარგებლობს, მეორე – განუსაზღვრელით, რადგან ყველასთვის გასაგებია.

1614. აფორიზმი გონიერი ხალხის სულის შეცნობის საუკეთესო საშუალებაა.

1615. უგნურ აზრებში შეიძლება იმ სიტყვის გამოჭერა და გადამუშავება, რომელზეც აფორიზმის გარდა სხვას ხელი არ მიუწვდება.

1616. მოვა დრო და აფორიზმებს არა მარტო გაახმოვანებენ, არამედ მას ეკრანზეც გადაიტანენ, რადგან გონიერების განვითარებას სულიერი საკვები სჭირდება.

1617. აფორიზმი ბევრ ადგილს უტოვებს ადამიანს აზროვნებაზე საზრუნავად და ცხოვრების შესაცნობად.

1618. ურთიერთობაში ენაძვირობა, მოსმენის უნარი, იუმორი და სიმღერის ნიჭი ყველაზე დიდი განძია ადამიანთა კეთილგანწყობის მოსაპოვებლად.

1619. ცირკის მასხარას გაგებას ხედვითი აღქმა სჭირდება, ირონიას – განათლების საწყისი, ანეგდოტს – გარემოს შეცნობა, იუმორს – უბრალოდ, გონიერება, რადგან ის საერთაშორისოა და ყველასთვის გასაგები.

1620. სატირას სიკეთის მოტანაც შეუძლია და სიავისაც, მხოლოდ წრფელი გულით და იუმორში შერეული კოქტეილით.

1621. ყველაზე უკეთესი წამალი წონის დასაკლებად „ეშც“-ეა – ეცადეთ შეთქვლიფოთ ცოტა.

1622. აფორიზმი რომანის, რეზიუმეა, რომელიც განკუთვნილია იუმორის, მახვილი გონების დამფასებელი, ხალხისთვის.

1623. ყველაზე მეტად ანეგდოტში გამოიხატება მხარეების, ერების, ურთიერთ დამოკიდებულება თავისებური პატივისცემით, მოფერებით და მსუბუქი – გაკენწვლით.

1624. სიტყვამზეობა გონების ბიბლია და სულის სახარებაა, რომელიც მთელი ცხოვრება გაგვყვება.

1625. გაქილიკებას და იუმორს თავის ზომა-წონა სჭირდება, ოღონდ დროული მუხრუჭით.

1626. იუმორი, სატირისგან განსხვავებით, ყოველთვის ჩვენს გვერდით დაბორიალობს, თუ ხასიათზე ვართ და თანამეინახენიც შესაფერისნი არიან.

1627. ანეგდოტი, ანდაზა, აფორიზმი, ერის თვითშეგნების და ქვეყნის მსოფლმხედველობის გამოძახილია.

1628. აფორიზმები იმდენად ნაზი მატერია, გონის სახმობია, ის მითვისებული, რომ არ ეგონოთ მისმა შემქმნელმა პლაგიატობის ბეწვის ხიდზე ამოფარებით სიარული მასზე უნდა ისწავლოს.

1629. ანეგდოტი მახვილგონიერებაა, იუმორია, სილაღეა, იგავ-არაკია, მინიშნებაა, ზღაპარია, იმედია, ხოლო აფორიზმი ყველა აღნიშნულის ჯამია, აზროვნების საჯინიბოში სიამით გაჯირითებული.

1630. აფორიზმი ფრაზების მოწესრიგებული ბაზარია, ყოველგვარი ვაჭრობის გარეშე.

1631. არასერიოზულ იუმორთან გაპაექრება ხშირად ფილოსოფიისთვის ტრაგიკული სიცილია.

1632. იუმორი ხშირად ფსიქოთერაპიული წამლობაც არის და ზოგიერთ დაავადებას წამალზე უკეთ ჰკურნავს.

1633. წელსქვევითა იუმორი არ არსებობს, რადგან რაც წელსქვევით იგულისხმება, ეს გამასხრებაა, დაცინვაა, უსუსურობაა და საზოგადოების მეობის დაქვეითება.

1634. აფორიზმების ავტორს მისი შექმნის განცდები და გონების ჭყლეტა რომ აღეწერა, ყველა მათგანზე რომანი თუ არა, პატარა მოთხრობა მაინც შეიქმნებოდა.

1635. ზოგჯერ გამოტყვრება იმ დონის აფორიზმი, რომლის შემოქმედებითი ღირებულება ბევრი მწერლის ნამუშევარს გადაახურდავებდა.

1636. ეზოპეს ენა იყო სსრ კავშირის და სხვა დიქტატურული ქვეყნების უპირველესი ენა, ფსევდოდემოკრატიამ ამ ენის საჭიროება გამორიცხა, რაც უაზრო სიტყვების რახა-რუხში გადაიზარდა და კაიფიც გაქრა.

1637. დღევანდელი იუმორის დევალვაცია ფსევდოდემოკრატიის ბრალია, რადგან ყბედობის გაშალაშინებას არ ითხოვს, რაც სიტყვას პეწს, ორაზროვნებას და ალიბის ძებნის მადლს უკარგავს.

1638. იუმორი, რომელიც აწმყოს არ ემსახურება და არ უკეთებს კომენტირებას, ხალხში გასატანად არ გამოდგება.

1639. ჩვენი დროის კრიტიკას იუმორი, სარკაზმი, პაროდია გამოხატავს და არა პოლიტიკური პარტიებისგან მთავრობის ოპონირება, რომელიც ძირითადად საბალახტარო სკამების დასაკავებლად არის მიმართული და არა ქვეყნის ასაშენებლად.

1640. ინტრიგის, ირონიის, გარეშე მზესიტყვაობა ჩვეულებრივი ლიტერატურაა და არა გონიერების საცნობი.

1641. იუმორი უწყვეტი წარმატებაა, ხალხის განწყობა-გამხიარულების საქმეში და ამ მხრივ მას ვერაფერი სხვა საწარმო და დარგი კონკურენციას ვერ უწევს.

1642. ჩვენი ცხოვრება კურიოზული ამბების გახსენება და სიცოცხლის გახალისება.

1643. გონებამახვილობა ყველაზე მეტად კომედიას, იუმორს ესაჭიროება, თორემ დრამა-ტრაგედიის მაყურებლისთვის წინასწარ ყოველივე მისახვედრი და სავიშვიშოა.

1644. ძნელია „მატრაკვეცა“ ხალხის ატანა, მაგრამ სიცოცხლეს ახალისებს, იუმორს გვშთაბერავს და ანეგდოტიც გახაზირებულია.

1645. აფორიზმი იძლევა, უმეტესად პოეზიის ასოცირებას და არა – ფილოსოფია და უკბილო ანეგდოტის შეთხზვა.

1646. ყველა კალამბური სიამოვნებას გამოხატავს, მიუხედავად მათი დანიშნულებისა და ღირსებისა.

1647. ოცნების მიზანია საუკუნეების რომელიმე ასწლეულის სართულზე შევჩერდეთ ჩვენი ეროვნული ვნების, ხალხის სერობის და რევანშისტული ფანატიზმის დასაკმაყოფილებლად.

1648. შენდამი კარგად განეწყობიან, თუ იუმორში დამწნილებული გონება თან გახლავს.

1649. ყველა აფორიზმი-მზესიტყვაობა, გონების საჭყლეტი, განუმეორებელი საქონელია, რომლის შეცნობა-დაჭაშნიკება ერუდირებული ინტუიციის მქონე ხალხის ხვედრია.

1650. აფორიზმი, სიტყვამზეობა, ჩვენი გონების მოკლე ჩართვა და რაობის რეზიუმეა, რომელიც განსჯას არ ემორჩილება.

1651. შეურაცხყოფა ხუმრობისგან იმით განსხვავდება, რომ ეს უკანასკნელი მორალურ ზარალს, პირველისგან განსხვავებით, არ განიცდის და თავსაც იწონებს.

1652. შეხუმრებაა ის, რაც ყველას სულში ოვაციას იწვევს და ირგვლივმყოფთ სასიამოვნო მოსაგონრად რჩება.

1653. სხვისი ალგორითმის სანაცვლოდ ყველა თავისას გვთავაზობს, რადგან ყველას თავისი ჰგონია ჭეშმარიტება და საკითხის მოგვარების საწყისი.

1654. ანეგდოტი შეიძლება ძველი იყოს, მაგრამ ყავლგასული არასოდეს, რადგან ის ყველა დროს ემონება, თუ მას სათანადო იმპროვიზაციას მივაკერებთ.

1655. სიტყვამზეობა სულის ხაბა-ხუბაა ახალი სიტყვების გააზრების ფაბრიკით, რომელიც შეზავებულია „ფელიტილამინთან" – სიყვარულის ჰორმონთან.

1656. რაც გვაქვს, სათანადოდ ვერ ვაფასებთ, ხოლო მის მოსაპოვებლად ძალ-ღონეს არ ვიშურებთ, ვირეშმაკობასაც ვკადრულობთ, რადგან ჩვენს უყირათობას შევეჩვიეთ.

1657. სატირა შეშინებული იუმორია, რომელსაც ფილოსოფიას თუ დაუმატებთ – აფორიზმია, ხოლო ირონიის და ცხოვნების საკმეველს თუ მოვაყრით – სიტყვამზეობაა.

1658. იუმორი ცხოვრების კომენტატორია, რომელიც ჩვენს ყოფას თავისი ჭიტლაყის გადასახედიდან ახმოვანებს.

1659. კომიქსები არსებობს სულით მდიდარი, საზრიანი, საშუალო შეძლების, მხიარული ხალხისთვის, რომლებმაც ყველა დროში და გარემოში ღიმილის ფასი იციან.

1660. სიტყვამზეობა სასუსნავი აზრებია და მისი ერთი ხელის წამორტყმით ოპონირება – კრიტიკას ვერ იტანს.

1661. იუმორი ადამიანის ფსიქოლოგიას შეისწავლის, რომელიც ყოფიერების შეცნობას გართობის ხარჯზე ცდილობს.

1662. კომედია იგივე ტრაგედიაა, ოღონდ ჩვენთვის შეუცნობელი.

1663. აფორიზმი ლამაზად დაწერილი თავისებური ფორმულაა: ზღაპრის, მოთხრობის, რომანის და ზოგჯერ მთელი ენციკლოპედიის, გააჩნია, რა დონის და დროის გენიოსი ჩალიჩობდა აზრთა თეორემის ჩამოყალიბებას.

1664. იუმორი მაშინ ლაღობს, თუ მასზე მწყრალად მყოფ ადამიანსაც აიძულებს გალაღდეს.

1665. ჩვენს ტრადიციებზე, აზროვნებაზე, შემართებაზეა, დამოკიდებული იმ დროის იუმორით გადატანა, რაც დაგვებედა და განგებამ გვიწყალობა.

1666. სიტყვამზეობა აზროვნების და გამოცდილების დიდი ჯაჭვის უკანასკნელი რგოლია, გაპოხილი ირონია-იუმორით.

1667. „კომპილატორი“ წიგნს აკეთებს სხვისი გამონათქვამების ხარ-ჯზე, ხოლო აფერისტი თავად იგონებს და გადახარშავს ციტატებს სხვისი ნაღვაწის წარმოსაჩენად.

1668. აფორიზმია ის, რაც საბოლოოდ რჩება გარდაცვლილიდან, რომელსაც ზოგჯერ გენიოსად ნათლავენ.

1669. აფორიზმი არის სუპერანთოლოგია და ჩვენი ნააზრევის, ნა-თუხთუხარის წიგნი.

1670. ხილის წვენი უფრო უპრიანია ჯანმრთელობისთვის, ვიდრე ნაყოფი, მაგრამ უმეტესობას ეს უკანასკნელი ურჩევნია პირის ჩასაგემ-რიელებლად. ასევეა აფორიზმიც ნაწარმოებთან შედარებით.

1671. აზროვნება გვეხმარება, რომ ვიცოცხლოთ, სიტყვამზეობა და პარადოქსები – რომ ვიცხოვროთ.

1672. მოვა დრო, როცა ტექნიკური პროგრესის ზრდა და განათ-ლებისთვის განკუთვნილი დროის სიმცირე გვაიძულებს საყოველთაო განათლების მისაღებად გონება რეზიუმეებით, აფორიზმებით, გამოვკვე-ბოთ, რადგან დიდი ნაწარმოების გასაცნობად დროა არ გვეყოფა.

1673. იუმორი ის ინტელექტუური საკუთრებაა, რომელიც საზოგა-დოებისათვის არის განკუთვნილი.

1674. მწერალსა და აფორისტს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი თავის ფანტაზიას წიგნის ფურცლებზე ათოხარიკებს, მეორე კი ამას ფურცლის უმცირეს ნაწილზე ახერხებს, მკითხველს ნაჟურ აზრებს სთავაზობს და სიამის წილში ისვამს.

1675. სიტყვამზეობის გენიალობის პროპორციებია: მინიმალური სიტყ-ვები, მაქსიმალური აზრები, შეკაზმული ფილოსოფიის, იუმორის და ირონიის საწებელით.

1676. სიტყვამზეობა აზროვნების დაკუპაჟების შედეგად მიღებული ალკოჰოლიანი წვენია, რომელიც თავის ორგანოლეპტიკის საყრდენს ადამიანის გულში ეძებს.

1677. პატიოსნად „პურის ჭამას“ ერთმანეთს ვუკიჟინებთ, მაგრამ „ჩვენიას“ შეცნობის მცდელობას ვერ ვიოკებთ.

1678. საუბარს, ბაასს, თავისი ყისმათი და შთაგონება ახლავს.

1679. ანეგდოტია ის, რომელიც საექსპორტოა, მარადჟამს ახლებუ-რად გამოიყურება, ყველასთვის გასაგებია, მისახვედრია და ღიმილის მომტანია.

1680. სატირა საკითხის სამ განზომილებაში წარმოჩენაა, იუმორის-ტული ხედვით.

1681. ყველა ანეგდოტი, კომიქსი, მინიატურული სპექტაკლია.

1682. ანეგდოტში მთავარია მისი მოულოდნელი დაბოლოება და არა გაუგებარი დასაწყისი.

1683. დემაგოგია იუმორით ანეგდოტია.

1684. აფორიზმი გონიერების საკმაზი და სახეხია, სულის გასალაღებლად.

1685. ნაჯახსა და მახვილსიტყვაობას შორის ის მსგავსებაა, რომ ორთავეს მჭრელი პირი აქვს.

1686. იუმორია, როდესაც სხვას ისე დასცინი, რომ არ სწყინს და შენც გახარებული ხარ, ხუმრობა რომ გაგიგეს.

1687. სატირას იმიტომაც უჭირს გამოცდის ჩაბარება, რომ ყველა გამომცდელი მისი კლიენტია.

1688. კარიკატურისტის პროფესიას არაფერი ჯობს, რადგან მხატვრის და ფილოსოფოსის ნიჭი ერთდროულად ვლინდება.

1689. აფორიზმი შეიძლება ხელოვნებაზე რეპორტაჟიც იყოს, რომელმაც გაოცება უნდა გამოიწვიოს რაღაც უნიკალურის მიგნებით.

1690. მოკლედ წერას დიდი ნიჭი, გადამოწმებული ერუდიცია და თავდადება სჭირდება.

1691. ანდაზები სინონიმებით უნდა ითარგმნოს და არა ბწკარებით: მაგ. „ულელტეხილზე ცხენებს არ ცვლიან“ სინონიმია „ძაღლი ვინც მოკლა, იმან გადაათრიოს“.

1692. პირველ რიგში ხუმრობას ფასი უნდა დაედოს და ისე წარუდგეს მაყურებელს.

1693. კლასიკა უკვდავია, მაგრამ ირონიას, ზოგჯერ ისიც იმსახურებს, თავზე დიდი წარმოდგენის გამო.

1694. მოზომილი, გაფილტრული, ირონია ყველას და ყველაფერს წამლობს.

1695. სატირა ყოველთვის იყო და დარჩება უკმაყოფილოთა ჰიმნად.

1696. ბაგეთა ცმაცუნი ღიმილი არ არის, მაგრამ სიცილს კი იწვევს.

1697. სიცილი და ტირილი ძმები არიან, მაგრამ არა იქ, სადაც სიცილის ფასს და მწუხრის ნაღველს ახსნა-განმარტების შემდეგაც ვერ ხვდებიან.

1698. სატირა, იუმორი, პათოსი მშენებელიცაა და მგრეველიც, გააჩნია საზოგადოებას, მის წინამძღოლს.

1699. სიცილი კრედიტით ყველაზე მომხიბვლელი შენაძენია.

1700. უხამსო, უწესო ხუმრობის უხეშად გაშიშვლება არ შეიძლება, ის სტრიპტიზიორივით თანდათან, მოხდენილად, ვნებით უნდა გაიხადოს, რომ ირგვლივ მყოფთ სიამე მოგვაროს.

1701. ძველი ხუმრობის განხლება, ყოველთვის შესაძლებელია აწ-მყოს გადასახედიდან.

1702. იუმორის საწყისი, მასში რაღაც ახლოს აღმოჩენა და არა გახსენება.

1703. ციტატის მოშველიება უაზრო ყბედობის ჟამს კამათის შეწყ-ვეტის უებარი საშუალებაა.

1704. ციტატის და ანეგდოტის გამოყენება ყველა საზოგადოებაში შესაძლებელია, თუ სისხარტით გონებას გვინათებს და გულს ხვდება.

1705. ნიჭიერი კაცისთვის არ არის ძნელი იყოს იუმორისტი, კარი-კატურისტი, როდესაც მისთვის „იღვწის“ სამყაროს უსასრულობა, ხე-ლისუფლების მიმტევებლობა და „მასმედია“.

1706. წარსულის გარეშე მომავალი არ არსებობს, ხოლო მომა-ვალს წარსული სჭირდება თავის წარმოსაჩენად.

1707. „ხეს გამოუსხამს კვირტები, მოდი და ნუ გაკვირდები“ – ე.ი. ქვეყნის სამსახური გამოუცდელ ვიგინდარას ხელში აუღია ხალხის გულ-გრილობის ხარჯზე, რადგან ბუნებრივი მოვლენა საოცრებად უნდა წარმოაჩინოს.

1708. ზოგი ოპონენტი „სიტყვამზეობიდან“ ზოგიერთი აფორიზმ-მოსაზრების ამოღებას მოითხოვს სიმარტივის გამო, მაგრამ მათ ავიწყ-დებათ, რომ ქართველი კაცის პოტენციურ ნიჭსაც არ ეკადრება ამდენი უგნური, შურიანი, ვიგინდარა თანამემამულის ყოლა, რომელმაც ჯერ-ჯერობით ვერც წესიერი სახელმწიფო შექმნა და საყოველთაო პრობ-ლემებზე საყველპუროდ აზროვნებს. ამიტომ მათთვისაც უნდა დარჩეს ძალზე მარტივი მაქსიმები.

1709. იუმორსაც სანიტარი სჭირდება, რათა უხამსობაში არ აგვე-რიოს, მოსწრებული აზრი არ ჩავწიხლოთ და სიტყვას ფხა არ დავუ-კარგოთ.

1710. იუმორს მდიდრები არ უყვართ, მაგრამ მათ პატივისცემით ემლიქვნელებიან,

1711. ახალი თაობის იუმორს საშუალო თაობაც უნდა იგებდეს და ძველიც ხალისიან ხასიათზე უნდა დგებოდეს, მაშინ არის ნამდვილი იუმორი და არა მარტო ჯეელობისთვის გასაგები უხამსობა.

1712. ანეგდოტის ვარგისიანობა იმაზეა დამოკიდებული, რამდენად გამოხატავს დროის, პიროვნების, ძალაუფლების, დამოკიდებულებას გა-რემოსთან, ქვეყანაში შექმნილ სიტუაციასთან და როგორაა ჩამოყალი-ბებული საზოგადოების აზრი დღევანდელ ყოფაზე.

1713. ანეგდოტის მიზანია შეგვაგნებინოს, რომ ამ სახის სიბრიყვე ისე საშიში არ არის როგორც წარმოგვედგინა.

1714. იუმორი „წელს ქვევით“ რომ დაიწყებს ძრომიალს, იმ ქვეყნის კულტურის საქმე კარგახნით „ჩამოპლაცკარტდება“.

1715. ცხოვრების დაბალი დონე და ვიგინდარა მთავრობა ყოველ-თვის ბადებს ხარისხოვან იუმორს და ღიმილნარევ სიცილს.

1716. სიტყვამზეობა ახალგაზრდობისთვისაც არის დაწერილი, მაგ-რამ ჩემი თხოვნაა მან ყოფის ჭეშმარიტებანი, ჯერ-ჯერობით, სერიოზუ-ლად არ აღიქვას, რადგან ასაკი, რომელიც ფრენისთვისაა გამზადებუ-ლი, მომეტებული ჭკუის ჭყლეტით თავს გაიბეზრებს, რაც სიცოცხლის დაისზე ისედაც ეყოფა.

1717. სიტყვამზეობა ისეთი ნარკოტიკია, რომელიც მაიძულებს სი-ცოცხლის ბოლომდე ფურცელზე დავამაგრო ჭეშმარიტების მაძიებელი აზრები და მისი უკანასკნელი ტომი შთამომავლობას ავკიდო გამოსაცე-მად და შესაფასებლად.

1718. სიტყვამზეობა ზოგჯერ ისეთ ნაფიქრალს გვთავაზობს, რასაც ადამიანი ხშირად თავსაც არ უმხელს, რადგან მას შინაგანად ტაბუ აქვს დადებული.

1719. სიტყვამზეობა ჭკუის ჭყლეტის შედეგად მიღებული მარცვა-ლია, რომლის გათავისება შინაგანი მოწოდება, განგების ნიჭია.

1720. სიტყვამზეობას როგორ წიგნს, ზომაც მისაღები აქვს, წონაც და მისი ძილის მოსაგვრელად გამოყენება ცოდოა თუმცა ესეც თავისე-ბური მკურნალობაა.

1721. სიტყვამზეობა ზოგჯერ რევიზიას უტარებს ან ფრთებს ასხამს ადრეულ ფილოსოფიურ დოგმებს დღევანდელობის გადასახედიდან და ფილტრშიც ატარებს, ოღონდ იომორის და სატირის თანხლებით.

1722. სიტყვამზეობაში აზრთა ჭიდილი არაფერშუაშია, ყველამ ის თავისი აზროვნების და გემონნების ფარგლებში და თავის გადასახედი-დან უნდა გაიგოს, რადგან ფილოსოფიას ყველა ისე იგებს, როგორც ცხოვრება კარნახობს.

1723. სიტყვამზეობა არ არსებობს წარსულის, აწმყოს და მომავლის გარეშე, ის ცნობიერების ურყევი ესთეთიკაა, მორალური დოგმებია, გონიერების შემეცნება. მისი ფორმა-დახვეწილობა, სისხარტე, მოქნი-ლობა – მწერლის გონების ჭყლეტით შესრულებული.

1724. დღევანდელი იუმორისტი ვალდებულია მხატვრულ ფორმებ-ში ბოლომდე გადმოანთხიოს ხალხის სათქმელი, რათა ხელისუფლებამ

იცოდეს, ვინ, რა და როგორ არის მისთვის საშიში, რას უნდა მიაპყროს ყურადღება და რა გაითვალისწინოს.

1725. ბიბლიასა და სიტყვამზეობას შორის ის სხვაობაა, რომ პირველი ჭკუის დასამუნათებელ ზღაპრებს ყვება, ხოლო მეორე ჭეშმარიტებასთან გაბაასებას ცდილობს, ხოლო რომლის გაცნობას მოაქვს მეტი სიამოვნება, აწმყოს დროსთან შეთამაშებამ უნდა გადაწყვიტოს.

1726. ხუმრობა არც ნაკლია და არც ცოდვა, თუ მსმენელი არ გყავს იუმორის გარეშე.

1727. ხუმრობა ბილწსიტყვაობაზე იქნება მორგებული თუ უიმისოდ, საქმეზე უნდა საუბრობდეს.

1728. სიტყვას ღვთაებრივი მნიშვნელობაც უნდა ჰქონდეს და კანონიერიც, თუ გსურთ მასების გული მოინადიროს.

1729. ზოგიერთი ფილოსოფოსი ადამიანის ბუნებისათვის და ყოფისთვის მიუღებელ აფორიზმებს გვთავაზობს და ჰგონია, რომ სიკეთეს თესავს.

1730. სიტყვას მადლი მაშინ აქვს, თუ მსმენელი და მხარისდამჭერი ვინმე გყავს, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება ყბედობად ჩაგითვალონ.

1731. მოგონებათა უგულო გადათელვა არავის ეპატიება.

1732. ეტყობა, ჩვენი შთამომავალი იმდენად არ გვიყვარს რომ ბუნებას გაუფრთხილდეთ და მას პლანეტაზე ყოფნა გაუხანგრძლივოთ.

1733. სიტყვათმპყრობელი ყოველთვის საქმის მაკეთებელი ვერ არის, მაგრამ ხალხს მასთან ურთიერთობა ურჩევნია, იმდენად დიდია სიტყვის მადლის შეცნობის სურვილი.

1734. ზოგს სათქმელი უფრო ცნობილს ხდის, ვიდრე საქმენი და ყოველდღიური მცდელობა.

1735. გვინდა თუ არა, ყველანი ყბედობის და ენის მსხვერპლნი ვართ: წამოგვცდება რაღაც და ჭკუა-მოხერხებულობამ უნდა გამოასწოროს.

1736. ჰოროსკოპი ის წუთიერი გაელვებაა, რომელიც წამიერათ გვიხალისებს ცხოვრებას და იმ დღეს წუთიერ ენერგიას გვმატებს.

1737. დინოზავრი, ბეჰემოტი, გორილა, შეიძლება ადამიანიც იყოს, თუ მას ყურადღებით და ფანტაზიის მოშველიებით დავაკვირდებით.

1738. სიცრუე-მასხარაობის მცდელობის ნაჯვარი „ბლეფია“, რომელიც ყველას ამხიარულებს დაზარალებულის გარდა.

1739. სიტყვის აჩვილება გულს აჩვილების ტოლფასი ვერ იქნება, რადგან გრძნობათა სისტემას სხვადასხვა „სენსორები“ აქვს.

1740. თუ დამიჯერებთ, კაფიაობა იგივე კაიფია და ყველა ნარკოტიკზე უკეთესიც.

1741. აზრი, მრავალ აალებად სიტყვამზეობაში უნდა გავატაროთ, რათა ვარგისად იქნეს ცნობილი, იმისმიუხედავად, გამოსადეგია თუ არა.

1742. სიტყვა ბარაქიანი, აზრიანი, ჯობს, ვიდრე ლაქლაქიანი და საყოფაცხოვრებო.

1743. ყბედობა განსაკუთრებით მაშინ იწვევს გაკვირვებას, როდესაც არც ყბედობის მონაწილეთ იცნობ და არც ყბედობის მიზეზს.

1744. ენის სიმოკლეა დასაფასებელი და არა – მისი ფორმა და მეტყველების დიზაინი.

1745. ანდაზები, კაფიები, ზეპირსიტყვაობა, ხალხური სიბრძნის ნაღვაწია, რომელზეც მოთხოვნაც სულისთვის დღითი დღე იზრდება.

1746. ბუნებრივი, მოხერხებული, დაუძაბავი, ქცევა იუმორით, ყოველთვის აღფრთოვანებას იწვევს.

1747. კომიქსი აერთიანებს მხატვრის ნიჭს, ფილოსოფიურ ხედვას და იუმორს, რომელიც რატომღაც ყველასთვის გასაგები და არ არის, რასაც თანდაყოლილი ნიჭი სჭირდება.

1748. ხშირად დაქუცული და ორაზროვანი სიტყვების ფრქვევა უფრო საშიშია, ვიდრე არამზადებთან და უგნურებთან შეხლა-შემოხლა.

1749. მეტყველება, ენა, დაკოდილი არ უნდა იყოს, რათა განვითარდეს, სლენგშიც გაინავარდოს, მისგან რაღაც დარჩეს და ერმა შეითვისოს.

1750. ენის კარის მოფლეშვა და ყველა სიახლის მასში შეშვება არ შეიძლება, იმის მიუხედავად, რომ ზოგი სიტყვა მოსაკვეთია და ზოგიც – დასამატებელი.

1751. გამორჩენის სურვილი ყველა ენაზე ერთნაირად საუბრობს, იმაზეც, რაც არ იცის და საერთო ენა ვერ გამოუნახავს.

1752. ძირძველ ენას ბევრი სლენგი და არანორმატიული ლექსიკა მონელებულ-გადამუშავებული აქვს, მაგრამ არა – დავიწყებული.

1753. საზღვარგარეთ ნაგრიალები ვირი სახლში ცხენივით ვერ იჭიხვინებს.

1754. ყველა ენას მისთვის განკუთვნილი საწამლავი აქვს და თუ დროულად გადმოანთხევს, ყველასათვის უკეთესია.

1755. ჩვენი ყოფა წრეგადასული იუმორია, რომელიც იმქვეყნად გადაბარგების შემდგომაც გრძელდება.

1756. „სულის სამოქალაქო ქორწინება“, რომელიც იუმორის სიფაფულით არის გამოწვეული, ყოველთვის აფორმებდა ხელშეკრულებას ხუმრობას, ხეირსა და სიბრძნეს შორის.

1757. აფორიზმმა, ფრაზამ, თავისი თვითმყოფადობით, გენიალობით, ახირებით, ახლებური ხედვით, ჯიგარი უნდა აგიწვას, ამის შემდგომ გონება ახერხებს მისი მადლის აღქმას და შეგრძნებას.

1758. ყველანაირ იუმორს საკუთარი ბაზისი, საწყისი, უნდა ჰქონდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის გაუგებარი დარჩება.

1759. აფორიზმი მინიმალური ყბედობაა, მაქსიმალური სიკეთისკენ ლტოლვაა, გახვეული აზროვნების კაიფში.

1760. ენა აზროვნების ჩალანდარია.

1761. წარსულის გამოსყიდვა-გამოსწორება შეუძლებელია, მაგრამ მისი გადაკეთება და იუმორში მოთარგმნა შესაძლებელიცა და აუცილებელიც.

1762. ნაწარმოების ხაბა-ხუბაში წარმოჩენილი აფორიზმი უფრო დასამახსოვრებლია და უკეთ ჟღერს.

1763. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, აფორიზმი მოსახლეობის მცირე ნაწილისათვისაა განკუთვნილი, რომელმაც მისი ფასი იცის.

1764. აფორისტია ის, ვინც გენიალურ აზრებს ეძებს, რათა ისინი შეკმაზოს და წარმოაჩინოს.

1765. საბედნიეროდ იუმორი, სიტყვამზეობა, აფორიზმი თავის ღირებულებაზე დაბლა და ბითუმად იყიდება და ტვინჩასაწვდომია.

1766. აფორიზმი საცერში გატარებული დაწნეხილი აზროვნებაა.

1767. აფორიზმით ტკბობა გონიერთა, ცნობისმოყვარეთა, იუმორის მქონეთა, სულის საამებელი საქმეა.

1768. მატერია გაბახებული რწმენის „უთქმელი ანეგდოტია“.

1769. ჭკუა ბევრისთვის მიუცია ღმერთს, მაგრამ მის გამოყენებას სხვა ყისმათი სჭირდება.

1770. იუმორი, ირონია, ცინიზმი, პათოსი, ზომიერების ფარგლებში სამკურნალო თერაპიაა.

1771. იუმორი ენის გრამატიკაზე და ზნეობაზე ძალადობაა, კეთილი სურვილებით.

1772. დღეს იუმორმა უტიფრობას, სიძულვილის ნაცვლად გმირობა აჩუქა და ესეც ამ უდღეური დროის დროებით ყივილია.

1773. კაცობრიობის ხსნის იმედის ღუზა იუმორია თავისი ყოველდღიურობით, საყოფაცხოვრებო პირობით და სულიერების პოეზიით.

1774. არაკი წერილით, სექსი ტელეფონით – უგვანობის სინონიმია.

1775. ფაქტიურად, მჭერმეტყველება მოკლედ ჩამოყალიბებული აზრიანი და საქმიანი წინადადებებისგან შედგება.

1776. იუმორის გრძნობა მომხიბვლელია და ამიტომაცაა, რომ ის ქალს მეტ-ნაკლებად ახასიათებს, თუ შინაგანად ყველა მათგანი თავისებურად მომნუსხავია.

1777. კამათში სიტყვამზეობის ავტორიტეტის მოშველიება ალიბის ძებნაა და არა – შენი სიმართლის საბუთი.

1778. აფორიზმი ფილოსოფიური აზროვნების სანელებელია, რომელიც მის მადლს გვამცნობს და ვაგემოვნებთ.

1779. ვეცადოთ ამქვეყნად მაინც არ ვიყოთ სერიოზულები, რადგან მაინც დროებით ვართ მოვლენილნი.

1780. ელიტა სხვის აფორიზმებს აფრქვევს თავისი სიამოვნებისთვის და სხვისთვის ჭკუის სასწავლებლად.

1781. ერთდროულად მოწყენილობის, სიცილის და საშინელების აღქმის ცდაა ნამდვილი იუმორის საფუძველიცაა და მისი ანბანიც.

1782. თანაგრძნობა და გულჩვილობა, სიბრალული და დანდობა სხვადასხვაა, იმისდამიუხედავად, რომ შეიძლება სიტყვების თამაშად მოგვეჩვენოს.

1783. ყველანი ამ ცხოვრების კლოუნები ვართ, რადგან რაღაც ჩვენი გვინდა ვთქვათ იმისდამიუხედავად, გვაქვს ამის უფლება თუ არა.

1784. წინათ იუმორს სიღრმე ჰქონდა, ძლიერი იყო, მაგრამ ცოტას თქმა შეიძლებოდა, დღეს სიღრმე აკლია, სუსტია, მაგრამ ყბედობას არავინ გვიშლის.

1785. გონიერებისთვის იუმორმა აზრი დაკარგა, რადგან დღეს ის წელსზევით არ ადის, ხოლო, წელსზევითა იუმორს აზრიანი და მომზადებული მსმენელი სჭირდება.

1786. ირონია – უმადურობის, უვარგისობის, უძლურების უკანასკნელი გამოსავალია.

1787. იუმორი – მივიწყებული სათუთო გრძნობების, ნაღვლის მოწოლის მხიარული გახსენებაა კვადრატში.

1788. მწარე იუმორია, როდესაც ორგანულს, ზოგადსაკაცობრიოს, აზრიანს, მიგანიშნებს ცხოვრების ყველაზე პასუხსაგებ მომენტში.

1789. ანეგდოტი – ეს არის გამჭვირვალე, მიმზიდველი, სხარტი, როგორიცაა ლამაზი ქალი ჩვენს წარმოდგენაში.

1790. კლასიკოსია ის, ვისი აფორიზმების, სიტყვამზეობის, გამონათქვამის გახსენება არ ეზარებათ, იმისდამიუხედავად, იცნობენ ავტორს თუ არა.

1791. იუმორი ინტელექტის ვიტამინია, მაგრამ მარტო მისით კვება არ შეიძლება, რათა რეალობას არ მოვწყდეთ.

1792. კამათის კულტურაცაა შეიგინო ლამაზი სიტყვებით, მაგრამ ორაზროვნება ყველასთვის გასაგები უნდა იყოს.

1793. გამონათქვამი გამონათქვამის სწორი და ტოლი არ არის, რადგან ზოგიერთი მწარე ღიმილით გვამახსოვრდება.

1794. აფორიზმი შეიცავს იმ სიმართლეს, რომელსაც ვერსად გავექ-ცევით.

1795. ეპიგრამების შემთხზველი თავად ითხრის საფლავს და სუიცი-დისთვისაა „გახაზირებული".

1796. სიტყვამზეობა აზრის მოთარგმნას ვერ იტანს, რადგან თვით-მყოფადობის სულს კარგავს და ფილოსოფია ეძალება.

1797. სიტყვამზეობა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კონგლომე-რანტია ლიტერატურის შეზელვით და მოკლე გემრიელი ულუფებით გონების და სულის გასალაღებლად, გასამდიდრებლად.

1798. ლიტერატურული აზროვნების შტატების შემამცირებელი აფორიზმია.

1799. ანეგდოტის მოსმენა უფრო დიდი კულტურაა, ვიდრე მისი ინტერპრეტაცია, განსაკუთრებით თუ ეს ანეგდოტი შენთვის ცნობილი და „წვერიანია".

1800. სიტყვამზეობა ცხოვრების მოკლე განმარტებითი ენციკლოპე-დიაა და მას გონიერი და შემოქმედი მკითხველი სჭირდება.

1801. ციტატა, სხვისი გონიერებით, აზრებით, სიტყვებით, შენი ნების გამოხატვაა.

1802. სიტყვიერების მოცულობა ერის სიმდიდრეს არ ნიშნავს, თუ მას მუსიკალური ჟღერადობა და ენამოსწრებულობა აკლია.

1803. აფორიზმების გაცნობა სასჯელი არ არის, ის გონიერების მოთხოვნილებაა საზოგადოებაში თავის წარმოსაჩენად.

1804. იუმორის აღქმაში და თავად იუმორში ის სხვაობაა, რომ პირველი ორანჟირებას ემორჩილება, ხოლო მეორე ამას მოკლებულია.

1805. კარიკატურა უბოროტო ხუმრობაა, კომიქსი დასაფიქსირებე-ლი ფილოსოფიაა იუმორში.

1806. აფორიზმი არის მოკლედ რედაქტირებული რომანი, რო-მელშიც ერთდროულად პოეზიაცაა, იუმორიც და ცხოვრების ფილო-სოფიაც.

1807. სენტენცია ხშირად ერთიდაიგივე აზრთა ჭიდილია სხვადასხვა ვარიანტებში ფილოსოფიის, იუმორის, სიბრძნის საფუძველზე, რომე-ლიც გონიერების ამოფრქვეული ცეცხლით უნდა იქნეს დაბრაწული.

1808. იუმორი ლოგინს უშლის გონიერებას, სატირა კი საბანს ახურავს.

1809. სიცილის ვაქცინა ალბათ ყველა დაავადების მკურნალი იქნებოდა, რომ გამოეგონებინათ.

1810. სიცილი დაპირისპირებულ მხარეთა განიარაღების ყველაზე უებარი საშუალებაა.

1811. სიტყვამზეობის მადლი და ფასი რომ გაიგო: ცხოვრებამ რამდენჯერმე უნდა გიმუხთლოს ახლობელმა ალიყური უნდა გაგაწნას, მეგობრებმა ფეხი უნდა დაგადგან, გამოცდილება დროს ცხვირის რტყმევით უნდა გამოსტყუო, ღალატის სიმწარე უნდა იწვნიო, ყოფის გასაჭირიდან გამოძრომა უნდა ისწავლო, დაღვინდე, გამოცდილება უნდა მიიღო.

1812. სიცილის ნიჭი შინაგანი თავისუფლების ყველაზე დიდი გამომზეურებაა.

1813. სიცილის ნიჭი ჯანმრთელობისთვის საჭირო, მსუბუქი ნარკოტიკია, ვისაც მისი გათავისების უნარი შესწევს.

1814. ცხოვრების შეცნობა – ტრაგედიაა, მასზე ფიქრი – კომედია, მასთან ჩალიჩი – სატირა, ოცნების გაჯერება – იუმორი, ბოლოს იმ ქვეყნად გადასახლება – ანეგდოტია.

1815. ანეგდოტი იგივე დემაგოგიაა, ოღონდ ღიმილს და ჭკუის გახალისებას იწვევს.

1816. მსოფლიო აფორიზმების 20 ტომეულის გამოცემა დაიწყო, მაგრამ ამგვარ პროდუქციაზე ავტორის გვარის მიწერა, აწმყოში დაუფასებელ გენიოსთა ხვედრია.

1817. საზოგადოების ,,დებილიზაცია'' მაშინ იწყება, როდესაც იუმორი, ხელოვნება, მწერლობა და მათ შორის, მეცნიერებაც, წელს ქვევით მიიწევს და წელსზევითა ფილოსოფიას ან ვერ იგებენ, ან მხოლოდ ფულის შოვნაზე ფიქრობენ და საღი აზროვნებისთვის თავი დანებებული აქვთ.

1818. ყოველთვის ძნელია იმათთან კამათი, რომელთა სული, მენტალიტეტი, ქვის ხანაში აქვთ გადანახული.

1819. საზოგადოების რაობა, ჩამოყალიბება, მოწმდება იუმორის ხარისხით – თუ იუმორი დაბალხარისხოვანია და წელქვევით მიილტვის, საზოგადოება ჩამოყალიბების პერიოდშია და აქ ვერაფერს გახდები – დროა ასეთი.

1820. დაკომპლექსებულ და იუმორის არმონეს, ყველაფერი წყინს, რადგან ის შემთხვევით არის ამ დროში მოსული.

1821. არის საზოგადოება, არის ცხოვრების კერძო გამოცდილება და მათი აღრევა არ ამართლებს, რადგან ერთის პროგრამაა, მეორეისთვის ყოფის წესია და ამ შეუთავსებლობის შეცნობას და შეთავსებას ცდილობს ,,სიტყვამზეობა''.

ბავშვები, მშობლები, მასწავლებლები

1822. შვილი ოჯახის დულაბია, თუ მშობლებს არ აკლია მოვალეობას გრძნობა და სიყვარულის ცემენტი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის მძიმე ტვირთად აეკიდება საზოგადოებას, რომელმაც გრძნობების გასართობად მიმოფანტვა ისწავლა.

1823. მშობლისთვის ყველაზე დიდი კაიფია როცა მისი საქმიანობით შვილი აღფრთოვანებულია და იმ ღიმილს გჩუქნის, რომელიც მხოლოდ შენით კმაყოფილი ნაშიერს შეიძლება გააჩნდეს.

1824. ბავშვს აღზრდა-მზრუნველობასთან ერთად, ყველაზე მეტად პატივისცემა-სიყვარული სჭირდება.

1825. ბავშვის გაჩენა, აღზრდა და საკუთარი სამყაროს შექმნა ქალის საქმეა, ხოლო შვილის სწორ გზაზე დაყენება, თვალის დევნებით, – კაცისა.

1826. გმირობა ბავშვის გაზრდა და მისთვის სასურველი საქმიანობის გამოძებნაა და არა – შობა, რომელიც ქალის გენეტიკურ მოვალეობას განეკუთვნება.

1827. წყვილის საქმეში ბავშვების კეთებისას გონიერებაც არ უნდა ჩაერიოს, რადგან მათი რაობა განგების ნებაა.

1828. ბავშვის ჩამოსაყალიბებლად უმთავრესი გრძნობების აღზრდაა, შემდგომ მოდის განათლება, მატერიალური კეთილდღეობა. რაც შეეხება შენი ზრუნვის ავ-კარგს სიცოცხლის დაისზე იგრძნობ – შვილის ყურადღების მიხედვით.

1829. ბავშვები დიდებზე გონიერები არიან, მათ შეუძლიათ შენდობაც, მიკედლებაც და უპასუხო სიყვარულიც.

1830. შვილები მშობლების ნამოქმედარზე პასუხს არ აგებენ, მაგრამ შედეგს იმკიან, აბანდებენ, ხეირსაც ნახულობენ დროის გამოძახილისა და ყოფის ავან-ჩავანის მიხედვით.

1831. ყველა ბავშვი თავისი გზით მიდის გენის, აღზრდის, გარემოს და შემთხვევის დახმარებით და წყალობით.

1832. ბიჭებს დედებთან პრობლემა მაშინ ეწყებათ, როდესაც ისინი დაოჯახდებიან, ხოლო ქალიშვილებს პატარ-პატარა პრობლემები დაბადებიდანვე აქვთ დედასთან და ისინი გათხოვების შემდგომ ორივესთვის შეუმჩნეველი რჩება.

1833. ბავშვის აღზრდა ძირითადად მათ მიმართ გააფთრებული სიყვარულია, იშვიათად ყურის ახევით და საკუთარ თავშეუკავებლობაზე გულის დაწყვეტით.

1834. ვეცადოთ ბავშვი აღვზარდოთ და არა – გარდავქმნათ-გადავასხვაფეროთ.

1835. ბავშვი ყოველთვის ის თაიგულია, რომელსაც დაუნანებლად ჩუქნი წინაპრებს, რომლითაც თავადაც კმაყოფილი ხარ და ბებია-ბაბუაც აღფრთოვანებულია, რადგან ისინი, შენს ჯიბრზე, უკეთ უგებენ ერთმანეთს.

1836. ბავშვის შეკითხვა-პასუხი თავისი მიხვედრილობით და გონიერებისთვის ნიშანში მორტყმით, ყველაზე დიდი ნაღველგამოვლილი სიამოვნებაა მოზრდილთა დასჯა-ოპონირებისათვის.

1837. შვილს მშობლები წარმოშობენ, მაგრამ იგი მაინც შემთხვევის და განგების წყალობაა.

1838. ძნელი ბავშვობის გახსენება იმათაც უყვართ, ვისაც ამის მიზეზი არ ჰქონია.

1839. შვილი, რომელსაც შეუძლია მშობელს ტკივილი ისე მიაყენოს, რომ თავად არ განიცადოს, ბავშვი კი არა, უკვე „დიდი ვირია".

1840. ბავშვი მშობლის საკუთრება არ არის, ის ოჯახის ტრადიციების და სინდისის კუთვნილებაა.

1841. შვილის აღზრდასა და გაწვრთნას შორის დიდი სხვაობაა, რადგან პირველში სიყვარული სჭარბობს, მეორეში – მისი კაცად ქცევის სურვილი.

1842. ქრისტიანული სწავლების თანახმად, ხორციელი სიყვარული ცოდვაა, ხოლო უსიყვარულოდ გაჩენილი ბავშვი რომ მეტი შეცოდებაა, ამაზე არაფერს ამბობს.

1843. ბაბუასთვის გოგონაც შვილიშვილია და ბიჭიც, მაგრამ ამ უკანასკნელს გვაროვნული დატვირთვა და წინაპართა წინაშე მოვალეობა აქვს.

1844. ყველაზე უკეთესი მასწავლებელი ის არის, ვინც ბავშვს საკუთარი თავისადმი სიყვარულს შთაუნერგავს.

1845. აღზრდის ხელოვნებაა, როდესაც ბავშვი სწავლებას ვერ გრძნობს და განათლების მიღება თამაში ჰგონია.

1846. შვილს დარიგება არ შველის, ის მატერიალისტურად უნდა დააკვალიანო და სამუშაო ადგილი მოუნახო.

1847. ყველაზე მეტად ადამიანს ის სიამოვნებს, როცა შვილი მის ნაოცნებარს აკეთებს და ამ საქმეში მას სჯობნის.

1848. სამყაროს მეუფე ბავშვია და არა მისი მშობლები.

1849. სიმდიდრეს თავისი ღირსება აქვს, რომელიც ყველასათვის გასაგებია, მაგრამ ბევრისთვის მიუღებელი – 10 ბავშვის ყოლა სჯობს

თუ 10 მილიონის ქონებაა? თუ ფაქტია, პირველი ჯობს, თუ სურვილია – მეორე.

1850. ბავშვი არ უნდა მონაწილეობდეს მოზრდილთა კონკურსში, რადგან აქ მოსალოდნელია ადამიანური სულმოკლეობა, რომელიც ყრმის ბუნება-გუნებას, შედეგის მიუხედავად, ვნებს.

1851. სად მიდის ჩვენი ბავშვობა, ამის აღქმისთვის დრო არ გვყოფნის და ზოგჯერ ასაკი ამას ვერც ამჩნევს.

1852. ბავშვის ჩასახვა, შობა, აღზრდა, სათითაოდ ყველა ხელოვნებაა, მაგრამ შვილიშვილების აღზრდა სხვა ხელოვნებას მოითხოვს, რადგან თაობათა კვლავწარმოების საქმე ბოლომდე მივიყვანოთ.

1853. რჩევა-დარიგებასა და მაგალითის ჩვენებას შორის დიდი სხვაობაა, მაგრამ მშობლებს სურთ შვილები მხოლოდ დარიგებით დააკვალიანონ.

1854. შვილი ჩვენი ყოფის არსია და ის სხვის ,,აივანზე'' არ უნდა იზრდებოდეს, ჩვენი ზერელე მზრუნველობა-დაფინანსებით.

1855. ბავშვი მშობლების ხატი უნდა იყოს და არა – ერთ-ერთის ასლი.

1856. მშობლების დიდი დამსახურება ისიც იქნება, თუ მათი შვილები არ გათამამდებიან, ბუნება მათზე დაისვენებს და ისინი ამას უმტკივნეულოდ შეეგუებიან.

1857. მშობლებს რომ მეტად ეძალავათ, უკეთესები ვიქნებოდით, რადგან მათი პოსტულატების უმეტესობა მისაღებია და ამას მშობლების როლში ვხვდებით.

1858. სავალალოა, თუ დიდობაში ადამიანს ბავშვობის გასახსენებელი და ბავშვური აღარაფერი შემორჩათ.

1859. ინტერნეტის ნაჭუჭიდან გამომძვრალი თაობა მუდამ მისი თაყვანისმცემელი იქნება, მომდევნო სასწაულამდე.

1860. ბავშვები ზოგჯერ დიდებისგან იმიტომაც უნდა დავიცვათ, რომ მათი ნაცადი უგვანობა და დაობებული ,,ყოფმხედველობა'' არ გადაედოთ.

1861. მოსწავლისთვის პედაგოგის ავტორიტეტი თეორიულად ყველა ხელისუფლის შესაძლებლობებზე მაღლა დგას – მის ნებას ასე თუ ისე, მაინც ემორჩილებიან.

1862. ვაჟებს უნდათ ყველა მიღწევა დედებს მიუძღვნან, ხოლო მამები გააკვირვონ.

1863. მშობლის გადამეტებული მზრუნველობა შვილებს ჯერ დადებით ენერგიას აცლის, შემდეგ – საღად აზროვნების უნარს და გაურკვეველი ყოფის მარიონეტად აქცევს.

1864. შვილების ადრე დაობლება დაოჯახების დაგვიანებაზე არ არის დამოკიდებული, ამას განგება, გენი, წყეტს.

1865. ხშირად წაკინკლავებულ მშობლებს შვილების სიყვარული აიძულებს კომპრომისი ნახონ და თავიანთი ამბიციები მოთოკონ.

1866. მასწავლებელს ბავშვი უფრო მომთვინიერებლად აღიქვამს, ვიდრე მწვრთნელად და დამრიგებლად.

1867. მასწავლებლობა ღვთიური ნიჭი და განგების ნებაა, ძალად პედაგოგობა დანაშაულია საკუთარი თავის წინაშეც.

1868. შთამომავალთა ყოლა გვაიძულებს, უკეთესნი ვიყოთ თუნდაც საკუთარ თავთან მიმართებაში.

1869. იმედი იმისა, რომ შვილები უფრო მეტად მოგვიგონებენ, ვიდრე ჩვენ გვახსენდება მშობლები, ნულის ტოლია.

1870. სამმა ნასვამმა მოსწავლემ თავისი სკოლის მასწავლებელი გააუპატიურა და მოკლა, რადგან პედაგოგი დაემუქრა საჩივრით. იგივე ქმედებისათვის მეორე მასწავლებელმა მადლობა გადაიხადა და დღესაც საჩუქრებს იღებს და ჟინს იკმაყოფილებს. რას ჯობს – უკომპრომისობა, შეუალობა, პრინციპულობა თუ საკუთარი „მეს“ მოთოკვა და ყოფის ნაღების მოხსნა, ძნელი განსასჯელია, რადგან ყოველივეს აღზრდა და საზოგადოების მენტალიტეტი განსაზღვრავს, თავის „საჩუმათო“ გადასახედიდან.

1871. საკუთარი ბავშვის შეფასება ასაკის გადასახედიდან, ყოველთვის არარეალურია, რადგან მას აკლია იმ ასაკის სიწმინდე, უშუალობა და იმ გარემოს აღქმაა, რომელიც ამჯერად მისთვის მიუწვდომელია.

1872. შვილი არავის საკუთრება არ არის, ის ინდივიდია, რომელმაც მომავალი თავადვე უნდა განსაზღვროს გენის, აღზრდის, ტრადიციების გათვალისწინებით და გათავისებით.

1873. დედა – ფესვებია, ფორმაა, აწმყოა, მამა – სულიერებაა, შინაარსია, წარსულია, ხოლო ორივეს ნახლაფორთალი შვილია, რომელიც მშობლების გენების შერწყმული ალგორითმებით იცხოვრებს.

1874. ვერც ერთი შვილი მშობლის ამაგს ვერ აფასებს, თუ მშობელი სხვისთვისაც მიმზიდველი და საჭირო არ არის.

1875. ბავშვი შესაძლებლობას გვაძლევს ვიღაც თავზე მეტად გიყვარდეს.

1876. თუ გინდათ ადამიანები გაფასებდნენ, „თევზის ჭერა“, შვილის გარდა, სხვას არ უნდა ასწავლო და ზოგჯერ პატივისცემის ნიშნად კეთილისმდომს თევზი უნდა უწილადო. ეს ქმედება იაფი გიჯდებათ, პატივისცემასაც იმსახურებთ და არც არავინ დაგაყვედრით ერთგულებას.

1877. დედა: საძირე, გონიერება, ფორმა, აწმყოა. მამა: სინათლეა, სულიერება, წარსულის სიამაყეა. ჯამში – მომავლისთვის ზრუნვა.

1878. ბავშვობის სიყვარული, აღმაფრენა, ასაკის მატებასთან ერთად იკარგება და შემოგვრჩება მხოლოდ სასიამოვნო მოგონება.

1879. ადამიანი, რომელიც მშობლების დამსახურების გამო იქცევს ყურადღებას, ძალად იღბლიანია და დროებით რჩება ყურადღების ცენტრში.

1880. დიდხანს აგვდის მშობლების სუნი, რომელიც ჩვენი შექმნა-ჩამოყალიბებისას გახარჯეს.

1881. ბავშვის ხალასი, არაორდინალური, აზროვნება დიდებს დაა-ფიქრებს და მომდევნო თაობათა გენიალობაში მისდაუნებლიედ არ-წმუნებს.

1882. ქალის გულის მონადირების მცდელობით მრავალ მდედრს უნდა ვეტრფოდეთ, მაგრამ უნდა ვაღმერთებდეთ ჩვენს შვილების დე-დებს, რომლებმაც ჩვენს გენს თავის წარმოჩენის უფლება მისცა.

1883. ჩემთვის ყველაზე დიდი მოვლენა შვილი და შვილიშვილია, გვარის გამგრძელებელი, დანარჩენი ,,ისე რა'' საქმიანობა, რამდენადაც გავლენას ახდენს შთამომავალთა ავ-კარგზე.

1884. შვილის ყველა დაბადების დღე, წლების მატება მშობლის სიხარულია, მათი გენის შეფასება-გადაფასება – დაფასებით.

1885. შვილი გართობის, ზრუნვის თავისებური ,,ბრენდია'', რომ-ლის გარეშეც ადამიანის რაობა აზრს დაკარგავდა.

1886. შვილის აღზრდის კანონი არ არსებობს, შემთხვევა და გარე-მო მას ადამიანად აყალიბებს და ბედისგან დაგეგმილ ცხოვრებას გზაზე გაჰყავს.

1887. ცივილიზაციას ის უარყოფითიც მოაქვს, რომ ნაშიერსაც აღარ ვიცოდებთ – არ ვაცლით, რათა თავის დროს მოერგონ – ბავშვობის გაუტარებლად.

1888. ადამიანისთვის მთავარია იმის შეცნობა-შეგრძნება, რომ შვი-ლი მას დაემსგავსება, ხოლო თუ ეს გრძნობა ჩაკლულია, ბავშვის გაჩენაში მისი მონაწილეობის უფლება უნდა აღიკვეცოს, როგორც დანაშაული განგების წინაშე.

1889. ქალი და კაცი სხვადასხვა ბუნების ანტიპოდები, შეუთავსებე-ლი მოლეკულები, არიან, ხოლო განგებამ ამ ორი სიავის დასათრგუ-ნავად მათ შვილების აღზრდა და სიცოცხლის კვლავწარმოების ჯაჭვის აკინძვა დააკისრა.

1890. დედა ყველა შვილისთვის წმინდანია, მაგრამ ის მაინც ქალია და რაღაც უნდა შევუნდოთ და ვაპატიოთ.

1891. ჩვენ დაუცველნი ვართ იმათგან, ვინც ჩვენი სისხლი და ხორცია, გვიყვარს, ვენდობით.

1892. ბავშვს, ყმაწვილს, ნაუცბათევად, დაუფიოქრებლად, თხოვნაზე უარი არ უნდა უთხრათ, რათა უარის მიზეზი ახსნას, როცა პირველი შემართება გაუვლის.

1893. მაღალი კლასის თოვლის ბაბუაც არსებობს და თოვლიაც, რომლებიც ბავშვების ოცნებებს და სურვილებს მშობელთა დახმარებით ხშირად ასრულებენ და ამით ყმაწვილებს სულს ულამაზებენ.

1894. ქალი კი არ კვეცავს და იმორჩილებს მამრის მისწრაფებებს და უფლებებს, არამედ შვილები, რომელთა აღზრდის ინტერესები ორივე წყვილის აზრთა სხვაობაზე მაღლა დგას.

1895. ხანდახან სხვისი შვილების აღზრდაზე გადაყოლილს საკუთარ შვილთა აღზრდა მხედველობიდან გეპარება და ეს არის პედაგოგის ხვედრი.

1896. ბავშვის აღზრდას ზოგჯერ სიმკაცრე, ჟინი, ალიყურიც უნდა ახლდეს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში – დაცინვა, დამცირება.

1897. შვილმა მშობელი უნდა განსაჯოს ოღონდ მოფერებით და სიფაარულით.

1898. ოჯახში პატარა სულ უნდა დარბოდეს, ეს შენი შვილი იქნება, შვილიშვილი თუ შვილთაშვილი, რათა სიცოცხლე გავიხანგრძლივოთ, ამქვეყნად მოსვლის მადლი ვიგრძნოთ და ასაკის მატებას ფილოსოფიურად ვუყუროთ.

1899. ლამაზი არ არის, როდესაც ყოფის ლიფსიტა სიბრძნეზე თავს დებს, მითუმეტეს, თუ არც ნიჭი გააჩნია და არც – აღზრდა.

1900. მასწავლებელი მოსწავლისთვის განგების ტოლფასი აღმზრდელი უნდა იყოს, მაგრამ ზომიერი დაფინანსება მაინც სჭირდება.

1901. სკოლის უმთავრესი მიზანი მოსწავლისთვის ხასიათის ჩამოყალიბება, მისი გარეგნული და სულიერი ფორმირებაა, მხოლოდ ამის შემდგომ – განათლება და ინტერნეტი.

1902. მართლაც ინტერნეტი ბავშვებს ათაყვანებს, მაგრამ რა გინდა, ჩვენზე ინფორმირებულნი და ალბათ, უკეთესნი არიან.

1903. ყველა ჩვენგანს დედის ნათელი თავზე გვადგას, გვიფარავს და წარმოგვაჩენს როგორც ამ, ისე იმქვეყნად.

1904. ხნიერი ვალდებულია ბავშვს თავი გაუყადროს, მოუსმინოს და მისგან გონიერების ალიყურიც მიიღოს, თუ უნდა სიცოცხლის ეშხი ახლებურად შეიცნოს და შთამომავლობის იმედით ისიამოვნოს.

1905. სიყვარულის გათავისების და მოვლის შედეგია ის, რომ ნაშიერთან განშორება გიჭირს და მისი დამოძღვრაც გავიწყდება.

1906. ალიყურის გამოყენება აღზრდაში დაუშვებელია, მაგრამ პრაქტიკულად, ზომიერების ფარგლებში, ძალზე ამართლებს.

1907. „სჯობს გაკვეთილსა ნაძრახსა შატალო სახელოვანი“ ამ დევიზს დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა მოსწავლე-ახალგაზრდობის შეგნებაში.

1908. მშობლის ამაგი ლესვას და შეფერვას მოითხოვს, მაგრამ არა ისე, რომ ვადაში გადატყდეს და შთამომავლობის მატებას ვეტო დაედოს.

1909. თოვლის პაპის კულტი ბავშვების საამებლად და დიდების გასართობად შეიქმნა, ჯიბის მოჩხრეკვით.

1910. ასაკს, მობეზრებული სიცოცხლის გამო, ზოგჯერ სხვისთვის ყურის გდება უჭირს.

1911. ბავშვის მიხვედრილობას და მის დასმულ ორგინალურ კითხვებს, ვერც ერთი მოზრდილი ვერ მოიფიქრებს, ხოლო მასზე პირდაპირი და გონივრული პასუხის გაცემა ხშირად შეუძლებელია.

1912. შვილი მაინც სიყვარულის ნაყოფია, ამიტომ ის თავის ულირს მშობლებსაც უნდა იცნობდეს, რადგან ვნება და გრძნობათა ჭიდილი განუსჯელია.

1913. დღეს ბავშვებს იმის გამომზეურებას სთხოვენ, რაც წინათ უნდა დაემალათ, ცელქობად ეთვლებოდათ და ალიყურს იმსახურებდნენ.

1914. შვილისთვის მთავარია მამის ცოდვების მოხსნა, განწმენდა, რადგან თავის ცოდვების ჩასადენად და გამოსასწორებლად მეტი დრო რჩება.

1915. ენერგიის ზომიერად ხარჯვის უფლება ყველას გვაქვს, რადგან ჩვენი ნაშიერი გზაზე დასაყენებელია.

1916. სწავლება უმთავრესად ინტელექტში გარკვევას მოითხოვს – როგორც მოსწავლისას, ისე მასწავლებლისას.

1917. იყო მასწავლებელი, ხელოვნებაა, იყო საყვარელი მასწავლებელი – მოწოდება.

1918. სწავლა და ფიქრი სხვადასხვა რამაა, მაგრამ უერთმანეთოდ არაფერს იძლევა.

1919. ცირკში პატარების საამებლად დადიან, მაგრამ ბავშვებზე მეტად მშობლები განიცდიან სიამოვნებას.

1920. ჩვენი ცხოვრების მიზანია: რას იტყვის ჩვენზე შთამომავლობა და ნაშიერები იმაზე მეტად უკეთესები იყვნენ და რისი იმედიც გვაქვს.

1921. თუ მასწავლებელს ყურისგდების და ანალიზის უნარი შესწევს, მან შეიძლება მოსწავლისგან რაღაც-რაღაცეები ისწავლოს.

1922. „დნმ"-ას ანალიზი იძლევა საშუალებას შვილებმა და მამებმა მოგვიანებით ერთმანეთი გაიცნონ და ეს განგების დაცინვაა თუ ცივილიზაციის გათავხედება, დადგენას მოითხოვს.

1923. აღზრდა სხვისი ხელმოცარვის შეუმჩნევლობაა, გარკვეულ დრომდე.

1924. ღარიბების სიმდიდრე ბავშვების სიმრავლე და მათზე ზრუნვაა, მდიდრების – დედისერთაზე გადაყოლა.

1925. მშობლებისა და შვილების ურთიერთობა ხშირად აზრთა გაზიარების „ფაეტონია", სადაც გამწევი ცხენების როლის შესრულებას მშობლები ჯიუტად ცდილობენ.

1926. ბავშვი ცხოვრების აზრიანი გართულებაა, შინაგანი მოთხოვნით, სიამოვნებით, ვალის მოხდით.

1927. სხვისი ბავშვები სწრაფად იზრდებიან, მაგრამ კრეტინად დაბადებულთ, შენი იქნება თუ სხვისი, ზრდაში ვერავინ სჯობნის.

1928. ერთ-ერთი ვისი, წარმატებაც არ გშურს, შენი ნაშიერია, რადგან მას შენი ცნობიერების წილში უზიხარ.

1929. ბავშვს თავის გმირი უნდა ჰყავდეს თუნდაც ზღაპრიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი მოქალაქედ აღზრდა გაჭირდება.

1930. შვილის სიფარულია: თუ მას ცხოვრებაში და ხალხში დროულად გასვლას ასწავლი და არა კალთის ქვეშ გამოკერება და მასზე გამუდმებით ზრუნვა, რადგან თუ გენი, აღზრდა, გარემო, უვარგისი აქვს, მან შეიძლება მშობლის მცდელობის მიუხედავად მაინც მიჰქაროს.

1931. ერთ სოფელში სკოლის დახურვა გადაწყიტეს მოსწავლეთა უკმარობის გამო. თექვსმეტმა მასწავლებელმა ბავშვები უპატრონო სახლიდან იშვილა. ამით ხელფასიც შეინარჩუნეს, ბავშვის მოვლისთვის დახმარებაც აიღეს და უდიდესი საქმეც გააკეთეს. ასე, რომ სადაც მოხერხებულობა სიფარულით ჩაერევა, საკითხი მოუგვარებელი და გადაუჭრელი არ დარჩება.

1932. ყველა ჩვენგანის ფესვები ბავშვობაში მიდის, რომლის სიკეთისკენ მიდრეკილება ინსტინქტებზე და მოპყრობაზეა აგებული.

1933. დადგა დრო, როდესაც შვილები უნდა ვაიძულოთ მშობლებს მიხედონ, ხოლო თუ ამას სახელმწიფოს დააკისრებენ, ისინი ავტომა-

ტურად უფლებას უნდა კარგავდნენ საკუთრებაზე და მისი სახელით სპეკულაციაზე.

1934. გოგონას კრიზისი ნინველი ასაკიდან ეწყება, ხოლო ბიჭი მუდამ შეფიქრიანებულია, რადგან ხშირად მისთვისაც გაუგებარია, რა უნდა.

1935. ჩვენი სიმდიდრე უდრტვინველად განვლილი ბავშვობაა, რომლის სიკეთესაც ასაკში ვიმკით.

1936. პედაგოგია ის, ვინც ყველა ინფორმაციას ბავშვისთვის ცოდნად აქცევს და საჭიროების ჟამს მის გამოყენებას ასწავლის.

1937. მშობლის სახელს დღეს დამსახურება სჭირდება, მარტო ბიოლოგიურად ყოფნა არ კმარა, რადგან ბავშვის ჩასახვას მომავალში, წინასწარ გათვლით, მეცნიერება უკეთ წარუძღვება.

1938. შვილი ის ნაყოფია, რომელსაც გაბრაზების მიუხედავად, ,,ფეხებსაც ვერ მოჭამ", ხოლო შვილიშვილის გულისთვის კი მომაკვდავი ფეხზე დადგები.

1939. ,,საქმეს თავისი ჭკუით" ბავშვიც აკეთებს და მოზრდილიც, მთავარია, რა მხრივ შევხედავთ ნახელავს და რა დასკვნის გამოტანა გვსურს.

1940. დიდების ნათქვამისაგან განსხვავებით, ბავშვის ნათქვამის ყველას სჯერა, მაგრამ გააჩნია ბავშვსაც.

1941. ბავშვობა ყველას სასიამოვნოდ ძნელი გვქონდა, დღევანდელობის გადასახედიდან.

1942. ბავშვის აღზრდის თეორია და პრაქტიკა ერთმანეთს არ ემთხვევა, მაგრამ მცდელობა მაინც არ უნდა დავაკლოთ.

1943. ვაჟები ცდილობენ მამის პატივისცემა, დედის მოწონება, ხოლო ბებია-ბაბუების აღფრთოვანება დაიმსახურონ.

1944. ეროვნულ ღირსებას და მის სიმდიდრეს განსაზღვრავს მისი იმ შვილების ოდენობა, რომელიც სამყარომ თავის საკუთრებად აქცია.

1945. შვილი მშობლის გონიერებით უნდა ამაყობდეს და არა შესაძლებლობით, სტატუსით.

1946. ბავშვის აღზრდა დასჯის გარეშე დედის დამსახურებაა, ხოლო მის ადამიანად დარჩენას მამის გენს უნდა ვუმადლოდეთ, ყოველ შემთხვევაში, მშობლების ღვაწლი ასე მსურს განაწილდეს.

1947. მშვიდად და უზრუნველად ვიცხოვრებდით ჯეელები, ჩვენი მშობლები საქმეს რომ არ აჭირებდნენ და ,,ვისი გორისა ვართ" არ გვახსენებდნენ, რათა გვარი, ეროვნება, სამშობლო შევინარჩუნოთ.

1948. შინაგანად ყოველთვის მზად უნდა ვიყოთ შევსვათ ჩვენი შვილების აღიარება-სიდიადის სადღეგრძელო, რაც საკუთარ თვალში აგვამაღლებს და ავტორიტეტს გაგვიზრდის.

1949. მასწავლებლისთვის ყველაზე ძნელი ასატანი ჩასაფრებული „იუდაა“.

1950. პატარები რამდენად საფარლები არიან და მშობლები რამ-დენად დასაფასებლები ამას ასაკში ძველი ფოტოსურათების გადათვა-ლიერებით გრძნობ და აცნობიერებ.

1951. ბავშვს ცრემლი მალე შეაშრება თვალებზე, მაგრამ მშობელს გულს უკლავს და გონებას დიდხანს რჩება განსასჯელად.

1952. აღმზრდელისთვის მთავარია ის უფარდეთ და თუ ეს შეს-ძლო, ყოველთვის დაუჯერებენ და ჭკუასაც მოუხმობენ.

1953. მშობლის ვალი მაშინ ჩაითვლება ისტორიულად გადახდი-ლათ, თუ მას შვილთაშვილს დააწევენ, აჩვენებენ და მის სახელს დაარ-ქმევენ.

1954. შვილი ის კი არ არის, ვისაც შვილად ცნობ, არამედ ის, ვინც მამად გცნობს და გეთაყვანება.

1955. მოსწავლისთვის დაწერილი ნიშანი მისი შრომის საფასურია, ხოლო შექება – პრემია.

1956. ასაკის შემოტევისას ხვდები, რომ შვილებს ფეხებზე ჰკიდიხარ, ხოლო თავს თუ გადაამოწმებ უძლურების გამო შენც ისინი ფეხებზე გკიდია და ორივენი ბარი-ბარში ხართ.

1957. გადამეტებულად ყურადღებიანი მშობლის შვილობა ძნელია, მაგრამ უფრო ძნელია გულგრილის შვილობა.

1958. გაკვეთილის ჩატარება იმათთან უფრო ადვილია, ვისაც სწავ-ლა არ ეხალისება და არა იმათთან, ვინც მოწადინებულია, რადგან მათში ყოველთვის გამოჩნდება ისეთი „უკუღმართი“ შეკითხვის დამსმე-ლი, რომელიც გაიძულებს გაკვეთილზე ყოველთვის მომზადებული მიხ-ვიდე.

1959. უხეირო შვილის ყოლა და აღზრდა მშობლების კი არა, განგების უგერგილო ხუმრობის ბრალია, ვინაიდან ამგვარი ეგზემპლა-რები დასაკვირვებლად და გასართობად სჭირდება.

1960. მშობლები შვილს არ სწირავენ, მაგრამ პირიქით, სამწუხა-როდ, ხდება. აქაც თავად არიან დამნაშავენი ან – გენი აქვთ უვარგისი, ან აღზრდისა რაღაც ვერ განსაზღვრეს.

1961. ინტერნეტი და ინტერნატი გულგრილი აღზრდის შედეგია და უპასუხისმგებლო მშობლების ბავშვთა სამყოფელი.

1962. ხუმტურების ოდენობა ბავშვისთვის განუსაზღვრელი უნდა იყოს, განგებამ მას ზევიდან დაამადლა თუ უიმისოდ.

1963. ბავშვს იდიოტი მანამ არ უნდა დაუძახო, სანამ საკუთარ ბავშვობას არ გაიხსენებ.

1964. შვილისადმი სიყვარული ბიოლოგიაა, ხოლო მშობლებისადმი პატივისცემას დამსახურება უნდა.

1965. ჩვენმა მშობლებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ ჩვენ მათზე ცოტათი უკეთესი ვიყოთ, რა თქმა უნდა, თავიანთი გადასახედიდან და ეს არის მათში ყველაზე დასაფასებელი.

1966. ბავშვებს საზოგადოება, გარემო, აღზრდის და არა მშობლები, როგორც ერთი შეხედვით ჩანს.

1967. ბავშვობის ლაღად გატარება გენიალობის გამოვლენის შესაძლებლობაა და არა საშუალება, რადგან ეს უკანასკნელი მაინც ბედის პრეროგატივაა.

1968. განათლება პიროვნებას ვერ ქმნის, მაგრამ მის გადაგვარებაში ან გაკაიკაცებაში დიდი წვლილი უდევს.

1969. მაინც მშობლის დანაშაულია თუ გარემოებათა გამო შვილი ცუდ გზას დაადგა, რადგან მან ან ჩასახვისას მიჰქარა ან აღზრდისას.

1970. აღზრდა ის ხათაბალაა, რომლის ობიექტი მცდელობას ხშირად ყურად არ იღებს და თავისი გზით მიიზლაზნება.

1971. მწერლობა, ხელოვნება, მეცნიერება, იმითაც არის საინტერესო, რომ მათ წინაშე თავს მუდმივად მოსწავლედ გრძნობ.

1972. მშობელს ყოველთვის ყურადღების ცენტრში ჰყავს შთამომავლობა, მაშინაც კი, როდესაც ის ცოცხალი არ არის: მათი გახსენება შვილებს აფრთხილებს, ჭკუას არიგებს და სინანულს აგრძნობინებს.

1973. არის ერთი პროფესია, რომელიც ძლიერთა ამა ქვეყნისათაც შენობით ესაუბრება, ხოლო მას ყველა – თქვენობით. ამ პიროვნებას მასწავლებელი ჰქვია.

1974. დედა ვაჟისთვის თავისებური რელიგიაა, რომელსაც სულ ეკამათება, ედავება, აზრებით ეჭიდება, მაგრამ მის სამართლიანობაში ეჭვი არ ეპარება და მისი თხოვნა კანონია.

1975. მამაკაცის ვალია ხელმძღვანელობა, ქალის – წესრიგის დამყარება, ორთავესი კი – ბავშვების აღზრდაში კორექტივების შეტანა, რათა მშობლებმა არ მოაწყინონ, იბეჯითონ, ისიამოვნონ და შთამომავლობის ნახელავით დატკბნენ.

1976. მშობლის დამსახურება ბავშვისთვის პატივის მიგებაა, შექება, მომავლის ვარიანტების შეთავაზება და რაც მთავარია, ხელი არშეშლა მოწოდების განხორციელებაში.

1977. მასწავლებელი საჭიროა იმისათვის, რომ დამოუკიდებლად შეიგნო როდის არ გჭირდება მისი სწავლება და საქმის საკეთებლად მზად ხარ თუ არა.

ბედი, ფორტუნა, ბედნიერება, ყისმათი

1978. სხვისი ბედნიერება არ უნდა შეგვშურდეს და მისი ნასუფრალის მითვისებას არ უნდა შევეცადოთ, რადგან ბედს არ იპარავენ, მისთვის იბრძვიან და მისივე წყალობით მოიპოვებენ.

1979. მომჭირნეობა თანდაყოლილი თვისება, ხელგაშლილობა შეძენილი და დროის იმ ყოვილზეა დამყარებული, სანამდის გზააბნეული ბედი მასთან არის.

1980. წყვილთა შეუღლების ბედი ზეცაში წყდება, მაგრამ ქვევით ეშმაკები არ ისვენებენ და მათ გრძნობების დაცვას თავის შეხედულებისამებრ აპირობებენ და ხშირად კეთილისმდომელ დემონებად გვევლინებიან.

1981. ზოგს ისეთი ყისმათი აქვს, რომ რამდენ ქალთანაც უნდა გაიაროს, ყველა იღბლიანად თხოვდება და სხვა ქალებს ისღა დარჩენიათ ამ მამრის საყვარლობა ინატრონ.

1982. ბედი–უბედობა სინონიმებია, ისინი მუდამ ჩვენთან არიან, არც თავს გვაბეზრებენ და არც თავს გვაყვედრებენ.

1983. ქალის ბედნიერებას, რომელსაც არაფერზე უარის თქმა არ შეუძლია შემთხვევა და ბედი განსჯის.

1984. თუ თქვენს მარცხნივ ხეტიალს ცოლი ვერ იგებს და მხოლოდ გრძნობს, ჩათვალეთ რომ ბედის რჩეული ყოფილხართ და თავს ნუ ისაწყლებთ.

1985. შეიძლება ბედნიერებას ქუჩის მეორე მხარესაც გადაეყარო, მაგრამ ამისათვის დროის შერჩევა და ზევიდან ვიღაცის კარნახია საჭირო.

1986. ბედნიერება და სიამოვნება სხვადასხვა ცნება, პირველი ერთეულთა ხვედრია, მეორე ყველასათვის ხელმისაწვდომია.

1987. ბედნიერება პირობითი, თუ ის სულის გაელვებისგან არ შენდება.

1988. შემთხვევითი ბედნიერების ყიდვა შეიძლება, მაგრამ ნაღდი ვაჭრობას არ ექვემდებარება.

1989. ბედი მას წყალობს, ვისაც ცხოვრების კაზინოში ხელის განძრევა არ ეზარება.

1990. ჩვენ ყველანი ბედის მაძიებელი ჯარისკაცები ვართ და ვის ტყვია სად დაეწევა და ვინ სად ამობრწყინდება, განგების გარდა, არავინ უწყის.

1991. იყო შენი საქმის მცოდნე, გამართლებაა, რადგან ეს შემთხვევაზე, გარემოებაზე, მასწავლებლებზე და საკუთარი ინტუიციის შეცნობაზეა აშენებული.

1992. შემთხვევა ის წყალობაა, რომელიც სათანადოდ არ ფასდება და ხშირად ჩვენი ნაჩალიჩევიც გვგონია.

1993. შემთხვევასა და ფორტუნას შორის ის სხვაობაა, რომ პირველი უწვალებლად მოდის, მეორესთვის უნდა გაისარჯოს.

1994. მოწყენილობა და სიმდიდრე თავისებური ბედნიერებაა, მაგრამ ცხოვრების ყადრი და რისთვის მოვიდნენ ამქვეყნად ხშირად არ იციან და არც აინტერესებთ.

1995. ძველი ნივთები საკომისიო მაღაზიაში იყიდება, ანტიკვარული – სალონში, ვის სად გაუმართლებს და რამდენად და სად გაყიდის, ეს შემთხვევის საქმეა და არა – ბედის.

1996. ბედნიერება საყოველთაო რეალობად ვერ აღიქმება, რადგან ის დიდხანს არ გრძელდება.

1997. სიკვდილი ყველას თავისთვისაც მოაქვს და სხვისთვისაც, რაც შემთხვევაზე, განგების ნებაზეა დამოკიდებული და არა ჩვენს სურვილზე და აღზრდაზე.

1998. სამყაროს რომელ სფეროშიც არ უნდა ვიცხოვროთ, ზღაპარია, მაგრამ ამას ვერ ვამჩნევთ, მიუხედავად იმისა, ბედი ჩვენს მხარეს არის თუ არა.

1999. ბედი როდესაც რაღაცას გვაძლევს, ჩვენდაშეუმჩნევლად ტარტაროზი თანდათან გვართმევს, რათა მომხვეჭელობას არ დავეჩვიოთ და არ გადავგვარდეთ.

2000. ბედნიერება–უბედურება ლატარეაა და მეტ–ნაკლებად ყველას კარებზე დააკაკუნებს.

2001. მასხარაა ის, ვის ბედზე ხალხი იცინის, ხოლო კომიკოს – ვის დანახვაზეც ღიმილს ვერ ვიკავებთ.

2002. შულერი ის ვიგინდარაა, რომელიც თამაშის დროს თავის ბედს ეხმარება ფორტუნას დაუხმარებლად.

2003. ბედნიერებაა, როდესაც საკუთარ ამბიციებზე ზრუნვა არ გიხდება.

2004. ხანდახან ეშმაკობა არ გამოგვდის და ბედიც არ გვწყალობს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბრიყვები ვართ და ცხოვრების ყადრი არ ვიცით.

2005. ბედნიერება სიმშვიდეცაა და გრძნობების ჩქროლვაც, რომელთა არჩევანს დრო, შემთხვევა და ასაკი განჭვრეტს.

2006. პაექრობას ის იგებს, ვის მხარესაც იმ დღეს შესაძლებლობა და ბედი იქნება, ხოლო ფორტუნასთვის სულ ერთია ვის მხარეს დაიჭერს.

2007. ცხოვრების ბოლომდე სიამის შესმა, სულის გაურყვნელად და ხორცის გადაუგვარებლად, რჩეულ გამონაკლისთა ხვედრია, რადგან ადამიანთა ბუნება ასეთ ბედნიერებას არ იმსახურებს და ვერც აიტანს.

2008. ყველაზე დიდი სასწაული, ყველა დროში, ცხოვრების ბედის-წერის ბორბლის ტრიალი იყო და დარჩება.

2009. ინტუიცია ფაქტიურად თავისებური ბედია, ამა თუ იმ საეჭვო სურვილის აღსასრულებლად.

2010. ძალაუფლება ყველა საქმიანობაზე მაღლა დგას, ოღონდ გარ-კვეული დროის და ვიგინდარა ბედის წყალობით.

2011. შეუმჩნეველი ბედნიერებაა, თუ ჩვენი ბავშვობა რამდენიმე წელი გადაამლაშებს და გაგვიგრძელდება.

2012. განგების განაჩენია – საჭირო დროს, საჭირო ადგილზე, პაემანის გარეშე შეხვედრა.

2013. როდესაც შენს თავს გულით წაუმლიქვნელებ და არა – ოცნებით, ამაზე დიდი ბედნიერება ქვეყნად არ არსებობს.

2014. ქალი თაფანისმცემლებისთვის, სიფარულისთვის, ფუფუნების-თვისაა გამიზნული, კაცი – თაფანისმცემლად, გრძნობის გამოსამჟღავ-ნებლად და კეთილდღეობის მოსახვეჭად, მაგრამ ეს მაინც ნიჭზე და ბედზე დამოკიდებული და იმაზე, რომ ფორტუნა ზურგს ხშირად ჩვენი მოუქნელობის გამო შეგვაქცევს.

2015. ბედი დიდებისკენ სვლის მცდელობაა კაიფით.

2016. ბედნიერებისკენ ყველა ილტვის თავისებურად, მისი გაგებით და ბედის განსასჯელს არაფრად აგდებს, გარკვეულ დრომდე და შემ-თხვევამდე.

2017. მიუხედავად იმისა, რომ გაუთხოვარი და ქვრივი ქალების რაობა ჩვენი ცოლებისთვის ცნობილია, ისინი მაინც ბედის უკმაყოფი-ლონი არიან და ,,უსამართლობის'' ჯავრს ხანდახან ჩვენზე იყრიან.

2018. ბედის მორალურად დაბერებას, სულ ცოტა, 100 წელი სჭირდება.

2019. ბედნიერებაა, როდესაც ისეთი საქმის კეთება გიწევს, რომლის შესრულებისა არ გრცხვენია, შინაგანად გეტრაბახება და თავს იწონებ.

2020. ყველას თავის ბედი აქვს, რომლისთვისაც გვერდის ავლა ძნელია, მაგრამ შემთხვევა რას და როგორ გადაჭრის, არავინ უწყის.

2021. ცხოვრება ნარდია, ვის სად გაუგორდება ბედის კამათელი ყოფის პოლიტიკაში, არავინ უწყის. ამიტომ ყალყზე შედგომისთვის ყოველთვის მზად უნდა იყო.

2022. ბედნიერებაა, როდესაც შენს აზრს სხვას აგებინებ და ამით ისინი კმაყოფილნი არიან.

2023. ბედნიერება წინასწარ არ იგეგმება და არც ანდერძით გადმოგეცემა, ის თავად უნდა მოვიდეს ხალისით და შენი ძალისხმევით.

2024. სილამაზეც თავისებური პროფესიაა, მაგრამ მის ამბიციურობას ხშირად ბედი არ წყალობს.

2025. ბედნიერია ის ადამიანი, ვისაც არც მშობლების შეცვლა დასჭირვებია და არც უიმედო სიბერემდე უცხოვრია, რადგან განკუთვნილი ცხოვრების ფიალა დროულად და ბოლომდე შეირგო.

2026. სახელმწიფო მმართველმა, პირველ რიგში, კეთილმოწყობილი ციხე უნდა ააშენოს, რადგან არავინ იცის ბედის ფორტუნა როგორ განსჯის – იქნებ მასვე გამოადგეს.

2027. განვლილი წლებიდან რამდენიმე წამის შეცვლა რომ შეგვძლებოდა, ძალზე ბედნიერები ვიქნებოდით ცხოვრების ფინიშზე.

2028. ბედნიერება არა მარტო ახარებს, არამედ აბრმავებს კიდეც და ბევრი რამ განუხორციელებელიც რჩება.

2029. ცოდნა და ცოდნის გამოუყენებლობა სხვადასხვა ცნებაა, რომელიც შემთხვევამ, ბედმა, უნდა გააერთიანოს და წარმოაჩინოს.

2030. ბედი მაშინ გვიმუხთლებს, როდესაც სიზარმაცე და ყოყოჩობა შემოგვეპარება.

2031. სად წამოგეწევა სიყვარული, შემთხვევა, ბედისწერა და როგორ გატრიალებს, არავის უწყის.

2032. საკუთარი ოჯახი, საინტერესო საქმე, ადგილის დაკავებაა საზოგადოებაში. ეს ის სასწაულია, რომლის რეალობას არ ვაფასებთ და ბედის წყალობას ვერ ვიგებთ.

2033. არიან რომანისთვის, გართობისთვის, სექსისთვის, ოჯახისთვის დაბადებული მამრები, რომლებიც მოხერხებულმა ქალმა დროულად, ასაკის და ცივილიზაციის კარნახით, სურვილის მიხედვით უნდა გამოიყენოს. რაც შეეხება სიყვარულს, ეს ლატარეაა, ყველას ხვედრი არ არის და ბედს უნდა ვანდოთ.

2034. პრიმიტივიზმის დროულად ჩამოშორება ცხოვრების კიბეზე ბედის წყალობით არბენაა და არა – ცოდნის დაგროვება-გამოყენება.

2035. ის დრო, რაც მოლაპარაკებებასა და ყბედობებში იკარგება, ერთი პროცენტი რომ საქმიანობას მოხმარებოდა, დედამიწის მოსახლეობის ბედს ძაღლი არ დაყფდა.

2036. თეორიულად ჯოჯოხეთში მოხვედრა არავის უნდა, მაგრამ პრაქტიკულად ყველა მისი კანდიდატები ვართ, თუ ბედმა ზურგი არ გვიჩვენა.

2037. ბედნიერების „გულის მოკორტვნას“ თუ სიხარულის გამნათებელ სულს დავამყნობთ, ჯანმრთელი ხიფინგით შევკრავთ და ყოველივე ამას სხეული ერთდროულად შეიცნობს, მაშინ ცხოვრება ამაყი სვლით გვითოხარიკია და სასაფვედუროც არაფერია.

2038. ცხოვრება შემთხვევა და ბედის წყალობაა, თუ ცოტაოდენ გონებასაც მივატანთ.

2039. ბედნიერებასთან შეხვედრა ყველას ხვედრი არ არის, ის თავისებურ მოძრაობას მოითხოვს ყველა აკრძალვისა და დოგმის გარეშე.

2040. იმარჯვებს მისწრაფება, მოთმინება, რწმენა და ნიჭი და არა – სიზარმაცეს აკიდებული ბედი.

2041. ცეკვის ფილოსოფია ცხოვრების და ბედნიერების ერთდროულად შეცნობაა ყოფის ჰანგების მოშველიებით.

2042. ბედნიერებასაც თავისი ალგორითმები აქვს, რომელთა ამოხსნა იშვიათთა ხვედრია.

2043. მდედრისთვის მთავარია სიყვარულის შენარჩუნება, მამრისთვის – როგორ დააბას მორიგი გასართობი ქალი, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერს შემთხვევა და ბედი განაგებს.

2044. ბედნიერება, დღეგრძელობა ზომიერი შრომის სიკეთესთან და ბედისწერის მანტიაშია შეხვეული.

2045. საინტერესო სამუშაოს ნახვა ბედის წყალობაცაა, ტალანტიც და ბედნიერებაც და თუ ამას შენთვის მისაღები თანამშრომლებიც ახლავს, ამქვეყნად სრულყოფით გიცხოვრია.

2046. ცხოვრების ყველაზე დიდი რეჟისორი ბედისწერაა.

2047. დაწყევლილი მეგობრობა გამოუვალი ფატალიზმის შედეგია ვიღაცის და რაღაცის მიმართ.

2048. ულლის დადებით იცხოვრებთ თუ უიმისოდ, ყველა დროში საინტერესოა, მაგრამ ბედი მარად ამოუხსნელ განტოლებად რჩება.

2049. თუ ბედმა არჩევანი გააკეთა, აქ ჩალიჩი არ გამოვა, გარდა შეხსენებისა, რომ შენც ამ პაექრობაში მონაწილეობდი.

2050. ბედნიერი წუთების გაელვება ყველაზე მეტად ის აფასებს, ვინც ცხოვრების ალიყური სამართლიანად უკვე იგემა.

2051. თავისადმი სასიყვარულო არაფერია, ჩვენს შექმნაში სხვა მამრს რომ მიეღო მანიწილეობა და მშობელიც უფრო მომთხოვნი ყოფილიყო ჩასახვის დროს, იქნებ უკეთესიც ვყოფილიყავით და ბედსაც უფრო მეტად გადმოეხედა.

2052. ბედნიერება განცდაა, იღბლის მონელების ცოდნაა.

2053. წარმატება ყველაზე დიდი ნარკომანია, თუ ბედს ხანდახან მაინც გააცხენდები.

2054. სასჯელს ბედი განსაზღვრავს და არა – დანაშაული.

2055. ცხოვრებაში ტყუილ-უბრალოდ არაფერი კეთდება, ყოველივე თავის ზომა-წონას და ანგარიშს ითხოვს, ზოგჯერ როდესაც გგონია, ბედმა გიმუხთლა, ირკვევა, რომ მას შენთვის უფრო დიდი სიკეთის მოტანა სურს, ოღონდ ცოტათი მოგვიანებით და დროისთვის ანგარიშის გაწევით.

2056. შემთხვევებიდან განსხვავებით, ბედს ვერ უგებ, რადგან ის ბოლომდე მიგყვებათ.

2057. ღირსეული მეორე ნახევრის მუქთათ ხელში ჩაგდება უსვინდისობაა, ის თავად უნდა გამოძერწო, მაგრამ ნედლეულის შერჩევაშიც ბედმა არ უნდა გიმუხთლოს.

2058. ბედნიერებას და თავგადასავალს ძებნა არ სჭირდება, რადგან არავინ იცის, სად შეეყრები შენი მცდელობის და სურვილის გარეშე.

2059. როდესაც შემთხვევა გაგიღიმებს და ცხოვრებაში შენს ადგილს შემოგთავაზებს, მავანთა განწყობის და თავზე წარმოდგენის გამო უკანალი არ უნდა უჩვენო, თუ გინდათ ბედმა არ დაგასაჭურისოს.

2060. ბედნიერია ის, ვინც დროის ცვალებადობას ყურადღებას არ აქცევს და არა ის, ვინც საათს არ უყურებს, რადგან აქ გულგრილობაა ჩაბუდებული.

2061. დროული სიკვდილიც ბედნიერებაა, როდესაც გაწბილებას ვერ ასწრებ და ახლობლებს შენი ატანა აღარ შეუძლიათ, განსაკუთრებით მაშინ, თუ რაიმე საანდერძო გაქვთ.

2062. ბედი სად გაგიხსენებს, როდემდის გაგრიალებს, არავის უწყის.

2063. ყველაზე ძნელია ცხოვრებას ტემპში აჰყვე და დროის ყისმათი შეიცნო.

2064. ბედს კი არ უჯიქდებიან, თავს მოუხრიან, მაგრამ არ ემორჩილებიან.

2065. ბედისწერამ შეიძლება ბევრი არაპოპულარული საქმე ჩაგადენინოს, მაგრამ ადამიანობის დაკარგვის გარეშე.

2066. არავინ უწყის ბედი კვანტის ამბავი, ის რაც დღეს მიუღებელია და ნერვებს გვიშლის, ხვალ შეიძლება სანატრელად და სულის სიმშვიდის მომტანად მოგვევლინოს.

2067. ბედნიერების დაჭერა ძნელია, მაგრამ თუ მცდელობას არ დავაკლებთ, შემთხვევას და ბედსაც შევახსენებთ, უსათუოდ გვესტუმრება.

2068. ცივილიზაცია და ტექნიკური პროგრესი არ გამორიცხავს შემთხვევითობის და ბედის ფენომენს, თუ ხელს გაანძრევთ და მოინ-დომებთ.

2069. ყველაზე დიდი ბედნიერებაა, როდესაც საკუთარი თავის უმ-წიკვლობის კმაყოფილი ხარ და თავს დანატრი.

2070. ყისმათი არის ბედზე დამყარებული შემთხვევა.

2071. ხასიათის ქონა ნიჭია, რომელიც ყოველივეს შეგაძლებინებს, ბედის ყურადღებას მიიქცევს და ყისმათს გვერდში ამოგიყენებს.

2072. ბედნიერებაა იმის შეცნობა, რომ შენ საჭირო ხარ შენივე რაობის წარმოსაჩენად, გარეშეთათვის ბიშტის ჩვენებით.

2073. ბედნიერებაა, რომ გამჩნევენ, მაგრამ საქმიანობის გადასახედი-დან მისი სიკარგე-სიცუდის ბალანსი ყოფიერების ყოველდღიურ ამოხ-სნას მოითხოვს.

2074. თუ შენ დღეს გაღიარებენ და პატივს გცემენ, ეს არ ნიშნავს, რომ შენი ბედი „ყვერებით“ დაიჭირე, რადგან შენი გაფეტიშება დრომ უნდა გადაამოწმოს.

2075. ბედნიერება თუ არა, სიხარული მაინც უნდა გამოვგლიჯოთ ბედს, თუ მისი მოსვლის უნარი უკვე დაქვეითებული და დაგვიანებუ-ლია.

2076. მთელი ბედნიერება იმის შეგნებაშია, რომ ამ პლანეტას ჩვენი ოფოფების გამო არავინ დაგვანგრევინებს, თუ ეს სამყაროს გეგმაში არ უზის.

2077. უიღბლოთა შეყვარებას და მათზე ხელის წამოკვრას აქვს ფასი, თორემ ბედის რჩეულს არც ჩვენი ტაშის დაკვრა სჭირდება და არც ჩვენი თანადგომა.

2078. როდესაც სახლში და სამსახურში ერთნაირად მიგიხარიათ, – თქვენს ბედნიერებას უკვე გაეთამაშეთ.

2079. ბედნიერ შეხვედრას წაქეზება სჭირდება, ხელის გამართვით და დეკლამირებით.

2080. ყველა დროში ბედნიერი რომ იყო, საკუთარი შეცდომების გამოსწორებას უნდა ეცადო, თვითგანვითარებას არ უნდა შეეშვა და რაც მთავარია, სხვისი აზრის დამუღამება და პატივისცემა უნდა ისწავ-ლო.

2081. ბუნებას თავისი კანონები აქვს, ერთს რომ გაძლევს, მეორეს გართმევს. ამიტომაც განგება მეტი თხოვნით არ უნდა გადავღალოთ, რათა გარემოებათა გამო უხერხულობაში არ ჩავაგდოთ და ყოველივე საკუთარ ბედს და შემთხვევას ვანდოთ.

2082. ცხოვრების ,,ფოსტაში'' ჩადებული სიყვარული ხშირად ,,ადრესატთან'' არ ხვდება და ამ ბედის ნავარდის თავხედობის გარკვევას სიცოცხლის ბოლომდე ვცდილობთ.

2083. მიზნის სულიერ ბაღნარად აღქმას, ხორციელისგან განსხვავებით, ყველას ბედისწერა ვერ იტანს.

2084. გვაღიზიანებენ ისინი ვისაც საჩვენო საქმის კეთება შეუძლიათ და მასზე ბედი არ მიგვიწვდება.

2085. ბედი ჩვენი მბრძანებელი არ არის, მაგრამ სუბორდინაცია-- მორჩილებას მოითხოვს, რათა შემთხვევის დროს გვერდზე ამოგვიდგეს და სასიკეთოდ ხელი მოგვიმართოს.

2086. ცხოვრებაში ბედის დარახტვის მეორე შანსი ყველას გვჭირდება, რადგან ერთი მიქარვის უფლება თეორიულად ყველას გვაქვს.

2087. ბედნიერება ერთჯერადი სიამოვნებაა, ხოლო მის განმეორებას დროსთან ჭუკ-ჭუკი და გამართლება სჭირდება.

2088. კარიერის საწყისი ბედის კაპრიზი, შემთხვევის გათავხედება და შექმნილი გარემოა. ამ დროს მთავარია არ დაიბნე, არ იზარმაცო და რაიმე უნებლიედ არ შეგეშალოს.

2089. მიწაზე დანარცხება თუ არა, ხანდახან დაშვება აუცილებელია, რათა ცხოვრების კიბეზე ამჯერად, მეტი მონდომებით და დაკვირვებით ისწავლო სიარული და ბედის ნაბოძებს მადლობა უთხრა.

2090. დიადიც, ღირშესანიშნავიც, ყოველთვის ჩვენს გვერდით ხდება და ბედნიერებაა მისი შემჩნევის უნარი ბედის დაცინვის ყოველგვარი მომიზეზების გარეშე.

2091. ბედნიერებაც მუდმივი არ არის და ისიც როტაციის კანონს ემორჩილება, მაგრამ თუ მისკენ მივილტვით, შემთხვევა გამოგვინახავს საშუალებებს მის დასაბრუნებლად.

2092. რომ ვიცოდეთ ხვალინდელი დღე რას გვიქადის, ალბათ, ყველანი გონიერები შეიქმნებით, იმდენად დიდია ბედის წინასწარ შეცნობის ძალა.

2093. ბედსაც აქვს თავისი ხუშტურები, თავმოყვარეობა და ერთ დღესაც ზურგს შემოგაქცევს სიტყვებით, ,,თქვენს ბედს ასე არ უწერია'' და ხელიდან გაგვიფრინდება.

2094. ბედის თავის მოქონვას უნდა შევეცადოთ და შემთხვევასთან ხელის ჩამოსართმევად უნდა ვიჩალიჩოთ, ხოლო მათ შესახვედრად და დასაძმაკაცებლად არც ჭკუა დავზოგოთ და არც მონდომება.

2095. ბედისთვის იმგვარად არის ბრძოლა საჭირო, რომ იღბალსაც გაუკვირდეს, მაშინ არც შემთხვევა დააყოვნებს და არც დასამადლებელი გვექნება რაიმე.

2096. ბედნიერებას მაინც ასაკი განსაზღვრავს და არა – ცხოვრების კეთილდღეობა.

2097. წესით ბედნიერება, რომელსაც ამდენი შემართება უნდა, ფულზე არ იცვლება, მაგრამ ხშირად არჩევანს ამ უკანასკნელი მზამზარეული ინსტრუმენტის სასარგებლოდ აკეთებენ, რადგან ბედნიერების ნაწილის ყიდვა იმდღის განწყობითაა შესაძლებელი.

2098. უმთავრესია მშვიდობა და ჯანმრთელობა, დანარჩენი იშოვნება–შეიძინება, თუ ცოტათი ბედსა და შემთხვევას შევეხმიანებით.

2099. სამორინე, ბედთან სანაძლეოა.

2100. სასწაული განგების საჩუქარია, რომელიც ხშირად იმ ბედში გაგვხვევს, რაზედაც არ გვიფიქრია.

2101. სასწაულის თვალდახუჭული უნდა გვჯეროდეს, ველოდოთ და მის ახსნას არ უნდა შეეცადოთ, რათა სიამოვნების საწყისის გასარკვევად ტვინის ჭყლეტაზე დრო არ დავკარგოთ.

2102. სიყვარული და ბედი ზევიდან ვარდება, მაგრამ როგორ დავიჭერთ და შევინარჩუნებთ, შემთხვევაზე და განგების ნებაზეა დამყარებული.

2103. ფრენისთვის დაბადებული არ უნდა ღოღავდეს, მაგრამ ეტყობა, ბედსაც მოქრთამვა სჭირდება.

2104. რადგანაც ბედი წინასწარ შეტყობინების გარეშე დაგვსდევს, მისი გამოცნობა უნდა ვისწავლოთ, რათა კარზე მომდგარი ხელიდან არ დაგვისხლტეს.

2105. სანამ ბედის წყალობით თაგვს ვიჭერთ, ყველას ვუნდივართ, ბედი ზურგს შეგვაქცევს და ჩვენი საჭიროებაც დროის სასწორს უნდა გადაულოცო.

2106. კარგსა და დიდებულს შორის ის სხვაობაა, რომ ამ უკანასკნელის საქმიანობა ბედთან ერთად ხარისხშია აყვანილი.

2107. ჯანმრთელად, დროულად და შუამავლის ჩაურევლად იმქვეყნად გადასვლა ბედის დიდი წყალობა, რომელსაც არ აფასებენ.

2108. ცოდნა–განათლების გამოყენება ყოველთვის ვერ ხერხდება, რადგან გარემო, დრო, შემთხვევა, ცხოვრებისთვის განკუთვნილ ბედის კამათელს ჩვენს სასარგებლოდ ვერ ან არ აგორებს.

2109. ბედნიერების და სიყვარულის კაიფი რომ შეიცნო, პირველს მიჩვევა უნდა, მეორეს კი ყოველ ფეხის ნაბიჯზე გამოცდა.

2110. ზოგის ბედნიერება შერკინებაა, ზოგისთვის მხოლოდ სიყვარული, ზოგისთვისაც სიავე–სიკეთის კეთება, ასე, რომ ყველა თავისებურად ბედნიერია, ოღონდ განგების კარნახით და მოწოდებით.

2111. ინტუიციის ფლობა ბედნიერებაა და არასოდეს ვცდებით, თუ თავად არ „მოვინდომებთ“.

2112. ბედნიერება, როდესაც შენთვისაც და საზოგადოებისთვისაც, ნერვების აუშლელად, სასარგებლო და საამაყო საქმეს აკეთებ.

2113. ჩვენი ბედი განგების მათლაფაზეა დახაზული და მისი გადა-ხაზვის და შეცვლის უფლებას არც სიზარმაცე გვაძლევს და არც მამაზეციერი.

2114. ყველაფერი გამართლებაზეა, რადგან შენი ნაოცნებარი ვიგინ-დარა პოლიტიკოსის ხელში შეიძლება მის მიზნებს ამსახურო და თავად უსახელოდ შეეწირო.

2115. მორალზე ჩვენი უაზრო მსჯელობა დროის დაკარგვაა, რად-გან ისე ვიჭმუჭნებით და ვიფერფლებით, რომ განვლილ ბედნიერ წამებს სანთელს ვერ ვუნთებთ.

2116. არ არის საჭირო კბილებით ჩააფრინდეთ დროის მანქანას, ისიც ბედნიერებაა, რომ აქამდე მოაღწიეთ და მის ბორბლებში უდრო-ოდ არ მოვყვით.

2117. ვაი-ვაგლახით მიღწეული ბედნიერების დაკარგვას უფრო მძიმედ განვიცდით, ვიდრე – ერთბაშად ლაღად მოსულის.

2118. კარგი-ცუდი გვერდიგვერდ დგანან, მაგრამ საკუთარი ბედის ვარსკვლავისა დაუფიქრებლად უნდა გვჯეროდეს, რადგან ჩვენ არც სხვებზე ნაკლები ვართ და არც – მეტი.

2119. ტრაგედია და ტრიუმფი ყოველთვის ერთად დგანან, მაგრამ ხელს რას გამოვკვრავთ, გარემოებათა გათავხედებაზე და ბედის ჟინზე დამოკიდებული.

2120. ხშირად ბედის გაჯიუტებაა საჭირო, რომ შენთვის სასურველ შემთხვევა-ილბალი გადაეყარო.

2121. ფორტუნას მხარში ამოდგომამდე გული არ უნდა გავიტე-ხოთ და ჩვენი საქმე ნდობით ვაკეთოთ, რათა ბედმა თითი მოკაკვოს და ყურადღება მოგვაპყროს.

2122. ბედნიერების ნაგლეჯი ყველამ უნდა დაიტოვოს ცხოვრებაში სიამის მოსაგვარებლად.

2123. მართალია, ბედს თითქოს ჩვენ განვაგებთ, მაგრამ უამრავი თეორიების მიუხედავად ამის ფორმულა ჯერ არავის დაუწერია.

2124. დედაქალაქი მომავალ ღირსეულ შვილებს ხელგაშლილად ეგებება, მაგრამ პატივისცემა-დაფასებას შემთხვევა-შემართების წყალო-ბით მოიპოვებს, თუ მის „მეს“ ბედმა არ დასცინა და უმუხთლა.

2125. ბედნიერება მხოლოდ ჩვენი გაცნობიერებული პარამეტრებია და არა ის, რაც არ ვიცით და რის ცოდნა-შეცნობასაც ვერასდროს მოვახერხებთ.

2126. ბედი არ უნდა გავაღიზიანოთ, მასთან უნდა ვითანამშრომლოთ და ვეცადოთ მხარში ამოვიყენოთ.

2127. არავინ იცის ჭკუა, ბედი, შემთხვევა, რა გზით დაბორიალობს, თორემ უკანა რიცხვით ყველა ბრძენია.

2128. მარცხ-წარუმატებლობასა და ბედკრულობა-უბედურებას შორის ის სხვაობაა, რომ პირველი ჩვენი ბრალია, ჭკუის სასწავლებელია, რევანშისთვის მზადებაა, ხოლო მეორე ბედის ზურგის შექცევა, შემთხვევის განდგომაა და სამაგიეროს გადახდაც შეუძლებელია.

2129. შემთხვევას უნდა ჩაუსაფრდე, ბედს სულ თვალებში უნდა უყურო, რომ არ გიგანოს და თხოვნითაც არავის არაფერი უნდა სთხოვო, რათა შენს გემოზე ,,იგოიმო".

2130. ბედს გამარჯვებული უყვარს, ხოლო შემთხვევას – შექება და მასზე ,,ბაზარი".

2131. ძნელია თავს იმის კეთება მოსთხოვო, რაც არ იცი, მაგრამ უნდა ვეცადოთ შემთხვევა ჩვენს გვერდზე დადგეს და ისეთი ,,პატარა ნაკლს", როგორიც უცოდინარობაა, რაღაც ეშველება.

2132. შერკინებაში ძლიერი იმარჯვებს, კაზინოში – ბედის გათავხედება, ხოლო ცხოვრებაში – შემთხვევაზე ფეხის წამოკვრა და მასზე ჩაჭიდება.

2133. ბედს საჭირო კარტის დარიგებაშიც უნდა წავეშველოთ და ჩაწყობაშიც.

2134. გვინდა გვჯეროდეს, რის დაჯერებაც გვინდა, მაგრამ აქაც ბედი უნდა გწყალობდეს და მარტო შემთხვევის ლოდინი არ გამოგვადგება.

2135. ტყვიას არც სინდისი გააჩნია და არც აზროვნება, მაგრამ ბედისწერას ისიც ემორჩილება.

2136. შეფასებისას ბედი უფრო მკაცრია, ვიდრე განგება და შემთხვევა.

2137. აზარტული თამაშები ღუპავს ძუნწებს, წამხედურებს, ბრიყვებს, მაგრამ რაღაც სასწაულით ამ უკანასკნელთ ხანდახან ბედი სწყალობს, ეტყობა ფორტუნას თავის მადლის ინსტიტუტი აქვს.

2138. ბედს ჭკვიანები ერთხელ უწყობენ გამოცდას, ხოლო სულელები მრავალჯერ და ფეხსაც ამიტომაც ხშირად იმტვრევენ.

2139. ცხოვრება მაინც ბედია, მასთან თამაშის შედეგის მიხედვით.

2140. ყველა არ ცდილობს ბედის ვარსკვლავს გაეთამაშოს და თავის შესაძლებლობები გამოავლინოს, რადგან ხვალინდელ ქათამს დღევანდელ კვერცხს ამჯობინებს.

2141. ადამიანის ბედის უმთავრესი დანიშნულება მისთვის სიცოცხლის დიდი ხნით შენარჩუნებაა, მიუხედავად იმისა, რას ფიქრობს ამაზე შემთხვევა და მიქელგაბრიელი.

2142. ბედს არ გაურბიან, პირიქით, მასში ის ხეირიც უნდა მოიძიონ, რომელზეც თქვენს ფორტუნას წარმოდგენაც არ აქვს.

2143. უფრო ძნელია ბედნიერების მარტო გადატანა, ვიდრე მწუხარებისა, აღფრთოვანების იმდენად დიდი ენერგია დევს მასში.

2144. ფორტუნასაც თავისი ყისმათი სჭირდება ჩვენ ბედის წარმოსაჩენად.

2145. ბედნიერება „კონდიციონერი" არ არის, რომ შენი ყოფისთვის მუდამ სასურველი კლიმატი შექმნას.

2146. საქმესთან პირისპირ დგომა და ბედის დაცინვის გადატანა ყველას არ ძალუძს, მაგრამ რჩევას არავინ დაგამადლის.

2147. სიამის გახსენება, სიავისგან განსხვავებით, ყველა მოკვდავს ბედნიერებას ჰგვრის.

2148. ბედნიერს საათი თავადვე აკვირდება და თუ საჭიროა, მისთვის ხელსაყრელ დროს თავადვე მიანიშნებს.

2149. ზოგჯერ ადამიანის ბედს მუხრუჭზე დროულად ფეხის დაჭერა წყვეტს და არა საჭის მართვის ხანგრძლივი გამოცდილება.

2150. ბედნიერება-მწუხარება მაშინაა რეალური, როცა შემთხვევა და ბედი უახლოეს დროში რაიმეს გამომეტებას აპირებს.

2151. შემთხვევასთან და ფორტუნასთან შეკითხვები ბევრი გვაქვს, მაგრამ პასუხი არ ჩანს ან ულიმღამოა.

2152. ბედნიერების გზატკეცილზე სეირნობის დროს შეიძლება შემთხვევით დაიბნე, მაგრამ შინაგანმა ინტუიციამ არ უნდა გაგწიროს და არც დაბნევის შედეგს თავი არ უნდა გაუყადრო.

2153. სიყვარულის შეცნობა, გამოცდა და მასში გამარჯვებული გამოსვლა ბედის უდიდესი საჩუქარია.

2154. უნდა ვიბრძოლოთ უკეთესი ყოფისათვის, რათა ჩვენი ბედსა და შემთხვევას მადლი გადავუხადოთ.

2155. როდესაც ყოფის „ვიშ-ვიშს" გავითავისებთ, ვრწმუნდებით, რომ ჩვენი ბედი გვირჩევს მისთვის საჭირო საქმეების საკეთებლად და არა პირიქით.

2156. შემთხვევით წაგება შეიძლება, მაგრამ შემთხვევით მოგება გამორიცხულია თუ იმ დღეს ფორტუნა შენთვის მარჯვენა ფეხზე არ ადგა.

2157. რადგან ამქვეყნად ერთხელ მოვდივართ, ყველა ცდილობს კუთვნილი კვადრატში მიიღოს, მაგრამ სწორედ ამ წილის და წვლილის დადგენაა შეუძლებელი და ამიტომაცაა, რომ ყველა ბედს უჩივის.

2158. ბედნიერება რაც უფრო ძნელი მისაღწევია, მით უფრო ძვირფასია, საამაყოა, საჯილდაოა და სათაყვანო.

2159. ბევრისთვის ბედისთვის ხელის შევლებაა მთავარი და არა – მისი გამოყენება-გათავისებაა.

2160. ბედნიერებაა, როდესაც წყვილი ერთმანეთს მოწოდებით ირჩევს და არა – აუცილებლობით.

2161. არავინ იცის, შემთხვევა და ბედი ვის როგორ გაწირავს ან არგებს, ამიტომაც მათზე უნდა ვილოცოთ და არა – ხატზე.

2162. ცნობისმოყვარეობას მოაქვს ბევრისთვის გაუგებარი ბედნიერებაც და უბედურებაც და ის ამით კმაყოფილია.

2163. ბედნიერებას ზოგჯერ დანაშაულის იერი დაჰკრავს, რომანტიზმის ელფერით.

2164. შმაგად შეყვარებულნი თანახმანი არიან ორთავენი უბედურნი იყვნენ, ოღონდ ერთ-ერთი ნუ იქნება ბედნიერი.

2165. ბედნიერებას თავისი პარამეტრები და აღქმის უნარი აქვს და ამიტომ ის მრავაფეროვანი უნდა იყოს.

2166. ცხოვრების ბედნიერ ბილეთს, ხშირად ნაკლები ნიჭი იღებს, მაგრამ პირველი ტალანტისგან განსხვავებით, ნიჭს, ერთი შეხედვით, მეტი თავხედობა, შემართება, მიზანსწრაფვა აქვს.

2167. ხშირად აღზრდა განსაზღვრავს ადამიანის ხასიათს, მცდელობას, ბედს, მაგრამ ყველაფერი, ეტყობა, მაინც შემთხვევის ვახში და ვალია.

2168. არის ყოფის რეალობა და მდორე ცხოვრება, შესაძლებელია მოცდა და ბედზე ჩასაფრება, მაგრამ ეს უკანასკნელი ხშირად არ ამართლებს, რადგან ამქვეყნად ჩვენი მოვლინება განსაზღვრულია და დროში ვიწვით.

2169. ზოგჯერ ზომაზე მეტად განვიცდით იმ ბედნიერებას, რომელშიც წილი არ გვიდევს, მაგრამ თეთრი შურით გვინდა გავიზიაროთ, გავითავისოთ, სხვისი სიხარული.

2170. არის აუცილებელი, მაგრამ დაუფასებელი, უმადური სამსახური, რომელიც ბედზე განაწყენებულთა ხვედრია.

2171. ბედნიერება მატერიალურია, სანამ შეგნება სხვა უფრო დიდ ბედნიერებას შეიცნობს.

2172. ყველამ თავისი ბედნიერების რეცეპტი თავადვე უნდა შეაზავოს და შეიმუშაოს.

2173. გაურანდავი ბედნიერება ფულის უაზრო ფლანგვაა და არა – მისი შოვნა და ყირათიანი ხარჯვა.

2174. სიმდიდრის მოპოვებას ყოველთვის ჭკუა არ სჭირდება, ამისთვის ინტუიცია და შემთხვევაც საკმარისია.

2175. ბედნიერების ფორმულაა: სიცოცხლის ხანგრძლივობა გამრავლებული სასიყვარულო დღეებზე და გაყოფილი სიამის წუთებზე.

2176. ბედის წყალობა სიმკვირცხლის შედეგია, უბედობა – გაზარმაცების და შემართების უქონლობის.

2177. ყოველივე ალიბი ალბათ ბედზე და შემთხვევაზეა დამყარებული.

2178. იღბლის ვარსკვლავი ისე არ ანათებს როგორც მეთევზეს უნდა და არც ისე, როგორც ამას ოქროს თევზი მოინდომებდა.

2179. ყველა ხალხს, ქვეყანას, ბატონ-პატრონი უნდა ჰყავდეს, თავის – უფლების, დემოკრატიის, ალიბის მეშვეობით.

2180. ბედნიერებაა, როდესაც, ჯერ-ჯერობით, ყველაფერი ხელს გაძლევს და ნერვების ასაშლელს ვერაფერს ნახულობ, მაგრამ ეს იდილია სანამდის გასტანს არავინ უწყის.

2181. დევიზი, ვიყოთ შეუპოვარნი, კარგი გამოძახილია, მაგრამ შემთხვევა-ბედს გვერდს ვერ აუვლის.

2182. გამოცდილება რომ გაგვეყიდა იმდენად, რაც გვიღირს, იმისთან შედარებით, რაც დაგვიჯდა, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაყეფდა.

2183. ბედთან ხუმრობა ყველას ხვედრი არ არის, რადგან მასთან შეხუმრებას ისევ ბედის რჩეული სჭირდება.

2184. ბედნიერების ცრემლი გაჰბანს ყოვლისაღქმელ თვალის გუგას და გრძნობების ამშლელ სულს.

2185. ბედს თავისი განზომილება აქვს – ღირსეულს და შეუპოვარს წყალობს.

2186. ბედნიერება ნამდვილ სიხარულს ვერ შეედრება, რადგან ამ უკანასკნელს ემოციების მოუთოკავად გამოხატვის უფლება აქვს.

2187. წუთიერი ბედნიერებაც ზოგჯერ ცნობიერებასთან შეჯიბრების სურვილია და მეტი არაფერი.

2188. ფორტუნა მერყევად გვწყალობს და შემთხვევით ვის როდის და რატომ გადმოხედავს, არავის უწყის.

2189. არავინაა, რომ ჩვენი მომავალი ბედნიერებისთვის იზრუნოს, მაგრამ არც არავის აქვს უფლება, ამის მიღწევაში ხელი შეგვიშალოს.

2190. ბედნიერება და სიყვარული, როგორც წესი, შეუთავსებელია, მაგრამ ზოგჯერ მაინც ხერხდება.

2191. ხშირად ჩვენი ბედი დამოკიდებულია შემართებაზე და იმ თავხედობაზე რომლის გამომზეურება ყოველთვის მიზანშეწონილი არ არის.

2192. ღირსების ფლობა ბედის დიდი წყალობაა, მაგრამ მისი ბოროტად გამოყენება დანაშაულია უპირველესად საკუთარი თავის წინაშე.

2193. უნდა შეგვეძლოს ბედის წყალობის მშვიდად გადატანა, რათა მის დროებით ზურგის შექცევას ქედუხრელად შევხვდეთ.

2194. რადგან განგებამ ბედნიერების უფლება დაბადებიდანვე გვისახსოვრა, ის შენს ყოფას უნდა მოარგო.

2195. ბედის გაცუცურაკების სურვილი ყველას გვებადება, მიუხედავად იმის ცოდნისა, რომ ეს შეუძლებელია.

2196. ბედი რაც უფრო ვერაგულად გექცევა, მით უფრო სასიამოვნოა იქიდან დადებითი ბალანსით თავის დაძვრენა.

2197. ბედნიერება საბოლოოდ არაფერს იძლევა, გარდა ამაოების განცდისა.

2198. ფორტუნა და შემთხვევა თუ ჩვენთვის ვერ იცლის, ჯობს გარკვეული დროით ყოველდღიურობაში გადავეშვათ და ისევ ბედს დაველოდოთ.

2199. ბედი და შემთხვევა ბიძაშვილები არიან, ოღონდ პირველი თანდაყოლილია, მეორე შეძენილია, აუქციონის გარეშე.

2200. ერთდროულად დასაწყისის და დაბრკოლების ცოდნა ადამიანის შესაძლებლობას აღემატება, რადგან ყოველივეს ბედი და შემთხვევა განაგებს.

2201. ფორტუნა თავისი ხუშტურით ხანდახან შეგვეხუმრება, რაც კანონზომიერად და ჩვენს დამსახურებად გვეჩვენება.

2202. დიდი ხიფათის და ტყვეობის გადატანის შემდგომ უბრალოდ იცხოვრო – დიდი ბედნიერებაა.

2203. ფორტუნას უყურადღებობის გამოსწორება სიამოვნების ხარჯზე არ ხერხდება.

2204. ცდუნება შემთხვევის თანამგზავრია და არა – ბედის სასჯელი.

2205. ხშირად შედარება და ანალიზი გვკარნახობს, რომ ბედის სასაყვედურო არაფერი გვჭირს.

2206. არის ბედნიერი გამონაკლისი, როცა ქუჩა მზად არის შენი სახელი ატაროს.

2207. ბედნიერების განტოლება ჯერ არავის შეუდგენია, მიუხედავად უამრავი თეორიების არსებობისა.

2208. საქმე ბედნიერად, შედეგიანად, უნდა დასრულდეს და არა – მომხიბვლელად და საეჭვოდ.

2209. ჩვენ ყველანი ტყე ვართ ჩვენი ბედის, გვინდა ამის შემჩნევა თუ უიმისოდ.

2210. შემთხვევით კავშირზე აგებული ილუზიები არ ამართლებს, მაგრამ ბედის რჩეულთ ეს არ ეხება.

2211. ბედნიერება მრავალუცნობიანი განტოლებაა და მის ამოსახსნელად ასაკთან ჭიდილი და ყოფის შეჯერებაა საჭირო.

2212. წესით, ბედნიერება უნდა დაიმსახურო, მაგრამ ზოგი ბედნიერად იბადება და ვადამდე იხრწნება.

2213. ბედნიერებას ჯერ იმსახურებენ, შემდეგ ფლობენ და ცდილობენ შეინარჩუნონ.

2214. სამწუხაროა, როდესაც ჩვენს ოცნებებს, მცდელობებს, ბედი უკანალს უჩვენებს და ისე მიიპარება.

2215. სიბრძნის დაგროვება წუწუნს გადაგვაჩვევს და არა – საკუთარი ბედისთვის შეკურთხებას.

2216. ბედისწერის მსხვერპლნიც ვართ და ჯალათნიც – ეს არის ყოფის ამოუხსნელი ალგორითმი.

2217. ყველას მოადგება „ბატონი იღბალი“, თუ საქმეს გულით ვაკეთებთ.

2218. შემთხვევა ოვაციებს იმსახურებს და არა მხოლოდ აპლოდისმენტებს.

2219. შემთხვევა ყველაფერია თუ მასთან პაემანზე არ დაიგვიანე.

2220. ტექნიკური პროგრესი უკეთესი ცხოვრების მომტანია, მაგრამ ყველასთვის ბედნიერების მოტანა, სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით არ ძალუძს.

2221. გულგრილობა ყოველთვის პატივით და მლიქვნელურად ექცევა იმათ, ვისი ბედი არ აინტერესებს.

2222. „მედღე-მეხვალიე კაცსაო“ თუ ბედი აქვსო, თოვლი თავის თხილამურებით კარზე მოადგებაო, სრიალსაც მოსთხოვსო.

2223. შემთხვევაც განგების წყალობაა, რადგან შენი ბედის გამოსწორების და კორექტივების შეტანის მცდელობაა.

2224. შენი ეგრეთწოდებული ბედნიერებისათვის სხვას ეგრეთწოდებული უბედურება არ უნდა შეჰყარო.

2225. ბედნიერება–უბედურებას თავისი გადასახედი და განსასჯელი აქვს საკუთარ ცნობიერებასთან შეჯერებით.

2226. ბედნიერება ოპონირებას ვერ იტანს, ბედით ან კმაყოფილი ხარ ან არა.

2227. ბედნიერება ოპტიმიზმია, მარადიული შემართებით, ცუდის გადავიწყებით.

2228. ბედნიერება დამსახურებაა თუ გამართლება, არავის დაუდგენია.

2229. უბედურებისაგან განსხვავებით, ბედნიერებას მეხსიერება დაქვეითებული აქვს.

2230. ბედსაც ბევრი სასაყვედურო აქვს ოპონენტთა მიმართ, მაგრამ ვინ უსმენს.

2231. უტოპიას არც შორეული წარსული გააჩნია და არც ახლო მომავალი, რადგან ის აწმყოსთვის ნაოცნებარი ბედნიერებაა.

2232. უნარიანად ფულის დაბანდება–გამოყენებაა ბედნიერება და არა – უაზრო ხარჯვა.

2233. ფორტუნა ზოგჯერ ჩვენს მხარეზე დგას, მაგრამ არა იმდენად რომ სასაყვედურო არასოდეს გვექნება!

2234. მდიდარი ყოველთვის ჭკვიანი არ არის, მაგრამ არა – ბედის და შემთხვევის გადასახედიდან.

2235. გამოცდას შემთხვევა და მომავლის ავან–ჩავანი გვიტარებს, ხოლო შეფასება მაინც ბედის ხელშია.

2236. ბედნიერებას მხოლოდ აწმყოს რეალობა იძლევა, რადგან წარსულზე დანანებით და მომავალზე იმედით ფიქრი საკუთარი რაობის არარეალიზების შედეგია.

2237. ბედნიერების მოლოდინი და მასზე ოცნება რეალურ ბედნიერებაზე მეტს ნიშნავს.

2238. ბედნიერება საფარული საქმის კეთება, მითუმეტეს, თუ ნიჭით არის გაცისკროვნებული.

2239. რეალობაში იმის შეცნობა, რას წარმოადგენ, რისთვის და ვისთვის ცხოვრობ, უდიდესი ბედნიერებაა.

2240. ზოგჯერ ნამდვილი ბედნიერება მაშინ გვეწვევა, როდესაც ხელი ჩაქნეული გვაქვს.

2241. ბედის წინასწარი გამოცნობის მცდელობა ბოროტებაა საკუთარი თავის წინაშე, რადგან ნებაყოფლობით ხელებს უკრავ საკუთარ მისწრაფებას, შემართებას და ნიჭის გამოვლენის უნარს.

2242. ჯანმრთელობა, მშვიდობიანობა, არასტანადრტული გადახრები ყოფაში უდიდესი ბედნიერებაა, მაგრამ ამის გაგებას ზოგჯერ ცხვირიდან სისხლის წადენა სჭირდება.

2243. ახალი ცხოვრება არ არსებობს, არის ბედი ბედუკუღმართობის ირონიით, რომელიც ზოგჯერ კეთილად მთავრდება.

2244. ბედთან თამაში და მისი გამოცდა განსაკუთრებული გაჯიუტებით ყოველთვის არ შეიძლება, რადგან მასაც თავმოყვარეობა აქვს და თავისი ბზიკები ჰყავს.

2245. ბედსაც ყურადღებით მოპყრობა და დროული რეალიზაცია სჭირდება, რათა სიზარმაცის. უუნარობის გამო არ გაგიბრაზდეს და ზურგით არ შემოგვიტრილდეს.

2246. ხშირად ბედს ვეთაყვანებით, რომელიც დაგვცინის და იმ შემთხვევას განვუდგებით, რომელსაც ჩვენი გამოცდა და გზაზე დაყენება უნდა.

2247. საკუთარი ბედი თავად უნდა ვაწვალოთ შემთხვევებთან შეჭიდებით, რათა რაიმე სასიკეთო გამოტყვრეს.

2248. დიდი ბედნიერებაა, როდესაც დაბადებიდანვე იცი საკუთარი თავის ფასი და შენი ადგილი მომავალში, მიუხედავად იმისა, აწმყოში მცხოვრებნი ამას მიხვდებიან თუ არა.

2249. ბედნიერება თავად უნდა მოიპოვო, მაგრამ ამისათვის გარემოც და ქვეყნის შესაძლებლობაც ხელს უნდა გიწყობდეს და შენიანები ხელს არ უნდა გიშლიდნენ მომაბეზრებელი რჩევა-დარიგებებით.

2250. კონტარქტი ბედნიერებასთან ყველა ჩვენგანის ხვედრი და ვალია, ამიტომ მასთან წარმოსახვითი ხელშეკრულების დადება იმედის მოცემაცაა და შემთხვევის მომლოდინეც.

2251. ზოგჯერ დიდი ბედნიერებაა, როდესაც შესაძლებლობა გეძლევა შენ ბედს შენი ოცნების ჯვარი „ფეხით გადაწერო", რადგან შემთხვევამ ამბორი არ დაგიგვიანა.

2252. კაცი უნდა უხდებოდეს საქმე, ქალის საქმიანობით უნდა ვიხიბლებოდეთ, ხოლო ბედი ხელებდაკაპიწებული უნდა ცდილობდეს რათა მათ მოწოდებით იღვაწონ.

2253. ალბათ, ჩვენ მუდმივი აბიტურიენტები ვართ, რადგან ცხოვრების ყველა ასაკში, მიუხედავად ჩვენი გამოცდილების იმიჯისა, გამომცდელად მუდამ ბედი და შემთხვევა გვევლინება.

2254. ბედნიერებაა როდესაც რაღაცის უფროსი ხარ და ვიღაცას რაღაცაში ჭირდები ამ ყოფის საბოლოო „უვერტიურას" ასაკში ხვდები.

2255. შემთხვევა ხელიდან არ უნდა გაუშვათ, შეეფერება ის თქვენს ღირსებას, მეობას თუ არა, მას ხელი დაუფიქრებლად უნდა წავავლოთ, გავითავისოთ, სიზარმაცე და ყოყლოჩინობა უკან უნდა მოვისროლოთ, რათა მიგვეჩვიოს და უკეთესი ვარიანტი შემოგვთავაზოს.

2256. ბედნიერი ადამიანი შემთხვევა-იღბლის მუდმივი რჩეულია.

2257. ყველა უნდა თავის ბედს მიენდოს და არა – „ბელადს", რაც უნდა კარგად იყვნენ მისგან დამოძღვრილ-დარიგებულნი.

2258. ფორტუნის შეცდომის გამოსწორება მოთმინების, შეუპოვ-რობის და ჩასაფრების საქმეა.

2259. საერთო საქმე მუდმივია და უცვლელი, მას უგულოდ არ უნდა მოვექცეთ, რადგან ბედი დღეს შენ გადმოგხედავს, ხვალ სხვისი მოფერების ჯერია, ხოლო სხვისთვის ზევიდან გადმოხედვა უმწიფრობის შედეგია.

2260. ადამიანს ცხოვრების ყველა მოსახვევზე ან სიკვდილი ელოდე-ბა ან შემთხვევის წყალობა, გააჩნია, რა ხასიათზეა იმ დღეს ბედი.

2261. თუ სიკვდილი ღრმა სიბერეში გვიწერია, ისიც თავისებური ბედნიერებაა, რომლის დაფასებისთვის დრო არ გვრჩება.

2262. ბედნიერი მაშინ ხარ, როდესაც შენთვის განკუთვნილი ყველა სიმაღლის აღება გინდა და მოჭარბებულ ენერგია-ვნებას რა მოუხერხო, არ იცი.

2263. განგებამ ბედი მოგვცა, მაგრამ შემთხვევის კამათელის გორე-ბის უფლება თავად დაიტოვა.

2264. თუ ჩვენ ბედ-იღბალის შეცვლა არ შეგიძლია, მაშინ მის შეჩერებას შევეცდებით ფეხის ათრევით, დროსთან ჩასაფრებით, თავი-სადმი შეძახებით და იქნებ რაიმე სასიკეთოს ხელიც გამოვკრათ.

2265. იღბლის დაჭერას ყველგან უნდა ვეცადოთ, შემთხვევით წა-მოვკრავთ ფეხს თუ ჩვენივე ძალისხმევით.

2266. მოულოდნელი ბედნიერება ყველაზე დიდი სიამის და კაიფის მომგვრელია.

2267. ყველა დიდ საქმეს ფორტუნაც თან უნდა ახლავდეს, წინააღ-მდეგ შემთხვევაში, წარმატებაზე ფიქრი ზედმეტია.

2268. სხვათა ბედნიერებას ხელი არ უნდა შეუშალოთ, ოღონდ გონიერების მოხმობის ფარგლებში.

2269. როდესაც წარმატების პიკზე მყოფს, შესწევს უნარი ერთ წამში გაანალიზოს საკუთარი მცდელობა-ქმედება, ეს მას ბედნიერს ხდის.

2270. იყო ბედნიერი ნიშნავს, რომ არის რაღაც უფრო საჭირო და აუცილებელი, რომლის აღმოჩენა შენთვის სიძნელეს არ წარმოადგენს.

2271. ბედნიერების ხანა მასობრივი იდიოტიზმია, სადაც ყველა ყოფის მოწყობაზეა გადარეული და ერთმანეთს ექიშპება.

2272. ენდორფრინი ბედნიერების ჰორმონიაა ე.ი. ადამიანის ბედი შოკოლადში, ნაყინით, ბანანით და ცხოვრებით ტკბობის ალგორითმის შეცნობა-ამოხსნით.

2273. ჩვეულებრივი მოკვდავის ცხოვრება ფორტუნაზეა დამოკიდებული და არავინ იცის, ვის სად, როდის და რაში გაუმართლებს.

2274. რეალობას არც ბედნიერებაა მოკლებული და არც მწუხარება, გააჩნია, ბედი რომელი მხრიდან მოინდომებს ხელის გალაწუნებას.

2275. ბედს და უბედურებას ადამიანი უფალთან ერთად, თავადვე განაგებს. თვითონ განსჯის რომელი ასაკია სახუშტურო და რომელი – თავის გამოსაჩენი.

2276. ბედნიერებაა, როდესაც სიცოცხლით ტკბობის უნარი შეგწევს, ბოროტებას ახლოსაც არ იკარებ და თავს ყველაფრის კეთების უფლებას აძლევ საკუთარი შესაძლებლობის ფარგლებში.

2277. მუქთად მითვისებული ბედნიერება ზოგჯერ უფრო ტკბილია, ვიდრე მცდელობით მოპოვებული.

2278. წარმატება უმთავრესად ნიჭის და მცდელობის დამსახურებაა, რომელსაც შემთხვევა და ბედი, ადრე თუ გვიან, გვერდს დაუმშვენებს.

2279. ბედისწერის მორგება მომარჯვებული ჩასაფრება და დროის გარკვეული პერიოდის გადავადებაა თავისებურ ნიჭს მოითხოვს.

2280. ყველა ჩვენგანის ბედი განწირულია ,,იყო და არა იყო რა" – თი, ჰქონდა ვინმესთან რაიმე საქმე თუ არა, სჭირდებოდა ვინმეს თუ არა და ასე შემდეგ, ასე და ამგვარად.

2281. ბედი სადაც წამოგეწევა, იქ აგამაღლებს, მაგრამ შენც მზად უნდა შეხვდე, რათა შეიფერო.

2282. ვინ იცის რამდენჯერ შეიძლება გამხდარიყავი წამიერი შემთხვევის მსხვერპლი, ამაზე არც კი დავფიქრებულვართ.

2283. არსებობს ქერის ორმო, ბანკის ორმო, ხოლო ბედი რომელ ორმოში ამოგაყოფინებს თავს, ყოველთვის ჩვენს მცდელობაზე არ არის დამოკიდებული.

2284. ცხოვრება იმედის გაცრუების გარეშე არ არსებობს, ხოლო ბედნიერება – ოცნების რეალობაში გაუთოხარიკებლად.

2285. ბედნიერება წინსვლას მოითხოვს და არა უკან მოხედვას, დაბრუნებას.

2286. უვიცობაც, ეტყობა, ზოგჯერ თავისებური ბედნიერებაა, რომელსაც ამქვეყნიური შეხლა-შემოხლა არ ანაღვლებს.

2287. სიფარულის და ხელისუფლის ერთდროულად გამოცდა ბედ-ნიერების შეცნობის საწინდარია.

2288. ახლადდაბადებულებივით უნდა ვიცხოვროთ, რათა ოცნებას, შემართებას, გზა გავუხსნათ და ბედი ოპტიმიზმით წინ გავიგდოთ.

2289. თანასწორობას მოაქვს თუ არა ყოველთვის ბედნიერება, ძნელი სათქმელია, რადგან ადამიანს ყოველთვის სხვაზე მეტი უნდა.

2290. ხშირ-ხშირად სულიერად ამაღლება და ფიზიკურად დაღლა ბედის რჩეულთა ხვედრია.

2291. ბედნიერებას შური თუ არ ახლავს, ეს საოცრად დიდი ბედნიერებაა.

2292. დაიბადო ისეთი, როგორიც ხარ, ბედნიერებაა, რადგან შენ უკვე განუმეორებელი გახდი.

2293. ბედისწერის უნდა გვჯეროდეს, ოღონდ ხელის განძრევით, გონების დაღვინებით და შემართებით.

2294. ბედის უკუღმართობას უმთავრესად უცოდინრები უჩივიან, მცოდნენი ანალიზს აკეთებენ და გამოსავალს ეძებენ.

2295. ბედნიერად გაღვიძება სჯობს მთელი დღეს ბედნიერად ყოფნას.

2296. ფორტუნას დანახვა მაშინ შეიძლება, თუ ხელებს დავიკაპი-წებთ და თუ ძალიან მოვინდომებთ, ხელსაც წავავლებთ.

2297. უცოდინარიდან განსხვავებით, ნასწავლს ბედის უკუღმართო-ბიდან რაღაცნაირად დასხლტომის რაღაც შანსი აქვს.

2298. ბავშვობა ყველაზე სასიამოვნოდ გასახსენებელი იდეალური მდგომარეობაა ბედნიერებისთვის.

2299. ბედნიერების სახლის მშენებლობა ხშირად ერთეულ ბედნი-ერთა ხელშია, ისიც იმ შემთხვევაში, თუ ბედი ზურგს არ შეაქცევს.

2300. ბედნიერ ყოფას მცდელობა სჭირდება და არა – ყბედობა და ვაი-ვიში.

2301. ბედნიერება და სიამოვნება ხშირად ერთმანეთს მხარს ვერ უბამენ.

2302. ზოგს ისეთი ყისმათი აქვს, დაჭრილ ფრინველს თოფი რომ ესროლოს, საფანტი პენიცილინად იქცევა და ფრინველი ლაღად გაფ-რინდება.

2303. ბედნიერება ჩვენი ცხოვრების ნაწილია, დამუღამების და შეც-ნობის ცოდნით.

2304. ბედნიერება ყოველთვის დაცვას და შემართებას მოითხოვს.

2305. ჭკვიანი ყოველთვის ბედნიერი არ არის, რადგან მას ხშირად საკუთარი თავის შეცნობა უჭირს.

2306. ბედნიერად მხოლოდ საშუალო სიმდიდრემ შეიძლება იცხოვროს და ისიც მაშინ, როცა შემთხვევის წყალობით აქვს ნაშოვნი.

2307. დიდი ბედნიერებაა, როდესაც საკუთარ ქვეყანაში სიმართლეს იპოვნი და არავინ გჩაგრავს.

2308. დაუჯერებელი გაკვირვებით შეყრილი სიხარული, ბედნიერებაა კუბში.

2309. „ცდა ბედის მონახევრეა“ და თავისებური მეწილეც, მაგრამ არა ყოველთვის და ყველასთვის.

2310. ამბობენ ერთ ჩინურ დარიგებას ბედი მოაქვსო. რადგანაც ჩემს მკითხველს ბედნიერება მინდა ვუსურვო, ამ დარიგებათა თანმიმდევრობას მოვახსენებ: შეიძლება იყიდო სახლი, საწოლი, საათი, წიგნი, მდგომარეობა, ექიმის განწყობა, სული, სექსი, მაგრამ არა კერა, სიზმარი, დრო, ცოდნა, პატივისცემა, ჯანმრთელობა, სიცოცხლე, სიყვარული.

2311. ძნელია განასხვაო სად იწყება შემთხვევა და სად ბედი, მაგრამ ორივეს რომ დროულად ხელის ჩაჭიდება სჭირდება, – ფაქტია.

2312. ბედთან შეჭიდებისაგან განსხვავებით, მისი გამოცდა არ ღირს – არ ამართლებს.

2313. ბედი და შრომა განუყოფელია, რადგან პირველი თუ მეორეს რაღაცას ჩუქნის, წარმატებაა, მაგრამ ბედი ხელის გაუნძრევლად ვერ წარმოჩნდება.

2314. კმაყოფილება შინაგანად ბედნიერების სინონიმია და სიკეთის საკეთებლად მისდაუნებლიედ წაგვიბიძგებს.

2315. ადამიანთა ერთ ნაწილს გახდომა სურს, მეორეს – გასუქება, მაგრამ არიან ბედნიერებიც, რომლებიც ჯერ არ აწონილან.

2316. ბედნიერება ორი სხვადასხვა სქესის საქმეა, ყოველ შემთხვევაში, მე დღესაც ასე მწამს, რადგან სიცოცხლის საწყისზე ისინი უდებენ საფუძველს.

2317. ბუნებით და ქმედებით უბედურს, ეტყობა, ასეთივე უბედური ბედი დაჰყვა.

2318. ცოდნა – საკუთარ თავს მიანიჭო დაუგეგმავი სიხარული, უდიდეს ნიჭთან ერთად დიდი ბედნიერებაცაა.

2319. ცოლად გამოდგომას არც თვალების ფართედ გახელა შველის და არც გარიგება, თუ ბედი სამუდამოდ შენს გვერდით არ „აიტუზა“.

2320. საკუთარი ბედის ჯობნა ყველა ადამიანის ვალია.

2321. ალბათ ბედნიერება ამქვეყნიდან დროულად წასვლაა, თუკი გულდასაწყვეტი ხალხის უდროოდ იმქვეყნად გადაბარგებას არ მოესწრები.

2322. ადამიანები ერთმანეთის ბედზე დაუფიქრებლად გავლენას ახდენენ, რადგან აქ ფორტუნა ბატონობს.

2323. ბედისაგან დაცინვასაც იტანენ და შეურაცხყოფასაც, თუ იგი საბოლოოდ მათ მხარეზეა.

2324. ბედნიერებაა, როდესაც შენი დაკრძალვის დღეს ყველა იღიმება, რადგან ხანგრძლივი, მოღლილი, სიცოცხლე სასიამოვნოდ და სხვათა შეუწუხებლად განვლე.

2325. თუ ბედს არ შეურიგდები, ბრმაც რომ იყო, ხილულზე მეტს მიაღწევ, ოღონდ რაც გეკუთვნის.

2326. თუ გინდა ხელი შეუწყო საკუთარ ბედნიერებას, მაშინ ყოფის ყველა საჩუქარი მადლიერებით მიიღე, სხვა ღიმილით და კომპლიმენტებით დაასაჩუქრე და სამაგიეროს სიკეთით გადაგიხდიან.

2327. კარტის თამაშისას არ არის აუცილებელი იდიოტი იყო, მაგრამ ფორტუნას ზოგჯერ ეს ძალიან ეხმარება – ხელს არ უშლი დაგეხმაროს.

2328. ბედნიერება გონიერების მოძიებაა და არა მისი უსაგნო სივრცეში ძიება.

2329. მიზნის აღსრულებაა ბედნიერება და არა – მისთვის თავგანწირვა.

2330. ბედნიერების საიდუმლო შემდეგშია: რამდენის გაცემა შეგიძლია დაუნანებლად და არა – რამდენის გაცემის სურვილი გაქვს.

2331. ხშირად ბრმა და დამცინავი ბედის წყალობა რაღაც უმნიშვნელო შეცდომას ძალზე მნიშვნელოვნად აქცევს და თავის რჩეულს სასურველ შედეგს ფეხებთან გაუგორებს.

2332. ბედნიერება განგებამ შეიძლება აწონილიც გვარგუნოს და აუწონავიც, მაგრამ სიფარული რა სახით შემოგვეპარება, არავინ უწყის.

2333. პიროვნების ბედნიერება ხშირად საზოგადოების წყობა-ყოფაზეა დამოკიდებული და არა უნარზე, ნიჭზე.

2334. ყველა ჩვენგანი ადრე თუ გვიან გაიგებს რა არის სიკვდილი, მაგრამ ვერასოდეს შევიტყობთ ბედისწერის ნაფიქრალს.

2335. შრომას და თავდადებას წინ ვერაფერი დაუდგება, თუ ბედსაც ხანდახან გაახსენდები და შენს მცდელობას დაინახავს.

2336. სასიამოვნო მოულოდნელობები იშვიათად გვეწვევა, გვახარებს და გვაწბილებს კიდეც, რადგან წინასწარ ვერ განვსაჯეთ ჩვენი ბედის შესაძლებლობები.

2337. დიდი ბედნიერებაა, თუ ცოცხალი ხარ და ახლობლები შენგან ზრუნვას არ მოითხოვენ.

2338. ბედნიერება საკუთარი ღირსების შეცნობის სინონიმია.

2339. ბედნიერად ყოფნასაც ცოდნა, გამოცდილება, დროსთან შერწყმა და უკეთ ყოფნის მცდელობის ნიჭი სჭირდება.

2340. თუ ბედი მხოლოდ გიღიმის და არ გეხვევა, სასაყვედურო მაინც არაფერია, რადგან ფორტუნა არშიყი ქალბატონია და როგორც მოეხასიათება, ისე მოგეფერება, დაგიმახსოვრებს.

2341. ვეცადოთ ვიყოთ ღირსი იმ იღბლისა, რომელსაც შემთხვევა გვიწყალობებს.

2342. თუ შენ არ იზრუნებ სხვაზე, მაშინ სხვა იზრუნებს მასზე და ბედთან წაჩალიჩების შენი მცდელობა უშედეგოდ დარჩება.

2343. იმაზე ადვილი და კარგი არაფერია, რაშიც ხელი გაწაფული გაქვს, წარმატებული ხარ და საქმიანობა გსიამოვნებს, რადგან შენ უკვე ბედნიერი ხარ.

2344. მთავარია უყვარდეთ, თუ კი თანაუგრძნობ კიდეც, ტრფობა თუ არა, ბედნიერების საწყისი მაინცაა.

2345. მთავარია, თვალით სასუსნავი ქალის სავარგულები ვის ხელში მოხვდება და ვის მოუწევს ვნების მოსავლის აღება-პატრონობა, თუმცა კაცია და გუნება, ხასიათია და კადნიერება, რომელიც ბედს და შემ-თხვევას უნდა გადაეყაროს.

2346. ბედი ზოგჯერ პესიმისტური გვეჩვენება, მაგრამ სურვილი ოპტიმისტურია.

2347. ზოგი ბედის წყალობით ვნებებში ბანაობს, ხოლო ზოგს აბანოში ბანაობაც არ უწერია.

2348. ბედნიერება სხვებსაც უნდა გავუზიაროთ და არა მხოლოდ მის გამომზეურებას ვეცადოთ.

2349. ზოგჯერ ჩვენი ბედი ვიგინდარებზეა დამოკიდებული, ჩვენი სურვილის და მსოფლმხედველობის მიუხედავად.

2350. ან ბედნიერი ხარ, ან მართალი, რადგან პირველი იძლევა სიამოვნებას, მეორე – სიამაყეს, ხოლო ერთდროულად ბედნიერიც იყო და მართალიც, სამწუხაროდ, გამორიცხულია.

2351. ბედნიერებით კმაყოფილი უნდა იყო თუ უკმაყოფილო, ესეც შედარებითია, რადგან მის ხარისხს დრო, გარემო და შენს გვერდზე მყოფის შესაძლებლობა და წამხედურობა განსაზღვრავს.

2352. ბედნიერება თავისებური ბიზნესია: ან გაგიმართლებს ან არა, მაგრამ ცდა და მცდელობა არ უნდა დავაკლოთ.

2353. ბედნიერებას თავადვე ვეწევით თუ სიკეთის და მადლის შეცნობას არ დავიზარებთ.

2354. ბედნიერება უცბად არ იწერება, მას ანბანის სწავლა, შეგო-ნების გათავისება და სასურველ შემთხვევასთან შეხვედრა სჭირდება.

2355. ბედნიერებაა, თუ წინაპრების შეცდომებს არ ვიმეორებთ და აქ ახლებურმა აზროვნებამ, დრომ ხელი უნდა შეგვიწყოს, თუ გენმა და ბუნებამ არ გვიღალატა.

2356. კარგია, როდესაც იღბლიანი ხარ, მაგრამ მისკენ მთელი გულით არ უნდა ისწრაფო, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამართლება და შემთხვევა თავს დაგიკრავს.

2357. ბედი წერს ადამიანის ცხოვრებას, ხოლო შემთხვევას კორექ-ტივები შეაქვს.

2358. არის პირადი ბედნიერება, არის საზოგადოება, რომლითაც აღფრთოვანებული ხარ და სიცოცხლე ზომაზე მეტად გიხარია.

2359. ყველა ნაღვაწს თავისი ბედი აქვს ან გაიგებენ, ან გადადებენ და სამუდამოდ მიივიწყებენ. აქაც განგების, შემთხვევის და დროის ნება ვლინდება.

2360. ერთადერთი პიროვნება, ვინც ბედს, შემთხვევას თავის სასარ-გებლოდ „მოძღვრავს", შულერია, თუმცა ამ საქმიანობისგან სიამოვნე-ბას არ განიცდის.

2361. გვინდა-არ გვინდა, ცხოვრება, გარემო, დრო ლატარეას გვათამაშებს და ვის რა შეხვდება, არავის უწყის.

2362. მომავლის შეცნობა ინტუიციას, პირველ რიგში ბედს მოითხ-ოვს და შემდგომ ცოდნა-განათლებას.

2363. ბედი თუ შენს მხარესაა, მაშინ მოწინააღმდეგეს ვერც შეამ-ჩნევ.

2364. ბედის მოკრძალებული საჩუქრით გონიერება არასოდეს დაკ-მაყოფილდება.

2365. გორესკოპი თავისებური ლოცვაა ადამიანთა თანდაყოლილი ბედის, რომლებმაც თაობების ხასიათი, შემართება, მიდრეკილება უნდა გაიმეორონ.

2366. პესიმიზმი და ოპტიმიზმი დამოკიდებულია იმაზე თუ ბუნებამ ვის რა გადმოაბერტყა.

2367. ზოგს ხსოვნა გულში გვრჩება, ზოგსაც – გუნებაში, ზოგის ხსოვნა ხალხის საკუთრებაა, ზოგიც ქვაზე ამოტვიფრითაა კმაყოფილი და ესეც ბედის ნებაა.

2368. ხშირად ადამიანებს შორის ის მირაჟია, რომელიც ზოგჯერ ბედნიერების საწყისია, თუ მას ცნობიერების მოშველიებით შეკერავთ.

2369. ბედნიერება წყნარი და სიფარულით ამაღლებული დანდო-ბით ცხოვრება, სადაც ღალატისთვის ადგილი არ რჩება.

2370. ბედნიერება დღეებით ითვლება და არა – წლებით.

2371. ბედნიერებას არ იძენენ, მას დროებით, არენდით, იღებენ.

2372. ბედსაც ბევრი სასაჯედურო აქვს ჩვენთან, მაგრამ ყურს არავინ უგდებს, მისგან მხოლოდ შედეგს ითხოვენ, ხელის გაუნძრევ-ლად.

2373. კანონს ყველა პატივს უნდა ვცემდეთ და არ გვეშინოდეს, ბედის იმედი უნდა გვქონდეს, მაგრამ არ უნდა ვეყრდნობოდეთ.

2374. ბედის თრევას მიჩვეულს, მისი წაბიძგება აღარ აკმაყოფილებს.

2375. ბედნიერებისთვის სილამაზე მეორეხარისხოვანია.

2376. საქმის საკეთებლად მიმართული ძალისხმევა ყველაფერია და ხშირად მას ბედის გაღიმებაც არ სჭირდება.

2377. ყველა თავისი ბედის მჭედელია, თუ გონება ეყო, შემთხვევას დროულად ხელი ჩასჭიდა და დროს მოერგო.

2378. სიავე ჩასაფრებულია, სიკეთეს არ სძინავს, ხოლო რომელს წამოკრავ ფეხს, ზოგჯერ ეს მამაზეციერისთვისაც უცნობია.

2379. ნამდვილი ბედნიერება სიამოვნების შემოპარებაა, რეკლამების გარეშე.

2380. ბედნიერება ან აყოვნებს ან ახლო არ გვეკარება, ხოლო მოთმინების და საქმიანი წინჭვრეტის უნარს განგება ასე ჰარიჰარალედ არ არიგებს.

2381. ხანდახან კარგავ იმ ბედნიერებას, რომლისთვისაც განგებას მადლობა უნდა აახლო, რათა არ დაავიწყდე და ახალი ტრფობა-შემართების ჯვარი გადაგწეროს.

2382. წინა თაობების ტრაგიკული ბედი მომდევნო თაობებს დიდად არ ანაღვლებთ, ოღონდ თავის წინამორბედთა განსაკუთრებულობით იტრაბახონ და თქვან, ჩვენც თავის დროზე რაღაცანი ვიყავითო.

2383. ბედის შეცვლა თუ არ შეგვიძლია, მაშინ მის წინასწარ ცოდნას რა აზრი აქვს, გონება რატომ უნდა შევაწუხოთ, სული რა-ტომ უნდა ავიფორიაქოთ, ნერვები რატომ უნდა დავძაბოთ?

2384. ბედნიერებაა, როდესაც საკუთარი თავის შეხედვა-შელამაზება გსიამოვნებს და სულ ფორმაში ხარ, რადგან ეს სიცოცხლეს გიხან-გრძლივებს, ცხოვრებას გილამაზებს და სული სულ ჩახმახზე გაქვს შეყენებული.

2385. ბედნიერებას ორი განზომილება აქვს: უთანაგრძნოს სხვის უბედურებას და შეშურდეს სხვისი ბედნიერებისა.

2386. გამარჯვება ყოველთვის ბრძოლის შედეგი არ არის, ხანდახან მას მოხერხებულობა და შემთხვევა უმტკივნეულოდ იხვეჭს.

2387. ბედნიერია ის მამაკაცი – ასაკი, რომელიც ცხოვრების 1/3-ს ძილში ატარებს, ხოლო 2/3 იმის ცდაშია, საწოლში ვინმე ,,შეათრიოს“.

2388. ბედნიერება-უბედურება თავისებური სინონიმებია და მათი განსჯა-ანალიზის უნარი გონიერების საქმეა და არა ჭორაობის, ლაყბობის.

2389. ჩვენი შეხედულებები ხშირად არ ემთხვევა ჩვენივე ცხოვრების რეალობას, რადგან ან დავაგვიანეთ ან ფორტუნამ ზურგი გვაქცია.

2390. ბედნიერება სიფარულით უნდა მივიღოთ და გონიერებით გავითავისოთ, თუ გვინდა ცხოვრების ეშხი შევიცნოთ.

2391. ისიც დიდი ბედნიერებაა თუ უფლებას გაძლევენ გიფარდეს, რადგან ფინიშის მოახლოების იმედი გიჩნდება.

2392. ყველა თავის ბედთან წილნაყარია და დროის ხუშტური რას მოიმოქმედებს, არავის უწყის.

2393. ცოდვა გულგრილობაცაა და სხვაზე გადაყოლაც, რადგან ყველას თავის თანდაყოლილი აწონილი ბედი აქვს.

2394. სიტყვის დამუნჯება შეუძლებელია, მაგრამ – გონიერებას გზავნილით მისი „დამუღამება“ აუცილებელია, რათა ფორტუნა ჩვენს მხარეს დადგეს.

2395. კომფორტი, კეთილდღეობა შეიძლება თავზე გეყაროს, მაგრამ ბედნიერი მაინც არ იყო, რადგან ბედნიერება შინაგანი გრძნობაა, განცდაა.

2396. ბედი ზოგჯერ ხაფანგს გვიგებს და ხშირად იმითაც კმაყოფილნი ვართ, რომ არ გადაამლაშა.

2397. თუ ბედმა გაგწირა და ფორტუნამ შენი გენი ფსონში ჩადო, ყოველგვარი მორალის კითხვა და აღზრდაზე ზრუნვა უშედეგოა.

2398. ბედნიერებაა, როდესაც ოცნებით იძინებ, სიზმრებით აგრძელებ და მათ გაუხსენებლად კარგ ხასიათზე იღვიძებ.

2399. შემთხვევა უნდა გამოიყენო, შედეგი უნდა აბარტყო, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბედსაც დაავიწყდები და მისი ნაწყალობებიც ხელიდან გაგიფრინდება.

2400. შენი შანსი უგზო-უკვლოდ უნდა ეძებო ყველა ვითარებაში.

2401. ბედნიერება არ არსებობს, თუკი მიღწეულით დაკმაყოფილდი.

2402. ცხოვრებაში ყველა ჩვენგანი ბედის ნაწყალობევ როლებს ვთამაშობთ და უნდა ვეცადოთ რაც შეიძლება უკეთ „ვიმსახიობოთ“, იქნებ დაგვიმახსოვრონ და რაღაცაში გამოვდგეთ.

2403. ცხოვრების მშვენიერების სიცოცხლის საოცრების აღქმასთან შერწყმის უნარი უდიდესი ბედნიერებაა, რომელიც რჩეულთა ხვედრია.

2404. ზოგი ცხოვრებაში გზას იკაფავს, ზოგიც გარემოებათა გამო ამოტივტივდება, მიუხედავად თანაბარი შესაძლებლობებისა მათ შორის

დიდი სხვაობაა, რადგან პირველი ბედს იმკის, მეორე მხოლოდ მის იმედზეა.

2405. ბედს ყოველგვარი განათლება-ვარჯიშის გარეშე შეუძლია სიკვდილ-სიცოცხლის ისეთი ტრიუკი შეგასრულებინოს, რომელიც სახელოვანს გაგხდის, მაგრამ მის გამეორებას არასოდეს ისურვებ.

2406. დროის კაიფის შეცნობა და მისი უნიკალურობის დამუღამებას კულტურა, თანდაყოლილი ნიჭი და ბედის წყალობა სჭირდება.

2407. მშობელს, სამშობლოს, ბედს, არ ირჩევენ, არც ეპაექრებიან, მაგრამ მეტ-ნაკლებად ეგუებიან და სიბერეში ემორჩილებიან.

2408. თუ ბედმა ფრთები გამოგასხა, ფრენა გასწავლა, მაშინ სადავო, საორჭოფო, სასაფედურო არაფერი გქონია.

2409. თუ ცხოვრებამ ოცნების უფლება გაჩუქა ბედს მადლობა შესთხოვე, ხოლო თუ ბედმა აღმაფრენის ფრთები გამოაბა განგების მადლერებით შეეხმიანე და დაუფიქრებლად ოცნებით გაფრინდი, იმისდამიუხედავად საბოლოოდ ფრენა ისწავლე თუ არა.

2410. ბედის წყალობაა ისიც, თუ დროულად გვკარნახობს, გავგრძნობინებს, რა უნდა გავაკეთოთ.

2411. ბედნიერების ნაგლეჯს, განგების ნებით, ადრე თუ გვიან, ყველამ ხელი უნდა გამოვკრათ, ხოლო რა ოდენობით, ამას ჩვენი მცდელობა და შემთხვევა განსაზღვრავს.

2412. სიბერე ბედის საჩუქარია, ყოფისთვის პროგრესული გადასახადია, სიცოცხლისთვის გამართლებაა, რადგან ასაკის სრულ ჭკუაზე აკინძვა ყველას არ ძალუძს.

2413. საშინელებაა, როდესაც კატასტროფას ჩვენი პერსპექტიული ოცნებები განიცდის და არა ბედის ფინალური სიმუხთლე, რომელიც ადრე თუ გვიან, ყველას თავის ალიყურს აგებებს.

2414. ყველას ჩვენი ცხოვრება გვაქვს და ის ჩვენი ჭკუით და ბედისწერით უნდა განვვლოთ.

2415. ბედნიერებაა, როდესაც ასაკი წლებით დამძიმებაზე არ ფიქრობს, სხეული – ობის მოკიდებაზე და აზროვნება – ჭკუის ჭრაჭუნზე.

2416. ძლიერი პიროვნება, შეიძლება წინ აღუდგეს ბედისწერას, მაგრამ მისი განაჩენი მკაცრად თუ ლმობიერად მაინც მოსახდენია.

2417. სურვილსა, შემიძლიასა და შედეგს შორის დიდი სხვაობაა და ეს შერკინება ცხოვრებასთან შეჭიდებამ და ბედმა უნდა გადაჭრას.

2418. უცნაური, უგნური და გაუგებარია ეს ცხოვრება, ზოგჯერ ის გვჯობნი, რასაც ვერასდროს წარმოიდგენდი და ესეც ბედის თავნებობის ქარის ქროლვაა.

გენიოსი, ტალანტი, ნიჭი

2419. ასკეტიზმის მქადაგებელი ბერძენი ფილოსოფოსი დიოგენე დღისით ბაზარში ჭრაქით დაეძებდა პატიოსან კაცს. ეს იგავი გონიერების სამყარომ გაითავისა, ხოლო ჩვეულებრივი მოკვდავის იმავე ქმედებაში ვერც გენიოსს დავინახავდით და არც მისი ნათქვამი შემორჩებოდა ისტორიას.

2420. ისტორიას შემთხვევა და ვიგინდარა გენიის მქონე პიროვნება წყვეტს, რომელიც ქვეყნის იმპერიად გადაკეთებისთვის და თავის წარმოჩენისთვის ხალხს ბრბოდ აქცევს.

2421. ტალანტს, გაბრაზების გარეშე, ყურადღების ღირსად არავინ გახდის.

2422. პოპულარობას დროის მონაკვეთის საჭიროება განსაზღვრავს, გენიოსობას – საუკუნეების გადასახედი.

2423. ნიჭიერი კაცი ბევრ დარგში ნიჭიერი უნდა იყოს, ხოლო ტალანტი – ერთში, რადგან ის მისი სიყვარულიც არის, ჰობიც და ცხოვრების მიზანიც.

2424. ადამიანის გენიალობის ხარისხს ის გარემო განსაზღვრავს, სადაც მას უხდება მოღვაწეობა.

2425. სახელმწიფო წყობა ხშირად ტალანტის მხრიდან გადაყოლას არ იმსახურებს, რადგან როდესაც მას დახმარება დასჭირდება, ხალხისავე საკეთილდღეოდ, ამას ყურად არავინ იღებს.

2426. არჩევანი: რუსთაველი არ გვეყოლებოდა, ან მონღოლები არ შემოგვესეოდა. ალბათ, მაინც გენიის ყოლა სჯობს, რადგან აგრესიას ისტორიის საანგარიშო აქეთ-იქით მიმოფანტავს და მისგან არაფერი დარჩება, ხოლო რუსთაველი კი ერის სამუდამო სიამაყეა.

2427. საქმემ ტალანტი უნდა აღმოაჩინოს და არა ტალანტმა – საქმე.

2428. ნიჭიერი შეიძლება ყოველთვის ფორმაში არ იყოს, მაგრამ მის ტალანტში ეჭვი არავის უნდა ეპარებოდეს.

2429. „იქსის“ ტალანტი „იგრეკისას“ ვერ უკენწლავს რადგან ისინი ტალანტის აღმოჩენა-წარმოჩენას ერთნაირად ხელმძღვანელობენ.

2430. მარტოობის დღესასწაული გენიოსების და ღმერთების ფუფუნებაა.

2431. გენიას, რომელსაც ხელებითაც რაღაცის კეთება შეუძლია, ეს უდიდესი წყალობაა მიზნის მისაღწევად.

2432. შესაფერისი საქმის გარეშე დარჩენილი გენიოსი ჩვეულებრივი მოკვდავია და უფრო უარესიც.

2433. გენიოსია ის, რომელიც, პრობლემას, რომელზეც წარმოდგენა არა გვაქვს და ვერასოდეს გავიგებთ, ქვეყნის საკეთილდღეოდ უხმაუროდ გადაწყვეტს.

2434. გენიოსი საზოგადოებამ უნდა შეინახოს თავისი კუდის აწევ-დაწევით, წინააღმდეგ შემთხვევაში, იმ საქმის კეთებას დაიწყებს, რაც მას არ მოსწონს და ხალხი გაგვინაწყენდება.

2435. ტალანტი თუ გენიოსთან აგებს, ეს პირველისთვის დიდი ბედნიერებაა, რადგან ის ამ დონის შერკინების მონაწილეა.

2436. ტიტანების გარეშე ცხოვრება ,,ბალაგანია", სადაც გონიერების სასწორის გამოყენებას არავინ ცდილობს.

2437. გენიოსის მოვლენა მამაზეციერის კაპრიზია, მისი მამობა – შემთხვევის, ხოლო დედობა განგების ნების აღსრულებაა.

2438. ლეონარდო და ვინჩი ყველა დროის უპირველესი გენიოსია, მის ღვთით მომადლებულ უნივერსალურ ნიჭს მხოლოდ მეცნიერების ტექნიკური საწყისი სჭირდება, რადგან ის ყველა ახალი აღმოჩენის მამა.

2439. ტალანტი თავის ნიჭსაც გამოამჟღავნებს, სხვისასაც უმტკივნეულოდ მიითვისებს და თავისად აქცევს.

2440. ტალანტს აფასებს და თავის უკანასკნელ სიტყვას ამბობს დრო და არა – გონიერება.

2441. მომდევნო საუკუნეები იქნება ნიჭით აღჭურვილთა ძალადობის საუკუნე, რომელსაც ისევ ტალანტის მუშტი და ძალა უნდა დავანახოთ და მოვთოკოთ.

2442. გენია ვალდებულია თავისი დროის ტრადიციებს, ხუშტურებს, აჯობოს და წინ გაუსწროს მომავლის გადასახედიდან, თუ უნდა მის დაფასებას აღფრთოვანებაც დაემატოს.

2443. უკომპრომისო ვნება არის ტალანტი, რომელიც ადრე თუ გვიან თავის სანთელ–საკმეველს არ დაკარგავს.

2444. არაღიარებული გენიოსი ბევრია, აღიარებული პროფესიონალი ერთეულია, მაგრამ ამ კატეგორიის ხალხის შეხვედრა შედეგს იძლევა და ქვეყნისთვის სასარგებლოა.

2445. ჭკუის მჭყლეტელები არ იზრდებიან, ისინი გვევლინებიან, იფერფლებიან და გენიოსებთან ფინალში რჩებიან, საუკუნეებთან გასაჯიბრებლად და საპაექროდ.

2446. გენიის უგულვებელყოფისას ხალხიც ზარალდება და ტალანტიც, რადგან ერთმანეთს ვერ გაუგეს და სარგებელი ვერ მოუტანეს, ერთს – მატერიალური, მეორეს – აღიარება და სიყვარული.

2447. გენიოსის ლანძღვა-გინებაც საამოა, რადგან მან გიკადრა ამდენ უვიცში განსასჯელად შეგარჩია და ისტორიაში მოხვედრის საშუალება მოგცა.

2448. საკუთარი საქმით გატაცებული ტალანტი თავის უცნაურობით სიცოცხლეს გვილამაზებს, მიუხედავად იმისა, გვჯერა მისი ნიჭისა თუ არა.

2449. ყველაზე დიდი დანაშაული ბავშვობის წართმევაა, მიუხედავად იმისა, პირმშო გენიოსად არის დაბადებული თუ ჩვეულებრივ მოკვდავად.

2450. კვლავწარმოებული, კვლავწარმოებულზე უკეთესი უნდა იყოს და ეს არის ბუნების გენიალობის არსი.

2451. ნიჭიერად ბოდვას ტალანტი და მოხერხებულობა სჭირდება, რათა დაგიმახსოვრონ და გაგიხსენონ.

2452. ხშირად ყველაზე შეუფერებელი ქორწინებიდან გვევლინებიან გენიოსები და ავანტიურისტი დეგენერატები.

2453. ტალანტების და კადრების სამჭედლო სხვადასხვაა, რადგან პირველი გარკვეულ პერიოდში იყინება, ჩერდება, ხოლო მეორე თანდათან ძალას იკრებს და სრულყოფისკენ მიილტვის.

2454. მომდევნო საუკუნისთვის განკუთვნილი გონიერება, აწმყომ მასხრად რომ არ აიგდოს, გენიოსების ნაზრევს ფანტასტიკა დაარქვეს და ამით ორივე მხარემ კონსენსუსს მიაღწია გარკვეულ შედეგამდე, დრომდე და ღიმილის მოგვრამდე.

2455. ნიჭს მატერიალური დახმარება რგებს თუ ვნებს არავის უწყის, რადგან მას გამოზომილი ცხოვრება არ შეუძლია, გადამეტებულად ამბიციურია და საშიშია ხელს არ გადაყვეს.

2456. აწმყო გენიოსის სიცოცხლესაც არაფრად აგდებს თუ ის ხელისუფლებას არ ეპუება, მიუხედავად ცოდნისა, რომ ის უკვდავებისთვის და ერის წარმოსაჩენად არის განწირული.

2457. ლეონარდო და ვინჩზე დიდი პიროვნება სამყაროს არ ჰყოლია, მაგრამ კაცობრიობას ამის შესაცნობად საუკუნეთა ჯაფა დასჭირდა, თუმცა თავად ამაში ეჭვიც არ ეპარებოდა.

2458. თანამედროვენი გენიოსის გვერდზე ცხოვრებას ვერ იშნოვებენ, სანამ დრო და მომდევნო თაობები არ გააფეტიშებენ და ძებნას არ დაუწყებენ იმ დროის უკანასკნელ მოჰიკანს, ვინც მას იცნობდა.

2459. სამწუხაროა, როდესაც მომდევნო საუკუნის გადასახედიდან მოაზროვნე გენიოსს ხელისუფლება ძველი საუკუნისა ჰყავს, რომელიც დღევანდელობაშიც ვერ გარკვეულა, მაგრამ თავი ამაყად უჭირავს,

რადგან გარემოებათა გამო, დღეს ის ქვეყნის სათავეშია, ე.ი. „ყველაზე ჭკვიანია“.

2460. არც ილია ჭავჭავაძის საზოგადოება იყო ამ კაცის გენიის, კაცობის ღირსი. ჯობდა მას თავისი შემოქმედებისთვის მიეხედა იმ იმედით, რომ ერს მომდევნო თაობები უკეთესი ეყოლებოდა და ისინი გაგებით, შეგნებით დააფასებდნენ მის ნამოღვაწარს, მაგრამ ამ გონიერ განსჯას აწმყოში ცხოვრება არ იძლევა, მით უმეტეს, თუ შენი ქვეყნის შვილები ვირეშმაკობენ და ცუდ გზაზე დგანან.

2461. კაცი, რომელსაც არაფერი არ უნდა, ცხოვრების საეჭვო „ძაღლის ძვალს“ ეთამაშება ან უბრალოდ, თავდაუდგმელი გენიოსია.

2462. გენიას ფსიქოლოგები არ მკურნალობენ, რადგან მათზე ამ-გვარი მცდელობა უარყოფითად მოქმედებს.

2463. გონიერი კაცისთვის მთავარი არ არის მისი გენიის აღიარება, მაგრამ ამით აწმყოს დიზაინი ზიანდება და დრო ამ ჭკვიან კაცს იმას ვერ მიაგებს, რაც მას და თანამედროვე ცხოვრების ეკადრება.

2464. მხოლოდ გენიოსს შესწევს უნარი შეიცნოს და განიცადოს გონიერების ფასი.

2465. გენიოსად რომ გაღიარონ, შენი ბედი მაინცდამაინც არავის უნდა აწუხებდეს და ხშირად ეს თავისუფლებაა, რომელსაც დაფიქრე-ბის სურვილთან და სამყაროს არსის განსჯამდე მივყავართ.

2466. გენიას თავისი გზა აქვს, ქვეყნის პროგრესს თავისი დრო, მაგრამ ვაი იმას, ვინც თავისი დროის ყოფას წინ აღუდგება ან გასწრე-ბას მონდომებს, რადგან ყოველივეს განგება, შემთხვევა, ბედი განაგებს და არა – თავის საუკუნეზე ადრე დაბადებული გენიოსი.

2467. შური ღირსეულს აეკიდება და არა გენიოსს, რადგან ის ყველას სიამაყეა, საკუთრებაა და გრძნობენ, რომ მის გენიას ვერ შეწ-ვდებიან.

2468. უპირველესად გენიოსების და არა – რომელიმე ქვეყნის კულ-ტურის და ძლიერების წინაშე ვიხრით ქედს.

2469. გონიერებაც შედარების შედეგად აღიქვამს გენიას, რადგან უიმისოდაც ის უბრალოდ ნიჭია.

2470. თუ შენ გენიოსი ხარ, მთავრობის და ხალხის აზრს ყური არ უნდა ათხოვო, თუ ეს დაფინანსებას არ შეეხება, რადგან მის გარეშე შენ კაპრიზს ვერ დაიკმაყოფილებ. რაც შეეხება აღიარებას, გუნების გაფუჭებად არ ღირს, რადგან ადრე თუ გვიან მაინც მოვა, ამქვეყნად თუ არა, იმქვეყნად მაინც.

2471. ყველა გენია აკვიატებული იდეის მონაა და სანამ რაღაცას არ მიაგნებს, სულს თავისუფლება შეზღუდული აქვს.

2472. ნიჭი ან საგვარეულო ტრავმის შედეგია ან მძიმე ორსულობის, რადგან მისი გადამტანი ყველაფერში დალაგებული ვერ იქნება.

2473. ტიროპათოლოგია–ვუნდერკინდობა, რამდენად მიწიერია და საზოგადოებისათვის გამოსადეგი, ამას დრო და განგების ნება ადგენს.

2474. გენიოსის ცხოვრების წესს თუ გადახედავთ, მის სიჭკვიანეში ეჭვი შეგეპარებათ, ხოლო თუ მას მომავლის კუთხით შეაფასებ, ისევ გენიად მოგეჩვენებათ.

2475. გენიალურისაგან განსხვავებით, საქმისადმი რთულად და დახლართულად მიდგომა უვიცობას, მოჩვენებითობას და თავის დაძვრენას ახასიათებს.

2476. დრო შეიძლება გენიოსს არ მოეფეროს. მაგრამ შთამომავალი გამოაფხიზლოს, მისი ნიჭის დუღაბი აგრძნობინოს და გაათავისებინოს.

2477. მსახიობი პრაქტიკულად არშემდგარი გენიოსია, რომელმაც გრძნობით ყველაფერი იცის არაფრის შესახებ.

2478. ყველაზე საშიში ზოგჯერ ტალანტია, რადგან ის არავის ანგარიშს არ უწევს და უმართავია, თუმცა დასამახსოვრებელ გავლენას ახდენს საზოგადოებაზე.

2479. გადახედავ გენიოსების ცხოვრებას და ხვდები, რომ მისი თანამედროვენი ფურთხს იმსახურებენ, ერთეულ მეცენატთა გარდა, რომელსაც განგება ხელისკვრით მიუგდებს სულის მოსათქმელად ამ ღვთის მადლით დანამულ ხალხს.

2480. გენიას სათანადოდ დააფასებს მენტალიტეტგამოცვლილი მომავალი თაობა, იმ შემთხვევაში, თუ მათი ყოფა უზრუნველყოფილია.

2481. ნიჭი ვის როდის მიაკითხავს არავინ უწყის, მაგრამ ის ყველას საკუთრებაა და დროს და შემთხვევის ტვინის საჭყლეტიც.

2482. გენიოსობის და ჯიშიანობის სიმპტომების მქონე ადამიანებს, აღიარების მოპოვებამდე, მრავალცოლიანობის სტატუსით აღჭურვა კანონის ძალით უნდა ავკიდოთ, ხოლო თუ რომელიმე მათგანის შთამომავალი წინაპარს აჯობებს ან მცირედით მაინც დაემსგავსება, მაშინ ამ არასწორ გადაწყვეტილებას თავისი დროის დაუმსახურებელი სირცხვილი უსიტყვოდ ჩამოეწერება.

2483. ხანდახან გენიოსების და ერის მამების ყოველდღიურობას რომ გადახედავ, მათ სიდიადეში ეჭვი გეპარება და ხვდები, რომ მათ გონიერება განგების საკუთრებაა, ხოლო სხეული მიწაზე მოვლენილია სხვასთან ერთად დროს სატარებლად და ცხოვრების შესაცნობად.

2484. ხშირად სიგიჟედ აღქმული ქმედება და წარმოუდგენელი ჩანაფიქრის რეალიზება გენიალობაა.

2485. გენიოსი ძლიერ და განათლებულ ქვეყანაში წარმოჩნდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ღვთის მადლი სამყაროსთვის დროებით დაკარგულია. ალბერტ აინშტაინი რომ რომელიმე აფრიკის განვითარებად ქვეყანაში დაბადებულიყო და ებრაელი არ ყოფილიყო, ამქვეყნად მის არსებობას ვერავინ შეამჩნევდა.

2486. თუ ვერ გვიგებენ, ან ჩვენი დრო გაგვეპარა, ან არ დამდგარა ან არც ოდესმე მოვა, რადგან გენიალობასაც კი დროის და ფორტუნის დახმარების გარეშე არაფერი გამოსდის.

2487. გენიაც იღვწის კერპების სასარგებლოდ, რადგან მისგან თავის დაღწევა უჭირს, ამასთან, ისიც ადამიანია თავისი ბუნებრივი მოთხოვნილებებით და ზოგჯერ ბრბოს ეიფორიას მისდაუნებურად ემორჩილება და ანგარიშს უწევს.

2488. გენიოსსა და შეშლილს შორის სხვაობას ნამოღვაწარის განზომილება განსჯის, ვინ რა ოდენობით, ნებით თუ უნებლიედ ჭკუის საცოხნი დაუტოვა მომდევნო თაობებს.

2489. გენიოსი შეიძლება „ავადმყოფი“ იყოს მაგრამ მათ გარჩევას და გამომჟღავნებას მაინც ამინდი, გარემო, შემთხვევა, სჭირდება.

2490. ტალანტს, ნიჭს, ზადის გახსენება ხშირად გაურკვეველ სიამოვნებას ანიჭებს.

2491. ნამდვილი გენიოსი სხვა საუკუნის და პლანეტის შვილია, მისი შეცნობა და გაგება მომდევნო საუკუნეებს უნდა მივანდოთ (მაგ. მიქელ-ანჯელოსი).

2492. გენია ისტორიის უმართავ ლოგიკას ვერ დაემორჩილება და წყარი ცხოვრებაც არ გამოუვა.

2493. ხანდახან ისეთი გენიოსი წინაპარი გამოტყვრება, რომ ყველა შენს ამბიციას წყალს ასხამს, მაგრამ გამშრალება და სხვაზე წყლის დასხმის სურვილი მაინც არ უნდა დავკარგოთ.

2494. გენიოსს, უნდა თუ არა, მასზე შექმნილ მითებს და ჭკვიანი კაცის მარკას უნდა უფრთხილდებოდეს.

2495. გენიოსი მომდევნო ეპოქებზეა დამყინული, თავის დროის პიროვნებაა, რომლისთვისაც პირველადია მისთვის გასაგებ დროში ჯირითი. შემდეგ მოდის ქვეყნის, ხალხის და იმ კოლეგების სიყვარული, რომლებსაც ის უგებს.

2496. მეცნიერია ის, ვისაც ბუნების გაშლილი წიგნის კითხვის უნარი შესწევს, ხოლო ვისაც ამ წიგნის გვერდის დაწერა შეუძლია, გენიოსია.

2497. უეცრად გადმოფრქვეული აღმოჩენა გენიას სიცოცხლეში აზრების საცოხნად ყოფნის, ხოლო გარდაცვალების შემდგომ – სახელის დასამკვიდრებლად.

2498. ხელოვნება არც პლუსით იანგარიშება, არც მინუსით, მას წერტილს ისტორია უსვამს, ან იტოვებს ან ივიწყებს.

2499. ის პირველი შეუფასებელი და დასაფასებელი, რომლისთვისაც მნიშვნელობა არ აქვს მას უმაღლესი შეფასება არგუნეს თუ უმდაბლესი, რადგან გენიოსების საშუალოთი შეფასება არ ხდება.

2500. გენიოსთა ცოდვები, გადაცდენა, ალბათ, იმათ აინტერესებთ, ვინც ვერასოდეს მათ დონემდე ვერ ამაღლდება, ხოლო თუ თავის უსახელო მცდელობას რაღაც გამართლებას მოუძებნის – თუნდაც თავის სულში ეს მათ უდიდეს ბედნიერებას ანიჭებს.

2501. ყველა გენიოსი რაღაც-რაღაცეების გამოტყუებით თავის დროს ებრძვის და ზოგჯერ მხარდამჭერებსაც ნახულობს.

2502. სიცოცხლის მოხმარებას თავის გენიოსობა სჭირდება, რათა გემოვნებით და ღირსებით განვლო.

2503. არ მესმის, რატომ იქნებოდა ცოდვა გენიოსისთვის დაგვეძალებინა ნაშიერთა სიმრავლე რამდენიმე ქალთან შეჯვარებით, მითუმეტეს, თუ ერთი მათგანი მაინც გაამართლებდა და შემქმნელს დაემსგავსებოდა. მაშინ ხომ ზევითაც და ქვევითაც ყველა ცოდვა შენდობას დაიმსახურებდა.

2504. რატომღაც გენიოსის ყოფა-ცხოვრება მისი გარდაცვალების შემდგომ აგონდებათ და მისი ცხოვრების სათუო ეპიზოდებს მთელი მონდომებით ამართლებენ და ალიბს უძებნიან, რათა იმდროინდელ წინაპართა უყურადღებობა დღევანდელი გადასახედიდან გამოასწორონ.

2505. განგებას ნიჭის გაცემა უჭირს და არა – ტალანტისა, რადგან ის თვითმყოფადია და მასზე ზრუნვით თავს აღარ იწუხებს.

2506. ზოგი ვუნდერკინდი გასაკვირს და საოცარს ერთ წუთში ახერხებს, ისე, რომ ამაზე მას ხეირიანადაც არ უფიქრია.

2507. დაჩივლება, წუწუნი, ზოგს გენში უზის და ვერავითარი სიმდიდრე ვერ გადააჩვევს.

2508. ნიჭი, რომელიც ერთდროულად ლექსსაც თხზავს, მუსიკასაც და თავადვე ახმოვანებს – მღერის, ღვთისგანაა დაღვენთილი, მაგრამ ხარისხის დადგენას და შეფასებას მაინც მოითხოვს, რათა „ხაბა-ხუბა“ გენიოსებში არ აგვერიოს.

2509. გენიოსი მოწოდებულია შექმნას ის, რაც სხვას არ შეუძლია, არც იცის და გარკვეულ დრომდე არც აინტერესებს.

2510. ტალანტს მატერიალური უზრუნველყოფას დამოუკიდებლობა აძლევს, რათა სათაყვანებელი საქმე აკეთოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, იძულებული იქნება სულიერების საწინააღმდეგო „მარცხენა“ საქმის საკეთებლად გაისარჯოს.

2511. ტალანტი ყოველთვის სიახლეა და მუდამ „ალჩუზე“ ზის.

2512. კლასიკოსის პირველი საიდუმლოება ის არის, რომ ტალანტია, მეორე, არავინ იცის ეს ტალანტი კლასიკოსად როდის იქცევა და რა ხნით შემორჩება საუკუნეებს.

2513. გენიოსს თავის დრო, როგორც საჭიროა, ისე ვერასდროს დააფასებს – მხოლოდ გაუღიმებს.

2514. ტალანტის ამობრწყინება ცოდნის და ანალიზის უნარის შედეგია, მაგრამ გენია არავის ავტორიტეტს არ ემორჩილება.

2515. მარადიულობა არავის ხვედრი არ არის, გარდა გენიოსებისა და მათაც დრო და შესატყვისი აღქმა სჭირდებათ.

2516. ტალანტს სულის, გულის და გონიერების მაქსიმალური ხარჯვის გარეშე, გენიალური და ხელშესავლები არაფერი გამოსდის.

2517. ტალანტი მის მსოფლმხედველობაზე ცოტათი მეტი უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში თანამედროვენი ვერ გაუგებენ.

2518. ნიჭს სტრატეგიაც სჭირდება და ტაქტიკაც, წინააღმდეგ შემთხვევაში ტექნიკური პროგრესი ფეხს წინ ვერ წადგამს.

2519. სამშობლოს, სინდისის, საკუთარი „მეს“, პატივისცემა ყველა გენიოსისთვის სავალდებულოა.

2520. თანამედროვეებს ტალანტი აინტერესებთ როგორც პროფესიონალი და სარგებლობის მომტანი, ხოლო შთამომავლობას – რა ლეგენდები დადიოდა მასზე და დღეს ვინ გაეჯიბრებოდა ნიჭით.

2521. გენიოსი უყაირათო და თავის დროისთვის მოუმზადებელი შეიძლება იყოს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში – ბრიყვი, როგორც ზოგჯერ ერთი შეხედვით ჩანს.

2522. გენიოს, ჭკვიან ადამიანს, გაცილებით მეტი მოეთხოვება, მაგრამ რა უფლებით, ამის განსჯა არავის სურს.

2523. ყოველთვის უმოკლესი გზით სიარული გენიოსებსაც უჭირთ.

2524. შეკვეთით არც სულელდებიან და არც ჭკუას იხვეჭენ, თუ მათ გენის საწყისი და შემთხვევა არ დაეხმარა.

2525. შიზოფრენიამ, პარანოიამ, ეპილეფსიამ, ნევროსტენიამ და სხვა ნერვულმა დაავადებებმა უამრავი გენიოსი მისცა სამყაროს, რადგან გარემოს მათნაირი ხედვა ჩვეულებრივ მოკვდავთ არ ძალუძთ.

2526. გენიოსის ქმნილება სიგიჟის, უგნურების, წინათგრძნობის და იმ საშინელი სულის წამების და ფსიქიური ნორმებიდან გადახრის ნაყოფია, რომელსაც შემოქმედება ჰქვია.

2527. იტალიელებიც კაი ,,გამოთაყვანებულ-გამოქართულებულნი'' არიან, მაგრამ რა ვუყოთ ამდენ გენიოსს და საოცარ დანატოვარს, რომლებმაც სამყაროს მცხოვრებნი ამ ისტორიის საშურო პატრონად აქციეს.

2528. გენიოსი თავის დროში იშვიათად იბადება და ამიტომაც უჭირს ცხოვრება.

2529. დიდ პიროვნებებს ხშირად იმიტომაც აქვთ ცუდი ხასიათი, რომ ხალხი ვერ ხედავს მათზე ზრუნვას. რაც შეეხება მათ ნაჯაფს, არც გაეგებათ, არც უნდათ გაიგონ და ხელსაც უშლიან.

2530. ტალანტი და ჭკუის კოლოფი ყველას არ უყვარს, ხოლო ვისაც მათი ცოდნა და ნიჭი ხელს უშლის საორჭოფო საქმეების კეთებაში, სძულთ.

2531. უნდა გამოვიყენოთ ტალანტის ,,დუღაბი'' და არა მისი ,,ნიშნები'', რადგან დიდი ნიჭი ხშირად დაულაგებელია და არაადეკვატური.

2532. ტალანტისთვის წელსქვედა დარტყმა ხელოვნებაში, მეცნიერებაში, სპორტში, მიუღებელია, რადგან ის ერის, ქვეყნის, წარმოჩენას ემსახურება.

2533. უბრალოება გენიოსთა ხვედრია, ხოლო უბიწოება – ასკეტიზმისა.

2534. გენიოსმა უნდა იცოდეს როგორ ,,გაუსწროს'' და გაუსწორდეს უგვანო დროს.

2535. ტალანტი ვალდებულია სული გაიღოს, ხოლო მის ,,მძორს'' სად ჩაფლავენ ცნობიერების გამდიდრებისთვის მეორეხარისხოვანია.

2536. გენიოსს კრიტიკა ვერაფერს აკლებს, პირიქით: ოპონენტებს ბდღვირსაც ადენს და ასამარებს.

2537. ნიჭი და სიზარმაცე სინონიმებია, რადგან პირველს დასვენების გარეშე გონების სიახლით შევსება არ შეუძლია.

2538. არის სიკვდილი, რომელიც მომდევნო თაობებს ხელს აძლევს – თუ გენიალობამ თავი მოაბეზრა გონიერებით, წინდახედულობით, საქმის ცოდნით, რჩევა-დარიგებით და ყურის აწევით.

2539. ამბობენ, რომ ჩვეულებრივი მოკვდავები ცდილობენ სიცოცხლეში კარგად იცხოვრონ, ხოლო გენიოსები – სიკვდილის შემდეგ, შთამომავლობისთვის. ვინ იცის, ვინ არის მართალი, მაგრამ ამას მაინც განგების ნება წყვეტს და არა – ადამიანი.

2540. ნიჭიერი ბევრია, მაგრამ იყო გენიოსი გენიოსთა შორის, ისიც შენ დროში აღიარებით, გენიოსის კვადრატში ხვედრია.

2541. დიდი ნიჭის ადამიანი თვით ეშმაკსაც კი ფეხს წაატეხინებს, რადგან მას ყოველივე თავისებურად ესმის და თავის ჭკუაზე თარგმნის.

2542. არის ნაღდი ტალანტი, არის ტალანტის მაგვარი და საინტერესო ის არის, რომ ეს უკანასკნელი საზოგადოებისთვის უფრო ცნობილი და დაფასებულია, რადგან მას თავხედობის უნარი შესწევს.

2543. ნიჭს მისთვის გასაგები კადნიერება ახასიათებს, ხოლო უნიჭობას სხვისთვის გაუგებარი თავხედობა.

2544. დებილად ცნობილი ხანდახან შედევრს შემოგვაპარებს და მერე იწყება დავა, განსჯა, ერის შვილად მოვიხსენიოთ თუ ჩვეულებრივ მოკვდავად.

2545. ტალანტის მილიონებზე ,,გადაცვლა'' აუცილებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში, მიმზიდველობას და პატივისცემას დაკარგავს.

2546. ტალანტმა არ უნდა იცოდეს რა სურს, ის ამას მოჭარბებული გონიერებით და ენერგიით უნდა გრძნობდეს.

2547. ტალანტის შეფასება-დაფასებას და გაყიდვას სხვა ტალანტი სჭირდება.

2548. ნიჭს არც კულტურის მინისტრის პროტექცია სჭირდება და არც განათლების, რადგან თავად შემოქმედების მინისტრიცაა და მინისტრთა საბჭოც.

2549. ყოველივე პირველი ყოველთვის გენიალურია, ხოლო მომდევნო პლაგიატობაა გაუმჯობესებით და დაუფლებით.

2550. გენიოსი თავისი გონიერებით და მენტალიტეტით ყველა დროის შვილი თუ არა, შვილიშვილი მაინცაა – ოღონდ პლუსით.

2551. ნიჭი სამყაროს საკუთრებაა და საზოგადოების კეთილდღეობას უნდა მოხმარდეს, აქ ,,უტუ'' – პატრიოტიზმი, სხვა სახელმწიფოს სამსახურში ჩადგომის ,,ღალატი'', მხედველობაში არ მიიღება.

2552. სულიერ მემკვიდრეობას ტოვებენ გენიოსები, მატერიალურს – ნიჭიერი და ავანტურისტი ხელისუფლები.

2553. გენიოსის ქმედება არც განსჯას ემორჩილება და ვერც კომენტარებს იტანს.

2554. ტალანტს ვერც იყიდი და ვერც გაანიავებ, მაგრამ თუ მოეფერები, მხარსაც აგიბამს.

2555. ნიჭს არავინ ეკითხება: ეროვნებას, განათლებას, ასაკს, ამ კითხვებით უნიჭო-ხელმოცარულთ მიმართავენ.

2556. ტალანტის გვერდზე, ლამაზი ქალი, გარეგნობით თუ არა, სულით ყოველთვისაა.

2557. ტალანტი, შედეგის მიუხედავად, განგების თავისებური გამოწ-ვევა და მასთან გაჯიბრებაა.

2558. ტალანტი და ოჯახი შეუთავსებელია განსაკუთრებით მაშინ, როცა აღიარება აგვიანებს და ხელმოკლედ ცხოვრობ.

2559. ყველა ტალანტს გარკვეული დრო აქვს თავის წარმოსაჩენად და იმიჯის შესანარჩუნებლად, ამიტომაც ნიჭის წვალებას დროულად უნდა შეეშვას და მიღწეული წარმატება ბოროტად არ უნდა გამოიყენოს.

2560. არის შეცდომა, რომელიც ტალანტს არ ეპატიება, რადგან ის ვალდებულია ბევრი რამ რამდენიმე წლით ადრე განჭვრიტოს.

2561. ტალანტს ერთი „ნაკლი სჭირს" – საარსებო და სამუშაო პირობების შექმნა სჭირდება, რომელსაც სახელმწიფო, გარკვეული ამ-ბიციების მიუხედავად, ყოველთვის ვერ ითვალისწინებს.

2562. პიროვნება რომ იწამო და გენიოსად აღიარო, პირველ რიგ-ში გულმა უნდა იწამოს და გონებამ მისდამი აღფრთოვანება უნდა გადახარშოს, ამის შემდგომ ის ხდება ჩვენი აზროვნების ფეტიში და გონების დასაყრდენი.

2563. არის გამოჩენილი და არის პოპულარული პიროვნებები. პირველი დროის მუდმივი განზომილების შვილია, მეორე – დროები-თის და თავისი დროის მენტალიტეტის.

2564. ადამიანის გენიალობას მანამდე ვგრძნობთ, სანამ ის ხმას ამოიღებს, საქმის კეთებას დაიწყებს და მისი საქმიანობის ოპონირებას შევუდგებით.

2565. გენიოსის უცნაურობათა აზრს და საჭიროებს რომ ჩაწვდე, როგორც ჭეშმარიტების შესაცნობ ერთ-ერთი აუცილებელ პირობას ასაკი და ტვინის დაკუპაჟების უნარი უნდა გიწყობდეს ხელს.

2566. დიდ ნიჭსაც ნებაყოფლობით ოპონირება სჭირდება, რათა მისი ნაღვაწი იმ ბალასტისაგან დაიწმინდოს, რომელიც მომდევნო ეპოქის მოთხოვნებისთვის გაუგებარი იქნება.

2567. გენიოსი თავის ამქარში უვიცებს ვერ გულობენ, მაგრამ ზოგი ბედის ნებიერი, ორი კლასის განათლებით, მილიარდერი, ან სახელმწი-ფოს მმართველი ხდება, შედეგად ეჭვქვეშ დგება ყოველგვარი განათლე-ბა და გონიერება, რადგან ჯიქურ შემართებას ყოველთვის ცოდნა ვერ ჯობნის.

2568. მხოლოდ ნიჭი იძლევა იმის უფლებას, რომ ადამიანი იყოს ქვეყნის საამაყო შვილი, წინაღმდეგ შემთხვევაში, ის ჩვეულებრივი მოკ-ვდავია. თუ არა ვაჟა-ფშაველას და გალაქტიონის ღვთიური ნიჭი. ერთი

მოჩხუბარ-ხულიგანად, მეორე – გამოუსწორებელი ლოთად დარჩებო-და.

2569. გენია არ შეიძლება წინასწარ გავთვალოთ, მას დროულად უნდა გავუგოთ და უსიტყვოდ მივიღოთ.

2570. განათლება ჩვენი მენტალიტეტის შესატყვისი „შტაბ-ბინაა", რომელიც მატერიალურ დივიდენდებს იძლევა, რადგან მარტოოდენ სულიერებით ცხოვრება ერთეულ გენიოსთა ხვედრია, რომელთა წა-ბაძვა ჩვეულებრივ მოკვდავს არ გამოადგება.

2571. სტერილურად წმინდა არავინაა, მაგრამ ნიჭიერებას არა აქვს უფლება მოიტყუოს და პოლიტიკოსად იქცეს.

2572. ნიჭი მატერიალური უნდა იყოს, თუ გინდა აწმყომ აღიაროს და გამოყენება სცადოს.

2573. ნიჭიერი ადამიანი სულის მასკარადის გამოსავლენად და ხალ-ხის გასართობად ბუნებითაა მოწოდებული, იგი უნიჭოებასაც აიყოლი-ებს და ქვეყანის ასაფავებელ საქმეს წუწუნის გარეშე აკეთებს.

2574. ტალანტი საწყისშივე სკანდალურია, რადგან თავის დროს წინ უსწრებს, მომავალს სხვა თვალით უყურებს, ხოლო თანამედროვე-ნი აწმყოთი ცხოვრებას ძლივს ახერხებენ და ვერ უგებენ.

2575. ნიჭს, გენიოსთან შედარებით, თავისი მუხანათობა გაჩნია, ის დროს და საზოგადოებას უნდა მოერგოს, ხოლო გენია ყველა დროის შვილია და თუ მას დღეს ვერ გაუგებენ, მომდევნო საუკუნენი სად გაექცევიან.

2576. გენიოსი შეიძლება თავისებური დილეტანტი იყოს იმ საქმეში, რომელმაც მას სახელი და დიდება მოუტანა, რადგან მისი აღმოჩენა შემთხვევის, გარემოებაზე დაკვირვების და ამოუხსნელი ნიჭის წყალობაა.

2577. ნიჭიერი კაცი ვალდებულია თავისი ნაღვაწი დააფიქსიროს, თანამედროვენი მას უგებენ თუ არა. ის წინ იმ იმედით უნდა იყურე-ბოდეს, რომ მომდევნო თაობები მის ნაყოფს გონებით გადახარშავენ და მოიხსენებენ.

2578. ვინც დიდებისთვის არის განწირული, შედარებით ცოტას ცოცხლობს მაგრამ მისი სახელი საუკუნეებს მოსვენებას უკარგავს.

2579. გენიოსი კვადრატში ის კი არ არის, ვინც თავის დროს უსწრებს, არამედ ის, ვინც მის დროში მცხოვრებთა მცირედ ნაწილს ამაში დაარწმუნებს.

2580. ტალანტი და სიბრძნე ერთმანეთის გვერდით ვერ ძოვენ, მაგრამ შორიდან მეგობრობენ რადგან მათ თავის წარმოსაჩენად პარა-

მეტრები, განზომილებები, ტაშის დამკვრელი კოლეგები და სხვადასხვა ხედვის ქომაგები სჭირდება.

2581. ადამიანი თუ ტალანტია, ის ყველაფერში ნიჭს იჩენს, მიუხედავად იმისა, მისი ნამოქმედარი ამ ეტაპზე ჩვენთვის გასაგებია თუ არა.

2582. თავხედობა და ტალანტი დღეს სინონიმების, რადგან მის გარეშე ცხოვრების საკუთარი გასავლელ გზაზეც კი არავინ გაგატარებს.

2583. აღიარება და სახელი ერთ კაცზე მრავლდება და იყოფა, ის სხვებთან ერთად ხარსიხში აიფანას ვერ იტანს.

2584. ნიჭს, ტალანტს, დროულად უნდა დავეხმაროთ, გზა რომ გაიკვლიოს თორემ უნიჭობა, თავხედობა, გზას ყოველთვის გაიკვლევს.

2585. გული უნდა გქონდეს, გონება უნდა ირჯებოდეს, სული უნდა ჭოჭმანებდეს, თვალები უნდა ფართოვდებოდეს, სმენა უნდა გავამახვილოთ, ყნოსვა უნდა გავამძაფროთ, მხოლოდ ამ მცდელობების შედეგად ვიღებთ შედეგს.

2586. ნიჭით დაჯილდოებული ნორმალური ადამიანი არანორმალურ საზოგადოებაში სულელად გამოიყურება, მაგრამ არა იმდენად, რომ ფასს ვერ გრძნობდნენ.

2587. ნიჭმა თავისი დროის გასაგები და მიუღებელი ფილოსოფია უნდა წეროს, ოღონდ მომავლის აღიარების იმედით.

2588. შემოქმედთა აღმოჩენა და გახმოვანება გენისოთა ხვედრია.

2589. ნიჭიერ ადამიანს ხშირად ღუპავს სამყაროსადმი უმადურობა, როდესაც თავის ნიჭს დანიშნულებისამებრ არ იყენებს და თავის შეხედულებისამებრ ცხოვრობს და იღწვის.

2590. დიდი ადამიანი ძილშიც კი ფხიზლობს, აზროვნებს და მისთვის სასურველ სიზმრებს, ოცნებებს ხედავს.

2591. ზოგჯერ ხდება სასწაული და შენი ნაღვაწის კმაყოფილი თავადვე რჩები, ეს კი გენიოსობისაკენ, აღიარებისაკენ შეუჩნევლად გადადგმული ნაბიჯია.

2592. ცუდია ნიჭის უაზროდ ფლანგვა, მაგრამ უარესია მისი საერთოდ არ ქონა.

2593. ცხოვრებაში სიბრძნის დამუღამება, გამოცდილების გათავისება და შემართებაა საჭირო ნიჭის გასარკვევად, სწორ გზაზე დასადგომად და წარმატების მისაღწევად.

2594. ნიჭი, ჩასაფრებული მონადირე მხეცია, რომელიც ნახტომით რას დააცხრება და დაბუბნის, თავადაც არ უწყის.

2595. უნიჭოები სწავლას ეჯახირებიან, საშუალოები – სწავლობენ, ნიჭიერები – ითვისებენ, გენიოსები – შთანთქავენ.

2596. გენიოსებად არ ზრდიან, ისინი უბრალოდ იბადებიან, რათა სამყაროს ამდენ უხიაგს, ურწმუნოს, „ცხვირი მოხოცონ“.

2597. სტიქიური ბედნიერებაც არსებობს, როდესაც ქვეყანას მხსნელად და სადიდებლად საქმის წარმომჩენი თვითნაბადი გენიოსი ევლინება.

2598. ხშირად გენიოსს თავისი ეპოქა ვერ აფასებს, სანამ მისი დროის ოპონენტები, იმქვეყნად გადაბარგებით, აღიარებისკენ გზას არ გაუხსნიან.

2599. გენიოსისთვის უდიდესი ტრაგედია თავისი საუკუნისა თანამედროვეთა მხრიდან დაუფასებლობა და შეუმჩნევლობაა, მაგრამ ყოველივე ამას აღიარების იმედი ანეიტრალებს.

2600. ღირსეულ წინაპართა შთამომავალს სხვისი ღირსებები არ უნდა უკვირდეს და არც უნდა შურდეს, რადგან თავადაა ამ ღირსების გენეტიკის ნებით თუ უნებლიედ გამგრძელებელი.

2601. ნიჭს დანახვა, დაფასება, დაფინანსება, სჭირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ან სხვაგან გაფრინდება ან უკვალოდ გაქრება.

2602. ჩამქრალი ტალანტები მოწოდებულნი არიან ახალი ნიჭი აანთონ, ჯიშის და ჯილაგის წარმოსაჩენ-გასამყარებლად.

2603. გენიოსი თავისებური ვულკანია, რომელიც ამოფრქვევის შესაძლებლობებს გრძნობს, მაგრამ როდის გაიღვიძებს, უცნობია.

2604. ნამდვილი და გენიალური არ ქრება, უბრალოდ მას, დროებითი უგულებელყოფის გადატანა უხდება.

2605. ამბობენ, გენიოსი იმით განსხვავდება ჩვეულებრივი მეცნიერისგან, რომ ამ უკანასკნელმა იცის, რის გაკეთება არ შეიძლება, ხოლო პირველმა ეს არ იცის და აკეთებს.

2606. გენიოსი თავისი საუკუნის მწყემსიც არის, მეხრეც და მათრახმომარჯვებული რეფორმატორიც, მაგრამ ეს უკანასკნელი სხვა საუკუნის საკუთრებაა წინა საუკუნის გასამათრახებლად.

2607. უკვდავება გენიოსთა ტვინის საჩალიჩოა.

2608. გენიოსი ბოროტების, სიკეთის და მათ შორის მავალი გზიდან მოშორებით დგას, რადგან არც ერთი მათგანი არ აინტერესებს.

2609. მხოლოდ გენიოსები გრძნობენ, როგორ ამოსდით სული სხეულიდან აღმაფრენის დროს.

2610. გენიოსები პროვინციაში იბადებიან, პროფესიონალებად კი ქალაქში ხდებიან.

2611. გენიოსის შინაურებს ერთი დაავადება სჭირთ: იგი უყვართ, მაგრამ სათანადოდ ვერ აფასებენ.

2612. გენია ბოროტი არ შეიძლება იყოს, რადგან მისი ბუნებრივი მოწოდებაა სიახლესთან ჭიდილი, ხოლო ბოროტები არიან ისინი, რომლებიც გენიოსის ნაღვაწის ბოროტად და არადანიშნულებებისამებრ გამოყენებას ცდილობენ.

2613. სწავლა და სიბრძნე სინონიმები არ არიან, მაგრამ უერთმანეთოდ არაფერი გამოსდით.

2614. სიბრძნის საშენი მასალა, თვითმყოფად ნიჭთან ერთად, მუდმივი სწავლაა.

2615. სიბრძნე, გამრავლებული შემართებაზე, მოთმინების დამატებით და შურის გამოკლებით, იძლევა გენიოსს.

2616. გენიოსების ნაკლი ის არის, რომ ისინი ყურადღებას არ აქცევენ უნიჭოებს და ზედ არ უყურებენ შურიანებს, რომლებიც მარად ჩასაფრებულნი არიან და შემთხვევას ხელიდან არ გაუშვებენ.

2617. გენიოსიც და გმირიც, უპირველესად, თავისი დროის ადამიანია, ამიტომაც შინაგანად მათ ყველაზე მეტად ეშინიათ დაუფასებლობის, შურის.

2618. ნიჭი არ შეიძლება მარტო თავისი ერის და ქვეყნის მსახური იყოს, მას ასპარეზი და საქმიანი მოფერება სჭირდება.

2619. რასაც აზროვნება სჭირდება და აგვალფრთოვანებს, სწორედ ის არის გენიალური (მაგ., სილამაზე, ქცევა, კეთილშობილება).

2620. გენიოსების გარდა, უამრავი ჭკვიანი ცხოვრობს, რომლებმაც თავი ვერ გამოიჩინეს, რადგან წარმოჩენას სხვა ნიჭი სჭირდება.

2621. ხელოვნებაში მოზომილი დოზებით გულახდილობა სახელს გვიქმნის, ხოლო მოუზომავი გენიად გვაღიარებს.

2622. საოცნებო ქმნილების შექმნა და თანამედროვეობის მსოფლმხედველობასთან შერწყმა ერთეულ გენიოსთა ხვედრია.

2623. გენიას არა აქვს სამშობლო, სქესი, ეროვნება, ის სამყაროს საკუთრებაა.

2624. აშშ ყველაზე მეტად ეხმარება სამყაროს გონიერ შვილებს, რომლებიც მასთან გადაწყვეტენ ემიგრაციას, ეს, გარდა ეკონომიკისა, იმის ბრალიცაა, რომ ის შედარებით ახალგაზრდა ქვეყანაა და გენიოსთა ყოლის წარსული დიდება მას არ შეხებია.

2625. კრიტიკის გარეშე გენიალობაც თავს ვერ წარმოაჩენს და ვერც სხვას ემსახურება.

2626. გენიოსები მეცნიერებას არ ემსახურებიან, ისინი ცდილობენ მისი გამოცდილება თავად იმსახურონ.

2627. ერისთვის ჭკვიან კაცს უფრო მეტი სარგებელი მოაქვს, ვიდრე გენიოსს, რადგან ეს უკანასკნელი შეიძლება ავი ზნის იყოს (ალექსანდრე მაკედონელი, ნაპოლეონი, ჰიტლერი).

2628. ნიჭის გარეშე ვერც მშიერი კუჭით იაზროვნებ და ვერც მაძღარით.

2629. ნიჭიერი კაცის ცხოვრება შეიძლება დაუბანელი, დაუვარცხნელი, მოუვლელი, მაგრამ მაინც ლამაზი იყოს.

2630. ნიჭია ის, რაც გენმა გიბოძა, გენიოსობაში კი განგების მადლიც დევს.

2631. ჩვეულებრივი მოკვდავი თავშეკავებულია და მოქმედ ყოფის ჩარჩოში ცხოვრობს, გენიოსიდან განსხვავებით, რომელმაც იცის, რომ უცნაურობა გაუვა, „ბავშვის ტირილის“ არ იყოს.

2632. გენიალობას გონიერებაზე მეტად სულის ტკბობა და ასაკის მატება აფასებს, გრძნობს.

2633. სიბრძნე არც ისე შორსაა უგნურებისგან, რადგან ყოველივეს ხშირად დრო და შემთხვევა წყვეტს.

2634. სიბრძნე არასოდეს არ აკეთებს იმას, რაც მის იმიჯს საეჭვოს გახდის და მის დამდაბლებას შეეცდება.

2635. ბრძენი პატივისცემას იმსახურებს, მაგრამ უფრო მეტს ის, ვინც მის სიბრძნეს აღიარებს და მასში ჩაწვდომას ისურვებს.

2636. სიბრძნე შემთხვევით წარმატებას არ აღიარებს, მაგრამ მისი შედეგებით სარგებლობს.

2637. ბრძენს არ აფასებენ იმისთვის, რომ მისი მჭერმეტყველების რაღაც ნაწილის გაგებას ხალხი შეძლებს – არამედ იმისათვის, რომ გაიგონ რაა სასარგებლო და გამოსაყენებელი.

2638. ხშირად სიბრძნის გამოყენების მარგი ქმედების კოეფიციენტი არც ისე მაღალია, მაგრამ აუცილებელია მისი ცოდნა.

2639. სიბრძნე ყველას აამაღლებს, მათ შორის, ღატაკთა და არაფრის მქონეთაც.

2640. სიბრძნე ფუფუნებაში ვერასოდეს იცხოვრებს, რადგან ამას მისი ბუნება ვერ შეეგუება.

2641. ბრიყვს სიბრძნე არ აინტერესებს, ხოლო სიბრძნე სიბრიყვეში თავისთვის გამოსაყენებელ ალგორითმს ნახულობს.

2642. გენიოსების გარეშე ეს სამყარო ულამაზო, უსაგნო, უნიათო იქნებოდა და არარაობად მოგვეჩვენებოდა.

2643. სიბრძნე ცოდნის დაგროვება კი არ არის, არამედ ის, რაც სხვისთვის უცნობია და ჯერ კიდევ გაუგებარი.

2644. სიბრძნის მთქმელს, წარმოსაჩენად, ხშირად ხეირიანი თარგმანი შველის, რათა ის თაობებმა გაითავისონ და სამყაროს საკუთრებად იქცეს. მაგალითად არისტოტელეს ნააზრევი.

2645. სიბრძნე არ ცვდება, პირიქით, ის მომხრეებს იმატებს და ჭეშმარიტებად იქცევა.

2646. ბრძენის შეცდომა ჩანს, განსასჯელი ხდება და რაღაცის გვასწავლის, ბრიყვისა – უჩინარია და ყურად არავინ იღებს.

2647. სიბრძნე ცრუ არ შეიძლება იყოს, რადგან გონიერება ამას არ დაუშვებს.

2648. გენიოსია ის, ვისაც თავში უმეცრების ჯოხს ურტყამენ და თავის ნაცვლად ჯოხი იმტვრევა.

2649. ტალანტის შემკვეთი უფალია და მისი დაჩქარება, კრიტიკა, ჭკუის სწავლება, მიუღებელია.

2650. გენიოსი, ტალანტისგან განსხვავებით, თვითმყოფადია, ის სხვის დაუხმარებლად შეიძლება წარმოჩნდეს, ხოლო ტალანტი გამოსაყენებელი ნიჭია, რომელსაც ქვეყნის სიძლიერე, პოლიტიკა და ძალაუფალის მხარდაჭერა სჭირდება.

2651. გამოცდილებას ტალანტის გარეშე აღმაფრენა უჭირს.

2652. შეუცვლელი ადამიანი არ არსებობს, მაგრამ ზოგიერთის ნიჭი და ნაღვაწი განუმეორებელია, შეუცვლელია.

2653. არც ერთი საზოგადოებრივი წყობა ტალანტზე მონოპოლიას არ ფლობს, მისი გამოყენებისაგან განსხვავებით.

2654. ტალანტი ბავშვობა-ყმაწვილობის ოქროს წლებზე არ უნდა ვახტუნაოთ, ექსტერნად-სასწრაფოდ სკოლა, ინსტიტუტი არ უნდა დავამთავრებინოთ, რადგან ის მაინც ადამიანი, ჩვეულებრივი მოკვდავია.

2655. ლეონარდო და ვინჩი და ნიკოლაი ტესლა, სამყაროს ჯერჯერობით ეს ორი საოცარი პიროვნება ჰყავს, რომლებმაც რამდენიმე საუკუნეს გადააბიჯეს და წარსულის საოცრებებს ბიშტი უჩვენეს იმისდამიუხედავად, რომ მათ შორის ასაკში სხვაობა სამი საუკუნეა.

2656. გენიოსიც ავანტურისტული ნიჭის გარეშე ვერ წარმოჩნდება.

2657. კონფლიქტი ტალანტსა და ფულს შორის ყოველთვის იქნება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ყოფის ახლებური აღქმა გაგვიჭირდება და ყოველნაირი ინტერესი დაიკარგება, რაც ორივესთვის მამოძრავებელი ძალაა.

2658. ენის სიმდიდრე ის ხელთუქმნელი განძია, რომლის ფასსაც მომავალი თაობები თანდათან შეცნობ-შეიგრძნობენ.

2659. ტალანტი ერთია, შრომის უნარი სხვაა, ორივე განგების საჩუქარია, მაგრამ მათ წარმოჩენა, რეკლამის განთავსებაც სჭირდება.

2660. გონიერების აღებ-მიცემობა დიდი საქმეა, თუ წესიერად გექ-ცევიან და შენი არ შურთ.

2661. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ერთი გენიოსი უამრავ ჭკვიანს და ნახევრადჭკვიანს სჯობს, მიუხედავად იმისა რომ გენიოსთა მოვლენა ამქვეყნად იშვიათია და ეს ქვეყანა სათრევ-საჯიჯგნად ისევ ამ უკანას-კნელთ რჩება.

2662. მცოდნესა და ბრძენს შორის ის სხვაობაა, რომ პირველმა ბევრი რამ იცის, ხოლო მეორეს მისი გაგებაც შეუძლია, გამოყენებაც და სიახლის გამოჩხრეკვაც.

2663. სანდომიანი საუბარი ორ ადამიანს შორის გონიერების დღე-სასწაული და ბედნიერების საფუძველია.

2664. არის რაღაცა სტრატეგიული, რომელიც ქვეყანამ და ხალხმა თავად უნდა აწარმოოს, აკეთოს, იმისდამიუხედავად, იაფი უჯდება თუ ძვირი საკვები პროდუქტები, მედიკამენტები, შეიარაღება, ბავშვების კეთება და სხვა ბევრი აუცილებელი და საჭირო რამ.

2665. გენიოსებმა თავიანთი ფასი უჩვენოდაც იციან.

2666. ამ სამყაროს დარეხვილი ,,გენიოსები'' ქმნიან, შედეგით კი უგნურნი და მოხერხებულები სარგებლობენ.

2667. პროფესიონალსა და გენიას შორის ის სხვაობაა, რომ პირ-ველი მეორეს გარეშე გაძლებს, ხოლო მეორეს პირველის ღირსებები ,,შეზელილი'' უნდა ჰქონდეს.

2668. აზრთა ნაკრები უკვე სიბრძნეა, ხოლო სიბრძნეთა ნაღები – გენიალობა.

2669. ტალანტი ყოველთვის ,,ვარსკვლავზე'' მეტია.

2670. ტალანტს უნიჭობა, ბინომში აფანილიც, ვერას ვნებს.

2671. ტალანტს სისულელის ჩადენაც ეპატიება, რადგან ის საინტე-რესოა და იმედის მომცემიც – შეიძლება რაიმე სიახლე გამოტყრეს.

2672. ბევრი ტალანტი აღმოუჩენელი და დაუსაქმებელი ხდება და ეს არის დროის უკულმართობა.

2673. სიბრძნე სიბერეში მოდის, როდესაც ჭკუა-გონება დაღვინე-ბული გაქვს და შემართება, ენერგია – გამოცლილი.

2674. პოლიტიკა სხვაა, ეკონომიკა სხვაა, ხოლო მათი შერწყმა მხოლოდ გენიოსს შეუძლია – ორივე დარგის პოეტს.

2675. ბუნებას თავისი კანონები აქვს, ადამიანს – თავისი სურვილები და მათი შერწყმა გენიალობას მოითხოვს.

2676. ტალანტს თუ დრო არ ზღუდავს, ნიჭი თავისი დროის საზღვრებში ჩატევით უნდა დაკმაყოფილდეს.

2677. გენიოსისგან განსხვავებით, პროფესიონალი ყოვლთვის ფორმაში უნდა იყოს, რადგან პირველი ერთი-ორჯერ „გაისვრის“ და საკმარისია. პროფესიონალის სამსახური კი სამყაროს მანამ სჭირდება, სანამ ის ცოცხალია.

2678. იშვიათია ახალი აზრი, რომელსაც წინამორბედი არ ყავდეს და თუ ამას ვინმე ახერხებს, უკვე გაჩენიდანვე გენიოსია.

2679. ტალანტი ძალზე ძვირი ღირს, თუ მისი დროული წარმოჩენა და რეკლამის გაკეთება მოხერხდა.

2680. ტალანტი არ უნდა ცხოვრობდეს მრავალი სიცოცხლით, რადგან ის თავის დროის წარმოსაჩენადაა მოვლენილი და არა – „საფველპურო“ არსებობისათვის.

2681. ტალანტის წარმოჩენის საიდუმლოებას დაღლა არ ახასიათებს, რადგან ის სიახლის შესაქმნელადაა მოწონებული და არა მხართეძოზე წამოსაწოლად.

2682. „დავარცხნილი“ ბიოგრაფია გენიოსების საქმე არაა, რადგან დაავიწყდებათ, რომ ისინიც ადამიანები არიან.

2683. ყველა ნიჭიერი კაცი პიროვნებაა, სხვისთვის გაუგებარი ამბიციებით, რომელიც საზოგადოების უმეტეს ნაწილს ნერვებს უშლის, მიუხედავად ამისა, მას უყურადღებოდ სტოვებენ.

2684. ტალანტი მოფერებას და შეთბობას მოითხოვს, დროის შესაბამისად.

2685. ნიჭი სიკვდილის შიშზე მაღლა გაყენებს, თუ დრო დაგაცდის და შენს შემოქმედებას ხალხს აზიარებ.

2686. მომავლის და შედეგის გააზრება, განსჯით გენიოსთა პრეროგატივაა.

2687. გენიოსს და უგნურს საცხოვრებელი ერთი აქვთ, მაგრამ აზროვნება და შედეგი აქვთ რადიკალურად განსხვავებული.

2688. ერთის აზროვნებას მეორის აზრები კვადრატში აჰყავს თუ საქმე ორი გონიერის ურთიერთობას ეხება.

2689. მცოდნეს და განათლებულს რაიმის უცოდინრობის არ რცხვენია, რადგან ის ყოველთვის მზადაა ახალი ინფორმაციის მისაღებად.

2690. გენიალურია დიდი პიროვნებების უბრალოება, მაგრამ ამის დანახვას ნიჭი და შემთხვევა სჭირდება.

2691. გონიერება ვერაფერს გახდება თუ საუკუნე პოლიტიკური ონანიზმითა დაკავებული და ჭკუის საჭყლეტად ჯერ არ სცალია.

2692. სიბრძნე, გონიერება, დროულად გამომზეურებას მოითხოვს, იმისდამიუხედავად საზოგადოება მის აღსაქმელად დღეს მზადაა თუ არა.

2693. ეპოქისთვის საჭირო ერთ გენიოსზე ასობით ნიჭიერი ადამიანი იბადება, მაგრამ მათ გამომზეურებას სათანადო შემთხვევა და დროის ყოვილი სჭირდება.

2694. ტალანტი არ უნდა ხარბდებოდეს, სხვის აზრებს, ფულს, სიყვარულს, ცოდნას, მას თავისი ნიჭის პოეზია უნდა ასაზრდოებდეს და პოზიციას უნდა ფლობდეს და სხვის სულიერებას კვებავდეს.

2695. საკითხის ცოდნა ფანტაზიის და მცდელობის მოშველიებით, აღმოჩენის, გამოგონების ბაზისია.

2696. ნიჭიერმა კაცმა ხშირად არ იცის რა უნდა, მაგრამ ცხოვრებაში მაინც რაღაცას აღწევს და თავის კვალს ტოვებს.

2697. გონიერი ადამიანი საზოგადოებისთვის მთლად დალაგებული ვერ იქნება და ალბათ, არცაა საჭირო, რადგან მისი დამახსოვრება და გამორჩევა საერთო მასიდან გაჭირდებოდა.

2698. თავდადება ნიჭისთვის აუცილებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერ გაიხარებს და არც არავინ აღიარებს.

2699. პიროვნების საფლავს დინების საწინააღმდეგო მიმართულებით ეძებენ

2700. შმაგ ნიჭს ყოველთვის არასერიოზული დამოკიდებულება აქვს იმ ცხოვრებასთან, რომელმაც ის მისი ნიჭის და ხელოვნების წყალობით უნდა წარმოაჩინოს და ისტორიას შემოუნახოს.

2701. ტალანტების გარეშე განუმეორებელი და მომხიბვლელი არც სიყვარულია, არც სიგიჟეა, არც სიახლეა და არც ოცნებისკენ ლტოლვა.

2702. ტალანტი ეს არის გატაცება, აღმაფრენა, საკუთარი ნიჭის შესაძლებლობების მძლავრის გარღვევა.

2703. ტალანტი ერთდროულად ავადმყოფობაცაა და ბუნების წყალობაც, ხასიათის განსაზღვრით და ცხოვრების პრინციპით.

2704. ტალანტი იმისდამიხედვითაც განისაზღვრება, რამდენად უყვარს თავისი პროფესია და რამდენად საკუთარი თავი.

2705. ნამდვილი ტალანტი ყოველთვის საკუთარი შესაძლებლობების და მისი რეალიზაციით უკმაყოფილოა.

2706. ტალანტმა ხშირად არ იცის რა უნდა და ეს არის მისი ნიჭის საწყისიც და საკეთებელიც.

2707. ტალანტია, რომელსაც ნაძირალაც პატივს სცემს და გენიოსიც, ხოლო ხელისუფლება ზოგჯერ თითს უქნევს, თუმცა მისით აღფრთოვანებულია.

2708. ტალანტი, რომელიც დროს უსწრებს, დროზე მორგებულთ და უსაქმურებს ნერვებს უშლის, მაგრამ საბოლოოდ თავისას აღწევს.

2709. გენიოსთან ცხოვრების სიძნელე რომ დაძლიო, ამისათვის სამყაროს წინაშე პასუხისმგებლობა უნდა იგრძნო.

2710. გონიერება, ინტელექტი, ნიჭი ქვეყნის საკუთრებაა და მათი მოვლა, ადგილის მიჩენა საზოგადოებამ უნდა ითავოს, რათა ხალასი ნიჭი არ გადიდგულდეს და თვალი ქურდობისკენ, გამოძალვისკენ, მექრთამეობისკენ არ გაექცეს.

2711. ბედნიერია ის გენიოსი, ვინც შეძლებულ სახელმწიფოში გონიერი ხელისუფლების და სიახლისკენ მიდრეკილების დროში ცხოვრობს და თავის ნიჭის, შესაძლებლობის, ნახელავის, წარმოჩენა შეუძლია.

2712. არ არის ადგილი გონიერებისთვის უფრო წყდიადი, ვიდრე გენიალობის ლამპრის გვერდზე ყოფნა, რადგან მათ ერთმანეთის შემჩნევა შეუძლიათ თუ დრომ და გარემომ ეს მოისურვა.

2713. მასობრივი გონება, ვერც ჩვეულებრივ ბორბალს გამოიგონებდა და ვერც 21-ე საუკუნის განვითარების ბორბალს – ინტერნეტს.

2714. სინდისს ძალზე რთული ურთიერთობა აქვს ტალანტთან, რადგან მას ყველაფერს შეუნდობს და მასზე აუგს ივიწყებს.

2715. ტალანტი მაშინაა მოსათმენი, თუ უმართლებს, თუ არა და ვინ დაუბრუნებს მის ცოლს და ოჯახს დაკარგულ იმედებს და მატერიალურ მოთხოვნებს, რომელიც მას უნდა შეესრულებინა.

2716. ტალანტს ზოგჯერ ბრიყული რწმენა აქვს და ბევრი სიავის მოტანაც შეუძლია, მაგრამ მის გარეშე საზოგადოება ქვის ხანაში იცხოვრებდა.

2717. იშვიათი არამზადაა, მაგრამ გენიოსია, საშუალო ნიჭისაა, მაგრამ კარგი კაცია. სამწუხაროდ, ამ უკანასკნელის სახელი დავიწყებისთვისაა განწირული, ხოლო პირველისა – უკვდავებისთვის და აქ განგებასთან სამართლიანობის მოძიება სისულელეა.

2718. გენიოსისთვის უმთავრესია საკუთარი ნიჭი წყვლად არ მოევლინოს და მისთვის განკუთვნილი სიცოცხლე ბოლომდე განვლოს.

2719. ყველაზე დიდი ბედნიერებაა ქვეყნისთვის, როცა გენიოსი დროში არ აითქვიფება და უკვალოდ არ გაქრება.

2720. გენიალობის დროულ აღმოჩენა-აღიარებას გაჭირვება, ექსტრემალური გარემო სჭირდება, რადგან ფუფუნება და განცხრომა ყოველგვარი ამაღლებულის დაფასების და სულიერების აღქმის მიმართ გულგრილადაა.

2721. ტალანტი ყოველთვის თავისთავთანაა იმედით და პერსპექტივით.

2722. ბავშვობას ყველანი ერთად ვიწყებთ, მაგრამ ტალანტი, ჩვენ-დაშეუმჩნევლად, ცაში გვეპარება, თუკი მას თვითმყოფადობასთან ერ-თად სიჯიუტეც საყრდენად არ ახლავს.

2723. ნიჭი ზარმაცი და ჯიუტია, მაგრამ თავისდროულად მოგიჟია-ნება იცის.

2724. საუკუნესაც აქვს გარკვეული დროით ნიჭიერი ხალხისაგან თავის დაღწევის და დასვენების უფლება დევიზით „გეყო შედევრების ქმნა".

2725. ნიჭი დამღლელ შრომას ვერ ამჩნევს, არც დრო ყოფნის და ეს არის ტალანტის საიდუმლოება.

2726. შემართების, მიზნის, დროის ყივილის, გარეშე ტალანტი ვერ წარმოჩინდება.

2727. გენიოსები იშვიათობას იმიტომაც წარმოადგენენ, რომ „ჰოს" და „არას" შორის მესამე განზომილებას ნახულობენ, რომელიც ორივე მხარეს აოცებს.

2728. ნიჭი განგების სარეწია, რომელსაც თანდაყოლილმა შემარ-თებამ, დრომ და გარემომ მხარი უნდა აუბას.

2729. ინტელექტუალური მცდელობა, ნიჭი, საკუთრება, ყოველთვის უნდა ფასობდეს, რათა მამაძაღლობამ, ქურდობამ, ქვეყანაში ფეხი არ მოიდგას.

2730. გენიოსი ყოველთვის უცხო ხილია თავისიანებში, რადგან მან პროგრესისაკენ ერთი ნაბიჯი ადრე გადადგა.

2731. გენიოსი მოაზროვნე ფერმწერია, გონიერება – რეკლამირე-ბული ხელოსანი-მხატვარი.

2732. ტალანტს ლოთობას და გამოხდომებს ვპატიობთ, მაგრამ მისი ნიჭის შესაძლებლობის და ხარისხის გათვალისწინებით.

2733. გენიოსი გარეშეთათვის შეუძლებელია დალაგებული იყოს და მისი გენიალობა სწორედ ამ დაულაგებლობაშია.

2734. გენიოსი მარტო თავისთვის არ იღწვის და არც წარმატების გაყოფა უჭირს, მათ შორის არაკეთილის მდომელებთანაც.

2735. ტალანტი უნდა ეკამათოს იმ ოპონენტებს, ვინც საკითხს ფლობს, განათლებულია და პატივს მიაგებს, ხოლო დანარჩენთან გაპაექრებისგან თავის უნდა შეიკავოს.

2736. ტალანტის ორიგინალობა, გონებამახვილობა გვაოცებს, რადგან ნიჭი აქვს კუბში, ღვთისმადლით დაბანდებული.

2737. ნიჭიც დროის ყივილის მიხედვით „ჭრაჭუნს" განიცდის, მაგრამ მაინც შეუცვლელი და დაფასებულია,

2738. შეფარებულ წყილს ყოველთვის შესაფერისი ნაშიერი არ გამოსდის, მაგრამ ცოლს მოყანას მაინც სიფარულით ამჯობინებენ, ვიდრე მოწონებით და გენის განჭვრეტით.

2739. სამართლიანობას საკუთარი თავის წინაშე გენი განსჯის და მსოფლმხედველობა გამოამზეურებს.

2740. ღმერთმა ნუ ქნას, რომ ვირუსების შემოტევას გენი წინ არ აღუდგეს, შეეჩვიოს და იმუნიტეტი ვერ გამოიმუშაოს.

2741. მტრობის და სიძულვილის გენი აცრას არ ექვემდებარება.

2742. განგებამ ჯერ ნაშიერის ყოლის გენი ჩაუმონტაჟა ქალებს და შემდეგ – დედობა.

2743. ჰუმანიზმი იყო, არის და იქნება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ გენის გარეშე კაცობრიობა ვერ იარსებებს.

2744. გენის ნედლეულის მონახვაც შეიძლება და გამოყენებაც, მაგრამ მისი გადამუშავების სურვილს უმეტესად სამყარო არ იჩენს.

2745. ქალის გენს ვერაფერს მოუხერხებ, რადგან ადრე თუ გვიან ჩვენი შვილების და გვარის გამგრძელებელთა აღმზრდელად გევლინება და ჩვენი სიცოცხლის იმქვეყნიურ გაგრძელებასაც ემსახურება.

2746. წინაპართა გენის დამსახურებაა, როდესაც შენი ასაკით და ამქვეყნად ყოფნით ფელას აკვირვებ.

2747. გაუნათლებელი ძუ უჯიშო ხვადს თავს არ გაუყადრებს და შთამომავლობას არ გადააგვარებს, ხოლო გენეტიკის ცოდნით აღჭურვილი ძუკნა ლოთსაც მიყვება, ნარკომანსაც და ნაშიერის ჯანმრთელობა, ჯიში და ჯილაგი ფეხებზე ჰკიდია, თან თავის უგნურებას სიფარულის სახელით ამართლებს და სინდისის ქენჯნასაც არ განიცდის.

2748. ვინ იცის, ჩვენი წინაპრების გენური მახსოვრობა როდის მოახერხებს ძალაუფლებისთვის განკუთვნილი მოღვაწის ჩუქებას და რა ჭკუაზე იქნება ხალხი მის შესამჩნევად.

2749. ადამიანთა უმრავლესობის უგნურების ბინდში გახვევა შესაძლებელია, რადგან ეს ჩადებულია გენში, რომელსაც გამოთაყვანებისკენ ააქვს მიდრეკილება.

2750. კარგი იდეები გენთან ერთად გვეხმარება შევინარჩუნოთ სილაღე, ჯანმრთელობა, შევამციროთ გონიერების ნედლეულის ხარჯვა და ხანდახან ფულსაც ხელი გამოვკრათ.

2751. უნდა ვეცადოთ გენი სხვის სასარგებლოდ ვავარჯიშოთ, თორემ თავის სასარგებლოდ ის დაბადებიდანვე ნავარჯიშებია.

2752. მხეცის ბუნება ყველა ჩვენგანში მეტ-ნაკლებად ბუდობს. მას ხშირად ვერც აღზრდა-განათლება შველის და ვერც კანონის სიმკაცრე, რადგან ამ გენეტიკური კოდის ვირუსი, საზოგადოების აზრით, მკურნალობას არ ექვემდებარება.

2753. მოუთმენლობას მოთმინება ჯობს, ეს უკანასკნელი რა უღიმღამოდაც არ უნდა გამოიყურებოდეს, მაგრამ ამის შეგნებას აღზრდა და მოყვასის საქმეში ჩაურევლობის გენი სჭირდება.

2754. დედობა გენეტიკური ნიჭია და მის მადლს ყველა მდედრი ვერ დაიქადნის.

2755. ახალგაზრდობას თავისი კაიფი აქვს, ასაკს – თავისი შესაძლებლობა, მაგრამ სიყვარულის შეცნობა, სილამაზის დაფასება, მომავლის ხედვა, ერთნაირი თუ არა, მიახლოებით მაინც უნდა ემთხვეოდეს ურთიერთისას, რათა ჯიში და ჯილაგი ჩვენი გენისა არ შეიცვალოს და გადაგვარდეს.

2756. იყო ქალი – ხელოვნებაა, მეუღლეობა მოთხოვნილებაა, დედობა ბუნების კაპრიზია, ბებიობა ღვთისწყალობა, დიდბებიობა განგების მადლია გენის ყოვილით.

2757. ცოდვილნი ყველანი ვართ, მაგრამ ცოდვის ჩადენის ხარისხი აღზრდაზე, გენის სინდისზე და გარემოზეა დამოკიდებული.

2758. ყველასათვის და ყველაფრისთვის მიტევება შეუძლებელია, რადგან ეს არა მარტო ხალხის, არამედ საკუთარი გენის გარყვნაცაა.

2759. პატიოსნება ისეთი მძიმე ტვირთია, რომლის სიმძიმისაგან განთავისუფლება ყველას გვინდა, მაგრამ თანდაყოლილი გენი ამის უფლებას არ გვაძლევს.

2760. სისხლს ყველა გენზე, აღზრდაზე, განათლებაზე მეტი მახსოვრობა აქვს.

2761. ადამიანის გადაგვარება და გადაადგილება დამოკიდებულია შემთხვევაზე, გარემოზე და ჩვენში დაბადებულ იმ ეშმაკის გენზე, რომლის წილი ყველა ჩვენგანშია.

2762. განვითარების გენი და ევოლუციის პროცესები, მათი სხვადასხვაობის მიუხედავად, ადამიანის ფუფუნებისკენ მიდრეკილებას ემსახურება, ოღონდ პირველი მოუწესრიგებელისკენ, მეორე – მოწესრიგებულისკენ.

2763. გამარჯობათ, მიცნობდეთ, მე ჩვენი შვილის მამა ვარ და შვილის დედაც პირველად გაიცნობს მისი შვილის სუროგატ მამას, რომლის გენეტიკურ კოდს შეუძლია პრეტენზია განაცხადოს ამ ბავშვის მამობაზე.

2764. ადამიანის გაწვრთნაზე ადვილი არაფერია, თუ კი მისმა გენმა გიცნო და დაგიჯერა.

2765. ყალთაბანდი – სულით დემოკრატია, მაგრამ თანდაყოლილ გენს ვერაფერს უხერხებს და იძულებულია თავისიანებში წარმოჩინდეს.

2766. ზოგი ადამიანად იბადება და შემდგომ მაიმუნდება, ზოგი პირიქით და ადამიანობაზე აცხადებს პრეტენზიას, მაგრამ გენის გათავა-ხედების არსი ის არის, რომ ევოლუციის და აღზრდის პროცესს არ დაემორჩილოს.

2767. ზოგს დაგრეხილი ფეხები მოსწონს, ზოგსაც უფორმო – მკერდი და უკანალი, ზოგს ხინკალივით ტუჩები და ყურები უკარგავს მოსვენებას. ასე, რომ არის სხეულის ფორმები, რომელიც ჯიშის და ჯილაგის გასაგრძელებლად არ გამოდგება. ისე კი სად გაექცევი გენის თავხედობას, რომელსაც შენი უგნური გემოვნება ფეხებზე ჰკიდია.

2768. ზოგი თავსაც გაჭირვებით ენდობა, ისიც ხანდახან და დრო-გამოშვებით, რადგან გენი აქვს ასეთი.

2769. თუ დროს გაუსწრებ, ხალხი ვერ გაიგებს და არ მოსწონხარ, მაგრამ თუ შენი გენი სხვანაირად აზროვნებს, იძულებული ხარ სულ წინ ითოხარიკო ფელას ჯინაზე და მისივე საკეთილდღეოდ.

2770. თუ გინდა შენს ჭკუაზე იცხოვრო, ფელა და ფელაფერი ფეხებზე უნდა დაიკიდო, თუ ამას შენი გენი და აღზრდა დაგანებებს.

2771. მშობლის მცდელობა და ბავშვის გენი ხშირად ერთმანეთს არ ემთხვევა და ამ ჯეელის წარმატება ისევ ბედის და შემთხვევის ხელშია.

2772. სხეულის და სულის აღზრდა გენის დამსახურებაა და არა – გარემოსი და მშობლებისა.

2773. ბავშვის ყოლა სასიფარულო, რომანტიკული რითმების ლა-მაზი გადაცდენაა და კვლავწარმოების გენს თავდავიწყებული გამოღვი-ძება.

2774. ალფონსს წარმოშობს აღზრდა, ოჯახი, ქალთა სიმრავლე, ნარცისიზმისკენ მიდრეკილება და ბოლოს „მუქთაობის“ გენი, რომელ-მაც თავი დროულად გამოყო.

2775. იყო კარგი ადამიანი, მარტო შენი დამსახურება არ არის, გარემოსთან, აღზრდასთან, ერთად პასუხი გენსაც უნდა მოვკითხოთ და მშობლების უნებლივ მცდელობასაც.

2776. სისაძაგლის ჩადენას ფელა ფასს ადებს, გარდა პიროვნებისა, რომელსაც გენიც წესიერი აქვს და აღზრდაც.

2777. ზოგი ასაკის მიხედვით ღმერთს უნდა ესაუბრებოდეს, მაგრამ გენის და რაღაც შეუცნობელის წყალობით ისევ ქალებში დაძვრება და მანდილოსნების გაჯანსაღების და სულის დამშვიდებისთვის იღწვის.

2778. გენი და გენია ურთიერთშერწყმას თხოულობს, თუ გარემომ და შემთხვევამ ინება.

2779. ოცნებას ერთი სურს, გენს – სხვა, ხოლო მათ შორის შეხლა-შემოხლა იმ საძირკველის ჩაყრაა, რომელიც ნანატრი სახლის ასაშენებლად აგურს აგურზე დაგადებინებს.

2780. ერთ თარგზე მოჭრილ ადამიანებსაც კი ფულის წესიერი გაყოფა უჭირთ და ამის მიზეზია გენეტიკური სიხარბე და შური.

2781. მონის გენით დაავადებულს თავში მონის ბუნების აღმოფხვრა არ უწერია.

2782. ადამიანი გონიერი ცხოველია, რომლის რაობა მისმა ჯიშმა და ჯილაგმა უნდა განსაზღვროს გენის დახმარებით.

2783. მარხულობა და ვნება ერთმანეთისგან შორს დგანან, რადგან მათ აშორებთ არა რწმენა, არამედ – გენი.

2784. უხიაგი გენის გამოსწორებას ადამიანი დაბადებიდანვე უნდა ეცადოს, თუ შედეგის მიღწევა სურს.

2785. ადრე თუ გვიან ყველა ჩვენგანი საკუთარი გენის ჭუპრიდან უნდა გამოვძვრეთ, საქმე ვაკეთოთ და ისევ ჭუპრად ვიქცეთ, რათა მომდევნო თაობამ მშობლების ჭუპრში ყოფნა დაამუღამონ, მათით ისაზრდოონ და სამყაროს გენის გამგრძელებლად მოევლინონ.

2786. ვირუსისადმი შიში ადამიანის ქვეცნობიერებაში უფრო სწრაფად ვრცელდება, ვიდრე თავად მიკრობი და ეს არის ალბათ გენის უმთავრესი იმუნიტეტი.

2787. წესრიგის დარღვევის ცდუნება ზოგს გენში უზის, მაგრამ ეს გატაცება არ იძლევა უფლებას კანონს ფეხი დავაბიჯოთ და საზოგადოების აზრს ანგარიში არ გაუწიოთ.

2788. აღზრდა, ცოდნის მიცემა, აუცილებელია, მაგრამ გენს, გარემოს მაინც ვერ სჯობნის.

2789. ერთგულება, ეს მარტო გენეტიკა არ არის, ეს ცხოვრების სტილია.

2790. ადამიანის გენს თავხედობა რჯნის და არა – ფული და ანდერძით ქონების დაგროვება.

2791. ჩვენს ქვეყანას, მის მომავალს, უნდა ვემსახუროთ, ყოველგვარი ნიშისმოგების გარეშე, რადგან ეს ჩვენი გენური ვალია.

2792. სამშობლოს სიყვარული უდიდესი ნიჭია, რომელზეც ყველა გენს ხელი არ მიუწვდება.

2793. სისხლის ყოვილისთვის სულერთი არ არის, ვისი შვილია და ვინ აღზარდა, მას თავის გენი და ძირი აინტერესებს.

2794. რადგან თანდაყოლილი გენის გარეშე ადამიანი არარაობაა, მათზე საყოფაცხოვრებო რაობის ექსპერიმენტის ჩატარება, დაძალებით სიბრიყვეა.

2795. ზოგი ძალიან გვაგონებს იმ ანგელოზს, რომელსაც ფრთები არ ეზრდება, მაგრამ სიკეთის კეთების გენით აქვს შეცვლილი.

2796. კაციჭამია გენი ცოტათი ყველა ჩვენგანშია დაბუდებული.

2797. ადამიანის სიცოცხლე, დაბადებიდან სიკვდილამდე, დღესასწაულია, მაგრამ მის აღქმა-დაფასებას გენი, აღზრდა და იღბალი სჭირდება.

2798. თანასწორად ყოფნის ალგორითმის დამუღამება არც თუ ისე ადვილია, ადამიანური სისუსტის გენი ამას ვერ იტანს.

2799. სიავე-სიკარგეს შინაგანი გენი განსაზღვრავს და არა – შემთხვევა და მისი „ბაიათი".

2800. სიყვარულში მერყეობა პარტნიორის ბუნებაზე, აღზრდაზე და გენზეა დაფუძნებული.

2801. დაჩივლება და თავის მოწონება ადამიანის გენეტიკა და მისი ბუნების მონაპოვარია.

2802. სიძუნწის საწყისი, მომჭირნეობისაგან განსხვავებით, გენია და არა – აღზრდა.

2803. ბედნიერების მწარმოებელი საამქროს გახსნა იმ ხალხს ხელეწიფება, რომელსაც ამის გენი, სურვილი აქვს და თანადგომა ეხერხება.

2804. შემართებ, მუყაითობა, გენს და ნიჭს მოითხოვს და არამარტო აღზრდას და მათრახს, რადგან ამ უკანასკნელით ნაღვაწი საქმე მაინც გარეშეთათვის შეუმჩნეველი წუნის მქონეა.

2805. წინაპართა გენეალოგიის ცოდნა შენი გვარის წარმომავლობის სიმდიდრის ცოდნაა საკუთარი შენიშვნებით.

2806. თუ სამყოფი ფული არ გაქვს, „უჭკუო ხარ" და არც მომავალი თაობის ყოლის უფლება გაქვს, რადგან ყოველგვარი უნიათობა მოუვლელობა შთამომავლობის გენს რყნის, გადააგვარებს.

2807. ადამიანის შეძულება უფრო ადვილია, ვიდრე შეყვარება, მაგრამ შენმა საწყისმა გენმა ორთავე სინდრომი ინდივიდუალური კოდით უნდა ამოხსნას.

2808. დაქორწინება ცნობისმოყვარეობით გარკვეული შეცდომაა გენის და თავის წინაშე.

2809. მეგობრობის გენის შეცნობა, გამოცდების მოწყობის გარეშე ერთ-ერთი სერიოზული მოვლენაა პირადი ცხოვრების მოსაწყობად.

2810. პიროვნების აღსაქმელად, დასაფასებლად, დროის „ტინგიცობაა“ საჭირო. რათა შემჩნეულ იქნეს აწმყოს მიერ, რადგან გენია თუ არ გამომჟღავნდა, თავის ნაჭუჭში ვერ ჩაეტევა და უსახელოდ გაქრება.

2811. არის პიროვნება, რომელსაც აღიარება, დიდება, ძალიან უხდება, რადგან ეს მათ გენშია ჩადებული და აღზრდით არის მოვლილი.

2812. ნიჭით დაჯილდოვებულნი მის შემართებას ვერ ღალატობენ, რადგან ეს მათი „გენისწერაა“, სულის მოთხოვნა, განსაკუთრებით მაშინ, თუ გაუმართლათ და მასწავლებლად და ხატად აღიქვეს.

2813. მოვა დრო გენეტკურად ძლიერი ხვადების შერჩევის, მრავალცოლიანობის დაძალების და მათი სპერმის გამოყენებისთვის პატენტი და სიგელი გადაეცემა, იმდენად ძლიერი ხდება ცივილიზაციის მავნე გავლენა ადამიანის გენეტიკურ შიგთავსზე და ფსიქიკაზე.

2814. არის ადამიანთა კატეგორია, რომელთაც არც რჩევა უნდა მისცეთ, არც უნდა დაეხმაროთ და არც მისი საქმიანობა გაიკითხოთ, რადგან მისი გენეტიკოსთან ვერაფერს გაწყობთ და დამნაშავეც თავად გამოხვალთ.

2815. ბოროტების ჩასადენად საკმარისზე მეტი არამზადა დგას რიგში, მათი კრიმინალური გენეტიკური კოდი ყველა საქმიანობაში მეტ-ნაკლებად მჟღავნდება და ზოგჯერ გამოყენებასაც პოულობს.

2816. ერთს არსებობისთვის ასი დოლარი ყოფნის, მეორესთვის მილიონიც ცოტაა და სულ მოუცლელია და დავიდარაბაშია, აქ მთავარი ნიჭი, შესაძლებლობა, გამართლება, კი არ არის მთავარი, არამედ: ვინ სად აღიზარდა და სიხარბის რა ოდენობის გენი დაჰყა.

2817. სამყაროს რაღაც შეცდომები შეიძლება გამოსწორდეს, მაგრამ არა – ადამიანების ბუნება და გენი.

2818. ხასიათს გენი ქმნის და არა გონიერება.

2819. პატრიოტიზმი, შეძენილი ნაციონალური თვისებიდან განსხვავებით, გენურია და მისი განვითარება დამოკიდებულია ხალხის, ქვეყნის კეთილდღეობაზე და სურვილზე – სამართლიანად იცხოვრონ.

2820. გენეტიკა თავს იჩენს ფუფუნებისა და უზნეობის ჟამს და არა გაჭირვების და ზნეობრივად ამაღლების მცდელობისას, როდესაც ლუკმა პურის შოვნა და თავის გატანა ჭირს.

2821. გენი შეიძლება იყოს სიყვარულის, აზროვნების, პოეზიის, მუსიკის, მაგრამ პირველს ვერაფერი შეედრება, რადგან დანარჩენი მასზეა დამყნილი.

2822. სწავლებას მაშინ აქვს ფასი, თუ მოწადინების გენი გიღიტინებს და შთაგაგონებს რომ დრო უქმად არ უნდა გახარჯო.

2823. ბუნტს ამ სამყაროში ადამიანიც აწყობს, ფაუნაც და ფლორაც, რადგან ეს მათი კვლვწარმოებისა და გენის შენარჩუნებისთვის აუცილებელია, იმის მიუხედავად, რომ გონება ამ აქსიომას ყოველთვის არ ეთანხმება.

2824. ძალდატანებით ვერც ბრძენი გახდები, ვერც ხუროთმოძღვარი, ვერც ხელოვანი, ვერც მწიგნობარი და ვერც სპორტსმენი, მაგრამ აღასრულო კვლავწარმოების ვალი და ამ გზით ამსახურო შენი გენი ქვეყანას, ვალდებული ხარ!

2825. უნიჭობა ყველაფერზე თანახმაა, ოღონდ თავისი გენი სხვაზე ადრე წარმოაჩინოს და ნიჭს ბიშტი უჩვენოს.

2826. ადამიანის სიკვდილ-სიცოცხლის მეგაბაიტის დადგენა შეუძლებელია, რადგან მისი გენიის მექანიზმის ახსნა ჩვეულებრივი მოკვდავისთვის მიუწვდომელია.

2827. უბრალოებას გენი, ნიჭი და საკუთარი ყადრის ცოდნა სჭირდება.

2828. გამყიდველობა – „ჩაშვება“ ბუნება, ხასიათი, აღზრდა, შემთხვევა, გენია.

2829. ჩემთვის ყველაზე დიდი გართობა ქალები, მეცნიერებასთან შეჭიდება და იმის კეთება იყო, რაც იმ დღეს მსიამოვნებდა, რადგან ჩემი გენის საქვაბე სხვანაირად ვერ ხარშავდა.

2830. ბავშვი, საპატარძლო, აბიტურიენტი, თავიდან ყველა ანგელოზია, ოღონდ შემდგომ თავის გენს და ცხოვრების საკუთარ გზას ადგებიან.

2831. თუ ადამიანს ლაქიობის უნარი და მონობის სურვილი გენში უზის, ვერავითარი რევოლუცია და დემოკრატია ვერ უშველის.

2832. თეორიულად მიწის მიტაცება და მისი სათანადოდ მოვლა-პატრონობა ადამიანს გენში უზის, პრაქტიკულად გამორჩენა.

2833. მოკრძალებისთვის დრო ყოველთვის გამოიძებნება, თუ ამის განწყობაზეა ჩვენი გენი და აღზრდა.

2834. სიჯიუტე ზოგჯერ გენეტიკური სისუსტის მაჩვენებელია, რომლის გამხელასაც არ ვაპირებთ.

2835. მკრეხელობაა გენიის აზრებით თავის წარმოჩენის სურვილი უპასუხისმგებლობის ალიბით.

2836. აკრძალვები და მათი დაძლევის სურვილი გენების ნაჩუქარი დედა და ადამიანური ხუშტურების მამაა.

2837. სხვათა თვალში უმეცრება წინაპრებით ცდილობს თავის მოწონებას, რომლებიც სინამდვილეში ისეთივე უნიათოები იყვნენ, რო-

გორც თავად, წინაალმდეგ შემთხვევაში, მათი გენი ამ ვაი-ამაყს არ წარმოშობდა.

2838. წარმატების გარანტია: სიფაქიზე, სიცილის უნარი და ცხოვრების ყადრის ცოდნა, თუ ამაოების გენი თან დაგყვა.

2839. სიხარბე, დაუკმაყოფილებლობა, ადამიანის გენეტიკაა და ვინ როგორ თრგუნავს ამ გრძნობას, ხშირად შემთხვევის გადასაწყვეტია.

2840. ღირსება უნდა გამოვზარდოთ, წავახალისოთ, მაგრამ გენის გარეშე ყველანაირი ცდა ტყუილია.

2841. არსებობენ დაბალი ხარისხის არამზადებიც, რომლებსაც ადამიანური გენი დაკარგული აქვთ.

2842. მადლის ქმნა გენეტიკურია და ყველა მის მხარეს არ დგას, რადგან ზოგჯერ სასიკეთო ჩანაფიქრს „ხათაბალად" გვიქცევს.

2843. ხასიათს აყალიბებს სამსახური, ოჯახი, შემთხვევა, მაგრამ ადამიანს არ ცვლის, რადგან ეს გენის პრეროგატივაა.

2844. უკვდავების დატოვება გენიოსთა ხვედრია, დანარჩენთან შექმნილი ყველა ნაღვაწი წარმავალია და დავიწყებას ეძლევა.

2845. თუ ცოდვილი ხარ, შეიძლება მთლად შენი ბრალიც არ არის, მაგრამ ვნების და გენის მოთოკვის ცოდნა მეტ-ნაკლებად მაინც მოგიწევს.

2846. ერთია სწორ გზაზე იდგე, მეორეა გენი გაძლევს კი იმ გზაზე სიარულის უფლებას?

2847. ჭკუის პლასტიკურობაში და გენის კონსერვატიზმში ჩარევა რამდენად მისაღები იქნება მომდევნო თაობებისათვის არავის უწყის, რადგან ამ დაძალებით ადამიანის მორფოლოგია რევოლუციურად და არა – ევოლუციურად განვითარდება, რომლის შედეგსაც ვერავითარი ფანტაზია ვერ შესწვდება.

2848. დარბაისლობა გენის დამსახურებაა და შემდგომ ამისა – აღზრდა, გარემო.

2849. ზოგს გარდაცვლილი სახელოვანი მშობლების იმუნიტეტი იცავს, მაგრამ ამას არად დაგიდევთ, რადგან განგებას თავისი წარმოდგენა აქვს გენზე, ნაშიერზე, ხალხს კი – სხვა სურვილები და იმედი.

2850. სიკეთე-სისაძაგლის ჩადენას ხანდახან შემთხვევა განსაზღვრავს და არა – აღზარდა-გენი.

2851. იდეალი ყველას ჩვენი წარმოდგენისა გვყავს, პარტნიორიც ასეთივე გვინდა შეგვხვდეს ან გამოვძებნოთ, მაგრამ ხშირად არ გვიმართლებს და როგორც ყველა, ისე ვიმეორებთ ჩვენს გენეტიკურ ცოდვებს.

2852. სიკეთეს და ბოროტების საკეთებლად გენია მოწოდებულია, ხოლო ამჟღავნებს, შემთხვევა, დრო.

2853. გამბედაობას, უკანონობა, შიში და ის გენი ბადებს, რომელიც თავზე სხვის წამოჯდომას ვერ ეგუება.

2854. სოციალური სამართლიანობის წყურვილი ადამიანის გენეტიკური „დაავადება" და რას მოიმოქმედებს ეს დროზე და შემთხვევაზეა დამოკიდებული.

2855. დავიცვათ საკუთარი სიცოცხლე თანდაყოლილი გენია, რომელზეც ზოგჯერ უგუნურებით და ფანატიზმით ზემოქმედებენ.

2856. იბადებიან ადამიანები, გენიოსები, ვიგინდარები და მათ გენს ვერავითარი აღზრდა ვერ შეცვლის.

2857. აჯილღა გვარზე ხტის, ხოლო კვიცი – დედის გენზე და ვისგან რა გამოვა, მაინც განგების ნებაზეა დამოკიდებული.

2858. ხელოვნება ბრბოს ხალხად აქცევს, მეცნიერება – ხალხს ადამიანებად, ხოლო გენი და შემთხვევა ადამიანს პიროვნებად მოგვივლენს.

2859. საქართველომ, რუსეთმა და ამ ტიპის სახელმწიფოებმა, რაც უნდა დემოკრატიის დაუკრეფვაში და თავისუფლების ბაღნარში გაინავარდონ, მაინც ერთმმართველობისთვის განწირული ქვეყნებია, რადგან ხალხის ბუნების ალგორითმის („შენ ხარ უფროსი, შენ იფიქრე, იზრუნე ჩემზე") და თანდაყოლილი გენის სხვა გენზე დამყნობა, ჯერ-ჯერობით, შეუძლებელია.

2860. ყველაზე დიდი მტრები ჩვენი ბუნების, გუნების, გენის შიგნითაა, რომელთა მოთოკვა ხშირად ჩვენს შესაძლებლობას აღემატება.

2861. ადამიანად ყოფნა შესაძლებელია, პიროვნებად ჩამოყალიბება – ძნელი, თუ გენმა, ბედმა და დრომ ხელი არ წამოგარტყა.

2862. ამაოება-ფუსფუსი სინონიმებია, მაგრამ მათი გათავისება სხვადასხვა გენს, შემართებას და სულიერების დაკუპაჟებას მოითხოვს.

2863. გენიოსებს, ეროვნულ გმირებს, მოდგმა, თაობა, ჯიში და ჯილაგი ბადებს.

2864. კაცთმოყვარე გენის მშვიდობისკენ მისწრაფება ზოგს პოლიტიკაში და ინტერნეტის ჭორებში ეშლება და ესაა ზოგიერთი მათგანის გამოთაყვანების და არაკაცობის მიზეზი.

2865. რწმენა პირველ რიგში გონიერებისთვის გენეტიკური წიხლის დაჭერაა და შემდგომ მოდის სულის ჩოჩქოლი და რაღაცის მიმართ სიფარული.

2866. ამ ქვეყანას გენეტიკურად ნახევრად გიჟები აშენებენ და სრულყოფილი დებილები ანგრევენ.

გონიერებასთან ახლოს

2867. გონიერება მომდევნო საუკუნეების საკუთრებაა, თორემ თანამედროვეთათვის ის ჩვეულებრივი უცნაური მოკვდავია.

2868. ყველაზე დიდი მასწავლებელია ქუჩა, რომელიც ამისთვის არც ხელფასს ითხოვს და არც რეგალიებს.

2869. ფაქტი თავისებურ განსჯას მოითხოვს და არა ხელებაწეულ აღიარებას.

2870. ფანტაზიას ცხოვრების ეპიზოდები და ფაქტები აინტერესებს, გააზრების გარეშე.

2871. ფილოსოფიას იმდენად აზროვნება არ აინტერესებს, რამდენადაც გონიერი ხალხის თავმოყრა და მათი სჯა-ბაასი.

2872. ფილოსოფია და აზროვნება უკვდავია და მათ ერთმანეთის გარეშე არსებობა არ შეუძლიათ.

2873. ფილოსოფიაზე საუბარი ჭკუის უჯრედების გაწმენდას იწყებს, მაგრამ გონიერების შესავსებად და შესაფასებლად ყოველთვის საკმარისი არ არის.

2874. წარმატების ერთ-ერთი საწინდარია საერთო ენის და ხასიათის გამონახვა.

2875. სხვადასხვა ცოდნის დაულაგებელი საწყობი ერუდიციაა, რომელიც დილეტანტის გვერდზე იმყოფება, მაგრამ რეალური ცოდნიდან მოშორებით დგას. ის ცოდნის ყველა კერძს სიამოვნებით მიირთმევს, მაგრამ ყველაფერს ვერ ინელებს, ყველას აზრს იცნობს, მაგრამ საკუთარის გამოთქმა უჭირს.

2876. სიკეთის კეთება უფრო ადვილია, ვიდრე იმ უმადურობის მონელება, ვინც სიკეთე არმად გადაიხადა.

2877. თუ საყრდენი ექნა, ყველა იმას გააკეთებს, რაც მოეთხოვება.

2878. ტირანიას, დესპოტიზმს, ტოტალიტარიზმს ბრბო ქმნის და არა პიროვნებად ქცეული ვიგინდარა.

2879. სევდის ფასი შეიძლება არ ვიცოდეთ, მაგრამ უნდა ვგრძნობდეთ და ვითვალისწინებდეთ.

2880. სიბერე მაშინ გეპარება, როდესაც სხვისი აღარ გშურს და ყველაფერი ფეხებზე გკიდია.

2881. გონიერებისთვის მომჭირნეობა აუცილებელია, რაც უნდა უხერხულად და უადგილოდ გამოიყურებოდეს.

2882. ყველა წყობა თავისი დროის ტექნიკური პროგრესით და გონიერების მენტალიტეტით უნდა მომწიფდეს და აქ კომუნიზმის იდეების კრიტიკა არაფერშუაშია.

2883. სიდიადისთვის გამორჩევით იშვიათად თუ ვინმეს მიუღწევია.

2884. გამოგონების სიკეთე ისიც არის, რომ მისი სრულყოფა ბევრს არ ასვენებს.

2885. გონიერებას, თანდაყოლილი ცნობიერების შეცვლა არ შეუძლია, მაგრამ ამისკენ მარადჟამს უნდა ილტვოდეს და შემთხვევას ეძებდეს.

2886. შეიცნო, შეადარო, თავი დაიზღვიო, მოსალოდნელი კატაკლიზმებისაგან – ამის გააზრებას გარკვეული დროით გონიერების კერპად ქცევა სჭირდება.

2887. ქვეყნის მმართველის შერჩევას უნდა აკეთებდეს „თანამდებობა დაკარგულ“ უხუცესთა საბჭო, რომელთაც მართვის ავ-კარგის ყველა ხვრელი და საძრომიალო გამოვლილი აქვთ.

2888. გონიერების მიღწევების შინაგანი პროცესების გაცნობა სისულელის კეთების და ამბიციურობის სურვილს გიკარგავს, რადგან სამყაროს წინაშე თავი უვიც არარაობად მიგაჩნია.

2889. როდესაც ეშმაკობა და გონიერება არ გადის, მაშინ ჯობნის ნეტარების წარმოუდგენელმა სისულელემ უნდა იზეიმოს.

2890. მოვალეობა და პრინციპები სხვადასხვა ცნებაა, მაგრამ თუ გაგიჩნდა, ორივე უნდა დაიცვა.

2891. არის გონიერება, რომლის ჭეშმარიტებას ჩვენი შეგნება, პრაქტიციზმი არ ეთანხმება, რადგან დღეს ამისათვის მზად არ ვართ და დრო გვჭირდება.

2892. გონიერების, ბუნებრივი მოთხოვნილების და სულის ძახილის წინააღმდეგ წასვლა არ შეიძლება, მაგრამ რაღაცის და ვიღაცის გამო თუ ეს ხდება, გადაგვარების საწყისიც აქედან იწყება.

2893. მაჭარი, გარკვეული მომხიბვლელობის მიუხედავად, ღვინოს ჭკუას ვერ ასწავლის, მაგრამ გააჩნია დამწურავს, გააჩნია დამღვინებელს.

2894. თუ არა გულგრილობა, როგორ შეიძლება საუკუნეთა მანძილზე გონიერებამ სიბრიყვესთან ითანამშრომლოს და ერთმანეთს გაუგონ.

2895. ხშირად ადამიანის ბუნება თავისი გაუგებრობით და სამყაროსთან შეუთახმებლობით, ყველაზე დიდი საოცრებაა გონების გადასახედიდან.

2896. ტრადიციებს პროგრესი ძირს უთხრის, მაგრამ მისგან მაინც სასიამოვნო მოსაგონარი გვრჩება.

2897. თავზე იუმორით შეხედვა დიდი განცხრომაა სულისთვის, ხორცისთვის, რადგან საქმე სატირამდე არ მივიდა.

2898. ხშირად ოცნებასაც უნდა მოველაპარაკოთ, რათა ისე არ გააჭენოს, რომ მასთან მიახლოებაც შეუძლებელი გახდეს, რეალობაზე რომ არაფერი ვთქვათ.

2899. ნაღდს სათაყვანებელს ჩუქნიან, სათუოს და საჭოჭმანოს ადვილად ელევიან და ყიდიან.

2900. გონიერებასთან თამაში ყველაზე ბედნიერი და უბედური წუთების მომტანია ადამიანის ცხოვრებაში, მაგრამ მის გარეშე სიცოცხლე ფასს კარგავს.

2901. განათლება გონების კუნჭულის მუსკულებს ავარჯიშებს, მაგრამ კაპიკია მისი ფასი, თუკი ნიჭის მადლით არ შეიკმაზება.

2902. ზოგს გონება კვებავს, ბევრს არც თუ ისე, მაგრამ უგონო ხარო უთხრა, არავინ გაპატიებს.

2903. ზოგჯერ სულის გატანჯვის გარეშე ვერც ცხოვრების მადლს ვისწავლით და ვერც ირგვლივმყოფთა ფასს დავადგენთ, რადგან სიკეთის და ბოროტების ჭიდილია ის მექანიზმი, რომელმაც ადამიანი უნდა აღზარდოს.

2904. თუ ჩვენს წარსულს დავუმატებთ დღევანდელი ფანტაზიის კაპრიზს, მივიღებთ იმ რეალობას, რომელშიც გვგონია ვარსებობთ, მაგრამ სინამდვილეში ვცხოვრობთ და არც თუ ისე ცუდად, დღევანდელობის გათვალისწინებით.

2905. გაბრაზებას, სამაგიეროს გადახდას, ჯობს იუმორით, გემოვნებით და გონიერების გამოყენებით ,,შურისძიება".

2906. სიხარული ბუნებრივია, შიგნიდან განწყობის ბალანსია, სიამოვნება შეძენილია, იგი ხასიათს გვისწორებს, სულს გვირთობს და რაც გუშინ გვსიამოვნებდა, დღეს თავს გვაბეზრებს.

2907. იდიოტები ყველა ქვეყანას ალბათ ერთნაირი პროპორციით ჰყავს, მაგრამ სხვებისაგან განსხვავებით, ჩვენები გონიერებაზე და კაცობაზე დებენ თავს.

2908. გონიერება შინაგანი ინტუიციის ნაწილაკიცაა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას ვერ წარმოვაჩენდით.

2909. გონებით ჯალათს, რომელიც თავის იდეების ხვევნა-კოცნაში გვახრჩობს, ბევრ რაიმეს პატიობენ, მაგრამ მათ ლოიალობას შედეგად რა მოყვება, არავის აინტერესებს, რადგან პატარა ჯალათი ყველა ჩვენგანის ბუნებაში ზის.

2910. არის სხვათა გონებისთვის გაუგებარი ნაჯაფი, რომელიც შენი ჭკუის ხალხს უნდა გაუზიარო, რათა ნაფიქრალის ხაბა-ხუბაში გაერკვნენ და იქნებ რაიმე სახეიროც გამოთხარო.

2911. გონება ბევრ საკითხს ვერ წყვეტს, მაგრამ მცდელობას და ცდას არ აკლებს.

2912. ცივილიზაცია იმისთვის იღვწის, რომ ჭამოს და გაერთოს და არა იმისთვის, რომ გონივრულად იცხოვროს და ვინმე სიკეთის კეთებით განაცვიფროს.

2913. ქრთამის აღება ძღვენივით ხელოვნებაცაა და დამსახურებაც, რადგან აქ შენი ცოდნის და მცდელობის შესაძლებლობა გამოიხატა.

2914. ერთმანეთის გადარჩენა ერთად ყოფნით სასახელოდ შეიძლება, ხოლო სიკვდილი – მარტოობაში და უსახელოდ, მაგრამ გააჩნია პიროვნებებს, მასას და იმ დროს რა საფეხურზე დგას გონიერება.

2915. კორუფციული მთავრობა, სუსტი იუსტიცია, ოლიგარქიული ქვეყანა, წინსვლის მუხრუჭია, მაგრამ უკეთესობისაკენ სწრაფვის იმედი უკვდავია, რომელიც გონების ძალადობის გარეშე შეუძლებელია.

2916. გონებას უჭირს დიდობის განჭვრეტა, როდესაც ლაღი ბავშვობა მთავრდება.

2917. გონების მსახურთა დაუფასებლობა მეგობრობას და ღირსებას გვაკარგვინებს.

2918. წარმატებაზე ტკბილი მისი მოლოდინია, რომელიც დროულად და აზარტით ნახულობს თავის ლოგიკურ დასასრულს.

2919. სრულყოფას ბოლო არ უჩანს და ეს სამწუხაროა, თუ სასიხარულო, არავინ უწყის, რადგან ეს სამყაროს ყოფნა-არყოფნას ეხება.

2920. გონიერი კაცის ნაჯღაბნი ფურცლის ნაგლეჯის ფასი არც საზოგადოებამ იცის და არც მისმა ოპონენტებმა, რადგან ამ ნაგლეჯებში აზროვნების თვითნაბადი მარგალიტებია, რომელშიც ზოგჯერ მოზრდილი ზომის ალმასიც გამოერევა, რომელიც ფურცელზე დამაგრებამ დავიწყებას გადაარჩინა.

2921. ცოდნას ბუნტი არ უნდა მოვუწყოთ, რადგან ყოველი ახალი ძნელი აღსაქმელია.

2922. ბიო-გრძნობები გონიერების გარეგნის საშუალება, რომელსაც ხშირად ინტუიცია წყვეტს, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს გრძნობების ინფორმაციის გადასაცემად.

2923. გონიერმა კაცმა თავიდან გამოცდილი ქალი უნდა მოიყვანოს, შემდგომ – შესაფერისი, მესამე გამოუცდელი და ახალგაზრდა უნდა იყოს, რათა ცხოვრების სიამის ეშხი ბოლომდე შეცნოს, რადგან ყოველივეს სიყვარულისადმი მისწრაფება განსაზღვრავს და არა შეგუებული მოვალეობა.

2924. აზროვნების დეგრადირებას ცხოვრების არსში გაურკვევლობა იწვევს და პატარ-პატარა საკონფლიქტო კვერებს აცხობს, რომლის დაუნახაობას გონიერება მოვლენათა შეჯერების ცოდნის უნარით უნდა შეეჩვიოს.

2925. რაც ბუნებრივია, ყოველივე მშვენიერია, მათ შორის, ნაღრძობი გონების ნახლაფორთალიც.

2926. ჭკვიანმა კაცმა გონიერი ხალხისთვის უნდა წეროს, მაგრამ აღიარებისთვის ეს ცოტაა, რადგან პიროვნებას რომ გაუგებენ, ასეთები ყველა დროში ცოტანი არიან.

2927. რად გვინდა გასაგები ვიყოთ თუ მისახვედრი, ძნელი სათქმელია, მაგრამ ამ უკანასკნელზე პრეტენზიას ასაკი და გონიერების ავანჩავანი აცხადებს.

2928. შეიძლება ჩვენი ცხოვრება აღფრთოვანებას და მიბაძვას არ იმსახურებდეს, მაგრამ გონიერებას მიახლოებული თავხედობა და ხიბლი არ უნდა აკლდეს.

2929. ჩვენ უნდა შევძლოთ გონიერების განახლება ხელის განძრევით, თუ გვინდა განგების „კრიშა" გადმოგვეფაროს.

2930. ხშირად ვიჯერებთ იმას, რაზეც ვოცნებობთ, სულს ესალმუნება და გონიებსთვის მათრახის გადაჭერას არ მოითხოვს, რადგან გვონია, რომ ჩვენი ბედის ვარსკვლავმა უკვე გამოანათა და მის გადასამოწმებლად თავსაც არ ვიწუხებთ.

2931. თუ არა გონიერება, ყოფიერებას მის დღეში ხელი გასვრილი აქვს საჩალიჩოდ.

2932. ჭკუის თამაში და გონების დაძაბვა სასიამოვნო გართობაა და მეტი არაფერი.

2933. ორჯერ ორი ყოველთვის ოთხია, გონიერების რა საკმაზითაც არ უნდა ამოვავსოთ ჩვენი თავი.

2934. გონიერი და მოხერხებული კაცისთვის სხვადასხვა სახის ცოდნა დასამუღამებელია, რადგან არავინ იცის, როდის, რა და სად გამოდგება.

2935. ფიჭური ტელეფონი ნერვების დამაწყნარებელი საშუალებაა, თუ გაქვს, თუ არა და ხარ დაწყნარებული, სივრცეში გადაადგილებული დრო ნერვებს არ გიშლის ე.ი. გონიერებისთვის ფუფუნებაში მომწყდეული ცნობისმოყვარეობაა ნერვების მოშლის საწყისი.

2936. ჭკვიანი კაცი ყველაფერს გონიერებაზე გათვლით აკეთებს, მაგრამ მას ავიწყდება, რომ სამყარო უგნურებითაა გადატენილი.

2937. ცხოვრების რაციონალურ გზაზე გონების კოქტეილს გავყავართ, ოღონდ ხორცეული და სულიერი ვნება თანაბრად უნდა იყოს გადანაწილებული.

2938. მოხერხებული კაცი ოპონენტად შარიან კაცს აირჩევს, მის კრიტიკას ყურს დაუგდებს, საჭიროს გაითავისებს. ამით გონიერებასაც ხეირს დააყრის და ოპონენტის თავმოყვარეობასაც.

2939. როდესაც ერთი შეხედვით უცნაურ გამოგონებას გაიგებ: დაცინვით, აღმაფრენით, თეთრი შურით წამოგცდება, ალბათ, იაპონელების ნაჩალიჩებიაო და უდიდეს შინაგან პატივისცემას განიცდი ამ შრომისმოყვარე, მოხერხებული გონების მიმართ, რომლსაც ქვიშის და წყლის გარდა არაფერი წიაღისეული არ აბადია.

2940. ახლობლებისთვის შენი სიკვდილი სარფიანი და სადავიდარო რომ არ იყოს, შთამომავალი უნდა დატოვო ინდულგენციით და მასზე შეჩვევით.

2941. საქმიანი ბედნიერება უნდა ვეძებოთ და არა – ფუფუნება, ჩვენი ნიჭის, შეუპოვრობის და მოტივნვის ხარჯზე, თუ გვინდა ამქვეყნად მოსვლის არსი შევიცნოთ.

2942. გონიერებაა, როდესაც წყვილი დროულად შორდება და ერთმანეთს დროს არ აკარგვინებენ მომდევნო შემთხვევა-ბედის დასაკვალიანებლად.

2943. გონიერებას უახლოვდება ის ასაკი, რომელშიც აფექტით ეფექტურის გაკეთება აღარ გამოსდის.

2944. ჭკუას თუ მოთმინებაც თან ახლავს, ის საერთო ენის გამონახვას ყველასთან შეძლებს, თუკი ამ პარტნიორთან ეს საერთოდ შესაძლებელია.

2945. დარეხვილი აზრების გონიერების საცერში გაცრის შემდგომ მიიღება ის მოხერხებული აღმოჩენები, რომლსაც გონიერების ჭიტლაყი უნდა ამოვკრათ, რათა ფუფუნებაში დაგეგმილზე ადრე ვიცხოვროთ.

2946. ყველა რწმენა, მისწრაფება, კულტურა აგებულია აკრძალვაზე და გაუცნობიერებელ ლტოლვებზე, რომელსაც გონიერებასთან კავშირი არ აქვს.

2947. ფანატიზმისგან განსხვავებით, თავსაც და სხვასაც გონებასთან ნამყოფი რწმენა მფარველობს, რადგან სადაო და გასაყოფი მინიმუმამდე დაჰყავს.

2948. გონიერებაც გრძნობების ნაწილია, რომელსაც ნათურასავით ვერ ჩართავ-გამორთავ, რათა თანდაყოლილი ნიჭი და ცოდნა გამოამზეურო.

2949. დაგროვილი ძლიერება უნდა გამრავლდეს გონიერებაზე, გაიყოს კაცთმოყვარეობის მნიშვნელზე, გამოაკლდეს შეჯერებული ურთიერთპრეტენზიები და მივიღებთ კონსენსუსს, რადგან ამქვეყნიდან სიკეთის და სახელის დატოვების გარდა, არავის არაფერი მიაქვს.

2950. ნიჭი განათლების საწყისია და არა – პირიქით, რადგან საზოგადოება შემთხვევითობის და აუცილებლობის კანონის გარეშე დარჩებოდა და განვითარება ფეხს წინ ვერ წარსდგამდა.

2951. დღეს მთავარია ბევრი ილაპარაკო პათოსით და არა განსჯა, რათა საქმე ბოლომდე მიიყვანო.

2952. ოჯახი, მეგობრობა, უფროს–უმცროსობის ინსტიტუტი, დახურული ორგანიზაციაა, მისი ტრადიციების გარეთ გამოტანა, სამართლიანობის, განსჯის თვალსაზრისით, უგვანობაა, რადგან გონიერების მიზანი კომპრომისის ძებნაა და არა – სამართლიანობა.

2953. საბედნიეროდ, ყოველთვის არც სიყვარულის თეორემები ამართლებს და არც მისგან გამომდინარე ფორმულის წერა, თორემ კაცობრიობა კასტებად დაიყოფოდა და საზოგადოების განვითარება შეფერხდებოდა.

2954. წესიერებას, კაცობას, შევაჭრება, დათმობა არ უნდა ვაკადროთ, რათა გონიერება არ გადაგვარდეს და ადამიანთა მოდგმა არ ვაზარალოთ.

2955. კადნიერება, აბუჩად აგდება, დანაშაულისკენ, ფათერაკებისკენ, გვიბიძგებს, რომელსაც გარკვეულ საუკუნეებში შედეგი მოჰქონდა, ტრადიციებს ქმნიდა და კაცობრიობის აუწონავ გონიერებას წინ მიათრევდა.

2956. გონიერებისგან განსხვავებით, ლოგიკას ყველაფრის მტკიცება შეუძლია, რადგან ის უმი პროდუქტია, მას დროის შესატყვისი მოხარშვა–გადახარშვა, დაწნილება–მომწიფება, სჭირდება და აქედან რა გამოვა, მაინც არავის უწყის.

2957. ჭუჭყიანი ხელებით სხვისი გონების არქივში ხელის ფათური უსვინდისობაა.

2958. ცოდნას, რომელსაც ღირებულება არ აქვს, მას არც ფასი აქვს მაგრამ აქვს ღირსება.

2959. ღვაწლი საკუთარი თავის იძულებაა, მარადისობის სამსახურში ჩასაყენებლად.

2960. ჭკუის მოხმარებაც მამაზეციერმა უნდა გვიბოძოს, რადგან ხანდახან მის რეალიზებას გაცილებით მეტი ზარალის მოტანა შეუძლია, ვიდრე მის უქმად ყოფნას.

2961. ოცნებით ნების ადღვებაც შეიძლება და მისგან კარაქის ამოღებაც, თუ შემოქმედებით იშტაზე ვართ და სული აფორიაქებულია.

2962. ღიმილით უნდა შეხვდე წარსულის აზრებს, რომელიც ჩვენს გონებას ხანდახან მოინახულებს, რა იცით, იქნება დღეს მაინც გამოგადგეს.

2963. გონიერება და ღირსება ყოფიერების გაწონასწორებას მოითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ორივეს ვკარგავთ.

2964. ჩვენც და ხელისუფლებამაც კომპრომისი შესაძლებლობების ფარგლებში უნდა ვეძებოთ.

2965. თუ ზევიდან გიწერია შეცდე, მაინც შეცდები, ამიტომაც ყოველთვის მზად უნდა გვქონდეს სათადარიგო ვარიანტი, რათა ფეხის დაცდენისას ცხვირ-პირი არ წაიტეხო.

2966. მხოლოდ გრძნობების ჭიდილი ვერც სიფარულს დააღვინებს და ვერც ურთიერთობას განამტკიცებს, თუ ჭკუას ცოტათი მაინც „წიხლი" არ დავაჭირეთ.

2967. ფელას პირზე ჩადრს ვერ ჩამოვაფარებთ და ყბას ვერ ავუკრავთ, მაგრამ პირის გახსნის საბაბი მაინც არ უნდა მივცეთ.

2968. ბრაზის, კაპრიზის, სიჯიუტის, გამოვლენის გარეშე ვერც სიყვარულის საწყისს შევიცნობთ და ვერც ფინიშს.

2969. თევზაობა მაინც ფილოსოფიური გართობა-საქმიანობაა, ამის შესახებ გაუგონიათ მეთევზეებს რაიმე თუ არა.

2970. გამბედავია ის, ვისაც შეუძლია შიშის დაძლევა და არა ის, ვინც აფექტში გმირობას ჩადის.

2971. ღირსებას და ზნეობას ფელას ვერ მოვთხოვთ, თორემ ყოფა დამყაყდებოდა და ცივილიზაცია ადგილზე გაიყინებოდა.

2972. ისეთი ჭკვიანები როგორიც ყოველ მომდევნო დღეს უნდა ვიყოთ, არასოდეს ვიქნებით.

2973. ზოგი ისეთი „ჭკვიანია", ფელაფერს თავის ქალას უბრახუნებს და ხშირად ბრახუნის შედეგით არ ინტერესდება.

2974. სად გადის ზღვარი გონიერებასა და სისულელეს შორის, დღესაც ამოუხსნელი განტოლებაა.

2975. ვინც დასახული მიზნის განხორციელებას ალღოს აუღებს, მისთვის სხვა სიმდიდრე და ბედნიერება აღარ არსებობს.

2976. გონიერების ძალაუფლება ხელმოწერილი ქაღალდია, რომელშიც თანხმობასთან ერთად ჩადებულია შთაგონებაც.

2977. შეიძლება რაღაცის ჭეშმარიტებაში, სამართლიანობაში, ადამიანურობაში, ეჭვი გეპარებოდეს და რეალურად ვერ აღიქვამდე, მაგ-

რამ იმის დაჯერების სურვილს, რაც გვინდა, გვაწყობს ძნელად თუ ვინმე აღუდგება.

2978. კომპიუტერთან ჩალიჩი და ინტერნეტის ძალადობა, ფიქრის საშუალებას გვართმევს, მაგრამ გონებისთვის გადასამუშავებელ სასარ-გებლო ნაგავს თავში გვიტოვებს.

2979. ყოველივე გონივრული ძირითადად ნათქვამი და ნაფიქრალი, მაგრამ გაპაექრებას და ახლის თქმის სურვილს გონიერება-ცნობიერებისაკენ მისწრაფება გვაიძულებს.

2980. გონიერების მიმართ უგულო, აწმყოა და არა – მომავალი.

2981. ყოველთვის ანგარიშგასაწევი იქნება მოთმინების, ოცნების და სილამაზის ძალა.

2982. კრიტიკას მაშინ აქვს აზრი, თუ სასიკეთოდ გამოიყენებენ და არა – გულის მოსაფხანად და ნერვების დასაწყნარებლად. თუმცა ამისთვის არსებობს ფსიქოთერაპევტი და არა – ტრიბუნა.

2983. წარსული აწმყოს, შეცდომების დასავიწყებლად, სულ მეტ ალიბს უდგენს, რათა თავი უფრო ლამაზად წარმოაჩინოს.

2984. ერთი ახლობლის სიცოცხლე შენთვის გაცილებით მეტი ფა-სობს, ვიდრე ათასობით სხვისი, მაგრამ გონიერება ამ ბალანსთან ვერა-ფერს ხდება.

2985. ციფრების მაფიას თავისთვის გასაგები პროზა აქვს, ხოლო ცნობიერების აქსიომას – მისთვის გაუგებარი პოეზია.

2986. ფილოსოფია იკვლევს ყოფიერების საწყისს, ხოლო პრაქტიკა აწმყოს რეალურ შესაძლებლობებს აკვალიანებს.

2987. გამოცდილება გვკარნახობს – თუ არ ვიზარმაცებთ, მაშინ დაწურულ ნიჭს წინ წავიგდებთ და ცხოვრებას ჭკუით გავექაჩებით.

2988. მოწინააღმდეგე მანამ იქნება ჩვენზე ჭკვიანი, სანამ თავის და ხელის განძრევა შეგვეზარება.

2989. შედევრს ნიჭი და ამბიციების ნამრავლი იძლევა, ხოლო თუ ნიჭმა თავისი უნებლიედ გაიტანა-გაინავარდა, შემთხვევას წყალობაა და არა – ნიჭისა.

2990. არის კარი, რომლის შეღება არც ღირს და არც უნდა ეცადო, თუ ამ კარის გაღების შესატყვისი ნიჭი, შემართება და ჟინი არ გაქვს.

2991. ნიჭს უნდა ვცეთ პატივი და არა მის მფლობელს, რომელსაც იგივე ხუშტურები აწუხებს, რაც ჩვეულებრივ მოკვდავს.

2992. ტალანტი გონიერების ნაცოხნით საზრდოობს და მისი სინო-ნიმია.

2993. ნიჭიერ კაცს ხან ყოველთვის უმართლებს ან – პირიქით, ხოლო ჩვეულებრივის მომავალი ან სულ დოღის ცხენზე ზის ან „დროგის“ ცხენით მიიზლაზნება.

2994. შედეგს თავმოყვარეობა აღწევს და არა – მცდელობა.

2995. სიტუაციათა შესატყვისად ვითარდება ადამიანის ყოფიერება და არა – გონიერება.

2996. სხვადასხვა ენების შესწავლის ნიჭს თანდაყოლილი თავხედობის უნარიც თან უნდა დაჰყვეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის კლასიკური მეტყველების სპეციალისტი იქნება და არა – ენის.

2997. ნიჭი დაუბრუნებლად იკარგება, თუ სათქმელი დროს და ადგილს არ მოუნახავს.

2998. ინფორმაციის ფლობა და განათლების მიღება სხვადასხვა ცნებაა. პირველი ცნობიერების დაკმაყოფილებაა, მეორე – გონიერების წვრთნაა, ფანტაზიის გადახარშვით.

2999. გონიერება ენის მაკონტროლებელი ორგანოა, მაგრამ ენა მაინც წინ გვისწრებს.

3000. თავგანწირვა მაშინაც არის გამართლებული თუ საყვარელ საქმეს ეუფლები და მის გავრცელებას ცდილობ.

3001. ქება-დიდება თანაბრად ვარდსაც უნდა მივაგებოთ და ჭანგა ბალახსაც, რადგან ყველა თავის დანიშნულებას ასრულებს გარემოსა და ადამიანის წინაშე.

3002. სახელს ამოფარებული უმცირესობა, ხშირად უმრავლესობას გონიერებით უჯოკრავს, სჯაბნის და ესეც „ბუნების“ კანონია.

3003. სხვისი რჩევის გათავისება გონიერების მაჩვენებელია კვადრატში. საკუთარი დაკვირვებით, გონების განათების ხარისხი კუბში ადის, ხოლო ანალიზის შედეგად მიღებული ჭკუის დაბრძენება ბინომად გვევლინება.

3004. ქურდობა როგორც ხელობა წამგებიანი იქნება, თუ ნაქურდალის ღირებულების გადასახადი ქურდს და მის შთამომავალს დაეკისრება, ხოლო გადაუხდელობის შემთხვევაში, მთელ სიცოცხლეს მისჯის ადგილებში გაატარებს.

3005. ძალადობის დათრგუნვა, დაპირისპირების დაძლევა, იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როცა ადამიანების მორიგების უნარი შეგწევს. ხშირად იქ ვაგნებთ გამოსავალს, სადაც ზოგჯერ გონიერებაც უძლურია.

3006. ადამიანში უფრო გონიერების მიმზიდველობა ფასდება, ვიდრე მისი ფუტლარის მშვენიერება.

3007. ვისწავლოთ სხვის და არა საკუთარ შეცდომებზე არასოდეს გვიან არ არის, თუ ამის ნიჭი და უნარი გვისახსოვრა განგებამ.

3008. ამქვეყნად მოსვლა უაზრობად არ ჩაითვლება და გულიც არაფერზე დაგწყდება, თუ ირგვლივმყოფნი გონიერებით გვკვებავენ.

3009. გონიერებით დამძიმებულ ქალსაც კი მამაკაცის ხელმძღვანელობა სჭირდება, ეს პოსტულატი ფემინიზმის გრიპით დაავადებულთათვის მისაღები უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მამრთა მოდგმა გადაშენდება, რადგან ფუნქციას დაკარგავს.

3010. რადგან ყოფილ სისტემასთან შერკინება ძვირად გვიჯდება, მას არ უნდა ვებრძოლოთ, უბრალოდ ფეხი ავუწყოთ, ჩვენს ჭკუაზე თანდათან გადმოვიყვანოთ და სიახლით წარმოვაჩინოთ.

3011. აფექტის შესაცნობად სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდება უაზრობაა, თუ რაიმე საფრთხე შენი გენის, გვარის, იდეის გაგრძელებას არ ემუქრება.

3012. არაორდინარული შინაგანი სამყარო ყველასთვის ხელმისაწვდომი არ არის, რადგან მას დახვეწილი გემოვნება და სიახლისკენ მიმსწრაფი გონება სჭირდება.

3013. იმისათვის, რომ ნაყოფიერად ვიკამათოთ, რაღაც უნდა გვაერთიანებდეს, სადღაც ერთმანეთს უნდა ვეთანხმებოდეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენი პაექრობიდან ყბედობა და ენის მოქავება დარჩება.

3014. ხელმძღვანელისთვის მთავარია არაორდინარული აზროვნება, მოთხოვნათა სიმკაცრე, ავტორიტეტი და არა იმდენად მუყაითობა, პედანტობა, კაცთმოყვარეობა, რადგან პირველს ხალხი უფრო იგებს და წინსვლა-წარმატებაც არ დაიგვიანებს.

3015. გონიერება და ჭეშმარიტება სხვადასხვა რამაა, მაგრამ ერთმანეთის გარეშე სიკეთის კეთება უჭირთ.

3016. მთავარია შენი იდეის თესლი მოხვდეს განოყიერებულ მიწაზე, ამის შემდეგ მის აღმოცენებას ხელს ვერავინ შეუშლის.

3017. ფანტაზიას ოცნების შეკეთება, შერემონტება, შეუძლია და არა – ახლის შენება, რადგან ამ უკანასკნელს გონიერების გაქანება კუბში სჭირდება.

3018. ზომიერების ფარგლებში გონების ყველა დასაბინდი საშუალება სასიკეთოდ მოქმედებს, მაგრამ სწორედ ამ ზომიერების დაცვაა ძნელი.

3019. ჩვენ არ დაგვჭირდებოდა სამყაროში ახალი სივრცის ძებნა, პლანეტის შესაძლებლობებით რომ დავკმაყოფილებულიყავით და თავზე ნაკლები წარმოდგენა გვქონოდა.

3020. გონიერება და შესაძლებლობა ერთმანეთს მშვიდად ეპყრობიან, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ პირველს ფული აქვს და მეორეს – მოჭარბებული გონიერება.

3021. ბიბლიოთეკა გონიერების ის დაკონსერვებული საწარმოა, სადაც თუ სულმა მოგთხოვა, ქუდის შეუგდებლად მოინახულებ.

3022. მეგობრობა აგებულია საერთო ინტერესებზე და იმ იგრეკზე, რომლის გამოცნობაც შეუძლებელია.

3023. რწმენა, მოწოდება, ნიჭი, სამსახურს ითხოვს და მას არ ეღალატება, რადგან ის სხვისთვისაც იღვწის.

3024. გონიერება ზოგჯერ ბრძოლას აგებს და არა – ომს, რათა ეს უკანასკნელი საბოლოოდ მისი გამარჯვებით დამთავრდეს.

3025. გონიერების ფორმულა ტოლია ცნობისმოყვარეობის კვადრატისა პლუს შემართება კუბში.

3026. ყველაზე მეტად გონიერებას უჭირს უგონო და ყბედობის მოყვარულ თანამემამულეებში.

3027. გონიერი ბედნიერებას წყნარ და უკომპრომისო ცხოვრებით ცდილობს, უგონო თავგადასავლებით და თავის მოგიჟიანებით.

3028. გონიერების მრავალხმოვანებას განეკუთვნება: ენამახვილობა – აზრიანი სიტყვებით, მოკლესიტყვაობა – ხუმრობა-მჭერმეტყველებით, ბილწსიტყვაობა – არანორმატიული ლექსიკით, ფილოსოფია – ჭკუის ჭყლეტის ღიღინით, მეზმე-მთქმელი – მახვილგონიერების ანაბანით და სხვა, რაც ჯიგარს ასე გვიტრიალებს და გულში გვხვდება.

3029. შეზღუდული გონიერება ცოტას ცოცხლობს.

3030. ცოდნის შენარჩუნებას გონების ვარჯიში, საჭიროებისამებრ მოხმარება და ასაკის სილაღე სჭირდება.

3031. მოჭარბებული ამბიციები და ნერვების დაძაბვა, გონიერების გადახურდავებას იწვევს, რაც ყველა სასიკეთო საქმეს ძირს უთხრის.

3032. პრინციპი კარგია, თუ გონიერება ახლავს, მაგრამ ცუდია, როდესაც ვიღაცას ექიშპებიან და დასცინიან.

3033. თანდაყოლილ გონიერებასაც დაჩქარება სჭირდება, რათა აწმყოს დროულად შეებას და ტვინის ჭყლეტა დააჩქაროს.

3034. ქვეყნის ძლიერებისთვის უმთავრესია რას იტყვის გონიერება და არა – უკმაყოფილების ჭიის დაავადებული ხალხი.

3035. ჭკუასა და გონიერებას შორის ის სხვაობაა, რომ პირველმა იცის დროის მონაპოვრით როგორ დატკბეს, ხოლო მეორე ამისათვის ვერ იცლის.

3036. სამყაროთი კმაყოფილნი მხოლოდ გონიერნი არიან, რადგან მათ აქვთ თავისი დროის შეფასება-გადაფასების უნარი.

3037. ნიჭი გონიერებად ვერ იქცევა, თუ მას პრაქტიკა და მოხერხება არ ახლავს.

3038. საოცარია, ამდენ ხმას აყოლილი ბრიფჯს, ასე მცირე გონიერება როგორ თოკავს, ეწინააღმდეგება, უმკლავდება.

3039. გონიერების ტრაგედია მაშინ იწყება, როდესაც ის თამაშგარე მდგომარეობაშია და დღეს არავის სჭირდება.

3040. ობივატელი აღფრთოვანებულია ხელისუფლებით და მისი შესაძლებლობით, ხოლო გონიერება – ძალის და სიბრძნის ჩვენებით.

3041. მიღებული განათლების ოთხმოცი პროცენტი საქმიანობაში არ გვსჭირდება, მაგრამ უამისოდ ჩვენი თვალთახედვა ძალზე მწირი იქნებოდა.

3042. სად მთავრდება გონიერება, ამის დადგენა ფსიქიატრის პრეროგატივაა და არა – საზოგადოებისა.

3043. გონიერების მზე ყოველდღიურად უნდა გახალისებდეს.

3044. გონიერი და მოხერხებული მანევრის წინაშე სიღარიბეც უკან იხევს და ხელისუფლებაც.

3045. ლოგიკა ყოფის აქსიომაა და არა ამქვეყნად ჩვენი მოვლინების.

3046. მედიტაცია თავისებურად ლამაზი და მომხიბვლელი პროცესია, რომელიც ფილოსოფიას გვაგონებს და გონიერების საბურთაოა.

3047. სამყაროს გონიერებას რწმენა მართავს და არა – სურვილი.

3048. გონიერების ზეიმის დროს ილუზიაც ცოცხლობს, ფაქტიც და სიტყვაც.

3049. სიბრძნე თანდაყოლილია, ცოდნა შეძენილია, ხოლო ამ კოქტეილის სათანადო გამოყენება შემთხვევის წყალობაა.

3050. ცოდნაა ის, თუ იცი, სად რა უნდა მოიძიო და არა ის, რაც მეხსიერებას უნდა ანდო.

3051. ვიწრო წრეში აღიარება ძალზე ბევრს ნიშნავს პროფესიონალისთვის.

3052. ფორმის შეუთავსებლობა შინაარსთან უიმიჯობის მაჩვენებელია.

3053. გონების პოზიტიური აზროვნება ჩვენი სიცოცხლის გახანგრძლივების ელექსირიც არის და მისი საწყისიც.

3054. ცოდნა შესაძლებლობის პირდაპირპროპორციული ვერ იქნება, თუ მას შემართება, გარემო, შემთხვევა, გვერდით არ უდგას და ბედი არ წყალობს.

3055. ჭკვიანზე ის გიჟდება, ვისაც გონიერების საწყისი და ბაზისი აქვს.

3056. გონიერებისთვის ნაჩუქარი თავმდაბლობა, ეს უკვე მეორე ნიჭია.

3057. პოპულარობისთვის მასა უნდა გიცნობდეს, ხოლო აღიარებისთვის შენი კოლეგების აზრიც საკამრისია.

3058. გონიერებას და უგონობას თავისი ლიმიტი აქვს და მისი გადახარჯვა ხშირად ძვირად გვიჯდება.

3059. გონიერება და ინტელექტი ერთმანეთს არ უნდა ექიშპებოდნენ და წონა-ზომას არ უნდა ადგენდნენ, რადგან ორივეს იმიჯი უფერულდება.

3060. ყოველთვის ცოდნის მარაგით ვერ დაიძვრნენ თავს, ხშირად ინტუიცია, მიხვედრილობა, გამბედაობა, მეტ შესაძლებლობას იძლევა.

3061. წარსულზე ოცნება და წინაპართა საქმეების ოპონირება სულს გვითბობს და გონებასაც სიამოვნებას, რომ ასეთი ჭკვიანები ვართ.

3062. წარსულ საუკუნეთა ქარ-ბორბალას რომ გონიერების გადასახედიდან გაეთამაშები, ხვდები რომ აწმყოს არაფერი ჯობს თუ ცხოვრების ყადრი და საკუთარი თავის ფასი იცი.

3063. გონიერება, მორალისაგან განსხვავებით, ყველას უსურვებს ისეთ სიყვარულს, რომ გონება დაკარგონ და დროებით ტრფობას მიენდონ.

3064. ექსტრემალურ პირობებში მჟღავნდება გონიერებაზე ინტუიციის უპირატესობა.

3065. ვიღაცა ახერხებს გონიერების ხმის მოსმენას, მაგრამ ბედი ამ ჰანგებს უყურადღებოდ ტოვებს.

3066. გონიერება გავიძულებს ვიფიქროთ მაშინაც, როცა არავითარი თავის გასამართლებელი პირობა არ არსებობს.

3067. საკუთარ თავში ჩაღრმავება, ფიქრი, ყოველთვის ვერ, განსჯის ჩვენს აწმყოს, მომავალს და ყოფის გასატან ლელოს.

3068. საკუთარი თავის დაფასება, შეცნობა, ფლობა და სარფიანად გაყიდვის უნარიც დიდი ხელოვნებაა.

3069. გონივრულად სიკეთის კეთებას და ქველმოქმედებას ერთი სასწაული სჭირს – საქმეში ხელი უფრო გემართება და ცხოვრება არ დაგცინის.

3070. ქიშპობა და არა – კამათი იწყება მაშინ, როდესაც ტვინი არ გვყოფნის და ჭკუაზე წიხლის დამჭერი არ ჩანს.

3071. უპირველესად სულს უნდა დავეკითხოთ სათუო ქმედების არსს და ამის შემდგომ გონებას უნდა მივუგდოთ განსასჯელად.

3072. გონიერება სევდიანი ოპტიმისტია – მახსოვრობა აქვს კარგი.

3073. უდიდესი სიბრძნე კარგის და ცუდის გარჩევაა და არა ცოდნა-განათლების მიღება ფანტაზიის და ღირსების შეცნობის გარეშე.

3074. როდესაც დედამიწაზე ამდენ კატაკლიზმებს ხედავ, პროგნოზსაც აკეთებ და აანალიზებ ბუნების მოვლენებს, ვერ გარკვეულხარ, იამაყო გონების გათავხედებით, თუ თავი შეიცოდო სამყაროსთან მიმართებაში უსუსურობის გამო.

3075. ადამიანის გონების გარფნილებასაც სილამაზე, დიზაინი და პეწი სჭირდება, რათა მან ადამიანებში ღიმილი გამოიწვიოს და არა – ზიზღი.

3076. რადგან დროის ასოცირების გარეშე მომავალი არ არსებობს, არც ფასეულობათა შეფასება-გადაფასება არ ხდება ნაადრევად, რადგან ყოველთვის ნაყოფ-ნაღვაწი გონით გადახარშვას ექვემდებარება.

3077. გონიერი კაცი განძია ძლიერი სახელმწიფოსათვის, სუსტისთვის ბალასტია და მის დროულად მოშორებას ცდილობს, მაშინ, როდესაც პირველი საქმეს აკეთებინებს, ნაღვაწის წილში თავადაც წარმოჩნდება და მის სახელსაც არ დაივიწყებს.

3078. დაცემის ბუნებრივი ზღვარი წინასწარ უნდა იყოს განსაზღვრული და აქ გონიერების რეიტინგი არაფერ შუაშია.

3079. საქმის კეთებისას ემოციები უნდა გამოვთიშოთ და გონება ჩავრთოთ, რათა შემთხვევამ არ დააყოვნოს და ჩვენს ნახელავს გვერდში ამოუდგეს.

3080. ზოგჯერ ზედმეტი ფიქრისაგან გონების ნგრევა უნდა შევაჩეროთ და საკუთარი სიამოვნებისთვის უნდა ვიცხოვროთ.

3081. ნება, მიზანი, ოცნება, სიფარული, მტვრად აქცევს ბუნებრივ ადამიანურ მისწრაფებებს, მაგრამ გონიერებას სხვანაირად ცხოვრება არ შეუძლია.

3082. გონიერების და გამოცდილების დაგროვება ყოველთვის კარგი ცხოვრებით არ არის გამოწვეული, ეს უფრო იძულებილი სიამოვნება და დროის ხარკია ყოფიოს მიმართ.

3083. გონიერებამ არასოდეს უნდა დატოვოს ადამიანი მარტო, რაც უნდა გამართლება ჰქონდეს – ძვირად გვიჯდება.

3084. გვაოცებს ის, რაც ვიცით, ხოლო რაც არ ვიცით და წარმოდგენა არ გვაქვს, უყურადღებოდ ვტოვებთ, რადგან მეექვსე გრძნობით ვგრძნობთ, რომ ჩვენი გონება მას ვერ ჩაწვდება.

3085. შეცდომის აღიარების უნარი, თავისებური გონიერების შეთამაშებაა სინდისთან.

3086. გონიერ ადამიანს სამყაროში ოცნებით სახეტიალო ადგილი არ ყოფნის, როდესაც ჩვეულებრივი მომაკვდავისთვის დასამარხი ფართიც საკმარისია.

3087. გონიერებამ ზოგი ახალი აზრი ისე უნდა გამოხატოს, რომ ძველ დოგმებს ეხმაურებოდეს და ისე მოთარგმნოს, რომ სიბრძნე და პეწი არ დაიკარგოს.

3088. ბედნიერება–უბედურების ტერმინოლოგია დაზუსტებას მოითხოვს, – და ამის შემდგომ შესაძლებელი გახდება აღვიქვათ პოზიტიურ–ნეგატიური, თავის მინუს–პლუსით.

3089. პლატონური სიფარულია, როდესაც მეგობრობა ქვეცნობიერებაზე მაღლა დგას და პრინციპების ღალატი გულში არ გაუვლია.

3090. გონება იმას აფიქსირებს, რასაც თვალი ხედავს და ზოგჯერ იმასაც, რაც მისი მხედველობის გარეშე რჩება და ინტუიცია კარნახობს.

3091. მარტოობის დაფასების და საზოგადოებაში მოქცევის უნარიც დიდი ბედნიერებაა, მაგრამ ზომიერების დაცვა უფრო მეტი გონიერებაა.

3092. სამწუხაროდ, სამყაროს გონიერება არასოდეს მართავდა, ამ მისიას უხეში ძალა, მოხერხებულობა, გაიძვერობა და ბრმა ბედისწერა ასრულებდა.

3093. გონიერება ამქვეყნადაც გამოიყენება და იმქვეყნადაც, თანაც სვებედნიერების გარანტიაცაა.

3094. სიბერეში მოწეული გონიერებას ვენახისაგან განსხვავებით, ჯეელობა მისი კვირტია, რომელიც როგორ გაიხარებს, რა ოცნებას რქას გამოიბამს და რა საჭაშნიკოს მიაღწევს, თავადაც არ უწყის.

3095. იმას ვერ შეიფარებ, რაც არ მოგწონს, მაგრამ გონიერებისთვის მისი გათავისება შესაძლებელია.

3096. ცოდნა განათლების საცერში გაცრილი გონიერების, მოსაზელი საშუალებაა.

3097. გულით ყოველთვის წინ მივიწევთ, მაგრამ მუდამ რაღაც გვებლანდება ფეხებში, უფრო მეტი კი – გონიერებაში და ურთიერთგაგებაში.

3098. მოციქული, უნდა თუ არა, მაინც ბნელეთის წარმომადგენელია, რადგან მოწოდებულია გონიერებასთან ივაჭროს.

3099. გონიერების ზეიმს ზოგჯერ სიბრიყვის ტაშის დაკვრა სჭირდება.

3100. კეთილშობილება ხშირად გონიერი ოცნების ნაყოფია.

3101. თავის „მეგაბაიტში“ იმდენი ამოუხსნელი უცხო განტოლებაა, რომ მისი ამოხსნა მხოლოდ შემთხვევაზე და გონების უეცარ გამონათებაზეა მთლიანად დამოკიდებული.

3102. სამწუხაროა, როდესაც გონების გაჭიმვა და გინესის წიგნში შეტანა არ შეიძლება და იმას უნდა დასჯერდეს, რაც აქვს.

3103. სწავლას მაშინ ედება ფასი, როცა პროფესიონალიზმი, სიფაფარული და ნიჭი თან ახლავს.

3104. მკლავჭიდში შეჯიბრების ნაცვლად გონჭიდში რომ ჩაგვეტარებინა შერკინება და გაგვემარჯვა, ჩვენ ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა, ყოველ შემთხვევაში, თეორიულად მაინც.

3105. გონს მოგება გონების დაკარგვას ყოველთვის სჯობდა, თუ გართობას მხედველობაში არ მივიღებთ.

3106. მოპოვებულის შენარჩუნება გამჭრიახ გონებას, შემართებას და გაფაციცებას მოითხოვს.

3107. გადამეტებული გონიერება, მისწრაფების გარეშე, ხშირად ხელს გვიშლის საქმიანობის სწორად წარმართვაში და არარაობა-ამაოებამდე მივყავართ.

3108. სიბერეში ძარღვებში გამავალი ნაწუთისოფლარი გაუფილტრავი სისხლი გვისხია და მისი გამოყენების კოეფიციენტი, გონიერების დაღვინებისაგან განსხვავებით, უმნიშვნელოა.

3109. მახვილსიტყვაობა, ენაკვიმატობა, გონიერების მაჩვენებელია და ვიღაცისთვის ხასიათის გამფუჭებელია, კარგი გაგებით.

3110. გონიერება მობილიზებას აკეთებს სიახლეზე და არა – შედეგზე, რადგან ეს უკანასკნელი, ადრე თუ გვიან, მაინც მოვა.

3111. ყველა ქვეყანას თავისი ენერგეტიკა და წარმატების მისაღწევი ძალა გააჩნია, რომლის ენერგიას სხვაზე იმ შემთხვევაში გადადის, თუ მას იწამებს, გაითავისებს.

3112. უგნურებს გონება ყოველთვის გულის მხარეს აქვთ და ვნების ამოფრქვევის სიჩქარით აზროვნებენ.

3113. გონება ყოველთვის უფრო უსაქმოდ გამოიყურება, ვიდრე სხეული.

3114. გონიერება ცდილობს ჩხუბს თავი აარიდოს, რადგან ჩხუბი საკითხს საბოლოოდ ვერ წყვეტს.

3115. ვისაც თავი არ უვარგა, ის კვადრატში და კუბში აყვანილიც ვერ ივარგებს.

3116. ცოდნა ადამიანს წონას მატებს, აღზრდა – ბრწყინვალებას, ნიჭი – ადგილს უმკვიდრებს, შრომისმოყვარეობა – პატივს მიაგებს,

ხოლო გონიერება ყოველივე ზემოხსენებულით სარგებლობს და სასიკეთო საქმის კეთებისთვის იღვწის.

3117. გაუწვრთნელი გონების პატრონი პედანტი და გაწვრთნილი დეგენერატია.

3118. რა ძალა უნდა ჰქონდეს გონიერებას, რომ ამ სამყაროს კატასტროფის რეალურ მოლოდინში რაღაც სასიკეთოს ქმნის მომდევნო თაობებისათვის და დარიგებასაც არ ამადლის.

3119. გონიერება იოლ გზას არ ირჩევს, მაგრამ მოკირწყლულ გზაზე შიშველი ფეხებით სირბილი მაინც სიამოვნებს.

3120. სანდო არ არის ის გონიერება, რომელიც ერთფეროვანი ბედნიერებისკენ ილტვის.

3121. საზოგადოება გამოცდილებამ უნდა მართოს გონიერებასთან ერთად.

3122. გონების შესაძლებლობებს შორის დგომა ყველა მოკვდავს არ ძალუძს.

3123. გონიერებასაც თავისი ლიმიტი აქვს, რომლის გადამეტება ხალხში გაღიზიანებას იწვევს.

3124. ბესტსელერი და მისი ტალანტი დიდი ხანია გონიერების პროცენტებზე ცხოვრობს, იცის მან ამის შესახებ, თუ არა.

3125. გონიერებაა ჩვენი ვარსკვლავთმრიცხველი და არა – ჩვენი მცდელობა.

3126. გრძნობები ყოველთვის გონიერებას არ ემორჩილება, მაგრამ ბედნიერებაა თუ შეათანხმებ და გაგიმართლებს.

3127. გონიერების ხელში შესაძლებელია სიკეთიდან სიკეთის კეთება, ოღონდ მათრახით, რომ არ გაირიყოს და თავზე წარმოდგენა არ შეექმნას.

3128. გონიერებასთან დამშვიდობება ყველა ასაკს ახასიათებს, გააჩნია რა შემთხვევა და ცდუნების პროვოკაციაზე როგორ წამოეგება.

3129. ყველა იმპერია ადრე თუ გვიან ინგრევა, ბუნების ძალები შიგადაშიგ კატასტროფებით გვამათრახებს, თეორიულად დედამიწის გაქრობა შესაძლებელია, ხოლო ადამიანთა მოდგმას მისთვის განკუთვნილი სიცოცხლის განვლა სიამტკბილობაში არ სურს და ეს არის გონიერების ყველაზე დიდი კრიზისი.

3130. გონიერება ყოველთვის ისტორიის მოკავშირეა, თუ მას წესიერება მართავს.

3131. გონიერება ყველაზე საუკეთესო კომპასია ცხოვრებაში გზის გასაკვლევად და ბედის ბორბლის შენს ჭკუაზე საგორებლად.

3132. ცოდნას ხარისხში აიყვანს საქმე და არა – გამოუყენებელი შიშველ ცოდნა.

3133. გონიერება კარგს მეტს ამჩნევს, ვიდრე სიცუდეს, რადგან ის ბუნებით სიკეთის მთესველია.

3134. პატრიოტიზმის გრძნობა, მოწოდება, აფექტში გვაგდებს და სულიერად აგვამაღლებს, მაგრამ არც საქმეს შველის და ვერც კუჭს აწყნარებს თუ შემართებას გონიერება და მოხერხება გვერდით არ უდგას.

3135. გონიერებისაგან საყვედურიც მისაღებია და ზომიერი ალიყურიც.

3136. გონიერება თავად გრძნობს ვის უნდა დაეკონტაქტოს, ვისი კრიტიკა უნდა მოისმინოს და ვისი აზრი უნდა გაითავისოს.

3137. რაც შენ არ იცი, ყოველთვის ცუდი არ არის, რაც ჩვენ ვიცით და განვიცდით, ხშირად ისაა ზიანის მომტანი.

3138. ჭკვიანი ყველა გარემოში გონიერების სატანასაც უხმობს და გამოსავალს მოძებნის.

3139. გონიერება ერთ გარყვნილ სიტყვას არ იტყვის, მაგრამ მის კომენტარს კრიტიკა თუ სჭირდება, დედისგინებაზე უარესია.

3140. XXI საუკუნის, კომპიუტერიზაციის საოცრება ის არის, რომ ქაღალდომანიის შემცირების ნაცვლად, უამრავ ქაღალდს ითხოვს და იმასაც – ხარისხიანს.

3141. ენთუზიაზმი და სისულელეების კეთება სინონიმებია, მაგრამ იშვიათია დიდებული შედეგი და გამოსავალი.

3142. დღეს ცხენის ქურდობა ავტომობილის ქურდობით შეიცვალა და ესეც დიდი შეღავათია ფერმერისათვის.

3143. პრობლემა პრობლემის გარეშე პრობლემა არაა.

3144. სიმღერა, რომელიც გულს არ წვდება, მხოლოდ გვაოცებს და ღიმილს იწვევს, ჩვენს გრძნობებთან სიტყვების თამაშია და არა – სიმღერა.

3145. ზოგისთვის ,,ხვალ'' ადრეა, ,,გუშინ'' გვიან იყო, ,,დღეს'' უხასიათოდაა და არაფრის კეთება არ უნდა.

3146. ოცნება გვეხმარება თეორიულად მაინც ვიყოთ უკეთესნი, ვიდრე ვართ.

3147. ცივილიზაციაზე მორგება და ჩახუტებაც დიდი ნიჭია.

3148. სიცილის მეუფედ ყოფნა დიდი პატივია ყველასათვის.

3149. საჩუქარი ორი სახის არსებობს, ერთი, რომელსაც დავიტოვებთ და მეორე, როცა ნაჩუქარს სხვას ვუსახსოვრებთ და ვალს მოვიხდით.

3150. ,,წაგება და მოგება ძმები არიან", მაგრამ სხვადასხვა ხასიათზე გვაყენებს.

3151. ფორტუნა იმიტომ არის ილბალი, რომ მას სამართლიანობის ვერ მოვთხოვოთ, რადგან თავის წყალობის ხუმრობის გაგება, ზოგჯერ მისთვისაც გაუგებარია.

3152. დროსტარებაც ცოდვაა და უიმისობაც, ამიტომ ვცდილობთ არც ერთის გარეშე არ დავრჩეთ.

3153. პირველად თხოვდებიან სიყვარულით, მეორედ – ანგარებით, მესამედ – მარტო რომ არ დარჩნენ, მეოთხედ – დროში იწვიან, მეხუთედ ეს უკვე მოთხოვნილებაა, მეექვსედ – ჩვევად ექცათ, მეშვიდედ – პროფესიაა, მერვედ სპორტია, მეცხრედ – სკლეროზია, მეათედ – ფეტიშია ვიღაცის და რაღაცის წინაშე.

3154. ,,ბარანების" შეხვედრის ადგილი სამწვადეა, ეს გადატანითი მნიშვნელობით იქნება თუ მის გარეშე.

3155. ყველა ასაკი, დრო, პიროვნება, საამოა, სადაც მიგიხარიათ და უხარიათ თქვენი დანახვა.

3156. ,,ჩაწყობილი" იუბილე ,,ბარტერია" ავანსად: დღეს შენ ხარ გენიოსი, ხვალ, ჩემს იუბილეზე, მე ვიქნები შეუდარებელი.

3157. ნერვებს აწყნარებს ყოველივეს ფეხებზე დაკიდება და დროებით გონის გამორთვა.

3158. ნაბახუსევზე სასმელით გამოდიან, უარყოფილ სიყვარულს სხვის შეყვარებით მკურნალობენ, მაგრამ შანსი იმისა, რომ რეციდივი არ გამეორდება, მინიმუმია.

3159. ყველა თავის ვარიანტს ეძებს ასაკის და ყოფის გათვალისწინებით, მიუხედავად იმისა, უყვართ თუ მოსწონთ ერთმანეთი.

3160. საინტერესოა სიკვდილის წინა დღეს ვინ როგორ გაატარებდა, მათი ოცნებისათვის გაფრენის უფლება რომ მიგვეცა.

3161. ზოგი იმდენს ცოცხლობს, რომ პოტენციურ მემკვიდრეებს ნერვებს უშლის, საავადმყოფოში მოხვედრის და ზოგჯერ იმქვეყნად გადასწრების მიზეზი ეძლევათ.

3162. ბედნიერებაა, როდესაც სამსახურიდან სახლში გეჩქარება და სახლიდან – სამსახურში, მაგრამ თავს რატომღაც, მათ შორის მანძილის დაფარვისას გრძნობ უკეთ.

3163. მომხიბვლელობის არგუმენტია ისიც, თუ კრედიტით იმოსები და პერსპექტივით იხდი.

3164. ჩვენს ქვეყანაში ქურდობის სტატისტიკური მონაცემებიც მოპარულია, რადგან ქრთამის გარეშე ამ ინფორმაციას არავინ გასცემდა.

3165. ტოტალიზატორი ასაკოვან ადამიანზე ბავშვის პერანგის ჩამოცმის მცდელობა.

3166. უვიცობა, ცოდნისაგან განსხვავებით, სტრესს არ განიცდის.

3167. ჭეშმარიტებაში გარკვევა უფრო „ადვილია", ვიდრე სიცრუეში, მაგრამ თუ გვსიამოვნებს?!

3168. დასმენა – შინაგანი ბუნებაა, ღალატი – სულის გამოძახილია, გაჭორვა – სხეულის ყივილია, მაგრამ სანამ მათ შევაფასებდეთ, მანამ არსებული საზოგადოების მენტალიტეტის გაგებაა საჭირო.

3169. შტერსა და სულელს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი გოჭის ხორცს პურს მიაჭმევს, მეორე – ხაჭაპურს.

3170. მეგობრობის „აქილევსის ქუსლი" ის არის, რომ შენი მეგობრის მეგობარსაც ზოგჯერ უნდა გაუგო და ეამხანაგო, იმისდა მიუხედავად, რომ „ჩემი ვასალის ვასალი ჩემი ვასალი არ არის!".

3171. სხვისი დაბადების დღის აღნიშვნა სჯობს საკუთარისას, რადგან სხვის დაბერებას ზეიმობ და არა საკუთარი წლების მატებას.

3172. მეთევზე იმ ზომის საკაიფო თევზის დაჭერას ვერასოდეს შეძლებს, როგორიც მის სულს სურს.

3173. მადლიერებაა, როდესაც გაქებენ და შენზე ზრუნავენ, უმადურობაა როდესაც არ იცი, რა არის სიკეთე და სიავე.

3174. ჩვეულება, რომლისთვისაც თავის დანებებაც გვინდა და თან გვენანება, ეტყობა მთლად გასაწირი არ არის და ზოგჯერ კიდეც უნდა გავიხსენოთ.

3175. დღევანდელობის დაგეგმარება და განსჯა გაცილებით რთულია, ვიდრე – მომავლის, რომლის აღსრულებაზე პასუხს არავინ გთხოვს.

3176. ბიკინსა და სტრონგს შორის ის სხვაობაა, რომ პირველში კიდევ შესაძლებელია მწარმოებელი ფორმის რეკვიზიტების ამოცნობა, ხოლო მეორეში ამაზე ფიქრიც კი ზედმეტია.

3177. გამარჯვებული არც ჭკუას აწუხებს, არც სამართლიანობას ეძებს, არც სიმდიდრრისკენ გაურბის თვალი, მისთვის მთავარი რეგალიები, აპლოდისმენტები და მარად ყურადღების ცენტრში ყოფნაა.

3178. ზოგჯერ უნებლიედ წამოროშილ სისულელეშიც საინტერესო ჩიტის დაჭერაც შეიძლება.

3179. თრობა და ვნებით ტკბობა ორთავე „პახმელიაზე" გამოსვლას მოითხოვს, ერთი – თავის გაბრუებას არყის გადაკვრით, მეორე – ტანის მოთენთვას აბანოთი და გამოძინებით.

3180. თუ შენს მეგობარს შენი მტერი არ სძულს, მას ნაცნობის სტატუსი უნდა მივანიჭოთ.

3181. ბუზიც ჭკვიან თავს ეძებს დასაჯდომად, იქნებ უკანა ტანით რაიმე სახეირო ავითვისოო.

3182. მარიონეტები არც საზოგადოებას ედავებიან, არც სხვის შეხედულებებს და არც თეატრის დანიშნულებას, რადგან ყველას თავი წარმოუდგენია ყოვლისშემძლედ.

3183. ზოგს ჭკუა სტატუსის გამო არ მოეკითხება და ამით ორივე მხარე კმაყოფილია.

3184. ყველა მოთავებული საქმე ფარშავანგის კუდივით ლამაზი უნდა იყოს, ოღონდ უკანალში თვალების ცეცების გარეშე.

3185. უნებლიე ტყუილი სიმართლის ბიძაშვილია, ხოლო განზრახ ტყუილი – იმ ბიძაშვილის დედისგინება.

3186. მეგობრები შეცდომაზე მიგვითითებენ, მაგრამ ჭკუას არ გვასწავლიან.

3187. საკუთარი ქონების მოვლა-პატრონობა ან სხვისი მითვისება დროზე, გუნებაზე და ყოფის კოჭის გაგორებაზეა დამოკიდებული.

3188. ზოგჯერ შენ უკეთეს სამსახურს უწევ მეგობარს, ვიდრე ის – შენ, რაც ურთიერთდაზღვევის საწინდარია, ვალია, რომელიც ყოველთვის სამაგიეროს გადახდით ფასობს.

3189. კომპლიმენტი: ,,ისევ ძველებურად გამოიყურები, სულ არ გამოცვლილხარ", დამატება-განმარტებას მოითხოვს – ჭკუით თუ გარეგნობით?

3190. ფიცი- მტკიცს ნაღდი მეგობრობა, ძალად მეგობრობისაგან განსხვავებით, არ თხოულობს.

3191. მაოცებს მობოდიშების ,,სალამ-ქალამი" იმ დროს, როდესაც საქმე საკეთებელია და ეს შეხვედრა ორთავესთვისაა საჭირო.

3192. ხშირად ჩვენთან ისინი ცდილობენ დამეგობრებას, ვისზეც გული არ მოგვდის და სხვა ,,მასტისანი" არიან.

3193. არასოდეს არ უნდა გავაკეთოთ ის, რის დეკლარირებასაც მეგობრებთანაც ვერ გავრისკავთ.

3194. ჭორი კვადრატში საინტერესოა, ხოლო კუბში შეიძლება ლეგენდად იქცეს.

3195. ძველი მეგობრობა ძალას და შესაძლებლობას კარგავს და არა – სულს და მოფერების სურვილს.

3196. ფანატი ხშირად იმას აკეთებს, რის კეთებაც არ უნდა, მაგრამ მას სხვანაირად სულის აღმაფრენისა და განცდების გადმოცემა არ შეუძლია.

3197. დილით დაღლილი ზოგი იმიტომაც გამოიყურება, რომ წუ-ხელ სიზმარში ჰარამხანაში შრომით დაიხარჯა.

3198. ნაღდი მეგობრობაა, როდესაც ერთმანეთს ხშირად არ ხვდე-ბიან, ერთად საქმიანობას არ ეწევიან, სიკეთეს ერთმანეთს გულით უკეთებენ და ურთიერთს არაფერში ეჯიბრებიან.

3199. სიდიადის მიღწევა იარაღითაც შეიძლება, მაგრამ მეგობრო-ბით ჯობს, უფრო საიმედოა.

3200. ძნელია დათანხმდე იყო ევას ჩაკბეჩილი ვაშლი, მაგრამ თავად ევაზე უარის თქმა თვით ადამმაც ვერ მოახერხა.

3201. შეიძლება, ერთი შეხედვით, ქათმის კვერცის ფასი ძვირი მოგვეჩვენოს, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამ პროდუქციის წარმოებას ფრინველმა მთელი დღე მოანდომა.

3202. ფარში შეიძლება თევზისაც იყოს, წითელი წიწაკისაც და ცელოფანისაც, რომელსაც სოსისი ქვია.

3203. ქურდსა და საფარელს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი ეძებს რაც ცუდად დევს, მეორე – რაც კარგად ,,დგას''.

3204. ჭკუის დეფიციტსა და არქონას შორის ის სხვაობაა, რომ პირველი ტირილს იწვევს, მეორე – ღიმილს.

3205. რამდენი დაკარგული კოცნა გვაქვს კრედიტად გაცემული, რომელსაც არ დაგვიბრუნებენ და ბევრიც დავიწყებულია.

3206. დღეს ოცნებები წერილობით თუ არა, ,,მესიჯებით'' უნდა გავუზიაროთ ერთმანეთს, რადგან ეს ნერვული სტრესის დათრგუნვის და ფანტაზიისთვის ფრთების შესხმის ერთერთი საშუალებაა.

3207. მეგობრობა ის უხილავი მიმზიდველობა, ურთიერთგაგებაა, რასაც ურთიერთშერწყმა ჰქვია, სადაც ერთ საკითხში შენ ხარ ლიდე-რი, მეორეში – ის, რადგან ურთიერთგაკვირვების გარეშე ერთად ყოფნას პეწი აკლდება.

3208. დამორცხვება ყოველთვის ღიმილს იმსახურებს და არა – პატივისცემას.

3209. ხასიათი გონების სინონიმი არ არის და ხშირად ერთმანეთს ვერ უგებენ.

3210. ზოგიერთისთვის ელასტიური შეხედულებები და ყოველი სენ-საციური სტატია გაზეთში, აღმოჩენაა და თავს ამით ირთობს და სხვასაც ართობს.

3211. უწყინარი სიცილი და კარგ ხასიათზე ყოფნა სიცოცხლის ელექსირია და მუდმივად თუ არა, შიგადაშიგ, შემთხვევიდან შემთხვე-ვამდე, თან უნდა დაგვყვებოდეს.

3212. მეგობრები არ კვდებიან, უბრალოდ ადგილს გვიმზადებენ იმქვეყნად შესახვედრად.

3213. ბედნიერებაა, როდესაც მეგობრებში ეჭვი არ გეპარება და დაუფიქრებლად ენდობი.

3214. კარიერის კიბეზე სირბილი მეგობრის მაგვარის ყოლის უფ-ლებას გვაძლევს და არა ნაღდი მეგობრობისას, რადგან პირველი მეორისაგან განსხვავებით სხვის წარმატებებს ეთაყვანება და მასზედ მეტად გამოსჩენითი მეგობრობით ტრაბახობს.

3215. ზოგს ისეთი ,,ინტელექტუალური'' აღზრდა აქვს, რომ შუა-გულ ტყეში ტუალეტს ეძებს და წყაროს პეშვით შესმა უჭირს.

3216. ,,სამი რამ მიყვარს ამქვეყნად – ღვინო, დუდუკი, ქალები''. გართობის ამ საუკეთესო საშვალებათა ფორმულას მე ასე დავწერდი (A+B)-C=(B+C)-A სადაც A ღვინო, B – მუსიკა, C – ქალია ღვინის და მუსიკის აღქმის ჯამზე ქალი უარყოფითად მოქმედებს, ხოლო მუსიკასა და ქალის ჯამზე – ღვინო, რადგან ნაშიერის ჩასახვამ ამ დროს ყოველ-თვის სასურველი შედეგი შეიძლება არ მოგცეს.

3217. ვწუწუნებთ, რომ ,,ჩვენ ბედს ძაღლიც არ დაჰყეფს'' მაშინ, როდესაც ძაღლი საერთოდ არ შეგვხვედრია.

3218. მეგობრობა და მოვალეობა ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ, თუ გვინდა არც ხალხის თვალში შევრცხვეთ და არც მეგობრებში, რადგან პრინციპულობას მიუკერძოებლობის ორივე კატეგორია პატი-ვით ეპყრობა.

3219. დასვენებას, დროსტარებას, ტურიზმს, თავისებური ფილო-სოფიური მიდგომა, გაგება, სჭირდება, რადგან ეს დამოკიდებულია ინდივიდის ხასიათზე, შემთხვევაზე და ზოგჯერ უსაქმურობაზე.

3220. მეგობარს ძალად გადაცდენისთვის ალიყური უნდა ვაჭამოთ, რათა თავის მართლება არ დაგივიწყოს, ხოლო შეცდომა უნდა ვაპატიოთ, რადგან მის გონებას თუ არა, გრძნობებს მაინც შენდამი უკეთურობის უფლება არ უნა მიეცეს. სხვანაირად მეგობრობა ყალბია და ნაუცბათევი.

3221. ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ შენს ,,სულის სიმღერას'' გულში კიცხავენ შენი მეგობრები, რომლებსაც წესით შენი არ უნდა შურდეთ.

3222. მელოდრამის ყურება სისულელეა, მაგრამ დროის სასიამოვ-ნო დაკარგვაა.

3223. მეზობლის ცოლი რომ საკუთარ ცოლთან შეგისწრებს, არ იცი, რა წყალში ჩავარდე – როგორც საფარელი ჩამოწერილი ხარ, რადგან მეზობლის ქალს ზედმეტს შეჰპირდი.

3224. გოჭი რომ პატარობიდან ირემთან ერთად იალაღზე გაიზრდება, ის იმ „ქაქის“ ჭამას არ ისწავლის, რომლისთვისაც თავის დანებება ძნელია.

3225. ცხოვრებაც იმითაც არის სახალისო, საინტერესო, რომ ადამიანის ყოფითი დოგმები ცივილიზაციას სულ ჭიტლაყის რტყმით წინ მიათრევს და ტექნიკური პროგრესის დახმარებით თავის ჭკუაზე მოთარგმნის.

3226. ქალების ახირება შენდამი ტრფობით, ერთის შეხებით მოსაბეზრებელია, მაგრამ მეორე მხრივ სიამაჟე მოწონებაზე კუდის გამობმით.

3227. მეგობარს, მტრისგან განსხვავებით, სიფარულით ვიხსენებთ, მოგონებით ვუბრუნდებით და ამით ვამაყობთ.

3228. საქმე ის კი არის, ნაოცნებარი ავისრულოთ, არამედ მისი გემო პეწით, ვნებით, შევიცნოთ.

3229. ფერიასა და კუდიანს შორის სხვაობა არ აღიქმება თუ მათთან, ერთ წელზე მეტს იცხოვროთ.

3230. კოლეგიალობა და მეგობრობა სხვადასხვა რამაა, რადგან პირველი შენი კონკურენტია, მოწინააღმდეგეა კარგი გაგებით, ხოლო მეორე შენს გვერდში მდგომია, მხარის დამჭერია, ყოველგვარი ანგარების გარეშე.

3231. მთვრალად თავის მოჩვენება იმიტომაცაა ძნელი, რომ ცდილობ ფხიზლად გამოიყურებოდე, თან გახსენდება, რომ მთვრალი ხარ ხოლო მთვრალს ყველაფერი ეპატიება.

3232. მეგობრობის განზომილება ნაცნობობას არ ადგება.

3233. მეგობრის არჩევაც ჭკუას მოითხოვს, მაგრამ მაინც გულის სურვილად რჩება.

3234. მაქებარს ჩვენც უკან ვუბრუნებთ დითირამბებს, მაგრამ გამოზომილად.

3235. „ვამაყობ შენით“ მლიქვნელობის უმაღლესი „პილოტაჟია“.

3236. ტკბობას თავისი განზომილება და მაფია სჭირდება.

3237. ქლესობა, რომელიც დივიდენდებს არ ითხოვს, არც ისე ცუდი მოსასმენია.

3238. მეგობარს შეცდომაზე ნუ მიუთითებ, ნიშნისმოგებას ეცდება, უბრალოდ მოუყვი შენი მსგავსი შეცდომა, როგორ გამოასწორე.

3239. მობილური კავშირი საუკეთესო ფსიქოთერაპია, ნერვების დასამშვიდებელი სასწაულია და გართობის ერთ-ერთი საშუალება.

3240. მეგობრობა ურთიერთდავალებაა, დებეტ-კრედიტის გარეშე.

3241. გადაწყვეტილების მიღებისას უმთავრესად იხელმძღვანელე გრძნობების გამოცდილებით, მხოლოდ ამის შემდგომ მიახმარე გონიერება, ლოგიკა, ანალიზი – უფრო ამართლებს.

3242. მშვიდობის ალგორითმია: პოლიტიკა, კანონმდებლობა, გარემოს დაცვის კოქტეილი, რასაც ცალ-ცალკე ვერ ახერხებენ.

3243. დასპონსორებას, დახმარებას, მაშინ აქვს აზრი, თუ ის მოხმარდება უსაქმურთა დასაქმებას და არა მათ მუქთა შენახვა – გამოკვებას, რადგან ასეთი ადამიანები უმადურნი არიან.

3244. გონიერთა კამათისაგან განსხვავებით, ყბედობაში ჭეშმარიტება არ იბადება, პირიქით იმღვრევა და დაპირისპირებებს ზრდის.

3245. საერთო ინტერესები ყოველთვის პირადი ინტერესებიდან გამომდინარეობს, ვიცნობიერებთ ამას თუ არა.

3246. დღევანდელი განსაცდელი ყოველთვის ზეიმობს გონიერებაზე, იმისდამიუხედავად, რომ წარსულის და სხვათა უბედურებანი გონიერებამ უკვე გადახარშა და დაივიწყა.

3247. გულადობა და გულწრფელობა სხვადასხვა რამაა, მაგრამ მათი შერწყმა უდიდესი მადლია.

3248. ბუნების კანონიც თავისებური პოლიტიკაა. ახლო ნათესავებში ქორწინება – სისხლის აღრევა რომ მახინჯების გაჩენას არ იწვევდეს, საზოგადოება როგორ განვითარდებოდა არავინ უწყის.

3249. თუ გონიერებამ სიმშვიდის მადლი ვერ აღიქვა და შემართების სათანადო ნიჭი არ გამოიჩინა, მაშინ რა საჭიროა საკუთარ თავთან დიალოგი.

3250. კეთილდღეობა იმის გარანტი არ არის, რომ გონება ჭეშმარიტების ძიებას არ დაიწყებს და აწყობილ ევოლუციურ ყოფას წყალს არ შეუყენებს, რადგან ადამიანის ბუნება ახლის გამოთხრისაკენ არის მოწოდებული.

3251. ხშირად გონიერება და ცნობიერება ერთმანეთს ვერ უგებს და აქაც განგების პარადოქსია.

3252. შეიძლება გარემოებათა გამო მეგობარს ზურგი შეაქციო, მაგრამ საკუთარ მრწამსს, რწმენას არ უნდა განუდგე. დღევანდელი მენტალიტეტისათვის ეს ძნელი ასახსნელია, მაგრამ გონიერება ამას უნდა მიხვდეს და ჩაწვდეს.

3253. ძნელია, როდესაც გონიერება გეუბნება: თავი დაანებე იმ ხალხის ჭკუის სწავლებას, რომელსაც არც დაფიქრება უნდა, არც ზედმეტად ხელის განძრევა და ვერც შენ დონეზე ამაღლდება პოლიტ-

ეკონომიკაში, იმისდამიუხედავად, რომ ადამიანი ხარ და მათთვის რაღაცას ცდილობ.

3254. გონიერებასა და ცოდნას შორის ის სხვაობაა, რომ ერთი გვასწავლის, მეორე წინააღმდეგობას უწევს და თავისას ცდილობს.

3255. გონიერებას პრინციპებით ცხოვრების ალგორითმების შექმნა შეუძლია და არა – თავად გონიერების.

3256. პრობლემებსა და ჭეშმარიტებას შორის დავა, რაციონალური მარცვლის ძებნაა და არა – დაპირისპირება.

3257. ფაქტი ანგარიშგასაწევი დამთავრებული აქტია, მაგრამ ისიც გონიერების გადასახედიდან გადამოწმებას მოითხოვს.

3258. უმთავრესად გული განსაზღვრავს ადამიანის სიცოცხლეს და არა გონიერება, რადგან ეს უკანასკნელი ხშირად მომხდარის ანალიზისათვისაა მოწოდებული და არა კრიტიკულ გარემოში გონების მოსახმობად.

3259. პესიმიზმი უსაქმურობის გასამართლებელი ფუფუნება, რომლითაც გონიერება ვერ ისარგებლებს.

3260. ხელქვეითები კამათში მონაწილეობენ, უფროსები მოხსენებას აკეთებენ, ხოლო გონიერება ერთობა და მათ მცდელობაში მისთვის საინტერესოს ეძებს.

3261. საერთო ინტერესების მიგნებას გონიერება და შემთხვევაც სჭირდება.

3262. კონსერვატიზმი ის მუხრუჭია, რომელიც ცდილობს მომავლის ინტერესების სწორ გზაზე დაყენებას ძველმანების გადასახედიდან.

3263. შენს თავს პატივი თავადვე უნდა მიაგო, მაგრამ გონიერების მოშველიებით.

3264. ორატორობის ნიჭი, გონიერებასთან შედარებით, არაფერს ნიშნავს, მაგრამ მის გარეშე ვერც თავს წარმოაჩენ და ვერც ნაფიქრალს.

3265. სიფრთხილე და რისკი მორიგდება, თუ გონიერება თან ახლავს.

3266. ხშირად კარგი ნაღვაწია ის, რასაც გონება აფასებს და არა ის, რაც მასების საკუთრებად იქცევა.

3267. გონიერი კაცისთვის მთავარია სხვას გაუგოს. მას გაუგებენ თუ არა, დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს.

3268. ნიჭი, აღზრდის გარეშე, ყოველთვის ეფექტური არ არის და ადრე თუ გვიან გადაიწვება.

3269. სიღარიბე კარგ იდეებს გასართობად აქცევს, მაგრამ აქაც შესაძლებელია რაღაც სერიოზულის გამოთხრა.

3270. თავდაჭერილობა გონიერებას, ტალანტს, ახასიათებს, თუ მას უგებენ და პატივს მიაგებენ.

3271. ჩვენი გონიერების გარკვეული ნაწილი წინა საუკუნეთა ჩვეულებით და რწმენითაა გამოტენილი.

3272. არის დისკუსია ცოდნის გააზრებით, არის კამათში ცოდნის სხვისთვის თავზე მოხვევის მცდელობა.

3273. ჭკუასაც თავის ტოლის ინტელექტი უნდა ჰქონდეს, რათა უდროოდ ჟანგი არ მოედოს.

3274. მოვალეობის გრძნობას შენს ჭკუაზე ყბედობით ვერ მართავ, აქ დასაბუთებული არგუმენტებია საჭირო.

3275. ამქვეყნად მხოლოდ ჩვენი სახელი რჩება და არა სახრავი, რომელსაც ხშირად წირვის გამომფანთა რიგი უდგას.

3276. ბუნების კანონებს რომ შეცდომა დაეშვათ და მამრის პენისს მუდმივად ერექცია – პრიაპრიზმი ჰქონოდა, მაშინ მდედრები გააუპატიურებდნენ და იძალებდნენ მამრებზე და ამ წუთისოფლად, ადამიანის ცნობა გაჭირდებოდა.

3277. ემოციურობამ და ცოდნამ თუ საერთო ენამ ვერ გამონახა, საქმის კეთება გაჭირდება, ჭეშმარიტებისკენ ლტოლვა სათუო გახდება, რადგან მიღებული შედეგები ველარ გვასიამოვნებს, გაგვამხნევებს.

3278. გინება და ბილწსიტყვაობა ენერგიის დაკარგვაა, უკან დახევაა. დროის გაცდენაა, ქარის წინააღმდეგ ფურთხებაა. მხოლოდ კლასიკური განათლება, ტრადიციების გვერდზე დგომა, ნამოქმედარის მოკრძალებული რევიზია, ის პოტენციალი, რომელიც ყველა დროის უგვანობას ზურგს შეაქცევს და ქვეყანას და ხალხს პროგრესისკენ წინ წაიგდებს.

3279. სულიერი ძალები და გონიერებაში ჩამონტაჟებული კვლავწარმოების კოდი გვაიძულებს ყოფით სიძნელეებს შევებრძოლოთ და შევეგუოთ.

3280. ზოგჯერ მამა-პაპათა ღირებულებების გაცნობიერება სჯობნის ეკონომიკის და პოლიტიკის გაცნობიერებულ პოსტულატებს. მაგ. დემოგრაფია: ტრადიციის შედეგად შობადობა იზრდება მაშინაც კი, როდესაც ქვეყანაში ომია (ჩეჩნეთი).

3281. მომავალი წარსულის გარეშე არ არსებობს, მაგრამ არც მომავალს აქვს აწმყო ოცნების გარეშე.

3282. ლოდინი და რეალური ქმედების დაყოვნება ყოველთვის უკმაყოფილებას და აღშფოთებას იწვევს გონიერების საჯილაოდ.

3283. საქმის საკეთებლად მთავარია არა ფაცი-ფუცი, არამედ დაპირებების შედეგიანად დამთავრება.

3284. ყველა აქსიომის უარყოფა შეიძლება, თუ საქმით მოხერხებული გონიერება დაინტერესებული.

3285. ხშირად საკუთარი თვალით ნანახს, საკუთარი თვალითვე უნდა გადავხედოთ, გავიაზროთ და გადავამოწმოთ.

3286. ფანტაზიის გარეშე, რეალობა სიახლით თავს ვერ მოიწონებს.

3287. იდეალების დახურდავება იწყება გონების დამუნათებით და საზოგადოების გულგრილობის შეცნობით.

3288. გონება და ძალა ორივე საჭიროა, რადგან ცალ-ცალკე დიდხანს არც ერთი არ ამართლებს.

3289. საქმე ისე უნდა აკეთო, საკუთარი თავის შეგეხარბოს და სხვის გაკეთებულზე მეტად მოგეწონოს.

3290. შეიძლება განცალკევებულმა სწავლებამ გოგონებსა და ბიჭებს შორის სიფარულის საიდუმლო ზმანება და ურთიერთგაგება დაგვიბრუნოს.

3291. საკუთარ თავს თუ ფლობ – ხელოვნებაა, თუ ძალაუფლებას – განგების ნება.

3292. წარმატება-წარუმატებლობა ძმები არიან და მიღწევებს მათი შეჯერება განსაზღვრავს.

3293. გონიერება ძილ-ღვიძილშიც მუშაობს, ხოლო სიფხიზლეში შედეგს აჯერებს და იშვიათად კმაყოფილიც რჩება.

3294. დროს ყველაზე მეტად ის უფრთხილდება ვინც მისი ასავალ-დასავალი იცის და განსჯის შედეგად გამოტანილი დასკვნების მადლი გაეგება.

3295. გონიერება სხვადასხვა მოსაზრებებს იჭერს, ისრუტავს, გადახარშავს და ახალი საკმაზით შეზავებულს წარმოაჩენს.

3296. გონიერება წყნას ივიწყებს, მაგრამ მის გამომწვევ პარამეტრებს იმახსოვრებს.

3297. გონიერებაში მუსიკის ჰანგები სიკეთის საკეთებლად ჟღერს.

3298. გონიერება ხშირად თავის ცოდნა-აზროვნების მძევალი ხდება, თეორიულად მას ესმის, რომ საკმარისია პლანეტამ თავის გემოზე „გააქაროს" და დედამიწაზე სახელის უკვდავყოფის იმედს და იმქვეყნური ცხოვრების სასიამოვნო ზღაპარს პრაქტიკულად დედა ეტირება.

3299. დღეს გონიერებას ანგელოზს ვანდობთ თუ ეშმაკს, სულერთია, საბოლოოდ მაინც გულმავიწყობის რქების დადგმით მთავრდება.

3300. საოცარია გონიერების აღქმის უნარი, მაგრამ სიკეთეს როგორ მივუდგეთ, ხშირად არ ვიცით.

3301. განვლილ ცხოვრებას კრიტიკულად რომ გადახედავ, მისი რევიზია არ ღირს, რადგან მაქსიმუმი რაც შეგეძლო ერთი ქათმით

მეტი გეჭამა და ერთი ბოთლი კონიაკით მეტი დაგელია, რომელიც დღეს უკვე გწყენს, ხოლო დაფასებით არც არავისთვის დაუფასებიათ და არც შენ დაგიფასებენ ბოლომდე.

3302. საუკუნის დაფასება, წლების ხარისხი, თვეზე დაყრდნობა, კვირის მადლი, საათის შეცნობა, წუთის დაფასება და წამის გაელვების ფასი მაშინ გვეცოდინება, როდესაც სიცოცხლის შემადგენელ ამ ალ-გორითმებს ალღოს ავუღებთ და გონიერების „ჭრაჭუნიც" შესამჩნევი გახდება

3303. გონიერების შეგრძნება სიყვარულში გადაიზრდება, თუ მოვა-ლეობის შეცნობაც დაემატება.

3304. გონიერების რეზუსს ყოველთვის კონფლიქტი აქვს ანტიგენებ-თან, რომლებიც დემაგოგიას ჭეშმარიტებად ასაღებენ.

3305. აღმაფრენით, შთაგონებით, ნიჭით, ნამუსით, პატიოსნებით, შესაძლებელია ივაჭრო, მაგრამ არც უნდა გაყიდო და არც უნდა გაასხვისო.

3306. იდეას, ნაოცნებარს, რეალიზება რომ გაუკეთო, რაღაც საკუთარი უნდა შესწირო, თანაც შენი ნებით და დაუნანებლად.

3307. ზოგჯერ სისულელეც უნდა დაისაჯოს, რათა გონიერება არ გადაცდეს და მაინც სისულელე არ ჩაიდინოს.

3308. მამაკაცის პენისზე, მოთაფლულ ენაზე, ავტორიტეტზე, დიდი იარაღი დამპყრობლისათვის არ არსებობს სხვადასხვა ხალხის დასასათ-რგუნად, გასაქრობად, მათი მოხერხებული და მზაკვრული გამოყენებით.

3309. უბედობის, უბედურების, განცდა ზოგჯერ აუცილებელია, მაგ-რამ საჭიროა თუ არა ეს გონიერების ალგორითმებისათვის, სადავოა.

3310. შიმშილი, თავშესაფარი, გამრავლების მოთხოვნა, სამყაროს ყველა ბინადარს, იმას აკადრებინებს, რისი გაფიქრებაც კი ზოგჯერ შემზარავია.

3311. მცდელობით, ვალს პირველ რიგში ჩვენს მომადლებულ ნიჭს, გენს უხდით და არა ერს, ხალხს, ქვეყანას, რომელიც ჩვენს გასაგებად, დასაფასებლად, დასაფინანსებლად დღეს მზად არ არის.

3312. ყველა ძალადობა გათვლილია «Поезд ушол» და მარცხი მოუა თუ გაიმარჯვებს, არავინ უწყის.

3313. ნიჭი-ცოდნა, სწავლა-ინფორმაცია, მისწრაფება-გამოცდილება, საზოგადოება განვითარების სამ სამ დაწყვილებულ ვეშაპზე ზის, რომელი რომელს სჯობნის და რომელია პირველადი სადაოა, რადგან ერთმანეთის გარეშე რაიმე ხეირიანის კეთება უჭირთ.

3314. უნიჭობა ყოველთვის მოდაშია, რადგან მას შეცილება და პრობლემის შექმნა ნაკლებად შეუძლია.

დემოკრატია — დიქტატურა

3315. ჭიხვინ-ჭიხვინით, მოუმზადებლად, დემოკრატიაში გადაბარგება მათრახის ტლაშუნს მოითხოვს, მაგრამ ქვეყნის პატრონის გამოჩენა რატომღაც დიდხანს აგვიანებს და არ ჩანს.

3316. ცხოვრების გამოცდილებამ გვიჩვენა: კარიკატურულ დემოკრატიას ისევ მის გარეშე ყოფნა სჯობს.

3317. კანონი ყოველთვის იმათ დასჯას ცდილობს, ვინც დემოკრატიის თარგზე ჭრის და კერავს.

3318. დემოკრატია, პირველ რიგში, საზოგადოების ინტერესების დაცვაა და არა ეროვნული წარმომადგენლებისა, რომლებიც კეთილდღეობის დაპირების ფონზე, კუთვნილზე მეტის მითვისებას ცდილობენ.

3319. ჩვენი დემოკრატია ნანატრი შვილივითაა, რომელიც რატომღაც ხეიბრად მოგვევლინა და რა მოვიმოქმედოთ, მოვიშოროთ თუ დავიტოვოთ, ჯერ ვერ გავრკვეულვართ.

3320. დემოკრატიის ხერხებით ქვეყნის მართვას ბრბოს იდეოლოგიის მქონე ხალხის მთავრობა ვერ მოახერხებს.

3321. დემოკრატია ხალხის კეთილდღეობისათვის მყარდება და არა სახელისთვის.

3322. დიქტატურა, დემოკრატიისაგან განსხვავებით კაციჭამია მართველობაა, მაგრამ ხალხის შეწირვაზე სხვადასხვა პოლიტიკური საწებლით, უარს არც ერთი არ ამბობს.

3323. დემოკრატია თავისებური წარმოდგენითი სექსია, რომელიც რეალურ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს.

3324. ჩვენი საშველი არ არის, ქვეყანას ახლად წარმოჩენილი ვიგინდარები თავის ნაცოხნარს, აზროვნების მაკულატურას და ქარის ნათიბს სთავაზობენ და ეს დემოკრატიად მიაჩნიათ.

3325. თავშეუკავებულ დემოკრატიას იდიოტური ქმედების მეტი არაფერი შეუძლია.

3326. წესიერება, წესრიგი, რომელიც ყოფის ინტერესებიდან გამომდინარეობს, დრო და დრო ბიუროკრატიის უხეშ მაჯლაჯუნას უნდა ვანდოთ, მომავლის განჭვრეტის კეთილდღეობით, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დემოკრატიას ამოფარებულნი ერთს ქადაგებენ და სხვას მოიმოქმედებენ.

3327. დემოკრატია რომელსაც საქმე არ მისდის, ბითურია და არა ხალხის ნანატრი თავისუფლება, რომელსაც ცხოვრება დღეს უნდა.

3328. დემოკრატია, სიკეთის ფართო გაგებით, შეფარდებითია და ხშირად უვარგისიც, რადგან გონიერების მუხრუჭებს ხშირად არ ემორჩილება.

3329. უამრავი ნაკლის მიუხედავად, დემოკრატიაზე სხვა უკეთესი სისტემა ჯერ არ აღმოუჩენიათ, ამიტომ ხანდახან მასზე მათრახის გადაჭერაც უნდა ვცადოთ, რათა რეალობას საღი თვალით შევხედოთ, თორემ მის გაფეტიშებაში სიცოცხლე ისე გაგეპარება, რომ ცხოვრებას ვერ შევიცნობთ და საბოლოოდ არც სახელმწიფოებრიობა შემოგვრჩება.

3330. ბნელი წარსულის რეციდივი დღევანდელობაში ხშირად წამოყოფს თავს, რომლის დანახვა თანამედროვე დემოკრატიას და მის პრინციპებს ხშირად არ სურთ.

3331. ყოველნაირი საქმიანობის მოთარგმნა შესაძლებელია, გარდა ჩვენი დემოკრატიისა, შრომისადმი დამოკიდებულებისა და საქმეში ნაცნობ-მეგობრებისა.

3332. ძლიერ მმართველს, პირველ რიგში, შედეგი აინტერესებს, ლმობიერს – დემოკრატიული პრინციპების განვითარება, მიუხედავად იმისა, რომ მართვის მოწოდების საკითხი დღესაც დავის საგანია, რადგან ყველას ჩვენი ოფოფები გვყავს და ხასიათის მიხედვით სად და როდის გავაფრენთ, არავინ უწყის.

3333. დღევანდელი დემოკრატიული ღირებულებების გადამკიდე ცივილიზაცია თანდათან უკულტურობაში ეფლობა და დეგრადირების გზას ადგება.

3334. დემოკრატიის მომიზეზებით ხელისუფლება არ უნდა დავასუსტოთ, მას უნდა შეეძლოს ზოგიერთის გაწირვა თუ ამ ეტაპზე. ქვეყნის ინტერესები ზვარაკს მოითხოვს, ხოლო თუ ვინ იქნება ეს უკანასკნელი, შემთხვევას და ლატარეას უნდა მივანდოთ.

3335. ნამდვილი დემოკრატია ბევრი ხალხისთვის მიუღებელი ფუფუნებაა, რადგან მისი გენეტიკური კოდი ევოლუციას არ ემორჩილება.

3336. დემოკრატიას და თავისუფლებას მაშინ აქვს ფასი, თუ ცნობიერება ეროვნული მოტივის დევალვირებას არ განიცდის და კუჭის ამოყორვაზე არ ფიქრობს.

3337. დემოკრატიული თამაში და სხვა ხალხებისთვის ჭკუის სწავლება მანამ გრძელდება, სანამ თავად „მასწავლებელს“ ამომრჩეველთა დაკარგვის საფრთხე არ დაეშუქრება.

3338. დემოკრატიას, სიტყვის თავისუფლებას, დიქტატურისაგან განსხვავებით, ის აქვს ცუდი, რომ ისტორიის სანაგვიდან ისეთ დემაგოგი-

ურ ამბავს გამოთხრის, რომელიც ორი ქვეყნის, ერის, ურთიერთობას ვნებს, ხოლო დიქტატურა ამას არ კადრულობს, თუ არ დასჭირდა.

3339. სიმდიდრეც დანაშაულია, თუ მის გვერდით სილარიბე დაბორიალობს და მის უსაქმურობას, უსუსურობას ყურს არ უწევს. ამ დროს პიროვნების თავისუფლების და დემოკრატიის პრინციპების მოშველიება მის გულგრილობას ვერ მალავს.

3340. ფუჭ დემოკრატია მთავრდება. იწყება იმ ცხოვრების ალგორითმების ამოხსნა, რომლის გამოცნობა დიქტატურასაც უჭირს. ამიტომაც საზოგადოება ევოლუციის გზით, ყოველგვარი აჩქარების გარეშე უნდა განვითარდეს თავის მენტალიტეტზე და ტრადიციებზე დაყრდნობით.

3341. დღევანდელი დემოკრატია შურის, წამბაძველობის და სულიერების კაპრიზია, რადგან ზოგი მას სისულელეების ჩადენის უფლებად აღიქვამს, მაგრამ ნამდვილად დემოკრატად ყოფნას დრო, სულის დაწმენდა და სწავლება რომ სჭირდება, არავინ დაგიდევთ.

3342. დღევანდელი დემოკრატიის უსუსურობას ისიც ამტკიცებს, რომ ,,ყველა დროის უდიდესი გენიოსი", ძია სტალინი, რუსეთის ზოგ რეგიონებში, თავის ძველ კვარცხლბეკს უბრუნდება.

3343. დემოკრატიის საწყისი იქ სამარდება და იქ წამოყოფს თავს, სადაც მცირე ერების, ავტონომიური წარმონაქმნების და უმცირესობის აზრს ყურად არ იღებენ და გულთან არ მიიტანენ.

3344. დემოკრატიის სახელით, უნიათი მთავრობის ხელში, ხელფასის შესყიდვაც შეიძლება და პრივატიზაციაც, თუნდაც ის, რომ დეპუტატები, ხელფასს და პენსიას, საარჩევნო ბატალიების წინ, უსინდისოდ იზრდიან.

3345. ბუნებით, გენით, არამზადა არ სწორდება. ის არაკაცობის ჩადენისკენ ილტვის და აქ ხედავს ყოფის აზრს, კაიფს. დემოკრატიას მათი შენახვა რჩება ვალად, ხოლო დიქტატურას – მათი საფლავების განადგურება.

3346. დღეს ყველა უბედურების ბრალი რეალური გულგრილობაა, რომელიც რატომღაც დემოკრატიას და სიტყვის თავისუფლებას ამოვაფარეთ.

3347. დემოკრატიის ,,ჯიხურს" ყველა ოპოზიცია თავისი ჭკუის და ყისმათის შესაფერს თავს გვახვევს, მაგრამ არ ახსენებს.

3348. საქართველო დღეს უპატრონოდ მიგდებული დემოკრატიის და სიტყვის თავისუფლების ინსტიტუტის მითვისების მცდელობაა თავის შემართება-მენტალიტეტის და ტრადიციების ხარჯზე, მაგრამ იმედი არა აქვს.

3349. დღევანდელი ევროპელები მერყევად გონიერი და სიტყვით დემოკრატიის და სიტყვის თავისუფლებას გადაყოლილი ხალხია, რომლისთვის მთავარია არა პრინციპები, არამედ სარფიანობა სხვის ხარჯზე. ამის შესანიშნავი მაგალითია თავის დროზე ჰიტლერისთვის წაყრუება და ბუშისთვის საკმევლის კმევა, მოჩვენებითი პროტესტით.

3350. დემოკრატია სოციალისტურ საწყისებზე, მისაღები დიქტატურის გარეშე ნოლია.

3351. ფილანთროპია-კაცთმოყვარეობა სიამაყისთვის მიუღებელია, რადგან საკუთარი ,,მეს" შეურაცხყოფაა იმ ქვეყანაში, რომელმაც დამოუკიდებლობის სტატუსი უკვე მიიღო და მსოფლიოს ელიტაში გაერია.

3352. რევოლუციას დემოკრატიის ბიჭუნები ახდენენ და დიქტატურის ბიჭებად გვევლინებიან, რომელთა უმეტესობა თავზე წარმოდგენას და ცხოვრების უცოდინრობას გადაჰყვება, ხოლო ხალხი ყველაფერს დაივიწყებს.

3353. წყობა უნდა იყოს სამართლიანი და არა – დემოკრატიული, თუ გვინდა ხალხისათვის და ტრადიციებისთვის მისაღები იყოს.

3354. ქვეყნის კონსტიტუცია, სახელმწიფოებრიობის შესაგრძნობად და შესაცნობად იწერება და არა დემოკრატიისა და ხალხზე ზრუნვისთვის.

3355. დემოკრატიაც პოლიტიკაში არჩევითია, თავისი ფორმულებით, ინტეგრალებით და კითხვის ნიშნებით.

3356. მახინჯის დაბადება უფრო დიდი ცოდვაა, ვიდრე მისი ,,აბორტით" მოშორება, მაგრამ დღევანდელ ყბადაღებულ დემოკრატიას ამის ყასიდად გაგონებაც არ უნდა, სანამ ცხოვრების რეალობა და მისი ეკონომიკა ჭიტლაყს არ უთავაზებს.

3357. დემოკრატია ვიღაც-ვიღაცეების გამოსაყენებლად კი არ არის საჭირო, არამედ მისთვის სახელმძღვანელოდ, თუ მომავლის ცივილიზაციამ ნება დაგვრთო.

3358. ღარიბ ქვეყანაში დემოკრატიული პრინციპებით ქვეყნის მართვა შეუძლებელია, რადგან უსათუოდ წამოყოფს თავს ბიუროკრატია და მექრთამეობა, ეს კი ყველა დიქტატურაზე უარესია.

3359. დემოკრატია და სიტყვის თავისუფლება ღირსების გარეშე, უგონოთა დემაგოგია და ხალხის სატყუარაა.

3360. ჩვენს დემოკრატიას დემაგოგიისკენ აქვს მისწრაფება, რადგან გენეტიკურად ანარქიისკენ ვართ მიდრეკილები.

3361. სიკეთის და სიავის კეთება მაინც ერთი კაცის ხუშტურზეა დამოკიდებული და ხშირად აქ დემოკრატიული არჩევანი ვერაფერს ხდება.

3362. შეგნებაც დემოკრატიას და ეროვნულობისკენ მისწრაფებას მოითხოვს, რათა ხალხთა ვნებები ერთმანეთს არ დაუპირისპირდნენ და არ უმტრონ.

3363. დემოკრატია ყველასათვის ხელმისაწვდომი, მისაღები წყობაა, მაგრამ ქვეყნისთვის ხელშესახებ ისტორიას მაინც ძლიერი და რეფორმატორი ხელისუფალი ქმნის, რადგან პირველისგან განსხვავებით გადაწყვეტილებათა მიღებაში დროს არ კარგავს.

3364. დემოკრატიის, თავისუფლების მომხრეებს ხშირად განკარგვა სჭიდრებათ, რათა საქმის კეთება ყბედობაში არ აერიოთ.

3365. სტაბილურობა ჯობს გაუგებარ დემოკრატიას, რადგან შეჩვეულები ვართ და ყოფის, სწავლების მკვეთრად გადაფასებას არ მოითხოვს.

3366. დიქტატურა თავად განსაზღვრავს თავის მტრებს, ხოლო დემოკრატია განსჯის და კითხვებსაც დაუსვამს.

3367. ეპოქის ცვლა ქვეყნის დემოკრატიის ცვლას იწვევს.

3368. დემოკრატია, რატომღაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე უშვებს იმ შეცდომებს, რომელსაც მოსახლეობის ნაწილში მომხრეც ყავს და დამცველიც.

3369. დემოკრატია ყველა სხვა წყობას სჯობს, მაგრამ რეფორმატორად არ გამოდგება.

3370. დემოკრატი გვინდა რომ სხვა იყოს, ამიტომაა რომ მასზე დამყარებული იმედიანი ოცნება არ ამართლებს.

3371. დემოკრატიას ყოველთვის ახასიათებს შინაგანი აგრესია, რომელსაც არ იმჩნევს, მაგრამ ფაქტს ვერ ემალება.

3372. ქვეყანას მაინც ძლიერი ხელი უნდა მართავდეს, დემოკრატიის დახმარებით და პიროვნების პატივისცემით.

3373. ლიბერალური ღირებულება არ ნიშნავს იმას, რომ ქვეყანაში მოწყენილობა, გულგრილობა, დავნერგოთ დემოკრატიის ხარჯზე.

3374. დღეს გაუგებარია, წყვილს რაში სჭირდება ქორწინების სახით დარეგისტრირება, რადგან დემოკრატია აქაც, ასე თუ ისე, თავისუფლებას გვთავაზობს.

3375. დემოკრატიას, თავისუფლების ქარტიას, ადამიანის საბოლოო ბედი კი არ აინტერესებს, არამედ მისი უფლებები. ეს რომ ასე არ იყოს, იქნებ ჯეელების არაცივილიზებული გაროზგვა სჯობს კანონის ძალით მათ ციხეში გამოკეტვას, რადგან პირველმა ღონისძიებამ შეიძლება დამნაშავე გამოასწოროს, მეორე კი გამოუსწორებელ დამნაშავედ აკვალიანებს.

3376. პატრიოტიზმი და დემოკრატია, ნაციონალიზმისა და დიქტა-ტურისაგან განსხვავებით, ღვთის წყალობაა, რადგან საქმის კეთებისას ყბედობაზე და მტრის გამონახვაზე დრო არ იკარგება.

3377. ყბედობის მშიერ თავისუფლებას ისევ დიქტატურა სჯობს ენაზე კბილის დაჭერით და ყბედობაზე კონტროლის დაწესებით.

3378. თავზე ხელაღებულ დემოკრატიას ოცნებით დამუღამებული ბედნიერების მოტანა არ ძალუძს.

3379. კაპიტალიზმის უბედურება ის არის, რომ ყურით მოთრეულ დემოკრატიაზე პიროვნების თავისუფლებაზე, ბიუჯეტის შევსებაზე, ზრუნავს და არა ადამიანის ბედზე, დასაქმებაზე და ღირებულებაზე.

3380. სახელმწიფოს უნდა მართავდნენ დემოკრატი არისტოკრატე-ბი და არა – გაღლეტილი, უვიცი „დემოკრატები".

3381. ძველი ბერძნულ-რომაული „დემოკრატია" ხალხის უშიშრო-ებას ყოველთვის პირველ რიგში და ღირსეულად იცავდა.

3382. რუსეთში კაპიტალიზმის აღდგენა მაშინ დაიწყო, როდესაც ხალხის დანაზოგი დემოკრატიული გზით არჩეულმა მთავრობამ შემნახ-ველ სალაროებში „გააპეტუნა" და მათი განაღდება გაურკვეველი დროით გადაიდო.

3383. დემოკრატიის დანიშნულება სამართლიანობის სადარაჯოზე ავი ძაღლივით უნდა იდგეს და იყეფოს, რათა ხალხს დაანახოს, რომ ის ადგილზეა. იკბინება თუ არა, ეს მეორე საკითხია.

3384. დემოკრატიული ინსტიტუტების შენახვა დაულაგებელ ქვეყ-ნებს ძვირი უჯდებათ, რადგან მათ შორის ბევრია ამბიციური და უაზრო პარაზიტი.

3385. კარგია, ალბათ, ბევრმა რომ არ იცის, ველური მეთოდებით ფულის შოვნა როგორ შეიძლება, მაგრამ ეს ჩვენს დანაშაულს არ ამტკიცებს, რადგან ადამიანის ველური ინსტინქტები და გონიერება ერთმანეთთან დემოკრატიის სახელით ვაჭრობენ, თავს ირთობენ.

3386. მანიაკი კი არ არის დაავადებული, არამედ ის საზოგადოება, რომელიც მას ინახავს და დემოკრატიის მომიზეზებით „უფრთხილდე-ბა".

3387. დემოკრატიული გამოხდომა დემოკრატიულ ღირებულებათა წინააღმდეგ დანაშაულია კუბში.

3388. შემოქმედების მიზანი ადამიანის აღზრდაა და არა – გარყვნა, მაგრამ ეს ჭეშმარიტება გაუთლელი დემოკრატიის ხელში ყველას თა-ვისებურად ესმის.

3389. დემოკრატიას მაშინ აფეტიშებენ, როდესაც ვიღაცას ხალხის „გახლეჩვა“ უნდა და ცდილობს ქვეყნის სათავეში მოსვლას.

3390. დემოკრატია მაშინ დღეგრძელობს, როდესაც კანონისაგან უმცირესი გადახრაც კი მკაცრად ისჯება, რათა საზოგადოება არ გადაგვარდეს და თავისუფლების უკმარისობის მომიზეზებით, სხვა უხიაგი წყობის მსგავსის გაბატონება არ მოინდომოს.

3391. დემოკრატია ზოგს ფელაფრის უფლება ჰგონია და მის გამოყენებას, ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე, თავის სასარგებლოდ ცდილობს.

3392. დამოუკიდებელი ქვეყნის დემოკრატია ვერასდროს შინაგანად თავისუფალი ვერ იქნება, რადგან მასში ნაციონალიზმი და ეროვნულობის გადარჩენის სიმპტომი სჭარბობს.

3393. სამწუხაროდ, დამოუკიდებლობის მოპოვება და დემოკრატიის ეიფორია მაინცდამაინც შრომისკენ არ უბიძგებს ხალხს, მას უფრო არსებულის ნგრევა ეხალისება.

3394. დემოკრატია პასუხისმგებლობაა, თავისუფლება ცხოვრების აზრია, ძალაუფლება მოვალეობაა და ყოველივე ამის აღრევა ბუნტს და არეულობას იწვევს ყოველგვარი მომზადების გარეშე.

3395. კერძო საკუთრება ძალადობის ალაგმვაა, სახელმწიფოს დიქტატიდან დახსნაა.

3396. დემოკრატია კარგია ქედუხრელი და არა – დამთმობი და უაზროდ შემწყნარებელი.

3397. დემოკრატია და ანგარება ერთმანეთისაგან შორს დგანან, მაგრამ ერთმანეთზე თვალი უჭირავთ, რათა ზოგჯერ „მისდაუნებლიე“ გადაცდენა და ადამიანის ვერაგი ბუნება ამით შევიცნოთ.

3398. დემოკრატია, უმთვრესად, უმცირესობის უფლებაა, რათა აზრი გამოთქვას და ამით უმრავლესობას დაეხმაროს.

3399. დემოკრატიასაც თავისი ნიჭი, შემართება და კანონის მუშტის ჩვენება სჭირდება.

3400. დემოკრატია „აქილევსის ქუსლია“: თუ დასჭირდა, ანგარება დროებით გვერდზე იყენებს და შესანიშნავადაც უგებენ ერთმანეთს.

3401. დემოკრატია არის ვნების, მოსწრაფებების, ქვენა გრძნობების, წინააღმდეგ მიმართული დიქტატურა, რათა ანგარიში გაუწიო ზოგჯერ შენთვის გაუგებარ სხვის მოთხოვნებს, შესაძლებლობებს.

3402. ფსევდოდემოკრატიით დაავადებულმა ევროპამ თავისუფლების უმაღლეს საფეხურს „მიაღწია“. მას თავის ქვეყანაში გულსაც აყვედრიან, ჭკუასაც ასწავლიან და „ქრისტიან ღორსაც“ უწოდებენ, რაკი

მესამე სამყაროს შვილები ცივილიზაციას და თავის კულტურას აზიარა, მაგრამ არცერთი მხარე გლობალიზაციის სახელით თავს უმადურობას და უჭკუობას არ უჩივის.

3403. წყობა უნდა იყოს სამართლიანი და არა – ბრიფი, სხვის ხმას აყოლილი „მეც ნახირ-ნახირა“ – დამინახეთ, რა მარჯვედ მოვერგე დემოკრატიასო.

3404. დემოკრატიაა, თუ ადამიანი უმიზეზოდ არ ისჯება და საზოგადოება პიროვნებას აიძულებს ქვეყნის კონსტიტუციის ფარგლებში უზადოდ იმსახუროს.

3405. დემოკრატია, თავისუფლება, გონიერების ჩარჩოში ჩასმული კანონიერების მუშტის გარეშე ვეღარ იარსებებს, რომელსაც თანდათანობით აღზრდა, თანამედროვე მსოფლმხედველობა და გარემო პირობების შექმნა სჭირდება.

3406. პიროვნების კულტის კარიკატურა დიდხანს ვერ იარსებებს, რადგან მოჩვენებითობას ვერც დემოკრატია იტანს და ვერც დიქტატურა გარკვეულ დრომდე.

3407. დემოკრატია, თავისუფლება, ნაღდი, ხალასი უნდა იყოს. მათი მიმბაძველობა არ ამართლებს, რადგან თვალთმაქცობა, ნაძალადეობა, ახლავს.

3408. დემოკრატია თუ ქვეყნის სუვერენიტეტი – ეს უკანასკნელი გადაწონის, მიუხედავად იმისა, რომ პირველი ცხოვრების სასურველ პირობებს გვპირდება, მაგრამ შთამომავლობისათვის ზრუნვა და ერის წარმოჩენის შესაძლო იმედი, ბევრ პირობით კეთილდღეობას გადალახავს.

3409. ერთიდაიგივე საკვები შეიძლება ნედლადაც მივირთვათ და თერმული დამუშავების შედეგადაც, რომელიც ადამიანის ჯანმრთელობაზე სხვადასხვანაირად მოქმედებს. ასევეა დემოკრატიაც, რომელიც ჩვენი გონების წვენში გადახარშული არც ქვეყანას ადგება და არც ხალხს.

3410. ჩემთვის დემოკრატია, თავისუფლება, ის არის, რაც მომწონს და ვეთაყვანები და არა ის, რასაც მთავაზობენ, თავზე მახვევენ და დროის გაგებას არ შეეფერება.

3411. დემოკრატიას, რომელიც ვერ ვითარდება, ხაზინის შევსებას ხელს არ უწყობს, ხალხი არ საქმდება და მასობრივად უკეთ არ ცხოვრობს, ისევ სახელმწიფოს ძლიერებისათვის თავგამოდებული დიქტატურა ჯობს, სადაც ყველას ადგილი აქვს მიჩენილი და ნებაყოფლობით იქნება თუ უიმისოდ საქმით არის დაკავებული.

3412. ბრიფ დემოკრატიას და უგნურ თავისუფლებას, სტატისტიკური მონაცემებით, ყოველთვის სჯობდა ყოვლისშემძლე დიქტატურა და სახელმწიფოებრიობისათვის ჩადენილი ცოდვები.

3413. დემოკრატია, თავისუფლება, ჩვენმა ბუნებამ, მენტალიტეტმა, უნდა მიიღოს იმ დონეზე, რომელსაც ქვეყნის ეკონომიკა მოერგება და მოსახლეობაც მიიღებს და აითვისებს.

3414. ჩვენი დემოკრატიის და ტექნიკური პროგრესის გადამკიდე ალბათ, მალე ანტროიდების – უსქესო არსებების მიღებას დავიწყებთ, ხოლო ვის სჭირდება ეს სასწაული, ფიქრს მოგვიანებით ვიწყებთ.

3415. დემოკრატიასთან დახუჭობანას თამაშს მათრახით და სასუსნავით საქმის კეთება ჯობს, მოთხოვნათა გაზრდით, კანონიერების განმტკიცებით და ჯანმრთელი პოლიტიკით.

3416. დემოკრატია სრულყოფილი არასოდეს არ არის, მაგრამ შინაგანად მაინც გვეხმარება და იმედს გვაძლევს.

3417. დემოკრატია ცივილიზაციის შედეგია, მაგრამ ტრადაიციების დიქტატურის გარეშე მათ ერთმანეთთან საქმე არ აქვთ.

3418. ლიბერალური მსოფლმხედველობა და დემოკრატიული ღირებულებები სხვადასხვა განზომილებაა, რადგან პირველი ზოგჯერ კაპიტულაციაზეც თანხმდება, ხოლო მეორე შემართების და მეობის ჩვენების გარეშე ანარქიას იწვევს.

3419. დემოკრატიის პოლიტიკა შემდეგში მდგომარეობს: მწვავე საკითხი თანდათან დააფეხმძიმოს, ცოტათი ტოლერანტობა დასწამოს, დრო გაიფანოს ბრბოს გონზე მოსვლის საბაბით, მაგრამ ეს ხერხი ყოველთვის არ ამართლებს, რადგან საქმე იმან უნდა გაჩალიჩოს, ვისაც ენა უჭრის და ძალაც შესწევს.

3420. დემოკრატია, თავისუფლება, თანასწორუფლებიანობა, კანონის პატივისცემის, შრომის სურვილის უქონლობის გარეშე ფარატინა დეკლარაციაა და ქვეყნის წინსვლას ხელს უშლის.

3421. დემოკრატიას თავისი ღირებულება, სათნოება და მიმზიდველობა აქვს, მაგრამ მის პრიმიტიულ გადმოტანას, გამოცდილების გარეშე, სიკეთე არც ერთ ქვეყნისთვის არ მოუტანია.

3422. არსებობს ავი ქმედება, მოდა, რომელიც დროულად და ძალით უნდა აღიკვეთოს, რათა მისმა მეტასტაზებმა ფეხი არ გაიდგას და აქ დემოკრატიულ ღირებულებათ ყურით მოთრევა არაფერ შუაშია. მოროდიორობა, ნაციზმი, თუნდაც პერსინგი, დროულად რომ აღგვეკვეთა, ეს ,,ასოთდამშავებლობა" ასე ადვილად ფეხს ვერ მოიკიდებდა.

3423. დიქტატორები ქმნიან ისტორიას და არა – დემოკრატები, რადგან მათი გათავხედება მომდევნო თაობებისთვის დეტექტივივით საინტერესოა.

3424. დემოკრატიაზე გამოკიდებისას არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ სახელმწიფო გვაქვს თავისი მენტალიტეტით და ხალხი საკუთარი თავქარიანობით.

3425. დემოკრატიის პრინციპები არ შეიძლება მის წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული, მაგრამ ,,ფუფლო" – ყასიდ დემოკრატიას ეს არ აღელვებს, რადგან მან ხალხს ყბედობის უფლება მისცა, ხოლო საქმე როგორ უნდა აკეთო არც თავად იცის და არც აინტერესებს.

3426. სიკვდილი ყველაზე დიდი დიქტატორია, რომლის წინაშე ყველა ,,თითს კავავს" და მის ნებას უსიტყვოდ ემორჩილება.

3427. ადამიანის ტვინში ჩახედვა აუცილებელ არ არის, მთავარია, საქციელის დაფიქსირება განსჯით და ეს არის დემოკრატიის აქილევსის ქუსლი, რადგან მას წინასწარ არავინ სწავლობს და მისგან ყოველთვის რაღაც არაჩვეულებრივს და ,,მანანის ბრუღულს" მოელიან.

3428. დემოკრატია, სიტყვის თავისუფლება, აუცილებელი ატრიბუტია საზოგადოების განვითარებისთვის, ოღონდ მკაცრი კანონმდებლობის ფარგლებში. წინაარმდეგ შემთხვევაში, ვერც ეკონომიკურ პროგრესს მივიღებთ და ქვეყნაში ყოფნის სურვილიც დაგეკარგება.

3429. ქვეყნის მართვის მუხრუჭების მოშვება-დაჭერა არ ნიშნავს, რომ კაცობრიობის მონაპოვარ დემოკრატიულ ღონისძიებებს ჩრდილს აყენებენ, უბრალოდ, ცდილობენ ეს უკანასკნელი შენი ხალხის ბუნებას და თანამედროვე გაგებას მოარგონ.

3430. დემოკრატიასა და სახელმწიფო მიდგომას შორის ის სხვაობაა, რომ პირველი მოვალეობას იხდის, ხოლო მეორე ყველაფერს გულით აკეთებს და საქმისათვის კანონის და დემოკრატიის დარღვევას, ალიბის მოშველიებით, არ ერიდება.

3431. დემოკრატია ონანიზმი არ არის, ის უმაღლესი კატეგორიის წესრიგია თავისი კანონმდებლობით და მომავლის ხვედრით, რომელიც ბევრს ისე ესმის როგორც მას ხელს აძლევს და წარმოუდგენია.

3432. დემოკრატია სასიკეთო საქმის კეთებაა თავის არდავიწყებით, ხოლო სოციალიზმი – საქმის მოკვარანჭიხება გამორჩენის იმედით.

3433. დემოკრატიას აქვს უფლება თავი ,,მასმედიის" ხულიგნობისაგან დაიცვას, მაგრამ ყბედობისაგან, ნურას უკაცრავად, თუ რატომ, ჩემთვის გაუგებარია.

3434. დემოკრატია სასიკეთო საქმის კეთების მცდელობაა, თავის დაუვიწყებლად.

3435. დიქტატურას დრამატულ თეატრს, ოპერის და ბალეტის თეატრი ურჩევნია, რადგან აქ მხოლოდ მღერიან და ცეკვავენ და თავიანთი გარდასახვის მცდელობას, თანამედროვეობის გამოხმაურებას, ხალხის შესაძლო რეაქციას და პოლიტიკას არ ეტანებიან.

3436. წესრიგი ადამიანს ათავისუფლებს ზედმეტი ფიქრისაგან, დიქ-ტატურა – გონიერებისაგან, რადგან აჭრილი ქვეყანა სხვანაირად „სკუპს" ვერ გააკეთებს.

3437. სამწუხაროდ, თუ საბედნიეროდ, სახელმწიფო ერთი კაცია, რადგან რამდენიმე კაცის ჭკუაზე ყიალი დემოკრატიას კი ამშვენებს, მაგრამ ყოველთვის არ ამართლებს.

3438. დემოკრატიულ წყობაში კარიერის ნაკლი ის არის, რომ რაც უნდა მონდომებით და შედეგიანადაც იღვწოდე, შენს ადგილზე არ გაგაჩერებენ, თუ არჩევნებში მოწინააღმდეგე პარტიამ გაიმარჯვა.

3439. დემოკრატიის „აქილევსის ქუსლი" დემოგრაფიაა და მისი გადანაწილება აბორიგენებისთვის უმტკივნეულოდ არ მიდის.

3440. დემოკრატიაზე აღმოცენებული თავისუფლების ქანდაკება მა-ნამდეა რეკლამა, სანამ მის გათავისებას არ მოვინდომებთ და არ შევეჩვევით.

3441. დემოკრატიამყფარები, თავისუფლებამყფარები და მშვიდო-ბისმყფარები, ძაღლების სიაფანდ ჯიშს განეკუთვნება.

3442. დიქტატურის მსგავს წყობაზე აგებულ ქვეყანას ლიბერალიზ-მის ბაცილის შეტანა დაღუპავს და არა – ქრონიკული უკმარისობის რუდუნიზმი.

3443. კონსტიტუცია იმ ლამაზმანს მოგვაგონებს, რომლითაც სია-მოვნებით სარგებლობენ როგორც დიქტატორები, ასევე დემოკრატები და ორთავენი მის „უზნეობას" ეთაყვანებიან.

3444. ლაბასა და მუჟუჟს შორის ის სხვაობაა, რაც დემოკრატიულ და თავისუფლების პრინციპებს შორის და ზოგჯერ პირველი უფრო გემრიელია.

3445. ფეოდალური შეგნების ადამიანი, ქვეყანა, ვერც დემოკრატიის დავლურს დაუვლის და ვერც შესაფერის ჰანგებზე ამღერდება, ამას დრო და ევოლუციის პერიოდის გავლა სჭირდება.

3446. ხალხის დემოკრატიული პრინციპებით მართვაა ძნელი და არა მათი პატივმოყვარეობის დამუნათება და პატრიოტიზმის წართმევა.

3447. დიქტატურა იქაა შესაძლებელი, სადაც ხალხის უმეტესობას არ სურს იაზროვნოს და ფანატიზმით არის შეპყრობილი.

3448. ყველა იმპერია კვდება, როგორც კი ტერიტორიების შემოერთებას შეწყვეტს ან ავტონომიების გამოყოფას დაიწყებს, რადგან, უნდა თუ არა, თავადაც დემოკრატიის გზაზე დგება.

3449. დემოკრატია არისტოკრატული უნდა იყოს, სიტყვის თავისუფლება კი დელიკატური.

3450. დემოკრატიის სახელით მოსულნი, მცირე დროის გავლის შემდგომ, ცდილობენ ქვეყანა ლიდერის პრინციპებით მართონ და ივიწყებენ იმ ხალხს, რომელმაც ისინი თავზე წამოიჯინა.

3451. დემოკრატიის ღირებულებათა გათავისება არის შირმა, განსაკუთრებით „ნარევოლუციებ“ ქვეყნებში.

3452. ძალად ბრიყვების მომრავლება დემოკრატიის გულკეთილობის ბრალია.

3453. ყველა დიქტატორი კანონდამუნათებული ბელადია, რომელიც ხალხზე მბრძანებლობს მათივე ნებით და წაყრუებით.

3454. დემოკრატია ქაქის ჭამა უფროა, ვიდრე – ტკბილღვეზელას, მაგრამ თუ მიეჩვევი, გემოვნებაზე აღარ დაობენ.

3455. დღევანდელი დემოკრატიისთვის კონსტრუქციული სიტყვა „ეგოიზმია“, რაც, ფაქტიურად, შენიღბული ხალხზე ძალადობა.

3456. ჩემთვის ყველაზე გაუგებარი უგვანო, განყენებული, არაფრისმოქმედი, დემოკრატიაა, თუკი მოუმზადებელია და კანონის დიქტატი გვერდს არ უმშვენებს.

3457. არჩევითობა არ არის დემოკრატიის უპირველესი ნიშანი, ის უფრო ვალის მოხდა საზოგადოების წინაშე, რადგან დემოკრატიის დამყარებას ევოლუცია სჭირდება და არა – რევოლუცია და ძალადობა.

3458. დემოკრატია არის საზოგადოების არსებობის ფორმა და არა – თვისება ძალაუფლებისა, რომელიც ყოველთვის შეეცდება კანონების დარღვევით ისიამოვნოს.

3459. მეკობრეებსაც ჰქონდათ თავისი დროისთვის მისაღები დემოკრატია და მორალური კოდექსი, რომელიც ყველა დროში გადახედვას, განახლებას მოითხოვს მომდევნო საზოგადოების ცნობიერებაში. ასე, რომ არც დემოკრატიაა უცოდველი და უცვლელი, რადგან ის, პირველ რიგში, ქვეყნის ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს და არა – პიროვნებისას.

3460. დემოკრატიისთვის დედა-ეკონომიკა, დედინაცვალი-ინფლაცია, მამა-მონოპოლია, მამინაცვალი-მიკროეკონომიკა, შვილი-ინვესტი-

ცია, გერი-დევალვაცია, სიდედრი-ობლიგაცია, სიმამრი-წინადადება, ნათესავები-პროტექციონიზმი, ნაცნობები-მოთხოვნაა და ,,ცდა ბედის მონახევრეა", ხოლო ცოლი – ანგარიშია თავისი დებეტ-კრედიტით და ბალანსით.

3461. დემოკრატიული წყობის მიმდევრები ჯერ-ჯერობით არც ისტორიაში ხვდებიან და მატიანე ზრდილობის გულისთვის მოიხსენიებს.

3462. ისტორიას რომ გადახედავ და ისტორიული პირების საქმიანობის ქექვას რომ დაიწყებ, სამწუხაროდ, პეტრე დიდის და სტალინის დიქტატურას გამართლებას უძებნი.

3463. დემოკრატიის გულისხმევით მიღებული პანელური სუვერენიტეტი ხშირად სუროგატს ემსგავსება და ყოყლოჩინობისკენ ილტვის, რადგან, ჯერ-ჯერობით, სხვა თავის წარმოსაჩენი მას არ გააჩნია.

3464. წესრიგის, წესიერების, სურვილი დროდადრო კვდება და მერე კვლავ გვიბრუნდება და ეს იმის მაჩვენებელია, რომ საზოგადოება სრულყოფილი დემოკრატია-თავისუფლებისათვის მოუმწიფებელია.

3465. სოციალიზმი დემოკრატიის დიდი ასპარეზია, თუ მას გონიერების ეკონომიკას და იდეოლოგიას მოვარგებთ.

3466. დემოკრატია მოქნილი პოლიტიკის ინსტრუმენტია, თუ მას მოხერხებულობისა და კომპრომისების დიპლომატიას მოვარგებთ.

3467. დემოკრატია, ეტყობა, მაინც საგიჟეთთანაა ახლო, იმ სხვაობით, რომ პირველმა შეიძლება შენი ყბედობა, უგნურება, უგვანო ქცევა გააკრიტიკოს, ხოლო მეორეში ყბედობა უყურადღებოდ რჩება, სამაგიეროდ დასამშვიდებელ ვაქცინებს გიშხაპუნებენ. ამ ბოლო დროს ხელისუფლება იმდენად დიდ უყურადღებობას იჩენს ხალხის ყბედობის მიმართ, რომ შეიძლება დემოკრატია და სიგიჟე სინონიმებად იქცეს.

3468. ვინც არაფერს აკეთებს, ის ,,გაუსვენებელი მკვდარია", მაგრამ ზოგიერთი ფუფუნებით გარყნილი ქვეყანა საეჭვო დემოკრატიის და იდეოლოგიის მოშველიებით, მათ მუქთად და უმიზნოდ ინახავს და თავიანთი ლმობიერების უგნურება ვერ გაუგიათ.

3469. დემოკრატიას აქვს თავისი ,,ველური" კანონი – რაც იყიდება, ყველაფრის შემოთავაზება შეიძლება.

3470. დემოკრატიის პარადოქსია: მომეცით სრული თავისუფლება, მაგრამ იზრუნეთ ჩემზე.

3471. დემოკრატიის პრინციპია სხვას არაფერი დაუშავო და არა – ადამიანი გადააკეთო.

3472. დემოკრატი მოსალოდნელი ალიყურის მიღების შიშის გარეშე, ვერაფერ სახეიროს ვერ შექმნის.

3473. დემოკრატია თანასწორუფლებიანობისაკენ სწრაფვაა, რაც წყალს უკენებს უფროს-უმცროსობის ინსტიტუტს, რადგან ის ყოველთვის სწორად არ არის გაგებული და სულიერებასაც ვნებს.

3474. დემოკრატია მომთხოვნელობის, პასუხისმგებლობის, გარეშე ცუდად მართავს და ცოდვასაც იდებს, რადგან ის შეიძლება ანარქიამ შეცვალოს.

3475. თუ თათბირი არ ბადებს დიდ აზრებს, რაღა საჭიროა სიტყვის თავისუფლების სახელით ყბედობა, თუკი ყოველივე ერთი კაცის კისერზე უნდა გადავიდეს მხოლოდ იმიტომ, რომ ერთმანეთი ვაკრიტიკოთ, ნერვები ავიშალოთ და დემოკრატიას ,,ჩვენც ნახირ-ნახიროთი'' ნიშანი მოვუგოთ.

3476. დიქტატურა შურიანობის და ბრბოდ ქცეული ხალხის დასჯის შედეგია.

3477. დემოკრატია საროსკიპო არ არის, მაგრამ არც დედათა მონასტერია, მარტო იდეალებზე ლოცვით ხელის გაუნძრევლად რაიმეს გამოვრჩეთ ამ სამყაროს.

3478. ქვეყნის პრეზიდენტი თავის პრინციპებით უნდა იყოს დემოკრატიის ,,მსხვერპლი'' და არა მისი იდეოლოგიის მონა.

3479. დიქტატორული წყობის ატრიბუტია: მთავრობის სულით გახრწნა სხეულის გადაგვარებით, რადგან სილამაზე და განათლება მას არ აინტერესებს, ხალხი კი იმიტომაა გაყუჩებული, რომ ბუნებით ასეთია, თუ ზომაზე მეტად არ შეაწუხებენ.

3480. დემოკრატია და კეთილდღეობა ანტაგონიზმში იქნებიან, თუ ხელს არ გაანძრევ, ჭკუას წიხლს არ დააჭერ და რაც მთავარია, ადამიანად არ დარჩები.

3481. ჩივილის საბაბი დემოკრატიულ ქვეყნებში ყოველთვის მოინახება, მაგრამ დიქტატორულში დაჩივლება დასჯის ტოლფასია ორივე მხარისთვის, ვინაიდან ბუნტია მოსალოდნელი.

3482. დემოკრატია ნათელი აზროვნების შედეგია და მას კანონის უზენაესობის გარეშე სიცოცხლე არ უწერია.

3483. ელიტა მხოლოდ ჩამოყალიბებულ, დაღვინებულ საზოგადოებაში შეიძლება იყოს და არა – არეულში, სადაც ცოდნის ღირებულება დაქვეითებულია და ფული გაფეტიშებულია.

3484. დემოკრატია, წესიერების და კანონის დიქტატურის გარეშე, ანარქიისკენ მისდაუნებლიედ მისწრაფის.

3485. კორუფცია სახელმწიფოს ღალატია, მაგრამ დემოკრატიას რატომღაც ამაზე მრავალი ჩამოუყალიბებელი და გაურკვეველი აზრი გააჩნია.

3486. თვითკრიტიკა, თვითირონია, დემოკრატიას თან უნდა სდევ-
დეს.

3487. დემოკრატიას შინაგანი თვითდაზღვევაც ახასიათებს და თვი-
თირონიაც და პოლიტიკის ჩვეულებრივი მეძავია.

3488. დემოკრატია, სიტყვის თავისუფლება, სასურველია გასაგები
რჩევების მიცემით და არა ნიშნისმოგებით და ცხვირის აწევით.

3489. დემოკრატია, თვისუფლება დაუღვინებელ ქვეყნებში ქაქია
ყინულჭრილში, რომელსაც ზევით არ ატივტივებენ და ყინულის ქვევი-
დან გვაყურებინებენ.

3490. გამოძიება და სასამართლო გადაწყვეტილება, რომელიც თი-
თო თვეზე მეტად გრძელდება, იმ ქვეყნის მართლმსაჯულება დემოკრა-
ტიაზე უაზროდ ,,გადამკვდარია'' და ჩემში პატივისცემას არ იმსახურებს.

3491. ზოგს საზოგადოების თავშეყრის ადგილზე ,,გაქარების'' აკ-
რძალვა დემოკრატიის და ქცევის თავისუფლების დისკრიმინაცია ჰგო-
ნია, ხოლო ამ საქმისთვის ადგილის მითითება – დიქტატურა.

3492. დემოკრატია დიქტატისაგან იმით განსხვავდება, რომ ერთის-
თვის მოვალეობის შეცნობა ნებაყოფლობითია და აღზრდის შედეგია,
მეორესთვის დაძალება და მუშტის მოღერება წესია, ხოლო სახელმწი-
ფოს მართვას ორგანიზაციული ნიჭი და მოწესრიგება სჭირდება და აქ
წყობას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს.

3493. დემაგოგია, ,,გაქნილებათმცოდნეობა'' – უკიდურესად უმთავ-
რობო დემოკრატიაა, სადაც ყველა ძალაუფლების ხელში ჩაგდებას
ცდილობს ,,ხალხის საკეთილდღეოდ''.

3494. ადამიანმა, ისე უნდა იცხოვროს როგორც მას შეუძლია,
საზოგადოებამ, როგორც ქვეყნის ინტერესებს სჭირდება და არა ისე
როგორც მათ სურთ, წარმოუდგენიათ და ფეხის ხმას არიან აყოლილი,
ფსევდოდემოკრატიის სახელით.

3495. დღევანდელი გადასახედიდან თუ ხალხი მთავრობას ,,დედას
აგინებს'' – დემოკრატიაა, თუკი მოკრძალებით ეპყრობა – დიქტატურა
ე.ი. თავისუფლება თავისებური საგიჟეა პასუხისმგებლობის სხვადასხვა
განზომილებით.

3496. დემოკრატია ხალხის ძალაუფლებაა სხვადასხვა გაგებით, ამი-
ტომაც მას რომ ჩირქი არ მოვცხოთ, საჭიროა შევიმუშავოთ დემოკ-
რატიის კონსტიტუცია.

3497. როგორც კი ქვეყანას ღირსეული ოპონენტების მცდელობა
მოაკლდება, მაშინვე ჩნდება დიქტატურის ვირუსი და ბონაპარტიზმის
ბაცილა.

3498. დემოკრატია ყველაზე დიდი უგნურება და დაჯერებაა იმისა, რომ ხალხი თავს აჯობებს, პირად ინტერესებს უგულებელყოფს და ყოველგვარი განათლება-გამოცდილების, დაღვინების, გარეშე ქვეყნის ხეირიანად გაძღოლას ისწავლის.

3499. კაპიკია დემოკრატიის ფასი, რომელიც ქვეყანაში რევოლუციის და ხმის აყოლის შედეგად მოდის, რადგან დემოკრატია საზოგადოების ცივილიზების და დაღვინების შედეგია.

3500. ყველა დემოკრატიას თავისი ისტორია, ფასეულობანი, კანონისადმი დამოკიდებულება და აღსარება აქვს.

3501. დემოკრატიის ქარტიას ამოფარება ხელისუფლებას არ რთავს ნებას დეკლასირებულ ელემენტებს „მამობრივი" ზრუნვა მოაკლოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ადამიანის თავისუფლებაზე და კეთილდღეობაზე ზრუნვა ფარსია.

3502. მსოფლიო დიქტატორები: ჩინგიზ ყაენი, ნაპოლეონი, ჰიტლერი, სტალინი და სხვანი ყველა ქვეყანაში აშლილობის, ბუნტის ატეხვის, ფორტუნის წყალობით, დროის უკუღმართობის და ბედთან შერკინების შედეგად მოვიდნენ ქვეყნის სათავეში და არა – არჩევნების გზით, რადგან მშვიდობის და რეალური ეკონომიკის მოფარულ ხელისუფალს არც ხალხი სწყალობს და არც ისტორია.

3503. დემოკრატია, სიტყვის თავისუფლება, არის მეთოდი, რათა გულგრილი უმრავლესობა მართოს აქტიურმა უმცირესობამ ხალხის გამოთაფანების ხარჯზე.

3504. დღევანდელ ტირანიას თავის დემოკრატია აქვს, ხალხს ყაყანის უფლებას აძლევს, მაგრამ ყოველივეს თავის ჭკუაზე აკეთებს. ასე, რომ ყველაფერი ფარდობითია და დროის ყვილს ესადაგება.

3505. როდესაც ნიკოლო მაკიაველის ნაშრომებს ვეცნობით, დემოკრატიის გადასახედიდან მას ყოველთვის არ ვეთანხმებით, მაგრამ ის ამით თავის ღირებულებას არ კარგავს და დიქტატურის მომხრე პოლიტიკოსებისთვის ის თავისებური მოძღვრებაა.

3506. რეალური დემოკრატიის შედეგად, ყოფა ტოტალური იქნება, შემოვა სტანდარტული გემოვნება, მისწრაფება, ქცევის ნორმები, ყველა საქმიანობა, ქმედება ინდუსტრიალური გახდება, მათ შორის რწმენა, სულიერება, რომელზედაც უდიდეს გავლენას უკომპრომისო გონიერებაც მოახდენს.

დრო

3507. ხშირად გატაცება სიფარულია, მასზე ზემოქმედება არ ამართლებს, ხოლო უტყუარი მკურნალი დროა.

3508. დროის სვლის შეჩერება შეუძლებელია, მაგრამ არის გარემოება, როცა ეს უნდა ვცადოთ.

3509. სამართლიანია ძალა თუ ძალაა სამართალი? ყველა დრო ამის კვლევაშია.

3510. ტალანტის მარტოობა, მისი უყურადღებოდ დატოვება, ხელისუფლების უგნურებაზე და დროის გათავხედებაზეა დამყარებული.

3511. საქმიანობის უნარი დროის ყაირათიანი ხარჯვის ცოდნაა.

3512. დრო გვკარნახობს თავის შეხედულებებს და ჩვენი მესთვის გაუგებარ პრობლემებს.

3513. დროის გაცუცურაკებაც რჩეულთა ხვედრია.

3514. დროის მსხვერპლი სიღარიბეს ემალება, მაგრამ მის კლანჭებს იშვიათად თუ თავს ვინმე აღწევს.

3515. აუცილებელია დაყოვნების და დროის შერჩევის ცოდნა, რათა დაგროვილი გამოცდილება მიზნის მისაღწევად გამოიყენო.

3516. განათლების მიღება თავისებური სიამოვნებაცაა და დროის მოკვლაც.

3517. ზავს და კავშირს არ ირჩევენ, მას დრო და გარემო გვაიძულებს.

3518. ადამიანი მაინც იმის მიხედვით ფასდება, დროს სად, რისთვის და რამდენად სჭირდება მისი გამოყენება, წარმოჩენა.

3519. ყველა ტალანტი მუზეუმებსა და პანთეონებშია მოყუჩებული, რადგან ცოცხლებს დრომ სათანადო ადგილი ვერ მოუძებნა.

3520. ზოგჯერ ნეგატივი პოზიტივისაგან ძნელი გასარჩევია, რადგან ყოველივეს დროის კუპაჟი და გამოცდილება სჭირდება.

3521. რადგან დრო ამოდენა სამყაროს ასე აბრუნებს და აბურთავებს, უნდა ვეცადოთ მისი ჭირვეულობა გონიერების გამონათების მცდელობით გამოვიყენოთ.

3522. ძნელბედობის ჟამს სიავის კეთება უკვე დაგვიანებულია, სიკეთის კეთებას აზრი არ აქვს, სანამ დროის გასაფლანგი წლები არ ჩაერევა.

3523. ტექნიკურ პროგრესს და ფუფუნებას დრო, გარემო, შემთხვევა, უკვეთავს და არა – ისტორიის ნება და ვინმეს სურვილი.

3524. ის, ვინც სუსტს ჩაგრავს და ძლიერს ემონება, მხოლოდ დროის კონიუნქტურის მორჩილია და ქვეყნის მოქალაქე ვერასოდეს გახდება.

3525. კლასიკა ყოველთვის კვებავდა დროის უნიჭობას, ყურის დრო-გამოშვებით აწევით და დავიწყებით.

3526. დროთა განმავლობაში ღირებულებანი იცვლება, მაგრამ ადა-მიანის გენეტიკური ღირსება უცვლელია.

3527. ვინ თქვა, რომ ბედნიერი საათს არ აკვირდება, გააჩნია, რა ღირს დრო და ვინ არის გადამხდელი.

3528. დრო ყველას თავისას მიუზღავს და ისტორიის საკუჭნაოში ადგილს მიუჩენს.

3529. ყველა დრო თავისი სიბრიყვით და პრობლემებით გამოირჩე-ვა, მაგრამ წარსულთან შედარებით უცოდველია.

3530. ადამიანის დროის ჭაშნიკი წარმოაჩენს და არა – მისი მცდე-ლობა და ნიჭი.

3531. რაც გასაფუჭებელია, უნდა გაფუჭდეს, რადგან დროს თავისი გააქვს, ხოლო პროგრესი სიახლეს ითხოვს.

3532. დროის მჯობნი ადამიანი თავს უხერხულად გრძნობს, რაც მთელი თაობის ტრაგედიაა, რადგან საზოგადოება მდორედ ვითარდება.

3533. დიდებას, სახელს, ყველა ვერ უძლებს, რადგან დროს უს-წრებს.

3534. დროთა განმავლობაში ყველა ახლობელი, მეგობარი შენს გონებაში რევიზიას მოითხოვს რეგულარულად.

3535. ყველა ადამიანი თავისი დროის და ინტერესების გარემოში ქამელეონია, გააჩნია, ვის და რის წინაშე სჭირდება პირმოთნეობა.

3536. კროსვორდზე დროის დაკარგვა ფუჭ ინტელექტის გამომზე-ურების საშუალებაა, მაგრამ გართობაა და გამოუყენებელი დროის მოკვლა.

3537. ოცნებისთვის დრო ყოველთვის უნდა დავიტოვოთ, წინააღ-მდეგ შემთხვევაში, ყოფას ვნება, შემართება აკლდება.

3538. სასაფლაოებს თავისი დროის შეუცვლელი პიროვნებები და ფართო მოხმარების ხალხი ამშვენებს, რაც უნდა მკრეხელურად გვეჩ-ვენებოდეს.

3539. ყველამ უნდა გადაიტანოს ირონიით გამოცდა, რომელიც დრომ უნდა განსაჯოს.

3540. გემოვნებასაც, უგემოვნებისაგან განსხვავებით, საზღვარი და პარამეტრები აქვს, რომელსაც დრო კარნახობს.

3541. დროს, ჩვენდა უნებლიედ, მიაქვს ისეთი საჭირო წუთები, რომლებზე წარმოდგენაც არა გვაქვს.

3542. მომავალზე გამუდმებული ფიქრი ყოველთვის არ ამართლებს, რადგან დრო სწრაფად მიიპარება.

3543. წესიერად ცხოვრებას აღზრდა, გარემო, კანონის პატივისცემა, ძლიერი ეკონომიკა და დროის შესაბამისი ,,გამოთაყვანებაც" სჭირდება.

3544. ყველა დრო თავის მოოქროვებას ცდილობს, მაგრამ ბაჯაღ-ლო ოქროთი მოჭედილი ოც საუკუნეში ერთი თუ გამოერევა.

3545. ყველას საკუთარი სიმართლე გვაქვს და ეს ყველაზე დიდი ზადია ჩვენთვის და მომდევნო თაობებისთვის, რადგან მათში გარკვევა და დროის დაკარგვა მათაც მოუწევთ.

3546. აწმყო ტალანტს სათანადოდ ვერ აფასებს და მასზე ნაკლებად ზრუნავს, მიუხედავად იმისა, რომ ამ ნიჭმა მომავალში ერიც უნდა წარ-მოაჩინოს, შთამომავლობაც და ის დროც, რა დროშიც ის ცხოვრობდა.

3547. ვიღაცის მადლიერნი ვართ და რაღაც გვახსოვს, მაგრამ მათი გახსენება დღეს სიურპრიზს არ გვთავაზობს, რადგან დროის ცხოვრე-ბის პროზას შევეჩვიეთ.

3548. ყველა ადამიანი განუმეორებელია, მაგრამ არა შეუცვლელი, რადგან დროის შესატყვისი ადამიანი შესადარებელი ეტალონი არსე-ბობდა და იარსებებს.

3549. ზოგიერთ გონიერ კაცს ცხოვრებაში იმიტომაც უმართლებს, რომ მთავრობაც ფეხებზე ჰკიდია, დროც და ამ დროში მცხოვრები უალტერნატივო ხალხიც.

3550. დროს უნდა სჭირდებოდეს შენი ნამოღვაწარი, ნაფიქრალი, გაკეთებული და არა – პირიქით.

3551. რაც ჩვენ გვაღელვებს და გვსიამოვნებს, ელიტარული არ არის, რადგან ამ უკანასკნელს აღზრდა, შემთხვევა და დრო სჭირდება.

3552. ყველა ეპოქა თავის ,,სიქსტეს მადონას" ხატავს და წარმოქ-მნის, რათა სული არ დაობდეს, სხეულს ვნება არ დაუჭიანდეს და გონებამ აღფრთოვანების და გაოცების უნარი შეინარჩუნოს.

3553. დიქტატორი თუ არა ქვეყანას მომთხოვნი მმართველი, საუ-კუნეში ერთხელ, სახელმწიფოებრიობის შესალამაზებლად, აუცილებე-ლია, რათა მმართველობის აპარატი მოაწესრიგოს და ხალხს მიზანი დაუსახოს.

3554. დროის ჩვენებური სათვალავი, ხარჯვა, იმას მიაჩნიათ ნაკლად, ვინც ცხოვრების გამოცდილება მიიღო და ამჟამად ყოფის გაშლილ ბანქოში უხდება მოღვაწეობა.

3555. წასვლა-მოსვლასაც ყისმათი და დროის განსჯის ალგორითმი სჭირდება.

3556. ხანდახან ყველაზე წარმოუდგენელი წინადადება მისაღები ხდება, თუ დრო გვკარნახობს და გარემოება გვაიძულებს.

3557. ჭკვიან-სულელის რაობას ხშირად დრო განსჯის და არა – აწმყოში მცხოვრები ადამიანები.

3558. დროის შესაფერისი სიძნელეები ყველა საუკუნეს ახასიათებს, მაგრამ ვერც ვერაფერი ასწავლა ადამიანს და ვერც მისი საყვედურები-დან დაიძვრინა თავი.

3559. მთავარი ის კი არ არის, რამდენს ვცოცხლობთ, არამედ რამდენ სიახლეს ვხედავთ და რა დროში ვიმყოფებით.

3560. თავმდაბლობა ადამიანს კი ალამაზებს, მაგრამ მის წარმოჩენის დროს აჭიანურებს.

3561. კომიტეტების და კომისიების შექმნა დროის გაყვანის ფანდია მთავრობის სასარგებლოდ, რომელმაც არ იცის რა მოიმოქმედოს.

3562. წინასწარ დროის დაუდგენლად ყველაზე ნაღდი, უტყუარი, გარდაცვალებაა, რომელთანაც ვერც შეპუებას ვასწრებთ და ვერც – წინააღმდეგობის გაწევას.

3563. ზოგჯერ პოპულარობას დამარცხებაც მოაქვს და დროებითი წარუმატებლობაც – იმიჯია გამოსაცვლელი და დროზე მორგება.

3564. ყველა საუკუნეს თავის თავსატეხი აქვს, ყვერებში მახათის გაყრით.

3565. ჭკვიანსა და სულელს დღეს განვლილი დროის გადასახედი-დან ადგენენ.

3566. განსჯა და გონიერება ხშირად საჭირო დროს ერთმანეთს ვერ ხვდებიან.

3567. „უი, რა დრო გასულა!“ – ეს წამოძახილი იმის მაჩვენებელია, რომ თავაუღებელი შრომა და დროის მაქსიმალურად გამოყენება შე-გიძლია.

3568. სიზუსტე პრეზიდენტების საქმეა, თავაზიანობა – პარლამენტა-რების, პუნქტუალობა – მინისტრების, ხოლო გულგრილობა ბრბოსი – დროის ქურდების.

3569. დრო მეგობარიც არის და მტერიც, სწორედ ამიტომ, ის რაციონალურად, მთელი დატვირთვით, უნდა გამოვიყენოთ.

3570. რადგან ფარისევლური კაცთმოყვარეობა საქმეს ვერ შველის, ჯობს ერთხელ სიმკაცრით საქმის მოგვარება, დროის გაყვანის გარეშე.

3571. ბრბო თავისი შეგნებით დროის სახადია.

3572. ვინც თავის დროს უცდის, ის სამოთხეში ხვდება და იქაც ყოჩაღობს.

3573. ყველა დრო უკეთ ცხოვრებას გვპირდება, მაგრამ არა იმდენად, რომ ჩვენი ამბიციები ბოლომდე დააკმაყოფილოს.

3574. წარსულს ახალმა დრომ შეცდომები უნდა შეუნდოს და ნიშნი არ უნდა მიუგოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, თავად გახდება მომდევნო საუკუნეთა, შთამომავალთა, განსჯის და ალიყურის ჭმევის საგანი.

3575. ზოგს ჭაღარა ამშვენებს, ზოგსაც სიჭარმაგე და მათ მომხიბვლელობაში გარკვევა დროის სიმუხთლესაც უჭირს.

3576. ყველაზე ძლიერია ის, ვისაც არ ეშინია სხვის თვალში დროებით ბრიყვად გამოიყურებოდეს, რადგან დარწმუნებულია თავის შესაძლებლობებში.

3577. დროთა განმავლობაში, გვინდა თუ არა, ადამიანი ცოტათი უკეთესი ხდება და ეს მისი შეგნების, გენის, ცივილიზაციასთან შეთანხმების დამსახურება კი არ არის, არამედ – მატერიალურად უზრუნველყოფისა.

3578. იმქვეყნად ლამაზად წასვლა კი არ არის მთავარი, არამედ განსაზღვრული დროით შენთვის დასამახსოვრებლად დარჩენა.

3579. ერთი ნახვით შეყვარება იძლევა იმის საშუალებას, რათა სიახლის აღქმისა და სხვასთან ჭუკ-ჭუკისთვის დრო გადაინახო და შენთვის განკუთვნილი დრო რაციონალურად გამოიყენო.

3580. ახალგაზრდობა ყოფის მფლანგველია, მაგრამ დრო ნელა გადის, შუა ასაკი დროს ატარებს, მაგრამ დრო შეუმჩნევლად მიიპარება, სიბერე ხელმომჭირნეა, მაგრამ დრო მიფრინავს და წინ ვერაფერი ეღობება.

3581. დროის მოსაკლავ კითხვას, ფიქრიანი კითხვისაგან განსხვავებით, არც აზროვნება სჭირდება და არც – დამახსოვრება.

3582. საათს შეიძლება არ ვატარებდეთ, მაგრამ დრო კონტროლზე უნდა გვყავდეს აფანილი, რათა ფორტუნა ხელიდან არ დაგვისხლტეს.

3583. ყველანი ჩვენი დროის შვილები, მისი მსახურნი და მენტალიტეტის მქონენი ვართ, შთამომავლობას მისი წინაპრის საქმიანობა რაც უნდა უაზროდ და უსარგებლოდ ეჩვენებოდეს.

3584. დრო ვერაფერს ვერ არჩენს, უბრალოდ ჯავრი ქრონიკულში გადაჰყავს და ეს განკურნება გვგონია.

3585. სწავლა ყველა დროში შესაძლებელია, მაგრამ შენი დროისთვის და ასაკისთვის დაგვიანებულზე თავის გადადებით არ ღირს, არც თავად გამოგადგება და სხვისი სწავლებაც დაგვიანებულია.

3586. ბედნიერება წლების მატებით არ განისაზღვრება, არამედ ყოფიერების დროის შეცნობის ანბანით.

3587. დრო ყოველთვის ჩვენს გვერდზე დგას და მხარს გვიჭერს, მიუხედავად იმისა, რომ ვერასდროს გვაძლევს მთლიანად იმას, რაზეც გვიფიქრია–გვიოცნებია.

3588. ტექნიკური პროფესიის გასაოცარი წინსვლის მიუხედავად ადამიანი და დრო ყოფიერებისთვის არ იცვლება.

3589. ვინც ლატარეაში მუქთად მილიონები მოიგო არც ერთი არ გახდა ბედნიერი და უმეტესობა გალოთდა, რადგან სიმდიდრის მორგებას შემართება და დროის უმტკივნეულოდ გაფანის ცოდნა სჭირდება.

3590. მთავარია გონების გაეშმაკება დრომ არ მოგვთხოვოს, თორემ ჩვენს მცდელობას წინ ვერც განგების ნება დაუდგება და ვერც ჩვენი სათნოებით აღზრდა.

3591. ადამიანი მაინც თავის დროს, ყოფას, სიცოცხლეს ემსახურება და არა – ღმერთს, მთავრობას, შთამომავლობას.

3592. დრო დაუნდობლად კურნავს მეხსიერებას და ქრონიკულში გადაჰყავს.

3593. სიტყვის მადლი, გონიერების ძალა. სიკეთის კეთების სურვილი, მალამოა, ხოლო ენის ტარტალი, ვირეშმაკობის მოძალება, რევოლუციაზე ფიქრი, საწამლავია. მიუხედავად ამის ცოდნისა ქვეყანა დროის რომელიღაც მონაკვეთში რა გზას დაადგება არავის უწყის.

3594. რათა დრომ არ გაგვასწროს, ხელი ქველმოქმედებას უნდა მოვკიდოთ, ან იმ საქმეს, რაც მოთმინებას მოითხოვს.

3595. ჩვენ დრო კი არ გვემსახურება, პირიქით მას ვემსახურებით და ვინც ამას დროულად ვერ იგებს, ან ძალაუფლება აუწევს ყურს ან ცხოვრება.

3596. იყო მდიდარი, უშინაარსოდ უნდა იცხოვრო, იქნები ღარიბი და ყოველდღე ფულის შოვნაზე უნდა იზრუნო. რა სჯობს, ვინ იცის, გარკვეულ დროის გასვლის შემდეგ როგორც აქ, ისე იმქვეყნად არაფერს დაგიფასებენ.

3597. ჩვენი დროის გადასახედიდან ხშირად მიცვალებულებს ვაპანღურებთ, მიუხედავად იმისა, რომ საქმით დაგიმტკიცეს მათ მეტის კეთება რომ არ შეეძლოთ, ხოლო ყველაფერში მართალი და უშეცდომო ღმერთიც არ არის ამქვეყნად.

3598. დროის მაგიურ გადაადგილებასთან ერთად ოცნებაც ხურდავდება, ასაკიც ჭაშნიკდება, მაგრამ ვერ გავრკვეულვართ, წლების ამ

მატებით გავიხაროთ, ვინაღვლოთ თუ ყოველივეს პლატონურად შევ-ხედოთ.

3599. რადგან დროის გასწრება არ ამართლებს, მის განზომილებას უნდა მივყვეთ, მცირე ჩასწორებებით და ჯანმრთელობის გაფრთხილე-ბით.

3600. დროის ფორტუნა დიდების სახელს კვებავს და არა – გონი-ერებისას, რომელსაც ჯერ არც დრო დადგომია და არც ოპონენტი გამოსჩენია.

3601. არის დროის სიმუხთლე, როდესაც ხალხი სისულელის ჩადე-ნას მასობრივად ცდილობს და შენც იძულებული ხარ მხარი აუბა, გვერდზე დაუდგე. წინააღმდეგ შემთხვევაში, გადაგთელავენ და შენც მოგისპობენ.

3602. დღესასწაულის მოწყობის დრო შეზღუდულია, ამიტომ რი-გის დარღვევასაც არ უნდა მოვერიდოთ და შემართებაც ამისათვის არ უნდა დავიშუროთ – დროში „ვიწვებით".

3603. სირცხვილი ფიქციაა, რადგან არც ისე მომაკვდინებელია, რომ დრომ ვერ უმკურნალოს.

3604. ამქვეყნად სამშობლოს, ქალის, მშობლის სიყვარულისათვის და ნაშიერთა კვლავწარმოებისათვის ვცხოვრობთ, სხვა ყველაფერი დროის ყვილი და განგების ნებაა.

3605. არეულ დროში ზოგჯერ გონიერების საწყისი ჩაისახება და ირკვევა, რომ ეს დრო არც ისეთი საშიში ყოფილა როგორიც გვეგონა.

3606. ცუდ ადამიანებს დროულად უნდა დავშორდეთ და დავი-ვიწყოთ, რათა ჩვენთვის საგრიალოდ განკუთვნილი დრო სხვამ არ გამოიყენოს.

3607. მხიარულად დროის მოკვლაც ხელოვნებაა და მას სხვას არ ესესხებიან, რადგან ესეც საკუთარი შემოქმედება უნდა იყოს, რომ მისი ნამდვილი გემო გაიგო.

3608. ყოველგვარი პოპულარობა უმტკივნეულოდ გადადის ფულის და დროს ხელში და საბოლოოდ მაინც ეს უკანასკნელი მართავს.

3609. ყველა ჩვენგანის ბედს დრო განაგებს და არა ბედი – დროს. ჩემი თაობის საყვარელ მომღერალს, ვლადიმერ ვისოცკის, დღეს რომ დაეწყო კარიერა, ჩვეულებრივი შოუ-ბიზნესის წარმომადგენელი იქნებო-და და არა – ლეგენდა, რადგან ძალაუფლების დღევანდელ კრიტიკას და მაშინდელ გადაკრულ სიტყვას სხვადასხვა წონა და ფასი ჰქონდა.

3610. დიდ წინაპრებს ტყუილუბრალოდ მივაწერთ ჰუმანისტობას, ისინი მაინც თავისი დროის შვილები იყვნენ. აბა, როგორ ავხსნათ

პუშკინის გენია და მისი ჰუმანიზმი, თუკი თავად გამოუსწორებელი „დუელიანტი“ იყო.

3611. დროის წინაშე დაბნეულობაა ხშირად მიზეზი თვითმკვლელობისა და სულის აშლილობის.

3612. ყველა პოლიტიკის და წყობის დროს მთავარია მუშაობა და უკანმოუხედავად საქმის კეთება, დანარჩენს, ავად თუ კარგად, დრო და შემთხვევა მოუვლის.

3613. მწუხარების მკურნალი დროა და ამქვეყნიური ამაოების შეგრძნების სიბრძნე.

3614. სამწუხაროდ, თუ საბედნიეროდ, დროთა მეფობას არც გონიერება შველის და არც – გამოცდილება.

3615. ჩოხა ლამაზი ტანსაცმელია, მაგრამ ტრადიციები და შეხედულებები დრომ გაჰყო და ამიტომაცაა ამ სამოსით გამოჩენა სინანულნარევი ღიმილის მომგვრელი.

3616. დროის საათის წიკწიკს, საუკეთესო მოგონებებს და სიცოცხლესაც ნაწილ-ნაწილ ვატანთ.

3617. ოცნებით აწმყოში ფრენას, ისევ შენთვის მოსაწონ დროში მოგზაურობა სჯობს, არც გაწბილდები და უფრო სასიამოვნოცაა.

3618. დრომ სიკეთე უნდა შემოგთავაზოს, ხოლო ადამიანმა ფეხი დროულად აუბას.

3619. დროდადრო თავის გასულელება დიდი კაიფიცაა და ჯეელობის წლებთან ოცნებით შეთამაშებაც.

3620. მთავარია, საკუთარი თავისთვის იყო ძვირფასი და არა მხოლოდ სხვისთვის, რის შეცნობასაც დროსთან ჭიდილი სჭირდება.

3621. დრო, რომელმაც ფულის ყადრი და მადლი არ იცის, მომხიბვლელია, მაგრამ უვარგისი.

3622. არ არსებობს საუკუნე, რომლის კმაყოფილნი თანამედროვენი იყვნენ, რადგან მათ ყოველთვის ეჩვენებათ, რომ ისინი უკეთეს დროს იმსახურებენ და უკეთესი ყოფის ღირსნი არიან.

3623. სწავლა ყველა დროში საკმარის მოსავალს იმკის და გარემოს და სახელმწიფო წყობილების ცვალებადობა დიდად ხელს არ უშლის.

3624. დრო სიახლის გამომზეურების, რეკლამის გაბაზრების და ცხოვრების ყადრის შეცნობის უდიდესი ოსტატია.

3625. შეცდომის ჩადენას სისწრაფე უხდება, როგორც ჩადენის, ასევე გამოსწორების დროს.

3626. დროის ქურდებად, ხშირად, ჩვენი უაზრო გართობის და დროსტარების კეთილისმდომნი გვევლინებიან.

3627. ყველა საუკუნეს დროის შესატყვისი მასხარა და ბერიკა ჰყავს, გონების საჯირითოდ, ვნების დასაცხრომად და ამაოების დასავიწყებლად.

3628. პატიოსნებაც ბერდება, ავადდება, ჩიავდება, ძველმოდური ხდება, თუ დრო და გარემო მის მხარეს არ დგას.

3629. დროს უკეთ გამოყენებისთვის მისი დაგეგმვაა საჭირო, მაგრამ ამისათვის ჩვენი ასაკია მარად მოუმზადებელი.

3630. არის ბრწყინვალე, სასარგებლო, უსარგებლო პროფესიები და რომელს აგვარჩევინებს ბედი, შემთხვევა, მთლიანად დროის პერიპეტიებზეა დამოკიდებული და არა – ჩვენზე.

3631. სამწუხაროდ, აწმყოს ღირებულებები ყოველთვის ყალბი და ჩამორჩენილი იყო დროსთან და პიარ-ამბიციებთან შედარებით.

3632. არსებობს საკითხი, რომელიც თავის დროზე უნდა ამოტივტივდეს, რადგან მის ახსნას და აღქმას შერჩეული დრო სჭირდება.

3633. უგნურ დროებას ან ფეხდაფეხ უნდა მიჰყვე ან ჩამოშორდე და ის დრო დაკარგულად ჩათვალო.

3634. წარმატებაც, აღიარებაც, დროულად და დროზე უნდა მოვიმკათ, რადგან არავინ უწყის შემდგომ ქვეყნის მრწამსი როგორ შეიცვლება.

3635. შემოქმედების აუქციონს მაცქერალი განსაზღვრავს და დრო განსჯის.

3636. დროის მსახური მედროვე ჟურნალისტი, მოსამართლეცაა, მწერალიც, რადგან პოლიტიკას და ქლესაობას თავს ვერ ანებებს.

3637. დროულად და უდარდელად ამქვეყნიდან წასვლა, ერთდროულად ნიჭიცაა და ბედის წყალობაც.

3638. უხეში ძალა ყველა დროში მოდაშია, მხოლოდ სხვადასხვა მოთხოვნების გარნირით.

3639. ბრძენი იბადება, გამოცდილებას წლები იძლევა, ამიტომაც ცოლი ლამაზი თუ არა, მომხიბვლელი უნდა მოიყვანო, რათა ყველა დროის თაღლითობას, ჭირვეულობას გაუძლო და გული ვადამდე არ დააბერო.

3640. ლხინშიც და ჭირშიც შორსმჭვრეტელობაა საჭირო და არამარტო ერთჯერადი ზრუნვა და მოყვარეობა, რადგან ამ უკანასკნელს დროის ობი ედება.

3641. დროულად ჩადენილი შეცდომა დროულად გამოსწორების შანსს გიტოვებს.

3642. ზოგჯერ ბრძენი, სულგრძელი, ძლიერი, გარემოებათა გამო იძულებულია უგნურებას, სულმოკლეობას, სუსტს დაემორჩილოს, რაც დროის დაკინვაა და არა განგების.

3643. ცხოვრების მადლს თავის „აიწონა-დაიწონა“ აქვს და დროის საფირით ფასდება.

3644. ცოდნასაც თავისი შემფასებელი, დამფასებელი, გადამფასებელი ჰყავს დროის საფირის შესაბამისად.

3645. ამბავი ცუდი ან კარგი შეიძლება იყოს, მაგრამ დრო მუდამ კარგია და საკაიფო.

3646. დრო ნგრევა-შენების დიდოსტატია.

3647. თუ დროის დამარცხებას ვინმე ახერხებს, მას გენიალობისკენ და უკვდავებისაკენ ნაბიჯი უკვე გადაუდგამს.

3648. ბრბოს არასოდეს ვცემდი პატივს და მათთან ყოფნასაც ვერიდებოდი, მასთან ჩემი შერკინება და თავის გაყადრება ყოველთვის უაზრობად მიმაჩნდა, რადგან ბრბოს ფაქტები ვერაფერს უმტკიცებს, უბრალოდ, მათ დრო კურნავს.

3649. უსაქმურებისათვის დრო და ჟამი უაზროდ მიიზლაზნება.

3650. ერის სიფარულს, პატივისცემას, თანადგომას, იმსახურებენ, მაგრამ საამისოდ ცოტათი ბედმაც უნდა გადმოგხედოს და დროის ყივილიც უნდა შეგეწიოს.

3651. სიკვდილ-სიცოცხლის გზის გავლა ფელას გვიწევს, ზოგს გადაჭარბებული სიზარმაცით, ზოგსაც მომეტებული შრომით, მაგრამ დრო რომ უნდა განვვლოთ, ეს უდაო და განუსჯელია...

3652. წარსულის დავიწყებამ დროს გადატანა იცის, მაგრამ დარდს ცხოვრება უჭირს.

3653. უკვალოდ არაფერი ქრება, უბრალოდ, დროში იჭიმება, ნერვებს გვიშლის, მაგრამ საბოლოოდ მაინც ვიღაცას ადგება.

3654. იდეოლოგია უმთავრესად შიშზე და აკრძალვაზეა აგებული. შემდგომ მოდის ნაძალადევი შეგონება, რომელსაც თაობები ითავსებენ და ტრადიციად აქცევენ გარკვეულ დრომდე, თუ მასში გარეშე ძალები და კატაკლიზმები არ ჩაერევიან.

3655. კაცობრიობას ჯერ არ შეუქმნია ისეთი დრო, საუკუნე, რომელშიაც ადამიანს უპრეტენზიოდ ეცხოვროს და საკუთარი თავისათვის პრობლემა არ შეექმნას, რაც არ უნდა ეს დრო ისტორიის მიერ „ოქროს ხანად“ იყოს მოხსენიებული.

3656. ადამიანი შეიძლება გაუთლელიც იყოს და ცხოვრებაში გამოსულიც, მაგრამ დროის გარანდვა ორივესთვის აუცილებელია, რათა

დადგინდეს საბოლოოდ ვის რა სასაქონლო სახე ექნება საზოგადოების წინაშე.

3657. ეპოქა უცვლელია, იმისდამიუხედავად, რომ დრონი იცვლებიან და თავის მოთხოვნებს გვიჯენებენ.

3658. მთავარია მაყურებელი ცირკის არენაზე, მასხარას როლში, არ მოხვდეს, სხვანაირად კი დროის ყელა კაპრიზს, დაცინვას და გაჭირვებას გაუძლებს.

3659. ადამიანთა მოდგმა არარენტაბელურად იმიტომაც ცხოვრობს, რომ ამქვეყნად დროის სატარებლად არიან მოვლენილნი და არა – სიცოცხლის გასახანგრძლივებლად.

3660. ჩვენ არ შეგვიძლია დროის საიდუმლოს, სიავე-სიკეთის და შემოქმედის გონის შეცნობა და შეიძლება ეს ადამიანთა მოდგმისათვის დიდი სიკეთეცაა.

3661. გვინდა თუ არა, ყელა საკუთარი დროის და მენტალიტეტის შვილები ვართ, რადგან ვარიანტი, რომ სხვა დროში ვიცხოვროთ, ჩვენ არ გაგვაჩნია.

3662. ,,ნიჭიერების მოზღვავება'' ეს ნორმა არ არის, მაგრამ ღირებულებათა გადახედვა, რევიზია, ზოგჯერ დროის მოთხოვნათა შესაბამისად აუცილებელია.

3663. ადამიანი დროის ზემოქმედების და სიმუხთლის ნაყოფია.

3664. რეფორმა ძველი შეცდომების ახლით შეცვლის მცდელობაა, დროის ჭირვეულობით.

3665. ობივატელი, მეშჩანი, მეტიჩარა, მატყუარა და ყელა სხვა ამდაგვარი ,,შესამკობი'' დროის თავისებური ფორმატია, რომელსაც საზოგადოების რაობა ქმნის, მაგრამ რისთვის – უცნობია, გაუგებარია.

3666. როდესაც ისტორია დავიწყებას ეძლევა, თავადაც დღევანდელობით უნდა ვიცხოვროთ და არა მარტო წარსულის გახსენებით, რათა დროს გავუგოთ, გაგვიგოს და ჩვენზე საერთოდ ხელი არ ჩაიქნიოს.

3667. ზღაპარი წლობით კრებს დროის განწყობას, ფოლკლორი ხალხის ხასიათს და მათი ნიჭიერებით შერწყმა შედევრს იძლევა ყელა ასაკისათვის.

3668. დგება დრო დაწყარების, დაღვინების, თავის აღმოჩენის და საქმის გულით კეთების და ამასაც მოთმინების უნარი და ნიჭი სჭირდება.

3669. პიროვნების ხსოვნას ძეგლს ხალხი და დრო უდგამს და არა – ხელისუფლება, რომლის მიერ ,,უკვდავყოფილი'' ხშირად საორჭოფო და სადაოა.

3670. სურვილსაც ასაკი და დროის შერჩევა სჭირდება.

3671. ადამიანი ჩივილისთვის, ბაქიობისთვის, არის დაბადებული, მაგრამ ძირითად დროს წუწუნში ატარებს.

3672. მარადიულობა არ იყიდება, რადგან მას დრო ქმნის, სამაგიეროდ, დრო ფული ღირს.

3673. გარყვნა ყველაზე წესიერი ხალხისაც შეიძლება, რადგან ის დროს მოაქვს და არა გონიერებას.

3674. თუ დრომ ინება ციდან ბედის ვარსკვლავი იწყებს ვარდნას და ისტორია ამ ხალხის ახალი წარმატებული გვერდებით ივსება.

3675. დრო თავის პლიუს-მინუსის დადგენას და ფესვის ამოღებას მოითხოვს, რათა საკუთარი ცხოვრების დინამიკაში გავერკვეთ და შევითავსოთ.

3676. თამბაქოს მოწევა დროის მუქთად გაფანის გამართლებაა.

3677. სხვაობა სქესებს შორის კი არ არის, არამედ აღზრდაში, რომელსაც დრო და ქვეყნის ცხოვრების წესი კარნახობს.

3678. ჩვენს დროს, ადრე თუ გვიან, ყვლი გაუვა და სხვათა დრო დადგება, ღმერთმა ხელი მოუმართოთ, მაგრამ გახსენების სინანული მაინც შემოგვაწვება.

3679. აუცილებლობასა და საჭიროებას შორის სხვაობის დადგენა ხშირად შეუძლებელია დროის და გარემოს გაუთვალისწინებლად.

3680. პრობლემა ერთი დაკვრით უნდა მოვგუდოთ, რადგან მისი გადაჭრა დროს გაფანით და საქმის გაჭიანურებით უფრო ძნელია და შრომატევადი.

3681. ყველა დროისთვის საზოგადოება უნდა მომწიფდეს, რათა სახელმწიფო წყობა მოირგოს, დროს გაეთამაშოს და ბედის ყივილიც არ დააყოვნებს თუ საშუალო ნიჭი ქვეყნის სამართავად მოვა.

3682. მუსიკა კი არ ძველდება და მოდიდან გადის, არამედ შემსრულებელი და მისი დროის მსმენელი.

3683. გუშინწინ, გუშინ, დღეს, ხვალ, ზეგ, მაზეგ, სიტყვის რამდენი მარაგი და დრო აქვს ქართველ კაცს საქმის საკეთებლად. ამიტომაა, რომ მის ნიჭს, შემართებას, მცდელობას, სათანადო შედეგი არ მოაქვს დროის დაუფასებლობის და განუსჯელობის გამო.

3684. ადათ-წესებს, ტრადიციებს, კარგი გამგრძელებელი სჭირდება დროის გონიერებასთან შეჯერებით.

3685. დრო ის ფენომენია, რომელსაც ხელში შემართული თოფი უჭირავს და არავინ იცის, სად და როდის გაისვრის ჩვენი შემართების მიუხედავად.

3686. თეორიულად ბუნება იმდენ დროს გვთავაზობს კუთვნილი სიცოცხლის დასახარჯად, რომ პრაქტიკაში ფუფუნებისკენ ლტოლვას და ხვადობას უნდა შევეშვათ, მაგრამ მაშინ ამქვეყნად მოსვლა კარგავს აზრს.

3687. ახირებულია ის, ვინც ახალს ქმნის, ხოლო ბრიყვი, ვინც ამ ნამოღვაწარს არ იყენებს, რადგან თავისი უყურადღებობით დროის ბორბლის ბრუნვას ამუხრუჭებს.

3688. თეორია დამოკიდებულია ცნობიერების დონეზე და დროის ყოვლზე.

3689. ყველა დროს თავის საიდუმლოება აქვს და აწმყოს ჭკუის სწავლებას, საყვედურს, ვერ იტანს, რადგან გარემოებანი, ხალხის განწყობა და იმ დროის ფორტუნა ჩვენთვის უცნობია.

3690. ყველა დროში ყველაფერზე პასუხის გაცემა შეუძლებელი იყო, მაგრამ ყოველთვის უმთავრესია აწმყო და მისი გაელვება რას გვიქადის.

3691. იქ, სადაც ამომწურავი პასუხი არ არის, ყოველთვის იქნება „მოგვერდი" კითხვები, რადგან ამომწურავი და შეურყნელი პასუხის გაცემა ყველა დროსთვის თავსატეხია.

3692. დრო საოცარი რამ არის: მოლოდინისას ძალზე ბევრია, მოჩქარესთვის ძალზე ცოტაა, ახალგაზრდობაში თავზესაყრელია და არ იცი როგორ დახარჯო, ასაკში არ გყოფნის და სწრაფად მიფრინავს, ჯეელობაში მას არ ვაფასებთ, სიბერეში კი ყველა დღეს ითვლი.

3693. დროს, გარემოს „სიცილ-ხარხარის" მიუხედავად, თავისუფლება – მუდამ წინ მიიწევს და ლაღობს.

3694. დროს მეტ-ნაკლებად ყველა ჩვენგანი ხარკს უხდის და ყოფიერების წვრილმანზე ხურდავდება.

3695. ხშირად უნდათ ღირებულებები დროის ყვილს, სათუო ჭეშმარიტებას, ამსახურონ და ეს დროებით ვნების მოსათოკად აუცილებელია და საჭიროც.

3696. დრო ყოველთვის გამოინახება, თუ სურვილი და შეძლება მხარს დაუჭერს.

3697. საკრალური დრო სამყაროს შექმნიდან იწყება და გაცოცხლებას მოითხოვს, რადგან ეს არის ერთიანი სივრცე, სადაც წარსულის ფაქტების ხელახლა გადათამაშებას აწმყო უსიტყვოდ მხარს უჭერს.

3698. ყველას გვინდა ჩვენს დროს ვაჯობოთ, მაგრამ მიმართულებას ვირჩევთ მცდარს ან ნებისყოფა არ გვყოფნის.

3699. პიროვნებას დრო წარმოაჩენს და არა – აწმყოსათვის ჩალიჩი.

ებრაელები

3700. ებრაელი ერის სიდიადე ის არის, რომ სხვის ქვეყანაში თავიანთ სამშობლოს ქმნიან: ენის, სარწმუნოების და დამწერლობის შენარჩუნებით. ამით თავიც შემოინახეს და საკუთარი ქვეყანაც აღადგინეს.

3701. სხვა ერის წარმომადგენლები თავიანთ დანაშაულზე თუ თავად აგებდნენ პასუხს, სხვის დანაშაულზე ებრაელს სჯიდნენ. შედეგად ისინი იძულებული გახდნენ ერთმანეთი გაეტანათ და საქმეც ერთად ეკეთებინათ, რაც მათი სიძლიერის, გონიერების, სიმდიდრის, საწყისი გახდა სხვათა უპასუხისმგებლო გადამლაშების ფონზე.

3702. „გოიმი“ არაებრალს ნიშნავს და არა იმას, რაც ქართველებს მოსწონთ და თავის სიამოვნებისათვის ხიხოდ, უვიცად მოთარგმნიან.

3703. ებრაელ ერს ერთი ლამაზი ღირსებაც აქვს, ისე გაგიშინაურებს და გაგიშინაურდება, ახლოსაც არ გაგიკარებს და თავის ეროვნულობაზე, რწმენაზე, საკუთარ „მე“-ზე ხელსაც არ შეგავლებინებს. ეს არის მათი უკვდავების და ერის გადარჩენის გარანტი.

3704. საქართველოში ყველაზე უკეთ ებრაელები იქცეოდნენ, მათ არასოდეს მოუთხოვიათ თემიდან გამოყოფა, მიწის ნაგლეჯი და ავტონომია, ხოლო ქართველებს არასოდეს შეუზღუდავთ მათი ენა, კულტურა, სარწმუნოება, მენტალიტეტი, რადგან სიყვარულის გარდა არაფერი ჰქონდათ გასაყოფი.

3705. ისტორიული თუ „დე-ფაქტო“ სამშობლო ორივე ერს დიდ ვალს ადებს, რომლის გადახდა მათი ქვეყნების დაახლოებით შეიძლება (საქართველო-ისრაელი).

3706. ებრაელი ერი იმითაც არის საინტერესო, რომ სხვა ერის შვილები თავიანთ უნიათობას, უფხობას, უგერგელობას მათ აბრალებს, მაგრამ ფულის შოვნის და ჭკუის სწავლება მათთვის არავის უკადრებია.

3707. ყველა ებრაელი სიონისტია, ყველა სიონისტი – ანტისემიტია, ყველა ანტისემიტი რატომღაც ებრაელია. მიუხედავად ზემოთ თქმულისა, მკვდარი ძაღლის ჩამოკიდებას ყველა ამ ერზე ცდილობს.

3708. ებრაელები ეტყობა, ერთდროულად წინასწარმეტყველების, მეცნიერების, ვაჭრების, ნაშიერნი არიან და ამიტომ იძულებულნი არიან პოლიტიკაშიც ცხვირი ჩაყონ და სხვასაც ყოფის მოწყობაში დაეხმარონ. ამასთან საზოგადოების განვითარების ღილაკთან ახლოს ყოფნას ცდილობენ, რათა საჭიროების ჟამს მასზე ცხვირის დაჭერა შეძლონ.

3709. სამყაროში ყველა ებრაული დასახლება მათი გონიერების დაფინანსებულია.

3710. თუ ერთი ებრაელის დანაშაულზე ყველა ებრაელმა პასუხი არ აგო, ებრაელი ხალხი გადაგვარდება.

3711. ებრაელი ღირსეული და საშური ერია, რომელთაც გონებით ყველა პატივს სცემს, მაგრამ გული შურით ევსებათ.

3712. ქართველებსა და ებრაელებს შორის ის მსგავსებაა, რომ ორ-თავეს სხვის ხარჯზე ცხოვრების სურვილი აქვს, ერთი სხვაობით, პირველი ამის შესაძლებლობას ფლობს, მაგრამ მისი შურთ და ხელი ეცარებათ, ხოლო მეორე მცდელობას აღასრულებს ურთიერთთანადგომით.

3713. როდესაც ებრაელი ქალი რაიმეს ჩაიფიქრებს, შეგიძლია მის ასრულებაში ეჭვიც არ შეგეპარო, რადგან მათი წეს-ადათით შვილი დედის საკუთრებაა ე.ი. ის ოჯახის გამგებელი და ცოლია კვადრატში.

3714. ,,ნეტა ერთი ჭიჭიკიას მამაკაცური ღირსება მომცა და ბიჭ-კიას ქალი, რას ვისიამოვნებდით!" იმავეს ფიქრობს ებრაელი, მაგრამ, ქართველისგან განსხვავებით, ამას ახერხებს კიდეც, თავანსაც იღებს და მოგებაც რჩება.

3715. ებრაულ რელიგიას არც ერთმა ,,შვილმა", და ,,ნაშვილებმა" არც ქრისტემ და არც მუჰამედმა არ გაუმართლა და ყველაზე მეტად ისინი ვნებენ მას, მაგრამ ეტყობა რწმენასაც ასაკის მატება, დაღვინება, სჭირდება გონების მოსაკრეფად და მადლიერების სათქმელად.

3716. არიან უნივერსალური ერები და მათი უპირველესი წარმო-მადგენელი ებრაელები არიან.

3717. ებრაელებს აიძულებდნენ ფული იმ საქმეში ეშოვნათ და გამდიდრებულიყვნენ, სადაც თავადაც ვერ წარმოედგინათ, შედეგად ეს ხალხი არა მარტო მდიდრდებოდა, არამედ გონიერებასაც იძენდა და ურთიერთმხარშიდგომასაც სწავლობდა.

3718. ებრაელები სამყაროს წინაშე ნაჩალიჩარი, ნაღვაწი, მორწმუნე ერია.

3719. რა იქნებოდა ან იარსებებდა კი ებრაელი ხალხი, ამდენი მოშურნე რომ არ ჰყავდეს?

3720. ცივილიზაციის კუდში დევნის მიუხედავად, ზოგი მაინც ვერ იშლის სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფას და იმ საქმით დაინტერესებას, რომელიც არ ეხება და არც შედეგი აინტერესებს.

3721. ებრაელი ერი რომ ცხოვრების არშიყი და მოხერხებული არ ყოფილიყო, საკუთარ რწმენასთან მიმართებაშიც კი, შეიძლება არც შემორჩენოდა სამყაროს, მათ ისტორიიდან გამომდინარე.

3722. ებრაელები მათმა ღმერთმა ძალზე მოწყალედ დასაჯა და გაამდიდრა, როცა მრავალი ქვეყნის მიწაზე აცხოვრა, მათგან საუკეთე-სო გადმოაღებინა, შემდგომ ისევ თავის მიწაზე მოახვედრა, უფრო გონიერები გახადა და უკეთესი კულტურა შეუქმნა.

3723. გონიერ ებრაელს შევაჭრება არც თავისი ბინის ჩხრეკის დროს ამოღებულ მილიონებზე ავიწყდება და პოლიციელებს ნახევარში ,,უჯდება".

ეკონომიკა, ბიზნესი

3724. საბჭოთა კავშირის დაშლა უპირველესად მისთვისაც და სხვისთვისაც გაუგებარი ეკონომიკის ბრალი იყო: ის, რაც ძვირი უნდა ყოფილიყო: საკვები, კომუნალური მომსახურება, ბენზინი, გართობა – იაფი იყო, ხოლო რაც იაფი: ტანსაცმელი, ავტომანქანა, ავეჯი – ძვირი და დეფიციტური.

3725. ყველა ჩვენგანი უნდა აკეთებდეს სხვისთვის დაუნახავ დიდ საქმეს, მაშინ გვექნება სახელმწიფო და ღირსეული ეკონომიკა.

3726. რეფორმა მაშინ იძლევა შედეგს, როცა შემართებას გონიერებით წვეთ-წვეთობით ვრწყავთ და კრედიტებით უხვად ვანოყიერებთ.

3727. ნაწარმის ღირებულება უფრო რეკლამით ფასდება და არა მასზე გაწეული ხარჯებით და მისი საჭიროებით.

3728. ხუმრობაც თავისი ასორტიმენტით და ხარისხის შესაბამისად უნდა გავყიდოთ და ვივაჭროთ.

3729. ხელგაშლილობას, გულუხვობას, თავისი განზომილება და ხარისხი უნდა ჰქონდეს, თუ უნდა ის დაფასებული, კვლავწარმოებული, შედეგიანი და მისაბაძი იყოს.

3730. გეგმიანი ეკონომიკა თავისუფალი ეკონომიკისგან იმით განსხვავდება, რომ პირველს შეიძლება შენი უნიათობა გადააბრალო, ხოლო მეორე შენგან არაფერს დაივალებს.

3731. სახელმწიფოს უფლება არ აქვს ეკონომიკის დეზერტირი იყოს, ოღონდ საამო სურვილებით და მისთვის მოსაწონი შედეგებით.

3732. ბიზნესი შეცდომების, გაკოტრების გარეშე მართვა, ცხოვრების პრეისკურანტით გატარების ტოლფასია.

3733. ზოგიერთი აუქციონი ქისების და საბანკო ჩეკების ბრძოლას მოგვაგონებს, სადაც გამარჯვებული ხშირად უცნობად დარჩენას ცდილობს.

3734. მეგობრობიდან სულიერებას თუ გამოვრიცხავთ, უფრო მეტად ზარალს განვიცდით, ვიდრე ვხეირობთ, რადგან ბიზნესის წარმოების არატირაჟირებული კანონი მათთან საქმის წამოწყებას კრძალავს.

3735. მავანი, რომელიც ფულს აკეთებს და სიკეთის კეთებით ხელს ითბობს, ბიზნესს ყოველთვის სწორად წარმართავს.

3736. კაპიტალი მფრთხალი კურდღელია, ის თავმოწყვეტილი გარბის იქედან, სადაც თითს უქნევენ და მარიონეტების კანონით ემუქრებიან და იქ გადაბარგდება, სადაც ეფერებიან და რეალური საქმიანობის უფლებას აძლევენ.

3737. ჩვენს გემოზე ცხოვრების უფლებას ხან ხელისუფლება არ გვაძლევს, ხან – ირგვლივმყოფთა შური და თუ ვინმეს ჩვენი ბიზნესის გვერდზე გაუვლია და გაუგია, წინააღმდეგი არ არის წილში ჩაგიჯდეს.

3738. ქვეყანაში მანამდეა „ბაზარი", სანამ საბაზრო ეკონომიკას სახელმწიფო გემოს არ გაუგებს და არ განვითარდება.

3739. საქმის საკეთებლად მომხიბვლელობა ვაჭრობს და არა – სილამაზე.

3740. ბიზნესში წარმატება ხშირად შემთხვევის, გამართლების, დროის ყოვილია, შემდგომ – მოდის მცდელობა, რჩევა-დარიგება, მაგრამ მთავარი მაინც სურვილი და მცდელობის უნარია.

3741. სოციალური პასუხისმგებლობა და პატრიოტული ბიზნესი ეს არის ვალდებულება შენი ქვეყნის წინაშე, რომელიც შენთვის არავის დაუვალებია.

3742. იდეოლოგია არის ეკონომიკის შესაძლებლობა, ხოლო იდეა – სოციალური აუცილებლობა.

3743. დღეს რომ საქართველოსთვის ჩემი ეკონომიკური და ინტელექტუალური აღმოჩენების გარკვეული ნაწილი შემომეთავაზებინა, მოსახლეობის 95% წინააღმდეგი იქნებოდა. არა და ამ სახის ფინანსური გაჯანსაღება ქვეყანას ფეხზე დააყენებდა, მაგრამ ხალხს ქვეყნის ასაფავებლად, ყბედობის გარდა, რეალობაში სხვა არაფერი აინტერესებს.

3744. მწარმოებლურობის ზრდა, ტექნოლოგიური პროგრესის, ხარისხის, გარეშე დამღუპველია ქვეყნის პერსპექტიული ეკონომიკისათვის, რადგან იზრდება წიაღისეულის აღუდგენელი ხარჯვა.

3745. სანამ ჩემს ხალხს ქურდობა ფულის შოვნად და ხელფასის დანამატად მიაჩნია, მანამ ქვეყნის ეკონომიკას არაფერი ეშველება.

3746. ბიუჯეტის დეფიციტი ყოველთვის უნდა ბადებდეს უნდობლობას ხელისუფლებაში.

3747. ბიუჯეტის დეფიციტს და სეკვესტრს იმ მწარე წამლით მკურნალობენ, რომელსაც მომჭირნეობა, თავისუფალი ბაზარი და კანონის დიქტატურა ჰქვია.

3748. კონფლიქტის ყიდვაც შეიძლება, თუ მისი სარფიანად გაყიდვის შანსი არსებობს.

3749. თანამედროვე ეკონომიკას ტექნიკური პროგრესის გარეშე წინსვლა არ უწერია, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტს – მისი შესაფერისი შევსება. ამიტომ ხელისუფლება სანამ ქვეყნის მართვას შეუდგებოდეს, სხვა ქვეყნების მიღწევებს უნდა გაეცნოს და თავისი ქვეყნის გონიერ

შვილებთან ერთად გადახარშოს, საკუთარი სახელმწიფოს შესაძლებ-ლობებს მიუსადაგოს, თუ უნდა ქვეყანას რაიმე არგოს.

3750. ეკონომიკას ეკონომიკურ ღირებულებათა არსებობის გარეშე არსებობა უჭირს, მაგრამ არც გადამეტებული ღირსებით და მოვალე-ობის შეცნობით იშოვება დიდი კაპიტალი.

3751. ქვეყნის ვალის ოდენობა ინვესტიციის კოზირებით არასოდეს გადაიხდება, თუ მას სასიკეთოდ არ ვაბანდებთ და ქვეყანას მმართველი არ ჰყავს.

3752. ეკონომიკაში მანამ იქნება ანარქია, სანამ ვაგონებად დაბადე-ბულნი ორთქმავლობას ეცდებიან.

3753. ბიზნესისთვის სამშობლო და „ვაშა პატრიოტიზმი" არ არსე-ბობს, რადგან ის იქ ხარობს, სადაც ხელს უწყობენ და პატივით ეპყრობიან კანონიერების ფარგლებში.

3754. ბიზნესსა და სპეკულაციას შორის ის სახვაობაა, რომ პირველი ფულს კანონზომიერების შედეგად იგებს, მეორე გარემოებათა ვირეშმაკობის გამო შოულობს.

3755. პარტნიორობას ერთნაირი საჩუქრები და სხვადასხვა მუხრუ-ჭი სჭირდება.

3756. ერთიდაიგივე ნივთი მეზობელს სამჯერ მეტად არ უნდა ვათხოვოთ, რათა საკუთარის შეძენა ისწავლოს, რაც შეეხება წყენას, ყურადსაღები არ არის, რადგან თქვენს ჯინაზე ყიდვა ისწავლა და მათხოვრობას გადაეჩვია.

3757. ხელისუფლება დამყარებული უნდა იყოს მომხიბვლელ ეკო-ნომიკაზე, მოქნილ ბიზნესზე და საგადასახადო მუშტის ჩვენებაზე, თუ გვინდა ხალხიც და ბრბოც ქვეყნის სასიკეთოდ დავასაქმოთ.

3758. ბიზნესი მკაცრი სინამდვილეა, მან მოგება უნდა მოიტანოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, განწირულია.

3759. სიმდიდრე ხალხს უნდა მოელაპარაკოს და წილში ჩაისვას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის საფრთხის წინაშე აღმოჩნდება.

3760. ბიზნესი თვისებურად ბედზედ ნადირობაა და არავინ იცის, სად გაამართლებს, მაგრამ სანადიროდ ულირსობის ნაკრძალი არ უნდა ავარჩიოთ, რათა ფულის კეთების ჭუჭყში შთამომავალი არ გაისვაროს.

3761. ბიზმესმენია ის, ვინც სიახლეს ნერგავს, ხარისხს აუმჯობესებს, ბიუჯეტს კუთვნილ გადასახადს უხდის, ხოლო ვაჭრუკანა ფველაფერს საპირისპიროდ აკეთებს და სულ სხვის გაცუცურაკების ცდაშია.

3762. „ჩემია", ადრე თუ გვიან, „ჩვენია" ჯობნის და მას ვერავითა-რი იდეოლოგიის მაქინაცია ვერ უძლებს.

3763. ბიზნესში თანმიმდევრობას დიდი მნიშვნელობა აქვს: ფუფუნება არასოდეს არ უნდა უსწრებდეს ტექნიკურ პროგრესის რაციონალურ მოთხოვნებს, თუ გვინდა ფულის მშოვნელი ხალხი არ გათავხედდეს.

3764. ეკონომიკაში სხვა ქვეყნების მონაძოვი შეიძლება გავითვალისწინოთ, მაგრამ მათი ნაცოხნარის გამოყენება სასურველ შედეგს არ იძლევა.

3765. ეკონომიკა და ბიზნესი სხვადასხვა, რადგან პირველი თვითმყოფად ნიჭზე, ხალხის ბუნების ცოდნაზე და კომპრომისის ძიების უნარზეა დამყარებული, მეორესთვის კი დროის ყივილი, შემთხვევა და გამართლებაც საკმარისია, ერთი ჭანჭიკის ბოლომდე დაუჭერლობამ შეიძლება ეკონომიკის კრახი გამოიწვიოს, ბიზნესისთვის კი ამ ჭანჭიკის დაკარგვაც არაფერია.

3766. ბიზნესი ფაკირის ხელოვნებას მოგაგონებს. სანამ მისი წარმატების მექანიზმს გაეცნობოდე, შედეგით გაკვირვებული და აღფრთოვანებული ხარ. როგორც კი ჩასწვდები მის მექანიზმს, შური გიპყრობს, ამას მეც ხომ გავაკეთებდი, ვინმეს რომ ეკარნახაო.

3767. ბიზნესი შემოქმედება, გამართლება, სპონსორობა, კანონის განმტკიცებაზე ზრუნვაა, ქვენა მისწრაფებებით და მოგებაზე ფიქრით.

3768. მატერიალიზმისაკენ მომზირალი სულიერება ეკონომიკაა, ხოლო გამატერიალისტებული სული – ბიზნესი.

3769. ფულს მაინც სახელი, თანამდებობა, პატრიოტიზმი სჯობს, მაგრამ ბიზნესი ამ „ბალასტის“ ზომაზე მეტ აკიდებას ვერ იტანს.

3770. სიმდიდრე მოწოდებულია სამუშაო ადგილების შესაქმნელად, სიახლეთა დასანარგად, რათა სხვაც აცხოვროს, თავიც უზრუნველყოს და არა იცხოვროს ფუფუნებაში, რომელიც ხშირად ავანტიურაში, ნარკოტიკებში, კაზინოში ხურდავდება.

3771. ბაზრის კონიუნქტურის ცოდნის, ნედლეულის რაციონალურად გადამუშავების და ერის ნაციონალური ხასიათის გაუთვალისწინებლად ქვეყნის ეკონომიკა ვერ იმარჯვებს.

3772. ბიზნესი გარკვეულ ცოდნას და შემართებას მოითხოვს ბედის კამათლების გაგორებით, რომელსაც დრო და შემთხვევა მფარველობს.

3773. ბიზნესი ბედის ყომარია, ეკონომიკა გამოცდილების და სისტემაში მოყვანილი ფანტაზიის.

3774. ეკონომიკას, ხუშტურა ხელისუფლებიის მამობას და ცვალებადი კანონმდებლობის დედობას, ისევ ობლობა ურჩევნია, მაგრამ ამის უფლებას არ აძლევს კარიერის მაძიებელი ბაბუა და ცხოვრების კაიფის

მცოდნე ბებია. ამიტომაც ღაფავს სულს ამ ახლობლების ხელში ჩავარ-დნა ქვეყნის ბიუჯეტი.

3775. ბიზნესი ანგარიშიანი ბედია, რომელსაც შემთხვევა და უკანა-ლის განძრევა სჭირდება.

3776. პორნოფილმის შემქმნელნი და მსახიობები კი არ არიან უკეთურნი, არამედ მაყურებელი და ვიდეო ჩანაწერების გამსაღებლები, რომლებიც ამ ახირებას ბიზნესად აქცევენ.

3777. ხელობის ცოდნა დამატებითი შეუმჩნეველი ეკონომიკური შემოსავალია ოჯახის ბიუჯეტისთვის, თუ მას მოხერხებულად გამოვიყე-ნებთ შინაურებში და ჩვენს კეთილმოსურნეებში.

3778. დროებით დეკლარირებული ნაციონალიზმი და ხალხის მო-ბილიზება, ეკონომიკას გარკვეულ პერიოდში აღაზევებს, მაგრამ გონი-ერებას არ შველის, რადგან ეს ის დუღილის ბაქტერიაა, რომელმაც თავისი საქმე გააკეთა და მისგან უკვე მზა პროდუქტის სახით წინწასუ-ლი გონიერება უნდა მივიღოთ.

3779. ოჯახის ბიუჯეტის თვალსაზრისით, პროდუქციის შესაფუთი ტარა იაფი უნდა იყოს, მაგრამ რეალიზაციის მხრივ გაუმართლებელია, რადგან „თვალი ჭამს და თვალი სვამს“ და ეს იყო სოციალური ეკონომიკის უარყოფითი, „ბრენდი“, რომელმაც არ გაამართლა, რად-გან ხალხის ბუნება ყოველივე რაციონალურს, ზომიერს და გონიერს ვერ ეგუება.

3780. თავის პატივისცემაა, როდესაც ნახელავი საუკეთესოა და მის შეტყუებას არ ცდილობს. სანამ ამას ქართველი არ შეისისხლხორცებს, მანამ ჩვენი გაევროპელება შეუძლებელი გახდება, რადგან უაზრო სტუ-მართმოყვარეობა, უანგარიშო გულკეთილობა, თავზე გადამეტებული წარმოდგენა, ადრე თუ გვიან, გამჟღავნდება და წესიერი ბიზნესი ახ-ლოს არ გაგიკარებს.

3781. წინათ ბაზარში მთავარი სიამოვნება შევაჭრების ცერემონია-ლი იყო, შემდგომ ყიდვა-გაყიდვა, რადგან საქონელს მწარმოებელი ყიდდა. დღეს ყველაფერი პირიქით ხდება, რადგან ვაჭრობა მწარმოე-ბელს ძალზე დააშორეს.

3782. ეკონომიკა მაშინ იჩენს ფხას, თუ თავისებურად დამოუკიდე-ბელია – კანონს პატივს სცემს, მაგრამ არ ემონება.

3783. „სპეკულიეშენ“ – ჩვენებურად სპეკულიანტი, გადამყიდველი ინგლისურად და ბიზნესის ენაზე, მოაზროვნეს ნიშნავს, ჩვენს შეგნებაში ის ძველებურად წურბელა, მატყუარა და ვაჭრუკანაა.

3784. არყის დამსახურება ბიუჯეტის შევსება-გადიდების და ეკონომიკა – მომჭირნეობის საქმეში უდიდესია. მისი მოჭარბებული მოხმარებით ადამიანისთვის აქტიურ პერიოდში შემოსავალს ზრდის, ხოლო პასიურ პერიოდში პენსიონერებს იმქვეყნად ვადამდე ისტუმრებს და სახელმწიფოს ხარჯებს უზოგავს.

3785. ეკონომიკა-ბიზნესში ფულის შოვნა-დაგროვებას სხვა აზრი აქვს, ხოლო ხალხის მხრიდან არსებული ტარიფებ-გადასახადის შენარჩუნების სურვილს – სხვა მისწრაფებები. ასე, რომ მათ შორის ვაჭრობა და საეთო ენის ძებნა გარდაუვალია და აუცილებელიც.

3786. პერსპექტიული ეკონომიკა დღევანდელ ქათამს, ხვალინდელ წიწილებს არჩევს, რეალური – დღევანდელ კვერცხს.

3787. ცოდნა ბიზნესიდან ჯიბეების მოჩხრეკას მოითხოვს, რადგან მოგების საფეხურების დაპყრობაში ის მას ეხმარება.

3788. ხალხს ფინანსთა მინისტრის ვინაობა კი არ უნდა აინტერესებდეს, არამედ მისი შესაძლებლობა და ბიუჯეტის შევსების ფანტაზია.

3789. ბიზნესს თუ უნდა საზოგადოების თვალში ფეხი არ წაიტეხოს, მან მოგების ცივილიზებული ხარჯვა უნდა ისწავლოს და არა – ყოველთვის თავის სასარგებლოდ.

3790. ბიზნესი ცდილობს ხელისუფლება თავის სასარგებლოდ გამოძერწოს, განაწყოს, მაგრამ პოლიტიკაში გარევას მისი იმიჯი განადგურებისკენ მიჰყავს.

3791. რწმენაზე ბიზმესმენმა უნდა იფიქროს და არა – პირიქით, რადგან რწმენის მსახურთ სამუშაოსთვის ფული სჭირდებათ, მაგრამ ეს უკანასკნელი, ავად თუ კარგად, საეკლესიო ბიზნესზე, შენაწირებზეა დამოკიდებული.

3792. სადაც ქურდობას თავის ზომა-წონა არ ახლავს, ხოლო ქრთამის გაღებას შინაარსობრივი დატვირთვა, იმ ქვეყნის ეკონომიკის საქმე წასულია და სახელმწიფო მშენებლობა დანგრევის პირასაა მისული.

3793. ეკონომიკის თვალსაზრისით არვის აქვს უფლება პირად სიცოცხლეს ისე მოექცეს როგორც მოეპრიანება, სანამ სახელმწიფოს და მშობლების მიერ მასზე დახარჯულ ვალს პროცენტით არ გადაიხდის. აქ პიროვნების თავისუფლების ქარტია სახელმწიფოებრიობის დაცვის კანონს ვერ ესადაგება.

3794. უგვანო სახელმწიფოში ბიზნესი ვერასოდეს გაიფურჩქნება, იმდენად ბევრი მეწილე უჩნდება, როგორც თეორიულად, ასევე პრაქტიკულად.

3795. ნდობა და პატიოსნება ყველაზე დიდი ბიზნესია, სამწუხაროდ, ამ ალგორითმს მაშინ ვხვდებით, როდესაც უგვანობის ყველა მაგალითი ნაწვნევი გვაქვს.

3796. სპონსორმა უნდა დააფინანსოს ის ღონისძიება, ან პიროვნება, რომელიც შედეგს და აღიარებას მოუტანს ქვეყანას, რითაც თავად განიცდის ჩუმ სიამოვნებას, რადგან საქმეში ლომის წილი თავად ითავა.

3797. ქვეყნის მართვა ვაჭრობის და კრედიტ-დებეტის ცოდნის ხელოვნებაზეა დამყარებული და არა მასზე აკიდებულ უმადურ პოლიტიკაზე.

3798. ბიზნესი თავის თავს თუ ჯინში არ უდგას, საქმიანობას უნდა შეეშვას და სხვა ბედს ეწიოს.

3799. ეკონომიკაა ყოვლისშემძლე და არა – პოლიტიზირებული ნაციონალიზმი, რადგან ქვეყნის ყოფნა-არყოფნის წერტილი დაესმება, თუ მისი რაობა ამ მძიმე მისიითაა განპირობებული.

3800. ეკონომიკის მიზანია ალღო აუღოს აწმყოს ყოველდღიურობას, ძველის არდავიწყებით ბაზისზე მოარგოს მენეჯმენტი, „საქონელი-ფული-საქონლის“ პოსტულატის არდავიწყებით და რეალიზაცია მოგვცეს.

3801. ინვესტიცია ოცნების ახირებაში უნდა ჩავდოთ და არა წარმოებაში და სამუშაო ადგილების შექმნაში, ამისთვის არსებობს „კრედიტი“.

3802. ეკონომიკა მოჯანყეც უნდა იყოს და შემოქმედიც, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყანა ფეხზე ვერ წამოდგება.

3803. ეკონომიკა შევაჭრება, ფასის დაკლება, ნედლეულის გაყიდვა, კი არ არის, არამედ გარიგება, ხარისხიანი საქონლის გამოშვება, მისი დანიშნულებისამებრ გამოყენება-გაყიდვა.

3804. ბიზნესისთვის ცრემლი, ჯავრი, ვიში-ვიში, არ არსებობს, ის მოწოდებულია ფული აკეთოს, რა გზით და მოხერხებით, მის სინდისს უნდა ვანდოთ.

3805. ბიზნესისთვის ასაკი, რისკი არ არსებობს, თუ პროექტი საოცნებო, მომგებიანი და სულით საკეთებელია.

3806. გონიერების, ფანტაზიის, უსაშველო შრომისმოყვარეობის დაცინვა შეწყდება, თუ ხალხი ეკონომიკისკენ მოიხედავს და მსოფლიოში სიმშვიდეც დამყარდება.

3807. ბიზნესი ხელოვნებაა იმ ხელოვნების საწყისების ცოდნით, რომელიც მთლიანად ბაზრის ხედვაზე, ბედზე და გამართლებაზეა აგებული, სადაც შემთხვევის კოჭლობამ არ უნდა შეგაშინოს.

3808. დაგეგმილი მოგების გარეშე ხელი არავის უნდა გაუმართო, თორემ მუქთახორობას დაეჩვევა, აგეკიდება და მის ჩამოსაშორებლად დამატებით ფული დაგჭირდება, თუ არა და ურთიერთობა გაფუჭდება.

3809. რაც მატერიალურ შედეგს არ იძლევა, ის ენაწყლიანობის, ყბედობის და უსაქმურობის დამალვის მცდელობაა.

3810. მყიდველი პრიმიტიულია, მაგრამ ცნობისმოყვარე, ბავშვებს და ქალებს შემოსავალი ნაკლები აქვთ, მაგრამ ყველაზე მეტს მათთვის ხარჯავენ და ვინც ამ განტოლებას სწორად შეადგენს, ის რჩება საბოლოოდ ბიზნესში გამარჯვებული.

3811. ბიზნესში დასასრული მიზნის მიღწევიდან მიღებული კაიფია უმთავრესი და არა მხოლოდ მოგება და ვინმეს გაცუცურაკება.

3812. ბიზნესსა და ეკონომიკას შორის ის სხვაობაა, რომ პირველი ღირებულებებს იმგვარად გადაანაწილებს და დააბანდებს, ზედმეტი მოგება რომ მიიღოს, ხოლო მეორე ყოველივე ამას დაითვლის, წარმოაჩენს და სახელმძღვანელოდ აქცევს.

3813. ბანკირს უგონო ფულის შოვნა უნდა ეხერხებოდეს და გონივრული დასვენება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ფულის ტომარაა და არა ბიზნესმენი, რათა ჯველობაში თანამეინახეებზე განაწყენებულმა, მათზე ასაკში იყაროს ჯავრი.

3814. ბიზნესი, საქმიანობა – ხან ფულის კეთებაა, ხანაც ტრფობისთვის ხარჯია, მიუხედავად იმისა, ნაყიდია ეს გრძნობა თუ არა.

3815. დანაშაულის მატების ბიძგი ეკონომიკაა, სადაც პრეფიციტისგან განსხვავებით დეფიციტი გამოძალვას და ქურდობას წაახალისებს.

3816. „სხვის უბედურებაზე შენს ბედნიერებას ვერ ააგებ“, მაგრამ შეიძლება ბიზნესს ხელი გამოჰკრა.

3817. ეკონომიკა აზროვნების აღიარებაა, მენტალიტეტის შეცნობაა, ფანტაზიის ვირეშმაკობა და ფულის საკეთებელი საშუალებაა კვლავწარმოებით, რომელიც გათვლილია თავისი ალიბით.

3818. ქვეყნის აწყობას გონიერი მომჭირნეობა სჭირდება და არა – ბუნებრივი სიმდიდრე და წინაპართა დანატოვრის ცოდნა.

3819. სოციალური პასუხისმგებლობის გარეშე ბიზნესი ვერ იარსებებს – არც სახელმწიფო დაგიჭერს მხარს და ვერც ხალხი გაგიგებს.

3820. საქმიან ქალს უნდა ესაუბრო ოფისში, უშაქრო ჭიქა ყავაზე, რათა რაიმე სახეირო არ დაგტყუოს, რადგან ბიზნესისათვის აკრძალული იარაღია მომხიბვლელობა, ღიმილი.

3821. როდესაც ცრემლნარევი ტირილით ფულის სესხებას გთხოვენ ბიზნესის წამოსაწყებად, შენც მწუხარე ოხვრით მხარი უნდა დაუ-

ჭირო მის თხოვნას, მაგრამ ფული „სხვა საქმეში დაბანდების“ ალიბით არ ასესხო. გაგახსენებთ მშობელს, რომელიც შვილს სწერს: „ის წერილი, რომელშიც შენ ფულს გვთხოვ, არ მიგვიღია“. ასეთი ხერხით ახლობლებს არ დავკარგავთ და არც მას გააკოტრებთ, რადგან უგარანტიოდ აღებული სესხისგან ბიზნესი არ კეთდება.

3822. ფიქსირებული და არა – მოგებიდან გადასახადი, საქონელ-ბრუნვიდან გარკვეული, მოჭრილი გადასახადი, ხელს უწყობს წესიერების დამკვიდრებას, კანონის მორჩილებას და ქვეყნის აფავებას, რომლის დამკვიდრება გაბატონებულ ხელისუფალთ არ აწყობთ.

3823. პატრიოტიზმი, ნაციონალიზმი, სოციალიზმი და სხვა მრავალი „იზმი“, ეკონომიკის ავ-კარგის გარეშე, ანარქიის საწყისი და დანაშაულია ხალხის წინაშე.

3824. ჰუმანიტარულ აზროვნებას, ეკონომიკის გარეშე, არავითარი პრაქტიკული ღირებულება არ აქვს.

3825. მდიდარ ქალზე ჯვრის ფსკვნა თავისებური ბიზნესია და გადასახადით უნდა დაიბეგროს.

3826. ძლიერი ეკონომიკა პოლიტიკის მოჩვენებითობას ვერ იტანს.

3827. ფულის დაბანდება ყოველთვის არ ნიშნავს, რომ შენ კაპიტალს გაორმაგებ, მაგრამ ამ საქმიანობაში მონაწილეობა საჭიროა, რათა ბიზნესმენის სახელი შეინარჩუნოთ და კვალიფიკაცია არ დაკარგო.

3828. ბიზნესი ჩუმი ომი და დაზვერვაა, სადაც კონკურენტები ერთმანეთს უღიმიან და ქათინაურებს არ იშურებენ.

3829. შემართება, ფულის ყირათიანი დაბანდება, პლუს ბიზნესი, ეს არის და ეს ეკონომიკის ძირითადი კანონი.

3830. ქვეყანა დროებით ჰფავის, როდესაც უშნოდ ხარჯავს ფულს, ხოლო მდიდარია, როდესაც მას გონიერად აბანდებს.

3831. ჰუმანიზმი ეკონომიკის საწყისების უგულვებელყოფით, სიბრიყვეა, რადგან მის ხარჯზე ვიღაცის უნიათობა მხნევდება.

3832. აქტივების, კერძო საკუთრების და საშუალებების, უქონლობა ბიზნესის უპატივცემულობა და შენი დებიტების დატირებაა.

3833. ყოველნაირი პათოსი ხელს უშლის ფულის შოვნას და ბიზნესის განვითარებას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ქვეყანა არეულია და კონკურენციის კანონები არ მოქმედებს.

3834. ბიზნესის უმთავრესი პრობლემა კონტრაქტები და არა კონტრასტები.

3835. სოციალიზმს 1933 წლამდე რომ ევაჟკაცა ეკონომიკაში და თავი გამოეჩინა, მაშინ გერმანიაში ნაციზმი ვერ გაიმარჯვებდა და შე-

საბამისად, თეორიულად შესაძლებელი იქნებოდა მეორე მსოფლიო ომისგან თავის არიდება.

3836. დიდებული საფინანსო გეგმა ყველაზე ცუდი მხარდამჭერია ფინანსისტისთვის, რადგან რისკის გაწევა არ უნდა, უიმისოდ კი...

3837. ბიზნესს ერთი უმთავრესი ალგორითმი აქვს: როგორც კი ერთი მოდუნდება, მეორის ხელში უნდა გადავიდეს. აქ დაყოვნება და დროის გაყვანა მიუღებელია, რადგან ქვეყნის და საკუთრივ ბიუჯეტის შევსებაზე უარყოფითად მოქმედებს.

3838. მახსოვრობა წარმატებული ბიზნესია, რადგან შენი გაკოტრება შეუძლებელია და მოგება-წაგებას შენი მეხსიერებით ეთამაშები.

3839. სამწუხაროდ, რეალურ და საქმიან ეკონომიკაზე თვით წარმატებულ ბიზნესმენსაც წარმოდგენა არ აქვს.

3840. ბიზნესი ყოველდღიურობაა: ოცნება – ვრიანტებით, მუშაობა – წანწალით და შემთხვევა – გამართლებით.

3841. ინფლაციას ებრძვიან ეფექტური სახელმწიფო მართვით და არა – ოქროს მარაგით და სტაბილიზაციის ფონდით.

3842. მარტივი არითმეტიკა უგვანო მთავრობისთვის არის ,,საშიში", რადგან ამ ინსტრუმენტით საკითხის გადაწყვეტა ყველასთვის გასაგებია, ეს კი ხელისუფლებაში მოკალათებულ მექრთამეებს ხელს არ აძლევთ და ეკონომიკაში მათთვის სასარგებლო, გაუგებარ, ინტეგრალებს გვთავაზობენ.

3843. ბიზნესი თავისებური ხელობაა, რომელიც ტალანტთან ერთად სწავლას ექვემდებარება, მაგრამ არ ემორჩილება.

3844. ვაჭრობა კომერციის ლაბირინთებს და ბიზნესის სიმაღლეებს იღებს საკუთარ გონიერებაზე და ფანტაზიაზე ამაღლებით.

3845. ბიზნესი, უნდა თუ არა, იმ ხალხს ემსახურება, ვისაც მისი შურს და ცუდად მოიხსენიებს.

3846. პარტნიორს იმას რომ ველაპარაკებოდეთ, რასაც მასზე ვფიქრობთ და თვალებში არ ვუღიმოდეთ, ყველა მოლაპარაკება ჩაიშლებოდა და ბიზნესიც ჩვენს ჭირს წაიღებდა.

3847. მაფია ძალად ბიზნესმენთა ხროვაა, რომელიც, სიფრთხილის ხარჯზე, სხვათა დაშინებას ცდილობს.

3848. ინფლაცია ეკონომიკის თანდათანობით დაფეხმძიმებაა უშვილოდ.

3849. გარიგებას მაშინ აქვს აზრი, თუ ორივე მხარე მსხვერპლად რაღაცას გაიღებს.

3850. ეკონომიკა ანგარების მოთოკვას მოითხოვს გამრავლება-გაყოფით თუ არა, მომატება-გამოკლებით მაინც.

3851. ხელმომჭირნეობა შემოსავალია, ხოლო სიძუნწე გასავალია, რადგან ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით, პირველს გონიერებაც წყალობს, იმიჯიც და განგების ნებაც.

3852. უდროო სიკვდილი დიდი დანაკლისია არა მარტო ახლობლებისთვის, არამედ ქვეყნის ბიუჯეტისთვისაც, რადგან ამ ქვეყნის უნებლიედ აღებული კრედიტი გადაუხდელი დარჩა.

3853. კაცთმოყვარეობის პრინციპები ეკონომიკის და პოლიტიკის უგულვებელყოფას ვერ იტანენ და დემაგოგიაში გადადიან.

3854. მოწესრიგებული გზები, ბიზნესის, ეკონომიური ბუმის დასაწყისის და ხელის გამოღების საშუალებაა.

3855. გაკოტრების სალტო-მორტალე კრედიტ-დებიტის უგულებელყოფა და აქ ბედი ან შემთხვევა არაფერ შუაშია.

3856. ეკონომიკა აიძულებს საზოგადოებას, დღეს იცხოვროს უკეთ და არც თუ სხვაზე ცუდად.

3857. ბიუროკრატი კალენდარში დღეებს ხედავს, ბიზნესმენი – ფულს.

3858. საშუალოდ, ათ წარუმატებულ მცდელობაზე ორი წარმატებულად მთავრდება და ეს შეფარდება საკმარისია ბიზმესმენის სახელის სატარებლად.

3859. საფონდო ბირჟა კითხვა-პასუხის საწარმოა, სადაც არავინ არაფერი იცის, მათ შორის, იმანაც, ვინც იმ დღეს გამარჯვებული დარჩა.

3860. სხვის აზრში ჩაწვდომა, ეკონომიკის მოშველიებით უნდა მოხდეს, თუ გვინდა საუბარს შედეგი ჰქონდეს.

3861. ეკონომიკა გონიერების და მომჭირნეობის, სიახლის რაციონალურად გადამუშავების და ყაირათიანად გამოყენების შერწყმაა.

3862. სამწუხაროდ, ეკონომიკა თვითნაბად ნიჭს უნდა ვანდოთ და არა – დიპლომიან ეკონომისტებს, რადგან პრაქტიკულად მათ არც ყოფის ვირეშმაკები იციან და არც ხალხის მერყევ ხასიათს იცნობენ.

3863. ეკონომიკას და პოლიტიკას ერთი ღმერთი ჰყავს, მაგრამ სხვადასხვა სარწმუნოებით. პირველისთვის უმთავრესია ეფექტურობა, სამუშაო ადგილები, შრომის ნაყოფიერება, მეორესთვის – წესრიგი, გადასახადების მაქსიმალური ამოღება, საკუთარი თავის რეკლამა. რაც შეეხება სხვა საქმიანობა – თავის გამოჩენის მცდელობა და პიარია.

3864. სიკეთის კეთება ეკონომიკას ზოგჯერ ძალზე ძვირი უჯდება, რადგან მისი პირველადი დანიშნულებაა დებეტ-კრედიტის განსჯა.

3865. იმპორტი და იმპოტენცია ეკონომიკისთვის ერთიდაიგივეა, თუ შემოგაქვს და სანაცვლოდ აღარაფერის გატანის თავი არ გაქვს.

3866. პოპულარობა თავისებური ბიზნესია – თუ არ იყნებ, უსარგებლო ტვირთია.

3867. მეგობარს, კოლეგას, პარტნიორს, თანაკურსელს, ნათესავს, თანამემამულეს, ნაცნობს და უცნობს შორის გარჩევას რომ ვისწავლით, მერე გვაქვს უფლება ბიზნესში ჩავებათ ან პოლიტიკას მოვკიდოთ ხელი. წინააღმდეგ შემთხვევაში, პროფესიონალიზმზე ლაპარაკი ზედმეტია.

3868. საქმეში შვილთან და ახლობელთან ურთიერთობა, ერთნაირი მომთხოვნელობის მიუხედავად, განსხვავებულია, რადგან პირველი შენი გვარის, საქმის, გამგრძელებელია და გინდა თუ არა, „გადაგდება" უნდა აპატიო, ხოლო მეორესთან ურთიერთობა ნებაყოფლობითია, პარტნიორულია და მისი გადაცდენა პატიებას არ იმსახურებს.

3869. დიდ ბიზნესში რომ იყო, სახელმწიფოსთან ურთიერთობა უნდა ააგო, წინაღმდეგ შემთხვევაში, ფრთების გამოსხმაზე ფიქრიც კი ზედმეტია.

3870. ერთი მხრივ ბედნიერებაა თუ მომხმარებელს აფასებენ და არა – მწარმოებელს, მაგრამ ეს გარემოებაც უდიდესი გარფნილებაა სამართლიანობის და საკუთარი ეკონომიკის წინაშე.

3871. ხელისუფლების მიზანია ბიზნესში დასაბანდებელი ფული ჰქონდეს და არა – შესანახ-გადასანახი.

3872. საკუთარი განვითარებული ბიზნესი იცავს ქვეყნის დემოკრატიას და დემოგარფიას და არა – სხვისგან მოგდებული დახმარება და კრედიტი.

3873. მართალია, ერებს შორის არსებობს ტრადიციების სხვაობა, მაგრამ ბიზნესი მათ მენტალიტეტს აერთიანებს და გარკვეულ ვითარებასა და ეკონომიკურ სტიმულირებაზე ისინი ერთნაირად რეაგირებენ.

3874. ეკონომიკა არის, მეცნიერების ნაღვაწი არაორდინალური აზროვნებით და რისკი პოლიტიკასთან შეთანხმებით.

3875. ჩინურ და ქართულ-რუსულ ბიზნესს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი შემთხვევა-ბედით ნაშოვნ ფულს საწარმოო ძალებში აბანდებს, მეორე – ფუფუნებაში, რომელიც დაუგეგმავ ხარჯებს მოითხოვს. შედეგად ერთი წინ მიიწევს, მეორენი მიჩანჩალებენ.

3876. ხანდახან ქვეყნის ბიუჯეტი თავად ხელისუფლებამ უნდა დაამაკოს – ინვესტიცია გაიღოს, რათა ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და ბიუჯეტის ნამატიც და დასაქმებიდან მიღებული „წველადობის" ხარისხი ქვეყნის სიძლიერისთვის გამოიყენოს.

3877. ბიზნესი დემოკრატიის უზენაესობაა და არა – უზნეობა, როდესაც ზემოდან დაძალებით მას „ნებაყოფლობით“ ძარცვავენ შუ-რიანი მოსახლეობის გარკვეული ფენების დასაშოშმინებლად და გულის მოსაგებად.

3878. სახელმწიფო ეკონომიკის ხარჯზე უნდა ასრულებდეს მმარ-თველობის ფუნქციას და არა ძალისა და ფინანსების გადახარჯვის შედეგად.

3879. ყველა სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს გონიერ და მარჯვე მო-ქალაქეთა დასაქმების ფონდი, რომელსაც უნდა იყენებდეს მომგებიან და პრესტიჟულ წინადადებათა განსახორციელებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეკონომიკის წინსვლაზე საუბარი ზედმეტია.

3880. ბიზნესი თეორიის გონიერებას და პრაქტიკის უგუნურებას არ ემთხვევა, რადგან აქაც ყოველივეს ბედი, შემთხვევა და შემართება წყვეტს.

3881. ეკონომიკას ყოველთვის უნდა ჰქონდეს რეზერვი იმ შეცდო-მების გამოსასწორებლად, რომლის გათვალისწინება წინასწარ შეუძ-ლებელია.

3882. საბჭოთა კავშირი გეგმაზომიერი ქვეყანა იყო და გეგმაზომიე-რი სიბრიყვესაც კისრულობდა. ქვეყანა, რომელიც თანამგზავრებს უშ-ვებდა, ხელიც არ გაანძრიო, რათა ფიჭური კავშირის ქსელი შეექმნა, იაფი ჭინჭები, მსუბუქი ავტომანქანები გამოეშვა და ბენზინი, მომსახუ-რება გაეძვირებინა. ყველაფერს უკულმა აკეთებდა. „კაზუსებმა“ დაან-გრია ქვეყნის ეკონომიკა და არა „პერესტროიკამ“ და მასზე ყბედობამ.

3883. ბიზნესი თავისებური დაავადებაა, სპორტია, პრესტიჟია, თო-რემ რა მნიშვნელობა აქვს ერთი მილიარდი გექნება თუ ათი მილიონი, ღირსეული ცხოვრებისთვის ეს უკანასკნელი საკმაოზეც მეტია.

3884. ბიზნესისთვის ყველგან მისი სამშობლოა, სადაც მოგება მეტია და ნაკლებია გადასახადი.

3885. თავმოყვარეობა და ეკონომიკა ერთმანეთთან არ ამხანაგობენ, რადგან ერთს მუდამ თავის წარმოჩენა უნდა, ხოლო მეორე ამას მიზეზის გარეშე ვერ ეგუება.

3886. ეკონომიკა ყველას მოგვწონს, მაგრამ ჩვენდა შეუმჩნევლად იმდენს ვხარჯავთ, რომ ჩვენი შემოსავლის კრედიტ-დებიტი ხშირად ერთმანეთს არ ემთხვევა, რადგან წესი, რომ გამოზომილ თანხაზე მეტი ჯიბეში არ ჩავიდოთ მუდამ ირღვევა.

3887. ბიზნესს სანამ უმართლებს, ყველას „ვალშია“, გადაუბრუნდე-ბა ფეხი და ის აღარავის სჭირდება. გამოდის, რომ ის ყველაზე საცოდა-

ვია, რადგან დროს აცდენს, ნერვებს იშლის, აკეთებს საქმეს, რომელსაც ბოლოს არავინ უფასებს და თაობებსაც არ ახსენდებათ.

3888. ქვეყნის ეკონომიკის ძლიერება გამოიხატება მშვიდობიანობისაკენ სწრაფვაში და შრომისმოყვარეობის დამუღამებაში.

3889. ბიზნესში ის გამოდგება, ვინც ესკიმოსს თოვლს მიჰყიდის და არაბს – ქვიშას, ხოლო ვაჭრად ის, ვინც ორივეს დაამადლის საქონელი – იაფად დაგითმეთო.

3890. ქარის მოტანილი ფული საშუალებას იძლევა, ხალხისთვის სამუშაო ადგილები შექმნას (სტრიპტიზბარი, კაზინო, მასაჟის სახელები), რომელშიც საქმის მოყვარული ბიზნესმენი ფულს არ ჩააბანდებს, რადგან ფული გარანტიას ითხოვს და არა დროის ყივილს და შემთხვევის წყალობას.

3891. მცირე ბიზნესი „მათხოვრობას" ემსგავსება, თუ ერთი კაცის საკეთებელ საქმეს ათი აკეთებს და მოგებას, ორჯერ მეტი იყოფს.

3892. ხელქვეითს იმდენი უნდა მისცე, რომ არ შესძულდე და ოჯახის სარჩენად ეყოს.

3893. ვაჭრობა თავისებური მეცნიერებაა, რათა წაგება არ ნახო, რადგან გასაყიდი და შესასყიდი ფასის დადგენა თავისებურ კვლევას, გამართლებას, შემართებას, მოითხოვს.

3894. გაწონასწორებული მოთხოვნების დაკმაყოფილება მოქალაქეთა მიერ – ეს არის ეკონომიკა და მისი მიზანი.

3895. ბიზნესმენი ისა, ვინც არაფრიდან რაღაცას ქმნის და ხელსაც არავის უშლის.

3896. საოცარია პოლიტიკოსის ბედი: „რეიგან-ეკონომიკა" ეწოდება ეკონომიკას, რომელზეც აშშ-ს პრეზიდენტ რეიგანს წარმოდგენა არ ჰქონდა, უბრალოდ, მან ეს დარგი ერთ ახალგაზრდა რეფორმატორ ეკონომისტს ანდო და გაუმართლა.

3897. სიიაფის დღეები ყოველთვის დათვლილია, რადგან საბაზრო ეკონომიკა ამას ვერ ეგუება.

3898. ეკონომიკა პოლიტიკის გაგრძელება და ზურგის გამაგრება, თუ ძალზე არ გავაპოლიტიკანებთ.

3899. მწარმოებელმა, პირველ რიგში, საკუთარ თავს უნდა სცეს პატივი და შემდგომ მომხმარებელს, თუ უნდა მისმა ნაწარმმა გაუძლოს კონკურენციის ქარიშხალს.

3900. ვალებაკიდებული ქვეყანა ისევ ვალების აღებაზე ფიქრობს და ვალდებულებებს რომ აჰკიდებენ, დიდად არ ანაღვლებს.

3901. პენსიის იმედზე ჩემი მტერი იყოს, მაგრამ ასაკი და ეკონომიკისადმი უყურადღებობა ხშირად მის ხელში გვტოვებს.

3902. პრივატიზაცია, ეს საეჭვო ლუკმა, იმას დარჩა, ვინც უნიათო ხელისუფალთა კანონი ირწმუნა და პირის გაღება არ დააყოვნა.

3903. ადამიანი თავისავე ბუნებით წილადიც არის და ათწილადიც, გააჩნია, ვინ ანგარიშობს და რის მიღებას აპირებ.

3904. საბანკო ეკონომიკის გარდა, საბაზროც მისაღებია და სახელმწიფოც, ოღონდ მოცულობის სანაცვლოდ ხარისხი არ უნდა დაზარალდეს.

3905. კულტურის პარამეტრების ამაღლება ხშირად ბიზნესის განვითარების საწყისია.

3906. ეკონომიკა, შიშველი ოპტიმიზმით, ავანტურაა, რომელიც ცხვირში ამორტყმას არ დააყოვნებს.

3907. ეკონომიკა არის მოთხოვნა და მიწოდება, რაც შეეხება მწარმოებელს, ის ყოველთვის მოინახება.

3908. ბიზნესმენსა და ფულის მშოვნელ-მპარველს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი საქმიანობას ღიად ეწევა და ნებისყოფლობით ქველმოქმედებს, მეორე – დახურულად და სხვას დაძალების შემდგომ ეხმარება.

3909. დევიზი: იზრუნე მომხმარებელზე და ის თავად იზრუნებს შენს გამდიდრებაზე – უკვდავია.

3910. ეკონომიკა მათემატიკასთან მაშინ იმეგობრებს, როცა კანონი სამართლიანობას ჭანჭიკს ბოლომდე დაუჭერს და პოლიტიკა მოხერხებულობას პოხით გაპოხავს.

3911. მუდმივი კონტროლი ყველა წარმატებული ბიზნესმენის სავაჭრო მარკაა.

3912. ბიზნესი წარმატებულია, თუ მწარმოებელს თავისი ნახელავი მყიდველზე მეტად მოსწონს.

3913. ყველაზე დიდი ყაჩაღები საჭირო ბანკები და ბირჟებია, სადაც ნებაყოფლობით გვძარცვავენ და თან გვაიმედებენ, გვიფავებენ და გვიძმაკაცდებიან.

3914. ეკონომიკის ამოქმედება შეიძლება, მხოლოდ მკაცრი და არაპოპულარული ქმედებებით.

3915. ეკონომიკა ინტელექტზე და ცოდნაზე უნდა იყოს დამყარებული და არა მხოლოდ ნედლეულის მოპოვებაზე და ვაჭრობაზე.

3916. ბიზნესმენის დაუწერელი პარამეტრებია: 1. სხვას ისე მოეპყარი, როგორც შენ გაქვს სურვილი მოგეპყრან, 2. მოგება იმდენი უნდა

ნახო რომ საქონლის გაძვირება თვალშისაცემი არ იყოს, 3. თვალი ადევნე და გამოიყენე სიახლე, 4. რეკლამა საზრიანი უნდა იყოს და არა მოსაბეზრებელი, 5. არ შეიძინო ზედმეტი და თვალშისაცემი, 6. წვეულება გადაიხადე ზომიერების ფარგლებში და მოიწვიე ის ხალხი, ვინც საქმიანობაში გამოგადგება, 7. მოერიდე „მასმედიას“ და შენი საქმე უხმაურო აკეთე, 8. ბედს და ფორტუნას ეთამაშე ზომიერების ფარგლებში, 9. რისკი გაწიე, მაგრამ არა ხელაღებით, 10. ყველას ნუ ენდობი, მათ შორის, ძველ პარტნიორებსაც, 11. შემთხვევას, თუნდაც სათუოს, ხელიდან ნუ გაუშვებ, 12. ეცადეთ არ იყოთ ორპირი, 13. ყველგან და ყოველთვის ზომიერება და უხმაუროდ საქმის კეთება, 14. დააწესე შენი სახელობის სტიპენდიები იმ სკოლაში, უმაღლეს სასწავლებელში, სადაც შენ სწავლობდი, 15. უძრავი ქონება იქონიე საზღვარგარეთ, იმისდამიუხედავად, დიდ შემოსავალს იძლევა თუ არა, 16. ახლო იყავი მთავრობასთან, ოღონდა ნუ გაუშინაურდები, 17. შვილს მიეცით აუცილებელი განათლება, საცხოვრებელი ფართი, გადაადგილების საშუალება, დანარჩენზე თავად იზრუნოს, 18. შრომის მოფარეობას შვილი ბავშვობიდანვე შეაჩვიე საკუთარ მაგალითზე, 19. ნუ დაივიწყებ რომ ბიზნესი ომია და მუდმივი დაპირისპირება, კინკლაობა, 20. მოსალოდნელი კრიზისის გასანეიტრალებლად ყოველთვის გადადე გარკვეული თანხა, 21. ეცადე ერთხელ შენს მხარეს დამდგარი ბედი არ გააწბილო.

3917. ბიზნესი მცდელობის, შემთხვევის, რისკის წყალობაა და არა – მხოლოდ ნიჭის.

3918. არიან მშობლები, რომლებმაც 10 შვილი აღზარდეს. არავის აინტერესებს, რა ხერხით, ეშხით, ჩასახეს, რა პირობებში აღზარდეს. ასევეა ეკონომიკა პოლიტიკაში, არავინ ინტერესდება რა ხერხით უნდა აიკრიფოს, დაითვალოს შემოსავლები, მაგრამ უკეთეს ცხოვრებაზე პრეტენზია ყველას გვაქვს.

3919. ეკონომისტები ვერასდროს მიიღებენ ერთიან გადაწყვეტილებას თუ მასში პოლიტიკა არ ჩაერია, რადგან ნებისმიერ კითხვაზე უამრავი სხვადასხვა პასუხი აქვთ.

3920. ეკონომიკა საზოგადოებრივი მრავალწახნაგოვანი მეურნეობის გაძღოლაა, საკუთარი რესურსების გათვალისწინებით, რომელიც შემდეგ პოსტულატებს უნდა ემორჩილებოდეს: მუქთად არავის არაფერი მისცე, „ვასწავლოთ თევზის ჭერა“, სიახლე დროულად დავნერგოთ, არსებული რესურსები ეფექტიანად, უდანაკარგოდ და დროულად გამოვიყენოთ, არ ვაწარმოოთ ის საქონელი, რომლის შეძენა გაცილებით

იაფი გვიჯდება, გავითვალისწინოთ გარკვეულ საქონელზე მოთხოვნა და მისი კონკურენტუნარიანობა, გავითავისოთ მოგების და დანახარჯების ანალიზი, წავიდეთ კომპრომისზე, ვიქონიოთ საკუთარი იმიჯი, კარგი ურთიერთობა გვქონდეს მთავრობასთან, ვერკვეოდეთ ბუღალტერიაში.

3921. ბიზნესმენი თავისებური ნარკომანია: მიუხედავად იმისა, რომ სიმდიდრე აძლევს მას უფლებას ,,ყველაფერი ფეხებზე ეკიდოს,'' მაგრამ ის მუდამ ბიზნესის გაფართოების მცდელობაშია.

3922. სიმდიდრეს ეკონომიკა უქმნის ჰარმონიას და არა – პოლიტიკა, რომელიც წაღლეტაზე და კარიერით ვაჭრობაზეა აგებული. ბიზნესი ხელაღებით მეგობრობას არ წყალობს, მაგრამ ერთგულება, თანადგომის გარეშე ვერ გაიფურჩქნება.

3923. ეკონომიკა მაშინ იქნება წარმატებული, თუ არ დაივიწყებს, რომ მას იმ ადამიანურ სისუსტეებთან აქვს საქმე, რომელსაც ფული, პერსპექტივა, პრესტიჟი ჰქვია.

3924. მე ციფრების და დებეტ-კრედიტის ,,მონა'' ვარ, რადგან ყველაზე უკეთ ის ასახავს ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკას, აღმავლობას და პერსპექტივას.

3925. ხშირად კონკურენტიდან უფრო მეტი სარგებლის მიღება შეიძლება, ვიდრე თანამდგომიდან, რადგან პირველი ცდილობს ,,ჭკუა გასწავლოს'', გაჯობოს და შენც მობილიზებული ხარ კონტრქმედებებისთვის, ხოლო მეორე შენ გვერდში დგას და ცოდნა-რჩევას შენგან ელის.

3926. ბიზნესი იმედის და ვიღაცაზე ჯინის ამოყრის სურვილიცაა.

3927. ბიზნესი მცდელობა-შემართების გამართლებაა.

3928. ბიზნესი ოპტიმიზმის და რწმენის გარეშე ვერ იარსებებს, რაც შეეხება მასში გონიერების ჩართვას, ან ამართლებს, ან არა.

3929. საოცარია, მაგრამ ბიზნესში ფულის გადანაწილება და ხალხის დასაქმება, სისულელის კეთებაზე და ხალხის გაბრიყვებაზეა დამყარებული, რაშიც მონაწილეობენ: რეკლამა, პიარი, ცრუ იდეალები, რწმენა, ფანატები, პატრიოტიზმი და სხვა გონიერებისთვის დაუჯერებელი.

3930. ბიზნესს მოგება ამშვენებს და არა – გამორჩენა.

3931. ეკონომიკასა და ბიზნესს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი ქვეყნის განვითარების სტრატეგიას წინასწარ დაგეგმვაში ხედავს ფანტაზიის მოშველიებით, ხოლო მეორე, ყოველგვარი ფანტაზიის გარეშე, ფულს მოხერხებით შოულობს.

3932. ბიზნესის თანდათანობითი ჰუმანიზაცია მისი მშვიდი ცხოვრების გარანტია.

3933. დიდი ბიზნესისთვის ეთნიკური ნორმების დაცვა აუცილებელია, რაც შეეხება პატარას – ეტიკეტის „ბაცნობითაც“ თავს კარგად გრძნობს.

3934. თეორიულად ბიზნესმენის ანბანია: მხარდამჭერთა მოძიება, გეგმა, კონტაქტები, რეკლამის ცოდნა, პრეზენტაციები, სიტუაციაში გარკვევა, თანამშრომელთა შერჩევა, უკმაყოფილოთა დაშოშმინება, პოტენციური პარტნიორის ძებნა, მოსალოდნელი კონფლიქტების პროფილაქტიკა და კიდევ „ათასი სისულელე“, რომლის ცოდნაც დიდ ფულს ვერ გაშოვნინებს, თუ „ყისმათი“ თან არ დაგყვა.

3935. ბიზნესის წარმოებას სჭირდება შეკავშირება: ცოდნის – გამოცდილებასთან, შრომისმოყვარეობის – ენთუზიაზმთან, ინტუიციის, – შემთხვევასთან და მეტ-ნაკლებად, კონიუნქტურის – ბედთან.

3936. ქვეყნის ფეხზე დასაყენებლად უპირველესად ეკონომიკის ლიბერალიზაციაა საჭირო, შემდეგ – პოლიტიკის და ქვეყნის მართვის სადავეებისა.

3937. ბიზმესმენმა, უარის შემთხვევაშიც კი, ხელშეკრულების დასადები კარი ღია უნდა დატოვოს.

3938. ბაზარი ყოველთვის იწვევს სულიერ კრიზისს და სიწმინდეთა დახურდავებას, იმისდამიუხედავად, რომ ეკონომიკის აუცილებელი და სასიყვარულო ბრუნი ქვეყნის ეროვნულ უშიშროებასთანაა კავშირში, თუკი ყოფის ახალი კანონები ეროვნულობას არ აქვს მორგებული.

3939. ბიზნესი ადამიანს ჩიხში შეიტყუებს და საგონებელში აგდებს და მის შეცვლა-გადასხვაფერებას იწყებს. სწორედ ეს გადახალისება არის არასასურველი.

3940. ეკონომიკის თვისება, თავის ჭკუაზე გარდაქმნით ადამიანის კუთხეში მომწყდევაა, რაც ყოველთვის სასურველი არ არის, იმისდამიუხედავად, რომ ეს ქმედება აუცილებელია.

3941. ეკონომიკისაგან განსხვავებით, ბიზნესს ყბედობა და სხვისთვის ჭკუის სწავლება არც უხდება და არცა რგებს.

3942. დეფიციტი კრიზისის დროს იქმნება, პრეფიციტი – როდესაც ბიზნესი გაამართლებს. ყოველივე ეს დროს მოაქვს. ორივე შემთხვევაში ფასები მერყეობს, მაგრამ ეკონომიკის განვითარებას ორივე მოვლენასთან შეხვედრა დროდადრო სჭირდება.

3943. გადასახადის არასწორად გადანაწილებამ ინგლისის იმპერიასა და ყოფილ კოლონიას შორის დაპირისპირება, უკმაყოფილება და სამოქალაქო ომი გამოიწვია, რის შედეგადაც XVIII საუკუნეში შეიქმნა

ახალი დემოკრატიული იმპერია აშშ, რომელიც ცდილობს თავის წინამორბედთა შეცდომები არ დაუშვას გადასახადების სფეროში.

3944. ეკონომიკასაც აქვს ეროვნული თავისებურებანი ხალხის მენტალიტეტიდან და შრომის უნარიდან გამომდინარე.

3945. სავალდებულო კერძო დაზღვევა ბიზნესია მოსახლეობიდან ფულის გამოძალვის ხარჯზე ვიღაცის გასამდიდრებლად.

3946. ეკონომიკა თავისებური პოეზიაა, რომელსაც ყველა ებღაუჭება, მაგრამ ფანტაზიის, ყოფის რითმის შეცნობის, გამოცდილების ანალიზის, პოლიტიკური ფილოსოფიის და ინტუიციის ალგებრა განგების მიერ უნდა გქონდეს მომადლებული, რადგან ცარიელი ციფრები რახარუხი საქმეს არ შველის.

3947. ხელფასი თავისებურ პატივისცემას, დაფასებას, შურს, უნდა იწვევდეს, წინაალმდეგ შემთხვევაში, ქვეყნის ეკონომიკა „ჭრაჭუნობს“.

3948. ხელოვნებაზე, პოლიტიკაზე ის ფიქრობს ვისაც ბიზნესის თავი არ აქვს.

3949. გონიერება ირჩევს მრავალმხრივ სიმდიდრეს, ბიზნესი ისევ ფულს, რაც მისი სამუშაო ინსტრუმენტია.

3950. პოლიტიკა სურვილების პროფესიაა, ხოლო ბიზნესი – შესაძლებლობების გამოყენებისა.

3951. ბიზნესი უპირველესად სურვილი, მცდელობა, შემართება, გამართლებაა და შედეგად ვიღებთ სხვისი ჯიბიდან შენს ჯიბეში ფულის უმტკივნეულოდ გადმოტანის ხელოვნებას.

3952. ავტოავარიები სასიკვდილო შემთხვევით, დიდ ზარალს აყენებს სახელმწიფო ბიუჯეტს, რომელსაც ბევრი სხვა დანაშაული ვერ შეედრება.

3953. მარცხენა-მარჯვენა არამარტო მოძრაობის წესებს არეგულირებს, არამედ ქვეყნის ბიუჯეტსაც და პირად შემოსავლებსაც.

3954. ყველა ოცნებაზე, სურვილზე, იდეაზე, გადასახადი რომ დაგვეწესებინა, სახელმწიფო ბიუჯეტის ბედს ძაღლი არ დაჰყფდა.

3955. საქმეზე ყველანი ვფიქრობთ, მაგრამ მასზე ის ზრუნავს, ვისაც საკუთრება ან ფსონი აქვს წილში ჩადებული.

3956. უფროსს დაქვემდებარებულები მანამ არ აფასებენ, სანამ უმუშევრებად და საქმიანობის გარეშე არ დარჩებიან.

3957. ეკონომიკას განვითარების გარკვეულ ეტაპზე ზოგჯერ გარკვეული ოდენობით გაკოტრება სჭირდება, რათა მის მაგალითზე სხვებმა ჭკუას მოუხმონ, ფულის კეთების მენტალიტეტი შეცვალონ და განვითარდნენ.

3958. პოლიტ-ეკონომიურად გათვლილი და დაბალანსებული პერ-სპექტიული წინადადებები ძალზე ძვირი უნდა ღირდეს, თუ შესრულე-ბასაც პროექტის ავტორი იკისრებს.

3959. დღევანდელი სოფლის მეურნეობის წარმოებას გონიერების მათრახის ქნევა და ,,შენ ხარ ვენახის" ძახილი სჭირდება, ტექნიკური პროგრესის დაძალებით და სახელმწიფო სუფსიდიების უკუგებით და არავითარ შემთხვევაში დოტაცია.

3960. ბიზნესი და აზრების წარმოება იმედით ვაჭრობაა.

3961. ეკონომიკა შესაძლებლობაზე და მოთხოვნებზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ წამხედურობაზე.

3962. პატიოსნება რომ სარფიანი იყოს, მაშინ მთელი ბიზნესი გაპატიოსნებული იქნებოდა.

3963. სოფლის მეურნეობა ერთჰექტარიანი ფერმერებით და უშ-რომელი მეურვეებით ვერ იარსებებს, თუ მან ტექნიკური პროგრესის მიღწევების გამოყენება და ნედლეულის გადამუშავება არ ისწავლა.

3964. ბიზნესი ხელოვნებაა, ბრძოლაა, სპორტია, რისკია, აფიორაა, რეკლამაა – არეული შემთხვევითობის და აუცილებლობის კოქტეილ-ში, რომელსაც დესერტად ბედიც უნდა დაემატოს, კანონების ცოდნასა და ქრთამის გაცემის უნართან ერთად.

3965. რევოლუცია, ,,პერესტროიკა", ნაციონალიზმი ეკონომიკასთან გასაუბრების გარეშე, ნულის ტოლია მინუსით, მართვის აპარატის უგულებელყოფით და ქვეყნის დროებითი დაქცევით.

3966. ,,უკუგორების" დანიშნულება ის არის, რომ ქვეყნის ეკონო-მიკას ანგრევს, ბიუროკრატიას რყვნის, იმპორტის მონად აქცევს და არც არაფრის კეთება უნდათ და არც არაფრის წარმოება, რადგან დაეჩვივნენ მუქთა ფულის კეთებას. ხოლო სახელმწიფოს თუ უნდა წელი მოიდგას, ეს სიავე უნდა მოსპოს.

3967. ანგარიშიანობა, თავშეკავება, მომჭირნეობა, წუწურაქობას არ ნიშნავს. ეს უფრო თადარიგიანობაა, რომელსაც გონიერება იცავს.

3968. ქრთამი, ,,ჯილდო", მოსყიდვა, უკანგორება, ,,ფულის რეცხვა" – ეკონომიკის განვითარების თანმხვედრი მატარებელია, რომელიც ავან-ტურისტებს იზიდავს და კანონით თეორიულად მკაცრად ისჯება, მაგრამ პრაქტიკულად დღევანდელობის ეკონომიკის წინსვლას ხელს უწყობს.

3969. მდიდრებს, უნდათ თუ არა, მაინც ,,დამნაშავენი" არიან, რადგან დროის გარკვეულ მომენტში სხვას დაასწრეს, აჯობეს, ,,ცხვირი მოხოცეს".

3970. მყარი ეკონომიკა ცარიელ პოლიტიკას ვერ იტანს, მას სჭირ-დება კანონის უზენაესობა, გადასახადის გასაგები სისტემა, ქვეყანაში

წესრიგი, წინააღმდეგ შემთხვევაში, თავს დაგვიკრავს, რადგან მას მარ-ტო სათუო მოგება არ აკმაყოფილებს.

3971. ეკონომიკა, დროული შედეგის გარეშე, ცარიელი სიტყვების ბუღალტერიაა, ურთიერთსაყვედურებით და ნიშნისმოგებით.

3972. კაპიტალიზმი, უპირველესად კონკურენციაა და არა პირადი საკუთრების გაფეტიშება, რადგან ბიზნესმა ფული უნდა იშოვოს, ხო-ლო ნაშოვნი ფული ინვესტიციებში დააბანდოს, თუ სურს ამ წყობიდან რაიმე სარგებელი გამოდნეს.

3973. ბიზნესისთვის მთავარია უპატიოსნება არ შეამჩნიონ, გამარ-ჯვებულს კი არც ოპონენტები ასამართლებენ და არც მისი მხარდამ-ჭერნი.

3974. ინვესტიცია ეს არის პირველ რიგში მოგებისთვის გათვლილი აზროვნება და პერსპექტივაზე ფიქრი, გულკეთილობა და კარგი კაცობა.

3975. ბიზნესი ნაწარმის გამოშვება და მისი გაყიდვის უნარია და არა ის, რის გაკეთებას აპირებ და რა მეცნიერული შესაძლებლობები გაქვს.

3976. შემკვეთი არის კარგიც და სხვანაირიც, მაგრამ მათზე საჯა-როდ ცუდის თქმა არ შეიძლება – ბიზნესი ვერ იხეირებს.

3977. მიუხედავად დემოკრატიის, თავისუფლების, ალგორითმების გაცნობიერების სასიამოვნო ღიტინია, ადამიანი მაინც სუსტი არსებაა და რჩევის, დახმარების, შთაგონების, შიშის და რიდის გარეშე საქმის ხარისხიანად კეთება ყველას არ შეუძლია. ამიტომ ეკონომიკის გადასა-ხედიდან მათ საქმიანობა-ჩამოყალიბებაში ზოგჯერ ხელისუფლების მათ-რახის გონივრული მოღერება და ჩარევა აუცილებელია.

3978. ინვესტორი ისეთი სათუთი ფრინველია, თუ ხელს არ შეუწყ-ობ, არ დაუყვავებ, მაშინვე შვეიცარიის ბანკში გაფრინდება და ბუდეს დაიდებს.

3979. შოუ-ბიზნესი ნარკოტიკივითაა, რომელიც დროს გვაკვლევი-ნებს, კარგ ხასიათზე გავყენებს სულიერს და გონების დასაღვინებელს არაფერს გვიტოვებს. ერთი სიტყვით ნახევარი ბოთლი არაყია, დასაყო-ლებლის გარეშე.

3980. ეკონომიკას მიტმასნილი უმრავლესობა აურზაურს ტეხს, უმ-ცირესობა მის ერთგულ სამსახურს ცდილობს, ხოლო ეკონომიკის ერთეული გენიოსები რეკომენდაციებს გვთავაზობენ მომავლის გათ-ვლით, თუმცა ამას სიცოცხლეში არავინ აფასებს.

3981. ყველა პრობლემას აქვს შანსი წარმატების საწყისი გახდეს, თუ მას პროფესიონალები ხელს მოჰკიდებენ და დააფინანსებენ.

3982. ბიზნესს ტვინიც უნდა ჰქონდეს, პატრიოტიც უნდა იყოს და წინაც უნდა იყურებოდეს, რადგან არავინ უწყის სხვა ქვეყანაში ნაკეთებ ფულს როდის დასჭირდება სამშობლო თავის შესაფარებლად.

3983. ბიზნესი თავისებური დაავადებაა, რომელიც მეგობრებს გვა-კარგვინებს, ნათესავებს გვავიწყებს, ნაცნობებს ვერ გვამჩნევინებს და მისთვის წინააღმდეგობის გაწევა გვიჭირს.

3984. დასამახსოვრებელი ეკონომიკა გენიალობის და დროის მოთხ-ოვნა-მხარდაჭერის შედეგია, ხოლო ბიზნესმენობა – მილიონებით გო-ნივრული რისკის და გამართლების.

3985. ბიზნესი უნდა ვავარჯიშოთ, სტიმული მივცეთ, ვაბარტყოთ, მაგრამ ქვეყნის დაბალანსებული, მომგებიანი, ეკონომიკის ფარგლებში, ,,ურთიერთგადაგდების'' გარეშე.

3986. სადაზღვევო-საბუკმეკერო, კანტორა საკმარის კლიენტებს მო-იზიდავდა თუ ფსონს ასაკოვანთა სიცოცხლის გახანგრძლივებაზე მიიღებ-და, ყოველწლიური ნამატით, ვთქვათ 66-74 წლამდე 20%, 75-83 წლამ-დე 40%, 84-92 წლამდე 60%, 93-101 წლამდე 100%, რაც მოხუცებს დამატებით ცხოვრების ჟინს შეჰმატებდა და მიზანდასახულს გახდიდა.

3987. ხალხის ეთნიკური თვითშეგნება ქმნის ქვეყნისთვის საჭირო ეკონომიკას – ბიზნესს, ნაციონალური სიამაყის შეცნობა-შეგრძნებით.

3988. განგება, ეტყობა, ცუდად ერკვევა ეკონომიკაში, უარესად – ბიზნესში. ასე ფიქრობ, როდესაც უყურებ ვის ჩუქნის ფულს და ვის მის გამომუშავებას ამადლის.

3989. ეკონომიკური თავისუფლება: სამუშაოს არჩევა, ბიზნესის მიგ-ნება, კუჭის ამოყორვა. პოლიტიკური: კრებების ჩატარების უფლება, სიტყვის თავისუფლება, გადაადგილების საშუალება. ეს უკანასკნელი ყოველთვის მეორე ადგილზე გადადის თუ ხალხი პირველის სიკეთეს და ნებას იგრძნობს.

3990. ეკონომიკაში პატრიოტულ ნოტებზედ აწყობილ-დაუსაბუთე-ბელი ყბედობა უფრო ფასობს, ვიდრე დასაბუთებული გაანგარიშება, მიუხედავად იმისა, რომ ხალხი პირველის უსუსურობას მეორესთან შედარებით შინაგანად გრძნობს, მაგრამ ამომრჩეველთა უმრავლესობა ხმას მაინც პირველ ვარიანტს ჩუქნის, რადგან მეორე მის გონებსთვის მიუწვდომელია.

3991. ბიზნესმა, უნდა თუ არა, ქვეყნის ძლიერებას მხარი უნდა დაუჭიროს, თუ უნდა იარსებოს, ,,იბლატაოს''.

3992. ყოველივე ქრთამის მაგვარი ჩამორჩენილ სახელმწიფოში, ბიზნესის განვითარებას ემსახურება, სანამდის ქვეყანა ფეხზე დადგება და ეკონომიკა განვითარდება.

3993. ნაციონალიზმი ისეთი მოძრაობაა, რომელიც, ქვეყნის არეულობის შემთხვევაში, მის გასარჯნელად ყოველთვის მზადაა.

3994. ტყუილის გარეშე ცხოვრებას ვერ შესძლებ, მაგრამ მატყუარას პროფესიით ცხოვრების გავლა გაგიჭირდება.

3995. შესთავაზეთ „ბრუდერშარფტი“ და ხელში კოცნა შემოგრჩებათ გარკვეული პერსპექტივით.

3996. საუბარი უნდა დაიწყო თემის რეზიუმეთი და თუ მსმენელი დაინტერესდება, მერმე უნდა დაკარგოთ დრო ლექციის წასაკითხავად.

3997. არის ჰუმანიზმი, არის ჰუმანიზმამდე დაფანილი სიბრიყვე, როდესაც სახელმწიფო თავის მოქალაქეებს აინტერესებს „დაუნი“ ბავშვების მოვლა-პატრონობით. ეს უკანასკნელნიც არ იბნევიან, ღვთისშვილების ექსპორტს ეწევიან, ამით საკუთარ ქვეყანას ყვერებში მახათს უყრიან და „საქმეს“ უჩენენ.

3998. პატივით უნდა მოვეპყრათ მშობლების არჩევანს, მაგრამ ჩვენ ჩვენი გზით უნდა ვისეირნოთ და არა ვიაროთ, რადგან ეს მათვის ნაკლებად შესამჩნევი იქნება.

3999. ყველა თავისი ოცნების მეწყვილესთან ცდილობს დაწყვილებას, მაგრამ ხშირად მცდელობა გონიერებამ, მოთმინებამ, შვილებზე ზრუნვამ, უნდა შეცვალოს, რადგან ოცნება და სინამდვილე ერთმანეთს უახლოვდება, მაგრამ არასოდეს არ ემთხვევა.

4000. კორიდასთან არსებულ საფირმო რესტორანში, ანეგდოტის თანახმად, ხან დიდი ზომის ყვერების მწვადს სთავაზობენ გურმანებს, ხან – პატარისას, რადგან კორიდაზე ხან ხარი კვდება და ხანაც – ტორეადორი. ასევეა ცხოვრებაშიც: გააჩნია, რას საქმიანობ, რის შემოთავაზება შეგიძლია, რადგან ცხოვრებას თავის ურყევი კანონები აქვს, ჩვენ კი – ჩვენი ურყევი ოცნებები.

4001. კარიერას არ შეუძლია სიფარულს თავი ანაცვალოს, რადგან ანგარიში და ანგარება გრძნობების ჩქროლვას და თავდავიწყებას ვერ გადაყვება.

4002. ტოპ-მოდელი ასლი არ შეიძლება იყოს, ის ნატურის სუნით უნდა ყარდეს როგორც ვნებამოჭარბებული ძუკნა.

4003. ყნოსვა არის იმ სუნის შეცნობის უნარი, რომელმაც ამა თუ იმ სიტუაციაში დასაცინცლავი რამ უნდა გამოადნოს.

4004. ფანატიზმი ეჭვს და შიშს ვერ იტანს, თუმცა მისი საწყისი – რწმენა მასზეა აგებული.

4005. ამ ბოლო დროს თავსაც ვეღარ ენდობი ნაღდ საქმეში გაქარება გინდა და ჩასვრილი გამოდიხარ.

4006. მუქთად მე გაქარებაც მენანება, რადგან მისი გაზი საწვავად ხომ არ გამოდგება?!

4007. ცხოვრების დონე რაც უფრო წინ მიიწევს, სამყაროც შესაბამისად ირევა, ასე იმიტომ გვეჩვენება, რომ წინათ შერეკილები ყურადღების ქვეშ ჰყავდათ და ღარიბად ცხოვრობდნენ, დღეს უყურადღებოდ ჰყავთ და სიმდიდრეში ამყოფებენ.

4008. ყველა მდედრიდან არ შეიძლება მეოჯახე ქალის გამოთლა, მაშინაც კი, თუ ძუს ხვადი თავდავიწყებით უყვარს და ეთაყვანება.

4009. საკუთარ თავს ხშირად სხვადასხვა კუთხიდან უნდა შეხედო, რათა თავი უკეთ შეიცნო და მიზნისკენ მიმავალ გზას ბარაქა დააყარო.

4010. ჩვენ მორალის აპოსტოლები, მოციქულები, მონები არ უნდა ვიყოთ, მაგრამ მის კლანჭებს ვერსად გავექცევით, რადგან გარკვეული შეხლა-შემოხლის მიუხედავად, ის მუდმივი განზომილებაა.

4011. ბრძენი რაიმე სპეციალობას მაინც უნდა ფლობდეს, რომელიც კრიზისის ჟამს პურს აჭმევს.

4012. უკაცობის დადგენას დრო არ სჭირდება, ის ვიზუალურად, დაკვირვების გარეშეც სახეზეა.

4013. შეუძლებელია იმ დაავადების განკურნება, რომელიც არ გვჭირს, მაგრამ წამოუდგენლად ძნელია გონების კუნჭულში საკუთარი ეჭვის დარწმუნება, დამოძღვრა.

4014. ოვაციის მოპოვება, მითვისება, დროებით შესაძლებელია, მაგრამ არა – გათავისება.

4015. ახალგაზრდა ქალის საგანძური, სხეული, დაუმუშავებელი ალმასივითაა, რომელსაც სექსუალურად დაწახნაგების სურვილი დიდი აქვს, მაგრამ ყველასათვის არ ემეტება, ხოლო ასაკში დაკუთხულიცაა და დამუშავებულიც, მაგრამ ამ ,,ბრილიანტის'' მყიდველის მოძებნა ძნელია.

4016. საქორწინო ,,ლატარეის'' თამაში ყველას მოგვიწევს, მაგრამ მოგების ხარისხი სიცოცხლის ბოლომდე სათუო და გაურკვეველია, რადგან სხვა შანსიც იყო.

4017. რა ჯობს, თუ ძველის ნგრევას ახლის შენება მოყება, მაგრამ გამოცდილება გვკარნახობს ჯერ ვაშენოთ და ძველი მერე მოვისროლოთ, რადგან შეჩვევა-გადაჩვევას თავისი დროის ქეიფი სჭირდება.

4018. ჭკვიანსა და უვიცს შორს ის სხვაობაა, რომ პირველმა რაც არ უნდა იძახოს უცოდინარი ვარო, არ დაუჯერებენ, ხოლო მეორეს ამის მტკიცებას არავინ სთხოვს.

4019. კორიდა სიკვდილთან ცეკვით, სულის სერობაა, რომელიც ტორეროს ხართან შერკინების დროს ემოციების გამომჟღავნების საშუალებას სპობს.

4020. ძალაუფლების და რწმენის დაკარგვა თითქმის სინონიმებია და აქ შეცდომების ძებნა და სხვების დადანაშაულება რეალობის გაბაზრებაა.

4021. შედეგი ფელაფერს გვპატიობს, იმასაც, რასაც წაგებული და მისი ღირსება არ იკადრებს.

4022. რაინდობის ფენომენი არ კვდება, რადგან მას ხშირად ბილწ საქმიანობაშიც იყენებენ თავზე შეფარებული მამლაყინწები.

4023. გამართლება ძალზე იშვიათობა და კაპრიზია და მის მოსაყომარებლად დიდი ენერგია და შემართებაა საჭირო.

4024. სიფარულისთვის დღეს დუელში არავის იწვევენ, ფულისთვის კი ქილერსაც ქირაობენ და თავადაც „გვეკვლებინებიან“.

4025. გამარჯვებისთვის, დამარცხებისაგან განსხვავებით, ბევრი რაიმეს შეწირვა-შეხახვისთავება შეიძლება, მაგრამ არავინ კითხულობს, ამ ქმედებამ საზოგადოებას არგო თუ ავნო.

4026. ხშირად ძალაუფლებისკენ მისწრაფება ჯობნის სიფარულს, რადგან პირველი ტრადიციების, აღზრდის, კანონის და საზოგადოების კონტროლის ექვემდებარება, ხოლო მეორე არავის ემორჩილება, მაგრამ მოვალეობა მასზეც ზეწოლას ახდენს.

4027. ფელამ ვიცით სამყაროს სამუდამო მოქალაქენი, ადრე თუ გვიან, ფელანი გავხდებით და არც გასაყოფი და არც საზღვრების დასარღვევი არაფერი გვექნება, მაგრამ ამ ჭეშმარიტების გათვალისწინება რეალურ ცხოვრებაში დაპირისპირების და ერთმანეთის დაჭმის გარეშე რატომღაც არ გამოგვდის.

4028. სამორინეში მოგება ჰორმონებს ახალისებს, წაგება თრგუნავს, მაგრამ რევანშის ჰორმონი ყოველთვის ფრთაშესხმული და ხელშეუხებელია.

4029. წინასწარ ოცნების და დაგეგმარების მიუხედავად, არასოდეს არ ვიცით ცხოვრების რომელ ნავსაყუდარს მივადგებით და რომელ ყურეში ჩავიძირებით.

4030. ქურდობას მოსპობისაგან განათლებისადმი პატივისცემა იცავს. თუ წინათ ჯიბის ქურდობისთვის ილუზიონისტის ხელოვნების დაუფ-

ლება იყო საჭირო, დღეს „ხაკერის“ გადაბრუნებული ტვინია მოდაში, ხოლო ხვალ რის ცოდნას მოგვთხოვს ეს უძველესი პროფესია, არავინ უწყის.

4031. ეთიკა და ეტიკეტით ცხოვრება სახიფათოა, რადგან მათი ხუშტურის დაკმაყოფილება რობოტებად გვაქცევს.

4032. მდიდარსა და უსინდისოდ უმდიდრესს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი კანონს პატივს ცემს და მასთან შეხვედრას ერიდება, მეორე მართლმსაჯულებას არად აგდებს და ყელაფერს იკადრებს, რომ არ დასაჯონ.

4033. ჭკუას ისინი გვარიგებენ და მორალს ხშირად ის გვიკითხავს, ვისაც კეთება არაფრის შეუძლია და ერთ ბატს მოსავლელად ვერ ანდობ.

4034. შეიძლება გქონდეს სტრადივარიუსის ვიოლინო, მაგრამ ცუ-დად უკრავდე, ამიტომ მთავარია, რას ფლობ და როგორ იყენებ და არა ის, რა გაქვს და რით მოგაქვს თავი.

4035. სიძულვილის სიყვარულით შეცვლა შეიძლება, მაგრამ არა-სანდოა.

4036. ქურდობას ფართე გაგება აქვს: ხაზინის პარვა, ერის ღირებუ-ლებებით ვაჭრობა, უკანგორების მრავალფეროვნება და მრავალი სხვა, მაგრამ ქურდობაზე, რატომღაც, თავს მარტო ჯიბის და „ჩარჩოიანი“ ქურდები დებენ.

4037. სიკეთე ბუმერანგი არ არის, ყოველთვის უკან დაგიბრუნდეთ, რაც არ უნდა აქსიომად გეჩვენებოდეთ.

4038. თავაზიანობა და პირმოთნეობა ერთი არ არის, რადგან პირველი აღზრდას მოითხოვს, მეორე – ვირეშმაკობას და მათ შორის განსხვავება ხშირად ჩვეულებრივი მოკვდავისთვისაც ძალზე ძნელია.

4039. უნდობლობასაც გამართლება აქვს, რაც გასათვალისწინებე-ლია.

4040. მეტის ცოდნა ბევრის კეთებას არ ნიშნავს, თუ გვერდზე თანამზრახველები და კეთილისმდომნი არ გიდგანან.

4041. გაზაფხულის მოსვლას უცდიან და მის მოყვანას არ აპირებენ, რადგან რა სიმძაფრის და ხარისხის იქნება, არავინ უწყის.

4042. მიუხედავად გულის მცდელობისა, მას ყოველთვის უჭირდა ყოფის, ვნების, სიყვარულის, გალაღება.

4043. მოვალეობის გრძნობას რყვნის და თაობებს გადააგვარებს ყოველივე მოჩვენებითი, პირობითი და უმსგავსო.

4044. თვით ლიბერალებშიც უამრავი წინააღმდეგობაა, რომლის გამოსწორებას თავად ლიბერალები ცდილობენ.

4045. ხშირად უმრავლესობა გონიერებაზე მწყრალად არის და გარკვეულ დრომდე ამის დაჯერება არ უნდა.

4046. ყველაზე ჭკვიანი და რაციონალური ქმედება, ერთი შეხედვით, ხანდახან, ძალზე ბრიყფულად გამოიყურება და ესეც ჩვენი ცნობიერების ბრალია.

4047. წინაპართა სიღარიბე მხოლოდ აწმყოს აძლევს ხელს თავის გამოსაჩენ-წარმოსაჩენად.

4048. ეჭვი მტკიცება არ არის, მაგრამ სიმართლის დასადგენად, მის აღმოუცენებელ თესლად გამოდგება.

4049. კლასიკურ აგნოსტიციზმს ყველაფერში ეჭვი ეპარება, მაგრამ შენ რომ ადამიანი ხარ და იმადვე დარჩები, არავის ეჭვს არ იწვევს.

4050. „მეგობრობა შეუძლებელია დავშორდეთ“ – გააჩნია, სად დავსვათ გონიერების თუ უგნურების მძიმეს.

4051. უნიჭობას წინასწარ ჭვრეტის უნარი არ გააჩნია, მაგრამ ეს მას ხელს არ უშლის ეჭვი, თავის სასარგებლოდ, არაფერში ეპარებოდეს.

4052. ყველა ახალი მიმდინარეობა, რწმენა, რომელიც რკინისებურ წესრიგზეა დამყარებული და ჰიპნოზის შესაძლებლობებითაა გადახარშული, ფსიქოტერორიზმია.

4053. შეფარდებით ღირებულებათა რწმენა ცნობიერების სიტლანქეა, ხოლო აბსოლუტურ ღირებულებათა გათავისება – უგნურება.

4054. ცოდნა შესდგება საჭირო, დამხმარე და უმაქნისი გამოცდილებისგან, რა დროს რა გამოდგება, არავინ უწყის.

4055. ეჭვიანობა დაავადებაა, ხოლო თუ განზრახ აეჭვიანებენ – სადიზმია.

4056. ეჭვიანობა არავის ამშვენებს, მაგრამ ობიექტი მაინც უნდა გადაამოწმდეს.

4057. ეჭვიანობა სულის დამამცირებელი ტანჯვაა, მაგრამ სიყვარული მის გარეშე ვერ იარსებებს.

4058. ეჭვიანობა განდიდების მანიადაც შეიძლება მოინათლოს, რადგან ჰგონიათ, თავის დროზე ისეთი უნიკალური ქალი მოხიბლეთ, რომ მის გარეშე ცხოვრება მამაკაცებს არ შეუძლიათ.

4059. ეჭვი ყველაფერზე ეჭვიანობს და ფაქტებს, ალიბსა და საღ აზრს არაფრად აგდებს.

4060. იმედს, შემართებას, მიზანს, ეჭვიანობისათვის აღარ ცალია.

4061. სიყვარულს ახასიათებს სიბეცე, ეჭვის სიბრიყვეზე ფიქრი და სისულელის კეთება.

4062. ეჭვიანობა დიდი სიყვარულია, თუ საკუთარი ამბიციების გამოხატვის მცდელობა, ძნელი დასადგენია.

4063. საყოველთაო განათლება იმან გამოიწვია, რომ მუშათ მუშაობა აღარვის უნდა, მიუხედავად იმისა რომ მათ ყოფის ასოების წაკითხვის მეტი არაფერი იციან.

4064. გარკვეული დოზით და დროით ეჭვი სიყვარულს ამაგრებს, ხოლო არაადეკვატური საქციელით, გადამლაშებით, ანგრევს.

4065. ეჭვი ყოველთვის სჯობდა ბრმა რწმენას საქმის კეთებაში და არა – სიცოცხლის გახალისებაში.

4066. ეჭვი ყველაზე მძიმე სატარებელი ტვირთია ადამიანის სულისათვის.

4067. დედამიწის დანაგვიანება ადამიანის მიერ იმისას 1%-ს არ აღემატება, რასაც თავად ბუნება კადრულობს ვულკანების, ქარიშხლების და მიწისძვრის შედეგად.

4068. „საწყალ“ რუსეთს ყველა იმპერიალისტად თვლის, ის კი ჩვეულებრივი მოკვდავივით ხელგაშლილი თავის სიამოვნებისთვის ცხოვრობს.

4069. ეჭვის ბზიკის შემოჩვევას შეიძლება თავი გავართვათ, მაგრამ მისი ნაკბენის უგულებელყოფა ჩვენს ძალას აღემატება.

4070. ფაქტები ეჭვს გაფანტვით ემუქრება და მის საჭიროებას გამორიცხავს.

4071. თვალებში ჩათხრილი სიმართლე ფანატიზმისთვის და აკვიატებული აზრისთვის ყოველთვის მიუღებელ-დაუჯერებელია.

4072. ზომაზე მეტად გულის გადაშლამ შეიძლება ახლობლები, მეგობრები, აღაშფოთოს, აეჭვიანოს, რადგან ზომიერებას დაცვა ყველგან და ყველასთან საჭიროა.

4073. 100 მოწამის ხსოვნის დღეს 1227 წლის 13 ნოემბერს მეტეხის ხიდთან დახოცილმა 100.000-მა ქართველმა მოწამემ თავისი ფანატიზმით ვერც რწმენა გახადა უფრო ჭეშმარიტი და ვერც შემდგომი თაობები უკეთესი. ასე, რომ კერპადქცეული რწმენა და იდეოლოგია დიდ მსხვერპლს „იმსახურებს“.

4074. უნდობლობა, ეჭვი, თვალყურის დევნება, ბუნებით მუხანათი ხალხის ჩვევა და თავისებური სიბრძნეა.

4075. ეჭვი ქალს და არა – დედაკაცს ძლიერს ხდის და საბრძოლველად ფრთებს ასხამს.

4076. ცხოვრების საწყისი ეჭვია, რომელიც ასაკში ცოდნად და რწმენად გარდაიქმნება.

4077. ეჭვიანობა დაკუპაჟების შედეგად მიღებული გულგრილობა და საწყისიც ერთი აქვთ.

4078. ეჭვის შეპარება, შეიძლება აღფროვანების, სიფხარულის და დაოჯახების საწინდარი გახდეს.

4079. ვინც სხვაზე ჭორაობით ცხოვრობს, ერთობა, ეტყობა, თავად უინტერესო ცხოვრება აქვს და სხვისი „შეძახილებით" არსებობს.

4080. დაცინვა-დაკნინების შედეგად შეურაცხყოფილმა ადამიანმა, შეიძლება ისეთი სისაძაგლე ჩაიდინოს, რომელზეც არც არასოდეს უფიქრია და ვერც ვერასოდეს ჩაიდენდა.

4081. მითსა და ზღაპარს შორის ის სხვაობაა, რომ პირველისგან განსხვავებით, მეორის არ გვჯერა იმისდამიუხედავად, რომ მისი დასასრული ყველასთვის მოსაწონია.

4082. სიკვდილ-სიცოცხლის გზაზე ბედი, გენი, აღზრდა, გვატარებს, რადგან მასზე სასიკეთოდ სიარული ყოველთვის ჩვენს ნება-სურვილს არ ემორჩილება.

4083. კარიერის კეთება ჯუნგლების პრინციპებზეა აგებული: თუ შენ არ შეჭამ სხვა გადაგასწრებს, კარიერის სკამზე წამოსკუპდება და თავად შეჭმული, გაბიაბრუებული დარჩები.

4084. კეთილი სურვილების მიუხედავად, ყველა ნაძალადევ საქმიანობას მონდომება გამქრალი აქვს და წარმოებული რაოდენობის მიუხედავად ხარისხით ვერ წაიტრაბახებს.

4085. პატიება-წაგება, მიტევება-დამარცხება, მათ შორის დიდი სხვაობა და განსჯას იმსახურებს, იმისდამიუხედავად, რომ საბოლოო შედეგი ერთი აქვთ.

4086. სამყარო ძირითადად იმ იდიოტებისაგან შედგება, რომლებსაც ყბედობა სიამოვნებთ და წატრაბახებისკენ აქვთ მიდრეკილება.

4087. ის, რაც ყველასათვის გასაგებია, ხელმისაწვდომია და განსჯას არ იწვევს, კარგია, მაგრამ საინტერესო არ არის, უკეთესობისკენ მიისწრაფების სურვილს გვიკარგავს.

4088. ეჭვი ავიწროვებს შეგნებას და ტვინს განსაცდელში აგდებს.

4089. პირველად მაინც ენერგია იყო და შემდგომ სიტყვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ უკანასკნელს ვერავითარი ბუნების ძალა ხმას ვერ ამოაღებინებს.

4090. ფილოსოფია შეხედულებებს განსჯის, ისტორია – ქმედებებს, სასამართლო – დანაშაულის რაობას, ხელოვნება – სურვილებს, ფული

– შესაძლებლობებს, ხოლო გონიერება ვის და რას ემსახურება, თავადაც ვერ გარკვეულა.

4091. პროფესია პირველ რიგში შემოსავალია და შემდგომ საქმიანობის სიფარული, რადგან ეს უკანასკნელი პირველის გარეშე პეწს კარგავს.

4092. ეჭვიანობასაც საზღვარი აქვს, მასაც ალღო სჭირდება: თუ გადაამლაშებ, პარტნიორს დაკარგავ, თუ ზომიერებას დაიცავ – შეინარჩუნებ.

4093. ეჭვიანობა ხშირად სათუო სიფარულს ნიშნავს, გულგრილობა – ძალად თავის პატივისცემას.

4094. სამუშაო დღის დამთავრება იშვიათად ხსნის პრობლემებს და თუ ეს მოხდა, მის ადგილს მაშინვე სხვა გადასაჭრელი საკითხები იკავებს.

4095. როცა გემლიქვნელებიან, უნდა დაფიქრდე, რამე ხომ არ გეშლება.

4096. ყველა დოგმას ცვალებადობა ემუქრება, რადგან ჩვენც ვიცვლებით, ტექნიკური პროგრესიც და ფუფუნებისკენ მიდრეკილებაც.

4097. ხშირად მთავარია რა გველის მომავალში და არა ის, დღეს ვისთან, რისთვის და რას ვჩალიჩობთ.

4098. დადგა დრო, როდესაც ფრიადოსნობა სირცხვილია, რადგან ყოველივე მატერიალიზებულია და ფულის ოდენობით ფასდება. ეს დროებითია, ვინაიდან ამ ექსპერიმენტის განხორციელებას განგება არ დაუშვებს.

4099. ეჭვიანობა არც სიკეთის მომტანია და არც ჭეშმარიტების დამდგენია და არც სწორ გზაზე დამყენებელი.

4100. ეჭვიანობა ნაკლია, წინაალმდეგ შემთხვევაში, მასზე ფიქრით გონებას არ გადავღლიდით და ნერვებს არ დავიძაბავდით.

4101. სიფარული და დიპლომატია, ეჭვიანობის მიუხედავად მუდამ კონსესუსის ძებნაშია.

4102. ეჭვი იმედის, რაობის მისიის შენარჩუნების ყველა ჩვენთაგანისთვის უმნიშვნელოა, მაგრამ აუცილებელია.

4103. თუ სიტყვა დევალვაციას განიცდის, პროფესიონალიზმი არავის სჭირდება, პიროვნებაზე ზრუნვას არად მიიჩნევენ და ყოველივეს დამცინავი დროის ყივილს ანდობენ, საზოგადოება გადაგვარებულია.

ვექილი

4104. ვექილის ვალია კანონში საძრომიალოს ძებნა, დანაშაულის კოსმეტიკა, კლიენტის დამცავი კედლის აღმართვა, ხოლო დამნაშავისა – ყოველივე ამ მცდელობის დაფინანსება. შეიძლება ეს უკანასკნელი წაგებულიც დარჩეს, ხოლო ვექილი – არასოდეს.

4105. სიმართლე ერთია, მაგრამ მას სხვადასხვანაირად იგებენ დროის, ტრადიციების გათვალისწინებით და ვექილის დახმარებით.

4106. სასამართლო დროის გაყვანის, ნერვების დაღვინების და იმედის ნაწურწკლის მოცემის საშუალებაა ვექილთან ერთად, რომელიც განჩინების შედეგზე პასუხს არ აგებს.

4107. ხშირად ვექილის მსჯელობა კანონთან მართალია, მაგრამ თავად კანონიერებისა და განსასჯელისთვის მავნებელია, რადგან საბოლოოდ სიმართლემ ვერ იზეიმა და საზოგადოების ინტერესები შელახული დარჩა.

4108. წვრილმანი ვაჭრების მთავარი იარაღი დღეს ვექილია, ჩინოვნიკებთან საბრძოლველად.

4109. შეცდომასა, გადაცდენასა და ღალატს შორის დიდი სხვაობაა, მაგრამ მათ შორის ზღვარის გადება ჭირს, რადგან ვექილომანიის ინსტიტუტი თავის არგუმენტებს წარმოაჩენს – „შენ რომ ასე არ მოქცეულიყავი, ის ასე არ მოქცეოდაო“ და ა.შ.

4110. ვექილის სინდისი ფულია, მოგებული საქმე – ღირსებაა, რადგან ამას მისი პროფესიონალიზმი მოითხოვს.

4111. პედოფილს და პროფესიონალ მანიაკს დამცველი რომ გამოუჩნდება, მე იმ საზოგადოების და იმ ოპონენტის დედა ვატირე, ვისაც მათთან ყოფნა მოსწონს და ეამაყება.

4112. კრიტიკას წარსულიც, აწმყოც და მომავალიც ექვემდებარება, ოცნების როგორი ვექილიც უნდა იცავდეს მათ სტატუსს.

4113. ჩვენ მტრებს რომ კუდის ამწევი ოპონენტები არ ჰყავდეთ დამცველად, მაშინ არც ჩვენ დაგვჭირდებოდა მათი კუდდასამოკლებელი ვექილები.

4114. სამართალი უნდა იყოს დაუნდობელი, მოუსყიდველი, მაგრამ მასთან მართლმსაჯულება ვერ მუშაობს, რადგან დანაშაულის დაცვას გამოუვალი მდგომარეობის გამო, მუხრუჭები აშვებული აქვს.

4115. კაცმა ყველგან უნდა იხვადოს და თავი წარმოაჩინოს, ხოლო სად იწვრთნებოდა, კოლეჯში თუ ეკლესიაში, ამას მომავალ'ში მოპოვებული ცხოვრების დივიდენდები გვაჩვენებს.

4116. კანონს ნაოჭები მაშინ უჩნდება, როდესაც მის თვითდაჯერებულობაში ვექილი საძრომიალოს ნახავს.

4117. სიმართლე ოთხჯერ მაინც უნდა მოვხაროთ – მომჩივანთან, პროკურორთან, მოსამართლესთან, მსაჯულებთან და ერთხელ უნდა გავასწოროთ – ვექილის დახმარებით, თუ გაგვიმართლა და სამართალმა პური ჭამა.

4118. ვექილისთვის კლიენტი ნივთია, ხოლო მისი შეფასება-გადაფასება სასამართლოში, ადვოკატის იმიჯზე და მის დაფინანსებაზეა დამოკიდებული.

4119. ვექილის ცხოვრება სხვისი პრობლემებისგან შესდგება და მისი ვალია მათი მოგვარება თავის უნარის ხარჯზე და მოგებით შეძლოს.

4120. ვინც ღმერთის ვექილია, სხვა გზა არ აქვს, თავის წამოსაჩენად ეშმაკიც უნდა დაიცვას.

4121. ვექილობა დოზირებული ტყუილის გამოყენება, რადგან მხილება-გამოაშკარავება, სიმართლე, ხშირად თავხედობს და ტრადიციებს, ოჯახს, რწმენას ანგრევს, ხოლო დამცველი მოწოდებულია, სათანადო ანაზღაურების საფასურად, საზოგადოების გარკვეული ნაწილის სიწმინდე და ვიღაცის და რაღაცის ინტერესები დაიცვას.

4122. ვექილი და პატიოსნება ერთად ვერ მოსძოვენ, რადგან მათი დახმარება იშვიათად თუ ვინმეს დასჭირდება.

4123. ვექილი მოწოდებულია კანონში, ადამიანის სულში, იდეოლოგიაში საძრომიალო ნახოს თუ ის პროფესიონალია.

4124. ვექილის საქმიანობა ყოველთვის მომგებიანია, თუ საქმე წაგო, კუთვნილ ჰონორარს იღებს, თუ გაუმართლა და საქმე კეთილად დამთავრდა, პრემიასაც ჩაიჯიბავს.

4125. კანონის მოტყუება, გადაცდენა, შეუძლებელია, მაგრამ მისი ინტერპრეტაცია და შენს სასარგებლოდ განმარტება შესაძლებელია, თუ მოსამართლეს და ვექილს საერთო ენა გამონახული აქვთ.

4126. იდეალი – მსაჯულია, იდილია – ვექილია, იდეა – მოსამართლეა, საქციელი – პროკურორია, რეფორმატორი – დამნაშავეა. ასე და ამრიგად, ყველა ერთმანეთს თავის რაღაცას ვახვევთ, რაღაცისთვის და ვიღაცისთვის.

4127. ყველა კანონს პატივი უნდა მივაგოთ სასამართლოს გადაწყვეტილებამდე, ხოლო აღვასრულებთ თუ ზურგს შევაქცევთ, ამას ჩვენი ვექილი და შესაძლებლობა გადაწყვეტს.

4128. ვექილის ვალია კლიენტის „ქაქიდან“ გამოთრევა და არა – მისი კანონის წინაშე დაცვა, რადგან ანგელოზი ადვოკატი არ არსებობს, ისიც ადამიანია და ოჯახი ჰყავს.

4129. იურისტის პროფესია ზოგს მხოლოდ ყბედობა და ვიგინდარას დაცვა ჰგონია, სინამდვილეში ის სიმართლის დასადგენად უნდა იღვწოდეს, იმის მიუხედავად, ფულს უხდიან თუ არა.

4130. ვექილის ხელოვნება თავის მოკატუნებაში, შესამჩნევის არშემჩნევაში, კანონების მოთარგმნასა და საქმის ისეთ წარმოჩენაში გამოიხატება, რომ მისი მჭერმეტყველებით და საკუთარი უცოდველი ბატკნობით ბრალდებულიც გაკვირვებულია.

4131. დამცველი – ვექილი განსჯას არ იმსახურებს, მისი მცდელობა გარეშეთათვის რაც უნდა მიუღებელი იყოს, რადგან ეს მისი პროფესიაა და სხვა პროფესიონალებთან საჯილდაო.

4132. კანონი უნდა იყოს სამართლიანი, მკაცრი, შეუვალი, რათა მოხერხებულობა, ცდუნება, ვექილის მცდელობა, არ მოერიოს.

4133. დამნაშავეთა სამყაროში ყველაზე ნაძირალასაც კი ალიბი აქვს, რადგან ეს მათი პროფესია და თავის დაძვრენის ინსტინქტია.

4134. არის ფაქტი, რომელსაც ვერსად გაექცევი, მაგრამ არის ფაქტისმაგვარი, რომელსაც კარგი ვექილის ხელში როგორც გინდა ისე მოიქცევა.

4135. ვექილობა ეს ის პროფესიაა, რომელსაც მოხდენილ ქალთან არშიყით მუქთად საუბარიც კი, ეზარება.

4136. კანონის ცოდნით, ნიჭით, შემართებით დარღვევა ხელოვნებაა.

4137. წესით ომს ვექილი არ უნდა ყავდეს, მაგრამ თუ საჭიროა მის დაცვას უარი არ უნდა აკადროს – პროფესიაა ასეთი.

4138. ეროვნება, ადგილის დედა გვაიძულებს, მას ვემსახუროთ, ვინც კრედიტით ენა, ეროვნება, განათლება, მენტალიტეტი, სამშობლოს სიყვარული ჩვენში დააბანდა, რომელიც შინაგანად უფლებას არ გვაძლევს ჩვენს მოსაწონ საზოგადოებაში ვიცხოვროთ, რადგან ჩვენი გონიერების, მცდელობის, შემოქმედების საწყისი ეროვნულობითაა დაყადაღებული და ამ განჩინებას ვერცერთი ვირტუალური ვექილის მომსახურეობა ვერ შველის, რადგან ასაკში ჩვენი წარმომავლობის საწყისში შეცვლა არ ხერხდება.

4139. კარიერის ჯებირებს ნებისყოფა და რწმენა ანგრევს თავისი მისწრაფებებით.

4140. ასაკსაც დამსახურება უნდა, რათა იმქვეყნად სიბერის შეუცნობლად არ წახვიდე.

4141. მოჩვენებითობამ არ შეიძლება წესიერად და მორალური კანონების დაცვით იცხოვროს.

4142. სიბერის გაცვლა რომ სხვისაზე შეიძლებოდეს, უმეტესობა საკუთარს აირჩევდა, რადგან მას შეჩვევა არ სჭირდება.

4143. „საშუალო შეწონილი" სიცოცხლე უგემურად გაფრენილი დროის ხარჯვის მრიცხველია.

4144. გენერლები არ უფცართ, მაგრამ გენერლობა მოსწონთ და მათ ფორმას სიამოვნებით იცვამენ და ამაყობენ.

4145. იდეებისთვის სიკვდილი სიბრიყვეა, მაგრამ გარეგნულად ლამაზი ჟესტია.

4146. ყველა არასასურველ შემთხვევას დრო აზავებს, ანელებს, შიგადაშიგ გახსენებით.

4147. არის აღმზრდელი – კუმირი, რომელმაც შეგირდების შესახებ არაფერი იცის, რადგან პოპულარობაა მისი მსოფლმხედველობის საწყისი.

4148. წლები არავის ალამაზებს, მათ შორის, გონებას, რომელსაც სკლეროზის ჭია უკვე შეუჩნდა.

4149. ფიქრი სიამოვნების მიღების მცდელობაა, ხოლო მასზე კაიფის დაყენების ცოდნა – ნეტარება.

4150. იდუმალების ნაკრძალი, სულიერების მცნებების გარეშე, ყველაზე დიდი უბედურებაა ადამიანთა ურთიერთობაში.

4151. ოცნება ყველას ჩვენი გვაქვს, ამიტომაცაა, რომ მათი შეუთანხმებლობა ტრაგედიის წინაშე გვაყენებს.

4152. წარმატებას ისინი აღწევენ, ვისაც ზევით შეამჩნევენ, როგორც მიწიერი, ასევე ღვთაებრივი თანამდებობის მქონენი.

4153. ადრენალინი სასწაულებს ახდენს, თუ ის საკუთარი გრძნობების თავხედობას გამოისყიდის.

4154. სიცოცხლე მუდმივად ხვნა-თესვის მცდელობაა, ზრდილობის მოშველიებით.

4155. აღზევება სხვისი დახმარების გარეშე არ ხდება, აღორძინებისთვის კი სიყვარული და გაამაყებაც საკმარისია.

4156. ცრურწმენა იძლევა საშუალებას შენი უხერხემლობა სხვას ისე გადააბრალო, რომ პასუხი არავინ აგოს.

4157. ტექნიკური პროგრესი ყოველთვის დარჩება იმ ქვემეხად, რომელშიც ჩასადები ყუმბარების საცდელი ჩვენ ვიქნებით, წინააღმდეგ შემთხვევაში, წინსვლას ადგილი არ ექნებოდა.

4158. ხელმოცარულებს თუ ცხოვრების გამოცდილების უმაღლეს მათემატიკაზე ესაუბრები, პაექრობაში პირველნი უსაქმო დილეტანტები და კარიერის მაძიებელნი ჩაებმებიან, რომელთათვის მთავარი ამბიციების დაკმაყოფილებაა და არა – საქმე გონების და ხელის განძრევით.

4159. ერთი ამბიციებს უხმაუროდ საქმის კეთებით იწყნარებს, მეორე, ხალხმრავალ დემონსტრაციებზე ხეტიალით, პირველი ცდილობს ისეთი მატერიალური ბაზის შექმნას, თავისი რჩეული წარმოაჩინოს, მეორე ამას აყალ-მაყალით და კომპრომატების მოძიებით ახერხებს. აქ სასაცილო ის არის, რომ ეს მოლაყბე ,,რევოლუციონერი'' გაცილებით მეტს აღწევს, ვიდრე შემოქმედი და საქმეს მოწყურებული.

4160. ემოციებზე აგებული ურთიერთობა ცუდია, გონიერებაზე – კარგი, სიფარულზე – ისე რა, რადგან ცვალებადია, მაგრამ ფელაფრით შეჯერებული ჯობს, რომლის დოზირებაც ისევ ჩვენს ალღოზეა დამოკიდებული.

4161. ქაქ-კაცას არ უნდა წამოაძახო თავს სახელი, ის შეუმჩნევლად თავად ამყრალდება და თავისი ვიგინდარობის სასუქად იქცევა, შენ კი ზრდილობაც შეგრჩება და ნერვებიც.

4162. მდედრის პრივატიზაციის ფელა მომხრეა, ძირითადი ხარჯების გაღების გარეშე.

4163. პრინციპი სერიოზული საქმეა, მაგრამ უსუსურობის სალოცავია.

4164. განშორებას თავისი მეცნიერება ახლავს, დაშორებას – თავისი ვირიშვილობა.

4165. სიბერეს თავისებური ცოდნა, შეცნობა, თავშეძახება უნდა, ღიმილით და სიკეთის ფრქვევით.

4166. პირველი ქორწინება განგებას ბრალდება, მეორე – ეშმაკს, მესამე – დემონს, მეოთხე – ანგელოზს, მეხუთე – მიქელ-გაბრიელს, რომელმაც ამდენი დრო გამოჰყო ექსპერიმენტის ჩასაატრებლად, რათა ბოზობა ბედის უპასუხიმგებლობისთვის გადაებრალებინა.

4167. ემანსიპაცია, პატიოსნება, მდედრის რაობა, ერთად ვერ ძოვენ, მაგრამ ფელასთან კონსენსუსის მიღწევა შეიძლება.

4168. ქრთამის გაღება, სხვა რაიმე უხიაგის გამოტყვრომამდე, დროებითი კეილდღეობის ყიდვაა.

4169. კუთხური გამოთქმა მაშინვე ქალაქური „ბრენდი“ გახდება, თუ მას საინტერესო ამბის კოქტეილში ზომიერად და სიფარულით შევაზავებთ.

4170. თუ მხოლოდ მოგზაურობის სურვილი გიჩნდებათ – თავზე წარმოდგენა გაქვთ, ხოლო ამ ხეტიალში რაღაცის შესწავლა-გადმოღებას ცდილობთ, თქვენ გაცილებით უკეთესი ხართ ვიდრე წარმოგიდგენიათ.

4171. ცუდია წარსული გადაცდენის გამოუსწორებლობით, სიკვდილის მორჩილება და საფარელი ადამიანისათვის მიჯნებული წჯნა, რომლებსაც მცდელობის მიუხედავად ვერაფერს უხერხებ.

4172. სიცოცხლეში აღიარება ყველას ხვედრი არ არის, მაგრამ ამისთვის შინაგანად ყველა ჩვენგანი უნდა ვიყოთ მზად.

4173. ცხოვრების სტილი საშუალოდ ყოველ შვიდ წელიწადში იცვლება, ხოლო მისი ტემპის ცვალებადობა ტექნიკურ პროგრესზე და მოდის გათავხედებაზეა დამყარებული.

4174. ყველა ჩვენგანს აუწონავი უგუნურება ახასიათებს და კაცთმოყვარეობით აწონილი გონიერება.

4175. უმწეო, ლამაზ ქალს თავისი თილისმა და ხიბლი აქვს, რომელიც საბოლოოდ მაინც ტრფობად მოგვევლინება. მართალია, ამ არჩევანს ვერას გაუგებ, თუ სული შენი აქვს და სამართლის განსჯა თავად მიისაკუთრე.

4176. ზოგი წჯილი გაცილებით უკეთ ცხოვრობდა, სანამ ერთმანეთს შეიყვარებდენ.

4177. სამყაროს დღეს უპირველესად დემოგრაფიული აფეთქებები აქვს მოსაწესრიგებელი, რადგან ხვალ მასზე ფიქრი დაგვიანებულიცაა და სადავიდარაბოც.

4178. მეოთხე-მეხუთე ქორწინებაც პერსპექტიული გახდება, წინასწარ თუ გვეცოდინება, რა ასაკში მწიფდება ჩვენი გონება, სული.

4179. მომავალში პიროვნების ინტელექტი იქნება უდიდესი სიმდიდრე და არა – წიაღისეულის ყიდვა-გაყიდვის მარაგი.

4180. გემოვნებაზე არ დაობენ, მიუხედავად პროფესიის და მოწოდების სხვადასხვაობისა.

4181. სამწუხაროდ, პატიოსნებას არავინ აფინანსებს, მაგრამ ყველა მასზე უთითებს და სხვისი მოსწონთ.

4182. განათლება, მეტწილად, სწავლა-დაძალების საწყისებზე მიიწევს წინ, როგორც მეცნიერებაში, ასევე ხელოვნებაში – ნიჭიერების მიუხედავად.

4183. უსაქმურები თავისი უგნური აქტივობით მწარმოებელს ხელს რომ არ უშლიან, ესეც დიდი საქმეა და მათი შენახვა, რაც უნდა უსამართლოდ მოგვეჩვენოს, ვალად არ უნდა ჩავუთვალოთ.

4184. წესიერებაა, პატიოსნებაა, ოჯახის და ქვეყნის წინაშე, როდესაც მოფასს სამართლიანად ოპონირებ და ეუბნები: შენ თუ ხეირობ, მეც მახეირეო და თანაც ევაჭრები! გამოძალვის მუხლი ხომ არ მიგვეჯენებინა კაცთმოყვარეობის სახელით?

4185. შთამომავლობით და მოწოდებით მილიონერებს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი ფულს საბანკო ბარათების აქტივებით ითვლის, ხოლო მეორე – სანტიმეტრებით და კილოგრამობით.

4186. კარგია, თუ შემოქმედს ფართე მასები არ იცნობენ, მაგრამ მისი რეალიზებაა და ტალანტის ბოლომდე ხარჯვაა გაძნელებული.

4187. თუ აწმყოზე ვიფიქრებთ, მომავლის მოგვარება არ გაგვიჭირდება, რადგან თაობიდან თაობაზე გადასაცემი გამოცდილების წესი დაცულია.

4188. დღეს სათაგურში ყველა სასუსნავი ფასიანია, მათ შორის, ,,უანგაროდ" დასპონსორებაც.

4189. პიროვნებას, რაც აქვს, იმით კმაყოფილდება, მოქალაქე – რის მიცემაც ქვეყანას შეუძლია, ხოლო ინდივიდს ის უნდა ჰქონდეს, რაც სხვას აქვს, ოღონდ პლუსით და სამრავლ-მამრავლით.

4190. ძალას, პასუხისმგებლობის გარეშე, სიკეთე არასოდეს მოუტანია.

4191. ნამდვილ ღირებულებათა შეცვლა დროთა განმავლობაში რეალურ ღირებულებებს გაუხედნავ ღირებულებად აქცევს.

4192. დედამიწის რაობის ღირსებას საძირკველი ამაგრებს და მას უნდა გავუფრთხილდეთ, რადგან მის გარეშე ყველაფერი მოჩვენებითი და ბლეფია.

4193. პიროვნება მაშინ ხარ, თუ შენს გვერდზე მცხოვრები მეზობლებისათვის იღვწი და ისინი ამას იმსახურებენ.

4194. ახალი წელი წინა წელზე უკეთესია ერთი პირობით, ჭკუისაგან განსხვავებით, წლები არ უნდა გვემატებოდეს.

4195. ვაკხანალიის დროს მტკიცე ხელი საჭიროც არის და აუცილებელიც, ოღონდ სიცოცხლის გაუფასურების გარეშე.

4196. ხშირად გვაქვს საკუთარი აზრი იმ საკითხზე, სადაც არაფერს გვეკითხებიან, რადგან სხვის ,,ქეიფში" თავი საუკეთესო ოპონენტად და ექსპერტად მიგვაჩნია.

4197. ვეცადოთ ის ადგილები არ მოვინახულოთ, სადაც ბავშვობა გავატარეთ, თორემ ის რაც სათუთად გვეჩვენებოდა, დღევანდელი

ასაკის და დროს გადმოსახედიდან მხოლოდ გაბახებულ სინანულს დაგ-ვიტოვებს.

4198. დიდი ხნის ნაოცნებარის ახდენას იმ ბედნიერების ,,მიზერიც'' არ მოაქვს, რაც ცნობიერებას წინასწარ დაგეგმილი ჰქონდა.

4199. ლოგიკა არ აშეიძლება ახირებული და უცნაური იყოს, თუ მას რაიმეს დამტკიცება შეუძლია.

4200. დიალექტიკა, მკაცრი პრაქტიკული გადამოწმების გარეშე, ნულს უტოლდება, მიუხედავად მისდამი დიდი პატივისცემისა.

4201. სასწაული მაშინ ხდება, თუ სულით-გულით გინდა და არა – წინასწარ გათვლით.

4202. საჩუქარს იქ აქვს მნიშვნელობა, სადაც ყურადღებას არ ყიდუ-ლობენ.

4203. შეიძლება იდიოტების ოდენობა ქვეყანაში ცოტაა, მაგრამ ძალად გასულელებულთა ოდენობამ გამორჩენის მიზნით დიდად იბარტყა.

4204. ეკრანის მაგია ყველას გვაღელვებს, გვიტაცებს, მიუხედავად იმისა, რომ მისი ფასი ჩვენთვის წინასწარაა ცნობილი.

4205. არ უნდა ვიამხანაგოთ იმასთან, ვისაც პატივს არ ვცემთ და მისი არ გვჯერა და თუ ურთიერობა აუცილებელია, ჯობს მასთან ოფიციოზი მოვიშველიოთ, ყოველგვარი დათმობის და ლმობიერების გარეშე.

4206. კოსმოსი, ხალხი, ისტორია, ერთიდაიგივე საკითხებზე სხვადას-ხვანაირად რეაგირებს, მსჯელობს, ყბედობს, როგორც სხვადასხვა დასა-ხელების პოლიტიკური პარტიები, მიუხედავად იმისა, რომ მიზანი ყვე-ლას ერთი აქვს – კარიერა და სასუსნავი.

4207. ჩვენი ვალია შვილებს, შვილიშვილების მეშვეობით, განუსჯე-ლად დავამახსოვრდეთ, განსჯით მომდევნო თაობებს, რადგან მათი მახსოვრობა ჩვენს სახელს წარმოაჩენს, ხოლო შთამომავლობისა – გვარს.

4208. ჯადოქარი, შამანი, ექიმბაში, არსებობს იდიოტის სიმპტომების მქონეთათვის რომლებსაც მათი სჯერათ და თავიანთი უნიათობის, პრობლემების ახსნას გონიერების გარეთ ეძებენ.

4209. თეორიულად აწმყო არ უნდა გაყიდო, რომ მომავალი იყი-დო, მაგრამ პრაქტიკულად კარიერას, დიდებას, ვაჭრობის გარეშე იშ-ვიათად აღწევენ.

4210. ჭკუის მოხმობას ინტუიცია სჭირდება და არა – ასაკი.

4211. ჩვენ დამნაშავენი იმიტომ კი არ ვართ, რომ კარგად გვინდა ვიცხოვროთ, არამედ იმიტომ, რომ ამას ვერ ვახერხებთ.

4212. ბრბოს ახალისებს უტოპიური სურვილები და განუხორციელებელი ფანტაზიები.

4213. იყო გადიდკაცებული ვიგინდარას ჩრდილი, ნიჭიერი კაცისთვის და არა – გონიერისთვის ძნელი ასატანია, მაგრამ არსებობს ფილოსოფიური დამოძღვრა: „ყოველივეს მოთმინება და დროის შერჩევა გამოასწორებს“.

4214. სიმართლენარევი ტყუილისგან, სიამის მიღების გარეშე ცხოვრება არავის გაუტარებია და არც ლელო გაუტანია.

4215. თუ საკუთარი თვალიდან მორს ამოვიღებთ, სხვისაში ბეწვის ძებნას არ დავიწყებთ.

4216. ჩვენ ერთმანეთის დანახვა იმისდამიხედვით გვიყვარს და გვახარებს, რამდენად ვჭირდებით ურთიერთს.

4217. სისულელისკენ იმიტომ ილტვის ზოგიერთის გული, რომ სიყვარულის და ეშხის შეცნობის უნარი შეინარჩუნოს და თავი ჯეელი ეგონოს.

4218. ისე ვერასოდეს ვიცხოვრებთ, როგორც გვინდა და ისე ვეღარავის შევუწყობთ ხელს როგორც მას უნდა.

4219. ჩხუბის შემდგომ ვერ გარკვეულხარ, სად უფრო მეტი ლებო გაქვს დადებული, სულზე თუ ჩალურჯებულ თვალზე.

4220. უიღბლობას გამართლების ალიბი თან სდევს.

4221. ინტელიგენტის სურვილია ცოდნის შეძენა და თავის მტვრევა იმ ალყის გასარღვევად, რომელიც მისთვის არავის შემოურტყამს.

4222. ზოგი თეთრ ცხენზე ზის და სხვაგან ეძებს თეთრ ულაყს, იმის მაგივრად, რომ თავად გაწვრთნას და რაშად აქციოს.

4223. ზოგი ენერგიამოჭარბებული კაცი მთების „გადაბრუნებას“ ახერხებს, მაგრამ რისთვის, რა სარგებლის მოტანისთვის, არ აინტერესებს.

4224. სწავლა მაშინ არის საინტერესო, როდესაც მოგწონს, იმიჯს გმატებს და სიახლის შეცნობა-შეგრძნობა სიცოცხლეს გიხალისებს.

4225. განზოგადებული სამართლიანობა არ არსებობს, არსებობს ნორმები: წესის, ღირსების, ურთიერთპატივისცემის და თანადგომის.

4226. ვისაც ოცნებით ციხე-დარბაზები არ უშენებია, ის ვერც ქვის ციხე-პალატას ააგებს.

4227. როგორც თეორიულ ისე პრაქტიკულ, გადასახადს ყველა გაიღებს ქვეყნის ბიუჯეტის შესავსებად, მაშინ შეიძლება ამ ტერიტორიას სახელმწიფო ვუწოდოთ და მასში მცხოვრებთ – მოქალაქენი.

4228. როდესაც რაიმეს ამტკიცებ, პატივი უნდა მიაგო ოპონენტს და მოლაპარაკის მცდელობასაც, თუ გინდა ერთმანეთს სიამტკბილობით დაშორდეთ და საქმეს არგოთ.

4229. ხშირად აღფრთოვანებულნი ვართ ბუნების საოცრებებით, მაგრამ ფლორის და ფაუნის მიმართ უგვანო მოპყრობას თავს ვერ ვანებებთ.

4230. ზერელე და ფუნდამენტურ ცოდნას შორის ის სხვაობაა, რომ ამ უკანასკნელს ცხოვრების გამოცდილებაც მძიმე ტვირთად აწევს და ახალ საქმეზე ხელის მოკიდება უჭირს.

4231. ცოდნა-გამოცდილებასაც მოვალეობის გრძნობები უჩნდება და მომავალ თაობებს უბრუნებს წინა თაობათა მიერ ჩადებულ კრედიტს, რომელიც მათთვის არ მოუთხოვია.

4232. ფული და პატიოსნება ხშირად არ გვყოფნის გადასახადების გადასახდელად და ქვეყნის ბიუჯეტის შესავსებად.

4233. ჯობს სხვისი სიღარიბისა ჩვენ გვრცხვენოდეს და თავად მდიდრები ვიყოთ, ვიდრე მდიდარ მეზობელთან ცხოვრება გვრცხვენოდეს და საკუთარ უხერხემლობას, სიღარიბეს, პატიოსნებით ვამართლებდეთ.

4234. ბრძოლის და დანებების ცოდნა, ეს არის კარიერის საფეხურების საწყისიც და ბოლოც.

4235. ცოდნის შედეგების გათვლა შეუძლებლობის დათვლაა.

4236. ენერგია შეიძლება იყოს შემოქმედებითი და დამანგრეველი, გააჩნია, ვის ხელშია ადამიანის გონება დასამუხტად გამზადებული, ჭკუის საწყისით თუ დასაჭიტლაპებელი ელექტროდებით.

4237. უანგარო სიყვარული ბავშვმა იცის, როდესაც შენდამი ნდობის გამოსახატავად და საპატივცემულოდ ღამის ქოთნით შენს გვერდით მოიკალთებს.

4238. ბუნების შვილი მანამ არის საშიში, სანამ გახედნიან და აპეურს მოარგებენ, ხოლო რომ მიაჩვევენ და ყოფის ეშხს დააკარგვინებენ, თავად მზადაა სხვაც დაიმონოს.

4239. მკაცრ არაობიექტურობად გვეჩვენება კრიტიკა, ოპონირება, რაც უნდა სიმართლიანად და ჩვენს სასარგებლოდ იყოს ფურცელზე დამაგრებული.

4240. ხშირად გამარჯვებული მალავს მოწინააღმდეგეზე გამარჯვების მიზეზს, რადგან თავადაც არ უწყის, ეს კანონზომიერება იყო თუ შემთხვევა, ბედის წყალობა.

4241. მამაცობა გონიერი სიმხდალეა, გმირობა უგონო ვაჟკაცობაა, აფექტით გამოწვეული.

4242. შეცდომები, ანალიზის გარეშე, შეცდომებად და ფეხის წატეხ-ვად რჩება, ოღონდ კვადრატში.

4243. ღირსება არ იყიდება, მაგრამ ზოგჯერ გარიგება შესაძლებელია.

4244. გმირობა ლაჩრობის სინონიმად არ გამოდგება, მაგრამ ერთი შეხედვით ჩადენილი დაფიქსირებული სიმხდალე ზოგჯერ სჯობს აფექ-ტში ჩადენილ ვაჟკაცობას, რადგან შედეგი ტოლობის ჯამით ფასდება და არა – საკლებ-მაკლების გადაადგილებით.

4245. კაზანოვა – 45000 ქალის გამაიმასქნება „ფუფლოა“, რადგან მას ვერც ერთი მამრის გათავხედებული გენეტიკა ვერ გაუძლებს, მდედ-რისგან განსხვავებით.

4246. ზოგჯერ თვალები უკეთ საუბრობენ და გამოხატავენ სათ-ქმელს, ვიდრე ყბედობისთვის აქაფებული ენა.

4247. თანამოსაუბრეს ასე თუ ისე უნდა ყასიდად დავეთანხმოთ, გონიერების ფარგლებში.

4248. ერის შვილობაც, ერისკაცობაც წოდება თუ აწმყოში გაგიხსე-ნეს, დაგაფასეს.

4249. „ტალღის კანონი“, ადრე თუ გვიან, თავის მსხვერპლს ნახუ-ლობს და ამ კანონზომიერებას წინ ვერაფერი აღუდგება.

4250. ჭეშმარიტება ხშირად იჩაგრება, მაგრამ არა – საბოლოოდ.

4251. შეცდომის გამოსწორება ყოველთვის შეიძლება, რომ არა ჩვენი სიჯიუტე და მისი „უკაცრავად პასუხია“.

4252. ჭკუის ნაკლებობას, მეტ-ნაკლებად, ყველანი განვიცდით, მაგ-რამ აღიარება ძნელია.

4253. კომპლიმენტი არდავიწყებას, ხოლო ოპონენტის ლოგიკა გა-ანალიზებას, გადახარშვას, საკუთარი სიამოვნებისთვის მოთარგმნას და გათავისებას მოითხოვს.

4254. დაუნახაობა ის ცუდი ენერგიაა, რომელიც შენს საწინააღმდე-გოდ აკუმულირდება და ბუმერანგივით უკანვე გიბრუნდება.

4255. ზოგჯერ ის ეშმაკი შეგვიჯდება ქალთან ურთიერთობაში, რომლის დაკმაყოფილება, სურვილის მიუხედავად, ჩვენს ძალას აღემა-ტება.

4256. მეორე კაცობა უფროსობაზე უფრო მომგებიანი და მუდმი-ვია, თუ პირველი კაცის ზურგს ხარ ამოფარებული, განტევების ვაცის როლს არ ასრულებ და წინდაუხედავი ამბიციები არ გაწუხებს.

4257. ჭკუის ჩართვა-გამორთვა სურვილისამებრ არ ხდება, რადგან მასაც თავისთვის გასაგები ხუშტურები აწუხებს და თავიდან სულ „მარგალიტების“ ფრქვევა უნდა.

4258. ქრთამის აღება არ არის ძნელი, ძნელია მასზე ხელის აღება, მით უმეტეს, თუ ამ საქმეში თანამდებობაც ხელს გიწყობს.

4259. ძლიერებს, მიზანდასახულებს, უმართლებთ, თუ შემთხვევამ კვანტი არ გამოსდო.

4260. წესის დარღვევა ზოგჯერ სიახლესაც გვაძლევს და შედევრსაც და ამიტომაც ხშირად დამრღვევის მიმართ ლმობიერება უნდა გამოვიჩინოთ.

4261. ქველმოქმედება და მოწყალების გაღება ერთმანეთში არ უნდა აგვერიოს და სინონიმებად არ უნდა აღვიქვათ, რადგან პირველი შესაძლებლობებს, ნიჭს, მცდელობას მოითხოვს, მეორეს ხელი გაწვდილი აქვს და სხვისი იმედით ცხოვრებას ცდილობს.

4262. დაბადების დღის აღნიშვნა, მოწყალების მიღება დედისაგან და მადლიერების გადახდა მამისთვის, რომლებმაც გარკვეული დროის წინათ თავი მოიქაჩლეს თავისი სიამოვნებისათვის და შენი ამქვეყნად მოვლინების პროექტი წარმატებით განახორციელეს.

4263. ხშირად რაინდი, ნამდვილი მამაკაცი მახლობლადაა, მაგრამ იშვიათად ვამჩნევთ, რადგან მათ თვალი შეეჩვია, ვნება არ რეაგირებს, ხოლო გონებას განსჯის უნარი დაბურული აქვს.

4264. ქალისადმი ტანჯვა მაშინ არის გამართლებული, თუ ის საინტერესოდ გვეჩვენება და გვსიამოვნებს.

4265. უძველესი პროფესიებია: მეძავეობა, მეკობრეობა-გამომძალველობა, ჟურნალისტობა, მაგრამ კაცობრიობა მათ მომსახურებაზე ხელს არ იღებს, რადგან უმაგათოდ სიცოცხლე დამყაყდება.

4266. ადრენალინზე ნადირობა შენი ხუშტურის გასწორება და თავის წარმოჩენის მცდელობაა, მაგრამ გამოცდილება მეწყვილედ პროფესიონალს ირჩევს და არა ცხოვრების „დარეხვილ“ მოყვარულს.

4267. „ელიტა“ ადვილად იყიდება, რადგან თავადვე დაინტერესებულია თავისი გადაგვარების შედეგით, რა სარგებელი დარჩება და არა სახელი.

4268. ცქვიტ უნიჭობას ყოფის ტაბიკების მტვრევა ახასიათებს თავის გამოჩენა-წარმოსაჩენად.

4269. ქალის გარეშე დარჩენა იმ შემთხვევაშია დასაშვები, თუ ჰორმონები არ გვაწუხებენ და ვნების პრობლემებს არ გვიქმნიან.

4270. ხშირად ნიჭი საერთო წარმატებაში ვერ მონაწილეობს, რადგანაც ეს საზოგადოების მენტალიტეტზე და შემოთავაზება-მოწოდებაზეა დამოკიდებული.

4271. ზოგისთვის დრო ფულია, ზოგისთვის ბატონ-პატრონი, ზოგიც მის ხარჯზე ცხოვრობს და ყველა თავისი მცდელობით კმაყოფილდება და ჩალიჩობს.

4272. ცოდნას ზოგჯერ მწუხარებაც მოაქვს, მაგრამ მის მოტანილ სიკეთესთან სახსენებელიც არ არის.

4273. თეორიულად ცოდნას ზიანი არ მოაქვს, მაგრამ პრაქტიკულად ვინ როგორ იგულებს და გამოიყენებს.

4274. დირექტორის სკამზე ჯდომას, ასე თუ ისე, ყველა შეძლებს, თუ ზემოთ პატრონი ჰყავს და ქვემოთ – საქმიანი მოადგილე.

4275. სისულელის ჩადენასაც თავისი დრო, შემთხვევა, ადგილი, სჭირდება აპლოდისმენტების მოსაპოვებლად.

4276. თუ ლამაზი ქალის დანახვაზე ქვენა გრძნობები არ შეგაწუხებს, ეს არის უგვანობა ან ნაადრევი სულის სებერე.

4277. ღირსება მტერსაც უნდა გააჩნდეს და მოყვარესაც, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათთან ურთიერთობა დავიწყებისთვის არის განწირული.

4278. ასაკის ფაჩი-ფუჩი ყველა დაბადების დღის შემდგომ გვაფიქრებს და ზოგჯერ ნერვებს გვიშლის, რადგან სიცოცხლის ფინიში ჩვენთვის დიდი ხანია ცნობილია.

4279. გემოვნება და ორგანოლეპტიკა იმით განსხვავდება ერთმანეთისაგან, რომ პირველს შეუძლია ნუგბარი გაუსინჯავად შეაფასოს, ხოლო მეორე ამას არ კადრულობს.

4280. სიჯიუტის ყარაულის შეცვლა ზოგჯერ ჩვენს ცნობიერებაშიც ხდება. ეს ხშირად გვახარებს და პრაქტიკულს გვხდის.

4281. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ხშირად უმრავლესობის აზროვნება და ქმედება მცდარია და ბრბოს ქმედებას შეესატყვისება. უმცირესობის სამართლიანი მცდელობა კი მოგვიანებით უხმაუროდ მტკიცდება.

4282. გინებას გონება ყველაზე უკეთ აღიქვამს და ისე იგებს, როგორც საჭიროა.

4283. ყველას სურვილია შეიძინოს მადლიერება და სულგრძელობა მუქთად ან ჩალის ფასად.

4284. ენის ცოდნა კი არ არის მთავარი, არამედ – საუბრისა, რათა შენი ნება გაითავისონ.

4285. შენდამი მოკრძალება ადამიანურ ფორმებში დაუმადლებელ ნიჭს და შემართებას მოითხოვს.

4286. ჰუმანიზმი უპატივცემულობაში, დემაგოგიაში, გამორჩენაში არ უნდა გადაიზარდოს, რადგან მორალს კანონი ყველასათვის ერთია.

4287. გადამეტებული გულკეთილობა უგუნურების სინონიმია, ხოლო ზომიერი სიავე, ცინიზმი, გესლი, ჭკუას ნიშნავს, რომელიც როგორც წესი, მაღალი ინტელექტის და იუმორის მქონე ხალხს ახასიათებს.

4288. ვსუნთქავთ, ე.ი. ვცოცხლობთ, ვიღიმებით, ე.ი. ვცხოვრობთ, ვიბნევით, ე.ი. გვიყვარს.

4289. კარგად ცხოვრობ, როდესაც მოწოდებით სარფიანად იღვწი და ყურადღების ცენტრში ხარ, ხოლო ნორმალურად, როდესაც ისე იქცევი, როგორც მოგეხასიათება და მომავლის არ გეშინია.

4290. ზოგი თავის ჭკუით კი არ ჩხუბობს, მუშტების ქნევით, არანორმატული სიტყვების ციტირებით, ნერვებს იწყნარებს და დისკუსიას ეწევა, ხოლო თუ ამას ოპონენტები და ირგვლივმყოფნი ვერ იგებენ, ეს მათი სიჩლუნგის და გაუნათლებლობის ბრალია.

4291. ,,იდეალური'' არც ქალის ჩანთის უსაფრთხოებაა და არც მისი ქურდი, რადგან ვიღაცას რაღაცა ყოველთვის შეეშლება ვიღაცის სახეიროდ.

4292. თავის გვემა ყოველთვის გამოსწორების საწყისი არ არის და არც ცხოვრების გაუმჯობესების საშუალებაა.

4293. ზღვის პიფასის დანახვისას, ძნელია ეჭვი შეიტანო განგების ფანტაზიის, იუმორის და ამბიციების უნარში, იმდენად ჰგავს წყალმცენარეს ეს ულამაზესი, კულინარიისათვის გამოუსადეგარი თევზი.

4294. ელეგანტურმა სიღატაკემ, სამართლიანობის ძებნაში, არა ერთი სიცოცხლე შეიწირა და გააუფასურა, მაგრამ რამდენად სჭირდება კაცობრიობას, ჩვენს ,,მეს'', ეს მცდელობა, რომელმაც წარსულის გაკვეთილებიდან ბევრი ვერაფერი იხეირა, დღემდე ახსნას არ ექვემდებარება.

4295. არაფრის კეთება შესაძლებელია, მაგრამ გაძლებაა ძნელი.

4296. თუ თქვენი სურვილია ხვალ იმაზე მეტი გადაგიხადონ, რასაც დღეს გიხდიან, ამ სამუშაოს დიდხანს ვერ შემორჩებით.

4297. ჩვენი ცხოვრების ჯვარი ან ბოლომდე უნდა ვატაროთ, ან დროულად მოვიშოროთ და შემთხვევათა ხარჯზე ვიცხოვროთ.

4298. დაუჯერებელი ანალების – მატიანის, ყველაზე გამოუყენებელი გამოკვლევა იგნობელევის პრემიით აღინიშნება, ხოლო ყველაზე გამოსაყენებელი – ნობელისა.

4299. შემოქმედება თვითგანვითარებაა უბოდიშოდ, უსახსროდ.

4300. დროა მცირე ქვეყნებმა ისწავლონ ძლიერი და გათავხედებული ქვეყნებისათვის ყურის აწევა.

4301. ბუნებას იმდენ თავხედობას „ვპატიობთ“, რასაც არცერთი ქვეყნის მმართველი მეორე ქვეყნის მმართველს ამის მეათედსაც არ აპატიებდა.

4302. ყველაფერი სამუშაოა, რაშიც ფულს გიხდიან და თავადვე იხდი.

4303. ტყეში აქტიური დასვენების საშუალებაა ერთის შეხედვით ნადირობა, თევზჭერა, პასიურის – ტურიზმი და სოკოების შეგროვება, მაგრამ გააჩნია ვისთვის.

4304. შრომასა და დასვენებას, ნიჭთან ერთად, უნარიც სჭირდება.

4305. ყველაზე დიდი სიმდიდრე მოყვასის შენდამი კეთილგანწყობაა.

4306. ბოდიშის მოხდა შეურაცხყოფით მოყენებულ ჭრილობას ვერ კურნავს, მაგრამ მალამოდ ედება.

4307. ყოველივე იცვლება, გადახალისდება, მაგრამ პატიოსნად დარჩენა მაინც შეიძლება, თუ დრომ და გარემომ არ გაგწირა.

4308. წინაპართა დამსახურებით თავის გამოდება არ ღირს, რადგან მათ შორის ვინმე უღირსად რომ არ მოქცეულიყო, შეუძლებელია.

4309. ყაჩაღსაც და ნაძირალასაც თავის სიმართლე აქვს, სანამ ჭიტლაყს არ უთავაზებენ და ვირის აბანოში თავს არ ამოაყოფინებენ.

4310. გულს ყველაფერში ვერ დაეთანხმები და მისი სურვილების მოთოკვაც შეიძლება თუ ტრადიცია, აღზრდა, წინ არ აღგიდგა.

4311. თანმიმდევრობის არ უნდა გვეშინოდეს, მაგრამ მას ჯერ მოპოვება, დამსახურება, გათავისება, სჭირდება, რადგან ამ სკამის სიმაღლე საამაყოა და ძალზე სწრაფად მსხვრევადი და მის მოფრთხილებას გონივრული ეშმაკობა სჭირდება.

4312. ყველაზე დიდი პატრიოტიზმი – ეკონომიკის ცოდნაა, ნაციონალიზმი – სასიკეთოდ ხელის განძრევა, ეროვნულობა – სიახლის ათვისებაა, რომელზეც სამწუხაროდ, არც ერთს ხელი არ მიუწვდება.

4313. ბილწსიტყვაობა, გარკვეულ წრეებში, საუბრის და საქმის გარჩევის დელიკატური ფორმაა, რაც ამ სფეროში დილეტანტისთვის გაუგებარია და მიუღებელი.

4314. პროგნოზი კი არ აფუჭებს ამინდს, არამედ ამინდი ულახავს თავმოყვარეობას პროგნოზს.

4315. შეკვეთით არავინ ჭკვიანდება, მაგრამ გასულელება – შესაძლებელია.

4316. ენა, ჭკუის და მუხრუჭების გარეშე, ზარალიანია.

4317. ზოგისთვის ალკოჰოლი გაუბედაობის დაძლევის საშუალებაა, ხოლო თუ რაიმე მიჰქარა – მოსაბოდიშებელი ალიბი.

4318. ზოგს ამბიციების დასაკამყოფილებლად არც დრო ყოფნის, არც შემართება და ზოგჯერ არც ცოდნა, მაგრამ თავის წარმოჩენის სურვილი აქვს.

4319. გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს, თუ გამორჩენის მცდელობა არ იქნება.

4320. მსმენელი და მხრის ამბმელი ყველას სჭირდება, რათა გააქტიურდეს და მეტი სიკეთის მოტანა შეძლოს.

4321. უსარგებლო, უსახო, სიტყვები სიცოცხლეს გვიმწარებს, დაუფიქრებელია და როყო, რაც ჯიგარს გვიწვავს.

4322. არაყი ზოგჯერ წარმატების მისაღწევად გამოდგება, მაგრამ არასდროს – კარიერის მოსაპოვებლად.

4323. თავის ქალის ძვლები ხშირად ტვინის გარეშე რჩება, მაგრამ ფულისა და კარიერისგან განსხვავებით ეს არავის ანაღვლებს.

4324. შარაგზის ფილოსოფოსი ყველათი და ყველაფრით უკმაყოფილოა და ავალებენ თუ არა მუდამ საზოგადოების გზების ძებნაშია.

4325. ზოგი თავის მრწამსს, მსოფლმხედველობას, საკუთარი სიტყვების როშვით იგებს.

4326. ხშირად ლამაზი ქცევა იწყება მაშინ, როდესაც მუქთა ფული გაქვს ნაშოვნი და მაშინ მთავრდება, როდესაც კაპიკი სად იშოვო, არ იცი.

4327. გვირაბის გაყვანა ჩვენთვის არავის დაუვალებია, მაგრამ მის ბოლოში რა გამოჩნდება, რატომღაც, ყველას გვაწუხებს.

4328. მადლიერება მადლობისაგან იმით განსხვავდება, რომ პირველს მახსოვრობა ახასიათებს, მეორეს – სკლეროზი.

4329. დახვეწილი ქცევის, გამბედაობის და შემართების გარეშე კარიერის კიბეზე ფეხის შედგმა არ უნდა იკადრო.

4330. ზოგი ეტიკეტს აღიარებს, ზოგიც – „ეტიკეტს", რომლის მიკვრითაც თავის გამოჩენა-წარმოჩენას ლამობს.

4331. ტყუილი შეიძლება იყოს: ცოცხალი, გადაჭარბებული, უსირცხვილო, სასიამოვნო და სტატისტიკური.

4332. ლოგიკას პატივს სცემენ, მაგრამ იშვიათად თუ უჯერებენ.

4333. ასტრონავტიკას დასჯის სუნი ასდის სამყაროს საზღვრების უნებართვო დარღვევისათვის.

4334. პირფერობა მუქთად გაიცემა, ხოლო ქება – ავანსად.

4335. კომპლექსებს მოვლა-პატრონობა სჭირდება და არა – გამომზეურება.

4336. ილუზიები დევალვაციას განიცდის და არა – კრახს.

4337. მდიდარ ადამიანს აქვს თავის ჭკუაზე ცხოვრების უფლება, მაგრამ არა – სიმდიდრის გაორმაგება-გასამმაგებით, რადგან გამდიდ-რების შანსი და იმედი სხვასაც უნდა დაუტოვოს.

4338. ცოცხალი არსების ცნობისმოყვარეობა უსასრულოა და სა-დამდე მიგვიყვანს, არავის უწყის.

4339. სიტყვათა რახა-რუხშიც შეიძლება სასიკეთოს მოძებნა თუ სიახლის დანახვის უნარი შეგწევს.

4340. დასვენებასაც არამყარი ფილოსოფია აქვს: ზოგისთვის ღვინის სმაა დროსტარება, ზოგისთვის – ფიტნესი და ზოგისთვისაც – მხარ-თეძოზე წამოწოლა, დროის, გარემოს და ჯანმრთელობის შესატყვისად.

4341. „პერესტროიკის" დროს მოხერხებულებმა და გამოცდილებმა ფული იშოვეს, ხოლო სხვათა შემყურეებმა და ბუნტის მომხრეებმა – სიტყვის თავისუფლება და შესაძლებლობათა გამოუყენებლობის სინა-ნული.

4342. იდეალისტები და მატერიალისტები ფაქტიურად ერთ გამარ-ჯვებას ზეიმობენ, ოღონდ თავიანთი გადასახედიდან.

4343. ჭეშმარიტებას არც ძებნა უნდა და არც გამოთხრა, რადგან ხშირად ის ყველას ჩვენი გვაქვს. უბრალოდ, ცოდნის პარამეტრების დადგენა საკმარისია სულის დასამშვიდებლად.

4344. იმ შემთხვევაში არ უნდა იძუნწო და „საჭურჭლე" გულუხვად გასცე, როცა ამას შენთვის კმაყოფილება მოაქვს და არა – შემოსავალი.

4345. ჭეშმარიტების მოძიება ლამაზი მცდელობაა საკუთარი თავის წინაშე, მაგრამ სჯობს თუ შეძლებ უბრალოდ იცხოვრო, ყოველგვარი ფილოსოფიის გარეშე – უფრო ამართლებს.

4346. მოკლე ჭკუა გულგრილობის სინონიმია, რომელსაც ვერც ამჩნევს და ვერც გრძნობს.

4347. ბრწყინვალებას და ბრწყინვას არეკვლა სჭირდება, საკუთარი თავის წარმოსაჩენად.

4348. სინანული სისუსტის გამოვლენას თუ არა, ბოდიშის მოხდას მაინც ნიშნავს საკუთარი თავის წინაშე.

4349. ეპატაჟი გარანტია წარმატებისა, რაც უნდა მიუღებელი გვეჩ-ვენოს.

4350. ინტუიცია ზოგჯერ ლოგიკის და ჭეშმარიტების პირველი მტერია, იმისდა მიუხედავად, რომ მის გარეშე რაიმე ახალის მიგნება თითქმის შეუძლებელიაა.

4351. მოვალეობასა და ვალის მოხდას შორის ის სხვაობაა, რომ პირველი სხვაში დაინახო, ხოლო მეორე გინდა სხვამ დაგასწროს.

4352. ამხანაგობასა და მეგობრობას შორის ის სხვაობაა, რომ მეორე სულიერების მხარის ამბმელია, პირველი გონიერების მხარის დამჭერი.

4353. შეიძლება მართალი იყო, მაგრამ იდიოტად გამოიყურებოდე, რადგან დღევანდელი შენი სიმართლე, მცდელობა, უსუსურია და არა-პერსპექტიული.

4354. ყოფიერების სიამეთა გაცნობიერებისათვის, ყველაფერს გამოცდა საჭირო არ არის, ზოგი რამ ისედაც უნდა მიხვდე, წინასწარ უნდა დაამუღამო.

4355. ოპონირებას ყველა ხალისით ითავებს, თუ ყურადღებას იმსახურებ.

4356. ჭეშმარიტება შეცდომებზე სწავლობს, მაგალითებს იშველიებს, თავი მოაქვს, მაგრამ იშვიათად ხელი პირად სარგებელს გამოკრას.

4357. თანაგრძნობა, სხვისი გაჭირვების გაზიარებაა იმგვარად, რომ თავად დიდად არ განიცადო და სხვის დამშვიდებას შეეცადო ყალბი ცრემლით.

4358. წინადადებებისაგან განსხვავებით, რჩევა-დარიგება არავის უნდა აკადრო, სანამ არ დაგეძალებიან და დაგესესხებიან.

4359. სიზმარი განვლილი გზის ანალიზია, ხოლო ძილის წინ ოცნების საუკეთესო სასთუმალია.

4360. პენსიაში იმათ კი არ უშვებენ, ვისაც ასაკი ამის უფლებას აძლევს, არამედ იმათ, ვინც თავს გვაბეზრებს გამოცდილების დაფედრებით.

4361. აპლოდისმენტების და სასუსნავის გარეშე ცხოველებიც კი ცირკში თავის ნომრებს უგულოდ, ძალდატანებით, ასრულებენ.

4362. ამქვეყნად მცხოვრებ ამდენ დარეხვილსა და ვიგინდარას რომ მიუტეოთ, მაშინ ფსიქოთერაპევტთან უნდა ვიმკურნალოთ. ვფიქრობ, ისინი ამდენად არ ღირან.

4363. მხარეთათვის ჭეშმარიტების დადგენაში პრობლემა დევს და არა – ჭეშმარიტების დადგენის სურვილი.

4364. ჭეშმარიტებას არ ეძებენ, უბრალოდ ნახულობს ის, ვინც ეძიებს.

4365. ჭეშმარიტებას იჯერებენ, აცნობიერებენ, მაგრამ მისით არ ვაჭრობენ.

4366. დემაგოგიაც თავის ჭეშმარიტებას განაცხადებს, თუ გონიერება ალღოს დროულად არ აუღებს და არ მოთოკავს.

4367. ჭეშმარიტებას ფასი არ ადევს, მაგრამ მისი ღირებულების დადგენას ყველა საკუთარ სულში უნდა შეეცადოს.

4368. ჭეშმარიტება სწორი გზიდან გადახვევას ვერ იტანს.

4369. ჭეშმარიტების შეცნობის სურვილით სულიერ თავისუფლებას ვაღწევთ, რადგან გონებისთვის სასიამოვნო კითხვები გვებადება.

4370. ნაზი და შთამბეჭდავი ამბორი სიბრიყის მოსათოკი საშუალებაა.

4371. კანონიერი ქურდისაგან განსხვავებით, რესპუბლიკის დამსახურებული და სახალხო ქურდის წოდება ოფიციალურად უნდა დაწესდეს, რადგან ამ წოდებაზე ბევრი განაცხადებს პრეტენზიას, როგორც სახელმწიფო აპარატში, ასევე ფულის საშოვნელ სხვა ადგილებში.

4372. პირველ რიგში, შენთვისვე უნდა იყო საინტერესო, ირგვლივ მყოფებმა რომ შეგამჩნიონ.

4373. დილერის თვითდაჯერების დევიზია: ,,ყველას ვერ შეაცდენ და ყველას ვერ ესექსები".

4374. მათხოვარი ფულს იმიტომ თხოულობს, რომ მისი უნებართვოდ აღება ციხეს უქადის.

4375. შეცდომასა და სიჯიუტეს შორის ანტაგონისტური დამოკიდებულების მიუხედავად, ბოლოს მაინც ჭეშმარიტება იმარჯვებს და ორთავეს ყოველგვარი ალიბის გარეშე კისერს უგრეხს.

4376. ,,არცოდნა არცოდვაა", მაგრამ გააჩნია სად დაგჭირდება და სიზარმაცისთვის თავს რა სახის როზგს მოუნდომებ.

4377. ჭეშმარიტება თავს არ იჩაგრავს, რა სიახლის შემოთავაზებითაც უნდა დაუპირისპირდნენ.

4378. ჭეშმარიტება-ჭეშმარიტებად, მაგრამ მისდამი მონობა, ხშირად ვერც სულს ალაღებს და თავსაც გვაბეზრებს.

4379. თავის მობეზრებაც იგივე დედის გინებაა, ოღონდ ზრდილობით, თხოვნით და ,,შუბლზე ძარღვის გაწყვეტით".

4380. ბუნებრივი სიმდიდრე, შემოქმედი ადამიანების გარეშე, მაინც სიღარიბეში ყოფნის ტოლფასია. ამის მაგალითია დღევანდელი ბრაზილია, რუსეთი, საქართველო.

4381. ბრძოლა ქაოსად არ უნდა ვაქციოთ, რადგან ის დაფიქრებას, შემართებას და მოითხოვს, რომელიც შედეგში უნდა გადაიზარდოს.

4382. პატივისცემა და სიყვარული ყოფის სხვადასხვა განზომილებას ემორჩილება, რადგან ერთს იმსახურებენ, მეორეს მისდაუნებლიედ იძენენ, მიუხედავად იმისა, რომ ორთავეს თავისი ნიჭი სჭირდება.

4383. კაცს როგორ გინდა უთხრა ბრიყი ხარო თუ მისი უგვანო მსჯელობა – ყბედობის უფლებას დაბლა ქვეყნის კონსტიტუცია აძლევს

და მაღლა მაღალი ღმერთი, მიუხედავად იმისა, რომ გონების დაყოლეგ-ბა ორივესთვის დაავიწყდათ.

4384. პირველ რიგში, საკუთარ თავს უნდა ვცეთ პატივი, წინააღ-მდეგ შემთხვევაში, არც ჩვენ გვცემენ პატივს და სხვის მიმართ ჩვენი პატივისცემა მოჩვენებითობია და მლიქვნელობიას დაემსგავსება.

4385. მოგვწონს ის, რაც საინტერესოა და სწრაფად საკეთებელია და არა ის, რაც შრომატევადი და ერთფეროვანია, მაგრამ ამ უკანას-კნელზეც უნდა ვიფიქროთ, თუ აღფრთოვანებით არა, მატერიალური დაინტერესებით მაინც, რაც მთავარია, სიძულვილით არ ვაკეთოთ.

4386. ასაკოვანი წმენდა საკუთარი წარსულიდან რაღაც-რაღაცეე-ბის მიფუჩეჩება, დავიწყება და კარგის წინ წამოწევაა, სიახლეზე მორ-გება – გაფეტიშებით.

4387. შეჩვევამ ზოგჯერ მისდაუნებლიე შეურაცხყოფა იცის, ისე, რომ ამას ვერც გულში გაივლებ და ვერც იგებ.

4388. მოქალაქეობრივი არისტოკრატობა, შინაგანი ბუნების წყა-ლობაა და არა – აღზრდის, გარემოს, დაფინანსების და საზოგადოება-ში მდგომარეობის ანუ ცენზის.

4389. ჭეშმარიტება საყოველთაოდ ძნელი აქსიომაა და ყოველგვარი ჭკუის ჭყლეტის გარეშე უნდა მივიღოთ, მიუხედავად იმისა, შესაფერისი დროა მის წარმოსაჩენად თუ არა.

4390. ჭეშმარიტებაა ის, რაც ბუნების კანონებს იაზრებს და ემორ-ჩილება.

4391. ჭეშმარიტება დროის ალიყურს ვერ უძლებს, მაგრამ თავის პრინციპებს არ თმობს.

4392. მაღლა ასვლა და იქიდან ვარდნა თუ არა დაგორება ყველას ხვედრია.

4393. ევროპა მსუბუქი ყოფაქცევის ბერბუხანაა, აზია ქრონიკულად დაორკეცებული დედააკცია, აფრიკა გაუნათლებელი გომბიოა, ამერიკა ფულზე და კარიერაზე გადარეული ფემინისტია, ავსტრალია გაუთხო-ვარი ლამაზმანია, რომელიც ყველაფერზე თანახმაა, ოღონდ შეამჩნიონ.

4394. როდესაც ჭეშმარიტებას მიუახლოვდები, გვერდში დაუდგები, მაშინ გიჩნდება სიამაყით დაავადების სიმპტომი საკუთარი თავის წინაშე.

4395. ჩვენ არ უნდა შეგვეძლოს უსუსურობის მშვიდად ყურება, როიდესაც ეს ვიღაცას ხელს აძლევს და თვალში ნაცარს გვაყრიან.

4396. უგვანობა და ზნეობა სინონიმებია, ოღონდ გაჩნია სად, როდის. თუ ბრძოლის ველზე ხარ და არ იგინები, ქალთან ლოგინში წევხარ და არ წაწლობ – უგვანობაა, ხოლო თუ საზოგადოებაში ხარ

და ქალს ქათინაურებით ამკობ, ლექციას კითხულობ და სასიამოვნოდ მეტყველებ – ეს ზნეობაა.

4397. ჭეშმარიტების გაბახება არ ხდება და ამიტომ მასთან კამათი სიბრიყვეა.

4398. ჭეშმარიტების ამბიციები დრომ უნდა გადაამოწმოს, თაობებმა უნდა შეაფასონ და არა მარტო ავტორის მცდელობამ.

4399. ავტორიტეტი კი არ უნდა გაიზარდოს, არამედ უნდა გაფართოვდეს, რადგან პირველ შემთხვევაში თავხედობა გვეძალება, მეორეში – მოვალეობის გრძნობა.

4400. ზრდილობა უცნობ ადამიანებთან გასაჭირში ყოფნის დროსაც კი არ გვაძლევს იმის უფლებას მიმართვა „თქვენ“ „შენით“ შევცვალოთ თუ თანხმობა ამ საკითხში წინასწარ არ იყო მიღწეული.

4401. ჭეშმარიტება ყოველთვის პროვოკაციულია, რადგან მისი დადგენა შეუძლებელია.

4402. დიდი და სამართლიანი საქმის კეთება ყველას გვსურს, მაგრამ თავის გადადება არ გვინდა, რადგან პერსპექტივა ჩვენთვის უცნობია. სხვანაირად ბევრი „რისკის“ გაწევას არ მოერიდებოდა.

4403. პოლიტიკა პოლიტიკაა, ტალანტი ტალანტია და მათი აღრევა არ ხერხდება, რადგან ბრბოს ლაბირინთებში ძრომიალს, ყბედობას მათი მომხრობის მიზნით, ერთი ნიჭი სჭირდება, ხოლო უნიკალური შედეგის მიღება-წარმოჩენას – მეორე.

4404. მამაკაცის დასჯა თუ გვინდა, გამოსასწორებელად – ვნებააშლილ ქალს უნდა მივამაგროთ, რომელსაც თავზე დიდი წარმოდგენა აქვს.

4405. გულიანი სიცილი და კეთილი განწყობა ვიღაცის და რაღაცის მიმართ განგების ნება და ჭეშმარიტებისთვის საცნობი საოცრებაა.

4406. წესრიგისკენ მითითება-მინიშნება არ მოგწონს, მაგრამ გვისიამოვნებს, როცა წესიერებას, წესრიგს ვხედავთ.

4407. ილუზორული სამყაროს შეცნობა ყოფიერების გარკვეულ წუთებს გვილამაზებს, გარკვეულ რეალობას გვირთულებს, მაგრამ უფლება არ გვაქვს არ ვიყოთ გონიერნი და თავს და სხვებსაც არ გამოვადგეთ.

4408. ჭეშმარიტების გამოვლენა-დადგენას ადამიანისათვის საბოლოო ბედნიერება მოაქვს, რადგან მომდევნო ჭეშმარიტების ამოხსნიოთვის ბრძოლა უხდება და ყოყოჩობისთვის ვერ იცლის.

4409. ტექნიკური პროგრესის შედეგად სამყაროს დედამიწის სკალპს ვუტოვებთ, რადგან ჩვენი ქმედებით ყველგან პათოგენურ შლეიფს ვტოვებთ, რაც კაცობრიობას სიკეთეს არ უქადის.

4410. ჭკუას გონივრული დარიგება კი არ გვასწავლის, არამედ ძალა და მის წინაშე შიში და რიდი.

4411. ტვინს თავისი ნაოჭების თაროზე თუ შესაბამისი ინფორმაციის დალაგება შეუძლია და ახლის მისაღები ადგილიც დატოვებული აქვს, ასეთი ჭკუა სიკეთის საკეთებლად უკვე დაკვალიანებულია.

4412. უმაღლეს სიამოვნებას მაშინ განიცდი, როდესაც ნაოცნებარს შეისრულებ, რაც არ გიგემია, იგემებ და ჯვარს იმასთან იფსკვნი, ვინც შენ გიყვარს და უყვარხარ.

4413. გვარიშვილობას ცოდნა, შემართება, ქველმოქმედება წარმოაჩენს და არა ის, რაც დღესაა მოდაში.

4414. გული განსჯას, დაფედრებას და პასუხისგებას ვერ იტანს.

4415. პლანეტის საშინაო და საგარეო საქმეში მომეტებული ხელის ფათური არავის ეპატიება, მათ შორის ამ საქმისთვის მოწოდებულ ხალხს, რათა ერთჯერადი გადასახადი ქარიშხალის, მიწისძვრის სახით არ დაგვაწეროს.

4416. რჩევა-დარიგების მიცემა სხვათა თანდასწრებით უტაქტობა და პიროვნების უპატივცემლობაა.

4417. მართალია, ლოგიკას პარადოქსებამდე მივყავართ, მაგრამ მისი ჭეშმარიტებასთან მიახლოება მაინც მათემატიკის ჩარევის შემდგომ ხერხდება.

4418. ჭეშმარიტებისადმი სტანდარტული მოთხოვნები, ძირითადად, სარწმუნოებათა გაბატონებამ გამოიწვია.

4419. ჭეშმარიტების დადგენას ფელა დარგი ცდილობს, მაგრამ ტოლობას ფელაზე უკეთ საბუნებისმეტყველო მეცნიერება სვამს.

4420. ჭეშმარიტებაა დაფარული აზრის დაუფარავში გადაყანა და მისთვის გონიერების საკუჭნაოში ადგილის მიკუთვნება.

4421. ყოველთვის ცოდნა საუბრის და საქმის კეთების ექვივალენტად არ გამოდგება, რადგან რაღაცას შენთვის ინახავ, მალავ, ელოლიავები.

4422. ძეგლსაც თავის აღმომჩენი, მომვლელი, რეკლამის გამკეთებელი და შემფასებელ-დამფასებელი ტურისტები სჭირდება.

4423. ჭეშმარიტება, ჭეშმარიტების საყრდენის გაშიფვრის წილს ითხოვს.

4424. ცუნამი, მიწისძვრა, ვულკანის ამოფრქვევა, ეტყობა, ცოდვებს მოჰკითხავს ადამიანებს, მაგრამ რატომღაც განტევების ვაცის როლს ისინი ასრულებენ, რომლებიც ბუნებისგან ამ რისხვას არ იმსახურებენ.

4425. ეტყობა, ამქვეყნად პირველად მაინც კვერცხი გაჩნდა, რადგან ქათმის გაჩენას მამალის გაჩენაც უნდა მოჰყოლოდა და სამყაროს შექმნის საწყის პროცესში განგება საქმეს ასე არ გაირთულებდა.

4426. ჭეშმარიტების ძიება ფველგან და ფველაფერში შეიძლება, თუ მოვინდომებთ და მცდელობას არ დავაკლებთ.

4427. ბალღს დედა უფარს, ბიჭს – ბაბუა, ყმაწვილს – მამა, ყრმას – თინეიჯერი, ჯეელს – დეიდები, ჩოყლაყს – საცოლე, ასაკაკრეფილს – ქალები, დაღვინებულთ – გოგოშკები, ხანშიშესულთ – ცოლები, ასაკოვანს – მოგონებები, ხოლო გოგოშკას – მამიკო უფარს, გოგონას – ბებია, თინეიჯერს – ფინჩილები, ქალიშვილს – ჯეელები, გასათხოვართ – სასიძოები, ქალს – გამორჩეული მამაკაცები, დიაცებს – ხვადები, დეიდებს – ახალგაზრდა კაცები, ქალბატონებს – ვაჟბატონები, მანდილოსნებს – გახსენებები.

4428. ადრე თუ გვიან ფველანი: მივიცვლებით, გარდავიცვლებით, მოვკვდებით, დაგვასაფლავებენ, დაგვმარხავენ, ჩაგვფლავენ, დაგვიტირებენ, ღიმილს გაგვაყოლებენ, დავენანებით, მაგრამ უმთავრესია: რა დაგრჩა, რა დავტოვეთ, რის კეთებას ვაპირებდით, სამყაროსთვის, ერისთვის, ქვეყნისთვის, შთამომავლობისთვის, რომელიც იმქვეყნადაც მოგვკითხავს, მოიძიებს, განგვსჯის.

4429. თუ სიმდიდრე პატიოსნების ჩირაღდნად არ გამოდგება, არც სიღარიბეა პატიოსნების ლამპარი, რადგან ცდუნებას ვერც ერთი ვერ გაუძლებს.

4430. შემოქმედი და ავანტურისტული სულისთვის ჯოჯოხეთი უფრო მომგებიანია, ვიდრე სამოთხე, რადგან სულიერ კოლეგებს იქაც თავისივე სიამოვნებისათვის ედავება, ეკამათება.

4431. ყოფის აქსიომა: ბევრი უნდა ისწავლო, იბეჯითო, ცხოვრება მოაწყო, ოჯახი შექმნა, ადამიანად შედგე, მაგრამ თუ შემთხვევა, ბედი, გვერდში არ ამოგიდგა საკუთარ შემართებასთან ერთად, ამ აქსიომიდან პრაქტიკულად აღარაფერი რჩება.

4432. ზოგჯერ ნიჭს აქვს თავხედობას უფლება და არა – უნიჭობას, მაგრამ ამით ეს უკანასკნელი რატომღაც უკეთ სარგებლობს.

4433. ჭეშმარიტების შეცნობას ქონება არ სჭირდება, რადგან სიმდიდრე მასთან შეჭიდების ცდაა.

4434. საკუთარი თანდაყოლილი თუ შეძენილი ნაკლის გამოსწორება თუ არა, სხვისთვის გასაგებად მოთარგმნა მაინც უნდა შეგეძლოს.

4435. ჭეშმარიტება და დაბნეულობა, სიახლის დადგენა – გამოვლენაში, ძმები არიან.

4436. ჭეშმარიტების მოთარგმნა ყველაზე უკეთ ოცნებას, იმედს, სიყვარულს შეუძლია.

4437. რთულ პიროვნებას პატივს ვცემთ, მაგრამ არ გვიყვარს, რადგან რიდი, შიშის მსგავსად, ,,სიყვარულს ვერ შეიქმს''.

4438. მლიქვნელობა ხურდა ფულია, რომლის გარეშე უდრტვინველი ანგარიშგასწორება ჭირს.

4439. არის რაღაც, რის გაკეთებაც თავად უნდა შეძლო, სხვის დაუხმარებლად. მაგრამ ჭეშმარიტებაც დევალვაციას განიცდის დღევანდელობის გადასახედიდან. მაგ., ბავშვის ხელოვნურად ჩასახვა.

4440. მლიქვნელობის არსს თუ ყურადღებას არ მივაქცევთ, მასაც თავის მისაღები ფორმა გააჩნია.

4441. კოლექტიური არც სიბრძნე არსებობს და არც ჭეშმარიტებისკენ ლტოლვა.

4442. ჩვეულება, ტრადიციები, პატივისცემას იმსახურებს და არა – განსჯას.

4443. ღარიბს სინდის-ნამუსის პრობლემა აწუხებს, რადგან სიმდიდრეზე ხელი არ მიუწვდება, ხოლო მდიდარს – სად იყალთაბანდოს, გაერთოს, ისე, რომ არ გაღარიბდეს და პრობლემები არ შეიქმნას.

4444. ჭკუის გარდა თუ სხვა რამ არ გაბადია, არა უშავს, მაგრამ ამისათვის შესაფერის საზოგადოებასთან უნდა გქონდეს საქმე.

4445. ზოგი თავის ანარეკლზე გადახტომას ცდილობს და ამიტომაცაა, რომ არ უმართლებს.

4446. გულახდილობა პატივისცემას იწვევს, მაგრამ გონიერების რანგში ვერ ადის.

4447. ზოგჯერ ყბედობის შადრევანსაც დასვენების უფლება უნდა მივცეთ, რათა მისი ძალით ამოქოლვის სურვილი არ გაგვიჩნდეს.

4448. ადამიანური ჭეშმარიტება სუფთა სულია, ადამიანური დაბნეულობით და დაუოკებელი სურვილებით.

4449. გონიერებისთვის და გამოცდილების გაზიარებისთვის გული ყოველთვის მოუმზადებელია, რადგან ის გრძნობით იმუხტება.

4450. ჭეშმარიტებას ყოველთვის ფაქტები არ აინტერესებს, მას თავისი ალგორითმი აქვს მის წარმოსაჩენად.

4451. ამერიკელ გმირთა უმრავლესობა სისხლის სამართლის დამნაშავენი არიან, რადგან კანონთან ვერ მეგობრობენ და მათ სახელმწიფოებრიობასაც უკანონობა დაედო საფუძვლად.

4452. ფილოსოფოსი ბევრია, მაგრამ საქმისა და ყოფისადმი ფილოსოფიური მიდგომა და მცდელობა – უმნიშვნელოდ ცოტა.

4453. ცნობიერების გაფართოება ყოველთვის ზნეობის გასრულების გარანტად არ გამოდგება.

4454. ზოგჯერ სიცრუეც სასიამოვნოა, თუ მასში წამლიქვნელებაც ურევია.

4455. სხვისი სახელით ყველა თავის ჭეშმარიტებას ღაღადებს.

4456. ბუნება ვერც იტანს ვერც ტექნიკურ პროგრესს და ვერც მასზე აყოლილ ადამიანს, მაგრამ ჯერ-ჯერობით უძლებს.

4457. ზოგჯერ სიცრუე სიმართლისგან განსხვავებით არც მტკიცებას მოითხოვს და არც განსჯას, იმდენად სასიამოვნო მოსასმენია მავანთათვის.

4458. ყურისგდებასა და წინააღმდეგობას შორის ის სხვაობაა, რომ პირველი წესრიგის დედაა, მეორე – თავისუფლების მამა.

4459. ჭეშმარიტება და რელიგია ერთად ვერ ძოვენ, მაგრამ თანამშრომლობენ.

4460. ხშირად ტყუილი უფრო საინტერესოა, ვიდრე სინამდვილე და ჭეშმარიტება.

4461. ჭეშმარიტებას და მითებს ერთი საერთო აქვთ, ისინი ერთმანეთს თავისდაუნებლიედ ცვლიან.

4462. ღარიბისაგან განსხვავებით, მდიდარი იმიტომაც არ უყვართ, რომ ყველა ხელმოცარულის თხოვნის დაკმაყოფილება მას არ შეუძლია, ამ შემთხვევაში უქონელთა რიცხვს ისიც მიემატებოდა.

4463. ჭორაობა ჩვენი იმიჯის კვადრატში აყვანის მცდელობაა და მეტი არაფერი.

4464. ნდობის კრედიტი უმეტესობისათვის მიუღწეველია, რადგან ის ხელაღებით გაცემას ვერ იტანს.

4465. კრიტიკა, შედეგის მიუხედავად, სიყვარულს თუ არა, პატივისცემას მაინც იმსახურებს, რადგან ვიღაცა ავად თუ კარგად გაისარჯა და შეგამჩნია.

4466. კეთილდღეობა დაცვას, გარჯას და დამატებით დაფინანსებას მოითხოვს.

4467. უნდა ვეკამათოთ იმათ ვინც თავისი ცოდნით, ერუდიციით საკითხის დასმას და განხილვას იმსახურებს, ხოლო დილეტანტს კამათში არ უნდა ავყვეთ ან ყველაფერზე თავი უქნიოთ.

4468. იდეოლოგიის უმთავრესი დანიშნულებაა მომდევნო თაობებს არ მისცეს საბაბი, ჩათვალონ რომ მათი წინაპრები გამოთყვანებულნი იყვნენ.

4469. მწუხარებას და ბედნიერებას საკუთარი ძალისხმევით საზღვრები უნდა დავუდგინოთ.

4470. კაბის ლამაზად აფრიალება ქალსაც უხდება, ბუნებასაც ალამაზებს და ჭეშმარიტებასაც აღაფრთოვანებს.

4471. დაძალებული არც საჩუქარი უქნია ღმერთს და არც ამ საჩუქარს ამოფარებული ნაძალადევი ამბორი.

4472. კამათი, პირველ რიგში, საქმის კეთებას უნდა ემსახურებოდეს და არა – ჭეშმარიტების დადგენას – თავის მოსაწონებლად.

4473. ვაჭრობა კეთილდღეობის და მატერიალური ინტერესების გაცვლა-გამოცვლის დესპანია, სადაც თავის წილ მოგებასთან ერთად სულიერსაც პოულობს.

4474. მაღალ იდეალებს, იდეებს, ყოველთვის თან ახლავს ბრიჟული ქცევები და ეს, ეტყობა, მოჭარბებული ენერგიული ბალასტის მოშორების საშუალებაა.

4475. ვნება ხშირად სურვილის სინონიმი არ არის, რადგან ისინი ერთმანეთს ვერ უგებენ.

4476. ღირსებას რწმენა ქმნის, გაჭირვება გვახსენებს, ისტორია ინახავს, ყოფიერება უვლის, ხოლო შთამომავლობა ამაყობს.

4477. ნაკითხსა და განათლებულს შორის დიდი სხვაობაა, რადგან პირველი თავის სულის ჭიის საამებლად თეორიულად იფერფლება, ხოლო მეორე გააზრების შედეგად მოპოვებული ცოდნას, პრაქტიკულად თავის სულის საამებლად ანაკვერჩხლებს.

4478. ანდერძი და მემკვიდრეობა თავისებური ლატარეაა და ისიც განგების ხელშია.

4479. ანდერძის დატოვება კი არ არის ძნელი, არამედ მემკვიდრის, რომელმაც შენი დანატოვარი უნდა „აბარტყოს“ და მემკვიდრეობის შესაფერისი შთამომავალი დატოვოს.

4480. მემკვიდრეობა უპირველესად ცოდნა-გამოცდილების დაგროვებაა, ქონების კვადრატში შემდგომი აფანით.

4481. მემკვიდრეობის დაგროვება და გადაცემა თავისებური ანგარიშსწორებაა წინაპართა მიმართებაში.

4482. მემკვიდრეობა პროგრესის თავი და თვალია და ყოფის წინწაგდების ავან-ჩავანი.

4483. მიზნის დასახვა „თვალის ჩაკვრით“ გააზრებულ ქმედებას მოითხოვს.

4484. მიზანს ყოველთვის შედეგი ამართლებს და არა ის, მასზე ვინ რას იტყვის. სასურველია ბოროტებისგან შორს იდგე, მაგრამ პოლიტიკაში ზოგჯერ ეს აუცილებელია.

4485. ზოგი მიზნის მისაღწევად მკვდრების გორებს აყენებს, მაგრამ ხეირიანად ვინ ახსენებს დაღუპულებს, როდესაც ისტორიას მომხდარი ფაქტი სჭირდება მატიანეში ადგილის დასაკავებლად.

4486. ინტელიგენტი ყოველთვის მეოცნებე ცოდნის ტომარა იყო და ამავე დარჩება, რადგან მის გარეშე ის ცხოვრების სათავისო ეშხს ვერ ხედავს.

4487. ინტელიგენციის „აქილევსის ქუსლი" იყო და იქნება საერთო ენის გამოუნახაობა და საკაცობრიო იდეებთან ჭიდილი.

4488. ინტელიგენტის სუსტი მხარე ის არის, რომ ყოველთვის ჩაგრულთა მხარეზე დგას და ამიტომაც ყოველთვის ზედმეტად და დაუმსახურებლად იჩაგრება.

4489. თუ არა დაპირისპირების კანონი, ინტერნაციონალისტებს საბაბი არ ექნებოდათ კოსმოპოლიტებთან შერკინებისა.

4490. ინტელექტუალურები მომავალში შეიძლება იყვნენ ბრტყელ-შუბლიანები, კვერცხთავიანები, კვადრატები და იმ დონის ჭკვიანები, რომ საკუთარი თავის გარდა, მათ ვერავინ გაუგებს.

4491. თანამედროვე რომანტიკული ინტელიგენციის უბედურება ის არის, რომ მსხვერპლია ინტერნეტის, რეკლამის და სიყვარულის არ-ცოდნის.

4492. ინტელექტით სულის კვება ის ჯადოქრობაა, რომელიც ადა-მიანს პიროვნებად აქცევს.

4493. ინტელექტუალების აუქციონზე რომ სახელმწიფო მოღვაწის და ერის მსახურის ბიოგრაფიები გამოეტანათ გასაყიდად, საინტერესოა რა ფასში, ვინ შეიძენდა და ვისას შეიძენდნენ.

4494. დღეს საჭორაო არ გახდებოდა, ჰამლეტი ვინ დაწერა შექ-სპირმა თუ ფრენსის ბეკონმა, რომ არისტოკრატებისთვის სამარცხვინო არ ყოფილიყო პიესების წერა, კომედიანტობა და საზოგადოების მენ-ტალიტეტის განსხვავებული ნიჭის წარმოჩენა.

4495. სიცოცხლე მოითხოვს იმქვეყნად გადასახლებამდე რაიმე საბუ-თი დავტოვოთ, რომ გვიცოცხლია და გვიცხოვრია.

4496. აკრძალვები, დასჯა, სხვისი უფლებების ხელყოფა არ არის, თუ ის გონიერებას და ჭკუის სწავლებას ემორჩილება.

4497. დანაშაულის განსჯა და არა პროფილაქტიკა, ეს განათლებუ-ლი იდიოტების უაზრო ენერგიის და დროის ხარჯვაა, იმ სამართლია-ნობის დასადგენად, რომელიც ფაქტიურად არავის სჭირდება, რადგან ვერაფერს გვასწავლის.

4498. ნდობის აღდგენა სამართლიანობის გარეშე შეუძლებელია, მაგრამ ეს სიმართლე ვიღაცას უნდა უნდოდეს და ამბიციებს უნდა თოკავდეს.

4499. უმეტესობა საქმის კეთებას ბრძოლა-დაპირისპირებაში ხედავს და არა – კომპრომისსა და ოქროს შუალედის ძებნაში, რაც საბოლო-

ოდ საზოგადოებისათვის და იმ ლიდერისთვისაც სასარგებლოა, რო-მელმაც მცირე შედეგის მომტანი დაპირისპირებისათვის დრო არ გა-ხარჯა.

4500. გადამეტებული ლაპარაკი უსაქმურობის, უსუსურობის, უნია-თობის თანხვედრია, რაც სიზარმაცის ყბედობით გადააფასების სურ-ვილზე მიუთითებს.

4501. ყველა ჩვენგანი ფიქრობს გლობალურად, მაგრამ მოქმედებს ლოკალურად, თავის დაუვიწყებლად.

4502. საოცარი რამ არის ცნობიერება, ის, რაც რამდენიმე საუკუ-ნის წინათ მისასალმებელი, მიღებული იყო, დღეს სამარცხვინო და მიუღებელია, ან პირიქით, მაგალითად, ქალის გულისთვის დუელი.

4503. ხშირად იმაზე მეტს ვიღებთ თავზე, ვიდრე შეგვიძლია, იმის-დამიუხედავად, რომ სურვილი, ვიცოდეთ ჩვენი რეალური შესაძლებ-ლობების ზღვარი, ძალაში რჩება.

4504. სამყარო ბერდება და ეს მეტ-ნაკლებად ყურადღებას იმსახუ-რებს იმათთვისაც კი, ვისაც ეს უკვე აღარ უნდა აღელვებდეს.

4505. მსახიობს, ლექტორს, პოლიტიკოს, ერთი ბედნიერება თუ უხერხულობა სჭირს; თავის წარმოსაჩენად ყოველთვის გამოცდებს აბა-რებენ ტაშის დამკვრელთა წინაშე.

4506. საკუთარი ნიჭი, ცოდნა-გამოცდილება, მაშინ ფასდება, თუ ვინმეს სჭირდება და იყენებს.

4507. ფასეულობათა გადახედვას ისევ გააზრება სჭირდება, ახალი სახით წარმოდგენილი, ძველ ფუტლიარში.

4508. ბრენდი ერთობლივად ამაღლებული და უტყუარი მოლოდი-ნია მყიდველსა და გამყიდველს შორის.

4509. უფროს-უმცროსობის ინსტიტუტის არქონა ნაძირალების მომ-რავლების ბაზისია.

4510. გადაჭედილ საზოგადოებრივ ტრანსპორტში დასაჯდომ ად-გილზე თვალი ასაკოვანს უჭირავს, ხოლო შედარებით ახალგაზრდები მას ვერ „ამჩნევენ“. ზურგს უკან ხშირი მიხედ-მოხედვით ასაკოვანს შეუძლია დასაჯდომი ადგილი თვალებით დაიბეოს, მაგრამ თავს არ იწუხებს, რადგან მიაჩნია, რომ მის წინ მჯდომმა ადგილი უნდა დაუთ-მოს, ვინაიდან ასეთია ტრადიცია, აღზრდა, კულტურა. ამიტომაცაა, რომ ასეთი წესების გადამკიდენი ხშირად შეუმჩნეველნი და განაწყენე-ბულნი რჩებიან.

4511. ნაკლი ყველას გვაქვს, მაგრამ მთავარია მისი ოდენობა, ხარის-ხი, რეზონანსი.

4512. საქმიანი მოლაპარაკება ჯერ „წყლის ნაფით“ იწყება, შემდგომ არგუმენტების მოშველიებით, შექმნილ ვითარებაში ერკვევიან, პარტნიორსაც არკვევენ და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ამ პაუზას ისევ მასლაათით ავსებენ. ასე, რომ საქმეს ყბედობა იწყებს, არგუმენტი წარმოაჩენს, ხოლო შედეგს მაინც შემთხვევა და გამოცდილება წყვეტს.

4513. სიტყვა „სულელი“ შეიძლება ამდაგვარადაც გავშიფროთ: სასიამოვნო, უაღრესად ლამაზი, ერუდირებული ლიდერი ინტელექტით.

4514. ფსონი კეთდება იმაზე, რომ შენ იყო პირველი, ხოლო რა საქმეში, ამას მატიანისთვის დიდი მნიშვნელობა არ აქვს.

4515. სულელის შესატყვისებია: ტუტუცი, ჩერჩეტი, მასხარა, პამპულა, ბრიყვი, დურაკი, ხოლო ჭკვიანისა – ერთი: „გონიერი“, რაც განმარტებას და შეღავათებს არ მოითხოვს.

4516. უნდა ამაყობდე, მაგრამ არ უნდა გიხაროდეს, რაკი ამჯერად შენს თავს აჯობე და შინაურული ალიყური აწვნიე.

4517. მთავარი ის კი არ არის, რა იცი, არამედ ვის იცნობ და ვის შესტკივა შენზე გული.

4518. განცდის, წუხილის, ალიყურის ჭმევის, გარეშე, არავითარი საკაცობრიო ღირებულება არ შექმნილა და არც შეიქმნება.

4519. იყო სახელგანთქმული, იყო გამორჩეული, სხვადასხვა გაგებაა, რადგან პირველი შეიძლება ყველა თაობის საკუთრებად იქცეს, ხოლო მეორე – გარკვეული დროის მონაკვეთის და მასზე შეყვარებული ხალხის.

4520. ბრიყვი ძალას ხმარობს, ჭკვიანი მის დემონსტრაციას ახდენს და თავის წილის მიტაცების არც ერთი წინააღმდეგი არ არის.

4521. ზოგიერთი მოვალეს ვალის შენდობასაც აყვედრის: არ უნდა ესესხებინა, უნდა ეჩუქებინა და განსასჯელი და დასაყვედრებელიც არაფერი იქნებოდა.

4522. სახელი შენი სულის გასაფურჩქნი ყავილია და როგორი სუნი დაჰკრავს, შენზეა დამოკიდებული.

4523. მხოლოდ ბრიყვები არ იცავენ თავიანთ ნააზრევ-ნაცოხნარს, რადგან ისინი ამას ტვინის ჭყლეტის გარეშე აფრქვევენ.

4524. არის რაღაც, რომლის დანახვა და ხელის წაფათურება დიდ სიამოვნებას გვანიჭებს, მაგრამ მისი პრივატიზაციის მსურველი ცოტაა, რადგან მას თვალებით ყველა ისაკუთრებს და დაუკითხავად წილში გიჯდება.

4525. მილიარდერი თავისებური მუტანტია მმართველი კლასისა, რომელიც ჩასაფრებულ-ჩამოკიდებულია თავის სასარგებლოდ.

4526. ახალგაზრდის ბუნება რევოლუციონერია, შუა ასაკისა – სოციალისტია, სიბერე კონსერვატორია, რადგან პირველი დროს ტარების ხერხებს და საშუალებას ეძებს, მეორე ფულის შოვნის და სახელის მოპოვების მეთოდებს, მესამეს ახალი ბევრი რამ არ მოსწონს და სულ კრიტიკის ხასიათზე.

4527. ვაჭრობის პირველი კანონია: თუ ცდები, შენს სასარგებლოდ უნდა შეცდე, მეორე კანონია: ძალად არ მოატყუო, უფრო სარფიანია.

4528. კრიტიკა ცდილობს სრულყოს ადამიანი, რათა ის ცოტათი მაინც შეიცვალოს და უკეთესი გახდეს არა დროის შესატყვისად, არამედ სამყაროს მარადისობის კანონებიდან გამომდინარე.

4529. სატირა ცდილობს კორუფციის შედეგად გაბინძურებული სისხლი გამოამზეუროს, ხოლო კრიტიკა, შედეგის მიუხედავად მკურნალობს.

4530. საზოგადოების ტრანსპორტის დიქტორმა სასურველია შემდეგნაირად დაგვმოძღვროს: ადგილი დაუთმეთ ბავშვებს, მოხუცებს, დაორკეცებულ ქალებს და იმათაც, რომლებიც, თქვენი შეხედულებით, ამ უპირატესობას იმსახურებენ, იმისდამიუხედავად, რომ ოფიციალურად ეს სტატუსი არ ეხებათ. ალბათ, ამ ,,კომპლიმენტ-მონიშვნების'' შემდეგ სანამ განთავისუფლებულ ადგილს დაიკავებენ, ერთმანეთს შესთავაზებენ დაკავებას და ზრდილობის საწყისი ელემენტებიც გვექნება.

4531. ხელფასს შრომა უნდა, ფულს – შოვნა, ოჯახის – შენახვა, ხოლო გარდუვალი სიკვდილი ახლა მოვა თუ 20 წლის შემდეგ, ზოგისთვის მნიშვნელობა არ აქვს და აქ წვალებას იმქვეყნად დროულად გადაბარგებას არჩევს.

4532. ისიც თავისებური ,,კეთილშობილებაა'', როდესაც ფანტაზიის უნარი მაქსიმალური გაქვს, საქმეში მისი გამოყენების შანსი კი მინიმალური.

4533. საქმიანობა ის შეუმჩნეველი სიამოვნებაა, რომელიც სიცოცხლეს გვიხანგრძლივებს და გვაახალგაზრდავებს კიდეც.

4534. შეცდომების დაშვების შიშმა ხელი არ უნდა შეგვიშალოს სიახლის ათვისებაში, თორემ ცივილიზაციის ალგორითმი ამას ვერ გაიგებს და ზურგს შეგვაქცევს.

4535. მომავალი რობოტები ჩვენზე ჭკვიანები, განათლებულნი იქნებიან, მაგრამ არასოდეს – ჩვენზე მეტად სულიერები და ეშმაკები.

4536. საქართველოსთვის აფხაზეთი მცირე ერია, რუსეთისთვის საქართველო, ჩინეთისთვის რუსეთი, ასე რომ მცირე ერობა, ხალხმრავალი ქვეყნის უკანალში ძრომიალს არ ნიშნავს თუ მას ძლიერი ეკონომიკა აქვს და სხვისი სამათხოვრო არ ჭირს.

4537. გულახდილობა მაშინაა მომგებიანი, თუ მის ქონის ხელოვნებას ფლობთ, წინააღმდეგ შემთხვევაში – ზარალია.

4538. მხიარული ცხოვრება შესაძლებელია, მაგრამ შედეგია ძნელი.

4539. თუ თავს ხელში აიყვან, საწუწუნო, სასაყვედურო, არაფერი დარჩება.

4540. იმისდამიუხედავად, რომ ინტერნეტი საჭიროა და თავს გვაწონებს, ზოგჯერ – საჭიროდ მოსაბეზრებელი ხდება, რადგან ინფორმაციის ნაგავს გვიტოვებს და არა ცოდნა.

4541. ჯენტლმენსა და რაინდს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი სიტყვის მასალად უდრტვინველი ზრდილობის განსახიერებაა, მეორე – ვითომდა საგმირო საქმეების ჩადენასაა გადაყოლილი.

4542. ხშირად გინება უეცრად წამოჭრილი არასტანდარტული საკითხის გადაწყვეტისას კომპრომისის მიღწევის მცდელობაა.

4543. მადლიერება და უმადურობა ერთად ვერ ძოვენ, რადგან ისინი ყოფიერების სხვადასხვა განზომილებას ეტრფიან.

4544. სწავლა, სწავლა და სწავლა! დღეს აქვს ყველაზე მეტი გამოუყენებლობა, რადგან ამდენი სწავლის შემდეგ სამუშაოს ვერ შოულობ.

4545. ცივილიცაზია, უპირველესად, დაფინანსების დამსახურებაა, შემდეგ მოდის საზოგადოების მხარდაჭერა.

4546. დიდობას, სახელს, ისევ მეგობრობის თანადგომა სჯობს, პირველი წარმავალია, მეორის მუდმივობა შესაძლებელია.

4547. საზოგადო ტრანსპორტში ასაკოვნებს ადგილს კარგად აღზრდილნი უთმობენ, ხოლო ,,ზედმეტად'' განათლებულები მათ ვერ ამჩნევენ.

4548. პროგრესსაც აქვს თავისი ნაკლი დროდადრო თავსაც გვაბეზრებს, მაგრამ არა იმდენად რომ მასზე უარი ვთქვათ.

4549. ნაგებობანიც კი კარგ მეზობლებს ეძებენ, რადგან ერთმა შეუხედავმა შენობამ, მათ იმიჯს ფასი არ დაუკარგეს.

4550. თაგვად თავის წარმოდგენა ყველას ესირცხვილება, მაგრამ სათამაშო ავტომატები რომ ,,თაგვებისთვის'' დაგებული ხაფანგია, ამის გათვიცნობიერებას არავინ ცდილობს.

4551. მთვარე წინათ შეყვარებულთა დაკვირვების ობიექტი იყო დღეს, მეცნიერების და ტურიზმის ობიექტად იქცა.

4552. ვიყოთ სასიამოვნონი და მიმზიდველნი, სურვილის შემართებით ყველას ხელეწიფება.

4553. ერთნაირი მენტალიტეტის ადამიანებს საუბარი ერთმანეთთან უფრო უჭირთ ვიდრე განსხვავებულთან, რადგან ამ უკანასკნელისაგან, რაღაცას იგებ და ანალიზის საშუალებაც გეძლევა.

4554. მდიდრები გასართობად, თავის მოსაწონებლად, ნადირობენ, ძვირფასი იარაღით აღიჭურვებიან და მოდაში შემოსული მანქანებით ნადირს დასდევენ, ხოლო ვისთვისაც ნადირობა გამოკვების საშუალებაა, დღესაც ჯუნგლებში მშვილდ-ისრით ტიტლიკანაა დარბის.

4555. მახსოვრობის რეგულირება უდიდესი ნიჭია: რაც კარგია, დაიმახსოვრებ, რაც არა და მახსოვრობას გამორთავ და დავიწყებისთვის გაამწესებ.

4556. მლიქვნელობაც ცნობისმოყვარეობის გამოცდაა – მას რომ თანამდებობა სჭერებოდა, მასაც ამდაგვარადვე წაუმლიქვნელებდნენ?!

4557. პროფკავშირები გიჟის პერანგის მორგებით დაშინებაა დამკვეთსა და შემსრულებელს შორის, რათა დაპირისპირების მონაწილენი მისი შუაკაცობით მორიგდნენ.

4558. სხვისი პროტეჟეობა კარგია, მაგრამ საკუთარი მცდელობით საქმის „მოკვარახჭინებას“ ვერ ჯობს, რომელშიც მოხერხებულობაც იგულისხმება.

4559. პროპაგანდა სიცრუის ფლობის ხელოვნებაა, საეჭვო არგუმენტების მოშველიებით.

4560. თვითმყოფადობას, უშუალობას, მაშინ მოაქვს სიკეთე, თუ მას დასაცინს არ გავხდით.

4561. სიწყნარე, სიმშვიდე, დიდი სიკეთეა, მაგრამ აქტიურ სიმშვიდეს, სადაც გული, გრძნობები, სულია, ჩართული, ვერ შეედრება.

4562. ყველაზე მეტი აკრძალვები თავს უნდა დავუწესოთ ზომიერების ფარგლებში, თუ გვინდა მეტხანს ვიცოცხლოთ.

4563. სასიამოვნო შეგრძნებაა, როდესაც ბევრის უფლება გაქვს, მაგრამ თავის შეკავების უნარიც გაგაჩნია.

4564. სასწაულის მოხდენის სურვილი ყველას გვაქვს ჩვენს სასარგებლოდ, მაგრამ მისი დაჯერება, ფაქტის გარეშე, არავის გვინდა.

4565. ინტელიგენცია, თავისი გაუბედაობის გამო, ყოველთვის ვალშია როგორც ხალხის, ასევე საკუთარი თავის წინაშე, რადგან ქვეყანაში ამტყდარი ვიში-ვიშის დროს ის ფხას არ იჩენს, გამარჯვებული ვიგინდარების მხარში დგომას არ თაკილობს და არც იმას აპროტესტებს, როდესაც მის რწმენას პანჩურს ამოარტყამენ.

4566. ინტელიგენტი თავისი გონებით კოსმოპოლიტია, სულით – პატრიოტი, ხოლო ბუნებით – ხელმოცარული ინტელექტუალი, ბედოვლათი, რადგან ყველგან აგვიანებს და ხშირად თანამდებობის გარეშე რჩება.

4567. ინტელიგენტი – ეს საზეიმო, საშური, გაგებაა, მაგრამ ხშირად გამაწბილებელიც და გასაკვირიც.

4568. ინტელიგენტი შეიძლება იყოს: ტიპიური, ძირძველი, ობშო-რული, ელიტური, ურცხვი, ობივატელი, ახირებული, პრეტენზიული, სულმოკლე, პესიმისტი, პროტესტის მოყვარული, რომელმაც თავისი ადგილი ვერ მონახა ცხოვრებაში, ამიტომაც მოქმედება – მოძრაობა ხშირად არსაითაა, იმისდამიუხედავად, რომ ამბიციებით არც სხვას ასვენებს და არც საკუთარ თავს.

4569. არავინ იცის რაა ნაღდი „რაფინირებული" ინტელიგენტი, მაგრამ მასზე მსჯელობენ, კამათობენ, ენას ისველებენ და სიამოვნებასაც განიცდიან.

4570. პარტნიორი საზოგადოებაში, ოჯახში, სარეცელში, სხვადასხვა გაზზომილებაა, მაგრამ ისტორიული ტოლობა ერთი აქვთ – რაც შეიძლება მეტი სიამტკბილობის მიღება.

4571. დიპლომატიამ უნდა იცოდეს რის ფარგლებში ივაჭროს, რეკლამა რას გაუკეთოს სათავისოდ და მოპაექრის წარმატებისას თავის სასარგებლოდ როგორ აღფრთოვანდეს.

4572. შეიძლება ნიჭიერმა კაცმა აფექტში, არაფხიზელმა, „დაბო-ლილმა", სრულფასოვანი რამე შექმნას მაგრამ არა იმდენად რომ ზნეობას აჯობოს.

4573. სიტყვა ინტელიგენტი თეორიულად ოცნების ნაცოხნარია, ხოლო პრაქტიკულად – „ქაქი" და „ჩასარეცხი", რადგან ყოველთვის ცდილობს კონსენსუსის გამონახვას მასთან, ვინც ქვეყნის სათავეშია.

4574. ზნეობა თვითშეზღუდვა, დაძალებული მონობა, გონიერების მიმართ ვალია. ხოლო ადამიანობა უფრო მარტივია ან გაქვს ან არა.

4575. ზნეობის კოდექსი, ძირითადად, ჩვენი წინაპრების ქცევის ნორმების და ტრადიციების ჩვენი გადასახედიდან დაცვაა.

4576. ჭეშმარიტების გამოდნობა უამრავი სისულელის გადამუშავე-ბის შედეგად ხდება.

4577. რჩევა-დარიგება, ისიც სახალხოდ, უფრო ყურის აწევის და თავის წარმოჩენის მცდელობაა, ვიდრე სხვაზე ზრუნვა.

4578. ჭეშმარიტება შეიძლება კამათში ვერ დადგინდეს, მაგრამ მის ხარისხში ამაღლებას ხელს უწყობს.

4579. ჭეშმარიტება ძვირფასია, მაგრამ მის ფასის დადგენაში ხში-რად ფული და ნაცნობობა ერევა.

4580. სიტყვას ფასი ხელმოწერის და ბეჭდის დასმის შემდეგ ედება.

4581. ინტელიგენტი ინტელექტუალურობის სინონიმად არ გამოდ-გება, მაგრამ რატომღაც ამისკენ მიილტვის და პასუხისმგებლობასაც თავზე იღებს, მაშინ როდესაც ისიც ჩვეულებრივი მოკვდავია და არაფ-რის მაქნისი ამომრჩეველი.

4582. ჭკუა ყოველთვის სჯობდა სიბრიყვეს, მაგრამ ეს უკანასკნელი უფრო გასაგებია და საქმეშია, ვიდრე პირველი, რომელსაც მცოდნე და საქმიანი ხალხი სჭირდება.

4583. დიდება, სახელი, აღიარებაა, როდესაც შენზე მითები, ლეგენ-დები, ანეგდოტები, ჭორები, იქმნება და არა ის პირადად გცნობენ თუ არა.

4584. სამწუხაროდ, პროგრესი არც სიცოცხლეს ინდობს და არც – ცრემლს, რადგან უამისოდ ის ვერ განვითარდება.

4585. იმისათვის, რომ სანატრელ 100 წელს მაიღწიო, 1200 თვეა საჭირო, ან 36523 დღე ან 876.600 საათი ან 52.596.000 წუთი ან 3.152.160.000 წამი და 135 კგ ბაჯაღლო ოქრო, საშუალოდ რომ იცხოვრო. როდესაც ამ ციფრებით თამაშს თვალს გადაავლებ, თავი გეცოდება, ნუთუ ასე მცირეა ამქვეყნად ჩვენთვის განკუთვნილი დრო და ჩვენი არსებობის ხარჯები.

4586. იყო კრისტალურად პატიოსანი, სამართლიანი, ძალზე დიდი ტვირთია, უპირველესად, შენი ახლობლებისა და კეთილისმდომთათვის.

4587. ,,სიმბოლოები" ყოველთვის ცდილობენ თავის წარმოჩენას საკუთარ მოსაზრებათა გადასახედიდან და სხვა რეალობას არად დაგი-დევენ.

4588. თავზე რაც უნდა წარმოდგენა გვქონდეს, საბოლოოდ ტი-რაჟში გავდივართ, რადგან ჟამთასვლის სიმუხთლის გამო ჩვენზე მოთხოვნა კლებულობს და თანდათან დავიწყებას ვეძლევით.

4589. მაღალ გრძნობებსაც მოფერება, წარმოჩენა, ფული, სჭირდე-ბა, რადგან ამქვეყნად ყველაფერი იცვითება, იცვლება და დროის შე-სატყვისად უფასურდება.

4590. ფილოსოფოსს სიცოცხლეში სათანადოდ ვერ აფასებენ. რადგან მისი სიბრძნის აღქმას დროსთან ჭიდილი და რეალობის გათავისება სჭირდება.

4591. თუ მეუღლე თავისუფლების, ცხოვრების, მუხრუჭია, შვილი ყოფის მიზანია, აზრია, შენი ამქვეყნად მოვლენის ალიბია, ეს არის ვალის მოხდა ქვეყნის, ხალხის და კაცობრიობის წინაშე.

4592. გადაწერა ერთი წყაროდან – პლაგიატობაა, ორიდან – კომპილაცია, სამიდან – დისერტაცია, ხოლო ოთხიდან და მეტიდან – საკუთარი შემოქმედება.

4593. ბუნების კანონზომიერების ერთ-ერთ სახეს, ცხოველთა კანი-ბალიზმს – ერთიდაიგივე სახეობათა ურთიერთგანადგურებას რომ უყურებ ახლადდაბადებულთა ხარჯზე, ცხოვრებას უფრო მორიდებით და ში-შით ეპყრობი, რადგან თუ ადამიანთა ურთიერთგანადგურება შემთხვე-

ვით უგნურება გვეგონა, დღეს ხვდები, რომ უგნურება სამყაროს აუცილებელი თანმხლები ყოფილა.

4594. მეზობელი ეზოს გოგონა ყოველთვის მიმზიდველია შენს ეზოში მყოფებთან შედარებით, რადგან თვალი მას ჯერ არ შეჩვევია და ყურს მისი ხმა ჯერ არ გაუთავისებია.

4595. ცნობიერების ფარული მახინჯი განზომილებები მეტ-ნაკლებად ყველაში დევს, მაგრამ მისი აღქმა და გამომზეურების მცდელობა გვაქვს სხვადასხვა.

4596. ცუდის განსჯის უფლება ყველას გვაქვს, მაგრამ არა იმისთვის, რომ იქნება შემამჩნიონ და მეც „ნახირ-ნახირაო".

4597. გაიხარო სხვისი მიღწევით უდიდესი ნიჭია, თუ მისი წარმატების წილში ჩაჯდომის და ხეირის ნახვის განზრახვა გულში არ გაგიელვებს.

4598. საკუთარ თავს შეიძლება შეუძახო იმგვარად, რომ წლებს აჯობო, მაგრამ გამოყოფილ დროს რომ აჯობო შეუძლებელია.

4599. ცრუპენტელობა ქრონიკული დავადებაა და მის მორჩენას არ უნდა ვეცადოთ – უშედეგოა.

4600. ავტომობილი არა მარტო გადაადგილების საშუალებაა, არამედ – პრესტიჟის დაცვა და მეუღლის მომსახურების კულტურა.

4601. სამოთხის კარს ყველაზე უკეთ ქრთამი აღებს, მაამებლობის გარნირით მორთული.

4602. მეგობრები, კეთილისმდომნი, მლიქვნელები, ფულის კლებასთან ერთად გვაკლდებიან და გვეკარგებიან.

4603. პასუხისმგებლობის სხვაზე გადაცემა და არა – გადაბრალება პირად ვაჟკაცობას მოითხოვს.

4604. ზოგჯერ თავისადმი ზომიერი რწმენა გვღალატობს და ეს არის დანაშაული საკუთარი თავის წინაშე.

4605. პრესტიჟი, სითამამე, ფული, სინონიმებია, მაგრამ ნიჭს, შემართებას, გამოცდილებას, ვერ ახუნებს და სჯობნის.

4606. თვალებს ეშინიათ, ხელები აკეთებენ, ხოლო გონება აფექტში არ იცის, რას ჩადის, მაგრამ ინტუიცია გვშველის, ხოლო იმუნიტეტის წყალობით ცხოვრება გრძელდება, კაცობრიობის განვითარებას ფეხდაფეხ მივყებით.

4607. სიცილის უნარი, ფულის შოვნის სიხარული, სიყვარულით დაკოდვა, ბევრის ხვედრი არ არის.

4608. სუბორდინაცია თამაშის წესების ცოდნას მოითხოვს, რათა ქვეშევრდომებმა შენზე მაღლა დგომა არ მოისურვონ და მოახერხონ.

თავისუფლება, მორალი

4609. თქვენი სიმშვიდე ქაოსის პირობებში თქვენვე აგამაღლებთ და პიროვნებად გაქცევთ, გონიერებაზე რომ არაფერი ვთქვათ.

4610. ზოგიერთი არც ერთ ასაკში პასუხისმგებლობას არავის მიმართ არ გრძნობს და ეს თავისუფლების ქარტიის დაცვად მიაჩნია.

4611. სიტყვის თავისუფლებას ყოველთვის უნდა ჰქონდეს მოტივაცია, ოღონდ გაზვიადებისა და ცილისწამების გარეშე.

4612. ზოგჯერ თავისუფლების მონაპოვრის ელემენტების გამოყენება უღირსობის საწყისია, რადგან ირგვლივ მყოფთ შენი არ ესმით.

4613. ყველაზე დიდი თავისუფლება ყველა ჩვენგანის სამუშაოთი და სახსარით უზრუნველყოფა და ჩვენი სიცოცხლის უსაფრთხოების დაცვაა, ხოლო ბედნიერება – საფარელი ანაზღაურებული საქმის კეთება და დაუფფედრებელი უსაფრთხოება.

4614. თავისუფლება გარდაუვალი აუცილებლობაა ადამიანისათვის, თუ მისი ქცევა და გონიერება ამ დიდ მონაპოვარს შეეთვისება.

4615. თავისუფლება ჩვენთვის რელიგია უნდა იყოს, დემოკრატია გონიერების მოთხოვნილება, ხოლო საკუთარი აზრის ქონება აუცილებლობად უნდა გვექცეს.

4616. ლიბერალიზმი და თავისუფლება ერთიდაიგივე არ არის, რადგან ამ უკანასკნელს პასუხი მოეთხოვება.

4617. თავისუფლების რაობაზე არ დაობენ, მის დასაცავად მხოლოდ ისვრიან.

4618. თავისუფლება საწამლავია, თუ შეუჩვეველ ადამიანს დიდი დოზებით შევასმევთ, რადგან მასაც თავდაცვის იმუნიტეტის გამომუშავება სჭირდება.

4619. თავისუფალი მაშინ ხარ, როდესაც თავის და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის არ გეშინია.

4620. დაუმსახურებელი, თავზესაყრელი თავისუფლებაა, ყოველივეს რომ ანგრევს და ადამიანს ათავხედებს.

4621. ყველაზე ცუდი დაუპატიჟებელი თავისუფლების სტუმრობაა, რომელიც შენზე პირმოთნეობით, ქვენა გრძნობებით, ზრუნავს.

4622. ყველა მომდევნო საუკუნე წინა საუკუნეს ასაფლავებს და არავინ იცის, გარკვეულ დროის მონაკვეთს როგორ ქელეხს გადაუხდიან და ვისი შთამომავალი შემორჩება.

4623. განუსჯელი თავისუფლება აუცილებელია შემართებისთვის და მუდამ ფორმაში ყოფნისთვის.

4624. თავისუფლებას თავისი კულტურა აქვს, რომელიც, აღზრდის მიუხედავად, ყველას თავისებურად ესმის და იყენებს.

4625. დახვეწილ თავისუფლებას, კულტურას, დრო და ხალხის გონება სჭირდება, რათა თავის მოვალეობას არ ჩამოაშორონ.

4626. სახელმწიფოებრიობა და თავისუფლება ერთმანეთში ვერ რიგდება, რადგან ან მეორე უნდა ემსახურებოდეს პირველს, ანდა – პირიქით.

4627. ხშირად თავისუფლება თავხედობაში გვერევა, დემოკრატია – არაფრის კეთებასა და გამორჩენის მცდელობაში.

4628. თავისუფლებისადმი სიძულვილს უმწეო დემოკრატია ავრცელებს.

4629. ქვეყნის თავისუფლება, საყმაწვილო სენივით ყველა ახლადშექმნილმა სახელმწიფომ უნდა გადაიტანოს, მაგრამ არ უნდა გადაამლაშოს, გააჯანჯლოს, გაგვაწბილოს, რათა მოპოვებული თავისუფლების დივიდენდებმა ხალხის თვალში ფასი არ დაკარგოს.

4630. საზოგადოება ვერც თავისუფლების ჟანგბადის გარეშე ვითარდება და ვერც – სოციალური სამართლიანობისა. სწორედ ამ ორ ვეშაპზე მოკალათდა ამქვეყნად ამდენი ძალადობა და მკბენარა პოლიტიკოს-რევოლუციონერები.

4631. სიტყვის თავისუფლება პასუხისმგებლობაა ქვეყნის და ხალხის წინაშე, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის აზრს და დანიშნულებას კარგავს და ფორმალობად, გამოძალვად, იქცევა.

4632. მონობას მიჩვეული ხალხისთვის თავისუფლება ლეთარგიული ძილია და მის გამოსაფხიზლებლად თაობათა ჭიდილია საჭირო.

4633. თავისუფლების ცნებაც ძალაუფლებაში და ძალადობაშია მოკალათებული, რომლის განსჯას ბრბოდ ქცეული ხალხი ცდილობს ამ დროს მას არაფრად ულირს კაცობა, მეობა და ჭეშმარიტების ძებნა.

4634. თავისუფალი აზროვნება გენიოსებს ავლენს, სიტყვის უფილტრო თავისუფლება – ყბედებს.

4635. თავისუფლების მოპოვება ცოდნის, გამოცდილების, დაღვინების, გარეშე ხშირად უკუღმა შედეგს იძლევა.

4636. თავისუფლების შეცნობა და სხეულით მისი შეწოვა კარგია, მაგრამ ენაზე კბილის დაჭერას ვერ ჯობს, რადგან ეს უკანასკნელი, ყველა დროში, გაუგებრობის და დაპირისპირების ალიბად ქცეული ოქროა.

4637. თავისუფლება ყველაზე დიდი ვალუტაა, მაგრამ დაკრედიტების გარეშე – ჯღანია.

4638. სიტყვის თავისუფლებით და დემოკრატიით არ უნდა ვითამაშოთ, თუ მათ შესასწავლად ვერ ვიცლით და მხოლოდ გაგონილი რეკლამით ვკმაყოფილებდით.

4639. თავისუფლება ფული ღირს, მაგრამ არა ანგარების გზით.

4640. სიტყვის თავისუფლების ნაკლი ის არის, რომ სიტყვამ დაკარგა მადლი, სხვათა სიმართლეზე დაკვირვების ხარჯზე.

4641. თავისუფლება და სიყვარული ზოგისთვის ყოველი ახალი დღიდან და ახლადგაცნობილი მდედრიდან იწყება.

4642. ბრბოს – გათავხედებამდე მისული თავისუფლება მოსწონს, მასას – მისთვის გაუგებარი დემოკრატია, ხალხი – თავისუფლება-დემოკრატიაში თავის სარგებელს ეძებს, ხოლო ახლადგამომცხვარი ძალაუფლება – შესაძლებელობების გამომზეურებას ცდილობს. ამრიგად, ყველას თავისი ჩანაფიქრი მოსწონს, რადგან მათ ჰგონიათ, რომ დემოკრატია-თავისუფლება მათ დაკრულზე იცეკვებს და თავიანთი მცდელობის ალიბს ყველა თავის გადასახედიდან ყბედობით აჯილავებს.

4643. გადამეტებული თავისუფლება, გადემოკრატება, კოორდინირებას აკარგვინებს ქვეყანას, საზოგადოებას, რომელიც ღირებულებათა არსს ახურდავებს და თანახმაა ბრბოს ინსტიქტებით თავი მოიწონოს.

4644. თავისუფლება კანონის მონობაა, მორჩილება და არა – პირიქით, მაგრამ ამის შეცნობის, საფუძველს ხშირად ქვეყნის ხელისუფალი და მთავრობა არ იძლევა.

4645. ყველა დროში თავისუფლება მუდამ საფრთხის წინაშეა, რადგან ხელისუფლების სკამზე წამოსკუპებულთ ის შემდგომში აღარ მოსწონთ.

4646. სიტყვის თავისუფლების მომიზეზებით, როდესაც ქვეყნის ხელმძღვანელს უშვერი სიტყვებით აკრიტიკებენ და ყველას გასაგონად ლანძღავენ, ის კი რეაგირებს პრინციპით – შემაფურთხე, თორემ ვერ მოვიწმინდავო! ქვეყნის ამგვარი თავისუფლება და ძალაუფლების ამგვარი უპატივისცემულობა პირად მე გულს მირევს და სხვებისა არ ვიცი.

4647. მოყირჭებული თავისუფლება, დროთა განმავლობაში, დიდი ტვირთი ხდება სატარებლად მისით დანატრული საზოგადოებისთვის.

4648. თავისუფლებისკენ სწრაფვა შინაგანად უნდა იყოს დაბეებული და არა გარეგნულად რომელიც სავაჭროდაა მზად.

4649. თავისუფალი შემოქმედება, აზროვნება, მოვალეობისაგან არ გვათავისუფლებს, პირიქით, პასუხისმგებლობას გვმატებს, რადგან ყურადღების ცენტრშია.

4650. თავისუფლებაც საშიშია, თუ ვერ ვერგებით და ძალით გვინდა მოვირგოთ.

4651. ყველა წესი და კანონი რომ დავიცვათ, ეს იმას ნიშნავს, რომ არა მარტო ამქვეყნიური სიამოვნება, არამედ ჩვენი სიცოცხლეც ეჭვქვეშ დავაყენოთ.

4652. თავისუფლების ილუზია თავისებური მატერიალური სიკეთეა და ფულის დაუნანებელ ხარჯვას უტოლდება.

4653. დღევანდელი სიტყვის თავისუფლება, დემოკრატია, გამოგონილია ვიგინდარა პოლიტიკოსის მიერ ამომრჩეველთა დასამუნათებლად და ქვეყნის მართვა-გამგეობაში „გასაყანად", რადგან თავისუფალი გიჟიც კი არ არის საგიჟეთში.

4654. თავისუფლების შეგრძნებას ფასი არ აქვს, მაგრამ მის დაფასებას ცხოვრების ორმოტრიალში ძრომიალი და ზოგჯერ ბედის სილის გალაწუნება სჭირდება.

4655. სიხარული თავისებური თავისუფლებაა, დემოკრატია და გრძნობათა ჩოჩქოლია, გონების „მოუკრეფავში" თუ არ გადადის.

4656. არის რაღაც, რომლის გაგება შინაგანად არ შეგვიძლია, არც გვინდა, არც გვსურს, რადგან ის ჩვენს ცნობიერებას, სულს, რყნის და თავის ჭკუაზე ახურდავებს.

4657. მთავარია ქვეყნის სიმდიდრე, სამუშაო ადგილების გამონახვა და ხალხის დასაქმება და არა მათთვის თავისუფლების ბოძება და უყურადღებოდ დატოვება, რადგან ყველა იდეური ნამრავლი, შედეგის გარეშე, ნულს უტოლდება, ხოლო არაფრიდან არავინ არავის არაფერს პატიობს.

4658. თავისუფლებას, რომლის გამოყენება არ იცი, არც მზად ხარ და არც გჭირდება, ზარალის და ამბიციების მეტი სიკეთე დროთა განმავლობაშიც არ მოაქვს.

4659. თავისუფლება ხალხს თანდათანობით უნდა მივცეთ, შევაჩვიოთ, რათა შურმა და ქიშპობამ არ დაახრჩოს და ამ სიკეთით სიცოცხლეშივე ისარგებლოს.

4660. სიტყვის თავისუფლებას ცხოვრების დიზაინი თუ არ ახლავს, ქვეყანაში შიგადაშიგ არეულობა გარანტირებულია.

4661. სიტყვის თავისუფლებასა და ყბედობის უფლებას შორის დიდი სხვაობაა, რადგან, პირველი საქმის რეალური კეთებისთვის არის მოწოდებული, მეორე – ენის ქავილის და ნერვების დასამშვიდებლად.

4662. ბომბებით შეტანილ კულტურას, განათლებას და ნაძალადევ თავისუფლებას სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების ალიბი არ გააჩნია.

4663. ყველა გადაგვარების გზაზე დგას, ვინც აბსოლუტური თავისუფლებისკენ ილტვის, მით უმეტეს, თუ ამისთვის ყველაფერს კადრულობს.

4664. მორალის და თავისუფლების ქარტია ერთმანეთს ვერ ეგუება, რადგან მათი აქსიომა ყველას თავისებურად ესმის.

4665. თავისუფლება, დემოკრატია, არ ამართლებს თუ ყველა კმაყოფილად სამიანზე ცხოვრობს და ცხოვრების გაუმჯობესებისკენ მისწრაფება სულში არ უღვივის.

4666. ადამიანის თავისუფლება ცნობიერების გაფართოებაა, სიახლის შეცნობაა, ყოფის გამოცდაა.

4667. თავისუფლება მიწიერი შვილებისათვის განგების მხრიდან აბსოლუტური ნდობის გამოცხადებაა.

4668. ფაქტებით ღაღადი ცენზურის გარეშე თავისუფლებაა, მაგრამ დემოკრატია არ არის, რადგან უპასუხისმგებლობას ვერ იტანს.

4669. თავისუფლება, დემოკრატია, არის ის რაც ადამიანს ეხმარება ჩამოყალიბებაში და არა – თავის შეწუხებაში.

4670. დღეს გაუგებარია რა აირჩიო, უფასო მადლობა თავისუფლების შეცნობით, თუ მდიდრული პანღური მკაცრი მოთხოვნით და დაფინანსებით.

4671. მიკრობები და ბრბო საბრძოლო განგაშს მაშინ ტეხავენ, როდესაც ანტიბიოტიკები და თავისუფლება დაემუქრებათ.

4672. ნეანდერტალეცების, ,,ჰომო-საპიენსების", მონადირეების, ჯვაროსნების, კონკისტადორების, სახით ყველა საუკუნეს თავის გაღმერთებული მეკობრე ჰყავდა, ამიტომაც თავისუფლების ქარტიის პრინციპებს ყველა ერის წარმომადგენელმა უნდა მოუბოდიშოს.

4673. ნამდვილ თავისუფლებას არ იპარავენ, მას აღწევენ, მაგრამ მაინც სხვის ხარჯზე და მხარდაჭერით.

4674. რეციდივისტების ოცნება თავისუფლებაა, რომლის გამოყენება არ ეხერხებათ.

4675. პოლიტიკური ხულიგნები, ძალაუფლების უბირი მომტაცებლები, ყბედობისთვის და ქვეყნის დატოვებისთვის გამზადებული ვიგინდარები, ყოველთვის მოუმზადებლები იყვნენ რეალური თავისუფლებისათვის, რომლის განსჯა-გააზრების რეალური უნარი მათ არასოდეს შესწევდათ. მიუხედავად ამისა, სიახლის ეიფორიაში მყოფი ხალხი მათ უჯერებს და დროებით თავზე ისვამს.

4676. იყო დრო, როდესაც სიტყვა საქციელიც იყო და პასუხისმგებლობაც, დღეს კი თავისუფლებად აღვიქვამთ, რაც ნერვებს გვიმშვიდებს და ჩვენი ყოფის მოწყობაში ხელს არ გვიშლის.

4677. თავისუფლება, ხელისუფლების დიალოგია ხალხთან, მათრახისა და სასუსნავის გვერდზე გადაუდებლად.

4678. თავისუფლებანაჩუქარი ადამიანი დროის ყვილს და პოლიტიკანობასაა აყოლილი, ხოლო თავისუფლებამოპოვებული – შემთხვევას და პოლიტიკოსის ნებას.

4679. თავისუფლების დაკარგვა გულის დაკარგვის ტოლფასია და არა – ქვეყნის.

4680. თავისუფალი, დემოკრატიული, უწოდო იმ საზოგადოებას, სადაც ხალხი უაზროდ იმას ამბობს რაც მოეპრიანება, ხოლო მთავრობა თავის სასარგებლოდ იმას აკეთებს რაც მოეხასიათება, ჩემი გაგებით მკრეხელობაა.

4681. თავისუფლება, როგორც ინსტიტუტი, მაშინ ლაღობს, როცა სინდისის ცენზორი თან ახლავს.

4682. თავისუფლება მოწოდებულია, უპირველესად, ყოფის პარამეტრების გასაუმჯობესებლად და არა ყბედობის დიაპაზონის გასაფართოებლად.

4683. თავისუფლების სახელით ჩადენილი დანაშაული, დიდი ცოდვაა რწმენის, დემოკრატიის, ძმობის, აღთქმის და საკუთარი შთამომავლის წინაშე.

4684. თავისუფლება ადამიანის შინაგანი მოთხოვნილება უნდა იყოს და არა – ვალდებულება, რადგან ზოგი თავს უკეთ გრძნობს, თუ თავს სამართავად სხვას გადააბარებს.

4685. ზოგჯერ სიკვდილი და თავისუფლება ალალი დები არიან გარკვეულ გარემოში.

4686. თავისუფლების შეცნობას ერთი საწყისი აქვს: ღმერთი, სამშობლო, წინამშობელი, სიყვარული, შთამომავლობა.

4687. გარყვნილი ცივილიზაცია ცდილობს გაურყვნელ აბორიგენთა წარსულს ნებაყოფლობით გაუტოლდეს და დაემსგავსოს, რადგან თავისუფლების გამოხატვას ორივე ერთნაირად ესწრაფვის.

4688. უდიდესი ბედნიერებაა შინაგანი თავისუფლება, რომელსაც არც არავისი ვალი აქვს და არც მოვალე ჰყავს.

4689. ადამიანს არც ოცნების გარეშე შეუძლია ცხოვრება და არც ყბედობის, რომელიც ხშირად ნების გამოხატვასა და სიტყვის თავისუფლებაში ერევა.

4690. სიტყვის თავისუფლება, დემოკრატია, ადამიანთა დაპირისპირებას და მტრობას არ უნდა იწვევდეს, რადგან პროგრესისაგან და სახელმწიფოებრიობისაგან ხელშესავლები არაფერი დაგვრჩება.

4691. თავისუფლებისთვის გათხრილ გვირაბში ხშირად მის გამ-თხრელებს ასამარებენ.

4692. თავისუფლება, დემოკრატია, მაშინ არის, როცა ადამიანს შესაფერისი სამუშაო და დამაკმაყოფილებელი ანაზღაურება აქვს და ამ ქვეყანაში მის ხსოვნას საფრთხე არ ემუქრება.

4693. თავისუფლება – შინაგანი შეგნების, ხოლო დემოკრატია – ზომა-წონის გარეშე, აქილევსის ქუსლია და ქვეყანა ანარქია-ნგრევამდე მიჰყავს.

4694. თავისუფლებას იმიტომ ვნატრულობთ, რომ თავი წარმოვა-ჩინოთ, სულიერად ავმაღლდეთ, ხორცი გავალაღოთ და ვიღაც-ვიღა-ცეების ჯინზე უკეთ ვიცხოვროთ. შედეგად ყველაფერი უკუღმა გამოგ-ვდის და ხელში მხოლოდ სიჯიუტე და დაუჯერებელი იმედიღა გვრჩება.

4695. თანასწორების, უსაფრთხოების, შეძლებული ცხოვრების, გა-რეშე „მიმზიდველი" თავისუფლება არავის სჭირდება და არც იციან რა მოუხერხონ.

4696. სიტყვის თავისუფლება აზრის თავისუფლების სინონიმად არ გამოდგება, რადგან ამ უკანასკნელს ზოგჯერ ენაზე კბილის დაჭერა სჭირდება.

4697. ადამიანს სჭირდება არა თავაწყვეტილი თავისუფლება, არამედ თავისი ნების რეალიზაცია.

4698. სიტყვის თავისუფლება და სიტყვის ფასი სხვადასხვა რამაა, რადგან თუ პირველს სერიოზულად არავინ იღებს, მეორეს თავისი წონა აქვს, ფაქტებიც მხარს უმაგრებს და სერიოზულადაც ეკიდებიან.

4699. თავისუფლებასაც და პასუხისმგებლობასაც მოვალეობასთან მჭიდრო კავშირში არიან.

4700. სიტყვა „თავისუფლება" ძალზე დაშაქრულია, ზოგჯერ შედე-გია მწარე და მომწამვლელი.

4701. თავისუფლება შინაგანი გარდაუვალობის განცდაა, რომელიც ბურუსით არის მოცული და გახმოვანებულია ადამიანის ენაზე.

4702. უფრო ძვირად უნდა დავთმოთ ჩვენი შინაგანი თავისუფლება, რათა ხელისუფლება უკეთ მოგეპყრას და შეგეხმიანოს.

4703. სიტყვის თავისუფლება სხვის უკანალში ყურება, თავის შეყო-ფა-გამოყოფით და თავმოწონებით, კი არ არის, არამედ სასიკეთო საქმის კეთებაა.

4704. პიროვნების თავისუფლება და ადამიანთა უფლებების შეუვა-ლობა უკანა პლანზე თავისივე ნებით გადაინაცვლებს, თუ ქვეყანას უგნური იდეოლოგია დაემუქრება, მაგ.: ფაშიზმი.

4705. მორალი ადამიანის ნაკლოვანებათა გამაწონასწორებელი საშუალებაა და მიზნად ისახავს არასრულქმნილებათა აღმოფხვრის გზების ძებნას, რათა გამომუშვდეს ურთიერთშეცნობის იმუნიტეტი, რომლის გარეშე წარმოუდგენელია სამყაროს მცხოვრებთა თანაარსებობა და თანადგომა.

4706. მოქალაქეთა ზნეობის შერყვნილობას, შეუბღავლობას, კანონი და კანონიერება იცავს, რომლის ბაზისი მეტ-ნაკლებად მაინც ზნეჩვეულებაზე დამყნობილი მორალია.

4707. თავისუფლებას ნებაყოფილობით არავინ კარგავს ეს უფრო დაძალების და შიშის შედეგია.

4708. თავისუფლებას თეთრი შური უნდა ახლდეს გონიერებასთან, შემართებასთან, მოთმინებასთან ერთად.

4709. საწყალი ,,სოროსი", ყველა დედას აგინებს, ის კი ჯიუტად აფინანსებს ამ თავისუფლების ილეთს ,,გადაყოლილ" ვიგინდარას.

4710. კანონს თოფზე მეტი შეუძლია, სიყვარულს – ღალატზე მეტი, სიკეთეს – ბოროტებაზე, მაგრამ ამასაც გაცნობიერების შინაგანი კულტურა სჭირდება და არა – ყბედობამდე დაყვანილი სიტყვის თავისუფლება.

4711. სიტყვების რახარუხი ზოგს პოლიტიკა ჰგონია და ლაქლაქის უფლება – სიტყვის თავისუფლება.

4712. გადამეტებული თავისუფლება ზოგჯერ გვაშინებს და საკუთარ გათავხედებას ჩვენდაუნებლიედ ვბოჭავთ.

4713. თანასწორუფლებიანობის ფორმულა თავისებური ქიმიაა, რომლის რეაქციის შედეგი ცნობილია, მაგრამ მიუღებელია.

4714. ხალხს თავისუფლების მოსაპოვებლად უფრო ბრძოლის ილუზიურ-ხმაურიანი შედეგი მოსწონს, ვიდრე თანდათანობითი, ექსცესების გარეშე.

4715. ძალაუფლებას მორგება თავისუფლების დაკარგვაცაა, როგორც არ უნდა ვაკეთოთ საქვეყნო საკეთებელი.

4716. თავისუფლება არ თხოვდება, რადგან გაწბილების შესაძლებლობა დიდია.

4717. ზოგს თავისუფლება, მისი გენიდან და ბუნებიდან გამომდინარე, შეიძლება არც სჭირდება, მაგრამ რა ქნას, ხმასაა აყოლილი თავისმოსაწონებლად.

4718. ყველაზე დიდი ღირებულება მშვიდობა, სიცოცხლის ხელშეუხებლობაა და არა – ყბედობის თავისუფლება და ყბადაღებული დემოკრატია, რომელთა გამოყენება ხალხმა არ იცის, ვერც მის იდეალებ-

ში ერკვევა და თუ ვინმე რაიმეს ამ მხრივ ცდილობს, ისიც თავის და არა – ყველას სასარგებლოდ.

4719. მონობა ადვილია, თავისუფლება ძნელია, რადგან პირველს უფლება აქვს, მეორისგან განსხვავებით, სხვას რაღაც გადააბრალოს, საყვედური გამოთქვას და ნიშნიც მიუგოს.

4720. ცოდნა ნიჭში აღრეული ნაძალადევი თავისუფლებაა, რომელსაც ყველა სათანადოდ ვერ იყენებს.

4721. მახსოვრობა თავისებური სამოთხეა ოცნებისა, სადაც ის თავის კუთხე-კუნჭულის დაკავებას ცდილობს ადამიანის ცნობიერებაში.

4722. თავისუფლება, რწმენის და იდეის გარეშე, ბლეფია.

4723. შემოქმედება თავისუფლებაა აკრძალვის გარეშე, ოღონდ ოპონირებით.

4724. თავისუფლების ნაგლეჯის აღქმა, საზოგადოებრივი აზრის გადაყლაპვაა და შენს აზრზე დამთხვევაა, დაგვიანებითაც კი – ზოგჯერ დიდი ბედნიერება.

4725. უნარი, იცხოვრო საკუთარი სიამტკბილობისთვის, თავისუფლების მოპოვების დიდი ნიჭია.

4726. თავისუფლების მოპოვების მრავალი ხერხი არსებობს, მაგრამ შედეგს დროის შერჩევა, აკვიატებული აზრის აღტკინება და ხალხის მოუთმენლობა-გადარევით იძლევა.

4727. თავისუფლება კანონებით ვაჭრობის ბაზარი არ არის, არც დემოკრატიაა კანონების უპატივცემულობა, ბითუმად გადასაღები.

4728. ქვეყნის აყვავების რესურსია მოზომილი სიტყვის თავისუფლება და დემოკრატიის გაცნობიერება, რომლის ათვისება სულიერი მოთხოვნა უნდა იყოს და არა – მოპოვება.

4729. სიტყვების უმუხრუჭო რახა-რუხი სიტყვის თავისუფლება არ არის, რადგან თავისუფლებამ უაზრო შეხლა-შემოხლა არ უნდა გამოიწვიოს.

4730. თავისუფლების, თანასწორუფლებიანობის აღქმის და განსჯის უნარი ყველას არ შესწევს, თეორიულად ეს სურვილი რაც უნდა მომხიბვლელი იყოს, რადგან პრაქტიკულად ბევრი, მის გამოყენებას გენეტიკის და აღზრდის გამო, ვერ ახერხებს.

4731. იყო თავისუფალი, ნიშნავს დაიცვა საკუთარი თავის ის ღირსება, რომელიც კეთილშობილებაში უნდა გადაიზარდოს.

4732. თავისუფლება ეს არის ლტოლვა, ნდობა ღმერთისა და არა საკუთარი თავისა, როგორც ჩვენ ეს გველანდება, გვიხარია.

4733. მიეცით ადამიანს თეორიულად ყოველგვარი თავისუფლება და რომ ის კარგი გახდება, ამას პრაქტიკა ხშირად არ ადასტურებს.

4734. როდესაც ნაციონალური იდეა თავისუფლად აქვეყნებს საკუთარ ნაღვაწ-ნაფიქრალს, იმედი გაქვს, რომ ვიღაცას გამოადგება.

4735. თავისუფლება ადამიანის კომპლექსებს ავლენს, რადგან მას ამ ცხოვრებაში უმუხრუჭოდ ხეტიალის სურვილი უჩნდება, რაც ყოველთვის არ ამართლებს.

4736. თავისუფლების ღამე არ იყიდება, არ იცვლება, არ შეურაცხყოფენ, რადგან ის შენი არჩევანია.

4737. სიტყვის თავისუფლება უმუხრუჭო არანორმატიული ლექსიკით საუბარს არ გულისხმობს.

4738. თავისუფლების სიო, არც იყიდება, არც იცვლება და არც შეურაცხყოფა მიეყენება.

4739. თავისუფლება ფესვების გარეშე არაფერია, მასაც საზრდოობა ესაჭიროება.

4740. თავისუფლება არც ყველას ეკუთვნის და არც იმსახურებს. ყველას როდი უნდა თავისუფალი იყოს, იმისდამიუხედავად, რომ თეორიულად ყველა მას შენატრის.

4741. სიტყვის თავისუფლება აზრს კარგავს, თუ თქმის უფლება გაქვს, მაგრამ მსმენელი არ გყავს.

4742. თავისუფლება, მატერიალური დამოუკიდებლობის გარეშე, ბლეფია.

4743. აბსოლუტურ თავისუფლებას ყოფის მარაზმამდე მივყავართ და აქ დემოკრატიის მოშველიება სულის დაცინვაა.

4744. თავისუფლება უმძიმესი ტვირთია და ყველასათვის ჩუქება დაუშვებელია.

4745. სიტყვის თავისუფლება სიტყვის პატივისცემის თანმხლებია. წინააღმდეგ შემთხვევაში ფსიქიურ მოთხოვნილება თავის გართულებებით.

4746. გმირობა დროისთვის საჭირო ალიყურის გაწნაა, კარგი მიზნებით და ტრადიციების გამყარებით.

4747. ადამიანს გადამეტებული თავისუფლება ვნებს და არა – ვალდებულებით გაჯერებული, რომელშიც ქვეყნის სიყვარული და საზოგადოებრივი ურთიერთობაც იგულისხმება.

4748. ქვების შეგროვების დღესასწაული ადრე თუ გვიან დგება და ეს არის ცხოვრების ჩარხის ორომტრიალის გარდუვალობა.

4749. კატა და ადამიანი ერთი ბუნებისა არიან, მოსალოდნელი საფრთხის მიუხედავად, თავისუფლებას და თავის გემოზე ცხოვრებას ვერ ელევიან.

4750. თავისუფლების დაკარგვას არ ეგუებიან, არამედ დროებით ეჩვევიან, გელაქუცებიან და თუ თავის დახსნის შემთხვევა მიეცათ, მოძალადეს ძმრად ამოგადენენ და მათ შორის კარგსაც ცუდად წარმოაჩენენ.

4751. ამბობენ, ყველაზე დიდი ბედნიერება შინაგანი თავისუფლების შეცნობაა, მაგრამ წესით და რიგით მოვალეობის შეცნობის გრძნობებს ვერ უნდა აჯობოს.

4752. თავისუფლების ტვირთი ყველამ შეგნებით უნდა ვატაროთ, რადგან მარტო სურვილებით ტარება აზრს უკარგავს.

4753. მეცნიერებას, ხელოვნებას, შინაგანი თავისუფლებისაგან განსხვავებით, მოჭარბებული თავისუფლება არ სჭირდება, რადგან დაპირისპირება, ალტერნატივის გარეშე, ხელისშესავლებს ვერაფერს იძლევა.

4754. თავგანწირვის გარეშე პატრიოტიზმი არ არსებობს, მაგრამ ცივილიზაციისკენ და ფუფუნებისკენ მისწრაფება დემოკრატიას, თავისუფლებას და კოსმოპოლიტიზმს მას უსახელო კოქტეილში არეულს გვთავაზობს.

4755. სადაც თავისუფლება მთავრდება, იქ იწყება ხელისუფლის გათავხედება.

4756. ნებასა და თავისუფლებას შორის დიდი სხვაობაა, რადგან პირველი – არავითარი პასუხისმგებლობა, მეორე – სხვაზე ზრუნვა და კანონის მორჩილებაა.

4757. თავისუფლება მძიმე ტვირთია, ამას დიდი წინაპრებიც ამბობდნენ და ეს ჭეშმარიტება, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, დღესაც ყავლგაუსვლელია.

4758. ადამიანის ყველაზე დიდი თავისუფლება მისთვის რეალური ზრუნვაა და არა ცარიელი ყბედობა და მისი ალიბი უაზრო დეკლარირება.

4759. პიროვნების თავისუფლება, პირველ რიგში, მოვალეობაა ქვეყნისა და ხალხის წინაშე, დემოკრატიის გონიერებასთან შერწყმით.

4760. თავისუფლების დიალექტიკა მაინც სულის გადასახედია და არა – ადამიანთა ცვალებადი და სადაო ურთიერთობისა.

4761. სულიერი თავისუფლება თავისებური პასუხისმგებლობაა ვიღაცის და რაღაცის წინაშე, რადგან ეს ყველას ხვედრი არ არის.

იმედი, ოცნება

4762. თუ სხვას შენი იმედი აქვს, ეს იმაზე მიუთითებს, რომ შენ სხვისთვის არსებობ და თავისთვის ცხოვრობ, რადგან სხვაზე გაწეული დახმარება გსიამოვნებს და თან გაამაყებს, რომ შენ სხვაზე მეტი შეგ-ძლებია.

4763. მაშინ წავიდა ქვეყნის საქმე უკან, როდესაც ვაზის გადაშენების გზაზე დამდგარმა კახელებმა იმერლებს ღვინის გაფუჭებაში აჯობეს, მაგრამ ერის ხსნის იმედს ისიც მიტოვებს, რომ მთელი იმერეთი დღეს მაინც „კახურ“ ღვინოს ყიდის და ყიდულობს.

4764. გახვრეტილ თავს ისევ გახვრეტილი ჯიბე ჯობს, რომელსაც რაღაც იმედი მაინც ახლავს.

4765. იმედს ანგელოზი გვისახავს, ეშმაკი გვართმევს, მაგრამ ჩვენ კვლავ საკუთარ ანგელოზს ვუხმობთ.

4766. იმედის რესტორანს თუ ვინმე გახსნის, კლიენტები თავზე საყრელად ეყოლება

4767. იმედს წყალი მაშინ შეუდგება, როდესაც გამართლება მოი-კოჭლებს და ფორტუნა ზურგს შეგაქცევს.

4768. ხშირად ჩვენი ოცნება იმედით იკვებება და საბოლოოდ შიმშილით კვდება.

4769. თვითმკვლელობაც თავისებური აკრძალული იმედია, თუ ამ-ქვეყნად არ გაგიმართლა, ხომ შეიძლება სასუფეველში ანგელოზობა შემოგთავაზონ.

4770. იმედი იმისა, რომ ხვალ ჯანზე მოვალთ, სიბერეს გვიხან-გრძლივებს.

4771. შთამომავლობას, შორეული იმედის გარდა, ფაქტიურად ბუ-ნებისთვის დიდი არაფერი სარგებელი არ მოაქვს.

4772. ცრურწმენა ზოგისთვის ერთადერთი იმედის მომცემი საშუ-ალებაა ბედთან ჭიდილში.

4773. ბედნიერებაა, თუ ცხოვრების ზიგზაგებს სხვაობას შეეჩვიეთ და მომავლის იმედი გესახებათ.

4774. ილუზია ის კაიფია, რომელიც დროის გარკვეულ ნაწილს იმედის და სიამის მოლოდინში გვატარებინებს.

4775. ყველა ჩვენგანი იმედის და სასწაულის მოლოდინით ცხოვ-რობს, მაგრამ ფორტუნასაც სიზარმაცესთან მისვლა ეზარება.

4776. პატიოსნებაა, ადამიანის დაინტერესება ფულით, კარიერით, სავალალო მაგალითებით და მშვიდობიანი ცხოვრების იმედით აცრა.

4777. მორალური ცნობიერება, იმედი და სახელმწიფო იდეა ყველა დროში მთავარია ქვეყნის მართვისა და აღმავლობისთვის.

4778. გონებაში ციხე-კოშკების აშენებას კი ვახერხებთ, მაგრამ აშენებული გამოგვდის დაწუნებული და ჩოლოხა-კოჭლი.

4779. ოცნების ნაპრალზე ყოფნა ჩვენს ასაკზე გავლენას არ ახდენს.

4780. იმედი კარგია, მაგრამ მარტო მასზე დაყრდნობას მცონარობამდე მივყავართ.

4781. სხვისი იმედით თავდაჯერებულ ადამიანზე საცოდავი არაფერია, რადგან ის იმ ლამაზ ბაბუაწვერას მოგვაგონებს, რომლის ამბიციებსაც ერთი სულის შებერვა ტიტლიკანად ტოვებს.

4782. ძველის არც ერთი დღის დაბრუნება არ უნდა ვინატროთ, რადგან მომავლის იმედს ეჭვის ჭია შეეპარება, ხალისით სვლა გაგვიჭირდება და სიცოცხლის რაობაზე ფასის დადებას შეეცდებიან.

4783. მაგალითი ყოველთვის ჩვენი სისხლის და ხორცისგან უნდა ავიღოთ, ოღონდ აწმყოს ფილტრში გატარებით და მომავლის იმედზე დაფუძნებით.

4784. კაცობრიობა იყოფა ორ ნაწილად: გამორჩეულები და გარჯნილნი და აქ ვერაფერს გავხდებით, რადგან განგებამ ასე ინება და მთელ იმედს ბედზე ვამყარებთ, თუ მანაც არ გაგვწირა.

4785. ერთმანეთის გვშურს, ვერ ვიტანთ, სასიკვდილოდ ვიმეტებთ, მაგრამ მაინც ერთმანეთის იმედი გვაქვს, თუ წინამძღოლი გამოგვიჩნდა.

4786. ხორცი ცალკე იღვწის, სული თავისთვის ჩალიჩობს, შედეგად ორივე რაღაცას აკეთებს, რომელთაც ორივე კმაყოფილია, ოღონდ თავისი „ნეტათი“ და „ეს ასე რომ ყოფილყო“.

4787. გონიერი კაცი გამოუსწორებელი იმედის ბრიყვია, ის ყოველთვის ცდილობს რაიმე სარფიანი შესთავაზოს ხელისუფლებას ხალხისთვის, მაგრამ ამ უკანასკნელს ყველაფერი ფეხებზედ ჰკიდია.

4788. მთავარია, გულით გვიხაროდეს ლამაზმანის დანახვა და არა – თვალებით, რათა ჩვენი ხვადობის შესაძლებლობა კიდევ ერთხელ ვიწამოთ.

4789. სიფარული ხელოვნებაა, ხელოვნება – შემოქმედების უნარია, შემოქმედების უნარი ნიჭია, ხოლო ამ უკანასკნელს წინ ვერაფერი დაუდგება – გონის ნაჩალიჩები იქნება თუ განგების.

4790. როდესაც ბაზარში შემთხვევით ფულს გადააყოლებ და უკან გიბრუნებენ, ან უცნობი თანამემამულე ხელს გაგიმართავს, წყენას შენს ხალხზე, ქვეყანაზე, ივიწყებ, იმედის ნაპერწკალი აკიაფდება, „მთლად ასე ცუდად არ ყოფილა საქმე“, გული შემოგიტრიალდება მანამ, სანამ

მორიგ სისაძაგლეს და სისულელეს თანამემამულისგან არ გადაეყრები.

4791. იმედი იმისა რომ ბოლოს მაინც გაღიარებენ, დიდი მამოძრავებელი ძალაა, სხვანაირად ყველანაირი საქმიანობა აზრს დაკარგავდა.

4792. ჩვენ ყველანი ისე ვცხოვრობთ, რის ნებასაც გვაძლევს ბედი, შემთხვევა და ქვეყნის იმედი.

4793. წარუმატებლობა ძალზე არ უნდა განვიცადოთ, ხელმოცარებულობის პერიოდი მუშაობაში ჩავკლათ და დროებით ზურგშექცეული შემთხვევა, იღბალი, გაგვიხსენებს და ჩვენსკენ შემოტრიალდება.

4794. ვისაც შინაგანად, წარმოდგენით, აღმერთებ, ის არც უნდა გაიცნო, რათა იმედი არ გაგიცრუვდეს და შინაგანად არ გაწბილდე.

4795. წარსულის სევდას არ უნდა გადავაყოლოთ დღევანდელობა და მომავლის იმედი.

4796. ჩვენი დევიზი უნდა იყოს „წინ წარსულის გამოცდილებით და მომავლის იმედის დანახვით“.

4797. „სამოქალაქო ქორწინებაში“ მთელი დაკვირვებით უნდა ვიცხოვროთ, რათა უკეთესის შერჩევის იმედი გვქონდეს, თუ ასაკმა და ხასიათის ვირეშმაკობამ არ გვიმტყუნა.

4798. ადამიანისთვის, მომავლისთვის, იმედის თვალით ყურება უფრო მთავარია, ვიდრე აწმყოში სიამით ცხოვრება და დროსტარება.

4799. ვისაც ქალის მოწონების ანა-ბანა შეუცვნია, ის ამ ქვეყნიდან უძიროდ არ გადაშენდება.

4800. იმედიანი ცხოვრებაა მთავარი და არა სხვის იმედზე ყოფნა.

4801. წარსული გვაშორებს, მომავალი გვაახლოებს, ეს ჭეშმარიტებას მოკლებული იმედია, რომელიც დღეს შეიძლება აქსიომად იქცეს.

4802. პასიური უმრავლესობა, რატომღაც უდრტვინველად ემორჩილება ახლახან გააქტიურებულ უმცირესობას, მიუხედავად ცხოვრების საუკუნობრივი გამოცდილებისა – მათ ხომ სიძნელეების ძალად შექმნის გარდა სასიკეთო არაფერი მოაქვთ. ეტყობა, იმედის ნაპერწკალი და დამყაფბელი ერთფეროვნებიდან თავის დაღწევის მცდელობა თავისას აკეთებს.

4803. როდესაც ხალხს უნდა რაღაც იწამოს ან ვინმე გააღმერთოს, მათზე არავითარი არგუმენტი არ მოქმედებს, რადგან იმედში არეულ სულის მოთხოვნას იკმაყოფილებს და მას გარკვეულ დრომდე ვერავითარი ჭეშმარიტება წინ ვერ აღუდგება.

4804. შენი ხალხის, ერის, მიმართ, გინდა – არ გინდა, მიმტევებელი უნდა იყო, იმ იმედით, რომ თუ აწმყო შენს მხარეს არ დგას, მომავალი სად გაიქცევა?

4805. ძველზე უკეთესი ახალი ხელისუფლება არაფრითაა, მაგრამ ოცნებას და იმედს, სად გაექცევი?

4806. გუშინდელი სიზმრები და დღევანდელი ოცნებები შენს გარდა არავის აინტერესებს, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ ისინი უპერსპექტივონი არიან, მითუმეტეს, რომ ის შენს სულს ათბობს და მომავლის იმედით კვებავს.

4807. ისევ იმედი შველის უიმედობას, რომლის თქვენს სულში შეღწევა თქვენივე უნიათობის ბრალია.

4808. ბედი–უბედობა ძმები არიან და იმედის, შეამრთების, ხარჯზე მინიმუმს ყოველთვის გავინაღდებთ, თუ ცხოვრებაში შემთხვევით აკიდებული „შავი ზონარი თან არ დაგვყვება".

4809. ევოლუცია და ფული ღირსების გაბახება–გადაგვარებას ცდილობს და თუ მათ ეს მოახერხეს, მაშინ იმედის თვალი საზოგადოების სპიარლურ განვითარებას უნდა მივაპყროთ, რათა ღირსება აღდგეს და სტატუსი გაიმაგროს.

4810. ზღაპრის ყველა ნორმალურ ადამიანს უნდა სჯეროდეს – ოცნების ახდენისა – რა მოგახსენოთ.

4811. ბალზაკის ასაკის შემდეგ, ისევ ბალზაკის წლები იწყება, მხოლოდ სახსრების ჭრაჭუნით, სახეზე ნაოჭებით და იმედის საბოლოო გაცრუებით.

4812. ჩვენს სისულელეზე ნაოცნებარი იმედის წართმევის უფლება, გონიერებასაც არ აქვს, რადგან მან გარკვეული სიამოვნება მოგვანიჭა.

4813. თუ შენი იმედიც აქვთ სასჯელს გაპატიებენ, მაგრამ დასჯა იმედის მომცემიცაა – რადგან „სული ამაღლებულია" „სახელი ისტორიას კუთვნილება შეიძლება გახდეს".

4814. ცხოვრების ამაოება, ფილოსოფიის კადნიერებას შინაგანად ისევე უყურებს, როგორც რიგით მომაკვდავს, მაგრამ მეტი პეწით, გონის ჭყლეტით და იმქვეყნად იმედით გადასახლებით.

4815. ადამიანი ცხოვრობს განუხორციელებელი ოცნებებით და სიცოცხლეს მათი განხორციელების იმედით იხანგრძლივებს.

4816. წარმოსახვითი რეალიზმი პრაქტიკულად ვერ ამართლებს, მაგრამ თეორიულად იმედის ნაპერწკალს იძლევა.

4817. რაღაცისადმი რწმენა აუცილებელია ჩვენი სულის გადასარჩენად და იმის იმედად, რომ შენი სახელი სამუდამოდ არ გაქრება.

4818. მე შეიძლება მსურდეს ის, რაც არ მჯერა, მაგრამ სურვილი ის იმედია, რომლის გარეშე ადამიანს ცხოვრება უჭირს. მაგ, მე მსურს

რომ 10 წელიწადში საქართველო ერთ-ერთი ჭკუის საკითხავი ქვეყანა იქნება, მაგრამ არ მჯერა.

4819. როდესაც ბედი ზურგს შეგაქცევს, მაშინ იკარგება იმედი, სიფჯარული, ის, რაც გვწამდა ძველად და თვალი შემთხვევისკენ გაგვირბის.

4820. თვალის ჩაკვრა უმწეო ცდაა, პერსპექტივებით, იმედით.

4821. წყილი თეორიულად ერთმანეთის იმედს მაინც არ ამართლებენ.

4822. ადამიანს ყოველთვის იმის იმედი აქვს, რასაც ოცნებობს და სჯერა და არა იმისი, რაც არის და იქნება.

4823. ჯანმრთელი, საამაყო, მისაბაძი, შთამომავლობის გარეშე ამ ქვეყნის დატოვება უბედურებაა, რადგანაც იმქვეყნადაც იმედის და ოცნების გარეშე მიდიხარ.

4824. დღევანდელ „თავისუფალ" საქართველოში თუ ქართველი ქალი უცხო ტომის შვილს გაჰყვა ცოლად საზღვარგარეთ და სხვის ტომს ამრავლებს, შურს და პატივისცემას იმსახურებს, ხოლო „დაპყრობილ" საქართველოში მას ამას არავინ მოუწონებდა. ასე, რომ ძნელი გასარკვევია, მოზომილი თავისუფლება, მატერიალიზმი, პატრიოტიზმი და მოსახლეობის მატება ჯობს, თუ თავაშვებული თავისუფლება ნაციონალიზმით, ფულიციზმით და მოსახლეობის შემცირებით. მით უმეტეს, როდესაც ამ კომბინაციაში გავერკვევით, უკვე სხვა ზესახელმწიფოს ექნება ჩვენთვის ლაგამი ამოდებული.

4825. ყველა ასაკს თავისი პრობლემები აქვს, იმედით და უკეთესობისკენ ლტოლვის მცდელობით.

4826. ცხოვრება თუ არ გამოგვდის, მოცდა და შემთხვევაზე ჩასაფრება ჯობს. ყოველივე თავადვე მოგვარდება ჩვენი ბედის ან დროის მზაკვრობის წყალობით. „ღმერთმა იმედი არ მოგიშალოთ".

4827. ზოგი პატივისცემას იმსახურებს იმის გამო, რომ გეკამათება, წინააღმდეგობას გიწევს, მაგრამ იცი, რომ არ გიმუხთლებს.

4828. აწმყო მომავალთან ვერ ბალახობს, მაგრამ მისი დიდი იმედი აქვს.

4829. „ჯანდაბას მაგისი თავი, სიღარიბე ყოველთვის ზადი არ არის" – ესეც იმედიანი ნათქვამია.

4830. გამბედაობის მიზეზი ხშირად არაფრის ქონა და თავზე ხელის აღებაა, რადგან რაღაცის მქონის უკან მოვალეობა და იმედი დგას.

4831. ძველი მთავრობის მოშორება არ ნიშნავს იმას, რომ ახალი უფრო უარესი არ არის, მაგრამ რა უნდა ვუყოთ ტვინის ჭყლეტას და იმედის ალგორითმს, რომლის გარეშე ყოფა არარაობად იქცეოდა.

4832. ,,ბაიკა", რომელიც ხალხის გულს ესალმუნება, იმედიანი სიცრუეა, მაგრამ ტყუილი არ არის.

4833. სიმკაცრესა და გადამჭრელ ღონისძიებებს იმედი და უკეთესი მომავლის აგიტაცია ქმნის.

4834. ასაკი არ არის იმის გარანტი, რომ არ შეცდება და სისაძაგლეს არ ჩაიდენს, მაგრამ იმედი და თვითშთაგონება არსებობს.

4835. იმედის დაკარგვა დანაშაულია, არა მარტო საკუთარი თავის მიმართ?!

4836. იმედის მიყიდვაც შეიძლება და მიცემაც, თუ შენში პიროვნებას დაინახავენ.

4837. რწმენა იძლევა – ძალას, სურვილს, მცდელობას, იმედი – ოცნებას, სულიერებას.

4838. იმედი განუსჯელი არ შეიძლება იყოს, რადგან ის გულის ფეთქვის ნაყოფია და არა – გონიერების ანალიზის.

4839. იმედი დროთ, ლოდინით, ჩასაფრებით და ,,ნეტათი" იკვებება.

4840. იმედი ძევს წინასწარ გათვლილ აზრებსა და მის რეალიზაციას შორის.

4841. იმედი ოცნების ის მერყევი ბორცვია, რომლის იმედიც არ გვაქვს, მაგრამ მას მაინც იმედიანად უყურებთ და დროც იმედიანად გაგვყავს.

4842. მარადიულობასთან გაჯიბრება მაკიაჟით, ფიტნესით, არ ხერხდება, ქალები მასზე რა იმედსაც უნდა ამყარებდნენ.

4843. დღეს გარეგნულად რაინდთან შეხვედრით აღტაცება უფრო ადვილია, ვიდრე მისი საქციელით, ქმედებით, აღფრთოვანება და მასზე იმედით დანდობა.

4844. გაჭირვებულ ხალხს იმედის გარანტად გმირი სჭირდება და თუ მას ვერ პოულობს, თავადვე ქმნის, ოღონდ კი ვინმემ თავი წამოყოს.

4845. სხვისი იმედი უნდა გქონდეს, მაგრამ შენი შესაძლებლობებით უნდა იცხოვრო.

4846. სხეული სულის, ნდობის და იმედის გარეშე არ იკურნება.

4847. ყოველთვის გვაქვს იმედი, რომ წარსულს დავუბრუნდებით და მის ვალს გადავიხდით, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ოცნება უკვალოდ ქრება.

4848. იმედის დამანგრეველია ყველა, ვინც თავს ვერ თოკავს, სხვის ინტერესებს უგულებელყოფს და წინ არ იხედება.

4849. მხდალი მანამ ინარჩუნებს ღირსებას, სანამ სხვისი იმედი აქვს.

4850. ყველას თავისი იღბლის იმედი აქვს, მიუხედავად ამისა, ვერ გადაუწყვეტია, იყიდოს ლატარეის ბილეთი თუ არა.

4851. ცრურწმენის გარეშე ცივილიზაციასაც განვითარება უჭირს, რადგან ეს არის იმედის ნაწილის თავი დაზღვევა მინუსით.

4852. იმედით ის ცხოვრობს, ვინც არ იცის მომავალი რას უქადის.

4853. მთელი ცხოვრება თუ სასიკეთო არაფერი გიკეთებია, იმედი იმისა, რომ გაბეჯითდები და ხელგაშლილი იქნები, ნულის ტოლია.

4854. თუ ცხოვრება არ გამოგდის, იმედიც იკარგება, მაგრამ შეუ-პოვრობა მოწოდებულია დაგვარწმუნოს, რომ ჯოჯოხეთი ჯერ არ დამდგარა.

4855. ოცნებით სიარული რეალობით არის მისაღები და არა – აუხდენელი სურვილების კორიანტელით, რომელიც მიწიერებისაგან შორს დგას.

4856. ყველა ჩვენგანი თავის ოცნების სამმართველოს უფროსია, სადაც გენის წარდგენით ამ თანამდებობებზე თავსაც ინიშნავს და იწინაურებს.

4857. გრძნობები ქრება, სული ცაში მიდის, სხეული მიწაში იხ-რწნება, მაგარმ ერთი ღრმად ჩასუნთქვა-ამოსუნთქვა და იმედი ყოვე-ლივეს დროებით თავის ადგილზე აყენებს და ცხოვრება, ავად თუ კარგად, გრძელდება.

4858. იმედის იმედს იშვიათად თუ უბარტყია, მაგრამ იმედისთვის მაინც იმედია უმთავრესი განსაკუთრებით უმწეოთათვის.

4859. ადამიანს წლებზე მეტად დროის გაურკვევლობა და გაუცნო-ბიერებელი იმედი ღლის.

4860. იმედთან, ,,ნეტა''-სთან ,,იქნება''-სთან წათამაშება, ყველა სათუო საქმიანობაზე, ქმედებაზე, პატრიოტიზმის სახელით ხალხი გვიბიძგებს და საბოლოო შედეგზე ფიქრის არც დროს გვიტოვებს და არც ჭკუას.

4861. ნაკლები ბოროტება ხდება, როდესაც საქმის კეთების იმედი ჩნდება, შენს ნახელავს სინათლე შემოაქვს და შრომის სურვილი ჩნდება.

4862. როდესაც ქვეყნის ავ-კარგზე ფიქრი უაზრო ხდება, რადგან დღეს მას ის არ სჭირდება, მხოლოდ ფულის შოვნის ხერხების დამუ-ღამება გრჩება, რადგან ყველაფერზე ხელის ჩაქნევით და თავის მოკ-ვლით ცოდვას ვერ აიკიდებ, რადგან უკან ოჯახი და რაღაც უაზრო იმედი გრჩება.

4863. ასაკი გონიერებისგან განსხვავებით, დროთა განმავლობაში გულგრილი ხდება, რადგან ის შეგრძნების ადაპტირებს კარგავს, მომავ-ლის იმედს ობი ედება და ყველას მიმართ გულგრილი ხდება.

4864. იმედის ამპუტაცია ადამიანის შემართებისთვის ყველაზე ძნელი ასატანია.

4865. ოცნების წმინდა ნაწილს ხშირად წყდიადი გადაეფარება და ასე „გამოძინბული“ ვხვდებით მომდევნო დღეს.

4866. ყოფის წესების გამკაცრება, ზოგჯერ საჭირბოროტო საქმის საკეთებლად საჭიროცაა და აუცილებელიც ოღონდ სიცოცხლის დაუ-მოკლებლად და იმედის გაუწბილებლად.

4867. რწმენა, იმედი, სიყვარული, იყო და დარჩება ყოვლისშემძლედ და ყველა სიკეთის მომტანად.

4868. იმედი რომ იმარხებოდეს, ადამიანი ამ სამყაროს ყურებას ვერ გაუძლებდა და გაქრებოდა.

4869. დაუჯერებელი ყოველთვის უნდა გჯეროდეს, იმის მიუხედავად, არის სასწაულის მოხდენის შანსი თუ არა.

4870. ჩვენ უნდა დავაფასოთ რაც გვაქვს და ის იმედი, რაც შემ-დგომ გვექნება.

4871. სადაც იმედიო კვდება, იქ სიბრალულიც იკარგება და ადამია-ნად ყოფნის სურვილიც.

4872. უფროსი უნდა ყეფდეს, მაგრამ არ უნდა იკბინებოდეს, თუ უნდა კოლექტივს უყვარდეს და ერთმანეთის იმედი ჰქონდეთ.

4873. სიყვარული და დაშორება შეუთავსებელია, რადგან არსებობს გახსენება და იმედი მისი, რომ ხსოვნა საბოლოოდ დაკარგული არ არის.

4874. ოცნება ილუზია არ არის ის შედეგის საწყისია.

4875. ლოდინი, იმედი, შთაგონება, ყველაზე საუკეთესო ელექსირია ადამიანის ნერვების დასამშვიდებლად.

4876. იმ კაცის იმედი მუდამ უნდა გქონდეს, რომელიც საქმის კეთებას არ უფრთხის და წვიმაში თავშესაფარს არ ეძებს.

4877. ოცნება, სურვილის აღსრულების მცდელობისაგან განსხვავე-ბით, განსჯას არ ექვემდებარება.

4878. გულის მოკვლა უხიაგი სიტყვით შეიძლება, ხოლო მისი გაცოცხლებაა ფრთაასხმული იმედით.

4879. ტაძრამდე გზა თავად უნდა ვეძიოთ. მაგრამ განგების იმედიც უნდა გვქონდეს.

4880. ლოგინი მოლოდინის წინამორბედია, ხოლო იმედი – მისი საკვები.

4881. მომავლის იმედი ყველას გვაქვს, მოაღწევს ჩვენამდდე თუ უაზროდ ჩაგვიქროლებს, მაგრამ მის გარეშე სიცოცხლეს აზრი არა აქვს.

4882. ოცნება უიმედო სინამდვილის გაკეთილშობილების ცდაა.

4883. ,,გამრავლებას რა უნდაო'' და იმედზე, ფულზე და ქვეყნის ძლიერებაზე ხელის გამოკვრა უნდაო.

4884. სამყაროს მომავლის იმედიანი განჭვრეტა დღეს კოსმოსიდან შეუძლებელი ხდება, ხოლო იმედის პარამეტრების დადგენა განუსაზღვრელად იმედიანია.

4885. იმედის მყნობაც დიდ სულიერ აღმაფრენას და გონების გათავხედებას მოითხოვს.

4886. ჩვენი ოცნების სურვილია ქარმა იქით დაუბეროს, საითაც გვნებავს და არა იქით, საითაც თავად მოეპრიანება და პრობლემები შეგვიქმნას.

4887. ფელა ჩვენი იმედი ზეცაში კიბის საფეხურების არბენით მიდის მოკრძალებით და სათნოებით.

4888. ოცნება განსჯას და ოპონირებას არ ექვემდებარება.

4889. წიგნის კითხვისას სიმართლის სიმწარეც უნდა გახრჩობდეს და იმედის ნეტარებაც.

4890. ზოგჯერ გაჭირვება შეუძლებელს შეგაძლებინებს და ამას დიდი სიამოვნებაც და იმედის გაცრუებაც მოსდევს.

4891. გდაჭარბებული ნდობა, სხვის იმედზე ყოფნა, უინიციატივობას იწვევს და ცხადია არ ამართლებს.

4892. თანამდებობა როგორი მაღალიც უნდა იყოს, მაინც ჩვენი საჯდომით და ოცნებით ვათბობთ.

4893. იმედზე ხელის აღება სიკვდილის ტოლფასია, ოცნებაზე – გარდაცვალებისა.

4894. ავტორი ჰონორარისთვისაც უნდა წერდეს და იმ იმედისთვისაც, რომ მას როდესმე აღიარებენ, უფრო ფართოდ გაიცნობენ, გაიხსენებენ.

4895. ფასიანი ქაღალდების, აქციების და ობლიგაციების ქონა ყოველთვის საინტერესო და სასიამოვნოა შედეგის მიუხედავად, რადგან ყოველთვის შინაგანად იმედიანად ვართ.

4896. ვიდრე გაწყვეტდეთ ნასკვს ერთგულებისას, ჯობს მცირე იმედი შევინარჩუნოთ, თუ ჯერ-ჯერობით სხვა ვარიანტი არ გვაქვს.

4897. ათეიზმის მოჭარბებულ ულუფებს ხალხის ბუნება ვერ უძლებს, რადგან იმქვეყნად სულის საეჭვო გადასახლების იმედი სჯობს, ხელაღებით უიმედობას.

4898. მე ყოფის ერთი პერსპექტიული მოდელი ვიცი: ფული ჯიბეში უნდა ,,გიჭყაოდეს'', დასაძინებელი უნდა გქონდეს, დასაქმებული უნდა იყო, ოცნებებს არ უნდა ზღუდავდე და აწმყოს იმედით უნდა ხვდებოდე.

4899. ოცნება აზროვნების აღდგენაცაა, საკუთარი სურვილების გადასახედიდან.

4900. ოცნება – მომავლის საკუთრებაა, ბედნიერება – დღევანდელობის სურვილი, იმედი – სიცოცხლის ნეტარებაა.

4901. ადამიანი მაშინ ბერდება, როდესაც იმედი, ნაოცნებართან ერთად, ხელიდან ეცლება.

4902. ილუზიები არ გვაზარალებენ, პირიქით ძალას გვმატებენ და იმედს გვისახავენ.

4903. ენთუზიაზმი იმედის გარეშე ვერ იარსებებს და ვერც საქმეს მოტვინავს.

4904. ვისაც ჩვენი იმედი არ აქვს, ხშირად არც ჩვენი აზრი აინტერესებს და არც – ჩვენ.

4905. ოპტიმისტები თავისებურად ბედნიერები არიან, მათ მკაცრი სინამდვილე არ აინტერესებთ და იმედს არასოდეს კარგავენ.

4906. იმედსაც „დაბმა", ხელის ჩაჭიდება და მითვისება გათავისებით სჭირდება.

4907. ოცნება ცხოვრების მენიუს დეგუსტირებას ადამიანი სიცოცხლის ბოლომდე ცდილობს.

4908. ჯადოქრობა იმედს თესავს გაწბილების მოტანით.

4909. მოთმინება და იმედი განუყოფელია, თუ თან ოცნებაც ახლავს.

4910. ხშირად ჩვენი იმედის დარაჯი მთვარე და წინაპართა გადასახედია.

4911. ოქროს ბევრი ცოდვა ადევს, მაგრამ მისდამი სიფარულს ეს ხელს არ უშლის, რადგან ის იმედის გარანტია.

4912. იმედის წამლის გამოწერა, ფელა ექიმს უნდა ეხერხებოდეს.

4913. იმედის წიგნი სახლში საჭიროცაა და აუცილებელიც, ესენია: ენციკლოპედია, სხვადასხვა ლექსიკონები, აფორიზმების კრებული, დედა-ენა, რომელიც შეიძლება მთელი სიცოცხლე არც დაგჭირდეს, მაგრამ ეს ისეთივე იმედია, როგორიც დაუჭირვებელი ოქროულობა, ფერწერული ტილოები, უძრავი ქონება, რომელიც გსიამოვნებს, გაამაყებს და იმედს გიტოვებს.

4914. იმედი ყოველთვის „უჯოკრავს" გამოცდილებას, ერთიდაიგივე საწყისზე რამდენჯერაც ფეხი უნდა წაიტეხოს.

4915. მომავალს ის იმსახურებს, ვისაც სხვაზე მეტად ტვინის და ხელების განძრევა არ ეზარება.

4916. იმედია, მომავალში გონიერთა რასა ჩამოყალიბდება და არა მხოლოდ ეროვნებათა მენტალიტეტი.

4917. იმედის მრუდ სარკეში ხილვისგან არავინაა დაზღვეული.

4918. იმედი დიდი ძალაა, თუ რწმენის და თვითშთაგონების უნარი შეგწევს.

4919. საცოდავია ის ადამიანი, რომელსაც არც არაფრის იმედი აქვს და არც იმედის მოთოკვაზე სჭირდება ფიქრი.

4920. რა სჯობს: ამაყი, მდიდარი, ბაზრების ამთვისებელი, ნიშნის მომგები, ვითომდაც დაპყრობილი, თუ გაღარიბებული, ყურებჩამოყრილი, ბაზრებდაკარგული, ხელგაშვერილი, ამპარტავანი თავისუფალი საქართველო?! ახალი თაობისათვის ძნელი გასაანალიზებელია თუნდაც იმიტომ, რომ ძველ თაობებს ასეთ თავისუფალ საქართველოზე არ უოცნებიათ, ისე კი ღმერთმა იმედი ნუ მოუშალოს ქართველი ბუნებაგუნების გადამკიდე შთამომავლობას.

4921. ხშირად ჩვენს უკან ადამიანური მოვალეობებია, ოცნების ნაკარნახევი იმედით.

4922. საკუთარი თავი თავადვე უნდა შექმნა: რეალობის შეცნობით, ფიქრით, მცდელობით, რაც სიცოცხლეს გაგიხანგრძლივებს და ყოფისთვის იმედს შეგმატებს.

4923. შურისძიებასა და მის შედეგს არავითარი ურთიერთობა არ აქვს იმედთან.

4924. შურისძიებას იმედთან საერთო არაფერი აქვს, ხოლო იმედმა შეიძლება შურისძიების სურვილი მოხსნას.

4925. ასაკშიაც უნდა გჯეროდეს, რომ შენს ახლობლებს გაუხარდება, ცოცხალი რომ ხარ და მათ სახეზე გაკვირვებასთან ერთად სიხარულსაც შეამჩნევ.

4926. ჩვენი ყოფის აქსიომა რაც უნდა მკრეხელობად გვეჩვენოს, მასში აღმოჩენილი ნაკლის გამოსწორების იმედი განუსჯელობა კვებავს.

4927. ქალს არც ერთ ასაკში წერტილი არ უნდა დაუსვა, რათა იმედით იცხოვროს.

4928. 60 წლის შემდგომ არავინ იცის საუკეთესო წლები გავუშვით ხელიდან, თუ უკეთესი წლები გველოდება.

4929. სიღარიბით მას შეუძლია იამაყოს, ვინც სულით მდიდარია და მომავლის იმედი აქვს.

4930. ზოგ ადამიანთან მოშორებით ყოფნა სჯობს: ჩასაფრებით და იმედით იქნებ გაუგოთ ერთმანეთს.

4931. სასამართლო დიდი საორჭოფო ორგანიზაციაა, მაგრამ მისი სამართლის იმედი რატომღაც ყველას აქვს.

4932. დაზღვევა ხშირად იმედის მომცემი ნახევრად „ფუფლოა“.

4933. იმედი სულის წამალია და გონიერების საჯილდაო მალამო.

4934. იმედის გაცრუება ყველაზე მეტად წესიერ ხალხს ვნებს, აწბილებს და აჩაჩანაკებს, განსაკუთრებით, იმათ მიმართ, ვისაც თვალდახუჭული ენდობა.

4935. იმედი ცნობიერების უცვლელი განზომილებაა.

4936. წარსულის მოგონებათა სადღეგრძელო ყოველთვის ისმება მომავლის იმედით.

4937. ზოგჯერ დგება მომენტი, როდესაც ბედი არ გვიღიმის და იძულებულნი ვართ, იმედის რიგში ჩავდგეთ, შემთხვევას მივენდოთ, ცხოვრების ძირში ამოვყოთ თავი ან იმქვეყნად ნებაყოფლობით გადავსახლდეთ.

4938. უსაფუძვლო იმედი უფრო სათუთია, მეოცნებეა, ვიდრე ის, რომელიც რეალობასთან ახლოს დგას.

4939. პირად გრძნობას ყოველთვის ეყოლება ის „ღმერთი", რომლის შეცნობას მოყვასი არ ცდილობს.

4940. არის ასეთი პროფესია: პლანეტის დაცვა, ბუნების გაფრთხილება, რომელიც მომავალი თაობის წინაშე იმედია, მოვალეობა, სინდისია.

4941. თავში ჩამჯდარ იდეას არც პროგრესისკენ მისწრაფება ცვლის და არც ცხოვრების დონის ამაღლება, რადგან რაც ახლო ვართ ფუფუნებასთან, მით უფრო ამბიციურნი და უმადურნი ვართ.

4942. იმედზე უკეთესი წამალი ბუნებას ჯერ არ გამოუგონია, ხოლო ჯამრთელი ცხოვრების ალიბი იმედის მკურნალი და ბიძაშვილია.

4943. შანსის ოდენობის მიუხედავად მომავლის იმედი არ იკარგება.

4944. „ვინც ინფორმაციას ფლობს, ის შეიძლება სამყაროს მფლობელი გახდეს", მაგრამ იმედი მისი შენარჩუნების, უმნიშვნელოა.

4945. სიბრძნის დაუფლება ერთია, ცხოვრების ორომტრიალში გარკვევა – მეორე, სათავისო შეცდომების ჩადენა – მესამე, მაგრამ რჩება იმედის ნაპერწკალი – შეიძლება გაამართლოს, რომლის გარეშე ყოფა უაზრობად იქცეოდა.

4946. სინათლე შეიძლება არ ჩანდეს, მაგრამ იმედი უკვდავია.

4947. ყოველივე სრულყოფილი იმედზე შენდება, იმისდამიუხედავად, მომავლის სასწაულის გვჯერა თუ არა.

4948. ხშირი იმედის გაცრუება ქილიკობის ხასიათზე გვაყენებს.

4949. სიცოცხლის და გარდაცვალების თანმხვედრი იმედია, რომლის შეცნობაც ჭირს.

ისტორია

4950. ისტორიის საკუჭნაოში ბევრი ისეთი ფაქტია, რომელთა ტირაჟირება არასასურველია, მაგრამ მათი ანალიზი და შესწავლა აუცილებელია, რომლითაც თავს, რატომღაც, ვინც საჭიროა, ის არ იწუხებს.

4951. მსოფლიო ისტორია შეშლილთა მატიანეა, სადაც გიჟების რაოდენობა ჭკვიანებზე გაცილებით მეტია. მათ დაპირისპირებას მასა გულგრილად უყურებს და საბოლოოდ ეს ყველაზე ძვირად ხალხს უჯდება.

4952. ისტორიის მახსოვრობა მაშინ იწყებს გამოფხიზლებას თუ ქვეყანაში ხალხს კატაკლიზმები, ცხვირში ამორტყმით დაემუქრება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის გაბრუებულია, რადგან თავის საჭიროებას ამ პერიოდში ვერ გრძნობს.

4953. წყალი ყოველთვის ჩვენს წისქვილზე დაასხამს, თუ ჩვენს რაობას ვინმე შეამჩნევს და ისტორია დაგვაფიქსირებს.

4954. ისტორია ზოგჯერ ჩვენი უსუსურობის დასამალავად და თავის წარმოჩენისთვის გვჭირდება.

4955. უახლოესი ისტორიის ფურცლის გადაფურცვლა ყველაზე მეტად ჭირს, რადგან უახლოეს ცოდვებს დროის მსვლელობას ვერ ამოაფარებ.

4956. ისტორია ყოველთვის იწერებოდა ცხენზე, მანქანაზე, თვითმფრინავში, კოსმოსში და ხვალ სად აღიწერება არავის უწყის.

4957. ყველას აინტერესებს ისტორიის ქვენა ხვრელები მას შემდეგ, რაც მატიანის გმირის ბიოგრაფიას გაეცნობიან.

4958. რევოლუცია ისტორიის გაჭენებას ცდილობს, ბრბოს სასაკლაოზე გავლით.

4959. ძალაუფლების მისტიკის დაძლევა ნებაყოფლობით, იშვიათი გამონაკლისის გარდა, რომელსაც ისტორია გაჭირვებით იხსენებს, ძნელად თუ ვინმეს მოუხერხებია.

4960. გონიერება სიმდიდრეს და კარიერას მაინც ისტორიის შვილობილობას ამჯობინეს, მას სხვა ხიბლი და დაფასება აქვს საუკუნეთა გადმოსახედიდან.

4961. ისტორია კი არ მეორდება, არამედ ვითარდება და ძველს ახლებურად მომზადებული გარნირით იმეორებს.

4962. სამოქალაქო ომს ისტორია არ აქვს, რადგან მის დავიწყებას ყველა ცდილობს, იმის ნაცვლად, რომ გაითვალისწინონ და მეორედ არ მიჰქარონ.

4963. ისტორია ეს იგივე სამყაროს ბიოგრაფიაა, იმ განსხვავებით, რომ დედამიწის დაბადების და მოსალოდნელი გარდაცვალების წლები მისთვის უცნობია.

4964. ისტორიის ურემს ბევრი ეპოტინება და ცდილობს წინ გაიგდოს, მაგრამ ამის მცდელობიდან საბოლოოდ არაფერი სახეირო არ გამოდის, რადგან ყოველივეს დრო-ჟამი განაგებს.

4965. სამყაროს ისტორია არა მარტო მიღწევებისგან შედგება, არამედ უამრავი წარუმატებლობისგანაც, რომელთა ოდენობის ზრდა, ძველი წარუმატებლობის დაძლევის ხარჯზე, უამრავი ახლით იზრდება.

4966. მიზანი ყოველთვის არ ამართლებს საშუალებას, მაგრამ უიმისოდ ისტორიაში მოხვედრა ჭირს.

4967. ისტორია იმათაც გულშემატკივრობს, რომლებიც არავის სჭირდება და ამქვეყნად აღარ არიან.

4968. დროის მანქანა რომ გამოგვეყენებინა 30–40 წლის წინანდელი ყოფა დაგვებრუნებინა დღევანდელი გადასახედიდან, ბევრი კარგის მოგონების მიუხედავად, იმდენად ჩამორჩენილი მოგვეჩვენებოდა ის დრო, რომ არა მგონია ბევრს ეს დროის დაბრუნების ფიზიკა მოსწონებოდა.

4969. არიან ცნობილი პირები, რომლებიც ისტორიას მოსწონს, არ მოსწონს, პატივის სცემს ან ფეხებზე ჰკიდია, ასე, რომ დროთა სვლის და მსოფლმხედველობის გადაფასების შემყურე მატიანე ყოველთვის სამართლიანი და მიუკერძოებელი ვერ იქნება.

4970. ის სახელმწიფო წყობაა მისასალმებელი, რომელიც თავის მოქალაქეებს ისტორიაში შესვლის საშუალებას აძლევს.

4971. მემატიანე, ისტორია, რომ არ ყოფილიყო, ადამიანი ისევ ქვის ხანაში იცხოვრებდა და ცივილიზაციის ნაყოფს თეორიულადაც ვერ გაეთამაშებოდა.

4972. ისტორია ვის ამართლებს და აფასებს, ადამიანები ამაზე დაობენ, სერიოზულად კამათობენ და ერთობიან.

4973. ისტორიის სახელმძღვანელო არ უნდა გახდეს მატიანის ფაქტების და დოგმების გადაკეთების ბრძოლის ველი, სადაც ყველა ავტორი სარდლობას ცდილობს.

4974. ისტორია პიროვნებების ერთჯერადი ბრძოლაა სახელმწიფოს უშიშროების და კეთილდღეობის სახელით, ხოლო შედეგს ხალხი ბითუმად იხდის, რადგან მათი პრობლემები ხელისუფლებას ფეხებზე ჰკიდია.

4975. ისტორია საზოგადოების დაავადების აღმნუსხველია, მაგრამ როგორ გამოიყენოს ხალხმა, ეს ინფორმაცია არ იცის, რადგან ამ დიაგნოზით წამლობის სხვისი იმედი აქვს.

4976. ადამიანი თავისი ნიჭის საქმიანობით რჩება ისტორიაში და არა – ღირსებით, თორემ დოსტოევსკის, ამირეჯიბის ბიოგრაფიის მქონე კაცს მისაბაძი არაფერი აქვს, გარდა თავის შემოქმედებისა.

4977. ისტორია არ უნდა გადავაკეთოთ, ის ყველა დროში დაგვეწევა და ტყავს გაგვაძრობს.

4978. სამწუხაროდ, ადამიანი არ აკვირდება ისტორიას და სხვების ჯინაზე იმას სჩადის, რაც მოეხასიათება.

4979. ფიქრი – არსებობის მომასწავებელია, მუშაობა – ცხოვრების, სიყვარული – აღმაფრენის, სიზარმაცე – დასვენების, მოთმინება – თავის გამოცდის, გამოხედვა – ტკბობის, სმენა – სიცოცხლის. ასე და ამგვარად, ამ ცხოვრებისეული ჭანჭიკებით გამაგრებული ჩვენ ოცნების წლები მიდის და ისტორიაში მიგვეპარება.

4980. სარკეა ჩვენი ისტორიაში მოხვედრის მრჩეველიც, დამაფიქრებელიც, გამაწბილებელიც, დამღონებელიც, გამაოცებელიც, წლების შემხსენებელიც, აზრზე მომყვანიც.

4981. გარემოსთან შეხამებით ნათქვამ მოხდენილ კომპლიმენტს თავის ისტორია აქვს, თეთრ აურას იღებს და ის დღე ულამაზესად გვეჩვენება.

4982. სიავეს და სიკეთესაც ხშირად ისტორიაში მოსახვედრად შემთხვევით სჩადიან.

4983. სალუქი ღარიბი შეიძლება უფრო მეტ პატივისცემას იმსახურებდეს, ვიდრე წესიერების მქადაგებელი იმპოზანტური უწესო მდიდარი. ისტორიაში ამგვარი მაგალითები უამრავია.

4984. ისტორიულად მძიმე ტვირთია იყო თეთრი ყავი, ნიჭის, შემართების და თანამდებობის გარეშე.

4985. მდედრისთვის ყველა ხვადი ისტორიაა, მამრისთვის კი – განვლილი გზა, მაგრამ განგება ხვალ რა მასტის თავსატეხს შემოგვთავაზებს, არავინ უწყის.

4986. ერმა ისტორიის შენახვა, მოვლა, გააზრებაც უნდა შესძლოს და მისი რეკლამირებული გამოყენებაც, მაგრამ არა – ტრაბახით და ნიშნის მოგებით.

4987. ისტორია შედეგს წარმოაჩენს და არა ერის ნაოცნებარ, აუხდენელ მცდელობას.

4988. პირველი ადამიანის კოსმოსში გასვლა განაპირობა ხრუშჩოვის ამბიციებმა, კოროლიოვის გენიამ და გაგარინის ბედის ვარსკვლავმა, მაგრამ ვის უნდა დაადგას ისტორიამ დაფნის გვირგვინი ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით, ჩემთვის ძნელი დასადგენია.

4989. ისტორია ის ფენომენია, რომელსაც აქვს გამოცდილება და შემოწმებას მოკლებული დასკვნების გაკეთების უფლება.

4990. აშშ-მა ორი ატომური ბომბის ჩამოგდებით იაპონიის ორი მილიონამდე ადამიანი შეიწირა და ორი კურდღელიც დაიჭირა – მეორე მსოფლიო ომს წერტილი დაუსვა და სსრკ-ს თითი დაუქნია. პირველს ჰქვია პოლიტიკა, შედეგს ეწოდება ისტორია, აი, რა სხვაობაა მათ შორის.

4991. ნიჭი და პიროვნება ხშირად ერთად არ ძოვენ, რადგან უპირატესობას პირველს მივაგებთ როგორც ისტორიის საკუთრებას, ხოლო მეორე მხოლოდ დღევანდელობის ფერფლია.

4992. პატიოსნების ფილოსოფია რაც უნდა დავაკნინოთ, ის მაინც აღდგება და მთელი სიდიადით წარმოჩნდება, ასე დაგვმოძღვრა საუკუნეთა გამოცდილებამ და საზოგადოების განვითარების ისტორიამ.

4993. ისტორია ყველას ემსახურება, მაგრამ მხარს არ უჭერს იმათ, ვინც ჭეშმარიტებას უარყოფს.

4994. ისტორიამ შეიძლება თავი დაგვიკრას როგორც მოაზროვნეს, მაგრამ არა – შთამომავლობამ, რადგან შენიშვნებით თავის მოწონებასაც დროის ჯვილი სჭირდება.

4995. ისტორია ყოველივეს იმახსოვრებს, მაგრამ ყველაფერს სათანადოდ ვერ წარმოაჩენს, რადგან ყველაფერი გამართლებაზე, დროის ყადრის შეცნობაზე და იმ სიმართლეზეა დამოკიდებული რამდენად გვაწყობს მის გაცნობიერება.

4996. ყოველთვის შესაძლებელია ფეხზე დავდგეთ იმგვარად, რომ ადამიანობა არ დავკარგოთ და სხვის საფლავზე ტაშ-ფანდური არ გავმართოთ, თუ ცოტათი ჭკუას მოვთოკავთ, ფეხებს შევკაზმავთ და ისტორიის საწყისებს გავეცნობით.

4997. ისტორია კი ჩალიჩობს გმირების ნაკლოვანებების წარმოჩენისათვის, მაგრამ მომდევნო თაობები აფუჩეჩებენ და მათზე ლეგენდებით კმაყოფილდებიან.

4998. სამწუხაროდ, საუკუნეთა გამოცდილება დიქტატორის და დიქტატურის დავიწყების და ისტორიის სანაგვეში მოსროლის საშუალებას არ იძლევა.

4999. ადამიანს ცნობილი პიროვნებების გაფეტიშების გარეშე ცხოვრება უჭირს, რადგან თავადაც ამისკენ ილტვის და იმქვეყნად გადაბარგება ეძნელება ამქვეყნად სახელის დაუტოვებლად და ისტორიაში შეუსვლელად.

5000. უპირველესად ცხოვრება დროსტარებით და მოყვასისადმი მოფერების წვრილმანებით ფასდება, როგორც საკუთრება და არა – საქმისადმი მცდელობით, რომელთა შეფასება მომდევნო თაობების და ისტორიის საქმეა.

5001. ვიქნებოდით კი ბედნიერნი, წინასწარ რომ გვცოდნოდა, ვინ იყო აკვანშივე ჩასაკლავი და ვინ აღზრდა-მოფერების ღირსი? სამაგიეროდ, ისტორია არ გვექნებოდა და არც ვინმეს გაუჩნდებოდა მისი შექმნის სურვილი.

5002. ხალხს თავისი მეუფე სჭირდება, მათრახით და ჟინით, რჩეული იქნება ის ისტორიისთვის თუ ჩვეულებრივი მოკვდავი.

5003. ქალების მხნეობით იქმნება ისტორია, მაგრამ მათ ნაკლებად მოიხსენიებენ.

5004. ისტორია მოვლენებს ისე აღიქვამს როგორც მოეპრიანება და არა ისე როგორც იმ დროს, გარემოს ზნე-ჩვეულებებს შეესატყვისება, რადგან თავად მემატიანენი თავიანთ გარემოს სხვადასხვანაირად აღიქვამენ.

5005. იყოს როგორც უმრავლესობა – ვაგონი, ორთქლმავლად დაბადებულს არ შეუძლია და სურვილის მიუხედავად მის წილ ტვირთს მაინც ეზიდება ისტორიაში.

5006. ერთი დღით ცხოვრება ადვილია, ისტორიაში მოსახვედრი სიცოცხლეა ძნელი.

5007. ისტორიული გაუგებრობა არაფრით არ განსხვავდება ჩვეულებრივი უპასუხისმგებლობისაგან, რადგან შედეგი ორივე შემთხვევაში ერთია – უარყოფითი და საჩოთირო.

5008. საკუთარი ისტორია უნდა დააფასოთ და სხვისი არ უნდა გადავაფასოთ ან ზედმეტად არ უნდა დავაფასოთ, რადგან ბუნების ნაბოძები ყველას გვაქვს: არც სხვაზე ნაკლები ვიყოთ და არც ვინმეს რაიმეში ჩამოვრჩეთ.

5009. ქვეყნის ბიოლოგიური ასაკი ყოველთვის სახელმწიფოებრიობის ისტორიის პასპორტის მონაცემებს არ ემთხვევა, რადგან ცხოვრება თავის სიურპრიზებს გვთავაზობს, რომელზეც საბუთები არ რეაგირებენ.

5010. სიცოცხლის ყველა ეტაპზე უნდა ვიცხოვროთ და არა – ვიარსებოთ, თუ გვინდა ისტორიას შემოვრჩეთ.

5011. ნაღდს, საიმედოს, კარგისგან განსხვავებით, რეკლამა და ისტორია არ სჭირდება.

5012. ხშირად ბავშვებს უარესი მშობლები ჰყავთ, ვიდრე მათი მომავალი ისტორია იმსახურებს.

5013. ისტორიული ჭეშმარიტება სამართლიანობის დიდი ნაწილია, რომელთანაც შეგუება ექსცესების გარეშე არ ხდება.

5014. ღირსების ზღვარს, ხშირად, ისტორიულად შექმნილი სიტუაცია განსაზღვრავს და არა – ჩვენი აღზრდა და გენი.

5015. მიზანი და ოცნება სხვადასხვა ცნებაა, პირველის მიღწევა შეუპოვრობას, თავდადებას მოითხოვს, ხოლო მეორე ბედისგან ხელის წამორტყმასაც ითვალისწინებს.

5016. კოსმოსი უმთავრესი მასწავლებელია, მაგრამ მოსწავლეები ჰყავს უყურადღებო, უსახსრო და უნიჭო.

5017. განდიდება შემთხვევითობის და ნიჭის ნამრავლია, რომელმაც საუკუნეთა ჭიდილს უნდა გაუძლოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისტორიისთვის ის შეფარდებითი ხდება და დავიწყებისათვისაა განწირული.

5018. შიმშილით გახდომის მცდელობა და არქონებით გამოწვეული შიმშილის გვრემა ერთნაირია, პირველი – შეგნებისთვის გასაგები, მეორე – შეუგნებლობისთვის გაუგებარი. ხოლო ისტორიას შიმშილის განსჯის ეს ალგორითმი ფეხებზე ჰკიდია.

5019. ძველი ყოველთვის მისაღები არ არის, მაგრამ თუ აწმყოთი გადამუშავებას ექვემდებარება, მისგან შეიძლება ისტორიისთვის რაიმე სერიოზული გამოტყვრეს.

5020. ფიქრი ჩვენს მომავალ თაობაზე თუ ვინ როგორ დაწყვილდება და ვის რამდენი შვილი, შვილიშვილი, ეყოლება – მკრეხელობაა, რადგან ჩვენ განგების ფუქნციებში ვერევით, გვინდა ჩვენი ნააზრევი მოვახვიოთ და ვცდილობთ იმაზედ მეტი შევიცნოთ, რაც წესით ისტორიულად არ გვეკუთვნის.

5021. შემთხვევაა ის, რაც სიცოცხლის ბოლომდე გაღელვებს, გამახსოვრდება და ისტორიად იქცევა.

5022. გულისხმიერების, ერთგულების, ურთიერთგაგების, ყიდვა შეუძლებელია, მაგრამ მატერიალიზმს ამაში კორექტივების შეტანა შეუძლია და ისტორიაში ამის უამრავი მაგალითი არსებობს.

5023. ზოგჯერ გამოთავისუფლებული, დაგროვილ – უარყოფითი ენერგია ჩვენს ცნობიერებას ისეთ საინტერესო ისტორიულ იდეას ჩუქნის, რომ მშვიდად ყოფნის პერიოდში ამ სიახლეზე ვერც ვიფიქრებდით და ვერც ვერაფერ საიმედოს გამოვთხრიდით.

5024. სხვისი ისტორიის „ნაყარ-ნუყარით“ საკუთარი არ უნდა გარყვნა და დააჩაგვრინო.

5025. ხასიათის სისუსტე და არა უძლურება ყველას გვახასიათებს, რადგან ისტორიულად ჩვენ მაინც ბუნების ორფეხა შვილები ვართ და არა ოთხფეხა გერები.

5026. თავშეკავებაა თანდაყოლილი ნიჭია, იმისდამიუხედავად რომ ისტორიაში მოხვედრის შესაძლებლობა ძალზე შეზღუდული აქვს.

5027. თანამდებობა თუ ღირსება – ასარჩევად ძნელია, მაგრამ მათ შორის კომპრომისის ძებნა აუცილებელია. თუმცა ისტანალიზი პირველს აძლევს უპირატესობას.

5028. ოცნება ის არის, რასაც აღსრულება არ უწერია, ხოლო რასაც პერსპექტივა აქვს – გატაცებაა და თავის ისტორია აქვს.

5029. ღირსების ცნებას ყველა საუკუნე თავისი გადასახედიდან ეჩალიჩება, მაგრამ ისტორია, დრო მას თავის ჭკუაზე მოგუდავს და აფეტიშებს.

5030. შედეგი შეიძლება იყოს, მაგრამ ბედნიერება არა თუ ყოველივე ჩვენ ჩაურევლად უშრომ – უწვალებლად მოვიდა და ესეც ამ სამყაროს კანონზომიერების ისტორიის საოცრებაა და ფაქტია.

5031. ისტორიულად პიროვნებაა ის, ვინც გაჭირვებაში ჩავარდნილს უკადრისს არ აკადრებს და ნიშნს არ მიუგებს, თუ გინდ მისი მოსისხლე მტერი იყოს.

5032. არის რაღაც-რაღაცეები რომლის პატიება წინაპრებისთვის გვიჭირს, მაგრამ ვინ იცის შთამომავალი ჩვენს განვლილ ყოფიდან, რას მოგვიწონებს და რის მიტევება გაუჭირდება.

5033. ჩვენ ჩვენს თავს მეტ-ნაკლებად ვიცნობთ და მეტი არაფერი, რადგან ხშირად რას მოვიმოქმედებთ, ჩვენი მომავალი ისტორიისთვისაც უცნობია.

5034. ისტორიული კრიზისის დროსაც შეიძლება ქვეყანაში მოინახოს ის ორთქლმავალი, რომელიც ქვეყანას ჩიხიდან გამოიყვანს. ამისთვის ვაგონები თვითონ უნდა მიმოწიონ, რათა გზა გაუხსნან, სიჩქარის აღების საშუალება მისცენ, იმ პირობით, რომ თანდათან ქვეყნის ბარაქას ადგილიდან დაძრავენ.

5035. იდუმალების ხატის ისტორიული რაობა თავიდანვე უნდა გავნიცადოთ, რადგან ეს ჩვენი ფიქრის და ოცნების შედეგია.

5036. გვინდა ყოველთვის კარგი, საჭირო, დასამახსოვრებელი და მიმზიდველნი ვიყოთ, მაგრამ არ ვიცით, როგორ, რანაირად და ვისი დახმარებით გავუძლოთ ამ დროის სიკარგის ისტორიულ მარათონს.

5037. შენს ჭეშმარიტებასთან გულში გააბასებაც კაიფია, ვისაც ამის ნიჭი და ისტორიასთან უნარი შესწევს.

5038. გმირად ქცევას შემთხვევა სჭირდება, პიროვნებად ქცევას – გარემო, აღიარებას – ნიჭი, ხოლო ადამიანად ქცევას დროს მარადიულობა – ისტორია.

5039. დასახლებასა და სოფელს შორის ის სხვაობაა, რომ ამ უკანასკნელს სალოცავი სახლი აქვს აშენებული თავისი ისტორიით.

5040. ჭეშმარიტებას არჩევანი და ავან-ჩავანი არ სჭირდება, ის აზროვნების, ყოფიერების კლასიკაა და ჩვენი ვალია მხოლოდ გავითავისოთ, მაგრამ ისტორიისთვის ორივე საჭიროა და აუცილებელი.

5041. არის ორი სახის განათლება – კლასიკური და მომსახურეობითი. პირველი ქვეყნის პრესტიჟის, ძლიერების მაჩვენებელია, მეორე ცოდნის დასახარჯი ერთეულია დამატებით ღირებულებათა შესაქმნელად.

5042. ისტორიულად მუდმივი გამოცანა ის არ არის, რასაც ვერ ამოვხსნით, არამედ ის, რასაც გავშიფრავთ და კვლავ ამოსაცნობი ხდება.

5043. იდეალიზმია, როდესაც მოჭარბებული გრძნობები მხოლოდ სულით არის მებრძოლი და არა – საქმით, მაგრამ მაინც ისტორიის ყურადღების ცენტრშია.

5044. ქვეყანაში, სადაც ღირსება სიცოცხლეზე მეტად ფასობს, ისტორიასაც უფრო მომხიბვლელია, სიყვარულიც მეტია, თავდადებაც და კაცური კაცობაც. საოცარია, მაგრამ ფაქტია.

5045. მუზეუმი ერის გრძნობების, შეხედულებების, ისტორიის სამარხიდან გამომზეურებაა.

5046. ოცნებით ყველანი დღევანდელ საუკუნეს ვეკუთვნით, სულით – მომდევნოს, მაგრამ გული წინა საუკუნეებზე გვწყდება, რადგან ჩვენი ისტორიული საწყისი იქედან მოდის.

5047. ნაციონალიზმისაგან განსხვავებით, პატრიოტიზმი და სიძულვილი ისტორიულად შეუთავსებელია.

5048. გემოვნება რომ რაციონალური და სტანდარტული იყოს, საზოგადოება, ყოფის პროგრესი და ქვეყნის ისტორია არ გვექნებოდა.

5049. სხვადასხვა ასაკსა და განწყობას შორის ზოგჯერ შეუმჩნეველი რჩება: სული გალაღებისთვისაა მზად, სიყვარულისთვის, თუ ისტორიაში მოსასვლელად.

5050. პატიოსნება განყენებული ცნება არ არის, ის ქვეყნის და ხალხის ისტორიულ ინტერესებთან უნდა იყოს შერწყმულ-აკლიმატიზებული.

5051. სიკეთის კეთების გამოცდილებას თავის ისტორია, დაფასება, გამრავლება და გათავისება სჭირდება.

5052. დღეს აღარავის აინტერესებს ჩვენ რა შეგვეძლო, რა ადგილის დაკავებას ვაპირებდით ისტორიაში, არა და, ასაკს მეტი აღარაფრით შეუძლია თავის მოწონება.

5053. ცთომილებაზე ისტორიას თათი აქვს დადებული და გაშლილი კარტებით განსჯის ჩვენს შეცდომებს.

5054. ვიბრძვით ევოლუციისთვის და ხელში გვრჩება რევოლუცია. ამ გაუგებრობას ვერც ისტორიის გაკვეთილები შველის, ვერც პირადი გამოცდილება.

5055. ფიდელ კასტროს და მიხეილ სააკაშვილს რომ არ გამართლებოდათ და რევოლუციას არ გაემარჯვა, ისტორიაში პრეზიდენტებად კი არა, ტერორისტებად შევიდოდნენ. ამრიგად სახელიც, დიდებაც, დაფასებაც გამართლებაცაა და არა მხოლოდ დამსახურება.

5056. მომთაბარე ტომები წესით ისტორიის კუდში უნდა მიჩანჩალებდნენ, მაგრამ განგება მათაც არ ტოვებს უყურადღებოდ და სამყაროს მატიანეს ჩინგიზ-ხანების, თემურლენგების მაგვართ მოუვლენს.

5057. კრიტიკა შესაძლებელია, მაგრამ ისტორია არ უნდა გავკიცხოთ, რადგან მასში ჩვენი წინაპრის გენის ფესვები გირაოდაა ჩადებული.

5058. ერი რომ არ გადაშენდეს, სიცოცხლემ ფასი რომ არ დაკარგოს, ჩვენი ისტორიის ოპტიმიზმი ყველგან თან უნდა გვდევდეს, ცხოვრებამ რაც უნდა გაგვროზგოს და დედა გვიტიროს.

5059. როგორც სოფელს გასამხიარულებლად სჭირდება ერთი გიჟი,ასევე ქვეყნის ისტორიას გამოსამზეურებლად სჭირდება ერთი ჭკუანაღრძობი ხელისფალი, რათა სამყაროს ავად თუ კარგად თავისი ქვეყანაც გააცნოს და თავისი უგვანო ნამოქმედარიც.

5060. სამწუხაროდ, დრო და დაღვინებული ისტორია, ყოველთვის სიმკაცრეს ამართლებს, ვიდრე ლმობიერებას, კაცთმოყვარეობას, იმდენად მიუღებელია ყოფისთვის ქაოსური, ძალით მოპოვებული თავისუფლება.

5061. წარსულით სპეკულაციას ყველა ცდილობს, ხოლო ისტორიის შედეგების გამომზეურებით და ანალიზით თავს არავინ იწუხებს.

5062. ყველა ეპოქამ თავისი ყოფიერების ტაძარი და ისტორიის დასაჩამიჩებელი აკლდამა უნდა ააგოს.

5063. მაკედონელი, ნაპოლეონი და სხვა ნიჭიერი, ერის ისტორიის შესაქმნელი, ვიგინდარები სამყაროს განსასჯელად ყოველთვის გამოუჩნდება, ამიტომ თუ საზოგადოება ვართ, ასეთ გენიით დაავადებულთ ყველაფრის უფლება არ უნდა მივცეთ, თუ გვინდა მილიონების სიცოცხლე ამ „ვაი ჭკუისგან“ აღჭურვილ ვიგინდარებს არ გადავაყოლოთ.

5064. ზოგჯერ ისტორიაში უკანა კარიდან ხვდებიან. სწორედ ეს უკანასკნელი აინტერესებს ბრბოს სულის მქონე ხალხს, რომელსაც აფეტიშებს ავანტურისტული ბუნების და შეუმჩნეველი ნიჭის მქონენი.

5065. ისტორიის შექმნაა ძნელი, თორემ მისი დროებით დავიწყება ან სათუო ლეგენდების, ჭორის აგორება, ადვილია და ზოგჯერ ყოველ-დღიურობაცაა.

5066. ყველა საუკუნე თავის უგვანობას უჩივის და წინა ასწლეულის რომანტიზმს მისტირის, რადგან ისტორია გავლილი წლების ნეგატივს მიაფუჩეჩებს და წარმოგვიჩენს რაც ანგარიშგასაწევი და საოცნებოა.

5067. გმირობა ჩადენილი უნდა იყოს მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში და არა სულის გასამყარებლად და ისტორიაში დასარჩენად.

5068. ქვეყნის იმიჯი დამოკიდებულია ხელისუფალის მოხერხებულობაზე, ხალხის განწყობაზე, აწმყო-დროს გათავხედებაზე და იმაზე, თუ ისტორია რა განაჩენის გამოსატანად ემზადება.

5069. როდესაც სამყაროს ისტორიას გადახედავ, გაოცებული რჩები, როგორ მიაღწია კაცობრიობამ დღევანდელი ცივილიზაციის დონეს ამდენი უვიცი, ვიგინდარა მმართველის და ხალხის ხელში.

5070. არის ჩუმ და გასაიდუმლოებულ პროფესიათა ვარსკვლავები, რომელთა გაბრწყინებას ვერც ერთი ცნობილი ვარსკვლავი გვერდით ვერ დაუდგებოდა, რადგან განგებამ ასე ინება და მათი გაბრწყინება მომავალში ისტორიამ უნდა ითაოს.

5071. ისტორია გამარჯვებულის მხარეს დგას, ხოლო დამარცხებული შთამომავალნი, მის ოპონირებას დროის, შემთხვევის და შეცდომათა სერიის ზედმეტად გაფეტიშებით ცდილობენ.

5072. მოვლენას, რომელიც უნდა აღსრულდეს და ისტორია, თავის დაბოლოებას მოითხოვს და უნდა შეურიგდეთ, რადგან მას უკან სვლა არ აქვს, ხოლო იმედი მაინც არ ქრება, გრძელდება.

5073. ისტორია ცოდვისთვის ის საბუთია, რომლის გადანაწილება ქვეყნის ნგრევის დროს, აღმშენებლობისგან განსხვავებით, აღარავის უნდა და ყველა დამნაშავის ძებნასა და ნიშნის მიგებას ცდილობს.

5074. ზოგჯერ ნაოცნებარი მითად მოგვევლინება, რომლის ისტორიაში ლეგენდად გატარებამდე ერთი ნაბიჯია და სასურველია რეალობად დავაფიქსიროთ.

5075. ყველა ადამიანს, ქვეყნის ისტორიის სიყვარული ევლინება მშველელად.

5076. რატომღაც ყველა წარსულს ვედავებით, ვაკრიტიკებთ, მაგრამ წინაპრების დატოვებულ სიმდიდრეს, ტარდიციებს, სარწმუნოებას, ვეთაყვანებით, მიუხედავად ამის ყველაფრის ჩვენს ჭკუაზე გადაკეთებას ვცდილობთ ისტორიის გაკვეთილებს უგულველყოფით.

5077. 20–ე საუკუნე პროგრესის, რევოლუციების, იდეოლოგიათა დაპირისპირების და ბირთვულ–რაკეტული უგნურების საუკუნე იყო, რომელიც ღვთის წყალობით გადავაგორეთ, მაგრამ 21–ე საუკუნე სეპარატიზმის, ტერორიზმის ჰეგემონიის საუკუნედ გვევლინება, მიუხედავად ამდენი ინფორმაციისა და ისტორიული გამოცდილებისა. ეტყობა, სამყაროს განვითარებისთვის დაპირისპირება სჭირდება და არა – ცოდნა და გამოცდილება.

5078. ხელისუფალს არ აქვს უფლება ხალხის შესაძლებლობებზე იმაზე უკეთ იფიქროს, რაც მათზე დღემდე ქვეყნის მატიანეს დაუწერია (მაგ. მ. გორბაჩოვი და მისი „პერესტროიკა“).

5079. არის მემატიანე, ბიოგრაფები, კუდის ამწევი მწიგნობრებისა, რომლებიც აწმყოს დასამახსოვრებელ ამბებს მომდევნო თაობებს გადასცემენ, ხოლო რა ფერ–უმარულით, ისტორიკოსებმა უნდა აწონ–დაწონონ და ისე დაამაგრონ ერის ისტორიაში.

5080. მარქსი – სოციალიზმის იდეოლოგი იყო, ენგელსი – სპონსორი, ლენინი – მენეჯერი, სტალინი – რეკეტიორი, ხრუშოვი – ფერმერი, ბრეჟნევი – კარგი ბიჭი, გორბაჩოვი – „პერესტროიკა“, ელცინი – გაურკვეველი პროფესიონალი ლოთი. ასე და ამრიგად, მთავარია ისტორიის გაკვეთილების მოსმენა, რომლისთვისაც ხალხის დრამა არაფერია.

5081. თუ ისტორიულ ფაქტებს გადავხედავთ, რატომღაც ქვეყნის სათავეში ვიგინდარები მოდიან, მიუხედავად იმისა, ნიჭით არიან დაჯილდოებულნი თუ უიმისოდ.

5082. ადამიანის წარმოჩენა – დაწინაურება ისტორიის გადასახედიდან უნდა განვსაჯოთ და არა – პრეტენდენტის ასაკით.

5083. არც ერთ ხალხს, ერს, ქვეყანას, არ შეუძლია დასამახსოვრებლად გაბრწყინება და ისტორიის მატიანეში „უკანალის თამაში“, თუ სათავეში პიროვნება არ უდგას.

5084. თუ პირველი ხარ, ყველას აინტერესებს, თუ არა დაუფასებელ უინტერესოთა რიგებში რჩები. რადგან ისტორიის საქმე პირველთა წარმოჩენაა და არა – საინტერესო ხალხზე ბალადების წერა.

5085. რადიკალური იდეები ფანატიკოსებს მოაქვთ, მაგრამ მათი სარგებლობის შესახებ ისტორიას ჯერ არაფერი უთქვამს.

5086. ყველა ქვეყნის ისტორიას თავისი ვატერლოო აქვს გასარკვევი წინაპართა მიმართ, თავისი აისით, დაისით და მომავლის უკეთ ხედვით.

5087. ისტორიისთვის, „ისტანალიზისთვის“, დღესაც ძნელი სათქმელია, სტალინის, ნაპოლეონის, მაკედონელის, დონის ყოფილმა იმპერა–

ტორებმა, სამყაროს მოსახლეობას ბოდიში უნდა მოუხადონ, თუ თავი მოიწონონ და წაიტრაბახონ.

5088. ისტორია შორსმტყორცნელ ყუმბარებს გვიშენს, მაგრამ შთამომავლობა ამას ყურად არ იღებს, რადგან ნაციონალიზმს აყოლილი, მისდაუნებლიედ თავს საზარბაზნე ხორცად ამზადებს.

5089. ჩვენი ,,ცენზორი'' ისტორიაა, მისი საქმეა, შემოუნახავს ჩვენს ინციალებს შთამომავლობას თუ სანაგვე ყუთში მოისვრის, დამსახურებულად იქნება ეს თუ უიმისოდ.

5090. ცხოვრების დროულად შესაცნობად ასაკის მატება სულაც არ არის საჭირო, უმჯობესია წინაპართა ისტორიის ცოხნა და მონელება ვისწავლოთ.

5091. მატიანე ყველა წარმატებულ დიქტატორს და მის მიღწევებს ,,პლუსს'' უწერს, რაც შეეხება ხალხის ტანჯვა-ამოწყვეტას, ისტორიის სათიბია და მეტი არაფერი.

5092. ისტორიას თავისი უცნაურობა ახასიათებს: თავის დროზე კონსტანტინე გამსახურდია რეპრესიებს რომ ემსხვერპლა, საქართველოს ბედი შეიძლება დღეს სხვა ჩარხზე დატრიალებულიყო, რადგან საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას, აღზევებაში ლომის წილი მამამისს ედო.

5093. ხშირად ისტორიის ჩარხის ტრიალს წამები წყვეტს და ამ წამების სასიკეთოდ გამოსაყენებელი დრო ფუჭად იხარჯება.

5094. ისტორიის დროის მიხედვით გადაწერა, ერის მოწამვლის მცდელობის ტოლფასია, ,,კარგი ზრახვებით''.

5095. ისტორია შეიძლება მეცნიერება არ არის, მაგრამ გვაიძულებს დავფიქრდეთ და მსოფლმხედველობა გავიფართოვოთ, რადგან წარსულის არცოდნის გარეშე ცხოვრება უაზრობა იქნებოდა.

5096. ისტორია ყოველთვის იმათ გვერდზე დგას, ვისაც რაღაცის სწავლა უნდა და სურს საზოგადოების რჩეული იყოს.

5097. ისტორიისადმი სიფარულის გარეშე რეალური ყოფიერების ლაბირინთებში გარკვევა გაჭირდებოდა.

5098. ისტორიას უფარს დროის საათის ისრების გადაადგილება, საით, ამას ჩვენთვის შეუცნობელი საზოგადოების განვითარების კანონები და დროის ყივილი წყვეტს.

5099. ქვეყნის პირველ პირად ის მოქალაქე უნდა ავირჩიოთ, ვინც ამ თანამდებობას თავის ,,მე''-სთან შესარკინებლად და თავის მოსაწონად ცდილობს, რადგან ასეთი პიროვნება ყველაფერს ისტორიაში სახელის სასიკეთოდ დასატოვებლად აკეთებს.

5100. სამწუხაროდ დღევანდელი ჩვენი ისტორია ძალიან ჰგავს წარსულისას და პოტენციურად მომავლისას, მაგრამ მათი გამოჟენების, სარგებლიანობის, კოეფიციენტი უცვლელი რჩება.

5101. ისტორია ზოგჯერ ოფიციანტის როლში გვევლინება: რასაც დრო და ძალაუფლება უკვეთავს, იმასვე მოგვართმევს.

5102. ისტორიას წერენ გამარჯვებულნი, დამარცხებულნი – შპარგალკებს, რადგან მათი ოპონენტობა და ალიბი არავის აინტერესებს.

5103. ხელისუფლებამ გავლენადაკარგული მსახური უნდა მოიშოროს, მაგრამ არ უნდა დაივიწყოს, რადგან არავინ უწყის ისტორიის ქარტეხილის ცვალებადობა და როდის დაგჭირდება პოლიტიკური ბანქოს დასტიდან გაჭრილი კარტის გამოძრობა ქვეყანაში სიმშვიდის დასაცავად.

5104. პიროვნებას ისტორიისთვის საჭირო მოთხოვნები წარმოშობს და არა – საზოგადოების თავქარიანობა და მათი მცდელობა.

5105. ჩვენი სახელიდან რა დარჩება, არავინ უწყის, მაგრამ ჭუჭყიანი კვალი ქვეყნის ისტორიაში არ უნდა დავტოვოთ.

5106. დამარცხებული ისტორიის ლაბირინთებშიც წაგებულია და ბრძოლის ველზედაც, რადგან მისი გმირობის ტირაჟირება არავის აწყობს და ყველა აფუჩეჩებს, რადგან წარსულის კუთვნილი შემთხვევისათვის, გადაცდენისათვის, გონების საჭყლეტად არავის სცალია.

5107. კოლუმბის ადგილი ისტორიაში ლიმიტირებულია და მის გაუქმებას ვერც ერთი დრო ვერ შეძლებს.

5108. ყველა დიდი ადამიანი ისტორიაში გაუგებარი და გასაკიცხი გზებით ხვდება, რადგან ერთი აღმოაჩენს იმას, რომლის რეალიზება თანამედროვეებმა ვერ შესძლეს, მეორე, თავისი დროსთვის მიუღებლად, იმქვეყნად უამრავ ხალხს ისტუმრებს.

5109. ალბათ უნიათობის ბრალია, როდესაც საზოგადოება ღარიბს წმინდანად რაცხავს, ხოლო ისტორია შემძლეთ და ქვეყნისთვის საჭირო ხალხს იმახსოვრებს.

5110. ფინიშისათვის ლამაზი შერკინება კი არ არის მთავარი, არამედ შედეგი და ანგარიში ტაბლოზე, რადგან ისტორიაში მოხვედრა სენტიმენტალობას ვერ იტანს.

5111. ისტორიული სამართლიანობა საკამათოა, რადგან მისი გადაწერა ყველა თაობას თავის ჭკუაზე სურს.

5112. ისტორია პატივისცემას მოითხოვს, რაც უნდა სამარცხვინო ფურცლები იყოს მასში ჩადებული, რადგან ის შენი ერის, ქვეყნის, ნამუსია.

5113. ისტორიის უგულვებელყოფა ხელს უწყობს მის ახლებურად გადაწერას ფაქტების დამახინჯებით, ვიგინდარების ამბიციების დასაკმაყოფილებლად.

5114. ისტორია შემოქმედებითი გადასახედიდან უნდა იქნეს აღქმული, აღწერილი და არა – სიმართლის მსგავსი ფაქტების მიხედვით.

5115. ჯობს ისევ ისტორიის მომავალ გადასახედს ვენდოთ, ვიდრე იმ ხალხს მახსოვრიბას, ვის გვერდითაც შენ ცხოვრობ, რადგან მათი აზროვნება ძალზე დაუბალანსებელია.

5116. ხელისუფლება პასუხისმგებლობის გარეშე ნულის ტოლია, მისი ადგილი ყოფის სანაგვეზეა და არა – ქვეყნის ისტორიაში.

5117. ყველასთვის მისაღები ის ისტორიაა, რომელიც კითხვებს თავად სვამს და თავადვე პასუხობს.

5118. ერის ისტორიას ,,ნახევრად დამთხვეულები'' ქმნიან, რომლებიც თანამედროვეთათვის მთლად გასაგები არ არიან, მაგრამ მომავალი თაობებისთვის საცნაურიც და საამაყონიც ხდებიან.

5119. ისტორიის რეალობის დანახვა მოწინააღმდეგის სანგრიდან არავის სურს.

5120. თანამდებობისთვის მებრძოლი ხელისუფალი, არჩევნების წაგების შემთხვევაში, დემოკრატია, მაგრამ ისტორიისთვის არარაობა, ფიქციაა.

5121. მთავარია, რას იტყვის შთამომავლობა და არა ის, ჩვენ რას ვამბობთ.

5122. ცივილიზაციის ისტორია ბუნებასთან ბრძოლა და მისი გადაკეთების მცდელობაა.

5123. რაც კორსიკას ნაპოლეონმა ,,ახეირა'', იგივე ,,სიკეთე'' მოუტანა საქართველოს სტალინმა, მაგრამ ორივე ამ პიროვნებებს აღმერთებს, როგორც ისტორიულს.

5124. ჩვენი ამქვეყნად მობრუნება და ცხოვრება ზღაპარია, ოდნავ შელამაზებული და ისტორიისთვის განკუთვნილი სიმართლით.

5125. მატიანეთა გადასახედმა დაგვარწმუნა, რომ ბრძოლებს ისტორიაში მოსახვედრად და ხარკის ასაღებად იგებენ და არა ხალხების დასაპყრობად, რადგან საბოლოოდ შედეგი რატომღაც სავალალოა. სად არიან დღეს ძველი შუმერები, ან ის ეგვიპტელები, რომაელები, რომლებიც ასეული წლობით სხვადასხვა ხალხების ბედს განაგებდნენ.

5126. ისტორიის შესაკეთებელ–სარემონტო მასალა ლეგენდებია.

5127. ისტორია თავისთვის ჩალიჩობს, ხალხი თავისთვის იღვწის, მაგრამ ერთმანეთს არ ივიწყებენ, რადგან ერთი მათ ქმედებას აფიქსი–

რებს, მეორე მის ნაღვაწს ეცნობა და ამით აღწევენ ცხოვრების იდეალს და წარსულის შეფასებას.

5128. ისტორია ადვილი გზით აწყობს აწმყოში ხეტიალს, რადგან ის არასოდეს არ აღწერს იმ ხალხის დამსახურებას, რომელთა გარეშე ეს ისტორია შეიძლება არც შემდგარიყო.

5129. ყველაზე დიდი სიმდიდრე სახელია, რომელსაც ვერაფერი შეედრება ისტორიული ძეგლების გარდა.

5130. დღეს პრესტიჟულია იყო ევროპელი და არა – აზიელი, რომელმაც ამდენი ცოდნა, გამოცდილება, მუქთად უსახსოვრა სამყაროს და ისტორიის მარგი ქმედების კოეფიციენტით დიდი ხანია გაუსწრო სხვა კონტინენტებს.

5131. რეფორმატორ დიქტატორებს ივანე მრისხანეს, პეტრე დიდს, სტალინს, ისტორიაც ელაქუცება და ზოგი მათი იდეური შთამომავალიც, მიუხედავად ხალხის მიმართ დაშვებული უამრავი შეცდომა-დანაშაულისა, ხოლო ლმობიერ რეფორმატორებს, ალექსანდრე II, ხრუშჩოვს, გორბაჩოვს, ხალხის კეთილდღეობისთვის ჩატარებული მცდელობის მიუხედავად, არც ისტორია აფასება და არც შთამომავალი, მიუხედავად იმისა, რომ პირველმა თავის გათავხედებულ რეფორმებს უამრავი მოსახლეობა შესწირა და სახელმწიფოს ძლიერებას ანაცვალა მათი სიცოცხლე, მეორენი ხალხის გონიერების მოთარგმნას შეეცადნენ და უკეთესი ცხოვრება შესთავაზეს, მაგრამ ისტორიის გამოცდილებას და ფაქტებს ვერსად გავექცევით, რადგან ხალხს ლმობიერების და თავისი ჭკუით ცხოვრებას ისევ მათრახი, დედის გინება, ურჩევნია, ვიდრე გონების განძრევა, საქმის კეთება და ინიციატივის გამოჩენა, რომელიც ჩვენში რატომღაც ყოველთვის დასჯილია.

5132. ხელისუფლებას, რომელსაც ქვეყანა სათიბად მიაჩნია, ხალხი – ბალახად და შედეგი იმ თივად, რომლის გამოყენებასაც მოხერხებულად ახერხებს, ყოველთვის მეტ პატივშია მომდევნო თაობებთან მიმართებაში, რადგან ნათიბის გამოყენება მომავლის წისქვილზე ასხამს წყალს, ხოლო წყალი ამღვრეულია თუ დაწმენდილი, ამას ისტორიისთვის დიდი მნიშვნელობა არ აქვს.

5133. გამოუცდელ მთავრობას, როგორც კი ზარ-ზეიმით მზრუნველობას დააპირებს და ხალხსაც აიყოლიებს, წყალი უდგება, რადგან სახელმწიფოსთვის წესრიგია უმთავრესი, თანამდებობათა შენარჩუნებით, ქვეყნის ისტორიაში ადგილის დაკავებით, შთამომავლობის მადლიერებით და არა – აწმყოში მცხოვრებთა კომფორტზე გადაყოლა.

5134. არის პიროვნება, რომელიც დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ისტორიაზე, ზოგჯერ კი – პირიქით.

5135. მსხვერპლის ღირებულებას ისტორია ადგენს და არა – შთამომავლობა.

5136. ლოკომოტივი-რეფორმატორი სათავეში სჭირდება საზოგადოების გარკვეულ პერიოდს და არა – ისტორიულ აუცილებლობას, რომელიც შემთხვევაზე და გამართლებაზეა დამოკიდებული.

5137. ყველამ მარტომ უნდა დატოვოს ეს ქვეყანა, მაგრამ ზოგი სხვებსაც გაიყოლებს და ამით მისი სახელი ისტორიიას საკუთრება ხდება.

5138. ზოგი სისხლით წერს საკუთარ ისტორიას, ზოგიც მელნის მოშველიებით, რათა ავათ თუ კარგად, მატიანემ მათი სახეები შემოინახოს.

5139. ისტორია, რომელიც კარგად მთავრდება, ყველასათვის საინტერესოა და მოსაწონია, მაგრამ უდღეურიცაა, რადგან მასში დასამახსოვრებელი კურიოზი, კონფლიქტი, არ არის.

5140. წინაპართა უნიათობის და ცოდვების გამოთხრა არ ღირს, რადგან ის წარსულის და მომავლის ნაცოდვილარ იმედზე დაგვაფიქრებს და აწმყოს უფერულს გახდის.

5141. ისტორია გაცილებით ბრძენია და გამოსაყენებელი, ვიდრე ჩვენ შევიგრძნობთ, რადგან მისი გაკვეთილების გათავისება არ გვინდა.

5142. რაც უფრო მეტად ეცნობი რომის ისტორიას, იმდენად მეტად რწმუნდები, რომ ხალხი ბრბოა და მათ მართვას მკაცრი ხელი და გადატრიალებული ჭკუა სჭირდება, რათა მათვე არგოს და მათი სამსახურისთვის მოწოდებული ძალაუფლება ზედ არ მიაყოლოს.

5143. ისტორიის ვალია ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე ობიექტურად, მიუკერძოებლად, ფაქტები მოიპოვოს და დააფიქსიროს სიმართლე, მატიანის ვალია სიმართლის აღწერა და სამართლიანობის განსჯა. რადგან აწმყო წარსულთან მუდამ ვალშია, ამიტომაც ის ვალდებულია მათი ნაცოხნი დღევანდელობის და მომავლის სასიკეთოდ გამოიყენოს.

5144. ისტორია ის მეცნიერებაა, რომელმაც მომდევნო თაობები მოქალაქეებად და არა სამყაროს უბრალო მოსახლეებად უნდა აქციოს, მაგრამ სურვილები შედეგებს არ ემთხვევა და ხალხი რაც ბრბო იყო იმ ბრბოდ რჩება.

5145. რადგან ისტორიის გამოცდილებით არ ვსარგებლობთ, განგება იძულებულია თავის რჩეულს თავიდანვე მოუწყოს გამოცდა და გარკვეული დროით ცხოვრების ფხის გამოჩენის უნარი ჩაუხშოს.

5146. ქვეყანა, რომელიც თავის საბაზრო ღირებულებებს უარყოფს, ფალსიფიცირებულ ნაწარმს უშვებს განწირულია ისტორიის საჯალათო კუნძზე თავის დასადებად.

5147. ისტორიაში თავის შეყოფა ყველას უნდა, მაგრამ თავისი გადასახედიდან და გაუგებარი ამბიციებით.

5148. გადახედავ ისტორიას, მატიანეს, ჩანაწერებს და გაოცებული რჩები, ნუთუ ეს არარაობები, ვიგინდარები მართავენ სახელმწიფოებს, იმპერიებს და მათ ემორჩილებოდა იმდენი ხალხი, მათ შორის, გენიოსებიც, თუმცა დღესაც იგივე ხდება და თუ რატომ, ჩემთვის ახლაც გაუგებარია.

5149. არიან პიროვნებები, რომლებიც ისტორიას არა მარტო წერენ არამედ ქმნიან კიდეც და ხოტბას ასხამენ.

5150. ხშირად გონიერი კაცის დილემაა, ენდოს თუ არა წინაპართა ნათქვამს და დანატოვარს, რადგან ხშირად მატიანე ფაქტებს დროის მოთხობნისამებრ ასწორებს, მაგრამ უამისოდაც არ იქნება, რადგან „პატრიოტიზმი“ ზოგჯერ კრიზის განიცდის.

5151. უხმაურო, წყნარი, მზაკვრული საშუალება, სასიკვდილო შხამით ჩადენილი მკვლელობაა, რომელიც დაუნდობლად მალავს ისტორიისთვის დასმულ კითხვას.

5152. ნიჭიერება რაც ნაკლებად ფიქრობს ისტორიაში მოხვედრაზე, მით მეტი შანსი აქვს იქ დარჩეს.

5153. პირველ რიგში, ერმა თავისი ისტორიული როლი უნდა განჭვრიტოს და მხოლოდ ამის შემდეგ შეეცადოს პრეტენზია განაცხადოს პატრიოტიზმზე, ძლიერებაზე და შემართებაზე.

5154. ბრძენის აზრით, ბრიყვია ის, ვინც ერთსადაიმავე შეცდომას იმეორებს, მაგრამ ადამიანი, ეტყობა, სიბრიყვის კოდითაა დაბადებული. ამის დასტურია ყველა ქვეყნის ისტორია.

5155. სიკვდილი ქვეყნის და ისტორიის საკუთრებად რომ იქცევა, გარდასახვით და ქვეყნის დროებით დატოვებით, მომდევნო თაობები მასზე ლოცულობენ და სიამით გაიხსენებენ

5156. „ნაპოლეონის კომპლექსს“ თუ შიზოფრენია არ ახლავს, პატარა ტანის ხალხს არც შემართება, ამბიციები და თაყვანისმცემლები აკლიათ და ზოგჯერ სახელმწიფოს სათავეშიც წამოსკუპდებიან ისტორიაში ავტოგრაფის დასატოვბლად.

5157. ზოგჯერ დიქტატორთა გამონათქვამებს არ ვეთანხმები, მაგრამ აწმყოს პოლიტიკური ორმოტრილის შემხედვარემ, მზად ვარ გავი-

მეორო – „ბრბო ისტორიის მასალაა, რომელმაც მომავალ თაობათა კეთილდღეობისთვის მიწა უნდა გაპოხოს.“

5158. მყოფადი ყოველთვის მოდის ჩვენი წარსულის და აწმყოს გასარჩევად და ისტორიის სანაგვეში მოსასროლად. ამ პროცესს წინ ვერავინ აღუდგება.

5159. არის ოფიციალური და არაოფიციალური ისტორია, მაგრამ ორივე ცვალებადია იმის მიხედვით, თუ აწმყო ვის პოლიტიკურ „ბაიათს“ ეღადავება.

5160. ისტორია იდეოლოგიური ინსტრუმენტია, რომელსაც ხელისუფლების პოლიტიკა ეჭიდავება და არა – დრო.

5161. აკადემიური ისტორია არ არსებობს, რადგან ყველა აწმყოს თავისი გადასახედიდან ეჩალიჩება.

5162. კაცობრიობის მთელი ისტორიის, მანძილზე მისი მთავარი მამოძრავებელი ძალა, ადამიანი უცვლელი რჩება.

5163. ღირსეულის ადგილს უმთავრესად უღირსნი იკავებენ ხალხის ჩუმი თანხმობით. ისტორიას ამის უამრავი მაგალითები მოეპოვება.

5164. ერი ობლად არ იწოდება, თუ მას გენიოსები ჰყავდა და ისტორიას ჯერ არ დავიწყებია.

5165. ქმედება, რომელიც არაადეკვატურია, იწვევს გაოცებას და განკითხვას ისტორიის მხრიდან.

5166. იბერიულ-კავკასიურ ოჯახებს საერთო ენის გამონახვა უჭირდათ, სანამ საერთო მტერს არ გამოთხრიდნენ, ხოლო საერთო წარმოშობის საძირე რომ ერთი აქვთ, საფრთხის გარეშე ყურად არ იღებენ.

5167. სიმშვიდე, ფუფუნება, უზრუნველობა, გადაგვარების საწყისია, მაგრამ ამის შეცნობას დრო და ისტორიისთვის თვალის გადავლება ჭირდება.

5168. გენერლებიც თავის ტყავში ვერ ეტევიან: ხან მარშლის წოდებას ისაკუთრებენ, ხანაც გენერალისიმუსობაზე გაურბით თვალი, იმის მიუხედავად, ისტორიას უნდა თუ არა მათი დამსახურების ტირაჟირება.

5169. შუმერების გადაშენებას, ისტორიის გარდა, არავინ განიცდის.

5170. ისტორიკოსსა და მემატიანეს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი მოვლენებს მშვიდად, განსჯით უყურებს, მეორე განუსჯელად და უაზადო აღზნებით.

5171. გმირის ბედია უკვდავებაში ბედაურით გაჭენება და ისტორიაში ჭენებ-ჭენებით და ჭიხვინ-ჭიხნივით შესვლა.

5172. ზოგჯერ სხვადასხვა მაქინაციებით, ქრთამის გაღებით, ქვეყნისთვის სასიკეთოდ გარჯა, რომელიც ისტორიის ჩუმი საკუთრებაა, დროთა განმავლობაში შთამომავლობამ უნდა დააფასოს და დავიწყებას არ უნდა მიეცეს, მაგ.: ყოფილი ცეკას მდივნის, გიორგი გეგეშიძის, ქრთამის და პირადი ურთიერთობის დამსახურება თბილისის მოსახლეობის რაოდენობის ხელოვნური გაზრდით რომ აშენდა თბილისის მეტრო, იპოდრომი და სპორტის სასახლე.

5173. ისტორიას დამარცხებული არ უყვარს, თუმცა ყასიდად თანაუგრძნობს, მაგრამ არ ეცოდება.

5174. ისტორიის უმთავრესი საქმე უცნობი კეთილი საქმის ჩამდენის გამოჩხრეკაა და არა – სიავისთვის კუდის გამობმა და წარმოჩენა.

5175. ისტორიას მოვლენათა მოგვირისტებაც შეუძლია, გააჩნია, რა სჭირდება დროს, დღევანდელობას და მის პოლიტიკას.

5176. აღფრთოვანებას იწვევს არა ნიჭი, არამედ განუმეორებლობა (მაკედონელი, ლეონარდო და ვინჩი, ნაპოლეონი, სტალინი და სხვები), რაც ისტორიაში უკანა კარიდან შემოძვრომას ნიშნავს.

5177. ჩვენს მატიანეს თუ გადავხედავთ, მცირე გამონაკლისის გარდა, ქართველი მეფეები, ხან ბიზანტიის კარზე დაყიალობდნენ, ხან – არაბების, მონღოლების, ირანელების, რუსების, მაგრამ გასაერთიანებლად და ერთმანეთის მხარში ამოსადგომად შურიანობის გამო არც ჭკუა ჰყოფნიდათ და არც ქვეყნისადმი სიყვარული, რადგან დამპყრობლებთან ერთმანეთის ჯიბრზე ქედის მოხრა დიპლომატია და სხვისთვის ჯობნა ეგონათ.

5178. ისტორიას ერთი ჭეშმარიტება ახლავს, ნიშნის მოგებისგან განსხვავებით დროის განმეორება და განსჯა, ,,ეს ასე და ისე რომ მომხდარიყო'', შეუძლებელია.

5179. ისტორიაში მოხვედრას თავისი დროის ოქროსფრად აღქმული მატიანის ყოფის ფლანგვა სჭირდება.

5180. მატიანეს არ აინტერესებს იმ მასის ღირსეული წარმომადგენლები, რომლებმაც თავი დასდეს პიროვნებისთვის, რათა ის ისტორიის საკუთრება გამხდარიყო.

5181. ქალები ბადებენ და არა ზრდიან ისტორიისთვის საჭირო მამაკაცებს.

5182. ისტორია საუკუნეებგამოვლილ მემატიანეთა ნაჩალიჩარი ჭეშმარიტებაა.

5183. ყველა ბრძნულ ფრაზას თავისი ადგილი უჭირავს საზოგადოების ისტორია-განვითარებაში.

5184. ყველა ისტორია სისხლით იწერება, ენით მოიბანება და გამოცდილებით იკურნება.

5185. პატრიოტია ის, ვინც თავის ქვეყანას მცდელობით, ქცევით, განათლებით, მოხერხებულობით, წარმოაჩენს და არა – სიტყვების რახარუხით, ისტორიის სათუო ეპიზოდზე დაყრდნობით.

5186. ყველა საუკუნეს თავისი ვირეშმაკობა და გაუგებრობა ახასიათებს.

5187. ყველა დღე ადამიანის ისტორიაა, საერთო რეზიუმეს გაკეთებით და სიცოცხლისკენ სწრაფვით.

5188. სიძველესთან შეხვედრა იმიტომაცაა საინტერესო, რომ ის არ ყბედობს და მასთან საუბარი ძალზე ძნელია.

5189. რატომღაც ბევრი ცდილობს ავტობიოგრაფია ისტორიულად შემოგვასაღოს და წარმოჩნდეს, რადგან სხვა რამ თავის დასამახსოვრებლად არაფერი გააჩნია.

5190. მარადიულობა სიამის გახანგრძლივების წესია, როდესაც დროთა გადაჩხრეკას ცდილობ, რათა მასში შენთვის სათაყვანო და სატრაბახო წინაპარი მოიძიო.

5191. ისტორია სიმართლეს კი არ აღწერს, არამედ დაღვინებულ, დროში გამოვლილ აზრებს, რადგან თავისი დროის ჭეშმარიტების აღწერით თავსაც დაიბნევდა და მომდევნო თაობებსაც ვერავითარ კარგს იმ დროზე ვერ შეასმენდა, რადგან თანამედროვეთა აზრები ძალზე მიკერძოებული და კონიუნქტურულია.

5192. წარსულ საუკუნეთა ბობოქრობას თუ დაუკვირდები, ბევრ ცუდს აღმოაჩენ, თუ არა და – უაზროდ იამაყებ.

5193. ისტორია შედეგს აფასებს და არა – ადამიანთა სიცოცხლეს, შესაძლებლობებს, თვითმყოფადობას.

5194. ისტორიაში უმეტესად დარეხვილები, ამბიციების მქონე ბედის რჩეულნი და არა, წინასწარმეტყველი გონიერები ხვდებიან.

5195. ისტორიაში იდეოლოგიის შეყვანა დაუშვებელია, რადგან ერის რაობა სადაო ხდება და ჭეშმარიტება დაუდგენელი რჩება.

5196. ისტორია განვითარების ბერკეტია, თუ ქვეყნის გადაგვარება გვინდა მისი ყოფილი ხელმძღვანელის ცოდვების მონანიება დავიწყოთ, ხოლო თუ განვითარება, ცუდი უნდა დავივიწყოთ და რაც კარგი გააკეთა, წინ წამოვწიოთ, რადგან თავში ხელების რტყმას და სულის გვემას სიკეთე არასოდეს მოეტანა.

5197. ისტორია საშუალო-შეწონილი არითმეტიკულის გამოყვანის მცდელობაა ფაქტების და იდეოლოგიის შეხამებით.

5198. წარსულ საუკუნეთა გამოცდილებიდან რატომღაც სარგებელს არ ვეძებთ და მისი პოსტულატები ფეხებზე გვკიდია.

5199. ისტორია ხანდახან გენიოსების და ტიტანების ეპოქას გვთავაზობს, უმეტესად კი კარიერისტების და დეგენერატებისას შემოგვაპარებს და ხალხიც ამიტომაა ხშირად ორჭოფულ მდგომარეობაში.

5200. ისტორიას ადგილი ბრიყვი პატრიოტებისთვისაც აქვს შემონახული და გონიერებისთვისაც, გააჩნია, დრო რომელი პატრიოტის გააფეტიშებას ისურვებს.

5201. მაინტერესებს ორჯერ ორის შედეგი და არა ის, თუ როგორ გახდა ტოლობა ოთხი, ან მას როგორ იანგარიშებს ისტორიის პოლიტ-აუქციონი.

5202. თეორიულად კაცობრიობა მიისწრაფის თავისუფლების და დემოკრატიულობის შენებისაკენ, მაგრამ ისტორია ამ მცდელობას ყოველთვის არ ადასტურებს.

5203. ისტორიისთვის ხალხის მოშენება კი არ არის მთავარი, არამედ საზოგადოებაში მომხდარი კატაკლიზმების აღწერა და შეფასება.

5204. ყველა ქვეყნის ისტორია კუმშვადია, ის დროის სამარცხვინო ნაწილს გააქრობს და იმას დაიტოვებს, რაც ქვეყანას და ერს ეამაყება.

5205. ის, ვინც ისტორიაში რჩება, ხელწამოსაკრავი ჩვეულებრივი მოკვდავი არ არის.

5206. ძალაუფალთა უგნურების მიუხედავად, ხალხთა შორის ურთიერთობის აღდგენა ყოველთვის შესაძლებელია, თუ ისტორიულად სასიამოვნოდ გასახსენებელი და სულიერი შეხება გვქონდა.

5207. ისტორიულად ის ქვეყანა იგებს, ვინც პრინციპებს არ ღალატობს და მის დოგმებს შეძლებისდაგვარად გაითავისებს.

5208. მუხლს იქ ვიყრით, სადაც ერის ისტორიული მეხსიერება განისვენებს, ვდღესასწაულობთ, თუკი რაიმე მითის შედეგად ვიღაცის სახელი წარმოჩნდა, ვლოცულობთ იმის წინაშე, ვინც ზემოთ აღნიშნულს უკეთ გვიქადაგებს და ასე თუ ისე ვენდობით.

5209. ისტორიას რომ გადახედავ, მხოლოდ კაცობით ვერც ერთი პიროვნება ვერ გახდებოდა მასში მოხვედრის ღირსი.

5210. ისტორია ექსცესების და შედეგის გარეშე არავის მცდელობას არ აფასებს.

5211. ფოტოხელოვნება რეალური ისტორიის ამსახველი „პაპარაცისაა“, მოწმეც და მატიანეც.

5212. ისტორიას ომს გათავხედებული მედროვე ვიგინდარები უცხადებენ ყოველგვარი ალიბის გარეშე.

5213. ისტორია ზნეობის გაკვეთილებს გვიტარებს, მაგრამ ამ გაკვეთილების და სწავლას რატომღაც საშველი არ ადგება.

5214. ისტორიის სამშენებლო მასალა ყოველთვის იყო ფაქტები, ხოლო სურვილები – მისი განუხორციელებელი არქიტექტურა.

5215. ისტორია იდეალზე, მცდელობაზე, ნაციონალიზმზე აღმოცენებული დანაშაულებრივი მონსტრია, რომლის ოპონირებას სერიოზულად არავინ ცდილობს.

5216. მთავარი მაინც ისტორიაში მოხვედრაა და რა გზით, ამას მნიშვნელობა არ აქვს, რადგან ყველა დროშია გარკვეული ,,მასტის'' ხალხი, რომლებიც გაგიხსენებენ და შენს ადგილს მიგიჩენენ, რომლითაც ისტორიის სოროში, შენი სახელით ფულის კეთებას მოინდომებენ – თუნდაც კინოს გადაიღებენ, რადგან სიკეთის და ბოროტების დაპირისპირების გარეშე ცხოვრება არ გამოდის.

5217. ცოდვის ჩადენა და შემდგომ აღსარება რეკლამას და ისტორიაში ადგილის მოძებნას ემსახურება.

5218. ისტორია მზის გამონათების საათზე მუშაობს და აქაც განგების ნება უნდა დავინახოთ.

5219. ჰეროსტატემ ტაძარი იმიტომ კი არ გადაწვა რომ ისტორიას მისი სახელი შემორჩენოდა, არამედ არქიტექტურული უმსგავსობა გაანადგურა – ასეთ ვერსიაც ხომ აქვს სიცოცხლის უფლება.

5220. პირამიდების მოდამ წარმოაჩინა ფარაონები და ის ხანა როდესაც ისინი მოღვაწეობდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში იმ საუკუნეთა ხსენება არ იქნებოდა ისტორიაში.

5221. მართალია, ისტორიას უნდა გამოვტაცოთ საიდუმლოებანი და ის აწმყოც, რომელიც ყველაფრის მხილველია, მაგრამ ანალიზის გარეშე. რათა ზოგიერთ საკითხზე კითხვები არ დაგვებადოს.

5222. არქეოლოგია ცივილიზაციის ნამსხვრევების შეკოწიწებაა, რათა გარკვეულ პერიოდზე წარმოდგენა ვიქონიოთ, თუმცა დღეს არაფერში გვადგება.

5223. სახელმწიფოების, ხალხების, ბიოგრაფიას თუ გადავხედავთ, ისტორიის გარდა, სხვა არაფერი შეუქმნიათ.

5224. ისტორიას ორიგინალური და გამორჩეული უყვარს, რადგან ისიც დროის გადასახედიდან საუკუნეთა შოუს მოსაწყობადაა მოწოდებული.

5225. კაცობრიობის ისტორია, სიკეთის კეთების მცდელობის და ამბიციების გამომჟღავნების იმიტაციაა.

5226. ისტორია, გათავხედებული თეორიისთვის, დაუმარხავ-გაუსვენებელი მეცნიერებაა.

5227. ისტორია გონიერ ვიგინდარებს, სისხლისმსმელებს, ხშირად გმირებად წარმოგვიჩენს, ხოლო ვინც ქვეყანას არგო და სიკეთე აკეთა ხმაურის გარეშე, დავიწყებისთვის ჰყავს გამზადებული.

5228. წარსულს არ საყვედურობენ, მაგრამ ცდილობენ შეცდომები არ გაიმეორონ და უკეთ იცხოვრონ.

5229. ყოველივეს წყეტს მოვლენები, შემთხვევა და არა გარემოებათა შედეგად ამოტივტივებული პიროვნებები, როგორც ეს ისტორიას ჰგონია.

5230. ისტორიის პრივატიზება შეუძლებელია, რა პოლიტიკურ პოზიციაზეც არ უნდა ვიდგეთ, რადგან მოპირდაპირე მხარეებს თავისი სიმართლე აქვთ კითხვით „ასე რომ არ მომხდარიყო?“.

5231. არის საინტერესო ისტორია, მგზნებარე სიყვარული, ცხოვრებაში გასახსენებელი ელემენტები, რომლებსაც აუცილებელია სასიკეთო გაგრძელება ჰქონდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენს თვალში სამყარო დაპატარავდება და ყოფა გაუფასურდება.

5232. ისტორიას თავის პარადოქსები და მრავალი სათუო-სადავო კითხვა ახლავს, მაგრამ მას უკუსვლა არ აქვს. ჩინგის-ხანი რომ ვინმეს შემთხვევით მოეკლა, ნაპოლეონი რუსეთის არმიის ოფიცერი გამხდარიყო, ჰიტლერი სამხატვრო აკადემიაში მიეღოთ და სხვა მრავალ ამგვარი ტვინის ჭყლეტას მატიანე არ სცნობს.

5233. „დრო ყველაფერს ჩამოგვაწერს“, – ეს არის, სამწუხაროდ, სიბინძურის ხელისშემწყობი და ისტორიაში სახელის დარჩენის მიზეზი.

5234. ფული მამოძრავებელი ძალაა და არა – ისტორიაში დასამკვიდრებელი, რადგან ამ უკანასკნელს დიდი მეცნიერები, მწერლები, მხატვრები, ერისთვის თავდადებული შვილთა სულები შემორჩება და არა – დროის ყივილის შედეგად გათავხედებული ვარსკვლავები.

5235. „ისტანალიზის“ გათავისების მიუხედავად „ჩვენი გონიერებით“ აშენებული ყველა იმპერია დაინგრეოდა, რადგან ცივილიზაციისკენ, ფუფუნებისკენ მისწრაფება იმპერიის შენარჩუნების გარანტიად არ გამოდგება.

5236. ისტორიის გადასახედიდან უამრავი სისულელე აქვთ ჩადენილი ჩვენს წინაპრებს, მაგრამ ჩვენ მაინც მათ გონიერებას და სიკეთის კეთებას ვიხსენებთ, რადგან სალანძღავად ვერ ვიმეტებთ და ამით თავსაც ვიცავთ, წარმომავლობასაც ალიბს ვუმზადებთ და ეროვნულობასაც შეურაცხყოფას არ ვაყენებთ.

5237. ისტორია ინკოგნიტოდ ალბათ ისეთ პიროვნებათა ვინაობასაც ინახავს, რომელთა სახელი ისტორიაში უნდა მოხვედრილიყო,

მაგრამ განგების უყურადღებობას ან გულმავიწყობის გამო ისინი უსახელოდ წავიდნენ ამ ქვეყნიდან.

5238. ისტორია უფრო დიდ პატივს მიაგებს მოაზროვნე „გილიოტინას", ვიდრე კომპრომისების მოყვარულ, სილის გამწნევ, გონიერებას.

5239. დგება დრო, როდესაც ყოველივეს თავისი სახელი უნდა დავარქვათ და სათანადოდ შევაფასოთ რათა ისტორიამ რეაბილიტირება და მონანიება შესძლოს.

5240. პატრიოტიზმი ადამიანის თავისუფლებას ზღუდავს, მაგრამ მის გარეშე ცხოვრება პეწს დაკარგავდა, რადგან პატრიოტიზმი თავისებურად თავის გამოდება, სიყვარულია და შენი ისტორია.

5241. ისტორიის მიერ მითის მოშველიება მისი არაკომპეტეტურობის და შიშის შედეგია, რადგან ქვეყნის წარსულიდან არ გამჟღავნდეს ის, რაც მას ჩირქს სცხებს.

5242. ისტორია თავისებური სასიამოვნო ტანჯვის ხაფანგია, სადაც ჩვენი ფიქრები, ოცნებები, ნატვრა, საჭირბოროტო საკითხების სათავისო გადაჭრას არ გაურბიან.

5243. ზოგჯერ დაფიქრდები ამ დროის მყვირალა დემაგოგები, სულით საჭურისები, როდის გადაბარგდებიან ამქვეყნიდან, რათა ისტორიულ მოვლენებს დაღვინების, წარსულის შეფასების და ახლებურად აღქმის საშუალება მივცეთ, რათა მათი ყბადაღებული ოპონირება ზოგიერთი დანაშაულის და კანონიერების დარღვევის წინ წამოწევით და გლობალური შედეგების უგულებელყოფით გარკვეულ ადამიანთა უფლებების დარღვევის გარეშე, შეუძლებელი გახდეს.

5244. ისტორია შეცნობის, შემეცნების, გარდაქმნის და გადახალისებული ცხოვრების შესწავლის მცდელობაა, რომელიც არც ერთ წინასწარ განსაზღვრულ ჩარჩოში არ ჯდება, რადგან გონიერების კანონებს არ ემორჩილება და ამიტომ მეცნიერებაც არაა.

5245. ისტორია მუდამ ლიბერალიზმის იდეების მქადაგებელია, იმისდამიუხედავად, რომ რეალობაში თავის წარმოსაჩენად არაფერს იძლევა.

5246. ისტორია აქსიომა არაა, რადგან მას უმეტესად გამარჯვებული წერს, ამასთან მრავალი საეჭვო სიმართლე აქვს, ამიტომაცაა რომ ცოტათი ზღაპარს ემსგავსება.

5247. აწმყო ისტორიაში კი არ უნდა დაეხეტებოდეს, არამედ ანალიზის უნარით უნდა დასეირნობდეს განვლილი გზის განსჯით და სამომავლო გეგმებით, რათა წარსულის უგნურების რეციდივი სამუდამოდ დავიწყებას მიეცეს.

5248. ისტორიკოსებს, ისტორიას დილეტანტებს, ,,ისტანალიზს", ერთი ნაკლი ახასიათებთ – ყველა გაშლილ კარტებში იყურება, მაგრამ თამაშის უნარი არ შესწევთ.

5249. არის დამხმარე მეცნიერება – ისტორია, რომელიც რაღაცა კარგს და მისაღებს გვასწავლის, არის საბუნებისმეტყველო მეცნიერება – ასტრონომია, რომელიც საზოგადობას, აფრთხილებს და სიცოცხლის ამაოებაზე აფიქრებს.

5250. ისტორიკოსების გარეშე ისტორია ვერ იარსებებდა, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ ფაქტორს დროის გადასახედიდან აანალიზებენ, ასწორებენ და აწესრიგებენ.

5251. როგორც ყველა მეცნიერება, ისტორია გვასწავლის იმას, რის ცოდნაც გვსიამოვნებს, გონებას გვინათებს და ხან – გვიმღვრევს.

5252. ისტორია აწესრიგებს, აწყნარებს, საზოგადოების ყოფით ალგორითმს, რადგან ირგვლივ უამრავი დარეხვილი და სულით უკმაყოფილო ახვევია.

5253. ისტორია მუდამ ცხოვრებას გვასწავლის, მაგრამ მას ,,მოსწავლეები არ ჰყავს", რადგან ვინც კი ისტორიაში ცხვირი ჩაყო, ყველა მასწავლებლობის ხასიათზეა.

5254. ისტორიაში ხშირად ხალხი იმის შეცნობას ცდილობს, რის შეცნობას შეუძლებელია, მავნეა, არარენტაბელურია.

5255. ისტორია საჭირო ფსევდომეცნიერებაა, რომლის უქონლობა ხალხს აბუნტებს, ასულელებს, საყრდენს აცლის და რწმენას და სახელმწიფოებრიობას აკარგვინებს.

5256. ისტორიის სამართლის ბორბალს მაინც შემთხვევა, დრო, გარემო, აბრუნებს და არა ჭეშმარიტებისკენ მიდრეკილება.

5257. ხშირად ისტორიას არ აინტერესებს ისტორიული ფიგურის შიგთავსი, ის დაინტერესებულია რამდენად სასარგებლოა ამ პირის, გარკვეული დროით, საზოაგდოების წინაშე წარმოჩენა.

5258. ისტორია ლიტერატურიდანაც რაღაც-რაღაცეებს იპარავს და მას თავის აღმოჩენად ასაღებს, რადგან დღევანდელ საზოგადოებას ეს სჭირდება და სიამოვნებს.

5259. ადამიანს აქვს ისტორიული სიმართლის და ჭეშმარიტების დადგენის მოთხოვნა, რომელსაც ბოლომდე ვერასოდეს ჩაწვდება.

5260. სჯობს ისტორია ისევ ისტორიკოსებმა შექმნან, ვიდრე ნაძირალა დილეტანტებმა – საზოგადოებას, ქვეყანას, უფრო იაფი დაუჯდება.

5261. ისტორიული სინამდვილე, ფაქტიურად, ჩვენი ვერსიაა, რომლის ჭეშმარიტებამდე დაფანა შეუძლებელია.

5262. ისტორიის ფაქტების დამახინჯების, მიჩუმათების და ,,ვისი გორისა ხარ''-ის გარეშე პატრიოტიზმი ვერ გაიხარებს და ნაციონალიზმი არ ამოიწვერება.

5263. ისტორიული წარსულის გაფეტიშების და მომავლის გარეშე პატრიოტიზმი არ ინერგება.

5264. ძლიერ მტერს ღირსებით უნდა შეერკინო, ყველა მზაკვრობის გამოყენებით, რათა დაამარცხო, რადგან ისტორია, ხალხი შედეგს იმახსოვრებს და არა – პროცესს.

5265. მედროვეთა გავლენით ისტორიაც ზოგჯერ ყბედობისკენ მიილტვის, მიუხედავად იმისა, რომ გადამჭრელ ნაბიჯებს აფასებს, პიროვნებებს აღმერთებს.

5266. რწმენის, მახსოვრობის, კულტურის, გარეშე ისტორია ვერ იარსებებს. სამწუხაროდ, საგანი, ,,ისტანალიზი'', შექმნილი არ არის. ე.ი. ისტორია როგორც მეცნიერება ფალსიფიცირებულია, ზერელეა და რეალობისთვის გამოუყენებელი.

5267. ხელისუფალი ისტორიამ იმისდამიხედვით უნდა შეაფასოს, თუ რა დროში, გარემოში და საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ უხდებოდა მოღვაწეობა.

5268. ისტორიას უნდა ვაფასებდეთ, ვემადლიერებოდეთ, პატივს უნდა მივაგებდეთ, იმისდამიუხედავად, რა მოსაზრებით არის ფალსიფიცირებული.

5269. ადამიანმა არა მარტო უნდა განიცადოს თავისი დროის, ეპოქის, საუკუნის, გამოცდილება და ჩოჩქოლი, არამედ უნდა შეიცნოს საკუთარი ერის, ქვეყნის, მხარის მეობა, ხალხის სიყვარული და ასე წარმოჩნდეს თავისი ნამოქმედარის, ნიჭის ნაცოხნით, ისტორიაში დასამკვიდრებლად.

5270. ისტორიის ვალია ხალხის განათლება, გაამაყება და არა – კონიუქტურის გათვალისწინებით მათი გაბრიყვება, გასულელება.

5271. ისტორიის მოვალეობაა ხალხის განათლება, მომხდარის ანალიზი, არსებული დროის და გარემოს გათვალისწინებით და არა – მხოლოდ ფაქტების აღწერა, ერისთვის თავის მოქონვა და დღევანდელობისთვის საკმევლის ფრქვევა.

5272. ისტორია კი მეორდება სხვადასხვა დროის საკმაზით, მაგრამ ძველებურად ვერც სახეიროს ვაგემოვნებთ და ვერც ვერაფერს ვსწავლობთ.

5273. ისტორია ყაჩაღების ბუნების მქონე ხალხის მეცნიერებაა, აკვიატებულ იდეებზე მიმაგრებით.

კანონი-კანონგანმსჯელობა

5274. დანაშაულს ჯერ ალტერნატივა უნდა მოვუნახოთ და შემდგომ უნდა ვეძიოთ კანონის და კანონიერების პატივისცემა.

5275. კაცობრიობას თუ სიკეთის გაკეთებას უპირებ, ცუდი არაფერია, მაგრამ პირველ რიგში თავს უნდა არგო და კანონის და კანონიერების ფარგლებში სხვას არ უნდა ავნო.

5276. სასამართლო – ეს არის უკანასკნელი მშვიდობიანი გამოსავალი ორ მოქიშპე ახლო ადამიანს შორის.

5277. სასამართლო ხშირად კატალოგია უხეში გადაწყვეტილებების, მაგრამ მის გარეშე მშვიდობის მიღწევა შეუძლებელია.

5278. სასჯელი აუცილებელია, დასჯა შეფარდებითია, აღსრულება უნდა იყოს სხვადასხვა და ჭკუის სასწავლი.

5279. ზოგჯერ კანონი მიხვედრილობით უნდა განვიხილოთ, რადგან არის გარემოებანი, რომელსაც კანონი ვერ წყვეტს და განსასჯელი ალღოიან ნაფიც მსაჯულებსა და ვექილებს უნდა ვანდოთ.

5280. კანონიერების ნაკრძალმა მაგალითი უნდა მოგვცეს, ყველა სადაო საკითხი უნდა გაარკვიოს და საზოგადოება სწორ გზაზე დააყენოს, მაგრამ მატერიის გარეშე დარჩენილი სამართლიანობა და სიწმინდე არეულ საქმეს ვერ უშველის.

5281. სახელმწიფო ბიზნესს ქველმოქმედებას კი არ უნდა თხოვდეს, არამედ გადასახადების წესიერ გადახდას და კანონმორჩილებას.

5282. კანონი და კანონიერება ყველასთვის ერთნაირია, მაგრამ ღარიბისგან განსხვავებით, მდიდარს სასჯელიც ელაქუცება.

5283. კანონი თუ ქვეყნის სასარგებლოდ მუშაობს, ხალხი მას მიიღებს და თანაუგრძნობს.

5284. კანონი სხვადასხვა, მაგრამ ერთნაირად მაწყინარად იკბინება თუ პატრონი არ გყავს.

5285. გადაწყვეტილებების და აკრძალვების ხშირ-ხშირად გამოყენება ვირეშმაკ ხალხს კანონში და დადგენილებაში საძრომიალო ხვრელების გამოთხრისკენ უბიძგებს.

5286. სახელმწიფოს, პირველ რიგში, მოქალაქის ჯანმრთელობა, აღზრდა, სასიკეთოდ გამოძერწვა უნდა აინტერესებდეს და შემდგომ მათი ქცევის პროფილაქტიკისათვის დამოძღვრილი კანონი და კანონიერება.

5287. აღმოსავლეთში საქმე ყოველთვის მუშტის მოღერებით და პატივისცემის დამსახურებით კეთდება და არა კანონის და კანონიერების შემართებით.

5288. იურისპრუდენცია ხალხს ციხეში არ სვამს, თავის დამჭერია გამოუცდელობა, კანონის არცოდნა, გულწრფელი აღიარება, რომელიც გამომძიებლის და სინდისის კარნახის მეშვეობითაა დაწერილი.

5289. ყველას სამართლიანობა და სამართალი გვაღელვებს, ხოლო შედეგად რა მოყვება, არავის აწუხებს.

5290. ხუშტურების გადამკიდე სიყვარულს, თავისი დროის გაგების, კანონი სჭირდება გამოსაფხიზლებლად და დასაყვავებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში, გაუჭირდება არსებობა.

5291. პოლიციელები იგივე მოთვინიერებული, პატრონიანი, მგლები არიან კანონმდებლობის ჯაჭვით დაბმულნი, რათა მათ თავიანთი გენი, ბუნება არ გამოავლინონ.

5292. კანონი ყველგან და ყოველთვის ღორმუცელობას უნდა არეგულირებდეს და არა პირიქით, თუ გვინდა მოწესრიგებული და ჯანმრთელი თაობა გვყავდეს.

5293. კანიბალიზმი თავის დროზე კანონად იმიტომ ითვლებოდა, რომ ის ყველასთვის მისაღები და გასაგები იყო და მაშინ მას ალტერნატივა არ გააჩნდა.

5294. ახალი კანონის მიღება კოსმოსში ხომალდის გაშვებასავითაა, საკმარისია, ერთი ჭანჭიკი ბოლომდე არ დაუჭიროთ – რაკეტა ან სტარტზე აფეთქდება, ან კოსმოსში დაიწყებს უგზო-უკვალოდ ხეტიალს.

5295. ამბიციებისთვის პასუხისგება კანონმა უნდა განსაჯოს და გონიერებამ განსაზღვროს.

5296. ტრადიციებს მანამ უნდა ვცეთ პატივი, სანამ ის კონფლიქტში არ არის კანონთან, მიუხედავად იმისა, მისაღებია ეს თუ არა.

5297. ზოგჯერ კანონმდებელი ისეთ მოუხერხებელ ფართომოხმარეების კანონს მიიღებს, რომელიც მოგვაგონებს იზოლირებულ 5-ოთახიან ბინას სველი წერტილების გარეშე.

5298. მამაკაცები წერენ კანონებს, მაგრამ ზნე-ჩვეულებას ქალები ქმნიან და ინახავენ.

5299. პოლიციელს უნდა ჰქონდეს ფაქტების მოძიების, ინტუიციის გამოყენების და თანდაყოლილი გეშის შემოწმების უნარი.

5300. სადაც კანონის დარღვევა მომგებიანად ითვლება, ის ქვეყანა კიდევ დიდხანს ვერ იხეირებს.

5301. დაუშინებელი იდიოტები ოპტიმისტურად არიან განწყობილნი, ცხოვრებით დატვირთული პესიმისტების მიმართ, რადგან ძალაუფ-

ლების ვირეშმაკობას და ყოფიერების კანონებს ჯერ ისინი სერიოზულად არ შეხვდრიან.

5302. დანაპირების შეუსრულებლობისთვის ადამიანი სისხლის სამართლის კანონით უნდა დავსაჯოთ, თუ გვინდა მოქალაქე მივიღოთ და არა გაურკვეველი მენტალიტეტის მქონე ვიგინდარა.

5303. ჩვენი კანონები ნახევრადდაორკეცებულია და შედეგად ვერც ძალაუფლებას ვგრძნობთ და ვერც მატერიალურ აფავებას, რადგან შობა–არშობის საკითხი მუდამ სათუოდ გამოიყურება და ეჭვს იწვევს.

5304. ყველა დროს თავის კანონები აქვს და მათ შორის, არაკანონიერიც.

5305. მიუხედავად ისტორიის გამოცდილებისა, არის ცოდვა, რომლის ჩაუდენლობა უფრო დიდი დანაშაული იქნებოდა, ვიდრე ჩადენა, მაგრამ კანონს ამას ვერ მოსთხოვ, რადგან ის დღევანდელობის მენტალიტეტს ემსახურება.

5306. კანონისადმი უყურადღებობა ხელისუფლების უპატივცემლობაა კუბში, თუ ეს უკანასკნელი ,,უკუგორებას'' არ იღებს კვადრატში.

5307. სამართლიანობა თუ კანონის უზენაესობა? პირველის მომხიბვლელობის მიუხედავად, ის სახელმწიფოებრიობას ძირს უთხრის, რადგან მეორესგან განსხვავებით, სამართალი ყველას ჩვენი გვაქვს და მიკერძოებული.

5308. თეორიულად კანონი დემოკრატიულად რთული და სამართლიანი უნდა იყვეს, ხოლო რეალობაში – მარტივი და შედეგიანი.

5309. კანონი ისე უნდა იყოს შედგენილი და დაზღვეული, რომ არავის ჰქონდეს უფლება მას დასცინოს.

5310. მცნებათა პატიოსნებას მაინცდამაინც ნუ დავენდობით, რადგან ყველანი ცოდვის შვილები ვართ და გარემოებათა გამო, სხვის ჯინაზე შესაძლებელია შევცდეთ, ამიტომ ისევ იმ კანონებს უნდა ვენდოთ, რომლებსაც ვერას დავაკლებთ და არც მისი გაცუცურაკების სურვილი დაგვებადება.

5311. როცა კანონი სიკეთეს და წესიერებას ვერ იცავს, ან კანონმდებლობაა უნიათო ან სამართალმდებელია უგვანო.

5312. დასაფიქრებელია ის, რომ გამარჯვებული ყოველთვის მართალია და არა – მისი ბედი, შემთხვევა, რომელიც ყოფიერების კანონების აღრევა–გამოყენებას იწვევს.

5313. სიკვდილმისჯილისთვის უკანასკნელი თხოვნის შესრულება თავისებური ცინიზმია, რომელიც რაღაც ადამინურ პრინციპებს ამოფარებული, კანონის ლმობიერების დამტკიცებას ცდილობს.

5314. ხალხს მოაღორებს და ტაციაობის ხასიათზე აყენებს უნიათო კანონები და ვიგინდარა მთავრობა.

5315. ბოლომდე არც პოლიციას და არც ქურდებს უნდა ვენდოთ, რადგან ისინი სხვადასხვა გვარისანი არიან, მაგრამ საწყისი და ჯილაგი ერთი აქვთ – კაცობა აკლიათ.

5316. სასამართლო თავისებური თვალთმაქცობაა, სადაც მოსარჩლის და მოპასუხის ხარჯზე პროკურორი მთავარ როლს თამაშობს, ხოლო სპექტაკლის ფინალი მოსამართლის ,,აიწონა-დაიწონას" ხასიათზეა დამოკიდებული.

5317. პატიოსნებაზე დაყრდნობილი სისტემა, უპატიოსნებაზე დაყრდნობასთან შედარებით, ყოველთვის ცუდად მუშაობს, რადგან ყბედობა და გულზე ხელის ბაგუნი ერთია, აღსრულება – მეორე, ამიტომაც კანონი უპატიოსნების ალიბზე უნდა იქნეს შედგენილი.

5318. შულერებს, აფერისტებს, ქურდებს და სხვა პროფესიონალ ანტიპოდებს კანონის შესაბამისად, შუბლზე სათანადო საცნობი დამღა დავასვირინგოთ და ისინი დავსაჯოთ, ვინც მათი მცდელობით დაზარალდება, რადგან სათანადო სიფრთხილე ვერ გამოუჩინეს და კანონის გაფრთხილება ყურად არ იღეს.

5319. ხალხის რჩეულ-არჩეულიც იგივე გაიძვერა მამაძაღლია, თუ მას კანონის ძალის მუშტს მოფერებით არ დავანახებთ.

5320. კანონი ისე უნდა მოერგოს საზოგადოებას, რომ მისი დარღვევის შემთხვევაში სხვას დიდად არ ავნოს, გონიერების ამ პრინციპის შესანიშნავი მაგალითია გულმავიწყობის შედეგად დატოვებული წყლით სავსე აბაზანა, რომელსაც ზედა ნაწილში ყოველი შემთხვევისთვის დატოვებული აქვს მოჭარბებული წყლის გასაშვები ხვრელი.

5321. მოხუცებულთა და ბავშვების ცნობისმოყვარეობა ეს არის გამოძიებისთვის დაუფასებელი უფასო მსტოვართა სამსახური.

5322. კანონს კი არ უნდა დავემორჩილოთ, არამედ კანონმა თავისი გარდაუვალობით უნდა დაგვიმორჩილოს, შეგვიჩვიოს, გაგვითავისოს.

5323. ნათურა თუ გადაიწვება, უსიტყვოდ უნდა შევცვალოთ და შემდგომ დავიწყოთ მიზეზის ძებნა: ასე ხშირად რატომ იწვება? ასევე, კანონიც დაუყონებლივ უნდა აღსრულდეს, ხოლო შემდგომ უნდა ვეცადოთ გაუმჯობესება, რათა დანაშაულის პროფილაქტიკას უკეთ ემსახუროს.

5324. პოლიცია მასზე მინდობილ საქმეს უკეთ შეასრულებდა თუ მას ენდობიან, ნორმალურ ხელფასს არ დაამადლიან და კანონი გამონაკლისს არ დაუშვებს.

5325. ჯარიმას სიამოვნებით და სიამაყით უნდა იხდიდე, რადგან შენ გემსახურებიან პროფესიონალი პოლიციელები, რომლებიც შენი ავ-ტოტრანსპორტის უსაფრთხო გადაადგილებაზე ზრუნავენ.

5326. ხელისუფლებაში მოსვლამდე ცდილობენ დადგენილი კანონე-ბის თავის სასარგებლოდ შეცვლა-გაუქმებას, ხოლო როდესაც თავისას გაინაღდებენ, შემდგომ გვმოძღვრავენ დაწუნებული კანონის აღსასრუ-ლებლად.

5327. კანონი ძალადობა არ არის, არც თავისუფალი ქცევის ნორ-მების შეზღუდვა – უკანონობა, ხოლო მათ შორის კონსესუსის ძებნა და მორჩილება საშვია იმ საზოგადოებაში სადაც შენ გიწევს ცხოვრება.

5328. დასახული მიზნის მიუხედავად, კანონიდან გადახვევა დანაშა-ულია, რადგან საზოგადოებას უწესრიგობისკენ, რომელსაც გამონაკ-ლისი ჰქვია, მიდრეკილება უჩნდება.

5329. პროკურატურა ის ორგანიზაცია არ არის, მუქთად ვაზნები გახარჯოს, სასამართლომ ტყვიები ააცდინოს, ხოლო ვექილმა მისთვის საჭირო კანონის შეღავათების ფუჭი ვაზნებით მოამარაგოს.

5330. კანონმდებლობის უპატივცემულობა – „გაპეტუხებაა", როდე-საც პოლიტიკური ჩარჩობის მიზნით ლმობიერ კანონს იღებენ მაშინ, როდესაც საზოგადოება ამისთვის მზად არ არის და ორი წლის შემდეგ უშედეგოდ შერბილებულ კანონებს კვლავ ამკაცრებენ. ავიღოთ თუნდაც ნასვამი მძღოლები, რომლებსაც აჯარიმებენ, იმის ნაცვლად, რომ ძველი კანონმდებლობის თანახმად ორი წლის მართვის უფლება ჩამოერთმიათ.

5331. კანონი რწმენის და ღმერთის საქმეში ცხვირის ჩაყოფას ერიდება, თუ ამის საშუალებას თავად მოწრმუნენი მისცემენ და რწმე-ნის სპეკულაციით ფულის შოვნას და ხელის მოთბობას არ დაიწყებენ.

5332. თავის დროზე უცხოეთიდან კონტრაბანდის გზით შემოტა-ნილმა წამალმა. ჩემი სიცოცხლე იხსნა. ასე, რომ კანონის დარღვევა ყოველთვის სიავის და დანაშაულის მომასწავებელი არ არის, განსაკუთ-რებით მაშინ, თუ ქვეყანას უპასუხისმგებლო, უგერგილო მთავრობა უდგას სათავეში.

5333. სიფარულის მსხვერპლი ქალი და მისი თავმოფარეობა ფე-ლაზე მეტად გასამართლებელი ალიბია კანონების წინაშე.

5334. კანონი უფრო მეტად წინდახედულ ხალხს აინტერესებთ და არა – პირიქით, იმით, რომელთაც შანსი აქვთ მასთან შეხვედრისა.

5335. ავისმკეთებელზე მეტად დაზარალებულები არიან დასასჯელე-ბი, თუნდაც იმიტომ, რომ ისინი მეტნი არიან და ისეთი კანონის მიღება და სამართლიანობის დამყარება ვერ მოახერხეს, რომ მათთვის ავისკეთება ვერ გაებედათ.

5336. ბიუროკრატიასთან ჩახუტებული ბრიყვი კანონის მოხერხებულად დარღვევა გადაცდენაა და არა – დანაშაული.

5337. კანონი რატომღაც ცუდად შემნახავს არ სჯის და მთელი სიმკაცრე კარგად ამღებზე გადააქვს.

5338. არის დანაშაულთა სისტემა, რომელიც მთავრობის დონეზე თუ არ გადაწყდა, ამასთან კანონით ბრძოლა ვალის მოხდას დაემსგავსება და კანონი გაილანძღება. მაგალითად, ოჯახს სჭირდება წელიწადში ოცი კუბური მეტრი შეშა, სამს ვაძლევთ. ამ დონის სხვა საწვავის გამოყენების არც ტრადიცია აქვს და არც საშუალება.

5339. ცოდვა, გადაცდენა, დროებითია, კანონი კი, მუდმივია და განუსჯელი.

5340. პოლიცია სახელმწიფოს „რეკეტია", რომელიც თავის წარმოსაჩენად და დავალების შესასრულებლად ხანდახან ბანდიტებთან, ნარკომანებთან ერთად მექრთამეებს იჭერს, რათა „მეც ნახირ-ნახირ და არ შეედაონ".

5341. როდესაც ერთი ვიგინდარას სანაცვლოდ მეორე ისჯება, ხოლო რეალობაში ორივე დასასჯელია, კანონის წინაშე დანაშაულია, მაგრამ ექსტრემალურ სიტუაციაში კანონის ფეხდაფეხ მიყოლა ქვეყანას გადააგვარებს, ანგრევს. ნიკოლოზ II-ს მოხერხებულად მკაცრი რეპრესიები რომ ჩაეტარებინა, რევოლუცია შესაძლებელი არ გახდებოდა. მაგ. რევოლუციურ საქმიანობაში შემჩნეულისთვის შუბლზე დამღა დაესვა და მათთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე დაესახლებინა და ეთქვა, აქ დაამტკიცეთ თქვენი იდეების სისწორე, შესაძლებლობაო.

5342. მისასჯელი წლების ოდენობას დაადგენს მოსამართლის, მსაჯულთა, პროკურორის, ვექილის, მოსარჩლის და მოპასუხის პაექრობა და საზოგადოებრივი აზრი, რომელსაც შეცოდებისკენ მივყვართ, მაგრამ კანონს და კანონიერებას ამის უფლება არ აქვს.

5343. ზოგს ჰგონია საქმის გარჩევა არა კანონით, არამედ ნამუსით ჯობს, მაგრამ ცდება, რადგან კანონი ყოვლისმომცველია, ხოლო ნამუსი კანონიერების მოკლე ჩართვაა ვიღაცის და რაღაცის მცდელობის შესატყვისად.

5344. საოცარია, მაგრამ ვერც ერთი დღესასწაული პოლიციის ყურადღების გარეშე თავს იმედიანად და თავისუფლად ვერ გრძნობს – ასეთია ადამიანის ბუნება.

5345. აფექტში აღსრულებული სამართალი, ყოველთვის სამართლიანად, კანონიერად, ვერ ჩაითვლება.

5346. სამართალმა, რომელსაც ცალი თვალი გახელილი აქვს, ზოგჯერ შეიძლება სწორადაც განსაჯოს, მაგრამ სამართლიანი და კანონიერი არ იქნება.

5347. კანონს და დანაშაულს სიძველე ახასიათებს, მაგრამ არა – დავიწყება.

5348. თუ გვინდა კანონმა იკანონოს, მას განუხრელად უნდა ემორჩილებოდეს ხელისუფლება, პოლიტიკა და თავად კანონიც.

5349. „ორი იურისტი სამი აზრი“ – კანონი იმდაგვარად ამომწურავი და დახვეწილი უნდა იყოს, რომ იურისტების აზრი ერთ ჭეშმარიტებისმაგვარ კანონმდებლობაზე დავიდეს.

5350. თუ ფაქტი, კანონი, თქვენს საწინააღმდეგოდ ქადაგებს და თქვენ ალიბის წარდგენა არ შეგიძლიათ, მაშინ ეცადეთ საქმე მისახვედრად, შესმენით გადაწყდეს, რათა გარდაუვალი სასჯელი შეიმსუბუქოთ ან გაკიცხვა-დაჯარიმებით გადაწყდეს.

5351. ხანდახან დემოკრატიულად აღქმულ კანონში ისეთი დაყოვნებული მოქმედების ყუმბარაა ჩადებული, რომ ბევრი დიქტატორის მიერ შემოთავაზებულ კანონს უჯოკრავს.

5352. კანონით განსჯას, სინდის-ნამუსის პოზიციიდან დასჯა ჯობს, მაგრამ უხიაგი ბუნების მქონენი ამას ვერ გაიგებენა.

5353. თუ კანონი დუმს და სინდისი მიძინებულია, მაშინ ღირსებას უნდა მოვუხმოთ და ეროვნულობა წინ წამოვწიოთ, ხოლო თუკი ისიც მივიწყებულია, ქვეყანა ლეთარგიულ ძილშია და ჯობს დროზე აიბარგოთ, რადგან მისი გამოღვიძება განუსაზღვრელ ძალისხმევას მოითხოვს და განგების ნების გარეშე არ მოხერხდება.

5354. მარტო ფაქტებზე, გრძნობებზე დაყრდნობით სამართლი ვერ იზეიმებს, მაგრამ განსჯის საწყისი კანონმდებლობისთვის უკვე ჩადებულია.

5355. თუ კანონს ძალა არ შესწევს, დანაშაულის პროფილაქტიკას არ ეწევა, ეს მის უვარგისობაზე მიუთითებს და ხელისფლების უსუსურობაზე, ხოლო ხალხს სათანადოდ არ გასჭირვებია, რომ კანონის დაცვა და უზენაესობა ბუნტით მოითხოვოს.

5356. გარკვევით, მკაფიოდ, უნდა ჩამოყალიბდეს ქონების გადანაწილების კანონი, რადგან საყოფაცხოვრებო დანაშაულის ლომის წილი ამ კანონში საძრომიალოს არსებობის გამო ხდება.

5357. ხშირად მოსამართლე და მისი სამართალი იმ ბოკვერის როლში გვევლინება, რომლის კარიერა ტელეფონის ზარზე და მოგებულ დივიდენდებზეა დამყარებული.

5358. ჩვენ რუსებს ფულის გადაღუნვაში მანამდე ვჯობნიდით, მანამ კანონს ვეთამაშებოდით, ხოლო ისინი მისი შიშით და რიდით ცხოვრობდნენ.

5359. სამართლიანობა მაშინ ზეიმობს, როდესაც კანონი ყველასთვის ერთნაირად აღსრულდება, შედეგის მიუხედავად.

5360. სახელმწიფო წყობისთვის უმთავრესია არა სამართლიანობა, არამედ რამდენად მორგებული და საყოველთაოა კანონი, რადგან სამართალი ბევრია, ხოლო კანონი ერთია.

5361. კანონს უნდა ქმნიდეს გადაგვარებული ბუნების მქონე ცხოვრების, მცოდნე ხალხი და არა – განათლებული დილეტანტები, რომელთათვის მთავარია – რას იტყვიან კოლეგები.

5362. ალტერნატიული კანონები, მათ შორის, დღევანდელობისთვის შეუფერებელიც, ძირითადად სჭირდება წესიერ და გამოუცდელ ხალხს, ხოლო ის ვინც გაიძვერაა და კანონების ხუშტურებს კარგად იცნობს, საქმეს სამსჯავროამდე არ მიიყვანს და წინასწარ მოუვლის.

5363. კანონი ფულის წინაშე ხშირად მორცხვობს, იბნევა, რადგან არსებობს მესამე „ცხოვრება", სადაც შანსის გაშვება სინდისის წინაშეც კი დანაშაულია.

5364. კანონისთვის უმთავრესი უნდა იყოს რამდენად სასარგებლოა და არა რამდენად სამართლიანი.

5365. სამწუხაროდ, კონსტიტუციია ბწკარედებით არ იქმნება და არც სახელმწიფო იმართება, რადგან მთავრობას სტრიქონებს შორის თავისი ჭკუით გააზრებული კანონები უფრო მოსწონს ქვეყნის სამართავად.

5366. კანონი თეორიულად შეიძლება ჩვენ ცხოვრებისეულ „მეს" ეწინააღმდეგებოდეს, მაგრამ შინაგანად მას მხარს უჭერდეს – ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე.

5367. კანონი წამალივით უნდა იყოს, მისი დალევა უნდა ეზარებოდეთ, მაგრამ მკურნალობის აუცილებლობას უნდა გრძნობდნენ.

5368. ქალის სიყვარული მამაკაცისათვის კანონი უნდა იყოს, ხოლო კაცის სურვილი მდედრისთვის ხშირად კანონის მუხლის მოძიებით მთავრდება.

5369. კანონი ყრუ, ბრმა, უგრძნობი არ უნდა იყოს, ის ყოველმხრივ უნდა მეტყველებდეს.

5370. სამართლიანობა ყოველთვის არ ემთხვევა კანონიერებას, ხოლო კანონი – სამართალს, რადგან პირველი გაყენებული ცნებაა, ხოლო მეორე სიცოცხლის შემცველი ყოფაა.

5371. სხვისი ინტერესების გათვალისწინება, გაანალიზება, გულთან მიტანა და საკუთარი ინტერესების დაცვა, წარმატებისაკენ გზების მოძიება – ეს არის კანონისა და კანონიერებისათვის პატივის მიგება.

5372. თუ კანონს ერთი კაცი არღვევს, დანაშაულია. თუ ათეულობით – ხულიგნობა, თუ ასეულობით ქუჩაში გამოდიან – დემონსტრა-

ცია, თუ ათასები არღვევენ კანონს და თავის წინამძღოლებიც ჰყავთ „დე ფაქტო“ ხელისუფლებაა, ქვეყნის კონსტიტუცია და კანონი ფეხქვეშ ითელება და ქვეყანა ინგრევა. ეს გარემოება არავის აწუხებს, „ოღონდ ნუ იქნება ბუნტი“ და ყოველივე თავად მოგვარდება.

5373. ყველა ქვეყანაში, მოძრაობის წესების მსგავსად, ერთნაირი კანონები უნდა მოქმედებდეს, მიუხედავად იმისა, სასჯელი მკაცრი იქნება თუ ლმობიერი.

5374. დანაშაულია, როდესაც დამნაშავე არ ისჯება და მსჯავრი ძლიერს გამოაქვს, ხოლო სხვები ამას ტაშისკვრით აღნიშნავენ ან თავს იყრუებენ.

5375. პოლიციაში სამუშაოდ ძირითადად თავქარიანი, უგვანო და გამორჩენის მოსურნენი მიდიან ზოგიერთი ამ საქმისათვის დაბადებული ბედნიერის გარდა.

5376. მორალი კანონზე ფართეა, მაგრამ არავითარი უფლება არ აქვს კანონს არ დაემორჩილოს და პატივი არ მიაგოს.

5377. კანონს დაცინვა და მასხრად აგდება არც უნდა ვაკადროთ და არც არავის შევარჩინოთ.

5378. კანონის და კანონიერების ურთიერთპატივისცემა და გაგება, პირველ რიგში ქვეყნის ინტერესების და ხალხის მცდელობის დასაკვალიანებლად გამოიყენება.

5379. ადამიანის უფლებების ქარტიას და სოციალური პასუხისმგებლობის მხარდაჭერას, კანონის ზურგის გარეშე, არაფერი სახეირო ქვეყნისთვის არ მოუტანია.

5380. დაუმსახურებელი თავისუფლება და დამსახურებული დაუსჯელობა ადამიანს ათავხედებს და კანონის პატივისცემას ავიწყებს.

5381. სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონებს შორის ის სხვაობაა, რომ მოსამართლეს პირველ შემთხვევაში მოსარჩლისა და მოპასუხის მორიგება შეუძლია, ხოლო მეორეში – ეს უადგილოა.

5382. სასჯელის შეცვლა ნებაყოფლობითი გაროზგვით და მისი კანონმდებლობაში შემოღება, იმითაც არის გამართლებული, რომ ზოგჯერ „სახელი“, „წრე“, „ტრადიცია“ გაიძულებს მას ემსახურო რაც არ მოგწონს, ხოლო როზგზე დათანხმება, არჩევანის უფლებას უტოვებს კანონმდებლობას, წინასწარ განსაზღვროს მოპასუხე წაღმა გზით ივლის თუ უკუღმა.

5383. კანონი უპირველესად ქვეყნისთვის საკეთილდღეო უნდა იყოს და შემდგომ – სამართლიანი, რადგან პოლიტიკის წინამორბედ ეკონომიკაზეა დამოკიდებული მისი ცხოვრების ავ-კარგი.

5384. სასამართლო თავისებური ინსტიტუტია, სანთელ-საკმეველმა რომ სიმართლე არ დაკარგოს – ამ მისიას ემსახურება.

5385. კანონი მაშინ ყოჩაღობს, თუ ის მასში ძრომიალის, დაპირისპირების, სურვილს არ აღგიძრავს და ხმის ამოუღებლად ყველა მის ნებას ასრულებს.

5386. პოლიციასა და ბანდიტებს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი ხანდახან სიმართლისთვის თავს გამოიღებს, ხოლო მეორე სამართლიანობის გაგების დემაგოგიას ეწევა.

5387. პირველი დანაშაული კი არ უნდა დაისაჯოს მკაცრად, არამედ რეციდივისკენ მიდრეკილება.

5388. კანონის ლიბერალიზაციაზე ფიქრი მაშინ შეიძლება, თუ კანონი და კანონიერება ურთიერთკავშირშია.

5389. კანონი ბრიყვულია, თუ მისი მოთარგმნა მოსარჩლე-მოპასუხეს თავიანთ სასარგებლოდ შეუძლიათ, ხოლო განაჩინის ბედი პროკურორის, ვექილის და მოსამართლის სურვილზეა დამოკიდებული და არა – კანონის უზენაესობაზე.

5390. სისხლის სამართლის კოდექსით დანაშაული არ იკურნება, მისი უმთავრესი წამალი ეკონომიკა და წესრიგია.

5391. გილიოტინაში თავგაყრილს, კანონისაგან განსხვავებით ვარცხნილობა არ უნდა აწუხებდეს, მაგრამ კანონის მოთხოვნა დაცული უნდა იქნეს.

5392. მოსამართლის იზოლირება ხელისუფლების ნებისგან, ტელეფონის უფლებისაგან და ზოგჯერ ფულისგანაც, თითქმის შეუძლებელია.

5393. კანონი იმისდამიხედვით კი არ უნდა მივიღოთ, ხალხის გარკვეულ ფენას მოსწონს თუ არა, არამედ რამდენადაა საჭირო დღევანდელი საზოგადოების ცხოვრების მოსაგვარებლად, ქმედებათა მოსაწესრიგებლად და რამდენად ემთხვევა მისი გამოცხობა ქვეყნის ინტერესებს.

5394. კანონი და კანონიერების საჭიროება ზოგჯერ ერთად ვერ ძოვენ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ კანონიერებას პატივი არ ვცეთ და მისი ინტერესები მომავალში არ გავითვალისწინოთ.

5395. მოქალაქისთვის ყველაზე ძნელი ასატანია სახელმწიფოს მართვის და ქვეყნის კანონების უვარგისობა, რადგან კანონიც არ კანონობს და არც ადამიანი ხდება უკეთესი.

5396. სადაც კანონი და კანონიერება სამართლიანია, აღსრულებადია, იქ ძალაუფლებით აღჭურვილი პიროვნების როლი უმნიშვნელოა.

5397. ქმედება, რომელიც შინაგან სიამაყეს იწვევს, მისი კანონისგან მსჯავრის გამოტანას კი, მაგრამ სასჯელის მოხდას არ იმსახურებს.

5398. დანაშაულთა სისტემასა და დამნაშავესთან ბრძოლა ერთიდაიგივე არ არის, რადგან პირველი შემართებას, ცოდნას, დაფინანსებას, მოითხოვს, მეორე კი – შესრულებას და ალიბს.

5399. სისხლის სამართლის დამნაშავე, პირველ რიგში, ადამიანია და შემდეგ მსჯავრდებული. ამ პოსტულატის დავიწყება ბუნტს იწვევს და მოსარჩლე სახელმწიფოსთვის და მოპასუხე პატიმრისთვის არასასურველი შედეგით მთავრდება.

5400. სასამართლო კულტურა გვაიძულებს ხალხის განწყობა გამოვხატოთ, კანონიერებით განსჯის შემოქმედება წარმოვაჩინოთ.

5401. ზოგიერთი ვიგინდარას მიერ ძალაუფლების გამოყენებას რომ უყურებ, სინანული გიპყრობს, რომ მისი დასჯა თავის დროზე კანონის გამოყენებით მოხდება და არა – ,,გაგებით", რადგან მისი ცინიკური დანაშაულის მიმართ კანონი ნაბიჭვრად გამოიყურება.

5402. როდესაც ამდენ საძრომიალოს ხედავ კანონში, შენდაუნებლიეთ გებადება ეჭვი, რომ სახელმწიფოს კრიმინალები მართავენ.

5403. დასჯა სიფარულით უნდა მოხდეს და არა – სიძულვილით, თუ გინდა შედეგი გამოიღოს.

5404. სასჯელი უფრო ეფექტური გამოვიდოდა, მოსარჩლის და მოპასუხის პროპორციული დასჯა ერთდროულად რომ შეიძლებოდეს.

5405. ზოგჯერ კანონის დარღვევას დივიდენდები ტრადიციების სასარგებლოდ მოაქვს.

5406. ჩვენი ,,მაძებრები" ისე რომ მუშაობდნენ, როგორც დეტექტივებშია აღწერილი, დიდი ხანია არც ქურდი გვეყოლებოდა და არც – თაღლითი.

5407. ქვეყნის კონსტიტუცია უნდა დაიწეროს მოკლედ, გასაგებად და მასში საძრომიალოს და ვნების ელემენტების გარეშე.

5408. ლიბერალისთვის ათი მცნება ათი წინააღმდეგობაა, კონსერვატორისთვის ათივე მარლთმსაჯულების კანონია.

5409. კანონი ყველასთვის ერთია, მაგრამ პატრონიან და ფულიან ხალხს უფრო მოკრძალებით ეპყრობა.

5410. კანონის ცოდნა, პატივისცემა, პროფილაქტიკაა და არა არ-ცოდნა რომელიც მისგან შორს გვამყოფებს.

5411. ლმობიერი კანონები, მკაცრისგან განსხვავებით, მორჩილებას, პატივისცემას, არ იწვევს.

5412. უგნური დამოკიდებულებაა კანონთან, როდესაც იმის მითვისებას ცდილობენ, რისი მიტაცებაც არ შეიძლება.

5413. ყველა კანონი და კანონიერება ოპტიმიზმზეა აგებული, მიუხედავად სტატისტიკის შემოტევისა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველაფერი

გაუფასურდებოდა, რადგან ადამიანის გამოსწორების ოცნება მადლს დაკარგავდა.

5414. ქვეყანა მოხერხებული კანონების უზენაესობით უნდა იმართოს, ყოველგვარი გონიერების და გამონაკლისის გარეშე.

5415. სიკვდილის დასჯასა და შურისძიებას შორის ის სხვაობაა, რომ პირველი ერთი დანაშაულის მეორის ჩადენით გამოსწორებას ცდილობს, ხოლო მეორე – ტრადიციების დაცვა და საფასურის გადახდაა.

5416. „ვაჭრობას", რომელსაც გამომძიებელი ეჭვმიტანილთან ეწევა, ბევრ ბიზნესში დაკავებულს შეშურდებოდა.

5417. დამნაშავეთა მოძალება მაშინ შემცირდება, როცა მათი ქმედება წამგებიანი იქნება, მიყენებულ ზარალს მთელი სიცოცხლე თავადაც გადაიხდის და მისი შთამომავალიც.

5418. ტყუილს შეიძლება სიმართლე მოელაპარაკოს რაღაც კონსესუსის მისაღწევად, მაგრამ ჭეშმარიტებას ვერასოდეს.

5419. ხელისუფლება კანონით იმგვარად უნდა ძალადობდეს, რომ შედეგით, საბოლოოდ, კმაყოფილი დარჩე.

5420. პროკურატურის დანიშნულებაა მარად იქ იყოს, საადც არავინ ელოდება და არც ვინმეს გულზე ახატია.

5421. ეჭვმიტანილის ყველა პასუხზე, მოსამართლესს სხვადასხვა აზრი უნდა აეკვიატოს, რათა სამართლიანობას „ცხვირი არ მოხოცოს".

5422. კანონის ქმედება კანონიერია, მაგრამ ზოგჯერ სამართლიანობას ეჭიდავება და ისიც „კანონიერების" ფარგლბში.

5423. კანონის და კანონიერების არსი ისაა, რომ მან არა მარტო უნდა დასაჯოს პოტენციური მოპასუხე, არამედ ჭკუაც უნდა ასწავლოს, მკაცრადაც უნდა გააფრთხილოს, რათა დანაშაული არ ჩაიდინოს და მოქალაქის რეალურ ინტერესებს ზარალი არ მიადგეს.

5424. შეიძლება კანონიერების წინაშე ჩვენ მართლები ვიყოთ, მაგრამ კანონი იყოს ჩვენდამი უსამართლო. თუ ეს გადახრა ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარეობს, რომელშიც ადამიანის არაევოლუციური აღზრდა და მისი ძლიერების შესანარჩუნებელი პროფილაქტიკაც დევს, შეიძლება ეს ცოდვა დროებით გავუგოთ და შევუნდოთ.

5425. მოთვინიერებული მართლმსაჯულება არავის სჭირდება, მაგრამ მოუფიქრებელს და გაავებულს გვირჩევნია, რადგან „მსხვერპლია" ნაკლები.

5426. ხელისუფლება კარგად გაწვრთნილი ნაგაზი უნდა იყოს, ხოლო სასამართლო მისგან მოქალაქეთა უსაფრთხოების დაცვის გარანტი.

5427. ნორმალურ სახელმწიფოში მოქალაქეს იცავს კანონი, სასამართლო და არა ხელისუფალი ან ხალხის ნება-სურვილი.

5428. კანონმდებლობა შორსმჭვრეტელ კანონებს უნდა ქმნიდეს, რადგან ის ვალდებულია ყველა გარემოში ბოლო მოუღოს უკანონობას.

5429. მთავარია კანონს სიბრიყვის ნიშნები, ცხოვრების გამოუცდელობა და ადამიანის ბუნების უცოდინრობა არ შეეპაროს, სხვა შემთხვევაში ის მისაღებია და იმუშავებს.

5430. კანონის სიბრიყვის გარდა, სხვა ყველა სიბრიყვე ასატანია.

5431. რწმენა და კანონი სხვადასხვა ცნებაა, მაგრამ ერთმანეთს მხარი უნდა დაუჭირონ და გულწრფელად ესაუბრონ.

5432. კანონს თაღლითების და თავხედობის მოფერების და „ვერ ვხედავ"-ის უფლება არ უნდა მივცეთ.

5433. სიმართლე და სამართალი სხვადასხვა რამაა, მაგრამ ერთად იურისპრუდენციაა, კანონიც და ქვეყნის სამართალიც.

5434. კანონის გადამეტებული პატივისცემა-მორჩილება, რაღაცის რწმენა და ღვთისმორჩილებაც თავისებური გართობა და სულის დამწყნარებელი შოუა.

5435. კანონის კანონიერებაც ძალას, დაფინანსებას, რწმენას, მოთხოვნას, რადგან ამათ გარეშე ის მექრთამეობის და პატივის აყრისათვის არის განწყობილი.

5436. პოლიციელი მეძებრის ჯიშის უნდა დაიბადოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, იმ ქოფაკს დაემსგავსება, რომელიც იცავს საზოგადოების უსაფრთხოებას, მაგრამ მიზეზი არ იცის და მიზანი არ აქვს.

5437. კანონისთვის ის კი არის მთავარი, თუ რამდენად სამართლიანია, არამედ როგორ ემსახურება ქვეყნის ძლიერებას, მოსახლეობის კეთილდღეობას და ხალხის გონივრულ დასაქმებას ტექნიკური პროგრესის გათვალისწინებით.

5438. სამართლიანობა კანონს უნდა დავუმორჩილოთ, პირველის უპირატესობა რაც უნდა მიმზიდველი იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელმწიფოებრიობაზე ხელი უნდა ავიღოთ.

5439. უფლება კანონის მუხლის მიყენების და კანონის გამოყენებისა სხვადასხვა და მათი აღრევა ძალზე საშიშია, რადგან პირველისგან განსხვავებით მეორე ზოგჯერ თავის წარმოჩენა და მოჩვენებითობა ახასიათებს.

5440. გამონაკლისი ყოფნის წესად იქცევა და კანონზე მაღლა დადგება თუ ვინმე მას წესად გაიხდის და გაითავისებს. შემდგომში მისი კანონიერების ჩარჩოში დაბრუნება ძალის გამოყენებას მოგვთხოვს.

5441. კანონის სამართლიან ზომიერებას არაფერი სჯობს, რადგან აქ ერთ ტაფაში იწვის კანონის შემთხვევითი დამრღვევიც და პროფესიო-

ნალი დამნაშავეც, მიუხედავად იმისა, რომ მათი სასჯელი სხვადასხვა მუხლს ითვალისწინებს.

5442. ცივილიზაცია გვაიძულებს ზოგჯერ ხელი ავიღოთ კაცობრიობის მიღწევებზე და სამართლიანობის მომიზეზებით, კანონის წინაშე უსამართლობის შეწყარება, შენდობა და მონანიებაც შეიძლება.

5443. რადგან კანონს დედამიწაზე წერენ და არა – ზეცაში, მისი ფულით შეცვლაც შეიძლება.

5444. არის დანაშაული, არის მისი ჩადენის გარდაუვალობა და აქ კანონი აღზრდასა და ტრადიციებთან ვერას გახდება.

5445. მთავარი თანასწორობა კი არ არის ადამიანთა შორის, რომელიც არასოდეს დამყარებდა, არამედ თანასწორუფლებიანობა კანონისა და კანონიერების წინაშე, რომელიც შესაძლებელია, თუ საზოგადოება მოინდომებს.

5446. სამართალი ყოველთვის იმის მხარეს იყო და არის, ვინც ძლიერია, ეშმაკი, მოხერხებული ვირიშვილია, სანამ ფეხს არ წაიყუჩს.

5447. ზოგი კანონის ,,უძლურების'' გამო, შენთვის მისაღებმა სამართლიანობამ რომ იზეიმოს, ეს მისი გვერდის ავლით უნდა მოხდეს. ზოგჯერ შეიძლება ეს უფრო სამართლიანი იყოს, ვიდრე კანონის უზენაესობა.

5448. ადამიანი სასჯელს იხდის იმ მიზნით, რომ კანონმორჩილი გახდეს.

5449. კანონს მორჩილება თუ არა, პატივისცემა, მორიდება და ანგარიშის გაწევა სჭირდება, მიუხედავად იმისა, რომ ყველას ჩვენი სიმართლე და სამართალი გვაქვს.

5450. არის დაწერილი და დაუწერელი კანონი, რომელიც თითქოს ქვეყნის ინტერესებს იცავს, მაგრამ ეს განუვითარებელი ქვეყნების პრეროგატივაა, თუნდაც იმიტომ, რომ კანონს, კანონიერებას და სახელმწიფოებრიობას საეჭვოს ხდის.

5451. ზოგიერთი ქვეყნის მთავრობა მანამ ცვლის კანონმდებლობას სანამ საკუთარ მოგებას არ ნახავს.

5452. მოგება, რომელიც კანონს არღვევს, ბიზნესი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობამდე მიჰყავს, ხოლო კანონი, რომელიც მწარმოებელს აიძულებს ის დაარღვიოს დანაშაულია ქვეყნისთვის.

5453. იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები კანონებს და მის უზენაესობას სწავლობენ, ხოლო ადმინისიტრაციულ ორგანოებში და თანამდებობაზე მოხვედრისას მათ მოხერხებულად დარღვევას ითვისებენ, იმგვარად, რომ ალიბიც ჰქონდეთ და თავისი ,,სამართალი'' კანონს მოარგონ.

5454. გადაწყვეტილება, კანონი, ხშირად ბევრს ხმაურობს მაგრამ რომ ყოველთვის აღსრულდება, სიმართლეს მოემსახურება, გარანტია არ არსებობს.

5455. დროა შემოვიდეს კანონმდებლობაში ცნება „ბიუჯეტის მტერი" იმათ მიმართ, ვინც არ მუშაობს არ ფიქრობს და არც სურს, რადგან საზოგადოებამ ვიღაცა მუქთად არჩინოს, არც ერთი ქვეყნის კონსტიტუციაში არ წერია.

5456. კანონი და კანონიერება ბუნებიდან უნდა იღებდეს სათავეს, მხოლოდ ამის შემდგომ უნდა ითვალისწინებდეს საზოგადოების, წყობის და ქვეყნის ეკონომიკის შესაძლებლობებს.

5457. კანონი და სიმართლისადმი დამორჩილება დამოკიდებულია იმაზე, თუ ვის მხარესაა ძალა.

5458. ყველა განაჩენი-გადაწყვეტილება გონების, გარემოს, მდგომარეობის, გათვლისწინებით უნდა გამოიტანო და არა მხოლოდ კანონის და დადგენილებების შესატყვისად.

5459. კანონი პირველ რიგში ითვალისწინებს გამოსწორებას, მიტევებას და მხოლოდ ამის შემდგომ დამნაშავის დასჯას და თავისუფლების აღკვეთას.

5460. კანონი გათვლილი უნდა იყოს მის მოშიშარ და პატივისმცემელ ადამიანებზე და არა – ვირეშმაკებზე, რომლებმაც შესანიშნავად იციან კანონის გვერდის ავლა და უსაფრთხოების ალიბის ყურით მოათრევა.

5461. კანონის უზენაესობაში სიმკაცრესთან, შეუვალობასთან, ერთად, სიბრალულმაც და კაცთმოყვარეობამაც თავისი ადგილი უნდა დაიკავოს.

5462. ზოგჯერ კანონი არა მარტო ხისტი და ჯიუტი უნდა იყოს, არამედ მომგებიანიც, რადგან საბოლოოდ ქვეყნის კეთილდღეობაზე გათვლილი. მაგ.: 30–35 წელს გადაცილებული უქმრო და უშვილო ქალები ჯარში უნდა გაიწვიო იმ მიზნით, რომ ქვეყნის დემოგრაფია გააუმჯობესონ.

5463. კანონმდებელი, საკითხის შემოთავაზებისას, ვალდებულია გვამცნოს ციფრი, მოქმედება, კანონი, სარგებელი და არა – საქმეს დაშორებული ყბედობა, რომელსაც კანონთხზვა ჰქვია.

5464. კანონი მაშინ იკანონებს, თუ მის მეორედ გათხოვებას არ შეეცდები და მეძავი ქალის მენტალიტეტის მინიჭებას არ მოუნდომებ.

5465. კანონის და მოსამართლის დანიშნულებაა სამართალმა ნაზუქი თუ არა, პური ყოველთვის ჭამოს.

5466. ყოფის მორალის თეორიები, ცხოვრების პრაქტიციზმს არ ემთხვევა, რადგან კანონი და კანონიერება მათაც უნდა შემოგვთავაზონ, რომლებსაც ნაძირალებთან უცხოვრიათ.

5467. კანონმა და კანონიერებამ სხვის დაკრულზე არ უნდა იცეკვოს, რაც უნდა მომგებიანიან ჰანგებთან ჰქონდეს საქმე, მაგრამ გადაგვარებული უფროს-უმცროსობის გამოცდილების „სასწავლებელი" ხშირად ამის შესაძლებლობას არ იძლევა.

5468. მორალი ზოგჯერ კანონზე მაღლა დგას.

5469. გლობალიზაცია აღვირახსნილობის პროცესად ვერ გადაიქცევა, თუ მის რეფორმირებას კანონის და ძალაუფლების მქონე „გაერო" ჩაუდგება სათავეში, რომელიც იხელმძღვანელებს სამყაროს კონსტიტუციით და აგებული იქნება ურთიერთგაგებაზე და კომპრომისზე.

5470. ადამიანს ზოგჯერ სჯიან არა ჩადენილი დანაშაულისათვის, არამედ იმისათვის, რომ სხვები გააფრთხილონ, კანონს პატივი სცენ და დანაშაულის ჩადენამდე დააფიქრონ.

5471. რაც გვაიძულებს ძალა ვიწამოთ, მუშტის მოღერებაა და არა – კანონი.

5472. ხშირად შედეგი და მიზეზი უარესად გამოიყურება, ვიდრე სინამდვილეშია, რადგან სამართლიანობის დადგენა მოქიშპეს ჩაუვარდა ხელში.

5473. სასამართლოში აპელაცია კამათელის თამაშია, რომელიც როგორ დაჯდება, არავინ უწყის.

5474. კანონი რომელიც ახსნა-განმარტებას მოითხოვს და საძრომიალოც ბევრია, მისი მიმღები კანონმდებელი მთხლეა და უვარგისი.

5475. კანონი ქაღალდზე დამაგრებული ქვეყნის ნებაა, სამართლიანობის გაგება სუბიექტურია და მისი კანონთან შეთანხმება ყოველთვის არ ხერხდება, იმისდამიუხედავად, რომ კანონიერება აქეთკენ ილტვის.

5476. კანონი ყოველთვის სამართლიანი არ არის, რადგან თავად კანონი არ არის სრულყოფილი, ყოვლისმცველი და ყოველმხრივ დაცული.

5477. კანონმა ყველაფერი უნდა გაითვალისწინოს, მათ შორის, კანონიერება და ძმაბიჭური გაგებაც, რათა ის ქვეყნის და ხალხის მომავალ ინტერესებს ემსახუროს და სასჯელის აღსრულება კანონის ძალას არ დაუპირისპიროს.

5478. კანონი რაც უნდა მკაცრი იყოს, თუ ის სამართლიანია, ეგუებიან, ხოლო გულუბრყილო კანონები ადამიანს მორალურად რყვნიან.

5479. კანონის უზენაესობა და სამართლიანობა ერთმანეთის უნდა მოვარგოთ, რადგან პირველი სახელმწიფოს პრეროგატივაა, მეორე – ხალხის.

5480. კანონში გაროზგვის შემოღება იმისთვის არის საჭირო, რომ აცვენილი ახალგაზრდების ცრუ სიამაყე დააკნინოს და ძველბიჭობის რომანტიკული სურვილი დაუკარგოს და არა იმისთვის, რომ დასაჯოს და პროფესიონალ დამნაშავედ აქციოს.

5481. არ შეიძლება კანონის უზენაესობას „საძრომიალო" იმისთვის დავუტოვოთ, რომ მილიონიდან ერთი კაცი მაინც გამოსწორდება.

5482. კანონმდებლობას ტრადიციები აფეხმძიმებს და სამართლიანობისკენ მისწრაფება შობს.

5483. კანონმა რომ იმუშაოს, კანონმორჩილება მონობას არ უნდა ნიშნავდეს, რადგან ეს უკანასკნელი კანონისგან პატივისცემას, დაცვას და დაფასებას ითხოვს.

5484. ქრთამის შემოთავაზება-მითვისების მრავალი სახე არსებობს: გამოძალვა, უკანგორება, სექსი, საჩუქრებით წახალისება, განზრახ წაგება, მლიქვნელობა, ტელეფონის უფლება, შუამავლობა, ურთიერთგამორჩენა, სესხის გამობარვა, სუფრა, ურთიერთპატსივისცემა, მეგობრობა-ნათესაობა და სხვა მრავალი, რომელსაც კანონის რისხვა და კანონიერების გონიერება ვერ წვდება.

5485. დადგა დრო, როდესაც სახელმწიფოთა შორის ზოგიერთი სადაო საკითხი გაჭიანურებულმა დიპლომატიურმა მოლაპარაკებამ კი არ უნდა მოაგვაროს, არამედ სამყაროს კონსტიტუციამ და მისმა კანონებმა.

5486. ძალა სამართალი არ არის, მაგრამ სამართალი, კანონის და კანონიერების გარეშე, „პურს ვერ ჭამს".

5487. ქვეყნის კონსტიტუცია მეძავი ქალი არ არის, ძალაუფლებამ რომ სურვილისამებრ ცვალოს, რადგან მასში ძირითადად მიმართულებებია მოცემული, რომელიც კანონიერებამ კანონის ძალით უნდა განსაზღვროს და განსაჯოს.

5488. პოლიცია ის სამსახურია, რომელიც არც შეცდომას, არც თანაგრძნობას, არც გვერდში დგომას არად უნდა მიიჩნევდეს, რადგან მისთვის უმთავრესი კანონი უნდა იყოს. რაც შეეხება კანონიერებას, ეს სასამართლოს საქმეა.

5489. ადამიანია ის, ვინც სახელმწიფოში არსებულ კანონებს ითვისებს, იმსახურებს, აღასრულებს და მოძველებულის ჩასწორებას კანონის დახმარებით ცდილობს და არა ის ვინც კანონს, ადამიანთა ბედს, რწმენას ფეხებზე იკიდებს და გამოსარჩენ იდეალებს ებღაუჭება.

5490. კანონის უპატივცემულობის და სიმართლის ძებნაზე ხელის აღების კომპენსაცია ფულის გამოძალვაა.

5491. როგორც კი კანონი თავის მოწონებას იწყებს სამართლიანობით და მრავალფეროვნებით, მაშინვე იწყება კორუფცია-ტელეფონის უფლების და „ჯოჭის გორების“ ინსტიტუტის ამუშავება.

5492. კანონის დარღვევა მაინც დანაშაულია და დაუსჯელობას ზოგჯერ გადაგვარებამდე მივყავართ.

5493. კანონით, სანამ მაქინატორი უძრავ-მოძრავ ქონებას იძენს, ხელი არ უნდა ვახლოთ, რადგან ის მაინც საზოგადოებრივ საქმეს აკეთებს, მაგრამ როგორც კი ფულის ფლანგვას დაიწყებს და ფუფუნებას მოინდომებს, მაშინვე ორმაგად უნდა დავსაჯოთ „ვირის აბანოში“ თავის ამოყოფით და ქონების ჩამორთმევით.

5494. სიავეს სამართლიანობით უნდა უპასუხოთ, ხოლო სიკეთეს – კანონთან შეჯერებით.

5495. ტრადიცია – აღზრდა, დაუწერელი კანონის პატივისცემა, უფროს-უმცროსობის ინსტიტუტია, რომლის გარეშე ვერც სახელმწიფოებრიობა იარსებებს, არც ღირსეული საზოგადოება შეიქმნება და ვერც კანონის და კანონიერების აღსრულებას მოვაბამთ თავს.

5496. სასამართლომ ეჭვმიტანილი კანონით უნდა დასაჯოს და არა „სამართლიანად“, რადგან ეს უკანასკნელი განგების პროგროგატივაა.

5497. კანონის უხეშობისკენ მიდრეკილება და ერთსახად წარმოჩენა პატივისცემას იმსახურებს და არა – აღფრთოვანებას, მაგრამ მის დასაცავად და ანგარიშის გასაწევად ეს აუცილებელია.

5498. ზოგს კანონის უნდა ეშინოდეს, ზოგიც პატივს უნდა მიაგებდეს, მაგრამ ყველა ამას ვერ ახერხებს, რადგან ეს აღზრდას, შეგნებას და კაცობას მოითხოვს.

5499. ადამიანს თუ იმაზე ნაკლებს აკეთებს, რაც შეუძლია და შესძლებს, ის კანონით უნდა დაისაჯოს, რათა უკმაყოფილობის სინდრომმა კანონიერების დამრღვევი არ მოგვივლინოს.

5500. თუ კანონს შემართებას და ქვეყნისადმი სურვილს დავუპირისპირებთ, კანონიც და კანონიერებაც ჩვენს მხარეს დადგება.

5501. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, სურვილი წესით და კანონით არ იზღუდება, მაგრამ შედეგი იწვევს განსჯას და დასჯას.

5502. კანონი უნდა იქმნებოდეს იმის გათვალისწინებით, რომ ყველანი ცოდვილნი ვართ და მამაძაღლობისკენ გვაქვს მიდრეკილება, ამიტომაც მისი შემქმნელი ეკონომიკაშიც უნდა ერკვეოდეს, ხალხის მიდრეკილებაშიც და გაგების უნარშიც, წინააღმდეგ შემთხვევაში, კანონის ნაცვლად კანონის იმიტაციას მივიღებთ.

5503. სიმკაცრე და განუხრელი კანონები სიცოცხლეს უფრო უფრთხილდება, ვიდრე დემოკრატიას და ლმობიერ კანონმდებლობას.

რომელია უკეთესი, დღემდე აუხსნელია, რადგან როგორც კი მართვის სადავეებს მიასუსტებ, ხალხის გარკვეული ნაწილი „ყალყზე“ დგება და ყოველივე ძველის და გადამოწმებულის ნგრევას ითხოვს, რადგან ერთ განზომილებაში ცხოვრება მობეზრდა.

5504. კანონის გადაწყვეტილებაზე „ზემოქმედების“ უფლება ქვეყნის პრეზიდენტს აქვს, ისიც შებრალება-პატიების სტატუსით.

5505. გამონაკლისი კანონზე და მორალზე მაღლა დადგება, თუ მას წესად გაიხდიან, გაითავისებენ და მისი კანონიერების ჩარჩოში დაბრუნება ძალის გამოყენებას და ყურის აწევას მოითხოვს.

5506. წესიერი და სასარგებლო კანონების გამოცემა ძნელია, მაგრამ უფრო ძნელია მათი აღსრულება-შესრულების უნარის მქონეთა მონახვა.

5507. „ძაღლიშვილობის“ დანაშაულიც კანონის თანხმობით და კანონიერების ფარგლებში კეთდება.

5508. უკანონობას ათასი დამცველი გამოუჩნდება, კანონიერებას – არც ერთი და ეს მისი სიძლიერის მაჩვენებელია.

5509. ნდობით აღჭურვილ ადამიანს, რომელიც ახლობლების მიმართ ჩადის დანაშაულს, სასჯელი უნდა გაუორმაგდეს.

5510. ქრთამის ხელშეწყობით ხშირად კანონიც პურს ჭამს უგვანო სახელმწიფოში.

5511. ქვეყნის კონსტიტუცია იმდენად უნივერსალური უნდა იყოს, რომ მასში ცვლილებების შეტანა აზრად არავის არ უნდა ებადებოდეს.

5512. პოლიცია და მისი სამსახური ყველა დროში საჭიროა და ამის მიზეზი ხალხის თანდაყოლილი უგნურებაა.

5513. ქორწინება და გაყრა ადამიანებს იმისათვის სჭირდებათ, რომ ერთმანეთი გამოსცადონ კანონის მოშველიებით.

5514. შრომა აუცილებელია და სავალდებულოც, ჩვენი სურვილის, გენის, მსოფლმხედველობის, მიუხედავად და აქ რაიმე შეღავათის მიცემა ქვეყნის კონსტიტუციის დაცინვაა.

5515. იურისტპრუდენცია კანონით ცხოვრებას ცდილობს, მაგრამ სამსახურს ამთავრებს „გაგებით“, მიხვედრილობით, ალღოთი.

5516. „განტევების ვაცის“ როლის დაკისრება კანონის წინაშე უზნეობაა, მაგრამ ზოგი თავად გამოთქვამს სურვილს. რადგან ბუნებით „ყველაფერზე ხელის მომწერია“, ოღონდ წარმოჩინდეს.

5517. „თეთრი მოზვერის ფილოსოფია“: ყველა დამნაშავეა, მიუხედავად იმისა, ჩადენილია თუ არა დანაშაული, რადგან პოტენციურად მისი ჩადენის სურვილი ბევრს აქვს.

5518. თეორიულად სიკვდილით დასჯას შეიძლება გამართლება არ ჰქონდეს, მაგრამ პრაქტიკულად არსებობს გამონაკლისი – თუ მავანმა ადამიანობა დაკარგა და მხეცად იქცა.

5519. კანონი ზნეობაზე, ყოფის საწყისებზე და დროის ყოვილის გამოცდილებით ცხოვრებს.

5520. წესი გამონაკლისის გარეშე ცხოვრებას ამყაჟებს და უინტერესოს ხდის, მაგრამ მაინც უნდა დავიცვათ გონიერების ფარგლებში.

5521. ციხეში ჯდომა ვაჟკაცობა არ არის, ვაჟკაცობა ისაა, შენი საქმიანობა კანონს მოარგო, რომ იქ არ მოხვდე.

5522. სიჯიუტე და სამართალი ერთმანეთისგან შორს დგას, მაგრამ ჭეშმარიტებას საზეიმოდ ორივე სჭირდება, თუ პირველს შეუპოვრობით, ქედუხრელობით, შევცვლით.

5523. კანონის, დასჯის, ხიფათის, წესიერ ადამიანს არ ეშინია და არც აინტერესებს, ხოლო თაღლითს კანონიც აინტერესებს, მასში საძრომიალოც და გამოსარჩენიც.

5524. კანონში საძრომიალოს, ალიბის, მოძებნა დემოკრატიისათვის აუცილებელია, მაგრამ ეს მას ვერ ვნებს, უბრალოდ კანონმდებლობას ამყარებს და უკეთეს კანონს გვთავაზობს.

5525. თუ სამართალი სხვადასხვანაირია ე.ი. სიმართლე არ არსებობს, მაგრამ არსებობს კოლეგიალური ხედვა: სამართალი პოლიტიკური, მართლმსაჯულებრივი, სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, შინაურული და სხვა, რომლის ცხოვრებაში გატარება, გვინდა-არ გვინდა, გვიხდება.

5526. ახალი კანონები იმიტომ იბადება, რომ ადამიანის ღირსება და ღირებულება, ცივილიზაციის შემოტევასთან ერთად, ცვალებადია და საბოლოოდ ყოფის რა განზომილებებს შემოგვთავაზებს, არავის უწყის.

5527. კანონი წესიერი დამნაშავითვის (გადაცდენა, აფექტში და გაჭირვების შედეგად ჩადენილი დანაშაული) არსებობს, ხოლო უწესოებისთვის – (რეციდივისტები, მანიაკები, გადაგვარებული გენის მქონენი) მუშტი, რადგან კანონი და კანონიერება მათზე გავლენას ვეღარ ახდენს.

5528. დანაშაულის ჩადენის სურვილიც უნდა ისჯებოდეს, მაგრამ კანონი ამ მცდელობას რეალური ფაქტორების უქონლობის გამო ვერ აკონკრეტებს.

5529. სამართლიანობა დემოკრატიას კუბში აყვანილსაც სჯობნის, რადგან ადრე თუ გვიან თავის გზას გაიკვლევს და კანონად იქცევა.

5530. კანონი იცავს სიცოცხლის ჩასახვას, ღირსებას, აღზრდას და კიდევ იმას, რომლის შეცნობაც ხშირად ჩვენს ძალებს აღემატება.

5531. სამართალს უდიერობა, თავხედობა, არ ეპატიება და არა – შეცდომა, რადგან მასაც გააჩნია გული, გონება, ლმობიერება.

5532. კანონი შეიძლება სამართლიანი იყოს, მაგრამ მკაცრი ან არამკაცრი, გააჩნია „ვყიდით თუ ვყიდულობთ“.

5533. კანონის ცოდნა და მისი გამოდევნება არ გვათავისუფლებს რწმენის, სიკეთის კეთებისა და ადამიანის ბუნების შეცნობის მცდელობისგან.

5534. კანონის დანიშნულებაა ხალხი აღზარდოს, შეამჭიდროვოს და არა განსჯა რამდენად სამართლიანია.

5535. კანონმორჩილი ცუდად ცხოვრობს კანონის დამრღვევთან შედარებით, რადგან თუ ამ უკანასკნელს შერჩა, პატიოსნებასაც დასცინებს, წიხლსაც დააჭერს და თავსაც გაიმართლებს, რადგან გამარჯვებულს არ ასამართლებენ.

5536. შეიძლება მოუმწიფებელი კანონის წინაშე რაღაც შეგეშალოს, მაგრამ კაცობაში არ უნდა ჩაიჭრა, რათა ჩვენი წინაპრების და ტრადიციების წინაშე მართალი იყო.

5537. მოხერხება, გონიერებისგან განსხვავებით, ტაბუს უმტკივნეულოდ დარღვევასაც მოახერხებს და კანონში საძრომიალოს მონახვასაც.

5538. კანონი სამართალდამცავებმა ისე არ უნდა წარმოაჩინონ და გარყვნან, რომ ფურთხების სურვილი გაგვიჩნდეს.

5539. „სიცოცხლე ყოველთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე „კანონის დაცვა", სადავო გულკეთილობა, ვიღაცის და რაღაცის მიმართ, რადგან კანონის უგულებელყოფა, უპატივცემულობა, გაცილებით მეტ სიცოცხლეს იწირავს, ვიდრე მისდამი მორჩილება, უსიტყვოდ აღსრულება.

5540. საზოგადოებისთვის მთავარია მართლმსაჯულების სამართლიანობა და კანონის უზენაესობა და არა ის ვინ-ვის ან ვინ-ვისით აჯობებს სასამართლოში პაექრობას.

5541. კანონს მაშინ სცემენ პატივს, როდესაც ის სამართლიანია, მისაღებია და სადავო საკითხს ამომწურავად გადაჭრის.

5542. პასუხიმგებლობა ის ძალაა, რომელიც გვაიძულებს ძალოვნები დავიქირაოთ და ფული ვუხადოთ ჩვენს უპასუხისმგებლობას.

5543. კანონიერების პატივისცემა ჩვენი მენტალიტეტის შედეგია და მისი სამართლიანობაც აქედან გამომდინარეობს.

5544. კანონმა ხშირად არ იცის ვის მიუგდებენ განსასჯელად, მაგრამ კანონმდებელი ამისთვის მორალურად ყოველთვის მზად უნდა იყოს.

5545. კანონი მაშინ იმსახურებს პატივისცემას, თუ ადამიანებს არა მარტო ფიზიკური ძალადობისაგან იცავს, არამედ ფსიქოლოგიური და მორალური ზეწოლისგანაც.

5546. კანონი შეიძლება სხვადასხვაგვარად სჯიდეს, მაგრამ ერთნაირად იკბინება.

5547. კანონის უსამართლობა დროის განწყობად უნდა მივიღოთ, რეალობის შესაბამისად უნდა აღვიქვათ და დავემორჩილოთ. წინააღ-

მდეგ შემთხვევაში, ქაოსი განაღდებულია როგორც ქვეყანაში, ასევე ოჯახში.

5548. აბსოლუტური სამართლიანობა ვერასოდეს ფეხს ვერ მოიკიდებს, რადგან ადამიანს „ნაკლი“ თავის წარმოსაჩენად სჭირდება.

5549. კანონი არ გვიკრძალავს სხვაზე ცუდი წარმოდგენა გვქონდეს, მის საქმიანობაში ეჭვი შევიტანოთ და არ მოგვწონდეს ე.ი. ჩვენი ეჭვი უფლებამოსილია.

5550. გამონაკლისი აღწევს შედეგს და არა – ყოველდღიურობა, მაგრამ კანონიერება უნდა დავიცვათ და არ უნდა ჩავასწოროთ.

5551. მარგინალების ქვეყანაში ყოლა, კანონის გასამტკიცებლად, აუცილებელია, მაგრამ მათ ფრთები ვერ უნდა გაშალონ.

5552. კანონის უპატივცემულობა და კანონიერების თვალის ახვევა, თავისუფლების მომიზეზებით, დემაგოგიაა და ხვალინდელი დღის მასხრად აგდება.

5553. სინდისი შეიძლება კანონის უკმაყოფილო იყოს, მაგრამ კანონი უნდა აღსრულდეს – საზოგადოება არ გაირყვნება.

5554. ციხე „შეჩვენებული“ და „ნაღვლიანი“ ხალხითაა დაკომპლეტებულ-დასაქმებული, რომელთა გულისხმიერებამ გადაცდენილები რეციდივისტებისაგან უნდა განასხვაოს და საზოგადოებას შრომის სურვილით დაუბრუნოს.

5555. ბუნების კანონიერებას საზოგადოების კანონებით ვერ დაიმორჩილებ, გარემო ადრე თუ გვიან ადამიანის მცდელობას მაინც თავის ჭკუაზე მოირგებს.

5556. მარლთმსაჯულებას ვაჭრობა ეზარება, მაგრამ „ბაზარი“ პროკურორსა, ვექილსა და მოსამართლეს შორის, მოპასუხის „დამსახურების“ გამო, გარდაუვალია.

5557. კანონმდებელს სუფთა ხელები, ცივი გონება, მხურვალე გული და მოჭარბებული იუმორის გრძნობა უნდა ჰქონდეს.

5558. კანონის უზენაესობა კომპრომისს და ძალაუფლების ჭრელ ბაზარს ვერ იტანს, რაც უნდა კარგ მიზანს ისახავდეს.

5559. ჩვენის გაგებით სამართლიანობა ამქვეყნად ძალზე ცოტაა, მაგრამ დამამშვიდებლად კანონი გვევლინება და ვალდებულნი ვართ დავემორჩილოთ.

5560. უნდა ვისწავლოთ განსხვავება: საქმის – საქმიანობისაგან, ქურდობის – ბაცნობისაგან, სიკეთის – მისი კეთების მცდელობისაგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, კანონსა და კანონიერებას წყალს შეუფენებენ.

5561. კერპი კეთილი და კერპი სამართლიანი იმით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რომ პირველი სიტყვით იბრძვის, მეორეს ხელში ხმლის აღებაც არ ეშლება.

5562. კერპი ყალბი ღმერთია, რომელსაც მოუმწიფებელი ფანები და უქნარა სულის ადამიანები ეთაყვანებიან.

5563. გმირი კერპია კუბში, ხოლო უამრავ ხარისხში აყვანილი კერპი მაინც ჩამავალი მნათობი ხდება.

5564. ღირსეულ ქვეყანას საოცნებო პატარა პანთეონი უნდა ჰქონდეს, იქ მოსახვედრ ხალხს უნდა უფრთხილდებოდეს და სიცოცხლეშივე ეფერებოდეს.

5565. კერპი, უნდა თუ არა, თავად ავრცელებს ფანატიზმს, რასაც ხშირად თავადვე ეწირებიან.

5566. კერპი ფანების გამოსათაყვანებლად და ფულის საშოვნელადაა შექმნილი, მის ხატად მქცეველ თაყვანისმცემლებს ეს რაც არ უნდა მოსწონდეთ და არ სჯეროდეთ.

5567. კერპის ყოლას საკუთარი თავის ავტორიტეტის ამაღლება და მასწავლებლის ყოლა სჯობს, უფრო ამართლებს.

5568. ჩვენი კერპი ცოდნა-გამოცდილებაა, ხოლო მათი ღირსეულად დასაქმება განგებას და შემთხვევას უნდა ვანდოთ.

5569. კერპს ეთაყვანება ტარტაროზი, ემლიქვნელება ეშმაკი და მამაზეციერიც მის მხარესაა.

5570. კერპის დედაა ტელევიზია, მამა – მის რეკლამაში ჩაყრილი ფული.

5571. კერპობა და ხალხის სიყვარული დროებითია, რადგან დროთა განმავლობაში ხანდახან ისეთ ცოდვებს გამოქექავენ, რომ მისი კერპობიდან აღარაფერი რჩება.

5572. პოპულარობის კრედიტი უვადოა, რომლის პოტენციალის გადახდა სიკვდილის შემდეგაც გიწევს.

5573. ყველა ჩვენგანის გონიერებას აქვს საიდუმლო სასუსნავი, რომელსაც არავის ვანდობთ, ვტკბებით და ნეტარებას განვიცდით.

5574. კერპის შექმნა ყველა ფანატის ოცნებაა, რომელსაც იმ განუხორციელებელ ოცნებებს მიაწერს და ძერწავს, რომელზეც კუმირს არც უფიქრია და ვერც მის ცნობიერებას ეთვისება.

5575. კერპის მიმართ ფანატის უმადური და უაზრო სიყვარული საკუთარ თავში კერპის დანახვის მცდელობაა, რაც ცხოვრების გარკვე-

ულ პერიოდში სიცოცხლის შეგრძნების და დაუსაქმებელი დროის მოკვლის საშუალება, სათაყვანებელი ნიჭის ალიბის ხარჯზე.

5576. პიროვნება კულტად არ უნდა ვაქციოთ, რაც უნდა დიდი დამსახურება ქონდეს, რადგან ის, პირველ რიგში, გარკვეული კულტურის შემომტანია და არა თავისი სახელობითი ავტორიტეტის.

5577. კაიფი სიკეთის კეთების შესაძლებლობაშია და არა რუდუნიზმად ქცეულ მის უკეთურობაში.

5578. საქმის საკეთებლად თავზე დაძალება თავისებური ნიჭია, რომელსაც მისთვის გასაგები კაიფი ახასიათებს.

5579. ყველაზე დიდი კაიფი სხვისი ჯობნაა და არა – ცხოვრების საერთო ბოსელში უდრტვინველი ყოფნა.

5580. ყველა კერპს „განტევების ვაცი" და მსხვერპლის შეწირვა სჭირდება თავის წარმოსაჩენად.

5581. მეგობრობას, ვაჟკაცობას, შესაძლებლობების ზღვარი აქვს, მაგრამ არის ზღვარსგადასული ვაჟკაცობაც: სიკვდილმისჯილმა მეკობრემ, შტერტებეკერმა, თავისი უკანასკნელი სურვილით თერთმეტი თანამეკობრე სიკვდილს გადაარჩინა – ითხოვა არ დაესაჯათ იმდენი მეკობრე, რამდენსაც მისი თავწაკვეთილი სხეული ჩაუვლიდა.

5582. კარნავალი არის სიამოვნებით განთავისუფლება იმ დაგროვილი უარყოფითი დამთრგუნველი ენერგიისა, რომელსაც დროთა განმავლობაში ადამიანი მისდაუნებურად აგროვებს.

5583. ზოგჯერ სიცოცხლის გამოსასალმებელ იარაღზე უარესია სიტყვა, თუკი სარკაზმში არეული კულტის დანერგვას შევეცდებით.

5584. სიბერე იმათვის ძნელი, ვისაც ჯეელობის ნექტარი ბოლომდე ვნებით არ შეუსვამს.

5585. ზოგი რამე-რუმეების კეთება უცნაურად და არარაციონალურად გამოიყურება, მაგრამ მის გარეშე ვერც ვერაფერ სახეიროს გავაკეთებდით და ვერც სიცოცხლის ეშხს შევიცნობდით.

5586. ფეტიში იგივე გატაცებაა. ხოლო რეალობაში მისი გადახურდავება თუ გვინდა, ცხოვრების გამოცდილების ეს ნიღაბი დროულად უნდა ჩამოვიხსნათ, მოვისროლოთ და რელობას გავეთამაშოთ.

5587. ზოგჯერ კერპისადმი აღფრთოვანება ეროტიკულ დათვალიერებას უფრო ჰგავს, ვიდრე ფანების სიყვარულით დაოკებულ მცდელობას.

5588. მზის ამოსვლის ხატი, ჩასვენებული ღირსების გამოცოცხლების სინონიმად არ გამოდგება.

5589. თუ ხალხის სურვილებს ანგარიშს ვუწევთ, მაშინ თანამდებობის მოვალეობა-მოთხოვნებს პატივი უნდა ვცეთ, რათა საკუთარი თავისადმი პატივისცემაც გამოგვივიდეს და აღზევების კაიფიც შევიცნოთ.

5590. სამი თითის კომბინაციის ჩუმად ჩვენება, ბრბოსთვის უფრო გასაგებია და კაიფის მომტანია, ვიდრე იგივეს სახალხოდ ჩვენება და პირში სიმართლის მიხლა.

5591. ძველი კერპების ამყრალება, ახალი გონიერების ნაგვით ამოვსება, თავის წარმოსაჩენად უგნურებაა, მითუმეტეს, რომ გარკვეული დროის შემდეგ, ,,შეჩვეული ჭირივით", კერპი ისევ კერპად აღდგება.

5592. ყველა ჩვენგანი სხვის პრობლემას, ჩუმი გამორჩევით, კაიფის ხათრით ითვისებს.

5593. ტანის ლამაზ რხევას სიამოვნება მოაქვს, ხოლო გაცოფებულ რითმში სხეულის როკვით ,,ტანჯვას" მისთვის გაუგებარი კაიფი.

5594. სათავისო ტყუილის თქმის გარეშე ცხოვრებაში ლელოს გატანაც ჭირს და საკუთარი სულის დაკაიფებაც.

5595. ფანატისთვის გამაწბილებელია მისი გულწრფელი სულის გამოძახილი კერპის მიმართ, როცა ეს უკაანსკნელი მისდამი სიყვარულს სათანადოდ არ აფასებს.

5596. სიცოცხლის გახალისება-გართულებისათვის ლეგენდებს უნდა დავუჯეროთ და თავადაც შევთხზათ ახალი, როგორც საკუთარ თავზე, ასევე ხალხის კერპებზე.

5597. სიყვარული შინაგანი ეჭვიანობა-ვნებით პერსპექტივაში ხელიდან მალე გვეცლება, ხოლო მის გარეშე კაიფს მოკლებული ბედნიერებაა.

5598. სიკეთის კეთება თავისებური არშიყია, რომელსაც ჩვენთვის შეუცნობელი კაიფი მოაქვს.

5599. საკუთარი შეცდომის გეგმიური ჩადენა პირდაპირპროპორციულია მიმდინარე სიცოცხლის პეწისა და კაიფისა.

5600. მოჭარბებული გრძნობების გაკონტროლება ხელოვნებაა, რომელსაც ფასი ედება, მაგრამ კაიფი იკარგება.

5601. შედეგის გარეშე სიამოვნებას კაიფი არ აქვს, ოცნებამ რაც უნდა მხარს გვიჭერდეს.

5602. ბედნიერებაა, რომ ისეთი არ ხარ, როგორიც ყველა და ამ უპირატესობის კაიფს ყოველ ფეხის ნაბიჯზე გრძნობ.

5603. ტრფობის პლანტაციების გაშენების ნაცვლად უგნურების ყაყაჩოს აშენებენ და კაიფში სიყვარულს უპირისპირდებიან.

5604. ადამიანს წარმოსახვით კაიფიც სჭირდება, რადგან ის მალამოდ ეცხება ჩვენს აუხდენელ ოცნებებს.

5605. სიფარულის დღეგრძელობა და მისი სიბერისთვის გადაბარება არ შეიძლება, კაიფი იკარგება და მოუვლელობისგან დევალვაციას განიცდის.

5606. ლამაზად გაფორმებული წიგნი თავისებური ეროტიკაა, იდუმალებაა, კაიფია, რომელსაც ინტერნეტიდან გადმოშუშული ვერ შეედრება, ეს იგივეა, რაც რეზინის გასაბერი მანეკენის შედარება ხორციელ ქალთან.

5607. ეპოქის სხვადასხვაობის მიუხედავად, დროის კერპების შენარჩუნება აუცილებელია, მაგრამ ამის უფლებას პროგრესი ყოველთვის არ გვაძლევს.

5608. სიზარმაცე თავისებური კაიფია, ოღონდ შიგდაშიგ და გამონაკლისებით.

5609. სარწმუნოების მთავარი პრინციპი დემოკრატიაა, რადგან ის მოწოდებულია ადამიანებს ბედნიერება მოუტანოს ამღვრეული გონების დაწყნარების და სულის დამშვიდების გზით და არა – კერპის მონად გახდომითა და მორჩილებით.

5610. სიცოცხლისთვის მთავარია არა რა, არამედ – როგორ, რათა ყოფის კაიფი უდანაკარგოდ შევიცნოთ.

5611. ყოველმა ჩვენგანმა თვითშეფასება და საკუთარი თავის წამლიქვნელება უნდა ისწავლოს, რათა ცხოვრების კაიფი უკეთ შეიცნოს და სული ხშირ-ხშირად გაინათოს.

5612. სათამაშო, კაზინო, ის საკაიფო ბიზნესია, რომელიც ექსპლოატაციას უწევს ადამიანის სისუსტეს და დაღუპვის პირას მიჰყავს ყოველგვარი დაძალების გარეშე.

5613. თუ ადამიანი მთელი სიცოცხლე საკუთარი თავის წრთობას ანდომებს, მან ბავშვის კეთება, საქმეს და ამქვეყნად მოსვლის კაიფი დროის შესატყისად უნდა გაითვალისწინოს.

5614. ბედნიერება და სიამოვნება სხვადასხვა ცნებაა, მაგრამ უერთმანეთოდ კაიფს ვერ გრძნობენ.

5615. თანამდებობას უნდა ვემსახუროთ და არა – ვიმსახუროთ, რადგან ასაკში ხვდები, რომ ბედით ნაწყალობევ გამართლებას და შემოქმედის კაიფს ხელი ბოლომდე ვერ გამოჰკარი.

5616. თავისუფალი ის ადამიანია, ვინც სხვათა წეს-ჩვეულებას პატივს სცემს, კაცთმოყვარეა და წარმატების შემთხვევაში კერპად არ გვევლინება.

5617. იმპერიალისტური გემოვნება – „ხაი ლაიფი“ და ლამაზი ცხოვრებისაკენ მისწრაფება – ყველას ხვედრი არ არის და არც შესადარებელი იქნება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ფუფუნების კაიფი მრწამს კარგავს.

5618. ურთიერთპატივისცემა კაიფს უნდა გვჩუქნიდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს მოვალეობაა და არა – სიამოვნება.

5619. შემოქმედი უმართავია, ხოლო ხალხი ხელისუფლებისაგან და კანონისაგან განსხვავებით, მას შემწყნარებლურად ექცევა და კერპად იხდის.

5620. კარიერის კიბეზე სირბილი კაიფია და არა სიცოცხლის რაობის შეცნობაა. ამას სიბერეში ხვდები, როდესაც „ჩამოპლაცკარტებული აღარავის სჭირდები.“

5621. ყველა კერპმა, პიროვნებამ შეიძლება გაგვაწბილოს, თუ თავად არ ვართ მზად მათში ჩვეულებრივი მოკვდავნი შევიცნოთ.

5622. მემუარებში ყოველთვის არის მზაკვრობა, მაგრამ კერპს იმგვარად წარმოგვიდგენენ როგორც ჩვენ გვინდა.

5623. არც ერთი გენიოსი არ ღირს იმად, რომ კერპად ვაღიაროთ, ფეტიშად ვაქციოთ და მისთვის თავი დავდოთ, რადგან ეს ცოდვაა როგორც განგების ასევე საკუთარი „მეს“ წინაშე, მთავარია მას ხელი არ შეუშალოთ, გზა არ გაუმრუდოთ და კორექტივი არ შევიტანოთ მისი საქმიანობაში.

5624. კერპისთვის სხვის შემოქმედებით სამზარეულოში შესვლა არარეკომენდირებულია, მაგრამ მისი იქ წარმოსახვით მოხვედრა აუცილებელია.

5625. ყველაზე ძვირადღირებული ქალი ქმრისთვის ცოლია, როგორც პირდაპირი, ასევე გადატანითი მნიშვნელობით და ამის კაიფს ცხოვრების დაისზე შეიცნობს.

5626. კერპად ყოფნა სასწაულის მოხდენის უნარია რომლითაც ერთი დააჯილდოვა განგებამ, მეორე – არა და ეს არის მისი აღზევების თავი და თავი.

5627. კერპებიც ჩვეულებრივი ადამიანები არიან ძვლებზე ასხმული ხორცით და გადატრიალებული ტვინით, რომელსაც ვხედავთ, მაგრამ მათთან პირადად შეხებას ვგრძნობთ და ხშირად კიდეც ვწბილდებით.

5628. წიგნისაგან განსხვავებით, ინტერნეტი უფრო სარფიანად გვამოგზაურებს, ჰანგებსაც მოგვასმენინებს, კაიფსაც შეგვაგრძნობინებს დროის მცირე მონაკვეთში.

5629. მამაკაცის კისერზე ხელების შემოჭდომას, ნიჭი და განგების დამოძღვრა სჭირდება, იმდენად დიდია ამ აუწერელი კაიფის არსი მამრისათვის.

5630. ადამიანს შინაგანი კაიფისთვის უნდა სჯეროდეს, რომ მის გარეშე ახლობლებს ამ სამყაროში ყოფნა გაუჭირდებათ.

5631. ყველა მოქალაქის კერპი მამული უნდა იყოს, რომელიც ხშირად საცხოვრებელ ქვეყანაში გვეშლება.

5632. პროფესიონალი მძარცველი მაშინ განიცდის კაიფს, როდესაც დაზარალებული მოპარულის რაობას ვერ ამხელს და ქურდს ნაქურდალი ხახვის თავივით შერჩება.

5633. გაჭირვება და შიმშილი აზროვნებას ხელ უწყობს და გამოსავლის ძიებაში ნახულობს კაიფს.

5634. პოეზია მოწოდებულია გველი ხვრელში ტკბილი ენით დატოვოს, რათა მსმენელი არ დააშინოს და კაიფს არ დააშოროს.

5635. ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება თავისებური კაიფია, რომელსაც ავანტურისტის თანდაყოლილი ნიჭი სჭირდება.

5636. მეცნიერული კვლევა-ძიება იმ სიფარულის კაიფს ჰგავს, რომლის გაზომვა-გააზრება შეუძლებელია.

5637. შემოქმედებაა, როდესაც კერპი სასუსნავს მიირთმევს, თქვენ კი გსიამოვნებთ და ნერწყვი მოგდით.

5638. თუ კულტი პიროვნებაა, გარკვეული დროით მისი ატანა შესაძლებელია და ზოგჯერ აუცილებელიც.

5639. ქალი მაშინ კაიფობს, როდესაც სექსაობის დროს დროს განსჯა ეკარგება, გონება ემღვრევა და ვნების ეიფორიაშია. სამწუხაროდ ეს სიამე ერთეულთა ხვედრია.

5640. სიცოცხლის კაიფი ნაოცნებარის ცოხნაშია და არა მის აღსრულებაში.

5641. აღფრთოვანება და კერპის შექმნა არ არის საჭირო, თუ ზოგჯერ გავიხსენებთ სიფარულით და დანანებით ისიც საკმარისია.

5642. ილუზიებით ვიკვებებით, ოცნებები ფრთებს გვასხამს, ჩაერევა გონება, სინამდვილე და კაიფიც გაფუჭებულია.

5643. სიცილი აუცილებელი ნარკოტიკია ყოველგვარი კაიფის გარეშე.

5644. ადამიანი თავის ცნობიერებასაც ლატარიას ეთამაშება, როდესაც იმ კერპზე თავს დებს, რომლის არსებობაში ეჭვი ეპარება – „იქნებ არსებობს“.

5645. ყველა ადამიანი თანასწორუფლებიანია, მაგრამ სათაყვანო კერპის გარეშე ცხოვრება ელფერს კარგავს.

5646. მოჭარბებული გრძნობები, სიტყვების გარეშე, შენთვის გასაგები კაიფია.

5647. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ძველ თაობას ახალი თაობის კაიფის გაგება უჭირს და პირიქით. რადგან ყოფის შეცნობას სხვადასხვა „ჰანგებზე“ ცდილობენ.

5648. სიჯიუტე ეტყობა უდიდესი კაიფია, როდესაც მხოლოდ შენ ხარ ყველას წინააღმდეგი და ოპონენტები გაოცებით და აღფრთოვანებით გიყურებენ.

5649. სიმართლის გაგების მცდელობა, თუ მას სარგებლის მოცემა არ შეუძლია, სიბრიყვეა დროის მუქთად კარგვით, მაგრამ რა უყოთ ცნობისმოყვარეობას, მის კაიფს.

5650. ცნობილი ადამიანები უამრავ დროს და სახსრებს ხარჯავენ, რომ ცნობაილი გახდნენ, მაგრამ შემდგომ შავ სათვალეებს იკეთებენ და შეუმჩნევლად დაძვრებიან, რომ არ იცნონ და ესეც თავისებური კაიფია.

5651. ცხოვრების კაიფი ისაა, რასაც მიეჩვევი ან მიგაჩვევენ, ხშირად – ოცნებით.

5652. როდესაც სიყვარული ბუტ-ბუტებს და სიამოვნებისთვის ჩალიჩობს, გონიერება დადუმებულია, სული გაყუჩებულია, ხოლო გრძნობა კაიფისთვის ემზადება.

5653. სიხარული ჭიქები უნდა შევავსოთ, ყლუპი უნდა დავაგემოვნოთ, სასიამოვნო მოგონებათა კაიფი უნდა გავიხანგრძლივოთ, და მომდევნო ხალისს და თავდავიწყებასაც ადგილი უნდა გავუთავისუფლოთ.

5654. იმედი სულ ყოფის კაიფის ძიებაშია, მაგრამ ივიწყებს, რომ ნიჭის, მცდლობის და შემთხვევის კერპის დამუღამების გარეშე მას აღსრულება არ უწერია.

5655. „მასმედია“ მის მიერ არჩეული კერპის მიმართ მიზანდასახულ ზომბირებას, ძალადობას ეწევა, რომელიც ადამიანის თავისუფალი ნების კაიფიდან აღარაფერს ტოვებს.

5656. ბედნიერია ყველა ის, ვინც თავის ოცნებით კაიფობს და ცხოვრებაში სხვებთან შედარებით ცოტათი მაინც უმართლებს.

5657. უდანაკარგო გამარჯვება ბედის ნება და მეობის კაიფია, მაგრამ ისტორიაში ფასი არ ედება, რადგან ეს კერპების დამსახურება და სასწაული ჰგონიათ.

5658. ბედის კაიფთან საუბარი მეტ-ნაკლებად ყველას გარანტირებული გვაქვს, მაგრამ ეს მინუსით შეფასდება თუ პლუსით, ეს სხვა საქმეა.

კულტურა — ხელოვნება

5659. მხატვრისთვის მთავარია რა ფასად ასაღებს თავის შემოქმედებას აქედან გამომდინარე სახელის და დიდების აღიარებით.

5660. დიდი ხელოვნებაა იყო თავაზიანი, როდესაც გეკამათებიან და შენ მართალი ხარ.

5661. ჩაცმის კულტურა ლეღვის ფოთლით დაიწყო და ჩადრით დამთავრდა. ახლა საპირისპირო პროცესი მიდის და ქალები ლეღვის ფოთლის მომარაგებაზე ფიქრობენ.

5662. კულტურა შრომით, გვემით, შემართებით აგრძელებს წინაპართა დანატოვარზე დგომას.

5663. ზოგიერთი რეჟისორი პარტერში უკეთ დგამს სპექტაკლს ვიდრე სცენაზე, როდესაც სათადარიგო სპექტაკლის მსახიობებს აიძულებს პრემიერაზე იქ გაიცინონ, სადაც მაყურებელი ამას ვერ ხვდება და ამ გზით საქებ რეცენზიას ხელს გამოჰკრას.

5664. რეჟისურა რაც უფრო ექსტრავაგანტური და თავხედია, იმ მაყურებელში მეტად ფასობს, ვისაც ამ შემოქმედების არაფერი გაეგება.

5665. თეატრში ყველაზე ძნელი დასალაგებელი სპექტაკლის დაბოლოებაა.

5666. ძველ პიესებს არ ესმით, თანამედროვე რეჟისორები რატომ ამახინჯებენ მათ სულს და ხორცს, იმის ნაცვლად, რომ ანტიკვარად წარმოაჩინონ და თანამედროვეობის პეწი შთაბერონ.

5667. გალამაზებული და შემოქმედებით წვაში აყვანილი სისულელის ეკრანზე ნახვაც კი გონიერებისთვის აუტანელია, ხოლო ბრბოსათვის საინტერესოცაა და მისაღებიც.

5668. მუსიკას, რომელსაც დაფინანსება სჭირდება, ხელოვნებაა, უამისოდ – დროსტარება.

5669. დღეს მომღერლის ჯანმრთელობაზე არავინ ზრუნავს, რადგან არსებობს ფონოგრამა, რომელსაც, თუ დასჭირდათ, შემსრულებელზე უკეთ ამღერებენ.

5670. მე არ ვარ წინააღმდეგი კინოში ერთმა კაცმა ათ კაცს კუდით ქვა ასროლინოს და ნერვების დოღი გაგვიმართოს, მაგრამ რეჟისორმაც კეთილი ინებოს, ამ ქმედების ფალსიფიცირებული ალიბი მაინც მოამზადოს და გონიერების საწყისს მიუსადაგოს.

5671. სიტყვა მუსიკაა, მაგრამ მისი გამოსათქმელი ანბანი ნოტებს არ უნდა დავამსგავსოთ.

5672. ოპერა ღმერთის კარნახით იწერება, ლიბრეტო ეშმაკის, ხოლო მაყურებელი ამ ოპონენტების ნამოღვაწარის განსჯაშია.

5673. დღევანდელი კულტურის რწმენას, ადრე თუ გვიან გონიერება წინ აღუდგება, მაგრამ განგებისადმი რწმენა მაინც იარსებებს, თუნდაც იმიტომ, რომ სარწმუნოების სწავლება ერთი იქნება.

5674. მითოლოგია იგივე დაობებული ფოლკლორია, ვიღაცის და რაღაცის ხუშტურზე შექმნილი.

5675. მასიური აღზრდის კულტურასაც დაღვინება უნდა, მაგრამ მათრობელა ღვინოდ გამოდგება მომავალში თუ უალკოჰოლოდ დარჩება, არავინ უწყის.

5676. ხელოვნებას და კახპას შორის ის მსგავსებაა, რომ ერთი სულ დროსა და გარემოს დაკვირვებით ევაჭრება, მეორე სხეულის აღებმიცემობისთვის დადგენილი ტარიფით ნიადაგ მზად არის.

5677. ხულიგნობა ხელოვნებაშიც ხულიგნობაა, რაც უნდა მოსაწონი იყოს და ომახიანადაც გამოიყურებოდეს.

5678. ახალმა ხელოვნებამ თავად უნდა შექმნას თავისი აუდიტორია, შვას თაყვანისმცემლები და ფანები, სხვანაირად ის განწირულია დასავიწყებლად.

5679. ხელოვნება იმ საკითხზე საუბრობს, რაც ღმერთისაგან გაუგია, მაგრამ არ ახსოვს.

5680. დიქტატურა ხშირად მუზას ნაყოფიერად მუშაობის საშუალებას აძლევს, ოღონდ მისი ხელმძღვანელობით და ზედამხედველობით.

5681. ნამდვილ შემოქმედს თავდაპირველი წარუმატებლობა აწრთობს, ფილოსოფიასთან აახლოებს, სტიმულს აძლევს და რაც მთავარია, ცოდნას და გამოცდილებას მატებს.

5682. მსახიობობა პირველ რიგში მოწოდებაა, შრომაა, შემთხვევაა, შემდეგ მოდის სანახაობა, აპლოდისმენტები და დაუმსახურებელი პენსია, რადგან მისი შესაფერისი ასაკისათვის როლი ვერ მოინახა.

5683. ენის თავისებურებასა და ადამიანის შინაგან ბუნებას შორის დიდი სხვაობაა, მაგრამ საერთოს მაინც ნახულობენ.

5684. მსახიობი მაშინ მიდის სცენიდან, როდესაც ის მაყურებელს ავიწყდება და არა მაშინ, როდესაც როლს აღარ აძლევენ.

5685. კულტურა მოწონება – არმოწონებას არ ემორჩილება, რადგან ის საუკუნეების გამოცდილების საცერშია გატარებული და დრო-ჟამის გამოცდას ზურგს უმაგრებს.

5686. შემოქმედისთვის ერთჯერადი აღელვება სასარგებლოა, სხვანაირად კი უსარგებლო და ჭკუის საჭყლეტი.

5687. მსახიობი კულისებში და ყოველდღიურობაში არ უნდა გავიცნოთ, თორემ მისი სცენური ფეტიშიდან ხელში არაფერი შეგვრჩება.

5688. შემოქმედება როგორც უნდა გავაფეტიშოთ, მაინც თავისი დროის შვილია.

5689. აღვიქვამთ თუ არა სამყაროს საოცრებას, კულტურა მაინც თავის გზით ვითარდება და საზოგადოების ყოფაში დროის შესაფერის ნიშას ნახულობს.

5690. მსახიობს თეატრში მაყურებლის მოუსვლელობის კი არ უნდა ეშინოდეს, არამედ მისი უპატივისმცემლობის, დაბოღმის, რადგან ბოლოს მაყურებელი ნიჭს შეიცნობს, ხოლო თავად ვერასოდეს ისწავლი მის პატივისცემას.

5691. შემოქმედისთვის ბედნიერებაა, თუ მას თავისუფალი დრო არ გააჩნია და არც მისი გამოყენება ეხერხება.

5692. მსახიობი ის კონკრეტული ვალუტაა, რომელიც უყვართ, პატივს სცემენ, ეჩვევიან და იძულებულნი არიან იმით ისიამოვნონ, რაც დღეს აკმაყოფილებს მათ გემოვნებას.

5693. შეიძლება გადაწყვეტილება სამართლიანი იყოს, მაგრამ შენი ხალხისთვის მიუღებული. საქართველოში, რუსეთისაგან განსხვავებით, ფიჭურ ტელეფონზე ვინც გირეკავს, ის იხდის. შედეგად ქართველებს ბინის ძირითადი ტელეფონი ხშირად გათიშული აქვთ ყბედობის და უსახსრობის გამო, ხოლო რუსეთში უმეტესად საუბარი სახლის ტელეფონიდან წარმოებს, რადგან დანახარჯს ყველა შემთხვევაში ფიჭური ტელეფონის პატრონი იხდის და მის ჯიბეს უფრთხილდება დამრეკიც და გამგონიც. შედეგად ეს ,,უსამართლობა'' ტელეფონზე საუბრის კულტურას გვასწავლის.

5694. შედევრებს სამყაროს უცნაურობანი ქმნიან, ხოლო ხელოვანის მუზა მხოლოდ მისი მოთარგმნით შემოიფარგლება, როგორც მისი მსახური.

5695. მუზასაც თავისებური გაცოფება და თავდავიწყება სჭირდება, რომ მისგან რაიმე ხელმისაწვდომი მივიღოთ.

5696. ცეკვა არა მარტო ადამიანის სხეულის სიბრძნის გამოხატვაა, არამედ მისი წარსულის მკვებავიცაა სულის გალაღების ხარჯზე.

5697. ცეკვა ქალის გაცნობის და მისი სულიერი სამყაროს შეცნობის ერთ-ერთი ხერხია. რაც შეეხება ცნობიერების ზეიმს, ის განუმეორებელია, თუ წყვილმა ტანის როკვაში ერთმანეთის ხიბლი იპოვნა.

5698. ცეკვა შებოჭილობიდან სხეულის განთავისუფლება-გამოხსნაა, პიროვნული თვითმყოფადობით და დადებითი ემოციებით.

5699. შემოქმედი თავისებური დიპლომატიც უნდა იყოს, რათა მისი შემოქმედება საბოლოოდ თუ არა, დიდხანს ხალხიდან არ ,,მოტეხონ''.

5700. ეროვნულობის და სახელმწიფოებრიობის ინტერესები უნდა დავიცვათ თანამედროვე კულტურის ფარგლებში იმ შემთხვევაშიც კი, როცა ძალის გამოყენება დაგვჭირდება.

5701. ბუნების კანონებს თავისი კულტურაც აქვს: გარდაუვალობის გარეშე ადამიანი არ უნდა მოკლა, ნადირი შერჩევით უნდა გამოიხშიროს, რათა გამრავლდეს და ასე შემდეგ, ხოლო რა კულტურის დამკვიდრებას ცდილობენ გეები და ჰომოფილები საზოგადოებისთვის უყურადღებობის გადაბარლებით, თუკი მათი ცხოვრების წესი გარემოს ყოველგვარ კანონს ეწინააღმდეგება და თანაც წყალს უყენებს საზოგადოებრივ ღირებულებათა ჩამოყალიბებულ ინსტიტუტებს და გადაგვარების გზაზე აყენებს.

5702. მუზის მსახურისაგან განსხვავებით, ჩვეულებრივ მომაკვდავს უფლება არ აქვს ღამის ქოთნის მსგავსი ქუდი თავზე ჩამოიცვას, რათა შეამჩნიონ და ბრბოს კუმირად იქცეს ყოველგვარი ნიჭის, შრომის და მისწრაფების გარეშე.

5703. ხელოვნება რაობა გრძნობებით ფასდება და არა – ციფრებით და ეს ერთადერთი შემთხვევაა, როცა მათემატიკის საწყისები უძლურია.

5704. ტექნიკური პროგრესის ავ-აკრგიანობას მაშინ გავარკვევთ, თუ მისი მომსახურების კულტურას შევითვისებთ და ავამაღლებთ.

5705. საკუთარ კულტურას თავის საჩენად ლანძღავენ, გზებს ეძებენ პროგრესთან მის დაასახლოებლად, ასაღორძინებლად და ახლებურად წარმოსაჩენად, რათა ძველი ბაზისად შეინარჩუნონ, ვინ იცის, შემდგომი განვითარების პირველ ეტაპზე როდის გამოჩნდება.

5706. მოსმენის უნარის უქონლობა უკულტურობაა, მაგრამ ყბედისთვის ყურის გდებას და შემდგომ მის გაგებას ვერავითარი კულტურა ვერ უძლებს.

5707. ცივილიზაცია ადამიანებში ჰკლავს ხელოვნებისადმი პატივისცემას, მაგრამ საყოველთაოს და წასაბაძს ხდის.

5708. ხელოვნებამდე აფანილ დემაგოგიას სიკეთე არასოდეს მოუტანია.

5709. კულტურა მოუწყობელ ქვეყანაში განათლების მტერია. ამიტომაცაა აწმყო ასე ულიმლამო და დამნაშავეც – დაუსჯელი.

5710. ხელოვნება სულით უნდა იყოს სექსუალური, ხოლო მისი გააზრება მოწონებას მაინც უნდა იმსახურებდეს.

5711. ხელოვნების ფელაზე დიდი ფანატია ვინც მის წარმოსაჩენად ბილეთებს იძენს და აფინანსებს, დანარჩენი დროის ყვილია და დაუხარჯავი ენერგიის გამოძახილია.

5712. დღევანდელ ფერწერას ადრეული გენიალური მხატვრის ნაცოხნარი და მათი ნიჭის დივიდენდები ინახავს, რადგან წარსულის დიდების ნაგლეჯებს თანამედროვე მხატვრებშიც ეძებენ, მათი შეძენით აფინანსებენ და სტიმულს აძლევენ.

5713. როგორც ფუნდამენტურ მეცნიერებაზე ხელი ყველას არ მიუწვდება, ასევე ნამდვილი ხელოვნების განსჯის უფლება ყველას არ აქვს, რადგან მისი ოპონირება, სპეციალურ განათლებასთან ერთად, თვითმყოფადობასაც მოითხოვს.

5714. მსახიობისათვის პირველი აპლოდისმენტების, თაყვანისმცემლების, მოპოვების შემდეგ მთავარი ხდება ფული, ფული, „ხელის ჭუჭყი“.

5715. ნეკროფილია ხელოვნებაში თავხედობაა და უნიჭოთა დოღია, რომელიც ცდილობს გარდაცვლილთა დიდებას ამოფარებული ორიგინალობით წარმოჩინდეს.

5716. კოლექციონერი და მისი საქმიანობა მიუთითებს იმას, რომ კულტურას მიახლოებული საჭირო ადამიანი ხართ და მეტი არაფერი.

5717. ხელოვნებაში ნარკოტიკები ზოგჯერ სტიმულს გვაძლევენ, მაგრამ რის და რა ფასად თვით საზოგადოებამ უნდა განსაზღვროს, განსაჯოს, სჭირდება კი მას ასეთი ნახლაფორთალი.

5718. ხელოვნებას ერთი სარწმუნოება აქვს, შემოქმედებას – მრავალი, მაგრამ მათი გაერთიანების და ურთიერთგაგების გარეშე არაფერი იქმნება.

5719. არის გაყრა-დაშორების კულტურა, სადაც ეფექტო-აფექტით თამაში არ გამოდგება.

5720. წინათ ესტრადის ვარსკვლავი რომ გამხდარიყავი, ოცნებით სინათლის წლებით უნდა გეფრინა, დღეს ამისათვის ერთი პოპულარული პიროვნების სიტყვაც საკმარისია.

5721. ხელოვნების უმთავრესი დანიშნულებაა სიხარულის, აღმაფრენის, გაკვირვების ხალხამდე მიტანა, თავის მოწონება და ნიჭის წარმოჩენა.

5722. ხელოვნებას დროის მოთხოვნა წარმოაჩენს და არა მარტო მცდელობის გენია.

5723. ნამდვილი ხელოვანი უნდა დაიბადოს გენიოსად და მოკვდეს შლეგად, რათა თავის გატაცების ფასი შეიცნოს.

5724. ყველაზე მეტი ანშლაგი ხელოვანს დასაფლავების დღეს აქვს და ყველაზე მეტ აპლოდისმენტებს მოშურნეთაგან ამ დღეს იმკის.

5725. ხელოვნების ვალია ილუზიები, შთაბეჭდილებები, სიკეთე დატოვოს და თაყვანისმცემლები აღაფრთოვანოს და არ გადარიოს, გაურკვევლობა და წყენა დაგვიტოვოს.

5726. ხელოვნება უფრო გულის ნაჯვარია ვიდრე აზროვნების და აღზრდის.

5727. თანამედროვე ხელოვნება „პოპკულტურის“ წარმომადგენელია, სხვანაირად ის თანამედროვე კრიტიკა-რეკლამის შემჩნევას ვერ ეღირსებოდა.

5728. ხელოვნებაში, ემოციურ ხალხში, ორჯერ ორი არასოდეს ოთხი არ არის და არც შეიძლება იყოს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ რეალურ ტოლობას ზურგი ვაქციოთ, რაც უნდა ნამოღვაწარმა აღგვაფრთოვანოს და გაგვიტაცოს.

5729. ავანგარდი ხელოვნებაში დემონის როლს ასრულებს, რომელსაც საზოგადოების განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე თავის ადგილს თუ არ მიუჩენთ, სულიერება დაიკარგება, რადგან მისი გაგება ქვენა გრძნობების გაფილტრულ დუღაბს მოითხოვს.

5730. ხელოვნების კეთება და ხელოვნების შექმნა სხვადასხვა აღმაფრენა-ნიჭს მოითხოვს, მაგრამ ნახელავის შეფასება, დაფასება, კრიტიკა-რეკლამა, რეალიზაცია სხვადასხვაა და ყოველთვის არა ნიჭის, კლასიკის, სასარგებლოდ.

5731. შეცდენა-გადაცდენა ხელოვნებაში დღეს ერთიდაიგივეა, რადგან ორივე ფულის შოვნას ემსახურება, ერთი – დაუფიქრებლად, მეორე – მორცხვად და ჩუმი თანხმობით.

5732. ხელოვნების ნაღვაწის შეცნობა განგების ნებართვის შედეგია და არა – ჩვენი მცდელობა-ნიჭის.

5733. აკრობატიკის რთული ნომრები, კლოუნმა ისეთი ხალისით და ძალადაუტანებლად უნდა შეასრულოს, რომ მაყურებელს სურვილი აღეძრას მისი იქვე განმეორებისაა. ეს არის და ეს ცირკის საოცრებისა და მიზიდულობის თავიც და ბოლოც.

5734. ნიჭსა და კულტურას შორის ის სხვაობაა, რომ პირველი ზევიდან ნაწყალობებია, შენი საკუთრებაა, მას მოვლა-პატრონობა და წარმოჩენა სჭირდება, ხოლო მეორე ვალდებულია პირველის დანატოვარს მოუფრთხილდეს, გაითავისოს და საუკეთესო ტრადიციად აქციოს.

5735. ადამიანის გაოცება კი არ არის ძნელი, არამედ ამ ხელოვნების დამუღამების უნარი.

5736. „მეტრ“-ს კარგად შეფერება სიტყვა კილომეტრი. ერთი ხელოვანის ხარისხის საზომია, მეორე მანძილის, მაგრამ ისინი მაინც კავშირში არიან, რადგან ორივე დასაძლევია.

5737. ხელოვნების დღესასწაულის ჯამია: ნიჭი, ორგინალობა, რეჟისურა, შემსრულებლები, დაფინანსება, მაცქერალი, ინტუიცია და ის შეუცნობელ რაღაც, რომელიც წარმატების და დროის უკვდავების საწინდარია.

5738. მაყურებელი შექსპირის დრამის „რომეო და ჯულიეტას“, მიამიტობამდე მისული ფინალი აინტერესებთ და არა მათ გრძნობებს ამოფარებული, ამღვრეულ გაჯიუტებული სიფვარული.

5739. ეკლესია და თეატრი ორივე ხელოვნებას ემსახურება, ერთი სულის გაწმენდას, დამშვიდებას, ცდილობს, მეორე – დაბინძურებას და აფორიაქებას.

5740. შთამომავალმა ჩვენი ეპოქა დინოზავრებისას რომ არ შეადაროს, დროებით უნდა დავივიწყოთ ჩვენი დროის წარმატებანი და ვეცადოთ შევქმნათ მათთვის გასაგები ხელოვნება ძველის ბაზისზე, თორემ მათი ნახლაფორთალ-შექმნილის უმეტესობა ფუძის უქონლობის გამო ვადამდე ინგრევა და ქრება.

5741. სიცოცხლე ხელოვნებაზე მაღლა დგას. ხოლო ხელოვნებას სიცოცხლესთან გარიგება და მისი ხანგრძლივობის განრიგი ფეხებზე კიდია.

5742. მსახიობი და კლოუნი სცენაზე არიან ბედნიერნი, ხოლო მის გარეთ – მოწყენილნი და აფორიაქებულნი, რადგან სხვის გამხიარულებაზე და ოვაციების მომკაზე ზრუნავენ.

5743. მსახიობი მოწოდებულია მასების ასაგზნებად, გონების დასაბინდად და თავის რჩეულთან ღამის გასატარებლად.

5744. ჩემი კრედოა ვიცხოვრო აწმყოთი, ვიფიქრო მომავლის დამუღამებაზე და ვიკაიფო ფანტაზიით, რათა ჩემს ყოფას გემო ჩავატანო.

5745. ხელოვნება და მის მსახურნი სულით ნარკომანები არიან, რომელთაც სიამოვნება და სიხარული შეძლებისამებრ ყველასთვის მოაქვთ.

5746. დღევანდელი ხელოვნება დემოკრატიას მიტმასნილი თავისებური შემოქმედება, კულტურაა და ყურით მოთრეული დაპირისპირების გარეშე თავის ნაცოდვილარის რეალიზებას ვერ ახერხებს.

5747. რაც ჭეშმარიტებას ემსახურება, არ შეიძლება შემოქმედება, ხელოვნება იყოს, რადგან ამ უკანასკნელთ თავისებური გაფრენა, ფანტაზია, ესაჭიროება.

5748. ხელოვნება საკუთარ თავთან მარტოდ დარჩენის მცდელობაა, კვების ნორმების დაცვით, გარეგნობაზე და სულზე ზემოქმედების უნარით.

5749. ,,თეატრის ბაცილა'' გენების დონეზე არ იკურნება, მან ამ გადამდები სენით წარმატებით თუ წარუმატებლად უნდა იავადმყოფოს.

5750. ხელოვნება თავისებური თამაშია, აზარტია, შეჯიბრია, თუნდაც ის, რომ გინდა გიცნობდნენ და პირველი იყო.

5751. ხელოვნება ცენზურასთან ნებაყოფლობით უნდა მეგობრობდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მივიღებთ უგზო-უკვლოდ განვითარებულ საზოგადოებას ღირსების და ცენზის გარეშე.

5752. უნიჭობის ნაგავის სიმყრალეს ხელოვნებაში ყველა უჩივის, მაგრამ მის გადაყრაზე არავინ ზრუნავს.

5753. ქალის ნატურა ხელოვანთა შემოქმედების უმშვენიერესი საწყისია თავისი მინიშნებებით.

5754. სკულპტორი თავის ნიჭს ქვას გამოსტყუებს, მწერალი – ქაღალდს დაასვირინგებს, მომღერალი – ხმას აკუპაჟებს, მხატვარი – თავის ნაცნებარს ტილოზე ამაგრებს, მსხიობი – გარდასახვას ცდილობს. ამდენი სიამოვნების მიუხედავად, ხელოვნება სულ ფულის შოვნის მცდელობაშია.

5755. ხელოვნების დანიშნულებაა გულის აჩქარება ბედნიერების განცდით, სხეულის ტკბობით სულის გათავხედება.

5756. არის მუზისა და ქალისადმი მიდრეკილება, მაგრამ მათი ერთდროული მომსახურება შედეგს არ იძლევა, რადგან ხელოვნებას სხვა სახის სამსახური სჭირდება, ხოლო ტრფობას – მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

5757. შემოქმედი შეიძლება მშიერი იყოს, მაგრამ არა – დამცირებული, თუ გვინდა მან რაიმე ხეირიანი შექმნას.

5758. ხელოვნება აწმყოს შეიძლება წმინდას და სახიერს აკარგვინებს, მაგრამ მას უფლება არ აქვს არ განვითარდეს, თანამედროვეთა მოთხოვნებს ანგარიში არ გაუწიოსყ და ზურგი შეაქციოს.

5759. ხელოვნება მომავლის მოდელირებაა, ამიტომაც ის არასოდესაა თავისუფალი და შურისგან დაცული.

5760. კულტურის დაცვა იგივე ეროვნული უშიშროების სამსახურია, რადგან შეიძლება ერის სულმა ისეთი რამ დაკარგოს, რომლის აღდგენა შემდგომ შეუძლებელი გახდება. ასეთია უფროს-უმცროსობის, სტუმარ-მასპინძლობს, თამადობის და სხვა ინსტიტუტები.

5761. განათლება პირველ რიგში კულტურაა, ცოდნა და საქმის კეთებაა.

5762. ყოფიერების ახირებული ,,ალგორითმების'' გასაღებად ხშირად კულტურა და ჯანსაღი ტრადიციები გვევლინება.

5763. შემოქმედებითი წვის პერიოდში მუზის სამსახური ყველებს და შექებას ვერ ეგუება.

5764. უხერხულობა ყველა ერის ისტორიაში გვხვდება, მაგრამ კულ-ტურა და გამოცდილება ყველა უხერხულობის ურჩხულს უკან იტოვებს.

5765. ხელოვნება მორალზე საუბრობს, მაგრამ ყველაზე მეტად მას ვნებს მისი რაობის წარმომჩენი კრიტიკა.

5766. კულტურა ყველაფერს გადაიტანს, გაუძლებს, გარდა ლოდი-ნისა, რადგან ყველა ნიჭი თავის დროზე უნდა წარმოაჩინოს.

5767. სუბკულტურა შედარებით მიუღებელია, მაგრამ მის გარეშე ჯეელობის მოუმწიფებელ მაქსიმალიზმს დაღვინებამდე ცხოვრება უჭირს.

5768. ხელოვნება რეალობას არ წარმოადგენს, მაგრამ ასე რომ იყოს, ძალიან გვინდა.

5769. შემოქმედი უგზო-უკვლოდ მოსიარულე რაინდია და ხალხი მას როგორ მიიღებს, სახელიც ამაზეა დამოკიდებული.

5770. ხელოვნებაში სიმახინჯე არ არსებობს, მთავარია, როგორ მოთარგმნიან და წარმოაჩენენ.

5771. ცეკვას თუ თავისი ფილოსოფია, ინდივიდუალური ხედვა, მუსიკის ჰარმონია ახასიათებს, ის მხოლოდ მაშინ აღიქმება ხელოვნე-ბად, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ფიზკულტურა, ტანის როკვა და სულის გარყვნის მცდელობაა.

5772. უკულტურობა სიტყვების თავისუფლად სროლა კი არ არის, არამედ აუწონავად, გაუფილტრავად მისი რახარუხი, სხვისი აზრის გაბახება და მასზე თავდასხმა.

5773. საკუთარი თავის ცოდნა და ფლობა უდიდესი ნიჭია, რომე-ლიც უდიდეს სიამოვნებას გვანიჭებს, რადგან ესეც თავისებური ხელოვ-ნებაა.

5774. თეატრი არა მარტო აფიშა, აპლოდისმენტებია, არამედ უმა-დური სამუშაოცაა. თუ მსახიობზე მოთხოვნა არ არის, ის ცოცხალი მძორია, რომელსაც უძილობა და სულის სიმყრალე ემატება.

5775. შემოქმედებითი ექსტრემიზმი ხელოვნებას წინ წამოწევს, მაგ-რამ კულტურას და თვითმყოფადობას ამუნათებ.

5776. ხელოვნება გვაიძულებს თავი გავანძრიოთ, გულს ვუსმინოთ, სულს მოვუფრთხილდეთ, პასუხისმგებლობა ვიგრძნოთ და ოცნებით როლი მოვირგოთ.

5777. შოუ-ბიზნესი ერთდღიან ვარსკვლავთა სასაფლაოა, რომელ-საც „მოურიდებლობის“ კანონის თანახმად, ყოველთვის უდგება „ბას-ტა“ და დავიწყების ბურუსში ნავარდი.

5778. ტრადიციული და ძირძველი ქვეყნები უნდა მოერიდონ დასავლეთის კულტურის და არა – ცივილიზაციის გრიპს, რათა ეს დაავადება ქრონიკულში არ გადავიდეს.

5779. ხელოვნება უგნურების, ვნების, ურთიერთდაპირისპირების, ოპტიმისტური ფინალის ფანდია, ხოლო გონება ყოველთვის მის არსს ვერ წვდება.

5780. მასობრივი კულტურა ნებაყოფლობით სანსლავს დასავლეთის ცივილიზაციას და მისგან თავის დასაცავად ჯერ-ჯერობით, გონიერება და გამოცდილება არ ყოფნის.

5781. კულტურული და ცივილიზებული ხალხი საერთო ენას ყოველთვის გამონახავს, მიუხედავად რელიგიის და რწმენის სხვადასხვაობისა, რადგან აქ გონიერების კანონი ბატონობს და არა – ინსტინქტები და შეხედულებათა სიჯიუტე.

5782. მსახიობი თავის თავს თამაშობს, ოღონდ სხვადასხვა გმირის ნიღბით.

5783. მსახიობს მწევარივით უნდა მოვუფრთხილდეთ, არ უნდა გადავაძღოთ, მაგრამ შექება, აპლოდისმენტები, არ უნდა მოვაკლოთ.

5784. ბალეტი ის „პროფია", რომელიც რწმენას, ნიჭს, თავდადებას, შრომას, დიეტას და მრავალი სხვა ადამიანური სიამოვნების მოკლებას მოითხოვს, რომლის საფასური საქმის სიფარულია.

5785. შემოქმედება, უპირველესად, მსოფლმხედველობაა და საკუთარი აზროვნების წერტილოვანი ხვრეტა.

5786. ტყე შემოქმედისთვის ყველაზე დიდი სარბიელია, სადაც თავის შესაძლებლობებს, სიწყნარეში, ყველაზე უკეთ ავლენს.

5787. დღევანდელი კინომატოგრაფი მოგვაგონებს იმ ორკესტრს, სადაც ორი მესამედი ხეირიანად ვერ უკრავს და ერთი მესამედი გარწმუნებთ, რომ მათი შესრულება მაღალი კლასისაა, მაგრამ დღეს თქვენ, რატომღაც, სმენა გღალატობთ.

5788. ცივილიზაცია ყოველთვის ცდილობს კულტურა ფუფუნების უფსკრულში გადაჩეხოს.

5789. ხელოვნებასა და მეცნიერებას შორის ის სხვაობაა, რომ პირველით განგების წყალობის დანახვა, შეგრძნება, შეფასება, შეგვიძლია, ხოლო მეორის აზრს ვერ ვწვდებით, დროულად ვერ აღვიქვამთ და შედეგით წლების გასვლის შემდგომ ვკმაყოფილდებით.

5790. მუსიკა თავისებური ვირუსია, რომელიც მოწოდებულია მსმენელი დააავადოს და ამით უდიდესი სიამოვნება განაცდევინოს.

5791. ხელოვნება შეიძლება იყოს კულტურულიც და უკულტუროც, რომლის მოწიონება-შერჩევა ჩვენს ხელშია, მაგრამ არ ვსარგებლობთ.

5792. ადამიანს უნდა ჰქონდეს ღია და დახურული შინაგანი კულტურა, რომელსაც თავად უნდა გრძნობდეს და ხედავდეს.

5793. შემოქმედი იმ შემთხვევაშია დიდი, თუ მის ნაღვაწში ბავშვობის ნიშნები არ იკარგება და ბუნებრივი შთაბეჭდილებას ტოვებს.

5794. თეატრში სპექტაკლს თავისი არქიტექტორი ჰყავს, სცენარის ავტორის სახით, ხოლო მთავარი ინჟინრის როლში დამდგმელი რეჟისორი გვევლინება. აპლოდისმენტებს მსახიობები იმკიან, რადგან მაყურებელს შემსრულებელი აინტერესებს და არა მის შექმნის ინტეგრალები.

5795. მსახიობის მთავარი სამუშაო იარაღი გულია და მის გასაფრთხილებლად პოპულარობა და მისი გათავისება სჭირდება.

5796. მკვდარი ყავილის ხელოვნებას გრიმს უწოდებენ, რომელიც ამდენს აკეთებს ნაწარმოების გმირის ხასიათის გასახსნელად და მაყურებლისათვის თავის დასამახსოვრებლად.

5797. ზარმაცი ხალხი ზოგჯერ კულტურის ისტორიულ ფასეულობას წარმოადგენს, რადგან ზოგიერთ მათგანს უსაქმურობა ბეზრდება, დაფიქრდება და დიდებულ აზრებს უსაქმურობისგან ფეხს გამოდებს.

5798. ჭარბი მოსახლეობა უფრო კულტურის, ტრადიციების შედეგია, ვიდრე იმედის და მოჭარბებული ვნების.

5799. კულტურა მოწოდებულია ყოველდღიური მცდელობით დაამტკიცოს თავისი უფლება სიცოცხლეზე, ყოფაზე, გონიერებაზე.

5800. დიდი მსახიობი უნდა არჩენდეს მისი სიყვარულით დაავადებულ ფანატებს, რომლებსაც ზოგჯერ ბრბოს ეძახიან, ზოგჯერ – ხალხს.

5801. შემოქმედის ხელისუფლებასთან დაახლოება იმდენად საზიანო არ არის მისი ნაღვაწისთვის, რამდენადაც სასარგებლო, სარფიანი, სასიამოვნო ორივესთვის, ოღონდ ცალ-ცალკე.

5802. კულტურის ოპტიმიზმი და ელიტარობის გაცრუების პესიმიზმი საზოგადოებას ყველა დროში თან დაყვება.

5803. დღეს ვიგინდარები, კაციჭამიები, ინტელექტუალები არიან, თუ მათზე კინოს გადაღება მოინდომეს და რეჟისორი ამ ფილმით აპირებს ბრბოში გამოჩენას და მოზრდილი ჰონორარის მიღებას.

5804. ხელოვნების ყველა ჟანრს, თავისი მე, იდეოლოგია და ფულის შოვნის მეთოდი აქვს.

5805. კულტურა თვითმყოფადია, თავისუფალია, მართალია, მაგრამ მას თავისუფლად გზის გაკვლევა და თავისი „მეს“ ჩვენება უჭირს, რადგან ყოველივეს დრო განსჯის.

5806. ხელოვნებისთვის საყოველთაო გაგებით დასვენება სიკვდილის ტოლფასია, რადგან მას ამის უნარი არც შესწევს და არც სურს.

5807. კლასიკა დროით აპრობირებული მაკულატურის მარგალიტია, რომელსაც ჩვენი დროის მაკულატურაც უნდა დაემატოს, რათა მომდევნო თაობებისათვის რომელიმე მათგანი კლასიკად იქცეს.

5808. ოპერასა და ოპერეტას შორის ის სხვაობაა, რომ პირველს მოსახლეობის 3% ჰყავს ერთგულ მაყურებლად, ხოლო მეორეს 97% მუდმივად.

5809. მუსიკა სულს გვიწმინდავს, სიცოცხლეს სულის კაიფს ჰმატებს და გონებას გვისუფთავებს.

5810. ფაქტიურად მუზეუმი ფულის საკეთებლად არის მოგონილი, მაგრამ საინტერესო ძველმანების შესანახავად იყენებენ.

5811. ხელოვნება და ბიზნესი ერთმანეთს ვერ უგებენ, მაგრამ ერთმანეთის გარეშე ცხოვრება არ შეუძლიათ.

5812. კულტურა დროს უნდა ესმოდეს, ხოლო მასობრივია, თუ ელიტარული, ეს სხვა საქმეა.

5813. ცივილიზაცია, გვინდა თუ არა, ძირძველ კულტურას წინ მიათრევს.

5814. კულტურა და ინსტიტუტი ყველა დარგს თავისი კონცეფციისა უნდა ჰქონდეს.

5815. კულტურა ცივილიზაციის და სიყვარულის ნაჯვარია მოფერებით.

5816. მსახიობის მომხიბვლელობა სიყვარულით კრედიტის მიღების საშუალებაა, მაგრამ ნიჭმა ვალი უნდა გადაიხადოს.

5817. მსახიობი, რომელიც ლოთობს, მაყურებელს მისდაუნებლიედ ნიჭს ამადლის.

5818. კინოს ის მადლი აქვს, რომ პლანეტისთვის უცნობ მსახიობს, ვარსკვლავად აქცევს.

5819. თანამედროვე დრამასა და კომედიას შორის ის სხვაობაა, რომ პირველში ცდილობ არ გაგეცინოს, ხოლო მეორეში – ეკრანიდან გკარნახობენ, სად გაიცინო და როგორი ინტენსივობით.

5820. ხელოვნება, თავისი ჩანაფიქრისაგან განსხვავებით, ყოველთვის იტყუება, მაგრამ შინაგანად მაინც ცეცხლს გვინთებს, გვამაღლებს.

5821. ხელოვნება ჯერ ნიჭს გამოფენს, შემდეგ შედეგის მომტან საუბარს.

5822. ხელოვნება მუქთაობას, უნიჭობას, ვერ იტანს, მაგრამ ბევრს, მისდაუნებლიედ, ულიმიტოდ ინახავს.

5823. ხელოვნება განგების პრეროგატივაა და მას ამ საქმეში არავინ ეხიდება.

5824. მუზა მაშინ ტოვებს ხელოვნების სამყოფელს, როდესაც მასში შემოქმედის ცოლი დაუკითხავად შემოიჭრება.

5825. მუსიკა, უპირველესად, რითმებით აზროვნებაა, შემდგომ მოდის ჰანგების დალაგება და გამოცდა.

5826. აქტიორი თავის როლებზე შეფარებული ფანატია, რომელიც ყოველთვის მართალია თაფანისმცემლების წინაშე, წინააღმდეგ შემთხვევაში, მსახიობიც ვერ გახდებოდა.

5827. მსახიობი სულით სულ 18 წლისაა, თუ გინდ 90 წელს გადაცილებული დიდი ბებიაც იყოს.

5828. ისტერიული, არაორდინალური, შთაგონებების გარეშე ხელოვანი ვერ შედგება, რადგან მარტო ნიჭი და ყოფის გათავისება არ კმარა.

5829. ნამდვილი ხელოვნება სულს გვტაცებს, გონებას აღფრთოვანებისაგან გვიმუნათებს, გული კი ნაღვაწ-ნაფიქრალს მთლიანობაში აღიქვამს.

5830. ხელოვნების რომელიმე ჟანრზე გამოკიდება კი არ არის მთავარი, არამედ სხვისთვის დასწრება და გაუგებარი სიახლის კეთება.

5831. ზოგისთვის ხელოვნება პროგრესული და შემოქმედებითი ქურდობის ერთ-ერთი ხრიკია და საკუთარი ამბიციებისთვის ხარკის გადახდა.

5832. ხელოვნებას უფლება აქვს მრავალფეროვნება უფარდეს, ყოველგვარი მოწყენის და სხვისთვის ხასიათის გაფუჭების გარეშე.

5833. მხატვრობისთვის მთავარია რაიმე უჩვეულო შემოგვთავაზოს, ხოლო რა, მისი შემფასებლისთვის მნიშვნელობა არ აქვს.

5834. მხატვართა უმრავლესობას სიკვდილის შემდგომ ბრწყინვალე მომავალი აქვს, შთამომავლისთვის მილიონების კეთებით.

5835. მხატვარი შემოქმედებითი წვის დროს რომ აცნობიერებდეს რას ქმნის, დიდებული და განუმეორებელი არაფერი გამოუვიდოდა.

5836. თანამედროვე მუსიკა იმიტომაც სრულდება ხმამაღლა და გაურკვეველ ტემპებში, რომ ვერ გავიგოთ სიდანაა მოპარული მელოდია და ბრახუნის საწყისი.

5837. არქიტექტურას ბევრი შვილობილი ჰყავს, მაგრამ მათ შორის საუკეთესო ფერმწერი და სკულპტორია.

5838. ნუდიზმი და ,,სტრიპტიზმი'' თავისებური კულტურაა, სულის მოწოდებაა, იმის მიუხედავად, მოგვწონს თუ არა.

5839. ხელოვნება თავისებური კათედრაა ყოფის უნივერსიტეტში, მიუხედავად იმისა გიხდებათ თუ არა ლექციების მოსმენა.

5840. სპექტაკლი ზოგჯერ მაშინ გამოდის საინტერესო, როდესაც რეჟისორის ჩანაფიქრი და მსახიობთა თამაში ავტორის ჩანაფიქრს არ ემთხვევა.

5841. ვარჯიშსა და ცეკვას შორის სხვაობის დანახვა ვისაც შეუძლია, ის არის ესთეტი.

5842. უკულტურობას ვერავითარი სასჯელით ვერ აღმოფხვრით, მას დრო და ხანდახან ყურის ახევა სჭირდება.

5843. ყველა კულტურა, გვინდა თუ არა, მაინც სისხლის წვიმებზე აღმოცენდება.

5844. კულტურული მეხსიერება კოლექტიურ მეხსიერებასაც გულისხმობს, რადგან წარსულიდან მხოლოდ იმას ვიღებთ, რაც ხელს გვაძლევს, რაც არა დავიწყებას ეძლევა.

5845. მსახიობი ხელოვნების ქურუმად ყოველთვის არ გამოდგება.

5846. კულტურა სხვაა, კულტურის გაფეტიშება და მასზე ყბედობა – სხვა, რადგან ჩემთვის კულტურულია ის ერი, რომელიც კანონს პატივს სცემს და არა ის, რომელსაც კანონი აიძულებს დაემორჩილოს. მაგ.: წითელ შუქნიშანზე მაშინაც არ გადადიან, როდესაც ღამის 2 საათია და ქუჩაზე ტრანსპორტის ჭაჭანება არ არის.

5847. ხელოვნება, ნიჭი, სულის მკურნალია და არა – სხეულის, რადგან უკანასკნელი სექსის პრეროგატივაა.

5848. ლეონარდო და-ვინჩის ,,მონა ლიზას'', მომხიბვლელია, მაგრამ რა აქვს ლამაზი, არავინ უწყის, თუმცა ფასი რომ ადევს და ყურადღების ცენტრშია, უდაოა.

5849. ხელოვნების დარგებიდან ყველაზე უკეთ ერთმანეთს მუსიკა და მათემატიკა უგებს, რადგან მათი ენის ჰარმონია ერთმანეთისთვის გასაგებია.

5850. ხელოვნება დროის გაძლებაა და არა – აწმყოს ოვაციები.

5851. ხელოვნების ნაღვაწით არა მარტო ტკბობა უნდა განიცადო, არამედ ხელებიც უნდა დაიკაპიწო და ჯიბეც უნდა მოიჩხრიკო.

5852. ხელოვნების ძირითადი ვალია დასამახსოვრებელი კვალის დატოვება – თუ უნდა სიკვდილის შემდგომ დაფასდეს.

5853. ცეკვით აღფრთოვანება მუსიკაზე, შემსრულებელზე და მაცქერალის განათლება-ემოციებზეა დამოკიდებული.

5854. ფიქრი, გარჯა და ოცნების კულტურა სწავლებას მოითხოვს, რათა ძილის წინ უქმად არ დაიხარჯო.

5855. არც შედევრის შექმნაა ადვილი და არც მისი მაშინვე აღიარება, მაგრამ ,,სანთელ-საკმეველი'' თავის გზას ყოველთვის გაინათებს.

5856. მუსიკა ფუჟერში ჩასხმული აქაფებული შამპანურია, რომელიც სულში ჩამწვდომ შხეფებს ისვრის, ბობოქრობს, ვერ მშვიდდება და ჭიქიდან გადმოღვრას ლამობს.

5857. თანდაყოლილ უკულტურობას სხვაგან შეძენილი კულტურა ვერ შველის.

5858. ნამდვილი ხელოვნება ნიჭის გარდაცვალების შემდგომ უკეთ ცხოვრობს და აღიარებენ.

5859. კულტურა მხოლოდ ერის წარმოჩენის საშუალება არ არის, ის ექსპორტს და შემოსავალას მოითხოვს.

5860. შემოქმედებისთვის უმთავრესია სხვათათვის დაფარული საიდუმლო გზების ცოდნა, ვიდრე თავად აღიარება, რომელიც საბოლოოდ მაინც მძიმე ტვირთია.

5861. გენიოსობისაგან განსხვავებით, პროფესიონალიზმს მრავალი ადამიანის ერთობლივი შრომა, შეხმატკბილება, გაგება, სჭირდება, ხოლო შედეგის მისაღწევად ქვეყნისთვის კულტურა და ჯიბის მოჩხრეკაა საჭირო.

5862. შემოქმედს, უპირველესად, სულის ყვილი, საკუთარი სადგომი, ცოტაოდენი ფული, დაფასება სჭირდება, ხოლო რაც შეეხება აღიარებას, მოვა ან არ მოვა, რაც დროის უკულმართობის და განგების ნებაა.

5863. კულტურა სხვისი ნამუშევრებით დაინტერესებაა, ნახვისთვის ფულის გადახდაცაა, რათა შემოქმედს მატერიალური და სულიერი საზრდოს საშოვნელი ფული მოვუქუჩოთ.

5864. ,,მადლობა მითხარი, თუ შენი ნახელავი ვნახე, წავიკითხე, გავეცანი!'' – ეს უვიცი ამპარტავნობის კომპლექსია, უკულტურობაზე რომ არაფერი ვთქვათ.

5865. თანამედროვე ხელოვნებამ დაკარგა ურთიერთპატივისცემის, ჭკუის მოხმობისა და კლასიკური გემოვნების ჩამოყალიბების ფუნქცია.

5866. მხატვრის დანიშნულებაა, ადამიანი დახატოს სულიერად უფრო ლამაზი, გარეგნობით მომხიბვლელი და ამასთან უცხოც.

5867. დღეს ხელოვნებაში უფრო მეტი საწოლი და ვნებაა, ვიდრე გონების გასანათებელი, რადგან ამბიციებიც ხომ სამყაროს შვილია.

5868. სიცოცხლეს აგრძელებს ხელოვნება და არა – ერთეულ ხელოვანთა სიცოცხლე.

5869. დღეს ხელოვნება მატერიალიზაციით უფროა დაინტერესებული, ვიდრე „სულიერიზაციით“.

5870. ხელოვნება თავისი ბუნებით მგრძნობიარე, სათუთი რამაა, ადამიანის გრძნობებისგან განსხვავებით.

5871. თანამედროვე კულტურა აგებულია იმ ნაძალადევ მოთხოვნებზე, რომლის 50%-სთვის გაუცნობიერებელია სიკეთე, თანადგომა, მოფასის როლში ყოფნა.

5872. უსაგნობის, უსახურობის, უხამსობის, ფეტიშირებას აბსტრაქციონიზმამდე მივყავართ.

5873. ტალანტი ხელოვნების ძმა და ტყუპია, ხოლო გონიერება ნახევარძმა.

5874. ხელოვნებაში მიღებული დოგმების საწინააღმდეგო აზრიც ზოგჯერ ჭეშმარიტების ღაღადია და უფრო საინტერესოა.

5875. ხელოვნებას ეთიკა არ გააჩნია, რადგან ის თვითმყოფადია და ამითაცაა საინტერესო.

5876. სპექტაკლის წარმატებას, სადაც ქალი არ მონაწილეობს, კრიტიკის მიუხედავად, ვერ გავიზიარებ.

5877. ხელოვნების დანიშნულებაა ჩვენს ცნობიერებაზე გაიწმინდოს ფეხები და ისე წამოგვიდგეს.

5878. მსახიობი სცენის დატოვების შემდგომ აპლოდისმენტების ქარიშხალს პენსიაში გასვლის შემდგომაც უნდა გრძნობდეს თუ გვინდა მისი ნაღვაწის მადლი დავაფასოთ.

5879. შემოქმედება, რომელიც აწმყოში არ გადადის, აბსურდში გადაიჩეხება.

5880. ვარსკვლავი დროულად უნდა ჩაქრეს, განსაკუთრებით, აღმავლობის დროს, რათა დაიმახსოვრონ.

5881. ნამდვილი ხელოვნება „ცალკეული საქონელია“, რომლის სიდიადესაც ხშირად ვერ ვიგებთ, თავსაც გვაბეზრებს, მაგრამ ვგრძნობთ, რომ შეუცვლელი და ერის კულტურის მაჩვენებელია.

5882. შოუბიზნესის წარმავლობას, კლასიკისაგან განსხვავებით, ვერც ფული უშველის და ვერც ხელოვნურ ვარსკვლავთა ცვენა, რადგან მუდამ მარადიული მხოლოდ ნაღდია.

5883. ნამდვილი შემოქმედება იქნება ინტუიციით, ოცნების გამოცდილებით და არა ლოგიკით და ჭკუა-განსჯით.

5884. ხელოვნება რაც უნდა ზეიმობდეს მისი შენარჩუნება პირველადი სახით, იმედის დაფინანსების გარეშე, ძალზე ჭირს.

5885. ილუზიონისტი პატიოსანი მატყუარაა, რომელიც თავისი გარჯით პურს ჭამს, გადასახადს იხდის და მაყურებელს აოცებს.

5886. ხელოვნებას თავისი აქცენტი, შინაგანი ცენზურა და გარეგნული ეთიკის მუხრუჭი უნდა ახლდეს, თუ უნდა რაიმე ხელშესავლები შექმნას.

5887. ცენზურა კრძალვას ნიშნავს და არა აკრძალვას, უბრალოდ, ყველა ფსევდო-კულტურა და სუროგატი მაღალმხატვრული ღირებულების საცერში უნდა გატარდეს და რაც ზევით დარჩება, ის წარმოვაჩინოთ, რათა ხალხს ფანტაზიის, ოცნების, უფლება არ ჩავუხშოთ.

5888. მსახიობისთვის მთავარია იცოდეს იმ დღეს რისთვის გამოდის სცენაზე, შემდეგ მოდის ნიჭის გამომზეურება და როლის გათავისება.

5889. კლასიკის ზადით უმეტესობაა დაავადებული და მისი მონელება ყველას არ შეუძლია, ამიტომაა, რომ ამბიციებს პოპმუსიკა აცხადებს და საცნობიც ხდება.

5890. ხელოვანს თუ არ ამჩნევენ და მასზე არ ჭორაობენ, ის გაუსვენებელი მკვდარია და რა დროს და რა ზარ-ზეიმით გაიხსენებენ დასაფლავების შემდგომ, არავის უწყის.

5891. კინო თავის მცდელობით ყოველთვის იყო თავისი გმირების ესთეტიკის ყოფიერების წარმოჩენის ინიციატორი დიქტატით, მაგრამ გონიერება ყოველთვის ახერხებდა რაღაც ნაწილში ეჭვის შეტანას და ოპონირებას.

5892. მოქანდაკისთვის თიხა, ქვა, გრანიტი, რკინა, ცოცხალი არსებაა და მათ სუნთქვას ხელის ფერებით შეხებისას გრძნობს, შეიცნობს, ამასთან საკუთარი ნახელავის სჯერა და მასში ჩადგმული სულით ამაყობს.

5893. ზოგჯერ ხელოვნებაში აღქმულ ნაწარმს დახუჭული თვალებით უნდა უყურო, რათა მასში გარფნილების ნაცვლად სილამაზე შეიცნო.

5894. ხელოვნება ნიჭთან შეთანხმებული განწყობაა სულის წარმოჩენით.

5895. კლასიკურია ის, რაც გენიალური და მარადიულია, ხოლო რაც პოპულარულია და წამიერი მაღვიძარაა, ჟამთასვლას ეწირება.

5896. რეჟისურის ფორმულა შემდეგშია: ყველა მსახიობმა შემოქმედის განტოლებაში საკუთარი ადგილი უნდა დაიკავოს თავის სამრავლმამრავლით, ემოციურ ფესვის ამოღებით, გმირის ხასიათის კვადრატში აყვანით და ყოველდღიურ წარმოდგენაში ინტეგრალების ამოხსნით.

5897. ცივილიზაცია კულტურის გარეშე გარფნილი ოპტიმიზმის და ძრომიალა ბუნების მქონე ხალხის საქმეა, რომლებსაც ყველანაირი სისაძაგლის კეთება სათავისოდ შეუძლიათ.

5898. ბოშების კულტურა აქამდე ტრადიციების დაცვამ, ქალის გაუნათლებლობამ, უფროს-უმცროსის და ბოშათა ბარონის ინსტიტუტმა მოიყვანა და გადაარჩინა.

5899. მსხიობისთვის მთავარი უნდა იყოს როლის მზადებისას თავისი გმირის სულს ჩაწვდეს და არა ის, რას აჩვენებს და რაოდენ ტაშს მოიხვეჭს.

5900. მსახიობისთვის მთავარია სპექტაკლის დასაწყისში არ შემოაკვდეს დრამატურგს, რადგან ეს არა მარტო მის „იმიჯზე" მოქმ,ედებს, არამედ ჯიბეზეც და პერსპექტივაზეც.

5901. ზოგი საკუთარ გარდაცვალებასაც სპქეტაკლად აქცევს, რადგან მას არ შეუძლია კარის გამოჯახუნება გარეშე ამქვეყნიდან წასვლა.

5902. შინაგანი კულტურის დევალვაციას, ცივილიზაციის გათავხედება კი არა, თავზე ძახილის ნიშნის დასმა იწვევს.

5903. ჩემთვის მიუღებელია სიახლეზე დაფეთება ან მისი უგულებელყოფა, რადგან ასეთი ქმედება, ზომიერების დაცვის გარეშე, უკულტურობის და ნაკლოვანი აღზრდის შედეგია.

5904. ხელოვნება ვნების, სექსის, თავდავიწყების, გამოძახილია და შემდეგ – შრომის.

5905. ცივილიზაცია და კულტურა, უნდათ თუ არა, ერთმანეთთან მჭიდროდ თანამშრომლობენ და ერთმანეთის გაგებას ცდილობენ ურთიერთის „გადაგდების" გარეშე.

5906. სიხარბე კულტურას არად დაგიდევთ, ხოლო ბოროტება ცივილიზაციის მიღწევებს იყენებს და სადავიდარაბოდ აქცევს.

5907. მსხიობმა უნდა შეძლოს სულის შეფუთვა, სხეულის მოთოკვა, რადგან მისი მიზანია იმის გამომჟღავნება, რის საშუალება მას ყოველთვის არ აქვს სცენაზე და მაყურებელი ამას შინაგანად ხვდები.

5908. ხელოვნება სიფარულით სექსია, რომელშიც საკუთარ პროფესიას ხედავ.

5909. მხატვარი – მშიერი უნდა იყოს, კომპოზიტორი – უძინარი, მწერალი – თავის გმირებს სიზმრებში უნდა ხედავდეს, ხოლო პოეტი – ყოველთვის „ნასმი". ყოველ შემთხვევაში, არც ერთი შემოქმედი ამ მოგონილი პოსტულატის წინააღმდეგი არ იქნება, თუკი მათი ნაღვაწიდან რაიმე ხეირიანი და დასამახსოვრებელი გამოდნება.

5910. კულტურა მუდამჟამს ცივილიზაციის ბათქი-ბუთქს განიცდის და ის ყოველთვის მზადაა უგვანო მოირგოს, სასურველი დააღვინოს, გაითავისოს და მუდამ გონიერების უტყუარი ნუგბარი იყოს.

5911. ცეკვა მუსიკის გარეშე არარაობაა, ხოლო კარგი მუსიკა ყოველთვის საამოა და მერე როგორ!

5912. ხელოვნებაში „ჭიპის მოჭრა“ პერიოდულად ბავშვობაში დაბრუნებაა, რომელიც დროსაც სული ცელქობს და ხელმეორედ სიამით იბადება.

5913. ხელოვნების სამსახურიც ხარკს ითხოვს, რადგან მათი ზოგიერთი ცნობილი წარმომადგენელი ლოთი და ნარკომანია. ისინი ილუზიებით ცხოვრობენ და მიწიერებას დროდადრო უბრუნდებიან.

5914. შეიძლება წარმატებით ვიცეკვოთ, მაგრამ აღიარებას თანდაყოლილი ვნება-ჟინის გარეშე ვერ მივაღწევთ.

5915. მხოლოდ ხელოვნებას ხელწიფება აწმყოდან თავის დაღწევა და რეალობის დავიწყება.

5916. ხელოვნებითვის ყველაფერი ცოტაა მისი სურვილების, პრეტენზიების საკუთარი „მეობის“ დასაკმაყოფილებლად.

5917. მე არ მჯერა იმ ვარსკლავთა კაშკაშის, რომლებიც მეორე დღეს შოუ-ბიზნესისი ეკრანებზე მოგვევლინებიან, რადგან ხელოვანმა თავისი ნათება უნდა დაიმსახუროს.

5918. სიმღერა, ცეკვა შეიძლება წარმატებით გააყალბო, მაგრამ ვნების ფარსის შეცვლა-გადაკეთება შეუძლებელია.

5919. დღეს სიამოვნების მინიჭებაც და ხალხის შერჩევაც ხელოვნურად ხდება „ფანერით“ სიმღერა, რობოტექნიკის გამოყენება და სხვა. ასე, რომ ბევრ ნაღდს და ბუნებრივს ტექნიკური პროგრესი შეცვლის და სიამოვნების შეგრძნობაც ხელოვნურობაში აითქვიფება.

5920. თავისი საქმის ვირტუოზს ფრთხილად, ყურადღებით, უნდა მოვეკიდოთ, რადგან როდის გაუმართლებს და სად გამოგვადგება მისი ხელოვნება, არავინ უწყის.

5921. მასობრივი კულტურა ალჰოკოლის, სიგარეტის, ნარკოტიკის, თავისებური შემცვლელია. ამ მხრივ მას რაღაც სარგებელი მოაქვს ახალგაზრდობის დაუცხრომელი ყოფისთვის, მაგრამ პრაქტიკა სამწუხაროდ სხვას გვირჩევს.

5922. გასაშუალებული ნიჭი იქ იძენს პოპულარობას, სადაც სიტყვის თავისუფლება შეზღუდულია და ორაზროვნება რაღაცად ღირს, ხოლო სადაც ხმის ამოღება და სიმღერა თამამად შეიძლება, იქ ბევრი თანამედროვე ვარსკლავის ზურგს ამოეფარებოდა.

5923. კულტურის „ქანქარა“ – „მქნევარა“ ვარსკლავები და მათი პოპულარობა ცვალებადია და დროს და აწმყოს თავხედობას ემორჩილება.

5924. მსახიობი მაყურებელს დასცინის, ეს უკანასკნელი კი ყველაფერს სერიოზულად უდგება და განიცდის, იმის ნაცვლად, რომ აქტიორს ბიშტი უჩვენებს და ისიც გაამხიარულოს თუმცა მაშინ მსხიობის ინსტიტუტი გაქრება და მისი არსებობა აზრს კარგავს.

5925. მუსიკა, რომელსაც უსმენონი უსმენენ და აღფრთოვანდებიან, დროის გამფანი ჰანგებია და არა – ხელოვნების წარმომჩენი მუსიკა.

5926. ნამდვილი შემოქმედი უპირატესად თავს ებრძვის და არა იმდენად ირგვლივმყოფთ. ეს ქმედება გაცილებით მომგებიანია და შედეგის მომცემი.

5927. მსახიობი რომელიც პირნათლად ასრულებს, სცენაზე თავის საქმეს, ასევე პირნათლად ითხოვს მაყურებლისაგან აპლოდისმენტებს და აღიარებას.

5928. მოცეკვავისთვის ქუსლის და სულის მუსიკასთან შერწყმაა ყველაზე დიდი საიდუმლოება და წარმატების მიზეზიც, ხოლო ნიჭისთვის – როგორ ითვისებს საკუთარ შესაძლებლობებს, რომელიც ხშირად მისთვისაც უცნობია.

5929. მუსიკაში არც ერთი ნოტი არ არის ისეთი, რომლითაც რაიმეს დანგრევა ან შენება შეიძლებოდეს, მაგრამ სიამის შეგრძნება და აღგზნება სმენას ესალმუნება.

5930. ხელოვნება უფრო ხშირად გაუცნობიერებელ სიახლეს აფასებს, ვიდრე ცნობილ სილამაზეს, სიმახინჯეს, რომლის აღქმა მისთვის აუცილებელია.

5931. დღეს ფერწერა, როგორც ხელოვნება, წარსულის გადმონაშთია – ვიმედოვნებ დროებით.

5932. მასობრივი კულტურა თავისი ჩალიჩით ბევრს ამაიმუნებს, მაგრამ რაღაც ხელშესავლებს, გვინდა თუ არა მაინც ტოვებს.

5933. ხელოვნება „მუქთახორათა“ ცხოვრებაა, მაგრამ აუცილებელი და საჭიროა.

5934. ყველა კულტურას დაცვა სჭირდება, რათა ცივილიზაციამ ადამიანი ბუნებრიობის რეალობას არ დააშოროს.

5935. დრომოჭმული კულტურა და ნიჭი ერთმანეთს ვერ ეთვისება, რადგან პირველი კანონის და ტრადიციების მორჩილია, ხოლო მეორე აქსიომების და პოსტულატების ფარგლებში ვერ ეტევა, რადგან სიახლისკენ აქვს მიდრეკილება და თავი უნდა წარმოაჩინოს.

5936. ხელოვნებას თავისი სიბრძნე აქვს, იმისდამიუხედავად, ვინ, რა დროით და ვისთან წარადგენენ, თუ შემფასებელი პროფესიონალია.

5937. კულტურაა, რასაც სხვას უწუნებ, განსჯი და არ გაიმეორებ.

5938. ილუზორული ფასეულობანი ეთნოგრაფიული კულტურაში არ უნდა აგვერიოს, მაგრამ პირველის უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლება, რადგან ის თავისებურად უწყობს ხელს ახლის წარმოქმნას და ნაღდის შეცნობას.

5939. ხელოვნება თავისუფლებისათვის ჩალიჩია, რომელიც უნდა თუ არა, ხელოვანს საბოლოოდ ვერ გაუაზრებია.

5940. ხელოვნებასა და გარყვნილებას შორის ზღვრის დადების ცოდნა პროფესიონალის ხვერდია.

5941. ლექსიკონი, ენციკლოპედიაა და აფორიზმების ძვირადღირებული წიგნები რომ შეიძინო, ამისათვის თანდაყოლილი და არა წამხედურობის კულტურა უნდა გაგაჩნდეს.

5942. ის კულტურა, რომელიც ჯარისკაცს, კანონმდებელს, ძალაუფალს სჭირდება, არა მარტო აღზრდის, არამედ ტრადიციის მარწუხებში ყოფნასაც მოითხოვს.

5943. ხელოვნების საწყისი სულს კურნავს, სხეულს აღაფრთოვანებს, ყოფაზე დაგვაფიქრებს და ამასაც ცოდნა, აღზრდა და გარემო სჭირდება.

5944. ხელოვნების ფუნდამენტალური საწყისების ნგრევა საზოგადოების გადაგვარებას იწვევს და ხშირად მიზეზში ვერ გარკვეულხარ, რადგან ხელოვნების ზოგიერთი სიახლე თითქოს სადაო აწმყოს ეხმაურება.

5945. რომანტიზმი დიდ ფასს ითხოვს იმისათვის, რომ მისი რჩეული და გმირი გახდე.

5946. ყველა ხელოვნება აგიტაცია-პროპაგანდაა და არა – პირიქით.

5947. დღეს წარმატებას ქონებრივი ცენზი განსაზღვრავს და კულტურასაც ის ქმნის, რომელსაც დაწმენდა, დაღვინება და დროსთან ჭიდილი სჭირდება, რათა აღიარებულ ხელოვნებად იქცეს, ისიც იმ შემთხვევაში, თუ ნიჭიერი კაცის ვნებას წაეთამაშა.

5948. ხელოვნების ხალხს ასაკის მატება და ცხოვრების ალიყური უფრო ჭკვიანს ხდის, მაგრამ არა იმდენად, რომ მუზა დაივიწყოს.

5949. თეატრი არა მარტო სულის ამაღლება, ჯეელობის ხელმეორედ დაჭაშნიკებაა, არამედ გაკვირვებაცაა და ამიტომაცაა მიმზიდველი.

5950. კულტურასაც რჩენა სჭირდება, მათ შორის, საექსპორტო ვარიანტსაც, თუ კი შენთვის სასურველი პოლიტიკის გატარებას აპირებ.

5951. თეატრი მიმზიდველი და შელამაზებული საროსკიპოა თავის „დედილო“ რეჟისორით, რომლის მოვალეობა სპექტაკლში მსახიობთა

სარფიანი დასაქმებაა, თავისი აპლოდისმენტებით და თაყვანისმცემლებით.

5952. ასაკოვანი მსახიობები ძალზე მძიმედ განიცდიან უმუშევრობას და უყურადღებობას, ამიტომ მათთვის ბებრების თეატრი უნდა გაიხსნას.

5953. კულტურა იმდენად ლაღი და წმინდა უნდა იყოს, რომ არ უნდა ცრუობდეს.

5954. არის პერიოდი, როდესაც ზადი სუბკულტურად, მოდად, ცხოვრების მიზნად იქცევა და მისგან თავის დაღწევას ისევ რაღაც შემაძრწუნებელმა უნდა უშველოს, რადგან გონიერება, განსჯა, აქ ვერაფერს ხდება (მაგალითად, ტატუირება კიბოს აჩენს).

5955. კულტურა არის შინაგანი, თანდაყოლილ-გადამოწმებული, შეძენილი და სწორედ ეს უკანასკნელია, რომ აწმყოში განუსჯელად აღფრთოვანებას იწვევს.

5956. კულტურა ხალხის დედაა, გამოცდილება – მამა და მათ გარეშე იდეოლოგიის, ტრადიციების, ურთიერთგაგების საწყისი ხელიდან გვეცლება.

5957. ცხარე ხასიათი ძირითადად შემოქმედ ხალხს ახასიათებს, ხოლო გაუგებარი – უგნურებით „დაჯილდოებულ“ ვიგინდარებს.

5958. ნიჭისა და კულტურის გაიგივება არ შეიძლება რადგან ნიჭია: შოთა, ვაჟა, გალაქტიონი, ხოლო კულტურა: ყოველივე საუკეთესო, რაც კაცობრიობას შეუქმნია, მაგრამ აქ უმთავრესია ერის უფროს-უმცროსობის ინსტიტუტი, საქმის კეთების სურვილი, კანონის და კანონიერების დაცვა და სხვა მრავალი, რომელსაც ნიჭსაც სიამაყით შევაზელთ, რომელსაც ფაქტიურად ერის გადიდგულება-წარმოჩენაში არაფერი ესაქმება.

5959. ტირილსაც თავისი სილამაზე, ვნება, მიმზიდველობა აქვს, თუ მის ხელოვნებას ფლობენ, მიზეზის მიუხედავად.

5960. სინამდვილეში ხელოვნება ცხოვრებას კი არ ასახავს, არამედ ოცნებას, სულისთვის მშვენიერების შერწყმით.

5961. არის ნაღვაწი, რომელსაც თაყვანისმცემელი სჭირდება, არის შესრულების ოსტატობა, რომელსაც დამფასებელი ეთაყვანება.

5962. ხმა ადამიანის მეორე სახეა, ხოლო სიმღერის ნიჭი – მომდევნო, რატომაა ეს შეუსაბამობა ძნელი გასაგებია როდესაც ნიჭი კვადრატში მეორეხარისხოვანია ვიდრე თავად ნიჭი.

5963. ხელოვანი ფანტაზიით უნდა გვხიბლავდეს და არა სიცრუით, რომელიც შემოქმედებად უნდა შემოგვასაღოს.

5964. ხელოვნება ერთდროულად მსხვერპლსაც მოითხოვს და შეწირვასაც, თუ ის მომდევნო თაობებმა უნდა გაიხსენონ, შეაფასონ.

5965. თუ მასობრივი მკითხველი ღმერთს არ უქნია, მასობრივი კულტურა რა უნდა იყოს?

5966. მუსიკა ყველა საერთაშორისო ენას ფლობს, მათ შორის ყრუ-მუნჯებისას.

5967. მსახიობი არ უნდა ირჯებოდეს სიფათით – როლი უკეთესი გამოვა.

5968. შთაბეჭდილებების მისაღებად დროებით გონის და ცოდნის გამოთიშვაა საჭირო, წინააღმდეგ შემთხვევაში დაგვრჩება კრიტიკა „ეს ხომ იყოს" შეგრძნებით.

5969. ხელოვნებაში მთავარია ორიგინალური აზრის ფლობა, პროფესიონალიზმი და შემართება.

5970. კოცნა ხელოვნებაა, რომლის დაუფლებას ბევრი ლამაზი და ვნებიანი ქალი სჭირდება სათანადო სინაზით და გამოცდილებით.

5971. კულტურა ტრადიციულიც არის და არატრადიციულიც, მაგრამ დაფინანსებას ორივე მოითხოვს.

5972. მაყურებლის სანახაობაზე დასწრება, თავისებური სპექტაკლის ხარისხის აკუსტიკაა და ბანის მიმცემია.

5973. ხელოვნება ეკუთვნის ხელოვნებამცოდნეებს, ხალხს კი მათი რეცენზიების „ნაცოხნი".

5974. ხელმძღვანელის ხელოვნება იმ ხალხის გამოჩხრეკვაა, ვისაც მისი დავალების შესრულება ენთუზიაზმით შეუძლია.

5975. სირცხვილის აღქმას ტრადიციული კულტურა და აღზრდა სჭირდება.

5976. სტრიპტიზი თავისებური ვნების კულტურაა, რომელსაც უკულტურონი არ უნდა გავაკაროთ ფულიანების გამოკლებით.

5977. შემოქმედებითი თავხედობა სულიერების ჭენების შედეგის გარანტია.

5978. ფოტოგრაფია მეათედში წამის გაყინვაა, ხოლო რაიმე სახეირო რომ გადაიღო, ნიჭი და სევდაა საჭირო.

5979. ბალეტი სულის ღაღადია, გონიერების გამონათება და ფეხების ვნების დამოძღვრაა.

5980. ყველა ხელოვნებას რწმენა უმაგრებს ზურგს, რადგან მარტო ნიჭით თავის წარმოჩენა გაუჭირდებოდა.

5981. ნამდვილი ხელოვნება უასაკოა და მაყურებელიც უბერებელი ჰყავს.

5982. ხალხი ემსახურება კულტურას და არა პირიქით, რადგან საუკუნეთა ყოფის დაფიქსირება ტრადიციებით, მუზეუმების გამოყენებით ამ უკანასკნელის მოვალეობა, ხოლო ახლის ძიება მოსახლეობისთვის, სულიერებასთან შეჭიდებაა.

5983. კულტურის რა სახეობასთანაც უნდა გვქონდეს საქმე, ის დაძალების გარეშე ვერ იარსებებდა, ოღონდაც ზომიერების ფარგლებში და ევოლუციის გათავისებით.

5984. მუსიკა არის საკუთარი სულიერების აკუსტიკური გამოხატვა, იმისდამიუხედავად, მსმენელად ხართ მოვლენილი თუ მისი ჰანგების ასაჟღერებლად.

5985. ხელოვნების წარმოჩენა დამოკიდებულია გარდასახვის უნარზე, შემდგომ მოდის ნიჭი, დრო, გამართლება.

5986. მსხიობის ცრემლი სცენაზე გრძნობების განზრახ შერყვნის შედეგია, რომლის მამოძრავებელი ძალის საწვავი ემოციები და ცნობიერებაა.

5987. ადრე კულტურა, ხელოვნება, მეცნიერება, სულიერებისთვის და დაფასებისთვის იღვწოდა, დღეს კი მუცლის სახეთქისთვის და პიარისთვის ჩალიჩობს.

5988. მკვლელობა, ძალადობა, არაორდინალურობა, ხალხს თავისი გადაგვარებული აზროვნების, ოცნებების საკომპენსაციოდ და მათში გასარკვევად იზიდავს, რაშიც მათ თანამედროვე ხელოვნებაც ხელს უწყობს.

5989. ხელოვნება მაშინ ზეიმობს თუ ის თანამედროვეთა მცირე ნაწილისთვის მაინც საჭიროა, მომავლის პერსპექტივებით.

5990. კონიუნქტურის გარეშე ხელოვნებას არსებობა უჭირს, რადგან მისი შემოქმედი ადამიანია და ცხოვრება უნდა.

5991. თეატრი მაშინ თეატრობს თუ მას თან ახლავს სიყვარულის ატმოსფერო, რომელშიც მისი გმირების სიკეთეც და სიძულვილიც იგულისხმება.

5992. ხელოვნება ბედნიერების ტრიბუნაა, სადაც ბრბო შეიძლება ხალხად აქციო, თუ მათ საკუთარ სიკეთეზე მაგალითებით ესაუბრები.

5993. კლასიკაა ის, რაც მწვავეა, აქტუალურია, ყველა ასაკის ადამიანის სულისთვის და დროის გათავხედება მასზე გავლენას ვერ ახდენს.

5994. ხელოვნება იქ წარმოჩნდება, სადაც დამყარებული ერთფეროვნება კანონსაა აკიდებული და მისი ამბიციურობის დარღვევას ცდილობს.

5995. კულტურა, ხელოვნებისაგან განსხვავებით, ყველასათვის ხელ-მისაწვდომია, რადგან ხელოვნება სხვადასხვა ქვაბში და სანელებლებით მზადება კულტურად რომ იქცეს, დროის ალიყურის და დაჭაშნიკების მცდელობით.

5996. ბედის ღალატია, თუ თვითმყოფადი ნიჭი კლასიკად არ იქცა, წინააღმდეგ შემთხვევაში, კულტურის მარადისობა აზრს კარგავს.

5997. ყველა ხელოვანი დიდი ბავშვი უნდა იყოს და მისი სულიერე-ბით ცხოვრობდეს, თუ უნდა სიცოცხლის ყველა ეტაპზე რაიმე ხელშე-სავლები დატოვოს, რადგან ყოველ ათ წელიწადში თაობა იცვლება და მათ გემოვნებას, მოთხოვნებს, ფეხი უნდა აუწყოს.

5998. ცეკვა უპირველესად ემოციაა, შემდგომ მოდის ტექნიკა და აზროვნება – მის შინაარსზე დასაფიქრებლად.

5999. შემოქმედება უპირველესად, სულიერების თანხმობას მოითხ-ოვს, თავთან შევაჭრებით, მორიგებით, რომელსაც შინაგანი აპლოდის-მენტებიც უნდა ახლდეს უკეთესის აღმოსაჩენად და წარმატების მისაღ-წევად.

6000. კულტურა თანდათანობით კვდება და არა ერთბაშად, თუ მასზე არ ზრუნავენ და არ ახსოვთ.

6001. მხატვრის ფუნჯი უნდა მღეროდეს, მუსიკას უნდა უსმენდეს, მუზა უნდა ფრენდეს, გონი ბურუსიდან გამოსვლას უნდა ცდილობდეს, თავის საქმიანობა ერთდროულად უნდა უყვარდეს და სძულდეს, მისდა-უნებლიედ, გენიალობას უნდა გრძნობდეს, მხოლოდ ამის შემდგომ შეიძლება მას თავისი საქმის ფენომენი ვუწოდოთ.

6002. კულტურა ხელოვნებაა განგების დონეზე და არა ის, როცა რაღაც ჰიტად მოგვევლინება თავის შესაქცევად ტექნიკური სიახლის შედეგად.

6003. ხელოვნებას უჭირს ლიტერატურიდან თავის დაღწევა, მიუ-ხედავად იმისა, რომ ის მაღლა დგას მასობრივ შეგრძნებაზე, აზროვნე-ბაზე, რადგან ეს ყველას თავისი ,,ბზიკით'' აქვს.

6004. ხელოვნების ჩვენთვის მისაწვდომი ნაღვაწს იმიტომაც ვაცნო-ბიერებთ, რომ ერთიდაიგივე ოცნებაა ერთდროულად ყველანი ვინაწი-ლებთ.

6005. ხელოვნების მადლი შეუფასებელია, მაგრამ არა უფასო.

6006. პოლიტიკა, ფაქტობრივად ძალის და ფულის დემონსტაციაა საკუთარი სურვილების, მისწრაფებების, აღსრულებით, დროის შერჩე-ვით, გონივრული ეგოიზმით და ენაზე კბილის დაჭერა-აშვებით.

6007. ნამდვილი შემოქმედი თავისი დროის მხატვარია და არა ის, ვინც წარსულის „ზღაპრებს“ ებღაუჭება და მომავლისას ოცნებით ამუღამებს.

6008. სასიყვარულო ისტორიები თავისებური დასვენება, დოპინგია, სულის გამონათებაა, განსაკუთრებით, შემოქმედი ხალხისათვის, რათა დროდადრო ნიჭი დაასვენოს, გაიხალისოს.

6009. შემოქმედებას პიროვნება, ნიჭი, სჭირდება და არა დროს აყოლილი, ყურით მოთრეული, თაყვანისმცემლები, რომლებიც უდროოდ იკარგებიან, ქრებიან.

6010. მსახიობს, ნიჭის მიუხედავად, პროფესიონალად აღმაფრენა და დაცემა აყალიბებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოყვარულის სტატუსს ვერ გაცდება.

6011. ბარბაროსია ის, ვინც თავის კულტურას პატივს არ მიაგებს, ან ყოველივეს მიმართ გულგრილია და არავითარი წმინდა არ გააჩნია.

6012. ხელოვანის პროფესია, მიმზიდველობის მიუხედავად დაუნდობელია, რადგან გარდა ნიჭისა, დროის ყივილსა და ბედის გაღიმებაზეა დამოკიდებული.

6013. ნამდვილი ხელოვნება არ იტყუება, ის უბრალოდ ფანტაზიას, ნიჭს აძლევს გასაქანს, თავის ჭიას ახარებს და გარეშე თვალსაც ახალისებს.

6014. ხელოვნება, სიძულვილის და სიყვარულის გარეშე, შედევრს ვერ ქმნის, საზოგადოება არ ვითარდება და ადამიანსაც თავზე წარმოდგენა დაეკარგება, რადგან განსასჯელი და დასაყვავებელი არაფერი იქნება.

6015. შემოქმედების მსახურნი მოწოდებულნი არიან იმისათვის, რომ სამყაროს სულიერებას რაღაც შთაბერონ და ადამიანის ვნება გონიერებას დაუმორჩილონ.

6016. ხელოვნება ნიჭის, განცდის, შურის, წინააღმდეგობათა დაძლევის, გარეშე სასურველ შედეგს ვერ აღწევს და არც ისტორიას ამახსოვრდება.

6017. ხელოვნების მსახურისთვის ხელოვნება ფულის შოვნაა, თვითნაბად ნიჭთან ერთად.

6018. ცირკი – ხელოვნებაა, შოუ – ხელოსნობა, რადგან რასაც ამ უკანასკნელში ფონოგრამით გააკეთებ და იკისრებ, ამას არცერთი ცირკის მსახიობი, თუ ცხოველი, არ გააკეთებს და იკადრებს.

6019. მსახიობი და ყვავილები განუყრელია, რადგან ეს მისი შეფასება-დაფასების, თაყვანისმცემელთა წამლიქვნელების „გრანტია“.

6020. მუსიკა ღირსეულთა გაბედნიერების თავისებური შესაძლებლობაა, ამიტომაც ის მეცნიერება ხელოვნების სულის შეცნობით.

ლიტერატურა — მწერლობა

6021. წიგნი როგორც წლის რომანი ისე უნდა იწერებოდეს, თუ გვინდა საუკუნეების მომბერებელ რომანად იქცეს.

6022. მწერალი ის არის, ვისაც სიფხიზლეში თავის ნააზრევი სჯობნის, ხოლო სიმთვრალეში სხვის ნააზრევსაც ფორას აძლევს.

6023. წიგნის წაკითხვის შემდეგ თუ ერთი ფრაზაც კი ტვინს არ გიხვრიტავს, ეს წიგნი კი არა, მაკულატურაა.

6024. ხანდახან წიგნმა თავის მკითხველის მომწიფებას და დროის ცვალებადობას უნდა დაუცადოს.

6025. პოეზია მუსიკის ჰანგებით უნდა იყოს შეფუთული სასწაულია.

6026. პოეტისთვის ერთდროულად სახსრის და ნიჭის ქონა დიდი ბედნიერებაა, მაგრამ მისი მკითხველისთვის არის უბედურება, რადგან გაჭირვებისა და გართობის გარეშე დაწერილი ლექსის თავისი პეწი და მადლი აკლია.

6027. კითხვა ხელობაა, ხოლო მკითხველად გადაქცევა – პროფესია.

6028. წერის სტილს, მანერას, ცხოვრება გვთავაზობს და არა – ნიჭი.

6029. ენა ერის ქალიშვილობაზე თავს გამოიდებს, მაგრამ მწერალმა ის სექსუალურ ქალად უნდა აქციოს და არა – ხასად.

6030. ლიტერატურა სულიერი საკვებია, რომლის ტელევიზიით ჩვენება გადაცდომას იწვევს.

6031. ხშირად ცხოვრებაზე ლიტერატურიდან გაცილებით მეტს იგებ, ვიდრე ცხოვრებამ გაგაგებინა.

6032. სიტყვის მადლს მწერლები ადგენენ, აღაფრთოვანებას პოეტები, ჰაეროვნებას მხატვრები გამოხატავენ, ხოლო ჯამს მათზე მუსიკის შექმნა უსვამს წერტილს.

6033. მწერალი მკითხველის სულს მკურნალობს, მაგრამ არა ბოლომდე და სამუდამოდ.

6034. თარგმანის თარგმანი, ლექსის სათარგმნელად არ გამოდგება.

6035. მწერალი ყურით წერს და მომავალი წიგნის აქციებს იძენს.

6036. ლექსიკონში აღმოჩენილი ფრთიანი სიტყვების აღქმა დიდ კაიფს მგვრის, მაგრამ მას, დეტექტივისგან განსხვავებით, გონიერებით წაკითხვა სჭირდება.

6037. ენის ბაზარი გრამატიკა, ლექსიკონია, რომელსაც მაშინ ვაქცევთ ყურადღებას, როდესაც ახალი სიტყვის მადლის შეცნობა გვინდა.

6038. როდესაც მასა გულგრილად ეცნობა თავის პოეტებს, იმ ხალხის სულიერება საფრთხეშია.

6039. არიან მოდას აყოლილი მწერლები, მოდაში შემოსულნიც და ისეთებიც, რომლებზედაც მოდა გავლენას ვერ ახდენს და თავისი ნაღვაწით მარადისობას ებღაუჭება.

6040. რედაქტორის კაპრიზს პატივი უნდა სცე, მაგრამ შენს ნაწერს უნდა ენდო.

6041. მწერალმა თავისი და სხვა დროის ეპოქა გონებით უნდა განიცადოს, შეჯერების გარეშე თუ უნდა რაიმე ხეირიანი შექმნას.

6042. გონიერი და სასარგებლო ლიტერატურა ხშირად უინტერესოა ბრბოსთვის, ხოლო განათლებული ხალხი სიახლის წასაკითხად ვერ იცლის და ეს შეუსაბამობა მანამ დარჩება, სანამ ხალხის ოდენობა ბრბოსას ხარისხით და კითხვისთვის დროის დატოვებით არ აჯობებს.

6043. სამყაროს ფელა სიბრიფის და სულელური აზრის შეკრების საშუალება რომ მოგვცემოდა, სისულელეების ენციკლოპედიის ერთ-ერთი პოპულარული მრავალტომეულის შექმნა მოხერხდებოდა.

6044. ფელა დროის უცვლელი საგანია დედა-ენა, რომლის გამოშრობის და გადაგვარების უფლება არავის უნდა მივცეთ.

6045. ენა უსასრულობასა და მატებასთან კავშირშია, თავისებური კონკურენციის მიუხედავად, უცხო სიტყვების აგრესიას ვერ იტანს, მაგრამ ზოგიერთი იძულებულია გადაამუშაოს და გაითავისოს.

6046. წელქვევით დარტყმით წერა მკითხველს გვიმრავლებს, მაგრამ შთამომავლობას დააფიქრებს და საბოლოოდ შეიძლება ცხვირში ამოგარტყას ან პირიქით, რადგან დროს თავხედობის გაგება შეუძლებელია.

6047. პროზისგან განსხვავებით, პოეზია აფექტში გვაგდებს და გვაძლევს ძალას სამშობლოს შეყვარება-შენარჩუნებისას ყოველგვარი ქვენა გრძნობების გარეშე.

6048. ლექსიკონს, აფორიზმს, ენციკლოპედიას, სჭიროების გარეშე იშვიათად თუ ვინმე ეცნობა, უმრავლესობა გასართობ ლიტერატურას ეტანება, რომელიც გონებაში ქატოს ტოვებს და ფქვილს არ იძლევა.

6049. ცოდნა წიგნის წაკითხვა და გაზუთხვა არ არის, მას გონიერების ფილტრში გატარება, დაღვინება და გამოყენება სჭირდება.

6050. ცოდვილია მუსიკაც, პოეზიაც, მეცნიერებაც და სხვა მათი მიმდევარი დარგები, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ ჭეშმარიტი მომხმარებელი არ ეყოლებოდა.

6051. წიგნის დიზაინს თვალი აფასებს, ეროტიკას – სული, ხოლო შიგთავსის და დაბოლოების მსჯავრმდებელი მკითხველია, გონიერია ის თუ უგონო.

6052. ზოგი მკითხველი მწერლის შემოქმედებას გონიერების კორექტურას ისე უკეთებს, რომ ავტორს არაფერს ეკითხება.

6053. უცენზურო სიტყვებს და არასტანდარტულ ლექსიკას განმარ-ტებითი ლექსიკონი და მოვლა-პატრონობა სჭირდება, რადგან ისიც თავისებური უცხო ენა, დიალექტია და ყველამ თავის ჭკუაზე არ უნდა მოთარგმნოს და გამოიყენოს.

6054. ნაწარმოების საუკეთესო ფაბულა სხვის აუწყობელ ცხოვრე-ბაზე დაკვირვებაა, რომელსაც მწერლის ფანტაზია ფრთებს ასხამს და მკითხველის ცნობიერებაზე აჯილავებს.

6055. ლექსი უცნაურად ამღერებულ სიტყვათა დაჭერა და მათი მოჩუქურთმებაა.

6056. მწერლის ცხოვრება თავად უნდა იყოს სულთან შეხამებული ნაწარმოები, რადგან სხვანაირად საშვილიშვილოს შექმნა მხოლოდ ფან-ტაზიით და ნაღრძობი ჭკუით ძალზე ძნელია.

6057. მწერალს მაშინ აქვს უფლება გმირის ბედი ისე დააბოლოოს როგორც მოეპრიანება, თუ მას შეგნებული აქვს აწმყოს რაობა, საკუ-თარი სინდისის წინაშე მომავლის განსჯით.

6058. მწერლის კალამმა გონების ორმოდან უნდა ამოათრიოს ჭუჭყიანი სული და მკითხველს დაწმენდილ – შელამაზებული მიართვას.

6059. ახალი სიტყვის შექმნა, ენასთან შერწყმით, აღმოჩენაა, ოღონდ ფილოლოგიაში, რომელიც ჩემი აზრით პატენტის გაცემას იმსახურებს.

6060. ოცნებაში ყველა მწერალი ირგებს ჰომეროსის ტოგას, რუს-თაველის ფაფახს, შექსპირის მანტიას, მაგრამ წერის ხარისხი არც ლურსმანზეა დამოკიდებული, არც ბატის ფრთაზე და არც კომპიუტე-რის კლავიშზე – ყველაფერს ნიჭი და დრო წყვეტს.

6061. ნაწარმოების, ნაღვაწის, ფირმის, პირველადი შემფასებელი მისი სათაური ან დასახელებაა.

6062. პოეზიას, პროზისაგან განსხვავებით, მარადჟამს ჯეელის სული სჭირდება.

6063. დეტექტივის ფაბულა შეიძლება სხვისი იყოს, მაგრამ ხორცის შესხმა და სულის ჩადგმა მწერლის საქმეა.

6064. კლასიკური ლიტერატურა, ხელოვნება, ინტელექტუალური საკუთრება, აუცილებელია ხალხის სულიერების საკვებად და მათი ყო-ფის ჩამოსაყალიბებლად, მაგრამ ნაკლებად პოპულარულია იმ მასის-თვის, ვინც ეს სიმდიდრე უნდა შემოინახოს, დააფასოს და თაობიდან თაობას გადასცეს.

6065. ნაწარმოებში რომ სიავე სიმპათიებს იწვევს, ეს მის მაღალმხატ-ვრულ დონეზე მიუთითებს, მაგრამ საზოგადოებას რომ თავისებურად აცდუნებს, რყნის და სიკეთეს ამცირებს, ამის გააზრება არავის უნდა.

6066. მწერლისათვის მთავარია არა ის, მისი წიგნის გმირები რას მოიმოქმედებენ, არამედ რა აზრები, სიტყვები, წამოსცდებათ ისეთი, რომლებიც საუკუნეთა საკუთრება გახდება.

6067. დღიურის წერაც თავისებური დაავადებაა იმ ადამიანების, რომლებსაც წერის ნიჭი არ გააჩნიათ და ცდილობენ ნერვებზე თევზაობით თავი დაიმშვიდონ.

6068. მწერალი კინოსთვის პირველი შავი სამუშაოა, შემდგომ იწყება სცენარის წერა რეჟისორის და მსახიობთა ნიჭის შესაბამისად.

6069. წიგნი რომ ხეირიანი გამოვიდეს, მის გამოცემას 3–4 წელი სჭირდება სხვადასხვა რედაქტორებით, კორექტორებით და ექვს-ექვსი თვე შესვენება-დაღვინებით.

6070. ღირსეულ ნაწარმოებს ასე ადვილად ვერ ჩაწვდები, ყოველი წაკითხვისას ახალ გენიალურ პლასტებს აღმოაჩენ, რომელსაც შენი სულის განწყობის მიხედვით მოთარგმნი და გაითავისებ.

6071. წიგნი მაშინ იქნება საინტერესო, თუ ყველა მკითხველი მასში თავის გმირ „ბოზ მამიდას“ შეიცნობს, მონახავს და გაითავისებს.

6072. მწერალი, რომელიც სხვა მწერალს წიგნის გამოცემის საქმეში მატერიალურად დაეხმარება, უბრალოდ, კარგი კაცია, თუ ტირაჟის გასაღებაშიც – კარგი კაცია კვადრატში.

6073. ერთმა მკითხველმა მისაყვედურა „შენმა წიგნმა ისე დამაინტერესა, კომპიუტერს ორი კვირა არ გავკარებივარ“. რას ვიზამთ, ასეთ მკითხველსაც უნდა შევეჩვიოთ, დავუყვავოთ და ვამრავლოთ.

6074. ლიტერატურა მაინც დოკუმენტური ისტორიაა, მწერლის ჭკუა-ხასიათით, შთაგონებებით გადახარშული.

6075. პოეტია ის, ვისაც მხატვრული სიტყვის პათოსით, ვნებით, სიყვარულით, მოხულიგნო ფილოსოფიით წარმოთქმა და ქაღალდზე დამაგრება შეუძლია.

6076. მე ერთი ამოსუმთქვით, ტვინის ნაოჭების განწყობის შესაბამისად, ვწერ და შემდგომ არ მაინტერესებს, რას, რის შესახებ და ვინ რას იტყვის.

6077. მწერლისთვის გარკვეული "გვირგვინმიგება", როდესაც მისი ნაწარმოებზე მკითხველს სხვადასხვა აზრი გამოაქვს და მათ შორის, გაუგებარიც.

6078. ენა არ შეიძლება იყოს ცუდი ან კარგი, მას მფარველ-მსმენელი უნდა ჰყავდეს და სხვის ლინგვისტურ სარკეში ყურება არ უნდა ეზარებოდეს, რომ თავადაც გალამაზდეს და თვითმყოფადობაც შეინარჩუნოს.

6079. მოაშორეთ რუსთაველის, შექსპირის, დოსტოევსკის, ნაწარმოებს ფილოსოფია და გენიოსის ნაცვლად ხელში შემოგრჩებათ დე-

ტექტივის ავტორები. ამიტომაცაა მწერლობა თავის დროის გადასახედის მოჩუქურთმებული ფილოსოფია, ხოლო სიუჟეტის, ფაბულის, შეთხზვა სიტყვა-კაზმული ვნების გარეშე დარჩენილი ლიტერატურაა.

6080. პოეტს არ ეკითხებიან რის თქმა უნდა, რადგან იმას წერს, რაც ჩვენს სულს და გონებას ესალბუნება. ასევეა ,,სიტყვამზეობაც", თუ მას ფილოსოფიას და ირონიას გავითავისებთ.

6081. წიგნს, ეტყობა, ვალის მოსახდელად არის გამოცემული თუ – არა, რადგან პირველში კორექტურა მოიკოჭლებს, მეორეში – დიზაინი.

6082. პოეზია გულიდან ამოხეთქილი სარფიანი სიტყვების მომნუსხავი ლამაზი რახა-რუხია.

6083. წიგნის გამომცემელთა აზრის უგვილებელყოფით და მკითხველის გონიერების გაფეტიშებით, ,,ჩემს ყისმათში" წარმოდგენილია ხუთი სხვადასხვა ნაწარმოებ-ნაშრომი მკითხველთა გასაოცებლად. ამასთან ჯიუტი ოპონენტიც ვარ და განუხრელად მჯერა მომდევნო თაობის ნიჭის, შემართების, შორსმჭვრეტელობის და თავის მოწონების მცდელობისა, მიუხედავად იმისა, რომ ამის უფლებას არ მაძლევს ცხოვრების გამოცდილება და ქვეყნის ისტორიის გადასახედი.

6084. ლიტერატურას თავისი პატარ-პატარა მაწანწალები და ტაშის დამკვრელი მკითხველი უნდა ჰყავდეს, რათა დიადი შევიცნოთ, გამოვაჩინოთ-გავაფეტიშოთ.

6085. პოეზიაში ერთი ენიდან სხვა ენაზე თარგმნის ხარისხს ლექსიკონის და თარგმნის ნორმატივები კი არ წყვეტს, არამედ აღმაფრენის, გონების და ფრაზების მოლაპარაკების შედეგი.

6086. ლიტერატურასა და მწერლობას შორის ის სხვაობაა, რომ პირველი გამოზომილი სიტყვის მადლს წარმოგვიდგენს ფილტრში გატარებულ კვადრატში, ხოლო მეორე სიუჟეტის ზომა-წონის ხარისხს კუბში აიყვანს და გაოცების უნარს მადლს მოასხამს.

6087. მწერლობა აზრიანად დეგეგმილი გრძნობათა ღელვაა, ღირსეულ გადახრებით, ფსევდო-მეცნიერულ ჰიპოთეზებზე შეტევა, უკან დახევით, ადგილ-სამყოფელის ორგინალური აღწერა, მარჯვედ მიგნებული სიუჟეტით, რომელიც შეიძლება შევზილოთ მაგარი პოლიციელებით, დაუნდობელი ბანდიტებით, ვიგინდარა პოლიტიკოსებით, უცხოპლანეტიდან მოფრენილებით, ძუნწი ბანკირებით, მარჯვე პროვინციული გომბიოებით და მრავალი სხვით. ამ ვინეგრეტის გემრიელი შეზავება, მოხდენილი გაფორმება ცენზს გვანიჭებს, რეკლამას გვიკეთებს და საყოველთაოდ გვმოსავს.

6088. დღეს წიგნის კითხვას უმუშევარი და უსახსრო ხალხი ახერხებს, ხოლო ვინც შეძლებულია და სამუშაოთი გარანტირებულია, კითხვის-

თვის ვერც დროს ნახულობს და არც დიდი სურვილი აქვს. გამოდის, რომ განათლება და წიგნის კითხვა ღარიბი ხალხის პრეროგატივაა.

6089. მწერალს ყველა თავისი გმირი ერთანირად უნდა უყვარდეს, პატრონობდეს, რათა ვადამდეე ხელში არ შემოადნეს-შემოაკვდეს და მისი კაცთმოყვარეობა ეჭვის ქვეშ არ დადგეს.

6090. ჩემსა და სხვა მწერლებს შორის ის სხვაობაა, რომ მე ცხოვრებას ვწერ – როგორიც უნდა იყოს, სხვები აღწერენ თუ როგორია.

6091. ქალის დაწერილი პიესა მამრის ნაღვაწიდან იმით განსხვავდება, რომ პიესის დასასრულს ქმარდაკარგული ქალი წარმატებით თხოვდება, ხოლო მამრი, ვისი გულისთვისაც ოჯახი დაანგრია, უარს ეუბნება. რატომ ჰგონია ამ მწერალ ქალს, რომ მამაკაცების ბედი მარტო ამ ქალის ბატალიებთანაა დაკავშირებული და თადარიგში მყოფი ამ კაცზე დასაოჯახებლად გამზადებულ ქალთა არმიას არად დაგიდევთ.

6092. იუმორი ლიტერატურის ის ბერკეტია, რომელიც სიტყვას აიძულებს იმუშაოს და მისი მადლი შევიგრძნოთ.

6093. მწერლობა სულის სერობა, სხეულის აღმაფრენაა, გონების საჭყლეტია ცხოვრების ფილოსოფიით შეზავებული.

6094. სამართლიანობა, შემართება, წესიერება მხოლოდ კინოში ზეიმობს, ხოლო ცხოვრება ხელოვნების სხვა დარგებში რეალობას ყოველთვის არ ანებივრებს.

6095. მსახიობობა პროფესია კი არა, ცხოვრების წესია. მსახიობს მისთვის საოცნებო გმირის როლი სიცოცხლის ბოლომდე აღელვებს.

6096. მწერალსა და წიგნის ავტორს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი განგების ნიჭით დაჯილდოებული ხელოვანია, ხოლო მეორე ბუნების მომადლებული ნიჭის ხელოსანია და აწმყოში ტირაჟირებულია, ხოლო მომავალში იქნება თუ არა გასაღებაში, პირველიდან განსხვავებით, არავინ უწყის.

6097. პოეზიაა, როდესაც სიტყვასთან ერთად მუსიკაც ჟღერს და სულს გვიმსუბუქებს, ხოლო პოეტი ისაა, ვინც თავის ვნებას სიტყვებით გამოხატავს და მუსიკით წერს, მსოფლმხედველობა და ყოფის ფილოსოფია კი დაუფიქრებლად ორივესთან გვესალბუნება.

6098. მუზის მსახურიც თავისი ნიჭის მონაა, ოღონდ კომპრომისებით და თავის ნაღვაწზე რეკლამის გაწევით.

6099. მწერლობა მოდიდო ზომის დაუმუშავებელი ალმასის მონახვაა, წვრილად დაკარატებით, რათა მისგან მიღებულმა ბრილიანტმა თანამედროვეებს სული აუფორიაქოს და შთამომავლობას ამ ნაწარმოების დაკარგვა-დავიწყების უფლება არ მისცეს.

6100. პოეზია სულის ჰარმონიის ამოსუნთქვაა, შემდეგ ვლინდება სიტყვის ჩუქურთმის ფილოსოფიის რაობის აზრი.

6101. ზოგ მწერალს იმიტომ უხდება საინფორმაციო საშუალებებით თავისი ნაწერების კითხვა, რათა მსმენელს არ გააგებინოს, რომ მას წიგნთან მუშაობა ეზარება და უწიგნურია.

6102. წიგნების დაწვასა და მაკულატურაში ჩაბარებას შორის მწერლისთვის დიდი სხვაობა არ არის, მაგრამ ხალხის გატუტუცებისა და მწერლის „რეკლამისათვის" აქვს მნიშვნელობა.

6103. წიგნის ავტორის დანიშნულებაა ზოგადსაკაცობრიო აქსიომები ისე წარმოაჩინოს, რომ მკითხველი აიძულოს მასზე ფიქრით გაისარჯოს და ტვინის უჯრედებს მტვერი მოაშოროს.

6104. შემოქმედებაა, როდესაც ნაღვაწით თავად იწვი და შენი ნაჩალიჩევ-ნაშრომი სხვასაც ათბობს.

6105. მწერალი, რომელიც ფაბულად დეტექტივს არ იყენებს და ისე აღწევს სიტყვების ფილოსოფიას, კაცთმოყვარეობის ჰარმონიას და აღიარებას, უკვე გენიოსია.

6106. მწერალსა და ლიტერატორს შორის ის სხვაობაა, რომ პირველს კალამი თავად ეწვევა, მეორე თავად მიდის.

6107. ზოგჯერ ერს მახვილგონიერება, ეშმაკური აზრები, გემრიელად შეკურთხება, ანეგდოტი, უფრო წარმოაჩენს, ვიდრე მწერლობა და ლიტერატურა, რადგან ამ უკანასკნელისგან განსხვავებით, წინამდებარეთ დაფიქრება და ტვინის შეწუხება არ სჭირდება.

6108. ლიტერატურა გართობის ერთ-ერთი სახეა, ოღონდ სხვადასხვა გემოვნებით.

6109. ლიტერატურა დიდი მინდორია, სადაც ყველა თავისი კვალის დატოვებას ცდილობს, რომელსაც ერთმა-ორმა უნდა მოუაროს, რათა ქვეყანა და მისი ხალხის ბუნება გამოაჩინოს.

6110. არ არსებობს საკითხი, რომელზეც ლექსის შეთხზვა, მუსიკის დაწერა, აჟღერება არ შეიძლებოდეს, თუ ნიჭი და დროის ყივილი შენს ხელშია.

6111. სამწუხაროდ, რასაც ფართო მოხმარების მკითხველი გამოტოვებს ნაწარმოების კითხვისას, ის არის მწერლობა, ხოლო რასაც ბოლომდე ჩაიკითხავს, ლიტერატურა.

6112. ესთეტური სიფხიზლე ყველა დარგში, განსაკუთრებით ლიტერატურაში, ყველა დროში აუცილებელია.

6113. პოეზიის აღმაფრენა, ფრთების გამოსხმა, დამოკიდებულია არა მარტო ნიჭზე, სურვილზე, არამედ დროის ყივილზე და საზოგადოების იმდროინდელ განწყობაზე.

6114. მწერალია ის, ვინც ამ საქმიანობით თავს ირჩენს, ხოლო ლიტერატორი ვინც სიამოვნებისთვის იღვწის.

6115. ზოგი, ბატის ფრთით ნახლაფორთალი ნაწარმოები, ხშირად ავტოკალმით და კომპიუტერით დაბეჭდილზე მაღლა დგას და თანამედროვე მუზის ბევრ მსახურს ბიშტს უჩვენებს.

6116. ფელა წიგნს თავისი მკითხველის ასაკი და რეკლამა სჭირდება აღსაქმელად და გასათავისებლად.

6117. მწერალმა ისე უნდა წეროს, რომ დრო-ჟამის გასვლის შემდეგ თავადვე უნდა სიამოვნებდეს მისი რამდენჯერმე გადაკითხვა.

6118. მწერლის ვალია აწმყოს გამდიდრება, მომავლის იმედის მიცემა და წარსულის უკეთ მოხსენიება.

6119. მწერლობა სახელის ამქვეყნად დატოვების ბოლო შანსია.

6120. მწერლობა რომ ხელსაყრელი ბიზნესი იყოს, იმდენი მიმდევარი გამოუჩნდებოდა, რომ მაშინვე სულიერად გაკოტრდებოდა.

6121. მწერლობა არასოდეს ყოფილა სოლიდური ბიზნესი, შთამომავლობის კაიფსა და დაფასების დივიდენდებზე რომ არაფერი ვთქვათ.

6122. პესიმისტებს და რეალისტებს ნაწერი უკეთ გამოსდით, ვიდრე ოპტიმისტებს, ვინაიდან ნაკლებად „აფრენენ“.

6123. მწერალმა, უპირველესად, მატერიალური მდგომარეობა უნდა გაიუმჯობესოს და მერე იფიქროს სულის გალაღებაზე.

6124. მწერალი სულის ინჟინერია და ჩვენი გრძნობების ორგანიზებული ხელოსანია – ამიტომაცაა ის ჩვენი კერპი.

6125. მცდარბეჭდილი ზოგჯერ მკითხველს აიძულებს ნაწარმოებს უკეთ გაეცნოს, რათა მასში შეცდომები აღმოაჩინოს და მსჯელობის საგნად აქციოს.

6126. მწერალი შეიძლება იყოს პოპულარული და ღირსეული. პირველის ნაწარმოები ტირაჟირებულია, შემოსავლიანია და დავიწყებადი, მეორის – მცირე ტირაჟიანია, მცირე შემოსავლიანია, მაგრამ დავიწყებისთვის არ არის განწირული.

6127. კარგი წიგნის წაკითხვა და მასში სათავისო სიბრძნის აღმოჩენა თავისებური სექსია ორგაზმით.

6128. იდეალურ ქმარს ქალი – მწერლების რომანებში შეხვდებით, მაშინ, როდესაც იდეალური ცოლის ასახვა ვერცერთმა მწერალმა მამკაცმა ვერ მოახერხა.

6129. პოეტობა გენიოსობაა, მწერლობა ნიჭია, რადგან პირველს სათქმელი ერთი ამოსუნთქვით ფურცელზე გადააქვს, სულის ფილოსოფიით, ყოფის მსოფლმხედველობით, რითმების აწყობით და მუსიკის ჟღერადობით, როდესაც მეორეს იმავეს საკეთებლად თაბახები, ნახელა-

ვის დაღვინება, კორექტურა, სულის დიზაინის გახმოვანება და წარმო-ჩენა სჭირდება.

6130. მწერლობა საპატიო წოდებაა, მაგრამ დამფასებელი ჰყავს შიგადაშიგ და ისიც დროის ყივილის შესაბამისად.

6131. წიგნის გაცნობამ პრაქტიკულად შეიძლება ბევრი არაფერი მოგცეთ, მაგრამ დაგაფიქრებთ და საჭიროების ჟამს მოგეხმარებათ.

6132. ვინც დიდხანს ცოცხლობს, მისი მემუარები უფრო საინტერე-სოა და „მართლად" გამოიყურება.

6133. მემუარი ოცნებით ჩასწორებული საკუთარი ცხოვრების და თავგადასავლების დეტალებია.

6134. ლიტერატურა არსებობს: გასართობი, დეტექტივი, რომანი, პიესა, კომედია, ტრაგედია, მხატვრული, ტექნიკური, სპეციალური, სა-მედიცინო, საბავშვო, ზღაპრები, იგავ-არაკები, აფორიზმები. ვინ იცის, კიდევ რას უნდა გაეცნო, რომ ადამიანად ჩაგთვალონ და თავი პიროვ-ნებად იგრძნო.

6135. მწერალი საწერი კალმით მეტყველებს, აზროვნებით ქმნის და ენის ქავილით მკითხველს აცნობიერებს და რეკლამას იკეთებს.

6136. მწერლის ხელოვნება აისბერგს მოგვაგონებს, სადაც მკითხვე-ლი ხილულ ერთ მესამედს პრაქტიკულად ეცნობა, ხოლო ორი მესა-მედის შესაცნობად გონება, ფანტაზია, ვნება, უნდა მოიშველიოს.

6137. მწერლისთვის წერა იმითაც არის ხელსაყრელი, რომ ქაღალდი ბევრს იტანს და ფილტრის როლსაც ასრულებს კორექტორის ხელში.

6138. მწერალს არც მკითხველი უნდა დააკლდეს და არც ოპონენ-ტი, თუ უნდა მისმა ნაღვაწმა მზეს შეხედოს და შთამომავალთა საკუთ-რება გახდეს.

6139. მწერალი პოლიგრიმი უნდა იყოს, რათა გონიერების, ისტო-რიის, ლაბირინთებში ხეტიალმა პიროვნებად წარმოაჩინოს.

6140. მწერალი თავისი ნაწარმოების გმირს წიგნის გამოსვლის და აპრობირების შემდგომ უკეთ ეცნობა.

6141. პოეზიას ლოგიკა არ სჭირდება, რადგან ის ყველანაირი მტკი-ცებისაგან თავისუფალია.

6142. სტილისტობა ყველაზე მძიმე სამუშაოა, ამიტომ ავტორები ამ შავ სამუშაოს სხვას ავალებენ და აკვალიანებენ.

6143. კრიტიკას ყველა უფრთხის, ერიდება, მაგრამ ის საჭირო და უკვდავია, საზრიანი შეფასების გარანტიაა.

6144. ისტორია ლიტერატურის ბიძაშვილია, ლეგენდები – მამი-დაშვილი, რაც შეეხება ფაბულას, ის მწერლის სისხლით ნათესავია.

6145. წიგნიც ფუფუნების საგანია, რადგან უფულო კაცს არც მის წასაკითხად სცალია და კითხვის სურვილიც დაკარგული აქვს.

6146. მწერალი ცხოვრებას მის პოტენციური მკითხველისაგან სწავ-ლობს.

6147. სამწუხაროდ, დღეს მწერლობა, ლიტერატურა, ხელოვნება, შოუ-ბიზნესს ეტმასნება და მის საკუთრებაში გადასვლაზე უარს არ ამბობს.

6148. უზნეო მწერლის ნაღვაწი უფრო მცირე ცოდვაა საზოგადო-ებისთვის, ვიდრე მისი ნაწარმოების გმირის მიერ ჩადენილი დანაშაული, რადგან ამ უკანასკნელს არ ივიწყებენ, ხოლო პირველს საუკუნეთა მტვერი გადაეფარება და დავიწყებას ეძლევა.

6149. ყველანაირ პოეზია-პროზაზე უდიდესი ნაწარმოები მათემატი-კური ფორმულა, თეორემაა, მაგრამ მას ძალზე მცირე მსმენელი ჰყავს და არა – დამფასებელი, რადგან საზოგადოების უმრავლესობისთვის ის კრიტიკის გარეშეა, გაუგებარია, ხელმიუწვდომელია, ე.ი. – უინტერესოც.

6150. მხატვრობაც ლიტერატურაზეა მიბმული, წინააღმდეგ შემ-თხვევაში, ის თავის პეწს დაკარგავდა, რომელსაც აზროვნება, აღ-ფრთოვანება და შინაგანი სიამაყე ჰქვია.

6151. ყველა წიგნი ემოციების და ინფორმაციის წყაროა და სხვა-დასხვა ჟანრად და მათ მოყვარულ მკითხველებად იყოფა.

6152. მათემატიკის თვალსაზრისით სიყვარული მრავალსვლიანი გან-ტოლებაა, ფიზიკის აზრით, დასამუღამებელი მარგი ქმედების კოეფიცი-ენტია, ქიმია ცდილობს სათუო რეაქციების მსვლელობას ბოლო მოუ-ღოს, ხოლო ბიოლოგია დაგვიანებით გენეტიკური საწყისების დადგენას ცდილობს. მხოლოდ ლიტერატურაა, რომელმაც ფუნდამენტურ მეც-ნიერებათაგან განსხვავებით, ყველაფერი იცის.

6153. სერიოზული ნაწარმოების არსის შეცნობა ფიქრს და დროს მოითხოვს, ხოლო გასართობისა – დროულად დავიწყებას.

6154. ყველა მწერალი თავის ბიოგრაფიას მოგვითხრობს, სინამდვი-ლით იქნება ეს გამაგრებული თუ ოცნების ბზიკით გაზვიადებული.

6155. ლექსიკონი შრომატევადი და უმადური სამუშაოა, ხოლო გრამატიკა ენის თავსატეხი და დაუფასებელი წვალებაა.

6156. მწერალი ხშირად სხვის იდეებს თავისი ბიოგრაფიის გადასა-ხედიდან გვთავაზობს.

6157. ფილოლოგია სწავლობს ლიტერატურას, ენათმეცნიერება – გრამატიკას, რომელიც სტილისტის მარჯვენა ხელია. ასე და ამრიგად, ყველანი მარლთწერისს სადარაჯოზე დგანან.

6158. ენის დედა პოეზიაა, მამა – პროზა, სიტყვათა მარაგი – წინაპართა დამსახურება, ხოლო მათი საწყისი ფილოსოფიაა.

6159. პოეზიაა, როდესაც სიტყვა არ გაფიქრებს და მის დედააზრს გონიერება მისდაუნებლიეთ იწოვს, ითვისებს.

6160. პოეზია სულის არქიტექტურაა, ხოლო პროზა მისი მშენებელი.

6161. ენაში ორთოგრაფიული ლაფსუსები ყოველთვის მოიძებნება ლინგვისტიკის განხრით.

6162. ყველა წიგნში, სიახლეში, იმალება თავისებური გაუგებრობა და ხშირად – სასიამოვნო უცოდინრობაც.

6163. როდესაც აწმყოზე წერ, ფაქტების სიმრავლის მომხიბვლელობას თავს ვერ აღწევ და ნაწარმოების მხატვრული მხარე იჩაგრება, ხოლო როდესაც წარსულს ეჩალიჩები, ფაქტების სიმცირის გამო, შენს ჭკუაზე მოთარგმნი, ნაწარმოების მხატვრულობას მეტ დროს უთმობ და ნაღვაწი უფრო ნალოლიავები გამოდის.

6164. მწერალია, ვინც მოწყენილობისთვის განწყობილ მკითხველს გამოაფხიზლებს, გონება გაუნათებს, ხასიათზე მოიყვანს და სულის ელექსირად მოევლინება.

6165. ლიტერატურა არის რეალისტური, ფანტასტიკა, იდეალისტური, ხოლო ამ უკანასკნელს „ნობელის პრემია“ ყველაზე მეტად სწყალობს და თავზეც ევლება.

6166. მწერლების ფენომენსაც თავისი მაკიაჟი სჭირდება, რათა საზოგადოებაში წარმოჩნდეს და აპლოდისმენტები დაიმსახუროს.

6167. პოეზია სულის საგზალია, პროზა – გონების საძღომი, ხოლო ორივეს ჩვენი შინაგანი რაბისადმი ხელმისაწვდომი სიამოვნება მოაქვს.

6168. პოეტები, უნდათ თუ არა, ყოველთვის უფრო მიმზიდველად გამოიყურებიან ვიდრე მწერლები, რადგან მათი ნაღვაწში, პროზისაგან განსხვავებით, მუსიკას, ჰანგებს და ვნებას ძებნა არ სჭირდება.

6169. პოეტს წლებს კი არა, ვნების ასაკს, სტრიქონების ხარისხს და აღმაფრენის უნარს უთვლიან.

6170. ძირძველ სიტყვას ისტორია მიაძინებს, მაგრამ პოეტები გამოთხრიან და მის ვნებას და მადლს ახლებურად გვაგრძნობინებენ.

6171. დღეს ქართული მწერლობა ლოგინად ჩავარდნილ ავადმყოფს ჰგავს, რომლის გამოჯანსაღება მკითხველთა მატებაზეა დამოკიდებული და არა შემოქმედებით ნიჭზე, რომლის კრედიტი ქართველ ერს ყველა დროში ყოველგვარი გარანტიის გარეშე, ერთ სულ მოსახლეზე გაცილებით მეტი აქვს.

6172. დეტექტივსაც უნდა ჰქონდეს ადამიანური სახე, რათა ნახელავი ნაწარმოებად აღვიქვათ და არა – ბალაგნად და ღვთის რისხვად.

6173. მწერლის ვალია, სულიერებას, გონიერებას ჩაურევლად ესაუბროს და ისე წარმოაჩინოს.

6174. წიგნებისაგან განსხვავებით „ხელნაწერები არ იწვიან“, მათ ჩვენთვის უცნობი არქივები ინახავენ მომდევნო თაობათა განსასჯელად.

6175. მწერლის მარადისობის ვადას მკითხველი ადგენს, რაც უნდა უვიცი და უწიგნური იყოს.

6176. ცენზურა რედაქტორობით ყოველთვის ცუდი არ არის, ის ხეხავს ნაწარმოებს, კრიტიკის ცეცხლში ატარებს და გაპრიალებული სახით წარმოგვიდგენს.

6177. მწერალი მრავალის ცხოვრებით ცხოვრობს, მათ შორის, თავისითაც.

6178. ჩეხოვი შეიძლება რუსეთის ყველაზე მკაცრი მწერალი იყო, რადგან ის სულებს უპირისპირებდა ერთმანეთს და გონიერებას აორებდა.

6179. ფანტაზია, ფანტასტიკა, იგივე ფილისოფიაა და მათი დახმარებით შექმნილი ნაღვაწი მოწონებას იმსახურებს, რადგან ოცნებას საზღვრები არ აქვს.

6180. ყველაზე კარგი ნაწარმოები, შედევრები შექმნილია უპასუხო სიყვარულზე და არა – ბედნიერზე და ბედნიერებაზე.

6181. პოეტის ბედ-იღბალი თავისებური გამონაკლისია, რადგან მისი შემოქმედება, სოციალური და პოლიტიკური ბარიერების მიუხედავად, მუდამ თავისუფალია და თავის დროის ქომაგებს ასაჩუქრებს.

6182. წიგნში სკაბრეზული ლექსიკა და ეროტიკული პასაჟები მკითხველის გამოსაფხიზლებლად არის შეტანილი არა მისი დასაფრთხობად.

6183. მ. ლომონოსოვი ცდილობდა დაეწერა ღირსეული ფილოსოფია, მოჭარბებული სტილით გამმართული პოეზია, ხოლო ა. პუშკინმა – თავის გრძნობებს და ნიჭს აყოლილი ლექსები. შედეგად პირველის მონდომებამ საშუალო პოეტი მოგვცა, ხოლო მეორეს გენიამ – სამყაროს მგოსნად აქცია.

6184. მოვა დრო და კოსმოსიც თავისი პოეზიის ანთოლოგიას მოითხოვს.

6185. პოეზია სულით ცისარტყელას შვილობილია.

6186. პოეზიას აღუწერელი მადლი გააჩნია, მაგრამ მსმენელი და მომხმარებელი ჰყავს დღეს შეთხელებული, თუმცა ისიც ტექნიკურ პროგრესზე დროებით გადაყოლის ბრალია.

6187. ყველა დარგს თავისი კლასიკოსი ჰყავს, მაგრამ მათი დაფასება ფეხის ხმის აყოლაზეა დამოკიდებული და არა – ცოდნა-განათლებაზე.

6188. პოეზიას თავისი სიმაღლე, გადასახედი, შესაჯერებელი აქვს, რომელთანაც მომდევნო თაობები გატოლებას უნდა შეეცადონ.

6189. ყველაზე ძნელია მკითხველზე წიგნის შეძენის უღელის დადგმა, თორემ შემდგომ ავად თუ კარგად ან წაიკითხავს ან თაროზე შემოდებს და თუ დასჭირდა თავსაც მოიწონებს.

6190. ლექსი შეიძლება შავგვრემანიც იყოს, ჭრელიც და თეთრიც, გააჩნია, ვის რა მოსწონს და რამდენი წლისაა.

6191. მწერალი რაც უნდა განათლებული იყოს, იმ ენაზე უკეთ წერს და აზროვნებს, რომელზეც დედა ესაუბრებოდა.

6192. მწერლის სატკივარი ერის სატკივარია, მაგრამ ამ მწერალს მაშინ იხსენებენ თუ ნიშნის მისაგებად და ბრანწის საჩვენებლად გამოადგებათ.

6193. სიყვარულის მადლს მხოლოდ პოეზია უმღერის მთელი გულით, რომლის მხარდამჭერი ზოგჯერ მუსიკაცაა.

6194. შემოქმედი თავისი ნაწარმოების გმირში სიკვდილ-სიცოცხლის აჩრდილს უნდა ხედავდეს.

6195. ნაწარმოებში თავიც უნდა ამოიცნო, მისი სილამაზე – მომხიბვლელობაც უნდა იგრძნო და მასზე გაბრაზებაც უნდა შესძლო.

6196. მწერალი გამადიდებელი შუშით უნდა უყურებდეს ცხოვრების რეალობას და არა – ირონიით და ნიშნისმოგებით.

6197. თარგმანი ხშირად ასახიჩრებს დედანს, მაგრამ არ კლავს და სახელსაც უთქვამს.

6198. წიგნის გამოსაცემად „ლიტერატურის მონების“: რედაქტორის, კორექტორის, მხატვრის და სხვა საქმის მცოდნე მონდომებული ხალხია საჭიროა.

6199. პლაგიატსა და ერუდიტს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი კრედიტის გარეშე ესესხება თანამედროვეთ, ხოლო მეორე ძველებისგან იმ კრედიტით სარგებლობს, რომელსაც არასოდეს დააბრუნებს.

6200. დღეს წიგნს არც მკითხველი ჰყავს და არც კრიტიკოსი. სხვათა შორის, ეს უცნაურობა წინა საუკუნეებშიც შეიმჩნეოდა.

6201. წიგნის კითხვას თავისი დრო, ასაკი, განწყობა, სჭირდება მატერიალური შესაძლებლობით, ყოფის შეცნობით და თავის წარმოჩენით.

6202. კრიტიკა ის ხელოვნებაა, რომელიც ჩუმად იჩქმიტება, შინაგანად ნერვებს გიშლის, მაგრამ სიამოვნებასაც განიცდი.

6203. ნაღდი მკითხველისთვის წიგნის წერა გაცილებით ძნელია ვიდრე გაუცნობიერებელი ფართომოხმარების მკითხველთათვის, თუმცა უკანასკნელნი გაცილებით მეტნი არიან.

6204. მწერლობა აზროვნების მოჩუქურთმების და სულის გამოჩარხვის შედეგად მიღებული სასუსანვია.

6205. პოეტი საზოგადოებრივი კოდალაა, რომელიც ცდილობს სასიამოვნო სტროფები ყველას თავში ჩაუკაკუნოს.

6206. მწერლობა სმენის, ხედვის, ფანტაზიის და წერის უნარია.

6207. პოეზია მომავლისადმი ლტოლვა, ხსოვნა და მისწრაფებაა.

6208. მემუარების წერას სკლეროზი ხელს ვერ შეუშლის, მთავარი სურვილია.

6209. წიგნის კითხვით უნდა იცოცხლო, იხარო, ისიამოვნო და ცხოვრების ყადრიც უნდა ისწავლო.

6210. არის წიგნის მყიდველი და არის კითხვის გურმანი, რომელსაც სულის საგოგმანო ნაღვაწი უნდა მიართვა და დააგემოვნებინო.

6211. წიგნს უმეტესობა ეცნობა გასართობად, უმცირესობა – რაღაცის სასწავლად, ხოლო ერთეულები – სიტყვის მადლის აღსაქმელად, გონიერების საჯილდაოდ და ,,ჯიგრის'' ამოსატრიალებლად – ასაწველად.

6212. შემეძლო მარტო ინტელექტუალებისთვის მეწერა და მოსახლეობის უდიდესი ნაწილი უყურადღებოდ დამეტოვებინა, მაგრამ არსებობს მომდევნო თაობები, სადაც ახალი ინტელექტუალებია აღმოსაჩენ-გამოსაყენებელი.

6213. დროდადრო ლიტერატურა, მწერლობა, უხამსობის, ლაზღანდარობის არენად იქცევა, რათა გენიალობას თავის გამომჟღავნების უფლება მისცეს, როდესაც უგნურების ფეტიში ყველას მობეზრდება.

6214. მწერლები სამშობლოს სადიდებლად არიან მოწოდებულნი, პატარ-პატარა წკიპურტებით და იუმორით ნიშნის მიგებით.

6215. პოეზიის მამოძრავებელი ძალა ის სულიერი სიყვარულია, რომელიც ხშირად ბედის რჩეულთათვისაც კი გაუგებარია.

6216. ყველა ეპოქა თავის დროის პოეტი, მწერალი, მხატვარი, კომპოზიტორი სჭირდება და ჰყავს, რომელთაგან ზოგი ხელს თავის დროის უკვდავებას გამოკრავს.

6217. პოეტი ისეთ ლექსს ვერასოდეს დაწერს, როგორსაც მასზე შეყვარებული ქალი აღიქვამს.

6218. ლიტერატურა ფაბულად რატომღაც სულის გარყვნილებას ეძებს, ყოფის არაორდინალური პარამეტრებით, რათა ის ფართო მკითხველთათვის საინტერესო და შესაძენი წიგნი გახდეს.

6219. პოეტს რაიმე რწმენა, მიდრეკილება, კი არ აწერინებს ლექსს, არამედ შინაგანი მოთხოვნა, სიყვარული, სულის გაცისკროვნება.

6220. პოეტობა დაუცველი, გაუგებარი, უფულო პროფესიაა, რადგან გარკვეულ უტოპიას ქმნის, სიტყვის წყობით და რითმთამზეობით.

6221. პოეტი ყველა ჩვენგანისთვის წერს, მისი პოეზია რაც უნდა უნივერსალური, ინტიმური და ჩვენი ,,მეობისთვის'' გაუგებარი იყოს.

6222. პოეზია გრძნობათა ჭიდილია, თავისი შეფრქვევა-ამოფრქვევით, სულის და ვნების აღმაფრენით.

6223. პოეტი მოწოდებულია წინაპართა მოხსენიებით აღფრთოვანება გამოიწვიოს, მაგრამ მათ სავაგლახოდ არ უნდა შეეხოს.

6224. მწერალი რაღაცას ფანტაზიორობს, ,,სისულელეებს'' წერს, თავადვე რამდენჯერმე კითხულობს და არ იცის დააფასებენ, დაუფასებენ თუ რაიმე ჰონორარს გადაუხდიან.

6225. ლიტერატურისთვის მწერლის ის წიგნია მისაღები, რომლის გმირების ბედს მწერალზე მეტად მისი მკითხველი განიცდის.

6226. მწერლობა – სულის სასოების ქაღალდზე გადატანაა და ცხოვრების რეალობის ,,ფარშში'' გონიერების სანელებლების შერევა.

6227. საინტერესო წიგნიდან ფაბულა ამახსოვრდებათ, ხოლო აფასებენ აზრების ფერუმარილით.

6228. გენიალობა ცალობით ნაწარმია, რომლის რეპეტიტორი, ალბათ შემოქმედია.

6229. პოეზია ფილოსოფიის, სულის, გრძნობების, ფაქიზი გამონთხევაა, რომლის საწყისი ზებუნებრივი მადლია.

6230. მწერალი მკითხველის სულის მიმხრობას ცდილობს, კრიტიკა კი მათ სულებს რევიზიას უტარებს.

6231. ლიტერატურა ცდილობს ყოფის გარკვეულ პარამეტრებს გვაზიაროს, მაგრამ ცხოვრება თავისი გზით მიდის და მასზე სწავლება არ მოქმედებს.

6232. მწერალი თავისი ნაღვაწის მადნეულის ორ მესამედს თავად ამუშავებს, ერთ მესამედს მკითხველის გამჭრიახობას ანდობს, გრძნობების ასაფორიაქებლად და იქვე დასავიწყებლად.

6233. მწერალი იძულებულია თავისი გმირები: ბანდიტებად, მექალთანეებად, სიძვის დიაცებად, ლედებად, აქციოს და მათი შერწყმით, სამართლიანი ფინიშით, მკითხველთა ცნობისმოყვარეობა დააკმაყოფილოს.

6234. მოკლედ წერა, ყოფის სათანადო ფილოსოფიის შერწყმით, დიდი ნიჭია, მაგრამ მკითხველია ზარმაცი, მას ყოველივე დაღეჭილი უნდა მიართვა, მათ შორის სულის ჩუქურთმაც, რომელსაც უმეტესობა კითხვის დროს გამოტოვებს.

6235. ლოგიკა გონიერების ბჭობის საზომია და არა უგუნურების.

6236. ლოგიკასა და პოეზიას შორის ის მსგავსებაა, რომ მათ საერთო ერთმანეთთან არაფერი აქვთ.

6237. მემუარსა და დღიურს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი ქვეყნდება, მეორე სულის გამოუქვეყნებელ საკუთრებად რჩება.

6238. პოეზია, ხელოვნება, მეცნიერება, სიფვარული განგების მადლია და როგორ გაითავისა, ავტორისთვისაც უცნობია.

6239. პოეზია იგივე მუსიკაა, ოღონდ მუნჯებისათვის.

6240. მწერალმა სიტყვები უნდა ირწმუნოს, მონათხრობს დაუჯეროს, მხატვრულად უნდა გადახარშოს, მაგრამ ნაწარმოების გმირის მრწამსის გამომზეურებას მცდელობა არ უნდა დააკლოს.

6241. მწერალმა პირველ რიგში თავისი ხალხის ტკივილი უნდა აღიქვას, მიზეზი მოიძიოს, მხოლოდ იმის შემდგომ უნდა ეცადოს, რომ სხვა ხალხებისთვისაც გასაგები იყოს.

6242. ყველაზე ხშირად ავტორს უხდება თავისი წიგნების კითხვა მისი გამოცემის პროცესში და მაშინაც, როცა ნოსტალგია მოაწვება და ნაღვაწი რატომღაც უკეთესი ეჩვენება.

6243. მწერლობა გრძნობების გადმონთხევაა, ნერვების თამაში და გონიერების დროებით ჩართვა–გამორთვებია საკუთარი გადასახედიდან.

6244. რატომღაც ისტორიულ თემაზე ნაწერი უფრო გასაგები და მისაღებია თანამედროვე მკითხველთათვის, ვიდრე აწმყოს სინამდვილეზე ნაღვაწი. ეტყობა, ცნობიერებასაც დაღვინება და შეფასება–გადაფასება სჭირდება.

6245. ოპტიმიზმით და სისხლისნთხევით დაწერილი, მკითხველისთვის ყოველთვის მისაღები არ არის, ხოლო თუ რაიმე ღირსშესანიშნავი გამოდნა წიგნიდან, ისიც დროის ყივილს ემსახურება.

6246. პოეზია გრძნობათა ჩოჩქოლის დალაგების მცდელობაა, მისთვის გასაგებ ჭეშმარიტებათა მოშველიებით.

6247. რეცენზენტს წიგნის წერა ისე რომ შეეძლოს, როგორ რეცენზიებსაც აქვეყნებს, მკითხველის და მის ბედს ძაღლი არ დაყეფს.

6248. წიგნის მთლიანობაში წარმოჩენაზე ავტორი ფიქრობს, ხოლო მის შინაარსზე მკითხველი.

6249. მეტყველებაში წამხედურობა – წაკეკლუცების უფლება ყველას არ უნდა მივცეთ, თუ სიტყვამ ცნობიერების სათანადო კუპაჟი და დაღვინება არ გამოიარა.

6250. მასობრივი მკითხველი უპირველესად მაძღარ და რომანტიზმით აღსავსე სიტყვებს ეძებს წიგნში და თუ იუმორს და ფილოსოფიასაც აღმოაჩენს, წინააღმდეგი არ არის, რადგან ეს მკითხველისათვის სავალდებულო დამატებად ეჩვენება.

6251. დისკრიმინაციას არა მარტო ადამიანები, სიტყვებიც განიცდიან და ტაქტი გვაიძულებს მათი გაფილტვრა – გადაწყობა ვისწავლოთ. მაგ. ყ–ე, ტ–აკი, რომელსაც ქართულ ენაში მრავალაზროვანი ტემბრული დატვირთვა და მნიშვნელობა აქვს, პენისად – ფალოსად ან საჯდომად – უკანალად უნდა წარმოვაჩინოთ.

6252. წიგნის აზრიანად და არა გასართობად კითხვა ფასობს, რადგან პირველი წაგადგება, ხოლო მეორე ფუჭია.

6253. მწერალი ვალდებულია თავისი დროის პორტრეტი და ყოფის სურნელი ისეთი სრულყოფილ ფანტაზიის მოშველიებით აღწეროს, რომ მკითხველმა მასთან ერთად გაინავარდოს და პერსონაჟთა ცხოვრებით იცხოვროს.

6254. სიახლის წერა უფრო ადვილია, ვიდრე მისი დეკლამირება და გულიდან გონებასთან მიტანა, რადგან პირველ შემთხვევაში თუ აზრი არ მოგეწონება, გადახაზავ და სხვა სიტყვებით შეცვლი, მეორე შემთხვევაში რაღაც წამოგცდება და კრიტიკას ვერ გადაურჩები. ეს ქმედება ბავშვის ჩასახვას მოგვაგონებს, რადგან მამრის საწყისი შრომა, მდედრისას ვერ შეედრება, ამიტომაც ცნობილია გმირი დედები და არა გმირი მამები, თუმცა ავტორის გარეშე შემსრულებელი არარაობაა.

6255. მწერალი სიტყვათა მენეჯერია, რომლის მადლს, პეწს, ნიჭთან ერთად ხვეწს და აზროვნებასთან ერთად მის რეალიზაციას წარმატებით ახერხებს.

6256. პოეტი პირადი გრძნობების ჩოჩქოლს გამოხატავს და მკითხველს საშუალებას აძლევს სიამოვნებით მოთარგმნოს.

6257. დღეს ლიტერატურა განათლებულ და ერუდირებულ ღირსების მქონე მკითხველს მოძღვრავდეს თავის სიტყვების მარაგით და რაც გვწამდა ძველად.

6258. ენა სამაყროს ყველა კუთხეში ნაგვიანდება და ნგრევას განიცდის, რაც ცივილიზაციისთვის ხარკის გადახდის საფასურია.

6259. ენა შეიძლება იყოს მეომრული, უტიფარი, დამცინავი, ბილწსიტყვაობა, ინტერნაციონალური, ბროკერული, ინტერნეტის და სწორედ ეს უკანასკნელია ყველაზე დიდი ზადი და საშიში ლიტერატურისთვის, რადგან წიგნის კითხვას გადაგვაჩვევს.

6260. მწერალი, უპირველესად, მკითხველის სულს უნდა აკონტროლებდეს და გახრწნა-დევალვირების უფლებას არ აძლევდეს.

6261. სულის აღმაფრენა პოეზიით იწყება, როგორც ბავშვის ჩასახვა და აქედან რა საკაიფო და დაუვიწყარი გამოვა, უცნობია.

6262. დღეს მწერლობა, პოეტობა, ძალზე გართულდა, ყველა ახალი სიტყვიების შეთხზვასა და გამოყენების დასწრებაზეა და მწერალს ისღა დარჩენია, სიტყვის თუნდაც უარესი შესატყვისი მოიძიოს, რათა პლაგიატორობა არ დასწამონ.

6263. პუბლიცისტიკა ყოველთვის ემსახურებოდა ძალაუფლებას და არა – ქვეყნის ინტერესებს, თანაც ხალხის ,,თუხ-თუხს'' მუდამ ანგარიშს უწევს.

6264. მწერლობა არის იმ ჩვეულებრივ საკითხებზე ყურადღების ამბიციურად გამახვილება, რომელიც ყოველდღიურობაა და თითქმის ვერ ვამჩნევთ.

6265. მწერალი თავისი საქმის შამანია, თუ ნიჭს სხვათა ენერგიის მითვისების გარეშე იყენებს.

6266. ლიტერატურა, ხოლოვნება, მეცნიერება, ერთი სისხლისანი არიან, სხვადასხვა ფანტაზიით, ფანატიზმით და სიახლის შეცნობის უნარით.

6267. არის სიტყვები, მაგალითად, Изюминка – ჩამიჩის მარცვალი, შედევრივით ფასდაუდებელი და სათარგმნად მიუკარებელი, რომელთა თარგმნა შესატყვისი სიტყვების კოქტეილითაც: გასაცვიფრებელი, გასაგიჟებელი, მოხდენილი, მარილიანი, ნატიფი, ნაზი, ტურფა, კოხტა, შნოიანი, ვერ გამოხატავს სრულად, რადგან მისი ქართულად გახმოვანება ხმის ტონალობით უნდა მოხდეს, რათა მის მადლს, აზრს, ჩავწვდეთ და აღვიქვათ.

6268. წიგნის პოპულარობამ დაღვინების სამი სტადია უნდა გაიაროს, პირველი: როდესაც გამოცემისთვის მზადაა, ავტორმა წიგნი 6 თვით გვერდზე უნდა გადადოს და შემდგომ დიდი ყურადღებით წაიკითხოს, მეორე: გამოცემიდან ორი წლის შემდგომ თვალი გადაავლოს, მესამე – როდესაც მკითხველი თავის აზრს გამოთქვამს, ხოლო ავტორს დეტალები აღარ ახსოვს და იძულებულია მესამედაც გადაათვალიეროს.

6269. წიგნის კითხვა სიამოვნებაა, მაგრამ მისი ნელა და აზრიანი წაკითხვა უდიდესი კაიფია.

6270. მწერლობა ნიჭით დაფეხმძიმებული საქმის კეთებაა, ტკბილი კატორღაა, ხოლო ნაღვაწით დატკბობა, სულის თავისუფლება და სხეულის გალაღებაა.

6271. რაც ფულის მომტანი არ არის, ის არავის აინტერესებს, მხოლოდ ჩვენშია პოეზია, სულიერება, სიკეთის კეთება, სხვის ხარჯზე საინტერესო და გულთან ახლო მისატანი.

6272. შემოქმედებითი კონფლიქტი გვეხმარება ცნობიერების გაჯანსაღებაში, სულის დამშვიდებაში, ყოფის პოპულიზმში და მატერიალურად ფეხზე წამოდგომაში.

6273. ლექსიკონის გადახედვა – სასიამოვნო გაოცებაა, აფორიზმისა – გონიერებაზე მტვერის გადაწმენდაა, პოეზიისა – სასიამოვნო ჰანგებით სულის ნარნარი, პროზისა – ტვინის ნაოჭების დაგეშვა, ხოლო ყველა ზემოთ აღნიშნული გვაიძულებს რაღაც ისეთი სიბრძნეს ვეზიაროთ, რაც ჯერ არ შეგვხვედრია და განგვიცდია.

6274. მწერლობა უმადური საქმეა, მაგრამ სასიამოვნო საღვაწი, მიუხედავად იმისა, მკითხველში, დროში, გაგიმართლებს თუ უიმისოდ.

6275. ვინც დეტექტივის კითხვით არის გატაცებული, ვერც ვერაფერს იძენს და არც არაფერს კარგავს, რადგან დროის მოკვლის სხვანაირი მეთოდი მისთვის უცნობია.

6276. წიგნი გაცოცხლებული სიზმრებია, ხოლო კომპიუტერი სიზმრების დავიწყების საშუალება, მიუხედავად ამისა, ის პირველს მაინც ვერ ჯობს, რადგან უფრო სულიერი და ადამიანურია.

6277. წიგნის კითხვა ხელოვნებაა თუ მასში სასარგებლოს ნახულობ, ხოლო თუ მხოლოდ ინფორმაციას აგროვებ – ხელოსნობაა, ხოლო თუ გართობისთვის კითხულობ დროის გაფანაა.

მამაკაცი

6278. მამაკაცის გაწვრთნამ ჩათრევა იცის, რაც ყოველთვის კარგად არ მთავრდება.

6279. ნამდვილმა მამაკაცმა თავის გრძნობებს უნდა შეუძახოს და სხვის სიფარულის ნამსხვრევებზე, ნარჩენებზე, ცხოვრება არ უნდა იკადროს.

6280. ქალს თუ მამრი არად უღირს და არ აფასებს, ამ მდედრთან ყოფნა დანაშაულია, რადგან მამაკაცთა მოდგმას სახელს უტეხს და დასცინის.

6281. კაცები ისეთები ვერ არიან, როგორც ქალები ზრდიან, მაგრამ ქალები ხშირად მაინც ისეთები არიან, როგორც კაცებს უნდათ, მიუ-ხედავად იმისა, რომ გარედან ყოველივე სხვანაირად ჩანს.

6282. მამაკაცია ის, ვისაც ძალადობის იარაღი გამართული აქვს, მაგრამ ქალზე მისი წაყრუების გარეშე არ ძალადობს.

6283. მამრის სტრიპტიზი მდედრის სულის გაშიშვლების ტოლფასია.

6284. ქვეყნის ძლიერების ჰორიზონტი გამოჩნდება, თუ მამაკაცები ეცდებიან ქალები მათი დანიშნულებისამებრ გამოიყენონ.

6285. მამრის რაობას ცოლი აფასებს, ხოლო ღირსებას მის ხელში გავლილ ქალთა კონსილიუმი.

6286. კაცის საუკეთესო მეგობარი ის სარეცელია სადაც მდედრი ნერვებს არ გიშლის და თვალშიც არავის ეჩხირები.

6287. მამაკაცის დანიშნულებაა ქალის აქციებმა (მომხიბვლელობა, სინაზე) დაბლა არ დაიწიოს და მშვენიერება დედაკაცად არ აქციოს.

6288. ღირსება მამრის პრეროგატივაა, ღირებულება – ქალის.

6289. შეფარებული მამაკაცი მთლად დალაგებული არ არის, მაგ-რამ თუ უფარს, ქალმა ეს ვერ უნდა შეატყოს.

6290. მამაკაცის გასარფნელ ყველა ადგილს ქალი უნდა ფლობდეს, ოღონდ საამო სურვილებით და მისთვის მისაწვდომი შედეგებით.

6291. მამაკაცი, რომელსაც თავის შესაძლებლობების არ სჯერა, ხვადად ვერასდროს იქცევა.

6292. მამაკაცი ვალდებულია მთელი ცხოვრება, სხვისგან შეუმჩნევ-ლად, თავს უმტკიცოს, რომ ის ბუნებით ხვადია.

6293. კაცი, რომელიც იცნობს თავის წარმოშობის "ნატვრის ხეს" და ხუთ-ექვს თაობაზე წარმოდგენა მაინც აქვს, არ შეიძლება პიროვნე-ბა არ იყოს.

6294. მამაკაცმა დროსტარებით, ბიჭების კეთებით და ქალებთან ურთიერთობით არ უნდა იტრაბახოს, რადგან ეს ხვადის მოვალეობაა და მეტი არაფერი.

6295. ყველა ნამდვილი მამაკაცის საწვავი ქალია და არა – კარიერის საფეხურებიდან ამოღებული "მაყუთი".

6296. მამრებს მდედრები, ეტყობა, მაინც დაჩაგრული ჰყავთ, რადგან მოდას ისე მოახვევენ თავს, რომ მათ ეს თავიანთი კაპრიზი ჰგონიათ და ვიღაცის და რაღაცის ჯინაზე ყველაფერს აკეთებენ, რომ ამ კაცების დაგებულ მახეში თავი გაყონ.

6297. მოვა დრო და ბავშვის გაჩენას მამებიც იკისრებენ. მერმე ვისღა დასჭირდება ქალი და მისი კაპრიზი, ამ საფრთხეს ისინი, ჯერ-ჯერობით, ვერ ამულამებენ.

6298. ასაკმა, ახალგაზრდობისაგან განსხვავებით, თავისებური დაცინვა იცის. მამაკაცს საქმესთან კირკიტი და ტელევიზორი ურჩევნია სასმელს და ქალს.

6299. ხვადის სულის მქონე მამაკაცია ის, ვინც კაცობის შესანარჩუნებლად ფიქრობს და არა – კარისკაცობისა.

6300. კაცმა უნდა შეძლოს ქალში მისთვის კუთვნილი ხვითოს აღმოჩენა, დროებით მისი ანგელოზად ქცევა და დრო და დრო გათავისება.

6301. ქალს რომ არ შეეძლოს მამაკაცების თავისებური გაგება-შეცოდება, ბევრი მათგანი ცოლის გარეშე დარჩებოდა.

6302. ყველა მამრი დანაშაულის კომპლექსს უნდა გრძნობდეს, თუ ქალის დანახვისას მის პრივატიზაციაზე არ იფიქრა.

6303. სანამ არსებობენ ღირსეული ქალები, მანამ იარსებებენ ღირსების დამფასებელი მამაკაცები, მათი თავქარიანი ბუნების მიუხედავად.

6304. მამაკაცი უნდა დაქორწინდეს თუნდაც არც ისე ლამაზ, მაგრამ თავისი ჭკუის ქალზე და უნდა ჰყავდეს თავისი მსგავსი შვილი, თუნდაც არც ისე მისი ჭკუის.

6305. მამაკაცი მანამ ცხოვრობს, სანამ ქალის თვალების შემოფეთება აღელვებს, ქალი, სანამდის მამრის გაჭორვა ხალის მატებს.

6306. თეორიულად ხვად მამაკაცს პედიკური, მანიკური, კოსმეტიკა, ჰიგიენისთვის სჭირდება, მაგრამ პრაქტიკულად ძუდ ქცეულ მამრთან გვაქვს საქმე.

6307. მამაკაცს ლამაზი ქალის შეუმჩნევლობა კუბოში მწოლიარესაც კი არ ეპატიება.

6308. იმისთვის, რომ მამაკაცი გაირიგო, გაითავისო, ასაკის გათავხედება, ცხოვრების ალიყურის გაწნა და დაბრძენებული ჭიტლაყი სჭირდება.

6309. მამაკაცის ორდენი მისი პენისია, დედაკაცის მედალი მისი საშო, ხოლო მათი კავშირი იძლევა იმ ორფეხა ცხოველს, რომელსაც ამ ჯილდოთა ღირებულების დადგენის უნარი დაკარგული აქვს.

6310. მამაკაცი – ეს სახელის ნომინალური ღირებულებაა, ხოლო მის ნამდვილ ღირებულებას დრო განსაზღვრავს და არა – დღევანდელობა.

6311. თუ მამაკაცი მამაკაცად ვერ დარჩება, პირველ რიგში, ქალია დამნაშავე, რადგან ის აყალიბებს მამაკაცს და არა – მამაკაცი თავის თავს.

6312. მამაკაცმა ისეთი რამ არ უნდა ჩაიდინოს, რომ ეჭვიანობის უფლება დაკარგოს.

6313. მამრს თუ ქალი გაურბის, თავადაა დამნაშავე, რადგან კაცმა სუნით, ალღოთი უნდა იგრძნოს, რომ მდედრი მისი ,,მასტის'', ჭკუის, არ არის.

6314. ქალისგან განსხვავებით, მამაკაცს ის ნაკლიც უნდა ამშვენებდეს, რომელიც მას საინტერესოს და პოპულარულს ხდის.

6315. იდეალურია ის მამაკაცი, რომელსაც ყველა ქალი უყვარს, ვინც მასთან არის იმ წუთში და მასთან ყოფნა ეხალისება.

6316. ყველა მამაკაცი აღფრთოვანების ღირსია, მაგრამ მთავარია რა მიზანს უნდა ამსახურონ.

6317. მამრის პათალოგიური დაავადება მდედრის ლოგინში შეთრევა უნდა იყოს, ოღონდ სიყვარულით და მისი ფასის შეცნობით.

6318. თუ მამაკაცი ქალის სურვილებს აკმაყოფილებს, ეს იმას ნიშნავს, რომ მდედრი თავისი მოთხოვნების მასშტაბებში ვერ ერკვევა.

6319. მამაკაცის მწუხარებით დანამული თვალების მშვენებას ვერც ერთი ქალის ცრემლი და მოთქმა ვერ შეედრება.

6320. მამაკაცს ცოტაოდენი უხეშობა უხდება, ქალს კაპრიზი ამშვენებს.

6321. მსუბუქი სტრიპტიზი მამრების თანდათანობით გამოთაყვანების მძიმე და შეუმჩნეველი ფორმაა.

6322. მამრი, მდედრის მიზიდულობის გარეშე, თავს თავისუფლად გრძნობს, მაგრამ არა – ბედნიერად.

6323. ნამეტნავად პრეტენზიული მამრი ქალებთან შეჩვევას ვერ ასწრებს და მიდის იმქვეყნად, სიყვარულის ნექტარით დაგესვლის გარეშე.

6324. ყველაზე სექსუალური და მომხიბვლელი ცხოვრებაში შემდგარი უპრეტენზიო მამაკაცია.

6325. საქმეს წყვეტენ შემართების მქონე მამაკაცები, შეუპოვარი ხასიათის ქალები და მათ ტრადიციებზე აღზრდილი შთამომავალნი.

6326. მამაკაცმა თავისი შესატყვისი მენტალიტეტის, ბიუჯეტის, მეობის საცოლე უნდა შეარჩიოს და არა – ყველასთვის მოსაწონი რეკლამირებული ძუკნა.

6327. მამაკაცმა ცოლისადმი სიყვარული რომ შეინარჩუნოს, თავზე უნდა იმუშაოს, ხოლო ქალი მამრის პოლიგამიური ვირუსის დათ-რგუნვას უნდა შეეცადოს.

6328. ბედნიერება, დღეგრძელობა, კაცის ოცნებაა, ხოლო რამდე-ნად დარჩება მამრი თავისი მცდელობით კმაყოფილი, დრო განსჯის.

6329. ლამაზი მამაკაცი ალბინოსია, რომელიც ბუნებას სიყვარულზე ცდების ჩასატარებლად დასჭირდა.

6330. უნიათო მამაკაცმაც კი დღეში ერთხელ უნდა შესძლოს თვალის აწევა მდედრის ჩაცმულობის შესათვალიერებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში ის უსარგებლოა და არავის სჭირდება.

6331. ქალს ეშხის და ქვენა გრძნობებისკენ მისწრაფება აიძულებს მამაკაცთა მოდგმა არ გადაგვარდეს და მათ შორის ხვადიც გამოერიოს.

6332. ქალის გადაცდენა ღალატია, კაცის ღალატი – გრძნობების ალესვის მცდელობა, რადგან ამ უკანასკნელის ალიბია: ყველაფერი საფარელი მდედრისთვის კეთდება, რათა მოხდეს გრძნობების აღდგენა.

6333. გვიახლოვდება წლები, როდესაც ხიფინგზე ქალის თანხმობა უფრო გვაფრთხობს, ვიდრე მისი უარი და ეს ბუნების უსამართლობა ყველა მამრის კარებზე დააზარუნებს.

6334. ყველა მამაკაცი, ქორწინების ყულფში თავის გაყოფამდე, ერთხელ კიდევ უნდა დაფიქრდეს ვის ხელში და რა დროით მოხვდება ამ ყულფის ბოლო – ცოლის, რძლის თუ შვილიშვილისა.

6335. შეიძლება რაღაც შეეშალოს მდედრთან ურთიერთობაში, მაგრამ ის მაინც მამაკაცად უნდა დარჩეს თავისი მოვალეობის, კვლავ-წარმოების და გვარის გაფეტიშებასთან მიმართებაში.

6336. ყველა მამრი პასუხისმგებლობას უნდა გრძნობდეს ქალის ორგაზმის აუცილებლობის წინაშე და თუ ეს მას არ აწუხებს, მაშინ მისი ხვედრია ლამაზმანი თავისი გასამრჯელოთი.

6337. ყველა მამრის ოცნება: დიასახლისი – ლედი, ოჯახის „მუჭუჭი“ – ქალბატონი და თავისი დიქტატის ქვეშ მყოფი – დედოფალი.

6338. მამრი, რომელსაც მდედრის დანახვისას თვალები არ გაუ-ფართოვდება და გეშს არ შეიგრძნობს, ვერც თავს გამოადგება.

6339. ქალი დროულ შემჩნევა – დაფასება, გასაღებას მოითხოვს, რათა როგორც მოდაგასული ნივთი ჩამოსაფასებელი არ გახდეს და მამაკაცთა მოდგმამ მის წინაშე თავი პოტენციურ დამნაშავედ არ იგრძნოს.

6340. ქალისგან განსხვავებით, ყველა მამრს არ აქვს დაოჯახების და შვილების ყოლის, უფლება თუ ის განგებამ მწარმოებლად, ჯიშის და ჯილაგის გასაუმჯობესებლად არ გამოარჩია.

6341. მამრი, რომელიც მდედრის დასაპყრობად არ იცრუებს, ბრიფია და გამოუსადეგარ ღირებულებათა პატრონი.

6342. მამაკაცი ხშირად ხვდება იმ ქალს, რომელსაც არ უნდა შეხვდეს, მაგრამ რატომ – ეს ვერ აუხსნია.

6343. საოცარია მამაკაცის ბედი – გათხოვებამდე იმის განცდის მის გოგო არ გააუპატიურონ, გათხოვების შემდეგ კარგად გამაიმასქნან, რათა შვილიშვილს მოეფეროს, ხოლო უცოლო ვაჟის მამა იმაზედ ქომაგობს, რომ ვაჟი რაც შეიძლება, კარგი მექალთანე იყოს, დაოჯახების შემდეგ კი ვაჟის „ცელქობა“ რძალმა არ გაიგოს, ოჯახი არ დაინგრეს და შვილიშვილები ერთ-ერთი მშობლის გარეშე არ დარჩეს.

6344. კაცმა ამბოხის დაფასებაც უნდა იცოდეს, კოცნის ფასიც და ალერსის ღირებულებაც, რათა ქალთა მოდგმა მამრის კვალიფიკაციის მადლიერი დარჩეს.

6345. მამრისთვის მდედრის დაუფლებაა უმთავრესი და ამის სანაცვლოდ თავმოყვარეობის რა ნაწილს გაწირავს, განსჯას არ ექვემდებარება, რადგან სექსუალური შიმშილის და ვნების მოჭარბების ჟამს სიამაჟ არაფერშუაშია.

6346. ქალი, რომელსაც მამრთან ხიფინგი არ სიამოვნებს ბუნებით წუნკალია, ხოლო კაცი, რომელსაც მდედრისკენ თვალი არ გაურბის, ვირიშვილია.

6347. კაცს მხეცად აქცევს: შიში, შური, ალკოჰოლი, უგვანო გენი და სიყვარული, ხოლო ადამიანად: მოვალეობა, მიზანი, სამყაროს შეცნობა და ისევ – სიყვარული.

6348. მამაკაცი, უნდა თუ არა, ცოლს თავისი წარმოდგენით სფინქსთან ღალატობს, მაშინაც კი, როდესაც გვერდით დედაკაცი უწევს. რა ქნას, თუ მისი მამაკაცური ღირსება ამ მოლანდებაზე დაუფიქრებლად რეგირებს.

6349. მამაკაცი ქალთან მიმართებაში თავს ყოველთვის დამანაშავედ, მოვალედ, უნდა გრძნობდეს, მიღწევს თავისას თუ – არა.

6350. ქალები პლაჟზე მუქთად მორთმეული მენიუა ხვადისთვის, რომლზეც თვალის შევლების უფლება აქვს, მაგრამ დაუფლება დაკონკრეტებას, გარჯას და თანხებს მოითხოვს.

6351. უსაქმურ მამრს და ალფონსს შორის ის სხვაობაა, რომ პირველს ქალთან განშორება აშინებს, ხოლო მეორეს სათადარიგოთა რიგი უდგას.

6352. მამაცობა ახალგაზრდათა ხვედრია, მადლიერება – ასაკოვანთა, მაგრამ სისაძაგლის ჩადენა ორივესთვის შესაძლებელია და სამწუხაროდ, ასაკი აქ არაფერ შუაშია.

6353. მამაკაცთა 90% ცოლებს ღალატობს, მაგრამ ნაწილი შემ-თხვევის შედეგად და ბიოლოგიის მოთხოვნითაა, გამოწვეული, რაც გადაცდენად უნდა ჩაითვალოს, დანარჩენი – გადაცდენის მსგავს აუცი-ლებლობად.

6354. ყველა მამაკაცი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ის მთავარი ღერძია დასახული მიზნის მიღწევაში.

6355. ხვად მამაკაცს ქალის ყველა ნაწილი ცალ-ცალკე აღელვებს და ყველა ბითუმად უყვარს, კაცი კი ერთ ქალს ეტრფის და ისიც ბითუმად ცოლად მიჰყვება.

6356. საქმე ის კი არ არის დღევანდელ თაობას მოსწონს თუ არა მომდევნო თაობათა დამოკიდებულება სექსისადმი, არამედ ის, რომ შეჩვევის ჰორმონს აგრესიას დევალვაციამდე, გადაგვარებამდე მიჰყავს მამაკაცის დანიშნულება და მისი ღირსების შესაძლებლობა.

6357. მამრი იღვწის დახვეწილი გარყვნილებისკენ, მდედრი – ნაზ გრძნობათა ჩოჩქოლისაკენ, რომელსაც ზოგჯერ უხეში ძალაც უნდა ახლდეს.

6358. ჯიუტი მამაკაცის ულტიმატუმი, სკანდალის სუნამოთი ყარს და ის თავისას აღწევს.

6359. მაშინ გრძნობ თავს კაცად, როდესაც ცხოვრებაში იმას იმკი, რაც გეკუთვნოდა, ოღონდ გონიერების ფარგლებში.

6360. არის ქალთა ჯიში, რომელიც მამაკაცებს ხან დაქვრივებას ანატრებენ, ხანაც – თავდავიწყებით შეყრას.

6361. ყველა ქალის სურვილია ისეთი მკერდი ჰქონდეს, რომელზეც ღვინის სავსე ჭიქა დაიდება, ხოლო ყველა მამრის ოცნებაა ამ სასმისის შესმა, მდედრის მისაკუთრებით.

6362. შეყვარებული მამრისთვის და მწარმოებელი ბუღისთვის თი-ვის ზვინი ერთნაირად ყარს, რადგან მათ ამ დროს თივა არ სჭირდე-ბათ.

6363. ქალს იმაზე მეტი არ უნდა მისცე, რაც აღუთქვი – ზედმეტი უნდა აჩუქო.

6364. არიან მამაკაცები რომლებსაც სულ სამხედრო განგაში და კომენდატის საათი აქვთ გამოცხადებული, იმდენად არიან დაპროგ-რამებულები ქალების მიერ.

6365. ასაკში ქალის მომხიბვლელობას კი არ ვაფასებთ, არამედ – ჩვენს შესაძლებლობებს.

6366. როგორც წინათ შეგეძლოთ, ისე არ გამოგდით, როგორც ეხლა შეგიძლიათ, არ მოგწონთ, მაგრამ მიზეზთა გამო ქალთან ურთი-

ერთობაში რიდი არ გამოგადგებათ, რადგან მოგვიანებით უფრო უარესი შედეგები გექნებათ და სულ ხელმოცარული დარჩებით.

6367. ხშირად ბედი მაშინ გვარგუნებს ჩვენი ახალგაზრდობის ოცნების ქალს, როდესაც მისი ჯეროვნად მოხმარების მადლი და შესაძლებლობა აღარ გვაქვს.

6368. ბერბიჭებიც მიდიან კომპრომისზე და ქალს სამოქალაქო ქორწინებაზე თანხმდებიან, მაგრამ თავი რომ მისდაუნებლიედ უღელში აქვთ გაყოფილი, ამას გვიან ხვდებიან.

6369. მოწინააღმდეგე სქესის წარმომადგენლის ნაზი გამოხედვა იმაზე მიუთითებს, რომ თქვენ ჯერ კიდევ გაქვთ უფლება არჩევანი გააკეთოთ.

6370. მდედრსა და მამრს შორია ის სხვაობაა, რომ ქალს დღესაც კი ახსოვს პირველი კოცნა და პაემანი, ხოლო კაცს უკანასკნელი კოცნაც დავიწყებული აქვს და საერთოდ ისიც კი, რა არის პაემანი. ამას მარტო მის ასაკს ვერ დავაბრალებთ, უბრალო, ბუნება აქვთ ასეთი.

6371. ზოგი მამაკაცი ცოლის ბედითაც უკამყოფილოა, რადგან ამ ქალს მის ხელში რა ელის, მისთვის გაუგებარია.

6372. ძველი ბერძნები გამარჯვების სიმბოლოდ ქალს სახავდნენ. ეტყობა, ამ სიმბოლოს დაუოჯახებელი მამაკაცები ქმნიდნენ ან დაოჯახებულები მლიქვნელობდენ.

6373. მამაკაცის "ღირსების" ქცევის შეფასების ფელაზე დიდი ჯილდოა, ქალის თვალებზე აკიაფებული მადლიერების ცრემლია.

6374. მრავალცოლიანობა ქვეყნის და ერის სამსახურია, თუ მამაკაცთა ირგვლივ ქალები გაუთხოვრად არ რჩებიან.

6375. ხშირად მამრი მდედრს იმას მიაგებს, რაც განსჯას არ ექვემდებარება და ქალის ამბიციები მისდაუნებლიედ იმსახურებს.

6376. თანამდებობადაკარგულ კაცს, გადატრიალებულ ურმისგან განსხვავებით, ჭკუას აღარავინ შეეკითხება.

6377. კაცს მაშინ აქვს თავისი შთამომავლობისა და გვარის წინაშე ვალი მოხდილი, თუ მის ცხედარს შვილის ცრემლიც ესალმუნება.

6378. მთავარია მამრმა მოხდენილად გაიკვირვოს და მიანიშნოს ქალს სილამაზე, დანარჩენი სიტყვების თამაშია და საწოლის გამნათებელი სანთელი, რომელიც თავის საკმეველს ხელიდან აღარ გაუშვებს.

6379. რადგან მამრი მაინც მონადირეა, უმჯობესია ქალთან ურთიერთობას რიგგარეშე ეწეოდეს და ისიც ჩასაფრებით.

6380. მამრს უნდა ეხერხებოდეს ქალის გრძნობებში ღიად გასეირნება და არა მისი ხასიათის და კაპრიზის რკვევა.

6381. „ფუფლო“ კაცად ვერ იქცევა, ხოლო მამაკაცი „ფუფულოდ“ არ გადაიქცევა.

6382. დღევანდელი მამაკაცები ისე გაზარმაცდნენ, რომ მამრის სხეულის ყველაზე ჯანსაღი აქსესუარების ხელოვნური წარმოება ააწყვეს, რათა მდედრის "ბაღნარის მომსახურეობისათვის" თავი აერიდებინათ და თავიანთი მოვალეობა მანეკენებს აჰკიდეს.

6383. ამბობენ, ყველა მამაკაცს ზევიდან უნაწილებენ ერთ სამუდამო პარტნიორს, რომელსაც თუ ვერ შეხვდება – გამართლებაა.

6384. მარად ერთგულმა მამრმა შეიძლება გააუბედუროს ერთი ქალი, ხოლო ქალთა მოყვარულმა ხვადმა გააბედნიეროს მრავალი, რადგან ყველამ იცის, რომ ის არავისთვის კერძო საკუთრებად არ გამოდგება.

6385. ნორმალური ორიენტაციის მამრი ქალის დასაპყრობად, მისთვის სიამოვნების მისანიჭებლად და მის წარმოსაჩენად ცხოვრობს.

6386. მამაკაცები სულიერად დაგლახდნენ და გადაგვარდნენ, ეტყობა, დროა დუელის კულტურა რომ აღდგეს, ოღონდ ტირში, სპორტულ დარბაზებში, ქულების დაგროვებით და შეჯერებით, რომ მოხდეს ღირსებისა და თავმოყვარეობას აღდგენა, რათა ჩვენი ყოფა და სული ფულის მუშტს და ფეტიშს არ გავაყოლოთ.

6387. დაწყვილების ინიციატორ მამრს, განტევების ვაცის როლს ისე მოარგებენ, რომ სიცოცხლის ბოლომდე ვერ გრძნობს და ვერც ხვდება.

6388. მექალთნობის ბედიც ბოლოს ვნების დევალვაცია და მამაკაცური შესაძლებლობების კატასტროფაა.

6389. მამაკაცის ათი მცნება: 1. მექალთანეობით არ იტრაბახოს, 2. საჩუქარი, მიზეზით და უმიზეზოდ არ დაივიწყოს, 3. მდედრის კულინარული ხელოვნება არ დაუწუნოს, 4. საზოგადოებაში გამოჩენის ხელოვნებას ფლობდეს. 5. ქალს ყურადღება არ მოაკლოს, 6. ეცადოს მასთან ერთად ხშირად გამოჩნდეს, 7. ახსოვდეს, რომ მამაკაცი სექსში მწვრთნელია, ხოლო პარტნიორი – სპორტსმენი, სამყაროს ჩემპიონი, 8. მცირე ხნით განშორება–შეყრა დღესასწაულად აქციის, 9. დიდხანს ნუ მიატოვებს. 10. ეცადოს ქალმა მასში პერსპექტიული მამაკაცი დაინახოს.

6390. მამაკაცმა შინაგანად უნდა დართოს ქალს ნება მასზე იფიქროს და შეიყვაროს და თუ მდედრი ამას მოახერხებს მასთან დაწყვილება საიმედოა.

6391. ნამდვილ მამაკაცში ბავშვობა ყოველთვის უნდა ცოცხლობდეს.

6392. ქალი მოფერების მცოდნე მამაკაცის ბრჭყალებს ვერ უნდა დაუძვრეს და არც თავისი კაპრიზით უნდა გამოამზეუროს, რადგან განგება ყველა მდედრს ასეთი მამრებით გულუხვად არ წყალობს.

6393. მამაკაცს უფრო მეტი ურთიერთობა ცოლის ნათესავებთან აქვს, ვიდრე თავის გვარტომთან და ეს რატომ ხდება, ვერ ამიხსნია. ალბათ, იმიტომ, რომ მისი ბავშვობა ცოლოურთათვის მთლად გაცნობიერებული არ არის.

6394. თუკი მამრი სხვადასხვა ქალის სიშიშვლის ხშირი ყურებით, გაოცებას იწვევს, შეფასება სიხარულს, ასეთი კაცი შეცნობის უნარს არ უნდა გადავაჩვიოთ, თორემ ხელში შემოგვრჩება სულით გაკოტრებული, მდედრისთვის გამოუსადეგარი ვნებადაცლილი ინდივიდი.

6395. ნამდვილი მამაკაცისთვის ქალი ღვთაებაა და არა ხორციელი ვნებით დასახრჩობი კაპრიზების მქონე აფთარი.

6396. ყველა ფულიანი და მომხიბვლელი მამაკაცი რისკის ჯგუფს მიეკუთვნება, თუ მასთან ოჯახის შექმნას აპირებთ, ხოლო რა გამოვა – „ამ უცნობს“ თავიდანვე უნდა შევეჩვიოთ.

6397. გამოუსწორებელ ბერბიჭას გარიგების და თავისი აზროვნების ნგრევის გარეშე ცოლის მოყვანა უჭირს.

6398. მამრებს ხშირად მდედრი გვჭირდება როგორც რეალობა, ფაქტი და არა – სულის დასამუნათებლად და გარეშეთა ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად.

6399. არიან მამაკაცები, რომელთაც სულ ერთი ასაკის გოგონები მოსწონთ, მაგრამ როდემდე შეინარჩუნებენ იმ „ალბინოსის“ ბუნებას, შესაძლებლობას, სულს, თავადაც არ უწყიან.

6400. ზოგი მამაკაცი იმდენად ზლაზნია და აუჩქარებელია, რომ მის ქვეშ მყოფი ქალი შეიძლება შემოაკვდეს, რაღაც არაჩვეულებრივის და მოულოდნელის მოლოდინში.

6401. მამაკაცი ისაა, ვინც იცის რა უნდა, რას მიაღწევს და რა დივიდენდებს გაინაღდებს.

6402. მამაკაცს შეიძლება მთელი ცხოვრება ერთი ქალი უყვარდეს, მაგრამ უფლება არ აქვს სხვას არ გაეარშიყოს და ქათინაურებით არ შეამკოს, რათა ქალთა მოდგმას ვნების ინსტინქტები, სილამაზისკენ ლტოლვა, კაპრიზის გამომჟღავნების სურვილი შეუნარჩუნდეს.

6403. მამრის მოვალეობაა იღადაოს და აცდუნოს, ქალისა – დათანხმდეს ან უარი უთხრას.

6404. ტრადიციების გარეშე აღზრდილი მამრი მხოლოდ ხვადია და არა – მამაკაცი.

6405. მამრის რაინდად წარმოდგენაც ყველა დროში მის თავმოყვარეობაზე ფეხის დაბიჯება და ქალისადმი უგონო სიყვარული იყო და კარგია, რომ ჯერ-ჯერობით ასე გრძელდება.

6406. მამრი, რომელსაც სხვის ცოლზე თვალი გაურბის და მის პრივატიზაციას ცდილობს, სულით და გრძნობებით დახურდავებული მამაკაცია, რადგან ბედმა მისთვის სხვა დედაკაცი არ გაიმეტა და მისი სიყვარული შემთხვევის თვითდინებას ანდო.

6407. იდეალური მამრები არ არსებობენ, არიან ხვადობადაბრალებული მამაკაცები, რომელიც ქალს მოეწონა და ამაზეც განგებას მადლობა უნდა უთხრას, რომ სულ ცარიელზე არ დატოვა და აწმყოს „სტატუს ქვო“ სანატრელი არ გაუხადა.

6408. კაცი რომ ქალის ჩაცმას და დაფასებას ისწავლის, მამაკაცია და არა – ხვადი.

6409. რამდენი სისულელის ჩადენა შეუძლია ხვადს მდედრის გულისთვის? – ერთადერთის მრავალთა შორის ის შეიყვარა.

6410. რომანტიკული ქალი, ქარაფშუტობის და კაპრიზის გარეშე, ყველა მამაკაცის ოცნებაა, მაგრამ მის „ნაკლოვანებათა“ ფასს გვიან შევიცნობთ.

6411. ქალს სიყვარული ნებისმიერ დროს და ნებისმიერი ფორმით უნდა შევთავაზოთ, რათა ჩვენს ბრჭყალებს არ დაუსხლტეს.

6412. მამაკაცი მისთვის უინტერესო ქალისთვის ყოველთვის დაკავებულია, ხოლო ქალს მისთვის ვარიანტები აქვს.

6413. შეცდომა მამაკაცს ამცირებს ქალის თვალში, ხოლო კაცს კარგ ხასიათზე აყენებს.

6414. მამაკაცისთვის ქალი დახურული წიგნი უნდა იყოს, მისი გადაშლის, წაკითხვის ვნების დაკმაყოფილების სურვილით.

6415. ახალგაზრდა, ჯანმრთელი სხეულის დანახვა ბევრ მზაკვრულ აზრს და ვნებას აღგვიძრავს, მაგრამ ამ ცდუნებისაგან თავის შეკავების უნარი ისევ გამოცდილ ხვადთა ხელშია.

6416. ხვადისთვის ქალის გაბედნიერება, მისი დაფინანსებისაგან განსხვავებით, ძნელი არ არის.

6417. მატყუარა მამაკაცი ხშირად გვახსენებს, რომ უფარხარ და სულ იმის ცდაშია მიზეზი გამონახოს და სიტყვები უკან წაიღოს.

6418. ქალის შინაგანი სამყაროს შეცნობა მამრს იშვიათად აინტერესებს და თუ მაინც რაიმე აინტერესებს, ეს მდედრის სხეულზე მიწებებული ლეღვის ფოთოლია.

6419. ქალის შეურაცხყოფა მამრის სისუსტის და პოზიციების დათმობის მომასწავებელია.

6420. ძნელია მამაკაცმა გაუგოს ქალის „ვაიჭკუისგან“ გამოთხრილ მდიდარ სამყაროს.

6421. ასაკში ქალების გათავისების, სურვილი გვეკარგება მაგრამ, იძულებულნი ვართ ჩვენი გრძნობების აზიდვის-თრევის.

6422. არაორდინალური მამრისთვის ქალში ძუობის შეფასებაა მთავარი, ხოლო ორდინალურისთვის ვნებით დანაყრებაც საკმარისია.

6423. არის ასაკი, რომელსაც დაუმსახურებლად დასვენებას უფლებაც აქვს და მამაკაცის ღირსების „ჩამოკიდებისაც“, მაგრამ მამრის გენი, ჟინი, გახსენება, სიამაჟე, ამას ასე ადვილად არ გპატიობს.

6424. ფალოსის შესატყვის, სიცოცხლის ჩამსახავ, აპარატს ქართულ მჭერმეტყველობაში აუგ ტონებში მოიხსენიებენ და ეს იმის ბრალია, რომ ზოგჯერ ყველაზე საპასუხისმგებლო მომენტში ღალატი იცის, უხასიათობას მოიმიზეზებს, რითაც მამრის ღირსებას შეურაცხყოფს და აკნინებს.

6425. სანატრელი ქალის წარმოდგენით აღზრდა მეტ სიამეს გვანიჭებს, ვიდრე მის სიტიტვლე და მის გვერდზე ყოფნა.

6426. მამრისთვის ცხოვრება მაშინ მთავრდება, როდესაც ქალზე არ ირევა, ხოლო სიცოცხლე, როდესაც მისი დანახვა არ სიამოვნებს.

6427. სიყვარულის რეალიზებაც ვაჟკაცობაა და მისი მოთოკვაც. გააჩნია ობიექტს და თქვენს მსოფლმხედველობას.

6428. მამაკაცებს უყვართ იმ სიტყვებით მჭერმეტყველება, ფლირტი, რომლებიც ბოლომდე არ ესმით და მას თავის ჭკუაზე თარგმნიან.

6429. ბერბიჭად ის რჩება, ვინც ყოველთვის სერიოზულად ფიქრობდა დაოჯახებაზე, მაგრამ ამისთვის არც დრო ჰქონდა, არც სახსარი და არც შემთხვევა.

6430. თვალების გულში ჩამწვდომ დაჟუჟუნებას ვერც ერთი მამაკაცად დაბადებული წინ ვერ აღუდგება.

6431. კაცი, რომელიც ქალს ხელს გაარტყამს, ბუნებით კაცუნაა და მამაკაცად ვერასოდეს იქცევა.

6432. 80 წელს გადაშორებულ მამაკაცს გული რომ წაწლობისკენ მიუწევს, ის აპლოდისმენტებს უნდა იმსახურებდეს და არა – გაკიცხვას, რადგან ყველა მისი ოპონენტი შურიანია.

6433. ზოგი მამაკაცი ქალის ასაკის და გამოცდილების ღირსი არ არის, იმდენად სანდომიანად და მომხიბვლელად გამოიყურება მისი რჩეული.

6434. დაუოჯახებელი მამაკაცი გადაწყვეტილებას ერთპიროვნულად იღებს, დაოჯახებული კი – ცოლთან შეთანხმებით და ოჯახის წევრების

ოპონირებით. წარმატების შემთხვევაში დაფნის გვირგვინი ყველას ხვედრია, წარუმატებლობისას საყვედურს მარტო ის იმსახურებს. ასე, რომ ,,სა-საყვედუროს'' მხრივ მის ცხოვრებაში არაფერი შეცვლილა.

6435. ჯენტლმენი ის მამაკაცია, რომელიც გაცნობის მიზნით ქალს აწვდის იმ ნივთს, რომელიც მას არ დაუკარგავს.

6436. მამრი, რომელიც მდედრს საკუთარ თავზე მაღლა აყენებს და მიაჩნია, რომ მისი ღირსი არ არის, მას არც პრეტენზიების წაყენების უფლება აქვს, რადგან ის ბუნებით კაცუნაა და არა მამაკაცი.

6437. ლამაზი ქალის წინაშე მამაკაცის ბუნება ქუდს იხრის, ჭკვიანი ქალის წინაშე – ქედს იხრის, ლამაზმანის წინაშე შარვალს შეიხსნის და ეს თანდაყოლილი კანონიერი გრძნობებია.

6438. მამაკაცი შედგება კაცობისაგან, კარიერისაგან, მცდელობისგან და მისი დანატოვრისაგან.

6439. ზოგჯერ მამაკაცს რაც შარვალში აწუხებს, ის უდევს თავში და ამ დროს მას სერიოზულად საქმის კეთება მოსთხოვო, უგნურებაა.

6440. მეხვალიე ბუნების მამაკაცს პირველ რიგში აინტერესებს ქა-ლი, ფული, პირადი უსაფრთხოება, ნამდვილ მამაკაცს – საყვარელი ქალი, მისთვის შესაფერი საქმიანობა და უსაფრთხოების გარანტი – ოჯახი და მისი წევრები.

6441. უსახსრო მამაკაცი იგივეა, რაც ჩიტი – ფრთების, ხოლო ქალი – მკერდის და უკანალის გარეშე.

6442. ყველა მამაკაცი უნდა ცდილობდეს იყოს ჯადოქარი, რათა თავისი რჩეული ხშირად გააოცოს, გააკვირვოს.

6443. პროსტიტუცია არაპრესტიჟული ხელობაა, მაგრამ საჭირო და აუცილებელი გაუბედავი მამრების მიერ საკუთარი თავის მამაკაცე-ბად შეცნობისათვის.

6444. მდიდარი მამაკაცისთვის არც ისე ადვილია გრძნობების გაფ-რთხილება და საფულეს მოფრთხილება, მათზე მონადირე ამდენი ძუნა და ავანტურისტი ქალის ხელში.

6445. მამაკაცმა თავის ოცნების საფასური რეალურად უნდა გაი-ღოს, ხოლო ქალმა – ოცნებით.

6446. დედიშობილა ქალი საზოგადოებაზე გავლენას ვერ ახდენს, თორემ ერთეულ მამაკაცზე – საჭიროზე მეტს.

6447. მამრისთვის ადგილის დათმობა ასაკის მიუხედავად მდედრის მიერ ამ მამაკაცისთვის პირადი შეურაცხყოფის მიყენების ტოლფასია.

6448. ზოგი მამაკაცი გამოუცდელობის შედეგად რამდენიმე ქორწი-ნებას სწირავს ცხოვრების საუკეთესო წლებს.

6449. იდეალურ მამაკაცს და მამრს შორის სხვაობა დიდია, რადგან დასამახსოვრებელი მამაკაცის გაგება და შეფასება სულიერია.

6450. მამაკაცის ღირსებაა ისიც, თუ შეუხედავ მდედრს ქალობას აგრძნობინებს, თავს დაამახსოვრებს, ყოფის წუთებს გაულამაზებს და საჭიროების ჟამს წატრაბახების ნებას მისცემს.

6451. მამაკაცმა ორი რამ არ უნდა აურიოს ერთმანეთში: ოჯახის სიფარული და ქალისადმი ტრფობა, რადგან პირველი შენი მეობის წარმომჩენია, მეორე – სულის გასაჯირითებელი და თავმოსაწონებელია.

6452. მამაკაცები იბადებიან მარად ერთგულნი და მექალთანენი და აქ სილამაზე, სიფარული, წინდახედულება არაფერშუაშია, რადგან გენთან შებრძოლება, ჭკუაზე მოფანა, ასაკის მატების ჩაურევლად, გამორიცხულია.

6453. სუპერმამაკაცია, ვინც ქალის ხილულ და უხილავ მოთხოვნებს თეორიულად მაინც აკმაყოფილებს.

6454. კარგი გაგებით, მარტოობით მოღლილი მამაკაცი ნახულობს ღირსეულ მეორე ნახევარს და არა ანცი და უსაქმო.

6455. მამაკაცი, რომელიც თავის „მეს“ ეთაფანება, მაგრამ სულით ძლიერი არ არის, ურწმუნო და ეჭვიანი ხდება.

6456. მამაკაცს არა აქვს ფელაფრის თქმის და კეთების უფლება და ამიტომაცაა ის მამაკაცი.

6457. მამაკაცმა იმიტომაც უნდა ისწავლოს დამუნჯება, რომ ქალებმა მათ უკეთ უსმინონ და იგრძნონ.

6458. ქალის პრივატიზაცია, ბარტერი, დრო და დრო, ნაწილ-ნაწილ რომ შეიძლებოდეს, მამაკაცთა მოდგმის ბედს ძაღლი არ დაჰფფდა და მატრიარქატის ბაცილაც გადაშენდებოდა.

6459. მამრის სურვილის შესაბამისად ცხოვრებისეულ ღირებულებებს ქალები ქმნიან და მამაკაცები იცავენ.

6460. მამაკაცს ქალთან ურთიერთობა ავიწყდება, მაგრამ ტრაბახობს, ქალს არაფერიც არ ავიწყდება, მაგრამ შეუნდობს.

6461. მამაკაცის სურვილია ქალისადმი მფარველობა თავის სასარგებლოდ გამოიყენოს.

6462. ფელა მამაკაცი ერთნაირია, ერთი-ორი ნაცნობის გამოკლებით.

6463. მამაკაცების ჯიშ-ჯილაგის კატეგორია და სახეობებია: მაცდური, ჯენტელმენი, დონ-ჟუანი მექალთანე, ლოველასი – არშიყი, ხვადი – საფარელი, ქმარი, მეგობარი, სიძე, დანიშნული, ჩოყლაყი, მამაკაცი,

კაცი, კაცუნა და სხვა. ამ ძლიერი სქესის წარმომადგენელს, ყველას ერთი მიზანი აქვს, ხოლო ვის რა შეუძლია – ეს სხვა საქმეა.

6464. მამაკაცის განიარაღების ყველაზე უკეთესი საშუალება კომ-პლიმენტებით მისი დახრჩობაა.

6465. მხოლოდ განდიდების მანია აყალიბებს კაცს მამაკაცად თუ მასზე ბუნება მთლად გამწყრალი არაა.

6466. სურვილი მცდელობას მოჰყავს და არა მხოლოდ თვალების დაჟუჟუნებას, იმის მიუხედავად, მამაკაცს შეუძლია „წაიკითხოს" ქალის სურვილი თუ არა.

6467. ქმედება, რომელიც წინასწარ დაგეგმილია და მის რეალიზებაში ინტუიციაა ჩარეული, უარყოფითი შედეგის მიხედავად სურპრიზი არ არის.

6468. ნამდვილი მამაკაცი ლამაზი ქალის წინაშე უძლურია, ხოლო მომხიბვლელისა – განიარაღებულია.

6469. ნამდვილი მამაკაცი მომხიბვლელი ქალის დანახვის შემდგომ სხვაზე ფიქრის უნარს კარგავს. დედაკაცი ასეთ მამრს ნებდება, მაგრამ პოტენციური ბუნტის გრძნობით.

6470. ხვადის ბუნება არ შეიძლება ცუდი იყოს, თუ ის მასზე მინდობილ მოვალეობას ასრულებს, მიუხედავად იმისა, პარტნიორი ეწყობა მას თუ არა.

6471. მამაკაცია ის, ვინც გარდაცვლილ ცოლზეც ეჭვიანობს, იმქვეყ-ნად სხვა მამაკაცის სულს ხომ არ ეკეკლუცება და მას არ უცდის.

6472. ცუდი მოცეკვავენი კარგი მამები დგებიან და უკეთესი ბაბუები.

6473. ზოგ მამაკაცს ქალის სხეულის ნაწილების ჩუმი და ვნებიანი ინვენტარიზაციის ჩატარება უფრო მოსწონს, ვიდრე თავად სექსი პრე-ლუდია და მასში თავის გამოჩენა.

6474. ბუნებით ლიდერ მამაკაცს მოხერხებული ქალი შთაუნერგავს, რომ ის ნაზი, დაუცველია და მის გარეშე თავს კარგად ვერ გრძნობს. ეშმაკობის ამ უტყუარ ანკესზე ყველა მამრი უმტკივნეულოდ ეგება.

6475. ფემინიზმი შედეგია არშემდგარი მამაკაცების მომრავლებისა, რომლებიც მოწინააღმდეგე სქესის დაჭაშნიკებას გაურბიან ან დიდ დროს ანდომებენ.

6476. ქალებს მოვალეობასთან ერთად უფლებები დაუმატეს და პრივილეგიები ჩუმად ჩამოართვეს, ამით ვირეშმაკა მამაკაცებმა ფემი-ნიზმის უგნურებას ყასიდად მხარი აუბეს.

6477. იმპოტენტი: კარგია – ქალებს არ აწუხებს, ცუდია – ქალების იმედს აწბილებს, ბოროტებაა – მისთვის გეგმით განკუთვნილ ქალებს უმამაკაცოდ და კუთვნილი ვნების დეფიციტის ხარჯზე ტოვებს.

6478. გაყრა ახალგაზრდა ასაკში გულის შეღონებას იწვევს, მაგრამ სულის აღმაფრენაა, რადგან კვლავ შეგიძლია ქალებში თვალთმაქცობის გარეშე იგრიალო.

6479. თუ გინდა ქალებში წარმატება გქონდეს, ამაყ და მიუკარებელ ქალს უნდა მოექცე როგორც დამლაგებელს, ხოლო თავმდაბალს და მორიდებულს, როგორც დედოფალს, მაგრამ ორივემ შენში ხვადი მამაკაცი და პიროვნება უნდა დაინახოს, იგრძნოს.

6480. ქალს ყოველთვის დაიყოლიებ, თუ შენში ის მამაკაცს დაინახავს და ქათინაურებიც დამუღამებული გაქვს.

6481. საბედნიერო ბედისწერით შენთვის ერთი ქალია განკუთვნილი, ხოლო დანარჩენი სულის გასათბობად.

6482. ბერბიჭობას ის უპირატესობა აქვს, რომ მას სიყვარულის ისტორიები და ღალატის ვერაგობა შეიძლება ბევრიც გადაუტანია, მაგრამ არა ოფიციალურად და ყოველგვარი ხელმოწერის გარეშე.

6483. ბერბიჭა სულით გაუსვენებელი ქვრივია.

6484. ზოგი მექალთანე იმიტომ რჩება ბერბიჭად, რომ ვერ შესძლო ერთი ქალის გულისთვის სხვების უპატრონოდ და უყურადღებოდ დატოვება.

6485. მამაკაცი ცოლის ყველა ნაოჭს უნდა აფასებდეს, ეთაყვანებოდეს, რადგან მისი ოპონირება დამსახურების მიხედვით ხდება და არა – სილამაზის მხრივ.

6486. მამაკაცი მდედრის ვნებიან ,,დაპურებას'' არ უნდა გადაყვეს, მაგრამ ამისკენ უნდა ილტვოდეს.

6487. მამაკაცის ვნების დანახარჯები ქალთან – არტისტულობა და ტექნიკა, ცალ-ცალკე უნდა შეფასდეს, რათა მამრის ხარისხის კოეფიციენტის დადგენა შევძლოთ.

6488. მამაკაცი ქალის განცდების ხლართებში გაბმას ადვილად ახერხებს, მაგრამ მისგან თავის დახსნა უჭირს, რადგან ქალი ძალზე მგრძნობიარე არსებაა, თავისი ოცნების გაუცნობიერებელი ,,მეგაბაიტით''.

6489. მამაკაცს როგორც კი ცოლი მოეწონება, მაშინვე ალკოჰოლის სმას უნდა შეეშვას ე.ი. გადათვრა.

6490. ჩემთვის საყვარელი ქალი საოცარი, მიწიერი, სასურველი, უნდა იყოს, დანარჩენი კი ფანტაზიისთვის და მდედრის ბუნებისთვის მიმინდვია.

6491. მამაკაცი ყველა იმ ქალის სულით ერთგული უნდა იყოს, ვისაც მისთვის სიამოვნება უგემებია.

6492. გამოთქმამ, ,,მამაკაცი მაიმუნზე ოდნავ უკეთესი უნდა იყოს'', ჭირი მოგჭამა, რადგან მამაკაცებმაც დაიწყეს კეკლუცობა და მოდაზე

გადაყოლა, ხოლო რა სიკეთეს მოუტანს მომდევნო თაობათა ქალებს ამგვარი მამრების მოძალება, არავის უწყის.

6493. მამაკაცია, ვისაც ლამაზად სმა და ქალის მოხიბვლა შეუძლია თრობის გარეშე.

6494. მამაკაცი, უპირველესად, იმით არის დასაფასებელი, რომ ქალებს ეხმარება ბავშვის ჩასახვაში, ვნების დაკვალიანებაში და მდედრის მოვალეობის აღსრულება-სიამოვნებაში.

6495. ნამდვილი მამაკაცი ყოველთვის დეფიციტი იყო და დარჩება, რადგან მდედრს თუ თავის გადაცდენის გამართლება, თაობების გამრავლების მომიზეზებით, ყოველთვის შეუძლია, მამრს ამის უფლება არა აქვს, რადგან მისი მცდელობა შედეგს უნდა იძლეოდეს. ამიტომ მისი საქმიანობა ყოველთვის თვალში საცემია.

6496. თუ გაგიმართლა, მამაცი ხარ, თუ არა – შლეგი მაშინ, როდესაც მათ ქმედებაში სხვაობა არ არის.

6497. ნორმალური მამაკაცს ყველა მომხიბვლელ ქალზე თვალი უნდა რჩებოდეს და ეს არც დიდი ცოდვაა და არც დიდი გმირობა, რადგან მან უნდა იგრძნოს, რომ ის ხვადია და ძუს დანახვა მას ახალისებს.

6498. მდედრისგან განსხვავებით, მამრის ფანტაზია ხანდახან ისეთ ქალზე გადაირევა წარმოდგენით სექსში, ეს რომ ამ ქალს გაეგო, გაოცდებოდა და თავს ბედნიერად ჩათვლიდა.

6499. ხვადობა, სპერმის დასამზადებელი ქარხანა, რომელიც თავისი ბიოლოგიის გამო იძულებულია ძუკნები მუქთად დაასაჩუქროს, რომლებიც ზოგჯერ ამ საჩუქრის მიღებას ერიდებიან, ხოლო თანხმობის შემთხვევაში თავს ამადლიან.

6500. მამაკაცმა თავისი სიფვარული ირონიით უნდა დაიცვას, ხოლო ქალმა სხვა მამაკაცზე გრძნობების აცრით.

6501. მამაკაცს სიცოცხლის ხანგრძლივობისთვის პატარ-პატარა გამარჯვებები სჭირდება, ხოლო ქალს ამ წარმატებათა აღიარება, გათავისება და ტაშის დაკვრა.

6502. არის საინტერესო მამაკაცთა მოდგმა, რომელსაც არც ერთი ასაკის მდედრმა უარი არ უნდა აკადროს.

6503. მამაკაცს მოძველებულ ქალის საცვლების დეკორაციაში ყოველთვის პრემიერაზე თამაში არ შეუძლია, რაც ხშირად ქალისთვის გაუგებარი, სინანულს და მამრის შესაძლებლობებში ეჭვს იწვევს.

6504. პატივისცემის ღირსია ის მამაკაცი, რომელიც ჯანმრთელ შვილს ჩუქნის მდედრს და ამით მამის თუ არა, დონორის როლს მაინც ასრულებს, იმის მიუხედავად, იცის მან ამის შესახებ თუ არა.

6505. მივცეთ მამაკაცს დავაჟკაცების, გამამაკაცების, თავის წარმოჩენია საშუალება და ის ბევრ სასიკეთოს ჩაიდენს მდედრის საამებლად.

6506. მამაკაცი, რომელიც არ უფროსობს, რაიმეს არ აკონტროლებს და ვიღაცას არ იცავს, ხვადის, მამრის, მოწოდებას ვერ შეირგრძნობს.

6507. ხვადი, მამაკაცი, ჯენტელმენი – ყველა ერთი ოჯახის წარმომადგენელია, მაგრამ სხვადასხვა სახეობას განეკუთვნება. დასმახსოვრებლად ქალისთვის პირველი სჯობს, რადგან ასაკის სიმუხთლის გამო ყველა მათგანს ყავლი გასდის, ხვადის ხვადობა კი მდედრს არ დაავიწყდება.

6508. ასაკში მამაკაცი თავის ღირსებას ატარებს როგორც მედალს, თავისი წარსულის წარმოსაჩენად და გასახსენებლად.

6509. საოცარია, მაგრამ სტატისტიკა ასე მეტყველებს: მამრით ყველაზე კმაყოფილია გაუნათლებელი, ნაჯაფი, მრავალშვილიანი ქალი და არა ნასწავლი და საზოგადოებაში გამოსული.

6510. ნამდვილ მამაკაცს ყველა ასაკში შეუძლია ცხოვრების თავიდან დაწყება, ქალს კი – სიყვარულის.

6511. ღმერთმა ნუ ქნას მამაკაცმა უფროსობის ჟინი დაკარგოს, რადგან საზოგადოება, სადაც მამრის ფუნქცია დეგრადირებულია, ავადდება და იხრწნება.

6512. დღეს ჯენტელმენი ბევრია, მაგრამ მათ შორის მამაკცია ცოტა.

6513. მამაკაცისთვის მთავარია ოჯახის შენახვა, დანარჩენ ხვადურ სისუსტეს და გადაცდენას დრო გაპატიებს და შეგინდობს.

6514. მამაკაცს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ ის ხვადად არის გაჩენილი და არა – ცხოვრების მაჩანჩალად.

6515. ზოგი ქალი იმდენად ამაღელვებელია, რომ ქვენა გრძნობები მოსვენებას არ გვაძლევენ და ფათერაკებისკენ გვიბიძგებენ.

6516. ზოგი იმდენად მომხიბლავი, ჯიშიანი და კარგი ბავშვების მკეთებელი მამაკაცია, საცოდაობაა მისი ერთხელ დაქორწინება და ერთ ქალზე გაცდენა.

6517. ნამდვილი, საჯიშე, კარგი შვილების მკეთებელი, მამაკაცი ცოტაა და ისინი უნდა გამოვარჩიოთ პასპორტში ბეჭდის ჩარტყმით, რაც მას უფლებას აძლევს მრავალცოლიანი იყოს. ამით მამაკაცი თავის სტატუსს მიიღებს და ქალები – ნაშიერებს, ვისთვის განგებამ არც ხეირიანი ქმარი გაიმეტა და არც შვილებმწარმოებელი მამრი.

6518. ხანდახან მამაკაცები ქალებს იმიტომაც ღალატობენ, რომ ვირის ჭკუაზე დგებიან და მასავთ აღგზნებულები არიან.

6519. ღმერთმა ნუ ქნას, რომ მამაკაცს ქალის დანახვა არ აღელვებდეს, თორემ თანდაყოლილი სიზარმაცის გამო, სექსაობასაც შეეშვება და ადამიანთა მოდგმაც გადაშენდება.

6520. მრავალცოლიანობის უფლება საღი მამაკაცის ჯანმრთელობაზე, მამაკაცის ღირსების შესაძლებლობაზე, გენის სიძლიერეზე მიუთითებს, რომელიც მოქალაქის პასპორტში ცალკე გრაფაში უნდა აღინიშნოს, რათა მწარმოებლის ხარისხის სერტიფიკატი გარანტია იყოს.

6521. მამაკაცს ძალზე აღიზიანებს ფრაზა – „შენ ვალდებული ხარ!“ და მისი „მეს“ გაბიაბურება.

6522. მამაკაცი ყოველთვის სიფარულით და გრძნობათა ჩოჩქოლით უნდა ქორწინდებოდეს, მიუხედავად ქორწინებათა ოდენობისა.

6523. მამრისთვის ქალის ხატებად აღქმის საფუძველი სიფარულია, მიუხედავად შეწვდა ამ მდედრის გულის რაობას თუ არა.

6524. ქალები იმიტომაც თავხედდებიან, ემანსიპაციისკენ მიილტვიან, რომ მამრები ერთმანეთის ნასუფრალს ვეტანებით, ურთიერთს პატივს არ ვცემთ და სოლიდარობიას არ ვუცხადებთ, თითქოს გაუთხოვარი, გონიერი ქალების ნაკლებობას განვიცდით.

6525. გლეხუჭასა და მამაკაცს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი თავისი სუნით ყარს, მეორე – ქალისა. ისე კი თავისი სიმყრალით ორთავე კმაყოფილია.

6526. მამაკაცი რომელიც ქალს ატყუებს და მასთან სცოდავს, არ შეიძლება მისი თაყვანისმცემელი არ იყოს და სინდისის ქეჯნას არ განიცდიდეს.

6527. მამაკაცი ავყია ქალის ხელში ან მოხერხებული უნდა იყოს, ან ფულიანი, ან მთვრალი.

6528. მამაკაცები, ადრე თუ გვიან, თეთრად, უალოდ იწვიან, მიუხედავად იმისა, ოჯახის შექმნისას გაუმართლებთ თუ არა.

6529. შეფარებული კაცი მწარმოებელი ჯარისკაცად თუ არა, სიყვარულის ოფიცრად მცდელობისთვის ყოველთვის უნდა იღწვოდეს.

6530. შეცოდება მამაკაცს ამცირებს, სიცოცხლეს უმოკლებს, თანადგომა კი ამხნევებს და სიცოცხლის დიაპაზონიც მატულობს.

6531. ქალის ერთი აღტაცებულ-აღფრთოვანებული „ახ“-ის გულისთვის მამაკაცი ყოვლის შემძლე ხდება, ფელაფერს კისრულობს და ხშირად კარიერასაც ხელს გამოკრავს.

6532. მსუბუქი ყოფაქცევის ქალები ძირითადად მოსწონთ ათვალისწუნებულ, დაუფასებელ, კადნიერ მამაკაცებს, რომლებიც ქალებისგან აღფრთოვანებას და სიფარულს მოკლებულნი არიან.

6533. გვინდა თუ არა, ქალს დიდ დროს ვუთმობთ, მიუხედავად იმისა, გვიყვარს თუ ყასიდად ვეტრფით, რადგან ეს არის მოჩვენებითი მცდელობა ჩვენი გენისა, მიუხედავად იმისა, შეგვიძლია სექსაობა თუ არა.

6534. მამაკაცი რატომღაც მეტ პატივს მიაგებს ქალის პიროვნებას, რომელსაც იგივე ინტერესები აქვს, ვიდრე მოსიყვარულეს და უზმოდ ერთგულს.

6535. მამაკაცში ლამაზ ემოციებს იწვევს პლაჟზე ქალი მოხდენილი საცურაო კოსტუმით და უსიამოვნო შეგრძნებას როდესაც კაბის ქვეშ ძველმოდური საცვლები გამოუჩნდება.

6536. მამაკაცზე ცუდ შთაბეჭდილებას აყვირებული, გაანჩხლებული, ქალი ტოვებს და მისგან უკანმოუხედავად გარბის.

6537. მამაკაცის სამსახური თამაშია, იმ შემთხვევაში, თუ საქმიანობა მოსწონს და კარიერის ასასვლელ კიბეზე ფეხი არ უცდება.

6538. მამაკაცის ქალისადმი მოპყრობა, ამ უკანასკნელის გამოცდილებაზე და მოფერების უნარზეა დამოკიდებული.

6539. უთავმოყვარო, ურწმუნო, უმწეო კაცს შეწყალება კი არა, მათრახი სჭირდება.

6540. კაცის „ხოშგელდი“ „ფსიქოზში“ არ უნდა გადაიზარდოს“.

6541. ზოგჯერ უცხო გარემოში კაცის გადაადგილება მის გადაგვარებას უწყობს ხელს, ანდა, პირიქით – გამოსწორებას.

6542. მამაკაცის გაწიწმატება მარტო ქალზე არ არის დამოკიდებული, მიზეზი, უმეტესწილად უიღბლობა, უნიათობა და უფულობაა.

6543. კაცისთვის ამჩატება ერთ-ერთი სერიოზული ნაკლია, მაგრამ ზოგჯერ აუცილებელია და უზადოც.

6544. ვირის შედარება ზოგიერთ კაცთან პირველისთვის დიდი შეურაცხყოფაა, მეორე იმდენად ჯიუტია.

6545. ზოგიერთი კაცისთვის თავის კაცად წარმოდგენა, კარისკაცობაა.

6546. შარიანი კაცი არც უნდა გაიკარო და არც საქმეს უნდა გააკარო, რადგან ვალში მაინც შენ დარჩები.

6547. მამაკაცს შრომისკენ გული უნდა მიუწევდეს, ქალებში უნდა ერკვეოდეს, სასმელის ფასი უნდა იცოდეს და სიყვარულს უნდა აჭაშნიკებდეს.

6548. ასაკოვანი მამაკაცის მიერ პლაჟზე ტიტლიკანა ქალების თვალიერება, დიეტაზე მყოფ ადამიანს მოგვაგონებს, რომელიც მენიუს მთელი მონდომებით ეცნობა, თუმცა არაფრის შეკვეთას არ აპირებს.

6549. მამაკაცები საკუთარი სულის „მათხოვრები“ ვართ, რადგან ეს „საოხრე“ სიამოვნების საზომი ქალებისთვის მუდმივ ექსპლუატაციაში გადასაცემად არ გვემეტება.

6550. კაცი იმდენად მიმზიდველი და საინტერესო უნდა იყოს ქალისთვის, რომ საკუთარი თავის და ყოფის გალამაზების სურვილი გაუჩნდეს.

6551. სიფვარულში გაწბილებული ქალი შერიგებაზე თითქმის ყოველთვის თანახმაა, ხოლო მამაკაცი – ზოგჯერ.

6552. მამაკაცს რაც უნდა დიდი წარმოდგენა ჰქონდეს თავზე, მაინც ქალის მომსახურე და მისგან ჭკუის დასარიგებელი ობიექტია.

6553. შეგნებით დასაქმებულ კაცს ეშმაკი ვერც შეაცდენს, ვერც ვერაფერს დააკლებს და ვერც წილში ჩაუჯდება.

6554. მამაკაცი რომელსაც ქალის სულის მონადირება არ შეუძლია – ხვადად არ გამოდგება.

6555. მამაკაცის „დაბმის“ საშუალებებია: ქალის ინტუიცია, ინსტინქტი, ალღო, შინაგანი ხმა და მრავალი სხვა თანდაყოლილი ადაპტორი, რომლითაც განგებამ მდედრთა მოდგმა აღჭურვა.

6556. ნამდვილი მამაკაცი ქალში სიფვარულს ეძებს და არა – თანაგრძნობას.

6557. მთავარია სკამდაკარგული კაცი შეიცნო, თორემ მანამდე მხოლოდ მისი სავარძლის შესაძლებლობას იცნობდი.

6558. მამაკაცები ქალების სატანჯველად არიან გაჩენილნი, ხოლო ქალები – მათი ნერვების ასაშლელად.

6559. ნუ ამოიღებთ ისეთ ქალს მიზანში, რომელსაც ვერც სულით შეწვდებით, ვერც გულით და ვერც ფულით – ყოველთვის თავს წაგაფვედრებს.

6560. ფველა ქალზე შეიძლება გამარჯვების მოპოვება, თუ მამაკაცი აღჭურვილია ფველა საჭირო კაცური გარანტიებით.

6561. მამაკაცები ძირითადად იყოფიან: ეგოისტებად, ნარცისებათ, დემოკრატებად. პირველნი საკუთარ სიამოვნებაზე, პენსიაზე, ფიქრობენ, აჭრილი ბუნებისანი არიან და არც საფვარლად ვარგანან, მაგრამ მამაკაცთა უმრავლესობას წარმოადგენენ, მეორენი ძირითადად ხიბლის მქონენი არიან, საკუთარი სიმშვიდით ტკბებიან და ქალებისგან ქათინაურს ითხოვენ, ასეთებიც საკმაოდაა ბუნებაში, მესამენი დელიკატურები, კეთილნი, გულმოწყალენი, იდეალური მამაკაცები არიან, მაგრამ მათი სიმცირის მიუხედავად ქალებს ისინი სწრაფად ბეზრდებათ და გული რატომღაც უფრო ნაკლოვანებების მქონე მამაკაცებისკენ მიუწევთ.

6562. „კოცნის თერაპია“ წინასწარ დაგეგმილი ვნებიანი კოცნაა, რომელზეც მამაკაცთა უმრავლესობა რეფლექსურად რეაგირებს და ხშირად ანკესზეც ეგებიან.

6563. ჟინიანი კაცი სიკვდილ-სიცოცხლის და მზის ჩასვლა-ამოსვლის ფენომენს პირდაპირ უყურებს და ქედს არავის უხრის.

6564. მამაკაცს ლამაზმანი და ქალი ერთმანეთში არ უნდა აერიოს, რადგან ერთი სხეულის დასამშვიდებლადაა განკუთვნილი, მეორე სულის, რომელშიც სიფარულის ნაფლეთებიც ურევია.

6565. ეფექტის მოსახდენად ქალს უნდა მიახალო, რომ მას შესანიშნავი თვალები აქვს, არც თუ ისე ცუდი ფეხები, ვნების აღმძვრელი უკანალი და საამო მკერდი. დამიჯერეთ, ის თქვენს თავხედობას მომნუსხავი ღიმილით დასჯის.

6566. უხასიათო კაცი ყველგან თავის ხასიათით გამოირჩევა.

6567. ბერბიჭა იმითაც კმაყოფილია, რომ დაოჯახებულების ცხოვრებას ნიშნის მოგებით უყურებს.

6568. არის ასაკი, როდესაც მამაკაცი ვალდებულია აღელდეს, იფიქროს, იგრძნოს, განაწყენდეს ქალზე და დაივიწყოს რა სურს მისგან.

6569. მამაკაცს ყველა საუკუნეში ტაქტი აკლდა და მისთვის აუხსნელი ბუნების ქალის პატივისცემა.

6570. მექალთანე ყველა ქალში გარკვევას და მათ დამუღამებას ცდილობს, მაგრამ სიფარული რა არის, ვერ ერკვევა.

6571. მამაკაცის გენეტიკური კოდი, ქალში სიბრძნეს არ ეძებს, მისთვის მთავარია მისი გულისთქმის შეგრძნება.

6572. გულუბრყილო კაცები უფრო მეტნი არიან, ვიდრე ქალები, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამდენი ქვრივი, ბედნაცვალი და დროისმატარებელი ქალი არ გასაღდებოდა.

6573. მამაკაცის გმირობა განუსჯელია, როდესაც ქალის ხელს ითხოვს.

6574. ძალა და უხეშობა ზოგიერთი მამაკაცის ატრიბუტებია, მაგრამ ქალებს რატომღაც ასეთი „მასტის“ მამაკაცები უფრო მოსწონთ.

6575. ნამდვილი მამაკაცი მაშინაც ჩანს, როდესაც ის დედიშობლაა, ხოლო ნამდვილი ქალის შეცნობას სიტიტვლე არ შველის.

6576. გონიერი კაცის სახელის მოპოვებაა ძნელი და არა – მისი დამკვიდრება ან ანდერძით მიღება.

6577. მამაკაცის დასჯა უფრო მკაცრადაც შეიძლება, თუ მას „წუნკალას“ ცოლად ავკიდებთ.

6578. მამაკაცს ქათინაურების ფრქვევა დაქორწინებამდეც სჭირდება, დაქორწინების შემდეგაც და გაყრის დროსაც.

6579. მამაკაცი თავის ბუნებით ალოგიკურია – ქალის ერთფეროვნებას ვერ იტანს, მაგრამ მისგან წესიერებას ითხოვს.

6580. ბერბიჭას ფლირტი საკუთარ ახალგაზრდობასთან უაზრო გათამაშებაა, რომლითც სიამოვნების მიღება სურს.

6581. მთელი ცხოვრება მამაკაცი ქალთან დამოკიდებულების კუთხის ზომვაშია.

6582. მამაკაცის თავს დამცირებულად მაშინ გრძნობს, როდესაც მამაკაცური ღირსება საბოლოოდ უმტყუნებს და იმედი, რომ კიდევ იყოჩაღებს, დაკარგული აქვს.

6583. მამაკაცმა, რომელსაც გვარის გამგრძელებელი არ ჰყავს, შეიძლება სახელი დატოვოს, მაგრამ მომავლის გარეშე.

6584. მამაკაცი რაინდობა ბრწყინვალე ქალბატონების დამსახურებაა.

6585. მამაკაცმა იქ უნდა ინადიროს სადაც იცის, სჩვევია და არა იქ, სადაც იმყოფება.

6586. შებრალება მამაკაცს კურნავს და არ ამცირებს.

6587. დროსტარების ეშხის უცოდინარი კაცი თავისი დროის მონაა.

6588. ხვადი მამაკაცი ძალზე ჰგავს სველ საპონს, რაც მეტს მოუჭერ, მით უფრო სწრაფად გაგისხლტება ხელიდან.

6589. ბერბიჭობის მიზეზი ზოგჯერ სასმელია, რადგან როდესაც ლოთობ, ქალი არ მოგყვება, გამოფხიზლდები და არ მოგწონს.

6590. ნიჭიერი კაცი ყოველთვის შეძლებს თავის წარმოჩენას, თუ ამის სურვილი ექნება, იმის მიუხედავად, ფორტუნა გვერდზე დაუდგება თუ არა.

6591. რომ ამაღლდე, ქალი უნდა გააღმერთო, მაგრამ კონტროლი არ უნდა დაკარგო.

6592. ქალი მამაკაცზე ერთი სანტიმეტრით მაინც ქვევით უნდა იდგეს, რათა ის არ იქცეს მის დამკვირვებლად, განმსჯელად, ოპონენტად, რაც ამ უკანასკნელს ხასიათს ხშირად უფუჭებს.

6593. გონიერი და კარგი კაცის სახელი შეინარჩუნო ისე, რომ სხვაზე ცუდი არ თქვა, თანდაყოლილი ნიჭის და მოხერხებულობის გარეშე შეუძლებელია.

6594. ქალის მოსახიბლად საჭიროა: ქიცისა და ქიცმაცურის მოხდენილი ცოდნა, ბუნებრიობა და უბრალოება, მოდაზე ჩაცმა, მომნუსხავი საუბარი, მთავარია თავს წარმოაჩენს უნარი მამაკაცის – ეკამათეთ, მაგრამ ხშირად დაეთანხმეთ, რაც მთავარია, ღიმილის ფრქვევა და კეკლუცობა არ დაივიწყოთ, ხოლო ქათინაურები წამლიქვნელებით უძველესი და უძლიერესი იარაღია მათ „დასაბმელად“.

6595. ქალის მადლს მამაკაცის არჩევანი ადგენს, ხოლო მდედრის თანხმობა – მამაკაცის ხარისხს.

6596. ბუნების მომადლებული ნიჭია თუ ქალის კაპრიზს, შენიშვნებს, გააფთრებას, მამაკაცი უპასუხოდ დატოვებს და მის დამშვიდებას დროის ფაქტორს გადაულოცავს.

6597. მამაკაცი ბუნებით მოწოდებულია ქალებს მოემსახუროს და არა ემსახუროს ე.ი. თავის საყვარელ ქალს სულიერად არ უნდა უღალატოს, ფიზიოლოგიურისაგან განსხვავებით, რადგან ის, განგების ნებით, პოლიგამიური არსებაა.

6598. ყველა მამაკაცს აინტერესებს ქალზე გაცილებით მეტი იცოდეს, მაგრამ მთლიანობაში მუდამ ხელმოცარული რჩება.

6599. მამაკაცისთვის ნამდვილი ქალი ტკივილების გასაჩუმებელი და წარსულის დავიწყების საშუალებაა.

6600. მამაკაცს: გავის და მკერდის ვნებიანი დემონსტრაცია ახელებს, გრძელი ფეხები და მოხდენილი ჯდომის უნარი აღაგზნებს, მიმზიდველობა და მომნუსხველი ღიმილი თავს აყვარებს, ხოლო მოხერხებულობა და პერსპექტივა აოჯახებს.

6601. ნამდვილ მამაკაცს, ბუნებით მეზღვაურს, ყველა ნავთსაყუდელის დასახლებაში ქალი უნდა ელოდებოდეს.

6602. შინაგანად ძლიერ მამაკაცს არც არავისი ეშინია და თავისი ხიბლიც აქვს, ხოლო გარეგნულად ამაყს ცოლიც აფრთხობს და სიამაყის გრძნობაც დაკარგული აქვს.

6603. უნდა თუ არა, კაცი ქალს ემორჩილება, ანგარიშს უწევს, ბოლოს მისი საკუთრება ხდება და თუ გაუმართლა, მისი დასამარხიც.

6604. მამაკაცი ის კედელია, რომლის იქით ქალისთვის სიმყუდროვე და სითბო გარანტირებული უნდა იყოს.

6605. მამაკაცმა, ქალისაგან განსხვავებით, დროის, ფულის, საქმის კეთების, მადლი უნდა იცოდეს.

6606. ხეირიანი მამაკაცის ხელში ქალი არ შეიძლება ცუდი იყოს, ის ან კარგია ან ძალზე კარგია.

6607. კარგი მამაკაცის ხელში ქალი შეიძლება დედოფლადაც იქცეს და დედაკაცადაც, გააჩნია რა გენი აქვს თავისი მეობის განსასახიერებლად – სილამაზე, მოხდენილობა, თუ მრავალშვილიანი დედის სტატუსი.

6608. ბერბიჭობა არავის ეპატიება, რადგან შენი საკეთებელი სხვას არ უნდა აჰკიდო ტვირთად და უხარისხოდ არ უნდა შეასრულებინო.

6609. ბერბიჭა ვნებიან ქალზე დაქორწინებით უნდა „დაისაჯოს“, რათა სხვა ქალებმა ჯავრი იყარონ მის ადრინდელ უმოქმედობაზე.

6610. მამრის ყველა ქმედების უკან, თუ კარგად მოვიძიებთ, ქალი თუ არა, მისი აჩრდილი მაინც დგას.

6611. მამაკაცმა თავისი თავგადასავლები, განსაკუთრებით ქალებთან დაკავშირებით, არ უნდა გაახმაუროს, თუ უნდა უფრო მეტი წარმატებები იზეიმოს.

6612. მამაკაცის უცნაურობა ის არის, რომ შეუთავსებელის შეთავსებას ცდილობს და ზოგჯერ გამოსდის კიდეც.

6613. არ შეიძლება ის არსება არ გვიყვარდეს, რომელმაც საკუთარი მეს სიყვარული გვასწავლა და ისე აღგვაფრთოვანა, რომ თავი მამაკაცებად ვიგრძენით.

6614. მამაკაცის სპონსორობა ქალისადმი სიყვარულში ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ თუ პირიქითაა, მამრის ღირსება ილახება და საჭორაო ხდება.

6615. სასურველი თავგადასავლების გადატანის სურვილი, მცდელობისაგან განსხვავებით, მამაკაცს კუბოს ფიცრამდე მიჰყვება.

6616. მამაკაცს ქალის გასაკვირი აღქმა აქვს, მას ისე არაფერი არ აღელვებს ტიტველ ქალში, როგორც ფეხებზე ატმასნილი მაღალყელიანი წინდები.

6617. მამაკაცი ქალის ასაკით კი არ უნდა ინტერესდებოდეს, არამედ გარანტიის ვადით და ცვეთის ხარისხით.

6618. ძლიერი და მომხიბვლელი მამაკაცი არ შეიძლება კეთილი არ იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მის აურა ფიქციაა.

6619. „მამაკაცია“ ის, ვინც მდედრში ქალს აღმოაჩენს და ვნების ალგორითმებს აგრძნობინებს.

6620. ქვეყანა, სადაც მამაკაცი არ სცოდავს, სახელმწიფო არ არის – ტერიტორიაა, რადგან მაშინ არც ძალოვნებია საჭირო და არც მთავრობის გაბერილი აპარატი.

6621. მამაკაცმა თავისი საყვარელი ებრაელი ქალის საპატივცემულოდ წინდაცვეთა გაიკეთა, მაგრამ მაინც ვერ შეძლეს ერთად ცხოვრება, რადგან რწმენა სხვა სულიერებას, ვნებას მოითხოვს, ხოლო სხეულს თავის აღტკინების განტოლებას დაცხრომა ესაჭიროება.

6622. არსებობს სამი სახის ხვადი: ალფა, ბეტა და გამა, სანამ პირველი ორი ქალის გულის დასაპყრობად იბრძვის, მესამე ყოველთვის წარმატებული გამოდის, ყოველგვარი დაპირისპირების გარეშე.

6623. ღირსეული მამაკაცია ის, ვისაც პრობლემები სახლში არ მოაქვს და კარებს იქით ტოვებს.

6624. მამაკაცთა "უგნურებათა კასკადი" ქალთა მოდგმას აზარალებს, რადგან მამრები ერთმანეთთან ქიშპობას ეწირებიან და ქალთა უმეტესობა მოფერების და მხარში ამომდგომის გარეშე რჩება.

6625. ქალის ყოფა-ქცევას ყოველთვის მამაკაცები განსაზღვრავდნენ წაყრუება-წახალისების და "ვხედავ-არვხედავ" თამაშის ხარჯზე.

6626. არიან „თავხედი" მამაკაცები, რომელთაც ქალისაგან მხოლოდ ერთი რამ უნდათ, მაგრამ არიან ისეთი დეგენერატებიც, რომლებსაც არც არაფერი უნდათ.

6627. პირველი ქალი და შენთვის განკუთვნილი ქალი სხვადასხვაა და ეს ყველა მამაკაცმა დროულად, ინტუიციით, უნდა იგრძნოს.

6628. ნამდვილ მამაკაცს ქალების კაპრიზები ქმნიან, როგორც გადატანითი მნიშვნელობით, ასევე რეალურად ამქვეყნად მოვლენით.

6629. აღმოჩენა, სიახლის წარმოჩენა, ფანატიზმის, სიყვარულის და მომადლებული ნიჭის გარეშე არ კეთდება.

6630. მამაკაცისთვის მთავარია ქალი როგორ მოერგება და არა – როგორ მოეწონება.

6631. კაცის მოვალეობაა „პოლიტიკურ-ეკონომიკური" სიყვარული აჩუქოს ქალს და არა – ჩვეულებრივი და ისიც საყელპურო.

6632. ქალის შერჩევისას, პირველ რიგში, მის ყველაზე ულამაზო ნაწილს, იდაყვებს და მუხლის თავებს უნდა დააკვირდე და თუ ისიც მოსაწონი აქვს, ე.ი. ჩვენი ცნობიერების „კასტინგში" უკვე გაუმარჯვია.

6633. თხოვნის სანაცვლოდ შეიძლება ქალს უბრძანო, მოსთხოვო, გააკეთებინო, მაგრამ არ ღირს, ცუდად დაგიმახსოვრებს.

6634. მამაკაცები წინასწარ ქალის ბიოლოგიას ანალიზს არ უკეთებენ, მაგრამ ყოველივეს ღირსეული შთამომავლის ჩამოსაყალიბებლად აკეთებენ და არა ისეთებს, როგორებიცა ვართ და როგორც თავადაც არ გვინდა ვიყოთ.

6635. ფემინიზმმა ფეხი ცივილიზებულ ქვეყნებში იმიტომ გაიდგა, რომ მამაკაცებს ეს ხელს აძლევს, ხოლო ქალები თავის ტყავში ვერ ეტევიან.

6636. კეკლუცობა-კოპწიაობასა და უკარება-უკადრისობას შორის ის სხვაობაა, რომ ორივეს მამაკაცთან ყოფნა უნდა და როგორ დანებდეს, როგორ შეცდეს, ვერ გადაუწყვეტია.

6637. ჭორიკანა მამაკაცი თანახმაა ყველას საწოლში შეუძვრეს და ამის შესახებ ყველას აცნობოს, იმისდამიუხედავად, მოახერხა რაიმე ლოგინში თუ არა.

6638. მამაკაცს აყალიბებს ქალის თავზე წარმოდგენა და კაპრიზი.

6639. მამაკაცი, რომელიც „ძალადობის“ იარაღს გასასროლად არ ატარებს, უკვე მოხუცია.

6640. უცოლო მამაკაცი დაუოჯახებლად ქვრივდება, თუ შთამომავალს არ ტოვებს.

6641. ბერბიჭობა მოწოდება არ არის, ეს თავის დასაცავი ცხოვრების წესია, რადგან უბრალოდ არ გამოჩნდა ისეთი ქალი, რომ მამრის თავისუფლება და მსოფლმხედველობა ნაცარტუტად ექცია.

6642. მექალთანე ქალს იმ სხვისთვის დამალული კუთხიდანაც უყურებს, საიდანაც საამოდ ჩანს, რათა ვნებას კვადრატში აყვანილს გემო ჩაატნოს.

6643. მამაკაცებს, ასე თუ ისე, სურვილი აქვთ მერკანტულად ქალებს ემსახურონ, ხოლო ქალებმა ეს უნდა გაითვალისწინონ და ამ წამოწყებას ხელი შეუწყონ, სანამ დრო გაცდის და გული გულობს.

6644. ძალაუფლების მქონე მამაკაცები ქალთა ყველა კატეგორიას იზიდავენ და ხშირად ფულიანებსაც ამჯობინებენ.

6645. მამაკაცები არ ამხელენ: ცოლთან ჭუკ-ჭუკს, სექსის დროს, რომ სხვა ქალზე ფიქრობს, ღალატს, თავიანთ უძლურებას, მოუხერხებლობას, ხელმოკლეობას, ცოლზე ეჭვიანობას, შვილის ნდომას, თანდაყოლილ შეუმჩნეველ ნაკლს, სამივლინებო და საკურორტო თავგადასავლებს.

6646. ღირსეული მამაკაცია ის, ვინც ქალს ნებაყოფლობით აიძულებს მუდამ ფორმაში იყოს.

6647. მამაკაცის ღირსება პირველ რიგში მისი შემოსავალია და როგორ ანაწილებს ამ შესაძლებლობის ნაწილს თავის ახლობლებში და „ტაშის დამკვრელებში“, მისი „იმიჯია“.

6648. ქალმა რომ ღამის კაიფი უკეთ შეიცნოს და დატკბეს, ეს მამაკაცის ღირსების შესაძლებლობაზეა დამოკიდებული.

6649. ცხვარივით დინჯსა და აფთარქალს შორის „სხვაობა“ ის არის, რომ მათი ხასიათის გამოჩენა მამაკაცის კაცობის ხელოვნებაზე და შესაძლებლობებზეა დამყარებული

6650. რაც კი აქამდე სხვა ხალხის დასაპყრობი იარაღი შეუქმნათ, რწმენაზე და მამაკაცის პენისზე უკეთესი ჯერ არაფერი შექმნილა.

6651. დღეს ქალი უფრო მამაკაცის პარტნიორი და გრძნობებს აყოლილი მდედრია, ვიდრე მეუღლე, რადგან მათი ქალური რაობის დაცვას, ცხოვრების აჩქარებული ტემპის და მოთხოვნების გამო, მამაკაცთა მოდგმა აღარ ცდილობს ან ვერ ახერხებს.

6652. ქალი მამაკაცმა ფალოსით უნდა დაარწმუნოს, რომ ღმერთი მათთან არის და არა – მონაზვნად აღკვეცით და წირვა-ლოცვით.

6653. ნამდვილ მამაკაცს შინაგანად ის ქალიც უნდა უყვარდეს, ვინც მას ჩუმად ეტრფის და ამის შესახებ არაფერი გაუგია.

6654. ნანატრ ქალზე მოხერხებულობით უნდა იძალადო, ოღონდ გატაცებით და პერსპექტივით.

6655. მამაკაცი ჩვრად არ უნდა იქცეს, რაც უნდა სიყვარულის აფექტმა შემოუტიოს და გონი აურიოს.

6656. მამაკაცის და ქალის ურთიერთობა გაუთავებელი „დავლურია“ ყველა იმ რეფლექსით, თანდაყოლილი ნიჭით, რაც ფლორისა და ფაუნის კოდს გააჩნია.

6657. მამაკაცია ის, ვინც სიცოცხლის ყველა ეტაპზე ქალისკენ მიისწრაფის, იმის მიუხედავად, შეუძლია რამე „ხელშესავლები“ თუ არა.

6658. ბიჭებს ამაყი, დამოუკიდებელი გოგონები უყვართ, შემდგომ მოდის სილამაზე, ხასიათი, კდემამოსილება, ხოლო მამაკაცებს – პირიქით.

6659. მამაკაცები რომ იტყუებიან, აქ ძირითადად ქალები არიან დამნაშავენი, რადგან ისეთ კითხვებს სვამენ, რომ მამრები იძულებულნი არიან ტყუილით თავი იმართლონ.

6660. შეყვარებულ მამაკაცს ქალის თითქოს ყველაფერი ესმის, ყოველივეს ხედავს. დაოჯახდებიან და ყველაფერი გაუგებარი ხდება.

6661. მამაკაცის ვალია ოჯახური რუტინისაგან დროდადრო თავის დახსნა და პატარ-პატარა ვნებათა სარტალ-მორტალეთი, გვერდზე გახედვა და ცოლის შეუმჩნევლად სულის გადახალისება, გახარება.

6662. მამაკაცის სურვილია უეკლო ვარდზე დაქორწინება, მაგრამ მას ავიწყდება, რომ უეკლო ქალს ფასი არ აქვს და ბუნებაშიც იშვიათად მოიპოვება.

6663. მამრი რომ მდედრისკენ არ იყურება, ეს განგაში კი არა "სირენაა" – მთელი ძალით აყმუილებული უიმედობა სქესთა ურთიერთობაში.

6664. მამრების თავშეყრისას ძირითადი თემაა ქალები და სექსში გამოჩენილი ხვადობა, ქალების გაჭორვა და რამდენ მამაკაცს აკადრა უარი.

6665. მამრის ენერგიის გამოხატვა სექსუალური მუხტებით მდედრის აფორიაქება და დაოკებაა.

6666. მამაკაცი რომელიც ტრაბახობს, რომ რამდენიმე ქალის შენახვა შეუძლია, იმედია, სიდედრს არ გულისხმობს.

6667. თუ მამრის „კომპიუტერი“ არ მუშაობს, მას არც საიტის შეცვლა შველის და არც ახალი პროგრამა, მოკლედ, უნდა გამოიცვალოს, ან ძველმანს დასჯერდე.

„მასმედია“

6668. გონიერების პრიმიტიული კაპიტულაცია წიგნზე უარის თქმაა და ‘‘მასმედიის‘‘ მონობაა.

6669. ტელევიზია იმ ფსიქოთერაპიას ემსახურება რომელიც ადამიანს ათაყვანებს, ირონიას ულვიძებს და თავის ჭკუაზე გადაყვანას ცდილობს.

6670. დღეს საქმე იქამდე მივიდა, უანგაროდ ვიღაცაზე კარგი რომ თქვას ან სახელმწიფო მოღვაწე შეაქოს, ჟურნალისტს უდიდესი გამბედაობა და კაცთმოყვარეობა სჭირდება.

6671. ‘‘მასმედიის‘‘ საშუალებით იდეოლოგიას ისინი ქმნიან და ტრადიციებს ისინი გადაწერენ, რომლებიც თავად არიან ცოდვილნი.

6672. უხიაგი საზოგადოება ყოველნაირ ‘‘მასმედიას‘‘ გაუძლებს და მოინელებს.

6673. ხალხს ავიწყდება, რომ ჟურნალისტსაც ცხოვრება უნდა და ისიც იძულებულია იმამაძაღლოს და წინასწარ დაფინანსებული ინფორმაცია მოგვყიდოს, რადგან შემოჩეჩებულს ყველა მიხვდება.

6674. ტელევიზორი, პრესა, წიგნი, ყველაზე კარგი საშუალებაა უძილობის სამკურნალოდ.

6675. ტელევიზია ეს ის ელიტარული კლუბია, სადაც მასა მასში შორიდან მონაწილეობს.

6676. ‘‘მასმედია‘‘ საზოგადოების ყოფის ტემპერატურას აღნიშნავს და არა მათ გონიერებას.

6677. ტელევიზიამ სამყაროს ხედვა გაგვიფართოვა და სანერვიულოც მოგვიმატა, რადგან წინათ ცუნამს, მიწისძვრას, ტერორიზმს და სხვა მისთანებს, მაშინ ვიგებდით, როდესაც ის ისტორიის კუთვნილება ხდებოდა, დღეს, ჯერ კატასტროფა ხეირიანად არც დაწყებულა და უკვე ნერვები გვაქვს დაწყვეტილი.

6678. მასმედიაა სათუთად უნდა გვიყვარდეს, თანაც მის აღზრდაზე და მოვლა-პატრონობაზე ხელი არ უნდა ავიღოთ.

6679. ‘‘მასმედია‘‘ გვართმევს სურვილს ვიყოთ ოპტიმისტები, მაგრამ არც პესიმიზმის უფლებას გვიტოვებს.

6680. მასიურ აღელვებას და ყურადღებას იწვევს ‘‘მასმედიაში‘‘ ფასების მატების ინფორმაცია, დანარჩენი თემა ინდივიდუალურ ზრუნვას და განსჯას მოითხოვს.

6681. ‘‘მასმედიის‘‘ მთავარი საზრუნავი სათაურია, რომელსაც თემაც უნდა მოარგოს და საზოგადოებისათვის ‘‘საზრუნავი‘‘ შინაარსი, რომელიც ახლობლებში გაბაასების თემად იქცევა.

6682. ჟურნალისტიკასაც ნუ განვსჯით საინტერესო მასალას თუ არ მოსკორავს, ვერ გაყიდის და სახლის და სამსახურის გარეშე დარჩება.

6683. ხშირად გარდაცვალების შემდგომ წმინდანებად ენერგიული "ავტორიტეტები" გვევლინებიან, რომელთა გაფეტიშებაში "მასმედიაცაა" ჩაბმული.

6684. ამქვეყნად კარგი ხალხიც ბევრი ცხოვრობს, მაგრამ "მასმედიას" სხვა "დანაშაული" აქვს – ულირსი ხალხი გვაჩვენოს და ამით გაგვაფრთხილოს თუ რეკლამა გაუკეთოს და სახსარი იშოვნოს.

6685. დღევანდელი შინაგანი სიცარიელე მატერიალიზმზე გამარჯვების გარდა ტელევიზიის ბრალიცაა.

6686. "მასმედიის" დანიშნულებაა მოუმზადებელი ასაკი ზედმეტად არ გაათვითცნობიეროს და დროზე ადრე არ გარყვნას, თორემ საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობას პრესის თავისუფლების ქარტიის მოშველიება ვერ მოხსნის.

6687. მშიერი "მასმედია" ყველა სახის ბანდიტზე, პოლიტიკოსზე, ავანტიურისტზე საშიშია, თუკი მისი პროდუქცია ვინმეს სჭირდება.

6688. თავისუფლება და დემოკრატია თავისთავად, ღირებულია, მაგრამ ცუდი ბიჭების საქმიანობის გამომზეურება სიმპატიებს არ უნდა იწვევდეს, რადგან იდეოლოგია აღსაზრდელად გონიერებას სჭირდება და არა "მასმედიის" მიერ ფულის შოვნის მცდელობას.

6689. ჟურნალისტი სათუო, მაგრამ საინტერესოა ჟამთაღმრიცხველია.

6690. როდესაც ამდენ სიბრიყვეს „მასმედიის" საშუალებებით ვამჩნევთ, საფუძველი არც ქვეყნის სიყვარულისთვის რჩება და არც გმირობისთვის, რომელთა შეცვლას დროებითი კუმირებით და ვარსკვლავებით ვცდილობთ.

6691. „მასმედია" არა მარტო ფაქტების გამომჟღავნება – დაფარვა, შერბილება-გამწვავებაა, არამედ პოლიტიკაცაა. ამ კოქტეილის შესმა ვის გაამხიარულებს და დაათრობს, ვის სად წაადგება ან კვანტს როდის გამოსდებს, ყოველთვის უცნობია.

6692. „მასმედია" თავის წარმოსაჩენად, ხშირად საინტერესოდ, ზადიან ვნებას გვთავაზობს ჩვენი ნაჩუმათებული გარყვნილი ბუნების და ამბიციების დასაცხრომად.

6693. ხელისუფლებას უნდა შეეძლოს თანამედროვე თავისუფალი „მასმედიის" ექსპლოატაცია სახელმწიფოს და ხალხის საერთო ინტერესების სასარგებლოდ.

6694. სპექტაკლის, ნაწარმოების, სიკვდილ-სიცოცხლე თანამედროვეთა კეთილგანწყობაზეა დამოკიდებული, ხოლო „მასმედია" მას სი-

ცოცხლეს უხანგრძლივებს და ეხმარება ისტორიაში ადგილის მოძებნა-ში.

6695. კარიკატურისტების წინააღმდეგ მუსულმანური სამყაროს ბრძოლა სიბრიყვეა, მაგრამ მან რაღაც შედეგი მოიტანა, თუნდაც ,,მასმედიის'' დაფიქრება და თვითცენზურა, რადგან რასაც დაინახავ, იფიქრებ და ენაზე მოგადგება, ყველაფრის ტირაჟირება კიდევ უფრო მავნე და დიდი სისულელეა.

6696. მასმედია აწმყოს დესპანია და არა წარსულის დეტექტივი.

6697. მასმედია მოგვაგონებს გამოთქმას: ,,ფანჯარას გააღებ – ხმაური გაწუხებს, დახურავ და სული გეხუთება''. სწორედ ამ საშუალო შეწონილის ქმედების მოძიებაა მისთვის აქილევსის ქუსლი, რადგან ,,არც მწვადის და არც შემფურის'' პოლიტიკა, მმართველობისაგან განსხვავებით, მასმედიისთვის მიუღებულია.

6698. ,,მასმედია'' საჭირო აბდაუბდათი საქმიანობს, რომელიც დღეს მაგიაა, მაგრამ ,,ხვალ'' მას არ აქვს. საკმარისია გახმაურებული ამბავი ან ცნობილი ტელეწამყვანი ორი-სამი კვირა ეკრანს არ გავაკაროთ და ის დავიწყებას მიეცემა.

6699. ,,მასმედიის'' საქმეა ,,მიუდგომელი'' სიტყვის თქმა, ხოლო მისი სამართლიანობის დადგენა – ძალოვნების და ხალხის რეაგირებისაა.

6700. კანონით ,,მასმედია'' იქ უნდა შევიდეს, სადაც უშვებენ, ხოლო სხვის სულში ძალად შეჭრა კრიმინალია, რომელიც რატომღაც არ ისჯება.

6701. ,,მასმედია'' სიბინძურის გახმოვანებას უნდა მოერიდოს, რადგან ადამიანის აღზრდა – ჩამოყალიბება სიკეთის მაგალითებით ხერხდება.

6702. ,,მასმედია'' მსმენელს უნდა ეფერებოდეს, ერიდებოდეს და ისე უნდა აწვდიდეს ინფორმაციას და არა რეკლამის მომიზეზებით, სენსაციებით და ნიშნის მოგებით.

6703. როდესაც შენს ირგვლივ ინფორმაციის ჩენჩო არ არსებობს, იძულებული ხარ სერიოზულ მაუწყებლობას გაეცნო და თავს აღზრდა კლასიკური განათლების საწყისებს მიუგდო.

6704. მასების შეგნების მართავს ოდიოზური ძალაუფლება და კონტროლს დაქვემდებარებული ინფორმაცია, ხოლო რყნის უხერხემლო მთავრობა და თავაშვებული ,,მასმედია''.

6705. ცნობილი მწერალი უადგილოდ მუზის მოსვლისას ქაღალდით და ფანქრით იგივე საქმეს აკეთებს უნიტაზზე, რასაც საწერ მაგიდასთან ჯდომისას, მაგრამ პირველის დეკლარირება ,,მასმედიის'' დახ-

მარებით ტაქტს მოითხოვს, ასევეა პორნოგრაფია-ეროტიკის წარმოჩენა სილამაზის და აუცილებლობის გარეშე, მიუხედავად იმისა, რომ ორივე შემთხვევაში ადამიანის ბუნებისთვის მიუღებელი და საწინააღმდეგო არაფერი კეთდება, მაგრამ ყოველივეს გამომზეურება გონიერების ფილტრში გაუტარებლად – მკრეხელობაა.

6706. დღევანდელი ჟურნალისტები ორგაზმს განიცდიან, თუ რამე სენსაციური და საკბილო გამოთხარეს და მანიაკივით რცხვენიათ ვინმეზე დადებითის თქმა და ჩვენება.

6707. სახელმწიფო ტელევიზია სხვა არხებისგან იმით უნდა განსხვავდებოდეს, რომ ფულის, კონკურენციის და რეკლამის დივიდენდებისთვის არ უნდა „ტინგიცობდეს".

6708. „მასმედიამ" არა მარტო გადამოწმებული ინფორმაცია უნდა გამოიტანოს მკითხველის სამსჯავროზე, არამედ პერსპექტიული ღონისძიებანიც, მაშინ ფასდება განუზომლად მისი სამსახური, რადგან ნაკლის გამომჟღავნებით ის ნიშნს კი არ გვიგებს, არამედ თანაგვიგრძნობს და ჩვენს განკურნებას ცდილობს.

6709. იყო დრო ცეზარის, ლეგიონები და ნაპოლეონის არმია ბობოქრობდა და ხალხს თავის ნება-სურვილს ახვევდა, დღეს ეს ფუნქცია „მასმედიამ" აიღო და ბრბოს აზროვნების და მსოფლმხედველობის დაპყრობას თავისი ვერაგული იარაღით ცდილობს.

6710. „მასმედია" პანიკიორი, ნერვების მომშლელი და დამგიპნოზებელია – ისე იქცევიან, როგორც მათ ჯიბეს და კარიერას უხდება, ხოლო ხალხის ნერვების აშლა და მათი სულიერი გარყვნა აინუნშიც არ მისდით.

6711. ღირსება ფასდაუდებელი განძია, მაგრამ ამას შეფუთვა და სულის ჩადგმა ქვეყნის ძლიერების შეგრძნებით სჭირდება და არა „მასმედიის" ჭორაობით.

6712. „მასმედიის" დამსახურებაცაა, რომ საზოგადოებისათვის ცნობილი ადამიანები ყბედობით დემაგოგიას ეწევინ, უვიცობის მორევში ბანაობენ და თავი ამაყად და ვალმოხდილად უჭირავთ.

6713. „მასმედია" პროფესიონალურ დონეზე ცუღლუტობს და ბრბოს თვალში ნაცარს აყრის, მორცხვ აურზაურს ტეხავს პოლიტიკოსების, ეკონომისტების, სამართალდამცავების და სხვათა უნიათო და გამომძალველობით საქმიანობაზე, იმის ნაცვლად, რომ საზოგადოება დარაზმოს და მათივე დახმარებით ცხვირიდან ძმარი ადინოს იმათ „ვისაც ჯერარს".

6714. რეიტინგსა და პრესტიჟს შორის ის სხვაობაა, რომ პირველს მასმედია ქმნის, მეორეს – ხალხი, თუმცა სანდო საბოლოოდ არც ერთი არაა.

6715. ფელაზე დიდი ტერორისტი „მასმედიაა", რომელიც თავის მერკანტილურობით სულიერებას რყვნის, რადგან ეს საქმიანობისთვის მისაღები გასამრჯელოს იაფი, უშრომელი დაბანდებაა.

6716. „მასმედიაში" მსახურობენ ნიჭიერი დარეხვილები, რომლებიც ფულის გულისთვის მზად არიან ფელას ემსახურონ და ერთმანეთს ხელები გადაუგრიხონ, სხვათა დასანახად.

6717. „მასმედიის" ფელაზე კარგი „საცოხნი" ქილერის ტფვიის გავარდნაა.

6718. პატიოსნება და „მასმედია" ერთად ვერ ძოვენ, რადგან ეს უკანასკნელი პასკვილების და სენსაციების გარეშე ულუკმაპუროდ დარჩება.

6719. ინტერნეტი და „მასმედია" წიგნის გამოშვებასა და კითხვაში კონკურენტები არიან – როგორც მსუბუქი ყოფაქცევის თავხედი ქალი და უმანკო, რომელსაც, პირველისგან განსხვავებით, სხვა აღზრდა აქვს, წესიერ გარემოშია ნამყოფი, მაგრამ თავხედობა არ აკლია.

6720. „მასმედიისგან" განსხვავებით, სარკეს, ასე თუ ისე დაეჯერება.

6721. მაყურებლის და მსმენელის სურვილი სიახლისა და ჭორების მოსმენა-ნახვისა გათავისების ეს არის „მასმედიის" გათავხედების პური და სულის გარყვნის ბერკეტია.

6722. „მასმედია" ფელა ქმედებაში კრიმინალს ეძებს, რადგან ეს არის მისი ფელიც და პურიც.

6723. დღეს იმდენად განსხვავებული საინფორმაციო ნაგავია დაგროვილი, რომ საკუთარ ღირებულებაში გარკვევა ჭირს.

6724. ნაციონალიზმი წამოყოფს თავს, თუ „მასმედიაში" უპასუხისმგებლო ხალხია შეყრილი და ქვეყანას უნიჭო მთავრობა მართავს.

6725. „მასმედიაში" თავდაჯერებული ბრიყვები მუშაობენ, რომლებიც თავიანთი ნაღვაწით მხარდაჭერის მოპოვებას ცდილობენ და აურზაურის ატეხვის შემდეგ რაღაც გამოსდით ისეთი, რაც „ჩიტის ბდღვნადაც არ ღირდა".

6726. „მასმედია" ხშირად ზნეობის ტერორისტად გვევლინება, რომელიც კანონის წინაშე პასუხს იშვიათად აგებს.

6727. „მასმედიის" დახმარებით ზედმიწევნით ვიცით რა ხდება სხვა ქვეყნებში და რა მიზეზით, ხოლო საკუთარ ქვეყანაში რა მდგომარეობაა და რა არის საჭირო, რომ უკეთ ვიცხოვროთ, არავინ იცის და არც აინტერესებს.

6728. ,,მასმედია", იმის ნაცვლად, რომ დაგვამშვიდოს, გაგვახაროს, ხშირად ნერვებს გვიშლის, გვამუნათებს და დაგვაფიქრებს: ,,ნუთუ ასეთი უსუსურნი და უვარგისნი ვართ?".

6729. პოპულარული ხალხის ცხოვრება ბრბოს აინტერესებს, ხოლო ,,მასმედია" როგორც ხალხის მსახური, იძულებულია გააშუქოს და თავის ,,გამოსადნობი" არ დაივიწყოს.

6730. ,,მესმედია" შემოქმედის ნიჭის შედეგს კი არ გვაცნობს, არამედ მათი ყოფის გამომზეურებას რეკლამის სახით ეწევა რაც ობივატელის ცნობისმოყვარეობას აკმაყოფილებს, მაგრამ სახელმძღვანელოდ არ გამოდგება.

6731. ,,მასმედია" ვალდებულია ვეტოდადებული საკითხების (სისხლის აღრევა, არატრადიციული ორიენტაცია, დამნაშავის ,,ჩაშვება" და სხვა) შემოქმედებითი გახმოვანებისგან თავი შეიკავოს, რადგან ეს პუბლიკაცია არაჯანსაღ აჟიოტაჟს იწვევს ბრბოს გარკვეულ ფენებში, მომხიბვლელობა-აქტუალობის რა საკმაზითაც არ უნდა იყოს შეზავებული.

6732. ხელისუფლება მატერიალური და პოლიტიკური გამორჩენის გარეშე არაფერს აკეთებს, თუ ,,მასმედიის" გადამეტებულ ყურადღებას და ხალხის მობილიზების კულტურა წინ არ აღუდგა.

6733. ,,მასმედიის" მიერ ბანდიტებზე ვრცელი და გულის ამაჩუყებელი გადაცემა კახპობით და გამოძალვით მოპოვებული რეკლამაა და კანონით უნდა აიკრძალოს, თუკი ქვეყანაში მეძაობა და ცინიზმი დანაშაულად ითვლება.

6734. ,,მასმედია" ყველას მიმართ მეგობრულად არ უნდა იყოს განწყობილი, რადგან გაკრიტიკება გაუჭირდება.

6735. ,,მასმედიისთვის" ისტერია აუცილებელია – ბრჭყალების გამოსაჩენად.

6736. ჟურნალისტი ვალდებულია იცოდეს თავისი მკითხველისა და მაყურებლის ინტერესები, რათა მათ მენტალიტეტს პუბლიკაციის ჟღერადობა მოარგოს.

6737. ჟურნალისტის ორაზროვნად დაწერილი სტატიები უნდა შეეფარდებოდეს სიმართლეს და სათაურის წარმოსაჩენ სარეკლამო არსს, რომელიც ყურით არ უნდა იყოს მოთრეული.

6738. ჟურნალისტიკა მწერლობა იმიტომ არ არის, მის ნაჯაფს შენდობის მადლი და სულის აღტკინება აკლია.

6739. ჟურნალისტისთვის საკითხის ცოდნა კი არ არის მთავარი, არამედ რა სკანდალის გამოჩხრეკა შეუძლია, ერთი შეხედვით, სრულიად უწყინარ ამბავში.

6740. ინფორმაციის „მასმედიის“ საშუალებით უშრომელად მიწოდება ხალხისთვის დანაშაულია, რადგან ადამიანმა არ იცის მუქთად მიღებული რაში და როგორ გამოიყენოს.

6741. რა ქნას ამ „მასმედიამ“, არ „დააქაქებს“ – თავის ნაცოდვილარს ვერ გაასაღებს და დარჩება მშიერი, ხოლო სხვა საქმის კეთების ილაჯი მას არ აქვს.

6742. ჟურნალისტიკის ძირითადი კანონია მკითხველს ესაუბროს როგორც გონიერების განსახიერებას, მაგრამ არ დაივიწყოს, რომ ის იდიოტია და ტირაჟის გამსაღებელი, მკითხველს არ ედაოს და მისი უაზრობა საკუთარი აზრის ჩამოსაყალიბებლად გამოიყენოს და ეს მას ინტერვიუდ ჩაუთვალოს. დამნაშავე არარაობაზე დაწეროს, რომ ის პროფესიონალია და სახელი მოიხვეჭოს, ვიგინდარასთან “შეხვედრა რომ გააჩალიჩა“. აწმყოსთვის საინტერესო ისტორიული პირები თავის გემოზე საფლავიდან რამდენჯერმე ამოიღოს, დამარხოს და ყველას სინანულით პანაშვიდი გადაუხადოს. ყველას პოლიტიკა და ყველა პოლიტიკოსი აკრიტიკოს, მაგრამ შიგადაშიგ ყველას დაუყვავოს, რადგან არავინ იცის, რომელი ვიგინდარა წამოსკუპდება ძალაუფლების სკამზე. იცრუოს გემოვნებით და იმის მიხედვით, რისი მოსმენაც მკითხველს ეამება. უნდა ეხერხებოდეს ფაქტების სისწორეში ეჭვის შეტანა კომენტარებით, გამოხმაურებებით, არაჯანსაღი კრიტიკით და „ჯანსაღი“ შენიშვნებით. აზრის გარეშე უნდა შეეძლოს აზრის გამოხატვა და იმ მითებზე და აღმოჩენებზე წერა, რომელთა შესახებაც არაფერი გაეგება. უნდა შეეძლოს იმაზე წერა, რაც არ მოსწონს და მისი სულიდან შორსა დგას. არ დაივიწყოს მთავარი, რომ ჟურნალისტიკა ფულის შოვნის საშუალებაა და ისწავლოს მკითხველის (რესპოდენტის) მოფერება „შენ ხარ ვენახის“ შემოძახილით.

6743. „მასმედია“ ხშირად გვიწყობს რეკლამასთან გასეირნებას, აბა, რა ქნას ამ „უბედურმა“, თავს შიმშილით ხომ არ მოიკლავს?

6744. რადიოსა და გაზეთს შორის თავის დროზე ის სხვაობა იყო, რომ ამ უკანასკნელს ტუალეტში წასაკითხავადაც იყენებდნენ.

6745. ტელევიზიის სიკეთეს ყველა არ იმსახურებს, მაგრამ გააგებინებ?!

6746. ტელევიზია ხშირად ისეთ ხალხს გავცნობს, რომ ზოგიერთთან ნაცნობობას ნამდვილად ვიუკადრისებდით.

6747. ტელევიზია ხშირად შეუთავსებელს ათავსებს და თავი ამითაც მოაქვს.

6748. ტელევიზიით ბაასი ერთ-ერთი კაიფია, თუ მისი ფასი იცი და დროის მოკვლის ხელოვნებას დაუფლებული ხარ.

6749. მასმედია ჩვენს შეგნებას, იმედს აბუნტებს, რადგან ყოველთვის უვარგისო მთავრობის ყოლა და ტაშის დაკვრა სულში ჯანყის ადგილს აღარ ტოვებს.

6750. სიტყვის თავისუფლება და ,,მასმედიის" მოუსყიდველობა ყველა სარფიან წინადადებაზე ,,გარდაიცვლება გმირის სიკვდილით".

6751. ქვეყნის ბურჯების მსხვრევას ის ჟურნალისტებიც უწყობენ ხელს, რომლებსაც თავის წარმოჩენის პრობლემები აქვთ და ბრძოლით უნდათ მოიპოვონ ადგილი მასმედიის კვარცხლბეკზე. შედეგად ხალხში სული რომ ირყვნება და სხეული იხრწნება, დიდად არ აღელვებთ.

6752. მასმედია ველურ უგემოვნებობას ხშირად ისე თესავს ხალხში, რომ ამაზე არც ფიქრობს და შედეგზეც წარმოდგენა არა აქვს.

6753. მასმედია არის ხუმრობის დიდ ,,ბირჟა", სადაც ყოველგვარი კვოტების გარეშე მისი ღირებულება ფასდება და ფიქსირდება ხალხის გონებაში, გულებში.

6754. იმის გამო, რომ ქალები ნიღაბს არასოდეს იხსნიან, მამაკაცები მთელ დროს მათ შეცნობა-გამოცნობაში კარგავენ.

6755. ტელევიზია არა მარტო ოჯახის ,,უფროსად" გვევლინება, არამედ მისი გამრთობიცაა და მისი ინტელექტის და აზროვნების შემქმნელიც.

6756. ,,ჩემი სახლი ჩემი ციხე-სიომაგრეა" – ეს გამოთქმა მასმედიისათვის არ არსებობს, რადგან ის ყველგან ცხვირს ყოფს, ხალხის ეიფორიაზე თამაშობს და ამას რა მოჰყვება, არ ნაღვლობს, რადგან პროფესიული თავხედობის გარეშე ულუკმაპურად დარჩება.

6757. მასმედიამ ერთი რამ უნდა შეიგნოს და გაითავისოს: ადამიანი რომელიც უზნეობას, დანაშაულს ჩადის, მასში კარგის მოძიება არ შეიძლება, რადგან საზოგადოების ჯეელობა ჰყავს აღსაზრდელი, რომელსაც ჭარბი ენერგიის მომძლავრებით ტვინი ისედაც საეჭვო იდეებით გადატრიალებული აქვს.

6758. ტელექილერი, პრესქილერი, სიტყვაქილერი, მთავრობაქილერი – ასე, რომ ხალხის დასათრგუნად და დასახოცად პროფესია ქილერი ყველა დარგში და საქმიანობაში გვხვდება.

6759. ნაძირალების, ვიგინდარების, გახსენება ჟურნალისტების გარდა არავის სჭირდება, მაგრამ ისინი ლუკმა-პურის შოვნისთვის ხალხს სულში, აფურთხებენ, რადგან იციან, რომ ბრბოს გონება ცარიელია და მის ნაგვით ამოვსებას ცდილობენ, მაგრამ მათ ცნობიერება რომ ანაგვიანებენ, სიკეთის ჰიმნს რომ ნიშნს უგებენ და საეჭვოდ ხდიან, სულაც არ აწუხებთ.

6760. მიმზიდველობა, მომხიბლელობა ზოგჯერ ძალიან ძვირი ღირს რეკლამისა და მასმედიის დასაპურებლად.

6761. „მასმედიით“ ნამართ ქვეყანას საფუძველი მყიფე აქვს და შეიძლება შემთხვევით, გაუგებრობით, ერთი შებერვით დაინგრეს.

6762. „მასმედიას“ სრული სერიოზულობით არ უნდა მოვეკიდოთ, თუ გვინდა ნერვებს გაუფრთხილდეთ და ჩვენთვის განკუთვნილ სიცოცხლეს წლები არ მოვაკლოთ.

6763. „მასმედია“ რეკლამით ცდილობს ხალხის ტვინის გამოლაჟბას, რის შედეგადაც მისი მოგება კვადრატიდან კუბში ადის.

6764. თუ გვინდა საზოგადოებას ადამიანურობა შევუნარჩუნოთ, „მასმედიამ“ თავის ნაღვაწზე ვეტოს დადება უნდა ისწავლოს.

6765. ხალხს თუ სიამოვნებს ამ ტელესენით – ტელესერიალებით დაავადება, „მასმედია“ აქ არაფერშუაშია. ვინც ფულს აკეთებს, თავს სხვისი გამოთაყანებით ინახავს, რაც კანონით დაცულია.

6766. „მასმედიის“ უმთავრესი პასტულატია რეკლამის და ფულის მიზიდვა, ხოლო გადაცემის ხარისხი და იდეოლოგია – მეორადი.

6767. რაც „მასმედიის“ აღვირახსნილობამ მოგვიტანა, იმავეს მოგვიტანს დემოკრატიისადმი უგნური გამოკიდება, რადგან ევოლუცია და ცდა ქართული ბუნებისთვის მიუღებელია.

6768. „პაპარაცობა“ ნერვების დიდ დაძაბვას, მოთმინებას, შემართებას და ფართო ხედვის ნიჭს მოითხოვს, იმის მიუხედავად, მოგვწონს თუ არა.

6769. „მასმედია“ ხელისუფლების ხელში მაინც ბრმა იარაღად რჩება, რაც უნდა თავისუფალი იყოს, რადგან იმედი და უკეთესი მომავლისაკენ მიდრეკილება მასაც აქვს.

6770. „როგორც ფელაფერი არ იჭმება, ასევე ფელაფერი არ ითქმის“, მაგრამ გონიერების ეს პოსტულატი „მასმედიამ“ არ უნდა გაიგოს, რადგან მშიერი დარჩება.

6771. „მასმედიამ“ ათ სენსაციურ „პანაშვიდთან“ ერთად ერთი იღბლიანი დღესასწაული მაინც უნდა მოგვიწყოს და გაგვახაროს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ცხოვრება აზრს და „მასმედია“ მომხმარებელს დაკარგავს.

6772. ადრინდელ „მასმედიასა“ და დღევანდელს შორის ის სხვაობაა, რომ ადრე კომუნისტური აპარატის მეძავი იყო და ის აფინანსებდა, ახლა ფულის მეძავი გახდა: ფელას მოემსახურება, ვინც შეიკედლებს და უპატრონებს.

6773. „მასმედია“ ორგანიზებული ავსიტყვაობაა, კეთილი სურვილებით.

6774. ,,მასმედიამ'' შესანიშნავად იცის, რომ ცარიელი სიმართლე, შეულამაზებლად, არ გასაღდება.

6775. ,,მასმედიის'' კრიტიკის ყიდვა ბითუმადაც შეიძლება და ფასდაკლებითაც.

6776. ,,მასმედია'' თავისებური თანამედროვეობის მოდის და უსაქმურად დროის მოკვლის სარწმუნოებაა.

6777. ტელევიზორის ყურება, უმეტეს შემთხვევაში, დროის მოკვლას უფრო ჰგავს ვიდრე გართობას, სერიალის გმირების ბედ-იღბლის განცდით.

6778. ,,მასმედია'' მოწოდებულია ხალხს ის გააცნოს, რაც მათ არ სჭირდებათ, არც დასჭირდებათ, მაგრამ საინტერესოა ამბიციურობის, მეობის, წარმოსაჩენად.

6779. მომავლის ისტორიკოსსაც სწამს, პოლიტიკოსსაც და ,,მასმედიასაც'', მაგრამ ზოგი დაუნახავი და ღრძოა.

6780. ,,მასმედია'' საზოგადოებას კი არ უნდა ხლეჩდეს, არამედ მედიატორობდეს და ურთიერთობას უნდა ათბობდეს, რადგან საბოლოოდ მისი დანიშნულება ესაა.

6781. ,,მასმედია'' ამბიციურიც უნდა იყოს, თავხედიც და გულჩვილიც თუ მას თავის მკითხველი უფვარს და პატივს მიაგებს.

6782. ინფორმაცია ერთ-ერთი სახის შეიარაღებაა, რომელზედაც მორატორიუმი არასოდეს დაწესდება.

6783. ხშირად ინფორმაციის მიღებისას იმას ვხედავთ, ვგრძნობთ, რის აღქმაც წინასწარ გვინდა.

6784. მასმედიამ ცხოვრების სწავლება არ უნდა მოინდომოს, ის სიკეთეს და კეთილმოფვარეობას ძალდაუტანებლად უნდა ნერგავდეს.

6785. ,,მასმედიას'' საქმე იქამდე მიჰყავს რომ ადამიანებს არავითარი სიახლე არ უკვირთ და მომავალში მასზე რეაგირების უნარს დაკარგავენ.

6786. სამწუხაროდ, მასმედია, ფულს, გამორჩენას და რეკლამას აყოლილი, ძირითადად ინფორმაციის ტალახს ისვრის, ნაცვლად იმისა, რომ პროპაგანდა გაუწიოს ადამიანს, რომელიც ცუდის კეთებასთან ერთად, უამრავ დაუნახავ სიკეთეს სჩადის, რათა საზოგადოება უფრო მოფვასი და გულთბილი გახდეს.

6787. ჩვენი სულის ქილერი თანამედროვე ტექნიკური მიღწევები და ,,მასმედიაა'', რომელთაგან თავის დაღწევა ჯერ-ჯერობით არ ხერხდება.

6788. გვინდა თუ არა ,,მასმედიისთვის'' და ჭორისთვის ადამიანს ტვინის გარკვეული უჯრედი დაჯავშნული აქვს და ამ ცნობისმოფვარეობასთან სხვა უჯრედები ვერას აწყობენ.

6789. იმის თქმა, რაც ენაზე მოადგება თვითკონტროლის გარეშე, არ ნიშნავს, რომ ჟურნალისტი ხარ და ამით ,,მასმედიას'' სამსახურს უწევ, რადგან წუთიერად იმ ყურადღებას იპყრობ, რომელსაც საზოგადოება ადრე თუ გვიან სანაგვეზე მოისვრის.

6790. ტელევიზორი ადამიანს აცდენს, მაგრამ ცნობიერებას სიახლით უკვებავს, გონიერებას კი არ რგებს.

6791. პრესა იძულებულია ზოგჯერ კილერის როლში მოგვევლინოს, რათა თავიც ირჩინოს და გამოცემაც შეინახოს.

6792. მართალია მესამე მსოფლიო ომის საშიშროებამ ჭირი მოგვჭამა, მაგრამ ,,მასმედია'' ქვას ქვაზე არ ტოვებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის არავის დასჭირდება.

6793. ,,მასმედია'' დღეს მოწოდებულია ყოველნაირად გაართოს ადამიანი, რათა მან არ იფიქროს მომავალზე და იმაზე, თუ რა ღირებულებებით ცხოვრობს.

6794. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ,,მასმედიის'' უმეტესი მომხმარებელი დაპროგრამებული დებილია, მაგრამ ინფორმირების საშუალებანი მათ ხარჯზე კეთდება და საკმაო მოგებასაც ტოვებს.

6795. პრესის ფურცლებს გაცილებით მეტი სარგებელი მოჰქონდა მაშინ, მანამ ტუალეტის ქაღალდის მასობრივი ხმარება შემოვიდოდა.

6796. საზოგადოების მიღწევების წარმოჩენას ჯობს წინ უსწრებდეს კატასტროფებზე ინფორმაცია. ეს ,,მასმედიისთვის'' უფრო სარფიანია, რადგან მაყურებელს სენსაცია ურჩევნია.

6797. ,,მასმედია'' შოუბიზნესის ბიძაშვილია, მაგრამ ვინ ვის სჯობნის კაცმა არ იცის.

6798. ზოგიერთი ინტერვიუ კომენტარების კეთებაა იმ საკითხებზე, რომელშიც ვერ ერკვევი მაგრამ ,,საინტერესოდ'', ორჭოფულად, პასუხობ.

6799. ტელევიზია თავისებური ჰიპნოზიორია, ერთი სხვაობით – თანდათანობით, ევოლუციურად, გვაჰიპნოზებს და არა – ერთდროულად, რევოლუციურად.

6800. მთავარი ის კი არ არის რას წერთ ან ვიზე წერთ გაზეთში, არამედ რამდენად საინტერესოა და რა ხერხებით გინდათ ''დააბათ'' მკითხველი.

6801. ტელევიზიას, კინოს, თეატრს, უნდა თუ არა, განგებაც უყურებს და თავისი ვერდიქტი გამოაქვს.

6802. ტელევიზია, ინტერნეტი, ინფორმაციას იძლევა, ხოლო ცოდნა კვლავ თანდაყოლილ ნიჭზე და მონდომებაზეა დაყრდნობილი.

6803. წიგნი, ტელევიზია, ინტერნეტი, ურთიერთს ექიშპებიან, მაგრამ ერთმანეთს არ გამორიცხავენ.

6804. პიროვნება, თანამდებობის პირი, ,,მასმედიის'' სენსაციების ონანიზმს არ უნდა იყოს მიყურადებული, თუ უნდა მეობა და თანამდებობა შეინარჩუნოს.

6805. ნიჭიერი, ცნობილი, პიროვნებაც ადამიანია თავისი ზადით, მაგრამ მისი ცოდვების გამომზეურება ,,მასმედიისაგან'' განსხვავებით, მე არ მახარებს, რადგან ჩემდაუნებლიედ ადამიანთა მოდგმა ჩემს თვალში უფასურდება.

6806. ,,მასმედიის'' წარმომადგენლებსაც უნდა ჰქონდეთ სამშობლო, პრინციპები, მოვალეობა, წინააღმდეგ შემთხვევაში ფულზე, რეკლამაზე, სახელზე, გამოდევნებულნი, მორალურს ამორალურად აქცევენ და საზოგადოებას საბოლოოდ გარყნიან და გადააგვარებენ.

6807. დღეს ახალგაზრდობის ყველაზე დიდი მტერი ტელევიზია და ინტერნეტია, იმისდამიუხედავად, რომ თანამედროვე ცხოვრება მათ გარეშე წარმოუდგენელია, რადგან ადამიანი უარყოფითის შეცნობისაკენ უფროა მიდრეკილი, ხოლო ცინიზმი და გამოთაყვანების უნარი ამ ინფორმაციის საშუალებებს საკმაოზე მეტი აქვთ.

6808. სიტყვები ალბათ შეესაბამება იმ მოთხოვნებს, რაც მას ,,აამაღლებს'' სხვის თვალში. მაგ. ყოველდღე ხუთჯერ ესექსავება სხვადასხვა ქალებს და ეს ირკვევა მის რესპონდეტობა-გამოკითხვის დროს. ამიტომაა, რომ ისეთ არჩევანს აკეთებს, რასაც ,,მასმედია'' ჩასჩიჩინებს და აზროვნება-განსჯისთვის თავს არ იწუხებს.

6809. დილეტანტობა ხშირად შედეგსაც იძლევა თუ გონიერება, შეუპოვრობა და საკუთარი ,,მე'' მისგან შორს არ დგას.

6810. ყველა ჩვენგანი, ასე თუ ისე, ცოდვილია და არავინ იცის დრო და შემთხვევა მოინდომებს მის გამომზეურებას თუ არა.

6811. ,,მასმედიაში'' მთავრობა რასაც ამბობს რეკლამაა, ხოლო მათზე რასაც წერენ – კრიტიკა, რომლის გაკონტროლების, თავად საქმის მოგვარება-გამოძიების სურვილი ერის პირველ კაცს ხშირად დაკარგული აქვს.

6812. "მასმედია'' ზოგჯერ იძულებულია სისულელეზე ყურადღება გაამახვილოს, რადგან თინეიჯერები მიაზედოს და მომავალში მათი ყურადღება დაიბეოს.

6813. ჟურნალისტიკა ძაღლური, უმადური პროფესიაა, მაგრამ ზოგჯერ ბედი სენსაციებით შეკაზმულ მოზრდილ ლუკმას ამბიციების დასაოკებლად გადმოგვიგდებს და შენც იმათ აპლოდისმენტებს იმკი, ვისი გონიერების სადარაჯოზეც დგეხარ.

6814. ვალი უმთავრესად საკუთარი ნიჭის წინაშე უნდა მოიხადო და არა ქვეყნისა და ერის, რადგან ჩვენ პირველ რიგში სამყაროს შვილები ვართ, შემდგომ სახელმწიფოს, კუთხის.

6815. ყველაზე დიდი ვალი ჩვენი თავის წინაშე გვაწევს, რადგან საკუთარი ,,მეს'' შესაძლებლობის გამომჟღავნება და სასურველი საქმის კეთება ბოლომდე ვერ შევძელით.

6816. მე სხვისთვის ის ქალიც დამნანებია, რომელსაც ჩემთვის შემოუხედავს, რომ არაფერი ვთქვათ გაღიმებაზე და თვალის ჩაკვრაზე.

6817. სიავის წინაშე ხშირად ძაღლის ბუნებაც უსუსურია, რადგან მას აღზრდით და შენი ,,მეს'' ავტორიტეტით უნდა მოვერიოთ.

6818. ხალხი, რაც უნდა გადაყვე, თავის ,,მეს'' მაინც წამოწევს და სინდისსაც გადააბიჯებს, მაგრამ როდესაც თავისას გაინაღდებს, სინდისიც ''გაახსენდება'' და მონანიებასაც არ დაივიწყებს.

6819. ფული საკუთარი ,,მეს'' წარმოჩენის უფლებაა.

6820. სიყვარულისკენ ლტოლვა, რწმენისადმი მორჩილება და საკუთარი ,,მეს'' წარმოჩენა ადამიანის შინაგან ბუნებაშია ჩადებული და ამ კოდის გადაკეთება არ ხერხდება.

6821. ასაკის და ცხოვრების ვირეშმაკობის მიუხედავად ჩვენი მეობის სახე არ უნდა დავკარგოთ.

6822. კომპლიმენტს, შექებას, პირფერობასა და ქლესაობას შორის ის სხვაობაა, რომ პირველი განებივრებს, მეორე რეალობასთან ახლოა, მესამე იმას გეუბნება, რასაც თავზე თავად ფიქრობ, მეოთხე საკუთარი ,,მეს'' წინაშე გარცხვენს – ასეთი კარგი ყოფილხარ და არ იცოდი.

6823. ადამიანს დაჩივლების და წარმატებების გარეშე ცხოვრება გაუჭირდება, რადგან საკუთარ ''მეობას'' დაკარგავს და ყველაფრის მიმართ გულგრილი გახდება.

6824. სტრიპტიზი და პროსტიტუცია სხვადასხვა პროფესიაა, მაგრამ ისინი სულიერად ყავლგასულ, შემართებადაკარგულ, ხალხს ემსახურებიან, რომლებიც თავის უნიათობას ვერ გრძნობენ და თავის ''მეობაში'' ეჭვიც არ ეპარებათ.

6825. დღესაც გამოინახება საქართველოში დავითის და თამარის დონის სახელმწიფო მოღვაწენი და უკეთესიც, ეს რომ ხალხის უმრავლესობას სურდეს. ეტყობა, დღეს ისე არ გვიჭირს, რომ საკუთარი ამბიციები მოვთოკოთ, და ჩვენს ,,მეს'' სამშობლოს სიყვარული არ ვანაცვალოთ.

6826. ჩვენს "მეობას" საკუთარი ენის ცოდნა შველის და იფარავს, რაც უნდა დავანაგვიანოთ და სხვის ენის ნაგავი თავზე დავიყაროთ.

6827. ჩემგან დიდებული ფსიქოთერაპევტი გამოვიდოდა, მხოლოდ იმ ხალხის მიმართ რომელსაც მე პატივს ვცემ, ვაფასებ და თუ ხასიათ-ზე ვარ.

6828. პრინციპულობას, საკუთარ "მესა" და ბუნებასთან ერთად, გარემო პირობების და მატერიალური მხარის მხარდაჭერა სჭირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის დაცინვისთვის არის გამზადებული.

6829. თავის დროზე სხვა ერის წარმომადგენლებმა, როგორც ში-ნაურ და გამოცდილ მამაკაცს, მთხოვეს, რომ მათი ქალიშვილები ქალებად მექცია – უარი ვუთხარი, რადგან ჩემი აღზრდა და ერის კულტურა ამის უფლებას არ მაძლევდა. დღევანდელი გადასახედიდან, როდესაც ჩემმა ერმა ცივილიზაციის ზოგიერთი უმსგავსობა გაითავისა, მაშინდელი უარი დღესაც სწორად მიმაჩნია, რადგან ჩემი ხალხის ტრადიციები წარმოვაჩინე და მთხოვნელი დავაფიქრე, რადგან მათ ჩემს ხვადობაში ეჭვი არ ეპარებოდათ.

6830. ცეკვის დროს, პირველ რიგში, გრძნობებგათიშული შენი „მე" უნდა როკავდეს, სულს ცეცხლოვანი შოუ უნდა მოუწყო, თავშეკავების მუხრუჭი თავის ნებაზე მიუშვა, მუსიკის ჰანგებს უნდა შეერწყა. მხო-ლოდ ამის შემდგომ შეგიძლია თქვა, რომ იცეკვე და ისიამოვნე.

6831. ძვირი ნივთებისაგან განსხვავებით, იაფ საქონელზე პრეტენზია არ გვაქვს, მაგრამ როდესაც პირველს ლამაზად შეფუთულს შემოგაჩე-ჩებენ და გატყუებენ, მაშინ იღვიძებს თავმოყვარე „მე" და რისხვის ამბიციები.

6832. თავდაბლობა ეს არის გზა გაურკვევლობისაკენ, რომელსაც არც შენი "მეს"-თვის მოაქვს ხეირი და არც სხვისი თავაშვებულობის-თვის.

6833. ხშირად დიდია წყნარი სურვილები ავის კეთების წინააღმდეგ, რადგან ყველას უნდა თავის მეობას სულიერება შეინარჩუნოს.

6834. ღირსების გაბიაბურებას გართობის სახითაც უნდა მოვერი-დოთ, რათა ჩვენი მეობა არ დავივიწყოთ.

6835. ყველა ადამიანს მოწესრიგებული უნდა ჰქონდეს საქმე რწმე-ნასთან, მშობლებთან, ოჯახთან, ადამიანებთან. მხოლოდ ამის შემდეგ აქვს უფლება იფიქროს თავის წარმოჩენაზე, მეობაზე.

6836. ცხოვრების ორომტრიალი ადრე თუ გვიან მეობის ავტორი-ტეტთან ერთად ჩაგვჭრის, რადგან ჩვენ მაინც ადამიანები ვართ და არა რობოტად ქცეული პიროვნებები.

6837. ადამიანებს გვიყვარს გაშლილ კარტებში თამაში, ნიშნის მიგებით სხვისი დაიმედება და მათი შესაძლებლობების გადამეტება, მტყუან-მართლის ჩვენს სამრეკლოდან განსჯა, ასე და ამრიგად, სულ სხვის ქორწილში ვართ და საკუთარი თავისთვის ალიყურის გასაწნავად ვერ მოგვიცლია.

6838. ზოგი მდედრისთვის სექსუალური ხულიგნობა, თავის მოწონებით და მამრის დაბნევით, ადრენალინია და ქალური მეობის წარმოჩენაც.

6839. შეგნებით სამყაროს მოქალაქე ვარ, სულით – ჩემი ერის ქომაგი, გონებით – ყველა იმ ქვეყნის მსახური, რომელსაც დავჭირდები.

6840. ,,თუ თქვენ არ გინდათ, მე საერთოდ არ მჭირდება". ამ გამოთქმის ღიმილის მომგვრელი ორანჟირებული სინონიმია – ამ ჩემს შამბა-ყუმბასა ან ამ ჩემს ფეხებს და ეს ბრაზმორეული გამონათქვამიც შენი მეობის წარმოჩენას და გახალისებას სჭირდება.

6841. უაზრო პატიოსნებაც დანაშაულია საკუთარი ,,მეს" და ახლობლების წინაშე, რადგან ის ცხოვანების ინტერესებიდან შორს დგას და თავისი უხერხემლობის დამალვას ყოველნაირად ცდილობს.

6842. გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს, რადგან თვითმხილველობაც თავისებური გამოსავალია საკუთარი ძლიერების და არშემდგარი ,,მეს" წინაშე.

6843. მე ვერ გამათბობს ამქვეყნიური აღიარება და სიყვარული, როდესაც იმქვეყნად გადავბარგდები, ამიტომ შენი ნიჭის, საქმიანობის დღეს უნდა გჯეროდეს და თაყვანისმცემელთა იმ ოდენობას უნდა დასჯერდე, რაც რეალობამ გარგუნა,რადგან რაოდენობა და მეხოტბეთა ხარისხი მაინც დროის პრეროგატივაა.

6844. მოვა დრო და გიორგი ყუფარაძესთან ნაცნობობით მის თანამედროვეთა ნაშიერნი იტრაბახებენ და ეს იქნება აღიარების უმაღლესი საფეხური, რომელსაც მე ვერ მოვესწრები.

6845. როგორც კი ვიღაცის და რაღაცის გამო საკუთარ თავს ანაზღაურებას მოსთხოვ, იქ მთავრდება შენი შემართება და სიყვარული.

6846. მე კი ვიცი, ვისი მეგობარი ვარ, მაგრამ მან თუ იცის ამ მეგობრობის ფასი ,,მე-შენ და შენ-მეს" გარეშე.

6847. ცნობიერების დამონებას უნდა ვებრძოლოთ, თუ გვინდა ,,მე" საკუთარი თავის წინაშე მაინც შემოგვრჩეს.

6848. ზღვარის დადება ბუნების კანონზომიერებაა, რათა ადამიანმა ეროვნება, მეობა შეინარჩუნოს და გაითავისოს.

6849. ყველაზე წყნარი ქალიც კაპასი მსახიობია, თუ ეს მისი ოჯახის მეობას ეხება და მისი რაობას ჩრდილს აყენებენ.

6850. საზღვრის გავლება ცაში სულის იდეოლოგიაა და ამ საზღვრების დაცვა ყველასათვის სავალდებულოა, თუ გვინდა სხვაში არ ავითქვიფოთ და საკუთარი მეობა შევინარჩუნოთ.

6851. სიამოვნება დაუფასებელია, თუ მისი საფუძველი წესიერება, სიფარული და საკუთარი მეობის წარმოჩენაა.

6852. გმირობას სულის გასალღებლად ჩადიან და არა – ტაშის დასაკვრელად, რადგან ეს შენი ,,მეს'' გამოძახილია.

6853. ქვეყანას დღეს მინდა ჰქონდეს თავის ,,მე'', თორემ ხვალ მის გაიმასქნებას საფლავში არავინ ჩამომძახებს და შემატყობინებს, რადგან პერსპექტივაში მთავარია ჩვენი ,,მე'' და არა – რწმენა.

6854. მე ვიცი, რომ ჩემი ხალხი სხვაზე უკეთესი არ არის,მაგრამ მჯერა, რომ მას გაცილებით მეტის კეთება შეუძლია. ეს კი მაიძულებს მის მიმართ მკაცრ ოპონენტობას მიუხედავად იმისა, რომ გენის შეცვლა არ ძალგვიძს.

6855. მე საზოგადოებას იმ ოდენობით ვცემ პატივს, რასაც ის დროის ამ მონაკვეთში იმსახურებს, რადგან მას ჩემი ნააზრევის 99% არ მოსწონს და ნერვებს უშლის. ასეთია ორგანული აზროვნების და სიფარულის ბედი. ამ შემთხვევაში მე არც პირველი ვარ და არც – უკანასკნელი.

6856. მე ჩემი ერის ისტორიის გაუგებარი კატაკლიზმები და აწმყოს უგნურება მასულდგმულებს, ''ქულაჯიან შოთასა'', ''ქალამნიან ვაჟასა'' და ,,ლოთ გალაკტიონთან'' დამოკიდებულებაში, თორემ მომავლის იმედის გარეშე, დღევანდელობის შემყურე, ხელში ფანქარსაც არ ავიღებდი.

6857. ბედთან ერთად ჩვენი მეობის დროულად აღიარებას მომადლებული ნიჭი და ფული განსაზღვრავს და იმქვეყნად – აქ გახარჯული დივიდენდები.

6858. ბოლომდე გაუთვლელი საქმე შენი ,,მეს'' წინაშეა ღალატი.

6859. ბედნიერებაა, როდესაც შენს ერს, ხელისუფლებას, არ ემლიქვნელები, მისთვის ხელი გაწვდილი არ გაქვს და თავაწეული ელაპარაკები, რაც ქვეყნის ყოფის განსჯის და სიფარულით ოპონირების უფლებას გაძლევს.

6860. მე შედეგს ყოველთვის ჟინით, დაკვირვებით, ფანტაზიის უნარით, შემთხვევის წყალობით ვაღწევდი, რაც ხშირად თანდაყოლილ ნიჭს უჯოკრავდა.

6861. ზოგი არსებობს იმისთვის, რომ სწორად იცხოვროს და სხვას არ ჩამორჩეს, მე ჩემი სიამოვნებისათვის ვცხოვრობ და თავს ჩამორჩენილად არ ვგრძნობ.

6862. ,,მეობის" წარმოსაჩენად მთავარია შრომის ანაზღაურების ოდენობა და არა ის, შრომის შედეგს ვის ჩუქნი.

6863. ფუჭ სიდიადის ზიარება საკუთარი მეს უპატივცემულობაა, რადგან ჯამრთელი იუმორის შეგრძნებას ჰკარგავ.

6864. აღტაცების ღირსი ის, ვინც თავის ყოყლოჩინა ,,მეს" განერიდება და ცივილიზაციის კაპრიზებს და უნამუსო შემოტევას გაუძლებს.

6865. დღეს მე ვერც ვერავის ჭკუაზე ვივლი და ვერც ვისმეს ჭკუის დარიგებას ავიტან, მაგრამ იმ აზრს გავუწევ ანგარიშს, რომელსაც ჩემი პოზიციის ოპონენტად თავად ვინატრებდი.

6866. კაცმა სახლი უნდა ააშენოს, ხე უნდა დარგოს, თავისი ,,მე" წარმოაჩინოს, ქალმა ღირსეულ მამაკაცს კონტრაქტით, 2–3 შვილი აღუზარდოს და პრივატიზებული საშზარეულო უმტკივნეულოდ გადაულოცოს მომდევნო თაობას. ეს არის ჩვენი ამქვეყნად მოსვლის ალიბი.

6867. გააჩნია აღზრდას, საზოგადოების დღევანდელ მენტალიტეტს, თორემ, ,,თემურელების მოძრაობა" – მოხუცებისადმი დახმარება, ყმაწვილებისთვის თავისებური დროსტარებაცაა, საამაყო გართობაც და საკუთარი ,,მეს" თავის წინაშე წამლიქვნელების უფლებაც.

6868. ასაკის მატებასთან ერთად ვფიქრობთ, რომ გაცილებით უკეთესები ვიყავით ჯეელობაში და ამ სურვილის გვჯერა.

6869. საბოლოოდ არავინ არაფერს დაგვიფასებს, მაგრამ ადამიანებად უნდა დავრჩეთ, რადგან ეს პირველ რიგში ჩვენ მეობას სჭირდება.

6870. ძნელი დრო-ჟამობის დროს ადამიანობაზე უარის თქმის უფლება არ გვაქვს, რადგან საკუთარმა ,,მემ" ამის უფლება არ უნდა მოგვცეს.

6871. თუ ილბალს ისე უყვარხარ, როგორც მას ჩვენ ვეთაყვანებით, მაშინ ჩვენ ,,მეს" წინ ვეღარაფერი აღუდგება და ჩვენს ბედს ძაღლიც არ დაჰყეფს.

6872. ზოგს ერთი ,,მჭერმეტყველების" მეორეთი შეცვლა ხელს არ უშლის უწიგნური დარჩეს და სხვისი ,,მეობა" არ დაინახოს.

6873. თუ არ გაწითლდები, ვერც საკუთარ სახეს შეინარჩუნებ და ვერც – კაცურ მეობას.

6874. მე ვცხოვრობ ჩემი სიამოვნებისთვის, იმიტომ, რომ ჩემს ერს ვარგო და თუ ამას გამიგებენ და დამაფასებენ, საწინააღმდეგო არაფერი მაქვს.

6875. ბედნიერება, პირველ რიგში, მოზომილი სიამაყეა საკუთარი თავის წინაშე.

6876. სიცოცხლის საწყისშივე უნდა ჩაიდოს საკუთარი მეობის შეცნობის სიამოვნება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამქვეყნად ყოფნის დაჯერება გაგვიჭირდება.

6877. უნდა ვეცადოთ შევქმნათ საკუთარი თავის პატივისმცემი კულტი, რათა ეს თავადაც დავიჯეროთ და ჩვენი მეობის თამასა სხვის და საკუთარ თვალში მაღლა ავწიოთ.

6878. მე ჯერ არ შემხვედრია ადამიანი, ჩემი გადასახედიდან წესიერი იქნება თუ უწესო, ნდობა არ გაეყალბებინოს და ხეჩოსავით თავისკენ თლა არ ეცადოს.

6879. ყველას თავისი სიბეცე მოსწონს სხვის ჯინაზე და თავის მეს წარმოსაჩენად.

6880. მე მდიდარი იმიტომ ვარ, რომ ჩემს გვერდზე ცხოვრებას აპირებენ ზარმაცები, მეოცნებენი, ავანტიურისტები, ლაზღანდარები, უნიჭონი და ყოფის კრეტინები.

6881. შინაგანად ჩვენ ქალის ღირსების დასაცავად კი არ ვიბრძვით, არამედ საკუთარი „მეს“ წარმოსაჩენად.

6882. ღირსების შეგრძნების შინაგანი „მე“ მამაკაცისთვის ერექციის უნარია, დანარჩენი – შეძენილი ნასწავლი თავმოყვარეობაა.

6883. მე ადამიანს ჩემი ცხოვრების გადასახედიდან ვაფასებ და არა ისე, როგორც მსურს და მეჩვენება.

6884. წესიერებასა, სიამაყესა და მეობას შორის ის სხვაობაა, რომ პირველი თანდაყოლილია, მეორე – შეძენილი, მესამემ იცის რა უნდა, რისთვის და ვისთვის.

6885. ღირსებამ თავისი ფასი იცის, სიამაყს თავზე წარმოდგენა აქვს, ხოლო საკუთარი „მეა“, მათში რომ რაღაც-რაღაცეებს არკვევს და ზოგი რამის პრივატიზაციას ცდილობს.

6886. მაღალი ხელფასის მიღება სჯობს თუ ბევრის გადაღუნვა. კაცია და გუნება, გარემოა და ცხოვრების წესი, რომელიც საკუთარი მეობის პატივისაცემაში, პირად გაგებაში და კულტურა – აღზრდაშია.

6887. ერთგულება და სიყვარული არ ნიშნავს, რომ შენ საკუთარი „მე“ და სახე გქონდეს.

6888. პირველ რიგში, მოვალეობას, ნდობას, თანამდებობას, ანგარიშს უნდა ვუწევდეთ, რადგან ეს „მეს“ მოთხოვნილებაცაა, რომელიც თავს უკეთ შეგვაცნობინებს და გაგვაამაყებს.

6889. თუ ოჯახი ბედნიერია, მაშინ ცოლი არ შეიძლება უბედური იყოს, თუ ურთიერთობა იმ საზღვრებში ეტევა, როგორც ჩემს „მეს“ ესმის.

6890. ბევრისგან განსხვავებით მე ჩემი რეალური ფასიც ვიცი და მისი ღირებულებებიც, მიუხედავად იმისა, მას დღეს მყიდველი და განმსჯელი ჰყავს, თუ არა.

6891. სამშობლოს დაცვის სხვაზე გადაბარება, ან მისი დასაცავად სხვების დაქირავება, საკუთარი ღირსებისთვის და „მეს“-თვის სილის გაწნაა.

6892. დასახული მიზნისთვის ხშირად მიმიღწევია, ყოველგვარი „დონკი-ხოტობის“ გარეშე. ეს კარგია თუ ცუდი ჩემი იმიჯისთვის ძნელი სათქმელია, მაგრამ რაღაც-რაღაცის დაბრალების შანსი მაინც არსებობს.

6893. ქრთამის აღება მაშინ შეიძლება, თუ სულის და შენი მეობის ინტერესებს არ გაყიდი და გადააყოლებ.

6894. ქართველისთვის საკუთარი „მეს“ კორექტირება ან შეცვლა შეუძლებელია, იმდენად დიდი წარმოდგენა აქვს თავზე და თავის ქვეყანაზე.

6895. სიცოცხლე ჩემთვის ჰობია, ცხოვრება – რაციონალური სიამოვნებაა, ხოლო მწერლობა, მეცნიერება, სპორტი, – ჩემი სულიერების გამოძახილი. თუ ვინმეს ეს ჩემეული ფორმულა გამოადგება და გამიხსენებს, კმაყოფილი დავრჩები.

6896. მე ყოველგვარი აკრძალვის წინააღმდეგი ვარ, თუ ის კანონის ზეობას ფეხს არ აბიჯებს.

6897. მამრს რომ თანამეინახეებთან თავშეყრაზე უარი ეთქვა, ერთი გამოსავალი ჰქონდა – პაემანი ქალთან, ყოველ შემთხვევაში, ჩემს ჯეელობაში თავის დაძვრენის ეს ხერხი არსებობდა და ვიყენებდი კიდეც.

6898. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, მე დღევანდელი საზოგადოების წევრი ვარ 22-ე საუკუნის გადასახედიდან ჩემი მენტალიტეტით და აზროვნება-ფანტაზიით, კარგია ეს თუ ცუდი, ამას მომდევნო ასწლეულთა თავქარიანობა განსჯის.

6899. ცხოვრება იმგვარად დაიხლართა და დანაწევრდა, რომ ორნაირი სავიზიტო ბარათის ტარება მიხდება: ერთი თავმოსაწონი რეგალიებით, მეორე – საკუთრივ საქმიანობისა., საუბრის დასასრულს პირველს ჩემი მსოფლმხედველობის მოსაუბრეს უტოვებ, მეორეს – საქმიან ხალხს, ხოლო ვინც ორივე სავიზიტო ბარათის შეთავაზებას იმსახურებს, არ მახსოვს იმათთან საქმე გამოსულიყოს, ეტყობა, განათლებულობა და კომერციული ფხა-მისწრაფება იშვიათად ძოვენ ერთად.

6900. ადამინის „მეობა“ შემდეგნაირად ნაწილდება: პირველი – საკუთრების, მეორე – საქმიანობის, მესამე – ოჯახის, მეოთხე – შვილების, მეხუთე – ნათესავების, მეექვსე – ნაცნობ-მეგობრების, მეშვიდე – კოლეგების, მერვე – გართობა – დასვენების, მეცხრე – ტრადიციების და ქცევის ნორმების, მეათე – სამშობლოსი, რწმენის. შენი თვითმყოფადობის ამ რიგით დანაწილება შეიძლება „მკრეხელობაა“, მაგრამ მისი აღრევა ყოფიერების კოქტეილში გარკვეულ ასაკამდე არ ღირს.

6901. ცხოვრების „ბაირამში“ ისე უნდა შევძვრეთ, რომ მასში არ ავითქვიფოთ და ჩვენი „მე“ ბოლომდე შევინარჩუნოთ, რადგან სხვას რომ სჯობნი და არავისზე ნაკლები არ ხარ, ეს ძალზე საჭიროა საკუთარი მესთვის, რომელიც ყველას ჩვენი „აიწონა-დაიწონას“ ფარგლებში უნდა გვქონდეს.

6902. შენი ცხოვრების წესს არ უნდა უღალატო, არც უნდა დაახურდავო და დაამუნათო, რათა საკუთარი „მე“ და სხვათა შენდამი კეთილგანწყობა თან არ გადააყოლო.

6903. შენი ფასი, პირველ რიგში, სხვებმა უნდა იცოდნენ თუ გინდა ამაყად იცხოვრო, ხოლო თუ სიამოვნებით და უზრუნველად – შენ და შენიანებმა.

6904. საკუთარ ზადს ფილოსოფიურად უნდა შევხედოთ, მაგრამ ამის უფლებას შინაურები არ გვაძლევენ.

6905. არშემდგარ და თავში დარწმუნებულ ადამიანზე საშიში არაფერია, ის თავის მეობის დასამტკიცებლად, შურიანობის ხარჯზე, ყველაფერს კადრულობს.

6906. სიცოცხლეს ახალგაზრდობის გახსენება გვიხანგრძლივებს, ცხოვრების მადლს აწმყოში ჩალიჩი, მაგრამ შენი მეობის წარმოსაჩენად და ახლობლებში დებიტ-კრედიტის დასადგენად მათი მომავლის იმედით ცხოვრება სჯობს.

6907. უსამართლო საკუთარი „მეს“ მიმართ მუდამ ის დროა, რომელიც ჩვენს რაობას და შესაძლებლობას მასთან ჭიდილში წარმოაჩენს.

6908. სამწუხაროდ, ცხოვრების გამოცდილება მკარნახობს: არც დრო და არც ბრბო შენი თავგანწირვის ღირსი არ არის, თუ შენი პირადი „მე“ ამისკენ არ წაგიბიძგებს.

6909. ზოგჯერ ჩვენი „მე“ აღზრდას, შთაგონებას, ტრადიციებს, უსახელოდ ეწირება.

6910. უმადურობა მახსოვრობის ღალატის, სიზარმაცის შედეგია და იმისიც, რომ ჩვენი „მეობის“ დაჩაგვრა საკუთარი თავის წინაშეც არ გვინდა.

6911. ტკბობის უფლების ბოროტად გამოყენება, პირველ რიგში, საკუთარი „მეს“ წინაშეა დანაშაული.

6912. ყველას თავისი შემფასებელი და გურმანი ჰყავს, მაგრამ საკუთარი ნიჭის ნახელავს არაფერი შეედრება, რადგან შენთვის მისი გემოვნების ხარისხიც ცნობილია და მის დეგუსტირებისთვის გასაცემი პასუხიც.

6913. მე ვცდილობ სხვას ვაჯობო და არა მოვუგო, ხოლო მათ შორის სხვაობა ის არის, რომ მე მაქსიმუმის გამოვლენას ვცდილობ და მოწინააღმდეგესაც ამის საშუალებას ვაძლევ.

6914. ხშირად სიკეთის და კარგის კეთება სანანებლად გვრჩება, მაგრამ მის გარეშე ჩვენი „მეს“ და ადამანთა მოდგმის შეცნობა გაჭირდება.

6915. საკუთარი „მეს“ წარმოჩენით ხარობ, ცოცხლობ და ამიტომაცაა რომ ბრბოს წარმომადგენლობაზე და მის ტაშის დაკვრაზე უარსაც ვერ ამბობ.

6916. აწმყოს თავის ჭკუაზე უფარს საუკუნეების დასუფთავება და მასზე პატრიოტული გრძნობების მორგება, წარსულის ხარჯზე თავის „მეობის“ წარმოსაჩენად.

6917. ფუფუნებას სისულელისკენ მიდრეკილება უსაქმურობიდან თავის დასაღწევად და პირადი „მეს“ გაამაყების შედეგად უჩნდება.

6918. ჩვენ თავის ცენზორი თავად უნდა ვიყოთ, რათა ამის სურვილი სხვას არ გაუჩნდეს, რათა ზედმეტად არ შეგაქონ და არც გვაძაგონ.

6919. ორი მტკიცე ხასიათის შერწყმა შეუძლებელია, რადგან საკუთარი „მეს“ ნაწილის კომპრომისის სამსხვერპლოზე მიტანას ვერც ერთი ვერ ახერხებს.

6920. მოპოვების საგანი ერთია, მაგრამ მე წყალქვეშა ნადირობა მიტაცებს, ვერ ვეგუები ანკესით ჭერას და მითუმეტეს, „დენით“, თევზის მოპოვებას, რადგან ანკესი ჩემს ბუნებას ეწინააღმდეგება და „დენით“ ხელაობა ჩემი მსოფლმხედველობისათვის მიუღებელია, რადგან ჩვენი ჰობის საწყისი გენეტიკის აღზრდაა.

6921. ჩემი „მე“ ბრბოს კუთვნილება არასდროს იქნება, რადგან მე ხალხად ქცეულმა ბრბომ უნდა შემიცნოს და გამითავისოს.

6922. მე ფილოსოფია ჩემებურად მესმის, მან დღესვე უნდა მოგვცეს მცირედი გამოყენება, რათა აზრიანი ხალხი გამოვთხაროთ მთავრობაში.

6923. შიში აღზრდის, დროის, სიფარულის, შედეგიცაა, მაგრამ არა იმათთვის, ვინც თავის „მეს“ ყველაზე წინ აყენებს.

6924. მე, იმდენი განზრახ ჩადენილი სიბრიყვე მინახავს სახელმწიფო ბიუროკრატიისა, რომ ყოველგვარი სურვილი მეკარგება ნაკლზე მივუთითო და გზა ვუჩვენო.

6925. პირველ რიგში ვალს ვუხდით საკუთარ გადიდგულებულ „მეს", ქვეყნის, მშობლების წინაშე, კრედიტით ვიღებთ განათლებას, კარიერას, ჩვენს ადგილს ცხოვრებაში, შედეგად გვრჩება ოჯახი, ნაშიერი და იმედი, რომ ჩვენ კიდევ ვიღაცას ვჭირდებით.

6926. მორჩილებასაც საზღვარი აქვს, რათა საკუთარი „მე" არ დაკარგო.

6927. ბრიყვებზე არ უნდა გავნაწყენდეთ, რადგან მათ გარეშე ყოფა გაუფასურდება, ხალისს დაკარგავს და საკუთარი „მეს" წარმოჩენა გაჭირდება.

6928. ირონიულ, პროვოკაციულ, კითხვაზე პასუხის გაცემას სიდინჯე, სიმშვიდე და საკუთარი „მე"-ობის ფასის ცოდნა სჭირდება.

6929. როგორც პიროვნება, შეიძლება სხვაზე უარესი ვიყო, მაგრამ საკუთარი ღირსებით, ჩემთვის გასაგები კომფორტის შეცნობით და საკუთარი „მე"-ს გაამაყებით.

6930. ჯიუტს მხოლოდ თავისი აზრისა და თავის „მეს" სჯერა.

6931. არაფერი გაიკვირვოთ – ეს „მეს" ბუნებაზე, გონებაზე, თავშეკავებაზე და სამყაროს აღქმაზეა დამოკიდებული და არა – სურვილზე, მცდელობაზე.

6932. პატიოსანი უნდა ვიყოთ საკუთარი „მეს" წინაშე და არა „ვიღაცათა" წინაშე, რადგან არავინ იცის, შემთხვევა და დრო ვისთვის რას გაიმეტებს და შენს „მეს" როგორ დაახურდავებს.

6933. ყველა ჩვენგანი ძეგლს საკუთარ თავს უდგამს, იმის მიუხედავად, საქმეს რისთვის აკეთებს და რისთვის იღვწის.

6934. კაზინოში მოგებაც შეიძლება, მაგრამ არ ვთამაშობ, რადგან მე ბუნებით შემოქმედი ვარ და არა – წყალწაღებული ავანტურისტი და ჩემს კეთილდღეობას, შემთხვევის ნებისგან განსხვავებით, ფორტუნას ვერ ვანდობ.

6935. მე შემოქმედის ცხოვრება მომწონს და არა – ვიღაცის გაფეტიშება და გენიალობის იმიტაცია.

6936. ჩემთვის სახელმწიფოებრიობა და მისი კეთილდღეობაა პირველადი, შემდგომ მოდის ხალხის ინტერესები ჩემს ჭკუაზე მოთარგმნა-გაკონტროლებით, ხოლო ბოლოს არც საკუთარი თავის და გაამაყებული „მეს" პატივისცემა მავიწყდება.

6937. საჩვენებელი ყოყლოჩინობა თავზე ფუჯ წარმოდგენის და შენი გათავხედებული „მეს“ ფანტაზიის მცდელობაა, რომელიც არავის ხიბლავს.

6938. არის თხოვნა მეტისმეტი, რომელიც გინდა არ გინდა, მაინც უნდა აღსრულდეს, რადგან შენი „მეს“ თავმოყვარეობა ილახება.

6939. ნიკოლო მაკიაველი წარსულის მაგალითების მოტანით ცდილობდა მართვის აქსიომის დამტკიცებას, მე კი, გიორგი ყუფარაძე, აწმყოს და მომავლის გათვალისწინებით, იმავეს ვცდილობ და საფუძვლად მატერიალიზმსა და ადამიანის ბუნებას ვუდებ.

6940. ცივილიზაცია არის საკუთარი „მეს“ რეალიზაციის მაქსიმალური პერსპექტივა, რაც იწვევს ოჯახის ინსტიტუტის უგულებელყოფას და შობადობის შემცირებას.

6941. უპირველესი სულის ამაღლებაა და არა ხორცის ფსონში ჩადება, რომელიც ყველაზე მეტად ჩვენს „მეს“ ვნებს და ათავხედებს.

6942. სიყვარული ყველაზე საუკეთესო მემკვიდრეობაა, რომელსაც საკუთარი „მეს“ და სხვათა შეყვარების პერსპექტივა აქვს.

6943. მომთხოვნელობა, აქტიურობა, ყოველდღიური ძუნძული, ზომიერი სიყვარული, ხელს უწყობს სულის განწმენდას, სხეულის გაკაჟებას და საკუთარი „მეს“ წინაშე თავის წარმოჩენას.

6944. საკუთარ „მე“-სთან სენტიმენტალობა შინაგანი კულტურის მაჩვენებელია, ეროვნული ხასიათით და ფეტიშით.

6945. თავს არასოდეს შევიძულებთ, რაც უნდა დიდ მიქარვაზე გამოვიჭიროთ.

6946. არის რაღაცა, გარეგნულად მიუღებელი, რომლისთვისაც მხედველობის ექსპლოატაცია დანაშაულია საკუთარი „მეს“ წინაშე.

6947. ჩემსა და ბრბოს შორის ის სხვაობაა, რომ ისინი ხმამაღლა გაჰყვირიან, როგორი უნდა იყოს ქვეყანა და მაინც ისეთში ცხოვრობენ, როგორიც არის. მე ცხოვრებას ვახერხებ ისეთში, როგორიც მესმის და ვზრუნავ, ვფიქრობ, ვწერ, როგორც უნდა იყოს, მაგრამ ხმამაღლა არავის ვუპირისპირდები, რადგან ვიცი, რომ ყველა თაობამ თავის უგნურების გოლგოთა სხვა უგნურების დახმარებით ბოლომდე უნდა დაძლიოს.

6948. გვინდა თუ არა, ჩვენ ძუნწებიც ვხდებით, რადგან საკუთარ მეს ასე ადვილად ვერ გადააბიჯებ.

6949. შიში, სიფრთხილისა და მორიდებისგან განსხვავებით, არავის მიმართ არ უნდა გქონდეთ, თუ გსურთ საკუთარი „მე“ შეინარჩუნოთ.

6950. ადამიანი, რომელიც ცხოვრებაში ბევრს აღწევს, მთავარ სიმდიდრეს იხვეჭს – საკუთარი თავს პატივისცემას.

6951. რაზეც უნდა ვსაუბრობდეთ, ყველგან ჩვენი მეობის წარმოჩენას ჩვენდა შეუმჩნევლად ვცდილობთ.

6952. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ჩემი აზრი სხვისას არ ემთხვევა, მაგრამ ყურადღებას და ყურისგდებას ყოველთვის იმსახურებს.

6953. საკუთარ თავზე ეშმაკი და მოხერხებული ვერასოდეს ვიქნებით რაც უნდა ვეცადოთ.

6954. ჩამოფასებული ან მეორადი ტანსაცმლით მოდაზე გამოწყობა შინაგანად თავის დამცირებაა, ჯიბის გაფრთხილებით.

6955. სიამაყე, პირველ რიგში, საკუთარი თავის მიმართ უნდა დაიმსახურო, რათა სხვებმა გაგიგონ და არ დაგცინონ.

6956. რამდენი მცდელობა, შემართება, ნიჭი სჭირდება ნაღდი საქმის კეთებას, თუნდაც იმისათვის, რომ საკუთარ „მეს“ გაეჯიბრო და წარმოჩნდე.

6957. მე არ მაინტერესებს ვინ რას ფიქრობს, ოცნებობს და ჭკუას რაზე აცდენს, მე ის მაინტერესებს ვინ რას წერს, აკეთებს და საზოგადოებას რა სარგებელს აძლევს, რადგან პირველი უნიათობის, ნაცარქექიობის შედეგია, მეორე – შესაძლებლობების და მომავლის იმედის. ამასვე უნდა ფიქრობდეს გონიერი და არა მოხერხებული ხელისუფალი.

6958. მანკიერება ყველგან სუფევს, ღმერთთან გვექნება საქმე თუ ღმერთობასთან რადგან ადამიანს საკუთარ „მეზე“ დიდი ღმერთი არ გააჩნია.

6959. ამ ცხოვრებაში სიცოცხლის „ლელოს“ ბოლომდე გატანაა ვაჟკაცობა და არა საკუთარი გაამაყებული „მე“-ს წარმოჩენა.

6960. ყველა ჩვენგანმა პირველ რიგში საკუთარი ფასი უნდა ვიცოდეთ თუ გვინდა თავსაც გამოვადგეთ და სხვასაც.

6961. მე ცხოვრებაში რაღაც მინახავს და ჩემი გოცება არც ისე ადვილია, მაგრამ ქრთამის და კორუფციის ინსტიტუციის უკვდავება და თავხედობა, უძველესი პროფესიის მსგავსად, დღესაც ჩემში გაოცებას იწვევს.

6962. სხვის წამლიქვნელებას ჯობს საკუთარ თავს წაექლესო, რადგან პირველისთვის შენი მცდელობის დაფასება ბედის საქმეა. ხოლო თავისთვის სიამოვნების მოსატანად არც ბედი გვჭირდება, არც შემთხვევა, – მხოლოდ ოცნებასთანაა საჭირო შეთანხმება.

6963. დღევანდელი საზოგადოება დაცულია მიტევებისაგან, სიფვარულისაგან, სიმშვიდისაგან და საკუთარი „მე“-ს ღირსებით წარმოჩენისგან.

6964. ღმერთმა ნუ ქნას კაცის შინაგანი „მე“-ს დაქვეითება, მაშინ ის მამრის ყველა მოვალეობაზე ხელს აიღებს და ქვეყანას გადაშენება დაემუქრება.

6965. ალქაჯს რითაც თავი მოაქვს და ამაყობს, ყოველთვის ლელო ვერ გააქვს, რადგან საკუთარი „მე“ ზომაზე მეტად გათავხედებული ჰყავს.

6966. ჩვენი ცოდნის შესაძლებლობის დადგენა ყოველთვის ძნელია რადგან „რაც მეტი იცი, იმდენად საკუთარი „მეს“ წინაშე თავი უვიცი გგონია“ და ესეც მოჭარბებული განათლების შედეგია, რომელიც ჩვეულებრივ მოკვდავს ყოფის მოწყობაში ხშირად ხელს უშლის.

6967. მტკიცება, რომ ტყუილი არ მითქვამს და წმინდანი ვარ, ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ განზრახ ვინმესთვის ცუდი მეკეთებინოს და მეცრუოს, არ მახსოვს.

6968. მე კარგი ადამიანი ვარ, მაგრამ რეალობის ხედვით და გარეშეებთან იმ მიდგომით და დაურიდებელი სჯა-ბაასით, რასაც იმ წუთში ჩემი ოპონენტები იმსახურებენ.

6969. ჩემს ბუნებას არ შეუძლია მოძრაობის წესების განუხრელი დაცვა, ხოლო სინდისს ჩემი გათავხედებული გონების გამომზეურება, ამიტომაც ვარ უმანქანოდ და საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურებით ვკმაყოფილდები.

6970. მთავარია, დამარცხებულის მხარეს დარჩე, ყოველგვარი შეცდომების გარეშე, რომ საკუთარი მეობა შეიცნო.

6971. როგორც პიროვნება, კი, მაგრამ როგორც ადამიანი, როგორც ირკვევა, არც მე ვყოფილვარ სხვაზე უკეთესი.

6972. ყველა უგნური შეცდომა, რაც ცხოვრებაში გქონდა, ბედს გინდა აჰკიდო, ხოლო დაუფიქრებლობა, აჩქარება, მიაფუჩეჩო და საკუთარი „მეს“ წინაშე თავი დაიძვრინო.

6973. მე არ მაინტერესებს მეოცნებენი რას ყბედობენ, მთავარია, რისი კეთდება შეუძლიათ.

6974. მთავარია მარტოობის შიში დაძლიო, რათა საკუთარ „მეს“ ასიამოვნო, სხვასაც სიხარული მოუტანო და შენი წუწუნით სხვა არ შეაწუხო.

6975. საკუთარი თავი ყოველ ნაბიჯზე უნდა დავმოძღვროთ რათა რაიმე ხელშესახებს ხელი გამოვკრათ.

6976. სხვას რომ უფარდე. პატივს გცემდეს, უმთავრესია თავს გაუფრთხილდე, რათა ჭორების ჭუჭყით არ გაისვარო.

6977. სიხარული, რომელიც სიამაყეს იწვევს, ჯილდოა და სიამოვნებას გვანიჭებს, რომელიც გვათავხედებს, საკუთარი ,,მესთვის'' ხარკის მიგებაა.

6978. ჩემი ''სისუსტე'', ის არის, რომ შტერი, უანგარიშო და ანგარებიანი ადამიანები არ მიყვარს, მიუხედავად იმისა, რომ მათგან სარგებლის ნახვა ხშირად შემეძლო.

6979. დამცირება ყველაზე დიდი გაქურდვაა სულისა, რადგან გარკვეული დროით საკუთარი ,,მე'' მოგპარეს.

6980. მე სხვა ღირებულებებით ვცხოვრობ, ხალხის უმეტესი ნაწილი სენსაციებით არის აღფრთოვანებული. ჩვენი მორიგება არ ხერხდება, რადგან ვერ დავიჯერებ, რომ ათი შვილის აღზმზრდელ დედას ვიღაც ძუკნა სჯობდეს, ცნობილი პირის საწოლში შემთხვევით მოხვედრილი, რომლითაც მან პოპულარობაც მოიპოვა, ფულიც იშოვნა და პერსპექტიული საპატარძლოც გახდა.

6981. დღეს მე მაინტერესებს საკუთარი სამყაროს მსოფლმხედველობა და იმ ხალხის აზრი, რომელიც საკუთარ ხედვასთან და ცხოვრების გამოცდილებასთან დიდი ხანია შეჯერებული, დაჭაშნიკებული, მყავს.

6982. მთავარია, პირველ რიგში, თავის ფასი და შესაძლებლობა ვიცოდეთ და არა – ხალხისა და ქვეყნის, რომელიც ჩვენს გასაწბილებლად ყოველთვის შემართულია.

6983. არა მგონია რეალურად და სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, საქმის საკეთებლად, დღეს ქვეყანას ჩემზე დიდი პიროვნება ჰყავდეს, მაგრამ ამისათვის მათ მოსმენის, განსჯის, მცდელობის, უნარი სჭირდებათ, ხოლო მე – მჭერმეტყველების, მათრახის გადაჭერის და სახელმწიფოს სიყვარულის ფანატიკური დოზა, რომელიც მე არ გამაჩნია.

6984. საკუთარი თავისადმი სიყვარული იყო, არის და დარჩება უმთავრესი, თუ ამ საქმეში პატრიოტიზმის იდეოლოგია და ვერაგი პროპაგანდა არ ჩაერია.

6985. მე რომ არაფერი მიკვირს, არ მშურს, ეს ჩემი მშობლების დამსახურებაა, პირველ რიგში, გენის ჩუქებით, შემდეგ იმ ზომიერი ყოფის შექმნით, რომელიც საჭიროა ახალგაზრდა კაცის სულის და მცდელობის ჩამოსაყალიბებლად.

6986. საკუთარი თავის ფასის ცოდნა ცოტაა, მთავარია, სხვებმა შეგამჩნიონ, დაგაფასონ და დროთა განმავლობაში გადააფასონ და ჩამოგწერონ.

6987. მოყვარეს ძებნა მისასალმებელია, მაგრამ არ უნდა გადაყვე, რადგან ჯობს საკუთარ თავს ისე უპატრონო, რომ სხვამ დაიწყოს შენში მოყვრის ძებნა.

6988. ხშირად საკუთარ თავს სიმართლეს ვერ ვუმხელთ და რა-ტომღაც ვტყუით ჩვენდა სასიამოვნოდ.

6989. სხვისი თავის გამძლეობის შესატყობად თავის მირტყმაც საკ-მარისია, მაგრამ საკუთარ მესთან გაბაასებისთვის თავის გატეხაც არ კმარა.

6990. ფეხუკვდავი და ფეხდალოცვილი, პირველ რიგში ჩვენი გვარი, შთამომავლობა, უნდა იყოს, რათა ერი, სამშობლო, უკეთ დავაფასოთ და შევიყვაროთ.

6991. მე უფრო პიროვნებას ვცემ პატივს, ვიდრე იმ საზოგადოებას, რომელსაც სურვილიც არა აქვს ისტორიის გაკვეთილების დღევანდე-ლობაში გათვალისწინება-გათავისებისა.

6992. ბედთან მარტოდ-მარტო შებრძოლება სხეულისათვისაა ძნე-ლი, თორემ სული ლაღობს და საკუთარ ,,მეს'' ეტრაბახება.

6993. განსაკუთრებული შემთხვევა მზაკვრობით და ღირსების სას-წორზე შეგდებით გვაიძულებს საკუთარ თავს პატივი ვცეთ.

6994. პოზიციების, თუნდაც მცდარის, ერთბაშად დათმობას საკუ-თარი ,,მე'' არ გაპატიებს.

6995. ზოგჯერ არ შეგვიძლია წინ აღვუდგეთ საზოგადოებრივ აზრს, რადგან არ გვინდა საფრთხეში ჩავაგდოთ საკუთარი ,,მე'', იმიჯი, რო-მელიც ამ საზოგადოებამ შეგვიქმნა.

6996. საკუთარი რწმენა გაიძულებს სხვის მრწამსსაც ენდო და საერთო ენის გამონახვა სცადო.

6997. ყველა ცოდვა სიამოვნების გასაგრძელებლადაა ჩადენილი და არა – საკუთარი მეობის წარმოსაჩენად.

6998. მე ვერ გავიზიარებ იმ ხალხის პატრიოტიზმს, რომელიც სახელმწიფოებრიობის შენებისას ყოველ ნაბიჯზე შეცდომას უშვებს და მაინც მართალია.

6999. გარეშენი ისევე გვცემენ პატივს, როგორც ჩვენ – საკუთარ თავს.

7000. მე უფრო მატერიალური, რეალური ფილოსოფოსი ვარ, ვიდრე სულიერი.

7001. თეორიულად თავის შეცნობა ყოველდღიურ შრომას მოითხ-ოვს, პრაქტიკულად გენს, გარემოს და აღზრდას.

7002. მე დიდი ,,სატრაბახოც'' მაქვს. ოთხკაციან ვახშამში 34 მილიონი მაქვს გადახდილი, ოღონდ ბელორუსული მანეთი და ეს პირობითობაც სულს ესალმუნება.

7003. ხშირად გამკვირვებია, რომ მე გაცილებით მეტ სასარგებლოს ვხედავ სხვის სპეციალობაში, ვიდრე თავად სპეციალისტი-პროფესიონალი.

7004. უსაქმურობას საკუთარი მე საყრდენად არასოდეს გამოადგება.

7005. ზომიერების ფარგლებში ყოველგვარი ქვენა მიზნების გარეშე, საკუთარ თავს მოხდენილად დასცინო, დიდი ნიჭია.

7006. საკუთარი თავისადმი უკომპრომისო ნდობის უნარიც განგების დიდი წყალობაა.

7007. სიმხდალე სიცოცხლის გარანტი შეიძლება იყოს, მაგრამ არა საკუთარი მეს კაიფი.

7008. საკუთარი შესაძლებლობის და ,,მეს'' ცოდნა უდიდესი ნიჭია

7009. საკუთარი თავის ფასი და მეობა ზომიერების ფარგლებში არსად არ დაივიწყო და არც სხვამ არ ,,შეიხახვისთაოს''.

7010. ყველაზე საწყალი ის ადამიანია, ვისაც საკუთარი ,,მე'' და მორალური პრინციპები არ გააჩნია.

7011. ჯერ არ შემხვედრია ისეთი ადამიანი, რომელსაც თავისი ,,მე'' დაუმსახურებლად წინ არ დაეყენებინოს გამორჩენის მიზნით.

7012. კეთილი ტყუილი ყველას მოსწონს, განსაკუთრებით, თუ ჩვენს მეობას ავტორიტეტს და პეწს მატებს.

7013. როდესაც მარტოს გინდა დალევა, მაშინ შენს მეობასთან, კაცობასთან ერთად უნდა დათვრე, ოღონდ არ უნდა გამოთვრე, რათა თანამეინახენი არ შეარცხვინო და ადამიანის სახე არ დაახურდაო.

7014. ფიქრობთ ერთს, ვამბობთ მეორეს, ვაკეთებთ მესამეს და ეს არის ყველაზე დიდი სიფლიდე საკუთარი მეს წინაშე.

7015. ზრახვები საკუთარი მეობის მიმართ ყველას კარგი გვაქვს, მაგრამ გამართლება, შესრულებაა სხვადასხვა და სათუო.

7016. მე, ჩემი ბუნებით, საქმიანი და მუნჯი ფილოსოფოსი ვარ, რომელსაც ჯერ შედეგი აინტერესებს და შემდგომ მასზე ყბედობით საუბარი.

7017. ზოგჯერ შინაგანი აგრესიაც სილამაზის და საკუთარი მეობის დამცველია, როდესაც მის მითვისებას და დამცირებას ცდილობენ.

7018. საზოგადოებისთვისაც უკეთესია, თუ ყველა ჩვენგანს გაცნობიერებული აქვს შეუპოვრობის, სიკეთის კეთების და საკუთარი ,,მეობის'' ფასი.

7019. მოვალეობა ყველას თავისებურად ესმის, მაგრამ შენი „მე“ მასში აუცილებლად უნდა იდოს.

7020. ვინც პატივს სცემს მოწინააღმდეგეს, ის შეიარაღებულია და თავის მეობასაც უფრთხილდება.

7021. ზოგჯერ ყველაზე მეტ წინააღმდეგობას საკუთარ აზრს ვუწევთ, მაგრამ ხშირად – უშედეგოდ.

7022. დღეს განგებამ ნიჭიც უნდა გიბოძოს და დანიშნულებაც, რათა საკუთარი მეობა არ დაკარგო.

7023. გლობალიზაცია ევას და ადამის დაწყებულია ერების, ენების და ქვეყნების დაყოფით, რათა სიყვარული, ურთიერთმოფრთხილება და მშვიდობის ფასი გვესწავლა და სამყაროს ერთ გონიერ სხეულად ვქცეულიყავით საკუთარი „მეს“ შეფასება-დაფასებისას.

7024. ასაკის გადასახედიდან, ალბათ, ყველასთან უნდა გვემრუშა, ვისთანაც ეს შეგვეძლო, რადგან ხვალინდელი მოდა ყოფიერების და გართობის ტრადიციებს და ტექნიკურ პროგრესს რა ხარკს მოსთხოვს, წინა თაობებისთვის ყოველთვის უცნობია.

7025. სიჯიუტე ყოველთვის საკუთარი „მეს“ ჩვენება არ არის, ხშირად ეს სიბრიყვის დემონსტრაციაა.

7026. საკუთარი „მეს“ მქონე ადამიანებს პატარ-პატარა წმინდანები ჰყავთ, რომლებსაც ძალზე აფასებენ და ელოლიავებიან.

7027. სპონსორობა კი არის ქველმოქმედებაა, მაგრამ შენ ხომ იცი, რომ მათხოვარი ხარ და ესეც დიდი ზადია საკუთარი თავის წინაშე, დროს ვერ მოერგე, ცხოვრებას ალღო ვერ აუღე. ვერ ივარგებ, რადგან ნიჭის კაპრიზს, სიზარმაცეს, ვერ აჯობე.

7028. საკუთარი თავით კმაყოფილები არასოდეს ვართ, მაგრამ არა სხვათა დასანახავად – გასაკილად – განსასჯელად.

7029. იძულებითი აღიარებისგან განსხვავებით, საკუთარ თავზე სიმართლის თქმას ყველა გაურბის.

7030. ყოველთვის არსებობს საშიშროება, რომ ჩვენმა მეორე „მე“-მ წამოყოს თავი.

7031. ყველა ჩვენგანი შინაგანად მომართულია: თვითშეგნებისთვის, თვითგამორკვევისთვის, თვითდაჯერებულობისთვის, თვითაღზრდისთვის, თვითაღიარებისთვის, თვითრეკლამისთვის, თვითნებობისთვის, თვითგადარჩენისთვის და ვინ იცის, კიდევ რამდენ თვითამოსახსნელს ჩაიდენს სულის საამებლად და ვნების გასალაღებლად თვითშეფარების მომიზეზებით.

7032. ის ნაკლი რომ მთლიანად შეგვემჩნია, რაც ჩვენ გვაქვს, ჩვენზე უბედური ამ ქვეყნად არავინ იქნებოდა.

7033. ყოფის ყველაზე დიდი საყუდელი სიცოცხლის მოფრთხილება, რომლის გარეშე ვერც საკუთარი მეს კაიფს შეიცნობ და ვერც სხვის სიცოცხლეზე ფასის დადებას.

7034. მესიჯებს ფაქტობრივად ჩვენი „მეს“ წარმოსაჩენად და სიამოვნებისთვის ვაგზავნით, ვიდრე ადრესატისთვის – მისდამი კეთილგანწყობით თავს ვაწონებთ.

7035. „მე უფროსი ვარ, შენ სულელი ხარ, შენ უფროსი გახდი, მე ჩერჩეტი ვარ“ – ეს ფორმულა საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპზე მუშაობდა და იმუშავებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, საზოგადოების განვითარება შეფერხდება და „მეობაც“ აზრს და მცდელობას დაკარგავს.

7036. ხშირად ისაა მთავარი, რასაც შენ გრძნობ და არა ის, რაც იცი, გირჩევენ, განიცდი.

7037. შეიყვარო თავი იმდაგვარად, რომ ამბიციებმა, შურმა, სიზარმაცემ არ შეგაწუხოს, დიდი ხელოვნებაა.

7038. დღეს განგებამ ნიჭთან ერთად სპონსორიც უნდა გიფეშქაშოს, იმდენად დიდია კონკურენცია საკუთარი „მეს“ წარმოსაჩენად, რათა იმ ქვეყნად დაღდამჩნევითყ გადასახლდე.

7039. ხანდახან ალიყურის გაწვნაც საჭიროა საკუთარ თავზე და სხეულის გვემაც, რათა დასახულ მიზანს მიაღწიო.

7040. შეიძლება იდეალურები არა ვართ, მაგრამ უნიკალურები უნდა ვიყოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენი ამქვეყნად მოვლენა აზრს კარგავს.

7041. ყველა ჩვენგანის ცხოვრება მნიშნელოვანი მოვლენაა, ყოველ შემთხვევაში, ჩვენს „მეს“ ასე სურს და მის კაპრიზს არ ვეწინააღმდეგებით.

7042. ყველანი ვირტუალურ სამყარო ვქმნით ჩვენთვის, ამაღლებული ცდუნებით და შინაგანი მოთხოვნით, რომელიც ზოგჯერ გენიალობაში გადაიზრდება.

7043. ჯობს შენი შურდეთ, ვიდრე შენს უნიათობას თანაუგრძნობდნენ და განსჯიდნენ.

7044. ჩვენს „მეს“ სინათლის შეცნობა-შეგრძნობის უნარი ბავშვობიდან უნდა დაჰყვეს, თუ უნდა თავს დროულად მხარში ამოუდგეს.

7045. ყველა ჩვენგანს ამქვეყნად ყოფნის საკუთარი კოდი აქვს, რომელიც გაუსხვისებლად სიცოცხლის ბოლომდე უნდა გვახსოვდეს.

7046. საკუთარ თავზე მომგებიანი ხმები თავად უნდა გაავრცელო, რადგან წყაროს ძებნას არავინ დაუწყებს, ხოლო შენზე კარგი ნათქვამო ვიღაცას დაამახსოვრდება.

7047. ცხოვრებაში ექვსი ზედმეტი სახელი შემარქვეს: დედაჩემმა კულინარიის სიყვარულისთვის და მის საქმიანობაში კორექტივების შეტანის მცდელობისათვის „ქალოია“, სპორტში ორგანიზატორის ნიჭის და მრავალი გუნდის შექმნისთვის – „ბარნაბეუ“, პერსპექტიული სპორტსმენების მოძიებისთვის – „სელექციონერი“, მეგობრებმა ყბედობის უგულებელყოფისთვის – „თან საქმე“, სამსახურში მცდელობისა და ხელისუფლებასთან კარგი ურთიერთობისთვის – „ვეს მოგუჩი“ ბიზნესში საქმის ერთპიროვნულა ხელმძღვანელობისთვის – „ბოსი“. უნდა ითქვას, რომ აქედან არც ერთი სახელი ბოლომდე არ შემომრჩენია და ყველასთვის ისევ გოგი ყუფარაძედ დავრჩი.

7048. ცხოვრებაში მე იმითაც კმაყოფილი ვარ, რომ ჩემთვის უვიცი, უწესო, „რაღაც ეშლება“, არავის უკადრებია.

7049. ტვინის „დასუფთავება“ ასაკში საკუთარი რწმენით, გონიერებით, ისტორიული რეალობის ხარჯზე, დანაშაულია საკუთარი მეობის წინაშე.

7050. ჩვენს წარსულზე ვეტოს დადების უფლება ჩვენს გარდა არავის აქვს.

7051. კარგია ყველამ ვიცოდეთ, საკუთარი თავის არა მარტო საწყისი, არამედ შესაძლო საბოლოო ფასიც, ასევე თვითღირებულებაც, დაფინანსების წყაროც და ამქვეყნად შენი გახსენების შესაძლო ეფექტიც.

7052. ზოგჯერ ისეთი დრო დგება, რომ საკუთარ თავზეც არ უნდა ინერვიულო, არც ის დაგიფასებს.

7053. თუ საკუთარი მეობის და საქმიანობის მიმართ რწმენა, იმედი, დაკარგე და უიმედობა დაგეუფლა, სჯობს პროფესიიდან წახვიდე და სხვა საქმიანობით გაერთო.

7054. პრინციპებით ცხოვრება ძნელია, მაგრამ სულს სასიამოვნოდ ეფონება და საკუთარ ღირსებას გრძნობს.

7055. ყველანი ჩვენი უეცარი შემთხვევების, საუკეთესო წუთების, დამდგმელი რეჟისორები ვართ.

7056. ჩვენი “მე“-სთვის ყოველთვის უცხო დარჩება საკუთარი “ბაირამი“ სხვის დღესასწაულზე.

7057. საკუთარ თავს არ უნდა ვეჩხუბოთ, რადგან რაღაც ალიბს მაინც მონახავს თავის გასამართლებლად.

7058. გამოიცანი საკუთარი ჩანაფიქრი და ისიც, რომ ბოლომდე გამოგადგეს, თითქმის შეუძლებელია.

7059. შერკინების ბატალიები და მისი ყოჟინი ყველას ავიწყდება. რჩება შედეგი, რომელიც მომდევნო თაობების განსჯას არ ითხოვს.

მეცნიერებასთან ახლოს

7060. მეცნიერება და გამოცდილება სხვადასხვა ცნებაა და მათი გაიგივებაც არ შეიძლება, მაგრამ ერთმანეთის გარეშე არსებობა არ შეუძლიათ.

7061. მეცნიერება მართლა არ იქნება, თუ ხალხს და მათ ზნეს არ მოეთათბირება და არ გაითავისებს.

7062. მეცნიერებს ყველაზე მეტად ის ემტერება, ვისი წყალობითაც სახელმწიფო მოხელე გახდა და ეს პროფესია დაატოვებინა.

7063. მეცნიერი პოლიტიკას არ უნდა დახარბდეს, რადგან ის წარ-მავალიცაა და მომავალიც, ხოლო მეცნიერულ ნაღვაწზე კუთვნილი აგურის დადება ყველაფერს გადაწონის.

7064. მეცნიერებათა მიღწევები ახალი მოდის მსგავსად რომ ინერ-გებოდეს და იყიდებოდეს, მის ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა და ტექნიკური პროგრესის ბორბალიც უფრო ჩქარა დატრიალდებოდა. ამით მოდა-შიც სიახლე დაინერგებოდა, განვითარების ტემპის შესაბამისად.

7065. ყველა მიღწევა მეცნიერული კვლევის ადრენალინის და უტო-პიურობის საწყისის შედეგია.

7066. ნამდვილი, რაფინირებული მეცნიერი, მეცნიერების გარდა არაფერში გამოდგება.

7067. თეორიული ფიზიკა კამათლის თამაშს მოგვაგონებს, რადგან ნიჭთან ერთად ბედიც უნდა გქონდეს, რათა იცოდე, სად გააგორო, რათა საშუალება გქონდეს სხვასაც რაღაცა გააგებინო.

7068. ყველა მინუსს თავისი პლუსი აქვს და პირიქით, მაგრამ ამის დანახვას მაშინ აქვს ფასი, თუ აქ რაიმე ჭკვიანურის შემჩნევა შეგვიძლია.

7069. მეცნიერების ბოდვა აღმოჩენის საწინდარია.

7070. პირობითი ეტალონების თეორიას აქვს მისთვის გასაგები სამეცნიერო ხუმტურები, რომელიც შემჩნევას და გათავისებას მოითხ-ოვს თავისი პრაქტიკული გამოსავალით.

7071. პოლიტეკონომია მეცნიერებად რომ აღვიქვათ, მას არა მარ-ტო მასების მართვის გამომგონებლები სჭირდება, არამედ აღმომჩენე-ბიც, რათა მათ გონივრულ ფუფუნებაში იცხოვრონ, მაგრამ ეს დარგი ისე გააუფასურებს და გაათავხედებს, რომ მასში დასაქმებულს თავი ყველას "ტალეირანი" ჰგონია.

7072. ადამიანთა უფლებები ფაქტიურად ხვალ უფრო შეზღუდული და დამოკიდებული იქნება მავანთა ნებაზე, ვიდრე დღეს არის და ამის მიზეზი მეცნიერების და ტექნიკური პროგრესის წინსვლა.

7073. მეცნიერება თავის ამქარში უცოდინარ ხალხს ვერ გუობს, მაგრამ როდესაც ორი კლასის განათლების მქონე მილიონერი ხდება, ეს პრაქტიკულად ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხს შეესატყვისება. მაშინ, როდესაც ამ დონის ხალხი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში თანდაყოლილი ნიჭის მიუხედავად, ვერაფერ ამგვარს ვერ მიაღწევს. ე.ი. მეცნიერია ის, რომელიც ძირითადად შემთხვევითობაზეა დამოკიდებული და არა – განათლებაზე.

7074. ჭკუაგახსნილთათვის არ არსებობს დახურული და საიდუმლო თემა, რათა მათ კიდევ უფრო გაუგებარი და გაუხსნელი საკითხი დააკონსერვონ.

7075. ნაღდი მეცნიერება, შემთხვევისგან განსხვავებით, ეყრდნობა არა პოლიტიკას და გამართლებას, არამედ აზროვნების გაბრწყინების შედეგად მიღებულ რეალურ თეორიას, ნდობის ფაქტორით და კრედიტწარმომშვები თვითდაფინანსებით.

7076. მეცნიერება აზროვნების ის პროდუქტია, რომელიც სულს მახეს უგებს.

7077. ცუდია იმ დროში ცხოვრება, რომელშიც მეცნიერება არ ფასდება, უპერსპექტივოა და მათი გასამრჯელო დამამცირებელი.

7078. თუ სარწმუნოების ჩამოყალიბებაში გარემო პირობები, პოლიტიკა, ცნობიერება ერევა და ანგარიშს უწევს, მაშინ ღმერთის წარმოსახვა და მისდამი მორჩილება მეცნიერება ყოფილა, თავისი პატენტით და განსჯით.

7079. სიბრიყვე ყველაზე ზუსტი მეცნიერებაა საკუთარი თავის მიმართ, რომლის დაჯერებაც არ გვინდა.

7080. ფილოსოფია და რელიგია ჰარმონიის ძებნაში არიან, მაგრამ მეცნიერებასა და მითებს შორის ჭეშმარიტების მოძიება საბოლოოდ შეუძლებელია.

7081. მეცნიერის აზროვნება და ფანტაზიასთან შერკინება იგივე ნარკოტიკია, ხოლო თუ აკვიატებული იდეა აიკიდა, მკურნალობა გამორიცხულია.

7082. მეცნიერება სარწმუნოებასა და თავდადებას მოითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ბიზნესში გაგვეპარება და თავის ავტორიტეტს კოლეგების წინაშე ეჭვსქვეშ დააყენებს.

7083. ზოგჯერ დაუდევრობა სჯობს იდეალურ წესრიგს და ეს გამონაკლისი ნიჭიერი ადამიანის პრეროგატივაა, რადგან საწყისი ქაოსის გარეშე სამყარო არ ლაგდება ე.ი. მის გარეშე აღმოჩენებმა და პროგრესმა ჭირი მოგვჭამა.

7084. მომეტებული იდეები მისი მფლობელის გარდა არავის ვნებს, რადგან ვერ იგებენ.

7085. ჭეშმარიტების შეცნობას საუკუნენი ეჭიდებიან და ხშირად – უშედეგოდ.

7086. ძალასა და ღონეს შორის ის სხვაობაა, რაც მასასა და წონას შორის ფიზიკაში.

7087. მშობლიური ენის ღირსეულად ათვისებაც პოლიგლოტის ნიჭით დაჯილდოებული ხალხის ხვედრია.

7088. სწავლულის საკუთრება მისი ტვინის ნაფიქრალ–ნაცოხნარია და არა – წიგნის კითხვა–ანალიზია სიახლის შექმნის გარეშე.

7089. რაც ნობელის პრემიის ლაურეატის, ლანდაუს, მოსაზრებანი იყო თეორიულ ფიზიკაში, იგივე ღირებულების მოსაზრებებია საჭირო ჩემს პოლიტ–ეკონომიაში პრაქტიკაში დასანერგად, მაგრამ როგორც პირველს, ასევე მეორეს, განათლებული, შემოქმედი ხალხის, მოზიდვა სჭირდება, რადგან გულგრილობის და უმეცრების დროში ვერც ფუნ–დამენტური მეცნიერება ხარობს და ვერც ის რეალური მოსაზრებანი, რომელსაც მილიარდების მოტანა შეუძლია ქვეყნის ბიუჯეტისათვის.

7090. მეცნიერება–ხელოვნებისადმი სიფარული არ იძლევა იმის უფ–ლებას, რომ სიცოცხლე მათ სასარგებლოდ გაიმეტო, თუნდაც გაღიარონ.

7091. სიახლის შეცნობას ბევრის გონიერება ეწირება, რათა შეც–ნობილი კვლავ შესაცნობი გახდეს.

7092. შესანიშნავი სადისერტაციო თემა: ,,ქაქის'' პრობლემა სამყა–როში, მისგან საწარმოო გაზის, ცხოველთა საკვების, პლასტიკური მასების, სასუქის, მიღება, მაგრამ სად არის დამფინანსებელი ამ ფილო–სოფიური პერპეტუუმ–მობილე წარმადობის და მისი შედეგის.

7093. მენდელეევის პერიოდულ სისტემაში შემავალი ჯელა ელემენ–ტი რუსეთის სიმდიდრეა იაპონელებისა კი – სამურაის ხასიათი, შედე–გად ეს უკანასკნელი რუსეთის ნედლეულიდან მიღებული მზა ნაწარმით ვაჭრობს, ხოლო პირველი დღესაც მენდელეევის ცხრილს გვთავაზობს.

7094. სიფარულის თეორემა და ფორმულა მუდამ აღმოუჩენელი დარჩება, რადგან მას მეცნიერებისთვის ზურგი აქვს შექცეული.

7095. ყოველი ჩვენგანი უამრავი განუხორციელებელი იდეის და ჩაანფიქრის სასაფლაოს მფლობელია, რაც ხშირად ნაღვლიანი და ტკბილი მოგონებით თავს შეგვახსენებს.

7096. მეცნიერებისთვის საბოლოო აღმოჩენა არ არსებობს, ის მუდამ გაუმჯობესების ცდაშია, ამიტომ ყოფიერებისთვის ესოდენ საჭი–რო ქალბატონი მუდამ დაპურებული უნდა გვყავდეს.

7097. ჩვენ ლუდის გამკეთებელს მეტ პატივს მივაგებთ, ვიდრე ქერის და სვიას მომყვანს, ასევეა მეცნიერებაშიც, სწავლულს ნაკლებათ ვაფა–სებად, ვიდრე მის აღმოჩენას.

7098. იურიდიული მეცნიერებისთვის კანონის აღსრულება კი არ არის უმთავრესი, არამედ დანაშაულის გამომწვევი მიზეზის მოძიება, კანონის სამართლიანი გამოყენება და დანაშაულის პროფილაქტიკა.

7099. ყველა დარგი ყურადსაღებია, მეცნიერებაა, თუ მას ფანტაზია ახლავს.

7100. მეცნიერსა და ბრძენს შორის ის სხვაობაა, რომ პირველმა ბევრი რამ სასარგებლო იცის, ხოლო მეორეს ბევრი რაიმეს ცოდნაზე ხელი არ მიუწვდება, მაგრამ თავიანთი განსწავლულობა აზრთა დაპირისპირების მიუხედავად, ორივეს ეამაყება.

7101. ამ ბოლო დროს მეცნიერება და სარწმუნოება საერთო ენის გამონახვას ცდილობენ, რაღაც კომპრომისზედაც მიდიან, მაგრამ მათი ურთიერთგაგება შეუძლებელია, რადგან მათ შორის იმხელა უფსკულია, რომ მის ამოვსებას სამყაროს ნგრევაც არ ეყოფოდა.

7102. რწმენის შემდეგ, სასწაულის ამოხსნაში მეცნიერება მეორადია, რასაც ის არასდროს შეურიგდება.

7103. მაგია ეხმარება ადამიანს სიახლის შეცნობაში და ოცნებაწარმოსახვაში, რადგან ის მეცნიერებას ხშირად წინ უსწრებს.

7104. ფუფუნებამ და ფულმა რაც უნდა თავის ჭკუაზე გვაბურთაოს, პოეზია, მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია უფრო პრესტიჟულია ხალხში, რადგან მის გარეშე კაცობრიობას ნაბიჯის წინ წადგმა არ უწერია.

7105. პროფესიონალიზმი ზოგჯერ ,,სკანდალს" ბადებს, ხოლო დილეტანტიზმი – მისდამი პატივისცემას და სიახლეთა წარმოჩენის მცდელობას. პროგრესისთვის ორივე აუცილებელია, მიუხედავად უკანასკნელის ბევრი ნაკლისა.

7106. მეცნიერსა და ჭკვიანს შორის ის სხვაობაა, რომ პირველმა ბევრი იცის თავის დარგში, ხოლო მეორე ბევრს ხვდება სხვა სპეციალობებში.

7107. მეცნიერება არის ცოდნა, ფანტაზიით და სიახლის ძებნადანერგვით.

7108. მეცნიერება არის გონიერების სანთელი, მაგრამ ის შანდლად არ გამოდგება.

7109. დღევანდელი უტოპიის სინამდვილედ ქცევა, შემდგომში მეცნიერების ვიზაც არის და დანაშაულიც, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის თვითმყოფადობას დაკარგავს.

7110. თუ ალბათობის თეორია და ვარიაციული სტატისტიკა მეცნიერებაა, მაშინ ქირომანტიაც ჭკუა-გონების საჭყლეტი და დამალული ჭეშმარიტების საძიებელი ყოფილა, რადგან რაღაც-რაღაცეებს ისიც მიზანში არტყამს.

7111. მათემატიკა ულამაზესი მეცნიერებაა, მაგრამ ობივატელს ფორმულებით, თეორიებით, არ უნდა დავაშოროთ, რათა ის უფრო მიმზიდველი, ხელმისაწვდომი და სათაყვანებელი გახდეს.

7112. რწმენა პროგრესია, ოღონდ საბუნებისმეტყველო მეცნიერების შემდეგ.

7113. მეცნიერება ერის კულტურის მაჩვენებელია, მისი შედეგების განხორციელების უნარი კი – ხალხის.

7114. ხანდახან იქ ვეძებთ ჭეშმარიტებას, სიახლეს, სადაც ყველაფერი ცნობილია, მაგრამ ჩვენდა გასაკვირად, გენიალურ აღმოჩენას გამოვკრავთ ხელს დაღვინებული ნიჭის წყალობით.

7115. მათემატიკის მარილი წინასწარ გათვლაში და შემდგომ აღმოჩენაშია და არა – პირიქით, რათა აღმოჩენას ალიბი მოუნახოს.

7116. არის აღმოჩენა, ნივთი, საიდუმლოება, რომლის დანახვა, დაინტერესება ერთეულ პიროვნებებს უნდა ვანდოთ და ისიც შიგადაშიგ.

7117. წარმატებული ექსპერიმენტი თეორიული საწყისების გარეშე მუნჯების საზოგადოებაში მეტყველის ყოფნაა.

7118. ერუდიტს არც ერთი დიდი მეცნიერი სერიოზულ ანგარიშს არ უწევს, მიუხედავად მისი ენციკლოპედიური ცოდნისა და მომზიბვლელობისა, რადგან ახალს იშვიათად ქმნის.

7119. ფიზიკის მიზანია, მისი ერთი კანონი მეორით დაირღვეს და მესამე მივიღოთ, თუ პროგრესია მოსალოდნელი – შეიძლება მომავლისთვის ისიც დაირღვეს.

7120. თანამედროვე ტექნოლოგია უღმერთოდ ჩამორჩება იდეების მომძლავრებას და ადამიანის ტვინის „ჭულეტას“.

7121. მეცნიერებამ გონიერების რაც უნდა მწვერვალები დაიპყროს, გარკვეულ ადამიანთა სულებს მაინც ყალთაბანდები და თაღლითები მართავენ, რადგან ადამიანის უაზრო ოცნებას წინ ვერაფერი აღუდგება.

7122. მეცნიერებას მიღწევებს დრო უკვეთავს და ხალხი აკეთებს, რაც შეეხება აღმოჩენას, ეს ტალანტების ხვედრია.

7123. შემოქმედი ძირითადად ინტუიციით ქმნის, ამიტომაც მისი ნაწარმოები მის გონიერებაზე მაღლა დგას.

7124. ტექნიკური პროგრესის მაძიებელი მამები ძირითადად დარეხვილი ხალხია, კარგი გაგებით.

7125. გამოგონება არა მარტო უნდა შეაფასო, უნდა დააფინანსო, მიისაკუთრო, რათა მან დროულად დაიჭიროს ადგილი კაცობრიობის პროგრესის გზაზე.

7126. მეცნიერება ყველაზე შრომატევადი, ზოგჯერ დაფასებული საკაიფო სამუშაოა.

7127. ხანდახან მეცნიერებაში ხუმრობით წამოსროლილი სიტყვა აღმოჩენის თუ არა, დიდი საქმის კეთების ტოლფასია. მოსკოვის ოლ-ქში თანამდებობაზე ყოფნის დროს, ჩემთვის ვინმეს რომ შემთხვევით ეთქვა ჯონჯოლის კულტურა გააშენეო, დღეს შეიძლება რუსეთში ჯონ-ჯოლის მწნილის ბუმი ყოფილიყო, რადგან ახალი ჯიშების გამოყვანა-დანერგვის საქმესაც მე ვხემძღვანელობდი.

7128. მეცნიერებაში კარგი და ცუდი მიმდინარეობა არ არსებობს, არსებობს გამართლება, შემთხვევა, ხედვა.

7129. სიახლე და მის გაცნობიერება, ცივილიზაციის საძირკველია.

7130. სიახლის გაცნობიერების გარეშე ყოფის ელემენტები და პროგ-რესი მყყდება.

7131. ნობელის პრემიას ის დამსახურება აქვს, რომ ბევრი ,,სისუ-ლელე'' გონიერების განსჯის საკითხად აქცია.

7132. ,,გმო'' – გამოუცნობი მფრინავი ობიექტები, ყველა ჩვენგანის ცნობიერებას ეღადავება, იმის მიუხედავად, მასზედ მონაყოლი ჭორია თუ ფსიქიურად დაავადებულ ავანტურისთა თამაში.

7133. მეცნიერისთვის, შემოქმედი ხალხოსთვის, შაბთი, კვირა და დასვენება არ არსებობს, ის მუდამ ჩართულია ფიქრებში და გონიერე-ბას თავისი სიამოვნებისათვის ავარჯიშებს.

7134. ხალხის მართვა ხელოვნებაა, ხოლო სარფიანად მართვა – მეცნიერება კუბში.

7135. მეცნიერება ჭკუა-გონების შერკინებაა, კონკურენციაა, სადაც ზოგჯერ გენიოსიც გამოტყრება, მაგრამ ის რომ საქმისთვის დაშვრება, შექება, დაფინანსება და აცე-აცეს ძახილი მასაც სჭირდება.

7136. საკუთარი ნააზრევის პრაქტიკაში დაფიქსირება ძალზე დიდი ცდუნება და ბედნიერებაა მკვლევარისათვის.

7137. ფანტასტი ხშირად მეცნიერულ აღმოჩენებს წინ უსწრებს, მაგრამ მათ აზროვნებას ჩამორჩება.

7138. ფორმულა ყველაზე კარგი ორატორია, ვინც მისი წაკითხვა და დროის ფასი იცის.

7139. ფუნდამენტური მეცნიერება ყველა აღმოჩენის საძირეა. მასზე რაიმეს დამყნობა, გახარება, ძნელი, მაგრამ პრესტიჟულია.

7140. ხშირად მკვლევარის ნაღვაწი შემოქმედზე უკეთეს შთაბეჭდი-ლებას ტოვებს, რადგან მისი შექმნისას ის ცოდნის სხვადასხვა წყაროებს იშველიებს.

7141. სამეცნიერო პუბლიკაციას ძალზე სპეციალური ცოდნის მკითხველი ჰყავს, მაგრამ როგორი?!

7142. მეცნიერებას ყველაფერზე ხელი მიუწვდება და დროთა განმავლობაში, ალბათ, ღმერთის სამალავსაც მიაგნებს.

7143. გენიოსისთვის – მეცნიერება, ხოლო ჩვეულებრივი მოკვდავისთვის – ამქვეყნად მოვლინებაა ცხოვრება.

7144. მეცნიერება მომდევნო საუკუნეთა წინაშე ხშირად გულუბრყვილო ჩანს, მიუხედავად აწმყოს წინაშე გარკვეული დამსახურებისა.

7145. მეცნიერება არა მარტო ცოდნაა, აზარტია, მისწრაფებაა, ვნებათა ღელვაა, არამედ, რაც მთავარია, ნიჭია.

7146. მეცნიერება კი არ არის უგვანო და შანტაჟის მომწყობი, არამედ ის, ვინც მის უგნურად გამოყენებას და სინდისზე ხელისკვრას ცდილობს.

7147. ყველა მეცნიერის საბოლოო გამოსავალი მათემატიკაა, ციფრების აჟიოტაჟზე დაყრდნობით.

7148. მეცნიერება სამყაროს თანავარსკვლავედია, მაგრამ მან ამის შესახებ არაფერი იცის.

7149. მათემატიკას უჯერებენ, აქსიომას ეძებენ, ალგორითმებს ადგენენ, განტოლებებს ხსნიან და რისთვის აწვალებენ ამ ხალხს, მოსახლეობის „საუკეთესო“ ნაწილი აზრზე არ არის.

7150. უნივერსიტეტები, უპირველესად, პიროვნებებს უნდა ზრდიდნენ და შემდგომ – მცოდნე და განათლებულ ხალხს.

7151. ნიჭსა და განათლებას შორის ის სხვაობაა, რომ პირველი სიახლის შექმნას ცდილობს, მეორე იძულებულია საქმის საკეთებლად იღვაწოს.

7152. ენათმეცნიერება სპეციფიკურ ნიჭსა და განათლებას მოითხოვს და საბუნებისმეტყველო მეცნიერებასთან საქმე არა აქვს.

7153. სამყაროს და ევოლუციური პროცესების შეცნობის საზღვარი ადამიანისთვის არ არსებობს.

7154. ყველაზე ძნელი მეცნიერება ბედნიერების ძებნაა, ხოლო ყველაზე ძნელი პროფესია – მიღწეულის შენარჩუნება.

7155. ფილოსოფიას უმთავრესად აინტერესებს მომხდარი ამბის შინაარსი და არა – პროცესი და მათში მონაწილეთა ვინაობა, რადგან მისთვის მთავარია ჭეშმარიტებისთვის საფუძვლის ჩაყრა და არა მისი შენება და დიზაინი.

7156. თეორიას ის უპირატესობა აქვს, რომ პრაქტიკას საშუალებას არ აძლევს უკანმოუხედავად იფანტაზიოროს.

7157. მეცნიერებაში შეცდომის გამოსწორებელი ალიბი ახალი თეორემაა.

7158. ყველა ტექნოლოგია ქიმიის და ფიზიკის შვილია, ხოლო ბიოლოგია – მათემატიკის შვილიშვილი.

7159. არის საქმე, რომელსაც მე ვერ გავაკეთებ და არც ახლო გავეკარები და ესეც მეცნიერებისადმი პატიოსანი დამოკიდებულებაა.

7160. მეცნიერსა და ჯარისკაცს შორის ის მსგავსებაა, რომ სამშობ-ლოს უსაფრთხოებას ემსახურებიან: ერთი სიახლის წარმოჩენით მეორე – ავტომატით ხელში.

7161. სამეცნიერო კოლექტივი მაღალი ძაბვის დენზედ ჩართული გონიერების საწყისია შედეგის გათვითცნობიერებით.

7162. მეცნიერის ნააზრევი არასოდეს არ კვდება, რადგან, ადრე თუ გვიან, სანთელ-საკმეველს ნახავს ჩვენს ცნობიერებაში.

7163. მეცნიერის იარაღი წიგნი, აზროვნება და ინტერნეტით დაკ-ვალიანებული ფანტაზიაა.

7164. ცნობისმოყვარეობა ის ცოდვაა, რომელზე ყველა მეცნიერი სიამოვნებით ხელს მოაწერდა, ჯოჯიოხეთში წასვლამდე.

7165. მეცნიერი იმ კატეგორიის წამებულთ მიეკუთვნება, რომებიც დროს სიამოვნებით კლავენ ამ წამებაში.

7166. მეცნიერებისთვის ფაქტი არაფერს ნიშნავს, თუ მის გონებაში აზრი დაფეხმძიმებული არ არის.

7167. ფილოსოფია მოწოდებულია ყველას და ყველაფერს პასუხი გასცეს, იმისად მიუხედავად ერკვევა საკითხის პრაქტიკაში თუ არა.

7168. მეცნიერება მომხიბვლელი, ამაყი, დაუდგრომელი ბავშვია, რომლითაც ყველა უნდა ამაყობდეს, შეჰხაროდეს შურის გარეშე.

7169. აზროვნების დაბერების, დამყაყების, უფლებას ფილოსოფიაც იძლევა, ოღონდ თავის გადასახედიდან.

7170. ყველაზე დიდი ბიზნესი მეცნიერების ნააზრევ-ნაჯაფია, ამის გაგება ბევრს ხელს არ აძლევს, შემართების მობილიზებაა საჭირო.

7171. პროგრესის წინ სირბილი, თავისებური სასწაულია, რომე-ლიც დღეს რატომღაც არავის აკვირვებს.

7172. ფილოსოფიაში გარკვეულ ნაკლს დადებითი მხარეც აქვს, რადგან პროგრესთან შესაჯერებლად აუცილებელია.

7173. ყველა აღმოჩენა-გამოგონება პარადოქსზე და აზროვნების გათავხედებაზეა აგებული.

7174. პროცესი თუ შედეგი, ორივე ყოფითი მეცნიერებაა თავისი გენის და ჭკუის გადასახედიდან.

7175. დილიტანტსაც შეუძლია შემთხვევითი აღმოჩენისათვის ხელის წამოკვრა, სხვის საქმეში, თუ თავის სპეციალობაში ძლიერია და ბუნე-ბით შემოქმედია.

7176. მეცნიერები ორ კატეგორიად იყოფიან: ერთს კლასიკური ცოდნა აქვს და ბეღელივით ყველაფერს თავში ინახავს, მეორე შემოქმედია, ფუნდამენტურ ცოდნას არას დაგიდევთ, სიახლის გენერატორია და მუდამ ამ მიმართულებით დანერგვა-წარმოჩენას ცდილობს.

7177. მეცნიერების წინსვლას, საკუთარი ინტუიციის პარამეტრების შეცნობა სჭირდება, რადგან ტექნიკური პროგრესის წინსვლისთვის მარტო ცოდნის დაგროვება არ კმარა.

7178. გამოგონებასა და აღმოჩენას შორის ის სხვაობაა, რომ გონებისთვის პირველი თავიდანვე მისაღებია, ხოლო მეორე – მიუღებელი და დღემდე საკამათო.

7179. ფილოსოფოსის ცხოვრება ყოველთვის აუწყობელია, რადგან მისი თანამედროვეთ იშვიათად ესმით.

7180. ფილოსოფია აზროვნების ის ნაგლეჯია, რომელიც პრაქტიკაში შეიძლება გამოვიყენოთ, თუ ანალიზს და მოხერხებულობას მოვუხმობთ.

7181. მეცნიერება არსებული კანონების დარღვევისა და ყოფის გადაფასების მცდელობაა, ახლის შეცვლა-დამკვიდრებით, გარკვეულ დრომდე.

7182. მეცნიერება, შემოქმედება, სასარგებლო საქმის კეთება – გასამრჯელოსთვის თუ საკუთარი სიამოვნებისთვის – მათ შორის დიდი სხვაობა არ არის თუ საფარელ საქმეს მიაგენი.

7183. ტექნიკის პროგრესს არაოდინალური და დარეხვილი გონება ქმნის, რომელიც თავის ნახელავით იშვიათად სარგებლობს.

7184. საგანგაშოა, როდესაც მეცნიერებას განგება არ წყალობს, ბუნება დაჯიქებულია და არ სურს თავისი საიდუმლოს და დღევანდელი კაპრიზის გამხელა.

7185. არის კამათი, მოქიშპეთა შერკინება, სადაც მეცნიერული დოგმების მოშველიება და ჭეშმარიტების პირში მიხლა სიბრიყვეა, აქ ისევ ორაზროვნებამ და ენამახვილობამ უნდა ივაჟკაცოს და მოწინააღმედგეთა დაშოშმინებით, მათთან მორიგეობით, გამარჯვება იზეიმოს.

7186. მეცნიერება, ხელოვნება ძვირადღირებული აზრების აღმოჩენა და ახლის ძიებაა, რომელიც ზოგჯერ შემოქმედის გვირგვინია.

7187. ხანდახან მეცნიერისთვის სალაღობოდ სისულელის ყიდვა-გაყიდვას მეტი შემოსავალი მოაქვს, ვიდრე მის სერიოზულ ნაღვაწს, რადგან ფული ბრბოსგან შემოდის და არა – გონიერი ხალხისგან.

7188. ,,მუშმაულას'' ყვავილობა ბუნების ყველა კანონს ეწინააღმდეგება, რადგან შემოდგომა-ზამთარში ყვავილობს და გაზაფხულზე ნაყოფს იძლევა. განგების ეს ,,წახულიგნება მთელ ჩვენს ცოდნას ბიოლოგიაში თავდაყირა აყენებს.''

7189. წვრილმანებში იბადება ის ეშმაკო, რომლის აღმოჩენას და გათავისებას მეცნიერება წლებს ანდომებს.

7190. აბსურდების და „გაფრენის“ გარეშე ადამიანი ვერავითარ სიახლეს და სახეიროს ვერ შექმნიდა.

7191. შემკვეთი მეცნიერი შემსრულებელზე მაღლა ვერასოდეს დადგება, მიუხედავად იმისა, რომ სიახლის განხორციელება მასთან ხელშეკრულების დადებაზეა დამოკიდებული.

7192. ატომის გახლეჩა კი არ იყო ცოდვა, არამედ ამ აღმოჩენისაგან ბომბის მიღების პერსპექტივა, მაგრამ მეცნიერიც ადამიანია და მას საინტერესო და რეალური კვლევის გარეშე ცხოვრება არ შეუძლია.

7193. მათემატიკა მტრულად არის განწყობილი ადამიანის მიმართ, რადგან სადაც ციფრები და თეორიებებია, იქ ჰარმონიის და მჯობნის-მჯობნის დადგენა შეუძლებელია.

7194. ზუსტი მეცნიერებისათვის ზნეობის მაღალი ზღვარი არ არსებობს, მაგრამ ის ვერც გამცემლობას, სიმხდალეს იტანს.

7195. მეცნიერება დაფიქრება, შემართება, მოწოდებაა, ხოლო თუ მას ერუდიციაც ემატება და ახლის შექმნის სურვილიც, ეს უკვე ნათლობაა ცოდნის დაგროვების, აღმოჩენა-აღიარების.

7196. თეორიული მტკიცებულებანი ყოველთვის პრაქტიკულად არ დასტურდება, მაგრამ შეუძლებელია, რომ დროთა განმავლობაში მის განხორციელებაზე ადამიანმა არ იფიქროს.

7197. მეცნიერთა საყოველთაო ნაღვაწი სამყაროს საკუთრებაა, მაგრამ მათი რჩენა რატომღაც ცალკეულ სტრუქტურებს, ქვეყნებს, უწევთ.

7198. ცოდნა ყოველთვის დიდი განძია, იმის მიუხედავად, დრო და შემთხვევა უთანაგრძნობს თუ არა.

7199. ფილოსოფოსი სამყაროს და ადამიანის ურთიერთობას მრავალ რაკურსში ხედავს და ამიტომაცაა მისი ტვინი კვლევის ლამპარი.

7200. ნიჭი და დაკვირვების უნარი ის ფენომენია, რომელსაც სარგებლობის ნახვა ყოველთვის, ყველგან და ყველაფერში შეუძლია.

7201. ნიჭთან ურთიერთობას ყველაზე უკეთ მათემატიკა ახერხებს, იმის მიუხედავად, რომ მისი წარმომავლობის გარკვევა, მეცნიერებას ჯერ არ შესწევს.

7202. ძირითადი მეცნიერება სწავლობს იმას, რაც სამყარომ შექმნა, ხოლო ჰუმანიტარები და ხელოვანები, რაც ადამიანმა თავისი ნიჭით, მცდელობით, შემოგვთავაზა.

7203. ფილოსოფია მოგვაგონებს იმ საღეჭ რეზინას, რომელსაც ვცოხნით მონელების გარეშე, სანამ სხვა ახლის ღეჭვას დავიწყებთ.

7204. მეცნიერების წინსვლასაც დაძაბულობა, ურთიერთდაპირისპირება, შეჯიბრი სჭირდება.

7205. საბუნებისმეტყველო მეცნიერებას ტვინგადაბრუნებული ხალხი სჭირდება და ტაშის დამკვრელი გონებაგამონათებული სწავლულები.

7206. მეცნიერება ახლის ძიება – შექმნაა და არა – წიგნისჭიობა და წიგნისჭირობა.

7207. მეცნიერი შინაგანად თუ მეამბოხე არ არის, კაპიკია მისი ფასი, რადგან ხეირიანად ვერც ძველს აანალიზებს და ვერც ახალს ქმნის.

7208. პოლიტიკასა და მეცნიერებას შორის ის მსგავსებაა, რომ პირველი ქვეყნის მოსახლეობის ბედს წყვეტს, ხოლო მეორე სიახლეს ჭედს და პროგრესისაკენ მიმავალი ჩარხს წაღმა – უკუღმა ატრიალებს.

7209. მეცნიერება ამაყობს გამოქვეყნებული ნაშრომით, მაგრამ ნაკ-ლებად საუბრობს მისი შექმნის პროცესზე, რადგან ამის ღირსად მათ არ თვლის.

7210. მეცნიერება ის „რეკეტია", რომლის დაფინანსება კაცობრიო-ბამ თავზე უნდა აიღოს, რათა კვლევის რუდუნიზმში მარგალიტი მოიძიოს და წარმოაჩინოს.

7211. მეცნიერების ხარისხის განზომილებას, ბიბლიომეტრიას, პრეს-ტიჟულ გამოცემებში ციტირების ოდენობა, განსაზღვრავს.

7212. მათემატიკა უდიდესი მეცნიერებაა, მის წინაშე ქედი თუ არა, თითი მაინც უნდა მოვხაროთ, რადგან ციფრების რეალობას მხარში ამოდგომა სჭირდება, თუკი მისი სასიკეთოდ გამოყენება გვინდა.

7213. რაც ფესვების გარეშე აღმოცენდება, მასზე დროის და იმედის დაკარგვა არ ღირს.

7214. მეცნიერება ხელს უწყობს აჩქარებას, რაც სიახლის ვადამდე შეცნობაში გამოიხატება. ეს კი, ევოლუციის კანონის თანახმად, ჩვენი იმქვეყნად წასვლის შემდგომ უნდა მომხდარიყო.

7215. სწავლისა და მეცნიერებისკენ მიდრეკილება ყველაზე დიდი სარწმუნოებაა, რომლის მიღწევების გათავისებას ხალხი უნდა ისწრა-ფოდეს და ზურგსაც უმაგრებდეს.

7216. მეცნიერება სულიერად შეურყნელი დარგია, თუ მას ხორ-ციელი უგუნურნი ხელს არ წაავლებენ.

7217. ტალანტი ის სულით მეცნიერია, რომელიც რაღაცაშია დარ-წმუნებული და ჩვენს დარწმუნებასაც ცდილობს.

7218. კვლევა–ძიების ჭიის თავში შეჯდომა და აღტკინება განგების ძალას, რწმენას და ინტუიციის მადლს მოითხოვს.

7219. გამარჯვების წინაშე ირონიაც თავდახრილია და დაცინვაც, ამიტომ რაიმე ახლის ძიებაზე ხელი არაფერმა არ უნდა აგვაღებინოს.

7220. რადგანაც ცნობისმოყვარეობა ცოდვად ითვლება და ეშმაკიც ამაში ხელს უწყობს, ირკვევა, რომ მეცნიერებაც ცოდვილთა პროფე-სიაა – სარწმუნოების გადასახედიდან.

7221. სანამ მეცნიერი თავის ნაღვაწ-ნაცოდვილარს მრავალჯერ არ გადაამოწმებს, მანამ ახლის ძიებას არ შეუდგება.

7222. მრავალმხრივ განვითარებული ადამიანი, მეცნიერისაგან განსხვავებით, ტექნიკური პროგრესისთვის ნანატრია.

7223. ყველა აღმოჩენა იწყება უნდობლობით, აღფრთოვანებით, შურით და დროებითი სიძნელეების გადავიწყებით.

7224. ბევრმა დიდმა მეცნიერმა, სიცოცხლის შეცნობის მცდელობის შემდეგ, თავი არარაობად შეიგრძნო და გამოსავალი ღმერთის შეცნობაში ნახა.

7225. დღეს ყველასთვის სანატრელი 100 წელი, ხვალ საშუალო ასაკად იქცევა, ასე, რომ მთავარია მეცნიერების რა მიღწევების ეპოქაში ცხოვრობ და სამყაროს რომელ მონაკვეთში იბადები.

7226. ერთი საუკუნის წინათ ბევრი დღევანდელი მიღწევა მეცნიერებაში უტოპიად მოეჩვენებოდათ, ამიტომაცაა, რომ მომდევნო უტოპიების განსჯა და დადგენა ყველა აწმყოს უძნელდება.

7227. მეცნიერება თავისი ჭუჭრუტანიდან ხედავს იმას, რაც სხვას აზრადაც არ მოსდის.

7228. ფილოსოფია საჭირო მოძღვრებაა, იმის მიუხედავად, რომ მისი ცოდნა ადამიანს მატერიალურად საჭირო სასუსნავს ვერ აძლევს.

7229. ოცნების, გონიერების და უკმაყოფილების ჯამის გამოხატვის მცდელობა ფილოსოფიაა.

7230. კონკურენცია და კრიზისი მეცნიერული ძრავის საწვავია, იმ სხვაობით, რომ ერთ შემთხვევაში კარგად აფინანსებენ, მეორეში – ძალზე ცუდად.

7231. ფანტასტიკას ბევრი საერთო აქვს მეცნიერებასთან, მაგრამ მის პრაქტიკასთან დაბალანსებას დრო სჭირდება.

7232. მეცნიერების განვითარებას ზოგჯერ ხელს უწყობს აკრძალვები, რომელთან შეჭიდების შედეგად ადგენს აღიარებული ფორმულებს.

7233. მათემატიკა თვითმყოფადობის ეროტიკაა, ალგორითმის ინტუიციით, წინასწარმეტყველობის უნარით, წარსულის კულტურის ნაღვაწს წარმოჩენით.

7234. არითმეტიკამ არ იცის შეცოდება, მაგრამ ნიჭს და შემთხვევას ემორჩილება.

7235. მეცნიერება და ოცნება განუყრელია, რეალობასთან შეჭიდების ხარჯზე.

7236. საოცარია მეცნიერების ბედი, წინათ თუ ის სარწმუნოების სახლებში ვითარდებოდა, ახლა მას სწორედ ეს სახლები ებრძვიან.

7237. ფილოსოფია იმის ცოდნაცაა, რაც არავის სჭირდება და მისი გაგება არ ძალუძთ.

7238. დილეტანტთან საუბარი ზოგჯერ იმიტომ იძლევა მეტს, რომ სწავლულივით მას თავისი იდეების მოპარვის და გასხვისების არ ეშინია.

7239. მეცნიერისთვის ფულს იმდენად დიდი მნიშვნელობა არ აქვს, როგორც მის არქონას.

7240. სისულელესა და სიჭკვიანეს შორის მანძილი არც თუ ისე დიდია, რადგან დღეს რაც სიბრიყვედ გვეჩვენება, ხვალ ის შეიძლება გონიერების განსახიერება გახდეს.

7241. ცოდნა ფასდება საქმეში მისი სარფიანი გამოყენებით და არა – მისი ოდენობით გამოწვეული ემოციებით.

7242. ქალთან მეცნიერებაზე საუბარი ემოციებს გვიფართოებს, გონიერებას წიხლს ვაჭერთ და ხშირად ისეთი სიახლე გამოტყვრება, რაზეც ადრე არ გვიფიქრია და გვიოცნებია.

7243. უმოქმედოდ დარჩენილი ტვინის უჯრედები დროგამოშვებით შეძახებას, დაჭიტლაყბას, მოითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში, გადაგვარდება, გაქრება.

7244. თუ განათლებამ, ერუდიციამ, წინასწარ იცის რისი გაკეთებაც არ შეიძლება, მისი ადგილი მეცნიერებაში უმნიშვნელოა.

7245. გამოძიება უფრო ხელოვნებაა, ვიდრე მეცნიერება, რადგან პირველი მიზეზებს იძიებს, ვნების გამოცნობას ცდილობს, ხოლო მეორე ადამიანის ფანტაზიას ეჭიდავება და მის გადმოცემას ახერხებს.

7246. მეცნიერებას ყოველთვის აქვს მოლოდინი ზეციური სტუმრებთან შემთხვევასთან, გონის განათებისა, რომელიც როდის და სად ესტუმრება, თავად არ უწყის.

7247. მეცნიერება განსაკუთრებული სამყაროა, რომელიც მთელ თავის მცდელობას გარემოს შეცნობას ახმარს.

7248. ძალზე პრაქტიკული და საყოველთაო გამოგონება აღმოჩენასთან ვერ მივა, რადგან ეს უკანასკნელი „კოსმოსში“ სახეტიალო მეცნიერებაა და მიწიერებასთან შეხებას დაგვიანებით ახერხებს.

7249. მეცნიერება იმით არის საოცარი, რომ ბუნებასთან ჭიდილი მოულოდნელ სიამოვნებას გგვრის და უდიდეს შინაგან სიამეს განიჭებს.

7250. სანამდის ამდენი ვარსკვლავია ამოსაცნობი სამყაროში, ასტრონომიას როგორც მეცნიერებას სიკვდილი არ უწერია. არის პროფესიები, რომლებიც სასწაულის მოხდენას ელოდება ტექნოლოგიებში და თუ ეს შემთხვევით მოხდა ეს არავის აკვირვებს.

7251. დიდებული მეცნიერებაა მათემატიკა, რომელიც უმრავლესობას არ ესმის, მაგრამ მისდამი პატივისცემით, მოკრძალებით იმსჭვალებიან.

7252. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებთან შედარებით ჰუმანიტარული მეცნიერება ცნობიერების კორდებალეტია, რომელიც თავის წარმოჩენას ყოველნაირად ცდილობს, იმისდამიუხედავად რომ მეცნიერების სოლისტი ცნობილია.

7253. ფუნდამენტური კვლევის შედეგი, რომელიც ავტორსაც ბოლომდე არ ესმის, გენიალურია.

7254. განათლებასა და ცოდნას შორის ის სხვაობაა, რომ პირველს კითხვით ეუფლებიან, მეორეს შინაგანი ინტუიციის დახმარებითაც, რომელშიც ნიჭიც იგულისხმება.

7255. საქმის სასარგებლოდ, ადამიანის კლასიკური განათლებას ისევ მისი თანდაყოლილი ნიჭი და გონიერება სჯობს.

7256. ყველა მომდევნო საუკუნე გამოგონებებისათვის არის განწირული, ცივილიზაცია რაც უნდა მაღალ საფეხურზე დადგეს.

7257. საყოველთაო ჭეშმარიტებას მეცნიერების მტკიცება არ უნდა სჭირდებოდეს, მას შინაგანად უნდა გრძნობდე და გონიერება მის ტალღაზე უნდა ეწყობოდეს.

7258. კარგ განწყობაზე ყოფნის ცოდნა პოლიტოლოგის ყველაზე დიდი კულტურაა.

7259. პროფესორობა თანამდებობაა ლექციების კითხვით, მეცნიერებათა დოქტორი ცოდნის ხარისხია თანამდებობის გარეშე.

7260. სტატისტიკა ცრუ მეცნიერებად აღიქმება, მაგრამ მის გარეშე საუბრის თემა იკარგება.

7261. სიახლის მაძიებელი, გამომგონებელი, თავისებურად დარეხვილია, ოღონდაც პლუსით.

7262. ნიჭის დანიშნულებაა იდეა აქციოს თაორიად და მას პრაქტიკული გამოსავალი მოუნახოს.

7263. თანამედროვე პროგრესის პირობებში უტოპისტად ყოფნა გაძნელდა, რადგან ამ ბოლო დროს მეცნიერება უტოპისტების მხარეს დგება თავისი აღმოჩენებით.

7264. მეცნიერებისთვის უმთავრესია ფანტაზია, რაც შეეხება შედეგს, ის ფიქრის და ცდების მონაპოვარია.

7265. ექსპერიმენტი შედეგისთვის ტარდება და არა – გართობისათვის, თუმცა მეცნიერება, მომავლის იმედით, არც ამაზე იტყვის უარს.

7266. ფილოსოფია იმით განსხვავდება სხვა მეცნიერებისაგან, რომ გონივრულ ნათქვამს გაიგებ – არ გაიგებ, მაინც ნასიამოვნები რჩები.

7267. მათემატიკა ჯერ ქმნის დარგის მოდელს და შემდგომ კითხულობს.

7268. მეკობრენი და მეცნიერები ერთი მასტის და ავანტურისტული ნიჭისანი არიან, ისინი ბედს, დროს და ოცნების ნაცოხნარს არ ეპუ-ბიან, თავისი მიზნებით, გაგებით და თავის წარმოჩენის ცდით.

7269. ფანტასტიური იდეები მეცნიერების ბერკეტია, რადგან მასზე დაყრდნობით რეალური შედეგების გამოთხრა შეიძლება.

7270. მეცნიერებას მორალთან, დოგმებთან, რწმენასთან, საქმე არ აქვს, მაგრამ მათ ნორმატივებს ყურად უნდა იღებდეს.

7271. გონიერების და ფართომოხმარების უგუნურების გარჩევა თანამედროვეთ უჭირთ, თორემ შედეგის გამოყენებაზე უარს არ ამბო-ბენ.

7272. მეცნიერება მარტო კვლევა არ არის – დარიგებაა, რომელიც ადამიანებს აჯერებს მათი აზროვნების წინააღმდეგობათა საჭიროებაში.

7273. პრაქტიკას ყოველთვის არ შეუძლია თეორიის გადამოწმება, რადგან ჭეშმარიტების დადგენა დროზე, ეკონომიკაზე, ტექნიკურ პროგ-რესზე, საზოგადოების განვითარებაზეა დამყარებული.

7274. მეცნიერული აზროვნება დიდი ,,ოხერი'' რამაა, სულის გონი-ერება მუდამ გალიაში უნდა გვყავდეს გამომწყდეული და ყოველდღი-ურად ამათრახებდე, თუ გინდა მისგან რაიმე სახეირო გამოტყვრეს.

7275. მეცნიერება ორგანიზებული ქაოსია, რომელიც დამუხტულ აზრებს პროგრესისკენ მიათრევს და დროთა ყივილს აზიარებს.

7276. გონიერებას განთავისუფლებული შრომა მოსწონს, ხოლო მეცნიერებას – რეცენზიებით შემოტევაში გამარჯვებული.

7277. მეცნიერები სამ ტიპად იყოფიან, ერთმა იცის რის კეთება არ შეიძლება და სულ ოპონენტის როლშია, მეორემ ყოველთვის არ იცის რის კეთება არ შეიძლება და რაღაცა სიახლე გამოსდის, ხოლო მესამე ღობე-ყორეს ედება და სხვათა დასანახად სულ რაღაცას ჩალიჩობს.

7278. ფსიქოლოგიურ პორტრეტს ადრე ქირომანტები სწავლობ-დნენ, დღეს ეს საქმიანობა მეცნიერულ საწყისზე დერმონოგრატიკას გადაულოცეს, რადგან გონებას სურს ბედს ახსნა-განმარტება მოუძებ-ნოს.

7279. მეცნიერია ის, რომელსაც უტოპიური აზრები მოსდის და მათგან რეალურს და ხელწასავლებს გამოთხრის.

7280. მეცნიერებას მძორად აქცევს გულგრილობა, უგვანობა, უმეც-რება და ამ დანაშაულისთვის პასუხისგება არავის უნდა.

7281. პოეზიის შემდგომ მოდის მეცნიერება, რომლის გარეშე გე-ნიალობას გონება არ უნათდება და სული არ უყვის.

მოდა

7282. მოდა გვაიძულებს შევამჩნიოთ, შევხედოთ, გავითავისოთ, მაგრამ სამუდამოდ შესაფვარებლად არ გამოდგება, რადგან დროთა განმავლობაში მოძველდება და მისი კეკლუცობაც ჭირს მოგვჭამს.

7283. ფელა თანდაყოლილი ფიზიკური ნაკლის მოცილებას ფიქრობს, ხოლო შეძენილი უყურადღებობით რჩებათ, რადგან მოდაშია.

7284. მოდაშია ის, რის ტარებაც გსიამოვნებს და ტანზე მორგებული გაქვს.

7285. უნიჭობას წვრთნა რფნის, ხოლო მოდას აყოლა მასხარას ამსგავსებს.

7286. ტანსაცმელი დღეს ადამიანის შესაფუთი მატერიაა და არა – მოდა, რომელმაც სილამაზე უნდა წარმოაჩინოს და ნაკლი უნდა გააბითუროს.

7287. პატრიოტიზმისგან განსხვავებით, ვინც ნაციონალიზმის საბურველში ეხვევა და ამ მოდას აფვება, მისდაუნებლიედ საკუთარი ქვეყნის ძლიერებას საფუძველს უთხრის მიუხედავად ისტორიის გაკვეთილებისა, ამას ვერ გრძნობს და დაჯერებაც არ უნდა.

7288. შესახედაობა-შეუხედაობა დროის და მოდის ყვილია, თუ აშკარად თვალშესავლები და უეჭველი არ არის.

7289. მოდა არც ვისმეს მოთხოვნას ემორჩილება და არც – კანონს, მისთვის მთავარია დრო და გარემო მას რა სახის რეკლამას უკეთებს.

7290. ცუდი ამინდი არ არსებობს, უბრალოდ, შესატფისი ტანსაცმლის შერჩევა და მოდაზე მორგება გვიჭირს.

7291. ფელა ქალის კოსმეტიკური აზროვნების საჩუქარია მისითვის სასურველი მოდის დროდადრო გადახალისება.

7292. დღევანდელი მოდა „ესემესით“ ჩხუბია და მოლაპარაკებით შერიგებაა.

7293. ბიკინი XX საუკუნის მეორე ნახევრის გადმონაშთია, სტრინგი – XXI საუკუნის დასაწყისის, ხოლო ეს საუკუნე როგორ დაამთავრებს ამ დარგში წინსვლას, გონება, ჯერ-ჯერობით, ვერ წვდება.

7294. მოდურია ის ტანსაცმელი, რომელიც ქალური ღირსების ფელა დეტალს წარმაოჩენს და სულის ნათებას გვაგრძნობინებს.

7295. მოდა ეპოქის სალოცავია და აქ აზროვნება და ჩამოყალიბებული გემოვნება არაფერშუაშია.

7296. ქალის შეფუთვნის საუკეთესო საშუალება მოდაა, ხოლო გახდისა – ტრადიციულად ხვადი.

7297. სტილისგან განსხვავებით, მოდა ზოგჯერ გაუგებარია, ცვალე-ბადიც და თავხედიც.

7298. მოდა ცივილიზაციის შვილია და განვითარების შვილიშვილი. ამიტომაცაა რომ ყველა ყურს უგდებს, ელოლიავება, ეთვისება.

7299. მთავარია, მოდას არ ჩამოვრჩეთ და არა ის, გიხდება თუ არა და სამოსელი რამდენადაა ტანზე მორგებული.

7300. ადამიანის გემოვნება შუამავალია მოდასა და დროს შორის, სადაც ხაზგასმული უნდა იყოს სტილი და ცხოვრების წესი.

7301. მოდა მსხვერპლს კერპების სახით მოითხოვს, სადაც ძველი უნდა წავიდეს და ახალმა მოსვლა უნდა იზეიმოს, სანამ ძველი დროთა განმავლობაში რეკონსტრუქციას ჩაიტარებს და ახლებურად მოგვევ-ლინება.

7302. მოდელი, მანეკენი, მოდის მონა, ერთმანეთისგან უნდა განვას-ხვავოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქალის სიახლით „შეფუთვნის“ იე-რარქია აზრს დაკარგავს.

7303. მოდა შეგნების მასობრივი დაგეგმვაა – დანერგვაა, რომელ-საც ადამიანური სისუსტე ვერსად გაექცევა.

7304. მოდა ის კერპია, რომელსაც ხშირად ტარდიციებს, გონიერე-ბას, მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც ანაცვალებენ.

7305. ზოგჯერ სიფარული, სიცილი, შეცდომების დაშვებაც მოდა ხდება და ამ მოვლენას არც ცენზი შველის და არც – ტრადიციები.

7306. „რა ჩავიცვათ“? „რომელი ჩავიცვათ“? ამ კითხვებს შორის დიდი სხვაობაა, მაგრამ მოდაზე გადაყოლა პრობლემას ვერ ხსნის.

7307. მოდა საკუთარ სხეულზე ზრუნვა, მასზე ტანსაცმლის მორგე-ბა და თავის წარმოჩენა და მეტი არაფერი.

7308. მოდას აყოლილი ხელოვნება განწირულია თავის მრწამსით და სიცოცხლის ხანმოკლეობით.

7309. ჭორაობა, ტანსაცმელის ხშირი ცვლა, პერსინგი, საფარლების ყოლაც კი მოდაა და დროის ყივილი, რადგან ადამიანებს შორის წამხედურობას, უგნურებას, ბრბოს სინდრომს, ვერავითარი გონიერება წინ ვერ აღუდგება.

7310. მოდაში ქალი საკუთარ თავს ეძებს და ცდილობს დაადგინოს, დედოფალია თუ ანგელოზი, რათა მამრთან შეხვედრისას ამის გადა-მოწმების საშუალება ჰქონდეს.

7311. ორშაბათიდან გონიერები ვართ და ახალ ცხოვრებას ვიწყ-ებთ, მაგრამ ლამაზად და მოდაზე ჩაცმულები ყოველდღე გვინდა ვი-ყოთ.

7312. სასწაულის რწმენა ადამიანს აიძულებს დაივიწყოს ჭეშმარიტება, სამართლიანი აზრები და იმ მოდას გამოეკიდოს, რომელიც დრომ მის გარეშე შექმნა.

7313. ძუძუმტეობა და მისი მადლი მოდიდან გადის, რადგან ტრადიციების საწინააღმდეგოდ ამას ხელოვნური კვება ასრულებს.

7314. მოდაზე აყოლა-გადაყოლა ადამიანის გენეტიკური წუნია, რომლის გარეშეც მას ამქვეყნად ყოფნა გაუჭირდება.

7315. წინათ დუელი იყო მოდაში და ერთ-ერთი მსხვერპლად ეწირებოდა, დღეს ,,შახიდობა'' დაინერგა და რამდენს იმსხვერპლებს, უცნობია.

7316. მოდის უკანასკნელი ისტერია ქალებს დროებით გონებას ურევს და სიახლის დნახვისას ქრონიკულად აავადებს.

7317. მოდაზე მეტყველებას, როგორც თავად მოდას, დიდი ხნის სიცოცხლე არ უწერია და დროთა განმავლობაში ჭირს მოგვჭამს, გაქრება.

7318. სიბრიყვეც მოდაზე უნდა ჩაიდინო, თუ გინდა ცნობილი და შესამჩნევი გახდე.

7319. ჩვენ სხვათაგან განსხვავებული ცხოვრება შეგვიძლია, მაგრამ მოდას არ ავყვეთ, არ ძალგვიძს.

7320. მოდის სიახლე არ კვდება, ის ნაადრევად მიდის და ახლებური შემართებით შეფუთულ-შეკაზმული მოულოდნელად ბრუნდება.

7321. წიგნების და ინფორმაციის აუცილებლობა მანამ იქნება მოდაში, სანამ ოჯახის გარდერობში საწერი მაგიდა და კარადა შედის.

7322. მოდის გაგება შეუძლებელია, მისი აგრესია მისაღებია, დანებება აუცილებელია.

7323. მატერიალიზებულ დიზაინს უამრავი მოდას აყოლილი ჰყავს, რომლებიც მასში კომფორტს კი არა, არამედ პრესტიჟს ეძებენ.

7324. მოდაზე გაშიშვლებულ ქალსა და გახდილს შორის ისეთივე სხვაობაა როგორც პირველყოფილ გატიტვლებულსა და ჩაუცმელს შორის, ერთის პირობით ვის რა უხდება ან რას უხდიან.

7325. შექმნა სახე სხვის დასანახად, საჭიროა მოდისთვის, პიარისთვის, იმისდამიუხედავად, რომ ადამიანი ბუნებას იშვიათად იცვლის, ქცევა-ქმედებისაგან განსხვავებით.

7326. მოდა საბოლოოდ აშორებს და აახლოებს ადამიანებს, რადგან ხშირად მოდაზე ჩაცმა განსაზღვრავს საზოგადოებაში ჩვენს ადგილს და არა ჭკუა-გონება, რადგან მის შეცნობას საერთო ინტერესების გამონახვა, ცოდნა და ურთიერთგაგება, სჭირდება.

7327. მოდას თავისებური მონოპოლია აქვს იმ ხალხზე, რომლებსაც რეკლამა აიძულებს, აქეზებს რომ რაიმე ვიყიდოთ.

7328. მოდა თავისებური დღესასწაულია, გრძნობებზე ვარჯიშია, სიამოვნებაა, სისუსტეა, ღრმად ინდივიდუალურია, თავისუფალია, თავისებური პროტესტია, ურთიერთობა, გამორჩევის მცდელობა, ტენდენცია, გამოწვევა და თავისებური თამაშია, გარდასახვა სულის, გონების, სიამაყის, იმ ასაკის და დროის გაგებისა, სადაც ცხოვრობ და ოცნებობთ.

7329. მოდის გადამეტებით მიმდევარნი ნდობას არ იმსახურებენ, პირიქით, მათზე ყურადღებას ამახვილებენ და კრიტიკას იმსახურებენ.

7330. სიახლის შექმნაზე გაწეული ხარჯი და მოდა ერთმანეთს არ ესატყვისება, რადგან ეს უკანასკნელი მუდამ მოგებასა და „ბანქოს პაჭკაშია“.

7331. მამაკაცის ღირსება მისი ცოლის გარეგნობით და ხასიათით ფასდება და არა – მოდურად ჩაცმით.

7332. წინათ ტანის სიტიტვლე სიღარიბის მაჩვენებელი იყო, დღეს მოდაზე ჩაცმის მაჩვენებელია.

7333. დედაქალაქში ძაღლიც ამაყად, ლამაზად ამაღლებულად გამოიყურება და ყფაც მოდაზე დაყენებული აქვს.

7334. ვიგინდარა მოდაა, სხეულის ტატუირება, სულის თავისებური დადაღვა, თავის წარმოსაჩენად კეთდება და არა პირადი სიამოვნებისათვის, რადგან მოდის გადავარდნის შემდგომ მისგან განთავისუფლდება და ტყავის გამოცვლა ძნელია.

7335. საოცარია მოდის კაპრიზი, როდესაც არაბეთში ჭიპგამოსაჩენი კაბებით სიარულს დაიწყებენ, ალბათ, საფრანგეთში თავს ჩადრის ტარებით მოიწონებენ.

7336. ნაკლის შემჩნევა საკუთარ თავში ბედნიერებაა, რადგან ნაკლის წარმოჩენასაც თავის დიზაინი, შეფუთვა, სჭირდება, რათა ის თუ მოდაში შემოვა, მიუღებელიც არ გახდება.

7337. თუ სხვას არ ვნებ, რის კეთებასაც გული გთხოვ, ყოველივე აშკარად და უკანმოუხედავად უნდა აკეთო, რადგან ცხოვრება ერთია, გარემო ცვალებადია, დრო დაუნდობელია, ხოლო ყოფის მოდა რა სიახლეს შემოგთავაზებს, აგიყოლიებს, არავინ უწყის.

7338. "მოდური ნაკლიც" არსებობს, რომლითაც ამაყობენ, თავი მოაქვთ, რათა მოდას აქაც არ ჩამორჩნენ.

ნაუცგათევი აზრები

7339. სული ის არის, რომელსაც აფექტში ყველაფერი სტკივა, ხოლო სინამდვილეში ჯანმრთელია.

7340. პიროვნების ჩამოსაყალიბებლად მთავარია აზროვნების სწავ-ლება და არა მისი აღზრდა.

7341. ტვინი მხოლოდ დღევანდელობის პრობლემებს უმკლავდება, ხოლო მომავლისას ოცნებით ეჭიდება და ერევა.

7342. ტრაგედია ის კი არ არის, რომ ცუდად ვცხოვრობთ, არამედ ის რომ ყოველივეს სხვისი თვალით გულგრილად ვუყურებთ და მის შესაცვლელად არაფერს ვღონობთ.

7343. იაფი და მორგებული ტანსაცმელი დაუნანებლად და სიამოვ-ნებით მოიხმარება.

7344. პოეზია ჩვენი გრძნობების აკვანია და სულის არტახების მოშვება.

7345. მესაფლავეს რომ მიცვალებული დასამარხად დაენანება, ის, ჩვენდა შეუმჩნევლად, პიროვნება ყოფილა.

7346. არის ბუნებრივი და შეძენილი ინტელექტი, პირველი თავის გაფეტიშებას ცდილობს, მეორე – ადამიანის აღზრდას.

7347. ჯერ-ჯერობით, სირცხვილის ლაკმუსად სახის აწითლება რჩება.

7348. სამწუხაროდ ჯერ არ შეუქმნიათ ისეთი ბანკი, რომელსაც სიცილს კრედიტით გასცემდა ყოველგვარი გარანტიის გარეშე.

7349. "რაგბი ხულიგნების თამაშია, მაგრამ მას ჯენტლმენები თამა-შობენ". ასევე, საქმიანობაშიც მთავარი სამუშაო კი არ არის, მთავარია ვინ მოჰკიდა ხელი, რომ პროფესია პერსპექტიულ და მომგებიან საქმედ აქციოს.

7350. კომპიუტერი მაშინ შეცდება, როდესაც პროგრამასაც თავად დაწერს და თვითონვე შეადგენს.

7351. გრძნობების ნოტები შვიდი სიმისაგან შედგება, ხოლო სიფა-რულის ანბანი ოცდამეცამეტე ასოსაგან.

7352. ასაკში ძველი გრძნობები ახალი ვნებით აგვაგზნებს, მაგრამ შესაძლებლობები შემოგვრჩა მწირი და წლების მატების მუხანათობას ემორჩილება.

7353. საჭოჭმანო საკითხის განხილვას ირონიით უნდა მიუდგეთ, მაგრამ ნერვიულობა არ უნდა შეგვეტყოს.

7354. ჩვენ იმიტომ ვჩნდებით ამქვეყნად, რომ შეცდომები დავუშვათ და სისულელეების ჩადენას ვერიდოთ.

7355. ცივილიზაციას ხანდახან უნდა ჩამოშორდე, რომ მისი ფასი და დროის ყივილი შეიცნო.

7356. ზოგჯერ სახეს ინტელექტიც ამახინჯებს, თუ ბუნებრივად არ გამოიყენება.

7357. იუმორის გრძნობა მთელი სიცოცხლე თან უნდა გვახლდეს, თუ გვინდა ცხოვრება ჩვენს გემოზე ვათოხარიკოთ.

7358. არის ლამაზი წმინდა გრძნობა, რომელზეც ხელის ფათური კი არა, შეხებაც არ უნდა იკადრო.

7359. ზოგჯერ ოცნებასაც უნდა მოველაპარაკოთ, რათა ცხოვრების გეზი გადამლაშებული მოთხოვნებით არ შეგვეშალოს.

7360. თუ ცხოვრებიდან ნიადაგ საჩუქარს არ ველით, მაშინ ხასიათიც გამოგვისწორდება და წარმატებასაც მივაღწევთ.

7361. სიმართლის ჩახშობას ნუ შევეცდებით, რადგან ადრე თუ გვიან განსჯის და დასჯის საშუალება მიეცემა.

7362. ღარიბებს ჰგონიათ, რომ ისინი გულკეთილები და პატიოსნები არიან, მაგრამ ავიწყდებათ, რომ ქვეყანა და ოჯახი შესანახია და მორალზე ყბედობას და თავის მართლებას უნდა შეეშვან, რადგან ხალხის სასიკეთოდ განწყობას ხელების დაკაპიწება სჭირდება.

7363. გულით შეუძლებელია იმას ახსნა, რასაც ჩვენი ხასიათი ცდილობს და ახერხებს.

7364. ასაკის ყადრის ალგორითმებია: თავისუფლება, კარიერა, ოჯახი, რაც ყველა დროის ბედნიერების ნექტარია, ზოგიერთი ოპონირების შესაბამისად.

7365. ტრფიალი მიდის და მოდის, მაგრამ სიყვარულით შემკული პატივისცემა და მშობლების შეცნობის მადლიერების გრძნობა თანდათან ძლიერდება ასაკის მატებასთან ერთად.

7366. გაბედული გადაწყვეტილება ყველა შემთხვევაში დასაფინანსებელია, რადგან ისტორიაში ან გმირად შევა ან ფერფლად.

7367. პრინციპი დაუნდობელია, რადგან მომავალ ბედნიერებაზე ასკეტურად ფიქრობს.

7368. არავითარი ცოდნა არ იძლევა აბსოლუტურ ძალაუფლებას, რადგან ის უბირია სამყაროს საოცრების წინაშე.

7369. ნიჭი და ხასიათი სინონიმებია, თუ რაიმეს მიღწევა გვინდა.

7370. იღბალი მცდელობით, შეჩვევით, უნდა გავიშინაუროთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ზურგს შეგვაქცევს და აღარ გაგვეკარება.

7371. ტრაგიზმის გარეშე სიცილი ფასს დაკარგავდა.

7372. ადამიანს გაიცნობ საქმეში, ფულში, განსაცდელში, მაგრამ შეიცნობ მაშინ, თუ მას შენ არ ჭირდები.

7373. მცენარეებს თავად გადაადგილება არ შეუძლიათ, მაგრამ ქარის და წყლის შემწეობით მოგზაურობენ, რითაც სამყაროს მრავალ კონტინენტს ალამაზებენ და ამრავალფეროვნებენ.

7374. სამსახურებრივი რომანი მსუბუქ ფლირტს არ უნდა გაცდეს, რაც ხელს უწყობს შემოქმედებით შრომას და ურთიერთ პატივისცემას.

7375. ზოგი გვიან მიდის ამ ქვეყნიდან, მაგრამ მაინც ნაადრევად გვეჩვენება, ზოგიც ადრე მიდის, მაგრამ მის იმქვეყნად მიწვევა მაინც დაგვიანებულია.

7376. დროის ყვილს უნდა ავყვეთ, ოღონდ არც უნდა გამოვეკიდოთ და არც გავუსწროთ.

7377. შორსმჭვრეტელი – ლამაზი სიტყვა ყოველგვარი დაბალანსების გარეშე აღგვაფრთოვანებს, რადგან მასში განგების ნებაცაა ჩადებული.

7378. რწმენა, სიყვარულის გარეშე, ბოროტების ონანიზმია.

7379. დაუნდობელი ამქვეყნად მხოლოდ სტატისტიკაა, რომელსაც ფაქტების გარდა არავითარი შემთხვევითობის მინორი და აუცილებლობის მაჟორი არ აინტერესებს.

7380. ყველას არ აქვს ბედნიერება ბავშვობის ოცნება აღასრულოს, მაგრამ ამას სიცოცხლის ბოლომდის უნდა ეცადოს.

7381. რადგან დედობა განგების ნაბოძებია, ბავშვი სიყვარულის შედეგად უნდა დაიბადოს და არა – ხარჯთაღრიცხვის ნუსხით და ანგარებით.

7382. წყურვილი და შიმშილი შიშზე ძლიერია, მაგრამ არა – რწმენაზე, ოცნებაზე, ნიჭზე.

7383. ცოლის მოყვანა და ბავშვის დაპროექტება მამრზე დამოკიდებული, დიზაინი და გაწვრთნა – მდედრზე, შეცდომა-გაუგებრობა განგების – ნებას და ბედზე.

7384. ემანსიპაცია კაცობრიობის პროგრესია, ფეხის წატეხვის საშიშროებით.

7385. ახლობელს მაშინ უნდა დაეხმარო, როცა რაიმე არ გამოსდის, ისიც შორიდან, ძალდაუტანებლად და ჭკუის დარიგების გარეშე.

7386. ძალა მისთვის ხელმისაწვდომ აღმართს ხნავს და არა – სიმაღლეს.

7387. ისეთი ასაკი, ცხოვრების თავიდან დაწყება ოცნებით მაინც, რომ არ შეიძლებოდეს, არ არსებობს.

7388. ისეთი დანაშაული არ უნდა ჩავიდინოთ, რომ ჩვენი უსაფრთხოება ციხეშიც შეუძლებელი გახდეს.

7389. სიტყვა წყვილად დასმული კამათელივითაა და მასზეა დამოკიდებული რა ეშხით, ორაზროვნების სიბრძნით, გაიჟღერებს ჩვენი გონების ფილტრში და რას დაგვიტოვებს საფიქრებლად.

7390. ყოველთვის იქნება გამარჯვებული და დამარცხებული, მაგრამ უმთავრესია, წაგებული არ დარჩე და რევანშის სურვილი არ დაკარგო.

7391. სიჯიუტე პრინციპულობის მაჩვენებელი არ არის.

7392. რაც შედეგს არ იძლევა არაფერი მომწონს, რადგან დანარჩენი სულის გართობა, უსაქმურობის დამალვა და თავის გასამართლებელი ალიბის ძებნაა.

7393. ყველა პატარას მოუზომელი ზარ-ზეიმი და ამბიციები ახასიათებს, ეს ძაღლია, ქვეყანა, ხალხი თუ ყოვლისშემძლე ბაქტერია.

7394. ყურადღების მისაპყრობად მლიქვნელობა ფულსაც სჯობნის და ავტორიტეტსაც, რადგან მისი ჭიის საკვები ყველას გულში დევს.

7395. ყველა ახლი წელი სიყვარულის, სიკეთის, იმედის წელია, რომელიც განვლილი დროის ვერაგობიდან, უიღბლობიდან, გვათავისუფლებს.

7396. თუ სინდისი სუფთა გაქვს, შინაგანად ბედნიერი ხარ, მაგრამ პრაქტიკულად არა ყოველთვის.

7397. პიროვნება მაშინ ხარ, როდესაც ნამოქმედარზე პასუხს აგებ და არა მაშინ – როდესაც მიაფუჩეჩებ.

7398. სიცოცხლეა ღირსების გარეშე ძნელი და არა – ცხოვრება.

7399. მიმტევებლობა სამაგიეროს გადახდის სურვილს სჯობს, მაგრამ ეს უკანასკნელი ყოველთვის ვერ გამოვა პირველის ხარჯზე.

7400. ბევრი სასწაული ხდება ამქვეყნად, მაგრამ სამწუხაროდ, მათ ზოგჯერ ამოხსნასაც უძებნიან.

7401. ღირსებას ფლობენ, საჩუქარს იმსახურებენ. პირველს მადლის შეცნობა სჭირდება, მეორეს გათავისება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ორივეს ფასი დაკარგული აქვს.

7402. ქვეყნის ჯარისკაცობა განგების ნებაა და არა შემთხვევა – ბედისა.

7403. კეთილშობილება ზოგჯერ უმადურობას და დაუფასებლობას ხვდება, რადგან მან ამჯერად თავის მოპაექრეზე მაღლა დგომა არ იკადრა.

7404. მოთმინების სწავლა შეიძლება, თუ ამის უფლებას ასაკი, ვნება და გარემო გაძლევს.

7405. მთელი ცხოვრება ვიღაცას და რაღაცას ვიცავთ, რათა ჩვენს საჭიროებას, ღირსებას, გამართლება მოვუძებნოთ.

7406. „ალერსით შეჭამა, დაახრჩო“ – ამ სიტყვებში შური, გაოცება, სინანული და იმ ასაკის მოახლოებაა, რომელიც დროთა განმავლობაში მომხიბლავ აწმყოს ფაქტის წინაშე აყენებს.

7407. ყოველივე ღირსშესანიშნავი აწმყოს მაცქერალის და დროის დაღვინების ხელშია და ღირებულებათა ბალანსიც აქედან დგება.

7408. ყველანი ვცდილობთ საკუთარი ვარსკვლავის მონახვა-მოწყეტას, მაგრამ სიმაღლეების დაპყრობის უნარი გვაქვს სხვადასხვა და მოკრძალებული.

7409. ყველაზე უკეთესი შენი სიცოცხლის ის პერიოდია, როდესაც ცდილობ უკეთესი იყო და არ გრცხვენია ისეთი იყო, როგორიც ხარ.

7410. დავიწყება არ შეიძლება იმისა, რასაც შეიგნებ და არა იმისა, რაშიც ერკვევი.

7411. ვინც ამქვეყნად დიდი ოცნებებით მოდის, იმქვეყნად მცირედის აუხდენლად მაინც არ უნდა წავიდეს, თორემ ცოდო-მადლის განკითხვა აზრს კარგავს.

7412. იყო ლამაზი, მიუკარებელი და არავის უნდოდე, თუ იყო შეუხედავი, მიმზიდველი და ყველასთვის სასურველი – საოცარია, მაგრამ ესეც სადაოა და განსჯა-ყბედობას მოითხოვს.

7413. ნიჭს ბევრი სიბრიყე უნდა ვაპატიოთ, რადგან მისი ნაჯაფი საუკუნეთა საჯილდაოა და შთამომავალთა წარმომჩენია.

7414. მხოლოდ ბრიყვები სჯიან შვილებს, გონიერები ახსნა-განმარტებას უტარებენ.

7415. სიცოცხლის მარადისობისათვის ჯობს ნაშიერის მომავალზე ვიზრუნოთ, ხოლო მორალთან ჯირითს ან დრო მოუვლის ან მისი გულმავიწყობა.

7416. თავის ღალატი შეუძლებელია, ხოლო ამის კეთების მცდელობა გრძნობებთან თამაშია და მეტი არაფერი.

7417. სიკეთეს არავინ დააფასებდა, სიავეს რომ არ ევაჭრებოდეს.

7418. უმეტესობის აზრის დამთხვევა შენსაზე სიბრიყის ნიშანია და არა – აზროვნებისა.

7419. სიცოცხლე განგების ყველაზე ფაქიზი, სათუთი, მსხვრევადი საჩუქარია.

7420. საბოლოოდ გამარჯვებას ის აღწევს, ვინც პირველ რიგში თავს ეჯიბრება, ეჭიდავება და არა – კონკურენტს.

7421. სიახლის კეთება შეცდომების გარეშე არ ხერხდება, რადგან განგება „მუქთაობას“ არ დაუშვებს რათა ადამიანის მოდგმამ უკეთ იცხოვროს.

7422. ბავშვები კაცობრიობის ყველაზე სანუკვარი და საუკეთესო ნაწილია, რადგან ისინი მართალნი, წმინდანი არიან გარკვეულ დრომდე.

7423. არბიტრისთვის ეროვნება, სამშობლო, ამბიციები, სიმპათიები არ არსებობს, ის თავისი ქვეყნის ღირსეული შვილი იქნება იმ შემთხვევაში, თუ ყველა გარემოში მიუკერძოებელი დარჩება.

7424. ყველა ჩვენგანს აღტაცების გამოსახატავი საკუთარი „ახხ" გააჩნია, რომელსაც უნდა მოვუფრთხილდეთ და სულის საამებლად მოვიხმაროთ.

7425. არსებობას მაშინ აქვს აზრი, თუკი ვინმე გჭირდება და ვჭირდებით.

7426. „არ შეგეშინდეთ, ეს მე ვარ" – ეს სიტყვები ქრისტეს ეკუთვნის, რაც ყველა ჩვენგანის სავიზიტო ბარათი უნდა იყოს ერთმანეთთან ურთიერთობაში.

7427. სიურპრიზი კარგიც შეიძლება და უარესიც, მაგრამ ყოველდღიურ „რუდუნიზმს" მაინც ჯობს.

7428. ყველას სულში ვნება და შემართება უნდა ბობოქრობდეს, თუ გვინდა ამქვეყნად ყოფნის აზრი და არსი შევიცნოთ.

7429. ჩვენი ბუნება ისაა, რაზედაც უნდა ავმაღლდეთ და უკეთ წარმოვჩინდეთ.

7430. მტკიცებას, კამათს, საუბრისგან განსხვავებით, ყოველთვის ექნება საფუძველი, სანამ ერთმანეთის მოსმენას არ ვისწავლით.

7431. მეცნიერებისთვის, ჭეშმარიტებისთვის, სიყვარულისთვის, ყველა დრო უპრიანია.

7432. ქიმია ფიზიკის უიმედო მხარდაჭერაა, გვერდით უდგას მათემატიკას და ბიოლოგიის პირველი სიყვარულია.

7433. სისულელის ჩადენით არ ვიკაიფოთ, რადგან ის ჩვენი ბუნების ბითურობისგანაა ნასესხები.

7434. ფეხებში ჩავარდნით თხოვნაც თავისებური ქრთამის გაღებაა მიუხედავად იმისა, საზოგადოებას ამ ქმედებაზე რა მოსაზრება აქვს.

7435. ცოდნა მართვადი ძალაა, უვიცობა – უმართავი და ავყია.

7436. მყიდველს არ ნახულობენ, მას ეძებენ, ელოლიავებიან და პატივს მიაგებენ.

7437. ინტერნეტი პლაგიატობის დედაა.

7438. სამშობლოსაგან, შვილებისაგან, ყოველთვის ბევრს მოვითხოვთ და ზედმეტად ვლანძღავთ, მაგრამ გული გვტკივა თუ ვინმე გადამთიელი ლანძღვა-გინებაში მხარს დაგვიჭერს.

7439. თავზეხელაღებულობასა და შეუპოვრობას შორის ის სხვაობაა, რომ ზრდილობა განიცდის დევალვაციას.

7440. პასუხისმგებლობა და ხელშეკრულება სინონიმებია.

7441. იარაღი სამართლიანობის აღდგენაში გვეხმარება, მაგრამ უსამართლობასაც ბევრ სჩადის.

7442. ორიგინალურ აზროვნებაში ორიგინალური ცოდვა და სიახლე სდევს.

7443. რომ გაგიგონ, ამას არც ხმამაღლა მეტყველება შველის და არც ხმადაბალი, თუ მასში აზრი, სიახლე, არ დევს და მოგების სუნი არ ასდის.

7444. ოპტიმიზმი, ზოგჯერ, პესიმიზმია კვადრატში სანამდის საქმე ბოლომდე არ დაგვირგვინდება.

7445. კითხვის სიფარული ცოდნას არ ნიშნავს, მაგრამ მის გარეშე ტვინის ნაოჭების შევსება ჭირს.

7446. თვითგანათლება, თვითგვემა, მეტ შედეგს იძლევა, ვიდრე საუკეთესო უნივერსიტეტებში მიღებული ცოდნა, რადგან მას შემართება ახლავს კვადრატში.

7447. ნოსტალგია უფრო ასაკოვანი ოცნების ნაყოფია, ვიდრე რეალობისა.

7448. წყალობის გაცემას, ჩუქებას, მიგდებას, სხვადასხვა საწყისი და განზომილება აქვს, მაგრამ ფაქტია, ბუნება მაინც კეთილი აქვს.

7449. სხვას ჭკუა არ დაარიგო, ძნელია, მაგრამ არც სხვისგან ჭკუის სწავლებაა ადვილად ასატანი.

7450. გამაოგნებელია ტრაგედია, როდესაც უბედური შემთხვევის გამო მისი გმირები არ იციან და არც ეცოდინებათ, მაგ., ჩერნობილი.

7451. პროფესიული „კურაჟი" – თავხედობა, ჩვენი ყოფის არსია იმ შეგრძნებით, რომ შენს თავსაც სჭირდები და სხვასაც.

7452. კარგი საჩუქარია ის, რომელიც მოგწონთ მეორე დღეს, როდესაც მოულოდნელობის ეფექტი განვლილია.

7453. აღფრთოვანებული თვალების დანახვას ვნებიანი თვალების შემნათება სჭირდება, ერთის პირობით, ეს ელვარება შენგან უნდა გამოკრთოდეს.

7454. სიფარული და სიძულვილი არაობიექტურია, ხოლო თუ არც სუბიექტურია, გულგრილობაა, ე.ი. არ არსებობს.

7455. ხსოვნა ის ფენომენია, რომელსაც დრო ვერას აკლებს, ხოლო ზოგიერთს ლეგენდად აქცევს.

7456. ჩვენში ყველა მომსახურება ფული ღირს, გარდა გამოცდილებისა და ჭკუის დარიგებისა.

7457. ორატორები წინასწარ შეთანხმებული მოხსენებით გამოდიან, ხოლო იდიოტები კამათში იღებენ მონაწილეობას.

7458. არიან მარად გუშინდელნი, რომელთა გათანამედროვეობა შეუძლებელია და არც არის საჭირო, რადგან ყოფა თავისსავე წარმოსახვით ჭაობში სურთ დაამთავრონ.

7459. ცხოვრება ზოგს უმზადებს აბსოლუტურად მართალ და დამოუკიდებელი ადამიანის როლს, რომლის შესრულება რჩეულთა ხვედრია.

7460. უმეტესობის ჰუმანიზმი, ხშირად უმცირესობისათვის მიუღებელია, რადგან ამ უკანასკნელს თავის წარმოჩენა, შენახვა მისი გაგებით და სხვათა დაუხმარებლად ურჩევნია.

7461. კონცეფციაა უმთავრესი და არა – ხალხი, რომელიც ამ ხელშეკრულების რაობისათვის იღვწის, მუშაობს.

7462. პატარა ტყუილს ყველა ვინელებთ, მაგრამ დიდს ,,ბრწყინვალე მომავლის იმედით", მზადა ვართ სიცოცხლეც და ქვეყანაც გადავაყოლოთ.

7463. სოციალიზმის იდეოლოგიის ძალად ,,გაპეტუხების" შემდეგ, სამყარო ისეთი უგვანო, უხამსი და უმსგავსი გახდა, როგორიც არის და როგორიც უნდა იყოს.

7464. პატრიოტიზმი ქვეყანამ უნდა დაიმსახუროს მზრუნველობით, სამართლიანობით, რათა ცხოვრების სახსარი და სახელი მისმა შვილმა სხვა ქვეყანაში არ ეძიოს.

7465. სიცოცხლე არის ყოფის დაყოვნება, ჩასაფრება, უკეთესი დროის მოლოდინში.

7466. ოპტიმიზმი სიცოცხლის გახანგრძლივების ელექსირია.

7467. ერთი ყველაფერს ლაპარაკობს, მეორე ყველაფერს ფარავს, საქმის საკეთებლად კი ორივე გამოუსადეგარია.

7468. უწყინარი ტყუილის შეუმჩნევლობა კაცთმოყვარეობაა კვადრატში.

7469. სამყაროს გასამართლებას და საყვედურის თქმას ჩვენ არავინ გვეკითხება, მაგრამ მასში გარკვევა და თავის შველა ჩვენი საქმეა.

7470. საკუთარი სიცოცხლის შეფასება ჩვენზეა დამოკიდებული და არა ვიღაცის ფულზე და მცდელობაზე.

7471. ვარსკვლავი მხოლოდ სიბნელეში ბრწყინავს, მაგრამ არა – ყველასთვის.

7472. მიზანი, შემართება, სანთელ-საკმეველს ყოველთვის მოიძიებს და მოინადირებს.

7473. ერთგულებას, სურვილს, საიდუმლოს გამხელის ცდას თვალები გამოხატავენ თავისებური ვოკალით, რომლის მოსმენა რჩეულთათვისაა ხელმისაწვდომი.

7474. ხშირად თვალები მეტყველებენ, რასაც გონება არ ფიქრობს და სიტყვა ვერ გამოხატავს.

7475. სიყრმის მეგობართან შეხვედრის სიხარულს წლების მატებასთან ერთად უკეთ გრძნობ, რადგან მომდევნო შეხვედრა სათუოა, რაკი სიცოცხლის ფინიშთან მიახლოება უკვე დაწყებულია.

7476. სიცოცხლე-სიკვდილი სამყაროს კვლავწარმოების ფორმულაა, რომლის გარეშე ვერ იარსებებდა.

7477. დაფიქრება და სწავლა-ანალიზი არასოდეს გვიან არ არის, მაგრამ ამისათვის მარტო მონდომება არ კმარა, ნიჭია საჭირო.

7478. ყველა დაუმორჩილებლობა გაუთვალისწინებლობის დედაა, ხოლო გათავხედება დაუფიქრებლობის მამა.

7479. ამქვეყნად წარმატებებისთვის ვართ მოწვეულნი და არა ჩანჩალისათვის ეს აქსიომა დაბადებიდანვე უნდა გავითავისოთ.

7480. ასაკის ყველაზე დიდი ნაკლი მარტოობაა, რომლის დაძლევა-განსჯა სიბერეს უჭირს.

7481. არის შემთხვევა, როდესაც არ უნდა გეშინოდეს იმის კეთების, რაც არ იცი, რადგან რისკმა მცდელობის შებრალებაც იცის და მისი მხარის დაჭერაც.

7482. კანონი, მომთხოვნელობა, საღი გონება, ის ელექსირია, რომელმაც ქვეყანა გაჭირვებიდან უნდა ამოათრიოს და არაკეთილმოსურნეებს ბიშტი უჩვენოს.

7483. არ არსებობს მცდელობა, შემართება, ქედუხრელობა, რომელიც მინუსებზე მეტ პლუსებს არ დაიწერს.

7484. საქმის გარჩევა და ყბედობა ბევრს უყვარს, მაგრამ საქმის გამომსწორებელია ძალზე ცოტა.

7485. იყო პატივსაცემი პიროვნება, საქმიანობის მიუხედავად, ერთეულ ღირსეულთა ხვედრია.

7486. ტაქტიანი სხვის ნაკლს ხელაღებით არ აღნიშნავს.

7487. მოუთმენლობა ეშმაკობას მოითხოვს, ხოლო მოთმინება – ეშმაკის ძალისხმევას.

7488. რაღაცის მისაღწევად შეიძლება დიდ დროს ჰკარგავ, მაგრამ უზომოდ კმაყოფილი ხარ.

7489. წარმატება შანსის გამოყენებაა, წარუმატებლობა – შანსის უგულებელყოფა.

7490. მუდმივ კითხვაზე თუ უცვლელი პასუხი არსებობს, საქმე წასულია ხელიდან.

7491. ხელხვავიანი იბადებიან, გულხვავიანი ხდებიან, სულხვავიანობა თან ზდევთ, თუ ცხოვრებამ არ უმუხთლა და ხელი შეუწყო.

7492. ზოგჯერ წარმატების და აღფრთოვანების დათრგუნვაა საჭირო და აუცილებელიც, რათა არ გავთავხედდეთ და საქმეს ამბიციების და კანონის დარღვევების გარეშე ვემსახუროთ.

7493. რომ ანათებს და სულს არ გითბობს – ხელფასია, როდესაც ბნელა და მაინც ანათებს – ქრთამია, ხოლო რასაც დაიმედებით ელოდები – პენსია.

7494. გახდომისთვის ორი პირობა არსებობს: ან ახალგაზრდა საყვარელი უნდა გაიჩინო ან 1000 კმ 20 დღეში ფეხით უნდა დაფარო, კაცია და გუნება, მაგრამ უმეტესობას ეს უკანასკნელი „ფეხთეწიფება".

7495. შეცდომების ანალიზი და მათი აღიარება გვაძლევს უფლებას, რომ ცოტათი უკეთესნი ვიყოთ.

7496. პიროვნება ვინც ფულის ასაღებ საქმეს აკეთებს, მაგრამ ქრთამის მიცემას ვერ უბედავენ.

7497. ყურძნის კრეფა ზიარებაა, მისი დაწურვა-მოწამეობა, ხოლო ღვინის დაყნება აღსარება. მისი შერყნა დანაშაულია როგორც ერის, ასევე ღმერთის წინაშე, რადგან ყველაფრისადმი რწმენა ირყნება.

7498. ავტორიტეტი ასაკს არ სცნობს და არც წინაპართა განვლილი გზის შედეგს, მისთვის მთავარია აწმყოში საქმიანობა მომავლის ჭვრეტით.

7499. პირველ რიგში აბიტურიენტი ცხოვრებას აბარებს გამოცდას და შემდგომ – ლექტორებს, რომელთა დახმარებითაც ყოფას ხვეწს და არა – სწავლას, რადგან ეს უკანასკნელი გამოცდა-დაჭაშნიკებას მოითხოვს.

7500. საღ მოაზროვნე ადამიანთა უბედურება ის არის, რომ მათ ცუდის ჩადენა არ შეუძლიათ, ამით კი უვიცები და თავხედები სარგებლობენ.

7501. პასუხის ძიებისთვის, შედეგია ძირითადი ამოხსნა.

7502. მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ ჩვენს ქმედებას ერთეულები აფასებენ-ამართლებენ, მომავალში მისი შედეგებით და პოსტულატებით უმრავლესობა სარგებლობს.

7503. თავხედობის უფლება მაშინ გვაქვს, თუ ჩვენი თავის რეალური ფასი, ღირებულება და ღირსება ვიცით და თავის წარმოსაჩენად სხვა გზა არ დაგიტოვეს.

7504. წარმავალი ღირებულებანი დროის შესაფერისი აწმყოს რეკ-ლამით ცხოვრობს, ხოლო ფუნდამენტური იმდენად წარმოჩენილია, რომ გენიოსის გარდა არავის აინტერესებს.

7505. ფიზიკის კანონების წინაშე ხშირად ბედიც და შემთხვევაც უკან იხევს.

7506. ყველა ჩვენგანი ეშმაკის როლში გვევლინება თავისი სიკეთის და სიავის კეთებით და სწორედ ეს არის ადამიანთა შორის განსჯის საგანი გაწბილებასა და იმედს შორის.

7507. უნდა ვეცადოთ ისე ვიცხოვროთ, რომ არც ჩვენიანების და არც მოწინააღმდეგების არ გვეშინოდეს. რაც შეეხება ვიგინდარებს, ისინი სახსენებელიც არ უნდა იყვნენ.

7508. სიმდიდრე ნარკოტიკივითაა, ის ყველა რწმენას ასულელებს და რყვნის, რადგან მას ცხოვრება არ ძალუძს და მის შესანარჩუნებლად უკვე არაფერს ერიდება.

7509. გულისხმიერებას სხვის მიმართ მაშინ ვიჩენთ, როდესაც ეს დიდი დოზებით თავად გვჭირდება.

7510. „ჩვენ არავის ვალი არ გვაქვს“ – სიტყვის მასალაა გაავებული ადამიანისა, რადგან ყოფიერების კრედიტ-დებეტი ხეირიანად მისთვის არავის დაუთვლია.

7511. მე ადამიანს იმაზე მეტ პატივისცემას ვერ მოვთხოვ ჩემდამი რაც ბუნებას მისთვის არ უბოძებია.

7512. ნაცნობობის, მცდელობის, შემართების გარეშე არაფერი გა-მოდის, რადგან იღბლიდან ყოველთვის სასურველი ფესვის ამოღება არ ხერხდება.

7513. თავი არასოდეს არ უნდა შევიცოდოთ, რადგან როგორც კი ამაზე ფიქრს და წუწუნს დაიწყებთ, ჩათვალეთ, რომ ცხოვრება უკვე დამთავრებულია.

7514. მხოლოდ რეალობასთან შედარებით შეიძლება კარგის და უკეთესისი გარჩევა და მჯობნის-მჯობნის დადგენა.

7515. ცხოვრება გრძელდება, თუ ვინმეს შენზე გული შესტკივა და სურვილი აქვს მოგვისმინოს.

7516. იდეოლოგია შეღავათს არავისთვის არ ითვალისწინებს, ის ვერც ოპონირებას იტანს და ვერც თანამგზავრებს, ის მთლიანად, ან საერთოდ, არ უნდა გაითავისო.

7517. როდესაც ზურგი გამაგრებული გაქვს, მაშინ წარმატების მიღწევაც ადვილია და ქვეყნისთვის და საქმისთვის თავის დადებაც.

7518. მთავარი ახსნა-განმარტება კი არ არის არამედ ფაქტი თუკი მას ილუზიასთან რაიმე კავშირი არ აქვს.

7519. რაც არ გვაქვს, იმას ვერავინ წაგვართმევს, რაც არ გინდა, იმას ვერავინ შემოგაჩეჩებს, მაგრამ ცხოვრებაში ბევრი უცნაურობაა, რომლის ჰიპნოზსაც ვერსად გავექცევით.

7520. ჩხუბისათვსა და ხვადს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი თანამეინახეებთან არკვევს ურთიერთობას, მეორე – ქალებთან და თავიანთი საქმიანობით ორივე კმაყოფილია.

7521. პატიოსნება და საფრთხე ერთად დადიან, მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთი არ სჭირდებათ, მაგრამ ერთმანეთს აფხიზლებენ და მათზე აუგის თქმის უფლებას არავის აძლევენ.

7522. სიკვდილ-სიცოცხლის ბეწვის ხიდზე ხშირად ისე გადავდივართ, რომ ვერც ვამჩნევთ და ვერც ვაფასებთ.

7523. ,,ყველაზე დიდი მსაჯული საკუთარი თავისა თავადვე ვართ", იმის მიუხედავად, ბედი როგორ გვათამაშებს და შემთხვევა რა საკენკს გვიყრის.

7524. დამრიგებლები ღირსეულად მიდიან, მაგრამ დარიგებულები მოდიან უღირსად და ვიღაცის დახმარებით.

7525. უზღუდავი სინდისიც ,,კარგი საქონელია", რადგან შენს ჭკუაზე გაკაიფება ბევრ შეუმჩნეველ მსხვერპლს მოითხოვს.

7526. სამყარო გაჟღენთილია მწუხრით, ხოლო სიცოცხლე სულ ამ მწუხრის ,,გაშრობაშია".

7527. საკუთარი დროის შენს გემოზე მოჭმა უდიდესი ბედნიერებაა, ვინც ამას მოესწრება და შეიცნობს.

7528. სახელოვანი და ცნობილი ადამიანების ნაცნობობა თავისებური იმედი და ფუჯ გამოსავლის ძებნაა საჭიროების ჟამს, თუმცა შესანიშნავად იცი, რომ შენს იმედის ნაპერწკალს, თეორიულისაგან, პრაქტიკულად არაფერში გამოადგება.

7529. ,,დამარცხება და გამარჯვება ძმები არიან", მაგრამ ისინი შინაგანად მაინც დაუძინებელ მტრებად რჩებიან, რადგან შედეგი სხვადასხვაა.

7530. ჩემთვის ყველა ,,ჭიჭიკოა", მანამდის არ გავესაუბრები და მასთან საუბარს არ გავანაალიზებ, შემდეგ ვადგენ რამდენად სასარგებლოა მასთან ურთიერთობა საქმისთვის.

7531. თავხედობა თავისებური ბედნიერებაა, რადგან ყველაფერს თავისი ქომაგი, მაყურებელი ჰყავს, ხოლო ჩუმად ყოფნა, გაყუჩება, თავის წარმოჩენას და ფულის შოვნას არ უხდება.

7532. მდიდარი და უზრუნველყოფილი პრაქტიკულად ერთიდაიგივეა, მაგრამ ამ ქვეყნიდან ზედმეტს მაინც ვერაფერს წაიღებ.

7533. ხალიჩა სიფარულისთვისაც არის განკუთვნილი და ფეხის გასაწმენდადაც, ასე რომ ფელა საფენს თავისი აზრი და ყისმათი აქვს.

7534. რადგან ლეგენდა არ მეორდება, ხალხის გასამხნევებლად მსგავსი რამ წარმოიდგენით უნდა შეიქმნას ან ჩვენებურად მოვთარგმნოთ და გავითავისოთ.

7535. ქვეყნის მმართველად ხალხისთვის საშუალო უნარის მქონე პიროვნება სჯობს: სიახლის შემოთავაზებით არავის შეაწუხებს და თავის მმართველობას ბედის სასწორზე არ შეაგდებს.

7536. მცდელობის მიუხედავად, შედეგის გარეშე კოლეგებისგან განსხვავებით, რომელთაც შენი სჯერათ და გაფასებენ ცოდნით სხვებთან თავს ვერ მოიწონებ.

7537. ოქროს ის უპირატესობა აქვს, რომ ქალივით არ ბერდება, სხვასთან არ გღალატობს და მუდმივად პატივშია.

7538. პირველ რიგში, ჩვენ ადამიანები ვართ, შემდეგ ვხვდებით გენიოსები – ბრიფვები, საქმოსნები – უსაქმურები, მოფასნი – მოძულენი, მოკლედ ის, რაც ზევიდან დაგვაბერტყს და შემთხვევამ ხელი შეუწყო.

7539. ფელაფერი მიცვალებულსაც არ შეიძლება ვაპატიოთ თუკი მისი ნამოქმედარი თაობებს რფნის.

7540. ბუნების სასწაულებისაგან განსხვავებით, ილუზიონისტის ფოკუსები ფელას უკვირს და მის გამოცნობას ცდილობენ, ხოლო პირველს ოპონირებას ვერ უბედავენ და მის საოცრებებს უხმოდ იღებენ.

7541. მობილიზებული და რეგულირებული ჭორი ხშირად კარიერის და წარმატების საწინდარია.

7542. უფროსს არ ირჩევენ, მას ემორჩილებიან ან მისგან მიდიან, რათა თავადაც საუფროსო სიმაღლეებს მიაღწიო და ხელქვეითებს ასევე მოეპყრა.

7543. განვითარებული ქვეყნები ჩამორჩენილებს თავის ნასუფრალით კვებავენ და ალბათ, სწორადაც აკეთებენ, რადგან ეს უკანასკნელნი სულს თუ მოითქვამენ, მცდელობას არ დაგიფასებენ, ჭკუის სწავლებასაც გაკადრებენ და კონკურენტებადაც მოგევლინებიან.

7544. ოპოზიციას შეცდომის დაშვება უხდება, რადგან მას ყოველთვის არ აქვს პოლიტიკური სპექტრის გაზომვის საშუალება და ყურმოკრული, სიმართლისმაგვარი, ამბებით საზრდოობს და ცხვირსაც ხშირად იტეხს.

7545. ზოგჯერ გაღიმებაც ძალზე მტკივნეულია მათ წინაშე, ვინც არ მოგწონს და დასანახად ვერ იტან.

7546. მოულოდნელობა გვაბნევს და გვავიწროვებს, ხოლო ცნობილისა და შეგუებულის წინაშე სიკვდილიც კი ისე საშიშად არ გამოიყურება.

7547. მეზობლების დავაში ცხვირს ნუ ჩავყოფთ, ვიყოთ ნეიტრალურნი, კეთილისმდომნი, რათა განტევების ვაცის როლი არ შევასრულოთ და ერთმანეთისთვის მოქნეული ჯოხი ჩვენზე არ გადატყდეს.

7548. განგება ზოგს დაუმადლებელ, ლაღ ნიჭს აძლევს, ზოგსაც დამადლებულს – შრომის საფასურად, რომელსაც დროის შერჩევა და გამოვლენა სჭირდება, რადგან ამქვეყნად ყველა თავისი ვალით იბადება.

7549. ის, ვინც დამნაშავედ ითვლება კერძო ცხოვრებაში, ზოგჯერ ქების ღირსია, როცა საერთო მიზანი პირადულზე დიდია.

7550. საოცარია, მაგრამ მატყუარას არც მოტყუებული ხალხი ელევა და არც მოსატყუებლად გამზადებული, რადგან მას აქვს უნარი სიმართლედ გაასაღოს ის საოცნებო ტყუილი, რომელსაც ხშირად ალიბიც არ გააჩნია.

7551. მგელსა და ქურდს შორის ის მსგავსებაა, რომ ერთი ბუნების სანიტარია და დაავადებულ ფაუნას ანადგურებს, მეორე საზოგადოების უნიათობას აფხიზლებს, მაგრამ სარჩოს მოპოვების შემდგომ უფლება არც ერთს არ აქვს გადამალულით, გადანახულით, იკვებონ და იცხოვრონ, რადგან დაჩიავდებიან, დამყყდებიან და ერთს მონადირე მოუღებს ბოლოს, ხოლო მეორეს პოლიცია იქ მიაბრძანებს სადაც ჯერარს.

7552. ტვინიანი, უტვინო, და „ბოზური“ ამინდიც არსებობს, რომელიც ოპონირება-განსჯას არ ემორჩილება.

7553. არატრადიციული ქორწინებაა: ცოცხალი კაცობის ქელეხი და ქალის ვნებათა გადაგვარება.

7554. უტიფრობის კვერცხის დახლა შესაძლებელია ყველა ქვეყნის ტაფაზე, მაგრამ აქედან რა ხარისხის ერბო-კვერცხს მივიღებთ, მომდევნო თაობათა შესაფასებელია.

7555. სათავისოდ ახსნა-განმარტებას თითქმის ყველა უკადრისობს, ხოლო სასხვისოდ გენიალობასაც არად დაგიდევენ.

7556. შიმშილი და გაჭირვება სხვის დაკრულზე გვაცეკვებს.

7557. პიროვნების დამადასტურებელი მოწმობა ყველა ჩვენგანს შუბლზე აწერია და გამოხედვითაა ბეჭედდადებული.

7558. გულის ქარი ხშირად სჯობნის ზურგის ქარს, რადგან პირველი დაუფიქრებლად უმართავია, ხოლო მეორე – დაფიქრებულად მართვადი.

7559. ხელოვნება, ნიჭი, ძალზე ეჭვიანია – ღალატს და გულგრილობას ვერ იტანს.

7560. „აუწონავი ოქრო“ ოქროა, მაგრამ ფასი არ აქვს, რადგან ის არავის საკუთრება არ არის.

7561. მადლს დამადლება ხშირად თან ახლავს, ჩასაფრებით, ჩუმი კონტროლით, ოღონდ უსაფუძვლოდ.

7562. სამსახურში პრემიებს და დანამატებს სამსახურებრივი რომანისთვის – კოლექტივის შეკვრისთვის, უნდა იძლეოდნენ, ოღონდ ოფიციალურად და სამუშაო „სტაჟის“ დამატებით.

7563. ინვესტორი, რომელიც მოგებას კვადრატში მაინც არ ფიქრობს, ეს პოლიტიკური იმიჯი იქნება თუ მატერიალური, კრედიტორია და არა – ინვესტორი.

7564. როდესაც ძალაუფლების, სიმდიდრის, სახელის წყალს შესვამ, ზევითაც უნდა აიხედო, რადგან ღმერთს რომ დროულად არ გადმოეხედა, ეს ყოველივე არ გექნებოდა.

7565. ეტყობა ბატიც ბაპტისტია, თუ მის ჭკუა-გონებას განვსჯით.

7566. ხალიბებსა და თალიბებს შორის ის მსგავსებაა, რომ ერთნი ხირისხიან იარაღს ჭედავენ, ხოლო მეორენი ხარისხიანი თავის აფეთქებას ცდილობენ.

7567. სიახლე წარსულის გარეშე ვერ იარსებებს, რადგან ახლის ბაზისი და ფესვი ძველეთიდან მოდის.

7568. ზოგი მთელი ცხოვრება სიზმარ-ოცნებით ცხოვრობს და ამითაც ძალზე კმაყოფილია.

7569. ჩვენი ყოფნა, არყოფნა-ყოფისგან შედგება და ამაზე რაც ნაკლებს ვიფიქრებთ, უკეთესია.

7570. გუნდრუკის კმევა დიდი ხელოვნებაა, თუ წინასწარ განსაზღვრავ მომავალში ვის უნდა წაუმლიქვნელო.

7571. სიკეთის მქნელს ზოგჯერ აქიაქებენ, რადგან ყველას ვერ არგუნა.

7572. ვერც საქმეს გამართავ, ვერც საკუთარ თავს სცემ პატივს, თუ ვიღაცის დაკრულზე მარად დაუფიქრებლად ითამაშებ.

7573. ყველამ იმ ხელობით უნდა ჭამოს პური, რისი კეთებაც ემარჯვება, სიამოვნებს, გული მიუწევს, იმის მიუხედავად, მოსწონთ თუ არა მასთან მეგობრობა.

7574. ყველაფერი არანორმალური, რაც ნორმალურად მთავრდება, კანონზომიერია, მისაღებია, რადგან ფაქტი ჯიუტია.

7575. ფაქტიურად ყველანი ამ სამყაროს ციხეში ვზივართ, ერთნი ღობის იქით, მეორენი ღობის აქეთ, იმ სხვაობით, რომ პირველმა იცის, რომ იხდის სასჯელს, მეორე კი ამას თავსაც არ უმხელს.

7576. „ხურუშსა“ და ვნებას შორის ის სხვაობაა, რომ პირველი დაავადებაა, ხოლო მეორე გრძნობათა შერკინებაა.

7577. ხელობა, საქმიანობა, შეგირდობის გარეშე ხეირიანად არ ისწავლება, რადგან მხოლოდ თეორიულად მიღებული ცოდნით, ცხოვრების გამოცდილების ფელა ჭანჭიკს მოსაჭერად ვერ მისწვდები.

7578. სიცარიელეში, რატომღაც, სიბილწე, უწმინდურება, უფრო ადრე იკავებს ადგილს, ვიდრე სიწმინდე და პატიოსნება.

7579. წინათ ერთმანეთზე თავდასხმას შიმშილი, შური, მოწყენილობა, აიძულებდა, დღეს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა და ურთიერთგაუგებრობა.

7580. ხშირად მონდომებაა წარმატების საწყისი და არა – ნიჭი, გონიერება, შთაგონება.

7581. სიხარბე გასაქანზეა და არა მცდელობაზე.

7582. ნაკითხობა არ ნიშნავს განათლებას და განათლება – საქმის კეთების უნარს.

7583. შენს შემდგომ ხეხილის ბაღი თუ არა, ერთი დახუნძლული სიკეთის ხე მაინც უნდა დატოვო ზოგჯერ შენს გასახსენებლად.

7584. ტაქტიკა ძველი მდგომარეობის შენარჩუნებას ცდილობს, ხოლო შემართება სიახლისკენ ისწრაფვის, რომელიც ყოველთვის წარმატებით არ მთავრდება.

7585. მთავარია შედეგების ობიექტური და რეალური შეფასება და არა ისე, როგორც ჩვენ მოგვწონს და წარმოგვიდგენია თავზე დაუყვედრებლად.

7586. მხდალს ფეხების იმედი უნდა ჰქონდეს და არა – გონიერების, შენდობის.

7587. სიბრიყვეს შემართება, სწრაფვის უნარი იფარავს და საქმეს აკეთებინებს.

7588. ხშირად ნაჩუქარ წიგნს არც კბილს უსინჯავენ და მოვალეობის გულისთვისაც არ ეცნობიან.

7589. ზოგი პრეტენზიას აცხადებს ყოფის იმ ხარისხზე, რომელიც მას არ გააჩნია და ამბიციების გადამკიდე თავს სასაცილო მდგომარეობაში იგდებს.

7590. ცალმხრივად ბრიყვებმა, ზოგჯერ ბევრ ჭკვიანზე მეტი იციან, მაგრამ რამის კეთება შეუძლიათ თუ არა, სხვა საქმეა.

7591. უპირველესად, სიყვარული, ფანატიზმი, შურია, სიკეთის და ბოროტების მომტანი.

7592. საკუთარი შეცდომების დანახვის უუნარობა გვაიძულებს უფრო მეტად შევცდეთ და სიფხიზლე მოვადუნოთ.

7593. სოფლად წვიმას სხვა ეშხი და შინაგანი დატვირთვა აქვს – მოსავალი უზრუნველყოფილია.

7594. ჭკუის მოხვეჭა ხშირად ქონების მოხვეჭას უწყობს ხელს.

7595. სამწუხაროდ, დიდსულოვნება, სიყვარული, კარგი კაცობა, გრიპივით გადამდები არ არის და არც არავის შურს.

7596. ზღვისპირეთში ამინდის გათავხედება დროზე, სეზონზე, სურ-ვილზე, არ არის დამოკიდებული. აქ მთავარია მოთმინება და ნერვების პროფილაქტიკა – ესეც დასვენების ერთ-ერთი სახეობაა.

7597. ნიჭიერი ადამიანი ხშირად ძნელად ასატანია, რადგან ის თავის მუზით, ოცნებით, სიყვარულით ცხოვრობს და სხვის მისაფერებ-ლად დრო არ რჩება.

7598. მავანისთვის ამქვეყნად ცხოვრება სიცოცხლეა, მავანისთვის – არსებობისთვის ბრძოლა, მთავარია, ზევიდან როგორ დაგვაპროგრამეს და რა ლუკმა გადმოგვიდეს.

7599. გამარჯვება ტრიუმფის გარეშე ეშხსაც კარგავს და პეწსაც.

7600. ყოფაში გააქტიურება ხშირად ილუზიების დაკარგვის შედეგია.

7601. ჩვენ შეხედულებებს არ ვიცვლით, პირიქით, შეხედულებები გვცვლიან ჩვენ და ხშირად საკუთარ თავსაც ალარ ვეცნობით.

7602. უმთავრესია ვისწავლოთ საკუთარი უგვანობის, უსუსურობის, უფხობის დამარცხება.

7603. არის რაღაცა, რომელსაც სიამოვნებით დავიჯერებდით, მაგ-რამ განათლება ამის უფლებას არ გვაძლევს.

7604. პარტნიორების ამბიციების და მადის მოთოკვაა ძნელია, თო-რემ კონკურენტს რომ უნდა აჯობო, თავიდანვე იცი.

7605. გამბედაობას, შემართებას, მოხერხებულობას მოაქვს წარმა-ტება და არა მხოლოდ პატიოსნებას და ნიჭს.

7606. ეშმაკი გვეხმარება ალიყურის ხარჯზე გამოცდილების მიღება-ში, რათა ჩვენი გამოცდა ძალოვნებს არ მივანდოთ.

7607. ხელობის ფლობა უფრო წინ დგას, ვიდრე თანამდებობა, რადგან პირველი მუდმივია და მუდამ პურს გვაჭმევს, მეორე სათუო და უგარანტიო.

7608. ქრონიკული უგუნებობა, მოწყენილობა, იმათ ახასიათებთ, ვისაც გაჭირვება არ გამოუცდია.

7609. ყველა სისაძაგლეზე უსაძაგლესი პირფერობაა და ,,შენ ხარ ვენახოს'' ძახილი.

7610. იმქვეყნად მაინც ვერაფერი მიგვაქვს, მიუხედავად იმისა, რომ სულ წაგლეჯაზე ვართ შემართული.

7611. ყველაზე უკეთესი დასვენება ის სამუშაოა, რომელიც გიყვარს და ჯიბეზე მეტად სულს გითბობს.

7612. ქალაქში რომ საქმიანად დამკვიდრდე, სოფლის შარაგზაზე მაინც უნდა გაინავარდო.

7613. ძაღლი ყოველთვის შენი ერთგული დარჩება, ქალისაგან განსხვავებით, მაგრამ რას ვიზამთ, ეს უკანასკნელი უფრო მაცდურია და ბევრ რაიმეზე თვალს გვახუჭვინებს.

7614. სიყვარული და ყურადღება ის ელექსირია, რომელიც ადამიანს გაუკეთებელს აკეთებინებს, კარგად იქნება ეს გაგებული თუ პირიქით.

7615. უქნარების დოღის გარეშე სიკეთის მარულას ყურადღების ღირსად არავინ გახდიდა.

7616. სხვისი უბედურება დღეს ღობის ჩხირად არ აღიქმება, რადგან ამის საშუალებას გლობალიზაციისკენ მისწრაფება არ გვაძლევს.

7617. შეიძლება ნაკითხ-ინფორმირებული იყო, მაგრამ არა მცოდნე-გამოცდილების მქონე და აქ პირველი მეორეს ვერასოდეს აჯობებს.

7618. აღმაფრენას, ემოციების გარეშე, ფასი დაკარგული აქვს.

7619. სურვილი შესაძლებლობებზეა და არა ნდომაზე, ჭამის მადაზე.

7620. ილუზიებს ელტვიან, ხოლო სინამდვილეს თვალებს ვერ უსწორებენ და თავს არიდებენ.

7621. სარგებელი და პატიოსნება ერთად ვერ ძოვენ, მაგრამ გონიერება მათ შორის კომპრომისს ნახულობს.

7622. ნიჭი მაინც თავისას იზამს, რადგან ცხოვრების დიდ მანძილზე მორბენალია, ხოლო უნიჭობა – ყოფის მოკლე მანძილზე და ისიც ნაადრევი ფინიშით.

7623. პასუხისმგებლობა და მორალი სინონიმებია, რადგან ერთმანეთის გარეშე ისინი წინ ბიჯს ვერ წადგამენ.

7624. უსაფლავოდ, უპატრონოდ, უკვალოდ, გადაგებულ მსხვერპლთა სულები ყოველთვის სიმართლის აღდგენას მოითხოვენ, გეველრებიან, იმედოვნებენ, რადგან ამქვეყნად გასახსენებლად მათ სხვა ალიბი არ აბადიათ.

7625. კონფლიქტი ყოველთვის ნიჭიერებს მოსდით. უნიჭოს არავინ შეეკვრება, რადგან ის თავიდანვე განწირულია.

7626. გაზიარებული სიხარული და მწუხარება ორჯერ-სამჯერ ადიდებს და ამცირებს გრძნობებთან შეხების ხარისხს.

7627. მდინარის დინების საწინააღმდეგოდ მხოლოდ მკვდარი თევზები არ მიცურავენ, რადგან უამისოდ ყოფის მადლის შეცნობა გამორიცხულია.

7628. მიწის მოვლა ძლიერთა ხვედრია, რადგან სუსტი მას ვერც ხვავ-ბარაქას გამოსტყუებს, ვერც თავად იხეირებს და არც სხვას ახეირებს.

7629. სინანულსაც წვრთნა და ცოდნა სჭირდება უკეთ აღსაქმელ-განსასჯელად.

7630. გულჩვილობა დამცირებაა იმისთვისაც, ვისაც ვიცოდებთ და ვინც იცოდებს, რადგან საქმის კეთებას რეალობიდან ორივე შორს დგას.

7631. წესი ჭეშმარიტებისგან იმით განსხვავდება, რომ პირველის ცოდნა ყველასათვის სავალდებულოა, ხოლო მეორე წვდომას და და-ბალანსებას მოითხოვს.

7632. საკითხის დედაარსი, დეტალებზე მაღლა დგას, მაგრამ მაინც ამ უკანასკნელიდან ვიწყებთ.

7633. ყოველთვის ჯობს გარისკო და ინანო, ვიდრე უკან დაიხიო და მთელი ცხოვრება სანანებელი დაგრჩეს.

7634. ბინის რემონტის დროს ყველაზე საჭირო და გასახარჯი მასა-ლა ნერვებია.

7635. არასოდეს არ უნდა ვიდარდოთ ის, რის გამოსწორებაც არ შეიძლება.

7636. ლოგიკა და ინტუიცია ის ორი ქალბატონია, რომელთა ნდობა ყოველთვის შეიძლება.

7637. ყოფიერება ყოველთვის არ განსაზღვრავს შეგნებას, გონიერე-ბას, რადგან საკმარისია გარემო შეიცვალოს და ეს უკანასკნელი თავის ადგილს ასე თუ ისე მონახავს.

7638. ეჭვიანობა ცნობიერების გადამოწმებაა გულის ექსპლოატაცი-ის ხარჯზე.

7639. მორალი უნარია დააკმაყოფილო საკუთარი მოთხოვნები იმ-გვარად, რომ სხვისი გულისწყრომა არ გამოიწვიოს.

7640. სიტყვა პასუხისმგებლობას, პატივისცემას და პასუხის პასუხს მოითხოვს.

7641. არცოდნას რაღაც ეპატიება, მაგრამ ცოდნას – არაფერი, რადგან პირველს ჰგონია რომ რაღაც სასიკეთოს აკეთებს და პირიქით ხდება, ხოლო მეორემ იცის რას აკეთებს და რა გამოვა.

7642. დაზვერვიდან ყველა არ ბრუნდება, მაგრამ დაუბრუნებლები დაბრუნებულებს დიდხანს ამახსოვრდებათ, რადგან ისინი საქვეყნო საქ-მეს აკეთებენ მათგან დაფარულად.

7643. საკუთარ კუბოში ჩვენი ღირსების ლურსმნების ჩარჭობა ყველას შეგვიძლია, მაგრამ ლურსმნის ფასი, ხარისხი იწვევს განსჯას.

7644. სამშობლოს საყოველთაოდ იცავენ, ხოლო გმირობას ერთეულ ძალაუფალთა შეცდომების გამოსასწორებლად სჩადიან.

7645. ერთი ჭკვიანი ადამიანი საზოგადოებას ამშვენებს, მრავალი თავს ატკივებს.

7646. ზოგჯერ სიკეთის კეთებაც ანგარიშსწორებას საჭიროებს, მაგრამ სხვა უკეთესი საკეთებელიც რომ არ ჩანს?

7647. არის ისეთი რამ, რომლის გაცემა და წართმევა არ შეიძლება – ეს კეთილი სახელია.

7648. ეკონომიკაში, ბიზნესში, პოლიტიკაში ორჯერ ორის აქსიომაში ეჭვი უნდა გვეპარებოდეს, მაგრამ ტოლობა რომ ყოველთვის ოთხია – არასოდეს.

7649. ყოვლისმპატიებელი ყველა ჩვენგანს ერთი ანგელოზი ჰყავს – დედა.

7650. მორალს, წინდახედული პოლიტიკის და აღზრდის გარეშე, საზოგადოებაში დამკვიდრება არ უწერია.

7651. ყოფიერების განმარტებითი ლექსიკონის შექმნა უკვე საჭიროა, იმდენად სხვადასხვანაირად გვესმის ადამიანის შინაგანი სამყარო, განცდები, აზროვნება, მორალი, ფულის კეთების კულტურა.

7652. მწუხარება, ბედნიერება, ყველას ჩვენი გვაქვს, მაგრამ დღესასწაული ყველასთვის ერთია.

7653. სიცოცხლე ცეცხლზე და სხვა ბუნებრივ კატასტროფებზე ძლიერია, რადგან გრძელდება და გადაშენებისგან თავის დაძვრენას ახერხებს.

7654. ზოგი ისეთი გარეგნობის და სულში ჩამწვდომი არსებაა, რომ სატანასაც სიკეთეს აკეთებინებს.

7655. რეფორმატორი შემოქმედიც უნდა იყოს, გამბედავიც, თავხედიც, მაგრამ ზომიერების საზღვრებს არ უნდა გადააბიჯოს.

7656. სიცოცხლე ის საჩუქარია, რომლის მოხმარებას ვერავინ გასწავლის, თუ არ მოინდომე და არ გაგიმართლა.

7657. ინტუიცია ეჭვიანობის შედეგად მიღებული ბარტყია გამოუჩეკავი კვერცხიდან.

7658. პატიოსნება გულისხმობს მოქმედებას, რადგან უსაქმურად ყოფნა უწესობაა.

7659. ღირსება უნდა ცდილობდეს საკუთარი და სხვათა ღირებულებების დაცვას.

7660. კომპენტეტურობა დიდი დოზებით კოლეგებს ნერვებს უშლის, ხოლო მცირე დოზებით ის არავის სჭირდება.

7661. ფანატიკოსები ზოგჯერ გამარჯვებას აღწევენ, მაგრამ შედეგს ვერასოდეს ინარჩუნებენ.

7662. ზოგჯერ ჩუმად ყოფნაც საუკეთესო „საუბრის“ და ურთიერ-თგაგების საშუალებაა.

7663. ერთმა მეორე რომ იწამოს, ერთში მეორემ მოწამეობა უნდა დაინახოს.

7664. ღირსება იმ მორალის კანონია, რომელიც გულიდან იხედება.

7665. შეუპოვრობა, თავზეხელაღებულობა, ყველაზე მეტად გამოს-ცდის იმედს და გულგატეხილობას, მაგრამ ქედს არასოდეს იხრის.

7666. ღირსეული სიცოცხლე ყველას ხვედრი არ არის.

7667. წარსული იმ მომავალშია, რომელსაც ჩვენ ცნობიერებით სრულყოფილად ვერ დავესწრებით.

7668. სიცრუე და ორპირობა ისევ ტყუილით აცრით სილის გაწნას ემორჩილება.

7669. საკუთარი თავისთვის ფასის დადება არაა ძნელი, მაგრამ გადამხდელი და შუამავალის მოძებნაა სათუო.

7670. ძნელია იმუშაოს ეფექტურად, ნაყოფიერად და გაგიგონ, თუ შენი არ ერიდებათ და არ გაფასებენ.

7671. რეფორმა მკაცრი ხელის, მხურვალე გულის, ცივი გონების და შემოქმედი ფანტაზიის გარეშე სასურველ შედეგს არ იძლევა.

7672. ხშირად სიყვარული და ტყვია ბრმაა, დანარჩენი თვალახელი-ლია და რაღაცას ემორჩილება.

7673. სახელის მოხვეჭა თავისებური ძალადობაა საკუთარი თავის მიმართ.

7674. ცრურწმენა ნერვებს გვიწყნარებს.

7675. მიზანი, ღირსების, მორალის, შესაძლებლობების, გარეშე ფუ-ჭია, მხოლოდ სურვილი და შემართება შედეგს არ იძლევა.

7676. ზოგს ზურგის ტვინი უფრო მგრძნობიარე აქვს, ვიდრე თავის და ეს ხელს არ უშლის თავისი სიამოვნებისთვის იცხოვროს.

7677. „ჭკვიანია“ ის, ვინც რისკს ეწევა, უმართლებს და ფორტუნა ზურგს არ აქცევს.

7678. განცდები მალე გვაბერებს და სიბრძნეს გვმატებს, მაგრამ არა იმდენად რომ ახალგაზრდობისკენ მისწრაფებას ხელი ვკრათ და სი-ცოცხლე ნაადრევად დავასრულოთ.

7679. ბოროტების ყველა საწყისი ცნობილია, მხოლოდ მის გაგრძე-ლებაში შეიძლება რაიმე სიახლე აღმოვაჩინოთ.

7680. ძაღლიც და ქალიც გიერთგულებს, თუ ერთის დაპირებას არ დაივიწყებ, ხოლო მეორის კაპრიზის ასრულებას შეძლებ.

7681. ცრემლი ჩვენი დაბადების, ყოფის, გარდაცვალების, თანმხლე-ბი უნდა იყოს თუკი ღირსეულად ვიცხოვრებთ.

7682. ყველა მიზნის ასრულება ხელის გამოღებას, შეუპოვრობას, თავდადებას მოითხოვს, იმისდამიუხედავად, გაგიმართლებს თუ არა.

7683. გულგრილობა ქვეყნის ამომგდებია და პირადი ალიბიც, რადგან ქვეყნის „აყვავების“ დაპირება „აფიორაში“ მისი ხელი არ ურევია.

7684. ხმასაც მომნუსხავი ტემბრი, გრაცია, სითბო უნდა ახასიათებდეს, რადგან ის მომხიბვლელობის უმთავრესი ელემენტია.

7685. ღმერთი იმედია, ბედი – გამართლება, ცოლი – ოჯახი, ქმარი – შვილები, ბებია-ბაბუა – შვილიშვილები, შვილთაშვილები.

7686. შეგნებას ყოფიერება განსაზღვრავს, რწმენა, შთაგონება, თვითდაჯერება ადამიანის ბუნებაა.

7687. მტკიცება შეიძლება იყოს: ცხადი, აშკარა, გარკვეული, მაგრამ გააჩნია ვინ არის მისი ავტორი, რა აინტერესებს და მისგან რას მოელის.

7688. უფროსმა რომ მოგითმინოს, მას შენ უნდა სჭირდებოდე და შენც პატივს მიაგებდე, წინაალმდეგ შემთხვევაში, ის ხელმძღვანელად არ გამოდგება.

7689. დღეს მკერდის და უკანალის ჩვენება პროფესიად იქცა, მკვლელობა, გარყვნილება – ბიზნესად, ხოლო ბუნებრივი სილამაზის წარმოჩენა, კდემამოსილება, სულის გაშიშვლება – უგნურებად, „გოიმობად“ და ესეც დროის კაპრიზია.

7690. ერთგულება თანდაყოლილი თვისებაა და არა – შეძენილი, რომელსაც ყოველთვის ყოფის გაპოხილი ნიადაგი არ სჭირდება.

7691. ოცნება რომ აისრულო, ფიქრით არ უნდა გადაიღალო.

7692. ყველაზე ძნელი თავის ფლობაა და არა ვისმეს დაჯერება, ნდობის მოპოვება, საქმის კეთება.

7693. წიგნის კითხვა ფიქრსა და განსჯას მოითხოვს, მაგრამ უმეტესობისთვის გართობის და დროის მოკვლის საშუალებაა.

7694. ბუნება დიდებული მსაჯულია, გვაძლევს შანსს, რომ ამქვეყნად ყოველივეს დავეპატრონოთ და იმქვეყნად გადასახლების შემდეგ "ყოველივე ოხრად დაგრჩეს".

7695. სუბიექტი არ შეიძლება ობიექტური იყოს, რადგან ეს ჭეშმარიტებისკენ მიმავალ გზებს გადაკეტავს.

7696. სამყაროს შეცნობა მაშინ ხერხდება, თუ შენი გემოვნება-შესაძლებლობით ცხოვრებისთვის ხელის წაფათურებას ახერხებ.

7697. თანასწორობა გათანაბრებას არ ნიშნავს, სადაც ერთი ცოცხალი, შემართებული არსებაა, მეორე – მკვდარი თავისი ინსტრუქციებით და უნიათობით.

7698. თანასწორობა გვინდა იმათთან, ვინც გვაჯობა და არა იმასთან – ვისაც ვაჯობეთ.

7699. რეპუტაციას ირგვლივმდგომნი, მეზობლები, გიქმნიან და არა – მეგობრები, კეთილისმდომნი, რადგან ყველას ჭორის საწყისი აინტერესებს და კუდის გამობმას ყველა ახერხებს.

7700. ეფექტური საქმიანობა ყველას არ მოსწონს, რადგან ვერც გონებრივად, ვერც შემართებით ტემპში ვერ აგყვება.

7701. სასწრაფო ყოველთვის არ არის მნიშვნელოვანი და გადაუდებელი, მასაც თანამოაზრეებში გადამოწმება სჭირდება.

7702. სიმშვიდე თავისებური იდილიაა თუ ზედ ნერვები მორგებული გაქვს.

7703. პროფესია თანამდებობაცაა, სამეცნიერო წოდებაც, თავის წარმოჩენის საშუალებაც და შთამომავლობისათვის სახელის განთქმაც.

7704. პროფესიის არჩევაც ნიჭზე, შემთხვევაზე და განგების ხელის დადებაზეა დამოკიდებული.

7705. ოცდამეერთე საუკუნეში, ფანტაზიის საწყისებზეც კი ჭირს გარკვევა რა იქნება ოცდამეთერთმეტე საუკუნეში და იქნება კი რაიმე?!

7706. ზოგჯერ სინოპტიკოსის მიერ დაშვებული შეცდომა, ექიმის მსგავსად, ძალზე დამაფიქრებელი და სავალალოა, რადგან პროფესიონალიზმი და ჭეშმარიტების ავტორიტეტი საფრთხეშია.

7707. რადგან ერთი ცივილიზაცია მეორეთი იცვლება, მას არც მყარი ისტორია არ გააჩნია და ყოველივე სამყაროს ნებას ემორჩილება.

7708. ყველა პროფესიას თავისი დანახარჯები ახლავს, მიუხედავად იმისა, საქმის დიდოსტატი ხარ თუ თანრიგოსანი.

7709. კუდის დავიწყებას, კარგისაგან განსხვავებით, სწრაფად ვცდილობთ, თუ ის გონებას და გულს არ გვიღრღნის.

7710. ცივილიზაცია ყოფიერების შესაგრძნობად ბევრს გვაძლევს, მაგრამ სულიერებისაგან ხარკი მეტი მიაქვს.

7711. არის ქალთა კატეგორია, რომელზე დანდობა არ შეიძლება, მაგრამ გატაცებას, სიფარულს ამის ცოდნა ვერ შველის და მამაკაცი მდედრის კლანჭებში ხვდება.

7712. წარსულის მივიწყება ყურებს გვაცქვეტინებს, რადგან აწმყომ მისი ფასი ჯერ ვერ შეიცნო და გაითავისა.

7713. ძალზე კარგი ყოველთვის კარგი არ არის, მან გაამაყება, თვითდაჯერება, იცის.

7714. მოხერხებულობასა და ვაჟკაცობას შორის დიდ სხვაობაა, პირველი გამარჯვებულ მომხრეებს აღაფრთოვანებს, მეორე – დამარცხებულებსაც, რადგან მასში ერთდროულად კაცთმოყვარეობაცაა და კაცთმოძულეობაცა, სიფარულსა და სიძულვილთან ერთად.

7715. ხშირად მართლები ვართ საკუთარი თავის და გარეშეთა უყურადღებობის წინაშე, რადგან მომდევნო საუკუნეების ნებას დღევან-

დელი ნიჭი წინ ვერ აღუდგება და ჩვენი საკეთებელ უკანმოუხედავად, დაუფიქრებლად და დროულად უნდა ვაკეთოთ.

7716. მთავარი ის კია არ არის, თავს რა გადაგვხდება, არამედ ის, მას როგორ აღვიქვამთ და როგორ გამოვიყენებთ.

7717. სპონსორობა, მეცენატობა, დახმარება, ინტიმურია, რადგან მთავარი აქ გაცემა კი არ არის, არამედ ქვეყნისათვის რაა საჭირო და რა საამაყო საქმეს მოხმარდება მათი მცდელობა.

7718. ხშირად ყველა ჩვენს ფანტაზიას და ოცნებას რეალობა გვიცრუებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს წარმოსახვით სიამოვნებაზე ხელის აღებას.

7719. თავდაბლობა საჭიროა, მისასალმებელია, მაგრამ ყოფიერებისათვის და წარმატებათა მიღწევისთვის თავისებური ზადი და ნაკლია.

7720. თუ ვეცდებით ძნელი წარსული გადავცვალოთ უკეთეს მომავალზე, შედეგად მივიღებთ უღიმღიმო აწმყოს და ჩვენი მცდელობაც ამით დამთავრდება, რადგან მცდელობა შემართების უქონლობის გარეშე არარაობაა.

7721. ზოგჯერ ფსიქოლოგიური კუნთების გამოჩენაა საჭირო და არა მარტო ფიზიკურის რათა კუთვნილი პატივიცემა დაიმსახურო.

7722. მეტყველობა იმითაც არის საპატიო სპეციალობა, რომ მომდევნო თაობებს უმზადებს კოროომს და თავად იმითაც კმაყოფილდება, რაც წინაპრებმა გადაარჩინეს.

7723. თავის მოკვლა უსუსურობის, გულგრილობის, ნერვიულობის და ცხოვრებიდან თავის დაძვრენის მცდელობაა. ამიტომ ითვლება ის ცოდვად და შენდობას არ იმსახურებს.

7724. ლოგიკა, ინტუიცია, ანალიზი, გვავალდებულებს, მაგრამ გულს ვერ უბრძანებ.

7725. წესიერებას და პატიოსნებას შორის ის სხვაობაა, რომ პირველი ცდილობს თავის წინაშე იყოს უმწიკვლო, ხოლო მეორე – ყველას წინაშე.

7726. მარტო კარგი სურვილები არ კმარა, მას საქმის გონივრული კეთებაც უნდა მოჰყვეს. ერთი პერიოდი სასადილოებში პური უფასო იყო, მაგრამ იმის გამო, რომ სასადილოს მუშაკებმა პურის ქურდობა დაიწყეს, მალე მისი ნაკლებობა შეიქმნა და კარგმა წამოწყებამ თავი დაგვიკრა, რადგან ნდომა, აღზრდაზე და გონიერებაზე წინ ვერ დადგება.

7727. წარმატებას ის აღწევს, ვისაც ღმერთის რისხვის არ ეშინია და თუ საქმეს ხელის მოჰკიდებს, რადაც უნდა დაუჯდეს, ბოლომდე მიიყვანს.

7728. ყველა მონანიებას თავისი ალიბი სჭირდება თუ გინდათ მისგან სარგებელი ნახოთ.

7729. გამარჯვების ფასის დადგენა ძნელია, რადგან მის ყველა შემადგენელ ნაწილს თავისი იდეოლოგიური დებეტ-კრედიტი ახლავს და აქ მტყუან-მართლის გარჩევა ხშირად შეუძლებელია.

7730. ზოგჯერ ჩვენი მიხვედრილობა უაზრობაა, მიუხედავად იმისა მართლები ვართ თუ არა საკუთარი თავის და ვიღაცის წინაშე.

7731. საჩოთირო ჭორით დაინტერესებისას რომ არ მოგატყუონ, კითხვა არ უნდა დასვათ, რათა თავიც არ გააწბილოთ და შემკითხველიც.

7732. ჰედონიზმისგან განსხვავებით, ცინიზმი, ნიჰილიზმი, არ იძლევა თავდავიწყების არც უფლებას, არც საშუალებას.

7733. ჭეშმარიტი სიყვარული ცხოველურიცაა, მიმზიდველიც და ხშირად არა – მიწიერიც.

7734. პატიოსნება და სარგებელი ერთად ვერ ბალახობენ, მაგრამ უერთმანეთოდ ვერ ძლებენ, რადგან შინაგანად და მატერიალურად გაკოტრებულნი არავის სჭირდება.

7735. თუ მუდმივად გიჩნდება მოთხოვნილება სიყვარული დაგიდასტურონ, ეს იმას ნიშნავს, რომ საკუთარ სიყვარულის პარამეტრებში ეჭვი გეპარება, ან არ გიყვარს და არ უყვარხართ.

7736. ყოველთვის სასიამოვნოა იმის დაჯერება, რასაც ჩვენ წინასწარ გავთვლით და არა იმისა, რაც სინამდვილეში მოხდა.

7737. ყოველივე პირველის გახსენება ადვილია, დავიწყება – ძნელი.

7738. თუ ვინმეზე დამოკიდებული ხარ, მას მანამ ვერ დაივიწყებ სანამ გჭირდება და სჭირდები.

7739. სწავლის სურვილი, შეთვისების მცდელობა, განათლების სინონიმი არ არის და არც მათი პირდაპირპროპორციულობის დადგენაა შესაძლებელი.

7740. რწმენის და შემართების გარეშე მხოლოდ ფართომოხმარების საქმე კეთდება და ისიც უგემურად.

7741. ხშირად გამეორებული ჭეშმარიტება რწმენის საწყისია.

7742. ეცადო იყო მუდამ ბუნებრივი, ხალასი, გმირობის ტოლფასია.

7743. ავტობიოგრაფია გაცილებით მეტს სცოდავს, ვიდრე ბიოგრაფი, რადგან პირველი ამბიციების გამო ბიოგრაფიის შელამაზებას ცდილობს, ხოლო მეორე ფაქტებს ეყრდნობა.

7744. ყოველი სიახლე გადასინჯვას მოითხოვს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ძველი ცუდია და ახალი – უკეთესი, აქ მთავარია რაციონალური მარცვალი და არა – ტექნიკური პროგრესის ფეხის აყოლა.

7745. რატომღაც ყველა გონიერი მსჯელობა, კრიტიკა, სურვილები, ვიღაცას ანაწყენებს, მაგრამ რატომ გაუგებარია.

7746. ყველა ოპტიმისტი ჯიუტია სხვისი გადასახედიდან.

7747. წარსული და მომავალი ყველას აქვს, მაგრამ დადებითი ბალანსის გამოყვანა ძნელია.

7748. რადგან კამათი ჭკვიანს ბრიყვთან ათანასწორებს, ამიტომ პირველი მეორეს პაექრობაში არ უნდა აყვეს.

7749. XXI საუკუნე ყველაფრის კეთების უფლებას გვაძლევს, მაგრამ საქმის კეთება XX საუკუნესთან შედარებით გაიაფებულია და ეშხი, პეწი, აქვს დაკარგული.

7750. სიამაყე ყოველთვის საშიშია, ამიტომ სხვისი არ მოსწონთ და ამიტომაც გაუგებრობა ახასიათებს.

7751. გაცილებით ჭკვიანები, მობილიზებულები და სიცოცხლის უნარიანნი ვართ, როდესაც გვიჭირს, მიზანს ვხედავთ ან უბრალოდ, კარგ ხასიათზე ვართ.

7752. ეგოიზმია, როდესაც საკუთარ თავს ვაიძულებთ ის აკეთოს, რაც არ მოგვწონს, არ გვეხალისება, მაგრამ საჭიროა.

7753. ჩვენთვის დაშვებული გამონაკლისი ყოველთვის დაფნის გვირგვინის მოსაპოვებლად გვიბიძგებს.

7754. ჩვენ რომ წინასწარ განჭვრეტის უნარი გვქონოდა, სამყაროს სხვანაირად აღვიქვამდით.

7755. ყველაზე დიდი ნიჭია ის აკეთო, რის უნარიც გაქვს, ცდუნების სურვილს არ აჰყვე და სხვის საქმეში ცხვირი არ ჩაჰყო.

7756. ნაღდი საქმის ცოდნა და კეთება ერთეულთა ხვედრია.

7757. გულუბრყვილობა, სიხალისე, რატომღაც ყოველთვის დაცინვის საგანია და თითით საჩვენებელი, ადამიანი რაც უნდა მაღალ ხარისხის იყოს.

7758. რადგანაც ნერვული უჯრედები არ აღდგება, ის ყველაზე გონივრულად და შემოქმედებითად უნდა ვხარჯოთ.

7759. იყო იდეალური თეორიულად, ძალზე კარგი, მაგრამ პრაქტიკულად წამგებიანია, რადგან უმეტესობაში ზიზღს და პროტესტს იწვევს.

7760. წესიერება ზოგჯერ ეჭვს იწვევს, რადგან ხშირად გამონაკლისია, ამიტომ ზოგჯერ მას "ჩასაფრებით" პასუხობენ.

7761. რატომღაც ხშირად იქ ვაგვიანებთ, სადაც დაგვიანება თეორიულად გამორიცხულია.

7762. უდანაშაულობასა და უბიწობას შორის ის სხვაობაა, რომ ერთი პატიოსნების ალალი ბიძაშვილია, მეორე – დეიდაშვილი.

7763. ზოგი თაობა განწირულია გმირობის ჩასადენად, სურვილის და მსოფლმხედველობის მიუხედავად შექმნილ გარემოებათა გამო.

7764. ჭეშმარიტების უფრო სწამთ, ვიდრე სჯერათ, რადგან რწმენას თავის განძრევა არ სჭირდება, ხოლო დაჯერება ტვინის "ადუღებას" მოითხოვს.

7765. პრინციპებს მოვლა-პატრონობა სჭირდება, რადგან სახელისაგან განსხვავებით ყოველთვის ლელო ვერ გააქვს.

7766. ჭეშმარიტებისთვის სიცრუის საჭიროება გაუგებარია, ხოლო სასიამოვნო სიცრუისათვის – ჭეშმარიტების შეუვალობის საჭიროება.

7767. ენთუზიაზმი და შემართება სხვადასხვა რამაა, მაგრამ ერთმანეთს კარგად უგებენ.

7768. სოფლიდან ქალაქში საცხოვრებლად გადასვლაც ემიგრაციაა, რადგან ფესვებს ღალატობ და მეზობლებს ემშვიდობები.

7769. ძვირადღირებული ნივთები ყოველთვის იაფს არ სჯობს, თუ მისი მოხმარება, გამოყენება არ იცი.

7770. ნორმალური ურთიერთობების შესანარჩუნებლად საჭიროა იმ სისაძაგლის ართქმა, რასაც მასზე შენი ნაცნობები ამბობენ.

7771. არის ბაროკოს სტილის წარმომადგენელი პიროვნება, რომელსაც სხეულის და აზროვნების გარკვეული ნაწილი არასტანდარტული აქვს და მთლიანობაში მიმზიდველ-მომხიბვლელია.

7772. სითამამე ცუდი არ არის, თუ ის უზრდელობასა და პროფესიაში არ გადაიზარდა.

7773. არის ტვირთი, რომელიც მარტოკამ უნდა ატარო, რადგან თანდაყოლილი ამპარტავნება უფლებას არ გვაძლევს შენი დამცირება სხვამაც გაიზიაროს.

7774. კრიტიკას, კამათს, ყბედობას, ჭორაობას და ღადავს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი რაღაცის დადგენისთვის იღვწის, მეორე სიმართლეს ეთამაშება, მესამეს დრო გაყავს, მეოთხე ვნებას იკმაყოფილებს, მეხუთე ერთობა და ყველა თავისებურად დროსატარებელ ჭეშმარიტების დადგენისთვის იღწვის.

7775. სხვისი ნაკლის ჭვრეტა გვაძლევს საშუალებას, რომ საკუთარი ვერ შევამჩნიოთ, დავივიწყოთ.

7776. ნიჭის გარეშე შესრულებული ყველა სამუშაო ტანჯვის ასოციაციას იწვევს, თეორიულად მაინც.

7777. წარმატება და სიბრიყვე სინონიმებია, მაგრამ რომელი რომელს უნდა უმადლოდეს ეს კიდევ დასადგენია.

7778. ყველა წესიერებას, კაცობას, ქადაგებს, იმის მიუხედავად, რომ ყველა ჩვენგანი ცოდვილია.

7779. გაჭირვებამ უნდა გაიძულოს უფრო მოხერხებული, დაუზოგავი და წარმატებულნი ვიყოთ, რადგან სიღარიბიდან ამოსვლის სურვილი ის ფენომენია, რომელიც არაფერს არ უნდა შეეპუოს.

7780. ფიქრი ომის, შეხლა-შემოხლის, დაწყებამდეა საჭირო, თორემ შემდგომ თავის, ახლობლების, ღირსების გადარჩენაზე უნდა იზრუნო.

7781. ჯარისკაცი ფიცს და მოვალეობას უნდა ასრულებდეს და არა იმ უგვანო ოფიცრის ბრძანებას, რომელსაც მისი ყოფნა-არყოფნა ამქვეყნად დიდად არ ანაღვლებს, თუმცა სუბორდინაციის კანონის დარღვევის უფლება არავის აქვს, რადგან მაშინ ჯარი არ იარსებებს.

7782. გმირობის ჩადენას შექმნილი გარემო ვერ გაიძულებს, თუ თავში სისულელის ჭია არ დაძრომიალობს.

7783. ომი მაშინ იწყება, როდესაც ხვადების რაოდენობა დადგენილ ნორმას გადააჭარბებს და ბუნებას ჯერ-ჯერობით ხელი არ ეწიფება მათ გამოსახშირად.

7784. სამოქალაქო ომში გამარჯვება გამორიცხულია, რადგან ამ პროცესის შედეგები დიდხანს და მტკივნეულად გრძელდება, იმათვისაც კი, ვინც დროის გარკვეულ უკუღმართ პერიოდში გამარჯვება იზეიმა.

7785. ომი ადამიანთა ბუნებრივი გამოხშირვის და დემოგრაფიული აგრესიის საწინააღმდეგო საშუალებაცაა, მაგრამ დღეს ეს დემოგრაფიის და საკვების რეგულირებით უნდა შევცვალოთ.

7786. ომზე დიდი სისულელე ადამიანს არ მოუგონია, მაგრამ ეტყობა დაპირისპირების და სხვაზე ჯობნის მცდელობის გარეშე საზოგადოების შექმნა და ქვეყნის ჩამოყალიბება შეუძლებელია.

7787. როდესაც ყველა "ბუნკერს" თავის მარშალი ჰყავს და გაუმაძღრობა ბედს მოსვენებას არ აძლევს, ომის გამოცდილების მწარე წარსულზე ენის დაცდენაც გამორიცხულია.

7788. ეტყობა ხულიგნობის გენი ომის სურვილის გენად გადაიზრდება, რადგან თავხედობა არ ფიქრობს იმაზე, რომ მას ოდესღაც ცხვირში ამოარტყამენ.

7789. აღმოსავლეთი ომში თავის უნამუსობით გამოირჩევა, დასავლეთი – მოჭარბებული ტექნიკური პოტენციალით, პირველს მეორის დაჩაგვრა იარაღის საშუალებით არ შეუძლია და ამის სანაცვლოდ ცოცხალ ძალას – კამიკაძეებს, შახიდებს იყენებს ანგარიშის გასასწორებლად, რომელიც ხშირად ატომურ ბომბზე უფრო საშიშია.

7790. ომს პირადი ამბიციების გამო იწყებენ საზოგადოების ინტერესების გასვრის მცდელობით.

7791. ვისთვის და რისთვის იხოცებიან ჯარისკაცები, თუ ისტორია თითოეული მათგანის სახელს არ აფიქსირებს და მებრძოლთა ხსენებას,

მთავარსარდლებისაგან განსხვავებით, მარადისობის საერთო სანაგვეში მიუჩენს ადგილს.

7792. როდესაც გამარჯვების შემდგომ ჟინი და სიამაჟე ქრება, მოწინააღმდეგის დამარცხებით გახარებულმა არ იცი ეს შენს მცდელობის დამსახურებაა თუ განგების ხელიც ურევია.

7793. ჯარისკაცი ყველაზე ახლო მამაზეციერის ნებასთანაა, ამიტომაც მათი საქმიანობა, ყველა დროში, მშვიდობიან მოსახლეობაზე მეტად უნდა დაფასდეს და პატივი მივაგოთ.

7794. გმირობის დაგეგმვა აზროვნებასთან შეუთავსებელია, რადგან მას შემთხვევა განსაზღვრავს და არა ჩვენი ნება-სურვილი და თავის გადადების ოპტიმიზმი.

7795. სულიერებისთვის და რწმენისთვის ომს უნდა მოვეშვათ, თუ გვინდა სამყაროს ჰარმონიას მოვერგოთ და კეთილდღეობა გავითავისოთ.

7796. გმირი ყოველთვის უნდა გავამართლოთ, მიუხედავად იმისა, სცოდავს ის თუ არა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცხოვრების განსჯა და მასზე "ბაზარი" აზრს კარგავს.

7797. ომის მოგება სხვისი რჩევა-დარიგებების გარეშეც შეიძლება, მაგრამ მშვიდობის მიღწევა მარტოკა შეუძლებელია.

7798. სიცილი მომაკვდინებელი იარაღია, ვინც იცის მისი დროული გამოყენება.

7799. როდესაც დღევანდელობას აკვირდები, უხიაგ, გაუბედავ და შემთხვევით მამრთა ოდენობის მომრავლებას ხედავ. ეს, ალბათ, იმის ბრალია, რომ დღეს მათი გამოხშირვა ომებით და დაავადებებით შედარებით ნაკლებად ხდება.

7800. სამწუხაროდ, ჯარისკაცის გმირობა ძნელად ფასდება, მაგრამ სახელი დიდხანს ძლებს, მოქალაქის გმირობა ადვილად ნახულობს აღიარებას, მაგრამ სწრაფად ავიწყდებათ.

7801. გამარჯვება იმითაც არის საინტერესო, რომ იმ დღეს ყველას უყვარხარ და ბედის რჩეული ხარ.

7802. თავხედობიდან განსხვავებით, რისკი გონიერების დევიზს და შენს მენტალიტეტს უნდა ემორჩილებოდეს.

7803. კაცობრიობას რატომღაც ომობანას გარეშე ცხოვრება არ შეუძლიან, როგორც რეალობაში, ასევე ვირტუალურ გარემოში.

7804. მოქალაქეობრივი გმირობაა, როდესაც საზოგადოებრივი აზრისთვის ქმედება მიუღებელია, მაგრამ ქვეყნის ძლიერებისათვის აუცილებელია და საჭიროც.

7805. ორატორი მოლაყბე ხალხს უფრო მოსწონს, ვიდრე რეალური საქმის მცოდნეთ, რადგან პირველის სიტყვების რახა-რუხს ყველა ისმენს, ხოლო მეორესას დაფიქრება და განსჯა სჭირდება და ქვეყნის სათავეში ენის და ერის ჭირი უსაქმური წამოსკუპდება.

7806. ჩხუბსაც სილამაზე, ეშხი სჭირდება, თორემ მის გარეშე მას არც აზრი ექნება და არც წონა.

7807. ხშირად სამშობლო ცხვირმოუხოცავი ბიჭებიდან გმირებს წარმოშობს, თავისი უსუსურობის და მოუწესრიგებლობის მისაჩქმალად.

7808. გენერალს და ჯარისკაცს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი გენერლად არ იბადება, ხოლო მეორე – ჯარისკაცად იბადება და მებრძოლი ხდება.

7809. გმირობას და სისაძაგლეს ბევრი საერთო აქვს, გააჩნია, ვის მხარეს ვთამაშობთ.

7810. ბრძოლის შედეგი ხშირად მოროდიორთა საკუთრებაა და არა იმათი, ვინც მოვალეობისათვის და სამართლიანობისათვის იარაღი აისხა.

7811. ომი თავისებური თამაშია და სასურველია განგების წყალობით გამარჯვებულთა მხარეს აღმოჩნდეთ, რათა თქვენი შთამომავალი სირცხვილს გადაურჩეს ისტორიის კაპრიზების უცნაურობათა ამოსაყორად.

7812. გამარჯვება თავის სანთელ-საკმეველს არ კარგავს და ხშირად იმის მხარეზეა, ვინც მართალია და არა იმის – ვინც იბრიქება და ძალადობს.

7813. ტეროროზმი თავისებური მოსავალია იმ გულგრილ „სუპერ ქვეყნების“ მიმართ, რომლებიც სიტყვით თავისუფლებას და ურთიერთპატივისცემას ქადაგებენ, საქმით კი ცხოვრების ძალის დემონსტრირებას ცდილობენ და რელურად სხვა ქვეყნის ბედი ფეხებზე ჰკიდიათ.

7814. ზნეობის საზღვრების დარღვევა გაცილებით მკაცრად უნდა ისჯებოდეს, ვიდრე სახელმწიფო საზღვრისა, რადგან პირველი სულის შეურაცხყოფაა მეორე – ამბიციებისა, რამაც შეიძლება ომის საბაბი წარმოშვას.

7815. ომი იგივე სტიქიური მოვლენაა, იმ განსხვავებით, რომ ხალხს თანდათანობით იწირავს, წლებზე გადანაწილებით და მამაკაცთა მოდგმის შემცირებით.

7816. ყველა ჯარისკაცს ისე უნდა მოვექცეთ, როგორც ჭადრაკის გამსვლელ პაიკს, რომელიც ქვეყნისათვის აუცილებელ საქმეს აკეთებს

და არა – ეკონომიურად სასარგებლოს, რომელთა კეთება მოქალაქეთა საქმეა.

7817. გმირობას უმეტესად მაშინ ჩადიან, როდესაც ამისთვის შინაგანად მომწიფებულნი არ არიან, ხოლო გონიერებაში გადახარშვის და დაფიქრების შემდგომ, შეიძლებოდა თავი არცკი გაეწირათ.

7818. ომი ინტერესების სასაფლაოა, პირველ რიგში, ჯარისკაცებისა და ოფიცრების, რომლებსაც გენერლები და ძლიერნი ამა ქვეყნისა მიერეკებიან.

7819. ომის შედეგად დაკარგულ მიწებს მომდევნო თაობებიც ვერ ურიგდებიან და ყველა ხელსაყრელ შემთხვევაში მის დაბრუნებას შეეცდებიან, რადგან რევანშის ალიბი მათ მხარეზეა.

7820. ომი, უპირველესად, უგონოების ბრძოლა და მოჩვენებითი ტვინის-ჭყლეტვაა.

7821. ომის თავიდან აცილება მაშინ გახდება შესაძლებელი თუ ტექნიკური პროგრესი წინ წაიწევს და ექსტრასენსები წინასწარ განსჯიან სად, როდის და რომელი ჯარისკაცი დაიღუპება, რადგან ამ „საზარბაზნე ხორცის“ უხმო მორჩილება მიზეზია ყველა ომის დაწყებიას.

7822. სამყაროს ძალად დაპირისპირებულმა, შეიარაღებულმა ძალებმა ყველა ბომბი მშვიდობის მტრედებს უნდა გაატანონ, თუ გვინდა ხალხმა ურთიერთმორიდება და პატივისცემა ისწავლოს.

7823. მუსულმანურმა სამყარომ დღეს აშშ-ს და „ნატოს“ ქვეყნებს ჯვაროსნული ომი გამოუცხადეს, იმის მაგიერ, რომ ისტორიის გაკვეთილებისთვის გადაეხედათ და კომპრომისი გამოენახათ, მაგრამ ძლიერება ყოყლოჩინობაზე ხელს ვერ იღებს.

7824. ომს თავისი პოეზია, პროზა, მხატვრობა და მუსიკა ამკობს, რომელიც ასე ახელებს და აღაფრთოვანებს მის წამოწყებებს ხალხის უგნურების ხარჯზე.

7825. ომი პოლიტიკურად დაწყების წინ უნდა მოიგო, რომ საბოლოო გამარჯვება დაგრჩეს და რევანშის მცდელობა ვერ გაბედონ.

7826. ომში მოვალეობის გულისთვის მიდიან და არა – ჯილდოების მისაღებად, მაგრამ მასზე ქვეცნობიერად ფიქრობენ, ხალისობენ.

7827. ომი უმძიმესი სულიერი სამუშაოა, ვინც მისი ანა-ბანა იცის და მასთან შეხება ჰქონია.

7828. ომს თავისი კანონები აქვს, ბრბოს – თავისი წარმოდგენა თავის დაძვრენის მცდელობით.

7829. სუპერსახელმწიფოები გამალებულ შეიარაღებაზე, ძალის დემონსტრაციაზე, და სხვის საქმესში ცხვირის ჩაყოფაზე კი არ უნდა

ფიქრობდეს, არამედ ცივილიზებული გზით მათთან ეკონომიკაში შეჭიდება-დახმარებაზე, რადგან ომის მიზანი ყოველთვის სხვისი ბაზრების და ბიზნესის გათავისება იყო.

7830. ომში გამარჯვებული ხელისუფალი ვალდებულია ვალმოხდილი ჯარისკაცები ან მატერიალურად უზრუნველყოს ან რეპრესიებს მიმართოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყანა კრახის წინაშე აღმოჩნდება.

7831. რუსეთ-საფრანგეთის ომში თუ ნაპოლეონის შეტევები იყო სამხედრო ხელოვნების ნიმუში, კუტუზოვის ორგანიზებული დახევა იყო გონიერების საწყისი, რადგან ელვისებურ ნიჭთან ბრძოლა მხოლოდ მოხერხებით და შემოქმედებითი სტრატეგიით შეიძლება.

7832. მამრის და მდედრის სექსუალური მოთხოვნების შესაბამისად ყოველწლიურად შთამომავლობა რომ ემრავლებინათ, მაშინ სამყარო ვნებათა ომის უცნურობათა ომში გაებმებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ამქვეყნად სიცოცხლის გასაგრძელებლად მოვდივართ.

7833. ჩვენი სამხედრო მოსამსახურეები იმდენად მცირე ხელფასს იღებენ, რომ მიკვირს სამსახურიდან თავისუფალ დროს მოწინააღმდეგე მხარეს რატომ არ იბრძვიან და არ ბალახტარობენ.

7834. ომი მამაკაცთა გამოუცდელი სოლიდარობის შედეგია და არა აგრესიული ჟინის, ბუნების.

7835. ფაქტიურად მესამე მსოფლიო ომი ,,შახიდების" მიერ დაწყებულია, ამიტომაც შიშის ჰორმონებიც უნდა ვაფხიზლოთ და თავადაც უნდა ვიფხიზლოთ, ამით თავსაც დავიზღვევთ და სხვასაც დავიცავთ.

7836. ჯარისკაცის სულის წვრთნა ბავშვობიდანვე უნდა ქვეყნის სიძლიერის მაგალითების ჩვენებით.

7837. თავისუფლების და დემოკრატიის სახელით დედამიწაზე ომობანას თამაშს უნდა შევეშვათ, რადგან ტექნიკური პროგრესის ზრდა დედამიწის ორბიტიდან მოუწყვეტლობის გარანტიას არ იძლევა.

7838. ომში თავისი სიმართლე აქვს: სანგრის გენერალს, პარკეტის მთავარსარდალს, ვალმოხდილ მებრძოლ ჯარისკაცს და ისტორიის გადამხედავს, რომელთა ნათქვამ-ნამოქმედარი, პრეტენზიებისაგან განსხვავებით, ერთმანეთს იშვიათად ემთხვევა.

7839. იყო დრო, როდესაც უიარაღობის გამო ომის წინა ხაზზე ჯარისკაცს იმ იარაღს სთავაზობდნენ, რომელიც სიკვდილის შემდეგ სანგარში გამოთავისუფლდებოდა. ამას პატრიოტიზმს და თავდადებას ეძახდა ის, ვინც ვალდებული იყო ქვეყანა და არმია აქამდე არ მიეყვანა. დღევანდელი გადასახედიდან ეს პატრიოტიზმი კი არა, დანაშაულია.

7840. მამაკაცების ომობანას თამაშმა ქალს მისცა საშუალება სამუშაო მოეძებნა, ემანსიპაციაზე ეზრუნა და კარიერის კიბეს შედგომოდა.

7841. ოკეანე რომ დედამიწაზე მცხოვრებთ ეხმარება, ისე რომ დედამიწაზე მცხოვრებნი ეხმარებოდნენ და უგებდნენ ერთმანეთს გაჭირვების ჟამს, ამქვეყნად დიდი ხანია შეწყდებოდა ომიანობა და სიღარიბესთან თამაში.

7842. უგვანო ქვეყანაში არც გენერლობა უქნია ღმერთს და არც მისი დენშჩიკობა, არც ერთს დაფასება არ აქვს, პირველს – ხალხისგან, მეორეს – გენერლისგან.

7843. ომი ყოველთვის იწყება სიძულვილის ვირუსის გავრცელებით, რის შედეგადაც ხალხი თანახმაა თავის თანამოძმე საზარბაზნე ხორცად აქციოს.

7844. ომს აქვს ერთი თვისება – შედეგის წინასწარ ცოდნის მიუხედავად, ხშირად ის გარდაუვალია.

7845. ომი მეზობელ ქვეყანასთან პოლიტიკის მარცხია, სამოქალაქო ომი – გონიერების.

7846. რევოლუციის დროს ვერ ხვდები, რა დროში ცხოვრობ: ომის შემდგომ თუ ომის დაწყებამდე.

7847. ამერიკის მთავრობისთვის მთავარია აწმყოში თავის გამოჩენა, თორემ მცირე ომის წამოწყებას და მასში დამარცხებას ძველ პრეზიდენტს უხმოდ დააწერენ.

7848. მსოფლიო დღეს დიდ ომებს არ ეწევა, მაგრამ შიში და უნდობლობა ქვეყნებს შორის უფრო იზრდება, რადგან კუნთების ჩვენების გარეშე, მხოლოდ გონიერების მეშვეობით, მშვიდობის შენარჩუნება ჭირს.

7849. სამყაროში თუ აშკარად ომი არ ბობოქრობს, ეს არ ნიშნავს, რომ მშვიდობიანად ვცხოვრობთ და ყოფით ვტკბებით.

7850. ჯარში სამსახური ქვეყნისთვის ვალის დაბრუნებაა და არა – სიღარიბისთვის სასჯელი.

7851. ვინღა დააბრუნებს იმ ტალანტებს, რომლებიც უგუნურმა ომებმა შეიწირა.

7852. ჯარისკაცისთვის სამშობლოს დაცვა მოწოდებაა და არა – პროფესია, მაგრამ პროფესიონალის გარეშე ქვეყნის დაცვა ჭირს.

7853. უიმედო მსხვერპლის გაღების დრო კეთილი სურვილებით დამთავრდა, რადგან მათი მცდელობა არ ფასდება და ზოგჯერ ავიწყდებათ.

7854. ჯარში ყოფნა და ციხეში ჯდომა იმით განსხვავდება ერთმანეთისაგან, რომ ერთში ქვეყნის ინტერესებს ემსახურები, მეორეში – გამსახურებენ.

7855. ვინც ჯარს არ უფრთხილდება, სამხედრო საქმეში ვერ ერკვევა, თავს, ქვეყანას ხიფათში აგდებს და ირგვლივმყოფთა უპატივცემულობას იმსახურებს.

7856. ომი სამართლიანი ვერ იქნება, რადგან სიცოცხლეს ცელავს.

7857. ვისაც ხეირიანი ჯარი ჰყავს, ყოველთვის ეყოლება მოკავშირე და წილში ჩაჯდომის მსურველი.

7858. ომი ეს არის გონებაჩლუნგობა დიდი ბავშვებისა, რომლებიც მოსალოდნელ შედეგს და ალბათობის თეორიის სიმუხთლეს არად აგდებენ.

7859. ძალა, გამრავლებული გონიერებაზე, გაყოფილი ომის პროფილაქტიკაზე ტოლია დიდი სისხლისღვრის აცილების.

7860. ომი კარგი გაკვეთილია, მაგრამ ძვირი ჯდება, სამაგიეროდ, მოკლე ხანში დავიწყებას ეძლევა.

7861. სისუსტე ყოველთვის იწვევს უკმაყოფილებას, დაპირისპირება – ომს.

7862. განსაცდელი, ტრაგედია, ომი რომელიც ჩვენ არ გვეხება, ნერვებს არ გვიშლის.

7863. ზოგს, ომის გარეშე მიღწეული შედეგი, გამარჯვებად კი არა, მონაპოვრად მიაჩნია.

7864. მშვიდობისთვის, რატომღაც, ყველაზე მეტად ის იბრძვის, ვისაც საკმარისზე მეტი სამხედრო ძალა გააჩნია და მოწინააღმდეგე ვერაფერს დააკალებს.

7865. ტერორიზმი უგნერების შედეგად გავრცელებული მანკია, რომელიც გვინდა თუ არა, დაპირისპირებით, ძალის გამოყენებით და დროის გაყვანით უნდა მოისპოს.

7866. ტერორი უძლურების ძალაა, რადგან თავად უძლურება ყველა სიავეზე უარესია.

7867. სამწუხაროდ, დღესაც ყველა სადაო საკითხის გადაჭრის ბაზისი ომში გამარჯვებაა და არა – დაპირისპირების მოლაპარაკებით, კეთილი ნებით და კომპრომისით დათრგუნვა.

7868. იმ გმირობის ჩადენაა იდიოტური, რომელიც გჭირდება თუ არა შენთვის გაუთვითცნობიერებელია და ამას შენდაუნებურად აფექტში ჩადიხარ.

7869. ხისტი კანონების საბუდარია არმია, კომერცია, მიზნის ასრულება და აქ უტოპიური, ფილანტროპული გულჩვილობა არ გამოდგება.

7870. ცივილიზაციას ამ სამყაროს შენარჩუნება უნდა თუ არა, ძნელი სათქმელია, მაგრამ ომი და დაპირისპირება რომ მას ჭკუას უბრუნებს, ამის დასტური ისტორიული გამოცდილებაა.

7871. სამოქალაქო ომის უბედურება ის არის, რომ სხვადასხვანაირად მოაზროვნე მამა-შვილს ამ ბრძოლაში ერთმანეთის დაღუპვა და სიკვდილი არ უხარიათ, მაგრამ არც მაინცდამაინც სწყინთ.

7872. ჩვენ თუ ცხოველთა სამყაროს წარმომადგენლები ვართ, ომი თუ არა, დაპირისპირება გარდაუვალია, რათა საკუთარი შესაძლებლობა უკეთ წარმოვაჩინოთ.

7873. საოცარია, ვინც ცხოვრების მადლი, თავის ახალგაზრდობით უნდა შეიცნოს და იგრიალოს, ის ომის დაწყების წინააღმდეგი არ არის, ხოლო ვისაც ასაკის გამო თავი გაბეზრებულ-მობეზრებული აქვს, ის გვევლინება მშვიდობის დამცველად.

7874. შეჭიდების დროს, უმთავრესია თავდაცვის ცოდნა, თავდასხმის რეალიზებით.

7875. ტერორიზმი, პირველ რიგში, ცინიზმია, ხელისუფლებისათვის თავს – ლაფის დასხმაა, მხოლოდ შემდგომ მოდის ძალადობა, მკვლელობა, გულგრილობა.

7876. ვაჟკაცობა-გულადობა, რომელიც წინ არ იყურება – აფექტის შედეგია და ამ სახის გმირიც მრავალია, მაგრამ გონივრული მოთმინებით და ჩასაფრებული გმირობა ერთეულთა ხვედრია.

7877. ომი კაცობრიობის სენია თუ გადამდები გრიპივით მოხდის აუცილებლობა, ძნელი სათქმელია, მაგრამ მის მკურნალობას გონიერება, ძალა სჭირდება და არა – წაყრუება.

7878. ომის გამოცხადება საჭირო არ არის, რადგან ცხოვრება ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს.

7879. არმიის შესაქმნელად უმთავრესი მთავარსარდალია, წესრიგია, სამშობლოს სიყვარულია და შემდგომ – შეიარაღების ხარისხი, ეს თანამიმდევრობა რაც უნდა მიუღებული იყოს დილეტანტისთვის.

7880. საჯარიმო ბატალიებში სამსახური ჩუმი სიკვდილია გმირობის მსჯავრით.

7881. სამოქალაქო ომის მიზეზი და უბედურება ის არის, რომ ქვეყნის სათავეში ,,ბეჯ'' მოვიყვანოთ ან უჩვენოდ მოვიდა.

7882. გმირს, სახელოვან ადამიანს, თავისი ამბიციების უნდა ეშინოდეს, რათა ,,ყვერებზედ ფეხი არ დაიბიჯოს''.

7883. ომი, პირველ რიგში, სულისთვისაა მძიმე სამუშაო, შემდგომ მოდის ძალადობა და სისხლის ღვრა.

7884. სიავის მიზეზი ის არის, რომ ომი მიმდინარეობს ჩვენგანის სულში მასობრივი ფსიქოზის და გულგრილობის ეგიდით.

7885. ჯარისკაცია ის, ვინც იცის სამშობლო რომ უნდა დაიცვას და მისთვის უსიტყვოდ თავი გადადოს, ხოლო ვისაც ტერიტორიებზე თვალი გაურბის, ის მთავარდსარდალია, რომლის ბრძანებასაც ჯარისკაცი უნდა დაემორჩილოს. სხვანაირად, არც არმია იარსებებს და არც სამსახური გამოვა.

7886. მთავარდსარდლის უკანასკნელი რეზერვი თავად მთავარსარდალია, რომელიც საჭიროების ჟამს, პირადი მაგალითის ჩვენებით, ჯარს წინ უნდა წაუძღვეს, ბრძოლის ველი არ დატოვოს და გაქცევას „დაგეგმილი უკანდახევა" არ დაარქვას.

7887. გმირობა, რომელიც გამარჯვებით არ მთავრდება, არც არავის სჭირდება, ვერც მომხრეებს აგროვებს და იშვიათად იხსენებენ.

7888. გონიერი ხელისუფლება თავის ცოდვებს სხვა ქვეყნის მიმართ ქრთამის გაღებით იხდის და ამის არ რცხვენია, ხოლო უგნურ ხელისუფალთ, რატომღაც, სისხლისღვრა მოსწონთ და ეს გმირობად მიაჩნიათ.

7889. სანამ არსებობს სამშობლოს ცნება, სხვადასხვა რწმენა და არა – ერთი სამყაროს მოქალაქე, მანამ ომის საფრთხე, დაპირისპირება, შეხლა შემოხლა, ყოველთვის იქნება.

7890. ზოგჯერ ბედნიერებაა ისიც, თუ ადამიანი კატაკლიზმებში, ომში, არ ხვდება და სტატისტიკაში მისი სიკვდილი არ ფიქსირდება, რადგან ამ დროს მას ვერც სათანადო პატივს მივაგებთ და არც ვისმეს სცალია მისი დატირება-გახსენებისათვის.

7891. კაცი რომ ქოსა სულით და ქაოსით მოდის, ქვეყანას ვერც ჯარისკაცად გამოადგება და ვერც – წინამძღოლად.

7892. ომში, უპირველესად, წარმატებას განაპირობებს პატრიოტიზმი, სულის მოწესრიგება, გაწვრთნა, მორალური ძალადობა, შეიარაღება და არა – პირიქით.

7893. ომს ის პოლიტიკოსები იწყებენ და აგებენ, რომელთათვის: სამშობლო ადგილ-სამყოფელია, სახელმწიფო – მეწველი ძროხა, ხალხი – ბეჯა, მთავრობა – ბანდიტია, ჯარისკაცი – განტევების ვაცი.

7894. მტრებზე არ ბრაზდებიან, მოხერხებულობას უხმობენ და სამაგიეროს გადახდისთვის შემთხვევას ეძებენ.

7895. მტრის, მოწინააღმდეგის, წონა განსაზღვრავს ჩვენს იმიჯს, დაფასებას და რაობას.

7896. ომისაგან ომობანას თამაში იმით განსხვავდება, რომ მავანნი ერთმანეთს ნერვებს უშლიან და რატომ, თავადაც ვერ გარკვეულან.

7897. თითმოკაკვული მტრის შემორიგება-შეჯარებაზე ადვილი არაფერია.

7898. მატრიარქატს რომ პატრიარქატი არ შესცილებოდა, იქნებ ქალებს, დედობის ხათრით, ქვეყანა ემართათ და შვილები ასე ჰარი-ჰარალოდ არ გაეწირათ ომობანას სათამაშოდ.

7899. ჯარისკაცი, ჯვარისკაცობითყ შემკული, კარისკაცად არ გამოდგება.

7900. პროფესიული საბრძოლო შენაერთების მომზადება ძვირი და საამაყო საქმეა, მაგრამ კაპიკია მათი ფასი თუ ისინი სათანადო იდეოლოგიით არ არიან აღჭურვილნი და საბრძოლო შემართება სულში არ უზით.

7901. რატომაა, რომ დაპირისპირებას, კამათს, ადამიანები ჩხუბში გადაზრდიან და არა პატიოსან შერკინებაში, რაც უდიდესი აღმოჩენების, ტექნიკური პროგრესის და ეკონომიკური აღმავლობის საწინდარია.

7902. ერთი ბავშვიც რომ დაობლდეს, კონფლიქტის ზონაში დაპირისპირება დაწყებულია, ხოლო ერთის შვილიც თუ ამ დაპირისპირებას შეეწირა, მისი დედისთვის ომი უკვე დაწყებულია.

7903. ომი ყოველთვის დანაშაულია, სამართლიანობის ნიღაბი აქვს მას აფარებული თუ უსამართლობის მასკარადს გვთავაზობს.

7904. ომის და დაპირისპირების აღმოფხვრას მსოფლიოს ნებაყოფლობითი გაერთიანება, სამყაროს კონსტიტუცია და კანონის მათრახი სჭირდება.

7905. საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ დღეს უვიცობაზე და ომზე განათლება და მშვიდობისმოყვარეობა ვერ იმარჯვებს ამომწურავი ინფორმაციის მიუხედავად.

7906. ომის კარებზე დაკაკუნებაც სახიფათოა, ვინ იცის, როგორი დარეხვილი გამოაღებს კარებს და რას მოიმოქმედებს.

7907. გმირობა ზოგჯერ ღირსებას ედავება, აოცებს და მოწონებასაც იმსახურებს.

7908. დაპირისპირებას, ჩხუბს, ორი მონაწილე მხარე ჰყავს და თავიანთი გადასახედიდან ორთავე მართალია, სანამ ერთი მეორეს არ აჯობებს.

7909. ბედოვლათ ქვეყანაში შეიძლება გმირიც გახდე, მაგრამ დამფასებელია ცოტა.

7910. ომი ენის ტარტალის უძლურების ნიშანია, რადგან გონიერებაზე არ იქნა დროულად დამყნილი.

7911. ომის აკრძალვას მაშტაბური მხედველობა და სულის გლობალიზაცია სჭირდება და არა – ერების, ქვეყნების, ხალხების გაერთიანება და მათრახის ტლაშუნი.

7912. მე არ მჯერა ღიპიანი ოფიცრის, მით უმეტეს, ჯარისკაცის.

7913. სამხედრო გმირი, როგორც მოქალაქე შეიძლება მშიშარად ჩავთვალოთ, რადგან მან ქვეყანას თავის დროზე ვერ უთხრა, რომ ის ამ ომში მონაწილეობას არ მიიღებდა.

7914. არის სპეციალობა, სადაც მასწავლებელს აფასებ, მის გამოცდილებაზე სწავლობ, პატივს მიაგებ, მაგრამ მოწინააღმდეგედ მიგაჩნია და ცდილობ აჯობო – ეს შერკინების ხელოვნებაა.

7915. შანტაჟისტთან მშვიდობიანი მოლაპარაკება შეუძლებელია, თუ მუშტი არ აჩვენე, რადგან შანტაჟი თავისებური დაავადებაა.

7916. ხშირად ბრძოლას ერთი იგებს, მაგრამ შედეგს ის იმკის, ვისაც ამისათვის თითიც არ გაუნძრევია.

7917. ომს თავისი კანონები აქვს, რომელსაც მოწინააღმდეგეები იშვიათად ემორჩილებიან.

7918. ჯარისკაცი, პატრიოტული გრძნობების გარეშე, კრიმინალია, ეს დაქირავებული პროფესიონალი იქნება თუ სავალდებულო სამსახურში გაწვეული „რეზერვისტი“.

7919. სამხედრო სამსახური, უპირველესად, შეგნებული მორჩილებაა სულიერი ამაღლებით, რწმენით, შემდეგ მოდის თანამედროვე შეიარაღება გაწრთვნით.

7920. დღეს ვისი არმიაც ძლიერია, ის არის მშვიდობის მედროშე და ესეც დროის დაცინვაა, სანამ სხვა ქვეყნის უფრო თანამედროვე შეიარაღება არ მოგვევლინება.

7921. გმირის ადგილი ამ სამყაროში არაა, მას მისჯილი აქვს უკვდავება და მისთვის იმქვეყნად დროულად გადასახლება სჯობს, რათა აქ მყოფთათვის საჭოჭმანოდ არ იქცეს.

7922. რად გვინდა ის სამშობლო, რომელიც ტყვია-წამალს ზოგავს ჯარისკაცის სიცოცხლის სანაცვლოდ. როგორი ვიგინდარაც უნდა მართავდეს ქვეყანას, ამას გამართლება არასოდეს ექნება.

7923. ცილისწამებაზე, მოტყუებაზე, ვიგინდარათა გათავხედებაზეა დამოკიდებული ომი და არა – ხალხის ნებაზე და მის „გონიერებაზე“.

7924. შინაგანი მტრობა, ღალატია, ქვეყნის ამომგდები, თორემ გარედან მტრობა ერთჯერადია და თავიდან შედარებით ადვილადა მოსაშორებელი.

7925. ყველანი ჩვენი დროის ჯარისკაცები ვართ, რადგან გვინდა თუ არა, აწმყოს ვემსახურებით, ვერკინებით, ვიცავთ.

7926. ომს ეშმაკები იწყებენ, ტარტაროზები აგრძელებენ, ხოლო ანგელოზები მუდამ მაყურებლის როლში არიან.

7927. ჯარში იმდენ გაჭირვებას ნახულობ, რომ ომის დროს გულადი ხდები, რადგან იმ წუთში სიცოცხლე მობეზრებული გაქვს.

7928. ყველამ იცის რომ ომი საშინელებაა, მაგრამ ისტორია მის ჩონჩხზეა ტანაყრილი.

7929. ომს მტყუან-მართალი არ აინტერესებს ის შედეგისთვის იბრძვის.

7930. ომი პოლიტიკის ანტიპოდია და კომპრომისიდან ლაჩრული გაქცევა.

7931. საწყალი გენერლები, ყველა პრეტენზია მათზე, თუ გაიმარჯვა იმას არკვევენ ბევრი ხალხი შეახოცა თუ არა, თუ დამარცხდა უნიჭოა, თუ მშვიდობიანობის დროს თავისთვის წყარადაა – დალაბარა, ხოლო იმაზე არავინ ფიქრობს გენერლები ამ დღეში რომ ხელისუფლების უნიათობამ ჩააგდო.

7932. შემთხვევა, დაპირისპირება, ომი, ხშირად ისეთ საქმეს გვაკეთებინებს, რომელსაც ჩვეულებრივ გარემოში ყოფნისას ვერც ვიფიქრებდით.

7933. ომი ძნელი და საზიზღარი სამუშაოა, ქვეყნის და შთამომავლობის ინტერესების დასაცავად.

7934. ვინც პატივით ეპყრობა მოწინააღმდეგეს და ანგარიშს უწევს, ის, პირველ რიგში, საკუთარ სიფხიზლეს და შემართებას სცემს პატივს.

7935. ომში სანთელ-საკმეველის ძებნას ჯარისკაცს ვერ მოსთხოვ.

7936. ომი ხალხს აიძულებს აკეთოს ის სისაძაგლე, რომელსაც მშვიდობიანობის დროს არ იკადრებდა.

7937. ზოგიერთი დღესაც აქცენტს წარსულის დანაკარგებზე და ომობანაზე აკეთებს და ავიწყდება, რომ თანამედროვეობა და მისი მენტალიტეტი მიფრინავს და გუშინდელი აზროვნებით მისი დაწევა შეუძლებელია.

7938. ომის ღმერთებია: ილბალი, ამბიცია, სტრატეგია და ზოგჯერ სამართლიანობაც.

7939. ყველა დაპირისპირებას, ომს, დროის სუნი ასდის, რომლის რეალურ მიზეზს ხმამაღლა არავინ ამხელს, მაგრამ ყველა გრძნობს და იცის – ხელისუფალთა უგნურებაა.

7940. ომი შეუზღუდავი ძალადობა არ არის, მის წარმართვასაც თავის წესი და კანონები აქვს, რომლის დაცვას უგონო გონიერება მოითხოვს.

7941. ომი ძალისმიერი ბერკეტების თამაშია, სადაც არც სინდისი არსებობს, არც ნაცნობობა, არც გულმოწყალება ინტერესების მისებური „აიწონა-დაიწონასი“.

ოჯახი, წყვილი

7942. ზოგი ცოლისთვის მთავარია ქმრის საქმიანობაში როგორმე ცხვირი ჩაყოს და რჩევა-დარიგებები არ მოაკლოს იმ პირობით, თუ შედეგზე პასუხს თავად არ აგებს.

7943. შენი ცოლის ყველა ვექილი ჯოჯოხეთშია გასაგზავნი არა იმიტომ, რომ მას შენს საწინააღმდეგოდ ეხმარებიან, არამედ იმიტომაც, რომ მამაკაცთა სოლიდარობას წინ ეღობებიან.

7944. ალბათ ღვთის წყალობაა, რომ კარგი ოჯახები ცოტაა, თორემ არავინ მოისურვებდა ერთმანეთი დაერწმუნებინათ ერთად ყოფნის აუცილებლობაში.

7945. ზოგიერთ ქალს ქორწინებიდან მეუღლე მარტო სახელად რჩება, რადგან ყველაფერი ოჯახში მისი საკეთებელი, საწვალებელია.

7946. სიძე – ამაყად ჟღერს, მაგრამ მისთვის დაგებულ ოჯახის ხაფანგის "სათნოებას" მოგვიანებით შეიცნობს და გაეთამაშება.

7947. ქორწინება ყველაზე ძვირი საშუალებაა უფასოდ მიიღო სექსი, რჩევა-დარიგებები, გაქათქათებული საცვლები და საზოგადოებრივ საწყისებზე უმაღლესი განათლების მეოჯახის დიპლომიც.

7948. ქორწინების და გაყრის დროს, ორივე სქესი შესატყვისი განცდებით ჯილდოვდება და ისჯება.

7949. შესანიშნავი გამოგონებაა სამოქალაქო ქორწინება, რათა წყვილის ცნობიერება ხარისხში გადაიზარდოს და მოსალოდნელი ოჯახური ქარიშხალი დაძლეული იქნეს დროულად.

7950. სახლში ყველაზე უფროსი და საპატიო ადამიანი ბავშვი უნდა იყოს, თავისი ანგელოზებით და ხუშტურებით.

7951. ბავშვი ის ნარკოტიკია, რომლის საღსალამათად მოვლენამ მშობლებს უდიდესი სიამოვნება უნდა მოჰგვაროს.

7952. მამაკაცი ოჯახში ოფიცერი თუ არა, მისი ჯარისკაცი მაინც ხომ უნდა იყოს, რომ ცოლმა მისი შესაძლებლობები იწამოს.

7953. გამოცდილების გარეშე ცოლი ხშირად ქმრის წინაშე უძლურია, ხოლო გამოცდილება მაინც რაღაცას ჩალიჩობს.

7954. კარგად რომ დაფიქრდები, ცოლი ბევრი რაიმესთვის უნდა მოგეფცანა, მაგრამ თუ ემოციებს აჰყვები, დაოჯახება სისულელედ მოგეჩვენება.

7955. საოჯახო მეურნეობის ერთფეროვნებას შვილების და ქმრის უწესრიგობა ახალისებს, რაც დიასახლისს საშუალებას აძლევს თავისი

შეხედულება მათზე მკაცრ ფორმებში გამოთქვას და ყსიდად აშლილი ნერვები დაიწყნაროს.

7956. ოჯახი ქალისთვის თავისებური სამუშაოა, სადაც, მართალია, ხელფასს არავინ უხდის, მაგრამ ფინანსების გარკვეულ ნაწილს ის განგებს, უფროსიცაა და უმცროსიც, ნერვებსაც უშლიან, მაგრამ ბოლოს მაინც მის მოთხოვნებს ყურად იღებენ.

7957. ლანდაუს თქმით, "კოოპერატივი, რომელიც სიფარულს კლავს, ქორწილია". სიკვდილის რა მოგახსენოთ, მაგრამ ვნება რომ დაოჯახების შემდგომ დევალვაციას განიცდის, აშკარაა.

7958. ცოლს ოჯახში უფროსობის უფლება აქვს მოგვიანებით, მაგრამ საბოლოო.

7959. ცოლი ის ვადაგასული საწამლავია, რომლის მიმართ იმუნიტეტი უკვე გამოიმუშავეთ.

7960. ბედნიერი ქორწინების გარანტი წარმატებული მეუღლეა, რომელსაც თავისი საქმე და გატაცება აქვს, რაშიც პირველობას არავის დაუთმობს.

7961. სიფარული ტელეფონით მორცხვობას გვაკარგვინებს, ლაყფს გვიუმჯობესებს, ტრფობისთვის აგვაგზნებს, კომპიუტერით – ცნობიერებას გვმატებს, თავის გამოჩენის საშუალებას გვაძლევს, თავზე წარმოდგენას გვიქმნის და ხშირად თავსაც დავნატრით, მაგრამ დაოჯახების სურვილს, არც ერთი არ ზრდის.

7962. ქუჩის წესებით ცხოვრება ოჯახში არ გამოდგება და პირიქით, მთავარია ყოფიერების "აიწონა-დაიწონას" მოძებნა, რათა საზოგადოების ცხოვრების წესი დაიხვეწოს და ხუშტურების მოთხოვნების დონეზე არ დავრჩეთ.

7963. მომდევნო ქალზე, ქორწინება სიკეთის კეთებაა კვადრატში, კუბში – ოღონდ მინუსით, რადგან ახალ ოჯახს მაინც გამოუსადეგარი წარსულის გამოცდილებით ხვდები.

7964. მდედრისთვის მამაკაცი ფასადია, კარიერაა, საკურთხეველია, მამრისთვის ქალი დედა, კვლავწარმოება, ოჯახის ზურგია, საზოგადოებიდან მოწყვეტაა. მიუხედავად ამ სამსხვერპლოს აუცილებლობისა განგების ნაბოძები ტალანტის დასამარება არც ერთს არ ეპატიება.

7965. ცოლი ის "რუხი კარდინალია", რომელსაც ხელში ქმრის კისერი მისატრიალებელ-მოსატრიალებლად უპყრია და ტრიალის შედეგზე პასუხს არ აგებს.

7966. ბავშვი გრძნობათა ღელვის გარეშე არ ისახება, ხოლო დედობა სიამის შეცნობის გარეშე არ ხერხდება.

7967. მეუღლის სავალდებულო მოვალეობის შეუსრულებლობა კანონის წინაშე დანაშაულად არ ითვლება, მაგრამ ის უდიდესი დანაშაულია კვლავწარმოების და მამრობის ღირსების წინაშე და კანონმდებლობის საძრომიალომ არ უნდა დაიცვას.

7968. მხოლოდ მოჩვენებითი სიფვარული და თანდაყოლილი მოვალეობის გრძნობა ტოვებს ქალს დიასახლისად და ოჯახის ინსტიტუტის დამცველად, რადგან მასაც თოკზე გამობმული ამბიციები აწუხებს.

7969. ცოლი დედის შემცვლელი არ არის, რომ მამაკაცი აამაღლოს და ქალის კაბას არ ამოეფაროს.

7970. მეორე ნახევარი კი არ უნდა ვეძებოთ, არამედ თავად უნდა ვეცადოთ ჩვენს ნახევარს მოერგოს და თუ ეს ვერ მოახერხა, ცდების ჩატარებას უნდა შევეშვათ.

7971. ხშირად მეწფილის ჩვენს ჭკუაზე გამოქანდაკება არ ხერხდება და ეს ცუდი მასალის ბრალი არ არის, რადგან შეეძლო სხვისი კაპრიზის მუზას ის უკეთ გამოეკვერა, მაგრამ დაგვიანებულია, ორივეს ასაკი შემოეპარა და დროა, გახლაფორთებული წლების რაობას დასჯერდნენ.

7972. ცხოვრება გვაიძულებს ვიცხოვროთ, ქალი გვაიძულებს ოჯახი შევქმნათ, ხოლო შვილები ფრთებს გვასხამენ და ასაფრენ-დასაფრენს ვიშზადებთ.

7973. ცოლი უნდა იყოს ერთადერთი და არა უკეთესი, ამას ჩემი აღზრდა და გამოცდილება მაფიქრებინებს.

7974. ჩვენი გამაბრიფვებელი მეორე ნახევარი ერთადერთია, სანამ არ გაუვა საგარანტიო ვადა და არ დაგვაფიქრებს: ახლით შევცვალოთ თუ შეჩვეული ჭირი დავიტოვოთ.

7975. სიფვარული ზოგისათვის ჯვარია, დიაგნოზი, გართობაა და მრავალი სხვა ამგვარი ალიბია მის შესანარჩუნებლად.

7976. თანატოლთა ქორწინება ქალს პირველი ვიოლინოს შეგრძნების ასოციაციას უტოვებს ოჯახში, რადგან მდედრი ადრეულად მწიფდება.

7977. მდედრმა მამრის ბუნება სუნის, სქესის და ასაკის თამაშით უნდა მოირგოს, რათა ოჯახიც გამოუვიდეს და სიფვარულიც.

7978. დღევანდელი საპატარძლოს მზითევია: ტანის დაფნება, კურტიზანკის ანბანის ცოდნა და სარფიანი განათლება, ხოლო დანარჩენი ყოველდღიურობა, რომელზეც ყურადღების გამახვილება არ ღირს.

7979. სახარჯო სალარო ცოლ-ქმარს ერთი უნდა ჰქონდეს, მაგრამ მის შევსებაზე ძირითადად მამრი უნდა ზრუნავდეს, თუ გვინდა ტრადიციული ოჯახი შედგეს.

7980. ფესვების გარეშე ცხოვრება არ ღირს, ხოლო ნაყოფის გარეშე მას აზრი არ აქვს.

7981. ომობანას თამაში ცოლ-ქმარს შორის თუ ქალის გამარჯვებით დამთავრდა ოჯახი შენარჩუნებულია, თუ კაცისა – დანგრეულია, ხოლო თუ საყაიმო შედეგია, ბრძოლა ჯერ კიდევ წინ არის და ვინ რას გამოთხრის, არავის უწყის და აქ წლების მატება არაფერ შუაშია.

7982. სიყვარული თეორიულად მუდამ მართალია და აღფრთოვანებას იწვევს, ანგარება დასაძრახია, მაგრამ პრაქტიკულად ოჯახის და სახელმწიფოს სიმტკიცე მასზეა დაფუძნებული.

7983. ყველა ქალი ერთნაირად ამბიციურია, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ერთს გადამეტებული წარმოდგენა აქვს თავზე, ხოლო მეორეს – გადამეტებული მოთხოვნები და მათგან ის შემორჩება ოჯახს, ვინც თავისი ოცნების თოხარიკს მოსათმენს გახდის.

7984. წყვილის ურთიერთობაში მთავარი ის კი არ არის, ლელოს როდის გაიტან, არამედ როგორ გაიტან, რა კომბინაციას და ურთიერთობას ჩამოაყალიბებ, რათა შემდგომ ამ ოჯახს თამაშის სურვილი არ დაგეკარგოს.

7985. ყველა ქმარი სისხლის სამართალში უნდა მიეცეს, თუ ცოლს ერთფეროვანი რუდუნიზმით სული ამოხადა და სექსის სხვა ხერხებს არ აზიარა.

7986. ერთი ქალისადმი ერთგულებაში ჩადებულია ის დაუხარჯავი ვნება, თავქარიანობა და იმ სისულელეთა მარაგი, რომლის გამომზეურება ადრე დაოჯახების გამო ვერ მოასწარით.

7987. მამრის და მდედრის სექსუალური აქტივობა 50-55 წლამდე გრძელდება, შემდგომ პირველისთვის სექსი ჯამრთელობაზე ზრუნვაა საკუთარი თავმოყვარეობის დასაშოშმინებლად, მეორესთვის კი კლიმაქსის დაძლევა შეძახებით: „მეც ნახირ-ნახირო!“.

7988. ქალ-ვაჟი ერთმანეთს არ უნდა აეკიდოს, თუ ამათი ურთიერთობა დრო და სიყვარულმა არ გამოსცადა და მამრის მომწიფება და მოვალეობის შეცნობა ქალისას არ გაუთანაბრდა.

7989. ქალი თავისი ჭკუის შესაფერ საქმროს უნდა ეძებდეს, მამრი – თავისი გემოვნებისას, რადგან ეს უკანასკნელი მომავალი შვილებისთვის დედას ეძებს, ხოლო პირველი – მამად ქცეულ ხვადს.

7990. უსიყვარულოდ დაოჯახებაც შეიძლება და შვილების ყოლაც, ოღონდ შინაურების საქმეში ჩაურევლად და მათგან მოშორებით.

7991. ლამაზმანი, მექალთანე ისაა, ვინც ხორცს ვერ იმორჩილებს, შინაბერები და ბერბიჭები – ვისაც სული იმონებს, ხოლო ოჯახს ის

ქმნის, ვინც ხორცის აღტყინებასა და სულის პრეტენზიებს ანგარიშს უწევს.

7992. რამდენი შეფარებული წყვილია, სადაც ერთ-ერთი განტევების ვაცის მოჩვენებით როლს სჯერდება, მაგრამ გაცილებით უკეთესი ოჯახი აქვთ, ვიდრე იმათ, რომელთაც ერთმანეთის გარეშე სიცოცხლე არ შეეძლოთ.

7993. ცოლი ქმრისგან პატივისცემას მოითხოვს და ამისთვის მამრი რამდენს დახარჯავს, არ ანგარიშობს, ხოლო თავის პატივსაცემად ამ ხარჯს არ გასწევს, მიუხედავად იმისა, რომ ბიუჯეტი საერთოა. ეტყობა, მამაკაცის რაინდობის გახსენება ქალს ძვირად უღირს და დიდ სიამოვნებას ანიჭებს.

7994. მეუღლე თუ მზეთუნახავია, დიასახლისი თუ გონიერია, მთავარია, მასში რის დანახვა გვინდა და რა დროს.

7995. ცოლისთვის ქმრის სულიერი მდგომარეობა ბევრს არაფერს ნიშნავს, თუ მისი არსებობა საზოგადოებისათვის შეუმჩნეველია.

7996. მთავარია, ,,პირველ რიგში ქალს უყვარდე და ამის შემდგომ შენ ის უნდა შეგიყვარდეს'' – ასეთი სიყვარული მამრის კვადრატშია აყვანილი, ხოლო თუ შვილებით და შვილიშვილებით დახუნძლულისთვის შენ კიდევ უფროს ,,ვაჟად'' რჩები, ამ სიყვარულის კუბში აყვანას ხელს ვეღარავინ შეუშლის.

7997. მდიდარი ქალის ქმრობა გაჭირვებიდან თავის დაღწევაა დაუფასებელი მადლიერებით, მდიდარი კაცის ცოლობა მაღალ საზოგადოებაში მოხვედრის მცდელობაა, თავის წარმოსაჩენი კაპრიზებით.

7998. ყველა განსაცდელი ქალიდან მოდის, ის გვაბრაზებს, ნერვებს გვიშლის, გვსაყვედურობს, მაგრამ საინტერესო ის არის, რომ ასეთი ქალი რატომღაც ჩვენი მეუღლე ხდება.

7999. წესიერი ქალი ქმრის გარდა არავის აინტერესებს და ისიც – ყასიდად.

8000. გონიერი ქალი, ქმარს წესიერ მამაკაცად აქცევს, გარდა ხვადისა რადგან აქ ბუნების გათავხედებაა ჩადებული.

8001. ძლიერ დედაკაცს მამაკაცად ალფონსი სჭირდება, ქმარად – ქალაჩუნა, რომელსაც ოჯახის რჩენა არ შეუძლია და ცოლის დიქტატით კმაყოფილია.

8002. პირველ რიგში ადამიანთან ვცხოვრობთ და შემდეგ – მეუღლესთან.

8003. ოჯახები სხვადასხვა და მრავალნაირი უნდა შეიქმნას, რათა ჩამოსაყალიბებელი სახელმწიფოს კონგლომერატს აკმაყოფილებდეს.

8004. ქმარი შეიძლება საფარელიც იყოს და რქების მატარებელი „ბიძაც“, გააჩნია ცოლის ვნებას და წლებთან ასაკის შეთამაშებას.

8005. თუ გინდა სამაყროს უშველო, ომისთვის მოემზადე, თუ გინდა გადარჩე, ლამაზად და უშფოთველად იცხოვრო.

8006. ხანდახან ქალმა თავისი კაპრიზის კლინიკა უნდა გაიაროს, რათა ქმარი ოჯახისკენ შემოატრიალოს და ნერვები დაუწყნაროს.

8007. გულში ძახილი, სხეულის სხვა ორგანოს მცდელობაში არ უნდა აგერიოთ, რადგან იმ მდედრსა, რომელსაც ეტრფი და იმ მდედრს შორის, რომელიც საბოლოოდ ხელში შემოგრჩება, სხვაობა დიდია.

8008. ცოლი ისეთი უნდა მონახო, რომლის გარჯა, მცდელობა, იმაზე მეტი არ უნდა იყოს, რაც შენთვის განკუთვნილ წამლობაშია.

8009. ცოლი ფაქტიურად დაქირავებული მოსამსახურეა, ოღონდ დიდი ამბიციებით, მოთხოვნებით, წილში ჩაჯდომით და გაუმართლებელი პრეტენზიებით.

8010. მამაკაცის საწყისი კაპიტალი ცოლია, შემდგომ მოდის ოჯახი, შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები და მათი დაფინანსება მარტო სიფარულით, გრძნობათა ჩოჩქოლით უკვე აღარ ხერხდება.

8011. ოჯახის შესაქმნელად წყვილის ქიმია უნდა მომწიფდეს და არა – ფიზიკა, რადგან ეს უკანასკნელი ხშირად არ ამართლებს.

8012. მოხერხებული ცოლი უნიათო ქმარს საშუალო ღირსების კაცად აქცევს, ხოლო საშუალოს გამოსაჩენ მამაკაცად გამოთლის, რადგან რაც განგებამ დააკლო, მან უნდა გამოასწოროს.

8013. სიფარული არა მარტო ქვეყნის კონსტიტუციას უნდა ზეიმობდეს, არამედ საკუთარი ოჯახის შექმნის კონსტიტუციის თარიღსაც.

8014. განათლება, კარიერა, ქალს არ უშლის მრავალშვილიანი რომ იყოს, თუ ბუნებით ოჯახის დიასახლისია და სიამაყის ჟინიც თან ახლავს.

8015. მდედრის ყოფა, ადრე თუ გვიან, ოჯახზე ზრუნვით უნდა დამთავრდეს, სხვანაირად ასაკში ქალის საჭიროება გაურკვეველი გახდებოდა.

8016. დაკონსერვებული ხასიათის მამაკაცი მიუწვდომელია, მაგრამ მას თუ „გასახსნელს“ მოვარგებთ, საიმედოა და ოჯახში ამართლებს.

8017. რელიგია და ტრადიციები, სიფარულთან და რწმენასთან შედარებით მეორადია, ხოლო სექსისკენ ლტოლვა და ოჯახის შექმნა თანდაყოლილი აუცილებლობაა და არა შეძენილ-ძალდატანებული.

8018. ქალისთვის ქმარი პრობლემატური უფროსი შვილი უნდა იყოს, ოღონდ მისი დამჯერი და თანამდგომი.

8019. ცოლი უნდა შეირთო და არა ითხოვო, რათა ეს უკანასკნელი შეიძლება ვალად მოგეჩვენოთ და გაუგებრობის ჟამს შეიძლება დაბრუნება-გაყრის სურვილი დაგებადოთ.

8020. ბედნიერებაში ცოლ-ქმრული ბატალიების წილიც დევს, როგორც უნდა ეწინააღმდეგებოდეს ტრფობის ბოდვას.

8021. პასუხისმგებლობა ოჯახში სიფარულს ამაგრებს, უპასუხისმგებლობას ოჯახის საწყისი ბავშვებიც კი, ფეხებზე ჰკიდია.

8022. ცოლის ნაკლი ის არის რომ, მას სულ არ უნდა ანგარიში გაუწიოს სხვა ქალების კონკურენციას და მამრის ხვადური ბუნების ზოგიერთ გათავხედებას.

8023. მეუღლის ხელში მოხვედრილი ქმრის საფულე ყოველთვის გადახდისუნარიანია.

8024. აზრი დაოჯახების თაობაზე ბევრს არაფერს ნიშნავს, თუ ის მოჭარბებული გრძნობებით და მატერიალიზმით არ არის გამაგრებული.

8025. მოწონებულთან შეხვედრას თუ სული ითხოვს, სიფარულია, თუ ხორცი – ვნებაა, ხოლო თუ ორივე ერთადაა – შესაძლებელია ოჯახის შექმნა ყოფიერების ინტეგრალებით და დაუმუღამებელი გაგრძელებებით.

8026. ერთი სიტყვის დაცდენითაც შეიძლება, დაწყვილება თუ ,,ზევით" არის დამოწმებული და არა – შეთანხმებული.

8027. ოჯახის შექმნა ღმერთის ნების ნაყოფია და არა – მზაკვრობა-შეთქმულების. ამ ჭეშმარიტებასთან დავას ვერავინ გაბედავდა, რომ განგებას ეშმაკი არ გაეჩინა.

8028. ცოლს შენი ცოდვების შენდობა შეუძლია, თუ მომავალში წესიერად მოქცევის ვექსელს გასცემ, დააფინანსებ.

8029. ქორწინება ეს ერთი თვის სიამოვნება და მთელი ცხოვრება მოვალეობა, დარდია.

8030. სიყვარული გარიგებით მიჩვევა თუ მოვალეობა, ძნელი სათქმელია, მაგრამ მტკიცე ოჯახებს რომ ქმნის, ცხოვრების გამოცდილება და სტატისტიკა ადასტურებს.

8031. გადაყვარება, შურისძიება, დასჯაც შესაძლებელია თუ ამ მამაკაცზე ნაწყენი ქალი მას ცოლად გაჰყვება.

8032. ოჯახისთვის დაბადებულ ქალს, სექსში ჯადოქრობა არ უნდა მოსთხოვო.

8033. შეუღლებას ცოლის მოყვანის დროის დადგომა სჭირდება, ან სიყვარულის მოვარდნა-გაოგნებით.

8034. კულინარიაში ნაკლი გარნირის დიზაინით იფარება, ოჯახში – პროგრესზე და თანამედროვეობაზე გადაბრალებული აღზრდით.

8035. ცოლის შერთვას და გამოცვლას ახერხებს მტკიცე ხასიათი, ხოლო სუსტს არჩევანიც უჭირს და აკიდებულის შეცვლაც.

8036. ქალს მოეფერები, ცოლად მოყვანა წამოგცდება და მთელი ცხოვრება ცხენივით ყალყზე უნდა იდგე და სულ ძაღლივით თვალებში უნდა უყურო! ამას ეძახიან ოჯახურ ბედნიერებას?!

8037. ცოლს თუ ყველა ოცნებას ვერ აუსრულებ, საწადელის ასრულების იმედის ვექსილი მაინც უნდა გასცე, ხოლო რა ნაწილის, ეს უკვე სხვა სადავიდარაბო საქმეა.

8038. ცოლისგან განსხვავებით, დედას შვილის გამოსწორების სასწაულის და მისი ბედის ყოველთვის სჯერა, რადგან პირველისთვის სიფარული შეძენილია, მეორესთვის თანდაყოლილია მუცლის საშოდან.

8039. შვილის საქმეში არ უნდა ჩაერიო, მაგრამ მისი საქმიანობის შესახებ შეეცადე ინფორმაცია გქონდეს და ზოგჯერ უნდა აგრძნობინო უხილავი ხელის წამოკვრის ძალა.

8040. ერთისთვის ცხოვრების ქარიშხალი ქალია, სამსახურის ხშირი ცვლაა და საცხოვრებლების მოწყობაა, მეორესთვის – ერთხელ შეჩვეული ჭირია ცოლის, სამსახურის და ოჯახის სახით.

8041. დაქორწინება ზევიდან ნაბრძანები ბუნებრივი მოთხოვნილებაა და არა შემთხვევა.

8042. ცოლის ინტუიცია ყოველთვის საქმის კურსშია, თუ მეუღლე ღალატობს, მაგრამ გონიერება ცდილობს არაფერი იცოდეს და გულთან არაფერი მოიტანოს.

8043. ქორწინება გრძნობათა ჰარმონია, სხეულის შეჯერებაა სულთან და ვნების პრივატიზაციაა.

8044. გათხოვება და ოჯახის დაკვალიანება იმ ქალებსაც უნდა ვანდოთ, ვისაც ამ ბედნიერებით თავი მობეზრებული აქვთ.

8045. გათხოვების ბუნებრივი და სულიერი მოთხოვნების დაკმაყოფილება, ოჯახის შექმნა, შვილების ყოლა, უმაღლესი განათლება, ცოლქმრული სიამ-ტკბილობის შენარჩუნება და დროით გადამოწმება თავისებური აკადემიაა, მიუხედავად იმის ცოდნისა, რომ ცხოვრებაში თავისუფლებაზე უკეთესი არაფერია.

8046. საყოფაცხოვრებო დონეზე ოჯახში შეხლა-შემოხლა აუცილებელია, ოღონდ ურთიერთპატივისცემით, სიფარულით და სიკეთის კეთების სურვილით, ყოველგვარი ხელების დაგრძელებით და თითის დაქნევით.

8047. ბედნიერი ოჯახი არ არსებობს, არსებობს ყურადღებიანი, მდიდარი, ღარიბი, რესპექტაბელური, ანჩხლი და სხვა მრავალი, ხოლო ვის რომელი ბუდე მოსწონს, ეგუება, ესალბუნება – „კაცია და გუნება“.

8048. ცოლი მაშინ უნდა მოიფვანო, როდესაც იგრძნობ რაღაც გაკლია და მდედრის გარეშე ყოფა აუტანელი მოგეჩვენება.

8049. ქალს უფლებები აქვს, მამაკაცს მხოლოდ მოვალეობა რჩება, შედეგად მთელი ცხოვრება ამ პარამეტრების მოწესრიგება – დაკონსერვებას ეწირება.

8050. უამრავი გონიერი, ნიჭით დაჯილდოებული ბავშვი, მომთხოვნი მშობლების გარეშე შესაძლო სიმაღლეებს ვერ იპყრობს და ვერც მისთვის განკუთვნილ ცხოვრების გზას ადგება.

8051. ადრეულ ასაკში დაოჯახება დანაშაულია ამდენი უქმრო, უშვილო და ვნებააშლილი ქალების წინაშე, რადგან ბუნების კანონის საწყისი ცოდნის მიღების შესაბამისად, ვალდებული ხარ შენი ენერგიული სულის, ხორცის და ვნება-ტრფობის ნაწილი გაიღო. მხოლოდ ამის შემდგომ გაქვს დაოჯახების, შენი შეხედულებისამებრ გამრავლების და ცოლის ერთგულების უფლება.

8052. ისეთი გამოუსწორებელი შეცდომა, როგორიც ქალის და მამაკაცის სამუდამო დაწყვილებაა, განგებას არ ჩაუდენია, მაგრამ ორივე სქესის წარმომადგენლებსაც ხომ მისცა აზროვნების მუხრუჭები, რათა ერთმანეთს შეეკითხონ და მერე შეაბერდნენ.

8053. ცოლად ის უნდა მოიყვანო, ვისთანაც განშორება არ გაგიჭირდება, რათა ბუნებით ავი არ გამოდგეს, გადაცდენის შემთხვევაში ოჯახის სიწმინდის სახელით აპეურები არ წაგიჭიროს და შენი თავმოყვარეობის, მეობის, დახრჩობას არ შეეცადოს.

8054. ქალი, რომელიც არ გიჩიჩხინებს, ფულის საკეთებლად არ მოგიწოდებს, ის ჯერ კიდევ შენზე შეფარებული ღვთაებაა და არა – ცოლი, რომელსაც ფელაფერი ოჯახისთვის და შვილებისთვის უნდა.

8055. ზოგიერთ ოჯახში ტაფა ფელაზე მეტად მონაწილეობს „სასიფარულო“ ბატალიებში და სამზარეულოში გვევლინება განუსჯელი არბიტრის ან „განტევების ვაცის“ როლში.

8056. შეგნებულ და ფულთან ახლო მყოფ მამრებს ცოლები მოჰყავთ, ხოლო შეუგნებელნი და უსახსრონი მდედრებს ვნებაამღვრეულნი ელლაბუცებიან.

8057. ოჯახში ქალი შინაური ფრინველის როლს უნდა ასრულებდეს, მამაკაცი – საჯაროობის არწივისას, მაგრამ დაფინანსების გარეშე ამ როლებს გამომზეურება არ უწერია.

8058. ანგარებიანი ქორწინება ორივე მხრიდან ბოლო შანსის ხელიდან არგაშვებაა.

8059. ქალებს ჰგონიათ, რომ მამრები თუ კომპლიმენტს ეტყვიან, ქმრებს ისინი მეტად მოეწონებათ, მაგრამ ავიწყდებათ, რომ მათი მეუღლენი მესაკუთრე ხვადები არიან, მიუხედავად იმისა, შერჩათ მათ ტრფობას გეში თუ არა.

8060. ბავშვის აღზრდა, ტრადიციების გათვალისწინებით, მკაცრად ჯობს, თუ მის გარეშე თავისუფლად, უკომპლექსოდ, სადაო საქმეა, მაგრამ ნაშიერი ორივე შემთხვევაში თავს კარგად გრძნობს, რადგან პირველ შემთხვევაში მან მშობლების შექება, ყურადღება დაიმსახურა, მეორე შემთხვევაში თავად მშობლებმა დაიმსახურეს შვილის კეთილგანწყობა.

8061. ქვეყანა და მშობლები ზარალდებიან, თუ ბავშვის აღსაზრდელად მაშინ იცლიან, როდესაც გართობიდან თავისუფალ დროს გამონახავენ და ავიწყდებათ, რომ აღზრდა ყოველდღიური საზრუნვია.

8062. ცოლად ის უნდა მოიყვანო, რომელსაც მოჭარბებული ზიანის და სარგებლის გარეშე შეუძლია შენთან თანარსებობა, სექსუალური და თანდაყოლილი კაპრიზების საწყისზე.

8063. დაოჯახება სიყვარულით გადადგმული გაუფრთხილებელი ნაბიჯია, რომელშიც მთელი ცხოვრება ვერ გარკვეულხარ მიქარე თუ პირიქით.

8064. დედობა მუდმივი წოდებაა, მამობა – თანამდებობა, ხოლო მათ ავტორიტეტს, შვილების თვალში, პენსიაში გასვლა არ უწერია.

8065. მოყვასი მდედრი ძლიერი მამაკაცის წინაშე ნაზი და ხელთუქმნელი არსებაა, ხოლო მტკიცე ხასიათის და საქმიანი ქალი სუსტ, მიმნდობ მამაკაცთა ხვედრია და ეს თავისებური კანონზომიერება დროის, გარემოს, ბუნების სურვილით სასურველია დაცული იქნას.

8066. მეუღლეს წარმატება-წარუმატებლობის ნერვების დაჭიმვის სიმფონიაშიც უნდა მიაღებინო მონაწილეობა, რათა მომეტებული სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურო, რას ვიზამთ, ასეთია ჩვენი ბუნება, ყველაფერში წილში უნდა ჩავუჯდეთ მეუღლეს და შემდგომ თავი ერთად უნდა წარმოვაჩინოთ.

8067. ცოლის მოყვანა დაგვიანებული არასოდეს არის, რადგან ოჯახის უღელში თავის გაყოფის მინიმუმი ყველა ასაკში ჩასაბარებელია.

8068. ქმრისთვის ხშირად გაუგებარია ცოლის მაკიაჟზე და მოდაზე გადარევა, პრანჭიობა და მცდელობა, სხვა მამაკაცებსაც თავი მოაწო-

ნოს. ქმარს თავი მის მფარველ-ღვთაებად მიაჩნია, მაგრამ მთავარს ვერ ხვდება, რომ ეს მდედრის გენია, ბუნებაა, ნებაა და ამას უნდა შეეგუოს.

8069. შენი ქალია ის, ვისთანაც ყოფნა ასაკის, განათლების, გარეგნობის, მიუხედავად გსიამოვნებს, მაგრამ ცოლად მაინც ის უნდა მოვიყვანოთ, ვისაც ჯიშიანი, ღირსეული თაობების შობა და აღზრდა შეუძლია.

8070. ცოლის ბუტიობა, სიანჩხლე, საყვედურები, თავისებური პროტესტია ქმრის მიმართ, შეხსენებაა, რომ ის ქალია.

8071. თუ გნებავთ ცხოვრების დაისით კმაყოფილი დარჩეთ, კაპას, ანჩხლ ცოლთან ყოფნა, თავგადასავლებად, შმაგ ყოფნად უნდა ჩათვალოთ და არა – სასჯელად, რომლის მოხდა, თქვენივე თავის გარდა, არავის დაუვალებია.

8072. სახელმწიფო იდეას, რომელიც გულისხმობს ღირსეული ოჯახის და დროის შესაფერისი ნაშიერების შექმნას ალტერნატივა არ აქვს.

8073. უნდა დავქორწინდეთ სიყვარულის გამრავლება-გაყოფაზე და მომხიბვლელობის მომატება-გამოკლებაზე, რათა ოჯახის რაობის დებეტ-კრედიტი დადებითი სალდოთი გამოვლინდეს.

8074. შვილის ყოლას ის ფასი აქვს, რომ მას თქვენი განუხორციელებელი ოცნებები, მისწრაფებანი, ვალად აჰკიდეთ და ამ გადაბარებით იმქვეყნად მშვიდად მიდიხართ.

8075. შორს არ არის ის დრო, როდესაც ქალი წარადგენს ეჭვმიტანილ მამაკაცთა სიას, რათა ლაბორატორიულ პირობებში დადგინდეს ბავშვის მამის ვინაობა.

8076. ადრე ბავშვები ცოლის სიყვარულის, პატივისცემის, მორჩილების, შედეგად გვევლინებოდა. დღეს ამ საქმისთვის ცარიელი სექსის და ექიმის ჩარევაც საკმარისია, ეს ყოველივე დროის ჭირვეულობის და ევოლუციის გათავხედების შედეგია და მივიწყებული ჯიში და ჯილაგი არავის ახსოვს.

8077. ოჯახისათვის დაბადებულ ქალს მსოფლმხედველობა ძირითადად არ გააჩნია, რადგან ის მომავალი თაობის კვლავწარმოებისათვის, აღზრდისთვის და მშვიდობისთვის არის მოვლენილი.

8078. ხანდახან ცოლებმა ქმრებს ოჯახის საქმიანობა უნდა აჰკიდონ, რათა მომავალში შრომა გაიადვილონ, რადგან მამაკაცთა უმრავლესობა ზარმაცია და რაღაცას ისეთ მოიგონებს, რომ ეს საქმიანობა გააიოლოს, ხოლო სიახლე ცოლს გაუზიაროს.

8079. ოჯახის უფროსი ისაა, ვისი ფასიც და ღირებულებაც ცნობილია და ამ საგნით არ ვაჭრობს.

8080. ყოველთვის მართალი ცოლი იყოს ან ქმარი შეუძლებელია, რადგან განგება შეურაცხოფას ვაყენებთ – ის ასე არ შეცდებოდა.

8081. მამრის არჩევნის 50%-ზეა დამყარებული ცხოვრებაში კარიერას გაიკეთებს თუ არა, მაგრამ ამ ინტერესში ქალის მცდელობის ლომის წილი უნდა ჩაიდოს.

8082. ცოლი – ეს დიდი გაგებაა და აღუქმელი, დაუფასებელი, ბედნიერებაა.

8083. სიფარულში და ოჯახურ ურთიერთობაში „პოტიკის" თავი თუ არ გაქვს, გარე სიარულს უნდა შეეშვა, რადგან ეს უკანასკნელი გარკვეულ ნიჭის მოითხოვს.

8084. პრაქტიკულად პატიოსანი ცოლების ოდენობა გაცილებით მეტია, ვიდრე საერთოდ, ქალებისა, მაგრამ თეორიულად ქალის ღალატის ფანტაზიას ვერც ერთი მამრის ვნებიანი ოცნება ვერ მისწვდება.

8085. ქალები თავისუფლებას გვაკარგვინებენ, მაგრამ ამ დიქტატს მამრები, გარკვეულ დრომდე, სიამოვნებით ეგუებიან.

8086. არ უღალატოთ ცოლს, უღალატეთ საფარელს, ეს უფრო საინტერესო, მაგრამ ამისთვის მეუღლეც თავიდან უნდა გაითავისოთ.

8087. ცოლის სარეცელი პრემიერა არ არის, რომ ყოველთვის ხვადის როლში მოევლინო, რადგან დეკორაციები ძველია, ხოლო აპლოდისმენტების დამსახურება ბუნების კანონებს ემორჩილება.

8088. წყვილის ურთიერთობას მაშინ აქვს ფასი, როდესაც განსასჯელად მათ შორის ოცნების ოპონირება დადგება და შედეგის მიუხედავად ურთიერთ-სიფარულს აფეტიშებენ და ორანჟირებას ცდილობენ.

8089. სამყაროს კანონზომიერებებს ადამიანი მაშინ შეეგუება, თუ მას ეყოლება მატერიალიზებული სულის ხვადი მამაკაცები და ერთგულებას გადაყოლილი მომხიბვლელი სულის ძუკნა დედაკაცები.

8090. იყო ცოლი მხოლოდ შენი ქმრის და სხვა საზრუნავი არ გქონდეს, მდედრისთვის ბედნიერებაა, თუ პირიქით, ჯერ არავის „აუწონია".

8091. გონიერების ტალღაზე გადართვას ოჯახი, ასაკი სჭირდება და არა – ოცნების თოხარიკობა, სურვილებით გაჯერებული.

8092. მოძრაობა ყოფნაა მიმართულების გარეშე, როდესაც ვერ საზღვრავ სად მთავრდება ოჯახის ინტერესები.

8093. მოტყუებული ცოლი აფექტში ფელაფერს იკადრებს, ხოლო დამნაშავე ქმარი ყოველივეს ამ ერთხელ მოუთმენს, თუ ოჯახის დანგრევა, არ უდევს თავში.

8094. შეიძლება წყვილს ულელი სხვაზე ნაკლებად მორგებული არ აქვს, მაგრამ ცოლ-ქმრობა უმადურობას და ცხოვრების კვალის გატანაში ღალატს ვერ იტანს.

8095. დედა და ცოლი ორივე მდედრი, შენთვის ახლობელი და კეთილისმდომია, მაგრამ მათგან რომ ბებია, ოჯახის დიასახლისი, მეუღლე, მივიღოთ, ევოლუციის დიდი გზა და გამოცდილების დაგროვებაა საჭირო.

8096. დედები ხანდახან ვაჟებზე ,,განაწყენებულნი'' უნდა დარჩნენ, რძალთან მიმართებაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, საერთო სამყოფელი ოჯახს არ დაემსგავსება და დედა ქალად არ აღიქმება.

8097. ქალისა და კაცის თანამშრომლობა დამოკიდებულია იმაზე, ვინ-ვის დაამუნათებს და კვანტს ვინ – ვის როგორ გამოკრავს.

8098. განუმეორებელ მამაკაცს და ქალს შორის ის სხვაობაა, რომ ერთით აღფრთოვანებულები ვართ, ხოლო მეორეს გარეშე ცხოვრება გვიჭირს.

8099. ნებისმიერ წყვილში ჩადებულია ღალატის ბაცილა, თუ მის პროფილაქტიკას გრძნობათა ჩოჩქოლით, გააფთრებული სიფარულით და ცოტა მატერიალურადაც არ უმკურნალეთ.

8100. იშვიათად ცოლმა ქმრის ფასი იცოდეს და თუ ასეთი აღმოჩნდა, ქმარმა სხვა ამაზე დიდი ბედნიერება არც უნდა ინატროს.

8101. ბოზად დაბადებულს ოჯახის ქალობას ვერ მოსთხოვ და ვერც ,,გადასწორებას'', ამიტომ თავიდანვე უნდა განსაჯო, რას აძლევ უპირატესობას – სექს, ვნებათა ღელვას თუ ნაშიერთა მომრავლებას და ოჯახში სიმყუდროვის შექმნას.

8102. ოჯახში არის წყვილთა ურთიერთგაგების მცდელობა, სადაც ერთი მუდამ უკმაყოფილოა, ხოლო მეორე ან სულ ამშვიდებს, ან ყურადღებას არ აქცევს.

8103. კაცის მიზანია ქალისთვის ვნების გამოძალვა და მისი აპრობირება, ქალისა – მამრის სურვილებისთვის ანგარიშის გაწევა და მისი სექსში გამოცდა.

8104. დაოჯახების უფლება მაშინ გაქვს, როდესაც გაიცნობიერებ, რომ ცოლის მოყვანას მოჰყვება კაპრიზები, ნათესაობა, შვილები, შვილიშვილები, შენთან შეძენილი დაავადებები და მრავალი სხვა, სავიშვიშო ფორმულით – ცოლი მუდამ მართალია, თუ ის დედა და ბებიაა.

8105. თუ მამაკაცი ჭკვიანია, დედაკაცი ბრძენია, რადგან პირველი ყველაფრის მოკვარახჭინებას და თავის ხელში მოგდებას ცდილობს, მეორეს საქმე მოგვარებამდე არ მიჰყავს და არც სადაოა, – მაინც მისია.

8106. პრობლემა ყველა ოჯახში, ქვეყანაში თავისებურად წყდება, ოღონდ ალიყური, ჭიტლაყი, სიყვარულით უნდა იყოს განმსჭვალული.

8107. თუ გინდა ქალი შენს ჭკუაზე იმსახურო, სექსით და ფულით უნდა გადატვირთო, ოჯახის მოვლით და მისი თავის ჭკუაზე მოწყობით უნდა დაღალო.

8108. ქალი კრედიტით იღებს სიყვარულს, ოჯახის შექმნის უფლებას და პროცენტით გვიბრუნებს სიცოცხლეს კვლავწარმოებით – ნაშთით.

8109. მამაკაცი ქალის გაურკვეველ ბუნებაში მომხიბვლელობის პირ-დაპირი დარტყმით ხვდება, რომელიც მდედრს გარკვეულ დრომდე აოგნებს, თავისი „მეს" შეგრძნებით ამუნათებს, რათა დროთა განმავ-ლობაში გონს მოეგოს და მოწინააღმდეგე სქესს აჩვენოს ვინ არის წყვილში ძალაუფალი.

8110. ჩვენ იმის სადღეგრძელო უნდა შევსვათ, ვინც ცოლად მოგ-ვყავს და არა იმის ვინც ხელში გვრჩება. შეიძლება პირიქითაც, ოღონდ „გააჩნია მანდილოსანს, გააჩნია მადის მოსვლას".

8111. ერთი ოჯახი ერთი თეატრია, მრავალი პრემიერით, ერთიდა-იგივე მსახიობებით და მაყურებლით.

8112. ზოგს ისეთი ავი ქალი ჰყავს, რომ გაბრაზებისას ქმარს საწამ-ლავს მიაწვდის, ხოლო კაცს იმდენად ააქვს მობეზრებული თავი ამ ქალისგან, რომ სიამოვნებით შესვამს. საოცარი კი ის გახლავთ, რომ ერთმანეთს ვერ შორდებიან.

8113. კრიმინალის ნახვა ცოლ-ქმრულ ურთიერთობაში შეიძლება თუ მდედრის ქალურ განაზებას და ვნების აშლას ძალადობად მივიჩ-ნევთ.

8114. ზოგიერთი მშობლის მზრუნველობას მოშორებით მისი ბავ-შვის აღზრდა ჯობს, მაგრამ ის დედის სუნის შეცნობის და სულის განათების გარეშე, მთლად არ ამართლებს.

8115. დღეს ქვეყნის აღმშენებლობისთვის მრავალშვილიან დედებზე ოცნება ყველა ფენომენზე წინ დგას, მაშინ როდესაც ემანსიპაცია სა-თუო ბუდებით ოჯახის მოწყობას ცდილობს.

8116. ოჯახიც თავისებური ბიზნესია, სადაც შეურყნელად მოქმე-დებს დებიტ-კრედიტის, „შენ – მე" და „მე – შენის" კანონი, სადაც ურთიერთდასპონსორებაც, ხდება და დაპირისპირებაც ერთმანეთისთა-ვის თავდადებით და გვერდზე დგომით.

8117. მამრისგან განსხვავებით, თუ მდედრს არ უნდა ცუდის დანახ-ვა, ყველას ჯინაზე არ დაინახავს და სწორედ აქ არის წყვილთა ურთი-ერთგაგების "ძაღლის თავი დამარხული".

8118. ცოლ-ქმრული სიყვარულის გამოძახილმა ახალი წელი შეიძლება ციხის გისოსებშიც გაატაროს და სარეცელშიც, მთავარია ურთიერთშერწყმა.

8119. ქორწინება სოციალური სამართლიანობისთვის განკუთვნილი ინსტრუმენტია, რომელსაც ყოველთვის მოეძიება ,,დამაჯერებელი'' საბუთი მამრის გასამტყუნებლად და გასაწბილებლად.

8120. თუ ცოლ-ქმარი ერთმანეთს სუნით და სულით ვერ ეთვისება და ოჯახის შენარჩუნებას ცდილობენ, ეს დროის გაფვანაა, რადგან მათ გარეშე სხვა ურთიერთობის წერტილების შერწყმა შეუძლებელია, ამიტომაც სჯობს დროულად გაიყარონ და თავიანთ ბედს კიდევ ერთხელ ჩაუსაფრდნენ.

8121. ღალატსა და სექსუალურ აქტს შორის სხვაობა თითქმის არაფერია, მაგრამ პირველმა შეიძლება ოჯახი დაანგრიოს, მეორემ კი შეინარჩუნოს.

8122. ცოლი თუ წაუკითხავი წიგნია, მაშინ ქმარი გამოყენებული ანაბრების ბანკის წიგნაკია.

8123. ქალი თუ გაუთვალისწინებელი დანახარჯია, კაცი წინასწარ დაგეგმილი, დასამუშავებელი ობიექტია.

8124. დიასახლისი ისაა, ვინც ოჯახში ფველაფერს იოლად აკეთებს და არა ის, ვინც ერთიდაიგივეს ყოველდღე.

8125. უიღბლო მეგობრის მონახვა ფველაზე ადვილი – დაოჯახებულებშია.

8126. ოჯახის შექმნის საწყისი და ბოლო ურთიერთგაგებაა, მასში შენი ადგილის და საქმის ცოდნით.

8127. ქალი, რომელსაც ქმარი არ უფვარს, შეიძლება არ ღალატობდეს, მაგრამ მისთვის თავს რომ არ გადადებს, ნათელია, თუმცა ნაშიერის აღზრდას არ ამადლის.

8128. ცოლი, პირველ რიგში, სულიერების შერწყმაა და არა – კომპრომისების ძიება და ანგარიშგება.

8129. ოჯახი ის რეაქციული ძალაა, რომელიც შენს გემოზე არაფერს გაგაკეთებინებს და არც არაფერს გარგუნებს.

8130. თავგადასავლები ბიოგრაფიას ამშვენებს, მაგრამ ოჯახის სიამტკბილობას ზოგჯერ საფრთხეს უქმნის.

8131. ოჯახის საშენი მასალაა: მოვალეობა, ტრადიციები, ნაშიერის ყოლის სურვილი, რომელიც სიყვარულის ცემენტით აშენებულ სახლს ვერ შეედრება, მაგრამ უფრო მდგრადია, რადგან სეისმურად საშიშ საძირკველზე არ დგას.

8132. ცოლი გონებით უნდა ავირჩიოთ და არა – გულით, რადგან არსებობს დაღლა-გადაღლის ალგორითმი, რომლის დროსაც რკინა ცვდება და სიყვარულს რაღა მოუვა.

8133. ლამაზ ქალთან დაწყვილება: სახიფათოა, საამაყოა, სასიამოვნოა, სანამ მას ცოლად აღიქვამთ.

8134. ქალის ინტუიცია ყოველთვის მამრის გულუბრყვილობაზეა აგებული, ხოლო მამრის გონიერება ქალის მომხიბვლელობაზე.

8135. აცდუნოს, უყვარდეს, დაეპატრონოს, მამრის საქმეა, მოიხიბლოს, შეიყვაროს, დაემორჩილოს – ქალის. ეს არის ის აქსიომა, რომლის სერიოზულად განსჯას სიკეთე არავისთვის მოუტანია.

8136. სიყვარულის „ფაეტონი" ოჯახის ეტლად იქცევა, თუ შიგადაშიგ ტრფობის მათრახს გადავუტყლაშუნებთ, სადავეებს ზომიერად დავიჭერთ და გრძნობებს არ დავთრგუნავთ.

8137. რადგანაც ოჯახი სახელმწიფოს ერთ-ერთი ავტონომიური წარმონაქმნია, ორივეს კეთილდღეობაზე უნდა ვიფიქროთ, მაგრამ შინაურებზე ფიქრით რატომღაც მეტი სარგებელი მოგვაქვს.

8138. ქალის და მამრის ურთიერთობა ზოგჯერ სურვილში, მიჩვევაში, კომფორტში, გადაიზრდება და არა – სიყვარულში, რადგან ამ უკანასკნელის საწყისი აფეთქება, განუსჯელობა, თავდავიწყებაა და არა – დაფიქრება, მოთმინება, დროის გაყვანა.

8139. ცოლისადმი სიყვარული მამრის შინაგანი განწყობილება, სულის ყვილი და მოვალეობაა, შეგუებით და ჯერ-ჯერობით, მეტი არაფერი.

8140. თუ არ უნდა მეუღლის წინაშე თავი დამნაშავედ იგრძნოს, ცოლი არ უნდა შეეცადოს მის ჭკუაზე მორგებას, რადგან აქედან სახეირო არაფერი გამოვა.

8141. ანჩხლი ცოლი ქმარს იმ საუკეთესო წლების გაფლანგვას აყვედრის, რომლითაც, მისი მიზეზით, მათ არ უსარგებლიათ.

8142. ზოგჯერ საკუთარი ცოლი ძალზე გიყვარს, აღმერთებ და ნანობ, რომ სექსის მრავალფეროვნებაში ხელმოცარული რჩები.

8143. ცოლი მოჰყავთ უჭკუოებსაც და ჭკვიანებსაც, ხოლო თხოვდებიან მოხერხებულნი.

8144. უფროსები გართობას საქმედ თვლიან, ხოლო ბავშვებს ყველაზე მეტად მშობლების ეს საქმიანობა აინტერესებთ.

8145. ყველაზე საყვარელი ხმა, შენზე შეყვარებულ პატარას აქვს.

8146. ყოველივე ქვეყნის ინტერესებს და ხალხის კეთილდღეობას უნდა ემსახურებოდეს, მათ შორის ქრთამიც, თუ ის ოჯახის საჭიროებას ხმარდება და არა – ფუფუნებას, ღრეობას.

8147. ქალის რაღაცა ნაწილის მოწონება იძულებულს გხდის, ქორწინების სახით პრივატიზაცია გაავრცელო მის მთელ სხეულზე.

8148. ქორწინება სერიოზულობას, მოვალეობის შეგრძნებას, გვმატებს და სმენას გვიმახვილებს, მაგრამ გვერდზე გახედვას, თვალების ცეცებას, ვერაფერს უხერხებს.

8149. ქორწინების ინსტიტუტისთვის მთავარია მასში მოხვედრა და არა – გამოცდების ჩაბარება.

8150. ქორწინება ერთჯერადი ლატარეა კი არ არის, მრავალჯერადად ჩასაფრებული ობლიგაციაა, სადაც ერთხელ დაოჯახებული წლების განმავლობაში ელის რაღაც სასიამოვნო შემთხვევა მოიგოს, რათა ობლიგაციის შეძენის მოტივი გაამართლოს.

8151. ასაკში ცოლის თანხმობა ვნების დასამოძღვრად გაცილებით მეტს ნიშნავს, ვიდრე სხვა ქალის.

8152. მრავალცოლიანობა ან „მარცხენა“ შვილების ყოლა იმითაც არის მისასალმებელი, რომ თქვენდაუნებლიედ რამდენიმე დამატებითი მუშახელი ბიუჯეტის შესავსებად შექმენით და თქვენს რჩენასაც, სიბერეში, სახელმწიფოს გაუადვილებთ.

8153. ჩვენ რომ ადრე გვცოდნოდა 30–40 წლის შემდგომ ჩვენი ცოლები როგორ „დაჩამიჩდებოდნენ“, ბევრი ჩვენგანი ბერბიჭად დარჩებოდა.

8154. ღმერთსა და სატანას შორის არჩევანი ასეთია: ან მსხვერპლი უნდა იყო ან მკვლელი, მათ შორის კი საშუალო ადამიანია.

8155. ბრიყვს ცოლ-ქმრის ჩხუბი მართალი ჰგონია, ხოლო დედაშვილის გაპაექრება – ჩხუბი.

8156. მხოლოდ ერთი ადამიანი ერკვევა ყველაზე უკეთ შენს ფინანსებში – ეს შენი ცოლია.

8157. შენს საქმეს, შენზე უკეთ, ცოლი გაკეთებინებს.

8158. შეუღლება აზარტია, გაყრა – წაგება, მაგრამ ვისთვის?!

8159. ადამიანი ადამიანის გარეშე არარაობაა, მაგრამ მისი რაობა კვადრატში ადის თუ ის თავის ბუნების, გუნების, მეწყვილეს ნახავს.

8160. ყველა ქალის ოცნებაა ოჯახში დედოფლად აღიქვან, მაგრამ დიასახლისის სტატუსითაც კმაყოფილი იქნება, თუ ქმარმა გაუმართლა.

8161. ქალი შეიძლება ბუნებით დიასახლისი იყოს, მაგრამ არა – „ოჯახის მუჭუჭი“, რადგან ეს უკანასკნელი თანდაყოლილი ნიჭია.

8162. მთავარია, მეორე ნახევრის გვერდზე, პირველ რიგში, სულმა იგრძნოს კომფორტი და შემდგომ – სხეულმა.

8163. ქალს თავისი მომავალი მეუღლის გაცნობის რამდენიმე ვერსია აქვს, მამაკაცისაგან განსხვავებით, მაგრამ მას ეს ხელს არ უშლის თავისი ეშმაკი მოთოკოს და ოჯახი შექმნას.

8164. მახინჯის გაჩენით, თუ ეს წინასწარ ვიცით, ექიმებსაც საქმეს ვუჩენთ, საზოგადოებასაც ვსჯით და ცოცხალ არსებასაც, რომელიც ხშირად თვითმკვლელობაზე ფიქრობს, ამიტომ ჩასახვისას მშობლებმა ბავშვის მომავალზე უნდა იფიქრონ და არა დედობრივი მოვალეობის ხუშტურის გასწორებაზე.

8165. ქალი ქმნის კერის შესაქმნელ კლიმატს, რომელშიც მამრი მამაკაცად გვევლინება.

8166. ოჯახი თავისებური შეზღუდვაა, მაგრამ სხვა ყველა შეზღუდვას სჯობს, რადგან მასში მოვალეობაც დევს.

8167. ახალგაზრდობა ხელიდან გვეცლება, მაგრამ მეთევზისთვის დროის ფაქტორს მნიშვნელობა არ აქვს, რადგან მისი გართობა თევზაობაა და დროებით ოჯახიდან თავის დაღწევა.

8168. უნდათ თუ არა, ოჯახის დანგრევა არასრულფასოვანი ქალის სინდისზე და უნიათო კაცის ხუშტურზეა დამოკიდებული.

8169. ხშირად ქალი ოჯახის დანგრევის გამართლებას ვერ პოულობს, განსაკუთრებით, ასაკის გადასახედიდან.

8170. სიყვარულის ნარჩენებისთვისაც უნდა ვიბრძოლოთ, თუ გვინდა ოჯახი შევინარჩუნოთ.

8171. ის მამაკაცია მოხდენილი და „მაჩო", რომლის ხელშიც ქალი და მისი სული ხალხში დედიშობილად ყოფნას ისურვებდა.

8172. ოჯახს კი არ უნდა ხელმძღვანელობდეთ, არამედ ეფექტურად უნდა მართავდეთ ფულის დასპონსორებით.

8173. სახელმწიფო გადატრიალება და ოჯახის დანგრევა, ცოდვების გარეშე შეუძლებელია.

8174. ყველა ფულიანი ტომრის ცოლის და ქმრის უკან, მათზე მონადირე ხვადები და ძუკნები დგანან, რომლებიც მიზნის მისაღწევად არაფერს ერიდებიან.

8175. ყველა ჩვენგანის ცოლი შეიძლება ოპერის სოლისტად იქცეს, გააჩნია ჩვენს დირიჟორობის უნარს და ცხოვრების "მუსიკალურ" შესაძლებლობებს.

8176. მანდილოსანი შეუმჩნევლად მამაკაცის ქმრად გადაქცევასა და აღზრდას ახერხებს, ხოლო მამაკაცს ქალის დიასახლისად ქცევაში ან უმართლებს ან არა.

8177. ქალი ყოველთვის იმ მამაკაცს ეთაყვანება და აფასებს, ვინც მის სალოცავ ხატად და სულის სასალბუნედ იქცევა, მაგრამ მამაკაცმა გულით თუ არა გონიერებით ამ შემთხვევაშიც უნდა იყოჩაღოს.

8178. დაოჯახება კოპების შეყრა და ცხოვრების გამოცდაა, რადგან არ იცი სიცოცხლეს გაიმწარებ თუ გაითავისებ.

8179. ქალად იბადებიან, რათა ვაჟები შობონ და სხვებმა კაცებად აქციონ, მამრებად კი მხოლოდ იმისათვის ჩნდებიან, რომ ამ საქმეში მდედრთა სქესს დაეხმარონ და თავი მათ დამცველებად გაასაღონ.

8180. ცოლი ქმრის შინამოსამსახურე არაა, მაგრამ ქალბატონობაზე ოცნებასაც უნდა შეეშვას.

8181. დაქორწინება თერაპიაა, გაყრა – ქირურგია და რა გამოდნება აქედან წყვილის ხასიათზეა დამოკიდებული.

8182. ოჯახში ყველაზე მეტად მამაკაცი უნდა უფრთხოდეს, რომ უფროს-უმცროსობის ინსტიტუტმა თავი არ დაგვიკრას და შთამომავლობას ვაჯხანალიაში ყოფნა არ მოუხდეს.

8183. ქალი ლამაზი და მომხიბლავი უნდა იყოს, მამაკაცი – საინტერესო და შემძლე, თუ პირიქითაა – ანომალიაა და მიუღებელი.

8184. დილემა: ოჯახი თუ აღიარება, ქალისთვის, კაცისგან განსხვავებით, ძნელი ასარჩევია, მაშინ როდესაც მდედრი ოჯახისთვის არის გაჩენილი.

8185. მამაკაცი თავისი ბუნებით სპრინტერია, მისთვის ხშირ-ხშირად მცირე წარმატებანი აუცილებელია, ხოლო ქალი მარათონელია და ცხოვრების ავ-კარგსაც უკეთ იტანს. პირველი წარუმატებლობის შემთხვევაში სტრესში ვარდება და იმქვეყნად ადრეულად გადაბარგდება, ხოლო მეორე – წარუმატებლობისათვის შინაგანად მზადაა და ის ამით სიცოცხლეს იხანგრძლივებს.

8186. თუ ქმარს ცოლი არ უყვარს, ეს სიკვდილის მოახლოების ტოლფასია, დროის ტყუილუბრალოდ კარგვაა, ხოლო თუ პირიქითაა, ქალს საშუალება ეძლევა იმედიანი ლოდინის ხარჯზე სიცოცხლე გაიხანგრძლივოს.

8187. ფემინიზმის ბაცილით დაავადება არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ქალმა მამაკაცის როლი მიითვისოს, რადგან მათ ერთმანეთის ღირსეულად შეცვლა არ შეუძლიათ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბუნება მამაკაცთა მოდგმის დღევანდელი ოდენობით საჭიროებას გამორიცხავდა.

8188. გაყრილ წყვილს რამდენიმე ერთად გატარებული წელი სანაგვეზე გადაყრილად მიაჩნიათ – თუ ერთმანეთს ხასიათით ვერ ეწყობოდნენ, ხოლო თუ სექსში ვერ გაუგეს ერთმანეთს და ამასთან არცერ-

თი მხარე არ „იბნეოდა“, მაშინ არც სასაჯედუროა რამე, რადგან „შეცდომის და სინჯვის“ მეთოდის გამოყენებით თავიანთ თავს არგეს.

8189. ოჯახში, ყოველ ათ წელიწადში ერთხელ მაინც, მზრუნველობის გაამხსენებელი, გამართობი პატარა უნდა ჟღურტუნებდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ყოფის კაიფს, ჩვენდა შეუმჩნევლად, ბევრი რამ აკლდება.

8190. თაფლობის თვე წყვილის შეცნობის, შეჩვევის, შენდობის, გაწბილების, დანებების ან განშორების მოსამზადებელი დროის და განსჯის თარიღია.

8191. შეუფერებელი მამაკაცი არ არსებობს, თუ ის ცოლ-ქმრული მოვალეობის აღსრულებას არ ივიწყებს.

8192. ფიზიკოსს უნდა აინტერესებდეს არა მარტო მყარ სხეულებზე ხელის შევლება, არამედ დედიშობილა სხეულზე ხელის მოცაცუნებაც, თორემ ხელში შემორჩება გონიერებისთვის მომხიბვლელი ფორმულები, ოჯახის და შთამომავლობის გარეშე.

8193. მდედრი, რომელიც სიკოხტავისაგან ლარივით არის მოჭიმული, ნამდვილი დედოფალია, ხოლო, მოჩვარული ოჯახისთვის გაჩენილი დიასახლისია. პირველი მუდმივი პატარძალია, მამრებისათვის გონების არევის პერსპექტივით, მეორე მოწოდებით მანდილოსანია შეჩვეული მეორე ნახევრით.

8194. ქალი მამაკაცში თავის ღირსებას და ღირებულებას ხედავს, კაცი ქალში – თავის ნაკლოვანებას და იმასაც, თუ როგორ უნდა გამოასწოროს.

8195. მამაკაცის ვალია ქალი მოხიბლოს, ქალისა – მამრი ხელიდან არ დაუსხლტეს.

8196. მამაკაცმა უნდა ისწავლოს ქალისთვის ყურის გდება, რადგან მდედრს უყვარს, როდესაც უსმენენ, ეთანხმებიან, რითაც დეპრესიიდან გამოდის.

8197. ქალისთვის მთავარი ოჯახია და თუ ეს ასე არ არის, მაშინ მის გენში მუტანტი შეპარულა და მის გარდაქმნას აზრი არ აქვს.

8198. ცოლ-ქმრობა, დაღვინებული ოჯახი, შენი წილხვედრია, ჯვრის ტარება უსიტყვო პასუხისმგებლობით.

8199. მამრთა მოდგმის მიმართ სისუსტე, როცა იქნება ბავშვის ყოლით მთავრდება და მთელი ცხოვრება გარანტირებული სიხარული და გაწბილება გაქვს.

8200. თუ წყვილის საწოლი ხშირად და დიდხანს ჭრაჭუნებს, მათ არც გასაყოფი აქვთ, არც სექსაობის ინტეგრალებია ამოსახსნელი და არც ის, თუ ვინ არის ოჯახში პირველი და შეუცვლელი.

8201. ოჯახის წევრები ერთმანეთს ჭკუას კი არ უნდა არიგებდნენ, არამედ ერთმანეთის ნაწილ-ნაწილ შევსებას უნდა ცდილობდნენ, რათა ერთი ღირსეული მთელი მიიღონ ოჯახის უფროსის სახით.

8202. მამაკაცისთვის უმთავრესია გონიერება, ადგილი საზოგადოებაში, ხოლო ქალისთვის – შესახედაობა, დანარჩენს კი მოთმინების, ჩასაფრების და გამოცდილების ანა-ბანა იძლევა.

8203. ოჯახს, საზოგადოებას, პოლიტიკას, თავისი განზომილებები და ფორმულები აქვს და მათ აღრევას არ უნდა შევეცადოთ – სახეიროს არაფერს იძლევა.

8204. მამაკაცების შეფასება და გათხოვებაზე ჭორაობა სხვადასხვაა, მაგრამ ერთი მიზანი აქვთ – ქალს უნდა გათხოვდეს და თანხმობით მომავალი ქმარი გააბედნიეროს.

8205. ერთს არ გაუმართლა ქმარში, მეორეს ძალიან გაუმართლა ცოლში და ასე გარბის შეფარებული წფილის ცხოვრება.

8206. შინაურებზე ცუდი არ უნდა იფიქრო, მაგრამ პროფილაქტიკა ამის უფლებას არ იძლევა.

8207. რადგან ოჯახის ბიუჯეტის სამ მეოთხედს ცოლი ხარჯავს, ერთ მეოთხედს – ბავშვები, ქმარი იძულებულია თავისი „მარცხენა“ იქონიოს, ცოლისგან ნამალევად და შეძლებისდაგვარად თავის გართობას მოახმაროს.

8208. ცოლს შეიძლება აღარ ეარშიყებით, მაგრამ ის რომ დედოფალია, ოჯახის პრემიერ-მინისტრი და თანაც შეუცვლელია, ხშირად წამლიქვნელებით უნდა შეახსენოთ.

8209. ბედნიერია ის წფილი, რომელიც ყველაფერს აკეთებენ ერთმანეთის საამებლად.

8210. ცოლის შერთვა გაცილებით ადვილია, მომდევნო პერიპეტიებთან შედარებით.

8211. მამრის მჭვერმეტყველების იარაღი ენაა, ქალისა – მისი მოსმენა.

8212. მამაკაცი მამრის ვირეშმაკობას უკეთ იცნობს, ხოლო ქალი უკეთ გრძნობს.

8213. მამრის და მდედრის ურთიერთობის ძირითადი ალგორითმი კომპრომისია.

8214. ხალხში გამოსული კაცი ყველა ოჯახისთვის სასიამოვნო სტუმარია.

8215. კაზინოში მოთამაშის ცოლის სიმშვიდის გარანტია მხოლოდ მოგებაა.

8216. ოჯახში ქალი მარტო მზრეულად არ უნდა აქციო, მას ის დარგებიც უნდა შეუთავსო, რაზეც წარმოდგენაც არ ჰქონდა.

8217. ქალს გათხოვებისკენ უბიძგებს უსაქმურობა, ახლობლები, ვაჟს აოჯახებს ეიფორია და ხვადის გეშის დაქვეითება.

8218. ზოგჯერ ღალატის შიში ამტკიცებს ცოლ-ქმრულ ურთიერთობას, თუმცა გააჩნია წყვილს, გააჩნია განგების ნება.

8219. ქალი აფექტში ყველაფერს კისრულობს, მამაკაცი – რაც ამ ქალს ინტუიციას გადარჩება.

8220. ცოლზე შეიძლება ილოცო, შეიძლება მის გარეშეც გახვიდე, მაგრამ ოჯახს და ნაშიერს რომ უნდა მიხედო, აქ ქვეშიდან არ უნდა გამოხვიდე.

8221. სიყვარულით დატყვევებულ წყვილს, იმის საკვლევად არ სცალიათ ვის ვინ როგორ უყვარს და ვინ არის გრძნობების გენერატორი.

8222. მამაკაცის სექსუალურობის მაჩვენებელი გონიერებაა, ძალაა, ხოლო ქალისა – ღიმილი, ჩერჩეტობა.

8223. გონიერი კაცი ცოლს ბანქოს თამაშს ასწავლის, მიცემული ხელფასის ნაწილს თამაშით უკან დაიბრუნებს და თავის სიამოვნებისთვის დახარჯავს.

8224. „სამოქალაქო ქორწინება", ოფიციალურისაგან იმით განსხვავდება, რომ ამ უკანასკნელს, პირველისგან განსხვავებით, ოჯახური გალიის კარები გამოხურული აქვს და თავის ჭკუით მის გაღებას ლამობს.

8225. სიყვარული ეს არის პასუხისმგებლობა, აშენებული კომპრომისზე და სექსუალური მისწრაფების ოჯახურ გარემოში გამოცდა.

8226. რადგან ასაკში ყველა სახის ქორწინება მეტ-ნაკლებად ანგარიშს, გამორჩენას, ეყრდნობა, აქ მთავარია მაინც წინათგრძნობის მოშველიება, ვიდრე აზროვნება და მისი ბუღალტერია.

8227. შეყვარება სასიამოვნო ტყუილია, ოჯახი მკაცრი სინამდვილეა, მაგრამ საბოლოოდ მაინც საკუთარი ბედის შენებას ვირჩევთ, რადგან ეს ბუნების კანონია და სიცოცხლისათვის აუცილებელი.

8228. უსაქმურობა და თავის გამოჩენის სურვილი, ადამიანს აიძულებს აკეთოს ის სისულელე, რომელიც არც მას სჭირდება და არც სხვას.

8229. ყველაზე ძნელი სიყვარულით გათხოვებაა და არა – ანგარებით, რადგან პირველი გრძნობების, ოცნებების, იმედის ამბიციების, გაცრუებას ვერ უძლებს, ხოლო მეორე შემთხვევაში გრძნობების და ოცნებების სელექციის ჩასახვა ახლად იწყება, დრო შეუმჩნევლად ხელიდან ეცლებათ და ერთმანეთს აბერდებიან. ამიტომ ითვლება გარიგება შედეგიან დაოჯახებად.

8230. ქალები იყოფიან ბუნებით მანდილოსნებად და სულით ნათ-
რევებად, ხოლო მამაკაცები კეთილშობილებით და გარყვნილებად, მაგ-
რამ საოცარი ის არის, რომ ეს უკანასკნელნი უკეთეს და გამძლე
ოჯახებს ქმნიან ქვეყნისთვის, ვიდრე სულიერების ეტალონით მომხიბ-
ვლელი პიროვნებები.

8231. ქალების აზრით, ყველა ხვადი ღირსია ცოლისგან რქების
დადგმისა, მაგრამ ამის უფლებას თავს არ აძლევენ, რადგან ბედის
ნაჩუქარ მამაკაცს გაფრთხილება სჭირდება.

8232. იყო ცოლი, დედა, საკმარისი არ არის, თუ ოჯახში საკუთარი
ადგილი ნაპოვნი არ გაქვს და მისი მართვის სადავეები ხელში არ
გიპყრია. რაც შეეხება მათრახს, ის ქმარს საკუთრებაში უნდა დავუტო-
ვოთ, იმის მიუხედავად, იყენებს მას თუ არა.

8233. ქალი რაც უფრო განათლებულია, ენერგიულია, მით უფრო
დახვეწილად და მრავალფეროვნად უბურღავს ტვინს მამაკაცს, ხოლო
მოხერხებულნი, ყოფის მცოდნე ქალები იმავე მოთხოვნებს ყოველგვარი
დაძალების, ბურღვის გარეშე, ალერსით, დროის შერჩევით, უმტკივნე-
ულოდ აღისრულებენ.

8234. ქვეყნის გადაგვარება მამაკაცების ნების გადაფასებიდან იწყება
და არა – ქალების გათავხედებიდან და ვნების დაბანდების მცდელობის-
გან.

8235. ოჯახის ბედნიერების საიდუმლოებაა: ურთიერთპატივისცემა,
ნდობა, ღიმილი.

8236. მამაკაცები ხშირად იმ ღირსებას ედავებიან თავიანთ ცოლებს,
რომელსაც ისინი ვერასოდეს დაიმსახურებდნენ.

8237. მთავარი დაქორწინება კი არ არის, არამედ ოჯახის მოსა-
ლოდნელი ნამრავლ-სამრავლი, რომელმაც ერი უნდა შეინახოს.

8238. ჩაურევლობა ოჯახის შექმნაში ყველაზე დიდი დახმარებაა
კერიის შესანარჩუნებლად.

8239. ის ანტაგონიზმი, რაც მამრსა და მდედრს შორის არსებობს,
ღმერთმა ნუ ქნას მოისპოს და მხოლოდ ურთიერთობაში გადაიზარ-
დოს – მიმზიდველობის ძალა მაშინვე ხელიდან გამოგვეცლება.

8240. ქალი პრემიერ-მინისტრია და არა – პრეზიდენტი და რაც
დროზე შეეგუება „თანამდებობას“, მით უკეთესია საოჯახო მეურნეო-
ბისთვის.

8241. გონიერი ქალი მცირე შეწირვებს კისრულობს, რათა ოჯახის
შენარჩუნების და ღირსეული ნაშიერის აღზრდის უმთავრესი კომბინა-
ცია წარმატებით დააგვირგვინოს.

8242. თავიანთი წარმოდგენით ქალი შეუცვლელია ოჯახის შესაქ-მნელად.

8243. ქალის ლოგიკით, მისი ცოდვიანობის მიუხედავად, მამაკაცი მაინც დამნაშავეა.

8244. საცხოვრებელი ერთი წყვილის საკუთრებაა და ყველა სხვა იქ ზედმეტია, როგორი ახლობელიც უნდა იყოს.

8245. ქალებმა კაცები უნდა აიძულონ შინაურ საქმეებში ჩაერიონ, რათა დამატებით რაიმე გამოიგონონ საოჯახო რუდუნული საქმიანობის ავტომატიკა-პროგრამირების კუთხით.

8246. მამაკაცი ცოლს ვერასოდეს გაუგებს სად დახარჯავს ამდენ ფულს, ხოლო ქალი – ქმარს, რატომ ხარჯავს ასე უყაირათოდ.

8247. ქალს მამაკაცზე მეტად ოჯახის სიმყუდროვე მოსწონს, რადგან ეს უკანასკნელი მის განუხრელ ყურადღებას და დაფასებას მოითხოვს.

8248. ქალების აზრით, მათ ფასს მამაკაცი მაშინ შეიცნობს, როდესაც მათი ხელი მოაკლდებათ, მაგრამ არც იმდენად, რომ ეს მზრუნველობა დაიბრუნონ.

8249. ქალთან მეგობრობა თავისებური აქტია, ხოლო მამაკაცთან აქცია, ორივე ფაქტიური გამოსავალის ძიება.

8250. შეიძლება ცოლის დაბადების დღე არ გახსოვდეს, მაგრამ დაქორწინების ,,ტრაგიკული" თარიღი არ უნდა დაივიწყო – წასამლიქვნელებად გამოგადგება.

8251. ქორწინება და გაყრა სინონიმებია, თუ მოსახლეობის ,,საუკეთესო ნახევარი" ამის წინააღმდეგი არ იქნება.

8252. მამაკაცის და ქალის ეჭვიანობას შორის ის განსხვავებაა, რომ ერთი თავის ,,მე"-ს ეთაყვანება, ხოლო მეორეს თავზე მეტად ის აინტერესებს, დაქალები რაზე ჭორაობენ.

8253. ქმარი იმდენი აღარასოდეს ეღირება, რამდენიც მის ცოლს სურს და წარმოუდგენია.

8254. მრავალცოლიანობა იმიტომაც არის საინტერესო, რომ ერთ ცოლზე საყვედური მეორეს გაუზიარო, რჩევა მესამეს ჰკითხო, ხოლო მეოთხესთან ხვაშიადი მოიკლა.

8255. ქალისთვის ტაქტი თანდაყოლილია, მამაკაცმა კი უნდა ისწავლოს.

8256. ლამაზი ქალის გონიერებასთან გათანასწორება და მისი ცოლად მოყვანა ოქროს შუალედია.

8257. თუ ქალი ხასიათს ავლენს, ალქაჯია, აფთარქალია, თუ მამაკაცი პიროვნებაა, კაცია.

8258. სამოქალაქო ქორწინება ბერბიჭების იძულებითი კაპიტულაციაა, ავტონომიის სტატუსის შენარჩუნებით.

8259. მეძავი, ბოზი, როსკიპი, კახპა, არც ერთი მათგანი ოჯახის შენარჩუნებისთვის ისე საშიში არ არის, როგორც აფთარქალა, რომელიც არაფერს ერიდება კაცის დასამონებლად.

8260. ვიგინდარა გონება მამრსა და მდედრს შორის გაცნობიერებულ ცხოვრებას გამორიცხავს, მაგრამ რატომ, ვერც ერთი მათგანი ვერ გიპასუხებს.

8261. თეორიულად მდედრისთვის ყველაზე ძვირფასი საჩუქარი საყვარელი მამაკაცია, პრაქტიკულად კი, დროთა განმავლობაში, ვნების გამეორების შესაძლებლობიდან აღარაფერი რჩება.

8262. ოჯახის კრიზისში დამნაშავე ორივე მხარეა, რადგან თავის ამბიციებს ერთმანეთს აჯიბრებენ.

8263. თაფლობის თვეში, წყვილი ერთმანეთს გრძნობს, მაგრამ ვერ ხედავს. გადის დრო, ერთმანეთის დანახვის სურვილი უჩნდებათ, იწყება ყოველდღიურობა და ცოლ-ქმრული ცხოვრება, რომელიც უნდა შევეცადოთ გრძნობების დაუკარგავად გაგრძელდეს.

8264. მდედრის და მამრის როლი ოჯახის შექმნის და შთამომავლობის კვლავწარმოების საქმეში მუდმივია და აუცილებელია ცივილიზაციის მსოფლმხედველობის ,,გადახალისების" მიუხედავად.

8265. დაწყვილება მსჯავრია თუ სასჯელი, ამის გარკვევას ვერც დრო და ვერც ასაკი ახერხებს.

8266. თუ ქალი შენგან ერთხელ წავიდა და ისევ დაგიბრუნდა, ეს არ ნიშნავს, რომ უკეთესი გახდა.

8267. ქალის ოცნება აწმყოშია, კაცისა – წარსულში, რათა გამოცდილება განსჯით, შედარებით, მიიღოს და შემდგომი სტრატეგია განჭვრიტოს.

8268. ოჯახში კაცი საძირკველია, ქალი კედელია, შვილები ნანატრი სახურავია, ხოლო შვილიშვილები ის კომფორტია, რომელსაც ყველა ეთაყვანება.

8269. ოჯახში ეროვნული ფესვების, ტრადიციების, კერის სიმშვიდის, შემონახვა ქალს ეკისრება, ხოლო მომავლის ხედვა, პროგრესისკენ სვლა და მისი მორგება, კაცის ვალდებულებაა.

8270. გაკაპასებული ცოლის სახლში დაბრუნება ტრაგედიად არ უნდა აღვიქვათ, მაგრამ რომ არც დღესასწაულია, ფაქტია.

8271. ზოგ ცოლ-ქმარს გაყრის გარეშე სიკვდილიც არ უნდათ, რადგან ეშინიათ, ერთად არ დაასაფლაონ.

8272. კურორტზე მამაკაცები ქალების დასაბმელად, დროის სატარებლად, მიდიან, მაგრამ ზოგჯერ ,,იაღლიში" მოსდით და ცოლით ბრუნდებიან.

8273. მამაკაცების პოლიტიკა ქვეყნის მომავალზე სხვადასხვანაირი ფიქრია, ქალებისა ყოველთვის ერთია – ოჯახზე.

8274. საფარელსა, მეძავსა და ცოლს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი ფიქრობს – მოვა, არ მოვა, მეორე – გადამიხდის, არ გადამიხდის, მესამე – ნაგავს გაიტანს, არ გაიტანს.

8275. სასიფარულოდ ქალებთან ყოფნა არ ნიშნავს, რომ ცოლს ღალატობთ, უბრალოდ ქველმოქმედებას ეწევით ,,სექსნაკლული" ქალების მიმართ.

8276. ცხვირი მამაკაცს თავისი ,,ღირსების" წარმოსაჩენად სჭირდება, ხოლო ქალს იქ ჩასაყოფად, სადაც არავინ არაფერს ეკითხება.

8277. წყვილი თაფლობის თვის გასვლის შემდგომაც უნდა შეეცადოს იგრძნოს ერთმანეთი და არა მარტო დაინახოს.

8278. ქალმა და კაცმა საერთო ენა რომ გამონახოს და ხასიათი ერთმანეთს აუწყოს, გონიერების მოსახმობად დაქალს უნდა მიმართონ და არა – ძმაკაცს, რადგან ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით, მდედრისთვის ოჯახი ყველა ასაკში, დროში, გარემოში, უპირველესია.

8279. ზოგი ცოლთან იმიტომაც ცრუობს და ყოყოჩობს, რომ სხვასთან ეს არ გასდის.

8280. მდედრის მონობაში მყოფ მამაკაცს ქალის სიფარული უჭირს, ქალს კი ეს შეუძლია, სიამოვნებასაც განიცდის და სულსაც ესალბუნება.

8281. ოჯახის ბარაქას მტრობს უსტუმრობა, პურძვირობა, რადგან სიმდიდრის საწყისი სტუმრის მიერ კეთილი გულით მოტანილი საჩუქარია ის ინფორმაციაა, რომელმაც მასპინძელს ათი წამოწყებიდან ორში მაინც შედეგი უნდა მოუტანოს და ასიამოვნოს.

8282. მამაკაცს მაშინაც არ დაეჯერება, როდესაც ის ქალს მთელი გულით აქებს, რადგან ეს მისი მოწოდებაა, ხვადის ბუნება და მდედრის დაუფლების ხერხია, ხოლო ქალის ვალია, ყოველივეს შეფასების თვალით შეხედოს, მერე დროებით გონება გათიშოს და მამრის სურვილს დაემორჩილოს. წინააღმდეგ შემთხვევაში გათხოვებას ვინ ჩივის, შეიძლება ქალწულიც ,,გაუიმასქნელად" დარჩეს.

8283. წყვილი, რომელიც ერთმანეთს სხვის წინაშე ამცირებს, თავს ორმაგად იმცირებს, რადგან არჩევნის გაკეთების უნარი არ ჰქონია და ალღომაც უმტყუნა.

8284. მამაკაცი სიამოვნებისთვის უნდა გაიხარჯოს, ხოლო მდედრმა ეს შესაძლებლობა ხელიდან არ უნდა გაუშვას.

8285. წყვილის ურთიერთობაში კინკლაობა გრძნობებს კლავს, ჩხუბი აჯამებს და აქედან რა გამოვა, სიყვარული კვადრატში, თუ გრძნობების დაქვეითება არავინ უწყის.

8286. ცოლისგან განსხვავებით, ქმარი გადაშლილი წიგნია, რომლის წაუკითხაობა ქალმა ყოფის ანბანის უცოდინრობას უნდა დააბრალოს და არა – ბედს.

8287. მამაკაცსა და ქალს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი წაკითხული წიგნივითაა – უკვე ინტერესს აღარ იწვევს, ხოლო მეორე კვლავ წასაკითხია და გადაკითხვის მსურველიც არ აკლდება.

8288. მდედრის და მამრის ურთიერთობა, უპირველესად, ვნების, აზარტის, თამაშია, ხოლო გადამლაშება გულგრილობას და კინკლაობას იწვევს, რომელიც ყოველთვის მშვიდობიანად არ მთავრდება.

8289. მეორე ნახევარია ის, ვინც გიგებს, ხშირად თავს არ გაბეზრებს, მის საყვედურებს ვერ გრძნობ, ხოლო თუ პირიქითაა – ცოლია, ალქაჯია, შენი შვილების დედაა და ოჯახის გადამკვდარი მოურავი.

8290. თუ საკუთარ სახლში მისვლა არ გსიამოვნებს, ჩათვალე, რომ ოჯახი აღარ გაქვს და ცოლთან შეუთანხმებლად გაყრილი ხარ.

8291. მდედრის აზრით ქმრის ყველაზე დიდი ნიჭია ფულის შოვნის უნარი და მისი დაბანდების უფლების ცოლისთვის გადაცემა.

8292. დაქორწინება მოთმინებით არც ერთ სასწავლებელში არ ისწავლება.

8293. უპრიანი ტყუილის განსჯა საჭიროა არა მარტო გაყრის, არამედ შეყრის დროსაც – თუ დაქორწინებამდე მათ ეჭვი ეპარებათ ურთიერთის ხასიათში და ადამიანის სუნის-ჰორმონების უცხოობაში.

8294. ქალისა და კაცის ურთიერთობაში უმთავრესი დამნაშავე ბედია და არა – სიყვარული და შემთხვევის ნება.

8295. რაც გინდა ვთქვათ, მაგრამ ჩამოყალიბებული „იდიოტები“, ერთი შეხედვით, კარგი ქმრები დგებიან, თუკი ქალს ფემინიზმის საწყისი ამბიციები აწუხებს.

8296. პირველი „იუბკა“ – „ქვედატანი“ არც ყველა ქალის ბედია და არც ყველა მამრის ხვედრია.

8297. რამდენადაც შესაძლებელია, ქალებს ბოლომდე უნდა ვენდოთ და დავუჯეროთ, რათა ცხოვრება არ გავირთულოთ და სიბერე არ გავიბითუროთ.

8298. ნაუცბათევი ქორწინება, უმთავრესად, ჯანმრთელი თაობას იძლევა და ეს არა მარტო ახალგაზრდობის ბრალია, არამედ იმისიც,

რომ წყვილმა, მათდასაბედნიეროდ, ვერ მოასწრო იმ დაავადებათა დაცვლა, რაც თანდაყოლილი ან შეძენილი აქვთ.

8299. ჯვრისწერა ამაღელვებელი და სენსაციური უნდა იყოს, თუ გინდა, სიცოცხლის ბოლომდე დაგამახსოვრდეს და სხვასაც დაამახსოვრო.

8300. ცოლის დაქალის შეცდენა არ არის ძნელი, მეუღლისთვის ამის ახსნა საშინელებაა.

8301. ქალი როგორც მდედრი შეიძლება აღფრთოვანებას იწვევდეს თქვენში, მაგრამ როგორც დედაკაცი და ოჯახის დედა სათუო და საყაიმო იყოს, რადგან წყვილთა ურთიერთობაში მთავარი შერწყმა-შერჩევაა და არა მხოლოდ ტრფობა-სიყვარული.

8302. მოვალეობის გრძნობა და სიყვარულის ფენომენი სხვადასხვა, მაგრამ ოჯახის შესაქმნელად და ერის გასამრავლებლად პირველი ჯობნის და ამართლებს.

8303. მამაკაცის მოკლე ჯაჭვით დაბმა არ ამართლებს, გრძელი ჯაჭვით აშვება სისულელეა, ხოლო უჯაჭვოდ ქალისა და კაცის ერთად ყოფნა მათ ბუნებაზე, გინებაზე და შემთხვევაზეა დამყარებული.

8304. ზოგი ქორწინება შეიძლება საუკუნის სადარი სენსაცია იყოს, მაგრამ მათი გაყრა დღეებსაც ვერ უძლებს.

8305. მდედრი, რომელიც თავის პრობლემების აკიდებას მამაკაცზე ცდილობს, ქალია და არა ალქაჯი, რადგან მან მასში კაცი დაინახა, თავისად ჩათვალა და მამრისაგან შემხვედრ ქმედებას, პატივისცემა-ნდობას, ითხოვს.

8306. ზოგჯერ ადამიანი ოჯახის ვირად გადაიქცევა, რომელზეც შთამომავალს არც ამხედრება შეუძლია და არც თავის წარმოჩენა.

8307. ოჯახი დიდი, სასიამოვნო და საამაყო ტვირთია მისთვის, ვისაც მისი ალგორითმი გათავისუფლებული აქვს და მის სატარებლად ჯეელობიდანვე მომზადებულია.

8308. ცოლ-ქმრობა ამქვეყნად საზიდი ტვირთის თანაბრად გადანაწილებაა და იმქვეყნად ჰარმონიულად, დაუყვედრებლად, გადასახლება.

8309. რადგან ქალი მოწოდებით დედაა, თავისი ცხოვრების ზოგიერთი ნაწილი საკუთარი მოწოდებით უნდა გაითამაშოს, შესწევს ამის უნარი თუ არა.

8310. ქორწინება აუცილებელი ლატარეაა და ვინ რჩება წაგებული და ვინ მოგებული – დღემდე სადაო და გაურკვეველია.

8311. ცოლების აზრით, სულელები არიან მათი მამაკაცები, რაც შეუძლიათ მუქთად მიიღონ, იმაში ფულს ფლანგავენ და ამასთან დროსაც უყაირათოდ იყენებენ.

8312. ქალის ბუნება ნაძალადევადა კეთილი, შეუძლია მამაკაცს ყველაფერი არ აპატიოს, მაგრამ ცოდვები შეუნდოს და კიდეც მოეფეროს.

8313. ყველა მამაკაცს ცოლის შერთვის უფლება არ უნდა მივცეთ, მაგრამ ყველა ქალს შვილი უნდა ვაყოლიოთ, იშვიათი გამონაკლისის გარდა.

8314. მიზანი ქალის და კაცის ურთიერთობის ერთია – ვნების გათავხედება, ახალი თაობის კვლავწარმობით, თავისებური ტკბობით და სიამოვნების მიღებით.

8315. სახელმწიფოს ძლიერების მხარდასაჭერად ოჯახის შექმნაა საჭირო, რომელსაც ჯანმრთელი თაობა უნდა მოყვეს იმედით.

8316. დღევანდელი ქალის სურვილია ფულიანი კაცის ხელში მოგდება, მისთვის გასაგები ურთიერთგაგებული სიყვარულით, ხოლო მამრისა – ამ თანასწორუფლებიანი ტროფობიდან თავის დაღწევა, გაუთვალისწინებელი ხარჯების და ვნებათა ჩოჩქოლის გარეშე.

8317. გოგონები აკვნიდანვე მზად არიან სიყვარულით ოჯახის შესაქმნელად, ხოლო დავაჟკაცებული ყმაწვილები მათ სურვილს შერჩევით ემორჩილებიან.

8318. სიყვარულს და პატივისცემას ყველაზე დიდი ფასი ადევს წყვილთა ურთიერთობაში, რომლებიც გვინდა თუ არა საბოლოოდ მატერიალურად უნდა იქნეს შეჯერებული.

8319. ოჯახის შესანარჩუნებლად ბევრი ეშმაკობა. მლიქვნელობა და მოთმინებაა საჭირო, რომ ის უნაკლოდ შეინარჩუნონ და სიამტკბილობის ლელო ბოლოში დაამიწონ.

8320. თუ მამაკაცში ჩადებული არ არის რისკის და შეუპოვრობის გრძნობა, ეს ოჯახის შექმნისას იქნება საჭირო თუ ბავშვის ჩასახვისას, იგი ქალს მფარველად ვერ გამოადგება.

8321. ყველა ოჯახი თავისებურად ბედნიერიც არის და უბედურიც, გაჩნია, როგორი მომზადებული შევხვდებით შემთხვევის და ბედის კაპრიზს.

8322. ყოველი ახალი დაქორწინება თავისებური აღზრდაა, მიუხედავად იმისა, ამ გაკვეთილებიდან გამოგვაქვს რაიმე სასიკეთო თუ არა.

8323. თანდათანობით დაუფლებისაგან განსხვავებით, როდესაც ქალი ერთბაშად ეუფლება, მის მიმართ გრძნობები თანდათანობით იკლებს. არის საპირისპირო ვარიანტიც, თუმცა ყოველივე წყვილის შერწყმაზე და განგების გადმოხედვაზეა დამოკიდებული.

8324. ქალებს ოცნება და მარტოობა უჭრელებს თვალებს, მამაკაცებს – სექსისადმი მოჭარბებული მიდრეკილება.

8325. ქალისადმი ტრფობა სულის გამოძიებაა, ხოლო ცოლად მოყვანა – ,,სასჯელის" მოხდა.

8326. წუთიერი სისუსტე ქალს ოჯახის წინაშე ვერ გაამართლებს, თუ ის შთამომავლობას გამგრძელებელია და არა მხოლოდ ხალხის მომმრავლებელი.

8327. ოჯახი ყველას ერთნაირად უნდა უყვარდეს, მაგრამ მის წევრებს თავისი ბილიკი უნდა ჰქონდეს საკუთარ ჭკუაზე სასიარულოდ და სულის მოსათქმელად.

8328. ოჯახის შექმნა-შენარჩუნებას არანაკლები ჭკუა-მოხერხებულობა სჭირდება, ვიდრე კარიერის საფეხურებზე ძრომიალს, მაგრამ რომელია უმთავრესი და აუცილებელი, ამის დადგენა ასაკით დაბრძენებულებსაც უჭირთ.

8329. ცოლი ბედია, სიყვარული – შემთხვევა და ორივესთან ერთდროულად ურთიერთობა შეიძლება ბედისწერად იქცეს.

8330. არც ულამაზო ქალები არსებობენ და არც უვარგისი მამაკაცები, ოღონდ გააჩნია დროს, მოდას და ფუფუნებას რა მენტალიტეტით უდგებით.

8331. ღირსეული მამაკაცითვის ქალი კეთილია, გულისხმიერია, მომთხოვნია, მოსიყვარულეა, მიმზიდველია, დედაა, ბებიაა, ხოლო დანარჩენში ისიც ადამიანია და თავის საქმეში ჩარევას , გამომზეურებას, ვერ იტანს, რაც ოჯახის ყოფას ხშირად არ ადგება.

8332. მდედრის და მამრის ურთიერთობა იმით არის საინტერესო, რომ ერთისთვის ქალი დედაა, მეორისთვის – ვნების ყუმბარა, მესამესთვის – ბებია და ასე შემდეგ. რადგან მდედრის შეფასების ხარისხის სტანდარტი არ არსებობს, მის შემფასებლად მამაკაცი რჩება თავისი ვნებით და გენით.

8333. მამრების ბედს ხშირად ის ქალები განაგებენ, რომლებიც ბედის რჩეულად უნდა იყვნენ დაბადებულნი, მაგრამ რაღაცის და ვიღაცის გამო არ არიან.

8334. ქალი თუ ოჯახის ,,მშენებლობას" შეუდგა, ახლობლები მეორე პლანზე გადაინაცვლებენ. ეს რაც უნდა გვწყინდეს და არც უნდა ვუსაყვედუროთ, რადგან, უბრალოდ, ბუნების კანონს ემორჩილება.

8335. საქორწინო ხელშეკრულება ზურგის გასამაგრებელი საბუთია, ამიტომ მისი შედგენა ანგარიშით და ანგარებით უნდა მოხდეს და არა ვნების და სიყვარულის ძალით.

8336. ცოლ-ქმარი, თუ საჭიროა, მოკრძალებით უნდა დაშორდნენ-გაეყარონ, რათა შემდეგ პარტიაში ოჯხის შექმნა ორივეს გაუადვილ-დეს.

8337. მისივე მიზეზით მიტოვებული ქმარი ბუმერანგივითაა, მითუ-მეტეს, თუ მასთან ნახლაფორთალი ნაშიერი გვაკავშირებს.

8338. ქალის მისიაა უფარდეს და მასზედაც შეფარებულნი იფნენ. რაც შეეხება დედობას, ეს მისი პირდაპირი მოვალეობაა.

8339. სიფარულს მნიშვნელობა აქვს, მაგრამ უპირველესი ოჯახის წინაშე პასუხისმგებლობაა.

8340. ოჯახის ფელაზე უმცროსი წევრი თუ რაიმე საქმით არ არის დაკავებული და რაღაც ფუნქციას არ ასრულებს, ის ამ გაერთიანებაში კაიფს და თავისი ყოფნის აუცილებლობას ვერ გრძნობს, გვერდზე გადგება და ოჯახის დანამატად გადაიქცევა.

8341. ფელა ვალდებულება ცოლად მოფანისა ნათელია, დაოჯახე-ბის აუცილებლობა გარდაუვალია, ბავშვების ყოლაც აუცილებელია ე.ი. ცხოვრების მიმართულება დაფიქსირებულია.

8342. მარტოხელა ქალი უწესობაა, უნიათობაა, ხოლო მარტოხელა კაცი – უხამსობაა და გაუგებრობა.

8343. ცოლი, ოჯახი, შვილები, მუდმივი განტოლებაა, ის აქსიომად არასოდეს არ იქცევა, რადგან ამას ქალის ბუნება და ყოფის გაუგებრო-ბანი არ დაუშვებენ.

8344. ცოლის გახედვნა უდიდესი ხელოვნებაა, მაგრამ საბოლოო ჯამში მაინც ქმარი რჩება მოთვინიერებული, რადგან ურთიერთგაგების გარეშე ურთიერთწვრთნა გამორიცხულია.

8345. ნაღდ ოჯახში მამაკაცი მომპოვებელია, ქალი განმკარგველი. თუ პირიქითაა, ოჯახის ცნება რევიზიას ექვემდებარება და აქ ევოლუცია არაფერშუაშია.

8346. ცოლ-ქმარმა ერთმანეთი უნდა გაითავისონ და აქ წამფანი პარტიას მამაკაცი უნდა თამასობდეს და არა – ქალი.

8347. ცოლის მიტოვება ადვილია, კერის შენარჩუნება – ძნელი, განსაკუთრებით მაშინ, როცა ირგვლივ ამდენი დასაჭაშნიკებელი ქალი და ხვადის ბუნებასაც შენთვის ზურგი ჯერ არ შეუქცევია.

8348. ნაციონალისტი შეიძლება იყო გარკვეულ დრომდე, სანამ ოჯახის აპეური არ წაგიჭერს და თავმოფარეობის გრიპი არ შეგაწუ-ხებს.

8349. ოჯახში ბალანსირების ცოდნა ეკვილიბრისტიკის ხელოვნებას უტილდება და აუცილებელიცაა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ,,ქარიშხალი'' გარანტირებულია.

8350. მდედრი, რომელსაც ზომიერების შეგრძნების ნიჭი აქვს, ხდება ერთგული ცოლი და ეს როლი ქალმა გათხოვებემდე უნდა აითვისოს.

8351. გულმოწყალება მამრს მეტი უნდა გააჩნდეს, ვიდრე მდედრს, რადგან ეს უკანასკნელი მამაკაცის ლმობიერებას თავის სასარგებლოდ იგებს და კაციც მისი დამჯერი ხდება ე.ი. იქმნება საოჯახო მეურნეობა.

8352. ოჯახის ბიუჯეტი ძირითადად საერთო მოხმარების თანხისგან და იმ ფულისაგან შესდგება, რომელსაც ქალები ხარჯავენ კაცებისათვის გაუგებარი „ზიპლიპიტოების" შესაძენად.

8353. ყველა ჩვენგანს, ცხოველივით, ოჯახში ჩვენ – ჩვენი ტერიტორია უნდა გვქონდეს მონიშნული, რათა ერთმანეთს ხელი არ შეუშალოთ და საერთო საქმე კონფლიქტის გარეშე ვაკეთოთ.

8354. დაქორწინებისას ტრადიცია სიძეს შავი კოსტუმი და დედოფალს თეთრი კაბა, ეს არის მამაკაცის სიჯიუტეზე ქალის მოხერხებულობის გამარჯვების დროებითი ზეიმი.

8355. როდესაც იგრძნობთ, რომ ქალი სულითაც თანახმაა თქვენი გახდეს, ამაზე დიდი საჩუქარი არ არსებობს და პასუხად თანდათან დაახლოება და აზარტია საჭირო, მდედრის დასატკბობად.

8356. თვალი ჯვრისწერამდე უნდა გავახილოთ და სმენა გავამახვილოთ და არა მაშინ, როდესაც დაგვიანებულია.

8357. სიყვარულის ალიბს მაშინ იყენებენ, როდესაც მდედრი წინასწარ დაორკეცდება, მატერიალური ანგარება თავს იჩენს და სხვა გამოსავალი არ არის, რაც ფაქტიურად ქორწინების თავი და თავია.

8358. მამრის ვერავითარი გონიერება, გამრავლების უნარი, ვერ შეედრება ქალის უნარს, მოწოდებას. ბავშვი აღზრდოს, ღირსეულ ადამიანად დაგვიტვოს, მითუმეტეს ქმრის გარეშე და საზოგადოებრივი აზრის წინააღმდეგ.

8359. მამაკაცის მცდელობ, შემართება, საქმიანობა, მაინც მდედრის საკუთრება და დამსახურებაა, ამის შესახებ იცის მამრმა თუ არა.

8360. სიყვარული, ტრფობა. გატაცება, მოწონება, გარიგება, მორიგება, დაყოლიება, მოტაცება სხვადასხვა რამაა და ერთმანეთში არ უნდა აურიოთ, მაგრამ ოჯახის შესაქმნელად და შთამომავალთა სტატუსის დასადგენად ყველა მათგანი მისაღებია.

8361. ქალის ვალია მის სულში მარად ოქროს შემოდგომა ისადგურებდეს, ხოლო მამრი ამ შემოდგომის ნაყოფის საკრეფად, მისათვისებლად, ყველა ასაკში მზად უნდა იყოს.

8362. ცოლ-ქმარი ან ერთად არის და ყუმბარასავით ფეთქდებიან, ან ცალ-ცალკე და ბინარული იარაღივით ცალ-ცალკე მშვიდად სძი-

ნავთ, რადგან ვნების მუხტების ერთად ყოფნა მშვიდობის გარანტად არ გამოდგება.

8363. ქალი იმიტომ თხოვდება, რომ მამაკაცს თავის ჭკუაზე მოთოკავს, ხოლო მამრი იმიტომ ქმნის ოჯახს, რომ იმედი აქვს ყოველივე ძველებურად დარჩება, ასევე მისი ხელმძღვანელობით.

8364. ქალის აზრით, ყველა მამაკაცს ის ჭია უღრღნის ტვინს, რომელსაც მისი მცდელობის წაღმა დანახვა არ უნდა, წყილის ურთიერთობას ართულებს და ნერვებს უშლის.

8365. დაწყილება სიფარულის, მოწყენილობის, ყოფის გამოსწორების შედეგია, ხოლო ოჯახის შექმნა – სურვილის, საწინააღმდეგო ხასიათების და მოთმინების.

8366. ახალგაზრდობა თავადაა სილამაზე, მოდური ჭინჭებით ზედმეტად შემოსვით, თავზე ექსპერიმენტის ჩატარების უგნურებით. ყოველივე ამას ასაკში ვხვდებით, როდესაც ფულის ნაწილი გადაყრილია.

8367. მდედრის ვალია ეცადოს მამრი მისთვის სიფარულით გაისარჯოს, ხოლო მამრმა ეს უნდა დააფასოს და თუ საჭიროა, ჯვარიც იფსკვნას.

8368. ხშირად ერთმანეთს უომროდ ვნებდებით და ეს არის ორთავეს ვნების და გონიერების წისქვილზე ერთდროულად წყლის დასხმა.

8369. ის, რაც ქალის ბედნიერებისთვის გასაგებია, ზოგჯერ კაცისთვის გაუგებარი და სათუოა, თუ მის შესაცნობად ასაკის მატება არ დაეხმარა.

8370. ჭკვიანი მამაკაცი ოჯახს მოგვიანებით ქმნის, რადგან მან იცის, რომ ეს თამაში, გართობა არ არის და პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე უნდა აიღოს.

8371. კაცი ოჯახის, ზურგის, გარეშე არ ვარგა, ხოლო ეს უკანასკნელი, გინდა თუ არა, ქალია, ცოლია.

8372. უფერული, მოსაწყენი, დღეების გაფერუმარილება მოხდენილი და გონიერი დიასახლისის საქმეცაა და მოვალეობაც.

8373. საცოდავ ქალს ოჯახშიც და ჭადრაკში საერთო-საკაცობრიო ტვირთი აწევს, ნეფე – მეფისგან განსხვავებით, ყასიდად ცოლს ქალბატონს უწოდებენ და ლაზიერს დედოფალს და ასე ემლიქვნელებიან.

8374. ცოლოური სისხლით ნათესავი, არ არის, მაგრამ ნაშიერს ენათესავებიან და შენც იძულებული ხარ აღიარო.

8375. სიფარული რამდენიც გნებავთ, სიძულვილი მცირე დოზებით – ეს არის ოჯახის და ქვეყნის მართვის ერთ-ერთი ხერხი.

8376. საქორწინო მოგზაურობას ისევ საკუთარ სახლში საწოლში ვნებით ხეტიალი სჯობს, თუ შინაურები დროულად გაგეცლებიან.

8377. ცოლად ისეთი ქალი უნდა მოიძიო, რომ ასაკში შესვლისას უცაბედად ხელში არ შემოგაბერდეს – „შემოგადნეს“.

8378. ზოგჯერ პირველ ნახევრებს იმდენად უჭირთ თავის მეორე ნახევრებთან ურთიერთობა, რომ სხვის მეორე ნახევრებს უმთლიანდებიან.

8379. პენსიონერი ოჯახში „ნონ-გრატა“ იმიტომაც ხდება, რომ შვილიშვილების აღზრდის პასუხისმგებლობას შეთავსება არ უნდა.

8380. ზოგისთვის ოჯახი ნავსაყუდელი კი არა, ჯვართსაყუდელია, მაგრამ იმდენად ეჩვევა, ამას არად აგდებს.

8381. დედა უნდა ცდილობდეს, რომ ვაჟმა მამით იამაყოს, თუნდაც ამ მიზნით თავისი გაცრუებული ოცნებებიც გამოიყენოს.

8382. თავდაჯერებული ხასიათის მქონე ქალი კარგი ოჯახის მჭედელია და არა – მორცხვი, უუნარო ქმარზე აკიდებული.

8383. დიასახლისობა, დედობა, უფრო შემთხვევაზე, გამართლებაზეა დამოკიდებული, ვიდრე სიყვარულზე, წარმოშობაზე, ოჯახისშვილობაზე.

8384. ემოციებიდან განთავისუფლების შემდგომაა შესაძლებელი საქმის, მეგობრების და ოჯახის წევრების შეფასება-დაფასება.

8385. ქალის პოზიცია უფრო მომგებიანია, საინტერესოა, ვიდრე მამაკაცისა, რადგან პირველი მცდელობას ცხოვრების მიზანს შეაზელს, ხოლო მეორე არსებული ვითარებითაც კმაყოფილია.

8386. ოჯახი სიყვარულია, მოვალეობაა, ღირსებაა, რადგან ის სახელმწიფოებრიობის საწყისია და ეროვნულობის განმტკიცების ბაზისი.

8387. როდესაც გარკვეული მოვალეობა გაწევს და ოჯახი შესანახი გყავს, იმას აკეთებ, რაც მომგებიანია და არა იმას, რაც სულს უხარია და პრესტიჟულია.

8388. დაოჯახება ერთი განზომილებიდამ მეორეში გადასვლაა, ბედნიერების მოპოვების მცდელობით და წინაპართა წინაშე ვალის აღსრულებით.

8389. ოჯახი უმთავრესად აღზრდაა, ტრადიციებია, მოვალეობაა, შემდგომ მოდის შეგნება, შეგრძნება, უზრუნველყოფა.

8390. როდესაც წყვილს მატერიალური პრობლემა აქვს ოჯახში, დღეში სამჯერ ჩხუბობენ, როდესაც სექსუალური – ორჯერ, ხოლო უყურადღებობისათვის ერთხელ ჩხუბიც საკმარისია.

8391. საქმიანი და დაკავებული ქალი იმითაც არის მომხიბვლელი, რომ პრეტენზიებისთვის არ სცალია და ოჯახშიც პატივისცემას აღაფრთოვანების გარეშე იმსახურებს.

8392. ქალი მამაკაცის წარმატებით, გონიერებით, სუპერსექსუალურობით უნდა კრთოდეს, მამაკაცი კი მდედრის თვალების შემოცეცება-ში მის სურვილს და ვნებას უნდა ხედავდეს.

8393. გაბრაზებისას ყველა ცოლი ანჩხლი, ულამაზოა, ყველა ქმარი – უსაქმური, უხიაგია.

8394. ეჭვიანობა ცოლ-ქმარს შორის ყოველთვის ცუდი არ არის, რადგან სადაო, საკამათო, თემა მაინც სიყვარულია.

8395. ქორწინება ზოგჯერ წარჩინებულიც გვხვდება, მაგრამ მშვიდი და უშფოთველი – გამორიცხულია.

8396. ქალის და კაცის ურთიერთობა თავისებური კუკუმალობანას თამაშია, სადაც გამარჯვებული მუდამ მოხერხებულობა გამოდის და არა – ტრფობა და სიმართლის მოძიება.

8397. მამაკაცი თუ ქალებს მოსწონთ, ის პერსპექტიული საყვარელია, რადგან ქალებს იმდენად მამაკაცის რაობა არ აინტერესებთ, რამდენადაც სხვისთვის ნიშნის მიგება და კაპრიზის ასრულება.

8398. წარმოსახვითი სიყვარული გვჭირდება სიამოვნებისთვის, ნეტარებისთვის, სტიმულისთვის, ხოლო რეალობაში – ოჯახის შესაქმნელად, შვილების აღსაზრდელად და ცხოვრებაში საბრძოლველად.

8399. მამაკაცსა და ქალს შორის ის სხვაობაა, რომ პირველს უფრო ქალი უყვარს, ვიდრე ღმერთი, ხოლო მეორე ერთდროულად ორთავეს სიყვარულს ახერხებს.

8400. მამაკაცის და ქალის სიყვარულს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი ცდილობს მეორესთვის პირველი იყოს, ხოლო მეორეს აინტერესებს ვინ იქნება მისი ბოლო პირველი.

8401. ცოლს არ მოსწონს, როდესაც ქმარი ოჯახის მოწყობაში არ ერევა, ხოლო თუ ჩაერევა, საყვედურსაც არ აკმარებენ.

8402. ასაკის მატებასთან დაკავშირებით ქალებს სულ უფრო მეტი იმედი აქვთ ,,ფიტნესის", მამაკაცებს – ,,ვიაგრის".

8403. ვაჟი მამის სავიზიტო ბარათია, ქალიშვილი ოჯახის წარმომჩენი ხელწერაა.

8404. ოჯახების უმრავლესობა ყალბი ღირებულებებით ცხოვრობს, რადგან ერთი – შვილის დედად გინდა, მეორე – საყვარლად და ამის სურვილსაც კი ნამუსახდილ სიყვარულად გითვლიან.

8405. ძალაუფლება, უფროსი, ცოლი რომელიც არაფერს გვიშლის და არ გვედავება, თავის დანიშნულებას ვერ ამართლებს.

8406. ქვრივის და ბედნაცვალის გათხოვებას შორის ის სხვაობაა, რომ პირველი განგების დამსახურებაა, მეორე შეცდომის საკუთარი ძალებით გამოსწორების მცდელობაა.

8407. ქორწინება სიამოვნების მოვალეობაში დაბანდებაა და ვინ რას გამოკრავს ხელს, ამას მომავალი გვიჩვენებს.

8408. სიფარულსა და დაოჯახებას შორის ის სხვაობაა, რომ პირ-ველი აღმოჩენაა, მეორე – გამოგონებაა.

8409. ცოლი ქმრის ოპონენტად ყოველთვის არ გამოდგება, რადგან ხასიათი აქვს ცვალებადი.

8410. ქმრებზე განაწყენებული ქალები დიდ იმედს ჯადოქრობაზე ამყარებენ, მაგრამ მას ხშირად გაწბილება მოაქვს, რადგან ადამიანის თავიანს ჭკუაზე გადაკეთების კოდი თვით მამაზეციერად არ გააჩნია.

8411. სიტყვის თავისუფლება და ქორწინება განსჯას მოითხოვს, რადგან ასე სასიამოვნოდ და გულში ჩამწვდომად რომ არ გეყბედა, უღელში თავს არ გაჰყოფდი.

8412. იდეალური ქმარი ქალის საფარლად ქცეული მეუღლეა.

8413. იყო ოჯახის დედა – უდიდესი ნიჭია, პროფესიონალზმი და ბედთან თამაშია.

8414. გონიერება ოჯახს გვიან ეკიდება, რაც აიძულებს კულინარია-ში დახელოვნდეს და კარგი მეოჯახე დადგეს.

8415. ცოლი ქმრის ოცნების სამ მოთხოვნას უნდა აკმაყოფილებ-დეს: პირველი – იყოს დიასახლისი, მეორე – ბიზნესში ილვწოდეს, მესამე – საწოლში ხასობას არ თაკილობდეს, რეალობაში ერთ ქალში ყველა ამ სამი მოთხოვნის გაერთიანება თიუთქმის შეუძლებელია.

8416. ოჯახური ცხოვრების ეთიკა სკოლაში უნდა ვისწავლოთ, რადგან შემდგომ მისი სწავლება დაგიანებულიცაა და უხერხულიც.

8417. კაცების პროგნოზი ქალების ინტუიციის სინონიმია, მაგრამ შეცდომისგან არავინაა დაზღვეული.

8418. ხშირად ცოლის საჭიროებას მაშინ ვგრძნობთ, როდესაც სახლი დასალაგებელია, სარეცხი გასაუთოებელია და თანამეინახეებს ხელიდან გინდა დაუძვრე.

8419. მამაკაცს თავის ხასიათზე მორგებული ქალი ამშვენებს, ხოლო ქალს გემოვნებით შერჩეული ქმარი.

8420. ქორწინება მუდმივი ბრძოლაა, ჯერ გაერთიანებისთვის უნდა იჩალიჩო, შემდეგ თანასწორუფლებიანობისთვის იზრუნო, შემდგომ და-მოუკიდებლობისთვის იბრძოლო.

8421. ცოლი კარგი გამოგონებაა მაშინ, თუ შენთვის მოუხერხებე-ლი საქმე გინდა აკეთოს.

8422. მამაკაცი, რომელიც ცოლს ეჩხუბება და არ საყვედურობს, ეს მისი ხასიათის სისუსტეს და უნიათობას ააშკარავებს.

8423. დაოჯახება ბოლოს მაინც ფილოსოფოსობის ხასიათზე აყენებს მამაკაცს, რადგან მისთვის უკვე ყველაფერი დასაშვებია.

8424. ცოლ-ქმრის ურთიერთერთგულება სიცოცხლის ბოლომდე, სიყვარულის ორდენით უნდა დაფასდეს.

8425. ქორწინება ბოროტებაა საკუთარი ,,მე''-ს და არა – საზოგადოების და კვლავწარმოების წინაშე.

8426. ქმრის წესიერება ცოლის პატიოსნების და მისი დაფასების გამოძახილია.

8427. ყველა მორწმუნე ცოლის შერთვის შემდგომ ათეისტი ხდება, რადგან ცოლი ის სალოცავი არ ყოფილა როგორც სიყვარულით გულში ისარგაყრილს ეჩვენებოდა.

8428. ცოლი მაინც აიწონა-დაიწონათი უნდა მოვიყვანოთ, ვიდრე აუწონავი სიყვარულით – ხშირად არ ამართლებს.

8429. ოჯახი თუ საქმე? პრიორიტეტი ასაკზე, გენზე, ვნების შეყრაზეა დამოკიდებული და არა – სურვილზე და ვადის მოხდაზე.

8430. სიყვარულს ჰაეროვანი გრძნობების ბაზისი გააჩნია და სასურველია მას მატერიალურიც გვერდში ამოუდგეს, თუნდაც იმიტომ, რომ ამქვეყნად ერთხელ ვცხოვრობთ და ოჯახი არ დავანგრიოთ.

8431. ქალის ღვთიურად აღქმა, მისი დედოფლად შეცნობა და ოჯახში დედად წარმოჩენა ყველა კაცის ხვედრი არ არის.

8432. ცოლთან ყველაზე უინტერესო და მოსაბეზრებელ კამათსაც კი ყური უნდა ათხოვო, რადგან ზოგჯერ ამ უაზრო პაექრობიდან მოდის სარფიანი იდეა, რაც გაჭირვებისგანაა ნაკარნახევი და ნაკურთხი.

8433. ცოლ-ქმრის შერწყმული ხასიათი, სხვადასხვა ინტერესები, ცხოვრების ხედვა, ოჯახის შესანარჩუნებლად შეიძლება კარგიცაა, მაგრამ მამაკაცისათვის ასეთი მდედრი მაინც ხასა, ძიძა, უცხო სხეულია და მათი ერთად ყოფნა უფრო გაზრებული პატივისცემის შედეგია, ვიდრე დაუოკებელი ტრფობის.

8434. ცოლი მუდმივი განზომილებაა, მის სიყვარულზე არც ასაკი უნდა მოქმედებდეს და არც გარეგნობის შეცვლა, რადგან ის შენი შვილების გამჩენ-გამზრდელია და შენი ჯილაგის გამგრძელებელ-წარმომჩენი.

8435. ქორწინება მოსაფრთხილებელი განძია, რათა შთამომავლის სულიერება არ დაზარალდეს.

8436. ცოლ-ქმრობა ის პატარა საწარმოა, რომელიც ხარისხიანი შთამომავლობის გამოშვებას ცდილობს.

8437. ცოლ-ქმარმა ერთნაირად უნდა გასწიოს მორალური უღელი, ოჯახის ტვირთის ტარებაც როგორც არ უნდა უჭირდეთ.

8438. ცოლის უფლებების შელახვა არარეკომენდებულია, მაგრამ არც უყურადღებოდ დატოვება იქნება, რადგან პირველ შემთხვევაში სხვა ეცდება მის შეცდენას, მეორე შემთხვევაში თავად მოინდომებს სხვასთან გაჯირითებას, ასე, რომ ორივე შემთხვევაში სახეზე გვაქვს სექსში, წაწლობაში სტუმარ-მასპინძლობასთან.

8439. ქორწინება ქალის ბედნიერების განმსაზღვრელი აქსიომაა, რომელშიც ჩადებულია სიყვარული, შერჩევა, გარიგება, ასაკის მოძალება და სხვა იმდაგვარიც, რომელსაც შეჩვევა და უპრეტენზიოდ ბედთან მინდობა ჰქვია.

8440. შინაური არსება, კარგი დედაკაცის ხელში, შეიძლება უხიაგი მამაკაციც იყოს.

8441. ზოგი ქალი ბუნებით ისეთია, მსჯავრდადებულ ქმარს გადასახლებაშიც გაყვება და იქაც თავისი მზრუნველობა – ჭკუის სწავლებით სიცოცხლეს გაუმწარებს.

8442. ქვეყნის გადაგვარება მამაკაცის ნების გადაფასება-გადაგვარებით იწყება და არა – მდედრის ფემინიზმის, გარყნილებისკენ მოსწრაფებებით, რომლის მიზეზი, უმთავრესად, ფიზიოლოგიაა.

8443. ოჯახურ სიმტკიცეს ყოველთვის ასუსტებდა ფულისადმი მოჭარბებული ლტოლვა.

8444. ქორწინება ურთიერთგაგების ინსტიტუტია, სადაც პედაგოგის როლში ცოლი გვევლინება, ხოლო დირექტორის როლს ქმარი თამაშობს.

8445. მამაკაცისთვის მისი უკანასკნელი ცოლი ყველაზე საუკეთესო პროდუქტია, რაც მას შეუქმნია, ამიტომაც უნდა ცდილობდეს ის უკეთ გამოიყურებოდეს ასაკთან შედარებით.

8446. ოჯახი ანომალია არ არის, მაგრამ მის თვისებებს შეიცავს და ზოგჯერ ამჟღავნებს კიდეც.

8447. ცოლ-ქმრობა მუდმივი კომპრომისის ძიებაა, ერთ-ერთის „განტევების ვაცობით".

8448. კაცი თავისი ბუნებით „ოკუპანტია", ხოლო მდედრი სულ ამ ოკუპანტის მოლოდინშია.

8449. ზოგ მამაკაცს იმდენად მოსწონს გათხოვილ ქალებთან არშიყი, რომ საკუთარ მეუღლეს ეარშიყება.

8450. გათხოვება ის მირაჟია, სადაც სიყვარულთან ერთად სახლი, მანქანა, ბანკის ჩეკი, გეზმანება, მაგრამ სინამდვილეში გვხვდება დასაფერფლად გამზადებული გატაცება, კომუნალური ბინა, ძველი მანქანა, ქმრის ხელფასი.

8451. მამაკაცისათვის წვერის გაპარსვაა სიზიფეს შრომა, ხოლო დედაკაცისთვის – თმების ამოგლეჯა.

8452. მოხერხებული მამაკაცი ყავას ცოლს ლოგინში ასმევს, თუ ეს უკანასკნელი ყავას დაფქვავს, მოადუღებს და საწოლში მიართმევს.

8453. თუ გინდათ ამ ქვეყანას დიდხანს შემორჩე, როდესაც ცოლი წაგეჩხუბებათ, სუფთა ჰაერზე გაისეირნე და არ შეეპასუხოთ. ამით ორ კურდღელს დაიჭერთ: ჯანმრთელობისთვის საჭირო ჟანგბადის ულუფას მიიღებ და არც ნერვებს აიშლი.

8454. ცოლი ქმარს ცრემლების გამოდყრით უნდა ეჩურჩულებოდეს, ხოლო კაცი – კოცნით და ეს არის კონფლიქტის მოგვარების უებარი წამალი.

8455. რქებდადგმული ქმარი, რქებდადგმულის ცოლს საყვედურობს: „შენ რომ ქმრის ვნება დაგეკმაყოფილებინა, ცოლს ხომ არ გამიბახებდაო“ და საოცარი ის არის, რომ საკუთარი ნაკლს ვერ გრძნობს და თავს დამნაშავედ არ თვლის.

8456. პირველ რიგში მამაკაცს საკუთარ ნაშიერებთან განშორება უნდა უჭირდეს და არა – ცოლთან, რადგან პირველს უფრო დიდი მუხრუჭები უნდა ჰქონდეს, ოჯახი რომ არ დაინგრეს.

8457. არც ქალმა და არც კაცმა არ უნდა დაკარგოს განგების მიერ მინიჭებული პრივილეგიები, სადაც პირველმა ბავშვის შობით და ოჯახის მოვლით თავი უნდა წარმოაჩინოს, ხოლო მეორემ – შენებით და სახსრების მიზიდვით, რადგან მათ ერთმანეთის შეცვლა მთლიანობაში არ შეუძლიათ.

8458. ცოლ-ქმრობის ხანგრძლივობა დამოკიდებულია შეჩვევაზე, ურთიერთგაგებაზე, გულგრილობაზე, რომლის შემდეგ მოდის თანაარსებობა, რომელსაც სიყვარულსაც უწოდებენ.

8459. სამოქალაქო ქორწინება სიყვარულის თავისებური ექსპლოატაციაა, მსუბუქი ფორმის სადიზმია, ეჭვიანობაა, თავის დაზღვევაა, რადგან სიყვარული და ერთად ცხოვრება გარანტიის გარეშე სხვადასხვა რამაა.

8460. ქალი მუდამ გასაფურჩქნად გამზადებული ყვავილია, ხოლო მამაკაცი მისი დამტვერვისთვის მარად გამზადებული ფუტკარი.

8461. ქალს თუ კაცი უყვარს, პირველ რიგში, უნდა გაუგოს, თუ – პირიქით, ძლიერ უნდა უყვარდეს და მისი კაპრიზიც შეუმჩნეველი დარჩება.

8462. მამაკაცი სახარჯო მასალაა, რომელმაც უნდა იომოს, მოიპოვოს, ქალს ემსახუროს, ხოლო ქალის მოვალეობაა მას თვალი ადევნოს.

8463. გაზაფხულზე მამრები იღვიძებენ და აქტიურობენ, ეს მაშინ, როდესაც მდედრებს არც დაუძინიათ და ვნების დასაკებლად ყოველთვის მზად არიან.

8464. მრავალი ქალის სიფარული უფრო ადვილია და აღმგზნებია, ვიდრე – ერთის, განსაკუთრებით, თუ მას ცოლი ჰქვია.

8465. არიან დედაკაცები, რომლებსაც მრავალი შვილი ჰყავთ, მაგრამ ორგაზმი არ განუცდიათ, რადგან კვლავწარმოების საქმისთვის სიფარულით იღვწიან, ხოლო მწარმოებელი გაუნათლებელი და უგულო „მუტრუკია“.

8466. მამაკაცის ამბიციები არასოდეს შეესაბამებოდა მის შესაძლებლობებს, მაგრამ მის გარეშე ის მამრად ვერ ივარგებდა; მდედრის შინაგანი პრეტენზიები ყოველთვის სჭარბობდა მამაკაცისას, მაგრამ მუდამ სანატრელ არსებად რჩებოდა.

8467. სანამ წყვილი სიფარულის ფორმულას არ მიაგნებს, დაქორწინება არ უნდა იჩქაროონ.

8468. ტრადიციულ ოჯახში: ქმარი – პრეზიდენტი, ცოლი – მთავრობის თავმჯდომარე, მამამთილი – ოჯახის პალატის უფროსი, დედამთილი – უპორთფელო მინისტრი, მაზლი – ვიცე-პრეზიდენტი, მული – სახელმწიფო უშიშროების მინისტრი, სიმამრი – საგარეო საქმეთა მინისტრი, სიდედრი – შინაგან საქმეთა მინისტრი, ხოლო ბავშვები – სრულუფლებიანი და ყველაფრის მცოდნე მრჩევლები, რომელთაც ყველა ზემოთ აღნიშნული სამსახური ემორჩილება და ანგარიშს უწევს.

8469. ქალი თავის ქმრით სახალხოდ უნდა ამაყობდეს, ხოლო ქმარი უსიტყვოდ აღფრთოვანებული უნდა იყოს თავის ცოლით, მისი წუწუნით, კაპრიზით და იმის დაყვედრებით, რომ ყველაფერი ოჯახისთვის და შვილებისთვის უნდა.

8470. ბრწყინვალე ქალბატონი ყოველგვარი ქალური უგნურების გარეშე ბევრს მიაღწევს როგორც თავისთვის, ასევე პარტნიორისთვის, თუ ეს უკანასკნელი მის პიროვნებას აღიარებს, არ უღალატებს და ხელს არ შეუშლის.

8471. ქალი მამაკაცს, ასე თუ ისე, ყველაფერს პატიობს, გარდა გულცივობისა, უყურადღებობისა, უზრდელობისა.

8472. ნამდვილი დედა ისა, ვისიც გეშინია, ეთამამები, გიყვარს, მამა – რომელსაც ერიდები, მისით ამაყობ და გინდა თავი მოაწონო.

8473. ქორწინება აზარტულ თამაშობათა ერთ-ერთი სახეობაა, რადგან ბედის „კამათელი“ როგორ გაგორდება, არავინ უწყის.

8474. სამოქალაქო ქორწინება ოფიციალური ქორწინებისგან იმით უნდა განსხვავდებოდეს, რომ ამ უკანასკნელს გარანტია ერთი წელი მაინც უნდა ჰქონდეს.

8475. ქალის და მამაკაცის მეგობრობას, რაც უნდა პლატონური და გულწრფელი იყოს, მაინც სექსუალური ფონი აქვს.

8476. იმ სახსრების გამომუშავება, რასაც ცოლი ითხოვს, ქმრისთვის შეუძლებელია, რადგან ,,მადა ჭამაში მოდის".

8477. ცოლის ყოლა აუცილებელია იმიჯისთვის, დიასახლისის – ოჯახში უფროსობისათვის.

8478. სიფარულზე შესრულებული მუსიკით შესაძლებელია დავადგინოთ ორკესტრში რამდენია "დაოჯახებული" – ყალბი ხმების ოდენობა მატულობს.

8479. იყო მშობელი, თავისებური ბედნიერი გართობაა, იმისდამიუხედავად, ყურად იღებენ შენს რჩევას თუ არა.

8480. ქორწინება ხშირად ფიტავს სულს, მაგრამ სხეულს ასივებს.

8481. ქორწინება კამათის, საუბრის, ურთიერთპატივისცემის ნებაყოფლობითი პრივატიზაციაა სიფარულის სახელით.

8482. ყოველნაირი ქორწინება შეიძლება ბედნიერი იყოს, მათ შორის ნაყიდიც, გააჩნია ინდივიდს.

8483. ქორწინება რომ ბედნიერი იყოს, მრავალი ხერხი არსებობს, მაგრამ ხშირად ერთის მონახვასაც ვერ ვახერხებთ.

8484. ქორწინება სიფარულს აძლიერებს თუ ამუხრუჭებს, ჯერჯერობით, გარკვეული არ არის.

8485. ოჯახის შექმნა, ახალი სამუშაო ადგილების მოძიების საწყისია.

8486. ზოგისთვის ქორწინება მუდმივი გამოკვება, დროსტარებაა, სქელის ჯიბის თანხმობით.

8487. ავტომობილი ოფიციალური ოჯახის საფარელია, რომლის შენახვა საერთო ბიუჯეტის ცალკე გრაფას მოითხოვს.

8488. ავტოავარიის შემთხვევაში მამაკაცთა უმეტესობა ფულზე ფიქრობს – მისი შეკეთება რა დაუჯდება, ხოლო ქალები გარეგნობაზე ფერ-უმარილით ხომ არ გაითხუპნა.

8489. ქორწინებაც აზარტული თამაშია, სადაც შედეგი წინასწარ ,,ცნობილია" ან გაგიმართლებს ან არა.

8490. ქალსა და კაცს თუ სამოთხეშიც ერთად შეუძლია მოხვედრა ეს კიდევ საკითხავია-ჯოჯოხეთია თუ სამოთხე.

8491. ბიჭს მამაკაცად დედები აყალიბებენ მამების გაფეტიშების მაგალითზე.

8492. ქალი გრძნობებით იტყუება, მამაკაცი – თავისი სიამაყით.

8493. საფარელსა და ცოლს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი ყურადღებას, საჩუქრებს, ითხოვს, მეორე – ფულს.

8494. მორალს რატომღაც მამაკაცები ქმნიან, მის აღსრულებას კი, უმთავრესად, ქალებს ანდობენ.

8495. სიძულვილსა და ზიზღს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი მამაკაცის პრეროგატივაა, მეორე – ქალის.

8496. ქალი თხოვდება-ეყრება, ყოველთვის პირადი ცხოვრების და ოჯახის მოწყობის ცდაშია.

8497. სიფარული მამრის აღზრდას მოჩვენებითი მორჩილებით ცდილობს, ცოლი – კრიტიკით და ყოველგვარი მოჩვენებების გარეშე.

8498. ცოლის ჭკუის დარიგების მოსმენა ხელოვნებაა, ხოლო ჭკუის დარიგებას რომ გადააჩვიო – გენიალობაა.

8499. ღირსება შეიძლება ჰორიზონტალურიც იყოს და ვერტიკალურიც, მთავარია წყილი როგორ უგებს ერთმანეთს.

8500. თუ ცოლ-ქმარი გამუდმებით ერთად ცხოვრობს და ერთმანეთის დანახვით თავი გაბეზრებული აქვთ, ისინი ბავშვს სათამაშოდ მცირე დროს უტოვებენ და ვადამდე სახლში „ეპატიჟებიან". ოჯახში, სადაც ქმარი ხშირად მივლინებაშია, შვილს სათამაშოდ მეტი დრო რჩება რადგან მშობლები ერთმანეთით არიან დაკავებულნი – დაკარგული დროს ასანაზღაურებლად.

8501. გრძნობების აღზრდა და აზროვნების ჩამოყალიბება დროს და დაღვინებას მოითხოვს. ქალის გრძნობები ცხოვრებას თავისი ჭკუით აგრძელებს, მაგრამ აზროვნება ბურუსში ეხვევა, მამაკაცს აზროვნება უმკვეთრდება, მაგრამ გრძნობები უხუნდება.

8502. საქმიანობის მოჩვენებას ბავშვობიდანვე აღზრდა და პრაქტიკა სჭირდება, ოჯახში არსებული სამუშაოთა შესრულებით.

8503. პაემანი სასიამოვნო ქორწინების უვერტურაა, მაგრამ ზოგჯერ უსიამოვნო გასახსენებელიცაა: ასე ერთბაშად არ უნდა წამოგებოდა ამ მაცდური ქალის თანხმობას.

8504. კაცი ოჯახის ერთგული საბოლოოდ მაშინ ხდება, როდესაც შეიგრძნობს, რომ შეუცვლელი ცოლი ჰყავს, ხოლო შვილები – „ვუნდერკინგები".

8505. ქალები რომ კარგი მეოჯახეები დადგნენ, ჯობს მათ ოჯახის აუცილებლობის რწმენა ჩავუნერგოთ, ვიდრე გადამეტებული სწავლებისკენ ვუბიძგოთ.

8506. ოჯახი შენი ზურგიცაა, საზრუნავიც, მომავალიც და ზოგჯერ შენი გამხსენებელიც.

8507. ხშირად ქმარი სარეცელზე უკეთეს შთაბეჭდილებას ტოვებს, თუ ცოლს ღალატობს – ეტყობა სინდისი აწუხებს.

8508. ცოლ-ქმრობა თავისებური „ბარტერია", რადგან მეძავი მამრისაგან ფულს იღებს, ხოლო ცოლი – მატერიალურ უზრუნველყოფას.

8509. მდივანი ქალი და ცოლი ერთმანეთში არ უნდა აგვერიოს, ყველას თავისი ადგილი და დრო უნდა მივუჩინოთ, რომ გვემსახურონ და არა მარტო ჩვენ ვემსახუროთ.

8510. ზოგი ქალი ძალიან მოგვწონს, მაგრამ არა იმდენად, რომ უღელი დავიდგათ და ჯვარი დავიწეროთ.

8511. არშიყი, ქალების დევნა, საშიში არ არის, საშიშია მათგან რაიმე არ აიკიდო, მათ შორის – დაოჯახებაც.

8512. ცუდი ქმარი შეიძლება იყო, მაგრამ ცუდი მამა არასოდეს – შთამომავლობა არ გაპატიებს.

8513. ცოლის შერთვისას სადაზვერვო მონაცემები უნდა შევაგროვოთ და საკუთარ გრძნობათა ჩოჩქოლთან შევაჯეროთ. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გადაწყვიტო, შეიძლება თუ არა ჩაატარო ექსპერიმენტი „ოჯახი".

8514. ქორწინება უიღბლოა თუ იღბლიანი, ამას ქალის კაპრიზი და მოთმინების უნარი განსაზღვრავს.

8515. ოჯახის წევრებს ყველაფერი არ უნდა გაუმხილო, მაგრამ მათი ცნობისმოყვარეობა, ასე თუ ისე, უნდა დააკმაყოფილო.

8516. „მიყვარხარსა" და „მინდიხარს" შორის ის მსგავსებაა, რომ ორივე გზა დაწყვილებისკენ მიდის.

8517. ცოლობა არც ისეთი ადვილი პროფესიაა როგორც შეყვარებულ ქალს წარმოუდგენია, ხოლო ქმრობა არც ისეთი ხელმისაწვდომი თანამდებობა, როგორც ეს ოჯახის შესაქმნელად გამზადებულ მამაკაცს ჰგონია.

8518. თუ გინდა სახლში პიროვნებად წარმოჩნდე, შენი მოსვლით ოჯახის წევრები ზოგჯერ რაღაცით უნდა გააკვირვო.

8519. ოჯახის აურა, ტრადიციები, შესაძლებლობა, ძალზე ბევრს ნიშნავს ადამიანის ჩამოყალიბებაში, მაგრამ გენს, ჯიშს ვერ სჯობნის.

8520. ოჯახს არა მარტო მოვალეობა, არამედ ჯავრის ტარება, წესერებში აღზრდილი ხალხისთვის.

8521. ქორწინება დღეს ვალდებულება არ არის, ის ჩმახი, გადმონაშთი და ფუფუნებაში არეული პროგრესის მუხრუჭია.

8522. ოჯახი უმაღლესი სახელმწიფოებრივი ფასეულობის უჯრედია და მას სულიერება, ღირებულებათა შერწყმა, მუდმივად დასაქმება და მოფერება სჭირდება.

8523. ამბობენ კაცი კატაა, ქალი ძაღლია, პირველი მოფერებას ეჩვევა, მეორე – საცხოვრებელს, ხოლო ოჯახს რომ უკეთ უდარაჯონ, კატა-ძაღლის დამოკიდებულება, ზომიერების ფარგლებში, ღმერთმა ნუ მოგვიშალოს.

8524. დაოჯახებული ქალის ასკობრივი სერენადა: 1 წლამდე – აღუ, 1 წლის – დედა, 2 – მშია, 3 – ლამაზი გოგო ვიქნები, 4 – საბავშვო ბაღში დავდივარ, 5 – ცოლად ლამაზ ბიჭს უნდა გავყე, 6 – სკოლაში მიმიყვანეს, 7 – კლასში ჩემს გვერდზე რომ ბიჭი ზის, კარგი დედა ჰყავს, 8 – რა სულელები არიან ეს ბიჭები, გოგონებს გვეჩხუბებიან, 9 – ჩემს კლასელ გოგონებს ფელას ვჯობივარ, 10 – ჩემი მოწონებული ბიჭი ცუდად სწავლობს, ეგ ქმრად არ გამომადგება, 11 – ბიჭებმა ჩემი გულისთვის იჩხუბეს, 12 – ასაკით დიდი ბიჭები მომწონს, 13 – მენ-სტრუაცია დამეწყო, 14, – შემიძლია ბავშვი გავაჩინო, 15 – დღეს პაემანზე მივდივარ, 16 – ჩემმა თანაკლასელმა სიყვარული ამიხსნა, 17 – სკოლა დავამთავრე, 18 – გავიპარეთ, 19 – მამამთილისგან განსხვავე-ბით დედამთილს არ მოვწონვარ, 20 – ქალიშვილი შეგვეძინა, 21 – დედამთილთან ცხოვრება არ მინდა, 22 – მამაჩემმა მანქანა გვაჩუქა, 23 – გვარის გამაგრძელებელი გაუჩინე, მამმთილის სახელი დავარქვი, 24 – ქმრის მშობლები დაგვეხმარნენ და კრედიტით ბინა გვიყიდეს, 25 – ბინის მოწყობას რამდენი რამე ნდომებია, 26 – რა მეჩქარებოდა გათხოვება, 27 – კარიერაზე უნდა ვიფიქრო, 28 – ქმარმა სახლში გვიან მოსვლას მოუხშირა, 29 – ეტყობა საყვარელი ჰყავს, 30 – დღეს მოვეწონე მამაკაცს, 31 – თუ ჭკუით არ იქნება, საყვარელს გავიჩენ, 32 – მომბეზრდა ყოველდღე სამსახურში უაზროდ სიარული, 33 – მესამე ბავშვი ხომ არ გამეჩინა? გავერთობი მაინც, 34 – ვგონებ ფეხმძიმედ ვარ, 35 – კვლავ ბიჭი გვეყოლა, 36 – ამ პატარაზე ვართ მთელი ოჯახი გადაყოლილი, 37 – ქმარი უფრო ყურადღებიანი გახდა, 38 – აგარაკი შევიძინეთ, 39 – დედამთილმა ჩემი ჭკუის სწავლება არ მოიშალა, 40 – გოგო გამითხოვდა, 41 – სიძე არ მომწონს, მაგრამ ვინ შეგეკითხა, 42 – ქალიშვილის ბებია ვარ, 43 – უფროსი ბიჭი ვგონებ შეყვარებულია, 44 – ნეტავ ჩემი ოჯახის შესაფერ რძალს მომიყვანდეს, 45 – ქმარი დამიწინაურეს სამსახურში, 46 – ორჯერ ბებია ვარ, 47 – უფროსმა ბიჭმა ცოლი მოგვიყვანა, რა ეჩქარებოდა, 48 – საინტერესოა როგორი დედამთილი ვიქნები, 49 – გვარის გამგრძელებელი შეგვეძინა, 50 –

რძალ-შვილი ცალკე გადავიდნენ საცხოვრებლად, 51 – ქმარი ნერვებს არაფერზე არ იშლის, 52 – რძალს შევეჩვიე, ქალიშვილი გვაჩუქა, 53 – დაქალებში სამასალაათოდ ვერ ვიცლი, 54 – მგონი ქმარი ისევ ქალებ-ში დაძვრება, 55 – სახე უნდა გადავიჭიმო, გახდომა უნდა დავიწყო, 56 – ექსტრასენსთან ვიყავი, მიუთხრა ცოტაც მოითმინე, შევულოცავ და სხვა ქალებს აღარ გაეკარებაო, 57 – უმცროსი ბიჭი საეჭვოდ დაძვრება გოგოებში, ემანდ რძალი არ მომიყვანოს, 58 – მენსტრუაცია შემიწყდა, 59 – რამდენ კარგ ბიჭს მოვწონდი, 60 – ღვიძლში კნეჭები აღმომი-ჩინეს, 61 – გინეკოლოგთან უნდა მივიდე, რაღაც ვერ ვარ კარგად, 62 – შვილიშვილი გაგვეპარა ბებიკოსავით, 63 – დიდი ბებია ვარ, 64 – პატარა ბიჭმა ცოლთან ერთად თავისი შვილი მოგვგვარა, 65 – ჩემს ქამრს გვერდიდან ვერ ვიშორებ, სულ ჩემთან ყოფნა უნდა, 66 – პენსიონერი ვარ, 67 – შვილიშვილები მოსვენებას არ გვაძლევენ, 68 – ეტყობა, მაინც კარგ დროს გავთხოვდი, 69 – ქმარი დამისუსტდა, ინტიმს აღარ მოითხოვს, 70 – რა კარგი შვილიშვილები და შვილთაშ-ვილები მყავს, 71 – ქმარიც პენსიონერია, 72 – თავს უნდა შევუძახო, 73 – ქმარს სულ აგარაკზე ყოფნა უნდა, 74 – სულ რაღაც გვტკივა და გვაწუხებს, 75 – ქმარი დამიბერდა, არაფრის კეთება არ უნდა, 76 – ეხლა რომ გასათხოვარი ვიყო, მე ვიცი ვისაც გავყვებოდი, 77 – შვილებს აღარ ვახსოვართ, 78 – ჯამრთელობას უნდა მივხედო, 79 – შვილიშვილებსაც დავავიწყდი, 80 – რა ჯანდაბა გვჭირს: მეორე შვი-ლიშვილიც გაგვეპარა, 81 – დიდი ბებიის-ბებია გავხდი, 82 – ახლა მინდა სიცოცხლე, შვილიშვილის შვილს უნდა მოვესწრო, 83 – ჯერ-ჯერობით ყოჩაღად ვარ, 84 – ასაკის მატება მაინც იგრძნობა, 85 – ქმარმა სერიოზულად დაიწყო ჭრაჭუნი, 86 – მეც საავადმყოფოში ვიწექი, 87 – დასამარხი ფულის შენახვა დავიწყე, 88 – შვილების იმედი არ მაქვს, 89 – ქალიშვილმა ფული მთხოვა, ვასესხე, 90 – მაინცდამაინც ავად უნდა გავხდე, რომ შვილებმა გვინახულონ, 91 – ჩემი ბიჭი ძალზე დაბერებულა, 92 – ყველას ჩემი ასაკისა შურთ, 93 – დავქვრივდი, 94 – რამდენი ნაცნობი და ახლობელი გარდაიცვალა, 95 – საინტერესოა 100 წლამდე ვიცოცხლებ?!, 96 – ასაკთან შედარებით თავს ყოჩაღად ვგრძნობ, 97 – ჩემი ასაკის ყველა ახლობელმა, ნაცნობმა ჭირი მოგვჭა-მა, 98 – არავის დასაფლავებაზე აღარ დავდივარ, 99 – მეოთხე თაობაც გაგვეპარა, 100 – დიდი ბებია ვარ მეოთხე ხარისხში სიცოცხ-ლე გრძელდება.

8525. თუ მდედრი მამაკაცს გადამეტებული ყურადღებით არ „ტანჯავს“ ის ოჯახის საამებლად და სიფარულის აღსაქმელად გაჩენილი ქალია.

8526. რწმენა, იმედი, სიფარული, მეუღლეს უკავშირდება, როდესაც სხეული „ჭრაჭუნობს“ და შენი სულიერება აღარავის სჭირდება.

8527. ყველა ქორწინება პოტენციური შეცდომაა გარკვეულ დრომდე, სანამ დავბერდებით და ერთმანეთი არ დაგვჭირდება.

8528. შემოქმედის ცოლმა უნდა იცოდეს და სჯეროდეს: მისი ქმარი საყოველთაო აღიარებას მიაღწევს, განუმეორებელი და დაფასებულია, ყველა მისი წინააღმდეგია, მისი შურთ. ქმრის ყველა უმნიშვნელო წარმატება კუბში უნდა აიყვანოს, ხოლო წარუმატებლობა არ შეიმჩნიოს.

8529. ქალმა მამაკაცი უნდა შეარჩიოს, კერა უნდა მოუწყოს, ნაშიერი უნდა აღუზარდოს, ხოლო მამრმა, როგორც ცხოველთა სამყაროშია პრიმატობა უნდა იკისროს, ოჯახი უნდა დაიცვას და ხვადად დარჩენას ეცადოს. მამრს ოჯახის ყოლის უფლება არ აქვს, თუ ჯანმრთელ თაობებს არ აწარმოებს და არ დაიცავს.

8530. სახლი ჩვენი სალოცავი საყდარია, სადაც ცოლი ხატია, საყვარელი კი „ფოფოდიას“ როლით უნდა დაკმაყოფილდეს.

8531. ზოგი აუხდენელ მზაკვრულ ოცნებაზე ვიშვიშობს, ხოლო ოჯახი რომ ენგრევა, ცხოვრება არ გამოსდის და სიცოცხლე ხელიდან რომ ეპარება, ამაზე არც ფიქრობს და არც განიცდის.

8532. ოჯახის შექმნისას სიფარულის კონტრაქტს გულში ყველა ჩვენგანი ვაფორმებთ, მაგრამ ბოლომდე რამდენად შევასრულებთ თვითმარქვია ხელშეკრულებას ეს გარემოზე, გამართლებაზეა დამყარებული.

8533. თუ შვილმა გვასახელა, მამის გენი აქვს, თუ შეგვარცხვინა – დედამისის წინაპართა ქრომოსომების რახა-რუხი.

8534. ოჯახში მამის ლექცია ამბულატორიული მკურნალობაა, დედისა – სტაციონარული, ცოლის – ქირურგიული, შვილების – თერაპიული და ეს მკურნალობა მანამ გრძელდება, სანამ ერთმანეთისგან რაიმეს გამოელიან.

8535. მამრი და მდედრი თანადგომას, თანამშრომლობას, არ გაურბიან, ურთიერთობის შენარჩუნებას ცდილობენ და ამით სიცოცხლეს იხანგრძლივებენ, მაგრამ დაპირისპირების გარეშე ერთმანეთის გაგება უჭირთ – ყოფის ეს ალგორითმია, მათ გადაგვარებას ხელს რომ უშლის.

8536. ცოლ-ქმრობის შენარჩუნება ნიჭს, მოთმინებას, დროსთან ჩასაფრებას მოითხოვს, მაგრამ ბედმაც არ უნდა გიმუხთლოს.

8537. ქალსა და მამაკაცს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი ოცნებით დაფრინავს, ცხოვრობს, გეგმებს აწმყობს, მეორე სულდგმულობს, იწვის. ბედს ეჭიდავება.

8538. წყვილი ერთმანეთს არ ეყრება, უბრალოდ, საკუთარი ქცევა აიძულებთ უერთმანეთოდ იცხოვროს.

8539. ქორწინება მადლიერების გრძნობების გარეშე მყარ ოჯახს ვერ შექმნის.

8540. მარტოხელობა გვაიძულებს ხანდახან ვიყალთაბანდოთ, ხოლო მდედრთან ურთიერთობის მოგვარება ყოველმხრივ ბეჯითობას მოითხოვს და აქ უცოლშვილო კაცის კაპრიზი არ გამოდგება.

8541. სხვაობა გარდაცვალებასა და დაოჯახებას შორის ის არის, რომ პირველ შემთხვევაში სხვის ცხოვრებას ნაღვლობ, მეორეში – საკუთარ აწმყოს და გაურკვეველ მომავალს.

8542. ოჯახის შექმნის მიზანია სულის დამშვიდება და იმის შეგრძნება, რომ შენი ამქვეყნად მოსვლით ვალი გადაიხადე.

8543. ყოფის ეკოლოგიის პატივისცემა ოჯახში წესრიგია, წესიერების საწყისია და სულში სისუფთავის, სიწმინდის დასადგურება.

8544. ენერგოვამპირსა და აქტიურ ვამპირს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი ცდილობენ ერთმანეთს ენერგია წაართვან, აყალ-მაყალი ატეხონ და შეუთავსებლობის გამო ერთმანეთს დაშორდნენ, ხოლო მეორენი ერთმანეთში ენერგიის გაცვლით კმაყოფილდებიან და ოჯახის დანგრევა აზრადაც არ მოსდით.

8545. ქორწინება შემოქმედებამდე აფანილი წყვილის ურთიერთობა და არა "რულეტკას" თამაში, თუმცა, არც უამისობაა ურთიერთგაგებამდე, შერწყმამდე.

8546. ცოლ-ქმრობა სულის და სხეულის მოყირჭებული სერობაა, რომელსაც ფელა ვერ უძლებს, თუ შენაცვლება მოხერხებულად არ დაიხმარა.

8547. ქალი ოჯახის შესაქმნელად ბევრ მის ნაოცნებარ უფლისწულს ეცნობა, რომელთა უმეტესობას მის ტელეფონის ნომერი, რატომღაც „ეკარგებათ".

8548. ოჯახის ქალს სამკაული ამშვიდებს, კომფორტი სიცოცხლეს მატებს, მოდაზე ჩაცმა ათამამებს, შვილების ყოლით თავს იწონებს, მაგრამ მისთვის სასურველი მეუღლის დემონსტრირებით სხვებს ნიშნსაც უგებს და მოქიშპეებს თავსაც ამეტებს.

8549. საზიანოა, როდესაც ცოლი იმ ასაკს აღწევს, როდესაც ფულის მეტი აღარაფერი უნდა.

პოლიტიკა

8550. პოლიტიკა ჭუჭყში რომ არ გაისვაროს შეუძლებელია, მაგრამ გამართლებულია, თუ ამას პროფესიონალი აკეთებს.

8551. პოლიტიკა შესაძლებლობების რეალობად ქცევის ხელოვნებაა.

8552. პოლიტიკა ყველა იმათი ყიდვაა, ვინც შენზე ფასის დადებას და შეძენას ცდილობდა.

8553. პოლიტიკაში პრინციპებს მაშინ აქვს გამართლება, თუ სახეიროა (ქვეყნისთვის) და შენს კარიერას გზას უხსნის.

8554. პოლიტიკაში ნიჭთან ერთად სიმკაცრე და შედარებითი სამართლიანობა სახელმწიფოს ძლიერებისთვის აუცილებელია.

8555. კარიერა, სიხარბე, გამცემლობა, სიძუნწე, მუხანათობა, ჭუჭყი, ქრთამი, შორსმჭვრეტელობა, თანაარსებობის ხელოვნება – ამ მონაცემების გარეშე პოლიტიკოსი ვერც სახელმწიფოს ახეირებს და ვერც ისტორიაში შევა.

8556. პოლიტიკა ინტერესების გაყოფის წინ, პირველ რიგში, საქმის არსზე საუბარია.

8557. პოლიტიკოსები თავად ჰფენენ ჭუჭყიან საცვლებს, თავადვე ყნოსავენ და ჰგონიათ, რომ პოლიტიკას გაეთამაშნენ.

8558. პოლიტიკოსი არ შეიძლება იყოს სიცოცხლით სავსე ადამიანი, რადგან მას არ შეუძლია ხშირად ის თქვას, რაც სიმართლეა და საჭირო ჰგონია.

8559. გორბაჩოვი იმიტომ კი არ არის ტრაგიკული ფიგურა, რომ მან გარდაქმნა და ხალხის უკეთესი ცხოვრება მოინდომა, არამედ იმიტომ, რომ ავანსად გაპრანჭვა – თავისმოწონება ისურვა და გარდაქმნა თავის სახელით მონათლა.

8560. ზოგჯერ მოწინააღმდეგეს მშვიდობა ქრთამის გაღებით უნდა მოჰპარო, მაგრამ ომისთვის უანგაროდ უნდა ემზადო.

8561. მშვიდობიანობის სურვილს ხშირად სამართლიანობის მათლაფა არ შველის, თუ მოწინააღმდეგე გამგელებულია და შენი შესანსვლა სურს.

8562. მოდა და პოლიტიკა ერთმანეთს ჰგავს: ერთმა ტანსაცმელი უნდა გამოიცვალოს ხშირ-ხშირად, მეორემ – იმიჯი, შექმნილ გარემოებათა გათვალისწინებით.

8563. არის პოპულისტური საკითხები, რომელზე ხალხის დაუკითხავად უნდა იზრუნო მათი მოგვარებისთვის: მაგალითად, პენსიების და

ხელფასების მომატება, ხალხის დასაქმება, გადასახადების შემცირება და ა.შ.

8564. ბევრი საკითხი დღესვე, ერთპიროვნულად, უნდა გადაწყდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყანა დროის კუდში იჩანჩალებს.

8565. ფათერაკების მაძიებელი ხალხიც იბადება და ისინი პროგრესისათვის საჭირონი არიან, მაგრამ უბედურებაა, თუ ისინი პოლიტიკაში გაებმებიან და ხელისუფლებაში მოგვევლინებიან.

8566. მაზოხისტი ტანჯვას ეძებს, სადისტი სხვას ვნებს, სულელს გაფრენის მიზეზი ყოველთვის აქვს, მიუხედავად ამისა, ყველა მათგანი ციურ მანანას ეძიებს, რომელთა კოქტეილსაც ხალხი ჰქვია, თუ ის რომელიმე პოლიტიკურმა ვიგინდარამ ბრბოდ არ აქცია.

8567. პოლიტიკოსს დიქტატორის გამოხედვა უნდა ჰქონდეს, ვარსკვლავის მომხიბვლელობა და ვირეშმაკის ჭკუა, რომელშიც ხალხზე ზრუნვაცაა "ჩამონტაჟებული".

8568. პოლიტიკას დრო აფასებს, ხოლო პოლიტიკოსს – თაობათა მსჯავრი.

8569. პოლიტიკა და ფული განუყრელი მეგობრები არიან და ერთმანეთის გარეშე დიდხანს ვერ ძლებენ.

8570. მოლაპარაკება ქვეყნებს შორის "დურაკას" თამაშს მოგვაგონებს იმისდა მიხედვით ვის როგორი კოზირები და დათმობის საზღვრები გამოაყოლა საკუთარმა მთავრობამ.

8571. პოლიტიკური პარტია არის აღებ-მიცემობისთვის გამზადებული უნიჭო ქურდებით დაკომპლექტებული ორგანიზაცია, რომლის მიზანი იმ სალაფავთან მიახლოებაა, სადაც კოვზის ზომას შემთხვევითობა განსაზღვრავს.

8572. პარტია არის მოსაბეზრებელი საზოგადოებრივი აზრი, შექმნილი რამდენიმე პირისთვის.

8573. პოლიტიკაში ჭეშმარიტების ღობის რომელ მხარესაც უნდა ვიდგეთ, საერთო საქმე უნდა ვაკეთოთ, თორემ დავემსგავსებით იმ რაგბისტთა გუნდს, რომელიც მოწინააღმდეგეს უნამუსოდ დიდი ანგარიშით უგებს, შედეგად ეს უკანასკნელი თამაშს თავს ანებებს, აბა, ვნახოთ, ვის ეთამაშები და ვისზე იზეიმებ გამარჯვებასო.

8574. ადამიანს მიძინებული ველური საწყისი აქვს და მის გამოღვიძებას პოლიტიკოსი არ უნდა შეეცადოს, თორემ ეს შეიძლება საზოგადოებას მძიმედ დაუჯდეს და განსაცდელში ჩააგდოს.

8575. სამყაროს პოლიტიკაში იმიტომაც ხვდებიან უნიათო ადამიანები, რომ პოლიტეკონომიაში მათ არ ყავთ მართვის ხელოვნების პატენტუნარიანი გამომგონებლები.

8576. პოლიტიკა სამართლიანობისკენ მისწრაფების იმიტირებაა მოჩვენებითი მოძიებებით, გადაყრილი ნაგვის ქექვით და თავის მოწონებით.

8577. ოფიცრის ღირსებისის ვალი რომ პოლიტიკოსებს მიეღოთ, დღეს ისინი ძალზე შეთხელებულად მოგვევლინებოდნენ, იმდენად დიდია მათი უპირობო და უპასუხისმგებლობა.

8578. პოლიტიკა გარეგნული მიმზიდველობის მიუხედავად, ძალზე უხეში და უმადური პროფესიაა. მას ხელი იმან უნდა მოჰკიდოს, ვინც ამისთვის მოწოდებულია და უნამუსო გამორჩენას არ ეძებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, იქ მისვლა ცოდვის ჩადენის ტოლფასია.

8579. ცხოვრებისთვის მოუმზადებელი თინეიჯერები პოლიტიკოსებისთვის ერთჯერადი პრეზერვატივია.

8580. მოუთმენლობა, შენი დროის უგულებელმყოფი პოლიტიკის ხვედრია, მაგრამ ქვეყანას მაინც ისინი მართავენ, ვინც ევოლუციის დინებას მიჰყვება და წაუხალისებლად ხელის განძრევა ეზარება.

8581. ურთიერთობის დაძაბულობიდან გამოყვანას გონიერების წვრთნა და ენის დამოკლება სჭირდება, ხოლო კრიზისიდან გამოყვანას – განტევების ვაცად გადასაქცევი მტერი.

8582. ხალხს, რომელსაც უკანალის წამოწევაც კი ეზარება დემოკრატიის და საკუთარი უფლებების დასაცავად, პოლიტიკაში მხარდამჭერს ვერასოდეს გაიყვანს, რადგან მის სულთან უძრაობა უფრო ახლოს დგას, ვიდრე რაღაცის შეცვლა და საქმის კეთება.

8583. პოლიტიკის ხელოვნების გვირგვინი ძალაუფლების მოპოვებაა და არა – მოცემული თამასუქების განაღდება.

8584. მშიერი პოლიტიკოსის ამბიციები ყველანაირ ავანტიურას კისრულობს, ოღონდ შეამჩნიონ და სიღარიბეს თავი დააღწიოს.

8585. პოლიტიკა ხშირად შემთხვევითობაზე და იმ შემთხვევით ხალხზეა დამოკიდებული, გუშინ რომ დედას გაგინებდნენ, დღეს დედაშენს სალოცავ ხატად იხდიან და შენც იძულებული ხარ ამ ვიგინდარებთან ითანამშრომლო, რადგან შენს უკან ხალხი და სიმშვიდის დამყარების ინტერესები დგას.

8586. პოლიტიკასაც უდგება მოსავლის აღების – სხვისთვის ჭკუის სწავლების – პერიოდი, როდესაც ძლიერი სახელმწიფო თავისი უგნურებით ომის ავანტიურაში გაეხვევა, ცხვირში ამოარტყამენ და მხარდამჭერებს ამპარტავნობის გარეშე ეძებს.

8587. პოლიტეკონომია გამოგონებების, აღმოჩენის, გარეშე, მიმართულებაა რაღაცის კეთების, მცდელობის და არა – მეცნიერება, შემოქმედება.

8588. პოლიტიკაში მთავარია თავხედობა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ დანაპირები არ შეასრულო და ამით შენს სითამამეს წერტილი დაუსვა.

8589. პოლიტიკურ პარტიებს ახასიათებთ ტოტალური უპასუხისმგებლობა, განსაკუთრებით მაშინ, თუ გამსვლელ ხმებს ვერ აგროვებენ იქ, სადაც ჯერარს.

8590. პოლიტიკა ინტერესების ბრძოლა და ეკონომიის სტატუსის შეცვლის მცდელობაა ქვეყნის ბიუჯეტზე ამოფარებით.

8591. ყოველივეს პრეზიდენტის სინდისი წყვეტს, როდესაც უხერხემლო ქვეყანაში ხელისუფლებას არც მემარცხენე და არც მემარჯვენე ოპონენტები არ უვარგა და სახელმწიფოებრობის გათრევას ცენტრისტული პარტია ცდილობს.

8592. პოლიტიკურ მოღვაწეს უნდა ჰქონდეს კაცობის საწყისი, წინააღმდეგ შემთხვევაში, თავის შთამომავალს და იმ დროის გულშემატკივრებს კბილს მოჭრის.

8593. პოლიტიკის დედა ცხოვრებაა, რომელსაც გონიერების ანბანის ცოდნა სჭირდება.

8594. საცოდაობაა, როდესაც ნიჭი პოლიტიკის ბატალიებში იკარგება.

8595. იდეოლოგია გეოპოლიტიკის წინაშე საბოლოოდ ყოველთვის წაგებული რჩება.

8596. პოლიტიკაში ელიტა არ არსებობს, რადგან მათ ტაშის დამკვრელი სჭირდებათ.

8597. ფაშიზმისგან განთავისუფლების სიკეთეს გერმანელი ხალხი დღეს ხვდება, აღიქვამს და თავის დამარცხების საპატივცემულოდ გამარჯვებულ მოწინააღმდეგე პენსიონერებს დივიდენდებს უხდის.

8598. ძალაუფლება მოწოდებით დიქტატორი უნდა იყოს, შინაარსით – დემოკრატი, ხოლო სიტყვით – თავისუფლების მანიპულატორი.

8599. პოლიტიკაში და ბიზნესში უანგარო მეგობრობა არ მოდის, რადგან ორივე რეალურ შედეგს ითხოვს, ერთი – დაპირებებით, ხოლო მეორე – ხელმოწერით, დადასტურებით.

8600. ზოგი პოლიტიკოსი იმის ცდაშია როგორმე ვინმეს ტრუსებში შეუძვრეს და მინეტის კეთებით ასიამოვნოს, მაგრამ ავიწყდება, რომ პირველ რიგში, ის პიროვნება უნდა იყოს და შემდგომ – კარიერისთვის მოვაჭრე.

8601. ხშირად პოლიტიკოსთა ბრძოლა ქარის წისქვილთან შერკინებას მოგვაგონებს, ისინი ადანაშაულებენ ყველას და იბრძვიან ვიღაცის

წინააღმდეგ დამნაშავის გვარის დაუსახელებლად, ამით ისინი თავსაც ირთობენ და ამომრჩეველსაც, სანამ თანამდებობის სკამზე არ წამოსკუპდებიან და ეჩოსავით სარგებლის თლას თავისკენ არ დაიწყებენ.

8602. პოლიტიკაში თეთრის და შავის შერწყმაც ძნელია და გარჩევაც, მაგრამ ვინც ამას მოახერხებს, ის ხდება ქვეყნის შვილიც და თავისი ხალხის ისტორიის წარმომჩენიც.

8603. პოლიტიკა თავისებური შოუა, თანამედროვე რეალობის ანალიზის ნიჭით.

8604. პოლიტიკა ყოველთვის იყო ,,პრაკლადკა" ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის, მაგრამ საკმარისია პირველმა მეორეს დაუყვავოს და ამ შუასადებიდან, თეორიის გარდა, პრაქტიკულად არაფერი რჩება.

8605. დაავადების დიაგნოზს ტემპერატურის სიდიდით კი არ ადგენენ, არამედ მკურნალის კვალიფიკაციით და მის მიერ დანიშნული წამლების გამოყენების შესაძლებლობით. ასევეა პოლიტიკაც, რომელიც გონიერების კოქტეილში არეულმა მოხერხებულობამ და გონივრულად დადგმულმა გადასახადების სისტემამ უნდა მართოს.

8606. ზოგ პოლიტიკოსს ,,ორი ბატის ჩაბარება" კი არა, საერთოდ, ბატი არ უნდა დავანახოთ, მაგრამ რა უნდა ვქნათ, რომ ასეთების უმეტესობა იცოხნება მთავრობაში, პარლამენტში და მათგან თავის დაღწევა ჭირს.

8607. პოლიტიკას შედეგი აინტერესებს, მათემატიკას მისი ტოლობის ფასი, ამიტომაა, ჩემთვის ეს უკანასკნელი დიდი მეცნიერება ჰუმანიტარებიდან განსხვავებით, რომლებიც ყოველივეს უმეცრობით ანგარიშობენ და დელიტენტების ხმას არიან აყოლილნი.

8608. პოლიტიკა შოუმენის ნიჭს მოითხოვს, ხოლო გადამლაშება კლოუნად აქცევს, რომლსაც თავის ქომაგი გაუჩნდება, ოღონდ ძალაუფლების ოლიმპზე ასვლის გარეშე.

8609. მიცვალებულის საფლავზე ცეკვა-თამაშის გამართვა მკრეხელობაა, მიუხედავად იმისა, დამარცხებულია პარტია თუ პოლიტიკური მოღვაწე, რადგან დრო ვის და რა დროს აგემებს ალიყურს, არავინ უწყის.

8610. ყიდულობენ ტალანტს. საჭირო ხალხს, ურთიერთობას, ხოლო დანარჩენი ძალაუფლებას თავად ეტმასნება. ვინც ამას ვერ ახერხებს, ქმნის ოპოზიციას, პრაქტიკულად იგივეს გასამეორებლად, ოღონდ თავისი გადასახედიდან.

8611. ფელა წყობას ქრთამი და გარფნილება უთხრის ძირს და არა – დიქტატი და სამართლიანად აპეურის ამოჭერა.

8612. ალბათ, პოლიტიკოსია ის, ვისაც სიცოცხლეშივე გარიყულ სახელმწიფო მოღვაწეებს (ჩერჩილი, დე-გოლი) ეპოქა დროულად წარ-მოაჩენს, სხვანაირად, პოლიტიკოსის რაობა, ეკონომიკის გარეშე, გაუ-გებარია.

8613. პოლიტიკას, საჭიროების ჟამს, უნდა შეეძლოს გონიერების ტუზის მოხერხებულობის დასტიდან ამოღება, თუ გინდ ტუზი მეხუთე იყოს.

8614. საოცარია განგების ნება, კაცს, რომელსაც ადგილი არ დარჩა სიბინძურის დამღის დაუსმელი, დღეს პოლიტიკობაზე იქაჩება და ჭკუას გვასწავლის ყოფიერების დაუწერელი კანონების შესაბამისად როგორ უნდა ვიცხოვროთ.

8615. ზვიად გამსახურდიას უბედურება ის გახლავთ, რომ გაუთლე-ლი ნაციონალისტი იყო, ედვარდ შევარდნაძისა – ნაადრევად გათლი-ლი პირველი ინტერნაციონალისტი, ხოლო მიხეილ სააკაშვილმა სა-ჯილდაო გასათლელი მორი მოიპოვა და მის გათლას ორივე მხრიდან ჯერ-ჯერობით უშედეგოდ ცდილობს.

8616. სახელმწიფო დონეზე პოლიტიკა ბიზნესია და ბიზნესი პოლი-ტიკაა, მთავრობა რა დემოკრატიულ ფრაზებს და წყობას არ უნდა იყოს ამოფარებული.

8617. პოლიტიკას ქვეყნის შენება აგურის და ქვის გარეშეც შეუძ-ლია, თუ მის მხარესაა „მასმედია“ და მომხიბვლელი აურა აქვს, რის-თვისაც ირგვლივმყოფთ მოსწონთ, მაგრამ გონიერებას გადაცდენილ ამ საოცარ კომედიასაც თავის შესატფისი ღიმილის მომგვრელი დასასრუ-ლი აქვს. მიუხედავად ამისა, ჭეშმარიტება და ფაქტები ბევრისთვის მაინც არაფერს ნიშნავს.

8618. მეტოქისთვის სიკეთის კეთება პოლიტიკაში სიბრიყვეა, რადგან დამარცხებულს, დამცირების ბოღმა არ მოასვენებს და თავში წამორტყმასაც ვერ დაივიწყებს.

8619. ქართველებისა და რუსების სიყვარული საერთო სისხლის-ღვრით და სასმელით იყო გამაგრებული, მაგრამ პოლიტიკამ აქაც ხინჯი შეიტანა.

8620. პოლიტიკოსს ორატორის ნიჭი მატებს ქულებს და არა იმდენად, ჭკუა და შემართება, მოხერხებულობაში არეული.

8621. მშვიდი შტილი, პოლიტიკად არ ითვლება, უბრალოდ შესვე-ნების დრო დაუდგათ და არა – გადაღლის.

8622. პოლიტიკური სიბეცეა, როდესაც სახელმწიფო მოხელის გა-მოცდილება და ნიჭი არავის აინტერესებს, რადგან უვიცი მოხელე

თავის წარმოჩენას კი არ ცდილობს, არამედ – გამორჩენას, რაც ქვეყანას გაცილებით ძვირი უჯდება.

8623. ოპოზიცია კონკრეტულ წინადადებას და მოვალეობას კი არ კისრულობს, არამედ დივიდენდების მოსაპოვებლად მთავრობის „გამოჭერაზე“ ჩალიჩობს.

8624. პოლიტიკა სწორი ტაქტიკის დანახვაა, შესაძლებლობების აღსრულებით.

8625. თუ თავიდან მოქმედებთ ემოციებით და შემდგომ ჩართავთ გონებას, თქვენ ჩვეულებრივი მოკვდავი ხართ, ხოლო თუ პირიქით, პოლიტიკოსი.

8626. ბიოლოგიისაგან განსხვავებით, პოლიტიკაში ნაწილობრივი დაფეხმძიმება რეალობაა, რადგან პარტიის წარმატება ხშირად დროზე, გარემოზე და ჩასაფრებაზეა დამყარებული.

8627. პოლიტიკაში და მაფიაში მხოლოდ დაწყვლილი „მეგობრობაა“ შესაძლებელი, იმდენად დიდია შური, მომხვეჭელობის და თავის გამოჩენის სურვილი.

8628. პოლიტიკაში ფეხი არ უნდა შედგა, თუ ამისთვის შინაგანად მოწოდებული არ ხარ, ეშმაკის მოხერხება არ გაგაჩნია, ძალაუფლებით თრობის კაიფს ვერ უმკლავდები, მოთმინების და ჩასაფრების უნარი არ შეგწევთ, ამასთან, რაც მთავარია, არავის არაფერი უნდა წააყვედრო, რადგან ამ უმადურ საქმიანობას, უპირველესად, საკუთარი სიამოვნებისთვის ეწევი.

8629. კარიერის გასაკეთებლად ბევრი პოლიტიკოსი სამართალს და სამართლიანობას ეძებს. საწადელის მიღწევის შემდეგ ყელაფერს ივიწყებს და ამის უფლებას სხვა უიღბლო კოლეგებს უტოვებს.

8630. პოლიტიკოსი დაფიქრებით უნდა ანაწილებდეს თავის ნაფიქრალს, რათა წარმატების შემთხვევაში ამომრჩეველი ფეხებით არ შესდგეს და პასუხი არ მოსთხოვოს.

8631. ხიდების დაწვა პოლიტიკაში ადვილია, მისი აღდგენა, ახლის შენება – ძნელი, მაშინ როდესაც ყელაფრის მიღწევა დროის გაყვანით და არაფრის კეთებით შეიძლებოდა.

8632. პოლიტიკას: მაკულატურული ელიტა ძალზე ვნებს, მაგრამ პირველ ხანებში საკუთარ პარტიულ ამბიციებზე სხვათა წამოგება ძალზე ჭირს.

8633. პოლიტიკაში არსებობს თავისებური უკუგება–„ატკატი“, როდესაც ერთი პარტია ბატონდება, „მასმედიას“ გარკვეულ კონტროლს უწესებს და კანონის ნაცვლად ქვეყანას დადგენილებებით მართავს.

8634. საზოგადოების ყოველი წარმატება ეკონომიკაში ტექნიკური პროგრესის ნაბიჯის წინ წადგმაზეა აგებული, მაგრამ ამის დანახვა პოლიტიკოსებს არ უნდათ და პირობების გაუმჯობესებას თავად იბრალებენ.

8635. პოლიტიკოსისათვის ისიც დამნაშავეა, ვინც ქვეყნის საქმიანობაში არ მონაწილეობს, სათუო მოვლენებს ოლიმპიური სიმშვიდით უყურებს და მხარს არავის უჭერს.

8636. პოლიტიკოსების წინაშე საზოგადოებას არავითარი ვალი არ აწევს, მაგრამ როგორც მოქალაქეებმა, უნდა გავიღოთ ის მცირეოდენი, რათა მათ არსებობა, გამრავლება და ჯიშის და ჯილაგის გაუმჯობესება შეძლონ სახელმწიფოებრიობის სასახელოდ.

8637. პოლიტიკაში ხელმოცარული თავზე თავადვე იზრუნებს, მაგრამ გამარჯვებულს უნდა შევებათ, რათა შანსი გაჩნდეს მისი ადგილის მონიშვნის და დაკავების.

8638. ზოგი პოლიტიკოსის ლეში მეტი კამათის საშუალებას იძლევა, ვიდრე მისი საქმიანობა და ღვაწლი.

8639. პოლიტიკური ონანიზმი – არაფრის მომტანი მოლაპარაკება მშვიდობას გვინარჩუნებს, ხოლო გადამჭრელი ღონისძიებების გატარება ომის საფრთხის წინ გვაყენებს, რომელი ჯობს თავად მოსახლეობამ, ხელისუფლებამ და ისტორიის გაკვეთილებმა უნდა განსაჯოს.

8640. პოლიტიკა ლოზუნგებით არსებობს, შემდეგ მოდის საქმე და ძალა.

8641. გორბაჩოვის ყველაზე დიდი შეცდომა ის იყო, რომ მუშტის მოუღერებლად, კონსერვატიზმის დაუცველად, ხალხის გონიერებას, მადლიერებას და ინტუიციას ენდო.

8642. პოლიტიკოსის მარცხია ღირსეული ძველის ერთგული ულირსით შეცვლა და ისევ ძველის დაბრუნება, მაგრამ ეს მის სახელმწიფოებრივ აზროვნებაზე და ამბიციების მოთოკვაზე მიუთითებს და იმაზე, რომ მისგან უკვე შესდგა ქვეყნის მმართველი.

8643. ქვეყნის მოჩვენებითი მეობის შესანარჩუნებლად დიპლომატია საჭურისის ინსტინქტებამდე არ უნდა დავიყვანოთ, რადგან უმწეობა და პრინციპების დახურდავება საბოლოო შედეგს არ იძლევა, მიუხედავად მისი გარემოებით გათვალისწინებული გონიერებისა.

8644. პოლიტიკოსის წაბორძიკება წაქცევას არ ნიშნავს, რადგან მას სულ ბორძიკ-ბორძიკით უნდა გაჰქონდეს კომპრომისების ლელო.

8645. პოლიტიკას მლიქვნელობის უფლება არ აქვს, რადგან ეს სისხლის გამოშვებად და მუცელზე ქამრის მოჭერად უჯდება ხალხს.

8646. პოლიტიკაში დამსახურება ხშირად ბუნებით ვიგინდარას ბრბოს თვალში პიროვნებად აქცევს, მაგრამ სკამის დაკარგვის შემდეგ, რომ მაინც ვიგინდარად დარჩება, ეჭვსაც არ უნდა იწვევდეს.

8647. პოლიტიკაში ყველაზე ადვილი საჯილდაო წინამორბედებისთვის პასუხის მოთხოვნაა, განსაკუთრებით მაშინ, თუ შენს ამბიციებს საქმე კარგად ვერ მისდის.

8648. საოცარია, მაგრამ გლობალიზაციის მომხრე კომუნისტები სხვადასხვა ერების კულტურის შენარჩუნება-განვითარებაზე უფრო ზრუნავენ, ვიდრე ის ქვეყნები, რომლებიც ეროვნულ სახელმწიფოებად იქცნენ.

8649. პოლიტიკაში ბუზღუნის და კრიტიკის გარეშე არსებობა შეუძლებელია, მოგწონთ თანაპარტიელთა ნააზრევ-ნახლაფორთები თუ არა.

8650. პოლიტიკა ვერ იტანს მსოფლმხედველობის სიახლეს, თუ მის სიმართლის გარკვეულ ნაწილს არ გადახარშავს და მოინელებს.

8651. კონსესუსის მიღწევა პოლიტიკაში შემთხვევაზე და ურთიერთ-გარყნაზედა აგებული და არა ჭკუა-გონების გამოჟონვაზე, დაღვინებაზე, არამედ ჟინიანობასა და დროის გაყვანაზე.

8652. პოლიტიკოს, რომელიც არც ჰოს ამბობს და არც არას, ნაძირალაა და არა – სახელმწიფო მოღვაწე, რასაც დრო მაინც გამოაჩენს.

8653. ფსიქიატრიის საწყისების და გიჟის პერანგის ჩამოცმის ცოდნის გარეშე პოლიტიკას ხელი არ უნდა მოვკიდოთ.

8654. ნერვებდამშვიდებული, დალაგებული, მისთვის უსარგებლო კომპრომისზე ორიოენტირებული პოლიტიკოსი მე არ მინახავს და ალბათ, ვერც ვნახავ, თუ არ აიძულეს.

8655. პოლიტიკა, პირველ რიგში, კაცობაა, ვაჭრობაა, საერთო ენის და ინტერესების ძებნაა და არა ერთმანეთისთვის ნოტის გაგზავნა, საპროტესტო დემონსტრაციების მოწყობა, საერთაშორისო ორგანიზაციებში ერთმანეთის დასმენა და საერთაშორისო დონეზე ყბედობა და უკანალის თამაში.

8656. პოლიტიკაში ინტერესების გარეშე რაიმეს კეთება გამორიცხულია, მაგრამ ზოგჯერ ამას უსაქმურობა, სიტუაციის გაუაზრებლობა, აკეთებს.

8657. პოლიტიკური ორენტაციის შეცვლა სექსუალური ორიენტაციის შეცვლის ტოლფასია, მაგრამ ვინ უფრო მეტ განსჯას იმსახურებს, გემოვნების საკითხია.

8658. პოლიტიკისთვის დრო ყოველთვის ერთია, ვინც ძლიერია, ის იმარჯვებს ბედის და შემთხვევის წყალობით.

8659. დღეს-დღეობით პოლიტიკაში ოცდამეერთე ასწლეული რეალურ აზროვნებას მოკლებული „ჩამოპლაცკარტებული", მესამე კლასის დაბალი დონის საუკუნეა, რადგან ჰგონიათ მათ საკეთებელს რობოტებს აჰკიდებენ და თავად მხართ-თეძოზე წამოწვებიან.

8660. პოლიტიკაში როცა მოპაექრე შემოგაქაქებს, თუ პასუხი არ დაუბრუნე, უტრაკო ეგონები და კარიერას უზრდელობით აგიმყრალებს.

8661. პოლიტიკაში სამართლიანი – უსამართლო არ არსებობს, მთავარია როგორ წაადგება შენს ქვეყანას, რა დივიდენდების მიღება შეიძლება, რამდენად ეფექტურია როგორც მორალური, ასევე ეთიკური მხარე.

8662. პოლიტიკაში ერის სიმართლის „გადაჯოკვრა" დაუშვებელია.

8663. პოლიტიკა უნდა მიუსადაგოთ სიკეთეს, მაგრამ არა მარტო სხვის ხარჯზე – რაღაცაში შეგვეშლება.

8664. სუსტისა და უძლურის მიმართ პოლიტიკას არც ალღო აქვს და არც ღირსების გრძნობა.

8665. პოლიტიკოსობა სულით დავადებულთა სამუშაოა, თორემ ამდენი შტერის ჭკუის სწავლებიდან და გინებისგან თავს არ დაიმცირებდა.

8666. პოლიტიკა სანდო არ არის, მას ყოველთვის თავისი ვირეშმაკობა ახლავს, ხოლო რამდენად ამოსახსნელია ამორალური მაგალითები, მათ ეს არ აწუხებს.

8667. პოლიტიკაში ხშირია უსინდისოდ, ღორულად ქცევის შემთხვევები და განსჯის მიუხედავად ეს ბევრს აღაშფოთებს, მაგრამ სუფრასთან ერთად ყოფნისას ღორის ხორცის ხარისხი ყველას აკმაყოფილებს.

8668. რევოლუცია არის სოციალური მიწისძვრა, გონიერების შერყნით და ცხოვრების წესის გადაფასებით.

8669. მთავარია ბრბოს სიყვარულის მოპოვება და არა მათზე ზრუნვა, რადგან ამას ბევრი ვერც დაინახავს და ვერც მიხვდება.

8670. ზოგი პოლიტიკოსი დღისით ქვეყნის კეთილდღეობისთვის იღვწის, ხოლო დილით – ნაბახუსევიდან გამოსვლისთვის.

8671. პოლიტიკა გადაგვარებული სექსია, მას მაშინ უნდა გავეთამაშოთ, როდესაც მამაკაცის ღირსება ჭრაჭუნს დაიწყებს და შენი ხვადობის დივიდენდები შერყულია.

8672. დიპლომატიამ ის უნდა გამოასწოროს, რაც ხმლის უხეშმა მოქნევამ გააფუჭა და არას ის, რაც უკვე გადაგვარდა.

8673. ჩემთვის პოლიტიკა ციფრებშია მისაღები და არა – ასოთა სიმრავლეში, რომელსაც უსაგნო ყბედობა ჰქვია.

8674. ხშირად პოლიტიკაში თეორია კარგი მათრახის, დროის ფაქ-ტორის, შემთხვევის, გარეშე ვერ მუშაობს.

8675. პოლიტიკაში ხშირად რეკომენდებულნი მართავენ და არა – მისი რჩეულნი, რომელმაც ყბედობას ალღო ვერ აუღეს.

8676. პოლიტიკაში ტემპერატურა ხშირად სკლეროზის საწყისია, რადგან არ იცი რაზე გაამახვილო ყურადღება და იძულებული ხარ სულ სიახლის გავლენის ქვეშ იყო.

8677. პოლიტიკამ თავის ქეიფში უნდა ატაროს დრო და არა – სხვის ქორწილში, რადგან წილის მიგება და დაცვა ყველასთვის და ყველგან სავალდებულოა.

8678. პოლიტიკა, ნაციონალიზმისგან განსხვავდებით, მასებში სამარ-თლიანობის დამყარების მცდელობაა და არა ყოველივეს სასწორზე დადება დამოუკიდებლობის და ნაციონალიზმის მოშველიებით.

8679. პოლიტიკაში არსებობს აგრესიული, დიპლომატიური, უსიტყო მოლაპარაკება, რომელთა პროფილაქტიკა, ანგარიშის გაწევა პარტნი-ორი ქვეყნების სიძლიერეზეა დამოკიდებული და არა სამართლიანობის პრინციპების წინ წაწევაზე და მასზე გადაყოლაზე.

8680. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ პოლიტიკა ხალხის საქმე არ არის, ხოლო ბრბო მას ახლო არ უნდა გააკარო. რადგან ქვეყნის აღმშენებლობა საქმის კეთების და ფულის დათვლის გარეშე შეუძლე-ბელია, ამიტომაც პოლიტიკაში უნდა მოვიწვიოთ ნიჭიერი ინტელექ-ტუალები, საქმიანი ტექნარები და არა მხოლოდ რაიმე აკვიატებული იდეებით ატაცებული ჰუმანიტარები.

8681. საზოგადოებრივ მოღვაწესა და პოლიტიკოსს შორის ის სხვაობაა, რომ პირველის ავტორიტეტი მუდმივია, მეორის – სანამ არჩეულია და სამთავრობო სკამს ათბობს.

8682. წესით პოლიტიკაში იდეურობის ცნობიერების რევიზია თანა-მოაზრეთა ღალატია და არა ერთი პარტიის მეორე პარტიით შეცვლა და სათავო სკამის დასაკავებლად.

8683. ერთხელ დახურდავებული პოლიტიკოსების მცდელობაა სხვა ადამიანთა ჩაწიხვლა და დაჩმორება, რათა როგორმე თავი ბრბოს რეაბილიტირებული გააცნონ და წარმოაჩინონ.

8684. პოლიტიკაც, თეატრივით, ბრიყული მოსაზრებებით გვამხია-რულებს, თავხედობით გვაოცებს, მაგრამ პრაქტიკაში მათ გამოყენებას არავინ ცდილობს.

8685. რაფინირებული პოლიტიკოსისთვის ბიზნესია ტვირთი და არა მის მიერ შემოთავაზებული ფული.

8686. ვისაც ზნედაცემული აზრების მოვლა-პატრონობა-მოწესრიგება შეუძლია მას აქვს უფლება თავის პოლიტიკოსი უწოდოს.

8687. გრძნობების და ქონების მართვაა უპირველესი პოლიტიკაში და არა – თავის წარმოჩენის უაზრო ყბედობა და პარტიების შექმნა.

8688. წინაპართა სურვილია ნაშიერმა მათი შეცდომები პოლიტიკაში არ გაიმეოროს და მათი გამოცდილების გათვალისწინებით იცხოვროს, ხოლო ახალგაზრდა ლიდერს სურს რაღაც-რაღაცეები ახლებურად წარმოაჩინოს და თავის ჭკუით იცხოვროს, რათა მასაც ჰქონდეს საშუ-ალება შთამომავალი დამოძღვროს.

8689. ასაკის გამოცდილების მუხრუჭები ყველა ხელისუფლებისთვის აუცილებელია, თუ არ უნდა პოლიტიკურ ასპარეზზე ფეხი დაუცურდეს და მივიწყების ხრამში არ გადაიჩეხოს.

8690. პოლიტიკა თავს სიმართლეზე მაღლა აყენებს, ძალაუფლებას კი ორივე ფეხებზე ჰკიდია.

8691. პოლიტიკის სტრატეგია, საბოლოო შედეგია, ხოლო მიმდი-ნარე პროცესები ყბედობა და გასართობი შოუა.

8692. პოლიტიკურ მრწამსზე გაყრა თეორიულად თავისებური ტრა-გედიაა, მაგრამ პრაქტიკულად არც იმდენად, რომ სხვა პარტია არ შექმნას ან სხვის დაჯგუფებას არ მიეკედლოს და საქმიანობა არ გააგ-რძელოს, თუ კი ამისთვის მოწოდებულია.

8693. პოლიტიკას კარიერის მისაღწევად პროცესების წარმოჩენა საჭირდება და არა – შედეგი, რადგან დანაპირები, ძირითადად, მივიწყ-ებას ეძლევა.

8694. პოლიტიკა მორალს დიდ პატივს არ მიაგებს, მაგრამ ყველა ქმედება მისი პოზიციიდან უნდა გადაწყდეს.

8695. პოლიტიკა ყბედობს, უსაქმურობს, მაგრამ ძალზე საჭირო ადრენალინია ბრბოს ემოციების გასაჭენებელ-მოსათოკად და ვიღაცის ჯინის ამოსაყრელად.

8696. ზოგიერთი პოლიტიკოსი იმ მოხუცებულს მოგვაგონებს, რო-მელიც საკმარისია უყურადღებოდ დატოვოთ და ასანთის თამაშით უგუნურების ხანძარს გააჩენს.

8697. შავი პოლიტიკური სული, მაკიაჟის მიუხედავად მაინც „აშავებს“, მიუხედავად იმისა, რომ თავის წამოყოფას ცდილობს და ვნებათაღელვისთვის მუდამ მზად არის.

8698. წინათ პოლიტიკოსებზე ჩვენ ვთხზავდით ანეგდოტებს, ახლა თავად ვარდებიან ანგდოტურ სიტუაციაში.

8699. დიპლომატია გვასწავლის არ მივიღოთ მოწინააღმდეგე მხარის უგვანო გამოწვევა, რათა მარცხის სიმწარეც არ ვიგემოთ და მის მოგვარებაზე დროც არ დავკარგოვთ. მაგ. აფხაზეთ-საქართველოს, სამხრეთ-ოსეთი-თბილისის დღევანდელი ურთიერთობა.

8700. პოლიტიკაში შესაძლებელია პიროვნებად დარჩე, მაგრამ ყველას გაუგო, მოეფერო და კეთილი იყო, ამის უფლებას ხელისუფლება ვერ მოგცემს.

8701. ყველა პოლიტიკურ პარტიასთან სასმისი მოჩვენებითი სიამოვნებით უნდა შესვა და არ უნდა ედავო, რადგან ვინ იცის, მომდევნო არჩევნებზე ფეხს ვინ რას წამოკრავს და ვის გაუმართლებს.

8702. სიკეთის გახსენებაც პოლიტიკაა, რადგან თუ სჭირდებათ, არაკაცობას კაცობად ჩაგითვლიან, გაგაღმერთებენ, თუ არა და ინვესტიციას, სპონსორობას, დახმარებას, არაკაცობად მიიჩნევენ, თავსაც დაგამადლიან და საყვედურით აგიკლებენ.

8703. პოლიტიკა ბევრად მომხიბვლელია მოჭრაჭუნე ასაკისათვის, ვიდრე სიყვარული, რადგან პირველში გამოცდილებით ჩალიჩობს, ხოლო მეორესთვის მარტო გამოცდილება არ კმარა.

8704. პოლიტიკოსს ბევრი რაიმე ეპატიება, გარდა იმისა, რომ არ უნდა გახდეს დასაცინი უნიათობის და ვირეშმაკობის შედეგად.

8705. დამპყრობელი და განმათავისუფლებელი პოლიტიკაში სინონიმებია, რადგან ორივეს თავისი სამართალი და ინტერესი აქვს.

8706. უსაქმურთა უმეტესობას აინტერესებს პოლიტიკური ონანიზმი – ვინ არის დამნაშავე, ხოლო საქმიან უმცირესობას, რა უნდა ვაკეთოთ, რომ ქვეყანა ფეხზე დადგეს.

8707. პლანეტის დევიზი, ლოზუნგი, უნდა იყოს: „პლანეტის ყველა სულიერნო შეერთდით და ეძიეთ კომპრომისი“!

8708. იმუნოდეფიციტისაგან განსხვავებით, პოლიტიკაში კულტურის დეფიციტი მომაკვდინებელი არ არის და თუ ქვეყანა აირია, შეიძლება წაახალისონ კიდეც.

8709. პოლიტიკოსის ოპტიმიზმის საფუძველია ოჯახში მისაღები და ხალხის გასათვითცნობიერებელი კომპრომისები.

8710. ,,დაბლა არ უნდათ, ზევით არ შეუძლიათ''! ამიტომაცაა ალბათ, რომ ახალგაზრდობა სექსში ნახულობს სიამოვნებას, ასაკი პოლიტიკაში.

8711. პოლიტიკა საყმაწვილო ტრამვაა და არა სენი, რათა ჯეელობაში თანამეინახეებზე განაწყენებულმა ასაკში ჯავრი იყაროს მათზე.

8712. პოლიტიკაში მაინც გაუნათლებელი ხალხი მოძვრება, რომლებიც ამ სამყაროს საოცრებას და მშვენიერებას გონიერების სილაღით ვერ წვდებიან.

8713. პოლიტიკოსი ან ერის მამად უნდა იყოს დაბადებული ან მის მასხარად. მათი შერწყმა გამორიცხულია, რადგან ისტორიის სანაგვე ჩნდება.

8714. პოლიტიკოსმა ან ბარიკადების შენება უნდა იცოდეს ან მისი ნგრევა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხალხი არ გცნობს, ისტორია არ შეგინახავს.

8715. თუ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეს ვერ ერევი, მის დასამარცხებლად ქვეყნის არევა და დაქუცმაცება, რომელსაც მისდევს სახელმწიფოებრიობის ხელყოფა, ქვეყნის და ხალხის გადაგვარებით, ნამდვილად არ ღირს.

8716. ვინ არის მართალი? ვინც კანონს უკომპრომისოდ იცავს, თუ ვინც სამართლიანობას აღადგენს? ალბათ, იმდროინდელი პოლიტიკა.

8717. პოლიტიკოსის მისწრაფება ის არის, რომ ამომრჩეველთა წინაშე გამოსვლისას სიტყვების კორიანტელი დააყენოს და თავი მოგვაჩვენოს ვითომ რაღაცის კეთება შეუძლია.

8718. პოლიტიკოსი, რომელიც მოჭარბებულ ასიგნებას და გადასახადების მკვეთრად შემცირებას დაგპირდებათ, აფერისტია და არჩევნებზე გაღებული თანხების ნაბარტყით ამოღებას თქვენი ხმების დახმარებით შეეცდება.

8719. ზოგი ადამიანი თავადვეა პარტია, მაგრამ იძულებულია გარკვეულ დაჯგუფებას მიემხროს ან მიიმხროს, რათა საშუალება მიეცეს პოლიტიკაში თავის ჭკუით იღვაწოს.

8720. ჭკვიანად მეტყველება და გონების ჭყლეტა, აწმყოს დიდი რიცხვების კანონებს არ ემორჩილება, რადგან პოლიტიკაში ყველა სიახლის, თეორიის დაჭაშნიკებას, დაკუპაჟება, გამოცდა და შედეგი სჭირდება.

8721. ხალხის ხარჯზე პოლიტიკის კეთება ამორალურია, მაგრამ არა – პოლიტიკისთვის.

8722. პოლიტიკა მისდაუნებურად რაღაცას მიქარავს, როდესაც ერთმორწმუნე რუსი, უკრაინელი, ბელორუსი, ქართველი საერთო ენას ვერ ნახულობენ და მათი მთავრობები ერთმანეთს კრიჭაში უდგანან.

8723. მხოლოდ გამოუსწორებელ ოპტიმისტ პოლიტიკოსს აქვს უფლება ის თქვას, რასაც ფიქრობს და რის გაკეთებასაც აპირებს.

8724. პოლიტიკა ბოდიშობანასა და რევანშის მცდელობის გარეშე არ არსებობს.

8725. პოლიტიკას შეგირდი არ ჰყავს – ის მისი კონკურენტია.

8726. პოლიტიკაში მთავარია შენი ერიდებოდეთ და არა – ეშინოდეთ, რადგან შეშინებული უფრო ხშირად ხვდებიან მოწინააღმდეგის ბანაკში.

8727. რადგანაც პოლიტიკაში მარადიულობა არ არსებობს, ამიტომ ყველას უნდა საკმეველი უკმიო და შენს სასარგებლოდ დაეხმარო.

8728. პოლიტიკოსს ენა ყოველთვის სიახლით უნდა ჰქონდეს გაპოხილი და დაპირებებს ცალსახად არიგებდეს.

8729. თაღლითსა და პოლიტიკოსს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი თავის ნიჭის წყალობით ხალხს ფულს დასცინცლავს, მეორე – საარჩევნო ხმებს.

8730. პირველი უძველესი პროფესია პოლიტიკაა – ამას ევას მიერ ადამის შეცდენა ამტკიცებს.

8731. პოლიტიკა ფულის გარეშე არარაობაა, ხოლო მხარდაჭერის გარეშე ეს უკვე პოლიტიკა არ არის.

8732. პოლიტიკაში დაუყოვნებლივ უარის თქმა, დასმული საკითხის საქმიან შეთავაზებაზე ან უკვე გაყიდულია ან მის ძვირად გაყიდვის მცდელობას ნიშნავს.

8733. ზოგი თავისი ზერელე პოლიტიკური განათლებით, თავისუფალების ინსტიტუტებს სიტყვების რახარუხით აფერხმძიმებს რომელსაც ხალხის ორჭოფულ ბუნებაზე რაღაც გაუგია, მაგრამ მისგან კვანტის გამოდება არ უწვნევია.

8734. პოლიტიკა დროის კეთილმოსურნეობას უნდა დავამთხვიოთ, მაგრამ არც უნდა ავჩქარდეთ და არც უნდა დავაგვიანოთ.

8735. პოლიტიკაა, უპირველესად, კანონიერება, ეკონომიკა, საქმის კეთება და არა – მიყურადება, ჭორების გავრცელება და სურვილების დიქტატი.

8736. პოლიტიკურ მოვლენებს წინ ეკონომიკური რეფორმები უნდა უსწრებდეს, რადგან მატერიალიზმის მცდელობის გარეშე იდეალიზმი ფეხს ვერ გაიმაგრებს.

8737. პოლიტიკა იმიტომაცაა „ჭუჭყიანი ხელობა“ რომ დღევანდელობის სათუო მოთხოვნებს ეპასუხება და დრო არ ყოფნის, იფიქროს, თუ რას იტყვის მასზე შთამომავალი.

8738. პოლიტიკაში მთავარია: მიზანი, ამოცანა, შეუპოვრობა, შედეგი დანარჩენს – სიმქისეს, გაუმართაობას, დრო მიხედავს.

8739. ცინიზმს, მზაკვრობას, გაუტანლობას, ხშირად უგვანო პოლიტიკოსი ქვეყნის სათავეში მოჰყავს, რომელიც სულ იმის ცდაშია, ხალხს ლაგამი ამოსდოს და ვითომდა წესიერება წაახალისოს.

8740. სულით, ტრადიციებით თავის მოწონება და მისით ვაჭრობა ზოგს პოლიტიკა ჰგონია.

8741. პოლიტიკა თვალთმაქცობის გარეშე შეუძლებელია, რადგან ქომაგნი ვერც გაგიგებენ და არც გაღიარებენ.

8742. მაზოხისტია ის პოლიტიკოსი, რომელიც თავისი უნიჭობით, ქვეყნის ინტერესების მომიზეზებით, არც თავს ინდობს და არც – სხვას.

8743. თუ ვიგინდარათა დარტყმის მოგერიება არ შეგიძლია, პოლიტიკას უნდა შეეშვა.

8744. პასუხი „კი“ ან „არა“ პოლიტიკა არ არის.

8745. პოლიტიკა ახალი გადასახადების შემოპარების ხელოვნებაცაა, რათა ხალხი არ აგიჯანყდეს.

8746. ხანდახან ორდენს მოქალაქეობრივი სიმხდალისათვის იძლევიან, რაკი ხელისუფლებას არ ეკამათები და წინააღმდეგობას არ უწევ.

8747. ზოგს პოლიტიკა დროის გაჭიანურება და სიტყვების რახარუხის ონანიზმი ჰგონია, მაგრამ აქ მთავარი ჩასაფრება და დროის მოგებაა.

8748. თემსა და ბრბოს შორის დიდი სხვაობაა, მაგრამ ადგილების გადასანაცვლებლად „ავტორიტეტი“ პოლიტიკოსის თითის დაქნევაც კმარა.

8749. პოლიტიკა არა მარტო ბრძოლაა ძალაუფლებისთვის, არამედ იმის გაცნობიერებაცაა, რომ შენ იმ საქმეს უნდა ემსახურო, რომელზეც დღეს წარმოდგენა არა გაქვს.

8750. პოლიტიკაში ჭორი, სიცრუე, ბანქოს დარიგებაა, გადაგდების მცდელობით, დროის გაყვანით და გაჭრილი ყოფის კარტების თამაშით.

8751. იდეოლოგიის და რწმენის შეცვლა ერთიდაიგივე არ არის, იმისდა მიუხედავად, რომ პოლიტიკა ერთ საწებელში აწყობს.

8752. გამოხრული კბილის აღდგენა შეიძლება თუ გვერდით კბილებს მოვკლავთ და დავაზიანებთ, ხშირად ასევეა პოლიტიკაში, თუ კარგს გავწირავთ ვიგინდარას წარმოსაჩენად.

8753. პოლიტიკა და კაცობა ერთმანეთისაგან შორს დგას, მაგრამ ამ უკანასკნელში შეშლას პირველი მაინც ვერ იტანს.

8754. მოხერხებულ ხელისუფლებას შემოქმედი ოპოზიცია ყოველთვის გვერდით უნდა ჰყავდეს, თუ უნდა ქვეყანა გონიერად მართოს და საზოგადოებრივი აზრი მიიმხროს.

8755. პოლიტიკური სინუსოიდის შეცნობაა მაქსიმალური მიღწევის მინიმალურზე თანდათანობით დაფანა, როცა ამ პროცესს დასასრული არ უჩანს.

8756. პოლიტიკოსისთვის 2x2 ყოველთვის იმდენი უნდა იყოს, რამდენიც ქვეყნის და პირად ინტერესებს სჭირდება, მაგრამ არა ყოველთვის.

8757. ცუდ მოცეკვავეს ხელს რა უშლის, ფელასთვის ცნობილია, მაგრამ არშემდგარ პოლიტიკოსს ხელს რა უშლის, ალაგ-ალაგაა ცნობილი, განსჯის გარეშე.

8758. ქვეყნის პარტიული სისტემა ცალ ფეხზე არ უნდა იდგეს, მას აუცილებლად სჭირდება მეორე ფეხის გამაგრება.

8759. პოლიტიკა კანალიზაციის მილებისა და წყალსაგდებების მოწესრიგებით არ კეთდება, მას ემოციებით დატვირთული წინსვლა და წინაპართა გამოცდილების ანალიზი სჭირდება.

8760. ზოგი პოლიტიკაში უაზროდ, პროცესების გაჯანჯლებით ლაღობს და ფეხს რომ წაიტეხს, ვერც გრძნობს და არც უნდა დაიჯეროს.

8761. პოლიტიკური შერკინება შეიძლება კერძოც იყოს და მასობრივიც, ამ უკანასკნელში მონაწილეობის სურვილი კი ბევრს აქვს.

8762. ხელისუფლებას ფელა ჭკუას არიგებს, ოპონირებს, მათ შორის ისინიც, ვისაც მართვის ხელოვნებაზე წარმოდგენა არ აქვს, რადგან ისინი პოლიტიკას, ეკონომიკისგან განსხვავებით, ადვილ და ფელასთვის ხელმისაწვდომ საგნად მიიჩნევენ.

8763. პოლიტიკის აბსურდზე აგება წესით შეუძლებელია, მაგრამ ალიბის მოძიებას თუ მოახერხებს, შესაძლებელიცაა და ზოგჯერ გარდაუვალიც.

8764. პოლიტიკაში საკუთარი კაიფის დასაკმაყოფილებლად რაღაც არაორდინალური და სასარგებლო უნდა აკეთო, რათა გასახსენებელიც დაგრჩეს და თავის კმაყოფილიც იყო.

8765. არეულ ქვეყანას დასაწყნარებლად ქირურგიული ჩარევა სჭირდება, დამშვიდებულს – თერაპიული მკურნალობა. ეს არის პოლიტიკური მოღვაწეობის ანიც და ბანიც.

8766. ოპოზიციის გარეშე განგებასაც უჭირს სამყაროს მართვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამდენ ეშმაკს, სატანას, იუდას, გვერდით არ გაიჩერებდა.

8767. სუვერენიტეტის დაცვის ნაწილი ,,მოჩვენებითი თავდასხმა და აგრესიაა'', ვიღაცის და რაღაცის მიმართ, თუ უნდა თავისი დამოუკიდებლობა შეინარჩუნოს.

8768. პოლიტიკაში პრაქტიკულად მომხვეჭი იდიოტი ბევრია, მიუხედავად ჭკვიანობაზე თავის დადებისა და ხალხზე ზრუნვის იმიტაციისა.

8769. ხშირად შექმნილი გარემოება უფრო ძლიერად გამოიყურება, ვიდრე სახელმწიფოს სურვილი და ხალხის ნება და იძულებულნი ვართ მას ანგარიში გავუწიოთ.

8770. ბაზისი კომპრომისის მოძიების არის, სარწმუნოების, პოლიტიკის და ურთიერთკეთილდღეობის ერთმანეთზე დაუმადლებლად შერწყმა.

8771. პოლიტიკაში დამნაშავე ყოველთვის უმრავლესობაა, რადგან ვერ იღებს ისეთ კანონებს, გადაწყვეტილებებს, რომ უმცირესობას სასაჯედურო და საკამათო არ დაუტოვოს.

8772. ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, მეცნიერების საწყისების არცოდნა პოლიტიკოსს არ ეპატიება.

8773. ადამიანი პოლიტიკურად მოუმწიფებელი საზოგადოებრივი ცხოველია, მაგრამ ეს გარემოება ცხოველებს ვერავითარ შეღავათს ვერ აძლევს.

8774. პოლიტიკოსი რომ თავისი ქვეყნის შვილი იყოს და არა გერი, მას ჭუჭყიანი საქმეების შესრულებაც არ უნდა იუკადრისოს.

8775. პოლიტიკოსები იმდენ დროს ხარჯავენ ლაყბობა-პაექრობაში, რომ ქვეყნის სამართავი ანბანის შესასწავლად დრო აღარ რჩებათ.

8776. პოლიტიკას, უნდა თუ არა, ერთხელ მაინც გულგრილობის „გრიპი" შეეყრება.

8777. პოლიტიკაში მთავარია არა ის, როგორ გკიცხავენ, არამედ როგორი ღირსებით და დროულად უბრუნებ ხურდას.

8778. პოლიტიკა ქალწულობის და პრინციპულობის მქონე ხალხის საქმე არ არის.

8779. პოლიტიკასა და ასტროლოგიას შორის ის მსგავსებაა, რომ ორივე რაღაცას გპირდება, გაიმედებს გამორჩენის ხარჯზე.

8780. პოლიტიკოსს შუბლი სქელი ტყავით უნდა ჰქონდეს გამაგრებული, რათა მოწინააღმდეგის ლანძღვა-გინება უმტკივნეულოდ გადაიტანოს.

8781. პოლიტიკოსის კი არ უნდა გვეშინოდეს, არამედ მასთან კონტაქტს უნდა ვერიდებოდეთ, რათა მის მიმართ საბოლოოდ პატივისცემა არ დავკარგოთ.

8782. პოლიტიკოსს დაპირება არ დაეჯერება, ხოლო თუ რაიმე სასიკეთოს აკეთებს, ნახევარში ნდობა შეიძლება.

8783. პოლიტიკოსი სიმართლეს მაშინ ამბობს, როდესაც ასაკშია, არავის სჭირდება და ბოლო კუდის გაქნევაა პიარის გასაკეთებლად.

8784. პოლიტიკის მიზანია ხალხს რწმენა ჩაუნერგოს და იმ საქმეში დაიმგზავროს, რომელიც ბოლომდე თავადაც არ აქვს გაცნობიერებული.

8785. პოლიტიკოს მამაკაცს სულ მცირე, ორი სახე უნდა ჰქონდეს, ხოლო ქალს – ერთით მეტი, რასაც მაკიაჟი ჰქვია.

8786. პოლიტიკას განსხვავებული აზრის ხალხის დასამშვიდებლად იყენებენ და არა – საქმის საკეთებლად, რადგან ამ უკანასკნელს ნიჭი სჭირდება.

8787. პოლიტიკაში არ არსებობს სიტყვა ,,არასოდეს'', რადგან ეს პრინციპულობა მას ძვირად უჯდება.

8788. პოლიტიკოსები მიდიან და მოდიან, ოღონდ ერთი პირობით, ზოგს ანათემაზე გადასცემენ, ზოგითაც აღფრთოვანდებიან.

8789. ვითომდა პროგრესულად მოაზროვნე ახალი თაობა პოლიტიკოს ,,ბანდიტებად'' გვევლინება, რომელიც ქვეყანას გარკვეულ ავტორიტეტს უქმნიან და ურყნიან კიდეც, მაგრამ ძველს ნგრევა, რომ პროგრესის იმედით მოჰყება, ეს უდაოა. ნანგრევებში ვინ მოყება, არავის აინტერესებს.

8790. ზოგჯერ ოპოზიცია გაიძვერა ,,ბაცანების'' გაერთიანებაა, რომლებიც თავიანთი ბედისწერის გამოსწორებას ყბედობის და გაქნილობის ხარჯზე ცდილობენ.

8791. პოლიტიკა, ადრე თუ გვიან, უნდა თუ არა, ამბიციებს რომ არ გადაყვეს, ეკონომიკის რეალობას ემორჩილება და თითის კაკვას.

8792. ქვეყანა რომ ფეხზე დადგეს, პოლიტიკოსები ერთმანეთისთვის ,,ქაქის'' გადასხმას უნდა შეეშვან, ხოლო ოპოზიციამ საქმიანი წინადადებები წამოაყენოს.

8793. დიპლომატია უანყოფო შეხვედრებს, მოლაპარაკებებს, აფასებს და ყველა ამ საქმის მოწესრიგებაში მონაწილე ქვეყნები ამ ყბედობით ,,კმაყოფილნი'', არიან გარდა დაპირისპირებული მხარეებისა.

8794. პოლიტიკა ეკონომიკის სინონიმია, მაგრამ ბევრ პოლიტიკაზე მიტმასნულს თავისი უვიცობის დასაფარავად ამის შესმენა არ სურს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მასში პატიოსნება და მართვის უნარის საჭიროება ჩაენაცვლება.

8795. ჭეშმარიტი ისტორიული გამოცდილების ანალიზის ნაცვლად, პოლიტიკაში ყველა თავის მეტეოროლოგიურ გამოცდილებას გვთავაზობს, ამით თავის წარმოჩენას ცდილობს და კმაყოფილია.

8796. პოლიტიკოსები სიმართლეს თითქმის არ ამბობენ, სხვათა დადანაშაულებას კი ყოველთვის კვადრატში ცდილობენ.

8797. პოლიტიკაში ყოველთვის გამოჩნდება ის ,,მომხრე'', რომელსაც დასაკარგავი არაფერი აქვს და ცდილობს რომელიმე ავტორიტეტს ამოეკრას გამორჩენის და კარიერის ხათრით.

8798. პოლიტიკას საქმეში მარტივი და უჯიგრო ხალხი არ უყვარს და არც პატივსა სცემს, მაგრამ გარკვეულ დრომდე სჭირდება.

8799. პოლიტიკაში სიტყვის ბაზარი, ძლიერი ენერგეტიკა და თავხედობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ცოდნა და ცხოვრების გამოცდილება.

8800. პოლიტიკა ბიზნესში და კარიერაში ხელმოცარული ამბიციური ხალხის საქმეა, რომლებიც თავიანთი უნიათობის დაფარვას სხვათა გინებით და ჭკუის დარიგებით ცდილობს და რაიმე რეალურის, პრაქტიკულის შემოთავაზებით არ შეუძლია.

8801. პოლიტიკა თავისებური სექსია. ხან ერთი პარტიის წარმომადგენელი მოექცევა ქვეყნის სათავეში, ხან – მეორეს, მაგრამ ხალხი ამით ორგაზმს ვერ იღებს, რადგან კონსენსუსის მიღწევის მცდელობა ერთმანეთის დაუწიხლავად პოლიტიკაში არ გამოდის.

8802. ძალაუფლება ხშირად ხელში უვარდებათ პოლიტიკური აბორტის მსხვერპლთ და მათ ნაბიჭვრებს, რაც უღირსი ხალხის და გულგრილი საზოგადოების დამსახურებაა, რომელსაც საბოლოოდ ქვეყანა არეულობამდე მიჰყავს.

8803. პოლიტიკა უნიჭო ცხოვრების მსახიობთა არენა და ვირეშმაკთა ანგარიშიანი სარბიელია, სადაც ყოველივეს დროულად პირის გაღება-დამუწვა და ჩასაფრება წყვეტს.

8804. ნაღდი პოლიტიკა გამოცდილი შორსმჭვრეტელი ხალხის საქმეა, რომელსაც ახალგაზრდობის აყოლიებაც შეუძლია და ასაკოვანთა დაყოლიებაც, რაც შეეხება შუა ასაკს, ის ისე მოიქცევა, როგორც ჩასძახებენ და მოეფერებიან.

8805. პოლიტიკოსად და ვარსკვლავად გახდომა თავისებური შოუა, ბიზნესია, სადაც სულის პროსტიტუციის და ფულის დაბანდების გარეშე თავის წარმოჩენა თითქმის შეუძლებელია.

8806. ქვეყნის მართვის ბალანსისთვის, პოლიტიკოსმა მოსახლეობის ნაწილის „მგლები“ უნდა დაითვალოს, ბიზმესმენმა „ცხვრები“ და ერთად მათი შერწყმა-რეგულირება უნდა მოახდინოს.

8807. ღირსების დაკარგვა კაცობის დაკარგვის ტოლფასია, მაგრამ არა დღევანდელი პოლიტიკოსებისთვის.

8808. პოლიტიკოსს ხალხმა თუ დედა არ აგინა, მაშინ რა უფლებებით უნდა მოითხოვოს მან მაღალი ანაზღაურება და მოზრდილი ჰონორარი.

8809. პოლიტიკის მიზანია თავის მოწონება, ჭეშმარიტებისათვის სულის წრთობა, რადგან ეს უკანასკნელი, პირველისგან განსხვავებით, სიმართლეს და სამართლიანობას წინ უნდა წაუძღვეს.

8810. პოლიტიკა ამოცანის დაყენება, თეორიის შექმნა, სხვადასხვა განტოლებების ამოხსნაა, სულის არითმეტიკა და ყოფიერების ალგებრაა, რომელსაც ყველა დროში საზოგადოების ქმედითმა ნაწილმა ხალხის მხარდაჭერით უნდა ამოხსნას.

8811. პოლიტიკოსის დილემაა სიტყვის წარმქომნისას სიფათი კეროს თუ ელვა კვესოს, რადგან საქმიანი საუბრით ბრბოს ვერ მოხიბლავს.

8812. ყველა პოლიტიკური პარტია და სამღვდელოება ამომრჩეველთა და მორწმუნეთა გაჭირვებაზე ითბობს ხელს, დალხინების დროს კი იდეები და იდეალები ნაკლებად ახსოვთ.

8813. პოლიტიკისთვის ძნელი განსასჯელია, დიდებას სიტყვის წარმოთქმა კერავს თუ თანამოაზრეთა რეკლამის კემსვა.

8814. წესიერება და პოლიტიკა სხვადასხვა მხარეს დგანან, მიუხედავად იმისა, რომ სამართლიანობისა და პატივმოყვარეობის ზურგს ეფარებიან.

8815. პოლიტიკა და კაცობა ერთმანეთში არ უნდა აგვერიოს, რადგან ყველა მათგანს თავის განზომილება, დანიშნულება, აქვს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება-განვითარების საქმეში.

8816. დიპლომატია ერთი მესამედი სიცრუეა, მეორე მესამედი – მოტყუების მცდელობა, დანარჩენი – სიმართლესთან ახლო მდგომი სასიამოვნო საუბარია.

8817. პოლიტიკა და ცბიერება სინონიმებია, მაგრამ ამ ხელოვნებას უნდა ვფლობდეთ, რომ არ გადავამლაშოთ.

8818. ქვეყანა შექმნილი ვითარების მსხვერპლი გახდდება, თუ მთავრობა წინასწარ არ განსაზღვრავს, გემი რომელი პოლიტიკური დაჯგუფების ნაპირს მიაყენოს.

8819. პოლიტიკას მაშინ ედება ფასი, თუ საერთო მტერს გამოთხრით, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს საქმიანობა დროის ტყუილუბრალოდ ხარჯვა და ფარსის თამაშია.

8820. როდესაც გვყავს მეგობრები, გვეყოლება მტრებიც, ამიტომ მათ შორის ლავირება მოხერხებულობის, დიპლომატიის, ხელოვნებაა და არა პოლიტიკის.

8821. პოლიტიკაში შედეგია მთვარი და არა – პროგრესული თეორიები კარგი სურვილებით.

8822. პოლიტიკური ქანჩის მოჭერა შეიძლება გონიერების კუთხილის მოწყვეტამდე, რადგან შემდგომ ქვეყანაში არეულობა იწყება დროის უმიზნოდ გაყვანით, სანამდის აზროვნების და ძალის ახალი ქანჩი არ გამოიჩარხება.

8823. შიშველ პოლიტიკას ხალხის გასულელება შეუძლია და არა – დაპურება.

8824. პოლიტიკური ბუტერბროდია: დივიდენდი, მემუარის ჰონორარი, ჰუმანიტარული დახმარება, უვადო კრედიტი და კიდევ სხვა, რაც მთავრობის ფეტიშია და სინამდვილეში ქვეყნის ეკონომიკას უკან სწევს. სახელმწიფო მოხელე ამ გზით შევსებული ქვეყნის ბიუჯეტიდან, მისი „უკანგორებით", გარკვეული ნაწილის მითვისებას იწყებს, რაც სახელმწიფოებრიობას საფრთხეში აგდებს, ხოლო ხალხს აბრმავებს, რომლისთვისაც სულერთია რა სახის ვიგინდარა წამოაჯდება, ოღონდ რაღაცა მიუგდონ.

8825. ყველა პოლიტიკოსი ცდილობს სხვისთვის შეუმჩნევლად ახლოს იყოს ძალაუფლებასთან და მის ნასუფრალთან იმგვარად, რომ მოჩვენებითი იმიჯი შეინარჩუნოს.

8826. რადგან პოლიტიკა ბედთან თამაშია და ყოველთვის საქმის წინასწარ განჭვრეტა არ ხერხდება, საქმე ძალაუფალმა გულის კარნახით უნდა აკეთოს, ოღონდ მრჩეველთა მუხრუჭების გამოყენებით.

8827. პოლიტიკოს მასმედიასთან დავიდარობა უფრო ძვირი უჯდება, ვიდრე მოქიშპე პარტიებთან შერკინება, რადგან პირველი თავს გაუფრთხილებლად გესხმის, ხოლო მეორე ამას არ კადრულობს და მზადაა შენთან კომპრომისზე ილაპარაკოს.

8828. ყველა ქვეყნის პოლიტიკა ყბედობაზეა აგებული, რადგან ხალხს ეს ლაქლაქი მოსწონს, განსაკუთრებით, საინტერესო დაბოლოებით.

8829. ადამიანის მსგავსი მაიმუნების, ვიგინდარების, მოთხოვნებს, პრეტენზიებს, კანონში და კანონიერებაში ნუ ავურევთ, თუ გვინდა ქვეყანას სხვადასხვა პოლიტიკური გადახრების საშინელება არ შევაყროთ.

8830. პოლიტიკურ შიზოფრენიას გარანდვა სჭირდება, მათივე ნებით იქნება, თუ უიმისოდ, რათა პოლიტიკურ სიგიჟეში არ გადაიზარდოს.

8831. პოლიტიკაში ყოფნა და გაუსვრელად სულის შენარჩუნება ძნელია, რადგან ამას თავად საქმიანობა და ქვეყნის მართვის ხელოვნება მოითხოვს.

8832. პოლიტიკას ისე უნდა შევეხოთ როგორც ცუდ ამინდს, რომელსაც არ ედავებიან, მას უბრალოდ ეგუებიან და გამოდარებას უცდიან.

8833. პოლიტიკა უგვანობაა და არა – დიპლომატია, რომელიც ყველგან და ყოველთვის კონსესუსის ძებნაშია თავისი ქვეყნის სასარგებლოდ.

8834. ყველა სიტყვას 10-ზე მეტი შესატყვისი და სხვადასხვა გაგება შეიძლება მოვუნახოთ ასევეა პოლიტიკაში, როდესაც ზღვარი დევს დაპირებასა და საქმის კეთებას შორის.

8835. მცირე ჭკუა, გადაჭარბებული ყბედობა, დილეტანტიზმი და ხალხის სიზმრებში ბორიალი, პოლიტიკის აქსიომაა.

8836. ყველა პოლიტიკა პროვოკაციაზე, მოჩვენებით ყარაჩოხელობაზე და დათმობაზეა აგებული.

8837. პოლიტიკაში საკითხის წამოჭრისას, ერთი დიდი კითხვა უნდა დაისვას და პატარ-პატარა კითხვებს პასუხი უნდა გაეცეს, რათა შედეგი იქნებ დაბალანსდეს.

8838. პოლიტიკისკენ გვიბიძგებს: ამბიციები, სპეციალობის არცოდნა, დაუსაქმებლობა და საზოგადოება, რომელმაც ამჯერად თქვენზე არ იზრუნა.

8839. პოლიტიკაში, ისტორიის ალგორითმებში ახალი არაფერი ხდება, მაგრამ ამის დანახვა არც აწმყოს ძალუძს, არც მასში მცხოვრებთ და ფოცხზე გამუდმებულ ფეხის დაბიჯებას ბოლო არ უჩანს,

8840. პოლიტიკურ ონანიზმს ხშირად მოლაპარაკებას ეძახიან და ამით თავის გამართლებას ცდილობენ.

8841. პოლიტიკა ყველაზე ნატიფი და დახვეწილი ხელოვნებაა, რადგან ძალას, შემართებას და მოწინააღმდეგის გაცუცურაკებას მოითხოვს.

8842. მორალი ხშირად ხდება პოლიტიკური, რადგან ისიც თავისებურ ანაზღაურებას ითხოვს.

8843. პოლიტიკური პარტიები, გაერთიანებები, ქვეყნის წინაშე ვალის მოხდას კი არ ცდილობენ, არამედ დააკმაყოფილონ მათ თანამდგომთა მცირე ნაწილის პატივმოყვარეობა.

8844. გულმოწყალე, პატიოსან, სარწმუნო კაცთა საქმე პოლიტიკა არ არის, არავინაა მათი წესიერების დამფასებელი.

8845. პოლიტიკა მომთმენი, მოქნილი, მზაკვრულად გათვლილი უნდა იყოს, რათა მოხერხებულად ესადაგებოდეს ბედის ტრიალს.

8846. პოლიტიკა მოსალოდნელი შედეგის გათვლაა და არა – თავქარიანი პროცესით ტკბობა.

8847. პოლიტიკა ზოგჯერ მოითხოვს უმეტესობის დაყვავებას და მეგობრების მიმართ გაკონტროლებული ზრუნვის გამომჟღავნებას.

8848. პოლიტიკა ცვლადი სინამდვილეა, რომელიც დროის და სივრცის კონტროლს უნდა ემორჩილებოდეს.

8849. პოლიტიკოსია, ვინც ამით, სულდგმულობს და მასში ხედავს მისი ამქვეყნად მოვლინების არსს.

8850. პოლიტიკით თუ დაინტერესდებიან, მის ვირეშმაკობას ყველაზე უკეთ ჯეელები იგებენ, ხოლო თუ პერსპექტივაში საუფროსოსაც ჩამოურიგებ, მათი მხარდაჭერა გარანტირებულია.

8851. სხვა ქვეყნის საქმეში ცხვირის ჩაყოფა, თუნდაც მათივე თხოვნით, ყოველთვის ვიღაცის მხარეს დგომას ნიშნავს, რაც მოწინააღმდეგე დაჯგუფებას უფრო ამთლიანებს. პოლიტიკური ბანქოს ფურცლები კი საბოლოოდ როგორ დარიგდება, არავის უწყის. ამიტომაა, რომ ურთიერთობაში ნეიტრალიტეტი ყოველთვის ამართლებს.

8852. მთელი ჩვენი მოდგმა წელგამართულ საქმიანობაზე, ქვეყანაზე ოცნებობდა, მაგრამ უმთავრესად წელკავიანი, წელმოწყვეტილი, ქრონიკულად დავადებული და სამკურნალო გვრჩება ხელში და დღემდე ხეირიანი მკურნალი ვერ მოგვიძებნია.

8853. ოპოზიციასაც აქვს თავისი ორღანი, რომელსაც ხან კომპრომისის დიპლიპიტოს დაახმარს, ხანაც – კომპრომატების ტრომბონს.

8854. ეტყობა, განგების ხელში, ერის წარმოსაჩენ-გამოსაჩენი პოლიტიკური დიზაინი, თორემ ასე დიდხანს უყურადღებოდ არ უნდა დავეტოვებინეთ.

8855. პოლიტიკოსის ვნების მოთოკვა ძნელია, მაგრამ ადვილია მასზე კრიმინალის, კომპრომატის შექმნა და მისი საბოლოოდ ჩამოშორება.

8856. პოლიტიკურ პარტიებში ანგელოზების მოძებნა ისევე ძნელია, როგორც ზეცაში, რა სახითაც უნდა გვთავაზობდნენ თავიანთ იმიჯს.

8857. ოპოზიციას თავის დასაცავად გამზადებული კომბლები ჭერში უნდა ეწყოს.

8858. პოლიტიკაში რაღაც მიმდინარეობა ზოგჯერ ეპიდემიად იქცევა, რადგან ყველას ქვეყნის მართვის ქანდარიდან პარტერში მოხვედრა უნდა.

8859. ყველა ნაციონალურმა მოძრაობამ ,,ეროვნული გამოცდები'' უნდა ჩააბაროს ეკონომიკის განხრით და ამის შემდგომ აქვს ხელისუფლებაში მოსვლის უფლება.

8860. პოლიტიკური პარტია შეიძლება იყოს შუშუ, მოშუშული, გათოშილი, უპერსპექტივო და სხვა ამგვარი, მაგრამ ამას არად დაგიდევენ, თუკი პერსპექტივაში სკამის დაკავების მცირედი შანსი გამოჩნდა.

8861. პოლიტიკოსობასა და პოლიტიკანობაში ის სხვაობაა, რომ ერთმა რწყილის გატყავება იცის, მეორე ქონის გაყოლების წინააღმდეგია.

8862. პოლიტიკოსთა შეკრება, რაც უნდა მიზეზი ჰქონდეს და სერიოზულად გამოიყურებოდეს, ჩემში მაინც ნახირის ასოციაციას იწვევს.

8863. პოლიტიკოსმა, უპირველესად, საკუთარ თავთან მისასვლელი გზა უნდა დაიტოვოს.

8864. სიცოცხლის და ყოფის ფასს სხვადასხვა პოლიტიკური კატაკლიზმების შემდგომ ვიგებთ.

8865. არეულ ქვეყანაში ყველა პოლიტიკურმა კუმ ფეხი გამოყო და პარტია დააარსა.

8866. ფრიადოსნები მეცნიერებისკენ მიილტვიან, ნიჭიერები – აღმოჩენა-გამოგონებისაკენ, საშუალოები ბიზნესში ცდიან ბედს, საშუალოზე დაბალნი წარმოებებში და მომსახურეობის სფეროში იკავებენ ვაკანსიებს, ხოლო ყოფის ოროსნები და ძალად ,,განათლებულები" არიან, პოლიტიკაში რომ მიძვრებიან და ხალხს თავისი უნიათო ამბიციებით სიცოცხლეს უმწარებენ.

8867. საერთაშორისო ურთიერთობაში თუ ბნელა, უნდა კომპრომისის ნათურით მისი განათება ვცადოთ.

8868. პოლიტიკურ პრეფერანსში ბლეფი ზოგჯერ ამართლებს, მაგრამ არა საბოლოო შედეგით, რადგან თამაშს აზროვნება და მოხერხება წინასწარი ჭვრეტით სჭირდება.

8869. პრაგმატიზმი პოლიტიკის საწყისი წერტილია თავის მძიმეთი.

8870. პოლიტიკაც ხშირად ვაჭრობაა, თავისი კრედიტ-დებეტით და მონიტორინგით.

8871. პოლიტეკონომია და ცარიელი პოლიტიკა სხვადასხვა რამაა, რადგან პირველი ცდილობს ეკონომიკას შეუქმნას ხელსაყრელი გარემო და ბიზნესსაც უქმნის სწორად საწარმოებელ ალგორითმს, ხოლო მეორე რას, ვის, და რატომ ემსახურება, თავადაც ვერ გარკვეულა.

8872. პოლიტიკა ზოგს ერთმანეთის ლანძღვა-გინება, ყბედობა, ,,ძველბიჭობა", უზრდელობა, ჰგონია და არა – დანაპირების შესრულება, საქმის კეთება და ხალხზე ზრუნვა.

8873. მთავარია პოლიტიკოსმა ძალაუფლების სავარძელში ჯდომა ისწავლოს, დანარჩენი თავად მოვა, თუ მოსმენის და ანალიზის უნარი შესწევს.

8874. მოგება – წარმატების გულისთვის, ზოგი ცხრა მთას იქით მიდის, რადგან ადგილზე რომ დარჩეს და რაიმე სასურველს მიაღწიოს, რომელიმე პოლიტიკურ პარტიაზე მიკედლება, ჩასაფრება და შურით აღჭურვა სჭირდება.

8875. ნაციონალებს და ეროვნულებს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი წყობის ძლიერებას ემსახურება, ხოლო მეორე ერის წარმოჩენას ცდილობს.

8876. დიპლომატია გონების ის კუნთია, რომელიც მარადჟამს ვარ-ჯიშს მოითხოვს, იმის მიუხედავად, წარმატებას აღწევ თუ არა კოლე-გასთან შერკინებაში.

8877. მათხოვრული დიპლომატია პოლიტიკისგან შორს დგას და მისი გარევა მოლაპარაკებაში ქვეყანას უფრო აღარიბებს და პატივს ყრის.

8878. პოლიტიკა და ფილოსოფია ერთმანეთისგან შორს დგანან, მაგრამ ორთავე შესანიშნავად ერკვევა ადამიანის ბუნებაში, ყოფაში, ბრბოსა და მასის ნებაში.

8879. პოლიტიკაში ვაჭრობა ისევე მისაღებია, როგორც მოლაპა-რაკება, დალალობა-შუაკაცობა, გამორჩენა-გაყოფა და შედეგის გადა-ნაწილება.

8880. ზოგჯერ პოლიტიკა უცნაური და საინტერესო რამ არის: როდესაც მეგობრობ მოწინააღმდეგის გუნდთან და კონკურენტთან მისდაუნებლიედ, მოკავშირედ გვევლინება, რადგან საერთო ინტერესები გამოიჩხრიკა და ეკონომიკაში და პოლიტიკაშიც ყველა თავის გამორ-ჩენაზე და ხეირზე ფიქრობს. მაგ. აშშ-ის აგრესია ერაყში. შედეგად ნავთობის ფასმა საერთაშორისო ბაზარზე მკვეთრად აიწიამ სადაც რუსეთმა, პოლიტიკურად არა, მაგრამ ეკონომიკურად ძალზე იხეირა.

8881. პოლიტიკაში ოპოზიციის წარუმატებლობა ზოგჯერ სუბიექტს ობიექტად აქცევს.

8882. პოლიტიკა ზოგჯერ არის იმ ჭუჭყიანი საქმის კეთებაც, რო-მელსაც სხვა არ იკადრებს.

8883. პოლიტიკა ხშირად მთლიანად დამოკიდებულია გარემო პი-რობებზე, შექმნილ სიტუაციაზე და არა – ვინმეს სურვილზე და ნებაზე.

8884. შიშით დაწყებული პოლიტიკა ხშირად კრახით მთავრდება.

8885. პოლიტიკური პარტიები საკუთარი წარმოჩენის სურვილს მასობრივად ეწირებიან.

8886. პოლიტიკაში სიჩუმეს ნებისმიერი დიალოგი სჯობს.

8887. პოლიტიკოსი კარიერის დასაწყისში შეუგნებლად ცრუობს, ხოლო მოგვიანებით – შეგნებულად და პროფესიულად.

8888. ეპოქის უგნურ პოლიტიკაში უმთავრესია თავდაცვა.

8889. კორუმპირებულ სასამართლოზე უარესი პოლიტიკურია, სა-დაც ვექილს არაფერი ესაქმება, რადგან აქ კანონი არავის აინტერესებს.

8890. პოლიტიკამ ხალხი უნდა მოირგოს და არა – პირიქით.

8891. პოლიტიკა და პოეზია რეალური ცხოვრებიდან შორს დგა-ნან, მაგრამ მათ გარეშე ყოფნა მაინც არ გამოდის.

8892. პოლიტიკაში, აზარტულ თამაშში, შეჯიბრებაში, ქომაგობაში, პრინციპებში, მყარი მეგობრობა არასაიმედოა.

8893. პოლიტიკოსისთვის მთავარია ყბედობის და თავის მოჩვენების უნარი, რომელსაც შეუძლია რღაცაში რაღაცის ,,დარაღაცება''.

8894. პოლიტიკას მორალური და ფინანსური გაკოტრება დიდად არ ანაღვლებს თუკი მას იდეები აწუხებს.

8895. კონსესუსის მიღწევის შემდგომ ყველა კარგად ცხოვრობს, თუ მასში რევანშის გასაღვივებელი ბაცილა არ არის ჩადებული.

8896. პოლიტიკოსებისათვის ხალხი ტილები და რწყილებია, სანამ სარფიან ადგილზე არიან მოკალათებულნი.

8897. პოლიტიკაში პატიოსნებას და მხარდაჭერას შეიძლება ტაშიც დაუკრან და მუსიკაც შეუკვეთონ, მაგრამ ცეკვა თავად უნდა შეძლო.

8898. პოლიტიკამ გონიერების სივრცე ისე არ უნდა გადაჭამოს, რომ სასოებისთვის და ხელოვნების სალოლიაოდ დრო არ გვეყოს.

8899. პოლიტიკა ჭადრაკის თამაშს მოგვაგონებს, გამარჯვებული თავისი მომხრე ფიგურებიდან ვის, როგორ, რისთვის, შეწირავს ,,მეფობისთვის'' სულერთია.

8900. პოლიტიკა შედეგიანი მცდელობაა არც თუ ისე სუფთა ხელებით, დაწმენდილი გონებით და ალალი გულით.

8901. პოლიტიკა ეს პირადი დაინტერესება და ამბიციების დაკმაყოფილებაა სხვაზე ზრუნვის მომიზეზებით.

8902. თავს უფლება არ უნდა მივცეთ პოლიტიკოსებმა ,,უმიზნოდ'' მოგვისყიდონ.

8903. სულით ყველა კურტიზანკაა, ვინც ძალაუფლებისთვის იბრძვის, რადგან ისინი ცდილობენ უხეში ამბიციების ინტელექტის ვნებით დაკმაყოფილებას.

8904. პოლიტიკა ,,მუჭურისტების'' საქმე არ არის, მაგრამ ყველა უიღბლო, უსაქმური, ავანტიურისტების თამადობით, მას ეტმასნება.

8905. პოლიტიკა ყოველთვის მოხერხებულ გამცემლობაზე და გამართლებაზე იყო აგებული.

8906. მშიშარა, ზარმაცი, ქლესა ხალხის საქმე პოლიტიკა არ არის, მაგრამ უმეტესად დღეგრძელნი ისინი არიან ხელისუფლებაში.

8907. პოლიტიკა თავისებური კულინარიის ხელოვნებაა, სადაც ახალი სამზარეულო ძალზედ ბევრს ძველიდან სესხულობს.

8908. საზოგადოებას პოლიტიკაში გენიოსი სჭირდება, რომლის სამართავ ოლიმპზე ასვლა, ყველა მეცნიერულ მიღწევაზე მეტი ენერგიის ხარჯავს მოითხოვს, განსაკუთრებით, თუ შენმა იდეოლოგიამ, მცდელობამ, დიდხანს უნდა იბოგინოს.

8909. გულით ემსახურე იმ უმადურ საქმეს, რომელსაც პოლიტიკა, ძალაუფლება ჰქვია, სადაც ბევრი რამ ევოლუციას პროცესებზე, პროგრესზე, შემთხვევაზე და დროზეა დამოკიდებული, ეს ერთეულ განწირულ, ამბიციების მქონე რჩეულთა ხვედრია.

8910. პოლიტიკაში კატაკლიზმებს ზოგჯერ გენიოსი მოჰყავს ქვეყნის სამართავად, მაგრამ ხალხს დედა ეტირება, რადგან მასა შრომისათვის და გამრავლებისათვის განწირული.

8911. პოლიტიკა ეკონომიკის კანონების გარეშე ნულს უახლოვდება, თუკი პირიქით – ნულზე მაღლა დგომას ახერხებს.

8912. დიპლომატები იმდენს ფიქრობენ და აჭიანურებენ დროს, რომ საქმე თავად რიგდება და ამას საქმის კეთებას და პროფესიონალიზმს უწოდებენ.

8913. პოლიტიკოსს ხშირად თავისი სურვილი ხალხის ნებაში ეშლება, რადგან სასურველის სინამდვილესთან შერწყმა სურს.

8914. ქართული პოლიტიკა მუდამ წყალწაღებული მიცვალებულივითაა. ამის მიზეზი ყოველთვის გაუტანლობა და შური იყო და არის.

8915. სულით მომაკვდავ პოლიტიკოსის ყურება და მის იმედზე ყოფნა ფუჭად დროის გაფანა და უსაქმობაა.

8916. მმართველ პარტიას ყოველთვის ყავს თანამდგომი პატარა სატელიტი პარტიები, რომლებიც „ჩამშვების“ როლს ასრულებენ და დემოკრატიულ-ნაციონალური პარტიის სახელით წარმოგვიდგებიან.

8917. პოლიტიკური პრეფერანსით თამაშის უნარი ბევრ სახელმწიფო მოღვაწეს არ შესწევს, განსაკუთრებით, დროით გათავხედებულ მმართველებს.

8918. მშიშარა უკანალი საკუთარ პოლიტიკას ვერასოდეს შექმნის.

8919. პოლიტიკა, რომელიც ეკონომიკას ვერ ქმნის, მშვიდობას ვერ იცავს, ქვეყანას ვერავითარ სიკეთეს ვერ მოუტანს.

8920. გამონაკლისები განსაზღვრავენ ქვეყნის პოლიტიკას და ყოფის ნორმების ავან-ჩავანს.

8921. კომედია არის სატირული დრამა, რომელშიც პოლიტიკა ყოველთვის იგულისხმება.

8922. ტყუილებმა და ზღაპრებმა პოლიტიკაში ძილის მოგვრა იცის და ქვეყანა ამ ილუზიებიდან დროულად უნდა გამოვიდეს.

8923. პოლიტიკა იმედის გარეშე არარაობაა, მიზნის გარეშე პოლიტიკანობაა.

8924. როდესაც კარგად ჩაუღრმავდებით პოლიტიკოსთა ამქარს, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ყველა მათგანი გადაღლილი მამაკაცური ღირსებით არის გაკეთებულ-ჩასახული.

8925. პოლიტიკაში მთავარია, რა არის სასარგებლო შენი ქვეყნისთვის, ხალხისთვის, შენი კარიერისათვის და არა – სამართლიანი და უმრავლესობისთვის მისაღები.

8926. საქართველოს ხშირად ისეთი ჯიუტი პოლიტიკოსები ჰყავს, რომ მათ წლების გადასახედიდან გაშლილ კარტებშიც კი უჭირს რეალობის აღქმა, რადგან სახელმწიფოს მოწყობაზე ეს მათ უგნურ წარმოდგენას ეწინააღმდეგება და ჭეშმარიტებასთან საერთო არაფერი აქვს.

8927. პოლიტიკაში ყველა პარტნიორი, მეგობარი, მოკავშირე დროებითია, გარდა დამპყრობლური ჟინის, რომელსაც დრო და ასაკი მტრობს.

8928. მხოლოდ ბარბაროსები ებრძვიან მემორიალებს, ძეგლებს, ლეგენდებს, რათა თავიანთი უსუსურობა–უგნურება პოლიტიკაში ნაციონალიზმის სათუო ფარს ამოაფარონ.

8929. იმპერია ძალადობის გარეშე ვერ იარსებებს, ხოლო დიქტატურის გარეშე არ იმართება, ასე, რომ სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების პირველ პერიოდში დროებით ერთიც საჭიროა და მეორეც, რადგან რეალურ პოლიტიკას თავისი ალგორითმი აქვს და ის მხოლოდ ხალხის იმედით და სურვილების აქსიომით არ იმართება.

8930. დემაგოგია, თავდაცვის კლასიკური იარაღია მაძღარი პოლიტიკოსისთვის.

8931. პოლიტიკა, ეკონომიკის უცოდინრობის მიუხედავად, ყოველთვის მას ეტმასნება, იმისდამიუხედავად, რომ ხშირად მის მიმართ პატივისცემით არ გამოირჩევა.

8932. თავისუფლებასა და თავშეკავებას შორის მუხრუჭების გამოყენება პოლიტიკოსის შინაგანმა ცნობიერებამ უნდა განსაზღვროს, განსაჯოს, გარემოს შეუხამოს და ასე უნდა იღვაწოს.

8933. პოლიტიკა არცთუ ისე სუფთა ხელებით მცდელობის, ქმედების შედეგია, მოხერხებული გონიერებით.

8934. პოლიტიკა პირადი ამბიციების დაკმაყოფილებაა, ხალხზე ზრუნვის მომიზეზებით.

8935. პოლიტიკოსია, ვინც რთულ სიტუაციაში საკითს წყვეტს და დროს გაყვანას არ ცდილობს.

8936. პოლიტიკის დანიშნულებაა ისე აღზარდოს ხალხის ცნობიერება, რომ ყველა წყობას მოარგოს.

8937. პოლიტიკოსის მიზანია სიცოცხლისუნარიანი და პერსპექტივის მქონე სახელმწიფოს შენება, რაც შეეხება ქონებას, ქრთამს, კარიერას,

გარდამავალია და ვის ხელში მოხვდება აღმშენებლობისთვის დიდი მნიშვნელობა არ აქვს.

8938. პოლიტიკა ეს არის სამართლიანობის იდეალებზე წურბელა-სავით მოკიდება, რომელიც სინამდვილეში პიარისათვისაა საჭირო და არა საქმის საკეთებლად.

8939. პოლიტიკოსი თავისიანებად და ხალხად იმათ თვლის, ვინც მის მხარესაა, ზურგში უდგას და ხმას აძლევს, სხვა ყველა მისი მტერია, პოლიტიკურად ბეცია და გაუნათლებელი ხეპრეა.

8940. პანელური დისკუსიებით, რატომღაც, პოლიტიკოსები უფრო ერთობიან, ვიდრე რეალური საქმის კეთებით და გადაწყვეტილებათა მიღებით.

8941. არჩევნების და კანონმდებლობის თამაშის ცოდნა პოლიტიკა-ში წარმატების საწინდარი არ არის, რადგან მოხერხებულობის დაფი-ნანსების, ყბედობის ცოდნის გარეშე ყურადღებას არავინ მოგაქცევს, ხოლო პოლიტიკაში მოგებაა მთავარი და არა – თამაშის წესების დაცვა და მისი ცოდნა.

8942. თუ გინდა ერთ სიბინძურეს თავი დააღწიო და სხვა სიბინძუ-რეში თავი არ გაყო, პოლიტიკას უნდა შეეშვა.

8943. პოლიტიკის დანიშნულება სამართლიანობის და აუცილებ-ლობის სათავისოდ მოთარგმნა და კანონიერებაზე მორგებაა.

8944. პოლიტიკის ეკონომიკასთან შერწყმა მაშინ ხდება, რომელსაც პირველი ეხმარება და ითვალისწინებს მეორის კაპრიზებს გამოცდილე-ბას, რისკს და არა – პირიქით.

8945. ჩვენთვის მომხიბვლელი პოლიტიკა ხშირად ერთსქესიანთა ქორწინებას მოგვაგონებს, რადგან დროებით ვისაც გვინიშნავენ, სამუ-დამოდ იმას ვირჩევთ.

8946. ვაი პოლიტიკისგან განსხვავებით, ისტორია დროშას, სინდისს, ჩადენილ გმირობას, სანაგვეზე არ მოისვრის, რადგან პოლიტიკა კონ-სენსუსის მიღწევაა გონიერების მოშველიებით და არა – სპეკულაცია, ჩარჩობა.

8947. პოლიტიკოსი იმით განსხვავდება რიგითი მოქალაქისაგან, რომ მან წინასწარ უნდა განსაზღვროს, რას მოიტანს მისი არაადეკვატური ქმედება.

8948. თუ პოლიტიკაში ბიზნესი თავის ინტერესებისათვის ფულს იხდის, მას იშვიათად ედავებიან, მაგრამ თუ პირიქით ხდება, ედავებიან კიდეც და ზოგჯერ სიცოცხლესაც ასალმებენ.

8949. სენტიმენტალობა ყველაზე დიდი მტერია პოლიტიკის, რად-გან მას დამყოლს ხდის და სარბიელს აკარგვინებს.

8950. პოლიტიკაში უკან შემობრუნება დაუშვებელია, მან სულ წინ უნდა იაროს, წინააღმდეგ შემთხვევაში, უკან ჩანჩალისთვის განწირული ოპოზიცია თავს წამოყოფს და სათავეში მოხვდება.

8951. პოლიტიკა სამართლიანი ძალა, შემართება, მცდელობაა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მასში ცხვირის ჩაყოფა არ ღირს.

8952. პოლიტიკაში, პირველ რიგში, მათრახის საქმიან ხმარებას, სასუსნავის გადანაწილების ალგორითმს და შთაგონების ხელოვნებას უნდა დაეუფლოთ, მხოლოდ ამის შემდგომაა შესაძლებელი ხელისუფლებაში მოსვლა და ქვეყნის ბედზე ჩალიჩი.

8953. პოლიტიკა არ შეიძლება თავისუფალი იყოს სისხლისღვრისაგან, სიმკაცრისაგან, დამორჩილებისაგან, რადგან მან უნდა დაიცვას თავისი სივრცე, საზოგადოებრივი წყობა, მომავლის იმედი, ამიტომაა, უნდა თუ არა, ხშირად სისხლშია გასვრილი.

8954. პოლიტიკა ფაქტობრივად მოპარული „ჭინჭების“ შენარჩუნების მცდელობაა ძლიერთა ამა ქვეყნისა ელიტაში ადგილის შენარჩუნებით და არა – ხალხის კეთილდღეობაზე გადაყოლა.

8955. პოლიტიკურ და ეკონომიკურ იდეებს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი თავის შემდგომ მიცვალებულ ან გამოცოცხლებულ ქვეყანას ტოვებს, მეორე გაღატაკებულს ან გამდიდრებულს.

8956. პოლიტიკაში ქალი უკეთ გრძნობს სად უნდა დათმოს და როგორ უნდა შესწიროს დროებით თავის ინტერესები.

8957. დიპლომატია შექმნილი მდგომარეობას „ჩვენებაა“, გააზრებაა და არა – მუშტების ქნევა და გულზე ხელების ბრაგუნი.

8958. ზოგჯერ დიდი ქვეყნების თავხედობას საზღვარი არ აქვს, როდესაც პატარა ქვეყნებს „ვერ ხედავს“ და თავს იყრუებს.

8959. პოლიტიკისთვის საუკეთესო ალიბი უმეტესობის არჩევანია და – არა მათი აზრი.

8960. დემაგოგია პოლიტიკის ერთ-ერთი საყრდენია და არა საფუძველი.

8961. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ პოლიტიკურ მასხარებს ხალხი ეტყობა გასამხიარულებლად ირჩევს, აბა მათ უგერგელობას ტყუილუბრალოდ ხომ არ გადაუხდის ხელფასს.

8962. ელექტორატი – ერთჯერადი ტუალეტის ქაღალდია, რომელიც ხშირად ყიდვას საჭიროებს.

8963. ზოგჯერ მშვიდობის საფუძველია მოწინააღმდეგეთა უპერსპექტივო მოლაპარაკებით დაღლა. ამის შემდგომაა შესაძლებელი კომპრომისი.

8964. ოფიციანტისა და პოლიტიკოსის პროფესია ძალზე ჰგავს ერთმანეთს, იმ სხვაობით, რომ ერთი საერთო მენიუს გვთავაზობს, მეორე – თავის ჩასწორებულს, ხოლო პირველს თუ მომსახურებისათვის ხურდას დაუტოვებ, ხოლო მეორეს – აირჩევ, ორთავენი კმაყოფილები არიან მომავალ შეხვედრამდე.

8965. პოლიტიკა წახალისებაა, ურთიერთპატივისცემაა, ნებაყოფლობითი დაძალებაა, მოვალეობათა გაცნობიერების კონგლომერატია, რომელსაც ქვეყნის პირველი პირი უნდა ფლობდეს.

8966. პოლიტიკა ოპოზიციაში დარჩება თუ პოზიციაში, ხალხის შეგნება წყვეტს და არა – ბრბოს ნება, როგორც მათ ეს ჰგონიათ.

8967. პოლიტიკა უკეთესობისაკენ მიმართული მცდელობაა, სადაც უხერხულობა გარკვეულ პერიოდში დასაშვებია, ყოველგვარი რევოლუციის და სისხლისღვრის გარეშე.

8968. პოლიტიკაში მთავარია სულით მეძავი არ იყო, სხვა მხრივ კი როგორც „დაჯდება“, ისე უნდა ემსახურო თავსაც და ხალხსაც.

8969. პოლიტიკა და სიცრუე ტყუპისცალები თუ არა, ბიძაშვილები მაინც არიან.

8970. პოლიტიკა არაზუსტი მეცნიერებაა, მაგრამ თავისი საქმის კეთებას შემართებით ცდილობს და სხვა დარგებსაც სიამოვნებით იმხრობს.

8971. პოლიტიკოსის ვალია ხალხმა თავის ძალა, შესაძლებლობა იწამოს, წინ წაუძღვეს და "ქვეშიდან გამოსვლის" უფლება მოუსპოს.

8972. თუ პოლიტიკოსის ჯეელობაში შეძენილ ზედმეტ სახელს ხალხი ახმოვანებს ეს პოლიტიკოსის საქმისადმი დამოკიდებულებაზე მიუთითებს.

8973. ყველა სახის პოლიტიკა ფულის შოვნის საშუალებაა, იმისდამიუხედავად, მოხვდები ოლიმპის მთაზე თუ არა.

8974. პოლიტიკაში ან ძალა უნდა შეგვწევდეს ან ქლესაობის უნარი, ჩვეულებრივი მომაკვდავისთვის პატიოსნების იმედით მოსვლა „დანაშაულია“ – ვერც ხალხი გაუგებს და ვერც თანამოაზრენი.

8975. პოლიტიკოსსა და პოლიტიკანს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი დღევანდელი რეალობის გაუმჯობესების საერთო გეგმას გვთავაზობს, მეორე ხვალინდელი დღის აყვავების არარეალურ პროგრამას.

8976. პოლიტიკა საქმის გაბაზრებას ვერ იტანს, იმისდამიუხედავად, რომ მთელი ცხოვრება ამ ბაზარში უხდება ყოფნა.

8977. პოლიტიკას მიტმასნილნი თავის ფსონს ყოველთვის ქაოსზე დებენ დემოკრატიის სახელით.

8978. პოლიტიკოსობა სულით დავადებულთა სამუშაოა, თორემ ამდენი შტერის ჭკუის სწავლებიდან და გინებისგან თავს არ დაიმცირებდა.

8979. პოლიტიკა იმ სახით ქადაგებს, რაც ჩაფიქრებული აქვს, ხოლო იმ სახით მართავს, რაც შეუძლია და როგორც გამოუვა.

8980. „ამერიკის ხმა", პირველ რიგში, აშშ ძლიერების რუპორია და არა – თავისუფლების, დემოკრატიის და სამართლიანობის მეხოტბე.

8981. სახელის უკვდავსაყოფად, კარგია თუ პოლიტიკას არ ეხები და ყველა წყობა შენით ამაყობს. მაგ. კლასიკა, მეცნიერება და არა ის, რასაც დროის ვიგინდარობა და ბრბოს სურვილი მოითხოვს.

8982. პოლიტიკურად მიცვალებულზეც მხოლოდ სიმართლე უნდა ვილაპარაკოთ.

8983. პოლიტიკაში კინტომ დღეს ყაჩოღლობა გაინაღდა, რადგან საზოგადოებრივმა აზრმა ფუნქცია დაკარგა და არც ისეთი პიროვნება დარჩა, რომელიც ალიყურს აგემებდა.

8984. ხალხი უნდა აქო და ადიდო, მაგრამ პოლიტიკოსმა მათი საკეთებელი საკუთარი ჭკუით უნდა აკეთოს, თუ სურს ქვეყნის ისტორიასაც შემორჩეს და შთამომავალთა აპლოდისმენტებიც დაიმსახუროს.

8985. პოლიტიკური ქმედება, სექსაობას ჰგავს: თავად ისიამოვნოს, საზოგადოებას ნაშიერი აჩუქოს ყბედობით დუჟი არ მოადგეს და ხელშესახები რაღაც დატოვოს.

8986. ამ ბოლო დროს პოლიტიკოსები სერიოზულად არც გემოვნებაზე დაობენ, არც ყოფის ხარისხზე და არც სიცოცხლის დიზაინზე, ცხოვრების იმდენად ერთნაირი გადასახედი აქვთ.

8987. პოლიტიკა მეოცნებე უზნეოთა საქმეა, მათი განსჯა – მარად უსაქმოდ დარჩენილი უმადურებისა.

8988. ოპოზიცია სუსტია, თუ მატერიალურად, მორალურად და წარსულის გამოცდილებით არ არის გამაგრებული და მხოლოდ სურვილები ამოძრავებს.

8989. პოლიტიკას სჭირდება ცივი გონება, „ადუღებული" ტვინი და მოხერხებული ჭკუა. კარგი სურვილებით, ალიბის ქონით და მონდომების უნარით.

8990. პოლიტიკა მოძრაობის შესაძლებლობაა, ეკონომიკის საწვავთან შერწყმით, მუხრუჭზე ფეხის აშვება – დაჭერით, ხალხის განწყობაზე თამაშით და თავის წარმოჩენის მცდელობით.

8991. დიპლომატია ის, ვინც „არას" ამბობს, რომ „კის" ემსგავსება და იმედის მომცემად ჟღერს.

8992. პოლიტიკოსია, ვინც იცის 10-100 წლის შემდეგ არა მარტო ის, მოწინააღმდეგე რას მოიმოქმედებს, არამედ რა შედეგს მიიღებს.

8993. პოლიტიკოსი უნდა იყოს: სამართლიანი, ბრძენი, მამაცი, თავშეკავებული, მოფასი, მოხერხებული დიპლომატი, მომსმენი, განმსჯელი, წინმჭვრეტი, მოუბარი, შემოქმედი, წინაპართა დამფასებელი, კონკურენტიის პატივისმცემელი, კანონის მორჩილი და რაც მთავარია, დიდი გაიძვერაც.

8994. მოქნილი და გაქექილი სხვადასხვა რამაა, მაგრამ არა – პოლიტიკისთვის.

8995. დემოკრატია, სიტყვის თავისუფლება, საუკეთესო გარსაფარია პოლიტიკისთვის, რომ თავი არ შეიწუხოს და მუდმივად გასამართლებელი ალიბი ჰქონდეს.

8996. თუ პოლიტიკაში ეტენები და ამისათვის გჭირდება ხალხი, კეთილი ინებე და საკუთარ შეცდომა-გადაცდენაზე პასუხი საკუთარი სისხლით აგე და არა – სხვისით, რომელიც შენი შეცდომების არაექვივალენტურია.

8997. ყველაზე დიდი პოლიტიკოსია ის, ვინც ცხვირს იქ ყოფს, სადაც გასდის და არა იქ, სადაც არაფერი ესაქმება.

8998. პოლიტიკური მოღვაწე ფაქტიურად მორალის მქადაგებელი არასაიმედო ავტორიტეტიცაა.

8999. პოლიტიკა მოსახლეობას ჩაის კოვზით უნდა მივაწოდოთ და არა – სუფრის, მაგრამ დროის და თავის წარმოჩენის უკუღმართობა ზოგჯერ გვაიძულებს მათლაფებით ჩამოვარიგოთ.

9000. პოლიტიკურ პარტიათა დაპირისპირება შანსს გიტოვებს შენს პარტიას სამი თითის კომბინაცია არ აჩვენონ და უტუ ამომრჩეველი მიიმხრო.

9001. პოლიტიკის დედააზრი სიახლის ძიებაა, რადგან ყოველთვის კომპრომისი ვერ ამართლებს, როგორც საკუთარი, ასევე სხვა ამომრჩევლის წინაშე.

9002. ყველაზე ადვილი მისამხრობია: ხელმოცარული, უსაქმური, მშიშარა, სისულელის მოტრფიალე და ავანტურისტული ბუნების ადამიანები, რომელთაგან დროულად უნდა განთავისუფლდე, თუკი მათი დახმარებით კარიერის ოლიმპზე აცოცდი.

9003. პოლიტიკაში მთავარია ნათელი მიზანი და არა – ამომრჩევლის ჭკუის დაბინდვა და ხმების დაბინავება.

9004. მცდელობა, რომელიც შედეგს, ანუ ფულს არ იძლევა, ყოფითი ონანიზმია და არა – საყოფაცხოვრებო პოლიტიკა.

9005. პოლიტიკაში მთავარია შენს უკან ვინ დადგება, მხარში მერე როგორ ამოგიდგება და არა ის, ვინც ტაშს დაგიკრავს, დითირამბებს არ მოგაკლებს და მალე დაგივიწყებს.

9006. პოლიტიკა კონკურენციას, ეკონომიკურ რეფორმებს, წინ არასოდეს არ უნდა უსწრებდეს, ის უბრალოდ ხელს უნდა უწყობდეს მათ წარმოჩენას და უკან უნდა მიჰყვებოდეს.

9007. პოლიტიკა ახალგაზრდობაზე ცდილობს გავლენის მოპოვებას, თორემ ხანდაზმულობა მისი უკმაყოფილოა და ჭკუის იქით სწავლებას ცდილობს.

9008. სამერმისო კეთილი საქმე დღეს შეიძლება ჭუჭყიანი ხელითაც ვაკეთოთ, დროულად ჭუჭყის მოშორებით, რათა ის დასამახსოვრებელი არ გახდეს.

9009. პოლიტიკაში აუცილებელი არაა გაჭიმულ ბაგირზე იარო, უბრალოდ, მიწაზე უნდა დაეშვა და მშვიდად სეირნობა შესძლო.

9010. პოლიტიკოსები მათემატიკას იმიტომ არ წყალობენ, რომ მას სიზუსტე და ანგარიში უყვარს, ხოლო ჭეშმარიტებასთან შერკინების შემთხვევაში ყველა სახის პოლიტიკური დაპირება და პიარი ხუნდება.

9011. დღეს პოლიტიკაში ნელი ცეკვისთვის დრო არ რჩება, რათა ცხოვრება მდორედ, ზლაზვნით არ გავატაროთ და იმქვეყნად გულსატკენი არ გადავბარგდეთ.

9012. პოლიტიკა გონივრული წინხედვაა, რომელმაც შემთხვევა, ხალხის განწყობა და ქვეყნის გაფართოების შესაძლებლობა ხელიდან არ უნდა გაუშვას, თუ სურს ქვეყნის ისტორიას შემორჩეს.

9013. პოლიტიკა უფულოდ, ,,მასმედიის" მხარში დგომის გარეშე, წააგავს ახალდაბადებული ბავშვის გამოკვებას ურძეოდ.

9014. პოლიტიკა ყოველთვის ცდილობს სამართლიანი იყოს, ოღონდ თავის სასარგებლოდ.

9015. პოლიტიკას ყოველთვის სჭირდება ამბიციებისაგან განთავისუფლება, რათა პოლიტიკური მაზოხიზმებიდან თავი დაიძვრინოს.

9016. პოლიტიკაში ზოგჯერ არის საკითხი, რომელიც სამუდამო დასამარებას მოითხოვს, მაგრამ მისი კეთება აუცილებელია, რაც თავის ქვეყანაზე გადამკვდარმა პიროვნებამ უნდა აკეთოს.

9017. პოლიტიკა ქილერობა არ არის, რომ ოპონენტს ჩაუსაფრდე და კომპრომატების ტყვიები დაუშინო. პირიქით, მისგან მისაღები აზრები უნდა აკრიფო, ნიჭიერი პოლიტიკოსი თანამდებობაზე უნდა გაუშვა, გამოსცადო, რადგან პოლიტიკა ქვეყნის პატრონობაა და არა – ხალხის დაპირისპირება, გადაკიდება.

9018. პოლიტიკა წახალისების, ნებაყოფლობითი სტიმულირების, ურთიერთპატივისცემის – გაგების, მოვალეობათა გაცნობიერების კონ-გლომერატია და მარადჟამს წინ უნდა იყურებოდეს.

9019. პოლიტიკა ეს არის სამართლიანობაზე წურბელასავით აკვრა, რომელიც ყველას თავისი გაგებით, მოვალეობით და სარგებლით ესმის.

9020. დღეს ეკოლოგია სამყაროს პოლიტიკაა და არა – პეპლების და ჰაერის დაცვა, რადგან გლობალური დათბობა პლანეტაზე თავხე-დურად ამოუცნობლად მიმდინარეობს.

9021. პოლიტიკას სამი ძირითადი კითხვა აქვს: ვინაა დამნაშავე, რა ვაკეთოთ და მჭერმეტყველება ვის სასარგებლოდ დავაბანდოთ.

9022. დღეს პოლიტიკაში ყველა თავის უკანალის გათამაშებას ცდი-ლობს, თავის დაზღვევით და ესაა ყველაზე დიდი უპასუხისმგებლობა, რადგან ხელისუფლად იბადებიან, ხოლო დრო, შემთხვევა და განგების ნებაც ამ ნიჭიერ ხალხს თავის ადგილს მიუჩენს ისტორიაში.

9023. დღეს ქვეყნის პირველ კაცად თავის წამოყენება ელიტარული პოლიტიკის რეჟისურას მოითხოვს, რადგან ხალხს უმთავრესად პოლი-ტიკური შოუ მოსწონს და არა მისი რეალობა, რომლის აღქმა არ შეუძლიათ და არც სერიოზულად აინტერესებს.

9024. პოლიტიკოსი თავისი დროის ქილერია, რომლის მჭერმერ-ტყველობა და იმიჯი მოწინააღმდეგისთვის თავში საკონტროლო ტყვიის გასროლაა, ხოლო გამაფრთხილებელი – მისი ოპონენტისთვის გულში, რადგან სხვანაირად არც მხარისამბმელი ეყოლება და არც ზურგის გამმაგრებელი.

9025. იყო სამართლიანი და უკან დაბრუნება არ მოითხოვო ივანე მრისხანეს, პეტრე დიდის, ,,ხალხის მამის'', სტალინის, მონაპოვარი უსინ-დისობა, ან იყო ადამიანების უფლებების, პიროვნების თავისუფლების და დემოკრატიული სამართლიანობის მებაირაღე და ამერიკელ აბორი-გენებს, ინდიელ ტომებს, თავის ტერიტორიები არ დაუბრუნო, სახელ-მწიფოებრიობა არ აღუდგინო და მომხდურნი უკან ევროპაში არ დააბრუნო, ციხიზმია, მაგრამ პოლიტიკა სირცხვილისაგან არასოდეს გაწითლებულა და არც გაწითლდება, რადგან ყველა ,,სამართლიანო-ბის'' დემაგოგიაში საკუთარი ინტერესები დევს.

9026. პოლიტიკას მიზანსწრაფვა, სტრატეგია, შენდობა, თავდადება და რაც მთავარია, რეალობის აღქმის კულტურა სჭირდება.

9027. საოცარია, მაგრამ პოლიტიკა შესაძლებლობების ონანიზმია, რომელიც პირველ რიგში სიამოვნებას საკუთარ თავს ანიჭებს, რაც გადარჩება ტაშის დამკვრელებს და ხალხს.

9028. რატომღაც ჩვენი პოლიტიკოსები თავიანთი უგერგილობით, ეროვნულობის საამაყო სასმელ წყალს, სხვათა ნაცოხნარის კანალიზაციას ურთებენ და ეს ქვეყნის პატრონობა ჰგონიათ.

9029. სამწუხაროდ, პოლიტიკის გარეშე ვერც ერთი მცდელობა ფეხს ვერ იკიდებს და ვერც სათანადო საქმეს აკეთებს, განსაკუთრებით, თუ ქვეყანა აჭრილია და პოლიტიკურ ვნებათა თუხთუხი ყბადაღებული დემაგოგიაა.

9030. თანამდებობის პირთან შეხვედრა ან მასთან ნაცნობობა ხშირად ფუჭ იმედია, რომ შენს აზრებს გაიზიარებს, პოლიტეკონომიკურად მისი განხორციელება რაც უნდა სასურველიც იყოს.

9031. პოლიტიკაა ისტორიის გამოყენებითი ხელოვნება და არა – პირიქით, რადგან პოლიტიკა ჭეშმარიტებას თუ არ ღაღადებს, რეალობასთან ახლოს მაინც უნდა იდგეს.

9032. პოლიტიკა შოუ-ბიზნესის ნაწილია და იძულებულია წინასწარ გაანგარიშებული „სისულელეები“ ჩაიდინოს ამომრჩეველთა მოსაზიდად.

9033. პოლიტიკა არა მარტო ჩასაფრებაა, მიოთმინებაა, ხელსაყრელი მომენტის გამოსაჭერად, არამედ დროის გამოყენება გულსამაჩუყებელი „დედის გინებით“.

9034. პატიოსანი, უანგარო, გონიერი, პოლიტიკოსი თეორიულად ყოველთვის მეტია, მაგრამ პრაქტიკულად ყველა იტყუება.

9035. ყველა პროფესია პოლიტიკანობაა დარგში დამკვიდრების მცდელობით და ეს არის ჩვენი ყოფის ჭუჭყიანი და სანუკვარი მხარე.

9036. ზნეობა პოლიტიკისთვის უცხო არ არის, მაგრამ თუ დროს სჭირდება, თვალი თავადაც უნდა დახუჭოს და ფეხიც დააბიჯოს, თუ მისი ქმედება საზოგადოებისთვის სარგებლობის მომტანია.

9037. პოლიტიკოსი მკაცრი, ცინიკოსი, შეძლებისდაგვარად, სამართლიანიც უნდა იყოს, რათა თავისიანების ხროვაში თავი გაიტანოს, წარმოჩნდეს, ითავკაცოს, მაგრამ ერთი პირობით, ხალხს არ უნდა დასცინოს.

9038. პოლიტიკაში ზნეობა უტოპიური იდეალია, რომლისკენ უნდა მივისწრაფოდეთ, ოღონდაც ფეხის წაუტეხლად და ვნებათა წარმოჩენის გარეშე.

9039. პოლიტიკის მთავარი მიზანია ძალაუფლების ხელში ჩაგდება, ნაციონალური მაზოხიზმით და პატრიოტიზმზე თავის დადებით.

9040. პოლიტიკოსი თავის ქვეყანას ხარშავს, აზავებს, აგემოვნებს და ისე წარმოაჩენს, „პოლიტიკანი“ ქვეყნის ავ-ბედს შორიდან დაჰყურებს,

ჩასაფრებულია, განიცდის. ხოლო პოლიტოლოგი ანალიზითაა დაკავებული და ჭკუას გვასწავლის.

9041. პოლიტიკას საუკუნეთა ორომტრიალი განსაზღვრავს და თანამედროვენი განსჯიან, რადგან თუ საჭიროა, უნდა ივაჭროს, მოიტყუოს, კაციც უნდა გაწიროს – პროფესიაა ასეთი, რომელიც ზნეობაზე უნდა ყბედობდეს, მაგრამ ქვეყნის სასარგებლო საქმეს აკეთებდეს.

9042. პოლიტიკა პირველ რიგში არჩევანია – რა უნდა გააკეთო: პენსიონერებს ყოფა გაუმჯობესო, ქვეყნის ძლიერებას მიხედო, ხალხი დაასაქმო და თავი წარმოაჩინო. ეს საჯილდაო დილემა იყო და დილემად დარჩება ყველა პოლიტიკოსისთვის.

9043. პოლიტიკური ზნეობა: კანონის უზენაესობა, ხალხზე, ჯანმრთელ და განათლებულ ახალგაზრდობაზე ზრუნვა, მეზობელ ქვეყნებთან კარგი ურთიერთობით და ქვეყნის შეიარაღებული ძალების გაძლიერებით.

9044. დღეს საერთაშორისო პოლიტიკა, ურთიერთობა, უფლებები, მოძველდა, მაგრამ მისი საძირკველის დანგრევა, უარყოფა, არ შეიძლება. ჯობს თანდათანობით გავთანამედროვდეთ, შემოვიღოთ საერთაშორისო კანონმდებლობა, სამყაროს კონსტიტუცია და სამყაროს უსაფრთხოებასაც პოლიტიკანების მხრიდან არაფერი დაემუქრება.

9045. თუ ვისმეს დახმარება არ შეგიძლია და ხელის განძრევა გეზარება, მიეძალე პოლიტიკას, ის ყველა შენს უნიათობას დაფარავს და წარმოგაჩენს.

9046. სსრ კავშირის უმთავრესი სიბეცე ის იყო, რომ მოუმზადებლად წამოეგო დემოკრატიის პრინციპებს და თავისუფლების ქარტიას და გამოცდის პერიოდში მყოფ კომუნისტურ იდეოლოგიას. კორექტივების შეტანის ნაცვლად ზურგი უჩვენა. უღალატა ამ იდეოლოგიის მიმდევარ მეგობარ ქვეყნებს, წინაპართა ამდენი სისხლისღვრა და გაჭირვება, ნათელი მომავლის იმედი წყალს გაატანა და დღეს მისი მემკვიდრე რუსეთი რა საზოგადოებას აშენებს, ვერ გარკვეულა, რადგან ძველი ბაგაჟის თრევისთვის თავი ვერ დაუნებებია.

9047. პოლიტიკა იშვიათად ყოფილა ღირსეულების გზა, რადგან მასში უმეტესად ცხოვრებაზე დაბოღმილი, უიღბლო კარიერისტები მიძვრებიან.

9048. ყველა პოლიტიკოსის დევიზი უნდა იყოს: გავუსწროთ გადაუსწრებლად, რადგან ქვეყნის ეკონომიკა და პოლიტიკა ისე უნდა იყოს აწყობილი, გასწრება-გადასწრება თავში არავის უნდა მოსდიოდეს.

9049. პოლიტიკა მეცნიერებაცაა და ხელოვნებაც, რომელსაც დრო, შემთხვევა და ბედი გვერდზე უნდა დაუდგეს.

9050. პოლიტიკოსს გულწრფელობის, სიმართლის დედასთან ჩახუ-ტების, უფლება ყოველთვის არ აქვს, რადგან ეს ბრბოში, რომელსაც თავი ხალხი და ერისშვილი ჰგონიათ, შეხლა-შემოხლას გამოიწვევს.

9051. ორჯერ ორი პოლიტიკაშიც ოთხია, წინააღმდეგ შემთხვევაში, მსოფლიო წესრიგსაც საფრთხე და აღრევა ელის.

9052. ქვეყნისთვის მთავარია მართვის შედეგი და არა – სამარ-თლიანობისთვის დაუმთავრებელი ბრძოლა, რომელსაც პოლიტიკურ სისულელემდე უკომპრომისოდ მივყავართ.

9053. პოლიტიკას და ბიზნესს, ეკონომიკისა და დიპლომატიისგან განსხვავებით, მკაცრი სამყარო აქვს, სადაც ყოველივე ცოდნაზე, შემარ-თებაზე და ფანტაზიაზე დამყარებული.

9054. ეროტიკა, პოლიტიკა, ფელაზე სარფიანი საქონელია ბრბოს დასამუნათებლად და სავაჭროდ.

9055. პოლიტიკის ხელოვნებაა, შეუძლებელი შესაძლებლად აქციოს, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში, მოლაპარაკება გარკვეულ დრომდე პატით დაამთავროს.

9056. კომპოზიტორი თავის ნაღვაწს გადააკეთებს, დაწუნებულ ნო-ტებს გვერდზე მოისვრის, გლეხი დასთესს ერთი სახის ხორბალს, თუ საკმარის მოსავალს ვერ მიიღებს, მეორეთი შეცვლის, ხოლო პოლიტი-კოსის საწყისი და საბოლოო სამშენებლო მასალა ხალხია, რომელსაც ვერც გამოცვლის და ვერც გადააკეთებს, რადგან მისი ქმედება ისტო-რიამ დააფიქსირა. კარგად თუ ავად, დრო განსჯის.

9057. მოწინააღმდეგის გაცუცურაკებით, შეკავება ფელაზე მოხერ-ხებული პოლიტიკური ფანდია, მოწინააღმდეგის დასასუსტებლად.

9058. საგარეო პოლიტიკაში საბოლოოდ ის იმარჯვებს, ვინც მოხერხებულია, ვისაც დიდი საფულე აქვს და არა ბლომად იარაღი.

9059. კონსერვატორს, ლიბერალს, პროგრესს შორი ის სხვაობაა, რომ პირველს ყოველივე ძველი და გამოცდილი მოსწონს, მეორეს ახალი და ბოლომდე მისთვისაც გაუგებარი, ხოლო მესამეს ყოველივე ახალი ძველთან კავშირში ოღონდ გადამღერების გარეშე.

9060. ზოგი მამაკაცი ისე შეეჩვია თავის ცოლს, რომ მოვალეობას, სურვილის მიუხედავად, ვერ ასრულებს. ასევეა ზოგიერთი პოლიტიკო-სიც ხალხთან მიმართებაში. გამოსავალი ერთია: გაყრა-გადადგომა ან "არხედვის" თამაში.

9061. პოლიტიკოსობას ზოგი იბრალებს, ზოგსაც აბრალებენ, მაგრამ უმრავლესობას ფელა ვაი პოლიტიკოსის უმეცრად სჯერა.

9062. პოლიტიკოსის შესანდობარი ისე უნდა დავლიოთ, რომ არ დავთვრეთ, რათა ჩვენი შესანდობარის შესმა უდროოდ არ მოგვიწიოს.

9063. როდესაც ხალვათად შევსებულ თვითმფრინავში ბიზნესკლასში გაიქაჩები, ეს ვიგინდარა სულის თვითგვემის შედეგია, მაგრამ ამ ყოყლოჩინობის და წამხედურობის გარეშე არც ტექნიკური პროგრესი მიიწევს წინ და არც ბიზნესი ვითარდება.

9064. უსაგნო პატრიოტიზმი – უაზრო ნაციონალიზმია, ხოლო ეს უკანასკნელი უპერსპექტივო ნაციზმია.

9065. წინა თაობას, უნდა თუ არა, მომდევნო თაობებისთვის ცხოვრობს, ხოლო ეს უკანასკნელნი უკეთესი ყოფისთვის იღვწიან, მაგრამ ყოველივე დროის განსჯაზე და ბედის ახირებაზეა დამყარებული.

9066. სხვისთვის სიკეთის კეთება ყოველთვის მათდამი სიყვარულს არ ნიშნავს, ეს ხშირად საკუთარი თავის განავარდებაა, წარმოჩენაა, ნარცისიზმია.

9067. საუკუნეთა გამოცდილება მასწავლებელია, დრო მოსწავლეა, რომელიც ვალდებულია თავის პედაგოგებს აჯობოს.

9068. წინამორბედი კი არ უნდა ვაკრიტიკოთ, არამედ ახალი თვალით გამოჩიჩქნული მისი შეცდომები გავითვალისწინოთ და საქმეს მივხედოთ.

9069. ყველა ჩვენგანი ხანდახან საკუთარი ნაოცნებარის და ნაფიქრალის გმირი ხდება.

9070. ყველაზე დიდი პრობლემა მშობლისთვის იმ წრის ნახვაა, საიდანაც მისი შვილი თავის დაძრომას არ შეეცდება.

9071. სოციოლოგიის აზროვნება ასე იწყება: საინტერესოა, გამოგვადგება და ეს უნდა გაკეთდეს, რათა დავიდარაბით რეკლამა მოგვიმზადოს.

9072. კონტროლის და მოთხოვნების გარეშე, მხოლოდ ნდობაზე დაყრდნობით, პერსპექტივაზე ფიქრი უნაყოფოა.

9073. დასახულ მიზანს, უმეტესად, მომდევნო საუკუნეები ასამართლებენ და აფასებენ.

9074. მორალზე ყველა მსჯელობს, მაგრამ ყველა თავის სასარგებლოდ მის გამოყენებას ცდილობს შექმნილ გარემოებათა გათვალისწინებით.

9075. ბუნტი რას მოიმოქმედებს არავის უწყის, რადგან გონიერებას მის დასამუნათებლად არაფრის კეთება არ უნდა.

9076. ზოგჯერ სასიამოვნო ჭორი შენს თავზეც უნდა გაავრცელო, რათა შენს ქომაგებს ასიამოვნო.

9077. დანაშაული და მონანიება ნათესავები არიან, მაგრამ მათი ძმობა გამორიცხულია.

9078. იაპონიაში სამი კატეგორიის ქალი არსებობს: გეიში, ცოლი, ხასა, ევროპაში – სამი კატეგორიის მამაკაცი: ხვადი, ქმარი და ოჯახის მეგობარი.

9079. რომის იმპერია გარყვნილებამ, ფუფუნებამ, გულგრილობამ დაანგრია და არა სამხედრო ძალის უქონლობამ, გაუნათლებლობამ და უკულტურობამ, რომელიც მათ თავზესაყრელად ჰქონდათ.

9080. არის სამართალი, რომელსაც გასაფრენად ფრთები სჭირდება, რადგან დაბუდებული ჭეშმარიტება ასაფრენ წიწილებს ვერ გამოჩეკავს.

9081. პრვილეგია ჯილდო არ არის, ის თანამდებობის სამსახურია.

9082. სიმართლესაც თავის ფერ-უმარილი და მაკიაჟი სჭირდება, რომ მოსასმენად მიმზიდველი და საინტერესო იყოს.

9083. დასაჯერებელი ეჭვის გუმანი ყოველთვის ზურგს უნდა გვიმაგრებდეს.

9084. სიჩქარე ექსტრემალურ პირობებში გამოსავალია, რადგან აქ გონიერება ინტუიციით, სწრაფად და ოპტიმალურად მუშაობს.

9085. სილამაზე თუ ძალადობს, მას წინ ვერაფერი აღუდგება.

9086. სირთულეების გამარტივება შესაძლებელია, მაგრამ მისი გადაკეთება-გამოსწორება რატომღაც ჩვენთან ძვირად ფასობს.

9087. ალბათ, მოვა ის დროც, როდესაც რობოტი ადამიანებს მომრავლებას გააკონტროლებს და ყურებსაც აუწევს.

9088. ადრე თუ გვიან, ცოდნისაგან განსხვავებით, გამოცდილება თავის დივიდენდებს იძლევა.

9089. დეკოლტე კიდევ ერთი საამო ფორმაა ქალის სხეულის ნაწილის მითვისებისა – გაუხდელად.

9090. დედა შვილის ქცევითაა უკმაყოფილო, შვილი მისი ჭკუის სწავლებით, მაგრამ დედაშვილობას და სიფარულის მოვალეობას სად გაექცევიან.

9091. სიბერეს თავისებური ახალგაზრდული გამოხტომები აქვს, ასაკის გადასახედიდან.

9092. არამზადას წესიერ კაცად ქცევას მამაზეციერი არ გვაპატიებს, რადგან მის მიერ დაწესებული თანაფარდობა დაირღვევა და სამყაროში ყოფნა გაუფასურდება.

9093. სიამაყე ავტორიტეტს აღიარებს, მაგრამ თავს არასდროს ივიწყებს.

9094. თუ უფროსი პიროვნებაა, არც რჩევას იუკადრისებს და შეცდომასაც სხვას არ გადააბრალებს, რადგან გამოცდილებით იცის, თუ არ გარისკავს და სხვას არ მოუსმენს, საქმის კეთება გაუძნელდება.

9095. მასწავლებელია ის, ვინც პროფილაქტიკისთვის მოსწავლეს ენით ამათრახებს და ამ მადლს შეგირდი შეიცნობს.

9096. ფაქტობრივად ჩვენი სამყარო სამოთხეა, მაგრამ რატომღაც სულ იმის ცდაში ვართ ჯოჯოხეთად ვაქციოთ.

9097. სსრკ-ში ნაცხოვრებ ხალხს შეიძლება ჭკუის შერყვა გვაქვს გადატანილი, მაგრამ მაძღარი და მშვიდობიანი ქვეყნის შექმნას საშველი არ დაადგა, შედეგად ვიბოღმებით და უფრო მეტად ვირყნებით.

9098. გულწრფელობა ყველგან და ყოველთვის არ გამოდგება და არც დაგიჯერებენ თუნდაც იმიტომ, რომ შენ იმას არ ამბობ, რაც სხვას მოსწონს და სურს.

9099. ირონიით უპასუხისმგებლო ადამიანები იარაღდებიან, რომელთაც დასაკარგი არაფერი აქვთ, ამიტომ ამ საშიში იარაღის ხმარების უფლება ყველას არ უნდა გააჩნდეს.

9100. მცირე ინფორმაცია ვაჭრობის ბერკეტია, დიდი კი – ამ ბერკეტით ამოტრიალებული მომძლავრებული ქვეყანა

9101. ემანსიპაციით, ფემინიზმით, მქადაგებლები ბოლოს ალბათ ჩადრს გამოკრავენ ხელს, ყოველგვარი აგიტაციის გარეშე, თუ ისინი მამრებისთვის დღევანდელი სახით საჭირონი არ იქნებიან.

9102. ცოდნამ რომ პროფესია და სახელი საჭიროდ და გასახსენებლად აქციოს, ვალდებულია მიმდევრები იყოლიოს.

9103. კუჭისაგან განსხვავებით, ინტელექტი პროტექციის წინააღმდეგია, მაგრამ საკითხს საბოლოოდ მაინც მუცლის გვრემა წყვეტს.

9104. ინფორმაცია – ცოდნის საწყისია, ინტუიცია – შემოქმედების, მათი შერწყმა კი საქმის კეთება--დაბოლოების.

9105. სიმართლის თქმა და ტირაჟირება შენი გადასახედიდან დანაშაულია, თუ ეს აუცილებლობით არაა გამოწვეული.

9106. არის ადგილი, შემთხვევა, რომელიც ერთმა არასოდეს უნდა გაიხსენოს, ხოლო მეორემ არასოდეს უნდა დაივიწყოს.

9107. ხელით დასარტყმელი მოწინააღმდეგე ჯერ კაცად უნდა ცნო, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეურაცხადს და უსუსურს რომ ეჩხუბო, თავად იქნები დამცირებული შემდეგ ჰანგებზე: "ერთი შვილ მაინც გავზარდე საპყართან მეომარია".

9108. იდეოლოგია ეკონომიური შესაძლებლობების და სოციალური აუცილებლობის სხვადასხვა ცნებათა მარაგია, მაგრამ ერთმანეთთან შეუთანხმდებლად მათი იდეოლოგიიდან არაფერი რჩება.

9109. ვერც ერთმა მოქანდაკემ ვერ მოიფიქრა გამოეძერწა სამი თითის კომბინაცია, დაედგა მაღალ პოსტდამენსაზე წარწერით: "მთავრობას ხალხისგან" და პირიქით, რაც ორივეს გაახსენებდა თავიანთი მოვალეობების დროულად შესრულების აუცილებლობას.

9110. ზოგი იარაღი საქმის გადასაჭრელად რადიკალური ღონისძიებაა და არა – აუცილებელი.

9111. მათხოვარი იგივე რეკეტია, ოღონდ მოკრძალებით თავის ჩაღუნვით და ზურგისუკან დაცინვით.

9112. ფელაფერი ჩვენმა მტერმა იცოდეს და ფელას მან გაუგოს, მაგრამ რის ცოდნაც საჭიროა, ცენზის, განათლების და დროის გადასახედიდან, ფელამ უნდა ვიცოდეთ და ფელასთან ახლო უნდა ვიყოთ.

9113. ბრბო ჯიუტი ინსტინქტებით მოაზროვნე მასაა, რომელშიც ხალხის ოდენობა 5 პროცენტს არ აღემატება, ხოლო ქვეყნის მოქალაქეთა ოდენობა 0,1 პროცენტზე ნაკლებია, მიუხედავად იმისა, რაც უნდა წარმოდგენა გქონდეს საკუთარ თავზე და ეროვნულობაზე.

9114. ზოგიერთი განწირულია პატიოსნებისთვის და მას აღარაფერი ეშველება, შედეგად ვერც თავად ნახულობს სარგებელს და ვერც მისი გულშემატკივარი.

9115. ზოგს იდეების ფაღარათი იმდენად აწუხებს, რომ ირგვლივმყოფთა კუჭის აშლას იწვევს. მათი გონება შურით იბინდება, რადგან მის აზრს ვერ წვდება და თავის უცოდინრობაზე იბოღმება.

9116. დრო, გამრავლებული ასაკზე – ქალების მოგონებაა, ხოლო ქალები, გამრავლებული ფულის ოდენობაზე – სექსუალობის დევალვირების საწყისია.

9117. ინტიმს ინტიმი სჭირდება, თორემ გადაგვარდება და ადამიანის ცნობიერებას ყოფიერებაც თან მიჰყვება.

9118. წვნიანი შეიძლება ფელა საკაზმით ზომიერად იყოს შეზავებული, მაგრამ ხარშვა დავაკლოთ, ასევეა პოლიტიკაც, კანონმდებლობაც, ის თავის დრომ უნდა გადახარშოს, რომ მათგან სახეირო გამოტყრეს.

9119. ფორმით და დროის მოთხოვნით გადაწყვეტილების სიმკაცრე შეიძლება სწორი იყოს, მაგრამ ჰუმანურობის პოზიციიდან, ახლობლების მიმართ „ღორობის" უტოლდებოდეს. მაგალითად შენიანს, პრინციპების გამო, პროტექცია არ გაუწიეთ.

9120. ჰარმონია ალგებრის პრეროგატივაა და არა უსულო და უგულო არითმეტიკისა, რომელიც ფელგან და ყოველთვის მართალია.

9121. მიქარვების გარეშე არც ქვეყანა იმართება და არც ოჯახი და ხშირად მის გარეშე ვერც გიგებენ და გაფასებენ.

9122. ჯერ მოთხოვნებს ქმნიან, შემდეგ მათთ კაპრიზის დაკმაყოფილების მცდელობაში არიან, მაშინ როდესაც გამოცდილებას ყოველივე უმტკივნეულოდ შეეძლო მოეგვარებინა.

9123. პატიოსნება, თავდადება, სიფარული შიშველია, ამიტომ უნდა ვეცადოთ რომ ეს სიწმინდე სასაცილოდ არ გამოიყურებოდეს.

9124. ზოგჯერ სიტუაცია ტყუილის თქმას გვაიძულებს, რათა ირგვლივმყოფთა პატივისცემა და სიფარული შევინარჩუნოთ, რადგან მორალსაც თავისი სიმართლის ალიბი ახლავს.

9125. მექალთანესთან შედარებით, დონჟუანი რეკლამირებული რომანტიკოსია, მაგრამ სიფარულით დასაკოდად ორივეს მოჭარბებული ვნების გარკვეული ნაწილი განიავებული უნდა ჰქონდეს.

9126. მოწოდებით ლამაზმანი – ქალია, ფულის ლამაზმანი – ბოზია, მოვალეობით ლამაზმანი – ცოლია. ბუნებით მექალთანე – მამაკაცია, ფულის მოხერხებული მშოვნელი – ბიზნესმენია, ოჯახის მუჭუჭი – ქმარია. პირველნი მოწოდებულნი არიან დროის შესაცნობად, მეორენი დროს დასაფინანსებლად და ანგარიშის ჩასააბარებლენ, ხოლო დანარჩენი დრო გაჰყავთ, ცხოვრობენ, მაგრამ მის ყადრში ვერ ერკვევიან.

9127. მამაკაცისთვის მთავარი ქალზე ზრუნვაა, მდედრისთვის – ოჯახზე, ხოლო მათი სტატუსის შეცვლა საზოგადოების აზრს დემაგოგიის და გადაგვარების გზაზე აყენებს.

9128. ბუნებით მოქალაქე ფელას მიმართ პასუხისმგებლობას გრძნობს და ისეთს არაფერს იკადრებს, რომ სხვა ააბუნტოს და გაანაწყენოს.

9129. ზოგიერთისთვის სამყარო კურორტია და იქ დაბინავდება, სადაც უკეთ მიიღებენ.

9130. კლასიკური აღზრდის საწინააღმდეგო აღზრდა ბევრ დროს გვაკარგვინებს და დავიდარაბის მომტანიცაა.

9131. საოცარია, მაგრამ ფაქტია, მეკობრეებს ბევრი სასიკეთო საქმე აქვთ ნაკეთები, ამიტომაცაა, რომ ეს უძველესი პროფესია მცდელობად, შემოწმებად, ითარგმნება, რომლის წარმომადგენლები იყვნენ: კოლუმბი, მაგელანი, ვასკო და გამა და სხვანი.

9132. დანაშაულის ჩადენისას ყველამ პასუხი უნდა ვაგოთ. უდანაშაულომ გულგრილობისთვის, მოსარჩელემ – გაუფრთხილებლობისთვის, მოპასუხემ – გათავხედებისათვის.

9133. საქმე ის კი არ არის, რას ფიქრობ, მეტყველებ, იღვწი, არამედ საქმეს როგორ უხდები, რა კუთხით უდგები და საბოლოოდ რას იღებ.

9134. სიზმარს, ოცნებას, სიყვარულს, კანის ფერი, ეროვნება, სარწმუნოება არ გააჩნია.

9135. ასე თუ ისე, წესიერება მაინც გონიერების დედაა, მოხერხებულობის მამობამ თავი რაც უნდა გამოიდოს.

9136. მამაშვილობასა და დედაშვილობას შორის ის სხვაობაა, რომ ეს უკანასკნელი მეტ სიყვარულს, მოწიწებას და დათმობას მოითხოვს.

9137. ძალადობა, ზომიერების ფარგლებში, ყველგან და ყველაფერში დასაშვებია, თუ შედეგის სწრაფად და დროულად მიღწევა გვინდა.

9138. მატერიალისტსა და ჰუმანისტს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი რწმენას იტოვებს ადამიანში, ხოლო მეორე სამყაროს სივრცეს ებღაუჭება.

9139. სიტუაციაში გარკვევას ყველა ვცდილობთ, იმის მიუხედავად, საქმეში ჩახედვა ხელგვეწიფება თუ არა.

9140. წლის ყველა დროს თავისი ,,ბაირამი'' აქვს, მიუხედავად იმისა, ვამჩნევთ ამას თუ არა.

9141. ,,მცოდნე რეგვენი აუტანელია'', მაგარამ განათლებული ხელოვანი ორჯერ მეტად, რადგან მის ამბიციებს უფულობაც ემატება.

9142. სარეცელი სიყვრულის, სიძულვილის, განცხრომის იპოდრომია, სადაც გრძნობები დაჯირითობენ ყოველგვარი განსჯის გარეშე.

9143. ჯობს ბავშვი შენი იყოს და ცოლი სხვისი, ვიდრე – პირიქით, რადგან წინაპრები ვერ გაგიგებენ და კვლავწარმოების ვალიც გადაუხდელი დაგრჩება.

9144. განათლება, რომელიც შედეგს არ იძლევა, დროსთან შეუჯერებელი ცოდნაა და მეტი არაფერი.

9145. ყველასთვის კარგი რომ გინდა და თავსაც არ ივიწყებ, მაინც გაიძვერა ხარ, თუმცა საჭირო და აუცილებელი.

9146. ყველა მამრის სანუკვარი ოცნებაა მრავალჯერადი ხიფინგი ქალთან, მაგრამ ისიც მოსაბეზრებელი ხდება ყოფიერების არსთან შეუჯერებლად.

9147. დიდ გამიზნულ ღილაკს ჭკუა, მოხერხება, რწმენა სჭირდება, რომელიც ავანტიურაში და გაიძვერობაშია არეული, ხოლო დაუფიქრებელისთვის ყველა ზევით აღნიშნული უცნობია.

9148. თუ სხვისთვის რაიმეს აკეთებ, ეს შენი თავისთვისაც რაღაცის კეთებაა და სიამაყის მოგვრაც, რომ შენ რაღაცის შემძლე ხარ.

9149. შემოქმედს ხშირად სასაქონლო გონიერება არ ახასიათებს და ეს არის მისი გენიალობის მიზეზიც.

9150. პიროვნებად 10 კაცი გიცნობს, 1000, თუ მილიონი მნიშვნელობა არ აქვს, რადგან ეს უკვე შენი აღიარების სიამით სატარებელი ტვირთია, რომლისთვისაც დიდი რიცხვების კანონს მნიშვნელობა არ აქვს.

9151. გამბედაობას და სიმამაცეს წყალი მაშინ შეუდგება, როგორც კი ვინმე გამოუჩნდება საპატრონო და მოსაფრთხილებელი.

9152. ტარდიციებმა ინტუიციით უნდა განსაჯონ ცივილიზაციიდან რა არის მისაღები და რა არა, რათა სიახლისკენ მისწრაფებაში მშრალზე არ დარჩეს.

9153. არავის აქვს უფლება წინასწარ იცოდეს: სიყვარულის მოსვლა, ბედის გაელვება და სიკვდილის წამი.

9154. რა უნდა დავარქვათ ქმედებას, რომელიც აკვიატებული, შეუმოწმებელი, იდეალისთვის სიცოცხლეს სწირავს: თავისუფლებისთვის მებრძოლი რაინდი, პატრიოტი მოწამე, შაჰიდი, ფანატიკოსი, გმირი, რევოლუციონერი, ტერორისტი და ასე შემდეგ. ალბათ, ,,გამო-ლევებული'' რადგან სიცოცხლეზე უკეთესი ღმერთს არაფერი გაუჩენია, მითუმეტეს, რომ ამქვეყნად არავინ დაგიფასებს, ხოლო იმქვეყნად არავის სჭირდები.

9155. ღორის ძგიფს, ,,სალას'', ღორი ამზადებს და არა – ადამიანი.

9156. შედეგი ხშირად სურვილია, რწმენაა და არა – ცოდნა, განათლება, რადგან ათი შვილის დედა სექსში გაცილებით ცუდად ერკვევა, ვიდრე ამ საქმის მცოდნე უშვილო ლამაზმანი.

9157. არის სტატისტიკა, არის შთაბეჭდილება, მაგრამ ამ უკანასკნელის რატომღაც მეტად გვჯერა.

9158. ხშირად ჩვენი ქცევის ბატონ-პატრონი მდგომარეობაა და არა – ჩვენი სურვილები და მცდელობა.

9159. გონიერებისგან განსხვავებით, მონდომებას ისეთი სათუო საქმეებიც გამოსდის, რომლისგან არავინ იცოდა სახეირო გამოტყვრებოდა რაიმე თუ არა.

9160. არცოდნის რცხვენია უცოდინრობას და არა არცოდნას.

9161. განათხოვარი ქალი მაინც ნასუფრალია, ხოლო ქალწული – სადეგუსტაციოდ გამზადებული ნუგბარი, სიამოვნებაა კი ხშირად ის განიჭებს რა მოთხოვნებიც გაქვს და რაზეც ხარ ნავარჯიშები.

9162. სიმართლე არსებობს, მაგრამ მისი სიდიადე ბევრისთვის უცნობია.

9163. ,,თავხედია, მაგრამ ძალზე ჭკვიანია ეგ ძაღლიშვილი'' – ამაზე უკეთესი შეფასება პიროვნების პროფესიონალიზმისა მე არ მსმენია.

9164. ყველა პატარა ქვეყანას, მცირე ერს, აქვს კომპლექსი: არასრულფასოვნების, ამბიციურობის, წამხედურობის, განსაკუთრებით, თუ ისინი უძლურნი, უსახსრონი და უტრაკონი არიან.

9165. დასჯა, სიხისტე, სიმკაცრე და არა ულმობლობა, უხეშობა, სისასტიკე რადგან სხვანაირად რაიმეს მიღწევაზე საუბარი ზედმეტია.

9166. რწმენა ეს ფრთებია, რომლის გამოსხმა ფანტაზიის უნარზე, მცდელობაზე და სიფაქიზეზეა დამყარებული.

9167. ძველ, მდიდარი ტარდიციების, სახლს, ხშირად, გარემოებათა ჭიდილის გამო, ღარიბი მცხოვრებნი ჰყავს, რადგან მის საერთო საცხოვრებლად გადაქცევას ცდილობენ, ხოლო მის კაპიტალურ და სულიერ რემონტზე არავინ ფიქრობს.

9168. მიზნის მისაღწევად შემოვლითი გზების ძებნა გონივრულია, მაგრამ დროის ყაირათიანად გამოყენების დაუფასებლობაა და ბევრისთვის მიუღებელია.

9169. ადამიანად გახდომის შანსი ასიდან ერთს აქვს, ხოლო მოქალაქედ ჩამოყალიბებას შესარჩევად მილიონები სჭირდება, რადგან ეს უკანასკნელი ქვეყნის საკუთრებაა და განგების ნომენკლატურაც.

9170. ზოგიერთი ცნობილი ვიგინდარა ცხოვრების ისეთ თავგადასავლებს კრეფს, დროა კლასიკოსები ცოტა ხანს დავასვენოთ, სანამ ბრბო ამ შეთხზულს მოინელებდეს.

9171. არის ინტელექტუალური, მხატვრული, საბაზრო ღირებულების ნახელავი, მაგრამ ეს უკანასკნელი პირველ ორს ხშირად უჯოკრავს, რადგან ბრბოს ნახელავის ფასი და ირგვლივმყოფთა შური აინტერესებს და არა – შემოქმედება.

9172. კონფლიქტის მოსაგვარებლად გონიერება, მოთმინება, ენა არსებობს, რათა მხარეებმა ერთმანეთს შეურაცხყოფა არ მივაყენოთ და გონიერების ფარგლებში არც ერთი არ დავიჩაგროთ, რადგან დათმობა და წართმევა–მითვისება სხვადასხვა ცნებაა, რასაც რეციდივი–რევანში ახლავს.

9173. სახელმწიფოს და ოჯახის ქონებას დამცველად ღირსეული, გონიერი და შემოქმედი პიროვნება სჭირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყნის ხელისუფალის და ოჯახის უფროსის ღირსება დევალვირებას განიცდის, ერთი ხალხის, მეორე – ცოლის და შინაურების თვალში.

9174. მართალია, ცივილიზაციის ნეგატიურ მოვლენებს ყბედობის ქარცეცხლში ვატარებთ, მაგრამ მის შედეგებზე უარის თქმა ჩვენს ძალას აღემატება.

9175. 21–ე საუკუნე თავისუფალი აზროვნების, გადაუმოწმებელი დემოკრატიის და თვითგვემის საუკუნეა, რომელმაც ბევრი უღირსი მე–20 საუკუნიდან თავის დროში გადმოათრია, იმ იმედით, რომ მას გაუგებდა, მაგრამ უშედეგოდ, ,,ვირი ისევ თავის დროის ვირად დარჩა" და სახედრობა ვერ შესძლო.

9176. განათხოვარი, ბედნაცვალი და ქვრივი ღია წიგნია, რომლის შინაარსს წამკითხველი, უნდა იმ კაპრიზით, აზროვნებით, როგორც მათ გათხოვებამდე უოცნებიათ.

9177. პროფესიას, კარიერას, წესით ჩვენ კი არ უნდა ვეძებდეთ, არამედ თავად უნდა დაგვეძებდეს ცოდნის და პერსპექტივის გათვალისწინებით.

9178. სიბრიყვე, ბოგინობს, როდესაც ქვეყანა აჭრილია. შენს ირგვლივ უამრავი შემთხვევითი ხალხია, რომელთა მიმართაც გარკვეული სიმპათიები გაგაჩნია და მათ დახურდავებას თუ ვერ შეესწრები – ბედნიერებაა.

9179. მომხვეჭელობა და ქურდობა ერთი არ არის, მაგრამ ურთიერთგაგების გარეშე მათ უზრუნველი ცხოვრება უჭირთ.

9180. ხანდახან სიბრძნეს უგნურება ცვლის და ეს განდიდებისთვის ბრძოლაა თუ ადამიანური გადაცდენა, არავის უწყის.

9181. თუ მდედრი ფავილია, მამრი მისთვის წყაროს წყლის მიმფრქვევია, ხოლო მდედრის ცნობიერების შესაცნობად მისი მოვლა-მორწყვა სხვადასხვა მამაკაცს უნდა დაევალოს.

9182. არ შეიძლება მამრს მდედრისკენ ლტოლვა აუკრძალო, ქალს – არჩევანი და თავის სარფიანი რეალიზაცია.

9183. იდეალურის ძებნის მიზეზით ქალი ქმარ-შვილის გარეშე რჩება, ხოლო ქვეყანა და ხალხი გონიერი ხელისუფალის გარეშე.

9184. ქვეყანას სახელმწიფო აპარატში გაუნათლებლები ჰყავს მომრავლებული და არა – უვიცნი, რადგან ის რაც მათთვის სასარგებლოა არ იბნევიან და პასუხის გასაცემად ხელს ჯიბეში არ იყოფენ.

9185. ძალაუფლების შესაცნობი „ვირუსი“ და კანონის და კანონიერების რეალური სახე სხვადასხვაა, რადგან პირველს შეუძლია უარი აკადროს ჩვენს სამართლიან მოთხოვნებს, შეგვედავოს და სამსახურიც დაგვატოვებინოს, ხოლო მეორეს ამის უფლება არ აქვს, მაგრამ შეუძლია გაგასამართლოს, დაგაჯარიმოს, დაგსაჯოს და ვირის აბანოს „ღირშესანიშნავი“ ადგილებიც მოგანახულებინოს მართლმსაჯულების სახელით. შედეგად ვერც ერთს ფეხებს ვერ მოსჭამ, მიუხედავად იმისა, პირველზე უფრო განაწყენებული ხარ თუ მეორეზე.

9186. ცოდნა-განათლებას თუ შედეგი არ მოაქვს, დილეტანტიზმია და მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი ნულის ტოლია.

9187. თეთრი ფავობა კარგია, თუ ამის უფლებას ხასიათი, გენი და ირგვლივმყოფთა ურთიერთობა გაძლევს.

9188. გრძნობების მოუვლელობა, ამბიციურობა, ცხოვრების გამოცდილების უგულებელყოფა, მეგობრების განერვიულების და დაშორების მიზეზია.

9189. პროდიუსერი შუამავალია ტალანტსა და ფულს შორის, ამბიციების გათვალისწინებით.

9190. იდეალების ძებნაა, ქალს რომ გაუთხოვარს ტოვებს, ხოლო ,,ვაიჭკუისაგან'' კაპრიზი და წუნიანობა – ქალწულად.

9191. შეიძლება პაიკი უფლებით ჭადრაკის დაფაზე ყველაზე პატარა ფიგურაა, მაგრამ ერთი უპირატესობით სარგებლობს – ,,შახიდვით'' უკან სვლა არ აქვს და დაფაზე თავის ზემდგომის გეგმას რწმენით, მიზნის გაფეშიტებით ეწირება, იშვიათი გამონაკლისის გარდა.

9192. მამლუქობა, ეტყობა, ჩვენი ნიჭის, შურის, კარიერისკენ ლტოლვის და ხელისუფლების უგვანობის შედეგია და არა – ბედისწერა.

9193. პროფილაქტიკა მოითხოვს უხმაურო პროფესიონალებს, ხოლო რაღაცის კეთება – ხმაურიანს და თანაც დაუღვინებელს.

9194. ოცნების, სიყვარულის, კეთილდღეობის, სილამაზის და სხვა ამგვარ სამართველოთა შექმნა რომ შეიძლებოდეს, ერთ სამინისტროში გავაერთიანებდი, რაც ქვეყანას და მომდევნო თაობებს სიკეთეს მოუტანდა და სიყვარულის ,,შპარგალკებს'' მოუმზადებდა.

9195. მოქალაქესა და პიროვნებას შორის ის სხვაობაა, რომ მეორე საქმის კეთებისას თავსაც არ ივიწყებს, ხოლო პირველისთვის ქვეყანაზე და ხალხზე ზრუნვა უმთავრესი.

9196. სიტყვით გულის მოფხანის ფილოსოფია უნიათო ხალხის საქმეა, ხოლო საქმით – ცხოვრების ჟინის მქონე პირების.

9197. ყოფნის მექნიზმი, რომელიც ფუნქციონირებს და თავის შესაძლებლობებს რეალიზაციას ვერ უკეთებს, გაკოტრებულია და თავს თვად ისპობს.

9198. შურმა, ფემინიზმმა, ქალების ბიზნესით დაინტერესებამ, თავის აპოგეას მიაღწია და მოდაში ახალგაზრდა ბიჭების ასაკოვანი, საქმიანი და ფულიანი ქალებით დამუღამება და მათზე დაქორწინება მოდაში შემოვიდა. შედეგად ტრადიციებს, თაობათა კვლავწარმოებას და ბუნების კანონებს ასაკმა ,,ცხვირი მიახოცა''.

9199. გორბაჩოვი რომ ,,პოლიტიკურ ოლიმპზე'' ყოფნის დროს ვინმეს სიცოცხლეს გამოესალმებინა, დღეს ის ოდიოზური ფიგურა იქნებოდა და წმინდანად და ერის მამად წარმოაჩენდნენ, მაგრამ ,,საწყალს'' არ გაუმართლა და დღემდე ცოცხალია თავისი შეცდომებით და ცოდვებით.

9200. ზოგი ბრიყვი პატრიოტი იმასაც ამტკიცებს, რომ ეკატერინე II-ეს გერმანიის ინტერესები უნდა დაეცვა რუსეთში და არა – პირიქით. ძნელია ისეთ უგნურებთან კამათი, რომლებმაც არც ძალაუფლების ფასი იციან და არც აღიარების ძალა, რადგან მათი ცხოვრება და სამშობლოსადმი სიყვარული თავიანთი უგნურების ნაცოხნარი ჰანგია.

9201. ვეცადოთ სამყარო ისეთივე დავტოვოთ, როგორიც არის – „არც უარესი და არც უკეთესი“ და ეს იქნება ყველაზე დიდი შენატანი მისი ყოფა-გონიერების ყულაბაში.

9202. ხელგაშლილობა და სიძუნწე ძმები არ არიან, მაგრამ მეზობლობას ერთმანეთს არ ამადლიან.

9203. ყველამ თავისი ჭკუით, ბედით, უნდა იცხოვროს სხვის დაუმადლებლად, რადგან მოგებისას ყველა წილში უზის, ხოლო წაგების წილის გადანაწილება არავის უნდა.

9204. ყოფიერებით დატკბობის ყველაზე მისაღები დროა, როდესაც საკუთარი თავის გარდა არავინ გაწუხებს და მასწავლებლადაც არავის სჭირდები, რადგან უკვე დითირამები და საყვედურებიც მობეზრებული და ცხოვრების გამოცდილებაც მოჭარბებული გაქვს.

9205. არის ცოდნა კაცობრიობის ღირებულებაზე აგებული, არის ცხოვრებაზე გათვლილი, მაგრამ მათი გაიგივება არასახარბიელო შედეგს იძლევა.

9206. ყველა ჩვენს მცდელობას დროის ყივილი განსაზღვრავს და არა – ჩვენი დაღვინებული წლები და გონიერება.

9207. წარსულის გამთელება არ შეიძლება, თორემ ახლებურად გამოკვერვა, შეწებების მცდელობა, გონივრული კომპრომისის ხელშია.

9208. ამერიკელებს „უ-რაკო ყარაჩოღელებისთვის“ და უნიათო პატრიოტებისათვის შესანიშნავი ფორმულირება აქვთ: „თუ ასეთი ჭკვიანები ხართ, რატომ ცხოვრობთ ასე ღარიბად“ და მათ სულ არ აინტერესებთ, აქამდე ვის უკანალში თავის შეყოფამ დაგღუპათ და ჭკუა აქამდე რატომ ვერ ისწავლეთ.

9209. ანგელოზის ადგილი ზეცაშია, ოცნებისა – სულში, ხოლო მიწიერი მოთხოვნები ჩვენი ჭკუის ნავარდია.

9210. უნდა ვეცადოთ არ შევცოდოთ და არა ისე, რომ არაფერი შეგვეშალოს.

9211. მოსმენის, ყურისგდების, უნარი უფრო სიყვარულის ნიჭია, ვიდრე ცოდნა-განათლების სინონიმი.

9212. ნამდვილი მეგობრობა ურთიერთდახმარებაა ანგარების, დებეტ-კრედიტის, გარეშე და არა – საერთო საქმის კეთება, რომელსაც უფრო თანადგომა და ამხანაგობა ჰქვია.

9213. ამქვეყნად ყოფნას მაშინ აქვს ფასი, როდესაც სიცოცხლეს მიაგელვებ და არ მიათრევ და ისიც გინდა თუ არა, ვერ გაგიგია.

9214. ამბორი – ამბორია, კოცნა – კოცნაა და მათ შორის ინტეგრალის ძებნა უაზრობაა.

9215. დიქტატორი შეიძლება უკომპრომისო ადამიანი იყოს, მაგრამ არა – უჭკუო და კაცთმოძულე.

9216. ნარკოტიკებს განეკუთვნება: პოლიტიკა, ძალაუფლება, სიგარეტი, მანქანა, კოლექციონერობა და მრავალი სხვა, რასაც ადამიანთა მოდგმისათვის სიამოვნება მოაქვს. კარგია ეს თუ ცუდი, ამას დრო განსჯის.

9217. სახელის, ნაშიერის და მარადიულობის შეცნობა სიცოცხლეს გვმატებს და სიკვდილს გვიადვილებს.

9218. ერუდიტის უბედურება ის არის, რომ რაც საჭირო არ არის, გამოუსადეგარია, მის დავიწყებას ვერ ახერხებს და ტვინს ინაგვიანებს.

9219. ჭეშმარიტება თუ სამშობლოს პირველადობა? ფილოსოფია პირველს ანიჭებს უპირატესობას, ხოლო საბოლოო არჩევანს მაინც ადამიანის ბუნება, აღზრდა და დრო-გარემო აკეთებს.

9220. კრიტიკა გვაიძულებს ფეხი წინ წავდგათ, ხოლო ოცნება – შედეგებზე ვიფიქროთ.

9221. მორიდება, თავმდაბლობა, გზაა შეუმჩნევლობისაკენ, რომელიც ჩვენს სახელს გასაქრობად ამზადებს, როგორც ამ, ისე იმქვეყნად.

9222. მგლის ბუნება და მისი ყმუილის დიაპაზონი პატივისცემას, რიდს იმსახურებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას გახსენების ღირსადაც არავინ გახდიდა.

9223. იმიტომაც გვეჩვენება წარსული კარგად, რომ მას ნეგატიური ჩენჩო შორდება, დავიწყებას ეძლევა და გვრჩება ის, რაც გვსიამოვნებს და ახალგაზრდობას გვახსენებს.

9224. ვულგარული საზოგადოება ქმნის დაუოკებელ დამოუკიდებლობას, გზას ოთხივე მიმართულებით, რადგან რაიმე მიწიერზე და საჭიროზე ფიქრი მათ არ ძალუძთ და არც უნდათ.

9225. ქრთამი, მოსყიდვა-კორუფცია, თანამდებობის ბოროტად გამოყენება – სინონიმებია.

9226. არის რაღაცა, რომელიც გულით მოწყალებას არ იმსახურებს, მაგრამ ვერას გახდები, თუ ის შენი ნაშიერი და ნახლაფორთალია.

9227. დღეს პრაქტიციზმმა შემთხვევის, დროის, სულიერების დაცემის წყალობით ფეხიც გაიდგა და სულიც მოითქვა, რადგან ინტელექტმა ფასი დაკარგა და პოზიციები დათმო.

9228. მამების შინაგანი სამყაროს ნგრევა საშიში რეციდივია და ხშირად მძიმე გადასატანია ქვეყნის აღმშენებლობისათვის, შვილების ხარჯზე.

9229. სოციალური ოპტიმიზმი დემოგრაფიული პოპულიზაციის და ცივილიზებული მოსახლეობის ზრდის საბაბია.

9230. პესიმიზმი მწარე რეალობამ, წესით ოპტიმისტურად უნდა განგვაწყოს.

9231. ყველა ჩვენგანს უნდა ეშინოდეს ანონიმური სიკეთის, რომლის უკუგებას ჩვენ ვერ ვახერხებთ.

9232. ნაძალადევი პატრიოტია ყველა ის, ვისაც ქვეყნის მეობის წარმოსაჩენად კრედიტი არ გაუღია, ხოლო ნაციონალისტია, ვისაც ყბედობის და თავის მოჩვენების გარდა არაფერი შეუძლია.

9233. მუცლის მოღორების პროდუქტი ევოლუციაა.

9234. პლატონური სიყვარულის სულის ჩამდგმელი დღეს ტელეფონი და ინტერნეტია.

9235. უსიამოვნების „მოგონებანი" სასიამოვნო გახსენებით და ოცნების ხარჯზე უნდა შევცვალოთ.

9236. უსიამოვნებას უნდა დავშორდეთ, მაგრამ არა – საბოლოოდ, რადგან ყოფის მადლი იქნება გასარკვევი.

9237. ქალწულობის ინსტიტუტს კაცობრიობა მრავალჯერ დაუბრუნდება, რადგან ეროვნულობის აღდგენა-ჩამოყალიბება აქედან იწყება.

9238. დიდ გამარჯვებას ხშირად ცრემლი ახლავს, რომლის არავის რცხვენია.

9239. საოცარია, მაგრამ ბოროტების გაქრობა ამქვეყნად: სიკეთის, სილამაზის, სიყვარულის, ლიკვიდაციას გამოიწვევდა.

9240. გაუმაძღრობასა და ხელმომჭირნეობას შორის ის სხვაობაა, რომ პირველი სხვისი ქონებას დაპატრონებას ცდილობს, ხოლო მეორე საკუთარი სიმდიდრის მოხმარებასაც ვერ ახერხებს.

9241. ფულის და კეთილდღეობის გაცემამ შეიძლება ხალხის სიყვარული მოგიპოვოს, მაგრამ ქვეყნის ლიდერად არ აგირჩიოს, თუ მოწოდებით თავხედი არ ხარ.

9242. ქრთამს და ძღვენს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი სინდისის გაყიდვის შედეგია, მეორე ნამუსთან ვაჭრობის – გეკუთვნოდა არ გეკუთვნოდა მადლიერების ამ სახით გამოხატვა.

9243. ყველაზე ლამაზებს და საჯიშეებს ხშირად „ვიგინდარა ბედი" გვერდზე უნამუსოდ ჩაურბენს.

9244. როზგს, როგორც სასჯელს, ძირითადად, ფსიქოლოგიური დატვირთვა აქვს და არა – ფიზიკური.

9245. საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ სახელმწიფოს უშიშროებას, მის აპარატს, ნაძირალები იცავენ, ხოლო სამართლიანობისთვის მებრძოლნი ანგრევენ თავიანთი ნაოცნებარის აშენების სურვილით.

9246. ჩვენ არ შეგვიძლია დავიცვათ მხოლოდ საკუთარი უფლებები და არ გავამჟღავნოთ მოვალეობისკენ მიდრეკილება.

9247. შანსის თუნდაც სათუოსი, რომელსაც შემთხვევა იძლევა, ხელიდან გაშვება დაუშვებელია.

9248. სიჩუმე, სიწყნარე, მაცთუნებელია და ყოველთვის თანხმობის მაჩვენებელი არ არის, რადგანაც მასაც სხვისთვის გაუგებარი ყოფითი ალგორითმები ახასიათებს.

9249. ლოთობა ხშირად გაჭირვების, უგნურობის და ზოგჯერ სიყვარულში გაწბილების შედეგია, ხოლო ნარკომანია – ფუფუნების და უდღეური ცნობისმოყვარეობის.

9250. ჩვენ ღირსეულ მოწინააღმდეგეს უნდა ვცეთ პატივი და არა იმ მტერს, რომელიც რას მოიმოქმედებს, თავადაც არ უწყის.

9251. იდეოლოგიის უმთავრესი დანიშნულებაა მომდევნო თაობებს არ მისცეს იმის თქმის უფლება, რომ მათი წინაპარი გამოთაყვანებული იყო.

9252. არის სასიამოვნო ცოდვა, რომელსაც განმარტება არ სჭირდება, განსაკუთრებით მაშინ, თუ ამას შენი სიამოვნებისთვის აკეთებ.

9253. ხილულს ხშირად უჯოკრავს უხილავი და რატომ – ვერ გავრკვეულვართ.

9254. ლიდერი იქაა აუცილებელი, სადაც ბრბო ფარფაშობს, უკანონობა სუფევს და ქვეყანას პატრონი არ ჰყავს.

9255. ნაოცნებართან ერთად ყოველთვის გვინდა შევიცნოთ, რაც არ დაგვსიზმრებია და აზრად არ მოგვსვლია, მაგრამ ეს მცდელობაც ჩვენს ბუნებას, აღზრდას, მსოფლმხედველობას უნდა ელაციცებოდეს.

9256. ფელა კვდება, მაგრამ დასამახსოვრებლად ცხოვრების უნარი ერთეულთა ხვედრია და ალბათ, სხვანაირად არცაა საჭირო.

9257. ნაციონალიზმი უძლურების შედეგია და არა – პატრიოტული შემართებისა, ნაცისტებს ამღვრეულ თვალებშივე ეტყობათ ჭკუის, მოხერხებულობის და სიფარულის ნაკლულობა.

9258. დღევანდელი ყოფისთვის მხატვრული ლიტერატურის გაცნობა ხასიათია, ტელევიზორის ყურება ზნეა, ხოლო ინტერნეტით სარგებლობა ნირია, მაგრამ მათი გათავისება და ერთდროულად გამოყენება იძლევა ცხოვრებისთვის საჭირო დივიდენდებს.

9259. მეცენატი ვალდებულია ქვეყნისთვის საჭირო პიროვნება, მისდამი სიმპატიის მიუხედავად, ფუფუნებას ახლო არ გააკაროს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი ქველმოქმედების მოსალოდნელი შედეგი ნაწილობრივ მაინც დახურდავდება.

9260. კარიერას თავისი ქვაბ-ქუდა აქვს, სადაც ბედის რჩეულთა მოთუშვა-მოხარშვას ცდილობს.

9261. ოპტიმალური შტატების დადგენა ჩინოვნიკის ამბიციებს აღემატება და ამიტომაცაა შეუძლებელი.

9262. იდეოლოგია მომავლის მტერია, რადგან რას შემოგთავაზებს მომდევნო საუკუნე, მისთვის უცნობია.

9263. არის გონიერების წიგნი, ნაღვაწი, რომლის გაცნობა მოსახლეობა არ უნდა შესთავაზო – ჯერ ერთი, ვერ გაიგებენ, მეორე – დროსაც დაკარგავენ.

9264. უმუხრუჭო ენას ბევრი რამის წამოროშვა უადვილდება, მაგრამ თავის წარმოჩენა უჭირს.

9265. ქვეყანას რომ არგო, ზოგჯერ ფავად უნდა მოევლინო.

9266. ზოგი ამქვეყნად დაუსწრებლად ცხოვრობს, მაგრამ მისი ამბიციების წარმოჩენას ეს ხელს არ უშლის.

9267. „ქურდია“ ის, ვინც ციხეში არ მოხვედრილა და მისი საქმიანობის შესახებ იმათაც არ იციან, ვისიც ჯერ არს და არა ის, ვინც ციხეში წლობით ზის და გარეთ ვერ გამოუგდიათ.

9268. როდესაც გადაწყვეტილება მართებულია, ყოველთვის მოინახება ადამიანი მის განსახორციელებლად და დასამუღამებლად.

9269. სახელმწიფოს ბიუჯეტის უმეტესი ნაწილი ადამიანის შეგნების მოწესრიგებაზე უნდა იხარჯებოდეს და არა – მის კეთილდღეობაზე, რადგან პირველი, მეორისგან განსხვავებით, ყოველივეს თავი და თავია.

9270. ღმერთმა ნუ ქნას, რომ სამყაროს თავის „ფიზიკა“ გვაჩვენოს თავისი „ქიმიით“ ყური აგვახიოს, მათემატიკით ჭკუა დაგვარიგოს და ბიოლოგიით დედა გვიტიროს.

9271. არის საკითხი, რომელიც ყოფითი ალგორითმებით და წინხედვის ინტეგრალებით ამოხსნილია, მაგრამ ჩვენი სულისთვის, აღზრდისთვის, მიუღებელია, მიუხედავად იმისა, რომ ცივილიზაცია გვაიძულებს მას ლმობიერად და გაგებით მოვეპყროთ.

9272. ყველა ჩვენგანს უარყოფითი თვისებების დასამარხად პატარა სასაფლაო აქვს ამოსათხრელი, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ეს დაგმობილი უხიაგობანი ახალი სახით გვევლინება და ძველი ცოდვები ღიმილს გვრის.

9273. ჭკვიანია ის, ვისაც სიახლის გამოჩხრეკა შეუძლია, ხოლო – მოხერხებული, ვინც ამას თავის სასარგებლოდ იყენებს და ტირაჟირებას არ ეწევა.

9274. ქურდია ის, რომელიც ითვისებს იმას, რაც მას არ ეკუთვნის და არა იმას, რაც მისი ყოფისთვის აუცილებელია, ე.ი. აქტიური მათხოვარია.

9275. ამ ქვეყანას არც მაქებარი დაელევა, არც მაგინებელი და არც ყველაფრის მიმართ გულგრილი, მაგრამ მთავარია არა მტყუან-მართლის, არამედ ჭეშმარიტების დადგენა.

9276. კაცობის ჩვენებას მოწმე არ სჭირდება, ხოლო სიკეთის კეთებას – ფიცი და მტკიცი.

9277. ყველაზე დიდი აგიტაცია შედეგიანი მაგალითების ჩვენებაა.

9278. მორალი ყოველთვის ზურგით ეცემა ცარიელ უზრუნველყოფის წინაშე.

9279. უკვდავება ყველას სურვილია, რადგან სიცოცხლის გაგრძელების სხვა ხერხი ამქვეყნად ჩვენთვის უცნობია.

9280. რადიკალმა ერთდროულად შეკითხვებიც იცის და პასუხის გაცემაც, ოღონდ არ იცის, საიდან დაიწყოს.

9281. თეორიულად თანასწორობა მისაღებია, მაგრამ პრაქტიკულადაა არარენტაბელური და შეუძლებელი.

9282. ქორწინებაც თავისებური ბიზნესია: მუსლიმანები ქალს ,,ყიდიან" და სიძისგან ,,ყალიმს" ურვადს, იღებენ, ქრისტიანები ,,ქრთამს" მზითევის სახით იძლევიან – ოღონდ ზედმეტი მჭამელი მოიშორონ – ამიტომაა დემაგოგია უკვდავი, რომ მას ყველაფრის ,,დასაბუთება რომ შეუძლია".

9283. ვინც ოპონენტებს არ ეპუება და ახალსაც თავად ეძებს საჯილდაოდ, საქმის გადამჭრელიც არის და მკეთებელიც.

9284. წარმატების საწყისი დასწრებაა და არა – საქმიანობის გაგრძელება.

9285. გადაწყვეტილების მიღება ზოგჯერ აუცილებელია, მოსალოდნელი შედეგის მიუხედავად.

9286. ფანატი იგივე ყაჩაღია, მაგრამ ეს მისთვის არავის უთქვამს, რადგან მან თავისი ხოშის გასასწორებლად შეიძლება უკადრებელი იკადროს, რადგან წესრიგი, უწესრიგობის გამოძახილია, შეიძლება – შედეგიც.

9287. ცივილიზაციების ბედნიერება თუ უბედურება ის არის, რომ ერთმანეთს ანადგურებენ, რათა ახალი წარმოშვან, კვლავ რამდენიმე ცივილიზაციად დაყონ და მოამზადონ მომდევნო კატაკლიზმისთვის.

9288. ხელფასი და არა შემოსავალია ცხოვრების დონის მაჩვენებელი, რადგან ეს ქვეყნის პოლიტიკა და რეალური ყოფის პროპაგანდაა.

9289. ველური პატრიოტიზმი ხელს უშლის ქვეყნის სუვერენიტეტს, ხოლო ნაციონალიზმი – სახელმწიფოებრიობას, ამიტომ რეალურ დამოუკიდებლობას რომ მივაღწიოთ, ორივეს გვერდზე მოსროლა სჭირდება, ოღონდ მოხერხებით და გარჯით.

9290. ქმედება რაც მეტია, მით უფრო სასარგებლო და მოწყენილობის გამქარვებელია.

9291. გარკვეული ანაზღაურების შემდეგ შეიძლება ზოგი არაორდინალურად მოიქცეს, მაგრამ ვიღაცას რომ სიამოვნებას მოუტანს პროტესტის ნიშნად, ეს აშკარაა.

9292. ყოველთვის სიამით ცხოვრება მოსაბეზრებელია, თუ ზოგჯერ ოპონირებას ყოფა სილის გაწვნით არ გაუწევს.

9293. კურორტზე დამსვენებლები იყოფიან შემდეგ კასტებად: ლოგებად – ჩამოყვანილი საფარლებით, მგლებად – ქალების ადგილზე „გახაზირებით", მიტოვებით, ტურებად – კმაყოფილდებიან მიტოვებული და ყურადღების გარეშე დარჩენილი ძუკნით, ვირებად – ცოლებით ჩამოსულები, განტევების ვაცებად – დომინოთი, ჭადრაკით, წიგნის კითხვით, ალკოჰოლიკებად – დასვენების სახით რომელსაც ლოთობის გარდა სხვა არაფერი უნდა.

9294. ჩვენ არც მოსამართლენი ვართ და არც ჯალათები, რადგან ის გუშინ მიუღებელი იყო, დღეს – უხერხულია, ხვალ – მისაღებია, ზეგ – აუცილებელია, ხოლო – მასზეგ „ქაჯობაა" და მოძველებულია.

9295. მიუხედავად იმისა, რომ ზნეობრივი კანონები უცვლელია, გარკვეული მასის ხელში, ხანგამოშვებით, მასზე დროის „კივილი" მოქმედებს და სული დევალვაციას განიცდის, მიუხედავად იმისა, რომ ჟამთასვლას არ ეპუება და ყოველთვის რეაბილიტირებულია.

9296. თუ საკუთარი თავის შეცნობა-შეგრძნება შეუძლია სხვისი კარნახის გარეშე, უდიდესი სიამოვნების მომგვრელია ვისაც გამოუცდია.

9297. სიფარული, ტრფობისგან განსხვავებით, მორჩილებით ზრუნვას და ურთიერთშერწყმას მოითხოვს.

9298. სარწმუნოების საწყისი ფანატიზმია, რწმენა – სახელის მოპოვების მცდელობაა, პოლიტიკა – კარიერაა, ბიზნესი – მოგებაა, მაგრამ გულთან, ეკუთვნით თუ არა, ყველა სიამოვნებით ბალახობს.

9299. ნებისმიერი ცვლილება რაღაცის ხარჯზე უნდა იქნეს მიღწეული, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ტრანსფორმაცია ბლეფია.

9300. წესით ოლიგარქები უნდა აკონტროლებდნენ პრესას, ფინანსებს, კანონწარმოქმნას, პოლიტიკას, მთავრობის საქმიანობას, მაგრამ ყოველივე მაინც შემთხვევის ხელშია და ჩვენი გონებისთვის ასაწონ-დასაწონ რეალობას არ ემორჩილება.

9301. რწმენა, რაც უნდა ლამაზად შევფუთოთ, მაინც ბრიყვებისთვის არის მოგონილი.

9302. სამყაროს უნიჭობა იმიტომ მართავს, რომ მათ ღირსეული დროსტარების ეშხის ფასი არ იციან, რადგან მათ ჯიბის ამოყორვა დროსტარება ჰგონიათ.

9303. ზოგი სიმართლე არც თავს უნდა გაუმხილო, არც მოძღვარს და არც განგებას, რადგან უპირველესად ადამიანი ხარ, შემდგომ მორწმუნე და საკუთარი თავის განმსჯელი.

9304. პიროვნებას ადამიანის აღზრდაც შეუძლია და გარყვნაც, ამიტომაც ძნელია ღირსებაზე არჩევნის გაკეთება.

9305. მშვიდობის გარეშე ბედნიერებაც, სიყვარულიც, სიმდიდრეც, კარგავს მომხიბვლელობას, რადგან ადამიანები გაუწვრთნელ მხეცებს ემსგავსებიან.

9306. რწმენის გაბატონება ქვეყანაში დაუსაქმებელთა მომრავლებით იწყება.

9307. სიტყვა, თავისი ორაზროვნებით, თანამეინახეებში უნდა წარმოჩინდეს და არა – საზოგადოებაში, რომელიც ხშირად ისე ვერ უგებს როგორც საჭიროა.

9308. კლასიკური სიშიშვლე აღფრთოვანებას მაშინ იწყებს, თუ ქალღმერთისა და არც პორნოგრაფია გახსენდება და არც ეროტიკა.

9309. პრინციპებით თავს ვერ გამოვკვებავთ, ამიტომ თუ დახურდავება, ზოგჯერ მის გადახურდავებას უნდა დავთანხმდეთ.

9310. სამყაროს გადარჩენა ჩვენ არ ძალგვიძს, მაგრამ მისდამი მოწიწება ყველას გვმართებს, რათა ადამიანთა მიმართ უკეთ განეწყოს და რაც შეიძლება იშვიათად მამაშვილური სილა გაგვილაწუნოს.

9311. დაცინვაც და შექებაც პირობითია, რადგან ყველაფერი გამართლებაზეა, შემთხვევაზე, დროზე და ოპონენტზეა დამოკიდებული და არა ჩვენს მონდომება – სურვილზე.

9312. ვაჟკაცობა და სენტიმენტალობა ერთმანეთს არ გამორიცხავს და ამიტომაც ჩვენი ბუნების გაგებაა რთული.

9313. სიტყვის გახმოვანებას ადამიანისათვის ბედნიერება იუმორით უნდა მოჰქონდეს, რა სახითაც უნდა იყოს ის წარმოდგენილი. ანეგდოტი – ტურისტულ სააგენტოში მისული ცოლ-ქმარი აგენტს სთხოვენ, რომ მათ გაუმზადო საგზური დასასვენებლად და მსოფლიოს გარშემო სამოგზაურედ, ოღონდ ერთმანეთის გარეშე და საწინააღმდეგო მიმართულებით. ირონია – პეტრე პირველმა სამღვდელოება გააფრთხილა, ხატები ატირდებიან და ყველას დედას გიტირებთო და იმ დღიდან

შესწყიტეს ხატებმა ცრემლის დაღვრა რეფორმისტების დანახვაზე. ,,დაცინვა" – უცნაური სიახლის დანახვაზე ამბობენ, ალბათ იაპონელების გაკეთებული იქნებაო. სატირა – სტალინმა რეპრესირებულ ნამინისტრალს, ციხეში ყოფნა წააყვედრა ,,ნახა ამანაც დასვენების დროო" და ისევ მინისტრად დანიშნა.

9314. სიკეთე-ბედნიერებას სიავე-უგნურება ფრთებს უკვეცავს, ადამიანის შემართება-მოწოდებას ახშობს და აუფასურებს.

9315. გამართლებაც და შემთხვევაც, მაგრამ ცოდნა-მოხერხებაც აუცილებელია დასახული მიზნის განსახორციელებლად.

9316. მთავარია, მძაფრი განცდების შემდეგ შინაგანმა ზარმა ჩამოკრას და ხმა მიგვაწოდოს, რათა ძველი თანდათან დავიწყებას მიეცეს და ახლით დაინტერესდეს.

9317. სიბერეს, დამსახურბას, სითბო, სიყვარული, პატივისცემა უნდა ვაჩუქოთ და არა – დავათმობინოთ, ვევაჭროთ, დავამადლოთ.

9318. ქალის შეთვალიერება, შეფასება, თავისებური სამუშაო – სექსზე დაფიქრებით და თავზე ზრუნვა-შეწუხებით.

9319. პატრიოტიზმი სიამაყეა, სანდოა, ნაციონალიზმი მლიქვნელობაა, უიმედოა, ჩასაფრებასაა მიჩვეული და თავის გამოსაჩენად იქ მოგვევლინება, სადაც არ ელიან და არც დიდად აფასებენ, მაგრამ მხარს მაინც უჭერენ – თუ – ის, ჩვენც რატომ არაო.

9320. მორალი, ალბათობის თეორიის მსგავსად უცნაურ განზომილებებს იძლევა, რადგან აბანოში სადაც ჩაცმული ყოფნა გაუგებარია, ხოლო ოფისში – საეჭვოა და საჭორაო.

9321. ტაბუდადებული სიტყვები, ზოგიერთი ხულიგნური გამოხდომების გამჟღავნება და სინათლეზე გამომზეურება ღიმილს იწვევს, მაგრამ ნორმად დამკვიდრების და გათავისების გარეშე.

9322. წესიერი პოლიციელი და პატიოსანი ქურდი ბუნებაში არ არსებობს, არსებობს მხოლოდ პროფესიონალები, ტრადიციების ამყოლნი, რადგან პატარ-პატარა ცოდვების გარეშე მათი პროფესიის ადამიანები ვერ იარსებებენ.

9323. დემაგოგია ისიცაა, როდესაც საწინააღმდეგოს სათქმელად განათლება არ გვყოფნის და არცოდნას ,,არცოდვად" თვლი.

9324. საქმისთვის მამად დაბადებულს, გარეშენიც თავის მამობილად თვლიან და ეს მათ ეამაყებათ.

9325. გარემო მანამ გვეჩვენება მშვენიერი და წმინდა, სანამ მასში ჩვენი ჭკუით ცხოვრებას მოვინდომებთ, რადგან რეალური ყოფის გაკვეთილები ჯერ არ გაგვივლია-აგვითვისებია.

9326. მთავარია, რას ვაკეთებთ დღეს და არა იმაზე ყბედობა, რომ დიდებული წარსული გვქონდა და რა ბრწყინვალე მომავალი გველის.

9327. ჩვენს თავში თავიდანვე უნდა აღვზარდოთ ხელშეუხებელი ნებისყოფა და ქედუხრელი გონიერება რათა ქვეყნისთვის საჭირო ადამიანად ვიქცეთ და ხალხისთვის – პიროვნებად.

9328. სკეპტიციზმი სისტემად აქციეს თავხედური შეხედულების და ყოფის დამუღამებას.

9329. ზოგჯერ მკვდარი „იჭერს“ და ჭკუას ასწავლის ცოცხლებს და ამ უკანასკნელთ მისგან თავის დაღწევა უჭირთ.

9330. ქვეყანას ზოგჯერ გამოერევიან უსახელო გმირები, რომლებიც თავიანთი რწმენით ოცნების სასაფლაოებს ავსებენ.

9331. სიტყვა, რომელიც რწმენით, საქმით, ფულით, არ არის გამაგრებული, ყბედობაა.

9332. ძნელია მოულოდნელობასთან შერკინება, მაგრამ წარმატებაც ხომ ორმაგად სასიხარულოა.

9333. სათნოებისაკენ მიმავალი გზა ადრე თუ გვიან მაინც ფასდება.

9334. წინდახედულება, ინტუიცია, მცდელობა, წარმატების საწინდარია.

9335. საკუთარ თავს, აჩრდილს, სახელს, ყოველთვის უნდა შეესატყვისებოდეს საზოგადოება, ხალხი, ქვეყანა.

9336. სიკვდილი სიბერის კოლეგა არ არის, მაგრამ თანამშრომლობენ და განსჯიან, ვინ უნდა მიეცეს დავიწყებას და ვინ – არა.

9337. საოცრებაა, მაგრამ ეტყობა სამყაროს განგება ვარსკვლავების საშუალებით აკვალიანებს.

9338. მებადურს ბადის სროლის დროს თევზთან ერთად სიფარული, სინანული და აღმაფრენაც უნდა ამოჰქონდეს წყლიდან.

9339. მადლი უცვლელია, მაგრამ დამფასებელია ცვეთადი და ზოგჯერ – გაუგებარიც.

9340. სხეულისაგან განსხვავებით, საპყრობილეს სული ადვილად ტოვებს, მაგრამ იქ ყოფნას ყველაზე მეტად განიცდის.

9341. პენსიის სიმცირე იმ ქვეყნისათვის არის სირცხვილი, რომლის უგერგილობამაც ის თავის მოხუცებს „მიუსაჯა“.

9342. ქვეყანას, განვითარების რომელიღაცა ეტაპზე გაურკვევლობა მოეძალება და ამ მდგომარეობიდან გამოყვანა ისევ პირვნებად დაბადებულმა უნდა ითავოს.

9343. თვალი ნებაყოფლობით იმას ხედავს, რის დანახვაც გონებას უნდა, ხოლო უნებლიედ იმას, რაც განსჯას არ ექვემდებარება.

9344. მარტოობის დღესასწაულის შეცნობა ყველასათვის არც ხვედრია და არც ბედი.

9345. ნდობას ყოველთვის იმსახურებს ინტუიცია, ინსტინქტი და შინაგანი ხმა.

9346. წარსული მომავალზე უკეთესი ვერ იქნება, ყოფის წინა ხაზი რაც უნდა უიმედოდ გვესახებოდეს.

9347. გაზვიადებულს და თავში ჩადებულს ყოველთვის უნიჭობა ითვისებს და როგორ გამოიყენებს, არავის უწყის.

9348. ტექნიკური პროგრესის ფუფუნებასთან ურთიერთობის განსჯა-განსაზღვრა ბიბლიომეტრული ანალიზის სინონიმია.

9349. სიტიტვლეს მაშინ აქვს გამოფენის უფლება, თუ ერთმანეთის დანახვა არ შეგვრცხვება და არ გავწითლდებით.

9350. რისხვა მშვიდობისმოყვარეობის სინონიმია, გააჩნია, ამ უკანასკნელის უკან რა ძალები დგას.

9351. რასაც მკვეთრად, ნათლად ხედავ და გრძნობ, შეუძლებელია არ განახორციელო და არ აღასრულო.

9352. სიმდიდრე, შეგნების და განათლების გამოყენების გარეშე, ნულს უახლოვდება.

9353. ,,რაც იყო, იყო, ახლა რაღა ვქნათ?'' ახლა ის უნდა ვქნათ, რომ წარსულის შეცდომები, როგორც ყოველთვის, ახალი ორანჟირებით არ უნდა გავიმეოროთ და ეს იქნება ქვეყნის ხსნის და ნაბიჯის წინ წადგმის გარანტი.

9354. ის, რის დანახვა გახარებს, აღგაფრთოვანებს, ირონიულ ღიმილს გგვრის, ქვენა გრძნობებს სიამოვნებს, დასაგმობი არ არის, უბრალოდ, ჩვენში ევოლუციის პერიოდმა დააგვიანა.

9355. სადმე რომ ააშენო, აკეთო, ის მხარე, ადგილი, შენად უნდა იგულო, იწამო, იმის მიუხედავად, გაიხდი მას სამშობლოდ თუ არა.

9356. პრინციპები და ფაქტორები ხშირად ერთად ვერ ძოვენ.

9357. ცოდნა და ეჭვი სინონიმებია.

9358. შანსი და პრინციპები ერთად არ ძოვენ, მაგრამ ხშირად პრინციპები უკან იხევენ.

9359. ბუნებრივად ყოფნა ადვილია, ბუნებრივობის იმიტაციაა ძნელი.

9360. მლიქვნელობის ფორმა მოითხოვს შერჩევას და არა – თავად მლიქვნელობა, რომელიც, მეტ-ნაკლებად, ყველასათვის მისაღებია.

9361. სხვაში ჭკუის შემჩნევა და მისთვის სასარგებლო საქმის გამონახვაც დიდი ნიჭია.

9362. ექსტრაორდინალური ინტელექტი გაცილებით მეტს იძლევა, ვიდრე არაორდინალური, რადგან ამ უკანასკნელს სტაბილურობა და ევოლუციის პროცესი თითქმის არ ახასიათებს.

9363. ჩვენი ნაცნობების მცირე ნაკლი უფრო მოგვწონს, ვიდრე მათი უნაკლობა.

9364. დროსგან განსხვავებით, მარადისობის გონიერებაში მოკვლას, გვერდზე მოსროლას შთამომავლობა არ გაპატიებს.

9365. ინდივიდუალობას კარგავს ყველა, ვინც ეგოისტი არ არის, სხვისი არ შურს და არ ცდილობს სხვას აჯობოს.

9366. უზრუნველობა, გამარჯვების გარანტად არ გამოდგება, ამის როგორი წინაპირობაც უნდა არსებობდეს.

9367. მონდომება, შემართება, მცდელობა საქმის კეთების დედაა, ხოლო გონიერება, გამოცდილების გამოყენებაა–დაბანდება – მამა.

9368. ადამიანს ისეთი უარი უნდა უთხრა, რომ დაფიქრდეს სხვა ვარიანტებზეც და თუ ასეთს ვერ აღმოაჩენს, შეეცადე დაეხმარო.

9369. რაიმეს ახსნას, მტკიცებას ისევ საქმის კეთება და ჩვენება სჯობს.

9370. „ქმნის“ და „მუშაობს“, სხვადასხვა რამაა, პირველი იშვიათია და სულის სანარნარია, მეორე ყოველდღიურობა და კუჭის ამოყორ-ვაა.

9371. ფანატიზმი ზომიერების ფარგლებში მისაღებია, მაგრამ სწორ-რედ ამ ზომიერების დადგენა რომ ჭირს?

9372. ერუდიციას ვერ მოატყუებ, მაგრამ ცოდნა გაცუცურაკების შემდგომაც პირველია.

9373. ღარიბები იყოფიან: პატიოსნებად – რომლებსაც არ გაუმარ-თლათ, ლოთებად – რომლებსაც ყველაფერი ფეხებზე ჰკიდიათ, ზარ-მაცებად – რომლებიც კანონის უნიათობას დასცინიან.

9374. ხშირად ერთი ქვეყნის ან დარგის ხელმძღვანელი იმით გან-სხვავდება მეორისგან, რომ ერთს ორ ბატს ვერ ანდობ მოსავლელად, მეორესთვის კი ერთიც არ გემეტება.

9375. მორალი არ არის „განტევების ვაცი“, მას თავისი დოგმები აქვს და ის მთლიანობაში უნდა მივიღოთ და არა ნაწილ-ნაწილ ვესი-ყავრულოთ.

9376. დღეს ვაჟკაცობა მოთმინება, ჩასაფრება, დროის შერჩევაა და არა – შესკდომა, თავის გამოჩენა, საკუთარი სიმართლის მტკიცება.

9377. ყველას აქვს შეცდომის დაშვების უფლება, მაგრამ არა – მისი გამეორების.

9378. ღირსების ფლობა და მისი კანონების ცოდნა რწმენისთვის დიდი ბაზისია.

9379. ზოგჯერ დიდება პატარა წარმატებას მოაქვს, რომელიც თანამედროვეებს ძალიან მოსწონთ.

9380. ალღო გონიერებასაც სჯობნის, განათლებასაც და დროის ყოვილსაც.

9381. ავტორიტეტი ყველა მერყევია, გააჩნია, რომელი მხრიდან მოუნდომებ შეხედვას.

9382. ჩხუბის მიზეზი ორივე მხარეა, რადგან მათ მოინდომეს მტყუან-მართლის გარკვევა, იმის მაგივრად, რომ კონფლიქტის საწყისი არ შეემჩნიათ.

9383. ძლიერ და მდიდარ ქვეყნებს ჰგონიათ, რომ სხვა ქვეყნები სანაგვეა, რომელთა პრობლემები ყასიდად გულთან მიაქვთ და ჰუმანიტარული დახმარებებით ფიქრობენ სამყაროს გადანაწილების საკითხს თავი დაადგან და მოიშორონ.

9384. ყველა დაბნეული, უსუსური და უნიათო, ერის, ქვეყნის და ხალხის მტერია.

9385. როდესაც ძველი შობს ახალს და ეს უკანასკნელი ებრძვის ძველს, ეს კანონზომიერია, იმის მიუხედავად, რომ ამ ბრძოლაში დიდი ენერგია მუქთად იხარჯება.

9386. სიცოცხლე უაზრო არ შეიძლება იყოს, რადგან ის მაინც ცვდება, აკეთებს რაიმეს მისი მფლობელი თუ არა.

9387. დასპონსორობა, მაინც მოხერხებულობით გამოძალული ფულით დახმარება და მას ხალხი იხდის თავის უნიათობის ფასად, ხოლო ვინ, როგორ, რანაირად ეს სხვა საქმეა.

9388. ღირსეული სიკვდილის გაფეშიტება სიცოცხლის დაცინვა თუ არა, დემაგოგია მაინც არის.

9389. კეთილშობილური სიღარიბე არ არსებობს, ის უფრო გულგრილობის, უყურადღებობის, უძლურების მონაპოვარია.

9390. ხშირად დანაშაულის მატებას აღზრდის მოდუნება და ტარდიციებისადმი უგულებელყოფა იწვევს.

9391. კარგს გააკეთებ თუ არა, მოშურნე მაინც მოგიმრავლდება, ასე, რომ ისევ კარგის კეთება სჯობს, ვინაიდან ამას ოდესღაც მიხვდებიან და დააფასებენ.

9392. სიმკაცრე – მომთხოვნელება, დამცირების და ცინიზმის გარეშე, დიდი საქმის საკეთებლად აუცილებელია, რადგან სხვანაირად იმ დროს ვერ ეზიარები, რომლისთვისაც საზოგადოება ჯერ მომწიფებული არაა.

9393. ასაკი, ძირითადად, გამოცდილებაა, ფსიქოლოგია და კულ-ტურა.

9394. პიროვნებაა, ვისაც აქვს რწმენა, მიზანი, გეგმა, შესაძლებლო-ბა, მისწრაფება, ღირებულებების ცოდნა, იცის ტაბუს აუცილებლობა და აქვს თვითშეგნება.

9395. ზოგჯერ მშველელად განუსაზღვრელი მოთმინება გვევლინება, რაც თავისებური ნიჭია.

9396. ყოველდღიურობის რუტინის კარგი წამალი კომპლიმენტია, რომელიც დღეში სამჯერ წამალივით ერთმანეთს ვნებით უნდა შევასვათ.

9397. „წინ წარსულთან ერთად“ – დღეს ამ დევიზით ბევრი ცხოვ-რობს, რადგან როგორც ასაკი არკვევს, არცთუ ისე ცუდი ყოფილა და დასავიწყებელი ის ძველი.

9398. ღალატსა და სიბრიყვეს შორის, შედეგის მიხედვით, დიდი სხვაობა არ არის.

9399. საპენსიო ფონდი მაინც თავისებური "პირამიდაა", რადგან 30 წლის წინათ ჩადებულ ფულსა და დღეს აღებულში დიდი სხვაობაა ინფლაციის გამო.

9400. იმისთვის, რომ ადამიანმა 80 წელს გადააბიჯოს, ნორმალური კვებისათვის დღიურად უნდა მოიხმაროს 2250 გრამი ნედლეული 4,5 გრამი ოქროს ღირებულებისა. ხოლო მთელი ცხოვრებას მანძილზე გამოსაკვებად დასჭირდება დაახლოებით 65 ტონა ნედლეული და მის შესაძენად 131 კგ ოქრო. ამ ნედლეულში შედის 12% ხორცი, 6% თევზი, 13% რძე-რძის პროდუქტი, 23% ბოსტნეული, 11% ხილი, 22% პურ-ფუნთუშეული, 9% ბურღულეული, 2% შაქარი, 2% ცხიმი.

9401. კოლექტიური პასუხისმგებლობა მაშინ ამართლებს, თუ ერთი უფროსი მაინც პასუხს აგებს.

9402. არის დღეს მიუღებელი აზრი, ჭეშმარიტებასთან ჩახლართუ-ლი, რომელიც ადრე თუ გვიან ხალხის ცნობიერებაში თავის გზას გაიკვლევს.

9403. სინამდვილეში კარგი გაცილებით მეტი კეთდება, ვიდრე ფიქ-რობენ, მსჯელობენ, ოცნებობენ.

9404. დამუნათება ყოველთვის დამადლებას, ნამუსზე შეგდებას, არ ნიშნავს, ის უფრო მტაცებელია, ნების დამპყრობია, გააჩნია, ვინ რო-გორ აღიქვამს და მასში რა მოსწონს.

9405. იმისდამიუხედავად, რომ ფიქრი ოცნებასთან ახლოა და აზ-როვნება – შედეგთან, შესაძლებელია სინონიმებად მოვნათლოთ, მაგ-რამ საკუთარი სიტყვის მადლით და კუდის მოქნევით.

9406. იდეალისტისთვის სამყარო არც თუ ისე მოსაწონია და ცდილობს ოცნებასთან შეზელილი სიცრუით გამოასწროს.

9407. სურვილი ერთია, ასრულება მეორე, ფეხის წამოდება – მესამე და ყოველივე ამას როგორ შეხვდები – გამოჩნდება ვინ ხარ.

9408. ემსახურო და გწამდეს, გიყვარდეს და ეჭვი არ გეპარებოდეს სხვადასხვა ალგორითმია.

9409. პატიების უნარის მქონე ძლიერებას, სხვათა თვალში, თავისი ძლიერება კუბში აჰყავს.

9410. პიროვნება ისაა, რომელიც თანამდებობის დაკარგვის შემდეგაც თავის წრეში პოპულარულია და ჭკუასაც ეკითხებიან.

9411. ზრდილობა, სირცხვილი, ლმობიერება, თანდაყოლილი თვისებებია, ხოლო უზრდელობა, უსირცხვილობა, მრისხანება – შეძენილი, იმის მიუხედავად, დაგჭირდება მათი გამოყენება თუ არა.

9412. საშინელებაა, როდესაც რეალობასთან ურთიერთობა არ გამოგდის და ცხოვრება გრძელდება თავის „უგნურებით და უცნაურობით“.

9413. პიროვნების სიდიადის დანახვას მანძილი სჭირდება და დროის გაშიფვრა.

9414. დრო, შემთხვევა, ნდობა, ყოველივეს კურნავს, უვლის, აჯანსაღებს და ცხოვრების მადლს, ყავლს, სიხარულს, შეგვაცნობიანებს.

9415. არის მუდმივი ღირებულება, რომელსაც ჩვენს გენში, შეგნებაში, განათლებაშია, მას სხვა ღირებულება, აღმაფრენა, ნდომა, ვერ ცვლის.

9416. სამართლიანობის, პატივის მიგების, სიყვარულის, გარეშე, ვერც სახელმწიფოებრიობას შეიცნობ, ვერც მისი ინსტიტუტების რაობას ჩასწვდები და ვერც მოქალაქეობის კაიფს გაითავისებ.

9417. ახალგაზრდობა ფიქრობს, ოცნებობს, სიბერე გრძნობს, იმედოვნებს, შუა ასაკი აზროვნებს, ჩალიჩობს და ამ წლების წარმოჩენის ჰარმონიას ვიშ–ვიში ვერაფერს აკლებს.

9418. დრო წარსულის ყველაზე უტყუარი მესაფლავეა.

9419. არის დაწყვლილ კითხვები, რომლებიც პირდაპირ პასუხს მოითხოვს, რათა შეკითხვა დაპირისპირებად არ იქცეს, პასუხად კონფლიქტად და სისხლისღვრად.

9420. მომავლის დაგეგმვა ყოველთვის შესაძლებელია, წარსულის მონელებით და აწმყოს მოწესრიგების მცდელობით.

9421. გამოცდა წარმატებით დამთავრდება თუ ტრაგიკულად, უკვე მნიშვნელობა არ აქვს, რადგან თავს უპრეტენზიოდ უდგები, სულიერად

იზრდები და განვლილი გზის სასაჯედუროდ ვერ იცლი და ესაა ადამიანის თავთან შერკინების უნიკალური თვისება.

9422. ეტყობა ჩვენ დროის და ყოფის მაიმუნები ვართ, იმისდამიხედვით როგორი „მასმედია“ გვაქვს, ვინ არის ხელისუფალი და წყობის რა მენტალიტეტი გავითავისეთ.

9423. ცოდნა სიკეთის და შედეგიანი საქმის კეთების გარეშე არ არსებობს.

9424. დრო მარად „დამპალი“ შეუძლებელია იყოს, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ ჩვენგანში ლპობის ბაქტერიების აღმოჩენა შესაძლებელია და საჭიროც.

9425. ნიჭს თავისებური პოზა, მას ბედთან პაემანი სჭირდება, თავისი დროის წარმოსაჩენად და საკუთარი მეობის, სიცოცხლის გასაახლებლად-გასაგრძელებლად.

9426. ემოციებზე მონოპოლიის დაწესების უფლება არავის აქვს, მაგრამ მისი მოთოკვა და დროზე მორგება აუცილებელია.

9427. გაკვირვების უნარი არ უნდა დავკარგოთ, რადგან ამის უფლებას არც ტექნიკური პროგრესი მოგვცემს, არც მეცნიერთა მიღწევა და არც სამყაროს დრო და დრო გამჟღავნებული საოცრებანი.

9428. კამათში მაშინ იბადება ჭეშმარიტება, როდესაც მასში უფროსი ჩაერევა და თავის „გადამჭრელ“ სიტყვას იტყვის.

9429. პროფესიონალიზმი სიყვარულში, პატრიოტიზმში, მოყვასის გვერდზე დგომაში, თანდაყოლილია, რადგან მათ შემენას არც არავინ ცდილობს და არც რეალურია.

9430. მოვა დრო და ყოველ ნაკიან წელიწადს თევზის ჭერა საერთოდ აიკრძალება და ეს იქნება გლობალიზაციის გონიერების ზეიმი.

9431. შეიძლება ბევრ ნაკლზე მიგახედონ, მაგრამ უჭკუო, უფულო, უზრდელიაო – არავინ უნდა გაკადროს.

9432. ზოგჯერ გარემოებათ სიმუხთლის გამო, ჩადიხარ რაღაც ისეთს, რაც ადამიანური სისუსტისათვისაც კი დამამცირებელია, რომელიც ცნობიერებიდან დროულად უნდა ამოვაგდოთ, რათა თავი ისევ ადამიანად ვიგრძნოთ.

9433. ბუნება წუნს არ ითვალისწინებს, იმისდამიუხედავად, ჩვენს ყურადღებას რაიმე გამოეპარება თუ არა.

9434. ყველაზე ძნელი ამ გადარეულ სამყაროში ადგილის პოვნაა. უფრო ძნელია ამ ადგილის შენარჩუნება და სათავისოდ გამოყენება.

რედაქტორისგან განსჯილი აზრები

9435. ტოლობა სიმართლის ცოდნის ან არცოდნის რაობისა ჯერ არავის დაუდგენია.

9436. არიან გონიერების განმასახიერებელი პირები, არის ისტორიისთვის დაბადებული პირი, რომელსაც ხშირად პირველნი ქმნიან, მაგრამ შედეგს ეს უკანასკნელი იმკობს, რადგან მატიანეს უპირველესად შედეგი აინტერესებს და არა მისი წარმოსაჩენი პროცესი.

9437. განათლება და განვითარება სხვადასხვა ცნებაა, მაგრამ ეს უკანასკნელი სერიოზულ ევოლუციას არ ემორჩილება.

9438. მოვალეობა თუ სიფარული, ძნელი ასარჩევია, მაგრამ მათი აღრევა ან დაშორებაც არასასურველია, რადგან მათ გარეშე თავს ბედნიერად ვერ ვგრძნობთ.

9439. ბავშვის აღზრდა ბებიებიდან და ბაბუებიდან უნდა დავიწყოთ, ხოლო მათმა შვილიშვილმა მშობლების აღზრდას რევიზიით არ უნდა გადახედონ, რადგან მათთვის ჭკუის სწავლება უკვე დაგვიანებულია.

9440. თავხედობა, კადნიერება "გამდიზეა" დამოკიდებული.

9441. გამოთქმა: „რა ცუდი მთავრობა გვყავს და რა კარგი ხალხი" სისულელეა, რაც ხალხი, ის არის მთავრობაც.

9442. რომის იმპერია ფუფუნებამ, გარყვნილობამ და გულგრილობამ დაღუპა, დღევანდელ სუპერსახელმწიფოებს, ტექნიკური პროგრესისაკენ უგონო სწრაფვა, თავაშვებული ქცევა და თავის წარმოჩენაზე გაწეული გაუმართლებელი ხარჯები დაღუპავს.

9443. რუკაზე ფანქრით ქვეყნების და ადამიანთა ბედის გადაჭრა შენი ამბიციების დაკმაყოფილებაა, შენებურად საქმის მოკვარახჭინებით და პატრიოტიზმის მოთოკვით.

9444. ხასიათი საჭიროც არის და აუცილებელიც, მაგრამ საქმეებს შორის სხვადასხვა შეჯერებით და ოდენობით.

9445. ვაჭრობის მამა ბაზარია და აქ სპეკულანტის შვილიშვილობა არაფერ შუაშია.

9446. მეგობრები უნდა დავაფასოთ, ხოლო მტრებისგან ჩუჩელა უნდა გავაკეთოთ და იქედნურად ვუყუროთ.

9447. მაჯლაჯუნა სიზმრები იმათ უნდა დავუბრუნოთ, ვისი დამსახურებითაც ამ კოშმარში მოვხვდით.

9448. მოგზაურობა ავითარებს მსოფლმხედველობას და თვითკმაყოფილებას, რაკი ის ამ საქმეში მეზობელს არ ჩამორჩა.

9449. დანაშაული და სასჯელი სინონიმებია, მაგრამ არა ყოველთვის და ყველასთვის.

9450. წესით გამონაკლისს რეკლამას არ უნდა უკეთებდნენ.

9451. შეცდომა შეიძლება დაუშვა ან არ დაუშვა, გააჩნია რა მხრიდან შევხედავთ და რამდენად სასარგებლოა ამ შეცდომის გამოყენება მეორე მხრისთვის და რა დივიდენდებს იძლევა. ასეთ შეცდომას დიპლომატიური შეცოდება ეწოდება.

9452. ნამუსის ქონებაც თავისებური სიმდიდრეა, რომელიც არაფერში გვადგება, გარდა სიტყვის მასალისა.

9453. ჩემი მტრის მტერი შეიძლება ჩემი მტერი არ იყოს, მაგრამ მისი არც მოყვარედ ჩათვლა შეიძლება.

9454. რეკლამა თავისებური პატარა სკანდალია ვიღაცის და რაღაცის მიმართ.

9455. ყველა დანაშაულს თავისი ულოგიკო ლოგიკა აქვს, რადგან დააშავე თუ არა, ამას უკვე მნიშვნელობა არ აქვს.

9456. ცას მორალი არ გააჩნია, ღრუბელს – სინდისი და როდესაც მოესურვებათ, მაშინ დაგასველებენ და გაგწუწავენ.

9457. ერთმანეთი ზომიერების ფარგლებში უნდა დავჭამოთ, რომ ერთმანეთთან ყოფნა არ მოგვბეზრდეს და სიცოცხლეც გავიხალისოთ.

9458. ძილქუშის დამსახურებაა, რომ ხანდახან ქვეყნის მართვაც შეგვიძლია, მისი შეიარაღებული ძალების მეთაურობაც, ქვეყნის აფავებაც და რაც მთავარია, თავს პიროვნებად ვგრძნობთ.

9459. ნოსტალგიის დამსახურება, შენი საყვარელი ფილმების მსახიობები დღეს რომ უკეთ თამაშობენ და რეჟისორიც მეტ დაფასებას ითხოვს.

9460. ასაკს თუ არ მოუსმენს, მაშინ ჯველობაც განწირულია – მასაც არ მოუსმენენ და ქუჩაში დროშების ფრიალით გამოიყვანენ.

9461. სისულელეშიც შეიძლება ფულის კეთება და თუ ამას ვირეშმაკული ჭკუა ხელს მოჰკიდებს.

9462. დიქტატურის გარემოცვაში, ქვეყნის საკეთილდღეოდ შემოთავაზებული ფანტაზია აზრს კარგავს.

9463. დრო ყუმბარასავითა, როდის გაისვრის სიცოცხლის კარიბჭისკენ, არავის აწუხებს.

9464. შემოქმედი კაცისთვის დრო და საქმიანობა ერთი არ არის, რადგან ხან ერთი აქვს თავზე საყრელად, ხან – მეორე.

9465. დრო ის დაუძინებელი მტერია, რომელიც შენს ჭკუაზე არც ტანსაცმელს შეკერავს და არც შენ გემოზე დანაყრდება.

9466. ცოდნა და კონტროლი ყველაფერია – ძილში ნახული სიზმარიც კი ხალხში უნდა გამოიცადოს.

9467. მაძღარი ხალხისთვის თავისუფალი დრო პოეზიის და ხელოვნების დედაა.

9468. საზოგადოების განვითარების ეტაპზე, ალბათ, ყველას ის დრო სჯობდა, როდესაც ადამიანებს ერთმანეთთან სტუმრობა წინასწარ გაფრთხილების გარეშეც შეეძლოთ, მაგრამ ფუფუნებისკენ და ტექნიკური მიღწევებისკენ სწრაფვა ამის საშუალებას დღეს არ იძლევა.

9469. ყველა თანამდებობას თავის მორგებული გასაღები აქვს, ოღონდ მის გამოყენებას უნდა ეცადო.

9470. სამშობლო, მშობლები, ქალები, მეგობრები და თავად ჩვენი მოვლენაც შემთხვევითია და ისიც, აქამდე რომ მოვატანეთ და ამ სისულელეზე ვმჯელობთ.

9471. ყველაზე დიდი დანაშაული დასმულ საკითხზე წაყრუება და თანამდებობის ავტორიტეტის დამცირებაა, მიუხედავად დროის ფაქტორის გარკვეული დიპლომატიური მოშველიებისა.

9472. მეგობრობის ნიჭი ან გაქვს ან – არა, მცდელობა საქმეს არ შეცვლის, უკეთეს შემთხვევაში, ის ნაცნობობით მთავრდება.

9473. ცეცხლს უნდა ვებრძოლოთ ცეცხლით, ყოველ შემთხვევაში მეტჯვეები, საჭიროების შემთხვევაში, ასე მოქმედებენ და აქრობენ ტყეში გაჩენილ დიდ ხანძარს.

9474. სკანდალი – თავისებური შოუა და ხანდახან ზოგს ნერვების დასაწყნარებლად და გასართობად სჭირდება.

9475. დღეს რომ კანიბალიზმი იყოს შემორჩენილი, დიდი მასშტაბის აუქციონი გამოცხადდებოდა ცნობილი პირების ხორცის გასასინჯად და რამდენი ვიგინდარა ფულს არ დაიშურებდა, რომ თავის მტრის ხორცით ექეიფა.

9476. ჰეროსტრატეს დიდება ბევრ ჭკუაბნელ და ცხოვრებაგაწბილებულ ახალგაზრდას არ ასვენებს და უბედურება ის არის, რომ ამ საშიშროებამ იმატა, რადგან მას ფანატიზმთან ერთად დემაგოგიაც და ფულიც დაემატა.

9477. დიქტატურა თავისი ზოგიერთი მომხიბვლელობით მომავლის იმედში აითქვიფება და სიკეთესთანაც ახლოა, როგორც კი ჩვენ გონს ბინდი მოეფინება, ავიჭრებით და წესრიგის დამყარება საჭირო გახდება, რადგან დიდხანს არეული, გაურკვეველი, ხელმომჭირნე ცხოვრება ხალხს არ შეუძლია.

9478. მთავარი კითხვის დასმა კი არ არის, არამედ მიზანი: კომპრომატის მოსაპოვებლად, ჭორს გასავრცელებლად, თუ სიმართლის დასადგენადაა დასმული.

9479. სენსაციების გარეშე ჩავლილი ყოველი კვირა უღიმღამოა და თვითმკვლელობათა ოდენობას ზრდის პლანეტაზე, განსაკუთრებით, განვითარებულ და მაძღარ ქვეყნებში.

9480. როდესაც შენს მსჯელობას უარყოფენ, თავის უვიცობას ამჟღავნებენ, მაგრამ უნდათ თუ არა, შენს თავმოყვარეობას, გონიერებას შეურაცხყოფას აყენებენ, ყოველ შემთხვევაში, შენ ასე ხედავ.

9481. ჩვენი სურვილია, ვიცხოვროთ დიდხანს, მაგრამ ახალგაზრდები მოვკვდეთ, უგუნურობის აფექტთან ჩანაცვლებული სიბრიყვეა, რადგან ჩვენი იმქვეყნად გარდაუვალი გადაბარგება ვიღაცას დაენანოს და მეტი არაფერი.

9482. ინტელიგენციას მოფიქრების უნარი კი აქვს, მაგრამ ორგანიზაციული ნიჭი, ცხოვრების გამოცდილება, არ გააჩნია და მართვა არ შეუძლია. ეს კი ნაკლად არ მიაჩნია.

9483. უმადურობაა, როდესაც ის დასცინის ხალხს, რომელმაც ის გააფეტიშა და ვარსკვლავად აღიარა, თანაც ეს ბიზნესი ჰგონია.

9484. ხშირად ისინი ცხოვრობენ უკეთესად რომლებიც სხვის შრომას ითვისებენ და გარემოებათა გამო თავის ნაჯაფს იაფად ყიდის.

9485. მიუხედავად მორალის უპირველესობისა და ჩამოყალიბებული მსოფლმხედველობისა, "კარგი კლიენტი ყოველთვის და ყველგან მართალია".

9486. შინაგანი აგრესია მაშინაა საშიში, თუ ამას ვერ ვგრძნობთ, სხვაფრივ კი მისი უქონლობის გარეშე ცხოვრება გაჭირდება.

9487. დროის გასწრებას და ჭკუა-გონების შენს გემოზე მოხმობას თანამედროვენი არ გაპატიებენ, რადგან მათი სურვილია თქვენი რაობა მათ ტრადიციებს არ შეეხოს და თანამედროვეთ გაუთანაბრდეს.

9488. მგელი მაშინ ნადირობს, როდესაც შია, ხოლო ვირიშვილად ქცეული ადამიანი, ყოველთვის ჭამაზე ფიქრობს, რადგან მას კონტროლის და ზომიერების მუხრუჭები მოშვებული აქვს.

9489. უანგაროდ სიკეთის კეთება ბრინჯაოა და ხშირად უმადურობას იწვევს, ანგარებით საქმის კეთება ვერცხლია და არ ისჯება, ხოლო არაფრის კეთება – ოქრო, რადგან შეფასების გარეშე რჩება, არც მტერ-მოყვარე ჰყავს და არც – გადამგდები.

9490. აზარტსა და ხულიგნობას შორის დიდი სხვაობაა, მაგრამ ზოგს მათი ერთმანეთში აღრევა ხელს აძლევს.

9491. ცოდვილ ქვეყანაში ცოდვების ჩაუდენლად ცხოვრება ძნელია, მაგრამ ზომიერების დაცვას აუცილებელია.

9492. სიყვარულს და მოწონებას მოკლე ჩართვა ახასიათებთ და ხშირად იმ მდგომარეობაში ამოგვაყოფინებს თავს, რასაც წინასწარ

ვერ წარმოვიდგენდით, მაგრამ გასახსენებლად საინტერესოა და სასია-
მოვნოც.

9493. დაუფასებელია გამართლება, პატიოსნად და შენთვის მისაღე-
ბი მორალით ცხოვრება.

9494. არის შემოქმედი, რომელზეც არც ცუდს ამბობენ და ვერც –
კარგს, რადგან პირველის თქმის უფლებას მისი ნიჭი არ გვაძლევს,
მეორისას, – ჩვენი გონება ვერ წვდება, ამასთან არც ისე რეკლამირე-
ბულია, რომ მის აზრს შეედავო ან ვინმეს შეადარო.

9495. ნამდვილი სიმშვიდის ზღვარი დაუცველი და დაუდგენელია,
რადგან ცივილიზაცია როდესაც მოეპრიანება მას მაშინ გადაადგილებს
და ხშირად თავისი ქმედებით წინაპართა მშვიდობიან ფასეულობებს
საფლავებში აკოტრიალებს.

9496. რევოლუციას მორალი არ გააჩნია, მიზანი ყოველივე წმინდას
გადააბიჯებს, რადგან ამის უფლება წინამორბედთა ვიგინდარობამ და-
უკითხავად უბოძა.

9497. ყველა სახის დასვენება პროფესიონალიზმს მოითხოვს, მათ
შორის უსაქმოდ ლოგინში კოტრიალიც და საქმიანად საფლავში წო-
ლაც.

9498. ყველა ჩვენგანი გრძნობს იმ ვალის გადახდის აუცილებლობას,
რომელიც განგებამ წინათაობიდან დაგვიტოვა და აქ თავის შერცხვენა
არ გვეპატიება, რადგან მომდევნო თაობების კვლავწარმოებას საფრთხე
ექმნება.

9499. მუზის არც ერთი მსახური იმ ხოტბას არ იმსახურებს, რასაც
სიცოცხლეში მიაგებენ და არც ისინი, რომლებიც აწმყოში შექებას
მოკლებულნი არიან, მაგრამ სიკვდილის შემდგომ აფეტიშებენ.

9500. გულუბრყილოსთან არ მეგობრობენ, მას აცუცურაკებენ და
ჭკუას ასწავლიან. სამწუხაროდ თუ საბედისწეროდ, ასეთი ვიგინდარა
მასწავლებლების საჭიროებას რაოდენობა რატომღაც არ კლებულობს.

9501. საყოველთაო უმაღლესი განათლება სიკეთის მომტანია თუ
უბედურების, ჯერ არავის დაუდგენია, მაგრამ ადამიანთა საქმიანობის
ჟანრებად დაყოფა აუცილებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში, ნაკლებად
პრესტიჟულ და აუცილებელ სამუშაოს არავინ შეასრულებს. ამის შე-
სანიშნავი მაგალითია მიგრანტთა შემოსევა განვითარებულ ქვეყნებში.

9502. ძლიერთა ამა ქვეყნისათვის, მათი სახელის განსადიდებლად,
მლიქვნელთა ინსტიტუტი აუცილებელია.

9503. შრომის დამფასებელი ხშირად მისი ოფლია.

9504. კრიტიკა შეიძლება არ გიყვარდეს, მაგრამ იძულებული ხარ,
პატივი სცე და ტვინის ჭყლეტით მოექცე.

9505. კრიტიკას პასიური ოპონენტი ჰყავს გაკრიტიკებულის სახით.

9506. მოგზაურობა ხედავს, ცოდნა – აანალიზებს, გამოცდილება აფიქსირებს.

9507. პიროვნება მაშინ ხარ, თუ დროს უსწრებ, თანამედროვეთა ყბედობას გულს არ აკარებ, მატერიალიზმის ნიშნებს ამქვეყნად სიამოვნებისთვის იყენებ.

9508. საინტერესოა ის, რაც აკრძალულია, ფეხის წასატეხია, ვეტოდადებულია და არა ის, რაც ნებადართულია, სასარგებლოა, საჭიროა, მიუხედავად იმისა, სამართლიანად მიგვაჩნია ეს თუ – პირიქით.

9509. ცოდვებს უფრო საინტერესო რეპერტუარი აქვს, ვიდრე სიკეთეს.

9510. მრისხანება ერთია, მაგრამ დულილის ტემპერატურაა სხვადასხვა და ზოგჯერ გაუგებარი.

9511. მრისხანების დასაცხრომი შესანიშნავი წამალია არანორმალური ლექსიკით შენს გემოზე რამდენჯერმე გემრიელად შეკურთხება, განსაკუთრებით – რუსულად.

9512. დაშორება, განშორების გრძნობა ცოდნას, გამოცდილებას და გადახარშვას მოითხოვს.

9513. მაიმუნობის ნიჭსაც ზომიერების გრძნობა სჭირდება, რათა მავანმა მიგიღოს და ისიამოვნოს შენი ხელოვნებით.

9514. ადრე ქალს ვახარჯავდით ფულს ვნების დასაცხომად, ახლა თავს ვახარჯავთ აღმზნები საშუალებების შესაძენად, რომ მდედრთან თავი არ შევირცხვინოთ.

9515. მთავარი ის კი არ არის, ვის რა მოსწონს, მთავარია დაუფიქრებლად და განუსჯელად რომ ეთაყვანება.

9516. პიროვნება ისაა, ვინც აგვიძულებს წიგნი ვიკითხოთ და არა ის, ვინც ინტერნეტის ნასუფრალით გვკვებავს.

9517. არის ლამაზი ძუ, რომლის ხიბლისთვის ერთი მამრი ცოტაა, არის ხვადი, რომლისთვისაც ერთ ქალზე გაცდენა საცოდაობაა. მიუხედავად ამისა, ბუნების კანონი გონიერების სიჯიუტეს ყოველთვის ვერ ჯობნის და ეს უკანასკნელი რატომღაც მეტ პატივშია.

9518. ქვეყნის მიმართებაში, კაცის და ქალის რაობაში, ის სხვაობაა, რომ ყველა მამრი არის ღირსი ნაშიერი იყოლიოს, ხოლო მდედრი ვალდებულია ღირსეულისგან შვილი იყოლიოს და ოჯახის იმიტაცია მაინც შეუქმნას.

9519. როგორც პიროვნების, ჩემი მიზანია, სხვამაც გაუგოს გემო ცხოვრებას და არა – ნასუფრალს.

9520. ისტერიკა სიფხიზლეა მეათე ხარისხში, რომელსაც ყველგან ცუდი შედეგი მოაქვს.

9521. ყველა ჩვენგანი, თუ თავს უშველის, ან მისაბაძნი გავხდებით ან საგინებელნი და შედეგად ვიღაცას და რაღაცას ეშველება, რადგან პირველი გზა გაიკვალა, შეიძლება არც მთლად ყველასთვის სასურველი.

9522. პატიოსნად და ღირსებით თავის შეცნობა მოქალაქეთა შეგნების და ქვეყნის კეთილდღეობის მაჩვენებელია.

9523. ადრე თუ გვიან ყოველივე გადასახადს ექვემდებარება, რადგან მუქთა არც სიყვარული არსებობს და არც ბოროტება.

9524. ჭეშმარიტება არ გვაინტერესებს, სიცრუეს ვერ ვიტანთ, მაგრამ სხვაზე სიმართლის თქმა და ჭორის გავრცელება გვსიამოვნებს და მოგვწონს.

9525. როდესაც პრობლემა რთულია, ის ურთიერთშემხვედრი პატარა-პატარა ნაბიჯებით უნდა გადაწყდეს.

9526. ყველა საუკუნეს თავისი წილი პატივი უნდა მივაგოთ, ყოველი მათგანი გამოირჩეოდა ღირსეული შვილებით.

9527. არავინ იცის, სიცოცხლის რომელ ეტაპზე შემოგვიტრიალდება სასიკეთოდ სიტყვის მადლის და სიყვარულის ცოდნის ნიჭი.

9528. თერთმეტსაათიანი სარტყლის მქონე ქვეყანას წესით არც პოლიტიკაში და არც ეკონომიკაში მცირეოდენი შეფერხებაც არ უნდა ჰქონდეს და ხალხიც ყველაზე უკეთ უნდა ცხოვრობდეს, მაგრამ ეტყობა, ასე არ წირავს რუსეთისთვის უცნობი მოძღვარნი.

9529. პრინციპებს შეიძლება გადავხედოთ, შევარბილოთ, მაგრამ არ უნდა შევცვალოთ, რადგან მათ მსხვრევას შენთვის სასიკეთო შედეგი არ მოაქვს.

9530. დუმილის ზონა განათლებაში არ უნდა იყოს, მაგრამ არა გარყვნილების სწავლების ხარჯზე.

9531. „ჭკუას ნუ მარიგებ“, „პირველად ხომ არ ვარ გათხოვილი“, „ასწავლე ნასწავლს“ და სხვა მსგავსი პროტესტი იმაზე მიგვითითებს, რომ ჭკუის სწავლებას სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ ყველა უფრთხის, რადგან ჩვენ ოცნება-მცდელობის დახურდავების ხელყოფას არავის ვპატიობთ.

9532. საოცარია, ასაკში რაც ჩემს ხალხს და ახლობლებს უყურადღებოდ ვტოვებ, თავს შედარებით უკეთ ვგრძნობ, მაგრამ ნოსტალგიის დაუწერელი კანონის შემოტევას სად გაექცევი.

9533. კაცს, რომელსაც ვეკამათები – პატივს ვცემ, ხოლო თუ თავს ვარიდებ ის ჩემთვის, როგორც ოპონენტი, მკვდარია.

9534. ცივილიზაციის გაუგებრობა გვაიძულებს მომავალში ხელშეკრულება გავაფორმოთ სიფარულთან, სინდისთან, ერთგულებასთან, რომ არაფერი ვთქვათ მშობლებთან, ცოლთან, შვილებთან და შვილიშვილებთან ურთიერთობაზე.

9535. სიკეთის კეთების და სიფარულის დაცვის მთავარი ულტიმატუმი ზომიერების დაცვაა.

9536. ფსიქოლოგიური ევოლუცია ცივილიზაციასთან ერთად უნდა მომწიფდეს და დაღვინდეს.

9537. ყველა თანამზრახველს, ტაშის დამკვრელს ვეძებთ, მაგრამ ყოფას თავისი ინტეგრალები აქვს – სურვილის მიუხედავად საწინააღმდეგო.

9538. ფანტაზია-ოცნების მერანზე მოკალათებულთათვის ყველა სიძნელე პრაქტიკულად თუ არა, თეორიულად დაძლეულია.

9539. მე რომ მკითხოთ, ბრბოსთვის სიკეთის კეთება არამია, რადგან ზრუნვაც კი ყველას სხვების ჯინაზე უნდა.

9540. პედაგოგს და მოქალაქეს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი დამნაშავეს დაფიქრება-გამოსწორებას ქადაგებს, მეორე – დანაშაულის ადგილზე აღკვეთას, ფიზიკური დასჯით და ჭკუის ადგილზევე სწავლებით.

9541. სისულელისკენ ლტოლვა და თავში ხუშტურის შეჯდომა გვაღალატიანებს და არა – სიფარული და ჭკუის მოხმობა.

9542. ბერბიჭობასაც აქვს თავისი მიმზიდველობა გარკვეულ ასაკამდე, თუ ქალების ვნების დასაოკებლად თავს არ ზოგავ და ზოგს დაფეხმძიმების საქმეშიც ეხმარები.

9543. ზოგს დღეგრძელობა უნდა ვუსურვოთ, რათა მონანიების და თავში – ცემისთვის დიდი დრო ჰქონდეს.

9544. ღარიბ ქვეყანაში ექსპერიმენტის ჩატარება სიბრიყვეა, მაგრამ მთელი ცხოვრება სხვას ხომ ვერ ვსდევთ კუდში, ერთხელ მაინც ხომ ნდა გავუკეთოთ თავს მობილიზება, გავრისკოთ, რადგან მცდელობის გარეშე არც ხალხი უქნია ღმერთს და მატიანეც ვერ გაგვიგებს.

9545. როდესაც ყველას უფარხარ და უნდიხარ, ყოველთვის კარგი არ არის, რადგან იძულებული ხარ, სხვათა მოთხოვნებს ანგარიში გაუწიო და ისე ვერ იცხოვრო, როგორც შენ გსურს.

9546. ქალის დანიშნულებაა ხელი არ შეუშალოს მამაკაცს სულის ხუშტურებთან ყოფნაში, ხოლო მამრი მოწოდებულია მდედრი უზრუნველყოს სიმყუდროვის სტატუსით. შედეგად ადამიანის უფლებების დაცვა ორივეს უზრუნველყოფილი ექნება.

9547. გამართლებას ყოველთვის გამოეძებნება იდეოლოგიის ფუძესაყრდენი, ხოლო თუ პირიქით მოხდა, ვერაფერი კანონზომიერება და რწმენის ალიბი ვერ გიშველით.

9548. გინდოდეს – უნდოდე, გსურდეს – გქონდეს, გიყვარდეს – უყვარდე ამით შორის დიდი სხვაობაა, მაგრამ ერთმანეთთან შერწყმის გარეშე შედეგის მიღება ჭირს.

9549. წყვილის გაჭიანურებული რომანი, კლასიკური გაგებით, დაოჯახების პროვოკაციაა, როდესაც საკუთარ სახლში წინასწარ შეტყობინების გარეშე მისვლა არარეკომენდებულია.

9550. მამაკაცის მოთვინიერების წამალი შექება და საუფროსო საქმის მიცემაა, ხოლო ქალის რჯულზე მოსაყვანად ალერსით უნდა უთხრა, რომ ის განუმეორებელია და ასაკი საერთოდ არ ეტყობა.

9551. ჩვენი შესაძლებლობები ყოველთვის ფორმაში უნდა ვიქონიოთ და ვეცადოთ სხვას არაფერში ჩამოვრჩეთ.

9552. ცერცეტა მდედრს, სერიოზულისგან განსხვავებით, ოჯახიც აქვს, ნაშიერიც ეზრდება და ცხოვრების მოწყობაც არ ეშლება. ვინ არის ბრიყვი და უნიათო, ეს კიდევ დასადგენია.

9553. რისხვის გადმოფრქვევის გეგმა, შედეგიდან განსხვავებით, ყველას წინასწარ შემუშავებული აქვს.

9554. ასაკმა თავად უნდა განსაჯოს უპირატესობა სულიერს მინინიჭის თუ ხორციელს, რადგან სამოთხე-ჯოჯოხეთის „ბაირამს“ როგორც ამ, ისე იმქვეყნად ვნება განსჯის და არა ჩვენი – ჭკუა-გონება.

9555. ალბათ კანონზომიერია, როდესაც მძიმე და შეუპოვარი ხასიათი იძლევა საშუალებას ცნობილი და საჭირო გახდე.

9556. ვისთვის სამშობლო დედაა და ვისთვის – თავის ერზე შეყვარებული სიდედრი.

9557. თუ გინდა პატივისცემა და აღიარება დაიმსახურო, სხვა არ უნდა შეურაცხყოთ, მაგრამ სიყვარულს არ უნდა გავაკაროთ, რადგან ეს ორი ცნება ერთნაირ ახსნას, მოქმედებას არ ემორჩილება.

9558. ყველა ჩვენგანი რაიმეს მაშინ წარმოადგენს, თუ თავის დაცვა, სიყვარული და ოჯახის შექმნა შეუძლია, წინააღმდეგ შემთხვევაში, გაფეტიშების, გენეტიკური უგუნურების ნაყოფნი ვართ.

9559. ვალის აღების და არა – კრედიტის ჭირი არ უნდა შევიჩვიოთ, თუ თეორიული შანსი არა გაქვს რომ მას ექვს თვეში დაფარავ.

9560. ორიგინალური პიროვნება ძნელად ჩაეწერება თანამედროვე რეალობაში, მაგრამ თუ მოერგო, სახელი და დიდება გარანტირებული აქვს, თუმცა მის თვითმყოფადობას ჩრდილი ადგება.

9561. სწორად კეთებას და კარგად კეთებას სხვადასხვა ტოლობა აქვს, მაგრამ სურვილის საწყისი ერთია.

9562. თუ მასწავლებელს რომელიმე განუმეორებელი ნამოწაფარი გამოერია ის ყველა დროის „უცვლელი პედაგოგია“.

9563. სისტემამ წესით და კანონით უნდა დაიცვას, იმქვეყნად გადასასახლებელი ადამიანიც, თუ უნდა აწმყომ დაუჯეროს და მომავლის პერსპექტივა ჰქონდეს.

9564. ძლიერისაგან განსხვავებით, სუსტი მოლაპარაკების, შეთანხმების დაცვას ცდილობს, მაგრამ ძლიერს გათავხედება დროთა განმავლობაში ხშირად ძვირად უჯდება, რაც ტერიტორიას დაკარგვით და მეტროპოლიაში მცხოვრებ ემიგრანტთა შემოსევით გამოიხატება.

9565. ალმასი, მასების, ბრბოს, ხალხის, წიაღისეულში შემთხვევით ნანახი, დაუმუშავებელი ბრილიანტია, რომელშიც ამდენი მცდელობის, შემთხვევის და განგების ლოცვაა ჩადებული და მისი გამოუყენებლობა დანაშაულია.

9566. ცნობიერების და მორალის გარყვნის გარეშე, ბუნება მუქთად არაფერს იძლევა.

9567. მოკრძალებული ცენზურა არავისთვის ცუდი არ არის, რადგან ის შეგნებას ხეხავს და შედეგად ნაღვაწიც უკეთესია და სიამოვნების ფასსაც ვაჭაშნიკებთ.

9568. სიცოცხლეს, ცოდნას, სიყვარულის ნიჭს, ღმერთი იძლევა, სიმდიდრეს, ცოლს, შთამომავლობას – შემთხვევა, ხოლო სახელს, პროფესიას, კარიერას – ბედის ვარსკვლავი.

9569. მშობელი შვილისთვის შეიძლება იყოს ნათესავი, თუ ერთ ჭერქვეშ ცხოვრობენ, ან მეგობარი – თუ ცალ-ცალკე იღვწიან.

9570. ერთი სამუშაოზე ეწყობა, მეორე საქმის საკეთებლად იღვწვის, მაგრამ პირველში კომფორტიც და კარიერაც იგულისხმება.

9571. რწმენის გარდა, ყველას აქვს უფლება გასამართლებელი საბუთის მოძებნისა, რადგან მისი მიღებს შენთვის არავის დაუვალებია, ამასთან მის გარეშე არც სიყვარული არსებობს და არც დასახული მიზნისადმი ერთგულება.

9572. სიკეთის მკეთებლის დასჯის კანონი არც ერთი ქვეყნის კანონმდებლობაში არ მოიძიება, მაგრამ თუ კონკურენციასთან გვაქვს საქმე, რაღაცა მანქანებით მოინახება და გასამართლდება კიდეც.

9573. უმრავლესობას ცხოვრების ინტეგრალები თავიანთი ვნებათა გაჭენებით აინტერესებთ და არა – სახელმწიფოს მართვის პრობლემები და ამ პრობლემების შემქმნელი, ძალაუფლებას მიტმასნებული, ვირიშვილები.

9574. ვნებასაც გააჩნია თავისი მორალი, ესთეტიკა, სტატისტიკა, რომლის გახსენებასაც ამდენი სიამე მოაქვს.

9575. რეკომენდაცია დიდი მოვალეობა, ვალია, გამართლებაა, რათა სხვისი ღირსება, სახელი, პატივი დაიცვა და არ გაახუნო.

9576. რეპუტაციისათვის აუცილებელია რეალური იდეების, დამალული ტალანტი და დაუმალავი გაქანება.

9577. ნაღდი განცდაა, როდესაც გული ფეთქავს, სული ყვირის, სხეული კანკალებს, ყურებს არ ესმის და ენა ხმას ვერ ამოუღია.

9578. თავის რეალიზება ყველას გვინდა, მაგრამ ამისთვისაც დრომ და შემთხვევამ ხელი უნდა შეგიწყოს, რადგან მარტო მცდელობა ყოველთვის არ ამართლებს.

9579. თანამედროვეები წარმატებულ, თვითმყოფად, ადამიანს პატივს სცემენ, მაგრამ არ უყვართ. რადგან მათაც აქვთ მოთხოვნილება წარმოჩნდნენ და პატივი მიაგონ, მათაც სჭირდებათ იმის შეგრძნება, რომ ისიც რაღაცაში სჯობნის მათ, ვინც პოპულარული და ცნობილია.

9580. მეგობარია ის, ვისაც შენს დასაცავად გონივრული მუშტის ჩვენებაც შეუძლია და არა მარტო ენის გადმოგდება და ყაყანი.

9581. სამწუხაროდ, ბედისწერისაგან და ცხოვრების სიმრუდისაგან არავინაა დაზღვეული.

9582. ახალგაზრდობას აინტერესებს, რას გააკეთებს, დაბრძენებულს – რა გააკეთა, ხოლო პენსიონერი უასაკოა, სულ ცდილობს რაღაც აკეთოს და ვინმე დაიხმაროს.

9583. ცარიელი თავი ის საწყობია, სადაც ახალი ცოდნის შეტანას ერიდებიან, რადგან შიგნით ძველის ადგილიც არ არის.

9584. ცხოველთა სამყაროში ხვადები იბრძვიან ძუს დასაპყრობად, რათა ძლიერი შთამომავლობა იყოლიონ, ხოლო ადამიანთა სამყაროში ფაქტიურად მდედრები იღვწიან ხვადის შესარჩევად და რა მონაცემებზე დაყრდნობით, მათთვის გაუგებარია.

9585. ევოლუციის ზოგიერთი გზა ჩიხში მიდის, მაგ. ქალის ბიკინი სტრინგით შეიცვალა, ეს უკანასკნელი რით შეიცვლება ჩემს გონიერებას აღემატება.

9586. ჭეშმარიტებისაკენ მიმავალი გზის დაძლევაც მუცლის ამოყორვით იწყება.

9587. ოპტიმიზმი, თუ საქმის კეთება გინდა, უნაკლო არ შეიძლება იყოს, რადგან მომხრეებს ადგილი უნდა მოუძებნოს და შემდგომ მათზე უნდა ინერვიულოს არ გიღალატონ, გააბრიყვონ და მხარისამბმელნი მტრებად არ გაიხადო.

9588. წყენა, შეურაცხყოფა, თუ შეგვიძლია, უყურადღებოდ უნდა დავტოვოთ, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რათა გამეორების საბაბი არ მივცეთ.

9589. უსიამოვნება უმართავი მოვლენაა და ზომა-წონა არ იცის.

9590. ტყუილის თქმა სიძულვილს იწვევს, ცრუ არგუმენტები – გააფთრებას.

9591. ნანატრ ყოფას და მისკენ სწრაფვას ყველა საზოგადოება თავისებურად აგვარებდა: თემური წყობა – კერპების თაყვანისცემა, თემის სამართალი, მონათმფლობელური – წარმართობა, მონათმფლობელის სამართალი, ფეოდალური მრავალფეროვანი სარწმუნოება პატრონყმობის სამართალით, კაპიტალისტური – რწმენათა ვაჭრობა კანონების შიგდაშიგ გამკაცრებით, სოციალისტური – გაუგებარი სარწმუნოება – კანონების მისი ნების მოთარგმნით, დემოკარტიული – თავისუფლების ქარტია. კანონის უზენაესობით, კომუნიზმი – უღმერთო საზოგადოება ნაოცნებარი კანონების კეთილგონიერებით.

9592. გადამწყვეტ მომენტში მხარდაჭერას უნდა ვერიდოთ, რათა გამარჯვების ბალზამი ბოლომდე შევიცნოთ, შევირგოთ.

9593. კაბინეტი შენი სავანეა, თუ თანამდებობით, სულით, ხელმძღვანელი ხარ და საქმე გიყვარს.

9594. დღეს ნიჭის შეფასება უფრო ძნელია, ვიდრე მისი გამოვლენა.

9595. მეგობრობის შენარჩუნება, რომელიც ნაყიდია შენზე ფსონის ჩადებით, გაჭირვების ჟამს ძნელად სანდობია.

9596. წარმატება ისაა, რომელიც შენსკენ ილტვის და გევედრება, მიიღო და გაითავისო.

9597. ხშირად მარტოობის მიზეზია პარტნიორის მონდომებული ძებნა და მისი მოხმობა სკანირებით.

9598. ბუნება მაშინ გაგიხსნის სულს და სილამაზის აღქმის კარებს, თუ მასთან სტუმრად მიდიხარ და არა – მასპინძლად.

9599. სახელის მოხვეჭა, მომხიბვლელი თავისუფლება, რომლის მძიმე ტვირთს საკუთარი თავისადმი მომთხოვნილობა გადაგვატანინებს.

9600. „ბოროტება უნდა დაისაჯოს, სიკეთე დავიწყებას არ უნდა მიეცეს“, ოცნების ეს აქსიომა იშვიათად ნახულობს ადგილს ყოფაში.

9601. ნამდვილი მეგობარია, ყველგან შენს გვერდით გულით, შემართებით დგას და არა – მოვალეობის, ტრადიციების გულისთვის. თუმცა ეს უკანასკნელი გარკვეულ როლს თამაშობს.

9602. თუ გულით ვცხოვრობთ და არა ანგარებით, ამ უპირატესობას ვერავითარი სიმდიდრე და წამხედურობა ვერ შველის.

9603. ჩვენს წინაპრებს თავისი დროის შესატყვისი ცოდვები რომ არ ჩაედინათ, დღეს არც ერი ვიქნებოდით, არც დამწერლობა გვექნებოდა და ვერც სახელმწიფოებრიობას აღვიდგენდით. ასე უნდა დაიმშვიდოს თავი პატრიოტმა ობივატელმა.

9604. ჭეშმარიტება სიცოცხლეზე ძვირფასი არ შეიძლება იყოს, რადგან ისიც დროის ძალადობას და ევოლუციას განიცდის და მის დამცველს კი შეიძლება უაზროდ თავის გაწირვა შერჩეს.

9605. გართობა არ იძლევა იმის უფლებას, რომ თუნდაც დროებით შენი სკამის ავტორიტეტი დაივიწყო და მისი წარმოსაჩენი საქმე არ აკეთო.

9606. ცოდვა წარმატებული ცხოვრება კი არ არის, არამედ ქონების მოხვეჭის მცდელობით გახარებას ზღვარს რომ ვერ უდებ.

9607. ჩვენს ჩვევებს, ცხოვრების წესს, ახლობლები პატივს უნდა სცემდნენ, რადგან პირველ რიგში ყველა ჩვენგანი პიროვნებაა.

9608. ინფორმაცია შეიძლება იყოს პატიოსანი, მართალი, მიუკერძოებელი, საოცნებო და საჭირო.

9609. საიდუმლო, ძალზე საჭირო ინფორმაციაც არსებობს, მაგრამ თავისი სიძვირით მიუწვდომელი არ უნდა იყოს.

9610. სიმწიფის ასაკს დაგროვილი გამოცდილება და საკეთებელი საქმე ადგენს და არა – წლების მატება.

9611. ხშირად გულზე ხელის ბრაგუნით ცდილობენ დაგვეხმარონ, მაგრამ ურჩევნიათ იმქვეყნად გადაბარგებაში ხელი არ შეგიშალონ, რადგან ჰგონიათ შენი ასაკი ტვირთად დააწვებათ.

9612. სამყარო ჰარმონიულ პრინციპებზეა აგებული, რომლისგანაც გადახვევის მცდელობა ადამიანთა მოდგმას ძვირად უჯდება.

9613. უძლურებაა, სულს რომ ანადგურებს, სხეულს აობებს და ადამიანურ მოვალეობათა შესასრულებლად უვარგისს ხდის.

9614. მთავარია ცეცხლგამძლე, ჩაუძირავი, იყო ბუნებით და არა შეუდარებელი და ჭკვიანი.

9615. ცხოვრების ელექსირი სიფარულია, ოჯახი – ენერგიის მატება, ხოლო მეგობრობა სულის გათბობის საშუალებაა.

9616. ყველა საუკუნე მისთვის გასაგებ სიბრიყვეს გვთავაზობს გონიერების წახალისებით, თავისი ფეტიშით და ტაშის დაკვრით.

9617. დიდი ცოდვა საკუთარი მისწრაფებების შეზღუდვაა, რომელმაც პიროვნება უნდა წარმოაჩინოს.

9618. წარმატება და იღბალი სხვადასხვა რამაა, მაგრამ ერთმანეთის გარეშე არარაობანი არიან.

9619. შემოქმედსა და შემქმნელს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი გაცილებით მეტ კაიფს განიცდის გონების წვალებით, ხოლო მეორე – რეალიზებული ნახელავით.

9620. მოვაჭრე მუდამ მსხვერპლია, იმის მიუხედავად, მართალია თუ არა. ამიტომაცაა, რომ იმაზე მეტს გვახდევინებენ, ვიდრე ეკუთვნით.

9621. გვინდა თუ არა, ყველანი ერთმანეთზე ვართ დამოკიდებულ-ნი, რადგან არსებობს მავნეობა, ღალატი, შური, რომელთა გამოყენება, სამწუხაროდ, ყველას მიმართ შესაძლებელია.

9622. ყველანი უნდა ვცდილობდეთ გავერკვეთ, როდის არის კარგი და მისაღები ის ძველი, რომელიც ყოფის კლასიკაა და ჭეშმარიტების საწყისი.

9623. ტრაგედია და ტრიუმფი ყოველთვის ერთად დგანან, მაგრამ ვინ და როდის გადაეყრება შემთხვევასა და გარემოებათა გათავხედებას, არავინ უწყის.

9624. ღირებულება არ შეიძლება იყოს ლიბერალური, რადგან ის ვერც დღევანდელობას შეაფასებს სათანადოდ და არც შთამომავლო-ბას გამოადგება.

9625. არის ყოფის რაღაც ელემენტი, რომელიც არ ეთანხმება ჭეშმარიტებას, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას შერკინების უფლე-ბა არ აქვს, რადგან სწორედ ეს სიახლეა ყურადღებას რომ იმსახურებს და ჩვენს დამყყებულ აზროვნებას თავის ჭკუაზე მოთარგმნის.

9626. ბოლომდე მადლიერების გრძნობა, ყოველგვარი ემოციების გარეშე, ერთეული ნიჭის საკუთრებაა.

9627. კარგია, როდესაც ლოთობას, ნარკოტიკებს და სხვა „ქაქის“ ჭამას თავს ანებებ, ფიქრს იწყებ, ცხოვრების თავიდან დაწყებას და ვნების მოთოკვას ცდილობ, მაგრამ არ იცი, რა სარგებლის მოტანა შეგიძლია და ფინიში როგორი იქნება.

9628. წესრიგი, შემართება, ხშირად „უჭოკრავს“ მოუწესრიგებელ ტალანტს, ცოდნის მარაგის მობილიზებით და უმკაცრესი დისციპლინით.

9629. უსაქმურობა ამპარტავნობის მეგობარია, ხოლო საქმისადმი სიყვარული – თავმდაბლობის.

9630. ბუნებრიობა, ხელოვნურობისაგან განსხვავებით, სხვის გაუზ-რდელობას და უხეშობას ვერ ეგუება.

9631. საკუთარი თავის შექმნა შესაძლებელია, მაგრამ ჩვევების მოშ-ლა და თავის გადაკეთებაა ძნელი.

9632. გუშინწინდელობას ხვალინდელობა არ გამოადგება.

9633. გამყიდველი ის შოუმენია, რომელიც სახიდან მოკრძალების ღიმილს არ იშორებს, გულში კი დედას გაგინებს, რაკი არაფერს იძენ.

9634. ყოფის ბერკეტი ის „პერპეტუუმ – მობილეა“, რომლის საყრდენსაც ყველა ჩვენგანი ეძებს.

9635. კედლის დაძლევა თავის დარტყმითაც შეიძლება და ჭკუის მოხმარებითაც – ვის როგორ ეხერხება და ვისთვის რის ჩვენებაა საჭირო.

9636. რეორგანიზაცია და დეზორგანიზაცია ძმები არიან, მაგრამ ისინი ერთმანეთის გვერდით ვერ იარსებებენ.

9637. არც მუდმივი კითხვა არსებობს და არც – უცვლელი პასუხი, რადგან ყველაფერს რეორგანიზაციას, განახლებას, გადახარისხებას, მოითხოვს.

9638. ინდივიდუალური გამოცდილება, ხშირად სხვას არ რგებს, რადგან ის მას გულით არ ეთანხმება.

9639. სისუფთავის, წესრიგის, მოფარულები იბადებიან და აუცილებლობის გამო ვიღაცის ზედამხედველები ხდებიან.

9640. იყოს ყოველთვის მართალი და უზადო, სწორი არ არის, რადგან თქვენ ამით სხვებს ჩაგრავთ და ავიწროებთ.

9641. პროტექცია და მფარველობა ერთიდაიგივე არ არის, რადგან პირველი გარკვეულ დრომდე მოქმედებს, მეორე უვადოა.

9642. ყველა ჩვენი უგულო გადაწყვეტილება, ჩვენდა შეუმჩნევლად, გულზე მოქმედებს.

9643. პრობლემაა, საქმის მოგვარებას რომ ვერ ახერხებ და არა ის, ადვილია თუ არა მისი მოგვარება.

9644. იუდა ყველას სულშია ჩასაფრებული, სანამ გარემო და შემთხვევა ხელს არ შეუწყობს გამომზეურებაში.

9645. ყველა ასაკს სიამის წუთები, გონების გამნათებელი მომხიბვლელობა და განუმეორებელი მაყურებელი ახლავს.

9646. ,,შემიძლია" და ,,ვალდებული ვარ" სხვადასხვა რამაა, მაგრამ საქმეს ორთავე ერთგულად ემსახურება.

9647. აუცილებლობით გამოწვეული ყველა გამონაკლისი: თავისებურ მოპყრობას, თვალის დახუჭვას და შენდობას მოითხოვს და არა განსჯას.

9648. რაც სწარფად და კარგად კეთდება, დავიწყებას ეძლევა, ხოლო რასაც ვაჯანჯლებთ და უხარისხოდ ვაკეთებთ, მახსოვრობაში იბეჭდება და განსჯის საგანი ხდება, რადგან დაუმადლებელი და პროფესიონალის შესრულებული ყოველთვის სათანადოდ არ ფასდება.

9649. უფლება მეორადია, მოვალეობა – პირველადი, ხოლო მათი შერწყმა იძლევა იმ ძალა-პირობას, რომლითაც ქვეყნის აშენებაც შეიძლება და დანგრევაც.

9650. ძალაუფლებისაგან განსხვავებით, სიფარული გრძელდება, სიცოცხლე ხელშეუხებელია, ოცნება უკვდავია.

9651. ყველგან და ყველაფერში იდეების თავხედობაა კაიფი, უპირველესი შემდეგ მოდის ცოდნა, ინფორმაცია, გამოცდილება თავისი შემართებით და ბედით.

9652. ჩვენი ბიოგარფია სავსეა დაუდევრობით, ხელიდან გაშვებული უამრავი შესაძლებლობით და სიფარულის გადასახედიდან მოპოვებული გამარჯვებული და წაგებული თავგადასავლებით.

9653. თანამედროვეობა ყოფის იმ სტანდარტებს სწრაფად ნერგავს, რომელსაც უმრავლესობა რატომღაც ცდილობს უპირობოდ დაემსგავსოს.

9654. სიბერე იმითაცაა მომგებიანი, რომ პატივს გცემენ და იმ მბჟუტავ ვარსკვლავად იქცევი, რომლის გაქრობა არავის აინტერესებს, რადგან არავის არაფერში ეცილები.

9655. ხანდახან სიცილით ვცდილობთ ცრემლების ღვრისაგან თავის შეკავებას, რადგან რეალობა ისეთი ავია, რომლის მორევას ყველა თავისებურად ცდილობს.

9656. ზოგჯერ ძველი ტყავის გამოცვლაა საჭირო, რომ სხეულს სიახლის სული შთაბერო და ახალი ახირებით იცხოვრო.

9657. ღირსებამ ხანდახან სული უნდა მოითქვას და აღშფოთება ისე უნდა გამოხატოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი ,,პროტესტი'' ფარს დაემსგავსება.

9658. უცნობის შესაცნობად რაღაც-რაღაცა უნდა გაითვალისწინოთ, აპრობირება გაუკეთოთ განსჯით და შემდგომ სასარგებლო და კარგი უნდა გაითავისოთ.

9659. ცუდ სიფხიზლეს ისევ კარგი სიმთვრალე სჯობს, რადგან ამ უკანასკნელიდან თავის დაღწევა ისევ ალკოჰოლის მიღებით შეიძლება, ხოლო პირველის შველა მხოლოდ განგების პრეროგატივაა.

9660. შეცდომა და ნაკლი იგივე კატასტროფაა, ოღონდ გააჩნია ვისთვის და რისთვის.

9661. სამყაროს ,,უსამართლობას'' გულში თავადვე უნდა დავცინოთ რათა არ გაგვაბილწოს და სახალხოდ არ გაგვწიროს.

9662. სიბრიყვე სიცრუის სინონიმია, რადგან ერთმანეთს აიძულებენ იმეგობრონ თან ერთად იყვნენ.

9663. იდეალები სურვილებს მისდევენ და შეძლებისამებრ თოხარიკაობენ.

9664. მოწონება მონდომების შედეგია და არა – პირიქით.

9665. მოსახლე-ობივატელი და ქვეყნის მოქალაქე სხვადასხვა ცნებაა, რადგან ყოფის გაუმჯობესებისათვის პირველისთვის ყოველივე სულერთია, მეორეს კი ყველაფერი გულთან მიაქვს და ნერვებს საქმეს უჩენს.

9666. ალბათ აქაც ღვთის ნებაა: მახსოვრობისაგან განსხვავებით, ჭორი დიდხანს არ ცოცხლობს.

9667. წინაპართა სიბრძნე, ყველა მომდევნო თაობათა ტაძარი და სალოცავია, მიუხედავად იმისა, რომ ცივილიზაციას მასში კორექტივები შეაქვს და ძალადობს.

9668. რატომღაც ყველა უნიათოს პატივმოყვარეობის „კუდი ყავარ-ზე აქვს გადებული და ძალზე განიცდის როდესაც მისთვის შესაფერი საქმის კეთებისაკენ მოუწოდებენ. მაშინვე გეტყვის, რომ იგი მეტს იმსა-ხურებს და ტელეფონის უფლებას არ იყენებს, რადგან პატიოსანია.

9669. ჭორაობის მას სჯერა და ენდობა, ვისაც გრძნობები აფორია-ქებული აქვს, მაშინ, როდესაც საკუთარ თვალებს უნდა ვენდობოდეთ და ისიც – არა ყოველთვის.

9670. ყველა ხატი და ხატება დავიწყებას ეძლევა თუ წელიწადში ერთხელ მაინც არ გავიხსენებთ და საიუბილეო თარიღებს ზარ-ზეიმით არ აღვნიშნავთ.

9671. ზნე-ჩვეულების პროგრესის შესატყვისად მოთარგმნა ყოველ-თვის შესაძლებელია ძველის შებღალვის და შებილწვის გარეშე.

9672. საკუთარ გვარს თუნდაც იმიტომ უნდა სცე პატივი, რომ წარმოჩნდეს, აჟღერდეს და მისი წარმოთქმისას სიამის ჟრუანტელმა დაგიაროს.

9673. სიტყვას სიბრძნის სურნელი უნდა ასდიოდეს და მსმენელს უნდა ატკბობდეს, აბრუებდეს.

9674. მოთმინება წინსვლის და გონიერების საწინდარია, მაგრამ გადამლაშების გარეშე.

9675. გულახდილი სისულელის თქმა ყველა პატიოსანი მიამიტის ხვედრია, რადგან მას თანდაყოლილი, დაუფიქრებელი უშუალობა სჭირ-დება.

9676. „უმაგრამო“ რეცენზენტი არ არსებობს.

9677. ვიღაც ტკბილი ნეტარებისთვის იბადება, ზოგიც – პირიქით და საბოლოოდ ყველა თავის პოზიციას აფიქსირებს.

9678. საჯილდაო სიტყვის წარმოთქმას ან გაშიფრვას ღვთის ნაბო-ძები ნიჭი სჭირდება.

9679. ზნეობის დაკარგვას ვერავითარი წამლობა ვერ შველის და ვერც სამარე ასწორებს.

9680. გულწრფელობა ჭრელთაობის და გველთაობის ბაზისი არ არის და ვერავის ნამუსზე ვერ შეაგდებს.

9681. ცივილიზაცია კომპიუტერს კარგა ხნით არ ჩამოგვაშორებს და გვინდა თუ არა, მისი ინტერნეტმოყვარეობა უნდა ვიწამოთ.

9682. პერსონის ოდენობის ალგორითმი განსჯის რა პატივი ვეცით ქვეყანას თავის დროზე ჩვენის მცდელობით და რა დაგვიბრუნა ჩვენი გარჯის სანაცვლოდ.

9683. ყბედობამობილური სივრცე დედამიწას ცისარტყელასავით ეკვრის, სულს და გონებას გვინათებს და ენის ქავილის ხასიათზე აყენებს.

9684. დღევანდელი ინტერნეტის გადამკიდეთ შეიძლება უახლოეს ხანში, წერა-კითხვის საზოგადოების ჩამოყალიბება დასჭირდეთ.

9685. სიბერის მიღწევასაც ის დილემა აქვს, რომ ამ ქვეყნის დატოვება შინაგანად მით უფრო გიძნელდება, რაც წლები გემატება და მასზე ფიქრობ.

9686. სისხლის ყივილი ის ფენომენია, რომელიც როდის რას გაგაკეთებინებს, უცნობია.

9687. დიდებულება ეტყობა დიდბუნებოვნებას ნიშნავს, რომელიც ასაკს დაღვინების შემდგომ შეეფერება.

9688. ბაგეგაპობილი ღიმილი სინანულის, დაცინვის, შებრალების გამოხატვაა იმ ნდობის გაცრუების სანაცვლოდ, რომელიც ღიმილნაჩუქარმა ვერ გაამართლა.

9689. ზოგს მშვიდობის მოტრფიალე სულით დაავადებული, სხეულით ინვალიდი და მშიშარა გენის მქონე ჰგონია.

9690. მატერია შეიძლება მაღალი იყოს, მაგრამ განუხორციელებელი და ოცნების ნაცოხნარი.

9691. „პატრიოტული“ და „რეალისტური“ თანამშრომლობა მისაღებია, რადგან ერთს ქვეყანა გულით უყვარს, მეორეს – ჭკუით.

9692. ყველა რწმენას ერთი ალგორითმი აქვს: შრომა, თავდადება, შემართება, ნიჭზე დამყნობით.

9693. აღფრთოვანებასაც თავისი ალგორითმები სჭირდება ამოსახსნელად, რათა ზომიერება დავიცვათ.

9694. არის საფლავი, რომელსაც არც ერთი სიტყვა არ აწერია, მაგრამ მას მაინც პატივს სცემენ, ეთაყვანებიან (ქრისტე, ნაპოლეონი).

9695. ყველა ჩვენგანს აქვს წარსულის ასამღერებელი სიმები, რომლის მაგვარი უკვე აღარ განმეორდება.

9696. სახელი, გვარი, მამის სახელი, წარმომავლობა, ნათესობასაც მოეკითხება და ჯიშსაც, რათა მათი განათლების, დიზაინის, ხარისხს სიახლისკენ ვუბიძგოთ.

9697. მახსოვრობა არსებობს გულის, სულის, თვალების, სმენის და გონებისაც, განგებაზე რომ არაფერი ვთქვათ.

9698. ჯადოსნური ღიმილი, თვალების შემოცეცებით, ყველა დაგმანულ კარს აღებს, დაბრკოლებას გადალახავს, გაცივებულ გულს ალღობს, მამაკაცს ამუნათებს და სურვილისამებრ მართავს.

9699. ხანდახან სხვისი საიდუმლოს შენახვა მძიმე ტვირთია, მიუხედავად იმისა, რომ ცნობისმოყვარეობა დაკმაყოფილებულია.

9700. პატიების უნარი ადამიანის გონება-ბუნებას, მახსოვრობის გამორთვას და თავისებურ ნიჭს მოითხოვს.

9701. ჩვენი აწმყოსა და მომავლის განმსაზღვრელ-განმსჯელი ალგორითმი წარსულის ანალიზია.

9702. ვინც კარიერის კიბეზე ხელის წამოკვრით ასვლას ახერხებს, ის ,,სატელეფონო უფლებების'' მსხვერპლია.

9703. ყველაზე დიდი ძალადობა სხვისი ყბედობის მოსმენაა, განსაკუთრებით, თუ ამის სურვილი არ გაგაჩნიათ.

9704. მოტყუების უნარი ჭკვიანსაც შესწევს და სულელსაც, მაგრამ რა ნიჭით, შემართებით, სხვა საქმეა.

9705. ყველანი საკუთარი სიტყვის, დანაპირების, მსახურნი და პატრონნი ვართ.

9706. კრიტიკის და აღიარების გარეშე დაფნის გვირგვინს არავინ დაგადგამს.

9707. მომავალი აფასებს და აკონკრეტებს დამსახურებას და არა – თავად ადამიანი.

9708. გულუბრყვილობა ბიძაშვილია სიბრიყვის, მამიდაშვილია სისულელის, რადგან მას შეიძლება დასცინონ.

9709. გრძნობების აღრევა ლოგიკასთან შეუძლებელია.

9710. საუბარში ფასდება კარგი მანერები, ზრდილობიანი სიტყვა-პასუხი, მოსმენის უნარი, რაც შეეხება ჭკუას, ეს მეორეხარისხოვანია და ურთიერთობას არ სჭირდება.

9711. წინ ხედვისას შესვენება აუცილებელია, ოღონდ უკანმოუხედავად.

9712. ადვილი და ,,ისე რას'' საქმიანობა ნამდვილ სიამოვნებას ვერ გვანიჭებს.

9713. მოვალეობის გრძნობა და სიბრიყვის ჩადენის სურვილი ხშირად იდენტურია.

9714. საყოველთაო ღირებულებათა გადაფასება საერთო გულგრილობის დროს ძნელია, მით უმეტეს, ძველის ბაზისზე ახლის ღირებულებათა შექმნა და სიახლის შეფასება-გადაფასება.

9715. გინება, შეღრენა, სიფარულსა და სიძულვილს შორის ალიბის ძებნაა.

9716. რჩევა-დარიგებას ვიღაცის და რაღაცის სურვილი სჭირდება და არა – ინტელექტი.

9717. სურვილი ყველაზე დიდი მამოძრავებელი ძალაა, თუ მას ფანტაზიას და მცდელობას შევაზელთ.

9718. არის თაობათა საკითხი, რომელიც განსჯას არ ექვემდებარება.

9719. ვინც კარგად მუშაობს სამწუხაროდ მას არც დასვენების უნარი შესწევს და რეალურად არც მისი ფასი იცის.

9720. პატიოსნება შინაგანი ბუნების წყალობაა და არა – ზედამხედ-ველობის შედეგად შეძენილი თვისება.

9721. ყველა წარმატებულს თავის მეტად სჯერა, ვიდრე ღმერთის და ფორტუნასი.

9722. თუ ეჭვიანობ – გიყვარს, თუ ეჭვი გეპარება – გწამს, ხოლო თუ არ განიცდი – ცხოვრებისთვის განტევების ვაცი ხარ.

9723. ასაკის შემჩნევა სავალდებულო არაა, მაგრამ ქცევით ისე უნდა მოვიქცეთ, როგორც ჩვენს წლებს შეეფერება.

9724. ყველა ასაკი თავის საჯილდაო ქვას და განსჯას ითხოვს.

9725. ზოგჯერ ემოციურად ნათქვამი უფრო მოსაწონია და ჭეშმა-რიტებასთანაც ახლოა.

9726. ოქრო ფუფუნების სინჯია, რომლის სილამაზით გარანტირე-ბულ ტკბობას ღარიბებიც ცდილობენ.

9727. პატივმოყვარეობა სურვილი უნდა იყოს და არა – გაუმაძღ-არი მისწრაფება.

9728. სირცხვილი ზოგჯერ პატივმოყვარეობის შედეგია, რადგან საკუთარ თავმოყვარეობას ჯერ ვერ გადააბიჯეთ.

9729. მომავალზე არ ფიქრობენ, მასზე ოცნებობენ, ნატრობენ, ჯილდაობენ და ცდებიან.

9730. ტენდენციურობა უფრო დამაჯერებელია ვიდრე ობიექტუ-რობა, რადგან ამ უკანასკნელს საკითხის გადაწყვეტა არ მოჰყვება.

9731. რწმენა და მითი სინონიმებია, რადგან როდესაც მიცვალებუ-ლის საფლავზე ყვავილი მიგაქვს, არავის გვჯერა, რომ ის იქიდან წამოდ-გება და ყვავილს დაყნოსავს, მაგრამ გვწამს რომ მან იმქვეყნად გაიგო რა პატივიც მივაგეთ.

9732. მეგობრობას კაცობა, გატანა, სიყვარული, სჭირდება და არა – ყბედობა, ყოყოჩობა, თავის ჩვენება.

9733. უნიჭობაზე საშიში მოუწესრიგებელი ნიჭიერებაა, რადგან მას გამბედაობა და შემართება ახლავს.

9734. სხვისი ქონების შენახვა-მოფრთხილება უფრო დიდი ვაჟკაცობაა, ვიდრე საკუთარზე ზრუნვა, თუ პირველისგან სარგებელს არ ელი და შენს ერთგულებაში მხოლოდ კაცობაა გარანტად ჩადებული.

9735. ყველა ახალ წელს, ძველი წლების საუკეთესო დღეების გათავისება და ჩვენთვის ხელის მომართვა უნდა ვუსურვოთ.

9736. მიზანს შედეგი უნდა მოერგოს და შედეგი უნდა შეერწყას მიზანს, რათა მიზანი შედეგმა არ გაამართლოს.

9737. სიტყვა ქმნის მოვლენებს, ხოლო სურვილს მივყვართ შედეგთან.

9738. ეჭვიანობა ხელოვნების ერთ-ერთი სახეა და ერთდროულად ის მუსიკას, მხატვრობას, პოეზიას განეკუთვნება იმდენად დიდია მასში შინაგანი ენერგიის თუხ-თუხის უნარი.

9739. სიფათით გარჯას, ცხვირ-პირით ღრანჯვას და სახის მიმიკით მცდელობას, ისევ გონების გარჯა სჯობს, რადგან მოპაექრეს რაღაცას უკეთ გააგებინებ და შენს ნაფიქრალს გაანდობ.

9740. მხოლოდ ოპტიმისტური ბუნება და ხასიათი არ იძლევა დაბერების და დაწუწუნების საშუალებას, დანარჩენი ყველა სხვა თვისება პირობითია.

9741. ქრთამის ძღვნად წარმოჩენა მადლიერების ოფიოზია, ხოლო ძღვენის ქრთამად მოკრძალების დამსახურებაა.

9742. მე მინდა ადამიანების მჯეროდეს და ვენდობოდე, მაგრამ ჯერ არ შემხვედრია ადამიანი, რომელსაც ციხეში ჯდომით და ადამიანის მოკვლით არ წაეტრაბახებინოს გადათრობის ჟამს, ცენზის და განათლების მიუხედავად.

9743. ქვეყანა, რომელსაც თავისი მოქალაქის დაცვა საზღვარგარეთ არ შეუძლია, სამართლიანი სახელმწიფო ვერასოდეს გახდება.

9744. როდესაც დიდება მოდის და სახელი რჩება, მაინც არავის ახსოვხარ, გარდა შენობებისა, ისიც შიგადაშიგ და თავის მოსაწონებლად.

9745. იდეოლოგია თავისებური შეჯიბრია საკუთარ შესაძლებლობებთან, მოთხოვნებთან, ოცნებებთან, ქვეყნის პოტენციალის შეფასება-გადაფასებით.

9746. კორექტორი, რედაქტორი, რაც მეტ შენიშვნებს, კითხვის ნიშნებს სვამს, მით მეტად მოსწონთ ნაშრომი, რადგან არ აფუჩეჩებს და სურვილი აქვთ ნაღვაწი უკეთესი გამოვიდეს ავტორის შეჯანჯღარების ხარჯზე.

9747. ზოგჯერ შენს სასიკეთოდ გარჯილი ოპონირებაც არ მოგწონს, რადგან ადამიანი ხარ თავზე წარმოდგენით. მაგალითად: სტილისტის, კორექტორის, შენიშვნები, ჩასწორებები.

9748. ვინც ჯელა სიტჯას ეჭვის თვალით უყურებს, წინადადებებზე გედავება, აბზაცებს ეჭიდავება, შენიშვნებით გმოძღვრავს, ზოგჯერ თავის აზრსაც გთავაზობს, რედაქტორია, ხოლო ვინც მხოლოდ მარლთწერას ედავება, გრამატიკის ცოდნას ამჟღავნებს – კორექტორია, რომელსაც ნაღვაწის შინაარსი და სიტჯის კაიფი დიდად არ აინტერესებს.

9749. ადამიანებს ყოფენ „ფიზიკოსებად“ და „ლირიკოსებად“ იმ სხვაობით, რომ ერთს მეორესთან საუბარი შეუძლია, ხოლო მეორე საუბრის თემაში ცოდნით ვერ ერკვევა.

9750. ორი მოჩხუბარი საბოლოოდ გამშველებელს სცემს და ეს პარადოქსი დღემდე გაუგებარია.

9751. დღიურის წერაც თავისებური მაზოხიზმია: უნდა დააფიქსირო ისიც, რის გახსენებაც არ გსიამოვნებს.

9752. მომხიბვლელობა, კოპწიაობა, პოზა, ეს კოქტეილი ზოგის ხელში რატომღაც უზნეობად გამოიყურება, რადგან მასში ხელოვნურობა სჭარბობს.

9753. უტიფრობა, უდიერობა, შეიძლება ყოველივე ჩვენგანს ახასიათებდეს, თუ ამის გასაქანი იქნება.

9754. ქვრივია ის, რომელიც თავის ვნების წვენში იხარშება, მაგრამ უქმროდ.

9755. რობოტიზაცია ქმნის დამოუკიდებლობას მისთვის გასაგებ ფორმებში, რომელსაც ფირმის პატრონი სიამოვნებით ეთანხმება.

9756. თუ თქვენი გემოვნებისა არ გჯერათ, შეიძლება სხვისგან ისეხოთ ოღონდა საკუთარი შეხედულებებით.

9757. ჭორი და სიჩუმე, კვადრატში, ქმნის ლეგენდას.

9758. ერუდიცია და ცოდნა ერთმანეთის გვერდზე დგანან, მაგრამ მეორე მაინც პირველის საწყისია.

9759. გონიერებით ზოგი თავისი დროს და ყოფის ემიგრანტია, რადგან რაიმე სასიკეთოს კეთება მიზანშეუწონლად მიაჩნია.

9760. რასაც აკეთებ, იმაზე საუბარი პატიოსნების და გონიერების მობილიზებას მოითხოვს, რათა შენი საქმიანობა უკეთ წარმოაჩინოს, თუ გსურს მიმდევრები გაგიჩნდეს.

9761. სხვაზე უკეთესი რომ გახდე, სიკეთეც უნდა გახლდეს, რათა სხვებს აჯობო, ძლიერებას ნიჭით, მოხერხებით მიაღწიო და არა – ვერაგობით, ქლესაობით, რომელსაც ბოლოს მაინც გაგიხსენებენ.

9762. გემოვნება ხშირად გონიერებას სჯობნის, რადგან მას პირველის ასათვისებლად დრო სჭირდება.

9763. აფექტში სხვის საშველად შეიძლება თავიც გაწირო, მაგრამ თუ დაფიქრდი, წინა პლანზე დადგება საკუთარი თავის გადარჩენის, თავის შენახვის ინსტინქტი.

9764. ხშირად ყველაზე უკეთ ის იჩენს პრინციპულობას, ვისაც დასაკარგი არაფერი აქვს.

9765. ჭკვიანსა და ბრიყვს შორის ის სხვაობაა, რომ ჭკვიანი ყოველთვის ჭკვიანად არ გვეჩვენება, მაგრამ ბრიყვს სიბრიყვეში ეჭვი არასოდეს გვეპარება.

9766. სიკვდილსაც თავისი გონიერების ,,ბაირამი'' აქვს და მის ხარჯზე სხვა სიცოცხლე-ცნობიერება აღმოცენდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენი ყოფა ერთ ადგილზე გაიყინებოდა.

9767. წესიერ კაცს დრო ყოველთვის პრობლემებს უქმნის, რადგან ის აიძულებს ყოფა დროს მოთხოვნის შესატყვისად მოიწყოს, რაც ყოველთვის სუფთა ხელებით არ კეთდება.

9768. უბრალოებას გონიერ ხალხში აქვს ფასი და არა – უგნურებში და ახლადგამომცხვარ ტუტუცებში.

9769. სიცილი და კარგ ხასიათზე ყოფნა ის ნათელი წამებია, რომელიც ჩვენი სულის მჭუნვარებას ამუხრუჭებს და ყველა უგნურების ჩადენისაგან დროებით გვიცავს.

9770. მუზეუმი, ოპერისა და ბალეტის და დრამატული თეატრი ერის, ქვეყნის, სიამაყეა. ამიტომ მათი მოფრთხილება, შენახვა ყველას ვალია, მიუხედავად იმისა, ფული შემოაქვთ თუ არა.

9771. როდესაც გული ახერხებს სასიცოცხლო ძალების ხარჯვას, ეს იმის მაჩვენებელია, რომ შრომის, გარჯის, საშუალებებს სიამოვნებით იყენებს.

9772. მტკიცე ხასიათის გარეშე, ნიჭის მიუხედავად თუ დიდებასახელისთვის შინაგანად მზად არ ხარ, მას ვერ მიაღწევ და ბედიც ახლოს არ გაგეკარება.

9773. ფილოსოფია ყველას არ უყვარს და არც ესმის, მაგრამ მის გარეშე გონიერებას ცხოვრება უჭირს, ხოლო ოცნებას – არსებობა.

9774. დიდებას, სახელს, მაინც პატივი უნდა მივაგოთ, მჯობნის მჯობნელობა, როცა იქნება, თავის რიგს მოიძიებს.

9775. პრაქტიკულად ყველანი ვცრუობთ, რადგან სიმართლის თქმა პოზაში დგომა არ არის და არც წმინდანია, რომ ვეთაყვანოთ.

9776. ყველა ცოდნა შეზღუდულია, უცოდინარობა შეუზღუდავია და სამყაროს გონიერების ძაღლის თავის აქ არის დამარხული.

9777. ავი ენები იკბინებიან, სისხლს გვწოვენ და ტყვიას გვესვრიან, მაგრამ საპირისპიროდ უნდა შევაგებოთ სიმშვიდე, არშემჩნევა და ყოველივე უმტკივნეულოდ და ვადამდე მოგვარდება.

9778. ზოგჯერ ის უფრო ბედნიერია, ვინც შედარებით ნაკლებად განათლებულია, ვიდრე ის, ვისაც მომეტებული ცოდნა აქვს, რადგან პირველისაგან განსხვავებით მეორეს სამყაროს ხვალინდელი ბედი აწუხებს და მის შესაძლო გაქრობას მისტირის.

9779. პიროვნებაა ისიც, ვინც მრავალმხრივი ნიჭიერების გამო თავისი ძირითადი ადგილი ცხოვრებაში ვერ მონახა და ასაკის მიუხედავად ამ ადგილის მიგნების ცდაშია.

9780. როდესაც სასაფლაოზე ჩავლისას უცხო შენს საფლავზე ფავილს დადებს, ეს იმის მაჩვენებელია, რომ ამქვეყნად დრო ტყუილუბრალოდ არ გაგიხარჯია.

9781. ყველა საუკუნის ქარტეხილს, დროის ყივილს თავისი გმირი ჰყავს, რომელიც საქმიანობის მიუხედავად ფასს არ კარგავს.

9782. არის სიავე, რომლის გარეშე ცხოვრება შეუძლებელია (ავტოტრანსპორტი, ინტერნეტი, ქიმიური საწარმოები და სხვა), მაგრამ მის მოსათოკავად დამატებითი ხარჯების გაღებაა საჭირო, ტექნიკური პროგრესის გამოყენებით.

9783. პატრიოტიზმია, თუ წინაპართა ხსოვნას, ხელისუფლებას, პატრონ-მფარველს პატივს მიაგებ, სამშობლო, მშობლები, ოჯახი გიყვარს, ამხანაგებს, კოლეგებს, აზრს უზიარებს და მარად კონსენსუსის ძიებაში ხარ.

9784. როდესაც შენი ეროვნულობით, ისტორიით, მომავლის იმედით, ამაყობ, სიკეთეს ჩადიხარ, ეს შეგნებით იქნება თუ შეუგნებლად, პატრიოტიზმია.

9785. სამშობლოს საკეთილდღეოდ ყველა წინდახედული ქმედება პატრიოტიზმია, წინდაუხედავი – ნაციონალიზმი.

9786. ბუნტი, რევოლუცია, მაინც შემთხვევის, აფექტის, დაპირისპირების შედეგია და არა – დაგეგმილი კანონზომიერება, რომელიც ყოველთვის არსებობს უხიაგ ხელისუფლებასა და ბრბოს შორის, რაც გარკვეული დროის მონაკვეთში ხალხის ნებას ვერ მოერგო.

9787. სასწაული შენი თავის წინაშე შენვე უნდა მოახდინო, ერთხელ ქალს იმაზე მეტიც უნდა აპატიო, რაც შენს აღზრდას და ტრადიციას შეეფერება, თუკი შეიშნო.

9788. ზოგჯერ სიკეთის ნდომა ცუდად ფასდება იმ ბრბოში, სადაც შენდაუნებლიედ გიხდება ცხოვრება.

9789. არის თანაგრძნობა, არის ნიშნისმოგება. მიუხედავად მისამძიმრების ერთი ფორმისა, მათ შორის, ტონიც, გულწრფელობაც, სიტყვების რახარუხიც სხვადასხვაა, რადგან შინაგანი სიმების ჟღერადობა

ქვენა გრძნობებს ვერ მალავს. მაგალითად,საქართველო-რუსეთის ურ-თიერთობის გართულების ფონზე საქართველოს მთავრობის სამძიმარი "ბესლანის ტრაგედიასთან" დაკავშირებით ზედმეტად "შეტენვას" და ნიშნისმოგებას ჰგავდა.

9790. სჯობს ცოცხალი იყო და გაქურდული, ვიდრე მდიდარი გარდაცვლილი, მაგრამ ცოცხლები ამ აქსიომას ვერ ითვისებენ და თავს ვაჟკაცობაზე დებენ.

9791. გაჭირვება ზოგჯერ კანონზე ძლიერია, ეს უკანასკნელი ხში-რად ჯელსაც სამარეს უთხრის ან არ ამჩნევს.

9792. ფილოსოფოსობას და მჭერმეტყველებას ყოველთვის გამარ-თლება და მომხიბვლელობა არ აქვს: როდესაც შენს ახლობელს მიც-ვალებული უწევს წინ, აქ ფელა გენიალური რჩევა და სიტყვა უგვინო-ბაა, გარდა ჩუმად თავის ქნევისა და თანაგრძნობისა.

9793. მომავალი ის კრედიტია, რომელსაც მუქთად არავინ მოგ-ვცემს თუ არ წაიჩალიჩე.

9794. ექსტრემიზმი არც პატრიოტიზმია და არც ნაციონალიზმი, უბრალოდ, უგნურებიდან გამოსავლის ძიებაა იქ, სადაც გამოსავალი არ არის.

9795. შემოქმედებით, კრიმინალურ, ყოფით ხულიგნებს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი მუზას გვინერვიულებს, მეორე დაუფიქრებლად ციხის კარებს აკაკუნებს, ხოლო მესამე სიცოცხლეს იწვალებს და რა-ტომ, ვერ გაუგია.

9796. სატატუსი იმისა, რომ შენ ცნობილი პიროვნების შთამომა-ვალი ხარ, მძიმე ტვირთია, სახელია, ნაშიერთა სასიამოვნო მოსახედია, მაგრამ პასუხისმგებლობაც დიდია, რადგან ყოველთვის უნდა გახსოვდეს "ვისი გორისა ხარ".

9797. კანონიერი ჟინი, გატაცება, ვნება, იშვიათად ემორჩილება კანონზომიერებას.

9798. პატრიოტიზმი ფესვების გამაგრებას ცდილობს, ინტერნაციო-ნალიზმი – ღეროს ტანისას, ხოლო ნაციონალიზმი ფოთლების შრია-ლით კმაყოფილდება.

9799. ოპონიერებას პატივს ვცემთ და ვეთაყვანებით, მაგრამ არა იმდენად, რომ სხვის დაკრულზე ვიცეკვოთ და მისი ნასუფრალით ვიკვებოთ, თუმცა კაცია და გუნებნა.

9800. ოპონენტს უნდა პატივი ვცეთ და არა მოშურნეს, რადგან პირველი შეცდომების გამოსწორებას გაიძულებს, მეორე შეცდომები-საკენ გიბიძგებს.

რევოლუცია

9801. რევოლუცია დაუნდობელი შერკინებაა ყოფის მონაპოვრის გადანაწილებისთვის.

9802. რევოლუცია გვაიძულებს დროშას, სამშობლოს, პატიოსნებას და ფელაფერს, რაც გვწამდა ძველად, ქიმწმენდა ჩავუტაროთ.

9803. რევოლუციების გადამკიდე ქვეყანას უჯობს ძეგლები ბორ-ბლებზე დაამონტაჟოს, ვიდრე ბატონ კვარცხლბეკზე, დროის შესაბამი-სად მათი გადაადგილება უფრო გაადვილდება.

9804. ყოველგვარი რევოლუცია, გარდაქმნა, რეფორმა, შესანიშნავი საშუალებაა ხალხის კეთილდღეობის სახელით ნაძირალების ქურდობისა და უნამუსოთა სულის მოთქმისათვის.

9805. მთავარია, დანაშაული არ მოხდეს და ფათეთრაკს არ გადა-ვეყაროთ, თორემ დამნაშავეც მოინახება, კანონიც მის დასასჯელად გამოინახება, საზოგადოების თვალის ახვევაც მოხერხდება და მისი დამ-შვიდებაც, ოღონდ რევოლუციიდან თავის დაუღწევლად.

9806. რევოლუციას ახდენს ცხოვრებით ასე თუ ისე უზრუნველყო-ფილი ახალგაზრდობა, რომელსაც ძალაუფლების უგერგილობა და თოფის დიდი ხნით კუთხეში მიგდება მოსწყინდა და დრომ აქტიურო-ბისკენ მოუწოდა.

9807. რევოლუცია და ქვეყანაში არეულობა კოლოსალურ შესაძ-ლებლობებს აძლევს: ავანტურისტებს და მედროვეებს, რომლებიც შემ-თხვევას ხელიდან არ უშვებენ, ისტორიის სარბიელს ეთამაშებიან და შემდეგ რა მოხდება, მათ არ აინტერესებთ.

9808. რევოლუცია ბარბაროსული პროგრესია, რომელიც ,,ნათელი მომავლისკენ'' ხალხს სულ ხტუნვა-ხტუნვით ატარებს.

9809. სახელმწიფოს წყობა ძირითადად რევოლუციით, ამბოხის მოშველიებით, იცვლება, მაგრამ ამ დაპირისპირებაში მთავარია მთავ-რობა წაიტეხს ფეხს თუ ბუნტის მოთავენი. ისე კი ფელა შემთხვევაში შედეგი სავალალოა.

9810. რევოლუციის მოთავენი შეიძლება იყვნენ ჯალათები და ერო-ტომანები, ხოლო მათი თავიდან მოშორების შემდგომ რეგრესული რევოლუცია იცვლება პროგრესულით.

9811. რევოლუცია სიძულვილს, სიკვდილს, ბადებს, რომლის მიზეზი წინდაუხედავი, სუსტი ხელისუფალია, რომელსაც დროთა განმავლობა-ში რატომღაც წმინდანად ან ერის შვილად აცხადებენ იმის ნაცვლა, რომდ ანათემას გადასცენ და სახელმწიფო ღალატში ამხილონ, რადგან მისმა უგნურებამ ქვეყანა ევოლუციური რიტმიდან ამოაგდო.

9812. რევოლუცია და ხალხის ბრბოდ გადაქცევა სინონიმებია, ამიტომაც ჯობს მას ისევ მოთმინება და დროის გაფანის მცდელობა დავუპირისპიროთ, რადგან არეულობის დროს ბევრი თავის დროზე გამოსამჟღავნებელი ნიჭი იკარგება სამყაროსათვის, ქვეყნისათვის.

9813. ბოტანიკური და ფერადი რევოლუციების უბედურება ის არის, რომ ხალხთან დიალოგის მობილიზება და სახელმწიფო საქმის გარჩევა ქუჩაში ხდება, შედეგს პარლამენტის შენობიდან გვატყობინებენ და აქედან რა გამოტყვრება, ბედის ანაბანას აქვს მიგდებული.

9814. რევოლუციას, სამწუხაროდ, იმაზე გრძელი კუდი და ვირეშმაკობა ახლავს, ვიდრე მის ქარაფშუტა ოპონენტებს ჰგონიათ.

9815. სსრ კავშირი მუდმივად წინ ყურებამ, ილუზიურ მომავალზე ფიქრმა და აწმყოს პრობლემების მიფუჩეჩებამ დაშალა და არა ,,პერესტროიკამ'' და პატრიოტული ძალების გულისხმევამ.

9816. რევოლუცია შედეგს და სიკეთეს მაშინ იძლევა, თუ ის კონტრაბანდა არ არის და დროთა განმავლობაში თავისთავად მზადდება და მწიფდება, რაც იშვიათობას წარმოადგენს.

9817. რევოლუციის, პერესტროიკის და სხვა არეულობის მატარებლებს არც უნდა შეახტე და არც უბრძოლველად უნდა ჩამოხტე, უბრალოდ, ეცადე ამ მატარებელში ბილეთით იმგზავრო, რათა მუქთას არ დაეჩვიო, სიავის კეთება არ ისწავლო და ავანტურისტული მოგონებებით ცხოვრების გახსენებას არ დაეჩვიო.

9818. არ შეიძლება გვწამდეს რევოლუციონერების, მათ შორის, ფანატიკოსების, რადგან ისინიც ჩვეულებრივი მოკვდავები არიან თავიანთი შურით, ამბიციებით, მომხვეჭელობით და იმ გათავხედებული თავმოყვარეობით რომელსაც წინ ვერ აღუდგებიან.

9819. რევოლუცია მრავალთა ნებაყოფლობით სიგიჟეა, ,,პერესტროიკა'' – გამოთაყანებულ დილეტანტთა ეიფორია, რომელსაც საბოლოოდ იმედგაცრუებული ხალხი თვითონვე იშორებს.

9820. რევოლუცია ბევრ ნიჭს უაზროდ ახურდავებს თავის სასაფლაოზე, ოქროს ნაცვლად ბალასტად აქცევს და თავის დროში გაელვების უნარს უკარგავს.

9821. რევოლუცია მანამ არ მთავრდება, სანამ მისი ქურუმები იმ საქმეების განსჯასა და გადაწყვეტას ცდილობენ, რომელიც მათ არ ეხებათ.

9822. დროის არცოდნის სამართლებრივი სიბეცე რევოლუციის დედაა, პოლიტიკაში დილეტანტობა – მამა, ხოლო თანამოაზრეთა ტერორისაკენ მისწრაფება–დიქტატურის ბებიაცა და ბაბუაც, რადგან

ისტორიას მრავალჯერ გადამოწმებული გამოცდილება შედეგს არ იძ-
ლევა.

9823. სახელმწიფოებრიობის საშველად ყოველთვის „ახლად ამყრალებული“ დილეტანტი ვიგინდარები მოდიან, რადგან რევოლუ-
ცია თავის დროზე გადახტომის სურვილია, ყოველგვარი მომზადების გარეშე. ასეთი იყო „სპარტაკის“ მონათა აჯანყება, საფრანგეთის, რუსე-
თის რევოლუციები, ასეთივე დღე ელის ვარდების და ნარინჯისფერ რევოლუციებს, რომლებსაც ზურგს არც ეკონომიკა უმაგრებს და არც ქვეყნის მართვის გამოცდილება.

9824. რევოლუცია იქ აღმოცენდება, სადაც ხელისუფალი სუსტია და თავის ზერელე ცოდნა-გამოცდილების გამო მოსახლეობის უგვანო ნაწილს „უკანალს უთამაშებს“ და მათი გულის მოგებას ცდილობს, იმის ნაცვლად, რომ ხელში მათრახი დაიჭიროს და სასუსნავი მოამზა-
დოს.

9825. გონიერების დამხობა პოლიტიკაში ხშირად წყალდიდობად მოგვევლინება, ამიტომ ყველა რევოლუცია, გარდაქმნა, ეკონომიკით უნდა დავიწყოთ და პოლიტიკა ახლოს არ გავაკაროთ. ამის შესანიშნა-
ვი მაგალითია სსრ კავშირის უდღეური „პერესტროიკა“ და ჩინეთის უხმაურო დღეგრძელი საბაზრო რევოლუცია.

9826. ძალაუფლება ყოველთვის იქნება ვიგინდარების, გამომძალ-
ველთა და უნიათოთა ხელში, მაგრამ ეს არ უნდა გახდეს ქვაფენილების აყრის და რევოლუციის მოწყობის წინაპირობა, რადგან ამ დროს ყოველთვის იჭყლიტება ის უმრავლესი შუა ფენა, რომელსაც სერიო-
ზულად არაფერი აღელვებს და ყველაფერს თვალებდაჭყეტილი უყუ-
რებს.

9827. ჰორმონები ხანდახან ისეთ ბუნტს მოაწყობენ, რომ მათი შედეგის განსაზღვრა ადამიანის შესაძლებლობას აღემატება.

9828. რევოლუცია ბევრი სიკეთის მოტანას გვპირდება, მაგრამ მისი გამოცდილების კარუსელს რომ წარმოიდგენ, ისევ სჯობს ყველაფერი ძველებურად დარჩეს და ევოლუციით, ცივილიზაციის მიღწევებით, თან-
დათან გამოსწორდეს.

9829. რევოლუციას საწყისი აქვს, მაგრამ ბოლო არ უჩანს, თუ ეკონომიკა სერიოზულად არ გაიქაჩა.

9830. ყველა რევოლუცია თავისებური ეპიდემიაა და მისი ბაცილა ძალზე ბევრ დილეტანტს, ავანტიურიტს, უსაქმურს, აავადებს და მსხვერ-
პლად იწირავს, რადგან ბუნებაში მომხვეჭელობა, კარიერისტის სიმ-

პტომებია ჩადებული, რომელიც ჯეელობას, ყოფიერების როლის გაუთვითცნობიერებლად, დროზე ადრე უნდა მიითვისოს.

9831. ვერც ერთი ახალი მთავრობა ძველს იმიტომ ვერ სჯობნის, რომ ახალს ევოლუცია არ მოსწონს, რევოლუციისკენ იხრება და ძალადობასაც ითვალისწინებს ახლად დანიშნული გამოუცდელი კადრების ხარჯზე.

9832. კულტურა და ტრადიციები რევოლუციას არ გააჩნია, რადგან თავად ფიქრობს ყოველივეს ახლიდან შექმნას და თავზე მოხვევას.

9833. ყველა რევოლუციას თავისი განტოლება აქვს ერთი შედეგით: ჯერ ნგრევა, შემდეგ – შენება.

9834. სუფრისა და ქვეყნის მართვას შორის ის სხვაობაა, რომ ერთს ღრეობის შემდგომ ალაგება სჭირდება, ხოლო მეორეს – რევოლუციის შემდგომი დალაგება ვიგინდარების ალაგმვით.

9835. რეფორმატორთა ნაკლი ისაა, რომ გამოცდილების მქონე ასაკოვან კადრებს უკანა პლანზე მოისვრიან და მათ უკმარისობას ვერ გრძნობენ, რადგან ყოველივეს ზერელედ უყურებენ და მართვა ადვილი ეჩვენებათ.

9836. ყველაზე დიდ რევოლუციას ეკონომიკაში, პოლიტიკაში, ურთიერთობაში ნულების აღრევა ახდენს.

9837. რეფორმას განსაკუთრებული ნიჭის, შემართების, სიმამაცის, ადამიანი სჭირდება და არა ის, რომელიც სულ უკან იყურება და რაღაცას უკანა რიცხვით ანგარიშობს.

9838. რევოლუცია ერთი სახის პოლიტიკური ლპობის, მეორე სახით შეცვლაა და რომ ერთის სახის ლპობა სჯობს მეორისას ისტორიული გამოცდილება ამას არ გვიდასტურებს.

9839. საბოლოოდ ყველა სახის რევოლუციას, ხალხის სახით ჯალათთან აქვს საქმე.

9840. ადამიანის ცნობიერება ერთი ძალაუფლების ქომაგობიდან მეორის ქომაგად იქცა და ამას ვუწოდებთ რევოლუციას.

9841. რევოლუცია ციხის დარაჯებს კი არ ანთავისუფლებს, არამედ ზრდის და ახლებით ცვლის.

9842. ყველა რევოლუცია საბოლოოდ იმ სიმშვიდისკენ მიილტვის, რომელიც მას არ უნდა დაერღვია და ქვეყანაც არც ასე არ უნდა აერია-დაერია.

9843. სამწუხაროდ, რევოლუციას მშიერი კუჭი იწყებს და გადამძღარი ამთავრებს. რაც შეეხება ეროვნულობას, დამოუკიდებლობას, სიტყვის მასალაა პოლიტიკის უცოდინარ დილეტანტებისათვის.

9844. სამწუხაროდ, რევოლუცია სპონტანურად აერთიანებს ხელ-მოცარულ ვაიპოლიტიკოსებს, ინტელექტუალებს, ციხეში მყოფ ქურ-დებს, რომლებიც თავისი „კეთილი“ საქმის კეთებას თანამოაზრეთა დახმარებით ზვარაკად ეწირებიან, რადგან ნაოცნებარი სიწმინდიდან აღარაფერი რჩებათ.

9845. სულიერების, რწმენის, მსოფლმხედველობის, შეცვლა რევო-ლუციის დროს ერთი ხელის დაკვრით ხდება, თორემ ადამიანის ცნო-ბიერების შეცვლას ევოლუცია სჭირდება.

9846. გადატრიალების შედეგს რევოლუციად მოვნათლავთ თუ აჯანყებად, მაინც აქტიურ, პერსპექტიულ, ახალგაზრდებს იწირავს, რაც იდეის ფასადაც არ ღირს, ისევ ჯობს ევოლუციას და დროს დავუცა-დოთ.

9847. ყველა რევოლუცია დაკარგული თაობის ბაზისია, რადგან ის სულიერების, ტკივილის, ფიზიკური მოსპობის, ახლად აღმოჩენას ცდი-ლობს მაშინ, როდესაც ერთი თაობისთვის ცხოვრება უკვე დამთავრე-ბულია.

9848. რევოლუციას სიკეთე იმიტომ ვერ მოაქვს, რომ არსებულ უსამართლობას, კეთილი სურვილებით და იგივე უსამართლობით ებ-რძვის და ქვეყანა მანამ ვერ დადგება ფეხზე, სანამ ყოფიერების და დროის ფაქტორის მოთხოვნა ევოლუციის პარამეტრებს არ გაუტოლ-დება.

9849. ყველა სახის რევოლუციას გულშემატკივართა უამრავი რე-ზერვი ჰყავს, მაგრამ უმეტესობა უვიცი, ყბედი, გამოუცდელი, მეოცნებე კარიერისტი-ავანტიურისტია.

9850. დაუმორჩილებლობა, რომელიც შედეგიანად მთავრდება, რე-ვოლუციაა, თუ ჩაახშობენ – ბუნტია, ე.ი. გამარჯვებული მუდამ მართა-ლი და მიმზიდველია მომდევნო ამბოხამდე.

9851. დაუსჯელობა, კანონის და კანონიერების უგულებელყოფა, საზოგადოების გარყვნას და მოხელეთა გადაგვარებას იწვევს კვადრატ-ში, კუბში ე.ი. – არეულობას, რევოლუციას.

9852. რევოლუცია მეცნიერებას უნდა მივაკუთვნოთ, იმისდამიუხე-დავად, დამყყებულ ქვეყანაში ხდება თუ განვითარებულში, რადგან რეალურმა პოლიტიკამ ჭირი მოგჭამა, ხოლო ხელისუფლება დასაშვებ-ზე მეტად გაირყვნა, რაც კვლევის საგანი გახდა.

9853. აძმარებული ერია ის, რომელმაც, ავად თუ კარგად, ევოლუ-ციის შედეგად შემდგარ საზოგადოებას თავი ვერ დაადგა და კვლავ რევოლუციით აამღვრია.

რეკლამა

9854. როდესაც ბესტსელერი, სალაღობო, რეკლამა, ბევრია, მაშინ ხელშესახები, რეალური, ცოტაა ან არაფერია.

9855. რეკლამა ვაჭრობის მამოძრავებელი და მყიდველის ჯიბის გამომცარიელებელი საშუალებაა.

9856. თვითკრიტიკა თავისებური რეკლამა უნდა იყოს და არა საკუთარი იმიჯის შელახვა.

9857. რადგან გაგაკრიტიკეს და რეკლამა გაგიკეთეს, არ დაიბნე და კრიტიკა შენს სასარგებლოდ გამოიყენე, რაც მოწინააღმდეგისათვის სამი თითის კომბინაციის ჩვენების ტოლფასი იქნება.

9858. ქალები და ბავშვები ბიზნესის "პერპეტუუმ-მობილეები არიან. თუ არა მათი ყიდვისკენ ლტოლვა, დიდი ხანია რეკლამა და ბიზნესი ერთმანეთს თავს შეაწყენდა.

9859. ყველა რეკლამა ჩვენს სიბრიყვეზეა დამოკიდებული, მაგრამ ფულის კეთება არ ეშლება.

9860. ეტიკეტი მომავალის იმედით მებრძოლი სავაჭრო დუქნის დაფნის გვირგვინია.

9861. ახალგაზრდობისთვის მისაბაძ საქმიან ადამიანებს ტელევიზია არ ეძებს, მას ღირსებააყრილი და პოპულარული ხალხის ჩვენება ურ-ჩევნია – რეკლამა ბრბოდქცეულ ხალხში უკეთ საღდება.

9862. გონება მარტო თავისი ნაცოხნარით არ უნდა იკვებებოდეს, რადგან ის ახალი იდეების ფაბრიკასთან უნდა იყოს ასოცირებული და სწავლა რომ აუცილებელია და სასარგებლო, ამ იდეას რეკლამა უნდა ემსახურებოდეს.

9863. რეკლამა მსოფლმხედველობას ვერ ცვლის, მაგრამ გონიერე-ბას და გემოვნებას გვიბნევს.

9864. მდედრი ერთდროულად ქალწულიც უნდა იყოს, სექს-ბომ-ბაც, ქალიც, დედაც, ბებიაც, ოღონდ სხვადასხვა ასაკის და ღირსების მამაკაცთა გადასახედიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ურეკლამოდ და უყურადღებოდ დარჩება.

9865. მწარმოებელი, გამსაღებელი, ყოველთვის რეკლამის ვალშია, სანამ რაიმე კრიზისი არ დადგება და დევალვაცია თავს არ წამოყოფს.

9866. ქვეყნის ასაფავებლად რეკლამა უნდა გაეწიოს საღ აზროვნე-ბას, შემდგომ მივხედოთ ძალაუფლებას, ეკონომიკას, რადგან ამ უკანას-კნელის გარეშე პოლიტიკის როლი ნულს უტოლდება.

9867. სენსაციური ქრონიკა ვინმეს ტრუსებში თვალის შეგდება და ,,მასმედიის'' საამებლად იმ ორგაზმის განცდაა, რომლითაც მკითხველი სულის ონანიზმს იკმაყოფილებს.

9868. რეკლამა ძვირი სიამოვნებაა, რომელიც ყოველთვის ყალყზე შედგომას, მათრახის გადაჭერას და რეალურ შედეგს მოითხოვს.

9869. ეტიკეტის არსი: სხვას ისე უნდა მოექცე, როგორც შენ ისურვებდი მოგექცეოდნენ.

9870. გამარჯვებულს ყველაზე მეტად სჭირდება დამარცხებულის რეკლამა, თავის სიძლიერის გამოსავლენად.

9871. თუ მოწინააღმდეგე იმსახურებს, მისი რეკლამირებული მოსკორვაც უნდა შეგვეძლოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მის გასვრას აზრი არ აქვს.

9872. მთავარია, შესამჩნევი იყოს, თორემ მისი გონიერების, სილამაზის და ორიგინალობის გამოთხრა არ გაუჭირდებათ, რადგან ხშირად გემოვნებას რეკლამირებული ყოფა განსაზღვრავს და არა – დამყაყებელი საზოგადოებისათვის განკუთვნილი სტანდარტები.

9873. რეკლამა ზრუნავს ჩვენს კომფორტით გაცუნცულებაზედ და გვაიძულებს რელალურად ვიფიქროთ მის დაფინანსებაზე.

9874. არაფრის მომტანი, ერთიდაიგივე უღიმღამო შეკითხვები, ,,მასმედიისთვისაა'' იმიჯის მომტანი და არა – პიროვნებისთვის, ვისგანაც ინტერვიუს იღებენ, რადგან ეს დედობა რეკლამის ვირიშვილობასაა ამოფარებული.

9875. ღამის რეკლამა ელექტროენერგიის ლამაზი წვრთნაა დაუზარებლად და გონების ჩაურევლად.

9876. თუ გინდა ცნობილი და ფულიანი იყო, მთავარია გიცნობდნენ, რადგან მორალი, ტრადიციები, გაუფასურებული და ამოყირავებულია.

9877. არ უნდა ვენდოთ იმათ, ვინც ხშირად გვეუბნება, ,,მენდეთო'', რადგან მას ნდობა დაკარგული აქვს საკუთარი თავის წინაშე, სხვასთან კი რეკლამას იკეთებს.

9878. არის რაღაც წმინდა, ინტიმური, რომლის ტირაჟირება გონებისთვის მკრეხელობაა, მაგრამ რეკლამა აღებ-მიცემობის საწყისია, და მისთვის თავის დანებება ადამიანთა მოდგმას აღარ შეუძლია.

9879. ტრადიციებს არა მარტო პატივს უნდა ვცემდეთ, არამედ რეკლამაც უნდა გავუწიოთ, რათა სხვა ხალხებმა მათთვის მისაღები გაითავისონ და ჩვენთან მეგობრობას შეეცადონ.

9880. სკანდალი უკეთ გამოიყურება და ნაკლებად სამარცხვინოდ, თუ მას მუსიკალურად ავაჟღარუნებთ და რეკლამასაც გავუკეთებთ.

9881. სენსაციის გამოგონება – გავრცელებას ეტყობა ხელი უნდა შევუწყოთ, რათა ჩვენს ყოფას ფუფუნებისგან მიღებული რუდუნიზმი არ დაეუფლოს, სული არ დამყაყდეს და სხეული არ გაიხრწნას.

9882. ვინც ბიბლიას ყურადღებით ეცნობა, მისთვის ის ჩვეულებრივი წიგნია, ხოლო ვინც მის კითხვას გულს ვერ უდებს და ვერ იგებს, ცდილობს მის რეკლამირებას და სულის ბრენდად წარმოგვიდგენს.

9883. დღეს ნახევრად ტყუილს რეკლამას უწოდებენ და მისი რეალიზაცია ცოდვად არ ითვლება, ხოლო მოგება – დანაშაულად, თუკი ბიუჯეტს რაღაცას მიუგდებ.

9884. რეკლამა ცოლზე უარესი გამოდგა, ის ტელევიზიის ყველა არხზე ნერვებს გვიშლის და მაინც ვეგუებით.

9885. რეკლამა ხშირად „ქაქს“ ფიჭა თაფლად შემოგთავაზებს, მაგრამ ეს არც არავის უკვირს და თავის დაჯერების რეციდივს კვლავ უსაყვედუროდ განაგებს.

9886. ილუზიონისტი შარლატანისგან იმით განსხვავდება, რომ პირველი საოცრების კარებს გვიღებს და გვაოცებს, ხოლო მეორე შესაძლებლობაში გვარწმუნებს და ხანდახან შთაგონების ხარჯზე მცირე წარმატებებს აღწევს, ჩვენი მეშვეობით რეკლამას იკეთებს და მკურნალის სახელს ირქმევს.

9887. პოპულარული მდედრის სახე, ფეხები, მკერდი, უკანალი შეფასებული და დაზღვეულია, მაგრამ პატიოსანი ქალისა – პრაქტიკულად ჯერ არავის უცდია.

9888. გამოირკვა, რომ დღეს ერის კულტურა ფულის ოდენობასა და რეკლამას ემორჩილება.

9889. ჰუმანიზმსაც საზღაური სჭირდება, რადგან გამოხმაურება, პატივისცემა, რეკლამაა, ხოლო ამ უკანასკნელს ფულის გარეშე არსებობა არ შეუძლია.

9890. შოუ-ბიზნესის გამოხდომები უფრო შინაურ სამზარეულოში მომზადებული ბლეფია, ვიდრე რეალობა, რადგან ეს ახალი რეკლამის გამოცხობის საშუალებაა.

9891. არის საინტერესო, საჩვენებელი და საქმის მკეთებელი ხალხი, მაგრამ ამ უკანასკნელს ნაკლებად იცნობენ და აფასებენ, ვიდრე პირველ ორს, რადგან ისინი პიარს და რეკლამას არ გაურბიან.

9892. ნაკლიანი ქალი რომ გათხოვდეს, თავის რეკლამირება უნდა შეეძლოს, რათა ნაკლი მოდად და ღირებულებად აქციოს.

9893. ცხელი ფაქტები ხშირად რეკლამისთვის შებრაწული სიბრიყვეა, რომელიც საჩვენებლად საინტერესოა, ხოლო გასასინჯად – უდღეური და უვარგისი.

9894. სასამართლო პროცესის მართვა წინათ დიდი დრამა იყო, მცირე შემოსავლით. დღეს პატარა დრამაა დიდი შემოსავლის მიღების პერსპექტივით, თავისი პიარით, რეკლამით, მატერიალური გამორჩენით და ამას წყვილი, მაყურებლის მიზიდვის მიზნით დიდი სიამოვნებით თამაშობს.

9895. რადგან რეკლამის გარეშე არაფერი არ საღდება, ხოლო ხელოვნების მსახური შიმშილს ვერ უძლებს, ის იძულებულია თანამედროვე გაუნათლებელ და სულით გადაგვარებულ მაყურებელს ის მიაწოდოს, რასაც მათი მენტალიტეტი ამ ეტაპზე ჩაწვდება და გაითავისებს.

9896. ადამიანი ყოველივეს შთანთქავს, რასაც მიაწვდი ეს ხელოვნებაში იქნება თუ კულინარიაში, რადგან მთავარია რეკლამა, მოდა და დროის ყივილი.

9897. ასაკმიღწეული სიძვის დიაცის ანგელოზად წარმოჩენა ძნელია, მაგრამ რეკლამა და სათანადო დაფინანსება ამას თანდათან აზროვნების დაბინდვის ხარჯზე ახერხებს.

9898. ყოფის გამოაშკარავება მაშინ გვაძლევს ხელს, როცა ჩვენი იმიჯი თუნდაც უარყოფითი რეკლამის ხარჯზე ზევით აიწევს და პოპულარულს გაგვხდის, ხოლო რას იტყვის ხალხი, ამას უკვე მნიშვნელობა, აღიარებასთან შედარებით, არ აქვს.

9899. რეკლამა თუ არ გჭირდება, ნაადრევად არ უნდა გაიკეთო, თორემ პოპულარობა ბევრ მთხოვნელს გაგიჩენს და თავსაც ბევრ სიამეს დააკლებ.

9900. ადამიანები თავის გამოსაჩენად ყველაფერს კადრულებენ და ამას მოდად და რეკლამად ნათლავენ.

9901. ჭორს თავის თავზე ის ავრცელებს, ვისზეც მოთხოვნილება არ არის და თავის წრეშიც არად აგდებენ.

9902. ზოგი ღმერთისხელა ხალხს იმიტომაც ედავება, რომ შეამჩნიონ და არა იმიტომ, რომ მას ამის შემართება აქვს.

9903. ტურიზმი კარგი მსახურია, ,,ისე-რა'' მასპინძელია. ცუდი პატრონია და მარადჟამს რეკლამის კეთებაშია.

9904. პატივისცემა და აღიარებაც რეკლამას მოითხოვს, მაგრამ არა – კოლეგებში და დარგის სპეციალისტებში, სადაც პაექრობა რამდენჯერმე უკვე მოგებული გაქვს.

9905. ვიღაცაზე და რაღაცაზე ფასის დადება არ არის ძნელი, მაგრამ მისი რეკლამირება და მყიდველთ მოძიებაა ზოგჯერ შეუძლებელი.

9906. უნიჭობა სენსაციების დოღს მაშინ მართავს, როდესაც თავის წარმოჩენის სხვა გზა არა აქვს.

9907. დევიზი-რეკლამა, ,,სულ ლაპარაკში გაგეცვითოს", ყველა მობილურ ტელეფონზე უნდა იყოს ამოტიფრული.

9908. წინათ სასიყვარულო ინტრიგებს მალავდნენ, დღეს პირიქით – შეგნებულად ამზეურებენ, რეკლამას იკეთებენ და ფულსაც იხვეჭენ.

9909. ბიზნესს რეკლამა, წარმოჩენა, გასაღება, სჭირდება და არა ეთიკა და ესთეტიკა.

9910. რეკლამას დევალვირებამდე მიჰყავს სიდიადე, რადგან ფულის გულისთვის დღეს საშუალო ნიჭს ამ სახელით ამკობენ.

9911. რეკლამა ხშირად სულის ნაცოხნარი ნარკოტიკია, კაიფია.

9912. ხმაური იგივე რეკლამაა თავის წარმოსაჩენად: აკეთებ სერიოზულ რაიმეს თუ არა.

9913. ერთმა "გააქარა", მეორე შეეკითხა, ბოდიში, ასეთი მაღალი ხარისხის ლობიო სად შეიძინეო. ასე, რომ რეკლამის შესაძლებლობები განუსაზღვრელია.

9914. ,,მიზანი ამართლებს საშუალებას" და ამიტომაც შავ ,,პიარზე" ტაბუ არავის გააჩნია, გარდა მუშტის ცხვირში ამორტყმისა, ეს რაც უნდა არაცივილიზებულად გამოიყურებოდეს.

9915. ღირსეული მტერი უნდა გვიყვარდეს, პატივს ვცემდეთ, რადგან ეს იმიჯს გვმატებს და რეკლამას გვიკეთებს.

9916. დღეს პიარი უფრო შედეგიანია, ვიდრე ტალანტი, რაც ფულის მოხვეჭის მცდელობის ავტორიტეტის ბრალია.

9917. ყოველი ზედმეტად გახსენება, გარდა ნეკროლოგისა, სახელის და ფულის მომტანია.

9918. ყველა ჩვენგანში დაწვრილმანებული დემონი ზის და თუ ვაიძულებთ, რეკლამირებას არ დააყოვნებს.

9919. მასის ყველაზე დიდი აქილევსის ქუსლი მისი გაუზრდელობაა, იმისდამიუხედავად, რომ მის აღზრდა-განათლებას ყველა ცდილობს, ვისაც რეკლამისგან ფული სჭირდება.

9920. მოშურნე მასზე ჩვენს მაღლა დგომას თავად აღიარებს ე.ი. რეკლამას გვიკეთებს.

9921. კეკლუცი მკერდის წარმოჩენას ცდილობს, უკარება უბისას – რა ქნან, ორთავე ქალია ე.ი. რეკლამა აუცილებელია.

9922. რეკლამა ცნობისმოყვარე ბედოვლათთა ექსპლოატაციაა გარკვეული გამორჩენით.

9923. ხშირად სახელის მოპოვების რეკლამა უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე თავად სახელის შექმნა.

9924. რეკლამა უმთავრესად ყიდვის წესის გამომზეურებაა და შედეგია რეალიზაციაზე ზრუნვა.

9925. რეკლამის კეთების ცოდნა პროფესიონალური მეკუბოვეს საქმიანობას ჰგავს, რომელმაც თავისი საქმე კარგად იცის.

9926. რეპუტაციისთვის მთავარია რეკლამაში შენზე ისაუბრონ, ეს იმის მაჩვენებელია, რომ ცნობისმოყვარეთა წრე გყავს.

9927. ცენზურა დიდი რეკლამაა სახელმწიფოს ხარჯზე, ხელოვნების მსახურნი, მწერლები, პოეტები ამას, როგორც იქნა, დღეს მიხვდნენ.

9928. ყველა ინფორმაცია, გარდა ნეკროლოგისა, არც თუ ისე ხელწამოსაკრავი რეკლამაა მოხერხებული კაცისთვის.

9929. ტოტალიტარული გაუნათლებლობა, უწიგნურობა, ვნებასურვილს რეკლამის სურვილზე აბრუნებს.

9930. რეკლამა მოხერხებული და სასიამოვნო ტყუილია, საკუთარი სურვილების, მცდელობის და იმედის გასამართლებლად.

9931. კრიტიკა არა მარტო აქიაქებს ნაღვაწს, არამედ, რაც მთავარია რეკლამას უკეთებს.

9932. რეკლამა ჭკვიანსაც სჭირდება და ბრიყვსაც, რადგან ყველას თავისი ,,ბაზარი'' აქვს.

9933. ხვადისთვის ყველა რეკლამა მისაღებია, მათ შორის, ნეკროლოგიც. მისი მაინც შურთ.

9934. რეკლამა თვალის ახვევაა და არა – მოტყუება.

9935. ხელოვნების ნაწარმოებს სარფიან რეალიზაციას რეკლამა და არა მისი უკვდავება უკეთებს, რომლის დადგენასაც დროის ჭაშნიკი და შემთხვევა სჭირდება.

9936. რეკლამა ხუშტურის, ვნების, დასამოძღვრი საშუალებაა და არა – სულისა.

9937. რეკლამასა და საროსკიპოს შორის ის თანხმობაა, რომ ერთი წარმოაჩენს, კონიუნქტურას ქმნის, მეორე ფასს ადებს და არეგულირებს.

9938. რეკლამა ხშირად თავშისაცემი სიახლის წარმომჩენია ფასის დადებით და არაექვივალენტური მოგების მცდელობით.

9939. რეკლამა ტექნიკური პროგრესის ნაკლის შემაფასებელი და აუცილებელი ჭანჭიკია.

9940. შემოქმედების რეკლამა წარმატების დედაა, გაფეტიშება – გავარსკვლავების საწყისი.

9941. გამოცდილება მცირე ზარალით უნდა შევიძინოთ და გავყიდოთ იმ ფასში, რასაც რეკლამის ვირეშმაკობა შესწვდება.

9942. სისულელე, ამოსვრილი რეკლამის საწებელში, სენსაციაა.

9943. კატას – თაგვი, მგელს – ცხვარი, ძაღლს – პატრონი უკეთებს რეკლამას, ასე რომ რეკლამა არა მარტო გაცნობიერების საშუალება, არამედ გამოცდილებაცაა და ჭკუის სწავლებაც.

9944. რეკლამა, ძირითადად, საზოგადოების, მოტყუებაა, მაგრამ ტექნიკური პროგრესი მის გარეშე ნაბიჯს ვერ აუჩქარებს.

9945. თუ ჩვენს პროფესიას არ შევეწირებით, მაშინ ჩვენი იმიჯი ვერ აიწევს და რეკლამაც „ჩაისვრის“.

9946. სიფვარული და პიარი სულიერებისთვის შეუთავსებელია, მაგრამ დღეს ფულის კეთების საუკეთესო შესაძლებლობა, რომელიც ასე სჭირდება გრძნობების დამაგრებას.

9947. არის აზრი, წიგნი, სიახლე, რომელიც ჩვენს ცხოვრებაში სარდაფიდან, სხვენიდან, გვირაბიდან, უნდა შემოიპაროს და არა – საპარადო სადარბაზოდან, რადგან სხვაგვარად მისით არ დაინტერესდებიან და ვერც ხალხის გონება აღიქვამს და გაითავისებს.

9948. იმისათვის რომ ვინმე გააკვირვო, თავი მოაწონო, თაფვანისცემა დაიმსახურო – „უნდა გადაიხადო“, გარისკო და აქ დაფიქრება და წინდახედულება ხშირად გამორიცხულია.

9949. სულიერი მემკვიდრეობა, მაცქერალთა მოზიდვის სარეკლამო ხრიკებზე არ ხურდავდება – ის მუდმვია.

9950. რეკლამას, ბიზნესს, ფულს, რწმენა, ტრადიციები, ფეხებზე ჰკიდია, რადგან მისი საწყისი მატერიალურია.

9951. აღიარებას, პოპულარობას, სიტფვით თამაშის და ჭორის არ ეშინია, რადგან ეს მათი აღმავლობის აჩქარებაა.

9952. აღიარებისთვის საჭიროა ჯიბის მოჩხრეკა და არც თუ ისე ზერელედ.

9953. ბრახუნით ხმის მიწოდება მცდელობაა იყო ცნობილი, რათა ცხოვრების სცენას დიდხანს შემორჩე.

9954. თვითკრიტიკა, უპირველესად, საკუთარი თავის სიფვარულია, რეკლამა და თავის წარმოჩენის მცდელობაა.

9955. გონივრულად მოწყობილი ერთი სკანდალი საკმარისია, რომ ცნობილი და საჭირო პიროვნება გახდე. ამას ბრბოს სიმპტომი ჰქვია.

9956. შემოქმედმა რომ ნაღვაწი ხეირიანად გაყიდოს, სახელის რეკლამაზე გაცილებით მეტი ჯაფა უნდა გასწიოს, ვიდრე თავის ნაშრომზე.

საზოგადეოგათმცოდნეოგა

9957. უგვანო ქვეყანაში ცხოვრება ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ყოფნის ტოლფასია, სადაც პაციენტის მკურნალობაზე სერიოზულად არავინ ფიქრობს.

9958. მონათმფლობელური წყობაც კი მისაღებია, თუ ადამიანები ქვეყნის მართვისას ჰუმანურობის კონსტიტუციით იხელმძღვანელებენ.

9959. ისტორიაში პირველობა, ძირითადად, შესაძლებლობის გამართლებაზეა დამყარებული, ვიდრე ნიჭზე და საქმის ერთგულებაზე.

9960. პროგრესს და ფუფუნებას ერთი ნაკლი აქვს: დროთა განმავლობაში იფეთქებს და აწყობილ ქვეყანას ისევ ასაწყობად აქცევს.

9961. ძნელია იმის შეგნება, როდესაც შენი თავის რეალური ფასი იცი, საზოგადოებას კი შენ არ სჭირდები და იმ სამსახურში გიყენებს, რომელიც არ შეგეფერება, იმ მოტივით, რომ დრო დღეს ვიგინდარებისკენ გადაიხარა.

9962. ადამიანთა ურთიერთობაში დაპირისპირება არ წყდება. დღეს ომი ტერორიზმმა შეცვალა, ხოლო ხვალ ტერორიზმი რა გაგრძელებას მონახავს დაპირისპირების გასამხნევებლად, ჯერ-ჯერობით, ამ საუკუნისთვის უცნობია.

9963. პატიოსნებად არ იბადებიან, მაგრამ გარემო, ცხოვრების პირობები, საზოგადოება აიძულებს, რომ ისინი ასეთები იყვნენ.

9964. დიდ იმპერიებს თვალი მუშტზე და წაგლეჯაზე უჭირავთ, პატარებს – გაყიდვაზე და გამორჩენაზე.

9965. საზოგადოებას, რომელიც სულიერად დაავადებულია, დრო სჭირდება სამკურნალოდ და არა პათოლოგიური იდეებით დაავადებული მმართველი.

9966. კანონიერება თუ ირღვევა, ჩამოუყალიბებელი ადამიანისათვის ზოგჯერ ზეიმია. მაგალითად, ობოლ ახალგაზრდას გარკვეული დროით სახელმწიფოს ნაჩუქარი სახლის გაყიდვა ეკრძალება.

9967. საზოგადოებამ დემოკრატიის, გონიერების, ყოფიერების რა დონესაც უნდა მიაღწიოს, ძალოვნების მომსახურების გარეშე ქვეყნის მართვა გაჭირდება.

9968. არის ბრბოდ ქცეული ხალხი, რომელსაც მწყემსი სჭირდება, არის მოქალაქედ ამაღლებული მასა, რომელიც საპრეზიდენტო მმართველობითაც იოლად გადის.

9969. ცვლილებები გონიერების დაძაბვის და უხერხულობის გარეშე შეუძლებელია, ხოლო ვინც ამას უხერხულობის და დაძაბვის გარეშე მოახერხებს,სწორედ ის გამოდგება ქვეყნის მმართველად.

9970. იდეებს, დროის და ტექნიკური პროგრესის წინსვლის შესაბამისად, მიმდინარე რემონტიც სჭირდება და კაპიტალდაბანდებაც, თუ საზოგადოებას უნდა აქედან რაიმე იხეიროს.

9971. პასუხისმგებლობა, გამოცდილება, ორგანიზაციული ნიჭი, ის საძირეა, რომელზეც ყველა თანამდებობის დამყნობა შეიძლება.

9972. ოპოზიცია გონიერი მმართველის ხელში ყველაზე დიდი დამხმარე უნდა იყოს, რომელთა დახმარებითაც მან უნდა იცოდეს, ვინ არის მისი რეალური მოწინააღმდეგე და ვინ როგორი პერანგის ჩამოცმას იმსახურებს.

9973. მორალი და ზნეობა ხშირად ცივილიზაციის უკუღმართობას არ ემთხვევა, მაგრამ საზოგადოება მაინც ქცევის თავის განზომილებებს ითხოვს.

9974. ელიტასთან განხეთქილება, დაპირისპირება, საზოგადოებას ძვირად უჯდება, რადგან ამას პოლიტიკური, ეკონომიკური, სულიერი კრიზისი მოაქვს, რომელიც დიდი ხნით გულგრილობაში გადადის.

9975. მგლების ორგანიზებულ ხროვას და ცხვრის დამჯერ ფარას შორის ის სხვაობაა, რომ პირველს მეორის გადასანსვლა შეუძლია, ხოლო მეორეს მათ თავხედობაზე შეშფოთებით ყურება, ასევე იქცევიან ზესახელმწიფოები, ამიტომ მათი ოდენობა სხვებთან უნდა გათანაბრდეს ან მოისპოს.

9976. შენი თავისაგან განსხვავებით, საზოგადოების წინაშე თავისუფალი ვერ იქნები, რადგან მათთან ცხოვრობ, ე.ი. უკვე დავალებული ხარ.

9977. ეკონომიკის, პოლიტიკის წინ წაწევას, აზროვნების პროგრესი, გამომგონებლური ნიჭი და ტექნიკური წინსვლის მიღწევების მორგება სჭირდება, რადგან მარტო ჟფფით და ჟბედობით შორს ვერ მივდივართ.

9978. რევოლუციის ამბოხს, პერესტროიკის ხუშტურს და ევოლუციას განვითარებას თავისი კანონები აქვს, რომლებიც უნდა თუ არ უნდა, საბოლოოდ ამ უკანასკნელის რელსებზე გადადის, რადგან საზოგადოებას დრო ქმნის და ბრბოს მენტალიტეტი აყალიბებს.

9979. პირადი თავისუფლება და კეთილდღეობა ყოველთვის შეიწირავს კოლექტიურ ყოფას და სიმდიდრის გადანაწილების მცდელობას, გონიერების და სახელმწიფო უსაფრთხოების ფარგლებში.

9980. ადამიანობას, გონიერებას, ღირებულებების დაცვას, ყველა მორალი სხვადასხვა პარამეტრებით ერთნაირად განსჯის, მაგრამ ყველას მიზანი საბოლოოდ მაინც ძალაუფლებაა, რადგან მის გარეშე ყველა დანაპირები ფუჭა.

9981. თანასწორობა, თანაბარი მოთხოვნები და საკუთარი შესაძ-ლებლობების მაქსიმალურად გამოყენება გარკვეული დროით დიქტა-ტურაა.

9982. სახელმწიფოებრიობის მომხრეთა მოვალეობა ძალაუფლების, არჩევითობის ტრადიციების, პატივისცემაა, ვადის გასვლამდე ახალი მთავრობის დანიშვნიდან თავის შეკავებაა, რადგან მოუთმენლობა ქვე-ყანას საფრთხეს უქმნის.

9983. დილეტანტობა და ენთუზიაზმი იქ ძალადობს, სადაც გასამ-რჯელო მცირეა და ცხოვრება მოუწყობელი, რაც სახელმწიფოებრიო-ბას იმიჯს ვერ უქმნის.

9984. საზოგადოებრივი უსაფრთხოება რეალური ინფორმაციის ცოდნა და საყოველთაო სიფარულის ქადაგებაა, რათა არ მოხდეს მასების დაპირისპირება სისულელის ჩადენით.

9985. სახელმწიფო ბიუჯეტის მთავარი ინვესტორი ხალხია, ხოლო მათი სამუშაო ადგილების შემქმნელი – მთავრობა, მაგრამ რატომღაც ორივე უხალისოდ ასრულებს თავიანთ ვალდებულებებს და ხშირად ერთმანეთს კრიჭაში უდგანან.

9986. როდესაც საზოგადოებაში წელსქვევით დარტყმა და ბიშტის ჩვენება მრავლდება, ეს ქვეყნის დეგრადირებაზე და ხალხის ბრბოდ ქცევაზე მიუთითებს, სადაც ქრთამმა და უკანონობამ საერთო ენა გამონახა.

9987. ხელისუფლება კონსტიტუციისთვის პლომბის ჩამოგლეჯას არ უნდა შეეცადოს, რადგან ამ მცდელობას საბოლოოდ არაფერი კარგი არ მოაქვს.

9988. ლიბერალიზმი თავისებური ნივთია, რომელიც ხელისუფლე-ბის ფეხქვეშ გდია და ვისაც არ ეზარება, ყველას მისი მითვისება შეუძლია.

9989. დღევანდელობას წუთიერი წარმატება აკმაყოფილებს და მისთვის უფრო გასაგებია, ვიდრე იმ მომავლის ხედვა, რომლის განხორციელე-ბის დაწყება დღეს უდიდეს გმირობას მოითხოვს და რომლის შედეგსაც გონიერი ხელისუფლება 20–30 წლის შემდეგ ხედავს.

9990. სრულყოფილია, ის საზოგადოებაა, სადაც სულიერების ძა-ლადობის ზემოქმედებას, სასამართლო ანგარიშს არ უწევს.

9991. ჰერმოაფროდიტები, საჭურისები, მოქალაქენი ვერ გახდებიან, რადგან მოქალაქეობა საზოგადოებისთვის ღირსეული კვლავწარმოება-ცაა.

9992. საზოგადოება წელში გამართულია, თუ პასუხს ყველას სთხოვს და უპირისპირდება, მათ შორის, ბუნების ზოგიერთ ძალასაც.

9993. ყველა დროს მისთვის გასაგები სისულელის გადახარშვა სჭირდება, რადგან საზოგადოების განვითარების „სპირალი", მეტ-ნაკლებად, ყველა ჩვენგანს ეხება.

9994. ადამიანი, რომელზეც სიკვდილის შემდეგ სიმღერას დაწერენ და ხალხს ეს არ აღელვებს, იმ საზოგადოების საქმე „ალჩუზე" ზის, მაგრამ გაუკულმართებისკენაა გადახრილი.

9995. ძალაუფლება, მისდაუნებლიედ, დემოკრატიიდან დიქტატურისაკენ მიისწრაფის, რადგან ძლიერება ცოდნის, გამოცდილების და ავტორიტეტის მარაგის დაგროვებაცაა, რომელიც დილეტანტ, ყბედ, ოპონენტს ვერ იტანს და ეს არის სწორედ მმართველის შეცდომა.

9996. არის უმადური სამსახური, რომელსაც საზოგადოება სათანადოდ არ აფასებს, მაგრამ მის აღმსრულებელ თავს უნდა სჯობდეს და მოვალეობის შეცნობით უნდა იყოს დაავადებული.

9997. ვიგინდარებისაგან, ნაძირალებისაგან საბრძოლო ერთეულის მიღება შეიძლება, თუ მას სათავეში ასეთივე მენტალიტეტის დიქტატორი უდგას.

9998. ცუდი დრო არ არსებობს, არსებობენ უნიათი ლიდერები, რომლებიც დროსაც ამუხრუჭებენ, საზოგადოებასაც რყნიან და ხალხისთვისაც უბედურება მოაქვთ.

9999. მასებით მანიპულირება მაშინაა შესაძლებელი, თუ შენი ორატორობა აბრიყებთ და სხვის ჯინაზე მხარს გიჭერენ.

10000. საზოგადოება ცივილიზებული არასოდეს იქნება, რადგან ყოველივე შეფარდებითია და ხალხს თავის ჭკუაზე ცხოვრება სურს.

10001. არც ერთ საზოგადოებას, თავისი ყოფიდან გამომდინარე, უფლება არ აქვს მორალზე ილაპარაკოს, მაგრამ სიწმინდის საწყისი უნდა დაიცვას, რადგან რაც აქვს, ისიც ხელიდან არ გაუქრეს.

10002. ტერიტორია ქვეყნად რომ იქცეს, გადაგვარებულ ბიზნესს დორბლი უნდა მოვწმინდოთ, ბიუჯეტის შევსების კანონები უნდა დავხეწოთ, ხელისუფლებას სლოკინი უნდა დავაწყებინოთ, მასას ბატონობაზე ცხინკებ-ცხინკებით ხელი უნდა ავაღებინოთ, მივხედოთ მეცნიერებას და მისი ნაღვაწის დაგვირგვინებას, რათა ჩვენი მცდელობის ნაჩალიჩარი არ გავაქროთ და ავამყრალოთ.

10003. ნაციონალიზმი გუშინდელი დღეა, მაგრამ არც ინტერნაციონალიზმია დროის მამლის ყივილი, რადგან ის ეროვნულ კულტურის საწყისს ძირს უთხრის.

10004. სამშობლო თავად უნდა მოვიძიოთ, ის თავად არ მოგვნახავს.

10005. კაპიტალიზმი ცდილობს ადამიანის მერყევი ბუნებაგემოვნებიდან, იდეოლოგიის გარეშე, მეტი სარგებელი მიიღოს, სოციალიზმს კი ადამიანზე უკეთესი წარმოდგენა აქვს და სულ მის აღზრდაშია. შედეგად მისწრაფებების შეუთანხმებლობა ახლის ძიებას და კრიზისს იწვევს.

10006. მუდმივი ბრძოლა განაჩენია, რაც ჩვენ გონებას და მორალზე მოქმედებს, თითქოს ქვეყანა მუდამ ჩამორჩენილია, მაგრამ მაინც წინ მიიწევს.

10007. ყოველთვის მზად უნდა ვიყოთ საკუთარ მთავრობაზე სანადიროდ, რათა რაიმე არ შეეშალოს და ადამიანის უფლებებს ღრენა არ დაუწყოს.

10008. ყველა დარგს თანდაყოლილი უნარი სჭირდება, ამიტომ რომელიმე სპეციალობის და მათი მსახურის გაფეტიშება საზოგადოების მოუმზადებლობაზე და უხეირო სახელმწიფოს არსებობაზე მეტყველებს.

10009. საზოგადოების განვითარება ყოველთვის იწვევს კონფლიქტს დაკომპლექსებასა და ეთიკას შორის, მიუხედავად იმისა, რომ კომპრომისი მათ შორის გარდაუვალია.

10010. ყველანი ცოდვილნი ვართ, მაგრამ გააჩნია დროს, შემთხვევას, მსოფლმხედველობას და ტაშის დამკვრელებს.

10011. რეფორმატორობას ისევ პიროვნებების წარმოჩენით ქვეყნის მართვა სჯობს, რადგან ,,ბლიცს" ოპოზიცია არ დაგვიფასებს და ყოველთვის ეცდება ფარსი გაითამაშოს.

10012. მხოლოდ გამოცდილების ანალიზი იძლევა საშუალებას საზოგადოება განვითარდეს, განათლდეს, თავს აჯობოს და დღეისათვის მიუწვდომელი ხვალ ხელშესახები გახადოს.

10013. განუვითარებელ ქვეყნებში, ეკონომიური და პოლიტიკური კრიზისი გონიერების უქონლობის, უპატივცემულობის და ,,შუშუ" მმართველობის ბრალია.

10014. ნაძირალები არ სწორდებიან, ამიტომ მათი ხალხად ჩათვლა საზოგადოების დაცინვაა, ისინი მოკვეთილნი უნდა იყვნენ და იმედი, რომ ისინი სასიკეთო საქმეს დაუბრუნდებიან, სხვის ხარჯზე მოწყალების გაღებაა.

10015. მდიდარი იძულებულია უწილადოს ღარიბს, რადგან ეს ქმედება სოციალური პასუხისმგებლობაა ქვეყნის წინაშე, საზოგადოებაში სიმშვიდის შენარჩუნებისა და ბოღმის პარამეტრების მოსახსნელად.

10016. მარტოხელობის ისტორია არ არსებობს, რადგან თამასას სიმაღლე, რომელიც უნდა დაიძლიოს, საზოგადოების გადებულია.

10017. ღირსეული საზოგადოების შესაქმნელად საჭიროა თავის განძრევა და ხელების დაკაპიწება დევიზით „რა გვჭირს სხვასთან სამათხოვრო".

10018. სიავის მოტანა ყველა წყობას შეუძლია, თუ ქვეყნის სათავეში ხეირიანი ხელისუფალი არ დგას.

10019. ჯიბის ადვოკატურას, პროკურატურას, სასამართლოს, ანარქიულ დიქტატურამდე მივყავართ დაულაგებელი სიმკაცრის და კანონის გარეშე, რაც სახელმწიფო წყობის ნაადრევ შერყვნას იწვევს.

10020. საზოგადოებას არ შეიძლება ყველაფერი გაყალბებულ-გამარცხენებული ჰქონდეს, ერთს ამბობდეს და მეორეს აკეთებდეს, სულ რევოლუციაზე ფიქრობდეს და რეალობას არად აგდებდეს – შედეგად ხელში შემოგვრჩება აუშენებელი სახელმწიფო და ხალხის არშემგარი ბედი.

10021. ქვეყანას ხალხისთვის მისაღები დემაგოგია და ჩარჩოში ჩასმული პოლიტიკა ამყარებს, მაგრამ მის განვითარებას ხელს უშლის.

10022. საზოგადოებას მყარი დოგმები მაშინაც არ გააჩნია, როდესაც მეცნიერება ცდილობს ადამიანს სიცოცხლე გაუხანგრძლივოს, ხოლო მის სულს მოეფეროს და გაუგოს.

10023. რუსულ დედისგინებას და მამაკაცის ღირსებაზე გაგზავნას ქართულად შემდეგნაირი შესატყვისი აქვს: დილა მშვიდობისა, ნუ მიაცმოაცვამ, ნუ გაახურე და არა ისე, როგორც ყურს ეხამუშება. ამ სიტყვების ფილოსოფია რომ გაიგო, ამ საზოგადოებაში უნდა იცხოვრო გარკვეული დროით.

10024. საზოგადოება, რომელიც თავისი შვილების თავგანწირვას და საქმიანობას ვერ აფასებს და გულგრილია, განწირულია დასახურდავებლად.

10025. უნდა შევეჩვიოთ წარუმატებლობის დაყოფას და უნდა ვისწავლოთ ქმედებათა დამსახურების გააზრება, რადგან ამ ცნებათა აღრევა ქვეყანაში არეულობის გამომწვევი სიმპტომის ტოლფასია.

10026. რაჭველს ოქროს თევზმა, თავისუფლების სანაცვლოდ, სამი სურვილის ასრულება აღუთქვა. რაჭველი ჩაფიქრდა, და ხმას არ იღებს. თევზს ნერვები მოეშალა: მთხოვე დროზე რამე, თორემ ავმყრალდიო. ასე რაჭველივით იქცევა „გაეროს" უშიშროების საბჭო, რომელიც დაპირისპირებულ ქვეყნებში წლობით მოუწოდებს მორიგდით მშვიდობითო. მათ რომ მოლაპარაკება შესძლებოდათ, „გაეროს" რატომ მიმართავდნენ.

10027. XXI საუკუნე შემთხვევითი პრეზიდენტებისა და ხელისუფალთა საუკუნეა, რასაც ხელს უწყობს მოუმწიფებელი დემოკრატია, კალაპოტიდან ამოვარდნილი თავისუფლება, უგვანობამდე მისული ცხოვრების წესი და მოუმზადებელ დიქტატურულ რეჟიმთა რღვევა.

10028. დროა ქვეყნაში ოპონირების სამსახური შეიქმნას, ალტერნატიული რეალური მოსაზრებებით და გამოსაცდელი რაიონის დასახლებით, სადაც რეალური შედეგი სახეზე გვექნება და ქვეყანასაც ეშველება.

10029. სეპარატიზმის ბაზისი მაინც გაუმაძღარი კუჭია და დაუსაქმებელი გონება, რომელსაც ჩასაფრებული ჰყავს ნაციონალისტი ვიგინდარები და კოჭლი კარიერისტები, რომელთაც ძალაუფლების ოლიმპზე უშრომლად, დაუღვინებლად უნდათ წამოჯდომა.

10030. თუ მაღალი კლასის ქილერი, მეძავი, მაფიოზი, ნარკომანი, საკმაო ფულსაც შოულობს, საზოგადოების ვიგინდარა ნაწილი მათით ამაყობს და არა – განსჯით.

10031. სოციალიზმის ბევრი მოსაწონი კანონი ჰქონდა, მატერიალური დაინტერესების გარეშე, კაპიტალიზმს კი – ბევრი უსამართლო, მატერიალური დაინტერესებით, მაგრამ საზოგადოების განვითარებას ორივე „იზმი“ უკან სწევს, თუ ერთმანეთში კომპრომისი ვერ გამონახეს.

10032. პატრიოტული გრძნობების დევალვირება ეროვნულობას ვნებს, ხოლო მისი ზედმეტად წარმოჩენა – სახელმწიფოებრიობას.

10033. რაც ნაკლები ტყუილი „ბაირამობს“ საზოგადოებაში, მით უფრო ძლიერია ქვეყანა და ეროვნული შეგნება, ყოველგვარი ქვეძრომის და ყბედობის გარეშე.

10034. კაპიტალიზმის ნაკლი ის არის, რომ შრომის, შემოსავლების, ღირსების გადანაწილება თანაბრად არ ხდება, ამიტომაც უსაქმურად დარჩენილი ავანტურისტული ბუნების ადამიანები მატერიალური სიმდიდრით გაამაყებულ ხალხს ფულს სტრიპტიზით, სექსით, თავგასული ღრეობით, რეკეტით ახდევინებენ, რაც ამგვარი საზოგადოების გადაგვარების საწინდარია.

10035. სსრკ დამნაშავეა არა იმაში, რომ „პერესტროიკა“ მოინდომა, არამედ სოციალიზმის იდეების ღალატში, რითაც წყობის მხარდამჭერებს და მომხრეებს თავისი უნიათობით სულში ჩააფურთხა.

10036. საბჭოთა კავშირში ცივილიზაცია ჩუმად და თანდათანობით შემოდიოდა და მომაკვდინებლად არ მოქმედებდა ძველი კულტურის, ტრადიციების, მქონე მცირე ერებზე, ხოლო დღევანდელი ცივილიზაცია პატარა ერებს გაქრობას და დროზე აღგვას უპირებს.

10037. მშობელს და გვარის ისტორიას წესიერ საზოგადოებაში ზურგს არ აქცევენ.

10038. მოქალაქე საზოგადოებისთვის დიდი ბედნიერებაა, თუ მას მონდომების გასაღებს მოარგებს და ცოდნის სიკეთის კარებს გამოაღებს.

10039. სოციალური გადანაწილება თუნდაც იმიტომ იყო მისაღები, რომ ის რეკეტს, მექაობას, აფიორას, ასე უყურადღებოდ არ აფინანსებდა.

10040. საზოგადოება რაც უფრო ვითარდება და უკეთ ცხოვრობს, მით მეტად სჭირდება პოლიტიკური შოუს მოწყობა, გულგრილი ამომრჩევლების მიმართ – მთავრობის ასარჩევად.

10041. პოლიტიკაში გამორჩენის მიზნით სულის პროსტიტუცია არ იკიცხება, მაგრამ სამართლაინობას თავისი განზომილებები და პრიორიტეტები აქვს და მის გაბახება არ შეიძლება, რადგან ძალაუფლებისგან განსხვავებით, საზოგადოებას ღირებულებების გადაფასება გაცილებით ძვირი უჯდება, ვიდრე დროებითი სარგებლობა, ვითომდა, დიპლომატიის ხარჯზე.

10042. მშვიდობა იმდენად სათუთი რამ არის, რომ პოლიტიკოსებს და სამხედროებს არ უნდა ვანდოთ, აქ ისევ საზოგადოებრივმა აზრმა ხელი უნდა გამოიღოს და იყოჩაღოს.

10043. შენობა რაც არ უნდა თანამედროვე და ხარისხიანად იყოს აშენებული, დროთა განმავლობაში რემონტი და გადაკეთება თნამედროვეობის მიბაძვით მაინც სჭირდება. ასევე იყო სოციალისტური წყობაც, რომელსაც თანამედროვე პოლიტიკოსი არ აღმოაჩნდა, რადგან ყოველივე გონივრული და შემოქმედებითი აზრი რევიზიონიზმად ითვლებოდა.

10044. 21-ე საუკუნეში, როდესაც ხელისუფლებაში ამდენ გაურანდავ ხალხს ვუყურებ, ჩემდაუნებლიედ სტალინის გამართლებას ვიწყებ და ჩემი თავისთვის ეს ვერ მიპატიებია.

10045. დილემა: მხიარულ-გულღია და სერიოზულ-საქმიანი ადამიანებიდან რომელია უმჯობესი. ძნელი სათქმელია, რადგან საზოგადოების განვითარებას ტაშის დასაკრავები და ტაშის დამკვრელები სჭირდება.

10046. ქვეყანაში წესრიგის დამყარების ფელა მცდელობა რატომღაც ცხოვრების და ქრთამის გაძვირებით მთავრდება.

10047. ამაყი სიღარიბის და უფასო თავისუფლების ნათლია-დიქტატურა.

10048. დროსაც დეკორაცია, ფერუმარილი და მაკიაჟი სჭირდება.

10049. უსაქმურებს კანონით არ უნდა ჰქონდეთ ყბედობის უფლება, მაგრამ მათი შეცნობა გაჭირდებოდა და ამით საზოგადოება უფრო მეტად იზარალებდა.

10050. მე არავის ვუკუჟინებ თუ როგორი უნდა იყოს ადამიანი, მე განსჯით ვეგუები მის ბუნებას და იმისდა მიხედვით ვწერ და ვურჩევ ჩემს მკითხველს საზოგადოება მოაწყოს.

10051. რატომღაც ყბედი ნაციონალიზმი, თავდადებულ პატრიოტიზმთან შედარებით, პოპულარულია მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი გაცილებით საქმიანი და საჭირო ქვეყნისთვის, ვიდრე პირველი, მაგრამ სწორედ ეს პირველია გათავხედების ხარჯზე შედეგს სწრაფად და უშრომელად რომ აღწევს.

10052. სუსტი ან ძლიერი ხელისუფალი მოსახლეობის ყოფის დაძაბვის ტოლფასია, ერთის სხვაობით პირველი ანგრევს, მეორე აშენებს, მაგრამ გარდამავალი პერიოდი ორივე შემთხვევაში ძნელი მოსანელებელია.

10053. ორგანიზებული საზოგადოება უფრო ადვილი სამართავია, მიუხედავად იმისა, თქვენს მხარეს არის თუ წინააღმდეგია.

10054. სახელმწიფოს სიძლიერეს ყოველთვის მისი ბუნებრივი სიმდიდრე და ტერიტორიის ოდენობა არ განსაზღვრავს, აქ მთავარია ვის უჭირავს სადავეები.

10055. თუ ხელისუფლება ბევრს ყბედობს და თავის გამართლებას ცდილობს, ეს მაჩვენებელია, რომ სახელმწიფო აპარატში აღებ-მიმცემობის კონვეიერი ამუშავდა და სათავეში მექრთამეები და ვიგინდარები სხედან.

10056. კერძო და სახელმწიფო საკუთრებას ერთი სახის დანაშაული აერთიანებს – ხაზინის ქურდობა. ერთი რეალურ შემოსავალს მალავს და კუთვნილ გადასახადს არ იხდის, მეორე სახელმწიფოს პარავს და სამუშაო დღეს უყაირათოდ ხარჯავს.

10057. კორუფციის ქვეყანაში აღსაკვეთად ძველი გამოცდილი სახელმწიფო აპარატი მთლიანად უნდა გამოიცვალოს გამოუცდელი ახალგაზრდებით, მაგრამ მას თავის სამართალიც უნდა ახლდეს თან. თუ წინათ მშობლები არჩენდნენ შვილებს ნამამაძაღლევი ფულით, ახლა შვილებმა უნდა არჩინონ პატიოსნად მიღებული ხელფასით, ხოლო ვინც თავის შემცვლელზე დროულად არ იფიქრა და შვილი არ ჰყავს, თავს დააბრალოს.

10058. სტალინიზმის, ხრუშოვიზმის, ბრეჟნევიზმის, გორბაჩოვიზმის გამოვლის შემდგომ მიხვდი, რომ მათ მიმართ სასაყვედური არაფერი

გვაქვს, რადგან ჩვენც მათი გენის, ჯიშის და ჯილაგის ვართ და ყოველი-ვე შემთხვევის და ზევიდან დაპროგრამებული ბედისწერის საქმეა, თო-რემ ამოდენა მენტალიტეტის და ზომის ქვეყანა ასე უაზროდ არ უნდა დანგრეულიყო.

10059. ის არის ქვეყნის დიდი მმართველი, ვინც შთამომავლობას ტერიტორიების გადანაწილების თავსატეხს არ უტოვებს და ყველა სადავო საკითხს თავის დროზე მოგუდავს.

10060. ლიდერის ჭკუაზე და ხალხის ჭკუაზე სიარულს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი ქვეყნის ძლიერებაზე ფიქრობს და ამით ხალხის სასიკეთო საქმეს ეჩალიჩება, მეორე ოჯახის მოწყობს ფიქრობს და არა სახელმწიფოს ზურგის გამაგრებაზე, მაგრამ მათ შორის დაპირისპირება გარდაუვალია თუ ხელისუფლებამ დიპლომატიის ტკბილი კვერი და პოლიტიკის მათრახი არ გამოიყენა.

10061. ქვეყნის სამართავად მოხერხებული მმართველის მიერ შექ-მნილი გონიერი მართვის სისტემაა შესაქმნელი და არა – ძალაუფლის გაფეტიშება, მთავრობის თავზე წამოსკუპება და ხალხის მათხოვრული მზერა.

10062. საზოგადოების წევრებს ღირსებაზე საუბრის და ეროვნუ-ლობის წარმოჩენის უფლება მაშინ აქვთ, როდესაც მათი ქვეყანა და ხალხი უმაღლესი ხარისხის ნაწარმს უშვებს და განგების ნაჩუქარ ეროვ-ნულ, საუკუნეებგამოვლილი ბრენდის გარყვნას გულშიაც არ გაივლებს და მას ხალხი და მთავრობა კონტროლზე აიყვანს (მაგ. ბორჯომი, ღვინის და რძის ნაწარმი და სხვა.).

10063. გვინდა თუ არა საზოგადოებას ანგარიში უნდა ჩაბარდეს, ჩვენი გონიერების, მრწამსის, შეფასების ღირსნი არიან თუ არა.

10064. ალბათ, სოციალისტურ წყობაზე უკეთესი საზოგადოება არ არსებობს, მაგრამ მას არ მოსწონს, რომ უგვანონი ნორმაზე მეტად იბადებიან და გარკვეული ნაწილი აღზრდაზე არ რეაგირებს.

10065. საზოგადოების შვილი ხარ მანამ, მის კანონს ემორჩილები და შენგან რაღაცას გამოელიან, თუ არა და მის გერად ყოფნასაც არ გაკმარებენ.

10066. გარკვეული აკრძალვების გარეშე საზოგადოება დუნდება, ირყვნება, ცრუ პროგრესისკენ ვითარდება.

10067. მიუხედავად საუკუნეთა ამდენი გამოცდილებისა და „ჭრაჭუ-ნისა“, საზოგადოებას აზრზე მოყვანას და ამით საერთო სიავის წინააღ-მდეგ გაერთიანებას არაფერი შველის.

10068. უძველესი პროფესიებია: მეძავეობა, შუაკაცობა, ქურდობა, მსტოვრობა, ჯარისკაცობა, ვარსკლავთაღმრიცხველობა, კულტი მსახუ-

რება, მწყემსობა, ბებიაქალობაა, ჭორაობა, რომელთაც წინ უძღოდა: მატრიარქხატი, პატრიარქატი, ტომის ბელადობა, ხევისთაობა, პარლამენტარობა, მეკობრეობა, უფლისწულობა, მეფობა, იმპერატორობა. მიუხედავად საუკუნეთა კადრების ამდენი შემოწმება-გადამოწმებისა, საზოგადოებრივი აზრის დადუღებას არაფერი შველის.

10069. კაპიტალიზმის ავანტურისტულ ბუნებას და ყველგან და ყველაფერში ფულის კეთებას თრგუნავს სოციალიზმის ილუზიები, ქურდობა, ამაღლებული იდეები, ძალად შექმნილი დეფიციტი. დღევანდელ აჯაფსანდალურ წყობას კი რა უნდა და რას აკეთებს, თავად არ უწყის, მაგრამ პროგრესის ხარჯზე საეჭვო სიტუაციებიდან გამოძრომას ახერხებს.

10070. ვინც დოვლათს ქმნის, ხალხი არ აფასებს, ვინც პოლიტიკისობს და ქვეყნის დინამიურ განვითარებას ხელს უშლის, ის ყურადღებას იპყრობს. ეს საზოგადოების საოცარი უგუნურებაა, მაგრამ ამ ფაქტებს და დროის ვიგინდარათა თარეშის სად გავექცევით.

10071. ქვეყნის ბედს მაინც სახელმწიფოს პირველი კაცის გონიერება და უგნურება განსაზღვრავს, მის უკან რაც უნდა ძლიერი პარლამენტი, რეკლამირებული თავისუფლების და დემოკრატიული ინსტიტუტები იდგნენ.

10072. საგანი იცის, საკითხი არ ესმის და ასეთი ხალხია, ძირითადად, ქვეყნის სამართავ საჭესთან.

10073. საზოგადოებისათვის უკანონობაზე და გულგრილობაზე, საშიში არაფერია, მაგრამ ეს თითქმის არავის აწუხებს.

10074. სხვათა გამოცდილების ბრმად გადმოტანას ცუდის მეტი არაფერი მოაქვს, ამიტომ ჯობს ქვეყნის კრიზისისგან გამოსაყვანი კოქტეილი ყველამ თავის მენტალიტეტის მიხედვით შეაზავოს და თანდათანობით მიირთვას.

10075. დიქტატურის გამოცდილება-ანალიზს სასარგებლო რაღაც-რაღაცეების სწავლებაც შეუძლია, თუ ხალხი აიჭრა და მისი მოთოკვა გაძნელდა.

10076. ყველა წყობა მისაღებია, რაც ქვეყნის ძლიერებას, ხალხის კეთილდღეობას გამოადგება და პირად ინტერესებს ანგარიშს გაუწევს.

10077. ქვეყანაში არეულობის დაწყების დროს ყველა თვალს ახელს და პასუხისმგებლობის გრძნობა იღვიძებს, სანამ ქრონიკულში არ გადაიზრდება და პოლიტიკურ ბანქოს ქაღალდი სასუნსავით არ დარიგდება. შედეგად უმეტესობას გულგრილობა ეუფლება და თავის მოძმეთა ბედიღბალი ,,ისე'' რა აინტერესებს.

10078. არეულ ქვეყანაში, დაუფიქრებელი მათრახის გარეშე დაფიქ-სირებული არაფერი გამოდის.

10079. პოლიტიზებული ჰუმანიზმი საზოგადოებას გადაგვარებისკენ ექაჩება.

10080. სნობიზმის და დაყოფის გარეშე საზოგადოება არ ვითარდე-ბა, მოსწონს ეს გონების ჭყლეტას თუ არა.

10081. პატიოსნება, ნდობა, სიფვარული, საზოგადოების გადაგვარე-ბის მიუხედავად, ყველას სურვილია არ დაიკარგოს.

10082. ერის წინსვლას მოქნილი, უკომპრომისო ეკონომიკა სჭირ-დება, ხოლო სახელმწიფოს – კანონებით მოღერებული მუშტი.

10083. ობივატელს არ უნდა ვკითხოთ, თუ რაა საჭირო ქვეყნის აღმშენებლობისთვის. ამას სახელმწიფო უნდა წყვეტდეს, მათთან ყასი-დად მოთათბირების შემდეგ.

10084. კომპრომისზე წასვლა ხელისუფლებისთვის უკანდახევას არ ნიშნავს, მაგრამ გააჩნია საზოგადოებას – მას მათრახით სჭირდება მართვა თუ კვერცხი აზრიანი გორებით.

10085. რადგან საზოგადოების განვითარებას აუხსნელი კანონები ახლავს, ყველა ღირებულება მისი განვითარებისთვის არ გამოდგება, რადგან გონიერებისთვის მისაღები აქსიომა რეალობაში სურვილად და თეორიად რჩება.

10086. სამყაროს ჯახირი ასეთია: სუპერსახელმწიფოები თავხედო-ბენ, ბანდიტობენ და სხვას ჭკუას ასწავლიან, პატარა და შეუძლონი მათხოვრობენ, მლიქვნელობენ, სულით მეძაობას ეწევიან. ნეიტრალური სახელმწიფოები სხვის საქმეში არ ერევიან, ხოლო საშუალო ზომისა და შეძლების ქვეყნების მიმხრობაზე მიდის ნადირობა, რომლებიც ჩასაფრე-ბულები არიან და დროებით ვის მხარეზე დადგებიან, თავადაც არ იციან.

10087. საზოგადოების დაბალანსებას ცივილიზაციის თავნებობის კრე-დიტ-დებეტის ცოდნა სჭირდება.

10088. ჩვენ კანონზომიერებას უნდა ვემორჩილებოდეთ და არა – მეზობელ სახელმწიფოთა მსოფლმხედველობას და დროის შესაბამისად მოთარგმნას.

10089. ყველა პათოსი გამართლებული არ არის და არც მისი გამოფენაა საჭირო, რადგან საზოგადოების აზრის გადამლაშებას იწ-ვევს.

10090. საზოგადოების აზროვნების მოწესრიგება არც თუ ისე ად-ვილია, მაგრამ ვინც ამისთვისაა მოწოდებული, ცდა არასდროს არ უნდა დააკლოს.

10091. ყველა ახალი სისტემის, წყობის, დამკვიდრებას ქვეყანაში ევოლუციის მომღლელი პერიოდი უნდა უსწრებდეს.

10092. საზოგადოების განვითარების მარგი ქმედების კოეფიციენტი გერმანელ და ქართველ ხალხს თითქმის ერთნაირი აქვთ იმ სხვაობით, რომ პირველი სჯერდება შემსრულებლის სტატუსს, მეორეს ყველგან თავის გამოჩენა უნდა, შედეგად გერმანიის ტექნიკური პროგრესი და მოწესრიგებული ცხოვრების დონე ქართველებისთვის დღესაც საშურია.

10093. საზოგადოებისათვის უპირველესი მაინც სახელმწიფოს ინტერესებია, თუ თავის უფლებებს კანონიერების ფარგლებში დაიცავს.

10094. ქვეყნის ნგრევის ბაზისი მსოფლმხედველობის კრიზისია, რომლის გამოსწორება, ამ უკანასკნელისგან განსხვავებით, სოციალური მეთოდებით, ასე თუ ისე, შესაძლებელია.

10095. ქვეყანაში არეულობის დროს, ძალიან მრავლდება იმ ვიგინდარათა რიცხვი, რომლებმაც იციან როგორ უნდა გამოიყვანონ სახელმწიფო კრიზისიდან.

10096. პარტია არის საზოგადოებრივი აზრი მისი ლიდერის თამადობით.

10097. საზოგადოების ნგრევის შესაჩერებლად ერთჯერადი სიმტკიცის გამოჩენა აუცილებელია.

10098. საზოგადოება მკაცრი და სამართლიანი უნდა იყოს და არა – თავისუფალი და ლმობიერი.

10099. ის საზოგადოება სრულყოფილი, სადაც წარსულს მომავალი ემსახურება და ეს უკანასკნელი წინაპართ კრიტიკის გარეშე მოიხსენიებს.

10100. საზოგადოებას არაორდინალური აზროვნების ადამიანები, წინ მიათრევენ, ხოლო სული მათი ნამოქმედარის მოწესრიგებას და ტრადიციებზე მორგებას ცდილობს.

10101. საზოგადოება თავის იმიჯზე კი არ უნდა ფიქრობდეს, შედეგისთვის უნდა იღვწოდეს.

10102. ფუფუნება სიმდიდრისგან იმით განსხვავდება, რომ მას რწმენა და მორალი დაქვეითებული აქვს და საზოგადოებისთვისაც საზარალოა. მიუხედავად ამისა, საზოგადოებრიობას საუკუნეთა გულგრილი ქროლვა და სახელმწიფო მანქანის ვაი-ვაგლახი მართავს.

10103. ზოგს კამათი, ჭორაობა, ოპოზიციაში ყოფნა, გაცილებით მეტ სიამოვნებას ანიჭებს, ვიდრე საქმიანი შემოთავაზება და დაფიქრება.

10104. ცივილიზაციამ უნდა შეძლოს საკუთარ მოსახლეობაში კასტების შექმნა არაპოპულარული და მაღალანაზღაურებადი სამუშაოს შესასრულებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას ყოველთვის ექნება გაუგებრობანი ძალად ჩამოსახლებულთა მხრიდან.

10105. საზოგადოებას არ შეუძლია არ შექმნას ზედმეტი ხალხი, რომელთა უმეტესობა მიტოვებულია და არავის სჭირდება, მაგრამ ხელისუფალმა ისინი თავისებურად უნდა დაასაქმოს, მოუაროს.

10106. სახელმწიფოში მოჭარბებულ ადამიანთა ყოლა, ხელის დაკაპიწებას უფრო მოითხოვს, ვიდრე აკრძალვებს, შეზღუდვებს და სხვა გამოუსადეგარ მისთანებს.

10107. ვინც ძეხვის მირთმევით სიამოვნებას და კანონშემოქმედებით აღფრთოვანებას აპირებს, ის ამ პროდუქტის წარმოებას პირველ ხანებში მაინც არ უნდა იცნობდეს.

10108. გაწბილების შემდგომი ბრძოლა საზოგადოების მართვის კარუსელისთვის უცვლელი პრობლემაა.

10109. მარტოხელა დედა, სამოქალაქო ქორწინება, ოჯახის მეგობარი, შვედური ოჯახი, საზოგადოებაში დამკვიდრებულ ღირებულებებს ძირს უთხრის, გონიერებას აიძულებს ღირსებისათვის მიუღებელ თანამედროვე ყოფას ხალხი შეეგუოს და გაითავისოს.

10110. საზოგადოება უფროს-უმცროსობის ინსტიტუტის, გონიერების ოპონირება-აღფრთოვანებისა და წესრიგის გარეშე ვერ იარსებებს.

10111. რა სიკეთეც არ უნდა გაუკეთო ნებით თუ დაძალებით შემოერთებულ ტერიტორიებს, დროთა განმავლობაში მეამბოხის სული მათში ყოველთვის იღვიძებს, ყველა შენს დამსახურებას წყალს გაატანენ და ვალსაც დაგადებენ, ამიტომ ახალი მიწების შემოერთებისას, მასში სამშობლოს უქონელი ხალხი უნდა ჩაასახლო.

10112. საზოგადოება ჩვენს მიერ გარემოს კარნახით მოგონილი თამაშია, წესების დაცვის მცდელობით.

10113. ფორმულას, ,,მიზანი ამართლებს საშუალებას'', ბევრი ნაკლი აქვს, მაგრამ სხვა უკეთესი რეფორმატორისთვის ჯერ არავის შეუთავაზებია.

10114. ის საგადასახადო სისტემა და სახელმწიფო წყობაა მისაღები, რომელიც ხალხს ფულის დაგროვების საშუალებას კი არ აძლევს, არამედ – მის რაციონალურად გამოყენებას.

10115. საზოგადოების ,,ნაყარ-ნუყარი'' მუდამ მზადაა ვინმეს აეკიდოს, მიემხროს, რათა კანონის ფეხებზე დაკიდების ,,ალიბი'' ჰქონდეს. ისინი ყოველთვის ბუნტარების ხელში ,,განტევების ვაცის'' როლს ას-

რულებენ, ამიტომაც ქვეყნის სათავეში მოსული ხელისუფლება პირველ რიგში, უნდა შეეცადოს ამ მასტის ხალხის დასაქმებას ან სადაც ჯერ არს, გამოკეტვით, თუ უნდა ქვეყანაში სიმშვიდე შეინარჩუნოს.

10116. საზოგადოებაში ახალი მიმართვის, აზროვნების დასამკვიდ-რებლად სულ მცირე, 20 წელია საჭირო, ხოლო ახალი ინსტინქტების დასაკმაყოფილებლად ექვსი თვეც საკმარისია, რომ ქვეყნის ეკონომიკა და ზოგჯერ ბედიც, ბანდიტების ხელში მოხვდეს.

10117. ზნეობას თავისი ღირებულებები, წესები აქვს, რომელთაც უნდა მოვერგოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, საზოგადოება ირყვნება.

10118. სსრ კავშირის გენერალური მდივნის შესაძლებლობა აღემა-ტებოდა დღევანდელი პრეზიდენტის, მინისტრთა საბჭოს, პარლამენტი-სას, აღებულს ერთად, რადგან მის ხელში იყო ადამიანის სულიერება, ქცევის ნორმები, სამუშაო-დასაქმება. ძნელია ეს გააგებინო დღევანდელ თაობას და მათ მსოფლმხედველობას, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის მართვის წესებში თითქმის არაფერი შეცვლილა.

10119. ხელისუფალი ხალხს უნდა ესაუბროს იმ საკითხებზე, რაც მათ აინტერესებს, სჭირდება, სიამოვნებს, ხოლო ის უნდა აკეთოს, რაც საზოგადოებისათვის, ქვეყნისთვის, შთამომავლობისთვის საჭიროა და აუცილებელი.

10120. ისტორიული პროცესები ვიღაცის ნებით აჩქარება ან შენე-ლება თავისებური დრამატურგიაა ტრაგიზმით, რადგან ევოლუციის პროცესების აუცილებლობის ჭეშმარიტებაში ეჭვი გვეპარება, ეს კი საზოგადოების სწორად ჩამოყალიბებაში ყველაზე დიდი ნაკლია.

10121. საზოგადოება, სადაც გონიერება და გამოცდილება დაუფა-სებელია, მუდამ შეზღუდული შესაძლებლობის იქნება, მიუხედავად იმი-სა, ხალხი არჩევანს თავად გააკეთებს თუ ხელისუფლება თავადვე მო-ევლინება.

10122. საზოგადოებამ რომ გაგიცნოს, შეგეჩვიოს, გაგიშინაურდეს, მას ამის საშუალება და დრო უნდა მივცეთ, თუ როგორ ეს უკვე თქვენი მარიფათია.

10123. ჩადენილ სისულელეთა და შეცდომათა გამოსწორება შესაძ-ლებელი რომ იყოს, საზოგადოებას არაფერი დაუშავდებოდა.

10124. არ არსებობს სახელმწიფო მოღვაწე, მათ შორის – ფანა-ტიკოსიც რომელიც, პირველ რიგში, თავის თავზე არ ფიქრობდეს.

10125. სოციალიზმს და კაპიტალიზმს შორის ის სხვაობაა, რომ ქრთამი შეიცვალა „უკანგორებით“, პროტექცია – „ლობიზმით“ ქონე-ბის დამტაცებლები – „ბიზმესმენ-მაფიოზებით“.

10126. საზოგადოებაში ყოველთვის იქნებიან მორჩილად და მათ პატრონად დაბადებულნი, ეს ყოფის იურიდიული აქტებით გაფორმდება თუ არა.

10127. მარქსიზმი სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის თეორემებიდან შესდგება, მაგრამ არც მოსწავლეები გამოადგა ბოლომდე გონიერი და დრომ და ტექნიკურმა პროგრესმავ მხარი ვერ აუბა.

10128. ქვეყანას მოფარულები მართავენ, პროფესიონალები უსაქმურობით ერთობიან, ხოლო ჩასაფრებული ვაჭრუკანა ოპოზიცია ვის მხარეს არის და რას გააკეთებს, წინასწარ ცნობილია.

10129. მაფია ძალად ბიზნესმენთა ხროვაა, რომელიც, სიფრთხილის ხარჯზე, სხვათა დაშინებას ცდილობს.

10130. ლიბერალმა იცის, რომ ძაღლის აშვება არ შეიძლება, მაგრამ ამაზე კამათობს, ხოლო კონსერვატორმა იცის, ძაღლი დაბმული უნდა იყოს, მაგრამ სადრუნჩეთი თუ უიმისოდ, ვერ გარკვეულა.

10131. კონსერვატიზმსა და კონსერვატორიას შორის ის მსგავსებაა, რომ ორთავე მცდელობას მაღალ დონეზე, მათთვის ცნობილი არქაული მეთოდებით მოითხოვს.

10132. კონსერვატორი მაშინ ხდება იდეებით აღჭურვილი ლიბერალი, როცა მას ფეხის გაშლის საშუალებას არ მისცემენ.

10133. საზოგადოების შესაფასებლად საკმარისია: როგორ იცავენ მოქალაქენი მოძრაობის წესებს, სისუფთავეს, შესწევთ ღიმილის უნარი თუ არა.

10134. კაპიტალიზმმა სოციალიზმს ნიშნი მიუგო, მაგრამ როგორც ჩინეთის მაგალითზე ირკვევა, შერკინება კიდევ იქნება.

10135. სოციალიზმის დროს სახელმწიფო უწევს ექსპლუატაციას ადამიანებს, ხოლო კაპიტალიზმის დროს ,,დომხალია'' და ვერ გაიგებ ვინ ვის უწევს ექსპლუატაციას, მაგრამ უმეტესობა თავისებურად კმაყოფილია, რადგან ამ ექსპლუატაციით თავსაც ირჩენს და როდესღაც სხვთაა დასაქმების და ექსპლუატაციის შანსსაც იტოვებს.

10136. მთავარია კადრების როტაციის ხარისხი და არა მათი გაწვრთნა, რადგან ხშირად გადაადგილება საშუალებას იძლევა ყველამ თავისი ადგილი მონახოს.

10137. საზოგადოებაში გრძნობებს არ ათავხედებენ, მას უბრალოდ ამტკიცებენ, უფრთხილდებიან, ამოწმებენ.

10138. რაც უფრო მეტად ეცნობი საზოგადოებას, მით უფრო მიზანთროპი ხდები, მაგრამ იძულებული ხარ შენი დროის ინტერესებით იცხოვრო.

10139. სამყარო დღეს კორპორაციული ხდება, რადგან ცივილიზაცია კულტურის უნებლიე მკვლელად გვევლინება, ხოლო სახელმწიფოებრიობა ბიზნესს და ფულის კათებასაა გადაყოლილი.

10140. საზოგადოების ავ-კარგზე იმის მიხედვით მსჯელობენ, თუ რა მასტის მსჯავრდადებული ჰყავს ციხეში გამოკეტილი, ხოლო სახელმწიფოს ძლიერებაზე – თუ რა მდგომარეობაში ახერხებს მათ საზოგადოებისთვის უკან დაბრუნებას.

10141. ჩვენი ვალია შევქმნათ სულიერ და მატერიალურ ფასეულობათა დამატებითი ღირებულებანი, რათა საზოგადოება არ გადაგვარდეს.

10142. ,,სტერილური საზოგადოება" თეორიის ნაყოფია და არა – რეალობის, რომლის გარეშე ცხოვრების ბანქოს დარიგებისას სულ ,,პასი" უნდა იძახო, ყოველგვარი რისკის და შემართების უგულვებელყოფით.

10143. ,,სტერილური საზოგადოება" და მასში ოაზისის მოძიება, გაუკულმართებული ოცნების საგანია და არა – რეალობის.

10144. საზოგადოება იყოფა მომხსენებლებად და მსმენელებად, რომლებიც ერთმანეთის გარეშე ვერაფერს გახდებიან, რადგან მომწოდებლის მცდელობას, მომხმარებლის ამბიციების დაკმაყოფილების გარეშე, არავინ დააფასებს.

10145. საზოგადოება დადგენილ-გადამოწმებული წესებით უნდა ცხოვრობდეს, და არა ცალკეულ ადამიანთათვის ადრენალინის გამოყოფის სურვილის მცდელობით.

10146. რეფორმის დაწყება ქვეყანაში ძალზე ძნელი და სათუოა, ხოლო შეჩერება დამღუპველია, რადგან ეს სიძულვილს იწვევს რეფორმატორთა გუნდის მიმართ და ქვეყანაშიც არეულობა განაღდებულია.

10147. საზოგადოებას ყოველთვის ჰყავს მოსახლეობის ის ჯანმრთელი ნაწილი, რომელიც ქვეყნის კეთილდღეობისთვის იღვწის, მაგრამ სწორედ ამ ნაწილის დადგენა და გამოყენებაა ძნელი.

10148. ქვეყნის სიკარგის ტურისტის და ემიგრანტის ოდენობით ამოწმებენ, რადგან პირველი შემოსავალს იძლევა, მეორე გასავალს შემოსავლის იმედით.

10149. თანამდებობას გამორჩეულნი, მოხერხებულნი, ეუფლებიან და არა – ჭკვიანები და საქმის გულშემატკივრები.

10150. ადამიანი უნდა დაიმორჩილო ,,შენ ხარ ვენახის ძახილით" და შრომისადმი წაქეზების ბეგარათი.

10151. სიმკაცრე, უხეშობა, უსამართლობა ცუდი ზნეა, მაგრამ საზოგადოების ნაწილი ამ ძალადობას მეტ პატივს სცემს და ემორჩილება, ვიდრე სათნოებას და სამართლიანობას.

10152. ხელისუფლება ზოგჯერ მისთვის უცნობ ხალხსაც ყურადღებით უნდა აკვირდებოდეს, თუ უნდა მომხრეები გაიმრავლოს და სიმპათიები მოიპოვოს.

10153. სახელმწიფოებრიობა „ნებართვის გაცემა – არ გაცემა" ბაზისზე დგას, რადგან მის გარეშე ვერ იარსებებს.

10154. ჯალათის გამართლება და მსხვერპლის დაცინვა საზოგადოების განვითარების დონეზე მიუთითებს.

10155. ბრბოს მართვა უფრო ადვილია, თუ წინ წაუძღვებით, ვიდრე შეაჩერო და სწორი გზის გასაკვლევად დამოძღვრო.

10156. კომუნიზმი თავისებური რომანტიზმია, რომელსაც გაუგებარი და გაუბედავი სოციალიზმი საყრდენად ვერ გამოადგა.

10157. სოციალიზმი კომუნიზმის მამაა, მაგრამ მისი წარმომავლობის დადგენა ძნელია, რადგან კაპიტალიზმის და ფეოდალიზმის ნაბიჭვარია.

10158. ცოხე თეორიულად ის ადგილია, სადაც საზოგადოების მიერ დროებით რეპრესირებული ხალხი იმყოფება ჭკუის სასწავლად და გამოსასწორებლად, მაგრამ პრაქტიკულად ასრულებს თუ არა თავის ფუნქციას – სადაოა.

10159. ქვეყნის სადავეები მაშინ უნდა აიღო ხელში, როცა ბუნებით რეფორმატორი ხარ, გჯერა შენი მცდელობის და ფიქრობ, რომ ამით მომდევნო თაობებს არგებ.

10160. მეძავსა და პოლიტიკოსს ერთმანეთს ადარებენ, თათხავენ, მაგრამ მათი ოდენობა არ მცირდება, რადგან საზოგადოებისათვის საჭირონი არიან.

10161. თუ ქვეყანა გინდა გაიცნო, მის კულტურას უნდა ეზიარო, თუ ხალხი – სამზარეულოს, ხოლო მომავლის გასარკვევად მათი აღზრდის სისტემას უნდა გაეცნო.

10162. საზოგადოება ბოლომდე მომხიბვლელი ვერ იქნება, რადგან მას, ადრე თუ გვიან, სულელებიც დაჭირდება თავისი ეროვნულობით, ტრადიციების მოშველიებით და გაცდენილი დროისთვის ყურის აწევით.

10163. დამოუკიდებლობა ერის შეკავშირებაა, თავდაუზოგავი შრომით, გამრავლების მცდელობით და ჭკუაზე წიხლის მოხერხებულად დაჭერით.

10164. ჯანყით, ხმაურით, საქმე არ კეთდება, აქ უფრო ლოგიკა, აზროვნება, მოქმედებს, თუმცა გააჩნია საზოგადოებას, მმართველობას, ხელისუფლებას.

10165. თუ ყველა თავის გადასახედიდან მართალია, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენდა შეუმჩნევლად საზოგადოების გარყვნა დაიწყო.

10166. ცივილიზაციის ფუფუნებაში გადაზრდა და არა მედიდურად ცხოვრება ტრაგედიის ტოლფასია, რადგან მოსახლეობის გარყვნა აქედან იწყება.

10167. ცხოვრებაში უამრავი სწორი ვარიანტია ასარჩევი, უფრო მეტია შეცდომების დასაშვებიც, მაგრამ ამ თანაფარდობას მიუხედავად ცივილიზაცია წინ მიიწევს, ყოფა უმჯობესდება. საზოგადოების გადაჩეხვა-გადაგვარების საფრთხე კი მუდამ დღის წესრიგში დგას.

10168. მდიდარმა ქვეყნებმა უნითო ქვეყნები ძუძუების გამოსაწოვად არ უნდა მიუშვან, საბოლოოდ მაინც არაფერს დაუფასებენ.

10169. ქვეყნის, რომელსაც უკვე მხოლოდ თევზს ჩუქნიან და მის ჭერის სწავლას მაინცდამაინც არ აძალებენ საქმე წასულია, სანამ ვინმე გონიერი ხელისუფალი ხელში მათრახით არ გამოჩნდება.

10170. სახელმწიფოებრიობა – გადასახადების აკრეფის ხელოვნება, დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნის ჯადოქრობით და ბიუჯეტის სამართლიანად გადანაწილების უნარით.

10171. თუ მეზობელ ქვეყანაში მისი წინაპრის პოლიტ-ეკონომიკური ხე კარგად ხარობს, ჩვენ რა გვიშლის ხელს ამ სახელმწიფოს გარემო შევისწავლოთ და იგივე თუ არა, სხვა ჯიშის ნაყოფი ვახაროთ ან უფრო მომგებიანი ჯიში დავრგოთ? ალბათ სიზარმაცე, შური, უნიათობა და ის გულგრილობა, რომელსაც ვერც ჩვენი აწმყო გაამართლებს და ვერც მომავალი.

10172. ქვეყნის განვითარების კოქტეილის ფორმულა: გზები, ენერგეტიკა, განათლება, ჯარი, ძალოვანი სტრუქტურები და მათი გვირგვინი – გონიერი ხელისუფალი საუკუნეში ერთხელ მაინც.

10173. დღევანდელი „გაერო“ ასოფანდურა, უსაქმური ხალხის სალაყბოა, სადაც მთელი სერიოზულობით განიხილავენ იმ საკითხს, რომლის გადაჭრასაც არ ფიქრობენ, საქმეს აჭიანურებენ და ავუიწყდებათ რა დიდხანს ცოცხლობს ადამიანი.

10174. საზოგადოება ერთ ზომაზე გაკრეჭილი, დამონებული, შურიანი სხეულია, რომელსაც ზოგჯერ თავის წარმოსაჩენად „ფეხის გამოყოფა“ სჭირდება, მიუხედავად იმისა, აქედან სიკეთეს მივიღებთ თუ ბოროტებას.

10175. ქვეყნის პრეზიდენტი სიფვარულს თუ არა, ყურადღებას მაინც დაიმსახურებს თუ საზოგადოების აქტიურობას ხელს არ შეუშლის და მით გონივრულ მოთხოვნებს შეძლებისდაგვარად გაითავისებს.

10176. თუ გვინდა სულიც არ გავირყნათ და საზოგადოებაც არ გადაგვარდეს, დიდი ოდენობის მუქთას უნდა ვერიდოთ, რაც უნდა მიმზიდველად და საჭიროდ არ უნდა გვეჩვენებოდეს.

10177. გაუნათლებელი მეცხვარისთვის და განათლებული მათემატიკისათვის არითმეტიკა სხვადასხვაა. თუ ათასსულიან ფარიდან ვაცი კლდეზე გადაიჩეხება, ფარაში ერთით სულით ნაკლები ცხვარი უნდა დარჩეს, ხოლო პრაქტიკულად არც ერთი, რადგან ყველა ამ ვაცს გადაყვება და გადაიჩეხება. ასევეა საზოგადოებაშიც, რომელიც გონიერების აიწონა-დაიწონას კი არ ემხრობა, არამედ აწმყოს აფექტს და ბრიყვის იმედს.

10178. გონიერი ხელისუფალი ჭკვიან მოწინაღმდეგეს დაესესხება, შეაქებს, მოიშინაურებს, მაგრამ ბოლომდე არ ენდობა, სწორედ ფხიზელი გონიერება ქვეყნის წინსვლის ბერკეტია.

10179. საოცარია. მაგრამ სამყაროში 21-ე საუკუნეშიც განუკითხაობა ბატონობს, ზოგჯერ „გაეროს“ „ნახირ-ნახირ“ ფეხის გამოყოფით.

10180. საზოგადოების ყოფიერების ნორმებიდან გადახრა დანაშაულია, თუ მას წინასწარ არ გავითავისებთ, ახლებურად არ შევხედავთ და ტექნიკური პროგრესის წინსვლას ხელს არ უშლის.

10181. სახელმწიფო მაშინ არის შემდგარი, თუ მისი მოქალაქენი გაკეთებული საქმის სიხარულს შეიგრძნობენ, მიუხედავად იმისა, მონაწილეობდნენ მასში თუ არა.

10182. დღევანდელი გადასახედიდან სოციალიზმი საუკეთესო ფორმაცია ყოფილა, ქვეყნის სამართავად ყველა წყობის საუკეთესო მომენტების ავკარგიანობის შეჯერებით. მაგ.: ნორვეგია, შვედეთი, პერსპექტივაში ჩინეთი, ვიეტნამი.

10183. საზოგადოებას ავითარებს ძალაუფლების ნება, შემდეგ მოდის ნიჭი და შემსრულებლის პატიოსნება. შედეგად მომდევნო თაობა წინა თაობაზე მეტს იმკის, მაგრამ მაინც უკმაყოფილოა, რადგან მისი წინაპრის უფლებები იქნა დარღვეული.

10184. საზოგადოებამ ისეთი კანონები უნდა შემოიღოს, რომ შემთხვევით გამდიდრებულ-გაამაყებულმა უსაქმურობით თავის ხეირიანად შენახვა დიდხანს ვერ შესძლოს.

10185. ბედნიერება-ბედი, სიფვარული-გონიერება, ერთად დიდხანს დგომას ვერ ეგუებიან. ასე რომ არ იყოს, საზოგადოების მთლიანობას წინ ვერაფერი დაუდეგებოდა.

10186. უბედურება და მწუხარება სინონიმებია, ოღონდ ერთი პირობით – რის კეთება დღეს საზოგადოებისათვის მოდაში.

10187. თუ ქვეყნისადმი მადლიერების გამომხატველი გრძნობების ოდენობა იზრდება, მისი დაფინანსებაც გაგიძვირდებათ.

10188. ცივილიზაციისკენ სწრაფვა იწვევს იმპერიის ჩუმ სიკვდილს, სოციალისტურ ორიენტაციაზე იქნება ეს აწყობილი თუ კაპიტალისტურ „ტუსოვკაზე".

10189. სულით მოქალაქისთვის ყველაზე ძნელია საზოგადოებაში ღირებულებათა ცვლა – გადაფასება, რადგან სადაც ბატონობს უნამუსობა, ძალა, ფული, იქ იწყება მორჩილება და მოფასის სიყვარულის უკან მოსროლა.

10190. სერიალებით საზოგადოების მოღორება მასების დეგრადირების მცდელობაა, რადგან ხალხს რეალობის აღქმის უნარს უკარგავს, სულს ულამაზებს, მაგრამ ილუზიების საჯიჯგნად ტოვებს.

10191. კარიერის აღმავლობაც არსებობს და დაღმავლობაც, მაგრამ არის მათ შორის არჩევანიც, რომელსაც თავისუფლება ჰქვია და რომელიც ნერვებს არ გვიწეწავს, ცხოვრებას არ გვიმწარებს და სიცოცხლეს არ გვიმოკლებს. კიდევ კარგი, რომ ყველას ასე ცხოვრება არ შეუძლია, მაშინ სამყარო საზოგადოების გარეშე დარჩებოდა.

10192. კლასობრივ-კორპორაციულ და პარტიულ-პატრიოტულ ინტერესებს შორის არავითარი სხვაობა არ არის, რადგან ყველა მომხვეჭელია და ხეჩოსავით თავისკენ თვლის.

10193. ცოდნის დრაკონის გაღვიძება ყოველთვის კარგად არ მთავრდება საზოგადოებისათვის, რადგან მასაც აქვს თავისი ნორმები და ღირებულებები.

10194. ძლიერი ძლიერის მეწყვილე არასოდეს იქნება, რადგან თუ ერთი არ ემორჩილება მეორეს, ანგარიშს არ უწევს, არც ოჯახი გამოდის და არც ქვეყნის მართვა და რაც მთავარია, უფროს-უმცროსობის ინსტიტუტს ბაზისი ეცლება, ეს კი ყველაზე დიდი ცოდვაა საზოგადოებრივი წყობისათვის.

10195. საზოგადოების ნაგლეჯებად დანაწევრება, საკუთარი ინტერესების უსაფუძვლოდ წინ წამოწევის შედეგია, რომელიც ქვეყნის ერთიანობას ბზარს უჩენს.

10196. ყველა საზოგადოებას სახელმწიფო წყობის შესანარჩუნებლად მისაბაძი გმირი სჭირდება.

10197. საზოგადოებაში, სამწუხაროდ, ის გარეწარი მეტს ხეირობს, რომელსაც გარკვეულ შემთხვევამდე, თავის მოკატუნება შეუძლია.

10198. ბებრუხანა კაპიტალიზმს თავისივე მოგონილი დემოკრატია, სიტყვის თავისუფლება და ფუფუნებისკენ მისწრაფება ასულდგმულებს და იმას კი ვერ საზღვრავს, რომ მომავალში მისგან მხოლოდ ტერიტორია დარჩება გადაჯიშებული ერით, რომელმაც შეიძლება ძველი ქვეყნის სიმბოლოები ატაროს, წინაპართა ხსოვნით სულების გარეშე. ასეთია დღევანდელი რომი, ეგვიპტე.

10199. ყველა ქვეყანაში ის წყობა უნდა დამკვიდრდეს, რომელსაც ხალხის ბუნება, კულტურა, მეობა და ცივილიზაციისაკენ მიდრეკილება მოერევა, რადგან მარტო განათლება და ინფორმაციის მოჭარბება სახელმწიფოს სამართავად არ გამოდგება.

10200. ქვეყანაში ემიგრანტთა დასახლება უნდა მოხდეს პროპორციული პრინციპით და არა ეროვნული დაჯგუფებების, გეტოების, მიხედვით, რადგან ეს არის დაყოვნების ბომბი რომელიც რა საბაბით, რა დროს და ვისი დახმარებით აფეთქდება, არავის უწყის.

10201. ემიგრანტების მიღებას თავისი წესი. აქვს ერთ-ერთ ნავთობით მდიდარ არაბულ ქვეყანას, სადაც მკვიდრი მოსახლეობა ჩამოსულებზე ნაკლებია, მოქალაქეობას არავის აძლევენ, მაგრამ ყველა მიგრანტი დასაქმებულია და სამყოფ ანაზღაურებას უხდიან. შეიძლება ეს ქმედება დემოკრატიის პრინციპებიდან დაშორებულია, მაგრამ სიზარმაცეს, ილუზიებით კვებას და კანონის დარღვევას ემიგრანტთა შორის ადგილი აქ აქვს.

10202. რიცხობრივ უპირატესობას ყოველთვის წინ აღუდგება ადამიანური ბუნების ზადი, სიზარმაცე, შიში და ის პოსტულატი, რომ სხვის მაგიერ იმქვეყნად წასვლა არავის უნდა. შედეგად მოწინააღმდეგისათვის თავის დაკვრა, დროებით უომრად დამორჩილება პერსპექტივში „ვალის დადებით". შედეგად დროთა ჭიდილში დამპყრობლიდან აღარაფერი დარჩება. სამწუხაროდ ხშირად ეს ქმედება უფრო ამართლებს მოჭარბებული ძალის წინაშე ვიდრე თავის შეკვლა და გმირობის გამოჩენა.

10203. ნაციონალური იდეის შესაქმნელად საჭიროა ქვეყნის ისტორიის არქივის მოქექვა, ნაციონალური გმირების გაფეტიშება, მათზე ახალი ლეგენდების შექმნა, სადღესასწაულო დასვენების დღეების დამატება, პატრიოტული სიმების აჟღერება და საერთო მტრის გამონახვა. შედეგად ქვეყნის ძლიერების აღმავლობაც დაიწყება, თუ ამისათვის გონიერება და შემართება გვეყო.

10204. საზოგადოების ფორმაცია რაც უნდა სრულყოფილი იყოს, ყოველთვის გამოჩნდება „ჭკვიანი", რომელიც სხვათა ხარჯზე ცხოვრებას

მოინდომებს, ამიტომ აღრიცხვიანობა და კონტროლი ქვეყანაში ყოველთვის წინწამოწეული უნდა იყოს.

10205. მამაკაცთა ურთიერთობა და ურთიერთპატივიცემა წარმოაჩენს ღირსეულ ლიდერს და ქმნის ძლირ სახელმწიფოებრივ კულტურას.

10206. სოციალიზმის იდეოლოგიაზე ნავარჯიშებისთვის ღარიბად ცხოვრება სირცხვილია, მდიდრულად – სარისკოა, ხოლო ობივატელი გზის გაკვლევას ცდილობს და რჩევას ვის თხოვს, ვერ გარკვეულა.

10207. საზოგადოების დეგრადირების და ქვეყნის უკუსვლის მიზეზი რომ გაიგო, მის ულარიბესი რაიონების ცხოვრებას უნდა გაეცნო და საქმიანი, მიუკერძოებელი, დასკვნები უნდა გამოიტანო.

10208. სამწუხაროდ, უმრავლესობა ყოველთვის მართალი არ არის, რომელიც გარკვეული უმცირესობისგან განსხვავებით, ხშირად წინ ვერ იხედება და დღევანდელი ნასუფრალით ცხოვრობს.

10209. სახელმწიფოსთვის ყველაზე დიდი თავსატეხი იმ ხალხის შემართება, მცდელობა, ფანტაზიაა, რომლებმაც არ იციან თავისი ადგილი საზოგადოებაში.

10210. პრეზიდენტს არ აქვს უფლება პოლიტიკური კონიუქტურის მომიზეზებით მეზობელი სახელმწიფოების საბაზრო ფასებში ჩაერიოს. მას შეუძლია ქვეყნისადმი კეთილად განწყობილი მეზობელი სახელმწიფოები დაასპონსოროს, კრედიტი მისცეს, ოღონდ სპეციალურად ამ საქმისთვის გამოყოფილი ფონდიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს საკუთარი მოსახლეობის ჯიბეში ხელის ჩაყოფის ტოლფასია.

10211. სახელმწიფოს უსაფრთხოების კრიტერიუმი ყოველთვის იყო მექრთამეობასთან და მოხელეთა გათავხედებასთან ბრძოლა.

10212. მორალური შეზღუდვები ადამიანების დადგენილია და ამ ტაბუს დარღვევას ჯერ სიკეთე არ მოუტანია არცერთი საზოგადოებისათვის.

10213. საზოგადოებაში რომ იცხოვრო, მოხერხებულობასთან ერთად, ენაზე კბილის დაჭერაც უნდა ისწავლო, საჭირო მჭერმეტყველებასა და სასიამოვნო ღიმილთან ერთად.

10214. კომუნიზმის საფუძვლების სწავლებაში ცუდი არაფერია, თუ მის გაუკუღმართებულ რეალიზმს ყურად არ ვიღებთ.

10215. ტოტალიტარიზმის გაბატონება და კანონის დიქტატურა ყველა წყობას და დროს მისთვის მისაღები დოზებით თან უნდა ახლდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელმწიფო ინტერესები დაუცველი დარჩება.

10216. პატრიოტიზმს სიტყვით ყველა ხელისუფლება ქადაგებს, რადგან ამ ფანდით ქვეყნის მართვა და ხალხის მომხრობა გავცილებით ადვილია.

10217. თუ სახელმწიფო ინტერესები მოითხოვს, ხელისუფალს ხალხზე აღვირის ამოდებაც უნდა ეხერხებოდეს და მათრახის გადაჭერაც, რათა ქვეყანა დაიცვას სულიერი და მატერიალური გარყვნილებისგან.

10218. ვისაც თეორიულად ხელის განძრევა შეუძლია, მისთვის დახმარების გაწევა და შეწყალება საზოგადოებრიობის დანაშაულია.

10219. ტყვიას არც ჭკუა აქვს და არც არჩევის უნარი, წინააღმდეგ შემთხვევაში, საზოგადოების აზროვნების უნარს ძაღლი არ დაჰყეფდა.

10220. საზოგადოებას კანონთა მოწესრიგება სჭირდება, ხოლო მის დაბალანსებას წინამძღოლი, რომლის არჩევას, ხალხის აზროვნების გარდა, იღბალიც სჭირდება.

10221. წინათ მაწანწალების, ქურდების, სასაფლაოს მძარცველების, მკვლელების, ნეკროფილების და სხვა ვიგინდარათა სისხლის ღვრა შარიათით ნებადართული იყო. დღეს ეს ქმედება რომ მუდმივი გასახლებით მაინც შეგვეცვალა და საზოგადოებისთვის განგვერიდებინა, ისინი ბრბოს არ გარყვნიდნენ და ვერც გულმოწყალეთ გაიჩენდნენ.

10222. ურიცხვი სატკივარიც შეიძლება ჰქონდეს ქვეყანას, მაგრამ არა – სახელმწიფოებრიობას.

10223. მზაკვრობის საშუალებებია: ვერაგობა, ღალატი, ქილერობა, საწამლავი, უცხოს მიმხრობა. ამას ემატება: სიბილწე, მკრეხელობა, სისხლისღვრა, კერპთაყვანისმცემლობა, რასაც უნდა ფლობდეს ქვეყნის მმართველი, განათლებასთან, კაცთმოყვარეობასთან, გამჭრიახობასთან, მოქნილობასთან, ერთად.

10224. უსაზღვრო ძალაუფლება, პატივმოყვარეობა, მლიქვნელთა მომრავლება, რყვნის პიროვნებას, რწმენას, მოძღვრებას და სარწმუნოებასაც კი.

10225. მოქალაქე, ჯარისკაცი, მოხელე, მუშა, ფერმერი, ბიზნესმენი, მეცნიერი, ბაზრის ხალხი და სხვა მრავალი პროფესია განგების ლატარეის ნაჩუქარია, რადგან ყველა მათგანი საზოგადოებას თავის წარმოსაჩენად სჭირდება და სწორედ ეს არის გასათავისებელი.

10226. ყველა წყობა დრომ, ტექნიკურმა პროგრესმა, ეკონომიკამ და ამ აწმყოსთვის შემზადებულმა შემთხვევამ უნდა მოიტანოს და არა მასების სურვილმა და ბრბოს ვნებათაღელვამ.

10227. საზოგადოებრივი განვითარების მახასიათებელია მისი შინაგანი კულტურა, ვნების მოთოკვის გრაფიკის ცოდნა და არა – ნიჭი.

10228. კაპიტალიზმი სოციალიზმის უხიაგი მშობელია და კომუნიზ-მის გადაგვარებული ბაბუა, რომელთა აღზრდაზე ხელი აქვს დაბანილი.

10229. რეფორმებს ბევრი დავიდარობა მოაქვს, მაგრამ ეს ყოველი-ვე გასაგებია, მოსათმენია, სიკვდილიანობის მატების გარდა.

10230. ყველა ქვეყანა, განვითარების რა დონეზეც უნდა იყოს, ყო-ველთვის მოითხოვს კაპიტალურ შეკეთებას მართვის ხელოვნებაში, იდეოლოგიაში, ხოლო კანონის და კანონმდებლობის კოსმეტიკურ რე-მონტს.

10231. დაფასებული, ანაზღაურებადი, შრომა აპატიოსნებს, აწეს-რიგებს ადამიანთა მოდგმას და არა – უაზრო, არარაციონალური რომლითაც რას მოიმკის, წინასწარ არავინ უწყის.

10232. კომუნიზმის იდეა არასოდეს არ მოკვდება, რადგან ეს ადა-მიანის ყოფისეული ოცნების თითქმის მაქსიმუმია.

10233. დღეს ყველა „ხურუშიანი" რეჟისორია, ყველა არატრადიცი-ული სექსის მომხრე სცენარის ავტორია, მაცქერალთა უმეტესობა მათი ფანია, ხოლო ამგვარ საზოგადოებას რომ გადაშენება ელის, არავის აწუხებს.

10234. ქვეყნისთვის ყველაზე დიდი ბომბი გაუგებრობა, დაპირისპი-რება და ურთიერთსაყვედურის დაგროვებაა.

10235. ბრიყვი ყოველთვის ბრძენკაცის ნიღბის მორგებას ცდილობს, რის შემჩნევა ზოგჯერ ჭირს, მაგრამ საზოგადოებისთვის დიდი „ხიბ-ლია".

10236. სოციალიზმის რეალობას თურმე არაფერი დასაწუნი არ ჰქონია კაპიტალისტური რევმატიზმებისგან, რომელიც საკვები პრო-დუქტების მასიური წარმოების გაზრდას ხარისხის გაუარესების ხარჯზე ახერხებს.

10237. იმპერიის ყველა რეფორმატორის ვალია, პირველ რიგში მასში შემავალ ავტონომიებს და ეროვნულ წარმონაქმნს აგრძნობინოს, ვის ვინ სჭირდება უფრო მეტად და ეს უნდა მოახერხოს მათთვის ეკონომიკური მართვის დამოუკიდებლობის მინიჭებით.

10238. მოწყალე არც ხელისუფლებაა და არც საზოგადოება, ამი-ტომ ყველამ საკუთარ თავს უნდა მიხედოს, როგორც შეუძლია და ახერხებს.

10239. საზოგადოება ხშირად ვერ ერკვევა იმ ღირებულებებში, რომელსაც ღაღადებს და საკუთარ ნაშიერს ურჩევს.

10240. სამწუხაროდ, თუ საბედნიეროდ, მოზრდილ სახელმწიფოებს შესაფერისი გაქანების ლიდერი არ ჰყავთ. ასე რომ იყოს, პატარა სახელმწიფოთა დღენი დათვლილი იქნება.

10241. ჩიტირეკია მთავრობა და მისი ამფსონები ქვეყანას, დროდადრო, ყოველთვის ეყოლება, მაგრამ ეს არ იძლევა იმის უფლებას, რომ სახელმწიფოებრიობის ბაზისი დავივიწყოთ.

10242. ძალა პატარა ქვეყნების ერთობაშია, რათა დიდმა სახელმწიფოებმა პატივი სცენ და ანგარიშში ჩააგდონ.

10243. ზოგჯერ ერთიდაიგივე საკითხზე სარწმუნოებას და კანონს სხვადასხვა შეხედულება აქვს, სხვადასხვანაირ განსჯა-დასჯას ითხოვენ, რაც თავისებური საზოგადოებრივი „ნონსენსია".

10244. ბოლშევიკებს საერთო ღმერთის, ბუნების ძალების, სწამდათ, მაგრამ თავისებური გადახრებით და თავისი გაგებით.

10245. ბუნტი წესრიგის წინააღმდეგ, საზოგადოების განვითარების გარკვეულ ეტაპზე, განგების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა.

10246. საზოგადოებას, ხალხსა და ბრბოს – მასას შორის ის სხვაობაა, რომ პირველი აზროვნებს და პროტესტის გამოხატვა შეუძლია, ხოლო მეორე ხელისუფლებისგან თავში წამორტყმას ელოდება, მესამე დაუფიქრებლად ან ყველაფერს გადათელავს ან ვისმეს კერპად გაიხდის.

10247. გაჭირვება გვაიძულებს გონებას წიხლი დავაჭიროთ, ხელი გავანძრიოთ და ფეხი წინ წავდგათ, ხოლო თუ ამას ვერ ვახერხებთ, მაშინ კანონით და შიშით უნდა ვაიძულოთ ადამიანი სიღატაკეს თავი დააღწიოს, რადგან 21-ე საუკუნეში სიღარიბეში ყოფნა საზოგადოების სირცხვილიცაა და ბრალიც.

10248. ინტიმში განათლება შობადობას ამცირებს, გაუნათებლობა – ადიდებს. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ცოდნის ქონა-არქონა საზოგადოებას რგებს თუ ვნებს, ჯერ ვერ დადგენილა.

10249. საზოგადოებაში მაღალი მდგომარეობის დაკავება იმის მომსაწავებელია, რომ დაღმართისკენ სავალი გზა უკვე გახსნილია, რადგან მუდმივი ამქვეყნად არაფერია.

10250. კოლონიური კომპლექსის ხალხისთვის მონის სიმპტომია დამახასიათებელი, ხოლო იმპერიალისტური გადასახედიდან ყველა კოლონია უმადურია, მონას სიკეთის და პროგრესის დანახვა მოხმარებიდან განსხვავებით არ შეუძლია.

10251. საზოგადოების ნახირში ვირების ოდენობა გაცილებით მეტია, ვიდრე პიროვნებების, მაგრამ ეს არ გვაძლევს უფლებას ხალხს „აცე ვირო" უძახო.

10252. პატრიოტიზმიც დაფინანსებას, დასაქმებას, საკმევლის კმევას მოითხოვს, რადგან ცარიელი პატრიოტიზმი ბლეფია, ყბედობა, და არასოდეს ამართლებს.

10253. ეროვნული სახელმწიფო უნდა ცდილობდეს მის ტერიტორიაზე მცხოვრები სხვადასხვა ერების ინტეგრირებას და არა – ათქვეფას.

10254. აბსტრაქტული არც დემოკრატია არსებობს, არც თავისუფლება, არც ბიზნესი, რადგან სახელმწიფო წყობა და მისი ძლიერება ყოველთვის საქმიან, პრაქტიკულ, დაბალანსებულ ადამიანებზე იყო დამოკიდებული.

10255. სიკვდილით დასჯა ის ღონისძიებაა, რომლის აღდგენა დროდადრო ხდება, როდესაც საზოგადოება იმდენად ირყნება, რომ სხვა გზა არ რჩება მის დასაშოშმინებლად.

10256. ვანდალიზმი საზოგადოების დაავადების შედეგია.

10257. სამწუხაროდ, ოპოზიცია მთავრობაზე უკეთესი იშვიათადაა.

10258. სამყაროს მომავალში სიფარული წარმართავს და არა – შიში, თუკი ადამიანს საყოველთაო სიფარულს ვისწავლით.

10259. ათეიზმს თავისი იდეალების რწმენა ფანატიზმის და კანონიერების კოქტეილში არეული სჭირდება.

10260. ერთფეროვნულობა ყველაზე მეტად აღარიბებს არა მარტო ადამიანთა სულს, არამედ საზოგადოებასაც.

10261. მთავრობამ ადამიანთა დროებითი სისუსტენი უნდა გამოიყენოს თავისი ზედამხედველობით, ქვეყნის ბიუჯეტის შესავსებად და არა – ხალხის გასაყლეფად. ასეთებია თამბაქო, ალკოჰოლი, სამორინე, ლატარეა, ბორდელი. ამ ცოდვა-გადაცდენას ადამიანი ხომ მაინც სჩადის, მისცემს ამის უფლებას სახელმწიფო, თუ არა.

10262. საზოგადოებაში არ უნდა იყოს უწესოდ გამდიდრებული და გაღარიბებული, რადგან თავად საზოგადოება აზრს კარგავს.

10263. მე ბევრი რამ წამიკითხავს ლიბერალურ ღირებულებებზე, მაგრამ მისი თეორიები პრაქტიკას არ ემთხვევა და მათი ცხოვრებაში უკანმოუხედავად დანერგვა საზოგადოების გარყნა-გადაშენებას გამოიწვევდა, რადგან ხალხის მართვის ალგორითმი, „მათრახი და სასუსნავი“, განსჯას არ ემორჩილება.

10264. ხშირად საზოგადოება, ხალხი, გადაუხვევს ლოგიკური განვითარების გზიდან და თუ რატომ, სწორედ ეს არის გაუგებარი, უამრავი თითიდან გამოწოვილი ალიბის მიუხედავად.

10265. ბევრ ჩვენგანს ეუხერხულება ის მთავრობა, რომელიც თავზე გვაზის, მაგრამ რეალურად არაფერს ვაკეთებთ მის გამოსაცვლელად, გარდა კრიტიკისა, იმედით რომ იქნებ უკეთესი გახდეს.

10266. მოუწყობელ ქვეყანაში მთავარია იყო მართალი, ისიც დროულად და კვადრატში, რადგან მათ თავისი მიუკერძოებელი, თავისუფალი, ბევრისთვის გაუგებარი, სამართალი აქვს.

10267. კომუნიზმის იდეა კარგი მიგნებაა, მაგრამ არ მუშაობს იდეოლოგიის, ალიყურის და დაძალების გარეშე.

10268. ინტერნაციონალიზმი, კომუნიზმი, კოსმოპოლიტიზმი, უნივერსალური რელიგიაა, რომელთა შერწყმა მშვიდობის გარანტად მოგვევლინება.

10269. თვალხილულ საზოგადოებას შეცდომების დანახვაც შეუძლია და მისი აღკვეთა-გამოსწორებაც.

10270. სახელმწიფოებრიობას ფანატიკოსი მონები სჭირდება, რომლებმაც ქვეყანას უნდა უმკურნალონ, რათა ადამიანმა სამშობლო, სახელი, მოვალეობა, სიყვარული არ დაივიწყოს.

10271. სახელმწიფოს სამი პარტნიორი ჰყავს – არმია, იდეოლოგია, ეკონომიკა. დანარჩენი თანამდგომნი პირები, თანამოაზრენი და ტაშის დამკვრელები არიან.

10272. საზოგადოებას იდეოლოგიასთან თავისებური შეჯიბრი აქვს შესაძლებლობისა და მოთხოვნას შორის, თავის შეფასება-გადაფასებით.

10273. თეორიულად სახელმწიფოს მართვა კანონით და სამართლით სჯობს, პრაქტიკულად – ძალით და შემთხვევის წყალობით, რადგან ხალხის ძალას უფრო ენდობა, გვერდში უდგება, ემსახურება.

10274. სასურველია ქვენა გრძნობებს, ტრადიციების და განსჯის შედეგად დადგენილს ვეტოს, ადამიანი სხვის დაუხმარებლად შეეჭიდოს, ხოლო მასმედიამ არ უნდა იკადროს სხვის საცვლებში ცხვირის ჩაყოფა, თუ გვინდა საზოგადოება არ გაირყვნას და ხალხი არ გადაგვარდეს.

10275. სახელმწიფო ვალდებულია მოსახლეობას ასწავლო თავისუფალი დროს რაციონალურად გამოიყენება.

10276. ქვეყანას უნდა ჰყავდეს მორალური ავტორიტეტები, წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელმწიფო არ ვითარდება.

10277. კაპიტალიზმს გაცილებით მეტი დანაშაული აქვს ჩადენილი თავის არსებობის მანძილზე, ვიდრე სოციალიზმს, მაგრამ მან ზოგიერთი დანაშაულის მიჩქმალვა, გამოსწორება, მოასწრო, ხოლო სოციალიზმს ამისათვის დრო არ ეყო.

10278. სახელმწიფო მოწოდებულია, ყველა მოქალაქემ თავი პიროვნებად იგრძნოს, ამის შემდგომ შესაძლებელია საუბარი პატრიოტიზმზე, დასაქმებაზე, ბიზნესზე.

10279. სახელმწიფოებრიობას წლები კი არა, არამედ მის სათავეში გამძვრალი მოხერხებული გონიერება ქმნის.

10280. ვაჭრობა, მოხერხებულობა და გონიერი ტყუილი საზოგადოების განვითარებაზე დადებითად მოქმედებს.

10281. დამოუკიდებლობა და შენს ქეიფზე ცხოვრება კარგია, მაგრამ ამის უფლებას საზოგადოება არ მოგცემს.

10282. როდესაც ვიგინდარა ქონებით თავს იწონებს და გონიერებას ალმაცერად უყურებს, ეს ზურგში დანის ჩაცემაა საზოგადოებისა და მის წყობისათვის.

10283. საოცარია საზოგადოებათმცოდნეობის ბედი, მისი ცნობიერების ქვაბში სიახლე არ ხდება და არც იწერება, იმდენად გადაღეჭილი აქვს ეს მეცნიერება საუკუნეებს, მაგრამ ყველა თაობა მისთვის კისრის მოტეხვას თავის ჭკუაზე ცდილობს და ანგარიშს არ უწევს წინაპართა გამოცდილებას.

10284. ფაშიზმი ცდილობს სხვა ერებმა განტევების ვაცის როლი შეასრულონ, ნაციონალიზმს უნდა სხვა ერების ხარჯზე ცხოვრება უკეთ მოიწყოს, პატრიოტიზმი სიტყვაზე მეტად ეროვნული საქმის კეთებას უსიტყვოდ ცდილობს, ეროვნულობა ესწრაფის სხვა ერებთან თანაარსებობა თავისი ერის გაჯანსაღებისთვის გამოიყენოს, გლობალიზაცია – დემოკრატიის, თავისუფლების სახელით მისდაუნებლიედ ეროვნულობას სამარეს უთხრის, თუ ეს უკანასკნელი ყოჩაღად არ იქნება.

10285. ტოტალიტარიზმის კანონია: კულტურის დევალვაცია, ზნეობის გაკოტრება, ეროვნული სიამაყისათვის „ცხვირის მოხოცვა", მენტალიტეტის მოშლა, ფასეულობათა გადაფასება, უცხოსკენ ლტოლვა და ყოველივე ძველის გადამოწმება.

10286. საზოგადოება არაა ვალდებული იცოდეს შენ რომ ბუნებით ქალი ხარ, გაქვს რომანი, გყავს მზრუნველი მამაკაცები, მაგრამ ყოველივეს უნდა გრძნობდეს, ხვდებოდეს, ყოველგვარი დაფიქსირების გარეშე, რომ შენც ჩვეულებრივი მოკვდავი ხარ.

10287. სახელმწიფოს ჩამოყალიბება და მშვიდობის შეცნობა ქვეყნის კონსტიტუციისადმი დამოკიდებულებით იწყება.

10288. თუ ქვეყნის კონსტიტუცია ირღვევა და მის ხშირ შეცვლა-გადაკეთებას ცდილობენ, ეს სახელმწიფო არ არის, ხოლო ვინც ამას გულგრილად უყურებს – საზოგადოებად ვერ ჩაითვლება.

10289. არჩევითობის და ახალი ტრადიციების შემოღება სახელმწიფოებრიობის არც ფუძეა და არც ძირი.

10290. ჩვენი მცდელობის მიუხედავად, სამყარო შინაგანი თუ გარეგანი კატაკლიზმების გარეშე ვერ იარსებებს, რადგან ბუნების ბობოქ-

რობის და საზოგადოების განვითარების საწვავი დროებითი დაპირის-პირებაა.

10291. უმრავლესობის ტაშმა არ უნდა შეაშინოს უმცირესობა, რადგან საბოლოოდ ისინი მართავენ უმრავლესობას მათივე თანხმობით.

10292. საზოგადოება სხვის ხარჯზე ყოველთვის კეთილია და ეს არის მისი უპირველესი დანაშაული.

10293. უზნეობის კოეფიციენტიც შეფარდებითია და ეს მთლიანად დამოკიდებულია საზოგადოების პოზიციაზეც და პიროვნების მეობაზე.

10294. ბოროტებას ზიზღით და შთაგონებით ვერ აღმოფხვრი, მას საზოგადოების შეკრული მუშტი და კანონის მათრახი სჭირდება.

10295. არეულობის შემდგომ, როდესაც ქვეყანაში იწყება ქონების გადანაწილება, პოლიტიკოსებად ქცეული ნაციონალისტები ბატონებად იქცევიან, პოლიტიკოსობაზე თავს დებენ და ქურდობით ხელს ითბობენ.

10296. საზოგადოებასთან ურთიერთობა მოითხოვს: ლოგიკას – აზროვნების ფორმირებით, სოციოლოგიას – ქცევის ვარიანტების წინასწარი გათვლით, ფსიქოლოგიას – ემოციების კანონზომიერებით, ეთიკას – ზნეობის ნორმებით, ესთეტიკას – ფორმებით, სახეებით, დიზაინს – სილამაზის მოგვარების კულტურით, პოლიტოლოგიას – საზოგადოებრივი სურვილებით, ლინგვისტიკას – ეტიკეტი, რეკლამის ცოდნით, მენეჯმენტით და ალბათ კიდევ სხვა რამ, რომელსაც თავად მომდევნო საუკუნეები შემოგვთავაზებენ და გაცილებით მეტ ცოდნას, დაფიქრების უნარს, მოგვთხოვენ.

10297. საზოგადოების ჭირ-ვარამის გულთან მიტანას მეტ-ნაკლებად ყველა ცდილობს, მაგრამ კანტიკუნტად.

10298. საზოგადოება არის ადამიანთა შესაძლებლობათა თეატრი, ყველა მისთვის განკუთვნილი ქმედებით, რომლის რეჟისორიც ან პრეზიდენტია, ან კანცელარია ან ამ ქვეყნის სხვა მმართველი.

10299. ფართო მოხმარების საზოგადოებისათვის უმთავრესი კერპია ფულის შოვნა, შიგა და შიგ მათთვის ხელმისაწვდომი გასართობი კულტურით.

10300. ცივილიზაციის, თავისუფლების, დემოკრატიის ანკარა წყლის ნაცვლად, ხშირად ფეკალური წყლის შესმა მოგვიხდება, თუ საზოგადოებას გარყვნილების და ფუფუნების მოთოკვა გაუჭირდება.

10301. საზოგადოება, რომელსაც რწმენა, სიყვარული, მოკრძალება, არ გააჩნია, თანდათან გადაშენებისთვის არის გახაზირებული.

10302. სანამ ქვეყნის მართვის სისტემა მუშაობს, ყველა უკმაყოფილოა, მოიშლება და თავს ყველა მხიარულ-უბედურად გრძნობს.

10303. თავისუფალი ადამიანი პასუხს საკუთარ თავზე აგებს, შემოქ-მედი – სხვებზეც, ბრბოს არაფერზე პასუხისგება არ უნდა, მაგრამ რა ვუყოთ საზოგადოებას თუ ამ უკანასკნელთა ოდენობა საკმაოზე მეტია?

10304. საზოგადოება, რომელსაც რწმენა, იდეოლოგია და სამშობ-ლოს სიყვარულის გენი არ გააჩნია, დიდხანს ვერ იარსებებს და ბრბოდ გადაიქცევა.

10305. იმპერიის შენება უაზრობაა, რადგან მისი ნგრევის დაყოვნე-ბითი მექანიზმი მასშივეა ჩადებული.

10306. ფოტოგრაფიასა და მხატვრობას შორის ის სხვაობაა, რომ ერთი საზოგადოების რეალობის საოცრებას აფიქსირებს, მეორე ამ რეალობის საოცრების სულს ხატავს.

10307. სიყვარულის სტრატიფიცირებას საზოგადოება იმ შემთხვე-ვაში ითხოვს, როცა სულიერ ლიდერს ვერ ნახულობს, ხოლო დეფი-ციტის შემთხვევაში ,,სათქვლეფი ადგილი უპატრონოდ არ რჩება'' და ვიგინდარა ხალხს ლიდერად ევლინება, როდესაც ბრბოს სხვა მერკან-ტული იდეალები აწუხებს.

10308. არის პერიოდი, როდესაც ერთმანეთს უნდა მოვეფეროთ და ძალადობის ქვები მიმოვფანტოთ, მაგრამ დგება დრო, როდესაც ამ ქვებს თავი უნდა მოვუყაროთ და ერთმანეთის ხვევნა-კოცნას შევეშვათ, რადგან სხვანაირად სახელმწიფოებრიობას ,,წყალი უდგება''.

10309. ზომიერი ცოდვების ჩადენის გარეშე ცხოვრება აზრს დაკარ-გავდა და საზოგადოების განვითარებაც მდორედ წარიმართებოდა.

10310. რეალობისთვის საშინელებაა, როდესაც საქმეს უმეტესობის აზრით წყვეტენ, მაგრამ კანონიერებისთვისაა აუცილებელი – საზოგა-დოება კმაყოფილია და ბუნტი არ ხდება.

10311. ის საზოგადოებაა ძლიერი, სადაც ხალხს ხელისუფლება მოსწონს, მაგრამ მისით აღფრთოვანებული არ არის.

10312. მცირე ერები დიდმა მეზობლებმა რომ არ გადასანსლონ, დროებით თავისი ნებით უნდა შეუერთდნენ და მის დასუსტებას დაელოდონ ან რომელიმე ქვეყნების დაჯგუფებაში გაერთიანდნენ, ოღონდ ისე რომ ამ დაჯგუფებამ არ მოინელოს და სახელმწიფოებრიობა შეი-ნარჩუნოს.

10313. საზოგადოებრიობის აზრი უმთავრესად ქვევრივითაა, რასაც ჩასძახებ იმას ამოგძახებს და ჭეშმარიტების დასადგენად და საქმის საკეთებლად მისი მოშველიება ყოველთვის არ გამოდგება.

10314. პატრიოტიზმი გონიერებისათვის თითქმის აბსურდია, მაგრამ ამ გრძნობის და დაპირისპირების გარეშე სახელმწიფოებრიობას არ-სებობა გაუჭირდება.

10315. საზოგადოებრივი პალატა ქვეყანაში გარანტირებული კანონიერების „ზღარბია“ მოხელის საცვლებში.

10316. ნაციონალისტები თავისი ქმედებით, უვიცობით და უმწეობის შედეგად გამორჩენისკენ მისწრაფებით, ფაქტიური სურვილის მიუხედავად, ქვეყნის წინსვლას და წარმოჩენას ამუხრუჭებენ.

10317. წყვილის ურთიერთობას, სადაც ფეტიში უფრო მეტია, ვიდრე წყვილის ბიოლოგია, საზოგადოების აზრი გადაგვარებამდე, დეგრადირებამდე, დაჰყავს.

10318. საზოგადოებრივი წყობა, ცხოვრების წესი, გავლენას ახდენს ჩვენს გულზე, გონიერებაზე, რომ არაფერი ვთქვათ სულიერების დასნეულებაზე, ტანჯვაზე, თუკი მას ვერ უგებენ, ვერ ამჩნევენ და არავის უნდა.

10319. საზოგადოება გონიერების განვითარების საშუალებას გვაძლევს, მაგრამ გამოცდილება თავად უნდა მოვიძიოთ წარსულის ქექვით და აწმყოს ანალიზით.

10320. საზოგადოება და ცხოველთა სამყარო ისტორიულად ასეა აწყობილი, რომ პარაზიტების გარეშე არსებობა არ შეუძლიათ, ხოლო მათი გონივრული მატერიალიზება პროფილაქტიკაზეა დამოკიდებული.

10321. ნაციონალიზმი ჭკუანაღრძობი, ამბიციების მქონე, უსაქმურების პრეროგატივაა, რადგან სხვა რამით თავის გამოჩენა არ შეუძლიათ.

10322. თაობა შეიძლება ნიჭიერი იყოს, მაგრამ სათანადო საზოგადოებრივი წყობის გარეშე მისი ფასი დევალვირებულია და ღირსებადაკარგული.

10323. დემაგოგია ზოგჯერ გონიერების მუქთად ხარჯვის მცდელობაა.

10324. იდეოლოგია, ფაქტობრივად, თავისებური შერკინებაა საკუთარ შესაძლებლობებთან, მოთხოვნებთან, ოცნებასთან, რეალობასთან, როგორც ეკონომიკის, ასევე მორალური მხარის გათვალისწინებით.

10325. იდეოლოგია არის მოძღვრება: პოლიტიკის, ეთიკის, აღზრდის, აზროვნების, პრინციპების პროდუქტი, რომელიც აიძულებს მოსახლეობას ყურად იღოს ტრადიციები, პატრიოტიზმი, წარსულის გამოცდილება, რათა არ აღიგავოს ამ სამყაროდან.

10326. ყველაზე დიდი უგუნურებაა, როცა საზოგადოება ნიჭს უაზროდ ფლანგვის უფლებას აძლევს, უგულებელყოფს ან ყურადღება არ აქცევს.

10327. ხშირად ქვეყანას დიდი მეფეების, პიროვნებების, შვილები ანგრევენ და უხიაგი მშობლების შვილები, შთამომავლები, აშენებენ.

10328. ბედნიერებაა საზოგადოებისათვის თუ სახელმწიფო მოხელე ქრთამს არ იღებს, არ სჭირდება და თავისი ნიჭით, უნარით, ქვეყანას ერთგულად ემსახურება სახელის დასატოვებლად.

10329. საზოგადოება ახალი კანონის, რეფორმის მისაღებად ნაწილობრივ მაინც უნდა იყოს მზად, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ მცდელობას არაფერი კარგი არ მოაქვს.

10330. უვიცობის ნეიტრალიტეტი საზოგადოების სამსახურიდან არ გვანთავისუფლებს.

10331. იდეოლოგია ფაქტიურად თვისებაა ჩუმი შერკინების საკუთარ შესაძლებლობებთან, მოთხოვნასთან, ოცნებასთან, რეალობასთან, ეკონომიკასთან, მორალის შერწყმა-გათვალისწინებით.

10332. როდესაც რწმენა, სამართლიანობა, მადლიერების გრძნობა, დევალვირდება, ხუნდება, მაშინ იწყება სიცოცხლის მოფრთხილება და ფუფუნებისკენ მიდრეკილება.

10333. ენა თავისებურად სასიამოვნოდ მოსასმენი მუსიკაა, რომელიც აერთიანებს ხალხების თვითშემეცნებას, ერების თვითმყოფადობას, საერთო ბედს, ებრძვის სიავეს და საცხოვრებელ ადგილს ქვეყნად გვიქცევს.

10334. მრავალპარტიულობა შეთქმულებაა, რომელსაც ქვეყნის კონსტიტუცია იცავს, რათა შინაგანი ენერგია, ტექნოლოგიის სიახლენი და ახალი აზროვნება დაბანდებული და რეალიზებული იქნეს ორიგინალური ჭკუის, საკუთარი ნების, ორგანიზაციული ნიჭის, შედეგად.

10335. სამწუხაროდ, ჩვენ ვერ ვამჩნევთ თანამედროვე სამყაროს სტრატეგიულ პრობლემებს და ეს არის საზოგადოების ყველაზე დიდი უგნურება.

10336. ქამელეონობა და ევოლუცია ერთმანეთისაგან ძალზე განსხვავდება, ისევე როგორც რევოლუცია – რეფორმა, დიქტატურა – დემოკრატია, პარტოკრატია და თავისუფლება.

10337. ცოდნა ძალაა, მაგრამ სადავიდარაბოა, არცოდნა სისუსტეა, მაგრამ კარგად გაძინებს.

10338. ადამიანთა აღზრდას წინაპართა გამოცდილება ცდილობს, რადგან საზოგადოების ჩამოყალიბების უკეთესი ბერკეტები სამყაროს ჯერ არ შეუქმნია.

10339. როგორც უნდა გავკენწლოთ ივანე მრისხანე, პეტრე პირველი, იოსებ სტალინი ისტორია მათ აფასებს და ხალხი შინაგანად პატივს მიაგებს, რადგან მათ უპირველესად სახელმწიფოებრიობას არგეს, რომლითაც დღეს მომდევნო თაობა ბოროტად სარგებლობს.

10340. საზოგადოების განვითარებისთვის ყველა წყობა მისაღებია დაფავების და აკრძალვების ფარგლებში თუ ის ვითარდება და მეზობელ სახელმწიფოების ეკონომიკას აქა-იქ სჯობნის, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის უვარგისობის და უდღეურობისათვის არის განწირული.

10341. ფაქტიურად სამყარო ცოდვილთა ხელშია, მაგრამ მის მართვას რატომღაც პატიოსნებას მიტმასნილნი ცდილობენ.

10342. ლიბერალ-დემოკრატებისათვის სრული თავისუფლების უფლება რომ მიგვეცა, როგორც მათ ესმით, ისეთ აკრძალვების „კონცლაგერებს" ააგებდნენ, რომ ჰიტლერისა ახლოსაც ვერ მივიდოდა.

10343. ქურდობის, აფერისტობის, გამორჩენის უნარი ინტელექტუალურ ნიჭში არ უნდა აგვერიოს, რადგან ეს უკანასკნელი, უნდა-არ უნდა, უპირველესად, საზოგადოების ინტერესებს ემსახურება და არა – პირიქით.

10344. სიკეთის იმპერიის რეალური შექმნა ჯერ არავის უცდია და არც არავის გამოუვა – საზოგადოება გაქრება, რადგან კარგის და ცუდის, დაპირისპირება და შერკინების საშუალება მოისპობა.

10345. ლიბერალიზმი ლოზუნგია ინდივიდუალურობისათვის და ეს ხშირად ტრაგედიაა სახელმწიფოებრიობისთვის, რადგან საზოგადოება ამისათვის მზად არ არის და როდის რა იქნება, არავის უწყის.

10346. პრაქტიკულად ცხოვრებიდან ყოველივე დღესვე უნდა აიღო, რადგან გარკვეული წლების შემდგომ არავის არაფერი ემახსოვრება და არც დაგიფასებს, მაგრამ რა ვუყოთ საზოგადოების განვითარების თეორიებს, კანონზომიერებებს, რომელიც დროსთვის სილის გაწნას არ გვპატიობს?

10347. საზოგადოების დასარაზმავად შეიძლება უსირცხვილოდ მოიტყუო, მაგრამ ეს არც ცოდვაა და არც სისაძაგლე, თუ მიზანი წმინდა და ხალხის გაერთიანებით ქვეყნისთვის სასარგებლო საქმის კეთებაა.

10348. სოციალიზმი – იმედით გაწონასწორებული ბედნიერებაა, ფუფუნების გარეშე, კაპიტალიზმი – სიმდიდრისკენ ლტოლვაა ამბიციებით და მომავლის შიშით.

10349. იდეოლოგია შრომის ნაყოფიერების გაზრდის და ეკონომიკური წარმატების ერთ-ერთი ხერხია, რადგან ადამიანის გონიერებას, რწმენის შეღიტინების გარეშე, ვაკუუმში ცხოვრება არ შეუძლია.

10350. ნაციონალიზმი, პატრიოტიზმისგან განსხვავებით, ყოველდღიური პლებისციტია, დევიზით: „მეც ნახირ-ნახირო".

10351. წინადადებები და მოთხოვნები მართავს და ემსახურება საზოგადოებას, მორალს, სამყაროს და არა – ფულს მიტმასნილი ხალხი ალიბის მქონე თეორიებით.

10352. რა უნდა ვუწოდოთ საზოგადოებას? ალბათ, გულგრილობა ბინომში, რომელმაც რუსეთის ერთ-ერთ ქალაქში თავის საწოლში აღმოაჩინა 15 წლის წინათ გარდაცვლილი ქალი, რომელიც არც საგადასახადო ინსპექციას, არც პენსიათა ფონდს, არც მეზობლობას არ გახსენებია, არც საზოგადოებას გაკვირვებია და არც სჯა-ბასის საგანი გამხდარა, მე პირადად ასეთ საზოგადოებაში ცხოვრებას არ ვინატრებდი.

10353. სიტყვით განადგურება ცოდვაა, მაგრამ ის ებრძვის საზოგადოების მოყირჭებას. რაც შეეხება განვითარებას, მის გარეშე არ ხერხდება.

10354. ღირსების, წესიერების, ჩასვენება, რყნის საზოგადოებას, რადგან ადამიანური საძირეს დანიშნულება იხრწნება.

10355. გონიერების ონანიზმია თავისუფლების და დემოკრატიის იდეების განყენებული მოშველიება კანონის უზენაესობის და ადამიანის უფლებების ფუჭ განდიდებით, მოვალეობის გარეშე, რაც რეალობაში არავითარ სახეიროს არც ხელოვნებაში, არც მეცნიერებაში და არც სულიერ ამაღლებაში არ იძლევა. ყოველგვარი ხელშესახების დაწყება და განვლა საზოგადოებათმცოდნეობას თავიდან უხდება და აქ ადამიანის უცვლელი ბუნებაა დამნაშავე, რომლის გადაკეთება საუკუნეებმაც ვერ შეძლეს.

10356. სსრ კავშირი რწმენაში დაეჭვებამ, მმართველობის კურსის შეცვლის მცდელობამ და ერთპარტიულობამ დაშალა, რაც უდიდესი დანაშაული იყო სოციალისტური იდეების მიმდევართათვის, რადგან ქვეყნის კეთილდღეობა დამოკიდებულია ეკონომიკაზე, ქონების გადანაწილების სამართლიანობაზე, ხელისუფალთა გონიერებაზე და არა – წყობაზე.

10357. სახელმწიფო სამართლებრივია, თუ ქვეყანას ხელისუფლება მართავს, ხალხი აკონტროლებს და კანონი ხელშეუხებელია. ავტორიტარულია – თუ ქვეყნის სათავეშია პიროვნება, ოპოზიცია დეკორაციულია, ხოლო მართლმსაჯულება კუდს ისე იბამს, როგორც ამ პიროვნებას სურს.

10358. სამწუხაროდ, ქვეყნის მართვას დაუწერელი კანონების „წესიერებაც“ ახლავს, რომლის უგულებელყოფა ხშირად ბუნტს და სახელმწიფოებრიობის ნგრევას იწვევს.

10359. „მოგვერდული“ ნაციონალიზმია: პირველი, თუ ერთს ამბობ და სხვას აკეთებ, მეორე – თუ ნათქვამზე მხოლოდ ფიქრით კმაყოფილდები, მესამე – თუ ნათქვამს შეძლებისდაგვარად ასრულებ, მეოთხე –

ნათქვამის მიუხედავად რას აკეთებ, თავადაც არ უწყი, მეხუთე – თუ ნათქვამის ოცნებით განხორციელებას ცდილობ და შინაგანად ეჩალიჩები, მეექვსე – შენს ნათქვამს თავზე სხვას ახვევ, მეშვიდე – ნათქვამიდან იმას აკეთებ რაც არ ხელგეწიფება, მაგრამ საქმიანობას სჭირდება, მერვე – როდესაც ჩასაფრებული ხარ შენი ნათქვამით სხვამ არ ისარგებლოს, მეცხრე – ნათქვამის პლაგიატობის არ გეშინია, მეათე – როდესაც ნათქვამს ივიწყებ.

10360. სიბერეს რომ თავისი ახალგაზრდული შემართების ნახევარი, გამოცდილების მეოთხედი და მეგობრების მეათედი მთავრობაში მისცა, ის ყველაზე უკეთ შეძლებდა ქვეყნის მართვას, ყოველ შემთხვევაში, მას ასე ჰგონია.

10361. სოციალიზმი გადანაწილებაა, რიგებია, განსაზღვრული ფასებია, მიუხედავად ამისა, აქტიურ ნაწილს საზოგადოებისას არჩევანის უფლება უნდა ჰქონდეს, რიგით იცხოვროს თუ ურიგოდ.

10362. ყველა კარგი წამოწყების უაზრობამდე დაყვანა შეიძლება, ოღონდ გააჩნია საზოგადოების მწყემსს და ფარად გადასაქცევად გამზადებულ ხალხს.

10363. ბრბოს და საზოგადოებას შორის ის სხვაობაა, რომ პირველმა არ იცის რა უნდა, მაგრამ კარიერის საფეხურისკენ მიიჩოჩება და ყბედობა არ ეშლება, მეორემ იცის რა უნდა, საქმესაც აკეთებს, ყბედობის გარეშე, მაგრამ მას იშვიათად ამჩნევენ.

10364. იდეური ბანდიტი ყველა ყაჩაღზე საშიშია, რადგან ის თავის უგვანო საქმიანობას მოჩვენებითი სამართლიანობით ამართლებს, თაყვანისმცემლებსაც პოულობს და სახელმწიფოებრიობას და კანონს საფლავს უთხრის და მათ დამარხვას ცდილობს.

10365. ისტორიის თეატრი სავსეა ავანტურისტებით, რომელებსაც მატიანე სახელს არ უკარგავს და ზოგჯერ გმირებად ნათლავს.

10366. ყველა დარგს აქვს უფლება, მისწრაფება, გაგებულ იქნეს დღევანდელობის თუ არა, ხვალინდელი დღის გადასახედიდან.

10367. ყველა საქმე ბოლომდე მიყვანას არ მოითხოვს, რადგან ზოგის დავიწყება უფრო მომგებიანია.

10368. ყველაზე მეტად დისკუსიას ის ითხოვს, ვინც ნაკლებად ნიჭიერია და ამ ხერხით ცდილობს საზოგადოებას თავი გააცნოს, წარმოჩნდეს.

10369. ღირებულებათა შეფასება–გადაფასებით და ფუფუნებით გათავხედებულ ევროპას, დროთა განმავლობაში პოზიციათა დათმობა

მოუწევს იმ ერებთან ჭიდილში, რომლებმაც წინაპართა ღირებულებანი შეინარჩუნა, პოლიტიკურად, ეკონომიკურად მომაგრდა და ყველაფერ წმინდაზე, ტრადიციაზე, ხელი არ ჩაუქნევია.

10370. დემოკრატია, თავისუფლება, წლობით გარანდული "ჩარჩოს გარეშე", უგნურება და სიბრიყვეა კუბში აყვანილი.

10371. ერთი, ხალხის მომწყემსვის ხელოვნებას უნდა ფლობდეს, მეორე – მწყემსისთვის მისაღებ ნორმებს უნდა შეიმუშავებდეს, მაგრამ რეფორმატორი ორივეს ერთდროულად უნდა ფლობდეს, რასაც მომავალი თაობა აფასებს, მაგრამ აწმყოში მყოფნი ეწინააღმდეგებიან.

10372. საზოგადოებას ახალგაზრდა სასიკვდილოდ არ ემეტება, შუა ასაკზე წინააღმდეგი არაა ინანოს, ხოლო სიბერეს ემოციების გარეშე აცილებს, რადგან ის სიცოცხლის რაობას განვლილი წლების პრეისკურანტით აფასებს.

10373. თუ საზოგადოებაში თქვენთან შეხლა-შემოხლას არ ერიდება და გსაყვედურობთ, ეს იმის მაჩვენებელია, რომ განთავისუფლდით მისი სიყვარულის ტყვეობიდან ან თავად თავისუფლდება თქვენს მიმართ არსებული გრძნობებისაგან.

10374. დამორჩილებულ ქვეყანაში ორივე ფეხებით ძალით და სასუსნავით მყარად უნდა იდგე, სანამ მათრახის ქნევის და მათი ფერების სურვილი არ დაგეკარგება.

10375. თავის ქვეყანაზე შეყვარებული და პატიოსანი მოქალაქე, გადასახადს გარდაცვალების შემდგომაც უნდა იხდიდეს. მაგალითად, საფლავის არენდა ან ანდერძად დატოვებული საპრემიო ფულიდან გადასახადი.

10376. გონიერების გადასახედიდან, ნაციონალიზმიდან განსხვავებით პატრიოტიზმი და აზროვნება სინონიმებია.

10377. პატრიოტიზმიც პირობითი მცნებაა, ის ნიჭზე, გარემოებაზე, ბედზე, შესაძლებლობებზე და მათ ხელსაყრელად დაბანდების ვარიანტებზეა დამოკიდებული.

10378. იდეისათვის ბრძოლას მაშინ აქვს აზრი, თუ დრომ იყივლა, მხარდამჭერნი მოიძიე და პერსპექტივაში საზოგადოებას სარგებელს მოუტან.

10379. ხელისუფალის არჩევანს ბრბო აკეთებს, მაგრამ პასუხს რატომღაც საზოგადოებას სთხოვენ.

სამშობლო, ერი, ტრადიციები

10380. წინაპართა ნასუფრალით ეროვნულობის გაფეტიშება გაყოყოჩების მცდელობაა და მეტი არაფერი.

10381. სამშობლოს სიყვარული საკუთარი თავის წარმოჩენა და ნაშიერის მომრავლებაა და არა ვაშა-პატრიოტიზმი გულზე ხელების ბრაგუნით, რადგან ფართო მოხმარების ჩვეულებრივ მომაკვდავს არც ერი წყალობს და არც ოჯახი.

10382. სამშობლოს და სახელმწიფოს სიყვარულს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი გულით გიყვარს, ხოლო მეორე ამ სიყვარულს გავალდებულებს.

10383. ფარისევლური სიწმინდე და რწმენა დამღუპველია როგორც ეროვნულობისათვის, ასევე სახელმწიფოებრიობისათვის.

10384. პატარა ერებს, დიდი ერებისგან განსხვავებით, შეუძლიათ სისულელის ჩადენა, რადგან ამას ბევრი ვერ შეამჩნევს და თუ შეამჩნევენ, ღიმილს მოჰგვრით.

10385. ვინც დედის სახელის დამცველია, სამშობლოს დამცველადაც გამოდგება.

10386. ჩვენი სამშობლო პატარა პლანეტაა, დიდი სურვილებით და სამყაროს განდიდებით.

10387. სამშობლოს ამპარტავნად არ ექცევიან, მაგრამ არც ის უნდა მოგექცეს უყურადღებოდ, ფეხზე დაკიდებით.

10388. ერის შვილს არ უნდა აინტერესებდეს, რას იტყვის მასზე "ჭიჭიკია-ბიჭიკია" პატრიოტები, რადგან მასზე საუკუნეებმა უნდა იღაღადონ.

10389. ბევრს აქვს სურვილი წარმოჩნდეს, ერის სინდისად, მაგრამ მათგან ხალხს ისტორია იფარავს.

10390. ნობელის პრემიის დამსახურება ის არის, რომ სხვის ქვეყნებში აღმოაჩენს პიროვნებას, რომელიც დიდი ხნის უკან იმსახურებდა საყოველთაო აღიარებას და სიყვარულს თავის სამშობიაროში.

10391. ჩვენს წინაპრებს თავის დროზე რომ თავისი წილი სისაძაგლე არ ჩაედინათ, დღეს არც ერი ვიქნებოდით და არც სახელმწიფო გვექნებოდა.

10392. დღევანდელი ეროვნულობა ხვალინდელ სამყაროს პატრიოტიზმზე და ზეგინდელ კოსმოსში ტურისტულ ხეტიალზე უნდა ფიქრობდეს.

10393. რაც უფრო იზრდება სამშობლოს საზღვრები, მით უფრო მცირდება ნაციონალიზმი.

10394. მოვა დრო და ზოგისთვის კოსმოსიური ხომალდი იქნება სამშობლოს ტერიტორიაც და პატრიოტიზმის დასამტკიცებელი ადგილიც.

10395. სამყაროსთვის ჩვენ ბაღლინჯოები შეიძლება ვართ, მაგრამ კუთვნილი ტერიტორიების და ერის დასაცავად პიროვნებაც უნდა ვიყოთ და ღმერთკაციც.

10396. ერის ავანტიურისტები ისტორიის ნაგლეჯში საბოლოო დამარცხებით ჩაეწერებიან.

10397. შენი ქვეყნის მოქალაქე მაშინ ხდები, როდესაც სახელმწიფო ჰიმნზე ფეხზე დგები და მღერი, დროშაზე იჩოქებ და კოცნი, სახელმწიფო ენაზე ლოცულობ და "მასმედიას" იცნობიერებ.

10398. გმირობას დაფინანსება და წახალისება სჭირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ საეჭვო საქმეს ხელს არავინ მოჰკიდებს და ერის იმიჯიც დაქვეითდება.

10399. ხანდახან გინდა სხვა ქვეყანაში გაიღვიძო, მაგრამ, საბედნიეროდ, მაინც შენს სამშობლოში გიხდება დილიდან ფელაფრის დაწყება.

10400. ერი მაშინ არის ჩამოყალიბებული, როდესაც გონიერებას ენდობა და ხვდება რომ დღეს მიუღებელი ხვალ აუცილებლობა იქნება და უსიტყოდ იღებს მომავალს, რომელიც მომდევნო საუკუნის დიდებას გაესაუბრება.

10401. ზოგჯერ სამშობლოს, არ სჭირდება, ავიწყდება თავისი გმირები, რომლებმაც მის ინტერესების დასაცავად თავი გადადეს, განსაკუთრებით მაშინ, თუ დამარცხება იწვნია და სირცხვილის მიფეჩეჩებას ცდილობს.

10402. უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ ერის შვილები ვართ და არა – დროისა და შემთხვევის.

10403. მცირე სამშობლოა – სადაც დაიბადე, სამშობლოა – სადაც გაიზარდე, დიდი სამშობლო, რომელიც სახსრის შოვნაში ხელს გიწყობს, ხოლო საბოლოო სამშობლო – იმ მიწის მამაზეციერია, ვინც შენს სულს ჩაიბარებს.

10404. სამშობლო ჩვენი ცნობიერების შესაძლებლობის ნაყოფია, რადგან თუ ჩვენი პლანეტის მოსახლეობა კოსმოსში, სხვადასხვა პლანეტებზე, დაიწყებს ხეტიალს, მაშინ მის სამშობლოდ რომელიმე პლანეტა იქცევა და არა რომელიმე ქვეყანა, მხარე.

10405. შენი ქვეყნის საკეთილდღეოდ შეიძლება ტარტაროზთანაც დადო ხელშეკრულება როგორც ბითუმად, ასევე საცალოდ, მაგრამ როგორც ადამიანს, შეიძლება ამის უფლებაც არ გქონდეს.

10406. ერის შეგნების ნიღაბიც უნდა ვავარჯიშოთ, გავასწოროთ და გავაჯამრთელოთ.

10407. სამშობლო ხალხია, ხალხი კი შთამომავლობის დაფასება-ხელშეწყობა, ქვეყნის წარმოსაჩენად.

10408. სამშობლო ის ხდება, სადაც აღიარებას აღწევ, დანარჩენი – მცდელობაა, თავის მოწონებაა, ყოფილი სამშობლოს გასახსენებლად.

10409. სამშობლო მიწა რომ დაიცვა, მას სამარხების საიდუმლო, წინაპართა ლეგენდები და სათაყვანებელი კერპები უნდა ჰქონდეს და ჰყავდეს.

10410. გონიერების სახლი თუ მოყვასისთვის იფერფლება, იქვე იკარგება სამშობლოს ცნებაც და ეროვნულობაც.

10411. ქვეყანა უგუნურებით არ უნდა დავაფაღარათოთ, მის გამოჯამრთელებას ცოტა კაცობა და რწმენა უნდა მივაშველოთ, რათა ერმა თავისი რაობა იწამოს და სიკუთარი ,,მე'' არ გააწბილოს.

10412. სამშობლოს რაობის ყნოსვა არ უნდა დავკარგოთ, თუ გვინდა მისი სიყვარული და მადლი შევინარჩუნოთ.

10413. ორჯერ დაბადებულისთვის ერთი სამშობლო ცოტაა, რადგან მან სიცოცხლის ექსტრიმის ეშხის ფასი უკვე შეიცნო და იქ დაეხეტება, სადაც თავის ამბიციებს დაიკმაყოფილებს.

10414. გარყვნილებას, მექრთამეობას და გულგრილობას ერის დევალვაცია და ქვეყნის დამხობა მოაქვს, მაგრამ ხალხი დღევანდელობით ცხოვრობს და მანამ ხელს არ გამოიღებს სანამ ეს სენი ჰიტლაყის ამორტყმით თავს არ შეახსენებს.

10415. ქვეყანა უცხოა, ხალხი ნაცნობია, მთავრობა სხვაა, სიყვარული ძველია, მაგრამ ბრბოდ ქცეული გარკვეულ დრომდე ყველა ძალაუფლებას ემორჩილება და ყურით მოთრეულ ეროვნული ინტერესების კალთას ეწირება ხალხის ურთიერთობა, იმის მაგიერ, რომ სიამტკბილობით ვიცხოვროთ და ქვეყანა გულნატკენი არ დავტოვოთ.

10416. ზოგს ქვეყნის თავისუფლება მისი გაქრობის წინამორბედად ეღირს და თავისი ქვენა პატრიოტული გეძნობების გამო არც ამ პერსპექტივას ეპუება.

10417. ქვეყანა რაც უნდა აიჭრას, ღალატი ნორმად არ უნდა ვაქციოთ, მკვლელობა – თავის გამართლების საშუალებად, ხოლო ვაჭრობა – გარყვნილობის საწყისად, რადგან ერის გენი ამას ყოველთვის ეჩვევა და მისი რაობა კნინდება, გაქრება.

10418. სამშობლო თავისებური კერპია, ერთისადმი სიყვარული – განუკურნებელი დავადება და ამ აქსიომაზე ვერავითარი არგუმენტი და საწინააღმდეგო ფაქტი გავლენას ვერ ახდენს.

10419. ერმა ალიყური არ უნდა გაგაწნას უმადურობისა და დაუ-ფიქრებლობისათვის, თორემ სხვისგან ეს ზოგჯერ სასიამოვნოცაა, რად-გან შეგამჩნიეს და ოპონენტად გცნეს.

10420. ერი მითებით და გამოგონებული მოგონებებით სულდგმუ-ლობს, ხოლო თავის რაობის დასაცავად არც მწარე სინამდვილეს ეპუება და არც გრძნობების გენეტიკურ მიდრეკილებას.

10421. ყველაზე მეტად ის პატრიოტები სცოდავენ, რომლებსაც ერის სიყვარული ადვილი ჰგონიათ და რეალობაში თავის წამოჩენის გარდა სხვა არაფერი აინტერესებთ.

10422. ზოგჯერ ერთისთვის საყვედურის თქმის უფლება შენში სულმა უნდა მოიპოვოს, ცნობიერებამ განსაჯოს და საქმიანობამ დაიმსახუროს.

10423. ზოგისთვის სამშობლო დამკვალიანებელია, ზოგისთვის – განტევების ვაცია, ზოგისთვის – სამყაროს ერთ-ერთი კუთხე, რომელ-საც ყოველგვარი ანგარების გარეშე ემსახურება.

10424. ფანატიზმს, ერისშვილობის საფასურად, ერთგულება და გონიერება ერთად მოეთხოვება.

10425. ხშირად ერის წარსული გაცილებით მეტ პატივისცემას იმ-სახურებს, ვიდრე ისტორიის გაკვეთილების უგულებელმყოფელი, აწ-მყოში მცხოვრები, ბრბოდ ქცეული მისი შვილები.

10426. ხშირად გვიხდება იმ საზოგადოებებში ცხოვრება, რომელიც ერს და მის ეროვნულობას ვნებს, მაგრამ რაღაც მანქანებით, მისი გადარჩენა ხერხდება და განვითარების ამ ეტაპზე ერის რაობაც შენარ-ჩუნებულია.

10427. ქვენა გრძნობების გააქტიურება, ყოფიერებისაკენ მისწრაფე-ბა, მოჩვენებით კეთილდღეობაზეა გათვლილი, სადაც ერის გაუცხოე-ბასთან გვაქვს საქმე, რომელიც გარეშე ეფექტებზე დაყრდნობით გადაგ-ვარებისაკენ გვიბიძგებს.

10428. ხალხს, რომელსაც თავის ქვეყნის შვილის შემჩნევა, ხელის გაწვდენა და აღიარება შეუძლია სხვისი კარნახის გარეშე, ის უკვე შემდგარი ერია და მას ყველაფერი წინ აქვს.

10429. მორალური დანაშაული ერმა შეიძლება შეგინდოს, მაგრამ საკუთარი თავისადმი ღალატს არასოდეს გაპატიებს.

10430. ერს თუ უნდა ქვეყნას არგოს, თავისი ინტელექტუალური და პატრიოტული სისხლი წვეთობით დროულად უნდა გაიღოს, რადგან გარემოებათა გამო ერთბაშად მისი გადასხმა სახელმწიფოს დაინვალი-დებას იწვევს გარკვეული დროით.

10431. ერისთვის შემოქმედი ძალაუფლებაა უმთავრესი და არა ძლიერი, რადგან ეს უკანასკნელი დროებითია.

10432. სახელმწიფოს და ერის ინტერესები სხვადასხვაა, მაგრამ მათ შუა დადებულ ზღვარს სიფრთხილე, მზრუნველობა და არშემჩნევა სჭირდება.

10433. სამშობლოს სიყვარულის დეკლარირება სულის კულტურის გამოსამჟღავნებელი იპოდრომია, სადაც გონიერება, ყოველგვარი განსჯის გარეშე, ისე დაჯირითობს როგორც მოეპრიანება.

10434. ამაღლებულ ნოტებზე შეიძლება ერის სახელით გალობა, მაგრამ სახელმწიფოს თავისი ორკესტრი და დირიჟორი სჭირდება, რათა ხალხმა იწამოს და დაუჯეროს.

10435. თარგმანი გარკვეულ წილად სხვა ერის სულში შეღწევის მცდელობაა, რადგან შედეგი მთარგმნელის ერმა უნდა გაითვალისწინოს.

10436. მრავალ არამზადასთან ერთად ერს საკმარისი ღირსეული შვილიც ჰყავს რომელთა წარმოჩენა, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, განგების ნებაა და არა – ბრძენად წოდებული ხალხისა.

10437. სიტყვა ,,ეროვნული'' კარგად ჟღერს, მაგრამ ნაციონალიზმის ჰანგებზე აწყობილი.

10438. შეიძლება ერთ კაცს ვანაცვალოთ მთელი ერის რაობა, თუ – პირიქით?! გააჩნია კაცს, გააჩნია ერის დაუსაბუთებელ სურვილებს.

10439. გუშინდელისაგან განსხვავებით, სხვისი კარნახით დღეს ჩემი ერისთვის თავს ვერ გავწირავ, რადგან არეულობის ჟამს ისიც ისეთივე გაუთლელი ვიგინდარა გამოდგა როგორც სხვა ერის შვილები და აქ მეტ-ნაკლებობას, ,,აიწონა-დაიწონას'' არაკაცობის ჩადენაში მნიშვნელობა არ აქვს.

10440. ერისთვის მთავარია მისი შვილის საქვეყნო აღიარება და არა ის, თუ მან თავისი ვირეშმაკობით სამშობლოს რა ავნო.

10441. ერს, ქვეყანას, რაც უნდა ვეთაყვანებოდეთ, ხალხს, რომელმაც ილია მოკლა, ვაჟა-ფშაველას სიცოცხლეში აღიარება არ აღირსა და ფიროსმანი ალჰოკოლს დააჩაგვრინა, ბოლომდე მაინც ვერ ვენდობი.

10442. სხვადასხვა ეროვნების მშობლების ნაშიერი იძლევა იმ ახალ ჯიშს, ეროვნებას, სადაც დაიბადა, აღიზარდა და პიროვნებად სცნეს.

10443. ეროვნულობა აზრს კარგავს, თუ საშუალება არ გაქვს მას თავის ენაზე ემსახურო.

10444. ერი, რომელსაც ურთიერთგატანის ნიჭი წართმეული აქვს, სხვა ქვეყნების აღმშენებლობისათვის არის განწირული, რადგან თავისიანებისთვის უსარგებლოა.

10445. ერს სისულელის ჩადენის პოტენციაც ახასიათებს, რომელიც დროულად უნდა ჩაიდინოს ფანტაზიის, მენტალიტეტის, შესაბამისად და გულის შეჯერებით, რათა რეციდივის სურვილი კარგა ხანს არ დაებადოს.

10446. ძალაუფლება და სამშობლო სხვადასხვა ცნებაა, ამიტომ მათი დაყოფა მოქალაქეს და ერის შვილს თეორიულად ეპატიება.

10447. ერთი კულტურის დასენიანების განკითხვა მეორეთი შეიძ-ლება, ოღონდ აკრძალვების და ძალადობის გარეშე.

10448. სამშობლოს ხეირიანად დაცვა მათ ხელეწიფებათ, ვისთვი-საც ეს საქმიანობა პროფესიად გადაქცეულა და არა მოწოდება – მოვალეობად.

10449. სამშობლოს მაშინ აქვს ფასი, თუ ცხოვრების ძროხის მოწ-ველის უფლებასთან ერთად, ბალახის მოთიბვის, პროდუქციის რეალი-ზაციის, უფლებას გაძლევს ყოველგვარი დაფეძრების გარეშე.

10450. შემაშფოთებელი გარფნილებაა, როდესაც ქვეყანას ღირსეუ-ლი დამცველი არ ჰყავს და ჯარში სამსახური სამარცხვინოდ ითვლება, რადგან დემოკრატიის პოლიტიკანებზე აყოლა ქვეყნის ავ-კარგიანობას ძირს უთხრის და ავიწყებს, რომ სამშობლოს ინტერესების დაცვას დაუფიქრებლად მკერდის აფარება და ძალის გამოჩენა სჭირდება.

10451. რაც უნდა დიდი წარმოდგენა გვქონდეს ერის რაობაზე, მანამ ერთმანეთს ვერ გავუგებთ, სანამ მოთმინებას და სხვა კულტურის მიღწევების შეფასებას არ ვისწავლოთ.

10452. სამშობლოს სიფარული კულტურის შეცნობის, ანბანის სწავ-ლის და ტრადიციების გააზრების შემდგომ იწყება.

10453. სხვა ქვეყანაში ყველასთვის უცხო ხარ, ხოლო შენს სამშობ-ლოში უცხოს შვილიც შენია.

10454. იყო ერის ხელოვნების ჯარისკაცი, დიდი პატივი და მოვალე-ობაა როგორც თავისადმი, ასევე ქვეყნისადმი.

10455. ყველას დაფირება ასატანია სამშობლოს დაფირების გარდა, რადგან ეს საბოლოო წერტილის დასმაა რაობაზე, ღირსებაზე.

10456. სამშობლოსადმი, თავდადება კი არ არის პირველადი, არა-მედ ის ქვეყანა, რომელიც შენს საქმიანობას და მისწრაფებას საშუალე-ბას აძლევს ფრთები შეისხას და მატერიალურად უზრუნველყოს.

10457. დღევანდელი ცოდნა-გამოცდილება იმის ანალიზის უნარს იძლევა, რომ ყოველგვარი დაპირისპირება რაღაც არამყარი ახალი იდეებისთვის ერის ინტერესებს წინ ეღობება და სახელმწიფოებრიობას რა დღეს დააყრის, არავინ უწყის.

10458. ყველა ერს სამშობლოზე შეყვარებული ენერგიამოჭარბებული ვირიშვილი და გენიოსი დარდუბალა ჰყავს, რომელთა მცდელობა ხალხს ბრბოდ აქცევს, ბრბოს – მოქალაქეებად და ეს ხშირად განგების ნება-სურვილზეა დამყარებული.

10459. უაზრო პატრიოტიზმი ცხოვრებაგამოუვლელი ადამიანის ხვედრია, მაგრამ დასაშვებია, თუ ის გონიერების ფარგლებს არ სცილდება.

10460. ჩვენ სამშობლოსთვის კი არ ვკვდებით, არამედ ხელისუფლებაში მოსული რამდენიმე ვიგინდარასთვის, რომლებიც ხალხს თავის ჭკუაზე აბრიყვებენ გარემოს და დროის შესაბამისად.

10461. ემიგრანტობის შეგრძნება მაშინ გიქრება, როდესაც იგრძნობ ამ ქვეყნის შვილობას და მისი ცუდიც და კარგიც გულთან მიგაქვს და არა მაშინ, როდესაც მისი გესმის, გაუგე და გამორჩენისკენ თვალი გაგირბის.

10462. ნამდვილ ჯარისკაცსაც „ყარაულში“ ძილი ექაჩება, მაგრამ ფხიზლობს, რათა სამშობლო უყურადღებოდ არ დატოვოს და გულგრილობა არ დაბრალდეს.

10463. დასაფლავებაზე ფიქრის დროს ვხდებით, რომ ყველას უნდა ჰქონდეს წინასწარ შერჩეული სასაფლაო სამშობლოში, სადაც მის „წასვლას“ ცრემლით და ქელეხით აღნიშნავენ.

10464. მე ჩემი ერის მამად კი არა, ბაბუად მიმაჩნია თავი და ხანდახან თავს უფლებას ვაძლევ საყვედური სიყვარულით გამოვთქვა.

10465. ადამიანი იბადება, ბრბოდ გადაიქცევა, მასის წევრი ხდება, ხოლო მოქალაქედ ერის და ქვეყნის სიძლიერე აქცევს.

10466. სამშობლოს შეძენა ფულითაც შეიძლება, თუ შენსას არ უნდიხარ და მასზე განაწყენებულს, შენი და მისი ბედიც ფეხებზე გკიდია.

10467. ზოგი სამშობლოს ჰყიდის, ტოვებს, ახალს იძენს, მაგრამ ამ კომერციაში არც არავის უნდა ენდო და არც არავინ რჩება ბოლოში მოგებული.

10468. არც საზოგდოებაა ყოველთვის მზად სიმართლის მოსასმენად და არც თავმოყვარე „მე“, იმდენად დიდია ერის უნაკლობის და თავის წარმოჩენის სურვილი.

10469. ყველა მოულოდნელობის, სასწაულების, ახირების, უცნაურობების, ქვეყანა ჩვენი სამშობლოა, რომელზეც სახალხოდ გული ყველას შეგვტკივა, მაგრამ მას მკურნალად ერთეულები ევლინებიან და ისინიც განგების გამოგზავნილია.

10470. მდიდარი ერები ღარიბი ერების წარმომადგენლებს ქირაობენ, ასაქმებენ და მათში ითქვიფებიან. შედეგად ვიღებთ მდიდარი ერე-

ბის ტრადიციებზე დამყნობილ „ჰომო საპიენსს“ ახალი სახეობით, გაურანდავი კულტურით და ფუფუნებისკენ მიდრეკილებით.

10471. ზოგს ახალი სამშობლოს მოძიებაც და ყიდვაც ნისიად, უფასოდ და თავის შეუწუხებლად უნდა.

10472. სხვა ეროვნების მიმართ შენი შეხედულებების უნდა გჯეროდეს, მაგრამ ჭკუა არ უნდა დაარიგო, რათა მათი საქმიანობის განსჯისას სამართლიანი და მიუკერძოებელი დავრჩეთ.

10473. „ქაქს“ ყველა ერი ჭამს, თუ ამის „შესაძლებლობას“ მისცემს დროის ყივილი და შემთხვევის გათავხედება.

10474. სამშობლოს სამსახური დიდი ტვირთია და მორჩილებას მოითხოვს დროის შესატყისად.

10475. გონიერი შრომა და შემართება ყველაზე დიდი ღვაწლია ქვეყნის გაძლიერებისა და ერის მეობის განმტკიცებაში.

10476. სამშობლოს სიყვარული ფაქტია, თუ მას აღზრდა, გარემო, გენი და კიდევ რაღაც შეუცნობელი მიზიდულობის კანონი მხარს უჭერს და ესალბუნება.

10477. ენის და წინაპართა დამსახურება გვაიძულებს ერისშვილები ვიყოთ.

10478. ნაციონალიზმი და ეროვნულობა ერთმანეთს ვერ ეთვისებიან, რადგან პირველი ჯიბის დანას (ჯაყვას) ულერებს მეორეს და ეს უკანასკნელი იძულებულია გონიერების მუშტი შეაგებოს.

10479. მეკობრეობის მიდრეკილების მქონე ხალხსაც ერის გმირებად ვაქცევთ, თუ მათ პატრიოტობას შევუშხაპუნებთ.

10480. ერის ხასიათის და მისი ვირეშმაკობის შესასწავლად მასპინძლის მიერ უნებლიეთ მოწყობილი ღრეობა გამოდგება.

10481. მამულის ვალი საფლავში წამოწოლილმაც უნდა გადაიხადო.

10482. ავაზაკებიც და ყიამყრალებიც ხშირად ერის პოტენციალის გამოსავლენად იბადებიან.

10483. ერისათვის ყველაზე დიდი უბედურება სხვისი დახმარების მოლოდინია, რაც მას ადუნებს და აქტიური ცხოვრების სურვილს უკარგავს.

10484. ერი კრიტიკას და ჭკუის სწავლებას ვერ იტანს, მის მიერ არჩეული მთავრობიდან განსხვავებით.

10485. ენისადმი პატივისცემა ქვეყნის პატივისცემის და ერის გახალისების ტოლფასია.

10486. მე მაინტერესებს ჩემი ერის დემოგრაფია და მისი პოტენციალი და არა ის, კულტურულად გამრავლდება თუ ვულგარულად და ექნება თუ არა ვისმეს უკანალში თავი შეყოფილი. ჩემთვის მთავარია ერი არ გადაშენდეს.

10487. ქვეყანა, რომელიც წარსულს უპასუხისმგებლოდ ექცევა და ეჭვით უყურებს თავის მომავალს – საფრთხეშია, რადგან მის მცდელობას ჭოჭმანი, გაუბედაობა, გულგრილობა და ყოყლოჩინობა შეიწირავს.

10488. ულიმღამოა იმ ქვეყნის ყოფა, ვისაც მისაბაძი გმირი არ ჰყავს, მაგრამ უბედურებაა, თუ მას გმირი სჭირდება თავისი მეობის შესაგულიანებლად.

10489. შენი წარმომავლობით, ეროვნებით, ნაცნობობით, სხვამ უნდა იამაყოს და არა – შენ, რადგან ეს ძალზე იაფფასიანი სიამოვნებაა იმასთან შედარებით, როდესაც შენით სხვები ამაყობენ.

10490. სიცოცხლეზე ძვირფასი არაფერია, მაგრამ სამშობლოს ინტერესები ამას ანგარიშს არ უწევს.

10491. სამშობლოს კვამლი ყველა ემიგრანტის სულში ტრიალებს, ხშირად ახველებს და თვალებსაც უწვავს.

10492. არ შეიძლება რევანშიზმის ფსიქიკით ცხოვრება, მაგრამ ზოგჯერ ეს აუცილებელია, რათა ერი არ გადაგვარდეს, თავისი მეობა არ დაკარგოს და ყველაფრის მიმართ გულგრილი არ გახდეს.

10493. სამშობლოს ცნებასა და ეთნიკურ დასახლებას შორის ის სხვაობაა, რომ პირველის საბოლოოდ დატოვების უფლება არ გაქვს, ხოლო მეორის დატოვება საბოლოოდ არ ამოწურავს უკან დაბრუნების იმედს.

10494. ეროვნებისთვის მთავარია სულით და აღზრდით ვის ეკუთვნი და არა იმდენად გენით და შთამომავლობით.

10495. ყველა ერს თანდაყოლილი ბედი აქვს და გარკვეულ დროამდე არხეინად არსებობს, სანამდე საკუთარი გენი კვანტს არ დაუდებს.

10496. ერის სიწმინდეს, ზანტის და ზოზინას გარდა, ყველა იმიტომაც თელავს, რომ პასუხის მოთხოვნა შეუძლებელია.

10497. ქვეყნის ბედი სულით ნაბიჭვრებს არ უნდა ვანდოთ, რადგან მათ ყოველთვის ექნებათ უკმაყოფილობის გრძნობა და სამაგიეროს გადახდის სურვილი, რადგან ის „უმამოდ“ და ყურადღებამოკლებული იზრდება.

10498. ყველა ერს სიცოცხლისთვის გაჭიანურებული დრო აქვს გამოყოფილი, რომელიც არც შთამომავლობას ტოვებს და არც რეალურ ხსოვნას, მაგრამ ამ მუხთალი კანონზომიერების შეცდენა შესაძ-

ლებელია, თუ სხვა ერის გენოფონდთან შეჯვარებას ვიკადრებთ და ენას, კულტურას, მოვუფრთხილდებით.

10499. შენს წარმოსაჩენად, გინდა თუ არა, შენი სამშობლოს ავტორიტეტზე, მენტალიტეტზე, ხარ ნაწილობრივ დამოკიდებული.

10500. სამშობლო შვილის წინაშე ვალს არ უნდა იხდიდეს, ის უნდა უფარდეს, ზრუნავდეს, თუ უნდა უკან ორმაგი სიკეთე მიიღოს.

10501. თესლბრუნვა იგივე ერების შეჯვარებაა გარკვეული პროცენტით, რათა ძირძველი ერის გენი არ დაბერდეს, დამყაყდეს და სასურველ თაობათა კვლავწარმოება არ გადაგვარდეს.

10502. ეროვნებას ქმნის ილუზიები და ერთად ყოფნის აუცილებლობა, რომელსაც გარემო პირობების შეხმიანებაც სჭირდება.

10503. ზოგჯერ სამშობლო გვარცხვენს თავისი უილაჯობით, უმეტესად კი ჩვენ ვარცხვენთ გულგრილობით და მომხვეჭელობით.

10504. გენიოსი ის არის, რომლის სახელითაც ერი ტარბახობს და თავი მოსწონს.

10505. ზოგი სხვაგან ეძებს უზრუნველყოფილ მონობას, ზოგიც თავისუფლებისთვის მზადაა შიმშილს შეეჩვიოს, მაგრამ ფაქტი ერთია: ორთავეს სამშობლოში გაუთლელი მთავრობა ჰყავს და ქვეყანა ვიგინდარათა ხელშია.

10506. სამშობლო სამსახურს ითხოვს და არა მომსახურეობას.

10507. ელიტარული ერია ის, რომელიც თანამემამულის ნაღვაწს გონებით აფასებს, შურს გულში არ გაივლებს და საჭიროების ჟამს გვერდში ამოუდგება ყოველგვარი „შენია-ჩემია“ გარეშე, რათა ქვეყნის საქმე უდრტვინველად აკეთონ.

10508. სამშობლოს დაცვა სამუშაოცაა, პროფესიაც და ვალდებულებაც საკუთარი თავის მეობის, კაცობის და შთამომავლობის წინაშე.

10509. ხელობას, რომელსაც ფული და სხვაზე წინდგომა არ მოაქვს, წამბაძველობას ვერ დაიმსახურებს, ეს საქმიანობა ერის და ქვეყნის იმიჯისთვის რაც უნდა აუცილებელიც იყოს.

10510. მგლებს რაც უნდა ეფერო და გადაფხე, მაინც ტყისკენ უჭირავთ თვალი, ასევეა ეროვნულობაც, რაც უნდა კარგი გაუკეთო, მაინც თვითგამორკვევაზე და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნაზე უჭირავს თვალი. ამიტომ პირველს ნაკრძალში უნდა ვუკრათ თავი, ხოლო მეორეს კეთილმეზობლობა ჩვენივე ზედამხედველობით უნდა შევთავაზოთ, რათა თავისუფლების საზღაურის ავან-ჩავანი თავადვე იყოს და სასაფედუროდ განტევების ვაცის მოძებნა ვერ შეძლოს.

10511. ქვეყნის, სამშობლოს, ხალხის, გულს ვერასოდეს იმ ზომით ვერ მოიგებ, როგორც იმსახურებ და როგორც შენ გესმის.

10512. მშიერი და შეშინებული ერი მდიდარ ქვეყანას ვერ ააშენებს თუ უკან დიქტატორი და გადამღობი ჯარი არ უდგას.

10513. ერის ღირსეულ შვილს ღირსეული სახელმწიფო უნდა ედგას გვერდში, რათა ხალხის კეთილდღეობას ემსახუროს.

10514. ჩვენ ყველანი ძალით ჩასახლებულნი ვართ ჩვენს მამულში, როგორც მონები და ვალდებულნი ვართ თავი გამოვიჩინოთ და ქვეყნის მსახურნი გავხდეთ.

10515. მამულისა და სამშობლოს სიყვარულს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი ველური სიყვარულია, მეორე კი ვალდებული ხარ გონებით გიყვარდეს.

10516. ტრადიცია ის უმტკივნეულო ეკალია, რომლის შერჭობა არ გტკივა, პირიქით – აგიძულებს მოუფრთხილდე.

10517. ეროვნულობაა მაშინ, როდესაც ხალხს ერთიანი სული აქვს და საკუთარ უფლებებს, რადაც უნდა დაუჯდეს, იცავს.

10518. ზოგჯერ შენს ირგვლივ მყოფთ რომ უკვირდები, სამშობლო და მისი სიყვარული ლაყე სიტყვებად გეჩვენება და თავს გაწბილებულად გრძნობ.

10519. მორალი, სამშობლო, ტრადიციები წინაპართა ხსოვნის და მიწა-წყლის რაობის შემცნობი და დამფასებელია.

10520. ინსტიქტების უქონლობა და არა – ტრადუცუების უგულებელყოფა აქრობს თაობებს, რადგან ეს უკანასკნელი, ასე თუ ისე, ცვალებადია.

10521. სიღარიბე, უიმედობა, გვბოღმავს და მოვალეობის გრძნობას გვაკარგვინებს სამშობლოს წინაშე.

10522. ისტორიული რევანში ყველა ერის სულში უნდა ღვივოდეს, მაგრამ არა სხვის ხარჯზე და სხვათა ინტერესების უგნური ხელყოფით.

10523. შეიძლება ჩემი სამშობლოს მორიგ უგნურებას მე ვერ მოვესწრო, მაგრამ შთამომავლობა რომ მოესწრება ყველა მომდევნო საუკუნეში, სულ ცოტა, ორჯერ, ეს ისტორიის გამოცდილებით და ჩვენი გენის თავხედი ბუნებით გარანტირებულია.

10524. ერისმთავარი, ერისშვილი, ერისთავი, დარბაისელი – ეს სახელები წინაპართა დამსახურების გამოძახილია და საზოგადოება ვალდებულია ეს სიამაყე არ გააუფასურის.

10525. უპირველესად, საკუთარი ბუდე უნდა გიყვარდეს, შემდეგ მოდის დედაქალაქში ყოფნის სინდრომი, რაღაცის მიმართ სიყვარული და თავის გადადება.

10526. სამშობლო მართალია ჩვენი ხატია, რომელსაც ბევრი ჭუჭყი ცხია და ბევრს უნდა მისი გასუფთავება, მაგრამ ისიც ეტყობა სამწუხა-როდ ღმერთის საქმეა.

10527. ეროვნებამ თავის ქვეყანაში ადგილი უნდა მოინიშნოს და მასზე უნდა დამკვიდრდეს, მხოლოდ ამის შემდგომ აქვს უფლება ნამა-ტი თაობიდან საუკეთესო სხვისი ქვეყნის და სამყაროს სამსახურში ჩააყენოს, რადგან ეროვნულობის შესანარჩუნებლად უმთავრესია რაო-დენობა და არა ხარისხი.

10528. ერს არსი ეროვნული სიამაყის შეცნობა და წინაპართა დამსახურების გაფეტიშების მცდელობაა.

10529. ჩვეულებრივმა მოკვდავმა სამშობლო უნდა დაიმსახუროს და მოუფრთხილდეს, თორემ ნიჭისთვის ყველა ქვეყანა სამშობლოა, რომელიც გაითავისებს.

10530. ყველა ერს უნდა ჰყავდეს თავისი ნაძირალა, რომელიც საჭიროების ჟამს ერთი ხელის დაკვრით იმ ფურუნკულს მოაშორებს, რომელზეც კანონის პატივისმცემელ ხელისუფლებას ხელი არ მიუწვდე-ბა, ხოლო საზოგადოებას ძვირად უჯდება დემოკრატიასა და სიტყვის თავისუფლებასთან თამაში.

10531. საკუთარ ბედნიერებას ქვეყნის კიდემდე უნდა გავეკიდოთ, ოღონდ ერთი პირობით: სამშობლო არ უნდა მიგვავიწყდეს.

10532. ნაციონალური თავისუფლება ერის რაობის პირად შეუ-რაცხყოფამდე და უსუსურობამდე არ უნდა დავიყვანოთ, რადგან საკუ-თარი უნიათობის სხვაზე გადაბრალება არარეალურია და სასჯელად თვით გვემა რჩება.

10533. ერმა თავისი ტრადიციების, საკუთარი წეს-ჩვეულებების სხვისი წამხედურობით გადათელვა არ უნდა იკადროს.

10534. მამულის შველა სისაძაგლედ არ აღიქმება. რაც უნდა სა-ზიზღრობა იყოს ჩადენილი.

10535. დროშაზე ჭუჭყიანი ხელის წავლების უფლება არავის აქვს, რადგან ის ერის, ქვეყნის ძალაუფლების ერთდროული სიმბოლო და სინდისია.

10536. ეროვნულობა თუ რწმენა. პირველი თვითმყოფდია, მეორე შეძენილია, ამიტომ პირველის პირველობას, საჭიროების შემთხვევაში, მეორე უსიტყვოდ უნდა შეეწიროს.

10537. ყველა ერშია მოსახლეობის მცირე ნაწილი რომელსაც უმიზნოდ ვერც სიკეთეს ჩაადენინებ და ვერც – ბოროტებას, მოსახლე-ობის დანარჩენი 90 პროცენტი საშუალო შეწონილი ბუნება-გუნების

ხალხია, რომელსაც ყურში ისე წაავლებს ხელს ეს უმცირესობა არეულობის და გაურკვეველი სიტუაციის დროს, როგორც გაუხარდებათ.

10538. საკუთარი თავის ღირსების შეგრძნება, ერის ნაციონალური იდეაა და ქვეყნის წინსვლის „პერპეტუუმ-მობილეა“ („მარადი ძრავა“).

10539. ზოგჯერ ნაციონალურ-პატრიოტული პატივმოყვარეობა აიწყვეტს და იმ („რანი ვიყავით და რანი ვართ“) საუკუნეთა წლებს გამოთხრის, მაგრამ არავის აინტერესებს, გვეკუთვნოდა იმ დროს ის დიდება, რომელიც ვერ შევინარჩუნეთ.

10540. რა ბედოვლათებიც ჩვენ ვართ, ასევე იყვნენ ჩვენი წინაპრებიც, რამდენიმე ბედნიერი გამონაკლისის გარდა, რადგან ერის გენი, ხასიათი და განგების ნება უცვლელია.

10541. პატრიოტიზმის უგულებელყოფა სასჯელს არ ითვალისწინებს, ის შთამომავლობას მძიმე ტვირთად განსაზღვრული დროით ედება.

10542. ყველაზე დიდი ეროვნულობა სამუშაო ადგილების შექმნა, ინვესტორის მოზიდვა, მშვიდობის შენარჩუნება და რაც მთავარია, მოსახლეობისთვის იდეოლოგიის ბაზისზე „თევზის ჭერის სწავლება“ და არა – ნაციონალისტური კივილი და „პატრიოტული“ ყმუილი.

10543. ეროვნულობა, ქვეყნის მოქალაქისაგან განსხვავებით, ან შთამომავლობით უნდა აირჩიო ან უნდა დაიმსახურო, სხვანაირად იმ სახელმწიფოს სრულყოფილი წევრი ვერ გახდები.

10544. თუ უფროს-უმცროსობის ინსტიტუტი მოიკოჭლებს ან გაუქმებულია, იმ სახელმწიფოში ერის ღირსება დაქვეითებულია.

10545. მთიელებისთვის იარაღი რელიგიაა, სახელი სალოცავი საყდარია, ოჯახი ხატია, მაგრამ ადათ-წესების დაცვა და მისდამი თაყვანისცემა მათთვის ყველაფერია.

10546. ნაციონალური იდეა ყოველთვის პირველ ადგილზე უნდა იდგეს, ოღონდ ერთი პირობით, ქვეყნის ბიუჯეტს წყალი არ უნდა შეეყენოს და ეცადოს ქვეყანა ასახელოს.

10547. სამშობლოს ნაგლეჯია ის, სადაც დაიბადე და მოვალე ხარ, დაიცვა, რადგან ის შენი საძირეა.

10548. ადამიანისთვის უპირველესი, ალბათ, მაინც გვარის გამგრძელებელია ვიდრე ეროვნულობა, რადგან პირველ რიგში შენი ჯიშის წინაშე ხარ პასუხისმგებელი, ხოლო მეორე შემთხვევაში – შენი ხალხისა და ქვეყნის, რომელმაც იმდენი ვერ მოახერხა, რომ სამშობლოში დაემაგრებინე.

10549. ყველა ადამიანი ირჩევს საცხოვრებლად იმ მხარეს, სადაც მისთვის სამოთხეა, თავის წარმოჩენა და ნიჭის გამომზეურება შეუძლია

და აქ სამშობლოს მოჩვენებითი სიყვარული და სხვა გულისამაჩუყებელი მოტივები არაფერ შუაშია.

10550. ბრბოს – ჭკუის ამოყორვა აწუხებს, ხალხის აწმყო-მომავალზე დაუფიქრებლად, ხოლო ერს – მომავალი, წარსულის გათვალისწინებით და საზოგადოებაზე დაყრდნობით.

10551. მიუხედავად იმისა, რომ ნოსტალგიისგან თავის დაღწევა გვიჭირს, ჩვენი სამშობლო იქ არის, სადაც ეკონომიურად თავს უკეთ ვგრძნობთ.

10552. ენა, დამწერლობა, ტერიტორია, ერის თავშესაფარიცაა და მისი მფარველიც.

10553. მთვლემარე სინდისი, დათრგუნული მეობა, საყოველთაო გულგრილობა, ეროვნულობას საყრდენ ძირს უთხრის.

10554. სამშობლოს სიყვარულით ქრონიკულად დაავადება, რომელიც წვრთნას და განსწავლას ემორჩილება.

10555. დრომოჭმულმა ტრადიციებმა და მისმა მოძველებულმა ფორმებმა, უდრტვინველად და ყოველგვარი ალტერნატივის გარეშე, ასპარეზი ახალს უნდა დაუთმოს.

10556. ეროვნული ცნობიერების შესაკვრელად მარტო წარსულის, ხელოვნებისა და წიგნების მოშველიება არ კმარა, თუ მას მათრახის ტლაშუნის ხმა, სასუსნავის სუნი და ბრბოსთვის გასაგები და მისაღები იდეოლოგია არ დაემატა.

10557. დღეს სამშობლოს ცნება დანაწევრებულია: სად დავიბადეთ, სად ვისურვებდით შობას, ვინ აგვღზარდა, სად ვიშოვეთ სახსარი და სად ვგრძნობთ თავს კარგად. სიყვარული ყველა მათგანზე თანაბრად უნდა განაწილდეს.

10558. სამშობლო ჩვენი კაპიტალია გონიერების და ფულის დასაბანდებლად, თუ კი ძალადობა გონიერ გადასახადებთან ერთად, არ ცდილობს წილში ჩაგიჯდეს.

10559. სამშობლომ შვილი არ უნდა შეიწიროს და არც უნდა გასწიროს, რადგან პირველი უგნურების ბრალია, ხოლო მეორე გაუთვითცნობიერების შედეგია.

10560. კერიის ქვაზე დაყრდნობა იდეოლოგიის გამყარებას ესაჭიროება, რათა ხალხის აცუნდრუკებით ეროვნულობის საწყისი არ დაიკარგოს, გადაგვარდეს.

10561. ბიჭ-ქალების და ქალ-ბიჭების მოძალება ერის გენოფონდს სამარეს უთხრის, მაგრამ სიყვარულის და კაცთმოყვარეობის შთაგონებით. ეს ნიშა ნორმალური ორიენტაციის მოქალაქეებს უნდა გადაუნაწილონ.

10562. ერი განსჯის, გაჭირვება-დალხინების, ცოდნა-უვიცობის, გარეშე ვერც სახელმწიფოებრიობას შეინარჩუნებს და ვერც განვითარდება.

10563. ნიჭი და ღირსება ინახავს ერის წეს-ჩვეულებებს, რათა საზოგადოება არ გადაგვარდეს და თავისი „მე“ არ დაკარგოს.

10564. „თურქული“ ცხოველების სენიცაა და ერისაც, მაგრამ ორთავეს მიზეზი უყურადღებობა, უგულობა და ურთიერთგაუცხოვებაა.

10565. სამშობლოში მაშინ უნდა დაბრუნდე, როდესაც შენი თავის კმაყოფილი იქნები და შენს ერს სინანულით არ წარუდგები.

10566. გლობალიზაცია იძულებული იქნება ეროვნულობის მხარდამჭერი გახდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას არავინ მიენდობა.

10567. ყველა ძირძველი ქვეყნის საღვთო ვალია ჯიში და ჯილაგი უცვლელად შეინარჩუნოს, თორემ სხვა ეროვნებებზე დამყნილი ის აღარ არის, რაც იყო.

10568. თბილისი მუდამ ძველი ქალაქი იქნება ახალი ელფერით, წინააღმდეგ შემთხვევაში, სიძველის შარმიც დაიკარგება და მისი ტრადიციებიც.

10569. დღეს სინდის-ნამუსის ხარისხს ტექნიკური პროგრესი განსჯის და არა – ტრადიციები და ევოლუცია.

10570. ერის გაერთიანებას სიძნელეებთან დაპირისპირება და გარეშე მტერია სჭირდება, რასაც მომგებიანი იდეოლოგია ედება საფუძვლად.

10571. ეროვნული ღირებულებები ლიბერალიზმის ღირებულებებს არ უნდა შევწიროთ, როცა ისინი ერთმანეთში ვერ რიგდებიან.

10572. სამშობლოს სიყვარულს ჯიგარი სჭირდება, ოღონდ ერთი მოხერხებული მზარეულის შეკმაზული.

10573. ერი არც კარჩაკეტილობით უნდა გამოირჩეოდეს და არც კარგახსნილობით, ორივე საზიანოა, რადგან ერთი ჩამორჩენის მიზეზია, მეორე – გადაგვარების.

10574. ზოგჯერ სამშობლოს სიყვარულს და საკუთარ ამბიციებს უნდა მოვერიოთ, რათა ყეყჩებად არ გამოვჩნდეთ და ირონიული ღიმილი არ დავიმსახუროთ.

10575. ერისთვის ნაციონალურ მოძრაობას, რაც სახელი აქვს, იმის შესატყვისი შედეგი არასოდეს მოუტანია.

10576. ქვეყნის ჭირის ჯოხს ორი ბოლო აქვს, ორთავეს მოფრთხილება სჭირდება, რათა ერი არ დასნეულდეს.

10577. ქვეყნის გადარჩენას ხელის განძრევა, შემართება და მოხერხებულობა სჭირდება, რათა ერი არ დასნეულდეს.

10578. ისტორიის ჩარხი, გვინდა თუ არა, მაინც ტრიალებს, ხოლო სიკეთე გამოიჩარხება თუ უკეთურობა, ეს ერის შემართების საქმეს.

10579. კანონის უზენაესობის ზეიმი ერის კულტურის მაჩვენებელია.

10580. უგუნური შური, ნიშნის მიგება, უადგილო სიამაყე ეროვნული სიამაყისაგან არაფერს ტოვებს.

10581. სამშობლოს ყველა თავისი შესაძლებლობით უნდა ემსახუროს და არა თავისი გაგებით, რომელშიც აიწონა-დაიწონაც იგულისხმევა.

10582. ერის წარსულის დავიწყება პირდაპირპროპორციულია მისი მოსალოდნელი გადაგვარებისა, ხოლო ენის გადავიწყება – გაქრობისა.

10583. ერს ყოველთვის შემორჩება ძირძველი კულტურის ნაფლეთები, აწმყო რაც უნდა უკულტურო და უნიათო იყოს.

10584. კლასიკური განათლება ერის ბედნიერების ბურჯია და არა – ფართომოხმარებისა, რომელიც საჯილდაოდ მხოლოდ აწმყოშია გამოსადეგი.

10585. თუ შენ ერის ნაღდი პატრიოტი ხარ, ყველა მის ქმედებაზე პასუხი უნდა გასცე და არა იმაზე, რაც შენ გაწყობს და შენი ერისთვის „მომგებიანი“ გეჩვენება.

10586. პატრიოტიზმი საშინელ ეპიდემიას ემსგავსება, როდესაც სამშობლო ყველას „გულზე ხელისრტყმით უყვარს“.

10587. სამშობლო ადამიანის სულში ზის და როგორ მოგენატრება და მისთვის რას მოიმოქმედებ, არავის უწყის.

10588. პროგრესის წინაშე, ადრე თუ გვიან, ყველა ქედს იხრის, ეს რწმენის საზიანოდ იქნება თუ ტრადიციებისა.

10589. ზოგიერთ ეროვნულ ხინჯს მცირენი სიბრიყვეს უწოდებენ, მრავალნი – ტრადიციებს და მას ჯიუტად იცავენ.

10590. რატომღაც უფრო გვაინტერესებს, რა თქვა ჩვენზე ჩვენს რაობაში გაურკვეველმა გადამთიელმა, ვიდრე ჩვენმა კეთილისმდომმა თანამოძმემ და ერის შვილმა.

10591. ეროვნულ ხასიათს თავისუფალი ერი თავადვე აფასებს, ხოლო დამორჩილებული სხვისი შეფასება-დაფასებით კმაყოფილდება.

10592. ბევრი ჩვენგანი სამშობლოს სიყვარულით იბადება, მაგრამ ზოგ მათგანს არც სამშობლოს სამსახური უწევს და ვერც სამშობლოში ამთავრებს სიცოცხლეს.

10593. ჯანმრთელ, ამაყ ძლიერ, ერს არ სჭირდება თავის წარმოჩენა და უნიკალურობით თავის მოწონება.

10594. ხშირად პატივისცემას ხალხი არ იმსახურებს და არა – ერი, რომელიც ფხიზლდება და აზრზე მოდის.

10595. რწმენა ტრადიციებზეა მიბმული და არა – რომელიმე სარწმუნოების ნება-სურვილზე.

10596. ერებს ისე არაფერი არ აახლოებს, როგორც საერთო მტერთან ბრძოლაში სისხლის ღვრა და ისე არაფერი აშორებს, როგორც ამ სისხლისღვრის მიზნის აუგად მოხსენიება.

10597. სამშობლოა, თუ მას დაუფიქრებლად ეწირები, ,,სამშობლუკაა", თუ დაუფიქრებლად.

10598. ყველა ერს თავისი საამაყო აქვს, მაგრამ აქ მთავარია თავი არ გავიგიჟოთ და პატრიოტიზმის ცოფი არ ვყაროთ.

10599. სამშობლოს სამსახური აუცილებელია, თუ გვინდა ჩვენმა შთამომავლობამ იარსებოს, წინ წაიწიოს და ფეხი გაიდგას. როდესაც შენი ქვეყნის წარმატებებით ამაყობ, ამაზე უკეთესი კაიფის მოცემა განგებას არ შეუძლია.

10600. ზოგჯერ უგნურ, ავანტურისტულ, პატრიოტიზმს გმირობად მიიჩნევენ და სწორედ ეს არის გონიერებისთვის, მოთმინებისთვის, ჩასაფრებისათვის ალიყურის გაწვნა. ქაქუცა ჩოლოყაშვილის 1924 წლის აჯანყება ბოლშევიკების მიერ თავიდანვე გაშიფრული იყო და ხელსაც აძლევდათ, რათა საწინააღმდეგო აზრების მქონეთათვის ანგარიში გაესწორებინათ. ასეთ კაცს დღევანდელი ერის უპასუხისმგებლო ვიგინდარები გმირად თვლიან.

10601. ეროვნულობა და მიზანი სინონიმებია და ეს არ უნდა დავივიწყოთ.

10602. ერი, ტრადიციების, აღზრდის საწყისზე თავში რწმენის შთაგონებაა.

10603. პიროვნებასა და ეროვნებას შორის ის სხვაობაა, რომ ერთმა 100 წლის ფარგლებში შეიძლება იცხოვროს, მეორემ საუკუნეები, მაგრამ ორივეს მოვლა სჭირდება, რათა ერთის სახელი არ მოკვდეს, მეორე არ გაქრეს.

10604. ეროვნულობის დროშის გონივრული აფრიალება ერს აამაყებს, ქვეყანას წარმოაჩენს და სამშობლოს გაფვარებს.

10605. საცხოვრებლად იმ ადგილს ვირჩევთ, სადაც მეტს გვაძლევენ, გვაფასებენ და შთამომავლობას სამშობლოდ ექცევა, ჩვენ კი სამშობლოზე ტკბილი მოგონებები გვრჩება.

10606. ინტერნაციონალური და ეროვნული სხვადასხვა ცნებაა, მათ შორის დათმობა უაზრობაა, რადგან არასოდეს ამართლებს.

10607. სამშობლოს ბევრი ჰყიდის სხვაგან საცხოვრებლის შერჩევით, რადგან ერთი უკეთესობისკენ მიისწრაფის, მეორეს ნიჭის გამომზეურების სურვილი ამოძრავებს.

10608. სამშობლოს გარდაცვალების შესახებ, ზოგიერთი საუკუნე ფაქტის წინაშე გვაყენებს დროდადრო მკვდრეთით აღდგომით და თავისუფლების მოპოვებით.

10609. ეროვნული სახელმწიფო მშობლიურ გარემოში შენს ჭკუაზე ფუსფუსი და სიფარულის ფრქვევაა.

10610. ფულიანი მათხოვარიც შეიძლება იყოს, თუ ის ერის და ქვეყნის საქმეს გვერდულად უყურებს და ქველმოქმედებაზე ხელი ჩაქნეული აქვს.

10611. ტექნიკური პროგრესით გადაგვარებას და ფუფუნებას ეთნიკური ერი გადაგვარებამდე მიჰყავს, შობადობის შემცირებით, ყოფაზე გადამეტებული ზრუნვით და პატრიოტიზმის უგულებელყოფით.

10612. ჩვენ ვამაყობთ და თავი მოგვაქვს ერის წარმომადგენელთა ნამოქმედარით და არა – ცარიელი ეროვნებით და იმ მიწით, რომელზეც ვცხოვრობთ და სამშობლოს ვეძახით.

10613. მართალია, სამშობლო ხელისუფლებაში არ უნდა აგვერიოს, მაგრამ ამ უკანასკნელის გარეშე ვერც სამშობლოს წარმოაჩენ და არც ჭკუასაკითხავი სახელმწიფო შეიქმნება.

10614. სამშობლოს სიფარული მაინც ჩვენი საქმიანობის შემდეგ დგას, რადგან თანდათან ინტერნაციონალისტები ვხდებით. თუ სხვა ქვეყანაში უკეთეს პირობებს გვთავაზობენ შრომა-ყოფისას და ანაზღაურებისას. ვთქვათ, თქვენ ავარჯიშებთ სხვა ქვეყნის გუნდს, რომელიც ერკინება საქართველოსას, რა თქმა უნდა, თქვენი ნაწრთობი გუნდის გამარჯვება გინდათ, რადგან აქ თქვენი სახელი, კარიერა, შემოსავლები, დევს სასწორზე.

10615. სამშობლოს ყვილსა და ქალის და კაცის სიფარულს შორის მსგავსებაა, მაგრამ ერთის პირობით: თუ პირველი ოცნების ასრულებაში მიმატება-გამოკლების ალგებრას თავს არ ანებებს, მეორე ანგარიშს არაფერს უწევს და ყველა ეროვნების, ფერის და სარწმუნოების წარმომადგენლები დაუფიქრებლად წყვილდებიან.

10616. სამშობლო დედამიწა ის ადგილია, რომელზეც ვცხოვრობთ და მოგვწონს, რადგან სხვა უკეთესი ჩვენ არ გვინახავს.

10617. მე პატრიოტი ვარ ჩემი ერის, კულტურის, მისი მეობის და არავითარ შემთხვევაში – ნაციონალისტი, მაგრამ ამ უკანასკნელსაც აქვს გარკვეულწილად არსებობის უფლება, როდესაც ერი ისტორიის ქარიშხლის წინაშე დგას და გადაშენება ელის.

10618. როდესაც თავისუფლების და კეთილდღეობის მოსალოდნელი იმედი ქრება, რჩება სამშობლოს სიფარული, რომელიც თანდათან

უფასურდება, თუ მის შველაში მონაწილეობის საშუალებას არ გაძლე-
ვენ.

10619. გლობალიზაციამ სიკეთე რომ მოიტანოს და მცირე ერები
არ გადასანსლოს, მას ფრთები უნდა შევაჭრათ და არა – თავი
მოვაჭრათ.

10620. სამშობლო და ქალი მხოლოდ სიყვარულისთვის არსებობენ,
იმისდამიუხედავად, რომ პირველს, მეორესგან განსხვავებით, ხანდახანაც
კი არ ეღალატება.

10621. საწყენია, როდესაც სამშობლო ,,ტეხავს'', მაგრამ არა იმდე-
ნად თავი გადააყოლო.

10622. ერი ჭეშმარიტების ბაზისია, უამრავი შეცდომის განსჯა-
გაფილტვრა-გაქიაქებით.

10623. ერის მოღალატეა ყველა ის წყვილი, რომელიც არ მრავ-
ლდება და ქვეყნის შექმნის აუცილებლობას გასამრჯელოს გაღების იდე-
ას ღალატობს.

10624. ტრადიციები აწესრიგებენ ცხოვრებას, ურთიერთობას, მაგ-
რამ ისიც დროდადრო სიახლის შეცნობას და კორექტირებას მოითხ-
ოვს.

10625. პატრიოტიზმის უმთავრესი დანიშნულებაა მომდევნო თაო-
ბებს არ მისცეს იმის თქმის უფლება, რომ მათი წინაპრები გამოთაყვა-
ნებულები იყვნენ, რათა ერი არ გადაგვარდეს, არ გაქრეს.

10626. უნიათია ერი, რომელსაც ყბედობა სიტყვის თავისუფლებად
მიაჩნია და არაფრის კეთება დემოკრატიად.

10627. ერის რაობას სოფლებში მცხოვრებთა ოდენობა ინახავს და
არა ქალაქისა, რადგან პირველის ფუნქცია ეროვნულია და სიკეთის
ფესვებს ეყრდნობა, ხოლო მეორე უსაყრდენო და სათავისოა. რომისა-
გან განსხვავებით მასზე ძლიერი და მდიდარი კართაგენი იმიტომაც
გაქრა, რომ მას საყრდენად სოფელი არ ჰქონდა და მხოლოდ ვაჭრო-
ბით ცხოვრობდა.

10628. ეროვნული სიამაყე და ნაციონალური თვითშეგნება ხშირად
სოციალურად არასრულფასოვანია, რადგან კარგად რომ იცხოვრო,
რაღაცა უნდა დათმო და საკუთარ ამბიციებს რაღაც დააკლო.

10629. ენაში უცხო სიტყვების დიდხანს შვილობა არ შეიძლება, ის
ან უნდა გაითავისო ან დროულად დაივიწყო. თუ ასე არ ხდება,
ეროვნული სიამაყე და თვითშეგნება არასრულფასოვანია, რადგან დროის
უკუღმართობასაა აყოლილი.

10630. სამშობლო ქალივითაა, მისგან დიდი ხნით განშორება არ შეიძლება, რადგან იძულებით სხვა ქალის ალერსში გადაიზრდება.

10631. სამშობლოს, ქალის, ერთგულება-სიფარული თავის მართლებას, ალიბის მოძიებას ვერ იტანს, რადგან სხვა ყოველივე ანგარიშიანი ვაჭრობაა.

10632. შთამომავლობის მიერ წინაპართა თავდადების გახსენება იმიტომაცაა საჭირო, რომ გულმავიწყობა, უმადურობა, დაუფასებლობა, ერის გადაგვარება-გაქრობას იწვევს.

10633. ფიცის და მტკიცის მიუხედავად, სამშობლო იქ არის, სადაც ჩვენი მოძრავ-უძრავი ქონება და ფულია დაბანდებული, რადგან მათ გარეშე სიცოცხლეში არავის უნდიხარ, ხოლო მარტო სახელით სამშობლოში ცხოვრება სიკვდილის შემდგომაა შესაძლებელი. ამიტომაც სამშობლოს გონიერი ხელისუფალი ყველაფერს უნდა აკეთებდეს, რომ თავისი კუთხის შვილმა სხვაგან იკაკანოს და კვერცხები თავის ქვეყანაში დადოს.

10634. ღარიბს, უნიათს, სამშობლო არ აქვს, მას ნაციონალიზმისკენ მიდრეკილება და უაზრო ამბიციები აწუხებს თავის არშემდგარობის დასაფარავად.

10635. სამშობლო არ იყიდება, მაგრამ ქალის სიფარულზე იცვლება, ხურდავდება და ხშირად სასჯელსაც თავს აღწევს.

10636. პატრიოტიზმი და ერის კულტურა სინონიმებია, ეს ყოფიერების თუ სულიერების გადასახედიდან იქნება აღქმული.

10637. პატრიოტიზმი, სამშობლოს სიფარული, ყველაზე მეტად უკულმართ დროში გამოიცდება, როდესაც ჭუჭყის და უმადურობის „აკიდება“ გარდაუვალია.

10638. პატრიოტიზმია, როდესაც საკუთარი ისტორიის გადაკეთება არ გინდა, არც ეროვნებას იცვლი და არც საკუთარ ხალხს სახალხოდ აკრიტიკებს იმ შეცდომებისთვის, რაც შენთვისაა მიუღებელი.

10639. უნარი, გახსოვდეს და არ დაივიწყო დაბადების ადგილი, სამშობლოა, მასზე ზრუნვა – პატრიოტიზმია, ხოლო მათი ინტერესების სახალხოდ დაცვა – ნაციონალიზმი.

10640. პატრიოტიზმს ფართე გაგება აქვს და მასში შედის ქვეყნის ისტორია, ჩამოყალიბების დრო, სახელმწიფო საზღვრები, ტრადიციები, ენა, დამწერლობა, კულტურა, ხალხზე ზრუნვა, ეთნიკური გრძნობები, სამშობლოს სიფარული, დემოგრაფიაზე ზრუნვა, განათლება, საქმიანობა, რომელიც გამაგრებულია კონსტიტუციური პატრიოტიზმით, ძალოვნების პატიოსნებით, ხელისუფლების მოუსყიდველობით, სპორ-

ტში თავის წარმოჩენით და ყოველივე ამას თუ რომელიმე დარგში გენიოსიც დაემატება, მაშინ სრულყოფილ პატრიოტიზმთან გვაქვს საქმე.

10641. სამშობლოსა და თავისუფლებისადმი სიყვარული სინონიმებია და ამის გაცნობიერება საშუალებას გვაძლევს საკუთარი თავის ქმედებებს პრობლემები მოვხსნათ და გონიერებას განსჯისთვის დრო დავუტოვოთ.

10642. სამშობლოს სიყვარული ახალგაზრდობაში გენია, აღზრდა, დროის ყივილია და არა ის, ვინ მეტ ფულს მოგიგდებს, მლიქვნელურად მოგეფერება და მოუმზადებელ თავისუფლებას გაზიარებს.

10643. პატრიოტიზმი ერის ისტორიის „ქიმიაა", რომლის რეაქციის შედეგის განსჯა-განსაზღვრა წინასწარ ძნელია, მაგრამ მასში აღზრდის, ტრადიციების, განათლების რეაქტივები რომ უნდა სჭარბობდეს, ეს აშკარაა.

10644. სამშობლო უნდა ზრუნავდეს ჩვენზე სახლში მოხმობით, დასაქმების მცდელობით, სინდისზე შეგდებით, თუ გვინდა რეალური პატრიოტიზმი მივიღოთ და არა ქარაქუცა ნაციონალიზმი.

10645. სამშობლო შენი ადგილსამყოფელის დაფიქსირებაა, სინჯია, რომელსაც როგორ გავითავისებთ ჩვენს ბუნებაზე, გუნებაზე, შემთხვევაზე, გამართლებაზე, სიყვარულზე, დამყარებული.

10646. ჯოჯოხეთი ხშირად ჩვენი სამშობლოცაა, თუ იქ საცხოვრებლად ხელი არ მიგვიწვდა.

10647. სამშობლოს სიყვარული ზოგისთვის ის ახირებაა, როცა ცხოვრების გათვლის და გენეტიკის მიხედვით სხვა გამოსავალს ვერ ხედავს ან არ ეძებს.

10648. მწარეა იმ ქვეყნის ბედი, რომელსაც დამცველი მხოლოდ არეულობის დროს გამოუჩნდება და ისიც – ყასიდად.

10649. ქვეყნისთვის დაღუპულ ჯარისკაცს სამგლოვიარო სიტყვით, საპატიო ყარაულით და სამ-სამი ვაზნის დაცლით აცილებენ, ხოლო მიცვალებულის სახელს რომ გაფრთხილება და ხსოვნა სჭირდება, ხშირად არად აგდებენ.

10650. გლობალიზაციის პირობებში იყო წარმატებული და სხვისი არ გშურდეს, შესაძლებელია ნაციონალური იდეით, სამშობლოს სიყვარულით და ცოდნა-გამოცდილების სხვისთვის გაზიარებით.

10651. ზოგიერთი ჩვენი წინაპრის მონანიება მთელ ერს სიწმინდის გზაზე დააყენებდა, ალბათ დროებით, რადგან მომდევნო თაობებიც ჩვენ ჯიშის და ჯილაგისა არიან და მათაც დაუგროვდებათ მოსანანიებელი მომდევნო თაობათა წინაშე.

საქართველო, ქართველები

10652. საქართველო არის ნიჭის და პიროვნებების ქვეყანა ურთიერთგაგების, კულტურის, გარეშე.

10653. ქართველი კაცის გენის შეცვლა შეუძლებელია და არცაა საჭირო, მაგრამ ყოფიერების გარდაქმნა ჭკვიანი მმართველის ხელში შესაძლებელიცაა და აუცილებელიც: ფულის ახლობლისთვის სესხება ბანკის შუამავლობით, არჩევნების ჩატარება ჯგუფების მეშვეობით, ხარისხიანი საქონლის წარმოება სახელმწიფო შესყიდვით და ა.შ.

10654. დღეს საქართველო პოლიტიკურ ჰერმაფროდიტად გვევლინება, სადაც ზღვარი კანონის დამცველსა და კანონის დამრღვევს შორის წაშლილა, რადგან ორივე კაცობაზე თავს დებს და თან ბატონობაც არ ავიწყდება.

10655. ქართველი ქრისტიანების წესის თანახმად ორშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს მიცვალებულს არ ასაფლავებენ, მაგრამ გარდაცვალებაში და იმქვეყნად სულის გარდასახვაში რწმენას ხელს არავინ უშლის.

10656. სამართლიანობის შეცნობის გარეშე საქართველო მდიდარ სახელმწიფოდ ვერ იქცევა, რადგან მის გარეშე ყოველგვარი პროგრესისკენ ლტოლვა უშედეგოა.

10657. ქართველები საკუთარ ისტორიასაც კი სხვა ერებთან ურთიერთობაში უკეთ წერენ.

10658. კორუფცია საქართველოში ყოველთვის იარსებებს, მაგრამ იმ დონემდე არ უნდა ავიდეს, რომ საზოგადოება გადაგვარდეს და ქვეყანა დაიქცეს.

10659. საქართველოში ყველა დრო გარდამავალია და ადგილობრივი მნიშვნელობის რევოლუციისათვის არის განწირული.

10660. საოცარია ქართველი კაცების ბუნება, სამსახურში მიღებისას ისეთ რჩევა დარიგებას აძლევს მომავალ უფროსს და ისეთ მოთხოვნებს უყენებს, გეგონება უფროსი მივიდა მასთან სასამსახუროდ და არა – პირიქით.

10661. ვაჭრობით ვაჭრობა და მოგების დაკრედიტება, აი, რა ვერ ისწავლა ქართველმა ხალხმა.

10662. დღეს ქართულ სახელმწიფო მმართველობას ბაბუა და ბებიად სტალინი და თამარ მეფე უნდა ჰყავდეთ, ხოლო შვილიშვილებად – დავით აღმაშენებელი და გიორგი ბრწყინვალის მსგავსი შვილები, რათა ქვეყანა სახელმწიფოს დაემსგავსოს და არა მის აჩრდილს.

10663. საქართველოში ყველა ეძებს ქვეყნის მართვის ჭაობში შემყვანებს, მე კი მაინტერესებს, რის გაკეთება შეიძლება ამ ჭაობიდან მის ამოსაყვანად.

10664. დღევანდელი საქართველო ძალზე მოყვასი ქვეყანაა, თუ ფული სხვაგან გაქვს ნაშოვნი და ვიღაცას რაღაცისთვის შენთან ყოფნა ეხალისება.

10665. საქართველომ ცხოვრება რომ არ გაიჭირვოს, სახსარის საშოვნი მიმართულებების ჩვენებას ტვინის გაუნძრევლად სხვას სთხოვს.

10666. ბოლოს რწმუნდები, რომ ყველაზე დიდი მოღალატე ქვეყნის ამომრჩეველია და ეს რომ ასეა, შორს წასვლა არ დაგვჭირდება, ეს სახელმწიფო საქართველოა.

10667. ნიჭიერი, თვითდაჯერებული და ასეთი ტაშფანდურა და "ასოფანდურა" ხალხი, როგორიც ქართველებია, იშვიათია ამ სამყაროში.

10668. სიყვარული და პატივისცემა ქართველებს და რუსებს არსად არ გაექცევათ, მაგრამ "პერესტროიკის" შემდეგ, დროს დაკუპაჟება და თვალში გამოხედვა სჭირდებათ.

10669. საქართველოს თავისუფლების აღდგენა ყოველთვის მოსახლეობის გარკვეული შემოქმედებითი ნაწილის გადახვეწით მთავრდებოდა, ხოლო სამშობლოში დარჩენილი ნაწილი შურით არაფერს აკეთებდა. შედეგად ქვეყანას ყველაფრის დაწყება, მათ შორის, დემოგრაფიისაც, თავიდან უხდება.

10670. ქართველების ნაკლი პოლიტიკაში ის არის, რომ პირველ რიგში, თავისი ამბიციების დაკმაყოფილებას ცდილობენ და შემდეგ ფიქრობენ კომპრომისზე, რომელიც ამბიციებით უნდა იყოს გამაგრებული.

10671. ყველა ქართველს მორიდებული მისწრაფება აქვს უფროსობისკენ. ამ გენს ჯერჯერობით ვერაფერს ვუხერხებთ და არც ვცდილობთ.

10672. საქართველოში იმ შემთხვევაში შეიძლება საქმის კეთება, თუ ხელისუფლებას სათავეში პიროვნება ჩაუდგება, ხოლო საქმის კეთებას დემოკრატია წარმართავს ქვენა გრძნობების გარეშე.

10673. საქართველო, სიკეთის მომტანი მათრახის გარეშე, მოწინავე და მდიდარ ქვეყნად ვერასოდეს გადაიქცევა.

10674. რევოლუცია ვარდის ფავილთაც შესაძლებელი ყოფილა და ეს უცნაურობაც ქართველებმა შესძლეს.

10675. სახელმწიფოს მართვა და სახელმწიფოს ინტერესები სხვადასხვაა, რადგან პირველი დღევანდელი მდგომარეობით არსებულ გადაწყ-

ვეტილებებს ითხოვს, ხოლო მეორე – საშვილიშვილო საქმის გადაჭრას. მაგალითად, საქართველოს სასაზღვრო რაიონებში ეთნიკური ქართველების ძალად ჩამოსახლება, რათა მომავალში ის არ გახდეს სადაო, რაც დღეს უდაო და „უცვლელი“ გვეჩვენება.

10676. კავკასიელები დედას აღმერთებენ, მამის სიტყვებს ემორჩილებიან და თუ ეს წესი გარემოებათა გამო დაირღვა, მაშინ ამ მხარეში ქაოსი და არევ-დარევა იწყება.

10677. ბრბოს ხან ზვიადიზმი მოსწონს, ხანაც – ედვარდიზმი, ზოგჯერ მიშიკოსთვისაც თანახმაა თავი გადადოს და საბოლოოდ რა სურს, თავად არ უწყის, რადგან კარგ ცხოვრებას იყო მიჩვეული და მის დასაბრუნებლად ვის ამოსდოს ლაგამი, ვერ გარკვეულა.

10678. ქართველებმა განვლილი საუკუნეების გადასახედიდან სხვის ჯინაზე თავის ქების მეტი ვერაფერი ვისწავლეთ და პლანეტაზე გაფანტულ თანამემამულეთა ნიჭი ეროვნულობის დამსახურება გვგონია.

10679. საქართველომ იცის ოჯახის, ქალის, უფროს-უმცროსობის ინსტიტუტის ყადრი, დროის სატარებელ სუფრას გეშის გასასწორებლად იყენებს და ცხოვრების წესად არ იხდის, მაგრამ ცივილიზაციის შემოტევას ისიც თავს უხრის..

10680. საქართველოს ეფექტების მოყვარული ნიჭიერი ხალხი ჰყავს და არა – საქმის დამგვირგვინებელი.

10681. ხშირად საქართველოს სახელმწიფოებრიობა გაუგებრობაზე დგას, რადგან თავისი შვილების გონიერებას და მოხერხებულობას ვერ იყენებს და თითქმის არც ცდილობს.

10682. საქმის კეთებისას, უპირველესად ჩვენს წვლილზე უნდა ვიფიქროთ, რაც შეეხება წილს, ის არსად დაიკარგება. ეს უნდა მოვითარგმნოთ ქართველებმა, რადგან მოუკლავი დათვის ხორცის განაწილება მონადირის საქმე არ არის.

10683. ხელისუფალი, თავის საქმის რაც უნდა ხელოვანი იყოს, შემოქმედი ნიჭის ნაყოფის დღეგრძელობას ვერ უმკლავდება. ერთ დროში მოღვაწე თამარ მეფე და შოთა რუსთაველი განგების მიერ ნაჩუქარი იყო საქართველოსთვის, მაგრამ შოთას გენიასთან თამარის დამსახურება ერის წინაშე, სამყაროს გადასახედიდან, ახლოს ვერ მივა.

10684. ქართველები საქმის 50%-ით იმ ხალხად რომ დავრჩეთ, რა შთაბეჭდილებასაც სტუმარზე გაცნობის პირველ დღეებში ვტოვებთ, ჩვენზე მდიდარი და გავლენიანი ხალხი ამ სამყაროში არ იქნებოდა, მაგრამ – მაშინ, ალბათ, არც ქართველები ვიქნებოდით.

10685. საქართველოს უღიმღამო პოლიტიკაა, ეტყობა, განგებით აქვს ნაბოძვები, რათა მოჭარბებული ნიჭიერი შვილები, სამყაროს ერთ

სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით, სხვა ქვეყნებს შეასაღოს და იქ ჰპოვონ ასპარეზი.

10686. „რაც კარგები ვართ ქართველები ვართ“, ოღონდ შურის და გაუტანლობის გარეშე.

10687. იქ, სადაც ფულით და წაყრუებით საქმე უნდა ვაკეთოთ – თავის წარმოჩენას ვცდილობთ, სადაც ვაჟკაცობა და უღალატო შრომაა საჭირო – გამორჩენას ვახერხებთ, ამასთან ორჯერ-ორის ოთხობა არ მოგვწონს და ხშირად ეს ჩვენი „გიჟვრაცუობა“ საფრენად გამზადებული ქვეყნის დააგლახავებს ამ გარემოებიდან მუდმივად გამოსავლის მოლოდინში.

10688. ქართველებს ისტორიის ალიყურები კი არა აწმყოს მოვლენებიც ჭკუას იშვიათად გვასწავლის და წარსულის შეცდომებს დაპროგრამირებულნი ვიმეორებთ სხვადასხვა დროს და სხვადასხვა მოცულობით, ეტყობა, ეს სიჯიუტეა ჩვენი ნაციონალური ხასიათი.

10689. ქართველებს ერთი უბედურება გვჭირს: ჩვენი სიმართლით ვცდილობთ სხვისი სიმართლის, ინტერესების გადაჯოკვრას და თავი დაჩაგრულად მოგვაქვს.

10690. ჯიუტად არჩეული ცივილიზაცია ქართულ ხასიათს ყოველთვის არ მიესადაგება და ხშირად ჩვენს ზნეობას ვნებს.

10691. საქართველოში პოლიტიკიდან დაწყებული, კულინარიის ჩათვლით, ყოველივე წესრიგში მოსაყვანია, ნიჭი, გემოვნება, გაქანება, გვაქვს, მაგრამ თანადგომა თანმიმდევრობა და დისციპლინა გვაკლია.

10692. ქართველებს პოლიტიკური თამაშობანი არ გამოგვდის, რადაგან ბლეფზე თამაში არ გვიმართლებს და არც ვიცით, მოთმინების და ბატონ შემთხვევისთვის დაცდის უნარი არ შეგვწევს, გონივრული ქრთამის გასაღებად მისდღეში ფული არ გვაქვს და ვერც ვიმეტებთ, ხოლო ემოციურობა რეალობის განჭვრეტის და განსჯის უნარს გვაკარგვინებს.

10693. ქართველები ნამეტანი „ასოფანდურა“ ხალხი ვართ, მაგრამ უსახსრობისა და ასაკის მატების გამო ამ საქმეში დავიჩაგრენით და რუს მანდილოსნებს აღარ ვახსოვართ.

10694. ქართველები განგებამ დაგვიფარა, რომის იმპერიის კულტურა რომ არ გაგვკარებია, თორემ ჩვენი ბუნების ხალხი მათი ცივილიზაციიდან უმთავრესად უარყოფითს ავკრეფდით და ხელში ღრეობა, გარყვნილება, შემოგვჩებოდა ერის გადაშენებით.

10695. საქართველოში ნიჭიერ ხალხს რა გამოლევს, მაგრამ უნიჭოთა მარულა მაინც იმართება, რომელშიც პირველი კაცი გამოსვლას არ კადრულობს და ქვეყნის გარეთ, სხვის დოღში, ცდილობს მონაწილეობას.

10696. დღევანდელ საქართველოშიც კი, სინდისით, კანონით, სიფვარულით ვაჭრობა არ შეიძლება, რადგან მომავალ თაობებს კბილს მოაჭრევინებს და შემოკურთხებასაც დავიმსახურებთ.

10697. მე არ მწამს იმ ქართველის, რომელიც შვილს საზღვარგარეთ სასწავლებლად აგზავნის, იქნებ იქ სამსახური ნახოს და უკეთ მოეწყოსო, ხოლო თავად სამშობლოს და ერის სიფვარულზე გულზე მჯიღს იბათქუნებს.

10698. პატარა ქვეყნის ძალა მოხერხებულობაში, ეკონომიკაში, სიმართლეშია და არა – შეიარაღების გამომზეურებაში, თუმცა აუცილებლობის შემთხვევაში მუშტის მოღერებაც უნდა შეძლოს.

10699. საქართველოში ყველაზე მტკივნეული „აქილევსის ქუსლი" სამეფო კარი – მთავრობა და ის მეფე-პრეზიდენტია, რომლებსაც ყველაფრის კეთება თავად უხდებოდა, არც სხვას ენდობოდა ბოლომდე და თავიც ყველაზე ჭკვიანი ეგონა, რადგან ქვეყნის ძლიერება იმ ხმალზე იყო აგებული, რომელსაც ეკონომიკა მხარს არასოდეს უბამდა.

10700. მამაზეციერმა ქართველებს გალაკტიონი კი არ გამოუგზავნა, არამედ მიუგზავნა, რათა ღვინის ყადრის მცოდნე ამ ხალხს ნაბახუსევის საქმიანი გამოყენება ესწავლა.

10701. სანამ ქართველებს მომლაყინწობა სიამაყედ ეჩვენებათ, მანამ მათ პოლიტ-ეკონომიკას არაფერი ეშველება.

10702. ღმერთმა ქართველებს ჭკუა ბითუმად მოგვცა, გერმანელებს – მისხალ-მისხლად აწონილად, ამიტომ, პედანტობამდე მისულნი, რაციონალურად იყენებენ, ხოლო პირველნი ამ სიკეთით საცალოდ ვაჭრობენ და მუქთად ჩუქნიან, რადგან რეალურად მისი ფასი არ იციან და გამოყენების სურვილი შურიანობის გამო დაკარგული აქვთ.

10703. რუსეთი ის ქვეყანაა, რომელიც სხვა ერის უძღებ შვილებს თავის წარმოჩენის საშუალებას აძლევს, ხოლო საქართველო ასეთ შვილებს ახლოსაც არ იკარებს, სხვაგან ერეკება და თავი საშუალო ნიჭის ვიგინდარებით გააქვს.

10704. როგრც ირკვევა, საქართველოში პოლიტიკურ წყობას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, რადგან მაინც ვერ ვისვამთ იმ კაცს თავზე, ვისაც ქვეყნის საშუალოდ მართვა შეუძლია თუ მამაზეციერმა არ ივაჟკაცა.

10705. დღევანდელი საქართველოს მცდელობაა „ჩეფჩიკიანი" ინვესტორების მოზიდვა. ეს შედეგს არ იძლევა, რადგან „ჩაევიეს", საკაპიკოს პოლიტიკაა უმნიშვნელო და უგარანტიო.

10706. საქართველოს ეკონომიკა და მისი ნაწარმის გარჯნა იქამდე მივიდა, რომ საყოველთაოდ აღიარებულ ,,ბორჯომს'' გასასაღებლად რეკლამის ,,თითი'' დასჭირდა.

10707. საქართველოში ტალანტს არ შეუძლია სხვაგან მოპოვებული სახელის გარეშე ოცხოვროს. შეჭამენ, ყურს არ ათხოვებენ და ისიც იძულებული იქნება ბრჭყალები გამოაჩინოს და ნიჭის ნაწილი მუქთად გახარჯოს. სჭირდება კი გენიოსს თანამოძმეებთან შერკინება და მასთან ბრძოლაში დახურდავება, თუ ის სამყაროს შვილად არის მოვლენილი.

10708. ქართული ბუნებისთვის დამახასიათებელია მუდმივი მეგობრობა და არა – მუდმივი ინტერესები, ამიტომაც მას ყოველთვის უჭირს არა ბიზნესთან, არამედ ეკონომიკასთან ახლოს ყოფნა.

10709. ქართველი სუფრაზე სტუმრის კარგს და ხოტბის შესასხმელს ეძებს, ხოლო სუფრის გარეთ ნაკლს და დასაგმობს.

10710. ქართველების მსგავს ხალხს მილიონერი შთამომავალი იშვიათად ჰყავს, რადგან მათთვის ფულის შოვნაა ჰობი და არა – მისი მოპოვება – გამრავლება.

10711. ქართული ანდაზის ,,რომელი ცხენიც ვიყიდე, ფელა კუანა გამოდგაო'' სახეცვლილებაა – რომელი პრეზიდენტიც ავირჩიეთ, ფელა გაქარების ხასიათზეაო.

10712. გერმანელსა და ქართველს შორის ის სხვაობაა, რომ გაჭირვების ჟამს პირველი საპონს და წვერისს საპარს მოითხოვს, ხოლო მეორე – პურს და ტანსაცმელს.

10713. ამ ბოლო დროს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში მერკანტულობა, ჩარჩობა შეიმჩნევა, არა და ამ ორ ხალხს ერთმანეთთან სიფარულის გარდა არაფერი აქვთ გასაყოფი და სასაფედურო. ფელაფერი ორივე ქვეყნის მთავრობების ,,ვაი ჭკუისაგან'' მიდის.

10714. მისაღები კანონის შექმნა, დანაშაულის პროფილაქტიკის მოძიება, გონივრული და საყოველთაო საგადასახადო სისტემის მიღება, იმ ხალხში, როგორც ქართველებია, გენიოსს მოითხოვს, მისი მოსვლა ქვეყნის სათავეში სახელმწიფოს ფეხზე წამოაყენებს, მაგრამ ვისაც საქმის კეთება შეუძლია, მას ხელარეწიფება ხალხის მოსატყუებლად, ხოლო მის გარეშე ბრბო ძალაუფლების სკამს არ გაღირსებს. ასე, რომ დილემა გადაუჭრელი რჩება.

10715. საქართველოს დიპლომატიის მთავარი კოზირია: სუფრა, სადღეგრძელო, მოჩვენებითობა და გულიანი სიტყვა-პასუხი, რაც მოლაპარაკების პირველ ეტაპზე, პარტნიორზე და საქმის სასიკეთოდ წამოწყ-

ებაზე, მაგიურად მოქმედებს მაგრამ დაბოლოება აქვს გაუგებარი და „ჭანდრაკული“.

10716. დემაგოგია იმითაც არის საინტერესო, რომ ჭეშმარიტების ნამცეცებს შეიცავს და სიმართლის რაღაც ნაპერწკალს აფრქვევს. საქართველოში საცხოვრებლად დარჩენილები მის გარეთ მცხოვრებ ქართველებს ქვეყნის ყარაულობის ფულს გვთხოვენ, რომ ქვეყანა-ერი, ავად თუ კარგად, აქამდე შეგვინახეს, გადამთიელებისაგან დაიცვეს, თორემ ჩვენს უკან დაბრუნებას და საქმის წამოწყებას დიდად არ წყალობენ.

10717. რამდენიმე სამყაროსთვის უცნობი დამწერლობის შექმნისას, ჩემდა გასაოცრად, ქართული ანბანი ყველაზე სრულყოფილი მეჩვენა, რომელიც უფრო ერის თანდაყოლილი ნიჭიერების შედეგია ვიდრე მცდელობის, მითუმეტეს, რომ ერის ისტორია ქართული ანბანის შექმნა-თვითმყოფადობაზე ყურადღებას არ ამახვილებს.

10718. ზოგ ქართველს ძალიან მოსწონს ოცნებაში ფულის კეთება და სხვის ნაშოვრის ჩამოთვლა, დასპონსორება, მუქთად ხარჯვა და მისი ხელმძღვანელობით სხვისი საქმიანობა და თუ ამას ვერ ახერხებს, სხვის ჭკუის დარიგებას და მის საქმეში ცხვირის ჩაყოფას ცდილობს.

10719. უნიჭობას, თავის გამოჩენის მიზნით, ქართველის გარდა არავინ გამოესარჩლება.

10720. ყველა დარგში ქართული ეთნოსის ნიჭის გამობრწყინების მიუხედავად, ამ ხალხის გამოყენების მარგი ქმედების კოეფიციენტი არეულობის ჟამს საკუთარ ქვეყანაში გაცილებით უმნიშვნელოა, ვიდრე სხვაგან, რადგან სამშობლოში ამის საშუალებას შური და თავზე გადამეტებული წარმოდგენა არ აძლევს.

10721. დღეს საქართველოს ნდობა სათუოა, რადგან მას არასტაბილურობის ალიბი წინასწარ გახაზირებული აქვს.

10722. საქართველო ხშირად კარგავდა საკუთარი ძალის იმედს, მაგრამ ეშხს, სილამაზეს, ტრფობის შეცნობას – არასდროს.

10723. საქართველოს ეროვნულობის მხსნელია სტუმართმოყვარეობის და თამადობის ინსტიტუტი.

10724. საქართველომ თავისუფლების საპალნე, ვირის მაგივრად, ნაადრევად ჩოჩრებს აჰკიდა და დღემდე მისი ტარება უჭირს, რადგან ძველები ვეღარ ვირობენ და ახალგაზრდები არ ვირდებიან.

10725. ქართველები თავისიანს ჯერ უყურადღებობით გადაუვლიან, შემდეგ ცრემლს გადმოყრიან და შებრალებას ცდილობენ.

10726. ქართველი ცხოვრების ელიტაში ვერასოდეს იქნება, რადგან ცხოვრებაც თავის ჭკუაზე უნდა და დაფასებაც-აღიარებაც თავისი გადასახედიდან.

10727. მიუხედავად სხვადასხვა შეხედულებისა, გერმანელები და ქართველები ერთმანეთს კარგად უგებენ, მაგრამ ისინი საქმეში ერთად ვერასოდეს მოსძოვენ, რადგან ერთისთვის გაუგებარია ქართველების „გიჟვრაცუობა–უპასუხისმგებლობა“, მეორისთვის – გერმანელების გადამეტებული შრომისმოყვარეობა – წესიერება.

10728. კეთილისმდომთა ნაცოხნარ იდეებს, სხვისი ჭკუით სიარულს, უცხოური ქურქის მორგებას ქართველი კაცის ნიჭისთვის და თვითმყოფადობისთვის, სანამ ის თავად არ გამონახავს თავის გზას, სიკეთე ვერ მოაქვს.

10729. ყველა ქართველი ბუნებით მასპინძელია, კეთილია, მეოცნებეა, შურიანია, ავია და ბოლოს მაინც მოყვასია „ჩემი ჯობს შენსას“ ფარგლებში.

10730. საქართველო რჩება გამოუსწორებელი ოპტიმისტების სახელმწიფოდ და გამოსწორებულ პესიმისტ ემიგრანტების სამშობლოდ.

10731. საქართველო კულტურული ქვეყანაა, მაგრამ არა – ცივილიზირებული, რადგან აღებ–მიცემობის საწყისები, აწმყოს გათვალისწინებით, დღემდე ვერ გაითავისა.

10732. უგეგმოდ დაბადებული ნიჭიერი ხალხის სიჭარბემ საქართველოში შურიანობის ბაცილა გამოაფხიზლა, რადგან საკუთარი „მეს“ წარმოჩენამ ამ პატარა ტერიტორიაზე ხალხს თავიანთი გაქანების შესაბამისად ცხოვრების საშუალება ვერ მისცა.

10733. ზოგჯერ ვფიქრობ, „რა ბედნიერი ვარ რომ ქართველი ვარ“, რათა მათგან დაუფლებელ წარმატებას სხვაგან აღწევ და მათ მხურვალე ტაშს „დაიმსახურებ“.

10734. ყველა ქართველი ბუნებით მასპინძელია, „ბუნტარია“, ამაყია, შურიანია და ყოველგან „ჩემი სჯობს სხვისას“ პოლიტიკის გატარებას ცდილობს.

10735. ამაყი, ლაღი, კარიერის და სახელის მაძიებელი, ქარაფშუტა და ერთმანეთის გაუტანელი ხალხია ქართველები, რომლებმაც დროის რეალურ ღირებულება იციან კიდეც და არც იციან, მაგრამ ფულს, როგორც სამუშაო იარაღს, დროსტარებისაგან განსხვავებით, იშვიათად წყალობენ.

10736. ქართველს საქმის კეთება სულ ჭიქით ხელში და თანამეინახეთა დახმარებით უნდა. ამიტომ საქმე ბოლომდე ვერ მიჰყავთ და თავისი უნიათობის გასამართლებლად ზოგჯერ ტარდიციული აღზრდისთვის მიუღებელ სისაძაგლეს და სისულელეს ჩადის.

10737. საოცრად საგარეო და თავის ჭკუის ხალხი ვართ ეს ქართველები, მსოფლიო საგანძურის კულტურაში ვეტენებით და საკუთარი

საგანძურისთვის, ღირსებისთვის, ვერ მიგვიხედია, მოგვივლია და მხარი ვერ დაგვიჭერია.

10738. რა ნამუსით ვიქაჩებით ქართველები, როდესაც შოთა ვაიძულეთ იერუსალიმში დამარხულიყო, ნიკალას კიბეების საფეხურის ქვეშ სული ამოვხადეთ, ხოლო ერის მამას, ილიას, შუბლი ტყვიით გავუხვრიტეთ, თან გასამართლებლად სხვა ხალხების ისტორიას ვიშველიებთ, იმათზე ნაძირალები არ გეგონოთო და ყველაფერში სხვისი ნიჭის მოშველიებას ვცდილობთ, როდესაც საკუთარი თავსაყრელი გვაქვს.

10739. ქართველებს გადამეტებული სიამაყის იმდენი ტიხარი გვაქვს თავში, მისი საჭიროება სათუო ხდება.

10740. ქართველებს ფესვები აზიაში გვაქვს, ტოტები ევროპისკენ მიიწევს, ხოლო ტანი რომელიც სილამაზით გამოირჩევა, ვერც ერთისთვის ვერ მიგვიკუთვნებია, რადგან ჭკუა ამის საშუალებას არ იძლევა.

10741. საქართველო ჭკვიანი და მოხერხებული ხელისუფალი სჭირდება და არა – ძლიერი და უკომპრომისო.

10742. ქართველი კაცის ყოფის ლაკმუსი ღვინის ხარისხია, რაც განსჯის მის სინდისს და ერისშვილობას.

10743. ქართველს და რუსს ერთი სურვილი აქვთ, გულმოდგინედ ვამტკიცოთ ის, რაც ყველასთვის ცნობილია.

10744. ქართველებს ომი შეეძლოთ, მაგრამ სარგებლის მიღებაში, ტერიტორიების შემოერთება–შენარჩუნება–გამრავლებით უნიჭონი იყვნენ და არა პატრონობაში, უფროსობაში, თავის წარმოჩენაში.

10745. ქართველს ერთი უბედურება სჭირს, საწინააღმდეგო რომ არ სთქვას და თავი არ წამოყოს, არ შეუძლია. ეს არის და იქნება მისი „აქილევსის ქუსლი“.

10746. ქართველების უდიდესი ნაკლი (თუ პირიქით), ის არის, რომ ვერ იტანს, როდესაც მას ვერ ამჩნევენ.

10747. ქართველი ოღონდ შეამჩნიო და გამოჩნდეს, მახათს იქ გაიყრის, სადაც მას არავინ აძალებს.

10748. ქართველს იმაზე მეტი წარმოდგენა აქვს თავზე, ვიდრე აზროვნებს და ამასაც თავის წარმოსაჩენად იყენებს.

10749. თბილისი ყოველთვის კოლორიტული ქალაქი იყო თავისი მოქალაქეებით და ამაყი სულით, დღეს კი ნაირ–ნაირ ოპოზიციონერთა თავშეყრის ადგილია, სხვადასხვა პარტიული ავტონომიებით.

10750. ქართველისთვის სათაფანებელი დედა, მეგობრები, სუფრა, ფართო აზროვნება, სიჯიუტეა და თუ დრო მორჩა, მუშაობაშიც ხელს გამოიღებს.

10751. ნიჭსა და გონიერებას შორის ის სხვაობაა, რომ პირველი თანდაყოლილია, მეორე შეძენილი, ხოლო მხრის აბმა ორივეს სჭირდება, რაც ასე გვაკლია ქართველებს.

10752. სტალინმა ქართველი ხალხის მომავალ სახელმწიფოებრიობას ბევრი რამ ავნო, მაგრამ მას ამისათვის მაინცდამაინც არავინ საყვედურობს, პირიქით, მისი სახელით ვსპეკულიანტობთ – ,,ნახეთ რა შვილი გამოვზარდეთო", ე.ი. არც ჩვენ ვართ ხელწამოსაკრავიო. ეს არის და ეს სტალინის სიყვარულის თავიც და ბოლოც.

10753. საქართველო ბევრი უდღეური პოლიტიკოსის ქვეყანაა, თავზე დიდი წარმოდგენით, მომეტებული შურით დაავადებულების, რომელთა მკურნალობა-გამოსწორება დღემდე არ მოხერხდა.

10754. ქართველი მანამ ცხოვრობს, სანამ ყოყოჩობის სურვილი აქვს და თავს დანატრის, ხოლო სხვები მას ღიმილით უყურებენ და მისი შურთ.

10755. ჩვენი ქვეყანა სამართლიანად მსჯელობს და მეტყველებს, მაგრამ ცუდი ინტერპრეტაციით და გულგრილობით.

10756. ქართველებს იმიტომ კი არ ვსაყვედურობთ, რომ თავკერძები არიან, არამედ იმიტომ, რომ ბრიყვობაზე, ჯინიანობაზე ხელს არ იღებს და რაც მთავარია, იმ მთავრობას ვერ ირჩევენ როგორიც მათ ბუნებრივ ნიჭს და თავზე წარმოდგენას ეკადრება.

10757. ქართველებს ცეკვა-სიმღერა და ტაშ-ფანდური ეხერხებათ, მაგრამ მათ გამოკვებას, მათივე თავის გარეშე, არავინ კისრულობს.

10758. იყო დრო, როდესაც ქართველი მამაკაცები სამუშაოზე მეტად ქალებში გარჯის ხალისით იყვნენ დაკავებულნი, მაგრამ დღეს არც ერთი აქვთ და არც მეორე ეხალისებათ უსახსრობის, უნიათობის, პოლიტიკანობის, წყალობით.

10759. ,,შენს ოჯახს მთელი ცხოვრება ხელფასზე ეცხოვროს" – დღეს ამაზე დიდი წყევლა არ არსებობს ქართველისთვის.

10760. საქართველოში უნდა ვიცხოვროთ დიდხანს, ოღონდ მოთმინებით, წინააღმდეგ შემთხვევაში, სიცოცხლე ყოფის გადამოწმების უფლებას არ მოგვცემს.

10761. ქართველების ნაციონალური თამაშია ერთიდაიგივე შეცდომების გამეორება, რომლის გამოსწორებას თვითნაბადი ნიჭით, განგების წაყრუებით და ბედთან ჭიდილით ვახერხებთ.

10762. ქართველებს რაც კარგი გვაქვს, თანდაყოლილი ნიჭიერება და ტრადიციის პატივისცემაა, ხოლო რაც ცუდი გვაქვს, ფუჭი ამპარტავნობა და საკუთარ ტყავში დაუტევლობაა.

10763. ქართველები ამაყი და წინდაუხედავი ხალხი ვართ, რადგან ფორტუნის გვჯერა და გვწამს, რომ ის უყურადღებოდ არ დაგვტოვებს და ერთხელ მაინც წამოგვარტყამს სასიკეთო ხელს.

10764. ქართველი ზოგჯერ იმიტომ ტოვებს სხვა ერებთან შედარებით უკეთეს შთაბეჭდილებას, რომ მან იცის სად, როდის, რა და როგორ უნდა თქვას და არა ის – რაზე საუბრობს და რეალურად რის კეთებას აპირებს.

10765. ქართველები კამათის მოგებას ნახევარი ცოდნით, დილეტანტური ნიჭით, თავზე წარმოდგენით, ცდილობენ და პროფესიონალიზმს არად დაგიდევენ.

10766. საქართველოს დღეს წარსულის ქების გარდა, არაფერი დარჩენია და ამაზედაც თავს იკავებს, რადგან ნაოცნებარ მომავალში ჯერ ვერ გარკვეულა.

10767. საქართველოს ეკონომიკა მუდამ ჩამორჩენილი იყო, აწმყოში და წარსულში მის მტრებს ეს აძლევდა საშუალებას მისთვის უკადრებელი ეკადრებინათ.

10768. საქართველოს ყოველთვის ისეთი წარსული ჰქონდა, რომ მასში გარკვევა ყოველთვის ჭირდა.

10769. ქართველები შემართებით და ნიჭით მდიდარი ხალხია, გონიერებით და მოფასის სულის სიფარულით ღარიბი, უაზრო შურიანი და შინაურის გაუტანელი.

10770. საქართველო სადღეგრძელოების, სიმღერების, ჯიუტი ხალხის ქვეყანაა, რუსეთი ფასადების, მოუწესრიგებელუ ყოფა და კანონების, ხოლო აშშ რა ქვეყანაა, თავადაც არ უწყის, მაგრამ, ჯერ-ჯერობით, თავი ღირსულად უჭირავს.

10771. ქართველებს ავანსით ცხოვრება უფრო მოგვწონს, ვიდრე კრედიტით შემოწმებულ-გადამოწმებული, რომელსაც გარჯა და ფულის მომჭირნეობა ჰქვია.

10772. საქართველოში დიდხანს უნდა იცოცხლო, რათა ბევრ შეუსაბამობას მოესწრო, გაოცდე და იმქვეყნად ნერვებაშლილი გადაბარგდე.

10773. ჰარმონიულობის და ინდივიდუალობის შეუთავსებლობა იძლევა ქართულ ინდივიდს, რომლისთვისაც კოლექტიური შრომა იმ შემთხვევაშია მისაღები თუ აქაც პირველი იქნება.

10774. სხვა ეროვნების ადამიანი ცდილობს საუბრისას რაც შეიძლება მეტი გაიგოს მოსაუბრეზე, ხოლო ქართველი ცდილობს რაც

შეიძლება მეტი გააგებინოს საკუთარ თავზე და არ აინტერესებს, ვის ეცნობა და ვისთან უნდა დაიჭიროს საქმე.

10775. ქართველის სიამაყეს, სილაღეს, სახელის ძებნას, ყოველთვის ახლავს „შიში არმოწონებისა", რომლის გამო ის არც ღალატს, გაუტანლობას, შურს, ერიდება, ოღონდ სხვას აჯობოს.

10776. საქართველოს ყოფის ალგორითმია: ორი ტალანტიდან, ერთმანეთი რომ არ დაჭამონ, ერთი სხვა ქვეყანაში უნდა აიბარგოს, სახელი გაითქვას და იქიდან „ალავერდი" ღიმილით უნდა დაუბრუნოს თავის მოქიშპეს.

10777. ქართველი საკაცობრიო საკითხებზე ბევრს ლაპარაკობს, ოცნებობს, მაგრამ სიზარმაცის და თავზე წარმოდგენის გამო ცოტას აკეთებს და თავისსავე ნაოცნებარს ვერ ეწევა.

10778. საქართველოში მუხრუჭებაშვებული, ნიჭიერი, თავნება, ამაყი, უაზროდ შურიანი და გულკეთილი ხალხი ცხოვრობს, რომლის გენში კორექტივის შეტანას ვერც ისტორიის გამოცდილება ახერხებს და ვერც დრო. ქართველების უმრავლესობას ერთი ავადმყოფობა გვჭირს: პროვინციული პატრიოტიზმი და აუხდენელი სათავისო ოცნებები, რომელიც მკურნალობას არ ექვემდებარება.

10779. ქართველი კაცი მორალის გადაფასებას და ვაი-დროებას ვერ უძლებს და მისი კაცთმოყვარეობა უკანმოუხედავად ხურდავდება.

10780. დღევანდელი საქართველოს პოლიტიკური ფსიქოზით დაავადებული ქვეყანაა და მასში მცხოვრებთ, განსაკუთრებით ასაკმოჭარბებულებს, ფსიქოთერაპიული მკურნალობა სჭირდებათ, ამას მცხოვრებთა უმეტესობა შინაგანად გრძნობს, მაგრამ მკურნალობის ნაცვლად ქვეყნის მართვისკენ გაურბის თვალი.

10781. დღევანდელი გადასახედიდან, ალბათ ჯობია საქართველოს 30-50 წლის შემდგომ მიეღო თავისუფლება, როდესაც რუსეთი გააცნობიერებდა მოკავშირე რესპუბლიკათა პარაზიტულ მიტმასნებას, ხოლო საქართველო ეკონომიკურად უფრო მომძლავრდებოდა, პოლიტიკური აზროვნებით მომწიფდებოდა. შეიძლება სსრ კავშირი ევროპული ორიენტაციის მსგავს კავშირად გადაქცეულიყო, სადაც ძალით კი არ ერეკებიან გაერთიანებაში, პირიქით, თავს იკავებენ და უარსაც ეუბნებიან.

10782. დღეს ქართველი ერი სარწმუნოებისკენ კერპთაყვანისმცემლურმა შემოტრიალებამ უფრო დააბეჩავა, ვიდრე უმუშევრობამ და გაჭირვებამ, რადგან მან ეშხისთვის ცხოვრების მადლი დაკარგა და უაზრო ვიშ-ვიში დაიწყო.

10783. ქართული ბუნების საოცრება ის არის, რომ ერთი აზრი ტვინს ულრღნის, მეორეს ამბობს, მესამეს აკეთებს და სჯერა, რომ სხვის ჯინაზე და დასანახად სწორად იქცევა და ამ ქმედებით ერსაც წარმოაჩენს და თავსაც ესიყვარულება.

10784. ქართველთა უბედურება ის არის, რომ თავისი ხალასი ნიჭი სხვა ქვეყნის გონიერების სარეცელზე უნდა გააკაიფოს, რადგან სახლში მის ხის ტახტს უგნურების ცეცხლი უკიდია.

10785. ქართველებს ხარჯვა უყვართ, მაგრამ ფულის შოვნაზე საუბარი ვითომ უზნეობად მიაჩნიათ, და ამიტომაც ვართ ასე უყურადღებონი საქმეში ერთმანეთის მიმართ, ხოლო ხელის გაწვდენა ყურით მოთრეულ მიზეზთა გამო არ გვეუხერხულება.

10786. საკუთარი ინიციატივით უშედეგოდ დამშვრალი, თავზე დიდი წარმოდგენის მქონე ქართველი, სურვილების მცდელობის მიუხედავად, ერის მოღალატედ უნდა ჩაითვალოს ,,თუ თავი არ ჰქონდა და არ შეეძლო, არც ამხელა ტვირთი – ქვეყნის მმართველობა – არ უნდა ეკისრა".

10787. საქართველო ყოველთვის ვითარდებოდა კულტურულად – ბუნებრივი ნიჭის წყალობით და არა ცივილიზებულად – ნიჭის გამოყენებით.

10788. ქართველები მხოლოდ ინსტინქტების დონეზე უგებენ ერთმანეთს, რადგან მათი გონება და ნიჭი რას მოიმოქმედებს, ავს თუ კარგს, ხშირად თავადაც არ უწყის.

10789. ქართველებმა პირველ რიგში, ფულის ხელსაყრელად დაბანდება უნდა ისწავლოს, რადგან ეროვნულობა, სამშობლოსადმი სიყვარული, ურთიერთობის დამყარების აურა თანდაყოლილი და მოჭარბებული აქვს.

10790. საქართველოში ცხოვრება სამგზავრო თვითმფრინავიდან ჩასვლას მოგვაგონებს, ყველა რატომღაც ჩქარობს, მიუხედავად იმისა, რომ აეროპორტში გადამყვანი ავტობუსი სანამ ყველა მგზავრით არ შეივსება, ადგილიდან არ დაიძვრება, ამისა ცოდნისა მიუხედავად ჩვენს ბუნებას და ყოფის მენტალიტეტს არაფერი შველის.

10791. ქართული გენის, ამბიციების, ნიჭიერების უბედურება ის არის, რომ კარგად რომ ვიცხოვროთ, უნდა თუ არა, ვიღაცის ბლოკში, კავშირში უნდა ამოყოს თავი და აქაც მისი ერის შვილებმა უნდა იუფროსონ და შედეგის მიუხედავად, უნდა იტრაბახონ. სხვათა სამსახურში იდგნენ გიორგი ბრწყინვალე, უნდილაძე, სტალინი და სხვანი მრავალნი.

10792. დღევანდელ საქართველოს ქვეყნის სამართავად „სტალინი“ კუბში სჭირდება, რადგან კვადრატში აფვანილს დახურდავებას მოუნ-დომებენ, შურს და დაპირისპირებას გადააყოლებენ.

10793. ქართველი მენტალიტეტი ვერც შადიმანობას მოიშლის, ვერც ილიას დამოძღვრას შეაქცევს ზურგს და ვერც შოთას გენიალობას დათმობს, რადგან როდის რას მოიხმარს, თავის წარმოსაჩენად თავა-დაც არ უწყის.

10794. საქართველოს ტრადიციებისკენ ლტოლვამ, წარსულის გა-ფეტიშებამ, გონს მოკლებული ამბიციების წარმოჩენამ, მოიფვანა აქამდე და არა აწმყოს რეალურმა ყურებამ, მომავლის ხედვამ, რადგან ის ყოველთვის ისე ცხოვრობდა, რასაც ბედი, შემთხვევა და დრო მოი-სურვებდა.

10795. სულში ჩაფურთხებული და დავიწყებული გმირი საქართვე-ლოს ბევრი ჰყავს, მაგრამ მათ მანამ არ წარმოაჩენდნენ. სანამ რომე-ლიმე ხელისუფალს საკუთარი იმიჯისათვის მისი სახელის გამოყენება არ დასჭირდება.

10796. ზოგჯერ ახალგაცნობილის ზურგგაუმაგრებელ, ხაბა-ხუბა მომ-ხიბვლელ აზრებს უფრო ვაფასებთ, ვიდრე საქმის მაკეთებელი მოძმისას, რადგან ქართველისთვის მთავარია კარიერაში არავინ შეეცილოს და არა ის, რომ ამ თანამდებობაზე ყოფნას გამართლება სჭირდება.

10797. მუდამ სხვისი ხელით ნარი არ დაიგლიჯება, ქართველებს ეს სწორად გვესმის და ვცდილობთ შიგადაშიგ სხვის დასანახად საქმეც ვაკეთოთ.

10798. ყველა ვიგინდარა პოლიტიკით ცხოვრობს და არა – რეა-ლური პერსპექტივით, მიუხედავად ამისა, ქართველების გასახარებლად ღმერთი, ჯერ-ჯერობით, ამ მოდგმას არ სწირავს და ზოგჯერ ხელსაც აფარებს.

10799. საქართველოს პიროვნება უნდა მართავდეს და არა კარგი კაცი, თუ გვინდა ქვეყანა ფეხზე წამოდგეს და ნაცნებარის რაღაც ნაწილი გაინაღდოს.

10800. ძლიერ ქვეყნებს უძლურნი და სუსტნი ათაშანგვით ეკიდე-ბიან, რათა მთელი ცხოვრება მათი სათრევი და ეკონომიკურად სამ-კურნალო გახდეს. თუ ძლიერს რაიმე შეეშალა და წაიფორთხილა მაშინვე სუსტი მის გინებას იწყებს თავისი უნიათობის გადაბრალებით. ამის მაგალითია 1920–21 წლის და დღევანდელი საქართველო, რომე-ლიც უსუსური პოლიტიკის გამო ამ დღეში ჩავარდა.

10801. სანამ საქართველოს მოსახლეობა არ გაითავისებს „გამოთ-ქმებს“ მე საქართველოს „მოქალაქე ვარ“, ან: „თბილისელი, სოხუმელი,

ბათუმელი ვარ“ ნაცვლად „ქართელი ვარ“, ან „კახელი ვარ“, „იმერელი ვარ“ – „ოსი ვარ“, „სომეხი ვარ“ და სხვა „ერის წარმომადგენელი ვარ“ მანამ ქვეყნის ძლიერებას არაფერი შეეტყობა.

10802. ჩვენ ამაყები კი არ ვართ, არამედ უშნო ამპარტავნები, თავზე დიდი წარმოდგენით და ეს არის ქართველი ერის ავ-კარგი და „აქილევსის ქუსლი“.

10803. ზოგჯერ ქართველი ერის საკუთრებას (შოთა, ვაჟა, დავით აღმაშენებელი, გალაკტიონი და სხვას) სამყაროს მასშტაბური გაგება ესაჭიროება, ის ერის თვითმყოფადობაა და მათი შედარება უმართებულოა.

10804. დღევანდელ ქართულ საზოგადობაში ვშიშობ ქვეყნისთვის გამოსადეგი პიროვნება ვერ აღიზრდები, აქ უბრალოდ წლები უნდა აგროვო და შემოსავლები სხვაგან უნდა თვალო.

10805. საქართველოში მხოლოდ ქართველობით სპეკულიანტობა ვიგინდარად დაბანდებული უნიჭოთა და უნიათოთა ფანდია.

10806. ქართველები ნიჭიერი ხალხი ვართ მაგრამ არა რაციონალური, კულტურა გვაქვს, მაგრამ არა ცივილიზებული, სხვა ქვეყნაში უკეთ ვირჯებით, ვიდრე საკუთარში, უაზრო ხარჯვა გიყვარს და ანგარიშიანობასთან ვერ ვმეგობრობთ, ყოყლოჩინები ვართ, ლაპარაკით წარსულს მივტირით საქმით ფეხებზე გვკიდია, სხვის საყდარში ჩვენი ადათ-წესებით შევდივართ და გვიკვირს თუ ვერ გვიგებენ, ყველას პირველი გვინდა ვიყოთ და ძალზე გავნაწყენდებით თუ ამის საშუალებას არ მოგვცემენ. ასე და ამგვარად, ეს ქვეყანა ამ დრომდე მოგვიტანია და ჩვენს გადაკეთებას არც ზრი აქვს და ალბათ, არც მოხერხდება.

10807. ქართველებს ძალზე ბევრი უნიათო ვაი-პატრიოტი ჰყავს და ძალზე ცოტა ერის გონიერი გულშემატკივარი.

10808. განათლებული და უნიათო საზოგადოების, პირის განმსაზღვრელი-შესატყვისი ბრწყინვალე სიტყვა გაგვაჩნია ქართველებს – ბედოვლათი და ამით ყველაფერია ნათქვამი ამ ხალხზე, ქვეყანაზე, დროზე.

10809. დღეს უწიგნურთა დოღია გამართული საქართველოში და არის საშიშროება დილენტანტების მარულაში გადაიზარდოს.

10810. სტაბილური შემოსავლის და მრეწველობის არმქონე ქვეყანა თიხის ფეხებზე შემდგარ გოლიათს მოგვაგონებს.

10811. ქართველებში გავრცელებული იყო ღალატი, განდგომა, შური, რომლისგანაც გარკვეული დროით იმ რუსებმა დაგვიხსნეს, რომლებსაც დღეს უდიერად და უმადურად ვიხსენებთ.

10812. ქართულ ნიჭს ყოველთვის აჩნდა შურის და გულგრილობის ელფერი, თუ სახელმწიფოს სადავეები ვიღაცის ძლიერ ხელს არ ეჭირა.

10813. ქართველს სხვისი „ჯოზლის“ ქეიფზე სიარული ძალიან უჭირს. რაც უნდა კარგად გამოიყურებოდეს, ბუნება არ ანებებს ჭკუის მოხმობას და ორჯერ ორის წინასწარ გათვლას.

10814. საქართველოში ყველამ იცის პოლიტიკა და ფეხბურთი, მაგრამ შედეგი ხშირად ულიმღამო და თითქმის არაფერია.

10815. საქართველოში სიმართლის დადგენა-აღდგენას საყოველთაო მოქალაქეობრიობის ნება სჭირდება და არა – სტრასბურგი და ევროპარლამენტი.

10816. ქართველები სხვადასხვა ქვეყანაში სათვისტომოებს კი ქმნიან, მაგრამ ისინი დროსტარების კლუბებს უფრო წარმოადგენს, ვიდრე სერიოზულ ორგანიზაციებს და ამიტომაა, რომ საერთო საქმე არ გამოდის.

10817. სამწუხაროდ, სააკაძის ხმლის ქნევის აუცილებლობა საქართველოსთვის არ მთავრდება, იმის მიუხედავად, რომ გადახვეწილმა მამულიშვილებმა დღეს ეს ხმალი ვის მოუქნიონ, არ იციან.

10818. საქართველოს დღეს ხალხის გასამრავლებელი დოლი სჭირდება და არა მარტო დოლზე დაკვრა და თავის წარმოჩენა.

10819. „იავნანამ“ ის ჰქნა რომ ქართველად დაბადებულს ქართველობა გაახსენა, მაგრამ მის აღზრდა-მზრუნველობაზე და სამშობლოში დამაგრებაზე თავი მაინცდამაინც არ გადაუდევს.

10820. ეტყობა „ჯიხვებისთვის“ ადგილის ვაკანსია „ევროკავშირშიც“ და „ნატოშიც“ დაჯავშნულია, თორემ საქართველოს თავის ჯიბის „სისქით“ და მენტალიტეტით იქ არაფერი ესაქმება.

10821. საქართველოს რატომღაც ყველას ნაბუქნარზე ბუქნის კეთება ეხალისება და თუ რატომ გაუგებარია, ეტყობა, გენი აქვს ასეთი.

10822. საბრალო საქართველო, სულ ვიღაცის გვერდზედ დგომას, თავის შეფასებას და დამცველის მოძიებას ცდილობს და თუ რატომ, ამ ნიჭით დაჯილდოვებულ ხალხს თავადაც ვერ გაუგია.

10823. საქართველო სილამაზის, სტუმართმოყვარეობის, კაცობის წარმოსაჩენი, თავის მოსაჩვენებელი „პოდიუმია“ და სამწუხაროდ, ხშირად მეტი არაფერი.

10824. სიტყვით, სამშობლოს სიყვარულით ყველა ქართველი თავს იკლავს, მაგრამ საქმე ერთმანეთის ჯინაზე არ გამოდის.

10825. ცხოვრებაგამოვლილ ქართველს ძალზე უჭირს აზროვნების, სიყვარულის, სიკეთის მწვერვალზე ფეხის შედგმა თანამოძმეთა დახმა-

რებით, რადგან გამოცდილებით იცის, უღალატებენ, მაგრამ რატომ, გარკვევა ძნელია.

10826. ქართველებს ერთად ამღერებული ჰიმნი, მათრახის გარეშე, ჯერ არ გამოსვლიათ.

10827. უსახელო ცხოვრება, ქართული ბუნების პროგროგატივა არ არის.

10828. საქართველოს გაწეწვა-გადანაწილების მსურველი არასოდეს არ აკლდა და აქ ხშირად მისი გულგრილობა და სიჯიუტეა დამნაშავე.

10829. ქართული ბუნება, დიდებული და შინაარსიანია, შური და წამხედურობა კი – ცუდი და უშინაარსო.

10830. ქველი, ქართული, საამო, ტოლია ოლიგარქია პლუს საქარ-თველო.

10831. საქართველოს დიდებისკენ წაბიძგებას ლოცვა არ შველის, უბრალოდ მას სიფარულის და თავდადების ცოდნა სჭირდება შემარ-თებით.

10832. განურჩევლად, გაუაზრებლად, სხვათა ყელზე ჩამოკიდება ქართველს არ ეკადრება და არც ხეირს დააყრის.

10833. საქართველოში მცდელობით, ყელა ქვეყნის პრეზიდენტადაა დაბადებული, მაგრამ მას დასაკავებლად დრო არ უდგებათ.

10834. საქართველოში კაცი თუ „ტარიელობს", ის უქონებო, უპა-ტივცემულო, უსუსური, ვერ იქნება.

10835. ქართველისთვის ერთხმიანობა, არჩევნებში არც უქნია ღმერთს და არც სიმღერაში.

10836. ნაციონალური საკუთრება საქართველოს ყელა მოქალაქეა და ქვეყანა მის გამოყენებას რიდით და მოწიწებით უნდა ცდილობდეს.

10837. საქართველო მუდამ პოლიტიკური ნუგბარის ძებნაშია და არა კეთებაში და ამიტომაცაა, რომ ხშირად ხელი ეცარება.

10838. საქართველოს აბრეშუმის გზა აღდგენილია, მაგრამ მასზე მოსიარულეთა მოღორება ძნელია, თუ სათანადო ბიზნეს-კომფორტს არ შეუქმნით.

10839. ევროპელობა სჯობს თუ აზიელობა, საქართველოსთვის კი-დევ გასარკვევია, რადგან ბუნების და გენის შეცვლა ერისთვის შეუძლე-ბელია.

10840. ქართველებს თავის გასამხნევებლად შეძახილი აქვთ: „რაც კარგები ვართ ქართველები ვართ!", რომელსაც ღიმილით, ღვინის შესმით აღნიშნავენ და ამითაც კმაყოფილები არიან.

10841. საქართველოს თავიდან აღმოჩენას დღეს ბევრი ცდილობს სხვადასხვა ხარისხში და სხვადასხვა გადასახედიდან იმის მიუხედავად, რომ გენი და ფესვი უცვლელი აქვს.

10842. ახალქართველთა სამერმისო ყოველივეს თავისკენ მითლას ცდილობს და ხელის ფათური არც აწმყოში „ეშლებათ“.

10843. ძირძველი ქართველია ის, ვინც ქვეყნის აღმავლობას დღეს ემსახურება და ხვალისაზეც ფიქრობს.

10844. საქართველო ყოველთვის გაიმარჯვებს, თუ მოუთოკავ ბუნებას ზედმეტად არ გამოაჩენს.

10845. საქართველო ერის გასაერთიანებელ სახალხო გამოცდებს დემოგრაფიაში, სულ მცირე, საუკუნეში ოთხჯერ მაინც უნდა აცხადებდეს.

10846. ქართველები სიძვის დიაცს ზოგჯერ ტურფას უწოდებენ და ცდილობენ არ გაიაფდეს, რათა ეშხი და მასზე მოთხოვნა არ დაკარგოს.

10847. საქართველოს ყველაზე მეტად საკუთარი შურიანობის, გაუტანლობის, დაუნახაობის, სინდრომი ანგრევს და არა – გადამთიელის მტრობა.

10848. საბედნიეროდ, საქართველოს ჰყავს თვითნაბადი ერთეული გენიოსები, რომლებსაც სამყაროს მატიანის წიგნში ხელის მოწერაც შეუძლიათ და ზოგიერთ დიდი ერისთვის „ცხვირის მოხოცვაც“.

10849. საქართველოს ყველა მმართველს ერთი უმთავრესი პრობლემა ჰქონდა: ერის ერთ მუშტად შეკვრა. ვინც ამას ახერხებდა, მასვე გაჰქონდა ქვეყნისთვის საჭირო ლელოც.

10850. ქართველი კაცი ბუნებით ყველგან და ყოველთვის „ჯარისკაცის მამაა“.

10851. საქართველოს ბედი, ეტყობა, ზევით წყდება, რადგან ქვევით ამისთვის ვერც ვიცლით და შურიც ამის საშუალებას არ გვაძლევს.

10852. ქართველ კაცს „კუდის ყვარზე გადება“ გენში უზის და იძულებულნი ვართ ზოგჯერ მივუტევოთ, რადგან ეს თანდაყოლილი მანკია.

10853. საქართველოს აღორძინებას ყბედობა და გულზე ხელის რტყმა კი არ სჭირდება, არამედ თავაუღებელი შრომა, მცდელობა, ურთიერთ გატანა. რაც შეეხება ნიჭსა და ტვინს, სტაბილურად საკმარისზე „ზედმეტია“.

10854. საქართველო, უფალი, ერი – სიტყვით ყველა საფიცარია, საქმით კი – შიგდაშიგ, ისიც უგულოდ, შურით, ეჭვის შეპარვით.

10855. საქართველო, თავისი ბუნებით, ნეიტრალური ქვეყანა ვერ იქნება, რადგან ვიღაცის პოლიტიკა უნდა მოსწონდეს ან არ უნდა მოსწონდეს.

10856. ქართველს ეკლესიაც, სარწმუნოებაც თავქარიანობის გასამართლებლად და მოსათოკავად სჭირდება და არა – სულის დასამშვიდებლად.

10857. ქართველს მამლუქობა და სხვა ერისადმი უღალატობა გენში უზის, ხოლო საკუთარ ქვეყანაში მხოლოდ შური და ბოღმა რჩება საქმის საკეთებლად.

10858. მატრიარქატიდან, ცერებზე ცეკვა ქართველმა კაცმა რატომ გაითავისა, ეს დღეც აუხსნელია.

10859. საქართველოს პატრონობა მაშინაა შესაძლებელი, როცა ჩვენზე უკეთესი პატრონი გამოუჩნდება, შურით შეჭმას არ დავუპირებთ და გულზე არ გავსკდებით.

10860. საქართველოში ნიჭიერ ანგელოზთა ოდენობა საკმაოზე მეტია, მაგრამ მასთან შეხვედრის მსურველია ცოტა და ისიც – ხელმოცარული.

10861. გონიერმა კაცმა ბავშვობა და ყრმობა საქართველოში უნდა გაატაროს, ხოლო დავაჟკაცების და დიდობის ასაკი – სხვაგან, თუკი სამშობლოში მასზე დიდი მოთხოვნილება არ არის.

10862. მსოფლიოს საბალეტო ხელოვნების საძირკველში რამდენიმე ლამაზი და მყარი აგური ქართველებმა, ჯორჯ ბალანჩინმა (ბალანჩივაძემ) და ვახტანგ ჭაბუკიანმა, ჩადეს, ერთმანეთის კბენის დაუვიწყებლად.

10863. ქართველი ერი თავისი ნიჭიერებით მუდამ რჩეული იყო, ხოლო თავისი ქმედებებით ეული და ხშირად უკულტუროც.

10864. საქართველო ისტორიულად მუდამ მზისა და „დარდების“ მხარე იყო, იშვიათი გამონაკლისით.

10865. ქართველი ერის პოლიტიკური აქტივობა თავისებური მაზოხიზმია, რაც ზოგს ერის საქმის კეთებად ეჩვენება.

10866. ყველაზე უზრდელი ქართველიც კი სხვა ერის შვილთან მიმართებაში თავაზიანი და მოყვასია.

10867. ქართველებმა სახელოვანი მიცვალებულის და სათავისო პიროვნების პატივისცემა კარგად ვიცით, რადგან პირველი არაფერში შეგეცილება, ხოლო მეორეს შეიძლება რაიმე გამოვრჩეთ.

10868. ქართველი კარგად ცხოვრობს თუ ცუდად, ყოველთვის ყურადღების ცენტრშია, რადგან მას სხვანაირად ყოფნა არ შეუძლია.

10869. ქართველები პრანჭია კონსერვატორები ვართ და საკუთარი „მეს“, თავნება მონები.

10870. რატომღაც საქართველოში თავისუფლების ბაცილის შემოჭრამ ყველაფერი თავდაყირა დააყენა, ეტყობა, ამის მიზეზი ჩვენი მოჭარბებული ემოციები, მაქსიმალიზმი და უნიათობაა.

10871. ქართველი დღეს წინაპრის იმითაც კმაყოფილია, რომ მან უფრო მეტი სისულელე არ ჩაიდინა სახელმწიფოებრიობის შექმნის პროცესში.

10872. სიტყვით საქართველოს ,,სად ჰყავს დასაკარგი შვილი'', საქმით კი მათზე დიდად თავს არ იწუხებს.

10873. ქართველები თავისებური აზროვნების ხალხია, ერთმანეთზე კარგს ხშირად ამბობენ, მაგრამ ასე არ ფიქრობენ.

10874. თბილისი ქმნის ქართველებს და არა საქართველო – თბილისს.

10875. ქართველები არც ისეთი ჭკვიანები არიან, როგორც თავად ჰგონიათ, რადგან სახეზეა ჩვენი ეკონომიკის და სახელმწიფოებრიობის ნიმუში.

10876. სანამ ქართველი ,,შინაური მღვდლის'' შენდობას არ ისწავლის, მანამ ყოველთვის ,,ფურთხის ღირსი'' იქნება.

10877. ქართველს თავის სიჯიუტის გამო არ შეიძლება მოწინააღმდეგე, მტერი, არ ჰყავდეს, იმის მიუხედავად, რომ ბუნებით ხელგაშლილია და გულმოწყალე.

10878. საქართველო პოლიტიკაში მოგვაგონებს იმ ქალბატონს, რომლის შემჩნევას არავინ ცდილობს, ის კი საცვლებს იხდის და ცდილობს აჩვენოს, რა მიმზიდველი უკანალი აქვს.

10879. 100%-ით ქართველი 90%-ით საკუთარი ,,მეა''.

10880. საქართველოში ჯბედობა და რჩევა-დარიგების მიცემა უყვართ, დანაპირებს და ვალს თუ არ გადაიხდიან, დიდად არ ჯავრობენ, თანაც ერთმანეთის გატანა არ იციან. თუ ამ ნაკლოვანებებს გამოვაკლებთ, სხვა მხრივ შესანიშნავი და ნიჭიერი ხალხია.

10881. ქართველს თანდაყოლილი ნიჭის და შესაძლებლობის მჯობნი იშვიათად ჰყოლია, მაგრამ თუ მრავალნი არიან, მათ ადგილს ისინი იკავებენ, რომლებსაც ნაღდი ნიჭის უკმარისობას განიცდიან.

10882. ყველა ერს აქვს თავისი სიამაყე, ხოლო ქართველს – დამატებით თავის მოწონება და გაბღენძვა.

10883. თუ არა თანდაყოლილი ნიჭი, ქართველი ერი კარგახნის გადაშენებული იქნებოდა თავისი გაუტანლობით და შურიანობით, რომელიც ასეთ გულკეთილ ხალხს როგორ აეწეპა, გაუგებარია.

10884. საქართველოს სახელმწიფოებრიობის პერიოდებს თუ გადავხედავთ, ყველა საუკუნე მისთვის ,,ისე რა'' იყო, ხოლო ზოგი გაცილებით უარესია.

10885. ქართველები და რუსები კარგი ხასიათის ხალხია, რადგან ალკოჰოლის შემდეგ „გიჟვრაცუობა“ ორივესთვის დამახასიათებელია, სხვადასხვა ტონალობაში და პეწით.

10886. საოცარია, მაგრამ ეროვნულობას გადამკვდარი დღევანდელი ქართველები თავისი ქვეყნის კულტურას ტურისტის დონეზე იცნობენ და ინფორმაციის გაღრმავებაზე არც კი ფიქრობენ.

10887. საქართველოს სიმბოლო კლდეზე ჯაჭვით მიბმული ამირანია თუ ცხენზე ამხედრებული წმინდა გიორგი განმგმირავი შუბით ძნელი სარკვევია, რადგან სიმბოლოებს დღევანდელი ძალაუფლება ადგენს და არა – ლეგენდები და ტრადიციები.

10888. სანამ ქართველები ერთმანეთს ცუდად ვეძებთ, ერთად ჯდომას ვერ ვახერხებთ და არც იმაზე ვფიქრობთ, ჩვენს ქვეყანას საბოლოოდ რა გამოადგება, გაჭირდება მისი ნაღდ სახელმწიფოდ ქცევა და მასზე შურის თვალით მაცქერალი მეზობლებისათვის „ცხვირის მოხოცვა“.

10889. საქართველომ უპირველესად თავადვე უნდა მოიძიოს თავი სამოქალაქო სივრცეში, რომელშიც ხელისუფლების გონიერებაც შედის და ცივილიზაციაც.

10890. მილიონნახევრიანი თბილისი პატარა ქალაქია, გრძელი ენებით და ფველას და ფველაფრის ცოდნით.

10891. ქართველს თუ გაუმართლა და თავისი ნიჭის აღიარებას მიაღწია, თანამემამულენი ზომაზე მეც შექებას არ დააკლებენ და წარმატების წილში ჩაჯდომასაც მოინდომებენ, მანამდე კი გულგრილობა და უაზრო ქილიკაობაა.

10892. საქართველოში კრიტიკა ძალზე გასამხიარულებელია, რადგან როდესაც ერთს აქებ, უმეტესობას სწყინს, ხოლო როდესაც აძაგებ, უმრავლესობა გახარებულია.

10893. ჯერ-ჯერობით, საქართველოში ოჯახიშვილობა კიდევ მუშაობს და ეს არის ჩვენი ეროვნულობის შენარჩუნების ერთ-ერთი გარანტი.

10894. სიცოცხლე, საკუთრება, ღირსება, მაღალ მატერიას განეკუთვნება, რომელზედაც დღეს ქართველებს საკუთარი უნიათობა-გულგრილობის გამო დროებით ხელი აქვთ ჩაქნეული და აქაც, ეტყობა, განგების ნება-სურვილია.

10895. სამწუხაროდ, თუ საბედნიეროდ, ქართული გენი თვითგვემას და თვითშეჭმას ვერასოდეს მოიშლის და ესაა მისი აქილევსის ქუსლი.

10896. ქართველები ხან მარცხენას ვლეწავთ წარსულს, ხან მარჯვენას – მომავალს. ისე კი, ჩვენდა გასაოცრად, იმედს ღმერთი არ გვართმევს.

10897. ქართული ხასიათი შუალედს მაშინაც არ ეძებს, როდესაც ფეხი წატეხილი აქვს და გამოსავალიც ჯერ არ მოუნახავს.

10898. ქართველი კაცის ბუნება სულ მაღლა მიილტვის და სხვის თავზე დგომას ცდილობს. აქაც ბედის წყალობაა და არავითარ შემთხვევაში დაცინვა.

10899. ამდენი ცუდი და კარგი, ძალზე ბევრია ქართველებისათვის და ხშირად ერის სიფარულით გაოგნებას და ბრაზს იწვევს.

10900. ზოგ ქართველს თავი რატომღაც უნიკალური ჰგონია და ხშირად ამქვეყნად ყოფნას სხვას ამადლის, იმისდამიუხედავად, დაპყრობილია თუ თავისუფალი ქვეყნის შვილია.

10901. ერთმანეთის ჭამით და შურით და გარეშე მტრებისაგან დაუძლურებული თავისუფალი საქართველო 300000 მოსახლეობით რუსეთს შეუერთდა, ხოლო 5,5 მილიონი კვლავ დამოუკიდებელი გახდა. გათავისუფლება-გადემოკრატების შემდგომ კვლავ ძველმა სენმა გაუხსენა და მოსახლეობის ოდენობამ კლება იწყო. მართალია ზოგიერთისთვის პოლიტიკაში ორჯერ ორი ტოლობა რატომღაც მიუღებულია, მაგრამ ჩემთვის მისი ჯამი ყოველთვის უცვლელი დარჩება, რადგან ჭეშმარიტებას ალტერნატივა არ აქვს – მასში ხალხის ბუნება, გუნება, ბედი და გარემო – ვითარებაა ბითუმად ჩადებული.

10902. ზოგჯერ გგონია, რომ ქართველი იმისათვისაა მოვლენილი ამქვეყნად, რომ დროდადრო დაარღვიოს არსებული წესი, რიგი, რათა თავისი კაიფი მოსალოდნელი შედეგის მიუხედავად ნიშნისგებით გაისწოროს.

10903. კანადაში მცხოვრები ერთ-ერთი ტომი, გასესხებული ფულის სანაცვლოდ, გარანტად თავის სახელს დებს და მანამ ვალს არ დააბრუნებს, მას აგდებულად, ხელის მინიშნებით, იხმობენ. ასეთივე წესი რომ ქართველებსაც გვქონდეს, ვინ იცის, რამდენი კაცი დარჩებოდა უსახელოდ.

10904. მე საქართველოს ფელა მოქალაქე მიფარს, ეროვნების, ტერიტორიის, კუთხის, მხარის, მიუხედავად და ეს სიფარული ფელა ქართველმა უნდა ისწავლოს, თუ გვინდა ის ღირსეული სახელმწიფო იყოს.

10905. საქართველოში სიმდიდრეზე კი არ საუბრობენ, ფირიან და ტრაბახობენ.

10906. საქართველო ზოგჯერ ისტორიის იმ დუქანს მოგვაგონებს, სადაც პოლიტიკოსები სისულელით ვაჭრობენ, რაც ამ ნიჭიერ ხალხს, რომელიც იძულებულია სხვაგან გაიყიდოს და წარმოჩნდეს, არ ეკადრება.

10907. საქართველოს აღფრთოვანებით თუ არა, იმედით მაინც უნდა ვუყურეთ, თუ გვინდა ყველაფერზე ხელი არ ჩავიქნიოთ და ადგილსამყოფელის გამოცვლას არ შევეცადოთ.

10908. საქართველო პატარა ქვეყანაა, მაგრამ შემძლეა დიდი ქვეყნებივით სისუსტე გამოიჩინოს.

10909. ქართველისთვის საკუთარი მე უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ღმერთის მორჩილება, იმისდამიუხედავად რომ სიტყვით მისი სწამს და ეთაყვანება.

10910. ქართველს მტრის შესარისხად საყრდენი სჭირდება, გამაგრებული სიყვარულით, ურთიერთთანხმობით შურის გარეშე.

10911. ქართული მრავალხმიანობა სმენის და ხმების ბაასია, სოლისტების თამადობით.

10912. საქართველო ხან სწორ გზას ადგას, ხან – უგზოობას, ხანაც განსაკუთრებულს, მისთვის გასაგებს. მოკლედ, ჩვეულებრივი აზროვნებით მოკირწყლულ გზაზე სიარული არც სურს და არც ეხერხება.

10913. "შარაფისტობა" (ღვინისმსმელობა) ქართველისათვის მობილიზების საშუალებაა – ისე არ უნდა დათვრეს, რომ ლოთად აღიქვან.

10914. როდესაც ბერძენს და ქართველს ხელს ართმევ, ორივე შემთხვევაში თითები უნდა გადაითვალო, პირველში რომ თითები არ დაგაკლდეს, მეორეში – ზედმეტი შექებისგან თითები არ მოგემატოს.

10915. ქართველები „სიაფანდი" ნაციონალისტები, ნიჭიერი მოყვასი, ჯიუტი და უდარდელი ხალხი ვართ.

10916. ქართველებს ახასიათებს მორჩილი ამპარტავნობა, არაფრისმთქმელი ყბედობა და უაზრო ხელგაშლილობა, მაგრამ რა უნდა ქნა, თუ ხანდახან თანდაყოლილი ნიჭის წყალობით გარკვეულ სიმპათიებს იმსახურებს.

10917. ქართველ ერს მოჭარბებული ნიჭიერი ხალხის ყოლა ყოველთვის პრობლემებს უქმნიდა, რადგან მათთვის ფრთის გასაშლელი ადგილი მუდამ ლიმიტირებული ჰქონდა.

10918. ქართველი ურთიერთობაში ბევრ კაცურ თვისებებს ამჟღავნებს, რომელიც ხშირად შურის გამოცდას ვერ უძლებს.

10919. ნაღდ ხაჭაპურში ჩადებულია ქართველი კაცის ხელგაშლილობა, სადაც მისაჭმელი უფრო მეტია, ვიდრე მისაყოლებელი.

10920. სულით ყველა ქართველი უკაპიკო მილიონერია, ხოლო გულით მოიმედე მილიარდერი.

10921. დავით აღმაშენებლის საფლავის გათხრის დროს შემთხვევით მისი დანაბარები აღმოაჩინეს, „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე ყველა ქართველის დედა ვატირეო“, რა თქმა უნდა, ეს თავის ერზე შეყვარებული გაბრაზებული ქართველის ხუმრობაა, მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ ეს მეფეს ეთქვა, რომელზეც რამდენიმე თავდასხმა თავად შეთქმულმა ქართველებმა მოაწყეს.

10922. ქართველის ბუნება უფრო რიდს და რწმენას ეთაყვანება, ვიდრე შიშსა და პატივისცემას.

10923. ზოგიერთი ქართველი "პატრიოტის" აზროვნება ერთი ანეგდოტს მაგონებს: "ერთი ჭიჭიკიას პენისი მომცა და ბიჭიკიას ცოლი, რას ვისიამოვნებდიო". იცოცხლე, დიდი საქმეების კეთების სურვილი კი გვაქვს ხელის გაუნძრევლად, სხვისი ფულით, საკუთარი „მეს“ წარმოსაჩენად.

10924. სამწუხაროდ რუს ხელისუფალზე მეტი დანაშაული საქართველოს მთავრობას მიუძღვის თავისთვის პრობლემების შექმნაში, მაგრამ თავის გასამართლებლად და სხვისი შველის მოლოდინში, ცდილობს ყველა ცოდვა ყოფილ „უფროს ძმას“ აჰკიდოს.

10925. თავის დროზე ილია ჭავჭავაძის შეცდომა ის იყო, რომ ხალხისთვის სიკეთის კეთება უნდოდა ჭკუის სწავლებით, საქმის ჩვენებით და ფულის ყადრის შეცნობით, მაგრამ დაავიწყდა, რომ გენის გადაკეთებას საუკუნეები სჭირდება მუდმივი ყურის აწევით და ჭიტლაყბით, რომელსაც ქართველებივით ზოგი მამლაყინწა ერის შვილი არ გპატიობს.

10926. შესაძლებელია ქვეყნის ბედის შესაძლებლობათა ვარირება და არა – შეცვლა, ამიტომაც საუკუნეთა დიპლომატიის ვირეშმაკულ თამაშს ყურიც უნდა ვათხოვოთ და მის ნება-სურვილს ჩვენი გადასახედიდან უნდა მოვერგოთ, რათა ცხოვრების ტაბიკები ზედმეტად არ მოვუჭიროთ და ხალხი არ გავაწვალოთ, რადგან ქვეყნების, ერების წინ წამოწევის და დაცემის როტაციის კანონს წინ ვერავინ აღუდგება. „პერესტროიკასთან“ დაკავშირებით საქართველოს სსრკ-დან გამოყოფაზე ხმა რომ არ ამოეღო და ყსიდად არსებული წყობისთვის მხარი დაეჭირა, დღეს აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის პრობლემა არ გვექნებოდა. მით უმეტეს, ამის გამოცდილება 1918–1921 წლებისა გვქონდა, როდესაც საქართველომ რუსეთის იმპერიიდან ცალკე სახელმწიფოდ გამოსვლა კარის გამოჯახუნებით ინება – თავისი შედეგებით.

10927. „გენაცვალე“ – ეს ის უთარგმნელი ქართული სიტყვაა, რომელ'შიც ყველა ერის ქათინაურია გაერთიანებული და ამიტომაც ზუსტ თარგმანს არ ემორჩილება.

10928. იმ თავისუფლების მოპოვების ფორმა (ურთიერთდაპირისპირებით, ეკონომიკური მო'შლილობით, შინა ომებით), რომელიც ქართველმა ხალხმა აირჩია თავისი ამბიციურობის გამო, არ ღირდა და ისევ, ალბათ, მოცდა ჯობდა, რადგან თავისუფლებასაც თავისი ღირებულება და ფასი აქვს, რომლის გადახდა ყოველთვის არ ღირს.

10929. ბოლოს მაინც მომავალი პროგრესის შესაძლებლობების პრივატიზება გაგვრყნის და გაგვანადგურებს. თუ გონიერება და ქართული გენი რაღაც-რაღაცეებს წინ არ აღუდგა.

10930. ხელისუფლებისთვის პოლემიკა, მოგუდვის ფარგლებში, აუცილებელია, რათა ფეხი არ დაუცდეს და გამოუსწორებელი სისულელე არ ჩაიდინოს.

10931. საქართველო'ში შვილები მშობლებს უსმენენ, აშშ მშობლები – შვილებს, რომელი ჯობს ძნელი სათქმელია, მაგრამ განვითარების დონე, მატერიალური მხარდაჭერა და დროის ყივილი თავად მეტყველებს.

10932. საქართველოში ერთი უბედურების მეორე პერსპექტიული უბედურებით შერემონტებას ცდილობენ და ამას პოლიტიკას ეძახიან.

10933. საოცარია ქართველის ბუნება: თანამოძმეს ექიშპება, მისი შურს, სხვა ერის წინაშე თავს იწონებს, სხვის ქვეყანაში კი მეტს აღწევს, დაფასებულია და უფართ.

10934. „თბილისი პატარა პარიზია“ დიდი ამბიციებით, თავზე წარმოდგენით და თავისი გადასახედით.

10935. საქართველოს ხალხი ნედლეულის მოსაძიებელი არეალია, რომლის ადგილზე მოპოვება-გადამუშავებას არავინ ცდილობს. ამ ნედლეულის სახელი ბუნებრივი ნიჭია, რომელიც სხვა ქვეყნებმა უნდა დააწახნაგონ, რათა იკაშკაშოს და სხვებს გამოადგეს, ხოლო საქართველოს ისევ ფუჩეჩი – ფუჭი ქანები და მამლუქების სახელი რჩება, მაგრამ ამის წამოძახება ძალზე სწყინთ სამშობლო'ში დარჩენილებს, რომლებსაც თავზე დიდი წარმოდგენა აქვთ.

10936. დღევანდელ საქართველოს ეკონომიკა წარმოდგენით ფხიანი ონანიზმია იმედისათვის.

10937. „პახმელიაზე“ ნაფიქრალი ერი ვართ ქართველები. რაღაც „სიაფანდი“ სიამოვნებით გვჯერა, რომ კაცი, რომელიც უცხოეთ'ში აღიზრდება, განათლებას მიიღებს, გამდიდრდება, საქართველოს სიფა-

რულით ,,ვენებს გადაიჭრის'' და გვემსახურება თანამდებობის და კარიერის პერსპექტივის შემოთავაზების გარეშე.

10938. დიდგორის მსგავსი ომი საქართველოს საუკუნეში ერთხელ მაინც რომ მოეგო, დღეს ძლიერი ქვეყანა იქნებოდა.

10939. ანტიქართული პროპაგანდით სარგებლობის, სახელის მოხვეჭის და ძალაუფლებაში მოსვლის მსურველი იდიოტი რუსეთში საკმაოდაა, მაგრამ რა უნდა ქნა, როდესაც ამის საბაბს ძალაუფლებაში მყოფთა ქართველთა სიბრიყვეც იძლევა.

10940. მოგვწონს – არ მოგვწონს, ქართველები ნიჭიერი ხალხია და არა – კულტურული, რაზეც თავსა ვდებთ, რადგან კულტურა მოითხოვს, რომ მოძმეს არ უღალატო, სიტყვაზე პასუხი აგო, საკუთარი ამბიციები საერთო ინტერესებზე მაღლა არ დააყენო.

10941. საქართველოში ყოველთვის მაღლა იდგა ლიტერატურა, ხელოვნება, შური, მაგრამ ყოველთვის უდარდელი ცხოვრებით ცხოვრობენ და სერიოზული და ეროვნული საქმის კეთებისთვის უკომფლიქტოდ იშვიათად იცლიდნენ.

10942. ქართველი არხეინობის, სტუმართმოყვარეობის, ფენომენმა და სხვა ერისადმი ერთგულმა სამსახურმა გადაარჩინა. ეტყობა, მამაზეციერსაც სულის სალბუნად სჭირდება ასეთი გენეტიკური აზროვნების დეფიციტი ხალხი.

10943. ქართველებს უფრო დარდთან და ნაღველთან შეთამაშება მოგვწონს, ვიდრე საქმის კეთება, სანამ ამ ქვეყანას დიქტატორი არ მოევლინება და მათრახს არ დაგვანახებს.

10944. ჩვენი ისტორიის ''გადამკიდეს'' გვებადება კითხვა, შეუძლია თუ არა საქართველოს მშვიდობიანად და მაძღრად იარსებოს, როგორც დამოუკიდებელმა ქვეყანამ? თეორიულად კი, მაგრამ პრაქტიკულად, სამწუხაროდ, ამას ვერ ახერხებს.

10945. რუსეთზე იდეალური ''დამპყრობელი'' საქართველოს ჯერ არ ჰყოლია. იგი რაღაც იდეების და იდეალების გულისთვის თავის ხალხს ყოფით შესაძლებლობებს აჩმორებდა და სხვა რესპუბლიკებს ეხმარებოდა. სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით ფაქტი სახეზეა.

10946. ქართველებს თავისუფლება სასიამოვნოდ გასახსენებლად სჭირდებათ და არა – ქვეყნის ასაყვავებლად და ურთიერთთანადგომისათვის, ყოველ შემთხვევაში, ზოგჯერ ამგვარი შთაბეჭდილება რჩება.

10947. ქართველების ამბიციების მიზეზი, საკუთარი ,,მეს'' გაფეტიშებაა.

10948. ქართველები ნიჭიერი, მაგრამ უდარდელი ერია, ყოველივეს მოგვარებას რევოლუციის გზით და სხვათა მოშველიებით ცდილობს და ამ ერის კოდი შეუცვლელია.

სახელმწიფო, ძალაუფლება, ხელისუფლება

10949. ჩინოვნიკი პატივს სცემს ძალასა და შიშს, ხოლო გონიერებას და ლმობიერებას ვერ იგებს, განსაკუთრებით მაშინ, თუ სასუსნავს ვერ ხედავს.

10950. კატად ყოფნა მაშინ არის კარგი, თუ ირგვლივ თაგვები გახვევია და კნავილის უფლებასაც გაძლევენ.

10951. სხვისი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდების უფლება საკუთარი ინტერესების სანაცვლოდ მანამ არ გვაქვს, სანამდის მას სახელმწიფო ინტერესებს არ მიაბამ.

10952. დაბალხელფასიანი მოხელე ნარკომანზე, ლოთზე უარესია და მისი ნდობა არ შეიძლება, თუ მას საციცქნის საშუალება აქვს.

10953. ქვეყნის მებაღემ არა მარტო უხვი მოსავლის მიღება უნდა შეძლოს, არამედ მცენარის დაყოლიებაც, რათა მან თითით საჩვენებელი ნაყოფიც მოისხას.

10954. ყველა სახელმწიფო წყობა მისაღებია, თუ სადირიჟორო პულტთან პიროვნება დგას, რადგან ყველას მისწრაფებაა უკეთ იცხოვროს თავისი გაგებით. რაც შეეხება თავისუფლებას, რწმენას, მეორადია.

10955. ქვეყნის მმართველობა რომ უკეთ გაირანდოს, კი არ უნდა დაუპირისპირდეთ, არამედ უნდა ითანამშრომლოთ, რათა არსებული ძალაუფლების ზედნაშენის ნანგრევებში არ მოყვეთ, რომლისგანაც თავს დაძვრენა დროს და ნერვების წყვეტას მოითხოვს.

10956. ძალაუფლებას შიგადაშიგ თავის ჭკუაზე ,,გაკვინტრიშების" უფლება თუ არ მივეცით, კონსტიტუციის და კანონის მონობისთვის ქვეყნის სათავეში მოსვლას არ ისურვებენ.

10957. სახელმწიფო, რომელიც დღეს თავისი პოლიტიკური ამბიციების წვენში იხარშება, ხვალ საკმარისად არც "ჯიჯა" – ხორცი ექნება და არც მისი ნახარში.

10958. ყველაზე დიდი ბიუროკრატები მომავალში ალბათ რობოტი მოხელენი იქნებიან, რომლებსაც ვერც ქრთამით მოხიბლავ, ვერც ვერაფერში შეედავები და ყოველთვის მართალი იქნება.

10959. საქვეყნო საქმე შინაგანი სიამოვნებისთვის უნდა აკეთო და არა ფულის სახვეჭად და თავის წარმოსაჩენად, რადგან იმაზე დიდი კაიფი, საკუთარ თავს რომ ჩუმად წაუმლიქვნელება არაფერია.

10960. ქვეყანას, რომელსაც ხელი ექავება ნაქურდალის წართმევა-გაყოფაზე, ხეირიან სახელმწიფოდ ვერასდროს იქცევა.

10961. ჩვენ არ შეგვიძლია სტაბილურად მუშაობა ჩვენს არჩეულ მთავრობასთან და ეს არის, ჩვენი ყველაზე დიდი ნაკლიც და სამძიმარიც.

10962. სახელმწიფო მოხელეს თავისი პრინციპები ღუპავს და არა თავისი პრინციპულობა.

10963. ფული კარგია, მაგრამ ძალაუფლებას არაფერი შეედრება, მიუხედავად იმისა, რომ მისი შენარჩუნება ფულის შენარჩუნებაზე უფრო ძნელია.

10964. გონიერება, ინტელექტი, კაცობა, მაშინ ფასობს, როდესაც ქვეყანა აწყობილია და ყველა ნაბიჯის წინ წადგმას ცდილობს.

10965. მოხელემ წერა-კითხვა და ათას სისულელეზე დროის ხარჯვის ყადრი უნდა იცოდეს.

10966. ყველა მოხელეს თავის სათესი, სათიბი და სათლელი უნდა ჰქონდეს, თუ გვინდა ხალხს ემსახუროს, ოღონდ სახელმწიფოს ხარჯზე და არა თავისი ინიციატივით.

10967. სახელმწიფო იშვიათად უხრის თავს სიცოცხლეში თავის ღირსეულ შვილებს და ამის კეთებას შთამომავლობას გადააბარებს.

10968. ძალაუფლება პასუხისმგებლობა, თავისუფლება, მოვალეობაა, მაგრამ არა ყველასათვის და ყოველთვის, რადგან მათი ტოლობა ხშირად თავად ადამიანებს რატომღაც არ მოსწონთ.

10969. აბსოლუტურ ძალაუფლებას რყნის ოპოზიცია, რომელიც ყოველივეზე თანახმაა, თუკი მას საქმეში გაიყვანენ და თავის სასუსნავს მიუგდებენ.

10970. ძალაუფლებას და ხალხს მათრახზე წასმული სასუსნავი აერთიანებს.

10971. ჩვენ არ გვიყვარს ძალადობა, არც უძლურება, მაგრამ ცხოვრებას თავისი გამოცდილება აქვს და ხანდახან ამათაც გულმოწყალედ უნდა გადავხედოთ, რადგან სახელმწიფოებრიობის არსი ამ საკითხების შერწყმა-მოგვარებაშია.

10972. ბიუროკრატიული მანქანა საკითხს არ წყვეტს, მაგრამ მათ გარეშე სამუშაო არ სრულდება.

10973. სახელმწიფომ გადასახადების მოხერხებული აკრეფაც უნდა იცოდეს, გონივრული გადანაწილებაც და დასაკრედიტებელი თანხის გამოყოფაც.

10974. სახელმწიფო დაფინანსება ის ორმოა, რომელიც ხელიდან ხელში გადადის და ისე ცარიელდება, თავსა და ბოლოს ვერ უპოვნი, იმდენად დიდია მასზე ხელის მომთბობთა ოდენობა.

10975. ძლიერი სახელმწიფოს შესაქმნელად ერთი დიდი პიროვნებაა საჭირო, დასაქცევად – ლიდერად წოდებული მრავალი.

10976. ძალაუფლებას ხალხი კვებავს, ხოლო თავად ილუზიურ ზრუნვას სთავაზობს, რათა დროზე ადრე სალაფავი არ მოაკლონ.

10977. ძალაუფლება ყოველთვის სარგებლობდა ხალხის ნდობით, ბაიყუშობით და გულგრილობით.

10978. ძალაუფლება სამართლიანობას ამოფარებული უზურპაციის გარეშე ვერ იარსებებს.

10979. ძალაუფლებაში მოსვლა სწრაფად გამდიდრების საშუალებაა – ეს გამორჩენის თვალსაზრისით იქნება აღქმული თუ თავის წარმოჩენით.

10980. პირველ რიგში ძალაუფლების ნარკომანია უნდა აიკრძალოს, ხოლო ნაღდი ნარკომანია თავად გაქრება, რადგან მხარის დამჭერის და გამავრცელებლის გარეშე აღმოჩნდება.

10981. ძალოვნები ყოველთვის ისეთები არიან როგორადაც მათ აფინანსებენ და როგორც ქვეყნის ეკონომიკაა.

10982. სახელმწიფო ბედნიერების მწარმოებელი ფაბრიკა უნდა იყოს და არა მოჩვენებითი სუროგატი.

10983. ყველაზე დიდი ბიზნესი ძალაუფლებაა გარკვეულ დრომდე.

10984. ქვეყნის პრეზიდენტს ისეთი ავტორიტეტი უნდა ჰქონდეს, რომ შეეძლოს კონსტიტუციის და კანონების შეცვლა, თუმცა ამას არ უნდა კადრულობდეს.

10985. ძალაუფლების ზოგ მსურველს, დეპუტატს, სისხლის სამართლის კოდექსების ნახევარი სახეზე აწერია.

10986. ძალის დემონსტრაციის, ჩვენების შედეგად მიღებულ მშვიდობას, ვერც ერთი ომის შედეგად მიღებული დაშოშმინება ვერ შეედრება.

10987. საოცარია, მაგრამ სუპერსახელმწიფოები ყვერებში მახათის გაყრას კორეის, ვიეტნამის, ავღანეთის, იუგოსლავიის, ერაყის შემდეგაც ვერ მოიშლიან.

10988. ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა იღონოს იმისათვის, რომ ბაზარში, მაღაზიაში, ადამიანმა თავი ზედმეტად და შეურაცხოფილად არ იგრძნოს.

10989. ძალაუფლების კარიერის საბოლოო დასავარდნი აეროდრომი დამსახურებული პენსიაა, თუ ციხეს და სახრჩობელას გადაურჩა.

10990. ხელისუფლება, პირველ რიგში, ადამიანთა ყოფიერებაზე უნდა ფიქრობდეს და არა მის უფლებებზე, ადამიანის უფლებაა ფანჯრიდან გადახტეს, მაგრამ ის ამ მდგომარეობამდე არ უნდა მოგვეყვანა.

10991. სახელმწიფოებრიობა წესრიგის დიქტატურით იწყება, ხოლო ქვეყანა – გონიერი აღმშენებლობით.

10992. ძალაუფლება ვიგინდარებს ნეხვის ბუზივით იზიდავს, რადგან მათ მხოლოდ აქ შეუძლიათ გამონახონ კარიერა, თავის საჩიჩქნით და სასუსნავით.

10993. მოხელეს ყველაზე მეტად აფრთხობს იმის გაურკვევლობა, თუ ვის ხელშია ძალაუფლება და ვის უნდა წაელაქუცოს.

10994. ძალას თუ თანაგრძობის ნიჭი არ გააჩნია, თანამდებობა არ უნდა ვანდოთ.

10995. სახელმწიფოს მოვალეობაა ხელი შეუწყოს სამუშაო ადგილების შექმნას, დაკრედიტებას, ინვესტიციების მოზიდვას, საჭირო თანამემამულეთა სამშობლოში დაბრუნებას და არა – გადასახადების შემცირებას და ბიუჯეტის გაღარიბებას.

10996. სახელმწიფოებრივ კულტურას თავის კუთვნილი გონიერი გადასახადი რომ აეკრიფა და ძალაუფლებას თავისთვის სასუსნავი არ დაეტოვებინა, დღეს არც ქრთამი იქნებოდა და არც ძალადობის მოზღვავება.

10997. სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, ხანდახან კაპიტალსაც ამნისტია სჭირდება.

10998. გონიერმა ძალაუფლებამ ოპოზიცია გვერდით უნდა ამოიყენოს, მასთან ერთად აშრომოს, წყლის შეუყენებლად წილში გაიფანოს და როდესაც დასჭირდება, გვერდზე მოისროლოს.

10999. უგვანო მთავრობას რატომღაც, უნიჭო თაღლითები ჰყავს, ალბათ, იმიტომ, დამსჯელი რომ არავინაა.

11000. ჩინოვნიკის ყოლა სახელმწიფო მართვისთვის გარდაუვალი ჭირია, რომლის ოდენობა მთავრობამ უნდა განსაზღვროს, ხოლო კანონმა მათგან უნდა დაგვიცვას.

11001. ხელისუფლება სიახლის, სიკეთის კეთებას და მოქალაქეთა დაცვას უნდა ცდილობდეს და არა – მათგან გამორჩენას, რადგან ყოველივეს მსაჯული დროა და არა – დღევანდელი გამორჩენა.

11002. ძალაუფლება არც სასუსნავია და არც საჩუქარი, ის ჯავრია რწმენის, ღირსების, მოვალეობის, რომელსაც ფასი არ ედება.

11003. სახელმწიფო წყობა საამაყოა, თუ ის გამჭირვალეა, აქვს მოწინავე კონსტიტუცია, იაფი შესანახია და მოქალაქეებს უარს არ ეუბნება ხარისხიან მომსახურებაზე.

11004. ბაზარი ოპტიმალურ გადაწყვეტილებას გთავაზობს, სახელმწიფო ღამის ყარაულის როლის აღსრულებით კმაყოფილდება და თვალი იმაზე უჭირავს, ვის რა დასცინცლოს.

11005. ხელისუფლება, რომელიც კულტურას და ტრადიციებს ავიწროებს და გონიერი ხალხის აზრს არ ეცნობა, ტირანია, რომელსაც ქვეყანა სამყაროს განვითარების გეგმიდან დროებით გამოჰყავს და იმ აპეურებს ამტვრევინებს, რომლითაც ქვეყნის ჭაპანი უნდა ათრიოს.

11006. გამართლებული მცდელობა ძალაუფლების გონივრულად გამოყენებაა და არა – მის მოპოვების მცდელობის და მოუწესრიგებლობის დასაფარავად.

11007. ქვეყანა საკუთარი ვექტორის მოპოვების მცდელობის გარეშე არ იმართება.

11008. დამშვიდებულისაგან განსხვავებით, ამღვრეულ ქვეყანაში ძველბიჭობით ყველაფრის ყიდვა-გაყიდვა შეიძლება, გარკვეულ დრომდე და ხალხის გამოფხიზლებამდე.

11009. ქვეყანას სიყვარულის ძალა უნდა მართავდეს და არა – ძალაუფლებაზე გამიჯნული სიყვარული.

11010. ქვეყანა მანამ დარჩება განვითარებად-კორუფციულ სახელმწიფოდ, სანამ მთავრობა არ ისწავლის მასების მომსახურებას და ხალხი ძალაუფლების სასუსნავით და მათრახით დათრგუნვას.

11011. კორუფციის ყველაზე ძვირფასი თევზი მღვრიე წყალში დაცურავს, განსაკუთრებით, თუ ის ქვეყნის გარეთ არის დასაჭერი ქრთამის უკუგორებით.

11012. საზოგადოება ფუსფუსებს, ხალხი აჭრილია, ბრბო ბუყბუყებს, მასისთვის ყოველივე სულერთია, მთავრობა ფაფხურობს და ყოფიერების ამ კოქტეილში ყველა თავის მიმინოს დაჭერას და გაწვრთნას ცდილობს, რათა მომავალში უკეთ იმსახუროს. რაც შეეხება სახელმწიფოს ბედს, ერისგან განსხვავებით, საქმით ყველას ყველაფერი ფეხებზე კიდია, თუ მას არ ეხება.

11013. ხელისუფლებას ყველაფერი ესმის, მაგრამ ბევრ რამეს არ ამჩნევს ან ვითარებათა გამო არ „იტყობინებს“.

11014. ქვეყნის ძლიერება მენეჯმენტის გარეშე განწირულია, რადგან ხელისუფლება ლომობას თვალდახუჭული ცდილობს.

11015. ხელისუფლებას, ბელადს, სამშობლოზე მეტად თავი უყვარს, მაგრამ იძულებულია ირგვლივმყოფთ ანგარიში გაუწიოს, რადგან მათ გარეშე იგი არავის სჭირდება.

11016. პატიოსნებასაც თავის ზღვარი აქვს და მისი გაბახება მაშინ იწყება, როდესაც ხელისუფლება კოჭლობას იწყებს, ხოლო ქრთამი ყველა მორალზე მაღლა დგას.

11017. ხელისუფლების დაკარგული ღირსება, გულგრილობა, ხალხში ბუნებრივ ქაოსს და უძლურებას იწვევს, რომელთანაც ბრძოლა გარკვეულ დრომდე ხშირად შეუძლებელი ხდება.

11018. ხელისუფლება ტყუის, მამაძაღლობს, პირველობს, მაგრამ არც მისი მრევლი გამოირჩევა პატიოსნებით, ხოლო თუ პირველმა

გადაამლაშა და მეორეს აჯობა ბატონობასა და ქვეყნის დოვლათის მითვისებაში, მაშინ იწყება სახელმწიფოში აყალ-მაყალი და გაირკვევა ვინ ვინ არის შეცნობა.

11019. მისაღებ ხელისუფლებას ღმერთკაცი სჭირდება და არა ხმას აყოლილი ხალხის არჩეული კაცუნები.

11020. ხელისუფლება ხალხის ნებას ლახავს და არა მათ შემართებას.

11021. თანამდებობა ცვლის ადამიანს და არა – პირიქით, რადგან ძალაუფლებას თავის საზომი აქვს და უცხოს ნებას ვერ შეეგუება.

11022. ხელისუფლების პატიოსნება ის არის, რომ სულიერად ის ისე ცხოვრობს როგორც მისი მრევლი და ცოტათი უარესადაც.

11023. ხელისუფლება, თავისი მოვალეობით, შესაძლებლობებით, უფლებებით, თავად არის გონიერების სპონსორი და მატერიალური ბაზისის შექმნის საწყისი. ის სხვაში მხოლოდ სულიერებას უნდა ეძებდეს და არა გამოჩენას.

11024. ცინიზმისა და სულიერებისგან ხელისუფლება უნდა განთავისუფლდეს და მტყუან-მართალის განსჯას უნდა შეეშვას, თუ უნდა ქვეყანა ფეხზე წამოდგეს.

11025. დღეს ყველა „სუსლიკი"-თრია შემოწმებულია, ყველა მათგანის თავისი სორო აქვს, ყველა სოროს – მფარველი და ეს კავშირია, რომ სახელმწიფოს ძლიერებას ხრავს.

11026. ვულგარული ძალაუფლება ჩვენი ყოფის გადამწონ-გადმომწონია, სადაც ზომა-წონის სამართალი დაუცველი და დაუსჯელია.

11027. ქვეყნის სამართავი ჭანჭიკია: მორალი, პასუხისმგებლობა, გონის მოხმობა, გნებავთ მას თავისუფლების დაბორკვა დავარქვათ, გინდათ, ცხოვრების წესის აღსრულება.

11028. სახელმწიფო ჩვენი ცხოვრების სახალხო თეატრია, სადაც ყველას თავისი როლი აქვს მიჩნეული. მიუხედავად ამისა. ყველა თავისას ერეკება რეჟისორს დაუკითხავად.

11029. სახელმწიფო მორალს უპირატესობას შედეგისთვის უნდა ანიჭებდეს და არა – ყბედობისათვის.

11030. ღარიბ სახელმწიფოში ხშირ-ხშირად უნიჭოთა დოღი იმართება, სადაც ყველა დილეტანტი ცდილობს წუმპიდან ქვეყანას ამოთრევას, რადგან აქ მართვის ზიგზაგებს ბოლო არ უჩანს.

11031. სახელმწიფოს ძლიერება პიროვნებაზე, დროზე და განგების ნებაზეა დამოკიდებული და არა – ხალხზე, მასაზე და საზოგადოების აზრზე.

11032. ძალაუფლებისთვის მთავარია პირადი, ეკონომიკური და ქვეყნის ინტერესები, შემდგომ მოდის იდეოლოგია და პოლიტიკა, წინააღმდეგ შემთხვევაში წყობა ინგრევა – ქრება.

11033. ხელისუფლების შეცდომა, რომელიც სახელმწიფო დანაშაულში გადაიზრდება, მისი სიბრიყვით და გამოუცდელობით გამართლებას ნუ შევეცდებით, რადგან ამ თანამდებობაზე წამოსკუპება მისთვის არავის დაუძალებია.

11034. ვირთხების მომრავლებას ნაგვის ხარისხის გაუმჯობესება იწვევს, ქურდების ძალაუფლების – მმართველობის გაუარესება.

11035. მოწესრიგებულ სახელმწიფოში ქვეყნის მოქალაქეობის ჩამორთმევა რეფერენდუმის ჩატარებით უნდა მოხდეს და არა კანონით და ქვეყნის პრეზიდენტის ბრძანებით.

11036. ძალაუფლება სკამია, ბედია, გენიოსობა, ღვთის მადლია, ნიჭია, მაგრამ აწმყო რატომღაც პირველს სწყალობს გარკვეულ დრომდე, მიუხედავად იმისა, რომ მომდევნო განზომილებებს დრო და ხანი ვერაფერს აკლებს.

11037. ხელისუფლება წესით არ ძალადობს, არ ქომაგობს, მაგრამ მისი ავტორიტეტი მუშაობს და ანგარიშს უწევენ.

11038. „მამლუქობა“ ზეგეგმური ნიჭის წყალობაცაა და განგების ვირეშმაკობაც, რადგან წამგებიანია უნიათო ხელისუფლებისთვის და მომგებიანი სიმდიდრით გაქსუებული ქვეყნებისთვის.

11039. ხელისუფლება ყოველთვის სხვის ქონებაზე ნადირობს, კანონს იქნება ეს ქმედება ამოფარებული თუ უიმისოდ.

11040. აშშ იმიტომ გახდა ზესახელმწიფო, რომ სხვა ქვეყნების „ორთქლმავლების“ ურგები ნიჭი ამ ქვეყანაში გადასახლდა და დაისადგურა.

11041. ხელისუფლების ფანტაზია, აზროვნება დამყარებული უნდა იყოს რეალურ შედეგზე, დროის ყისმათის შეგრძნებაზე და ბედის „ძაღლის ძვლის“ გაგორებაზე. სხვანაირად, ამ საფეხურზე ასამაღლებლად, მას არც ოცნების და არც თანამდებობის დაკავების უფლება აქვს.

11042. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს ბიუჯეტს ძვირი დაუჯდება, ის ვალდებულია ქვეყნის ყველა მოქალაქეს დაუმტკიცოს, რომ უვარგისი და ხელმოცარულია, ანდა, – პირიქით.

11043. ქვეყნისთვის საქმის კეთება მაინც ვიგინდარა ხელისუფლების ნებაზეა დამოკიდებული – გიმსახურებს თუ არა.

11044. ხელისუფლებამ ის კაცი უნდა დაიახლოვოს, რომელიც დროის მონაკვეთში რეალურ შედეგს სთავაზობს და არა – პროცესს,

რომელსაც ლამაზი დაპირების გარდა, არც პერსპექტივა აქვს და არც აზრი.

11045. თავი არავისთვის არ უნდა დავდოთ, მაგრამ დროს უნდა ვეჩალიჩოთ, თავი მოვიგიჟიანოთ, ხოლო თუ ჩვენს მცდელობას ვერ გაიგებენ და მხარს არ აგვიბამენ, ან ჩვენ არ ვარგებულვართ, ან ჩვენი დრო გაპარულა ან არ დამდგარა.

11046. ხელისუფლება იმ შემთხვევაში იფიქრებს ხალხზე, თუ მას გარანტია ექნება იმისა, რომ ადამიანებიც იფიქრებენ მათზე თანამდებობის დათმობის შემდეგაც.

11047. კომპრომისის კომპრომატში გადასვლის საწინდარია სახელმწიფო აპარატის გარყვნა.

11048. ხელისუფლებამ რომ ხალხს მოუსმინოს, საჭიროა ფასიანი რიგგარეშე მიღება დააწესოს მსურველთათვის. შედეგად წინადადებებს გონებაგახსნილი და საქმიანი ხალხი მოიტანს. აქედან წელიწადში ერთხელ ერთიც რომ გამოდგეს სიცოცხლისუნარიან, ქვეყანასაც ეშველება და მის კეთილის მდომსაც.

11049. გაცემული პენსიების ოდენობა სახელმწიფოს ძლიერების სინონიმია.

11050. ხელისუფლებამ ადამიანებს დროის შესატყვისი ცხოვრების საშუალება უნდა მისცეს და არა უბარლოდ არსებობისა რაღაც იდეების და იდეალების სანაცვლოდ, რომელსაც დრო და განგება ასე თუ ისე, სხვა დროსაც მოაგვარებს.

11051. ხელისუფლება ხალხის მონა უნდა იყოს, თუ სურს კეთილი სიტყვით მაინც მოიხსენიონ, ხოლო დაფასება-აღიარება გარემოსა და ისტორიის ჭირვეულობაზეა დამყარებული.

11052. ხელისუფლებას, პირველ რიგში, უნდა აინტერესებდეს ბიუჯეტის შემავსებელ მომავალ მოქალაქეთა ბედი და არა მხოლოდ უპატრონოთა მდგომარეობა, რადგან მისი ვალია მომდევნო თაობები ქვეყნის ინტერესებს ამსახუროს. ამიტომაცაა ვალდებული მათზე იზრუნოს და არ ივიშვიშოს.

11053. საკრებულო მოკრძალებულია, მთავრობა თვინიერია, ხალხი ბედნიერია, მანამ ძალაუფლების რაობის ჭორის ჩახმახს, უნებლიედ ვინმე თითს არ გამოკრავს.

11054. სახელმწიფო მოხელენი თავისებური მსახიობები არიან, რადგან ცდილობენ თავი გულკეთილ და ჭკვიან ბუებად მოგვაჩვენონ და ქრთამის აღება წყალობად ჩაგვითვალონ.

11055. კონსტიტუცია უნდა იწერებოდეს პიროვნებაზე, სახელმწოფოზე, ხალხზე ზრუნვით. შემდგომ მოდის სამართალი, კანონი, პასუ-

ხიმგებლობა. ეს თანმიმდევრობა იძლევა იმის გარანტიას, რომ სამარ-თლებრივი სახელმწიფო ჩამოყალიბდება და კაპიტალური შეკეთება და მუდმივი რემონტი არ დასჭირდება.

11056. დღეს სახელმწიფო აპარატში განათლებული ხალხი მოდის ცხოვრების გამოცდილების გარეშე, მაგრამ ცოდნას გამცდილება სჯობ-ნის თუ პირიქით ეს დღეს არავის აინტერესებს

11057. აბსოლუტური ძალადობა ყოველთვის აფუჭებდა ხელისუფ-ლებას და ბრბოს, რომლებსაც გონების დახარჯვის და ნერვების და-უწყვეტლად სხვის ხარჯზე მუქთად ცხოვრება სურთ.

11058. ცივილიზებულმა სამყარომ ღირსების კანონზე მაღლა დგომა არ უნდა ისურვოს, თუ უნდა სახელმწიფოში იცხოვროს და არა არეულ – გაუმართავ ქვეყანაში.

11059. საოცარია განგების ნება, რამდენი შემთხვევითი ხელისუფა-ლი მართავს ქვეყნებს, ტერიტორიებს, მაგრამ პროგრესი მაინც წინ მიკუნტრუშებს, მაშინ როდესაც ამდენი უგვანი მთავრობის ხელში სამყარო სულს უნდა ღაფავდეს.

11060. საზოგადოებას ყოველთვის ეყოლება უკმაყოფილო ნაძირა-ლები, უხერხემლო ინტელიგენცია და კრიმინალისკენ მიდრეკილების მქონე ხალხი, რომლებიც დაყოვნების ბომბის და რევოლუციის საწყისია ყველა ვითომდა დემოკრატიულ ქვეყანაში. ამიტომაც ხელისუფლებამ მათ თავის წარმოჩენის საშუალება არ უნდა მისცეს სახელმწიფოსთვის არც თუ ისე საჭირო საქმიანობით.

11061. სახელმწიფო ვალდებულია მოქალაქეებთან მოახდინოს თა-ვის საქმიანობის ანგარიშსწორება, პრეტენზიების ხარისხს მნიშვნელობა არ აქვს, რადგან საყვედურების გარკვეული ნაწილი მოსათმენია და საჭიროც.

11062. მრჩეველი სტრიპტიზივით გაშიშვლებულ აზრებს გვთავა-ზობს, პასუხისმგებლობა კი ვალდებულია ჩააცვას, გონების პოდიუმზე წარმოაჩინოს, გამოცადოს და ისე მიიღოს გადაწყვეტილება.

11063. ქვეყნის "დამბლას" ცენტრალური ხელისუფლების გადაგვა-რება, ხალხის გამოუფხიზლებელი გულგრილობა და „ვაშა – პატრიო-ტიზმი" იწვევს.

11064. ნორმალურ ქვეყანაში უპატრონო და სხვისი ბავშვი არ არ-სებობს, ის საზოგადოების, ყველას საკუთრებაა და ვალდებული ვართ მასზე ვიზრუნოთ, რადგან რა აღზრდის, ტრადიციების შთამომავალს დავტოვებთ, იმ გახსენება-ხოტბის დივიდენდები მიგვეგებება იმქვეყნად.

11065. სახელმწიფო ძლიერებას, მის დაცვას და მისდამი შემართე-ბას მისაბაძი მაგალითების ყურით მოთრევა სჭირდება, ხოლო მდიდ-

რულად მასში ცხოვრებას, განცხრომას და ფულის ყადრის ცოდნას, დაფინანსებული რეკლამა.

11066. ხელისუფლება ისაა, რომელიც ქურდობას, მექრთამეობას, ნარკომანიას, გარყვნილობას, გადამგდებებს წილში ჩაუჯდება, ამ ხელობას წამგებიანს გახდის და ბიუჯეტს ამ ანტიპოდების გამოსწორებით შეავსებს.

11067. ერთი მოხერხებული მმართველის ჭკუით ქვეყნის მართვა, კონტროლს დაუქვემდებარებლად, კარგია თუ ცუდი ანალიზი საბოლოოდ პასუხს ვერ იძლევა, რადგან შედარებები ხშირად პირველის სასარგებლოდ ღაღადებს.

11068. ძალაუფლებასაც აქვს თავისი კურიოზები, როცა დანაშაულის პროფილაქტიკას არ ეწევა, არ ასაქმებს, არ პატრონობს და ნაცვლად იმისა თავად გადადგეს, სხვას ასამართლებს ციხეში ჩასასმელად.

11069. სახელმწიფოს პროგრესული მართვა ურთულესი განტოლებაა, თორემ დემოკრატიის ალგორითმის ამოფარებით, მეტ-ნაკლებად, ყველა ახერხებს.

11070. სახელმწიფოთა დოღი შეიარაღების სრულყოფაში სისულელემდე მისული ლამაზი შეჯიბრია, რომელსაც ხელისუფლება ნერვიულ სისტემათა მოთოკვამდე მიჰყავს ხალხის კეთილდღეობის ხარჯზე.

11071. ხელისუფალი მაშინ აღიქმება ქვეყნის მმართველად, თუ საზოგადოების როგორც ღირსეული ასევე უღირსი ნაწილის წარმომადგენლები მას რიდით და პატივით ეპყრობიან.

11072. გაიძვერას კანონის უზენაესობაზე და კაცობაზე არ უნდა ელაპარაკო, რათა უარესი სისაძაგლე არ ჩაიდინოს, რადგან იგი არ გამოსწორდება.

11073. ჩამშვები, დამსმენი, მსტოვარი, მომჩივანი, სხვაადსხვა ცნებაა, მაგრამ თუ ქვეყნის ძლიერებას ემსახურება, ყველა მისაღებია.

11074. დღეს ჯალათი მსხვერპლია, თუ პირიქით, ძნელი განსასჯელია, რადგან მსხვერპლად ყოფნა არავის უნდა, ხოლო გადამჭრელი ღონისძიებების გარეშე ქვეყანა წინ ვერ მიდის.

11075. უხიაგ მთავრობას უსახსრობა და იმ საქმიან ხალხთან დაპირისპირება აწუხებს, რომლებსაც კანონით უნდათ წანაგლეჯის შენარჩუნება და ამისთვის წყლის ამღვრევასაც არ ერიდებიან.

11076. ძალაუფლებისთვის ყველაზე საშიშია ის პიროვნებაა, ვისაც მისგან არაფერი უნდა.

11077. ხშირად ქვეყნის სათავეში მოდის კაცი, რომლისთვისაც ერთი ბატის ნდობაც დანაშაულია, მაგრამ დროის, განგების და ხალხის ხუშტურის ვინ გაუგებს.

11078. ხელისუფლება, მთავრობა ისე, საზრიანად, სწრაფად და ანგარიშიანად რომ აზროვნებდეს, როგორც მათემატიკა, დედამიწის მოსახლეობის ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა.

11079. მთავრობისგან და ჩინოვნიკებისაგან შესდგება სახელმწიფო მართვის აპარატი, რომელშიც ხანდახან მართალი და გულიანი კაცი თუ გამოერევა იმ ქვეყნის საქმე წინაა.

11080. სათნოება ძალაუფლებას წინ ვერ აღუდგება, მაგრამ ამ უკანასკნელს, პირველის გარეშე, ქვეყნის აღმავლობისკენ წაყვანა გაუჭირდება.

11081. კარგია, თუკი ძალაუფლება კარიერის კლანჭებიდან თავის დაძვრენას დროულად, დაუნანებლად, შეძლებს იმის შეგნებით, რომ ამქვეყნად ბოლომდე არაფერს დაგიფასებენ.

11082. სახელმწიფო მოღვაწისთვის, არ უნდა იყოს მთავარი რას იტყვის ხალხი, მისთვის მთავარია, რას გააკეთებს და ხალხისთვის რას მოიმოქმედებს.

11083. სახელმწიფო ბიუჯეტის შევსებას არც „პუსტა-პუსტა“ ბერწი ქალი სჭირდება და არც უშვილო მამაკაცი, რადგან ქვეყნის მომავალი საფრთხეშია.

11084. სახელმწიფოს დარაჯ ძაღლს რომ დატუქსავ და ფინიად გადაიქცევა, მისგან სიკეთეს არ უნდა ველოდოთ, რადგან ყარაულად დაბადებული ყველა დროში და ასაკში შენს გვერდით უნდა იდგეს.

11085. ყველამ უნდა ვიცოდეთ საკუთარი ღირსების და კანონის ფასი, რათა ქვეყანაში წესრიგის დარღვევას მოვერიდოთ და კვლავ რევოლუციების და სახელმწიფო გადატრიალების წინაშე არ აღმოვჩნდეთ.

11086. ხელისუფლებას არ უნდა აინტერესებდეს საკითხის დაფეხმძიმება, მისი საქმეა რამდენად ჯანმრთელია და საორიენტაციოდ ბიუჯეტის შევსებას როდის დაიწყებს და არა საქმის მიფუჩეჩება და ხალხის ნდობის დაკარგვა.

11087. სახელმწიფოს მოღვაწეთა 99,9% პირადი კეთილდღეობისთვის იღვწის და ამ დივიდენდების შესანარჩუნებლად უმეტესობა მზადაა ზემდგომის უკანალში თავის შესაყოფად.

11088. ძველის ბევრ კარგს, აწმყო უსუსურობის გამო დასცინის, იმის მაგიერ, რომ გადმოიღოს და გაითავისოს. ასევეა ძალაუფლების სათავეში მოსული შემთხვევითი, არშემდგარი ძალაუფალიც, რომელიც თავის გასამართლებლად უნამუსო ალიბს ეძებს.

11089. ქვეყნის სახელით ყველა თავზე და საკუთარი ინტერესების დაცვაზე ფიქრობს, მაგრამ რატომღაც ხელისუფლება ხალხის ინტერესების გაუთვალისწინებლად მათი აზრის გაზიარებას ცდილობს.

11090. ეროვნული ნიღბით ქვეყნის სათავეში მოსული ხელისუფლება, მისდაუნებურად, ტრადიციების საწინააღმდეგო კანონებს გამოსცემს, რადგან რეალურად ერის ღირებულება არ იცის და ვერც ხალხის, ვერც თავის შესაძლებლობებს ვერ ამჟღავნებს გამოუცდელობისა და ცხოვრების არცოდნის გამო.

11091. ზოგიერთ ძალაუფალს ჭკუა საბალახოდ და ვნება სანადიროდ ჰყავს გაშვებული, თავისი წილის მისათვისებლად და ჩასაკოკლოზინებლად.

11092. ერთგული მთავრობა თავისი ხალხის საყვარელი ხელისუფალია და არა – მოძულე ჭირისუფალი.

11093. ძალაუფლების ხელში ჩაგდებით თუ ხალხის და ქვეყნის სამსახური გულით არ შეგიძლია და მხოლოდ ფულის კეთება და თავის მოწონება გსურს, ეს დროის კარგვა და თავის მოტყუებაა.

11094. ხელისუფალი ფრთხილად უნდა იყოს და საჭიროებისამებრ მოხერხებულობის მგელი დაბმული უნდა ჰყავდეს და სამართლის ძაღლი – აშვებული.

11095. ხელისუფლება მოქალაქეებს ,,ნებაყოფლობით" აიძულებს დასვენების დრო ქველმოქმედებას მოახმარონ და მოჭარბებული ენერგია, თანხები, ქვეყნის აღმშენებლობაში დააბანდონ.

11096. ,,ცეკას" გენერალურ მდივნებს, სტალინსა და გორბაჩოვს, შორის ის განსხვავებაა იყო, რომ პირველი სიტყვაძუნწიც იყო, ხალხის კეთილგონიერებისა და კოლეგების ერთგულებისა არ სჯეროდა, მაგრამ ქვეყნის აღმავლობის ბერკეტი და ბრბოს სული სიცოცხლის ბოლომდე ხელთ ეპყრა, ხოლო მეორემ თავისი ყბედობით ძალაუფლებაც დაკარგა, ქვეყნის ერთიანობაც და მისი ძლიერებაც, რაიც სიცოცხლეშივე დემოკრატიისთვის და სიტყვის თავისუფლებისთვის მოუმწიფებელ ბრბოს ვნებათა ღელვას გააყოლა.

11097. ქვეყნის პატრონობა, წესრიგის დაცვა და ურთიერთყურადღებაა, საუკეთესო აზრის გამოსავლენად და საყოველთაოდ მისაღებია საქმის საკეთებლად.

11098. ,,მაფია" მაინც ძალაუფლების უგვანობის დამსახურებაა, რადგან მისი წაყრუების გარეშე თავს ვერ წამოყოფს.

11099. ხელისუფლება ისაა, რომელიც თავის ავტორიტეტს ისეთი გონიერების ალზე წვავს, რომ ხალხის შამფურს ამას არ აგრძნობინებს და შედეგით ორივენი კმაყოფილია.

11100. ძალაუფლება, რომელიც პროსტიტუციის, ნარკომანიის, უმუშევრობის, საკითხს ვერ წყვეტს და არ იცის, რა და როგორ უნდა მოახერხოს, უვარგისი, მშიშარაა და ქვეყნის მართვას უნდა შეეშვას.

11101. ჯალათი თავის ხელობას სახელმწიფოს წინაშე პირნათლად ასრულებს, იმის მიუხედავად, ხელისუფლება მისაღებია თუ უგვანო.

11102. ზოგი ძალაუფლება პოპულარობას სამუდამოდ მიიჩნევს, რადგან გასულელებული და გუშინ მასზე შეყვარებული ბრბო დღეს ყველაფერს გაუგებს და აპატიებს ჰგონია.

11103. სახელმწიფოს მოვალეობაა უფასოდ უმკურნალოს, ასწავლოს, დაიცვას მოქალაქის ინტერესები, დანარჩენი ზედმეტი მეურვეობა მმართველობასაც და ხალხსაც გადააგვარებს, გააზარმაცებს და ცხოვრების ჟინს წაართმევს.

11104. ხელისუფლება, რომელიც მოქალაქეს თავის ქვეყანაში საკმარისზე მეტ ფულს არ ახარჯვინებს, უქნარა და უსაქმურია.

11105. სუსტი ქვეყნების ხელისუფლება ჯერ უყურადღებობით რყვნის საზოგადოებას, მერე, სულს რომ მოითქვამს ამ არეულობაში და ფულს იშოვნის, მოინდომებს ზევიდან გამოსწორებას, მაგრამ უკვე დაგვიანებულია და ხალხსაც სალაპარაკო უჩნდება მმართველობის საწინააღმდეგოდ.

11106. ძალაუფლებას მსხვრევადი სიყვარული ახასიათებს მათ მიმართ, ვისაც მისი განდიდების არ ესმის და არც უნდა შეიგნოს.

11107. „ჩამოყალიბებული ძალაუფლება ყოველთვის იმაზე უარეს შთაბეჭდილებას ტოვებს, რაც მასზე გულშიც კი არ გაგივლია“.

11108. ხელისუფლება უნდა მიხვდეს, რომ პატიოსნება, წესიერება და ერთგულება ფული ღირს და დაფინანსებას მოითხოვს.

11109. სახელმწიფოს წმინდა და მთავარი წიგნი ქვეყნის კონსტიტუციაა, რომლითაც იშვიათად ინტერესდებიან, ხოლო ვისაც აინტერესებს, თვალი მისი გაბახებისკენ გაურბის.

11110. ხელისუფლებამ ხალხის უფლებები შეძლებისდაგვარად უნდა დაიცვას, რათა მათ ცხოვრებიდან სასარგებლო რაღაც აუკრიფოს თავსაც და ქვეყანასაც ე.ი. სახელმწიფოებრიობა ადრეც და ახლაც ერთი კაცის სათრევია.

11111. ქვეყნის პრეზიდენტი მაშინ ხარ, თუ ხალხს ყასიდად იმას აუკრძალავ, რის კეთებაც მას უნდა, რადგან შენი ხალხის ცუდი თვისებებიც ქვეყნის აღმშენებლობისთვის უნდა გამოიყენო.

11112. პროვოკაციის ურჩხული უპასუხისმგებლობაა, თაღლითობაა, მექრთამეობაა, რომელიც სახელმწიფოებრიობას თანდათან ძირს უთხრის.

11113. ძალაუფლება ყველასათვის მისაღები და სამართლიანი ვერ იქნება, რადგან ზოგჯერ ხალხი მოვალეობის გრძნობას და აზროვნებას

ჰკარგავს, თუ კანონის უზენაესობით ხელს არ გაულაწუნებ, არაფრის გაგება არ უნდა.

11114. ბიუროკრატიზმი აუცილებელი ატრიბუტია სახელმწიფოს შექმნისთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ ინსტიტუტს არ შეამჩნევენ.

11115. ხელისუფლებაში თავის გაყოფა ორი რაიმესთვის ღირს, ერთი – თუ ბალახტარობის უნარი გაქვს, მეორე – თუ ხალხისთვის საქმის კეთება შეგწევს.

11116. წესიერ სახელმწიფოში სიმდიდრე სიღარიბეს არ ბადებს, უწესო ქვეყანაში კი ღარიბთა დოღია.

11117. ხელისუფლების გაძღომა შეუძლებელია, რადგან ეს მისი ბუნება და ამბიციებია.

11118. სახელმწიფო სამართლიანი ყველასთან მიმართებაში არ შეიძლება იყოს, რადგან სამართლიანობა ყველას თავისებურად ესმის და ხელეწიფება.

11119. ხელისუფლებას საფასურს მანამ არ სთხოვენ, სანამ პასუხს არ აგებინებენ და ვირის აბანოში არ გაამწესებენ.

11120. ქვეყნის ვალს მისი მოქალაქენი მაშინ უკეთ იხდიან, როცა სახელმწიფოს ხალხისთვის მზრუნველობის კრედიტი გახსნილი აქვს და მის გასადიდებლად ყველა ღონეს ხმარობს.

11121. ხელისუფლება – ყოველთვის ბუნების და თავის ერის შვილი არ არის, თუ მას ველური საწყისი არ ახლავს.

11122. ხელისუფლებისათვის ყველაზე საშიშია იმ მოსავლის აღება, რომელსაც აზრებით თესდა, მისწრაფებით უვლიდა, სურვილს შთაგვაგონებდა, რადგან რა ხვითოს მიიღებდა, მისთვის უცნობი იყო.

11123. ქვეყანა, რომელსაც არ შესწევს საყოფაცხოვრებო საკითხების მოგვარება, დასახლებაა და არა – სახელმწიფო.

11124. ხშირად ძალაუფლების შემომტკიცება უსაქმურობის მოკვლის ხარჯზე ხდება, რაც ხელისუფალს თავხედობას და თვითდაჯერებას მატებს და ამბიციურს ხდის.

11125. როცა ძალაუფლება ვერ ერკვევა: კარგსა და ცუდში, საჭიროსა და ბალასტში, გულგრილობასა და სიბეჯითეში, იწყება სახელმწიფოს ნგრევა და უკან ჩანჩალი.

11126. ქვეყანას უწიგნურობა, უმადურობა, სიზარმაცე, შური, ამპარტავნობა, რეალობის გაუცნობიერებლობა ანგრევს და არა მხოლოდ შემოსევა, ვერაგობა, დახარჯვა.

11127. ძალაუფლება თავისებური ბორკილდადებული შესაძლებლობაა, ამიტომაცაა, რომ სხვასაც გასაქანს არ აძლევს და ცდილობს იბატონოს.

11128. ბრბოს ინსტინქტების გადმოფრქვევის წინაშე კანონი ხშირად უკან იხევს და ამ შერცხვენის დასაფარავად თავის გასამართლებლად და სახის შესანარჩუნებლად ძალაუფლება ალიბს ეძებს.

11129. ძალაუფლებას არ შეუძლია შური რომ არ იძიოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისივე მომხრენი გაწირავენ.

11130. ძლიერი ხელისუფალი სუსტი ძალაუფლების ხასიათს ავლენს, თუ თავის ჩანაფიქრს დროს და გარემოს შესაძლებლობებს ვერ ურგებს.

11131. სახელმწიფო მოწოდებულია იზრუნოს, რომ მისმა მოქალაქეებმა ფული საკუთარ ქვეყანაში დააბანდონ და სხვა ქვეყანაში უაზროდ არ გაფლანგონ.

11132. ქვეყნის მმართველად ის უნდა ავირჩიოთ, ვისაც ამ თანამდებობაზე ყოფნა, სასჯელადაც მიაჩნია და საჯილდაოთაც.

11133. სახელმწიფოს მართვას დიდი გული და მომთხოვნი ხელისუფლება სჭირდება, რომელიც ქვეყანას მოაწესრიგებს და ხალხიც გაუგებს.

11134. სახელმწიფოს უმთავრესი დანიშნულებაა ყველას მისცეს თავის შრომის და მცდელობის პროდუქტის გაყიდვის საშუალება და დაეხმაროს მის რეალიზაციაში.

11135. მთავრობის კრედო უნდა იყოს: ,,ბოზ დედამთილს რძალი არ გაუბოზდება“ და ძირითადი მოვალეობა – ბიუჯეტის უდანაკარგო შევსება.

11136. ხელისუფალი ქვეყნის ტვირთის აკიდებისას უნდა დაფიქრდეს, ეყოფა კი ტალანტი რათა ხალხს და მის ტრადიციებს თავისი ნიჭი და მცდელობა გადაუნაწილოს.

11137. ხელისუფლება, პირველ რიგში სამსახურია, თანამდებობის, სკამის, პატივმოყვარეობის, რათა მისი სახელი ქვეყნის ისტორიას სასიკეთოდ შემორჩეს.

11138. სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს ცოტა კანონები, გადამჭრელი ქმედებანი და პროფილაქტიკის საწყისი.

11139. ძალაუფლების ღირებულებათა სავარძელში არ შეიძლება ‘‘თორმეტი ვერცხლის‘‘ საფასურად ვირეშმაკობაც არ ერიოს.

11140. ძალზე ძნელია ყოველდღიური მლიქვნელობა, მაგრამ ეს სარფიანად გათავისებული აქვს სახელმწიფო მოხელეს, ბიუროკრატს.

11141. მოხელეებს ფულის მოხმარება დაუთვლელად უყვართ, ხოლო მათ ,,დამქირავებლებს‘‘ განსჯა და ნაღდი შემოსავლის კაპიკ-კაპიკ

დათვლა, მაგრამ რისთვის იწუხებენ თავს, თუ არაფრის შეცვლა არ შეუძლიათ, მათთვისაც უცნობია.

11142. ბიუროკრატია და მოხელეთა ინსტიტუტი ის სარეველაა, როგორც არ უნდა მოცელო – მაინც მრავლდება.

11143. სახელმწიფო ორგანიზაციას ბევრი მომხიბვლელი მხარე აქვს, მაგრამ მომსახურე პერსონალი ჰყავს დიდგული და უმადური.

11144. ემიგრაცია ის დასამარებაა, რომელსაც შენი ახლობლები არ ესწრებიან.

11145. ყველა ხელისუფალი ქართველი თავისი სიჯიუტის, ამპარტავნობის და „მეს" მონაა.

11146. ხელისუფლების მთავარი საზრუნავი ქვეყნის ეკონომიკაზე მოსარგებად ხალხის ტალანტის გონიერი გადანაწილებაა.

11147. ყველა ძალაუფლების ურჩხულს, გველეშაპს, მსოფლმხედველობის საწყისების სწორად გაგება და ხალხის სასიკეთოდ მოთარგმნა აკლია.

11148. ხალხს აგდებულად ყველაზე მეტად ის მთავრობა ეპყრობა, რომელიც ნახევრადკრიმინალური და მოჭარბებული მცდელობით, მასების უპრეცედენტო დახმარებით ქვეყნის სათავეში მოვიდა.

11149. ქვეყნის მმართველს სატანის აზროვნება უნდა ჰქონდეს, ტარტაროზივით მოქმედებდეს, ეშმაკობის უნარი უნდა შესწევდეს და თავის ცოდვებს და გადაცდენებს სხვისი სახელით უნდა ინანიებდეს, ოღონდ ერთის პირობით, ძალაუფლება და ქვეყანა მას თავზე მეტად უნდა უყვარდეს.

11150. გვირგვინი, შტანდარტი, დროებითი ძალაუფლების სიმბოლოა და ეს ყველა მის დღევანდელ მფლობელს უნდა ახსოვდეს.

11151. ძნელია როდესაც სათავეში ბუნებით ნაძირალა მოდის, მაგრამ უფრო ძნელი გადასატანია, როდესაც ტაშს უკრავენ და გუნდრუკს უკმევენ.

11152. უკანგორების ინსტიტუტი ხელისუფელბისთვის იმდენად სარფიანია ალიბით, რომ უარის თქმას ის ვერ მოახერხებს, თუ მათში ქვეყანაზე გადამკვდარი, შემთხვევით რეფორმატორი ხელისუფალი არ გამოერია.

11153. ჩვენ ვართ „ქაქები" და არა ხელისუფლება, რადგან მას უფლება მივეცით თავზე დაგვაქაქოს.

11154. არც ერთი ხელისუფლება თავის ბედის ბატონ-პატრონი არ არის, რადგან ყოველივეს დრო, შემთხვევა და გამბედაობა წყვეტს.

11155. სახელმწიფოს მოვალეობა ისიც არის, რომ ხალხი „მოჭარბებული" მზრუნველობით არ უნდა გააღიზიანოს, შეაწუხოს.

11156. სამწუხაროდ, პარლამენტის თავმჯდომარის შესაძლებლობები უფრო მცირეა, ვიდრე ორკესტრის დირიჟორის, სადაც ოპოზიციისაგან განსხვავებით, მუსიკოსთა მიმართ გაცილებით მკაცრი მოთხოვნებია.

11157. გაუბედავ პოლიტიკას, უგნურ ეკონომიკას, სიახლის შეუმჩნევლობას, ქლესობას, ოპონენტებთან ყსიდად თამაშს, ქვეყანა ნგრევამდე მიყავს.

11158. მთავრობაში მუშაობა ადვილი არ არის, მაგრამ არც დასაწუნებელი ჭირს რამე.

11159. მთავრობის შემჩნევა არ არის მთავარი, მთავარია მან შეგამჩნიოს და ამ ქვეყანას გამოადგე და გამოიყენო.

11160. შემთხვევითია ყველა ის პრეზიდენტი, ვინც უსაქმობისგან „ყ...ბში მახათს იყრის", რადგან მისი ნიჭი და შესაძლებლობა ქვეყნის მართვისთვის ნულის ტოლია.

11161. მთავრობა ხშირად განიცდის ინტელექუალურ კრიზისს, რადგან ცხოვრების გამოცდილება და მისი მომხიბვლელობის აღქმა აკლია.

11162. სანიმუშო ხელისუფალია, რომელიც შემცვლელად ღირსეულ კაცს ამზადებს და ზურგში დანის ჩარტყმის არ ეშინია.

11163. იმ ქვეყანაში, სადაც ძალაუფლება რეალურ მომავალზე ფიქრობს, ამბოხი და ბუნტი გამორიცხულია.

11164. სიფხიზლე ქვეყნის უსაფრთხოებასაც იცავს და ხელისუფლების ავტორიტეტსაც.

11165. ხელისუფლის მიერ სიტყვით წესრიგის ქადაგება და არა – საქმით, პირფერობა, ჩასაფრება, ყველაფრის მიმართ გულგრილობაა, განსაკუთრებით, საკუთარი თავის წინაშე.

11166. მოხერხებული ხელისუფალი ხასიათს დროის და რწმენის შესატყვისად თავის ინტერესებიდან გამომდინარე იცვლის, მაგრამ სწორედ მისი ქმედების წინასწარი განსაზღვრაა მისთვისვე საძნელო და ზოგჯერ ამოუხსნელიც.

11167. სახელმწიფო ინტერესებს ხშირად ის ხალხი პასუხობს, რომელიც თავიდან სიმპატიას არ იმსახურებდა და ტაშ-ფანდურით ვიღაცის ზურგს არ იყო ამოფარებული.

11168. სიძუნწეს ის „ნაკლი" აქვს, რომ ქვეყანას ყირათიანად მართავს.

11169. ხელისუფალის სიძულვილს ქვეშევრდომთა ერთ მეოთხედზე მეტი არ უნდა განიცდიდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მან მართვის სადავეები სხვას უნდა გადააბაროს.

11170. გულმოწყალება რაც უნდა მომგებიან ქულებს აგროვებდეს, ქვეყნის სამართავად არ გამოდგება. აუცილებელია ზომიერი სიმკაცრე.

11171. გადამეტებული გულმოწყალება ძალაუფლების ,,ბოროტად" გამოყენებაა.

11172. მთავრობა თუ ხალხს გულზე არ ეხატება, მისდამი რიდი მაინც უნდა ჰქონდეს და არ უნდა სძულდეს.

11173. ხელისუფლება ყოველთვის უნდა ქადაგებდეს მშვიდობას, ერთგულებას, ურთიერთსიყვარულს და ქვეყნის ინტერესებს უსადაგებდეს.

11174. ხელისუფლებაში ერთდროულად უნდა იდოს მძვინვარე ლომის, ეშმაკი მელას და ჯიუტი ვირის ხასიათი, თუ უნდა ქვეყანას არგოს.

11175. ხელისუფლება სპარტელების გაგებით ეს არის თანასწორუფლებიანი საზოგადოება, თვითმომსახურებით და არა ერთს მეორის დამორჩილებით – შედეგი სპარტა რპგპრც სახელმწიფო გაქრა.

11176. შეიძლება ხელისუფალი რეფორმატორი არ იყოს, მაგრამ სამუშაო ადგილების შექმნა, მეზობელ ქვეყნებთან კეთილი ურთიერთობის დამყარება, უნდა შეძლოს, ხალხს გამრავლებისკენ მოუწოდოს.

11177. ღმერთს უამრავი სულელი და შერეკილი ჰყავს და მათი ქვეყნის საკეთილდღეოდ გამოუყენებლობა დანაშაულია, რადგან ხელისუფლებას ქვეყნის სამართავად სწორედ ასეთი დამყოლი, უგერგილო და უნიჭო ხალხი სჭირდება.

11178. ზიზღს ხელისუფლების მიმართ აღგვიძრავს: გაუბედაობა, ყოყოჩობა, უნიათობა და იმის შეგნება, რომ ის გამოუსწორებელია.

11179. დანაშაულია, როდესაც ხელისუფლებაშია ადამიანი, რომელიც პრეტენზიულიცაა, წარმოდგენა აქვს თავზე და სინამდვილეში ავყია და უმაქნისია.

11180. სახელმწიფო აპარატი მმართველობის გვარდიაა, რომლის მენტალიტეტი და შრომისუნარიანობა წლობით ყალიბდება და მისი ასე ადვილად რეფორმირების უფლება არავის აქვს, რადგან მცდელობა კრახით მთავრდება.

11181. სახელმწოფოს უმთავრესი დაავადებაა: უყურადღებობა ხალხის მიმართ და მათი სიცოცხლისუნარიანობისადმი გულგრილობა.

11182. სახელმწიფო მოვალეა – სამუშაო ადგილები და ელემენტური ცხოვრების პირობების დაძალებით შექმნა და მასა აიძულოს, რომ უკეთ იცხოვრონ.

11183. სახელმწიფოებრიობის უმთავრესი მსაჯულია: ბავშვებზე, ინვალიდებზე, პენსიონერებზე ზრუნვა და ჯანმრთელობა, განათლების,

კულტურის, დაფინანსების ოდენობა და არა – რამდენია ბიუჯეტის შემოსავალი და ქვეყნის ოქროს მარაგი.

11184. სახელმწიფო ინსტიტუტის დანიშნულებაა მოქალაქეებს მისცეს საშუალება, რათა თავიანთი შესაძლებლობები მაქსიმალურად წარმოაჩინონ და უნიათობა მინიმუმამდე დაიყვანონ.

11185. მწერლობა, ხელოვნება, მეცნიერება, მისიაა, ხოლო ხელისუფლება მოწოდებულია საქმიანობაში მათ ხელი არ შეუშალოს და ზოგჯერ მოეფეროს.

11186. მოხელე ყველაზე მეტ წყენას და შიშს მაშინ განიცდის, როდესაც მის მცდელობას არ აფასებენ და თან საქმიანობაში სარფს ვერ ნახულობს უნიათობის გამო.

11187. პასუხისმგებლობა და ხელისუფლება სინონიმებია, მაგრამ ამ უკანასკნელს ხშირად თავს გასდის და თავსაც არ ივიწყებს.

11188. ხელისუფლება ნარკოტიკია, სულიერების გარეშე.

11189. ჩინ-მედლები რომ არ გამოეგონათ, ადამიანის დამსახურების ვალს მთავრობა ვერასოდეს გადაიხდიდა.

11190. ხელისუფლება მოწოდებულია ხალხს კანონის პატივისცემა ასწავლოს. განათლება მიაღებინოს, გადასახადის გადახდას შეაჩვიოს, ფულის ყადრი აგრძნობინოს და მოზომილი კვების იმუნიტეტი გამოუმუშაოს.

11191. მელას კუდი, ლომის ჩასაფრება, არწივის გამოხედვა და გველის გონება ძალაუფლების ძირითადი ატრიბუტია.

11192. სახელმწიფოს ორდინალურად მართვისას ხალხი დუნდება, ქვეყანას რუდუნიზმი ეძალება. არაორდინალურად – ქვეყანა სწრაფად ფეხზე წამოდგება, მაგრამ შანსიც რჩება ნაგვიანები იმიჯი და ძლიერება დაკარგოს.

11193. მთავრობა ვალდებულია დაძალებით, ,,ქრთამის'' გაღებით, ,,მასმედიის'' გამოყენებით, მოსახლეობის ნაწილი აიძულოს ის აკეთოს, რაც ქვეყნის სამომავლო ინტერესებისთვის აუცილებელია, იმის მიუხედავად, საზოგადოების დღევანდლი მენტალიტეტი მის მხარესაა თუ არა. მაგ.: ერის კვლავწარმოების, გამრავლების, საკითხი.

11194. საგიჟეთის გარეშე სახელმწიფო ვერ იარსებებს, ხოლო მათი ოდენობა ხელისუფლების ნება-სურვილმა უნდა განსაზღვროს.

11195. ხელისუფლების ამოცანა გონიერი ხალხის შერჩევაა, მათი წარმოჩენით, დაჯილდოებით და ზომიერების მათრახის გატყლაშუნებით.

11196. სტატისტიკაც ძალაუფლების საყრდენია ხალხის დასამშვიდებლად და დასამოძღვრად.

11197. ქვეყნის მოხელეს, ჩინოვნიკს, გამოცდილებასთან ერთად ,პატ-რიოტი გული უნდა ჰქონდეს.

11198. უგვანო მთავრობასა და ,,ქაქს'' შორის ის მსგავსებაა, რომ ორივე ზედაპირზე ტივტივებს და მათი დანახვა არავის უნდა.

11199. ძალაუფლება მაშინ არის მოსაწონი, თუ მოქალაქეებს აძ-ლევს უფლებას ქვეყანას თავის შესაძლებლობით ემსახურონ და თავა-დაც გვერდში უდგას.

11200. ძალაუფლება ხალხის მენტალიტეტის სინონიმია, მოსწონს ეს აქსიომა ვინმეს, თუ არა.

11201. მთავრობის მიმართ აღფრთოვანებს – წუთიერია, სიფვარუ-ლი – დროებითი, სიძულვილი – მუდმივი, განსაკუთრებით, თუ ფეხი დაუცდა და ძველებურად ვეღარ თამადობს.

11202. მთავრობა ხშირად უშვებს შეცდომებს გამოუცდელობის და არა უგნურების გამო.

11203. გონიერი მთავრობისგან ოპოზიციისთვის ყურის აწევა ადვი-ლია, მათივე შემოთავაზებული წინადადების აღსრულებას მასვე დააკის-რებს და ამით შეუძლია ,,ორი კურდღელი'' გააგოროს: ოპოზიციასაც მოიმადლიერებს და ხალხს სიქველეს კიდევ ერთხელ უჩვენებს.

11204. ძალაუფლება ყველაზე დიდი მონაპოვარია, თუ ქვეყნის თა-მადობას კისრულობ და ამის ნერვები და მცდელობა შეგწევს.

11205. ყველაზე დიდი დანაშაულია ,,უნახავმა რა ნახას'' მთავრობა-ში მოწვევა და მისი სარფიან თანამდებობაზე დასმა.

11206. ძალაუფლება მომხიბლავ საწამლავის შესხმაა, რომელიც კარიერას ადრე თუ გვიან სიცოცხლეს უსწრაფებს, რადგან განგების ეს ნება სამართლიანობა–უსამართლობის ალგორითმზეა დამყნობილი.

11207. სახელმწიფო აპარატი მანამ იქნება ბიუროკრატიული და გამომძალველი, სანამ მას ოფიციალურად არ მიეცემა უფლება სიახლის დანერგვაში ფული ,,იშოვოს'' პრემიის და წახალისების სახით.

11208. საყრდენის გარეშე ხელისუფლება ვერსად ვერაფერს გახდე-ბა, თუ ამ დროისთვის ბრბო გასარყნელად მზად არ არის.

11209. ხელისუფლებისთვის დიდი სირცხვილია თუ ისეთი კანონი ვერ გამოთხარა, ქვეყნის ბიუჯეტი რომ უდანაკარგოდ შეავსოს.

11210. ზოგჯერ ხელისუფლება იგივე ბანდაა, კანონის უსუსურობას და ბრბოს უგნურებას ამოფარებული.

11211. გონიერი ხელისუფალი ქვეყნის მომავლისთვის უნდა იღვწო-დეს და არა დღევანდელობისთვის, რომელსაც თანამედროვენი სწრა-ფად ივიწყებენ და ქოქოლასაც გაყრიან. მაგ.: პეტრე დიდი, გიორგი

ბრწყინვალე და სხვანი, რომელთა ქმედება ყოველთვის მისაღები არ იყო თანამედროვეთათვის.

11212. კარგად გაწვრთნილი ნაგაზი მოხელე პატრონს, უფროსს, სახეში უყურებს, ხოლო ცუდად აღზრდილ-აღზევებული ძაღლი და ხელისუფალი პატრონს და ქვეშევრდომს – ქვევიდან უყურებს.

11213. სახელმწიფოს მიზანი არ უნდა იყოს სხვა ქვეყნების გაერთიანებაში ინტეგრაცია – შეტენვა. მას იქ უნდა იწვევდნენ, ხელგაშლილი უნდა ელოდებოდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის მუდამ ამ თავშეყრის უცხო სუნელად დარჩება.

11214. სახელმწიფო მოხელე ფლიდი და წინდახედული უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი სამსახური არც ქვეყანას გამოადგება და არც მასში მცხოვრებთ.

11215. უწიგნური ხელისუფლება თავხედობს წინაპართა წინაშე, რადგან მათ მიაჩნიათ, რომ მათგან განსხვავებული მათ არაფერი უკეთებიათ და არც უჩალიჩიათ.

11216. რადგან მთავრობა თავხედობას და ქვეყნის ბიუჯეტში გასვრილი ხელის გალოკვას ვერ იშლის ერთი გამოსავალია: ჯობს ფულის საშოვნელად მათ ქვეყანაში ყოველი ახალი სამუშაო ადგილს შექმნიდან გარკვეული პროცენტები გამოეყოთ.

11217. სახელმწიფოს მართვა ,,სმენადობის მეკობრეობის'' გარეშე ჭირს, რადგან მმართველმა წინასწარ უნდა იცოდეს ,,აცვენილი ხალხი'' რა სისულელეს ჩადენას აპირებს.

11218. ხელქვეითის სამსახურის ხელოვნებაა უფროსს თავისი იდეების გენერატორად გამოიყენოს – დააჯეროს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელისუფალის თავმოყვარეობა ამის უფლებას არ მისცემს.

11219. ,,ენას ძვალი იმიტომაც არ აქვს'', რომ ვინც აწმყოში ხელისუფალია, ის აკონტროლებს ერის წარსულის და მომავლს გარკვეულ დრომდე.

11220. მართალი მთავრობა ნაჯახია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის უნივერსალური და მოქნილი არ არის და მისი მოხერხებული ხმარებით მორიდან ცულის ტარს არ გამოთლის.

11221. ხელისუფლებას არ სურს იმის აღიარება, რომ დანაპირებს ვერ ასრულებს, რომ ამომრჩეველი მოატყუა, მაგრამ ყოველწლიურად სავალდებულო ანგარიშში, ქვეყნის მდგომარეობის შესახებ ღობეყორეს ედება და ადგილის შენარჩუნებას ცდილობს.

11222. რაც მეტად გიყვარს მთავრობა, მით უფრო მკაცრად გექცევა და ერთგულების უფრო მეტ დადასტურებას ითხოვს.

11223. ხელისუფლების დანიშნულებაა მოქალაქის სული არ გარ-ჯნას, არ გახრწნას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჯელა მისი სასიკეთო მცდელობა ფარსს დაემსგავსება და ადრე თუ გვიან ადამიანი გადაგ-ვარდება, ხოლო ქვეყანა ან გაქრება ან დაკნინდება.

11224. ძალაუფლებისათვის მთავარი უნდა იყოს ცივილიზაციის მო-ნაპოვარის დაცვა და ტექნიკური პროგრესის წინასვლისთვის ხელის შეწყობა და არა სარეანიმაციოდ გამზადებული ტრადიციებზე და ნაცი-ონალიზმზე ყურის გამახვილება და ენის ქავილის დაკმაყოფილება.

11225. ქვეყნისთვის ბედნიერებაა, თუ ქვეყნის პრეზიდენტი ოპოზი-ციას აშინებს, გადავდგებიო, ისინი კი არ ეთანხმებიან.

11226. ძალაუფლება ძლიერი ნარკოტიკია, მისგან განთავისუფლება შესაძლებელია კარიერის სილის თავში წამორტყმით და კანონის დახ-მარებით, რადგან ყოფიერების რეალობას ის შინაგანად ვერ ეგუება.

11227. სახელმწიფო დამთრგუნავი ინსტიტუტია და არა აღმზრდე-ლი, რადგან ეს უკანასკნელი შაბლონებით მართვის შემოღებას არ ექვემდებარება.

11228. ხელისუფლებას მოუსყიდავი სამართლის და ჭეშმარიტების დადგენის უნარი რომ შესწევდეს, მაშინ არც მეცნიერება და არც რელიგია არ იარსებებდა.

11229. ქვეყანაზე შეფარებული ხელისუფლისთვის, პრეზიდენტობა პატივმოყვარული სასჯელია, რომელიც მან ღირსეულად, მომდევნო თაობებისათვის კეთილად დასამახსოვრებელი შნოთი უნდა მოიხადოს.

11230. მთავარია ხელისუფლებამ სულიერებას კვანტი არ გამოს-დოს, თორემ კანონის დაცვა და სიახლისკენ მისწრაფება ამოღებული ხმლით უნდა დაიცვას, რათა ბოლოში რეფორმების შედეგით კმაყო-ფილი დარჩეს.

11231. ნეაგტიური ქმედებებისთვის, დაბადებულნი გამოსწორებას იშვიათად ექვემდებარებიან, ამიტომაც ძალაუფლებას აქ სჭირდება მო-ხერხებულობის გამომზეურება, რათა ჯელანი ძალით დაასაქმოს და ქვეყნის ბიუჯეტის შემავსებლად მოგვივლინოს.

11232. გვინდა თუ არა, ხელისუფლება ქვეყანას მაინც თავის ჭკუაზე მართავს, მაგრამ აქ მთავარია მისი თვითნებობა არ დავუშვათ და ხალხი ღვთის მოიმედედ არ დავტოვოთ.

11233. ქვეყნის ხელმძღვანელი რეფორმატორი უნდა იყოს და არა მხოლოდ ძალაუფალი.

11234. ხელისუფლებისთვის მთავარი შედეგია და არა პროცესი, რადგან პირველს, მეორისგან განსხვავებით, ბევრ რამეს პატიობენ და რაღაც-რაღაცეებზე თვალსაც ხუჭავენ.

11235. ხელისუფლებას თავისი მანკიერების ბანქოს დასტიდან ყოველთვის უნდა შეეძლოს მისთვის სასურველი მინისტრის, ქვეშევრდომის, მოულოდნელი დაძრობა, რათა გარკვეული გაკვირვება და სიმპათიები დაიმსახუროს ხალხში.

11236. ძალაუფლებამ ყოველივე კარგად და გონივრულად უნდა აკეთოს, შთამომავლობიდან დაწყებული პოლიტეკონომიით დამთავრებული.

11237. ხელისუფალი არავის გავლენის ქვეშ არ უნდა იყოს, არჩეული იქნება ის თუ მონარქი.

11238. რადგან ძალაუფლება ,,სახრავიც არის და საცოხნარიც'', მასში ნებისყოფის მქონე ხალხი უნდა მონაწილეობდეს, რათა თავის ნიჭი და შემართება ისე გამოიყენოს, ზემდგომი არ გააბახოს, ძალაუფლება არ გადამლაშოს და ხალხსაც ანგარიში გაუწიოს.

11239. ძირითადად ხელისუფლებაზეა დამოკიდებული საზოგადოების ღირებულებათა შეფასება-გადაფასება. თავის დროზე მოსკოვის მერს რომ არ აეკრძალა ქალაქში კორიდის გამართვა, ვინ იცის რუსი კაცის ხასიათის გადამკიდეს დღესდღეობით რამდენი ხარი შეეწირებოდა ამ სანახაობას, რომელიც უცხოა რუსი კაცის ბუნებისთვის.

11240. ყველა მთავრობა თავისებურად ბაცანა, ქურდი, მექრთამე, რეკეტია, მაგრამ მთავარია რამდენად შეუმჩნევლად და მოხერხებით სჩადის ამას, ისე, რომ ხალხს არ აბუნტებს.

11241. ხელისუფალის ხასიათი, ბუნება, გარეგნობა იბადება და შემდეგ გვევლინება თავად ადამიანი თავისი გენით და ბედით.

11242. ჭეშმარიტებასთან ჩალიჩის უფლებას ხელისუფლება იტოვებს, მიუხედავად იმისა, რომ მას ეს საქმე ხელი არ ემწიფება.

11243. ხელისუფლება, რომელიც სამუშაო ადგილების შექმნაზე, ეკონომიკის განვითარებაზე და ბიუჯეტის შესრულებაზე უხერხემლოდ ზრუნავს, დაბალი რანგის და ნიჭის ,,ჩინუშათა'' რიგს მიეკუთვნება, რომელიც დროულად უნდა იქნეს მოკვეთილი.

11244. ძალაუფლება, რომელიც მომავლის შედეგზე არ ფიქრობს და აწმყოსთვის მისაღებ ორჭოფულ გადაწყვეტილებას იღებს, დანაშაულს ჩადის შთამომავალთა წინაშე.

11245. ხელისუფლება, შემართების და პასუხისმგებლობის გარეშე, ნულის ტოლია და ამ აქსიომას რატომღაც ძლიერნი ამა ქვეყნისა ყოველთვის ვერ ითვალისწინებენ.

11246. ხელისუფლების უნდა გვეშინოდეს, თუ კანონს არ ვემორჩილებით, ხოლო უნდა გვერიდებოდეს, თუ საქვეყნო საქმეს აკეთებს.

11247. სახელმწიფო გეოგრაფიული ტერმინი კი არა, ქვეყნის მდგრადობაა და ხალხის ქველობის ოდენობის მაჩვენებელია.

11248. სახელმწიფოებრიობა მაშინა გვაქვს, როცა მუზის და ბიზნესის მსახური ყველა მასთან შეხვედრას და პატივის მიგებას ცდილობს.

11249. სახელმწიფო ადამიანის აღზრდაზე და ცივილიზაციასთან მის შერწყმაზე უნდა ზრუნავდეს, რათა მათი დაახლოება გაუგებრობაში არ გადაიზარდოს.

11250. ყველა მცდელობას თავის პროფესიის კაცი სჭირდება და მათი შერჩევა და საქმეზე მორგება ყველა ხელისუფალებისთვის დილემაა.

11251. ხელისუფლებისთვის ყველაზე უარესი ქვეშევრდომთა თავხედობაა, რადგან ისინი უსარგებლონი ხდებიან. ასევეა ახლობელთა ურჩობა, რითაც მის ავტორიტეტს, უნებლიედ, ლაფში სვრიან.

11252. მშიერ-მწყურვალის დაპურება მთავრობის საქმეა, არამარტო სასუსნავით, არამედ მათრახითაც, რადგან უნიათობის მიზეზი ხშირად თავადვე არიან.

11253. რესტრუქტურიზაცია მთავრობის ყველაზე დიდი ბაზარია, სადაც თანამდებობებით ვაჭრობასთან ერთად, საქმეში ქრთამიც გადის და ფულის უკანგორებაც.

11254. უნიათო, უძლური ქვეყანა სახელგაბახებულია, ძალაუფლება და ხალხი ურთიერთგადაბრალებაშია და თავიანთი უსუსურობის მიზეზს სხვაგან და სხვასთან ეძებენ.

11255. მელას ბუნება ყველა ხელისუფლისთვის აუცილებელია, რადგან მარტო მგლობით, ლომობით, ქვეშევდომებთან ვერას გახდები.

11256. სამუშაო ადგილების შექმნას მოხერხება, გამომგონებლობა, მცდელობა, დახმარება, სჭირდება მთავრობის მიერ და არა – მხოლოდ დაპირება.

11257. მთავრობას თუ დასჭირდა მუნჯობის გარდა ყრუცაა, ბრმაც, უგრძნობიც, უთავმოყვაროც, ჩურჩუტიც, მაგრამ თავის დაღუპვა თუ არ უნდა, ეს დიდხანს არ უნდა გაგრძელდეს.

11258. მრუდე გზაზე დამდგარი ქვეყნებიც არსებობენ, სადაც მღვრიე მმართველობაში რაიმე სახეიროს დაჭერა არც ისე ადვილია, როგორც თავიდან გვეჩვენებოდა.

11259. მთავარია კაპიტალი არ აფეთქდეს, თორემ ალი ყოველთვის აუვა ხელისუფლების დახმარება-განრისხების შესატყვისად.

11260. ხელისუფლებას არა აქვს უფლება მასას ზევიდან უყუროს, რადგან მისი სკამზე წამოსკუპება ხალხის თავდაბლობის ბრალია.

11261. ზოგიერთი ხელისუფალი კანონმკვნეტელის როლში გვევ-ლინება, მარლთმსაჯულების გამკაცრებას ცდილობს და ივიწყებს, რომ კანონს მიღმა ადამიანი და მისი ახლობლებია.

11262. ძალაუფლებისაგან ,,ძუძუმწოვართა'' მოშორება შეუძლებე-ლია, რადგან მათ გარეშე ვერ იარსებებს.

11263. ძალაუფლების გახამება შეუძლებელია, შეიძლება მხოლოდ ამომრჩევლის გონებამ თეთრად შელებოს.

11264. ნარკომანია, ნარკოტიკი, ნარკოგარყვნილება, დიდი ხანია ჭირს მოგვჭამდა, ხელისუფლებიდან ნარკოვიგინდარები და მათი ჩუმი მხარდამჭერნი რომ მოგვეშორებინა.

11265. ხელისუფლება ისე არ გადემოკრატდება, რომ თავისი სარ-თი – ,,საჩიჩქნი'' არ დაიტოვოს.

11266. უგვანი მთავრობა ხალხს იმიტომაც არ ასაქმებს, რომ არ გაიფიცონ, ხელფასის მომატება არ მოითხოვონ, რათა ალიბი ჰქონდეს: რას აკეთებთ, რა მოგცეთო!

11267. ხელისუფლების ხომალდი მგზავრთა ნაკლებობას არასოდეს განიცდის.

11268. თანამდებობის სკამი, რაც უნდა წესიერი და პატიოსანი კაცი იჯდეს, მაინც ქრთამით არის დანალმული.

11269. მიკროფონს მაშინ შესწევს ძალა, თუ მას კარიერა და ძალაუფლება ახმოვანებს და ზურგს უმაგრებს.

11270. კორუფციას და უკანგორებას ძალაუფლების სასუფეველში ყველგან მაშხალას უნთებენ.

11271. სისხლის წყურვილის სიმპტომების განვითარება ცუდი აღ-ზრდის და უგვანო ხელისუფლის ბრალია.

11272. სამწუხაროდ, ძალაუფლების სკამი ქვეყნის მართვას ვერ გვასწავლის, ამისათვის უნდა დაიბადო.

11273. ხელისუფლება სიკეთეს არ იმახსოვრებს და ბოროტებას ვერ ივიწყებს.

11274. ყველა ძალაუფლება ბოლოში კუდის მოქნევას ცდილობს და ჩუმად მიიპარება.

11275. გონიერი ხელისუფლების ხელში ერებს, ხალხებს, შური და შულლი მიძინებულიც აქვთ და მივიწყებულიც.

11276. მთავრობას პანაშვიდებზე სიარული და გულის მოოხება უფ-რო ეხერხება, ვიდრე საქმის კეთება და პანაშვიდამდე საქმის არმიყვანა.

11277. ნიჭიერი ხალხის ყოლა კარგია, მაგრამ მათი დასაქმება, გამოყენება ხელისუფლიდან დიდ შემართებას და ტვინის გატანჯვას მოითხოვს.

11278. ჩვენ ხშირად არ მოგვწონს, ხელისუფლება რომ უსამართლოდ იქცევა, მაგრამ იმ გარემოში სხვანაირად მოქცევა არ შეიძლებოდა.

11279. ზოგჯერ სახელმწიფოს ისეთი ხელისუფალი დაეპატრონება, ხალხი კი არა, ქვეყანა ეძებს თავშესაფარს.

11280. ხელისუფალი გონიერია თუ არა, ხალხი მაინც წაგებულია, ან დროებით ან ხანგრძლივად, რადგან ერთიდაიგივე ხელისუფლებას ხალხი დიდხანს ვერ იტანს.

11281. ყველა ზომის სამარის გათხრა შეიძლება, თუ ხელისუფლება დაინტერესდება.

11282. ძალაუფლების კრახი მაშინ იწყება, როდესაც გენია და ეგოიზმი კონტროლის გარეშე რჩება.

11283. რატომღაც ხელისუფლებას აქვს უფლება ქვეყანა ცუდად მართოს და ამისათვის კანონის წინაშე პასუხი არ აგოს.

11284. ხალხს აქვს უფლება იყბედოს, ისულელოს, გული მოიფხანოს და ამით გაერთოს, ხოლო მთავრობამ ყველა ადამიანური სისულელე უნდა დაივიწყოს და ეცადოს თავისი სამსახურით ხალხის გული მოიგოს.

11285. ხელისუფლება არც დაცინვას იმსახურებს, არც თავის დახრას და არც უაზრო შემართებას.

11286. ყველა ძალაუფლება მხდალია გაავებული ბრბოს წინაშე.

11287. ოპოზიცია, რომელიც ხელისუფლებას კრიჭაში უდგას, წინააღმდეგი არ არის, სასუსნავი ადგილი დაიკავოს მთავრობაში.

11288. ხელისუფლება ქვეყნის მართვის თავისებური ლატარეაა, რომლის თამაშსაც დროულად უნდა შეეშვას, რათა ხალხს არ მობეზრდეს.

11289. ძალაუფლების სასიკეთოდ გამოყენება და საქმის კეთებაა ძნელი და არა – ბოროტად და ხელის მოთბობით.

11290. ხელისუფლების გონივრულ ფორმებში ოპონირება მისი ყველაზე დიდი მხარდაჭერაა.

11291. ხელისუფლების მოვალეობაა ძველი რწმენის დაბრუნება ან არსებულის განმტკიცება.

11292. მთავარია მიზანი და არა შანსი, რომლის ხელიდან გაშვების უფლება იშვიათად აქვს ხელისუფლებას.

11293. უგვანო მთავრობას არ უნდა გავაგებინოთ, რომ დედამიწა ბრუნავს, თორემ „კატაობის“ ფულსაც გადაგვახდევინებდნენ ბიუჯეტის შესავსებად.

11294. ინფლაცია ხელისუფლების უგერგილობის და ხალხის გულგრილობის შედეგია, რადგან ორთავეს საქმე ფეხებზე ჰკიდია.

11295. ხელისუფალს ტაშის დამკვრელი სჭირდება და არა – თითის დამქნევი, ალიყურის მჭმეველი.

11296. ხელისუფლება ხალხის დაშოშმინებაზე უფრო ფიქრობს, ვიდრე მის კეთილდღეობაზე.

11297. ულიმღამო ხელისუფალი იმ კანონებით ფიქრობს ქვეყნის მართვას, რომელშიც ხეირიანად თავად ვერ ერკვევა, მაგრამ გამოსცემს და ჰგონია, ამით საქმეს აკეთებს და ძალაუფლებას ინარჩუნებს.

11298. ქვეყნის მართვის ამომავალი წერტილია: სიბრძნე, ეკონომიკა, სამართლიანობა, მომავლის ხედვა, შეფუთვნილი სათანადო ნიჭში.

11299. ძველი ხელისუფლება, ძირითადად, მაკიაჟის კეთებითაა გართული. სწორედ ეს არის მისი უმთავრესი საზრუნავი და არა სიახლის შემოტანის და საქმის უკეთ კეთების მცდელობა.

11300. ზოგს ქვეყანა გულით უყვარს, ზოგსაც სათარეშოდ უნდა. მათი გაწონასწორება და კანონზე მორგება არის სახელმწიფოზე ზრუნვა.

11301. ჰალსტუხიანი ვირთხების ოპტიმალური ოდენობა და მათი საქმისადმი ერთგულების იმიჯი განსაზღვრავს სახელმწიფოებრიობის ალგორითმს, ბიუჯეტის ოდენობას და მის პატიოსნად ხარჯვის ხარისხს.

11302. ქვეყანა, რომელიც კურტიზანი ქალივით პატრონის ძიებაშია, წუთიერი სიამოვნების და ფულის გამორჩენისათვის, ვერც ბედნიერ სახელმწიფოდ იქცევა და პრობლემებიც ექნება.

11303. ხშირად მთელი შემართებით ბოროტებას – სახელმწიფოებრიობის განმტკიცებას ვემსახურებით, რათა სხვა ბოროტებამ ფეხი არ გაიდგას და არსებული ბოროტება სანატრელი არ გაგვიხდეს.

11304. გონიერი ძალაუფალი არ შეიძლება მკაცრი და მომთხოვნი არ იყოს, მიუხედავად იმისა, რომ ეს საშინელი შრომა და თავთან ჭიდილია.

11305. ძალაუფალისათვის ყველაზე ძნელია საკითხის წინასწარ განჭვრეტით გადაჭრა, რადგან მისთვის მთავარი არ არის აწმყოში ვინ დარჩა უფრო მეტად მოგებული, მთავარია, მომავალში ვის დარჩება გამარჯვებული.

11306. სახელმწიფო მოღვაწე მოწოდებით ორგანიზატორი უნდა იყოს, გონებით შემოქმედი, ბუნებით პატიოსანი, მაგრამ არა – ანგელოზი, რადგან მისი ადგილი დღეს წარმოდგენაშიც წაშლილია.

11307. ძალაუფალი თუ თავისთვის სასარგებლოს არ ხედავს, საქმე მუდამ ჭიანურდება, და ეს „აქილევსის ქუსლია“ პოლიტ-ეკონომიკურად ამოუხსნელია სახელმწიფო მოხელის საქმიანობაში.

11308. სახელმწიფო აპარატი სავსეა ფარისევლებით, ხოლო მათი უფროსი თვალთმაქცია კვადრატში, რადგან სხვანაირად მათ მართვას ვერ შესძლებს

11309. ხელისუფლება ყოველთვის უნდა იღვწოდეს შთამომავლობისათვის, რადგან წინა თაობა, რაც უნდა პატივისცემას იმსახურებდეს, მაინც "წარსულის გადმონაშთია", იმისდამიუხედავად, რომ გადამეტება არც აქ ამართლებს.

11310. ხელისუფლება და ძალაუფლება უერთმანეთოდ დეკორაციაა და ასეთი მთავრობა არავის სჭირდება.

11311. ხელისუფლება სხვის აზრს მანამ უნდა იზიარებდეს, სანამ გადაწყვეტილებას მიიღებს, ამის შემდგომ მისი ოპონირების უფლება არავის აქვს, რადგან ეჭვი, ყბედობა, მეტ ზარალს აყენებს მიღებულ გადაწყვეტილებას, ვიდრე მასში შემჩნეული ზადი.

11312. ინფლაცია ხელისუფლების დანაშაულია, მაგრამ მას ამის გაგება არ უნდა.

11313. მთავრობას ანდო ინფლაცია-დევალვაციასთან ბრძოლა, იგივეა, რომ პოლიციას ანდო მასთან "შეკრულ" რეკეტთან ბრძოლა.

11314. ბიუროკრატს მოსმენის უნარი აქვს, მაგრამ გამორჩენის გარეშე არაფრის კეთება არ უნდა.

11315. ბიუჯეტი ქვეყნის სინდისი, ნამუსი, პატიოსნება და სიძლიერეა.

11316. ხელისუფლება თანახმაა განიხილოს ყველა წინადადება, სახელმწიფო აპარატის და გადასახადების შემცირების გარდა.

11317. ეტყობა, ხელისუფლება წინააღმდეგი არ არის გარკვეული ოდენობით ლოთები, ნარკომანები, ქურდები და სხვა ძაღლი-მამაძაღლი ჰყავდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვის დასჭირდებოდა მათი სამსახური, ამიტომაცაა, რომ მათ არ სპობს და ალიბად ჰუმანიზმს იშველიებს.

11318. ქველმოქმედება ხშირად ხელისუფლების დამსახურებაა, რომელიც საზოგადოებრივ საწყისებზე რომელიმე მდიდარს აჰკიდებს ამა თუ იმ „გუნდის" პატრონობას, ხშირად ქვეყნის ბიუჯეტისთვის საზიანოდ.

11319. ხელისუფლებაში საკუთარი სურვილით მოხვედრა პასუხისმგებლობა და თავისებური ციხეა, რადგან დაპირების შეუსრულებლობა კაცობის ღალატია და ის კანონით მკაცრად უნდა ისჯებოდეს (მაგალითად, დეპუტატობა, მინისტრობა, პრეზიდენტობა).

11320. განჭვრეტის, წინასწარმეტყველების, გაფრთხილების უნარის, მქონე ადამიანებს ხელისუფლება უნდა ვანდოთ, მაშინაც კი, როდესაც

მათი პროგნოზი ყოველთვის არ მართლდება – რადგან ისინი საქმეს გულით უდგებიან და „რას იტყვის ხალხის“ ალიბზე არ ფიქრობენ.

11321. სახელმწიფო რეფორმები უფრო პოკერის თამაშს უნდა ჰგავდეს, ვიდრე კაზინოში – რულეტკისას.

11322. ხელისუფალს ცინიზმიც უნდა ახასიათებდეს, ფანატიზმიც, საქმისადმი თავდადებაც და იუმორიც.

11323. სახელმწიფო, სამშობლო, ხალხი, სხვადასხვა პატივისცემას, სიყვარულს, თანადგომას მოითხოვს, მიუხედავად იმისა, რომ ის ერთი გააზრების შედეგად მიღებული ორგანიზმია.

11324. ქვეყნის მმართველი გონიერი, მოხერხებული, პატივმოყვარე, უნდა იყოს, მაგრამ არასდროს კეთილი და სახსრების უშნოდ გამცემი.

11325. ლიბერალურ ღირებულებებზე თუ ტრადიციული ღირებულებები არ პირველობს, მაშინ ქვეყანა ხეირს ვერ ნახულობს და ზარალდება.

11326. ცნება „ხალხის მტერი“ თავისუფლად შეიძლება შეიცვალოს „ბიუჯეტის მტრის“ იარლიყით და ამდენ უგვანობას წერტილი დაესმება, რადგან დღემდე ვერც დემოკრატიის სიკეთე გავიგეთ, ვერც თავისუფლება გავითავისეთ, ხოლო ქვეყნის ხაზინის შევსება საერთოდ ფეხებზე გვკიდია.

11327. ხტომა-ხტუნვით შეიძლება ქვეყნის პრეზიდენტიც გახდე, მაგრამ ხტომა-ხტომით მხოლოდ მინისტრის პორტფელის ხელის გამოკვრის საშუალებაა.

11328. საროსკიპოში, ისევე როგორც სახელმწიფო აპარატში, წიგნს არ კითხულობენ, მას ათვალიერებენ და ერთობიან.

11329. გონებამახვილობა ხელისუფლებაში ყოფნისას კარგი იარაღია, მაგრამ სათავეში მოხვედრისთვის სიდინჯეა საჭირო.

11330. ის ჩინოვნკი უნდა იღებდეს ყველა ჯილდოს სახელმწიფოსაგან, რომელიც სხვას აძლევს საშუალებას თავისი ჭკუით ემსახუროს ქვეყანას.

11331. სახელმწიფოს მართვა ხელოვნებაა, რადგან ხალხს უნდა დაუმტკიცო, რომ ყოველთვის მართალი არ არის და შენი შორსმჭვრეტელობა უნდა აღიარებინო.

11332. ზოგჯერ წინასწარ დაგეგმილი მცირე უსამართლობა აუცილებელია სახელმწიფოს მართვისათვის, რათა დიდმა უსამართლობამ ფეხი არ გაიდგას „ხალხის სახელით“.

11333. ხელისუფლება, როგორც ეშმაკი და მძინარე მხეცი, ცდილობს დანაშაულის კვალი არ დატოვოს, მაგრამ შურისძიების დრო, ადრე თუ გვიან, მაინც დგება.

11334. ხელისუფალი ხალხს იქით წაიყვანს, საითაც ქარი უბერავს, თუ იალქანს მოხერხებულად მართავს.

11335. სამყაროს მართავენ გამოთაყვანებულები და გამოსათაყვანებლად დაბადებულები და დიდი ბედნიერებაა თუ ზოგჯერ გონიერები გამოერევიან.

11336. ძალაუფლება ონანიზმით არ უნდა იყოს დაკავებული, ის საკითხს უნდა წყვეტდეს და არ აფუჩეჩებდეს.

11337. ყოველგვარი ძალაუფლება რყვნის ადამიანს, თანამდებობა ათავხედებს, განუსაზღვრელი კი გადააგვარებს.

11338. ხელისუფლებას მეგობრები არ ჰყავს, მას მრჩევლები ცვლიან, ისიც მათთვის სასურველი აზრების და ხოტბის მოსასმენად.

11339. ფაქტიურად ძალაუფლება ქვეყნის მართვაა თავის ჭკუაზე, ოპონენტებას მოგერიებით.

11340. ძალაუფლებას ხშირად ხელთ ვიგინდარები იგდებენ და არა – ჭკუისგან დაცლილები და ესაა ხშირად შემდგომში ხალხის „ვაი-ვიშის“ მიზეზი.

11341. ხელისუფლება აღჭურვილი უნდა იყოს: მაღალი შეგნებით, მოვალეობის გრძნობით, ქვეყნისადმი სიყვარულით და იმ მოხერხებულობა-ფანტაზიის უნარის შერწყმით, რომელიც მას ქვეყანას სასიკეთოდ ამართვინებს.

11342. მშვიდობა უნდა გვიყვარდეს, წესრიგს პატივს უნდა ვცემდეთ, ომის არ უნდა გვეშინოდეს, შერკინებას არ უნდა ვერიდებოდეთ, ეკონომიკას უნდა ვაფასებდეთ, პოლიტიკას არ უნდა ვივიწყებდეთ, სიკეთე უნდა ვთესოთ, ვალის მოთხოვნა არ უნდა გვერიდებოდეს, მოყვასის მხრიდან ღალატისთვის ყოველთვის მზად უნდა ვიყოთ, ამის შემდგომ იქმნება სახელმწიფო და ქვეყანას ჰყავს თავისი მმართველი.

11343. ჯრისკაცის დისციპლინა და ბრძანების უკომპრომისო შესრულება იმიტომაცაა საჭირო, რომ მას ბინძური საქმე აკეთებინო ვიღაც პოლიტიკოსისთვის, ვიგინდარა მთავრობისთვის, რომელმაც თავის ამბიციებს ვერ მოუარა და ქვეყნის მართვა არ ეხერხება.

11344. მთავრობამ, პოლიტიკოსმა, თავისი ქმედებით ობივატელს არ უნდა მისცეს უფლება საყვედური აკადროს, რადგან ხელისუფლებას, ამისთვის მრავალი ბერკეტი აქვს.

11345. ქვეყნის, იმპერიის, ეპიზოდური წარმატებული მართვა კულტურის დაფიქსირების და სულიერებისკენ ლტოლვის გარეშე, ამ სახელმწიფოებრიობის ნგრევას იწვევს.

11346. პროფესიული ეთიკა ყველა დარგს სჭირდება და ამის გარანტად სახელმწიფოებრივი გონიერება უნდა მოგვევლინოს.

11347. ქალზე და ხალხზე, ზომიერების ფარგლებში, სიყვარულით და იმედის მიცემით უნდა იძალადო, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერც ქალს დაიყოლიებ, ვერც ქვეყნის მართვით ისიამოვნებ და ხალხსაც ვერ არგებ.

11348. ქვეყნის სათავეში მოქცევის შემდგომ ხელისუფალი, აბორიგენების ბუნების შეცვლას კი არ უნდა ცდილობდეს, არამედ ზოგიერთი მოთხოვნილებს შეცვლას და მისაღები ძველის თანდათან მოწესრიგებას.

11349. იმპერიული მისწრაფების იდეოლოგია ყველა ჩვენგანს გონებაში ულიტინებს, მიუხედავად იმის ცოდნისა, რომ ამ სამყაროში მუდმივი და უცვლელი არაფერია და სურვილს კუდი არ უნდა გამოვაბათ, სერიოზულად გახურებული გონებით მის განხორციელებას არ უნდა შევეცადოთ, მაშინაც კი თუ შემთხვევა ხელთ ჩაგვივარდება, რადგან გადამეტებული მცდელობა და სათუო ნაციონალიზმი უმადური საქმეა.

11350. ხელისუფალი არ უნდა განიცდიდეს, რას ამბობენ მასზე ოპონენტები, მთავარია, რას ფიქრობს ხალხი, რას იტყვის ისტორია, დროის ყვილი ზურგს როგორ გაუმაგრებს და როგორ მოიხსენიებს შთამომავლობა.

11351. პური და სანახაობა ხელისუფლების, ავტორიტეტის და რწმენის გარეშე, ქვეყნის სასიკეთოდ ყოველთვის არ გამოდგება.

11352. არის მათრახი, რომლითაც საბოლოოდ ყველა კმაყოფილია, არის სასუსნავი, რომლითაც იწამლებიან და შედეგებით ყველა უკმაყოფილოა, ამრიგად მოთხოვნაც და დაყვავებაც თავის ნიჭს მოითხოვს, რადგან მართველობის უნარი უდიდესი ხელოვნებაა.

11353. ხელისუფალი, რომელიც წინ ვერ იყურება, არ იცის რა გააკეთოს და ხალხს საფრთხეში აგდებს. ის არა მარტო ერის, ქვეყნის, არამედ სამყაროს წინაშეა დამნაშავე, რადგან მან საზოგადოების განვითარება წლებით დასწია, დაუგეგმავი სისხლის ტბორები დააყენა. მაგ., ნიკოლოზ II, კერენსკი, გორბაჩოვი.

11354. ყველა ქვეყანა სიამაყით უნდა ფლობდეს დავიწყებულ საიდუმლო გამარჯვებას თუ სურს სახელმწიფოდ იქცეს.

11355. ხელისუფალს სულში ჩაფურთხებას რომ დაუპირებენ, სიტყვიერი შეხლა-შემოხლისგან განსხვავებით, ის ქვეყანა სამართავად არ გამოდგება.

11356. ზნეობა ყოველთვის კონკრეტულია, მაგრამ ძალაუფლება ყოველთვის გამარჯვებულია.

11357. ხელისუფალი, რომელიც დამატებით სამუშაო ადგილებს არ ქმნის და მოსახლეობას ვერ ასაქმებს, ,,ფურთხის ღირსია", რადგან უილაჯო, გულგრილი და შემთხვევითია.

11358. სახელმწიფოებრიობა თხოვს ადამიანებს, პირველ რიგში, მოვალეობისთვის იცხოვრონ, ხოლო ისინი სიხარულისთვის ცხოვრებას ცდილობენ. რეალობაში კი ჰარმონიის და სიმშვიდის გამონახვაა საჭირო, რათა სახელმწიფოებრიობა მშვიდობიანი ცხოვრების გარანტი იყოს.

11359. ხელისუფლების ყველაზე დიდი გენიალობა და დამსახურებაა ქვეყნის ისტორიის წინაშე, თუ უკეთეს ხელისუფლებას დატოვებს დევიზით: ,,რომ შვილი სჯობდეს მამასა".

11360. ხელისუფლების ამბორზე უარის თქმა ძნელია, მაგრამ არც სატანის მანტიის მორგებაა ადვილი საკუთარი მეობის დახურდავების საფასურად.

11361. ყველა ხელისუფლებისთვის უდიდესი დამსახურებაა, თუ შემცვლელად თავისზე უკეთეს დატოვებს, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი მიღწევები დროებით დროის საჯიჯგნი ხდება და შედეგსაც გაურკვეველ დრომდე წყალს ვატანთ.

11362. სოციალიზმი სხვა ქვეყნების გამოცდილების მორგებაა შენს ყოფის რეალობაზე და არა – პოლიტიკური მიმდინარეობა, რადგან ქვეყნის მართვა მთლიანადაა დამოკიდებული ხელისუფლებაზე, დროის ყვილზე და შემთხვევის გამოყენებაზე.

11363. ძალაუფლება სკალპელია, მაგრამ ოპერაციის შედეგზე ხელისუფლის გონიერება, გამოცდილება, გამჭრიახობა და ქვეშევრდომთა ხარისხიანი შერჩევა მოქმედებს.

11364. ცივილიზაციის გათავხედების, შემოტევის, მიუხედავად, ზოგიერთი ტრადიციის, ადამიანური ღირსების, გადანახვა და დროის ყვილზე მორგება, მიუხედავად გარემოს დიდი წინააღმდეგობისა – შესაძლებელია, თუ ქვეყანას გონიერი ხელისუფალი ჰყავს სათავეში.

11365. უუნარო სახელმწიფოს შვილები სხვა ერის წარმომადგენლისაგან საკუთარი ქვეყნის მმართველობაზე თავს იკავებენ, მაგრამ ავიწყდებათ ანდაზა: "კატამ თაგვი დაიჭიროს, რა მნიშვნელობა აქვს, რა ფერის იქნება".

11366. ზოგჯერ დასანიშნავი მინისტრის წარმოდგენას სენატში სენდვიჩში ჩადებული ქრთამის და "ბლატის" სუნი ასდის.

11367. ზოგისთვის ძალაუფლება უფლებაა და არა ხალხის სამსახური.

11368. რელიგიის ექსტრემიზმისადმი სპეცსამსახურების წაყრუება დროთა განმავლობაში ძალაუფლებას ბუმერანგივით უბრუნდება.

11369. ბედნიერია ის ქვეყანა, სადაც ხელისუფლება თავის ტყავში ეტევა და საკუთარი ზომა-წონა იცის.

11370. წყობა, ძალაუფლება მაშინ ზეიმობს, თუ მას სიბრძნე მართავს და ავკაცობის გამოვლენის საშუალებას ადამიანებს არ აძლევს.

11371. დიპლომატია გათვლილია: თავაზიანობაზე, ვირეშმაკული გონების ჩართვაზე, ინფორმაციის გაბერვაზე, ყელაფერზე თავის ქიცინზე, უმიზეზნო სიტყვების ფრქვევაზე და მრავალ სხვა ელიტარულ ცოდვაზე, რაც თავის დაზღვევაა აწმყოში კოლეგებთან და მომავალში ისტორიის გაშლილ კარტებში მოთამაშე შთამომავლებთან.

11372. "კადრები წყვეტენ ყელაფერს", ოღონდ თავის სასარგებლოსაც უნდა ხედავდნენ კარიერის კიბეზე არბენის იმედთ.

11373. ქრთამს, ძღვენს, ტელეფონის უფლებას, მიზნობრივ წაგებას, უკანგორებას, დამამცირებელ თხოვნას და ყველა სხვა "საჩუქარს" თავის გამართლება და განმარტება აქვს, რადგან მიზნის მიღწევა და ხეირის გამოტყუება, სახელმწიფო მოხელისათვის, მის გარეშე ჭირს.

11374. ხელისუფლება კრიტიკის გარეშე სწრაფად ფუჭდება და სიტყვების ვერავითარი ფერ-უმარილი ვერ შველის.

11375. თანამდებობასა და პიროვნებას შორის ის სხვაობაა, რომ პირველი თუ "დროულად" გარდაიცვალა, ზარ-ზეიმით დაასაფლავებენ, თუ არა და – ულიმღამოდ, ხოლო მეორეს პატივს ყოველთვის მიაგებენ, თუმცა სიცოცხლეში "ზევით" მისთვის ვერ იცლიან.

11376. სახელმწიფოებრიობა რომ განსაჯო, მასში უნდა იცხოვრო, ბუნების ძალებში რომ გაერკვე, მას ჩუმად უნდა ესაუბრო, ხალხის რაობის შესაფასებლად საჭიროა სხვას დაეკითხო, ხოლო სამყარო თავად უნდა შეიგრძნო და სხვისი დაუხმარებლად შეცნობას, უნდა შეეცადო.

11377. სახელმწიფო სამართლიანობის, კანონის, მათრახის, სასუსნავის, გარეშე ყოველთვის სულით ავაზაკთა ხროვის სათარეშოდ იქცევა.

11378. ნაღდი ხელმძღვანელი ის არის, ვისაც პატივს მიაგებენ და ერიდებიან და არა ის ვინც უყვართ, რადგან ამ უკანასკნელს პედანტობა და წესრიგის მოთხოვნა აკლია.

11379. მხოლოდ ის ქვეყანა, სადაც ხალხი სხვის ტკივილს გრძნობს, გულთან მიაქვს და დახმარებას ცდილობს, იქცევა ნაღდ სახელმწიფოდ.

11380. ლიბერალობა ყველას ეპატიება, ხელისუფლების გარდა, მან საქმე უნდა აკეთოს.

სექსი და ლამაზმანი

11381. ცივილიზაციის რომელიღაც ეტაპზე, როდესაც მამრს ქალის ინტიმური ნაწილების დანახვა არ ააღელვებს, რეფლექსს მამრის ღირსებისას დაკარგავს და სექსუალური ფანტაზიის გარეშე დაიძინებს, ასეთი საზოგადოება, კულტურა, განწირულია, მის სახელმწიფოებრიობაზე რომ არაფერი ვთქვათ.

11382. მეორე უძველესი პროფესია, ჟურნალისტობა – "მასმედია", ძალაუფლების ნახევარფინალში მოხვედრას ცდილობს, მაგრამ პირველი უძველესი – პროსტიტუცია ყოველგვარი მცდელობის გარეშე ყოველთვის ფინალშია.

11383. შუა საუკუნის რომანტიკა ქალის ერთგულების სარტყელი იყო, ერთგულების დასამტკიცებელი – მძიმე საკეტი, იმედის სანთელი – ქლიბი. დღევანდელობის რომანტიკა უცხო ქვეყანაში ხეტიალია, ერთგულება – საბანკო ჩეკია, ხოლო იმედის მასულდგმულებელი – იმ სექსის დაჭაშნიკება, რომელიც პირველმა ორმა ვერ უზრუნველყეს.

11384. ასაკი სქესში რომ უმიზეზოდ წუნიანობას დაიწყებს, მისი დევალვაციაც აქედან იწყება.

11385. წარმოსახვითი ონანიზმი სქესის მეფეა და ხვადობის გადამოწმებაც.

11386. დროის გაყვანის ყველაზე სასიამოვნო შემოთავაზება უპასუხისმგებლო სექსია.

11387. სამყაროს მამაკაცისაგან უფრო მეტად სექსუალური შესაძლებლობები სჭირდება, ვიდრე მისი ცოდნა და მისდამი მოკრძალება.

11388. მამაკაცები სხვა ქალებისთვის თანასწორობას გვთავაზობენ სქესში, მაგრამ საკუთარი ცოლების მიმართ მესაკუთრე მონათმფლობელები არიან.

11389. ლამაზი ქალი ყველა მამრის საცდუნებელია, ვალდებულებების გარეშე.

11390. მოწინააღმდეგე სქესისადმი ლტოლვა ასაკოვან ქალს აახალგაზრდავებს, მამაკაცს აბერებს და ნერვებს უშლის, რადგან მამრის ღირსება–თავმოყვარეობა საფრთხეშია.

11391. განა ცოტაა გაუთხოვარი და ქვრივი ქალი და რატომ უნდა გაუწიო სპონსორობა ქმრიან ქალს სექსში, გაუგებარია, რადგან აქ ბევრი რამ აღზრდაზეა დამყარებული.

11392. დონჟუანსა და ხვადს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი ქალთან სექსშიც მლიქვნელობს, ხოლო მეორე ჟინს იკლავს.

11393. მიჩვევა, უყურადღებობა, სავალდებულო სექსიდან თავის დაძვრენა, მდედრის უნიათობის ბრალია.

11394. ნარკომანის და ლოთის სექსში ნამოღვაწარი მახინჯი ბავშვების მოვლენაში აცილებას არ იძლევა.

11395. სექსში გაუნათლებელ ხალხს განათლებულებთან შედარებით უკეთესი შედეგი აქვს მოსახლეობის გამრავლებაში, მაგრამ დემოგრაფიის კანონზომიერების ფარგლებში მოქცევას მაინც სექსუალური განათლება ეხმარება.

11396. მარტოობა სექსის გარეშე ახალგაზრდა სხეულისათვის წარმუდგენლად ძნელი ასატანია.

11397. სიფარულსა და პატივისცემაში ის სხვაობაა, რომ პირველი სექსსაც ითვალისწინებს.

11398. ქალს ვნების კვირა სჭირდება და არა ხაზვის გაკვეთილები, აუშენებელი დაპირებებით.

11399. მუსიკა იმ ვნებით უნდა შეასრულო, როგორც ამას სჩადიან უცოლო კაცებზე დაგეშილი დედაკაცები.

11400. ქალთან ურთიერთობა თავისებური პოეზიაა, ლოცვაა, მუსიკაა, მაგრამ სექსს ვერ შეედრება.

11401. პენისის სიძლიერით გაცილებით მეტი ქალის დამორჩილება შეიძლება ვიდრე სიფარულით, ძალით, ფულით, რადგან ცნობისმოფარეობა ქალის ფსიქიკაში პირველ ადგილზეა.

11402. სექსი მრუშობს, სიფარული ვალდებულებებს იღებს, მოვალეობა მუშაობს და ყოველივე ეს სიცოცხლის მექანიზმია, რომელიც განსჯას არ მოითხოვს.

11403. ქალი ვალდებულია სარეცელში ვნების ტანჯვის სათანადო ილეთებს დაეუფლოს, თორემ მარტო თვალების დაჟუჟუნებას და უკანალის მომხიბვლელი თამაშით მოჭარბებული მდედრთა მოდგმის კონკურენციას ვერ გაუძლებს.

11404. ზოგი ქალი ისეთი ვნებიანი ნასვამი თვალებით იყიდება – შეიძლება დაწყვილებაც შესთავაზოთ.

11405. სიფარული – სულის განწმენდის საშუალებაა, სექსი – მისი გამოყენების, ხოლო ორივე მომნუსხავი სანელებელია პარტნიორობის გამტკიცებისათვის.

11406. ქალის გვერდებზე წოლისას ხვადი გამორიცხავს ყოველგვარ საღ აზროვნებას გარდა ერთისა: რაც შეიძლება მოხერხებულად დაეწაფოს ძუნად ქცეულის ღირებულებას.

11407. დღევანდელი ბავშვები, კომპიუტერის დახმარებით, სექსში თეორიულად უფრო განვითარებულნი არიან, ვიდრე პრაქტიკულად

მათი მშობლები და ეს ამ უკანასკნელთა თავმოყვარეობაზე რატომღაც არ მოქმედებს.

11408. სილამაზის მოწოდებაა, ასაკს თუ ვერ გაახალგაზრდავებს, სული მაინც გაუნათოს, ჯეელობას თავი კაცად აგრძნობინოს და სექსის კუპაჟის მრავალფეროვნება ასწავლოს.

11409. ძუს ხელოვნებას სექსში იშვიათად თუ რომელიმე ხვადის გონიერება შეეპუება.

11410. გარყვნილების ენით მიღებული სიამოვნება, ვნებით მიღებულს ვერასდროს შეცვლის, მაგრამ ისიც გამახსოვრდება.

11411. სექსი ყველა ქალთან უცნობი გრძნობების და ემოციების გამოცდაა, სხეულის რითმული ვარჯიშია და სულის შეცნობის ღაღადია, რომელშიც მოგვიანებით ტრფობის დროებითი "აიწონა-დაიწონაც" ერევა.

11412. სექსი საშინელი უმადურობაცაა, უდიდესი ნეტარების შემდეგ შეგიძლია პარტნიორს უდარდელად დაშორდე და მისი სასიყვარულო მცდელობა მუშაობად ჩაუთვალო, შეაქო და დაასაჩუქრო კიდეც კარგი მომსახურებისათვის.

11413. სასიყვარულო ღამეების გასახსენებლად მდედრის მადლობა თუ საჩუქრითაა გამაგრებული, ამაზე დიდი ჯილდო ხვადისთვის არ არსებობს.

11414. სანამ სექსი შენს მხარესაა და ხვადობა შეგიძლია, ყველაფერი უნდა გაიღო მის საამებლად, ხოლო როდესაც ზურგს შეგაქცევს და გიგანებს, მერმე გინდ გადაყვი, გინდ არა, ფასი აღარ აქვს.

11415. ერექცია – ყმაწვილისთვის გრძნობების შეცნობის დასაწყისია, ახალგაზრდისთვის – სასიამოვნოდ შემაწუხებელია, შუა ასაკისათვის – სავალდებულო სიამოვნებაა, სიჭარმაგესთვის – ასაკის მოვალეობის სიამაყეა, სიბერისთვის – გაოცება და ნოსტალგია.

11416. სექსუალურ თერაპიას, ხვადის ჯიშის მოდგმისაგან განსხვავებით, ყველა მამაკაცი უნდა ატარებდეს კვირაში ორჯერ, რათა მის მიმართ სასაყვედურო არ ჰქონდეთ.

11417. სექსის ორბიტაზეა პარტნიორის გაყვანა ბუნებით მომადლებული ნიჭი და ხელოვნება, თორემ ხიფინგი და ყოველდღიურობა ვნების მიმართ უბრალო ვალის მოხდაა.

11418. უსიყვარულოდ სექსი გარყვნილებაა, ხოლო ნაღდი სიყვარული სექსის გარეშე არ არსებობს, რადგან დანარჩენი შერჩევა-მიჩვევის ალგორითმია.

11419. ქალს სექსის დროსაც მამრის მომხიბვლელობა აინტერესებს – „რა ლამაზი თვალები აქვს“, ხოლო მამაკაცს – მდედრის ვნებათა შესაძლებლობები, რადგან ამ დროს მისი გარეგნობის შესაფასებლად არ სცალია.

11420. სექსი განსჯას და ოპონირებას არ ექვემდებარება, ის უნდა გამოსწორდეს უხმაუროდ და ყოველგვარი რჩევა-დარიგების გარეშე, ხიფინგის დროს.

11421. ნამდვილი მამაკაცი თავის ორგაზმზე მეტად მდედრისას განიცდის, რადგან შენთან ერთად დააკმაყოფილო ქალი, ეს არის სექსი კუბში.

11422. საზოგადოებას, რომელიც ეროტიკული ბნედით არის დაკავებული, რეალური წარმოდგენა არ აქვს რა არის ვნებათაღელვა, სექსი, თავდავიწყება.

11423. სიფარული საყოფაცხოვრებო განცდის ძირია, სექსი ხელოვნებაა და ჯანმრთელი აუცილებლობა.

11424. მამაკაცის სექსუალური პოტენციალი დიდი შემოქმედებითი უნარის, პირდაპირპროპორციულია, მაგრამ ფაქტობრივად ხშირად "მამაკაცი-პენისი" შემოგვრჩება.

11425. ქალი მზად არის სიფარულისთვის სექსით დასაქმდეს, ხოლო მამრი სექსაობისთვის ყველა მდედრის შეფარებაზე დათანხმდეს.

11426. პორნოგრაფია ანატომიის სწავლებისთვის არ არის განკუთვნილი, ის უფრო ვნებათა ღელვის მობილიზებას და მასში გარკვევას ცდილობს.

11427. ლამაზმანი საზოგადოების ტემპერამენტის და სექსუალური ტერორიზმის ნებაყოფლობითი მსხვერპლია. ამ პროფესიის საჭიროების მიუხედავად, მას რატომღაც უხიაგად მოიხსენიებენ.

11428. სექსს მუხრუჭები სჭირდება, თორემ საბოლოოდ ქვეყნას ყბედობა შემორჩება „ძირძველი ერის და მოქალაქეობის შესახებ“.

11429. მდედრის საცვლების მოდის ეროტიკა, გაუთავებელი პროვოკაციაა მამრის გონების ასარევად და სასიამოვნოა, რომ ამ გამოთაყვანების რეციდივს დღემდე არაფერი შველის.

11430. ხვადმცოდნეობასთან მდედრის გაცნობა არასოდესაა გვიან, მითუმეტეს დღეს, როდესაც მამრთა ავტორიტეტი კატასტროფიულად ეცემა, იმედდაკარგულ, იძულებით გაფემინისტებულ მდედრთა სულში.

11431. სექსუალობა მამაკაცს თუ თავში უდევს, ცოლსაც ისევე ხვადივით მოემსახურება, როგორც სხვა ქალს.

11432. ევოლუციის საოცრებაა ადამიანის გენეტიკაში შეტანილი უნებლიე ცვლილებები ტრანსსექსუალების, ჰერმოფროდიტების, გეების,

ფსიქიურ დავადებათა სახით წარმოჩენა, რაც სექსის კონცეფციების უგულებელყოფის ბრალია და არა – განტევების ვაცად ქცეული გენეტიკური პროცესის.

11433. ზოგს ერთ მამრთან ყოფნა თავს ატკივებს, მეორესთან ორგაზმის სურვილს უკარგავს, ხოლო მესამე დასანახად არ უნდა. ასეთი ქალი ფსიქოთერაპევტს უნდა ეძებდეს და არა უპასუხისმგებლო ხვადს.

11434. სექსუალობა ვნებით არის შეიარაღებული და სახიფთოა, რადგან მისი კლანჭებიდან თავის დაძვრენა არც ისე ადვილია და გულითაც არავინ ცდილობს.

11435. პორნოგრაფია სულს ვნებს, ხორცს რყვნის, სექსის შესაძლებლობაზე რომ არაფერი ვთქვათ.

11436. სექსი სულის და სხეულის სასიამოვნო ექსპლოატაციაა, რომელიც ჯველობაში არავითარ შეღავათს არ ითხოვს, ხოლო ასაკში ძველი დამსახურების გათვალისწინების წინააღმდეგი არ არის.

11437. სხვისი ინტიმის შენგან განსჯა მაინც სექსია.

11438. მამაკაცს ვნების დასაცხრომად, მდედრზე საჯილაოდ, თავისი ფანტაზიის შესაჯერებელი წარმოდგენის ქალი სჭირდება, რომელსაც იშვიათად იცვლის, რაც მისთვის სექსში თავის წარმოსაჩენად აუცილებელია.

11439. სიფარულს არაფერი ცვლის, მაგრამ ყოველივე მაინც სექსზე დადის, რადგან გამრავლების გარეშე სამყაროს არსებობა არ უწერია.

11440. ფელა ქალი სექსუალურია, თუ მამაკაცი ფორმაშია, ხოლო სექსბომბაა, თუ მამრს მოჭარბებული ვნება აწუხებს.

11441. არის მდედრთა ერთი ნაწილი, რომლებიც მამრთა სურვილებს უარს არ ეუბნებიან, ერთი განსხვავებით, გამოუცდელნი სექსს ემონებიან, გამოცდილნი – ფულს.

11442. ლამაზმანთა არაორგანიზებულ სექსუალურ ბანდებს რაღაც სარგებლობა მოაქვთ საზოაგდოებისათვის, ხოლო სიძვის სახლებში გაერთიანება, სახელმწიფოს ზედამხედველობით, მათ სექსუალური ფრონტის მებრძოლებად აქცევს და ამით თავსაც წაადგებიან და სახელმწიფოს ბიუჯეტსაც.

11443. მამრის იდეოლოგია სარეცელია, მდედრისა – მასში მოკოხტავება და თავის წარმოჩენა.

11444. ქალი ქალწულობას კი არ ჰკარგავს, არამედ დროებით თავის ჟინს, ცნობისმოყვარეობას, მეორე სქესის წარმომადგენელთან აბანდებს, ხოლო რა სიამის დივიდენდებს მიიღებს, ეს შემთხვევამ და ბედის თავხედობამ უნდა გაარკვიოს.

11445. ვნებიან ქალთან მოგზაურობა განგების მადლს უფრო ლამაზს, სასიამოვნოს და სექსუალურს ხდის.

11446. სიტყვას და ინტონაციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სექსის აღქმა-შეფასების საქმეში. მდედრის სექსუალობით გონის დაკარგვა პატივისცემის გამოხატვაა, ხოლო ,,ვა რას'' გარეშე მისი სხეულის ნაწილების შეუფასებლობა დანაშაულია ქალთა მოდგმის წინაშე.

11447. მდედრის დანახვისას თუ მოჭარბებული ენერგიის ვიბრაციას ვიგრძნობთ, მხოლოდ ამის შემდგომ ღირს მასთან დაკონტაკტება და სათავისოდ შეცნობა.

11448. იდეალური და სქესის სიმბოლო მამაკაცი იუმორის გარეშე ვერ იარსებებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ან ფსიქიატრის კლიენტი იქნებოდა, ან – სექსოპათოლოგის.

11449. ქალები უარით არ გამოგისტუმრებენ, თუ მათ გრძნობებს და სექსუალურ შესაძლებლობებს ერთობლივი განსჯის საგნად არ გახდით.

11450. მამაკაცის სექსუალური შესაძლებლობის პროვოკატორი ქალია.

11451. იმ ჯერის ოდენობაც, როცა ახალგაზრდობაში სექსში მარცხად მიგვაჩნდა, დღეს მისი გამეორება საამაყოდ გვექნებოდა, ე.ი. სიამაჟ შესაძლებლობის გადასახედიდან განისჯება და არა – სურვილისა.

11452. ყველა გაუთხოვარ ქალს აქვს სექსუალური ცელქობის საიდუმლო, რომელიც ზოგს სხვისთვის გაუზიარებლად იმქვეყნად მიაქვს.

11453. სასურველია ხშირად სექსში ვივარჯიშოთ, ქორწინების ინსტიტუტის და შენი მარცხენას შესაძლებლობის ფარგლებში, რადგან სექსაობაზე საკაიფო ამქვეყნად არაფერი შეუქმნიათ.

11454. სექსი არა მარტო ვნების აფორიაქება-დაოკებაა, არამედ სულიერი მისიაც პარტნიორისა და საკუთარი ,,მეს'' წინაშე.

11455. სუპერსუტინორია სულის გარყვნილების თავისებური ესთეტიკა და სექსუალური რევოლუციის ბაზისის გაფეტიშება.

11456. სექსუალური ევოლუცია გრძნობების რევოლუციაა, ყოველგვარი ქვების შეგროვების და სროლის გარეშე.

11457. სექსს კაცობრიობის წინაშე დანაშაული არ მიუძღვის, მაგრამ რატომღაც ზოგი მასზე მკვდარი ძაღლის აკიდებას ცდილობს და გარყვნილებად ნათლავს.

11458. სექსუალური რევოლუცია დროის გამოძახილია, მას თავისი ესთეტიკა და ეთიკა აქვს ყოველგვარი გარყვნილების გარეშე, მაგრამ როგორც ყოველთვის, გადამლაშებით საქმის კეთება არ შეიძლება.

11459. მეძავის მომსახურებაში ფსიქიური მკურნალობაც უნდა შედიოდეს, რათა კლიენტი შინაგანად რეაბილიტირებული იყოს ცოლის წინაშე.

11460. ცოლსა და ლამაზმანს შორის ის სხვაობაა, რომ პირველს გრძელვადიანად აქვს გაქირავებული თავისი „ბაღნარი“ და გასამრჯელოსაც კრედიტით იღებს, ხოლო მეორე მოკლე ვადით აბანდებს „ვნებათა ყურეს“ და ნაღდ ფულსაც მაშინვე იღებს.

11461. ლამაზმანია ის, ვინც თავს ბითუმად ჰყიდის, ხოლო ვინც საცალოდ და შევაჭრებით – ბოზია.

11462. სექსი სულისთვის არის განკუთვნილი თუ სხეულის დასაცხრომად, მაინც შემოქმედებაა, მოღვაწეობაა, რადგან სიამოვნებასთან ერთად ადამიანთა შობადობა-კვლავწარმოებას ემსახურება.

11463. ხშირად ლამაზმანები უფცართ და მოსწონთ, ვიდრე კეთილი და მოფცასი ბუნების ქალები, რადგან ამ უკანასკნელის შეცნობას დრო და სულთან „პოტიკი“ სჭირდება.

11464. ცხოვრება იმ ასაკში სჯობს, როდესაც შხვართივით ქალები ასაკოვანი გეჩვენება და თუ ხელში ჩაგივარდა, სექსით ტყავს გააძრობ.

11465. ქალი სექსით ისე არ უნდა დაღალო და გათიშო, რომ დაიჩივლოს: „ფეხები ორი დღე იღლიაში მქონდა ამოდებული, რომ დამესვენა და აზრზე მოვსულიყავი“ – არ დაუჯეროთ, ეს უფრო თავის მოწონება და ნიშნისმოგებაა კონკურენტების წინაშე.

11466. დაღვინებული სიფცარულის ურთულესი ნაწილია სარეცლის ხელოვნების ფლობა. ის განსხვავებულ ნიჭს და განგების მხარდაჭერას მოითხოვს, რადგან პარტნიორის მხარდაჭერა ხშირად ვნების საქმიანობას ვერ შველის.

11467. გრძელი ფეხები, გრძნობების ამშლელი მკერდი, ლამაზი სახე – ყოველივე ეს მალფუჭადი პრიდუქტია, რომელსაც დროულად თუ არ მოუხერხეთ რეალიზება, დაძველდება და შემდგომ მისი შეთავაზება შეიძლება შეურაცხყოფად მიიღონ.

11468. ლამაზმანივით ცოლი ვერ გასიამოვნებს, მაგრამ იმას არ ნიშნავს, რომ პირველი მეორეს სჯობნის, რადგან მას დამატებით ერთგულება, მოვალეობა და შენი მოვლა აკისრია.

11469. ქალი ფულისთვის არ გაგეხსნება, რადგან ის ვნებას ყიდის და სულით ვაჭრობს და შენს გარდა, სხვა პერსპექტიული მამრების სიამოვნებაზეც უნდა იფიქროს.

11470. სექსაობა თავისებური თამაშია, რომელსაც ნიჭი, ვარჯიში, ცოდნა, გენის მცდელობა სჭირდება, რათა ამ ფრონტზე გამარჯვებები

მოიპოვო და ისიამოვნო იმის შეცნობით, რომ შენ ღირსეული ხვადი ხარ.

11471. სექსი ფსიქო-ტანის კონტაქტია, რომელიც გარკვეული დროით, ვნებათა ღელვაშია გასვრილი და სიფარულთან საქმე არ აქვს.

11472. პროსტიტუციისთვის კრიზისი არ არსებობს, ხოლო მათი შიგადაშიგ გაკიცხვა – შერცხვენა თავისებური ვალის მოხდაა ტრადიციული, ღირებულებებისა და კანონის წინაშე.

11473. ერთეულ შემთხვევაში თუ უგვანო ვნების ფანტაზიას დაიკმაყოფილებ პარტნიორის თანხმობით, ტირაჟირების გარეშე, შეიძლება მორალზე თვალი დავხუჭოთ, რადგან ისიც ადამიანია, ცნობისმოყვარე და თავნება.

11474. სექსისკენ ლტოლვა და სექსუალურობა ყველგან თან უნდა დაგვდევდეს, გარყნილებისგან განსხვავებით.

11475. სექსში განათლება შობადობას ამცირებს, ეს ის უნიკალური შემთხვევაა, როდესაც ცოდნას უცოდინარობამ აჯობა.

11476. სექსუალური ფანატიზმი გარკვეულ დრომდე და საზოგადოებრივ მდგომარეობამდე, ღმერთმა ქნას, ყველა ჩვენგანის წილხვედრი იყოს.

11477. ასაკის მატება სექსუალური ერთდროული ახურებას, თვეების მიხედვით ცდილობს გაანაწილოს, ხოლო რა წარმატებით, ეს განგების და შემთხვევის ნებაა.

11478. სექსის ყველაზე დიდი განათლებაა ერექცია, დანარჩენი სანთელ-საკმეველივითაა, არაფერს დაიკლებს და სიამის გასაგრძელებლად და შესაცნობად, რასაც ინტუიციით, ჟინით მიხვდება.

11479. სექსაობა განსაკუთრებულ ტკბობის საგანია, თავისი დითირამბებით და იდუმალი სერობით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნაოცნებარი კაიფი იკარგება, ვნებათა ღელვა ბაზრდება და დაგეგმილი ყოველდღიურობით იცვლება.

11480. ყველაზე დიდი კოლექციონერია ის, ვინც სიყვარულს აგროვებს, რადგან მისი სიამის შეგრძნება-შეცნობას სხვა ვერაფერი შეედრება, ამასთან, არც ქონება გაქვს საანდერძო, რომ ვინმეს გული დაწყიტო და გაგინონ.

11481. სექსი იყიდო და უნარით ვერ მოიპოვო, ეს აღზრდაზე და საზოგადოების გულგრილობის ოდენობაზეა დამყარებული.

11482. ცოლებს მხოლოდ უნიათო და უფხო ქმრები არ ღალატობენ, რომლებსაც შინ სავალდებულო სექს-მინიმუმის შესრულება უჭირთ.

11483. ქალი დაუნდობელ სექსს ნატრობს და სიმდიდრისთვის იღვწის, მამრი ბარაქა-დოვლათის შესაქმნელადაა მოწოდებული და საქსუა-

ლობის გამოვლენის ცდაშია. ამ ბიოლოგიური იდეოლოგიის კანონზომი-ერების უცვლელობას საზოგადოებისათვის ცუდი არაფერი მოუტანია.

11484. „სექსის რაჯაა“ არც თუ ცუდი კომპლიმენტია, ერუდიციის სათუო შეფასების ხარჯზე.

11485. სიფვარულის ბოსტანი წვრილმანი კამათით ხარობს, რომ-ლის შედეგი სექსით უნდა მოიმკას და პირმშოს გაჩენით უნდა გადა-მოწმდეს.

11486. ყველა დროში ერი თავის სექსუალურ შესაძლებლობათა ღირსების პარამეტრებს უნდა ადგენდეს, რათა თვითმყოფადობა არ დაკარგოს.

11487. მეძავეობასაც აქვს პრინციპები – იმაზე მეტად არ გაირყვნას, რასაც მასზე ამბობენ და ფიქრობენ.

11488. დაუზოგავი სექსი ყველა ქალის მითიური ოცნებაა, რომელ-საც არც ზღვარი აქვს და არც ასაკის მატების ვერაგობას ემორჩილება.

11489. მეძავი დემოკრატიული სიყვარულის მერცხალია და ცხოვ-რების გამოცდილი ყავი.

11490. როსკიპია ის, ვინც ფულისთვის ყველას ემსახურება, ხოლო ვინც გამორჩევა-შერჩევით და სხვა გზებით ახერხებს, მისთვის სხვა სახელები და ტიტულები, დამსახურებისამებრ, უნდა გამოიძებნოს.

11491. მეძავობა ფართომოხმარების ხელოვნებაა, რომელიც ყმაწვი-ლებს დასავაჟკაცებლად სჭირდებათ, მამაკაცებს – „სასიამოვნო მარ-ცხენად“ და ცოლის თავიდან დასამუღამებლად, ახალგაზრდობის ასაკის გასახსენებლად.

11492. პროსტიტუციაც თავისებური კულტურაა და ისიც საზოგა-დოებრივი აზრის დაღვინებას მოითხოვს, რადგან სახელმწიფო, ხალხი, პერსპექტივაში მათში უნდა ხედავდეს ოჯახის დედებს, საზოგადოების იმ წევრებს, რომლებიც ქვეყნის ბიუჯეტის შევსებას არ „თაკილობენ“.

11493. ორგაზმი თუ ღვთაებრივი ნეტარებაა, მაშინ რა უფლებით ვკრძალავთ მასზე საუბარს, ეს აკრძალვა, რა მოტივითაც უნდა იყოს გამართლებული.

11494. სიძვის დიაცებად არ ხდებიან, უბრალოდ, იბადებიან, იზ-რდებიან, ბერდებიან და მანამ საქმიანობენ, მანამ სექსაობის უნარი შესწევთ და გასამრჯელოს უხდიან.

11495. გულგრილობას, ჟინს, მიჰყავს ქალი სიძვის დიაცობამდე და არა – სიღარიბეს და თავის წარმოჩენას პროფესიაში.

11496. მდედრის ლამაზი უკანალი მამრთა მოდგმას უამრავ ველურ სიამეს აგრძნობინებს, რადგან ამ დროს გონიერება პარალიზებულია და მხოლოდ აღმაფრენა ქოთქოთებს.

11497. სოციალურ და სექსუალურ პრობლემებს შორის სხვაობა, დროის ფაქტორის განსჯა-გამოყენებით, დიდია, რადგან პირველი დროის მაქსიმალურ გამოყენებას მოითხოვს, რომელიც მეორეს თავზესაყრელად აქვს.

11498. ღირსება და სექსი ქალ-ვაჟს თავისებურად ესმით, მაგრამ ერთმანეთის თანადგომას სიყვარულის საწყისზე მაინც ახერხებენ.

11499. სექსი ველური ჟინის, სინაზის, სულის სიდიადე-სილაღის უდიდესი გამოხატვაა.

11500. სექსი რომ მოვალეობად, მუშაობად და თავის დაძვრენის მცდელობად გადაიქცევა, უფასურდება, მაგრამ ჯეელობის გადასახედი, ხვადის ღირსება, გვაიძულებს ვნებათაღელვა სწორად გვესმოდეს.

11501. ,,დონჟუანი'' – მუსუსი-მექალთანე, მატყუარა, ქალის მოღალატეც არ უნდა იყოს, უნდა შევუნდოთ, რადგან მას ერთი მდედრით სულის და სხეულის დაწყნარება არ შეუძლია.

11502. როდესაც კოცნა უფრო ინტიმურია, ვიდრე სექსი, ტუჩები იმ ლაკმუსად გვევლინება, რომელიც არკვევს, ეს წყვილი ერთმანეთს გამოადგება თუ არა.

11503. როდესაც მდედრს ვნებით მიალურსმავ და ტკბილ კრუნჩხვებს შეყრი, ამ ბედნიერებას იმ წუთში ვერაფერი შეედრება.

11504. სექსაობას სწავლა ყველა ასაკში შეიძლება, მაგრამ მასში ომახიანად დაბრუნება შეუძლებელია.

11505. ზოგი ვნებამოჭარბებული ხელქვეითი უფროსის საკეთებელს აკეთებს – მის ცოლს საწოლში ეჩალიჩება და თავსაც აყვედრებს.

11506. ზოგჯერ სექსუალურ შესაძლებლობათა ინვენტარიზაცია და რევიზია წყვილის დაშორების მიზეზია.

11507. ცოლი ისე არ უნდა შეიჩვიო და გაითავისო, რომ ახლო ნათესავად აღიქვა და სექსაობა გაგიჭირდეს.

11508. ზოგი ლამაზმანი ,,სიყვარულით'' ნებდება მამაკაცს, მაგრამ ფულს საჭიროების ალიბით გამოძალავს.

11509. ზოგი გარეგნულად იმდენად მიმზიდველი და მიუწვდომელია, რომ არ შეიძლება ვნების ინფლაციის და სექსის დევალვაციის დროს იყოს ჩასახული.

11510. სასმელი არა მარტო გონების ორიენტაციას გვირევს, არამედ – სექსუალურსაც და ხშირად გამოუყენებელ ხვადად გვაქცევს.

11511. სექსი სპორტის ის სახეობაა, როდესაც ძუს და ხვადს, ნიჭის გარდა, არავითარი ვარჯიში არ სჭირდება ვნების ოლიმპზე ასასვლელად.

11512. სექსის შედეგის წამით გაელვება ან სასიყვარულო აქტი ქალის ვნების შენს ჰორმონებთან გათავისებაზეა დამოკიდებული.

11513. პარტნიორისთვის სექსი არა მარტო ვნების დასაოკებელი გარჯაა, არამედ სულიერი ჯანმრთელობის შესანარჩუნებელი ცდა.

11514. სექსთან სიყვარულით თამაში მოწოდებაა, რომელსაც უგვანონი რატომღაც გარყვნილებად ნათლავენ.

11515. სექსის წინაპირობა ყოველთვის იყო ჰარმონიულად წყვილის აფეთქების საშუალება – თუ დედაკაცს ხელეწიფება მამაკაცის ვნების პატრუქისათვის დროულად ცეცხლის წაკიდება.

11516. სიყვარული ვნების, აღმაფრენის, გარეშე, ფართო მოხმარების სხეულის ნდომაა და შთაგონების წყაროდ არ გამოდგება.

11517. ბრწყინვალება და სიღატაკე ყოველთვის თან დასდევს კურტიზანკას, რადგან ეს მისი ბუნების თანხვედრია.

11518. საჩუქრები, ალერსი, ქათინაური, ქალს ზედმეტად აღაგზნებს და სექსაობაში იმას მოიმოქმედებს, რასაც ადრე თავადაც ვერ წარმოიდგენდა.

11519. ალბათ მელოტნი და ფეხმოქცეულნი უფრო სექსუალურნი არიან, წინააღმდეგ შემთხვევაში, გადაშენდებოდნენ.

11520. ქალისთვის სექსში ღირსების ჩვენება აუცილებელია, რათა მამრის ღირსებაში ეჭვი არ შეიტანოს.

11521. სექსი, ეროტიკა, სამარცხვინოა, თუ ამ საქმით თავად არ ხარ დაკავებული ან არაფერი შეგიძლია.

11522. სექსუალურობა ყოველთვის ტოვებს იმედს, რომ ჯიბეგამობერილს კიდევ ერთხელ დაადგამს უღელს.

11523. სიტიტვლე პროვოკაციული უნდა იყოს და არა დედიშობილა, ეროტიკის და პორნოგრაფიის გარეშე.

11524. საბოლოოდ არც ქმარია სანდო და არც საყვარელი, ვინაიდან ყველა დემოკრატიას და თავისუფლებას მოითხოვს სექსში.

11525. ძუკნა – პრინცესობასა და ვნება – ღმერთქალობას შორის ის სხვაობაა, რომ პირველი მამაკაცს ითავისებს, მეორე – აოგნებს.

11526. სარეცელში ლედი, დედოფალი, მანდილოსანი, იგივე ქალია, თუ სექსში ძუკნას ბუნებას არ იჩენს.

11527. ქალისთვის სულ ერთია, მის ვნებას ვინ დააცხრობს, მამაკაცი თუ სექსის ჯარისკაცი, მთავარია, მათ ერთმანეთს სულიერად გაუგონ.

11528. ზოგ მამაკაცს სახლში გრიპის მეტი სხვა არაფერი შეუტანია, მაგრამ მას მაინც აღმერთებენ, რადგანაც საწოლში მაგარი ხვადია.

11529. სექსსაც თავის ინტელექტი აქვს, რომელიც მოვალეობა-ხარისხში უნდა გადაიზარდოს.

11530. ქალის დილით ბუზღუნი ღამით სექსუალური კვნესის ოდენობის პირდაპირპროპორციულია.

11531. პეტრე პირველისთვის ჰოლანდიელი მამაკაცები იმიტომ იყვნენ ძალზე კარგები, რომ საქმის მცოდნენი იყვნენ, ხოლო ქალები – ძალზე ცუდები, რადგან გადამეტებული ცოდნა-გამოცდილება ჰქონდათ სექსში.

11532. გათხოვებამდე ქალისთვის სექსი ქურდობაა, გათხოვების შემდგომ – მუშაობა, ხოლო ასაკში ვერ გარკვეულა, როდის იყო ბედნიერი.

11533. ,,პლეიბოის" რედაქცია თავის ჟურნალში ათავსებს ოცნების პრეისკურანტს და არა – სექსს.

11534. ლეღვის ფოთოლსა და დღევანდელ ,,ტანგასა" და ,,სტრინგს" შორის ის სხვაობაა, რომ პირველი უკეთ იფარავდა ქალის სასირცხო ნაწილს, ვიდრე – მეორენი.

11535. სექსი მელოდრამაცაა, ოპერეტაც და ოპერაც, გააჩნია, ვინ არის სოლისტი.

11536. სექსი ყოველ ნაბიჯზე გადახალისებას და ახალი პოზის შერჩევას მოითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოვა ,,ტყუილი სუპი".

11537. სექსი იგივე ლოცვაა, მაგრამ გააჩნია ვინ ლოცულობს, ღმერთქალი თუ მონაზვნის მაგვარი.

11538. დროისთვის ფასის დადებასთან დაკავშირებით, დღეს ვერ გარკვეულხარ, ქალს პირდაპირ სექსაობა შესთავაზო ანაზღაურებით, თუ ჯერ წაეარშიყო და შემდგომ აუნაზღაურო.

11539. სექსი ყოველთვის კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს სიფარულით იქნება თუ ვნების დასაკებლად, გარდა დაავადებით ,, დაჯილდოებისა".

11540. ნებაყოფლობით მოჭარბებული სექსი, სიფარულისგან განსხვავებით, ყველა სტრესის მომხსნელია.

11541. სექსისკენ მიმავალი გზები თითქმის ყველა ერთიდაიგივეა, და მათი სხვა ფორმაციებით და ჭკუის ნაცოხნით შეცვლა უმადურობა ვნებიანობის წინაშე.

11542. სიფარულის გუშინდლობად აღქმა და სექსის დღევანდელობა შთამომავლობას თავსატეხს უჩენს.

11543. იყო დრო, როდესაც ვოცნებობდით გაუთხოვარ დეიდებზე, ქვრივებზე, ეხლა ისინი ნადირობენ ახალგაზრდა მამაკაცებზე უღლის დასადგმელად თუ არა, ვნების გასახალისებლად მაინც.

11544. სტრიპტიზი სიტიტვლის დემონატრაციაა ვნების გარეშე.

11545. ფრეიდიზმი გეიშიზმის ბიცოლაა, პროსტიტუციის ბებოა, ფემინიზმი მამიდა, რაც შეეხება დედას, მას იგი არ ჰყოლია.

11546. ეროტიკა ინსტრუქციაა რეალობაში სექსს როგორ გავეთამაშოთ.

11547. დღეს საქმე იქამდე მივიდა, რომ სექსანალიზის გარეშე, მხოლოდ ვიზუალურად, მამრის და მდედრის დადგენა შეუძლებელი გახდა.

11548. სექსზე უარის თქმა და უდროოდ პენსიაში გაპარვა, გაფიცვა კი არ არის, არამედ ეკონომიკის კრიზისი და საბოტაჟის მოწყობაა საპირისპირო სქესისი მიმართ.

11549. „ქალი გვერდით", ეს არც სიყვარულია, არც სიძვის დიაცია, არც „სამოქალაქო ქორწინებაა", ის, უბრალოდ, მეგობარი ქალია, რომელთანაც ურთიერთგაგებაში სექსით ურთიერთდასპონსორებაც იგულისხმება.

11550. ურთიერთობის ფორმა ქალს უნდა აჩვენო, ხოლო მამაკაცს უნდა აუხსნა რაც ორივე სქესისთვის უფრო ახლოა და მისაღები.

11551. ვნების, ნერვების, დასამშვიდებლად ერთჯერადი მამაკაცი ქალისათვის დიდი ბედნიერებაა, რადგან მასზე სერიოზულად არ ფიქრობს. ამიტომ არც იმედი უცრუვდება და არც განცდები შეაწუხებს.

11552. შერწყმა, დამტვრევა, მყნობა, თვით ქარიშხალი, მიწისძვრა, ვულკანური ამოფრქვევა, თავისებური სექსია, რომელთა უგულებელყოფა სამყაროს და ყოველ ცოცხალ არსებას განადგურებას უქადის.

11553. არავითარი საზიზღრობა არ არის კინოში ეროტიკული სიყვარულის ჩვენება თუ გავითვალისწინებთ, რომ ის აწმყოს ყოფის კანონებს არ ემორჩილება.

11554. სექსს ხშირად იმიტომაც უნდა გავეთამაშოთ, რათა ვიგრძნოთ ჩვენვე თავის საჭიროება და ცხოვრების სიამის ფიალა ბოლომდე შევსვათ.

11555. ყველა ასაკში შესაძლებლობით, მცდელობით, წარმოდგენით, სექსს უნდა ვემსახურებოდეთ, თუ გვინდა სიცოცხლის ჰანგი ბოლომდე შევიცნოთ და ამ ცხოვრების პროზა გავითავისოთ.

11556. სექსის სახეები უნდა ერწყმოდეს ზნეობას, ბუნების კანონებს. ასე, რომ სექსუალობას თავისი ადგილი მიუჩინოთ და სუროგატისგან დავიცვათ.

11557. სტრიპტიზი, სექსი გურმანებისთვის არ არის მოგონილი, ის უფრო უნიათო ხალხისთვის არის, რომლებიც მამრის მოვალეობას რის ვაი-ვაგლახით ახლაფორთებენ.

11558. დედიშობილი, ტიტლიკანა ეროტიკას, ისევ ტანზე შემოტ-მასნებული ,,სექს-ბომბა'' სჯობს.

11559. ენერგიის გაცვლა – სექსია, ხოლო ვნებისა და გრძნობების – დამატებითი ნეტარება სიფარულია.

11560. არის მდედრთა კატეგორია – სექსის ნაალაფევი, რომელთა-ნაც საწოლში მოხვედრა სატრაბახოა, მაგრამ მასთან დაოჯახებას არა-ვინ ცდილობს, რადგან წყვილთა უღლის დადგომას არ ანდობენ.

11561. ეროტიკა ინფორმაციაა ინტიმის შესახებ, რომელიც დამაკ-მაყოფილებლად მოქმედებს ცნობიერებაზე, ხოლო პორნოგრაფია უხე-ში შეტევაა ადამიანის სულზე, რადგან ის ფუჭად გვაფლანგინებს სექ-საობისათვის განკუთვნილ ენერგიის მარაგს.

11562. მექალთანეობასა და მეკაცთანეობას შორის ის სხვაობაა, რომ მათ სხვადასხვა სქესი მოსწონთ და მათზე ჯილაობა ერთის პირო-ბით, პირველ ვნებისთვის იწვის მეორე ფულისთვის.

11563. პროფესიონალი ტურფასთვის ყველა მომდევნო საფარელი მეორე ან მესამე მამაკაცია, რითაც მამაკაცთა თავმოყვარეობას ფრთებს ასხამს.

11564. წარმატებული თამაში სექსზე ძლიერია, ხოლო თუ თამაში გიყვარს, სექსი არაფერ შუაშია, უბრალოდ, გონება გაქვს აბნეულ-დაბნეული.

11565. გარყვნილების ლამაზი ფორმა ქალს სილამაზეს მატებს, მა-მაკაცს კი – ამახინჯებს.

11566. ლამაზმანი მერკანტილური მიზნისათვის წაწლობს და არა იმისათვის, რომ თავი ოცნებით დაინაგვიანოს, ვიღაც-ვიღაცეებმა ,,გა-დააგდონ'' და უფულოდ აუპატიურონ.

11567. ქალის მომხიბვლელობისთვის აუცილებელია ვნება, ღიმილი, ტანის რხევა, ხოლო მამრისთვის უპირველესია მდედრისთვის სექსში მხრის აბმა.

11568. ქალის შესაცნობად მეგობრობაც საკმარისია, მაგრამ სექსი უმჯობესია.

11569. სექსაობა ადამიანის შეცნობის ერთ-ერთი საუკეთესო საშუ-ალებაა, დამუღამებით და ყოფის გრაფიკით

11570. ამღვრეული ვნებათაღელვა ვნებით დაუხარჯავ ქალს ითხოვს მეწყვილედ და საკაიფოდ.

11571. სექსუალურად აგრესიული ქალი ყველა მამაკაცის საფიქრა-ლი და თავსატეხია, რათა მან მამაკაცთა მოდგმა არ დაჩაგროს.

11572. წინათ სიფარულს წარმოშობდა გარიგება, დარიგება, დღეს ფული და სექსი დარიგება-გარიგების გარეშე.

11573. იმის მიუხედავად, რომ საზოგადოება ყოველთვის იკვებება სინდისის საწყისებით, ხშირად ვნება იმარჯვებს სინდისის ხმაზე, რაც, ეტყობა, ადამიანის ბიოლოგიის გამოძახილია.

11574. ბედნიერების ძირითადი ნაწილი სექსია და ეს ფელა ქვეყნის კონსტიტუციამ ოფიციალურად უნდა დააფიქსიროს.

11575. არიან ქალები, რომლებსაც სხვათა საწოლების მომსახურება უხდებათ, მაგრამ საღამოს ერთგულად უბრუნდებიან თავიანთი ფაორიტების სარეცელს და ჰონორარის გარეშე უდრტვინველად ესექსებიან.

11576. სქესთა ბრძოლა ონანისტებს არ ეხებათ, რადგან ორივე წარმოდგენით იკმაყოფილებს ვნებას.

11577. სექსაობის მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარებას მიაქვს დიდი დრო და არა თავად პროცესს.

11578. ჩვენ რომ ისეთი ყაჩაღები ვიყო, როგორც წარმოსახვით სექსში ვართ, ჩვენი ცოდვების და სასიფარულოდ გამზადებულ ქალების ბედს ძაღლი არ დაჰყფდა.

11579. სექსუალური რევოლუცია ნაწილობრივ ,,შიდსის'' და არატრადიციული სექსის მიმდევართა გამარჯვებით შეიძლება დამთავრდეს, თუ ამ პრობლემას დროულად ყურად არ ვიღებთ.

11580. უაზრო ხდება აღგზნება, თუ ქალის მიმართ მოთხოვნები დაქვეითებული გაქვს.

11581. სექსში უმთავრესია შეცნობა-შეგრძნობა და არა მარტო ფიზიოლოგიური მოთხოვნილების დაკმაყოფილება, ამიტომ ჩემთვის გადაგვარებული სექსი და არა – სიახლის ძიება, მიუღებელი.

11582. სიცოცხლის ჩასახვის მტრები, პრეზერვატივია, აბები, სპირალი, უნდა აიკრძალოს თუ გვინდა სექსი მარადიულობის სამსახურში ჩავაყენოთ.

11583. საროსკიპო აჯანმრთელებს გრძნობებს, ვნებამოჭარბებული და ჭკუაგადაბრუნებული ხალხის დროებით გატაცებებსა და სისულელეებს ჩადენის პროფილაქტიკაა.

11584. სექსი რომ მოვალეობად, ვალად და დაძალებულ ვნებად გადაიქცევა, იმ გრძნობების და სიფარულის კრედიტის დედა ვატირე.

11585. სიფარული გრძნობათა გავაკების ცდაა, ხოლო სექსი – ვნების დროდადრო დაოკების სურვილი.

11586. ვნების გარეშე არც მორცხვი ეროტიკაა სასიამოვნო საყურებელი და არც ურცხვი პორნოგრაფია.

11587. სპონსორი ფელაზე მეტად სექსშია საჭირო, რათა შეუხედავ ქალს რწმენა ჩაუნერგო და ისევ ქალად აქციო.

11588. ქალისთვის სექსში სასიამოვნო აპოგეაა ტკბილი კრუნჩხვების განცდა, ხოლო მამრისთვის – ამ კრუნჩხვების გამოწვევის მცდელობა.

11589. ვნების, სექსაობის, დროსაც ქალს ეტიკეტის დავიწყება არ ეპატიება, პარტნიორს რომ არ შესძულდეს.

11590. პოლიგამია – სექსუალური პარტნიორის ცვლა ხარისხის უგულებელყოფით.

11591. სიყვარულის პარამეტრები და სექსაობის ნორმა არავის დაუწესებია, მაგრამ მათაც თავის მარგი ქმედების კოეფიციენტი აქვთ.

11592. სექსაობაც თავისებური ხელოვნებაა და მას გამოცდილი რეპეტიტორი, რეჟისორი სჭირდება, რათა მისი უმაღლესი ნეტარება, ორგაზმი, წყვილმა ერთდროულად განიცადოს, წინაალმდეგ შემთხვევა-ში, განათლება მოიკოჭლებს და სიყვარულს, ურთიერთგაგებას, სიამის განცდას, ბზარი უჩნდება.

11593. იმისდამიუხედავად, რომ ქალის სექსუალობა თვალებშია, თვალში მაინც არ უნდა გვეცეს და მისი დაჭაშნიკება და გათავისება ერთჯერადი არ უნდა იყოს.

11594. პროსტიტუცია უნიკალური ბიზნესია: ყოველგვარი დაბანდე-ბის, წარმოების, გადასახადის, გარეშე ფულს შოულობს, თუ გარეგნო-ბამ, ასაკმა და სირცხვილის გრძნობამ არ უღალატა.

11595. არიან ქალები, რომლებიც აქტიურად ვარჯიშობენ ზეწარსა და საბანს შორის და არა იმიტომ რომ მათ ინტუიცია ღალატობთ.

11596. ყველა ასაკს მისთვის საგრძნობი პორნოგრაფია სჭირდება და არა – ეროტიკა, რომელიც გაგებას, შეცნობას, გემოვნებას, მოითხ-ოვს.

11597. ქალის სექსუალური გამოცდილებაც პოლიტიკაა, მანამ სანამ ურთიერთობათა იდილია გასტანს.

11598. სატანა ყველასთან არ სექსაობს ე.ი. წმინდანი და წუნია მამაკაცი ეშმაკი ყოფილა.

11599. სექსი ყველაზე ინტიმური ფორმაა მასაჟის, მკურნალობის, გახდომის, რომელიც შეიძლება სულიერების ცეკვად აღვიქვათ.

11600. ნაღდი სექსი თავისებური სულის ლოცვაა, ხორცის გალაღე-ბაა, ვნების აღმაფრენაა მუსიკის ჰანგებით და გონების დროებით დამუ-ნათებით.

11601. ნუდისტები სტრიპტიზს არ ცეკვავენ.

11602. ტრადიციულ სექსზე რევოლუციაც ცუდად მოქმედებს და ევოლუციაც, თუ რაიმე ახალი ვირუსი გამოტყვრა.

11603. ქალის ბაღნარში, მამრის ფალოს და სული სამოთხეში პოლიტიკაში, ყოფაში არ გამოდის, ხოლო ამ აქსიომაში ნაღდი ქართული არანორმატიული ლექსიკით სიტყვების ჩასმა თავად მკითხველისათვის მიმინდვია ოღონდ ფილოსოფიური ტოლობის იგივეობით.

11604. საოცარია, მაგრამ ჩვენ იმ სპერმის მემილიონედე ნაწილი ვართ, რომლისგანაც ჩვენი შემქმნელი სიამით განთავისუფლდა.

11605. ასაკში ხვდები, რომ ფალოსის ჭკუაზე ხეტიალის დროს ცხოვრობდი, საკუთარი ჭკუით სიარულისას კი არსებობდი.

11606. სექსი რადგან ხელოვნებაა, სექსაობას ქალის ნაზი სულიერება უნდა თავკაცობდეს და არა მამრის უხეში ნდომა, რადგან სექსში ჟინის მოკვლა კი არ არის მთავარი, არამედ ხორცის და სულის შერწყმული სიამოვნება, რასაც ქალის თვალების მადლიერი შემონათება ზედ უნდა დაერთოს.

11607. ყველა ერთმანეთს რომ ვგავდეთ, მაშინ უპირველესი გართობა სექსი იქნებოდა სიტყვებით: ,,ბოდიში, შემეშალეთო", – შედეგად არც საზოგადოება განვითარდებოდა, არც ოჯახები შეიქმნებოდა, ხოლო სიტყვა სიყვარული და ტრფობა ლექსიკონიდან გაქრებოდა.

11608. მოდიფიცირებული ნედლეული და არატრადიციული სექსი დღეს სინონიმებია.

11609. არიან მიმზიდველი სულის ლამაზმანები, რომლებიც სხვა ქალების ძალისხმევით ფეხზედაყენებულ სასურველ მამაკაცზე ახალგაზრდული მომხიბვლელობით, ქვენა გრძნობებით, შეუპოვრობით, ნადირობენ. მათი მთავარი მიზანი ვნებათა მოშველიებით სხვისი ქონების პრივატიზაციაა.

11610. მდედრს ოცნების მისახვევ-მოსახვევი და ,,გასაჭენებელი" ბევრი აქვს, მაგრამ ფუნქცია – ერთი, მარად ,,ვნების ყუმბარად" იქცეს და ქალობა შეინარჩუნოს.

11611. ცოდვა ქალებში სიარული კი არ არის, არამედ სექსის მინიმუმის სახლში შეუსრულებლობა.

11612. როდესაც შენ წინაშე ბრწყინვალე მკერდია, შეუძლებელია, პერსპექტივის მიუხედავად, არ დაიმახსოვრო და სიამე არ განიცადო.

11613. საროსკიპო თავისებური ტრფობის ინსტიტუტია, რომლის მსახურნი მოწოდებულნი არიან საცდუნებლად, ვნების დასაკვალიანებლად და რუდუნიზმისაგან თავდასახსნელად.

11614. ქალის თანაკლასელთან და მეგობართან ურთიერთობა სხვადასხვა რამაა, რადგან პირველთან შესაძლებელია ინტიმი არ ჰქონდეს,

ხოლო მეორესთან შეუძლებელი, რადგან მამრსა და მდედრს შორის მეგობრობა სექსის გარეშე სულიერების ონანიზმია.

11615. პროფესიონალი მეძავი ფულისთვის ყველაფერს იკისრებს სექსში, ხოლო მოყვარული – ინტერესისთვის, სიახლის დაჭაშნიკების-თვის, ამ ქალებს შორის სხვაობა ის არის, რომ პირველი გასწავლის, მეორეს თავად ასწავლი და ორთავენი სიახლეს ეცნობით.

11616. ყველა სექსუალური აქტი, შედეგის მიუხედავად, დაფიქრებას, განსჯას, პროფილაქტიკას მოითხოვს – ღირდა კი პარტნიორი სული-ერი ვნების მისანიჭებლად.

11617. სექსში შენზე უმცროსი ქალი – ძარცვის გამოცდილებას აგროვებს, თან თავს გამადლის. ტოლი პარტნიორია, კოლეგაა, აზრებს გიზიარებს. შენზე უფროსი გიფრთხილდება, გაფასებს, მადლიერი თვა-ლებით შემოგციცინებს. რომელი სჯობს, გასახსენებლად მაინც ვერ ხვდები.

11618. პროფესიამდე აყვანილი პროსტიტუცია თავისებური ხელოვ-ნებაა და ის უნიჭოთა ხელში ხელოსნობად არ უნდა იქცეს.

11619. დეკოლტე თვალის სატყუარაა, რომლისთვისაც მამაკაცის ღირსება ხშირად თავს მოიგიჟიანებს და მის ფანდზე წამოეგება.

11620. გიყვარდეს ქალი ღამის სამ საათამდე სექსუალურ საწყისებზე დიდი ხელოვნებაა, მთელი ღამე – უგნურება და თავის უაზრო, დაუ-ფასებელი ექსპლოატაციაა.

11621. პროსტიტუცია გაჭირვების შედეგად და პროსტიტუცია მო-წოდებით ერთი და იგივე საქმიანობაა, მაგრამ სხვადასხვა მცნებებს ეყრდნობიან, რადგან თუ პირველს შანსი აქვს ოჯახის შექმნის, მეორეს-თვის ეს გამორიცხულია, რადგან მას ჟინი-ვნება ამის უფლებას არ აძლევს.

11622. სექსი თავისებური ცეკვაზე მიწვევაა სიამის და ჯანმრთელო-ბის შეცნობის მცდელობით, რომელიც უფრო ბუნებრივ შერწყმას, ინიციატივას, თანდაყოლილ ნიჭს მოითხოვს, ვიდრე განათლება-გამოცდილებას.

11623. სექსუალური რევოლუცია არ არსებობს, არსებობს მხო-ლოდ ევოლუცია.

11624. სტრიპტიზი ფულის შოვნის მარჯვე ხერხია, რადგან საქონ-ლის მოხდენილად ჩვენებაზე ფულს უსიტყვოდ იხდი, ხოლო გათავისე-ბაზე მას თავად უნდა ევაჭრო.

11625. სექსაობის შედეგი მოითხოვს ახსნა-განმარტებას და არა – სიყვარულს.

სიდედრი, დედამთილი

11626. ბოლოს ხვდები, რომ ცოლი შენი სიდედრისაგან არც ისე შორს მდგარა, როგორც თავიდან გეჩვენებოდა.

11627. სიდედრ-დედამთილის ინსტიტუტთან დამოყვრების მიუხედავად ის მაინც უცხო სხეულია წყვილის სულში.

11628. სიდედრი ღვთისნიერ ქალად უნდა მივიჩნიოთ, ის რომ არა, ვინ გაგიზრდიდა ქალიშვილს, რომელიც შენ შეაცდინე და მოხიბლე.

11629. სიდედრ-სიძის შეხვედრა პატარა დღესასწაული უნდა იყოს, იმ იმედით, რომ ეს ხშირად არ განმეორდება.

11630. სიდედრთან ურთიერთობა თავისებური ფილოსოფიაა, ყველას გასაგონად უნდა აქო და ოჯახს შენი ზედამხედველობის გარეშე ახლო არ გააკარო.

11631. ცოლის მოყვანა-არმოყვანას არავითარი კავშირი არ აქვს სიდედრთან, მაგრამ მასთან შეხვედრა დამატებითი გამოცდაა და მასზე აკვიატებულ დიაგნოზს პირველი შერკინებისთანავე ეთანხმები.

11632. სხვისი უიღბლობა ალბათ არ გამოდგება ოჯახის, ცოლის და სიდედრის წინაშე.

11633. სიცილი თუ სიცოცხლეს ახანგრძლივებს, მაშინ სიდედრ-დედამთილს ანეგდოტები და სხვა სასაცილო ჭორები არ უნდა მოუყვნენ, რადგან ღმერთი არ გაუწყრეთ და ზეცას სიძე-რძლის ჯინაზე არ გამოეკერონ.

11634. სიმამრისთვის სიძე ყოველთვის ცოტათი ნაძირალაა, სანამ მისი შვილიშვილების მამა გახდება.

11635. სიდედრის სამი ნაჩუქარი ჰალსტუხიდან სიძემ ერთ-ერთით გამოინასკვა კისერი და ისე წავიდა მადლობის სათქმელად ცოლის დედასთან, რომელმაც უსაფუდურა: ,,დანარჩენი რატომ დამიწუნეო''! მოკლედ, ან სიდედრია ,,პროვოკატორი'', ან სიძეა უფხო და უქნარა.

11636. პირადი საკუთრების დაცვა ღობის, ძაღლის, თოფის და სიდედრის გარეშე შეუძლებელია, თუნდაც ის რად ღირს, რომ ეს უკანასკნელი თავისი ქალიშვილის მუდმივი დამცველია.

11637. რძალ-დედამთილის სიმფონია მათ სათაყვანებელ მამაკაცს ძალას აცლის, ამუნათებს, ხოლო სიძე-სიდედრის ოპერეტა ოჯახის დამოუკიდებლობას ემუქრება და ნგრევამდე მიჰყავს.

11638. ადამისა და ევას ურთიერთობას უსიდედრ-უდედამთილობამ ვერ უშველა და ევას ცნობისმოყვარეობამ სამყაროს პირველ შვილებს სამოთხეში ცხოვრების უფლება დააკარგვინა.

11639. საცოლეს მამრი სიმღერებს, ქათინაურებს, უძღვნის, სასი-დედროს კი, რატომღაც, ანეგდოტებით უმასპინძლდება.

11640. სიდედრ-დედამთილთან ურთიერთობამ სასიკეთო შედეგი რომ მოიტანოს, ყასიდ დათმობებს მოითხოვს და არა – სიფარულს, მიუხედავად იმისა, გვაქვს ამის ნერვები, სურვილები თუ არა.

11641. ყველაზე აქტიურ პესიმისტებად სიდედრი და დედამთილი ითვლება, თუმცა გულში ოპტიმიზმი არ უცხრებათ.

11642. სიძე განგებას სიდედრის სიკვდილს ევედრება და თან გულს აყვედრის, ხომ ხედავ ჩემთვის არაფერს არ გთხოვ და თუ გაწუხებ, ისიც სხვისთვისო.

11643. სიდედრ-დედამთილი ის უცხო დეიდები არიან, რომლებიც თქვენს ცხოვრებაში, კეთილი სურვილებით ცხვირს ყოფენ, რომლის შემჩნევას თქვენ ვერ ახერხებთ და მზად ხართ ამ არამკთხე ნათესავს კარი გამოუკეტოთ.

11644. დედამთილები არსებობენ: მარად ახალგაზრდანი, თავგამო-დებული დიასახლისები, ინტელექტუალები, უპრეტენზიონი, შურიანები, კაპასები. ამიტომ სანამ შეეჩვევი და შვილს ნებაყოფლობით გადმოგაბა-რებენ დროებით ფერად-ფერადი ღიმილის კოჭი უნდა უგორო – მოთმინების ეს ილეთი ძალიან ამართლებს.

11645. თვით სიძე-პატარძლის მოძულე სიდედრ-დედამთილის დუ-ეტიც მათი ,,თვითმკვლელობის" წინააღმდეგია, რადგან შვილიშვილები უმშობლოდ და უსახლკაროდ რჩებიან.

11646. სიდედრი და დედამთილი ბებიების ის ბლოკია, რომელიც ალიანსში არიან შვილებთან, მათთვისვე ნიშნის მისაგებად.

11647. ვიცი, არ ვიცი, არც მინდა ვიცოდე ეს არის სიდედრ-დედამთილის სიმართლის წარმოჩენის საწყისიც და მისი ასავალ-დასა-ვალიც.

11648. სიდედრი გამოცდაა და არა – დიაგნოზი, ხოლო დედამთი-ლი – გამოცდილების გაზიარება ზედამხედველობით.

11649. ხშირად სიდედრ-დედამთილის ერთმა დამრიგებლურმა სიტყვამ შეიძლება ახლად შექმნილი ოჯახი დაშხამოს, ამიტომაცაა, რომ სანამ იმუნიტეტს გამოიმუშავებდე, ამ ,,საშინელ" ნათესავს უნდა ერიდო.

11650. ზოგი სასიდედრო თავის ქალიშვილს მზითევში ბოღმას, შურს, თავის განუხორციელებელ ოცნებებს და მკრეხელურ დარიგებას ატანს.

11651. ზოგიერთი სიძისთვის სიდედრი რომ სუნთქავს, ისიც ნაკლია, ხოლო რძლისთვის დედამთილის დამუნჯება თავისებური გამოწვევაა.

11652. ცოლთან საუბარი გაცილებით მეტ გამოუყენებელ ცოდნას გვაძლევს, ვიდრე სიდედრთან საქმიანი საუბარი, რადგან ეს უკანასკნელი დაფიქსირებას და პატივისცემას მოითხოვს.

11653. ღვთის სახლში მისვლას თავისი დიზაინი და მოდა სჭირდება, რათა არც მორწმუნეთა გრძნობები შეილახოს და არც საპატარძლოს შესარჩევად მოსული მომავალი სასიძო – სადედამთილოს თავმოყვარეობა, თუ ქალი არ მოეწონებათ.

11654. სიდედრ-დედამთილებს ავიწყდებათ, რომ ისინიც იყვნენ პატარძლები და სიძე-პატარძლის მშობელთა „რეპრესიების წილმხვედრნი".

11655. ხშირად საყვარელი ადამიანის უარყოფითი მხარეა მისი მშობლები და ირგვლივმყოფნი.

11656. დიდი ბედნიერებაა, როდესაც სიდედრ-დედამთილი სამოთხეში მოხვდება ჩვენდა დაუკითხავად.

11657. სიდედრი ჭინჭრის თაიგულია, დედამთილი – ჭინჭარი.

11658. საცოლის შერჩევისას, საოჯახო ალბომში, სიდედრის ახალგაზრდობის სურათს უნდა გაეცნო, რათა წარმოდგენა იქონიო 25–30 წლის შემდგომ რა ხვითო შემოგრჩება.

11659. სიდედრ-დედამთილობა უფრო ობლიგაციაა, ვიდრე ლატარეა, რადგან შეიძლება დროთა განმავლობაში რაღაც-რაღაცეები მოიგო და იმედი არ დაკარგო.

11660. გარემოება და დრო იძლევა იმის შეგნებას, რომ კონსენსუსი სიძე-დედამთილს შორის შესაძლებელია და თანაც წარმატებით.

11661. კონფლიქტი და პირდაპირი დაპირისპირება სიძე-სიდედრსა და რძალ-დედამთილს შორის თაობათა ცვლის და შეჭიდების ბუნებრივი მოთხოვნილებაა, რადგან ორი უცხო სხეული ყოფიერების ქიმიურ რეაქციაში დროულად ვერ შევიდა.

11662. გონიერი სიძე სიდედრს მეგობრადაც გაიხდის და საყვარელ დედიკოთაც, თუ ზრდილობა-პატივისცემის ბალანსს დაამყარებს ურთიერთობაში, რადგან ქალს და ისიც ასაკში, ძალზე ცოტა მოფერება ჰყოფნის.

11663. სიდედრ-დედამთილის სანატორიებში დასასვენებლად გაგზავნა, ეს პირველ რიგში სიძე-რძლის დასვენებაა.

11664. ქალი – სიდედრი და ქალის – მსხვერპლი სიძე, ეს სხვადასხვა გაგებაა სიამის ცნობიერებისათვის.

11665. სიდედრის ამპუტაციის მცდელობა ახლადდაქორწინებულთა ყოფიერებიდან დამუღამებულ ტრადიციებს და კანონებს არ ემორჩილება.

11666. ფელაზე მეტ პატივისცემას სიდედრის წინდახედულება იმსახურებს, რადგან ის იყო ფელაზე დიდი წინააღმდეგი თქვენი დაწფილების და სამართლიანადაც – დღეს ცოლის დანახვას ვერ იტან.

11667. როგორ უნდა იყოს სიძე საქმით გადატვირთული ისე, რომ უდიდეს სიამოვნებას, სიდედრის დასაფლავებას, არ დაესწროს.

11668. ლამაზმანისთვის მამაკაცი ფულის ჭუჭყივითაა: თავი როგორ შორსაც უნდა დაიჭიროს, სიდედრივით მაინც აეკვრება.

11669. წფილი თუ ერთმანეთის მიღწევით გახარებულია, სიდედრ-დედამთილიც გაოცებული და აღფრთოვანებულია, ოღონდ მაინც თავიანთი გადასახედიდან.

11670. სიდედრ-დედამთილი დიდი ავტორიტეტია, მაგრამ არა – სიძე-რძლისთვის თუ ისინი მათი ნაშიერების აღზრდაში აქტიურად არ მონაწილეობენ.

11671. სიძე იგივე შვილია, თუ შენს ქალიშვილს გამოადგა.

11672. სიძისთვის სიდედრი და რძლისთვის დედამთილი ცუდი ან ძალზე ცუდია და ეს განსჯას არ ექვემდებარება, რადგან დაუდეგელი მენტალიტეტია ასეთი.

11673. სიძე-პატარძლის ავკარგიანობა შვილის შეძენა-დაკარგვის ტოლფასია.

11674. პატარა ტრაგედიებს ყოველთვის იწვევს ,,დიდი სისულელეები", რომელსაც ჩვეულებრივად და ხშირად აუცილებლობიდან გამომდინარე ჩავდივართ მაგ. ცოლის მოფანა, სიდედრთან გაუგებრობა.

11675. არის უნივერსალური გარეგნობა, ხასიათი, რომელიც მუდამ პირველ ცოლს და ოჯახის დამანგრეველ სიდედრს გახსენებს და ამ მახსოვრობისაგან თავის დაღწევა ვერ მოგიხერხებია.

11676. ახალგაზრდა ძიძა, გადია, სახლში არ უნდა მოიწვიო – პოტენციური კონკურენტია და შესაძლოა ქმარი ,,დაგაწეროს" დედამთილის ხელისშეწყობით და ნიშნისმოგებით, მითუმეტეს, თუ ამ უკანასკნელს გულზე არ ეხატები.

11677. ზოგი რძალი მზარეულის ,,შავ ქამარს" ფლობს და იუველირის ,,ოქროს ხელებს", მაგრამ ერთს დედამთილი ჰყავს ,,უჯიშო", მეორეს – ქარაფშუტა მული, რადგან სამზარეულოს ტერიტორია დაყოფა-გაყოფას არ ექვემდებარება, იქ ერთი ქალის ანექსიაა.

11678. ფელაზე კარგი სიდედრ-დედამთილი ისაა, რომელიც ცალკე ცხოვრობს, ხოლო ფელაზე საფარელი სიმამრ-მამამთილი, რომელიც ხელდამშვენებული შიგადაშიგ ესტუმრება თავის შეძენილ და ნაღდ შვილებს.

11679. სიდედრ-დედამთილი ან ბედის საჩუქარია, ან ბუნების შეცდომაა და ვითარების შეცნობის შედეგად მიღებული დაბნეულობაა.

11680. სიამაყე ნამდვილი სიყვარულის წინაშე თითს არ კაკვავს, მაგრამ ქედს იხრის.

11681. არის საზოგადოებისათვის ნაკლებად ცნობილი ადამიანი, რომელსაც ვერც ერთი პოპულარული ვარსკვლავი ვერ შეედრება, მაგრამ განგების ნებით მან თავისი გენიალობით სხვათა ნიჭი და შესაძ-ლებლობა უნდა წარმოაჩინოს. მაგალითად, მეცნიერები, რეჟისორები, სახელმწიფო მოღვაწენი და ა.შ.

11682. უნდა ვიცხოვროთ იმისთვის, რომ ჩვენი ოცნებისთვის შესა-ფერი სიამოვნება მივიღოთ თუნდაც "ჭიქაში ქარიშხლის" გამოწვევით.

11683. სამწუხაროდ, თავის წარმოსაჩენად და დასაფასებლად ღირ-სებასაც სახსარი სჭირდება.

11684. მამაკაცის ღირსება კი არ ბერდება, უბრალოდ დრო იც-ვლება, მაგრამ ყავლი არ გასდის, რადგან მისი საჭიროება დროთა განმავლობაში ბრუნდება.

11685. ღირსება მადლს, თავანს, არ ითხოვს, რადგან ის თვითნაბა-დია, იშვიათია.

11686. სიკეთის კეთებაც სიფრთხილეს მოითხოვს, რათა შემთხვევას ხელი არ გავკრათ და სიკეთის ჩვენდაუნებურად კეთება არ დაგვავა-ლონ.

11687. ერთადერთი საქმე, რომელიც მითითებით არ კეთდება, სიკეთეა, რომელსაც რატომღაც სწრაფად ივიწყებენ და ბედის წყალო-ბად მიაჩნიათ.

11688. სიავე სიკეთის სანიტარია, რადგან მეორე პირველის გარეშე ფასს დაკარგავდა.

11689. მადლიერება არ მოტყუვდება, სიკეთის კეთების და კაიკაცო-ბის საქმეში.

11690. შვილის აღფრთოვანებული მზერა მშობლის ამაგის დასაფა-სებლად ყველაზე დიდი ჯილდოა, ღირსების გაამაყებით და სიამის გან-ცდით.

11691. ყველაფერი მიდის და ქრება იმ სიყვარულის გარდა, რომე-ლიც სიკეთის თესვის ნიჭითაა აღჭურვილი და განკუთვნილია მატიანის გრძნობების ასაფორიაქებლად.

11692. კეთილ ნებას ხშირად გარანტია სჭირდება კვადრატში, რა-თა გათავხედების საშუალება მეშურნეს არ მისცეს.

11693. მომეტებული თვითგვემა და სიამაყის შეგრძნება – ორთავე დამღუპველია, რადგან მათ თავისი ადგილის მოძებნა ცხოვრებაში უჭირთ.

11694. აზროვნება, სინდისი, რწმენა, თავისუფლება, სიყვარული, ყველა თაობისთვის ზეიმი და სასიამოვნო გარჯა უნდა იყოს.

11695. ყველაზე დიდი ჯილდოა, როდესაც შენი უცაბედი დანახვა უხარიათ, შენთან საუბრით ტკბებიან და სიამის გრძნობით გაცილებენ.

11696. სიკეთის კეთებას უპირველესად კულტურა სჭირდება, შემდეგ მოდის აღზრდა, გარემო, შესაძლებლობა, როგორც სულიერი, ასევე მატერიალური.

11697. სამყარომ ვერ მოახერხა ცოდვის, სიავის, კანონით შეცვლა და სიკეთე-გულკეთილობის სათანადოდ დაფასება.

11698. აღფრთოვანება არ იყიდება, მაგრამ მისი შეძენა შესაძლებელია თუ დიდი ფულს შევპირდებით და იმ საქმეს შევუკვეთავთ, რაც მას ეხერხება.

11699. სიკეთეც დაცვას, მოვლას, მხარდაჭერას ითხოვს, რადგან ისიც ყოფის ჩვეულებრივი ალგორითმია გონიერების ხელში.

11700. დღეს სიკეთის კეთებაც გაანგარიშებას და დაფიქრებას მოითხოვს.

11701. სიმართლის სიკეთე ყველაზე საშიში იარაღია ადამიანის დასამუნათებლად, თუ ამას დროულად, ცხელ კვალზე, აგრძნობინებენ ოპონენტები.

11702. სიკეთე თავისებური წინასწარმეტყველია, ფაქტზე გამომჭერი ყოფისა, იმედისა, ხასიათისა და მრავალი სხვისა, რომელიც ზოგჯერ გვაიძულებს არ ჩავეძიოთ.

11703. სიკეთის კეთება, პატიოსნად ყოფნა, ყურპანტურობა კი არ არის, არამედ ყოფის რეალობიდან გამომდინარე სულიერი მოთხოვნაა, რომლის გაგება ყველას არ ძალუძს.

11704. კეთილშობილება, ღიმილის, სიტყვა-პასუხის და სიკეთის ფრქვევის გარეშე, ნულის ტოლია.

11705. ცოდვილი სიკეთის კეთება ყოველთვის სიკეთედ არ ითვლება.

11706. სიკეთეს, გვინდა თუ არა, პირადი მცველი სჭირდება.

11707. ,,ხელის დაბანა'' იქ, სადაც ამას არავინ ელის, ყველაზე დიდი ვერაგობაა და შეიძლება ,,სიკეთეც'' – რადგან, როგორც იქნა ადამიანი გაიცანით.

11708. სასიკეთო საქმის კეთება ყოველთვის რისკს მოითხოვს, ვამჩნევთ ამას თუ არა.

11709. სიკეთის კეთება ბედნიერების ნაწილია და ყველამ უნდა გავითავისოთ.

11710. სიკეთის კეთების გარეშე ადამიანი „საქონელია“ და საზოგადოებისათვის ურგები.

11711. სიკეთე უნდა ვთესოთ და მოვუაროთ, თორემ სიავის სარეველას არც თესვა სჭირდება და არც გამარგვლა.

11712. შანსსა და შანსიანს შორის დიდი სხვაობაა, მაგრამ ორივეს გამოყენება შეიძლება სიკეთის საკეთებლად.

11713. სიკეთეც და სიავეც იქ დაბორიალობს, სდაც გული ლაღობს, გონებს უხარია, სული დაფრინავს და თუ რატომ, ყველაფერი პირობითია.

11714. ღირსება ბევრს თავისი პატიოსნობით ესმის, რომელსაც ხშირად თავისივე სახელით ნათლავს.

11715. არის პაემანი, რომელზეც თავქუდმოგლეჯილი გარბიხარ, არის ისეთი შეხვედრაც, რომელზეც არასოდეს არ მიხვალ, მაგრამ მიპატიჟება გულის კუნჭულში სიამეს განცდას გიტოვებს.

11716. სიმართლეც მოსაბეზრებელი ხდება თუ მას ნიადაგ ჩაგჩიჩინებენ.

11717. ზოგჯერ სიკეთე გადამწიფებულ საქონელს მოგვაგონებს, რომლის სიმწიფეს ამ დონემდე არც სიკეთის მკეთებელი ელოდა და არც სიკეთის უმადური მიმღები.

11718. არის მომენტი, როდესაც თავი ყველაზე ბედნიერი გგონია ანდა – პირიქით, მაგრამ სიკეთის სტანდარტის ერთფეროვნება რჩეულთა ხვედრია.

11719. არსებობს ბუნებით უსინდისო, შურიანი, ავყია და აქ დრო და გაჭირვება არაფერ შუაშია.

11720. სიკეთის კეთებაც კი გონების გაზომვითაა საჭირო, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება უკუ შედეგი მივიღოთ.

11721. სიკეთის მკეთებელს ხშირად მადლიერებით არ უნდა შევახსენოთ ქველმოქმედება, თორემ შეიძლება გაბრაზდეს და მოითხოვოს სიკეთის უკან დაბრუნება. ასე, რომ ქება-მლიქვნელობასაც ზომიერება სჭირდება.

11722. სიკეთე გულჩვილობაში არ უნდა აგვერიოს, არც ამართლებს და ვერც გაგიგებენ.

11723. სამართლიანობის არსებობას თუ დავიჯერებთ, ეს სახელმწიფო წყობის უდიდესი წარმატებაა.

11724. გადამეტებული სიკეთის კეთებას ყოველთვის ბედნიერება არ მოაქვს, რადგან მასაც სჭირდება ზღვარის დადგენა, მადლის შეცნობის სურვილით.

11725. სიკეთის კეთება მეტ-ნაკლებად საკუთარი თავმოყვარეობის მოფერებაა, მიუხედავად აღზრდისა და შინაგანი ბუნებისა.

11726. ღიმილი ყოველთვის მხრების სიგრძე-სიგანეზე უნდა გვითა-მაშებდეს, რათა ამქვეყნად ყოფნის მადლი ვიგრძნოთ.

11727. ცხოვრება ღიმილით უნდა განვლოთ, რადგან სერიოზულო-ბა უკვდავების გარანტი არაა.

11728. სიკეთეც ხანდისხან მუშტით უნდა იქნეს დაცული, რათა დაძალებით მისი მადლი გაიგონ.

11729. სიკეთის კეთების დანერგვის ხელოვნება, ქვეყნის მმართველის ყველაზე დიდი დამსახურებაა.

11730. სიკეთე როგორიც იყო, ისეთივე დარჩა, ხოლო ბოროტება გახდა ცინიკური და ცივილიზებული.

11731. ის, ვინც საქმის საკეთებლად ღმერთს არ უქნია, მუდამ სიმართლის ძებნაშია, ხოლო ვინც საქმიანია და შემართებაც თან ახ-ლავს, სიკეთე თავად ეძებს და ესალმუნება.

11732. სიკეთის კეთებას დაუფიქრებლად არავინ დაგიფასებს და ამასაც თავის შინაგანი მრჩეველი და მცდელობა სჭირდება.

11733. გამარჯვებას ოპონირება ჩრდილს ვერ აყენებს, მასში რა სიკეთის მარცვლებიც უნდა იდოს.

11734. მუდმივ უსაქმურობას და განცხრომას ჯერ სიკეთე არავის-თვის მოუტანია მაგრამ პრაქტიკა იშვიათად, მაგრამ გამონაკლისს უიშ-ვებს.

11735. სამწუხაროდ, ხშირად ცდება ის, ვისაც საბოლოოდ სწამს სამართლიანობის და სიკეთის ტრიუმფის.

11736. არსებობს სიკეთის კეთების, სიკეთის შენახვის, სიკეთის გადა-ტანის, კანონი, რომლის ფორმულის შექმნა-გამოყვანა ჯერ არავის უცდია.

11737. სიკეთის კეთება ადვილია, მისი სათანადოდ დაფასება და ახალი სიკეთის მკეთებლის გამორჩევა – აღზრდაა ძნელი.

11738. სიკეთის ფოთლები ვადამდე რომ არ გახმეს და კვლავ იყაროს, მას უანგარობა და სასოების ხელი უნდა წავაშველოთ.

11739. მოგვიანებით წადილის ასრულებას ეშხი აკლდება და არა – სიხარული.

11740. სიკეთის ჭირნახულის მოწევა და მისი დაბალანსება ყველა ხელისუფლის მიზანია და მათ შეძლებას ექვემდებარება, თუ მხოლოდ ოცნების ბურანში ხეტიალს და ყბედობას არ აქვს ადგილი.

11741. სიამაყის წარმოჩენით შეიძლება ზოგიერთი ადამიანი მოისყი-დო, ხოლო სიდიადით – განურჩევლად ყველა.

11742. სინამდვილე, ოცნებასთან შედარებით, ყოველთვის უნიჭო, უნიათო და გაშიფრულ-გაშიშვლებულია.

11743. უნდა ვიცხოვროთ არა მარტო რწმენით, არამედ სიკეთის მოთხოვნითაც.

11744. სიმართლის შეცნობა ყოველთვის სასიამოვნო არ არის, მაგრამ სასიკეთოა, საინტერესოა და განსჯის საბაბსაც იძლევა.

11745. უმეცარი ადამიანის უმთავრესი ნაკლი ის არის, რომ არ იცის სიკეთე როგორ აკეთოს და დღევანდელობას როგორ მოერგოს.

11746. მცდელობის მიუხედავად, სიბრიყვეს და სიბრძნეს სიკეთის აღქმა ერთნაირად არ შეუძლიათ.

11747. სიამაყე არც იყიდება, არც იცვლება, არც შეიძინება, ის შენი ბუნებაა და ვაჭრობის საგნად არ უნდა აქციო.

11748. სიკეთე თავისებურ ხვნა-თესვას მოითხოვს, რათა მისგან აღებული მოსავალი ადამიანის გულში სასიკეთოდ დავაბინაოთ.

11749. სიკეთე არ ნიშნავს სისუსტეს, კომპრომისს, რადგან ის გულით და სულით კეთდება და არა იმდენად ჭკუა-გონებით.

11750. ხშირად სიკეთის კეთება, დასპონსორება, ფულთან ანგარიშ-გასწორების შედეგია და არა – კეთილი ნებისა.

11751. სიკეთის კეთებას ეჭვი აუფასურებს და ღუპავს.

11752. სიკეთის კეთება ერთისთვის თუ მეორეს არ ვნებს, მაინც შურს იწვევს, ესეც თავისებური „დანაშაულია“ ვიღაცის და რაღაცის მიმართ.

11753. სიკეთე წლების მატებასთან ერთად ფერმკრთალდება და ხშირად დავიწყებასაც ეძლევა.

11754. დაუნახავი სიკეთეც, ძლიერია ბოროტებაზე, ეს უკანასკნელი რა დიდადაც უნდა გვეჩვენებოდეს.

11755. სიკეთით სიკეთის კეთებაც შესაძლებელი გონიერების ხელში.

11756. ქვეყნის დამცველი ოჯახში უნდა აღიზარდოს და არა – ქუჩაში, რადგან სიკეთის და სიავის ანბანი ტრადიციების მოშველიებით უნდა გაითავისოს.

11757. ბოროტება ადამიანს წყლულებს უღიზიანებს, ხოლო სიკეთე მათი მორჩენის მცდელობაშია.

11758. ძალაუფლება ერის ღირსებას არად დაგიდევს, თუ ქვეყნის მართვას მხოლოდ თავისი ნებით, უოპონენტოდ ცდილობს.

11759. სიკეთეს ვერავინ გაუმკლავდება, თუ გაუგებრობამ უნებლი-ედ ფეხი გამოსდო.

11760. პატიოსანმა ადამიანმა იმდენი სიკეთე უნდა გაიღოს, რაც მის ძალ-ღონეს არ აღემატება, რადგან გადაჭარბებული გულკეთილობა მავანთა გასაქიქებელი არ გახდეს.

11761. სიკეთის კეთება გააზრებას მოითხოვს – იმსახურებს თუ არა სიკეთეს მავანი.

11762. კარგის კეთება, რა ფინიშიც უნდა ჰქონდეს, დასაძრახი არ არის.

11763. სიკეთის კეთება ყოველთვის გარანტი არ არის, რომ ყველა მას მიბაძავს, ამას აღზრდა, გარემო, ზოგჯერ პიროვნების ავტორიტეტი და დიქტატიც სჭირდება.

11764. სიკეთის კეთება სულის ყველა ჭრილობას მალამოსავით ეცხება.

11765. სიკეთე გულით კეთდება, შეწევნაში გონიერებაც ერევა და ღვთის ფაქტორიც.

11766. ადამიანში სიკეთის კეთების სურვილი გაცილებით მეტია, ვიდრე სიავის, მაგრამ ხშირად ეს დამოკიდებულია ცხოვრებაზე, რომელიც როგორ გაგვიღიმებს – დაგვცინებს არავის უწყის.

11767. სულგრძელობაა, როდესაც თავად იკლებ და სხვას შეეწევი, ხოლო სიკეთეა, როდესაც სხვას იმდენს არგუნებ, რომ შენც საკმარისი დაგრჩეს.

11768. სიამით ვერ იცხოვრებ, თუ ამ განცდას სხვასაც არ უწილადებ.

11769. სიბრძნე სიკეთის ჭკუით კეთების სინონიმია.

11770. სიკეთის დავიწყება, დაუნახაობა, სიკეთის მკეთებელთა სეკვესტრირებას იწვევს.

11771. ევთანაზია ამაჟი ადამიანთა ხვედრია, მაგრამ რა ვუყოთ განგების პოსტულატს – სიამაჟე, ამპარტავნება ცოდვად ითვლება.

11772. სიავე ყოველთვის უფრო მიმზიდველია, ვიდრე სიკეთის კეთება, რაც, სამწუხაროდ, ადამიანის ბუნებაა.

11773. სიკეთე-სიფვარული, მოვალეობის შეგრძნების და თანადგომის გარეშე ვერ გაძლებს.

11774. ბევრ მოვლენას, მათ შორის, სიკეთე-ბოროტებასაც, არც სახელი აქვს და არც გვარი.

11775. სიმართლეს და სიკვდილს თვალებში უნდა უყურო. აქ ქვეშ-ქვეშობა და თავის მოკატუნება არ ამართლებს.

11776. სიკეთეს, უნდობლობა მარად ჩასაფრებული უნდა ჰყავდეს, თუ გვინდა სიკეთემ საქმე აკეთოს.

11777. სიკეთის კეთებასაც მათრახი და სასუსნავი სჭირდება.

11778. სიკეთე უნდა აკეთო თავის დაუვიწყებლად, თუ გინდა დიდი ხნით დაგიმახსოვრონ.

11779. სიკეთეს დაცვა სჭირდება იარაღით თუ არა, თავდადებული მუშაობით მაინც.

11780. ყველაზე დიდი დამნაშავე სიკეთის და ბოროტების მომტანი შიმშილია, რადგან მათ გარეშე ამქვეყნად არაფერი შეიქმნებოდა.

11781. ღირსება – სულის გამოძახილია, ეთიკა – გულის ნახლა-ფორთალია, მორალი – ჭკუის ნაჩალიჩევია და აქედან გამომდინარე სიკეთე-ბოროტების განტოლებად გვევლინება.

11782. სიცოცხლის დაისზე ვარკვევთ, რომ არავის წინაშე დამნაშა-ვენი არა ვართ და არც ვინმესი გვმართებს რაიმე – ჩვენ ასე გვსურს

11783. სიკეთის კეთების მაგალითებით ბავშვები უნდა აღზარდოთ, ხოლო რწმენად მადლიერების გრძნობა ჩაუნერგოთ.

11784. სიკეთის მეორე ულუფას – ერთად შენდობის შემდგომ ღალატით არ იხდიან.

11785. სამწუხაროდ, სიკეთის კეთებასაც თავისი შეზღუდვების ჩარ-ჩო აქვს, ამიტომაც ადამიანმა სიკეთე თავის შეძლების არეალის ფარ-გლებში უნდა აკეთოს.

11786. გმირი განწირულია ორგვარი სიყვარულისთვის უყვართ ან აღმერთებენ – სხვადასხვა განზომილება და დროისთვის სადავიდარაბო, რადგან პირველი დროის ყვილია, მეორე საუკუნეთა მახსოვრობა.

11787. შენთვის გასაგები სიკეთის სახელით ყველაფრის კეთება მა-შინ არის დასაშვები, თუ დაყოვნება სისაძაგლის ჩადენის გარანტია და დაუსმენლობა – უბედურებისა, ამასთან, ყველა შემთხვევაში, პასუხის-მგებლობის თავზე აღება შეგიძლია.

11788. ემოციები, მცდელობა, გონიერებასთან ერთად უნდა ვითარ-დებოდეს და მხოლოდ სიკეთის საკეთებლად იღვწოდეს.

11789. ცოდნა-გამოცდილება და შედარებითი ანალიზი ხშირად ცინიკოსად გაქცევს და ყოველივეს სტატისტიკის "აიწონა-დაიწონას" ანდობს, რადგან ქვეყანაზე სიკეთის კეთების სურვილის გარდა არაფერი დაგვრჩენია.

11790. საქმე გულით უნდა ვაკეთოთ თუ ვალის მოხდით?! ალბათ, ეს უკანასკნელი ჯობს, რადგან დასაყვედრებელი არავისზე გვექნება და ნერვებსაც არც არაფერზე აიშლი, თანაც ვალდებულებას ასრულებ და არც სხვას ედება სიკეთის ვალი.

11791. მზესაც გარჯა უხდება, დედამიწის დასანახად და მის ბინა-დართაგან სიკეთის საკეთებლად.

11792. სხვისთვის გულით გაკეთებული სიკეთე სიამაყეს გმატებს.

სიმართლე, სინდისი, ღირსება, პატიოსნება

11793. იყო სინდის-ნამუსის მშენებელი უმადური საქმეა, ხოლო მნგრეველობა საინტერესოცაა, გასართობიც და არც დიდ გონიერებას მოითხოვს.

11794. სინდისი ყველას გზაჯვარედინზე დევს, მაგრამ მისთვის ხელის წავლებას უმეტესობა არ ცდილობს.

11795. არის სინდისი, არის მისი ქარაგმა, არის უნიკალურობაც, მაგრამ ამ დაყოფით არაფერი იცვლება სინდისის განაწილებისას, რადგან ის ერთია და ვერავითარ მათემატიკურ მოქმედებას ვერ იტანს.

11796. ერის სინდისი ხშირად ის ხდება, ვისიც უმრავლესობას არ ესმის.

11797. სინდისი შენს ირგვლმყოფთა სინდისზეა დამოკიდებული და შენსას მათ უსინდისობას ვერ დაუპირისპირებ, რადგან ყოველივეს ცხოვრების წესი წყვეტს.

11798. სიმართლის თქმა ყოველთვის სარისკო იყო და დარჩება კვადრატში.

11799. იყო ცოცხალი, დანაშაული არ არის, თუ ამის უფლებას სინდისი გაძლევს.

11800. მორალის კოდექსს ძირითადად ისინი ქადაგებენ, ვინც მას თავზე გვახვევს, ხოლო თვალი მისი დარღვევისკენ მიურბით.

11801. ინტელიგენტი ის განათლებული და კარგი მანერების ადამიანია, რომელსაც ფული არასოდეს ყოფნის, მაგრამ ამაზე არასოდეს წუწუნებს.

11802. გონიერებასთან კონტრაქტი ყოველთვის სინდისთან გარიგების წილშია.

11803. სჯობს პატიოსნები ვიყოთ, ვიდრე უპირონი, რადგან ამ უკანასკნელს ან კანონი სჯის ან მამაზეციერი.

11804. ტყუილსაც თავის სინდის-ნამუსი და იუმორი უნდა გააჩნდეს.

11805. სინდისი კარგი საქონელია, მომხიბვლელობის ფასიც ადევს, მაგრამ მყიდველი ჰყავს ცოტა და ისიც სხვისთვის – საჩუქრად.

11806. სინდისი ხშირად ცხოვრებას გვირთულებს, მისი მომხიბვლელობის მიუხედავად.

11807. ყველაზე დიდი დანაშაული, ეტყობა, მაინც სინდისის არქონაა.

11808. სინდისი და ღირსება სინონიმები არიან და ერთმანეთის გარეშე ვერ ძლებენ, მაგრამ მათ მითვისებას ხანდახან აფექტში ჩავარდნილი უღირსიც ახერხებს და გმირად მოგვევლინება.

11809. სინდის-ნამუსთან გასაუბრებას მაშინ აქვს ფასი, თუ ყველა ცოდვას მოვინანიებთ.

11810. სინდის-ნამუსს შეძლებისდაგვარად უნდა გავესაუბროთ, მიუხედავად იმისა, რომ მისი არც დახატვა შეიძლება, არც შეხება.

11811. სინდის-ნამუსი თავისებურ სულის ქარიშხალს მოითხოვს, დროული დაშოშმინებით.

11812. სინდის-ნამუსი ყველა ჩვენგანში ბუდობს, მაგრამ მისი დროულად გამათრახება უნდა ვისწავლოთ საკუთარ მეხსიერებაში, გონებაში.

11813. სინდისის არქონაზე უფრო საშიში მისი დაკარგვაა, რადგან მას მოუმზადებელი და გაოცებული ხვდები.

11814. ბუნებით მონა სინდისის და კანონის წინაშე პასუხისმგებელი ვერ იქნება.

11815. სინდისის ძროხა კაპიტალიზმის ბაზართან ვერ იბალახებს, მაგრამ უნდა მოერგოს და მისი ნაცოხნარის გამოყენება ისწავლოს.

11816. სინდისი გენერალსა და ჯარისკაცს ერთი უნდა ჰქონდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყნისადმი სამსახური აზრს კარგავს.

11817. ხელმძღვანელობა – წინასწარი ჭვრეტაა, ძალაუფლება – სხვისადმი პატივისცემაც, სიყვარული – მოთხოვნა-გაცემის კოქტეილია, მორჩილება – ცხოვრებაში შენი ადგილის იმედიანად ცოდნაა, სიამაყე – თავის პატივისცემა სხვისი შესაძლებლობების გათვალისწინებით, ასე და ამრიგად, ყველას თავისი კუდის გასაფსკვნელი და სიმართლე აქვს.

11818. დაიცავით სამართლიანობა, რომლისთვისაც თავის გაწირვა ჭირს. ეს დამსახურება კი არა, იღბალია, რომლის შედეგსაც ყოველთვის ვერ ვიმკით, მაგრამ მისი გახსენება ძალზე გვსიამოვნებს და გვაამაყებს.

11819. პირველობა სინდისის კანონით უნდა მოქმედებდეს, ოღონდ მოვალეობა-გონიერების დავიწყების გარეშე.

11820. კარგ ცხოვრებაზე ყველას ჩვენი პრეტენზიები უნდა გვქონდეს, მაგრამ არა ჩვენი მოთხოვნილებით, არამედ შესაძლებლობებით და სინდისის კარნახით.

11821. ხელაღებით სიმართლესაც არ უნდა ვენდოთ, რადგან მოგვიანებით შეიძლება საეჭვო ვერისა შემოგვთავაზონ ან სიყალბის აღიარება მოგვთხოვონ.

11822. გეხმარებიან მხოლოდ ისინი, რომლებიც სიმართლეს გეუბნებიან, მაგრამ პირში არ მოგახლიან.

11823. პირველ რიგში, საკუთარი თავს, აღზრდას, ვცემთ პატივს, როდესაც დანაპირებს ვასრულებთ და საკუთარ სიტყვაზე პასუხს ვაგებთ.

11824. სინდისს აქვს საოცარი ბედი: რაც მეტად ირჯება, მით უფრო სვრიან.

11825. ,,სიმართლე, როგორც მძიმე უნდა იყოს, ტყუილს ჯობს", გარდა იმ შემთხვევისა, როცა შურს ან ზიზღს არ იწვევს, რადგან აქ ორაზროვნება, მინიშნება, უნდა გამოვიყენოთ.

11826. სიმართლის პირში მიხლა ემოციების, სტრესის, შედეგია, თავშეკავება – მზრუნველობის გამოჩენა და საკუთარი ნერვების პროფილაქტიკაა.

11827. სიმართლე ზნეობის ფუძეა, წამალია, კაცობაა, მაგრამ რამდენად გამოსადეგია, ამას ბედი, შემთხვევა გაჩვენებს.

11828. სინდისის ქეჯნას განათლებული უნამუსობა არ განიცდის, ხოლო გაუნათლებელს მასზე წარმოდგენაც არ აქვს.

11829. ტყუილსა და მოხერხებულობას შორის ყოველთვის სინდისია განიავებული.

11830. სამართალს და სიკეთეს არ ეძებენ, თუ საჭიროა, თავად მოგაკითხავს.

11831. სინდისს და ნამუსს ხშირად უმიზნოდ, გამოუცდელობის გამო, უაზროდ ვლანძღავთ იმ საქმისთვის, რომელმაც ქვეყანას ძლიერება და იმიჯი უნდა მოუტანოს.

11832. სინდისი ძვირი საქონელია, სწორედ ამიტომ ყველა ფასს ადებს.

11833. ყველას უნდა სამართლიანი იყოს სხვის მიმართ, მაგრამ არავინ უწყის, რა სხვაობაა სამართლიანობასა და სიმართლეს შორის და რა დოზით და შეგნებით სჭირდება დღევანდელობას.

11834. ჩვენს დროში რეკომენდაციის წარმოდგენების და პირფერობის გარეშე ცხოვრებაც ჭირს და სიმართლის გატანაც.

11835. სამართლიანობისკენ სიტყვით ყველა ილტვის, მაგრამ საქმით, ცოდნით, განსწავლით, არავინ თავს არ იწუხებს.

11836. სულის სიმშვიდის მოსაპოვებლად საჭიროა სამართლიანი მართლმსაჯულება, რომელიც თქვენს სიმართლეს წილში არ ჩაუჯდება.

11837. ყველას უნდა გაგვაჩნდეს საკუთარი სამართალი უსისხლოდ, სიბინძურის და მოყვასის უარყოფის გარეშე.

11838. თავიდან ,,მიყვარხარ" და ,,ბოდიშის" თქმაა ძნელი, მაგრამ თუ შეეჩვიე, დრომ გამოგაწრთო და ნამუსზე ხელი აიღე, ამ სიტყვების თქმაზე ადვილი და სასიამოვნო არაფერია.

11839. სამართლიანობა და სიყვარული ბოლოს მაინც ზეიმობს, მაგრამ თუ პირველის გამოცდილება ვინმეს რამეში გამოადგება, მეორის ყავლი გასულია და მოგონებაც კი არ რჩება.

11840. სინდისის რაობას პოეტები უნდა განაგებდნენ და არა – იურისტები, რომლებიც მომხდარ უკანონობას ალიბს ვერ გამოუძებნიან და ყოველთვის სულის კანონები განსჯიან.

11841. სიმართლე ყველა დროში უსიტყვოდ ძლიერთა მხარეს იდგა, მხოლოდ დღეს მცირე შენიშვნით, კრიტიკით, ისევ შემძლეთ ეხმარება.

11842. ღირსება არც იყიდება და არც იცვლება. თუ ვინმე აიხირებს მის შეძენას, ის ფალსიფიცირებულია და საზოგადოებაში სერტიფიცირება ვერ მოხერხდება

11843. ღირსებას და სინდისს პატიოსნებისადმი დამოკიდებულება ერთი აქვს, მაგრამ ყოფიერებისადმი მიდგომა აქვს სხვადასხვა ხარისხში აყვანილი.

11844. ფულზეა დამოკიდებული სიამაყე, გათავხედება და კარგი კაცობაც, მაგრამ მაინც ღირსებასთან აქვს კავშირი.

11845. ღირსების შეგრძნება საკუთარი თავის შეცნობის უპირველესი საშუალებაა.

11846. ერთის ღირსებამ მეორის გადაჯოკვრა არ უნდა იკადროს, თორემ ორივეს ღირსება ფეხქვეშ გაითელება.

11847. სიმართლის ყიდვაც შეიძლება, მაგრამ არა იმ გრძნობების ჩოჩქოლისა, რომელსაც ამ ვაჭრობისას განვიცდით.

11848. ზოგს სამართლიანობის აღდგენა ასე ესმის: ერთ ფინჯან ყავაში 10 ლარი გამოართვეს, მაგრამ რადგან ღმერთი სამართლიანია, მას ჯიბეში კომპენსაციის სახით ვერცხლის კოვზი „აღმოაჩნდა“.

11849. არის ტერიტორიების გადანაწილების პოლიტიკა და ჩვენთვის მისაღები სამართლიანობა, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული დროით პირველთ თავიანთი გააქვთ, საბოლოო გამარჯვებას კი ხშირად მეორენი იმკიან.

11850. ზოგჯერ კარგად ნათქვამი ტყუილი სიმართლეს სჯობნის, თუ ბრბო ამისთვის მომწიფებულია.

11851. სიმართლე სულთან დამოკიდებულებაა, თავისი დებიტ-კრედიტით, რადგან ის ყველას თავისი აქვს.

11852. ხანდახან კეთილი სურვილები თეთრი ძაფით შეკერილი ტყუილია, რომელიც რატომღაც მაინც წითლად ჩანს, რადგან სიმართლის დამალვა უკვე შეუძლებელია და მაინცდამაინც არც არავინ ცდილობს.

11853. ძალადობას ძალადობითვე მაშინ უნდა უპასუხოთ, თუ თქვენ მხარეს სიმართლე კვადრატში აყვანილი მაინც არის.

11854. ზოგს შიშველი სიმართლე მოსწონს, ზოგსაც ძვირფას ქურქში გახვეული და აქ ადამიანის ბუნება შედარებას ვერ იტანს.

11855. საშინელებაა, როდესაც სიმართლე შეულამაზებელ ტყუილზე უარესია.

11856. სიმართლის თქმა ხშირად თავისებური ინტრიგაა და არა მისი წამოროშვა – „მე ვიტყვი სიმართლეს“.

11857. ქვეყნის ძლიერებისთვის არც უძლური სამართალი უქნია ღმერთს და არც უძლური ძალა.

11858. ულირსისგან განსხვავებით, ღირსება ღირსეულს აღიარებს, მიუხედავად მათი ურთიერთდამოკიდებულებისა.

11859. სინდისი ეტყობა მაინც შეძლებული ხალხის მოგონილია, რადგან ღარიბს და გაჭირვებულს არც გამოსდგომია და არც გამოადგება.

11860. ღირსება და ღირებულება ყველასთვის ერთია და ეს განსჯას არ ექვემდებარება.

11861. სიმართლესაც თავისი სიმართლე აქვს, რომლის მოსმენა და გაგება არავის უნდა.

11862. მარტოდმარტო სინდისის, ბედის და ცდუნების წინაშე დგომა ძნელი გადასატანია და დიდ შემართებასაც მოითხოვს.

11863. ღირსების დაკარგვის ერთ-ერთი მიზეზი ადამიანური ორიენტაციების შეცვლა და გაბაზრებაა.

11864. სიმკაცრეს თავისი გამართლება უნდა ჰქონდეს კუბში, რადგან კვადრატში აყვანილს ყველა ვერ გაიგებს და საკამათო, სათუო, გახდება.

11865. ჭეშმარიტება ძნელი მისწვდომი ხდება, როდესაც ყოველივე საეჭვოს ლეგენდად ვაქცევთ, კულტად გავიხდით და გათავისებას ვცდილობთ.

11866. თეორიულად მთავარი ის კი არ არის, ვის მხარეზეა ძალა, მთავარია, ვინ ცდილობს სამართლიანობის დაცვას.

11867. ზოგჯერ ღირსებას და სინდისს თავისი პატრონი ჰყავს ფულის და თანამდებობის სახით.

11868. სიმართლის თქმა ყველასთან არ შეიძლება: ბრიყვს შეეშლება, ხოლო თაღლითი თავის სასარგებლოდ გამოიყენებს.

11869. მექრთამესა და მეძავს შორის დიდი სხვაობა არ არის, რადგან ორივე სინდისით ვაჭრობს, მალულად და თავზე წარმოდგენით.

11870. ერთს თავის ბედი არ აურჩევია, მეორეს სხვანაირად მოქცევა არ შეეძლო, მაგრამ აქ მთავარია, რომ ორთავეს სინდისი აწუხებთ.

11871. „შეიძლება სიცოცხლე დაკარგო, მაგრამ ღირსება – არასოდეს“ ან „თავი რომ გაგაგდებინონ, ერთი ნაბიჯი წინ მაინც უნდა წარსდგა“ – სამურაის კოდექსია, რომელიც დღესაც ღირსებით ჟღერს.

11872. შურისძიება თვითმიზანი კი არ უნდა იყოს, არამედ სამართლიანობის ზეიმი, კანონიერების განსჯით და პატივისცემით.

11873. სიმართლის პირში მიხლას გონიერიც ვერ იტანს.

11874. რეალობასთან შეხვედრისგან თავს ზოგი ფანტაზიის გამონაგონით იცავს, რადგან სიმართლესთან სასაუბროდ ყოველთვის მზად არ არის.

11875. ალბათ არასოდეს გახდება საჭირო სინდისის გადანერგვის ოპერაცია, რადგან მას რეალური მსურველი არ ეყოლება.

11876. ზოგს იმდენად გადამეტებული წარმოდგენა აქვს პატიოსნებაზე, მუდამ ღარიბია, რადგან მის მცდელობას შემართება და არა საკუთარ თავთან გაჯიუტება აკლია.

11877. სინდისის სასამართლოს ლეგალიზება არ შეიძლება, რადგან კანონი და კანონიერება აზრს დაკარგავს.

11878. ყოველთვის ძნელია იმ სიმართლისთვის თვალებში შეხედვა, რომელიც გონიერებას მზერით ტყავს აძრობს.

11879. სანამ პატიოსნების ღირებულება არსებობს, მას პირობითი ეტალონები, სიყვარული, ტრადიციები და მათგან გამომდინარე, სულის და მოხერხებულობის ალიბი წინ ვერ აღუდგება.

11880. არის სამართლიანობის პრინციპები და არის ქვეყნის მართვის ხელოვნება. მათ ერთმანეთთან შერწყმა სჭირდება და არა – მტყუან-მართლის მოძიება.

11881. სიმართლის თქმა მაშინ არის ადვილი, როდესაც არავისი გერიდება და თავის მოწონების შანსაც ინარჩუნებ.

11882. სიმართლე ჭეშმარიტებისგან იმით განსხვავდება, რომ პირველი ყველას ჩვენი გვაქვს, ხოლო მეორე ყველასათვის ერთია და კვლევა-მოძიებას მოითხოვს.

11883. სიმართლის გაგონება ბევრს არ უყვარს, მაგრამ ნიშნისმოგებისთვის ყველა მზად არის.

11884. საკუთარ პრეტენზიებით სხვისი სიმართლის გაზიარება ძნელია.

11885. სინდისი ყოველთვის არ იძლევა საშუალებას, რომ თავსაც ვასიამოვნოთ და სხვასაც, მისივე ხარჯზე.

11886. უხიაგობა და უსამართლობა სინონიმებია, მათ გულით შევებრძოლებით თუ უგულოდ.

11887. სინდისი არასოდეს სარგებლობს ბოროტად სიტყვის თავისუფლებით, რადგან ის თავადაა მსაჯულიც და მსჯავრიც.

11888. სინდისის თავისუფლება და სინდისის მონობა ერთმანეთს ვერასოდეს გაუგებენ, აღზრდა აქვთ სხვადასხვა.

11889. სინდისი მეტ-ნაკლებად ყველას გვაწუხებს, მაგრამ არა იმდენად, რომ ჩვენი ოცნება და გართობა ვანაცვალოთ.

11890. სინდისი ჩვენგან სამსახურს მოითხოვს და არა – ყოყოჩობას, მბრძანებლურ ტონს.

11891. სირთულე და სიმარტივე სინონიმებია, გააჩნია, ვინ რა გზას აირჩევს და შემთხვევა სად გეგეხიდება.

11892. სიმართლე ყოველთვის ჭეშმარიტების დედად არ გამოდგება, თუ დამამტკიცებელი საბუთი, მამა, თან არ ახლავს.

11893. თავზე ფიქრი ჩვენი ფსიქოლოგიაა, ხოლო სხვაზე დაფიქრება სინდისისთვის ვალის გადახდა და საკუთარი თავის წინაშე პიარია.

11894. სამართლიანობა ბოლომდე არასოდეს ზეიმობს და ამის შესახებ ყველაზე უკეთ გამომძიებლებმა იციან, რადგან თუ ეჭვმიტანილი გამოძიებასთან თანამშრომლობს, მას შეღავათს ჰირდებიან, თუ არა და, მკაცრ დასჯას მოითხოვენ.

11895. უსამართლობა ზოგჯერ შენი სიმართლით უნდა ჩაიდინო, მაგრამ არ უნდა გადაამლაშო.

11896. რადგან სიმართლე უნდა მონახოს, მისი თქმის უფლება იმათ უნდა ვანდოთ, ვისაც დიპლომატიის, შთაგონების და შემართების უნარი გააჩნია.

11897. სიმართლე და სამართლიანობა აწმყოს სჭირდება და მისთვის იბრძვის. რაც შეეხება წარსულს და მომავალს მათი მათდამი მისწრაფებები სხვადასხვაა და ყველა თავისი გადასახედიდან აფიქსირებს.

11898. სინდისის ხარჯზე კარიერის კეთება ყველა დროში მოდაში იყო, თავისი გარანტიებით.

11899. ხალხს თუ სიმართლის რწმენა აქვს, მისი ადამიანური ქვენა გრძნობები უკან იხევს.

11900. სიმართლისაკენ სწრაფვა ყოველთვის გონიერებაზე არ მიუთითებს, რადგან უკეთესი ცხოვრების ალგორითმია ,,აიწონა-დაიწონას" დამოძღვრით.

11901. სინდისიც მდირულად და მომხიბლელად უნდა გამოიყურებოდეს, იქნება მისით სხვებიც დაავადნენ.

11902. სიმართლესა და ტყუილისადმი დამოკიდებულება ამა თუ იმ დაჯგუფებაზეა დამოკიდებული და არა ხალხის გემოვნებაზე, რომელიც ზოგჯერ ქვეყანას გადაგვარებისაგან იხსნის, ხოლო ხალხის სულს გარყვნისაგან.

11903. კოლექტიური სინდისისგან განსხვავებით, თანდაყოლილი კოლექტიური უხამსობა ზომაზე მეტი გვაქვს, თუ კი მისი გამოაშკარავების მიზეზი და საშუალება მოგვეცა.

11904. სინდისი და კეთილდღეობა ცუდად ეთვისება ერთმანეთს, განსაკუთრებით მაშინ, თუ მოსახლეობის ნაწილი უმუშევარია და ღარიბად ცხოვრობს, მიუხედავად იმისა, სიმდიდრე კანონიერი გზით გაქვს ნაშოვნი თუ უიმისოდ.

11905. საკუთარი სინდისის „გაბაახება“, „გადაგდება“, შესაძლებელია, მაგრამ სიბერეში კბილს მოგჭრით.

11906. „სინდისიც კარგი საქონელია“, ოღონდ თავისი ფასით და ღირებულებებით.

11907. სინდისი მაინც საზოგადოების აზრის ნაცოხნარია და ალბათ, მაინც კომპრომისის გვერდით სიარულია.

11908. ძნელი განცდაა, როდესაც სათაფანო ადამიანის გამართლებას ვერ ახერხებ, რადგან ამის უფლებას სინდისი არ გვაძლევს.

11909. წესიერება რთული განზომილებაა და ყოველთვის აწმყოს ვერ ეთვისება, რადგან ხშირად საქმეს და ჩვენს ინტერესებს ვნებს.

11910. სწორედ ნათრევი სინდისი არ ემუქრება მისი პატრონის უსაფრთხოებას.

11911. ხსოვნა უნდა აფორიაქებდეს ადამიანის სინდისს, რათა წარსულის და აწმყოს ღირებულებათა პარამეტრები დაიცვას.

11912. ზოგჯერ ვამბობთ იმ სიმართლეს, რომლის წარმოშობის ადგილი, მიზეზი, არ ვიცით და თანაც მასში ვერ ვერკვევით.

11913. ჩვენს დროში სინდისი თავისებური ფუფუნებაა, რადგან მას ყოფის ლაბირინთში უხდება ძრომიალი.

11914. ჭორიკნობა, ხმების დაყრა, ცილისწამება, სხვადასხვა რამაა, რადგან პირველი – გართობის სურვილის, მეორე უსაქმურობის შედეგია, მესამე – შურის და ბოღმის ამონთხევის საშუალებაა, ხოლო ამ სამი ვარიანტიდან, რა სახის სენსაცია მომზადდება, სინდისის ზომაწონაზეა დამოკიდებული.

11915. სიღარიბე უსამართლობაა მხოლოდ იმისათვის, ვისაც მისგან თავის დაღწევა უნდა.

11916. სინდისს, მოვალეობას, ზოგჯერ აქვს უფლება სხვა ქვენის კანონი დაარღვიოს და არა – საკუთარის, რათა ყასიდად მოიბოდიშოს და პირველის არცოდნის ალიბს ამოეფაროს.

11917. სიმართლისთვის თვალის გასწორების ფელას გვეშინია, მაგრამ არა გამოფეჩებამდე, რათა ყოველთვის მართლები ვიყოთ საკუთარი თავის და სხვათა წინაშე.

11918. ზვარაკად შეწირული სიცოცხლე ხშირად საბოლოო გამარჯვების საწინდარია და ერის სინდისია.

11919. ხშირად სიმართლისთვის თვალების გასწორებაა ძნელი და არა – სამართალისთვის.

11920. ხელისუფლებაში მოხვედრა იმითაც არის მომხიბვლელი, რომ „განაწილება-განსჯის თაფლში“ ხელის ფათურის უფლებაც აქვს და ხელებს დაიბანს თუ თითებს გაილოკავს მის სინდისზეა დამოკიდებული.

11921. მიზანი სამართლიანობაზე მაღლა დგას, რადგან ეს უკანასკნელი ყველას თავისი აქვს და სადაო.

11922. სინდისს რეცხვა და მათეთრებელი არ უხდება, რადგან ფერი ეცვლება და უფრო შეუხედავი, მიუღებელი, ხდება.

11923. სინდისსაც თავისი მწყემსი, რეფორმატორი და გულშემატკივარი სჭირდება.

11924. სინდისი და კარგი კაცობა ხშირად გონიერების, მცდელობის, შემართების საკუთრებაა.

11925. ხშირად სამართლიანობის აღდგენა გვახარებს, მაშინაც კი, როცა ჩვენს წისქვილზე წყალს არ ასხამს.

11926. ვიბადებით სიმართლით აღჭურვილნი, კვდებით უსამართლობით განიარაღებულნი.

11927. თუ გინდა შენზე კარგი თქვან, კეთილი ინებე და სხვაც შეაქე, მაგრამ არ აღფრთოვანდე, თუ გინდა საკუთარი სინდისის წინაშე მართალი იყო.

11928. შიში საკუთარი სინდისის წინაშე ყველაზედ დიდი გარანტიაა, რომ რაიმეს არ მიჰქარავ.

11929. ყოფის მოსაწყობად სინდისი იმაზე მეტი არ არის საჭირო, როგორიც მილიონერს გააჩნია.

11930. ასაკი და სიბრძნე ყოფიერების საცერში გატარებულ სიმართლეს ღაღადებს და არა – ჭეშმარიტებას.

11931. სიმართლე იმას უნდა ვუთხრათ პირში, ვინც აზროვნებს, ანალიზის უნარი შესწევს და სურვილი აქვს უკეთესი გახდეს.

11932. სინდისი და ეგოიზმი ხშირად მორალის ჯიბრზე მეგობრობენ.

11933. სიმართლეს რომ თვალი გავუსწოროთ, ხშირად სხვაგან გახედვას ვცდილობთ.

11934. ხშირად ერთი სისხლი და ხორცი სხვადასხვა სიმართლით ცხოვრობენ და ყველა მათგანი თავისებურად მართალია.

11935. ჩვენი ხმის სიმართლის ექო თუ დააგვიანებს, ეს არის სიმართლის მიღების მცდელობა კრედიტით.

11936. სამართლიანობამ რომ მუდამ პურის ჭამოს, შეუძლებელია, რადგან მაშინ უსამართლობა გაქრებოდა, გადაშენდებოდა და სამართლიანობაც ზედ მიყვებოდა.

11937. სინდისი და კარგად ყოფნა სინონიმებია, რადგან დარდს არც ერთი გულს არ აკარებს.

11938. სინდისთან ჭიდილი სიკვდილის მოახლოების მაჩვენებელია.

11939. ეგოიზმი იაპონელი სამურაისათვის პატიოსნება, ღირსება, სახელია, მაგრამ მაინც იმიჯი.

11940. ზოგჯერ საკუთარ თავზე სიმართლის წამოცდენა გაკვირვებას იწვევს, მაგრამ რატომღაც ავიწყდებათ რომ ადამიანები ჩვეულებრივი მოკვდავნი ვართ.

11941. თანდაყოლილი წესიერება კარგი ადამიანობის მაჩვენებელია, რადგან დროთა განმავლობაში ბევრი ღირებულება, ურთიერთობა, დროსთან „ლაზღანდარობით" იცვლება და უცვლელი რჩება მხოლოდ პატიოსნება.

11942. სამართლიანობის განსჯა, შედეგის განჭვრეტა, ერთეულ პიროვნებათა ხვედრია და არა ბრბოს ხმათა უმრავლესობისა.

11943. ხშირად სინდისის დაყოლიება გვიხდება, ყოფიერების სასარგებლოდ.

11944. მომხიბვლელი გარეგნობა სინდისს ამოფარებული სატყუარაა.

11945. ზოგი იმ სინდისით და პატრიოტიზმით ტრაბახობს, რომელსაც ყოფიერების თავნის დანახვისთანავე დაახურდავებს და შემდეგ თვით გვემას მოჰყვება – თურმე ის შეაცდინეს.

11946. ტყუილი რაც უნდა კეთილშობილების შარავანდედით შევმოსოთ, ის მაინც სიცრუეა, მაგრამ არც სიმართლის თქმაა აუცილებელი, თუ ვინმეს არ აინტერესებს.

11947. სიმართლე გვიყვარს, მაგრამ ისიც გარკვეულ ზღვრამდე.

11948. თავის გამოჩენას იმ წესიერება-პატიოსნებით ვცდილობთ, რომელიც გაგვიგონია, არავის უსწავლებია და თან ცხოვრება არც მაინცდამაინც გვანებივრებს.

11949. პატიოსნებას ყოველთვის აკლდა შემართება, თავის წარმოჩენის შესაძლებლობა და სხვისთვის ალიყურის ჭმევის უნარი.

11950. სინდისი პერსონალური ბრალდების ძახილია და წესიერი ადამიანისთვის დიდი გამოცდაა.

11951. ხშირად სამართალს გაურბიან და არა – სამართლიანობას, რადგან სამართალს ხშირად მოსამართლე ადგენს და არა – კანონი, რომლის შემოვლა ყოველთვის შესაძლებელია.

11952. ნდობა პატიოსნების სინონიმია, ხოლო პატიოსნება უჯიშო, უჯილაგო ხალხს არ გაეკარება.

11953. სინდისიერი ხარ მაშინ, როდესაც საკუთარი და სხვისი საქციელის გრცხვენია, გულით განიცდი და არა მარტო გონებით.

11954. სამართალი იმის მხარეს კი არ არის ვინც ამას ძალის დემონსტრაციით გვიმტკიცებს, არამედ იმისკენაა, ვინც უსამართლობას შინაგანად ვერ ეგუება.

11955. სინდისი არასოდეს სახლში არ უნდა ,,დატოვოთ'' და არც უნდა დაგვრჩეს.

11956. სამართლიანობა რატომღაც ,,პურს გვიან ჭამს'' და ისიც უხარისხოს, რადგან სამართლიანობას ბევრი მტერი და თავის ჭკუაზე მთარგმნელი ჰყავს.

11957. სამართლიანობა საბოლოოდ იმარჯვებს, იმისდამიუხედავად, დროის გარკვეულ მონაკვეთში ძალამ იმარჯვა თუ არა.

11958. სიმართლეს არც ერთი ფერი აქვს და არც ერთი აღქმა, მაგრამ მისი ფერწერის შეცნობას ყველა თავის გადასახედიდან ცდილობს.

11959. სიმართლეს ვერ შეურაცხყოფენ, რადგან თავადაა მორალიც, მსაჯულიც და განმჩინებელიც.

11960. პატიოსნების აღქმა პირად ურთიერთობაზეა დამოკიდებული და არა – საზოგადოებაზე და კანონის აღსრულებაზე.

11961. სინდისი არავის არ გვახარებს, პირიქით, გვტანჯავს, რადგან შეცდომები შენს შიგნითაა და შენვე აფასებ ალიბის მოძიების გარეშე.

11962. სიმართლეს შეიძლება წაუყრუოთ, ვერ შევამჩნიოთ, მაგრამ შეურაცხყოფა არ უნდა მივაყენოთ – საბოლოოდ არ გვაპატიებს.

11963. პატიოსნება და კანონი ერთია, მაგრამ საკუთარ სინდისსაც ყური უნდა ათხოვო – უიმისოთ ყოფის კაიფის შეცნობა გაგიჭირდება.

11964. პატრიოტიზმია, როდესაც უკეთურს არ აკეთებ, ცუდის გამოსწორებაზე ფიქრობ და საქმიანი სიკეთის კეთებას ცდილობ.

11965. სახელმწიფო, პატრიოტიზმი და ქვეყნის სიყვარული სხვადასხვა ცნებაა და მათი გაიგივება, ყოფის აქსიომის სხვადასხვა განზომილებას ვერ აერთიანებს.

11966. პატრიოტიზმი ,,ქრონიკული'' ნდობით დაავადებაა, ხოლო ნაციონალიზმი ფსიქიკური გადახრა და უნდობლობის ნორმის გადაჭარბება.

11967. პატრიოტიზმია იმის შეცნობაც, რომ შენი სახელმწიფო სამართლიანია, კანონის დამცველია, იმისდამიუხედავად, რომ ზოგჯერ შენი ბუნებისთვის რაღაც ნიუანსები მიუღებელია.

11968. გმირია ის, ვინც თავისი დროის, გარემოს, ჯვარს იდეოლოგიის გათავხედების მიუხედავად, პატიოსნად ატარებს.

11969. სენტიმენტალობა ადამიანთა ურთიერთობაში სინდისის აჟღერებაა.

11970. ღირსება სამყაროს საკუთრებაა და არა რომელიმე პლანეტის.

11971. სიმართლეს სიმართლითვე უნდა დაუპირისპირდე, რომ წარმატებას მიაღწიო.

11972. სამართლიანობის შეჩერება, დროებით დამუხრუჭება, შეიძლება, მაგრამ არა გაჩერება და გზიდან გადახვევა.

11973. ამბობენ საბოლოოდ სანთელ-საკმეველი იმარჯვებსო, მაგრამ სიმართლე ამ უსამართლობამდე არ უნდა მიგვეყვანა.

11974. სინდისის დეფიციტი სასოწარკვეთის წინა პირობაა გარანტირებული დაღუპვით.

11975. სამართლიანობა თუ სიძლიერე? ალბათ, უპირველესი სიძლიერეა, რომელიც ყოველთვის დაამტკიცებს, რომ ის სამართლიანია.

11976. ზოგჯერ შენი სიმართლე კვადრატში რომ დამტკიცო, საზოგადოებას ისე უნდა შეუკვეთო, რომ ამის შესახებ თავადაც არაფერი იცოდნენ, რათა თავად გაისარჯონ და გეკაიფონ შენი სიმართლის აღმოჩენით.

11977. ზოგჯერ ბრძოლით მოპოვებული სიმართლე სულს გვითბობს და სიამაყეს გვგვრის.

11978. ყველაფრის ყიდვა-გაყიდვა შეიძლება, სადაც სინდისი არ მონაწილეობს და ეს ქმედება შეიძლება სიკეთის ეტალონად მოვიხსენიოთ, განვავრცოთ, გავაბახოთ.

11979. სინდისი ყველაზე დიდი მოსამართლეა, მაგრამ თანდათან უნიკალური ხდება.

11980. მორიდება შიშის კონტროლით სინდისიერების მექანიზმია.

11981. სამართლიანობა დიდი ტვირთია, რომელსაც პიროვნების ხასიათი, პრინციპები განსაზღვრავს და არა უბრალოდ ბრძოლის, დაპირისპირების სურვილი, იმის ცოდნას მიუხედავად, რომ ყოფაზე მორგება უფრო სარფიანი, უნერვიულოა.

11982. ზოგჯერ ჩვენს მიერ შეფასებული სინდისი კარგი საქონელია, მაგრამ თუ მას მყიდველი არ ჰყავს და ღირებულება დაკარგული აქვს, ცხოვრებას გვირთულებს.

11983. საყოველთაო სამართლიანობა ადრე თუ გვიან რომ დამყარდება, ყველას გვჯერა. ვიზუალურად.

11984. სიმართლეს უფრო მეტი ფასი აქვს, ვიდრე მოწმეთა ჩვენებას, თუ ის საეჭვოა, გაურკვეველია და განზრახ გაუკუღმართებული.

11985. ყველაზე საშიში იარაღი სიმართლეა, ჭეშმარიტება და ის უტყუარი ფაქტები, რომელსაც არ შემოევლება.

11986. სიმართლეს არ უნდა გავექცეთ, თვალი არ უნდა მოვარიდოთ, გონება არ უნდა გადავახუროთ, ნერვები არ უნდა დავიწეწოთ და ისე მივიღოთ, როგორც არის და თუ შევძლებთ, სიკეთისკენ მივმართოთ.

11987. ყველა საქმის კეთება შეიძლება სამართლიანად და არა სწორად და პოლიტიკურად.

11988. სამართალი ყოველთვის ხელს არ გვიწყობს გამარჯვებაში, მაგრამ გვეხმარება პიროვნების წარმოჩენაში.

11989. პიროვნებაა ის, ვისაც სამართლის გაყოფაც ისე შეუძლია, რომ ნაწყენი არავინ დარჩეს.

11990. ამბობენ "სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავსო", მაგრამ ყველას რომ ხელს არ აძლევს სიმართლის გვერდზე დგომა?!

11991. სიმართლის დისკრედიტირება ძნელია, მაგრამ ყველა დროში ამას ახერხებდნენ.

11992. ასპროცენტიან სიმართლეს არავინ ამბობს, მაშინ მისი მონაყოლის "კაიფი" დაიკარგება.

11993. ნახევრადსიმართლე მთელ ტყუილზე უარესია, რადგან სიმართლის დადგენას გამოძიება სჭირდება.

11994. სიმართლე არც ისე მწარეა, როგორც თავიდან გვეჩვენება, როდესაც გონიერება დევალვირებულია.

11995. საოცარია, მაგრამ ორი სიმართლეც არსებობს და სამიც – რადგან გულს ვერც ვერაფერს უბრძანებ და ვერც შეაგნებინებ.

11996. სინდისსაც მსახური და კარგი "მენეჯერი" სჭირდება.

11997. სინდისიც კარგი საქონელია, მაგრამ რეალური მყიდველი არ ჰყავს.

11998. სინდისი ქეჯნას განიცდის, ჯალათისაა თუ სიკვდილმისჯილის.

11999. სინდისის მონა ცხოვრებას სათავისოდ ვერასოდეს მოიწყობს.

12000. სამართლიანობა თავისებური პრივილეგია და თანასწორობაა გონიერების აღსაქმელად.

12001. ადათი, ზნე-ჩვეულება, დროით გადამოწმებული სამართლიანობაა, რადგან მას სხვა სამართალი ვერ გადაუჯოკრავს.

12002. ჭორი სიმართლესთან შეზელილი სიცრუეა.

12003. საყრდენი სიმართლის თქმასაც სჭირდება – არ გააბაიბურონ.

12004. სინდისის მეფობა, შედეგის იმპერატორობას ვერ სჯობნის.

12005. სამწუხაროდ სინდისს და ღირსებას არავინ იპარავს, სარგებელია მცირე.

სილამაზე, მომხიბვლელობა, სიცოცხლე

12006. სილამაზე ხალხს გონებას უბნევს, ხოლო ბრბოს ისე ექცევა როგორც მოეხალისება.

12007. ქალისთვის მთავარია ხიბლი და არა გარეგნობა.

12008. მომხიბვლელობა სხვადასხვა ხალხებში ფარდობითობის თეორიას ემორჩილება, ხოლო სილამაზეს თეორიები და დასკვნები ფეხებზე ჰკიდია.

12009. ხვადი სილამაზეს არ ეძებს, მისთვის მიმზიდველობა და ვნებაა მთავარი.

12010. სილამაზე ერთეულთა ხვედრია, მომენუსხველობა ღვთის საჩუქარია, მომხიბვლელობა გარჯის შედეგია, მხოლოდ ოჯახია შემთხვევის და ბედის წყალობა.

12011. სიტყვამზეობა სილამაზეზე მეტია, მაგრამ სიყვარულს ვერ გადაუჯოკრავს.

12012. საერთოდ, ქალი განსაკუთრებული შემთხვევაა, ხოლო ლამაზი და თვინიერი, ეს უკვე ქალის მეობაა, აყვანილი კუბში.

12013. "სილამაზე მსხვერპლს მოითხოვს", მაგრამ ყველაზე ძნელად ამ გრძნობას კუჭის გათავხედება ეწირება.

12014. მართალია, სილამაზე თავისი დროის ქცევის ნორმებს უნდა აკმაყოფილებდეს, მაგრამ ნაღდი მომხიბვლელი სილამაზე აქსიომაა, რომელიც დროის ყველა მოთხოვნას უძლებს და უმკლავდება.

12015. ქალის სილამაზეს "ყველაფერი თავის ადგილზე აქვს" კი არ განსაზღვრავს, არამედ – თვალის მადლი, სულის დახვავება, რადგან მდედრის მოწონების კოდი ცნობიერებას არ ემორჩილება.

12016. სილამაზემ შეჩვევაც იცის და ანგარიშის წარმოდგენაც.

12017. სილამაზე კეთილი თვალის გარეშე ვერც გაიბრწყინებს და არც შემოგვრჩება.

12018. ქალის მოხდენილი ფეხები, მკერდი, გავა, მამაკაცის გაოგნების იარაღია და თუ მას შინაგანი სილამაზე და ზომიერი ქალის კაპრიზიც თან ახლავს, ღვთაებაა და მისგან თავის დაღწევა შეუძლებელია.

12019. სილამაზესაც თავის ზომიერება და ზომა-წონა უნდა ახასიათებდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი გაგება შეუძლებელია.

12020. შინაგან სილამაზესთან გარეგნული ახლოსაც ვერ მოვა, მაგრამ დამფასებელი ჰყავს ცოტა.

12021. ღიმილი და ასაკი ყოველთვის ჩვენთანაა და ალიბი არ გააჩნია.

12022. ყოველგვარ სილამაზეს არსებობის, რეკლამირების, ფულის შოვნის უფლება აქვს, მოეწონება ეს დაღვინებულ გონებას თუ ამბიციების მქონე ტრადიციებს.

12023. სილამაზეს ჭინჭები ხაზს რომ არ უსვამდეს და არ წარმოაჩენდეს, ქალები დიდიხანია თავს დედიშობილობით მოიწონებდნენ.

12024. ცხენზე ლამაზი და საჭირო ადამიანისთვის განგებას უკეთესი არაფერი შეუქმნია, რადგან ის არის ცივილიზაციის წინსვლის საწყისი.

12025. სილამაზე საუკეთესო საექსპორტო საშუალებაა, თუ მის რეალიზებას, მოხერხებულობის წყალობით მოვახერხებთ და მოგების წილს სამართლიანად გავინაწილებთ.

12026. სილამაზესაც შექება, მოჩვევა, დამუღამება უნდა, თუ გინდათ მუდამ ფორმაში იყოთ და შეინარჩუნოთ.

12027. სილამაზის შეფასებისას ყველა თავის არჩევანს ხედავს, მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს აღქმა, გონება გათიშული აქვს.

12028. სილამაზე ის აალებადი ლამპარია, რომელიც შინაგანად გვათბობს, სულს გვინათებს, მაგრამ მისი გახანგრძლივების კოეფიციენტი სიყვარულის საწვავის ოდენობაზე დამოკიდებული.

12029. ქალის სილამაზე ჰარმონიულობაშია, ყოველგვარი სტანდარტების გარეშე.

12030. სილამაზე-სიმახინჯე, ორთავე დაკვირვებაზე დაკვალიანებას და დროის შესაბამის გააზრებას მოითხოვს, რადგან ხშირად ორთავე მისაღებია.

12031. სულის სილამაზეს ყველა ჩვენგანის გენის ვულკანი უნდა აფრქვევდეს, რადგან გარემოებას და მის ნატურალიზაციას შეცნობა სჭირდება. ამასთან გარეგნული სილამაზე მალფუჭებადია და კოსმეტიკა ტევადია, მაგრამ უსახსრობა ყველა სილამაზეს აბერებს. ყველა სილამაზის საწყისი მაინც შეხედულებათა შენარჩუნების სურვილია და განახლების მატერიალიზებაა.

12032. სილამაზე ყველასთვის სასურველი სტუმარია და ეჭვსაც იწვევს, თუ მასში ჩვენი ქვენაგრძნობები და ინტერესები არ დევს.

12033. გამოუცდელ სილამაზეს თვალების დაჟუჟუნებაც აკმაყოფილებს, ხოლო გამოცდილი ლამაზმანისთვის საბანკო ანაბარიც ცოტაა.

12034. ერთის სილამაზე არ იძლევა ნებას ხარისხიანი საკვები შეიძინოს, მეორისა – დაავადება, მაგრამ ეს უკანასკნელი უკეთ გრძნობს თავს, რადგან ის უმწეობამ ვერ შეურაცხყო.

12035. სილამაზის დინამიკის განსჯა სიკეთის წარმოსაჩენ ალგორითმად არ გამოდგება, მაგრამ სიკეთის კეთებისკენ წაგვიბიძგებს.

12036. ზოგი გარეგნულად შეუხედავი იმდენად ,,საძაგლად მომხიბ-ვლელია", რომ აღფრთოვანება – გაკვირვებისგან პირი ღიად გვრჩება, რადგან სიმახინჯესა და სიმშვენიერეს შორის ზღვარის დადება ამჯერად გაგვიჭირდა.

12037. სილამაზე ითხოვს მსხვერპლს და არა – სიფვარულს, რადგან მეორე პირველთან შედარებით ნაკლებადფუჭებადია.

12038. შეიძლება იმ სილამაზის აღქმამ განკურნოს კაცი, რომელიც მისთვის მისაღებია.

12039. ლამაზი, კარგი, ყოველთვის საშიში და მოსაფერებელია, რადგან არავინ უწყის, ვინ როგორ მოინდომებს მის მითვისებას.

12040. სილამაზე ფველას საკუთრებაა და არა მიკერძოებული კუთ-ვნილება.

12041. სილამაზე და სიმახინჯე ერთმანეთის გარეშე ვერ ძლებენ – რადგან შემფასებელ-დამფასებელი არ ეყოლებათ.

12042. სილამაზის ფორმულის შექმნაზე ბევრი ტვინი ცდება, მაგრამ მას წინ ეღობება დროის ყივილი, ადამიანის ხუშტური და მოდა, რომელიც საიდან გამოტფრება, არავინ უწყის.

12043. მომხიბვლელობისთვის უმთავრესია: ღიმილი, მოდაზე ჩაცმა და საბანკო ანგარიში, ხოლო სიფვარულისთვის ეს ყოველივე საჭიროც არის და არც არის, რადგან მას სხვა ვნებითი ალგორითმი აწუხებს.

12044. სილამაზე განუსჯელია, მოდა დროის ყივილია, სიმდიდრე შეფარდებითია და არის მრავალი სხვა მოსაზრება, რომელზე კამათსაც აზრი არ აქვს, რადგან ამ ნავარაუდევში მაინც ვერაფერს ვიგებთ და ვერც სხვას რაიმეს ვაგებინებთ.

12045. ხშირად მშვენიერებას საზოგადოება ნიშნავს და აზოგადებს, რაც დროის და პიროვნული ახირებაა.

12046. სილამაზე უმთავრესად ტანის და სულის სიუხვეა, რომელ-საც მომხიბვლელობამაც მხარი უნდა აუბას.

12047. ქალი ლამაზი კი არა, კეკლუცი უნდა იყოს, ხოლო კაცი – ხვადის ბუნების, რადგან ჟინის გარეშე მშვენიერების შეცნობა შეუძლე-ბელია.

12048. სილამაზე ფველა ტრადიციას, აკრძალვას, შეხედულებას, უკან მოისვრის და სურვილისამებრ ყოველივეს მართავს.

12049. ლამაზ ქალს ცოტა მეტის უფლება აქვს საზოგადოებაში, ვიდრე შეუხედავს, რომელმაც ყურადღების მისაპყრობად მოხერხებაც უნდა მოიშველიოს.

12050. აღმაფრენა არ იყიდება, მაგრამ მისი ნაღვაწის ხელსაყრელი რეალიზაცია სხვა ნიჭს და შთაგონებას მოითხოვს.

12051. სიამოვნების ცენტრების დაიღლიავება გათავხედების შედეგი კი არ არის, არამედ, იმის გათვითცნობიერება, რამდენად სასარგებლონი ვართ ურთიერთისთვის.

12052. სილამაზისთვის უმთავრესია: შინაგანი წესრიგი, შემდეგ მოდის კეთილდღეობა და პოლიტიკა ცარიელი იდეოლოგიით, რადგან მის გარეშე ცხოვრება არ გვარდება.

12053. სილამაზე თავისებურად დაცული საკონცენტრაციო ბანაკია, რომლის შენარჩუნებასაც კატორღული შრომა სჭირდება.

12054. სულიერებისთვის იმედის ელჩია კოლექტიური წარმოდგენა სილამაზეზე და სიკეთეზე, რომელიც მხოლოდ შენ გესმის.

12055. სილამაზე სულის და სხეულის დოვლათია.

12056. სილამაზე თავისებური საქონელია, რომელიც, სამწუხაროდ, თავის ფასში იშვიათად საღდება.

12057. სილამაზე მოწინააღმდეგე სქესის "დასაკოდი" გალესილი ხანჯალია, რომლისგანაც თავის დაღწევას არავინ ცდილობს.

12058. თვალი კი არ ამხელს ასაკს, არამედ მის ირგვლივ თავშეყრილი პარკუჭები და ნაკეცები.

12059. სილამაზეს ზედმეტი და მოჭარბებული არაფერი აქვს, რადგან ის ყველას ვირტუალური საკუთრებაა.

12060. ყველაზე დიდი სილამაზეა იმის შეცნობა, თავს როგორ ეპყრობი და როგორ პატრონობ.

12061. ულამაზონი არ იბადებიან, უბრალოდ, თვითრეალიზებას ღვთით მომადლებული ნიჭი სჭირდება.

12062. სილამაზეს სულის ფერუმარილი სჭირდება და არა – კოსმეტიკა.

12063. სიცოცხლის ძირითადი სასწაულია: ჩასახვა, შობა, გამოკვება და უკეთესი შთამომავლობის დატოვების მცდელობა, უფრო დიდი სასწაული ამის თანდაყოლილი ნიჭი და ინტუიციის ქონაა.

12064. ფიზიკური სილამაზე, სულიერისაგან განსხვავებით, უფრო ქიმიაა, ვიდრე მომხიბვლელობა, როგორც ეს ერთი შეხედვით გვეჩვენება.

12065. სიცოცხლის ბოლო ყოფის დაბოლოება არ არის თუ ის თავის მეობის ოცნებით უკანასკნელი მოჰიკანია.

12066. ჩვენი სიცოცხლის ჯამი დასამახსოვრებელი ამბიციებიდან შედგება და არა – ასაკის მოძალებიდან.

12067. სილამაზე, წლების მორგება-შენარჩუნებისგან განსხვავებით, ღირსება არ არის.

12068. სიცოცხლე ყველას როდი ხატავს, ზოგჯერ ამახინჯებს კიდეც.

12069. სილამაზის შეცნობასაც დამუღამება სჭირდება საკუთარი ვნების გადასახედიდან.

12070. ხალასი ადამიანის პოზა, ერთ ღმერთს, სილამაზეს, სიწმინდეს ემსახუროს.

12071. სიცოცხლის მასობრივი გახანგრძლივება სახელმწიფოს ბიუჯეტს ვნებს და მის ავტორიტეტს ამაღლებს.

12072. ასაკის გარდაცვალებასთან მისადაგების აქსიომა ჯერ არავის დაუდგენია და ვერც დაადგენ, რადგან სიცოცხლე ყველა ასაკში ტკბილია.

12073. სიკვდილ-სიცოცხლე სინონიმები არიან, ერთმანეთთან თანამშრომლობენ, მაგრამ არ მეგობრობენ.

12074. სირცხვილსაც თავისი მიმზიდველობა აქვს, თუ ის ლამაზად არის შემოთავაზებული და გულწრფელია.

12075. სირცხვილის გრძნობა აღზრდის შედეგია თუ შეგნების მოკრეფვის, ძნელი სათქმელია, მაგრამ უკომპლექსოსთვის სულ ერთია.

12076. სტრიპტიზის შესრულებასაც თავისი პაგანინი და კარუზო სჭირდება თვალების გასახარად და სულის საამებლად.

12077. სიბერე შეიძლება არ გვახარებდეს, მაგრამ სიცოცხლის ხანგრძლივობით უნდა გავიხაროთ.

12078. ამქვეყნად ცხოვრება კი არ არის მთავარი, არამედ სიცოცხლის საოცრების შეგრძნება.

12079. სილამაზესაც გარდაუვალი დაჭაშნიკება-დაკუპაჟებაა ასაკის გადასახედიდან უხდება.

12080. ყველანი ჩვენი ყოფის რეჟისორები ვართ, ხოლო თუ რა დონის მსახიობებად ვიქცევით, სიცოცხლის დაისი განსჯის.

12081. ადამიანის ყოფის ყველაზე საინტერესო და ლამაზი მოვლენა თავად სიცოცხლეა, ოღონდ ფუფუნების გარეშე.

12082. სილამაზეს ყველაზე მეტად გონიერება სჭირდება, რადგან ასაკში ისიც განიცდის დევალვაციას, განსაკუთრებით, თუ ბედმა უმუხთლა და უსახსროდ დარჩა.

12083. სხვადასხვა შეხედულება საგანზე იმაზე მიუთითებს, რომ სიცოცხლე რთული ოინია და ეშმაკის შემოჩენაა.

12084. ზოგი სიცოცხლის ორ მესამედს ძილში ატარებს, ე.ი. ორგანიზმის ცვეთა ნაკლებია, მაგრამ ეს იმის გარანტი არ არის რომ სიზარმაცით ამ ქვეყანას მეტხანს და სიამით შემორჩება.

12085. ტრადიციული კლასიციზმი თავაშვებულ რომანტიზმს ვერაფერს უხერხებს, მიუხედავად თავისი მარადიულობისა, რადგან ადამიანს ცხოვრებასთან ერთად სიცოცხლის და სილამაზის შეგრძნებაც უნდა.

12086. სილამაზე ვაჭრობის საგნად არ უნდა იქცეს, მაგრამ კომერციას მხარში უნდა ედგეს, თუ უნდა გარეგნული არშიყი თავის გემოზე წარმოაჩინოს და თავადაც მოხიბლოს.

12087. გულის გამოძახილი და ვნების აჩქარება სხვადასხვა განზომილებაა, მაგრამ მიზანი ერთია: სიცოცხლის გაფეტიშება და ყოფის რაობის შეგრძნობა.

12088. სიცოცხლე ფელას უნდა, მაგრამ გააჩნია ცხოვრება ვის როგორ ესმის და მის გასახანგრძლივებლად რას მოიმოქმედებს

12089. უნდა ვიცხოვროთ სტიქიურად, სიგიჟით, ანალიზის გარეშე, თუ გვინდა ჩვენი სიცოცხლე ამქვეყნად არ ჩაქრეს და კვალი დატოვოს. რაც შეეხება ცხოვრებას, როგორღაც მოევლება თუ სხვას არ ავნებ და სხვის საქმეში არ ჩაეჩრები.

12090. სიცოცხლე ხელოვნებაზე, ღირსებაზე, მაღლა დგას, მაგრამ ამის გაგება არ სურს საზოგადოებას.

12091. ადამიანისთვის ერთია მთავარი და ძირეულია, რომელსაც სიცოცხლე ჰქვია, დანარჩენს როგორც მოერგო და მოირგებს ბედზე, შემთხვევაზე დამოკიდებული.

12092. არსებობს აწფეტილი და დაბმული სიცოცხლე, გააჩნია განგება ვის რა შემთხვევასთან მოუწყობს შეხვედრას და ვის როგორ მისცემს თავის გამომზეურების საშუალებას.

12093. ემოციების გაფრთხილებას და საჭიროებისამებრ ხარჯვას ცოდნა სჭირდება, რაც სიცოცხლეს გვიხანგრძლივებს და ყოფას გვილამაზებს.

12094. სიცოცხლე უმთავრესია. დანარჩენს, ეროვნებას, სარწმუნოებას, განათლებას, ან გიბოძებენ ან თავად მოიპოვებ.

12095. წესით მეტი უნდა ვიფიქროთ იმაზე, რასაც ვამბობთ, სიტყვის შინაარსი უნდა გავრანდოთ – გავაშალაშინოთ, მაგრამ ეს საქმიანობა საშინელებაა, რადგან ეს ყოფასთან თამაშია, რომელმაც შეიძლება ადამიანი დაპროგრამებულ რობოტად აქციოს, ხოლო ამასობაში ჩვენი სათოხარიკო-სათოხნი სიცოცხლე ხელიდან დაგვიძვრება და გაგვეპარება.

12096. სამყარო რომ სილამაზემ გადაარჩინოს, მას დაუღვინებელი გონებით, დაუბანელი ხელებით, არ უნდა შევეხოთ და სული სხვასაც არ უნდა გაუფუჭოთ.

12097. სილამაზე არა მარტო მოუთოკავი ძალაა, არამედ ყუმბარის აფეთქებაა და ვინ როგორ მოყვება მის ნამსხვრევებში, არავინ უწყის.

12098. სილამაზესაც აქვს ძალაუფლება, მაგრამ ის ამ ძალადობის ჰიპნოზს ბოროტად არ უნდა იყენებდეს, რადგან კანონიც ხშირად მის ქმედებაზე თვალებს სიამოვნებით ხუჭავს.

12099. სილამაზეს მოვლა-პატრონიბა, დაფინანსება, სჭირდება და არა მსხვერპლი.

12100. სილამაზეს ჟამთა სიმკაცრიდან თავის დასაღწევად სიკვდილი შველის, რომელიც მის მშვენიერებაზე შექმნილ მითს, შთამომავლობას ზღაპრად შემოუნახავს.

12101. ადამიანი სიცოცხლისთვის იბრძვის, მას ებღაუჭება და ცდილობს დაამტკიცოს, რომ პიროვნებაა და არა ვიღაც უგვანო.

12102. ადამიანს ჩურჩულით მაინც უნდა მივცეთ წუწუნის უფლება, წინააღმდეგ შემთხვევაში, სიცოცხლე ფარსს დაემსგავსება.

12103. სიცოცხლე ხშირად გვაჯილდოვებს იმ ბედნიერებით, რომელზეც არც გვიფიქრია, არც ველოდებით და ზოგჯერ ვერც ვიგებთ. ალბათ, ამითაა ცხოვრება საინტერესო და მიმზიდველი.

12104. სილამაზის შეცნობა და დატყვევება დიდი ხელოვნებაა და ვის დააჯილდოებს ამ ნიჭის ბოძებით, განგების ნებაა.

12105. ყოფიერება განსჯის ლამაზი ცხოვრებას, ხოლო გონიერება ხშირად მეორეხარისხოვანია და კუდს უწევს.

12106. ნამდვილი სილამაზე სიტყვით, მხატვრობით, ფოტოთი და ოცნებით არ აღიწერება და არც რაიმე კანონზომიერებას ემორჩილება.

12107. მუდმივი ძრავის შექმნაც შეუძლებელია და მუხრუჭებისაც, რადგან ორივე შემთხვევაში სიცოცხლე არ იარსებებს.

12108. სიცოცხლის ტკბილი დღეები შეუმჩნევლად მიდის, მაგრამ ცხოვრების საჭირისუფლო უკან დაგვდევს და არ გვეშვება, სანამ „ქაქივით“ არ ავყროლდებით.

12109. არის კოდი „სიცოცხლე“, რომლის შენარჩუნებისათვის ვიღწვით და ყველაფერს ვაკეთებთ.

12110. ცხოვრების წესს განსაზღვრავს სიცოცხლის აზრი და არა – პირიქით.

12111. არეულობის დროს ქალის ერთადერთი დამცველ-დამფარავი საშუალება მისი სილამაზე და მომხიბვლელობაა, რათა მამაკაცის ხელში ნივთად არ იქცეს და არ გადაგვარდეს.

12112. სილამაზე თავისებური მითია, რომელსაც ჩვენვე ვქმნით დროის ყივილის, ცივილიზაციის და ყოფიერების მოთხოვნით.

12113. ლამაზი და ორიგინალური უგნურების ჩადენაც დიდი ხელოვნებაა.

12114. სილამაზის შეცნობა-შეგრძნობამ უნდა გადაწონოს ყველას გემოვნების კაპრიზი, რადგან შენი გარეგნული ეშხი, სხვაზე უკეთესია და ეს განცდა ოპონენტების უპასუხოდ დატოვებად ღირს.

12115. სილამაზე, ცვალებადი და არა – ხასიათი.

12116. სილამაზე ის რეკლამაა, რომელიც პრეტენდენტებს აიძულებს ქალის სულში ჩაიხედონ.

12117. შენი სიცოცხლე აზრიან ცხოვრებას მოახმარო და თავი გაანთავისუფლო ყოველდღიური რუდუნებისაგან დიდი ნიჭი და ერთეულთა ხვედრია.

12118. სჯობს ადამიანი სიმპათიური იყოს ვიდრე ლამაზი, იმისდამიუხედავად რომ ორივე თანდაყოლილია.

12119. არ შეიძლება ცხოვრება ნაგვად ვაქციოთ, როცა სიცოცხლის უტილიზაციით ვკმაყოფილდებით.

12120. სიბერე ის ტკივილია, რომელიც სიცოცხლეს მტრობს, მაგრამ მოკრძალებას და პატივს იმსახურებს.

12121. სიცოცხლეს სული უნდა შთაბერო და სულ მზრუნველობით უბერო, რათა ვადამდე არ შეწყდეს.

12122. ქუდბედნიერს და ბედით დაწიხლულს შორის ის მსგავსებაა, რომ სიცოცხლის მადლის ნათელი არც ერთს არ უგემია, რადგან ამისათვის არც ერთს არ ეცალა.

12123. სილამაზესაც თავისი პარამეტრები აქვს, რომელიც საერთოდ მიღებულ გემოვნებას ზემოდან უყურებს.

12124. აზიზად ნახმარ-გახარჯული სიცოცხლე ასევე აზიზად, ჩუმად, ქრება გაუხსენებლად.

12125. სიცოცხლის გახანგრძლივება ძნელია, მაგრამ მისი შემოკლება და შენს ჭკუაზე ქეიფი, ასე თუ ისე, შესაძლებელია.

12126. როდესაც სიცოცხლე საფრთხეშია, გრჩება ერთადერთი გამოსავალი – დაიწყო თამაში

12127. ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობას, ცხოვრების უნარს, თავისი არსი, აზრი და ლაზათი აქვს, ბედის გადამოწმებით.

12128. ზოგი იმდენად უხიაგია, განმარტოებული ერთი ვაშლის მოსაწყვეტად ტოტებსაც დაამტვრევს, გემრიელადაც შეუკურთხებს და მისი მარტოობის სილამაზეს ვერც კი შეამჩნევს.

12129. ყველასთვის მისაწვდომი სილამაზე არც სათანადოდ ფასდება და ვერც დიდი ვერაფერი შვილია.

12130. სიფარულის ლეკვები, ბოლოსდაბოლოს, თვალებს ახელენ და სამყაროს გაწევ-გამოწევას წინ დედიშობილანი უდგებიან, ე.ი. სიცოცხლეს აგრძელებენ.

12131. მარადიული სიცოცხლისკენ ლტოლვა დროის, ნიჭის, აღიარების, პრეროგატივაა და არა – განგების.

12132. სიკვდილზე ფიქრი სიცოცხლეს გვავიწყებს და ყოფას გვიმუნათებს.

12133. ერთადერთი, რაც არ გვბეზრდება, სიცოცხლე და მისკენ სწრაფვაა.

12134. სილამაზის და ვნების გარჩევა ყველას ხვედრი არ არის.

12135. სილამაზეს დასაბუთება არ სჭირდება.

12136. სილამაზე, ჭკუა, ადამიანს ასაკის მატებასთან ერთად თანდათან აკლდება, მაგრამ ეს არ ეხება მომხიბვლელობასა და გონიერებას.

12137. მხოლოდ პრინციპულობის დარღვევა გვაძლევს საშუალებას სილამაზე ახლებურად ვიგრძნოთ და აღვიქვათ.

12138. განყენებული სილამაზე მშვენიერების შეცნობის გარეშე არარაობაა.

12139. ერთი სიცოცხლის დამატებით ყიდვაც რომ შეიძლებოდეს, მაშინაც არ გვექნებოდა მისი ჩვენს გემოზე და ჭკუაზე ხარჯვის უფლება.

12140. სილამაზეც დევალვაციას განიცდის და აქ ასაკი არაფერ შუაშია, უბრალოდ მას თავის ,,დაბანდება" უკეთ შეეძლო ტრფობის შანსი რომ გონივრულად გამოეყენებინა.

12141. აზროვნებას სული მაშინ ცვლის, როდესაც ირგვლივ სილამაზეა.

12142. სილამაზესთან დაუმადლებელი საუბარი, ურთიერთობა, შეხება, სასიამოვნო განცდაა ყოველგვარი ქვენა გრძნობების გარეშე.

12143. სიბერე თავისებური მონობაა, სიცოცხლის გახანგრძლივების მცდელობით.

12144. სილამაზე ბედნიერების მითია და არა – გარანტი.

12145. სილამაზეც, მოწონებაც, დევალვაციას განიცდის, თუ მას ხშირად ხედავ და ებაასები.

12146. უკანონობის მომხრე სიცოცხლისაკენ ლტოლვას, სიკეთე არასოდეს მოუტანია.

12147. ქმედება, რომელიც სიამოვნების რაღაც ნაწილში მოიკოჭლებს, სრულყოფილი ვერასოდეს იქნება.

12148. კოსმეტიკა სილამაზისთვის შერკინებაა, მსხვერპლის გარეშე.

12149. ცხოვრების სუფთა ხელებით განვლა ძალზედ ძნელია და სიბერეში ნაღვლის შემოწოლა იცის, რადგან სიცოცხლის ფასი ვერ დაგიდგენია.

12150. ღირსების და სიფარულის სახელით რამდენი სიცოცხლე იწირება, არავის უწყის.

12151. სიცოცხლე სიკვდილით ფასობს, მაგრამ პირველის ღირებულებების შეცნობა მთავარია.

12152. ვეცადოთ ვიცხოვროთ პატიოსნად, შემართებით, პეწით, რათა სიცოცხლე შევიცნოთ ყოველგვარი ნერვების დაწყვეტის გარეშე.

12153. ადამიანი, რომელიც ბუნებით მტაცებელ ცხოველს ემსგავსება და ადამიანური თვისებები დაკარგული აქვს, ცოფიან ძაღლზე უკეთესი არაფრითაა და ის დაუნდობლად უნდა მივაძინოთ, თუ გვინდა სხვათა უდანაშაულო სიცოცხლეს გაუფრთხილდეთ.

12154. სიცოცხლე ყელა მრწამსზე, იდეოლოგიაზე, მაღლა დგას, მაგრამ ამის შეცნობას სიბრძნე სჭირდება.

12155. სიცოცხლეც თავის ბაიათს მღერის: მხიარულებით, დანაღვლებით და იმქვეყნად გასტუმრებით.

12156. სიცოცხლე ადამიანის ტკბილი სევდაა, რადგან სიკვდილის გარდუვალობას ვერ გადაურჩება.

12157. სიბრიყვეც დანაშაულია და სიხარბეც, მაგრამ სხვისი სიცოცხლის გადაკეთების მცდელობას ვერ შეედრება.

12158. სიცოცხლე მომხიბვლელი საგანძურია, რომელიც სასწაულს უტოლდება და ვალდებულნი ვართ ის გავწვრთნათ, დავიცვათ და გავუფრთხილდეთ.

12159. სიცოცხლეს სხვადასხვა შემფასებელი და დამფასებელი ჰყავს და ამიტომაცაა, რომ ეტალონი არ გააჩნია.

12160. სილამაზე ის ძალაა, რომელიც არავის ემორჩილება, რადგან მამრებს ისე იცვლის, როგორც მოეხასიათება, ქმარი იქნება ეს თუ საფარელი.

12161. სპერმაზე დიდი ,,ვნებითი გონიერება" არ არსებობს, რადგან სიცოცხლის საწყისი მასშია დამფლამებული.

12162. ,,დამაჭრებული" ფილოსოფია: დისკოთეკას არ გაეკაროთ, დაკონტაქტებას მოერიდეთ, ვინც ნერვებს გიშლით, ნუ შეამჩნევთ, ვისი დანახვაც არ გსიამოვნებთ, არ გაიკაროთ, იცხოვრეთ მშვიდად, ნერვების მოუშლელად, უხმაუროდ, ექსცესების გარეშე, მაგრამ ამ ცხოვრების წესს ჰქვია სიცოცხლე თუ არა, სხვა საქმეა.

12163. უსაგნოა სილამაზე, თუ მის მშვენიერებას ვერ აღიქვამენ და მისი ხიბლი შეუმჩნეველი რჩება.

12164. შინაგან სილამაზესა და მომხიბლელობას შორის ის სხვაობაა, რომ პირველი ქცევის ნორმებით, მანერების ცოდნით და ჭკუაგახსნილობით გვხიბლავს, ხოლო მეორე გარეგნობით და გაუგებარი მომნუსხველობით.

12165. სილამაზის გაყიდვა და დახურდავებაც ნიჭს და გამოცდილებას მოითხოვს.

12166. სილამაზე კი არ გაადარჩენს სამყაროს, არამედ სილამაზის პარადი.

12167. გარეგნული სილამაზე მოდის და მიდის, შინაგანი ხუნდება, მაგრამ არ იკარგება.

12168. სილამაზე, ეტყობა, ეშმაკის ნახელავია, რადგან ადამიანის გადასაცდენადაა შექმნილ-მოგონილი.

12169. სილამაზე წუთიერი აღქმაა, რომელიც ზოგს დიდხანს ამახსოვრებდა თავის საბედისწეროდ.

12170. სილამაზის ჩუქება განგების დაბნეულობის და კიდევ სხვა მრავალი ფაქტორის ბრალია, რომელიც განსჯისთვის განკუთვნილი არ არის.

12171. სილამაზე შიგნით უნდა გქონდეს, შემდგომ მოდის ხასიათი, აღზრდა და გარეგნობა.

12172. სიტიტვლე, პორნოგრაფია, კი არ უნდა იყოს განსჯის საგანი, არამედ მისი გამოფენა, ადგილის შერჩევა, მაცქერალის მიპატიჟება.

12173. ძალზე მდიდრულად ცხოვრება ბედის დაცინვაა, რადგან სიცოცხლის არსის ფორმულირება, შრომა და გარჯა, აზრს კარგავს.

12174. იცოცხლო კარგად, ძნელი ხელობაა, თუ ხელოსნად ხარ დაბადებული.

12175. სიცოცხლისთვის სიამის მოპოვება ცხოვრების ბოლომდე დაუნდობლად გრძელდება.

12176. სიცოცხლის გრძნობის დაბრუნება სიცოცხლის ხელმეორედ შეცნობის საწინდარია.

12177. სილამაზე ყველა დროში ფასდაუდებელია. ხოლო მომხიბვლელობა ფასსაც იდებს, თავის დროსაც ითხოვს და შემფასებლებიც სხვადასხვა ყავს.

12178. ამდენი ლამაზი ქალის ცქერის გაძლება ძნელია, მაგრამ სურვილი და მცდელობა უნდა შევინარჩუნოთ.

12179. სიცოცხლის სასწაული ის უცხო ნაოცნებარი ფრინველია, როდესაც გგონია, რაღაცას მიწვდი და ის კი გაფრენილია.

12180. სურვილები ნახევარი სიცოცხლის ტოლია, მისი უქონლობა კი სიკვდილთან მიახლოება და ცხოვრებიდან უმადურად წასვლის მცდელობაა.

12181. სილამაზე ყველა ადამიანის ენერგეტიკაშია და მას აღმომჩენი სჭირდება, რათა სულმა იცნოს ეს ჭკუის დახმარებით იქნება შესაძლებელი თუ გულის, სუნის, მხედველობის.

12182. გარეგნულ სილამაზეზე ასაკი ახდენს გავლენას, შინაგანზე – გარემოს უკუღმართობა. ასე, რომ ყველაფერს თავისი მატლი და ზურგში დანის დამრტყმელი ჰყავს.

12183. ლამაზ სიტყვათა ღაღადი თავისებური ლოცვაა, რომელსაც ხშირად რეალობასთან კავშირი არ აქვს, სურვილთა გარდა.

12184. სილამაზე სხეულის რეკლამაა, რომელიც სულში ჩახედვას და გათავისებას მოითხოვს, თუ იქ სიცარიელე არ დაგხვდა.

12185. პატივი უნდა ვცეთ სხვის სიცოცხლესაც, რადგან ის მას ტყეში არ უპოვნია და ლატარიაში არ მოუგია.

12186. სილამაზე თვითდაჯერებულია, მიმზიდველობა თამამია, ხოლო სიმახინჯე ბედის წყევლაა სასწაულის იმედით.

12187. ყოველივე ლამაზი სინათლის, სიცოცხლის, გონიერების გამონათების საწყისია.

12188. სილამაზის საკეთილდღეოდ სამმა რთულმა განზომილებამ უნდა იმუშაოს: მადლიერება – უმადურობით, ღირსება – უღირსობით, სიხარული – წყენით.

12189. თუ სილამაზეს სულიერების, გემოვნების, სინათლის, ხიბლი და სილაღე აკლია, ის სილამაზედ არ აღიქმება.

12190. სილამაზეც ხელქმნილი საქონელია და ფასიც ინდივიდუალური აქვს, ხოლო სილამაზის სიმრავლემ, ტირაჟირებამ, თვალის შეჩვევა და გაუფასურება იცის.

12191. სილამაზის ჭორებით შეფუთვა მის ხარისხს აუარესებს და ეჭვიანობით დაგვაავადებს.

12192. იყო ლამაზი ძალიან სასიამოვნოა, საამაყოა, მაგრამ თავისებური სასჯელია, რადგან საკუთარ ამბიციებში ვერ გაერკვევი.

12193. ბიზნესს ამოფარებულ სილამაზეს სულიერება აკლია, მაგრამ მომხვეჭელობა არ ეშლება და მისი შედეგი არასოდეს აკმაყოფილებს.

12194. სილამაზე ავტომატურად უცდის ბედის წყალობის მომდევნო ტრანშს და მის შესანარჩუნებლად ხელის განძრევას არ ჩქარობს.

12195. სილამაზეც და სიკეთეც მოსაბეზრებელია თუ გაგრძელება არ აქვს.

12196. სილამაზის მასობრიობა, ტირაჟირება, ,,მასმედიის'' დახმარებით დაუშვებელია, რადგან უინტერესო გახდება.

12197. სილამაზე მსხვერპლს ითხოვს ბედნიერების მოტანის სანაცვლოდ, ხოლო მსხვერპლად შეწირულ სილამაზეს ბედნიერების მოტანა არ შეუძლია.

12198. სილამაზე უხსოვარი დროიდან გავლენას ახდენდა ინდივიდზე იმისდამიუხედავად ადამიანი დაემსგავსებოდა მაიმუნს თუ პირიქით.

12199. სილამაზე თავად ირჩევს თავის ხვედრს, ბედის წილს.

12200. სახის კონტურები თუ ლამაზია, მაშინ მისი შიგთავსით არავინ ინტერესდება და ეს არის სილამაზის ,,აქილევსის ქუსლი''.

12201. სილამაზე თავისებურად წახალისებცაა და სასჯელიც, ბედნიერებაცაა და საშინელებაც, ფორაც არის და ვალიც, რადგან მას არაფრის კეთება არ უნდა და ჰგონია ბედი ყველაფერს საბოლოოდ თავად მოუგვარებს.

12202. სილამაზე ყოველთვის იყო და დარჩება სინათლის, სიხარულის, გაოცების და შინაგანი სიამის შეცნობის წყაროდ.

12203. მომხიბვლელობაც ვირტუალური ცდუნებაა, რომელიც იმას წარმოაჩენს, რაც სინამდვილეში არ არის.

12204. სილამაზე და ლამაზი ფაქტიურად ყველას საკუთრებაა, ოღონდ ვინ როგორ უწევს ექსპლოატაციას საკუთარი ფანტაზიით და შესაძლებლობებით – სხვა საკითხია.

12205. დედამიწაზე დროებით ყოფნა და სიცოცხლე კი არ არის დასანანი და გულდასაწყეტი, არამედ იმის შეგნება, რომ დედამიწა გაქრება და ჩვენი ზოგჯერ გახსენების ვარიანტი სამუდამოდ აღიღგვება.

12206. სიცოცხლე მოვალეობის სამსახურია, ეს სიფარულის, აღზრდის, დაძალების, შედეგად იქნება თუ უიმისოდ.

12207. ვადაგასული სიცოცხლე იმათ მიესადაგება, ვინც უდანაშაულოდ დასჯილია ან კუთვნილმა ჯილდომ დროულად ვერ მონახა.

12208. მხოლოდ სილამაზისთვის მამაკაცის შეფარება უგნურებაა, რადგან ქალის საწყისს ფუძე ეცლება და მისი რაობას დევალვაციას განიცდის.

12209. სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე ყოფნისას, ყოველგვარ მოვალეობიდან და ქმედებიდან ვთავისუფლდებით, მაგრამ სიცოცხლის მადლი ის ნიჭია, რომელიც არ გვაბოროტებს, სულიერად არ ვეცემით და თავს კონტროლს ვუწევთ.

12210. გაქცევა სიკვდილის ტოლფასია, მაგრამ ხშირად სიცოცხლის გადამრჩენიცაა და რევანშის საწყისიც.

12211. გარეგნული სილამაზის საწყისი ადამიანის შიდა ბუნებიდან მოდის და მისი მშვენიერების აღქმას დროისთვის მისაღებიც უნდა იყოს, რადგან სილამაზის ფენომენს ხშირად ის განსაზღვრავს, განსჯის.

12212. სილამაზე უფრო საიმედოა, ვიდრე სიფვარული, რადგან პირველის ღალატი ასაკის ვერაგობაზეა დამოკიდებული, მეორე შემთხვევაზე.

12213. სილამაზეზე თვალი მოჭარბებულად არ უნდა შევაჩეროთ – გაუფასურდება.

12214. გრძნობებსაც აღზრდა, შთაგონება, თავის დაჭერა, სჭირდება და აქ ვნება, სიფვარული და „წელსქვევითა“ ფილოსოფია არ გამოდგება.

12215. სილამაზე სხვათა ცქერით ვერ გაძღება და ვერც ფელას სურვილს დააკმაყოფილებს, რადგან ის იშვიათია და მასაც თავის გზით ხეტიალი და თავის წარმოჩუნება სჭირდება.

12216. სიცოცხლე ყოველთვის ჩახმახზე უნდა გვქონდეს შეჯენებული, თითის გამოსაკრავად, თუ გვინდა ამქვეყნად ჩვენი მომავლის და დაფასების არსი შევიცნოთ.

12217. სიცოცხლე უსასრულოდ იმიტომაც გრძელდება, რომ სიახლისკენ მისწრაფება არ კვდება.

12218. სიცოცხლეს, პლუსებთან ერთად დიდი მინუსიც ახლავს – იმქვეყნად გადასახლება.

12219. მათემატიკურად რა მცირე სხვაობაა 30 და 60 წელს შორის და პრაქტიკულად რა დიდი სხვაობაა ყოფაში, ქცევაში, შესაძლებლობაში, ჯანმრთელობაში, მსოფლმხედველობაში და სიცოცხლის პარამეტრების ხედვაში.

12220. ვისაც წუთიერი გაელვების შემჩნევა და დაჯერება შეუძლია, მას სიცოცხლის გალამაზების უნარიც შესწევს.

12221. წუთიერი კეთილმოფარეობით ერთხელ მოცემული სიცოცხლე არ უნდა გავიმწაროთ (მაგ., “დაუნი“ შვილის აღზრდა).

12222. ღირსეულ სიცოცხლეს მისთვის განკუთვნილი ღირებულებები მოსვენებას არ აძლევს.

12223. ფელას რომ სილამაზის შეგრძნების უნარი ჰქონდეს, ანგელოზი იყოს, არც ხელისუფლება დაგვჭირდებოდა, არც სარწმუნოება, მაგრამ დაპირისპირებასაც თავის მომხიბვლელობა აქვს, რომლის გარეშე სიცოცხლეს ფასი დაეკარგებოდა.

12224. ნაღდი ქომაგისთვის ფეხბურთი უდიდესი წუთიერი სიამოვნებაცაა და ადამიანური დრამაც.

12225. სპორტში საგოლე პასი სპორტსმენის ყველაზე კარგი ავტოგრაფია.

12226. ფეხბურთის კონკურენციას ქალთა მოდგმა ვერ იტანს, ამიტომ "ფიფა" იძულებული გახდა ქალთა მსოფლიო პირველობა შემოეღო, რათა მდედრების გული მოენადირებინა. ამრიგად, ფეხბურთმაც მატრიარქატული დიპლომატია და პოლიტიკა მოითხოვა.

12227. კრივი თავისებური ბალეტია, მუშტების ფარიკაობით და არა ხალხური ცემა-ტყეპა, სიტყვიერი სინონიმებით.

12228. რაგბი არის 100-ეჯრიანი შაშის თამაში ერთ ჰექტარ მწვანე მინდორზე, 15-15 გონიერი ფიგურით, რომელთა მოხერხებულობას, კომბინაციებს, ძალას, სტადიონი აფასებს.

12229. რაგბი ნარდის თამაშს მოგვაგონებს, როდესაც თამაშის მოგება კამათლის ხეირიან გაგორებაზეა დამოკიდებული, ხოლო რაგბში მოხერხებულად ფეხით ბურთის აუტში გადატანა, ნარდში ქვების გამოყრის დროს დასმული დუშაშის ტოლფასია.

12230. დღეს იმდენმა ახალმა სახეობამ დაიმკვიდრა საერთაშორისო სპორტში ადგილი, რომ ალბათ მალე შეჯიბრი მხოლოდ ფულის კეთების ასპარეზი გახდება.

12231. რაგბი მიუხედავად კოლექტიური თამაშისა, ძალზე ინდივიდუალურია, რადგან სპორტსმენისგან პირველ რიგში, აზროვნებას, შემართებას, პასუხისმგებლობას მოითხოვს.

12232. რაგბი თავისებური ომია: თავდასხმების, გამთამაშებლების, ნახევარმცველების, ჩამკეტების, ჯარის სახეობებით, სადაც ყველა მთავარსარდალია და კოლექტიურ მიზანს, მოგებას, ემსახურება.

12233. როგორც ცხოვრების მარათონი, ასევე რაგბისტთა ტურნირი სენსაციების და მოულოდნელობის გარეშე ხიბლს კარგავს, მაგრამ არა – თავის კერპებს.

12234. ანგარიში რაგბში ყოველთვის არ გვიჩვენებს თამაშის აზარტს, შემართებას, ფინტების აზრს, რადგან ხშირად შემთხვევა, ბედის გამართლება, აფიქსირებს შედეგს, ვიდრე გონიერება და კოლექტიური მცდელობა.

12235. რაგბი უფრო მოწოდების, სულის კარნახის შედეგია, ვიდრე ძალისა და გულისხმევის.

12236. რაგბში უპირველესად ეშმაკობა, აზროვნება და შემთხვევის წყალობა წყვეტს შერკინების შედეგს, მიუხედავად იმისა, რომ თამაშის

ბედს დაგროვილი ქულების ოდენობა.

12237. მსოფლიო ჩემპიონობაც შესძლებელია თუ შენთვის შესაფერ სპორტის სახეობას აირჩევ და შემთხვევაც გვერდზე ამოგიდგება.

12238. ფეხბურთელები ბურთის გორებით მილიონერები ხდებიან ფანატების ხარჯზე, ხოლო ვინც თამაშს განსჯის და შერკინების შედეგზე მოქმედებს, ის 1000-ჯერ ნაკლები შემოსავლით კმაყოფილდება. ცხოვრების ეს ტრიგონომეტრია არც გაკვირვებას იწვევს და არც – განსჯას, რადგან იგი ასე ილბლიანად ეთამაშება ჩვენს სიამოვნებას.

12239. სულ მეორე ჩემი მტერი იყოს, ეს ცხოვრებას პეწს და ეშხს აკარგვინებს.

12240. შეიძლება თამაში ლამაზად და ორიგინალურად შემთხვევით მოიგოთ ან წააგოთ და ეს შეჯიბრების შედეგი ისტორიის საკუთრებადაც აქციოთ, გააჩნია დროს და თქვენი ნიჭის კადნიერებას.

12241. სპორტი რეკეტში ან სხვა უმსგავსოებაში რომ არ გადაიზარდოს, ვარჯიში მოღვაწეობად უნდა მოვნათლოთ და მისი შენახვა სახელმწიფომ უნდა იკისროს, რათა სპორტის სახეობათა დაუფასებლობა ძვირად არ დაგვიჯდეს და მომავალ თაობებს უსაქმურობის და გულგრილობის ჭია არ შეეპაროს.

12242. ოლიმპიური ცეცხლის ანთება და ამ ჩირაღდნით კონტინენტებს შორის ხეტიალი არც შოუა და არც რეკლამა, ის გაცილებით მეტია, რადგან კაცობრიობას ახსენებს, რომ ჩვენ ერთუფლებიანი სამყაროს შვილები ვართ და ურთიერთდაპირისპირება არ გამოგვადგება.

12243. ფაქტები ყოველთვის ჭეშმარიტებას არ ქადაგებენ და ანგარიშს არ ემორჩილებიან. ევროპის პირველობაზე ფეხბურთში ოთხგუნდიან ჯგუფში ფინალში ამ ჯგუფის ორივე გუნდი გავიდა. რუსებმა შესარჩევ ჯგუფში მომავალი ევროპის ჩემპიონები დაამარცხეს, მაგრამ ფინალში ვერ გავიდნენ. ამრიგად, რუსები ამ ჩემპიონატში მესამე გუნდად უნდა მოგვვლინებოდა, მაგრამ მათი თამაშის ანალიზი ამის უფლებას არ იძლევა.

12244. სპორტში, სადაც დაპირისპირებას და ამბიციებს, ფანების ხელშეწყობით, მედლების ხარისხი განსაზღვრავს და არა – სურვილი, მომავლის მცდელობა რევანშის იმედით.

12245. როგორც სპორტს, ასევე ხელოვნებას, საზღვარი არ უჩანს და ის მუდმივად ვითარდება და ახლა-ახალ აღმაფრენის რეკორდს იპყრობს.

12246. პროფესიული ფეხბურთი, კრივი, ღარიბი ხალხის პრეროგატივაა, ამიტომაცაა სპორტის ეს სახეობები რომ პირველობენ ადამიანთა აუქციონზე დიდი სახსრებით.

12247. ვერცხლს, ბრინჯაოს მედალი სჯობს, რადგან ეს უკანასკნელი დამსახურებულად და განუსჯელადაა მოპოვებული, ხოლო პირველი ადგილი ხელიდან გაშვებული ოქროა, რომელიც ყოველთვის სინანულს იწვევს საკუთარი ბედისა და თავის წინაშე.

12248. სპორტსმენების, ხელოვნების მუშაკთა, ხვედრი ასეთია: დღეს გაგაღმერთებენ, ხვალ დაგმარხავენ ან დავიწყებისთვის გაგიმეტებენ. რას იზამ, ამას თავიდანვე უნდა შევეგუოთ, მხოლოდ ერთის პირობით, მოსამკელი დროულად უნდა მოიმკას.

12249. სპორტში, ცხოვრებაში, შედეგის გარეშე ჩატარებული ყველა ფინტი კლოუნადაა და ცირკის არენაზე გამოსვლას ემსგავსება.

12250. გოლფი ზარმაცი მდიდრების, თავმომწონე ფულიანი ხალხის და მათზე მიტმასნილი პროფესიონალების სპორტია, სადაც პირველები სულს ითბობენ, მეორეებს თავი მოაქვთ, მესამენი გადიდებულ ჰონორარს ჯერდებიან, პირველი ორის წარმოჩენისა და გართობის ხარჯზე.

12251. მწვრთნელია ის პიროვნებაა, რომელსაც ხარისხიანად, ამბიციებით, იმის კეთება არ შეუძლია, რაც იცის და იძულებულია ყოველივე ნაოცნებარი აღსაზრდელის ხარჯზე დაიკმაყოფილოს, თუ გაუმართლა და „ლოტო“ ბედნიერ შეგირდზე დადო.

12252. თუ მამაკაცი ბუნებით ხვადია, მას ვერც ცოლშვილის სიყვარული გამოასწორებს და ვერც სატრფოთა რაოდენობა, რადგან ეს მისთვის სპორტის სახეობაა, რომელიც მოჭარბებული ადრენალინის გამოყოფაში ეხმარება. ამ სიამოვნებას წინ აღუდგება მხოლოდ ასაკის სიმუხთლე და იმქვეყნად გადაბარგება.

12253. აქტიური სპორტი თუ ჯანმრთელობა-ფიზკულტურა: პირველში წარმატება ნიჭს, შემართებას, მოითხოვს და პირადი საქმეა, მეორეში წარმატება, ჯანმრთელობა და ისიც მობილიზებას და თავზე ძალის დატანებას მოითხოვს, მაგრამ ამ უკანასკნელს არ სწყალობენ, ხოლო პირველს აღმერთებენ კიდეც და თავმოწონებით წილშიც უჯდებიან.

12254. სპორტი თავისებური იდეოლოგიაა და მისი მთლიანად ვინმესთვის პირად სარგებლობაში გადაცემა ხელისუფლებისათვის, პატრიოტიზმისთვის არარენტაბელურია.

12255. ცეკვის ხელოვნება აერთიანებს ნოსტალგიას, ფილოსოფიას, ვნებათაღელვას და რაც მთავარია, ლამაზი სპორტია, რომლის დანახვას ბევრი ვერ ახერხებს, ხოლო ვისაც გათავისება შეუძლია, ბედნიერია.

12256. ჩემპიონებად არ ბრუნდებიან, ისინი მხოლოდ გამარჯვებულნი ახსოვთ.

12257. სპორტი და პოლიტიკა სინონიმებია – თუ წარმატებაა – ჩვენ მოვიგეთ, თუ პირიქით – მან წააგო, ხოლო ქომაგი და ამომრჩეველი ფელგან, ფელაფერში მართალია.

12258. დოპინგი თუ დაგიჭირეს ნარკოტიკია თუ არა და – ვიტამინებია.

12259. სპორტი მსუბუქი შეჯარებაა ოცნებისა და პერსპექტივისა, სადაც შეიძლება გაგიმართლოს თუ შრომას, შემართებას არ დაიზარებ და ბედიც დროულად შენს გვერდზე დადგება.

12260. სპორტში უმთავრესად იმარჯვებს ხასიათი და ტექნიკური არსენალი, ოფლისდენასთან და მიზანთან შერწყმით.

12261. კრივი ხელოვნებაა, მაგრამ არა ყველასათვის და არც ყველა შერკინებისთვის.

12262. რაგბი მკაცრი და აზრიანი სპორტია შერკინების, აკრობატიკის, მძლეოსნობის, წახულიგნების ელემენტებით.

12263. სპორტი დიდი თეატრია, მაგრამ რეჟისურაა სუსტი, რადგან სპორტსმენების ხელოვნება, მსახიობებისგან განსხვავებით, დამრიგებლის მცდელობას და სურვილს არ ემორჩილება.

12264. სპორტი არც თუ ისე ხელწამოსაკრავი ნარკოტიკია, რადგან ამ სფეროში წარმატება გავსწავლის სამშობლოს სიყვარულს, ეროვნული იდეის მხარდაჭერას და გვახსენებს ,,ვისი გორისანი ვართ".

12265. რაგბი, ვინც არ იცის, მკაცრი, დაუნდობელი ფეხბურთია, ვისაც ესმის, მათთვის ძლიერი სულის, შემართების და გარეგნობის მქონე მამაკაცების სპორტია.

12266. სტადიონი ზოგისთვის ტაძარია, სადაც თავისი გუნდის წარმატებისთვის ლოცულობს და ყოველივე ამას ემოციებით სახალხოდ გამოხატავს, ამით ნერვებს იმშვიდებს და დაგროვილ უარყოფით ენერგიას დროულად, ფანატის მკურნალობის მეთოდით, იშორებს.

12267. რაგბში ის არის საინტერესო, რომ სხვადასხვა სპორტული სკოლის გუნდებში, წინასწარ გამარჯვებულის გამოცნობა შესაძლებელია. აქ ტრადიციები და ფორტუნაც გამორიცხულია.

12268. რაგბი კოლექტიური თამაშია, სადაც გამოცდილება, შემართება, აზროვნება დიდ როლს თამაშობს, მაგრამ თამაშის ჟინის კაიფს, სულთან შერკინების გარეშე ვერ იგემებ.

12269. ფეხბურთში გაუტანელი გოლების დღესასწაულიც შეიძლება აღვნიშნოთ, თუ ბურთი ლამაზად არის გათამშებული, კარში ძლიერად არის დარტყმული და მეკარის მიერ ,,აუღებელი" ბურთებია მოგერიებული.

12270. ოლიმპიური თამაშები და მსოფლიო პირველობა შერკინების ის ადგილია, სადაც სენსაციებისთვის ადგილი ყოველთვის დარჩება.

12271. რაგბი, პირველ რიგში, ხასიათის ჩვენებაა, ჟინის მცდელობაა, აზროვნების მოშველიებით და სიამის მიღებით.

12272. სპორტი თვალების თავისებური დამატებითი ვარჯიშია: ვნების გამოვლენის, სულის აღმაფრენის, ბუქის გამოშვების ხარჯზე.

12273. სპორტს ყველასათვის გასაგები აზროვნება, ცხოვრების დებეტ-კრედიტი და ჯანმრთელობისკენ მიდრეკილება ახასიათებს.

12274. რაგბის ბურთის ოვალი, დედამიწის ფორმის ანალოგია და ის მარტო სტადიონის საკუთრება კი არ უნდა იყოს, მას ყველგან გულით უნდა თამაშობდნენ და ქომაგობენ.

12275. უღიმღამო გამარჯვება ყოველთვის ჯობს ლამაზ წაგებას, რა დითირამებიც უნდა მიუძღვნათ.

12276. ღირსეულის დამარცხება უფრო ნიშნის მიგებაა, ვიდრე გამარჯვება, რადგან არავინ იცის რა მოხდებოდა, რომ ამ დროს ჩვენს მხარეს ბედი შემთხვევა არ ყოფილიყო.

12277. რაგბი ,,მრგვალი ვირის" თამაშად არ უნდა აღვიქვათ, ჯარიმიდან გვერდით ხაზამდე ბურთის გორებით, რათა თამაშს შემართება, აზრი, ეშხი არ მოვაკლოთ და მაყურებელი არ გავაწბილოთ.

12278. პრეტენდენტები იბადებიან, შემართება-რევანშით ცოცხლობენ, ხოლო ექსჩემპიონები წარსულში გადაბარგდებიან და მივიწყების ობს იკიდებენ.

12279. ჟიური, კომისია, მსაჯთა კოლეგია, თავისებური სიავეა, რადგან ის ხალხს ყოფს კლასებად, ადგილებად, ჩემპიონებად და იმის მიხედვით მიაგებს პატივს, ვინ სად და როგორ გაიმარჯვა და ვინ რანაირად ,,ჩაისვარა".

12280. მთავარი ცარილი გამარჯვება კი არ არის, არამედ ჯობნა, დამუნათება, მოწინააღმდეგის ,,დაშამათება".

12281. რაგბს უფრო აზროვნება, მოხერხებულობა სჭირდება, ვიდრე ძალა და უხეშობა, მაგრამ შერკინების შემყურე დილეტანტს ამაში ვერ დაარწმუნებ.

12282. ვარჯიში და ფიზიკური მუშაობა საძირკველია მოქნილობის, სილაღის, საქმიანობის. თუ ასე არ ვიფიქრეთ, ფიზიკური დატვირთვა, დასაქმება, ტანჯვად მოგვეჩვენება.

12283. რაგბის, ფეხბურთს, კალათბურთს უპირველესად, თამაშში დაბანდებული აზროვნება სჭირდება და არა – მაყურებლებში ძალად შექმნილი იმიჯი, ტაშისკვრით და ოხვრა-შეძახილებით.

12284. შერკინება-შეჭიდება, ადამიანს იმისთვის სჭირდება, თუნდაც სპორტში, რომ ჯიში და ჯილაგი კიდევ ერთხელ გადაიმოწმოს.

12285. ოლიმპიურ ჩემპიონს ოლიმპიური სიმშვიდეს ვერ მოსთხოვ, როდესაც ის გამარჯვების კვარცხლბეკზეა.

12286. რაგბის ბურთი ძალზე უაზროა, მაგრამ მოთამაშეები ყავს აზრიან-საზრიანი და ძლიერი – შეუპოვარი.

12287. ნაღდი სპორტსმენისთვის უპირველესია მოწოდება, აზროვნება, შრომისმოყვარეობა და ბოლოს ფიზიკური ძალა.

12288. სპორტსმენს და ასაკს გამარჯვება თუ არ სწყურიათ, დასახული მიზნის მისაღწევად ვერც გამოცდილება უშველით და ვერც – შემართება.

12289. სპორტი უპირველესად ხელოვნებაა, შემდგომაა წრთობა, ძალა, შემართება.

12290. მწვრთნელის უმთავრესი მოვალეობაა: ალმასი შეამჩნიოს, დააწახნაგოს და ბრილიანტად აქციოს და აუქციონის ჩემპიონი გახდეს.

12291. ბილიარდი დანაშაულის და დასჯის თამაშია, ის, ვინც ლუზაში ბილიარდის ბურთს ვერ აგდებს, დამნაშავეა, ხოლო ვინც იგებს, დამსჯელია.

12292. სპორტი ჭიდილია ჟინის და არა – სისასტიკის, რადგან ამ უკანასკნელიდან არაფერი სახეირო არ გამოდის.

12293. კრივი ხელოვნებაა, რადგან რინგზე გადაადგილება ცეკვით უნდა შესძლო, მსახიობივით სხვადასხვა პოზა უნდა მიიღო, ხელების ქნევა შინაგან რითმს უნდა ააყოლო, რათა მაყურებელი მოხიბლო.

12294. ზღვის ჰარმონიას და მისდამი სიფარულს ყველაზე უკეთ წყალქვეშა ნადირობის დროს შეიცნობ.

12295. დღევანდელი სპორტი არის გაფულიანების მცდელობა, სანახაობრივი დაპირისპირება, მკვლელობის გარეშე.

12296. მოიგო და აჯობო წარმატების შეცნობის სხვადასხვა კაიფია, მაგრამ ამ უკანასკნელს პირველი ვერ შეედრება.

12297. შეჯიბრია – თუ ჟინს ვიკლავთ, სანახაობა – თუ კმაყოფილებას განვიცდით, სიამოვნება – თუ სილამაზეს ვამჩნევთ, შერკინება – თუ კაიფს ვიღებთ და ყოველივე ეს „ბატონი“ სპორტია.

12298. რინგი, თანამედროვე დუელია, რათა ახალგაზრდობის სულის ყივილს გავეპასუხოთ და დაგროვილი უარყოფითი ენერგია დავუცხროთ.

12299. რაგბი, აზრიანი ბილიარდის თამაშს წააგავს, აზარტით და შემართებით.

12300. ქომაგი თავის საფარელი გუნდის მომავალ შერკინებას წინასწარ განიცდის და იმ სასწაულის სჯერა, რომელსაც ჯობნა ჰქვია.

12301. სპორტის უმთავრესი დანიშნულებაა „შერეკილი“ ხალხი მისაბაძ პირებად აქციოს და მათ ფანატებს საშუალება მისცეს დაგროვილი უარყოფითი ენერგიისაგან განთავისუფლდნენ.

სული

12302. საუკუნის ქარცეცხლში მრავალი პიროვნების სახე განმეორდება, მაგრამ სული არასდროს.

12303. სულის მოვლა და მეზობლობაა ძნელი, თორემ ფავილების მოვლა-პატრონობას სხვაც მოახერხებს.

12304. სულისთვის ყბედობა სილაღეა, რწმენა სიმშვიდის მომტანია, ცრურწმენა პოეზიაა, ოცნება აღმაფრენაა და ყოველივე ეს – ცხოვრება-პროზაა, რომელსაც ვერსად გავექცევით.

12305. ფელა იმპერიის, ქვეყნის, ოჯახის ნგრევის საწყისი მაინც უპასუხისმგებლო ფუფუნება და უგვანოდ წარმოებული სულის ეკონომიკაა.

12306. ფელას სულში თავისი, ხელშეუხებელი, კუნძული აქვს.

12307. ზოგს სიძულვილი ხორცის დასაწყნარებლად და სულის საამებლად სჭირდება.

12308. პოეტისთვის მთავარია ნიჭი და ფრთიანი სიტყვების კონა, რომელშიც ლაღი სულიც დაბორიალობს.

12309. ყოფიერებისაგან განსხვავებით, სული ცივილიზაციის გადახრებს ძნელად ეთვისება.

12310. ქორწინება სიყვარულის სულიერი ფინიშია.

12311. ცინიკოსი თითქოს კანონთან ყოველთვის მართალია, მაგრამ სულიერებასთან – არასდროს.

12312. ენთუზიაზმი თავნის მისაღებ სულის დებეტ-კრედიტად არ გამოდგება.

12313. სულიერების ხვრინვა იწყება თაფლობის თვის შემდეგ, როდესაც ჩახვდები, რომ ისიც წარმავალი და თავმოსაბეზრებელია.

12314. სულის სრულქმნილება არც ქირავდება და არც მყიდველი ჰყავს.

12315. მამაზეციერი ჰორიზონტივითაა, რაც უფრო მეტად ლოცულობ და სულით უახლოვდები, უფრო მეტად გშორდება.

12316. ჩვენი სულის საპატიო ყარაული, სხვისი სულიერების საყარაულოდ არასოდეს იცვლება.

12317. სასჯელიც დამნაშავის სულს უნდა ესალბუნებოდეს, რადგან ის სამართლიანად დასაჯეს.

12318. ადამიანის ხსოვნა და საჭიროების ჟამს მისი გახსენება მისი სულის განთავისუფლებისთვის დიდი მადლია.

12319. სხეულის სტრიპტრიზისგან განსხვავებით, სულის გაშიშვლების მოთხოვნა დრო და დრო ფელას გვიჩნდება.

12320. ბილწსიტყვაობას, ცნობისმოყვარეობას, ხანდახან უნდა წაუყრუოთ, თუ გინდათ სულის ქრონიკული დაავადება არ აიკიდოთ.

12321. ქალი შინაგანად დედოფლად არის დაბადებული, მაგრამ მზარეულობასაც არ თაკილობს, თუ რჩეული მისი სულის ხვადია.

12322. სულით ახლობელი ადამიანის ნახვა დიდი გამართლებაა.

12323. მიწიერ სიყვარულს ჰაეროვანი და პლატონური ვერ ჯობნის, რადგან ცხოვრება დღეს გვინდა, ხოლო სულის მოწყობა არასდროს გვიან არ არის.

12324. ცხოვრება ყველა წყობაში შეიძლება, მთავარია, როდის მოკვდები და რას წაიღებ იმქვეყნად სულის დასამშვიდებლად.

12325. სიფიცხე, ემოციები, ფხუკიანობა, ყველა ეს სულის დამშვიდებას ემსახურება.

12326. გონიერებას, ცივილიზაციას უმაღლეს მატერიამდე მივყავართ, ხოლო სულს პირველყოფილი ცივილიზაციისკენ გაურბის თვალი.

12327. მთავარია, ქვეყანა სულიერად არ გაკოტრდეს, თორემ ხორციელს კიდევ რაღაცა ეშველება.

12328. ღმერთმა ნუ ქნას, პირველი სიყვარული დაბერდეს, ეს სულის დამყაყების ტოლფასია, სხეულზე რომ არაფერი ვთქვათ.

12329. სიყვარულის წინააღმდეგ ჩადენილი ყველა ცოდვა სულის ღალატია.

12330. თანდათანობით ადამიანთა სულის გადამგვარებელი ტექნიკური პროგრესი გონიერებას სამსახურით ამუნათებს.

12331. ყველაზე საშინელ სამართალს სული გვიწყობს, როდესაც საკუთარ თავს შენვე ჯიჯგნი, სამართალი გამოგაქვს და განაჩენის აღსრულებას თავად ფიქრობ.

12332. ხშირად დანაშაულის გულწრფელი აღიარება დამძიმებულ სულს გვიმსუბუქებს და და არა – სასჯელს და მისჯილ წლებს.

12333. ხანდახან სულის ჯადოქრობა, მზესიტყვაობისგან განსხვავებით ყველას სჭირდება.

12334. რევოლუცია პოლიტიკური ონანიზმით იწყება და დიქტატურით და სულის სადიზმით მთავრდება.

12335. პოეტებს არ შეიძლება მუდმივად ვენდოთ, ამას მათი ბობოქარი და გაუხედნავი სული არ დაუშვებს.

12336. სულის კომფორტი დამოკიდებულია ხასიათზე, რომელსაც სხეულის სხვადასხვა ნაწილებიც აჰყვება და თუ ეს ასე მოხდა, ჩათვალეთ, რომ ის დღე შეიხახვისთავეთ.

12337. სულს რომ სხეული მოარგოს, მდედრმა მკერდს და უკანალს ნასუქობის ხორცი თავის შეხედულებისამებრ უნდა მიაკრას.

12338. სულის ინფლაციას ვერცერთი ვალუტის ინფლაცია ვერ შეედრება.

12339. სარკე მშრალ ფაქტებს წარმოაჩენს და არა – სხეულში დაბუდებულ სულს.

12340. სამყაროს ხმების მოსმენის სწავლა სულის სამკურნალო ელექსირია.

12341. საკუთარ სულთან მუშაობა, გასაუბრება, გვაყენებს გამრავლების ხასიათზე და არა – მოვალეობა და სარწმუნოება.

12342. ზოგ ქალს დაკომპლექსებული გონი აქვს და არა გარეგნობა, რომლის შეფასება-რეკლამირება საკუთარ სულში ვერ მოახერხა.

12343. გლადიატორობა ყველაზე ძველი სანახაობრივი და განსატვირთი პროფესიაა, დაწყებული ქვის ხანიდან დღევანდელი სპორტით დამთავრებული, ხოლო სულის გლადიატორობას არაფერი შეედრება, თანაც უცვლელია და ევოლუციას არ ექვემდებარება.

12344. ცეკვა ფეხების და ხელების უაზროდ ქნევა კი არ არის, არამედ სულის და ხორცის უდიდესი ტკბობაა, მუსიკის ჰანგზე.

12345. სულის შინაგანი რევოლუცია ყველა ჩვენგანში ყივის, მაგრამ რას "იქაჩება", ხშირად ჩვენთვის უცნობია.

12346. სულის პარადს გარემო, ხალისი და სადღესასწაულო სუფრასთან ჭუკ-ჭუკი სჭირდება.

12347. ყველა ჩვენგანი კარგი ცხოვრების ფორმულის ძებნაშია, რომელიც ფაქტიურად ჩვენი სულის მოთხოვნილებიდან შორს დგას, მაგრამ გონება არ ისვენებს.

12348. სექსუალურია არა მარტო ქალის მოზრდილი მკერდი, გავა და ფეხები, არამედ მოზრდილი სულიც, რომელიც მამრის გულში მისი ნდომის ქულებს თანდათანობით აგროვებს.

12349. სულში ყველას თავისი სამეფო ცინიზმი უნდა ჰქონდეს, ყოველგვარი იმპერიალიზმის, იმპრესიონიზმის და სხვა "იზმის" გარეშე.

12350. როდესაც სულის შველა გვინდა, ყველანი მორწმუნენი ვართ, ხოლო როდესაც ფულის შოვნა – ყველანი ათეისტები.

12351. სულის გაფეტიშება მატერიალურთან შედარებით, ჭკუის სილამაზეზე, პატიოსნებაზე და პრაქტიკული ალღოს უქონლობაზე მიუთითებს.

12352. სულიერება, მატერიალურთან შედარებით, მეტ ზომიერებას მოითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისგან მოჩვენებითობა დარჩება

სარგებლის გარეშე. მაგალითად, ერთი ფავილი და საჩუქარი, ან ორი ფავილი და გადასახურავი, ვიდრე ფავილების თაიგული ან ძვირადღირებული გვირგვინი, რაც ძირითადად, თვალში ნაცრის შეყრა და გარეგნულად ვაი-ვიშით თავმოწონებაა და მეტი არაფერი.

12353. სული ხშირად დისკომფორტშია სხეულთან, მაგრამ სხვა სამყოფელი მას არ გააჩნია და ვერც სხვა სხეულში, დაიდებს ადგილს.

12354. აფორიაქებულ სულს ყოველთვის ის უნდა, რაც ჩვენ არ შეგვიძლია და არასოდეს გავაკეთებთ.

12355. პატიოსნად ცხოვრება შენი სულის წინაშეა მომგებიანი და არა – შენი ნაშიერებისა.

12356. ქალმა თავის ფასიც უნდა იცოდეს და სხეულის სექსუალური ნაწილებისაც, ვინ იცის, რა თვალით შეხედავს მამრი და სულის რომელ ნაწილი აუმღვრევს.

12357. ადამიანის სულს საფლავების მონახულება განწმენდს და იმ მარადიულობაზე დააფიქრებს, რაზე დაფიქრებაც დიდად არ ეჭაშნიკება.

12358. ყოველი ახლიდან დაწყებული სიფარული თავიდან შობს და გამოაცოცხლებს ადამიანის სულს.

12359. სიცილი, რომელიც კარნახს ითხოვს, ,,ძალად შემიღიტინეს'' ნაყოფია და მას სულის სილაღესთან კავშირი არ აქვს.

12360. რწმენა საბოლოოდ შენი სულის მეცნიერებაა, რომელსაც ეთაყვანები და გწამს.

12361. მაგია სასწაულია შენი ნიჭის და უნარის წარმოსაჩენად, სულის ყოფიერებასთან ერთად.

12362. შემთხვევა ბედის დანახარჯია, გამართლება კი – სულის.

12363. ცრემლი სულის განწმენდის საუკეთესო საშუალებაა.

12364. მაცქერალს მანამდე ვერ აატირებთ, სანამ მის სულში სიცილის ამაოების ბაცილას არ შევაპარებთ.

12365. სხეულისაგან განსხვავებით, სულს მისთვის გასაგები ფუფუნების გარეშე ცხოვრება უჭირს.

12366. საკუთარი მახსოვრობიდან განსხვავებით, სულის იავნანას ბოლომდე არავინ გვიმღერებს და ამას დაბადებიდანვე უნდა შევეგუოთ და თავსაც შეუძახოთ.

12367. სულიერების სითბოს ხარჯვა ცხოვრების ,,პერპეტუუმ-მობილია''.

12368. სულის უგუნურების და სხეულის დაბნეული აღგზნების საფასური სიფარულია.

12369. საკუთარი სულის სილრმის კიდობანში შეღწევაა ძნელი და მიუწვდომელი, თორემ სხვისას ისე ვაბურთავებთ და განვსჯით, როგორც მოგვეპრიანება.

12370. აუხდენელი სურვილების გამო სულს ტყუილუბრალოდ ვტანჯავთ, რადგან განგება ჩვენ არაფერს გვეკითხება და ყოველივე ბედისწერის ნაყოფია.

12371. სხვაზე სიფარულით ზრუნვა სულის ზეიმია, ხოლო მოვალეობა – ხორცის.

12372. სული ყოველთვის უნდა იწრთობოდეს, განიცდიდეს, ლოცვის სახით იქნება თუ სიფარულისა.

12373. სულის გალამაზება ყველას ხელარეწიფება, ეს ერთეულ შეფარებულთა პრეროგატივაა.

12374. სულის მარადიულობისკენ ლტოლვა სხეულის „ნაალაფევია", გონიერების გადაგვარების ხარჯზე.

12375. გამოუყენებელ ენერგიას სული ძილში აგროვებს და მის გამოსაყენებლად საჭირო წერტილებს მოიძიებს, რათა შინაგანი განცდა გაამჟღავნოს და თავსაც რაღაცა არგოს.

12376. სულმა თავისი აჩემება ყოველდღიურად წვეთ-წვეთობით უნდა მიიღოს, თუ გვინდა ცხოვრებამ ბრჭყალები არ გამოაჩინოს.

12377. ყველა საქმიანობა შეფასებას, დაფასებას, თავდადებას მოითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის განწირულია სულიერი დაკნინებისაკენ, მატერიალიზმისკენ გადახრით.

12378. სულის დამყაყება არც ხორცს ვნებს და არც გონიერებას, ის მხოლოდ სიკეთისადმი უნდობლობას ბადებს.

12379. სიბინძურის გვერდზე დგომა იმით კი არ არის საშიში, რომ გავისვრებით, არამედ სულით გაქათქათებული ტრადიციების ახლით შერყნას მოინდომებს და დაკანონდება.

12380. სული არ უნდა დაჩაჩანაკდეს, თორემ სხეულის ლამაზი დევალვირება საჭიროც არის და აუცილებელიც.

12381. სიფარული სულიერებას სრულყოფს, რომელიც სექსის და გრძნობების დაღვინებისკენ მიილტვის, რათა დროში არ დაიწვას და ახლობლების განსჯის სიგნად არ იქცეს.

12382. სიფარული სულიერების გადმოფრქვევის ტექნიკის სრულყოფაა და სხვა არაფერი.

12383. იმ ადამიანის ნამოღვაწარია საინტერესო, რომლის სულიც არასოდეს ბერდება და მარად ყმაწვილად დარჩენას ცდილობს.

12384. ყვავილებს არ ჩუქნიან, მას მიართმევენ, რადგან ის განსაკუთრებული ყურადღების სულიერი ძღვენია პიროვნების და მის საქმიანობის მიმართ.

12385. შენი ნააზრევის სიცოცხლეშივე რეალიზაცია, ყველაზე დიდი ბედნიერებაა სულისათვის.

12386. სიფარული უნდა გამოვზარდოთ, გავამხნევოთ, დავუფავოთ და თუ საჭიროა, შანტაჟით გამოცდაც უნდა მოვუწყოთ, რათა მისი სულიერება შემოგვრჩეს.

12387. გვირგვინი ფელამ სულში უნდა დავიდგათ, თორემ ფანატე-ბის წყალობით თავზე ამოსული გვირგვინი და ვარსკვლავობა დროის ყვილია, შემთხვევათა დამსახურებაა და პირველისგან განსხვავებით, შენს გემოზე ვერ ატარებ.

12388. ფელაზე მოუვლელი, გაუნათლებელი და სათუთი ადამიანის სულია.

12389. სულის შერფნასა და ჰაერის შერფნას შორის ის სხვაობაა, რომ პირველი შენს გონებას არფვს, მეორე – საზოგადოებისას, მაგრამ შეჩვევით ორივეს ვეჩვევით.

12390. ცივილიზაცია უნიჭობის დოღიცაა, სადაც ფელა თავის წარ-მოჩენას ცდილობს, მიუხედავად იმისა, იმსახურებს თუ არა, რადგან სხვანაირად ჩვენი ყოფიერება სათანადოდ ვერ გაიქაჩება და სულიერე-ბის კრიზისის წინაშე აღმოჩნდება.

12391. უიღბლო სიფარულის შედეგად სულით დაცემა, დამხობას არ ნიშნავს, რადგან ეს ის ბედნიერი წუთებია, რომელიც ცხოვრების ბევრ ყოველდღიურობას გადაწონის.

12392. სულის გაფოფინებას იმ საქმის კეთებაც სჭირდება, რაც მას ხშირად არ სიამოვნებს, რადგან სხვანაირად მისი დაპატრონება გაგვი-ჭირდება.

12393. უმცროს-უფროსობის ინსტიტუტის დაკარგვა თავისებური ხარკის გაღებაა ცივილიზაციის წინაშე, რომელსაც საბოლოოდ კარგი არაფერი მოაქვს, რადგან ის ცდილობს დაგვავიწყოს ,,ვისი გორისანი ვართ'' და სულის გენიალოგიას კრახის წინაშე აყენებს.

12394. ,,ჩირთი-ფირთობა'' თავისებური გართობაა, რომელსაც სუ-ლისთვის შედეგიანი სიამოვნება მოაქვს.

12395. ცივილიზაციას მიხვეულ-მოხვეული გზებით დავყავართ, რა-თა მის მომხიბვლელობას გავუძლოთ, სწორ გზას ძებნა დავუწყოთ და სული გავილაღოთ.

12396. სულით გამხმარი მამაკაცი არც სექსში უქნია ღმერთს და არც – საქმეში, რადგან ფელას და ფელაფრის სტიმულის მიმცემი გაჭირვებაა და არა – ცარიელი სურვილი.

12397. სულის ნაწარმს გასაღების ბაზარი უნდა მოენახოს, თორემ ისიც დაკნინდება და გაქრება.

12398. სხვისი სულის ჩვენსაზე მორგება შეუძლებელია, მაგრამ თანამ-შრომლობა იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ სტუმარ-მასპინძლის ინსტიტუტის ღირსებას დავიცავთ.

12399. სისულელეა იმ ყველაფრის სწავლა, რასაც ვერ იგებ და სულის კუნჭულში ადგილს ვერ მიუჩენ.

12400. ქომაგის და ფანატის სული საშურია, მაგრამ მასაც ხანდახან ფულით შეთბობა სჭირდება, უყურადღებობის გამო არ გაიყინოს და სხვასთან არ გადაბარგდეს.

12401. სულიერი ღალატისაგან განსხვავებით, ხორციელი უფრო შესამჩნევია ეს მაშინ, როდესაც ყველაფერი პირიქით უნდა იყოს, რადგან სული უფრო სათუთი და წმინდაა.

12402. ზოგჯერ გონების საწყისი სულიერისას არ ეთანადება, ზეწოლას ახდენს და მორცხვობს.

12403. ქალების ფაუნას, მამრების მორთმეული ფლორის გარეშე, ჯერ-ჯერობით, სულიერი ცხოვრება უჭირთ.

12404. სიამოვნების შეცნობა დამოკიდებულია აღზრდაზე, გარემოებაზე, გონის მუხრუჭებზე და იმაზე, თუ რა ოდენობით გვაქვს ჩადებული სულში შურის ბაცილა.

12405. იმ ერთეული სულით ამაღლებული ადამიანებისთვის ღირს ცხოვრება, რომლებიც მომდევნო თაობებს თავისი ცოდნის სიკეთით ამაყად მიერეკებიან უკეთესი მომავლისაკენ.

12406. ადამიანისთვის მთავარია სულიერი გაწონასწორება და არა ცხოვრების ბალანსი, რომელიც ყველამ თავის შეძლებისამებრ უნდა განახორციელოს.

12407. გრძნობების სტრიპტიზი აზროვნებისას არ ეთანხმება, მაგრამ ორივე სულის საწყისების წარმოჩენას ემსახურება.

12408. ,,პერესტროიკის'' შემდეგ არც იმათ ულიმით ბედნიერებით თვალები, რომლებიც ქვეყნის ვაჭხანალიას დროულად გაეცალნენ და არც იმათ, ვინაც სამშობლოში დარჩა ამ არეულობის დროს, რადგან შეიძლება ყოველივე ბედნიერების მომტანი არ არის, თუ სული კრიჭაში გიდგას, ხოლო სიღარიბე არც ისეთი უბედურებაა, თუ სულმა, შედეგის მიუხედავად, არჩევანი გააკეთა.

12409. სულით ერთმანეთს უფრო ვუგებთ, ვიდრე გონებით და პოლიტიკით.

12410. ვნება, ჟინი, გატაცება, გაიძულებს სიყვარულ-სიძულვილზე მაღლა დადგე და თავი მოიწონო საკუთარი სულის წინაშე.

12411. მოდის დრო ახალგაზრდული სულის დაკარგვის და აქედან იწყება სიბერესთან მიჩოჩება.

12412. რწმენა და სიყვარული იდენტურია, თუ ვინმეს ვისმე თვალში მოუვიდა და ერთმანეთის სული სხვისთვის არ ემეტება.

12413. სულის საგანძურს, ხორციელისგან განსხვავებით, მრავალუცნობიანი თავის მოკვარახჭინება ახასიათებს.

12414. ვაჟკაცობა თანდაყოლილი ხელოვნებაა და არა ნასწავლი ხელოსნობა, რადგან ის ღირსების წარმოჩენაა საკუთარი სულის წინაშე.

12415. თეორიულად სიფარულმა ყოველდღიურად უნდა მოგვცეს ნაყოფი, ვნებამ – ყოველწლიური შედეგი, მაგრამ პრაქტიკულად რამდენიმე ნაყოფის შემდეგაც ვნების მცდელობა საკმარისია.

12416. ხვადის ბუნებას სული უნდა გრძნობდეს და არა – ხორცი.

12417. სულიერ პროსტიტუციას მეტ-ნაკლებად ყველა ეწევა სხვისაგან დაფარულად და თავის საამებლად.

12418. ყველაზე უმნიშვნელო საშუალებებით უნდა შეგვეძლოს მხურვალე სურვილების გამოხატვა და სხვისი სულის შეთბობა.

12419. ყველა რწმენა, ქადაგება, ნულისკენ მიისწრაფის, თუ სულიერების ნაყოფი მატერიალურ შემოსავალს არ იძლევა.

12420. მუსიკა ადამიანისთვის ,,სათუოდ'' შეფუთული სულია, ამიტომაც მისი გათავისება ყველას ხვედრი არ არის.

12421. სულიერების ჩიტის გაფრენა ასაკისთვის ოცნების ფინიშის მოახლოების ზარია, მომდევნო თაობისთვის ჩიტების ფრენა ინტერესების გამოცდა და გადამოწმებაა.

12422. ხვადი თუ მდედრის სხეულს სიამოვნებას არ ანიჭებს, მაშინ სულის სიამოვნებაზე ჭორაობა ზედმეტია.

12423. დღევანდელი მენტალიტეტით ვინმეს ,,ჩაშვება'', დასმენა, ცოდვა კი არ არის, არამედ საზოგადოების კეთილდღეობისთვის ბრძოლა, მაგრამ გარყვნილ სულს რომ სიკეთის კეთება არ შეუძლია, ამას არავინ დაგიდევთ.

12424. ხელისუფლება თავის ეპოქაში სულით ვერ უნდა ეტეოდეს, მაგრამ საქმით სულ ამ საზღვრების დაცვის მცდელობაში უნდა იყოს.

12425. არ არსებობს ქმარი, რომელსაც დროებით ბერბიჭად დარჩენა არ უნდოდეს და ისეთი ცოლი, რომელსაც მარად ქმრის გვერდით ყოფნა უნდოდეს, მაგრამ რატომ – სულის ეს ყივილი ახსნას არ ექვემდებარება.

12426. სული იმ ენერგიის შეცნობის და გათავისების მცდელობაა, რომელიც შემდგომ რას მოიმოქმედებს არავინ უწყის.

12427. ადამიანი შეიძლება შეცდეს, შეეშალოს, მაგრამ სხვების საქმეში გაფვანას არ უნდა შეეცადოს, რათა თავი იმართლოს, რადგან ეს საკუთარი სულისადმი მკრეხელობაა.

12428. გრძნობების კუნძულით და სიფვარულის არქიპელაგით სიამის გეოგრაფიაში ხეტიალს რა სჯობს, მაგრამ სულის ყვილი გაიძულებს შენს მიწა-წყალს ჩაბარდე, მიუხედავად იმისა, შენი ხალხი კარგად მიგიღებს თუ არა.

12429. არის ილუზია, საიდუმლო, რწმენა და მათ შორის სხვაობა, მაგრამ მათი გაცნობიერების გარეშე სასწაულს ვერ ვიწამებთ და ყოფაც სულის წინაშე გაკოტრდებოდა.

12430. სახელის დევალვაცია სულმა უნდა აანაზღაუროს, დანარჩენს მოაგვარეები ან ახლობლები მოგიგვარებენ.

12431. სულის ხელგაშლილობა ასაკის მატების შედეგია, რომელშიც ჯეელობის მაქსიმალიზმი, თავისი გაკვეთილებით, დევს.

12432. რწმენა თავისებური ინტიმია, მისი რეკლამირებაა შინაგანი მკრეხელობა, ხოლო სარწმუნოებასთან ჭუკჭუკი შენი სულის წარმოჩენაა.

12433. ყველა ახალს ოცნების საზღვრებში მოქცეული სულიერი საზრდო სჭირდება.

12434. სხეულისგან განსხვავებით, სულის ერთგულება ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

12435. ზოგჯერ ხორციელის ხარჯზე სასიამოვნო გამონაკლისის კეთება უნდა ვისწავლოთ, რათა ეს სულისთვის სასიამოვნო და სასარგებლო იყოს.

12436. ყველა ჩვენგანის გულის დაკოდვა შესაძლებელია, ნაიარევის იმგვარი შეხორცებით, რომ სულმა დროზე მოიშუშოს.

12437. ყოველთვის და ყველაფერს განგება გვჩუქნის და არავინ იცის, ვის როგორ გაუმართლებას და ვინ ვის სულიერ კმაყოფაზე იცხოვრებს.

12438. როდესაც რაღაც გულს აჩვილებს, მას სული მეცხრე ცაზე აჰყავს, ხოლო სხეულს ამსუბუქებს და სასიამოვნოდ თენთავს.

12439. ცხოვრება, ნადირობა და ნანადირევად ყოფნაა, როლების გადანაცვლება კი დროზე, ასაკზე, შემთხვევაზეა დამოკიდებული, იმ პირობით, რომ სული ხელშეუხებელია.

12440. ადამიანის განსჯისას სამსჯავროზე მისი სულიც უნდა ფიგურირებდეს, რადგან ის არის ყველაზე მეტად დამნაშავე ხორციელ გადაცდენაში.

12441. სულის აღზრდა და აღზევება ყველას საქმე არ არის, რადგან ამას განგების ნიჭი უნდა.

12442. დიდი შეყვარება კაცს ჩვრად აქცევს, მდედრის მამრს სულის გოშიათ.

12443. სულის ამპუტაციას სხეულის ვერავითარი ნაწილის დაკარგვა ვერ შეედრება, რადგან ის მუდმივად დასჯილია და თავი ჯოჯოხეთში ჰგონია.

12444. ,,ბოზობაზე'', ,,ჩაშვებაზე'', დამსმენზე, უარესი არაფერია, რადგან ის სულის ვაჭრობას დაეჩვია და მოთხოვნილებად ექცა.

12445. კადნიერება სულის თავისებური განცხრომაა, რომელსაც ყოფიერების განზომილებასთან კავშირი არ აქვს.

12446. როდესაც მთელი ვაგონი თავისუფალი დრო გაქვს, ვერ გარკვეულხარ, კარგია ეს თუ ცუდი, მაგრამ აშკარაა – სული გათავხედებას და სხეული გადაადგილებას ითხოვს.

12447. ადამიანი, რომელიც სულს თავის ენაზე ესაუბრება და რაღაცას აგებინებს, გენიოსია, ხოლო სულის ყივილი თუ ადამიანს რაიმეს შეაგრძნობინებს, სიყვარულია.

12448. ქალიშვილების გრძელი თმები – განცდის საჯიჯგნია, წამწამები – სულის ხათაბალაა, თვალები – გონების სიფხიზლეა, ცხვირი – წარმოდგენათა ბაქიობაა, ტუჩები – საჯილდაოდ მიწვევაა, ფრიმალი – თავდავიწყების რებუსია, უბე – სიამის კვადრატია, მკერდი – აღმაფრენის ბათქია, მაღალი წელი – ცნობიერების ავანსია, უკანალი – აღტაცების ყუმბარაა, გრძელი ფეხები – სილაღის ნექტარია, მაგრამ ყოველივეს ტოლობის და შეფასების წერტილის დამსმელია სექსი და იმის საშუალება, რომ ზემოდ აღნიშნულზე წარმოდგენა ჩვენს სულში შეუთავსებლობამ არ გააწბილოს.

12449. სული უფრო სათუთია, ვიდრე გონება და სამაგიეროს გადახდის ჟინი.

12450. სულიერი სიბრმავე ყველა უსინათლობაზე, სიმუნჯეზე, სიყრუეზე, უარესია.

12451. დაბახუსება უდრტვინველი სულის დროებითი ემიგრაციაა, ეიფორიული საგზურით.

12452. არის სიღარიბე, არის ამტანობა, შეუპოვრობა, მათ შორის ის სხვაობაა, რომ მეორისგან განსხვავებით პირველმა სული უკვე დაახურდავა, გაყიდა.

12453. სულია ადამიანის შინაგანი ბუნება და არა მისი ფუტლიარი, ქმედება.

12454. ყველა თავის ცხოვრებაზე აგებს პასუხს, მაგრამ სულის დასამშვიდებლად განსჯა აუცილებელია.

12455. ხელოვნება სულის შეუფუთვნელი სერობაა, რომელსაც ნიჭი, შემართება, რეკლამაც სჭირდება.

12456. ზოგჯერ სულს ისე დააჭუჭყიანებ, რომ მასზე ხელის ხლება და მტვრის გადაწმენდაც არ ღირს, რათა სხვაც ამ მდგომარეობაში არ ჩავარდეს.

12457. ძნელია იყო ანგელოზი, როდესაც გასაფრენ-გასასაღებლად სულის მეტი არაფერი გაგაჩნია.

12458. ხანდახან გრძნობების მუხრუჭი უნდა აუშვა, რათა სხეულ-მაც იგრძნოს საკუთარი სულის სიამით გათავხედება.

12459. სულის მსუბუქი სტრიპტიზი ხშირად პორნოგრაფიაში გადადის და სექსით მთავრდება. თუ ჩასახვის პროფილაქტიკურ ანბანს არ იცნობს, იცავს და ეზარება.

12460. დროს წლები კი არა, სული მიაქვს, თუ გამარჯვებები ძველებურად აღარ მოდის.

12461. ქალის გამოუცნობი ხასიათის კოდის უკან მისი ტანჯვა-წამების ამსახველი სული დგას.

12462. მუსიკა მიწიერი ვნებით გამოხატული სიფარულია, რომლის დროსაც, უპირველესად, სული ზეიმობს.

12463. ყველაზე მისაღები სულის მუსიკა-განწყობაა, მარტოობას შეცნობას სჭირდება, რომელსაც ხშირად მოწესრიგებული ჰანგების სასიამოვნო ხმაურიც კი ვერ შეედრება.

12464. არის ბევრი რამ, რის არცოდნას სულისთვის მეტი დივი-დენდები მოაქვს, ვიდრე ცოდნას.

12465. მომხიბვლელობის საწყისი ყველა ჩვენგანის სულში დევს, თუ არ დაავადდება და მცდელობას არ დაგვამადლის.

12466. ადამიანს სჭირდება არა ის სითბო, რომელიც თერმომეტ-რით იზომება, არამედ იმ სულიერებისა, რომლის აღრიცხვა შეუძლებე-ლია.

12467. ხანდახან საკუთარი საიდუმლოებების გაზიარება სულს შვე-ბას აძლევს, მაგრამ მეობას ვნებს, რადგან თავს კონტროლს ვერ უწევ და უნებისყოფო ხარ.

12468. სულის ლირიკა და რომანტიკა უკვდავია და მის გარდაცვა-ლებას მომდევნო თაობების გული და ენერგია არ დაუშვებს.

12469. სტუმარს სუფრაზე კუჭის ამოსაყორად კი არ ვიწვევთ, არამედ გულის გადასაშლელად, გონების მოსახმობად, მოგონებათა გასახსენებლად და დღევანდელი საღამოს დასამახსოვრებლად.

12470. მკრეხელობის ნაგლეჯი ყველას სულშია დაბუდებული, ოღონდ თავის შეკავებით და საკუთარ ღირსებას ამოფარებული.

12471. მწუხარება საკუთარი სულის ინდივიდუალური მომსახურე-ბაა, სხეულის დასამშვიდებლად.

12472. რაიმე ახლის დაბადება, შექმნა, სულის სერობაა, მომდევნო სიახლის ჩასახვა – წარმოჩენამდე.

12473. სულის აქტიურობის გარეშე სიცოცხლე უფერულია, ხოლო სხეული – დონდლო და მოუქნელი.

12474. დღევანდელი ყოფა ათი მცნების შტატების შემცირებას ცდილობს, სულის კრიზისისა და ტრადიციების დევალვირების გამო.

12475. სიამაყე სულის გამოძახილია და არა – გონიერების.

12476. ჩვენი ცოდვა ზოგჯერ სხვისი ცოდვის წილს ინაწილებს, სულს გვირყვნის და თავს გვაზარებს.

12477. გაუგო, მიიღო, გაითავისო – დიდი ხელოვნება, ნიჭია და სულის გამოცდას მოითხოვს.

12478. სულიერებას, მის მატერიალიზებულ ენერგიას, გვინდა თუ არა, სახელმწიფოებრივი მიდგომა ქმნის თავისი დაფინანსებით და ძალადობით.

12479. სულიერების ფლანგვა ბითუმად არავის ეპატიება.

12480. ადამიანის სული მაინც „პროსტიტუტკაა", ვინც მოეფერება, დააფინანსებს, მხარს დაუჭერს, იმას მიენდობა და ეთაყვანება და აქ შეგნება, რწმენა ხშირად ვერაფერს ხდება.

12481. სული, განგების ზედამხედველობით, წყლის ზევითაც და წყლის ქვევითაც ლოცულობს.

12482. ყველა ჩვენი ნაუცბათევი ყოფითი წარმატება ფაქტიურად ბედის სიმუხთლეა, რადგან მატერიალური აღმავლობა ხშირად სულიერების ხარჯზე ხდება.

12483. ზოგჯერ ჩვენთვის აუხსნელი სიბრიყვე ძალიან მოგვწონს, ალბათ, იმიტომ, რომ ის ამ წუთში ჩვენი სულის განწყობას ესალმუნება.

12484. ცარიელი ტრფობა, ცოდნა, გართობა, არაფერია, თუ მას შემოქმედის სული და ვნება არ აქვს შთაბერილი.

12485. სულიერების პროფილაქტიკა გონიერების მათრახს ყოველთვის ითხოვდა, ითხოვს და მომავალშიც მოითხოვს, რადგანაც ადამიანის ბუნება უცვლელია.

12486. სულისთვის განკუთვნილი ყველა სიტყვა უნდა ჩავინიშნოთ, დავიმახსოვროთ, შიგადაშიგ სხეულის საამებლად გამოგვადგება.

12487. ფულს და ძალაუფლებას არაფერი შეედრება, სანამ მიხვდები, რომ სულს სხვა ნავარდი და სათუთად მოპყრობა სჭირდება, მაგრამ ეს რომ მიხვდე, ამისათვის პირველი ორის ხორციელი კატორღა გამოვლილი უნდა გქონდეს.

12488. ყოველთვის კარგის და სასიკეთოს კეთება ძალზე ძნელია, მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი სულის მისწრაფების ღალატი გამორიცხულია.

12489. სულით პრინცესად გახდომა ძნელი არ არის, დიასახლისად ჩამოქვეითებაა სულისთვის მიუღებელი და სადაოა.

12490. ოცნების და იმედის კრიტიკა მკრეხელობაა, რადგან სული იჩაგრება, ხოლო სხეულს უკანასკნელ საყრდენს აცლის.

12491. სიცოცხლე სულის რაინდობის წინაშეა ძნელი, მაგრამ გამოზომვით, ვნების მოთოკვით და თავის განძრევით შესაძლებელია.

12492. სულია ყოფიერების იმპერია და არა – პირიქით.

12493. აღებ-მიცემობა ყოველთვის ყველა ცივილიზაციაზე, სარწმუნოებაზე, იდეოლოგიაზე მაღლა იდგა, რადგან მის გარეშე სულიერი კომფორტი გამორიცხულია.

12494. მთავარი ის კი არ არის, რას გაკეთებინებენ, არამედ – რის კეთება უნდა შენს ფანტაზიას, ნიჭს, რათა სულს ხარკი გადაუხადოს.

12495. სულიერება ლტოლვაა აბსოლუტური ღირებულებებისკენ, ღირსებით და შეფარდებითი ჭეშმარიტების მოშველიებით.

12496. ყოველდღიურად ლუკმაპურის მოძიება სიცოცხლეს გვიმოკლებს, იმისდა მიუხედავად, სული მუდმივი საფრთხის წინაშეა თუ ფხიზლადაა.

12497. გამარჯვების ლაიტმოტივი აგრესიული სულია და არა – სადიზმი.

12498. სულიერებას ყოფიერებასთან უნდა აბალანსებდეს სიფარული და არა ბულალტერია.

12499. პატივისცემა და სიფარული დიდი კაპიტალია, მაგრამ მასში სულის დაბანდებას არავინ ჩქარობს.

12500. სიფარულის მიზეზი ზოგჯერ ფულის ბანკნოტების გაჭახჭახებაა, მაგრამ სულს გრძნობებით შეთბობა მაინც სჭირდება.

12501. მოქალაქე სულით უნდა იყო და არა მხოლოდ ნაღვაწით და მსოფლმხედველობით.

12502. მთავარია სულს შევძახოთ, რათა შემთხვევის უკეთურობამ მთლიანად არ გაგვლეწოს, რადგან სხვა გასაჭირს, ასე თუ ისე, გადავიტანთ.

12503. სულით მდაბიო, ღარიბი ადამიანი განსაკუთრებულ ზიზღს იწვევს და აუტანელია.

12504. რასაც გული მღერის, ის ხშირად ყურისთვის მიუწვდომელია, რადგან ხმა მისი პატრონის სულს ეკუთვნის და არა – სხეულს.

12505. მთავარია თავის დასაქმება და სულის მარადიულობის აღქმა, რომელმაც წინ უნდა წაგვიგდოს, ყოფა შეგვაფაროს და ამქვეყნად მოსვლა არ გვანანოს.

12506. თუ გინდა შენმა მფარველმა დაგიჯეროს, სულიერადაც უნდა გაისარჯო, რათა მისი კეთილი ნება დაიმსახურო.

12507. ამქვეყნად მხოლოდ ემოციები და ჩვენი ნაქნარ–ნამოქმედარი რჩება, მიუხედავად იმისა, რომ სულ თან მიგვაქვს.

12508. სულიერი სიმდიდრის მოხვეჭა ყველაზე უხიფათო ბიზნესია, მას ვერავინ მოგპარავს, მაგრამ სიცოცხლის ფასის გაგება გაჭირდება.

12509. სულსაც თავის გემოვნების ალეგორია ახლავს, მისაღები, მიუღებელი და ვისთვისაც გულგრილად საყურებელი.

12510. მოგონებანი სიცოცხლეს გვიხანგრძლივებს, რადგან ჩვენი ჯეელობის სულს ვეთამაშებით.

12511. ჯუჯა სული უფრო სამარცხვინოა, ვიდრე ტანი, რადგან პირველს არაფერი ეშველება, ხოლო მეორემ შეიძლება ჭკუით მოგხიბ–ლოს.

12512. პორტრეტის ხატვა პიროვნების სულის ხედვაა მხატვრის შთაგონებით და არა – მისი „სიფათის“ ნატურაზე მიმსგავსება.

12513. სული, სხეულთან შედარებით, მეტ ტკივილს განიცდის, მაგრამ ეს მისთვის საბოლოოდ წერტილის დასმა არ არის.

12514. სულიერების ზეიმი ხშირად მატერიალიზმის დამსახურებაა, იშვიათად – იდეალიზმის.

12515. სამწუხაროდ, კუზიან სულს არც ჯვარზე გაკვრა ასწორებს, არც – დაწვა და არც – საფლავი.

12516. სიბერეს ერთი დადებითი თვისება აქვს – სულით მუდამ ახალგაზრდა ხარ.

12517. კამათი თავისებური ფიზკულტურაა, გონების გასავრჯიშებ–ლად და სულის დასამშვიდებლად.

12518. თუ ვისმეს შანსს ვართმევთ, ეს იმის მაუწყებელია, რომ მისი სულიც ჩვენს ხელშია.

12519. რა ჯობს თუ სულის ასაფორიაქებელ კატაკლიზმაში მოხ–ვდები და თავად არაფერი მოგივა.

12520. ადამიანს ტყუილი სიმართლეზე უფრო მოსწონს, რადგან პირველი მის გაუწვრთნელ სულს ესალბუნება.

12521. ამბორსა და კოცნას შორის ის სხვაობაა, რომ პირველი სულის მოთხოვნაა, მეორე სულსაც და ხორცსაც მოითხოვს.

12522. აწმყოს ყოფიერებით ჯირითი სულის გალაღებაა, მომავალზე ფიქრის გარეშე.

12523. სულის დაჭაშნიკების სურვილი წყვილს ყოველთვის აქვს, მიუხედავად დროისა და ასაკისა.

12524. ხშირად მორცხვობა, თავმდაბლობა რეალობას ვერ ეწყობა, მაგრამ სულიერებისთვის ნეტარებაა.

12525. ცხოვრებაში ერთხელ მაინც განგვიცდია სისხლის ცრემლების სულით ღვარღვარი და ეს შეიძლება ჩვენის ყოფის „ვატერლოდაც“ იქცეს.

12526. ადამიანი თავის დანიშნულებას მაშინ ასრულებს, თუ დარწმუნებულია, რომ მისი სული უკვდავია და არ დაიკარგება.

12527. ზოგჯერ შემთხვევა გაიძულებთ, ეშმაკთან კავშირი დაამყარო, მაგრამ სულის დაგირავების და გაყიდვის უფლების გარეშე.

12528. სულის შიშის ყივილი, განსაკუთრებული სახის ორგაზმია, რადგან რაც უნდა მოიმოქმედოს, თავის წინაშე მაინც მართალია, რადგან დროის ამ მონაკვეთში ცხოვრება სხვანაირად არ შეუძლია.

12529. ბედის დაცინვა არავითარ განსჯას არ ემორჩილება, თუ ადამიანის სულიერებასთან შერკინებას ყურად არ ვიღებთ.

12530. სულს არც ფერი აქვს, არც სუნი, არც ჭკუა და არც ხეირიანი არჩევანის გაკეთების უნარი, მაგრამ მის პირველადობაში ეჭვი არავის ეპარება.

12531. ქალის სულის გამოკვება ისევ მამრის ჰორმონებს უნდა დავაკისროთ და მათი ხვადობის უნარს.

12532. ზოგჯერ რაც გონებას ეჩვენება დამამცირებლად, გულს სიამოვნებს და სული აღმაფრენას განიცდის.

12533. მისწრაფება სხვას მოსწონდეთ, სულის ყივილია და აგიძულებს, გონებისთვის გაუმართლებელი „რაღაც-რღაცეები“ სიამოვნებით იკისრო.

12534. მეცნიერებისაგან განსხვავებით, სულიერებისათვის მთავარია რწმენა და არა ჭეშმარიტების დადგენა.

12535. წარსული ხან გაოცებას იწვევს, ხან ნოსტალგიის, ხანაც სინანული შემოგვაწვება, ხოლო აწმყო ყოველთვის იმას გვკარნახობს და გვაკეთებინებს, რაც ამ მოგონებიდან სულში უსიტყვოდ ილექება.

12536. ყველაზე დიდი ინვესტირება სულს სჭირდება, რათა სხეულმა იგრძნოს და სასიკეთო საქმის საკეთებლად გაიქაჩოს.

12537. ისე უნდა ვიბრძოლოთ ცხოვრების აღმავლობისათვის სულიერება დაღმავალ-დაგორებას გადაურჩეს.

12538. ვაზის ნაჟურის ხარისხი დამოკიდებულია მყნობელის ხასიათ-განწყობაზე, მომლელის ოფლის სიმძაფრე-რაოდენობაზე, ყურძნის მომკრეფ-დამწურავის გამოცდილებაზე, დამჭაშნიკებლის შეფასების უნარ-

ზე. ასე, რომ ღვინის დაყენება – მოვლის ხარისხის შესაფასებლად მარტო ჯიში, ნიადაგი, ექსპოზიცია არ გამოდგება, მას სხვა, უფრო უხილავი სულის ყურადღება და თანადგომა სჭირდება.

12539. ადამიანის სულის მშენებლობითვის ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა იღონოს, რათა მისგან ქვეყნის ბიუჯეტის შემოსავლები მიიღოს და აქ დემოკრატიას და ადამიანის თავისუფლების პოსტულატებზე ვაი-ამოფარება დანაშაულია ერისა და ქვეყნის წინაშე.

12540. არიან კუმირები, პიროვნებები, რომელთაც, ჩვენი გადასახედიდან ვეთაყვანებით და მათზე რომანსების, პიესების წერა და კინოს გადაღება ყველას თავისი სულის შესატყვისად და შესაფუთად უნდა.

12541. სულის არქეოლოგიის ფენების გათხრა, ადრე თუ გვიან, ყველას ხვედრია, რადგან ბედი ბოლომდე არავის ინდობს და თავზე ხელსაც არავის უსვამს.

12542. დილეტანტური სიცილი, მხიარულება, ადამიანის სულს არც ამშვიდებს და არც ართობს.

12543. ხელობა, რომელიც შემოსავალს იძლევა, ზოგჯერ სულისთვის ყველაზე სარფიანი სამუშაოა.

12544. უნიჭოთა სინქრონული შური ნიჭის მიმართ ჩვეულებრივი მოვლენაა და ეს ასეც უნდა იყოს, ოღონდ სულის წარწყმედის და გონიერების დაკარგვის გარეშე.

12545. ადამიანი მისი გარჯნილების შესატყვისად მეტყველებს, მაგრამ მისი სულის ცდუნების შესატყვისად მსჯელობს.

12546. ბალახტარობა პროფესიას იქცევა, თუ სულმა დეგრადირება დაიწყო და სხეულს გამოსაკვებად სხვა გზა არ დარჩენია.

12547. ქაღალდზე ყველაფრის დამაგრება შეიძლება, მაგრამ ადამიანის სული იმ ფარატინა ქაღალდივითაა, რომელზეც ერთი წერია, მაგრამ მეორე გამოდის.

12548. სულიერი სიმშვიდე, სიფაარული, საქმის დაუფლებას და კეთებას მოაქვს, განსაკუთრებით, თუ წარმატებას თან ახლავს.

12549. ზოგჯერ სულის დასაოკებლად სჯობს, როდესაც ცუდიც და კარგიც მიტოვებული გაქვს და მომავალს, ჯერ-ჯერობით, გულგრილად უყურებ.

12550. სხვის სამსახურში დაგირავებული სულის გამოსყიდვა ძნელია, რადგან ბოლოს აღარ იცი, გინდა კუთვნილის უდანაკარგოდ გამოსყიდვა თუ არა.

12551. სულის უბიწობა, სხეულისაგან განსხვავებით, ადამიანს ყველგან თან უნდა სდევდეს და გზას უნდა უნათებეს, თუ უნდა ეს ქვეყანა უდარდელად, უდრტვინველად დატოვოს.

12552. ადამიანს შინაარსიანი ცხოვრება ესაჭიროება თავისი ცოდ-ვებით და მონანიებით და არა პატიოსანი, რომელსაც ვერ გაგიგებენ ვერც ირგვლივყოფნი და ვერც საკუთარი სული.

12553. ადამიანი სულის ქალწულობის უნდა იცავდეს და არა სხე-ულისას, რადგან მის გარყვნა, ხორცის გარყვნისაგან განსხვავებით, გა-დაგვარების ტოლფასია.

12554. ოცნება, ტკბილი ძილი, ალბათ, არც ყველას ხვედრია, არც მოწოდება და არცაა საჭირო, რადგან სულის სასალბუნო ბევრი საქმე გაურკვეველი რჩება.

12555. ადამიანისთვის მთავარია სულის სიმწიფე და არა – სხეული-სა, რათა სამართლიანად და სურვილებისამებრ მართოს ცხოვრება.

12556. სულს თავისი ნატურა აქვს, რომლის შეცვლაც შეუძლებე-ლია.

12557. სულის გარყვნილება, გულგრილობა, ერთიდაიგივეა, რადგან ორივე დამანგრეველად მოქმედებს ადამიანის შეგნებაზე, ყოფიერებაზე და რაც მთავარია, თავად ამას ვერ გრძნობს.

12558. გაყრაც თავისებური აფეთქება მოდავეთა გულში, რომელიც სულიერებიდან განსხვავებით ხორციელად დიდად არავის ვნებს.

12559. ყველა საქმე სულის შემზადებით უნდა დავიწყოთ, რათა ნერვებმა არ გვიმტყუნოს და საქმეც საჩვენო გამოდგეს.

12560. პირველ რიგში მაინც სულიერი მიღწევებია სახელმწიფოს ძლიერების მაჩვენებელი და არა – ეკონომიკური, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი მარად გვერდში უნდა ედგეს.

12561. სულის ფორმულის თანახმად ყველა ჩვენგანი თავისი გრძნო-ბების ვარსკლავია, მიუხედავად იმისა, შესძლო მან თავის რეალიზება თუ არა.

12562. სხეული მუდამ სულთან დავაშია, მაგრამ უერთმანეთოდ ყოფნა დიდხანს არ შეუძლიათ.

12563. ყველაზე უპრიანია იმქვეყნად ცხოვრებისა გვჯეროდეს და ისიც, რომ სული და შემართება იქაც უკვდავია.

12564. საკუთარ სულზე მუშაობა, მისი გალაღების ცდა, ოცნებით მაინც, არასოდეს არ უნდა შეწყდეს.

12565. დემოკრატია თუ კეთილდღეობა?! რა თქმა უნდა, უკანას-კნელს ვარჩევთ, რადგან სულმა მისთვის განკუთვნილი ტრფობის ალი, სილაღე უნდა იგრძნოს და არა – პარტიულობა ან ქარის წისქვილებ-თან ბრძოლა.

12566. მუდამ მომღიმარი ადამიანი საქმიანია და სულიც ურყევი აქვს, ლამაზი შემართებით.

12567. სულიერი გარყვნილობა, ყველაფრის მიმართ გულგრილობა, სახელმწიფოებრიობის, ეროვნულობის, გადაგვარების მაჩვენებელია.

12568. ცხოვრების ნარჩენებით დაკმაყოფილება უნიათო ხალხის და ,,გაპარტახებული'' სულის ხვედრია.

12569. სულიერი ამბოხი ძნელი გადასატანია, რადგან ის განსჯას არ ექვემდებარება.

12570. ცარიელი გული და თავი ერთიდაიგივე არ არის და არც ზომა-წონა აქვს ერთი, რადგან პირველი სულიერების განგებს, ხოლო მეორე რას განაგებს, თავადაც არ უწყის.

12571. ოცნების ზღვარის ცოდნას ვნება არავისთვის მოუტანია, მაგრამ სული იჩაგრება და მისი გაფრენის მასშტაბს ამცირებს.

12572. ძირითადი საზრუნავი, სამუშაო, კაცობრიობის დედამიწაა და არა – ზეცაში სულის გაფრენა დროს სატარებლად.

12573. სულის ბნელი ხვრელები გვაიძულებს არამყარი ვიყოთ სიყვარულში, თუ არ შეგვწევს პარტნიორში გრძნობების ჟღერადობის მთელი სამყაროს აღმოჩენის უნარი.

12574. დაქორწინება იმის გარანტი არ არის, რომ თქვენი სული ვიღაცასთან დიდხანს და ნებაყოფლობით იცხოვრებს.

12575. მოკრძალებას ხშირად ზიანიც მოაქვს, მაგრამ მაინც სულის ნავსაყუდელია.

12576. სიტყვა შეიძლება გესლიანი იყოს და უგესლოც, მაგრამ ზოგჯერ სულის სამკურნალოდ რომ იყენებენ ეს ფაქტია.

12577. სულის შადრევანსაც თავისი მომხიბვლელობა და ჰაეროვნება უნდა ახასიათებდეს, ამკობდეს.

12578. სულის მერიქიფეთა დრო წავიდა, ისინი რესტორანში ფულის მციცქნავმა მიმტანებმა შესცვალეს.

12579. რეტრომობილი, ადრე თუ გვიან, ყველას სულს ჩამოუქროლებს და საამო მოგონებებით ამოგზაურებს.

12580. სამყაროს საოცრებათა შორის ყველაზე საოცარი ის იქნებოდა, სულის გამოქანდაკება რომ შეიძლებოდეს ადამიანის ნატურის გარეშე.

12581. ციცინათელას დანახვა სულს ანათებს და არა მხოლოდ – გარემოს.

12582. სტომაქის ბედნიერება ხშირად სულის გარყვნილება და სხეულის გადაგვარებაა.

12583. წმინდაა ის, რასაც ჩვენს სულს ესალბუნება და მასში ადგილს იკავებს.

12584. სულიერების კვარი სიცოცხლეს გვინათებს, მაგრამ მხოლოდ სულიერებით ცხოვრება უგემურია.

12585. სულის დუღილს ტემპერატურას აღფრთოვანება სინჯავს, ხოლო სხეულის ტემპერატურის გასინჯვა თერმომეტრსაც შეიძლება ვანდოთ.

12586. ქვეყანა სულით პატარავდება და ღარიბდება, თუ მას უნიათო მმართველი ჰყავს და ადგილის დატოვებას ცოცხალი თავით არ აპირებს.

12587. ამღერებული სულით ცხოვრების გატანაა ძნელი და არა – სიმღერით და ამით ფულის შოვნით.

12588. გრძნობათა პალიტრის წარმოსახვა ყველაზე რთული საშუალებაა საკუთარ სულთან გასასაუბრებლად.

12589. სარკეში და საკუთარ სულში ჩახედვა ერთიდაიგივე არ არის – უცნობ გარეგნობას ვუყურებთ.

12590. ჩოხისა და მსახიობის როლის მორგებას ნიჭი, შეგნება ერთნაირად სჭირდება, რადგან ორთავე სულის გადასახედიდან უნდა შემოწმდეს.

12591. სული სიყვარულისთვის, დათბობისთვის და შურისძიებისთვის ყოველთვის მზად არის.

12592. ყველაზე მატერიალურია მშვიდობის ქადაგება და ეკონომიკური ბაცილის წახალისება ჩვენს სულში.

12593. მაძღარი ადამიანი სულიერადაც თვლემს, სანამ განცხრომა წირვას არ გამოუყვანს.

12594. ადამიანის სხეული სულის შეფუთვნის საშუალებაა, მისი წარმოჩენის მცდელობით და დიზაინით.

12595. სულით რაინდი იმქვეყნადაც რაინდად მიდის.

12596. მარტო სიბრძნე, ვნების გარეშე სულს ვერ ანათებს და ვერც საქმის საკეთებლად აღგაგზნებს.

12597. არის დაწერილი კანონი, არის ზეპირი და ხშირად ამ უკანასკნელს მეტ პატივს სცემენ, ვიდრე პირველს, რადგან მასში ტრადიციები, წინაპართა გამოცდილება და სულის სრულყოფისკენ მისწრაფება დევს.

12598. შექება, ადამიანის სულის ბალზამირებაა.

12599. გული არ ბერდება სულიერად, მაგრამ რეალობაში ჭრაჭუნს იწყებს და მოფერებას უფრო ითხოვს, ვიდრე მკურნალობას.

12600. სწავლა არა მარტო ნათელს გვფენს, არამედ სულს აღაგზნებს და სხეულს სიმსუბუქეს აგრძნობინებს.

12601. სულით საჭურისი, თავის თავზე, უფრო მეტს ეჭვიანობს, ვიდრე მის გვერდზე მყოფ ქალებზე.

12602. რწმენა არც არაფერს ამტკიცებს და ვერც ვერაფერს დაამ-ტკიცებს, ის, უბრალოდ სულის სასიამოვნო ბუტაფორიაა.

12603. ცოდნას სულიერი სილამაზე უნდა ამშვენებდეს თავის მო-კეკლუცება-მოთოკვით.

12604. სარკე ფაქტიურად ჩვენი სხეულის ნიღაბს ირეკლავს და არა – მასში დაბუდებულ სულს.

12605. სწავლის მოწყურება თავისებურად სასიამოვნო წამებია, ხო-ლო მისი გამოუჯნებლობა სულის წამებაა.

12606. ხელოვნება მაცდურია, მაგრამ ის სულისთვისაა საჭირო და აუცილებელი.

12607. ბედნიერებას, წარმატებას, თავისი სულის ინჟინერი და დამ-ფასებელი სჭირდება.

12608. სულიერების შენახვა გაცილებით ძვირი ჯდება, რადგან შე-ფუთვნას და მოვლას მოითხოვს.

12609. სურვილების გაუქმებული ორდენის კავალერია ყველა ის, ვინც ყველაფრის მიმართ გულგრილია და არაფერი აინტერესებს.

12610. სულიერი მემკვიდრეობა მატერიალურს გაცილებით სჯობს, მაგრამ უმეტესობას მაინც ეს უკანასკნელი ურჩევნია.

12611. გულის მხარდაჭერით და არა ფიზიკური ვარჯიშებით და დიეტაზედ გადაყოლით უნდა შევეცადოთ ვიყოთ სულით ახლგაზრდები.

12612. მთავარია სული არ დავიმახინჯოთ, თორემ გარეგნობას ან ასაკი დაგვიმახინჯებს ან უყურადღებობა.

12613. მადლიერი უნდა იყო იმის, ვისაც უყვარხარ და ბედის, თუკი ეს გრძნობა შენს სულს მოარგო.

12614. კოპების მორჩენა შესაძლებელია, მაგრამ გატეხილი სულის შეწებება და პირველადი სახით აღდგება შეუძლებელია.

12615. თავის შეცოდება სულის ყველაზე არასასიამოვნო საქმიანობაა.

12616. გონიერია ეგოიზმი, რომელიც უკიდურესობისკენ არ მიილ-ტვის და სულს არ ატერორებს.

12617. როდესაც ძლიერი ხარ და ლოყაში გამლაწუნებელს მეორე ყბას შეუშვერ, სასირცხვილო არაფერია, მაგრამ როდესაც სუსტი ხარ, ეს შენს სულს დიდხანს ეტკიება.

12618. ლაქლაქი რეპუტაციას ვნებს, მაგრამ სულის ვნებას აკმაყო-ფილებს.

12619. თავშეკავების და დასვენების უნარი სულის მკურნალობის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა.

12620. დაბრუნების მცდელობის გარეშე სხვა ქვეყანაში გადახვეწა სულიერების მიმართ არამართებულია.

12621. სულიერებისთვის ყველაფერი მისაღებია, რაც ახალგაზრდობას ახსენებს და ახალისებს.

12622. სულის ჯოჯოხეთიდან განთავისუფლება გონების კატაკლიზმების გარეშე არ ხერხდება.

12623. ნიჭი სულის მოწოდებას უნდა ვამსახუროთ და არა იმას, რაც დღეს მოდაშია.

12624. მითი არის ის ობიექტური შეფასება, სინამდვილისგან განსხვავებით რაც უმეტესობას უნდა დაიჯეროს და მის სულს ესალბუნება.

12625. თუ სულით ძლიერი პიროვნება არ ხარ, ისე სახეირო არაფერი გამოგივა, რადგან სიძლიერეში გულმოდგინება, მოხერხებულობა, რწმენა და სიყვარულიც შედის.

12626. სულიერი სამყარო დახვეწილი გონიერებით შეცნობას მოითხოვს და არა მასში ხელების ფათურს.

12627. სულის ყივილთან ვაჭრობა, გვინდა თუ არა, მთელი ცხოვრება გრძელდება.

12628. ხშირად სულზე უფრო მეტად უნდა ვიფიქროთ, რადგან მარტო ხორცი და განსჯა არ არის ადამიანი.

12629. გული მარტოობას ვერ იტანს, ხოლო სულს აღმაფრენის გარეშე სიცოცხლე არ უწერია.

12630. ღრეობა სულის დღესასწაული და სხეულის აღტკინებაა, რომლებსაც ურთიერთშეხმიანება მოსწყინდათ.

12631. როდესაც გმირობას სული გთხოვთ, იქ თავდაცვის ინსტინქტი და უარყოფითი მაგალითების სიმრავლე ვერაფერს ხდება.

12632. ზღაპრები იმიტომ გვიზიდავს, რომ აქ ჩვენი სული ბენეფისს იხდის და ოცნებით მოგვიწოდებს იმ არაორდინალური ნაბიჯების გადადგმისკენ, რომელიც სიამოვნებას გვანიჭებს.

12633. ჭეშმარიტების წინააღმდეგ აზრის წარმოჩენა სულის უკანასკნელი კივილია, რომელსაც ცხოვრებაში არ უმართლებს.

12634. ზოგი ცუღლუტობს, ანცობს, მხოლოდ იმ მიზეზით, რომ საკუთარ სულს დემონად მოევლინა.

12635. ჩვენ წყალწაღებულები არა ვართ, მაგრამ ასეთები გვინდა ვიყოთ, რადგან იმ სულიერი ქარაფშუტობის თავიდან მოშორება არ გვინდა, რომელიც მეტ-ნაკლებად ყველას გვახასიათებს.

12636. ქალი, რომელიც ღიმილს, გარემოების ცვლილების მიუხედავად არ გამადლის, შენი სული მეუფეა.

12637. სული, სხეულისგან განსხვავებით, სულ შრომასა და გაწამაწიაშია.

12638. სულიერი ლიდერი მაშინ გამოჩნდება, თუ ის გვინდა და არა მაშინ, როდესაც ის გვჭირდება.

12639. ცნობიერება ყველა სახის ინფორმაციას უნდა ისრუტავდეს, ამუშავებდეს, ინელებდეს, მაგრამ სულიერების ხელშეუხებლად.

12640. ფიზიოლოგიასა და სულიერებას შორის ბრძოლა კი არ მიმდინარეობს, არამედ შერწყმის მცდელობა.

12641. საინტერესოა: თუ ადამიანის სული განგების საკუთრებაა, რა დააშავეს ცხოველებმა და უნდა გვეშინოდეს თუ არა იმქვეყნად მათ სულებთან შეხვედრისა, ვისი ხორციითაც ამქვეყნად ასე გვიგემრიელებია.

12642. ბედნიერია ის, ვისაც სულიერი კომფორტი ყოფნის და „დამატებას“ ოცნებითაც არ ითხოვს.

12643. ცხოვრება მიდის, ყოველივე დავიწყებას ეძლევა, მაგრამ ზოგი სირცხვილი, თავის მოჭრა, სამუდამოდ რჩება.

12644. ადამიანი გარეგნულად იცვლება, ხასიათი უფუჭდება, რწმენას კარგავს ვიღაცის და რაღაცის მიმართებაში, მაგრამ სული და მოგონება ხელშეუხებელი რჩება.

12645. შეიძლება შეცდე, მაგრამ არ უნდა დაიბნე, რათა შეცდომა არ გააორმაგო.

12646. ღვინო, ლოცვასთან ერთად, ზოგჯერ ჩვენს სულში სასწაულს ახდენს.

12647. რასიზმი სულიერების ექსპლუატაციის ერთ-ერთი სახეა.

12648. სულით სიცილის უნარი განგების დიდი ნიჭია.

12649. ერთადერთი რაც არ ბერდება, აზროვნებაა, ხოლო რაც დევალვაციას არ განიცდის – სულია.

12650. შეცდომების მონანიება და ნამოქმედარის ანალიზის უნარი ანგელოზობას არ ნიშნავს, მაგრამ რომ არც ეშმაკს ემსახურება, უდავოა.

12651. ხშირად სულს გაჭირვება გულახდილობისკენ, სინდისის ქენჯნისკენ, წარსულის რევიზიისკენ, უბიძგებს.

12652. ლამაზი სული, დიდი ჭკუა, ხშირად სხეულის სილამაზის და მომხიბვლელობის თანმხლები არ არის, მაგრამ ცხოვრების ლელო პირველთან შედარებით უპრეტენზიოდ გააქვს.

12653. სულიერი ღირსებაც ზადია, ამიტომაც მას ნიჭი უნდა სჯობნიდეს.

12654. ყველა ჩვენგანს სულში თავისი სამოთხე და ჯოჯოხეთი აქვს და არავინ იცის, ბედი რომელ მხარეს გადაიხრება.

12655. სულიერი მარგალიტის მოპოვებას ენა ცდილობს და არა – სურვილი.

12656. იდეალი არ არსებობს, მაგრამ სულის საამებლად მისკენ უნდა მივილტვოდეთ.

12657. შინაურმაც და გარეულმაც დანანებით ან ნიშნისმოგებით რომ არ „გადაგვყარონ“, უნდა ვეცადოთ არ წავიფორხილოთ და სულით არ დავეცეთ.

12658. მთავარია სულის ჩოჩქოლს ვუპატრონოთ, თორემ ხორცის ბიწიერებას, ასე თუ ისე, მოევლება.

12659. ვისაც სული არ სტკივა, მისთვის არ არსებობს ზღვარი, რომელსაც ის არ გადააბიჯებს.

12660. სულის სასუქი იმედი და სიხარულია.

12661. სულიერი სიახლოვე ხშირად ნათესაობაში გადაიზრდება, რაც გრძნობათა დაღვინებაზეა დამოკიდებული და სიყვარულის ბეჭდით დამოწმებაა.

12662. ცხოველის სული ადამიანის სულისაგან სულიერების მოხმარების ჟინით განსხვავდება.

12663. სულის და სულიერების გარკვევას ადამიანი მთელ სიცოცხლეს ანდომებს და ცხოვრებაში ადგილის მოძიება უჭირს.

12664. სულიერი სერობის განცდა ხელოვნების არც ერთ დარგს ისე არ ძალუძს, როგორც პოეზიას, მუსიკასთან შერწყმულს ან – პირიქით, განსაკუთრებით თუ ის გენიოსის ნახელავია.

12665. ურყევი პრინციპები გონიერების ჯიბეზე ხელის გაკვრის, საშუალებას გვიზღუდავს, თუმცა სული ამაყობს, გული დიდგულობს, თავი ბობოქრობს, მაგრამ რისთვის და ვისთვის, ხშირად თავად პრინციპებისთვისაც გაუგებარია.

12666. აუღებელი ბასტიონი არ არსებობს თუ მას არაორდინალური გონიერება, საქმისადმი სიყვარული და სულის შეუპოვრობა დაუპირისპირდება.

12667. სადაც სულიერებაა, იქ შეუძლებელია ეშმაკი, დემონი, სატანა და ათასი სხვა ძაღლი-მამაძაღლი ჩასაფრებული არ იყოს, რომელთაც სულიერებაზე პრეტენზია არ აქვთ, მაგრამ სხვისი წესიერების, სათნოების შურთ.

12668. ბავშვობის ოცნება დიდობაში შეიძლება დრამატულად დამთავრდეს, მაგრამ მაინც დასამახსოვრებელი და სულის მალამოა.

12669. სული შეიძლება უკვდავია, მაგრამ მისი შემდგომი ბედი დასაფიქრებელია და სადავო.

12670. ხელოვანის, მეცნიერის, შემოქმედის, საქმიანობა, ყოველგავრი ნიჭისთვის სულიერების პატარა სამშობლოა, რომელსაც რეალურ სამშობლოზე მეტად ეთაყვანება.

12671. ყველაზე დიდი გამოცანა სამყაროსთვის ადამიანის სულია, მერე მოდის გონება და ცხოვრება, ცნობიერებით.

12672. თუ მამაკაცის სული გატიტვლებულია ქალის წინაშე, ეს უკანასკნელი მის ვნებას წარბშეუხრელად უნდა დაემორჩილოს.

12673. სული იმ შემთხვევაში რჩება დედამიწაზე თუ უკეთურად არ გაგიხარჯავს.

12674. ღამის ოცნებები სულისთვისაა განკუთვნილია ვნების გაჭენებით, დღისა – სხეულისათვის, პერსპექტივასთან მიახლოებით.

12675. აუღელვებელ განსჯას ,,სხვისი ჭირი ღობის ჩხირი''-ს უსამართლობამდე მივყავართ, რადგან სიმართლის დადგენა-გაგებას სულიერება სჭირდება.

12676. ვნების მოთოკვა, მართვა, თანდაყოლილ ნიჭს და თვითნაბად სულიერებას, კულტურას, მოითხოვს.

12677. უგუნურების შედეგს ყველაზე მეტად სული განიცდის, რადგან მისი სიმპატიები ქრონიკულში გადადის და შიგნითვე რჩება.

12678. ხშირად კარიერის დამთავრებას და პენსიაზე გასვლას წარმატება ხელს უშლის და ეს სულიერებისთვის ბედნიერებაა.

12679. ყველა ჩვენგანის სულიერების მზეობას ლაქები გააჩნია, მაგრამ უნდა ვეცადოთ რომ იგი შეუმჩნეველი დარჩეს.

12680. სულით ყველანი გამოუყენებელი დროის მსახურნი ვართ, რომელსაც ოცნებით ვალამაზებთ და ვცდილობთ თავსაც და სხვასაც ვუწილადოთ.

12681. სულსაც თავისი თითის ანაბეჭდები აქვს, რომელიც სხეულის ყველა ნაწილს თავისი სიამაყით, მეობით ესალმუნება.

12682. ცხოვრებაში ბევრი ჩვენი ნაოცნებარის კორექტირება გვიხდება და ეს სადღაც კანონზომიერიცაა, მაგრამ მთავარია სულიერების დევალვაცია და გაკოტრება არ მოხდეს.

12683. ზოგჯერ გარემოებათა გამო შეიქმნება ისეთი ვითარება, იძულებულნი ვართ მას დავემორჩილოთ, მაგრამ სული შინაგანად ბობოქრობს და არავის მორჩილება არ სურს.

12684. ურთიერთობაში მთავარია დადგენა ერთმანეთს რამდენად ვჭირდებით სულიერად და რა სარგებლის მოტანა შეგვიძლია ურთიერთისთვის მატერიალურად.

12685. ხალხის სულს უნდა მოუსმინო და არა ხალხს, თუ გინდა მასში ჭეშმარიტების მარცვალი მოიძიო, შექმნილ რეალობაზე დაამყნო და ისევ მათ სულიერებას ამსახურო.

სუფრის ფილოსოფია

12686. ხშირად ჩვენ დროსტარების ღირსნი არ ვართ, რადგან მისი ფასი და ყადრი არ ვიცით.

12687. სუფრასაც თავის იმიჯი უნდა შეუქმნათ და სტუმრებიც დროგამოშვებით უნდა ცვალოთ.

12688. რუსულ და ქართულ სუფრას შორის ის განსხვავებაა, რომ პირველებს გადამეტებული სმა უყვარს, ხოლო მეორეს გადამეტებული სმის დიზაინი.

12689. ალბათ მოვა დრო, როდესაც შთამომავლობას შერცხვება, ჩვენი წინაპრობის, რომლებიც ცხოველის ხორცს სიამოვნებით მიირთმევდნენ და კულინარიის წიგნსაც აქვეყნებდნენ.

12690. რესტორანში ისეთი ოფიციანტები უნდა დავასაქმოთ, რომ კლიენტს გაუჭირდეს არჩევანი, მენიუ შეისწავლოს თუ მიმტანის მომხიბლავი ტანი.

12691. დღესასწაულს, სუფრის თანხლებით, ყველას ვაფასებთ, რაც უნდა საეჭვო საწყისი და წარმომავლობა ჰქონდეს.

12692. სანელებლების, პიმპილის და მარილის ოინები კლიენტს კულინარიის განტევების ვაცად აქცევს.

12693. შიმშილი ცუდი მზარეულია, მაგარამ კარგი სტუმარია.

12694. ღვინო საუკეთესო და სასარგებლო სასმელია მხოლოდ მისი ფასის მცოდნისთვის.

12695. ალკოჰოლი ის ნარკოზია, რომელიც უაზრო ჭამა-სმას მშვიდობიანად გადაგატანინებს, ხოლო "პახმელია" კუჭის გადაცდენის შედეგად მიღებულ სიამოვნებას საკუთარი უხასიათობით შეგახსენებს.

12696. გურმანი სუფრის ჯენტლმენია, რომელმაც იცის რას სთავაზობენ, მაგრამ ხმამაღალი შეფასებისაგან თავს იკავებს.

12697. ფუჯ ცოდნას და ამპარტავნობას სუფრის მადლის შეცნობა, თვითდაჯერების გამო, პრაქტიკულად, დაქვეითებული აქვს.

12698. საზოგადოების კულტურის პროგრესის შეცნობის საწყისი სამზარეულოა თავისი დიზაინით, ორგანოლეპტიკით, ხარისხით.

12699. სუფრა თრობით არც სიავეა და არც ტრადიციებით გამოწვეული აუცილებლობა, ის მხსნელია ჩვენი გონიერების, ამბიციების და იმის შეცნობის, რომ დღეს თრობისთვის უფრო მეტად საჭირონი ვართ, ვიდრე სიფხიზლისთვის.

12700. გონიერი დროსტარება პატივისცემას იმსახურებს, ლოთობა – შეცოდებას, გადამეტებული სიფხიზლე – შიშს, რადგან ამ კატეგორიის ადამიანები ბუნებით კარიერისტები არიან და თვალი სხვის გამოჭერაზე უჭირავთ.

12701. თამადას გარკვეული დროით უნდა მივანდოთ სულის განწყობა გონების ჭულეტის უფლებით, რათა თანამეინახეთა შეკრებაზე, სხვის გასაგონად ჩვენზე ნათქვამ ომახიან სიტყვას გამოვრჩეთ.

12702. მზარეულებიც მზვერავებივით ფარული ფრონტის მებრძოლნი არიან, რომლებიც საიდუმლო კულინარიის შედეგრებს ქმნიან, ხოლო მეორენი – თავის ლეგენდებს.

12703. პურმარილზე მოხვედრის 15 ვარიანტი არსებობს (ქორწილის, მწუხრის, ნათელ-მირონის, დაბადების დღის, სადღესასწაულო, ბანკეტი, სახელობითი, პროფესიონალური დღის აღსანიშნავი, სახელ-დახელო, წარმატების აღსანიშნავი, საიუბილეო, კორპორატიული, წარ-მოსაჩენი, მეზობლური, გაცილების), რომელიც მოვალეობის, განწყობის დატვირთვით სხვადასხვა სახესხვაობით წარმოგვიდგება.

12704. რესტორანი ის აურაა, რომელიც სადღესასწაულოდ განგაწყობს, მაგრამ რატომ – ვერ გარკვეულხარ.

12705. ოჯახში მიპატიჟება – შენდამი პატივისცემის გამოხატვაა, რადგან დაგაფასეს და არ გამოგტოვეს.

12706. ბუნებაში პიკნიკის მოწყობა – ჯეელობასთან შეჯერებაა, გაურკვეველი თვითდაჯერებული სიამოვნებაა, რომლის აუცილებლობაში საბოლოოდ ვერ გარკვეულხარ.

12707. თანამეინახეთა დროსტარება ძველის გახსენების მცდელობა, ურთიერთობის რაობათა ქარიშხალია და მოვალეობის მოხდა საკუთარი ამბიციების წინაშე.

12708. ბანკეტზე თავს უცხოდ გრძნობ, მაგრამ დაფასებულად, რადგან ძლიერთა ამა ქვეყნისა თავი გაგიყადრეს.

12709. ნაუცბათევი და ფსონის პურმარილი – დროის გასაფვანი ღრეობაა, სადაც არც არავინ ემონება და არც არავის იმონებენ.

12710. ქორწილში დაპატიჟებით ნათესავ-მეგობრებმა მოწმის როლი გარგუნეს და შენი დროსტარებით სიკეთის საწყისს შეეზიარე.

12711. ნათელ-მირონობა ნათესავად გახდომის პურ-მარილია, რომლის გამოყენების ალიბსაც, გულმავიწყობის გამო, იშვიათად ვიყენებთ.

12712. ქელეხი რიტუალის აღსრულება, მწუხრის გამოხატვა და ქვენა სიხარულიცაა, რომ შენ დაესწარი მისი მწუხრის სუფრას და არა – პირიქით.

12713. დაბადების დღე სავალდებულო დროსსატარებელი ბეგარაა, რომელსაც ჯეელობაში სიამოვნებით ესწრები, ასაკში კი მოვალეობას იხდი.

12714. ქალთა ჭუკ-ჭუკი სუფრასთან, ოცნებაა საწოლში მიპატიჟებაზე კუჭის ამოყორვის ხარჯზედ.

12715. ნადი საქმის საკეთებლად მოსული ხალხის მიპატიჟებაა, რომ-ლებმაც ადამიანური ვალი მოიხადეს მასპინძლის და საკუთარი სინდი-სის წინაშე.

12716. თუ გვინდა არა მარტო ვისიამოვნოთ, არამედ სუფრის ყადრი და მადლიც შევიგრძნოთ, უპირატესობა სასმელის ხარისხს უნდა მივანიჭოთ და არა – საჭმელისას, თუნდაც დიზაინით.

12717. ლხინის სუფრისაგან განსხვავებით, მწუხრისაზე ის ხალხიც უნდა მოიწვიო, ვის დანახვა-შემორიგებაზე მიცვალებული ცხვირს არ აწევდა.

12718. ზომიერად ალკოჰოლის სმა ალბათ სიცოცხლეს გვიხან-გრძლივებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სხვა გასამხიარულებელ საშუალე-ბას მივმართავდით, მათ შორის, უიმედო არშიყს.

12719. რადგანაც სუფრა სერობის საშუალებაა, მასზე პირველ რიგში სული უნდა ბატონობდეს და არა – გული.

12720. კულინარია და ნედლეულის რაციონალური ათვისება მოს-წავლეებს სკოლაშივე უნდა ვასწავლოთ, რათა პროდუქტის ყირათიანი მოხმარება, დროის ყადრი, დამზადებული საკვების გაფორმება და სუფრის მადლი ისწავლონ, ცოტათი გურმანებიც გახდნენ და ოჯახის ბიუჯეტი დაგეგმონ.

12721. კუჭის ამოყორვა ჯანმრთელობას არ რგებს, მაგრამ ამ ფაქტს ყურად არავინ იღებს და თავის სიამოვნებისთვის ყელა ეჯიუტება.

12722. კუჭის გაკვირვება, გაღორება, ძნელი არ არის, მისი დათ-რგუნვა და ჯანმრთელი კვებისთვის მორგებაა ძნელი.

12723. შიმშილი ცუდი კულინარია, ბრწყინვალე მასპინძელია და უპრეტენზიო დეგუსტატორი.

12724. სტუმარ-მასპინძლობის ინსტიტუტს თავისი წესი და ლაზა-თი აქვს, რომლის გზიდან გადახვევა წინაპართა ტრადიციების შეუ-რაცხყოფაა, რაც მიპატიჟების სილამაზეს დაღს ასვამს.

12725. რესტორანი მაინც მუცლის ამოსაყორი ორგანიზაციაა, რო-მელსაც ხანდახან სულის გასაფოფინებელ მარილსაც მოაყრიან, რათა კლიენტმა სათანადო ანაზღაურების საფასურად თავი კაცად იგრძნოს მზარეულის და მიმტანის ხარჯზე.

12726. შენი განცდებით და უგვანო ქცევით 2–3 ჭიქის გადალახვის შემდეგ, თანამეინახეებს თავი არ უნდა მოაბეზრო, რათა სუფრაზე შენს მიპატიჟებას სამუდამოდ „ვეტო“ არ დაედოს.

12727. ორგანოლეპტიკა, გურმანი, გემრიელია-უგემურია, ძალიან განსხვავებული ცოდნაა, რადგან პირველს აინტერესებს შემადგენლობა, მეორეს – ხარისხი, ხოლო მესამეს – საერთოდ მიღებული შეფასების განზომილებანი.

12728. ქართულ სადღეგრძელოზე ყველაფერის მიბმა შეიძლება, მასპინძელს რომ ასიამოვნო. ,,ერს, რომელმაც ვეფხისტყაოსანი შექმნა, არ შეიძლება ასეთი დიდებული საცივი ჩვენი დიასახლისის ხელით არ შეექმნაო". აქ თავისებური ფეტიშიც არის, მხიარულებაც და მსაპინ-ძლის მოფერებაც.

12729. მწვადის შეწვა და ხორცის შეწვა სხვადასხვა ხელოვნებაა, ხოლო მათ შესაფასებლად ერთი გურმანიც საკმარისია.

12730. ნაძირალა, ვიგინდარა, ყველა სიყვარულის სდღეგრძელოს სვამს, რადგან არავინ იცის, მისი საჭიროება სად გამოტყვრება.

12731. სტუმარი მაშინაა სასიამოვნო, თუ ის დინჯადაა და კუდში სადევნი არ არის.

12732. უგემური საჭმლის მირთმევა შენი თავის შეურაცხოფაა, თუნდაც იმიტომ, რომ გეშინია არ გადაძღე.

12733. სასმელი დროებით აფართოვებს ტვინის უჯრედებს, ჩვენს ნაცნობობას და ასევე სწრაფად ახდენს ამ შენაძენის გადავიწყებას.

12734. როდესაც ქალბატონების სადღეგრძელოს შესმას დავაპი-რებთ, სასმისით ხელში ოთხივე მხარე უნდა დავლოცოთ, რადგან ჩვენი სამყაროს მშვენებას სიტყვებით ვეფერებით.

12735. მითხარი, როგორ იკვებები და გეტყვი, ვინ ხარ, რამდენს იწონი და როგორ აზროვნებ.

12736. სტუმარს გაცილებით უკეთ ვხვდებით, ვიდრე ამის საშუა-ლებას ჩვენი ხელფასი იძლევა და არა – შემოსავალი და ტრადიციები.

12737. 100გრ დაჭაშნიკებაა 200გრ – სასიამოვნო სასმელია, 300გრ – დროა თავი შევიკავოთ, 400გრ – რა ჭკვიანური აზრები მომდის, 500გრ – ვგონებ დავთვერი, 600გრ – მეკამათება კიდეც, 700გრ – აზრზე არ არის ამ ცხოვრების, 800გრ – ეს კაცი თვალში არ მომდის, 900გრ – გავითიშე, 1000გრ – ნუთუ ეს გმირობა მე ჩავიდინე ...?!

12738. დროსტარებასა და მოლხენას შორის ის სხვაობაა, რომ პირველ შემთხვევაში დროით გადამოწმებულ ხალხთან ქეიფობ და თავს რაღაც-რაღაცის უფლებას აძლევ, ხოლო მეორე შემთხვევაში, სადაც ოფიციოზია, თანამეინახეებთან შენი მეს წარმოჩენის სურვილი ბატონობს.

12739. თამადობა გულში გატარებული, სულში გაფრთხიალებული და გონების ფილტრში გავლილი საამო სიტყვების რახა-რუხია, ოღონდ იუმორნარევი სიყვარულით.

12740. საკუთარი ხელწერა კულინარსაც უნდა ახასიათებდეს, წი-ნააღმდეგ შემთხვევაში, ამ პროფესიის დაუფლება არ ღირს.

12741. დანაყრების ცოდნა აღზრდაა, სასმელის სმა ხასიათია, ხოლო ამ სიამოვნების შეფასება განგების მომადლებული ნიჭია.

12742. არასოდეს ბატი იხვის მეგობარი არ იქნება და ინდაური – ქათმის, მათი კულინარული ორგანოლეპტიკა ერთმანეთს რაც უნდა ემსგავსებოდეს.

12743. ქართველების სულის კონსტიტუცია სადღეგრძელოა, სახელმწიფოებრიობა – სუფრის ლაზათი, რომელსაც სამშობლოს სიყვარულის გაუთლელი თანდაყოლილი ნიჭიც ემატება. ყოველივე ეს ერის რაობის წარმოსაჩენად კარგია თუ ცუდი, არავის უწყის, მაგრამ წუთისოფელი ავად თუ კარგად დღემდე მოგვიტანია.

12744. კარგია სტუმარი, რომელიც „კარებს ფეხით აღებს", საუბრობს ომახიანად, მცირედით კმაყოფილდება და დროულად მიდის.

12745. დელიკატესია ის, რასაც მოწიწებით ეცნობი, გემოს უსინჯავ, ცდილობ დაადგინო ინგრედიენტები და შეფასება არ შეგეშალოს, მუცელს არ იყორავ და თავისებურ ბედნიერებას განიცდი, რომ რაღაც ახალს ეზიარე და შენი გემოვნება – მცდელობა გადაამოწმე.

12746. ხაჭაპურს ერთი ნაკლი აქვს, გაცივებული როგორც არ უნდა შეათბოთ, პირვანდელ გემოს ვერ აღიდგენს. ამ დილემის დაძლევა მცირე ტექნოლოგიური ეშმაკობით შეიძლება, რომელიც მოხერხებული ბიზნესმენის ხელში – როგორც „პიცას" კონკურენტი, მილიონები ღირს, მაგრამ ცოტა თუ ვინმე მიხვდება და დაინტერესდება.

12747. საკვებით შეიძლება გავძღეთ, მუცელი ამოვიყოროთ ან დავნაყრდეთ, გემო გავუსინჯოთ, დავაჭაშნიკოთ. ამგვარი მიდგომა სუფრისადმი სიამოვნებას გვანიჭებს, მაგრამ მისი შემეცნების საწყისი, აღზრდაში, ტრადიციაში, გარემოსთან შეხებაში და პროდუქტების რაციონალურად მოხმარების კულტურაშია.

12748. „პახმელია" და წინა დღის ღრეობა, რაც უნდა დასამახსოვრებელი იყოს, მაინც ირონიულ ღიმილს იწვევს, მაგრამ შანსი იმისა, რომ არ გაიმეორებ და მეორედ არ გადათვრები, ნულის ტოლია თუ ჯანმრთელობამ არ გიმტყუნა და კარიერის კიბეზე წითელი შუქნიშნის ანთებით არ დაგაშინეს.

12749. საკვები იყოფა: ყუმბარად – პოხი, ლორი, შაშხი, ერბო; ხელყუმბარად – გუდის ყველი, ცხიმიანი ხორცი, ალკოჰოლი, ფუნთუშეული; ტყვიად – კარაქი, მწვადი, ზურგიელი; საფანტად – ხილი, ბოსტნეული, მწვანილი; ამ კალორიებს შიმშილის დენთი ორგანიზმში გადაანაწილებს დაავადების პერსპექტივებით, მაგრამ ამ ქმედებით სული და კუჭი ყოველთვის კმაყოფილია.

12750. დღესასწაული მატერიალურია იდეალებზე დაყრდნობით, მხოლოდ ღრეობა და ღვინოზე მიძალება სუფრის მადლის გაბითურების საწყისით.

12751. სადღეგრძელოს თავისი განზომილება და თავისი ზნეობა, ახასიათებს, რომელიც ქართველად ჩამოყალიბებისთვის აუცილებელია.

12752. კულინარია არარეალიზებული ნიჭის თავისებური თერაპიაა.

12753. ალკოჰოლის სმის ნორმა ყველამ უნდა დავამუღამოთ, რათა იმაზე ნაკლები არ შევსვათ, რაც შეგვიძლია და ჩვენთვის განკუთვნილ დროსტარებას რაღაც არ დავაკლოთ.

12754. თრობაში გამარჯვება, მოწინააღმდეგის სიფარული და დროსტარებით დამარცხება ქართული ბუნების თვისებაა.

12755. კულინარია კუჭისთვის განკუთვნილი შემოქმედებითი კავშირია, თანამედროვე დიზაინებით, ორგანოლეპტიკის შეცნობით, გურმანის წოდების მინიჭებით და მუცლის ამოყორვით.

12756. კულინარიისადმი მადლიერების გამომხატველი სინონიმებია: კერძისტი, კვებისტი, ჭამისტი, მადისტი, დესერტისტი, ღვინისტი, არყისტი და მრავალი სხვა.

12757. შეუთავსებელ ნედლეულთა შეთავსება კულინარიაში ზოგჯერ გაურკვეველ, უცნობ გემოს იძლევა და შეიძლება სამზარეულოს ახალი „ხიტი“ აღმოჩნდეს.

12758. გემრიელსა და ლამაზს შორის ზღვარის დადებას კულინარიაში დროის გათავხედება ახერხებს.

12759. ქართველები რომ ყველაზე მოხდენილები, მოხერხებულები და განუმეორებლები ვართ, ეს ბზიკი თამადის ინსტიტუტზე მეტი ყურადღებას გადატანით უნდა მოვინელოთ, სიტყვის მხატვრულად გაფეტიშება ვისწავლოთ და ეს, სულს გასათბობი საჯილდაო-სატრაბახო, სუფრაზევე დავტოვოთ.

12760. ალკოჰოლი დღეში სამჯერ, მცირე დოზით, სასარგებლოა, ხოლო დღეში ერთხელ, დიდი დოზით, მავნებელი. სიძნელე იმაში მდგომარეობს, რომ დოზის და დროის დადგენა გვიჭირს, რადგან შემთხვევა თუ მოგვეცა, მის გვარიან დაჭაშნიკებაზე უარს ვერ ვამბობთ.

12761. დაუპატიჟებელმა სტუმარმა თავისი მოულოდნელი გამოჩენის კომპენსაცია საჩუქრით უნდა გაანეიტრალოს, რათა მასპინძლისთვის და მისი სტუმრებისთვისაც მისაღები იყოს.

12762. მზარეული შეიძლება იყოს: ბარბაროსი, ინტელიგენტი, მამაკაცური, ხოლო მისი ნახელავის წერტილის დამსმელი ორგანოლეპტიკა და დიზაინია.

12763. ღვინო მიწის მადლია, დილის ცვარია, მზის ალერსია, მეღვინის სიზმარია და დეგუსტატორის ნაოცნებარის დასტურია.

12764. წესით ფლავში კარტოფილს არაფერი ესაქმება, მაგრამ გააჩნია მზარეულს, გააჩნია კულინარის ფანტაზიას.

12765. რესტორანში ჯობს მენიუ შეისწავლო, ვიდრე მიმტანს კონსულტაცია თხოვო, რადგან ის ყველაზე ძვირადღირებულ კერძს შემოგთავაზებს და „საკაპიკესაც“ მოგთხოვს.

12766. დღესასწაული და თვით ქორწინებაც არსებობს მუცლის ამოსაყორავი ან სულის გასალამაზებელი-გასალაღებელი.

12767. კი არ უნდა გამოვძღეთ და წყლით გავიბეროთ, არამედ მივირთვათ, დავნაყრდეთ, ღვინო მოვსვათ და ამ სიამის ათვისებაში განცდებით აღვივსოთ და მოლხენა ვისწავლოთ.

12768. მასპინძლის სურვილი სუფრის ეტიკეტია და მას სტუმარი უნდა დაემორჩილოს.

12769. საოცარია ადამიანის ბუნება: რესტორანში მიდის დროს სატარებლად, თავის წარმოსაჩენად მიირთმევს შხამიან თევზს, „ფუგუს“ და არ იცის, აქედან ცოცხალი დაბრუნდება თუ არა. მითუმეტეს, რომ ეს კერძი არც არაფრით გამოირჩევა.

12770. კულინარია თუ დიზაინით არის გამაგრებული, მაშინ ორგანოლეპტიკა მეორე ხარისხოვანი ხდება, რადგან გამოთქმას, „თვალი ჭამს და თვალი სვამს“, ამ საქმეშიც ალტერნტივა არ მოეძებნება.

12771. დიზაინი კულინარიაში არქიტექტურა-მხატვრობის რომელიმე ქვესპეციალობად უნდა ჩაითვალოს.

12772. რესტორნის ხარისხის დასადგენად საჭიროა ერთიდაიგივე საჭმელი ზედიზედ შვიდი დღის განმავლობაში სხვადასხვა დროს დავუკვეთოთ და თუ გემოში სხვაობას ვერ აღმოვაჩენთ, ეჭვი არაა, ეს დაწესებულება კარგია.

12773. სასმელი სიამოვნებისთვის ისმება თუ თრობისთვის, ამას არყის ხარისხი და ოდენობა განსჯის.

12774. სექსში სიამოვნების მიღებას სუფრისგან განსხვავებით ცოდნა, სულის და ხორცის შეცნობა სჭირდება და არა ჩალიჩი, რომელიც ვნების დაკმაყოფილებად მიაჩნიათ.

12775. ლამაზად ჭამა – ხელოვნებაა, მონელება – მეცნიერება, გამოყოფა – გამოგონება, რადგან კუჭის მუშაობის ციკლის სხვანაირად აღქმა მკრეხელობაა.

12776. ზედმეტი ჭამა აღზრდის, უნებისყოფობის, უსაქმურობის და „უნახავმა რა ნახას“ შედეგია.

12777. „მაკდონალდი“ ქართული სამზარეულოს დაცინვა კი არ არის, არამედ იმის მინიშნებაა, რომ ეროვნული სიმდიდრის გამოყენებას ვერ ვახერხებთ და არც შემართება-ფანტაზიის უნარი გვყოფნის.

12778. ყველაზე უკეთ ადამიანი სუფრაზე შეიცნობა, ამიტომ კადრების განყოფილებამ, დასაქმებისას, ამ კრიტერიუმით უნდა იხელმძღვანელოს.

12779. კულინარია თავისებური ხიბლის და სიამის სადო-მაზოხიზმია.

12780. თამადად მაშინ ვარგივართ, თუ უაღრესად დახვეწილი ურთიერთობა გვაქვს სასმისთან და სუფრის მადლთან, რადგან ღვინით აწეული ყველა ჭიქა შენი ენერგიით უნდა დატვირთო, თუ გსურს სიტყვის მადლმა სუფრაზე იზეიმოს და თანამეინახეთა გული სიამით დაიპყრო.

12781. კუთვნილ და ბუნებრივ სტუმართმოყვარეობას შორის ის სხვაობაა, რომ პირველი ვალდებულებაზე, შემოსავალზეა დაყრდნობილი, მეორე – გავალებაზე და სიხარულზე.

12782. წვეულება, დროსტარება, პიკნიკი, ლოთობა, ბანკეტი, ალაფურშე და სხვა მრავალი ამგვარი თავშეყრა სასმელთან ურთიერთობით იწყება და ბოლოს მაინც თრობით მთავრდება, რადგან ყველა მათგანის ნათლია ალკოჰოლია.

12783. ნახევარი ლიტრი არაყი კარგ ხასიათზე დაგვაყენებს, თუ სასმელს ჩავაცივებთ და გონებას გავაცივებთ.

12784. პატარებს ბავშვობიდანვე უნდა ვასწავლოთ დაგემოვნება, ორგანოლეპტიკა, რათა კვების პროდუქტების მოხმარება ლამაზად, რაციონალურად და უდანაკარგოდ შეძლოს და სხვებსაც ასწავლოს.

12785. სუფრაზე დღეგრძელობისას უპირატესობა უნდა მიეცეს ბრწყინვალე დღეებს, უზრუნველ სიბერეს, ახალგაზრდულ სულს და ბატონი იღბლის სადღეგრძელოს, რადგან მათ გარეშე ამქვეყნად ყოფნა არარაობაა.

12786. ზოგჯერ დაუპურებლად ნაყრდები, როდესაც კულინარულ შედევრს ხედავ, სუნს შეიგრძნობ და აღფრთოვანდები.

12787. ლოთია ის, ვინც სწრაფად სვამს, მოქეიფე კი სუფრას კარგახანს შემორჩება, ხოლო მსმელი ისაა ვისაც სასმელთან კულინარიის შედევრებთან შერწყმა შეუძლია.

12788. სუფრა, პირველ რიგში, სულის დღესასწაულია, შემდეგ მოდის, კუჭის ამოყორვა და ნერვების დამშვიდება.

12789. დღესასწაულის დღეებში სასმელისთვის ძნელი გასარკვევია ვინ კანონის დამცველია, ვინ ბრძენი, ვინ შლეგი, ის ერთნაირად ათრობს, კისერს სტეხს ყველას, ვინც სმის კულტს არ ეთაყვანება და ზომა-წონა არ იცის.

12790. მჟავე კიტრი დესერტია ლოთისთვის არაყით ,,დაბუჟების" შემდეგ, ხოლო ,,ვალიდოლი" დელიკატესია არისტოკრატისთვის კონიაკით გამოთვრობის შემდეგ და მათ შორის სხვაობაც ეს არის.

12791. ქართველს სტუმარ-მასპინძელის მოვალეობის გენი ისე აქვს ჩენრგილი, რომ გამოთქმა, ,,კუზიანს სამარე გაასწორებს", არ გამოდ-

გება – ფულს ისესხებ, თავს მოაჩვენებს და განსაკუთრებით, გადამთიელ სტუმართან არ შერცხვება.

12792. ყოველივე არაორდინალურს, უცხოს, მისთვის განკუთვნილი წესების დაცვა, ,,აღზრდა'' სჭირდება, მათ შორის, ღვინო ,,მადერას'' ტექნოლოგიას, რომელიც ერთი წლის განმავლობაში, დახურულ ხის კასრებში, ზღვაზე გემით უნდა ,,ვასეირნოთ'' ცივ და ცხელ მხარეებში. დღეს ეს პროცედურა ძალზე ძვირი ჯდება და იძულებულნი არიან მომზადების ახალი წესით და ძველი სახელით დავკმაყოფილდეთ.

12793. ღამით ჭამა უგვანოთა წესია, უდროოდ – გაუნათლებელთა. დღეში ერთხელ ჭამა ინტელიგენტთა ხვედრია, ხოლო დღეში სამჯერ ზომიერად მუცლის ამოყორვა მოქალაქეთა წესია.

12794. ღვინის სმას ცოდნა სჭირდება, ამ უკანასკნელს – გამოცდილება, ხოლო თრობას – ნაბახუსევიდან თავის დაძვრენის მცდელობა.

12795. მზარეული კერძის ნაკლის დასაფარავად ,,მაიონეზს'' იყენებს, ხოლო მასპინძელი სუფრის სიღარიბეს ღვინის ხარისხით და გართობით აგვარებს.

12796. ჭამა იგივე ნარკომანიაა, მაგრამ ადამიანის უზომო გასუქებაში დამნაშავეა არა კუჭი, არამედ უმუხრუჭო ტვინის უჯრედები, რომელსაც ჩვენი შეჩერების უნარი რატომღაც დაკარგული აქვს.

12797. ღვინის ღირსების შეცნობა-დაჭაშნიკება ერთეულ გენიოსთა ხვედრია, მაგრამ მისი ფართო მომხმარებელი ძირითადად ამ დარგის უცოდინარია.

12798. ,,წარაფის'' დაფასებას, ასაკი და თანამეინახეებთან დროსტარების გამოცდილება სჭირდება.

12799. ქართული სიმღერის პოლიფონიის ძალა ქართული ღვინო და მისი სმის კულტურაა.

12800. სასმელს ზოგი მიირთმევს, ზოგი სვამს, ზოგიც სტომაქში ასხამს. შედეგი ერთია.

12801. კონიაკის მირთმევას, ხარისხის შეფასებას, დაჭაშნიკებას, გამოცდილება, წესი და ,,შთამომავლობის'' ცოდნა სჭირდება.

12802. ჯობს რთველგადახდილ ხალხთან გვქონდეს საქმე, ვიდრე ომგადახდილთან, რადგან ამ უკანასკნელთან ვალში ვართ, ხოლო პირველს ყველას ვალი მართებს, ვისაც დროულად ვერ გაუმასპინძლდა.

12803. კუჭის გენიასა და მუცლის ზვარაკს შორის ის სხვაობაა, რომ პირველმა იცის მადა როგორ მოირგოს, მეორემ – ჭამას როგორ მოერგოს.

12804. ქართულ სუფრაზე თანამეინახეს იმასაც რომ ეუბნებოდე სადღეგრძელოში თუ რა ნაკლი აქვს, კარგთან ერთად, ხალხის გა-

კულტურების მადლი გაიზრდებოდა და ქართველი კაცი საკუთარ თვალში ამაღლდებოდა.

12805. კარგი ღვინო მსმელს ადინჯებს და მის გონების მოხმარებას ცდილობს, ხოლო ცუდი ტლიკინის ხასიათზე აყენებს და რას წამოროშავს, არავის უწყის.

12806. მეზობლობა, მეგობრობა, არა მარტო ღვინის ჭიქის ერთად აწევაა, არამედ თოხის წყილ-წყილად მოქნევაც.

12807. ჭამისა და სასუსნავის შეფასება-დაფასება რომ ვისწავლოთ, საჭიროა შევიცნოთ მისი ღვთაებრივი მადლი, ღირსება, ორგანოლეპტიკა და არა – პირის ამოვსება და კუჭის ამოყორვა.

12808. მთავარი საკვების ხარისხი კი არ არის, არამედ – კუჭის, რომელმაც ყველაფრის მონელება, დაფქვა, უნდა შეძლოს.

12809. სიბრძნე და სიმდიდრე პირობითი სინონიმები არიან და ერთდროულად მათთან სუფრაზე მოხვედრას არაფერი სჯობს.

12810. კუჭი ყბედობას და მორალის კითხვას ვერ უძლებს.

12811. ვინც ღვინოს უზომოდ სვამს, მოქეიფე ცხოველია.

12812. ზოგისთვის სამზარეულოში ფუსფუსი უფრო სასიამოვნოა, ვიდრე კერძების მადის აღმძვრელი სურნელით კუჭის ამოყორა.

12813. სახლში სტუმრად ის უნდა დავპატიჟოთ, ვისთანაც ყოფნა გვსიამოვნებს, რესტორანში – ვინც საქმეს სჭირდება.

12814. უზნეობად მიგვაჩნია, როდესაც სხვა ორგინალურად, თავის ჭკუაზე დროს ატარებს და ჩვენს მიწვევაზე არც ფიქრობს.

12815. ნათრობიდან გამოსვლის იმედი ისევე ალკოჰოლია.

12816. მოჭარბებული სასმელის მიღება მეორე დღეს გაიძულებს ჩაუტაროთ რევიზია საკუთარ თავს: ,,გვაქვს თუ არა ტვინი".

12817. უსაქმო დროსტარება ვერც გონიერებას რგებს, ვერც სულის ნეტარებას, ვერც ხორცის აღტკინებას, რადგან ის ხელოვნურია.

12818. ლხინი, ჭამა-სმის გადამლაშების გარეშე, იშვიათობაა, რადგან მეორე დღეს საწუწუნო და გასახსენებელი არაფერი დაგვრჩებოდა.

12819. ღვინის სმას თამადის სიტყვამზეობა და ღვინის მაღალი ხარისხი უნდა გაიძულებდეს და არა – წამხედურობა და სმის ჟინი.

12820. ღვინო თანამეინახეებს გვმატებს და არა მეგობრებს.

12821. სუფრაზე ართრობა, ესეც გონის თავისებური გადაგვარების მაჩვენებელია.

12822. ზღვის აბობოქრებაზე მეტად საშიში ღვინის ჭურის დუღილია, რადგან ეს უკანასკნელი გაცილებით მეტ სიცოცხლეს იწირავს.

12823. წარმატებული მამაკაცები ერთმანეთს კულინარიის დაგემოვნებაში ეჯიბრებიან, წარუმატებელნი – ტრაბახში: საწოლში ვინ უფრო მაგარი მამაკაცია!

12824. სტუმრის მდიდრულად მიღება, მისი უცხო და გემრიელი კერძებით გამასპინძლება, არა მარტო სტუმარ-მასპინძლის სტატუსის დაცვა, არამედ რეპუტაციაა.

12825. ალჰოკოლის მოხმარება თავის ზომა-წონას, ეშხს-უნარს, შესაძლებლობა-კაიფს, განსჯა-დამუხრუჭებას მოითხოვს თრობიდან გამოსვლის ცოდნა-გამოცდილებით.

12826. სასმელს მიირთმევენ, სვამენ, თვრებიან, ლოთობენ, ერთობიან, ერთნი სხვის დასანახად ეტანებიან, მეორენი – თანამეინახეთა მხრის დასაჭერად, მესამენი – შეხვედრის სიხარულით, მეოთხენი – სასმელის სიყვარულით, მეხუთენი – ქრონიკული ალკოჰოლიკები არიან.

12827. სვამენ ზრდილობის და არა დათრობის გულისთვის, რადგან დანარჩენი გართობა, ურთიერთგაგება, დაწყვილება, თავადვე წარმოიშობა.

12828. მთავარია როგორი კუჭი გაქვს და არა ის, რას ჭამ, ინელებ, რას მოიმოქმედებ.

12829. ჯეელობისაგან განსხვავებით, ასაკი მასპინძელს დიდ პატივს უნდა მიაგებდეს, რათა მის დაპატიჟებას გამოეხმაუროს.

12830. სტუმარი ვალდებულია დანიშნულ დროს ეწვიოს მასპინძელს და დროის შერჩევით დაემშვიდობოს.

12831. ზოგჯერ ბაზარში ისეთი ფასებია, კუჭი უარს ამბობს პროდუქტების მიღებაზე.

12832. მიპატიჟებისას პუნქტუალობა, პირველ რიგში, თავის პატივისცემაა და მერე – მასპინძელის, რათა ერთმანეთი არ ვანერვიულოთ.

12833. გაუფრთხილებლად სტუმრად ან თავხედები გეწვევიან ან უტიფარი სიყვარულით დამუღამებული ახლობლები.

12834. სტუმარსაც თავის ღირსების კოდექსი – დროულად წასვლისა – უნდა ჰქონდეს, თუ უნდა ყოველთვის სასურველი იყოს მასპინძლისთვის.

12835. კარგი საუბარი საცივივით უნდა შევკმაზოთ, შევაზავოთ, რათა სხვამ მისი გემო არა მარტო გაიგოს, არამედ გაითავისოს.

12836. ყოველივე კუჭით იწყება და მასთან გარიგებით წყდება და მთავრდება.

12837. სადღეგრძელოები არსებობს გასაფეტიშებლად გამზადებული და ვეტოდადებული, რადგან პირველი საზოგადოების მოსალხენადაა გათვალისწინებული, მეორე – შენობებში საჭუკ-ჭუკოდ და ცხოვრებაზე გულის მოსაფხანად.

12838. ღვინის სმა, უპირველესად, სმის კულტურას მოითხოვს, მხოლოდ ამის შემდგომ გაქვს უფლება მიირთვა და ისიამოვნო.

12839. პროდუქტის დაგემოვნების ფილოსოფია, გემოს შეგრძნების თეორია და პრაქტიკა, როგორც მეცნიერების სხვა დარგები, სკოლებში უნდა ისწავლებოდეს, თუ გვინდა ფალსიფიცირებას, სიყალბეს გზა არ გავუხსნათ დახლებთან.

12840. ალკოჰოლს ანგელოზი და ეშმაკი ერთ ჭიქაში ჰყავს გამომწყდეული და ვინ ვის აჯობებს, მსმელის „მარიფათზეა“ დამოკიდებული.

12841. ალკოჰოლი ის აპრობირებული ელექსირია, რომელიც სულიერ ტკივილს, ყოველგვარი დიაგნოზის გარეშე, თავის ტკივილზე ცვლის.

12842. ბაასისთვის სასმელის მოშველიება შეშლილების ყრილობაა და ერთი შეხედვით, ყველაზე დიდი ცოდვაც, რადგან პრაქტიკულად უაზრო სმის და გალოთების აქციაც აქედან იწყება.

12843. ლოთობის შედეგად იმ ნოხზე წამოწვები, მოიკალათებ, რომელიც კედელზე ჰკიდია, რადგან სიმთვრალე „სასწაულების“ სფეროა.

12844. ხშირად კულინარია და მოლხენის კულტურა წარმოაჩენს ადამიანის ქცევის ნორმებს და მის გენზე დროებით გავლენასაც ახდენს.

12845. ყველა ხალხის სამზარეულო უნიკალურია, თუ სათანადოდ გათვითცნობიერებულ გურმანს მის დასაგემოვნებლად მოვნახავთ, ტრადიციების გათვალისწინებით.

12846. მზარეულმა, პირველ რიგში, სული უნდა გაათბოს, თვალები უნდა გააოცოს, გული უნდა მიიმხროს, ამის შემდეგ მოდის ორგანოლეპტიკა, რომელიც ყველას ერთი აქვს სხვადასხვა ადაპტორებით.

12847. არის სადღეგრძელო, რომელიც დროულად უნდა შესვა, შეიძლება დაგავიწყდეს – ესაა მასპინძლისა, არის ისეთიც, რომელიც თავს არ დაგავიწყებს – წამსვლელ-დამრჩენის.

12848. სუფრის თამადობა მოფერების ხელოვნებაა „კუდის გამობმით“, თანამეინახეთა შექებით, დაყვავებით და დითირამებით.

12849. შიმშილი ზოგჯერ გვაიძულებს ტკბილად და უდარდელად ვიძინოთ, სანამ კუჭის სამართლიანი მოთხოვნები ჩვენს თავქარიანობას ყურს არ აუწევს.

12850. ცივი არაყი ყოველთვის კარგად ისმება, თუ მას მოიხმარს სმის კულტურის აზრს ნაზიარები.

12851. კულინართა ხელოვნება, უპირველესად, გაფორმება, გემოა, სიახლეა, პროდუქტების ეკოლოგიაა, დანარჩენი ქიმიური შემადგენლობიდან დაწყებული დაჭაშნიკებით დამთავრებული, გურმანისთვის სხვა არაფერი ფასობს.

12852. თავად სიყვარულია არარაციონალური, თორემ ,,რაციონალური მარცვლის'' ოდენობა მასში თავზესაყრელია.

12853. სიყვარული ის ქარბორბალაა, რომელსაც ტკივილიც ახლავს, გონიერების გამონათებაც, ურჩხულის სასწაულთან ჭიდილიც, მაგრამ ყველაფერს მაინც შემთხვევა წყვეტს.

12854. იყო შეყვარებული და გიყვარდეს, ნიჭია, თვითგვემა, თავის პატივისცემა, რომელსაც შენი გარემო თავისებურად იგებს და გრძნობს.

12855. სიყვარული ეჭვიანობის და ნდობის კოქტეილის გარეშე ვერ იარსებებს, რადგან ერთი გრძნობებს ამძაფრებს, მეორე – აწრთობს.

12856. სიყვარული როგორც კი მეზობლებში ფულის სასესხებლად წანწალს დაიწყებს, მაშინ იწყება გრძნობების დევალვაცია და სიყვარულის გადაფასებაც.

12857. სიყვარული არა მარტო ტანჯვაა, არამედ უდიდესი იმედია, რწმენაა, კაიფია, რომელსაც გარკვეულ დრომდე არაფერი შეედრება.

12858. სიყვარული თუ არ კვდება, არც თვალების დაჟუჟუნება ეძლევა დავიწყებას და ისიც ჩვენთან ერთად ქრება.

12859. სიყვარულს არც კანონი აქვს და არც შებრალება, მაგრამ ყველა სიამოვნებით ემორჩილება.

12860. სიყვარულსაც თავისი ყურე, არტახები, სჭირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში ის სხვასთან გადაინაცვლებს ან მისდა უნებლიედ გადაადგილდება.

12861. არის მათემატიკური, ლოგიკური, უტოპიური და ა.შ. მეტყველება – ენა, ყველას თავის მსმენელი და თაყვანისმცემელი ჰყავს, მაგრამ სიყვარულის ენა ყველასთვის ერთნაირად საამოდ მისაღები და გასაგებია.

12862. სიყვარულში ურთიერთგაგების გამომხატველი კოცნა და მოფერება ყველა დროში და ასაკში ერთიდაიგივეა და ის სხვა სუროგატებით არ შეიცვლება.

12863. თუ ურთიერთგაგებას სიყვარულიც თან ახლავს, მაშინ მათ მცდელობას წინ ვერაფერი აღუდგება.

12864. სიყვარული არის რეალობის შეცნობის უნარის დაკარგვა და საღი რჩევა-დარიგების უგულებელყოფა.

12865. პირველ სიყვარულს ვიხსენებთ, მაგრამ მას ვერ ვუბრუნდებით.

12866. ნამდვილ სექსს ექსპერიმენტების შედეგად ვეზიარებით, ხოლო ნამდვილი სიყვარული ექსპერიმენტს ვერ იტანს.

12867. სიყვარულს სიყვარულის არ ესმის, მან ეს შინაგანად უნდა შეიგრძნოს, იფეთქოს, გაითავისოს.

12868. სიყვარულია, როდესაც მასთან ყოფნა-არყოფნა ნერვებს გიშლის და რა გწყინს და რა გიხარია, ვერ ხვდები.

12869. სიყვარული მიჩვევაა და შენი გრძნობების ქოთქოთში სინამდვილე და სიცრუე ერთმანეთში არ უნდა აგერიოს.

12870. სიყვარულს ყველა არ იმსახურებს, მაგრამ ყველას თვალი მისკენ უჭირავს.

12871. სიყვარულს სჭირდება ინტელექტი, სექსი, მამაკაცური შესაძლებლობა და მდედრის სილაღე, ერთ-ერთის უკმარისობა სულის და სხეულის ქრონიკულ დაავადებას იწვევს.

12872. სიყვარულის უჯრედებმა ყოველდღიურად უნდა იმრავლოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ღალატის კიბოს გადაეყრება და გრძნობათა ჭიდილი გამოხრავს.

12873. ნამდვილ სიყვარულს არც ერთი ჩვენგანი არ იმსახურებს, მაგრამ მამაზეციერს, ეტყობა, რაღაც გეგმა აქვს, რადგან ბევრს ამ ნეტარების უნარით დაუმსახურებლად აჯილდოვებს.

12874. სიყვარულით ქორწინების მოვალეობად გადაკეთება დამატებითი ტვირთიცაა, უპრიანიც და ხშირად სასიამოვნოც.

12875. დიდი სიყვარული განცდების და გრძნობების ჭიდილის გარეშე არ იწრთობა, ხოლო ცხოვრებასთან შებმის გარეშე არ შეიცნობა.

12876. დრო-გამოშვებით წყვილის შეხლა-შემოხლა სიყვარულის სალესი ქვაა, რომელიც მათ ურთიერთობას ამტკიცებს.

12877. სიყვარული სიყვარულის გარდა, დროის გარკვეულ მონაკვეთში, სხვას არაფერს თხოულობს.

12878. სიყვარულში ,,ისე, რა'' არ არსებობს, ან გიყვარს ან სიყვარული შეგეჩვია.

12879. სიყვარული საჩივარს ვერ იტანს და საყვედურს ყურსაც არ ათხოვებს.

12880. სიყვარული ნარკოტიკია, მის მიუღებლად.

12881. სიყვარულსა და საყვარელს შორის ის სხვაობაა, რომ პირველს არ იცვლიან, ხოლო მეორის შესაცვლელად ხელსაყრელ შემთხვევას ეძებენ.

12882. სიყვარულის ალგორითმში მრავალი გრძნობაა შერეული, რომელსაც ცოტა სიცრუე და უფრო მეტი მახსოვრობა ემატება.

12883. სიყვარული ორი ადამიანის ეგოიზმია, რომელიც მესამეს ახლოს არ იკარებს, რათა გრძნობები გადაამოწმოს.

12884. კოცნა შეიძლება ყველაზე საშიში მიკრობების გადამტანი იყოს, რომლის გარეშეც სიყვარულის კოქტეილი არ მზადდება.

12885. სიყვარული სხვაზე ფიქრი და გაფრთხილებაა საკუთარი თავის არ დავიწყებით.

12886. სიყვარულმა არ უნდა დაგვაყენოს რიგში, თორემ ცხოვრებაში რიგში ყოფნა შესამჩნევიც უნდა იყოს და დასამახსოვრებელიც.

12887. დიდება შეიძლება სიყვარულიცაა, მაგრამ დროებით და გარემოს შესატყვისად.

12888. სიყვარული ბრმაცაა და ეჭვიანიც, მაგრამ ორივეს მათთვის გასაგები მიზეზი აქვს.

12889. როდესაც გავლილ გზას საღი თვალით გადავხედავთ, ვხვდებით, რომ სიყვარულის ღირსნი არ ვიყავით და რა ბედნიერები ვართ, რომ შვილებიც გვყავს და შვილიშვილებიც.

12890. სიყვარულსა და ეჭვიანობას შორის ის სხვაობაა, რომ პირველ შემთხვევაში უყვარს, მეორეში პატივს სცემს მონაპოვარის უსაფრთხოებას.

12891. სიყვარული პანიკის გარეშე ნამდვილი სიყვარულია.

12892. სიყვარული ანგარიშს და ანგარებას ვერ იტანს, თორემ საბანკო ჩეკზე უარს არ ამბობს.

12893. სიყვარული ლამაზმანთან უფრო იაფი ჯდება ვიდრე ლამაზმანად ქცეულ ცოლთან.

12894. სიყვარული მაინც ჩუმი აუქციონია, სადაც სული ვაჭრობს და არა – სხეული.

12895. სიყვარულია ისიც, როდესაც წყვილს ერთად დიდხანს არ დაედგომებათ, მაგრამ ერთმანეთის გარეშე ცხოვრებაც ვერ წარმოუდგენიათ.

12896. სიყვარული და ბედნიერება სინონიმი არ არის, მაგრამ მათი მცდელობა ონანიზმს ვერ იტანს.

12897. სიყვარული გაჭირვებას არად აგდებს და ბევრ სიძნელეს ჰარი-ჰარალედ უყურებს.

12898. სიყვარული, პირველ რიგში, საკუთარი თავისადმი უნდა ავღზარდოთ, გონიერად ვუმკურნალოთ, რათა ეს სათუთი გრძნობა არ დავასნეულოთ და სამკურნალო არ გაგვიხდეს.

12899. სიყვარული თავისებური გრიპია, ბაცილების ნავარდია, რომელიც ცხინკებ-ცხინკებით თანდათან გაივლის, მაგრამ მთავარია გვერდითი მოვლენები და ძველი სიყვარულის „ნაშთი“ არ დატოვოს.

12900. სიყვარული ან მოკლემეტრაჟიანი ფილმია ან სრულმეტრაჟიანი ტაშ-კომედია ან დაუმთავრებელი სერიალებია, ან შენი ცხოვრებაა კინო, სხვას რას უწოდო, არ იცი.

12901. სიყვარულს ისეთი ნავთსაყუდელი უნდა შევუქმნათ, სადაც, ღელვისგან განსხვავებით, ცუნამი ვერ აღწევს.

12902. სიყვარული არა მარტო აღგვაგზნებს და დროებით გადაგვაგვარებს, არამედ ცხოვრების ბილიკიდან ჩვენთვის განკუთვნილ გზაზე გვაყენებს.

12903. ბოლომდე უთქმელი სახის გამომეტყველება შეიძლება ნამდვილი სიყვარულისკენ გადადგმული ნაბიჯი იყოს.

12904. დიდი სიყვარულია მაშინაც კი, როდესაც შორიდან გიყვარს, მაგრამ მასთან დიდხანს ყოფნა არ შეგიძლია.

12905. სიყვარული გატაცების გარეშე ვნებაა, რომელიც ბუნებრივ მოთხოვნებს ემორჩილება.

12906. სიყვარულისთვის მანამ უნდა ვიბრძოლოთ, სანამ შანსი გვაქვს, შემდგომ თანდათან თადარიგში უნდა გადავდგეთ, რათა მომდევნო სიყვარულს ადგილი გავუთავისუფლოთ.

12907. სიყვარულის ობიექტს ხშირად არ აქვს სურვილი, რომ წარმოსახვითი იყოს – მუქთახორების შემოსევას უფრთხის.

12908. „თუ სიყვარული სიცოცხლეს გვიმოკლებს, ტრფობა სიცოცხლეს აგრძელებს“, მაგრამ რეალურს, გონიერებასთან ჩართულ სიყვარულს, უდროოდ ვერაფერს აკლებს.

12909. სიყვარულის ელექსირს გამოგონება არ უწერია, ამას ტრფობის ჰორმონები არ დაუშვებენ.

12910. გონიერების თუ უგონობის გვირგვინი, გარკვეულ დრომდე, მაინც სიყვარულია.

12911. სიყვარული არენდას მანამ არ იხდის, სანამ მაჭარია და არ დაღვინდება.

12912. წყვილები მაშინაც შორდებიან ერთმანეთს, როდესაც უყვართ, ან ერთ-ერთმა გადაიყვარა, არ უყვართ, მაგრამ ერთმანეთთან ყოფნა სიამოვნებთ, ხოლო დანარჩენი ტრფობის ინტეგრალებში გაუგებარი იყო, გაუგებარია და მარადჟამს გაუგებარი დარჩება.

12913. ძალას სიყვარული თანაუგრძნობს, ხოლო რწმენა ემორჩილება.

12914. სიყვარული, პირველ რიგში, გრძნობების ჩოჩქოლის თავშეყრის შედეგად გადამოწმებული თაიგულია, რომლის სილამაზე, სურნელი, ორივესთვის უკვე მისაღებია.

12915. სიფვარული ცხოვრების რა ბურუსში უნდა გავხვიოთ, მაინც თავისი წესებით თამაშობს და თუ მან ვნებათა შერწყმა დროულად ვერ მოასწრო, სიფვარულიც იქ მთავრდება, ყოველგვარი წესების გარეშე.

12916. ჯობს ვაკეთოთ კარიერა და შემდგომ სიფვარულის მცდელობას ხელი გამოვკრათ, რადგან ადრე თუ გვიან ის მაინც გაგვაწბილებს.

12917. როდესაც ძველი სატრფოს ტელეფონი გვავიწყდება და მასთან ფერების მოთხოვნილებას მივყავართ, ან გრძნობების აფეთქებასთან გვაქვს საქმე, ან სიფვარულის განმეორების მცდელობასთან.

12918. სიფვარული სამყაროს ყველა წარმომადგენელისთვის აუცილებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი დეგრადირება დაიწყება.

12919. უღრუბლო სიფვარული არავის სჭირდება, მაგრამ ქარიშხლიდან უნდა დავიცვათ, თუ გვინდა მისი სიამის ნექტარი ბოლომდე ვიგემოთ.

12920. სიფვარულსაც ზოგჯერ შეკურთხება სჭირდება, რათა საბოლოოდ ჩვენთან დარჩეს და გრძნობების შემოტევით გონიერებაზე არ იჩალიჩოს.

12921. სიფვარულს თავისი სუნი, სიმპათიები, ხრიკები და სხვა მრავალი განაგებს და გულის ფრთხიალით კალმახივით ამოგვათრევს ტრფობის ჭაობიდან სანატრელი მდედრის ხელში ჩასაგდებად.

12922. ერთგულება მოიპოვება ცოდნის, შიშის, წარმატების, მორჩილების კოქტეილით, რომელიც რატომღაც სიფვარულთანაა გაიგივებული.

12923. სიფვარული, პირველ რიგში, საიმედო ზურგია, რომლის გრძნობების ჩოჩქოლს დაღვინების ასაკი უკეთ შეიცნობს.

12924. სიფვარული გონიერებას მარწუხებში არ ეტევა, გულის პარკუჭებში ადგილს ვერ პოულობს, მისი მკურნალი ისევ დროა და შემთხვევით ბედის გაელვების კაპრიზი.

12925. მთელ მათლაფა ბედნიერებას და უბედურებას სიფვარული შეგვასმევინებს დაუფიქრებლად და ხშირად ჩუმად, ჩვენივე თანხმობით.

12926. პატივისცემა, მოთმინება, მუდმივია სიფვარულში, რადგან სხვას ყოველივეს ყავლი გასდის ასაკის და დროის შესაბამისად.

12927. ნამდვილი სიფვარული საჯილაოა, ის უფრო მოწონებისკენ და ურთიერთგაგებისკენ იხრება.

12928. სიფვარული და მოვალეობა სხვადასხვა ცნებაა, მაგრამ უპასუხისმგებლობას, შეუთავსებლობას ვერც ერთი ვერ იტანს.

12929. სიყვარულის მითებთან დროებით გაყრა რეალობის შესაგ-რძნობად შეიძლება სასარგებლოც იყოს ქრონიკულად შეყვარებულ-თათვის.

12930. როდესაც გიყვარს, გეშინია კიდეც და ფრთხილობ, რათა გრძნობებს ვნება არ მიაყენო.

12931. სიყვარულის ყველა ვარიანტის შენარჩუნება შეიძლება თუ ურთიერთობის საფუძველი ტრფობაა.

12932. ქალი ყოველთვის წესების დაუცველად თამაშობს, რადგან ვერ ერკვევა როდის არის ბედნიერი.

12933. მიზანზე წინ შეიძლება სიყვარული დავაყენოთ, მაგრამ არა ყოველთვის.

12934. სიყვარული თავისებური ნერვების თამაშია, რომელიც, თუ დავამუღამეთ, მთელი სიცოცხლე გრძელდება.

12935. შემოქმედება ყველაფერი, რაც სიყვარულს ემსახურება და ემონება.

12936. ლამაზი თვალების ჟუჟუნი მეგობრობას ვერ ამაგრებს, მას საერთო ინტერესების ბაზისად სიყვარული სჭირდება.

12937. სიყვარულს მისმა ნიჭმაც უნდა აუბას მხარი, წინააღმდეგ შემთხვევაში, საიმედო ვერ იქნება.

12938. მთავარია, ვის წამოაგებ სიყვარულის ანკესზე და გრძნობების ტბორიდან ვის ამოიყვან და არა ის, სხვასთან რა დრო გიტარებია და ვისთან შეგიცოდავს.

12939. სიყვარული ის კი არ არის, ვისიც ხელს გაძლევს, არამედ ის, ვის გარეშე ცხოვრება გიჭირს.

12940. სიყვარულს თავისი ტოტალიზატორი აქვს, სადაც ის კი არ არის მთავარი ვინ მოგწონს, არამედ ვის ქომაგობ, რადგან ცხოვრებაში ხშირად გონებას ვენდობით და არა – დაუფიქრებელ მოწონებას.

12941. სიყვარულის ყველაზე დიდი მტერი ერთნაირი სურვილები და ცხოვრების სხვადასხვა კუთხით ხედვაა.

12942. სიყვარული რაღაცის და ვიღაცის გულისთვის თანაარსებობას გაურბის, მას ერთსახა გადაწყვეტილება სჭირდება: ან – ჰო, ან – არა.

12943. სიყვარულს, განგების ამ სასწაულს, დაუსრულებელი ხიბლი და განვითარება ახასიათებს მიუხედავად იმისა ჩვენსკენ მოიხედავს თუ გაგვებუტება.

12944. სიყვრული ის გადამდები სენია, რომელიც ხშირად აბსურ-დებს გვთავაზობს, მაგრამ ის მაინც მშვენიერია და ჩვენთვის გასაგები.

12945. სიყვარული, რომელიც აღაფრთოვანებას არ იწვევს და ცხოვრობს გარკვეული შთაბეჭდილებებით, გონების ნაყოფია და არა – გრძნობათა ღელვა-ჩოჩქოლის.

12946. არტახებში გახვეული გრძნობები სიყვარულს ვერ ეწევა, რადგან ოცნებებისათვის განკუთვნილი ფრთები შეაჭრეს.

12947. ტრფობასაც საგარანტიო ვადა აქვს, რომლის დამთავრების შემდგომ სურვილი სიყვარულისა რჩება, მაგრამ თავს ვნების დასაკმაყოფილებლად აღარ იწუხებს.

12948. სიყვარული თავისებური ფორვარდია რომელიც არც დროის ყივილს ემორჩილება, არც განგების ნებას და ვნების გოლი იქ გააქვს, სადაც არ ელი.

12949. სიყვარულს და ბედნიერებას ფასი არ ადევს და არც ხარისხში აყვანა სჭირდება.

12950. ჩვენი იდეების დედა სიყვარულია, რომლის ხშირი გადამოწმებებით ოცნებაში ვტკბებით და ვნეტარობთ.

12951. ხელდამწვრობა, ზომიერება სიყვარულს არ უხდება, მაგრამ გააჩნია გამცემს და მიმღებს, ვის რა სჭირდება და როგორ აღაფრთოვანებს.

12952. სიყვარული თავისებური კიბოა, კეთილთვისებიანი სიმსივნეა, სად აღმოგაჩნდება და როდის, არავინ უწყის.

12953. სიყვარული გატაცებასა და ცნობიერებას შორის მერყეობს და გონების შეწუხება აქ არაფერ შუაშია.

12954. სიყვარული მეცნიერულ შესწავლას არ ექვემდებარება, მაგრამ ამის მცდელობაში ცუდი არაფერია, რადგან არც ალბათობის თეორიაა ზუსტი მეცნიერება, მაგრამ მასაც ,,დიდი რიცხვების კანონი'' გამოუნახავს გამოსაყენებლად.

12955. სიყვარულის ბილიკზე სიარულს რა სჯობს, მაგრამ მასაც გაკაჟება და განსჯა სჭირდება.

12956. გამოუცდელ ტრფობას ყოველი ხორციელი და სულიერი შეხება აღელვებს, ხოლო დროის ქარცეცხლში გამოვლილი სიყვარული მოვალეობისა და ტრფობის კოქტეილშია დაღვინებული. ბედნიერები თრობას განიცდიან მაგრამ როდის, ვერ გარკვეულან.

12957. ტრფობას სამართლიანობა და კანონთან დამოკიდებულება ფეხებზე ჰკიდია, მაგრამ ხშირად ასეთ თავმოგიჟიანებულ სიყვარულს უმართლებს და ღირსიცაა, რადგან მცდელობა უნდა დაფასდეს.

12958. სიყვარულის ძალა და გაუგებრობა მის დაუფიქრებელ განსჯასა და მონობაშია.

12959. სიყვარულის პირველი ეტაპი დარიგებას, აზროვნებას და ფულის ჩარევას ვერ იტანს.

12960. სიყვარული თავისებური ტერორია, – უეცრად შემოგეჭრება, გრძნობების ულტიმატუმს წამოგიყენებს, ან დაგიმორჩილებს ან სულის მახსოვრობას დაგიზიანებს.

12961. სიყვარული დიდი ციფრების კანონს არ ცნობს, მისთვის ციფრი „ერთიც“ საკმარისია გრძნობების აღსრულებისათვის და სულის მისათვისებლად.

12962. სიყვარულს არც დედამიწის ელიფსის ფორმა აინტერესებს და არც – განგების ნება, მისთვის მთავარია, რომ უყვარდეს. ხოლო ამის შემდგომ მოდის გაცნობიერება და ცხოვრებაში დამკვიდრების მცდელობა.

12963. სიყვარულს ბაზის უცვლის მერკანტილობა, წვრილმანი ანგარება და არა სიხარბე, რომელიც მუდმივი არ არის.

12964. სიყვარულის დაშლა სხვადასხვა ელემენტებად და რამერუმეებად შესაძლებელია, მაგრამ ტრფობა არ გამოდნება, რადგან სულის რაობაში ჩასარევად გონება ნებართვას ითხოვს.

12965. მოდა სიყვარულზე არ მოქმედებს და – პირიქით, მაგრამ ერთმანეთის გარეშე ყოფნა ორივეს უჭირს.

12966. ტრფობის მადლი რომ შეიგრძნო, ზოგჯერ ჭკუის ხახუნიც აუცილებელია.

12967. სიყვრულის ვნება, ავხორცობა, ცალ-ცალკე ყველა საჭიროა, ოღონდ გრძნობათა კოქტეილში არეულ-დოზირებული.

12968. სიყვარულის აღმშენებლობაც შეიძლება, თუ ტრფობას სამშენებლო მასალა მოაქვს და გრძნობას ხელების დაკაპიწება არ ეზარება.

12969. სიყვარულის გარდა სამყაროში ყოველივე ცვალებადია, ექსპერიმენტული და განვითარებადია.

12970. სიყვარული რომ გამოცადო, გრძნობათა მორევში უნდა შეტოპო, შეტოპვის ფასი რომ გაითავისო, მასში მოხდენილად უნდა ჩაიძირო, რომ ჩაიძირო, ტრფიალი უნდა იყო, ხოლო ტრფიალის ფასი რომ შეიცნო, ვიღაცას და რაღაცას თავდავიწყებით უნდა ეთაყვანებოდე.

12971. სიყვარულს ეკონომიკა დრო და დრო მიწისძვრის მაგვარ გამოცდას უწყობს, რათა გადაამოწმოს, სად არის ნამდვილი ტრფობა და სად მატერიალიზმისკენ გადახვევა.

12972. სიყვარული რჩეულთათვის ნაჩუქარი ბედნიერებაა, რომელიც უყურადღებობის და შემთხვევის წყალობით შეიძლება ისე გაგვეპაროს, უკან არ მოიხედოს.

12973. მგზნებარე სიყვარული, ნამდვილი სიყვარულისგან განსხვავებით გადაცდენასაც არ პატიობს, სულ სამაგიეროს გადახდის ცდაშია ე.ი. სიყვარულსაც თავისი განზომილება, თავმოყვარეობა და შენდობის წესი გააჩნია.

12974. სიყვარულის ბოლო მაინც შერჩევა, შედარება, მოვალეობა და ბედთან შერიგებაა.

12975. სიყვარული მამრისთვის სათაგურია, რომელშიც მდედრის სატყუარი დევს ოჯახის შექმნით და შვილების იდეებით.

12976. სიყვარული რჩეულთა ყოველდღიურობაა, ჩვევაა, მისწრაფებაა მოჭარბებული ვნების გამოსაკვებად.

12977. სიყვარულის გაყოფა შეიძლება და არა არჩევა.

12978. სიყვარული მუშტების ქნევითაც შეიძლება, მაგრამ არა პოპულარულია, ხოლო გარეშე თვალისთვის ველურობაა და მიუღებელი.

12979. კარგი სამსახურის დაწყება ცხოვრების ახლად დაწყების ტოლფასია, ხოლო სასურველი სატრფოს პოვნა – სიცოცხლისა.

12980. ყველაზე რაციონალურ ხალხზეც კი გრძნობები ბატონობს თუ მათ სიყვარული წილში ჩაუჯდებათ.

12981. გრძნობათა ღელვა განცდების საწყისია, რომელზეც გონიერების დამატება ტრფობას აუმჯობესებს და სიყვარული ხარისხში აჰყავს.

12982. სიყვარულის ალგორითმი გაცილებით მაღლა დგას, ვიდრე ტრფობის საწყისების გაცნობიერება.

12983. გრძნობას და სიყვარულს დრო გადაამოწმებს, მაგრამ საეჭვო ტრფობის შემოწმებას დროის გაყვანით, სწავლის, კარიერის მომიზეზებით, უნდა შეეცადოთ.

12984. სიყვარული განწყობა, მოწყობა და ოცნების თავდავიწყებული მშენებლობაა.

12985. სიყვარული მუდმივია, არშიყობა – შიგა და შიგ.

12986. სიყვარული კვადრატში, კუბში, ძნელი გადასატანია, მაგრამ თუ მას აბდა-უბდა გრძნობების და ყოფიერების გორგალის გახსნაც დაემატება, ეს უკვე ტრფობა კი არა, ვნების შედეგად ამოვარდნილი ქარიშხალია.

12987. სიყვარული ჯერ კიდევ არ იძლევა დაწყვილების უფლებას, თუ მას არ დაემატა რეალობაში გადახარშული ურთიერთგაგება, ვნებათაღელვის და მოთმინების უნარის შერწყმა.

12988. სიყვარული ვირუსული გრიპია, რომლის გადატანას ზოგს ერთხელაც სანატრელი აქვს, ხოლო რჩეულთათვის ყოველწლიური ეპიდემიაა.

12989. სიყვარული თავისებური ინტრიგაა, ხრიკების მოწყობაა, რადგან ცარიელი ტრფობისგან პრაქტიკული გამოსავალი მცირეა და უკმარისი.

12990. სიყვარულის აკრძალვა შეუძლებელია, მაგრამ შენიღბულად მისი მოსპობა და განადგურება, სამწუხაროდ, შესაძლებელია.

12991. სიყვარულს შეიძლება რეფორმები არ უხდება, მაგრამ უდავოა – ალამაზებს.

12992. სიყვარული ის სამუშაო პროფილაქტიკაა, რომელიც მოგვდრეკს და ფუფუნებაში ყოფნას გვისპობს.

12993. იდეასა და სურვილებს შორის ის სხვაობაა, რომ ამ უკანასკნელის გარეშე რაიმეს კეთება და ოცნება გამორიცხულია.

12994. სიყვარული თავისებური სისულელეა, აბდაუბდა, ჩმახია, მიდებ-მოდებაა, მაგრამ ასე გასაგები და სანატრელი ადამიანთა მოდგმისთვის.

12995. თვითმყოფადი, მუდმივი სიყვარული თავისებური სამუშაოა, კარიერაა და შინაგანი სიამის შეცნობაა, რომლის განცდა-გადატანაში ვერავინ შეგეცილება.

12996. სიყვარულზე დრო და საუკუნეთა ორომტრიალი, მოწონებისგან, მოდისგან განსხვავებით გავლენას ვერ ახდენს.

12997. სიყვარული მისტიური, ინტერნაციონალური, დაუზარებელი, შეუცნობელი მოვლენაა, რომელიც ორის სულის და სუნის გამოძახილია.

12998. სიყვარულის დასაბრუნებლად ტიტანური ძალისხმევა და ეშმაკობაა საჭირო, მაგრამ ტრფობის ბაცილა დაბრუნდება თუ არა, არავინ იცის, რადგან ამ შემთხვევაში ძნელი გასარკვევია, გამარჯვებული ვინ დარჩება, ქალის სამართლიანი, თუ კაცის თავქარიანი გრძნობები.

12999. ყვლგასულ სიყვარულს თავის ხინჯი და ჭირი სჭირს, ორთავეს სხვა ადამიანი მოსწონთ, მაგრამ ერთმანეთის ჯინაზე მაინც ერთად ცხოვრობენ და ესეც თავისებური სიყვარულია.

13000. როდესაც საქმე თვალების დაჟუჟუნებას ეხება, აქ შეიძლება წყვილისთვის სულის „კვანტური“ ამაჩქარებლები მოძრაობდნენ, რაიც უკვე სიყვარულია.

13001. სიყვარული საიდუმლო სერობაა და ზოგჯერ პარტნიორისგან მიღებული კაიფი მასაც არ უნდა გაუმხილო, რათა მკრეხელობა არ ჩაიდინო საკუთარი სულის ვნების წინაშე, რომელიც აღდგენას არ ექვემდებარება.

13002. სიყვარული ისე არ უნდა გავერანდეს, რომ მოტევების ჟამს გრძნობათა ჩოჩქოლმა უკანსვლა არ ისურვოს.

13003. სიყვარულის მატარებელი ვის ბაქანთან შეჩერდება და ვის როგორ „ჩამოაპლაცკარტებს“, არვინ უწყის.

13004. ტრფობა შეუზღუდავი გრძნობაა, თუ პლატონური სიყვარულის ელემენტებსაც იყენებს.

13005. სიყვარული ხშირად უგვანობაა სამართლიანობის გადასახედიდან, რომელსაც იგი არ ცნობს.

13006. სიყვარულს ზარალი არავისთვის მოუტანია, მაგრამ ცხოვრება სიამით, ვნებით, გართულებაა.

13007. სიყვარულს არ სჭირდება მსხვერპლი, თუ უგუნურების მარწუხებიდან გამოვათავისუფლებთ.

13008. სიყვარულის პროცენტის დადგენა არ ხერხდება. ეს განზომილება იმდენად ცვალებადია სულის რაობის ხელყოფით.

13009. სიყვარული ის სამუშაოა, რომელშიც ვნებას აბანდებენ და რომელიც იმ უკუგებას იძლევა, რასაც ვერაფერი მოგება ვერ შეედრება. ამ ჭეშმარიტებას სიბერეში ვხვდებით.

13010. სიყვარულს აღფრთოვანების გარეშე ფასი არ აქვს, ხოლო კაპრიზს – პეწი.

13011. სიყვარული ყველაზე ლამაზი, მომხიბვლელი, მართალი, სექსუალური, ყოვლისშემძლე გრძნობაა გარკვეულ დრომდე.

13012. სიყვარული განცდების, ტანჯვის, სისულელეების ჩადენის, გარეშე გრძნობების დემონსტრაციაა და მოწონებაში არ უნდა შეგეშალოს.

13013. სიყვარული ღალატს ვერ ეთვისება, მაგრამ ხუშტურების გასწორება ინსტინქტების ხარჯზე ხვადისთვის სასიამოვნო ბედისწერაა და მისგან თავის დაძვრენაც ჭირს.

13014. სიყვარული სულის, გრძნობების, ბრილიანტია, სანამ მასში ხორციელი ვნება არ ჩაერევა და იშვიათად თუ მას საწყისი დოზით ვინმე შეინარჩუნებს.

13015. სიყვარული მაინც ჩვენი ნაოცნებარის შეკვეთაზე და გათავხედებაზეა დამყარებული.

13016. სიყვარული ორთა გულის სერობაა, თავისი მოთხოვნებით, შესაძლებლობებით, რათა თეორიულად ნაოცნებარის რაღაც ნაწილს ხელი გამოჰკრან და დააგვირგვინონ.

13017. ცივილიზაციის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ სიყვარული დღესაც შესაძლებელია გრძნობების აღმაფრენით და ტრადიციების მოშველიებით.

13018. თვალების დაჟუჟუნება, სხეულის სურნელის შეცნობა, ჰანგებით ტკბობა, მომნუსხველი სიტყვების კორიანტელი, სულის დასაფრენი ადგილის ძებნა და მრავალი სხვა შეუცნობელის აღრევა ყოფიერების კოქტეილში არის ის, რასაც სიყვარულად ნათლავენ.

13019. სიყვარული სულის ჩუმი სერობა და ხორცის ახირების სასწაულია, რომლის წინასწარ გამოცნობა შეუძლებელია.

13020. სიყვარულის ამოცნობა ძნელი არ არის, მისი დროის ხანგრძლივობის დადგენაა ძნელი.

13021. სიყვარულისთვის უსისხლო ბრძოლა საჭიროც არის და აუცილებელიც, რათა ცხოვრების გეში არ დაიკარგოს.

13022. „მე შენ მიყვარხარზე" პასუხი უარყოფითი მეტი მოდის და ეს გრძნობათა ხელშეუხებლობის ის პროფილაქტიკაა, რომელიც სიყვარულს ჩვენს თვალში აამაღლებს, წარმოაჩენს და საინტერესოს ხდის.

13023. სიყვარული მოწოდებით თავისებური პროვოკაციაა საკუთარი „მეს" წინაშე, რადგან ის თავისებურ ნიჭს, შემართებას და ვერაგობას მოითხოვს.

13024. ის სიყვარულია ყოველთვის ჩვენთან, რომლის მოსაპოვებლად რას ჩავიდენთ და მოვიმოქმედებთ არ ვიცით.

13025. ნამდვილი სიყვარული ერთეულთა ხვედრია, რომელთა სულის კაპრიზი ისე არ ჩაგვიქროლებს, თუ გრძნობები არ აგვირია.

13026. სიყვარული მიდის, მაგრამ პატივისცემა, ერთგულება, ადგილზე რჩება, მისი ადგილიდან დაძვრა და მასზე გადაბიჯება არც თუ ისე ადვილია.

13027. სიყვარული ყველაზე დიდი რელიგიაა, ღვთაებაა, წესიერებაა, ხატია, ასე, რომ მამაკაცად დაბადებული ჯანმრთელი ადამიანისათვის სხვა მრწამსი მიუღებელია.

13028. სიყვარული თავისებური ძალაუფლებაა თავისი დემოკრატია-დიქტატით, ოღონდ ურთიერთგაგება-ურთიერთთანაარსებობის სურვილით და შესაძლებლობით.

13029. ფაქტიურად უყვართ არაფრისთვის, რადგან ეს მათი გენისთვის, კოდისთვის, ჯიშისა და ჯილაგისთვის, მისაღებია.

13030. სიყვარულის აკრძალვა შეუძლებელია, რადგან არ არსებობს ძალა, რომ ის დააჩოქოს, მანამ თვალებზე ვნების ბინდი აქვს გადაფარებული და გონება უსულოდ თუხთუხებს.

13031. სიყვარულის გვერდით ყოველთვის ვერაგობა და ღალატი დაეხეტება, რომლის თვალშიც ღირსება, ტრადიციები, არაფერს წარმოადგენს.

13032. ,,ვალდებული ხარ“! – სიფარულს ვერ ეთვისება, მაგრამ მოვალეობათა გარეშე გრძნობები დაძმარდება.

13033. არსებიბს ფანტასტიური, გულისხმევითი, შეგუებითი, მოწონებითი, გარიგებითი სიფარული, სადაც პირველი – შეიძლება პოეზიით დაიწყოს და თეთრი ლექსით დამთავრდეს, მეორე – გულისხმევიდან იწყება და შეიძლება გულისმანკში გადაიზარდოს, მესამე – გონების გადაღლით იწყება და გონების ჭრაჭუნით მთავრდება, მეოთხე – ქარის ქროლვასავით იწყება და წყნარ შტილად შეიძლება დაუბეროს, მეხუთე – ორივე ოჯახის შესაქმნელადა მზადაა და ხშირად ცხოვრების ლელო ბოლომდე გააქვთ. ასე და ამრიგად, სიფარულსაც თავისი ალგორითმები, ლოგიკა, თეორემები, ინტეგრალები, ფორმულები აქვს, რომელიც პრაქტიკულად ,,ეს ასე უნდა იყოს“-გან მაინც მოშორებით დგას.

13034. სიფარულზე გაბრაზებაც შეიძლება თუ ის ახალი ენერგიით, ვნებით და წარსულის სასიამოვნო მოგონებებით გვინდა დავტვირთოთ.

13035. ფრთაასხმული სიფარულის საფრენად გამოუყენებლობა საცოდაობაა.

13036. ქალები არიან: სულის გამანათლებლები, სხეულის გადამღლელები და სიმყუდროვის შემქმნელნი. პირველს ღვთაება ქვია, მეორეს – ოცნების ნახლაფორთალი, მესამეს – ცოლი. თუ ამ სამ განზომილებას გავაერთიანებთ და კვადრატში აყანაც მოხერხდება, მივიღებთ სიფარულს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ტრფობის საწყისებით უნდა დავკმაყოფილდეთ.

13037. ნამდვილი სიფარულის წინაშე უძლურია თვით მარადისობაც, რომელსაც ღალატის საფასურად უკვდავებით მოსავენ.

13038. მდიდარი ქალბატონების საზოგადოებაში თავს ვერ გაიტან, თუ იმ სისულელით დაავადდები, რომელსაც სიფარული ჰქვია, რადგან აქ მიწიერებაა მოდაში და არა – სულიერება.

13039. როდესაც სიფარულით ქორწინდებიან, ეს იმას არ ნიშნავს რომ ვაკანსია გამოთავისუფლდა, რადგან ოჯახის შექმნას სხვა განზომილებანი სჭირდება.

13040. გაწბილებულ სიფარულში წყალი ყოველთვის წაგებული რჩება, რადგან ნაღდი გრძნობების ათვლა-გადაფასება დაიწყო.

13041. ზოგჯერ სიფარულის სახელით ვკლავთ ადამიანს და სადღაც ვამართლებთ კიდეც და ეს არის ყველაზე დიდი დაცინვა.

13042. სიფარულის მხოლოდ სიამით უნდა გვშურდეს და სხვა გრძნობების მის მიმართ გატარება მკრეხელობაა.

13043. ფაქტიურად ყველგან და ყველაფერში სიყვარულის ფენომენია დამნაშავე, მაგრამ მას არც ალიბს სთხოვენ და არც პასუხს აგებინებენ.

13044. ბედნიერება არ იყიდება, მას იმსახურებენ ან პრივატიზაციას უკეთებენ შეყვარებული ქალები.

13045. სიყვარული დაბადებიდან უნდა დაგვყვეს, რადგან ის სათუთ-მსხვრევადი გრძნობაა და შეძენას არ ექვემდებარება.

13046. სიყვარულს სამყაროს შეცვლა არ შეუძლია, თორემ ქალისადმი ტრფობა, გაბუტულის თავისკენ შემოტრიალება და დაყვავება არ ეშლება.

13047. სიყვარულის კლანჭებში მოხვედრილს საქმიანობა, ხელოვნება, წარმომავლობა და სხვა ამგვარი „სისულელე", გარდა ვნებისა, არ აინტერესებს.

13048. სიყვარულის განტოლების მიღება სიამით უნდა შეძლო, წინააღმდეგ შემთხვევაში, მის დღესასწაულს ვერ აღიქვამ.

13049. თემა სიყვარულზე და საყვარლებზე უსასრულოა, მაგრამ ყველა დროში სამახსოვრო და სიამის მომგვრელია.

13050. ცხოვრების მეგობარი ჩვეულებრივი სიყვარულია – ტრფობის პერიოდის გამოტოვებით.

13051. თუ გაგვიმართლა, ნამდვილი სიყვარული მხოლოდ ერთხელ მოდის, ხოლო ტრფობა, ვნებათაღელვა, „მეგონა მიყვარდა", მოწონება, შეუცნობელი ადამიანური მოთხოვნილებაა, რომლის მიხვედრას დრო, სულის გვემა და ფეხის რამდენჯერმე წატეხვა სჭირდება.

13052. სიძულვილსა და სიყვარულს შორის არჩევანიც კი შემთხვევის წყალობაა და არა – ბედისა, იმდენად ახლო დგას ეს ორი მონსტრი ერთმანეთის გვერდით.

13053. უდროოდ დაქვრივებულმა ქალმა მეორე ტრადიციული ოჯახი შექმნა სიყვარულით, მაგრამ რამდენად სჯობნის ეს სიყვარული პირველს, ვინ უწყის, ან ჯობს კი? ვინ იცის რა არის ნამდვილი სიყვარული, როდესაც ყოველივეს შემთხვევის ჰოროსკოპი წყვეტს.

13054. სიყვარული და რწმენა ჭკუის თავისებური სერობაა, რომლის ახსნას არ უნდა ვეცადოთ.

13055. სიყვარული პირველ რიგში ოპტიმიზმია, საერთო პასუხისმგებლობაზე ფიქრის გარეშე, რომლის შეცნობის აუცილებლობა თანდათან მოდის.

13056. სიყვარულია, როდესაც პარტნიორის უსიტყვოდ გჯერა, ხოლო თუ მტკიცებას ითხოვს, ტრფობის ელემენტებთან გაქვს საქმე, ვნების წამატებით.

13057. სექსში ინტიმური მუხტების შეცნობა გააზრებული ვნებით – სიფვარულია.

13058. წფილის თავდავიწფების გაგრძელება ვნების შეცნობაა დამუღამება-დაოკებით, საკუთარი „მეს“ წარმოჩენით – სიფვარულია.

13059. შეფვარებული მდედრისთვის მამრი აზროვნების ერთადერთი წყარო არ უნდა იყოს, თავადაც უნდა ჩაუჯდეს ვნების ჭკუათმყოფელობა გარჯის წილში, თუ უნდა ტრფობის ელემენტები შეინარჩუნოს.

13060. სიფვარულია ის, რაც ჩაუწყობლად თავად გვეწვევა, გარკვეულ დრომდე გონებას გვიბნევს და სხვაზე ფიქრის უფლებას გვიკრძალავს.

13061. სიფვარული ქიმიის ერთ-ერთი ბუნებრივი ელემენტია, რომელიც დაშლის და შეერთების რეაქციის შედეგად მოდის.

13062. სიფვარული იმ მსხვერპლით იკვებება, რომლის მონელებითაც სიამეს განიცდის.

13063. ქალები მსხვერპლის მიღებას და კომპრომისს არ უნდა დავაჩვიოთ, თორემ მათი მოთხოვნილების დაოკება გაჭირდება.

13064. სიფვარულის, როგორც ზღაპრის, გაფუჭება ყოველდღიური პრეტენზიებით არ ღირს.

13065. სიფვარულის საპირისპირო ვაქცინა ისევ სიფვარულია.

13066. სიფვარულის წიგნის, სექსის გვერდების გადაფურცვლა და ვნების სტრიქონების დაუფლება მთლიანად შეუძლებელია, მაგრამ სიყვარული, მცდელობა, არ უნდა დააკლოთ.

13067. სიფვარულზე უარი არასოდეს არ უნდა ვთქვათ, რადგან შედეგი ყოველთვის ფორტუნას ხელშია და მოგონება მაინც შეგვრჩება.

13068. ვისაც ტრფობა არ შეუძლია, მას გრძნობის სხვა ადაპტორებიც მიყუჩებული აქვს და თავის შეცნობა უჭირს.

13069. ქალისთვის მისაღები თავის ნაკლი, კაცის ზადია, ხოლო პირიქით – სიფვარულია.

13070. „მომწონხარ, მაგრამ არ მიფვარხარ“, საოცარი შინაარსით დატვირთული ფრაზაა, რომელიც სიფვარულს ხშირად თან ახლავს.

13071. სიფვარული სიკეთის კეთებაცაა და მაგალითების ჩვენებაც და არა მარტო ჭკუის სწავლება და დასჯა საკუთარი პირმშოსი.

13072. მოწონებასა და სიფვარულს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი დროის კაპრიზია, რეკლამა-წაქეზების დამსახურებაა, ხოლო მეორე არავითარ ზუსტ განზომილებას და გონების ყივილს არ ემორჩილება.

13073. ვნებისაგან განსხვავებით ადამიანი სიფვარულის შეცნობის გარეშე ფაუნის წარმომადგენლად დარჩებოდა და არა ბუნების „მბრძანებლად“.

13074. სინქრონული სიფარულია იშვიათობა და არა – ერთმანეთის მოწონება, თანადგომა.

13075. სექსი, ეროტიკა, ინტელექტი, სხვადასხვა ცნებაა, მაგრამ მათი ჯამი სიფარულია.

13076. ვნება ფიზიოლოგიური მოვლენაა, მაგრამ სიფარულამდე მისაღწევად ბევრი ჩალიჩი სჭირდება.

13077. საფარლისადმი უკმარისობის გრძნობა, ეჭვი მთელი ცხოვრება თან დაგვყვება და ზოგჯერ ნერვებსაც გვიწეწავს, ჭკუის დაუხმარებლად.

13078. სიფარულია უასაკო და არა – ვნება, რადგანაც მის კოქტეილში ფიზიოლოგიის ნაწილიც შედის.

13079. სიფარულში, ვნებისგან განსხვავებით, დაშორება-სიახლოვეს თავისი განტოლებები აქვს, რადგან მოშორებით ყოფნა ზოგჯერ აძლიერებს გრძნობათა ჩოჩქოლს და მაინც მოთოკვა სჭირდება.

13080. ნეტარება და სიფარული, ეტყობა, მაინც სინონიმებია.

13081. სიფარული არა მარტო სექსში გაგებაა, არამედ უდიდესი ფსიქოლოგიური ზეწოლაა სასურველი ადამიანური სუნის შერკინება-შერწყმის თანხლებით.

13082. სიფარული ორდინალურობას ვერ იტანს, ის დროდადრო არაორდინალურად უნდა წარმოვაჩინოთ.

13083. სიფარულს არ აქვს მეორე გამოცემა, მიუხედავად იმისა, რომ ახალ-ახალი წიგნების წერა ხშირად წარმატებით შეუძლია.

13084. სიფარული კორექტივებს ვერ იტანს, მაგრამ დროის გამოცდას ხანდახან ემორჩილება.

13085. სიფარული პრობლემაც არის და რეალობაც, მაგრამ ორივე შემთხვევაში შრომას მოითხოვს ალერსის და მაკიაჟის სახით.

13086. სიფარულის იდეალიზაცია დროსთან შერკინებას ვერ უძლებს.

13087. სიფარული მოდის ამურთან, ვნებასთან ერთად, მიდის შეუთავსებლობის სიმპტომების გამოვლენით და არანორმატიული ლექსიკის გამოყენებით.

13088. მიმზიდველობას კანონი და პარამეტრები არ გააჩნია, მაგრამ მის ახსნა-აღწერას, ტრფობის ალიბის მოშველიებით, ბევრი ცდილობს.

13089. სიფარული შეიძლება იყოს: ბედნიერი, ,,ისე რა", უიმედო, უდღეური, დანაშაულებრივი. გააჩნია, ვის როგორ გადმოხედავს ეს სათუთი, გაუცნობიერებელი გრძნობა.

13090. სიყვარული უფულოდ, დაუყვედრებლად, ფანატების პრეროგატივაა, ხოლო „რაღაცისთვის“ – გულშემატკივრების.

13091. სიყვარული ის ურჩხულია, რომელიც დაგბუბნავს, შეჭმას დაგიპირებს, მაგრამ მაინც ბედნიერი ხარ.

13092. ზოგი სიყვარულს კბილის ტკივილივით მანამ ატარებს, სანამ ახალ, პროტეზისმაგვარ, საყვარელს არ გაიჩენს და ბუნებრივს ხელოვნურით არ შეცვლის.

13093. ადამიანის შეყვარება მისი შეცნობის უშედეგოდ მცდელობა, რადგან სიყვარული ბოლომდე ანალიზის ჩატარების უფლებას არ იძლევა.

13094. სიყვარულს თეორიულად წინ არ უნდა აღუდგე, უნდა მოირგო, მოიშინაურო, შენს ჭკუაზე ატარო, სიამოვნებისთვის გამოიყენო, ხოლო პრაქტიკულად რა გამოტყვრება, არავინ უწყის.

13095. სიყვარული გატაცებაა, თავდავიწყებაა და არა „ვინ ვის სჯობს“ და „ვინ რაში გამოგვადგება“.

13096. სიყვარულსაც ერთგული და მატერიალურად გამაგრებული სამსახური სჭირდება.

13097. სიყვარულია, როდესაც დაუძლეველი ურთიერთგატაცებაა და განშორება ჭირს.

13098. სიყვარულის მიმართ ჩამოყალიბებული საზოგადოებრივ აზრთან შერკინება სასურველიც არის და აუცილებელიც, მაგრამ გადამეტების და გაბრაზების გარეშე.

13099. აალებადი სიყვარულის გამოცდის გარეშე ამ ქვეყნის დატოვება საცოდაობაცაა და უსამართლობაც.

13100. სიბრმავე, სიყრუე, სიყვარულის ატრიბუტია, გარკვეულ დრომდე, შემთხვევამდე, სიდუხჭირემდე.

13101. პრაქტიკულად სიყვარულია ისიც, თუ წყვილი ერთ მხარეს იყურება, მაგრამ აზრები და ხასიათი სხვადასხვა აქვთ.

13102. სიყვარული თავისებური თამაშია, ყოფის წესების დარღვევით, სადაც დროებით ყოველივეს სულიერება და ვნებათაღელვა განაგებს.

13103. სიყვარულის შეცნობა ბედნიერთა ხვედრია, რომელიც არ ცნობს არავითარ სარწმუნოებას, ტრადიციას, ვალს ვიღაცის და რაღაცის წინაშე, რასაც ზნეობად მოიხსენიებენ.

13104. სიყვარულის ძალა ძალაუფლებას არ ეპუება და ზოგჯერ გამარჯვებულიც გამოდის, რადგან ის ხშირად ჩვენი სისხლი და ხორცია.

13105. ადამიანის ბედნიერება მაშინ იწყება, როდესაც სიყვარული შეეპარება და შურს, სიხარბეს, გვერდზე მოისვრის.

13106. ზოგს სიყვარულის ისტორია ანადგურებს და სულს გასაყიდად უმზადებს.

13107. სიყვარულის დანიშნულების ახსნა უფრო ძნელია, ვიდრე მომხდარი ფაქტის ნაშიერით დადასტურება.

13108. ჯანყ მოფერებას, სითბოს, გაგებას მოკლებულნი იწყებენ, რომლებიც სიყვარულის მუზას ჯერ არ შეუწუხებია.

13109. ნამდვილი სიყვარული შანსს არ თხოულობს, რადგან თავადაა შანსი.

13110. ნამდვილ სიყვარულს ზღვარი არ გააჩნია, უბრალოდ, მას ხელი დამყოლი ხასიათით უნდა შევუწყოთ.

13111. სიყვარული ქმნის სამყაროს, უმისოდ კი მხოლოდ არსებობა გვაქვს გარანტირებული.

13112. სიყვარულისთვის სიკეთე-ბედნიერების გარიჟრაჟი აუცილებელია.

13113. პრაგმატიზმი და სიყვარული ერთმანეთს ვერ ერწყმის, მაგრამ მათი შენარჩუნება ერთმანეთის გარეშე შეუძლებელია.

13114. ძნელია განმარტო, რა არის სიყვარული და რატომ გიყვარს.

13115. მოსულ და წასულ სიყვარულს, სხვადასხვა წონა აქვთ.

13116. მითის, გამართლების, რწმენის, ფანტაზიის, გარეშე სიყვარული ცინიკურია.

13117. სიყვარული რომ რაღაც კანონზომიერებებს ემორჩილებოდეს, ასე სანატრელი არ იქნებოდა.

13118. პირველი სიყვარულის განცდა ხშირად დაუძლეველია, იმისდამიუხედავად, ერთად ცხოვრობენ თუ არა.

13119. უსიტყვოდ ახსნილ სიყვარულზე ლამაზი და დიდებული არაფერია, თუ პარტნიორი ასევე თანაგიგრძნობს და უყვარხარ.

13120. სიყვარულის გარეშე ცხოვრებაში დიდი წარმატებანი გამორიცხულია, რადგან საქვეყნო საქმის კეთებას ამაღლებული გრძნობის ჭიტლაყი სჭირდება.

13121. სიყვარული უდიდესი მუხტის და ენერგიის მომტანია გონიერებისთვისაც.

13122. სიყვარული შეთანხმება-დაყვავების გარეშე არ იქმნება და თუ იქმნება, დიდხანს ვერ ძლებს.

13123. სიყვარული თავისუფლებას თრგუნავს, მაგრამ თამამად, დაუფიქრებლად და სიამის მინიჭებით.

13124. ყველა ჩვენგანი ნაღდ სიყვარულს ელოდება, მაგრამ მასზე დასაფიქრებლად რატომღაც ვერ იცლის.

13125. სიყვარულშიც ბევრი რამ წარმავალია, ახირებულია, სუბიექტურია, იმისდამიხედვით, რომ მას ამ გრძნობათა შეჯერებაში ბადალი არ ჰყავს.

13126. სიყვარულია, თუ სიამოვნებით ვიღვიძებთ და გულით რჩეულზე ვფიქრობთ.

13127. სიყვარულის თანდაყოლილი მარაგი უდიდესი სასწაულია და ის უაზროდ არ უნდა გაიხარჯოს, იმისდამიუხედავად, რომ მისი სინონიმი გრძნობათა ჩოჩქოლია, მაგრამ სხვა მსოფლმხედველობა აქვს და ბიოლოგის სხვადასხვა განყოფილებაში იმყოფებიან.

13128. სიყვარული შემართებით, ერთდროულად სიამოვნებასაც ამჟღავნებს, თავსაც ბედნიერად გრძნობს, მოკრძალებულიცა და საზრუნავსაც იჩენს ამ გრძნობის შესაფუთად.

13129. ეკონომიკური საწვავით სიარული სიყვარულს არ მოსწონს, მაგრამ ეჩვევა თუ ენერგიის სხვა წყაროს დამუშავების უნარი გადაწურული აქვს.

13130. სიყვარულს ფელა მორბედად – ხელზე მომსახურედ ჰყავს და ამით არც არავინაა უკმაყოფილო და დამცირებული.

13131. სიყვარულის აგონია მიმზიდველია და ის განსჯას არ ექვემდებარება.

13132. სიყვარული შემთხვევითობის და აუცილებლობის თეორიას ემორჩილება, რომელშიც გაერთიანებულია: ფარდობითობის, ალბათობის, პირობითი ეტალონების და კიდევ სხვა მრავალი ამგვარი თეორია, რომელიც ჯერ არ აღმოუჩენიათ.

13133. სიყვარული დაუდეგელი ტრაგიკულ-კომედიური მასალაა, რომელიც იწმინდება იმის მიუხედავად, რომ მას ეს არ სჭირდება.

13134. სიყვარულს მარტო რეგისტრაცია არ შველის, თუ მას იმპროვიზაცია თან არ ახლავს.

13135. სიყვარული სულთა ერთიანობაა, იმედია კვადრატში, მეგზური ვარსკვლავია, ნანატრი ბედნიერებაა.

13136. სიცოცხლის ბოლო წლები რომ არ ათრიო, სიყვარული უნდა შეინარჩუნო, ვის და რის მიმართ, ამას უკვე მნიშვნელობა არ აქვს.

13137. ზოგს თუ სიყვარული არ ეკარება, არც მისგან გარბის და არც განიცდის და ესეც ტრფობის უნიჭოთათვის შეღავათია.

13138. სიყვარულიდან, რომელიც გღალატობს, მხოლოდ სინანული გრჩება, მწარე მოგონებით.

13139. სიყვარული მადასავითაა, უნდა მოემზადო და მოამზადო, მაშინვე არ უნდა მიეძალო, როცა მოგესურვება, თორემ აქეთ ქალი გაკაპასდება, იქით ღიპი გაგეზრდება.

13140. სიყვარულია, რასაც ჩვენ ვიძლევით და არა ის, რასაც წავგლეჯთ და ვნებაში ვაბანდებთ.

13141. სიყვარული შეიძლება სამუდამოც იყოს, მაგრამ ფსიქიკური გართულებებით, რომელიც ორი-სამი თვე გრძელდება თვითკრიტიკის დაქვეითებით და ღირსებათა გაფეტიშებით.

13142. სიყვარული ორი ადამიანის ენერგეტიკული გაცვლაა, რომ-ლებმაც წამის რაღაც გაელვებაში ერთმანეთი შეამჩნიეს.

13143. სხვადასხვა მეთოდით ვამტკიცებთ სიყვარულს, როდესაც ერთმანეთის აზრს ინტუიციით ვხვდებით და ვკითხულობთ.

13144. მორალურ და ფიზიკურ ღალატს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი მუდამ ღალატად დარჩება, ხოლო მეორეს დრო, ადათ-წესები და სიყვარულის მარგი ქმედების კოეფიციენტი განსაზღვრავს.

13145. სიყვარულმა, გონების არევა-დაბინდვასთან ერთად, გულის მოლბობა, შეწყარება, სულის მისალბუნება და ანგარიშის გაწევაც იცის.

13146. მცდელობას სიყვარულზე მეტის მოპოვებისას, საწინააღ-მდეგო ეფექტამდე მივყვართ და თანაც ჯანმრთელობას ვიზიანებთ.

13147. გიყვარდეს, ნიშნავს – დანახვა გიხარია, უყვარხარ; ეს სიამა-ყის ნანატრი წუთებია, ხოლო თუ გიყვარს და უყვარხარ, სურვილი გიჩნდება ყველგან სიყვარული აფრქვიო.

13148. სიყვარული თავისებური გართობაა, თავის შექცევა, თუ ფეხს არ წაიტეხ, გულს არ გაიხეთქავ და ჭკუა არ გადაგიბრუნდება.

13149. სიყვარულთან თამაშსაც თავისი წესი აქვს, მის უცოდინრო-ბას სიკეთე არ მოაქვს.

13150. ფემინისტები ერთდროულად უფლებებსაც თხოულობენ და პრივილეგიასაც, ხოლო ნაღდი ქალები მხოლოდ სიყვარულით კმაყო-ფილდებიან, რომელიც ფულითაა გამაგრებული.

13151. რაც მოგვწონს, ხშირად ანალიზის საწინააღმდეგოა, მაგრამ მისი კეთება მაინც გვინდა.

13152. სიყვარულს კეკლუცებიც და უკარებებიც თავის ჭკუაზე გადაჰყავს და მათ შორის სხვაობას სპობს.

13153. სიყვარული სულს გვითბობს, გონებას გვიხურებს, ნერვებს გვიშლის, მაგრამ მასზე სასიამოვნო შეგრძნება სამყაროს არ შეუქმნია.

13154. სიყვარულს არ ირჩევენ, ის უბრალოდ ფაქტის წინაშე გვაყენებს.

13155. სიყვარულით ნახელავი ყოველივე ლამაზი და შეუდარებელია.

13156. ყველაზე კვალიფიციური, გამოცდილი, უღალატო დაცვა სიყვარულს უნდა დაუყენოთ.

13157. ჭკვიანი ქალი სტიქიური უბედურებაა არა მარტო საზოგადოებაში, არამედ სიყვარულშიც.

13158. სიყვარული ხშირად დაუმსახურებელი საჩუქარია და არა – შენი მცდელობის, ნიჭის.

13159. ვის რა სახის სიყვარული სჭირდება, არავის უწყის, რადგან მის ნდომის ალგორითმი მარადჟამს უცნობია.

13160. სიყვარული ,,ბანკროტი'' არასოდესაა, რადგან სასიამოვნო გახსენებას მაინც ტოვებს.

13161. ნამდვილ სიყვარულს ,,მიმოქცევის'' ადგილს არ უტოვებენ.

13162. სიყვარულმა შეიძლება გაძლოს რამდენიმე თვე საერთო ინტერესების გარეშე, მაგრამ შემდგომ თავს გამოიდებს ტრფობის გასაგრძელებელი დივიდენდები.

13163. სიყვარული და შეჩვევა სხვადასხვა რამაა, მაგრამ მის გარეშე სიყვარულის უკვდავება არ გამოდის.

13164. ცხოვრება ხუთვარსკვლავიან კომფორტში რაც უნდა სასიამოვნოდ განვლოთ, ნაღდი სიყვარულის გარეშე მაინც სამიანს იმსახურებს.

13165. დასჯას თუ სიყვარული არ ახლავს, სხვაზე ხელის აღმართვის უფლება არ გაქვს.

13166. სამიჯნურო დანაკარგები ყველა ეპოქის მუდმივი თანმხლებია.

13167. ყველანაირი სიყვარული სიყვარულითვე განსჯას იმსახურებს.

13168. პლატონური სიყვარული მაშინაა შესაძლებელი, როდესაც სურვილი გაქვს და შესაძლებლობა – არა.

13169. იდეალური სიყვარული შესაძლებელია მაშინაც, როდესაც საშვია საჭირო და ისიც მიღების დღეებში.

13170. ყოველდღე ერთმანეთის ყურება და სიახლოვე დიდი გამოცდაა სიყვარულისთვის – ყველა ვერ უძლებს და რაღაც მომენტში ერთმანეთი ბეზრდებათ. ეს რომ არ მოხდეს, დროდადრო ერთმანეთს თავი უნდა მოვანატროთ.

13171. სიყვარული სირცხვილს არ სცნობს, არც აინტერესებს და არც რაიმედ აგდებს.

13172. სიძულვილიც თავისებური მძვინვარე სიყვარულია, ოღონდ მინუსით.

13173. პლატონური სიყვარულია, როდესაც შენი სათაყვანებელი ქალი პლატონასთან დადის და მასთან ლოგინში ისე იქცევა, როგორც შენ წარმოგიდგენია.

13174. დღეს არც სიყვარულის მალვაა მოდაში და არც საბანკო ანაბრია, იმდენად დაუახლოვდა გრძნობა და მატერია ერთმანეთს.

13175. ტრფობა აღმაფრენისთვის არის გამზადებული, ხოლო სიყვარული ურთიერთპატივიცემით მეგობრობისთვის, რომელშიც ოჯახიც იგულისხმევა.

13176. წარსული სიყვარულის ისტორია ცოდვის თავისებური თავს მოხვევაა მომდევნო ქმრისთვის.

13177. ნამდვილი სიყვარული აკუმულირებული ჭურვივით მოქმედებს, გულში წერტილივით შეგეპარება, თანდათან ფართოვდება და მთელი სხეული სიამით ფეთქდება.

13178. სიყვარული და სიძულვილი ყოფის მათემატიკაში გადადის და ტოლობის დადგენას მოითხოვს.

13179. საყვარელი ადამიანისთვის ზრუნვა, თუ ბოლომდე დაგიფასდებათ, სასაყვედურო არაფერი გქონიათ.

13180. გადამეტებული სიყვარული და პატივისცემა ღრღნის მოვალეობის იმიჯს და ფარსის წინაშე გვაყენებს.

13181. შეყვარებულთათვის ყურისგდება უმადური საქმეა, რადგან მათი ჭუკ-ჭუკიდან ვერაფერს გაიგებ ისეთს, რომ გონიერებას ესალმუნებოდეს, გარდა ერთისა, ისინი ბედნიერები არიან და სხვა მათ არ აინტერესებთ.

13182. არის ფასეულობა, რომელიც არც შეღავათს იმსახურებს და არც გამონაკლისის დაშვებას ითხოვს – ეს სიყვარულია.

13183. 165. სიყვარულმა ყველაზე დიდი უბედურება იცის, თუკი გადამლაშებულია.

13184. სიყვარულის მოსვლა-წასვლა ასაკზე, დროზე, შემთხვევაზეა, დამყნობილ-დამყარებული.

13185. სიყვარული დროს, კანონს არ ემორჩილება და ეს არის მის გონიერება-უგნურობის ყველაზე დიდი ფასი.

13186. სიხარული ბედნიერებაა, მაგრამ ამ უკანასკნელის უმეტესი ნაწილის შემავსებელი სიყვარულია.

13187. ნამდვილი სიყვარული ერთგულებაა, პატივისცემის გარეშე, კი გრძნობებთან პოკერის თამაშია მის გაუბრალოების მცდელობით და სხვა არაფერი.

13188. სიყვარული ყველასათვის გასაგები აქსიომაა, რომლის ახსნა ჩვენი გონიერების საჯირითოდან ყოველთვის განსხვავებულია.

13189. სიყვარული ინტიმური სიხარულიცაა, წყენაც და ის გაუგებრობაც, რომელიც თავადაც ვერ გაგიგია.

13190. პირველი სიყვარული იმითაც არის სასიამოვნო, რომ ქორწინებით არ დამთავრდა და გასახსენებელი არ გაუფერულდა.

13191. სიყვარულის თემა უკვდავია, იმისდამიუხედავად, მას დრო დასცინებს თუ ასაკის მატება.

13192. სიყვარულს წარსული შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ არა – დავიწყებული, იგი მარად ჩვენთან რჩება სიამის მოსაგვრელად.

13193. შეყვარება სიყვარულზე მითის დაკონკრეტების მცდელობაა მოჭარბებული გრძნობებით ჩვენივე გადასახედიდან.

13194. სიყვარული ვულკანის სილამაზით ამოიფრქვევა და მის დაშოშმინებას გულის დაწყვეტით ვხვდებით.

13195. სიყვარულის მოლეკულას ორი ატომის შეერთება აღაფრთოვანებს, ხოლო რამდენიმე ატომად დაშლა შთამომავლობის და მოვალეობის ხარჯზე – აერთიანებს.

13196. სიყვარული შარიანი, ბრიყი, ბუტია, გრძნობაა, მაგრამ მარადჟამს მისი მადლიერნი ვართ.

13197. სიყვარული თავისებური აცრაა ცინიზმზე და მისი გამოგზავნისთვის ბედს მადლობას ვწირავთ.

13198. სიყვარული ქარიშხალია სულში და ვნების ამოფრქვევის შიში შარვალში.

13199. სიყვარული მანამ გრძელდება, სანამდის სულის მჩქეფარებას, გრძნობათა დაღვინება დასჭირდება.

13200. სიყვარული მოწინააღმდეგე სქესის სულის ფანატიზმით მოსინჯვაა გაურკვეველი მოცულობით.

13201. შეყვარება ის გაუგებარი გრძნობაა, რომელიც მუდამ მზადაა ტრფობის ბურუსში სახეტიალოდ.

13202. ყველა წყილი მათთვის გასაგები სიყვარულის ფორმულის შექმნას ცდილობს.

13203. მექალთანეა ის, ვინც სიყვარულზე მოთხოვნა ფართე მოხმარების საგნად აქცია.

13204. სიყვარული აღმაფრენას, შთაგონებას, ეიფორიას მოითხოვს, იმისდამიუხედავად, ამ ჟინიანობის უნარი შეგრჩა თუ არა.

13205. სიყვარული საკუთარი მეობის, იმუნიტეტის, დაკარგვა და გათავხედებულ ამბიციებზე ალიყურის ჭმევაა.

13206. მოწონებითი სიყვარული ნდობას ბადებს, თავდავიწყებული შეყვარება ეჭვითაა შეპყრობილი, მაგრამ სადავიდარაბოს სული ორივეს საკმარისად უტოვებს.

13207. სიყვარულს თავისი ღირსება და პეწი ახლავს და სექსაობის-გან განსხვავებით, მხოლოდ მერკანტულობა არ ამოძრავებს.

13208. სიყვარული მკვეთრად ცვლის შეგნებას გარკვეულ დრომდე და იმასაც, რაც გვწამდა დღემდე.

13209. სიყვარული ფოშფოშია, კვამლია გრძნობათა შეცნობაა, რაც, სურვილის მიუხედავად, ან გაგიმართლებს ან არა.

13210. სიყვარულს ვერ იყიდი, მაგრამ დიდი ფულით და კარიერის პერსპექტივით მისი მოსყიდვა შესაძლებელია.

13211. საბედნიეროდ, ყველა დროში იბადებიან სიყვარულის ჯარის-კაცები მასზე გამარჯვების უფლებით.

13212. სიყვარული თავისებური თამაშია, რომელიც თავის მადლს ჩვენდა შეუცნობლად გვაფრქვევს და აღგვაფრთოვანებს.

13213. დიდი სიყვარული ერთეულ ჭკუანაღრძობ დილეტანტთა საქმეა და არა შეყვარებისთვის გამზადებულ პროფესიონალების.

13214. სიყვარულისაგან განსხვავებით, სიამაყე თავის გადასახადს მოითხოვს ბალანსის გარეშე.

13215. სიყვარული კონიაკს ჰგავს: რაც ძველია, უკეთესია, მაგრამ ამის გაგებას წლები და კუპაჟის დაჭაშნიკების ცოდნა სჭირდება თუ დრომ არ გიმუხლთა.

13216. სიყვარული უფრო ღვინით თრობას წააგავს ,,პახმელიიდან გამოუსვლელად".

13217. გულწრფელი სიყვარული უმანკოა, გულახდილი, მიმდობი, მაგრამ მისი გუნებაა ცვალებადი და გულგრილი.

13218. ჩუმი აღფრთოვანება ძლიერი სიყვარულის ნიშანია, ხოლო სიხარულის გამჟღავნება – მოწონებისა.

13219. სიყვარული აღწერას არ ექვემდებარება, ის თავად უნდა განიცადო, გამოსცადო, გულში უნდა გაგიჯდეს, თუმცა მაინც ვერა-ფერს გაუგებ.

13220. სიყვარული მომავლისთვის იღვწის, რადგან ის მუდმივი განზომილება და ურთიერთშერწყმის კულტურაა.

13221. სიყვარული სასწაულებს ახდენს, მაგრამ ექსტრიმის, ექსცესე-ბის, გარეშე არც მისი ნიჭი ფასდება და არც მადლი.

13222. ყველაზე ძნელი სიცოცხლის სიყვარულია, უფრო ძნელია მისი სამსახური.

13223. შეიძლება თავის ჭკვიანად ან შლეგად მოჩვენება, მაგრამ შეყვარებულად – საკუთარი სულის დაწყვლა-ღალატია.

13224. „მიყვარხარ ცრემლების ფრქვევამდე“ – ეს არის წყვილის ყველაზე დიდი ალგორითმი სიყვარულის პოტენციალში.

13225. სიყვარული განგების უდიდესი გამოგონებაა, საჩუქარია, სილამაზეა, რომელიც ნანატრია და ადამიანს ყველაფერში ეხმარება, იმის მიუხედავად, რომ აფექტში ვნების მომტანიცაა და უგნურ სიავეს ჩაგადენინებს.

13226. სიყვარული გრძნობების ჩოჩქოლის დიდებული გამოგონებითი თამაშია, რომელსაც იმ დონეზე მოვიხმართ, რასაც ჩვენი წარმოდგენა, ფანტაზია, შესაძლებლობა წვდება და ამ სასიამოვნო მსუბუქი გაცუცურაკება – შეცდენით მთელი სამყაროა დაკავებული.

13227. გულს ვერ უბრძანებ, მაგრამ მოხერხებულობას მისი მოთოკვა შეუძლია.

13228. თუ სასამართლოს, პარლამენტის, მთავრობის, შემდგომ „მასმედია“ მეოთხე ხელისუფლებაა, მაშინ სიყვარული მეხუთე ხელისუფლება ყოფილა, რომელსაც მეტ-ნაკლებად ყველა წინა ხელისუფლება ემორჩილება და ქედს უხრის.

13229. ძველად ქალისთვის ხელის შეხება კი არა, „ყავილების მიყრაც“ მკრეხელობა იყო, მაგრამ დღეს ქალებიც სხვა განზომილებით ცხოვრობენ და მამაკაცებიც სხვა ამბიციებით.

13230. „ლამური“ თავის წარმოჩენის და ტრფობის თავზე მოხვევის ხელოვნებაა, რომელსაც განგების წყალობა და შეძენილი ზრდილი თავხედობა სჭირდება.

13231. სიყვარულის გათავისება სილამაზის, კოპწიაობის, კაიფის, გარეშე, განსაკუთრებით, ქალებისათვის, ყოფის შეცნობის მცდელობაა, ცხოვრების წვრილმანებზე დახურდავებით.

13232. სიყვარული ბუნების მომადლებული სასწაულია, მაგრამ უფრო დიდი სასწაულია თუ მას ბოლომდე შევინარჩუნებთ.

13233. თავისუფლება და სიყვარული შეუთავსებელია, სიყვარული და ურთიერთგაგება შეუფასებელია, სიყვარული და ეჭვიანობა დაუფასებელია, რადგან სიყვარული ლოგიკის აქსიომებს არ ემორჩილება.

13234. სიყვარულს ყურისგდება, განკითხვა, შეცოდება, სჭირდება, რადგან ისიც განიცდის შინაგან კოროზიას და გრძნობათა დევალვაციას.

13235. ყველა ქალს თავისი წარსული და მოსაგონარი უნდა ჰქონდეს, რათა ასაკის მატება შედარებით უმტკივნეულოდ გადაიტანოს.

13236. სიფარული მოწონებათა თამაშობების მრავალსახეობრივი ვარიანტია, რომელიც აზროვნებისთვის ადგილს იშვიათად ტოვებს.

13237. მთავარია, ისინი შევიფაროთ, ვუთანაგრძნოთ, ვისაც ხშირად ვხვდებით და ვმეზობლობთ, თორემ იმათთან, ვისაც იშვიათად ვხვდებით, სასაუბროსაც გამოვინახავთ და ჭიქის აწევის საცდუნებელსაც.

13238. ნამდვილ სიფარულს ალტერანტივა არ აქვს, რადგან ის ქრონიკული დაავადებაა.

13239. ფელა ქალი კარიერას ბუდუარით იწყებს, იმისდამიუხედავად, აქვს პრივატიზაციის იმედი თუ არა.

13240. სიფარულით მომადლებული „ბზიკი", შეფარების მცდელობისგან განსხვავებით, უამრავ ადამიანს არ ღირსებია, რაც განგების წყვლა – „ამ ქვეყნიდან უსიფარულოდ წასვლაა".

13241. სიფარულის შენარჩუნების გარანტია: ქმრის „ეშმაკობაზე" თვალების დახუჭვა, ოჯახი, შვილები, მოვალეობა, მოხერხებული კაპრიზი, ასაკი და იმ პირველი გრძნობის მარგი ქმედების კოეფიციენტის ოდენობის რაციონალური ხარჯვაა, რომელსაც სიფარული ჰქვია.

13242. ნამდვილი სიფარული არ იყიდება, მაგრამ გრძნობების ჩოჩქოლის შემოტევაზე ზოგჯერ იცვლება და ცოდვად არ ითვლება.

13243. ფელა სიფარულს თავისი ისტორია აქვს, საკუთარი პეწით, უცნაურობებით, მადლიერებით, გულის აჩუყებით, დაწყვილების ფინიშით.

13244. სიფარულის დაგეგმვა შეუძლებელია, როდესაც გრძნობებს მუხრუჭები არ იჭერს და ვნებათა ღელვის შეჩერებას არავინ ფიქრობს.

13245. ლეღვის ფოთლით მორთული მეგობრობა სიფარულია.

13246. სიფარულის ბანკნოტები არც არავის დაუბეჭდავს და აღებ-მიცემობის საქმეში არც არავის შემოუთავაზებია. ეტყობა, სიფარულს ასეთი ფანტაზია ხელს არ აძლევს, რადგან სულიერება, ვნება და ფული მისთვის სხვადასხვა განზომილებაა.

13247. ძველი სიფარული გამომშრალ შეშასავითაა, შესაშური მახსოვრობა, კარგი ალიბით და ასაკის დავიწყებით, რომელიც, გვინდაარგვინდა, თავს მაინც გვახსენებს.

13248. სიფარულია, როდესაც გრძნობები, იმედი, ოცნებები, უხვადაა და დასაღვინებლად ჭკუა არ გვყოფნის.

13249. სიფარულს ამაგრებს ოჯახი, სექსუალური ლტოლვა, მიმზიდველობა, წინაღმდეგობათა დაძლევა, საერთო გატაცება, კარიერული ზრდა, ზომიერი დაფინანსება. ანგრევს მოუწესრიგებლობა ოჯახში, გაუგებრობა, დაპირისპირება, შეუთავსებლობა, სექსუალური სიცივე, შური, წარუმატებლობა, უფულობა

13250. სამყარო სიყვარულზე დგას, ხოლო სიყვარული რაზეა დაფუძნებული და შინაგანად როგორ გვმოძღვრავს, გონების ჭყლეტად არ ღირს – უბრალოდ, პარტნიორი შენით უნდა იყოს გატაცებული, პატივს გცემდეს და გაფასებდეს.

13251. უამრავი სიყვარულის კონტრაქტი იდება, მაგრამ მისი პირობების დაურღვევლად შესრულება ერთეულ ბედნიერთა ხვედრია.

13252. გულში კოცონის დანთება, სულის აგიზგიზება ძნელია თორემ, სიყვარულისმაგვარ ტრფობის შეპარებას ყველანი მოვახლაფორთებთ.

13253. სიყვარული მარტივია, დაუყვედრებელი, გამოუცდელი, მეგობრობა კი მრავალმხრივია და მუდამ გამოცდას ექვემდებარება.

13254. სიყვარულსაც კი ყველაფერი არ ეპატიება, მასში ყოველგვარი პროგრესის ხეტიალი უნდა შევაჩეროთ – გაუფასურდება.

13255. სიყვარულს ზედამხედველობა ვერ შველის, თუ პარტნიორს სხვისკენ თვალი გაექცა და ტვინში ხუშტური შეუჯდა – გაგეცლება.

13256. სიყვარული ყოველთვის მომაჯადოებელია და შეყვარებული ყველა მოჯადოებულია. გრძნობათა ჭიდილის ამ ხაბა-ხუბას ვერავითარი გატაცება და სიამოვნება ვერ შეედრება.

13257. ნამდვილ სიყვარულს ფინიში არ აქვს, ის უსასრულობაში გადაზრდილი უგნურებაა, რადგან მისგან თავის დაღწევას არავინ ცდილობს.

13258. მოწონება პათოლოგიაა, ტრფობა დიაგნოზია, სიყვარული რეალობაა, რომელსაც რა მოვუხერხოთ, არ ვიცით, მაგრამ აღმაფრენას გარკვეულ დრომდე რომ განვიცდით, ეს ფაქტია, რომელიც დროთა განმალობაში მოჩვენებაში, მოვალეობაში, გადაიზრდება და ჩვენს ქმედებას, ალბათ, მაშინ უნდა გამოვუტანოთ საბოლოო განაჩენი.

13259. სიყვარული და დამოკიდებულება სხვადასხვა ცნებაა და უნივერსალური ფორმულით არ ამოიხსნება.

13260. სიყვარულს არც თარგმანი სჭირდება, არც სტილი და არც კორექტურა, ის თვითმყოფადია, უცნაურია, აუხსნელია და რაც მთავარია, სასიამოვნოა, ამაღელვებელია, აღმაფრთოვანებულია.

13261. სიყვარული მაშინ ლაღობს, როდესაც თავის „მიქარვებზე" არ ნაღვლობს და რაც ღმერთმა გადმოუგდო, ბედი ჰგონია.

13262. კოცნა ფერების ელექსირია, სიცოცხლის გახანგრძლივება, გონის დაშოკვა, გრძნობების გაცვლა, სასიამოვნო ქიმიური რეაქცია, ბაქტერიული ფლორის თავისებური გადაადგილება და რაც მთავარია, შედეგის მიუხედავად, პროცესით კმაყოფილი ხარ.

13263. სიფარული ჭკუის შეშლამდე არ უნდა მივიფანოთ, თორემ მისი უგუნურობის ბურუსში გზის გაკვლევა ძალზე გაჭირდება.

13264. სიძულვილის სიფარულით ამოხსნილი ალგორითმი ტკბილი სიტყვაა.

13265. სიფარულს არც სინუსი სჭირდება და არც კოსინუსი, რადგან მისი ბოლომდე ამოხსნა არც ერთ მეცნიერებას არ ძალუძს.

13266. ვირტუალურ და ნამდვილ ქორწინებას შორის მთავარი განსხვავება მაინც სიფარულია.

13267. საფარელი საქმიანობით თვითდაფერფვლა, უდიდეს სიამეს გვრის თავსაც და სხვასაც.

13268. სიფარული, რომელიც ანგარიშს უწევს გამოცდილებას და ტრადიციების მხარეს დგას, გამძლეა და მეუღლესთან დასაშორებელ ალიბს არ ეძებს.

13269. სიფარულთან ინტერვიუ მანამ გრძელდება, სანამ ოჯახს შევქმნით და მომავალი თაობების მოშენიანებაზე ფიქრს დავიწყებთ.

13270. ხშირად სიფარული გვაიძულებს შექმნილ მდგომარეობის მსახურნი ვიყოთ.

13271. სიფარულს არ უარყოფენ, მას ნებდებიან და მისით ცხოვრობენ.

13272. ნაღველის შემოწოლის გარეშე სიფარული თავის ეშხს კარგავს, ყოველდღიურობაში გადაიზრდება და საფრთხე ემუქრება, რადგან ნაოცნებარ და სათუთად შეფუთვნილ გრძნობებს წყალს უფენს.

13273. არის რაღაც სანატრელი, რომელიც შრომით, მცდელობით, ოცნებით არ მოიპოვება და მთლიანად შემთხვევის წყალობაა – ეს სიფარულია.

13274. ძლიერი ხასიათის მქონე წყვილის სიფარული მუდმივი ომია, სადაც დასაპყრობი და გასაყოფი არაფერია, გარდა შიშისა – ერთმა მეორე არ დაიმონოს. არა და ტრფობისთვის ასეთი თავისუფლების დაკარგვაზე სასიამოვნო არაფერია.

13275. სიფარული მთებს ატრიალებს, მაგრამ შეფარებულთა სულის მოთოკვა უჭირს.

13276. სიღარიბე ყოველთვის უბედურება არ არის თუ მას სიფარული და ოცნება ახლავს.

13277. სიფარულისადმი ერთგულება ნიჭს მოითხოვს, რომლის შეცნობა გენიალობაა.

13278. მშვიდი სიფარული ალღოა, თანაგრძნობაა, გატაცებაა და არა – ნაღდი სიფარული, რომელიც ყოფის განზომილებებს არ ემორჩილება.

13279. სიყვარული და ტრფიალი იმით განსხვავდება, რომ პირველი უფალია გრძნობათა სამყაროსი, ხოლო მეორე აღფრთოვანებითაც კმაყოფილია.

13280. სიყვარულს არც სტრატეგია აქვს და არც – ტაქტიკა, რადგან თავიდან ბოლომდე გამოცანაა.

13281. იმ სიყვარულით სუნთქვაა საამაყო, რომლისთვისაც სიმშვიდე და შემართება აუცილებელია.

13282. ტრფობას ბევრნი ვართ ნაზიარები, ნამდვილ სიყვარულს – ერთეულები, მაგრამ მათი ახსნა, შეცნობა, შეჯერება, დღემდე არ ხერხდება.

13283. ტრფობის ალიბი, სიყვარულისაგან განსხვავებით, ყველას თავისი აქვს, საერთო საშუალო შეწონილ მონაცემებზე დაყრდნობით, გასაგები და სამართლიანი.

13284. სიყვარულის აპოგეაა, როდესაც არავის დანახვა არ გინდა, მაგრამ გამოჩნდება ვინმე ღვთისნიერი და უხასიათობა-კაპრიზიდან აღარაფერი რჩება.

13285. სიყვარულს პოლიტიკა, ცივილიზაცია, შური, ტრადიციები, ხრავს, მაგრამ ის მაინც უკვდავია, სანატრელია და კანონგარეშეა.

13286. სიყვარულში რომ საბოლოოდ გაგიმართლოს, წინასწარ აკვიატებულ აზრს უნდა ფლობდე, რათა გრძნობების ხლართებს მოუმზადებელი არ შეხვდე და თავი დროულად დაიძვრინო.

13287. სიყვარული ოცნების ყოველდღიური დაპყრობაა, სულისთვის ხოტბის შესხმით.

13288. სიყვარული რთული საქმეა, რადგან საბოლოოდ დაუდგენელია, შენთან ცხოვრება უნდათ თუ შენით გართობა-გამოყენება.

13289. სიყვარულის ფორმულა, შინაგანი მოთხოვნებით, საკუთარი თავის პატივისცემაა.

13290. სიყვარულს ყოველთვის ახასიათებს წყვილისთვის შეუმჩნეველი მანკი, რომელიც არ უნდა გამოვჩხრიკოთ და ყურად არ უნდა ვიღოთ.

13291. სიყვარული ის მეექვსე უცნობი გრძნობაა, რომელიც ყოველივეს გვპატიობს და ცდილობს შეცდომები და ცოდვები ჩამოგვაწეროს.

13292. სიყვარული, ხორციელი საიდუმლოებისაგან განსხვავებით, სულიერების მალვას ვერ იტანს.

13293. სიყვარული ჩვენი გრძნობების გარეშეთა მიმართ თავისებური შეზღუდვაა.

13294. სიფარულს პირველ დღეებში არავინ არ ებრალება, სანამ მის კეთილისმდომ ოპონენტებს საბოლოოდ არ გაიცნობს.

13295. არის რაღაც, რაც ფულზე მეტია, მაგრამ უფულოდ მისი შენარჩუნება ჭირს. მაგალითად, სიფარული.

13296. ზოგი სიფარულით მაშინ თხოვდება, როცა სხვა უკეთესი ვარიანტი არ გამოუჩნდება.

13297. სიფარული სასწაულებს ახდენს, მაგრამ არა – ჩვეულებრივი მოკვდავისათვის, რადგან ამასაც სხვა ნიჭი და შემართება სჭირდება.

13298. წესიერებასაც კი პლატონურ სიფარულში მისდაუნებლიე ღალატი ახასიათებს.

13299. სიფარული რწმენაა, პატივისცემაა, ჯანმრთელობაა, რომელიც სიმდიდრისკენ მისწრაფებას არ გამორიცხავს.

13300. მარტოობა და სიფარული შეუთავსებელია, ხოლო განცდის იმიტაცია – სიაფანდია.

13301. რომანტიკოსებს სიფარულში ბოლომდე იშვიათად უმართლებთ, მაგრამ მაინც სიფარულის პირველ ვარიანტზედ აბოდებენ.

13302. სიფარული ეკოლოგიის ის პროფილაქტიკაა, რომელიც წფილს გრძნობების დახურდავებისაგან და მასზე ზადის მიკარებისაგან იცავს.

13303. სამწუხაროდ, სიფარულის ბაცილა ყველას არ გადაედება და არც აავადებს, მიუხედავად მისი ეპიდემიად ქცევის სურვილისა.

13304. სიფარული ყოველდღიური სამუშაოა, მათ შორის ზოგჯერ უსიამოვნოც, რადგან დროთა განმავლობაში ის ანგარიშს ითხოვს.

13305. სიფარულს ტრფობის მრავალი წახნაგი ახასიათებს, მთავარია არ ვაკრიტიკოთ და ჩვენი გრძნობების ორომტრიალში ვამყოფოთ.

13306. სიფარული სიბერეს, ასაკის მატებიდან ვერ იცავს, მაგრამ სიცოცხლის შეგრძნების უნარს უხანგრძლივებს.

13307. იყო მდიდარი კაცის ცოლი, ესეც ბიზნესია, მაგრამ ბინძური, თუ ამ კავშირში სიფარულის კვალი არ ჩანს.

13308. ტელეფონით გაპაექრება, ფაქსით წერილები, დამესიჯება, დღევანდელი ახალგაზრდობის სიფარულის ანბანი იქნება გარკვეულ დრომდე.

13309. სიფარული იშვიათად ეწყობა შიშს, ხოლო ვინც ამას ახერხებს, მართვისთვისაა დაბადებული.

13310. წამლიქვნელება და კომპლიმენტი სიფარულის შენობის ფუნდამენტის უმეტესი ნაწილია.

13311. სიფარულს ვერ მოგპარავენ, მაგრამ საჩუქრებს, ქლესობას, თანამდებობას, მისი შეხახვისთავება შეუძლია.

13312. სიყვარული ყველას და ყოველივეს სჯობს და ერთის პიროსბით, მის პირად მეს ჩრდილი არ უნდა მიადგეს.

13313. ვინც სიყვარულის ფასი იცის, არც მის ახსნას საჭიროებს და არც შეფასებას.

13314. სიყვარული არც სკოლაში ისწავლება და არც უნივერსიტეტში, მაგრამ ჭკუის უდიპლომო დამრიგებელი მრავალია, რომლებიც თავიანთ სასიყვარულო ისტორიებს ნიშნისმიგებით იგონებენ და ხუშტურებს იოკებენ.

13315. სიყვარული არ ბერდება, მაგრამ სიბერეს მასში მაინც ეჭვი ეპარება.

13316. გიჟმაჟი სიყვარული არა მარტო კეკლუცობის ბრალია, არამედ – დაუოკებელი ვნების, დაუუთოებელი ენერგიის და სიცოცხლის შეცნობის მცდელობის.

13317. პირველი შეყვარება აღფრთოვანებას იწვევს და იმის შეჯერებას, ოცნება რეალობას რამდენად დაემთხვა.

13318. სიყვარულის მწვავე შეგრძნებას ასაკში განვიცდით, რადგან ამ უკანასკნელი შანსის გაშვება ხელიდან არ გვინდა.

13319. სიყვარული ისაა, როდესაც მასზე ფიქრობ, გელანდება, ,,მინორში'' ვარდები და ფიზიოლოგია არაფერშუაშია.

13320. ყველა გადარეული სიყვარული, ხშირად სავალალოდ მთავრდება, რადგან ზომიერების ინსტინქტი დასნეულებული აქვთ.

13321. სიყვარული ორი ადამიანის დამუნათებაა, თანაც ორივესთვის სათავისოდ.

13322. სიყვარულით ფეხის წატეხვისგან ვერაფერი გვიცავს, რათა მკურნალობის შემდგომ კვლავ ფეხის წასატეხად გავისარჯოთ.

13323. სიყვარულისთვის ფინიში კი არ არის მთავარი, არამედ სტარტი და გაურკვეველ მომენტში წარმატების მიღწევა.

13324. სხვას თავს ყავის შესაცნობად ვაყვარებთ და არა – სიყვარულის გამოსაცდელად.

13325. ქალის ბედნიერების და ვნების გაბრწყინების ელჩი სიყვარულია.

13326. სიყვარული თავისებური მაზოხიზმია, თუ მთელი ცხოვრება ერთ ქალს უნდა ეღადაო და მასზე იფიქრო.

13327. სიყვარული ის მოულოდნელი საჩუქარია, რომელიც ერთი შეხედვით არ დაგიმსახურებია.

13328. სიყვარული ვნების ინტელექტის ზეიმია და არა – გონიერების.

13329. სიფარული, მორიდებისგან განსხვავებით, სირცხვილს არ ცნობს.

13330. სიფარული თავისებური მიჩვევაა, ილუზიაა, რომელმაც თუ შენზე შეფობა აიღო, მისგან თავის დაღწევა ძნელია.

13331. სიფარული სიხარულია კვადრატში და აღფრთოვნება – კუბში.

13332. სიფარული გატაცების და აურ-ზაურის გარეშე თავის დანიშნულებას ბოლომდე ვერ ასრულებს.

13333. სიფარულს მორალი არ გააჩნია, ის მხოლოდ ამბიციებით სულდგმულობს.

13334. სიფარული პრივილეგიაა, მუქთა დროის სიამით ხარჯვით.

13335. სიფარულსაც თავის ჭკუის შესადარი დასკვნების გაკეთება სჭირდება.

13336. სიფარულის „ბაზარის" უმთავრესი მიზეზია სქესთა შეუთავსებლობა და ვნებათა გადაუხალისებლობა.

13337. სიფარული თავისებური სპორტია, სადაც პროფესიონალებიც მონაწილეობენ და ამ საქმის მოყვარულებიც.

13338. რა სჯობს „ფულით სიყვარულს": გარანტირებული გაქვს ალერსი და არავითარი ვალდებულება.

13339. სიყვარული ყველასათვის და ყოველთვის, მოჭარბებული ვნებით დაავადებულთა წამალი იყო და იქნება.

13340. სიყვარული და ღალატი სინონიმებია, რადგან თითოეულის ფასის დადგენა შესაძლებელიცაა და შეუძლებელიც.

13341. სიყვარული და ლტოლვა მაინც ერთია, რადგან უამისოდ შეჩვევა, თანადგომა გამოდის.

13342. სიყვარული ყველაზე მეტად მოითხოვს გონიერ ანგარიშს, რათა დავიფაროთ უცხოთა შემოტევისაგან.

13343. სიყვარული ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ არ მოდის, მაგრამ მათი დანომვრა და ასოებით აღნიშვნა, ფორმულის გამოსაყვანად, სიბერეში გასახსენებლად, ძალიან გამოგვადგება.

13344. სიყვარული, მოვალეობის გარეშე, არარაობაა და ამას მოგვიანებით გვინდა თუ არ, მაინც შევიცნობთ.

13345. სიყვარულის გაწყვეტა და შესვენება სხვადასხვა განტოლებაა, რადგან თუ პირველი კატასტროფაა, მეორე თავის პოზიციებს ამაგრებს.

13346. სიყვარული ნაპრალის წინ თვალებახვეული, გრძნობებმოჭარბებული ხეტიალია, რომელმაც არ იცის აღფრთოვანებისაგან გადაიჩეხოს თუ თავს შეუძახოს და ცოცხალი დარჩეს.

13347. სიყვარულმა რომანტიკული თავგადასავლები სხვის გამოცდილებიდან არ უნდა მიითვისოს, რათა საკუთარი ფანტაზიებით დატკბეს და ტრფობის საკუთარი მადლი შეიცნოს.

13348. სიყვარული შეცნობას ნიშნავს და არა ტრფობა-ნაცნობობას.

13349. ,,მე შენ მიყვარხარ'' – ეს ფრაზა იმდენად ინდივიდუალურია, რომ ნებისმიერ შეყვარებულთაგან ნათქვამი პატენტს იმსახურებს.

13350. სიყვარული ოცნებით მოთარგმნას და პერსპექტივის ცოდნას მოითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელიდან გეცლება.

13351. სიყვარულის გარეშე გათხოვება ბანკში კრედიტის აღების ტოლფასია, რადგან როგორ დააბანდებ შენს მცდელობას, არავინ უწყის.

13352. სიყვარულს მრავალი განტოლება აქვს და არცერთი ტოლობა, რადგან მას ყველა თავისებურად ხსნის და მისთვის გასაგებ ალიბს იყენებს.

13353. სიყვარული უგნურება მაშინაა, როდესაც გრძნობათა ფრქვევა არავის სჭირდება და მას ეხიმანდრებიან.

13354. ცას ჭექა-ქუხილი ხსნის, ხოლო გრძნობებს – სულის მოულოდნელი აფეთქება, რომელსაც სიყვარულს ეძახიან.

13355. შეყვარებულებმა ხშირად არ უნდა იდაონ, რადგან ჭეშმარიტების დადგენა, მითუმეტეს, ტრფობის პერიოდში, ამ ულამაზეს და განუმეორებელ დღეებს გამოუსწორებელ დაღს ასვამს და აცდენს.

13356. სიყვარულს შიში არ მოსწონს, მაგრამ ხშირად ემორჩილება და მის ნება სურვილს იზიარებს.

13357. სიყვარულში განცდილი ხელმოცარება, ზომიერი სირცხვილით უნდა გადავიტანოთ.

13358. გაზაფხულზე სიყვარული კი არ იწყება არამედ ბუნების ბრძანებით მწვავდება.

13359. სიყვარული უყურადღებოდ და სანთელ-საკმეველის გარეშე არ უნდა დავტოვოთ, რადგან მისი ავ-კარგი, ადრე თუ გვიან, საჯარო გახდება და სასწორზე აიწონება.

13360. სასიყვარულო თამაში თავის გეშს, სუნის შეცნობას, მოითხოვს, რათა გაირკვევეს, განკუთვნილი ხართ ერთმანეთისთვის თუ არა.

13361. შეყვარებული ხშირად მოგვაგონებს იმ ადამიანს, რომელმაც იცის ტრფობის მოსალოდნელი შედეგი, მაგრამ ვნებასა და გონიერებას შორის ზღვარი ვერ დაუდევს.

13362. სიყვარულის და ტრფობის ობიექტი ბევრია, მაგრამ სიცოცხლე ერთია და მას ზომიერი ვნება და გაფრთხილება სჭირდება.

13363. სიფარული ერთადერთი დაავადებაა, რომელიც თეთრ შურს იწვევს, რჩეულთა ხვედრია და ყველასათვის სასურველია.

13364. სიფარული ლაკმუსის ქაღალდივითაა, დროთა განმავლობაში გვიჩვენებს ვნების სიავესთან გვაქვს საქმე თუ სიკეთესთან.

13365. სიფარულის ყველა ფორმა: მოწონებითი, გაგებითი, დაყოლიებითი, გარიგებითი, სამართლიანობითი, იძულებითი და მრავალი სხვა, გარდა ანგარიშსწორებითისა მისაღებია, რადგან წყვილისთვის წინასწარაა ცნობილი რისთვის და რატომ წყვილდებოდნენ და რას ელიან.

13366. შეფარებულებსაც უნდა ჰქონდეთ სათაო და სათუთი საიდუმლო, რათა მათ ერთმანეთი არ გადაუყვარდეთ.

13367. სიფარული მრავალუცნობიანი ეგოიზმია. იმისდა მიუხედავად, რომ ეგოიზმი მხოლოდ საკუთარ თავს გულისხმობს.

13368. სიფარულის გრიპს ემოციების შტორმის, გრძნობების ჩოჩქოლის, გადატანა და გამოჯამრთელება სჭირდება.

13369. სიფარული იმდენად სუფთა, გულუბრყვილო, ხალასია, რომ მკაცრი არ შეიძლება იყოს, ის, უბრალოდ გრძნობების შემოტევაში ვერ ერკვევა და ჭირვეულობს.

13370. ზოგს ვნებათა ჩოჩქოლი, ამბიციების გათავხედება, სიფარული ჰგონია და ვერ ხვდება, რომ ეს მისი მომავლისთვის აუცილებელია ნაღდ სიფარულთან საზიარებლად.

13371. სიფარულს აძლიერებს ინტუიცია და მიხვედრილობა.

13372. კაცის და ქალის მეგობრობა სიფარულში მაშინ გადაიზრდება, თუ ცნობიერება მომზადებული დახვდება სულის აფორიაქებას, ხოლო გული და განსჯა გონიერების მხარეს დადგება.

13373. სიფარული ასაკში დაბუნებული გრძნობაა, რომელიც ტრფობად უნდა აღვიქვათ თუ შეჩვევად, ძნელი განსასჯელია.

13374. სიფარულის გაუგებრობისთვის, გულის გასაღების ფასიშენდობა.

13375. დიდი სიფარული, ტაშ-ფანდურით, საბოლოოდ იშვიათად ამართლებს, რადგან ამბიციებით დაშვებული უნებლიე შეცდომები და ბედის ზურგის შექცევის სილა მისთვის დამახასიათებელია.

13376. ჯობს სიფარულში რამდენჯერმე გაწბილება ვიწვნიოთ, ვიდრე უსიფარულოდ დავრჩეთ.

13377. ადამიანმა შეიძლება ოდესმე ღმერთის გაშიფვრა შეძლოს, მაგრამ სიფარულისას – ვერასდროს მოახერხებს, რადგან სწორედ ამ აუხსნელობის გარეშე სახეირო არაფერი შექმნილა.

13378. სიყვარული არც უიღბლოა და არც კვდება, მაგრამ ისე მიდი-მოდის, არც არაფერს გვეკითხება და ამითაც კმაყოფილი ვრჩებით.

13379. საყვარელი საქმიანობაც, რომელიც უდიდეს სიამოვნებას გვანიჭებს, ზოგჯერ თავს გვაბეზრებს და ცხოვრებას შეუძლებელს ხდის.

13380. სიყვარული, უპირველესად სულის გათავხედებას ემონება, ხოლო გული – გონიერების მცდელობას.

13381. მოწონება-წარმოჩენის, ეჭვიანობა-შენდობის, შეხლა-შემოხლის და შვილების ყოლა-ზრუნვის გარეშე სიყვარულის ფინიში არ არსებობს.

13382. ნამდვილი სიყვარული კერპთაყვანისმცემლობა და მსხვერპლთა გაღებაა ორივე მხრიდან.

13383. შეიძლება ქალი გიყვარდეს და გძულდეს კიდეც, თუ მას სხვა შეუყვარდა, შენზე ხელი ჩაიქნია, შენი ვნებით შეფუთული გრძნობები შეურაცხყო და „პრასი ამოუსვა", მაგრამ თავს უნდა აჯობო, რათა მამაკაცთა „მეობა" არ შეურაცხყო.

13384. მშვიდად ყოფნის გადატანა მაშინ არის ძნელი თუ მასში სიყვარულით ცხოვრობ და მისი მოვლა-პატრონობისთვის ზრუნავ.

13385. სიმართლის ძებნა, სიყვარულს უპერსპექტივოდ აუძლურებს, სისხლიდან ცლის და სხვის საკბილოდ ხდის.

13386. სიყვარული, ალბათ, ერთ მხარეს სინქრონულად ყურებაა, რათა მის რეალიზმში ეჭვი არ შევიტანოთ.

13387. მთავარი ის კი არ არის, გვიყვარს თუ ვუყვარვართ, არამედ ის, რომ ეს გრძნობა ენერგიას გვმატებს, უცნაურად დაგვაავადებს და დროის გარდა ვერაფერი კურნავს, სასიამოვნო გახსენების რეციდივის შენარჩუნებით.

13388. სიყვარული, ტრფობისგან განსხვავებით, მორჩილებით ზრუნვას და ურთიერთშერწყმას მოითხოვს.

13389. სიყვარული ბრმაა, მაგრამ მასაც ხედვის თავისი პარამეტრები გააჩნია და აწმყოს რაობას ემორჩილება.

13390. სიყვარულს აზროვნება და შენია-ჩემია არ გააჩნია, სანამ მას სიყვარული ჰქვია.

13391. საქორწინო ხელშეკრულება სიყვარულისთვის უგნურების კარის გაღებაა, რადგან ვაჭრობის საწყისი უკვე ჩადებულია, გრძნობათა ჩაქოლვას კი თამასუქი არ სჭირდება.

13392. შეიძლება ყველას შენი შურდეს, შეგნატროდეს, მაგრამ თავად ბედის უკმაყოფილო იყო, რადგან არასოდეს გიგემნია ქალისადმი დაუოკებელი სიყვარული.

13393. სიყვარული გრძნობათა ჭიდილია და არა თანაგრძნობა-თანადგომა, ის ვნებათა ღელვას ემონება და არა მიმატება-გამოკლებას.

13394. თვალი დალაშქრავს, ყური დატკბება, სუნი აღგვაგზნებს და გონება ხელებაწეული სიყვარულს ნებდება.

13395. უნდა ვიცხოვროთ სიყვარულისთვის და სიყვარულით, რადგან ეს არის ყოფიერების საწყისიც და ბოლოც.

13396. სიყვარულის მოფრენით ვაშინებთ ერთმანეთს, მაგრამ ტრფობის მარილის გათავისება სწორედ ამ შიშის დაძლევაშია.

13397. სიყვარული გრძნობათა შეჯვარებული ტრფობა და ვნება-თაღელვის ქარბუქია, რომელშიც ჩახედვა და ოპონირება გარკვეულ დრომდე შეუძლებელია.

13398. სიყვარულის სამკუთხედში დამნაშავეა მხოლოდ ერთი, რომელიც არჩევანს დროზე ვერ აკეთებს და თავის გრძნობებში ვერ გარკვეულა.

13399. სიყვარულის გაკვეთილებს არ ატარებენ, რადგან მას მონდომება და სურვილი არ შველის. ეს ნიჭია, რომელიც თავად უნდა მოვიდეს შემდგომ წრთობით, რათა მან გრძნობების ღელო ბოლომდე ატაროს.

13400. სიყვარული, გარკვეული დროით, ან უზომო ბედნიერებას გვანიჭებს ან უბედურებას.

13401. ბედნიერება და სიყვარული ერთად დაბორიალობენ მაგრამ ყოველთვის ერთად არ ძოვენ და ცოხნიან.

13402. მხოლოდ შეყვარებულთ აქვთ დროებითი დაბრმავების, დაყრუების, უჭკუობის უფლება.

13403. სიყვარულს, სიძულვილისაგან განსხვავებით, ყველა ასაკი ემონება ყოველგვარი წინაპირობის წაუყენებლად და ქვენა გრძნობების გარეშე.

13404. სიყვარული სასწაულია, რომელშიც დრო და თაობები ჯერ-ჯერობით ვერ გარკვეულან.

13405. მეგობრობასა და სიყვარულს შორის არჩევანის გაკეთება ჭირს, მაგრამ ყოველივე ნაღდი ამას ახერხებს.

13406. სიყვარულის უფლება და მისთვის თავის გამეტება ყველა ჩვენგანის სულიერი ვალია.

13407. სიყვარულს ჰარმონია ესაჭიროება და არა ფიცი და მტკიცი – ფინიშზე არ ამართლებს.

13408. რა არის სიყვარული? რას ჭამს, რამდენს იწონის, სად და ვისთან სეირნობს, რა ისეთი მომნუსხველი სუნი აქვს, რომ პარტნიორი ვერ ელევა, ჭკუას აკარგვინებს და ნდომის ნერწყს აყლაპვინებს – კითხვებია, რომლებზე პასუხიც დღემდე არ ჩანს.

13409. სიყვარულსა და ტრფობას შორის ის სხვაობაა, რომ პირველს ქრონიკული გართულება აქვს, მეორე გრიპივითა და სწრაფად გაივლის.

13410. მამაკაცს არ უნდა ეგონოს, რომ პირველ სიყვარულს მისი დავიწყება შეუძლია, ხოლო ქალს რომ ის პირველ მამაკაცს კიდევ ახსოვს.

13411. სიყვარული და ქალზე ზრუნვა ყველა ეპოქაში შეთავსებულია, რადგან უიმისოდ შეჭირვება თავის სიმძაფრეს კარგავს.

13412. სიყვარული არც ფერს, ეროვნებას, ასაკს, საცხოვრებელ ადგილს ირჩევს. გადის დრო და ჩვენი ნამოქმედარი, შეფასება-გადაფასებას ემორჩილება, მაგრამ ვერ გარკვეულხარ, ამ შენს ვნებათა ჩოჩქოლში პლუსი იყო უფრო მეტი თუ მინუსი.

13413. სიყვარულსაც მუხრუჭები უნდა დავადოთ, დროს გაყვანის ხერხს უნდა მივმართოთ და მისი დაჭაშნიკება ვცადოთ, მაგრამ არ უნდა დავაგვიანოთ.

13414. გიყვარდეს, ეს უნიკალური ნიჭით დაჯილდოებულთა უმადური სამუშაო, რომლის შედეგიც რატომღაც მაინც შემთხვევაზე და ფროტუნაზეა დამყარებული.

13415. სიყვარულსაც თავისი ჯარისკაცები სჭირდება, რომელთა აღზრდა-მოწესრიგება მთლიანად მდედრის სექსზეა დამყარებული.

13416. მძაფრი სიყვარული 30 თვეზე მეტს ვერ ძლებს, თუ ბავშვზე ზრუნვით არ იქნა შემაგრებული, ხოლო მშვიდი სიყვარული დაბალანსებულიც არის და სამუდამოც.

13417. სიყვარული ყოველთვის არც ბედნიერების გარანტი შეიძლება იყოს და არც – უბედურების, ის უბრალოდ თავის დროის შვილობილია თავისი ავ-კარგით, რომელიც სხვათაგან განსჯას არ ექვემდებარება.

13418. სიყვარული მიჩვევა და ქალის კაპრიზში გზის გაკვლევაა.

13419. ხშირად სიყვარული გარკვეული ამაგის, შრომის, შედეგად მოდის და მას სიტყვა „მიკედლება“ უფრო შეეფერება.

13420. გინდა სიყვარულში მთელი სული და გული ჩადო, ხოლო გონებით ვერ გარკვეულხარ, რა ხდება.

13421. სიყვარულია ისიც, როდესაც შენს გვერდით მყოფს უფლებას არ აძლევს დაგლახავებული და უიმედო იყოს.

13422. სიყვარული პირველი ნახვიდან, გაბაასებიდან, პაემანიდან, იწყება, ხოლო ტრფობას ამისათვის დრო, დაჭაშნიკება სჭირდება.

13423. ეჭვიანობა სიყვარულითაც კი დამამცირებელი გრძნობაა, სულიერების ბორკილია და რომელი მხრიდან მიუდგე, ვერ გარკვეულხარ.

13424. სიყვარულის დაბანდება იგივე ფულის შენახვაა ბანკში, მაგრამ დროთა განმავლობაში ორივე დევალვაციას განიცდის, რადგან დროის მტვერი ადამიანებს ეგოისტად აქცევს.

13425. გატაცება სიყვარული არ არის, მაგრამ ამის მიხვედრას დაღვინება და გამოცდილება სჭირდება.

13426. მომდევნო სიყვარული დედანთან, პირველთანაა, ახლო დგას, ოღონდ ხარისხში ფესვამოღებულია.

13427. სიყვარულის ადიუტანტი ქალისთვის განწირული და დაუფასებელი მამაკაცია, რომელიც მის კაპრიზს და ჟინიანობას უსიტყოდ ემორჩილება.

13428. სიყვარული გადაცდენაზე მაღლა დგას და მის გზააბნეულობას ტრფობის პერიოდში ყურად არ ვიღებთ.

13429. დაუჯერებლის დაჯერებას იმიტომ ვცდილობთ, რომ სულმა გაიფრთხილოს, გონიერება გალაღდეს, ილუზიებმა ფრთები შეისხას, სანამ სიყვარული არ შემოგვპარებია და მთელი ჩვენი მეობა-რაობა მასზე არ გადართულა.

13430. სიყვარულსაც თავისებური „ფუფლო“ ახასიათებს, როცა 20 წლის ბიჭს 40 წელს გადაცილებული ბებო მოყავს ცოლად. ეს არა მარტო სიბრიყვეა, არამედ ვნების ყავლგასული ცდუნებაც.

13431. სიყვარულის დესპანი არ შეიძლება იყოს სიყვარულის ადიუტანტი, რადგან სიყვარულს მორჩილება, მომსახურება კი არ აღაფრთოვანებს, არამედ გაკვირვება და აღმაფრენა.

13432. სიყვარული თავისებური მსხვერპლის გაღებაა, რითაც ორივე მხარე აღფრთოვანებულია.

13433. სიყვარულს თავისი ჰიმნი აქვს, რომელსაც წყვილი უნდა ასრულებდეს, ტრფობის დროშის აფრიალებით.

13434. სიყვარული გამბედაობის საწყისია, ხოლო სიამაყე – მასში საძრომიალო.

13435. სიყვარული შეიძლება გაითელოს, მაგრამ გრძნობების და მახსოვრობის გათელვა, გარკვეულ დრომდე, შეუძლებელია.

13436. სიყვარული მისტიკური ფასეულობაა, რადგან ჩვენ არც მისი საწყისი ვიცით და არც დასასრული.

13437. სიყვარული თავისებური სამოთხეა, რომელშიც მოხვედრა ყველას ხვედრი არ არის.

13438. სიყვარულის გარეშე ცხოვრება ძნელია, მაგრამ პერსპექტიულ თავისუფლებას თავს ასე თუ ისე ვაღწევთ.

13439. ბედისწერას ის ვერ აღწევს თავს, ვისაც ამის სურვილი არ აქვს და სიყვარულის სწავლა არ შეუძლია.

13440. სიძულვილიც ზოგჯერ ამაღლებული გრძნობაა და სიყვარულს მოითხოვს.

13441. დაკარგვასა და დაღუპვას შორის დიდი სხვაობაა, მაგრამ სიყვარულისთვის აზრი ერთია.

13442. არის ტრფობის ენა, რომელზეც არ საუბრობენ, მაგრამ ყველას ესმის და გრძნობს.

13443. სიყვარულს არ სწავლობენ და არც ეძებენ, რადგან საჭიროების ჟამს თავად შემოგაფრინდება და გაგიტაცებს.

13444. უტყუარი ფაქტები და უაზდო არგუმენტები სიყვარულით თავდავიწყებას გარკვეულ დრომდე ვერას აკლებენ.

13445. სიყვარულს ვერ ვამჩნევთ მაშინ, როდესაც ის გვამჩნევს, ხოლო მაშინ ვამჩნევთ და განვიცდით, როდესაც გვტოვებს.

13446. ზოგისთვის პირველი სიყვარული ნარკოტიკივითაა, ამიტომაც, რომ მას სხვისი შეყვარება აღარ შეუძლია.

13447. სიყვარული გრძნობათა ლაბირინთებში უნდა ვატაროთ, დავმალოთ და თუ ამის შემდგომ კვლავ ახალი ძალით იფეთქებს, დასაფიქრებელი და სასაყვედუროც არაფერია.

13448. ცხოვრება მაშინ გამოგვდის უკეთ, როცა ქრონიკულად შეყვარებულნი ვართ.

13449. სიყვარულს ახსნა არ აქვს, უბრალოდ, გვიყვარს და ,,ბასტა'' – მორჩა! ესაა მისი პარამეტრების საზომი!

13450. სიყვარული ზოგჯერ შლეგად გვაქცევს და ეს არსია სიცოცხლის მარადიულობის, ტრფობის განტოლების.

13451. ყველა ქმედების გასამართლებლად სიყვარულის ალიბი არ გამოდგება, რადგან არსებობს ბიოლოგია, გამოცდილება, აზროვნება, ტრადიციები და სირცხვილ-ნამუსის ინსტიტუტი, რომლისგანაც გვერდზე გადგომა არავის გამოსდგომია.

13452. სიყვარულში გაყოფა მიუღებელია, მიუხედავად ქალის აღზრდისა და მამრის მეობისა.

13453. სილამაზე, სიფარული, ოჯახის შესანარჩუნებლად უამრავ შრომას და ცნობიერების უაზრო მსხვერპლს მოითხოვს.

13454. წყლითაც შეიძლება თრობა თუ ურთიერთმონატრება და სიფარულია.

13455. არის სარეცელი, სადაც სიფარული ვერასოდეს დაისადგურებს, რადგან იქ მხოლოდ მფარველობა, ფული და დაპირება ბატონობს.

13456. ზოგი სიფარულს საქალწულე აპკთან ერთად კარგავს, რადგან ის ბუნებით ძუკნად არის გაჩენილი და არა – ქალად.

13457. სიფარული, როგორ წარსულზეც არ უნდა საუბრობდეს მუდამ აწმყოს და ზოგჯერ მომავლის საკუთრებაა.

13458. „ჭუჭყიანი სიფარულია“ მოქიშპე მიცვალებულს გადააბიჯო და შემდგომ სიამაყით გაიხსენო და ესეც ადამიანის ბუნება.

13459. სიფარული ტაფაზე შემოდებულ ხორცს მოგვაგონებს, რომელიც ისე უნდა დაბუღო, ჩახრაკო, ხახვი მოაყარო, რომ არ დაიწვას.

13460. სიფარულის X და Y ეგოიზმია, კეთილი ტოლობის საწინააღმდეგოდ.

13461. სიფარულს აქსიომა არ გააჩნია, ის მრავალი უცნობისგან შესდგება და მარად ამოხსნას სულის აღმაფრენით მოითხოვს.

13462. სიფარული მაშინ არ დევალვირდება, თუ მას ამუნათებენ და მის დაპყრობას პროფესიონალი ცდილობს.

13463. სიფარულის რაობა ჯერ არავის დაუდგენია, მაგრამ მისკენ მისწრაფებას ყავლი არ გასდის და ობი არ ედება.

13464. კეთილშობილება, სულიერება, თანაგრძნობა, სინონიმებია და შანსი აქვთ სიფარულში გადაიზარდონ.

13465. სიფარული, ტრფობა, ადამიანის შეცნობის გარანტი არ არის, ის კი არა, ზოგჯერ საწინააღმდეგო ეფექტს იძლევა.

13466. სიფარულს არ ეწინააღმდეგებიან, მას ნებდებიან, მაგრამ მაინც გარკვეულ დრომდე ხარობენ.

13467. სიფარული ის ანგელოზია, რომელიც თავზე მანამ გვადგას, გვიყურებს, გვიფრთხილდება, სანამ გვიფარს, უფარვართ და მომდევნო თაობების კვლავწარმოებაზე ვფიქრობთ.

13468. სიფარულს უმთავრესად ხალასი ბუნების ხალხი ავლენს, ხოლო უხეშნი და მძიმე ხასიათისანი გულში იკლავენ.

13469. ამბობენ, სიფარული სანეტარო ტანჯვააო, ამას ამბობს ის, ვინაც მეტ-ნაკლებად გამოუცდელია და ისიც, ვისაც ეს გრძნობა ჯერ არ გაკარებია.

13470. უგზო-უკვლო სიყვარულს საბოლოო ბედნიერება არავისთვის მოუტანია, რადგან გრძნობათა ხახუნით ცვეთა აჩქარებულია.

13471. გულის წადილის გამჟღავნება, რომელიც სიყვარულით არის შეფუთული, ყველა მოკვდავის ხვედრი არ არის.

13472. თუ გინდა სიყვარულის ჯარისკაცად გაღიარონ და გემოც ჩაატანო, ეს გრძნობა უნდა მიიტაცო.

13473. ვისაც ჰგონია კუდმოქცეულ სიყვარულს გულს მოუბრუნებს, მას ჭკუა ღალატობს, ხოლო ვისაც იგი ავიწყდება – გული.

13474. სიყვარულის ასაკი, დაოჯახების დადგენილი ასაკისაგან განსხვავებით, არ იცვლება.

13475. დღეს მობილური ტელეფონი მშობლიური მიწის ყველა წერტილთან გვაკავშირებს, გვახარებს მაგრამ სიყვარულზე რა მოგახსენოთ.

13476. გრძნობითა და ლტოლვით ნაწამები სიყვარული ერთი კაცის გრძნობებთან შებმა-ჭიდილია.

13477. სიყვარულს სიტყვების შარი-შური არ უნდა დავაკლოთ, თუ გვინდა ჩვენზე გულნატკენი არ დარჩეს.

13478. სიყვარულის ის ამომგდები ძალა გააჩნია, რომელიც მიჯნურს დააკვალიანებს და დროებით კვალსაც გაუმრუდებს.

13479. სიყვარულის კოკორსაც გამოჩენა და გაფურჩქვნა სჭირდება, ამის დროც კი პარტნიორის მცდელობით განისაზღვრება.

13480. სიყვარული ვისთვის ლეგენდაა, ვისთვის რეალობა, ვისთვის სექსი და ვისთვის ფული, გააჩნია დროს, ასაკს, გარემოს ჩათვლით.

13481. სიყვარული, კონკურენციის გამო, ვიღაცის და რაღაცის მიმართ სიძუვილსაც გვინერგავს.

13482. სიყვარული ნერვების თავისებური ანთებაა, მანამ ტრფობა არ განკურნავს.

13483. ,,საყვარლის საფლავის ძებნას'' ისევ ახალი სიყვარული სჯობს, მერწმუნეთ ყოველნაირად გამართლებულია.

13484. სიყვარულს უპირველესად ფრთების შესხმა, ცხვირის აწევა, მომღიმარი სახე, გაბუტული ტუჩები და შიგადაშიგ გულის აჩქროლება ამშვენებს.

13485. სიყვარული უძირო ჭურჭელს მოითხოვს, მაგრამ ზოგი მის გულის რომელიღაც პარკუჭში ჩამალვას ახერხებს და ხარობს.

13486. სასიამოვნო მოლოდინი სიყვარულის წამწამზე უნდა გვეჯდეს.

13487. დღეს სიფარულის მალვა მოდაში აღარაა, რადგან მასაც კაპდაბანდება და დაფინანსება სჭირდება.

13488. ვარსკვლავია ჩვენი ტრფობის ყველა ობიექტი, რომელსაც ჩვენთვის თუნდაც ღიმილი უჩუქებია.

13489. სიფარულს სრულფასოვნება უნდა დავუბრუნოთ, ყოველ-გვარი ცინიზმის და სხვაზე გადაბრალების გარეშე.

13490. სიფარულზე საუბარი სასიამოვნო სისულელეა, რომელიც ამართლებს და შედეგსაც აღწევს.

13491. სიფარული სირცხვილის მადლია, ამიტომ არც მეოხეს, არც ვექილს გაურბის და არც არავისი ეშინია.

13492. სიფარულის სადგომში ფეხის შედგმის შემდეგ მისი უკან გადმოდგმა ჭირს.

13493. გამარჯვების უდიდესი ჰონორარი სიფარულია, რომელიც ყველა მცდელობას ამართლებს, ანაზღაურებს.

13494. მოქალაქეობა – ადამიანობაა, თანამდებობა – კაცობაა, სამართლიანობა – სინდისია, ხოლო სიფარული რას წარმოადგენს და რად იქცევა, ამის წინასწარ დადგენა გამორიცხულია.

13495. ხანგრძლივი სიფარული მხოლოდ თაყვანისცემა და მორჩი-ლებაა.

13496. ეროსი ვნებას აორკეცებს, სუნს ახელებს, სიტყვებს თრგუ-ნავს და ცდილობს იმ სიფარულად მოგაჩვენოს, რომლისგან გრძნობე-ბის დაცლის შემდგომ რა დარჩება, არავინ უწყის.

13497. შეფარებულს სიფარულის აღსასრული არ ანადგურებს, უბრალოდ მის გრძნობებს „ცხვირს ხოცავს“.

13498. ამბობენ, რომ სიფარული დაფრინავს, ვერტიკალურია, ბრუნ-ვადია, ოღონდ ვნების სისტემების ჰორიზონტალურ მდგომარეობაში მოყვანით.

13499. ჩემი ნება რომ იყოს, ამ ქვეყანას სიფარულის ბაღად ვაქცევ-დი, სადაც ყველა იმ ნაყოფით დატკბებოდა, რომელსაც მოისურვებდა.

13500. სიფარულს გაბუტვა, ეჭვი, კაპრიზი, უხდება და არა – შეურაცხყოფა, გულგრილობა, შეუმჩნევლობა.

13501. სიფარულის სამსახური მისი ნდომა-სურვილია.

13502. ნამდვილი სიფარული ურთიერთლტოლვის ქრონიკული და-ვადებაა.

13503. ხშირად სიფარულს, ბედნიერების ნაცვლად, შეჩვევა და მოვალეობა მოაქვს.

13504. სიფარული ხშირად იმ ოცნების გაწბილების შედეგია, რო-მელიც რეალობას მიუახლოვდა.

13505. წლების ჭიდილი ღლის სიყვარულს და არა – პირიქით.

13506. როდესაც ურთიერთობის ხარისხიდან ფესვის ამოღება შეუძლებელია, მაშინ სიყვარული სიძულვილით იცვლება.

13507. სიყვარულში ჩამტკბარი ადამიანის ბედს ვერავითარი „ძაღლი ვერ დაჰყეფს“.

13508. გადამეტება ზოგჯერ სიყვარულში გადაიზრდება, თუ მასში ნაშიერთა გრძნობათაღელვა დაისადგურებს.

13509. ჭკუით და ანგარებით სიყვარული უფრო ამართლებს, ვიდრე – გულით, რადგან პირველი მეორისგან განსხვავებით დაფასება-განსჯის შედეგია.

13510. სიყვარული ზოგჯერ უსამართლოა ვიღაცის მიმართ, მაგრამ მაინც განუსჯელია.

13511. იმედგაცრუებული გული და აღშფოთებული სული სიყვარულისთვის ძალზე საშიშია.

13512. სიყვარული ცალ-ცალკე ძალზე ადვილად მარცხდება ყოველდღიურობასთან ბრძოლაში და არა საქმესთან ერთად შერკინებაში.

13513. როცა გიყვარს, ბედნიერი ხარ, ერთის პირობით – „ჰაერში ფრენა“ მოთავებული უნდა გქონდეს.

13514. სიყვარული შეიძლება იყოს: მოგონილი, დაძებნილი, გახუნებული, დახურდავებული, გამოყყჩებული, გათავხედებული, შეფიქრიანებული და სხვა მრავალი ამგვარი, რითაც მისი შემკობა, საბედნიეროდ, იშვიათად გვინდა.

13515. ზოგჯერ ირკვევა, რომ მიჩვევა, თანადგომა, სიყვარულია.

13516. სიყვარულთან თამაში არ ამართლებს, შეიძლება მართლა შეიყვარო და შეუყვარდე.

13517. სიყვარული ყველაზე არასასიამოვნო გასაცემი კრედიტია, რადგან ხშირად კოტრდება და ყველაფრის მიმართ პრეტენზიულია.

13518. სიყვარულს ყველაფერი ხელეწიფება, მათ შორის, სხვათა გადაცდენა.

13519. სიყვარული უპირველესად თანაგრძნობაა, მიტევებაა, ზრუნვაა და ფაქტიურად, სხვა არაფერი.

13520. სიყვარულსაც თავისი ალგორითმი აქვს, შენ გიყვარს, მას არ უყვარხარ, გიყვართ ერთმანეთი ან ერთმანეთის მიმართ გულგრილნი ხართ ან ყველაფერი სულერთია.

13521. ნამდვილი სიყვარულის და აზროვნების ერთად ყოფნა გამორიცხულია, აქ უფრო ინტუიცია და ვნების ადაპტორები მუშაობენ.

13522. დაპირისპირება, მტრობა, გადაზრდილი ურთიერთაღიარებაში, ურთიერთპატივისცემაში, უკვე სიფარულია.

13523. სიფარულს ბადებს სიფარული, ეს მეგობრობიდან იქნება ნასესხები თუ ნაცნობობიდან.

13524. წრეგადასული ფანატიზმი მოუთოკავი ვნებაა, დაუდგრომელი ნიჭია, რომელიც საფარელ საქმეს უკანმოუხედავად გაკეთებინებს.

13525. სიფარული და შეცდომების დაშვება სინონიმებია.

13526. პირველი სიფარულის მეორით შეცვლა რჩეულთა ხვედრია.

13527. ყველაზე დიდი ვნება სიფარულია, რომელიც სულს და სხეულის ნაწილებს აიძულებს გრძნობით და შემართებით მას ემსახურონ.

13528. სიფარული, რომელმაც დაუფიქრებლად ყველაფერი გასცა, ბანკროტია და არავის სჭირდება.

13529. სიფარულის მიზანი უშრეტი სიფარულია, რომელთანაც გარეშე ძალები, წესით, ვერაფერს უნდა გახდნენ.

13530. სიფარული არის მეგობრობის მეორე ტური, აფანილი კვადრატში.

13531. ენდო იმას, ვინც შენზე მუდამ ეჭვიანობს, სათუო საქმეა, მაგრამ შესაძლებელია, რადგან სიფარულს ასე ადვილად ვერც ხელს ჰკრავენ და ვერც შორდებიან.

13532. განუმეორებული სიფარული უფრო ხელოვნებაა, ვნების გათავხედებაა, საკუთარი თავისათვის შეძახებაა, ვიდრე – სულის ყივილი.

13533. სიფარულში სიბრიყვის ანა-ბანაც დევს, რაც საჭიროცაა და აუცილებელიც.

13534. სიფარულს ჩვენ იმაზე მეტს ვთხოვთ, ვიდრე ვიმსახურებთ, მაგრამ ეს ხომ ბუნებრივი სისუტეა, რომელშიც ბრალი არ მიგვიძღვის.

13535. ძალზე უცნაურ მდგომარეობაში ვვარდებით, როდესაც არასასურველ ქალს ვუფარვართ და საშველს არ გვაძლევს, რადგან სიფარული თანაგრძნობას თუ არა, პატივისცემას მაინც იმსახურებს.

13536. ქალის სიფარული ეგოიზმია კვადრატში, კაცია – კუბში, რადგან მდედრს მამრთან შედარებით გრძნობების მეტი ამოფრქვევის საშუალება და ბიოლოგია აქვს.

13537. შეფარებულთ მეგობრები არ სჭირდებათ, მათ თანამდგომნი და ზურგიანნი უფრო აწყობთ.

13538. სიფარულის გამოძერწვა უფრო ადვილია ვიდრე მისი გამოჭედვა, რადგან მასში სულის გამოწრთობაცაა ჩადებული.

13539. ძლიერი ხასიათი, შემართება, სამუდამო სიყვარულის გარანტად არ გამოდგება.

13540. ჩვენი სულის გენიალური მენეჯერი სიყვარულია.

13541. სიყვარული, თუგინდ უშედეგო – გაუმართლებელი, ბედნიერებაა.

13542. როდესაც ვნება ინტელექტს და აზროვნებას არად აგდებს – სიყვარულია.

13543. გატაცებას და სიყვარულს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი, მეორისგან განსხვავებით, არამდგრადი და ცვალებადია.

13544. სიყვარული ფელას უნდა, მაგრამ ტრფობისაგან განსხვავებით, ფელას არ შეუძლია.

13545. სიყვარული შესვენებების გარეშე აუტანელია.

13546. მეგობრობიდან განსხვავებით სიყვარული უკომპლექსოა.

13547. მეგობრობა ზოგჯერ წაყრუების ხელოვნებაა, ხოლო სიყვარული – გონების დაბნევის და აღმაფრენის ვნებითი შესაძლებლობა.

13548. ასაკსაც თავისი გართობის და ფლირტის ალგორითმი აქვს, რასაც მოფასის დაბალანსებული სიყვარული ჰქვია.

13549. ნამდვილი სიყვარული სიახლოვესთან შეჯერებაა და არა – სიშორის გაძლება.

13550. ჩვენი რჩეული შეიძლება არ შეგვიყვარდეს, მაგრამ მიმზიდველი რომ უნდა იყოს, უდაოა.

13551. სიყვარული თავისებური სანელებელია, რომელმაც შეიძლება ეს გრძნობა გაგიგემრიელოს ან გაგიმწაროს.

13552. სიყვარული, პირველ რიგში, ხელოვნებაა, შემდგომ მოდის ვნება, ურთიერთგაგება და სიყვარულიც.

13553. ზოგს ახალგაზრდული მონატრება სიყვარული ჰგონია, მითუმეტეს, თუ მას მოგონებები და წარმოსახვა ახლავს.

13554. სიყვარულით შეიძლება: პიროვნება, ახლო ნათესავი, გიყვარდეს და არა – მასა, რომლის წინაშე ვალდებულებას ვიხდით, რადგან კარგი და ცუდი ფელა ერშია, ასე, რომ ხალხის ავ-კარგს ჩვენთვის მისაღებ ადამიანთა რაობა განსაზღვრავს და არა მათი ეთნოსი სხვადასხვა დაჯგუფებით.

13555. ერთს უყვარს, მეორე ნებას რთავს და იმათ ესიყვარულება, ვისთვისაც ღმერთს ფულიდან განსხვავებით სიყვარულის ნიჭი არ მიუმადლებია.

13556. სიყვარულის მეცნიერება ვერ იარსებებს, რადგან არსებობს კაზუსი „ერთი ნახვით შეყვარება“.

13557. სიყვარულის წამლობა: შეუღლება, შვილების ყოლა, ერთმანეთზე მორგება და თუ ამას საჩუქრებიც დაემატება, გამოჯანმრთელებას წინ ვერავინ დაუდგება.

13558. სიყვარული სიკვდილზე ძლიერია, მანამ თავადვე არ დაასაფლავებენ.

13559. ყოველივე თვალახელილია გაჭირვების ჟამს, გარდა სიყვარულისა, რადგან ამ დროს რას მოიმოქმედებს, მისთვისაც უცნობია.

13560. სიყვარული ყველაფერს ანაზღაურებს, თუ შენი მცდელობით გატაცებული ხარ.

13561. სამწუხაროდ, ლამაზი აშიკობა, თაყვანისცემა, სიყვარულის გარანტი არ არის.

13562. უდრტვინველი სიყვარული, მსხვერპლის, ლეგენდების, თავგადასავლების გარეშე, რატომღაც, ნაკლებად ფასდება.

13563. სიყვარულია ისაა, რის დაკარგვის გვეშინია და ვერ წარმოგვიდგენია.

13564. სიყვარული ძალზე კაპრიზია, ცრუმორწმუნეა და მუდამ ჩიტივით გასაფრენად გამზადებული.

13565. სიყვარული სულიერების კომფორტია სურვილების მოწესრიგება და ვნების სერენადა.

13566. სიყვარულის ანბანი თეორიულად ურთიერთგაგებიდან იწყება, შემდგომ მოდის მოწონება, გრძნობების ჩქროლვა და სიყვარული. პრაქტიკულად ერთი დანახვითაც შეიძლება შეყვარება.

13567. ერთი სიყვარულისთვის იღწვის, განიცდის, მეორე სიყვარულს ყიდულობს, ლაღობს, რომელია მათ შორის უიღბლო და იღბლიანი, ძნელი დასადგენია.

13568. ყველა სიყვარულს ინდივიდუალური აურა, შეგრძნება და შეცნობა აერთიანებს.

13569. ტრფობით მეტ-ნაკლებად ყველას იწამებ, მაგრამ არა იმგვარად, რომ მათთვის თავის გადადო და სიცოცხლეს გამოესალმო.

13570. სიყვარული პროგრესულიც არის და რეგრესულიც, ამიტომ მას გამაგრება შვილებზე, შვილიშვილებზე ზრუნვით სჭირდება.

13571. სიძულვილის ცოდნა და არა გათავისება გვაიძულებს სიყვარულის მადლი გავაცნობიეროთ.

13572. „რეაქციული სიყვარული“ ქალისთვის მისი კარიერის ბაზისი და ბიზნესის საწყისია.

13573. სიყვარული თუ ეტრფის კონსესუსის ძებნაშია, თუ სათადარიგოში ყავს, ვნების დიპლომატიას იშველიებს.

13574. არ გვსიამოვნებს, როდესაც მოხუცად გვთვლიან, მაგრამ ასაკის შელამაზების შენი ალიბი ვისღა აინტერესებს.

13575. ნამდვილ მწუხარებას და ბედნიერებას მოთარგმნა არ სჭირდება, თარგმანი საეჭვო და მოუმწიფებელი გრძნობების საჭიროებაა.

13576. გონიერების ჩაურევლად სხვადასხვა სიკეთის კეთება მიუღებელია, რადგან მას გამოცდილება აკლია და რეალობაც საწინააღმდეგო შედეგს იძლევა.

13577. ჯეელობის გადასახედიდან დანახული ადამიანი ძალზე განსხვავდება სიჭარმაგის გადასახედიდან, დანახულისაგან რადგან ილუზიებისთვის განკუთვნილი დრო ასაკმა უკვე ამოწურა.

13578. ვინც სიცოცხლის ფასი არ იცის, ცინიკოსი ხდება, თანაც ხშირად იუმორი შხამადაა დამატებული.

13579. ხალხს სჭირდება ბედნიერად დაბოლოვებული სერიალები, რათა იმედით იცხოვროს და უიმედობა-გულგრილობის დროს რაიმე სისულელე არ ჩაიდინოს.

13580. ყველაზე ძნელია შენი ხალხის მახსოვრობის დაკარგვა, შენდამი გაუცხოება და თავის ემიგრანტად შეცნობა.

13581. ნეხვზე აღმოცენებულ ამბიციებს თავისი ქმედება კარიერის საწყისად მიაჩნია, მაგრამ ის რომ მიწად იქცევა და სხვა ქაქის აფუებას მოემსახურება, ჯერ-ჯერობით, ამაზე წარმოდგენაც არ აქვს.

13582. პატიოსნება თავისებური ზღვარია ადამიანის, რომლითაც ცხოვრების ლელოს გატანა ჭირს.

13583. სამწუხაროდ, ზოგიერთი კეთილი საქმე დაუსჯელი არ რჩება.

13584. ძღვენის აღება ძნელი არ არის, მის გამცემის კაცობის შემოწმება კი ძნელი და შეუცნობელია.

13585. სარკე გვაშფოთებს, გონება გვამშვიდებს – სხვებიც დაბერებულან.

13586. ყველაფერს ჭკუანაკლულნი კისრულობენ და ისინიც, ვისაც დასაკარგი არაფერი აქვთ.

13587. ტერორიზმი ის ინიციატივიანი უძლურებაა, რომლის აუცილებლობას ყურით მოთრეული იდეოლოგია ცდილობს.

13588. თუ ერთმანეთს ვერ ეწყობიან, ყოველთვის მოინახება ურთიერთობის გამწვავება-გაწყვეტის მიზეზი, ამასთან ორივე მხარე სამართლიანად გამოიყურება ურთიერთდამადლების იმპროვიზაციის მოშველიებით.

13589. ზოგი იმიტომ ერთიანდება, რომ სხვა დაჯგუფებებს ბიშტი უჩვენონ.

13590. შეიძლება გუნდის წევრი იყო, მისთვის ყველაფერს აკეთებდე, მაგრამ კოლექტივი ხელს არ გაძლევდეს და თავს შენს ტყავში ვერ გრძნობდე.

13591. ბრიყვსა და დარეხვილს შორის ის სხვაობაა, რომ პირველისაგან განსხვავებით, მეორის ეშინიათ, რადგან როდის რას იხიფინგებს არავინ უწყის.

13592. ტეროორისტები მხდალი და უჯიშო ხალხია, თუნდაც იმიტომ, რომ ძალაუფლებას ვერ წვდებიან და ჯავრს უდანაშაულო ხალხზე იყრიან.

13593. „სმერტნიკებს“ – სასიკვდილეებს თავად გამოაქვთ თავისთვის სასჯელის უმაღლესი ზომა და საზოგადოებას ანთავისუფლებენ განსჯისაგან და მორალის ზემოქმედებისგან.

13594. ქმედებას ყოველთვის წინ უსწრებს ინტუიცია, თუ მოსაფიქრებლად დრო არ რჩება.

13595. ლამაზმანიც ამაყობს, თუ მამრის უხეშ და მოუქნელ ძალას არ დაემორჩილება და ჭკუასაც ასწავლის.

13596. ზოგჯერ შენი სიმართლის ატანაც ძნელია, მაგრამ სასურველია ამ დროს შეუძლებელი შეძლო.

13597. ცელქობა და ცეტობა გართობის თავისებური ფორმაა, რომელიც ვარირებს აღტაცებასა და აღტყინებას შორის. პირველს თუ შემთხვევით ფეხი დაუცდა თავის მხიარულებაშია, მეორეს ფეხის წატეხვა კი გარანტირებული აქვს.

13598. მოსახლეობის 1% თუ ყოველწლიურად საზღვრებს გარეთ სასწავლებლად მოემგზავრება, ეს ქვეყნისთვის კატასტროფაა, რადგან აქედან 0,0001% გენიად და უჭკვიანეს ხალხად მოგვევლინება, რომლებიც სამყაროს შვილებად იქცევიან და იშვიათად თუ უბრუნდებიან სამშობლოს. ეს იგივეა ჯიშიანი ძროხა სხვაგან გაგზავნო საბალახოდ და რძე შენ მოწველო, მაგრამ შენ რძის გადამუშავების არც შესაძლებობა გაქვს და არც სურვილი.

13599. ადამიანი რაც უნდა დამწუხრებული იყოს, ახლობლის დაღუპვის კომპენსაციაზე უარს არ ამბობს და ხშირად მეტის ანაზღაურებას მოითხოვს. ამ ქმედებას ალბათ მორალი არ აქვს, რადგან ყველა თავისებურად მართალია, მით უმეტეს თუ მიცვალებულის მოვლა-პატრონობა ხარჯებთან არის დაკავშირებული.

13600. ღირსეული მოქალაქე, ასაკის მომიზეზებით, „ნაფტალინში“ არ უნდა ჩავტენოთ, რადგან ადამიანი, რომელიც აღარავის სჭირდება

და მხოლოდ გარემოებათა გამო ახსოვთ, თავის სულსა და ხორცს წინასწარ ასამარებს.

13601. რევოლუცია კოჭლი ცხვრების სამშობლოა, რადგან ფარა თუ არ შემოტრიალდა, ამ ცხვრებში გამოჩენილი უგვანონი ვერასოდეს წინ ვერ დადგებიან, ხოლო ფარის შუაში მყოფთ სულ არ აინტერესებთ ფარის თავში ვერძად თუ ერკემლად დაბადებული მოხვდება.

13602. სუპერმარკეტისგან განსხვავებით, ბაზარს ვაჭრობა უხდება, რადგან ერთმა თავისი ჭკუის მყიდველი დაბა, მეორემ მისი შესაფერისი ჟინის გამყიდველი, რადგან აღებ-მიცემობით ღმერთიც ასიამოვნეს და თვითონაც კმაყოფილნი დარჩნენ.

13603. ძნელია იმ კაცისთვის აზრის გაზიარება, რომელმაც შენი საუბრის შესავალიც იცის, რომლის თხრობითაც კაიფი უნდა მიიღო და ვგონებ, დასასრულიც, რომელიც შენი მონაყოლის აპოთეოზია.

13604. ზოგი მთელი ცხოვრება ისე ცხოვრობს, თითქოს ავსიტყვაობის სკოლა ააქვს დამთავრებული და ცხოველად ყოფნას ცდილობს.

13605. ლოთები, მათხოვრები, სექსუალური გადახრის მქონენი სადისტები არიან, თუ ისინი მშობლები არიან და შვილების თავის ჭკუაზე აღზრდას ცდილობენ.

13606. ,,ვინც წყალში უნდა დაიხრჩოს, მას ჩამოხრჩობა არ უწერია". შედეგის მიუხედავად, სიტყვათა ეს თამაში ზოგისთვის დიდი სიამოვნების მომტანია.

13607. ურთიერთობის გართულებისთვის ის არის მზად ვისაც ამისკენ მიდრეკილება აქვს და არც ვინმე ჰყავს საპატრონო და საქმაგო.

13608. კეთილი სურვილების გზა ხშირად ჯოჯოხეთში მიდის, თუ მისი გონიერი გამოყენება ზევიდან არ დაგამადლეს.

13609. ქვრივს ასაკი, შემთხვევის უქონლობა და მლიქვნელური დამოკიდებულება სექსის მიმართ უფლებას აძლევს ქვრივის პატიოსანი სახელი შინაგანი ერთგულებით ატაროს.

13610. სიკვდილის შეცნობა და იმქვეყნად ღირსეულად გადაბარგება ჩვენი უფლება-მოვალეობის ყველა პერიმეტრს აღემატება.

13611. განათლება, ოცნების და გამოყენებითი ფანტაზიის გარეშე მძიმე ტვირთია, რადგან იგი გამყარებს, მაგრამ ტვინსაც გიხრავს, შესაფერისი სარგებელი რომ ვერ გამოუნახე.

13612. გაუგებარი ის ბედნიერებაა, როდესაც გრძნობ, რომ ამ ქვეყნიდან ვალმოხდილი მიდიხარ, მაგრამ ვისთვის და რისთვის გაისარჯე, ბოლომდე ვერ გარკვეულხარ.

13613. ასაკს ტყვედ არ უნდა ჩავბარდეთ, თუ გვინდა შევიცნოთ დარჩენილი სიცოცხლის კაიფს ფასი.

13614. სამყაროს ახალი იდეებით ძველებურად მართავენ და ამ სიავეს ვერავინ ამჩნევს.

13615. ვნაღვლობთ, რომ სამყაროს ოხუნჯობას სათანადოდ არ ვიცნობთ, ხოლო წარსულის გაწბილებას და ფეხის წატეხვას ყურად არ ვიღებთ.

13616. ზოგჯერ გვსურს ერთმანეთს თავის სივრცეში ჩავხედოთ, მაგრამ ტვინის იმ ნაოჭების შეუმჩნევლობის გამო, რომლის დანახვაც ჩვენ გვინდა, ეს არ ხერხდება.

13617. ტვინი დიდხანს არ უნდა ვანდოთ ჭორებს, თორემ გადა-ხურდება, გაქრება.

13618. ბრიყვები და ავისმდომნი ერთი და იგივე უბედურებაა ქვეყ-ნისთვის, რადგან მეორის ვირეშმაკობა პირველის ფეხებზემკიდაობის ბრალია.

13619. იმდენად ვერ ვუგებთ ერთმანეთს, რომ საკუთარ სურვი-ლებს ხშირად ჯოჯოხეთის კარებამდე მივყავართ.

13620. ,,სიძულვილიდან სიყვარულამდე ნახევარი ნაბიჯია", ხოლო ყოფიერების განტოლება არამზადების ხარისხზეა დამოკიდებული.

13621. ვინც ბაცანაა, ის ციხის კედლებში დასეირნობს, ვინც დიდი ქურდია, პარლამენტის სვეტებიან დარბაზში სეირნობს.

13622. მონას ქმნის მონა, რადგან თავის დროზე დაბეჩავებულს სხვისი დაჩაგვრის უფლება მის წარსულს არც ისე უიმედოდ წარმოაჩენს.

13623. ზოგში მხეცის ბუნება იღვიძებს, მაგრამ შინაგანად ადამიანად რჩება, თუ გარეშენი მას ღიმილით გააკონტროლებენ.

13624. არც ისეთი საშიშია წარღვნა მათვის, ვინც თავისი ფასი იცის და ცხოვრებაშიც დასამახსოვრებელი რაღაც შეიცნო.

13625. გამოთაყვანებასაც თავისი ზომა-წონა აქვს – როდესაც ევ-როპის თასის ჩამომტან გუნდს დეკლარაციას სთხოვს საბაჟო მის ქვეყანაში შემოტანაზე.

13626. ხელმოცარულებისთვის მთავარია ფორტუნის გაწბილება ნახოს, თავისი უნიათობის ალიბი სხვას აჰკიდოს, ხოლო რამდენადაა დამნაშავე ეს ,,განტევების ვაცი", არ აინტერესებს.

13627. ყველაზე სასტიკნი ლაჩრები და უქნარები არიან, თუ შემ-თხვევამ ისინი სიავის საკეთებლად გასწირა.

13628. დეპრესია ჩვენი ცხოვრების ის მონაკვეთია, როდესაც ყველას ვაგინებთ და არავის ნახვა არ გვინდა.

13629. ინსტინქტებზე და ტვინის ჭყლეტაზე მაღლა უნდა დავდგეთ, მაგრამ ძნელია თავს მოერიო და შურისძიებაზე უარი თქვა, თუ შენს

წინ სერიული მკვლელი-მანიაკია, მას სულით ავადმყოფობა დააბრალო და კანონის თანახმად შეიწყნარო.

13630. ბევრს რგებს „ფიზიკური შენიშვნა“ ალიყურით, მიუხედავად დემოკრატიის და თავისუფლების ქარტიის მოყვარულთა წინააღმდეგობისა.

13631. ტუსაღი ის არის, ვინც სისტემის მოიმედეა და ბრბოდქცეული ხალხის მონაა.

13632. დიდების, ძალაუფლების, ფულიანობის, ფილტრში ღირსეული გავლა ყველას არ შეუძლია.

13633. დღევანდელი გადასახედიდან მ. გორბაჩოვის ყველა გამოსვლა დემაგოგია იყო, მაგრამ იმ გარემოსათვის გასაგები და მისაღები. ამრიგად, ყოველივეს დრო, შემთხვევა და განგების ნება წყვეტს და არა – ჩვენი სურვილები, მისწრაფება და სამართლიანობის პრინციპები.

13634. ყოველივეს რომ ყური უგდო, მაშინ საკუთარი თავქარიანი ჯეელობა უნდა დავგმო, რომელიც წლებთან და სილაღესთან ერთად უკანმოუხედავად გარბის და ჩვენს ამქვეყნად მოსვლას ეჭვის ქვეშ აყენებს.

13635. გარკვეული დოზით: იდეალიზმის, სიყვარულიზმის, შურიზმის და მრავალი სხვა აუცილებოლობიზმის ქონა, მოხერხებულობასთან ერთად, აუცილებელია, რადგან მის გარეშე ცხოვრების ლელოს გატანა ჭირს.

13636. ანგელოზად ყოფნა ადვილია, – ცხოვრება კი შეუძლებელია, თუ თავის წარმოჩენა, საჭმლის მოპოვება და ქალის ალერსი არ გვჭირდება.

13637. ცხოვრების საფუძველი მაშინ იწყებს ნგრევას, როდესაც ყოველივე ფეხებზე გკიდია და გულს ვერაფერი უდებ.

13638. გულგრილობა და დაუნახაობა უიმედობის და საცოდავი სულის გარყვნის შედეგია.

13639. სიკვდილი ზოგისთვის დიდი შენაძენია, იმდენად უფერული ყოფა აქვს.

13640. სასიამოვნო ხარვეზების გარეშე სიცოცხლე ფასს დაკარგავდა.

13641. არარენტაბელურია მორცხვ ვიგინდარასთან საქმის დაჭერა, ფული უნდათ, მაგრამ გარისკვას ერიდებიან და წამოწყებული საქმიანობა კრახით მთავრდება.

13642. გამოერევა შავი დღეები პოლიტიკაში, როდესაც მარტო ქურდობით არ კმაყოფილდებიან, თვალი „მარადიორობისკენ“, საფლავის ამოთხრისკენ უჭირავთ და თუ დაჭირდათ მიცვალებულის გაბა-

ხებასაც არ მოერიდებიან, მაგრამ საოცარი ის არის, რომ მათ სერიოზულად არავინ ებრძვის.

13643. პრეტენზიული უმუშევრის დაკმაყოფილება შეუძლებელია, რადგან მისი ცოდნის პოტენციალი ნულის ტოლია, მაგრამ თავზე ბრიყვულად დიდი წარმოდგენა აქვს.

13644. 15–20 წლით თავის მეუღლეზე უფროსი ქმარი, დროთა განმავლობაში, თავზე არა მარტო თმების მასობრივ ცვენას აღმოაჩენს, არამედ ამომავალი რქების ყლორტების ნიშნებსაც.

13645. კაცობაში შეშლაა: ღალატი, გულგრილობა, ვალის დაუბრუნებლობა, უსაქმურობა, – რომელიც პრაქტიკულად შეიძლება ვაპატიოთ, მაგრამ თეორიულად არასოდეს.

13646. ნაბახუსევზე გაკეთებულნი ანუ ტანმორჩილნი ხშირად ნიჭიერები არიან. სახელოვანმა ვიგინდარებმა (ნაპოლეონმა, ლენინმა, სტალინმა) თაობებს დედა უტირეს, რადგან თავიანთი გარეგნული ხარვეზის დამალვას და თავის წარმოჩენას ავადმყოფურად ცდილობდნენ.

13647. ინტელიგენტის უბედურება ის არის, რომ სულთან დაპირისპირებას ვერ უძლებს, გაუბედავი და ტრაბახაა, იმ განსხვავებით, რომ ოპონენტებს აქვთ ფაქტები, მათ დამცველებს კი განაწყენებული სიტყვათა მარაგი.

13648. უნიჭობისთვის გზის გახსნა, საზოგადოებას რყვნის და ბრბოს ხელებს უხსნის, რადგან უნიჭობას „ვარსკვლავად“ აქცევს, თავად მის ფანად იქცევა, რადგან მისი გემოვნება მეტს ვერ წვდება.

13649. ჩვენი მაქსიმალიზმია „მილიონი და დღესვე“, ის კი ხშირად სუფთა გზით არ იშოვნება. ხალხი ყველაფერს გაგიხსენებს, დაგაყვედრის, თუ შენს მცდელობას სუნი აუვა და აყროლდება.

13650. კაცობას თავისი მორალი აქვს, მეობას თავისი ღირსება, მხოლოდ მზვერავს აქვს მსტოვრისთვის ცნობილი „პატიოსნება“, რომელიც თავისი ქვეყნის ინტერესებისთვის, ღირსების ნორმების გათვალისწინებით, უკადრებელს კადრულობს და სჩადის.

13651. სხვისი წარმატებების ყიდვა არ შეიძლება, მაგრამ გამოსყიდვა, ზურგის შექცევა, დავიწყება, შენს უნარზე და მცდელობაზეა დამოკიდებული.

13652. დგება ის ასაკი, როდესაც არ გამოგდის იმის კეთება, რაც იცოდი და ამ ფიასკოს აღიარება აღარ გრცხვენია.

13653. სიჯიუტე, კაპრიზი, პირველი ნიშანია სიჩლუნგის, ბოკობის და მას სარგებელთან, აზროვნება–განსჯასთან, საქმე არ აქვს.

13654. არსებობს „მწვადის მეგობრობა“, ღეჭე–ღეჭე და გადაულოცე სხვას, რადგან თანადგომის მყარი მასალის შერჩევა არ სცოდნია.

13655. არის უიმედობის შეგრძნების რაღაც პერიოდი, როდესაც ქალმა არ იცის: მამრი გამოცვალოს, ხასიათი შეიცვალოს, თუ სხვა ფირმის ,,დეზოდორანტი'' შეიძინოს, იმდენად უიღბლოდ ეჩვენება თავისი არჩევანი.

13656. ბრბოს კანონია ემოციების ამოფრქვევის ხარჯზე საკითხის გადაწყვეტის მცდელობა, ხოლო შედეგად რა მოყვება, მას ეს არ აინტერესებს.

13657. სიღარიბე დამღა არ არის, ეს უბრალოდ ღორობაა საკუთარი თავის წინაშე, როცა ერთდროულად ხელის და გონების განძრევა ეზარებათ.

13658. ღირსების დაკარგვა და გადაგვარებულ ადამიანთა რაოდენობის ზრდა მაშინ იწყება, როდესაც მიცვალებულის წინ ტყუილის თქმას კადრულობენ.

13659. ტკივილი გადის, ბოღმა რჩება, მიუხედავად იმისა, ძველი გაღელვებს თუ ყველაფერი სულერთი ხდება.

13660. ყველა უსიამოვნებას თავისი ინიციალები აქვს, რომელიც ზოგჯერ დანაშაულებრივ გულგრილობაში გადაგვეზრდება.

13661. პატიოსნება, სიწმინდე–უმადურობას, გუილგრილობას, ეწირება, ხოლო ვიგინდარობა–ვირეშმაკობა თავს ყველგან კარგად გრძნობს, რადგან სინდის–ნამუსის არქონა მას ხელს არ უშლის მიზნის მიღწევაში.

13662. გაკოტრება და დამარცხება სინონიმები არიან, რადგან შედეგი ერთმანეთისგან დიდად არ განსხვავდება.

13663. გულჩათხრობილი ადამიანი გონიერებით დაბორკილია და დაყოვნების ნაღმს მოგვაგონებს, რადგან გულში ჩადებულმა ამდენმა ბოღმამ და ენერგიამ სადღაც თავი უნდა იჩინოს და ამიტომაც საშიშია.

13664. ,,ბოზი'', ,,ჩამშვები'' ის კი არ არის, ვინც უგვანობას გადაეყრება და ატყობინებს, არამედ ის, ვინც ამ უგვანობას ესწრება და ეძებს.

13665. სიზარმაცის უშედეგო მოცილების მცდელობას არც საზღვარი აქვს და არც დასასრული.

13666. გარდაცვალებას, სიკვდილს, მოკვდინებას, თავის გამართლება და შენდობა სჭირდება, რადგან თუ ბრბოს ფარა შეტრიალდა და ის ხალხი მოექცა სათავეში, რომლებსაც სურვილი ბევრის აქვთ, მაგრამ არაფრის კეთება არ შეუძლიათ, ისინი მათ გააფეტიშებენ, რათა თავისიანებს გზა გაუხსნან კარიერის კიბეზე ასარბენად.

13667. ხშირად გაუგებარი უცნაურობებიდან შედგება არა მარტო ჩვენი სიცოცხლე, არამედ – სიკვდილიც.

13668. ანარქია ყველაფერია ვალდებულებების გარეშე.

13669. სუროგატ პარტნიორსაც დედა ირჩევს, მიუხედავად მისი სახელის ,,შვილისმიერი" გაფეტიშებისა.

13670. არის ცოდვა, რომელიც მთელი სიცოცხლე არ გეშვება, თავს არ განებებს და საფლავშიც მიგყვება, რადგან მის ჩადენასაც ცოდნა, სამართლის და სიმართლის მარცვლები სჭირდება.

13671. შიმშილის დროს საკუთარი პერანგიც კი გეუცხოება და მზად ხარ საჭმელზე გადაახურდავო.

13672. ქვეყნის დაქცევაში ყველაზე მეტად დამნაშავეა არა აქტიური უმცირესობა, არამედ პასიური უმრავლესობა და მათი გულგრილობა.

13673. სიძულვილის თანდაყოლილი გრძნობა მეტ-ნაკლებად გვა-წუხებს, მაგრამ არ უნდა შევიმჩნიოთ, რადგან ეს რეალობა პრაქტიკაში არ გადაგვეზარდოს და პირველ რიგში საკუთარ თავს არ ვავნოთ.

13674. უსახსრობა ცნობიერების ზოგიერთი წერტილს ამუნათებს და გადაგვარებისკენ უბიძგებს და არა მთლიანად ცნობიერებას.

13675. უხიაგი თაობა თავის წინაპრის ჩრდილის დიდებას მანამ ,,ეფერება", სანამ გასდის და რეალობა ყოფის ალიყურს არ აჭმევს.

13676. ბოროტისთვის სიკეთის კეთება და შთაგონების მცდელობა არამია.

13677. ცოდვა თავის მართლება კი არ არის, არამედ – მისი ყასიდად მონანიებაა.

13678. გონიერება, მოთმინება, შემწყნარებლობა, მაგრამ არა ყველ-გან და ყოველთვის, რადგან მათ პარამეტრებსაც ზღვარი აქვს.

13679. უგნურება მარტო ფულის ფანტვა არ არის, რადგან მასთან ერთად ,,საქმეში გადის" უკულტურობა და გაფლანგული დრო.

13680. დაუმთავრებელ საქმეზე ცუდი არაფერია, რადგან იმქვეყნად ბოღმით მიდიხარ.

13681. ერთი კლავს, როცა ეს აუცილებელია, მეორე ამას თავის სიამოვნებისთვის აკეთებს, მესამე რისთვის სჩადის ამას, მისთვის უცნო-ბია, მაგრამ შედეგი ერთია.

13682. ბიუროკრატია ყველა კეთილშობილურ წამოწყებას რყნის, საქურდლად აქცევა და გამორჩენას ნახულობს.

13683. უხიაგი კაცისთვის ცოდნა-არცოდნას მნიშვნელობა არა აქვს, მისი გარდაქმნა – დამოძღვრის მცდელობა მხოლოდ დროის გაცდენა და თავის გაბიაბრუებაა.

13684. უნიჭოს ამპარტავნობას, ბრიყვის ყოყლოჩინობა ვერ შეედ-რება, იმის მიუხედავად, რომ ვერცერთი თავის ნაკლს ვერ გრძნობს.

13685. სისაძაგლე არ შეიძლება პატარა ან დიდი იყოს, რადგან უნამუსობას, ვიგინდარობას ერთი საზომი აქვს.

13686. სხვისი ინტერესებისთვის ჩადენილი სისულელე ყველაზე დიდი სიბრიყვეა, რადგან თუ დასჭირდათ, წაგაყვედრიან – ვინ გეხვეწებოდაო.

13687. ყველას დრო აგებინებს წილხვედრ პასუხს და არა აწმყოში მის მიერ ნაოცნებარი „ბაირამი“.

13688. არის საკითხი, თემა, რომელიც არც უნდა გავიხსენოთ, რადგან მას საზოგადოების გარყნის, დაპირისპირების, გადაგვარების გარდა სხვა სასიკეთო არაფერი მოაქვს.

13689. ძუკნიაშვილი, ძაღლიშვილი, ვირიშვილი, ბოზიშვილი, – ცუდად აღზრდილი უზრდელი შვილის საყვარელი ლექსიკონია.

13690. შუა ასაკი ისაა, როდესაც ფიქრობ, რომ სადაცაა სიყვარული კარზე მოგადგება და ნაოცნებარ მეწყვილეს ნახავ, მაგრამ ამის უკვე აღარ გჯერა.

13691. ხშირად ოცნება და მომავალზე ფიქრი კი არა, აწმყო დაგვცინის და რეალობა ხელებს გვაწევინებს.

13692. დაცემაა, როდესაც დაბნეული ხარ, კრიზისია, როდესაც უსახსროდ რჩები.

13693. არის მიზანი, რომელსაც აღწევენ, არის, რომელსაც მუქთად იხვეჭენ. პირველი უფრო თავმომწონედ გამოიყურება მეორესთან შედარებით, რომელშიაც კრიმინალის ელემენტები დევს.

13694. მთელი სამყარო მომხიბვლელი უაზრობით არის დაავადებული და მისი ქმედება გარყნილებას უფრო ესადაგება, ვიდრე წესრიგს და წესიერებას.

13695. მწუხარების ჟამს ვნება და შემართება ტირის, ხოლო გული უთანაგრძნობს, რადგან მას სიცოცხლის შენარჩუნების ფუნქცია აკისრია.

13696. ყველა ჩვენს მიერ ჩადენილი სისაძაგლე ადრე თუ გვიან გვიბრუნდება, რა მიზეზით და ალიბითაც არ უნდა იყო ჩადენილი.

13697. სუიციდის ვირუსის შეყრის საშიშროება ყველა ასაკს აქვს. ეს ამ ქვეყნიდან პროტესტით წასვლის მცდელობაა და მსოფლიოს მერვე საოცრებაა.

13698. შემზარავი ფაქტების დათრგუნვა ძნელია, მაგრამ უარყოფით ემოციებს ფანტაზია არ უნდა შევაზილოთ.

13699. მარტოობის მედიდურობასაც თავისი განზომილება და პრეტენზიები აქვს სიცოცხლის მიმართ.

13700. ნახევარი სისაძაგლე არ არსებობს, ან მთლიანია ან საერთოდ არ არის.

13701. ამერიკა ინდიელების ქვეყანაა, რომელშიც ფულზე და თავზე შეყვარებული, ცივილიზებული გადამთიელი ნაძირალების შთამომავალნი ცხოვრობენ.

13702. დაპირებასა და აღთქმას შორის ის სხვაობაა, რომ პირველის შეუსრულებლობა შენს კარიერაზე მოქმედებს, ხოლო მეორისა – რწმენაზე, რომელიც ყოველთვის მზადაა შეგინდოს.

13703. ადამიანს იმ ზომამდე უნდა აწყენინო, რომ სიავე გულში არ ჩაიდოს, წინაალმდეგ შემთხვევაში, მას უნდა მოერიდო ან უნდა ,,გაანადგურო'' იმგვარად, რომ თავის მართლება და ხმის ამოღება ვერ გაბედოს.

13704. ბიოლოგიურ წყვლა-კრულვას რეალობაში ვერც ერთი სხვა შეჩვენება ვერ შეედრება.

13705. სხვისი აუგის თქმა, გახუმრებითაც, იმის მინიშნების სურვილია, რომ თქვენ მასზე უკეთესი ხართ.

13706. ძნელია უმუშევარი პატრიოტი იყო, ან დებილი ხარ, ან ბუნებით უბედო და უსაქმური.

13707. ზოგჯერ ვიცით, რომ ცოდვას ჩავდივართ, მაგრამ ჩვენს ბუნებას სხვანაირად არ შეუძლია და საქმეც ითხოვს.

13708. გვარიან მატყუარას და ფარისეველს ყოველთვის გამიუჩნდება გულუბრყვილო მიამიტი, რომელსაც ათას სისულელეს დაუჯერებენ.

13709. გულგრილობა ყველას და ყოველივეს მიმართ გარდაცვალების ტოლფასია.

13710. საივე ყოველთვის დაუფიქრებლად, ადვილად, კაიფით, კეთდება ვიდრე დაფიქრებით და ტვინის განძრევით.

13711. დიდი ბედნიერება და გამართლებაა, თუ უახლოესი ხალხის უდროოდ დაკარგვის სიმწარე არ განგიცდია და ამას, სამწუხაროდ, ტრაგედიის გადატანის შემდეგ ვხვდებით.

13712. სიფრთხილე ის სიავეა, რომელსაც ხალხის სიკეთისკენ მიდრეკილება არ ესმის.

13713. სუსტს ძალის ჩვენება მოსწონს და ამისათვის სისაძაგლესაც კადრულობს.

13714. ზედმეტი და უვარგისი ადამიანის პრობლემა ყველას გონებაში დაძვრება, საკუთარი თავის ჩაუთვლელად.

13715. მგლების გამოხშირვა და რეგულირება თუ შეიძლება, რა დააშავა უგვანობამ, რომლის სამუდამო იზოლირებას შეუძლებელს ვხდით და გვინდა თუ არა საზოგადოებაში უნდა ვამყოფოთ.

13716. ძალზე უცნაურია: თუ შენ არავის სჭირდები, შენც არავის დანახვა არ გსიამოვნებს და ვერ გარკვეულხარ, ამქვეყნად რატომ ყოვნდები.

13717. „ნახვამდის“ იმით განსხვავდება „მშვიდობით“–ისაგან, რომ ეს უკანასკნელი პატარა სიკვდილია და იმას ნიშნავს, რომ მომავალში ერთმანეთს აღარ შეხვდებით.

13718. ცდუნების გამოცდის გარეშე, რაიმე სიკეთის კეთება და სხვისთვის ჭკუის სწავლება მკრეხელობაა.

13719. მანიაკი ისიც, ვინც გარეთ წესიერად იქცევა და სახლში – საძაგლად, ან – პირიქით.

13720. სიავეს გამომგონებლობის უნარი შესწევს.

13721. რადგან ადამიანი ცუდსაც და კარგსაც ადვილად ეჩვევა, სახელმწიფო ვალდებულია ცუდი სახალხოდ იშვიათად გამოჩხრიკოს და განსასჯელად ხალხს არ გააკაროს, რათა უკეთურებას დამცველი და მიმბაძველი არ გამოუჩნდეს.

13722. ნარკომანია უგნური ცნობისმოყვარეობის ჭირია, იმის ცოდნის მიუხედავად, რომ მისი თავიდან მოშორება ძალზე ძნელია.

13723. ნარკოტიკი საშუალებას გვაძლევს რეალობას დავშორდეთ, ცნობიერება დავამუნათოთ, მაგრამ რეალობას მაინც ვერსად ვემალებით.

13724. ნარკომანია ეს არის სიკვდილის მისჯა, დროის გაჭიანურებით, დახვრეტის გარეშე.

13725. ზოგჯერ აღიარება პატივმოყვარეობის სინონიმია, რადგან შეიძლება ისეთიც გამოჩნდეს, ვინც ცოდვას დახარბდება და შეგეცილება.

13726. ღალატის საწყისია: ცნობისმოყვარეობა, მოწყენილობა, უყურადღებობა, გაუბედაობა, შურისძიება, უსაქმურობა, დანარჩენი განგების „წყალობაა“, რომელიც ჩვეულებრივი მოკვდავისათვის აუხსნელია.

13727. მოჭარბებული იდეა, რწმენა, სიყვარული, ვერაგი და დაუნდობელია, რადგან განსჯასაა მოკლებული.

13728. ჭორსა და დასმენას შორის ის სხვაობაა, რომ ერთი ყეყჩია, მეორე – ვერაგი.

13729. დარდი, მწუხარება, ახლოს არ უნდა გავიკაროთ, ვეცადოთ მას იგნორირება გავუკეთოთ.

13730. ღალატი ის ცოდვაა, რომელიც მეტ–ნაკლებად შთამომავლობას უბრუნდება, რა მიზეზითაც უნდა იყოს ჩადენილი.

13731. გამოფხიზლების საწყისი, წარსულში მოპოვებული რეგალიებთან მიმართებაში, ცინიზმი არ უნდა გახდეს.

13732. ხელმოცარულის სიძულვილზე საშიში არაფერია, რადგან ის განაწყენებულია ყველაზე, ყველაფერზე და მათ შორის, საკუთარ თავზეც.

13733. ხშირად ცოდვის ჩადენა გარემოებაზეა დამოკიდებული და არა – ჩვენს გუნებაზე, აღზრდაზე.

13734. ჭირის მალვა დიდ შემართებას, ნერვების წყვეტას მოითხოვს, მაგრამ ზოგჯერ მაინც იძულებული ხარ ეს იკისრო.

13735. მშიერ კუჭს არც სულის სიწმინდე სჭირდება, არც სხეულის გალაღება და არც გონიერების გამონათება.

13736. არის დანაშაული, რომელსაც გარდაცვალებაც არ შველის. ის საფლავიდან უნდა ამოიღონ, დაწვან, ღრმად დამარხონ, რათა რეციდივი არ განმეორდეს.

13737. სიავის კეთება კი არ გვაშინებს, არამედ სამაგიეროს გადახდის საფრთხე.

13738. წარუმატებლობა, უბედურების გადატანა, არ არის თვითმკვლელობის გამართლება, უბრალოდ მოცდა, დროის გაყვანა, ჩასაფრება უნდა ვისწავლოთ და შემთხვევაც და განგებაც თქვენს მხარეს დადგება.

13739. თვითმკვლელობას არც არგუმენტი აქვს და არც ალიბი, ეს, უბრალოდ, ნერვების გაჭენებაა განუკითხაობის პერიოდში.

13740. ქაოსი გუშინდელი მონაბერისკენაც გვიბიძგებს და ხვალის მომავლისაკენაც, რადგან პროგრესის, ძველის გადახალისების გარეშე ფეხს წინ არ წასდგამს.

13741. უინტერესოა ყოველივე, რითაც ვერ ვსარგებლობთ და სადაც საქმეში არ გავდივართ.

13742. მკვლელობა, იმქვეყნად ადამიანის ,,ურიგოდ'' გასტუმრებაა.

13743. ცინიზმი ოცნების, მიზნების, იდეალების ,,გაპეტუხების'' ნაყოფია, ხოლო ცინიკოსობა თავაშვებულობის და მცდელობის, რომ სხვას სიმართლის თქმა დაასწროს.

13744. ცინიზმს და ცინიკოსს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი სიმართლეს განზოგადებულად არასასიამოვნოდ აზვიადებს, ხოლო მეორე პირში გახლის.

13745. ზოგჯერ უნებლიედ ჩადენილი შეცდომა ყველა დანაშაულის პერსპექტივაზე უარესია.

13746. შურისძიება მრავალნაირია, მაგრამ მისი მამოძრავებელი ძალა გაუნათლებლობა, უგულობა, ყოფის გაუცნობიერებაა.

13747. უკიდურესობა სუსტი და ყოფის ალიყურის ,,ნაჭმევ'' ადამიანთა ხვედრია.

13748. ზოგი იმისთვის იბადება, რომ იჭორაოს, იყბედოს, იბილწსიტყვაოს და ამით სხვას მისთვის გაუგებარი უსიამოვნება მიაყენოს, ხოლო თავად, მისთვისაც გაუგებარი სიამოვნებით დაკმაყოფილდეს.

13749. საკუთარი გრძნობების დუღილით გამოფრქვევა პიროვნების სისუსტის და დაუძლურების შედეგია.

13750. ზოგჯერ სიავის კეთება საკუთარი თავმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად გვჭირდება, რაც ყველა შემთხვევაში გაუმართლებელია, თუ საფუძველი სიკეთის კეთების ოპონენტმა არ ჩაუყარა.

13751. ცუდია, თუ რომანი არ გაქვს, უარესია, თუ პერსპექტივაც არ ჩანს, მაგრამ ვიღაცას მაინც უნდა დაუკავშირო შენი ბედი და მომავალი რათა ადამიანად და მისი მოვალეობის აღმსრულებლად დარჩე.

13752. ზიზღი სტრესით იწყება და ბოლო არ უჩანს, რადგან მისი სიყვარულად გადაქცევის განტოლება ჯერ არ შეუდგენიათ.

13753. შენ არავინ არ ხარ, თუ არავის უყვარხარ და შენზე გული არ შესტკივათ.

13754. სიტყვას იქ არ ამბობენ, სადაც ცნობილია, რომ გამოსწორება აღარაფრის შეიძლება და გონება სანუგეშოს უკვე აღარ ეძებს.

13755. ბოროტება საბოლოოდ მარცხდება, მაგრამ გარკვეული დროით ,,ფრთაასხმული" შედეგები აქვს.

13756. სიხარბე-გაუმაძღრობა ღუპავს ადამიანს, რადგან იმ ხელს კბენს, რომელიც მას აჭმევს, კარიერის საფეხურებზე ფეხს ადგმევინებს და მომავლის პერსპექტივას უქმნის.

13757. თუ შენი აწმყოს საზოგადოებას ხალხად არ ცნობ და არ გიყვარს. მაშინ არც სალაპარაკო და არც არაფერი გაქვს, დაცინვის გარდა.

13758. ზოგჯერ ადამიანი გარემოებათა გამო მყრალ ,,ნაგვად" გადაიქცევა, რადგან დროულად ბედის სიმუხთლეს და საკუთარი ,,მეს" ამბიციებს ვერ შეებრძოლა და ყოველგვარ სისაძაგლეს იკადრებს, თუ უფლებები დროზე არ ავყვეთ და მოვალეობებით არ დავტვირთეთ.

13759. შინაგანი რეზერვები – ნიჭი, ინტუიცია, ცოდნა-გამოცდილება, მეტ-ნაკლებად ყველას გვაქვს, მაგრამ რას მოვახმაროთ, როგორ მოვიხმაროთ და აქედან რა გამოდნება, არავინ უწყის.

13760. უბედურების და მწუხარების ინტრიგებს მაშინ შეიგრძნობ, თუ თავად გამოცდი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ,,სხვისი ჭირი ღობის ჩხირია".

13761. საკუთარი თავისადმი უპატივცემულობაა, როდესაც შენი გულგრილობით რაღაც შავდება, რომლის გამოსწორება შეგეძლო, მაგრამ ცხოვრება გაავებულმა ხელის განძრევაც არ ინდომე. ეს იმ გადაგვარების დასაწყისია, რომელიც მომდევნო თაობებმა უნდა ატარონ, სანამ გულგრილობას და ფეხებზედმკიდიობას გადაეჩვევიან.

13762. ადამიანს, რომელიც სასაფლაოს ძარცვავს და ნეკროფილით ვნებას იკმაყოფილებს, ცხოველადაც ვერ ჩავთვლით, რადგან ეს უკანასკნელი ამას არ კადრულობს.

13763. უხარისხო საქონლის მწარბოებელი თავის უმწეობას, უმსგავსოებას ხაზს უსვამს, საკუთარ მცდელობას დასცინის, სხვისი შეცდენა უნდა ამით საბოლოოდ სამარეს რომ ითხრის, დღეს ეს არ ადარდებს.

13764. მოყვასი და მტერი, სენტიმენტალობა და ულმობლობა, სხვდასხვა პოლუსებზე დგანან, მაგრამ ურთიერთშერწყმას არ გამორიცხავენ.

13765. ინდივიდუალობა ყველაზე დიდი სასწაულია და დიდი ცოდვაა, თუ მას წარმოჩენის საშუალებას არ ვაძლევთ.

13766. ყველაზე უკეთესი შურისძიება ჭორის უყურადღებოდ დატოვებაა.

13767. ყველაზე ცუდია, როდესაც საკუთარი თავის რწმენის პატივისცემას ჰკარგავ და შენი და სხვისი გასაჭირიც ფეხებზე გკიდია.

13768. უსიტყო დრამა ის გამოუვალი მდგომარეობაა, რომლის გადატანაც ყველაზე მტკივნეულია ცხოვრებაში.

13769. საკუთარ ცოდვებს თუ თვალს გაუსწორებ, თვალგაუსწორებელისგან განსხვავებით, ცხოვრება კიდევ შეიძლება, რადგან გასახსენებელი გაქვს, იმისდამიუხედავად გულზე მალამოდ გეცხება თუ საწამლავია.

13770. ზოგს ისეთი წარსული აქვს, რომ მისი გახსენებაც არ უნდა, ხოლო მომავალზე ფიქრი აშინებს და აფრთხობს.

13771. ერთი ჭირის მეორესადმი თანაგრძნობა ორთავეს წუხილს უმსუბუქებს, მაგრამ გამოსავალს ვერ ნახულობენ.

13772. ბოროტება იმიტომაცაა დაუძლეველი, რომ მას ფესვები თვით ადამიანის ბუნებაში აქვს განრთხმული და რაც უნდა წავაჭრათ, უგნურების ყლორტს მაინც ამოიყრის.

13773. მკვეხარასთან, უვიცთან, საუბარი დროის დაკარგვაა, ხოლო კამათი – სიბრიყვეა კუბში.

13774. ბოროტების, უგნურების, შთაგონება სისაძაგლის კეთების ტოლფასია.

13775. გულმკვდარობის ერთ-ერთი სიმპტომი შვილმკვდრობა და იმ ადამიანთა გარდაცვალებაა, რომელთა დავიწყება ჩვენს ძალას აღემატება.

13776. ხიზნობის ინსიტიტუტი, გარემოებათა გამო, სამყაროს ცნობიერებაში ჯერ არ ისპობა.

13777. ჰუმანიტარული მისამძიმრება, ტირილი, დახმარება, არსებობს, მაგრამ მადლიერის და მხრის დამჭერის ნახვა ძნელია.

13778. გულგრილობა უკვდავია და რომელიმე ასაკში რომ არ გვესტუმროს, შეუძლებელია.

13779. ყველა ბოროტებას თავის ტრამპლინი აქვს და იქიდან ერთბაშად გადმოხტება, თუ ხტუნვა-ხტუნვით დაეშვება, შედეგი ერთია – დასჯილია.

13780. ყველა უნიათს თავის მოსაწონი ,,ფიშტო-ალიბი'' აქვს.

13781. ნაძირალათა ოდენობა ქვეყანაში სტაბილურია, იმის მიუხედავად დაუდგათ ცხვირის გამოყოფის დრო თუ არა.

13782. მიმბაძველობით კისრის მოტეხა ადვილია, იმის მიუხედავად, რომ შედეგი ცნობილია.

13783. უიმედობა ფუღუროში თავის შეყოფაა, საიდანაც არც არაფერი ჩანს და არც არაფრის დანახვა გინდა.

13784. კოღო უძახე შენ და ეს ,,არარაობა'' მილიონობით ადამიანს ამწარებს.

13785. ცინიზმს ყოველთვის გულგრილობის მოსასხამი აქვს მორგებული.

13786. უძლურებაზე, უნიათობაზე, სიზარმაცეზე, საშიში უგულობა და ფეხებზემკიდიაობაა.

13787. თავის მოკვლაზე საუბარს მაშინ აქვს ფასი, თუ მასზე სერიოზულად არ ფიქრობ და ირგვლივმყოფთა დამოკიდებულებას შენს მიმართ ამოწმებ.

13788. ჭირი, დამალული იქნება თუ გაცხადებული, ჭირია. მას შემართება, გონების მოხმობა და მუშტის მოქნევა ,,დედის ხსენებით'' სჭირდება.

13789. მოულოდნელად უგვანო სიმართლის მიხლა საშინელებაა, მაგრამ წინასწარი განზრახვით მიწოდებულ უგვანო ტყუილს მაინც სჯობს.

13790. ბოროტების გულში არგავლებაა ძნელი და არა – მისი კეთება.

13791. ბოროტებას ყოველთვის სიმდიდრე არ მოაქვს და თუ რაღაც მაგგვარს შემოგვთავაზებს მუდამ საფრთხეში იქნება.

13792. ჰეროდეს ცოდვები, აბორტთან შედარებით არაფერია, რადგან აქ საკუთარ ნაყოფს სიცოცხლეს კანონის თანხმობით უსპობენ.

13793. საშიში სწორედ ის დარტყმაა, რომელიც არ ჩანს და ვერ გაგიგია.

13794. სინამდვილეში, უმეტესად ჩვენ არ ვცხოვრობთ, უბრალოდ, ვარსებობთ და ყოფით ვკმაყოფილდებით.

13795. ვერ შევძლებ, არ მინდა, დასანახად მეზარება შორის დიდი სხვაობაა, როდესაც ერთდროულად ცოდვის ჩადენას სურვილი და მოთოკვის მცდელობა გაგივლის გულში.

13796. ვინც მეტს აკეთებს, ფიქრობს, მსჯელობს, მას სხვაზე მეტის კეთება, ფიქრი, მსჯელობა, უწევს, მაგრამ დამფასებელი ყავს გულგრილი „ვინ სთხოვა, ვინ შეეხვეწა".

13797. არ იცოდე გაჭირვება, იყო კეთილი და თავისუფალი ცხოვრების გავლა კი არა, გარბენაა, რადგან ბოროტების გარეშე სიკეთისა და ყოფის შეცნობა შეუძლებელია.

13798. ინტელექტი და სიძულვილის ჩადენის სურვილი რატომღაც ერთად არიან.

13799. შარლატანების და ბარბაროსების ოდენობა ქვეყანაში არასოდეს მცირდება, რადგან მათზე მოთხოვნილება არ კლებულობს.

13800. ქება-დიდება ბევრს უდროოდ აწვენს საფლავში.

13801. ზოგი უცოდველი იმიტომაცაა, რომ მას გამოცდილება და აღმაფრენა არ ჰყოფნის ცოდვისათვის.

13802. ეშმაკს და სატანას შტატიანი მომხრეები არ ჰყავს, მაგრამ ისინი თავის საქმეს არც თუ ისე ცუდად აკეთებენ.

13803. სიმხდალე გიჟური და აუხდენელი ფანტაზიის უქონლობის ბრალია.

13804. ის, ვინც თავს დებს რაღაცაზე და ის, ვინც თავს იკლავს ვიღაცისთვის, დაბადებით ფანატიკოსი იდიოტია და შებრალებას არ იმსახურებს.

13805. სინანულზე მურტალი გრძნობა არ არსებობს.

13806. დგება გარდამავალი პერიოდი, როდესაც უნიჭობა სიახლის ძიების დოღს მართავს.

13807. თანასწორუფლებიანობისთვის წინასწარ დაფინანსებული, ძალად მებრძოლები, პროფესიონალები, თავისებური ორგიაა კანონის მცოდნე ნაძირალების.

13808. შენს ქვენა გრძნობებით ნაფიქრალს როდესაც სხვა ახმოვანებს, ცინიკოსთან გვაქვს საქმე.

13809. ცინიკოსია ის, ვინც სიმართლეს მაშინ ამბობს, როდესაც მისი გახმოვანება სხვას არავის სჭირდება.

13810. კარგი ქცევა, აღფრთოვანების გარდა, ზოგჯერ სინანულსაც იმსახურებს, როცა არაკაცის მიმართაა ჩადენილი.

13811. სიძულვილსაც ჟანგი ედება, მაგრამ არ ქრება.

13812. ორგანიზმი, რომელსაც მოთხოვნები და მიზანი არ აქვს, ის თავს ინადგურებს ე.ი. უსაქმურობა თვითლიკვიდაციის სინონიმია.

13813. ტერორიზმი 21-ე საუკუნის თავისებური ჭირია, რომლის თავის წამოყოფის მიზეზი ცივილიზაციის ამპარტავნობაა.

13814. უბედურების საწყისი ხშირად ჩვეულებრივი გულგრილობაა.

13815. ბოროტება ბედნიერების მომტანი არ არის, მაგრამ მისთვის გასაგებ კაიფს ზოგჯერ ხელს გამოკრავს.

13816. დაბეჩავება, უიმედობა სულს ანადგურებს და სხეულს სიცოცხლეს აძულებს.

13817. სიკვდილი უდიდესი ბოროტებაა, მაგრამ არა – სამყაროსთვის.

13818. უსამართლობას თავისი განზომილებები აქვს და სხვაზე რაღაცის გადაბრალება მისი კოზირია.

13819. ბოროტებაზე საუბრის მოსმენა შესაძლებელია, მაგრამ ბოროტების მცდელობის ყურება თანამონაწილეობის ტოლფასია.

13820. უსამართლობასაც თავისი ალგორითმი აქვს, თუ ჩვენს საწინააღმდეგოდ ააგორებენ, თუ კვანტს არ გამოვკრავთ, ფეხი მაინც უნდა დავუდოთ.

13821. ბოროტება სიკეთის კეთების მცდელობის ვარიანტებს ვერასოდეს შეითვისებს.

13822. სიძულვილი ვიღაცის მიმართ დასჯის ერთ-ერთი ხერხია.

13823. ბოროტებასაც აქვს დასასრული, მაგრამ ამის შესახებ მან არ იცის.

13824. ყველაზე გამორჩეული ნაძირალები, სამწუხაროდ, ,,მინუსის'' მქონე ნიჭიერ ხალხში მოიპოვება.

13825. ძალა ბოროტების საწყისია, იმისდამიუხედავად, მას კეთილი ადამიანები ფლობენ თუ ბოროტები.

13826. ბოროტების ჩადენის სურვილი დიდი ფანტაზიორია.

13827. ნაციონალიზმის სალაფავით კვება შეიძლება, მაგრამ უნდა ეცადო არ გაანაწყენო.

13828. ნაციონალისტი წარსულითაც უკმაყოფილოა და მომავლის პერსპექტივითაც, რადგან პირველს პრაქტიკულად ვერ ასწორებს, ხოლო მეორის გამოსასწორებლად, თეორიული ცოდნა არ ჰყოფნის.

13829. ორგანიზებული სიძულვილი ნაციონალიზმის ბიძაშვილია და ნაციზმის ძმა.

13830. ნაციონალისტი მანამდეა უკმაყოფილო მავანით, სანამ თავისიანები კარიერის ხეზე არ ჩამოკიდებენ და მისი მომსახურებიდან არ განთავისუფლდებიან.

13831. ნაციონალიზმს ამბიციები ყოველთვის მოჭარბებული აქვს, ხოლო გონიერება და ანალიზის უნარი ,,ისე რა" ან უსუსური.

13832. ჩვენი ნაციონალური ხასიათი სხვა ერისთვის ზოგჯერ მისაღებია ან მიუღებელი, მაგრამ ზოგს სწორედ ამის გაგება უჭირს, მათი ხასიათის მონოპოლიას რატომ არ ეთაყვანებიან სხვა ქვეყნის ან მცირე ერების წარმომადგენლები.

13833. ნაციონალისტები და თვით რასისტებიც გონიერი და ქვეყნისთვის საჭირო მოქალაქისას ვერც ფერს ამჩნევენ, ვერც რელიგიურ მიდრეკილებას, ვერც ეროვნებას და ასაკს.

13834. ნაციზმი და ნაციონალიზმი უნიჭოდ განათლებულ ხალხს ეუფლება და მათ ჰგონიათ ამით ეროვნულობას ემსახურებიან.

13835. ნაციზიონალიზმი და პატრიოტიზმი იმით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან რომ პირველი მხოლოდ კაკანებს, მეორე – კვერცხსაც დებს.

13836. ნაციონალიზმი გონებაჩლუნგი ადამიანის ,,ნაცოხნარია" ერის მოჩვენებითი სიყვარულით, თავის წარმოჩენით და უუნარობის დაფარვით.

13837. ძნელია იმ ,,პატრიოტ-ნაციონალისტთან" საუბარი, რომელიც ცხოვრების არითმეტიკაში ვერ ერკვევა, სხვისი სიცოცხლის ალგებრა არად მიაჩნია და ამქვეყნად ყოფნის გადააკეთებას სათავისო ინტერესებით ცდილობს.

13838. ქვეყნის მომხივბლელობის და ძლიერების შესანარჩუნებლად ჯანმრთელი პატრიოტიზმია საჭირო და არა – ყბადაღებული ნაციონალიზმი.

13839. სიცოცხლესთან ჩალიჩს წლები სჭირდება, სიკვდილისათვის კი წამიც საკმარისია.

13840. სიცოცხლის ნაადრევი ალტერნატივა სიკვდილია.

13841. დანაშაულს ხშირად მართლმსაჯულების უნიათობა, გამოუცდელობა, წყალობს და არა – გულკეთილობა და ქრთამის გამოძალვის მცდელობა.

13842. ბოროტება სიმდიდრის შენარჩუნების გარანტად ვერ გამოდგება.

13843. ზვიადი, ჯიუტი, თავხედი, ხშირად საკუთარი ამბიციების და შედეგის მსხვერპლი ხდება, მაგრამ უამისობაც რომ არ იქნება?!

13844. სოროში დამალვა არც გულის მოფხანა და არც ვინმეზე ჯავრის ამოყრაა უბრალოდ, უსუსურობისაგან თავის დაღწევის მცდელობაა.

13845. ადამიანი, რომელიც არ აზროვნებს, არ მოქმედებს, რისკს არ ეწევა, სიცოცხლეს უღიმღამოდ ატარებს – ამქვეყნად არსებობისათვის არის მოვლენილი და არა – ცხოვრებისათვის.

13846. გადამეტებული ფიქრი და ტვინის ჭყლეტა საშინელებაა და შეიძლება უიმედობის ბურუსში გაგვხვიოს.

13847. ნარკომანი არის სულიერი შიმშილი, უკულტურობა, ღირსების დაკარგვა, უქნარა ცნობისმოყვარეობა, თავის წარმოჩენის იმ სურვილით, რომელიც არავის სჭირდება.

13848. ახლობლების და მემკვიდრეების ღალატი ყველაზე ძნელი გადასატანია, რადგან გრძნობ, რომ ტყუილად გიცხოვრია.

13849. ზოგჯერ ისეთ გარემოში გვიხდება ცხოვრება, უმჯობესია ბრმა იყო და პასუხი არაფერზე აგო.

13850. სიავის ფარული სული ყოველთვის ძვირფას ქვებში და ლითონში იყო დაბუდებული და რაც უფრო ძვირფას ნივთებად გარდაიქმნებოდა ეს ნედლეული მით უფრო მეტ სიავედ იქცეოდა.

13851. არის შემთხვევა, როდესაც არც შემოწმების დრო გვაქვს და არც შეცდომის დაშვების უფლება, რადგან მათი ტოლობა მინუსია, სიკვდილია, კატასტროფაა.

13852. ყველა ბიწიერება ავადმყოფობაა, ამიტომაცაა, რომ ვნებისა და სიყვარულის გვერდზე ყოველთვის ღალატი იმყოფება.

13853. სიავე ბუმერანგივით დაგვიბრუნდება რა დროსაც და როგორც უნდა მოვისროლოთ და დაგვაზიანებს.

13854. სიძულვილი ადამიანს იცავს, რაც თავდაცვის ინსტინქტის გამძაფრებაში გამოიხატება.

13855. ავყიაობას, ცილისწამებას, ვითომ გართობის სახით, ისევ გაჩუმება სჯობს, რათა სხვისი ნათქვამი არ გაავრცელო ჭორის სახით და ვინმეს არ ავნოს.

13856. ღალატი შეიძლება იყოს: ბუნებრივი მოთხოვნა, ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება, უსაქმურობა. დანარჩენი იძულებითია და ღალატად ვერ ჩაითვლება.

13857. ამერიკელები ის ხალხია, რომლებიც სხვის ტერიტორიებზე თავგადასავლებს ეძებენ, რათა თავისი სიძლიერე ,,ჩასვრის" მიუხედავად ზოგჯერ შეგახსენონ, რაში სჭირდებათ მის ხელისუფლებას ,,ყვერებში მათრახის გაყრა" ჩემთვის გაუგებარია.

13858. დანაშაულს, სასჯელს თავის მეობა არ აქვს, რადგან გარემოებათა გამო ზოგჯერ უდანაშაულოსაც მიაყოლებენ, სჯიან.

13859. ვინ თქვა მხოლოდ ორი სიავე არსებობს, პატარა და დიდი მათ შორის ხომ მესამეცაა საშუალო.

13860. არც ერთი დაბადება, გარდაცვალება არ ჰგავს ერთმანეთს და ვერც კომპრომისით უკვდავებას მიაღწევს ვინმე.

13861. სიძულვილის შედეგი ხშირად სიცრუეა, რომლის მიზანი თავდაცვაა, რათა შენს საწინააღმდეგოდ არ შეიკრან, არ შეგიძულონ და საქმიდან არ ,,მოგტეხონ".

13862. გულგრილობა ძნელი დასამალავია, მაშინაც კი, როდესაც თავაზიანობითაა შეფუთული.

13863. არის შეცდომა, რომლის დაშვება გულის კარნახსაც არ ეპატიება.

13864. ძნელია არ შეამჩნიო ადამიანური სისაძაგლე და არ დატკბე საკუთარი შესაძლებლობებით.

13865. ჭორი თავისებური უზნეობაა საკუთარი ვნების და ამბიციების დასაწყნარებლად.

13866. ურთიერთგაუგებრობა ავანტურისტული ბუნების ხალხის მიმხრობის საშუალებაა.

13867. ცინიზმი თითქმის ყოველთვის მართალია, მაგრამ ლამაზი არაა, როდესაც ცხოვრების რეალობას დაუფიქრებლად აღიქვამს.

13868. წარსულ ბუმბერაზს ,,საფლავის მთხრელები" ყოველთვის გამოუჩნდებიან, რადგან ესაც თავისებური დავადებაა ჭეშმარიტების სახელით ძიებით, რადგან სიახლის შემოთავაზება, ანალიზი, მიტევება, მათ არ ძალუძთ.

13869. დანაშაულია უსაქმურობა, ლოთობა, ნარკომანობა, ხელცივობა, რეციდივისტობა, პედოფილობა, ვინც ამის წინააღმდეგ არ იბრძვის, თუნდაც მათი ,,ჩაშვებით", დანაშაულის თანამონაწილეა.

13870. უგნურება თავს ატყუებს, იმედსაც და მასზე ფსონის დამდებ ახლობლებსაც.

13871. ძნელი გადასატანია, როდესაც შეჩვეულს კარგავ, გართმევენ იმას, რაც მგონია გეკუთვნოდა და დაიმსახურე.

13872. სიკეთეც და სამართლიანობაც ხშირად ირეცხება დემაგოგიური ბჭობის შედეგად და რჩება საეჭვო პატრიოტიზმი და ნაძირალა შოვინიზმი.

13873. ორი ბოროტებიდან იმას ვირჩევთ რომელსაც ბედი გვაჩუქებს ან ჩვენთან სულიერად ახლოა.

13874. ბოროტება, შურისაგან განსხვავებით, ყოველთვის ზიანის მომტანია, პირადი გამორჩენის გარეშე.

13875. გადაგვარებული განათლება გონიერების სინონიმი არ არის, ის შეიძლება უიმედობის, ღალატის, ცინიზმის, ნარკომანიის და ბოროტების საწყისიც იყოს.

13876. ყველაზე დასაფასებელი ის ერთგულებაა, რომელზეც პოლიტიკური კლიმატის ცვალებადობა არ მოქმედებს.

13877. წყვილის ერთად ყოფნა ცხოვრების ენციკლოპედიაა, სიყვარულის, სიძულვილის და შეჩვევის კოქტეილში არეული.

13878. ასაკში ადამიანმა ხვალინდელი დღე კი არ უნდა დაგეგმოს, არამედ გუშინდელიც უნდა გადაგეგმოს, დღევანდელზე რომ არაფერი ვთქვათ.

13879. ყოველთვის მოითხოვეთ პატივისცემა, სიყვარული, საქმიანი შეფასება, მნიშვნელობა არ აქვს, ამას იმსახურებთ თუ არა, რადგან ვიღაცა მაინც შეცდება და პატივისცემით მოგიხსენიებთ.

13880. ყველანი ჩვენი ხუშტურების მონები ვართ და მის თავიდან ამოგდებას ხშირად არც კრიმინალური დასასრული შველის და არც გონიერების მოხმობა.

13881. თავაზიანობა კრძალავს, სიფრთხილე გვაფხიზლებს, ხოლო სიცოცხლე თავისი გზით მიდის და თავის წილს ბითუმად ითხოვს.

13882. ტეტია, რომ წაიწიოს და ხალხში გამოჩნდეს, არაფერს თაკილობს და ცხოვრების თავის წესს ნერგავს, რადგან სხვანაირად ის შეუმჩნეველი გაგრია, ხიხო დარჩება.

13883. სიჩუმე შეიძლება იყოს საზიანოც და სასარგებლოც, გააჩნია მოსაუბრეს და მის მიზანს, სალაყბოდ არის მოსული თუ საქმის საკეთებლად.

13884. როდესაც მოთმინების ალგორითმს ჩასწვდები, მას შენთვის ფასი დაკარგული აქვს, რადგან შენ უკვე ამტანი და ყველაფრის მიმართ გულგრილი გახდი.

13885. არ არსებობს დაღვრემილი ხალხი, არსებობს გმირული დრო, რომელმაც საქართველოს ორი დიდი დიქტატორი მისცა: დავით და გიორგი, რომელთაგან ერთს ხალხმა აღმაშენებელი უწოდა, მეორეს – ბრწყინვალე.

13886. ევროპაში პირველი წინააღმდეგობის შეხვედრის შედეგად ოპოზიციის შეთქმულება ჩერდება, ხოლო ჩვენში ბოლომდე მიდიან და რას მოიმოქმედებენ, თავადაც არ იციან.

13887. სამყაროს მსოფლმხედველობა ყოველდღიურად ახლდება, მიუხედავად იმისა, რომ ძველი ყოველთვის დრომოჭმული არ არის.

13888. სილამაზის მარადიულობა ყველასია, ქვენა გრძნობებით იქნება აღქმული თუ უიმისოდ.

13889. ამპარტავნობა ხშირად უვიცობის მაჩვენებელია.

13890. სიფარულსა და პატივისცემას შორის დიდი სხვაობაა, რადგან პირველი აღზრდაზე, გულზე, ტრადიციაზეა, დამყარებული, მეორე – გონიერებაზე, ანალიზზე, განსჯაზე.

13891. კარიერის კეთება, გარდა იმისა, რომ პირადი იმიჯის და საკუთარი მეს გადასამოწმებლად სასურველია, დიდი პასუხისმგებლობაცაა, უსამართლობაცაა, უმადურობაცაა და ნერვების წყვეტაც, ამიტომაც თანამდებობის პატრონი ყოველთვის წინ უნდა იყურებოდეს და ყველა მოულოდნელი შემთხვევისთვის მზად იყოს.

13892. დემაგოგიას მიტმასნილი ჭეშმარიტება სიტყვების მათემატიკური თამაშია იდეოლოგიის და ტრადიციების გარეშე.

13893. ჯანსაღი ოპტიმიზმი არ გვაძლევს უფლებას სულით დავბერდეთ, წუწუნი დავიწყოთ და ხასიათი გავიფუჭოთ.

13894. ზოგჯერ მწუხარება აქცევს ყმაწვილს მამაკაცად და ბავშვობის უდარდელ წლებს უკვალოდ ჩამოაწერს.

13895. კეთილშობილური ჟესტიც კი ხშირად დაფიქრებას და გააზრებას მოითხოვს.

13896. ნახევრადსამართლიანობას ნახევრადჭეშმარიტება ვერ შეეგუება, რადგან ეს უკანასკნელი არ არსებობს.

13897. მიწაზე, სადაც ქალაქია გაშენებული, უდაბნოს უნდა მიუსადაგო, რადგან ამ მიწაზე არც არაფერი ითესება და არც მოსავალი მოჰყავთ.

13898. წესიერი ადამიანია ის, ვინც ვალს დროულად აბრუნებს, უსინდისობას არ იკადრებს და უმიზეზოდ სხვას ზურგში დანას არ ჩასცემს.

13899. ყველა ჩვენგანი ბოლომდე წაუკითხავი წიგნია, რომლის გადაფურცვლას არავინ ჩქარობს, თუ რაიმე გამორჩენას არ ელის.

13900. ერთის შეხედვით, დღეს მატრიარქატი საჭიროა, მაგრამ საზიანოა, მამაკაცი კი თავის ხუშტურებით არასოდეს მოგაწყენთ.

13901. ჩვენ არ შეგვიძლია იმაზე უკეთესები ვიყოთ, ვიდრე ვართ, მაგრამ ცდა და შემართება არ უნდა დავაკლოთ.

13902. სიცოცხლე ყველაზე ახლობელი და სანუკვარია ადამიანისათვის, მაგრამ ზოგჯერ მას უაზროდ ახურდავებენ მოსალოდნელ დიდებაზე.

13903. სიცოცხლე არსით მოკვდავია, სიბერე – მომაკვდავი.

13904. ,,შეიძლება ისე არ უნდა მოვქცეულიყავით როგორც მოვიქეცით'', მაგრამ მაშინ საკუთარ ბუნებას ულალეტებთ და ის არ ვიქნებით, რაც ვართ.

13905. შიმშილი კარგი მასწავლებელია, მაგრამ ჭკუის დამრიგებლად არ გამოდგება.

13906. სარკე ყველას გვაქვს, მაგრამ მასში გონიერების ჩახედვის, ანალიზის, უნარი ყველას არ შეგვწევს.

13907. ზოგჯერ რეალური იდეები უფრო მეტს იძლევა, ვიდრე დროსთვის გაუგებარი ღირებულებებით თავის მოწონება.

13908. სიცოცხლის შეგრძნებაა პირველი და შემდეგ მისი შეცნობა.

13909. ათ მცნებას შეიძლება ათი ახალი გაფრთხილება დაემატოს: არ გადააფურთხო, არ დაანაგვიანო, არ იხმაურო, მოძრაობის წესები არ დაარღვიო, არ ილოთო. არ გაიჩხირო, არ მოსწიო, არ აიკიდო, არ იეშმაკო, ათი მცნება არ დაარღვიო.

13910. რწმენა და ცოდნა სხვადასხვა რამაა, მაგრამ უერთმანეთოდ ვერცერთი ვერ ძლებს.

13911. ამქვეყნად ყოველივე კრედიტით გვაქვს შეძენილი, მათ შორის, ჩვენი სიცოცხლეც, რომელიც შთამომავლობის მომრავლებით უნდა გადავიხადოთ.

13912. ლედი ბუნებით უნდა დაიბადო და არა – გარეგნულად.

13913. საოცარია, ამდენ მუქთახორა საქმოსან წურბელებს, როგორ ინახავს რეალური პროდუქციის შემქმნელი ხალხის გამრჯე ნაწილი.

13914. მუზეუმი წარსულის შეფასება-წარმოჩენის საჩვენებელი სახლია, სადაც ჩვენი გადასახედიდან წინაპართა ნამოქმედარ-ნახელავს რევიზიას ვუტარებთ.

13915. მთავარია, როგორც პიროვნებამ, მოქალაქემ, შენი საქმე აკეთო როგორც საჭიროა, ხოლო დანარჩენი მეორეხარისხოვანია.

13916. გმირობად შეიძლება ისიც ჩაითვალოს, თუ ღირსეულ ადამიანს, რომელიც სასიკვდილოდაა განწირული, ეწამება და უღირსად კვდება, ტყვია დაახალო.

13917. სიხარული საბოლოოდ მაინც მატერიალურია.

13918. მკაცრ და მძიმე ხასიათს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი არაფერს გაპატიებს, მეორე რაღაცას გაპატიებს, მაგრამ არაფერი ავიწყდება.

13919. ჩვევის გაცნობიერება შენი საკუთრებაა და განსჯას არ ექვემდებარება.

13920. მარქსიზმი იდეების მოჭარბებების შედეგად შეიქმნა, ფროიდიზმი – ფულის მოჭარბებისაგან. ხოლო მონათმფლობელობა დაუოკებელი ვნებისაგან.

13921. გააკვირვო – გამარჯვების ძმობაზე თუ არა ბიძაშვილობაზე თავს დადებს.

13922. ნიჭიერება თუ დროის ყომარბაზობას მოერგო ფულს შოულობს, ხოლო სამარადისოდ სახელის დამკვიდრების შანს კარგავს, თუ პირიქითაა უსახსროა და სახელს დატოვებს თუ არა არავის უწყის, ეს ის შემთხვევაა როდესაც თანამამრავლთა გადანაცვლებით ჯამი იცვლება და შეიძლება ნიჭი გაქრეს.

13923. სხვათა გავლენის ქვეშ ყოფნას და ცოლის კაბაზე გამობმას უნდა ვერიდოთ, საკუთარი გენის, ბუნების და აღზრდის მიუხედავად, შენს წინ რაც უნდა ავტორიტეტის დიქტატურა იდგეს, რადგან ამქვეყნად შენი მოვლენის, მადლის, აღქმა გაგიჭირდება.

13924. განგებისაგან ხელაღებით ალიყურს ის იმსახურებს, ვისაც შეუძლია და არ აკეთებს და ისინიც, ვინც მას ხელს უშლიან და ნიჭს მხარში არ ამოუდგებიან.

13925. სამწუხაროდ, ხშირად ის უფრო ამახსოვრდებათ და აფასებენ, ვინც საინტერესო რაიმე თქვა და არა ის, ვინც სასიკეთო საქმე აკეთა.

13926. აწმყოს გარეშე ვერც წარსული იარსებებს და ვერც თანამედროვეობა დაფასდება, იმისდამიუხედავად, ჩვენთვის განკუთვნილი დროის ყოვილი მოგვეწონა თუ არა.

13927. იდეებით შეიარაღებულს მთების ამოტრიალება შეუძლია, იმისდამიუხედავად, საჭიროა ეს თუ არა.

13928. ზოგჯერ ქედის მოხრა გვიხდება მოწინააღმდეგის წინაშე, რომელმაც თავისი ქმედებით ჩვენი აღფრთოვანება დაიმსახურა და ჭკუის სასწავლებელი გაკვეთილი ჩაგვიტარა.

13929. ინტელექტი შეიძლება შეძენილიც იყოს, თანდაყოლილიც, ნასწავლიც, მაგრამ მისი ბაზისი ზომიერების გრძნობის შეძენა, შეცნობა, გათავისებაა.

13930. სიფარული-სიძულვილი, მოწონება-დაწუნება, გონიერება-უგუნურება ყოფის, დროის და შემთხვევის ალტერნატივებია.

13931. ფიქრი აიძულებს ადამიანს საქმიანი იყოს, ხოლო ნიჭი – დასამახსოვრებელი საქმე აკეთოს.

13932. ფიქრი საჭიროა, მაგრამ ზოგს მარგი ქმედების კოეფიციენტი აქვს გენეტიკურად დაბალი.

13933. ფელაფერი, ალბათ, ფეხებზე უნდა დავიკიდოთ, რომ გულზე მოგვეშვას და სხვის უნიათობაზე ზედმეტ ფიქრს შევეშვათ.

13934. ფელაზე ძნელია თავის შეკავება და სხვისი დარწმუნება, რომ მან ეს ასე უნდა გააკეთოს.

13935. შეიძლება არ იყო თაღლითი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ბრიყვი ხარ.

ფული

13936. ფულით არც ხუმრობენ და არც თავხედობენ, ის უბრალოდ ცხოვრების შესაცნობი ინსტრუმენტია.

13937. ფული იქ შრომობს, სადაც სიწყნარეა, კომფორტია, მოგებაა, სხვანაირად მისი საქმეში ჩათრევა შეუძლებელიცაა და საცოდაობაც.

13938. ფულით სიფვარული არ იყიდება, მაგრამ ვნებას იკმაყოფილებ და დროებით ამ საამო გრძნობის არსებობაც გავიწყდება.

13939. ორდენებით და მედლებით ხალხის მართვა შეიძლება, ხოლო ფულით – მათ შორის რჩეულისაც.

13940. ჭიქა წყალი ძალზე ადვილი დასალევია, მაგრამ საშინელებაა მისი უქონლობა და მასზე ფიქრი, ასევეა უფულობაც.

13941. უსაფრთხოებას ფულის დაბანდება სჭირდება, ფულის დაბანდებას – უსაფრთხოება, ასე, რომ ორივე ქმედება ერთმანეთისაგან გამომდინარეობს ე.ი. ტოლია.

13942. რეკლამა ის განტევების ვაცია, რომელიც ყველასგან ფულს ითხოვს.

13943. ,,დრო ფულია", მაგრამ გასართობ დროს ფულით ვყიდულობთ.

13944. ქვეყნის ბიუჯეტი მანამ არ მოწესრიგდება სანამ ნაღდი ფულის გრიალი 80%-ით მაინც არ შემცირდება.

13945. დღეს სირცხვილად ითვლება იმ მამაკაცთან ყოფნა, რომელიც უანგაროა, პატიოსანია, მართალია, გიყვარს, მაგრამ ხეირიანად ოჯახს ვერ ინახავს, რადგან ფულის კულტს გრძნობათა ჭიდილთან საქმე არ აქვს.

13946. ვინღა უყურებს ახლა მეზობლობას და მეზობლის ქალს, ხელის ხლებაც შეიძლება და მისი გაშინაურებაც, თუ ფული გაქვს და საჭირო კაცი ხარ.

13947. ფულის მოცულობა მოითხოვს გაყოფას და არა – მისი რაოდენობა.

13948. ადამიანის უზრუნველყოფა ფულს ითხოვს, მიუხედავად იმისა, სამყარო მატერიალურია თუ სულიერი.

13949. ფულის მიმართ ყველას ერთნაირი უმწიკვლო სიყვარული გვაერთიანებს, ხოლო მისი შოვნის სურვილი შურის და მტრობის ბაცილას ავრცელებს.

13950. ფულის მსგავსად ნიჭის და ჭკუის შოვნა რომ შესაძლებელი ყოფილიყო, სამყაროს დალაგება შეუძლებელი გახდებოდა.

13951. თვითრელიზაციის მცდელობის შემდგომ ,,ხელის ჭუჭყს'' და საკუთარი მისწრაფების დაბანდება შეიძლება დაუნანებლად.

13952. სახსარი ნიჭის თანხლების წყაროცაა, მამოძრავებელიც და სიზარმაცის საწინააღმდეგო საშუალებაც.

13953. ფულის ხიბლს პატიოსნება ძნელად ეწინააღმდეგება, თუ ამ უკანასკნელს არაფრის იმედი არ აქვს და არც ირგვლივ მყოფნი გამო-ირჩევიან წესიერებით.

13954. როგორც კი ფულის შოვნაზე ფიქრს თავს ანებებ, მაშინვე ჭეშმარიტად თავისუფალი ხდები და ცხოვრების მადლით ხარობ.

13955. ფული ხელის ჭუჭყია, მაგრამ ტვინის გასანძრევად საუკეთე-სო საწვავია.

13956. საცხოვრებელი ფული, სარჩო გვინდა თუ არა, სადღაც უნდა გამოვთხაროთ და მას შენი პრინციპები, პატიოსნება, ეროვნუ-ლობა, ფეხებზე ჰკიდია, რადგან სხვანაირად სიცოცხლე საფრთხეშია.

13957. მოხუცებულობა ფულით უნდა იყოს დაბალანსებული, გო-ნიერება შემოსავლებით, წინააღმდეგ შემთხვევაში ადამიანის რაობა ეჭვის ქვეშ დგება.

13958. როდესაც ფულით მხარდაჭერა არ შეგიძლია, იძულებული ხარ შენი მხარში ამოდგომა საყოველთაო იდეალიზმით – დარიგებებით – შეცვალო.

13959. ფული ყველაფრის შემფასებელი და დამფასებელია, ამას ჩვენი ,,მე'', თავმოყვარეობა, როგორც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს.

13960. ხშირად, გარკვეულ დრომდე, სისულელით გაცილებით მე-ტი ფულის კეთება შეიძლება, ვიდრე გონიერებით.

13961. მდიდარი კაცი რაც უფრო განიცდის ფულის ნაკლებობას, ეს უკანასკნელი მის თვალში ნაკლებად მნიშვნელოვანი ხდება და ხელ-საც არ უჭერს.

13962. ფულიანობა ,,გადამდები'' სენია, რომელსაც არც არავინ გაურბის და არც არავინ ერიდება.

13963. სიყვარულთან ურთიერთობაში ხშირად ფული იმარჯვებს, მაგრამ ამის დაჯერება არავის უნდა.

13964. ფილოსოფია ადამიანების, სამყაროს, შეცნობას ცდილობს და არა – ფულის მოხვეჭას, თუმცა თავისი აკვიატებული კვლევის გასაგრძელებლად სახსარი მაინც სჭირდება.

13965. ფული ყოველთვის ბედნიერების მომტანი არ არის, მაგრამ გააჩნია შესადარებელ ოდენობას, რათა თქვენი კეთილდღეობა განსა-ჯოთ.

13966. ფულის გამოყენების ცოდნაა ძალა და არა თავად ფული.

13967. ხელფასი ადამიანს იმდენი უნდა ჰქონდეს, რომ ზომიერების ფარგლებში მას პიროვნული შემართება არ დაუხურდაოს.

13968. ფული წესიერი გზით ნაშოვნია თუ უწესოთი, მაინც ყარს, რადგან მისი შოვნის კულტურა, დროის ფარდობითობის პატიოსნება-ზეა დამოკიდებული.

13969. დიდი ფული გვიჩენს პრობლემებს და არა – პირიქით.

13970. შეიძლება ფულით სახლიც შეიძინოთ, თანამდებობაც და სექსიც, მაგრამ სიკეთის, შემართების, ბედის გარეშე, რეალური არც კერა გვექნება, არც პატივისცემა და ვერც სიყვარულის ანბანს შევიცნობთ.

13971. ფულის მოხვეჭა იგივე ბრძოლაა, ომის გამოუცხადებლად და უსისხლოდ.

13972. გაფულიანებამ ხანდახან გონების დაბინდვა იცის და სხეულის კაპიტალური გადაკეთების სურვილი უჩნდება.

13973. ფული თავისებური თავისუფლება და პასუხისმგებლობაა ირგვლივმყოფთა წინაშე თუ შენ მას ფლობ და არა – პირიქით.

13974. თუ მოსამსახურისთვის ხელფასი საკმარისია, პიროვნებისთვის და ფულის ყადრის მცოდნესთვის ის ხშირად უკმარისია და მისი შოვნისთვის სულ გზაზე გადებული.

13975. ბედნიერება ფული არ არის, მაგრამ განგების ნებას მის გარეშე ვერ აღასრულებ.

13976. ვინც დიდ ფულს გაუგო, შეეჩვია, ის ყველა სიავეს და უგნურებას გაუძლებს და მასთან საქმის დაჭერა და ნდობა შეიძლება.

13977. ფულის შოვნას შემოქმედება ამკობს და არა – უნამუსობა.

13978. გაფულიანება ცხოვრების ტემპს აჩქარებს და ხანდახან ვირეშმაკობის ხასიათზე გვაყენებს, რასაც ყოველთვის სასურველი შედეგი და სიცოცხლის გახანგრძლივება ვერ მოაქვს.

13979. ფინანსები და გონიერება ერთად ვერ ძოვს, რადგან პირველს იდეალით ფულის ხარჯვა სიცოცხლეს უხალისებს, ხოლო – მეორეს ცხოვრების მატერიალიზმით დაღვინება.

13980. უსამართლობის ატანა ძლიერისთვის და სუსტისთვისაც უძნელესია, მაგრამ ამას ფული და ძალა დიდებულად ახერხებს.

13981. უაზრო ფულის ხარჯვა მოჭარბებული ემოციების დათრგუნვა-დამშვიდებაში გვეხმარება.

13982. ყველაზე დიდი ინტერნაციონალისტი ფულია, საერთო ინტერესებით.

13983. ფულის ყადრის ცოდნა, ხშირად პროგრესის წინსვლას არ გამოადგება, რადგან დღეს არ გვექნება თვითმფრინავში ბიზნესკლასი,

ფეშენებელური სასტუმროები, ფუფუნების საგნები და ა.შ. ე.ი. ტექნიკურ პროგრესს და ადამიანთა კლასებად დაყოფას წინ მიერეკება კომფორტისკენ მისწრაფება და უყაირათო დაფინანსება.

13984. ფულის დიქტატურას, ჯერ-ჯერობით, ვერც ერთი თაობა ვერ ხსნის დღის წესრიგიდან.

13985. მათხოვრული ხელფასი არასდროს ყოფილა პატიოსნად ცხოვრების გარანტი.

13986. ფულის სიკარგე-სიცუდე ის არის, რომ ტექნიკური პროგრესის წინწაწევით ქვეყანას აშენებს, ხოლო ფუფუნებისადმი ხელის შეწყობით მოსახლეობას უნიათობისკენ, უგვანობისკენ წაუბიძგებს.

13987. ღირსება და ფული სინონიმები არ არიან, მაგრამ საერთო ენის გამონახვასაც ახერხებენ და ზოგჯერ საქმის კეთებასაც.

13988. სიფარული და ფული ზოგჯერ საერთო ინტერესებს ნახულობენ ცივილიზაციით გათავხედებულ სამყაროში.

13989. ფულს ყოველთვის თავის დამახასიათებელი სუნი ასდის, მაგრამ არა – ამყრალებულს.

13990. არის უამრავი სახეობის იარაღი სხვის დასაპყრობ-დასამორჩილებლად, მაგრამ არის სხვა დაუმარცხებელი იარაღი, რომელსაც ფული ჰქვია და ყველა იარაღს, შედეგის თვალსაზრისით, ფორას აძლევს.

13991. ფულს ყველა ასაკი ეთაყვანება, მიუხედავად მისი უასაკობისა და მომხიბლელობისა.

13992. ერთმანეთს ერთდროულად სიბრძნე, მოთმინება და ფული უნდა ვუსურვოთ, რადგან პირველი ორის ქონება, მესამის გარეშე, აზრს კარგავს.

13993. ფულს ბევრი ნაკლის ამოგმანვა შეუძლია სხვის თვალში, მაგრამ არა ქაქი ხასიათის და სულიერების არქონისა.

13994. დღეს ენთუზიაზმი, შემართება, ოცნების გასაფრენად ფულის შოვნის ცოდნას მოითხოვს და არა – დასპონსორებას.

13995. ყველაზე გულახდილი ჩვენი შეფასებისას საბანკო ჩეკია, რომელიც მიუკერძოებლად უკეთებს ოპონირებას შენს საქმიანობას, შესაძლებლობებს.

13996. არის ჰონორარი, რომელიც დროის გმირს საფლავიდან წამოაყენებს და თავის თავს ამ გმირის როლში ყველა მსახიობზე უკეთ წარმოაჩენს.

13997. ფულის ძალა პრაქტიციზმთან მიახლოებული სიმართლეა, რომელსაც რეალობასთან შეხვედრა აფუჭებს და დააფიქრებს.

13998. გამოუცდილი და პერსპექტივის მქონე ხელოვანისთვის, მეცნიერისთვის, სპორტსმენისთვის, ფული, უპირველესად, სიფარული და

ყურადღებაა, ხოლო გამოცდილი და უკვე უპერსპექტივო ამ ანკესზე აღარ ეგება.

13999. მას შემდეგ, რაც ფინიკიელებმა ფული გამოიგონეს, ჩვენი ბედი და შემთხვევა ჩვენთან ერთად მის მოძიებაშია.

14000. ,,ხასიათით არის ცუდი, თორემ ისე რა კარგია", მაგრამ ეს უკანასკნელი ბევრ კითხვას ბადებს და განსჯის საგანიც ხდება. ამასთან ისიც ირკვევა, რომ პირადი ცხოვრების მოსაწყობად არც ისე მომგებიანია.

14001. კაცი, რომელიც ფულთან მეგობრობას ვერ ახერხებს, ის ვერც გულით თანადგომას მოახერხებს, რადგან მასში ყოველივე მოჩვენებითია და თავის წარმოჩენას ემსახურება.

14002. სახელმწიფო მოხელე ყოველთვის იმას ემსახურება, ვინც ფულს გადაუგდებს ხელფასის სახით იქნება ეს თუ – ქრთამის.

14003. ლარი რომ დამიწუნო, დოლარის გადახურდავების ან შესყიდვა-გაყიდვის საშუალება უნდა გქონდეს.

14004. წინათ იყო რაღაც, რომელიც თეორიულად არ იყიდებოდა, მაგრამ დღეს ამას, ძველისგან განსხვავებით, პრაქტიკულად ფულის ოდენობა წყვეტს.

14005. ყველა ვიღაც-ვიღაცაზე და ვიღაც-რაღაცაზე შოულობს ფულს, მაგრამ არ შეიძლება ურთიერთდაპირისპირება და იმის გინება, ვინც თავის დროზე გაჭირვებიდან ამოგათრია, სული მოგათქმევინა, რაც უნდა მართალი კაცის ალიბი გქონდეს.

14006. თეორიულად ფული ყოვლისშემძლე არ არის, მაგრამ პრაქტიკულად მისი მოძიების აუცილებლობა ხშირად ღმერთსაც გვავიწყებს და თავსაც.

14007. აშშ-ში რეალური და წმინდა ღირებულება ფულია, რომელსაც ემორჩილებიან, ელაქუცებიან და პატივს მიაგებენ. დროა ეს საქართველომ გაითავისოს, რადგან მარტო კაცობაზე თავის დადება სახელმწიფოებრიობას და თავის წარმოსაჩენ მეობას ვერ შეუნარჩუნებს.

14008. სავალალოა, როდესაც ცხოვრების ერთ-ერთი პატარა ღმერთი – ფული, ჩვენს ყოფას დიდ ღმერთად მოევლინება და ფეხქვეშ ამოიდებს აღზრდას, განათლებას და იმას, ,,რაც გწამდა ძველად".

14009. წავიდა ის რომანტიკული დრო, როდესაც მამრები ქალის გულის მოპოვებას დუელში ცდილობდნენ. ახლა ამ შერკინების სეკუნდანტი ბანკის ანაბარია და არჩევანსაც ქალი აკეთებს ყოველგვარი ცრემლის და სისხლის გარეშე.

14010. ერთ-ერთი დიდი სიამოვნება ფულის ფლანგვაა, თუ ამის მორალური უფლება გაქვს.

14011. სამწუხაროდ, ფულის ფეტიში განვითარებულ საზოგადოებაში ხშირად ყველა წმინდანზე მაღლა დგას და ამ დაავადებას ცივილიზაციის ვერავითარი მონაპოვარი ვერ შველის.

14012. ფული მართალია ზადია, მაგრამ შენ თუ მას გართმევენ ყოველგვარი კანონის და სალამ-ქალამის გარეშე, მაშინ შენში მხეცმა უნდა გაიღვიძოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამქვეყნად შენს ყოფნას აზრი არ აქვს და ზარალია.

14013. ზოგჯერ ფულს შოულობენ ველური ხერხებით და მასში სასიკეთოდ გარკვევას დროის და გარემოს გადასახედი სჭირდება.

14014. ლატარეა ნადირობაა ხელმოცარულებზე, ობლიგაცია – ხელბედნიერებზე, რადგან ამ უკანასკნელს, პირველისგან განსხვავებით, მრავალჯერ ეძლევა საშუალება ფულის დაბანდების და ფორტუნას გვერდზე დგომის.

14015. ადამიანი მგელივით უნდა იყოს, ფულს მაშინ უნდა შოულობდეს, როდესაც მისი საკრედიტო ბარათი ,,ჭრაჭუნს'' დაიწყებს და მანამ სხვას უნდა მისცეს ფულის გამომუშავების საშუალება, რადგან მთელი ცხოვრება ფულისთვის გარჯა მას რთგუნავს, მაგრამ განგების ბანკი ამ ჭეშმარიტებას რატომღაც ყოველთვის არ ეთანხმება.

14016. დრო ფულს ითვლის, ანგარიშობს, ფულს დრო და მისი მცდელობა ფეხებზე ჰკიდია.

14017. დასახარჯ ფულს თუ ჯიბეში არ ჩაიდებ, ძაღლი არ არის უკან გამოგვყვეს და ყეფით შეგახსენოს!

14018. ხალხის გაბრიყვების გარეშე პროგრესს ფულის შოვნა არ შეუძლია, რადგან უსახსროდ ის ვერ იარსებებს.

14019. ,,ფული არ მრჩება'' და ,,ფულს ანგარიში უყვარს'' სინონიმებია, სხვადასხვა მიდგომით და ერთი პირობით, პირველი ვაჭრობას ახლო არ უნდა გააკარო.

14020. ფულით სიყვარულს ვერ ყიდულობენ, მაგრამ გრძნობათა სტიმულირებას აღწევენ.

14021. ურთიერთ ხელის გამართვა, პატივისცემა, ერთმანეთზე გულის დაწყვეტის გარეშე, უფრო მოჭარბებული ფულის პროგროგატივაა, ვიდრე აღზრდის და გაჭირვების შეცნობისა.

14022. ყველაზე დიდი იდეოლოგია ფულია, მორალი რაც უნდა თავს ესხმოდეს, რადგან ეს უკანასკნელი მასზე უარს არ ამბობს და არც მისი მოჭარბების წინააღმდეგია.

14023. თეორიულად ,,ფულის ჭუჭყში'' ცხოვრება მოსაბეზრებელია, მაგრამ პრაქტიკულად ეს ჭუჭყი მოსაშორებლად არავის ემეტება.

14024. დიდი ფული იძლევა იმის შეძლებას, რომ სხეული შენს ჭკუაზე აცხოვრო, ხოლო მისი ნაკლებობა სულიერებას ასაზრდოებს.

14025. ფულს ბრძენიც კი არ უნდა გავაკაროთ, რადგან მასაც გასვრის და მოშურნეთა დოღს გაუმართავს.

14026. ზოგჯერ თავსაც უნდა ვაჯობით იმის საკეთებლად, რაც აუცილებელია, გარდაუვალია და წარმოგვაჩენს.

14027. ფულის მოხვეჭა მაღალი პროფესიონალიზმით, უტყუარი ალიბით, კანონისათვის ანგარიშის გაწევით, ქურდობად არ ითვლება, მაგრამ არა ტრადიციების და საკუთარი ღირსების მქონე სახელმწიფოში.

14028. ფულის სესხება ხელოვნებაა, ხოლო დაბრუნება – აუცილებლობით გამოწვეული ხელობა.

14029. ფული არავის არ უნდა ასესხო, ხოლო იმათ უნდა აჩუქო, ვინც იმსახურებს და სარგებელს ვიღაცას და რაღაცას მოუტანს.

14030. ჯიბეში ხელი ადამიანმა არც ფულის უადგილო ადგილას ამოსაღებად უნდა ჩაიყო და არც სიტყვის, რადგან მათი უპირველესი დანიშნულება საქმის კეთებაა.

14031. ფული ის სანელებელია, რომლის გარეშე ცხოვრებას გემოს ვერ ჩაატან.

14032. ფინანსისტობა უპირველესად ფანტაზიაა, შემდეგ მოდის ფულის დაბანდების და მოგების ხელოვნება.

14033. დღეს ნიჭის გაამაჟება დეფიციტია, რადგან ყველაფერი ფულზე იცვლება.

14034. ფულით ადამიანს ვერ განსჯი, მაგრამ მის ადამიანურ წარმოჩენას უხდება.

14035. ფულის შოვნას თავის წესი და მადლი აქვს, ის სხვის ინტერესებს აბუჩად არ უნდა იგდებდეს და საზოგადოების აზრს და საჭიროებას პატივით უნდა ეპყრობოდეს.

14036. ფულით დავიწყებული ხინჯის მოკვეთა შეიძლება, მაგრამ არა – გაქრობა.

14037. ფულს ის შოულობს, ვისაც ამის ნიჭი და ბედი აქვს, ხოლო ვინც ამას ვერ ახერხებს, შურით გულზე სკდება და თავის პატიოსნებას მისტირის.

14038. ფული შეიძლება სიყვარულის საწყისი იყოს, მაგრამ მომხიბვლელობას ვერ შექმნის.

14039. ფულს აქვს ადამიანის შეცვლის, გაკადნიერების და არა გაპატიოსნების უნარი, რადგან ეს უკანასკნელი ფულის შოვნასთან ხშირად მწყრალია.

14040. სიტყვას წონა უნდა ჰქონდეს, წონა ფულის ერთეულით უნდა განისაზღვროს ე.ი. სიტყვა – ფულია.

14041. ფულის ყველაზე დიდ და სარფიან დაბანდებას თვალის სეირი და ხეირი მოითხოვს, რაც ძლიერ ემოციურ დატვირთვას იძლევა, რომლის გარეშეც ადამიანი რობოტად გადაიქცეოდა.

14042. მოულოდნელად კარზე მომდგარი დიდი ფული უდიდესი გამოცდაა, მაგრამ დიდ გამოცდას მისი ახლობლები და კეთილის მდომნი გადიან.

14043. ფული ჩვენს დროში ვისაც გინდა იმას გაანაწყენებს და გადაკიდებს, რადგან მას პატიოსნების ბევრი ნერვი უჭირავს.

14044. ფულთან ურთიერთობა მომზადებას მოითხოვს, რათა ქარის მოტანილი ისევ ქარმა არ წაიღოს.

14045. ვნებაში დაბანდებული ფული სიბერის ყველაზე საამო კაპიტალია.

14046. გადასახადების შემცირება, უფრო ხშირად ფასების მატებას იწვევს, რადგან ფულის მასა უკონტროლოდ მოსახლეობის ხელში აღმოჩნდება.

14047. სხვისი ფულის მითვისების აკვიატებული სურვილი ადამიანს არ აფუჭებს, არამედ რყნის და კაცობას აკარგვინებს.

14048. ადამიანები სხვადასხვა ბუნების, მენტალიტეტის, შესაძლებლობების იბადებიან, ვითარდებიან, კვდებიან, მაგრამ ფულის და სახელის შოვნა-მოხვეჭაზე უარს არც ერთი მათგანი არ ამბობს.

14049. ფული კულტურას ვერ ქმნის, მაგრამ დაფინანსება ხელს უწყობს მის აღმავლობას.

14050. ჩასვრილი ფულით, საბოლოოდ მაინც ჩასვრილი რჩები კუბში, ყოველ შემთხვევაში, მე ასე მიმაჩნია.

14051. ფულიანი კაცი შეიძლება გულზე არ ახატიათ, მაგრამ პატივს მიაგებენ და ყველგან იწვევენ.

14052. ფული გონების შესაძლებლობებთან არაფერია, მაგრამ გონიერებამ რომ ტვინის ნაჟური სასარგებლოდ დააბანდოს, საწყისად ფულია საჭირო.

14053. ჯანმრთელობას ფულით ვერ იყიდი, მაგრამ ვერც უიმისოდ შეინარჩუნებ.

14054. უფულობა სიზარმაცის, უნიათობის, თავზე წარმოდგენის დიაგნოზია.

14055. ფული უნდა ამუშაო, მაგრამ ამისათვის კანონებს, დადგენილებებს, სახელმწიფო ინტერესებს და შენს ხელისუფლებას უნდა იცნობდე.

14056. მოყვარულსა და პროფესიონალს შორის ის სხვაობაა, პირველი სულ აღფრთოვანებით ძიებაშია, ხოლო მეორე ძიებას შეეშვა და

ფულის შოვნაზეა გადასული, რადგან მიხვდა, რომ წლების მატება არავის ინდობს, ხოლო პირველი ამ ჭკუაზე ჯერ არ დამდგარა.

14057. სახელმწიფოს გადასახადს სიამაყით უნდა უხდიდე, ხოლო ჩუმად უნდა სპონსორობდე, რათა მათხოვრები არ მიხვდნენ და სხვებმაც ფულის კეთება ისწავლონ.

14058. გაფულიანებაც უნდა შევიდეს ნერვების დამაწყნარებელ წამლობაში, ზოგჯერ ის ყველა წამლობას ჯობნის და უკეთეს შედეგს იძლევა.

14059. იყო მილიარდერი დიდი პასუხისმგებლობაა, რადგან ფულსაც დაბანდება და მოვლა-პატრონობა სჭირდება.

14060. ფულის კეთების უნარი თანდაყოლილი ნიჭია, რომელიც სიკეთის კეთების ცოდნის ტოლფასია, მაგრამ ეს უკანასკნელი შეძენილია.

14061. ეკონომია და ფულის ფლანგვა ყოფის გაცნობიერების ნიჭზეა დამყარებული, განსაკუთრებით, თუ შენი კონკურენტი ფლანგავს.

14062. კონვერტით მორთმეული ფული ყველაზე დიდი მეგობარია, რადგან ახერხებს იმას, რაც კეთილისმდომის სურვილს ესადაგება.

14063. არის ჭკვიანი ფული, რომელიც თავის თავს აბარტყებს და სულელი, რომელიც თავს კარგავს.

14064. ნერვების აშლის უტყუარი წამალი გულგრილობაა, წამლობა კი მაინც ფულია.

14065. ფულს თავის მენტალიტეტი და მეტაფიზიკა ახლავს, ის იმასთან მიდის, ვინც მისი ყირათიანი მოხმარება იცის, პატივს სცემს და უფარს.

14066. ჩვენ ფულის მხატვრობა, დიზაინი, კი არ მოგვწონს, არამედ მისი შესაძლებლობა, ყოვლისშემძლეობა.

14067. ტრაბახი ფული ღირს, ამიტომაც ისჯება ფულდაუბრუნებლობით, რადგან თავის წარმოჩენის სურვილს ზომიერების და სიფრთხილის ლაგამის ამოდება სჭირდება.

14068. ფულის ხარჯვა და დაბანდება სიმარჯვეს მოითხოვს, რადგან აქ სიბრძნე არ ამართლებს.

14069. რწმენას ფასი არ ადევს, მაგრამ დიდი ფული მასაც ყიდულობს, განსაკუთრებით მაშინ, თუ არაფერს იძლევა.

14070. ფული პატივისცემას, ყადრს და მადლიერებას მოითხოვს, მაგრამ არა ისე, რომ მან იბატონოს ადამიანზე და არა – პირიქით.

14071. ხელფასი ადამიანისათვის იგივე ჯილდოა, თანამდებობა, სამეცნიერო წოდება, რადგან მისი ოდენობით გაფასებენ და არა იმით, რამდენს მამაძაღლობ, შოულობ.

14072. გონიერებას ფული სახარჯავად და საბრუნავ საშუალებად სჭირდება და არა – დასაგროვებლად.

14073. რწმენა, დაჯერება, სიყვარულის განცდაზე მინდობა, ცხოვ-რების უცოდინართა პრეროგატივაა, ფული კი მათი ბაზისია.

14074. დრო ფულს ითვლის, ხოლო ფულს დრო ფეხებზე ჰკიდია, რადგან ყველა დრო მას ემორჩილება.

14075. თეორიულად ჯობს რწმენა გქონდეს, ვიდრე სიმდიდრე, მაგრამ პრაქტიკულად მაინც ფულზე ბევრი რამაა დამყობილი.

14076. ფულს ლამაზად ხარჯვა უხდება და არა უაზროდ ფლანგვა.

14077. დევალვაცია ის ფენომენია, რომელიც მოქალაქეებს ჩუმად დასცინის, ხელისუფლების უუნარობის ალიბით და ხალხიც ამ დაცინვას იტანს პატარა-პატარა წარმატებებით და საეჭვო რეფორმების ხარჯზე.

14078. ვალი თავისებური თაღლითობაა კრედიტის გამცემსა და კრედიტის დამფარავს შორის, მაგრამ მის გარეშე ფულის მოძრაობის დაჩქარება ძალზე გაჭირდებოდა.

14079. ფული ისე არ იშოვნება, თუ ჯეელობაში სულს არ ავნებ და ვნების ნდომას რაიმეს არ მოაკლებ, რადგან სხვანაირად ასაკში ვერც შენს გემოზე იცხოვრებ და არც ამის უფლებას მოგცემენ.

14080. ,,ლაპარაკით" ფულის შოვნას არ უნდა გადაჰყვე, მაგრამ რეალობაში მისი წყალობა არ უნდა გაკლდეს.

14081. სამყაროს ყოველთვის დიდი ფული მართავდა, როგორი საწყენი და უცნაურიც უნდა იყოს.

14082. ყოფის სხვა განზომილებისაგან განსხვავებით, ფული არასო-დეს ბევრი არ არის და არც ხელს გვიშლის, იმისდამიუხედავად, მისი განკარგვის უფლებას ვიმსახურებთ თუ არა.

14083. ფული ქმედების ინსტრუმენტია, გონიერების წარმოსაჩენი საწვავია, მაგრამ სულიერებისთვის, ბედნიერებისთვის, უმთავრესი არ არის, რადგან ამ უკანასკნელთ თანდაყოლილი ნიჭი და ყისმათი სჭირდება.

14084. ზოგი ქალზე მეტად ფულზე ეჭვიანობს, თუ მას სხვისი ხელები ელაციცება.

14085. უფულობა უკმაყოფილებას, თანაგრძნობას და დროზე გარ-დაცვალებას იწვევს, ფულიანობა – დავიდარაბას, შურს და უდროო სიკვდილს, ასე, რომ რა სჯობია, დღესაც გაურკვეველ-დაუდგენელია.

14086. ფულით ცდუნება ყველაზე დიდი დანაშაულია, რადგან თუ ადამიანმა მუქთა ფულს გემო გაუგო, ყოველგვარ აუგს იკისრებს.

14087. ოცნებისთვის ფული არ უნდა დაინანო, განსაკუთრებით, თუ ბავშვობიდან მოგყვება, იმისდამიუხედავად, რეალობასთან აქვს კავ-შირი თუ არა.

14088. ფულს ადამიანის ცხოველად გადაქცევა არ შეუძლია, რადგან ყოველივე გენზე, გარემოზე და კანონის აღსრულებაზეა დამყარებული.

14089. ყველა წიგნი კარგია, მაგრამ საბანკო წიგნაკს ვერ ჯობნის, რადგან პირველი იმიტომ იწერება, რომ მეორე შეიძინოს.

14090. ქვეყნისთვის დიდი საშიშროებაა, როცა ფულს ვიგინდარა შოულობს, რადგან ის იმ არჩევნებს, პირებს, დააფინანსებს, რომლებიც მის საქმიანობაზე თვალს დახუჭავენ და არა იმათ, ვინც საზოგადოებას და ერს სჭირდება.

14091. ფულს ბედნიერება არ მოაქვს, მაგრამ ძალზე გვეხმარება ბედნიერების შეცნობა-შენარჩუნებაში.

14092. ფულს დახარბებული და გაუმაძღარი არც ცოლი უნდა გაიჩერო გვერდზე, არც – შვილი, არც – მეგობარი და არც – საყვარელი, რადგან დანდობა არ იციან.

14093. სილამაზე გვიზიდავს, გონიერება გვხიბლავს, საქმე აღგვაფრთოვანებს, ხოლო ფული მათ შორის ტრიალებს და თავისი სურვილების რეალიზებას ცდილობს.

14094. ბედნიერებისთვის მხარდაჭერა ბანკნოტებით ჯობს, ინტიმურია, მოხერხებულია და როგორც საჩუქარი, განსჯიდანაც დაცულია.

14095. ცივილიზაციის გზა ოცნების გადამხდელების ფულებით არის მოკირწყლული.

14096. კონცერტი სტადიონზე, ხელოვნება ფულის გამოძალვით.

14097. ინფლაციამ ფულის დაგრძელება და ჯიბის დამოკლება იცის.

14098. ფული და ინტელექტი ერთმანეთთან მწყრალად არიან, მაგრამ თუ საშუალება მიეცათ, ერთმანეთს მხარში უდგანან.

14099. ჭკვიანმა ადამიანმა შემოთავაზებული ყოფითი შესაძლებლობებიდან მაინც დასაბანდებელი ფული უნდა აირჩიოს. რადგან ყველა ჩვენი მცდელობა ფულის შოვნამდის დადის.

14100. ფულზე მეტად ადამიანს მისი არქონა და იმაზე ფიქრი აფუჭებს, თუ სად და როგორ იშოვნოს.

14101. მთავრობა ვალდებულია მდიდრებს დაეხმაროს ხალხის და საქვეყნო საქმის სასარგებლოდ ფულის გახარჯვა-დაბანდებაში.

14102. ფული უნდა დავიმონოთ სიკეთეში დაბანდებით და არა – ყისმათის და შემთხვევის წყალობით.

14103. ფული, მართალია ადამიანს რჯნის, მაგრამ არც ისე ცუდად გვეხმარება სიღარიბიდან და გაურკვევლობიდან თავის დაძვრენაში.

14104. სიფარულს კომფორტი უყვარს, მაგრამ კომფორტი ფულის გარეშე, მარტო სურვილ-მცდელობით, ყოველთვის არ ხერხდება.

14105. ადამიანთა 90 პროცენტისათვის ფულის სესხება ახლობლების მიერ დანაშაულია, ხოლო 50 პროცენტისთვის ფულის მიცემა სიბრიყვეა, რადგან დანიშნულებისამებრ მოხმარებას ვერ ახერხებენ და მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი თითქმის ნულის ტოლია.

14106. უგნურება ფულის ფანტვა კი არ არის, არამედ მისი ხარჯვის ადგილის და დროის უცოდინრობა.

14107. წარმატებულ საქმიანობას ცივილიზაციის გათავისება და მასში ფულის ჩადების ცოდნა სჭირდება.

14108. ფულს იმას ჩუქნიან, ვისთვისაც თავის შეწუხება და მის შინაგან ბუნებაში ჩაწვდომა არ ღირს.

14109. ფულს უფარს სიწყნარე, სიმშვიდე, ჩუმი საუბარი და ისევ ფული.

14110. ყველა საიდუმლო დიდ ფულს ქედს უხრის, მაგრამ ვის სასარგებლოდ, საკითხავია.

14111. ხალხი და მთავრობა რამ გაყო?! – ამბიციებმა და ფულმა.

14112. ფულის ხარჯვა, დაგროვებისაგან განსხვავებით, დიდ ჭკუას და მორალს არ მოითხოვს და ამიტომაც ეჩვენება მდიდრები უქონლებს ძუნწებად და უგულოებად.

14113. ფული კი არ არის ბედნიერება, არამედ მისი შოვნის პროცესი. ამას მაშინ გაიგებ, როდესაც შენივე მცდელობით მილიონებს გაეთამაშები.

14114. არის სიტუაცია, როდესაც გამოსავლად ის ფული რჩება, რომელიც შენთვის არასოდეს ყოფილა სათაყვანებელი და ყურადსაღები.

14115. რა თქმა უნდა, შენი საქმიანობის ოპონირება სპეციალისტების მიერ შენს პროფესიონალიზმზე მიუთითებს, მაგრამ ფულს მაინც ბრბოს შეფასება და შენდამი დამოკიდებულება იძლევა.

14116. ბიუჯეტის ფულის შრიალისთვის იშვიათად თუ რომელიმე ქვეყნის ხელისუფალს გაუძლია, მის აპარატზე და შინაურებზე რომ არაფერი ვთქვათ.

14117. ფულით გალაღება ნერვების ხარჯზე ალბათ არ ღირს, რადგან საბოლოო ჯამში, ოჯახისთვის რა მოგახსენოთ, მაგრამ პირადი ჯანმრთელობისათვის წამგებიანია.

14118. რაც ფინიკიელებმა ფული მოიგონეს, მას შემდგომ დაიწყო ყველაფრის და ყოვლის გადაფასება, სიფარულიდან დაწყებული დასამარხი მიწის პრესტიჟულობამდე, რადგან მოჭარბებული ფულის, შესაძლებლობის ფლობამ, ადამიანი ადამიანისგან განაცალკევა.

14119. ფულის გაფეტიშება დაავადებაა, ფულის შოვნა კულტურას და აღზრდას მოითხოვს, თუ ამის უფლებას ხელისუფლება მოგცემს, ქრთამს არ გთხოვს და არ გებატონება.

14120. ფული და ძალაუფლება ძალიან ცვლის ადამიანს, არა იმ ქვეყანაში, სადაც შემთხვევითობის და აუცილებლობის კანონი გაცნობიერებულ-გათავისებული აქვთ.

14121. თუ მოქალაქეს ბიუჯეტის შესავსებად ფული არ ემეტება, იმ ქვეყნის საქმე წასულია.

14122. საბოლოოდ, ფული ცხოვრებაში ყოველთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე დაპროგრამებული სიფარული, რომელიც შეჩვევასა და მოჩვენებითობაში გადადის, რაც მას პირვანდელ ეშხს უკარგავს, ფულის ფლანგვისგან განსხვავებით.

14123. უყაირათოდ ფულს ის ექცევა, ვისაც მიზანი და მისი დაგროვების შანსი არ აქვს.

14124. მთავარია ამ სამყაროში სიცოცხლის დახანებით დივიდენდების მიღებაა და არა უსახური ფულის კეთება, რომელიც ყოფიერებასთან დებიტ-კრედიტის თამაშია და მეტი არაფერი.

14125. ფულის კეთებასაც სინდის-ნამუსი, გონიერება და კაცობა სჭირდება, თუ გინდა ადამიანებად დავრჩეთ და არა მოხვეჭის ვნების ტომრებად.

14126. სიამოვნება და ფული სინონიმებია და ადრე თუ გვიან ერთმანეთს ნახულობენ და ელაქუცებიან.

14127. საქმიანობა, რომელსაც საკმაო ფული არ მოაქვს, ახლობლებში შეიძლება მოწონებას იმსახურებდეს, მაგრამ არა – აღფრთოვანებას, თუნდაც შთამომავლობას მომავლის დივიდენდები შესთავაზოს.

14128. ფულის ხარჯვაც ხელოვნებად იქცევა, თუ საშვილიშვილო საქმეში დააბანდებ და აბარტყებ სახელთან ერთად.

14129. ფულს პატივისცემით და სათუთად მოპყრობა სჭირდება თუ გვინდა ბიზნესი გამოგვივიდეს და ჩვენიც არავის შეშურდეს.

14130. პოხი იგივე ფულია, მიუხედავად იმისა, კარგი საქმისთვის არის განკუთვნილი თუ ცუდის – გზას ყოველთვის ნახულობს.

14131. იარაღს ყოველთვის ფული და მოხერხებულობა სჯობს, ვიდრე ცოდნა-გამოცდილება ფანტაზიის ანალიზის გარეშე.

14132. ფული ბევრ სისულელეს ჩაგვადენინებს, მაგრამ იმ ერთ საჭირო საქმესაც გამოგვიჩენს და პროფესიად გვიქცევს, რომელზე ადრე არც გვიფიქრია.

14133. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ფული ყველგან დაძვრება, ერთი ხელიდან მეორეში გადადის, მაგრამ ჩვენთან იმ ოდენობით მოხვედრა, რამდენიც გვინდა, უჭირს და თავს გვარიდებს.

14134. ფული ყველაზე დიდი მეძავია ამქვეყნად, მაგრამ ადამიანს არც სექსის და არც ფულის გარეშე არ შეუძლია არსებობა.

14135. ფული ღუპავს ნამდვილ მამაკაცსაც, რადგან თავქარიანობისკენ, ვაჟკაცობისკენ, გული ძველებურად აღარ მიუწევს.

14136. მძიმე სამუშაო კი არ არის საშინელება, არამედ ის, რომ საკმარის ფულს არ გიხდიან და არ გაფასებენ.

14137. აღმოსავლეთი იმით არის საინტერესო და საოცარი, რომ ფულის გარდა არაფერს ემონება და არც არავის ცნობს.

14138. პატიოსნების ისეთი ბილიკი არ არსებობს, რომელზე მოსიარულესაც დიდმა ფულმა გზა არ აუბნიოს და სხვა მიმართულებით არ გადახვეწოს.

14139. სამწუხაროდ, მექალთანეთა ჯიში გადაშენების გზაზე დგას, რადგან ფულმა აქაც კონკურენცია გაუწია და გააკოტრა.

14140. ფულის კეთებას მაშინ აქვს აზრი, თუ უსაფრთხოების ალიბი თან გახლავს და კანონთან შესადავებელს და საძრომიალოს გიტოვებს, თორემ კედელთან რომ აგაყუდებენ და ხმის ამოღების უფლებას აღარ გიტოვებენ, ეს ფულის შოვნა კი არა, საკუთარი თავის დაყაჩაღებაა.

14141. ფული ის ლაკმუსია, რომელიც ადამიანს არ აფუჭებს, მაგრამ მის ბუნებას უტყუარად ამჟღავნებს.

14142. სიფარული თუ ფული? გამოცდილება ამ უკანასკნელს ირჩევს, უფრო საიმედოა.

14143. ყველანი ფულის უანგარო მოფარულნი ვართ, მაგრამ თუ ჩვენი ყოფიერებისთვის აუცილებლად ჩავთვლით, გარიგებაზეც მივდივართ და არც ანგარებაზე ვამბობთ უარს.

14144. ოქროთი, ფულით, თანამდებობით, ყველა მოკვდავის მოსყიდვა, ხოლო ელიტის დაყოლიება შეიძლება.

14145. უფულოდ ღირსეული ცხოვრება შეუძლებელია, მაგრამ ღირებულების შენარჩუნებაა შესაძლებელი

14146. დოლარს თავისი ფანდი აქვს, ლარს – თავისი შარმი, მაგრამ ქართველი არც ერთზე უარს არ ამბობს და ხშირად სავალუტო ბირჟას კუკუმალობანას ეთამაშება.

14147. სიჯიუტის, დიდგულობის, სიამაყის გარანტი ყოფის ცოდნა და ჯიბის სიფართოვეა.

14148. ფული და ჭკუა ვერ მეგობრობენ, უფრო ფული და გათავხედებაა ერთმანეთთან ახლოს.

14149. უფულობა, ადრე თუ გვიან, სულის მსახურსაც აატირებს და ცხოვრების ყაიდის გამოცვლის სურვილზე დააყენებს.

14150. კარიერას ფულის გარეშე პეწიც დაკარგული აქვს, ელფერიც და აზრიც, რადგან ის დროებითია.

14151. უფულობა უუფლებობის სინონიმია.

14152. ამბობენ გული კაცობის მაჩვენებელიაო, მაგრამ ზოგჯერ ფული ამ შეუმოწმებელ აქსიომას ეჭიდავება.

14153. ყველა სერიოზულ ბანკნოტს ოქროს შემცველობა ალამაზებს, აამაყებს და სასურველს ხდის.

14154. გულადობას ხშირად ფულადობა უფრო სჯობნის, ვიდრე კანონიერება და სამართლიანობა.

14155. რატომღაც ყველა უფულო ჯორს, ყველა მილიონერი ვირი ჰგონია.

14156. საოცარია, რამდენი სისულელით შეიძლება დღეს ფულის შოვნა, მაგრამ ეს არც არავის უკვირს და ბრბოც კმაყოფილია.

14157. ფულის შოვნა ზოგჯერ უფრო ადვილია, ვიდრე მისი საქმიანად, ლამაზად და შემართებით ხარჯვა.

14158. დღესაც დიდ ფულს ბევრი რამის ყიდვა შეუძლია თავისი მომხიბვლელობით და ალიბით. ასე რომ, ფული არავითარ საზოგადოებრივ ფორმაციას არ ემორჩილება.

14159. ფული დროის ფაქტორს, ფასს, არ ცნობს, რადგან თავის წარმატებას შემთხვევას უკავშირებს და არა – მოთმინებას, ჩასაფრებას.

14160. ჩვენს მსახურ ფულს, გადიდკაცების ამბიციები ყოველთვის უშნოდ ულიტინებს.

14161. ფულით ნაყიდმა ნათრევმა სხეულმა, რაც უნდა მიმზიდველი იყოს, მაინც მობეზრება იცის.

14162. თუ ფული სიბრძნედ ცხადდება, საკითხავია ამ ქვეყანაში რა დონეზეა აჭრილი სახელმწიფოს მართვა და მასში მცხოვრები ხალხი.

14163. სათნოების, წესიერების, კაცობის, დაკარგვა ხშირად ოქროს და მისი შემცვლელი ფულის ბრალია.

14164. ფულმაც გაბუტვა, გაბრაზება, ზურგის შექცევა იცის, თუ მას უყაირათოდ ექცევი და ხარჯვას გონიერებას არ უთანხმებ.

14165. ფულს თავისი სახლი, ლამაზი საფულე სჭირდება, ხოლო ბევრ ფულს ბანკში კრედიტის სახით აღმართული დასაბანდებელი დარბაზი.

14166. ფულმა რომ შენს ჯიბეში ,,დაიჭყავლოს'', მისი უნდა გესმოდეს, პატივს სცემდე, უგებდე.

14167. ფული თავისუფლების, ძალაუფლების, სიმშვიდის, სიხარულის გარანტია და არა – ბედნიერების.

14168. ფულს თავისებური მენტალიტეტი, ემოციები და დატვირთვის უნარი გააჩნია.

14169. ფულის ენერგია სიფარულისას ვერ სჯობნის, მაგრამ ცდას არ აკლებს ამ ,,დისბალანსის" აღმოსაფხვრელად.

14170. თავმდაბლებისთვის, მაღალი პრინციპების მქონეთათვის, კეთილგონიერი ხალხისთვის, ფულის ნდობა არასაიმედოა, რადგან მათ ფულის ხარჯვის უამრავი ალიბი აქვთ და თანაც ყველა უტყუარი.

14171. ფულის არგასესხება თავისებურად კარგი ჩვევაა, მაგრამ თუ სესხებას არ გთხოვენ, ეს უკვე გამსესხებლის ნიჭია.

14172. ფულს ინახავენ: სახლში, ბანკში, აქტივებში და სწორედ ამ დაბანდების ცოდნა განსაზღვრავს საზოგადოების განვითარების ტემპს, მოგების ოდენობას და ფულთან მოქცევის კულტურას.

14173. ფულის მშოვნელსა და ფულის წამგლეჯს შორის ის სხვაობაა, რომ პირველმა იცის ფულის ყადრი, მომჭირნეობა, ხოლო მეორე დაუფიქრებლად და იმ საეჭვო იმედით ხარჯავს, რომ შემოსავალი კიდევ ექნება.

14174. ფული უფრო ამრავლებს ფულს, ვიდრე სიფარული სიფარულს.

14175. მორალსაც აქვს თავის ცვალებადობის პარამეტრები, თუ მასში დიდი ფული ერევა.

14176. უფულოდ ის ნივთიც კი არ გაიცემა, რომელსაც ფასი არ ადევს ანუ ფასდაუდებელია.

14177. ფულის ის ძალა, რომელსაც არც გონება სჭირდება, არც დარიგება, განსაკუთრებით, თუ ის ნაჩუქარია, დაკრედიტებულია და მუქთად მოდის.

14178. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ზოგი უკვდავებას ფულზე ცვლის, რადგან დღეს უიმისოდ უკვდავებას ვერ გაინაღდებ.

14179. ფული დიდს თუ არა, პატარა ბედნიერებას მაინც იძლევა და ხშირად მისი გარანტია.

14180. ფულიანთან ურთიერთობა მუდმივია და მისი უყურადღებოდ დატოვება დაუშვებელია.

14181. აზარტულ თამაშს უფრო ცოტა ფულის მქონენი თამაშობენ და არა ბევრის, ვინც უნდა გაერთოს და მოგებაზე მაინცდამაინც არ უნდა იფიქროს.

14182. ფული არასდროს ყოფილა კულტურის, განათლების, სიკეთის, კაცობის მაჩვენებელი, იმისდამიუხედავად, რომ მასზე მოთხოვნილება იზრდება.

14183. არის პროფესიონალი მილიონერი, რომელიც ფულის კეთებით თავს ირთობს, არის მოფარული, რომელიც ფულის ოდენობით

ტრაბახობს და რატომ, რისთვის, ვისთვის წვალობენ, ხეირიანად ვერ აუხსნიათ.

14184. სამყარო სიფარულზე დგას, მაგრამ ფული თუ არ წავაშველეთ, საყრდენი გამოეცლება.

14185. ეძებო მილიონი – კარგი თვისებაა, გახდე მილიონერი – ხოშის გასწორება, ხოლო ამრავლო მილიონები – უკვე სამუშაოა.

14186. ფულის შოვნას გადაყოლილი ხალხი, საზოგადოება არაა, ის გაფუჭებული მასაა და მის კეთილდღეობას ყოველთვის საფრთხე ემუქრება.

14187. ფულის გაღება და ფულის მიცემა-მიგდება სხვადასხვა ემოციების წინაშე გვაყენებს. რადგან პირველი საერთო საქმის საკეთებლად გაღებული თანხაა, ხოლო მეორე „გამათხოვრებული" ნაცნობ-ნათესავებისათვისაა „შეწერილი".

14188. ქველმოქმედებას, პატრიოტიზმს, მათ შორის კაცობასაც მაინც ფულით ვაჭრობასთან აქვს საქმე.

14189. ფულს ფასს დებიტ-კრედიტის და მომავლის ამბიციების შეცნობა ადებს.

14190. ნდობა მხოლოდ საკუთარი თავისა შეიძლება, განსაკუთრებით მაშინ, თუ ის ფულითაც არის შემაგრებული.

14191. სიახლე და ორიგინალური აზრი გონიერი ხალხის ხელში ფულის ტომრებს აკვადრატებს და გააათმაგებს დროთა განმავლობაში.

14192. ფული და სიცოცხლე არასოდეს გვყოფნის და არც მათი ფლანგვა გვაკმაყოფილებს.

14193. ფულით ბედნიერების დაქირავება შეიძლება და არა – ყიდვა.

14194. მყარი ვალუტა, გრძნობების დევალვირებისაგან განსხვავებით გულს ვერ აგვიჩუყებს და საცრემლეს არ აგვიქავებს – მაინც არ გვშველის ეს სატანის ნახმობი.

14195. ფულს გაორმაგება უფარს, გასამმაგებას ეტრფის, გაოთხმაგებას ეთაყვანება, ხოლო გაათმაგება ის კაიფია, რომლის გადმოცემა არც ერთ ნარკოტიკს არ ძალუძს.

14196. ყველაზე დიდი სარწმუნოება და ჩუმი სალოცავი ფულია, რომელსაც ჩუმად ყველა კვერცხს უგორებს, ყველას სჭირდება და მასზე უარს არავინ ამბობს.

14197. ადამიანის ბუნებასა და მის საქმიანობას შორის შუამავალი ფულია.

14198. ფულის მოძიებაა ცხოვრების არსი და არა თავად ცხოვრება, განცხრომა.

ქალი

14199. ქალს თუ კაცისგან უზრუნველი ცხოვრება აქვს, მაშინ უყურადღებობა და „საღორეში ღორიც კი ჭამს“ აწუხებთ. თუ უჭირთ, ყოველი დილა „მე რომ ბედი მქონებოდათი“ იწყება და ა.შ.

14200. საოცარია ქალის ხასიათი: როდესაც მამაკაცს ფრთები გაშლილი აქვს და ცხოვრება უხარია, ეჭვიანობს და სცოდავს, როდესაც ფრთები ჩამოყრილი აქვს მასზე ზრუნავს და ეთაფვანება.

14201. ქალი ყოველთვის ისეთი მოხდენით უნდა იცვამდეს, რომ მამაკაცს მისი უხეშად და ჟინით გახდის სურვილი უნდა უჩნდებოდეს.

14202. ქალს პირველ რიგში ბუდე სჭირდება და არა კარიერა, რადგან ოჯახის შექმნის ბიოლოგიური ყვილი, სად და როდის წამოეწევა, არავინ უწყის.

14203. ისტორიის ქარცეცხლს თუ გადავხედავთ, ქალი ყოველთვის ისეთი იყო, როგორიც მამაკაცის მიერ შექმნილ დროს სჭირდებოდა და მათი გააქტიურება დამოკიდებული იყო იმაზე, თუ მამრების წაყრუების შედეგად მატრიარქატი როგორ ახერხებდა ძლიერი სქესის წარმომადგენლებზე ამაღლებას ან დაცემას.

14204. უპირველესად ქალში გრძნობების ჩოჩქოლი და სუნის სიახლოვე უნდა ვეძებოთ, შემდეგ მისი „ფუტლიარი“ და სექსუალობა.

14205. ქალის სისუსტე-სიძლიერე დამოკიდებულია იმ მამრზე, რომელიც ქალს რაიმედ უღირს.

14206. ქალს ვერას გაუგებ, რადგან ქალიშვილობის მეხსიერება ნარნარად გადადის ქალის საიდუმლოში, ხოლო ეს უკანასკნელი მოხუცებულობის სკლეროზში გადაიზრდება.

14207. ყველა ქალი არ იყიდება, რადგან ბევრს ამის სასაქონლო ღირებულებაც არ აქვს.

14208. ზოგიერთი ქალი მხოლოდ იმისთვის ვარგა, რომ მამაკაცთა სისხლი მირეკ-მორეკოს, ხოლო სულის აღმაფრენა და გულის ჩახუჭუჭება მისთვის უცნობია, რადგან ეს მისთვის არავის უჩუქებია.

14209. ქალის მომხიბლავ ტანზე ლამაზი არაფერია, ხოლო გულში-ჩამწვდომი სიტყვის, ღიმილის და თვალების დაჟუჟუნებისგან მიღებულ სიამეს არაფერი შეედრება.

14210. ქალებს სიყვარულზე აღფრთოვანებით, აგზნებით, უყვართ ლაპარაკი მაგრამ უსიყვარულოდ.

14211. მამაკაცის სურვილია ქალი შესაძლებლობის ფარგლებში აცხოვროს, ქალისა კი – ეს საზღვრები დაარღვიოს და ყველას ჯინაზე უკეთ იცხოვროს.

14212. ქალები მაშინ იხდიან მოვალეობას, როდესაც მამრებს უსიყვარულოდ, მოწონების გარეშე და გარდაუვალი ბუნებრივი აუცილებლობის გამო მიჰყვებიან ცოლად.

14213. ქალს თავის ასაკის დასახელებისას არ უნდა ვენდოთ, მაინც შეიხახვისთავებს.

14214. თანამედროვე ქალს ისეთი შრომა აწევს, რომ ერთი წელი სამ წლად უნდა უანგარიშოთ. მიუხედავად ამისა ისინი მამრების ჯინაზე მაინც მეტს ცოცხლობენ.

14215. ქალები სუსტ არსებას განეკუთვნებიან, მაგრამ მაინც მტაცებელთა ოჯახს მიეკუთვნებიან.

14216. ქალზე წარმოდგენის უქონლობა შეიძლება სიყვარულის საბაბიც იყოს და ვაჟკაცობისაც.

14217. ქალის კაპრიზია ვიღაცის და რაღაცის ჯინაზე გამოჩნდეს და თავისი მედიდურობით ვიღაცას და რაღაცას ავნოს.

14218. მამაკაცს მონად აქცევს სილამაზე და საქმის სიყვარული, ქალს – აკვიატებული აზრები და ნამდვილი სიყვარული.

14219. თანამედროვე ქალი, ასაკთან, ქმრის შემოსავალთან და თავის წონასთან ერთად, მკერდის, წელის და გავის მოცულობასაც მალავს, რადგანაც ეს უკანასკნელი ბანკში ჩასადებ სიმდიდრედ ეჩვენება.

14220. მდედრი არ უნდა შეეცადოს მამრი თვის ინტერესების მსხვერპლად აქციოს, აზროვნების სისხლი მოწოვოს და თავისი გადაუსხას, რადგან სურვილი ერთია, შედეგი მეორე და ხშირად საკვალალო.

14221. ქალმა მამაკაცს არასდროს არ უნდა დაახლოვოს თავის სწორი დაქალი, რადგან გარემოებათა გამო, შეიძლება თავად გახდეს ის ურემი, რომელმაც შინ შეშა ვერ მიიტანა.

14222. ლამაზ ქალს ცხოვრების ბევრი კოზირი ხელთ უპყრია, მაგრამ ის რომ ბედნიერი იყოს, ფლირტი და თავის დაფასება უნდა ისწავლოს.

14223. ქალი ლატარეა და ბედის გაღიმებაა, მაგრამ მისი მორჯულება და შენარჩუნება მამაკაცურ ხელოვნებაზე და პრაქტიკიზმზეა დამოკიდებული.

14224. ასაკი ქალს გემოვნებას ,,უქვეითებს'' და მამრის ,,ფუტლიარის'' და ,,ჯიბის'' მიმართ უფრო შემრიგებლური ხდება.

14225. ქალების მეგობრობა ვერაგიც არის და გაუგებარიც, კაცების გასაგებიც და გაუგებარიც.

14226. ქალს ის კი არ სწყინს, რომ მისი დაბადების დღის ან ქორწინების დღის აღნიშვნა ავიწყდებათ, არამედ – იმ ,,კატორღული'' საქმიანობის გამოსასყიდის – საჩუქრების – შეხახვისთავების მცდელობა.

14227. საქმიან ქალს რატომღაც შელახული, მელოტი და ყურებში თმაგამოკვეხებული მამაკაცები მოსწონს და არა შეღებილი და დამანი-კურებულნი, რადგან კოსმეტიკა მამრებისაგან განსხვავებით, მდედრთა პრეროგატივაა.

14228. ქალი ყველა ასაკში მომხიბლავია, თუ მას მხიარული და შესამჩნევად კეთილი თვისებები ააქვს.

14229. ქალზე უფროსობა შეიძლება, მაგრამ შენს ჭკუაზე მოთარ-გმნა და დამორჩილება შეუძლებელია.

14230. ქალი, რომელსაც გინდა გაუგო და გაუგე, ქალი არ არის.

14231. თუ გინდა ქალის გული მოიგო, ბუნებით კახპას დედოფა-ლივით უნდა მოექცე, ხოლო ბუნებით ამაყ სარეცელზე კახპობა უნდა აგრძნობინო.

14232. ტიტველ ქალს აღსაქმელად ისევ ნახევრადშიშველი სჯობს, ხოლო შესაფასებლად – მოდაზე ჩაცმული.

14233. ბედნიერი შტამპის ჩაკვრა პასპორტში გრძნობებით სასუს-ნავი ქალის გარეშე არ ხერხდება.

14234. ქალიშვილები ცდილობენ ტაქტიანები იყვნენ, ქალები – უტაქტონი, რადგან მათ ქცევაში მზრუნველობა და მატერიალიზმი ჭარბობს.

14235. ქალს ხვადების ქიშპობა იცავს და აძლევს საშუალებას არ-ჩევანი აკეთოს.

14236. ქალს უნდა შეეძლოს ერთდროულად გამოხატოს თავისი ცოდვაც და უმანკოებაც.

14237. ქალები, პირველ რიგში, ერთმანეთის დაჩრდილვას ცდილო-ბენ, შემდეგ იწყებენ მამაკაცების მოხიბვლას.

14238. შარვლების ტანზე ამოცმით ქალებმა მამაკაცებს წაართვეს მათი ტანის თანდათანობით შეცნობის და ტკბობის უფლება.

14239. ალერსიანი არამზადა თუ მოფერების არმცოდნე წესიერი კაცი, რა თქმა უნდა, პირველზე შეჩერდება მდედრის არჩევანი, რადგან მას ცხოვრება უნდა და არა არსებობა.

14240. ქალი ყოველთვის ქალად დარჩება, თუ ის ყველა დროში ასაკს მოხდენილად მოირგებს.

14241. ქალი ის არის, ვისაც სურვილის კოკობი ბოლომდე არ გაუშლია.

14242. ქალს პირველ რიგში რწმენა უნდა ჩავუნერგოთ და მერე მივცეთ განათლება.

14243. არის ქალი, რომელიც მოგწონთ, არის ქალი, რომელიც ლამაზ ქალად ითვლება და არ გესიმპატიურებათ, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს მდგომარეობათა და შემთხვევის გამო მის მიმართ გრძნობას არ შეიცვლით. ეს არის ჩვენი ცხოვრება და თითქმის მეტი არაფერი.

14244. ქალი საზოგადოებისათვის განათლებული უნდა იყოს, ხოლო სახლში ოჯახის მეცნიერებათა დოქტორი.

14245. ზოგიერთი ქალის სურვილია მისთვის ღირსეული მამაკაცისგან, სხვა თუ არაფერი, მოტყუებული მაინც დარჩეს.

14246. ქალი რომ პიროვნებად იქცეს, ის ქალისავე მცდელობით ქალადვე უნდა დარჩეს.

14247. ქალი სიცოცხლის ბოლომდე უშედეგოდ ცდილობს მამაკაცში თავისი იდეალი გამოძერწოს.

14248. კაცისგან განსხვავებით, ქალისთვის ,,მიზანი ამართლებს საშუალებას'' დასაშვებია, თუ ის ოჯახის შენარჩუნებას და სიცოცხლის კვლავწარმოებას ემსახურება.

14249. საქმიან ქალს უნდა ახასიათებდეს მამაკაცის ლოგიკა, მდედრის კაპრიზი, მკაცრი მომხიბვლელობით.

14250. ზოგიერთი ქალი მით უფრო მიმზიდველია, რაც უფრო არალოგიკურია, ზედმეტად მომთხოვნია და თავადაც არ იცის, რა უნდა.

14251. ზოგჯერ ქალი იძულებულია თვინიერ და უპრენტეზიო მამაკაცს მიეყიდოს თავისი რეკლამირებული წუნით და ამბიციებით.

14252. ქალის ლამაზი ტანი სამყაროს მერვე საოცრებაა, ხოლო დამთრგუნავი უბე მეცხრე საოცრებაზეც მეტია.

14253. ყველა ქალის ოცნებაა საყვარლად დონჟუანი ჰყავდეს, მაგრამ ქმრად დამყოლი მამაკაცი ურჩევნია.

14254. ქალებმა ბევრი რამ იციან, მაგრამ ზოგი რამის უცოდინრობა მათ სიამეს გვრით და აამაყებთ, მაგალითად, ვირეშმაკა მეუღლის ,,ერთგულება''.

14255. ქალი შინაგანად თავის წლებსაც უნდა სჯობნიდეს და მისთვის შერჩეულ გარეგნობასაც.

14256. ქალს ძალიან უყვარს ის ტყუილი, რომელიც მას ალამაზებს, ადიდებს და ,,ჭკვიანს ხდის''.

14257. ქალი ქმრის თავაშევებას შემწყნარებლურად უყურებს, თუ აქედან ოჯახი რაიმეს ხეირობს.

14258. ქალს რჩევა-დარიგება და ჭკუის სწავლება არ სჭირდება, მას უნდა მამაკაცი, რომელსაც ენდობა და მისი გულისთვის რისკს გასწევს.

14259. ქალის საგანგებო შემთხვევაა, მოუმწიფებელი და გაუყოფელი სიფარული.

14260. ქალები თავიანთ უხასიათობას ჩვენ გვაბრალებენ და პასუხსაც ჩვენ გვთხოვენ.

14261. ქალებში, პირველ რიგში, სულიერება და შესატყვისი სუნი უნდა ვეძებოთ, რაც შეეხება ხასიათს და გარეგნობას, თავად მოერგება, თუ პირველი ორი მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

14262. ქალები მამაკაცებზე მეტ ფულს იმიტომ ხარჯავენ, რომ ოჯახი წარმოაჩინონ და გამოაჩინონ.

14263. ქალს შეიძლება მოვალეობა არ ჰქონდეს, მაგრამ უნდა ცდილობდეს თავისი შესაძლებლობების გამოვლენას.

14264. ქალია ის, რომელიც სარკესთან კეკლუცობს, სისხლი უდუღს და ცელქობისათვის საჭირო პოზას ამუღამებს.

14265. ქალს ის კი არ ანერვიულებს, რომ რაღაცის კეთება არ შეიძლება, არამედ ის, რომ ამ ბარიერის დაძლევას ვერ ახერხებს.

14266. ქალის მორცხვად დახრილი თვალები სულით მუდამ ამაღლებულია.

14267. ქალებს, ძირითადად, თავიანთი სახელოვანი ქმრებით იცნობენ, ხოლო კაცებს – ცოლების უცნაურობებით.

14268. ქალი ბებია იქნება თუ დიდი ბებია, მას არასდროს არ უნდა ავიწყდებოდეს, რომ ის სამყაროს მშვენიერება და სიცოცხლის საწყისია.

14269. ქალიშვილების ბუნებრივობის ჰარმონიაში მოყვანა, მხოლოდ ღირსეული მამრის უპირატესი საქმეა.

14270. ქალის ღვთაებრიობას სცემენ პატივს და უძღვნიან საჩუქარს და არა მის ასაკს.

14271. ქალის კაპრიზია მოსწონდე, კაცისა – აფასებდნენ ამ სურვილებისგან გამომდინარე შედეგით.

14272. ზოგჯერ ქალმაც უნდა ჩაიხედოს თავის პასპორტში ასაკის დასადგენად.

14273. ქალი ყოველთვის ცოცხალი ნივთია, მოსწონს მას ეს თუ არა, რადგან მისი ღირებულება დამოკიდებულია მამრის გემოვნებაზე და მყიდველობის უნარზე.

14274. ახალგაზრდა ქალი გარეულ ფრინველს უნდა ჰგავდეს, რომლის მოპოვება სასიამოვნოცაა და სატრაბახოც, რადგან ის გასაფრენად მუდამ მზად არის.

14275. საოცარია, მაგრამ ჩადრის მატარებელი ქალები გაცილებით მეტ კოსმეტიკა-პარფიუმერიას ხმარობენ, ვიდრე უჩადრონი და ეს,

ალბათ, იმის ბრალია, რომ პირველ რიგში ქალები ერთმანეთს შეხვედ-
რისას ეჭიშპებიან და შემდგომ ცდილობენ მამრებისთვის თავის მოწო-
ნებას.

14276. თვალების დაჟუჟუნებას სულის დამალვის და წარმოჩენის
თავისი შარმი აქვს, რომლის ხელოვნებას მდედრები ხშირად სარკესთან
ამუღამებენ.

14277. ზოგ ქალს აქვს ის სატყუარა-ანკესი, რომელიც მამაკაცებს
კალმახივით თავის ჭკუაზე ამოათრევს და რამდენ ხანსაც უნდა, იმდენ
ხანს მის ფეხებთან აფორთხიალებს.

14278. ქალს, რომელსაც სურვილი არ აქვს ნაშიერის ყოლისა და
მოვლის, მდედრის სტატუსი დაკარგული ააქვს.

14279. როდესაც ქალი გულით არჩევანს ვერ აკეთებს და ყველა
მამრის გამოსიყვარულებას გულგრილად ვერ ტოვებს, მას გული კი
არა, საძმო სასაფლაოს ასოცირება უდევს ტანში.

14280. აფთარქალა – „სტერვა“ ის სანიტარია, რომელიც მამრს
სურვილს უკარგავს უხიაგი ქცევისას, საბოლოოდ და განუკითხავად.

14281. სჯობს ქალი მომხიბლავი გონიერებისთვის ავირჩიოთ, ვიდრე
სილამაზისთვის, თუ გვინდა თანდათანობით ცხოვრებაშიც გაგვიმარ-
თლოს და სიყვარულის მქონე აზროვნებაშიც.

14282. ყველა კონფესია ქალისგან მორჩილებას მოითხოვს და ჩაგ-
რავს, მხოლოდ ათეიზმი აძლევს მათ მამაკაცთან გათანაბრების უფლე-
ბას, მაგრამ მდედრს მაინც შესაბამისი რწმენით ცხოვრება ურჩევნიათ
რადგან მამრისადმი გაკაპასებით მორჩილება, მას გენეტიკურად მოს-
დევს.

14283. ყოველივე მოდას ემორჩილება, ეთაყვანება, თორემ ვინ წარ-
მოიდგენდა, რომ დღეს ქალები უფრო ადვილად გაგვიმხელდნენ ასაკს,
ვიდრე საკუთარ წონას.

14284. ქალს მისი თვალების შემონათება ათხოვებს და არა მისი
გარეგნობა და სულის გამონათება.

14285. ქალი, მამაკაცისგან განსხვავებით, უსიყვარულოდ არ უნდა
გათხოვდეს, ერთის პირობით, თუ მისი ბუნება და შინაგანი „მე“ დე-
დობას არ სთხოვს.

14286. ქალი, ბობოქარი წარსულის მიუხედავად, იშვიათი გამონაკ-
ლისის გარდა, ბოლოს მაინც დედაკაცია.

14287. ქალისთვის დიდი ტალანტია ყველასთვის იყოს მისაღები და
არა – მოწონებული.

14288. ქალის კაპრიზს ირგვლივმყოფთა წრე განსაზღვრავს, ხასიათს
– საყვარლის ასაკი.

14289. ზოგი ქალის თვალებს ისეთი მადლი აქვს, რომ ძილშიც კი უნდა აჟუჟუნებდეს.

14290. მდედრს ბუნებრიობის, ბალახის, რძის სუნი უნდა ასდიოდეს და არა – სუნამოსი, თუ გვინდა მისი ქალური მეობის მადლის შეცნობა და შეგრძნება.

14291. მდედრში ქალის დანახვაა ძნელი და არა – მისი ხიბლისა.

14292. 40-50 წლის წინათ ქალებს რომ დღევანდელი მოდა და ცხოვრების სხვა ხედვა ჰქონოდათ, დღეს ბევრ შვილიშვილს სხვა ბაბუა და ბებია ეყოლებოდა.

14293. თუ ქალის დანახვა მამაკაცში შოკს იწვევს და ამისთვის ღმერთს მადლობას სწირავს, რას ვერჩით მდედრს – ის მამრებთან საჯილდაოდ ყოფილა დაბადებული.

14294. ქალი ბედნიერი უნდა იყოს თავისი არჩევანით, მაგრამ მაშინ ის ქალი აღარ იქნება.

14295. დაწუნებული ქალი არ არსებობს, უბრალოდ, მისი ფასის მცოდნე მამაკაცი არ გამოჩნდა.

14296. ხშირად ქალები მამაკაცს მტაცებლური ბუნებით არ ჩამორ-ჩებიან თუ რაიმე გამორჩენას ელიან და ამასთან მამაკაცის ყურადღებას მოკლებულნი არიან.

14297. ქალებს თვალის დაჟუჟუნების და ალერსის მადლის უნარი რომ ბოლომდე შეენარჩუნებინათ და ბრჭყალები არ გამოეჩინათ, მამ-რთა მოდგმა ძალზე შემცირდებოდა, რადგან ისინი უსიტყვოდ თავს გასწირავდნენ ამ მომნუსხველი ხიბლისთვის, რათა მდედრთა მოდგმის-თვის ერთგულება დაემტკიცებინათ.

14298. რაც უნდა ძლიერი მამაკაცი იყოს, გონიერი ქალის წინაშე, მისდაუნებურად, კურდღლის როლით კმაყოფილდება.

14299. ქალები ცუდად იცნობენ მამრების პრობლემებს, მაგრამ ეს ხელს არ უშლით მათი საკითხების გადაჭრასა და მოაგვარებაში.

14300. ბებია, დედა და მეუღლე, შენდამი სიყვარულის მიუხედავად, ერთად ვერ ძოვენ და ურთიერთმოშორებით ცხოვრობენ. რომელ მათგანს არ აქვს გული, გონიერება, მოთმინების უნარი, ძნელად გასარ-კვევია, რადგან მათ ნებას მდედრის კაპრიზი განაგებს.

14301. ქალს არავის ვახში და ვალი არ აქვს და თუ რაიმე შესცო-და, ისიც საზოგადოების უყურადღებობის ბრალია, რადგან დაბადებუ-ლია დედობისთვის, კვალავწარმოებისთვის და ყველა ღონეს ხმარობს ღირსეული ხვადის მოსაძებნად.

14302. ქალები, მათივე გაგებით, იმიტომაც არიან უცოდველნი, რომ ყველა საკითხის მიმართ თავიანთი ფორმულირება აქვთ და ამიტომაც ყოველთვის მართლები არიან.

14303. ყველა ქალი ცდილობს თავი მომგებიანად წარმოაჩინოს, რაზეც მამრებიც თანახმანი არიან და ეს არის მათი შეცდომა, რადგან სურვილსა და სინამდვილეს შორის დიდი ნაპრალია, რომელზეც ხიდის გადება ყველას ხვედრი არ არის.

14304. ქალი, რომელიც წლებთან ჭიდილში სულით არ ბერდება, შეფასება-გადაფასებას არ ექვემდებარება.

14305. ქალს ბევრი რამის უფლებაც აქვს და ბევრსაც ვპატიობთ, გარდა ერთისა – მან დედის სტატუსს არ უნდა უღალატოს.

14306. ქალის კოსმეტიკა მუცლის ზომიერი ამოყორვით იწყება და ნერვების აშლის საბაბს არ ეძებს.

14307. მდედრებად იბადებიან, მათ ქალებად გაშალაშინებას კი გარემო და თაყვანისცემლები სჭირდება.

14308. ნამდვილ ქალში მხოლოდ ქალი უნდა დაგვამახსოვრდეს, ყოველგვარი ფუტლიარის, ჩაცმულობის, მაკიაჟის გარეშე.

14309. ეკონომიკის ხუშტური, ხშირად, ქალის შეუცნობელ კაპრიზს მოგვაგონებს, მაგრამ ეს უკანასკნელი პირველის კრიზისგან განსხვავებით, არც დევალვაციის მიზეზს ეძებს და არც აქციების „გაპეტუხებას“.

14310. ქალი ბევრ მამაკაცზე ჩადის ფსონს, მაგრამ ხშირად უქმროდ რჩება, მაგრამ ამ გაუმართლებლობით სიცოცხლის აზარტი არ უნდა დაიკლოს.

14311. სხვის დასანახად ყველა ქალი ჯადოქარია, მაგრამ თავისი კაპრიზით, ლოგიკით, სისუსტით და ოცნების მაქსიმალიზმით.

14312. ქალის ლოგიკა ძირითადად სიმდიდრეს და ხვადის შესაძლებლობებს ემორჩილება, ვიდრე საკუთარ კაპრიზს და თავმოყვარეობას.

14313. ქალის და კაცის ურთიერთობა სიყვარულითაც კი არასოდეს ყოფილა უმიზნო, უმწიკვლო.

14314. ქალს მოსწონს მუხლმოყრით ხელის თხოვნა და არა – დაჩოქილი ბედნიერება.

14315. ხშირად დაუჯერებელი გვჯერა, თუ მისი დაჯერება გვინდა და ეს სურვილი, უმთავრესად, ქალებს უჩნდებათ.

14316. ქალს გაუმარჯოს, რადგან ზოგისთვის ის დედაა, ზოგისთვის კი – დროის სატარებელი ნუგბარი.

14317. ქალი ბუნებით მსხიობიცაა, რეჟისორიც, მეგრიმეც, კრიტიკოსიც და „იმიჯისტიც“. ნაცნობი საზოგადოებისთვის მისთვის დამახა-

სიათებელ როლს თამაშობს, ხოლო უცხო გარემო მისთვის პრემიერაა და ახალ სახეს როგორ მოირგებს და რას მოიმოქმედებს, არავინ უწყის.

14318. ქალი უნდა ცდილობდეს ყველას სჯობნიდეს და თავიც ისე უნდა მოჰქონდეს, რომ მასზე უკეთესი არავინაა, თუ უნდა ანგარიში გაუწიონ და თავისი მცდელობას რაღაც მანქანებით გაეთამაშოს.

14319. ქალის შეცნობის მცდელობა დროის დაკარგვაა, რადგან ის არავითარ ჩვენთვის ცნობილ კანონზომიერებას არ ემორჩილება, გარდა გამართლებისა.

14320. ყველა ქალი იქსია, იშვიათად – იგრეკი, მაგრამ, განცდის განტოლების შედგენას და გონების ტოლობის დადგენას მათივე ულოგიკო ლოგიკა უშლის, განსაკუთრებით მამაკაცთა გადასახედიდან.

14321. როდესაც ქალს ერთი თვალი უჟუჟუნებს, მეორე უნდა ფიქრობდეს მამრს თავი როგორ მოაწონოს იმგვარად, რომ უღელი დაადგას.

14322. ქალი ან მკერდით, ან გავით, ან ფეხებით, ან ღიმილით ან კიდევ სხვა ხიბლით უნდა დადიოდეს, რადგან მარტო თავით სიარული ხშირად შედეგს არ იძლევა.

14323. ყველა ტრაქტატი, დაწერილი ქალზე, სისულელეა, გარდა იმისა, რაც ღიმილს იწვევს ნიშნისმოგებით, რადგან ქალის ქმედებაში ჭეშმარიტების ძებნა სისულელეა.

14324. ქალს თაყვანისმცემლებს ასაკი უკარგავს და არა – გამოცდილების უქონლობა და ჟინი.

14325. ბევრი იბრძვის ბედნიერებისათვის, მაგრამ ქალს სხვა გაგება და ბრძოლის ხერხები აქვს, რაც ხშირად მისთვისაც უცნობია.

14326. ავი, უხარისხო ქალი ისევე იშვიათია, როგორც ლამაზი და სათნო.

14327. ქალი ვალს თავისი სხეულის გასხვისებით იხდის და აქ მამაკაცის დანაშაული – გულგრილობა, უყურადღებობა, უდავოა, რადგან მდედრი ამას გალაღებით უნდა აკეთებდეს და არა მოვალეობის მოხდის მიზნით.

14328. დამნაშავე კანონს ემორჩილება თუ სილამაზეს, მისი განიარაღება და დასჯა ქალს უნდა მივანდოთ, თუ გვინდა ცხოვრების გზაზე დადგეს.

14329. ბუნების ყველაზე დიდი სოცრება მდედრის ცნობიერების ევოლუციაა გოგონობამდე, ქალიშვილობამდე, პატარძლობამდე, დედობამდე, დედამთილ–სიდედრობამდე, ბებიაობამდე და ასე შემდგომ ასაკის და დროის შესაბამისი განსჯით.

14330. ქალი და სიფარული სინონიმების, მაგრამ დედაკაცის და ოჯახის რა მოგახსენოთ – მოვალეობაა.

14331. მდედრმა რამდენი მამრის სარეცელი უნდა გაითავისოს ან რა დონის აფთარქალი უნდა იყოს, რომ საზოგადოებისთვის ცნობილი გახდეს, ამის გათვლა ჭირს.

14332. იდეალური მამაკაცი ქალს ოცნებაშიც კი არ ხვდება, იმდენად გაუგებარია მათი მოთხოვნების სხვადასხვაობა.

14333. არიან საქმიანი ქალები, რომლებსაც ქმარი იმიჯისთვის სჭირდებათ და არა ოჯახის მარჩენალ მეუღლედ.

14334. ქალი საზგადოების ოპიუმია, მაგრამ ამ ნარკოტიკის მიღებადაკაიფებით დაზარალებული არავინაა.

14335. „პლახიშ“ – ცუდბიჭა, თავქარიანი მამაკაცებიც იზიდავენ ქალებს, რადგან ამ უკანასკნელთა სურვილია, მათი რჩეული გამოირჩეოდეს სხვისგან, ხოლო არჩევანს რა მოფება, ამ ეტაპზე არ აინტერესებთ.

14336. თუ გვინდა მდედრის სხეული სიამით აღვიქვათ და დავიმახსოვროთ, ქალმა მისი წარმოჩენას მიჯნა თავად უნდა დაუდოს, რათა არ გაუფასურდეს.

14337. სტერილური, სუფთა აზროვნების მამაკაცები, ბადის მსროლელისაგან განსხავვებით, სახალხოდ ქალებს მოსწონთ, მაგრამ სინამდვილეში ნაკლოვნებების მქონენი ურჩევნიათ, რადგან მათთან ურთიერთობა საინტერესო და დასამახსოვრებელია.

14338. ქალები მამაკაცებზე დიდხანს იმიტომ ცხოვრობენ, რომ კაპასი ცოლები არ ჰყავთ.

14339. ქალს გარკვეულ ასაკამდე წუთები შეუმჩნევლად ემატება, გარკვეულ ასაკის შემდგომ შესამჩნევად – საათები.

14340. თუ ქალს უნდა მამრი დაიპყროს, მის შიდა სამყაროში შეძვრომა უნდა მოახერხოს და იქ რაღაც ნაწილი მიისაკუთროს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ კაცზე ცოლად გაყოლა და გადაყოლა არ ღირს – სასურველ შედეგს არ იძლევა.

14341. განაწყენებული ქალი ბოლოს თქვენს მხარეს დაიჭერს, თუ მას მოუსმენთ, დაუფავებთ და არ შეედავებით.

14342. ქალმა თავისი მეობა რომ იგრძნოს, სულ მცირე, სამი მამაკაცი უნდა ემსახურებოდეს: მეუღლე – საზოგადოებაში თავის წარმოსაჩენად, საფარელი – სულის გასაბრწყინებლად და პირადი მძღოლი – სიამოვნების მისანიჭებლად, მაგრამ ზოგს თუ გაუმართლა, ყოველივე ამას ერთი მამაკაცი ახერხებს.

14343. ქალს მამაკაცის ყბედობის არ ესმის, თუნდაც ის სამჯერ ჭკვიანი იყოს, ვიდრე მამრი, რადგან ეს უკანასკნელი საქმის კეთებისთვის არის მოწოდებული და არა – ჭორაობისთვის.

14344. ხშირ შემთხვევაში ქალმა უნდა შეძლოს მამაკაცის გაოცება, ოღონდ ზომიერების ფარგლებში.

14345. ზოგი ქალი ისეთი ტემპერამენტიანია, საფარელი თანახმაა ქალის ქმარი თავზე დაადგეთ, ოღონდ ამ „შრომისგან" იხსნას.

14346. ქალი შეიძლება აღმაშფოთებლად ავიც იყოს და დაუოკებლად სექსუალურიც, მაგრამ თქვენი დანახვა არ უნდოდეს, რადგან გასათავისებელი თილისმა თქვენში ვერ მონახა.

14347. ქალები თანამედროვე მოდამ იმდენად გააშიშვლა, რომ მოდის ევოლუციას მასთან არაფერი ესაქმება, აქ უფრო ახალი რევოლუციაა საჭირო, რათა ქალებს კაბა და ჩადრი ჩავაცვათ და ყოველივე თავიდან დავიწყოთ, ვინძლო ევოლუციამ არ მოიწყინოს და უსაქმოდ არ დაგვრჩეს.

14348. მდედრი რასაც უნდა საქმობდეს, ყოველთვის შეძლებს დედოფლად დარჩეს, თუ ამის სურვილი ექნება.

14349. განათლებულ ქალსაც თავისი თაფანისმცემლები ჰყავს, ხოლო ქველმოქმედებით – სულის შეუცვლელი დედოფალია.

14350. ყოფიერებასთან და ბედთან შეჭიდების შედეგად მდედრის განმარტებითი ლექსიკონი შემდეგნაირად გამოიყურება: ყმაწვილ ქალს – ჯერ-ჯერობით, მშობლები არჩენენ, ქალიშვილი – ცდილობს თავი ირჩინოს შინაურთა ხარჯზე, მეძავი – თავისი შრომით შოულობს ფულს და აქვს სამუშაო ადგილი, როსკიპი – სექსუალურ ფრონტზე იღვწის, მაგრამ არა აქვს სამუშაო ადგილი, ბოზი – ჰყავს თავისი კლიენტურა, ხასა – თავისი შრომით ირჩენს თავს მხოლოდ ერთი მამაკაცისგან, ხარჭი – დროებით მამაკაცის სახლშია და ისე აკმაყოფილებს მის სურვილს, ძუნა – გარყნილი და გამყიდველი ბუნებისაა და ყველგან გამორჩენას ეძებს, საფარელი – სიტყვას დაუკვირდით და მერე მიხვდებით მის მნიშვნელობას, სამსახურებრივი რომანი – სახლში ქმარს ემსახურება, სამსახურში უფროსს და ცდილობს წარმოჩნდეს ორივე მამრის ხელში ცოლი – ოფიციალურად დაქირავებული მდედრი, რომელიც აკონტროლებს მამრის საქმიანობას შეხედულებისამებრ და ეწევა საოჯახო მეურნეობას, ბებია – ყავლგასული მდედრია, რომელიც ცხოვრობს ბაბუასთან ან მის გარეშე და არავის ეალერსება, შვილიშვილების გარდა.

14351. ქალს თუ მამრების ბაზარი, ხეირიან კაცებს არ სთავაზობს, ჯობს მათ გარეშე დარჩეს და თავის ნაოცნებარი დონორის სპერმისაგან მისი ოცნების შვილი გააჩინოს.

14352. ქალს, რომელიც კომპლიმენტს უძღვნის თავის საქმიანობას, გარკვეულ ასკამდე ოჯახის შექმნა არ ახსოვს, ხოლო ასაკის მოახლოებას აბედნიერებს სიტყვებით – ,,მე რატომ უნდა დავრჩენილიყავი გაუთხოვარი, ვისზე ნაკლები ვარ".

14353. ქალის ოცნება განუსჯელად განუსაზღვრელია და ის თანახმაა ამ ფანტაზიის უგუნურობისთვის იტანჯოს.

14354. ქალის უღალატო მეგობარი ბალიშია, ხოლო დაქალებთან მეგობრობა თანამოაზრეთა ტერარიუმში ყოფნის დისკოთეკაა.

14355. ქალები იყოფიან: სულის გასალღებელ, ხორცის დასაწყნარებელ და ოჯახის შესაქმნელად გამზადებულ საქალბატონეებად. პირველნი – ჰაეროვნებით, კდემამოსილებით, ერუდირებით, გამოირჩევიან, მეორენი – მოჭარბებული ვნებით, სექსის ხელოვნების ცოდნით და მამრის ხვადად ქცევის უნარით, მესამენი – კვლავწარმოების სურვილით, ერთგულებით და ზურგში დგომის მცდელობით. ცოლის მოყვანამდე პირველ ორთან ცოდნის დაუფლება სასურველია, ოღონდ ცალ-ცალკე, რადგან ექსტერნტად მიღებული განათლება მეუღლესთან ყოფის ხეირიანად შეცნობის საშუალებას ყოველთვის არ იძლევა.

14356. ჩაუქრობელი ქალის კაპრიზის, მოქრთამვა-მოთვინიერება ბევრი მამაკაცის აუხდენელი ოცნებაა.

14357. ქალის სურვილია გრძნობებით იკვებებოდეს, მაგრამ კუჭი ამის უფლებას არ აძლევს და ისიც იძულებულია ყოველდღიურობის პაჭა-პუჭათი იყოს დაკავებული.

14358. ქალს დღეს ჩაცმა უნდა ვასწავლოთ და არა – ლამაზად გახდა, რადგან ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ მამრის პრეროგატივაა.

14359. ქალის ტუ – თმაა, საძოვარი – თვალები, ბაღი – ცხვირია, მდელო – ტუჩებია, ბაღი – ნიკაპია, ბაღჩა – მკერდია, ბოსტანი – უბეა, სახნავი – ბაღნარია, სათბური – უკანალია, სათიბი – ფეხებია. რაც შეეხება ყამირს, სარწყავს და ნასვენს, ეს ჯდომის, სიარულის და თვალების დაჟუჯუნების ცოდნის მცდელობაა.

14360. ასაკოვან ქალთან დაწყვილება მზრუნველობას მონატრებაა, სპონსორის მოძებნაა, ხოლო ასაკოვანი მამაკაცის გოგონათი გატაცება საბანკო ბარათებით თამაში ან კარიერისთვის ხელის გამოკვრის მცდელობაა.

14361. შინაგანად ჭკვიანი ქალი, მისდაუნებლიედ, მაინც ფლიდია.

14362. ამბობენ, მამაკაცმა სიცოცხლის მანძილზე სახლი უნდა ააშენოს, ხე უნდა დარგოს და ცოლი უნდა შეირთოს, ხოლო დედაკაცმა აშენებული სახლი უნდა დანგრიოს და თავის ჭკუაზე აღადგინოს, დარგული ხე უნდა მოჭრას და ავეჯი შეუკვეთოს, სხვა მამრთან უღალატოს და ქმარს ბიშტი უჩვენოს – ოცნებაში მაინც. წინააღმდეგ შემთხვევაში, თავს ქალად ვერ აღიქვამს.

14363. მდედრს ქალობას სიფარული უნარჩუნებს, სხვა შემთხვევაში თავქარიანობისა და კაპრიზებისთვის არის განწირული.

14364. ლამაზი ქალის სურვილია ქმარს ისეთი მოხერხებული, ჭკვიანი და შემძლე ჰყავდეს, როგორიც მისი გარეგნობაა, სურვილებით და კეთილი გულით.

14365. გველობა ქალის ჩვეულებრივი მდგომარეობაა მამრის დამუნათების საქმეში და ამას მისი ბუნება და მოვალეობის, კვლავწარმოების გენი ამართლებს.

14366. ლამაზ ქალს ყველაფრის უფლება აქვს, გარდა თავის მოუვლელობის და მომხიბვლელობის დაკარგვისა.

14367. ქალი როგორც უნდა გიყვარდეს, ერთი დღის საოცრებაა, რომელიც ბოლოს მაინც მდედრად იქცევა.

14368. ქალის კაპრიზი ყოველთვის სამართლიანად გამოიყურება, ეთანხმება მამაკაცი მას თუ არა, რადგან მას თვითმყოფადი ინტუიცია და ჩვენთვის გაუგებარი მდედრის კოდი კარნახობს.

14369. ქალს კარიერის საფეხურების დაპყრობა იმიტომ უჭირს, რომ გვერდით არ ჰყავს ბიძგის მიმცემი „პერპეტუუმ-მობილე“ ცოლი.

14370. ქალს მანამდე უნდა მოელაპარაკო, სანამ მომდევნო ტანსაცმლის ჩაცმა-გამოცვლა სხვა ჭკუაზე არ დააყენებს.

14371. საქმიან ქალს სიფარული და შვილის ყოლა, ცხოვრების მოწესრიგებაში ხელს უშლის და ეს არის თანამედროვე პროგრესის უცნაურობა.

14372. ყველა ქალს ცხოვრებაში რაღაცის ეშინია, მაგრამ არც ისე, რომ სხვის საქმეში ცხვირი არ ჩაყოს, გათხოვებაზე ხელი აიღოს და ფულზე უარი თქვას.

14373. ქალისთვის მამრის სექსუალური ლტოლვა ისეთივე მოკლე და ცვალებადია, როგორც მისი კაბა და საცვლები.

14374. ქალის ოცნებაა: გაუგოს თავის მამაკაცს, უყვარდეს ისე, რომ პატიება შეეძლოს და ესექსოს მაშინ, როდესაც თავად ითხოვს.

14375. ქალი სულით უნდა ლაღობდეს, სხეულით უნდა მღეროდეს, თუ უნდა გონიერებასთან პრაქტიკულად ითანამშრომლოს.

14376. ქალი მამაკაცის თვალში ვნების ვამპირად უნდა წარმოჩინდეს, სურს მას ეს თუ – არა.

14377. ხშირად კაცები კომპრომისის და კომპრომატის როლს ასრულებენ იმ ქალების მიმართ, რომლებიც დასახული მიზნის მისაღწევად ყველაფერს იკადრებენ.

14378. ქალის შესწავლა და მათზე ცოდნის დაგროვება არ ამართლებს, რადგან ყველა ქალი გადაუშლელი წიგნია და ყველა თავისებურ წაკითხვას და გაგებას ითხოვს.

14379. ქალი უფრო ლამაზი და მიმზიდველია, თუ რეალურად იცის რა უნდა და ოცნებას რა საკითხზე აჩალიჩებს.

14380. ქალი რომ მიმზიდველად გამოიყურებოდეს, სულ არ არის საჭირო, უკანალის სახეზე გადაჭიმვა და მაკიაჟის კეთება, რადგან მდედრისთვის მისი განუმეორებლობაა მთავარი და არა – პლასტიკური ოპერაცია.

14381. ქალი მანამ არის სასურველი და ქორფა, სანამ თვალები უბრწყინავს და მისი დაჟუჟუნება სიამეს გვგვრის.

14382. ქალს უნდა მივცეთ უფლება თავად გაერკვეს და ნახოს პასუხი იმ არაორდინალურ ქცევებზე რომელსაც მისდაუნებლიედ სჩადის.

14383. განგების წინახედულებით ბიჭები გოგონებზე მეტნი იბადებიან, მაგრამ ცხოვრების სტარტზე მათ ნაკლებობას განიცდიან, ხოლო ფინიშზე მისთვის საწინააღმდეგო სქესი სანთლით საძებარია. განგების ამ უკულმართობის მიუხედავად ქალები მაინც ახერხებენ მათთვის სასურველი მამრის მოძიებას.

14384. არის ვნების გამოსხივების და მისი კაშკაშის გამცემი და მიმღები ხვადები, რომლებზეც ქალები ასე ჩუმად ოცნებობენ.

14385. მამრი მდედრთან შედარებით მალფუჭებადი მატერიაა, რომლითაც მდედრმა დროულად უნდა ისარგებლოს, რათა შეძლოს დედობის ინსტინქტების დაკმაყოფილება.

14386. ქალების არჩევა ძნელი არ არის, მათთან საერთო ენის გამონახვა და შენახვაა ძნელი.

14387. ქალი პარტნიორი საფარლად – კი, მაგრამ სიფარულში არ გამოდგება.

14388. ქალმა, მისთვის ხატად ქცეული მამაკაცის ღირსებებზე სხვისი გულის გასახეთქად არ უნდა იტრაბახოს თორემ, დაქალები ,,დააწერენ'' და უგზო-უკვლოდ გაუფრინდება.

14389. ეს ის ,,ჯენტელმენია'', რომელმაც ქალს წავის ქუდი მოხადა, ოქროულობა აართვა, ტანსაცმელი გახადა და ისე გაიპარა, რომ სხვა

რამ გულშიც არ გაუვლია. ამაზე მეტი შეურაცყოფა ქალს რა უნდა მიაყენო.

14390. სამყაროში დომინირებენ ის ქალები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში კაცებს თავის ჭკუაზე წარმართავენ, რადგან მამაკაცის ჟინის ყვლი ნაადრევად გაუვიდათ.

14391. ქალს ციხე-კოშკებს თუ ვერ აუგებ, მათი შორიდან დანახვის იმედი მაინც უნდა მისცე, რომ შენზე და თავის უბედურებაზე წაიჭორაოს და შენგან ეს „ხეირი" მაინც ნახოს.

14392. თმაგაჩეჩილი ბებიებს, ფუჭი ყუმბარმტყორცნელ ქალებს, სხვისი ჭორის ცელით მოსეირე დედაკაცებს, სადაც კი ხელი მიუწვდებათ, ყველას წარსულს აყვედრიან.

14393. ქალი მცდელობით – სამოქალაქო ქორწინებითაც გამომძალველია, მაგრამ ოფიციოზის – ცოლის მადას ვერ შეედრება.

14394. ქალი დიდებული თანამოსაუბრეა, მას ვერცერთი მამრი გაგებაში და ყურადღებაში ვერ შეედრება, თუ მას ყურს უგდებ და ემლიქვნელები.

14395. ყველა ქალი სანდო არ არის, მათ შორის, პაემნების ბატალიებში შემოწმებულ-გადმოწმებულიც.

14396. ქალი მამაკაცისთვის ხშირად სასწრაფო დახმარებაა, რომელსაც ეს უკანასკნელი სათანადოდ არ აფასებს ქალთა კონკურენციის და შურიანობის გამო.

14397. ქალისას ვერაფერს გაიგებ: გაეარშიყბი – თავხედი, გაუზრდელი ხარ, უყურადღებოდ დატოვებ და – ბოთე, ბრიყვი.

14398. ქალს თუ ყვავილის ნაცვლად ბრილიანტს აჩუქებთ, ეს მას არ შეურაცხყოფს, ხოლო თუ შეპირებული ხართ და ბრილიანტს ყვავილით შეცვლით, შეურაცხოფასაც მიაყენებთ და სკანდალსაც ვერ აცდებით.

14399. ლამაზი ქალია ყველა ის, ვინც შენი ცოლი არ გამხდარა ან მისი სხეულის ტკბობა არ გიგემნიათ.

14400. მდედრმა უნდა გაითავისოს მამრის შენარჩუნების ათი მცნება: 1. ჩათვალოს, რომ ეს მამაკაცი ერთადერთია მის ცხოვრებაში, უკიდურეს შემთხვევაში – მეორე და უკანასკნელი. 2. ძალდაუტანებლად დაინტერესდეს პარტნიორის საქმიანობით. 3. სხვებთან მისით იამაყოს მაგრამ არ გადაამეტოს. 4. ის ძალდაუტანებლად კონტროლს და მზრუნველობას შეაჩვიოს. 5. პარტნიორის უხეშობა არ შეიმჩნიოს ან შეაგებოს თვალებზე ცრემლი. 6. მოზომილი ეჭვიანობის სცენები გამართოს. 7. კაპრიზის, მოთხოვნების და რჩევა-დარიგებებისთვის დროს

შეარჩიოს, 8. გამომწვევად არ უნდა ჩაიცვას, მაგრამ მოდაზე – დიაღაც. 9. – სასიამოვნო ჭორების შეთხზვას მასზე, 10. – მამაკაცი უნდა გრძნობდეს რომ უყვართ.

14401. მდედრი იბადება ქალწულად, ქალად, ძუნად, სიყვარულის მონად და ამას გარკვეულ ასაკამდე აღარაფერი შველის.

14402. ქალს ის კი არ უნდა აინტერესებდეს, ვისი დახმარებით ეყოლება შვილი, არამედ რა გამოვა, მას და ქვეყანას როგორ გამოადგება.

14403. ქალს, რომელსაც კაცი ვერ შეიფერებს – ქალბატონია, პირიქით – ცოლია.

14404. ხანდახან ქალი ის გველია, რომელიც შხამის გადმოსანთხევად მუდამ მზად არის, ოღონდ რაღაცა მანქანებით თავს იკავებს, მაგრამ ზოგჯერ ჯობს უხმაუროდ ვაკბენინოთ. ამით შენც მოისვენებ და ისიც დროებით დაწყნარდება.

14405. მდედრი ნებით თუ უნებლიედ მამრთან საქორწინო ხელშეკრულებას მაინც აფორმებს: მუსულმანებში – კალიმი, ქრისტიანებში – ალიმენტი, ხოლო თანამედროვე სიმდიდრის კულტის მორწმუნენი ქმრის საბანკო ანგარიშს ედავებიან.

14406. ქალი ცდილობს მამაკაცს დაუყვავოს, გააღმერთოს, მიეკედლოს, ხოლო მამრი ვნების დაკმაყოფილების ცდაშია და პრივატიზაციის გაგონებაც არ უნდა.

14407. ქალი შინაგანად ყოველთვის მზად არის ნაღდი სიყვარულისთვის და ნაბიჯ-ნაბიჯ მისკენ ისწრაფის, მაგრამ სად აჩქარებს ფეხს და სად წაიტეხს, ამას ხშირად შემთხვევა განაგებს და არა – ბედი.

14408. ზოგჯერ ულამაზო ქალი ლამაზად მოგეჩვენება, თუ ირგვლივ სხვა მდედრის ჭაჭანება არ არის და არც სხვასთან შედარება შეგიძლია.

14409. მდედრის გართობისკენ და კარიერისკენ სწრაფვას, საბოლოოდ კაცობრიობის დემოგრაფიის ქანქარა განსჯის, რადგან დღემდე ქალის გენეტიკის უმთავრესი მოთხოვნა შვილია.

14410. ქალი იღვწის აღიარებისთვის, მოწონებისთვის და მამაკაცს აიძულებს თავადაც სრულყოფისაკენ ისწრაფოს.

14411. თეორიულად მოფასი ქალისთვის ფული მეორადია, ხოლო ანჩხლისთვის – პირველადი და მთავარი, მაგრამ სამწუხაროდ, პრაქტიკულად მთლად ასე არ არის.

14412. ქალის ცრემლს ყოველთვის არ დაეჯერება, რადგან ეს მისი სახის ბუნებრივი ნაწილია.

14413. ქალები უწმინდურ არსებებს მაშინ ემსგავსებიან, როდესაც სულის სიცარიელის შევსებას მამაკაცს მიანდობენ და ამაში ისეთი რაღაცის ძებნას დაიწყებენ, რომელიც არც იციან და არც გაუგონიათ.

14414. ქალმა მამაკაცის სურნელში უნდა აღიქვას თავისი წარსული და მომავლის ბედი და არა მის მომხიბვლელობა – დაფინანსებაში.

14415. ძალაუფლებით აღჭურვილ ქალთან მოლაპარაკება შეუძლებელია, თუ ის შენით მოხიბლული არ არის და სოლიდურ გამორჩენას არ ელის.

14416. ქალს ფორმაც შველის და სამხრეებიც, თუ ის ბუნებით ქალია და არა – მცდელობა.

14417. ქალის და მამრის შეხვედრა ამოუხსნელი ქიმიაა, როგორც სექსუალური, ასევე სიფვარულის თვალსაზრისით, ხოლო ქალის კაპრიზი – ამოუხსნელი განტოლება.

14418. ქალი კი არ ღალატობს ქმარს, არამედ თავისი ოცნება-წარმოდგენის მამრის ძებნაშია გართული.

14419. ქალია ის, ვინც ტრფობას, სიფვარულს აუხსნელად გრძნობს და ასაკის მატების მიუხედავად, თაფვანისმცემელთა ჯოგი არ ელევა.

14420. ქალი იმ იდუმალების მატარებელია, რომელიც ჭეშმარიტებისკენ ილტვის, რასაც მოწინააღმდეგე სქესის „პრიმიტიული" ბუნება ხშირად ვერ ხვდება და შემჩნევის სურვილიც არ აქვს.

14421. შინაგან ქალწულობას მდედრი გათხოვების შემდგომაც უნდა ინარჩუნებდეს, თუ უნდა ყოველთვის სასურველი და მიუწვდომელი იყოს.

14422. ფველა ქალს შეუძლია გულით მთავარსარდალი იყოს, თუ სამხედრო მოსამსახურენი მისი თაფვანისმცემლები არიან.

14423. ქალისთვის ფველა დონეზე მამაკაცთან ურთიერთობა ემოციების ვარჯიშია.

14424. ქალმა თავი რაც უნდა მოიწონოს, მიზანი ერთია – შესაფერისი ხვადის ნახვა და მისდამი მორჩილება, რადგან ეს განგების დიქტატია და ბუნების ნება.

14425. მდედრი სულით უნდა ჰგავდეს იმ რაშს, რომლის სეირნობითაც არც ერთი ასაკი უარს არ იტფვის, ხოლო თუ მისით ჯირითსაც მოვიწადინებთ, ჩვენს წინ ნანატრი ქალია და აქ წლები არაფერშუაშია.

14426. ქალის ლოგიკა ის ძალაა, რომელსაც ნებით თუ უნებლიედ, მისთვის გასაგებ სამართლიანობას მოიპოვებს და წარმოაჩენს.

14427. ეროტიკულია, სექსუალურია, ამღზნებია, ან სიმპათიურია, მომხიბვლელია, აღმაფრთოვანებულია! აქ განსხვავება სიტფვების ტონალობასა და ორაზროვნებაშია, მაგრამ მდედრმა რომ თავი ქალად აღიქვას, ამ სიტფვების თამაშის არანჟირება საკუთარი ცხოვრების ორკესტრმა უნდა ითაოს.

14428. ქალს გამორჩეული მამაკაცი უყვარს და არა ხელმისაწვდომი მუტრუკი, რომლისთვისაც თავსაც გადადებს, დაემონება, მიუხედავად იმისა, დარწმუნებულია მის სიყვარულში თუ არა.

14429. მდედრი მთლიანობაშიც შეიძლება იყოს აღფრთოვანების წყარო და ვნების ამღვრევი სხეულის გარკვეული ,,დეტალების'' წარმოჩენისას, ამიტომ მათი შეფასება ,,კაცია და გუნების'' საქმეა.

14430. ქალი თუ სხვასთან წავიდა, არც ტრაგედიაა და მითუმეტეს, არც კომედია, უბრალოდ განგებამ შეცდომა დროულად გამოასწორა.

14431. ქალის ფეხის დაბოლოებაა ფეხსაცმელი მაღალი სარჭით, ყოველ შემთხვევაში მდედრის ფეხების სიმშვენიერეს და მისი სიგრძისგან გამოწვეულ აღმაფრენას პირადად მე ასე აღვიქვამ.

14432. ქალს განგებით მინიჭებული აქვს ის ინტუიცია, რომელიც ზოგჯერ მის მხარეს დგება და აუხდენელს აუხდენს, ეს სასწაული მისი შეუმჩნეველი ქალური ვნებაა, რომელსაც მამრები მისდაუნებურად ემორჩილებიან.

14433. ქალი მამაკაცს მისთვის განკუთვნილი მზერით იმ შემთხვევაში იპყრობს, თუ მასში მტაცებლის ბუნების ნასახი დევს.

14434. ქალები რომ თავისებურ შეთქმულებებს არ აწყობდნენ და დამპყრობლურ ომებს არ აწარმოებდნენ მამრების წინააღმდეგ, ვერც საზოგადოება განვითარდებოდა და კაცობრიობაც დღემდე ვერ მოატანდა.

14435. ნამდვილი მდედრია ის, ვინც თავს ქალად გრძნობს და მამრის სულის ოპონირება შეუძლია.

14436. ქალის მთავარი ატრიბუტია პომადა, სუნამო, მაკიაჟი, ფეხსაცმელი, ხელჩანთა, კაბა ან მამრთა სქესით გატაცება, სიყვარულით.

14437. ცხოვრების თავიდან დაწყება, განსაკუთრებით ბედუკულმართი ქალისთვის, გვიან არასდროს არ არის.

14438. როდესაც მდედრს ვიღაცა მოსწონს და უყვარს, ის ყოველთვის ქალად დარჩება, მიუხედავად იმისა, მისთხოვდება თუ არა.

14439. ქალმა ყველა კომპლიმენტი და შექება უნდა დაიჯეროს და გაითავისოს, თუ უნდა ასაკში თავის შეფასება შეძლოს.

14440. მდედრი ყოველდღე უნდა ძერწავდეს სხეულის თითოეულ მომხიბვლელ ნაწილს და იმ შეუცნობელ მრავალწერტილს, რომელიც ასაკის მატებას თან ახლავს, რათა მის გარეგნობას თვალი არ შევაჩვიოთ და მივივიწყოთ.

14441. როდესაც კაპრიზი და ჭკუა თავის ქალაში ათუხთუხდება, იძულებულია ქალის სახის სხვადასხვა ნაწილზე დაიღვაროს, რაც ქალს ნაოჭებად უჯდება.

14442. ქალები ოჯახის მოწყობის საქმეში მიზანდასახულნი არიან და კონკურენციას, სხვისი ნიშნის მიგებას, ვერ იტანენ, ამიტომ ხშირად ფაციფუცობენ.

14443. ნამდვილი ქალი თავის ოცნებით, ბუნებით, ლამაზმანობამდე დადის მიუხედავად იმისა, ამ საქმიანობაში ნაღდ გასამრჯელოს აიღებს, თუ მეუღლისგან კუთვნილ ხელფასს.

14444. ყველა ქალს თავისი მანათობელი სხივი აქვს, რომელიც სიყვარულს უნათებს.

14445. ჯიუტ და დამყოლ ქალებს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი ცეცხლს შეგინთებს, მოსვენებას არ მოგცემს, ხოლო მეორე მადლიერების თვალებით და ღიმილის ფრქვევით სწორ გზაზე გაყენებს, მაგრამ თუ კაცი უქნარა და უსაქმურია, აქ ქალის ყველა მცდელობა გამოუსადეგარია.

14446. ღვთისმოსავ ქალზე მოთხოვნილება ნაკლებია, რადგან მასში სულიერება, მატერია, ენება ცალ-ცალკე არსებობს.

14447. ქალის ქმედება კრიტიკას ექვემდებარება იმ შემთხვევაში, თუ ბავშვის გაჩენას არ ფიქრობდა, ოჯახისთვის ვერ იცლის და თავს არ იკოხტავებს, დანარჩენი მისი ბედოვლათობა-თოხარიკობით არ უნდა განისაჯოს.

14448. ყველა ქალის ოცნებაა ბედნიერება სადაც ასაკი უყურადღებოდაა მიგდებული.

14449. ქალი ნაწილ-ნაწილ უნდა შევიყვაროთ, რათა მთლიანობაში აღვიქვათ და მოწონება თუ არა მიჩვევა მაინც მოვახერხოთ.

14450. ქალი სატრფოსთან მიმართებაში თავი არასაკმარისად აღიქვამს, მიუხედავად იმისა, თავის ქმედებაში ეჭვი ეპარება თუ არა.

14451. მდედრი ძირითადად სამი-სამი პარამეტრით განისაზღვრება: შესანახავი, გამოსაკვები, გადასაადგილებელი; პატივმოყვარე, დროსმატარებელი, ფემინისტი; კაპრიზი, ავი, დაუნახავი; ამ ლატარეაში ვინ შეგხვდება და როგორ გაგითავისებს, ეს მარტო ბედის უფლებამოსილება არ არის.

14452. მდედრის გადაცდენა და დანაშაული ოპონირებას არ ექვემდებარება, თუ ის თაობათა კვლავწარმოებას, აღზრდას და მათ რჩენას ემსახურება.

14453. ქალისთვის თვალები სულის სარკეა, ეფექტის იარაღია, რომლის ხიბლის შემოტევას მამაკაცთა ნაწილი ხელების აწევით ნებდება.

14454. ქალმა მოვალეობა კი არ უნდა მოიხადოს ქმრის წინაშე, არამედ – მოახდევინოს.

14455. ქალის ფენომენის ამოხსნას საუკუნეები ეწირება, მაგრამ ბოლომდე საქმის მოყვანას ვერც ერთი ეპოქა ვერ ახერხებს.

14456. ქალს თავის მოკოხტავებაში ხელი არ უნდა შეუშალოთ, რადგან აქ განგების კოდია, ხოლო ამას როგორ ახერხებს, რა სახსრებით და მანქანებით, თვალი უნდა ავარიდოთ და შევუნდოთ.

14457. მივცეთ მდედრს მხოლოდ კდემამოოსილება, სიმშვენიერე, დიასახლისობის ნიჭი და წართვით კაპრიზები, ეჭვიანობა, გამოძალვა-რეკეტი და ის ქალად აღარ მოგეჩვენებათ. ასე, რომ განგებას არაფერი შეშლია.

14458. ქალი წინააღმდეგობის გაწევის და დაფინანსების თხოვნის უნარს მაშინ კარგავს, როდესაც სძინავს და სიზმრებს არ ხედავს.

14459. ნამდვილი ქალი ყველას ასწავლის ქვეყნის სიყვარულს, ეს უკანასკნელი თავისია თუ შეძენილი.

14460. ქალი მაშინ გრძნობს თავს დედოფლად, თუ ის სულის ვულკანზეა მოკალათებული და მისი ამოფრქვევის მოლოდინშია.

14461. „სტერვა“ – ალქაჯი ის ქალია, რომელმაც ნდომასთან ერთად ისიც იცის, რაც არ უნდა.

14462. ქალი ზედმეტი შეკითხვებით არ უნდა გადავღალოთ, ის თერმომეტრი არ არის, ყველა საკითხზე ზუსტი და ამომწურავი პასუხი გაგვცეს, რადგან ტრფობისთვის, ოცნებისთვის დრო აღარ დარჩება.

14463. ქალის გულს პიროვნული ხიბლით იპყრობენ, ხოლო გონებას ანგარიშსწორებით.

14464. ქალები იყოფიან ჯადოქრებად, წუნკლებად და ფერიებად, მაგრამ ეს უკანასკნელი გადამეტებულად და იმედიანად არის ნათქვამი.

14465. მდედრის უპირველესი ვალია სანამ თავის სხეულის საალერსოდ მამრს მიიტყუებდეს, სხეულის ნაწილებს ცალ-ცალკე გაეცნოს, შედარებები და დასკვნები გააკეთოს და შემდგომ გამოვიდეს სანადიროდ და კაცების დასამუნნათებლად.

14466. მდედრის თანხმობის ნიშანია მორცხვი დუმილი თვალების დაჟუჟუნებით.

14467. პარიზელი ქალი იმით განსხვავდება კონკურენტებისაგან, რომ მუდამ ლამაზი, სანდომიანი და მომხიბვლელია.

14468. საუკეთესო პოეტის სტრიქონებიც კი ქალის კაპრიზს ვერ განსჯის.

14469. ოცნებებში სიყვარულისთვის და სიკვდილისთვის ხელის შემოხვევა საყვარელი ქალის მკლავებს აბარია.

14470. არანორმალურად მიმზიდველ ქალს ხშირად სიავე მოაქვს როგორც თავისთვის, ასევე სხვისთვისაც, რადგან პრივატიზაციას არ ექვემდებარება.

14471. ქალს ღიმილით შეუძლია იმ სახის დამუღამება, რაც მას აწყობს, ოღონდ გააჩნია, რას სთავაზობენ და თავად რა სურს: ფავილების თაიგული, ბრილიანტის სამკაული თუ დაუოკებელი ალერსი.

14472. ქალის წარსულიდან მხოლოდ „ნაღების“ ამოღებას უნდა ვეცადოთ, რადგან ის პოტენციური დედაა. რაც შეეხება გამოუცდელობას, უბედობას, ზიგ-ზაგებით სიარულს, ეს შენდობის სახით უნდა ჩამოვაწეროთ.

14473. ქალებმა თავიანთ ავხორცობა ალიბის სინონიმი მოუნახეს: „კაცები თუ გვღალატობენ, ქალები შურს ვიძიებთ და ჯავრს ვნების დაოკებით ვიყრით“.

14474. ნაოცნებარ ქალზე წარმოდგენით ძალადობაც კი მის სიმშვენიერესა და კდემამოსილებაზე მეტყველებს.

14475. ქალი ტკბილი სასუსნავიც არის და მადის აღმძვრელი მწარე საწებელიც, მაგრამ დეგუსტირების შედეგების განსჯა ჭირს.

14476. ქალი, რომელიც ფელას გასაგონად ტრაბახობს, ქმრის გარდა სხვა მამაკაცს არ გავკარებივარო, ვერ გარკვეულხარ: ამით ამაყობს თუ თავს საფედურობს, ეს სისულელე როგორ მომივიდაო.

14477. ქალის კაპრიზის მექანიზმს, ვერცერთი მამრის ჯიბე ვერ გაპოხავს.

14478. ქალისთვის მთავარია დღეს რა ხასიათზეა და არა – რა ჭკუა-გონებაზე.

14479. ნაღდი ქალი გულით ხედავს, თვალით შეაჭრის, სულით გრძნობს ნამდვილ მამაკაცს თუ ასარჩევად აქვს საქმე.

14480. ფელა ქალის ოცნებაა: გარეგნულად მომხიბვლელი, სექსში დაუოკებელი ფულიანი მამაკაცი კარიერით, მაგრამ ესეც გარკვეულ დრომდე და იმ შემთხვევამდე, სანამ მისი თანდაყოლილი კაპრიზი გაიღვიძებს.

14481. ქალს საჭორაოდ გაწვრთნილი, მოთვინიერებული, მამრი სჭირდება, ხოლო ცხოვრებაში თავნება, ავ-კარგის მცოდნეც, გამოადგება.

14482. ამაყ ქალად დარჩენა ძნელია, რადგან საქმის დაწყება მამაკაცთან გიხდება, მოგწონს მასთან ურთიერთობა თუ არა.

14483. ქალები მამაკაცებს პომადით კვებავენ, მენიუს შერჩევის უფლების გარეშე.

14484. ქალის გარყვნილების მიზეზი ხვადების უკმარისობაშია და არა – მამაკაცებისა.

14485. მდედრმა მამრს შეიძლება შავი დღე აყაროს, მაგრამ კილერისაგან განსხვავებით, მისი საკონტროლო ტყვია გამოცდილი ვნებიანი კოცნა უნდა იყოს.

14486. არ არსებობს ქალი, რომ არ „ჰქონდა" თავის ქმარზე უკეთესი მამრის დასამუღამებელი ალიბი, მაგრამ იმას დასჯერდა, რაც ბედის „მუხანათობამ" მიუგდო.

14487. ზოგიერთ ქალს ერთ კაცზე უნდა აკიდება და მრავალზე ჩამოკიდება.

14488. სამყაროს ქალები მართავენ კაცების წაყრუებით და მათივე ჩუმი თანხმობით.

14489. ქალი იმას კი არ უნდა ცდილობდეს, თავის გმირს შესწიროს თავი, არამედ ღირსეული შთამომავლის გარეშე არ დატოვოს, რადგან ყოველივე წარმავალია.

14490. „მე შენ მიყვარხარ" პლაგიატორობა არ არის, რადგან დასაწყვილებლები სხვებიც არიან და ქალს გულის გასაღები კარის უნივერსალური კოდია.

14491. ქალებზე არც დრო მოქმედებს და არც გარემო, ისინი ყველგან თავისებურად ჩალიჩობენ, სათავისო საქმეებს აგვარებენ, მათთვის გასაგები განცდებით, თავის წარმოჩენით და წაჭორავებით.

14492. ქალს ყველა ასაკში თავისი ოფოფები აქვს, რომელიც ყველა დროს უნდა მოარგოს.

14493. ქალისათვის უმთავრესი ყურადღებაა და არა – საჩუქარი, მაგრამ ყურადსაღები საჩუქარი გაასმაგებული ყურადღებაა.

14494. სიყვარული თავისებური ხარკია, როდესაც შენ პარტნიორის გარეშე ყოფნა არ შეგიძლია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სიყვარულის ნექტარით ხარ დაგესლილი.

14495. ქალები სხვისი საიდუმლოების დიდებულნი შემნახველნი არიან, ოღონდ კოლექტიურად. ხოლო საკუთარს, სხვათა გაუცნობიერებლად ინახავენ ერთპიროვნულად.

14496. ქალს მამაკაცი უყვარს თავისი ნაოცნებარის აღსრულების იმედით, ხოლო ქალს პატივს სცემენ თავიანთი წარსულის დაფასებისათვის.

14497. ყველა ქალი უნდა ცდილობდეს იყოს სურვილის ობიექტი, უგონო წაწლობით.

14498. ის ქალია ხარისხში ასაყვანი, რომელიც ყოველგვარი კოსმეტიკის და დამუღამებული ღიმილის გარეშე გამომწვევად აღმგზნებია.

14499. ქალს აინტერესებს არა ის, თუ რატომ გადაწყვიტეთ მისი გაცნობა, არამედ ეს დროულად რატომ ვერ მოახერხეთ.

14500. მომხიბვლელ ქალს განსჯა და ინტუიცია არასდროს არ უნდა ღალატობდეს, თუ უნდა მარადჟამს ქალად აღიქვან და არა – დედაკაცად.

14501. მომხიბვლელობა, იდუმალება და ზოგიერთი ქალური ეშმაკობა მდედრს ეხმარება ყოველთვის ფორმაში იყოს და მარადჟამს დედოფლად აღიქვან.

14502. მამაკაცის დასამუნათებლად მდედრმა უნდა იცოდეს: შეაქე, იყავი დამყოლი, საქმიანობა მოუწონე, ზოგჯერ მიეცი განცალკევების უფლება, აქე ყველგან და ყოველთვის, უსაყვედურე ღიმილით, არ იეჭვიანო, მოფერებაზე უარი არასდროს აკადრო, საჩუქარი მიიღე სიხარულით, დახელოვნდი კულინარიაში, ზოგჯერ მის გაამაყებულ „მეს“ შენი ხასიათიც აჩვენე. რაც შეეხება ქალის გულის მონადირებას, მამაკაცმაც იგივე უნდა მოიმოქმედოს, ოღონდ კვადრატში.

14503. ქალს სხეულის კორექტირებისაკენ უბიძგებს არა გარეგნული ნაკლი, არამედ სული, სიყვარულის უკმარისობა, ქმარგარეშე ყოფნა, ხმაზე აყოლა, მოდა, ამბიციები, რათა თავსაც აჯობოს და სხვებსაც თვალები დაუყენოს.

14504. თუ ქალი შემოხედვით მამაკაცს არ აბედნიერებს და კისერზე არ ეკიდება, შეიძლება ულამაზო იყოს, მაგრამ ურთიერთობაში მიმზიდველია.

14505. ქალი მაშინაა მიმზიდველი, თუ დილით არ ლამაზდება, არ ითხუპნება საღამოს ხარჯზე.

14506. ლამაზი ქალია ის, ვისთვისაც ხარიზმის მქონე მამაკაცები თავს კარგავენ და რომელზეც სულით დედაკაცებად ქცეული დაქალები შურიანობენ.

14507. მომხიბვლელ ქალად ითვლება ის, რომლის სხეულის რომელიმე ნაწილი ზომაზე მეტად მიმზიდველი, დასამახსოვრებელია და გაღელვებს, ხოლო – ლამაზად, როდესაც ღირსშესანიშნავი არაფერი შეგიმჩნევია, მაგრამ მისი გახსენება სიამეს გგვრის.

14508. ყველა ქალი მიმზიდველია, ვინც მამრის ყურადღებას იმსახურებს, იმის მიუხედავად, სილამაზეს ასახიერებს თუ სიმახინჯეს, რადგან კაცის შესაცდენად ფიქრია საჭირო და მისი გონების ავად თუ კარგად დამუნათება.

14509. ქალად დარჩენა საკუთარ თავზე მუშაობას მოითხოვს, ხოლო მომხიბვლელობის შენარჩუნება – კატორღულ შრომას.

14510. ქალი ის არის, რომლის სინორჩე, ბუნებრიობა, გაღელვებს და არა – მისი გამოცდილება და ფლიდი ქცევის მომხიბვლელობა.

14511. ქალი თამამად, მომხიბვლელად, მაშინ გამოიყურება, თუ ტანით განიცდის, სულით აზროვნებს და გული ყველასათვის გახსნილი აქვს.

14512. ქალი, რომელსაც თავის გამოჩენა შეუძლია პარტნიორის წინაშე, ხშირად სიყვარულისთვის მზად არის და გულგრილობა მისგან შორსაა.

14513. ქალი ბუნებით მეკვლეა, ამიტომ მისი გაცუცურაკება, მისივე ჩუმი თანხმობით, ყველაფერში შესაძლებელია, გარდა ერთისა, რომ თქვენ ყველაზე მდიდარი ხართ და შეუცვლელი.

14514. არიან ქალები, რომლებსაც სიყვარულის ისტორია არ ჰქონიათ, რადგან მათ სერიოზულობის და დაოჯახების გარეშე ტრფობა ვერ წარმოუდგენიათ, მაგრამ ეს სრულებით არ მიუთითებს მათ ჩამორჩენაზე, ისინი, უბრალოდ, პატიოსანი გენის მატარებელნი არიან.

14515. ქარი ქალის სინონიმია, კარგი გაგებით.

14516. ქალისთვის ჯენტლმენია ყველა ის მამაკაცი, რომელიც ჯერ არ დაუჭაშნიკებია.

14517. ქალს, რომელიც განგების წყალობით თავის მოდიდო მკერდს და გავას ამაყად დაატარებს, მარტო აღფრთოვანება კი არა, ღირსეული ხვადი სჭირდება.

14518. ქვრივისთვის მწუხარების მოშორება ადვილია, მისგან თავის დაძვრენაა ძნელი.

14519. მამაკაცისგან განსხვავებით, ქალს შეუძლია იყოს გულუბრყვილო და ცერცეტა, რაც ზოგიერთს ძალიან უხდება.

14520. ქალებს უყვართ ის მამაკაცები, რომლებიც მათთვის ირჯებიან, იხარჯებიან და მათ ანკესზე ეგებიან.

14521. ყოველთვის, ქუჩაში გამოსვლისას, ქალი თავს უნდა ევაჭრებოდეს და აფასებდეს.

14522. როგორი მომხიბვლელობის, მოხერხების, მზაკვრობის უნარის მქონე უნდა იყოს სამჯერ გათხოვილი ქალი, რომ მეოთხედაც წარმატებულად გათხოვდეს, როდესაც მამაკაცთა 10% არატრადიციული ორიენტაციისაა, 15% ლოთია, 5% ნარკომანია, 2% ციხეში ზის, 40% ცოლთან გაყრილია, ხოლო დანარჩენი ნორმალურია, მაგრამ მათ შორის უმეტესი ცოლიანია.

14523. ქალისთვის მთავარია არა იმდენად ბუნებრივი სილამაზე, არამედ შინაგანი თავის დაჭერით, ჩაცმულობით, მზერით, თავისი გემოვნების და ღირსების მამაკაცის „დაბმა“.

14524. აფექტში მოტყუებული ქალის გულისწყრომას ვერავითარი სხვა რისხვა და გააფთრება ვერ შეედრება.

14525. ქალს, მამაკაცისაგან განსხვავებით, თავისი ბუნებით, ცხოვრების წესით და ბუდის შექმნის ინტუიციით, ყველაფრის ფეხებზე დაკიდება არ შეუძლია.

14526. ყველა ქალი შინაგანად ცოდვილია და რეკლამირებულ შემთხვევას ხელიდან არ გაუშვებს თუ „გადაცდენა" არ გახმაურდება. ამ ქმედებას განსაკუთრებით მხარს უჭერს ასაკოვანი ცინიზმი და წლების გამოცდილება.

14527. ქალის განსჯა, გაგება, საჭირო არ არის, ის უბრალოდ, სიფარულით უნდა შეირგო, რადგან ბედმა შენთვის სწორედ ის გაიმეტა.

14528. ქალს არ მისცე თავის საფარელი საქმის კეთების ნება, ეს არა მარტო ეჭვიანობა, ეგოიზმი და სიმხდალეა.

14529. მოულოდნელი სასიამოვნო შეხვედრა, კომპლიმენტი, საჩუქარი, ეს ერთადერთი სიამოვნებაა, რომელიც ქალის გულს თვალებდახუჭული უგებს, მის გონებას ესალმუნება და ჭირვეულობის სურვილს უკარგავს.

14530. უნებისყოფო, დონდლო მამაკაცს ოჯახში ჩვრის მაგივრობაც გაუჭირდება, რაც ქალმა წინასწარ უნდა დაამუღამოს.

14531. ქალს პატივს ვცემთ მისი ხვაშიადისთვის და ღმერთმა ნუ ქნას, რომ მისთვის განკუთვნილი საიდუმლო მან ვისმეს გაანდოს, მაშინ ხომ ის თავის კდემამოსილებას მომხიბვლელობით დაკარგავს.

14532. ქალი, პირველ რიგში, თავისი გემოვნებით ტრაბახობს, ხოლო თუ გაუმართლა, რჩეული მამაკაცით ამაყობს.

14533. ქალი, ჯერ ჩვენი ტვინის დასუფთავებას იწყებს და შემდეგ ხდება ჩვენი ჭკუის დამრიგებელი და სულის მოძღვარი.

14534. ვნების დამაწყნარებელი ქალი აღგზნების დროს ყველაზე მეტი მადლობის და დაფასების ღირსია.

14535. თმა ქალის შეცნობა-აღქმის ერთი მესამედია, დანარჩენი მოდის ტუჩებზე, მკერდზე, უკანალზე, ფეხებზე და ქალის ბევრ სხვა შესამჩნევ ლამაზ ნაწილზე, რომელიც მის მომხიბვლელობას ხაზს უსვამს და ამკობს.

14536. ზევით, განგების წინაშე, ყველა ცოდვაზე პასუხი ქალმა უნდა აგოს: როგორც ცოლმა, დედამ, აღმზრდელმა, თუკი თავის მომდევნო კვლავწარმოებაზე არ დაშვრა და მათი აღზრდა წუნით დაამთავრა.

14537. ქალი სულიერი განვითარებით ქმარზე ერთ თავით მაღლა არ უნდა იდგეს, ხოლო თუ ამას ემატება სექსში შეუთავსებლობა, სჯობს დროულად დაშორდნენ და ერთმანეთს ყოფა არ გაუმწარონ.

14538. ქალი ფრთხილად უნდა მოიქცეს მეგობარი ქალის და ხვადი ბუნების მამაკაცის შერჩევისას, რადგან ორივენი პოტენციურად შეიძ-ლება ღალატისთვის იყვნენ გამზადებულნი.

14539. ქალის დანიშნულებაა მდიდარ მამაკაცს ჩაუნერგოს, რომ ის „მაჩოა", ხვადობის ნიშანწყალიც რომ არ ეცხოს.

14540. ქალი ყოველთვისაა სიმდიდრეზე, ფუფუნებაზე მონადირე, ხოლო ამასთან ერთად, თუ ნაოცნებარ ოჯახსაც მოაწყობს, ბედის რჩეულია.

14541. ქალის ცხოვრებაში მამაკაცები მიდიან და მოდიან, სანამ მათთვის განკუთვნილი ლიმიტი მთლიანად არ გაიხარჯება.

14542. ქალს ქმრის ღალატის მიჩუმათება ურჩევნია, ვიდრე მისი გაბაზრება და სახალხოდ აღიარება.

14543. ქალის ლამაზი ფეხები სასურველია ღირსეული მამრის მხრებზე მოხვდეს, თორემ ზედმეტი გარჯით ისიც გაილახება და დაავადდება.

14544. ქალისთვის ადგილის დათმობა თავშეყრის ადგილებზე თავა-ზიანობის კანონი და იმის შეგნება ითხოვს, რომ ის პოტენციური დედა ან ბებიაა.

14545. ქალების მეგობრობა, სიყვარულზე მაღლა ვერასოდეს დად-გება, რადგან ასეთი თავშეწირვა მდედრის ბუნებისთვის მიუღებელია.

14546. ჭკვიანებად მამაკაცებისაგან განსხვავებით, ქალები არ იბადე-ბიან, შეიძლება მერე დაჭკვიანდნენ. რამდენად ლახავს ამ უკანასკნელთა თავმოყვარეობას ეს დაუმტკიცებელი აქსიომა, სხვა განსჯას მოითხოვს.

14547. ორი ქალის მეგობრობის გარანტია, თუ ისინი გათხოვილები არიან და თავდაუსხმელობის პაქტზე ნებაყოფლობით ხელი მოაწერეს.

14548. არის ქალი, რომელიც არავისზე ქორწინდება, რადგან მა-რადჟამს საოცნებო და თავისუფალი უნდა დარჩეს.

14549. როდესაც ქალის ოცნება გაღატაკდება, ის უკვე შეძლებულ და მოხერხებულ მამაკაცს ეძებს.

14550. ქალისთვის ყველაზე დიდი საჩუქარი ჯანმრთელი, ლამაზი, გონიერი ბავშვია. ამას საკუთარ ქმართან მოახერხებს თუ ტრფობის შედეგად მაცდუნებელ მამაკაცთან, სულერთია.

14551. ქალები რამდენჯერმე იმიტომ თხოვდებიან, რომ ბრილიანტ და ცერცეტა მამაკაცთა ოდენობა, პოტენციურ სასიძოთა სიმცირის მიუხე-დავად, არ კლებულობს.

14552. ყველა შემოქმედს ერთი უსაყვარლესი ქალი ჰყავს, რომელ-საც მუზა ჰქვია.

14553. იყო ქალის სათაყვანებელი, ძნელი საქმეა, მიუხედავად იმისა, რომ უყვარხართ და თანახმაა თქვენთან იცხოვროს.

14554. დიპლომატია ის, ვინც ქალს უარს ნებაყოფლობით ათქმევინებს მისთვის სანატრელი ნივთის ყიდვაზე.

14555. ქალი უნდა ღელავდეს, წითლდებოდეს, იბნეოდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ასპროცენტიანი მდედრი არ არის.

14556. ნამდვილი ქალი თავის მამაკაცს ღიმილით ასაუზმებს, თვალების დაჟუჯუნებით ასადილებს, ხოლო სიშიშვლის დემონსტრირებით ვახშამზე ხელს ააღებინებს.

14557. ქალები მამაკაცებს მომხიბვლელობით ,,აბამენ'' და მოხერხებულობითყ ცოლად მიყვებიან.

14558. ქალი მამაკაცებს ამბორზე იმიტომაც არ ეუბნება უარს, რომ რომელი მათგანის ცოლი გახდება, თავადაც არ უწყის.

14559. ქალისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს მამრის აღიარებას, რათა დროულად ჩაუხტეს ლოგინში და სხვამ არ დაასწროს.

14560. სასიამოვნო ქალი ბევრია, მაგრამ მათში ცოტაა დედოფალი და არც თუ ისე ცოტა – ძუკნა.

14561. ფსიქოთერაპია ქალებს უფრო კურნავს, ვიდრე რეალური წამლობა, რადგან მდედრის ჯანმრთელობის საწყისი სულის გალაღებასილამაზით იწყება.

14562. მდედრი ყველამ მამაკაცის თვალით, ვნებით, მთლიანობაში უნდა აღიქვას და არა – ვაჭრულად, სხეულის რომელიმე ნაწილის შეფასებით.

14563. ქალები ყოველთვის იმაზე მეტს ხედავენ, რაც სინამდვილეშია და იმაზე მეტის მითვისებას ცდილობენ, რაც ეკუთვნით და სჭირდებათ.

14564. ქალებს ჭკვიანები და ლამაზები მოსწონთ, მაგრამ ცოლად მდიდრებს მიჰყვებიან.

14565. იდეოლოგიურ ძუკნაზე და ტრადიციების განუხრელად დამცველ მდედრზე უარესი ამქვეყნად არაფერია.

14566. ქალები მათდაუნებურად ინაწილებენ მამრებს იმისდამიუხედავად, ამას ძლიერი სქესის წარმომადგენლები ხვდებიან თუ არა.

14567. ყველაზე დიდი სასწაული ქალია თავისი ბუნებით და მისდამი ტრფობის სურვილით, რომელიც ზემოდანაა ნაკარნახევი.

14568. საკუთარი ყოფის ანალიზის ,,წიგნი'' ქალს ყოველდღიურად გადაფურცლული უნდა ჰქონდეს, თუ უნდა არც სხვას მოაბეზროს თავი და არც სხვა მობეზრდეს.

14569. ქალს ყველაზე მეტად ალამაზებს დედობა, თუ ის ღირსეულ ნაშიერთა აღზრდას მოდად აქცევს.

14570. ნამდვილი ქალის ტანი ფეხებზეა აწყობილი და არა – ტანზეა მორგებული ფეხები.

14571. ქალს მსმენელი სჭირდება და არა – ჭკუის დამრიგებელი და მრჩეველი, რადგან მისთვის მთავარია ყველაფერი თქვას და გულიც ამოაყოლოს.

14572. ქალმა ეროტიკულად რომ ჩაიცვას და სექსუალურად გაიხადოს, შინაგანი ვნება და მომხიბვლელობის იმედი უნდა ჰქონდეს.

14573. ქალმა დედაკაცად თავი რომ იგრძნოს, თანდაყოლილი ნიჭი სჭირდება.

14574. სამყაროს ფაქტიურად ყოველთვის ქალი მართავს, პატრიარქატი იქნება მოდაში თუ მატრიარქატი.

14575. ქალს ისეთი მოხდენილი ტანი უნდა ჰქონდეს, რომ მის სასაფლაოზე გავლისას მიცვალებულები საფლავიდან უნდა წამოდგნენ.

14576. მამაკაცით თუ უმამაკაცოდ პირველი სიყვარულის უპირატესობა განსჯას არ ექვემდებარება, მაგრამ გააჩნია ქალის ბუნებას, რომლის დაჭაშნიკების უნარი ყველას ხვედრი არ არის.

14577. ქალს მოსწონს ისეთი პარტნიორი, რომელსაც ყველაფრის მიტოვება შეუძლია და არა – პატიება.

14578. მდედრი, რომელიც ყველაფერს განიცდის, ნერვიულობს, – არც თუ ისე ცუდი ბუნებისაა, უბრალოდ, გამოცდილება და დაღვინება აკლია, მომხიბვლელობის შენარჩუნებით.

14579. ქალი თუ თავისი დაჟინებული ინიციატივით საუბრობს მამაკაცთან, იშვიათად აღწევს თანხმობას და სურვილის აღსრულებას.

14580. ლამაზი ქალის დაფარულ სიმორცხვეს და კდემამოსილებას ვერასოდეს აჯობებს ვულგარული ქალის სიტიტვლე, თავხედობა და სინით მორთმეული თავისი თავი.

14581. ვარცხნილობა ქალის ხასიათის ჩვენებაა, სულის სერობაა, იმიჯის გამომზეურებაა, სიყვარულის მოლოდინია, ოჯახის შექმნის პერსპექტივაა, მოქიშპეთათვის ბიშტის ჩვენებაა, ნიშისმიგებაა, ოცნების ახდენაა, სადედამთილოსთვის თვალის დაყენებაა, დედოფლად გადაქცევაა. ყოველ შემთხვევაში, ქალს ასე სწამს, უნდა და სჯერა.

14582. ქალი ყოველთვის განსჯის საგანი უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც მდედრში ეჭვი უნდა შევიტანოთ.

14583. ქალს ყველაზე უკეთ სკანდალის მოწყობა და თავის შეურაცხყოფილად წარმოჩენა შეუძლია.

14584. სიმახინჯისაგან განსხვავებით, შეუხედავი ქალები არასოდეს მოდაში არ იქნებიან.

14585. ყველა სახელოვან კაცთან გაყრილ ქალს თავისი ისტორია, პრეტენზია და ფეტიში აქვს.

14586. ქალის ინტუიცია მამაკაცის გაუთლელობის სინონიმია.

14587. ზოგჯერ ქალის პრეტენზიებს გამართლება არ აქვს, რადგან თუ მოეწონა, უგვანოს ლოგინში ჩაუგორდება და შემდგომ გამოთქვამს უკმაყოფილებას, თითქოს მის წინაშე ყველა დამნაშავე იყოს.

14588. ქალები უფრო მეტად იმიტომაც ინტერესდებიან მამაკაცებით, რომ მათში ღირსეულთა ოდენობა თანდათან მცირდება.

14589. მოხერხებული ქალი მამაკაცის სურვილს და შესაძლებლობებს უნდა დანებდეს, ოღონდ გარკვეული მომხიბვლელი წინააღმდეგობის შემდეგ.

14590. ქალის შემოტევისაგან თავის დახსნა შეუძლებელია, მაგრამ მოგერიება შეიძლება თუ სიყვარულია.

14591. დღემდე ქალი მამაკაცს თავისი ვნების და სურვილების დასაკმაყოფილებლად იყენებდა, დღეს შემდგომ შესაძლებელია ეს ფუნქცია ტექნიკური პროგრესის შესაძლებლობებმა შეცვალოს.

14592. ქალისთვის მამაკაცი მაინც დიდი ბავშვია, ძალადობის იარაღის ტარებით და მისი მოხმარების სურვილით.

14593. ქალისთვის ყველაზე დიდი საჩუქარია მამაკაცის ხვადობის წლების გახანგრძლივება.

14594. ლამაზი და ვნებიანი ქალი ქმრის ყველაზე დიდი ექსპლოტატორია, თავი თუ უყვარს.

14595. მეგობრებს სიამოვნებით ვიხსენებთ, საყვარელ ქალებს – დანანებით.

14596. ქალის ცნობისმოყვარეობას მამაკაცის ვერ შეედრება მათთვის საინტერესო ჭორის მოპოვებაში.

14597. ქალი შეიძლება ერთ ქმარს შეაბერდეს, მაგრამ ოცნებით უამრავი მამაკაცი დააჭაშნიკოს.

14598. ქალს უფრო მამაკაცის თავის ჭკუაზე ტარება მოსწონს, ვიდრე თავად მამაკაცი.

14599. ქალის თუ თქვენს თარგზე ,,მოჭრა'' მოახერხეთ, მისი ბოლომდე შეყვარება შეუძლებელია.

14600. სიყვარულის წამალი ქორწინებაა, ხოლო გამოჯანმრთელებისათვის ზოგჯერ გაყრაც საჭიროა.

14601. დედიშობილა ქალს სახელი არ აქვს, ის ამ დროს არავის აინტერესებს.

14602. ქალი უნდა ეცადოს მუდამ ლამაზად გამოიყურებოდეს – ამის უფლებას იძლევა განგება.

14603. ქალის სილამაზე – მომხიბვლელობა მოსალოდნელი ვნებიანობის ,,მარგ ქმედებას'' არ ემთხვევა, მაგრამ იმიჯისთვის უპირველესია.

14604. ლამაზი ქალი მამრის სულს ფიანდაზად ეგება, მაგრამ ჯიბეს უცარიელებს.

14605. ქალის სხეული თვალმა ნაწილებად უნდა აზომოს, აღიქვას, რათა საერთო მომხიბვლელობის კოეფიციენტი დაადგინოს.

14606. ქალის მიმზიდველობას ასაკი და ფანების სიჭარბე განსაზღვრავს.

14607. ქალის გარეგნობა მაშინ განიცდის დევალვაციას, როცა მამაკაცებს შედარების საშუალება ეძლევათ.

14608. შენთვის სათაფვანო ქალი, მანდილოსანი, დედა, ძნელი გასააზრებელი და წარმოსადგენია ვიღაც ხვადის ხელში, მაგრამ ფაქტს და ადამიანის ბუნებას სად გაექცევი.

14609. ქალის უპირველესი სისუსტეა: ხელჩანთა, ფეხსაცმელი, საცვლები. ამის შემდეგ მოდის მამაკაცი და დანარჩენი.

14610. მოხერხებულის ქალისთვის ყველა კომპლიმენტი მისაღები და გამოსაყენებელია.

14611. შიმშილის დაოკების მთავარი წამალია იმ ქალზე ყურადღების გადატანა, რომელიც არ მოგწონს.

14612. ქალი დეკოლტეთი ან გრძელი ფეხებით უნდა საუბრობდეს.

14613. ქალებს მოსწონთ ძლიერი, შემძლე, ხუშტურების მქონე, მამაკაცები, მაგრამ არა – ცუდი თვისებების და გაუგებარნი.

14614. სარკე ქალის უახლოესი მრჩეველი და სიმართლის პირში მიმხლელია.

14615. ქალისთვის მთავარია დროულად გაყრა და არა გათხოვება, რათა ახალგაზრდობის წლები ხელში არ შემოეფშვნას.

14616. თუ ქალს მამაკაცი უყვარს მამრისგან განსხვავებით, ცდილობს თავის რჩეულს გული და მცდელობა მოარგოს.

14617. ქალი ყოველთვის უარესზე ფიქრობს იმ იმედით, რომ უკეთესს მობილიზებული და აღფრთოვანებული შეხვდება.

14618. ალბათ ალკოჰოლი და სხვა რჯულის გასაბრუებელი საშუალებები განგებამ იმიტომაც შექმნა, რომ შეუხედავ ქალებს გონება არეულ მამაკაცთა ხელში მაზანდა აეწიოთ და ისინი დანიშნულებისამებრ გამოიყენონ.

14619. ყველა ქალი თავისებურად ,,ჩერჩეტია'', ოღონდ კარგი გაგებით და მის მიმართ თაყვანისცემით.

14620. ქალი ქათინაურებს არა მარტო მომხიბვლელობით, ასაკის მოხდენილად ფლობითაც იმსახურებს.

14621. ქალები, ძირითადად, გამორჩეულ ხალხს, სახელს, სიმდიდრეს, მიყვებიან და არა – სიყვარულს, გარეგნობას, სილაღეს, რადგან ეს პრეროგატივა ალიყურგაუწნავ გოგონათა ხვედრია.

14622. ქალები პლასტიკურ ოპერაციას იმიტომ კი არ იკეთებენ, რომ ვინმეს თავი მოაწონონ, არამედ წამხედურობის „პარაკლისს" ვალს უხდიან, რადგან საკუთარი სიფათის ყურება მობეზრდათ და მისი ატანა აღარ შეუძლიათ.

14623. ქალი ალქაჯი სჯობს თუ აფთარი, ძნელი სათქმელია, მაგრამ გონიერება მათთან შეხვედრას რომ უნდა ერიდოს, აშკარაა.

14624. ქალმა წინასწარ უნდა იცოდეს, რა საზღვრებში და როდის უნდა იყოს სუსტი და თვინიერი, თუ უნდა წარმატებას მიაღწიოს მამაკაცთა მოდგმის დამუნათების საქმეში.

14625. ქალი იმდენჯერ უნდა გათხოვდეს, რამდენიც მის სულს, სხეულს, კაპრიზს, სჭირდება თვითრეალიზაციისთვის.

14626. ქალია ის, ვინც საამოა ბუნებრივი სურნელი ასდის და ქცევის ნორმები დახვეწილი აქვს და არა ის, რომელშიც ხელოვნურობა და სულიერების გრიმი ჩანს.

14627. ქალს არც მორალური და არც გენეტიკური უფლება არ აქვს სიცოცხლეს უგანოს, თუ ის დარწმუნებულია, რომ ღირსეულ ნაშიერს გააჩენს, რადგან კვლავწარმოებაზე უარის თქმის ალიბი მას არ გააჩნია.

14628. ბედნაცვალ და მამაკაცებნაცვალ ქალებს შორის ის სხვაობაა, რომ ერთი თანაგრძნობა-გაგებას იმსახურებს, ხოლო მეორეს ორჭოფული ღიმილით და ბოზად მოიხსენიებენ, მიუხედავად იმისა, რომ პირველის ვნების ცვეთის მარგი ქმედების კოეფიციენტი შეიძლება გაცილებით მეტი იყოს, ვიდრე – მეორის.

14629. მუდმივის და დროებითი აღმაფრთოვანებელის ყოლა, მდედრისთვის, თავის ქალობაში დასარწმუნებლად, ორთავე აუცილებელია.

14630. ქალმა წინასწარ რომ იცოდეს რომელ მამაკაცთან რა ჯურის და შესაძლებლობის ნაშიერი ეყოლება, მაშინ სიყვარული, ტრფობა, მოწონება, აზრს დაკარგავდა და ამ გრძნობებზე დაყრდნობით გათხოვება გმირობად ჩაითვლებოდა.

14631. ადამიანს იარაღზე უფრო ლამაზი და მომხიბვლელი არაფერი შეუქმნია, ხოლო ბუნებას – ქალზე მომხიბვლელი და საჭირო.

14632. ქალი ეშმაკია თუ უეშმაკო, მამაკაცს მაინც თავისიი ინტერესებისთვის იყენებს.

14633. ქალს აქვს ბუნებისაგან ნაბოძები უფლება დრო და დრო ჭირვეული იყოს, მაგრამ მისი ჟინიანობა, კაპრიზი, უზნეობად არ უნდა გვეჩვენოს.

14634. ყველა ქალი გათხოვებამდე და გათხოვების შემდგომაც ალ-ქაჯია, აქ პროპორციების დადგენას აზრი არ აქვს, რადგან ყოველივეს ფული, საზოგადოებაში მდგომარეობა და შური განსაზღვრავს.

14635. უნაყოფო ქალს ნიშნს არ უგებენ, მას ისიც ეყოფა, რომ მდედრის მოვალეობა ვერ აღასრულა.

14636. იმისათვის, რომ ქალი გაერკვეს რა უნდა მისგან მამაკაცს, დიდი თავის მტვრევა საჭირო არ არის, ხოლო თუ პირიქით – საჭი-როც არის და აუცილებელიც.

14637. ქალის ვალი ვნებით მამრის დამუნათება, მამრისთვის თავის დამახსოვრებაა.

14638. ქალში სილამაზეს კი არ უნდა ვეძებდეთ, არამედ მისი სულიერების მომხიბვლელობას და როგორი სიამით ამოგვიდგება გვერდში.

14639. ქალების მოთოკვა დაგვიანებულია, თავისუფლება – კი, მაგრამ გათავხედების უფლება არ უნდა მიგვეცა.

14640. ჭორის გავრცელება მოგვაგონებს იმ ქალს, რომელიც ნა-უცბათევად ფეხმძიმდება და გართულებებით მშობიარობს.

14641. კოსმეტიკა ის განუხორციელებელი იმედია, რომლითაც ქა-ლი ცოცხლობს და სულდგმულობს.

14642. ბერბიჭად რჩება ის, ვისი შეცდენაც ქალებმა ვერ მოახერხეს ან ძალიან არ მოინდომეს.

14643. ყველა ქალს ხელთეწიფება სტრატეგიული პროვოკაციის მოწყობა, მაგრამ რამდენად სჭირდება და ახერხებს ეს სხვა საქმეა.

14644. ქალი ვარდის ყავილივითაა, სილამაზე გვაიძულებს მის მი-მართ აღფრთოვანებით განვეწყოთ, ხოლო ხასიათი – ეკლის მიმართ ფრთხილად ვიყოთ.

14645. მდედრის კეთილგანწყობის შესანარჩუნებლად მასში დედო-ფალი უნდა დავინახოთ, ხოლო მის ქალური „მეს“ დასამშვიდებლად ლოგინში – ხასა.

14646. ქალის გუნება და გარეგნობა სხვადასხვაა, მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთს ბევრ რამეში ბაძავენ და ემსგავსებიან.

14647. ზოგიერთი ქალი პაემანზე კი არ აგვიანებს, საერთოდ არ მიდის და ამით მედიდურობს.

14648. არის ჩანაფიქრი, რომლის ინტუიციით დაგეგმარება და აღსრულება მხოლოდ ქალს შეუძლია.

14649. ქალი, რომელიც ოცნების ვარდებს ისვრის, სულში შეძრომას ყოველთვის ახერხებს, ხოლო რაც შეეხება ერთგულებას, ეს ინდივიდუალურია.

14650. დაუსრულებელი დაპირებები ქალის მომხიბვლელობის, დამუნათების, მთავარი იარაღია.

14651. ქალს გარკვეულ დრომდე მოსწონს და უყვარს თავხედი და ვირეშმაკი ბუნების მამაკაცი, ხოლო ხვადი მამაკაცისადმი სიყვარული მუდმივად აქვს.

14652. ქალმა თუ თავისი ფასი არ იცის, მამაკაცს არც პირველ სილას აპატიებს და არც უმიზეზოდ სახლში მოუსვლელობას, რადგან გულგრილობის და უპატივცემულობის საწყისი მდედრისთვის აქეადნ იწყება.

14653. ქალი ყოველთვის კომპენსაციას ელის იმ უბედობისთვის, გაუთხოვრობისთვის, რომელიც განგებამ მისთვის დროულად არ გაიმეტა.

14654. ქალის სული ,,მარჯვე" მამაკაცებს, რომლებსაც მათი ოცნების დროებით გაფერადება შეუძლიათ, ბოლომდე არ უნდა ენდოს და მხოლოდ მისი ქათინაურებით დაკმაყოფილდეს, მომდევნო ქმედებისთვის ჭკუის დატანებით.

14655. ქალს მამაკაცის სახელის მოხვეჭა იმდენად არ აინტერესებს, რამდენადაც მამაკაცური ღირსების და შესაძლებლობის მის თვალში ზრდა.

14656. სურვილის ყვილის ბრალია, ქალს რომ მამრის გარეშე ყოფნა არ შეუძლია, მაგრამ ვერც კამათის და დავის გარეშე ახერხებს მის შეცნობა-შეფასებას.

14657. ქალი უნდა გვიყვარდეს: სხეულით, სულით, გულით, მეტყველებით, შეგრძნებით, გამოხედვით და დახვეწილ-დაუხვეწავი მანერებით.

14658. ქალი იმის მიხედვით, თუ ვის მიჰყვება ცოლად, ხდება თავისი სახელის ნათლია – ,,გენერალშა", ,,პროფესორშა", ,,იდიოტკა" და სხვა ამგვარი.

14659. ზოგი მდედრისთვის ძალადობა სექსში ბედის წყალობაა ან შემთხვევის გაღიმება.

14660. ქალი, მამაკაცისაგან განსახვავებით, ჯერ ამბობს და მერე ფიქრობს, ხოლო ვინც ფიქრობს და მერე აბობს, ფლეგმა ან პოტენციური აფთარქალია.

14661. ქალზე ძალზე ცუდად მოქმედებს ცივილიზაცია და დროის ყვილი, რადგან ბავშვივით ყველაფერზე ფეთდება და გონებას კარგავს.

14662. ბუნების კანონების ფარგლებში მდედრი სიამოვნებას, არ უნდა იკლებდეს თუ უნდა თავი ქალად იგრძნოს და არა – განტევების ვაცად.

14663. ქალი ღალატისთვის, ორპირობისათვის შეიძლება სიკვდილსაც იმსახურებდეს, მაგრამ არა – ხელის გარტყმას, ფიზიკურ შეურაცხყოფას.

14664. ქალის მთავარი უფლება დედობაა და არა უაზრო ემანსიპაცია, რომელსაც გაუთხოვრობის და დროსტარების ხარჯზე ახერხებს.

14665. ქალმა ზოგჯერ ჰუმანიტარული დახმარების სახით, ქველმოქმედება უნდა გაუწიოს მამაკაცს ვნების დაცხრომის საქმეში, რათა მამრს ის დიდხანს დაამახსოვრდეს, ხოლო თავად სპონსორობა დიდხანს დარჩეს გასახსენებლად.

14666. ჭორაობის, სკანდალის, ბედის უგულობის, ძირითადი მომხმარებელი ქალია.

14667. ქალი სასიყვარულო ომისათვის მუდამ მზად უნდა იყოს, რათა რომელიმე შერკინება თავის სასარგებლოდ დაამთავროს.

14668. გადაიყვარო და შური იძიო შესაძლებელია თუ ამ მამაკაცს დასჯის და ცოლად გაჰყვება.

14669. ქალი გრძნობებს მამაკაცისთვის უნდა ინახავდეს, მაგრამ მამრთა მოდგმასაც უნდა მისცეს საშუალება, რომ მისი გრძნობებიც შეიცნონ, გაითავისონ.

14670. ქალი მაინც ადამის ნეკნიდანაა ნაჩალიჩევი, გაეკვეხება მამრის ყოფიერებას ეს ნათხოვარი ნეკნი ყელში, თუ უიმისოდ.

14671. ქალი კაცს ორი მიზეზით კლავს: ან უყვარს, ან სძულს, ან აფექტში ვერ გარკვეულა, რომელია მასში მომეტებული.

14672. ქალია ის, რომელიც გვაიძულებს შევიყვაროთ, ან მასზე სერიოზულად ვიფიქროთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის კაბაამოცმული მდედრი ან ძუკნაა.

14673. ყველა ქალში შეიძლება იმ რაღაცის აღმოჩენა, რომელსაც მასზე შეყვარებული მამაკაცი შეამჩნევს და გაითავისებს.

14674. ქალს ენერგეტიკა ვამპირისა აქვს, ის მამრს იპყრობს, სიყვარულის დახმარებით იქნება ეს თუ მოხიბვლა – აგზნებით.

14675. ყველა დრო მდედრის გულის მოსაგები თავისებური შლეგობით ხასიათდება. წინათ ქალის ფასს იმის მიხედვით იგებდნენ თუ მისი გულისთვის, ერთმა მეორეს თავი ქვით რამდენჯერმე გაუხეთქა და ვინ-ვის გაიწვევდა დუელში, დღეს კი ქალს იმის მიხედვით აფასებენ რამდენჯერ გათხოვდა და რამდენი ცნობილი მამაკაცის საწოლში იკოტრიალა.

14676. ქალის მიზანია ყველა შუქნიშანი ცერად უყურებდეს, როდესაც ქუჩაზე გადადის და ყველა მამაკაცი პირის ღრეცით მის ყურებაში ამ შუქნიშანს ზედ უნდა ასკდებოდს. მაშინ იგრძნობს ის თავს ამ ქვეყნის დედოფლად.

14677. გენეტიკურად ყველა ქალი ჭკვიანია, მიუხედავად იმისა, ამჩნევენ მამაკაცები ამას თუ არა.

14678. ქალი მანამ არის უცნაური, ურჩი, უხასიათო, სანამ გაიხდის და ლოგინში ჩაგიგორდება.

14679. ქალებს უყვართ იმის შეგრძნება, რომ მათი კაცები ზოგჯერ მათ გარეშე უსუსურები არიან.

14680. ქალის, მამაკაცის მიერ შეფასება-დაფასებას ვერავითარი სიგელი და ჩინ-მედალი ვერ შეედრება.

14681. თუ მოწყენილ ქალს ყურადღებით დავაჯილდოვებთ, მის თვალებში ბედნიერებასაც დავინახავთ, სიამაყესაც შევამჩნევთ და რაც მთავარია – ის ჩვენი ნდომის ქალად იქცევა.

14682. ყველა ქალი ვალდებულია იმშობიაროს, იმის მიუხედავად, აღზრდის ბავშვს თუ არა.

14683. ალქაჯი თავს ბედნიერ ქალად თვლის, რადგან ყველაფრის კეთებას თავის ჭკუაზე ცდილობს, მაგრამ რამდენად „სტერვაა“ ბუნებით მდედრი, ეს ქალის ალგებრაა, თავის ლოგარითმებით, რომელიც განსჯას არ ექვემდებარება.

14684. ქალი ბედნიერი უნდა იყოს წარმატებებით, როგორც ბატალიებში, აგრეთვე მის წარმოსახვაშიც.

14685. ქალის მოტყუება, თავად თუ არ უნდა, ძნელია, რადგან ყოველთვის ის გულით გრძნობს და ინტუიციით მოქმედებს.

14686. ემანსიპაციისკენ და კარიერისკენ ლტოლვა ქალს უფლებას არ აძლევს დედობის და ქალის დანიშნულების უგულებელყოფისას – იმქვეყნად არ აპატიებენ.

14687. მთავარი ის კი არ არის, ქალი რას ამბობს და რაზეც ოცნებობს, არამედ ის, თუ ვისი გამახვილებული ინტუიცია მას წინ როგორ წაიგდებს და რაზე დაიყოლიებს.

14688. ქალი არც უნდა შევიცოდოთ და არც უნდა გავწიროთ, მას მხოლოდ უნდა ვუთანაგრძოთ, რადგან მისი ბუნება ნიშნის მიგებას და ჭკუის დარიგებას ვერ იტანს.

14689. ქალი უმთავრესად დაპირებას მიყვება ცოლად, რადგან ოცნებით ცდილობს გამოიცნოს თავისი ბედის ვარსკლავი და არა – გონებით.

14690. ბრძენი ქალი აღიარებს თავის შეცდომებს და გამოცდილების გათვალისწინებით კვლავ ჭკვიანად შეცდება.

14691. ქალმა ცხოვრება უნდა მოიწყოს, შთამომავალი იყოლიოს და აღზარდოს, რა სულიერი მსხვერპლის ფასადაც არ უნდა დაუჯდეს – აქ პრინციპები არაფერშუაშია.

14692. ქალი საშიში, გასართობი თოჯინაა, თუ გულში ჩაგივარდა, თავად გაითამაშებს, როგორც მოესურვება.

14693. ქალები პოეტის არჩევისას არ ცდებიან თუ ისინი მის სიფვარულზე ოცნებობენ, შედეგად მამაკაცები იძულებით ეცნობიან რეკლამირებული გენის ნაღვაწს, მხარს ქალთა ინტუიციას უჭერენ და თავადაც ეთაფანებიან.

14694. ქალი შინაგანად უნდა გრძნობდეს ვინ არის მისი გულის მპყრობელი და ვინ – დამპყრობი. რაც შეეხება არჩევანს, ამას შემთხვევა წყვეტს და არა – სურვილი.

14695. ქალის გატიტვლება კი არ არის დანაშაული, არამედ ის, რომ მამრისთვის მდედრი ადვილად ხელმისაწვდომი ხდება, გამრავლებაზე არ ფიქრობს, მუშახელი გვაკლდება, გადამთიელებს ვქირაობთ და ფუფუნებას მიჩვეულთ ეროვნულობა და სახელმწიფოებრიობა შეუმჩნევლად ხელიდან გვისხლტება.

14696. რა არის ქალში მთავარი, გონიერება თუ სილამაზე? ალბათ მომხიბლელობა – ორივე პარამეტრის ნაჯვარი. დანარჩენს შემთხვევა და ყისმათი გაარკვევს.

14697. ქალმა თავისი სიფვარულს უნდა დაუჯეროს ან მამრის მისდამი დამოკიდებულებას უნდა ენდოს, სხვანაირად ოჯახის შექმნა არ გამოუვა.

14698. დედოფალი, პრონცესა, ლედი, ქალბატონი, ჩვეულებრივი სიძვის დიაცები არიან, თუ ვინმე თავდავიწყებით შეუფვარდათ ან ვინმეთი მოიხიბლნენ.

14699. ქალებს მოლეკულურ დონეზე ერთმანეთის დანახვა არ აღელვებთ, მაგრამ მათი მოდაზე ჩაცმა უხარიათ და პერსპექტივით შურთ.

14700. ქალი გულით ხედავს, ინტუიციით გრძნობს და მდედრის ვალის აღსრულების წინააღმდეგაც არ არის, თუ გამორჩენას ელის.

14701. უბოროტო, არაფრისმთქმელი პოსტულატებია, რომლებიც ქალს ასე ხიბლავს და სასიფვარულოდ განაწყობს.

14702. არის დამთრგუნველ ქალთა კატეგორია, რომელიც ყველა მამაკაცს მსხვერპლად შეიწირავს ჭკუის სწავლებით, სიანჩხლის გამოვლენით და გამორჩენის უნარით.

14703. თუ მდედრს ფუნტები, დოლარები, იუანები, ევრო, მანეთები, ლარები აქვს გადასახურდავებელი, რა ხალხთან ეწევა მეძავეობას, გასაგებია, მაგრამ რა ეროვნების იქნება მისი ნაშიერი, გაუგებარია.

14704. ქალი ის არის, ვინც ასაკში ძუნად რჩება და წინააღმდეგი არ არის სიკვდილის წინაც რომ ,,დაბუბნონ".

14705. არიან ტანჯული ქალები, რომლებიც პოტენციური მსხვერპლნი ხდებიან თავზე წარმოდგენის, კაპრიზის, უხასიათობისა, რადგან ისინი სხვისი სიხარულისთვის არიან დაბადებულნი და თავად ამას ვერ გრძნობენ.

14706. ქალღმერთს არ კოცნიან, მას ეთაყვანებიან, ეტრფიან სიყვარულს ეძებენ და თუ იკადრებს, მისი მფარველი რაინდები ხდებიან.

14707. სჯობს ქალს კარგი მეუღლე ჰყავდეს, ვიდრე კარგი ნაშიერი – მაინც მიღებულზე მეტს არავინ არაფერს დაგიფასებს.

14708. ქალი თუ ლამაზი არ არის, ვერ დავადანაშაულებთ, მაგრამ თუ არც მიმზიდველია, ეს უკვე სიზარმაცის, უცოდინრობის და ქალური ჰორმონების უკმარობის ბრალია.

14709. ქალის ნალოლიავებ ფანტაზიას ხშირად მისთვის დასმულ საჭირბოროტო კითხვებზე მამაკაცის პასუხს ითხოვს, მაგრამ იძულებულია ფორტუნას და თავის ბედს ენდოს.

14710. ქალის ყველა ავი ,,განზრახვა" ბუნების კანონს ემორჩილება და ცოდვად არ ეთვლება.

14711. ლამაზმანს – აღაფრთოვანებს სექსუალურად დაფინანსებული პროვოკაცია, მდედრს – სულიერი სამყაროს თავისი გემოვნებით წარმოდგენა, ქალს – ხელსაყრელი ქორწინებისთვის ხელის გამოკვრა, რის შემდგომაც გონება, სხეული, სული სასიყვარულო ინტრიგაში ებმება და მას გარკვეულ დრომდე ემორჩილება.

14712. ქალის უმთავრესი მიზანია სასურველი კაცისთვის თვალის დაყენება, შემდეგ მოდის ორკეცობა და პირმშოს ყოლის სურვილი.

14713. ქალის სულის ტრაგედია ის არის, რომ ხშირად თავადაც არ უწყის რისთვის იტანჯება და ეწამება.

14714. ქალებს კაცებში ის აინტერესებს, მათზე ფიქრობენ თუ არა, რამდენად უყვართ და რაც მთავარია, ფულს რამდენს და ვისთვის შოულობენ.

14715. ინტუიცია ქალებს უკეთ აქვთ განვითარებული ვიდრე კაცებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი ვერ მოთოკავენ ძლიერი სქესის ხუშტურებს.

14716. მდედრის არჩევანის დილემა: ,,ჭკვიანი თუ მომხიბლელი?" ორივეს მოხერხებული სჯობს, მაგრამ ამის დასამუღამებლად მათთვის ყველაზე მიუღებელი წლების დაღვინებაა საჭირო.

14717. თავისი დაჯერებით არჩეული საკუთარი ბედნიერების გაფეტიშება ქალის ბუნების ნაწილია და ის ამას შედეგის მიუხედავად მშვიდად და კმაყოფილებით ხვდება.

14718. ქალი მაშინ ხდება სულიერად და გარეგნულად მიმზიდველი, თუ ამის დაუოკებელი სურვილი აქვს და თანაც გარჯა არ ეზარება.

14719. 90–60–90 ქალის ოპტიმალურ ტანად ითვლება. რატომღაც მოთხოვნილების გამძაფრებას და კრიტიკას, უმეტესწილად, ქვედა 90 იწვევს.

14720. ქალის ვალია მამაკაცი ერთხელ გაატაროს კარიერის ცეცხლში და ათჯერ – ვნების მორევში. თუ უნდა კაცი მოთოკოს და მოათვინიეროს, რადგან სხვა პროპორციებს მისი ბუნება ვერ იტანს.

14721. ქალი მამაკაცის დანამატია სოციალური პრესტიჟის წარმოსაჩენად.

14722. ქალის მიზანია ცოლად გაჰყვეს მილიარდელს ან მის მილიონერ შვილს, მაგრამ თუ ამ მიზანს ასრულება არ უწერია, უყოყმანოდ მიყვება ჩვეულებრივ მომაკვდავს, რადგან ინტუიცია ეუბნება, რომ ოცნება ერთია, რეალობა კი – სხვა.

14723. ქალის თავგანწირვას მამაკაცისადმი მომდევნო თაობები ღიმილით ეხმაურებიან და აფსებენ.

14724. გამიგოს, განიცადოს, დაგნებდეს, ეს ქალის ბუნებაა, ოღონდ თავისი კაპრიზებით.

14725. ქალები მრავალცოლიანობის წინააღმდეგნი არიან და ამ აზრის გასამტკიცებლად სარწმუნოებას და სიყვარულს იშველიებენ, მაგრამ თავიანთ მომავალ ქმრებს საქალწულე აპკით სიყვარულით რომ უნდა ჩაბარდნენ, ამაზე გაყუჩებას ამჯობინებენ, ,,არა იმრუშოს!'' ცდუნებასაც და სხვა პოსტულატებსაც აფუჩეჩებს.

14726. ქალი, პირველ რიგში, თავის თავს ესიყვარულება და ეკოხტავება, ხოლო თუ ვინმე შეამჩნევს მის მცდელობას და ანკესს გადაუგდებს, ზოგჯერ სიამოვნებით წამოეგება.

14727. ფლირტი ქალს აკეკლუცებს, თვითშეფასებას უმაღლებს და თავსაც უფრო პატივისცემით ეპყრობა.

14728. ,,სტერვა'' – ალქაჯმა თავისი ფასი იცის, სიტყვას გემოს ატანს, შურისმაძიებელია და ის რომ ქალად იქცეს, მოითოკოს, ხვადი სჭირდება, რომელიც ფორას სექსში მისცემს.

14729. ფეთქებად ქალებს ნამდვილი მამაკაცები მოსწონთ, მათ სექსში რომ დაჩაგრავს და დაიმონებს.

14730. ქალს ხანდახან ხელი არ უნდა შევუშალოთ, რომ სულ გაყიდოს, თუ ასაკი ზურგში დანის ჩასარტყმელად არის გამზადებული.

14731. ქალს თავისი ოცნების მამაკაცი ვერასდროს შეხვდება, მაგრამ ეს მაინცდამაინც არ აღელვებს, როცა ასაკი შეაწუხებს.

14732. ქალის მოვალეობა ძალზე მარტივია: აღაგრძნოს და დაგაწყნაროს.

14733. ზოგჯერ იმ ქალის სადღეგრძელოც უნდა დავლიოთ, რომელიც ხშირად გვაპურებს და დროულად გავთავისუფლებს კუჭის და ვნების გვემისაგან.

14734. ქალები ბუნებით ძუკნები არიან და არა – ბოზები, მაგრამ ამ უკანასკნლისაკენ მიდრეკილება უჩნდებათ, თუ ბედი გაუღიმებთ და ფულიან მამაკაცთა ყურადღების ცენტრში მოხვდებიან.

14735. ქალისთვის ყველა წამი სიცოცხლით უნდა ჩქეფდეს, ყველა წუთი სიყვარულს უნდა აფრქვევდეს, ყველა საათი სილამაზით თავს უნდა იწონებდეს, ყველა დღე გამოცანა უნდა იყოს, ყველა ღამე – ჯადოსნური სერობა, ყველა თვე მოდის ტრფობით უნდა მთავრდებოდეს, ყველა კვარტალი ბედნიერებას უნდა აჯამებდეს, ყველა წელი დასამახსოვრებელი თარიღით და შთამომავლობის მატებით უნდა მთავრდეოდეს, ყოველი 100 წელი საქაოდან წასვლის მცდელობად სამოთხეში მოხვედრის პარამეტრებით უნდა იზომებოდეს და საიქიოში სათუთად მოვლილი გალაღებული სული საუკუნეებს უნდა მიჰქონდეს.

14736. ქალის პიროვნებად აღქმა გვაკარგვინებს სიყვარულის ნიჭს, მყარ ჩვევებს და რეკლამის და სექსის რობოტად გვაქცევს.

14737. ქალის „წარმოჩენითი" ხარისხი ბრუნვა შემდეგნაირად გამოიყურება პატივისცემითი – მეუღლე, დედა, ბებია; აღფრთოვანებითი – ქალწული, ქალიშვილი, უმანკო, მოკრძალებითი – დედოფალი, ქალბატონი, მანდილოსანო; გაოცებითი – აქტრისა, ბალერინა, სტრიპტიზორშა; კდემოსილებითი – ქალღმერთი, ღვთაება, ნეტარება; ჭირვეულობითი – ავი, კაპასი, ალქაჯი; მორიდებითი – მასწავლებელი, აღმზრდელი, მშობელი; გახსენებითი – სიყვარული, ხასა, მიჯნური; სიამოვნებითი – მეძავი, ლამაზმანი, ბოზი; უბედურებითი – დარჩენილი, გაუთხოვარი, შინაბერა; ბედუკუღმართობითი – ქვრივი, ბედნაცვალი, არ გაუმართლა; უბედობითი – ჭორიკანა, ხმის დამყრელი, ლაქლაქა; წინდაუხედაობითი – წუნია, წუნია, კაცისკენ არ იხედება.

14738. რა ფასად უჯდებათ ქალებს სიამოვნება, რომელიც განსჯას არ ექვემდებარება, ეს მათი ცნობისმოყვარეობისათვის უცნობია.

14739. ქალის მკერდი მისი სიდიდის გამო კი არ არის მოსაწონი, არამედ მის ფორმისა და თანთალისთვის.

14740. მარადიული კითხვაა, რა უნდათ მამაკაცისაგან ქალებს და ვის შეუძლია მათი კაპრიზის და ოცნების დაკმაყოფილება, რომელზეც ხეირიანად ჯერაც არ უფიქრიათ.

14741. მატერიალურად გამაგრებულ წნეხს, უფულო ძალადობისაგან განსხვავებით, ქალი წინააღმდეგობას მაინცდამაინც არ უწევს.

14742. ქალი თავისი ბედის მჭედელი გახდება, თუ გულს, გატაცებას გონებას მიახმარს და ინტუიციას დროულად მიაშველებს.

14743. კანონის წინაშე ყველანი თანაბარნი ვართ, მაგრამ ქალის წინაშე ყველანი სხვადასხვა და მხოლოდ ,,საქმისთვის'' გამოსადეგნი.

14744. ქალი თავშეყრის დამამშვენებელია და არა მისი გაგრძელება და სხვათა სურვილის დამაკმაყოფილებელი.

14745. ბედნიერია ის ქალი, რომელიც ლამაზად დაბერებას ახერხებს და არა შეჯერებით და დამსახურებით პენსიაში გასვლას.

14746. ქალის თმები – საოცრებაა, სახე – სარკეა, თვალები ეშხია, ცხვირი – ღირსებაა, ყურები – სერობაა, ტუჩები – მცნებაა, კბილები – სიკოხტავეა, მკერდი – სიამაყეა, ხელები – მშვენებაა, წელი – ტრფობაა, გავა – აღფრთოვანებაა, ფეხები – გაოცებაა, ფეეხის თითები – შნოა და ყოველივე ეს ტანის შემფასებელია, სადაც სულიც და გულიც იგულისხმება.

14747. ქალს ეტრფიან და შორდებიან სიამოვნებისთვის და არა – მოწონებისთვის.

14748. ქალისთვის სიყვარულის მემკვიდრეობით დატოვება არც თუ ისე ცუდი საჩუქარია, მაგრამ დაფიქრება და მოფრთხილება ამ საჩუქრის შენარჩუნებასაც სჭირდება.

14749. მესაკუთრე ბუნების მქონე ქალი ეჭვიანზე უარესია.

14750. ქალის სულში და წამწამზე ჯდომა სხვადასხვაა, რადგან პირველის ,,ფაიზახი'' ტრფობა მეორის სურვილისგან განსხვავდება, იმის მიუხედავად, რომ ორთავეს სიყვარული სწყურია.

14751. ქალს არასოდეს ჰყოფნის ყურადღება, კომპლიმენტები, თაყვანისცემა და ეს სიხარბე თვითშენახვის ინსტიქტია და არა კაპრიზი.

14752. ქალის გადაჭარბებული ინიციატივა მამაკაცს აფრთხობს, ზომიერება – ამკობს, ხოლო უინიციატივო – ხშირად სექსში სასწაულებს ახდენს.

14753. ქალს არაფერი არ უნდა მოაკლო, მაგრამ ფეხქვეშ არ უნდა გაეგო, რათა არ დაგიმონოს.

14754. ქალს ინტუიცია მამაკაცის გულუბრყვილობის ნაყოფია და მასთან შესადარებლად მოსატანი არ არის.

14755. ქალი შეიძლება წმინდანი არ იყოს, მაგრამ ეს არ ეხება სატრფოს – საქორწილოდ გამზადებულს.

14756. ჩვენი ბებია, დედა, და, მეუღლე, ქალიშვილი, განუსჯელია და ოპონირებას არ ექვემდებარება.

14757. ვნებააშლილ, შურიან, ეჭვიან და ენაჭარტალა ქალს არავისი და არაფრის არ ეშინია, გარდა თაყვანისმცემლების დაკარგვის.

14758. ქვრივ მანდილოსნებსაც უნდა მივცეთ შანსი იმის დასამტკიცებლად, რომ ისინი უმაღლესი ხარისხის ქალები არიან და არა – ცხოვრებაგამოვლილნი.

14759. ჭორაობა, წაყივყავება, ზოგიერთი ქალის უსაქმური სულისთვის ბედნიერების მომტანია.

14760. ლამაზი ქალი მუდამ უასაკო ქალწულივით იქნება.

14761. ზოგი ქალი სხვაზე ჭორაობით ფეხმძიმდება, ხოლო თავზე ჭორაობით მოილოგინებს.

14762. მტრისას, თუ ქალი ავი გამოდგა: სად, როგორ, როდის და რანაირად მოგვეფერება, თუ დაგიფრენს, თავადაც არ უწყის.

14763. დღეს საქმე ისე მიდის, მეზობელი ქალები მეზობლის კაცებზე ეჭვიანობენ, ვინძლო ქმარი არ წაართვან.

14764. ქალს უდგება ასაკი, როდესაც ვნებას კარი უნდა გაუღოს და პატიოსნებას აუჭედოს, რადგან ამქვეყნად არავინ არაფერს დაგიფასებს, ხოლო იმქვეყნად ქალწულად გადაბარგება დანაშაულია კაცობრიობის და პირველ რიგში, საკუთარი თავის, ჯეელობის წინაშე.

14765. ემასიპაციის საწყისი ევას ბრალდება, რადგან მან ადამი შეაცდინა, მაგრამ განა დღეს ქალის მომხიბვლელობა არ აცდენს კაცს სხეულში ჩაქსოვილი ამდენი თილისმით.

14766. ბოროტების მიზეზიც და შედეგიც ქალი-დედისთვის სატანურია.

14767. ქალის სახის ხშირი ჭმუნვა და ქოთქოთი მამაკაცის გულგრილობას და ზოგჯერ მასზე გულის აყრას იწვევს.

14768. ღმერთის მეორე შეცდომა ქალის შექმნა კი არ არის, არამედ – მისი ამეტყველება.

14769. ქალობა ძნელიც არის და ადვილიც, რადგან ამდენ „დაუბმელ“ და „დასაბმელ“ მამაკაცთან აქვს საქმე.

14770. ქალიშვილი ლაქლაქის, კაპრიზის, ცრემლის, აფექტის, კოპწიაობის, გარეშე ქალად ვერ მოგვევლინება.

14771. ქალს სინამდვილეში რა უნდა, ბოლომდე არასოდეს ამბობს, მაგრამ თუ თავისი არ გაინაღდა, შურისძიებას ცდილობს.

14772. ქალი მიზეზს არ იკითხავს, ის უბრალოდ გადანაშაულებს.

14773. ღამით ყველა ქალი ვარსკვლავია, განსაკუთრებით, თუ კარგ ხასიათზე ვართ და ვნებაც ჩვენს მხარეზეა.

14774. დღეს ქალის სხეულისკენ მიმავალი ყველაზე მოკლე გზა ფულია, ხოლო სულისკენ მიმავალი ბილიკი სიყვარულია.

14775. ქალის გული მრავალ აუხდენელ ოცნებას მალავს, რომლის ასრულებაც გაახარებდა, მაგრამ ბედნიერს გახდიდა თუ არა, სხვა საქმეა.

14776. ქალის აზროვნება ხშირად ბავშვისას ჰგავს ალოგიკურობით, ჭირვეულობით და კაპრიზების ასრულებით.

14777. ხშირად ქალის ინტუიცია გაცილებით სჯობს კაცისას, წინასწარი გათვლით და შედეგით.

14778. ქალი ჩვენი სურვილების მიკრომოდელია, რომელსაც არ ვამზეურებთ.

14779. ქალია ის, ვინც მუდამ ამოუცნობ განტოლებად რჩება სიყვარულში.

14780. საქალბატონეა ის მდედრი, ვისაც ემოციების გარეშე თავისი პოზიციის დაცვის უნარი შესწევს, სხვის აზრს და ინტერესებს ითვალისწინებს, თავდაჭერილია, ჰარმონიულია, აქვს გემოვნებით ჩაცმის უნარი, ტრიალებს მისთვის შესაფერ საზოგადოებაში და არ არის შინაყუდა.

14781. ქალის მოსახიბლ-დასაბმელი საშუალებებია: კომპლიმენტი, მისი გემოვნების შექება, მოსმენის უნარი, გულწრფელი ავტობიოგრაფია, პაემანზე საჩუქრის მირთმევა და მოფერებითი სახელის გამოძებნა.

14782. ქალები ძირითადად ილუზიებს მიჰყვებიან ცოლად, რაშიც, უმეტესად, მათი ოცნებებია დამნაშავე.

14783. ქალისთვის უმთავრესია კაცის გუმანის მიხვედრა და თვალების დაჟუჟუნების ცოდნა, დანარჩენი დამხმარე საშუალებაა მამრის გულის მოსანადირებლად.

14784. ქალს როგორც უნდა უსაყვედურო, თუ გონიერია, შინაგანად მიხვდება, რომ ამას არ იმსახურებს.

14785. ქალის ვალია საკუთარი ბედი არ შეურაცხყოს, რაც შეეხება ყოფას, ის, ასე თუ ისე, მოწესრიგდება.

14786. გატაცება, სიმპათიები, მოწონება, სიყვარულში არ უნდა აგვერიოს – არ ამართლებს.

14787. უბედო ქალების აზრით, მამაკაცთა უმრავლესობა უწესო და უზნეო ქალებს იმსახურებს, რადგან ისინი ერთგულებს ვერ აფასებენ.

14788. ქალების მეგობრობას წერტილი მაშინ ესმება, როცა სიყვარულის აუქციონზე პერსპექტიული „ჩოყლაყი“ გამოჩნდება.

14789. ლამაზ და მომხიბვლელ ქალად ყოფნა სასიამოვნო ტვირთია.

14790. ქალი ვალდებულია თავს მოუაროს, რათა თავზე ჩუმად თვალის შევლებით თავადაც ისიამოვნოს და სხვებიც ასიამოვნოს.

14791. სხეულის ენით ვნებიანი ლაპარაკის ცოდნას მარტო განათ-ლება და ვარჯიში არ შველის, ცოტა გარეგნობაც უნდა დაეხმაროს და შინაგანი ნიჭიც.

14792. ქალისთვის უმთავრესია იპოვოს მისთვის სულიერად მახ-ლობელი ადამიანი, მაგრამ დღეს დამოუკიდებლობისა და უზრუნველ-ყოფისკენ მისი ლტოლვა ამ აქსიომას ანგრევს.

14793. ქალები ყოველთვის ფიქრობენ მდიდარ საქმროზე და მაინც იმას მიჰყვებიან, ვინც მათ გულს შეეჭიდება და მოიპოვებს.

14794. ქალი შეიძლება ნაგაზივით ავი და ლამაზი იყოს და ოჯახის სიამტკბილობის სინონიმიც.

14795. ქალის სულისთვის უპირველესია პატივისცემა, ნდომა, გუ-ლისთვის – სიყვარული, მოდა, სხეულისთვის – სექსი და ფული.

14796. ქალებს რატომღაც უფრო შემტევი და თავხედი მამაკაცები უყვართ, ვიდრე თავმდაბალი, პატივის მიმგები, რადგან პირველი გაუ-გებრობის პარამეტრებს ეხმაურება.

14797. ქალებს, მამაკაცებთან შედარებით, ერთმანეთს დაცვაც უკეთ ეხერხებათ და გაჭორვაც.

14798. ქალს კაპრიზები უფრო მართავს, ვიდრე სიყვარული და ლოიალობა ვიღაცის და რაღაცის მიმართ.

14799. ქალის პატიოსნებას, ემანსიპაციის, ათეიზმის, მომხვეჭელობის სურვილისაგან განსხვავებით, ყველაზე უკეთ სიყვარული, რელიგია, თა-ნადგომა, იცავს.

14800. დუმილი ჰარმონიის უპირველესი ბაზისია, რომელსაც ქალე-ბი რატომღაც არ იყენებენ.

14801. ქალის გარეგნობა, მოკოხტავების მცდელობით, მისი შინაგა-ნი განწყობის ერთგვარი გამოვლინებაა.

14802. ქალის მომნუსხავი ღიმილი სითბოს, ლტოლვას, კომფორტს, ავლენს და ამიტომაც მისი ცოდნა ძლიერი იარაღია კაცის დასაშოკად.

14803. ლამაზი ქალი მუდამ მომხიბვლელი რჩება ჩვენს მოგონებაში, ასაკის და მოდის მიუხედავად.

14804. მამაკაცში ქალი აღფრთოვანებას უნდა იწვევდეს თავიდან ფეხებამდე, ოღონდ ვარცხნილობის, ხელჩანთის და მაღალ-ქუსლიანი ფეხსაცმელების გარეშე.

14805. ქალების სურვილია უიღბლო და უბედო იყოს ყველა ის მამაკაცი, რომელიც მათ არ ამჩნევს ან გადაიყარა და ჰგონიათ, რომ ეს მათ სულს შვებას მოუტანს.

14806. თუ ქალი ცუდად ცხოვრობს და ამასთან ვერც ხასიათზეა, შეეცდება ჩვენი ყოფა გააუარესოს.

14807. ქალს ძალზე ცოტა ჰყოფნის ბედნიერებისთვის და ძალზე დიდი განცდა სჭირდება იმ უბედურების დაქალებში აღიარებისათვის, რომელსაც წატირება-წატრაბახებით მოყვება.

14808. პირველი სიყვარულის ტყვეობაში მყოფი ქალი შინაგანად მუდამ მზადაა ყოფილ სიყვარულთან ქმარს უღალატოს და მასთან გადაბარგდეს.

14809. ქალს შეიძლება მამაკაცი არ დაამახსოვრდეს, მაგრამ ღირ-სეული პენისი ყოველთვის ემახსოვრება.

14810. ასაკოვანი ქალის ფული საუკეთესო ფერუმარილია.

14811. ქალთან ურთიერთობაში თუ სახეირო არაფერი დაგითესია, არც მოსავლის აღებას უნდა შეეცადო.

14812. ასაკში ქალი იმიტომაც ცდილობს ღმერთს დაუახლოვდეს, რომ იქნებ მას მაინც მოაწონოს თავი.

14813. ორატორმა დაუმტკიცებელი შეიძლება დაამტკიცოს, მაგრამ ქალის თვალების ერთმა გემრიელმა შემონათებამ შეიძლება ფარ-ხმალი დააყრევინოს.

14814. ლამაზ ქალს სამი დიდი განცდა აქვს: პირველი, როდესაც არ იცის ვის ჩააბაროს ქალიშვილური ოცნება, მეორე – როდესაც ატყ-ობს, რომ ძველებურად ვეღარავის აღაფრთოვანებენ და მესამე – როდესაც ხვდება, რომ უკეთესი ცხოვრების ღირსი იყო და ბედმა გასწირა.

14815. გაუნათლებელი ქალი ინტუიციით გაცილებით მეტს ხვდება, ვიდრე განათლებული მამაკაცი.

14816. ქალს ყველაზე მეტად თუნდაც სხვის ჯინზე ოჯახური ბუდის მოწყობა უნდა ეხერხებოდეს.

14817. ქალი, ხიბლის გარეშე, დედაკაცია.

14818. ქალი მაინც შინაგანად ჭირვეული არსებაა, ღარიბი იქნება თუ მდიდარი, უნიჭო თუ ტალანტი, რადგან მდედრის ბუნება ასეთია.

14819. ქალში უმთავრესი ქალურობაა, შემდეგ – სილამაზე და მიმზიდველობა.

14820. ქალი, პირველ რიგში, სუნით და მისი ვნების ხარისხით შეიცნობა, ამის შემდგომ – გარეგნობა, გულის შეფთქიალება და სიყ-ვარული.

14821. ჯობს ქალმა ,,ყიჟინით" ნერვები მოგიშალოს, ვიდრე მთელი დღე მოწყენილი და მუნჯი იყოს.

14822. ადრე ქალისთვის სიყვარული მთელი ცხოვრება იყო, ეხლა კი ეპიზოდია და ისიც – ძნელად გასახსენებელი.

14823. ქალი თუ გვიყვარს, მის ნათხრობს უნდა დავუჯეროთ და არა იმას, ვინც ფაქტზე წაასწრო.

14824. ზოგი ქალი მამაკაცს გრძნობების მალვით კარგავს, ზოგსაც ფსიქოლოგიურად ამუნათებს.

14825. ყველა ქალს სულის ანგელოზი მამაკაცი უნდა ჰყავდეს, როგორც რეალობაში, ასევე წარმოდგენაში, ოცნებაში.

14826. ქალს ყოველთვის აქვს უმტკივნეულო ტყუილით თავის მოიწონების მიზეზი.

14827. ქალის ლამაზი მკერდი გონების აღმაფრენა-დამუნათებას ემსახურება.

14828. ლამაზი და ღვთაებრივი ქალია ის, ვისი ჩაცმულობაც შეუმჩნეველი რჩება მამრისთვის.

14829. ყველა ქალს თავის ,,დაბურთული" სილამაზე აქვს, თუ მას მივიძიებთ და ფანტაზიას მოვიშველიებთ.

14830. არ შეიძლება ერთდროულად ქალს სილამაზეც მოსთხოვო, განათლებაც და ფულიც – სადღაც ნამუსმაც ხომ უნდა შეგაწუხოს?

14831. ერთიდაიგივეს მრავალჯერ გამეორება აძლევს ქალს ძალას.

14832. ქალის ყველაზე დიდი მტერი ბრიყი მამაკაცებია.

14833. ქალის მომხიბვლელი უბე მისი სხეულის რეკლამის საწყისია, ბრენდია.

14834. ქალს სიავის ცოდნის გარეშე საკუთარი ცხოვრების მოწყობა გაუჭირდება.

14835. ქალს უფრო ის აინტერესებს რას მოიმოქმედებს მამაკაცი მის დასაპყრობად და არა ის, რა შედეგით დამთავრდება მათი შეხვედრა.

14836. ფიზიკურად და სულიერად დაუხარჯავ ქალზე უარის თქმა ან მისი შეუმჩნევლობა დანაშაულია კაცობრიობის წინაშე.

14837. ქალებთან ურთიერთობის მრავალფეროვნება მათ შესაცნობად მაინც არ გამოდგება.

14838. არის ქალის კატეგორია, რომლის შეყვარება არარენტაბელურია – მაინც გიღალატებს, ვისთან და რატომ, მისთვის სულერთია.

14839. ქალი უნდა დავიპყროთ გულით და არა გონებით, თუმცა ზოგჯერ არც ერთი არ ამართლებს.

14840. როდესაც ქალი უნიათ მამაკაცზეა შეყვარებული, ორი გამოსავალი აქვს: ან მიატოვოს, ან შეუქმნას შთაბეჭდილება, რომ ის ძლიერი და შეუცვლელია – იქნებ გაბეჯითდეს.

14841. ქალები თავიანთი უბედურების გამო, მამაკაცებს არამზადებად თვლიან, მაგრამ მათი მონადირეობის წინააღმდეგი არ არიან.

14842. მომხიბლელ ქალს, ვნების მრავალი ფურცელი აქვს გადაშლილი, როგორც საბედნიეროდ, ასევე სავალალოდ.

14843. ქალის ვნებით დაჭაშნიკების ლიცენზიას, ბრაკონიერ სექსაობისგან განსხვავებით, გრძნობათა შეხლა-შემოხლით მოიპოვებენ.

14844. ადამიანის სხეული შექმნილია ექსპერიმენტებისთვის, რომლის სულის ჩამდგმელი უმთავრესად ქალია.

14845. ქალი როცა რჩევას გთხოვს და პასუხის გაცემას შენგან ელის, წარმატების შემთხვევაში გამარჯვების 95% მისი დამსახურებაა, წარუმატებლობისას 100% მრჩეველია დამნაშავე.

14846. არის ქალი, არის გამონაკლისი, რომელსაც ქალღმერთად აღიქვამენ.

14847. მოხერხებული ქალი ქმარს სტრიპტიზბარში თავს დააპატიჟებინებს ,,იშტაზე'' – ვნების მადაზე მოიყვანს და სახლში თავს დააპურებინებს.

14848. ხშირად ქალს მამაკაცის ეგოიზმი სჭირდება, რომ შეიყვაროს და თავის მამაკაცად აღიქვას.

14849. ყველა ქალის სურვილია გვერდზე რაინდი ჰყავდეს, მაგრამ რა ჯურის – პრაქტიკულად წარმოდგენა არ აქვს.

14850. ქალი მაშინ გოგმანობს, როდესაც თავის გადაადგილებას მამაკაცს ჩუქნის.

14851. ფემინიზმი სინონიმია სუიციზმის, რადგან ქალის გადამეტებული ამპარტავნება და თავზე წარმოდგენა, საზოგადოებას რყვნის და ქვეყანას ანგრევს.

14852. ქალმა არ იცის ისეთი წარმოჩნდეს, როგორც სინამდვილეშია, თუ როგორც მას სურს თავის წარმოჩენა და სხვას წარმოუდგენია.

14853. ყველა ქალი რომ ერთნაირად თვინიერი ყოფილიყო, სამყარო გადაგვარდებოდა, რადგან ძლიერ სქესს ,,შემჩიჩინებელი'' და მამოძრავებელი ძალა არ ეყოლებოდა.

14854. მამაკაცის რკინის ლოგიკას შეიძლება ჟანგი შეეპაროს, მაგრამ ქალისას – არასდროს.

14855. ქალს ინსტინქტი ხშირად ეხმარება, მაგრამ მიზნის მისაღწევად ყოველთვის არ შველის.

14856. ქალის გულწრფელობას ზოგჯერ ისიც იწვევს, რომ მან ჯერჯერობით ვერ მონახა თავის ოცნების მამაკაცი.

14857. ქალის მოსახიბლავად შემჩნევაა საჭირო და არა – მოჭარ-ბებული ყურადღება.

14858. ქალი ის უნიკალური საქონელია, რომელიც მყიდველს თა-ვად ირჩევს.

14859. ქალი თავისი სილამაზეს და ბედნიერებას მაშინ გრძნობს, თუ შემფასებელ-დამფასებელი ჰყავს.

14860. ქალის ხასიათი მწარ-ტკბილია, მოჭარბებული ყურადღება „კბილს მოგჭრის".

14861. ქალის სიფარულში სიძულვილი უფრო მეტია, თუ მის წინაშე რაიმე შეგეშალა და ფეხი დაგიცდა.

14862. ყველა ქალი იმ თავისუფლებისთვის, დემოკრატიისთვის, „იბ-რძვის", რომლის გამოყენება არც იცის, არც უნდა, მაგრამ „მასმედია-საა" აყოლილი და თავის წარმოჩენა სურს.

14863. რაც ქალს სურს, ეს ბუნების მოთხოვნა – ნაკარნახევია, თუ კანონი არ არის.

14864. იძულებითი ფემინიზაცია, მატრიარქატს იძლევა, რაც წინა საუკუნეების გამოცდილებით არ ამართლებს.

14865. ქალის უკეთ შესაცნობად, მის გულის სიღრმეში არქეოლო-გიური გათხრები უნდა ვაწარმოოთ ფრთხილად, შეუმჩნევლად და ზიანის მიუყენებლად.

14866. იყო უბრალოდ ქალი, ოჯახის დედა, ამ საუკუნეში დიდი ფუფუნება და ბედნიერებაა.

14867. ჯაზი და ქალი ერთმანეთს ჰგავს, ყველას არ მოსწონს, მაგრამ იმპროვიზაცია ჩვენს გემოვნებას ცვლის და ახალისებს.

14868. ქალის სურვილია თავისი მამაკაცებით ამაყობდეს, სულერ-თია, ქმარი, საყვარელი იქნება თუ საკუთარი ვაჟი.

14869. ქალის ტრფობის კრიტერიუმი ერთდროულად სიყვარულია, ფულია, რაც შეეხება ერთგულებას, ყურადღებას, მაინც პირველი ორის ნაჯვარიდან გამომდინარეობს.

14870. ყველა ქალი მიისწრაფის ბედნიერებისკენ, ოღონდ მისი გა-დასახედიდან.

14871. ქალი ერთი სუსტი და დაუცველი არსებაა, რომლის სურ-ვილს და კაპრიზს ოცნებითაც იშვიათად თუ ვინმე გადარჩენია.

14872. ქალისადმი მამაკაცის ეჭვიანობა, კონტროლი, ყურადღება მცდელობაა მისი სისუსტე – არ შეამჩნიოს.

14873. ქალობა ქალობის მთლიანობის შეცნობაშია და არა – განყენებულ სიყვარულში, სექსში, მომხვეჭელობაში.

14874. ზოგი ასაკოვანი ქალი თვალებს ისე შემოგაფერფლებს, თითქოს შენზეა დამოკიდებული მისი გაჯეელება და იმ ვნებათა ჯერის დაკმაყოფილება, რომელზედაც მთელი ცხოვრება ოცნებობდა.

14875. ქალები ხშირად იმას ეტრფიან, ვინც მათ მიმართ ყურადღებას არ იჩენს და არც გამოიჩენს თუ ფორტუნამ თავის ჭკუაზე არ წაიჩალიჩა.

14876. ქალის დაბნეულობა სიყვარულის გამჟღავნების ლაკმუსია.

14877. ქალს და ასაკს არა მარტო მოვლა-პატრონობა და სიყვარული სჭირდება, არამედ – გაფრთხილებაც.

14878. საქალწულე აპკი ქალის პირველი მზითევია და ვის საგებზე მიიტანს ამ სიწმინდის ალტარს, ხშირად თავადაც არ უწყის.

14879. ერთდროულად ლამაზი, ჭკვიანი, მოხერხებული ქალი იშვიათობა, მაგრამ საშიშიც, რადგან ჰაი-ჰარად არაფერს გაპატიებს.

14880. ქალის ყველა ოცნება ვიზუალურად უნდა გავითავისოთ და ზოგიერთის ასრულებაში თავიც უნდა მოვიქაჩლოთ.

14881. ყველა ახალ ქალს საოცრად უცხო გემო აქვს, თუკი მისი დაჭაშნიკების ნიჭი გაქვს მომადლებული.

14882. ქალისთვის ყველაზე დიდი სასჯელი მუნჯად დაბადებაა.

14883. ლამაზი და მიმზიდველი ქალი სულისთვის აფთიაქია და სხეულისთვის თერაპია – გამოჯანმრთელებით, აღტკინებით.

14884. ქალს ის მადლი უნდა გააჩნდეს მამრთან მიმართებაში, რომ წარმოდგენაშიც კი ადგილი არ დაუტოვოს მის შესაცვლელად.

14885. ქალი, როგორც უნდა ამოხსნა, უცხოპლანეტელად თუ არა, გაუგებარ არსებად მაინც რჩება.

14886. ქალის რაობის მთავარი ალგორითმი ძალდაუტანებელი სილამაზეა, სულიერი იქნება თუ ხორციელი.

14887. ქალი თავისუფალი უნდა იყოს და არა – „თავის უფალი“, რათა მისი სითამამე უზრდელობაში არ გადაიზარდოს და მოწონების გარეშე არ დარჩეს.

14888. ქალი, მამაკაცისაგან განსხვავებით, ყოველივეს თავისებურად აღიქვამს, მოთარგმნის, აკეთებს და თავისი ქალური გენის წინაშე მაინც მართალია.

14889. ქალის მომხიბვლელობის ალგორითმია: სატანისებური თვალების შემონათება, ეშმაკური ღიმილი, ტანის მაცდური რხევა, ჯადოსნური ჯდომის უნარი და ის, რაც გონიერებას გვირევს და მის თაყვანისმცემლად გვაქცევს.

14890. ქალს, სიყვარულის გარდა სხვა რა დივიდენდები უნდა, ძნელი ამოსახსნელია, რადგან ერთ წუთში „ეს“ უნდა, მეორეში „ის“, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ „რა“, მისთვისაც უცნობია.

14891. მდედრისთვის ინიციატივიანი და მიმწოლი მამაკაცი აუცილებელია, რათა მან თავი ქალად იგრძნოს.

14892. ქალი გულწრფელი და მართალი უნდა იყოს, თეორიულად მაინც, თუ პრაქტიკულად ხშირად არ გამოსდის.

14893. ქალს აქვს იდეალური მახსოვრობა და ღვთისგან მონიჭებული უნარი, საჭიროების დროს, თავის სასარგებლოდ გამოიყენოს და მოთარგმნოს.

14894. ერთ ქალში პატარძლის, ცოლის, დედის, ბებიის გაიგივებას ისევ ასაკის მატებამ უნდა შეუწყოს ხელი, წინააღმდეგ შემთხვევაში, მამაკაცთა მოდგმის დამორჩილება გაძნელდებოდა.

14895. ქალი ხელოვანისთვის შთაგონების საწვავია და სხვა რამ უკეთესი და მამოძრავებელი ძალა ნამდვილი შემოქმედისთვის ჯერ არ გამოუგონიათ.

14896. ქალთა უმრავლესობამ იცის, რომ ის მამაკაცზე ჭკვიანია და საჭიროა ამ სამყაროსთვის, მაგრამ ეშმაკობენ და ემანსიპაციებზე მაინცდამაინც თავს არ იგიჟებენ.

14897. მიზეზი შეიძლება განსასჯელი იყოს, მაგრამ დატოვებული კვალი – არასოდეს. ამიტომაცაა, რომ ქალები თავის მოკოხტავებას მეტ დროს უთმობენ, ვიდრე გონების გადატვირთვას, რადგან რეალობა ყველასათვის გასაგებია, ხოლო წარმოდგენა დაფიქრებას, შეფასებას მოითხოვს და მაინც სადაოა.

14898. ქალს წინათ უყვარდა ან სძულდა, ახლა ამ უკიდურესობას საზოგადოებაში გამოსვლას და ფულის მოხვეჭას უხამებს და ამ კომპრომისის შედეგად თავს არცთუ ისე ცუდად გრძნობს.

14899. ქალმა ყველაფერი უნდა იღონოს, რომ ასაკის შემოპარების მუხანათობას საშური წლებიც არ მიაყოლოს და შვილს მამა გამოუთხაროს.

14900. პროფესიონალი დიასახლისი და „კუხარკა“ სხვადასხვა ენაზე საუბრობენ, მაგრამ კვლავწარმოების საქმეში ერთმანეთს არ ჩამორჩებიან.

14901. ქალები მისდაუნებლიედ იმიტომ ცრუობენ, რომ მათთვის ამას სიამოვნება მოაქვს და თავის წარმოჩენის საშუალებას აძლევს. ვთქვათ, ვიღაცას უთხრა, რომ ის დღეს განუმეორებელი და ლამაზია.

14902. ყველაზე მეტად ქალს გინეკოლოგების, ფოტოგრაფების, მასაჟისტების, რეჟისორების, ხელში გაუვლია, მაგრამ მათ ხვადობას და სექსგიგანტობას ვერ დავაბრალებთ.

14903. ქალისთვის ტრუსების გახდა ყველაზე ინტიმურია მისი ტანსაცმლის აქსესუარში სტრიპტიზის დროსაც.

14904. სუფთა ჰაერზე სასეირნოდ გასულ ქალიშვილს უნდა შეახსენოთ, რომ საღამოს 10 საათზე სახლში იყოს, რათა ვნების ჟანგბადით ვადამდე ადრე არ დაორკეცდეს.

14905. ქალის ემოციებით გადატვირთვა საშუალებას არ იძლევა აზროვნებისას, ლოგიკისას, კაპრიზის მოთოკვისას და გონიერების დროულად მოხმობისას.

14906. „არ დაგნებდები, შე მხეცო, რას შვრები, სირცხვილი სად დაკარგე, უნამუსო ხარ, გააკეთე ხომ ის რაც გინდოდა, მე ფეხებზე გკიდივარ, გაძეხი ხომ ჩემი ხორცით? ახლა არ გინდა გაიმეორო, მეტის თავი თუ არ გქონდა რას იქაჩებოდი, ყოჩაღ, მთლად ცუდად არ არის საქმე, უფრო ენერგიულად! კარგი ბიჭი გამოდექი, მაგრამ ეგ როგორ მაკადრე ამხელა ქალს?“ – მოდი და ამის შემდეგ გაუგე ქალს.

14907. სუპერქალბატონი, ალბათ, გამოცდილი და ასაკოვანი ქალი უნდა იყოს.

14908. ბრძენი, დიპლომატი, წინდახედული, ის არის, ვინც ქალს კაპრიზს შეუნდობს.

14909. ლამაზი ქალი თავის ქმედებით შეიძლება ზიზღს იწვევდეს, მაგრამ არა იმდენად, რომ თაყვანისმცემელი არ გამოუჩნდეს.

14910. მდედრი შეიძლება ხელმიუწვდომელი, ხელშესახები, ხელშეუხებელი, ხელებსაფათურებელი, ხელწამოსაკრავი, ხელებაწეული, ხელებსაფშვნეტი, ხელმისაწვდომი, ტაშისდასაკრავი ლამაზმანიც იყოს.

14911. ქალს ვერაფერს გაუგებ: ეტყვი რაღაცას – თავხედი, კადნიერი ხარ, გაჩუმდები – არამზადა, ვიგინდარა, ახლოს არ გეკარები – არარაობა, არავინ ხარ! ისევ ჯობს მის განსჯას შევეშვათ და ისეთებად მივიღოთ, როგორებიც არიან.

14912. ქალს, პირველ რიგში, მამაკაცი, ოჯახი, შვილი უნდა, მეორე რიგში პატივისცემა, პასუხისმგებლობა, საჩუქრები, მესამე რიგში სათუთობა, გამომლაპარაკებელი, გულკეთილობა, მეოთხე რიგში ბრილიანტები, ფული, სიმდიდრე, მეხუთე რიგში სიწყნარე, დამსახურების გაფეტიშება, დაფასება, ხოლო ამის შემდგომ რა უნდა, უცნობია.

14913. ყველა მომხიბვლელი ქალი ერთნაირად ლამაზია, გულში სხვადასხვა ბოროტების გაელვებით, ულამაზო ყველა თავისებურად საშინელებაა, კეთილი გულის მცდელობის გამოვლენით.

14914. უშფოთველად, მომხიბვლელად შეყუჟვის უნარი მხოლოდ ქალის მკერდს გააჩნია, რომელიც ირგვლივ სიამეს და სინათლეს აფრქვევს.

14915. ქალის მკერდის ზომების ნორმები ვიზუალურად შემდეგნაირად დგინდება: 1 – მანდარინი, 2 – ვაშლი, 3 – გრეიფუტი, 4 – ქოქოსის კაკალი, 5 – ანანასი, 6 – ნესვი, 7 – საზამთრო და გინესის წიგნი.

14916. მოკრძალების და სექსუალობის შერწყმა ყველაზე დიდი კოზირია ქალის მაცდურ შეიარაღებაში.

14917. ზოგიერთი ქალი თავს ძველმოდურად იმიტომ თვლის, რომ რცხვენია მოდის ავანტიურისადმი უარყოფითი დამოკიდებულება ჯერ კიდევ შემორჩა.

14918. ქალის ყველაზე უტყუარი, უღალატო მეგობარი ბრილიანტია, მაგრამ მის გამოყენებასაც გაფრთხილება და ჭკუის დაწახნაგება სჭირდება.

14919. ქალი ფილოსოფიასავითაა, რაც უფრო მონდომებით უღრმავდები, ეცნობი, ბოლომდე ვერ უგებ და ხვდები, რომ სიტყვების ლამაზი „რახა-რუხის“ მადლით მოხიბლული ხარ.

14920. ქალის ტყვია და ჯავშანჟილეტია მისი მომხიბვლელობა, მაცდური ცრემლი და ღიმილი უნარი.

14921. არ არიან ფრიგიდული ქალები, არიან ცუდი მამაკაცები და უინტერესო, უინიციატივო ქალები, რომლებსაც საკუთარ თავზე შეძახებაც კი ეზარებათ.

14922. ქალმა თავის შეკავება და კონტროლი უნდა შეძლოს როდესაც უყვარს და როდესაც პირმშო უნდა შვას, რათა არ მიჰქაროს და როგორც სული, ასევე ცხოვრება სინანულით არ გაიმწაროს.

14923. ქალი სილამაზის საფრქვევადაა გაჩენილი, ამიტომ ვალდებულია ის მოხდენილად ატაროს, სულიერი იქნება ეს თუ ხორციელი.

14924. ქალები მამაკაცებს შეცდომას არ პატიობენ და თავის კაპრიზს ზედ უმატებენ და შეცდომას დანაშაულად აქცევენ.

14925. ჭრილობის მიყენება და მოშუშება ყველაზე უკეთ ქალს „ენათემწიფება“.

14926. ემანსიპაცია ნამდვილი ხვადების უკმარისობის შედეგია, რადგან ქალებს უნდა ჰქონდეთ ყოველივე ის რაც ეკუთვნით და არა ის, რასაც მიუგდებენ ან შემთხვევა მამაკაცის სახით არგუნებს.

14927. ქალები მამაკაცების არჩევაში მათი „დეფიციტის“ გამო ცდებიან და არა იმიტომ, რომ ინტუიცია ღალატობთ.

14928. ქალი იმ ულუფით უნდა შევამკოთ, რომელიც შენში ეჭვს ვერ შეიტანს და სიყვარულით დაგნებდება გულახდილობისათვის.

14929. ორგანიზებულ ნიჭს თუ იმპროვიზებულიც ახლავს, თავისი შემართებით, ის გაუკეთებელის გამკეთებელია.

14930. გმირის და კლოუნის საჭიროებას დრო განსაზღვრავს და არა – ადამიანი.

14931. თუ არა საიდუმლო, როგორც ქალი ვერ იარსებებს, ასეთები „კუხარკობისათვის" არიან განწირული.

14932. ქალები ფიქრობენ, რომ ისინი მამაკაცთა ჯიშის და ჯილაგის გასაუმჯობესებლად არიან მოწოდებულნი, და არა პირიქით.

14933. ყველა ქალი ისე გამოიყურება როგორც ცდილობს და იმსახურებს.

14934. მამაკაცის ასაკს ქალი განსჯის, განსაზღვრავს და რეზიუმეს სახით წარმოგვიდგება.

14935. პატარამკერდიანი ქალები დიდმკერდიანებთან შედარებით უფრო ჭკვიანებად გამოიყურებიან, რადგან ყურადღება არ ეფანტებათ იმათ შესამჩნევად ვინც მათი მკერდის ცქერის შემდგომ თვალებით ძღება.

14936. ლედი მაღალი წრის ქალია, სიცხე-სიცივის შეგრძნება დაკარგული აქვს, დაუნახავი თვალებით არაფერს უმზერს, არც მშიერი არ არის და რაც მთავარია, არასოდეს რჩება ყურადღების გარეშე.

14937. მხოლოდ ულამაზო ქალს შეუძლია უფარდეს ქვეყანა გრძნობების გარეშე, რადგან მას სხვა პერსპექტივა არ აქვს.

14938. ქალები რომ უგნურები არ იყვნენ, მაშინ მამრის სიბრიყვის დაფარვა შეუძლებელი გახდებოდა.

14939. ჯოჯოხეთს, ეტყობა, ქალი განაგებს, რადგან მათ თავაშვებულნი და ცოდვილნი უყვართ.

14940. ქალს ენდობი – არ ენდობი, სულერთია, მასთან ურთიერთობას მაინც გარეშე ძალები წყვეტენ.

14941. ქალი თავისი გადასახედიდან ჯადოქარი უნდა იყოს, ოღონდ ერთის პირობით – „კუდი არაფერს გამოაბას".

14942. ქალი რაც უნდა მოდაზე ჩაცმული იყოს, მასში მთავარია შევამჩნიოთ ის ქალი, რომელიც შენთვის დედიშობილადაც მისაღებია.

14943. ქალი სიყვარულით და ჭინჭებით შემოსილი უნდა იყოს.

14944. არიან უასაკო ქალები, რომლებიც მოწონების გარეშე არ რჩებიან ისინი მაგნიტივით იზიდავენ მამაკაცებს და მათთან სიამოვნებას არასოდეს გაურბიან.

14945. ქალს ვნების გამოღვიძება აძებნინებს პარტნიორს და არა – გონიერება, რომელიც მხოლოდ მოწონებისთვის არის განწირული.

14946. მავნე ქალები არ არსებობენ, არსებობენ სულის მაამებლები და ცხოვრებაში ადგილის მაძიებელნი.

14947. ქალი, რომელიც მისდაუნებლიედ ყოველდღე იცვლის ხასიათს – ნაღდი ქალია, ხოლო რომელიც შიგადაშიგ და თავისი სურვილით – ალქაჯია.

14948. ქალის ყველაზე დიდი საჩუქარია მისთვის ნანატრი მამრის მიერ მოულოდნელად ხელის თხოვნა.

14949. ქალის მოჭარბებულმა ემოციებმა, კაპრიზმა, სისულელე რომ ჩაიდინოს, კაცის ვალია ყოველივე გამოცდილების ფილტრში გაატაროს, ჭუჭყი და დანალექი სანაგვეში მოისროლოს.

14950. ხშირად გვგონია, რომ ქალმა ჩვენი ფასი იცის, მაგრამ ჩამოაშორეთ მატერიალური ბაზისი და დაინახავ ,,ბიშტს''.

14951. მდედრისთვის ეშხის სანთლებია უპირველესი და არა – შესაფასებლად გამზადებული გარეგნობა.

14952. ქალები ბუნებით მატერიალისტები არიან, რომლებიც შესაძლებელი რომ იყოს, მთელი სამყაროს სიმდიდრეს ხელიდან არ გაუშვებდნენ, მამრისთვის მთელი სამყარო და მისი სიმდიდრე ქალია. მისი მოპოვების სურვილი თეორიულად იმხელა აქვს, რომ მისი ოცნების დაკმაყოფილება შეუძლებელია.

14953. მამრი მდედრთან შედარებით პრიმიტივია, დაკომპლექსებული, ქარაფშუტა არსებაა და ამის დასამალავად და თავის წარმოსაჩენად ხელოვნებას, სპორტს, მეცნიერებას ეჩალიჩება, რათა თავი სრულყოფილად მოგვაჩვენოს, ყოველ შემთხვევაში, მამაკაცზე განაწყენებულ ქალებს ასე წარმოუდგენიათ და ეს ჭეშმარიტებას მთლად არ უნდა იყოს მოკლებული.

14954. ოცნებაში ქალი დაუმუშავებელი ალმასი უნდა იყოს, ვაჟი კი ღვთის ნიჭით დაჯილდოებული მისი დამწახნაგებელი, რადგან რაც მეტი შრომა ჩაიდება და მეტად დაიმუხტება სიყვარულით ალესილი ქალი, მით უფრო თვალშისაცემად იბრწყინებს და შურის ფასსაც დაიდებს.

14955. ქალის მორჯულებაზე ფიქრი ოცნებაშიც კი ზედმეტია, ამიტომ იმასთან უნდა დაოჯახდე, ვისაც არც მოთოკვა სჭირდება და არც გადაკეთება. თუ ასეთი არ არის, მაშინ უნდა ესიყვარულო, მაგრამ არ შეირთო.

14956. კუზიან ქალს ,,სამარე კი არ გაასწორებს'' არამედ პატარა ორმო, სადაც კუზი უნდა ჩაადებინოთ, ასიამოვნოთ–ისიამოვნოთ და გასასწორებელი და ბედზე შესაკურთხებელიც აღარაფერი დარჩება.

14957. ქალები მამაკაცებს იმდენ სისხლს სწოვენ, შეუძლებელია მათ მენსტრუაცია არ ჰქონდეთ, რადგან ისინი თავის ბალღამს ადრე თუ გვიან გადმოანთხევენ და ამას ქალის კაპრიზით გააკეთებენ თუ ქალიშვილს დაიხმარენ, სულერთია. ეს დემაგოგია და ხუმრობაა, მაგრამ სიმართლის გვერდზე დგას.

14958. ინტელექტუალსაც არ შესწევს ძალა დაგიმტკიცოს, რომ ქალზე უკეთესი სხვა რამ არსებობს, რადგან თავისი მტკიცების თავადვე არ სჯერა.

14959. ქალის მიმართ მოკრძალება ნორმაა, ხოლო ამ პოსტულატის ცხოვრებაში გატარება ინტელექტს, აღზრდას და მომადლებულ ნიჭს მოითხოვს.

14960. ქალის სახე კოსმეტიკის ასათვისებელი უსასრულო სივრცეა, ხოლო მამაკაცია – საპარსი მოწყობილობის საჯირითო ფართი.

14961. ქალისათვის კომპლიმენტის თქმა მის ცოლად შერთვის სურვილს არ ნიშნავს, მაგრამ არც გამორიცხავს, თუკი ფორტუნა ამას ინებებს.

14962. ქალთან არშიყი გამოწვევაა, ფანდია, მაგრამ შედეგი იღბალზეა დამოკიდებული.

14963. ქალებს ფულიანი მამაკაცები მოსწონთ, ცოლადაც მიჰყვებიან, მაგრამ გულით თავის რჩეულს ეტრფიან.

14964. თეორიულად ქალი ამოუცნობი, არაორდინალური და მოულოდნელობით აღსავსე უნდა იყოს, პრაქტიკულად კი მოსაწყენი, წაკითხული წიგნია, რომლის რამდენჯერმე წაკითხვა ხალისს გიკარგავს, მაგრამ იძულებული ხარ მისი ცხოვრების წიგნის ფურცლების გადათვალიერებით ვალი მოიხადო.

14965. მამაკაცები აღმერთებენ შინაგან სიმშვიდეს, ჰარმონიულ ურთიერთობას, ქალის გონივრულ მორჩილებას და მამაკაცის მოპოვების ეს ალგორითმი ყველა ქალს უნდა ხელეწიფებოდეს.

14966. ქალს ხშირად უცდება ფეხი იდეებზე, ოცნებებზე და ეს არის მიზეზი მისი კაპრიზის გამომჟღავნებისა კვადრატში.

14967. ქალის გარყვნა საზოგადოების გადაგვარებას, ოჯახის დაშლას, ქვეყნის გაქრობას, ნიშნავს.

14968. ქალები მალავენ; დედის დარიგებას, ფავორიტზე ეჭვიანობას, გარკვეულ დრომდე ფეხმძიმობას, თავის ,,ბუდის'' მოწყობის მცდელობას, ,,მარცხენა'' სიყვარულს, ავტომობილის მართვის კურსებზე სიარულს, თაყვანისმცემლის გამოჩენას, სხვა მამაკაცთან გადაცდენას, ქმრის სიყვარულს, სექსის ნდომას და სექსში მოვალეობის მოხდას.

14969. ქალი და პრაქტიციზმი ერთმანეთისაგან შორს დგანან, რადგან მას უფრო ეიფორია, თავის მოწონება და სხვისი გადაჯოკვრა აინტერესებს. მაგ. მეორადი საქონელი, რაც უნდა მაღალი ხარისხის და პრაქტიკული იყოს, სუპერმარკეტში ძვირად ნაყიდი მოუხმარებელი, მაგრამ მოდური ურჩევნია.

14970. თანამედროვე ქალისთვის მნიშვნელობა არა აქვს დროსტარების შემდგომ ვისთან დაიძინებს, მთავარია, რა მასტის მამაკაცთან გაიღვიძებს და რა სურვილებით.

14971. ყველა ქალი უნდა ოცნებობდეს, რომ სუსტი, მომხიბვლელი არსება იყოს, ვნებისმკვნეტელი მამაკაცი ეალერსებოდეს, სინამდვილეში ვიღაცაზე გადაირევა, ყველა ოცნება თავს დაგვიკრავს.

14972. ყველა ქალი მათრახს მოითხოვს, ენის მოშველიებით იქნება მოქნეული თუ საბანკო ჩეკის დახმარებით.

14973. ყველა ქალი უნიკალურია, ვინც შვილებს აჩენს სასიკეთოდ აღზრდის, ჯარში ამსახურებს, შვილიშვილებს ეთაყვანება, ქმარს ინარჩუნებს, რძალს იგუებს, თავს არსად ზედმეტად არ გრძნობს, ყველას მიმართ სიყვარულს აფრქვევს და ყველგან საჭირო და სანუკვარია.

14974. ქალს ფული კი არ უნდა გადაუხადო, არამედ – დაახარჯო, თუ გინდა მისი სული შეიცნო და არა მისი ბუნება.

14975. ყველა სილამაზეს, პატიოსნებას, უმანკოებას, ეძებს ქალში, მაგრამ ავიწყდებათ, რომ ისიც ამ სამყაროს და დროის შვილია.

14976. ყოფის გათავხედების და დროის შერყვნის მიმართ ქალები უფრო კონსერვატორები არიან, ამიტომ ტრადიციების იდეოლოგიის, რწმენის დაცვა მამაკაცებმა სჯობს ქალებს გადააბარონ, თუ უნდათ ცივილიზაციის, ფუფუნების და უგნურების მსხვერპლნი არ გახდნენ.

14977. მამაკაცი ქალს გაეყრება, გაეპარება თუ გარდაიცვლება, ფაქტობრივად ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ მდედრის თავმოყვარეობა ბობოქრობს და ქალი აფექტში რას აირჩევს, არავინ უწყის.

14978. ქალის სულს მატერიალისტის დაბანდებული ყურადღება ურჩევნია თუ იდეალისტის ნაჩუქარი ყვავილები, ამას წამხედურობით წყვეტს და არა – განსჯით და აზროვნებით.

14979. დღეს სინდისის ინვალიდობა საძრახად არ ითვლება, რადგან ფული და ფუფუნება გავაღმერთეთ და ეს რომ არაფერ სასიკეთოს არ მოიტანს, ამას წარსულის გამოცდილება-ანალიზი გვკარნახობს, მაგრამ ალბათ უშედეგოდ, რადგან ადამიანთა უმრავლესობა დღევანდელობის კაიფით მომავლის გაუანალიზებლად ცხოვრობს.

14980. საზოგადოება ქალის მიმართ ყოველთვის არ არის სამართლიანი, რადგან ის პოტენციური დედაა და სამყაროს უკვდავების შემომნახველი.

14981. დღეს ქალისთვის თეორიულად უმთავრესი ქორწინებაა, ოჯახი, პრაქტიკულად – სექსი, პიარი, ფულია, გართობაა, ხოლო რაც შეეხება შვილის ყოლას, ეს ჯერ-ჯერობით გენის კაპრიზია და ,,მეც ნახირნახირო'' – თავის მოწონების საშუალება.

14982. ყველა ქალი დედოფლობის ღირსია – ბედი რომ დაჰყოლოდა და დაბადების დრო, ადგილი და მშობლები მისთვის შეერჩია.

14983. ყველა ქალი მამაკაცს თავს ამადლის და მის აღმზრდელებს პრეტენზიას უყენებს.

14984. ქალს სილამაზეც და ჭკუაც თავისებური აქვს, რადგან ერთი ერთ მამაკაცს მოსწონს, მეორე – მეორეს, ამიტომ ქალის დანიშნულებაა მონახოს ისეთი ჩოყლაყი, რომელსაც მისი ორივე პარამეტრი უსაყვედუროდ მოეწონება.

14985. ქალს ერთი მამაკაცი უნდა უყვარდეს, მაგრამ ოცნებით მისი განწყობა-გუნების ხვადს უნდა ეძებდეს.

14986. ქალი ისაა, რომელიც მამაკაცს, ასაკის მიუხედავად, მოდუნების უფლებას არ მისცემს და ამისათვის ეროტიკის და სექსის ყველა საიდუმლო იარაღს იყენებს.

14987. ქალს გულით უნდა ვუსურვოთ, რაც შეიძლება გვიან გახდეს ეროტიკული ფრონტის ვეტერანი და სექსში შეღავათი არასოდეს მოითხოვოს.

14988. მომავალში ქალმა უნდა შეეძლოს სხვადასხვა მოწოდების მამაკაცთა ცალ-ცალკე გამონახვა: სიყვარულისთვის, საყვარლად ყოლისთვის, გართობისთვის, შვილების გაჩენისთვის, ქმრად დემონსტრირებისთვის ხასიათს და დროის მორგების შესატყვისად.

14989. ქალი თუ არ გიყვარს, დანაშაულია, თუ გიყვარს – წამება, თუ მოსახიბლავად ემზადები – ბედნიერება, მაგრამ რომელი როდის, სად, როგორ წაგმწარდება, არავინ უწყის.

14990. ქალები იშვიათად შეუნდობენ მამრებს გამუდმებულ ეჭვიანობას, მაგრამ ძალზე ნაწყენდებიან, თუ ხანდახან არ იეჭვიანებს.

14991. რატომღაც სახალხოდ ქალები სიტყვიერად დიდ პრეტენზიებს უყენებენ მამაკაცებს, ხოლო პირისპირ – უსიტყვოდ, გულში.

14992. ზოგ ქალს არშიყი არ სჭირდება, თავად გეწეპება, საკბილოსაც ნახულობს და მისთვის სასურველ ოჯახსაც ქმნის.

14993. ყველა ქალი თავისი მეობით, კაპრიზებით, ოცნებებით, შემოქმედებითი ცივილიზაციაა, საპირისპირო სქესისაგან განსხვავებით,

რომელსაც ერთფეროვნება ახასიათებს, თუმცა ერთმანეთის გარეშე ცხოვრება უჭირთ.

14994. ზოგი ქალი კალკულატორივითაა: პრობლემებს გვიმატებს, დროს გვაკლებს, დანახარჯებს გვიმრავლებს, ქონებას გვიყოფს, რათა ნაშთად შვილი დაგვრჩეს.

14995. მამაკაცის ლოგიკა ხშირად ფაქტებზე, ანალიზზე, მიზანზეა, აგებული, ქალის აბსურდულ აზროვნებაზე, პირველად თავში მოსულ გადაწყვეტილებაზე, რომელსაც თავის აზროვნების მისწრაფებად აქცევს.

14996. ქალი ეთაყვანება კავალერს, რომელიც მოხერხებულად ატყუებს, ქათინაურებს არ იშურებს, მისით ,,აღფრთოვანებულია", რადგან ეს სულზე მორგება-მოფერებით ადამიანური მოთხოვნაა.

14997. ქალი არაა ვალდებული იყოს ლოგიკური, ის უბრალოდ დაუშრეტელი ენერგიის მატარებელია ოჯახის ბუდის დაცვით, შვილების მომრავლება-აღზრდით. ხოლო დანარჩენი არ ეხება, თუ მას სურვილი არ გააჩნია.

14998. ქალი რაც უნდა ამბიციური, კარიერისტი, თავნება, იყოს, საბოლოოდ მის იმიჯს ოჯახის კეთილდღეობა, სიმყუდროვე და ღირსეული შთამომავლების აღზრდა განსაზღვრავს. ქალი თაფლწასმული ხაფანგია, სხვადასხვა სატყუარით, რომლისგანაც თავის დაღწევა ჭირს.

14999. მდედრთა მოდგმის დანიშნულებაა: თვალის და ყურის გახარება, სულის და გულის დამუნათება, სიყვარულის და ვნების დაუფლება, კაპრიზის და პეწის წარმოჩენა, საჩუქრის და კომპლიმენტის დამსახურება, ქმრისა და შვილების მოვლა-პატრონობა, ჭკუის დარიგების და გაბუტვის შერწყმა და რაც მთავარია, ოჯახის ,,პრემიერ-მინისტრობა" და მარადქალობა.

15000. მალე ქალების სადღეგრძელო იქნება: ,,გაუმარჯოს მრავალჯერადი გამოყენების მამაკაცს", – იმდენად მცირდება ამ უკანასკნელთა ოდენობა და ,,ხვადუნარიანობა".

15001. ქალსა და დედაკაცს შორის ის სხვაობაა, რომ პირველს გაწითლება კვლავ შეუძლია, ხოლო მეორეს ამის უნარი დაკარგული აქვს.

15002. ქალს ყველაზე მეტად თავისი სილამაზის კაპრიზის დათმობა უჭირს, თავის მოკოხტავება-მოწონებაზე, რომ არაფერი ვთქვათ.

15003. სამყაროს ხსნა, ალბათ, ისევ ქალების ხელშია, მაგრამ არა იმათი, რომლებიც ფუფუნებაზე ხურდავდებიან.

15004. ყველა ქალის ჩუმი ოცნებაა, მისთვის საყვარელ მამაკაცს მხოლოდ ერთი სურვილი ჰქონდეს, მათ მიმართ, უცვლელი და ,,სექსუნარიანი".

15005. მდედრმა რამდენიც უნდა ისწავლოს, იღვაწოს, თავისი ბუ-ნებით მაინც აღმზრდელია, ანგელოზია, ბებია, გოგონა, დედა, დიაცი, დედოფალია, დედაკაცია, დედინაცვალია, დედამთილია, დედობილია, დიდბებიაა, ვნების ყუმბარაა, მანდილოსანია, მადამია, მადმუაზელია, მამიდაა, მონაზონია, პატარძალია, რძალია, საქალბატონეა, სიდედრია, ფერიაა, შხვართა, ცქრიალა, წიწკვა, ჯადოქარია და მრავალი სხვა, რომელთა მოთარგმნა არ ღირს.

15006. ქალი მოხდენილი ჩაცმულობით, ყოველგვარი სტრიპტიზის გარეშე, რომლის უფლება 100000 ქალიდან შეიძლება ერთს ჰქონდეს, მოწოდებულია მამაკაცთა მოდგმა სულიერად და ფიზიკურად მოხიბ-ლოს, აღაგზნოს, რათა მათთვის განკუთვნილმა მამაკაცის „ღირსებამ“ ხანგრძლივად და ღირსეულად იღვაწოს, გულგრილობა არ შეეპაროს, უდროოდ მწყობრიდან არ გამოვიდეს და ადამიანთა მოდგმა არ იზა-რალოს.

15007. ქალის სულს, კაპრიზს, მცდელობას, ისე ვერავინ უგებს როგორც თავად ქალი.

15008. ყველა ქალის ოცნებაა: უკონკურენტო სიყვარული, უპრობ-ლემო შოპინგი, უალტერნატივოდ ოჯახის უფროსობა და ბლომად ფული.

15009. მდედრი, რომელიც აიძულებს მამაკაცს რამდენჯერმე მოუ-ხედოს, უკვე შემდგარია როგორც ქალი.

15010. ქალის კაპრიზის სრულყოფას საზღვარი არ აქვს და აქ გონიერება არაფერშუაშია, უბრალოდ, მათი გენი და უგონო გონიე-რება ასეა მოწყობილი.

15011. ჩვენ ქალი კი არ გვიყვარს, არამედ მასზე ნაოცნებარის, შეთხზულის, გახსენება, რომელშიც მას აქტიური მონაწილეობა არ მიუღია.

15012. ზოგი ქალი იმითაცაა კმაყოფილი რომ საქმრო ახლობლებმა შეურჩიეს. წინაალმდეგ შემთხვევაში, სხვაზე გადაბრალების გარეშე, ბოღმა დაახრჩობდა, რომ შეცდომა დაუშვა და ამ კაცს ცოლად გაჰყვა.

15013. თუ ქალი მამაკაცს დანებდა ე.ი. მან მასზე ის გამარჯვება იზეიმა, რომლის გამხელა თავისთვისაც არ უნდა.

15014. ქალის გონება თუ თვალების კომპლიმენტით არ არის გადატვირთული ის საქმიანი და ოჯახის ქალია.

15015. ქალში ერთდროულად შენი შვილის დედაც უნდა დავინა-ხოთ და საყვარელიც, მაგრამ თავიდან მასში მდედრის შეცნობა ჯობს, რათა დედობის დრო სასაყვედურო არ დარჩეს.

15016. ქალის მკერდის თრთოლვა უფრო აღმგზნებია თუ უკანალის საჯილაო შეხტომა არავინ უწყის, იმწუთიერი აღმაფრენის და განწყობის გარდა.

15017. ქალმა იცის რომ მამაკაცის შებრალება შეურაცხყოფაა, ამიტომ სულერთია საიდან გამოთხრის მისთან დაწყვილების მცდელობას, რადგან მთავარი შედეგია და არა – პროცესთან ღადავი.

15018. ყველა ქალი ცოლობაზე პასუხს აგებს, მაგრამ არა – მის საქმიანობაზე, არამედ პროფესიონალიზმზე, ხასიათზე.

15019. არის რაღაცა, რომელიც წესით ამაყმა ქალმა არ უნდა გაპატიოს, მაგრამ გააჩნია დროს, გარემოს, ფულს, რომელიც რეაბილიტაციის უფლებას ყოველთვის იტოვებს.

15020. ქალია ის, ვინც მამაკაცს მთელი ღამე სექსში ავარჯიშებს, ტყავს და საჩუქარს გააძრობს, დაამუნათებს, მომდევნო პაემანს გამოსტყუებს, რათა უფრო მეტად გაისარჯოს და დაიხარჯოს.

15021. საყვარელი ქალი ქალღმერთია, მაგრამ ეჭვის მოწიწებით შეტანით და მამრის იმიჯზე გადამრავლებით.

15022. თუ ქალი ტრფობის მუჭუჭია ე.ი. სიყვარულში კარგი მოთამაშეა, მას რამდენი მამრიც ეტრფის, ამდენივე თადარიგში უდგას, მაგრამ ყველა ტრფობა ჯვარის ფსკვნაზე ყოველთვის თანახმა არ არის.

15023. ქალი მამრის წინაშე ძაღლივით უკანა ფეხებზე არ უნდა იდგეს, მაგრამ შინაგანად ამისათვის ყოველთვის მზად უნდა იყოს, თუ მათ ერთმანეთი უყვართ.

15024. ყველა ქალს პოტენციური ვარსკვლავის შობა შეუძლია, თუ ბავშვი სიყვარულით არის ჩასახული, ჩაფიქრებული და შემთხვევას მორგებული.

15025. ქალებისთვის განკუთვნილ ძვირფასეულობას კაცებისათვის გამოფენენ, რათა ამ უკანასკნელთ საშუალება ჰქონდეთ მანდილოსნების მცდელობით და აქტიური ჩარევით მათვე უსახსოვრონ.

15026. ქალს შეიძლება მკერდი ჰქონდეს სხვადასხვა ზომის და ფორმის, მაგრამ მისი ვნების კოეფიციენტი ამით არ განისაზღვრება.

15027. ქალის ატაცებასა და შტანგის ატაცებას შორის ის სხვაობაა, რომ პირველ შემთხვევაში ხასიათს ეუფლებით მეორეში – წონას.

15028. ბალეტის მიმზიდველობას ისიც განსაზღვრავს, რომ ქალები ეროტიკულნი არიან და ხმას არ იღებენ.

15029. ბევრი ვნებიანი გამოთქმა არსებობს ქალებზე, მაგრამ ,,მე შენ მიყვარხარ" არაფერი შეედრება.

ქიციც და ქიცმაცურიც

15030. დოგმების გარეშე ცხოვრება ძნელია, მაგრამ „ქიცისა და ქიცმაცურის“ ძებნა აუცილებელია.

15031. ვიღაცას სხვაზე მეტად უმართლებს, მაგრამ რატომ და რისთვის, განსჯას არ ექვემდებარება, რადგან ეს გულის განსასჯელია და არა გონების.

15032. ახალი საცხოვრებელი უბანი ჭირვეული ქალივითაა, ის უნდა მოგეწონოს, შეეჩვიო, გაუგო და საბოლოოდ გაითავისო.

15033. რაც იაფია, ყოველთვის ცუდი არ არის, თუ შეძენილია ყისმათით და გონიერებით.

15034. ხანდახან შექმნილი გარემოება გვაიძულებს საკუთარ მორალს და მსოფლმხედველობას ვუგანოთ, მაგრამ მთავარი ოპტიმალური შედეგია, რომელსაც „არც მწვადი დაწვა და არც შამფური“ ჰქვია.

15035. ჯენტლმენია ის, ვინც ქალის გასაცნობად მიწიდან იმ ცხვირსახოცს იღებს, რომელიც მდედრს ჯერ არ დავარდნია.

15036. უტოპია, ფანტაზია, ისტორიის საჯირითო უნდა გავხადოთ და არა კაცობრიობის ცხოვრების წესად.

15037. ხშირად ჩვენი შესაძლებლობა სხვის თვალში მეტად გამოიყურება, ეტყობა, ან თავს არ ვცნობთ, ან ჩვენი საქმიანობიდან გამომდინარე შესაძლებლობებს.

15038. წიგნი პორნოგრაფიასა და ეროტიკაზე, თავისებური ზოგადი სახელმძღვანელოა მასწავლებლის, მოსწავლის და სკოლის გარეშე.

15039. დახარჯვის სურვილი და ხარჯვის შესაძლებლობა ყოველთვის ერთმანეთს არ უნდა ემთხვეოდეს, თორემ დაუსჯელი ამქვეყნად არავინ დარჩება.

15040. ზოგს სასმელის მიღება მოსწონს, ზოგსაც შედეგი, ზოგს კი – მასზე გაკეთებული ფული და აქ საკამათო არაფერია.

15041. ციხე ვიგინდარებისგან დაუცველი საერთო საცხოვრებელია, სადაც ისინი ამ ქვეყნის ღირსეულ მდგმურებად უნდა აქციონ.

15042. სამართლიანობაც გურმანის ხელით მოითხოვს სანელებლებით შენელებას.

15043. მეზობლის თანაგრძნობა და ცრემლის გადმოყრა ვალის მოხდის მეტი არაფერია, რომლის დაბრუნებას მანამდე არავინ გავალდებულებს, სანამ შენი მეზობელი ფეხს არ წაიტეხს.

15044. სერვისი მომსახურების სურვილი კი არ არის, არამედ მომსახურების ცოდნა.

15045. ფემინიზმი მამრთა უსუსურობის შედეგია და არა მდედრთა კაპრიზი.

15046. მეცენატიც შეიძლება იყოს შენი შვილების ავტორი, ჰობის დამფინანსებელი და თაყვანისმცემელი.

15047. სიბერე რომ გაგვეახალგაზრდავებინა სასიკეთო მაინც არაფერი გამოვიდოდა, რადგან მას უკვე ეცოდინებოდა ამქვეყნის არარაობა.

15048. ბებიები და ბაბუები შვილიშვილებთან იმიტომაც ნახულობენ საერთო ენას, რომ ისინი ერთი „ჯიუტის" წინააღმდეგ ოპოზიციაში ერთად არიან, თუ შვილი არ უჯერებს მშობლებს, არც მისი შვილები უჯერებენ შვილს.

15049. კრიტიკისაგან განსხვავებით, ოპონენტი ნაჯაფს არ უნდა გვიწუნებდეს, ის უნდა გვიჩვენებდეს, გვთავაზობდეს და ჩვენს მცდელობას აფასებდეს.

15050. ჭორის გარკვეული ნაწილი ალბათ მართალია, მაგრამ რომელი ნაწილი ღაღადებს სიმართლეს, ამის გარკვევა იყო ყოველთვის ძნელი.

15051. რისხვა და გინება სინონიმებია, რადგან ისინი ერთმანეთს უგებენ და წამლობენ.

15052. განათლებულის ქურდობას და თავხედობას, გაუნათლებლისა ვერ შეედრება და ის არც იმას იკადრებს, რაც არ ეკადრება.

15053. მომდევნო ცოდვების ჩადენა ყველას წინ გვიდევს, იმქვეყნად ღირსეულად გადასასახლებლად.

15054. ხვადი, რომელიც სასიყვარულო დროსტარების შემდეგ ყოველთვის სახლში ბრუნდება და იგივე სიამოვნებას ცოლს მიანიჭებს, უპატიოსნესი პიროვნებაა და სასჯელს არ იმსახურებს.

15055. პროფესიის ავტორიტეტს სახელმწიფოს მიერ დანიშნული ხელფასის და პრივილეგიების ოდენობა წყვეტს.

15056. ლოთს კასრში ცივი წყლის არსებობის დაჯერება არ უნდა, მაგრამ რა უფლება გვაქვს ეჭვით შეზავებული ოცნება წავართვათ.

15057. დიქტატურის შედეგად მიყენებულ ზარალს თაობები იმკიან, ხოლო თანამედროვენი მის შედეგებს კრიტიკის ქარცეცხლში ატარებენ საინტერესოა, დღევანდელებს რომ იმ დროს ეცხოვრათ, როგორ მოიქცეოდნენ – ალბათ, ისევე, როგორც წინამორბედნი, რადგან შექმნილმა გარემომ იმ დროს ასეთი წყობა ისურვა.

15058. რომ არ გავწბილდეთ, ჯობს ისევ ჩვენი თავი სხვას დააჭირვოს ღმერთმა, ვიდრე ჩვენ მათი დახმარება დაგვჭირდეს.

15059. დღევანდელი ნაციონალური იდეაა: საერთაშორისო მშვიდობისათვის ბრძოლა და გლობალიზაცია, გარემოს დაცვა და დემოგრაფიული კვოტის მოწესრიგება, ერთი სარწმუნოების შექმნა და მისი საყოველთაო გავრცელება.

15060. ჰარმონია გემოვნებისა და რამდენადაა გამოსადეგს შორის დაფიქრებას მოითხოვს, მაგრამ ადამიანის გონება მაინც არეულობისკენ მიუწევს, რათა თავის გამოცდის მიზნით კისერი წაიტეხოს, გამოცდილება დააფასოს, რომლის სარგებლიანობის აქსიომა გამოუცდელობის გამო არ იცოდა.

15061. წარმატებას უამრავი მხარდამჭერი ჰყავს, მაგრამ წარმატებას წარუმატებლობის გარეშე ცხოვრება რომ უჭირს და ერთმანეთის გარეშე არსებობა არ შეუძლიათ, ბრბოს ეს არ ესმის და არც უნდა რომ გაერკვეს.

15062. საჭიროების დროს ფაქტის და წესიერების დამფუძვნებელი მუშტია.

15063. ყველა ჩვენგანი ვნებით სარეალიზაციო პირია, იმ განსხვავებით, რომ მდედრის ექსპლუატაციაზე საგარანტიო ვადის გაცემა შეიძლება, ხოლო მამრი ამას მოკლებულია, რადგან ის ასაკის გადასახედიდან ან ვარგა ან – არა.

15064. ყველა ჩვენგანი სიყვარულით უნდა იღვწოდეს დაფასებული საქმიანობისკენ, ხოლო შეგნებით – დაუფასებლისკენ, რათა თავი სიკეთის მთესველად და საჭირო ადამიანად ვიგრძნოთ.

15065. ღალატს სქესთა ფიზიოლოგია, შემთხვევა განსაზღვრავს და არა – გარდაუვალი აუცილებლობა, აღზრდა.

15066. შეიძლება მდედრით უკმაყოფილო იყო, მაგრამ მას ვნების ჯერი არ უნდა დააკლოთ, რათა საქმის გარჩევისას სასაყვედურო ხელიდან გამოაცალოთ.

15067. გარკვეულ დრომდე და მის შემდგომაც პოლიცია არავის უყვარს და მასთან ურთიერთობას, თუ არ დასჭირდათ, ერიდებიან, რადგან მათი გამოყენების მარგი ქმედების კოეფიციენტი პრაქტიკულად, თეორიული სურვილებისაგან განსხვავებით, უმნიშვნელოა.

15068. მორცხვი ღიმილი იპყრობს მოწინააღმდეგე სქესის გულს, ურცხვი – მის სხეულს, ცინიკური კი მხოლოდ მანჭვა-გრეხით მოპოვებულ ალერსს ჯერდება.

15069. პოპულარობა როგორ შემოგვეპარება და როგორ გაგვიძვრება ხელიდან, თვით განგებამაც არ უწყის.

15070. ყველაზე დიდი მსტოვარი ის არის, ვინც თავის მეუღლის წინაშე ჯერ არ გაშიფრულა და არც გაიშიფრება.

15071. არ შეიძლება იმ დროის „ფეშინას“, ჩვენი დროის „ყომარით“ ვეთამაშოთ და განვსაჯოთ.

15072. ყველას თავი ყოფის „ტაილეირანად“ უნდა მიაჩნდეს ოღონდ განსჯით და ზომიერების ფარგლებში თუ უნდა ერს, ქვეყანას, შინაურებს რაიმე შემატოს და თავსაც არგოს.

15073. ხელმძღვანელი სამსახურში გამოცხადებას აყოვნებს უზრდელობის გამო, ხოლო ხელქვეითი აგვიანებს დაბნეულობის შედეგად.

15074. სუფრის ყადრი ყველამ არ იცის, მაგრამ შესაფერისად ილხენს, ასევე წიგნსაც – შემფასებლად თავისი გურმანი ესაჭიროება, რათა კითხვისაგან ყველამ მისი წილი სიამოვნება მიიღოს.

15075. სიზარმაცე პროგრესს წინ მიათრევს, რადგან ადამიანმა თავისი სიზანტე ახალი ძიების ჩხირკედელობით უნდა გაამართლოს.

15076. სიკვდილი ყველაზე მეტად მიცვალებულის ახლობლებს ამშვიდებს, თუკი მას განუკურნავი სენი სჭირდა.

15077. „ხელის დამცლელთა“ ოდენობა ვიგინდარა დროის ყივილზე და ყოფის გათავხედებაზეა დამყარებული.

15078. მედიდურობა – გარყვნილი ოცნებაა, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს კაცობასთან.

15079. სიტყვიერად ბოდიშის მოხდას, მინიშნებით, მიმიკით, პანტონიმის ჩვენებით ჯობს – უფრო გულწრფელი, დაუტანებელი და ნაღდია.

15080. თხოვდებიან ისინი, ვისაც ამ სურვილის არ რცხვენია და თავის ფასთან ვაჭრობა ეხერხება.

15081. უარის თქმასაც თავისი პათოსი უნდა ახლდეს: „თქვენ ამ ადგილისთვის შეუფერებელად ჭკვიანი ხართ“.

15082. ქუჩას ის მოერგება, ვინც პრეტენზიულია და ცხოვრების დასაწყისშივე არ უმართლებს.

15083. უკანდახევა, ჯერ კიდევ დამარცხებას და ლაჩრობას არ ნიშნავს, თუ ეს წინასწარ დაგეგმილია და ამას შექმნილი გარემო მოითხოვს.

15084. ასაკის ხაბა-ხუბა თვალების კრთომა-გაბრწყინების ინტენსივობით უნდა განისაზღვროს და არა – დაბადების მოწმობით.

15085. რაც უფრო მდიდარია თქვენი მეგობარი, მასთან ურთიერთობა მით უფრო ძვირი ჯდება.

15086. ეროვნული იდეის, მიზნის წამოწევის გარეშე ბრბოს მობილიზება, ხალხის მხარდაჭერის მოპოვება და სასიკეთო საქმის კეთება ჭირს.

15087. ყველა სიავე რომ ისჯებოდეს, კაცობრიობა გადაშენდებოდა, იმდენად ცოდვილნი და დაპირისპირებულნი ვართ ერთმანეთის მიმართ, მაგრამ ამ დაპირისპირების გარეშეც ცივილიზაცია წინ ბიჯს ვერ წარსდგამდა.

15088. სიყვარულის უნარი ხელოვნებაა, მოწონება ხელოსნობაა და ყველა მოკვდავისთვის ხელმისაწვდომი, მაგრამ აქაც პირველ-მეორეზე გათვლით და შურით.

15089. თუ მოხერხებულობის ხელოვნებას ფლობთ, ამქვეყნად იმასაც შეირგებთ, რაც არ გერგებათ.

15090. ჩვენში ორჯერ ორის ოთხობას არავინ დაგიჯერებს, თუ მასში თავის სარგებელიც არ ნახა.

15091. დამნაშავეა დაზარალებული, თუ ის ცუდი შემნახველია და არა ის ვინც შეუმჩნევლად აიღო.

15092. ზოგს ისეთი მოთაფლულა ენა აქვს, რომ მისი დედისგინებაც კი მლიქვნელობად გამოიყურება.

15093. ვირეშმაკობა გონიერებაში არეული თავხედობა და რისკია.

15094. ფანები და კუმირები უერთმანეთოდ ვერ იარსებებენ, მაგრამ „დრონი მეფობენ". პირველი სიყვარულს სიცოცხლის ბოლომდე ინარჩუნებს, ხოლო მეორეს თაყვანისმცემელთა ყავლგასული აღმაფრენაღა ახსენდება.

15095. კარიერის ანბანია ნაკლები კითხვების დასმა, მორჩილი თვალები და უტყუარი ალიბი, რომ უფროსს ადგილში არ ეცილები.

15096. თანამედროვე პირობებში ჟანრის აღრევა ადვილია, ცდუნების დაძლევა და თვითმყოფადობის შენახვა – ძნელი.

15097. ზოგს დანაშაული ფეხდაფეხ დასდევს, ზოგიც თავად დასდევს, ასე რომ კაცია და გუნება, გენია და ბუნება.

15098. ზოგჯერ ცხოვრება სატკეპნელით გადაგივლის, ასფალტად გაქცევს და მასზე სეირნობის უფლებას შენს მტრებს არგუნებს, მაგრამ ბედის დროებით ზურგის შექცევას შემართება, მოთმინება, მოხერხებულობა უნდა დაუპირისპიროთ, რადგან განსჯისთვის დრო ყოველთვის საკმარისია და ყავლი არ გასდის.

15099. ყველას შეიძლება გვქონდეს თავისებური გადახრა, მაგრამ არა სხვის ხარჯზე.

15100. პროდიუსერის ჯიბის საამებლად კინოში ხშირად ის სამართალი იმარჯვებს, რომელიც მაყურებლისთვის ახლოა და მოსაწონი.

15101. ჭორის ფანტაზიასაც თავისი ალიბი აქვს, იმისდა მიხედვით, რის დანახვა სურს და რისი წარმოდგენა შეუძლია.

15102. ვალი არავის არ უნდა ჰქონდეს, მაგრამ მევალეები უნდა გიფვარდეს, რადგან ისინი შენგან დავალებულნი არიან ე.ი. ვალდებულნიც.

15103. დღეს შამპანურს ისიც სვამს, ვინც რისკი გასწია და ისიც, ვინც ეს სარისკო საქმე ჩააწყო.

15104. ქალბატონი იღბალი არ უნდა ვაცდუნოთ, რადგან ხშირად ჩვენს მხარეს არის და თუ ვერ ვიყენებთ, ჩვენი ბრალია.

15105. ოცნება ცხოვრების მოწყობაშიც გვეხმარება და სულის გადაღლაშიც.

15106. ზოგისთვის ერთხელ ყურის აწევა, რამდენიმე საათი, დღე, წელი აღმზრდელობითი მუშაობის ჩატარების ტოლფასია.

15107. სახელმწიფოს ინტერესების სახელით ხშირად უგვანო ძალაუფლებას ვემსახურებით, რადგან მათი შერჩევის, განსჯის, ხეირიანი უნარი ხალხს არ შესწევს, მიუხედავად იმის ცოდნისა, რომ ყველა ზევით მოკალათებული მეტ-ნაკლებად დამნაშავე, მოძალადე, ვიგინდარაა იმისდა მიუხედავად ჩვენი „ნარჩევია თუ არჩეულია“.

15108. შულერთა ხელში დიდი შესაძლებლობაა, რადგან დამთრგუნველი მომხიბვლელობა მათ ზომაზე მეტი აქვთ, მოხერხებულობასა და შემართებაზე რომ არაფერი ვთქვათ.

15109. სიკეთის კეთების სურვილი ყველას გვაწუხებს, დროის და შემართების უქონლობის მომიზეზებით.

15110. ყბედის მომღლელი და გამსავათებელი ისევ ყბედია, ოღონდ კვადრატში.

15111. გინება და არანორმატიული ლექსიკის გამოყენება ცივილიზაციის მოწოლისგან თავდაცვის ერთ-ერთი ჭანჭიკია.

15112. „მე მომწონს“ და „უფროსს მოსწონს“ შორის დიდი განსხვავება არ არის, თუ ზემდგომი შენს მიმართ კეთილად არის განწყობილი.

15113. „არ მინდა მუშაობა“ და „სამუშაოს ვერ ვნახულობს“ შორის სხვაობა უმნიშვნელოა, რადგან ორივეს სურვილს, მცდელობა აკლია.

15114. მდგომარეობათა გამო, ჩვენში საქურდლად ყველა მზადაა, იმის მიუხედავად, ეს საქმე ხელეწიფება თუ არა.

15115. ზოგს, ნერვების დასამშვიდებლად, სხვაში იმ ნაკლის აღმოჩენა სჭირდება, რომლისთვისაც მისი შეყვარება შეუძლია, ოღონდ თავისი გადასახედიდან.

15116. კომპრომისი სიბრძნის მაჩვენებელია და არა – სისუსტისა, რადგან საშუალებას გვაძლევს ნიჭი, შესაძლებლობა, წარმოვაჩინოთ, მისაღები რჩევა გავითავისოთ, მიუღებელს გვერდი ავუაროთ, დრო მოლაპარაკებებში მუქთად არ გავფლანგოთ და საკუთარ ამბიციებს ქვეყნის და მოსახლეობის ინტერესები არ გადავაყოლოთ.

15117. ქრთამის გაღების ბევრი მიზეზი არსებობს, იგი ქვემდგომისაგან ძღვნად ჩაითვლება, თუ ზემდგომი მას გამოცდილებას უზიარებს, აკვალიანებს და პატრონობს.

15118. ლუდი ორი სახის სიამოვნებას გგვრის, როდესაც უზომოდ სვამ და უფრო მეტად, როდესაც მისგან თავისუფლდები.

15119. მუქთას ღარიბიც ეტანება და მდიდარიც, არა იმდენად სიიაფის გამო, რამდენადაც „სხვამ არ დაგვასწროსო“.

15120. ცხოვრებისეული წვრილმანია, თუ ზოოპარკს დარაჯი უკითხავად დროებით საყარაულოს დატოვებს, მაგრამ თუ ამ საკითხის განხილვაზე დათვები თავს იკავებენ, აქ განსჯისათვის ადგილი კიდევ რჩება.

15121. სტალინი, როგორც პიროვნება, გარემოებათა და თანამოაზრეთა კონკურენციის გამო ცუდი კაცი იყო, მაგრამ როგორც თავის დროის ტარტაროზმა პატივისცემა დაიმსახურა, რადგან არავინ იცოდა ქვეყანა როგორ ემართა იმ დაპირისპირების დროს.

15122. სიტყვას აწონ-დაწონა უხდება და არა სიგრძე-სიგანის გაზომვა. პირველი უფრო კონკრეტული და საიმედოა.

15123. პატივი ღირსეულ მოწინააღმდეგეს უნდა მივაგოთ, ხოლო ქვეშქვეშა და მუხთალი სანიმუშოდ უნდა დავსაჯოთ.

15124. სიკეთის კეთებისგან შორს არ უნდა ვიდგეთ, მაგრამ არც სიავე უნდა მოვისროლოთ შორს, არავინ იცის, რა დროს რა გამოგვადგება.

15125. ფაქტები დიდი კოზირია, მაგრამ პატრონია მოწინააღმდეგეზე გასამარჯვებლად არ გამოდგება.

15126. გლობალური ხედვის სიკეთე ის არის, რომ წვრილმანებზე და პატარა წყენაზე არ ხურდავდება.

15127. კარიერისთვის ჩადებული ფსონი რაც მეტია, მით უფრო მეტი ჭუჭყი და უმადურობაა.

15128. ზოგჯერ ერთადერთი გიჟური საქციელი მთელი ცხოვრება სამახსოვროდ დაგრჩება, თუ არ გაგიმართლა და მშვიდობიანად თავი ვერ დააღწიე.

15129. მომავლის იმედი ოცნებით იწყება, პერსპექტივა ჩანაფიქრის რეალიზებით, აღიარება – შედეგის ჩვენებით.

15130. მონდომება და სწრაფვა, შემთხვევასთან ერთად, ყოვლის-შემძლეა.

15131. კარიერის კეთების ბევრი ხერხი არსებობს, მაგრამ საკუთარ შემართებას და სათანადო შემთხვევას ვერაფერი შეედრება.

15132. კარიერა თავისებური კაიფია, მაგრამ მოვალეობათა გამო სულს ვერ ათბობს.

15133. დემონის და ანგელოზის შეცდენა ცოდვად არ უნდა ჩაით-ვალოს, რადგან პირველი სიკეთისკენ უნდა გადაიხაროს, ხოლო მეო-რემ ყოფის მადლი უნდა შეიცნოს.

15134. ნაცნობსა და მეგობარს შორის ის სხვაობაა, რომ ორივეს ფულის თხოვნა შეუძლია, ერთს სესხად, მეორეს – ხელის გასამართა-ვად.

15135. მიწასა და დედამიწას შორის ის სხვაობაა, პირველით თავს ვირჩენთ, მეორეთი – კოსმოსში დავსეირნობთ.

15136. სიფვარულს მტკიცება კი არ სჭირდება, არამედ – თავთან ჭიდილი, გრძნობათა შეხლა-შემოხლა და სასიკეთო ფინიში.

15137. კარიერისთვის თანდათანობით იზრდებიან და არა ხელის წამოკვრით, ვიღაცის დამადლებით და მთელი ცხოვრების დაფვედრება-ვალით.

15138. გემოვნებაზე არ დაობენ, რაც უნდა წამხდარი გუნების და სულის გვეჩვენოს.

15139. სხვისთვის ზიანის მიყენება დიდ ჭკუას არ მოითხოვს, მაგრამ ისე ავნო, რომ ალიბიც გქონდეს, დიდად გაცვეთილი ვინმე უნდა იყო.

15140. შეცდომის აღიარება კი არ არის მთავარი, არამედ მისი გააზრება და დასკვნების გამოტანით მობოდიშება.

15141. სიმკაცრე და მიზეზი ხშირად ერთმანეთს დამცველად ევლი-ნებიან.

15142. ტკბილი სიტყვა სასიამოვნო თვალთმაქცობაა, სანამ მწარე სიტყვები არ აჟღერდება.

15143. წარმატებას ის აღწევს, ვინც ბუნებით შეუპოვარია და ადრე დილით სხვისი ფეხზე წამოგდებაც არ ავიწყდება.

15144. თუ არ შეგიძლიათ ჭეშმარიტებას ეკამათო, მაშინ მის ავ-ტორს გამოუჩხრიკე შენი გამოგონილი კრიმინალი.

15145. გათავხედება, გახელება, გაცოფება, გაშმაგება თუ რევოლუ-ცია, ბუნტი, ჯანყი, გარადქმნა. პირველთ ზოგჯერ სასურველი შედეგი

მოაქვს, ხოლო მეორე უშედეგოა და მათი ნამოღვაწარი ადრე თუ გვიან კარს გაიხურავს.

15146. სნობიზმი და მეგობრობა ერთმანეთთან შორს დგას, მაგრამ კარიერის კეთებისას ერთმანეთს ადგებიან.

15147. თავმოყვარეობასაც თავისი ოფოფები ჰყავს: ერთი მდედრს რაიმე გადაბრუნებული სიტყვის გამო მეორედ ახლოსაც არ გაიკარებს, ხოლო მეორე გულს შეუღონებს, გრძნობების კორიანტელს ტვირთად აჰკიდებს და უაზრო დაპირებებით თავსაც და სხვებსაც გააწვალებს.

15148. ზოგი მუდამ მეორეა და ეს მას ხელს არ უშლის ყველასთან თავისიანი და პოპულარული იყოს.

15149. ქვეშევრდომს გარკვეულ დრომდე უნდა ახსოვდეს, რომ ძლიერი ხელისუფლების ხელში საქმის სანაქებოდ კეთებისათვის კი არ უნდა იღწვოდეს, არამედ მაამებლობისთვის, რათა მასში ძლიერი პიროვნება და კონკურენტი დროზე ადრე არ დაინახონ.

15150. რატომღაც ადამიანს მაშინ ვაფასებთ, თუ ის დინების წინააღმდეგ ილტვის, მაგრამ იმის განჭვრეტა არ გვინდა, იქნებ მდინარეს უკეთეს გზაზე მივყავართ.

15151. სკანდალი მცოდნეთათვის ფულის შოვნის ყველაზე გაიაფებული საშუალებაა.

15152. შეიძლება კარგი კაცი იყო, მაგრამ ცუდი მოქალაქე ან უხერხულო მმართველი და პოტენციური დამნაშავე ხალხის წინაშე, თუნდაც იმიტომ, რომ კარიერის საფეხურების დაკავებაზე უარს ვერ ამბობ და გასამართლებლად ყველა უხეირო ალიბს იშვილებ.

15153. კარიერას სიმართლის თავისი გადასახედი და დაჭაშნიკების სურვილის ალიბი ყოველთვის გააჩნია.

15154. ასაკში ხშირად იმ დამუხტული ენერგიის გამოყენებას ვცდილობთ, რომლის გახარჯვა ჯეელობაში არ დაგვჭირვებია.

15155. მომხმარებელი განსაკუთრებით მაშინ არის „მართალი“, თუ დამატებით რაღაცას იძენს, კრედიტი ჯერ არ დაუფარავს და თან გულსაც ამადლი კარგი საქონელი, ხელმისაწვდომ ფასში „დაუთმე“.

15156. მდიდრული ურთიერთობა ჯიბეზე ხელის გაკვრასაც მოითხოვს, რადგან კავშირის დუღაბი მის გარეშე არ არსებობს.

15157. ყველა მეჯლისს თავისი დედოფალი და პრინცი უნდა ჰყავდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მჯობნის-მჯობნის და პეწის გარეშე გართობასაც ფასი აკლდება.

15158. პოეტი, კომპოზიტორი, მეცნიერი, რეჟისორი, ნახელავის გამომზეურებამდე დიქტატორია, გამომზეურების შემდგომ დემოკრა-

ტად გადაიქცევა, რადგან მისი პოპულარობა მცირდება და უმთავრეს დიდებას შემსრულებელი იმკის. ასე, რომ დიდების პოტენციური ენერგია, აღიარების კინეტიკურში გადადის. აქაც ცხოვრების კანონზომიერებაა – სხვასაც უნდა წარმოჩენა შენი სახელით, ხოლო ამ სახელის შენარჩუნება შემსრულებლის უნარზეა დამოკიდებული.

15159. წინასწარ უნდა ვიცოდეთ, ვის რა და რისი გაკეთება შეუძლია, რათა არც ისინი გავაწბილოთ და არც თავად გავწბილდეთ.

15160. გვირაბის ბოლოს სინათლე კი არის, მაგრამ არც გვირაბი მთავრდება და თანაც ღამდება.

15161. ცოდნა ძალაა, ანალიზის უნარი ძალაუფლებაა, ფანტაზია შემოქმედბა, ხოლო ყოველივე ამას თუ ერთმანეთში გარკვეული დოზით აურევთ, საჯილდაო ხელოვნებას მივიღებთ, რომელიც მუდმივიცაა და აწმყოსთვის დასამახსოვრებელიც.

15162. თავხედია ის, ვინც ცოტას იძლევა და ბევრის მითვისებას ფიქრობს, ხოლო თუ ცდილობს კიდეც – თავხედზე თავხედია.

15163. რწმენა ეს სამშობლო, თავისუფლება, მატერიალური კეთილდღეობაა, ყოველ შემთხვევაში, ნაციონალიზმის „ბაზარი" ასე იწყება, იკვეთება და ფრთების შესხმას ფიქრობს.

15164. საკუთარი თავის შეფასება-გადაფასების უნარი საშუალებას გვაძლევს სხვაშიც არ შევცდეთ.

15165. წარსულის ხსოვნა-დაფასება საჭიროა, მაგრამ არა იმდენად, რომ მომავალზე არ იზრუნო და აწმყო დაივიწყო.

15166. უზნეობის შეცნობა რატომღაც ყველას გვხიბლავს, ალბათ, იმიტომ რომ ერთმანეთს ნიშნი მივუგოთ.

15167. ეშმაკი ადამიანის ცდუნების გარეშე ვერ იარსებებს.

15168. არშინი მეტრმა შეცვალა, მაგრამ ცხოვრებას მაინც თავის არშინით ზომავენ.

15169. თავის კაცად ცნობა ადვილია, მისი დამტკიცებაა ძნელი.

15170. ნდობა ის ფენომენია, რომელსაც ყველა იმსახურებს, მაგრამ ყველაზე არ გაიცემა.

15171. მოსაფერებელი ხელი მტერსაც კი უნდა გაუწოდო, თუ ამის საჭიროებას არსებობს.

15172. გრანტი, ხელისუფალის წიგნის გამოცემა სხვა ქვეყანაში, სხვის ხარჯზე, იგივე ქრთამია, მაგრამ ლეგიტიმური ალიბით.

15173. ძღვენი უსამართლოა თუ სამართლიანი, მაინც ქრთამია, რადგან შენდამი მატერიალურად გინდა ვიღაც უკეთ განაწყო.

15174. უნდობლობის ბაცილა ყველა ჩვენგანში უნდა იდოს, თუ გვინდა ნდობის შამფურზე არ წამოგვაგონ.

15175. კორუფცია იყო და იქნება ყველა ახალ წამოწყებაში პარტიულობის, პატრიოტიზმის, ბაზისით და ზედნაშენით.

15176. ზოგჯერ სხვის დასანახად ორმოში ჩავარდნაც შეიძლება, თუ ამოსვლის ხერხი იცი.

15177. ბუნება-გუნების მიუხედავად, ფათერაკების გამოცდა ყოველთვის აუცილებელი არ არის, იმის მიუხედავად, რომ პროგრესი მის გარეშე ნაბიჯს ვერ წასდგამს.

15178. წარსულის შთაბეჭდილება შეიძლება გადაგვარებული-დეგრადირებული ხალხიდანაც დაგრჩეს, მაგრამ მინუსით.

15179. თანამდებობა მიკერებული ღილივითაა, ვინც მოგაკერა, ხშირად მასვე უხდება მისი გადაადგილება.

15180. თავს რა ალიბიც უნდა მოუძებნოთ, ქონების დაგროვება გონიერებაზე თუ არა, მოხერხებულობაზე ხომ ჰკიდია?

15181. მოხერხებულობას იქაც კი შეუძლია ხეირის ნახვა, სადაც გონიერებისთვის მიუწვდომელი ვითარებაა.

15182. ულირს ვითარებაში თუ არაფერი კარგის კეთება არ შეგიძლია, თავი უნდა მოარიდო, რათა არ გაილანძღო.

15183. უვიცობა საქმის მკეთებელს ვნებს და არა – უსაქმურს.

15184. უგნურს ჭკვიანი არ უყვარს, მაგრამ მისდაუნებურად პატივს სცემს და მასთან ნაცნობობით ამაყობს.

15185. პიროვნებაა, ვისი სიდიადეც სიცოცხლეში თანამედროვეთ აფრთხობს, ნერვებს უშლის, გარდაცვალების შემდგომ მას დანანებით, აპლოდისმენტებით და ღიმილით იხსენებენ.

15186. ზედმეტად სერიოზულობა უნებლიე სიბრიყვის ნიშანია.

15187. სიბრიყვეს თავისი დივიდენდები აქვს და ხშირად ბარტერის როლსაც ასრულებს, წინააღმდეგ შემთხვევაში უყურადღებოდ დარჩებოდა.

15188. რისხვას ყოველთვის აქვს საბაბი, მაგრამ ყოველთვის არ ჰყავს მომთოკავი.

15189. თანამდებობის ყველა სავარძელი ვაკანტურია, მაგრამ არა – ცარიელი და უსარგებლო.

15190. ზოგჯერ სიცრუე სამართლიანობის წარმოსახვას ეხმარება, განსაკუთრებით, თუ ვიღაცას სიამოვნებს.

15191. თეორიულად ხალხი უნდა გიყვარდეს, ერს უნდა ეთაყვანებოდე, ახლობლებს გვერდში უნდა ედგე, მაგრამ პრაქტიკულად მათ

ნამოქმედარს თვალს რომ გადაავლებ, ხშირად შეკურთხების ხასიათზე დგები.

15192. დღევანდელობის გადასახედიდან ,,მიზანი ამართლებს საშუალებებს'' დღის წესრიგიდან არავის მოუხსნია.

15193. გამძლეობა, მოცდა, მარჯვედ ჩასაფრება, დღეღამურ საქმიანობას მოითხოვს, რომ გაგიმართლოს და საწადელს მიაღწიო.

15194. ყბედობა და არა მასლაათი ჩემთვის მიუღებელია, რადგან მოსმენის ხელოვნების ცოდნა დასუფთავებას მოითხოვს.

15195. შეცდომებისთვის თავის არიდებაა ვაჟკაცობა და არა – მონანიება, როდესაც ფაქტი სახეზეა და სხვა გამოსავალი არ გაქვს.

15196. შეცდომაზე ფეხის ხელმეორედ წატეხვა რეციდივის გაუვნებელყოფის საფასურად არ გამოდგება.

15197. გაყრის საბაბი ყოველთვის მოიძებნება, მათ შორის, უსაბაბო, თუ დაშორების სურვილი ორმხრივია.

15198. ძალადობას, მოხერხებულობას, არც ერთი წინასწარმეტყველი არ გამორიცხავს, თუკი თავის რწმენას მეორეს თავზე მოახვევს.

15199. ირგვლივმყოფთა სიფარულს, პატივისცემას, თანადგომას, მაინც მატერიის სუნი ასდის.

15200. მონდომებულ დაკაკუნებას ყველა დახშული კარის გაღება შეუძლია, მაგრამ შედეგს მაინც შემთხვევა და აზრიან ხასიათზე ყოფნა წყვეტს.

15201. შედავება, შეკამათება, მაჩვენებელია, რომ შენი მოთხოვნები ვიღაცას არ მოეწონა ან მისი სურვილი სათანადოდ ვერ აღიქვი და შეაფასე.

15202. შენთვის არასასიამოვნო, მიუღებელი, არ ნიშნავს რომ სხვა გამოსავალი არ არის, უბრალოდ თავად არ ინდომე და კომპრომისი არ მოიძიე.

15203. არის ხალხის კატეგორია, პროფესია, რომელიც არ უყვართ, მაგრამ ეკრძალვიან და ეს არის ადამიანის უცნაურობის თანდაყოლილი ნიჭი (უშიშროების თანამშრომელი, ნაყაჩაღარი).

15204. დემაგოგია სიმართლის ბაზარზე სავაჭროდ გატანაა, რომელიც მისთვის ხელსაყრელ სამართლიანობას გვთავაზობს, რაც ჭეშმარიტებისგან და აღზრდა-ტრადიციებისაგან შორს დგას.

15205. ირონია კაპრიზის მოთხოვნებია და არა ქალის ვერაგობისა, რომელიც ყველაფერს ცდილობს, რომ როგორმე ყურადღება მიიქციოს.

15206. ჭორი ისეთი რამაა, თუ სხვა არ გასვარე, ისე ვერ გაყიდი.

15207. ქალი იმდაგვარად უნდა შეიყვარო, რომ მიტოვებისას დიდად გული არ დაგწყდეს.

15208. სიმდიდრე და სიღარიბე, საშუალო შეძლებასთან შედარებით, თავისუფლები არიან და ხშირად ცხოვრებაში ყველაზე მეტს ისინი აღწევენ და საზოგადოებისათვის ცნობადები არიან.

15209. ბიუროკრატს კანონებით ვერ ებრძვი, ამიტომა ცხოვრების გამოცდილება, მოხერხებულობა და „მოგვერდის" ცოდნა უნდა დაუპირისპირო.

15210. ცინიზმი გამოწვეულია ცხოვრების მოუწყობლობით, თავის გამოუჩენლობით, რწმენის დაკარგვით. მიუხედავად ამისა, ის მცირე დოზებით საზოგადოების, ადამიანის გაჯანსაღებას ემსახურება, მაგრამ მას თავის საჯინიბო უნდა მიუჩინოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბევრ უსიამოვნებას შეგვყრის.

15211. ზოგი ისეთ თანამდებობაზე იღვწის, რომ ქვეშევრდომები მისი დაწინაურებითაც კმაყოფილები არიან და მისი სამსახურიდან განთავისუფლებითაც, რადგან ორივე შემთხვევაში კარიერისაკენ მიმავალი კიბის საფეხურები თავისუფლდება.

15212. დანახული მონაყოლს ყოველთვის ვერ ჯობნის, რადგან თვალების ცეცებას თავისი გამოცდილება და განსჯის ცოდნა სჭირდება.

15213. პირდაპირი საუბარი, რომელიც გარკვეული წრისთვისაა განკუთვნილი აზროვნებას აუხეშებს, რადგან მას სითბო და სითამამე აკლია.

15214. ბოდიშსა და ბოდიშობანას შორის ის სხვაობაა, რომ პირველი გულით გრძნობს თავის შეცდომას და დანანებით ითხოვს პატიებას, მეორე იძულებითია და ყასიდად.

15215. ზოგჯერ საკითხის გადასაწყვეტად მრისხანება საჭიროა, მაგრამ ნერვების აუშლელად.

15216. პირველადაა უარის თქმა ძნელი, თორემ შემდგომ ეჩვევი და სიამოვნებასაც განიცდი, უარის თქმის უფლება რომ მოგეცემა.

15217. ყველაზე უკეთ ის მუშაობს, ვინც დასვენების ფასი იცის და მისი ორგანიზება ეხერხება.

15218. ძლიერმა ერთხელ შეიძლება აპატიოს, შეუნდოს და არა – მრავალჯერ, რათა სუსტს „რაიმე არ შეეშალოს".

15219. გონიერებისგან განსხვავებით, ძალას პატივი ყოველთვის ქლესაობით უნდა მივაგოთ.

15220. თეორია და პრაქტიკა მანამ დაობენ, სანამ საერთო ენას არ გამონახავენ და ერთმანეთს ხოტბას არ შეასხამენ.

15221. ბრიჯვებმა, გონიერთაგან განსხვავებით, ჯელაფერი ზუსტად და ზედმიწევნით იციან და ამაში ეჭვიც არ ეპარებათ.

15222. ჯადოსნობა ქალაქში ბიზნესია, სოფელში – ცხოვრების წესი, ხოლო საკუთარი ყოფით შეწუხებულ ბრიჯთა ოდენობა ისტორიულად არსად არ კლებულობს.

15223. მამაკაცის დასაბმელად საჭიროა: ქიცის და ქიცმაცურის ცოდნა, ბუნებრიობა და უბრალოება, დროის და გარემოების შესაფერის მოდაზე ჩაცმა, დაახლოება იმგვარად, რომ მან შენში ქალი დაინახოს და არა – ,,ძმაკაცი", იცოდე საუბარი იმ თემებზე, რომელიც მას სიამოვნებს და აღამაღლებს, ჯელაფერზე უცბად ნუ დაეთანხმებით, ჭამას ნუ მიეძალები, ეცადე იყო ,,ფორმაში", ეკამათო, მაგრამ ხშირად დაუთმო, მთავარია, კეკლუცობა არასოდეს დაივიწყო, რადგან ეს უკანასკნელი მამაკაცის ,,დაბმისთვის" უძველესი და უძლიერესი იარაღია.

15224. პირველ დაბეზღებამდე, ღალატამდე, ჯელა ერთგულებას გეფიცება, გამომჟღავნების შემთხვევაში ალიბის ძებნაშია.

15225. შეცდომა, რომელიც გამოსწორებას არ ექვემდებარება, განგების ნებაცაა და პასუხისმგებლობა მასაც უნდა ავკიდოთ.

15226. დღევანდელი ყოფა, არც იმ დროს ემთხვევა, რომელსაც ჩვენ შევნატროდით და არც ჩვენს ნალოლიავებ ოცნებებს, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ჩვენი სურვილი, კვადრატში, კუბში, ახდა, ოღონდ სახეშეცვლილად და მრავალი კითხვით.

15227. სირცხვილის გრძნობა გვარიშვილობის მაჩვენებელია, უსირცხვილობა – ვირიშვილობის.

15228. სირცხვილი ღირსების საყრდენია, შიშის უარყოფა, ცივილიზაციასთან შეგუება, რადგან ის ადამიანისთვის აუცილებელი გრძნობაა, თუმცა მაინც დროის გადასახედიდან.

15229. მასის საწამლავი სარწმუნოებაცაა, პოლიტიკაც და შეკეთებული ისტორიაც, საკუთრივ უგონო გონიერებაზე, რომ არაფერი ვთქვათ.

15230. მოგზაურობა სასიამოვნო დაავადებაა, რომლითაც დასნეულება არასდროს გვიან არაა.

15231. გონიერების უკმარისობა ემოციების მოჭარბებით არ შეიცვლება, რადგან ცოდნა და ჟინი სხვადასხვა ცნებაა და სხვადასხვა ტაშის დამკვრელი ჰყავს.

15232. ჭკვიანები არც ისე ბევრი ვართ როგორც თავად წარმოგვიდგენია.

15233. სიწყნარეს თავისი მადლიც აქვს და საზრუნავიც, ამას კი შეჩვევა და გარემო სჭირდება.

15234. ნეტარება – განცხრომას ხარისხი არ აქვს, ის, რაც არც კვადრატში აიფანება და არც კუბში, ხოლო ბედნიერებიდან – გამართლებიდან არც ფესვის ამოღება შეიძლება და არც ფრჩხილების დახურვა, რადგან ორივე განგების ნაჩუქარია.

15235. ყველა ჩვენგანისთვის სისულელის ლიმიტი დიდი ხნია ზევიდანაა დამუშავებული, დაბადებიდან გარდაცვალებამდე.

15236. სიამოვნების სიფიცხე, ერთი ფრთიანი სიტყვის და მინიშნებული აზრის გამო, ყველა ჩვენგანს განუცდია.

15237. გატაცებასა და სიყვარულს შორის ის სხვაობაა, რომ პირველს საყმაწვილო სენის სუნი ასდის.

15238. თანამამრავლთა გადაადგილებით ჯამი არ იცვლება, მაგრამ არა – მექრთამისა და ილუზიონისტისთვის.

15239. პირველსა და მესამე ხარისხს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი მესამეს დროთა განმავლობაში დაუახლოვდება, შეეჩვევა და მესამე ხარისხი პირველ ხარისხად გადაფასებას იზეიმებს.

15240. ნ. ხრუშჩოვი რომ არ ყოფილიყო, ს. კოროლიოვს არავინ დააჩქარებდა, კოროლიოვი რომ არ აეჩქარებინათ, პირველი კოსმონავტი არ გვეყოლებოდა. შედეგად ი. გაგარინი საყოველთაოდ ცნობილია, კონსტრუქტორს თავის წრეში იცნობენ, ხოლო ხრუშჩოვის ღვაწლს რაკეტმშენებლობაში დაუმსახურებლად ედება დავიწყების ობი.

15241. ჩემი ბუნების შესაფერისი ქვეყნებია საქართველო და რუსეთი, შეუფერებული – გერმანია და იაპონია, რადგან აქ გადამეტებული შრომა იციან და მხოლოდ მათვის გასაგები დროსტარება, მიუხედავად იმისა, რომ მათ ორგანიზებულ გონიერებას და შრომის უნარს ვეთაყვანებით.

15242. შრომის შედეგს სასმელი და დროსტარება ალამაზებს, ოღონდ საქმის სასარგებლოდ.

15243. ილუზიები ხშირად დროსტარებაზე ძვირი ჯდება, მაგრამ გაცილებით მეტი სიამოვნება მოაქვს.

15244. სიკეთის კეთება ნაღდ ან პერსპექტიულ ანგარიშზე უფრო რეალური და სასიამოვნოა.

15245. ხანდახან ორი სიტყვის შეწევნაა საჭიროა, რათა წარმოუდგენელი ამოცანები დასახო და ფანტასტიკურ შედეგს მიაღწიო.

15246. ენას, ხელებისაგან განსხვავებით, ოფლის დენა არ სჭირდება. ამიტომაა, რომ ყბედობით „საქმის კეთება" ძალზე გვსიამოვნებს.

15247. ბავშვებს უნდა მოვუფრთხილდეთ და ნერვები გამოვუზოგოთ, ჭამა და სმა ტელევიზიის დახმარებით, მაგალითების ჩვენებით, უნდა ვასწავლოთ და არა გაწყრომით და მკაცრი სიტყვების მოღერებით.

15248. ზოგ ქალს ისეთი ფიზიოლოგია აქვს, შარვლის ტოტი რომ გამოედოს, დაორკეცდება, ხოლო სხვას ხვადი საცვალად რომ ამოაცვა, მის დაფეხმძიმება არაფერი შველის.

15249. ასაკის ჭრაჭუნს წლების მატების სენსაციაც ხმას უბამს.

15250. მშობელს თავის სიმართლე აქვს, ნაშიერს – მისთვის „გასაგები" აქტიური მსოფლმხედველობა.

15251. გამოუსწორებელი ინტელიგენტი რომ გულუბრყვილოც არ იყოს, შეუძლებელია.

15252. ცხოვრება იმ პატარ-პატარა წარმოდგენებისგან შედგება, რომლის რეჟისორი და მაყურებელი თავად ვართ.

15253. ჩვენი ყოველთვის აჯობებს სხვისას თუ შედეგებს გავითვალისწინებთ.

15254. კონფლიქტი მოვალეობასა და ღირსებას შორის ყოველთვის იყო კაცობის და არა – დაპირისპირების საწყისი.

15255. ყოველივე შეფარდებითია დროისა და გარემოს ზეგავლენით, გარდა ღირსებისა, რადგან ის თანდაყოლილი სიმდიდრეა, თუ სიღარიბე არავინ უწყის.

15256. ღირსებისთვის სულ ერთია, მის წინაშე წესიერი ქალი დგას თუ უწესო, მისთვის ყველა ქალბატონი და სიცოცხლის საწყისია.

15257. ღირსება რომანტიზმმა უნდა აღზარდოს, თანდაყოლილი გენით.

15258. გვირაბის ბოლოს სინათლე ყოველთვის გამოჩნდება, მაგრამ ხშირად გვირაბისის სიგრძე „ტეხავს".

15259. მოდა ტექნიკური პროგრესის ნაყოფია და არა ფანტაზიისა, რადგან ქალის სიცივისგან დამცავი „კალგოტკების" გარეშე მოკლე კაბები მოდაში არ შემოვიდოდა.

15260. მოსალოდნელი ბედნიერება შეიძლება დავაბანდოთ ყულაბა-ში, სადაც ყველა ძალდაუტანებლად ყრის წვრილ ფულს, რათა ერთ დღეს პატარების თანდასწრებით ეს ყულაბა დაამსხვრიოს, ისინიც გაა-ხაროს და თავადაც მათი გახარებით გაიხაროს.

15261. პიროვნებაზე დრო და ასაკი არ მოქმედებს, რადგან ის თაობების რჩეულია და ქვეყნის წარმოსაჩენად მოვლინებული.

15262. წარსული ღირებულებების ახლით შეცვლას მაშინ ცდილო-ბენ, თუ ეს უკანასკნელი, პერსპექტივაში, ძლიერი ხელის კარიერას და სარგებელს ჰპირდება.

15263. 100 წელს გადაცილებულის არც იმქვეყნად გადაბარგება ეჩქარება ახლობლებს და არც ამქვეყნად დარჩენა, რადგან იმედოვნებენ, რომ მისი „გორისა" არიან და თავადაც ამ ასაკს შეწვდებიან.

15264. არის აღმაფრენა, აღტკინება, რომლის მოთოკვა არ გეპა-ტიება, რადგან მთელი ცხოვრება სამახსოვროდ გვრჩება.

15265. სასიამოვნოდ თავზარდამცემია, როდესაც მოულოდნელად სასიყვარულო აღიარებას გაიგებ და აღიქვამ.

15266. აჯობო ასაკს, ეს ირგვლივმყოფთა დამსახურებაცაა, რადგან ეს მათ ვერ მოახერხეს.

15267. ლამაზად წაგებაც გამოცდილებაა და იუმორის ნიჭი სჭირდება.

15268. კარიკატურა ხშირად იმ სიმართლეს გვეუბნება და გვაგ-რძნობინებს, რომელიც ჩვენ არ გვინდა და არ გვსიამოვნებს.

15269. ვისაც ღიმილის უნარი არ აქვს, მას არც ღირებულება გააჩნია, რადგან ამ უკანასკნელის „ბაზარი" იუმორია.

15270. კუტურიე (მოდათუხუცესი): პირველ რიგში სულს მოსავს, ალამაზებს, შემდეგ – სხეულს და ჩვენს თვალთხედვას.

15271. ხვალინდელი ქათმისთვის დღეს დახარჯული ფული გონების იმედია, სულის კაიფია, ხოლო დღევანდელი კვერცხის მირთმევა მუც-ლის ამოყორვა და სხეულის გალაღება გარკვეულ დრომდე.

15272. ტექნიკურ პროგრესს ახასიათებს მოჭარბებული სიკარგე, რომელიც ყველას ბუნებას არ ესალმუნება, რადგან ფიჭური ტელეფო-ნის მეშვეობით ყველამ შეიძლება გაიგოს სად ხარ, ხოლო მომავალში, ალბათ, ისიც ეცოდინება ვისთან ხარ.

15273. ზამთარს ზაფხულთან საერთო ენის გამონახვა უფრო უჭირს, ვიდრე ზაფხულს – შემოდგომასთან, მაგრამ ბუნების კაპრიზს ყველა ეს შეთანხმება ფეხებზე ჰკიდია და ისე მოქმედებს როგორც მოეპრიანება.

15274. ახალგაზრდობა – მოჭარბებული ენერგიის წყალობით, უზ-რუნველად საამურია, შუა ხნოვანება – დაღვინების მცდელობაა დროსთან

საჯილდაოთ, სიბერე – მომხიბლელი წარსულის გახსენებაა უზრუნველად ცხოვრების მცდელობით, რაც ჯამში ბედნიერებას უტოლდება, რადგან ბუნებამ სიცოცხლე აქამდე გარგუნა.

15275. დამსახურებისამებრ იშვიათად გვსჯიან და გვაფასებენ, მაგრამ მთავარია ყურადღება და ის, რომ არ გივიწყებენ.

15276. სიცოცხლეს განუწყვეტლივ უნდა ველოლიავოთ, ვესიყვარულოთ და ვეფეროთ ჩვენს მიერ დახურდავებული წლების შემდეგაც.

15277. მიმზიდველი – სექსუალური, მოხდენილი – ლამაზი, სატრფო – შეყვარებული, რაციონალური – ჭკვიანი. ასე და ამრიგად, ყველა სიტყვას თავისი პეწი, შესატყვისი და კუდის მოსაქნევი აქვს, რომელიც ყოველი ჩვენგანის ყოფიერების კოქტეილში უნდა იყოს შეზავებული.

15278. ჭკუის საჯიჯგნი ალგორითმები იგივე სიტყვამზეობაა, ოღონდ გააჩნია, რა ხასიათზე ვართ და ვინ როგორ აღიქვამს.

15279. არავის ენდო და არავის ქედი არ მოუხარო, კარგი მაქსიმაა, მაგრამ ლაღად ცხოვრებისთვის არ გამოდგება.

15280. ასაკს პატივი უნდა ვცეთ, რაც უნდა ახალგაზრდულად გამოიყურებოდეს.

15281. საოცარია განგების ღიმილი, დღეს შვეციაში იმ მეფის შთამომავალი მეფობს, ვისაც ამოსვირინგებული ჰქონდა მკერდზე ,,სიკვდილი მეფეს".

15282. სამწუხაროდ, სიცოცხლე ერთია, სექსისადმი ლტოლვა განსაზღვრულია, ქალები ბევრია, მათი მოვლა-პატრონობა გაძვირებულია და ამ დაფიქრებათა ორმოტრიალში ჭკუა გადაკეტილია, რადგან სურვილები და გალაღება ერთად არ გამოდის.

15283. ოცნება ავანსად დიდებულ წარსულს და კიდევ უკეთეს მომავალს გვიმზადებს, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ასე გვჯერა.

15284. არ გვიყვარს ის ვინც უგნურებას გვამჩნევს. ე.ი. ჩვენს თავისუფლებას და დემოკრატიის მონაპოვარს ხელყოფს.

15285. უინსტონ ჩერჩილი კარგა ხნის გარდაცვლილი იყო, როდესაც სურეიის საგრაფოში თუთიყუში ჩერჩილის ხმით გაჰკიოდა ,,ჰიტლერ შენი დედაო..." ასე რომ, არა მარტო გარემოს აქვს მნიშვნელობა აღზრდაში, არამედ მასწავლებლის მსოფლმხედველობასაც.

15286. ასაკში, მართალია, მამრის ღისრებას შარვლის უბიდან არწივივით თავის წამოყოფა არ შეუძლია, მაგრამ წარსულის ბატალიების გახსენებასა და ტრაბახში ხელს არ უშლის.

15287. თავის დროის სულელს, სხვა დროის სულელის განსჯა არ არგებს, რადგან ყველა დროს თავის ოფოფები აწუხებს და ხელყოფს.

15288. მსოფლმხედველობა, სერობის სურვილები, ყოველთვის იცვლება და განახლებას მოითხოვს, რათა პროგრესს არ ჩამოვრჩეთ და ყოფის არსი ახლებურად შევიცნოთ.

15289. მოსახლეობის უმეტესობა, როდესაც კარიერას და ფულს იშოვნის, ,,უნახავმა რა ნახოს'' კატეგორიას განეკუთვნება, მაგრამ იბადებიან ისეთებიც, რომლებიც ამ საქმიანობისთვის არიან მოწოდებულნი და მათ საყვედურს ვერ აკადრებთ.

15290. ოცნებით ისიც ქურდობს, ვისაც ამ საქმის არაფერი გაეგება, იმდენად დიდია კეთილდღეობისკენ მისწრაფება.

15291. სასიხარულოა უსაზღვრო სისულელეების გახსენება, მხოლოდ შენი გადასახედიდან.

15292. ხშირად ჩვენ ოცნებით და გრანდიოზული იდეებით შეპყრობილი ქონდრისკაცები ვართ.

15293. ,,ფიზიკის კანონების'' თანახმად თუ ლამაზ მამაკაცთა უმრავლესობა არამზადაა, ავია, ბრიყვია, მაშინ მახინჯთა უმეტესობა ჭკუის, სათნოების, სიკეთის განსახიერება ყოფილა, მაგრამ განგება თავის კანონებს გვჩუქნის, თავის ალბათობის და ფარდობითობის თეორიით.

15294. შეყვარება, მოწონება, ,,ისე-რა'' საწყისი და ერთი მიზანი – ,,ხუჭუ-ხუჭუ'' სექსში არეული.

15295. რომ გაიხარო, უნდა გამოხატო, რომ გამოხატო მიზეზი უნდა მოიძიო, რომ მოიძიო უნდა მოიხიბლო, რომ მოიხიბლო საუბარი უნდა გაცადონ-ყურისგდებით.

15296. ყველა უნდა ვეცადოთ იმ დაუმადლებელ ასაკამდე მივაღწიოთ, როცა სხვისი გადამეტებული მზრუნველობა არ დაგვჭირდება.

15297. 100 წელს გადაშორებული ცოლ-ქმარი აქამდე ერთმანეთს იმიტომ არ გაეყარნენ, რომ შვილები ეცოდებოდათ და მათ გარდაცვალებას უცდიდნენ და არ უნდოდათ მათვის ეწყენინებინათ, მაგრამ მათ ავიწყდებოდათ, რომ შვილთაშვილები ჰყავთ და ერთმანეთის დაშორებიდან თავის შეკავება მერეც მოუწევთ.

15298. ჩვენთან ქურდობს ისიც, ვისაც ოცნების გარდა არაფერი მოუპარავს.

15299. არის მოვალეობა, სურვილი, აუცილებლობა, შვილი გყავდეს, მაგრამ არის შინაგანი მოთხოვნებიც, რაც რომელიმე ზემოთ ჩამოთვლილს გინდა გადააბრალო.

15300. ვისაც არაფერი აქვს, სულ რაღაცის ძიებაშია, ხოლო ვისაც ცხოვრებიდან რაღაც ერგო, იმაზე ფიქრობს, რისთვის და ვისთვის გაისარჯა. ასე, რომ ,,ვაი ჭკუისაგან'' თავში – საცემად ორივეს ყოფნის.

15301. საბოლოოდ იმ ქალთან ვრჩებით რომელიც ცხოვრების ორომტრიალმა ლამაზად შეფუთული შემოგვაჩეჩა.

15302. 14 წლის ასაკში თუ სულით დეკაბრისტი და მაქსიმალისტი ხარ, 50 წლის ასაკში შესაძლებელია გამომჟღავნდეს შენი რეალური ბუნება და ხასიათი.

15303. სამართლიანი ტყუილი ყველას გულთან ახლოს მიაქვს, მოსწონს და სჯერა.

15304. შეყვარებულებს, დარეხვილებს იმის სჯერათ, რაც მათდა გასაოცრად ზოგჯერ უმართლებთ.

15305. საქმის კეთებისკენ მისწრაფება დიდი გვაქვს, ოღონდ – არაორდინალური და ჩვენთვისაც გაუგებარი.

15306. ფეტიშიზმი ვიღაცის და რაღაცის მიმართ უფრო დროებით მიტმასნება, ვიდრე გონიერების დაკარგვა და სიფარული.

15307. პასპორტში ხშირად არ უნდა ჩავიხედოთ, რადგან ჯეელობა და სული უბერებელია.

15308. დაწყვილება ხდება გულის აგიზგიზებით, მამაზეციერის ნებით, გაყრა – სულის გაცივებით და სასამართლოს გადაწყვეტილებით.

15309. ორჯერ ორის ტოლობა იმაზეა დამოკიდებული, ვიძენთ თუ ვასაღებთ.

15310. ყველა ჩვენგანი მზის ქვეშ ადგილს ვეძებთ, მაგრამ ,,ჩრდილიანი'' ადგილის არჩევას ვცდილობთ.

15311. ყველაზე ძნელი იმ მეზობელთან შეგუებაა, რომელიც წინაპარივით არც ნათესავს გადმოუცია და მეგობარივით არც სულს აურჩევია.

15312. სითამამე მეტიჩრობის ტოლფასია, ვისაც ამის შემჩნევა შეუძლია.

15313. ტყუილი ზოგისთვის თავის დამშვიდების ელექსირია, რომელსაც დღეში სამჯერ წამალივით მიირთმევ.

15314. საკუთარი თავის დაცინვა არ ნიშნავს იმას, რომ შენ ამ ქმედებას იზიარებ.

15315. ძნელია, როდესაც ,,დროში არ იწვი'', მის პირისპირ რჩები, მისი არც ყადრი იცი, არც ღირებულება, მომავალს უსულგულოდ უყურებ და დროც თავზე საყრელი გაქვს.

15316. ყველა თავის დროის შვილია, მაგრამ სხვა დროში ყოფნის სურვილით.

15317. ქვრივმა ცოლმა რომ არ გიღალატოს, წინდახედულად შენი გარდაცვალების მიზეზად შიდსი უნდა დაასახელო და ექიმს გარდაცვალების ცნობაში ჩააწერინო. ცნობილი ანეგდოტია მაგრამ, ერთგულების შესანარჩუნებლად ძალზე საჭირო და აუცილებელიც.

15318. თუ ფიქრობთ, რომ სახელმწიფოს შენთან საქმე არ აქვს, პროტესტის ნიშნად, ნურც შენ შეიწუხებ თავს გადასახადის გაღებით და ბარი-ბარში იქნებით.

15319. ზოგი იმდენად არხეინად ცხოვრობს, რომ თავისი გარდაცვალების მიზეზიც არ აინტერესებს და იმქვეყნადაც არხეინად მიდის.

15320. სუსტი ძლიერთან შერკინებისას ყოველთვის სასწაულის მოლოდინშია.

15321. ყველა ცოლყოფილის სურვილია მისი სახლიდან წასვლა მამაკაცმა თვითმკვლელობის ბათქით აღნიშნოს, მაგრამ ქმარყოფილები ამას რატომღაც შამპანურის ბათქს ამჯობინებენ.

15322. ზოგი ისეთი ყბედია, პირი რომ ამოუკერო, ტრ...დან ილაპარაკებს.

15323. ასაკის მატებას ის გაუგებრობაც ახლავს, რომ თანდათანობით სანთლების ფასი ტორტისას აჭარბებს.

15324. ზოგი ისეთ ასაკს შეეთამაშება, ეშინია, არ დაავიწყდეს რამდენი წლის არის და კიდევ რამდენ ხანს ამქვეყნად ყოფნას აპირებს.

15325. ცუდია, როდესაც ერთი ევა გყავს და მის კლონირებაზე ფიქრი და შემართება არ გყოფნის.

15326. ცუდ მოცეკვავეს ,,ფებერჟეს კვერცხები'' უშლის ხელს და ისიც – წყვილად.

15327. სახლსა და სასტუმროს შორის ის სხვაობაა, რომ პირველში საწოლს როგორც დატოვებ, ისე დაგხვდება, ე.ი. ზარმაცობ, ხოლო მეორეში – როგორც დაგილაგებენ, ე.ი. შენს ზადს სხვა ასწორებს და ნაკლს ფარავს.

15328. ეს ქაქი იმ ქაქს ვერასოდეს აჯობებს, რადგან ორივე თავისებურად უნიკალურად ყარს.

15329. მექალთანე სხვის ქალებში იმიტომ დაეთრევა, რომ საკუთარი ცოლის ადრეულად გაცვეთის ეშინია და უფრთხილდება.

15330. ნავთის რიგში მყოფმა ქალმა არაბ შეიხს მეოთხე ცოლობაზე უარი სტკიცა იმ მოტივით, რომ ურჩევნია ნავთის რიგში იდგეს, ვიდრე პენისის რიგში, რადგან აღზრდაში არის რაღაც ისეთი, რომე-

ლიც არავითარ ამქვეყნიერ სიმდიდრეზე არ გაიცვლება და მის გარეშე სიცოცხლის არსს ვერ შევიცნობთ.

15331. ზოგ ქალს იმდენად ნაცნობი სახე აქვს, რომ ვერ გარკვეულ-ხარ, საწოლიდან გადმოგივარდა, თუ შენ გადმოგაგდეს.

15332. შესიებულ-შეწითლებული ტუჩები ვნების მსახურია და არა – ამბორის მსურველის.

15333. ,,მოშურნეთა აზრით", ყველა მოზრდილი ტანის ადამიანი იაფობის დროს არის ჩასახული და აქ ჯიში და ჯილაგი არაფერ შუაშია.

15334. ჩემი ნაცნობი რექტორს დაენიძლავა 10000 დოლარზე რომ მისი შვილი ცოდნის წყალობით ინსტიტუტში ვერ მოხვდებოდა, მაგ-რამ მოხდა ,,სასწაული", ,,ჩააბარა" მისაღები გამოცდები და მშობელი იძულებული გახდა წაგებული ეკისრა.

15335. ღორი რაც უფრო მოუვლელია, მით უფრო კარგი ჯაგარი აქვს. ასეა, ზოგჯერ დოყლაპიობაც სასურველ შედეგს იძლევა.

15336. ჩვენ შეგვიძლია იმ წინაპრითაც ვიამაყოთ, რომელიც თავის დროზე კანიბალიზმს ეწეოდა, რადგან სხვანაირად მისი ჯიში ამ დრომ-დე ვერ მოაღწევდა.

15337. ლოთია ყველაზე დიდი კოსმოპოლიტი, რადგან არც ერთი ქვეყნის გამოშვებულ ალკოჰოლზე უარს არ ამბობს.

15338. ლ. ტოლსტოის ,,ანა კარენინაში" მთავარი მოქმედი პირი მატარებელია, რადგან მან ჩაიდინა უკანასკნელი ქმედება და რომანს წერტილი დაუსვა.

15339. ზოგს ისეთი მოხდენილი ფეხები და ტანი აქვს, შთაბეჭდილე-ბა გრჩება, რომ სახის შესაძენად ფული არ ეყო.

15340. თუ ერთი წუთი სიცილი ადამიანს ორი საათით სიცოცხლეს უხანგრძლივებს, მაშინ ვაცინოთ ერთმანეთი და უკვდავნი გავხდებით.

15341. მექრთამისათვის ყველა ქვეყნის ფული ერთი ფერისაა, სანამ ის ქრთამად არ გადაეცემა და არ მიისაკუთრებს.

15342. სამყარო შესდგება შენთვის გაუგებარი იდიოტებისაგან, რადგან ხშირად შენი კვეხნის არ ესმით.

15343. გულახდილობა საკუთარი ნებით ,,ყვერებზე ფეხის დაბიჯე-ბის" ტოლია.

15344. ისევ კეთილ, მაძღარ, ჯანმრთელ, ლომს ჯობს გადაეყარო, ვიდრე მშიერ, ცოფიან წრუწუნას. თუ რაიმე მოხდა, ის მაინც გეცო-დინება, რომ ღირსეული მოწინააღმდეგე გყავდა.

15345. როდესაც კომიკოსი იმქვეყნად მიდის, სამყარო იმ დღეს უფრო ცოტას იცინის.

15346. ყოველი ახალი წლის მოახლოება ტყუილუბრალოდ გვახარებს, ამქვეყნად ყოფნის წლებს გვიმოკლებს, მაგრამ გვსიამოვნებს კიდეც ამ ქვეყანას ამ დრომდე რომ შემოვრჩით.

15347. დალაქები დღეს სტილისტები გახდნენ და ხვალ მათთვის რაღაც ხარისხის მინიჭებაზეც უნდა ვიზრუნოთ.

15348. მეზობელთან საერთო ენის გამონახვა თავისებური ნიჭია.

15349. სამყაროს გადაკეთებას ადამიანები ფრთხილად შეეცდებიან თუ აჩქარებით, სამწუხაროდ, საბოლოო შედეგი ერთია, ამ დედამიწას, ადრე თუ გვიან, მაინც დედა ეტირება.

15350. ფუტურისტისთვისაც გული აალებადი მატერიაა, რომელიც სად და როგორ გაჩნდება მისთვისაც უცნობია.

15351. გულს რომ გონიერების ხმა მიაწოდოთ, როდესაც მას არაფრის გაგონება არ უნდა ფუჭი მცდელობაა და სჯობს ისევ დროის „მუშაობას“ დაველოდოთ.

15352. გახუმრებით იმას უნდა გაეხუმრო, ვინც ახლოსაა, იმსახურებს და შენს ხუმრობას კუდს არ გამოაბამს.

15353. პროფესიონალს დიდ სიამოვნებას ანიჭებს, თუ ის დროებით სხვა საქმიანობით არის დაკავებული, რადგან აქ პასუხისმგებლობის ტვირთი არ აწევს და თავისი ნახელავი შემოქმედებად მიაჩნია.

15354. ვნება სულიერებასთან ერთად დასეირნობს, გრძნობა თავის თანამგზავრს ეძებს, ხოლო სიკვდილი ყოველივეს უარყოფს და მტვრად აქცევს.

15355. სიზმარი, ოცნება, ხშირად საამო გვაქვს, მაგრამ რეალობაში ბედი არ გვწყალობს, რადგან მისწრაფება, შეუპოვრობა, გვაკლია და ხელის განძრევაც გვეზარება.

15356. მინისტრის მოადგილისთვის მინისტრი უფროსია, კაბინეტის ხელმძღვანელისთვის – მფარველი, დაცვისთვის – შეფი, ხოლო ავტფარეხის უფროსისთვის – „მაიმუნი“, რადგან ის ბევრ მათგანს ემსახურება და მათი მძღოლების მეშვეობით მათზე „ბაიკებს“ ისმენს.

15357. საძაგლობაა, როდესაც სხვის საცვლებში იქექები, მაგრამ უარესია, თუ საკუთარში მოგიწევს ქექვა და ისიც სხვისი დახმარებით.

15358. ზოგჯერ სიბრძნე სისულელედ მიაჩნიათ სანამ გაუგებენ, გაითავისებენ.

15359. ჭეშმარიტებას ზოგჯერ მთვრალიც ქადაგებს, სანამ ენის მუხრუჭი და გონის ადაპტორები გათიშული აქვს, მაგრამ ვერ ენდობი.

15360. ცაში აჭრილი ფელა არწივი, რატომღაც ჩვენი ოცნების, სულის ნაჩალიჩარი გვგონია.

15361. სამწუხაროდ, დროს და საუკუნის „ტინგიცობას“ თანამედროვეთა სიბრძნე და თანდაყოლილი გენი ვერ შველის.

15362. ყველგან, ყოველთვის და ყველასათვის სამართლიანი იყო შეუძლებელია, მაგრამ ამის სურვილი გულში უნდა გიღიტინებდეს.

15363. მდედრებს რომ მამრები არ უყურებდნენ, ცხოვრება ჯოჯოხეთი გახდებოდა კუბში.

15364. სიკვდილი ბედნიერების მოსაპოვებელ საწყისებზეც კი ახლობლისთვის ჩადენილი დანაშაულია, რადგან სიცოცხლეს ფასი არ აქვს.

15365. საოცარია, რატომ უნდათ იქ მოგება, სადაც გარდაუვალად 80% წაგებაა. ეს დაოჯახებას არ ეხება, რომელიც ასევე აზარტულ თამაშად ითვლება.

15366. სიზარმაცე სულ იმის ცდაშია, ჩაწვდეს სხვა როგორ შოულობს ფულს და რა გააკეთოს ისეთი, რომ მასაც უწილადონ ისე, რომ არ გაისარჯოს.

15367. კაცუნას ბუნების გაგება ძნელია: მის ცოლს ხვადების რიგი უდგას და ის იმით ტრაბახობს, რომ მას რიგში არ აყენებს და ისე ემსახურება.

15368. ჯენტლმენი და ლედი ჩვეულებრივი მოკვდავები არიან, სანამ ისინი არ შეგვიცნია და სანამ საბანკო ჩეკი ამის საშუალებას აძლევთ.

15369. ქულებით დაგროვებულ ყოფიერებას, ისევ წაგება-მოგებაზე ნავარჯიშები ყოფა სჯობს.

15370. ვინც ზოგჯერ უძილობას არ განიცდის, მას ოცნების და თავის გადამოწმების უნარი დაქვეითებული აქვს.

15371. ერთგულებასა და თავდადებას შორის ის სხვაობაა, რომ ამ უკანასკნელს შეუძლია შენს ნაცვლად იმქვეყნად წავიდეს.

15372. დილეტანტს ზოგჯერ მიეცემა საშუალება პროფესიონალს დასცინოს, პირიქით – არასდროს, რადგან მეორე პირველს თავს არ გაუყადრებს.

15373. ზოგჯერ სიკვდილსაც ბედი უნდა, რომ ქვეყნისთვის ცნობილ კაცთან ერთად იმქვეყნად არ გადაბარგდე და შენთვის განკუთვნილი შექების და დამსახურების დითირამბები უყურადღებობას არ გაატანონ.

15374. ჯაბანი ის არის, ვინც თავის სიცოცხლეს ჰარი-ჰარალედ არ შეელევა და მის შესანარჩუნებლად ყველაფერს იკადრებს.

15375. ბრბოს თავდაცვის ინსტინქტებს და ჭკუა-გონებას ძალის ჩვენება უბრუნებს.

15376. ცრურწმენა გიჟის პერანგის შემცვლელია.

15377. იმქვეყნად როდესაც ცრემლთან ერთად ღიმილიც გაგყვება, ეს ნიშნავს, რომ ამქვეყნად რაღაც დაგიტოვებია.

15378. ჩვენს მიერ სავალალო გეგმის ზევით ნაცხოვრები ყოველი წელი სიკვდილისთვის ბრანწის ჩვენებაა.

15379. დიდების გარეშე ცხოვრება უინტერესოა, მაგრამ მისით ცხოვრებაც ძნელია, რადგან ხშირად შენგან იმასაც მოითხოვს, რაც შენ არ ძალგიძს და არ გეხალისება.

15380. საქმიდან გამომდინარე შავი იუმორი დიქტატურის პრივილეგიაა.

15381. აქეთ-იქით ყურებამ ფეხის წატეხვაც იცის და თავის გადაყოლებაც.

15382. გულგრილობა ტექნიკური პროგრესის ყველაზე დიდი მტერია, რადგან განვითარების ბევრი ნაყოფი უყურადღებოდ რჩება.

15383. ბუნტარები, არაფორმალები, ტერორისტები, სამყაროს გამოსწორებას ცდილობენ და ამ იდეებს ზოგჯერ ეწირებიან. მართალია, სასიკეთოს ბევრს არაფერს აკეთებენ, მაგრამ ხანდახან დამყაყებელ საზოგადოებას აფხიზლებენ.

15384. მომსახურების სფერო ყოველთვის თავზე ვერ აიღებს პასუხისმგებლობას, წინააღმდეგ შემთხვევაში, მომსახურება როგორც დარგი, გაქრება. მაგალითად, კაზინოში ფული წააგეთ, გუნდის ქომაგი საფარელი გუნდის წაგებას ინფარქტით შეეწირა და ა.შ.

15385. რასიზმსა და ნაციონალიზმს შორის ის სხვაობაა, რომ ერთს კანის ფერი არ მოსწონს, მეორეს – ეროვნება, მაგრამ სურვილი ერთი აქვთ – თავიანთი უნიკალობის დაკრედიტება.

15386. ყველგან შეიძლება სხვა დაიქირავო და შენი გასაკეთებელი აკეთებინო, გარდა სიკვდილისა – თავად უნდა მოკვდე.

15387. გამცემლობა, ღალატი, წყვილს ხანდახან ერთმანეთის შესანარჩუნებლად სჭირდება, რათა ერთმანეთი არ მობეზრდეთ და არ დაშორდნენ.

15388. წარსულთან შედარებით მომავალი უფრო ახლოა და რეალურია, ვიდრე ჩვენ ვჭვრეტ და წარმოგვიდგენია.

15389. სამყარო მაინც თავის ჭკუაზე ვითარდება და აქ ტექნიკური პროგრესი და მეცნიერება არაფერშუაშია.

15390. სასურველია შენი ამბიციები სხვამ გამოავლინოს და მხარდაჭერით გიმკურნალოს.

15391. უხიაგი კაცი ისე უნდა ჩამოიშორო, რომ ვერ შეამჩნიოს და გაიგოს.

15392. ქვეყანა, რომელსაც გმირობის ჩამდენი ხალხი არ სჭირდება, დიდებული სახელმწიფოა, მაგრამ აქ ცხოვრება მოსაწყენი და სიცოცხლე შეუმჩნეველია, თუ ნიჭის შესაფერი რაიმე საქმე არ გახალისებს.

15393. ცხოველებისგან განსხვავებით ადამიანი ყოველგვარი ჯიშის, გენის, შერჩევის გარეშე სტიქიურად მრავლდება და ხეიბარი ნამატი გაცილებით მეტი გვყავს, ვიდრე ჩვენს ოთხფეხა მოძმეებს. ელიტარული ჯიშის შერჩევის საკითხს მომავალში თავად ორფეხა ცხოველები დააყენებენ, რადგან ამდენი ხეიბრის შენახვა სამაყროს გაუჭირდება.

15394. ინტრიგანი თავს უფრო მეტად ვნებს ვიდრე სხვას და მისი ბუნება გველზე უარესია, რადგან გველს თავად თუ არ შეუსისინე, ისე არ გიკბენს.

15395. ჩვენს სხეულს პირველი ტოვებს ჭიპლარი, კბილი, ხშირად ბრმა ნაწლავი, რომ არაფერი ვთქვათ ფრჩხილებზე, თმებზე და ცხოვრების ორომტრიალის შედეგად შეძენილ ტანის კანონიერ ჭუჭყზე. ასე, რომ სხეულის იმქვეყნად გადასახლებისათვის მზადება. დაბადებიდანვე იწყება.

15396. ყველაფრის გაგება და შენდობაც შეიძლება პატიების გარეშე, რადგან მაშინ კეთილი და ბოროტის შეცნობა აზრს დაკარგავდა.

15397. თანხმობას და მოთმინებას სხვადასხვა საწყისი აქვს და თუ არ გავუფრთხილდებით, ერთი დასასრულით ორივე ხელიდან გაგვისხლტება.

15398. ნდობა–უნდობლობა საკუთარი თავის გადამოწმებაა.

15399. ქვითინი არის ტკივილიდან განთავისუფლება და კომპლექსების უტილიზაცია.

15400. ზოგს ურმის გადაბრუნება გზას ვერ უჩვენებს და ვერც ვერაფერს ასწავლის და ისევ ურმის გადაბრუნების მოლოდინშია.

15401. ჩვენი უხერხემლობა, გულგრილობა, ქვეყნის და ყველაფრის მიმართ, ძალაუფლებას ათავხედებს და ხალხის, თავზე წამოჯდომის ვადას უხანგრძლივებს.

15402. ჯანყის მიზეზი, ხშირად, ჩვენი ხასიათი და განწყობაა საკუთარი თავის მიმართ.

15403. მაღალშუბლიან კულტის ტანი, ყოყლოჩინობის გამო, ხშირად უთავოდ რჩება.

15404. ყიდვის მანიით ზოგი დავადებული ბევრ გამოუსადეგარ ნივთს იძენს. მიუხედავად იმისა, რომ ეს დასაქმების საშუალებას იძლევა, მისი საბოლოო საჭიროების შეუცნობელად.

15405. აფერისტები იბადებიან, იზრდებიან, ბერდებიან და ასევე, ბუნების შეუცვლელად, ყლთაბანდებად კვდებიან.

15406. მუდმივი ამქვეყნად არაფერია, მათ შორის, სიფარული, გონიერება, გენიალობა, რადგან ყველაფერი ბერდება, ქრება და თავიდან სხვა განვითარების რეგისტრით აღდგება. ამას დაბადებიდანვე უნდა შევეჩვიოთ და მხნედ შევხვდეთ.

15407. სიფარულის დაკარგვაც შეიძლება, რადგან არავინ არის ვალდებული კუბოს ფიცრამდე ვინმე უფარდეს, მაგრამ სად გაექცევი მოვალეობას, რომლის გარეშე ცხოვრება აზრს კარგავს და არც არავინ გაპატიებს.

15408. ხშირად ასაკის დიქტატის ტფეობაში ყოფნა, უფლებას და სილაღეს გვართმევს, მაგრამ შთამომავლობის აღსაზრდელად სწორ გზაზე გვაყენებს. რადგან ყოველივე მავნებელი და მოსაბეზრებელია, მათ შორის, კარგი ცხოვრებაც, თუ მის საპირისპირო მხარეს არ გავეცნობით შედარებისთვის და განსასჯელად.

15409. ზოგს ამქვეყნად ყოფნისთვის დიდი ხნის წინათ თავი უნდა დაენებებინა, მაგრამ განსაკუთრებული ეგზემპლარები რაღაცის მომიზეზებით და სხვისა და სხვის გასამხნევებლად დღესაც ჩვენთან არიან.

15410. ჯეელობა ინსტინქტებით, მომავლის იმედით ცხოვრობს, ასაკი – ჭკუის ჭყლეტით და რეალობით, ხოლო შუა ასაკს თუ სასუსნავი და კარიერის პერსპექტივა არ აქვს, არც გამოცდილებას დაგიდევთ რაიმედ და არც ოცნებას.

15411. ტყავის იძულებით გამოცვლას უნდა დავეჩვიოთ, თორემ მორიელის მსგავს გველს დავემსგავსებით, რომელმაც რომ არ დაგგესლოს, არ შეუძლია.

15412. თანდაყოლილი ნიჭიერების მიუხედავად, ნარკომანი ცოცხალი ლეშია და მისი სული ფანატების უყურადღებობით უნდა ყარდეს, თუ გვინდა ამ უგვანო მოდის გვერდზედ მოსროლას საშველი დაადგეს.

15413. როდესაც შენი ქმედებით ცდილობ სამართლიანობის მოძებნას და პროტესტს აცხადებ, ყალიბდები როგორც პიროვნება, რადგან სხვას უფლებას არ აძლევ თავის შეხედულებებისამებრ მოგექცეს.

15414. ტანჯვა-მარტოობა, აღფრთოვანება-აღიარებისკენ ლტოლვა, რწმენა და მოვალეობის შეცნება არის ის ძალა, რომელიც გაგვაკეთებინებს იმას, რასაც ადრე ვერც წარმოვიდგენდით და შეიძლება არც გვეკადრა.

15415. ტრაგიზმზე დამყნობილი სიცილი ჭეშმარიტებისაკენ მიისწარფის დამაფიქრებელი განცდებით და გრძნობათა ღელვის გამოხატვით.

15416. კონფლიქტი ცუდი საჯილდაოა ქვაა ეროვნულობის, მეზობლობის, მეგობრობის გამოსაცდელად, რადგან ადამიანობაზე მაღლა პატრიოტიზმი და პარტიულობა დგება. მაგალითად, შენიანებმა გაგაფრთხილეს, რომ ქალაქი უნდა დატოვო, რადგან ხვალ მას დაბომბავენ და შენ უფლება არ გაქვს ამის შესახებ სხვა ეროვნების მოყვასს აცნობო და მისი ოჯახის წევრები იხსნა განსაცდელისაგან, რადგან მაშინვე მოღალატედ იქცევი.

15417. წყვილის შეყრა შეიძლება სიბრიყვით მოხდა, მაგრამ გაყრა ჭკუის დაყოლებას და ანგარიშს მოითხოვს.

15418. ვარსკვლავია ის, ვისი ნამოღვაწარიც აღფრთოვანებით დაშოკილ მაყურებელს დროებით გულს გაუჩერებს და არა ის მოუმწიფებელი მაცქერალი, რომლისთვისაც ხმაურიანი გართობა და ,,ფანობით'' თავის გამოჩენაა მთავარი.

15419. კამათი ყველასთან და ყოველთვის უხერხულია, მით უმეტეს, თუ მიზანს ვერ აღწევ.

15420. ,,შენ-მე, მე-შენ'' ყოფიერების პაროდია, რომელიც გონების დემაგოგიური შექების მიუხედავად, სხვაზე ზიანის მიუყენებლად არ გამოდის.

15421. უანგაროდ ყველასთვის კეთილდღეობის მოტანის მცდელობას სიავის მეტი არაფერი მოუტანია, რადგან ის სამყაროს განვითარების კანონებს ვერ ეთვისება.

15422. ტერორიზმის მიზეზი: სიყვარულისაგან თავის დაძვრენა, უნიჭო ხელისუფლება, უმუშევრობა, სიღარიბე, ნაციონალიზმი, რელიგიური ფანატიზმი, ეთნიკური სეპარატიზმი, ფასეულობათა გადაფასება, ყოვლისშემძლე ფული. მისი აღმოფხვრა შეიძლება ყველა ზემოთქმულის აღმოფხვრით და ურთიერთ-დაპირისპირებით.

15423. დიპლომატიაში რაც ერთი მხრისთვის ნათელი და გარდაუვალია, მეორესთვის – დასაფიქრებელი და საჭოჭმანოა, რადგან ორივენი ჩახმახის გამოკვრას თავის სასარგებლოდ ცდილობენ. თუმცა არის სიტყვა ,,კონსენსუსი'', ანუ დავის დასასრული შეთანხმებით, რომელიც საკითხის გონებაში გარდასახვის შემდეგ საჭოჭმანო საქმეს შედეგიანად ამთავრებს.

15424. მთავარი დასაგმობი ის კი არ არის, ვის რა მოსწონს და რომელი რეკლამის ფეხის ხმას არის აყოლილი, არამედ ის, რომ ყველას განუსჯელად და დაუფიქრებლად ეთაყვანება.

15425. მონად დაბადებული ყველა საზოგადოებასა და დროში მონაა, მთავარია, თავს როგორ წარმოაჩენს, ნიჭის და შესაძლებლობის

მიხედვით და აქვს თუ არა მისწრაფება, ჟინი, რათა ქვეყანას ემსახუროს და არა ვიღაცის კაპრიზს.

15426. ცივილიზაცია შემოქმედებითი გართობის დროს არ გვიტოვებს, რადგან საქმიანი მოლაპარაკება–ყბედობა უამრავ დროს უკანმოუხედავად ფლანგავს.

15427. ფანატიზმს და სიბრიყვეს საუკუნეთა პროგრესი ვერას აკლებს. შაჰიდი სასქესო ორგანოს მონდომებით გაიკრავს და ცდილობს აფეთქების დროს არ დაიზიანოს, რათა იმქვეყნად გამოადგეს და ალაჰს ემსახუროს.

15428. ტერორი არალეგალური ღონისძიებაა, რათა ლეგალურ პროცესებს ლობირება გაუწიოს.

15429. ტერორს ერთი აფინანსებს, მეორე ჩუმად ეხმარება, მესამე თავისთვის სიხარულს ვერ ფარავს. ამ ბაზისის გარეშე ის ვერ იარსებებდა. ამიტომ მასთან საბრძოლველად იდეოლოგიაა უმთავრესი და არა – იარაღი და მუშტის მოღერება.

15430. ერთი საქმეა დასჯა, მეორე – დაცინვა, რომელსაც ვარირების გარეშე ხშირად ნაშიერიც არ გაპატიებს.

15431. ზოგჯერ სიავის კეთება კარგი საქმის დასაცავად, საკეთებლად, გარდაუვალია, ყველა ბოროტებაზე, უგნურებაზე და კანონზე გადაბიჯებით.

15432. ნაციონალური იდეოლოგია, რწმენა, რევოლუცია ადამიანის ყოფიერების ყველაზე დიდი მტერია. ტრადიციებთან, გარემოსთან, ახლობლებთან ურთიერთობას არ ინდობს და თანამოძმეებს ხშირად ერთმანეთის გასაწირად იმეტებს.

15433. სიმშვიდის არეალში ხშირად ერთი გაუფრთხილებელი სიტყვა ხდება კონფლიქტის საბაბი, რომელსაც საუკუნეობით გვერდიგვერდ ყოფნა არ შველის.

15434. შეუძლებელიც შეიძლება მოხდეს, თუ ვინმეს ეს სჭირდება და გულს ესალბუნება.

15435. ვახაბისტები რწმენის დოგმების დასაცავად საცვლებს არ იცმევენ, კახპები ფულიანი კადრების გონების დასაკარგად, ქმედების იდენტურობის მიუხედავად, ერთმანეთს ვერ უგებენ, რადგან ერთი სულის მოწესრიგებისთვის იბრძვის, მეორე – ჯიბისთვის.

15436. ტერორი საზოგადოების გულგრილობის დასჯის, მცდელობაა რადგან ნაციონალიზმისა და სეპარატიზმისკენ მიდრეკილმა ხალხმა სახელმწიფოებრივი სამართლიანობისადმი რწმენა დაკარგა.

15437. ნებადართულ ექსტრემიზმსაც ფრთხილად უნდა მოვეპყრათ, რაც უნდა კარგი მიზნები ჰქონდეს, რადგან ის მიანც საშიში და სადავიდარაბოა.

15438. სადაც ფულია, იქ პრობლემებია, სადაც სიფარულია, იქ ეჭვიცაა, სადაც ოჯახია, იქ დაპირისპირებაა, ასე, რომ ერთი მეორეს არ გამორიცხავს და ეს არის ამქვეყნად ყოფნა არყოფნის გადასახედი.

15439. ზოგისთვის აუცილებელია ხელზე მკითხაობისთვის ბოშა ქალს 50 ლარი გადაუხადოს, რათა დარწმუნდეს თავის სიბრიყვეში.

15440. ძუნწი პარტნიორი დაპატიჟებულ ყჩალზე უარესია, რადგან მას ჰგონია სხვაზე ჭკვიანია. ამგვარი ტიპის გვერდზე დგომა ყველა სახის საქმის კეთებას ძირს უთხრის.

15441. ზადის და სიკეთის კეთების გამომზეურებას უნდა მოვერიდოთ, რათა მისაბაძი არ გახდეს და სხვებიც არ გავაღიზიანოთ.

15442. უგუნურების გამოწვევას გონიერება ვერ მიიღებს და ეცდება თავხედობა საწყისშივე აღკვეთოს.

15443. ანგელოზი არავინაა, არც მასში ეჭვის შეტანის უფლება აქვს ვინმეს, მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრების კანონით დაუცველობა, ჩაქოლვის ტოლფასია.

15444. ფილოსოფია გარყნილების ძაფით არ უნდა იყოს ნაკერი, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას განსჯის და შედარების უფლება ჩამოერთმევა.

15445. ხანდახან პარტნიორთან შეკამათება საქმის დაწყებამდე ჯობს, რათა ურთიერთობის გასარკვევი ბოლმა ერთ ჯერზე ამოანთხიონ და დროულად გაერკვნენ საქმიანობის პერსპექტივაში.

15446. შავი დღე ადრე თუ გვიან ყველას უდგება და ამ დროისათვის არის საჭირო ერთმანეთის მოფრთხილება, მხარდაჭერა და თავის შეხსენება.

15447. წინაპარს ეშინია, მის მიერ უნებლიედ ჩადენილი სიბრიყვე შთამომავალმა უკუგებით არ მოიმკას.

15448. იმედი – სასოებაა, რწმენა – რჯულზე მიქცევაა, სიფარული – მიჯნურობაა, სამსახური – პროფესია, ოჯახი – შთამომავლობაა ეს და სხვა ამგვარი ყოველთვის საწყისია ქვეყნის მოქალაქე-პიროვნების მისაღებად.

15449. ჭუჭყს და ჭუჭყით მოსვრას თავისი ზღვარი აქვს, რომლის გადალახვა უკვე დანაშაულია კაცობრიობის წინაშე.

15450. ავისმოქმედზე ყველა ყბედობს, მაგრამ საქმით მას არავინ ებრძვის. ამიტომაცაა რომ, ,,ძლიერნი ამა ქვეყნისა'' სიავის ჩადენაზე უარს არ ამბობენ.

15451. ნდობის ინსტიტუტის გაკოტრება, ყველას წინაშე უდიდესი დანაშაულია.

15452. სისაძაგლე ყოველთვის არ სამართლდება, დამცველიც გამოუჩნდება და ის რაც აქსიომაა, სადაოდ და სათუოდ ხდის.

15453. ქაქი ხასიათი არც იძირება და არც ქრება, მაგრამ მცდელობის მიუხედავად, თავს, ადრე თუ გვიან, მაინც იჩენს.

15454. ქილერისთვის მთავარი არ არის რამდენი შეკვეთა შეასრულა, მისთვის საინტერესოა რამდენს გადაუხდიან, სად და როდის.

15455. გადამეტებულმა ცოდნამ და სამყაროს შეცნობის მცდელობამ შეიძლება გვიშველოს, გონება გაგვინათოს და დაწყნარებულად გვაცხოვროს, იმდენად დიდია ამ სამყაროდან დედამიწის გაქრობის შანსი.

15456. არიან მეგობრები, არის მოსეირე ხალხი და მათი დადგენა სკამის და შესაძლებლობების დაკარგვის შემდგომ ხდება.

15457. ქილერზე მოთხოვნა ძალაუფლებაში მყოფ უვარგისთა გათავხედების შედეგია.

15458. სიყვარულს და ქიშპობიას მეგობრების, დაქალების, დაკარგვა შეუძლია, მაგრამ რამდენად ღირდა ეს წყვილი ამ ცოდვად, ამას დრო განსჯის და გაადამოწმებს.

15459. ,,სულელებს ყოველთვის უმართლებს" – ასე ჰგონიათ უნიათ, მცოდნე განათლებულებს, რომელთაც არა მარტო სხვისი ნიჭის დანახვა არ უნდათ, არამედ ყოველივე ახალის და პროგრესულის წინააღმდეგნი არიან.

15460. სუფრა თუ მუზეუმის მონახულება; უმრავლესობა პირველს ირჩევს, მაგრამ მათ შორის გამოერევა, განგების წყალობით, რამდენიმე ,,დარეხვილი" და მეორეს აირჩევს, რაც ერის რაობის, საგანძურის დარაჯობა-ყარაულობის ტოლფასია.

15461. შენდობა-პატიების უნარი, როდესაც სისაძაგლის ჩადენისთვის სამაგიეროს გადახდა დაუყოვნებლივ შეგეძლო – იშვიათი, ძლიერი ბუნების ხალხის ხვედრია.

15462. საზოგადოების ყველაზე დიდი ცოდვა გულგრილობაა, მაგრამ მშობლის გულგრილობაზე უარესი არაფერია!

15463. ზოგი თავისი უნებისყოფობით ფუჭი არსებობისთვის არის განწირული და არა თავის გემოზე ცხოვრებისთვის.

15464. მავნე საკვებია ის, რაც უცხოა ჩვენი ცნობიერებისთვის, ტემპერამენტისთვის, რადგან მათი გონიერი გამოყენება, ხარჯვა, ჩვენს ხასიათს, ბუნებას აღემატება და მათ დამუნათებას მოითხოვს.

15465. ზოგისთვის მაიმუნის წინაპრობა და ნათესაური კავშირი, არც ისე წარსულში გამოიყურება, როგორც თავად ჰგონია, როდესაც მის ქცევას უყურებ.

15466. ყველას გვიჭირს ხელიდან შანსის გაშვება, რომელიც ხშირად ლაკმუსად გვევლინება ჩვენს ირგვლივმყოფთა რაობის და მეგობრობის გასარკვევად.

15467. ბევრი რამ გვსმენია და გამოგვიცდია ადამიანის ვიგინდარა ბუნების თაობაზე, მაგრამ მათი განუსჯელად დასჯა მოწამლული სისხლით დაბადებული ხალხის ხვედრია.

15468. შავ და თეთრს ყველანი ვარჩევთ, მაგრამ შეფასება და განსჯა ყველას გვიჭირს.

15469. პოლიტიკა, ბიზნესი, ქალი, კონფლიქტების ინტერესებშია, ხოლო შრომა, სიყვარული, მოვალეობა, მშვიდობის დამყარების მცდელობაშია.

15470. თაობათა შორის დაპირისპირება სიძულვილს არ ნიშნავს, პირიქით, აქ უდიდესი სიყვარულია, რადგან წამსვლელს უნდა მომსვლელმა აჯობოს, ოღონდ თავისი კორექტურით.

15471. ადამიანის მოტყუება დანაშაულია, მაგრამ ღვთისშვილისა და შეუძლოსი – სისაძაგლეა კუბში.

15472. დელიკატური კამათი ფარსი ხდება, თუ ის დაპირისპირებაში გადავა და საქმე შერიგების პროცესურამდე მივა.

15473. „ჩემი უფროსის გარდა ფეხებსაც ვერავინ მომჭამს“ – ეს გათავხედებული ხელქვეითის დაქადნებაა უფროსის ზურგით და მფარველობით.

15474. ბევრი ვერ უძლებს აღიარებას, დიდებას და იქამდე თავხდება, სანამ მისი გაფეტიშება დროზე ადრე არ ჩაესვენება.

15475. ხშირად საკუთარი თავისთვის უმთავრესია, რას ფიქრობ, რას აკეთებ და არა როგორ ფიქრობ და რა მოჰყვება ამ საქმიანობას.

15476. ჩვევებთან, ტრადიციებთან ასაკში განშორება ადამიანს უჭირს და პროგრესს ძნელად ეგუება.

15477. ყოფიერების უგუნურებაზე ფიქრიდან სიცოცხლისადმი ლტოლვას, ცნობისმოყვარეობას, გამოვყავართ და გვიცავს.

15478. მიუხედავად იმის ცოდნისა, რომ მოტყუების უნარის მქონე უკეთ ართმევს ცხოვრების ბატალიებს თავს, ვიდრე პატიოსანი, ამ უკანასკნელს ამის წარმოდგენაც კი არ შეუძლია.

15479. ყველა პრობლემას თავი ერთად უნდა მოვუყაროთ და ისე ვებრძოლოთ და არა ცალ-ცალკე, რადგან მათ დასაძლევად დროც გვეყოს და ცხოვრებაც შევძლოთ.

15480. როდესაც ყველას ვკიცხავთ და ჭკუას ვასწავლით, ეს იმას ნიშნავს, რომ უსაქმურობასთან ერთად ასაკიც აგვეკიდა.

15481. უმეტესად პროტესტს არ გამოხატავს ვინც უნიათოა, დროს ვერ მოერგო და სახსარი უჭირს.

15482. გვარის საფიქრალია მშობლის ნატვრა, რომ მისი შტო და ძირი არ გახმეს. დანარჩენს ყოველივეს მოევლება, დრო გამოასწორებს, აწმყოს რეალობა გადაგვატანინებს.

15483. მორალი ეცემა იქ, სადაც ფულის კულტია გაბატონებული და ფუფუნება ზეიმობს.

15484. არის ადამიანი ავი, კეთილი, ნიჭიერი, უნიჭო – ყველანი სამყაროს შვილები და საქმის საკეთებლად გამოსადეგნი არიან.

15485. ეგოიზმი სიფარულიცაა, ბავშვის გაჩენაც და იმქვეყნად ნება-ყოფლობით გადასახლებაც, რადგან ამქვეყნად ასაკმა, ჯანმრთელობამ და ყოფამ ერთდროულად დაგღალა.

15486. ცოდნა-არცოდნას ფასი მაშინ ედება, თუ ოპონენტები გყავს და შენი მცდელობა ვისმე სჭირდება.

15487. ცივილიზაციას ყოველივე წმინდა გადაგვარებამდე დაჰყავს, რომელსაც ვეჩვევით და თავს ვერ ვანებებთ.

15488. გაუბედაობა და სიფრთხილე სხვადასხვა რამაა, ერთი შედეგით – საქმე არ კეთდება.

15489. პატარ-პატარა შეცდომების დრო ყველას გვიდგება, მაგრამ ის ქრონიკულში არ უნდა გადაიზარდოს და გამოუსწორებელ შეცდომად არ უნდა იქცეს.

15490. სასწაულის მოსახდენად იმაზე მცირე დროა განკუთვნილი, ვიდრე სინამდვილეშია.

15491. გამბედაობასაც ბოღმის დაგროვება სჭირდება გაუბედავი კაცისათვის.

15492. მორჩილება, დამყოლობა, მისასალმებელია, მაგრამ ცხოვრებაში უპერსპექტივო, მუდამ საშუალო და სხვათა შემყურე, რჩები.

15493. ძნელია მთავრობის ქება-დიდება, როცა მუცელი ხერხემალზე გაქვს გაკრული, მაგრამ ზოგი ძალად ლიბერალი თავისი უდღეური იდეების დასაცავად ამას ახერხებს.

15494. ყველა ასაკს თავისი მომხიბვლელობა, უკუღმართობა და სისაძაგლე ახლავს, მაგრამ მაინც კმაყოფილი ვართ, როცა წლები გვემატება და ვადამდე იმ ქვეყანას არ ვაკითხავთ.

15495. საკუთარი ჭეშმარიტება ყოველთვის პროვოკაციულია, რადგან უარყოფას ვერ იტანს და არც შეკამათებას.

15496. ხანდახან ექცევი ისეთ გარემოში, რომ არ იცი, მგლად თუ ცხვრად მოაჩვენო თავი, რათა ტყავგაძრობილი არ დარჩე.

15497. ვინც დროს უსწრებს, გარეგნობას ინარჩუნებს, იმიჯს იცვლის, ღირსებას არ ღალატობს, თავის დროის გმირია, პიროვნებაა.

15498. ყველა დაახლოება, კავშირი, კონტროლს მოითხოვს, რათა არ გაირყვნას.

15499. დღეს იმდენი ინფორმაციაა დაგროვილი, რომ საკუთარი ღირსება–ღირებულებების შეფასება–გადაფასება და მასში გარკვევა ჭირს, სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ.

15500. ბუნებრივი, კანონზომიერი, სიკვდილის წინასწარ გაფრთხილების უგულვებელყოფა გონიერებად არ უნდა ჩაითვალოს თუ წითელ შუქნიშანზე გადახვალ და ავარიაში მოხვდები.

15501. ყველაზე დიდი სასჯელი საკუთარი სინდისის ქენჯნაა, თუ ამის უნარი შეგწევს.

15502. სამყაროს საოცრება სიბერეში უფრო გვაღელვებს და უვიცად გვაქცევს, როდესაც ამ საკითხზე სერიოზულად დავფიქრდებით და უცხო კითხვები გაგვიჩნდება.

15503. აფექტის და შემართების ჟამს მზად ხარ შენი ინტერესების დასაცავად ყველას ანგარიში გაუსწორო და პასუხი აგებინო.

15504. როდესაც სტიქიის წინააღმდეგ არაფრის კეთება არ შეგიძლია, პირზე ღიმილი შემოგრჩება ყოველგვარი პროტესტის გარეშე.

15505. მოვა დრო, როდესაც ცივილიზაციას უკანასკნელი დღე დაუდგება, რადგან მისი უსასრულოდ განვითარება შეუძლებელია.

15506. შეცდომას, გადაცდენიდან განსხვავებით, ალიბი არ აქვს, რადგან ის შენს ყურჩობაზე მიუთითებს.

15507. შეცდომა და ჭეშმარიტება ერთმანეთის გარეშე ვერ იარსებებენ.

15508. ხშირად ნეკროლოგის საშუალებით ახლობლები იგებენ რა დიდებული ადამიანი დაუკარგავთ.

15509. ყოველთვის გუშინდელი დღის მადლიერნი უნდა ვიყოთ, რომ იმქვეყნად არ გაგვისტუმრა და დღეს ცოცხლები ვართ.

15510. განსაცდელი გვაერთიანებს და გულადობას გვმატებს, მიუხედავად ჩვენი შეძლებისა.

15511. ძალზე ბევრი მიზეზის და ალიბის მოტანა შეიძლება, რათა თავი უბედურად ვიგრძნოთ.

15512. ძნელია უმუშევარი პატრიოტი იყო, ან დებილი ხარ, ან ბუნებით უბედო და უსაქმური.

15513. ხშირად გვიჩნდება წარსულის იმ ღირებულებათა დაბრუნების სურვილი რომელიც განუსჯელ შემართებას, სისხლის ღვრას მოითხოვს და თანამედროვეობას მხარს ვერ აუბამს.

15514. ზოგჯერ ისეთ პრობლემებს ვიქმნით, რომელიც არ გვჭირდება და არც არავის რგებს, რაც უსაქმურობის და გიჟმაჟი ბუნების ბრალია.

15515. მუდმივი პოპულარობა არ არსებობს, რადგან ადრე თუ გვიან დავიწყების ობი დაედება.

15516. მანამ იქნება დაპირისპირება, შური, მომხვეჭელობა, სანამდის ადამიანის მოკვლის ხელოსნობა არ მოისპობა.

15517. ვინც რისკს ეწევა, მან ვალერიანის გემოც უნდა შეიცნოს და შამპანურისაც, წინააღმდეგ შემთხვევაში, წარმატება ვერ გაეთამაშება.

15518. ზოგჯერ იქმნება გაურკვეველი გარემოება, რომლის ვერაგობა, რადაც უნდა დაგვიჯდეს, უნდა დავძლიოთ, მიუხედავად იმისა, რომ ეს ვითარება ბრბოს შეუგნებლობის შედეგია.

15519. თავხედობა ხანდახან შიმშილის და გამოუვალი მდგომარეობის ნაყოფიცაა.

15520. ვაი მას, ვინც გარეგნულად – ხელოვანია, სულით – ხელოსანი და მოწოდებით – ავანტურისტი.

15521. პოტენციური მტრები არ უნდა დაინდო, რა გასამართლებელი საბუთიც არ უნდა წარმოგიდგინონ.

15522. ორპირობა დიდი დანაშაული თუ არა, ყველაზე დიდი ნაკლია, იმის მიუხედავად, ენდობით მას თუ არა.

15523. სიღარიბის საწყისი, მცდელობის დაკლება და საქმის ბოლომდე მიუყვანლობაა.

15524. დამდაბლება, მორჩილება, ყოველთვის სათნოების გამომხატველი არ არის, რადგან ზარალდები და მონის სტატუსს იღებ, ხოლო მონური სულის ადამიანი 21-ე საუკუნის მოთხოვნებს ვერ აჰყვება და გადაგვარდება.

15525. საკუთარი ვნების მრისხანებას არ უნდა ავყვეთ, მაგრამ ბოროტება რომ უნდა დაისაჯოს, აქსიომაა, რათა მეტისმეტად კეთილნი და შემწყნარებლები არ გადაგვარდნენ და არ მოისპონ.

15526. ბრმა რწმენას ყველაფერი სჯობს, რადგან რაც უნდა გააწბილონ, ეს უკანასკნელი მაინც თავისაზე დგას.

15527. ჩვეულებრივი მოკვდავის გამოცნობა მისი მატერიალური მდგომარეობით და იერარქიაში ადგილის მიხედვით შეიძლება, ხოლო რწმენის მონისა – მისი ფანატიზმით, რომელმაც თვითონაც არ იცის ხეირიანად, რა უნდა.

15528. უგვანო კაცი არც უნდა დაიახლოვო, არც სალაპარაკოდ უნდა გაიკარო – არ ამართლებს, რადგან მისი მორჯულება არ ხერ-ხდება.

15529. ბუნების ელექტრომაგნიტური განწყობილება იწვევს ჩვენი პლანეტის გათავხედებას და ხალხის განუსჯელ დასჯას.

15530. ყველაზე დიდი ტანჯვა არაფრის კეთებაა.

15531. გარყვნილება საქმიანი შეგინება ან ვნებიანი შეეკურთხება კი არ არის, არამედ სიტყვების ონანიზმია და მოჩვენებითობა, რომ საქმეში ვითომ ხვადი ხარ.

15532. პური პირს აღებს, ფული – კარებს, ხოლო ძალას ორივე ფეხებზე ჰკიდია.

15533. ბუნება მომთხოვნია, ორპირობის და სიზარმაცის გარეშე.

15534. მოთმინება სუსტების პრეროგატივაა, ხოლო ძლიერთათვის – გარკვეულ დრომდე.

15535. არიან ისეთებიც რომელთ, ხელის ჩამორთმევის შემდეგ თითები უნდა გადაითვალო.

15536. შეცდომა-გადაცდენისთვის თუ გულწრფელად ბოდიშს მო-იხდი, ის არაფერია, მაგრამ თუ ალიბის მოძებნას, შექმნილ გარემოება-ზე მორგებას და კარიერაზე ხელის გამოკვრას შეეცდები, დანაშაულია, უპირველესად, საკუთარი სულის წინაშე.

15537. უნამუსობასაც თავისი ზომიერება და ჩარჩო სჭირდება, რათა ადამიანის მოდგმაზე საბოლოოდ ხელის ჩაქნევა არ დაგჭირდეს.

15538. მატერიალური შესაძლებლობა აძლევს საშუალებას ადამიანს კეთილი და ხელგაშლილი იყოს და არა – მისი ბუნება. წინათ მთიან ხევსურეთში თანასოფლელი რომ ავად გახდებოდა, მას დასახლების გარეთ მდგომ სადგომში ამწესებდნენ. უკან ან გამოჯამრთელებული ბრუნდებოდა ან მკვდარი იქვე რჩებოდა, რადგან ამ დაავადების პრო-ფილაქტიკაზე იყო დამოკიდებული სოფელი იარსებებდა თუ მიწის პირისგან აღიგვებოდა.

15539. უსუსურობაა, როდესაც ბევრი რამ იცი და არაფერს აკე-თებ. თავხედობაა, როდესაც ცოდნით მოიკოჭლებ, მაინც რისკზე მიდი-ხარ და რაღაცას აღწევ.

15540. უსუსურობის და თავხედობის ალიანსი იმ საქმის კეთებას იწყებს, რომლის გაუგებრობის ბრჭყალებიდან თავის დახსნა შეუძლებელია.

15541. იდეალის გამოგონება და მისი სრულყოფისაკენ ლტოლვა საკუთარი გრძნობების გაუმართლებელი ექსპლოატაციაა, რომელიც ხშირად ტრაგიკულად მთავრდება.

15542. თითქმის ყველა ქორწინება ერთნაირად სადღესასწაულოა, ხოლო გაყრა – სხვადასხვა, უმსგავსი და გარემოებებით დამძიმებული.

15543. გაყრა თავისებური აფეთქებაა გულის რომელიღაც პარკუჭში, რომელსაც, ხანმოკლე განცდების გარდა, სერიოზული ვნება არ მოაქვს.

15544. არის ქვეყნები, სადაც დაბადებაც კი საცოდაობაა, რადგან სულ ნაგავი უნდა ქექო.

15545. ნგრევა არა სახელმწიფო სტრუქტურებშია, არამედ ჩვენს მოუმწიფებელ თავში იწყება, რადგან გულგრილობას, დაუფიქრებლობას, შურს და ემოციების გათავხედებას მიჰყავს ქვეყანას ნგრევა-არეულობამდე.

15546. უნდა გვეშინოდეს გველისგან კბენის განზრახვის და არა მისი შხამის, რადგან ამ უკანასკნელს როგორღაც მოევლება, ჩვევას კი ვერაფერს მოუხერხებთ.

15547. წარმატება ზარ-ზეიმია, მაგრამ წარუმატებლობა დაფიქსირების, ანალიზის საჯიჯგნია და არა – თავში ხელის წაშენის.

15548. ზოგჯერ ჩვენს წინაპრის თავში ისეთი რამ თუხთუხებდა, რაც დღეს ძნელი წარმოსადგენია, დასადგენია, საერთოდ აზროვნებდნენ თუ ცხოველური ინსტინქტებით არსებობდნენ.

15549. არც ერთი შემოქმედი იმდენს არ ტოვებს, რომლის გარეშე საზოგადოებას არსებობა არ შეეძლოს და ბრბოს ყოფნა-არყოფნა წკიპზე შეაყენოს.

15550. არ ღირს იმ ტრანსპორტში ჯდომა, სადაც ხელისუფალი ზის რადგან მის თანამდებობას უნდა შეეწირო, ან თუ ერთად დაიღუპებით, იმქვეყნად მისი სახელის ჩრდილში უნდა იყო.

15551. ყველაზე ძვირად ამქვეყნად გულგრილობა გვიჯდება.

15552. ჯანიან კაცს და ჯიშიან ძაღლს სახლიც გამოუჩნდება და ისიც, ვისაც უნდა ემსახურონ.

15553. არიან ჩვენი გენისთვის მიუღებელი ადამიანები, რომელთაც პატივს ვცემთ, მაგრამ მათი შეყვარება არ შეიძლება – ჩვენი სულისთვის მავნებელია.

15554. გაიძვერებს და თაღლითებს არავისი არ ეშინიათ, მათ შორის, იმ დაცინვასაც, რომელსაც ზოგჯერ მიცვალებულიც კი გაურბის, რადგან მათ სინდის-ნამუსის ძარღვი არ დაჰყოლიათ.

15555. შეცდომებიდან, გადაცდენიდან განსხვავებით, პიროვნებას ღალატის, სიბინძურის და უგნურების ჩადენის უფლება არ აქვს, ვის მიმართაც ეს არ უნდა იყოს მიმართული.

15556. ყოფა ადრე თუ გვიან მოგვითხოვს, რომ სხვაზე უკეთესები, ჭკვიანები, ბედის რჩეულნი ვიყოთ და ამას, პირველ რიგში, შინაურები შეგვახსენებენ, ოპონირებას გაგვიწევენ, გვისაყვედურებენ.

15557. მოქალაქეები იყოფიან ორ ჯგუფად: რომელსაც სახელმწიფომ იმედი გაუცრუა, მოატყუა და რომლებსაც ყველაფერი ეს წინ აქვთ.

15558. გარდაუვალობის, ფაქტის წინაშე მღელვარება და ნერვების წყვეტა აზრს კარგავს.

15559. თუ არარაობასთან გინდა იცხოვრო, მაშინ წინასწარ იმასაც უნდა შეეჩვიო, რომ ყოფა ულიმღიმო და გართულებული გექნება.

15560. გულჩვილობა, შებრალება, ანგარიშის გაწევა, ხშირად დამარცხება-წაგების მიზეზი ხდება, რადგან გამარჯვებას სიმკაცრით, მიზანსწრაფვით, შეუპოვრობით აღწევენ.

15561. საწყენია, როდესაც ცხოვრება უგზოუკვალოდ მიედინება და შენც არავის სჭირდები.

15562. ვინც ჩვენ გვანადგურებს, სწორედ ის გვაძლევს საშუალებას უფრო გამძლენი და მყოფადნი ვიყოთ.

15563. ზოგი მთელ ცხოვრებას სიზმარში, ოცნებაში ატარებს და უსაქმურობისა და უზარო ყოფისთვის ბიშტის ჩვენებას არც აპირებს, რადგან გარემოებათა გამო ასეთი ყოფა ხელს აძლევს.

15564. ხშირად უკან დახევა დაგვიანებულია და იძულებულნი ვართ წინ ვიყუროთ და წავიწიოთ შედეგის მიუხედავად.

15565. ღირსება მტერსაც არ უნდა შეუბღალო, რათა სამუდამოდ არ გადაიმტერო და შენი განკითხვისთვის არ მოამზადო.

15566. ძლიერი მტერი და ცბიერი მეგობრობა სინონიმებია.

15567. პატიების მთხოვნელი მოწინააღმდეგე იგივეა, რაც დამარცხებული და ზოგჯერ მეგობრობის მთხოვნელიც.

15568. ყოველივეს უარყოფა, წინ აღდგომა, უგნურებაა, რადგან ნიჭს, იმედს, ოცნებას ყოვლის მოგვარება, სულის შთაბერვა და ახლებურად გამოყენების უნარი შესწევს.

15569. მოკრძალების, სინდის-ნამუსის ოფიციალურად დამკრძალავი ბიუროც უნდა არსებობდეს, რათა ვიცოდეთ, რა ხალხთან გვქონდა და დაგვრჩა ურთიერთობის შესაძლებლობა.

15570. წყალწაღებულსა და ტაშწაღებულს შორის ის სხვაობაა, რომ პირველმა თავის დრო დიდი ხანია მოჭამა, ხოლო მეორე ამისათვის ემზადება.

15571. ,,წამალზე ჯდომა'' და ,,წამლის დაფასოება'' სხვადახვაა ცნებაა, იმისდამიუხედავად რომ საწყისი ნივთიერება ორივეს ერთი აქვს.

15572. ,,ჩემი ჭირი შენ და შენი ჭირიც შენ!'', რადგან მლიქვნელობის გადაშენების დროა.

15573. სამწუხაროდ, ატომური ბომბის კეთების სურვილმა პირბადეც ჩამოიხსნა და უკანალიც აათამაშა.

15574. ქვეყანა, ერი, ბერი, ყველა იმ ცოდვის გამეორებაზეა პასუხისმგებელი, რომელიც მისმა წინაპრებმა ჩაიდინეს.

15575. შუმერების გადაშენებას, ისტორიის გარდა, არავინ განიცდის.

15576. ზოგი რომ ცოცხალია, თავადაც არ სჯერა, რადგან რაიმე სასარგებლოს კეთება მისგან გამორიცხულია.

15577. ღარიბ-ღატაკები იმიტომაც არიან, რომ მდიდრებს მაიმუნობის უფლება მისცეს.

15578. რობოტები დღეს ადამიანებს მთლიანად ვერ ცვლიან, მაგრამ მომავალში რომ ამას თავად რობოტები შეეცდებიან, ეჭვს არ იწვევს.

15579. დღეს ბევრი ვიგინდარა ,,კაცობის ქუდს'' ატარებს და ნიშანს გვიგებს, ნამუსს და კაცობას დღეს ამ კუთხით უნდა შეხედოთო.

15580. თვალ-ყური თვალთვალის და მოსმენის გამრავლების კვადრატის ტოლია.

15581. სეპარატიზმი ყოველთვის კაცთმოძულე პარაზიტითაა დაავადებული, რადგან მისი მკურნალობა დააგვიანეს.

15582. სიკვდილი რომ არ გვეუცხოოს და ვაჟკაცურად შეხვდე, მახლობელ-ნაცნობების დაკრძალვაზე მისვლით ვალი უნდა მოიხადო და ამქვეყნად ყოფნის ამაოება დროულად გაითავისო.

15583. სიკვდილი ყველაფერს უნაკლოდ კურნავს და მის ქმედებას ოპონირება არ სჭირდება.

15584. მტერი მუქთაზე ცხოვრებას უნდა მივაჩვიოთ, ხოლო მოყვარეს ,,თევზის ჭერა'' და გარჯა უნდა ვასწავლოთ.

15585. სიკვდილი კარზე ვის როდის დაუკაკუნებს, არავინ იცის, ხოლო მისი ცდა, ლოდინი, სიბრიყვეა.

15586. უდარდელობა მოჯასის ცოდვებს ითმენს და ამით მას ეხმარება თუ მტრობს, თავადაც ვერ გარკვეულა.

15587. ბოროტების დანაშაული ის არის, რომ მოპირდაპირე მხარეს აიძულებს მასავით მოიქცეს.

15588. სიკვდილის წინ ჯელა ფიქრობს, რომ შანსი ბოლომდე არ გამოიყენა და თუ რაღაცით მაინც სხვაზე მეტი ისარგებლა იმქვეყნად წასვლა უადვილდება.

15589. ზოგს ჩვენ ვუსწრებთ ცხოვრებაში, ზოგიც საფლავში ჩაგვასწრებს და ესაა ჩვენი ყოფნა-არყოფნის ამოხსნილი ალგორითმი.

15590. წყენას სამაგიეროს გადახდა ამშვენებს, აწყნარებს, ავიწყებს.

15591. დაცინვა და არა – ხუმრობა გვაკარგვინებს მეგობრებს და გვიმრავლებს მტრებს.

15592. ,,თავის დროზე რომ გამეკეთებინა'' – ჯელა სინანულით მივტირით წარსულს და არა იმდენად ასაკს, სიბერეს და იმათ, რასაც ,,ბასტა'' ჰქვია.

15593. გაბრაზებულზე ავსიტყვაობა თავისდაუნებლიედ მოდის, თავს გვახსენებს, გვაწყნარებს და ხშირად საქმის საკეთებლად გვიბიძგებს.

15594. სიავე ჩადებულია არა მარტო იმ ადამიანში, ვინც დანაშაული ჩაიდინა, არამედ ვინც წაუბიძგა და საბაბი მისცა.

15595. ნიჭის გამოვლენისას გაცილებით მეტი ნიღბიანი ვიგინდარა ამოგვიდგება გვერდში გესლით, ვიდრე უნიჭობისას.

15596. ბუნების ახირებაა, როდესაც გიჟი მშვიდად კვდება, ხოლო ჭკვიანი – უგონოდ.

15597. დამარცხება, დიზაინით რაც უნდა შევფუთოთ, ლამაზი არასოდეს იქნება, რადგან მარცხი თავადაა სიმახინჯე.

15598. ,,კუხარკას'' და ქვეყნის პრეზიდენტს ჩვენ დავიქირავებთ, მაგრამ ხშირად იმით გვიმასპინძლდებიან, რაც ჩვენ არ მოგვწონს.

15599. დაშორება სასიამოვნო არასოდესაა, მაგრამ მისი მოხდენილად წარმართვა ნიჭს მოითხოვს.

15600. მტერი მიწაში ჩააგდებს, მოყვარე ცაში აგიყვანს, ხოლო თავმდაბლობა შეუმჩნევლად გაქცევს. რა სჯობს ხშირად ესეც გაურკვეველია.

15601. საჭირო, აუცილებელია, ამ მოთხოვნით ახლობლის სინდისზე შეგდება აკრძალული ფანდია და სულით სპეკულაცია.

15602. წყენის მიყენება და წყენინების განსაზღვრა ერთიდაიგივეა, რადგან შენ ადამიანის მიმართ უკვე გულში ცუდი გაივლე და შემთხვევას უცდი.

15603. სხვისი მაღალი თანამდებობის და ამბიციების არ უნდა შეგშურდეს, რადგან ადრე თუ გვიან მისი სიამაყე მიწას თუ არა მიწის ქვეშეთს მაინც „დაენარცხება“.

15604. ყველა თავის გზას, ბედს და დასაბუდებელს ეძებს, სიყვარულით იქნება ეს თუ უსიყვარულოდ.

15605. ცოდვილ–უცოდველის დადგენა თანამედროვე ცივილიზაციაში ჭირს, იმდენად სწრაფად გადაფასდება და იცვლება ძველი ღირებულებები.

15606. საშინელებაა, როდესაც მიახლოებითაც არ ხარ ის, ვინც გინდა იყო. აქედან გამომდინარე, შენი ოცნების ყველა კარი დახშულია.

15607. მუქარა და დაქადნება სულისთვის ერთიდაიგივეა, სხვადასხვა გაგებით, ხოშით, ხიბლით.

15608. ცრუ მოწმეს ყველაზე მეტად ის არ ენდობა, ვინ სიცრუის სათქმელად დაიქირავა და სული წაიწყმიდა.

15609. რწმენა ყიდვა–გაყიდვას ვერ იტანს, რადგან პროგრესის მატარებელზე შეხტომა მასში კომფორტით მგზავრობას არ ნიშნავს.

15610. მხოლოდ ბრიყს შეუძლია განაგრძოს ის შერკინება, რომელსაც წინასწარ იცის რომ წააგებს და შანსი არ აქვს.

15611. არის ერთი კატეგორია ქალებისა, რომლებთანაც დაშორება არ შეიძლება – უბრალოდ, უნდა დაკარგო.

15612. მმართველობაში პასუხისმგებლობაა მთავარი და არა – აზრის ფორმირება, რათა ისეთი გადაწყვეტილება არ მიიღო, რომ შთამომავალთა სალანძღავი გახდე.

15613. ინტელექტი და მისი გამოყენების უნარია ქვეყნის უდიდესი სიმდიდრე და არა მუქთა წიაღისეული, რომელიც საზოგადოებას აზარმაცებს და მცდელობა–შემართების უნარს უქვეითებს.

15614. ბრიყვები იმით არიან საინტერესონი, რომ ისინი ხალასად წარმოგვიდგებიან, არაფრის რცხვენიათ და არც არაფერს ჰგმობენ.

15615. საშინელებაა, როდესაც ხელისუფლება გასასაღებელ საქონლად გადაიქცევა, გაკოტრდება და გადარჩენას ღირებულებათა ჩამოფასებით ცდილობს.

15616. ცხოვრება დრამის, კომედიის, გარეშე შეუმჩნეველი ტრაგედიაა.

15617. შეყვარება ზოგჯერ ქალისთვის უფსკრულია, ხოლო მამრისთვის – გართობა. ყოველ შემთხვევაში ადრე ასე იყო.

15618. ავარიის ჩამდენი ზოგი მძღოლი, მგზავრებისგან განსხვავებით, უცბად და უტანჯველად კვდება და ესეც უსამართლობაა.

15619. ირგვლივ რაც უნდა სიმშვიდე სუფევდეს, სიავეს მაინც არ სძინავს და ის ყოველთვის გაფაციცებულ ყურისგდებას მოითხოვს.

15620. თუ სიფათი მოღრეცილი გაქვს და ხასიათი – „ქაქი“, არაფერი არ გიშველის.

15621. არის დამცირებული არის დამარცხებული, რომელი ჯობს, არავინ უწყის, რადგან პირველს ყველაფერი ახსოვს და ჩასაფრებულია, მეორე ბედს ურიგდება და დავიწყებას ცდილობს.

15622. ხანდაზმულობა ყოველივეს აკონტროლებს, განსჯის, განსაზღვრავს, მაგრამ რეალური საქმის საკეთებლად უკვე უვარგისია.

15623. ის, რაც ერთ ვიგინდარას ეპატიება, სხვამ გულშიც არ უნდა გაივლოს.

15624. ვისაც საკუთარი თავის არ სწამს ის იღბალზე ჩასაფრებული, ხოლო მის მოსვლას რომ მცდელობა სჭირდება ამაზედ არ ზრუნავს.

15625. „სოციუმია“ (საზოგადოება), როდესაც იკარგება მოდა გარყვნილების და ჩვეულებრივ ნორმად იქცევა.

15626. არის დანაშაული, რომლის ჩადენა აუცილებელია, რათა უფრო მძიმე დანაშაული არ მოხდეს, მაგრამ ამას მოვალეობის მონა უნდა ჩადიოდეს.

15627. მობილური ტელეფონი ხშირად ხელსაც გვიშლის და ნერვებსაც, მაგრამ ეტყობა, ჩვენთან საერთო ენა გამონახა, წინააღმდეგ შემთხვევაში გვერდზე მოვისვრიდით.

15628. სოფლის მეურნეობას საათი და კვირაში 5 სამუშაო დღის განსაზღვრა არ სჭირდება, რადგან მისი დროის აღმრიცხველი და მბრძანებელი მცენარეა.

15629. შეცდომის ჩადენა-არჩადენა შემთხვევაზეა დამოკიდებული და არა – ჩვენს ხუშტურებზე.

15630. ცოდვებსაც თავისი სამშობლო და საბუდარი აქვს.

15631. ბებერი ბულბული, გამოცდილების მიუხედავად, გალობაში ახალგაზრდას ვერ სჯობნის. სხვანაირად მუდმივ რეგრესთან გვექნება საქმე.

15632. პრობლემები, რომელიც დღეს გადაუჭრელი გვეჩვენება, ეს დღევანდელობაა, რომლის გადაჭრას თავის ფანტაზიით ყველა ნატრობს საკუთარი განზომილებით და წარსულთან შეჯერებით.

15633. წესრიგი, პროფესიონალიზმი, ხარისხი, ეს ყველა წარმატების ანა-ბანაა, სხვა ყველაფერი დანამატია და ყოფის გასალამაზებელი კორდებალეტია.

15634. თანამედროვე სამყარო ამაოების კულტის წარმომჩენია, წინასწარმეტყველებით, შეუმოწმებელი წარმოდგენებით და დოგმების თავზე მოხვევით.

15635. გათავხედებული გამონაკლისი განსაზღვრავს, განსჯის, აღმოჩენებს და არა – წყნარი ყოველდღიურობა და რუდუნიზმი.

15636. მანძილი დღევანდელ საუკუნეში ფილოსოფიურად უნდა აღვიქვათ, მითუმეტეს, რომ მომავალში მის დაძლევასა და ოცნების ახდენა-გაჭენებაზე ძალზე ცოტა დრო დაგვჭირდება.

15637. საზოგადოება ცხოვრობს მოჭარბებული ინფორმაციის სიავეში და ,,სხვისი ჭირი – ღობის ჩხირით" მანამდის არ აღშფოთება და თავს არ გამოიდებს, სანამ უბედურება თავად არ დაატყდება და მის ნაღველს თავად არ გამოცდის.

15638. როდესაც დგება ,,ხიდების დაწვის" დრო ნუ ეცდებით მის ჩაქრობას ან აღდგენას – მოსახდენი უნდა მოხდეს.

15639. ღირსების განცდამ ხელი არ უნდა შეგვიშალოს სიავის დამარცხებაში. მასთან თანამშრომლობაც შესაძლებელია თუ პერსპექტივაში მისი გაქრობა დევს.

15640. ერთისთვის წესი წესია, ხოლო მეორისთვის ამ წესების დაცვის მცდელობა, მთელი ცხოვრების უინტერესოდ გაცდენა.

15641. ხშირად ჩვენი უხასიათობით, მამლაყინწობით და დილეტანტობით იდიოტებს ვემსგავსებით, რომლებსაც არც სასაუბრო თემა აქვთ, არც რამე აკავშირებთ და არც ოპონირებასთან აქვთ საერთო.

15642. ყველაზე ძნელი ამქვეყნად რეალობაში ცხოვრების ალიბის მოძიება და არა ცარიელი სიცოცხლე და განვლილი წლების ათვლა შესძლო დებეტ-კრედიტით.

15643. დღეს სასურველია შრომის წიგნაკში ბრძანებით გაფორმდეს: ,,გაგდებულია სამსახურიდან შერცხვენით, თავის მოჭრით, თავსლაფის დასხმით" – ზოგი იმდენად დაუდევრად ექცევა მასზე დაკისრებულ ვალდებულებას.

15644. ჯარისკაცები და ბავშვები მაშინ იხრწნებიან, როდესაც უსაქმოდ რჩებიან და მოჭარბებული ენერგია როგორ გამოიყენონ, არ იციან.

15645. რადგან უმადურობას ზღვარი არ აქვს და მადლიერებას – სიკეთის მიზღვის სურვილი, ამ უცნაურობის ცოდნის მიუხედავად, სწორი გადაწყვეტილების მიღება მაინც ჭირს.

15646. უგნურებაა, როდესაც ძალისხმევა არააქტუალურ საკითხზე იხარჯება და ადამიანის ჩვევების, ტრადიციების გადაკეთებას ცდილობს.

მაგ., კორიდის აკრძალვა, ნუდიზმის დანერგვა, ყველას ვეგეტარიანელად გადაქცევის მცდელობა, გონიერ გლობალიზმთან ბრძოლა და სხვა. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ზოგი ამით ერთობა, ზოგიერთი კი ხელს ითბობს.

15647. ურთიერთობაში ყველაზე ძნელია პასუხისმგებლობის აღება, თუმცა, წინააღმდეგ შემთხვევაში, გრძნობები დაქვეითებას განიცდის.

15648. აშშ XVIII–XIX საუკუნეების „ნაყარ-ნუყარმა" ხალხმა შექმნა რომელთაც უკანდასახევი გზა მოჭრილი ჰქონდათ ე.ი. აუცილებლობით გამოწვეული მიზანსწრაფვა ყოფილა მთავარი და არა გონების ჭყლეტა.

15649. უბედურებაა, როდესაც შენი არც თეთრად, არც შავად არავის შურს, მაშინ ამ ქვეყნად შენი მოსვლის საჭიროებაში ეჭვი გეპარება.

15650. საქმე და ტყეში ფუსფუსი სიმარტოვეს და ხმაურს ვერ იტანს, რადგან ერთი მცდელობით თავს ირჩენს, მეორე ბუნების ნებართვით დრო და დრო სარგებლობს.

15651. შემართების წლებს არაფერი სჯობს, თორემ როდესაც ვაჭრობას იწყებ საკუთარი თავის წინაშე: გააკეთო, არ გააკეთო და რამდენს გადაგიხდიან, ეს იმდენად გამოცდილების დამსახურება არ არის, რამდენადაც ასაკის მატების და სულის დევალვაციისა.

15652. დიდი ხელოვნებაა ისწავლო მასზე გამარჯვება, ვინც არასოდეს დაგნებდება.

15653. დღეს კრიტიკის, ვისამე გაქიაქების, გაქილიკების გარეშე, თავის წარმოჩენაც შეუძლებელია და არსებობისთვის მოზრდილი ლუკმის მოპოვებაც.

15654. უსაქმურობა და უგნურობაა ზღვარგადასული გართობა-მხიარულების მამაც და ბაბუაც.

15655. უგვანო შთამომავალი გარდაცვლილ წინაპარს ჭკუის სწავლებას საფლავშიც უწყობს – ანდერძი ასე არ უნდა დაგეწერა, ზომაზე მეტს ხარჯავდი, გარკვეული საქმენი უკეთ უნდა ეწარმოებინაო და ასე შემდეგ.

15656. სისხლით და ცრემლით განბანილი ტანი შვებას ვერასდროს ვერ იგრძნობს.

15657. განათლება, ვაჭრობა, გამოცდილება, მშენებლობა, სტრატეგია, აარსებს ახალ ქალაქებს და არა ხალხის თავშეყრა და მისი ოდენობა.

15658. ბუნებით ლოთი, მოწადინების მიუხედავად, არაფრის გარანტად არ გამოდგება.

15659. მოთმინება–რწმენა, გამბედაობა–ცოდნა, სიყვარული–სიძულვილი ყველა სიძნელეს გადალახავს და მიზანს მაინც მიაღწევს.

15660. დროზე გასწრებას ზოგჯერ მაინც უნდა შევეცადოთ, ოღონდ ისე, რომ არ გაგვწიროს, გაგვისწორდეს და არ დაგვცინოს.

15661. შემოქმედება სიყვარულის, ნიჭის შინაგანი აფეთქების, გარეშე ხელოსნობაა და ის ხელოვნებამდე ძნელად ამაღლდება.

15662. პიროვნება ხარ მაშინ, როდესაც მოწოდებული ხარ გაითვალისწინო სხვისი მოთხოვნები და ყურად იღო მისი შესაძლებლობები.

15663. იმ საკითხზე ვეცადოთ არ ვიკამათოთ, რაც ერთმანეთის მიმართ შთაბეჭდილებას გაგვიფუჭებს.

15664. მორალი და სულიერება ერთ ტაფაში იწვის, მაგრამ სხვადასხვა დანიშნულება და გემო აქვთ.

15665. მარადიულობას დროის ფაქტორი არ აინტერესებს.

15666. ცოდნამ პესიმიზმი ოპტიმიზმში უნდა გადაიყვანოს, ანდა – პირიქით.

15667. სიღარიბე გონიერ სიტყვას უფრო მეტი პატივისცემით ეპყრობა, ვიდრე სიმდიდრეს.

15668. კაცი მაშინ შეიძლება ჩაითვალოს ნაცნობად, თუ მასთან დრო გიტარებია, გისულელია და სასიკეთო საქმეც გიკეთებია.

15669. ღირსების შეგნება, ეტიკეტის ცოდნა, მორალის ნორმების დაცვა, ჭეშმარიტების საძებრად არ გამოდგება, მას სხვა გაქანების ჭკუა და გადატრიალებული გონიერება სჭირდება.

15670. ინტუიცია, წინათგრძნობა, არ იტყუება, თუკი ცოდნა და გამოცდილება თან გახლავთ.

15671. განათლებასაც თავის ზღვარი აქვს და მის დარღვევის უფლებას შენთვის განკუთვნილი სიცოცხლის წლები არ მოგცემს.

15672. განათლება ხშირად ვერ სჯობნის უბირობას, თუ მას შემართება აკლია.

15673. განათლებულად შეიძლება მაშინ ჩაითვალო, თუ ფიზიკის საკითხებს ლიტერატურაში არ ეძებ, ხოლო გენიოსად – თუ ქიმიაში ცხვირს არ ჰყოფ.

15674. რწმენის დოგმებს უნდა ვიცავდეთ, მაგრამ არა – გამოთაყვანებამდე.

15675. გულის მუსიკის გაგებას დიდი გულისხმევა არ უნდა, რადგან ის დაბადებიდან ჩვენს სმენას ესალმუნება.

15676. სიცოცხლის რეალობის და რაობის ფასი ყველას ჩვენებურად გვესმის და განსჯას არ ექვემდებარება.

15677. თუ გინდა, რომ ქალს უყვარდე, განდიდების მანია მოიშორე და ცოტაოდენი ეჭვის შხამი შეურიე შენს თვითდაჯერებაში.

15678. კარგის და ცუდის განსჯა შედეგს არ იძლევა, უკეთესია ქცევის შედეგების უსაყვედურო შეფასება-გადაფასება.

15679. მოსალოდნელი სიძნელეების ცოდნის მიუხედავად, შანსი ხელიდან არ უნდა გაუშვათ, რადგან ის უნდა ვცადოთ, რაც ჯერ არ გაგვიკეთებია.

15680. ინტუიცია არგუმენტების გარეშე ნოლს უტოლდება.

15681. ცივილიზაციისთვის ძირის გამოთხრა ტერორიზმის ალიბით იწყება.

15682. პირადი ნდობა და დამოუკიდებელი თვითმყოფადობა ქვეყანას, ხალხს, ყველა კრიზისისგან გამოიყვანს.

15683. მეგობრობას და შემოქმედებით კავშირს სქესი არ სჭირდება, მაგრამ გამოცდილების შერჩევა და დროის ფაქტორი აუცილებელია.

15684. მტერია ისიც, ვინც კუთვნილს შენს დაუკითხავად წაეპოტინება.

15685. ყველას ოცნებაა მის მოსაწონ დროში ცხოვრება, მაგრამ ამაზე ფიქრს სჯობს ხელი გავანძრიოთ ან ქვეყანა საცხოვრებლად დროულად გამოვიცვალოთ.

15686. სასურველი არ ნიშნავს აუცილებელს, მაგრამ გასათვალისწინებელია, შესადარებელია, რადგან მისი საწყისი გამოცდილებაა.

15687. დღევანდელობა შეიძლება ხვალინდელობისთვის მიუღებელი იყოს, მაგრამ ცივილიზაციამ თუ გვინდა წინ წაიწიოს, დღევანდელობით დღესვე უნდა ვიცხოვროთ.

15688. ისიც დიდი ბედნიერება ხანდახან, როდესაც ინტუიციით გრძნობ თუ სად და რაზე უნდა დადგა ფეხი.

15689. გულწრფელობას იძლევა მხოლოდ რწმენა, რომელიც შეიძლება შეცდომაც იყოს, მაგრამ არა – პიროვნებებისათვის, აქ უმთავრესად დროის ყივილია დამნაშავე.

15690. ვეცადოთ აღფრთოვანების და სხვებისთვის სიამოვნების მინიჭების უნარი შევინარჩუნოთ, რადგან კრიტიკა დაპირისპირებულებზე ცუდ შეგრძნებას ტოვებს.

15691. არარეალიზებული ავტორიტეტი საშიშიც არის და საცოდავიც.

15692. მთავარია, პრობლემამ არ იცოდეს საკუთარი ფასი, მას სხვისი მაგალითების მოშველებით უნდა მოვუაროთ და განვმუხტოთ.

15693. სიკეთის აფანა ჭირს კვადრატში, თორემ ბოროტება ჩვენს დაუკითხავად გვევლინება კუბში, ბინომში, რომლის განმუხტვა სიკეთიდან ფესვის ამოღებით უნდა მოხერხდეს.

15694. მსჯელობა, რომელსაც შედეგი არ მოაქვს, ყბედობაა.

15695. ცუდ ხასიათზე ყოფნას ყოველდღიური შთაგონებითი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ და ვეცადოთ უმეტეს შემთხვევაში გამარჯვებული დავრჩეთ.

15696. ახალგაზრდობა და სიბერე ადამიანმა ყველაზე უკეთ უნდა გაატაროს, ყოველგვარი გონების ჭყლეტის და მორალთან ბრძოლის გარეშე.

15697. მშობელი, პირველ რიგში, ბატონი და ქალბატონია, თავის ხვადობით და ლამაზმანობით და როდესაც ნაშიერი ამას შეიცნობს, ისინი გაკვირვებულნი ხატად არ აღგიქვამენ, მაგრამ თქვენით აღფრთოვანდებიან და იტრაბახებენ.

15698. ადამიანს, რომელსაც არც ცოდნა უკვირს და არც უვიცობა – მასწავლებელია, თუ ზრდილობა-უზრდელობა არ აკვირვებს – ფილოსოფოსია, ხოლო ვინც არც სიკეთის კეთებას და არც დასჯას ერიდება – ხელისუფალია, სწორედ ქვეყნის სიძლიერე ამ სამ ვეშაპზე დგას.

15699. ქაქს და კრიმინალს თვალ-თვალი არ სჭირდება, ისინი თავად ამოტივტივდებიან და ბრბოს და სამართალს საქმეს უჩენენ: ერთს ყბედობისთვის, მეორეს – ამყრალებული საქმის ჩასაფარცხად.

15700. ამპარტავნობა, შური, სახარბე, სიძვა, მრისხანება, სიზარმაცე, ნაყროვანება, მომაკვდინებელ ცოდვად არ უნდა ჩაითვალოს, თუ მათ მოვალეობის მუხრუჭები გააჩნიათ და მათზე დროულად ფეხის დაჭერაც შესაძლებელია.

15701. მაშინ აქვს სიამოვნებას ფასი, თუ მას აზროვნების მოშველიებით მიიღებ და არა მუქთად, სხვისი მიბაძვით.

15702. დასახული მიზნის მიღწევას მზადყოფნა და ყალყზე შედგომა სჭირდება, რომელსაც თან უნდა ახლდეს განათლება და ნიჭი.

15703. უხიაგი ხასიათის დამალვა მუშტში უნდა შევძლოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენთან ურთიერთობა ყველას გაუჭირდება.

15704. საჩუქრის შერჩევა ორიგინალობას და ცოდნას მოითხოვს, რადგან თავი ხშირად უნდა გაგვახსენოს, თავი მოიწონოს, სიამე მოგვაროს და რაც მთავარია, ქრთამის სუნი არ უნდა ასდიოდეს.

15705. მთავარია მოწოდების ენთუზიაზმით, სიფარულით წვა, ხოლო ერი, განგება, დრო, რას დაიტოვებს შენი ნამოღვაწარიდან, რას – არა, ეს მათი საქმეა.

15706. დროისა და შემთხვევის უგულებელყოფა აკრძალული ფუფუნებაა.

15707. მოგზაურობის მიზანია თავგადასავლების, მომხიბვლელობის შეცნობა და არა ამქვეყნად უაზრო ხეტიალი.

15708. ორგანიზაციულ ნიჭს შემთხვევა და გონიების სასუქით გაჯერებული ნიადაგი სჭირდება აწმყოში სასწაულების მოსახდენად, რომელიც მომდევნო თაობებს რატომღაც ნაკლებად აინტერესებს.

15709. ვერავითარი მოდა ფეხს ვერ მოიკიდებს, თუ არ მოიწამლე და დროებით არ გაითავისე.

15710. სიღარიბე სიკვდილის ტოლფასი ფენომენია, რომლის საწყისი მოჩვენებითობაა, პატრიოტიზმია, უსაქმური გენია და თავისებური ვირეშმაკობაა ხელის გაუნძრევლად.

15711. მომავლისკენ ნატვრით გახედვას აწმყოს რეალობაში ხედვა სჯობს, უფრო მომგებიანია, რადგან ოცნების ბაზის აქ ეზრდება ფესვი.

15712. ყველას თავისი „ბაზარი" აქვს, აქ მთავარია ჩვენი „ავოზკით"-ბადე-ჩანთით სხვისი რაობის ყიდვაზე და პრივატიზაციაზე არ ვიფიქროთ.

15713. საუბარს აზრი და ფასი მაშინ ედება, თუ საქმის საძირკველს სამშენებლო მასალით მოამარაგებ, დააფინანსებ, ექსპლუატაციაში შეიყვან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველაფერი ლაყბობა, დროის კარგვა და ნერვების ქეიფია.

15714. ინტუიციის და აზროვნების შედეგად მიღებული პროდუქცია – შეგნებაა.

15715. სინდისის უქონლობა საბაზრო ცხოვრებას ხშირად ძვირი უჯდება, გაფიცვების, პროტესტის სახით, მაგრამ არც იმდენად, რომ სიმდიდრესა და ფუფუნებას უარი სტკიცოს.

15716. მოვალეობა და სიყვარული სხვადასხვა ცნებაა, მოყვასის მოვლა-პატრონობას რა გულმოდგინეობითაც უნდა ასრულებდენ.

15717. ყველა თავისი დროის განდიდებას უნდა ცდილობდეს, იმსახურებს ის ამას თუ არა.

15718. ერთხელ იძულებულნი ვხდებით სიმართლეს თვალში რეალურად შევხედოთ, რადგან ახალგაზრდულ ოპტიმიზმს, ადამიანთა კეთილგონიერებას ჩვენს თვალში ყვლი გასდის.

15719. სხვისი წერილის წაკითხვა იმიტომაა უხერხული, რომ აქ ორის ინტიმი და სული ყივილია, რომელიც სხვისთვის გაუგებარი და შეიძლება მიუღებელიც იყოს.

15720. ხმამაღალი ტონით საუბარი ყველა სახის ეშმაკ ბავშვებთან დანაშაულია – დამახსოვრება იციან.

15721. გჯეროდეს ყოველგვარი საწინდრის გარეშე არც თუ ისე ცოტაა ქვეყნის აღმშენებლობაში.

15722. გრძნობების სტრიპტიზი ღირებულებათა გაშიშვლებას ვერ ეგუება.

15723. სამშობლოს, მშობლების, პიროვნებათა სიყვარული, რომელიც გამაგრებულია მატერიალურად, ცხოვრების და მატიანის მაგალითებით, შვილებს დაბადებიდანვე უნდა ჩავუნერგოთ თუ გვინდა ადამიანებად მათი აღზრდა უზრუნველვყოთ.

15724. მთავარია, ვინ იქნები და სხვას როგორ გამოადგები და არა ის, რა პროფესიას აირჩევ და როგორი ცენზით გახვალ პენსიაში.

15725. ,,ძლიერი პასუხისმგებელია სუსტზე" – კარგი პასტულატია, მაგრამ სანამ უნდა ათრიო კაცთმოყვარეობის სახელით ეს ტვირთი, კანონი, სამართლიანობა და ტრადიციები ამის განსჯა-განსაზღვრით თავს არ იწუხებენ.

15726. რამდენი კარგის კეთება შეიძლება უსიტყვოდ, რისთვისაც არავინ შეგაქებს, მაგრამ მადლიერები დაგრჩებიან: ყვავილის მორწყვა, მოხუცისთვის ტრანსპორტში ადგილის დათმობა, ქუჩაზე ბრმის გადაყვანა, თუ გნებავთ სახლში პურის მოტანა და ათასი სხვა.

15727. შვილი მოხუც მშობლებზე აგებს პასუხს, ხოლო მშობლების პასუხისმგებლობაზე შვილის ასაკი არ მოქმედებს.

15728. სხვისი დამარცხება შენს გამარჯვებად არ უნდა ჩათვალო, თუ მასში შენი მცდელობის 50% არ დევს.

15729. მთა არა მარტო უნდა დაინახო, უნდა მოუსმინო კიდეც, რათა ჰაერი ჩაყლაპო, შეითვისო და იგრძნო ის კაიფი, რაც ადრე არ განგიცდია.

15730. ხუმრობით იმას უნდა ემასლაათო, ვისაც ორაზროვნების ფილოსოფია ესმის, ხოლო ვინც ამ ნიჭს მოკლებულია, მას უნდა ესაუბრო საკუთარი თავის გაჯოხვის ხარჯზე, თუ გინდა, რომ სიმპათიები და თანადგომა დაიმსახურო.

15731. უნდა ეცადოთ თქვენთვის განკუთვნილი სხვის დაუხმარებლად გაითავისოთ.

15732. მთავარია, სიტყვა რას აძლევს და არა – რას ამბობს.

15733. უკეთ შეიცნობ სიცოცხლის სილაღეს, როდესაც შენი ცხოვრების რაღაც ნაწილი შინაურებისთვის უცნობია და ზოგი მათგანის გამომზეურება მათში გაკვირვებას, მოკრძალებას და აღფრთოვანებას იწვევს.

15734. შემოქმედებით წვას და წარმატებას მოუმზადებელი არ უნდა შევხვდეთ, თორემ მიღწეულიც და პერსპექტიულიც ხელიდან გაგვიფრინდება.

15735. შვილს იმდენი ქონება უნდა დაუტოვო, რომ შენს ღირსეულად დასაფლავებას და სახელის შენარჩუნებას ეყოს და ფლანგვას ხელი არ მიჰყოს.

15736. განთავისუფლებას, პატიმრობიდან იქნება თუ დიქტატორის ბრჭყალებიდან ყოველთვის ფასი აქვს, რომლის უგულებელყოფა და მიფუჩეჩების უფლება არც კანონს აქვს და არც მასზე ამოფარებულ ხელისუფლებას.

15737. ხშირად უყურადღებობა, გულგრილობა, უფრო მეტი დანაშაულია, ვიდრე გონების მოულოდნელი გასულელება და შემთხვევის წყალობით თავის ქეიფზე გაჯირითება.

15738. საქმე და მოვალეობა ერთმანეთში არ უნდა აურიოთ, არც უნდა უგანოთ, თორემ ყოფიერებას კბილს მოჰკვეთს და ხახამშრალს დატოვებს ნიჭსა და მცდელობას.

15739. თანამედროვე მორალით და აღზრდით, დასახული მიზნის მიღწევა ყოველთვის შესაძლებელი არ არის.

15740. ჭორს უნდა მოვერიდოთ და არ ავყვეთ, თუ გვინდა უყურადღებობით თავადვე მოიგუდოს.

15741. შთამომავლობას არაკაცობა და გვარის შემარცხვენელი ვალი არ უნდა დაუტოვო, რომლის გადაუხდელობას წერტილი არასოდეს დაესმება და არც ვინმე ჩამოგაწერს.

15742. ბრბო სამართლიანობის ეიფორიით ახდენს რევოლუციას, ხოლო მას სამართლიანობა, კანონიერება ყოველთვის სათავისოდ ესმის.

15743. იდეოლოგიის, ფანტაზიის, ოცნების, კაიფს უნდა ახლდეს „თან საქმე", წინააღმდეგ შემთხვევაში, ყოველივე პირობითია.

15744. შემოქმედი ხარ, როდესაც ხალხსაც უყვარხარ და ფანატებსაც, ხოლო მხოლოდ თუ ამ უკანასკნელებს – ვარსკვლავი, რომლის ღირებულების დადგენას სერიოზულად არავინ ცდილობს.

15745. თხოვნა-მოთხოვნას შორის ზღვარი წიაშლება, თუ თხოვნა ვისწავლეთ, რადგან ეს მიჩვევაში, უსაქმურობაში, ინიციატივის დაკარგვაში, გადაიზრდება.

15746. დღევანდელი გადასახედიდან წარსულის რევიზია და ოპონირება მისაღებიც არის და მიუღებელიც რადგან ისტორიის ჩახმახს 100-200 წლის შემდეგ ვინ გამოჰკრავს, გაისვრის არავის უწყის.

15747. ლოგიკა ყოველთვის აგვიანებს, მაგრამ თავისას ხელიდან არ უშვებს, თუ მოუსმინე.

15748. ფარდობითობის ტოლობის საწყისს, ყველა ჩვენგანი უნდა ფლობდეს, რათა თავი უფრო უკეთ ვიგრძნოთ, ვიდრე სინამდვილეში ვართ.

15749. ხშირი ჭკუა-დარიგებებით, სხვის საქმეში აუცილებლობითაც კი ცხვირის ჩაყოფით, მისთვის განკუთვნილ „სიამის“ წლებს, ბედისწერას, შეურაცხყოფას ვაყენებთ და ვერაფერს ვშველით, რადგან მისი ბუნება სხვანაირად არ ითარგმნება.

15750. ცუდი ჩვევაა კაცს პირში ის მიახალო, რასაც ფიქრობ, თუ ის მოხერხებულობის ფილტრში არ არის გატარებული.

15751. ხანდახან, აუცილებლობით გამოწვეული დანებება, ფარხმალის დაყრა, თავისებური ვაჟკაცობაა, გონიერებაზე რომ არაფერი ვთქვათ, რადგან სიცოცხლე-მოვალეობის კელაპტარზე ძვირფასი ამ სამყაროში არაფერია.

15752. სილამაზე და მოხდენილი ჩაცმა ყოველთვის ყურადღებით უნდა იქნეს დაჯილდოებული, რათა ქალთა მოდგმამ უკუღმართი ევოლუცია არ განიცადოს და თავის მოკოხტავებაზე ხელი არ აიღოს.

15753. თუ მამაკაცი ქალს სახის ქვემოთ ათვალიერებს, მას ჰგონია ამ ქალის ჭკუა-გონებას გაეცნო, და ახლა სხეულის დეტალების აღქმას ცდილობს ყოველგვარ ვნების გარეშე, მაგრამ ქალი მთლიანობაში უნდა აღვიქვათ როგორც ნაწარმი და არა როგორც ნახევარფაბრიკატი.

15754. სიცოცხლის ეშხს მაშინ გრძნობ, როდესაც დაზღვეული ხარ ყოველგვარი გაუგებრობა-შემთხვევითობისაგან და სხვის ჯინაზე თავად იმას აკეთებ, რაც მოგეხასიათება.

15755. შთაგონება-აღმაფრენის ალის აგიზგიზება მირონცხებულთა ხვედრია, ხოლო გათავისება, რეკლამის ცეცხლით გაცისკროვნება, გამართლებასთან, ერთად ქვების კოდვის ტოლფასია.

15756. გულახდილი ურთიერთობაში შეიძლება არ ვიყოთ, მაგრამ პატიოსანი – აუცილებლად!

15757. დაქორწინება შეიძლება: სიმშვიდისთვის, მოვალეობისთვის, გამოუვალი მგომარეობის გამო და არა – გამორჩენა – მზაკვრობისათვის.

15758. სინდისის ქეჯნა ის არასასიამოვნო ტვირთია, რომელიც დროთ განმავლობაში წარსულის ცოდვებისთვის გულზე შემოგაწვება და სინდის-ნამუსის რაობას შეგვახსენებს.

15759. მოფასი კომენტარების, შენიშვნების, სურვილების გარეშე უნდა მოგწონდეს, რომ ეძმაკაცო.

15760. ადამიანი, რომელსაც თამამად თავის სურვილების, გრძნობების გამჟღავნება არ უჭირს, სიყვარულისთვის კი, მაგრამ ჯვრის საფსკვნელად არ გამოდგება.

15761. კიდეც რომ გეშინოდეს, მტერს მაინც უნდა აგრძნობინო, რომ სამაგიეროს გადახდაც შეგიძლია, მისი ყურადღების დასაძაბად და უგუნურების გასაფანტად.

15762. ალიარება ხშირად შენში უნდა ჩაკეტო, თავი მოთოკო, რათა არ გაგაზარმაცოს.

15763. შვილი არა მარტო უნდა გავზარდოთ, არამედ უნდა გავუგოთ და პატივისცემა დავიმსახუროთ.

15764. სულ რომ არ დაიჩაგრო ყოფით, კი არ უნდა მონაწილეობდე, არამედ უნდა ეცადო იცხოვრო.

15765. ძნელია ცხოვრება – ოცნების, ხოლო სიცოცხლე – სიხარულის შეგრძნების გარეშე.

15766. დაქირავებულია ის, ვინც ფულის გულისთვის სხვის ინტერესებს იცავს, ხოლო ვინც ხელფასს იღებს და თავის ქვეყანას ემსახურება, ჯარისკაცია.

15767. ისე არ უნდა მოვიქცეთ, რომ ყოველივე ძველს, წმინდას, წიხლი ვკრათ და უკან მოსატრიალებელი ხიდი დამწვარი დაგვხვდეს.

15768. მეზობელთან დადებითი ურთიერთობის ბალანსი რომ გქონდეს, თანამეინახესავით უნდა მოექცე, ძალზე არ დაიახლოვო და სიკეთის კეთება ვალად უნდა აჰკიდო.

15769. ნახმარ-გაცვეთილი წესიერება კარგ მდგომარეობაშიც კი არავის სჭირდება.

15770. მისწრაფება, საქმისადმი სიფვარული, ის გამოთავისუფლებული მამოძრავებელი ძალაა, რომელიც განათლებით, სიახლის შეცნობით, უნდა შეივსოს.

15771. დროში უფერულდება ყოველივე და არა მარადიულობაში.

15772. პირველ რიგში თავისთვის ვეცადოთ და ზოგჯერ სხვაც არ დავივიწყოთ, რადგან ბოლომდე არც არავინ შეგინდობს და დაგიფასებს.

15773. მთავარია, მიწა შენი იყოს, ხოლო რა ჯიშის და ჯილაგის ხე აღმოცენდება, ამას მნიშვნელობა არა აქვს.

15774. ძლიერების აქილევსის ქუსლი გაუფრთხილებლობაა.

15775. ტკბობა სიკვდილითაც შეიძლება, თუ ბუნების გარდაუვალი კანონები გაითავისე და ნაოცნებარ-ნაფიქრალის ნახევარი მაინც აისრულე.

15776. ბრძოლა და მისი შედეგი შეიქმს სიფვარულსაც და სიძულვილსაც.

15777. სისულელიდან, ხიფათიდან, თავის დაღწევის უებარი საშუალებაა სიმუნჯე, სიყრუე, სიბრმავე.

15778. განუსჯელობით, პირველ რიგში, საკუთარ თავს ვვნებთ, შემდგომ – ჩვენს კეთილდღეობას.

15779. ღიმილის არმცოდნე და არმქონე კაცი სანდო არ არის.

15780. ყბედობას ისევ მოსმენა ჯობს, რადგან დროსაც მოკლავ და შეიძლება რამე შენთვის საინტერესოს ყურიც გამოსდო.

15781. მასწავლებელი გარეგნულად დიქტატორი უნდა იყოს, ხოლო შინაგანად – აღმზრდელი და მოყვასი.

15782. ჯანყი, ბუნტი, დაუნდობელი და მოუზომელი განტოლებაა, ამიტომ მისი აღმოფხვრა, ყველა ღონისძიებით, საწყისშივე უნდა მოხდეს, თუ გვინდა უკეთესობის ნაცვლად ძველის ნოსტალგია არ გამოიწვიოს.

15783. არამზადაც შეიძლება მთლად ნამუსგარეცხილი არ იყოს, მაგრამ ჯობს არ გამოვცადოთ – არ ამართლებს.

15784. სიტყვის მიცემა ვაჟკაცობაა, ხოლო მისი შესრულება – ორმაგი ვაჟკაცობა და პატივისცემა, სახელის მოხვეჭის საწყისით.

15785. ყველა საუკუნეს თავისი სიცრუე ახასიათებს, ყველა დროს – მისთვის შესაფერისი ყივილი.

15786. აღიარება იმათგან გსიამოვნებს, ვინც შენი ფასი იცის. ხოლო ვისაც სმენია, მათგან გახსენებით უნდა დაკმაყოფილდეთ.

15787. დიდება, სახელი, უმადური და დროებითი საქმეა და ეს თავიდანვე გაცნობიერებული უნდა გქონდეს თუ კარიერისთვის იღვწი და ცნობილი ადამიანი გინდა გახდე.

15788. ინსტინქტებით განსჯა არ ამართლებს, რადგან ჭეშმარიტებასთან ვერ მიგვიყვანს.

15789. წუთიერი სისულელის ჩადენის ფასი ზოგჯერ ძალზე დიდია და ხშირად გამოუსწორებელი.

15790. შენს შთამომავალს იმდენი ქონება არ უნდა დაუტოვო, რომ მოდუნდეს და მცდელობის და აზროვნების მიმართ გულგრილი გახდეს.

15791. ღირსებით იბადებიან და არ – ხდებიან.

15792. უცვლელი ღირებულება იყო და დარჩება: რწმენა, ოჯახი, სიყვარული, მოვალეობისკენ მიდრეკილება და აღსრულება.

15793. მლიქვნელობას წინ სიბრძნე და ხალხის ბუნების ცოდნა უნდა აღუდგეს, მაგრამ ბოლომდე მისთვის წინააღმდეგობის გაწევა ჩვენ პატივმოყვარეობას აღემატება.

15794. სხვისი საკუთრების მითვისების მიზეზი ყოველთვის არსებობს, მაგრამ ყველაზე მეტად ამ ცოდვას უნდა ვერიდოთ.

15795. სიმკაცრე, მომთხოვნელობა, გონებამახვილობა, სხვა ღირსებებთან ერთად, აუცილებელია.

15796. ბიზნესის, ვაჭრობის, დილერობის სწავლას ხალხის კეთილდღეობისათვის უნდა შევეცადოთ, იმის მიუხედავად, გამოვიჩენთ ფხას თუ არა.

15797. ჯოჯოხეთისკენ მიმავალ გზას არ უნდა შეუყვეთ, თორემ შეჩერება და ცოდვებისაგან თავის დაღწევა შეუძლებელი ხდება.

15798. ხელმოცარულნი, კაცთმოყვარეობის მომიზეზებით, შენს ირ-გვლივ არ უნდა მოამრავლო, თორემ შენც უიღბლობა დაგეჩვევა და უნიათობა გადაგედება.

15799. წარმატებას ხშირად ის აღწევს, ვინც მას მაინცდამაინც არ ეძებს და საყვარელი საქმით არი მოწამლული.

15800. წარსულზე წუწუნი სისულელეა, რადგან მატიანეს არავინ შეცვლის, ხოლო მომავალზე ფიქრი აუცილებელია.

15801. უნდა გეშინოდეს იმ კაცის, ვისაც გგონია კარგად იცნობ და შენგან უზომოდ პატივნაცემია, რადგან შურის ბაცილა ასეთ ხალხში უფრო სწრაფად იღვიძებს და მიზეზად მცირე წყენა კმარა, რომ არ დაგინდოს.

15802. ყველანი უვიცები ვართ, მაგრამ გარკვეულ პარამეტრებში.

15803. მკაცრი, საშუალო დონის უფროსი, რომელიც დასჯის და დამუქრების მიზეზს ეძებს და „ჭიქაში ქარიშხალს აყენებს", პრაქტიკუ-ლად არავის ვნებს, ავტორიტეტს ფლობს და საქმესაც კარგად უძღვე-ბა. ერუდირებული, სამართლიანი და კაცთმოყვარე ხელმძღვანელი კი ვერც საქმეს უძღვება და მისი ავტორიტეტიც საორჭოფოა.

15804. გამბედაობა, თავხედობა, კადნიერებაც უნდა მოვიშველიოთ, თუ შედეგის დროულად მიღება გვინდა.

15805. სხვას არასოდეს არ უნდა აგრძნობინო, რომ ის ბრიყვია. უბრალოდ, რჩევა თხოვე და ფული ესესხე.

15806. სიკეთე არ იკარგება, მაგრამ მისი ნაყოფის შენარჩუნება ძნელი.

15807. ამქვეყნად მოსვლის მიზნის ძებნაა ძნელი და არა – მიზეზის.

15808. ყველამ საკუთარი თავი უნდა დაათვალიეროს უკომპრომი-სოდ, რათა სხვათა ღირსების შემჩნევის უნარი არ დავკარგოთ.

15809. აპათიის, სიზარმაცის, დაძლევა მაშინ არის შესაძლებელი, თუ მას სიყვარულის მათრახს გადავუჭერთ და გონიერების განსასჯელ სასუსნავს მივუგდებთ.

15810. წუწუნს, გაუმართლებელ სიყვედურს, ჯავრის ამოყრას, ყუ-რადღება არ მიაქციო და ჩვეულებრივი საუბრის თემად ჩათვალო, ამასაც დრო და ცხოვრების მათრახის ქვეშ გამოვლის გამოცდილება სჭირდება.

15811. შრომა კაიფი ხდება, თუ შენს ნაფიქრალს უკეთებ რეალი-ზებას.

15812. ცხოვრებაში ბევრი ცხვირაწეული შეგხვდებათ, მაგრამ თავი არ უნდა გაუყადრო, რადგან მათი მდგომარეობა შემთხვევითი და დღენაკლულია.

15813. თუ გეუბნებიან, დარეხვილიაო, სავალდებულო არაა ეს ადამიანი საქმეში გამოცადო, მითუმეტეს თუ სიმპტომები აშკარაა.

15814. ყოველი ჩვენგანი ეგოიზმის, უტიფრობის, გარეშე პასუხისმგებლობას უნდა გრძნობდეს მოვალეობის, წინაპრების, საკუთარი თავის წინაშე.

15815. ნდობა რომელიც გადამოწმებული არ არის, გონების სერიოზულ ანალიზს და ფაკირის წინათგრძნობას მოითხოვს, რათა თაღლითის ხელში „ბეჟედ“ არ იქცე.

15816. ბუნებრივი ღიმილის არმქონე ადამიანი სანდო არ არის.

15817. საუბრისაგან განსხვავებით, მსჯელობა მაშინ არის საჭირო, თუ ვინმეს სჭირდება და მასში სარგებლის ნახვას ცდილობს.

15818. გულღვარძლიანი არ უნდა იყო, მაგრამ ხასიათის სიმტკიცეს და კარგ მახსოვრობასაც არ უნდა უჩიოდე, თუ გინდა ცხოვრებაში რაღაცას მიაღწიო.

15819. იღბალი, შემთხვევა, ბედი, განგების ჭიტლაყის კოქტეილია, რომელსაც მონდომება, შრომა და სწავლაც უნდა წავახმაროთ.

15820. კოლექციონერები უნდა დავაფასოთ და ძეგლიც დავუდგათ, რადგან საკუთარი ტალანტის უქონლობას სხვისი ნიჭის გაფრთხილებაწარმოჩენით ცვლიან და თაობებს საჩუქრად უტოვებენ.

15821. ემიგრაცია მაშინ ამართლებს, თუ ადაპტირებას ემორჩილება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი ქვეყანაში შემოყვანა და მოქალაქეობის მიცემა „ფერებში მახათის გაყრის“ ტოლფასია.

15822. ამბიციები ყველას უნდა გვქონდეს, ოღონდ ზომიერი და მოთოკილი.

15823. ჟინიანი ქალი თავისი ახირების დაცხრობის შემდეგ გარკვეულ დრომდე ტკბება და ყველაფრის მიმართ გულგრილი რჩება მომავალი ხუშტურებამდე. ამიტომაც შერჩევისას ამგვარ ქალებს უნდა მოვერიდოთ – სიცოცხლეს გაგვიმწარებს.

15824. მიბაძვით ყველას უნდა მივბაძოთ, თუკი ჩვენზე ჭკვიანი და მოხერხებულია, მაგრამ ჩვენი გადასახედიდან და ჩვენივე სულის შესაბამისად.

15825. უმთავრესია გონივრული და დროული კომპლიმენტებია ქალის კაპრიზისაგან თავის დასაცავად და არა მარტო საჩუქრები და ყოფითი კომფორტი.

15826. კონფლიქტი, გაუგებრობა, სახელმწიფოთა შორის იყო და იქნება, მაგრამ ეს ძალადობაში, იარაღის გამოყენებაში და ურთიერთობის გაფუჭებაში არ უნდა გადაიზარდოს.

15827. შენთვის განკუთვნილი მიწის ნაგლეჯი თავადვე უნდა დაიმ-სახურო, რადგან მხოლოდ ამქვეყნად დაბადება დიდ ხეირს არ იძლევა.

15828. სუპერბედნიერება ყველამ თავად უნდა ეძებოს და გამოთხ-აროს.

15829. სულით დაავადებულებს, ჭორიკნებს არ უნდა ვეკამათოთ – ძვირი გვიჯდება.

15830. ნებაყოფილობით არავინ არაფერს იძლევა, თუ მას შიშს, რიდს და მოკრძალებას არ ჩაუსახავთ.

15831. უმიზეზოდ საკუთარ თავზე ნუ გავიცინებთ, რადგან ამას თქვენი მოშურნენი სიამოვნებით გააკეთებენ ჩვენს ნაცვლად.

15832. სიყვარულს ვერავის დავაძალებთ, მაგრამ პატივისცემის დაძ-ლევა აუცილებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერც უფროს-უმცრო-სობის ინსტიტუტი იარსებებს და ვერც სუბორდინაციის აქსიომა.

15833. ღმერთი თუ შენს მხარესაა, ჭიჭყინები ვერაფერს დაგაკლე-ბენ, მაგრამ ჩაგისაფრდებიან და ცხოვრების გარკვეულ ნაწილს მაინც მოგიწამლავენ, ამიტომ „ღმერთს – ღმერთის და კეისარს – კეისრის“ პოსტულატი არასოდეს არ უნდა შეგეშალოს, კარიერის რა საფეხურ-ზე უნდა იყო ასულ-ამძვრალი.

15834. ჩვენს მიმართ ნათქვამი ყოველი სისულელე ყურად არ უნდა ვიღოთ თუ საქმეს გულით ვაკეთებთ, რადგან ჩვენს მცდელობას მომ-ხრეებიც და მოწინააღმდეგენიც ხედავენ და თავის გადასახედიდან გან-სჯიან და დაგაფასებენ.

15835. ზოგჯერ საიდუმლო საკუთარ თავსაც არ უნდა გაუმხილო, რათა სიზმარში არ გაგცეს.

15836. ლოდინის ალტერნატივა უნდა იყოს შემართება, მცდელობა, წინააღმდეგ, შემთხვევაში მარტო ლოდინით არაფერი გამოვა.

15837. საქმეს, შემთხვევას, არც ერთ ვარიანტში არ უნდა უფ-რთხოდეთ, რადგან ვისაც სამარეში ძილი უწერია, ის საწოლში ვერ დაიძინებს.

15838. ვეცადოთ თავი დროულად დავაღწიოთ ცუდ მეზობელს, დიდ ოჯახს, შეუფერებელ ცოლს, ხელმოკლეობას და არამკითხე მზრუნველთ.

15839. მიწაზე არც სიყვარულისთვის უნდა განერთხა, არც თანამ-დებობისთვის და არც ფულისთვის, რადგან შენი კაცობისაგან აღარა-ფერი დარჩება.

15840. გასულელებაც ისევ ზომიერების ფარგლებში ჯობს, ადვი-ლად იტვინება.

15841. ყოველივე ჩვენს ირგვლივ რაც ხდება, უნდა ვეცადოთ მარ-ტივად წარმოვიდგინოთ, განვსაჯოთ და სინამდვილეს დავეყრდნოთ.

15842. გაუტანლობა, შური, ფლიდობა, სულმდაბალთა ოჯახს მიეკუთვნება.

15843. სწავლების დროც განსაზღვრას მოითხოვს და იმაზე მეტად არ უნდა აიტკიო თავი, რაც გჭირდება, თუკი სიახლის შეთვისება სიამოვნებას არ გგვრის.

15844. სურვილი მიზნად არ უნდა ვაქციოთ, თუ გვინდა შედეგს ხელი გამოვკრათ და ვისიამოვნოთ.

15845. პატრიოტიზმს სხვის ხარჯზე და ისიც გამორჩენით, ეროვნული საქმე არასოდეს უკეთებია და ვერც გააკეთებს.

15846. რაც თავად არ გწამს სხვა არ უნდა აიძულო იწამოს.

15847. ერთი შანსის მიცემა ყველასათვის შეიძლება, მითუმეტეს, თუ ეს გამოსაცდელად ეძლევა და თქვენც სიამოვნებას გგვრის.

15848. დაუჯერებელს თუ დაიჯერებთ, რწმენად გექცევათ და გაწვალდებით.

15849. ერთი თავს გვაჩვენებს ბრიყვად, მეორე – ჭკვიანად, მაგრამ სანდო არც ერთი არ არის.

15850. ალესილი დედალ-მამალი პირი მაკრატელს აქვს, რომლის საქმიანობაში ჩარევა-შუაკაცობას არავის ვურჩევდი.

15851. მთავარია, თავის დაჭერის უნარი და არა ის, რამდენად გულახდილი და მცოდნე ხარ.

15852. ბრიყს არ უნდა ედავო, თავი უნდა დაუკრა და საქმე შეძლებისდაგვარად შენი შეხედულებით უნდა აკეთო.

15853. ენერგია ყველაფრის და ყოველივეს მოცემა-გათავისების გარანტიაა.

15854. საქმის კეთებას ტვინის განძრევა და სურვილი სჭირდება და არა – იმის შეფასება, სხვა შეძლებდა თუ არა.

15855. თუ მდიდარი წესიერად იქცევა, ზედმეტს არ ხარჯავს, უდროოდ არ მიდის ამქვეყნიდან, მადააღძრულ ახლობლებს ძალზე ანერვიულებს. ამიტომაც მათ იმდენი უნდა დაუტოვოს, რამდენსაც იმსახურებენ და არა იმდენი რაც ეკუთვნით.

15856. ,,შარი ხეირად გვექცაო'' – ეს მცდარი დებულება ხშირად კრახს განიცდის.

15857. სამსახურში გვერდზე არასოდეს არ უნდა დაიყენო ის, ვისაც თავზე დიდი წარმოდგენა აქვს, რადგან ყოველთვის გიღალატებს, თუ შესაძლებლობა მიეცა.

15858. როდესაც არ იცი რა აკეთო, სჯობს არაფერი აკეთო, რადგან შეცდომისათვის, დაგსჯიან, ხოლო უსაქმურობას და დროის გაყვანას უამრავი ალიბი ახლავს.

15859. თავზე მეტად სხვას ვერ შეიყვარებ, მაგრამ ცდა არ უნდა დააკლო.

15860. არასოდეს უნდა მივტიროდეთ იმას, რაც არ გვაქვს და დავკარგოთ, მაგრამ მის მოპოვებას და ანაზღაურებას ცდა არ უნდა დავაკლოთ.

15861. როგორები უნდა ვიყოთ არავინ უწყის, მაგრამ სხვას რომ ხელი არ უნდა შევუშალოთ ეს ცხადია.

15862. ცოდნას გამოყენება სჭირდება და არა – დაზეპირება და თავის მოწონება.

15863. შეგრცხვება – არ შეგრცხვება, შეცდომას აღიარება, ანალიზი, გამოსწორება სჭირდება, რათა რეციდივი არ განმეორდეს.

15864. ეცადეთ იყოთ მოყვასი, სანამ ამის უფლებას იტოვებთ.

15865. საკუთარი უფლებებით უნდა ისარგებლო, მაგრამ არ უნდა გადაამლაშო.

15866. საქმის კეთებისას დავა და სხვისთვის ნიშნისმიგება არ გამოდგება.

15867. უნდა ვერიდოთ იმათ წყენინებას, ვინც დაგვეხმარა და აღზევებაში ხელი შეგვიწყო, რადგან მათ სამაგიეროს გადახდა ორმაგად იციან.

15868. სხვისადმი სიავეს ნუ მოვინდომებთ, ვეცადოთ იქაც კეთილი ვიყოთ, სადაც ჩვენი ცნობიერება უარზეა.

15869. რეალობა არასოდეს არ ტყუის, მიუხედავად იმისა, ილუზორულად გვეჩვენება თუ ჭეშმარიტებად.

15870. სიძლიერე ზოგჯერ ჩვენს უნებლიე სისუსტეშია.

15871. თუ რაიმეს სასიკეთოდ შეცვლა ხელგეწიფებათ, შეეცადეთ დღეს თუ არა, ხვალ მაინც შეძლო.

15872. რამდენიც უნდა გადაუხადო მეძავს და ჩამშვებს, მათ სიტყვას არც ნდობა აქვს და არც ფასი.

15873. მახსოვრობას არ უნდა ვუღალატოთ, არც უნდა ვევაჭროთ და გავცეთ.

15874. კარგად რომ გამოვიყურებოდეთ ავი და შურიანი ადამიანი უნდა უგულვებელვყოთ, არ ვეცადოთ მასთან ურთიერთობის გარკვევას, რადგან მასთან კამათს ნერვების აშლის მეტი არაფერი მოაქვს.

15875. მომავალი იმისთვის დგება, ვინც მასზე ფიქრობს, ოცნებობს, ჭკუას აჭაშნიკებს და ხელის განძრევაც არ ეზარება.

15876. საკუთარი თავი რაც უფრო მეტად გვიყვარდება, მით მეტ სიკეთის კეთებას ვცდილობთ, ეტყობა, კომპლიმენტების დამსახურება გვსურს.

15877. მშიშარა და კანონის მორჩილ კაცს საჭოჭმანო საქმის მოგვარებაში არ უნდა დაეხმარო, რადგან ამას ვერც იგრძნობს, არც დაგიფასებს და შინაგანად შენზე ნაწყენიც დარჩება, რადგან ის შენ ,,შეაცდინე'' და ის გააკეთებინე, რაც მისთვის მიუღებელია.

15878. შეიძლება ცოტა იცოდე, მაგრამ ფლობდე, რაც საჭიროა, აუცილებელია და გამოგადგება.

15879. სიღარიბიდან, გაჭირვებიდან, გამოსვლა ერთობლივი ძალისხმევით ხდება და არა – ქურდობით, შურით, სიძუნწით.

15880. თავაზიანობასაც მიჩვევა, სწავლება, გამოცდილება უნდა, მლიქვნელობაში რომ არ აერიოთ.

15881. ნიჭი, კულტურა, ცივილიზაცია, ერთმანეთ'ში არ უნდა აგვერიოს, რადგან ყოველ მათგანს თავისი განზომილება აქვს.

15882. დღევანდელი ,,ღარიბები'' ისეთი პროფესიონალები არიან, რომ მოწყალების გაღების სურვილი გეკარგება, რათა ბრიყვად არ ჩაგთვალონ და სხვებიც მათ გზას არ დაადგნენ.

15883. ყოველთვის ერთმანეთის გვერდზე ვერ ვიქნებით, მაგრამ უნდა ვეცადოთ და ისიც ზომიერების ფარგლებში, რათა ერთმანეთს თავი არ გავაბეზროთ.

15884. ღირსება განსჯის ყველა ჩვენს ქმედებას, მათ შორის, არსებულს და ისეთსაც, რომელზეც წარმოდგენა არ გვაქვს.

15885. პიროვნება ხარ – თუ სამშობლოს უნდიხარ, საფარელი სამუშაო გაქვს, შენი იმედი აქვთ. მოქალაქე – თუ ოჯახი გაუფროსებს, პროფესიონალი ხარ და რაიმე სათქმელი გაქვს, კაცი ხარ – თუ გიყვარს, უყვარხარ და შენი გაგაქვს. ადამიანი – თუ მოყვასზე ფიქრობ, სხვას უფრთხილდები და დროის კაპრიზს ერგები.

15886. ძალადობას დიდი დრო არ უწერია, რადგან ძალადობა ძალადობას ქმნის და მასაც კონკურენტი უჩნდება.

15887. ყოფის უამინდობაში, სიდუხჭირეში, კეთილშობილების შენარჩუნება განგების ნაჩუქარი ნიჭია.

15888. ყოველგვარი საწადელის ასრულება უდიდესი დანაშაულია ე.ი. შენ არ გიცხოვრია.

15889. შენი სისუსტე ყოველთვის არის საბაბი, ცხვირ-პირი დაგინაყოს ძლიერმა, ამის მიზეზი ექნება თუ არა.

15890. ურთიერთობაში ლმობიერი უნდა იყო, საქმეში მომთხოვნი, თუ გინდა სხვასაც არგო და სიყვარულნარევი პატივისცემა დაიმსახურო.

15891. ყველა სურვილს აღსრულება არ უწერია, მაგრამ მცდელობა არ უნდა დავაკლოთ.

15892. უსაქმურს ნუ გაუამხანაგდები, თავს ნუ გაუყადრებ – არ ამართლებს, მაგრამ ნურც ზურგს შეაქცევ, რადგან ზოგჯერ ისინიც საჭირონი არიან.

15893. ყველა ასაკი აღზრდას ემორჩილება, მხოლოდ პრაქტიკული მაგალითებით, შედეგების დემონსტრირებით და მუშტის ჩვენებით.

15894. ძლიერის არ უნდა გეშინოდეს, მაგრამ მდიდარს უნდა უფრთხოდე, რადგან ყველა სიმართლეს და სამართალს თავის სასარგებლოდ გადაწყვეტს.

15895. მოვალეობა ყველას უნდა გვეკისროს, გვქონდეს ან თავად უნდა ვიკისროთ თუ გვინდა სამყაროს მუწუკად არ მოვევლინოთ.

15896. ღირსება, თავმოყვარეობა, მეობა, რწმენით უნდა გამაგრდეს, რადგან მარტო განათლება, შემართება, ნდომა ვერას გახდება.

15897. ხანდაზმული ჯველებს ჭკუით, ნაცნობობით, გამოცდილებით ჯობნის, ჯველობა ასაკს ჯანით, შემართებით და მომავლის სადავეების ხელში ჩაგდებით, ხოლო მათი სიმბიოზი ქვეყნის განვითარების ბაზისია.

15898. გზაზე სისაძაგლეს არ ჩადიან, რადგან შენ თუ არა, შენს მოკეთეს ყოველთვის წინ დახვდება.

15899. თვითგვემა, თვითგანწმენდა, მორალური კოდია, რომელიც ჩვენს ცნობიერებაშია ჩადებული, რადგან ის ადამიანურობის შესანარჩუნებლად გვჭირდება.

15900. სადაც შემოქმედებაა, მეცნიერებაა, განათლებაა, კანონის დაცვაა, იქ ვაჭრობა დაუშვებელია, მაგრამ მავანნი ამა ქვეყნისა ხელს აქაც სარფიანად და უსინდისოდ ითბობენ.

15901. სხვის ხატს ხელი არ უნდა ვახლოთ, სხვასთან დაპირისპირებას სჯობს სხვის განსჯას ყური მივაპყროთ და შევაფასოთ.

15902. ჭეშმარიტებისთვის ყველაზე დიდი სტიმული თავისუფლებაა, ყველაზე მისაღები სამართლიანობა – დემოკრატია, ყველაზე ხელმისაწვდომი ზნეობა.

15903. ჩვენი მოთხოვნები არა მარტო უნდა ემთხვეოდეს ჩვენს შესაძლებლობებს არამედ უნდა ამყარებდეს კიდეც.

15904. პიროვნება ხარ, თუ თავსაც და სხვასაც პატივს სცემ გონიერების ცეცხლის შეკეთებით, ზომიერების ფარგლებში.

15905. ხსოვნაზე ძალადობა დაუშვებელია, რადგან ყველა ჩვენგანს გვრჩება დაუმთავრებელი საქმე, რომელიც ჩვენი ფანტაზიის, გულის ნაკარნახევი იყო.

15906. კაცთმოყვარეობის წინაშე დანაშაული არ უნდა ჩავიდინოთ, თორემ მორალის წინაშე ყველანი ვცოდავთ და ერთმანეთის გაცუცურაკებით ვართ დაკავებულნი.

15907. რომ არ ყოფილიყო სიყვარული, არც სიძულვილი და შური იქნებოდა და არც ამდენი ვიგინდარა ეყოლებოდა სამყაროს.

15908. პროვოკატორობაზე საშიში არაფერია, რადგან ადამიანს იმის კეთებისკენ წაუბიძგებს, რაც ყველაზე მეტი სისაძაგლეა.

15909. მშიშარა გულადი ვერ გახდება და თუ ეს მოხდა, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი მამაზეციერმა, ვითარებათა გამო, რატომღაც დასაჯა.

15910. ალერგია ჩვენი საუკუნის დაავადებაა შურიანობის ნიადაგზე.

15911. თუ შენი არ შურთ ე.ი. არც გიცხოვრია.

15912. შური და სიძულვილი დიდ ადამიანებსაც ახასიათებთ თუ მათ შორის გამორჩენა ჩაერევა.

15913. დაზღვევა შიშის მამინაცვალია.

15914. საკუთრება დიდი ბედნიერება და მადლია, თუ შენი არ შურთ და არ ენანებათ.

15915. წესრიგი და ხელკეტები ერთიდაიგივე არ არის, პირველს მატერიალური ბაზა და კანონის რიდი სჭირდება, მეორეს – დიქტატურა და შიში.

15916. შიში ყველას აქვს, მაგრამ მისი ხარისხში აყვანა სიცოცხლეს გვიმწარებს.

15917. სიბერე, ბუზღუნი, შვილებისადმი სიყვარული და უკმაყოფილება სინონიმებია და ასაკის დაავადება და არა შური „მეც ნახირ-ნახირას“ მცდელობით.

15918. საქმის კეთების ყველაზე ცუდის საწყისი მშიერი სინდისი და შურია.

15919. კაიფი ის შიშიცაა, რომელსაც შენ მართავ და დაძაბულობისაგან სიამოვნებას განიცდი.

15920. სამეცნიერო პროგრესი ადამიანის ბუნებას კი არ აუმჯობესებს, არამედ რყვნის, იმდენად მატულობს შურის ფაქტორი საინფორმაციო საშუალებებისა და რეკლამის წყალობით.

15921. ყველამ ყველაფერი იცის და საქმის გამოსწორებას არავინ ცდილობს, რადგან გულგრილობის მარაგით მანამ არიან დაავადებულნი, სანამ მათ არ შეეხება და ცხოვრება არ შეაგინებს.

15922. ჭკუაცქვიტობაა, როდესაც ტელეფონით არარსებულ საშიშროებას ატყობინებ იქ, სადაც ჯერარს. ამას არა მარტო მატერიალური ზარალი, არამედ გულგრილობაც მოაქვს, რომელიც საზოგადოებას გადაგვარების სახით გაცილებით ძვირი უჯდება, ვიდრე მატერიალური ზარალი.

15923. შიში ადამიანს არარაობად აქცევს, ხოლო სიფრთხილე მობილიზებულს ხდის და გამბედაობას მატებს, მათი აღრევა კი არავის გამოადგება.

15924. სიფარული ყოველთვის მძიმედ მიიზლაზნება, სხვისი შურის და სურვილის მიუხედავად.

15925. პატიება შეიძლება, დავიწყება – არასდროს, რათა ჩვენში გულგრილობამ ფეხი არ მოიკიდოს.

15926. შურს ბევრი ეწირება, მაგრამ თავადაა უკვდავი.

15927. შედეგის მიუხედავად სიფარული ყოველთვის გამარჯვებულია, რადგან ნეტარების შურს იწვევს.

15928. მატერიალიზმი, შურისადმი ადამიანის მიდრეკილება, ყოველთვის აჯობებს სარწმუნოებას, რწმენას და მის დაკრულზე ათამაშებს, მითუმეტეს, თუ მას ტექნიკურ თაობათა ცვლა და გონიერი ხელი დაეხმარება.

15929. ჭეშმარიტების მოძიების მიზეზი შურია და არა გონების ლესვის სურვილი.

15930. სამყაროს სხვადასხვანაირად ვუყურებთ, მაგრამ საჭიროების ჟამს ერთმანეთის გვერდზე ვდგებით და ეს განგებით მოვლენილი დიდი შიშის დამსახურებაა და არა – ჩვენი გონიერებისა.

15931. შურის კუჭი რომ არ დაიმშეს, გადაგვარდეს, იმ სამუშაო ადგილების შექმნაცაა საჭირო, რომელიც გონს, მორალს არ ეთვისება, მაგრამ ტექნიკურ პროგრესს წინსვლას და კარგი ცხოვრების სურვილს წინ ვერაფერს დავუპირისპირებთ, რაც ფულის კულტად ქცევას და ტრადიციული დოგმების ცვალებადობას მოითხოვს.

15932. თავისუფლების, დემოკრატიის, არც ჩუქება შეიძლება და რაც დაძალება, ის გასათავისებლად „მასმედიამ“ და შურიანობამ უნდა მოამწიფოს.

15933. ადამიანებს საერთო შიში აერთიანებთ, აერთგულებთ და არა – მოფასის სიფარული და პატივისცემა, რადგან ამ უკანასკნელთა უკან ძალა არ დგას.

15934. როდესაც ადამიანები ერთმანეთს წყალობენ, მათი სურვილები და შესაძლებლობები ერთმანეთისას ემთხვევა, ეს უდიდესი დღესასწაულია, რადგან შურმა უკან დაიხია.

15935. შიშის ფაქტორის დათრგუნვა გართობას მოითხოვს, ინტუიცია კი – მის დამშვიდებას.

15936. წყვილის ურთიერთობის მთავარი მტერი გულის გატეხვა და გულგრილობაა, დანარჩენს, ხასიათის შეწყობას და მატერიალიზმის ყურით მოთრევას, როგორმე ეშველება.

15937. ღმერთისადმი სიყვარულის ერთ-ერთი მიზეზი შიში, ანგარება და შურია რატომ უნდა მოხვდეს ის სამოთხეში.

15938. ადამიანები შესაძლებლობებს ყოველთვის ძეგლს ვერ ვუდგამთ, რადგან შური გვძალავს და ხელს გვიშლის.

15939. ანგელოზი არავინაა, მაგრამ წლების მატება თანდათან გვაწყნარებს, გვამშვენებს, ბევრი რაიმეს მიმართ გულგრილს გვხდის და ვართ ისეთები, როგორებიც უნდა ვიყოთ ჩვენი ასაკის, დროის, შესაძლებლობების შესატყვისად.

15940. ბიზნესის ბაზისი შურით აღფრთოვანებაა და არა ცარიელი შური.

15941. ადამიანის სინდისს და კეთილგონიერებას ყოველთვის არ უნდა ვენდოთ, თუ მას უკან ვიღაცის და რაღაცის მიმართ შიში და რიდი არ დგას.

15942. პრეტენზია ჭკუაზე, სინდისზე, კაცობაზე, სახიფათოა, რადგან ყველა მათი არმქონე შურით ტრაბახობს.

15943. სიფრთხილესა და მხდალობას შორის ის სხვაობაა, რომ როდესაც ჩვენ გვეშინია, სიფრთხილეა, როდესაც სხვას – მხდალობა.

15944. დიქტატურის მარცხის მიზეზია: მისი დრო წავიდა, ავტორიტეტს ყავლი გაუვიდა, ხალხს მობეზრდა და რაც მთავარია, გადამწყვეტ ჟამს რისკი ბოლომდე ვერ გასწია და ამბოხს თავი დროზე ვერ მოუარა. ეს გაუბედაობა უფრო სიბერეში შემოპარული შიშის ბრალია და არა – მისი გულჩვილობის.

15945. შინაგანი ცინიზმი შურით, ყველას და ყველაფერს დაფქვავს და მოინელებს.

15946. შურისძიების გრძნობა მანამ უნდა ვაწვალოთ, სანამ მოწყალებას არ მიიღებს მობოდიშება-მონანიების სახით.

15947. ადამიანი მაშინ ხარ, თუ თანდაყოლილ შურს, სიხარბეს, გაჭირვების ჟამს გადააბიჯებ და კაცად დარჩები.

15948. ჯალათი – მსხვერპლის პრობლემის დასმა ამ უკანასკნელის ბრალია, რადგან შურმა და შიშმა ისინი ერთმანეთს დააკავშირა.

15949. შიშს გადავეჩვევით, თუ მას ხშირ-ხშირად თვალებში შეხედავ და ზოგჯერ გულიანადაც შეუკურთხებ.

15950. ღალატს შურისგება თან უნდა ახლდეს, მაგრამ გააჩნია, რა არის ღალატი და რა – შურისგება.

15951. ზოგს მანქანა ისე დაჰყავს, რომ ფეხმძიმე ქალს მუცელს მოუშლის და შიშით კუჭს აუშლის.

15952. შურის დედინაცვალი შიშია,შიშის მამინაცვალი – შური.

15953. გამბედაობა ნაწრთობი შიშია, ხშირ-ხშირად თავში ხელის წამორტყმით.

15954. შურის საწინააღმდეგო აცრა-პროფილაქტიკაა, თუ სხვის წარმატებაზე გამუდმებით არ ვიფიქრებთ.

15955. შური ისეთი ლაჩრული ჟინია, რომლის აღიარება არც ერთ შურიანს არ უნდა.

15956. ფაქტიურად შურის მიზანია შურის მიზეზის მიწაზე დანარ-ცხება თუ არა, მის დაშვების მცდელობა, რათა ადამიანი არ გათავხედ-დეს და თავის ავყიაობით სხვასაც და თავსაც არ ავნოს.

15957. შენი არა მარტო უნდა შურდეთ, არამედ უნდა გერიდე-ბოდნენ, სჭირდებოდე კიდეც თუ გინდათ უკადრისი შეხუმრება არ გაკადრონ.

15958. საოცარია ცხოვრება: ერთს მთავრობაში უწევ პროტექციას, თანამდებობა რომ შეინარჩუნოს, მეორეს შენს პროტეჟესთან, რომ ეს უკანასკნელი ულუკმაპუროდ არ დარჩეს. ეს, ალბათ, ასეც უნდა იყოს, რადგან ადამიანები ვართ და ვის როგორ მოექცევა შურიანი ბედი, არავის უწყის.

15959. შური ეჭვიანობის, შიშის გაგრძელებაა, რათა ცხოვრებაში თამაშგარეთ არ დავრჩეთ.

15960. შური დალაგებული ხალხისთვის პროგრესია, მამოძრავებე-ლი ძალაა და არა – უნიათობისთვის, რომლებიც თავის გასამართლებ-ლად თანდაყოლილ უსაქმურობის ალიბს ყველგან თან დაათრევენ.

15961. სიავე-შური ყოველივეს ანადგურებს, თუ მისთვის გასაგები მუხრუჭები თან არ ახლავს.

15962. ყველა დროში არქონა მეტად უნდა დაისაჯოს, ვიდრე ქო-ნება, რადგან პირველი თავისი სიამოვნებისთვის ცხოვრობს და მისი არავის შურს, ხოლო მეორე სხვათა შურის საგანი ხდება და მის წილში ჩაჯდომის მსურველი, პირველისაგან განსხვავებით, უამრავია.

15963. შურის დონეზე დაცემა არ ღირს, მაგრამ არც ანგელოზად ყოფნაა ადვილი ამ სამყაროში.

15964. როდესაც რაიმე შანსს არ ფლობ, შენი არც არავის შურს და არც არავინ გეკარება.

15965. შურისძიების გრძნობა ყოფილ კეთილისმდომზე, სიყვარულ-ზე, მაღლა დგას და მისი მოთოკვა შემთხვევის და სიკვდილის ხელშია.

15966. ადამიანი რაც უფრო მდიდრდება და კარიერის საფეხურებს იპყრობს, გაყოფის სურვილი თანდათან ეკარგება, რადგან ადამიანთა შორის უმადურობა და შური იზრდება: ,,აოხრია და იმიტომ გვაძლევსო''.

15967. ვირტუალურ შიშს ვერაფერს ვუხერხებთ, მაგრამ რადგან მისი გვჯერა, გვწამს და ვუფრთხით.

15968. შიში გვიცავს ამბიციების გამოვლენისაგან, მაგრამ წატრაბა-ხების სურვილს ყოველთვის ვერ ჯაბნის.

15969. სიღარიბის, შურის, დანაშაული ის არის, რომ ადამიანის გარჯნა შეუძლია და ისეთ რამეს აკისრებინებს, რომელსაც კეთილ-დღეობის შემთხვევაში ვერც მოიფიქრებდა.

15970. ბუნებით ხეშეშს შეუძლია შიშის დაძლევა და ჩანაფიქრის აღსრულება და არა – თანაგრძობა, თანადგომა.

15971. ექსტრემალურ პირობებში ხალხი გონიერებას კარგავს, ინ-სტინქტებით აზროვნებს და როდესაც გამოდის ამ მდგომარეობიდან, სურვილს სინამდვილედ ასაღებს, რადგან შიში უნდა დაივიწყოს.

15972. მოუწყობილ ქვეყანაში მთავრობა ყჩაღობს, ბიზნესი თავხე-დობს, ხოლო ხალხი „განტევების ვაცის როლს“ სჯერდება, რადგან არც თავის პატივისცემა იცის და ვიღაცის მიმართ მუდმივი შური და ნიშნისგება ახრჩობს.

15973. მტრები ისე არ მტრობენ ერთმანეთს, როგორც ყოფილი მეგობრები, თუ მათ შორის უნდობლობამ, არაკაცურმა შურმა და გაუტანლობამ იფეთქა.

15974. თმის ინტენსიური ცვენა უკანალთან თავის თანდათანობით დამსგავსებაა და იწვევს ვიშ-ვიშს და შიშს რათა ამ უკანალივით არ გამოიყურებოდე მოწინააღმდეგე სქესის თვალში.

15975. შიში, შური, სიძუნწე, თავხედობა, სიავე, უნდობლობა – სულის გარჯნის საწყისია, ყოველგვარი წესიერების და ჯანმრთელობის შერჯნის გარეშე.

15976. მლიქვნელობაზე საზიანო და უგნურ შურზე საშიში არაფერია.

15977. შიშიც თვითგადარჩენის საოცარი კვლევითი ინსტიტუტია, მოფრთხილებით და მისთვის გასაგები ალიბით.

15978. გამბედაობა ის კი არ არის, ვისაც არ ეშინია, არამედ საჭიროების შემთხვევაში, საღ გონებაზე, საფრთხეს არ შეეპუება.

15979. ხშირად შურს, სიბრიყვეს, უსახსრობას, მიჰყავს ადამიანი გარეწრობამდე, თუმცა არც ფუფუნება და უყურადღებოდ დატოვებაა დიდი ხვითო.

15980. შურისძიების სურვილი იმას უჩნდება, ვისაც არაფრის კეთე-ბა არ უნდა და თავისთვის შეძახება ვერ მოუხერხებია.

15981. შურის, ღვარძლის, დასაკმაყოფილებლად ყოველი მეორე მზად არის – შედეგის გათვლის გარეშე.

15982. შური, უიღბლოების და ბუნებით ავყიების იარაღია.

15983. შიში ხშირად ერთგულებას ხედნის, რადგან ამ ყაიდის ხალხი სხვისი სამსახურისთვის და სხვათა საქებად არის გაჩენილი.

15984. შურიანი და დაუნახავი კაცი ახლოს არ უნდა გაიკარო, რადგან მას ყოყჩობა გენში უზის, ხოლო მისი ხელქვეითად გამოყენება ამდენ მცდელობას არ იმსახურებს.

15985. შურიანია კუბში ის, ვისაც სხვისი ცუდი კვადრატში უნდა.

15986. ლაღი ბუნება არ იძლევა იმის საშუალებას, რომ მავნედ ვიაზროვნოთ და შურით ვიარსებოთ.

15987. ადამიანს ყველაზე უფრო სიცოცხლეს უმოკლებს შიში და საკუთარი უსუსურობის შეცნობა.

15988. ზოგს დრო კურნავს, ზოგსაც აავადებს, შურიანს ხდის და ამუნათებს.

15989. დროის მანქანის გამოგონებაც ვერ უშველის ადამიანის ნა-მოქმედარის გამოსწორებას, იმდენად დიდია ადამიანის გაუგებარ ბუნე-ბაზე აწმყოს ზემოქმედება, შურით და გულგრილობით.

15990. ღარიბს მხოლოდ ერთხელ უნდა დაეხმარო, რათა არ აგეკიდოს, თავის უბედურების მომიზეზებით შენზე შური თავისი უნია-თობით არ იძიოს.

15991. თვალების გაფართოება მარტო სიყვარულის შედეგიც არ არის, ხშირად ის შურსა და სიძულვილს მოსდევს.

15992. დიდება შურის და აღფრთოვანების სინონიმია.

15993. ხშირად შიში და წესრიგია წარმატების დედა და არა – გონიერება, შემართება, რადგან ადამიანთა მოდგმა მათ ნებაყოფლო-ბით შეკავშირებას იშვიათად ახერხებს.

15994. ვისაც მეტს აძლევ, მფარველობ, ხშირად ის უფრო გმტრობს, რადგან თანდაყოლილი შური თავის უხეირო „მეს“ ვერ ჯობნის.

15995. შიში და სიძულვილი დროის გარკვეულ მონაკვეთში სახელ-მწიფოს კრავს და აძლიერებს.

15996. ხშირად ძალაუფლება იმით სარგებლობს, რომ შიში უფრო დამთრგუნველია, ვიდრე სინდისის შენარჩუნების მცდელობა, ამასთან ისიც გასათვალისწინებელია, სად აღვიზარდეთ და ვის დაკრულზე ვართ ნათამაშები.

15997. ქაოსის იმ შემთხვევაში არ უნდა გვეშინოდეს, თუ ძალა შეგვწევს შური დავთრგუნოთ, ყალიბში მოვაქციოთ, ყური ავახიოთ და საჩვენებლად დავსაჯოთ. სხვა შემთხვევაში ის საწყისშივე უნდა მოისპოს, რათა ფეხი არ გაიდგას.

15998. შური ქვეყნის ამომგდებიცაა და ამშენებელიც, რადგან ის უამრავია და მრავალფეროვანი.

15999. ათეიზმი შურის და ღრმად დაფიქრების შედეგია და არა – უსიყვარულობის და განგების დაგმობის.

16000. მსახიობები ერთმანეთის შურით იხოცებიან, მაყურებლები – მსახიობთა ყოფაში ცხვირის ჩაყოფისაგან.

16001. პატიოსნად ყოფნაც ზოგჯერ ნერვების წყვეტას იწვევს, რად-გან შურისა, უმადურობისაგან არც ის არის თავისუფალი.

16002. ტყუილუბრალოდ ენერგია არ უნდა დაიხარჯოს, თუ ის კვლავწარმოებისთვის, აღდგენისთვის, არ არის გამიზნული – ამ ჭეშმარიტებას აღმოსავლეთის სიბრძნე ქადაგებს.

16003. შიშის შეგრძნება ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ თქვენ მხდალი ხართ თუ შემართება, პრინციპები გაგაჩნიათ.

16004. სხვისი დასვენება გვაღიზიანებს, შურს იწვევს, იმის მიუხედავად, შეგვწევს თუ არა დასვენების უნარი და მისი დაფასება.

16005. ერთს ბედი წყალობს, მეორეზე უბედობაა გადამტერებული, მაგრამ ერთმანეთს შურით ვერას აკლებენ, რადგან განგების სურვილი ასეთია.

16006. გონიერებას უნდა დავუჯეროთ, შიშს თვალებში უნდა ჩავხედოთ, მაგრამ ნდობით ბოლომდე ვინმეს იშვიათად უნდა ვენდოთ.

16007. მარტო ყოფნა საშიში არ არის, შიში იმ კეთილისმდომის გვერდზე ყოფნაა, რომლის განზრახვაც უცნობია.

16008. „გვიყვარდეს ერთმანეთი!“ – შესანიშნავი ლოზუნგია, მაგრამ აღუსრულებელი ოცნება, რადგან ადამიანის თანდაყოლილი შური ამას არ დაუშვებს.

16009. ყველა ხუთოსანი საშიშია, რადგან ხშირად ცხოვრებაში არ უმართლებთ და ისინი შურიანები, ცინიკოსები, ხდებიან.

16010. შიში ერთგულებაზე ძლიერია, მაგრამ ჯიუტობას ვერ სჯობნის.

16011. ზოგჯერ დუმილი შურის და ბოღმის შედეგია და არა – გონიერებისა. სადაც შიშია, იქ სათუო სიჩუმე ისადგურებს, რომელიც დროს უცდის მისდაუნებლიედ დაგროვილი ბოღმის ამოსანთხევად.

16012. შიში მაშინ გიდგება მუხლებში, როდესაც სიკვდილზე ფიქრი შენდაუნებლიედ მოგეპარება.

16013. შიშის უქონლობა და ბრიყვის გონება, ქვეყანას გაუგებარი მმართველობისა და პოლიტიკანობისკენ უბიძგებს.

16014. შური, შიში, მძულვარება, საკუთარი ხელით უნდა მიახრჩო, რათა გონიერებაში ფეხი არ გაიდგას.

16015. ადამიანს რაც უნდა სიკეთე გაუკეთო, უმადურობის გრძნობა მაინც აყვება, რადგან შურნარევი ცომით არის აზელილი.

16016. უპირველესად თავს სჭირდება დამოძღვრა, განსჯა, მოფერება და არა – სხვის უკანალში ყურება და უბადრუკი შური.

16017. არც უსაზღვრო გამბედაობაა სასურველი და არც უკიდურესი შიში, რადგან ყოველ მათგანს შინაგანი აფექტის ფორმულა ახლავს.

16018. მშიშარაა და შიში სხვადასხვა განზომილებაა, რადგან პირველი თანდაყოლილია, მეორე შეძენილია, ხოლო მიზეზი ორივესათვის სიყვარულია რაღაცის და ვიღაცის მიმართ.

16019. შიში და უწესობაა ქვეყნის დამქანცველი, ხალხის გამაბრიყვებელი, ეროვნულობის დამჩრდილავი და არა – სიმართლისთვის თვალის გასწორება და თქმა, ,,რანი ვიყავით და რანი ვართ დღეს''.

16020. სადაც რწმენა, სიყვარული, უფროს-უმცროსის ინსტიტუტი არ არსებობს, იქ მანკიერება, შური და გულგრილობა სუფევს.

16021. ლაჩრობა არა, მაგრამ შიშის აღქმა და პატივისცემა ცუდი თვისება არ არის.

16022. საზოგადოება არ არის ის საქველმოქმედო ინსტიტუტი, ბიზნესსაქმიანობა რომ დააფასოს, ამის საშუალებას თანდაყოლილი ადამიანური შური არ აძლევს.

16023. მთავარი ის კი არ არის, შური რას მეტყველებს, მთავარია ღვარძლი როგორ არის ჩასაფრებული და რა სიბინძურის კეთებას აპირებს შურის შემცველი ალიბის მოყვანით და უნიათობის გასამართლებლად.

16024. სიყვარული, ყურადღება, არავის არ უნდა დავაკლოთ, რათა შური ამქვეყნად მაინც ავიცილოთ.

16025. შიშმა გული არ უნდა დატოვოს, თორემ მისთვის ყოველივე სულერთი გახდება, სიკვდილ-სიცოცხლის ინსტიტუტი გაუფასურდება და ყოველივე სისაძაგლეზე ისე წავა რომ არც დაფიქრდება და უკან მოხედვაც დაეზარება.

16026. ადამიანს ყველაზე მეტად შური, სიღარიბე, საკუთარი თავის არარელიზება, თრგუნავს და აღაშფოთებს და ყოველგვარ სისაძაგლეს კადრულობს თუ ამ მდგომარეობის შეცვლის შანსი მიეცა.

16027. სიკვდილის შიში იმას იპყრობს, ვისაც მუქთა დრო საჭიროზე მეტი აქვს და ამ ქვეყნის დატოვებას, რაღაც მოგონილი ალიბით, ჯერ კიდევ ებღაუჭება.

16028. სახელი, დიდება, აღიარება, თავის რჩეულთ შურით ინელებს და სიცოცხლისუნარიანს ხდის თუ ის შთამომავალობას თავის წარმოსაჩენად სჭირდება.

16029. წარმატების ბედის ჩიტს ოდესღაც ყველანი დავიჭერთ, მაგრმ მისი ზომა და ხარისხი იწვევს შურს და ეს არის ადამიანთა ურთიერთგაუგებრობის მიზეზი.

16030. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, წუწუნი სჯობს ტრაბახს, რადგან ადამიანის გენში მეტ-ნაკლებად შურია დაბუდებული.

16031. შურიანი ეგოიზმი დიდი ნაკლია, ცოდვაა, რადგან სხვისთვის სიკეთის კეთება გენანება, ხოლო საკუთარი თავისთვის ხელის განძრევა გეზარება.

16032. სახელისა და დიდების, მოხვეჭა განცდებისთვის და წარმატებისათვის ზურგში დანის ჩაცემის გარეშე შეუძლებელია, რადგან ადამიანური შური ამას არ დაუშვებს.

16033. მიზნის მიღწევას შიში, სიფრთხილე და თავმოყვარეობაც ახლავს, ამიტომ დასახულის რეალიზების მოჭარბებულ მცდელობას ყოველთვის სარგებელი არ მოაქვს.

16034. წესიერება, კანონის უსიტყვო მორჩილება, ხშირად შიშისა და უნიათო ამპარტვნობის შედეგია და არა – აღზრდისა, ყოველ შემთხვევაში, სხვა ვარიანტი მე არ შემხვედრია როდესაც მავანთა გაჭირვებას და უსუსურობას შევსწრებივარ.

16035. „უჯობს მეზობლის ძროხის სიკვდილით გაიხაროს, ვიდრე საკუთარი იყოლიოს“ – არის ასეთი კატეგორიის შურიანი ხალხი, რომელსაც გულგრილობა და ფეხებზემკიდიობა ჰქვია და ისინი ქვეყანამ მუქთად არ უნდა შეინახოს.

16036. დაისის დადგომამ თვალებში შიშის ჩადგომა იცის, მაგრამ მერე ყველაფერი ძველებურად გრძელდება.

16037. სამოთხე არ შეიძლება იყოს ქოხში, როდესაც ირგვლივ სასახლეებია, რადგან ამას შურის ბაცილა არ დაუშვებს.

16038. მოშურნეობასაც ზომიერება და აღზრდა სჭირდება, რათა მან, პირველ რიგში, საქმეს არგოს და არა თავს.

16039. ხელქვეითების უფროსისადმი სიყვარულს ისევ შიში სჯობს, რადგანაც ეს უკანასკნელი ხანგრძლივია და ამართლებს.

16040. შური დამანგრეველი, ღვარძლიანი, ბოროტად შენიღბული, ნეგატიური ემოციების ამოფრქვევაა, რომელიც ხელმოცარულ ადამიანთა ხვედრია.

16041. უნებლიე შური საკუთარი თავის გადაფასებაა, მაგრამ ის მაინც ახერხებს უარყოფითი ენერგიის კონცენტრაციას. მისგან თავის დაღწევას კი დრო, შემართება და „ჭკუაზე წიხლის დაჭერა სჭირდება.

16042. შური და ბოროტება ის დარდია, რომლის გაღვივება საბედისწერო შედეგს იძლევა.

16043. შური გონიერი კაცისთვის სასარგებლოცაა, თუ განსჯის, გადაფასების და ჯობნის უნარი შესწევს.

16044. შურმა კი არ უნდა დაგვიმორჩილოს და გვაჯობოს, არამედ – პირიქით, რათა ბრძოლის, შემართების სურვილი გაგვიღვივოს.

16045. არაფრისმქონე კაცს უკონტროლოდ საქმეს ნუ ვანდობთ, რადგან ის, წესით, შურიანი, უბედო და უსაქმურიც უნდა იყოს.

16046. შიში აიძულებს ადამიანს თავისი უგვანო გენეტიკით არ იცხოვროს, რადგან მის უგნურ მისწრაფებას კანონი, საზოგადოების

ნება, წინ აღუდგება და აიძულებს სურვილების საწინააღმდეგოდ დაბა-ლანსებულად იცხოვროს.

16047. შურის მთავარი საკბილო მოხერხებულობა, ფული და ნი-ჭია, რომელთაგან პირველ ორს შეიძლება რაიმე ავნოს, მაგრამ ნიჭთან შეთამაშება ძალზე ძნელია.

16048. სახარების კითხვა ადამიანის გამოსწორებას არ შველის. გალაწუნება და შიში ხშირად უკეთეს შედეგს იძლევა, მიუხედავად მათი არაღვთისნიერებისა.

16049. შიშით, დაძალებით, საქმეც კეთდება და შედეგსაც ვაღწევთ, თუმცა მაინც უხარისხოს და პეწის გარეშე.

16050. ეტყობა აკაკი წერეთლის „ჩონგურს" ამღერება არ უწერია, რადგან შურის და თავხედობის ვირუსი გვაქვს ჯერ-ჯერობით უკურნე-ბელი.

16051. უთანასწორობა ბოროტებას ხელს უწყობს, მაგრამ უსახ-სრობას და შურის წაქეზებას ვერ შეედრება.

16052. დაპირისპირება, შეხლა-შემოხლა, არასოდეს მოისპობა, რადგან მისი საწყისი, შური, ადამიანის ბუნებრივი თვისებაა.

16053. ოპონირებას, კრიტიკას, მაშინ აქვს ფასი, თუ მასში შური არ იმალება.

16054. ზიზღი და შური ის ფენომენია, რომელიც გულთან ახლოს მიგაქვს და რატომ, ვერ გაგვიგია.

16055. სიამაჟ იმ შურის დავიწყებაში გვშველის, რომელიც თავად-ვე გამოიწვია.

16056. შური დღესასწაულს ვერ აღიქვამს და არც მისი ფასი იცის.

16057. დიდსა და პატარაში შიშს ზღაპარი იწვევს, ერთს ღმერთის არ არსებობა-არსებობა აშინებს, მეორეს – „ურჩხულის" გამოჩენა.

16058. სიავე ხელშემწყობ პირობებში აუცილებლად თავს წამო-ყოფს, იმის მიუხედავად, რომ მასში სიფარულის საწყისიც დევს და შურიც.

16059. ზოგჯერ ბედნიერი ქორწინება შურს იწვევს უნიათოთა „ჭკუის ტომრებში".

16060. წმინდა მეგობრობა ნარჩუნდება მანამ, სანამ ურთიერთობა-ში ფული, კარიერა, შური არ ჩაერევა, მათი ბაცილა სულის დაგმა-ნულ, ფელა წმინდა ხვრელში არ შეძვრება და არ დააავადებს.

16061. კომპლიმენტი ასაკთან დაკავშირებით ზოგჯერ შურითაა ნათქვამი.

16062. გონიერ რჩევა-დარიგებას შურიანი არასოდეს დაგიფასებს.

16063. სიტყვა და საქმე შიშს და სიცრუეს ვერ იტანს.

16064. დიდი პიროვნება შურს სიკვდილის შემდეგაც იმსახურებს.

16065. შური ყოველთვის დამღუპველი იყო ბედნიერებისთვის.

16066. შიშის გადატანა-დაძლევის გარეშე შენს ძირითად საქმეს ვერ გააკეთებ.

16067. მტრის სიძლიერის უფრო შურთ, ვიდრე ეშინიათ, ეზარებათ, ებრძვიან.

16068. პიროვნებისთვის ეგოიზმი დასაშვებია, ოღონდ ყოველგვარი შურის გარეშე.

16069. ზოგჯერ ცინიზმის წვეთი თეთრი შურით, მადლიერების მაჩვენებელია.

16070. ეცადე ისეთ კაცს არ დაუმეგობრდე, რომელსაც უაზრო მტრობა შეუძლია და შენიც ზოგჯერ შურს.

16071. შიშს ბევრი რამის უნარი შესწევს, გააჩნია, როგორ გაგიმართლებს – ან გმირად გაქცევს ან არარაობად.

16072. მამაცთან შედარებით მშიშარა უფრო კონფლიქტურია, რადგან შიშობს შიში არ შეამჩნიონ.

16073. შურიანი, ემოციური, ადამიანი მუდამ თავის გამოჩენას ცდილობს ცნობილი ადამიანების ხარჯზე.

16074. შურს სხვისი ბედნიერებაც შურს და თავისი წარმატებაც.

16075. ასაკში ცხოვრების გამოცდილებიდან ერთი აზრიც გამოვიტანე: გარკვეულ სიტუაციაში ამქვეყნად ვერც ვერავის ენდობი, მათ შორის, საკუთარ თავსაც, თუ შურის ვირუსი მახლობლად დაეხეტება.

16076. შიშის შეგრძნების ჩვევა, ჩვენი ბედის პოტენციალის შეცნობის და ცდუნების საწინდარია.

16077. კონკურენცია მამოძრავებელი ძალაა, ხოლო შური – ამ ძრავაში ჩადებული საწვავი.

16078. ჭორაობის ბაზისი და საწყისი იყო და იქნება შური, ჯობნა, ურთიერთობის ნაკლულობა.

16079. შურს მოწინააღმდეგის ღირსებაში ეჭვი ყოველთვის ეპარება და მომავალშიც შეეპარება.

16080. ახლობლების ჯანმრთელობის გარდა, ის, რაც ჩვენზეა დამოკიდებული, შიშს არ უნდა იწვევდეს, თუ მიზანი გაქვს და რაღაცის მიღწევას ცდილობ.

16081. შიში არჩევის საშუალებას გვისპობს, ხოლო გამბედაობა, უკან დასახევ გზას არ გვიტოვებს.

16082. შური და თრობა ერთმანეთისაგან შორს დგანან, რადგან პირველი მეორის გარეშე ვერ ძლებს.

16083. მზის შეშფოთებას, სხვადასხვა აფეთქებებით, ჩვენს პლანეტაზე გაურკვეველი შიში და დაძაბვა მოაქვს და ეს ადამიანთა უსუსურობის კიდევ ერთი უტყუარი საბუთია.

16084. შური უხილავი მტერია და ხილული მოყვარე, თუკი თანახმაა აჯობოს და აჯობონ.

16085. წარსულს ისინი გვედავებიან, რომლებმაც ცხოვრება ოცნების შესატყვისად ვერ განვლეს და ახლა ჯავრს ჩვენს წარმატებაზე შურის გამო იყრიან.

16086. ზოგი იძულებულია შიშის გამო კარგი კაცის როლი ითამაშოს, იმისდამიუხედავად რომ ბუნება და გენი წამპალი აქვს.

16087. თეთრი შური საკუთარი თავისადმი უკმაყოფილებაა, შავი შური სხვისადმი სიძულვილის გამოხატვაა, ხოლო თავად შური ბუნებრივი მოვლენაა, რომელიც მეტ-ნაკლებად ყველას ახასიათებს.

16088. შური და სამართლიანობა სხვადასხვა ცნებაა, მაგრამ სადავიდარაბო საერთო აქვთ დაუდგენელ-დაუსრულებელი, რადგან ვის რა ამოძრავებს თავის გასამართლებლად, არცერთმა არ უწყის.

16089. ეჭვიანობა იგივე შურია, ოღონდ სულის რაობის ამოფრქვევის მცდელობა სხვადასხვა ტონალობაში.

16090. შიში და რიდი სიძულვილის გარეშე, პიროვნების ბუნების, გამჭრიახობის და სიბრძნის დამსახურებაა.

16091. შიში, სიძულვილის გარეშე, პიროვნების რაობის დიდ შესაძლებლობებზე მიუთითებს, რადგან მას საქმე და სხვისი ბედი ფეხებზედ არ ჰკიდია.

16092. გამოუცდელობის და წინასწარ აკვიატებული შიშის გამო ყველა ანგელოზი ეშმაკს უფრთხის.

16093. ადამიანი თავისი ბედის ჭრა-კერვას თანდათანობით უნდა შეეცადოს, რათა სხვათა შური არ გამოიწვიოს და მის მცდელობაში ეჭვი არავის შეეპაროს.

16094. ეტიკეტი საშიში რამაა, რადგან მისი ყველგან დაცვა ადამიანს რობოტად აქცევს და საკუთარი სიამოვნებისთვის ვერ იცლის.

16095. შიში და სიძულვილი გარკვეულ პერიოდში ქვეყანას კრავს და ხალხს რაზმავს. ეს აუცილებელია, რათა ერი გადარჩეს, სახელმწიფოებრიობა შევინარჩუნოთ და ასპარეზზე გამოვჩნდეთ.

16096. ,,შიში'' რომელიც ,,თავს გვიკრავს'' იმ ქვეყნის საქმიანობა და სტატუსი კიდევ გასარკვევია.

16097. შური ამახინჯებს სულიერებას, მაგრამ მხედველობას ამახვილებს და გასაკენწლ საკბილოს ეძებს.

16098. უხეშობა ხშირად იმ შიშის შედეგია, რომელიც ჩვენს ბუნებაშია დაბუდებული და ასაკთან ერთად იზრდება.

16099. სისუფთავისკენ სწრაფვა – სულის პროფილაქტიკა, გულის დამშვიდებაა, შურის გვერდზე მოსროლით.

16100. უმადურთა ოდენობა გაცილებით მეტია, ვიდრე მადლიერთა – შურის ბაცილას ვინ გაქცევია?!

16101. შიში, სიფრთხილე, გამბედაობა, სინონიმებია, რაც ზოგჯერ სიმამაცედ, ვაჟკაცობად გარდაიქმნება.

16102. ოცნებას მანამ არავინ გვიკრძალავს, სანამ არ აგვიხდება და თუ აგვიხდა, უკვე სხვა საქმეა – შური მაშინვე მასთან გაჩნდება.

16103. შურიანობა და პაექრობის, განსჯის სურვილის დაკარგვა და სიბერის „მოჩოჩების" მაჩვენებელია.

16104. ცივილიზაციის საფეხურების დაპყრობა სისხლის გამოშვების გარეშე არ ხერხდება, რადგან ფუფუნებას მიჩვეულ ხალხს სასუნავი არ ყოფნის. შედეგი ერთია – შური, ბუნტი და ქვეყნის აღმშენებლობის დროებით დაქცევა – გავერანება.

16105. ბრიყვად თავის მოჩვენებაც ხელოვნებაა – კონკურენტად არ ჩაგთვლიან.

16106. ბრიყვმა არ იცის რომ ის ბრიყვია, მაგრამ ეს კარგია თუ არა, არავის დაუდგენია.

16107. ყოველივეს დასაწყისი აქვს, სისულელეს და სიბრიყვესაც კი, მაგრამ მათი დამთავრება ჭირს, თუ ქვეყანას, საქმეს, პიროვნება არ მოევლინა.

16108. სიბრიყვის კეთებას ნიჭისგან განსხვავებით ფიქრი არ უნდა, მაგრამ იშვიათად გენიალობასაც ეთამაშება.

16109. ბრიყვების აუქციონი მონაწილეებს ამხიარულებს და ახალი სისულელის ჩადენისკენ აქეზებს.

16110. შიში ადამიანის დაუძინებელი მტერია, მან შეიძლება ცუდი საქციელი ჩაგადენინოს. ამიტომაც თავის მოთოკვის სწავლა აუცილებელია.

16111. შური, ღვარძლი, ცილისწამება, ჭორის, ავყიაობის ბაზისია.

16112. ხშირად ადამიანს შიში აკეთებინებს ყველაფერს – „ზოგი ჭირი მარგებელია".

16113. ლაჩარს თუ საშუალება მიეცა, ყოველგვარ სიბინძურეს იკადრებს თავისი ლაჩრობის დასაფარავად.

16114. სჯობს შენი ეშინოდეთ, ვიდრე უყვარდეთ, რადგან პირველი უფრო საიმედოა, ხანგრძლივია, ხოლო სიყვარულის სიძულვილზე გადაცვლა დიდ დროს არ მოითხოვს.

16115. ადამიანი ბედნიერებისთვის ცხოვრობს და არა სიმდიდრის მოსაპოვებლად, მაგრამ წამხედურობის და შურის კლანჭებს ხელიდან ვერ უძვრება და მომავლის შიშით თვალი მოხვეჭისკენ გაურბის.

16116. ბოროტება სიმუნჯესთან მეგობრობს და სიყრუეს ეამხანაგება.

16117. ბოროტების კეთების სურვილი გენეტიკაშია და მისგან თავის შეკავება სხვა ნიჭს და გარემოს რევიზიას მოითხოვს.

16118. გონიერებისთვის ბოროტების კეთებაც გასაგებია და სიკეთისაც, რადგან ორთავე ადამიანის ბუნებისაგან გამომდინარეობს.

16119. ეგოიზმი, შური, გულგრილობა, ერთ ტაფაში იხრაკება, როგორი სანელებლებითაც უნდა იყოს შეზავებულ-შეკმაზმული.

16120. მხდალი ყოველთვის მაგარია, თუ თავს უსაფრთხოდ გრძნობს და ყბედობისთვის პასუხს არავინ აზღვევინებს.

16121. შიში ალიბიცაა და ჭკუაზე წიხლის დაჭერის იძულებაც.

16122. ცოდვების მონანიება უფრო შიშის შედეგია, ვიდრე გონიერების, შეგნების.

16123. შიში, ზომიერების ფარგლებში, წამლობის საუკეთესო საშუალებაა: ტვინისთვის, სულებისთვის, სიფარულისთვის და იმისთვის, რაც გვწამდა ძველად.

16124. ჩვენ სიკვდილის კი არ გვეშინია, არამედ უუნარობისა იმქვეყნური სამყაროს აღქმაში.

16125. ცხოვრება სინამდვილეში გაცილებით უკეთესია, ვიდრე აღივქვამთ, რადგან საქმეში ერევა შური და ადამიანთა უმადურობა.

16126. შური და სიზარმაცე ადამიანის თანდაყოლილი გამოცანაა, რომელიც ერთს მეცნიერების და სიკეთის კეთების საფეხურებს აპყრობინებს, მეორეს აწბილებს, კრიმინალამდე მიჰყავს და ვიღაცის უსუსურობის გამო მათ ქომაგად მოგვივლენს.

16127. პატივმოყვარეობა ნაციონალიზმთან, შურიანობასთან, ერთად უკანასკნელი დასაყრდენია უიღბლოთათვის, ავყიათათვის და თავზე შეყვარებულთათვის.

16128. გულმოწყალება ხშირად კანონზომიერების საწინააღმდეგოდ ბადებს ნეგატიურ შურს, სხვადასხვა არასასიამოვნო მოვლენას, რადგან გულმოწყალება ბევრს დამამცირებელ გრძნობად მიაჩნია.

16129. თეთრი შური ხშირად ჩვენი ბედნიერების თანამეცხედრეა.

16130. სიღარიბეს რომ ვაჯობოთ, საჭიროა შური, შემართება და მცდელობა თანასწორობის გარეშე.

16131. ინტელიგენტობა ის ბაცილაა, რომელიც ყველას დაავადებას ვერ ახერხებს, მაგრამ მისით დაავადება სხვას შურს გვრის.

16132. კრიტიკა არც ქვევიდან და არც ზევიდან არ ამართლებს, თუ მას შიში და ინტერესების შეხლა-შემოხლა არ მოყვა.

16133. კეთილშობილი შური ცხოვრებას ალამაზებს, განვითარების ბერკეტია, ხოლო შავი – არეულობას და ქაოსს იწვევს.

16134. სულიერება ინტიმური საქმეა და უმსგავსოების საწინააღ-მდეგოდ არის მოწოდებული, თავისუფლების ილუზიებით და მომაბეზ-რებელი ყბედობით.

16135. ჩინოვნიკებად უნდა დაინიშნონ შინაგანი პასუხისმგებლობის და კეთილი ნების ადამიანები, რომელთათვის სამსახური ფელაფერია და პირველ რიგში, თვალი კარიერაზე უჭირავთ და არა წაგლეჯაზე.

16136. შეცდომებით ცხოვრება შეიძლება, ოღონდ ცოდვილად გა-დაბარგებაა იმქვეყნად ძნელი.

16137. დროის მსვლელობის შეჩერება შეუძლებელია, მაგრამ მასზე მიყურადება საჭიროც არის და სასარგებლოც.

16138. დიდები ბავშვების ცელქობას აზვიადებენ, მაგრამ ავიწყდე-ბათ, თავად რა დაუდგრომლები და ცოდვილნი იყვნენ.

16139. აზარტული თამაში და ბიზნესი ორივე ფულის მოგებას ემსახურება, ოღონდ პირველში ბედია მთავარი, მეორეში – ჭკუა და ბედის გამოცდილება.

16140. სიღარიბე გაიძულებს იმუშაო იქ, სადაც არ გსურს, მაგრამ საზოგადოებას სჭირდება.

16141. გულუბრყვილო გულით დასაფასებელია მიუხედავად გონის სიჯიუტისა.

16142. ნათესავებშიც პირველი უნდა იყო, თუ გინდა მათმა ოდენო-ბამ შენს ნაცნობებში იბარტყოს.

16143. სკოლის წლების გახსენებისას ჩვენი ქცევის კრიმინალური ნიშნებიც შეიძლება მოვიძიოთ, მაგრამ რა სასიამოვნოა და დასანანიც არ უნდა იყოს ეს ჩვენმა გარდასახულმა ასაკმა გვაპატია.

16144. ძაღლს სიფარულისა და ერთგულების გარდა სხვა არაფერი შეუძლია, პირმოთნე ადამიანისაგან განსხვავებით, რომელმაც ის იმი-ტომ შეიკედლა, რომ მასზე იბატონოს, ელაპარაკოს, იმეგობროს, რადგან სხვა მის მიმართ ამის კეთებას არ ისურვებდა.

16145. ურიგოდ მიღებული სიამე სჯობს რიგით მიღებულს, თუ თავმოყვარეობა და სინდისი არ შეგაწუხებს.

16146. რომ არა ძალოვანი სტრუქტურები, სასამართლოთი და ციხეებით, ამდენ დარეხვილ ადამიანს „საგიჟე ვერ აუვიდოდა“.

16147. დედაქალაქს ბევრი სიკეთის მოტანა შეუძლია პროვინცია-ლისთვის თუ ამ უკანასკნელს თავხედობა, შემართება და ნიჭი არ აკლია.

16148. ჩვენ იშვიათად ვითვალისწინებთ არა მარტო სხვის შეხედულებებს, არამედ საკუთარსაც.

16149. ცოდვა იმდენად ორიგინალური უნდა იყოს, რომ პირველ რიგში გაოცებას იწვევდეს, შემდეგ კი – გააზრებულ რისხვას.

16150. ნერვიულობა, ანცობა, არ იკრძალება, უბრალოდ ის ვიღაცის და რაღაცის ნებით დროებით მუხრუჭდება.

16151. არის გარკვეული ცოდნა, რომელიც ტირაჟირებას არ მოითხოვს, მაგრამ ზოგი იძულებულია პროფესია და სამსახური გამოიყენოს, კუჭი რომ ამოივსოს, რაც ქვეყანას და ხალხს ძვირი უჯდება.

16152. სხვისი ბიოგრაფიის წერა ფულს იძლევა, მემუარებისა – თავის გამოჩენას.

16153. სიკეთის თავზე მოხვევაც თავისებური ეშმაკობაა, ქვენა გრძნობებით და იმედით.

16154. ყველა საქმიანობა საჭიროა, მაგრამ ყველა მომგებიანი არ არის ე.ი. არც პრესტიჟულია.

16155. კადრებს ჭადრაკის ფიგურებივით უნდა ვფლობდეთ და უნდა შეგეძლოს მათი გონიერების და შესაძლებლობის საქმის სასიკეთოდ გადაადგილება.

16156. წყალს ძალის პოზიციიდან არ უნდა ველაპარაკოთ, მას უნდა მოვეფეროთ და კაშხალით სათუთად შევფუთოთ.

16157. მეგობრობა თუ კარიერა, არჩევისას, უმეტესად, ეს უკანასკნელი ჯობნის.

16158. თუ სახლში ეკრანი აჩვენებს ე.ი. ვცხოვრობთ და მის რაობაზე საუბარი არ ღირს.

16159. ღამე ბევრ ცოდვას გვპატიობს და შეგვინდობს, სამაგიეროდ, დღე სიკეთის კეთებას გვიბიძგებს.

16160. ეტყობა, ქალის ალერსს მამრების მოფერება სჯობს, აბა, როგორ უნდა აიხსნას სულით საჭურისების მომრავლება ,,მასმედიაში'' და სახელმწიფო სტრუქტურებში.

16161. ყველას რატომღაც წარსულის ცოდვები გვაღელვებს და მომავლის ცოდვების ლიმიტის ასაკში ათვისებაზე არავინ ფიქრობს, რომელიც თავის წარმოსაჩენად და ჩვენი ჩუმი სიამისთვის არის განკუთვნილი.

16162. ცოდნას და ასაკს ისევ უვიცობა და ჯიელობა სჯობს, როდესაც საფიქრელი ბევრი არაფერი გაქვს, გარდა ერთისა: მოწინაღმდეგე სქესს მოემსახურო მთელი გრძნობით და მონდომებით.

16163. ზოგისთვის აუცილებელია ყველგან ამჩნევდნენ და თითით აჩვენებდნენ, რაც თავისებური ადამიანური სისუსტეა და ამბიციაც, ოღონდ რომელიღაც უარყოფით ხარისხში აყვანილი.

16164. ყველანი ცოდვილნი ვართ, მაგრამ იქით „არ შეიძლებას“ ზღვარს არ უნდა გადავაბიჯოთ.

16165. მთავარია განსხვავებული და საიდუმლოთი მოცული იყოს შენი საქმიანობა და მნიშვნელობა არ აქვს საქმეს ემსახურები თუ დანაშაულის წუმპეში კოტრიალობ, მთავარია შენზე იჭორაონ.

16166. საბოლოოდ ყველანი სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მსხვერპლნი გავხდებით, მაგრამ ყოფიერება არაფერს დათმობს და არც მსხვერპლად შეწირვას შეეგუება.

16167. ცივილიზაციის მომძლავრება და ფუფუნებისკენ ლტოლვა რატომღაც გვაიძულებს პირველყოფილი ადამიანის ქცევით და მისივე ქვენა გრძნობებით ვცხოვრობთ, ეტყობა, წარსულის გამოძახილი ცდილობს ჩვენს გადაგვარებას ხელი შეუშალოს.

16168. უკანალს ორი დანიშნულება აქვს, ან უნდა გილოკონ ან ჭიტლაყი გითავაზონ, სხვანაირად მასთან ურთიერთობა არ გამოვა.

16169. სიღარიბე მაშინ არ არის სასირცხო, თუ რაღაცას ცდილობ და გარემოებათა გამო არ გამოგდის.

16170. ცხოველთა სამყაროს წარმომადგენლებისაგან განსხვავებით, ქალის თანხმობა ხშირად გაუგებარია: „არ დაგნებდები, არ გეკადრებას“ ძახილით ლოგინში თავად გეჭრებიან, გაიტრუნებიან, თავს გადააგდებენ, გულს შეიღონებენ და დაგნებდებიან, ხოლო თუ შესაფერის ხვადს ხელი ვერ გამოკრეს და არ დაორსულდნენ შეიძლება ძალადობა დაგაბრალოს და გიჩივლოს, ხოლო ოთხფეხას წარმომადგენლები, ორფეხებისგან განსხვავებით თავის ხვადს შეამოწმებენ, გადაამოწმებენ და შემდეგ რთავენ განაყოფიერების ნებას.

16171. პენსიონერები რომ საზოგადოებას ტვირთად არ ექცეს, უნდა გამოვიყენოთ ახალგაზრდებისადმი ყურადღებაში, ყურისგდებაში და დანაშაულთა პროფილაქტიკაში.

16172. კლერკსა და ბაცანას შორის დიდი მსგავსებაა: ერთი ხელმძღვანელად არ უქნია ღმერთს, მეორე – ქურდად და ორივეს ნასუფრალისკენ უჭირავს თვალი.

16173. სიმართლე ხანდახან ზეიმობს და ეს არის ზოგიერთისთვის ყველაზე მიუღებელი.

16174. სრულ სიმართლეს მხოლოდ იდიოტები ამბობენ, იმასაც მაშინ, როდესაც მინორულ ხასიათზე დგებიან.

16175. ყველაზე საუკეთესო ნათესავები და მეგობრები არიან ისინი, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში არ გაგინებენ და „არ გამიგიას“ ითამაშებენ.

16176. თავზევით რომ ამაღლდეთ, ხანდახან სხვის დაცემასაც უნდა შეესწროთ.

16177. ქათმის და კვერცხის პირველადობის პრობლემა, ჩვენდა დაუკითხავად, ისევ საქათმეში უნდა გადაწყდეს.

16178. თუ გინდათ პრობლემამ არ დაგვღალოს და თავიდან მოვიშოროთ, უნდა დავცინოთ და დავივიწყოთ.

16179. როდესაც ხეირიანის და საამაყოს გახსენებას ვერ ვახერხებთ იძულებულნი ვართ ეს ხინჯი ჩვენდაუნებლიე წარმოდგენებით გავალამაზოთ, რაც თავისებურ სიამოვნებას გვგვრის.

16180. არის ზოგი უზნეო ადგილი, რომელიც ადამიანმა მექასავით ერთხელ მაინც უნდა მოინახულოს, მაგრამ არ უნდა გაითავისოს და ცხოვრება მასში არ უნდა ჩაახშოს.

16181. უდიდესი ხელოვნება ცოდნაა აქტიურად დაბერებისა და ლამაზად დაფერფვლისა, განვლილი წლების გვერდზე მოგდებით.

16182. გაუნათლებელი ლოთი-შფოთი იმით განსხვავდება განათლებულისაგან,რომ ამ უკანასკნელს პირველისაგან განსხვავებით არავითარი პრეტენზია არ გააჩნია საზოგადოების მიმართ და ყოველგვარი საყვედურის გარეშე თვრება და უსაქმურობს.

16183. ასაკისთვის არცერთი ხნოვანების მდედრის „დაბმა“ არ არის ძნელი, პრობლემაა „ხიფინგის“ ოდენობა და ხარისხი.

16184. საკვირველია, მაგრამ განათლებული, თავაზიანი ადამიანი შესაძლებელია ყველაზე დიდი ნაძირალა იყოს.

16185. ცხოვრებიდან წასვლა მაშინ, როდესაც სიყვარული არ გიგრძვნია, არ აღელვებულხარ და აღფრთოვანებულხარ, საცოდაობაა, არა მარტო საკუთარი თავის, არამედ წინაპრების წინაშეც, რადგანაც მთელი თაობების მცდელობა წყალს გაატანე.

16186. სიყვარული, ძალაუფლება, კეთილდღეობა – ერთად აღებული, რატომღაც, კორუფციას ვერ უმკლავდება.

16187. ტრადიციების ერთგულების საყრდენი შეიძლება სისულელეც იყოს და გონიერებაც, როგორ საჩოთიროდაც არ უნდა გვეჩვენებოდეს მათი თავგასულობა, რადგან ყოველივეს გარემო პირობები განსჯის.

16188. ენების შესწავლა, ყოფიერების გაუმჯობესების მცდელობა, რათა გვაიძულოს თავქუდმოგლეჯილი წინმარბენალ ცივილიზაციას გამოვეკიდოთ და სამყაროს სუნთქვის რიტმს ავყვეთ.

16189. დალხინებულს ხშირად სხვისი გასაჭირი დასახმარებლად აინტერესებს, ხოლო გაჭირვებულისთვის სხვისი გაჭირვების დანახვაც საკმარისია საკუთარი გაჭირვების მარგი ქმედების კოეფიციენტის დასადგენად.

16190. მტერიალურ კეთილდღეობას არავის უნდა დაპირდეთ და წინასწარ ანდერძი არც არავის გააცნოთ, რადგან ადამიანი სუსტი არსებაა და იმქვეყნად თქვენი ადრეული გადაბარგების სურვილს გულში გაივლებს.

16191. საჩუქრად წოდებული ქრთამი, ტკბილი სიტყვებით, იმქვეყნიურ ჯოჯოხეთსაც სამოთხედ აქცევს.

16192. ინტიმს განეკუთვნება ალერსი, სექსი, ცხვირის დახვენა და თითის შეყოფა, გაქარება, მოსაქმება, ფულის სესხება, კოსმეტიკა, ამბორი, ოცნებაში არეული ფიქრები და ზოგიც სხვისთვის გაუმჟღავნებელი ნიუანსები, რომელსაც ზოგჯერ ცივილიზაცია არ ეპუება და იმის გაბაზრება-წარმოჩენას ცდილობს, რასაც უნდა მალავდეს და ჩუმად ელოლიავებოდეს.

16193. არის დახასიათება, რომელსაც ხოტბის შესხმითაც ვერაფერს არგებ, რადგან ეს შექება თითიდანაა გამოწოვილი.

16194. მამათმავლებს, საჭურისებს, ჰერმაფროდიტებს თავიანთი მაფია აქვთ და ყოველნაირად ცდილობენ მმართველ სტრუქტურებში მოხვედრას, რათა მოსახლეობის ჯანმრთელ ნაწილს, რომელიც დღეს დემოკრატიისა და თავისუფლების ეიფორიაშია იმყოფება, ნიშანი მიუგონ, დასცინონ, ყველა იმ წარსულის აკრძალვებისთვის, რომლებმაც ისინი შეურაცხჰყო.

16195. საუბარი, რომელიც ტოლობის შემდეგ ციფრს არ სვამს, ყბედობაა და მეტი არაფერი.

16196. ხშირად ნაცნობი ეშმაკი უფრი მოსწონთ, ვიდრე უცნობი ანგელოზი, რადგან პირველის დაბმის გეგმა უკვე გაცნობიერებულია, ხოლო მეორესაგან რა გამოდნება არავინ უწყის, აუტკივარი თავის ატკივება კი არავის უნდა.

16197. იდეალური არავინაა, მაგრამ ორიგინალურობა ზოგს იქ ახასიათებს, სადაც სტერეოტიპს აღმოაჩენს.

16198. ქორწინების ,,ოფიციოზის'' შტამპი ყველაზე დიდი საჩუქარია წყვილის ახლობლებისთვის პერსპექტივის მიუხედავად.

16199. ყველას გვეშინია სულის სიბერის და არა – მოწიფულობის და ასაკის მატების.

16200. მდედრის რჩვეული ის არის, ვინც კარგად მოუსმენს და დაბუბნის, მამრის ის – ვინც მის ვნებას დაცხრომს და რჩევას სთხოვს.

16201. „ქალი ან უნდა გააღმერთო ან უნდა შეეშვა“, მაგრამ ამას მოთმინება უნდა მიუსადაგო, თუ ავხორცობა არ გაწუხებს.

16202. ოჯახი თავისას მოითხოვს, სამუშაო თავისას, მაგრამ მიზანი და იდეა თუ აგეკვიატა, სხვა ყოველივე მეორეხარისხოვანია.

16203. პირადად შეიძლება პატიოსანი კაცი ხარ და ქრთამსაც არ იღებ, მაგრამ შინაურებში ქრთამის გაღების გარეშე ვერას გახდები.

16204. საუბარი – დალაპარაკება, მათ შორის ის სხვაობაა, რომ პირველს გულწრფელობა, ხალისი ახასიათებს, მეორეს საქმის მოწყობა, ჩაჩუმება.

16205. წახულიგნების სურვილი და დაუოკებელი ფანტაზია ყველა ჩვენგანს შინაგანად და სხვისთვის გაუმხელად ახასიათებს, რადგან ყველანი ბუნების ურჩი შვილები ვართ, ბავშვობის გახსენებით და ჩვენივე სისუსტით.

16206. შენი თავი ჩუმად თუ არ გამოლანძღე, ისე სახალხოდ არავინ შეგაქებს და გაღიარებს.

16207. კრიტიკას თვალი უნდა ვადევნოთ, მაგრამ ყური არ უნდა ვათხოვოთ, რათა ნერვიულ სისტემას გავუფრთხილდეთ და ჩვენი საქმის უკეთ კეთებით თავს პროფილაქტიკური შეძახილებით ვუმკურნალოთ.

16208. სახიფათო ნაკლი ხშირად დიდ პიროვნებებს და ნიჭიერ ხალხს აქვთ, რადგან მის გარეშე ისინი ვერ ამაღლდებოდნენ და ვერც წარმოჩინდებოდნენ.

16209. ინტელექტუალური ჩუმი კაიფია, როდესაც ვიწრო წრის და შენს გარდა არავინ იცის, რომ რაღაცა აღსანიშნავის კეთება შეგიძლია ან შესძელი.

16210. კარიერა, ფული, ძალაუფლება, კაცობასთან შედარებით თეორიულად მეორადია, მაგრამ ასაკში პრაქტიკულად, საპირისპირო დივიდენდებით ფასდება.

16211. თანამედროვე უსაფრთხო გარჯნილებაა, თუ მეგობრები სხვადასხვა გარეგნობის გასაბერ ქალებს შეიძენთ და ხანდახან ერთმანეთს გაუცვლით. ვინ იცის შეიძლება ეს ვაი – კულტურაც მოვიდეს, მით უმეტეს, რომ მას ზოგიერთი უპირატესობა აქვს წყვილთა ურთიერთობაში: ყოველგვარი ჭკუის დარიგება და უსაფრთხო სექსი.

16212. მარტოობის დღესასწაული ზოგჯერ დიდებული უსიტყვო შოუა საკუთარი თავის წინაშე, თუ დროის ფასი იცი და მისი გამოყენება ხელგეწიფება.

16213. ხშირად, მზერით ხელის ფათური ქალის მომხიბვლელ მკერდსა და უკანალზე მეტ კაიფს შეგვაგრძნობინებს, ვიდრე რეალობაში მცდელობა, რადგან დაბოლოება უცნობი და სარისკოა.

16214. ყველა ადამიანს სიკეთესთან ერთად ზოგჯერ სიკვდილიც მოაქვს, შესწევს მას ამის უნარი თუ არა.

16215. დიდი სიბრიყვეა, როდესაც ადამიანი არ ცდილობს ხანდახან ჩერჩეტი იყოს.

16216. არის ცოდნა, რომლითაც არც უნდა იტრაბახო და უახლოეს ადამიანსაც არ უნდა გაუზიარო. მაგ., სინათლით, ტელეფონით და ტრანსპორტით უფასო სარგებლობა. უპირველესად ეს დანაშაულია, რომელიც მასობრივ დანაშაულში გადაიზრდება, რომლის წინააღმდეგ სახელმწიფო ადეკვატურ ღონისძიებებს იღებს. შედეგად ცოდნა გამოუყენებელი და უვარგისი ხდება.

16217. დასაშვების ფარგლებში დასამახსოვრებელი სისულელის ჩადენა აუცილებელიც არის და საჭიროც, ოღონდ არ უნდა წაგვმწარდეს.

16218. დიდი სისულელეა, როდესაც იქ მიდიხარ, სადაც არ გელიან, მაგრამ ზოგჯერ გასახსენებლადაა სასიამოვნო და ღიმილის მომგვრელი.

16219. ხშირად ჭკვიანები იქ ვართ, სადაც არაფერი გამოდნება, გარდა ხუშტურობისა.

16220. მსტოვართა ინსტიტუტი თაყვანისმცემლებს, მათი გამომჟღავნების, გამარჯვება-დამარცხების დროს იძენს, სხვა დროს ისე წარმატებით აკეთებს თავის საქმეს, რომ მათზე არც ლაპარაკობენ და თავადაც თავის წარმოჩენის წინააღმდეგნი არიან.

16221. თავის მოკოხტავებას და პირად ჰიგიენას ცხოველები ადამიანებზე უკეთ ახერხებენ, ყოველგვარი მაკიაჟის და სუნამოს გარეშე.

16222. როდესაც უკანონოდ ფლობ იმას, რასაც სხვა ვერ შეწვდება, განიცდი ველურ ბედნიერებას ჩუმი სირცხვილით.

16223. იმიჯი ერთი შეხედვით არაფერია, მაგრამ მოფრთხილება სჭირდება, რათა ხელიდან არ გაგიფრინდეს და შენი რაობის ხელახლა გადახედვა არ მოგიხდეს დაღვინების ჟამს.

16224. არის შეცდომები, რომელიც შეიძლება აგვეცილებინა, მაგრამ არ ვცდილობთ, რადგან ამ შეცდომების დაშვებიდან მიღებულ სიამოვნებაზე უარის თქმა ჩვენს შიდა მაკონტროლებელ ძალებს აღემატება.

16225. შეიძლება რაიმეს არ ვეთანხმებით, მაგრამ რატომღაც მისთვის თავს ვდებთ და არჩევანსაც მის სასარგებლოდ ვაკეთებთ, ამას გინდა სიბრიყვე უძახე და გინდ – უნიათობა.

16226. სამყარო მშვენიერია და დედამიწა – მარჩენალი, მაგრამ მოსახლეობა ჰყავს ახვარი, უნიათო ჭკუის და თავზე შეყვარებული.

16227. ასაკის გადასახედიდან ბევრ ჩვენს წარსულ ქმედებას, ქცევას, ირონიით ვუყურებთ, მაგრამ მის აუცილებლობასაც ვერ გამოვრიცხავთ.

16228. სქელი ჯიბე ყოველთვის სიყვარულის მაშველად არ გამოდგება, მაგრამ მის ახლომახლოს მაინც უნდა იდგე.

16229. ახალ ცოცხსაც შეუძლია ძველი ცოდვები ისე წაშალოს, რომ კვალს ვერავინ მიაგნოს, თუ ის დროულად და მისივე ინიციატივით დაფინანსდება.

16230. ასაკის ცვალებადობის მიუხედავად შეცდომას ყველა ჩავდივართ, მთავარია, არ მივქაროთ.

16231. ყველაზე კარგი ალიბია იყო მსხვერპლი, რა თქმა უნდა, თუ რაიმე სერიოზული არ მოგივა.

16232. ჩვეულებრივი, ადამიანური, პატიოსნების დაჯერება ძნელია, თუ მას ქვენა გრძნობების გამხნევებაზე გვერდში არა უდგავართ.

16233. „ლორდობის“ დაკარგვას არ იმჩნევენ და საზოგადოებას დროებით განერიდებიან, რათა თითით საჩვენებელი და დასაცინი არ გახდეს ჯერჯერობით თანამდებობაზე მყოფ „კოლეგებისგან“, რომლებსაც თავის გასამართლებლად ამ კაცის გაბიაბრებაც „ალიბად“ მოევლინათ.

16234. დიდ იდეებს ვეძებთ და გავკივით, მაგრამ თავს არასდროს ვივიწყებთ თუ სხვისი შესაძლებლობების „აწაპვნა“ შეიძლება.

16235. თუ თქვენს ოცნებას ახდენა არ უწერია, მაშინ ღამით ვიოცნებოთ, იქნებ სიზმარმა მაინც მოგვიტანოს სიამოვნება და იმედი.

16236. სხვაგან – ფემინიზმი, ჰუმანიზმი, დემოკრატია, ჩვენთან – „ძაღლი ადამიანის მეგობარია“-ს ვერ გავცდით.

16237. ამდენი რჩევა-გადარჩევის შემდეგ მაინც დედაშენისთვის შეუფერებელი საპატარძლო მიგყავს – პირველ ხანებში მაინც და ამ აქსიომას საუკუნეთა გამოცდილება ვერაფერს აკლებს.

16238. კაცს რომ პურის ფული უჭირს, ის შეიძლება ქვეყნის პატრიოტი იყოს, მაგრამ მოქალაქე ვერ გახდება.

16239. სიბრძნეს სიბრიყვე ვერ განსჯის, მაგრამ ზოგჯერ ჯობნას ახერხებს.

16240. მეგობრობა მონატრება და არა – ერთმანეთთან ყოფნის სურვილი – დრო როგორ და სად „მოვკლათ“.

16241. ბრძენი ყველასთვის ხიდს აშენებს, ჭკვიანი ოჯახზე ზრუნავს, ხოლო ბრიყვი ისაა, რომელიც სხვის აშენებულ ხიდზე დასეირნობს და შინაურთა ინტერესები ფეხებზე ჰკიდია.

16242. ქურდების და ქურდობის ოდენობის მონაცემები ქვეყნის სტატისტიკიდან მოპარული და მანიპულირებულია.

16243. ულირსი კაცისთვის გონიერების პარამეტრები და წინაპართა ავტორიტეტი არ არსებობს.

16244. ქება-დიდება ხშირად შენი მარიფათის დამსახურებაა თანა-მეინახეთა შორის.

16245. ისიც ცოდნაა, თუ სხვაზე მასალების მოძებნა დროულად შეგიძლია.

16246. პირფერობის ბრტყელ-ბრტყელი სიტყვები ყველას გვაცდუ-ნებს და სადღაც მისაღებიცაა, თუ მათში სისაძაგლე არ დევს.

16247. ჩვენ უნიათოები, ბრიყვები, იმიტომ კი არ ვართ, რომ ასეთები დავიბადეთ, არამედ იმიტომ, რომ ასე ყოფნა ხელს გვაძლევს.

16248. აკრძალვა დიალოგია ბიუროკრატიის კრიმინალებთან, ე.ი. ფულის უკანგორებით დაახლოება ძალაუფლებასთან.

16249. ჩვენ ის კი არ გვაინტერესებს, მეგობარი იერარქიის კიბეზე ვის და რას ემსახურება, არამედ რა სიკეთის მოტანა შეუძლია და რას გვასარგებლებს.

16250. ზოგი ოთხფეხა საწოლთან, სკამთან მეგობრობს, ზოგიც ოთხფეხა ძაღლთან, კატასთან და ამ მცდელობას, ყოფას, დასვენების და გართობის ეტალონად თვლის, რადგან სხვანაირად მას დროის მოკვლა, გაყვანა, არ ძალუძს.

16251. ყველას გვიგროვდება რაიმე გაუხედნავი, შეუცნობი, რო-მელსაც ისე ვიყენებთ, როგორც გაგვიმართლებს და ყოფის ხუშტური გვკარნახობს.

16252. ყველაფრის არც დაჯერება შეიძლება და არც დაუჯერებ-ლობა, არც რწმენა და არც ურწმუნოება, რადგან მათ გარეშე სამარ-თალიც იკარგება, კანონიც და ცხოვრების მომხიბვლელობაც.

16253. მიმზიდველობას ვერ ისწავლი, რადგან ის ყველას თავისი აქვს, მაგრამ მისი მოვლა და კვალიფიკაციის ამაღლება ჩვენს ხელშია.

16254. ცნობისმოყვარეობის შედეგია: ატომური ენერგია, ,,შიდსი", ნერვების მოშლა და სხვა მრავალი, რომელიც ადამიანის დემოგრაფი-ული აგრესიის მოთოკვა-მოწესრიგებას ემსახურება.

16255. წინასწარმეტყველსა და მკითხავს შორის ის სხვაობა, რომ პირველს იმას გამცნობს, რაც მის ფანტაზიის და დაგროვილი ცოდნის

შესაძლებლობას არ აღემატება, მეორე კლიენტის სახის მიმიკის მიხედ-ვით „მოთარგმნის“ და იმას ეუბნება, რაც მას ესიამოვნება და სჯერა.

16256. ჯობს რამდენიმე ქმარი და საფარელი გამოიცვალო და შენზე იჭორაონ, ვიდრე გაუთხოვარი დარჩე, შენს პატიოსნებას ხოტბა შეასხან და გითანაგრძნონ.

16257. უფრო გვაღელვებს და გვაინტერესებს რას, ვისთვის, რა-ტომ ამბობენ, ვიდრე რას, ვისთვის, რატომ ვაკეთებთ და რა სარგებე-ლი მოგვაქვს.

16258. ექვსი თვით ადრე აღებული ქრთამი რომ ქრთამად არ ჩაგითვალონ, საჭიროა ის დაბადების დღის აღნიშვნის შემდგომ გამო-ვაჩინოთ და მშვიდად მოვიხმაროთ.

16259. ერთჯერადი სისულელის ჩადენის ვნება ყველა ჩვენგანის თავში ტრიალებს და ჩუმად ვეკაიფებით.

16260. ძალზე პირადული – ხელუხლებელი უნდა დარჩეს და მასში ხელის ფათური არავის ეპატიება.

16261. ყველაფერ უხიაგს მოწინააღმდეგეს მივაწერთ, განსაკუთრე-ბით – თუ ის დამარცხებული გვყავს.

16262. დამახინჯებული საკუთარი ნირის ნაგლეჯის გამოსწორება ყველამ უნდა ვცადოთ.

16263. დედიშობილა ქალის დანახვაზე სხეული კრთება და არა – თვალები.

16264. ყველა ღირსებაზე ქადაგებს, მაგრამ ულირსობას ინტერესით უყურებს.

16265. მათხოვრობაც თავისებურ პროფესიონალიზმს მოითხოვს.

16266. დამარცხებული ქვეშევრდომი ორგული ხელქვეითია, რადგან რევანშის და ზურგში დანის ჩაცემის შემთხვევას ეძებს.

16267. დაუმსახურებელი შექება სირცხვილი არ არის, თუ მას ყურადღების მიუქცევლად შევიფერებთ.

16268. ჰუმანურობა, გონიერება, არ შველის თუ სხვამ გაჯობა და გულით ვერ გაიხარე.

16269. ზოგი ბუნებით ისეთი უხიაგია, სიკვდილის წინ თავს მოი-საწყლებს, ვალებს აიღებს და ასე ჩუმად გაიპარება ამქვეყნიდან.

16270. ჩვენი ჰობის, ჩვეულებების დროებითი ალტერნატივა ზურ-გის შექცევაა, ამის საფასური კი მოულოდნელად ნაჩუქარი სიყვარული ან ფულია.

16271. არის რაღაც გაუმხელელი, რომელიც საზოგადოებას მძიმე ტვირთად აწევს, ხოლო მეცნიერებისთვის საინტერესოა. მაგ.: სიამის

უიმედო ტყუპები, „დაუნი“ ბავშვები, უპატრონო ცხოველები, რომელთა შენახვა სახელმწიფოს და საზოგადოების ბიუჯეტს მძიმე ტვირთად აწვება, ხოლო მათ მშობლებისთვის ზნეობრივი ტრაგედიაა. სწორედ აქ უნდა გამოიჩინოს ხელისუფლებამ ის არაპოპულარული ჩუმი „ვაჟკაცობა“, რომელსაც ამ ტვირთისგან განთავისუფლება ჰქვია და მათ მომვლელთათვის ნორმალურ გარემოს შექმნა.

16272. ბატონობა ყველას უნდა, პატრონობა და სხვისი ჭირისთვის მხრის შეხიდება მოიკოჭლებს.

16273. ძველი მეგობარი სჯობს „მკვდარი“ გყავდეს სასიამოვნოდ გასახსენებლად, ვიდრე ცოცხალი, მაგრამ საგინებელი, ფარსით და გუნების გაფუჭებით, მაგრამ მეგობრის აზრიც გასაგებია.

16274. მეგობრების ხშირი ცვლა სიბრიყვეა, მაგრამ არც მათი შენარჩუნების მცდელობაა ყოველთვის გამართლებული.

16275. ჯოჯოხეთი, მეტ-ნაკლებად, ყველას სულში ბობოქრობს, როდესაც თვითმფრინავში ზიხარ, რადგან საქმე ალბათობასთან გაქვს.

16276. ტოტალიზმის დროს მოქმედება ადვილია, სიმართლის თქმაა ძნელი, ხოლო დემოკრატიის დროს ყბედობა ადვილია და საქმის კეთება – ძნელი, რადგან ათასი კონტროლი ჩნდება. ორივე შემთხვევაში, კანონის ჩუმი დარღვევის გარეშე, სასიკეთო ხშირად არაფერი კეთდება.

16277. ასაკის სიბრიყვე ჯეელობის გადაცდენასთან ახლოსაც ვერ მოვა.

16278. ბოლოს ის მარტოობა გვრჩება, რომელიც მოხერხებულად უნდა დამალო, რათა ხალხს მხიარული და ძლიერი დაამახსოვრდე.

16279. ყველა ჩვენგანი ანგელოზად გამოიყურება, როდესაც სხვას დანაშაულზე წაასწრებს და მის დასაგმობ აზრსაც გამოთქვამს.

16280. შთაგონება-აღფრთოვანება არ იყიდება, მაგრამ მას თავისი ფასიც აქვს და ღირებულებაც.

16281. რატომაა ადამიანი ზოგჯერ გამოთაყვანებული, ამის გაგება დღემდე ვერ მოხერხდა, ალბათ, იმიტომ, რომ ტვინის შერყვის შედეგად ის ცოდნა-განათლება მიიღოს, რომელსაც ყოველთვის შემოქმედებითად ვერ იყენებს.

16282. ხელისუფლების პირველი მოღალატენი მის დაკრულზე მოცეკვავენი არიან, რომელთაც მობეზრდათ ამდენი უაზრო ხტუნვა, ამბიციებიც გაუჩნდათ და ღალატისთვის გამზადებულნი არიან. მხოლოდ დროს, შემთხვევას და უფროსის ფეხის გადაბრუნებას ჩასაფრებულნი უცდიან.

16283. რთულია იყო ყოველთვის პირველი, მაგრამ ამის გარეშე არც არავის ახსოვხარ, არც არავის უნდიხარ და საკუთარი ამბიციების მოთოკვაც გიჭირს.

16284. გამარჯვების „მოპარვასა“ და მოპოვებას შორის ის სხვაობაა, რომ ორივე გამარჯვებულია და დამარცხებულის ალიბი არავის აინტერესებს.

16285. „ყველა ყავს თავის ბახალა უყვარს“, თორემ რომ დაფიქრდები, ზოგი არც ჩასახვას, გაჩენას, აღზრდას, დაოჯახებას იმსახურებს და არც დამარხვას.

16286. შეუმჩნევლად ყოფის უნარი გონის მოკრეფის საწყისია და არა – ჭკუისა, რადგან ეს უკანასკნელი განგებამ უნდა დაგაბერტყოს ან გამოცდილებამ გადახარშოს.

16287. ყველამ თავისი მწუხარება და ვარამი სხვათა თანაგრძნობით და არა შეცოდებით, თავადვე უნდა გადაიტანოს.

16288. ცივილიზაციის მარაქაში ნაძალადევი გარევა იმას ნიშნავს, რომ ნერვებს იმშვიდებ და თავსა იწყარებ „მეც ნახირ-ნახირო“.

16289. გამოცდილება მაღალი კლასის ოინია, მაგრამ არა იმითთვის, ვისაც ნებისყოფა არ ყოფნია და ჩასაფრება არ შეუძლია.

16290. თვალის გასახარი სამუშაო – ლამაზი ქალის მზერა, არავის აუკრძალავს, მაგრამ ზომიერება მაინც საჭიროა.

16291. გულში, თავზე შეყარებული ჩუმი ბაქია უნდა ვიყოთ, თუ გვინდა ჩვენი ყოფა ოცნებით მაინც წინ წავიგდოთ.

16292. დაზვერვა ერთადერთი სამსახურია, სადაც სახელმწიფო მზვერავს მთლიანად უხდის, რაც მას ქვეყნის შესაძლებლობების ფარგლებში ეკუთვნის.

16293. ალალად ცხოვრება უფრო ადვილია ვიდრე ჩაჩუმათებული, მითუმეტეს, თუ შენი თავგადასავლის დაუფარავად და შეულამაზებლად მონაყოლის სიმართლეს არავინ დაიჯერებს და გაჭორვის ობიექტად აღარ იქცევით.

16294. ხშირად სიბრიყვის ჩასადენად სხეული მზად არის, მიუხედავად იმისა, რომ ტვინი უარზეა, მაგრამ პროცესი უკვე დაიწყო და ჭკუაც იძულებულია მას გაჰყვეს.

16295. ნერვებაშლილი „შეფი“ ყველა მექრთამე უფროსზე ძნელი ასატანია, მითუმეტეს, თუ თავს პატიოსნებაზე დებს.

16296. პოლიტიკა ცუდად დადგმული სპექტაკლია, სადაც რეჟისორი სუსტია, ხოლო „მსახიობთა“ თამაში ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. მაგრამ მომხრეებსა და ტაშის დამკვრელებს ერთმანეთის ჯიბრზე მაინც ნახულობენ.

16297. ზოგჯერ ჩვენი მტრების სადღეგრძელოც უნდა შევსვათ, რადგან დაპირისპირებასაც სილამაზე და წესიერება ამშვენებს.

16298. ზოგი ნამუსს შაურად ყიდის და ამითაც კმაყოფილია, – იმდენად უხარისხო აქვს, გაიაფებას უფრთხის.

16299. ბუნებას თავისი კუთვნილი ნაჩუმათევად უკან რომ არ მიჰქონდეს, დიდი ხანია დედამიწა ორბიტას მოწყდებოდა და რომელიმე ციურ სხეულს შეასკდებოდა.

16300. მძებნელს ძებნილის ყოველთვის უნდა ესმოდეს და შინაგანად გრძნობდეს.

16301. მონადირემ ირმის და ტახის ხორცი ერთმანეთში არ უნდა აურიოს, რადგან მათ მონადირეობის სხვადასხვა წესი აქვთ.

16302. ყველა გულს თავის ჩიტი-ჩიორა აფრთხილებს, რადგან მასზე ზრუნვა მისი პროგრამაა.

16303. ჩუმ-ჩუმად ზოგჯერ ისიც უნდა ვაკეთოთ, რაც საქმისთვის სასარგებლოა და გახმაურებას არ ექვემდებარება, რადგან ირგვლივ მყოფთ ნერვები არ მოვუშალოთ და უგნური განსჯის საგნად არ ვაქციოთ.

16304. ჩვენი უდღეურობის აპოკალიფსი ყველამ ჩუმად და უდრტვინველად უნდა გადავიტანოთ.

16305. ერთი თუ პრეტენზიას აცხადებს დახმარებაზე, დასპონსორებაზე ე.ი. დაფარულ მათხოვრობაზე, ადრე თუ გვიან უარი უნდა თქვას, ხოლო თავმოყვარეობის აღსადგენად ეს მიხმარება ვალად უნდა ჩათვალოს და თანდათანობით დააბრუნოს. თუ რა გზით, მისმა კეთილისმდომებმა უნდა უკარნახონ.

16306. გაჭირვება ზოგს დედოფალთან დააწვენს, ზოგსაც ფულის საბანს დაჰხურავს და ზოგსაც როგორი უქნარაც იყო, იმ უქნარად დატოვებს.

16307. ეშმაკი, სატანა, ჩუმად არ ხუმრობს, ისიც ამას სხვის დასანახავად და თავის მოსაწონებლად სჩადის.

16308. ყველანი ჩვენი სიამოვნებისათვის ვცრუობთ, მაგრამ უმეტესად უბოროტოდ, უმტკივნეულოდ და სახალხოდ.

16309. სწავლა ყოველთვის ბედნიერების და დღეგრძელობის მომტანი არ არის, თუ მის შედეგს, ცოდნას, წინ არ გაიგდებ და თავის სარჩენად არ გამოგადგება.

16310. მოწინააღმდეგე ყოველთვის უკეთ გშიფრავს, გახასიათებს, ვიდრე შენი თანამდგომნი.

16311. საქმის კეთების სურვილი სიტყვიერად დიდი გვაქვს, მაგრამ იმდენს ვაკეთებთ, რაც გვყოფნის და სამსახურიდან არ გაგვაგდონ.

16312. სჯა-ბაასის დროს ფაქტიურად, ერთმანეთს კომპლიმენტებს ვთხოვთ და არა – რჩევა-დარიგებას.

16313. ყოველთვის, რატომღაც, დარწმუნება უფრო ძნელია, ვიდრე დამტკიცება.

16314. თუ გინდა მდიდრულად იცხოვრო, სურვილი შესაძლებლობებს არ უნდა სჭარბობდეს.

16315. ცოდვის ჩადენა ზოგჯერ გამოცდილების მისაღებად გვჭირდება და არა ჩვენი უგნურება-უგვანობის დასამტკიცებლად.

16316. ორი სიავიდან ერთის არჩევა, არც უყურადღებობის ბრალია და არც ასარჩევი ასორტიმენტის, უბრალოდ რეალობაა.

16317. საიდუმლოს ყოველთვის აქვს წარმატების ფორმულა, რომლის ამოხსნა მიყურადების გარეშე ყველას არ შეუძლია.

16318. ჩუმჩუმელაში ხშირად დემონი ბუდობს, რომლის მოთოკვა შეუძლებელია, რადგან მისი ბიანდრობა-ჩასახლების მიზეზი გაუგებარია.

16319. დამარცხებასაც თავისი ღირსება აქვს, თუ მიზეზის ანალიზის უნარი შეგწევს და რევანშისთვის მოემზადები.

16320. საიდუმლოს შენახვის პოსტულატი ქალისთვის და კაცისთვის ერთია, მობარებული საიდუმლო არავის გაუმხილოს, მაგრამ ვინ როგორ ინახავს, ეს უკვე სხვა საქმეა.

16321. საკუთარ შეცდომებსაც გასაიდუმლოება სჭირდება, რათა ისინი დროულად დავივიწყოთ.

16322. თამაშის წესებს თუ არ არღვევ და ისე ცუღლუტობ და მამაძაღლობ, უსამართლობად არ ითვლება, რადგან ეს თამაშის ხერხია და არა თაღლითობა.

16323. სიგიჟე ჭკუის ნაფის შედეგია, რომლის მიზეზი შეიძლება ქალიც იყოს, ალკოჰოლიც და გაწბილებული სიფარულიც.

16324. საკუთარი წარსულის ყიდვა შეუძლებელია, მაგრამ მიჩქმალვა შესაძლებელია, თანაც შედარებით იაფი ჯდება.

16325. შენ ქალის დიდი ქონიანი უკანალი უძახე და ამდენ მამაკაცს ჭკუას ურევს და ნერწყს აყლაპვინებს, ასე, რომ გონიერების თეორია ვნებათა ღელვის პრაქტიკას არასოდეს ემთხვევა თუ მასში ასაკის სიმუხთლე არ ჩაერია.

16326. სიმდიდრე და ამპარტავნობა ხშირად გვავიწყებს უხიაგ და უგნურ წარსულს, რომელიც ჩვენს ოპონენტებს კვადრატში აფანილი ახსოვთ და თუ დასჭირდათ, დიდი სიამოვნებით წინ დაგიდებენ.

16327. ტვირთად არავინ აგეკიდება თუ არ სჭირდები და შენთან ურთიერთობიდან რაიმე თუ არ გამოდნება.

16328. ყოყლოჩინობა ის კომპეტენტურობაა, სადაც შენ არ ხარ და იქ არაფერი გესაქმება.

16329. იდეალები არ ბრუნდებიან, მაგრამ მათ სიამოვნებით ვიხსენებთ და ვხარობთ.

16330. ადამიანის შეგნება სინამდვილეში ძალზე შორს დგას ლმობიერებისაგან, ის ბუზს იმიტომ კლავს, რომ აწუხებს, ხოლო ცხოველის ხორცს იმიტომ მიირთმევს, რომ შიმშილი დაიკმაყოფილოს და ეს არის მისი შეგნებაც და ,,ბასტაც''.

16331. ზედმეტად მორცხვობის დასაძლევად, ქალიშვილმა თავისი სხეულის დათვალიერება და მასში ,,იზუმინკა'' – ლაზათის მონახვა უნდა ისწავლოს, ხოლო მორიდებულმა ყმაწვილმა თავისი ასოს სხვისასთან შედარება და პრაქტიკაში დანერგვა.

16332. სამყაროს გაღატაკება არ გვინდა, მაგრამ მავნებლობას, ბუნებიდან ,,ჭკუის სწავლებას'', მოსალოდნელი დასჯის მიუხედავად, თავს ვერ ვანებებთ.

16333. ხშირად იყო განაწყენებული, მომგებიანია, რადგან განმსჯელს და ოპონენტს არ სცნობ, თან ფიქრობ, რომ მართალი ხარ.

16334. ზოგჯერ ის ადგილი სამუდამოდ უნდა დავივიწყოთ, სადაც ერთხელ შემთხვევით მოვხვდით, ეს ჩვენი მეობისთვისაც აჯობებს, გენისთვისაც და შთამომავლობისთვისაც.

16335. სახის დაკარგვას ისევ თავის დაკარგვა სჯობს, შენი ახლობლებისთვის.

16336. ცდუნებაზე უარის თქმას ვერც წლების სიმრავლე შველის და ვერც გამოცდილება, თუ ამის უნარი შეგწევს.

16337. კომპლიმენტია ის უვერტურა, რომელიც ყველა ქალის დაუფლებას წინ უძღვის.

16338. უტიფრობა და თავაზიანობა სხვადასხვაა, მაგრამ დედის საშო ერთი აქვთ.

16339. სადაა გარანტია იმისა რომ ადამი და ევაც ებრაელები არ იყვნენ.

16340. ხანდახან იდიოტურად ყოფნა მუსიკის ჰანგების თანხლებით, სასმელის წრუპვით და ქალის თვალების შემონათებით, ძალზე სასიამოვნოა.

16341. მექალთანეობა ჩვეულება, გენია, ვნებაა და არა – ქალისადმი ტრფობა, სიყვარული, თავდადება.

16342. დანაშაულის ჩადენის სურვილი ზოგჯერ მოწონებას იმსახურებს, იმდენად მომხიბვლელია სხვისი დანაშაული ზოგჯერ ჩვენი გადასახედიდან.

16343. ზოგი პატიოსანი იმიტომ არის, რომ მოსაპარავი, ხელმოსათბობი, საშური, ირგვლივ არაფერია.

16344. კორუფცია მეტ-ნაკლებად ყველა წყობას ერგება, იმისდამიუხედავად, ხელისუფლება სუსტია ძლიერია თუ ძალად გადემოკრატებული.

16345. ბუნებაში შეიძლება არაფერი არ იკარგება, მაგრამ ხელისუფლებაში ყველაფერს სათავისოდ აქრობენ კანონის და თანამდებობის მოშველიებით.

16346. თვალებს ეშინია, გონება ფიქრობს, გული გრძნობს, ყურები ისმენს, ხელები აკეთებს და მათ სინქრონულობაზეა დამოკიდებული ჩვენი გუნება, განწყობა, იმედი.

16347. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, დღეს მარტოხელა დედა და უჩინარი მამა ცივილიზებული ცხოვრების ალგორითმი ხდება.

16348. ზოგს ისეთი მცირე შემოსავალი აქვს, რომ არა მარტო ცხოვრება, არამედ გარდაცვალებაც კი შეუძლებელია.

16349. ულამაზო ტყუპისცალი, როგორც იქნა, გათხოვდა და ორთავემ შედეგით სარგებლობა დაიწყო, ხოლო მამაკაცი, ჯერჯერობით, გატრუნულია და ხმას არ იღებს, რადგან სახეზეა მამრთა მოდგმის კუდგამოსაბმელი რაციონალური გამოყენება.

16350. დროისგან აფუებულ მედროვეს, რაც ნაკლები ჭკუა აქვს, მით მეტი ამბიციები აწუხებს, რადგან სიბრიყვის დამალვას და იმიჯის წარმოჩენას უაზრო კაპრიზებით ცდილობს.

16351. რადგან ცხოვრებაში მგზავრობა და სიცოცხლის კაიფი დღეს გვჭირდება, ყველა ჩვენგანი წმინდანი ვერ იქნება, რასაც ოჯახის წევრები და სხვა შენი მოიმედენი ვერ გაიგებენ.

16352. ანგარება არ ჭკნება, ხოლო სიყვარული არ კვდება, მაგრამ პირველი სასწორის პინას სხვადასხვა ალიბის მოშველიებით უმეტესად თავის სასარგებლოდ გადაწონის.

16353. გამარჯვება ყველას საკუთრებაა, ხოლო დამარცხება, დამცირება და სირცხვილის გადანაწილებაა სადავო, მიუღებელი და უმადური საქმე.

16354. არის ადამიანთა კატეგორია, რომელიც სიკეთეს არ იკლებს, მაგრამ დავალიანების და მომავალი ცხოვრებისთვის განკუთვნილ სავალდებულო კრედიტის გადახდას თავს არიდებს.

16355. წარმატებისგან თავის გაბრუება კარიერის ჩასვენების საწინდარია და ამიტომ გაყოყოჩებას და სიზარმაცეს უნდა ვერიდოთ.

16356. სიცოცხლის ხანგრძლივობა ჩვენი უძლური სიბერის მაჩვენებელიცაა და სიხარულისაც, რადგან ამ ქვეყნის ავ-კარგს მიწის ქვევიდან ამოდებული არ ვუყურებთ.

16357. თუ გვინდა ცხოვრება არ გავირთულოთ, ჩვენი ადგილი უნდა ვიცოდეთ და იმას არ უნდა წავეპოტინოთ, რაც ჩვენი არ არის და უდავიდარაბოდ არავინ მოგვცემს. მიუხედავად ამეების ცოდნისა, ამბიციებს ხშირად ვერაფერს ვუხერხებთ.

16358. ცხოვრება მაინც კომედიაა და მის არც მელოდრამად და არც ტრაგედიად გადაკეთებას არ უნდა ვეცადოთ, რადგან სიცოცხლის ყადრს ვერ შევიცნობთ და ცხოვრებაც ხელიდან გაგვიფრინდება.

16359. პიროვნება სხვის შეცდომებზე სწავლობს, მოქალაქე თავის და სხვის შეცდომებს აანალიზებს, ადამიანი თავის შეცდომების შეცნობით კმაყოფილდება, ხოლო ბრბოს წარმომადგენელია, რომ არავის შეცდომებს არ ეპუება და ყველგან მის კორიანტელს აყნებს.

16360. ყოველთვის რაღაცას ვკარგავთ და ვიძენთ, ყველას ჩვენი ახირება და სიშმაგე გვჭირს, მაგრამ ცხოვრება მაინც თავის გზით მიგვაჭენებს და ეს არის, ალბათ, ჩვენი სიცოცხლის პეწიც და ეშხიც.

16361. მთელი ჩვენი ცხოვრება ჭადრაკის ეტიუდია და ხშირად საჭირბოროტო საქმეების გადასაწყვეტად შამათით რამდენიმე სვლაში დამუქრება ე.ი. მუშტის ჩვენებაა საჭირო.

16362. ვიცხოვროთ ისე როგორც ყველა ცდილობს, ნიშნავს: ცოტა ვიმუშაოთ, კარგი ანაზღაურება მივიღოთ და უზრუნველად დრო ვატაროთ.

16363. თუ არ იცი სად უნდა იხეირო, მაშინ ცხოვრების ნარჩენებს უნდა დასჯერდე და ამითაც კმაყოფილი იყო.

16364. ცხოვრების აზრი მომდევნო თაობების კეთილდღეობაა, რომელსაც არავინ აფასებს და თუ საბაბი ნახეს, კრიტიკის ქარცეცხლსა და ჭკუის სწავლებას ძველი რიცხვით არ დაგაკლებენ.

16365. ისე უნდა შევეცადოთ ვიცხოვროთ, რომ მეორედ ამქვეყნად მოსვლა არ მოგვინდეს დაშვებული შეცდომების გამოსასწორებლად.

16366. ოდესმე ცხოვრებას, სულიერად იქნება ეს თუ ხორციელად, უნდა დავნებდეთ, რადგან სიბერეს, ხარისხის მიუხედავად, ალტერნატივა არ აქვს.

16367. შეიძლება სამუშაო გიყვარდეს, მაგრამ ცხოვრება ისე არ გსიამოვნებდეს, როგორც ეს შენს ირგვლივმყოფთ უნდათ და იმსახურებ.

16368. ფაქტობრივად არც ჩვენი ბუნება იცვლება და არც ჩვენი ცხოვრება, მხოლოდ ირგვლივმყოფნი იცვლებიან, იმისდა მიხედვით, თუ ცხოვრების კიბის რომელ საფეხურზე ვდგავართ.

16369. შედეგიანია ბედნიერება, როდესაც ცხოვრებაში წარმატებას ჭუჭულ-ბუჭულების სიმრავლეც ახლავს და ცხოვრების დაისი უშენოდ ფეხის გადადგმასაც არ კადრულობს.

16370. ცხოვრებასაც თავისი კანონები აქვს, ჭადრაკის ფიგურასავით შემთხვევით ბედის კაპრიზზე ხელი მოგვიხდება და ბოლომდე უნდა ითამაშო უკეთესი გაგრძელების მოსაძებნად, მოსალოდნელი უარესი შედეგის სანაცვლოდ.

16371. გარემოებათა მსვლელობის დროულად გამოყენებაა ცხოვრება.

16372. ცხოვრებაში მთავარია შენი ნაშიერის ბედი და შენი წარმოდგენა მომავალზე, რათა უკანალი არ გაჩვენოს და სულით ბანკროტი არ გაგხადოს.

16373. ჩვენი მომავალი ყოველთვის ნდობას არ იმსახურებს, მაგრამ მის გარეშე ცხოვრება საცოდაობაა.

16374. ჩვენი ცხოვრების მუზეუმი ჩვენივე თავგადასავლებია, ხოლო „გიდი“ – ჩვენი მახსოვრობა და ენა.

16375. ცხოვრების პირველი მეოთხედის 25-წლიანი ციკლი ადამიანს ყველაზე დიდხანს უგრძელდება, მეორე მეოთხედს ცხოვრებას შეგრძნობას ანდომებს, მესამე მეოთხედში დრო ხელიდან უსხლტება, მეოთხე მეოთხედში დრო მიფრინავს, ხოლო თუ ღმერთმა მეხუთე მეოთხედიც აჩუქა, მისთვის დროის მსვლელობას აზრი დაკარგული აქვს.

16376. ჩვენი ცხოვრების ცენზორი ცოლია, ხოლო რეალური შემფასებლები შვილიშვილები და შვილთაშვილები.

16377. გამოცდას ყოველდღიურად ვაბარებთ, მაგრამ ცხოვრებაში გამოსასვლელი გამოცდების ჩაბარებას სხვა ეშხი, სიხარული და თავისადმი პატივისცემა ახასიათებს.

16378. წესიერი ყოფა, უწესობის შხამის დამატების გარეშე არ გამოდის, რადგან ეს ცხოვრებაა და არა ლოზუნგი.

16379. ცხოვრება წინ, პროფესიონალებისაგან განსხვავებით, მაინც მოყვარულებს მიჰყავთ, გამოუცდელობით და ოპტიმიზმით.

16380. ცხოვრებაში მაშინ გიმართლებს, როდესაც „თავს დავნატრისთვის“ არ გცალია.

16381. თანაბარი საწყისი ფინიშზე ერთდროულად მისვლის გარანტი არ არის, რადგან ცხოვრება უინტერესოდ გაივლის.

16382. რამდენიმე პროფესიის ცოდნა პოლიტიკური კატაკლიზმებისაგან თავის დაზღვევაა, რადგან რას გპირდება მომავალში ცხოვრება, არავის უწყის.

16383. როდესაც სამართალი იკარგება, მაშინვე იწყება კულტურის, ტრადიციების და ადამიანობის დევალვირება.

16384. სინდისი ცხოვრებაში გამართული სიარულია, მუხრუჭების გამოყენებით.

16385. რადგანაც ცხოვრება სიზმარია, ჩვენი მოვალეობაა გავერკვეთ, როდის ვართ სიზმარში და როდის ცხადში.

16386. უნდა ეცადო ისე იცხოვრო, როგორც მოგწონს და ხელი მიგიწვდება და არა ისე, როგორც გიოცნებია.

16387. როდესაც ყველასთვის ყველაფერი გასაგებია და ასარჩევიც არ რჩება, ცხოვრების მადლი უფერულდება.

16388. ცხოვრება რისკში არეული სიფრთხილეცაა.

16389. უნდა ვეცადოთ მთელი შესაძლებლობით ვიცხოვროთ, რადგან ჩვენი წარსული ერთეულ ყიამყრალ სკლეროზდაგვიანებულთ თუ გაახსენდება და დროის კაპრიზს ჩვენი ყოფილი ცოდვები გათავისებული ექნება, რაც შეიძლება რეკლამადაც გამოგვადგეს.

16390. ცხოვრების უშეცდომოდ გავლა ძნელია, მაგრამ თუ ამას ვინმე ახერხებს, ცხოვრებად არ ჩაეთვლება.

16391. მორალი ცხოვრების სანელებლებით შენელებული ზომიერი საჭმელი უნდა იყოს და არა სასიამოვნოდ გემრიელი.

16392. ახალი წლის დადგომა გვიორკეცებს სურვილს ზოგიერთი განვლილი წლის ჩვენი ცხოვრებისაგან ამოგდებისას.

16393. არასასიამოვნო ამბებისა და ცხოვრების მიერ გაწბილებას ჭკვიანი კაცი გასართობად აქცევს, რათა უბედურების ციკლი იუმორით გადაიტანოს.

16394. ხშირად ცხოვრება მანამ ცხოვრობს ჩვენში, სანამ ჩვენ მასში გარკვევას ვასწრებთ.

16395. უნდა ვეცადოთ ცხოვრება უაზრო კინკლაობაში არ დავაბანდოთ.

16396. სიყვარულის გარეშე ცხოვრება ჭირს, მაგრამ მოხერხებულობა მას თავის ყოფას არ გადააყოლებს.

16397. შეხლა-შემოხლა წესების გარეშე ცხოვრებაში ყოველთვის ვიღაცის გამარჯვებით არ მთავრდება, აქ ხშირად ყველა ზიანდება.

16398. პესიმისტის ცოდნა-გამოცდილება მოლაყბე ოპტიმისტმა უნდა დააფინანსოს და ცხოვრების ავ-კარგში გაერკვეს.

16399. ყველა თავისი მორალით ცხოვრებას ცდილობს, რომელიც გარემოს და დროის კაპრიზს უნდა დაემთხვეს.

16400. ჩვენდა საუბედურო, ხშირად თავად ვიშორებთ იმ მშვენიერებას, რისთვისაც ცხოვრება ღირს.

16401. მთელი ცხოვრება ყოფიერების რაობის და საკუთარი მენტალიტეტის გარკვევაში ვართ და მაინც უპასუხოდ ვრჩებით.

16402. მთავარია დაკარგვასაც მიეჩვიოთ, ყოველივეს თავიდან დაწყებასაც და თავის დადანაშაულებასაც. მართალია, ჭკუა არ მოგემატებათ, მაგრამ ცხოვრების ანა-ბანას მაინც ისწავლით და ამქვეყნად არ დაიკარგებით.

16403. უნდა ვეცადოთ ცხოვრება ისე ავაწყოთ, სხვისი არც ჭკუის სესხება დაგვჭირდეს, არც დახმარება და იმქვეყნადაც დაუფედრებლად წავიდეთ.

16404. ცხოვრება პირადი დრამატურგიაა, რომლის სპონსორი, რეჟისორი, მსახიობი და მაყურებელიც თავად ხარ.

16405. უდარდელი ცხოვრება ყველაზე დიდი კაიფია და ამ სიამეს გრძნობების დაღვინების შემდეგ შევიცნობთ.

16406. თუ ვერ შეიცანით, რატომ და რისთვის ცხოვრობთ, ეს ნიშნავს, რომ ცხოვრების ნაცვლად არსებობთ.

16407. ტუტუცური ურთიერთობა გამოდის, როდესაც ის ცხოვრების რაობით მთვრალია, თქვენ ფხიზელი ხართ და სიყვარულით თროებისთვის ჯერ ვერ მოგიცლიათ.

16408. ცხოვრება ის აბანოა, სადაც ჭუჭყის ჩამორეცხვა გვიწევს და ვცდილობთ სუფთად ვიყოთ, მაგრამ გარემოებათა გამო, რატომღაც ხშირად გვიხდება იქ დაბრუნება.

16409. ცხოვრება სამზარეულოდან ჩეჩმაში სირბილით არ უნდა შემოვფარგლოთ, მას სულის და სხეულის გარჯით პატარ-პატარა გმირობის ჩადენა სჭირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, არსებობა გამოგვივა არსებობისთვის.

16410. ცხოვრება კომპრომისების ძებნაა, ოღონდ სიკეთის გადასახედიდან.

16411. ცხოვრებით ყოველთვის უკმაყოფილონი ვართ, მაგრამ ცოტათი მაინც სხვაზე უკეთ ვცხოვრობთ, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ასე გვწამს.

16412. ყველას ამ ცხოვრებაში თავისი გასავლელი გზა აქვს, მაგრამ ყველამ ეს არ იცის და ამიტომაცაა, რომ ღობე-ყორეს ვედებით და ველარ გაგვიგია, ვიარსებობოთ თუ სხვისი კარნახით ვიცხოვროთ.

16413. ცხოვრება მოყინულ ქვაფენილს მოგაგონებს, სადაც უნდა მოხერხებით ვიაროთ, რათა ფეხი არ დაგვიცდეს და სამუდამოდ არ დავინვალიდდეთ.

16414. ნიღაბი იმისთვის გვჭირდება, რომ ცხოვრებაში ჩვენი ნააზრევი უკეთ წარმოვაჩინოთ და სხვის გონებაში ჩავტენოთ.

16415. უნდა ვეცადოთ ცხოვრება ვაქციოთ ჰობად და არა ჩვენს აკვიატებად.

16416. ცხოვრება სიბერეში დრამად მაშინ გადაგვექცევა, თუ მეგობრები უმიზეზოდ დაგვცილდებიან.

16417. უნდა ვეცადოთ ცხოვრებას აზრიანი სინჯი ავუღოთ, რათა მისი ფასი და გამოყენება ვისწავლოთ.

16418. ოცნება, რომანტიზმი, წინასწარ ნაფიქრ ხაბა-ხუბას არ ემთხვევა, მაგრამ რადგან ვარსებობთ, ვალდებულები ვართ ვეცადოთ უკეთ ვიცხოვროთ.

16419. აწეწილი, „ფირალი“ ცხოვრება, არც დასვენებას იძლევა და არც მოსვენებას, მაგრამ მათ გარეშე ცხოვრების მადლის, ფასის შეცნობა ჭირს.

16420. დღეს ტეტიასა და ქალაქელს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი საქმეს რქებით აწვება და შემართებით, მეორე – შუბლით და ნაცნობობით, ამიტომ ყოფის ოლიმპზე უფრო ხშირად რატომღაც ყოფილი სოფლელი აღმოჩნდება.

16421. ოცნებების და სასწაულების მოხდენა, სურვილის, რწმენის და მცდელობის გარეშე, ცხოვრების თამაშგარე მდგომარეობაში გვამყოფებს.

16422. ვეტერანი კინო, მუსიკა, აღმოჩენები, უნდა ეცადონ დღევანდელობას ცხოვრება არ გაურთულონ თავიანთი მოგონებებით და დაჯედრებით.

16423. ცხოვრებაში პატარ-პატარა როლების შესრულების ოსტატი უნდა იყოთ, თუ გსურთ თქვენს ჭკუით და ხასიათით იცხოვროთ.

16424. რაც უნდა ცუდი ცხოვრება გვქონდეს, მას მოფრთხილება სჭირდება, რადგან ჩვენთვის ის ერთადერთია, შეუცვლელი და უნიკალურიც.

16425. ცხოვრება ისეთია, როგორსაც მას ჩვენი ყავლის გასვლის შედეგად ვიღებთ.

16426. დროებით გაჭირვება, გაუგებრობა, ყოველთვის ცუდი არ არის, რადგან ერთდროულად ცხოვრების გამოცდილებას აგროვებ და თანაც გამოცდას აბარებ.

16427. ახირებული სიკეთეც არსებობს, მაგრამ გააჩნია ვისთვის და რა ნოტებზე გვესაუბრება ცხოვრება.

16428. ცხოვრება სიბილწიდან განწმენდის მცდელობაა და ამიტომაცაა, რომ ის წინასწარ დაგეგმილს და გააზრებულს არ ემორჩილება.

16429. მთავარია ცხოვრების გაუთვალისწინებელ გამოხდომებს მომზადებულნი და გაწვრთნილნი შევხვდეთ და არა – ვიპირველოთ გამარჯვებაზე ოცნებით.

16430. თუ სიცოცხლე გვიხარია, მაშინ ცხოვრებას სიძნელეები არ გააჩნია.

16431. ცხოვრება ისეთია, როგორიც გაგვიმართლებს და არა ისეთი, ჩვენ რომ მოგვეპოვება.

16432. ცხოვრება ორმაგი სტანდარტების ნაყოფია, როდესაც უყვართ: პატიობს ღალატს ან არ პატიობს. აქ გრძნობების დიდ აშლილობასთან გვაქვს საქმე, მაგრამ შედეგი სხვადასხვაა, რადგან ერთმა თავს აჯობა, მეორემ საკუთარ სიამაყეს ვერ გადააბიჯა.

16433. ცხოვრება წლებში არ უნდა გაგვეპაროს, თორემ ვიღაცის მიზეზით ასაკის ღუნვა და დრეკა საჭიროც არის და აუცილებელიც.

16434. ღირსეული ცხოვრება ხელოვნებაა და არა მისგან თავის დაძვრენის მცდელობა და გასხლტომა.

16435. ცხოვრება ხტუნვა-ხტუნვით უნდა გავლიოთ და არა ჭენებ-ჭენებით, რათა უკან მოხედვის დროც დაგვრჩეს, თორემ ბოლომდე ვერც მწუხრის ბალღამს შევიცნობთ და ვერც – სიხარულის სიამეს.

16436. ღორმუცელა საფლავს კოვზით ითხრის, ლოთი – ჭიქით, ხვადი – პენისით, მაგრამ თავისი ცხოვრებით ყველა მათგანი კმაყოფილია.

16437. პატიოსანი შრომით და სხვისი მფარველობით ნანატრ ცხოვრებას ვერ მოიწყობ, მაგრამ თუ მას სინდის-ნამუსის, პატიოსნებაკაცთმოყვარეობის, გარჯა-მონდომების საწებელში ამოვსვრით, შესაძლებელია, მაგრამ მაინც წესიერების გადასახედიდან.

16438. ყველაზე ძნელი იმ დროში ცხოვრებაა, სადაც მითები იცვლება, ღირებულებები გადაფასდება და ადამიანის დამოძღვრა ჩამოუყალიბებელი შეფასებებით ხდება.

16439. ყოფიერების სანაცვლოდ მუდამ ალიბით ცხოვრების მცდელობა – უაზრობაა.

16440. ილუზიებზე ხელის აღება ცხოვრებაზე ხელის აღების ტოლფასია.

16441. ოცნებას შური არ უნდა გავაკაროთ, იმედს – ჭუჭყი და ბედნიერებას – ქვენა გრძნობები, რათა ცხოვრების ოროომო-ტრიალის

შედეგად დაგროვილი ნაგვის გატანა მოსალოდნელზე მეტი არ მოგვიხ-
დეს.

16442. ცხოვრება ის დაგრეხილი თოკია, რომელიც წარსულთან
გვაკავშირებს, მაგრამ დრო როგორ გასანთლავს და როდის ჩამოგვკი-
დებს, თავადაც არ უწყის.

16443. თავშეკავების უნარი პატარაობიდანვე უნდა გამოვიმუშაოთ,
თორემ ცხოვრება ისე გაგვხედნის, რომ შემდგომ ყოველგვარი მუხრუ-
ჭის მოშველიება უშედეგო იქნება.

16444. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ყველაზე წესიერი კაციც კი
თავისი ცხოვრების მოსაკვარასჭინებლად იღწვის.

16445. ცხოვრება სურვილსა და შესაძლებლობას შორის კომპრო-
მისების ძებნა-გამონახვაა.

16446. ცხოვრება ხშირად მოგონებათა დუდუკია, გაურკვეველი
აწმყოს ზურნა და მომავლის დიპლიპიტოა, რომელთა მოსმენა ხშირად
ხელს არც გვაძლევს მაგრამ იძულებულნი ვართ.

16447. ცხოვრების ავ-კარგი ემპირიული ფორმულებით უნდა გან-
ვსაჯოთ და არა – მომავლის იმედის მქონე ალგორითმებით, რადგან
მთავარია, რა გავაკეთოთ და არა ის, რას გავაკეთებთ, რადგან მემა-
ტიანე, გაშლილ კარტებში, ქვეყნის ბედ-იღბალს არ გაათამაშებს.

16448. ცხოვრება გაჯიბრებაა, ის უმოქმედობას ვერ იტანს, მიუხე-
დავად იმისა, გაიმარჯვებ თუ დამარცხდები, მაინც კამყოფილი ხარ.

16449. ყველა ისე ცხოვრობს როგორც ახერხებს, მიუხედავად იმისა,
ცდილობს უკეთესობისკენ ლტოლვას თუ არა.

16450. თვით ცხოვრებაა დაუნდობელი და მასზე თავის შეშვერა-
გადაგებაც დროის შეურჩევლად არ გამოგვადგება.

16451. ცხოვრების ტემპის დაჭერაა ხელოვნება და არა – მისი
ნაგლეჯებისა.

16452. ცხოვრება იგავ-აარკია, ალეგორიაა, თუ კარგად ჩავუღ-
რმავდებით და სიკეთეს ვეზიარებით.

16453. ცხოვრება ბედის, შემთხვევის თამაშია და არა – უკანალისა.

16454. უმეტეს შემთხვევაში პიროვნება სკამია და მასზეა დამოკიდე-
ბული ჩვენი ცხოვრების ყაიდა.

16455. ცხოვრების გურმანმა ყოფიერების ფასი უნდა იცოდეს და
არა – მისი ღირებულება, რომელიც ცვალებადი და მერყევია.

16456. შეხედულებებს ადგენენ, საქმეს აკეთებენ, ხოლო რამდენად
სამართლიანად, ამას ცხოვრება განსჯის.

16457. ცხოვრებას რომ ვერაფერს უგებ, ამიტომაცაა მშვენიერი,
საოცარი და ტვინის საჭყლეტიც.

16458. ყოფიერების ბაზარი ყველაზე მეტად ცხოვრების აწონ-დაწონაშია, რათა სულმა ის გაიღოს, რაც არ ენანება, ხოლო ხორცი განიცდის ფუფუნებას, რათა უაზროდ არ დაშვრეს.

16459. საოცარია ჯოგური ცხოვრებისაკენ ადამიანის მიდრეკილება, ვქომაგობთ ჩვენს სადარბაზოს, ეზოს, ქუჩას, ქალაქს, ქვეყანას, კონტინენტს, დედამიწას, რატომ და რისთვის, რა დამსახურებისთვის, ბოლომდე ვერ გაგვიგია და არც გვაინტერესებს.

16460. უძაღლო ქვეყანაში კატებს ყფის სურვილი ეკარგებათ და ისევ თავიანთი ,,მიაუთი" ცხოვრებას ცდილობენ.

16461. ცხოვრება რომ შეიცნოთ, ექსტრემალურ პირობებში მოხვედრა არ არის საჭირო, მთავარია მოთმინების უნარი გამოიმუშაოთ და საყელპურო ნიღბის უნარს დაეუფლო.

16462. ძნელია ციტატებით შეიარაღებულ ტვინს ეპაექრო, მაგრამ ცხოვრების რაობის შეცნობას სხვა გააზრება, კამათი და ცოდნის შეჯერება სჭირდება.

16463. ჯობს ჩვენ ოფოფებს მოვეფეროთ, საკუთარ ჭკუაზე მოვთარგმნოთ და სასიკეთოდ ვამსახუროთ.

16464. ჩვენი ცხოვრება დაშვებულ შეცდომებთან ბრძოლა და მათი მოწესრიგების მცდელობაა, რათა კვლავ შევცოდოთ, რადგან ჩვენი ბედის მიმართ უძლურნი ვართ.

16465. ცხოვრება ერთგულება, თანადგომა, ურთიერთგაგებაა, რომლის გარეშე სიცოცხლე ჯოჯოხეთს დაემსგავსებოდა, ხოლო ყოფა – არარაობას.

16466. ცხოვრება, ეტყობა, მაინც დიდი საროსკიპოა, სადაც ვისი ვიოლინო ვის კონტრაბასშია, არავის უწყის.

16467. ცხოვრება ხშირად იმას გვაძლევს, რაც გვერგება და ზოგჯერ ანგარიშს უწევს ჩვენს სურვილებს.

16468. ცხოვრება ყოფიერების ფრაზოლოგიაცაა და არა მხოლოდ განყენებული, ულიმღამო სიცოცხლე.

16469. ცოდვების გარეშე ვერც სიყვარულ-სიძულვილი იარსებებს და ვერც კაცობა-არაკაცობა, რადგან შესადარებელი არაფერი გვექნება, ხოლო სიკეთე-ბოროტების ინტეგრალების აღქმა-გარკვევის გარეშე ცხოვრება შეუძლებელი გახდება.

16470. ჩვენ ხშირად იმ პრობლემებს ვიქმნით, რომლის გარეშე ცხოვრება უფერული გვეჩვენება.

16471. უკეთესი ცხოვრების მიზნით ადგილსამყოფელს ვიცვლით, მაგრამ ყოფის პარამეტრები ყველგან უცვლელი გვრჩება და ერთნაირია.

16472. ცხოვრება ზოგისთვის ჰობია, ზოგისთვისაც ჰობს მიახლოებული ცხოვრების ბალანსი.

16473. სიცოცხლის უყაირათოდ დაბანდების უნდა გეშინოდეს და არა ცხოვრებისა, რომელსაც შეხლა-შემოხლის გარეშე უნაკლოდ ვერ გაივლი.

16474. ზოგი თავის დროში იბადება, ზოგიც თავის ყოფიერების სივრცეში, მაგრამ ცხოვრებით კმაყოფილი არც ერთი არ არის.

16475. ცხოვრება იმის ცოდნა კი არ არის, რაც გადაგვხდება, არამედ როგორ ვექცევით იმას, რაც გადაგვხდა.

16476. ზოგჯერ ცხოვრებას ისე ვეჩალიჩებით, მისი არაფერი გვესმის, მაგრამ საკუთარი ბედის ჯინაზე მაინც სასიკეთოდ ვირჯებით და თავიც გაგვაქვს.

16477. დამორცხვება-თავხედობა, განცდა-ერუდიცია, ყბედობის ნიჭი-მოყვასის დასმა, მიზასნწრაფვა-დაუნდობლობა, დიპლომატია-კაცთმოყვარეობა, ამ ყოფიერების ინგრედიენტებისგან მომზადებული ცხოვრების გამოცდილების კოქტეილი სრულიად საკმარისია დასახული მიზნის მისაღწევად და მიღწეული შედეგის გამაგრება-კვლავწარმოებისთვის.

16478. გარკვეულ დროს ცხოვრებაზე ფოკუსირება ძალზე საჭიროა, რათა ცხოვრების უახლესი სურვილები შეიცნო და ყოველივე თავიდან დაიწყო.

16479. ცხოვრებით გაუმაძღრობა ყველას უნდა გვახასიათებდეს, თუ გვინდა თავსაც და სხვასაც ვარგოთ, ოღონდ ერთი პირობით, სხვას მაინცდამაინც არ უნდა ვავნოთ და შურით არ შეურაცხვყოთ.

16480. ცხოვრებას მხეცივით ზურგით შეტრიალებული ხალხი არ უყვარს.

16481. ზოგჯერ ცხოვრებას ისეთ ჯოჯოხეთად აქცევენ, რომ მასში ეშმაკის თანამდებობაზე ყოფნაც კი უსაფრთხოების გარანტი არ არის.

16482. შიმშილსაც გადაურჩით, ცოცხლებიც დავრჩით, მოსაგონარიც გვაქვს, მაგრამ საშველი არ დაადგა ამ არეულ და საინტერესო პაექრობაში ცხოვრების მადლის შეცნობას.

16483. მაგიური რეალიზმი მოწოდებულია თავისი დროის მაყურებლის „დაბმა“ – გაიცებისაკენ და სახრავი ხვრელის გამოთხრისაკენ.

16484. ცხოვრება არავის არ უნდა ვასწავლოთ, მაგრამ ყოფიერების ფილტრში გონების გატარებას არავისთვის ვნება არ მოუტანია.

16485. ყველა ნიჭს, გენს, შემართებას, თავისი ზადი და ნაკლი ახლავს, თუ ის არსებულ ცხოვრების წესს არ ესადაგება, რადგან სხვანაირად მცდელობას საქმე ბოლომდე ვერ მიჰყავს.

16486. იცხოვრა კარგად, იცხოვრა ღირსეულად, მათ შორის ის სხვაობაა, რომ პირველ რიგში პირველი თავს სცემდა პატივს, მეორე – სხვისთვისაც ზრუნავდა, შედეგად ამ უკანასკნელმა ვალად თავის გახსენება შთამომავლობას დაუტოვა, ხოლო პირველმა მისი გახსენება ახლობლების მახსოვრობას და სინდისს მიანდო.

16487. ვეცადოთ ცხოვრებას ვუყუროთ ირონიით, ხალისით და სხვისი ცოდვების მოტევების უნარით.

16488. ცხოვრება – იუმორია, ხასიათის წარმოჩენაა, ნებათა ჩოჩქოლია და ჩვენი მოუვლელი აზრების უკან დახევაა.

16489. ვიბრძვით – მოპოვებისთვის, ვნახულობთ – ვხარობთ, ვკარგავთ – გვწყინს და ცხოვრება მაინც მუდმივი ბრძოლა გამოდის რაღაცის და ვიღაცის მიმართ, აქტიური იქნება ეს თუ პასიური.

16490. ცხოვრებაში იმის გახსენებაც საჭიროა, რაც გაუგებარ ღიმილს გვვრის და სიცოცხლეს გვიხანგრძლივებს.

16491. ცხოვრება იმათ კი არ ფასდება, როგორც ვიცხოვრეთ და რა რეგალიები მოვიპოვეთ, არამედ რა ხარისხის გვარის გამგრძელებელი დავტოვეთ და ის როგორი გვარის „გამგებელს“ დაგვიტოვებს.

16492. ვინც ცხოვრებას უგებს, ის არ ჩქარობს, ვინც ვერა და სულ ფაცი-ფუცშია.

16493. მთელი ცხოვრება იმას ვეძებდით, რაზეც სერიოზული წარმოდგენა არ გვაქვს და იმით ვტკბებით, რაც პრაქტიკულად არ გვიგემნია.

16494. კარიერის მოსაპოვებლად ცხოვრება უსასრულოც არის და ხანმოკლეც. ალბათ, ამიტომაცაა, რომ იმქვეყნად გადაბარგება გვიჭირს, რადგან ჩვენი ფანტაზიის ბოლომდე ხარჯვა ვერ მოვახერხეთ.

16495. გვინდა ვიცხოვროთ, როგორც გვიოცნებია და არა ისე, როგორც მოგვიხერხდება და აქ მნიშვნელობა არ აქვს, ცხოვრებით კმაყოფილი ხარ თუ არა.

16496. მთელი ცხოვრება შეიძლება დაკარგო ქალის პარადოქსების ძებნაში, მაგრამ ისეთი ვერაფერი გამოთხარო, რომ მდედრის ბუნებას შეედავო, გარდა დაკარგული დროისა.

16497. ცხოვრება თავისებური „ფიგი-მიგია“ საქმის ცოდნით, განგების დამოძღვრით და გენის ნებართვით.

16498. ცხოვრება პატარა-პატარა სისულელის და ანგლობის კოქტეილისგან შედგება, ოღონდ გონიერების ჩართვის ხარჯზე.

16499. ცხოვრება ისეთია, როგორიც გვერგო და მას წინ არ უნდა აღვუდგეთ, ოღონდ ოცნება, შემართება და ჩვენი ლელოს გატანის მცდელობა არ უნდა მოვაკლოთ.

16500. ყველა ქალს თავისი დრამა აწუხებს და ყველა მამაკაცს – თავისი ბზიკი, იმის მიუხედავად, სხვისი გადასახედიდან გაუმართლათ მათ ცხოვრებაში თუ არა.

16501. უნდა ვეცადოთ, დღევანდელობით ვიცხოვროთ, ოღონდ ჭკუის დაჭიტყლაყბით და გაავებული ემოციების მოთოკვით.

16502. სიცოცხლის სიმოკლის გათვალისწინებით, ცხოვრება ხალისით, ეშხით და ვნების ფრქვევით უნდა განვლოთ, ოღონდ ერთი პირობით: სხვათა ინტერესებიც გავითვალისწინოთ.

16503. ცხოვრების ,,ბაირამს'' არასოდეს არ უნდა ჩამოვრჩეთ, თუ სული მისკენ ილტვის და შინაგანი ძალა ამისკენ გვიბიძგებს.

16504. ცხოვრება, კონსენსუსის – რაციონალური მარცვლის ძებნა, სიხარულის და სიფარულის სხვადასხვა ხარისხში აფანაა.

16505. ჩვენ ,,წმინდანობა'' კი არ უნდა მოვთხოვოთ მომდევნო თაობებს, არამედ ცხოვრების ,,ყისმათი'' და მისი ,,ბაირამის'' ფასი უნდა ავუხსნათ.

16506. სიფარულის ღმერთს, ,,ამურს'', ორი სახის ისარი ჰქონდა, ერთი სიფარულით აავადებდა, მეორე ამ სიფარულს ჰკლავდა, მაგრამ ამ უკანასკნელს კაპას და სათნო ქალებისთვის ერთნაირი მონდომებით ხმარობდა.

16507. ქალი თავის ოცნების პრინცს სიცოცხლის ბოლომდე ეძებს, მაგრამ ცხოვრების რეალობიდან გამომდინარე, ოჯახიც უნდა შექმნას, ნაშიერიც იყოლიოს, თავიც და სხვაც უნიათობით არ გააწბილოს, რადგან ცხოვრებაში ფინიშთან მისვლას აქვს ფასი და არა ოცნებაში აღრეულ საეჭვო სურვილებს.

16508. ყველა პასუხისმგებლები ვართ იმ სახის, ნიღბის, რომელსაც ჩვენი გარეგნობა იღებს ასაკთან, ცხოვრებასთან ჭიდილის შედეგად.

16509. ცხოვრების ქარიშხალში მოხვედრის ცდაა სიახლის ძებნა და დაშოშმინება ასაკის კარნახით და განგების ნება-სურვილით.

16510. ცხოვრება მაინც სხვისი ჯობნა და ლელოს გატანაა დაუმადლებლად.

16511. ცხოვრებას შევიწროვებული ხიდებიც აქვს, სადაც ცხოვრების მანქანით ჯირითი არ გამოდგება, რადგან მის მის წინ ტრადიციები და გამოცდილება დევს, რომელსაც გაფრთხილება და მოვლა სჭირდება.

16512. ცხოვრება სავსეა სასწაულებით და უეცარი გამართლებებით, რომელსაც ოცნება და ,,ნეტა გამოვა'' მართავს.

16513. ჩვენ ვცოცხლობთ მანამ, ჩვენი ჭკუის და გაგების მეხოტბეები ჩვენს გვერდით არიან.

16514. თუ არ ვიცით, რისთვის მოვედით, მაშინ არც ის გვეცოდინება, რისთვის ვცხოვრობთ ამ დუნიაზე და სასაფვედუროც არაფერია.

16515. ცხოვრება ერთმანეთის ჯიბრია, ჯერ შენ შეჭამ მერე თავად შეგახრამუნებენ, არის მესამეც, რომლისთვისაც რატომღაც გონიერება არ გვყოფნის – ,,შენც იცხოვრე და სხვასაც მიეცი ამის უფლება''.

16516. ცხოვრების გართულება საჭირო არ არის, მთავარია, მისით აღფრთოვანება და ყოფიერების გაუგებრობის ყურად არაღება.

16517. ცხოვრებას ეჭიდავებიან გენიოსები, ტაშს უკრავენ პოლიტიკოსები, შედეგს იმკიან ვიგინდარები, რომლებსაც გაშლილ სუფრაზე მიმტანობიდან მასპინძლად თავის წარმოჩენა ეხერხებათ.

16518. მათემატიკაში და ცხოვერბაშიც ზოგჯერ მოქმედების ტოლობას დასასრული არ აქვს, ამიტომ მიზეზის ძებნას ჯობს რომელიმე ციფრზე შევჩერდეთ.

16519. ცხოვრება მაინც დებეტ-კრედიტი და იმ ღირსების გამოვლენაა რის დათმობა არ დათმობა შეგვიძლია.

16520. ცხოვრება სასიამოვნო წუთების გაელვებაა და არა – ასაკის რევიზია და წარსულში ფუსფუსი.

16521. მოთმინებას და შემართებას გააქვს ცხოვრების ლელო და არა – სიჩქარეს და მოუთმენლობას.

16522. სპეციალობის, განათლების გარდა, უნდა ვეცადოთ ცხოვრების ხაბა-ხუბაშიც გავერკვეთ, რათა ყოფიერების ორმოტრიალში შეტევაც ვისწავლოთ და დაგეგმილი უკანდახევაც.

16523. ჩვენ დროს უნდა ვემსახუროთ და არა ხელისუფლებას, თუ გვინდა ცხოვრებას გავუგოთ და არ ჩავიჭრათ.

16524. ზომიერება სამართალშიც საჭიროა და სიფვარულშიც, თუკი ცხოვრების ლელო გაქვს გასატანი.

16525. ინტუიციით ცხოვრებაში დაუფიქრებლობაც არის ჩადებული და რისკიც, მიუხედავად ამისა, ეს უფრო ამართლებს, ვიდრე ჭკუის ,,ნაჟური''.

16526. ცხოვრება სკანდალზე და ჭორებზე ასაშენებელი საძირკველია, რომელზეც სიკეთის დაშენებაც შეიძლება და სიავისაც, გააჩნია, რა სახის საზოგადოებაში გვიხდება ყოფნა და თავის გატანა.

16527. მუდმივად ტრადიციებით ცხოვრება თავისებური ზადია, რომელიც თავისმა დრომ, რაღაც შემთხვევის შედეგად გააფეტიშა და ტვირთი აგვკიდა.

16528. სამწუხაროდ, სიკეთის და სიავის აბები ჯერ არ გამოუგონიათ, რათა პირველი ცოტათი მეორით შევაზავოთ და მეორე პირვე-

ლით ბევრად, რადგან ერთი ფორმაციით, ხედვით, ცხოვრება შეუძლებელია.

16529. ზოგისთვის ცხოვრება უწყვეტი არდადეგებია, მაგრამ ამითაც უკმაყოფილოა და დამნაშავეს ეძებს.

16530. სხვები როგორ გიჟმაჟობენ ჩვენთვის უცნობია, ხოლო ჩვენ როგორ ვცხოვრობთ, ამის გაცნობიერებისთვის ვერ ვიცლით.

16531. იცხოვრო შეგნებით, რაიმე არ შეგეშალოს, არ მოტყუვდე – ამქვეყნად მოსვლას აზრს აკარგვინებს.

16532. განვლილ ცხოვრებაზე გული შეიძლება გვტკიოდეს, მაგრამ მისი არ უნდა გრცხვენოდეს.

16533. ცხოვრების ზერელედ მცოდნე ინტელიგენტი ფეხს იმიტომ იტეხს ცხოვრებაში და მყაყდება, რომ მას სიცოცხლის ადრენალინი არ ყოფნის და ყოველივე გონებით უნდა აკეთოს.

16534. ცხოვრება თავისებური ტანჯვა-წამებაა, მაგრამ ხშირად სასიამოვნო, საინტერესო და სათუოც.

16535. მსუბუქი შლეგობის, ტვინის შერყნის გარეშე, ხანდახან ცხოვრება ჯოჯოხეთს ემსგავსება.

16536. უბრალოება ყველაზე ძვირი გვიჯდება, რადგან მისი საწყისი ცხოვრების უამრავი უშნოდ დაგდებული ქვების გადაბრუნების შედეგია.

16537. ცხოვრების დაყოფა – გაყოფა – გაპიროვნება დიდი ნიჭის და სიფაქიზის მომასწავებელია.

16538. ცხოვრებაში გადადგმული ყოველი ნაბიჯი შეცდომების გასწორებაა და არა – გამოსწორება.

16539. ცხოვრება ხალხით გადატენილ ავტობუსში ფეხის შედგმაა, იმ იმედით, რომ დროთა განმავლობაში კარიერისკენ მიმავალი ეს საშუალება დაიცლება და „სკამი“ შეგხვდება, მაგრამ არავინ იცის მასში მოკალათებული მგზავრთა ჩასვლა-ამოსვლის გრაფიკი და ამიტომაცაა, ალბათ, სიცოცხლე საინტერესო და ყოფა – გაუგებარი.

16540. წესიერების საზღვრებს, ზოგჯერ უნდა გადავცდეთ, თუ გვინდა ცხოვრება შევიცნოთ და სიცოცხლე ვიგრძნოთ.

16541. ცხოვრებაში ზოგჯერ ფეხიც უნდა დაგიცდეს, რომ შენს ირგვლივმყოფთა რევიზია ჩაატარო და საბოლოოდ შეიცნო, ვინ ვინ არის და შენთვის განკუთვნილი წლები ნაღდ მეგობრობას ანდო.

16542. ცხოვრებას სულ მუშტმოღერებული უნდა ვუყურეთ, რათა საჭიროების შემთხვევაში არც „ჰუკის“ და არც „აპერკოტის“ გამოყენება არ დავივიწყოთ.

16543. ვისაც არავისი არ შურს, არ უკვირს, არ ეხარბება, უდარ-
დელი და ბედნიერი ცხოვრებისთვის არის განკუთვნილი, მაგრამ მისი
ახლობლები რამდენად არიან ამით კმაყოფილნი, სადაო და ბევრისთვის
გაუგებარი საკითხია.

16544. წინდახედულება საფრთხეს და შიშს გვაჩვევს. ეს კარგია თუ
ცუდი, ამის დადგენა ცხოვრების დაისზეც ჭირს, რადგან გამბედაობის,
გათავხედების, შემთხვევაში არავინ იცის შემთხვევა, ფორტუნა, რას
გაიმეტებს ჩვენთვის.

16545. ყველა ჩვენგანი ცხოვრების სცენარს ეგოიზმის ნოტებზე
წერს, მაგრამ მის განხორციელებას ნიჭს და შემთხვევას ვანდობთ.

16546. ცხოვრებაში „ქაქი" ბევრია, მაგრამ ჩვენს ჭკუაზე და სიამოვ-
ნებისთვის არ ვიცხოვროთ, დაფიქრება ამის უფლებას არ გვაძლევს.

16547. ამქვეყნად ცხოვრების მოსაგვარებლად კი არ ვართ მოსული,
არამედ გასალაღებლად და სიცოცხლის სატკბობად, რასაც გონიერე-
ბის ფარგლებში, თავი არ უნდა ვანებოთ.

16548. დაღლილობის წინააღმდეგ ეფექტური საშუალებაა ცხოვრე-
ბის ყადრის ცოდნა, ყოველგვარი განსჯის გარეშე, რომელსაც ჩვენებუ-
რად დროებით მხართეძოზე წამოწოლა ქვია.

16549. პირველ რიგში, ადამიანებად ვიბადებით, მერე ვხდებით
პოლიტიკოსები, ფულის ტომრები, ვიგინდარები, რათა ამ ცხოვრებას
იმაზე მეტი წავგლიჯოთ, რაც განგებას ჩვენთვის უბოძებია.

16550. მხოლოდ ყოფის საჯილდაო გვიჩვენებს, ვინ არის ამ ცხოვ-
რების ფალავანი.

16551. ცხოვრების სცენარს ჩვენ არ ვწერთ, მაგრამ მასში თამაში
გვიხდება და ჩვენი ვალია მარტო კუდის დაჭერით არ დავკმაყოფილდეთ.

16552. ცხოვრების განვლა ფულივითაა, თუ ხარჯავ და ხელგაშლი-
ლი ხარ ყველას სჭირდები, გვერდზე გიდგას, თუ ხელმომჭირნე ხარ
ეჭვის თვალით გიყურებენ, მაგრამ ფსონს მაინც შენზე ჩადიან, ხოლო
თუ არაფრის მქონე და მაქნისი ხარ, თვალს გარიდებენ და ახლოს არ
გიკარებენ.

16553. სიცოცხლის ეშხი რომ შეიცნო, ცხოვრებაში ერთხელ მაინც
უნდა გამოსცადო სიმდიდრეც და სიღარიბეც, სიფარულიც და სიძულ-
ვილიც და სიკვდილს ერთხელ მაინც უნდა დაუსხლტე ხელიდან.

16554. ცხოვრების წინასწარ დამუშავებული გეგმა ყოველთვის წინ
უნდა გვედოს, იმის მიუხედავად, გამოვიყენებთ თუ არა.

16555. ცხოვრების ყველაზე დიდი ავტორი ცოდნა და პრაქტიკული
გამოცდილებაა და არა – სარწმუნოება და პოლიტიკა.

16556. მთავარია ცხოვრებამ არ დაგისვას დიაგნოზი, თორემ დაავადების შედეგად დასმულს რაღაც ეშველება.

16557. ცხოვრების შეცნობის გარეშე დავემსგავსებით წინასწარ დაპროგრამებულ ადამიანს, რომელსაც გარეგნულად ფელაფერი წესრიგში აქვს, მაგრამ რატომ, ვერ გარკვეულა.

16558. ამ ცხოვრებაში ფელაფრის ყოლა ან ქონა არ შეიძლება, მაგრამ ვინც ამას ცდილობს, ის ბუნებით ვიგინდარა და არამზადაა.

16559. უნდა ვეცადოთ, თუნდაც ერთი მიზნის ცხოვრებაში რეალიზებას, რათა ჩვენი ამქვეყნად მოსვლა გავამართლოთ.

16560. ცხოვრებისეული თამაშის და მისი არსის ერთმანეთისაგან განცალკევების მცდელობა დიდ ხელოვნებას მოითხოვს.

16561. კარგი ცხოვრება სურვილის შემართებას, მოხერხებულობის გალაღებას და ყოფის თამაშის ცოდნას მოითხოვს.

16562. ცხოვრების თუ გეშინია, მაშინ ის იმ ავ ძაღლს დაემსგავსება, რომელიც კბენა-კბენის მოლოდინში სიცოცხლეს გაგიმწარებს.

16563. ცხოვრება თავისებური ტრაქტატია, სადაც განსჯის გარეშე ბოლომდე წარმოდგენილია ჩვენი ავიც და კარგიც.

16564. ხშირად ცხოვრებაში წარმატებას ის აღწევს, ვისაც მეტი სურს და არა ის, ვისაც მეტი შეუძლია.

16565. არის ხალხის კატეგორია, რომელიც არც თავს აძლევს უფლებას ისიამოვნოს და არც სხვას. მათ ,,ცხოვრების ვირებს'' ეძახიან.

16566. ყოველნაირი ცხოვრებაა შესაძლებელი, მაგრამ არა – ბედნიერი, თუ შენი ჭკუით არ ცხოვრობ.

16567. თვითრეალიზაცია ფილოსოფიური საკითხია და იმაზეა დამოკიდებული, ვინ რა ცხოვრებისეული თამასას აღებას ცდილობს.

16568. ცხოვრებაში მონაწილეობის უფლებაა უმთავრესი და არა – არაფრის კეთება და სხვისი ყურება.

16569. ხალხი რაც უფრო უკეთ ცხოვრობს, მით უფრო გაძნელებულია წინაპართა ხელობის და ხელოსნობის რეციდივი.

16570. რისკის და საფრთხის გარეშე ამქვეყნად ცხოვრება ჭაობში ყოფნას დაემსგავსებოდა.

16571. პესიმიზმს და ოპტიმიზმს ის საერთო აქვთ, რომ ერთმანეთის გარეშე ცხოვრება უჭირთ.

16572. კოლექტიური უპასუხისმგებლობა ფელას მიმართ დანაშაულია კუბში და საკუთარი ცხოვრების შესაცნობი წლების შეხახვისთავებაა.

16573. ჯობს ადამიანს რაღაც მიმართულება ჰქონდეს, ვიდრე მიზანი, რადგან ამ უკანასკნელს შეიძლება მთელი ცხოვრება გადააყოლო და საფუძვლიანად ვერ იხეირო.

16574. მოხუცს ცხოვრების დაწყება თავიდან არ შეუძლია, მაგრამ ნაღვლიან მოგონებას და წარსულის ოცნებით გამოსწორებაში ხელს არავინ უშლის.

16575. რწმენის და ოცნების გარეშე ცხოვრება ძნელია, მაგრამ არც ფხის გამოღებისა და ტაშის დამკვრელების გარეშე ცხოვრება ადვილი.

16576. ცხოვრება ბედის გარეშე არ არსებობს, ოღონდ დროსა და შემთხვევას როგორ გამოიყენებს და სულს როგორ „გაროზგავს".

16577. ცხოვრება დროით განსაზღვრული ამქვეყნიური გასტროლებია, რომლის კოორდინატებს შემთხვევა წყვეტს.

16578. უზრუნველი ცხოვრება ადამიანს უგვანოდ აქცევს, ამიტომ მას ყველა უნდა ვუფრთხოდეთ. რადგან „ვნება" ადრე თუ გვიან, რა სახითაც არ უნდა იყოს მოვლენილი, გარანტირებულია.

16579. ცხოვრება ძალზე ჰარმონიული ოინია, ოღონდ ხელი არ უნდა შეუშალო და უმტკივნეულოდ უნდა აჰყვე.

16580. ზოგისთვის ცხოვრება უვადო განაჩენია, ზოგისთვისაც – მსჯავრის მოსახდელი ადგილ-სამყოფელი.

16581. ლამაზ ცხოვრებას ჩვენ ვერავის დავუშლით, მაგრამ არა – სხვის ხარჯზე და საზოგადოების ინტერესების გვერდზე მოსროლით.

16582. აქტიურ ცხოვრებას ისე ვერ გაივლი საქმის და სინდისის საზიანოდ ვიღაცას, რაღაცას არ შესცოდო ან პირიქით, საკუთარი საქმის სასარგებლოდ ვინმეს არ აწყენინო, მაგრამ აქაც გონიერება და ზომიერებაა საჭირო.

16583. ცხოვრებას კომპრომისის გარეშე ვერ გაივლი, მაგრამ ის შენ მეობას არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს და საქმის გაკოტრებას არ უნდა ემსახურებოდეს.

16584. ზოგს მთელი ცხოვრება განცხადებებით და განაცხადით გააქვს თავი და კმაყოფილია, რადგან ვერ გაუგია არსებობს თუ ცხოვრობს.

16585. ცხოვრება იმითაც არის საამური, რომ მოულოდნელობა ახლავს და ზოგჯერ მასში სიყვარული ფართხალებს.

16586. მორიდებულობით, უხერხულობით, ცხოვრება დაგჩაგრავს, შენს წესიერებას ვერ გაიგებენ და ცხოვრება ხელიდან გაგეპარება.

16587. ყველა უცოდველი, ადრე თუ გვიან, ცხოვრებაზე ფიქრს იწყებს, თავისი მოუქნელობის მონანიებით და წაყვედრებით.

16588. ადამიანის ცხოვრების არსის ფორმულა ათი მცნებისგან შესდგება: ის ვალდებულია – მართოს, სიცოცხლე – გაიხანგრძლივოს, თაობები – ამრავლოს, სიკეთე – თესოს, ჭეშმარიტება – ეძიოს,

სინდისს – მოუფრთხილდეს, ჰარმონია – არ გაასხვისოს, სიყვარულში – არ გაწბილდეს, რწმენა – იქონიოს, პატიოსნება – შეინარჩუნოს.

16589. ოცნება ყველაზე სწრაფი საშუალებაა ყოფის მოწესრიგების და ცხოვრების ყავაზე შენს ჭკუაზე სამკითხაოდ.

16590. ჩვენი ცხოვრების უმეტესი ნაწილი სიცოცხლესთან ხუმრობით და თამაშით გრძელდება.

16591. შიმშილით გამოჯანმრთელების მცდელობა ცხოვრების თავიდან დაწყების მცდელობაა.

16592. ცხოვრებაში ჩალიჩს გამოცდილება და ცოდნა სჭირდება, რადგან მთელი ჩვენი ცხოვრება ამ ჩალიჩზეა აგებული.

16593. ცხოვრებას ქედი არ უნდა მოვუხაროთ, არ უნდა შევეპუოთ, რაც არ უნდა ფორტუნამ ზურგი შეგვაქციოს და მოწინააღმდეგის მხარეს დადგეს .მიუხედავად იმისა, კმაყოფილი ვართ მისით თუ არა.

16594. სიცოცხლისაგან განსხვავებით, ცხოვრების დაზღვევა შეუძლებელია.

16595. ცხოვრების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ადამიანს გაცილებით მეტი მათრახი სჭირდება, ვიდრე დაფვავება და სასუსნავი, რათა ქვეყანასაც არგოს, თავსაც და შთამომავლობასაც.

16596. ცხოვრება თავისებური შეჯიბრია, რომელშიც ზოგი მონაწილეობს, ზოგიც ქომაგის როლით კმაყოფილდება, ზოგიც უსაქმოდ ყოფნას ეშმაკობად მიიჩნევს.

16597. ცხოვრება შედარებების, გამოცდილების და მცდელობათა ალგორითმისგან შედგება და განისჯება.

16598. დიდი სისულელეა ცხოვრების წინასწარ დაგეგმვა, თუ ცდას დავაკლებთ, რადგან მხოლოდ გონიერება და ოცნება სასურველ შედეგს არ იძლევა.

16599. ჭამა ცხოვრებისთვის გვჭირდება და არა – პირიქით. ამ აქსიომას რაც დროულად დავამუღამებთ, საკუთარ თავსაც ვარგებთ, სხვასაც მაგალითს მივცემთ და იმათაც ვასიამოვნებთ, ვინც კისერზე გვყავს ჩამოკიდებული და ჯერ კიდევ ჩვენი იმედი აქვს.

16600. ცხოვრებაში ყველაფერი ლოგიკური უნდა იყოს, მათ შორის ისიც, რასაც დღეს ალოგიკურად მივიჩნევთ.

16601. უპრეტენზიო ცხოვრება და სიკეთის კეთება მხოლოდ იმისთვის, რომ დაგიმახსოვრონ, დიდი სიბრიყვეა, რადგან ცხოვრება გაგეპარება და მას ვერავითარი დითირამბები ვერ აანაზღაურებს.

16602. ცხოვრების მომხიბვლელი კოზირები ყველასთვის არ რიგდება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ყოფას არ ვეთამაშოთ, მცდელობა დავაკლოთ და ბედი არ გამოვცადოთ.

16603. ხშირად ცხოვრება გვაიძულებს ის ხელობა ავითვისოთ, რომელიც ფულის შოვნაში გამოგვადგება და არა – სულიერების მიხედვა-განწმენდაში.

16604. სურვილებით ვერ იცხოვრებ, მაგრამ შენს შემართებას მცდელობა არ უნდა დააკლო.

16605. ყველას მხარი აუბა და თავიანთ ენაზე ელაპარაკო, დიდ ცხოვრებისეულ გამოცდილებას – „შებერტყილობას“ – მოითხოვს.

16606. ცხოვრება სურვილია, ხოლო შედეგი შესაძლებლობების გამოფენაა იმქვეყნად გადასახლებამდე.

16607. უქმად ცხოვრების გატარებას დროსტარებად ვერ მივიჩნევთ.

16608. ცხოვრება სიზმარია, ოცნებაა, სიყვარულია, სექსაობაა, მოგზაურობაა, წვალებაა, თამაშია, დაავადებაა, გამოჯანმრთელებაა, ცოდნის შეძენაა, ოჯახის შექმნაა, შთამომავლის აღზრდა, მოთმინებაა და კიდევ სხვა მრავალი, რომლებთანაც არავითარი კონტრაქტის გაფორმება არ შეიძლება, რადგან ყველგან და ყველაფერში „ცდა ბედის მონახევრეა“.

16609. ცხოვრების უმეტეს ნაწილს სურვილი და ოცნება იკავებს, ხოლო როდესაც ყველაფერი სულერთია, სიკვდილის მოლოდინია.

16610. ცხოვრების გადასახედიდან ყველა ღირებულება შეკეთებას და რემონტს მოითხოვს.

16611. თანასწორობას ყველაზე მეტად ცხოვრების ჯარისკაცები განიცდიან, რომლებიც სხვას ემსახურებიან და არა – თავისთავს.

16612. ცხოვრება, შედარების და განსჯის გარეშე, არასოდესაა სამართლიანი.

16613. თვითდაჯერებულნი მანამ ვართ, სანამ ცხოვრება გაკვეთილს ალიყურის ჰმევით არ ჩაგვიტარებს და ჩვენს უვიცობას წერტილს არ დაუსვამს.

16614. ხშირად ცხოვრების ღირებულებათა აღქმა ტექნიკურ პროგრესზე და ჩვენს წამბაძველობაზეა დამყარებული.

16615. იყო პატიოსანი და იცოდე, როგორ იცხოვრო – ერთმანეთს არ ეთვისება.

16616. ადამიანი შეიძლება იყოს: არაკეთილმოსურნე, არაკეთილსაიმედო, არასასიკეთო, არახელსაყრელი, არაკეთიგონიერი, არაკეთილშობილი, არაკეთილგანწყობილი, მაგრამ მაინც ადამიანურად უნდა მივიჩნიოთ იმ იმედით, რომ ისიც კეთილმოსურნე, საიმედო, სასიკეთო, ხელსაყრელი, გონიერი, კეთილშობილი, კეთილგანწყობილი, გახდება. ამ უტოპიური იმედის გარეშე ცხოვრება აზრს დაკარგავდა.

16617. ყველაზე დიდი ექსპერიმენტატორი თავად ცხოვრებაა, რომელიც ანალიზს უკეთებს ამქვეყნად ჩვენი ყოფნის ფასს.

16618. თეორიულად სხვისი შეცდომები უნდა გავითვალისწინოთ, რათა საკუთარი არ დავუშვათ, მაგრამ პრაქტიკულად გვინდა თუ არა, სისულელეების ჩადენის ლიმიტს მაინც ვაჭარბებთ, რადგან მის გარეშე ყოფის შეფასება გაგვიჭირდება.

16619. „ცხოვრება ცირკია", მაგრამ მის მანეჟს კლოუნების ნაცვლად, რატომღაც ხალხი იკავებს და ხელისუფლებაში, მისივე დახმარებით მოსულ ტაკიმასხარებს რატომღაც მასზე აცინებს, ამხიარულებს და დაცინვის უფლებას აძლევს.

16620. ცხოვრება ხშირად გვთავაზობს უნამუსობის გაკვეთილებს, მაგრამ არავინ გვაიძულებს ვიყოთ მისი პირველი შეგირდი.

16621. განვლილი ცხოვრების მონაკვეთები თუ ჩვენი ენერგიის მთლიანი ხარჯვით არის გადახდილი, სასაფედუროც არაფერია.

16622. ცხოვრება მანამ გრძელდება, სანამ ოცნებობ და წინასწარ გეგმებს აწყობ, ხოლო თუ ხალისი დაკარგული გაქვს, იქ ყოფისთვის წერტილი თუ არა, მძიმე მაინც დასასმელი გაქვს.

16623. დგება დრო, როდესაც შენს ცხოვრებას ღიმილით გადახედავ, ხვდები რა გამოთაფანებულიცა ხარ და ამ სიამოვნებას ირონიით განიცდი.

16624. 30 წლის შემდგომ ოპტიმიზმით ცხოვრება არარეკომენდებულია, რათა რეალობით ვიცხოვროთ და ყოფა შემთხვევას, პატივმოყვარეობას შეუხამოთ.

16625. ცხოვრება სინამდვილეში ისეთი არ არის როგორიც გვეჩვენება, გვსურს, გვსიამოვნებს, რადგან ის გაცილებით უკეთესია. მთავარია მისი მოსმენის ნიჭი გვქონდეს.

16626. ცხოვრების წესი ის არის, რომ უჭკუონი და ჭკვიანნი ერთად არიან, თანამშრომლობენ და ვერავითარ უხერხულობას ვერ გრძნობენ. ალბათ, ეს იმის ფასად, რომ უჭკუო უმრავლესობა ზოგჯერ ჭკვიან უმცირესობას უჯერებს და ქვეყნის მართვას ანდომებს.

16627. უვიცობამ შეიძლება მხდალს გმირობა აჰკიდოს და – პირიქით, ესეც ცხოვრების თავისებური ოინი – გამოცდაა.

16628. ხშირად ერთს ვეტრფით, მეორეზე ვოცნებობთ, ხოლო მესამე მოგვყავს და მასთან არც ისე ცუდად ვცხოვრობთ და ეს არის ცხოვრების საოცრება.

16629. ცხოვრება თავადაა არასამართლიანი და არა – ადამიანი, რომელსაც ბედმა ულალატა, შემთხვევას დროზე არ გაახსენდა და განზრახ ისეთ ქვეყანაში დაიბადა, რომ სჯობდა უკეთესი შეერჩიათ.

16630. ცხოვრება დადებითი ემოციებით უნდა დავტვირთოთ, რათა ყოფის ფასიც ვიგრძნოთ და სიცოცხლის მადლიც.

16631. ნარჩენებით ცხოვრება ადვილია, მაგრამ სიცოცხლის შესაცნობად – ცოტა.

16632. როდესაც საკუთარი ცხოვრებისთვის ვერ იცლი, ამით საკუთარი თავის წინაშე თავს იმცირებს, რადგან სიცოცხლეს ვერ აფასებ, შენთვის სალაღობოდ განკუთვნილ დღეებს აცდენ და ყოველგვარი სიამის საწყისი შენს პატივმოყვარეობას გადააყოლე.

16633. ცხოვრება პროზაა: გუშინ ადრე იყო, ხვალ გვინდა, დღეს კი არ გვცალია.

16634. ცხოვრებას მაინც სამი თითის კომბინაციის ჩვენებით გვიმასპინძლდება, რადგან ბევრ ჩვენს სურვილს და ოცნებას აღსრულება არ უწერია.

16635. ვინც საქმე იცის, პროფესიონალია და ფულის კეთებაც იცის, ვინც გამოუცდელია, მისი ამბიციები პატიოსნება და დილეტანტიზმია. მე საქმის საკეთებლად პირველს დავნიშნავდი, ხოლო მეორეს მოადგილედ – კარიერის საკეთებლად. ამით დაცული იქნება ცხოვრების გამოცდილების ფორმულა: ,,არც მწვადი დაწვა და არც – შამფური", ანუ საქმეს აკეთებენ და კანონსაც შეძლებისდაგვარად პატივს სცემენ.

16636. ადამიანი მანამ არის პრინციპული და ურყევი, სანამ ცხოვრება არჩევანის წინაშე არ დააყენებს.

16637. ცხოვრებაში მთავარია საქმის კეთების სურვილი და სიყვარულის გრძნობა არ დავკარგოთ, რაც შინაგანად გაიძულებს რაღაც აკეთო, იღვაწო, სული გაინათო, სხეულს მადლი მოსცხო და იმედი იქონიო, რომ შენც საჭირო ხარ და ვიღაცას შენზე გული შესტკივა.

16638. სამართლიანობის თვალსაზრისით, ასაკოვანს ადგილი ტრანსპორტში არ უნდა დაუთმო, რადგან მათთვის ადგილი ტრანსპორტში ცალკეა გამოყოფილი. მაგრამ სულის გასალაღებლად და შინაგანი ,,მეს" საამებლად ამას სიამოვნებით აკეთებ.

16639. ცხოვრების ბევრი მომენტი მაცდურად გამოიყურება, რაც ზოგჯერ გვართობს და სიამოვნებასაც გვანიჭებს. ჩვენ კი ძალა არ შეგვწევს ბუნების ვახანალიას წინ აღვუდგეთ.

16640. ცოდნა, სიყვარული, ენაზე კბილის დაჭერის უნარი, ცხოვრებაში ფეხშემდგარი ადამიანის ბედიც არის და ბედისწერაც.

16641. ყველა ჩვენგანს გულში თავისი კომპასი უდევს, რომლის ინტუიციის ისარი ჩვენი ცხოვრების გასავლელ გზებზე მიგვანიშნებს,

რომელსაც დაუზარებლად უნდა მივჯეთ, თუ გვინდა დროულად დავ-მკვიდრდეთ და ჩამოვყალიბდეთ როგორც პიროვნება ამ ცოდვილ მიწაზე.

16642. ჩვენი ცხოვრება ყოფის ,,რულეტკაზე'' თამაშია, ამიტომ ერთხელ მაინც უნდა ჩავდოთ ჩვენი მცდელობის ფსონი, ხოლო ბედის ბურთულა გადმოგვხედავს თუ გაგვაბილწებს, ჩვენზე არ არის დამოკი-დებული, აქ მთავარია შემართება არ დავკარგოთ და იმქვეყნად ისე არ წავიდეთ, რიომ სიცოცხლის საამო სიმებს ხელი არ გამოვკრათ.

16643. სამართლიანობა კარგია სიტყვის ფართე გაგებით და ერთი შესწორებით – მისი სახელით ხალხი არ უნდა დავხოცოთ და შეუ-რაცხვყოთ.

16644. ცხოვრება საერთო პლაჟია, სადაც ჩამოსულებისგან განსხვა-ვებით, აბორიგენები მასზე არ ისვენებენ, მაგრამ სტუმრებს უყურადღ-ებოდ არ ტოვებენ და გამორჩენასაც მათგან ელიან.

16645. მთავარი სიცოცხლის ხანგრძლივობა კი არ არის, არამედ ნამდვილი ცხოვრებით რამდენ ხანს ვიცხოვრეთ და დავტოვეთ თუ არა ხეირიანი გვარის გამგრძელებელი.

16646. ცხოვრება ყოველთვის სასიამოვნოდ დახლართულია, ვინც მისი გემოს გაგებას აპირებს და კვანძის გახსნა არ ეზარება.

16647. ჩვენი ქცევის ნორმებს, საქმიანობას, ცხოვრების ფინიში გადაამოწმებს და არა – არსებული საზოგადოებრივი ნორმების დაცვა.

16648. ცხოვრება ოცნების გარეშე ,,ფშიკია'', არარაობაა და ,,ბასტა''.

16649. შეიძლება ცხოვრება დილეტანტური, არქაული იყოს, მაგრამ საინტერესო და აუცილებელი.

16650. ყველანი ამ ცხოვრების სტუმრები ვართ, იმის მიუხედავად, საკუთარი ჭკუით ვცხოვრობთ თუ უიმისოდ, ჩვენთვის შეუჩვეველ გა-რემოში და ხშირად არც თუ ისე ცუდად მაგრამ მაინც უმადურნი ვართ.

16651. ზოგს ცხოვრების მატარებელი ისე გაეპარება, რომ ბოლოს ვერ გარკვეულა, იჯდა კი ოდესმე ამ მატარებელში.

16652. ევროპას დასავლეთის ცივილიზაციის ბზიკი აწუხებს, აზიას – აღმოსავლეთის ფილოსოფიის ფუტკარი, ხოლო კაცობრიობას საბო-ლოოდ რომელი უფრო სჭირდება, კვლავ სადაოა, რადგან პირველის მოტანილი სიკეთე ხშირად ,,ცხვირიდან ძმარს გვადენინებს'', ხოლო მეორის აზროვნების თაფლი სულ დაღვინების პროცესშია.

16653. ცხოვრებაში ყველანი აბიტურიენტები ვართ, მაგრამ საკუ-თარი ამბიციებით.

16654. ცხოვრებით გარკვეულ დრომდე და სულის აფეთქებამდე, ისე ვიღლებით, რომ სიცოცხლეც გვბეზრდება და ყველაფერი, რაც ჩვენს ირგვლივ იმყოფება და ტრიალებს.

16655. ცხოვრება გვაიძულებს მკაცრი ვიყოთ და წინდახედულნიც. არც შესაძლო ლმობიერება უნდა გვაკლდეს, თუ ეს აუცილებლობით არის გამოწვეული.

16656. სხვისი სიახლით ცხოვრება ადვილია, საკუთარითაა ძნელი და ნერვების ამშლელი.

16657. მთავარია ცხოვრებაში სწორი მიმართულება ავირჩიოთ, რომლისკენაც ფეხები თავად წაგიღებენ, წაგაჩანჩალებენ.

16658. ცხოვრება აჩქარებების შეჯიბრია, ვინც მეტს „მოტეხავს" ამ ყოფისგან სიცოცხლის თავისებურად შესაცნო-შესაგონებლად.

16659. მოვალეობის შემსუბუქებისაგან განსხვავებით, ცხოვრების გაადვილება-გამარტივებას არ უნდა შევეცადოთ – შემართებას და სიფრთხილეს ვკარგავთ.

16660. ცხოვრების გასაადვილებლად ყოველთვის გუნებაზე დამყენებელი გვჭირდება, რომელსაც ხანდახან სულსაც მიუგდებთ და ხორცსაც, რათა ცხოვრება გაგვიადვილოს და გაგვილამაზოს.

16661. ორმაგი ცხოვრება ცუდი არ არის, მაგრამ საბოლოოდ მაინც ერთის არჩევა მოგიწევს.

16662. კარგი ცხოვრება ყოფის უცოდინარისათვის ძვირი ჯდება, ჯამრთელობასაც ვნებს და სადავიდარაბოცაა, მაგრამ საოცნებოა და დასაჭაშნიკებელი, რათა ამქვეყნად ჩვენი მოვალეობის განზომილებაში გავერკვეთ.

16663. ერთი, გარკვეულ თანხას ბანკში ინახავს და პროცენტებით ცხოვრობს, მეორე ბინას იძენს და ქირით თავი გააქვს, მესამე აქციების შეძენა-გაყოფით ერთობა და მოგებას თავის ჭკუაზე ხარჯავს და აბანდებს. შედეგი ან გამდიდრებაა ან გაკოტრება, მაგრამ ცხოვრების გამართლების ეშხს ერთხელ მაინც შეიგრძნობ.

16664. ალბათ, უფრო ცხოვრების გამოცდილების ბრალია ვიდრე ფილოსოფიური მსჯელობისა, რომ წარსულზე არ უნდა ვიფიქროთ და ამყოფით დავკმაყოფილდეთ, სანამ ამქვეყნად ვართ.

16665. ჩვენ მაშინ ვცხოვრობთ, როდესაც ხუმრობის ხასიათზე ვართ და არა საქმიანები, სერიოზულები.

16666. ცხოვრება თავისებური თამაშია, მაგრამ უნდა ვეცადოთ ის სუპერთამაშად ვაქციოთ, რათა ამქვეყნად ჩვენი მოსვლის ეშხი და არსი შევიგრძნოთ.

16667. უმადურობა სიკეთის თანხვედრია, რადგან უმადურობა სხვათა გაქიაქების გარეშე ცხოვრებას ვერ ახერხებს.

16668. მე ცხოვრების დონე კი არ მაინტერესებს, არამედ დემოგრაფიული ბალანსი საქართველოში. ყველაფერს ადრე თუ გვიან ეშველება, თუ მკვიდრ მცხოვრებთა ოდენობა ქვეყანაში არ შემცირდება.

16669. ყველანი ერთსადაიმავე ბატონს ვემსახურებით, რომელსაც კარიერა, ფული და თავის გამოჩენა ჰქვია, თუ როგორ, ამას შემთხვევა და ჩვენი მცდელობა წყვეტს.

16670. ცხოვრების უნარის ალგორითმია, როდესაც ყველა შემთხვევის შემოტრიალება შენს სასარგებლოდ შეგიძლია.

16671. ცხოვრება მგელია, ვისაც გაუმართლებს, ცოცხალიც რჩება და დროსაც თავის გაგებით ატარებს.

16672. ხანდახან რაღაცის დასაკარგავად წინასწარ მზადაც უნდა ვიყოთ, რათა ცხოვრებამ ბიშტი არ გვიჩვენოს და ყოფა არ გაგვიმწაროს.

16673. არის ვიღაცა ან რაღაცა, რაც ჩვენს ცხოვრებას აზრს აძლევს ან აკარგვინებს და ადამიანი ცხოველისაგან, ალბათ, ამით განსხვავდება.

16674. ყველას ისეთი ცხოვრება მოსწონს, სადაც უამართლებს და არა ისეთი როგორც არის და ქვეყანას გამოადგება.

16675. ზოგი ისე ცხოვრობს როგორც გაუგია, ზოგიც როგორც საჭიროა. მათ შორის ის სხვაობაა, რომ პირველი ფათერაკიანი ცხოვრების გამო იმქვეყნად შეიძლება ვადამდე გადაბარგდეს, ხოლო მეორემ შეიძლება აქ ყოფნის დრო გაიხანგრძლივოს.

16676. ცხოვრება ჯოჯოხეთად იქცევა, როცა სიყვარული დევალვაციას განიცდის, გრძნობები იფიტება და ჯიბე ცარიელია.

16677. ცხოვრება გარემოებათა დამთხვევისგან და შანსებისგან შედგება და თუ ორთავე წაღმა დაგვიჯდა, ჩვენს ბედს ძაღლი ვერ დაჰყფს.

16678. ცხოვრებაში გაჭირვებაც საჭიროა და სიმწრის განცდაც, რათა ყოფის გოლგოთაზე უკანმოუხედავად იარო.

16679. ცხოვრება თავისებური „კარუსელია“: ვიბადებით იმისთვის, რომ მოვკვდეთ, მაგრამ ყოფის მონაკვეთში რას მოვიმოქმედებთ, ნიჭზე და შემთხვევას კარნახზეა დამოკიდებული.

16680. საზოგადოების სრულყოფისკენ ყველანი უნდა ვილტვოდეთ, მაგრამ საკუთარ ცხოვრებასაც ხელი არ უნდა ვკრათ და იდეალებს არ უნდა ვანაცვალოთ.

16681. ცხოვრება სიცოცხლისგან განსხვავებით, მოკლემეტრაჟიანი არ უნდა იყოს.

16682. წიწილებს შემოდგომაზე ფერმაში წონით ითვლიან, მოსახ-ლეობაში ცალობით, მაგრამ საქმის კეთების ტოლობა უცვლელია.

16683. ცხოვრებისთვის ფერადი სათვალეებით ყურება სიცოცხლეს გვიხანგრძლივებს, გვიმსუბუქებს და ნერვებს გვიმშვიდებს.

16684. ცხოვრება კომედიანტობაა, იმის მიუხედავად, ყოფა ტრაგე-დიას შემოგვთავაზებს თუ კომედიას.

16685. ყოფის აზარტი ცხოვრების გაუმჯობესებაზე და მასზე გამარ-ჯვებაზე იხარჯება, გააზარტებულობა კი ტოტალიზატორში ფულის ჩადებაზე და ბედის სასწორზე შეგდება – წაგებაზე.

16686. ვისაც ყოფითი მსახიობობა არ შეუძლია, ის ცხოვრების დამდგმელ რეჟისორად ვერ გამოდგება.

16687. ამ ცხოვრებაში შანსი ყველას ეძლევა, წინასწარ დაფინანსე-ბული იქნება თუ არა, მაგრამ ყოველივეს, ეტყობა, მაინც ნიჭი და მცდელობა წყვეტს და არა – ბედი.

16688. ცხოვრებას ყველა სტილით უნდა ეჭიდაო, რომ რომელიმე სახეში დაოსტატდე და ცხოვრების ლელო გაიტანო.

16689. ეს ცხოვრება თავისებური მასკარადია და რა სახის ნიღაბს გვარგუნებს და მოვირგებთ, სიცოცხლის ბოლომდე გაუგებარია.

16690. ბუნებრივი მოთხოვნილება უკეთ იცხოვრო, მაგრამ თუ ამისათვის არაფერს აკეთებ, ეს უკვე არაბუნებრივია.

16691. ცხოვრების კალენდრის წინსვლას ვერც სინათლის გამორ-თვა შეაკავებს და ვერც საათის ისრების გაჩერება.

16692. შეუპოვრობა ცხოვრებაზე გამარჯვებაა, რაც დიდ სიამოვნე-ბას გვანიჭებს.

16693. ცხოვრება არც ფუჭია და არც ამაოების ბაზარი, რადგან ამქვეყნად მოვლენით სხეულს ვტოვებთ, მიწას ვაპოხიერებთ, ხოლო იმქვეყნად სულს მოვათრევთ და მარადისობას, ოცნებას, რწმენით ვე-თამაშებით.

16694. ცხოვრების გამოუცდელობით, მაგრამ შემართებით დაწყება გაცილებით ამართლებს, ვიდრე სიბერის შიშით და ამ ქვეყნის ამაოება-ზე ფიქრით.

16695. ამ ცხოვრების უკმაყოფილონი იმიტომაც ვართ, რომ დღე-ვანდელი გადასახედიდან ჩვენი დროისთვის გაცილებით მეტი უნდა გამოგვეტყუებინა.

16696. ცხოვრებაგამოვლილი კაცისგან არც ქვეყანაა ღირსი რომ მასზე იზრუნოს და არც – ხალხი, მაგრამ რა უნდა უყო დაუღვინებელი შთამომავლობის შემართებას, გაურყვნელობას, სამშობლოს სიყვარულს, რომლის იდეალები მათ ყველაზე წმინდად ეჩვენებათ.

16697. წარმოსახვის და რეალობის შერკინება ცხოვრების ყადრი და მისი ორჯერ ორის ტოლობაა.

16698. ცხოვრება ყოველთვის „ძაღლის ძვლის“ თამაშია, სად როგორ დაჯდება, არავინ უწყის.

16699. ცხოვრება, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ძირითადად ლოგიკის საწინააღმდეგოდ ვითარდება.

16700. ცხოვრება ყველაზე მეტად მაშინ ჭირს, როდესაც საზოგადოების მხრიდან გონიერებაზე მოთხოვნა ნულს უტოლდება.

16701. ზოგჯერ გლეხის პრაქტიკული ჭკუა სჯობს განათლებული კაცის თეორიებით და იდეებით შემკულ, ცხოვრების უცოდინარ გონებას.

16702. ერთი ადამიანის ყოფა მეორეზე გავლენას ახდენს და ეს ხელს უშლის ცხოვრების საერთო იდეალს.

16703. თანადგომის გარეშე ცხოვრება შესაძლებელია, მაგრამ ირგვლივმყოფთა და მეზობლების გარეშე ცხოვრების უფლებას არავინ მოგცემს.

16704. თუ დავაბრუნებთ გონების ნაღვაწს გულის ბუდეში, ეს ნიშნავს, რომ გვიცხოვრია.

16705. ცხოვრება ხშირად ტრაგედიას ემსგავსება იმისთვის, ვინც გრძნობებს არ აჰყოლია და არ ცდილობს სურვილებით იცხოვროს.

16706. ცხოვრებას ხელებაწეული ბედნიერება თან იშვიათად სდევს, რადგან მის მოპოვებას მუშტის შემოკვრაც სჭირდება.

16707. ცხოვრების ფასის მცოდნეს გადამეტებულ პატიოსნებას, ასკეტიზმს ნუ მოვთხოვთ, რადგან ის ყოფის სიამის ყადრს თავისებურად აღიქვამს.

16708. ზოგიერთი ცხოვრების მადლის შეცნობას ღარიბის აპეტიტით და მდიდრის გემოვნებით ცდილობს.

16709. სიცოცხლე უფლებაა, სიყვარული აუცილებლობაა, შრომა შესაძლებლობაა, ყოველივე ეს პირობითი განათლებაა, მაგრამ ცხოვრებისთვის აუცილებელი და საჭიროა.

16710. ცხოვრება სიცოცხლის წინგაგდება და არა – უკანხედვა და ძველის ჩხრეკაა.

16711. ცხოვრება უფრო ადვილი გვეჩვენება, როდესაც მიზანი გვაქვს.

16712. ცხოვრების რეალობის ამოხსნა შეუძლებელია, მაგრამ იქსის და იგრეკ-ის ჩასმის შემდგომ შესაძლებელი ხდება.

16713. ანგარიშგასწორება განვლილ ცხოვრებასთან, ადრე თუ გვიან, მაინც მოგვიწევს.

16714. მშობიარობა ძნელია, წყენა ადვილია, გაყრა ძნელია, შეყრა ადვილია, გამოსწორება ძნელია, სიკვდილი ადვილია. ასე და ამრიგად, ეს ყოფის სერენადა – ცხოვრებაა.

16715. გავეთამაშოთ იმ ცხოვრებისეულ ლატარეას, რომელიც პატარა მოგების ნებას გვრთავს, მუდამ მზად ვართ, ხოლო დიდ მოგებაზე ფიქრი, ოცნება გვაშინებს და გავრისკოთ თუ არა, ოცნებებშიც ვერ გადაგიწყვეტია.

16716. ცხოვრება ვერტიკალურიდან ჰორიზონტალისკენ გადახრის „თავდაყირა დგომაა".

16717. ზედმეტად პატიოსნება მთლად სრულფასოვანი და მომგებიანი არ არის და ამას ცხოვრების გამოცდილება ამტკიცებს.

16718. ცხოვრებაში რაღაც სასიამოვნო და საინტერესო მაშინ ხდება, როდესაც შენ სულ სხვა გეგმები და მოთხოვნები გაქვს.

16719. ეს ცხოვრება ხშირად იმ ნაოცნებარ ტყუილზეა აკოწიწებული, რომელიც ჩვენ მოგვწონს და გვართობს.

16720. რაიმეს რომ მიაღწიო, ცხოვრებას პირდაპირ თვალებში უნდა უყურო და არა – მლიქვნელურად შესციცინო.

16721. ფაქტი ყოველთვის ჭეშმარიტებას არ ქადაგებს დროის გადასახედიდან, თუ მის ცხოვრების წესს, გარემოს, არ შევუფარდებთ.

16722. ცხოვრების ტემპერატურის დადგენა და განსჯაა ძნელი, რადგან დროთა განმავლობაში ყოველივე დევალვირდება, დავიწყებას ეძლევა გახსენების გარეშე, მათ შორის: ღირსება, ურთიერთობა და სიყვარული.

16723. დრო მიდის და ჩვენში რჩება ყველა ის ცუდი, რისიც ახალგაზრდობაში გვეშინოდა და რომელიც აუცილებელია, ცხოვრება რომ გავაგრძელოთ.

16724. ბუნებით მშვიდობის მებაირახტრე უნდა ვიყოთ და ზოგჯერ ვიღაცის გათავხედება ყურად არ ვიღოთ, რადგან ამასობაში თავხედობა ლეშად იქცევა და ცხოვრების მდინარე უხმაუროდ დააცურებს.

16725. როდესაც შთამომავლობის ფაფხურს ღიმილით უყურებ, გრძნობ, რომ ეს საქმიანობა ყველამ უნდა გაიაროს, რათა ცხოვრებამ იშვილოს.

16726. ხშირად ცხოვრების უკულმართობა, წინაპართა იმ ცოდვებზე გვთხოვს პასუხს, რომელზეც წარმოდგენაც არ გვაქვს.

16727. ცხოვრების აზრია შენთვის განკუთვნილი საქმიანობის მონახვა, რომელსაც მთელი ცხოვრება გაყვები და არ უღალატებ.

16728. პრინციპებით ცხოვრება სულს გვითბობს, გვაამაყებს, მაგრამ ცხოვრებას გვიძნელებს.

16729. ყველაზე მეტად იმას უნდა ეშინოდეს, ვისაც არაფრის ეშინია, რადგან ცხოვრებას მისთვის ალიყურის გაწვნა ვერ მოუსწრია.

16730. ცხოვრება ფაქტიურად საინტერესო და სასიამოვნო ტანჯვაა მანიაკთა ხელში.

16731. ცხოვრებაში შენს ჭკუაზე საკუთარი ადგილის დაჯავშნაა ძნელი და არა – სარფიანი საქმის გამონახვა.

16732. საამაყოა ისიც, რომ ცხოვრება ნაოთხალით და ბობღვით არ გაგივლია.

16733. საკუთარი თავის შეცნობა, მეობის დადგენა, ავტორიტეტის მოპოვება – ესაა ადამიანის ცხოვრება და მისი სულის ძიების ქვაკუთხედი.

16734. გონიერება, სამართლიანობა, კაცობა, კდემამოსილება – სიჩლუნგეს, უსამართლობას, არაკაცობას, გარყვნილებას, არ ურიგდება, მაგრამ ამ უკანასკნელის გარეშე ვერც ცხოვრების აზრს გავიგებდით და ვერც მის მადლს.

16735. უამრავი დასამოძღვრი სიტყვებია ბოროტების, სიკეთის, საქმიანობის განსასჯელად, რომელთა ზერელე ცოდნა თითქმის არაფერს იძლევა, თუ პრაქტიკულად გენმა, გარემომ და ცხოვრებასთან შეხებამ არ უშველა. მაგ. უნდა ვერიდოთ: გაუნათლებლებს, მოურიდებლებს, სულმოკლეებს, მატყუარებს, ყბედებს, უპრინციპოებს, უვიცებს, მკვეხარებს, ძუნწებს, ბოროტებს, უზრდელებს, უხიაგებს და ცუდი ჩვევების მქონეთ, ეცადეთ დაუახლოვდეთ: განათლებულებს, სულგრძელებს, გამოცდილებს, შემართების მქონეთ, ვეცადოთ ვიყოთ: უბოროტონი, კეთილნი, უშიშარნი, გაბედულნი, სათნონი, მომსმენი, საქმიანი, ინტუიციურნი, შემოქმედნი, გულკეთილნი, ვერიდოთ სიავის კეთებას, ვიქონიოთ საკუთარი „მე“, ყველა ჯურის ხალხთან ვიქონიოთ კარგი დამოკიდებულება და ეს არის და ეს ცხოვრების ფილოსოფიის ძირითადი კანონები.

16736. მთელი ცხოვრება ვცდილობთ ისეთები გავხდეთ, როგორიც ვერასოდეს გავხდებით.

16737. ეს ცხოვრება საპნის ბუშტივითაა, როდესაც გგონია, რომ გადაახტები და „სკუპს“ დაიძახებ, სწორედ მაშინ სკდება.

16738. ცხოვრებაში ყველამ თავისი ჯვარი უნდა იწამოს, ატაროს და შეეცადოს სუვენირად, ჯართად, არ აქციოს.

16739. ყველაზე დაუნდობელი მტერი ცხოვრებაა, რომელიც სად დაგიდებს ფეხს, თავში როდის წამოგარტყამს, აგამაღლებს თუ დაგამდაბლებს, არავინ უწყის.

16740. ბედს იმკიან, ზრდილობას სწავლობენ, განათლებას იძენენ, ტრადიციებს აგრძელებენ, ფულს შოულობენ, სიყვარულს ეთვისებიან, კაცებად იბადებიან, სიცოცხლეს იხანგრძლივებენ, სიკვდილს ხვდებიან, ხსოვნას ტოვებენ, მხოლოდ ცხოვრება მიდის ისე როგორც შეუძლია და მოეხასიათება.

16741. ცხოვრებაში ყველა გადადგმული ნაბიჯი წარმატებული არ არის და ამიტომ ის დაფიქრებას და წყნარი ნაბიჯებით სიარულს მოითხოვს.

16742. ცხოვრება შედგება პროცესებისა და შედეგებისაგან, რომ-ლის რეალურ შედეგს ვერც ცხოვრების ფინიშზე ვიგებთ და ვერც სტარტზე, რადგან ადამიანის სიცოცხლის ხარისხს დაბანდება საშოში ჩასახვიდანვე სჭირდება.

16743. ცხოვრება შემთხვევასთან წესების გარეშე თამაშია და სხვა არაფერი.

16744. იყო ცხოვრების რეჟისორი გაცილებით ძნელია და სარისკო, ვიდრე კინოს და თეატრის რეჟისორობა.

16745. ცხოვრებას უნდა გამოვაჯავროთ და გავრითმოთ, რადგან ჩვენ მხოლოდ მისი ნების აღმსრულებლები ვართ შემთხვევათა გათავი-სებით.

16746. სიტყვა ,,სიყვარული", ასაკის მატებასთან ერთად უნდა შე-იცვალოს ,,პასუხისმგებლობით", რადგან მათ გაიარეს და კიდევ უნდა განვლონ არჩეული გზის და ცხოვრების მრავალი ,,ბეწვის ხიდი".

16747. ცხოვრებაში არაფერი არ მონტაჟდება, ის რეალობითაა წარმოდგენილი და ყოველგვარი შელამაზების გარეშე უნდა მივიღოთ.

16748. ცხოვრება თავისი უცნაურობებით გვაკვირვებს და იმედით გვკვებავს, რათა ნაკლებად შევიცნოთ იმქეყნად მიმავალი გზის სისაძაგლე.

16749. ცხოვრების არსი ექსპანსიაში და შედეგის გათავისების მცდე-ლობაშია.

16750. ცხოვრების გამოცდილებას მოკლებულთა ოდენობა, პროგ-რესის მიუხედავად, თანდათანობით იზრდება და ალბათ, დღეს ან მათი გამომჟღავნებას საშუალებები მეტია, ან ფუფუნებისკენ უანგარო მიდ-რეკილებაა დიდი.

16751. ვინც ხელისუფლებას არ ენდობოდა და მის მიმართ სიმპა-თიები არ გააჩნდა, ყველა დროში კარგად ცხოვრობდა.

16752. ბუნება სახელოსნო არ არის, ყველამ რაღაც ჩვენი ჭკუით რომ ვაკეთოთ, ეს ჩვენი ცხოვრების საყდარია და აქ ცოდნის და იდეალების სასწორის შესაბამისად უნდა ვიმოქმედოთ.

16753. ცხოვრება არ უნდა გავირთულოთ ზედმეტი მცდელობით, ტრადიციებზე გადაყოლით, ამას სჯობს მოვლენები დროულად შევიგრძნოთ, თავისუფლად ვიცხოვროთ, ტვინის გადამეტებული ექსპლუატაციის გარეშე.

16754. წყენა უგნურებაა, მაგრამ მის შეუმჩნევლობასაც და ჩასაფრებასაც ცხოვრების გამოცდილება და წლებით დაბრძენება სჭირდება.

16755. ცხოვრება ბევრ გაკვეთილს გვიტარებს, გემოვნებას გვიყალიბებს, ძალას გვმატებს, მაგრამ მთავარია, არ შევშინდეთ და ფეხი წინ წავდგათ.

16756. ცხოვრებაში ხშირად ვუტოვებთ ადგილს იმასაც, რაც აუხდენელია, მიუწვდომელია, რადგან მასზე ფიქრი სიამოვნებას გვანიჭებს.

16757. ცხოვრება ურჩი ჯაგლაგა ცხენია და ისე მიგვათრევს, როგორც მას მოეპრიანება, თუ ცოტათი მაინც ხელს არ გამოვიღებთ და საკუთარ მცდელობას ხანდახან მათრახს არ გადავუჭერთ.

16758. გაუგონრობის, ურჩობის დღესასწაული, ფელა ჩვენგანს ყოფის გარკვეულ მომენტში გვიდგება და შედეგის მიუხედავად, მთელი ცხოვრება გვამახსოვრდება.

16759. ცხოვრების აჩქარება ხშირად დაფიქრება-განსჯის დროს არ იძლევა და მშველელად ისევ ნიჭი და ინტუიცია გვევლინება.

16760. ბრიფი ცხოვრებიდან ფელაფერს იღებს ზედიზედ და ერთმანეთზე მიყოლებით, ხოლო ბრძენი რაც საუკეთესოა და აუცილებელია.

16761. ფელაფერი ცხოვრებაში არც შეიძლება გქონდეს და არც უნდა ეცადო, რადგან ყოველივეს ფლობის სურვილი ბუნებით ნაძირალებს აქვთ.

16762. ცხოვრების დაწყება არასოდეს გვიან არ არის, ოღონდ თავი უნდა აიძულო ან ვიღაცა თავზე მეტად უნდა გიფარდეს.

16763. მთელი ცხოვრება საკუთარი შეცდომების გამოსწორებას ვცდილობთ და გული მაინც შეცდომების საკეთებლად გაგვირბის.

16764. ცხოვრების დასტიდან ყოველთვის ბედნიერ ბილეთს ვერ ამოიღებ, მთავარია, გამოცდებს ვაბარებთ და გამოცდაზე გასვლის სურვილი არ დაგვკარგვია.

16765. ცივილიზაცია როგორც უნდა შემოგვეპაროს თავისი ტექნიკური პროგრესით, მუდმივად დგას პრობლემატური კითხვა: რატომ ცხოვრობს და ვის რაში დასჭირდა მისი ამქვეყნად მოვლინება.

16766. წარსული ცხოვრებიდან, დამალვისაგან განსხვავებით, არაფერს იპარავენ, პირიქით, ნაცნობარისთვის რაღაც-რაღაცეების წამატებას ცდილობენ.

16767. ცხოვრებასთან შუბლით შესკდომის შემდეგაც, საბოლოოდ მაინც მეგობრობა და გონიერება იმარჯვებს.

16768. დაუღვინებელ ქვეყანაში დაიბადა, ისწავლა, მინისტრი გახადა. დაღვინებულში: დაიბადა, ისწავლა, იმუშავა, თავი გამოიჩინა, მინისტრად დანიშნეს. ასე, რომ სად სჯობს ცხოვრება, ისევ საკითხავია.

16769. ერთ ცხოვრებას ორჯერ და ისიც სხვადასხვა გადასახედიდან, ვერ გაივლი, მაგრამ უნდა ეცადო, თუ გინდა სიცოცხლის არსი შეიგრძნო.

16770. ცხოვრების უდიდესი აზრი ისიცაა, რომ პერიოდულად ყველაფერს გვაბეზრებს და ყოველივე ფეხებზე ჰკიდია..

16771. სერიოზულად ცხოვრება ერთია, ლაღი სიცოცხლე მეორეა, ხოლო ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზე ყოფნა შეუძლებელია.

16772. მედლის მეორე მხარის ნახვის უფლება იმას აქვს, ვისაც ცხოვრების გამოცდილება გააჩნია.

16773. ცდუნებისთვის უარის თქმა ძნელია, მაგრამ არც უიმისოდ ცხოვრებაა საინტერესო.

16774. გადახედავ ცხოვრებას ასაკის დაისიდან და ხვდები, რა ცოტა დრო გასულა, რომელიც მომდევნო თაობებს უნდათ დიდად მოგვაჩვენონ.

16775. გვინდა თუ არა, ცხოვრებაში ხშირად გვიხდება საკუთარი მრწამსით, შეხედულებებით ვაჭრობა, გარემო პირობების, ტრადიციების და დაფინანსების ზეგავლენით.

16776. უსამართლობის აქსიომას რაც უფრო დროულად შევიგნებთ, ცხოვრებაში მით უფრო წაგვადგება.

16777. ცხოვრება რომ შემდგარი ჩავთვალოთ, უნდა ვიცხოვროთ სრული შემართებით ყოველგვარი უკან მოხედვის და დანანების გარეშე.

16778. სერიოზულობა კარგია, მაგრამ მუდამ სერიოზულად ყოფნა შეუძლებელია და შეურაცხყოფა საკუთარი ცხოვრების არსის.

16779. ,,კაროლით'' თამაში კარგია, მაგრამ ,,ტუზით'' ცხოვრება გარანტირებული გაქვს.

16780. ცხოვრებაა უსამართლო და ამას რასაც დროზე შევიგნებთ უკეთესია – გავყოჩაღდებით.

16781. ცხოვრებაში ყველაფრის დაკარგვა შესაძლებელია, გარდა საკუთარი ,,სახისა'', ,,მეობისა'', ,,კაცობისა''.

16782. მითებით, ოცნებებით, ალმაფრენით ცხოვრება ადვილია, მათი სინამდვილედ გარდაქმნაა ძნელი.

16783. მთელი ცხოვრება კომედიად იქცეოდა, დასაფლავებით რომ არ მთავრდებოდეს.

16784. ცხოვრების დაგეგმვა სხვაა, ოცნების მცდელობა – სხვა, მაგრამ ერთმანეთს ხელს არ უშლიან უკეთ ცხოვრებაში.

16785. დასავიწყებელი ტანჯვა-წამებისათვის კი არა, სიცოცხლისათ-ვის ცხოვრობენ და იღვწიან.

16786. ავად თუ კარგად, მხრის დაჭერის გარეშე, ამ ცხოვრების ჭაპანის გატანა ძნელია.

16787. არსებობა მცდელობით ცხოვრებაზე მაღლა დგას, რადგან ის ბრძოლას, შემართებას, ბევრ განუსჯელ ფაქტორს მოიცავს, ხოლო ცხოვრება მხოლოდ შენ გეკუთვნის და შენივე საჩალიჩოა.

16788. ხანდახან ყოფა ისე აგებურდება, რომ მთელი ცხოვრება ამ რებუსის ახსნას ყალყზე შემდგარი ცდილობ.

16789. ჩვენი ცხოვრების წიგნი ამქვეყნად იწერება და იმქვეყნად გადაბარგების შემდგომი რეალობით განისჯება.

16790. ამქვეყნად ისე უნდა იცხოვრო, იმქვეყნად თავზე ხელის გა-დასმისა არ შეგრცხვეს.

16791. ხელგაშლილი ცხოვრება უფრო უგნური არსებობაა, ვიდრე კარგი ცხოვრების მცდელობა.

16792. ცხოვრებას თავისი კანონი აქვს, აღზრდა-ტრადიციებს – თავისი მოთხოვნები, ხოლო მამაზეციერი ყოველივეს თავისებურად გან-სჯის და ამ ვარიანტების არჩევაში სიცოცხლის გათრევას ვცდილობთ.

16793. თუ ცხოვრებიდან მოულოდნელ საჩუქარს არ ველოდებით, მაშინ უნდა ვეცადოთ ხასიათი გამოვასწოროთ.

16794. თეორიულად სხვებისთვის ცხოვრებას ყოველთვის მოას-წრებ, პრაქტიკულად მთავარია თავი არ დაგრჩეს მიუხედავი.

16795. ,,გამოდის'' და ,,ხდებას'' შორის დიდი სხვაობა, მაგრამ ორივე ჩვენი ყოფისთვის აუცილებელია, რათა სიცოცხლემ ცხოვრება აღიქვას და ამ ქვეყნიდან მთლად გულნატკენი არ წავიდეთ.

16796. პენსიაში გასვლას მაშინ აქვს აზრი, თუ რაიმე საქმიანი ,,ჰობი'' გაქვს და გართობას და მცდელობას ერთმანეთს უხამებ.

16797. ჩვენი ცხოვრების ავ-კარგის მაჩვენებელი გულია. ამ ქვეყნად ყოფნის ხანგრძლივობას ძირითადად ის განსაზღვრავს და განსჯის.

16798. ცხოვრება საკუთარი პრინციპების გააზრებით უნდა გაიარო და მისგან საუკეთესო აიღო, სასიკეთოდ გადახარშო და ისე გაითავისო.

16799. ცხოვრების მადლს ყველა თავად ირჩევს, იმისდამიუხედავად, რა ტრადიციებია დღეს მოდაში.

16800. ცხოვრებისთვის მშობლები, გარემო, მასწავლებლები გვამ-ზადებენ, მაგრამ საბოლოოდ ბედთან ერთად გენი გვევლინება ჩვენი ყოფის მეუფედ.

16801. ხშირად ხასიათი გიწყობს ცხოვრებას და არა აღზრდა-განათლება და გამოცდილება.

16802. ცხოვრება განვლილი წლებად კი არ უნდა აითვალოს, არამედ სასიამოვნო გახსენებად ყოველგვარი დანანების გარეშე.

16803. ყველას თავისი გასართობი გააჩნია: დიდები ქალებს ეაშიყ-ბიან, ფულის კეთებას ცდილობენ, სამსახურში ზარმაცობენ პატარები: ჭირვეულობენ, ერთმანეთს ეთამაშებიან და ნაყინის ფულს თხოულობენ და მათდაუნებურად პერსპექტივაში დიდებს ემსგავსებიან და ყოველივე ამას ცხოვრება ჰქვია.

16804. ცხოვრება იმითაცაა საინტერესო, რომ სხვათა შეცდომებზე და გამოცდილებაზე დაკვირვებით ვერ ჭკვიანდები, სისულელეს მაინც ჩადიხარ და განიცდი.

16805. ცხოვრება დიდებული მოგზაურობაა, გამოცდაა როგორც ამ, ისე იმქვეყნად.

16806. ხშირად ისეთ ცხოვრებას ვიწყობთ, რომელიც განგების ძალით ჩვენ არ გვეკუთვნის.

16807. მთელი ცხოვრება თამაშია, მთავარია, წლებს როგორ აკენ-წლავ და ყოფა როგორ დაგითვლის.

16808. ზოგჯერ დროსთან შეთანხმებით ცხოვრებაც დიდი ნიჭია, თუ რაიმე განსაკუთრებულს არ აკეთებ და დროის დინებას ფეხდაფეხ მიჰყვები.

16809. ფასეულობათა გადაფასება ცხოვრების ჭიტლაყის ამორ-ტყმის ხარისხის შესატყვისად ხდება.

16810. ცხოვრების გამოცდილება ის ფენომენია, რომელიც ასაკის მატებასთან ერთად მაშინ მოდის, როდესაც მისი გამოყენება გეზარება და იძულებული ხარ ის ახალგაზრდობა დამოძღვრო, რომელსაც ასაკის გამო სხვა ამბიციები აქვს და შენი მცდელობა მას მაინცდამაინც არ აინტერესებს.

16811. ცხოვრების ალგორითმიდან გამომდინარე, ზოგჯერ პირადი ინტერესები ღირებულებებზე წინ დგას, თუ ის ოჯახის, შთამომავლობის გამრავლება–უსაფრთხოების ინტერესებს ემსახურება.

16812. ჩვენი ცხოვრების ფინიში ყველასთვის ცნობილია, მაგრამ შუა სარბიელია უცნობი, რაც გვაიძულებს ინტენსიურად ვიცხოვროთ.

16813. სიტყვით ყველანი მშვიდი ცხოვრებისკენ მივილტვით, ხოლო თუ თავგადასავალი გადაგვხდება და სერიოზულად არაფერი დაგვი-

შავდება, ამ გამონაკლისზე ყველანი თანახმანი ვართ, რადგან რუტინული ცხოვრებაც თავისებური დანაშაულია საკუთარი თავის წინაშე.

16814. თეორიულად ცხოვრება შოკოლადის სასუსნავი კანფეტია, პრაქტიკულად რა შიგთავსი შეგხვდება, არავის უწყის.

16815. წარსულს ვერსად გაექცევი, რაც უნდა ლაბირინთები ააგო, დროის ხანგრძლივობას მათრახი გადუჭირო და უკანმოუხედავად ირბინო.

16816. საოცარია ადამიანის ბუნება, შეიძლება მკვლელს პატივს სცემდეს, უფარდეს და პატიოსანი არ მოსწონდეს, ეზარებოდეს, რადგან ცხოვრების თავისი უკულმართი გაგება აქვს.

16817. საკუთარი განწყობის მართვა, უდიდეს ნიჭთან ერთად, ცხოვრების გამოცდილებასაც მოითხოვს.

16818. მთელი სიცოცხლე უნდა ვცდილობდეთ სხვისი ცხოვრებით არ ვიცხოვროთ, რათა ჩვენი ყოფის სულიერება დავაჭაშნიკოთ და საკუთარი აგური დავდოთ ამქვეყნად მოსვლის გასამართლებლად.

16819. ცხოვრების გასავლელი ეტაპები, ყველა ასაკის შესატყვისად, ძალდაუტანებლად უნდა განვლოთ, რათა რა შეძლების ჩიტი ვართ იძულებისა და დოგმების გარეშე შევიცნოთ.

16820. სოფლის ადათით ცხოვრება სიცოცხლეს გვიხანგრძლივებს, თავისებურ ბედნიერებას გვანიჭებს გარკვეულ დრომდე.

16821. დღეს ყველა ჩვენგანი ფაქტიურად 4–5 საუკუნეს ვცხოვრობთ, წინა საუკუნეებთან შედარებით იმდენად დააჩქარა ტექნიკურმა პროგრესმა ცხოვრების განვითარების ტემპი.

16822. ცხოვრების განვლილი წლებით ასაკში ყველაზე უკმაყოფილოები ვართ, რადგან სიბერეში გახსნილ კარტებში გვიხდება ჩვენი ყოფის ოპონირება, ხოლო რაც მოვიპოვეთ, გეკუთვნოდა თუ არა ამაზე არ ვფიქრობთ.

16823. ცხოვრების წესი არ უნდა შევიცვალოთ, მაგრამ ყოფისგან გამომდინარე პატარ-პატარა შეკეთება-რემონტი, დროზე მორგებით, აუცილებელია.

16824. ,,მიზანი ამართლებს საშუალებას'' ფილოსოფიური კამათია, რადგან ცხოვრების პრაქტიკული პოსტულატები თავის ვირეშმაკობებს გვთავაზობს.

16825. ცხოვრება ,,ნოტებზე'' არ გვესაუბრება და არც ჩვენ უნდა შევეცადოთ, რათა მის მადლს და ამქვეყნად მოსვლის აზრს ,,გავესაუბროთ''.

16826. ცხოვრება თავისებური ტანჯვაა, უკეთესობაში თანდათან გადასვლის და ბედის გაღიმების იმედით.

16827. ცხოვრების თავიდან დაწყების ან მომდევნო საუკუნეებში ცხოვრების სურვილის მთავარი პრობლემა მახსოვრობაა, რომელიც ძველთან გვაკავშირებს. ამიტომაცაა, რომ ყოფის სრულყოფილი რევიზია შეფასება-გადაფასებით არ ხერხდება.

16828. ყველა შერკინებას, შეჯიბრს, თავისი წესი აქვს, ხოლო ყოფა უწესრიგოდ ცხოვრების მცდელობაა, რადგან ადამიანი გარემოებათა ორომტრიალში რას მოიმოქმედებს, უცნობია.

16829. ჩვენი ცხოვრების წარმატება-წარუმატებლობის მიუხედავად, ამქვეყნად მოვლენა, სიცოცხლე, ყველა თავისი გაუთვალისწინებელი ფათერაკებით ბედნიერებაა, რადგან შანსი მოგვეცა ეს სამყარო გვეხილა.

16830. გიჟარს-უჟარხარ, უზნეობა-პატიოსნება, გარიგება-ანგარება, სიბრძნე-მოხერხებულობა – სამწუხაროდ, ცხოვრებაში მეორე უკეთესს შედეგს იძლევა.

16831. წიგნის კითხვით სარგებელი რომ ნახო, ამბიციების გარეშე განსჯა უნდა გეხერხებოდეს.

16832. ადამიანი საკუთარ გენთან ერთად იბადება, მისი არც გარდაქმნა შეიძლება და არც დამოძღვრა, ერთადერთი, რასაც ემორჩილება, განათლება, გარემო, ტრადიციებია.

16833. ცოდნა და გამბედაობა, სინონიმებია თუ მათ გვერდში საქმის კეთება და ნდობა ამოუდგება.

16834. სიტყვა მაშინ ვარგა თუ საქმიანია, ბევრისთვის გასაგებია და შემოქმედი აჟღერებს.

16835. ნაკლოვანებებზე საუბრობენ და არ ჭორაობენ, რადგან ეს უკანასკნელი გართობა, თავის მოჩვენება და ყალბი ვიშვიშია.

16836. მუზა მარად ოცნების ავანგარდში მყოფთა განწყობაა.

16837. ხშირად ამაღლებული გრძნობები სათუო კაიფია, თავის მოსატყუებლად და სხვათა გასაბრიყვებლად.

16838. გულმოწყალება კარგი თვისებაა, თუ ის გადამეტებული არ არის და კონტროლს ემორჩილება.

16839. მარტოობის დღესასწაული ისე არ გამოვა, თუ სიკეთე-ბოროტება, შიში-გამბედაობა, რწმენა-ურწმუნოება, გაორება-ერთგულება, რატომ და ვისთვის ცხოვრობ, არ გაითავისე. შენდაუნებლიედ მუდამ იმქვეყნად გადაბარგებაზე იფიქრებ.

16840. მაღალ იდეებს მაშინ სჭირდება ყურით მოთრევა, როდესაც ადამიანი ტიტველია, მარტოხელაა და რაიმე სერიოზული საქმით არ არის დაკავებული.

16841. იდეალური არაფერი არ არსებობს, მაგრამ თეორიულად მისკენ მაინც უნდა მივილტვოდეთ.

16842. კეთილდღეობა ბრძოლა-შერკინებით მოიპოვება, მაგრამ ბოლომდე იშვიათად ინარჩუნებენ.

16843. ჭეშმარიტი, ღირსეული, ნაღდი, ადამიანის აღმოჩენა-მოძიება უსასრულობას მოითხოვს.

16844. რწმენა, პატრიოტიზმი, მისია, ცინიზმად იქცევა და მოდიდან გადავა, თუ ადამიანი გადაძღება და სიცოცხლე მოეყრჭება.

16845. დღეს წესიერება, ქალწულობა, მოდაში არ არის, რადგან სიკეთის საკეთებლად და კარგი მუტრუკის საშოვნელად ქალები დროში იწვიან, ვინაიდან დიდი კონკურენციაა და სხვა დაგასწრებს.

16846. მოსწავლეთა ჯგუფმა მასწავლებლები გააუპატიურეს, ერთმა იჩივლა და მოძალადეს ციხეში ამოაყოფინა თავი, თავად კი პედაგოგობას შეეშვა. მეორემ გაჩუმება არჩია, კარგ საჩუქრებსაც იღებდა და ზოგჯერ ყოფილ მოძალადესთან ვნებასაც იოკებდა. ამრიგად მორალი, ცხოვრების ცოდნა, ადამიანის ბუნება სხვადასხვა რამაა, რადგან შექმნილ გარემოს აღქმა და მასზე მორიგება თავისებური ნიჭია.

16847. შემდგარი ცხოვრება ხშირად ფანტაზიის ნაყოფია და არა – მოსაწყენი რეალობისა.

16848. შეიძლება ჭეშმარიტების შენი გადასახედიდან შეფუთვა, მისი პრივატიზება, მაგრამ ჭეშმარიტება უცვლელი რჩება.

16849. ევოლუცია ბიოლოგიური ანბანის ნგრევაა, მაგრამ პრაქტიკულად, ათასეული წლების მიუხედავად, ადამიანი გარეგნულად თითქმის არ შეცვლილა, ხოლო გენის ცვლილება ადამიანის აზროვნებაში და სამაყროს შეცნობაში სასწაულებს ახდენს.

16850. ახალბედებს და სულელებს ზოგჯერ უმართლებთ: სანამ მოყვარულებიდან პროფესიონალებში გადავლენ, თუმცა ეს განგების თავისებური გახუმრებაა.

16851. სამწუხაროდ, მშობლების დაფასების სურვილი მაშინ გვიჩნდება, როდესაც მოფერების სურვილი დაკარგული აქვთ ან ამქვეყნად აღარ არიან.

16852. ახალგაზრდული პატრიოტიზმი წარსულის პატრიოტიზმის სიყვარულით დაბრუნების წყაროა, შრომით, გამრავლებით, სწავლით, მოთმინებით და მუშტის ქნევის გარეშე.

16853. ჭეშმარიტება შეიძლება სიზმარში უფრო ხშირად მივაგნოთ, ვიდრე ცხადში.

16854. როდესაც შენი საჭიროება მიდის, შენც თან მიჰყვები და შემთხვევის წყალობას უცდი, იქნებ ვინმეს გაახსენდე და არის ჩვენი ეს წლებით დამძიმებული ასაკის დაისის თავიც და ბოლოც.

16855. მაძღრობა სიკეთის საწყისია, შიმშილი სასარგებლო ჭეშმარიტებას ბადებს, მაგრამ ყოფიერების ცარიელ ვაგონებს დანაყრება მიათრევს.

16856. ცივილიზაციაზე, კაცმოყვარეობაზე, დემოკრატიის პოსტულატებზე უგვანო ადამიანის ამოფარება ხშირად დანაშაულია, რომლის მიზეზი ის ხალხია, მასაა, რომლებიც მარად ლიდერის მოლოდინშია და საზოგადოებად ვერასოდეს იქცევა.

16857. ხშირად გარდაცვლილს უფრო დიდ პატივს მიაგებენ, ვიდრე სიცოცხლეში და ესეც კანონზომიერია. რადგან ყველა ცოცხალმა არსებამ თავს დროულად უნდა მიხედოს.

16858. კამათი ურთიერთთანხმობის ენერგიას წარმოქმნის, რომელიც ჭეშმარიტებასთან მიახლოების საშუალებას იძლევა.

16859. სასურველია სამყარო რუხ ფარებში არ აღვიქვათ, რათა სიცოცხლე გავიხანგრძლივოთ და ცხოვრებაც სიამით განვვლოთ.

16860. რისკის გაწევას, გმირობის ჩადენას, მაშინ აქვს აზრი თუ ის ვიღაცას სჭირდება, საზოგადოებას რაღაცას არგებს და ვიღაც მაინც დაგიფასებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, რისკის გაწევა განუსჯელობაა, სიბრიყვეა, უგნურობაა.

16861. გაოცებას იწვევს ამბიციური იაპონელების ქვეყნისადმი სიყვარული, რაციონალურობა. ისინი ნარჩენებს, ნაგავს ახარისხებენ და ისე ყრიან სანაგვე ყუთში, საზოგადოებრივი ტრანსპორტით დადის სამსახურში, როცა საკუთარი ტრანსპორტით გადაადგილება ჭირს. ასეთი ქმედებით ეკოლოგიასაც უფრთხილდებიან, ფულსაც ზოგავენ და გზაზე საცობებიც ნაკლებია. ვინ იცის, როდის მოეგება გონს ჩვენი ხალხი და როდის მოვეშვებით ცრუ პატრიოტიზმს და გულზე ხელის ბრაგუნს.

16862. წესიერება, დაფინანსების გარეშე, ბლეფია.

16863. ყველა კომედიის საწყისი რეალური ცხოვრებისთვის შეუმჩნეველი ტრაგედიაა.

16864. ასაკში ჩვენი ცხოვრების გაფეტიშებულ ნაგლეჯ მოგონებებს ყველა ჩვენგანი სათუთად უნდა მოვეპყრათ.

16865. ცხოვრება იმითაც არის საინტერესო, რომ უფულო გონიერება ცდილობს ფულიან კაცს დაეხმაროს უფრო მეტი მოგების მიღებაში, რომელიც ამ მზრუნველობას ხშირად გაურბის და უფულო

ვუნდერკინდი სხვა ფულიანის ძებნაში ცდება, ხოლო თუ შემთხვევის წყალობით გონიერებს გაუმართლა, თავადაც ასევე იქცევიან როგორც სხვა ფულიანები იმდენად მყარად აქვს უნდობლობას ჩვენში ფეხი გადადგმული.

16866. სიკვდილ–სიცოცხლეს შორის ზედმეტი და საკვირველი არაფერია, რადგან ის გარდაუვალია და სამყაროს შეცნობისათვის აუცილებელი.

16867. სიბრძნე არაფერს იძლევა, გარდა გონიერებაზე წიხლის დაჭერის ცოდნისა.

16868. ასკილის ვიტამინების ბუდე სჯობს, თუ ვარდის გასახარი სილამაზე?! ამას შემთხვევა, საჭიროება, განსჯის და არა მათი დანიშნულება.

16869. დემონი და ტარტაროზი, ეშმაკი და სატანა მათდაუნებლიედ სიკეთეს სჩადის, უნდათ მათ ეს თუ არა ცხოვრებას გვასწავლიან.

16870. გარდაცვალება ყველასათვის სიკვდილს არ ნიშნავს თუ შენი ხსოვნა რჩება.

16871. ტალანტებიც ბერდებიან და დროც გარბის, მარად ახალგაზრდობა კი უკეთესი ცხოვრების სურვილი და დროსტარებაა.

16872. დაკრძალვის ტრიუმფის საკენკი მომდევნო თაობებს სჭირდებათ ხელის გასანძრევად და ფხის გამოსაჩენად.

16873. მთავარია ვინ როგორ ,,მოგუდავს" ცხოვრების დაისს – ფინიშს და არა – ჯეელობის უზრუნველ სტარტს და ყოფის დასაწყისს.

16874. პირად ცხოვრებაში გამჭოლი ქარი არ უნდა დაუშვათ, რადგან ის ერთდროულად სულსაც აცივებს და გულსაც.

16875. უდიდესი ნიჭია ენაზე კბილის დაჭერა და მათ შორის, ყრუმუნჯისთვისაც.

16876. იდიოტიზმი ყველამ ჩვენში უნდა აღმოვფხვრათ და ბავშვობა შევინარჩუნოთ, თუ გვინდა ცხოვრებას გემო გავუგოთ.

16877. ფარისევლობა, ორგულობა, ქამელეონობა, თავისებური მასკარადია, რათა თავიანთი სახე აჩვენონ იმათ, ვინც ცხოვრებაში გამოცდილია.

16878. სიცოცხლის გახანგრძლივების ფორმულა: ცხოვრების ფილოსოფიური ხედვა, წვრილმანების უყურადღებოდ დატოვება, საკუთარი სიამაყისთვის სასარგებლოდ ცხოვრება. რაც შეეხება ირგვლივმყოფთ, მათი აზრი ცვალებადია და ყურადსაღები არ არის, მითუმეტეს, რომ ბოლომდე არავინ არაფერს დაგიფასებს.

16879. ყოველი კარგი ბუნებრივად ხდება და ხშირად ხელოვნურად, ბრიყვულად მთავრდება.

ძრომიალა აზრები

16880. ვაშა პატრიოტიზმს და უზნეობას, ჭეშმარიტების საძებნელად არ სცალიათ და მათი მცდელობა იმ პაროდიას ემსგავსება, რომელიც ყოველთვის ცუდად მთავრდება.

16881. ქმრის ღალატი ხშირად ცოლზე ზრუნვაა მოყირჭების აღმოსაფხვრელად, ხოლო ქალის ღალატი პირველ რიგში თავისთავზე ზრუნვა და ტრამპლინის მომზადება ახალი მამრის დასაბმელად ან ოჯახის შესაქმნელად.

16882. სამართალი არც ღობის აქეთაა და არც ღობის იქით, თუ თანამდებობა არ გწყალობს და ფული თუ არ გაქვს, რადგან ამ პატარა ღმერთების ინსტიტუტი, დრო-ჟამის სვლის მიუხედავად, გაუქმებას არ ექვემდებარება.

16883. ძაღლს და მგელს სხვადასხვა იდეოლოგია და მოვალეობა აკისრიათ, თუმცა შესაძლებლობები და ინტელექტი აერთიანებთ, მაგრამ ყოველივე სისაძაგლეს იკისრებენ, თუ ერთს პატრონმა არ უპატრონა, ხოლო მეორე ტყემ არ შეინახა.

16884. შორიდან ყველანი პიროვნებები ვართ, სანამდე ერთმანეთს არ გავიცნობთ და საქმეში არ გამოვცდით.

16885. ეგოიზმი წარუმატებლობის ვაქცინაა, რომელიც მიზეზს სხვაგან ეძებს.

16886. დღეს ეგვიპტე თავისი წინაპრების რწმენის სისულელეებით შექმნილი პირამიდების ხარჯზე ცხოვრობს, რომლებიც ტურისტებს ასე იზიდავს.

16887. პირველი პაემანი ერთ-ერთი სასიამოვნო დასამახსოვრებელია ხელის მოწერამდე და სათუო გასახსენებელი შეუღლების შემდეგ.

16888. თავისუფლების მაგიურ სულიერ მოთხოვნილებას, ბევრი ვერც აფასებს, არც იმსახურებს და ვერც იყენებს.

16889. წყვილის შეხლა-შემოხლის და ამბიციების გამოვლენის გარეშე ცხოვრება შეუძლებელია, თუ მათ ერთმანეთი უყვართ და სიცოცხლე ახალისებთ.

16890. საათი ჩვენი ამქვეყნად ყოფნის მსაჯულია და არა ჩვენი დროის მოსამართლე.

16891. წესით, ნამდვილმა მეგობარმა არ უნდა მიგატოვოს და არც ნამდვილმა მტერმა უნდა დაგინდოს.

16892. ყველა დროს თავისი თავშესაქცევი და დროის მოსაკლავი აქვს, რომელიც მომდევნო თაობებს ხშირად სისულელედ და ველურობად ეჩვენება.

16893. ხანდახან სიმახინჯე სილამაზეს უკენწლავს, გააჩნია რა კუთხიდან არის დანახული და თავად რას წარმოადგენს გონიერების გადმოსახედიდან.

16894. ეშმაკობა გონიერებას არ გამორიცხავს, ხოლო ვირეშმაკობა – მოხერხებულობას.

16895. ენა კი არ არის ძალადობის იარაღი, არამედ ის, ვინც მის ქალწულობაზე ძალადობს მისი გათვითცნობიერების მომიზეზებით.

16896. გაუგებრობის წინაშე დგომას, თუნდაც უსამართლოდ განსჯილი და გადაწყვეტილი სჯობს.

16897. ყველა ჩვენგანს უდგება მოთმინების აფეთქების დრო ჩვენდა დაუკითხავად.

16898. გაღარიბება იმითაც არის ცუდი, რომ ამის შესახებ სხვებიც იგებენ და არ იციან, გისაყვედურონ თუ გითანაგრძნონ.

16899. იყო ენის, დროშის და ჰიმნის ერთგული, ყველას ხვედრი არ არის, თუ სალაფავით არ არის გამყარებული.

16900. ცხადში თუ სიზმარში, ერთხელ მაინც ვღალატობთ საკუთარ პრინციპებს.

16901. ცრურწმენას ხმამაღლა ყველა დავცინით, მაგრამ ჩუმად რაღაცას და ვიღაცას ვუფრთხით.

16902. ყოველთვის სიმართლის ზეიმი შეიძლება მავნებელიც იყოს თუ მას დრო, გარემო, შეგნება ხელს არ უწყობს.

16903. ყველა ჭეშმარიტება სიმართლესთან არის მიახლოებული და არა – სამართალთან.

16904. საკუთარ თავზე სიმართლის მოსმენა ძნელია, მაგრამ სასარგებლოცაა და აუცილებელიც.

16905. რომის იმპერიის სიკეთის არ იყოს, მომდევნო საუკუნეებმაც ბევრს მიჰქარეს და უმიზეზოდ ადინეს ცრემლი და სისხლს მასებს, მაგრამ სახელმწიფოებრიობის გონიერებას არაფერი დასტყობია.

16906. რჩევას და მრჩეველს მაშინ ააქვს ფასი, თუ ვინმე მის საჭიროებას ცნობს, ანაზღაურებით.

16907. ყველა ჩვენგანი განჩინების გარეშე სიკვდილმისჯილია, რომელიც ზოგჯერ მიქელას მოჰყავს სისრულეში, ზოგჯერაც – მის უხიაგ მიმდევრებს.

16908. ძუნწი კვადრატში ზარალდება, მაგრამ სხვის დასანახავად თავს კუბში დაზარალებულად თვლის.

16909. ძლიერება და სისუსტე ახლობლები არიან, მაგრამ ერთმანეთს არ ძმობენ.

16910. შენთვის სასურველი ქალის „გაიმასქნება“ ხელოვნებაცაა, გამართლებაც და საამაყოც, მაგრამ ტირაჟირების გარეშე.

16911. სიკეთე ძალის გარეშე ვერ იარსებებს.

16912. ქურდის მორალი კონსერვის ქილაშია, რომელიც დილეტანტს ჯერ რეალურად არ უგემნია.

16913. კატასტროფას განრიგი არ აქვს, მაგრამ მისი მოხდენის დროის, წლის და საუკუნის გამოცნობა შესაძლებელია და აუცილებელიც.

16914. ერთიდაიგივე კანონის დარღვევა ჩადენილი 1 კაცის მიერ დანაშაულია, 10 მიერ კრიმინალია, 100 მიერ – აზრის გამოთქმაა, 1000 მიერ – მიტინგია, 10000 მიერ – დემონსტრაციაა, 100000 მიერ – კანონის შეცვლაა 1000000 მიერ – სხვა სახელმწიფოა, მაგრამ ყოველივე უცვლელად რჩება.

16915. მდივანს დღეში რამდენჯერმე ისეთ პირებთან უხდება კაბინეტში შესვლა და გასაუბრება, რაც ბევრისთვის ხელმიუწვდომელი და სანატრელია.

16916. იუბილესა და ქელეხს შორის ის სხვაობაა, რომ პირველისთვის პირმოთნეობით თქმული მისალოცი ქათინაურები მწუხრის სუფრის დროს წრფელად თქმული სადღეგრძელოებით იცვლება და ამასთან სუფრას ერთი კაცით ნაკლები მსმელი ყავს.

16917. ბუნებრიობა თავხედობას ვერ იტანს, რადგან მეორეს პირველისაგან განსხვავებით, თავის დაჭერა არ შეუძლია.

16918. დიდებასაც, ხელმა რომ ხელი დაბანოს, სჭირდება.

16919. ოცნებით დროის გაჩერება თავის წესრიგში მოყვანას და ცხოვრების ახლებურად დაწყების მცდელობას ნიშნავს და არა მისთვის ზურგის შექცევას და ყველა ადამიანურ მოვალეობაზე ხელის აღებას.

16920. წესიერებას ვქადაგებთ და ხშირად ასევე ვფიქრობთ და ვცხოვრობთ, მაგრამ საკმარისია ვინმემ ამაზე მიგვითითოს და ჩვენს რისხვას საზღვარი არ აქვს, რადგან სხვისი უწესობისთვის, საჭიროების შემთხვევაში, საკუთარის ამოფარება გვქონდა ჩაფიქრებული.

16921. ხანდახან ისეთი უაზროა დროის „ხიტი“, რომ ამ ცხოვრებას თუ რამდენჯერმე გემოზე არ შეუკურთხე, გონება გემღვრევა და გული ცუდად გიხდება.

16922. ყოველთვის ეჭვს იწვევს ცნობილი პირის ჩვენს გვერდით დასახლება და როდესაც ვიგებთ, რომ მას უბრალოდ აქ ცხოვრება მოსწონს, გაკვირვებულნი ვამაყობთ.

16923. ხშირად კეთილდღეობა ფეხების დამსახურებაა და არა – თავის.

16924. სიამის ჩვენება შეუძლებელია, მაგრამ მაინც უნდა შეიცნო და გაითავისო.

16925. რატომღაც ქებისთვის ყველაზე მიუღებელი უხეში პირფეროობა მოგვწონს და ჩუმად სიამესაც განვიცდით, ალბათ, იმიტომ, რომ ასეთი უხეშობა – წამლიქვნელებით თქვენმა ოპონენტმა ქომაგობით თავი გამოიდო.

16926. ეცადეთ ადამიანებს არ გაანდოთ თქვენი საიდუმლო, რადგან შესაძლებელია მისი შანტაჟის მსხვერპლნი გახდეთ.

16927. ძალიან ფასობს, როდესაც ვიღაცაზე ამბობენ: ,,მე ის მიყვარს", მიუხედავად იმისა, მას აქვს ამის ბაზისი-ნებართვა, თუ არა.

16928. ამქვეყნად ოცნების უფსკრულში გადაჩეხვაზე დიდი საცოდაობა არაფერია.

16929. ცილისწამების გადაყლაპვა და მონელება ზოგს სიამოვნებას ანიჭებს, განსაკუთრებით მაშინ, თუ ის ტირაჟირების საშუალებას იძლევა.

16930. იბადებიან ძაღლებად, მგლებად, ეშმაკებად, აქედან ადამიანი ძაღლივით ერთგული გამოვა, თუ მგელივით მტაცებელი, ეს ძალაუფლების რაობაზე, აღზევებაზე, აღზრდაზეა დამოკიდებული, რაც შეეხება ეშმაკად დაბადებულს, ის ყველა დროში და წყობაში ნახულობს საძრომიალოს და მას აღზრდა არ შველის.

16931. ყველა ნიჭს თავისი გასროლის პერიოდი აქვს და ძნელია მან თავისი დროის მოთხოვნებს, ე.ი. თავის თავს აჯობოს (ჩარლი ჩაპლინის ბოლო ნამუშევრები კინოში).

16932. ყველა დაქორწინება ბედნიერების შეძენის მცდელობაა, მაგრამ არა – უკანასკნელი.

16933. ბრბოს თანდაყოლილი აღზრდა არ აქვს, იგი შემთხვევითობაზე და გამორჩენაზეა ორიენტირებული.

16934. სულელების სკოლის დამთავრებაც შეიძლება ოქროს მედალზე, თუ კი ის ვისმეს გამოადგება.

16935. ყოვლისმცოდნეზე საშიში არაფერია, რადგან მას წესრიგის გარეშე ცხოვრება უჭირს, დროისთვის შეუფერებელი და გადაგვარებულია.

16936. ცოლთან ურთიერთობაზე და სპეციალობის შეცვლაზე შუა ასაკში უნდა დაფიქრდე და ამის შემდგომ უნდა მიიღო ერთ-ერთი საბოლოო გადაწყვეტილება, რადგან შენს უკან ვადაგასული, გადასაფასებლად გამზადებული, დრო დგას.

16937. ბუნებას ბევრი გაუმართლებელი სასწაული აქვს, მათ შორის, მწერების დამჭერი მცენარეები, რომელთა ზრდა-განვითარების ალგორითმი ცხოველურ ცილას არ მოითხოვს.

16938. ა.მ.ო (ამოუცნობი მფრინავი ობიექტები) ფსიქიკის ილუზიაა, მაგრამ ილუზიონისტი უცნობია.

16939. თუ თავის შეცოდებას შეეცდებით, ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ სრულყოფილად არ გიცხოვრიათ.

16940. უგუნურებას მომავლის ეშინია და ამიტომაცაა, რომ მისდა-უნებლიედ ყველას და ყველაფერს ანადგურებს.

16941. თვალების შემონათება ის ჯადოა, რომელსაც ხვადის გული ვერ უმკლავდება და გონება აღფრთოვანებით ურევს.

16942. ისიც ქურდობაა, როდესაც თანახმა ხარ სხვისი მიითვისო დაუსჯელად.

16943. დრო არ გვშვილობს, თავად უნდა ვეშვილოთ მის უკუღ-მართობას.

16944. არიან ადამიანები, რომლებიც ,,ჩაევიეს" – წვრილმანი გასამ-რჯელოს ცდუნებით ცხოვრობენ და არც თუ ისე ცუდად, რადგან მათი გამოცდილება ძღვენის მიღების მრავალ ხერხს არის დაუფლებული.

16945. როდესაც ქმარი კვდება, ქვრივს ტოვებს, როდესაც ცოლი – სასიძოს.

16946. ადამიანთა მოდგმა უსიტყოდ იტანს მიწისძვრებს, ვულკანის ამოფრქვევებს, ქარიშხალს და სხვა ბუნების დანაშაულებრივ გადმოხ-ტომებს, მაგრამ კატაკლიზმებისაგან განსხვავებით, თავის მოძმეს არა-ფერს პატიობს და სულ მათი განსჯა-დასჯის მცდელობაშია.

16947. რა კაცობაზე შეიძლება საუბარი, როდესაც მოწინააღმდეგეს ,,ქილერის" ხელით უსწორდები, ეს იგივეა ჭიჭიკიას ცოლი მოქრთამო და ბიჭიკია თავისი პენისით დაიქირავო სავაჟკაცოდ.

16948. განწყობა ხასიათზე კი არ არის დამოკიდებული არამედ – განსჯის ენაზე.

16949. ილუზიონისტები თანდათან იმაღლებენ თავის პროფესიას, მაგრამ მათ ფეხდაფეხ დასდევენ ამ ცოდნის გამმჟღავნებელი შტრეიხ-ბეხერები, რომლებიც აიძულებენ მეცნიერების სიახლეებს გაეცნონ და სულ ფორმაში იყვნენ.

16950. ბალღამს (არასასიკეთო სისხლი) ყველანი მიზეზთა გამო ვაგროვებთ, რომელიც თანდათანობით უნდა გამოვუშვათ, მაგრამ აქ მთავარია ვინ გააკეთებს ამას ჩვენვე თუ სხვანი დაგვეხმარებიან, რადგან შედეგი აქვს სხვადასხვა.

16951. ბერბიჭას ასაკის ყმუილის სერენადა: ერთ წლამდე – აუუ, 1 წლის – დედა, 2 – მშია, 3 – ხელი გამიშვი, 4 – მომეფერეთ, 5 წლის – თიკო კარგი გოგოა; 6 – რომ გავიზრდები ცოლად მოვიყვან; 7 –

ენას მიყოფს, აღარ მომწონს; 8 – ია მაგაზე მაგარი გოგოა; 9 – ნელი კარგად სწავლობს; 10 – არ გადამიწერია; 11 – ვგონებ, სოფიკოს მოვწონვარ; 12 – ზარმაცია, ეგ ოჯახში არ გამოდგება; 13 – ბიჭებმა ხელცქვიტობაში გამანათლეს; 14 – გუშინ თეას ვაკოცე; 15 – ჟუჟუნამ და მე საწოლში რაღაც ვიჩალიჩეთ; 16 – შენ სქესი უძახე და დიდებულია; 17 – რა მჭირს, ფელა გოგო მომწონს; 18 – ცოტა თავხედი რომ ვიყო, ბევრ ქალს გემოს გაუგებდი; 19 – ეს ჯანმრთელი ქალები რაღაც ვნებიანად მიყურებენ; 20 – ჩემზე ბევრია შეფარებული; 21 – ცოლის მოფანა სისულელეა; 22 – ჯერ დრო ჩემს გემოზედ უნდა ვატარო; 23 – ზღვაზე ვიყავი, კარგ შხვართებში გავიჩითე; 24 – ქალი მაინც დიდი გამოგონებაა; 25 – დისკოთეკაზე სიარული მომბეზრდა; 26 – დროა ფულის შოვნა დავიწყო; 27 – კარიერასაც უნდა მივხედო; 28 – დროა ცოლი მოვიფანო; 29 – ლილი ნამეტნავად მომთხოვნი გოგო ჩანს; 30 – სანამ უნდა ვიარო ამ ჩემი პენისის ჭკუაზე; 31 – დღეს ბიძა დამიძახეს; 32 – ვინ მოვიფანო, არავინ არ მიფარდება; 33 – რა დრო დადგა, ფელა ლოგინში გიგორდება, თუ უცოლო ხარ; 34 – მაფალას ცოლად მოფანა შეიძლება; 35 – მომბეზრდა ამ გაუთხოვარი ქალების გადანახულება; 36 – ფელას უნდა თავის ნაცნობი შემომასაღოს; 37 – არავისზე გული არ მიმდის; 38 – რა ჭირს ამ ჩემს მამაკაცის „ღირსებას“; 39 – ვანდამ ბავშვის გაკეთება მთხოვა; 40 ზედმეტ ვალს ვერ ავიკიდებ; 41 – ტრანსპორტში იშვიათად, მაგრამ ადგილს მითმობენ; 42 – განათხოვარ ქალებსაც მთავაზობენ; 43 – ქვრივიც შემომთავაზეს; 44 – რაშია საქმე, ყავლი გამივიდა; 45 – ახალგაზრდა გოგონები აღარ მიყურებენ; 46 – ბაბუა დამიძახეს; 47 – ქალები მსაფვედურობენ, ერთ ჯერს ჩვენი ქმრებიც კი ახერხებენო; 48 – დროა, თავს მივხედო; 49 – ახალგაზრდობაში გაცნობილ ქალებს უნდა შევეშვა, ქილიკობენ, ადრე მეტი შეგეძლოო; 50 – უკვე ნახევარი საუკუნე გადავლახე; 51 – ამ ქალებს მთელი ღამე რომ გადავყვე, დილას მაინც უკმაყოფილონი არიან; 52 – ჯერ კიდევ არა მიშავს, თუ ახალგაზრდა გოგონა ჩამივარდება ხელში; 53 – ქალები აგრესიულები გახდნენ, ცოლად თავს უკვე თავად მთავაზობენ; 54 – ტელეფონით ქალის გამოძახება სისულელეა, პირველ რიგში, ფული აინტერესებთ; 55 – მომკლა სახლის დალაგებამ; 56 – სალომე კარგი ქალია, მაგრამ უკვე შვილიშვილი ჰყოლია; 57 – კიდევ კარგი, გულსუნდა არ მოვიფანე, უშვილო გამომდგრა!; 58 – ხელს არავისთან არ მოვაწერ, ეტყობა, ჩემს ავლა-დიდებას ხარბდებიან; 59 – სამოქალაქო ქორწინებაა მოდაში; 60 – რაღა მუხლებში სისუსტეს ვგრძნობ; 61 – ეროტიული პროგრამების ყურება აღმაგზნებს; 62

– რაღაც თავს სუსტად ვგრძნობ, მომვლელი მჭირდება; 63 – ზინა დაქვრივდა და ცოლად გამოგყვებიო, მთხოვა; 64 – მე და ზინა სექსუალურ საწყისებზედ ვთანამშრომლობთ; 65 – ზინას დედაც ვატირე, მე მაგას ვემსახურო თუ ჩემს ჯანმრთელობას მივხედო; 66 – ისევ მარტო ვარ და არც ისე ცუდად, რომ მეგონა; 67 – ჩემი „ღირსება“ ამ ბოლო დროს უნამუსოდ მღლატობს; 68 – წნევამ გული გამიწყალა; 69 – ასაკოვანი ქალები უყურადღებოდ არ მტოვებენ; 70 – ვგონებ, ყუნწი მიხმება, ძალიან გავხდი, დავპატარავდი; 71 – სექსმაც ჭირი მოგჭამა და ეროტიკაზეც აღარ რეაგირებს; 72 –ალჰოკოლსაც ვეღარ ვიტან; 73 – სულელი ვარ, ერთი შვილი სადღაც უნდა მყოლოდა– ბედნიერი კაცი ვიქნებოდი; 74 – ვჭრაჭუნებ; 75 – ქალებთან ჭორაობას და ყბედობას ვუნდები, სხვაში მაინც არ ვარგივარ; 76 – ცუდად მძინავს; 77 – სახლიდან გასვლა მეზარება; 78 – დილით ადგომა და ვარჯიში დავიწყე; 79 – ფელაფერი წყალს წაუღია; 80 – იმქვეყნად წასულებს მაინც ვჯობივარ; 81 – სიარული მიჭირს; 82 – დრო როგორ გარბის; 83 – ძველი მოგონებები არ მასვენებენ; 84 – რა კარგი ყოფილა, ჩემი პენისის ჭკუაზე რომ დავწანწალებდი; 85 – ქალებთან დროსტარება შენი ძვირფასი ქონებაა, რომელსაც ვერავინ წაგართმევს და შეგეცილება; 86 – სასაფლაოზე ადგილი უნდა შევიძინო; 87 – ანდერძი ხომ არ დამეტოვებინა ვინმესთვის;? 88 – ვერც ვერავის რომ ვერ ენდობი?!; 89 – ფავი–ჩხიკვის მამიდები გამომიჩნდნენ მზრუნველებად.; 90 – ფელა მოვლა–პატრონობას და სიფარულს მთავაზობს, იმდენი მაგათი დედა ვატირე; 91 – სიცოცხლე მომბეზრდა თუ არა ვეღარ გამიგია; 92 – ვგონებ კახური ავადმყოფობა, გამოთაფანება–სკლეროზი, შემომეპარა.; 93 – რადგან აქამდე მოვატანე ვალდებული ვარ 100 წლამდე ვიცოცხლო; 94 – როგორც იქნა, მიზანი გამიჩნდა – ფელას ჯინაზე უნდა ვიცოცხლო; 95 – უნდა ვეცადო ავად არ გავხდე; 96 – ჩემი დროის ნაცნობებს ვეღარ ვხედავ; 97 – პანაშვიდებზეც აღარ დავდივარ.; 98 – შურით მიყურებენ, თითქოს მაგათ წავართვი წლები; 99 – ფელას დავავიწყდი; 100 – ცოლი არ უნდა მომეფანა?!

16952. ქალის ბაღნარი რომ დაიბეო, ან სიფარულმა უნდა გადაგრიოს, ან ფული უნდა გაიღო ან ოფიციალურად გაითავისო, სხვანაირად, მისი „მოუკრეფავის ჩუქებით“ გამოყენება დანაშაულია, თუმცა მოგვიანებით ჩუმად გვიფასებენ.

16953. სადაც სიფარულია, იქ ბედნიერებაცაა, მაგრამ პირველის ფასი მეორის ღირებულებას არასოდეს გაუთანაბრდება.

16954. ვისაც სურვილის პოლიგონზე, თვალებით სროლაში არ უვარჯიშნია და ნიშანში მოხვედრა არ უცდია, ცხოვრება უაზროდ გაუცდენია და მისდაუნებლიედ სხვისთვის უჩალიჩნია.

16955. თუ გინდა იცხოვრო, მოხერხებულიც უნდა იყო, ხოლო არსებობისთვის განათლებაც საკმარისია.

16956. პერსპექტივაში გული უფრო რეალურად გრძნობს, ვიდრე აწმყოთი მოაზროვნე გონება, რომელიც საზოგადოების წეს-ტრადიციების მონაა.

16957. ჩვენ გვგონია სამყაროს რაღაც მისიით ვევლინებით, მაგრამ რა უნდა ვაკეთოთ გამრავლების და მოპოვების გარდა საფუძვლიანად, ჯერ-ჯერობით, ვერც ერთი თაობა ვერ გარკვეულა.

16958. ანდერძი პრეტენზიული ნათესავების დასაშოშმინებელია შენს გარდაცვალებამდე.

16959. ადამიანი, რომელიც ქვენა გრძნობების გულისთვის წარსულს გმობს ახალს ეტენება და იქ ძრომიალობს, სადაც რაღაცას გამოელის, მუდამ ღამურა იქნება, რადგან მისთვის მთავარი სარფია და არა – რწმენა.

16960. „მოგვწონს – არ მოგვწონს“ გამოცდილების და ჭეშმარიტების მაძიებელს ფეხებზე ჰკიდია.

16961. ცხოველთა კანონებით რომ გვეცხოვრა, ყველა დაავადებული და ყოფის საჭურისი ევფტონაზიის პროპაგანდით რომ ვადამდე გამოგვეხშირა, სახელმწიფოს ბიუჯეტი მაგრად იხეირებდა, მაგრამ მომდევნო თაობებისთვის თვალის გასწორება და გამოცდილების გადაცემის გათავისება გაჭირდებოდა.

16962. როგორც მეგონა ედუარდ შევარდნაძე, რომელიც ქვეყნის მმართველობის ელიტაში 30 წელზე მეტ ხანს იყო, თავის მომნუსხველი ღიმილით ვიგინდარა გამოდგებოდა და მასში იმ ყოფილ ჩაის მწონავს დავინახავდი, რომელიც თავის დროზე „აიწონა-დაიწონას“ მახინაციებით კაპიკებს გამორჩებოდა.

16963. საოცარი რამ არის თანამდებობა, რომელიც მორჩილებას, პატივისცემის გრძნობას უნერგავს კარიერის, სასუსნავის, სხვაზე მჯობნობს მოიმედე ხელქვეითებს.

16964. ცოლად ის გამოდგება რომელიც გვაწყობს, თორემ გაგიჟებით რომ გიყვარს და უყვარხარ მასთან ცხოვრება ჭირს, რადგამ აადმიანის ბუნება გადამეტებულ ვნებას, დაძაბულობას და სტრესს ვერ იტანს.

16965. ნათელი იდეების ფულზე გადაცვლა ადრე თუ გვიან მაინც მოგვიწევს, შეიძლება დაფინანსების გარეშე.

16966. გარემოს ბევრი საბუთით შეუძლია დაუმტკიცოს ადამიანს, რომ ის სიკვდილის შვილია, მაგრამ ამას ყველაზე უკეთ მარტოობა, უსაქმოდ ყოფნა ამტკიცებს და ეს ნათელია მისთვის, ვისაც ამ ფენომენის ვირუსის შეყრა გამოუცდია.

16967. ჭეშმარიტება ხოხავს, დაძვრება, დაფრინავს, მაგრამ რეალობას და საქმეს ახლოსაც არ აკარებენ.

16968. გურმანის შემოქმედება აღმშენებლობაა გარკვეულ დრომდე, სანამ ეჭვის ჭია შეეპარება და დამანგრეველად არ იმოქმედებს ნამოღვაწარზე.

16969. პრობლემებს ხშირად განგება გვივლენს, მაგრამ გამოცდილების მისაღებად თუ ჭკუის სასწავლებლად, ვერ გავრკვეულვართ.

16970. ბუნება ის უდიდესი ფინანსისტია, რომელიც ბუნებრივ ნამატს ისე ლაღად და გონივრულად ხარჯავს, რომ მისი დეფიციტი და უკმარისობა არასოდეს იგრძნობა.

16971. ფანტაზია არ იყოდება, რადგან ის ოცნების და გონიერების ნაცოხნარის აღტაცებაზე ნამრავლია.

16972. წარმატებული შემთხვევა ყველა ჩვენი სურვილის, ნების მცდელობის აღიარებაა.

16973. ყველა ჩვენგანმა საძრომიალოც უნდა მოვიმზადოთ და სათადარიგო გასასვლელიც, თუ გვინდა იმედიანად და მომავლის რწმენით ვიცხოვროთ.

16974. ქალს იპყრობენ პიროვნულად და არა ანგარიშსწორებით, რადგან მეორე პირველისაგან განსხვავებით გრძნობებთან კავშირში არ არის.

16975. ორი დიდი პიროვნების შედარება, მჯობნის-მჯობნის დასადგენად მკრეხელობაა, მაგრამ ჭეშმარიტებას ეს არ აინტერესებს.

16976. სიბრძნე და სიფრთხილე დღევანდელი განვითარებული სამყაროს შესატყვისი ვაქხანალიაა.

16977. ყოველგვარი ქსენოფობია მუხლს იდრეკს მშვენიერების და სიყვარულის წინაშე, მზადაა მათ დაემონოს და პრინციპები კანონგარეშედ აქციოს.

16978. ბრიყვებსა და ნაძირალებს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი შეიძლება შემთხვევით დარჩეს პლუსში, ხოლო მეორემ თავის მოგებას ბევრი ვინმე გადააყოლოს და შეიძლება თავადაც გადააყოლონ.

16979. გვირაბის ფილოსოფიას – დროებით კომაში ყოფნას, უყურადღებობის მრავალი ფაქტი განსაზღვრავს, მაგრამ თავისი ნებით ცხოვრებიდან წასვლა ტრაგიკული აუცილებლობის გარეშე ყოფის უგულებელყოფა და მასხრად აგდებაა.

16980. მამრმა უნდა იცოდეს, ქალი უნდა გრძნობდეს, ერთმანეთს რისთვის ეთაყვანებიან, ოჯახის შესაქმნელად თუ ვნების დასაცხრომად, რათა ორივეს თავისი ორიენტირი ჰქონდეს, რათა ერთმანეთს თავი არ დაამადლონ და საყვედურებით არ აავსონ.

16981. პურის საჭრელ დანასთან ერთად, მკვლელობის ჩადენა სქელ-ყდიანი წიგნითაც შეიძლება და კარგად გამომხმარი ძეხვითაც, თუ იცი სად, როგორ და როდის დაარტყა ეს გონების და მუცლის ამოსაყორი საშუალებები.

16982. როდესაც საკუთარი ოფოფები საკმაოდ გვიზის თავში, შეეცადოთ სხვისი ოფოფების გაწვრთნას, განსჯას შეეშვათ და ბუნე-ბის ყოველგვარ ნაწყალობევს პატივით მოვეპყრათ და თუ საჭიროა, ავითვისოთ.

16983. ვირეშმაკობა, უპირველესად, მოხერხებულობა, წარსულის ანალიზია, აწმყოს ცოდნაა, მომავლის შეგრძნების უნარია და შენს სასარგებლოდ მოთარგმნა-გამოყენებაა.

16984. მდედრის და მამრის ურთიერთობა მათემატიკასთან კავ-შირშია: დისკოთეკაზე წყვილი ცალ-ცალკე ერთობა, მაგრამ საწოლში ერთად აღმოჩნდებიან – ეს არის 2*2=–4. მდედრის დაპყრობა ხელკა-ვით, წელკავით და შემდგომ სარეცელში შეხვედრა ეს 2*2=4 მდედრის ფულის მოშველიებით საწოლში შეთრევა – ეს 2*2=–4. რეკომენდაცი-ით მდედრის საწოლში დამუღამება ეს 2*2=4 მდედრის ინტერნეტით გაცნობა და ფიზიოლოგიური გართულებების გარეშე ეს 22=+4 ხოლო ჯანმრთელობაზე ზრუნვით ქალის საწოლში დაყოლიებაა 22=4 დაწყვი-ლების მომიზეზებით ქალთან საწოლში კოტრიალი 2*2=–4 ნებაყოფი-ლობითი ძალადობით მდედრის დაპყრობა 2*2=4 ასე და ამრიგად ქალის დაპყრობის ჯამი ყველა შემთხვევაში 4-ია, ეს მინური იქნება თუ პლიუსით.

16985. ერთიდაიგივე მდინარეში შესვლას და გამოსვლას მოჭარბე-ბული ჟინის, დარეხვილი გონების პატრონები ახერხებენ, ხოლო ამ ახირებულთა გარეშე სამყარო გაღარიბდებოდა, რადგან ცხოვრებასთან ბრძოლა ეშხს დაკარგავდა.

16986. ზოგს, მეძავივით, ყველა ახალი მთავრობის, ანუ კლიენტის იმედი აქვს, რომ მასზე იზრუნებენ, ცოლად წაიყვანენ და მის უნიათო-ბას, ქარაფშუტობას, არ გაიხსენებენ და საკუთარი გამოცდილების გარკვეულ ნაწილით მათ ყოფას შეავსებენ.

16987. პასუხისმგებლობის სხვაზე გადაბრალება უდიდესი სიამოვნე-ბაა თუ თან ვირეშმაკობაც ახლავს.

16988. მოპაექრეს იმ საკითხებზე არ უნდა ედავო, რომლის მტკიცებას მისთვის სიამე მოაქვს, შენთვის კი სულერთია.

16989. რომ იარსებო უნდა ჭამო, რომ ჭამო უნდა მოიპოვო, რომ მოიპოვო უსამართლობაზე ხელი უნდა წაგცდეს, რომ წაგცდება კანონმა ყური უნდა აგიწიოს, ხოლო ყურაწეული კაცი წმინდანად არ ჩაითვლება ე.ი. საქმიანობა, საქმის კეთება ანგელოზთა საქმე არ ყოფილა.

16990. მათემატიკას თავისი იუმორი აქვს, როდესაც ის ორჯერ ორობის ხუთობას ამტკიცებს, მაგრამ მოქმედების ტოლობა თუ ცხრამდე აჰყავს, ეს უკვე ტრაგედიაა.

16991. ტყუილი ორი სახის არსებობს: ჯანსაღი და მავნე. პირველი ცხოვრების აუცილებლობით არის გამოწვეული, მეორე – ბოღმით და უნიათობით.

16992. ხშირად, მომდევნო თაობა, წინა თაობასთან შედარებით, ცხოვრების ქაქის ჭამას ეძალება, რადგან ადამიანის არსებაში მომხვეჭელობა და მიმთვისებლობა შეუცვლელია, განსაკუთრებით მაშინ, თუ დრო, გარემო, ამის შანსს გაძლევს.

16993. ზოგს ძალზე წესიერი საფარლები ჰყავს, ფელას ოჯახი და ქმარ-შვილი ჰყავს. ვინ იცის, ხვალ შეიძლება ურთიერთობის ეს ფორმა მოგვევლინოს პატიოსნების საწყისად.

16994. სპეცსამსახურების საქმიანობა ფელა კომენტარზე მაღლა დგას, რადგან ქვეყნის უსაფრთხოებას ემსახურება და აქ დემოკრატიის ,,აიწონა-დაიწონა'' არ გამოდგება.

16995. როდესაც ყოველივე აკრძალულია, მაშინ ვეძებთ შემოვლით გზებს და ჩვენდა გასაკვირად ახალი ურთიერთობაც ფორმდება.

16996. მიტოვებული ქალი ან კაცი ჩაკბეჩილი ღვეზელივითაა, რომელსაც გემო გაუსინჯეს და სანაგვეში მოისროლეს.

16997. განათლება, ინფორმაცია, სასწაულს პეწს უკარგავს, მაგრამ მის გარეშე ცხოვრება გაუფერულდებოდა.

16998. ჩინი, თანამდებობა, მოხერხებულობისაგან განსხვავებით, გონიერებას იშორებს, რადგან ეს უკანასკნელი საკუთარი ყოფის ფუფუნებით მოწყობაში ხელს უშლის.

16999. დღეს სიკვდილის წინაშეც კი იტყუებიან, თუ სარგებელზე ხელის გამოკვრა შესაძლებელია.

17000. თუ იტფი, ტბა ვაჩუქე თავისი მიწით, ეს მდიდრული ჟესტია, ხოლო თუ პირიქით წამოგცდათ, სიტფა პეწს კარგავს, რადგან პირველის დასვენებისგან განსხვავებით მეორეში – შაბათ-კვირის თოხის

ბაყუნი იგულისხმება ამრიგად მთავარია სიტყვის პათოსის ალგორითმი და არა მისი დანიშნულება.

17001. საოცარი დრო მოვიდა, პოპულარული და ბრბოსთვის საცნობი, რომ გახდე საჭურისობა, ჰერმაფროდიტობა სირცხვილად არ ითვლება.

17002. მაბეზღარსა და პატრიოტ ინფორმატორს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი განზრახ აბეზღებს, ხოშს ისწორებს და სარგებლის ნახვას ცდილობს, ხოლო მეორეს უნდა სამართალმა იზეიმოს, წესრიგი დამყარდეს და ამით მორალურ სიამოვნების განიცდის.

17003. წინა თაობების ღირსება, სახელის მოპოვების აქსიომები, მომდევნო თაობებისთვის ზოგჯერ გაუგებარია. მიუხედავად ამისა, ევოლუციის წყალობით წარსულის გადაფასება შესაძლებელია. მაგ. პუშკინის გენია დუელიანტად არ უნდა დახურდავებულიყო, რადგან მისი სიდიადე მისთვის ცნობილი იყო.

17004. რამდენ საიდუმლოს ინახავს სარეცლის ზეწარი, რამდენ საქალწულე აპკის საიდუმლო სერობას დასწრებია და რამდენი ოჯახის შემქმნელი წყვილისთვის და ტრადიციებზე აღზრდილ მამაკაცებისთვის გადაუკეტავს კარი.

17005. განსაკუთრებით ჯეელობაში, კვირაში თუ არა, თვეში ერთხელ მაინც ქალი უნდა გააკვირვო, განაცვიფრო და შენი გულისხმევით უნდა ასარგებლო, წინააღმდეგ შემთხვევაში, შენდამი ინტერესს დაკარგავს და წყვილის დაცალკევების მიზეზიც ესაა.

17006. ზოგჯერ სიკვდილი ხსნის იმ პრობლემებს, რომლებიც დღეს გადაუჭრელი გვეჩვენება ვიღაც-ვიღაცეების სიჯიუტის და ვირეშმაკობის გამო.

17007. ადამიანს ზოგჯერ ცხოვრება მუხთლობს და ყოფიერების ქაოსში ძრომიალს სწავლობს, რაც საბოლოოდ მასაც ადგება და თუ შეამჩნიეს, ქვეყნის აღმშენებელობასაც.

17008. დღევანდელი კვერცხი ხვალინდელ ქათამს ვერ ჯობნის, რადგან სტაბილურად კვერცხის ქონა ოცნების გაფრენას ხელს უშლის და ცხოვრებაც ეშხს კარგავს.

17009. დედაქალაქში ცხოვრება დიდი ლატარეაა, მაგრამ კარიერისკენ მომავალ გზაზე ბილეთს, რატომღაც, სოფლიდან ჩამოსულები იგებენ.

17010. უმკერდო ქალი – ბინაში სან-ტექნიკის უქონლობას მოგავგონებს, უტრაკო – ავეჯისას, ულამაზო – უსინათლობას, უღიმილობა – გათბობის სისტემის ავარიას, ხოლო კოსმეტიკის უქონლობა – ბინის გაქურდვის ტოლფასია.

17011. კარიერა, გასამრჯელო და შიში ყველას და ყოველივეს თავის სასარგებლოდ განაწყობს.

17012. დედის დარიგებები და მამის ჭკუის სწავლება ყველგან თან დაგვყება და სიამოვნებით, სიამაყით, ასაკში ვიხსენებთ.

17013. მოხერხებული კაცის კრედო ვაჭრობაა – ქვეყანა არეულია თუ დაშოშმინებული.

17014. ზოგჯერ გადაჭარბებული ცოდნა, ცხოვრების არარაობის ანალიზი და ყოფიერების დაუნდობელი გაკვეთილები, ხელის განძრევის ხალისს გვიკარგავს.

17015. საიდუმლოს და დაფარულს სხვადასხვა დატვირთვა აქვს, მაგრამ მშობელი ერთი ჰყავთ და საქმეშიც ტყუპისცალივით არიან.

17016. დამნაშავეთა სამყაროს რომ ეფექტურად ებრძოლო, თავად უნდა იკისრო მათი წინამძღოლობა. ამის შემდგომ შეიძლება ზოგის შენს ჭკუაზე მოთარგმნა, ხოლო დაუმორჩილებლების თანდათან განადგურება.

17017. თუ ინტერესი არსებობს, მოგებაც უნდა მოიტანოს, განსაკუთრებით მათთვის, ვინც ამ ინტერესით დაავადდა.

17018. თუ სხვა მძორად არ აქციე, თავად გაქცევს ლეშად, მაგრამ გონიერება ამ გარდაუვალ დაპირისპირებაში კომპრომისს ეძებს, რათა გვამების ოდენობა არ გაიზარდოს.

17019. ასაკი განწირულია შვილებთან განცალკევებით იცხოვროს და არა – დაშორებით.

17020. თუ ფიქრობ, რომ ვიღაცის მიმართ ყველაფერი იცი, მასში ყოველთვის იქნება რაღაც, რომელიც არც იცით და გაგაკვირვებთ.

17021. ,,დღეს ნიკა ნასვამი იყო" ან ,,დღეს ნიკა ფხიზელი იყო" დატვირთვა ერთი აქვს, შინაარსის სხვაობის მიუხედავად, რადგან ნიკას ავტორიტეტი ბეწვზე ჰკიდია.

17022. მოხერხებულობის გარეშე გრძნობების თამაშის შერწყმა ვნებასთან და გამორჩენასთან ერთეულთა ხვედრია.

17023. სტატისტიკის ცუდი თვისებაა, რომ მისთვის ადამიანის სიცოცხლეს ფასი არ აქვს.

17024. არითმეტიკა ციფრებთან ჭუკ-ჭუკია, ალგებრა ასოების ჩახუტების მცდელობაა, ხოლო გეომეტრია კუთხეების ზომის დადგენას რომ ცდილობს, ამით თავსაც ირთობს და სხვასაც ართობს.

17025. თავში რამდენი წიგნიც და დისკეტიც უნდა ჩავყაროთ, არაფერი გამოვა, თუ მასში სათანადო ჭკუა არ დევს და ცოდნის გამოყენების უნარი არა აქვს.

17026. მოვალეობის გრძნობა და ქვეყნისადმი სიყვარული ადამიანს მაშინ ემატება, თუ ის კარიერის კიბეზე თანდათანობით ადის სათანადო ანაზღაურებით, მაგრამ საკმარისია მის წარმატებას ვინმე დაემუქროს, რომ რაღაცის იმედით შექმნილ გარემოს უბრძოლველად ნებდება, იმის მაგიერ, რომ ბრჭყალები გამოაჩინოს და კბილებით დაიცვას თავის ნაღვაწი, მაგრამ ეტყობა, ხელმოსაკიდი ცოდვები აქვს დაგროვილი.

17027. ეშმაკი არც ისე შორსაა ჩვენგან, რადგან ჩვენდაუნებურად მის სამოსში გამოწყობილნი ხშირად თავსაც და სხვასაც თავად ვევლინებით.

17028. წაგლეჯვაც თავისებური შანსია და ღმერთმა ქნას, მან ეს ქვა თავის სასარგებლოდ ააგოროს და წამბაძველი არ გამოუჩნდეს.

17029. ასაკის გამოცვლა, ინტერესებისაგან განსხვავებით, შეუძლებელია, მაგრამ მისი შეცნობა გვახარებს, ნამოღვაწარით წარმოგვაჩენს.

17030. ურთიერთობის დამყარება თავისებური სამუშაოა, რომლისთვისაც ხელის განძრევა ბევრს ეზარება.

17031. მზაკვრული გეგმები იმით არის კარგი, რომ მათ საიდუმლოდ ინახავ და სიურპრიზის მოსაწყობად მუდამ მზად ხარ.

17032. არის მომგებიანი თეორია, რომლის გამოყენება პრაქტიკაში არ შეიძლება, რადგან ეს მოგება დროს ყივილისთვის ზარალის მომტანია – გადაგვარდება. მაგ. კანიბალიზმის აღდგენა.

17033. ამბორს თავისი ღირსება აქვს, კოცნას თავისი ფასი ადევს, ხოლო შემყურე მოლოდინი თავისი ვნებით იკვებება.

17034. როდესაც პაციენტს პირი ოქროს კბილებით აქვს გამოტენილი, ხოლო ზოგში ბრილიანტიცაა ჩასმული, დანტისტს ისღა დარჩენია, პაციენტს სიგნალიზაცია ჩაუმატოს, მის უსაფრთხოებაზე იფიქროს და არა – კბილების მკურნალობაზე.

17035. ტყუილის საოცრება ის არის, რომ უპირველესად მატყუარას ვნებს, რადგან მშვიდი ცხოვრება დაკარგული აქვს.

17036. კრიტიკის მიმართ ცუდად არ უნდა განვეწყოთ, რადგან რაღაც სიმართლეს მიგვანიშნებს. ამასთან არ უნდა დავივიწყოთ, რომ მასაც ოჯახი ჰყავს და პური უნდა აჭამოს.

17037. სტატისტიკასაც თავისი ნაკლი აქვს, რადგან ყოველივეს ბითუმად ანგარიშობს ერთ სულ მოსახლეზე გადაყვანით და არა – საცალო სიმდიდრით და ბრწყინვალებით.

17038. შეცდომის აღიარება, განსჯა, რეციდივის გარეშე ჭკუის მოხმობის საწყისია, იმასთან შედარებით, რაც გვქონდა.

17039. მოდა, აგიტაცია, ნაციონალიზმი, ის ცხრათავა დევია, რომელიც გონებას ისე გადაგვიტრიალებს, რომ მისი არსი, მიზანი, არც გვაინტერესებს და არც გვესმის.

17040. ზოგჯერ გონიერებაა, აღუთქვა და არაფერი აკეთო, თუ გრძნობ, რომ პარტნიორი ბოლომდე სანდო არ არის.

17041. საკუთარი თავის ღალატი იმის მაჩვენებელია, რომ სხვასაც გასწირავ და არ დაინდობ.

17042. სიბერე ამქვეყნად ყოფნის ფინალია, თავის მობეზრებით, გულგრილობით, უმწეობით და იმის შეგნებით, რომ შეგეძლო ცხოვრება უკეთ მოგეწყო, რომ ის ,,შანსი'' გამოგეყენებინა.

17043. ქურდობა ისეთ მძიმე ხელობად უნდა ვაქციოთ, რომ შრომად ჩავუთვალოთ და პენსიაც დავუნიშნოთ, თუ ნაქურდალს მთლიანად გადავახდევინებთ და ბიუჯეტის შევსებას დავაკისრებთ.

17044. მოწყენილობაა ძნელად ასატანი და არა – გარდაცვალება, სიმშვიდე და მოსვენება.

17045. არავის არ უნდა ენდო, მაგრამ საქმეში ისე უნდა ჩართო, რომ იძულებული გახადო გიერთგულოს.

17046. ყველაფრით შეიძლება იამაყო, განსაკუთრებით იმითაც, რაც არ გაგაჩნია.

17047. სიცრუესა და გამონაგონს შორის ის სხვაობაა, რომ პირველს შიში, შენი ბუნება ქმნის, მეორეს – ნიჭი, უსაქმურობა.

17048. ზოგს იმიტომ მოსწონს მობილური ტელეფონით საუბარი, რომ ერთმანეთის დაპატიჟება არ უნდათ, ვითომ სახლიდან არ ლაპარაკობენ.

17049. გონიერებას სიმდიდრე იმით სჯობს, რომ პირველს გამგებდამფასებელი სჭირდება, ხოლო მეორე თავის თავადვე იფასებს ყოველგვარი გაგების გარეშე.

17050. ქვეყანაში, სადაც მუშტის და ფულის სამართალი ბატონობს, დღე-გამოშვებით ,,დღის დაბნელება'' მოხდება.

17051. ,,უდანაშაულობის პრეზუმპცია'' იმის გარკვევაა, ვინ გასცა, მოატყუა, უღალატა – ალბათ იმან, ვისაც უიმედოდ უყვარდა და ყველაზე მეტად ენდობოდა, ეტრფოდა.

17052. ზოგჯერ დგება ისეთი მძიმე დრო, რომლისგანაც არა მარტო უნდა ,,გამოვძვრეთ'', არამედ უკანმოუხედავად უნდა გავიქცეთ, რათა სულს, შეგნებას, გამოუსწორებელი ზიანი არ მივაყენოთ.

17053. მართალია, ქუდი თავის დეფორმირებას არ იწვევს, მაგრამ შიგთავსისთვის ზომიერი ტემპერატურის დაცვა მის კეთილგანწყობას განაპირობებს.

17054. სახელმწიფო ქონების ქურდობა მაშინ არის პოპულარული, თუ მასზე თვალი ხელისუფლებას უჭირავს და კანონს ალიბის შეთხზვის მოშველიებით ზოგიერთის დასჯის უფლებას არ აძლევს.

17055. მხოლოდ იდიოტები იტანჯებიან თავისი რწმენის და სიჯიუტის გამო და ამით ვის რას უმტკიცებენ, მათთვისაც გაუგებარია.

17056. არ შეიძლება თავი მოატყუო, წაუმლიქვნელო, არარსებული შესაძლებლობებით იკაიფო, თუმცა ზოგჯერ ეს სასიამოვნოა.

17057. ზოგჯერ გვიჩნდება სურვილი, შევავსოთ საკუთარი თავგადასავლების ისტორია იმ ერთჯერადი ქმედებით, რომელიც ტირაჟირებას არ ექვემდებარება და საზოგადოებრივი აზრისთვის მიუღებელია. მაგ., ლილიპუტი ან მომხიბვლელი ასაკოვანი ქალის დაჭაშნიკება, ან უგონოდ გამოთრობა.

17058. როდესაც გარკვეულ არაპრესტიჟულ საქმიანობას ემიგრანტებს გადააბარებ, ხოლო ქვეყნის მოქალაქენი ფუფუნების და წამხედურობის გავლენის ქვეშ ექცევიან, იწყება ამ ქვეყნის ჩუმი ოკუპაცია, რაშიც ბრალს ვერავის წაუყენებ.

17059. სანამ არის მოთხოვნები, მანამ იქნება დანაშაულის ჩადენის შანსი.

17060. ყველა „იზმი“ და წყობა მოსაწონია, რომლებიც ხალხს შესაძლებლობების მიხედვით დაასაქმებენ და გარყვნილებამდე მისული ფუფუნებით არ აცხოვრებენ.

17061. კოლექტიური შეცდომა იმდენად გულს არ გვატკივებს, რამდენადაც პირადად ჩადენილი.

17062. თავზეხელაღებულობა ოცნების გაწბილების, ყოფის ალიყურის და სიფარულის ზურგის შექცევის მიზეზია.

17063. თეორიულად განათლება წესიერების სინონიმია, მაგრამ პრაქტიკულად მის მიერ ჩადენილი დანაშაული ძნელადაც იხსნება და იშვიათად ისჯება.

17064. წარსულის მომავალზე დასაწევად „ცხრაპირი ტყავის“ გაძრობაც არ შველის, რადგან ჯერ აწმყოს უნდა დაეწიო.

17065. კადნიერება ნაკლი არ არის, თუ მიზანს აღწევს.

17066. მრჩეველი საქმის ავ-კარგზე პასუხს არ აგებს, რადგან ეს მომსახურებაა და არა – თანამდებობა.

17067. წესრიგის თავის ჭკუაზე დამყარების მოფარული ყოველთვის მოინახება, თუ მის ცდუნებას ლაგამი არ ამოვდეთ.

17068. თუ საკუთარი თავის შეფასება გინდა, დილით სარკეში უნდა ჩაიხედო დედიშობილამ და ფასი უნდა დაადო შენს ორეულს.

17069. რატომღაც კეთილი და სამართლიანი ყველას სახელმწიფოს ხარჯზე გვინდა ვიყოთ, ხოლო თავად ამისათვის ყბედობის, თავის მოყვასად წარმოდგენის გარდა არაფერს ვაკეთებთ და თავსაც არაფერს ვაკლებთ.

17070. გაყოფის დროს არსებობს ალტერნატივა: ძალაუფლება თუ მუდმივი შემოსავალი, ფული? გამოცდილი ადამიანი ამ უკანასკნელს ირჩევს, რადგან პირველის დაკარგვა გაცილებით ადვილია, ვიდრე – მეორის.

17071. დამარცხებაც და გამარჯვებაც ლამაზად, მოხდენილად უნდა შევძლოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ფსიქიკა და შინაგანი იმიჯი დაგვიზიანდება და დაქვეითდება.

17072. უფროსსა და მის მოადგილეს შორის იმიტომაც არის ანტაგონისტური დამოკიდებულება, რომ ჭკვიანს დანიშნავ – ადგილში შეგეცილება, ბრიფს დააწინაურებ და უფროსობას დაგაკარგვინებს.

17073. წესიერი კაცი გადასახადს სიკვდილის შემდეგაც იხდის.

17074. დუმილის უნარიც თანდაყოლილი ნიჭია, მაგრამ მის შეძენას მაინც ფათერაკების გადახდა სჭირდება, ყოფის ალიყურების ლაწუნით.

17075. სიმსუქნე უსაქმურობის, უნებისყოფობის, ცუდი აღზრდის შედეგია და არა მარტო ჭამის და გართობის.

17076. ინტრიგანი, მისდაუნებლიედ სამარეს ითხრის, რადგან ჰგონია, რომ ამ სიცარიელეს თავის სასარგებლო საძირკვლის ჩასასხმელად გამოიყენებს.

17077. ზოგჯერ საბოდიშოს უბოდიშოდ დატოვება სჯობს.

17078. ერთფეროვნებაა ძნელი ასატანი და სიცოცხლის დამამუხრუჭებელი და არა – ჭრელი ცხოვრება, ლაღი „ბაზრით“.

17079. ყველა პოტენციური მკვლელია, ვინც მოყვასს პატიოსნად არ ექცევა.

17080. გასულელება ხანდახან ჭკვიანსაც უხდება და ზოგჯერ ბრბოსაც აღაფრთოვანებს.

17081. ცოდნა–უცოდინარობის გამომჟღავნების ხარისხი უფრო შემთხვევაზეა დამოკიდებული, ვიდრე შენს მონდომება–ნებაზე.

17082. ზოგჯერ სურვილიც დანაშაულია, მაგრამ ცდუნებას ეს ფეხებზე ჰკიდია.

17083. გამარჯვებული, მათ შორის, ბრიფიც, სიმპათიებს იმსახურებს, იმდენად კაშკაშაა წარმატების „ფეიერვერკი“.

17084. სასიძო ღარიბი და პატიოსანი თუ მდიდარი და უპატიოსნო, არჩევანს ქალიშვილი აკეთებს და არა სასიმამრო და აქ ღირებულებათა ფილოსოფია უძლურია.

17085. ძლიერთ რაც სურთ, მას ისურვებენ და ისრულებენ.

17086. მსხვერპლს ყოველთვის უგნურება ითხოვს, გონიერება თვალებს ხუჭავს.

17087. ჩხუბსა და ცემა-ტყეპას შორის ის სხვაობაა, რომ პირველი აუცილებლობით არის გამოწვეული, მეორე გაუგებრობით.

17088. კიდევ კარგი ბუნებაში ტვინის მოცულობა პირდაპირპროპორციული არ არის სხეულის მოცულობის, თორემ მაშინ რა ეშველებოდა ადამიანის მოხერხებულობას სპილოსთან და ვეშაპთან შედარებით.

17089. ზოგისთვის სიცოცხლე ჯილდოა, ცხოვრება – სასჯელი, იმდენად უხიაგი ხასიათი აქვს.

17090. სახელმწიფო ქონებაში ხელების ფათურს და თითის გალოკვას განსაკუთრებული ნიჭის მოხელე ქურდი სჭირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში ფელაფერი თავდაყირა დადგება.

17091. მიუხედავად მონანიებაზე ფიქრისა, ახალი ცოდვების ჩადენის სურვილი თავს არ გვანებებს.

17092. ოპონენტი ის ერთად-ერთი ,,განტევების ვაცია'', რომელმაც ნაშრომი ბოლომდე უნდა წაიკითხოს, რადგან უნდა შეაფასოს, საბუთი უნდა შექმნას.

17093. გამსკდარი ბრმა-ნაწლავისა და მოძალადე ახლობლებისაგან თავის დაღწევა შესაძლებელია, თუ მათ ამოვკვეთავთ სხეულიდან და ურთიერთობიდან.

17094. სტატისტიკა ყოველთვისს ციფრებით ჟონგლიორობს ვიღაცის ან რაღაცის დასამტკიცებლად და ზოგიერთების საამებლად.

17095. ჭორაობა გულის მოფხანაა და თავის წარმოჩენაა, რადგან ჯერ-ჯერობით თქვენ ფლობთ იმ საიდუმლოს, რომელიც სხვისთვის უცნობია.

17096. მოთმინება, ამტანობა, შემწყნარებლობა, მხდალობათ არ ითვლება, მაგრამ არც პასუხის გაუცემლობაა დიდი ვაჟკაცობა.

17097. გადამეტებული მოთმინების განტოლებაა: მრისხანება გამრავლებული აფექტზე.

17098. ,,აცვენილი'' ხალხი იყოფა ხუთ კატეგორიად: ვინც ციხეში ზის, ვინც დასაჭერია, ვინც გამოვიდა, ვინც რეციდივისტია და ვინც მათ ყარაულობს.

17099. ადამიანის დღეგრძელობა სახელმწიფოს ეკონომიკისთვის, იმიჯისგან განსხვავებით წამგებიანია, რადგან შრომის უნარი დაქვეითებულია, პენსია გასაცემია.

17100. ამაყ, ძლიერს, განათლებულს, აღზრდა აიძულებს რიგს დაელოდოს, ხოლო უტიფარი, თავხედი, გაუზრდელი, ყოველთვის ურიგოდ მიძვრება. და ეს აღუზრდელი ხშირად ცხოვრების შედეგითაც გვჯობნის.

17101. კარიერის ასარბენი კიბე ღალატით და ორპირობით ირეცხება, სუფთავდება.

17102. ქრთამის გაღებაც ხელოვნებაა, რათა მექრთამე გამომძალველი კი არა, უპირველესად, შენი ქომაგი და მხარდამჭერი იყოს.

17103. კარიერისკენ მიმავალი გზები გრძელი, უღიმღამო, გახლაფორთებულია წესიერი ადამიანისთვის და არა – გაიძვერებისთვის.

17104. სიმართლის, რწმენის, კაცობის დაჯერება ბოლომდის ვერ ხერხდება, მიუხედავად დიდი სურვილისა და მომხიბვლელობისა და აქაც სიზარმაცე და შემართების უქონლობა გვიშლის ხელს.

17105. დღეს იმდენ ზარალს ვაფენებთ სამყაროს ამდენი გამონაბოლქვით, რომ ხვალ მოპარული ჟანგბადით ვცხოვრებთ.

17106. ეგოცენტრიზმი – შეიძლება ბიოლოგიური მშობელი იყოს, მაგარმ არა – სულიერი, რადგან სიამოვნების ინსტინქტების, ადაპტორების, მქონე ადამიანი პირად გამორჩენა – კარიერას გარეშეთა აღზრდა-ჯანმრთელობაზე წინ აყენებს.

17107. რა ჯობს: მთავრობის მაღალი ჯილდოს ჩუმად აღნიშვნა თუ სახალხოდ, ალბათ პირველი, რადგან აქ შინაგანი სიამაყეც ემატება. შენ იმდენად გაფასებენ როგორც „სპეცს“, რომ ამის გაგების უფლება გარეშე ხალხს არ აქვს.

17108. ზოგისთვის მთელი ცხოვრება პირველი აპრილია, რითაც ძალზე კმაყოფილია, რადგან ჰგონია, რომ სხვა ყოველთვის გატუტუცებული დარჩება და თავად მუდამ ამ ეიფორიით იცხოვრებს.

17109. საბჭოთა კავშირში არ იგეგმებოდა მხოლოდ შობადობა, რადგან ამ საქმის წარმოების საშუალებები კერძო პირთა ხელში იყო.

17110. ცოდვილნი ყველანი ვართ, რადგან თუ ცოდვა არ ჩაგვიდენია, სურვილი მაინც გვქონია.

17111. ყველას თავის გასამართლებელი „ბაითი“ აქვს და საოცარი ის არის, რომ მხოლოდ მისთვის გასაგებ ალიბთა სიმრავლით თავი მართალი ჰგონია.

17112. ცხოვრება სად, როდის, როგორ გაგვილაწუნებს ალიყურს, არავინ უწყის და ამიტომ მის მისაღებად ყოველთვის მზად უნდა ვიყოთ.

17113. მოტივის ფენომენი არ წესრიგდება, ის აღზრდის, გონების, გაუმართლებელი ამბიციების საწყისია ჩვენი გადასახედიდან.

17114. ზოგს საზოგადოებასთან შესახვედრი პირი არ აქვს, მაგრამ მის ლანძღვა-გინებას მაინც არ იშლის.

17115. ხშირად შეიძლება შტერი უწოდო თავს იმიტომ, რომ სიმართლეს ღაღადება და სამშობლო განუსჯელად გიფარდეს, მაშინ როდესაც ბრბოს და ხელისუფლებას გარკვეულ პერსპექტივის მიგდებამდე სამშობლოც და ხალხიც ფეხებზე ჰკიდია.

17116. უნივერსალური კანონი არც ბიზნესში არსებობს და არც პოლიტიკაში, თუ მას მხარი არ დაუჭირა შემართებამ, ნიჭმა და ყოვლისშემძლე შემთხვევამ, თორემ ვინ იცის, პეტრე ბაგრატიონი და იოსებ სტალინი რუსეთის სამსახურში რომ არ გადახვეწილიყვნენ, შინ რა პოლიტიკურ დივიდენდებს მოიხვეჭდნენ ანდა ბენდუქიძე და ივანიშვილი რა ფულს იშოვიდნენ სამშობლოში.

17117. კანონის და ხელოვნების სიბრიყვესა და უსახურობას შორის ის სხვაობაა, რომ პირველი ვერ მუშაობს, ხოლო მეორე წარმატებასაც აღწევს და ხშირად ფურორსაც იწვევს მიუხედავად იმისა, რომ მათთან ურთიერთობით სარგებლობენ ვიგინდარა ბუნების და შემთხვევითი ადამიანები.

17118. შანსი ყოველთვის რჩება, თუ მას ბედის ანაბრად არ მივადგებით და ზედ გულგრილობას არ მივაყოლებთ.

17119. ცარიელ თავში სივრცე ბევრია გონებისთვის, მაგრამ უტვინო თავი მის არც მიღებას ცდილობს და არც დაჭაშნიკებას.

17120. სტიქია ყოველთვის დაუნდობელი იყო ადამიანის მიმართ, შეიძლება იმ თავხედობისათვის, რასაც ის ბუნების მიმართ სჩადის, მაგრამ არის მეორე გარემოებაც – „თუ გაგვაჩნია, კიდევ გვარჩინოს“.

17121. საიდუმლოს არ ამხელენ, მას ყიდიან.

17122. მოხერხებულობის ხარჯზე საკუთარი სულის ჩაკოკლოზინებას წინ არ უნდა აღუდგე.

17123. როგორც ირკვევა, ჯერ-ჯერობით, არც ქვეყანა ვართ, არც სახელმწიფო და არც იმპერია.

17124. პენსია და შემწეობა სხვადასხვა რამაა და ამ ტერმინის აღრევა სახელმწიფომ არ უნდა იკადროს, რადგან პირველი საცხოვრებელ მინიმუმზე ქვევით არ შეიძლება გაიცეს, ხოლო მეორე ქვეყნის ბიუჯეტის უმწეობაზე, „კრახაბორობაზედ“, მიბმული.

17125. იუბილეზე თუ დაზღვევის უწყების თანამშრომელები საჩუქარს არ გჩუქნიან და თავად თქვენგან არაფერს ითხოვენ, ესეც დიდი საჩუქარია მათი მხრიდან.

17126. რაც ადვილად მოდის, არავის აინტერესებს და არც აფასებს, მაგრამ იმას კი ვერ ხვდებიან, რომ ცოტაოდენი დაყოვნება ან

უდროოდ მოვლენა ამქვეყნად დღევანდელობის აღდგენას ვერავითარ მცდელობა და შემთხვევა ვერ უშველიდა.

17127. გონებას თავისი ჭკუის საკადრისი ფენები აქვს: უნიათობა – გონიერების, სიზარმაცე – აქტიურობის, სიფარული – სიძულვილის და ასე შემდეგ, მაგრამ ფულის და სახსარის შოვნისათვის რომელი ფენა გამოადგება, არავინ უწყის.

17128. მლიქვნელობას და ქლესაობას შორის ის სხვაობაა, რომ პირველს დიდი მიზნები ამოძრავებს, ხოლო მეორე იმითაც კმაყოფილია, რომ სხვას ასიამოვნა.

17129. საფულეს, კარიერას ყველა ცდილობს მისწვდეს, მაგრამ რა ენერგიასა და მცდელობის ხარჯზე, მათთვის დაუდგენელია.

17130. ამბობენ, რაც გიწერია, იმას ვერ აცდები, მაგრამ ეს მთლად ასე არ არის: ბედს არ უნდა გაექაჩო, დროს უნდა მოერგო, გულთან ახლოს არაფერი არ უნდა მიიტანო. ამასობაში განგებასაც გადაავიწყდები, ყოფაც თავის კალაპოტში ჩადგება და ყოველივე თავის გზით გაედინება.

17131. ხანდახან ჩვენი მტრების სადღეგრძელოც უნდა შეესვათ, რადგან ისეთები როგორიცა ვართ, ნაწილობრივ მათი დამსახურებაცაა.

17132. პატივი უნდა ვცეთ სხვის შრომას, მცდელობას, ღირსებას, ქონებას, მხოლოდ ამის შემდგომ შეიძლება ფიქრი: იქნებ აქედან რაიმე ხეირი ნახო.

17133. ცხოვრებაში არ უნდა იძრომიალო, მასში უბრალოდ, მშვიდად, უნდა სუფევდე.

17134. აფერისტმა გარკვეული წესი უნდა დაიცვას, უქონელს და უმწეოს ახლო არ უნდა გაეკაროს, წინააღმდეგ შემთხვევაში, პროფესიის ღალატია. მისი მთავარი იარაღია ენერგიის გამოსხივებით მანიპულირება, მჭერმეტყველება, მსხვერპლის დამუნათება სხვადასხვა კომბინაციების ქონა და არა უსახსროთა „გადაგდება“.

17135. პოპულარობა ჩაგითრევს, შეგიწოვს და იმ გზას გაჩვენებს, საიდანაც უკან აღარ ბრუნდებიან.

17136. სასწაულის მაშინ უნდა ვიწამოთ, თუ ვიცით, რომ მონდომების შემთხვევაში აუცილებლად აგვიხდება და ცხოვრებას სხვა მხრიდან დავინახავთ.

17137. ძალად პატიოსანია ის ხალხი, ვინც თავად დანაშაულს არ ჩადის, მაგრამ შედეგით სიამოვნებით სარგებლობს. მაგ., ყასაბი სიცოცხლეს ასალმებს ცხოველს, რასაც გულჩვილი ადამიანები გმობენ, მაგრამ ხორცს სიამოვნებით მიირთმევენ.

17138. ტკბობასაც თაცისი პარამეტრები აქვს, თუ ჩვენ მისი დაწა-ფების და გათავისების უნარი გვაქვს.

17139. რაიმე სერიოზულის მისაღწევად უამრავი შრომა, შემართე-ბა და რამდენი ,,კილოგრამო'' არანორმატიული ლექსიკის გამოყენებაა საჭირო ვინ უწყის, მაგრამ ეს უკანასკნელი დაძაბულობის მოხსნის უებარი საშუალებაა და მის გამოყენებაზე დღემდე ხელი არ აგვიღია.

17140. ძილისა და ოცნების უნარი ყველაზე დიდი სიმდიოდრე და სიამოვნებაა ამქვეყნად.

17141. თუ ყველას დავუჯერებთ, სიბრიყე ან ჯანმრთელობას დაგ-ვიზიანებს ან – ჯიბეს.

17142. ადამიანის კაცთმოყვარეობა ნულზე დადის თუ მის სიცოცხ-ლეს მცირეოდენი საფრთხე დაემუქრება ამის მაგალითია ფრინველის გრიპი. იმის ნაცვლად, რომ ჯანმრთელი ფრინველი დაეკლათ და გაე-ყინათ, ხოლო დაავადებული მაღალ ტემპერატურაზე გადაემუშავებინათ და ცხოველების საკვებად გამოეყენებინათ, ფრინველი განურჩევლად გაანადგურეს, დამარხეს, შხამ-ქიმიკატებით მოწამლეს და გრიპის ბაცი-ლას ინკუბაციის საშუალება დაუტოვეს.

17143. მიმბაძველთა რაოდენობის მიუხედავად, მიბაძვა არა მარტო ძნელია, არამედ ზოგჯერ შეუძლებელიც.

17144. ტყუილი, აფიორა, რაც უფრო მოხერხებულია, მით მეტ სამარცხვინო პატივს და აღფრთოვანებას იმსახურებს ირონიული ღი-მილით, რაც ამ საქმის ვიგინდარებს კვალიფიკაციის ამაღლების სურ-ვილს აღუძრავს და ამ უგვანობას პროფესიად აქცევს.

17145. ხელგაშლილობასა და ქველმოქმედებას შორის ის სხვაობაა, რომ პირველი თავს იწონებს, ამაყობს, ხოლო მეორე ცდილობს მოი-წონონ და დააფასონ.

17146. უგვანო და უფულო კაცს არც განგება სწყალობს და არც კეთილისმდომნი იწუხებენ თავს.

17147. ფაქტიურად, ვინც რას უნდა ქადაგებდეს, ყველა აღლეტვა-წაღლეტვაზეა, თუ რამე მოახერხა. მითვისების ხერხის მნიშვნელობა არა აქვს.

17148. ორგულობასა და ორგულს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი დასანახად არ გინდა, ხოლო მეორე გასახსენებლად.

17149. ადამიანის შესაცნობად უმთავრესია დადგინდეს, სახე აქვს თუ სიფათი.

17150. გულის აჩუყება საზოგადოებას ,,აბამს'' და არა – საქმეს.

17151. თუ დარგს თავის წარმოჩენა და ფულის კეთება მოუნდა, ძველებურ ქათმის ჭირს ქათამის გრიპად მონათლავს.

17152. დაკვანტვა ხარისხში ყველა „კვანტური“ მდგომარეობიდან გამოგიყვანს და უნიკალურ შანსს შემოგთავაზებს.

17153. გველკაცსა და გველქალს შორის ის მსგავსებაა, რომ ორივე იკბინება, მაგრამ მათი მოხერხებულობა და ეშმაკობა სადაოა.

17154. ძახილის და კითხვის ნიშნის ამოტრიალება ზოგჯერ შინაარსის ამოტრიალების ტოლფასია, რადგან გაუგებრობა აშკარად სახეზეა.

17155. ცეცხლის გამოგონება კუჭის დამსახურებაა და არა – სიცივის, ანდა – სინათლის მოპოვების სურვილის.

17156. ჭრიჭინასა და ჭიანჭველას შორის ის მსგავსებაა, რომ ერთი უზომოდ ჭრიჭინებს, მეორე უზომოდ შრომობს, მაგრამ სიცოცხლე რომ ერთია და მასში ინსტინქტების გარდა სხვა არაფერია, ამის შეცნობა არც ერთს არ სჭირდება.

17157. ისევ კეთილი, ხალისიანი, ტყუილი სჯობს უჯიათ და მოღუშულ სინამდვილეს – დროებით მაინც კოშკებს ააგებ, ისიამოვნებ.

17158. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ვაჭრობა, ცოდნისაგან განსხვავებით, ყოველთვის მომგებიან გარემოშია.

17159. აღსარებას და გულის გახსნას, ყველა არ იმსახურებს და არცაა საჭირო, რადგან იმქვეყნად რაღაც საიდუმლო მაინც ხომ უნდა წაიღო.

17160. ქორფა ბალახი ყველას მოსწონს, ნაკოხნარისაგან განსხვავებით, მაგრამ რძის ნაწარმი მის გარეშე არ გამოდის.

17161. შარის აკიდება ადვილია, მისგან თავის დაღწევა და არშეხვედრაა ძნელი.

17162. პატივმოყვარეობასა და პატივსცემას შორის ის მსგავსებაა, რომ მათ გამოყენებაზე თავს არავინ იკლავს.

17163. „თერგდალეულებს“ და „მტკვარდალეულებს“ შორის ის სხვაობა იყო, რომ პირველნი ევროპისკენ, რუსეთისკენ იკვლევდნენ გზას, მეორენი ირანისკენ, აზიისკენ.

17164. პირფერობა, ფარისევლობა, მლიქვნელობა, თავისებური ფანდია, რომლის გაშიფვრას ზემდგომი არასოდეს არ ცდილობს.

17165. ნაძირალას გაპილპილება ისევ ნაძირალას შეუძლია, თუკი მან თავი კაცობაზე, პატიოსნებაზე, სამართლიანობაზე დადო.

17166. კლასიფიკაცია ამ ბოლო დროს „კაცთფიკაციასაც“ განსჯადახარისხებით ითხოვს, ისე მომრავლდა ამ ბოლო დროს ეს გაუგებარი გუნების და ჯიშის ხალხი.

17167. ცუდის კეთებასაც მოხერხებულობა სჭირდება, რათა შენს შთამომავალს კბილი არ მოჰკვეთოს.

17168. მეფისტოფელის აჩრდილი ყველგან და ყოველთვის თან გვახლავს, გვინდა თუ არა.

17169. ზოგმა შეიძლება ისე გიერთგულოს ან გიღალატოს, ვერც გაოცებას ასწრებ, ვერც მიზეზის ახსნას და ვერც თავის ფხანას.

17170. არმად ბევრი რაღაცის შერგება და შეხახვისთავება შეიძლება, თუკი დაუსჯელნი და შეუმჩნეველები დარჩებიან.

17171. ეკალი თავად ამოდის და თავადვე დაგვსჯის უყურადღებობისთვის, თუ ამის საბაბი მიეცა.

17172. სიმძაფრის შეგრძნება განზრახ არგაკეთებულით ტკბობაშიცაა.

17173. ფარისევლობა განსჯას იმსახურებს, მაგრამ მის გასაკიცხად „ვერ იცლიან“.

17174. უნდობლობის გასულელებას ყელა ცდილობს, ალბათ აზარტის და თავის გამოცდის გამო.

17175. გაკვირვებას ცვლის ცნობისმოყვარეობა, ცნობისმოყვარეობას ჭეშმარიტების დადგენა, ჭეშმარიტების დადგენას – უცოდინარობა, უცოდინარობას – გაკვირვება და ყელაფერი თავიდან იწყება.

17176. კაზინოში ის უნდა შევიდეს, ვინც გართობის ფასი იცის, ვისაც ადგომა დროულად შეუძლია და გონიერების საზღვრების დაცვის უნარი შესწევს.

17177. აბრაგსა და ყაჩაღს შორის ის მცირე სხვაობაა, რომ პირველი, მეორისგან განსხვავებით, მხოლოდ მდიდრებს ძარცვავს, ხალხში პოპულარობით და იმედით სარგებლობს, ნააბრაგალის მცირე ნაწილს ღარიბებს უბრუნებს და ესარჩლება.

17178. ფიზიოლოგიური ლტოლვა ფიზიკურ სიმახინჯეს რეალურად ვერ აღიქვამს.

17179. სამყარო აღიარებს მარცხის და წარმატების ინტრიგის ხელოვნებას, წინაალმდეგ შემთხვევაში, ყოველივე დამყაყდებოდა.

17180. ყელა ჩარაზულ დიდ კარს, პატარა შეუმჩნეველი კარი აქვს, საჭირო მოხერხებული ხალხისთვის საძრომიალოდ.

17181. ზოგი ეშმაკის შეჩენის შემდეგ ეტანება ალკოჰოლს და ნარკოტიკს, ზოგიც ეშმაკთან ერთად.

17182. მარტოობას ხშირად ასაკის მატებაც გთხოვს, რათა შენს წარსულ ოცნებებს ახალი ოცნებებით გაესაუბრო.

17183. თავი მოაბეზრო და თავი მოგაბეზრონ, შინაურებისთვის სხვადასხვაგვარად ასოცირდება და აღიქმება.

17184. პირფერობა უფრო შედეგიანია, ვიდრე სიმართლის პირში მიხლა, მაგრამ გააჩნია ადამიანის ბუნებას და ვის რა სიამოვნებს.

17185. გულგრილ, გულცივ და ადამიანთან მექანიკურად გაიგივებულ მეგობრებს, ისევ მათი მტრად მოკიდება ჯობს, არ მოდუნდები და არ გაწბილდები მაინც.

17186. საქმის კეთების სურვილი და ტემპი არ უნდა შევანელოთ დაუფიქრებლად და ანალიზის გარეშე.

17187. კარგ და ცუდ საკეთებელში ის სხვაობაა, რომ პირველი დღესვე უნდა აკეთო, ხოლო მეორე ხვალ, რათა ფიქრისთვის, განსჯისთვის, გადაფიქრებისთვის დრო დაიტოვო.

17188. შეცდომებს ყველა ჩავდივართ, მაგრამ ნიშს რატომღაც სხვის შეცდომებს ვუგებთ.

17189. მთელი ცხოვრება ჭკუას მასწავლიან, შენი შეძლება, ცოდნა რომ მქონოდა, შენს ადგილზე ამას გავაკეთებდიო, მაგრამ თავის შეძლებით თავის ადგილზე რას გააკეთებდა, არ ამხელენ, რადგან ყველას გაშლილ და სხვის კარტებში უყურს თამაში, ნიშნისმოგებით და არამკითხე ჭკუის დარიგებით, რადგან სიამაყეს და მისი ამქვეყნად ყოფნის აუცილებლობას ვერ ელევა.

17190. ნაკლად არ უნდა ჩაითვალოს ის, რის გამოსწორებასაც არ ვაპირებთ, რადგან ის უკვე გავითავისეთ.

17191. ტყუილი და სიმართლე ზოგჯერ სინონიმებია, რადგან ერთი ოცნების ნასუფრალია, მეორე იმედის მომცემი პატიოსნება.

17192. გამოცდილი ეშმაკი, გამოუცდელ უნიათო ბუნების ადამიანს ჯობს, რადგან ეს უკანასკნელი გაცილებით მეტი ზარალის მომცემია, ვიდრე პირველი.

17193. პრაქტიკულად მდიდარი შეიძლება გონიერი არ იყოს და თეორიულად – ღარიბი სულით მდიდარი, მაგრამ როგორც კი ეს უკანასკნელი სულს მოითქვამს, მორჩილებას, მორიდებას, გვერდით მოისვრის და ჩვეულებრივი ნაძირალა თუ არა, მოკვდავი გახდება.

17194. ერთი შეიძლება ძალიან დიდი იყოს ან ძალზე პატარა, გააჩნია ნულები ერთის წინ დგანან თუ ერთის უკან.

17195. ადრე ყაჩაღ-აბრაგის ხვედრი გამცემის ხანჯალი, ბედის ტყვია და ციხის გალია იყო, დღეს ყაჩაღ-რეკეტიორის წილია: ვილები საზღვარგარეთ, ბანკში ფული და ხალხი მთავრობაში.

17196. ტვინი ზოგს სიბრიყვის გამოსაჩენად და თავის დასაყვედრებლად ყოფნის.

17197. მთავარია მხარის დაჭერა მიდრეკილებისთვის და არა აკრძალვისთვის.

17198. ჭეშმარიტ საუნჯედ შეიძლება შრომის უნარიც ჩავთვალოთ, თუ მას შემართების, ფანტაზიის და გამოცდილების შეძენის სურვილიც ახლავს.

17199. ოქროს ბრწყინვა ბევრს თვალებს უბრმავებს და მათ შორის, იმათაც, ვინც მისი ნამდვილი ფასი იცის.

17200. ზოგჯერ ქონება უფრო წამგებიანია, ვიდრე არქონა, რადგან არ იცი, შენს შემდგომ შთამომავალი მას როგორი ყისმათით გამოიყენებს, რაც სიცოცხლეში ნერვების აშლის საბაბია.

17201. შეცდომის დროულად დაშვება საჭიროცაა და აუცილებელიც, რადგან ის პროგრესისკენ გზას გვიხსნის.

17202. სჯობს ძველი მეგობარი, იმქვეყნად გყავდეს სასიამოვნოდ მოსახსენებლად, ვიდრე ამქვეყნად სათრევად და საგინებლად.

17203. ძლიერი სურვილიც თავისებური სისუსტე და წვრილგულობაა საკუთარი ნების წინაშე.

17204. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, რომ დაგიჯერონ, ზოგჯერ უნდა იცრუო კიდეც, რადგან ზოგს ტყუილი უფრო მოსწონს, რადგან მის ბუნებასთან უფრო ახლოსაა.

17205. სამწუხაროდ, ხშირად ნიჭიერი ხალხი გაიძვერათა გავლენის ქვეშ ექცევა და ეს განგების დაცინვაა თუ გამოცდა, დღემდე ვერ გავრკვეულვართ.

17206. ყველაზე კარგი ზმნაა ,,შეიძლება გამოვიდეს'' და არა – წინასწარ გათვლილ-განჭვრეტილი ,,აუცილებლად გამოვა'', რადგან ის ყოველთვის არ გამოდის და არც უეცრობა-უცაბედობა ახასიათებს.

17207. მუშაობის, საქმიანობის სურვილი თავისებური სიამოვნებაა, გართობაა და მისი მონოპოლიზაცია რობოტებს ბოლომდე არ უნდა დავუთმოთ, რათა ადამიანმა თავისი მოდგმა თავისივე ხელით არ გადააშენოს.

17208. სანახაობა ყველა თაობისთვის თავისებურად კვდება, მაგრამ თაობის კაპრიზს მოინელებს და ყველას გარდაცვალებას მოესწრება, რადგან ადამიანის ვნების უკვდავებისთვის არის მოწოდებული.

17209. მგლის გამოხშირვა თუ შეიძლება, მგლის ბუნების მქონე ხალხიც გამოსახშირია, პირველი თავის ბუნებით თავს ირჩენს, ხოლო მეორე მტაცებლის მაგვარი ხოშს ისწორებს.

17210. დასახული მიზნის მიღწევა შესაძლებელია, მაგრამ გააჩნია, თავად ცდილობ თუ სხვათა დაძალების შედეგად აპირებ.

17211. საკუთარი შეცდომების აღიარება ძვირად ფასობს, თუ მას მეტად აღარ გაიმეორებ.

17212. გუშინდელ „მაიმუნს“ სამყარო ამხელა ცნობიერებას და კულტურას გვჩუქნის და რა დამსახურებისათვის, არავინ კითხულობს.

17213. იდეოლოგია და პატრიოტიზმი ერთმანეთთან მეგობრობენ, მაგრამ სინონიმებად ერთმანეთს არ გამოადგებიან.

17214. ზოგი სამუშაოს იმიტომ ვერ იწყებს, რომ მას იცნობენ და მის მომსახურებას თავს არიდებენ, და აქაც საზოგადოებაა დამნაშავე – უნდა ვარჩინოთ.

17215. პროგრესს ძალადობა და უხეშობაც უნდა ახლდეს, რათა არ დააგვიანოს და ადგილი დროულად გამონახოს.

17216. სამწუხაროდ, ბრილიანტივით დაწახნაგებულ ხასიათს და გარეგნულ იერს არ ვფლობთ და არც ყველას მოვწონვართ, მაგრამ მცდელობა რომ შეგვამჩნიოს, ყველა ვალდებულია.

17217. თუ ქვეშევრდომი ხელფასით კმაყოფილია, ეს ნიშნავს, რომ რაღაცას ხიმანდრობს.

17218. ყოველივეს ჩადენა და კეთება შეიძლება, თუ არ იფიქრებ, ამას რა მოჰყვება.

17219. ენა გვამცნობს, ყური ისმენს, ცხვირი სუნთქავს, ტუჩები გრძნობს, გონიერება განსჯის, მაგრამ მაინც თვალების ცეცებაა უმთავრესი და პირველი.

17220. ხშირად იმას არ ვიმკით, რის დათესვასაც ვაპირებთ, რადგან გამოცდილება არ გვაქვს და გამბედაობა არ გვყოფნის.

17221. ვინც სამორინეს და საბანკო პირამიდების თამაშს ეტანება, შესანიშნავად იცის, რომ აცუცურაკებენ, მაგრამ თავისი ბედის ვარსკვლავის იმედი აქვს. წაგების შემთხვევაში სამორინეს ვერავინ ვერაფერს გადააბრალებს, ხოლო ბანკს სამარქაფოდ გაკოტრება გამონახული აქვს.

17222. სახელი შენი ქონებაა და მაშინ იმსახურებს მოწონებას, თუ ის არ დაიკარგა და რომელიმე ქუჩის საკუთრებად იქცა.

17223. საოცარიცაა და საინტერესოც, ეშმაკს რქები ვინ დაადგა?!

17224. მგრძნობიარობის გარეშე თვით ცოდვის ჩადენის გემო და ქალის ალერსიც გაუგებარია.

17225. „მამილო“ ეს მამრზე მეტია, რადგან ის შენ უფროს ძმადაც და სულიერების მთხოვნელადაც გევლინება.

17226. როცა ადამიანები სწრაფად გამონახავენ საერთო ენას, იმის მაჩვენებელია, რომ მათ საერთო მტერი გამოჩხრიკეს.

17227. მცირე სიცრუე სჯობს გარდაუვალ სკანდალს, რომელთანაც ყველა ტყუილი არარაობად იქცევა.

17228. ზოგი რომ შეამჩნიონ, უნდა მოკვდეს.

17229. წარსულის შეცდომების გამოსწორების მიზნით ყოველივეს თავიდან დაწყების სურვილი გიჩნდება, მაგრამ გავიწყდება რომ გამოსწორებულ შეცდომებს სხვა გამოსასწორებელი შეცდომები მოყვება და კვლავ ჩნდება ყველაფრის თავიდან დაწყების სურვილი.

17230. ზოგჯერ ბედის, დროს, გარემოს, მძევალი ვხდებით და მისგან თავის დახსნა შემთხვევის და შემართების შერწყმის შედეგად შეიძლება.

17231. საკითხის მცოდნე ბევრია, მიტმასნებული – უფრო მეტი, მაგრამ საქმის მკეთებელი ცოტაა და ხშირად შეუმჩნეველიც.

17232. დროდადრო ნათესაობისთვისაც საჭიროა განისაზღვროს, მათ ერთმანეთი სჭირდებათ თუ ძველ ტრადიციებს ხარკს უხდიან.

17233. მონანიება რომ არ მოეგონებინათ, საზოგადოება ოფიციალურად მგლებად და მათზე მონადირეებად დაიყოფოდა.

17234. კამათში მეგობრობა უფრო იკარგება, ვიდრე არაფრისმაქნისი ჭეშმარიტება დგინდება.

17235. ჭორი სხვების მიერ შენი ეჭვიანობის გახმოვანებაა.

17236. რწმენის უქონლობა, მიზნის არქონა, უმწეობის და უსუსურობის ტოლფასია.

17237. მეგობრობის ხანგრძლივობაც კი ხშირად შემთხვევის თავხედობაზეა დამოკიდებული და არა – ტრადიციაზე და აღზრდაზე.

17238. ცხვარსა და ლომს შორის ის სხვაობაა, რომ პირველს თავის ლომად მოჩვენება შეუძლია, ხოლო მეორე მუდამ ლომად რჩება და ცხვრის ქურქში ყოფნა ვერ წარმოუდგენია.

17239. თუ გარემოების გამო ღირსებას დაკარგავ, ისეთი სახე უნდა მიიღო, რომ არც გქონია.

17240. სხვაგან ყოველთვის სჯობს, თუკი ყოველგვარი ვალდებულების გარეშე მიდიხარ.

17241. დიპლომატია სიტყვების ონანიზმით სიამოვნების მიღების საუკეთესო საშუალებაა.

17242. ვაჟებს დედა უყვართ, მამებს უსმენენ, მაგრამ „ცოლის აღზრდას“ ემორჩილებიან, ქალები დედის რჩევა-დარიგებებს გულთან იღებენ, მამები უყვართ, მაგრამ ოჯახს თავის ჭკუაზე აწყობენ თავიანთი ამბიციების შესატყვისად.

17243. ცოდნის შეძენასაც თავისი პროფილი უნდა შევურჩიოთ, თუ გვინდა რომელიმე დარგში აღიარება მოვიპოვოთ.

17244. დღესასწაულების ოდენობაც დროის ყივილს ემორჩილება და ყოფის გადასახედიდან განსჯა-დაკვირვებას მოითხოვს.

17245. მარტოობა საცოდაობაა, მაგრამ უგნურებაში ყოფნას სჯობს.

17246. უგნურება გონიერებას ვერ იტანს, თუნდაც ეს უკანასკნელი მის სასარგებლოდ იყოს განწყობილი.

17247. გულგრილობა სიძულვილზე უარესია, რადგან მეორე შეიძ-ლება სიყვარულით შეიცვალოს, ხოლო პირველი უცვლელ განზომი-ლებას მიეკუთვნება.

17248. ამბობენ უსამართლობა ნაადრევი სიცოცხლის შენარჩუნების და საკუთარი თავის მოფრთხილებას კანონია სანამ დაღვინდებოდეს.

17249. გვინდა თუ არა, ეს პლანეტა ადრე თუ გვიან ხელში შემოგვეფშვნება და მას ვერც ღმერთის რწმენა უშველის და ვერც ცრუ იდეალებზე გამოკიდება, რომლითაც თავად ვიკვებებით და შთა-მომავლობასაც ვკვებავთ.

17250. არსებობს სამუშაო, რომელიც ყოველმხრივ შეიძლება არ მოგწონდეს და გული არ მიგდიოდეს, მაგრამ შეუძლებელია ზოგჯერ მაინც არ მოგიხდეს, ვინაიდან სამუშაო სამუშაოა და უნდა შესრულდეს.

17251. „გამბედაობა, სიმამაცე ქალაქს იღებს“, ხოლო თავხედობა, კადნიერება დანარჩენ უკადრებელს იხახვისთავებს, ითავისებს.

17252. აკრძალვა შეიძლება იყოს აუცილებელი ან – პირიქით, მაგრამ მისთვის ბიშტის ჩვენების ყველა ვარიანტი დიდ სიამოვნებას გვგვრის.

17253. ყველა დარგს, პოლიტიკას, აუცილებელი სისაძაგლის ჩადე-ნას, პიროვნება ჭირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, დრო დაკარგულია და საუკუნის ფარსია.

17254. უაზრობაა ანტიურთიერთობა, კავშირი, როდესაც ერთმა-ნეთს ვერ იტანთ და ყბედობა-საუბარი ურთიერთ ნიშნისმიგებას ემსა-ხურება.

17255. თუ ძაღლი გიყეფს, ღირსება იმის უფლებას არ მოგცემს, რომ შენც ოთხფეხზე დადგე და შეყეფო. ასევე უნდა მოექცე ორფეხა მყეფარებს: მათ „ნახირ-ნახირს“ თავი არ უნდა გაუყადრო.

17256. გაცუცურაკება კარგი არ არის, მაგრამ მის გარეშე ვერ გავხალისდებით და ვერც ამქვეყნიურ ცნობიერების არსს ახსნას მოუ-ძებნით.

17257. თუ ადამიანს სადავიდარო არ აქვს, ეს იმის მაჩვენებელია, რომ მოხერხებულად მალავს ან ძლიერი ხასიათისაა, რადგან უპრობ-ლემო ადამიანი არ არსებობს და უამისოდ ცხოვრებაც ეშხს კარგავს.

17258. შეუცვლელი არავინაა, მაგრამ ამ შეუცვლელების წარმოჩენას უშლიან ხელს მათ ადგილზე გარემოებათა გამო მოკალათებული ვიგინდარები.

17259. სოციალური უთანასწორობა მეტ-ნაკლებად ყველას გვაწუხებს, მაგრამ ხშირად ვერ ვამხელთ, რადგან არსებობს შინაგანი ხმა – ,,უვარგისი ხარ, უფხო ხარ".

17260. სიყვარული არ აიხსნება, ტრფობა არ განისჯება, მოწონება არ იძრახება, გარიგება არ ოპონირდება, ანგარიშიანი ქორწინება არ შეიმჩნევა, შეჩვევა არ იუკადრისება, ,,შიში შეიქმს სიყვარულს" არ ისჯება, რიდს პატივი მიეგება, ანგარება შეუღლებით არ განიკითხება, წაწლობა არ იკიცხება – შედეგად, სირცხვილი არ განიხილება.

17261. თავხედობა აღზრდის წუნია და გმირობის სინონიმად არ გამოდგება.

17262. არ სთხოვო, არ დაუჯერო, არ ენდო, სამწუხაროდ, ამ მწარე აბების გადაყლაპვა ცხოვცრებაში ყველა ჩვენგან უხდება.

17263. დემაგოგია, ადამიანის უფლებების, სიტყვის თავისუფლების ტექნიკური პროგრესის კაპრიზთან და უამრავ მაცქერალთან ერთად, წინააღმდეგი არ იქნება, თუ საჭურისებს შორის მსოფლიო პირველობა ჩატარდება ჰომოსექსუალიზმში, თავისი წესებით, ოქროს მედლით, სათანადო დიდი ჯილდოთი და ისტორიაში ადგილის დაკავებით, მაგრამ ადამიანი იმით განსხვავდება ცხოველისაგან, რომ მისი ღირსება წყვეტს, რის კეთება შეიძლება და რის – არა.

17264. შენი ბუნებით უნდა იცხოვრო, დრო შენს ჭკუაზე უნდა ატარო, სხვის საქმეში ცხვირი არ ჩაჰყო, სულით ეცადე მდიდარი იყო, ღირსეული ნაშიერი დატოვე, რათა ამ ქვეყნიდან უდროოდ არ წაბრძანდე ან არ წაგაბრძანონ.

17265. დაობებული და გამოუცდელი გონების გასაქან-გამოსავალი დეპუტატობაა, ვიღაცის და რაღაცის გამო პერსპექტივაში ძრომიალით.

17266. არის რაღაც, ვიღაც, სადღაც, რომლებთან ნაცნობობა, დაახლოება, საქმის დაჭერა რეკომენდებული არ არის და არც საჭიროა.

17267. კომპლიმენტი ნახევრადსიმართლეა, სურვილთა მოშველიებით და წამლიქვნელებით, რესპონდენტის გულის გასახარად და თავის გადასამოწმებლად.

17268. ღვინო, დუდუკი, ქალები, ფული, შური, გაამაყება, საწამლავიცაა და კეთილდღეობაც, სულის გალაღებაც და გონიერების ამღვრევაც.

17269. წინაპართა გასართობი ამბიციები საუკუნეთა მარათონში ალბათ ასე გამოიყურებოდა: სექსი – გამრავლება, ჭორაობა – ფილოსოფოსობა, კანიბალიზმი – აუცილებლობა, ნადირობა – სიცოცხლის გახალისება, აღებმიცემობა – ვაჭრობა, ჯადოქრობა – მეცნიერება, მითოლოგია – კერპთაყვანისმცემლობა, ომი – მონობა, გლადიატორობა – გართობა, სარწმუნოება – ხელოვნება, რაინდობა – სპორტი, დუელი – ქალი, ბერიკაობა – მუსიკა, პარტიულობა – არჩევნები, დემოკრატია – შახიდები, დისკოთეკა – ინტერნეტი, ხოლო მომდევნო საუკუნე რა გასართობ ფენომენს შემოგვთავაზებს, ჯერ-ჯერობით უცნობია.

17270. თუ რწმენისთვის, კარიერისთვის, ვაჭრობენ, დაობენ; სასოებისთვის, იმედისთვის, უკანასკნელ გროშებს იხდიან.

17271. ბრბოს გმირი აქცევს ხალხად, ერს – კონსტიტუცია. ურთიერთგაგება ქვეყნად ჩამოყალიბებაა, რომელსაც თუ ამბიციები არ აწუხებს, არც სახელმწიფოა.

17272. მამრის გაწვრთნა თვითაღზრდითაც შეიძლება, მაგრამ იმდაგვარად, რომ მდედრის თვალთვალი ვერ იგრძნოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, შედეგი გაგვიხდება გამოსაცნობი.

17273. უწესრიგობასაც თავის წესრიგი ახასიათებს, ნივთი სად დევს, დიზაინის გარეშეც უნდა ვიცოდეთ.

17274. გამოუცდელი მძღოლის მსუბუქი მანქანით მგზავრობას ისევ გამოცდილი მძღოლის ავტობუსით მგზავრობა ჯობს, რადგან მეორესგან განსხვავებით, პირველმა ადგილზე მისასვლელი სვლაგეზი არ იცის და ფინიშიც სათუოა.

17275. აზროვნებაში ტოლობის მცდელობის მიუხედავად საკლები მაკლებზე ყოველთვის მეტია, რადგან სიცოცხლისკენ სწრაფვა ბალანსის უფლებას არ გვაძლევს.

17276. გრძნობათა ჩქროლვა კვადრატში, კუბში, სიფვარულია, ხოლო მისგან ღალატის ფესვის ამოღების მცდელობაც კი – სიძულვილი.

17277. მტრის დაახლოება შეიძლება, მაგრამ მეგობრად არ უნდა გაიხადო – მაინც გიღალატებს.

17278. ,,ღმერთს – ღმერთის, კეისარს – კეისრის", მორწმუნეს – იმედი და ბრბოდ ქცეულ ხალხს – სამი თითის კომბინაცია.

17279. ქრთამის აღება კარგი არ არის, მაგრამ თუ დაუნანებლად გაძლევენ უნდა აიღო, რადგან ქრთამს შენი თანამდებობა იღებს და არა შენი მცდელობა.

17280. მაყურებელი ხშირად სამ უცნობ განტოლებას ემსგავსება, რა მოსწონს, რისკენ აქვს სწრაფვა და რის მიმართ არის გულგრილი, გაუგებარია.

17281. ტოტალური თავისუფლება ზოგისათვის იმდენად მიუღებელია, რომ საგიჟეში მოთავსებით მთავრდება.

17282. ზოგჯერ ცოცხლებს მიცვალებულთა ავტორიტეტი და ხსოვნა მართავს და ცხოვრების გზის გამრუდების საშუალებას მათი დიდება არ აძლევთ.

17283. ხშირად აზარტი და სილამაზე მართავს ჩვენს გემოვნებას და არა ჭკუა-გონება, გამორჩენის მიზნით.

17284. ცდება, ვისაც ჰგონია, რომ ხშირად ჭკუის დარიგება, მატერიალური დახმარების გარეშე, მოზარდის აღზრდას უშველის და ქუჩის გარემოცვას არ ეზიარება.

17285. სამოთხეა იქ, სადაც არ გვიცხოვრია, არც ვიცხოვრებთ და იქ დარჩენის სურვილიც არა გვაქვს.

17286. ბევრი რამის დაპირებაც შეიძლება და შესრულებაც, მაგრამ მთავარია სურვილი და შესაძლებლობა და არა სიმპატიები ვიღაცის და რაღაცის მიმართ.

17287. დასჯის ყველაზე შედეგიანი ფორმა შეიძლება სხვისი დასანახავი ალიყურის ჭმევა იყოს და არა სხვის დაუნახავად მისთვის თავის მოკვეთა.

17288. ახირებულთა გარეშე ცხოვრება მოსაწყენი და უპერსპექტივო იქნებოდა.

17289. ღალატობენ არა მარტო იმისათვის, რომ ერთმანეთს დაშორდნენ, იმისთვისაც, რომ ერთმანეთი გამოცადონ და შეეთვისონ.

17290. ნაძალადევად სიკეთის კეთება კეთილდღეობის საწინდრად ვერ გამოდგება.

17291. თუ ადამიანი ცოცხლობს და ცხოვრობს, უცოდველად ვერ იარსებებს.

17292. ინფორმაციას ეჭვითაც უნდა შევხედოთ და გაგებითაც, მაშინ იქნება ჩვენი გადაწყვეტილება კარგი და უმეტესობისთვის მისაღები.

17293. ინტერვიუ ის შემოქმედებაა, სადაც კითხვებიც და პასუხებიც ხშირად შენი ,,ნაჩალიჩებია'', თუმცა კი უკმაყოფილო ხარ, რომ შენი პასუხები ისე ვერ გაიგეს, როგორც გინდოდა.

17294. მონათმფლობელურ და დემოკრატიულ წყობას თავისი ღირებულებები ჰქონდა და აქვს, მაგრამ მათ შორის მისაღებს – საუკუნეების მარათონი გადაწყვეტს და არა – გონიერება და აზროვნება.

17295. პროვინციელი კვადრატში ის ახალგაზრდა ვისიც მშობლები ცხოვრობენ ტაიგაში და მსახურობენ გასაიდუმლოებულ სამხედრო ბაზაზე.

17296. ინტელექტი, ნიჭი, ყოველთვის შრომისმოყვარეობის გვერ-დით არ დგება, რადგან მათ სხვა განზომილებაში ცხოვრება აინტერე-სებთ.

17297. სიბრიყვე ფეტიშისაგან არაფერს ტოვებს, მაგრამ მოხერხე-ბულობას ვერას აკლებს.

17298. თანამდებობის დაჭაშნიკება გადამოწმება-შემოწმება ყველას ხვედრი არ არის.

17299. სპექტაკლის წარმატება, უპირველესად რეჟისორის დამსახუ-რებაა, შეჯიბრების შედეგი – მწვრთნელის, ომის მოგება – მთავარსარ-დლის ე.ი. პირველი პირები განაპირობებენ შედეგებს და არა ის შემ-სრულებლები, რომელთა ნიჭი, შემართება, თავდადება ასე გვხიბლავს და გვაღელვებს.

17300. სიმართლის დამალვა ხანდახან წმინდა საქმედ გვევლინება, როდესაც სხვისი ბედნიერების ხელყოფა არ უნდათ, მიუხედავად იმისა, რომ ბედნიერება ხანდახან არ არის წინააღმდეგი ამ კეთილდღეობიდან თავის დაღწევისა. ასე, რომ არავინ უწყის, თქმა სჯობს თუ უთქმელობა, მაგალითად, ნაშვილობის გამხელა.

17301. მაზუთსა და ფუნას შორის ის სხვაობაა, რომ ერთი მუშის სახელის მოხვეჭას ცდილობს, მეორე – გლეხისას, ხოლო ინტელიგენ-ციას ორთავენი ფეხებზე ჰკიდია და მათგან განზე დგომას ცდილობს, იმას კი ვერ ხვდება, რომ მათ გარეშე ცხოვრება შეუძლებელია.

17302. ვისაც თავიდან ერთმანეთი არ მოსწონთ, ხშირად ისინი მეგობრობენ და ქორწინდებიან, რადგან განგებამ შესათვისებლად სხვა-დასხვა ხასიათს და მსოფლმხედველობასაც მისცა ამის უფლება.

17303. დიდი ბედნიერებისგან ტირიან, მცირედზე იცინიან, ხოლო შეუცნობელ და მოულოდნელ ბედნიერებაზე რაღა ქნან, აღარ იციან.

17304. დიქტატურას, რევოლუციას, ჯანყს ჩვევად აქვს იმათი წარ-მოჩენა, ვინც გუშინ არაფერი იყო, რათა ხვალ ისევ არარაობად აქცი-ოს.

17305. ბევრს უყვარს მტკიცე ხასიათის, შემართებული, უშიშარი ხალხი, თუმცა ხშირად თავხედებს, უტიფრებს, ავანტიურისტებს წყა-ლობენ.

17306. დროის მოთხოვნილების შესაბამისად უზრუნველყოფილი და სათადარიგო აეროდრომს მაძებარი მოხელის ნდობა არ შეიძლება.

17307. კეკლუცობა და ვნება, სიფარული და ტანჯვა, ხელოვნება და ცხოველმყოფელობა, შრომა და ოფლის დენა, რაც უნდა სინონიმებად გვეჩვენოს, ყოველ მათგანს თავისი ხელშესავლები ხუშტური აქვს.

17308. არწივი ბუზს არ იჭერს, ლომი თაგვისთვის არ ირევა, მაგრამ შიმშილი ბუნების კანონზომიერებაშიც ერევა და ფაუნის წარ-მომადგენლებს დროებით გადააგვარებს.

17309. ადამიანს ნივთისთვის განკუთვნილ ყოფიერებას ვერ მოვ-თხოვთ, რადგან ის სულიერი, ცოდვილი ვიგინდარაა, მაგრამ ბუნების ნამოღვაწარის ყველაზე დიდი სასწაულია.

17310. სიფარული და სიძულვილი ხშირად აუცილებლობით არის გამოწვეული, ეს იგივეა, როდესაც ჯავშანჟილეტის ტარება გიმძიმთ, მაგრამ საჭიროა.

17311. მსხვერპლმაც და მტაცებელმაც ხელობა უნდა დახვეწოს, თუ მათ ჯიშის და ჯილაგის გადარჩენა სურთ.

17312. ჟინიანობა ვნებას არ ცვლის, მას განთლება და გამოცდილე-ბა არ შველის და ხშირად უარესი სახითაც გვევლინება.

17313. დროს თავისი წარმოდგენა აქვს მშვიდობაზე, მშვენიერებაზე, ბუნებას კი – თავისი შეხედულება მის ცვალებადობის აუცილებლობა-ზე.

17314. პესიმისტი ხშირად მართალია, მაგრამ ის მაინც უსაქმურია, ამასთან, ცხოვრებასთან შეჭიდებას და რქების მოტეხვას ერიდება.

17315. ცხოვრების ჩარხი თავად უნდა ვატრიალოთ და თავიც თავად უნდა გამოვძერწოთ, რათა თვითშეგნების ფასი და თავის დაფა-სება ვისწავლოთ.

17316. თავაზიანი და განათლებული ჩოყლაყის ყოლა სასიამოვნო-ცაა და საშიშიც, რადგან მისთვის ტარდიციების და ირგვლივმყოფთა აზრის ფასი გაუფასურებულია.

17317. „ახალი რუსიდან“ განსხვავებით „უახლესი რუსი“ გაკოტრე-ბულია, რადგან „ქარის მოტანილი ისევ ქარმა უნდა წაიღოს“.

17318. უხიაგი კაცი საპყარს უჩივლებს, რადგან იცის, ეს უკანასკნე-ლი სასამართლოში ვერ გამოცხადდება და სამართალიც მას დარჩება ამღვრეული გონების დასამშვიდებლად.

17319. დღეს ერთმანეთს ბატონობით მივმართავთ, მაგრამ კავშირი მაინც „ამხანაგო“–ვიგინდარებთან გვაქვს, რადგან ჩვენს ხალხს აღზრდა და ნიჭი კი არ აკლია, არამედ თავში წამომრტყმელი არავინ ჰყავს, რომ ერის თვითმყოფადი პოტენციალი ქვეყნის ინტერესებს დაუკავშიროს.

17320. როდესაც ჭეშმარიტებაში ეჭვი შეაქვთ, მაშინ მის მოთარგმნას ყველა დროის შესაბამისად და თავის წარმოსაჩენად ცდილობს.

17321. რევოლუციის, პერესტროიკის, სახელმწიფოში წყობის გადატრიალებისაგან თავის დასაცავად მამაზეციერთან დაზღვევა უნდა გავაფორმოთ, წინაალმდეგ შემთხვევაში, მოსახლეობა „აიჭრება“, გაველურდება და გადაშენება დაემუქრება.

17322. ძალდაუტანებელი მექრთამეობა ზოგჯერ საჭიროც არის და აუცილებელიც, მაგრამ არა გამოძალვა და მათხოვრობასთანაა გაიგივებული.

17323. ცხოვრება ჩეჩმაში სირბილის შესაძლებლობის ოცნებად არ უნდა ვაქციოთ, თორემ სიცოცხლე აზრს დაკარგავს.

17324. ცოდნის მიღებასაც თავის საჭე და მუხრუჭები სჭირდება, რათა თავში ვირეშმაკული ცდუნება არ შეგვიჯდეს და შარში არ გავეხვიოთ.

17325. მეგობრობა ის სარწყულებელია, რომელშიც სიამოვნებით ვეწაფებით სიყვარულს და ურთიერთგაგებას, სანამ წყალი აიმღვრეოდეს და მტყუან-მართლის გარჩევით ერთმანეთს წუწაობას არ დაუწყებთ.

17326. არავის უნდა უსურვოთ: ხელების ზევით აწევა, მასზე ხელბორკილის დადება და გულზე ხელების დაწყობა – ბუმერანგივით შემობრუნება იცის.

17327. ყველას შეგვიძლია ერთმანეთს გავუგოთ, მაგრამ ამის სურვილი და მცდელობა დაქვეითებული გვაქვს.

17328. ამქვეყნად ყოველივეს უხეში ძალა წყვეტს, თორემ რატომ უნდა ყოყოჩობდეს მამრი, როდესაც მის გაჩენა-ჩამოყალიბებაში ამდენი ამაგი მდედრს მიუძღვის.

17329. უნდა გვჯეროდეს ბედის, შრომის და დასახული მიზნისა, თუკი თავის წინაშე მართლები ვიქნებით.

17330. შეიძლება პატიოსნებაა ისიც, როდესაც ერთ ყბაში გაგილაწუნებენ და მეორეს მიუშვერ, მაგრამ მე ხელის შებრუნება მირჩევნია, რადგან ჩემი ბუნება ასეთია და აქ აღზრდაა, გონების წვრთნა არაფერშუაშია.

17331. ილუზიონისტობა და მეცნიერება ერთმანეთს ჰგავს, ორივე ჭკუის არაორდინალური ჭყლეტის და ძველი მიღწევების გამოყენებას, აღმოჩენების ხარჯზე მოითხოვს, პირველი, – მაყურებელთა შემწეობით, ფულსაც მაშინვე შოულობს, ხოლო მეორე – როდესაც მისი სახელი დავიწყებული ააქვთ.

17332. ყბედს ჭკუადაუტანებელი ღადაობას სჭირდება, რათა მასში დაგროვილი უარყოფითი ემოციების ლოდი დააგოროს და მისგან განთავისუფლდეს, რათა თავი სადმე ცუდი მხრიდან არ გამოავლინოს.

17333. ღალატი პრობლემატური მრავალწახნაგოვანი პირამიდაა, რომლისგანაც ღირსეული გამოსავალი ერთეულთა ხვედრია, ისიც, თუ ბედმა გაულიმა.

17334. მთავარია სიცოცხლის ბოლომდე ეშხის შენარჩუნება და არა – იმაზე ფიქრი, რა დრომ ჩაგიარა და რამდენი დაგრჩა.

17335. ცოდნა, ფანტაზიის გარეშე უცოდინრობისკენ მიისწრაფის.

17336. გუშინდელი ტრაგედია აწმყოსთვის ფარდა, ხოლო მომავლისთვის – თვალებში ნაცრის შეყრაა.

17337. ჭკუა ძლიერია მაგრამ მოხერხებულობას ვერ შეედრება, რადგან მასში ფანტაზიაცაა ჩადებული.

17338. თუ დავმუნჯდებით სისულელეს არ წამოვროშავთ, თუ დავყრუვდებით, სიბრიყვეს არ მოვისმენთ, თუ დავბრმავდებით, სიბინძურეს ვერ დავინახავთ, თუ ყნოსვას დავკარგავთ, სიმყრალის სუნს ვერ შევიგრძნობთ. ასე და ამრიგად, ეს ის იშვიათი შემთხვევაა, როდესაც ქმედება არასასურველ უკუქმედებას არ იწვევს და სარგებელი მოაქვს.

17339. სიფვარულში და საქმიანობაში ხელის მოცარვა გვაძლევს უფლებას ვიფიქროთ, რომ ჩვენ ამ ქვეყნის რეალობის არაფერი გაგვეგება და ცხვირწასატეხიც წინა გვაქვს.

17340. ნამდვილი სიფვარულია თუ არა, როდესაც ახლობლები, შემთხვევა, გარემო, ფული, განსაზღვრავს მის რაობას, თუ გონის დაკარგვა, რჩევის უგულებელყოფა, ეიფორიაში ყოფნა, ვინ იცის, მაგრამ ფაქტია, რომ ეს უკანასკნელნი იშვიათად არიან ბოლომდე ერთად და ბედნიერნი.

17341. გამართლებაა, როდესაც წარსული დამსახურებით არ იკოხნები და მომდევნო თაობებს ფინია ძაღლივით თვალებში არ შესციცინებ, იქნებ გამიხსენონ და სიბერეში სახელის – სახრავის მაგვარი რაიმე მოგიგდონ.

17342. უცოლო კაცი ხშირად რაინდია, ღვთისმსახურია, სიფვარულის მონაა, მაგრამ არა – ბუნებით ბერბიჭაა.

17343. ვისთვის ბალზაკის ასაკის ქალების გაცნობა სჯობს, ვისთვისაც ბალზამის და აქ ყოველივეს ასაკს, ჯანმრთელობას ნუ დავაბრალებთ, რადგან ძირითადად პასუხი ჩვენს მსოფლმხედველობა, გემოვნებას უნდა მოეკითხოთ.

17344. მზითვი იგივე ქრთამია, რომელსაც ქალის მშობლები სიხარულით გასცემენ, რადგან სიძემ ქალის ოჯახს მომავალი ვამპირი მოაშორა, თუკი გაუთხოვარი დარჩებოდა.

17345. დაშინებით გართობა ვირეშმაკული ბუნების ხალხის საიდუმლო სერობაა.

17346. ერთმა ბიძაშვილს, პერესტროიკის დროს, მამამისის სახლი და ეზო უსასყიდლოდ დაუთმო და თავად რუსეთში ბიზნესს მიჰყო ხელი. რამდენიმე წლის შემდეგ წელმომაგრებულმა ბიძაშვილი მოინახულა და მადლობის ნაცვლად საფეხური მიიღო: ,,შენი ბრალია, რომ არ გეჩუქებინა ეს სახლ-კარი და თან წაგეფანე დღემდე ამ მიწას თოხს არ ვუბაყუნებდი, მეც გამოვიხედავდი თვალშიო. რას ვიზამთ, ამ უმადურობის დემაგოგიაში შეიძლება სიმართლის ნაპერწკალი მოჩანდეს.“

17347. ვეცადოთ მტერი ჩვენვე გავასვენოთ, ქელეხი გადავუხადოთ, პრესტიჟულ ადგილზე დავმარხოთ და პატივი მივაგოთ იმის აღსანიშნავად, რომ მან ჩვენზე ადრე იმქვეყნად გაქცევა მოასწროს.

17348. ნერვების დაჭიმვა, გრძნობათა ღელვის საწინდარია და მნიშვნელობა არ აქვს ამას ალკოჰოლით დავაწყნარებთ თუ ნარკოტიკით.

17349. თუ გვიმართლებს – ვცხოვრობთ, თუ არა და – ვცოცხლობთ, თუ არც ერთს არ ვახსოვართ – ვარსებობთ.

17350. მეგობრობის პოეზიას მდედრთან რომანი უყენებს წყალს და ხშირად სხვა მეგობრობის მონახვა ხდება საჭირო.

17351. ლამაზი ქალის გაცნობა – მსუბუქი რეკლამაა, გაიმასქმნება – სიამაყეა, ხოლო მასზე დაოჯახება და შემდგომ მისგან თავის დაღწევის მცდელობა არავითარ განსჯა არ ემორჩილება.

17352. ხშირად სასურველი რომ ნახო, მის ძებნას თავი უნდა ანებო და რაღაც სასწაულის წყალობით მოგვევლინება, რომელიც, იმედისაგან განსხვავებით, განსჯას არ ემორჩილება.

17353. წარმატება-წარუმატებლობა ერთ ტემპში უნდა აღვიქვათ და მომზადებული შევხვდეთ, რათა ნერვების აშლას თავიც არ გადავაყოლოთ.

17354. მთავარი ის კი არ არის, რაზე ვისაუბროთ, რას ვფიქრობთ, რის გადაკეთებას ვაპირებთ, არამედ რა არაორდინალური მამაძაღლობის ჩადენას აპირებს ადამიანის ბუნება, რათა სხვებზე უკეთეს ყოფას დაუმსახურებლად ხელი წამოსდოს.

17355. საკუთარი თავის პატრონობის შემდეგ უნდა შევეცადოთ ქომაგი გავხდეთ, სხვათა ინტერესების დაუცველად, ამას გვკარნახობს გამოცდილება და ხშირად შექმნილი გარემოს უგნურება.

17356. სხვისი უბედურება არ გაიზიარო, არ მიეხმარო, ვიგინდარა ხარ, დაეხმარები და შეიძლება უგნურად ჩაგთვალონ, რადგან გააჩნია მადლიერების გრძნობა როგორ ფასობს, რა დროს რა ღირს და როგორ ვაჭრობენ.

17357. სიღარიბე იმდენად ზარმაცია, რომ თავის ყოფაზე შურისძიება ეზარება და ჭაობში უსაქმოდ ყოფნას ამჯობინებს.

17358. აწმყოთი გათავხედება, სიჯიუტესთან შედარებით, წინდახედული კომპრომისია და ამ საზოგადოების ყოფის კულტურაა.

17359. სუროგატული სადღეღამისო კოლეჯის აღზრდა ცივილიზაციის და მოუცლელობის ბრალია, რომლის მიზანია ბავშვები ჩაგვრას გადავაჩვიოთ, მაგრამ აღზრდის ეტალონად ვერ გამოდგება, რადგან მას ნაღდი მშობლოს ყურადღება აკლია.

17360. სიცოცხლე დროის ლამაზად გატარების მცდელობაა, თავის მოტყუებით და წუთისოფლის გავლის გარანტიით.

17361. პაექრობას, გინებას, ჩხუბს, დამარცხებასაც კი თავის მომხიბვლელობა, პეწი და ღვთისგან მომადლებული ნიჭი სჭირდება.

17362. ღვინო, დუდუკი, ქალები, გარეშეთათვის მისაღებია, მაგრამ ოჯახისთვის მავნეა, ხოლო სიფხიზლე, შრომისმოყვარეობა, ცოლის მოყვანა, აუცილებელია, მაგრამ მოსაბეზრებელია. ყველაფერს კი მაინც ასაკი, დაღვინება და შემთხვევა წყვეტს ზომიერების ფარგლებში.

17363. მოდის ევოლუციის მოთხოვნაა, რომ ქალები ბოლომდე გაშიშვლდნენ, ხოლო ყოფის რევოლუციის, რომ ისინი თანდათან შეიმოსონ, თუ უნდათ მამრების გამოთაყვანებაზე ხელი აიღონ და ისინი დანიშნულებისამებრ მეტი ვნებით გამოიყენონ.

17364. სხვაგან მდიდრებს ბანდიტები ემსგავსებიან, ჩვენთან – პირიქით, რადგან თავად ძალაუფლებას თავისი გადასახადებით ბანდიტობისკენ აქვთ მიდრეკილება.

17365. ხშირად ჩვენი დროის, ბედის, ვარსკვლავი გვაფრთხილებს ე.ი. გვაიარაღებს და ხანდახან ისეთ სიტუაციაში გვაგდებს, იძულებულნი ვართ ჯეელობის უზრუნველობას და სიზარმაცეს ჭიტლაყი ამოვკრათ და აწმყოს პრობლემები გავითავისოთ.

17366. როდესაც სურვილები და მოსალოდნელი შედეგი ერთმანეთს არ ემთხვევა – ეს არის ცხოვრება, რადგან შეიძლება ისეთი სისაძაგლე ჩაიდინო, რომ მთელი ცხოვრება შენით მადლიერნი იყვნენ.

17367. ის, ვისაც მთების გადაბრუნება შეუძლია, საქმისგან მოშორებით და ყურადღების ქვეშ უნდა გვყავდეს, რადგან ზედამხედველობის გარეშე მას ზოგჯერ სიავის მოტანაც შეუძლია.

17368. არამზადობის კეთებაც თავის ზომა-წონას მოითხოვს, რათა ფეხის გადაბრუნების შემთხვევაში შინაურმა მაინც დაგინდოს.

17369. „ხალტურა“ დეზორგანიზაციას კი არ იწვევს ძირითადი საქმიანობისას, არამედ სასიამოვნო „მარცხენა“ ბალახტარობა, შენი მეობის ოჯახში და მეგობრებში წარმოსაჩენად.

17370. მაღალის და გრძელის განზომილება ერთია, მაგრამ სხვდასხვა ცენზით და დაფასებით.

17371. ზოგჯერ მდედრის განსჯა მკრეხელობამდე მიდის, მიუხედავად იმისა, რომ ყველას თავისი ბუნება, მოთხოვნილება აქვს, ხოლო წინააღმდეგობის გაწევა თავიანთი ბუნება-გონებისთვის გადადგომა მათ არ შეუძლიათ.

17372. სამწუხაროდ კაცობაზე ყველას ჩვენი წარმოდგენა გვაქვს და ჩვენს სასარგებლოდ გვესმის და ეს არის ამ წუთისოფლის არევ-დარევის მიზეზი.

17373. მეგობრები ყველას დასანახად ხმამაღლა ჩხუბობენ და ბატალიების დაცხრომის შემდეგ თავის უკმაყოფილონი არიან, ხოლო მტრები ერთმანეთს ჩუმად უპირისპირდებიან და შედეგით სახალხოდ კმაყოფილდებიან.

17374. ხვადის ბუნებისთვის გაუგებარია, როდესაც ერთ ქალს 50 წელი უღალატოდ ეჩალიჩებიან, მაგრამ დიდი ბედნიერებაა თუ ქალი ამას ვერ გრძნობს – მაშინ კაცი არ გაამაყდება „თავისი შედეგებით“.

17375. უნდა გვეშინოდეს ჩვენი ჯველობაში ნაოცნებარის, რომელიც შეიძლება იმ დროს აგვიხდეს, როდესაც იგი უკვე დევალვირებულია და საზიანოცაა.

17376. თუ საჭიროების ჟამს შინაურები არ გეხმარებიან, ეს იმას ნიშნავს, რომ ცუდად გიცხოვრია, აღზრდა-პატრონობაზე რომ არაფერი ვთქვათ.

17377. რევოლუცია სიამტკბილობის მომტანია თუ ქარიშხლის, არავინ უწყის, რადგან მას საუკუნეების გადასახედით ამოწმებენ და არა აწმყოთი.

17378. უგნური ბრძანებაც უნდა შესრულდეს, ოღონდ შენი ჭკუით და მოხერხებით, რადგან შედეგზე, ასე თუ ისე, პასუხს შენ აგებ.

17379. როდესაც ყველაფერი რიგზეა და საქმე კარგად მიდის, მაშინ აუცილებლად გამოტყვრება ცუდიც, რადგან ცხოვრება ყოველთვის იავარდებით მოფენილი არ გვეგონოს.

17380. ქაქიც წყალს ზემოთ დაცურავს, მაგრამ მასაც დანახვა და გამოჭერა სჭირდება, რათა გაერკვე, ვის უნდა შენთვის ზურგში დანის ჩაცემა.

17381. ძალა, სიტყვასთან ერთად, ყველა ადამიანის მოთოკვით აივ-ლის, მაგრამ მთავარია, აღმართის ბოლოს რა სიტყვა-წონის პირას დგას.

17382. რადგან ანგელოზების ადგილი ცაშია, ხოლო სურვილი სამყაროში დაბორიალობს, უნდა ვეცადოთ მიზნისთვის ადგილის გამო-ნახვას, რათა არც ჩვენ ვინანოთ და არც სხვას ვანანოთ.

17383. სხვისთვის იმის ჩუქება და რეკლამირება, რაც თავად არ მოგწონს, მისდამი უპატივცემულობაა, მაგრამ შექმნილი გარემოდან თავისებური გამოსავალია, იქნებ ვინმემ თქვენი „ორიგინალური გემოვ-ნება" დააფასოს.

17384. თუ არ შეგიძლია წყნარად იცხოვრო, მაშინ უნდა შეეშვა პრინციპებით ნერვიულობას, მოშორდე და სხვაგან უნდა ითოხარიკო შენი ჟინით.

17385. ზერელე გრძნობების კორიანტელის დაყენება თავისებური თვითკმაყოფილების გამოხატვაა ზოგიერთ ვიგინდარასავით.

17386. სიკეთეს საქმით უნდა გადაუხადო, ხოლო სიავე ფულით დასაჯო და ისე გაუსწორდეთ, რათა მათ შორის სხვაობის მადლი ვიგრძნოთ.

17387. უკომპრომისონი, პატიოსნები, უფროსებად არ ხდებიან, ისინი მოწოდებულნი არიან რათა, სხვას ჭკუა დაარიგონ, შთააგონონ და ყველა საქმე თავად აკეთონ.

17388. ბედის, ხასიათის შეცვლა შეუძლებელია, მაგრამ საქციელის, ყოფის – შესაძლებელი, ოღონდ დროებით.

17389. შფოთიანობა ინსტინქტების ჩოჩქოლის შედეგია, რომელსაც სხვა დაკა-დაკა უნდა დავუპირისპიროთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, რე-ვოლუცია და ბუნტია მოსალოდნელი.

17390. მოტყუებასა და შაყირს შორის ის სხვაობაა, რაც აფიორასა და უზრდელს შორის.

17391. რა სჯობს, ლამაზი იყო და არავის სჭირდებოდე, თუ მახინჯი იყო და სასურველი. ძნელი სათქმელია, რადგან საქმე უმადურობასთან, გულგრილობასთან გვაქვს.

17392. გაუბედაობა, გულგრილობა, შიში, ოპტიმიზმის, შემართების და კარიერის მოპოვების მცდელობის პირველი მტერია.

17393. არის საკითხი, რომელსაც თავად უნდა გასცე პასუხი, ამის გაკეთება რაც უნდა ჭირდეს, რადგან მან უნდა გადაწყვიტოს მომავალ-ში შენი მეობის და კაცობის ბედი. მაგ. მშობლის სამართლიანი კაპრიზი თუ ოჯახის დანგრევა.

17394. არის ქონება – „აბუზა“, „ამ ქონების დედა ვატირე“, მაგრამ მის უქონლობას მაინც ქონება ჯობს, რადგან უსარგებლობის მიუხედავად, შიგადაშიგ გულის გახარებაც შეუძლია და გონების დამუნათებაც.

17395. შვილი მოწყენილობის გასაფანტავად, სიცოცხლის გასააზრებლად და მომხვეჭელობის ალიბად გვჭირდება და არა – კვლავწარმოების აუცილებლობის და მშობლისთვის ვალის დასაბრუნებლად.

17396. თუ სიყვარულის ხარისხი კვადრატშია აყვანილი, მაშინ სიძულვილში გადაზრდილი ხარისხის ოდენობა, სულ ცოტა, კუბის ტოლია.

17397. დაძალებული სწავლებისაგან განსხვავებით, ნებაყოფლობითს დრო, ცხოვრების დაჭაშნიკება–შეცნობის სურვილი სჭირდება.

17398. საზღვრის და ზღვრის ცნება სხვადასხვაა, რადგან პირველის დაცვა სახელმწიფოს პრეროგატივაა, ხოლო მეორეში გარკვევა ჩვენი საქმეა.

17399. ერთის გაღარიბება მეორის გამდიდრებას იწვევს, მაგრამ ეს არ ეხება საავადმყოფოსა და სასაფლაოს შორის ურთიერთობას.

17400. ნდობა უნდობლობაში იმიტომაც გადაიზრდება, რომ მუდამ სამართლიანობის, წონასწორობის, უკეთ ცხოვრების ძებნაში ვართ და ვერ გვიპოვია.

17401. ამქვეყნად მოსვლა მინიმუმ სამჯერ ბინადრობას ითხოვს, პირველის შეცდომების მეორე მოსვლით გამოსწორებას, ხოლო მესამით მეორედ გამოსწორებულ შეცდომაში კორექტივების შეიტანს, რათა სიცოცხლის და ყოფის არსში ასე თუ ისე გაერკვე.

17402. დანაშაული ტრადიციების დაუცველად, წინასწარი განზრახვის და ცოდვის გარეშე, შენდობას მოითხოვს და მკაცრად არ უნდა ისჯებოდეს.

17403. დაჩაგრულ ერზე, კაცზე საშიში, როდესაც ის სულს მოითქვამს, არაფერია.

17404. გასულელება ბევრის შეიძლება, მაგრამ მოკლე ხნით, რადგან „ტყუილს მოკლე ფეხები აქვს“.

17405. ღირსება, თავისუფლება, სიყვარული, ხშირად გონიერებიდან გამოწურული მაქსიმუმია, რომელსაც ავანტურისტული ბუნების ხალხი ლოზუნგად იყენებს, ბრბოს დასამუნათებლად, ასაყოლიებლად.

17406. ვინც შეცდომის დაშვებას ერიდება, ვერც ვერაფერს აკეთებს, რადგან შიშობს უცოდინრობა არ წამოაძახონ.

17407. არის აღსაფრთოვანებელი და დასამახსოვრებელი დღე, რომელიც არც არასოდეს განმეორდება და არცაა საჭირო, მან იმდენი

სიცოცხლე, იმედი, მისწრაფება შეიწირა და ქვეყანას ავნო. მაგ.: 1945 წლის 9 მაისი – გამარჯვების დღე.

17408. ბედის წყევლაა თუ უსაშველობის გამო უსაქმურობ, ხოლო წყევლის ბიძაშვილია იმ საქმის კეთება, რომელიც არ გიტაცებს.

17409. მშობლების გონიერებას და ახალგაზრდულ სიფარულს მრავალი წინააღმდეგობა დაუძლევია, სიკეთედ უქცევია და ზოგიერთი „კეთილისმდომიც" გაუწბილებია.

17410. უფროსის თავნებობა კანონია ხელქვეითისათვის, რადგან ამას კარიერისკენ სწრაფვა და ხელფასი აიძულებს.

17411. უნივერსალური ღირებულებანი იმ გაგებით, როგორც ჩვენ გვინდა, არც ყველა დროისთვის არსებობს და არც სამყაროს ყველა წარმომადგენლისათვის.

17412. შეგნება – ინდივიდუალურია, ნებაყოფლობითია, საკუთრება – გადაუდებელია, დროულად საკეთებელია, ამიტომ მათი შეთავსება შეუძლებელია.

17413. ეგოიზმი ცუდი აღზრდის და თავის შეუწუხებლობის შედეგია, რადგან სიფარული და გაგება ახლობლების ზრუნვიდან იწყება.

17414. უცოდინარი გულკეთილობის შეცდომაა, როდესაც ვიღაცის გამოსწორებას და ჭკუის დარიგების ცდილობენ, მას კი ამის სურვილი არ გააჩნია.

17415. ნიჭი არ შეიძლება მოდად იქცეს და ემანსიპაცია – მიბაძვის ხატად, რადგან ყველგან ზომიერება და დროის ყოვილის ცოდნაა საჭირო.

17416. სხვისთვის იმგვარად უნდა იღვაწო, რომ შემდგომ მან შენთვის იმუშაოს.

17417. წლებით დამძიმებულ სიბრძნეს ბედისწერის ნაღველი მუდამ თან ახლავს.

17418. ზოგჯერ ოპტიმიზმის დაფინანსებას პესიმიზმამდე მივყავართ, მაგრამ ამან არ უნდა დაგვაშინოს.

17419. წესით კონკურენცია მაღალი ხარისხის გარანტიაა, მაგრამ ჩვენთან, ჯერ-ჯერობით, პირიქითაა.

17420. კომპეტენტური პიროვნება რჩევა-წინადადებას იძლევა და არა – დარიგებას.

17421. კომპეტენტურობა ყველა ურთიერთობაში სასარგებლოა. მაგრამ ადამიანს ზოგჯერ შესადარებლად სიბრიყვესთან ურთიერთობაც სჭირდება.

17422. ხანდახან კარიერა და სახრჩობელა მათდაუნებლიედ მეგობრობენ.

17423. ცდუნება საცდუნებელის გარეშე ვერ იარსებებს.

17424. გულწრფელობასა და გულგრილობას შორის ის მსგავსებაა, რომ საქმის საკეთებლად არც ერთი ღმერთს არ უქნია.

17425. თეორიულად ხელის გამოწვდენის მსურველი გაცილებით მეტია, ვიდრე ფეხის დადების, მაგრამ პრაქტიკა ამ მოსაზრებას არ იზიარებს.

17426. გარფნილებას ალიბად ის მოაქვს, რომ ჭკვიანია, დროის ამაოებას სხვაზე უკეთ გრძნობს და უფლებას იტოვებს საკუთარი სიამოვნებისთვის, თავის გემოვნებით, შეხედულებებით, უკომპრომისოდ იცხოვროს.

17427. მოხალისეები ნებაყოფლობით არ ხდებიან, მათ აღზრდის სიძნელეთა ალგორითმი და მათი დაძლევის სურვილი აღაფრთოვანებთ.

17428. გაჭირვება კანონს არ ეპუება, მაგრამ ანგარიშის გაწევას ცდილობს.

17429. ბრმისათვის ყველა თვალი სანუკვარია, რომლითაც რაღაცის დანახვა შეიძლება.

17430. სიხარბე პატარა მოგებას იძლევა, რადგან დიდ მოგებას ხელმომჭირნე, ავანტურისტი უყვარს და არა – გაუმაძღარი უგვანობა.

17431. ზოგჯერ შეიძლება მოპასუხე მართალიც იყოს, რადგან მომჩივანს საბაბი რომ არ მიეცა ან გონივრულად და დროულად გასცლოდა დრამის ადგილს, საჩივლელიც არაფერი იქნებოდა.

17432. ბევრი განუვითარებელი ქვეყანა ტრაქტორის ნაცვლად ავტომატს იძენს და ამით აპირებს ოჯახის შენახვას.

17433. ნდობა მეგობრობას ბადებს, უნდობლობა – მტრობას, აქ მთავარი მათი უმტკივნეულო შერწყმის ხელოვნების ცოდნაა.

17434. ფაქტის წინაშე ჭორი თითს კაკვავს, მაგრამ ჭორაობის სურვილს ვერ თრგუნავს.

17435. წარმატება ყველა სახლის კარზედ აკაკუნებს, ხოლო წარუმატებლობა უკითხავად შემოდის.

17436. სამყაროს საოცრების ყურება სტაბილური ნერვების მქონესთვისაც ძნელია.

17437. მაზოხიზმი გადაგვარებული მოთხოვნებია საკუთარი სხეულის მიმართ.

17438. ყველა თაღლითის იარაღი მომხიბვლელობაა, რადგან მის გარეშე „კლიენტის“ ჯიბის გამოფხეკა გაუჭირდება.

17439. ყველა უშვებს შეცდომას, მაგრამ უმეტესობას მისი გამოსწორების სურვილი არ აქვს, ხოლო უმცირესობას – გამოსწორების უფლება.

17440. ზოგს დათვის გალიასთან მარტო სიარულიც ვაჟკაცობად მიაჩნია.

17441. სხვისი უპირატესობა ნებაყოფილობით უნდა შეიცნო და არა – ძალით, თუ გინდა საკუთარი შეცდომები გაითავისო და რევანშისთვის მოემზადო.

17442. ზოგიერთის ხელში ცოდნაც არამია, რადგან მის წარმოჩენა-წარმოსახვას წუნით ახერხებს.

17443. არის ადამიანი – პიროვნება, არის მის მიერ ჩადენილი დანაშაული – ფაქტი, რომელთა შორის რაიმე საერთოს გამონახვა ზოგჯერ შეუძლებელია.

17444. ჭკვიანის შეცდენაა საცოდაობა, თორემ ბრიფისთვის ცხოვრების წესის თანდაყოლილი მოთხოვნაა.

17445. ჯობს გაჭირვებით იცხოვრო 90 წელი, თუ ფუფუნებაში – 60 – ვინ იცის, პირველ შემთხვევაში თავის მოსაფხანი, სასაფლაურო, გასახსენებელი მაინც გრჩება, ხოლო მეორეში კი ამის გახსენებას ვერ ასწრებ.

17446. ყველაზე დიდი სისულელეს მაშინ ჩავდივართ, როდესაც მასზე ვფიქრობთ და არ ვაზროვნებთ.

17447. ცოდნა ძალაა, უვიცობა – შავი ძალა, ხოლო „ისე რა!“ – საფელპურო, შენთვის გასაგები ძალ-ღონეა და ზოგჯერ ამითაც კმაყოფილი ხარ.

17448. ამქვეყნად ყოფნის ვალი კი არ უნდა მოვიზიდოთ, არამედ უნდა ვიცხოვროთ.

17449. ჯადოქარს თუ მამაკაცების ყოლა შეეძლება, არ არის გამორიცხული, რომ კუდიანებად ჰერმაფროდიტები გვყავდეს, მითუმეტეს, რომ გემოვნებაზე არ დაობენ.

17450. ეცადო ისე იცხოვრო, რომ არაფერი აკეთო, ძნელი სათქმელ-საკეთებელია.

17451. ალბათ, ცუდად იმიტომ გვეპყრობიან, ან ვიმსახურებთ ან სათანადოდ გათავხედებულთ ვერ ვუბრუნებთ უზრდელობის ხურდას.

17452. ზოგი უარი ნაღდ სპონსორს სჯობს და ხელს უკეთ გიმართავს, თავზე განგაწყობს და შეუძლებელს შეგაძლებინებს.

17453. მოწყენილობა იდუმალი ნიშანია ჩაკეტილობისა, ხოლო მხიარულება ზოგჯერ პირქუშობის სინონიმია.

17454. საჯარო ხალხი თვითმკვლელობამდე ალჰოკოლს, ნარკოტიკებს და იმ დაუხარჯავ ენერგიას მიჰყავს, რომლის გამოყენება უკვე უჭირთ, რადგან მიიჩნევენ, რომ ამქვეყნად ყოფნის ყველა ნეტარება შეიცნოს.

17455. პისტოლეტი ამჟღავნებს მკვლელობას, საწამლავი – მალავს და ინახავს.

17456. ძნელი სათქმელია, უბედურებაა თუ ბედნიერება, როდესაც იმას ამჩნევ, რაც არ უნდა შეგეჩნია და ყოველივეს წინასწარ ხვდები.

17457. ღმერთმა ნუ ქნას, მექრთამეს ხელი დაუგრძელდეს და ქრთამის გამღებს დაუმოკლდეს, მაშინ რა ქვეყანა აშენდება, განგებისთვისაც უცნობი დარჩება.

17458. ზოგჯერ იმის მადლობელიც ვართ, ვინც გაგვაცუცურაკა ე.ი. გამოგვაფხიზლა, ცხოვრებაზე საღი თვალებით ყურება გვასწავლა და ნდობა-მინდობის კრიტერიუმები დაგვიწესა.

17459. სიბრიყვე, ზოგიერთი მძიმე შედეგის მიუხედავად, დრამა არ არის, რადგან მისი ჩადენა ჩვენდაუნებურად ყველას შეგვიძლია.

17460. შენი საქმეა ის, რასაც თავდავიწყებით და სიამოვნებით აკეთებ, მაგრამ თუ არ გაგიმართლა და სხვა საქმეს მოჰკიდე ხელი ისიც საფვარელ საქმიანობაზე ფიქრით უნდა შეასრულო.

17461. პატივმოყვარეობა ყველას გაგვაჩნია, მაგრამ მისი საზღვრების დადგენაა ძნელი და ზოგჯერ – შეუძლებელიც.

17462. ძილში დაწყებული საქმე სიფიზლეში იშვიათად მთავრდება წარმატებით, მაგრამ ეს მეოცნებე მძინარას დიდად არ ანაღვლებს.

17463. ზოგჯერ თავშეყრას თავყრილობად ნათლავენ და თავზე წარმოდგენას იქმნიან.

17464. საკუთარი ნაკლის დანახვება, შენზე ,,შეფარებული" ოპონენტების საქმეა.

17465. ბანძი – ცუდია, ღატაკი – უსაქმურია, ლოთი – შფოთიანია და მათში კარგის და გასამართლებელი ალიბის მოძიება საკუთარი თავის წინაშე მკრეხელობაა.

17466. დროა წარსულის ზღაპრად ქცეულ დევგმირ წინაპრებს შევეშვათ და აწმყოს საქმე რეალობასთან მიკედლებული გონებით ვაკეთოთ.

17467. არამი ლუკმის მაძიებელი ბევრია, მათი დამჭერი უფრო მეტია, მაგრამ ამ ქრონიკული დაავადების მორჩენას საშველი არ ადგება.

17468. ტყუილს ფანტაზიის გარეშე არსებობა უჭირს.

17469. უსაქმური ყოველთვის ცდილობს საქმიანად და ბეჯითად გამოიყურებოდეს, რაც თავის წარმოჩენის სურვილზე მიუთითებს.

17470. ნუგეშ–უნუგეშობის ალგორითმი უბადრუკობის შეგრძნების ინტენსივობაში დევს.

17471. გონიერება უკეთ გრძნობს ბოროტების და სიკეთის არსს, ვიდრე უგნურება, მაგრამ ეს უკანასკნელი პრაქტიკულ გარემოში უკეთ ერკვევა.

17472. უბედურება ის კი არ არის, რომ წიგნს იპარავენ, არამედ როდესაც ის არავის სჭირდება.

17473. ღარიბი ყოველთვის ცდილობს მდიდრის მოტყუებას და აქედან სასიკეთო არაფერი გამოდის, რადგან პირველი – თავშელახულ ამბიციებს იკმაყოფილებს, მეორე – ადამიანში კიდევ ერთხელ წბილდებას, მასზე გული უცრუვდება და უფრო მდიდრდება.

17474. ხშირად ჩვენს მიერ დაშვებული შეცდომების გასწორების არც სურვილი გაგვაჩნია, არც დრო, არც გონიერება და წინდახედულება.

17475. გულის მოსაფხან სიტყვას არ სესხულობენ, მას თავად შობენ.

17476. ეშმაკობა, მოხერხებულობა, პატარა ჭკუის ნაყოფია, ხშირად დიდი შედეგით.

17477. არის ხალხის კატეგორია, რომელთა სიკვდილის შემდეგაც არც ცუდის თქმა შეიძლება, არც განსჯა, რადგან ისინი არ ტოვებენ თავიანთ სახელს და ისეთ საქმეს აკეთებენ, რაც ყველას არ ძალუძს (მზვერავები, ჯალათები, სექსეტები).

17478. ზოგჯერ შენს ნიჭს, შესაძლებლობებს, მტერი უფრო აფასებს, ვიდრე გვერდში მდგომნი და მოყვარენი.

17479. აღზევების დროს ხშირად თანახმა ვართ წყნა დავივიწყოთ, რადგან ამ გონიერებაში შესაძლო გამორჩენაცაა ჩადებული.

17480. ხშირად სამართლიანობისთვის ბრძოლა არ ღირს, რადგან როდესაც საწადელს მიაღწევ, მისი აქციები დევალვირებული და ფასდაკარგულია.

17481. ზოგი, ინსტინქტურად, არც ნიჭს გაპატიებს, არც – წარმატებას, თუკი ამის შემთხვევა მიეცა.

17482. ორი ბატონის სამსახური იმითაც არის საინტერესო, რომ ორივესთან მთელ შტატში ზის და ერთმანეთს უპირისპირებს.

17483. კარიერის საფეხურებზე სირბილი გვრჯნის, უკანმოუხედავად.

17484. ფანატიზმი ხშირად ჭკვიანია, უკანა რიცხვით.

17485. თავის სისულელეს ვინც სხვის სისულელის ნაბარტყად თვლის, ასეთი კაცი მთლად სულელი არ უნდა იყოს.

17486. ერთი მილიარდი ნათურის მომჭირნეობით მოხმარება რომ ჩვენი ნებით გვესწავლა ეს ,,სითბურ ეფექტს'' რამდენჯერმე შეამცირედებდა, თორემ საბედისწერო გარდაუვალობა ნათურებსაც გამოგვათიშინებს და გაჭირვებასაც მოგვათმენინებს.

17487. ხშირად რწმენა, იმედი, ლოდინი, უვიცობის და საკუთარი უნიათობის შედეგია.

17488. სურვილი შეცოდების და სურვილი არშემჩნევის იგივეა, როცა არ გინდათ დაინახოთ და დაეხმაროთ.

17489. ხელქვეითს მივცეთ თავისუფლების და ინიციატივის გამოჩენის უფლება, მაგრამ ჩუმად გადავამოწმოთ იმგვარად, რომ ამას ვერ ხედავდეს, მაგრამ გრძნობდეს.

17490. ხელგაშლილობა და უმადურობა ძმები არიან, როდესაც ერთს ხალისი უჩიჩხინებს, მეორეს – დაჯვედრება-ჭკუის სწავლების სურვილი.

17491. ბოროტებას თავისი ბოლო აქვს და მის დაცვას გონიერება არასოდეს იკადრებს, რა მოტივითაც უნდა იყოს გამართლებული, თუმცა რა არის ბოროტება, ეს კიდევ დასადგენია.

17492. დაპირისპირების გარეშე ცხოვრებაც გაჭირდება და პროგრესსაც დედა ეტირება.

17493. ჩაშვება და დაბეზღება სხვადასხვა რამაა, რადგან პირველი სხვისი დავალების შესრულების სიამოვნებას ემსახურება, მეორე საკუთარი ინიციატივა და თანდაყოლილი მოთხოვნაა.

17494. ძალადობის მთესველი საბოლოო შედეგს ყოველთვის უსუსურობით იმკის.

17495. მოგება-წაგება ძმები არასოდეს ყოფილან, რადგან ის უმცროს-უფროსობის საწყისია, სადაც დროებით ხელმოცარულიც კი, ფეხბედნიერის ნებას ემორჩილება და მის რჩევა-დარიგებებს ისმენს.

17496. შანტაჟია ისიც, როდესაც: კომპრომისს – სიმხდალედ, გამბედაობას – სიმკაცრედ, გადამჭრელ ღონისძიებებს – დიქტატად, თავის მართლებას – აღიარებად, დუმილს – თანხმობად გითვლიან.

17497. ,,ცოლს მოიყვან – ინანებ, არ მოიყვან – უფრო ინანებ'' – ამ დილემის აბსურდს თავისი კომპრომისი და ალიბიც გააჩნია. მოიყვა-

ნა, ნაშიერი იყოლა, გაშორდა, რათა სანანებელიც ნაკლები დარჩეს, ცნობიერებასაც დაიკმაყოფილებს და წინაპართა მიმართ, ასე თუ ისე, თავის მართლების უფლებაც ექნება.

17498. მოხალისედ ნებაყოფლობით არ ხდებიან, მათ აღზრდა, გარემო, გამოუვალი მდგომარეობა და მასში გაურკვევლობა ასულდგმულებთ და იძულებულნი არიან უნარიან შემძლეთა სურვილებს, ნებას, დაჰყნენ.

17499. წესრიგის სურვილი და იარაღის გამოყენებით წესრიგის დამყარების მცდელობა სხვადასხვაა, მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგჯერ აუცილებელია, რათა დრო არ გაგვეპაროს და უარესმა უბედურებამ არ გაინავარდოს.

17500. მომავლის შეიძლება არ გწამდეს, მაგრამ მისი უნდა გჯეროდეს და ცილი არ უნდა დავწამოთ.

17501. დედამიწის ზედაპირის ფართის მასშტაბის გაზომვა სანტიმეტრითაც შეიძლება და სახაზავითაც, გააჩნია, რა ხასიათზე ვართ იმ წუთში და რის გაგების სურვილმა გაგვიელვა თავში სამყაროს შესაცნობად.

17502. მოტივი ყოველთვის კეთილშობილურია, მაგრამ ყოველთვის არ ამართლებს.

17503. დედები იდიოტებსაც ბადებენ და გონიერებსაც, მაგრამ ეს მათი ვალია, შედეგის მიუხედავად.

17504. ერთგულებას დიდი მოთხოვნილებაც აქვს, რაც ზოგჯერ გუნება-განწყობისათვის აუტანელი ხდება.

17505. გამოთქმა, ,,მეფობს მაგრამ არ მართავს'', კარგი ალიბია უსაქმურობის, უსუსურობის, დასამალავად.

17506. სიზანტე მიჩვევაა და არა – ბუნება.

17507. სიცრუით ყველა ცრუობს, მაგრამ მასაც თავისებური წესიერება, ზღვარის დადება სჭირდება.

17508. სიცრუის თქმა საჭიროების ჟამს უნდა შევძლოთ, მაგრამ გონიერების საცერში გატარებით.

17509. მიზანი ხშირად გასაგებია, მაგრამ მისი მიღწევის მეთოდებია გაუგებარი და სადაო.

17510. თევზაობა თავისებურად სასიამოვნო ონანიზმია, თევზის ნაპირზე ამოგდებით.

17511. ცრემლი გვაიძულებს მის სიმართლეში ეჭვი არ შევიტანოთ.

17512. საიდუმლოს საიდუმლოდ გამხელა, სხვისი საიდუმლოს დაუფლების მცდელობაა საიდუმლოდ.

17513. დღეს საკმარისი არ არის ადრე ადგე – უნდა მოასწრო ვარჯიში, კარგ ხასიათზე დადგე, მანქანა სადგომიდან გამოიყვანო, საცობში გაძვრე, მანქანის დასაყენებელი ადგილი მონახო და დილიდანვე ასე გარჯილი დროულად მიხვიდე სამსახურში.

17514. მობილური ტელეფონი წინათ აღფრთოვანებას იწვევდა, დღეს ძალადობის, კონტროლის იარაღია და ხშირად ნერვების ამშლელიც.

17515. ცივილიზაციის და პროგრესის ნაყოფის წინააღმდეგი არავინაა, მაგრამ ზოგს რატომღაც ანერვიულებს და ძველის გახსენებით და მოფერებით თავს იტკივებს.

17516. ძალოვანმა მინისტრმა მექრთამე თანამშრომლის დაპატიმრება მანამდე გადასდო, სანამ ის უძრავ-მოძრავი ქონების შეძენიდან რესტორანში ფულის ხარჯვაზე არ გადავიდა და მისდაუნებურად, ნაკეთები სასარგებლო პასიური საქმე არმად ნაშოვნი ფულის აქტიური ფლანგვით არ შეცვალა.

17517. ხშირად არჩევანი დამოკიდებულია შემთხვევაზე და იმაზე, თუ რას გვთავაზობს საპატარძლოების ბაზარი და არა ბედზე, როგორც ჩვენ გვგონია.

17518. უკუღმართობა ხშირად თავგადასავლის ძებნის შედეგია და არა – უსაქმურობის.

17519. ზოგჯერ დანაშაულიც იქცევა საქმედ, რომელსაც ძალზე კეთილი საწყისი ჰქონდა.

17520. გამონაკლისზე ფიქრის გარეშე, ვერც კანონს გაუგებ რაიმეს და ვერც სამართლიანობის აღსრულების გემოს შეიცნობ.

17521. თავის გამოდება-მეტიჩრობის გარეშე კარიერის კიბეზე სირბილი გამორიცხულია.

17522. ქონა-არქონა ტრაგედია არ არის, მასზე ფიქრი და განცდაა ტრაგედია.

17523. ძალას პირველ რიგში ნებისყოფა განსაზღვრავს და არა გავლენა, სურვილი, ინტერესები.

17524. ხელმძღვანელის გადაწყვეტილება ხელქვეითის მიმართ ან სამართლიანი უნდა იყოს ან ლამაზი, რათა ხელქვეითი ნაწყენი არ დარჩეს.

17525. ვისაც არაფრის ეშინია, მას არც არაფერი აქვს დასაკარგი, თუ ბუნებით გულდედალი არ არის.

17526. სისულელე და სიმამაცე ხშირად მათდაუნებლიედ მეგობრობენ და ზოგჯერ მოულოდნელ გმირობამდე მივყავართ.

17527. გამბედაობა ძალზე შრომატევადი, საამაყო სამუშაოა და ის მშიშრების, მცონარების დასაცავად არ არის მოწოდებული.

17528. ბაჯაღლო ოქრო შეფერილი ,,პლასტმასის აზროვნებით'', მიდგომით, თავის ფასს, პეწს და თავისადმი იმედს კარგავს.

17529. ალბათ ყველანი გამყიდველნი და საქმის მოღალატენი ვართ, ფულის გულისათვის შეიძლება არავინ გავყიდოთ, მაგრამ მეგობრებისთვის შეიძლება საქმესაც და კანონსაც ვუღალატოთ. აქ ღმერთი და ქვეყნის წინაშე ვალი არაფერ შუაშია, უბრალოდ, ასე აღგვზარდეს ჩვენმა წინაპრებმა.

17530. იყო ,,ძვირფასი'', დაფასებული ან ამგვარად გამოიყურებოდე სხვა ფასი აქვს და სხვა ჩალიჩი ჭირდება.

17531. გატაცება ხშირად ნაძირალების ,,მსხვერპლი'' ხდება, რადგან მისი მისია საკაცობრიოა და ცხოვრების ამაოებას ვერ გრძნობს.

17532. წვრილფეხა ღარიბების დანაშაული ხშირად უსახსრობა-უმუშევრობის ბრალია, ხოლო მსხვილფეხა – მდიდრების ცხოვრების მოყრჭება-გათავხედება.

17533. კარგი ჯარისკაცი ხშირად მეორეხარისხოვანი მოქალაქეა, რადგან საფასური სრულად არ გადაუხადეს და მასზე საკმარისად არ იზრუნეს.

17534. ზოგჯერ არის გარემოება, როდესაც სისულელეს უნდა დაუწვე – თავი არ გაუყადრო.

17535. იმისათვის, რომ ვიღაცას აწყენინოთ, უნამუსობა საჭირო არ არის, საკმარისია ნიშნისმიგებით დაუტკბეთ და მოეფეროთ.

17536. ნერვების მომშლელი – ,,ვყიდით თუ ვყიდულობ'' ის პირია, რომელი თავისი ერუდიციის და დაუსჯელობის წყალობით დღეს ერთს ამტკიცებს, ხვალ – საწინააღმდეგოს, ზეგ თუ დაჭირდა მესამესაც გამოთხრის და ყოველთვის მართალია.

17537. შეცდომის ჩასადენად და გამოსასწორებლად დაბადებულ ადამიანს ანგელოზი კი არ ასწორებს, ხშირად ეშმაკის ფეხად აქცევს, რადგან ანგელოზიც გაურკვეველი მოდგმისაა ე.ი. მერყევია, მომხიბლელია, სადაო, როგორც გადაცდენა ყველა.

17538. შურისძიებას საზღვარი არ ექნება თუ მას თავის ჭკუაზე მივუშვებთ, წაუყრუებთ, რადგან მის აღზევების მიზეზი სახელმწიფოს უძლურება, არასრულყოფილი კანონებია, ყალბი დაპირებებია.

17539. ზოგი სიცოცხლეშივე ლპება, ზოგი საფლავშიც არ იხრწნება, გააჩნია პიროვნებას, დროს და მათ ამქვეყნად მოვლენის მიზანს.

17540. ცხოვრებაში ყაიმი არ არსებობს, ზოგიერთმა აწმყოზე დროულად გამოდევნებით უნდა გაიმარჯვოს.

17541. ზოგჯერ შემთხვევა ანგრევს ჩვენს ჩანაფიქრს ყოველგვარი შიფრის, კოდის გარეშე, რომელსაც იმედი, ნატვრა და ცხოვრება ჰქვია.

17542. წყვილის ურთიერთობა, შეყრა, სიყვარულით ან მისი ,,ბიძაშვილით'' იწყება, ხოლო გაყრა-დაშორება ანგარებით და ,,შენია-ჩემიათი''.

17543. ყოველივე იმაზე ცუდად გვეჩვენება, რაც სინამდვილეშია და ყოველივე იმაზე უკეთესია, რასაც ჩვენ ვფიქრობთ, ველით, მაგრამ გარანტიის გარეშე.

17544. ქრთამსა და ძღვენს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი იძულებული პატივის მიგებაა ფულის მოშველიებით, მეორე ნებაყოფლობითია, მაგრამ საქმიდან გამომდინარე.

17545. ზოგჯერ იმათთან ჯობს ყოფნა, რომლებიც არც არაფერს გიშავებენ და შენი არც კარგი უნდათ და არც ცუდი, მაგრამ გააჩნია ადამიანს და მის გენს.

17546. ეშმაკი, დემონი ყოველნაირ ხელობას და ხელოვნებას ფლობს, მაგრამ შეფასება-დაფასების გარეშე.

17547. სისაძაგლეს მეტ-ნაკლებად ყველა კადრულობს, ნებით იქნება ეს თუ უნებლიედ.

17548. უვიცობის იმას არ რცხვენია, ვისაც ამას არ დაუჯერებენ.

17549. ხშირად ერთმანეთს ვატყუებთ და ძმობას ვეფიცებით და მიზეზს ვეძებთ, რომ ორგულობის ალიბი გვქონდეს.

17550. ჭკვიანი კაცის მოსმენა ბედნიერებაა კვადრატში, დილეტანტისთვის ყურის გდება – გონის მოხმობა კუბში, ხოლო უვიცი ყბედის გაძლება ხელოვნებაა ბინომში, რათა საერთოდ ყურისგდების სურვილი არ დაგეკარგოს.

17551. ნარკოტიკს ლოთობა სჯობს, იუმორსაც ანვითარებს და გუშინდელი სუფრის და მისი საქციელის გახსენებაც არ უნდა, ხოლო ნარკომანს წინა დღე მშვენივრად ახსოვს, მაგრამ ნარკოტიკს მაინც დაეძებს.

17552. გაოცება დაპყრობის საწყისია, დაფავება შენარჩუნების, უყურადღებობა დაკარგვის.

17553. საყოფელთა ყოფის ფორმულა ტოლია სიყვარული, მოსმენა, წინდახედულება, გაყოფილი მოთმინება, ჩასაფრება, დროის შერჩევაზე, გამრავლებული სამშობლოზე, შთამომავლობაზე, სახელის დატოვებაზე, გაყოფილი მცდელობაზე, სასუსნავზე, პასუხისმგებლობაზე.

წუთისოფელი

17554. ქედმოუხრელი აზროვნების, ქედმაღალი შუბლის და კვერ-ცხისმდებელ თავს ხშირად ავიწყდება, რომ ის საზოგადოებაში ცხოვ-რობს, რომლის ბრბოდ გადაქცევა ძალზე ადვილია.

17555. მდედრის როლს ულამაზო, კაპასი და ავი ქალიც ასრულებს, მაგრამ ამ წუთიერ სიამოვნებას ღვთის ნაბოძები სიცოცხლე არ უნდა შესწირო.

17556. ადამიანური სიტყვები და ოცნებები დაიკარგება, მაგრამ ფაქტები და ჭორები რჩება.

17557. რთულია იყო პიროვნება და არ იყო ადამიანი, მაგრამ მამაზეციერს ნიჭის წარმოჩენა ხანდახან ამ გზით სჭირდება.

17558. ამქვეყნად სამყაროს გასასამართლებლად ან საშველად არ მოვსულვართ, უბრალოდ თავს დროულად უნდა მივხედოთ, სიცოცხ-ლე გავიხანგრძლივოთ და კმაყოფილი წავიდეთ ამ ქვეყნიდან.

17559. ზოგს, კეთილი ბუნების მიუხედავად, მამაძაღლობის, ჩალი-ჩის, გარეშე თავი ვერ გააქვს ე.ი. სასაფლაროც არაფერია.

17560. ჭეშმარიტება ყველაზე ძლიერი იარაღია, მაგრამ გააჩნია ვის ხელშია და რა ძალა შესწევს.

17561. სიკეთეს მადლიერებასთან ერთად, მუშტიც უნდა იცავდეს, რათა ვინმეს რაიმე თავის სასარგებლოდ არ შეეშალოს.

17562. წარმატებას ის აღწევს, ვინც დროებით უარს ამბობს ბრბოს-თვის გასაგებ ტკბილ ცხოვრებაზე – მიზნის მიღწევამდე.

17563. სიცოცხლეს ახანგრძლივებს საფარელი საქმისადმი, ქალი-სადმი, ერისადმი, სუფრისადმი, ზომიერი სიყვარული და იმის შეცნობა, რომ შენ ამქვეყნად ჯერ კიდევ საჭირო ხარ.

17564. ზოგს დღეს უნდა ლამაზად იცხოვროს, ხოლო მომავალში ვინმე გაიხსენებს თუ არა, არ აინტერესებს, ზოგი კი სიცოცხლეში განიცდის იმ სიამოვნებას, რასაც იმქვეყნად გადაბარგების შემდგომ მასზე იტყვიან.

17565. ვინ წარმოიდგენდა, რომ მესამე მსოფლიო ომის მიზეზი ტერორიზმთან და გლობალურობასთან ბრძოლის საბაბი იქნებოდა, ხოლო მისი საშინელი იარაღი – ,,შახიდები'' და ,,კამიკაძეები''.

17566. იყო საუკეთესო და კარგები დაჩრდილო, ეს დროის ყავი-ლია და არა იმ აქტიურობის, რომელმაც შენ წარმოგაჩინა.

17567. წარსულზე განუწყვეტელი ფიქრი აწმყოს უიმედობით არის გამოწვეული, რაც საშუალებას არ გვაძლევს მომავლის გეგმები დავაწყოთ.

17568. ჩვენ გვმართავს შემთხვევა, რომელსაც ჩვენდაუნებურად ყელგან დავეძებთ.

17569. ხშირად ჩვენი ბედის არჩევანს ტრადიციები, მოვალეობა, დედმამიშვილები და მშობლების ასაკი წყვეტს, რაც საბოლოოდ გვაბნევს და ჩვენს ცხოვრებას ისე ვერ წარმართავს როგორც თავიდანვე იყო ჩაფიქრებული და ხშირად, როგორც ირკვევა, საბოლოოდ ცუდი არ არის.

17570. სიკვდილი მაშინ არის საშიში, თუ ამ ქვეყნიდან უდროოდ, უხმაუროდ და ღიმილის გარეშე მიდიხარ.

17571. ასაკი უფრო ებღაუჭება სიცოცხლეს ვიდრე ჯეელობა, ალბათ იმიტომ, რომ პირველმა, მეორესაგან განსხვავებით, დროის მუხანათობის და სიცოცხლის ფასი უკვე შეიცნო.

17572. სიკვდილი სამყაროს უანგარო მოხელეა, მისი არც „მოთარგმნა“ შეიძლება, არც მოქრთამვა.

17573. ხანდახან ჯოჯოხეთი უარეს ჯოჯოხეთს ატრიალებს, თუ გონიერება გათიშულია.

17574. ის, რაც მორალის თვალსაზრისით კარგი და თეორიულად მისაღებია, პრაქტიკულად არ ამართლებს და ჩვენს ამქვეყნად მოვლენას აზრს აკარგვინებს, ცხოვრება არ გამოგვდის.

17575. სრულყოფილ სიცოცხლეს აქვს ფასი და არა უბრალოდ არსებობას. როდესაც შენი ხანდაზმული ასაკით ყველას თავს აბეზრებ, შენს გემოვნებაზე და შეხედულებებზე აღარ დაობენ.

17576. არის რაღაცა, რომლის ტირაჟირებას ვერიდებით, რათა „ვეტო“ არ აეხსნას და უგნურების მისაბაძი არ გახდეს, თუმცა მომდევნო თაობები ჩვენს სიფრთხილეს არად აგდებენ, რადგან ყოველივეს ასაკი, გარემო, შემთხვევა და ტექნიკური პროგრესი განაგებს და არა – წვრთნა და ტრადიციები.

17577. სამყარო შენი ამქვეყნად მოსვლა-წასვლის მადლით უნდა შეიცნო და დააფასო, ყოველგვარი დანანების გარეშე.

17578. უსამართლობაა, როდესაც მშობელი შვილის ტრიუმფს ვერ მოესწრება და ამით ნაშიერის სიამაყეს ბევრ სასიამოვნო წამებს აკლებს, რადგან მან ვალის დროული გადახდა ვერ მოახერხა.

17579. ადამიანისთვის სიკვდილი დასვენებაა, სიცოცხლე – მუშაობა, ხოლო მათ შორის მორჩენილ დროს გართობის და ძილის სახით უხმობს.

17580. მეგობრები არ კვდებიან, ისინი ჩვენში ფანებად რჩებიან, რომელთა განსხვავება ყოველთვის ჯეელობას და სიამის ღიმილს გვგვრის.

17581. ცნობიერებისთვის წარსული და მომავალი რაც უნდა მომ-ხიბვლელი იყოს, ჩვენ მაინც აწმყოს შვილები ვართ და მისი განსჯა დროის მორგებასა და ჩვენი წარსულის ალიბზეა დამყარებული.

17582. საოცარია, სამყაროს სტუმრები რატომ ვერ ვუგებთ ერ-თმანეთს, როდესაც სიკეთის, დროსტარების, სიფვარულის და კვლავ-წარმოებისთვის ვართ მოვლენილი ამქვეყნად.

17583. სიბერე ცუდი კი არა, კარგია, რათა ვადამდე არ გამოვაკ-ლდეთ ამ წუთისოფელს.

17584. სამყარო გულმოწყალებას ვერ გამოიჩენს იმათ მიმართ, ვისაც ცხოვრებასთან შერკინება ეზარება და წინაპართა გამოცდილე-ბით სარგებლობს.

17585. ექსტრემალურ სიტუაციაში არავინაა დაზღვეული არაორ-დინალური საქციელისაგან, მაგრამ ამ პირობების შექმნის ინიციატივა შენგან არ უნდა მოდიოდეს.

17586. ხშირ-ხშირად უნდა განვთავისუფლდეთ ვნებათა გამოღვიძე-ბისაგან, თუ გვინდა ყოველი ცხოველმყოფელი სიამე შევიცნოთ და შევიგრძნოთ.

17587. გულს ან სიფვარულ-სიძულვილის ჭია შეეპარება, ან სიბერე – დაავადებათა მატლი და სხეულის ყველა ნაწილზე გადანაწილდება, მაგრამ უმეტეს დარტყმას თავზე იღებს და ცხოვრების გაგრძელებას ცდილობს.

17588. უგნურება იმ წესებს ასრულებს, რომელსაც მოყირჭებული ტრადიციები წერენ.

17589. ამქვეყნად მოსვლა თავისებური სერობაა, რომელიც სადე-დოფლოებს, მზეთუნახავებს და იმ სიმახინჯესაც გვთავაზობს, რომლის გარეშე ამ სიმშვენიერის შეცნობა-გათავისება შეუძლებელი იქნებოდა.

17590. გამარჯვება ყოველთვის იმათ მხარესაა, ვისაც ცოდნა, მო-ხერხებულობა და მოთმინება ახასიათებს და მარტო ძალის იმედზე არ რჩება.

17591. სიკვდილი დაუკითხავად ყველასთან „ხელშეკრულებას“ დებს, მაგრამ ასევე შეუთანხმებლად, როცა მოესურვება, არღვევს, ამიტომ მასთან ჭიდილი დროის კარგვაა.

17592. სიფვარულის განსჯაში ერევა გონიერების და შთამომავლო-ბის შენარჩუნების კანონი, სადაც გრძნობათა ღელვის აქსიომა უკან იხევს, რადგან ბებია და ბაბუა, აუცილებლობის შემთხვევაში, საფვარელ შვილს გასწირავს, ვიდრე შვილიშვილს და შვილთაშვილს.

17593. ასაკთან შეთამაშებით განისაზღვრება: ქალის სურვილის და სიყვარულის აფეთქების ხარისხი.

17594. დრო არსებობს მკაცრი, ვერაგი, გაუგებარი, მაგრამ დასა-მახსოვრებელი და ჭკუის სასწავლი.

17595. ცნობიერების „ბაზარი", ტყუილუბრალოდ არავის რაობას არ შეეწირება.

17596. მთაში დაბადებულისთვის ბარში სიკვდილი საცოდაობაა, თუ მას შესაბამისი რეგალიები თან არ ახლავს.

17597. სიკვდილზე უტყუარი და საიმედო არაფერია, რადგან სხვა ყველა განგებაზე, ბედზე და შემთხვევაზეა დამყარებული.

17598. სიცოცხლის არსს, ხარისხს, ასაკი არ განსაზღვრავს, მისი შემფასებელი უკვე ჩამოყალიბებული ხასიათია.

17599. დაღვინებას, სიმწიფის დაჩქარებას საბოლოოდ ის შედეგი არ მოაქვს, რისთვისაც იყო გამიზნული.

17600. სანამ არსებობს ადამიანთა მოდგმა, რომელსაც გაოცება შეუძლია, მანამ ექნება ამ ქვეყნად ყოფნას ჩვენთვის გასაგები პეწი და ლაზათი.

17601. ამ სამყაროში ყველაფერი არც იყოფა და არც იყიდება, რადგან არის რაღაცა, რომელიც მთელი ცხოვრების განმავლობაში ნაშთს, ხურდას გიბრუნებს.

17602. ზოგის ჩასახვის პროცესში მამა მეანაბრეა, დედა ბანკია, თავად ცხრა თვის შედეგად მიღებული ანაბრის პროცენტია, ხოლო შემდგომ როგორ წარიმართება ამ თანხის დაბანდება-გამოყენება, შემთხვევაზე, გარემოებაზე, ბედისწერაზეა დამოკიდებული და არა – წინაპართა დანატოვარზე.

17603. სიცოცხლე სიყვარულია, ცხოვრება გამოცდაა, ბედნიერება საჩუქარია, ხოლო სიკვდილი ჩვენი ამქვეყნად ყოფნის ბალანსის და ბალასტის შეჯერება-ანგარიშია.

17604. წარსულს სათუთად უნდა მოვეპყრათ, რაც უნდა აწმყოს-თვის მიუღებელი ჩანდეს, რადგან იმ დროის ვითარების შეცნობა, ჩვენი გონების შესაძლებლობებს აღემატება.

17605. ზოგი ამქვეყნად ერთი მინდობილობით, გაორებული სულით და გახამებული ცხოვრებით ცხოვრობს.

17606. ბუნებაც თავის პროფილაქტიკას ეწევა, მიწისძვრებით დაა-ვადებულ ქვეყანას მოკლეყურებიანი იაპონური კურდღელი მოუმრავ-ლა, რათა დედამიწის რყევას ისინი არ დაეფრთხო და მათი ბინადრობა სათუო არ გახადა.

17607. სისულელესა და სიბრძნეს შორის მანძილი დროა და არა ერთი შემთხვევით გადადგმული ნაბიჯი. ამის შესანიშნავი დამადასტურებელია ჩვენი წინაპრების უგნურება. ისინი თავისი დროის ეკონომიკისთვის გაუმართლებელ პირამიდებს და ტაძრებს აგებდნენ, რომლებიც, დღეს, შთამომავალთა გასაოცრად, ქვეყნის ბიუჯეტის გარკვეულ ნაწილს ავსებენ.

17608. წარსულმა უნდა იფიქროს აწმყოს გათავისებაზე, მომავალმა – სიბერის პროფილაქტიკაზე, ხოლო ამ ჭიდილში ცხოვრება ისე გვეპარება, ვიცხოვრეთ თუ ვიარსებეთ, ვერ გავრკვეულვართ.

17609. ღარიბმა თუ ხელი შემთხვევით რაიმეს გამოკრა, მთელი გულით ხარობს, დიდხანს ამახსოვრდება და ყველას გულახდილად ყველაფერს უყვება ყოველგვარი შელამაზების გარეშე, იმ იმედით, რომ კიდევ გაუმართლებს.

17610. სიფარული–სიძულვილი, სიცოცხლე–სიკვდილი, ძალა–უძლურება, აი, სამყაროს უმთავრესი მარადი ძრავა და ცხოვრების შეუცვლელი ალგორითმი, რომელსაც სიცოცხლე ჰქვია.

17611. რამდენი ტალანტი, ნიჭი დახეტიალობს ამ ქვეყანაზე ყოველგვარი ზედამხედველობის და გამოყენების გარეშე და მათ გამოუყენებლობა რომ უგნურება და ქვეყნის ღალატია, არავის აწუხებს.

17612. სიბერეს მაშინ გრძნობ, როდესაც ამდენ წვალებას, იმქვეყნად დასვენებას არჩევ.

17613. სიცოცხლის წყურვილია ყველაზე დიდი ფენომენია, სადაც ჩვენი მცდელობა, შემთხვევა, ბედი, ჩვენს ჩასახვამდე ჩადებული.

17614. სიცოცხლეს იხანგრძლივებ მაშინ, როდესაც იმაზე მეტს ითხოვ, რასაც შენი ბუნება და ცხოვრების წესი გთხოვს.

17615. ყველა ჩვენგანს გააჩნია ბიოლოგიური უნარი სიფარულის, გამრავლების, ყოფის შეცნობისა და იმქვეყნად გადაბარგებისა, თუ ჩვენდაუნებლიედ შემთხვევა არ ჩაერია.

17616. ემოციებს ყოველთვის უფრო უჭირს თავისი სიმართლის ლელოს გატანა, ვიდრე თავშეკავებას და ანალიზს.

17617. სიბერე უღალატოა, ის დაუპატიჟებლად ყველასთან მეგობრობს, ოღონდ რა დროით, ეს უკვე მიქელ–გაბრიელის საქმეა.

17618. არის რაღაც შემაძრწუნებელი, საზარელი რეალობა, რომელსაც უნდა შეურიგდე და მოერგო, რადგან განგებამ ასე ინება.

17619. დღევანდელი გადასახედიდან წინაპრების შეცდომაც ჩვენთვის წარმატებაა, რადგან ეს ქვეყანა აქამდე მოიტანეს, ჩვენ კი რაღაცის კეთების შანსი მოგვცეს.

17620. სიამაჟ არავისგან არაფერს ითხოვს, იმ იმედით, რომ ყოველივე თავის დროზე მოვა, მაგრამ სამწუხაროდ, ეს დრო ხშირად იმქვეყნად გადაბარგების შემდეგ მოდის და ნიშანს ამ ქვეყნიდან მიუგებს.

17621. პირდაპირობას, ჯერ-ჯერობით, პრაქტიკულად სიკეთე არავისთვის მოუტანია.

17622. ქალი არასდროს არ ცდება, მამრი ყოველთვის მართალია და ამ აქსიომის ავ-კარგით გააქვთ ეს წუთისოფელი.

17623. ცივილიზაციის საოცრება ის არის, რომ ადამიანი ყოველთვის უბრუნდება პირველყოფილ ყოფას ტექნიკური პროგრესის გადასახედიდან.

17624. ჯანმრთელობის, სიფარულის, ერთგულების, ფასი არც არავის დაუდგენია და ბოლომდე ვერც ვერავის დაუფასებია.

17625. რაც უნდა წინ ვიყურებოდეთ, მაინც ჩვენი დროის შვილები ვართ და ამ დროისთვის განწირულნი.

17626. ხან ბედია ჩვენს მხარეს, ხან – შემთხვევა, ხოლო ამას თუ კიდევ ფორტუნაც დაემატა, ამ წუთისოფლის სასაჯედურო არაფერი დაგრჩებათ.

17627. სიცოცხლის შეცნობა მაინც ადამიანებთან ახლოს ყოფნა და სიფარულია, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამქვეყნად ჩვენი ყოფნის ნიჭი და მისწრაფება დახურდავებულია.

17628. დაუნდობელ წუთისოფელში ბუნებრივი სიკვდილიც დიდი ბედნიერებაა.

17629. სიკვდილის შემდეგაც ჩვენ იქ ვიმყოფებით, სადაც ჩვენი ოცნებაა დამარხული.

17630. როგორც კი განთავისუფლდება მონობისაგან ან მიანიჭებ თავისუფლებას, ყველა თეორიისა და მორალის საწინააღმდეგოდ, ადამიანთა უმეტესობას თვალი საქურდლად და სამამაძაღლოდ უჭირავს.

17631. წარსული დამსახურება, იმქვეყნისაგან განსხვავებით, ამქვეყნადაც ხშირად არავის აინტერესებს.

17632. სხვის სიკვდილს ვეგუებით და ეპითეტებით ვამკობთ, რადგან ვიცით, როცა იქნება, მის ადგილზე აღმოვჩნდებით და ჩვენი იმქვეყნად გასტუმრების რეპეტიციებს ვესწრებით.

17633. საიუბილეო მრგვალი თარიღების აღნიშვნა არა შენი მცდელობის, არამედ განგების ნებაა.

17634. ჩვეულებრივ მოკვდავს სიამოვნებს შეხედულება, რომ ყველა მდიდარი ქურდია, ხოლო ღარიბი – პატიოსანი, ყველა ლამაზი, მომ-

ხიბვლელი მისთვის მიუწვდომელი ჩერჩეტია, გარყვნილია, მაგრამ თავად ჭკვიანია, რადგან უშნოა და უიღბლო.

17635. პატივი ერთეულთ უნდა მივაგოთ, ხოლო უკანასკნელი ვალი იმქვეყნად წასულთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, აღფრთოვანება და მიტევება აზრს დაკარგავს.

17636. სიკვდილს უნდა ეთამაშო, მაგრამ მოკრძალებით უნდა მოეპყრა.

17637. სიკვდილს მაშინ აქვს აზრი, თუ სიცოცხლემ დაგღალათ და თქვენთვის ყველაფერი სულერთია.

17638. ჩვენ იმდენად სიკვდილის არ გვეშინია, რამდენადაც აუხდენელი ოცნებით, საყვარელ ადამიანთა დატოვებით, იმქვეყნად დაუღლელი წასვლა.

17639. წარსული არასოდეს დაბრუნდება, მაგრამ ამის ცოდნამ ჩვენი მეობა ეჭვქვეშ არ უნდა დააყენოს.

17640. განსვენებულის ბიოგრაფია შეიძლება იუდამაც დაწეროს და ანგელოზმაც, გააჩნია რა კატეგორიის ხალხთან ჰქონდათ ურთიერთობა.

17641. სიცოცხლის უკვდავება სამყაროს კრედიტ-დებიტზეა აღმოცენებული.

17642. ჩვენი ნიჭის შეფასების საბოლოო ადგილს ხშირად სასაფლაოზე ვნახულობთ – იქაც არავის ვახსენდებით.

17643. ჩვენი მცდელობა სურვილებს არასოდეს ემთხვევა და ეს არის ჩვენი ყოფის გამოსავალიც და უსაფრთხოების გარანტიც.

17644. ყველა ასაკს თავისი „ჯაგი-ჯუგი" აქვს, მაგრამ ნამდვილი ღირებულებანი უკვდავია და მათი შექმნა ერთეული ნიჭის გამოძახილია.

17645. დაჯერება-არდაჯერებას ორთავეს, ნაკლი აქვს, მთავარია, შემთხვევამ არ გიმუხთლოს, არ გაგწიროს.

17646. ასაკში გვიყვარს, რატომღაც, იმ დროის გახსენება, როდესაც სიძნელეებს განვიცდიდით, ხოლო როდესაც ამ სიძნელეებს ვძლევდით და გვიხაროდა, ამაზე ხმას არ ვიღებთ.

17647. სიკვდილი საშიში არ არის თუ არ იცი სხვის დაუხმარებლად, როდის გარადიცვლები.

17648. ზოგისთვის მოგზაურობა სიამოვნება, სიახლის შეცნობაა, ხოლო სხვისთვის – თვალის დაყენება, თავის წარმოჩენა.

17649. მთავარი ის კი არ არის, რამდენი ადამიანი ესწრება შენს დასაფლავებას, არამედ რამ აიძულა ისინი შენს დაკრძალვაზე მოსვლა.

17650. ყველა ჩვენგანში ცხოვრობს გარდაცვლილი ოცნება და დარდი, რომ რაც ხელგვეწიფებოდა, ვერ განვარხორციელეთ.

17651. წარსულში თითქოს ვერკვევით, მაგრამ იქ არაფრის შეცვლა არ შეგვიძლია. მომავალი ჩვენთვის უცნობია, მაგრამ სიკეთის კეთების სურვილი გვაქვს. საბოლოოდ, აწმყოში ჩვენი მარგი ქმედების კოეფიციენტი ნულს უახლოვდება.

17652. ყოველივეს თავისი ფასი და ყადრი აქვს, როდესაც ცოცხალი ხარ და ვისმეს სჭირდები.

17653. სიკვდილი მაშინ არის მისაღები, როდესაც სიმშვიდე დაგეუფლება, რადგან ამქვეყნად გაუკეთებელი შეძლების ფარგლებში, ბევრი აღარაფერი დაგრჩება.

17654. სიფვარული თუ უგნურებაა, უგნურება – დანაშაულია, დანაშაული – უგნურების ნაყოფია, უგნურება – გონის დაკარგვის სინონიმია, რომელსაც თანაგრძნობის ვერავითარი ალიბი ვერ გაამართლებს.

17655. ნაღვაწი გიპყრობს აღფრთოვანებით, როდესაც 81 წელს გადააბიჯებ, ეგუები შენს უძლურებას, მაგრამ ჯეელობის გახსენებას ჯიუტად თავს არ ანებებ.

17656. თავს ყველამ თავად უნდა მივხედოთ, თუ გვინდა ამ ქვეყანას ცოტათი მეტად შემოვრჩეთ, რადგან გადამეტებულ სურვილი ამქვეყნად ყოფნისას ბუნების სტატისტიკური კანონზომიერება არ დაგვანებებს.

17657. ჩვენ ყველანი ჩვენი ხედვის ხვედრის მონები ვართ, მაგრამ თავის წარმოჩენით და ღიმილით.

17658. წინააღმდეგობის დაძლევას ნიჭი სჭირდება, ხოლო მისგან წარმატების გამოდნობას მოხერხებულობა.

17659. თავისათვის კონტროლის გაწევა აუცილებელია, რათა ცუდ გუნებაზე მყოფმა რაიმე სისულელე არ ჩავიდინოთ და პატივისცემა არ დავიკლოთ.

17660. წინასწარ დაგეგმილი ჰარმონიული სურვილების დაჯერება ჭირს, რადგან შემთხვევა სად ჩაგვერევა და გაგვეყრება არავინ უწყის.

17661. ზოგი ცნობილი პიროვნება თავისი პრინციპების მძევალია და თავისივე აზრების მონა, ეს მის პოპულარობას ხალხში ზრდის, მაგრამ არა იმდენად, რომ ის პირველ კაცად აირჩიონ, ამას სხვა ნიჭი და შემართება სჭირდება.

17662. მოხერხებულობის გარეშე ცხოვრება, სწორი გზის არჩევა და გამარჯვება თავის წარმოჩენით, ძნელია, თუ ღმერთმა ხელი არ წაგაშველა.

17663. მოვა დრო, ადამიანთა გადაადგილებას საჰაერო ინსპექტორები კოსმოსიდან გააკონტროლებენ და შესაბამისად, ჯარიმაც საკმაოდ გაიზრდება.

17664. ჩვენთვის განკუთვნილ მადლს წუთისოფელი ღერღავს, ფქვავს, ქატოდ აქცევს, ხოლო რა ოდენობით რას გვიწილადებს, ეს ჩვენს მცდელობაზეა გადაანგარიშებულ-განპირობებული.

17665. სიბერე გამოზაფხულებისკენ მიილტვის, შემოდგომა აშინებს, რადგან მისთვის უსიამოვნოდ შესაცნობი დაზამთრება მოდის.

17666. გაჭირვებამ საკუთარი ბუდის მიტოვება და სხვის ბუდეში ჩასახლება იცის და ისიც ჩიტის უფლებით.

17667. წუთისოფელს ვეწაწლებით, მაგრამ მთელი სიცოცხლე ტრფობის სიწმინდის მანდილს დავეძებთ.

17668. სამყაროს ყველა ცოცხალ არსებას თავის წილი დარდი, ჯავრი, მისწრაფება, სიხარული აქვს, იმქვეყნად უტყუარი გადასახლება-გარდასახვით.

17669. გაცნობიერებულად თუ უიმისოდ, ჩვენ ხშირად ვალდებულებების, მოტყუების, შეცდომების და კისრის მოტეხის გვეშინია. მიუხედავად ამისა, იძულებულნი ვართ წინ ვიყუროთ და ყოფას ფეხი ავუწყოთ.

17670. გულგრილობის უფლებას არც წინაპართა ნამოქმედარი გვაძლევს და არც ის, გუშინ რა იყო და რაც დღეს არის.

17671. მიყურადებისას ხშირად იმას ვისმენთ, რის მოსმენაც არ გვინდა, შედეგად შეხედულებას ვიფუჭებთ საკუთარ თავზე და ყველაზე.

17672. მთავარი სასწაული თავად სასწაულის დაჯერების სურვილია რწმენით, ნდობით, შემართებით.

17673. რადგან მთელი სამყარო თეატრია და ყველა მსახიობობას ცდილობს, არის საშიშროება, რომ თეატრი უმაყურებლოდ დარჩება.

17674. თანასწორუფლებიანობას ყოველთვის იარაღზე ხელი უნდა ეჭიროს.

17675. სურვილი ის ფენომენია, რომელიც სიკვდილის შემდგომაც კი ჩვენთან რჩება.

17676. კარგად ვიცხოვრებთ თუ ცუდად, ამას საბოლოოდ მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია სიკვდილს ღრმად მოხუცებული, მაგრამ ფეხზე მდგარი შევხვდეთ.

17677. სიბერე არ ნიშნავს, რომ დავბრძანდებით და ჭკუა მოგვემატება, სამწუხაროდ ხშირად პირიქით ხდება.

17678. ზოგჯერ სახელის მოსაპოვებლად შენს კეთილისმდომსაც უნდა „გაულაწუნო“ რათა სამართლიანობის პატივი მოგაგონ, კარიერაც გაინაღდო და შენმა „გაწკეპილმაც“ სიამაყით წაიტრაბახოს, რომ მისი დასჯა იკადრე. რას ვიზამთ, ასეთი უკუღმართია წუთისოფელი.

17679. საკუთარ თავს მაშინაც იტან და უფრთხილდები, როდესაც მიქელგაბრიელთან ხელშეკრულება ფაქტიურად გაფორმებული გაქვს.

17680. ყველამ ჩვენი საკეთებელი უნდა ვაკეთოთ, ხოლო რაც მოსახდენია, მაინც მოხდება, რადგან ეტყობა, ამქვეყნად ბევრს არაფერს გვეკითხებიან.

17681. ამაოებაში დროის ტარებას უნდა ვერიდოთ, რადგან მის უკან სირცხვილია ჩასაფრებული.

17682. იმის შეგნებას და იმაზე დაფიქრებას, რომ მოკვდავები ვართ, არავითარი სიკეთე არ მოაქვს, რადგან მაშინ იწყება სულის უკვდავებაზე ფიქრი და სამოთხეში მის მოყუჩებაზე და არა საქმის, ფულის კეთებაზე, რომლის გარეშე რეალური, ნაღდი სიცოცხლის შეცნობა შეუძლებელია.

17683. პირველყოფილ წყობაში – ქვის იარაღს სცემდნენ პატივს, მონათმფლობელობაში – მიწების რაოდენობას, ფეოდალურში – წარმოშობას, გვარს, კაპიტალისტურში – ფულს, სოციალისტურში – ადამიანის ღირსებას, მაგრამ დღეს მატერიალურის პირველადობა ყველაფერს გვავიწყებს და ყველა წყობის იდეალებს გვერდზე მოისვრის.

17684. მთავარია, დღევანდელობა ვინ როგორ აჯირითა, რა პერსპექტივით, რადგან ის ყოველთვის ხვალინდელის დასაწყისი არ არის.

17685. სიკვდილი გაუფრთხილებლობის ბრალია, შემთხვევის თუ განგების, ძნელი განსასჯელია.

17686. მწუხარების მონელება–გადატანის უნარი განგებისგან მომადლებული ნიჭია.

17687. სიკვდილს, გინდა თუ არა, მაინც მარტოკა უნდა გაუსწორდე და აქ სხვათა შეწუხება, ვიში–ვიში, მხარდაჭერა, არ გამოდგება.

17688. ადამიანმა იცის, რომ მოკვდება, ცხოველი ამას გრძნობს, ხოლო მცენარე გარდასახვისთვის ემზადება.

17689. მკვდარ არწივს როგორი ლეგენდაც არ უნდა შეუქმნა, ის მაინც გარდაცვლილია და დავიწყებისთვისაა გამზადებული.

17690. ხშირად ჩვენს პროფესიას განსაზღვრავს ცხოვრების რეალობა და როგორი მთავრობის ხელში გვიხდება ყოფნა.

17691. დაფასება-აღიარებას თავის ვირეშმაკობა ახასიათებს: ერთი რაიონის ჯანმრთელობის სამსახურის უფროსი მოსახლეობას აიძულებდა აცრები და სხვა პროფილაქტიკური ღონისძიებები დროულად ჩაეტარებინა, მეორეს ყველაფერი თავის ნებაზე ჰქონდა მიშვებული. შედეგად ამ რაიონში ეპიდემიამ იფეთქა, ჯანმრთელობის მესვეურმა თავი მოიქაჩლა და დაავადება დაამარცხა, დააჯილდოეს კიდეც და მადლობაც დაიმსახურა. ხოლო პირველი არც არავის გახსენებია და არც მადლობა უთქვამთ.

17692. ზოგჯერ შეცნობა იმისა, რომ მთელი ცხოვრება ავსულად, კანონგარეშე იცხოვრე, უფრო ძნელია, ვიდრე ,,კანონიერი" სიკვდილის მოახლოება.

17693. სიცოცხლის დებიუტის გარკვევა მთავრდება და სიკვდილის დასაწყისის გარკვევას ვიწყებთ.

17694. შენი შთამომავლობისათვის მთავარია სიცოცხლის შემდგომ იცოცხლო.

17695. ალბათ, ისიც ,,ბედნიერებაა" თუ საგვარეულო საძვალეში დაგმარხავენ და ზედმეტი ყურადღებით არ შეგაწუხებენ.

17696. ყველაზე მეტ თავსატეხს ახლობლები გვთავაზობენ და ფაქტის წინაშე გვაყენებენ.

17697. წყობა, დრო, შური, ფული, ხშირად ყველაზე წესიერ ადამიანსაც კი აფუჭებს.

17698. ადრე გოგონები გვეარშიყებოდნენ, თავს გვაბეზებდნენ, ახლა თავიანთ ქმარგარეშე დარჩენილ დედებს და ბებიებსაც კი გვირიგებენ.

17699. სიბერის მისაღებად მზად არასოდეს ვართ, ის უცბად გვატყდება თავზე და ფაქტის წინაშე გვაყენებს.

17700. მარტოობა თუ სასურველი ფანტაზიით არ გადავახალისეთ, მხოლოდ მოგონებებით მისი გადატანა გაგვიჭირდება.

17701. ვინც სხვას უმოკლეს სიცოცხლეს, სერიოზულ შესწავლას მოითხოვს, რათა სხვამაც ეს უფლება არ მიითვისოს.

17702. წარსული გასახსენებლად არის სასიამოვნო და არა – გასამეორებლად.

17703. ჩვენთვის განკუთვნილი სიცოცხლის წლების გარკვეულ ნაწილს, დიდი სიამოვნებით გავაგრძელებდით რამდენიმე საუკუნის შემდეგ, მაგრამ ვინ უწყის, 400-500 წლის შემდეგ სიცოცხლე იქნება ამ პლანეტაზე?!

17704. ყველაზე დიდი ბედნიერება ღრმა სიბერემდე მიღწევაა, აზროვნების შენარჩუნებით.

17705. მოაზროვნეს ზოგჯერ იმას აბრალებენ, რაც არ გაუფიქრებია, მაგრამ მოკამათესთვის ამას მნიშვნელობა არ აქვს.

17706. თანაგრძნობას ერთმანეთის გვერდზე დგომა, განსაკუთრებით გაჭირვების ჟამს, დაუფასებელია, იმის მიუხედავად, რომ ამ დროს ფარისევლობა მეტია, ვიდრე მხარდაჭერა.

17707. უმოქმედობა ყოველთვის ისჯება, ეს აღზრდას შეეხება, განსჯას თუ საქმის კეთებას.

17708. გვინდა-არგვინდა, სიძულვილიდან ბოლოს არაფერი რჩება, რადგან ისიც დროის შვილია.

17709. ქალით ტკბობა, სულის სამოთხისთვის მინდობა და ჯოჯოხეთის არად ჩაგდება დიდი სიბრიყვეა, რადგან ყოველივე დროებითია, წარმავალია, მაგრამ კარგი დასამახსოვრებელია.

17710. ეტყობა, სამყაროს გონიერება სტრესზეა აგებული, წინააღმდეგ შემთხვევაში მას ამდენი უკულმართი და მეთავისე არ ეყოლებოდა.

17711. თაღლითები, გაქნილები თავისებურად უნიკალურები, ამბიციურნი არიან და ამ ცხოვრებას, ავად თუ კარგად, გვიხალისებენ და რუდუნიზმისაგან გვკურნავენ.

17712. დრო კარგი მასწავლებელია, მაგრამ თავის მოსწავლეებს განუკითხავთ დროზედ ადრე ინელებს.

17713. ყველანი ჩვენს დროში ვცხოვრობთ წარსულის გაფეტიშებით და მომავალზე დაიმედებით.

17714. დროის შეგრძნების უნარი და მასზე მორგება გარკვეულ ნიჭს, მცდელობას მოითხოვს, რაც ერთეულთა ხვედრია.

17715. სამყაროს უსამართლობას ყველა განიცდის, იმისდამიუხედავად, საერთოდ გვიმართლებს ცხოვრებაში თუ არა.

17716. ეს ქვეყანა „ჩაშვებებით“ და თავის დამზღვევებითაა სავსე, ამიტომაცაა, რომ ორფეხა ცხოველების ჭკუაზე მოხმობა არ გამოდის.

17717. სიცოცხლის მართვა – ხელოვნებაა, ცხოვრების ცოდნა – ნიჭია, ყოფასთან მეგობრობა – გონიერებაა, ხოლო ასაკის სიამაყით განვლას განგების მადლი ჭირდება.

17718. დრო სიტყვიერ პატივს, კარგსაც მიაგებს და ცუდსაც, გაარჩნია როდის რა სჭირდება და ვის სჭირდება.

17719. მოწონება, აღფრთოვანებასთან ერთად, ყოველთვის ღირებულებასთან და შესაძლებლობასთანაა კავშირში.

17720. მომდევნო საუკუნეში ცხოვრება წინასთან შედარებით ყოველთვის ძვირი ჯდება, რადგან ცივილიზაციის წინსვლა ეკონომიკაში ალტერნატივას არ ცნობს.

17721. ხშირად საკუთარი თავის უკმაყოფილო ხარ, მაგრამ გასალანძღავადაც რომ არ გემეტება?!

17722. ნეტარების არა მარტო შეცნობა, ჩვენებაც შეიძლება, თუ ის ნაღდი და წმინდაა.

17723. პენსიაზე გასვლა სულის მდგომარეობაა და არა სხეულისა და აქ ასაკი და ამბიციები საკუთარი დამსახურების წინაშე არაფერშუაშია.

17724. სიცრუე ხანდახან სიფარულს ეთამაშება, ელაქუცება, მაგრამ ხშირად რეალურ სიფარულზე მეტს ძლებს.

17725. მოგზაურობის დანიშნულებაა ვაჩვენოთ სხვას ის, რაც მათ არ უნახავთ და საკუთარი ცნობისმოყვარეობის ჭია გავახაროთ.

17726. მოხერხებულობას ჭკუასთან ერთად იმის კეთებაც შეუძლია, რასაც ძალა ვერ მოახერხებს.

17727. თავისუფლება, რომელიც ადამიანს ცხოველს ამსგავსებს, ახლებურ გააზრებას და სეკვესტრს მოითხოვს.

17728. ყველა ზღაპარს ადრე თუ გვიან აღსრულება უწერია, ოღონდ რეალობის წარმოჩენით და გათვალისწინებით.

17729. ყველა საქმიანობას რაღაც ნაკლი აქვს, გარდა საყვარელი საქმიანობისა.

17730. გამართლება კარგი პასის მოწოდებაცაა, რომელსაც შენი მომზადება და შემართებაც უნდა დაახვედრო, რომ ცხოვრების გადამწყვეტი ლელო გაიტანო.

17731. ზოგი ცოლისთვის სანატრელი ის ასაკია, როდესაც მის ქმარს ბანკირები კრედიტს არ უკავებენ, ხოლო გოგონები უარს ეუბნებიან – ეს მის წარმოდგენაში, რადგან სინამდვილეში პირიქით ხდება.

17732. ამქვეყნად მარადიული არაფერია, ჩვენი ამბიციების, მცდელობის და მითვისების გარდა.

17733. რწმენა და განათლება დაძალების შედეგია და ორივეში ჩვენი მშობლების ხელი ურევია.

17734. რწმენა დაეჭვებას ვერ იტანს, მაგრამ არა შემოქმედი და გონიერი ხალხისთვის.

17735. თავი შეიძლება მოტვლეპილი გქონდეს, მაგრამ ამ სათავსო-ში მოთავსებული ჭკუა არ უნდა იყოს მელოტი და ნაქუცი.

17736. ჩვენ თუ ასეთი ჭკვიანები ვართ, რას ვერჩით მაშინ ამ ყოფას, წუთისოფელს, მის თავქარიანობას.

17737. არსებობს ლამაზი, განუმეორებელი, გულში ჩამწვდომი ცრემ-ლიც, რომელიც ბევრ ვნებას და სილამაზეს ჩრდილავს.

17738. ჩვენი გონიერების თუ არა, ჩვენივე თავის მოქანდაკე თავად-ვე უნდა ვიყოთ.

17739. სხვისი არ ვიცი, მაგრამ ჯეელობაში ჩემი აქტიური დასვენე-ბის შემდეგ სამსახური სანატორიუმად მეჩვენებოდა.

17740. მეხსიერება, გატაცება, მხარზედ გადაგდებული ენა, ორატო-რობის გარანტიაა, რაც შეეხება გონიერებას, ის საშუალოზე ნაკლებიც საკმარისია.

17741. მარტოობა ხანდახან სულის დასამშვიდებლად საჭიროცაა, აუცილებელიც და გარდაუვალიც.

17742. ეჭვიანობა ცოლის მიმართ თავის განდიდების მანიაა, თით-ქოს მამაკაცებს თქვენი მეუღლის გარდა სხვა არავინ აინტერესებთ.

17743. სიამის წუთებია, როდესაც სიფარულს ხვდები, ეფერები, ზარმაცდები სიამის მიღების შემდეგ – ხომ უნდა გააცილო.

17744. საოცარია, რატომ არ ცდილობენ ჩვენთან ,,დაკონტაქტე-ბას'' გარეშე ცივილიზაციის წარმომადგენლები – ან არ გვკადრულო-ბენ, ან ეშინიათ თავიანთი ნამოქმედარის ნახვისა.

17745. ჩვენ კი არ აღვნიშნავთ ახალ წელს, არამედ ახალი წელი აწარმოებს ჩვენს გადაფასებას, რათა არაფერი შეეშალოს და მამაზეცი-ერის ბრძანება მიქელას დროულად გადასცეს.

17746. სხვა პლანეტაზე პირველ რიგში ის გვაინტერესებს, რა საქმიანობასაც დედამიწაზე ვემსახურებით.

17747. ნიჭი თავისას ყოველთვის მიითვლის, თუ დროის, საკითხის, შესაფერი სასუსნავი გამოუჩნდება.

17748. მსახიობმა ოცნების განხორციელება რომ დააჩქაროს, საყ-ვარლად პროდიუსერი უნდა ჰყავდეს ან ვარსკვლავისთვის მოჭარბებუ-ლი თვითმყოფადი ნიჭი უნდა ჰქონდეს გამომზეურებული.

17749. წყვილის ურთიერთობაში მთავარია ერთმანეთი არ გააღი-ზიანონ, დროთა ჭიდილში ყველაფერი მოწესრიგდება, სიფარულიც მომაგრდება და სიმშვიდეც მოვა.

17750. გულს სიამოვნებს იმაზე მეტის მიღება, რასაც ხარჯავს და ეკუთვნის.

17751. პ. ბრეგის მიხედვით, მარილი, შაქარი, სიცოცხლეს გვიმოკლებს, ხოლო ცხიმი მათი აგენტია, ალბათ ვნებასაც ექნება ამ საქმეში დანაშაული, სიგარეტსაც და ალკოჰოლსაც ე.ი. გვთავაზობს სიცოცხლეს – ცხოვრების გარეშე, რაც ჩემი აზრით უფრო დიდი დანაშაულია, ვიდრე რამდენიმე წელით სიცოცხლის შემოკლება – ფლანგვა.

17752. ხშირად ალოგიკური ქმედება და ჩვენი სიტყვა-პასუხი ნერვული სისტემის მფარველად გვევლინება.

17753. მოვა დრო და შთამომავლობას ჩვენს ყოფიერებაზე გაეცინება, მაგრამ იმედია არ დაგვცინებენ.

17754. ავადგასახსენებელი ცუდი დავიწყებას მიეცემა, ხოლო მეხსიერებაში გვრჩება შელამაზებული-გაფეტიშებული კარგი, რომელსაც ჯეელობაც ზურგს უმაგრებდა, ისე, ძველი რომ სჯობდეს ახალს რეალობაში, შეუძლებელია, თუნდაც იმიტომ, რომ დღევანდელი საინფორმაციო ბანკის შესაძლებლობა გაცილებით მეტია.

17755. ზოგი შინაგანად იმდენადაა დაკავებული საქმით, რომ წინააღმდეგი არ იქნება თავის დაქორწინებას, ცოლთან გაყრას და გარდაცვალებასაც არ დაესწროს.

17756. ყველანი ეგოისტები ვართ და ძალზე გვიჭირს სხვა ადამიანებთან შეგუება, თუ ეს ჩვენს ბუნებას არ სჭირდება.

17757. ვაჟი, რომელიც დედას სთხოვს რჩევას, მის მიერ წარმოდგენილ საპატარძალოზე „იფსკვნას“ თუ არა ჯვარი, სიყვარული გამორიცხულია, რაც მშობელს უფლებას აძლევს თავად შეარჩიოს სარძლო.

17758. ჩვენ არ უნდა გვეუხერხულებოდეს, როდესაც სასაცილოდ გამოვიყურებით, პირიქით, უნდა ვხალისდებოდეთ, რადგან ერთმანეთს უკეთ ვუგებთ.

17759. აქლემის შესაძლებლობის მქონე კაცი ისე არ უნდა დაიჩაგროს, რომ ვირის საპალნის ტარება ვერ შეძლოს. ეს ყველაზე დიდი გაწბილებაა საკუთარი თავის და შენს მოიმედეთა წინაშე.

17760. ექიმები, მსახიობები და პოლიტიკოსები პენსიაზე არ გადიან, ისინი პროფესიის აურის სასარგებლოდ სიცოცხლის ბოლომდე იფერფლებიან.

17761. კარგი „მარცხენა“ ოჯახის ფუძეს ამაგრებს – სრული ჭეშმარიტებაა იმათვის, ვისაც სხვა მდედრთან ჭუკ-ჭუკის კულტურა თანდაყოლილი აქვს.

17762. ილუზიასა და რელობას შორის ზღვარის დადებას ტალანტი ებრძვის, ხოლო პირიქით – ბრიყვთა მოდგმა, ამ საზღვრების გაფეტი-შების ცდაში.

17763. პროფესიონალი თუ ხანდახან სისულელესაც არ ეთამაშება, მოვალეობას ასრულებს და არა – სამსახურს.

17764. მოცდაზე და გადარბენაზე ცუდი არაფერია, მაგრამ გააჩნია ასაკს და ადამიანის თავქარიან ბუნებას.

17765. ჰარმონიისკენ სწრაფვა, ურთიერთ სურვილის დაკმაყოფი-ლებაა, ნერვების არ მოშლის მცდელობაა, ეს კი ასაკის დამსახურებაა.

17766. მამლაყინწობა და ,,ტყავში ვერ ეტევა'' – სინონიმებია, მაგ-რამ სიტყვათა წყობა აქვთ სხვადასხვა. ისე, ფეხის წატეხვისთვის ერთ-ერთიც საკმარისია.

17767. გინესის წიგნში მოხვედრის ძირითადი პირობა არაორდინა-ლური სისულელის გამომზეურებაა, მაგრამ საინტერესოა და მაინც რეკორდია ე.ი. თავის წარმოჩენაც შეიძლება.

17768. ქერის გარეშე ხარი მხვნელს ვერ მოემსახურება, ხოლო ხორცის გარეშე მხვნელი – თავის დედაკაცს.

17769. სკამისთვის ფელას ერთი უკანალი აქვს, ვინც მასზე მოიკა-ლათებს, ხოლო მოხელესთვის ფელა ერთნაირად გამოიყურება, ვინც ქრთამის გამღები არ არის.

17770. ჩვენი მიზანია საკუთარი ზრდასრულობის შეჩერება, რათა ჯეელობა გავიხანგრძლივოთ, მიუხედავად იმისა, რომ ამის უფლებას არც ასაკი და არც საზოგადოებაში ჩვენი იმიჯი გვაძლევს.

17771. ზოგჯერ დილით ისეთ ხასიათზე გაიღვიძებ, რომ ამ დილის ხელიდან გაშვება დამატებითი სიამოვნების მიუღებლად არ გინდა.

17772. ,,უკანა ჭკუით ფელა ორმო ამოვსებულია'' ან ,,ურემი რომ გადაბრუნდება, გზაც მერე გამოჩნდება'' – შინაარსი ერთი და იგივეა, მაგრამ სიტყვების ფარფატია სხვადასხვა, რადგან ეს სიბრძნე, ერთიდა-იგივე გაჭირვებაზე, სხვადასხვა ერმა განსაზღვრა და წარმოაჩინა.

17773. მიუხედავად იმისა, რომ მლიქვნელობა ძნელი სამუშაოა, წლების მატების მიუხედავად, ცხოვრების წესს ვერ იცვლის რადგან ამ საქმიანობით არის დაბადებული.

17774. სიფარულის გარეშე დაქორწინება, ჯვრის ფსკვნა და ამ საკითხში განგებასთან ჭუკჭუკი, შემართება-მონდომების გარეშე ორივე მხრიდან ნულის ტოლია.

17775. მოთხოვნილების აკრძალვა შეუძლებელია, მაგრამ ფუფუნე-ბა უნდა შევზღუდოთ, სურვილების მოწესრიგების ხარჯზე.

17776. ცხოველთა მეფე ხვად ლომსა და ქვეყნის პრეზიდენტს შორის ის მსგავსებაა, რომ ორივენი ქვეშევრდომებს ნასუფრალით აკმაყოფილებენ. ერთი – ნანადირევის ნარჩენებიდან, მეორე – ბიუჯეტიდან მორჩენილით. მიუხედავად იმისა, რომ ძალაუფლებამ ლომების და ხალხის ფარა მათივე ნებით დაიმორჩილა.

17777. დიდ საფულესთან ქორწინება უწყვეტი სასუსნავია და უებარი საშუალებაა ქმრის კაპრიზებით დამუნათებისა.

17778. ულამაზო ქალს და მოხდენილ მამაკაცს, ან – პირიქით კომპენსირებას არყის და ფულის ოდენობა უწევს, აქ ბარტერიც შესაძლებელია, თუ ქალი გამდიდრებას მოინდომებს და კაცი არაყს დანებდება.

17779. ხელი ხელს ჰბანს, ფეხი ფეხს ფხანს, დარიგებას ერთი ყური მეორეში უმტკივნეულოდ ატარებს, თვალები ერთი ახლომხედველია მეორე – შორს. ამ დაპირისპირების მიუხედავად, ერთად იღვწიან და ურთიერთს ადგებიან.

17780. ყურადღებაა მთავარი თუ საჩუქარი?! ამას უკანასკნელის ნახვით განსჯა შემდეგ შეიგრძნობს.

17781. ზოგს თავისუფლება, ქალების ბაღნარში ჩალიჩი და სულის სამოთხეში მიგდება უნდა ხელის გაუნძრევლად, მაგრამ ავიწყდება, რომ ყოველივეს საწყისი შრომა და შემდგომ მდედრთან ხალისია.

17782. ესთეტიკა დაკავშირებულია ინდივიდის ბიოლოგიასთან და თავისებური შინაგანი მიმზიდველობა ახლავს, რომელსაც თვალი აღიქვამს, გრძნობა შეიცნობს, ოღონდ თავისი გემოვნებით და მსოფლმხედველობით.

17783. როდესაც მახსოვრობა ,,ცელქობს'', გონება ობდება, ძვლები ჭრაჭუნობს, გულს სისხლის გათავხედება წესრიგში ვერ მოჰყავს. იწყება სიბერე, ხოლო თუ შვილიშვილები არ გახვევია და არ გესიყვარულებიან, ფაქტიურად, იმქვეყნად ხარ გადაბარგებული, მაგრამ შინაურები არ გიმხელენ.

17784. სენტიმენტები სანტიმეტრებით უნდა გაიზომოს იმ სიხარულის ოდენობის დასადგენად, რაც ასე გვილამაზებს ცხოვრებას და სიცოცხლეს გვიხანგრძლივებს.

17785. ხშირად მოჭარბებული მოარალური პრინციპების და დაგროვილი ენერგიის ტყვე ვართ, რადგან ჩვენი უმეცრება სად და როგორ გადმოვანთხიოთ, რა მოვიმოქმედოთ და რა სარგებელი ვნახოთ, არ ვიცით.

17786. საოცარია, ყმაწვილს პირზე რძე ხეირიანად არ შეშრობია და გოგონა ფეხმძიმედაა. თუ არა განგების ნება და ბუნების კანონისადმი მორჩილება, ამ შეერთების რეაქცია ასე უეცარი შედეგით არ უნდა დამთავრებულიყო.

17787. დღეს გეისა და ,,პიდარასტს'' შორის ის სხვაობაა, რომ პირველს კუნძული აქვს წყნარ ოკეანეში, ბანკში – ფული, მთავრობაში – თავისი ხალხი ჰყავს, ხოლო მეორეს – ეს არც დასიზმრებია.

17788. ტექნიკური პროგრესი და ფუფუნება ისე გადააგვარებს სამყაროს, რომ ანგელოზების ადგილი ზევითაც აღარ დარჩება.

17789. ეშმაკი ყოველი საუბრის წვრილმანში ზის და რას მოიმოქმედებს, ორივე მხარისთვის უცნობია.

17790. დღესასწაული ურთიერთპატივისცემაა, თუ ერთად ყოფნის სიამოვნება მოგვწონს.

17791. რადგან ჩვენი შეცვლა შეუძლებელია, ამიტომ გადაკეთების მცდელობას ჯობს შეთვისება-შეგუების სამუშაოთა ჩატარება.

17792. ღირსების დაკარგვისკენ მიდრეკილებაა, უნიათო ყოფიერების და დროის ჭუკ-ჭუკის ბრალია და არა – სულიერებისა, რადგან ამქვეყნად მოსვლასაც ხომ ,,გამართლება'' სჭირდება.

17793. შოთა, ვაჟა, გალაქტიონი, ილია, აკაკი, ან დედაჩემია, მამაჩემია, შვილია, ეს ის დიდი ავტორიტეტებია, რომლებიც კრიტიკას, განაწყენებას არ ექვემდებარებიან და ვალდებულნი ვართ მათი აზრი გავიზიაროთ, პატივი ვცეთ.

17794. ჭეშმარიტებასთან შეხების უფლება კი მიიღო საჩუქრად ადამიანმა, მაგრამ მასთან ჩახუტება – ჭუკ-ჭუკის სურვილი, ყველას არ დაამადლა.

17795. შენდამი მადლიერების გრძნობა კეთილშობილების განსახიერებაა, თუ მომდევნო ქველმოქმედებას არ გთხოვენ და გაძალებენ.

17796. ზოგს ახალ მხარეში გადასახლება საშუალებას აძლევს ტრადიციების, აღზრდის და მიქარვის ძველი ტვირთი მოიშოროს და ახალი ცხოვრება სუფთა ფურცლით და მოჭარბებული აღმაფრენით დაიწყოს.

17797. ერთი შეხედვით ყველა აბსურდულ საქმესაც თავისი ნიჭი, შემართება, ვარჯიში და ტაშის დამკვრელი სჭირდება, რასაც შესანიშნავად უძღვება ,,გინესის წიგნი'', რომლის კლიენტები ზოგჯერ გაკვირვებას და აღფრთოვანებას იწვევენ.

17798. სამყაროში მცხოვრები უამრავი ხალხიდან მხოლოდ ერთეული ,,ჭკუანაღრძობნი'' უწყობენ თავს საფრთხეს და ამით უდიდეს სიამოვნებას იღებენ.

17799. სიბერეს თავის სატკივარის გარდა, არაფრის გაგება არ უნდა და არც ეხალისება.

17800. გული მუდმივი განზომილებაა, სიყვარულისა და ვნებიანობისგან განსხვავებით.

17801. სკლეროზის შედეგად გადანახული სიმდიდრე დამარხვის პრესტიჟზე არ მოქმედებს.

17802. ოცნება აწყობა-განხორციელების გარეშე არაფერია.

17803. არის ერთი პროფესიის ხალხი, რომლებიც არ იგინებიან, უბრალოდ, ამ ენაზე საუბრობენ და ესენი მშენებლებია.

17804. სმა და წახემსება, მოგზაურობა და დასვენება, სიყვარული და სექსი, ზოგისთვის იგივეა, რაც სიკვდილ-სიცოცხლის შერკინება.

17805. ჭორი ყოველთვის პრიმიტიულია, მაგრამ უსაქმურისთვის საჭირო და აუცილებელი.

17806. ასაკის ტვირთი ყოველთვის გვაწევს, მიუხედავად ჩვენი განწყობისა და შემართებისა.

17807. კითხვის უნარიც პრივატიზაციას მოითხოვს, რადგან მისგან მიღებული სიამოვნება მხოლოდ შენთვის არის გასაგები, სანეტარო.

17808. მჭერმეტყველება ენაბლუსთან არ მეგობრობს, მაგრამ თავს იწონებს.

17809. სხვისი სურვილი შენთვისაც სასიამოვნოდ აღსასრულებელი უნდა იყოს, თუ გსურს გულით აკეთონ.

17810. მცირე ადამიანური სისუსტენი, ცოდვები, მოსათმენიც არის და გასახსენებლად სასიამოვნოც.

17811. ვისაც ხელში ორი ტუზი უჭირავს, ყველა სფეროში ამაყად გამოიყურება.

17812. ყველაზე დიდი ცოდვაა ჭკუის სწავლება, არამკითხე მეამბობა და არა – გამოცდილების გაზიარება.

17813. ყველა მთავრობა ერთი ,,ქაქია'' თანამედროვეთა გადასახედიდან.

17814. მთავარია თავის რეალიზების, წარმოჩენის, უნარი შეგწევდეს და არა – თავის ამაყად აღერების და ფასის დადების.

17815. საიდუმლოებას ყველაზე უკეთ განუკურნებელი სკლეროზი ინახავს.

17816. მდივნად ურთიერთობაში ისეთი გამობრძმედილი გოგონა უნდა გყავდეს, რომ უფროსის კაბინეტიდან მდივნის გატანა სამუშაოს დაკარგვად უნდა აღიქვას.

17817. ბიზნესმენისთვის ახალი ბაზრების ათვისება გაცილებით ძნელია, ვიდრე – ახალი მდივნის.

17818. სიჯიუტე მარტო სახედრის პროგატივა არ არის, რადგან „ვირის ხასიათზე“ შეჯდომის სურვილი ბევრს უჩნდება.

17819. საკუთარი თავის წარმოსაჩენ ბრიყვზე დიდი მოთხოვნილება იყო და იქნება.

17820. კარგს უყირათოდ ვხარჯავთ, ხოლო ცუდს დაუფიქრებლად ვაგროვებთ.

17821. პროფესიონალებს სამსახურიდან არ ათავისუფლებენ, ისინი თავად ნახულობენ სხვა სამუშაოს, სადაც მეტს გადაუხდიან.

17822. ანაზღაურების გარეშე პატიოსნებაც გაფიცვას აწყობს.

17823. მოგზაურობა წინათ უკანალს და გონიერების ნაოჭებს აწვებოდა ტვირთად, დღეს – მშობლების ჯიბეს.

17824. მაყურებელს ზოგჯერ არც არაფერი ესმის და არც არაფრის სჯერა, მაგრამ აპლოდისმენტებს იმის მიხედვით აფრქვევს, თუ მის ვნებას რაიმე გაეხახუნება.

17825. ქება-დიდება ფრთების შემსხმელია, რაც უნდა დაუმსახურებელი იყოს.

17826. რატომღაც მოღალატის ვინაობა უფრო გვაინტერესებს, ვიდრე ღალატის მიზეზი.

17827. ჰობი ერთფეროვნების და დამყაყების საწინააღმდეგო საშუალებაა.

17828. ზოგი ფათერაკს თავადვე ეძებს, რადგან მისი დაძლევის და თავის მოწონების გარეშე საქმეს გულს ვერ უდებს.

17829. ასაკი ზეიმობს გვარის გამგრძელებელი შთამომავლებით, მათი ხარისხით.

17830. ტყუილს არ უნდა ვუპატრონოთ, რადგან ის მოჩვენებითია და შედეგი – უარყოფითი.

17831. ხშირად მოგონებანი უფრო გვაკავშირებს ერთმანეთთან, ვიდრე ერთად ყოფნა და საქმიანობა.

17832. ცივილიზაციის უბედურება ის არის, რომ ის თავის მიღწევებს ებრძვის, რაც ღირებულებათა გადაფასებაში და ჭკუის სწავლებაში გამოიხატება და ავიწყდება, რომ ადამიანი ბუნების შვილია და მას ჩარჩოში მოქცევა დიდი ხნით არ შეუძლია.

17833. გონიერების, მოხერხებულობის, სიფარულის, კულტს აგიტაცია და რეკლამა უნდა გაეწიოს, თორემ ქვეყანაც გაირყვნება, ხალხიც ზედ მიყვება, არც ბუნების კანონები დაგვინდობს და არც განგების ნება.

17834. ჯანმრთელობა ერთია, ავადმყოფობა – უამრავი, სიფვარული ერთია, ღალატის ცდუნება – მრავალი. ცხოვრების ბოლო ერთია სიკვდილის ფინიშია – ცვალებადი.

17835. სიმდიდრეა ის, რაც შენ გაქვს და სხვის შურიან თვალებს არ აქვს. ქონება ის რაც ხედვის არეში არ ხვდება და არ შურთ.

17836. გულისხმიერება ყველასათვის გასაგები და ამოსახსნელი განტოლება არ არის, რადგან მას თანდაყოლილი ნიჭი და შემართება სჭირდება.

17837. იმისათვის, რომ სიბერეში დროის ,,აჩქარება'' შევაჩეროთ ,,ყვერებში მახათის გაყრა უნდა ვისწავლოთ'' ან მკურნალობის მიზნით დასახული გეგმით უნდა ვიშიმშილოთ და დროს გაფანას უნდა ეცადოთ, ან უპერსპექტივო საქმეს მოვკიდოთ ხელი, რომელიც მოლოდინზე იქნება დამყარებული.

17838. ყველაზე მეტად იმათ უნდა ვაფასებდეთ, ვინც ჩვენს ოცნებებს, სიზმრებს, უფრთხილდება, როგორც ცხადში, ასევე ძილში.

17839. გული მაინცდამაინც სანდო ორგანო არ არის, ხან ერთი მოსწონს ხან მეორე, ხოლო გონებას მის არჩევანში გარკვევა უჭირს.

17840. რუსეთი შეიძლება გრძნობდეს თავის ხუშტურების უვარგისობას, მაგრამ ყველას სალანძღავი მაინც არ არის.

17841. ნდომა ერთია, შედეგი მეორეა და როგორ შევუთავსებთ ერთმანეთს, ყოველთვის ჩვენს ნებაზე არ არის დამოკიდებული, რადგან ვინ იცის რა მადლის მფრქვეველ მოწინააღმდეგე სქესის წარმომადგენელს გადაეყრები და განგება მისით როგორ დაგამუნათებს.

17842. ბედნიერი კაცი იყო ადამი, მას ვერავინ დაყვედრიდა, რომ სხვისი აზრი გაიმეორა ან ვინმე დაასმინა.

17843. მოთმინება, შემართება, ყოველთვის იპყრობს იმ სიმაღლეებს, რომლებიც ბევრს ოცნებაშიც კი ვერ დაუძლევია.

17844. თუ თვალი სულის სარკეა, ტუჩები – ვნების ამქარი, მაშინ ცხვირი სხეულის ღირსების მაჩვენებელია.

17845. ბევრი წყალწაღებული იმ ხავსზე ცდილობს ხელის წავლებას, რომელიც მხოლოდ გაუგონია და არ უნახავს.

17846. ოცნებაში დაწყებული ათი საქმიდან ერთიც რომ გამოსულიყო, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყფდა.

17847. ,,უკვდავებისგან'' განსხვავებით, მოკვდავთ არაფერი არ მოსწონთ და მათი გულის მოგებაც ძნელია.

17848. სასაცილოა ყოველივე ის, რასთანაც არც მანძილი გვაშორებს და არც – გონიერება.

17849. ყველანი წესიერებას ვქადაგებთ, მაგრამ თვალი რატომღაც ბიწიერებისკენ გაგვირბის.

17850. წარმომავლობასა და წარმოშობას შორის დღეს არავითარი სხვაობა არ არის, გარდა ვილაცასთან წალაზღანდარებისა.

17851. ზოგს ხინკლის ნაოჭების ოდენობა აწუხებს, ზოგსაც ტვინის, მაგრამ მათ შორის ბედნიერი ვინ არის, განსჯას არ ექვემდებარება.

17852. წინასწარმეტყველი ანუ სალოსი, ყველა არეულ ქვეყანაში გეომეტრიული პროგრესიით იზრდება.

17853. ტანის ვარჯიში ლამაზი საყურებელია, მაგრამ უკანალის ლამაზად გაქნევა-გამოქნევას ვერ შეედრება.

17854. სპილო ფლორის მჭამელი ცხოველია, მაგრამ რომელი ფაუნისმჭამელი მხეცი აკადრებს რაიმეს.

17855. შანსი არც არავის არ უნდა დავუკარგოთ და არც არავის წავართვათ – ზევით არ გვაპატიებენ.

17856. ხანდაზმულობაში ვხვდებით, რომ არც ისეთი დიდები ვართ და მაინცდამაინც არც ჭკუა და გამოცდილება გვყოფნის სიახლის შესაცნობად.

17857. ხანდახან ყრუ ყველაზე მეტს ხვდება, ესმის და იგებს, ვიდრე ჩვენ გვგონია და თავად უნდა.

17858. გულწრფელები უყვართ, რადგან ისინი ყველაფერს იჯერებენ და არც არაფერი სწყინთ, თუმცა ,,მხიარულ ტალღაზე'' აცუცურაკებენ.

17859. ახლობლებიდან ყოველთვის მოშორებით ცხოვრება სჯობს, რათა მათ მომეტებულ ზრუნვას, რჩევა-დარიგებას, თავი დააღწიო და შენი ჭკუა-გემოვნებით იცხოვრო.

17860. შექება საჯილდაო ქვაა ბრიყვებისათვის.

17861. ზოგჯერ საუბრის შესანიშნავი თემაა, ადამიანს ის სიმართლე უთხრა პირში, რასაც მასზე ფიქრობ.

17862. ტირილი, სიცილით გაზავებული, დამაჯერებლობასაა მოკლებული.

17863. ყველა ჩვენგანი საკუთარი ყოფის და ღირებულების კაპიტალს ფლობს, რომელსაც მომჭირნედ და მოფრთხილებით უნდა მოვეპყრათ.

17864. სიმსუქნე მაძღარ კვებას ამოფარებული მსოფლმხედველობაა.

17865. ერთმანეთი რომ მოგვეწონოს, ურთიერთს უნდა ჩავუნერგოთ, რომ კარგები, გენიალურები, ვართ და რა სამწუხაროა, რომ ამას სხვები ვერ ამჩნევენ.

17866. უნახავი და უნახია, სხვადასხვა განზომილება, მაგრამ მიზანი, თავი მოგვაწონოს ერთი აქვთ.

17867. ლოთი ცხოვრების გულგრილად მაყურებელი კაცია, რომელიც ყოფის პარამეტრებს გაურკვეველი სიამოვნებისთვის იმრუდებს.

17868. ვარაუდი და რწმენა ხანდახან ძმები არიან, რადგან თუ რაიმეს მიღწევა გინდა, უნდა იწამო კიდეც.

17869. იშვიათია შინაგანმა ხმამ გვიმუხთლოს, გაგვწიროს, ის ყველა რჩევა-დარიგებაზე წინ უნდა დავაყენოთ.

17870. ხშირად ცოდნის დამალვა უფრო ჭირს, ვიდრე – უცოდინრობის.

17871. ჩვენი შესაძლებლობა ოცნებით უნდა დავაპუროთ და შემართებით გამოვკვებოთ.

17872. ადრე თუ გვიან წინაპრებთან ჭიკჭიკი და ანგარიშგება იმქვეყნად არ აგვცდება და ესეც განგების დიდი მადლია.

17873. რატომღაც ქალის მურაზი – სიფარულია, ხოლო მამაკაცისა – კანონის მუხლთან შესაძლო გასაუბრება.

17874. გათავხედებას შემთხვევის შედეგად მოპოვებული ფული ასულდგმულებს, ხოლო შემართების მეშვეობით დაგროვილი სიმდიდრე, ჩურჩულებს.

17875. ზოგჯერ წყვილს ერთიდაიგივე სუნამოსადმი სიფარული აკავშირებს, რადგან ადამიანთა დაახლოების ერთ-ერთი კომპონენტი საერთო სუნის შეგრძნებაა.

17876. ჭკვიანობა – ფანატობის რეალური ხედვაა შემართებით, გონიერება – ცხოვრების დაგროვილი გამოცდილების რაციონალური ხარჯვა შემართების სურვილით.

17877. ზოგს ტყიდან და მეოცე საუკუნის უღრანიდან დღემდე არ უნდა გამოძრომა, ისე შეეჩვია ძველის გაფეტიშებას და ადგილზე ტკეპნას.

17878. თავაზიანობა არაფერი ღირს, მაგრამ სხვის დასანახად, თავის წარმოსაჩენად, ფასი ედება.

17879. ბრიყვობას თითქმის ყველას პატიობენ, სისულელეს – იშვიათად.

17880. უძილობა ეს მთელი ცხოვრებაა, სიბერეში საკუთარი ბიოგრაფიის დაზუსტება-გადამოწმებით.

17881. ზოგ ქალს კოლექციონერ-არშიყს, მსუბუქი მანქანების კოლექციასთან არშიყი ურჩევნია და ეს არის ასაკის და ვნების ერთდროულად დაცინვა.

17882. სიზარმაცე და შემართება ნიჭისათვის ორთავე აუცილებელია, რათა ცნობიერების ენერგია მოაწესრიგოს და არ დაწვას.

17883. პირფერობა შეიძლება უხეშიც იყოს და უადგილოც, მაგრამ მაინც სასიამოვნოა.

17884. პირფერობა სასიამოვნო ტყუილნაჭედია, მაგრამ უსიტყვოდ ვიფერებთ.

17885. შექება და კომპლიმენტი ძალას გვმატებს, აგვაღფრთოვანებს, იმ დრომდე, სანამ გაგრძელება აქვს.

17886. სამსახური თავისებური საქმიანი გართობაა და ამას ასაკში ხვდები.

17887. სამყაროს ყოველთვის სერიოზულად უყურო შეუძლებელია – გამოთაყვანდები.

17888. ბებერ სულელს ახალგაზრდა ტუტუცი ვერასოდეს აჯობებს, რადგან ამ უკანასკნელს ბევრი სისულელე აქვს ჩასადენი, ძველ ჩერჩეტს რომ დაეწიოს და გაუსწროს.

17889. კარგ ხასიათზე გაღვიძება უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე მთელი დღე ბედნიერად ყოფნა.

17890. ტაქტიანი უნდა დაიბადო, რადგან თავაზიანობა თანდაყოლილი ნიჭია და არა – შეძენილი.

17891. ჭორი უგნურების დულილის შედეგად გამოხდილი მწარე არაყია, რომელსაც ზოგი სიამოვნებით მიირთმევს და სხვასაც სთავაზობს.

17892. ბრიყს და გონიერს გრძნობათა გაცვლის ადაპტორები ერთი აქვთ, მაგრამ სხვადასხვაგვარად ფასდებიან, თავის გადასახედიდან.

17893. ,,გულმა მიგრძნო", ,,გულმა მომთხოვა" – სისულელის ჩადენის გამართლების ალიბია.

17894. სიზანტე, სიზარმაცე, უნიათობის ლაკმუსია, რომლის თავიდან მოცილება გვინდა, მაგრამ უნებისყოფობის გამო ვერ ვახერხებთ.

17895. შრომა თავისებური გართობაა, თუკი შენთვის სასიამოვნო საქმეს მოწოდებით აკეთებ.

17896. ,,ვირმა რა იცის ხურმა რა ხილია" – არ სჭირდება და იმიტომ.

17897. ქრთამის გაღებასა და ქრთამის მიღებას შორის ის მსგავსებაა, რომ საქმეში სანდო არც ერთი არაა.

17898. ძველი ახალი წელის აღნიშვნა, ეს საკონტროლო გასროლაა ღვიძლში, წინა ღრეობის დასასრულის აღსანიშნავად.

17899. ნარკოტიკი და ქალი ნიშანწყალია მოჩვენებით ბედნიერების, რადგან პირველს თავს ვერ ანებებ, ხოლო მეორე თავს არ განებებს და ასე უგუნურად ეჭიდები სიცოცხლის საოცრებას.

17900. ,,ღრმადაზროვნება'' სისულელისკენ, – ბევრი ჩვენგანის გამოუსწორებელი ჰობი.

17901. გრძნობათა ჩოჩქოლი ხშირად ორმხრივია, მაგრამ იშვიათადაა სამუდამო.

17902. სიტყვები მეტაფორაში არ უნდა აგვერიოს, რადგან ცხოვრება სიტყვების რახა-რუხი კი არა, ჩვენთვის განკუთვნილი დროის ვალი და ვახშია.

17903. ზოგჯერ ხელების გამოსხივება, სხეულის აღქმისაგან განსხვავებით, ბედნიერების კონდენსატორია და მისთვის წინააღმდეგობის გაწევა აზრს კარგავს.

17904. კარგი მდივანი სამურაივითაა, თუ უფროსი მიდის, ისიც თან მიჰყვება. ეს უფრო ურთიერთგაგებაა, ვიდრე სექსი და სხვა ,,ბაიკა'', მდივნის და უფროსის ურთიერთობისა.

17905. იმის მიუხედავად, რომ საფლავში მოხვედრილებს მაინც ვჯობივართ, დაჩივლების გარეშე ცხოვრება არად გვიღირს.

17906. ყველა შერკინების, დავიდარობის, ჩხუბის, შემდგომ უკანასკნელი სიტყვა ქალს ეკუთვნის, ხოლო მამაკაცის სიტყვა ახალი დაპირისპირების დამწყებია.

17907. კაცობაში არც მტერთან უნდა შეგეშალოს და არც მოყვარესთან დროში მიღებული თამაშის წესების შენარჩუნებით.

17908. ქალწულებს იპყრობენ – თავხედები, კადნიერები, მაცდურები, ქალებს – გამბედავები, თამამები, მოხერხებულნი, ოჯახს ქმნის – შეუპოვრობა, სიფარული, მოვალეობა, აშორებს – გაუგებრობა, ჭორები, სიძულვილი.

17909. პატრიოტიზმი სხვათა პატივისცემა, სხვა ხალხის კულტურის აღმოჩენაა, გონივრული ალტერნატივას მოძიებაა, ნაციონალიზმი – ყოყლოჩინობაა, ეროვნულობის გაფეტიშება და სურვილების ამბიციების გაჯიქებაა, რომელიც იშვიათად იმარჯვებს; დაფნის გვირგვინი, საბოლოოდ, მაინც პირველს რჩება.

17910. ზოგჯერ წინაპართა დანატოვარის ფასი და მისი სარფიანი რეალიზება ,,ნამუსს წმენდს'' უნიათ მემკვიდრეს, რომელმაც ეს სიმდიდრე თავის შთამომავალს ვერ შემოუნახა.

17911. სიმღერა ყოფიერების შიდა მონოლოგია და მისეული სულის შლაგერია.

17912. ურემი რომ გადაბრუნდება, უკვე გვიანაა ჩვენ ბედთან დაკავშირება და მისი განსჯა, რადგან შემთხვევა ასე მკაცრად არ უნდა მოგვქცეოდა.

17913. ოქროს კანონი კვადრატში, ტოლია არარსებული პლატინის კანონისა კუბში, მაგრამ რა სარგებლის მოტანა შეუძლია ამ კანონების ჭიდილს, არავინ უწყის.

17914. უძილობამ ფიქრის და ოცნების გადაღლა იცის.

17915. განათლება ფულის შოვნის სინონიმი არ არის, მაგრამ მის გვერდზე დგომის მცდელობაა.

17916. ზოგი იმდენ დროს ატარებს ტელევიზორთან, რომ ტექნიკური მიღწევების დახმარებით უკვე დროა მათ დიქტორები ცნობდნენ და რჩევა-დარიგებას აძლევდნენ.

17917. ენაწყლიანობა ვერ ფარავს ყბედობის სურვილს, რომელიც გონიერებასთან შეუთავსებელია.

17918. არაფრის კეთებას ისე, რომ არავინ შეამჩნიოს, ნიჭი და ბუნებით გათავხედება სჭირდება.

17919. რეალობის აღქმაც შეფარდებითია, თავისი შემართებით და განცდით.

17920. ,,ჯიბის" მეგობრები არიან ისინი, რომელნიც სანამ ინახავ და შენი იმედი აქვთ, გემლიქვნელებიან, გიფრთხილდებიან, ცივ ნიავს არ გაკარებენ.

17921. შენ კარგი ვერ ხარ, მაშინ მეც ცუდი ვარ – უაზრო წამლიქვნელებაა, წამლიქვნელების წასამლიქვნელებლად.

17922. ბრიყვსა და ,,ნიყვს" შორის ის სხვაობაა, რომ როგორც სოკოს მეტი ავტორიტეტი აქვს და მისი შენს ჭკუაზე ,,ჩახრაკვაც" შეიძლება.

17923. ნაკლსაც თავისი ცუღლუტობა ახასიათებს, ხანდახან იქ გამოგაჭენებს სადაც არ ელი და საქმესაც არ სჭირდება.

17924. ძლიერთა ამა ქვეყნისათა შორის ყველაზე უკეთეს მდგომარეობაში ინგლისის დედოფალია, რადგან მეფობს, მაგრამ ქვეყანას არ მართავს ე.ი. არც საყვედურს იმსახურებს და ოპზიციაც არ ჰყავს.

17925. ერთს გადაჭარბებულად აქებენ, მეორე კოლექტივს არ უყვარს, მაგრამ თავი ორივეს ამაყად მოაქვს, რადგან საკუთარი თავის შეფასების ალიბი და კომპრომატი გააჩნიათ.

17926. ღარიბს და მდიდარს პური ენატრებათ, ერთს უქონლობის გამო, მეორეს რომ არ გასუქდეს, ასე რომ შედეგი ერთია, შესაძლებლობათა სხვაობის მიუხედავად.

ხალხი, ბრბო, მასა

17927. საუკუნეთა მანძილზე კარდინალების – პარტმუშაკების, დიქ-ტატორების – მონარქების, სოციალისტების-დემოკრატების დოღი იყო გამართული, მაგრამ ადამიანს მისთვის მოსაწონი წყობა არასოდეს ჰქონია და არც ექნება, რადგან ხალხი სასუსნავის კანონის და მათრახის გარეშე არცერთ დროში არ იმართება.

17928. ყველაზე ძნელი გადასახდელი ხალხის სიყვარულია, რათა იმედი არ გაუცრუოთ და შენით გაამაყებულებს საკუთარ რაობაში ეჭვი არ შეეპაროთ.

17929. ხალხი არ უნდა შევაჩვიოთ ყურით მოთრეული საეჭვო ღირებულებების თაყვანისცემას, თორემ დროთა განმავლობაში მისთვის ყველაფერი სულერთი გახდება და ცინიკოსად გადაიქცევა.

17930. საქმიან ხალხს სხვისი აზრიანი სიტყვები აინტერესებს – თავის სასარგებლოდ.

17931. ინიციატივას ხალხი იმიტომ არ იჩენს, რომ ზევით ეს არ აინტერესებთ, ხოლო ქვევით მის გარეშეც თავს კარგად გრძნობენ ძველის სიმყრალეში გორიალს მიჩვეულნი.

17932. ძირითადად ხალხს საღათას ძილით სძინავს და ცოტა ხნით, როდესაც გამოიღვიძებს, არვინ უწყის, რას მოიმოქმედებს.

17933. ადრე თუ გვიან ჯიშიანი ხალხის გამოყვანის საკითხიც დად-გება, რადგან ქალების სურვილი თავის ფანტაზიის ნაყოფის პირმშო ყავდეს, ადრე თუ გვიან რეალობად იქცევა.

17934. სამყაროში ხალხის რაოდენობა იზრდება, პიროვნებების ოდე-ნობა კი მცირდება.

17935. ხალხთან მუშაობა ადვილია, თუ ყველაფერს კანონიერად და დროულად აკეთებ. აქ უკანონობის ალიბი არ გამოდგება.

17936. ხალხს უნდა აჰყვე, მაგრამ არ უნდა გადაყვე, მაინც ვერ შეამჩნევენ.

17937. ხალხის საერთო მასას შეიძლება გაუგოთ, მაგრამ ამბიციურ უმცირესობასთან საერთო ენის გამონახვა შეუძლებელია.

17938. ხალხი ფიქრობს წესიერებაზე, განათლებაზე, ტრადიციების დაცვაზე და ათას წვრილმანზე, მაგრამ არ ფიქრობს მოყვასმა უკეთ როგორ იცხოვროს.

17939. სიტყვით ხალხს ყბედობა ეზარება,, მაგრამ საქმის კეთებას მაინც ურჩევნია.

17940. ხალხი არის ცოდვილიც, უდანაშაულოც, ვირეშმაკაც და მამა აბრამის ბატკანიც, მაგრამ არის ჩვეულებრივიც, რომელსაც ყველა ეს მანკი, მეტ-ნაკლებად ახასიათებს.

17941. ხალხი ბევრია, ადამიანია ცოტა, მასა უთვალავია, კაცობა ცოტ-ცოტა.

17942. მასისაგან განსხვავებით, ბრბოდან ხალხი არ შეირჩევა.

17943. ხანდახან ხალხი ცხოველს ემსგავსება და ჩემში სიბრალულის ნაცვლად, სიძულვილს იწვევს, რადგან გონიერება საფრთხეშია.

17944. ხალხს ჰგონია განტევების ვაცი აირჩია ქვეყნის მმართველად, მაგრამ იმას კი ვერ ხვდება, რომ ამ როლს მალე თავად შეასრულებს.

17945. ეს ცხოვრება კინოცაა, მაგრამ მასში მონაწილე მსახიობად ქცეულ ხალხს არავინ იღებს, რათა თაობებს მათი დღევანდელი უგერგილობა არ შემოუნახონ.

17946. ყველა კარიერის საფეხური შესატყვის ენერგიას, დაძაბვას და დროის ხარჯვას მოითხოვს, რაც ფაქტიურად იმ ხალხს ემსახურება, რომელიც საფეხურებიდან ჩამოვარდნის შემთხვევაში არაფერს დაგიფასებს და არც გაგიხსენებს.

17947. ზოგიერთ ქვეყანაში მმართველი ,,სხოდკაზე" არჩეული კანონიერი ქურდივით იქცევა, საგარეო საკითხებს დამფინანსებელ ქვეყნებთან ერთად წყვეტს, საშინაოს კი ციხეში მჯდომი ქურდივით გარიგებს, რადგან ბრბოდქცეული ხალხი თავისი ,,პახანი" ჰგონია.

17948. ხალხმა რომ დაგიჯეროს და გამოგყვეს, ავანტურისტული ნიჭი, შინაგანი ინტელექტი და ქარაგმებით ყბედობა უნდა შეგეძლოს, ამასთან აუცილებლად შენი დროის და ბედისწერის შვილიც უნდა იყო.

17949. არის ხალხის კატეგორია, რომელთანაც სჯობს ყოველდღიური შერკინება გქონდეთ, რადგან მათთან ურთიერთობა უამისოდ არ გამოდის, მაგალითად, ვაჭრებთან, მშენებლებთან.

17950. ხალხის ბრბოდ გადასაქცევად ერთი გადაბრუნებული სიტყვაა საჭირო, ხოლო მათ ,,სტატუს ქვოს" დასაბრუნებლად დიდი ფიცი და სალამ-ქალამი.

17951. ხალხის აზრი ხშირად არაფერს იწონის, რადგან ის წონის, ვინც ხალხის ბუნებაში ჩახედულია და მათი აზროვნების ერთეულები უკეთ მოეხსენება.

17952. ბრბოდქცეული ხალხის უბედურება ის არის, რომ მას ყველა უყვარს, ენდობა და იმედის თვალით უყურებს, ვისაც მისივე ნებით ,,აურჩევენ" და დაუნიშნავენ.

17953. ხალხი, რომელიც თანახმაა მხარი დაუჭიროს ყოველგვარი დაფიქრების და გადამოწმების გარეშე იმას, ვისაც ზემოდან შემოაჩეჩებენ, შედეგის მიუხედავად, პატივისცემას არ იმსახურებს.

17954. ხალხის ვირეშმაკული ბუნების უდიდესი დამცველი მათი ალოგიკურობაა, რომლის აბსურდზეც არც არავინ ფიქრობს და არც რეაგირებს.

17955. ვირეშმაკა ისეთი ხალხია, რომელიც ერთს ფიქრობს, სხვას ამბობს, მესამის კეთებას ცდილობს და ხშირად არაფერი გამოდის.

17956. როგორ იცხოვრებს ადამიანი და როდის აფცავდება ქვეყანა, ეს დამოკიდებულია ხალხის გონიერებაზე, მოთმენაზე და იმ გამართლებაზე, თუ ვის ანდობს ქვეყნის მართვის ბედს.

17957. ნაძალადევი დასპონსორების ხარჯებს ხალხი იხდის პროდუქციის ხარისხის გაუარესების ან ფასების მატების, ხარჯზე.

17958. ხალხს არავითარი რეალურის პოლიტიკაში გადაჭრა არ შეუძლია, რადგან მას თვისება აქვს ბრბოდ გადაქცევისა და ახლად წარმოჩენილი ლიდერის მორჩილებისა გარკვეულ დრომდე, რადგან ყველაფერს იმედის თვალით უყურებს, ოღონდ სხვის ხარჯზე.

17959. საოცარია ხალხის გამოუსწორებელი ხასიათი, პასიური იმედით ელოდება ისეთ მმართველის მოსვლას, რომელიც ქვეყანას ჭაობიდან ამოათრევს.

17960. ძნელია იმ ხალხთან კამათი, რომლებიც ფაქტებს არად აგდებენ და ამბიციებით და აკვიატებული სურვილებით უნდათ ფონს გასვლა.

17961. ხალხი არასდროს არ გახდება ისეთი, როგორზეც ლოცულობს და ოცნებობს მის სიფარულით დაავადებული პატრიოტი.

17962. თუ ქვეყნის კეთილდღეობა გვინდა, პირველ რიგში, თავს უნდა მივხედოთ და უმადურ საქმეზე – ხალხის ცნობიერების გამოსწორებაზე არ უნდა ვიფიქროთ, რადგან ეს უკანასკნელი, ადრე თუ გვიან, თავად მოტვინავს-მოახლაფორთებს რაღაცას.

17963. ბუნებამ, ხალხი შექმნა კომპლექსების გარეშე, მაგრამ ცხოვრება უკომპლექსოდ და კომპლიმენტების გარეშე არ გამოდის.

17964. ხალხი, რომელიც რეალურ ცხოვრების ავან-ჩავანში ვერ ერკვევა, დამარცხება შეუძლებელია, რადგან მას თავი სხვაზე ჭკვიანი ჰგონია და ოპტიმიზმი არ შორდება.

17965. ხალხი სიკეთეს ხედავს, მაგრამ მისი არ ესმის და თუ გვინდა ბრბოში არ აგვერიოს, კანონის მათრახი ყოველთვის შემართული უნდა გვქონდეს.

17966. ზოგიერთი ხალხი თავისი სიბრიყით ტრაბახობს, რომელსაც ეთაყვანება და ტრადიციად აქცევს და ამით თავი მოაქვს, ნახეთ, რა თვითმყოფადები ვართო.

17967. ხალხის ტრადიციაში, ცხოვრებაში, არის ისეთი რაღაცა, რომელსაც ხელი არ უნდა ვახლოთ, მას მხოლოდ წაყრუება და დროის ფაქტორი უშველის.

17968. ხშირად ხალხის ბედს ის წყეტს, ვინც სათავეშია, ჩვენივე წაყრუებით და ფეხებზემკიდიაობით.

17969. ყველაზე მეტად თბილი მოპყრობა არაპოპულარული პროფესიის ხალხს: ჯარისკაცებს, პოლიციელებს, პოლიტიკოსებს, ჯალათებს, მეძავებს, სჭირდებათ, რათა ღმერთი არ გაუწყრეთ და საერთო, გულგრილობის და ფეხებზემკიდიაობის მხარეს არ დადგნენ.

17970. ყველანი ბრბოზედ უკეთესები ვართ, მცირე გამონაკლისის გარდა და სწორედ ეს დაუდგენელი განონაკლისია, ხალხს რომ მასად აქცევს.

17971. ხალხი შესანიშნავი გვყავს, მაგრამ სხვადასხვა გაგების და თავისებურად მოაზროვნე, რომლისთვისაც მთავარია სხვა რას აკეთებს და არა თავად რისი მკეთებელია.

17972. იმ ხალხთან ცხოვრება, რომლებიც დაუღვინებელი ლეგენდებისთვის არიან განკუთვნილნი, საშიშია, რადგან აწმყოში არც თავს რგებენ და არც სხვას, მაგრამ ბრბოსთვის საჭირონიც არიან და აუცილებელნიც, რათა დაგროვილი ბოღმა შედეგის მიუხედავად გადმოანთხიონ.

17973. ხალხის ნებას უნდა ვცეთ პატივი და არა – მათ ამბიციურ მოთხოვნებს, რომელთაც სხვათა გამოცდილება და ისტორიის ალიყური ვერაფერს ასწავლის.

17974. დღევანდელი ხალხის და პოლიტიკოსების დამოკიდებულება ერთ ანეგდოტს მაგონებს ,,კახელი გახარებულია, გურულს სუსტი წერტილი ვუპოვე, დედას ვაგინებ და წყინსო'', იმის მაგიერ, გამოსავალი ვეძებოთ საქმის საკეთებლად და ერთმანეთს გვერდში დავუდგეთ, რატომღაც ლანძღვაში სიამოვნებას ვნახულობთ და თუ რატომ, ბოლომდე ვერ გაგვიცნობიერებია.

17975. ხალხს სისულელის ყურება სიამოვნებს და ართობს, რადგან თავისთავზე უარესი დაბდური დაინახა და შინაგანად გაიხარა.

17976. ხალხის გულის მოგება ორატორული ნიჭის ფანდია და არა – რეალური შესაძლებლობა და ორგანიზაციული ნიჭი.

17977. ხალხში სწორედ ხალხის ნახვა ძნელი, რადგან ის ფუჭი მასისგან შედგება, რომელშიც ერის შვილის ნახვაც შეიძლება და ღირსეული ქვეყნის ლიდერისაც, თუ ეს განგებამ, შემთხვევამ, სამყაროს დაგეგმარებამ ინება.

17978. დრო ბრბოდ ქცეული ხალხიდან ქმნის ერისთვის სატრაბახო შვილს, ხოლო სამყარო საზოგადოების წინსვლისკენ მისწრაფების ხარჯზე ეპოქის გიგანტს გვთავაზობს.

17979. ბრბოს რაც უეცრად მოეწონება და ფანატად აქცევს, წარ-მავალია, რაც აღფრთოვანებს და გახსენების წინააღმდეგი არ არის, აწმყოს საკუთრებაა, ხოლო რაც ხალხის მცირე ნაწილს მოსწონს და სათანადოდ არ გაუთვითცნობიერებია, ის სამარადისოა და საუკუნეების გადასახედიდან ხშირ-ხშირად უკან მოსახედი.

17980. ხალხს თუ სძინავს, მთავრობამ უნდა იფხიზლოს, რათა ქვეშევრდომებმა უშნოდ არ გამოაღვიძონ, ყოველივე უგვანო ძალაუფ-ლებას არ დააბრალონ და მოძველებულად მიჩნეული მმართველობის აღგვა არ დაიწყონ, რადგან ეს ის რევოლუციაა, რომელსაც კარგი არაფერი მოაქვს.

17981. უსინდისობის ლიცენზიას ბრბო იძლევა ხალხის სახელით, სანამდის ეიფორიიდან არ გამოვა და საფრთხე არ დაემუქრება.

17982. პროვინციალიზმია, როდესაც შენს უკეთესს სხვის უარესზე ახურდავებ, რადგან შენც გინდა იმ ხალხში გამოჩნდე, რომელიც გარე-მოების გავლენით ხშირად ბრბოდ გვევლინება.

17983. სულიერად და არა ხორციელად იმ ხალხის შვილები ვხდე-ბით, ვინც გვეფერება, ვისაც ვჭირდებით. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს აღზრდას და ტრადიციების შეცვლას თაობათა კოქტეილის წლები სჭირდება.

17984. ყველა ქვეყანაში ის ძალაუფლება მოდის, რომელსაც ხალხის განუსჯელობა შინაგანად ითხოვს, საერთო საქმეს არგებს თუ ავნებს, იმ წუთში ამაზე არავინ ფიქრობს და არც აინტერესებს.

17985. არეულობის ღვარცოფში ის ხალხები ხვდებიან, რომლებიც საერთო სახლიდან, უნებართვოდ ქოლგით სეირნობას მოინდომებენ, და ამინდის გამოკეთებას არ უცდიან.

17986. სახელმწიფოს ავანტიურისტი ნიჭის მქონე გენიოსები აყალი-ბებენ, აჩალიჩებენ და არა ყველაფრის მომსწრე ხალხი.

17987. ხალხზე ზრუნვას ნიჭი სჭირდება, ხოლო მოსათოკად „ნიჭუ-კაც“ საკმარისია.

17988. ხალხს ისე უნდა მოექცე, როგორც იმსახურებს და არა ისე, როგორც შენ გსურს.

17989. ხალხი საზოგადოებისთვის მძიმე წნეხია, რადგან მათ სურთ ცხოვრება შოუ-გართობით გალიონ, რაც სიცოცხლის გალამაზებასა და საქმიანობის გაადვილებაში ეხმარებათ.

17990. ნიჭიერმა ხალხმა ქვეყნის ყოფა უკეთესობისკენ უნდა შეცვა-ლოს, ბრბოს სურვილის მიუხედავად.

17991. ზოგჯერ, გარემოებათა გამო, ბუნებით ვიგინდარას ვაწერთ ვაჟკაცობას და ქველმოქმედებას.

17992. სიხარულის, მხიარულების, აღქმის ხელოვნებას ხალხი არ უნდა გადავაჩვიოთ და ამით მიღებული სიამის სურვილი არ უნდა მოვუკლათ, წინააღმდეგ შემთხვევაში რევოლუცია და ქვეყნის ნგრევა გარანტირებულია.

17993. ამ ქვეყანაზე არც ,,ჭკუით გასალახი'' ხალხი გამოილევა და არც უიმისობა იქნება.

17994. დღეს სექტანტები, შამანები, ნათელმხილველები, ისე მომრავლდნენ, რომ ბრბოდქცეულ ხალხის ყურება გულს გირევს, რადგან როგორ შეიძლებოდა განგებას ამდენი ბეჯ 21-ე საუკუნეში გადაეთრია.

17995. საკუთარი თვითმყოფადობის, კულტურის, დაცვა თავსაც შველის გადაგვარებისაგან გადასარჩენად და ერსაც, წინაალმდეგ შემთხვევაში, მივიღებთ ძველ საძირეზე დამყნილ ხალხს ახალი მენტალიტეტით.

17996. არის ხალხის კატეგორია, რომელთაც შხამიანი გველიც კი არ ჰკბენთ, რათა მათ სისხლთან შეხებით თავი არ დაიავადმყოფონ.

17997. სამყარო მაინც კეთილი ხალხის საყრდენია და არა – უაზროდ მომრავლებული ვიგინდარებისა.

17998. სხვისი იმედით სამშობლოს დაცვის მცდელობა და ამ საქმეში სხვა ქვეყნის ხალხის დაქირავება, ხელისუფლების უგვანობაა, უპატივცემულობაა საკუთარი სახელმწიფოს და მოსახლეობის მიმართ, რადგან ხალხს, ერს, ღირსებას, სიფარულს ვართმევთ და თავის დაცვის ამბიციებს უკარგავთ.

17999. ზოგჯერ თავის გვემა და ალიბის ძებნა, სამშობლოს შეცნობის მწარე გემოსგან თავის დასახსნელად, მკრეხელობაა,რადგან შენმა ხალხმა ყოფით და ქცევით აწმყოს ამ დროში განგების ნებით ცხოვრება ასე ისურვა.

18000. სხვანაირად ფიქრი და სხვაგვარი მოქმედება სხვადასხვა რეზონანს იწვევს და ორივე დისიდენტობაა, რომელიც არც ხელისუფლებას მოსწონს და არც მაინცდამაინც ხალხს ახატია გულზე, რადგან ყველაფრის შეცვლას და ცხოვრების აწყობას გამოუცდელი ჭკუით ცდილობენ.

18001. ღირსების ძირითადი საფუძველია გონიერება ოპონირებით, რომლის გარეშე ვერც სახელმწიფო აპარატი იარსებებს ხეირიანად და ხალხსაც ცხოვრება გაუჭირდება.

18002. ხელისუფლება ხალხის მცდელობის დინებას წინ კი არ უნდა აღუდგეს, არამედ მას გონიერების ,,ჰესები'' უნდა აუგოს და მათ კეთილდღეობას მოახმაროს, მაგრამ ხალხმაც ტვინი უნდა გაანძრიოს და თავისიანში ეცადოს აღმოაჩინოს ის გენიოსი, რომელიც ამას შეძლებს და წინ წარუძღვება.

18003. 21-ე საუკუნეც მოწოდებულია ფულის კეთებისთვის, ყალბ ღირებულებათა წარმოჩენისთვის ცივილიზაციის მიღწევების ხარჯზე და ბრბოს გამოსათაყვანებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემთხვევითმა ნიჭმა ეს რომ არ მოიმოქმედოს, ადამიანები დროის და ყოფის ზეგავლენით დაგროვილ უარყოფით ენერგიას ერთბაშად გადმოანთხევენ და ქვეყნის უსაფრთხოებას რა დაემუქრება, არავინ უწყის. ამრიგად, ხალხის გატუ-ტუცება ყველა დროში სასარგებლო ყოფილა და უმეტესობა გონიერე-ბაზე ამიტომაცაა მწყრალად.

18004. მოსახლეობის უმეტესობას „მნახე-მნახეს", „ნახირ-ნახირის", „ფუფლო" პატრიოტიზმის სინდრომი და თავის გამოდება ახასიათებს, პირველ წინააღმდეგობამდე და იმედის გაცრუებამდე.

18005. ერთი ხალხის მეორის მიმართ ანგარიშსწორება დაუშვებე-ლია და ეწინააღმდეგება წესრიგისკენ, თავისუფლებისკენ, დამოუკიდებ-ლობისკენ მისწრაფებას და სახელმწიფოებრიობის დადგენას.

18006. ხალხის გადაგვარება, საზოგადოებიდან განსხვავებით დროე-ბითი და ნაკლებად საშიშია, რადგან მას ტრადიციები, კანონები ახსოვს და მას ემორჩილება.

18007. როდესაც შენს ხალხს სისულელის ჭია შეუჯდება, მხოლოდ განგების იმედიღა დაგრჩენია, რადგან, ეტყობა, ამ ასწლეულის გარკვე-ულ პერიოდში ასე ისურვა გვეცხოვრა.

18008. მოხელისთვის ხალხი იყოფა ხელისუფლებად და ბრბოდ, ხოლო თავად რა კატეგორიას მიეკუთვნება, მისთვის უცნობია, რადგან სული ეშმაკისთვის დიდი ხანია მიყიდული აქვს.

18009. ხალხს უაზრო წახალისება აფუჭებს და არა – შემართება, კანონის მორჩილება, ტრფობა და სიფარულის ლაბირინთებში ხეტიალი.

18010. სინამდვილეში შენი ხალხი გაცილებით იმაზე უარესია, რო-გორც შენ წარმოგედგინა და იმაზე უკეთესი, როგორიც შენ გინდა იყოს.

18011. გვერდით უნდა იყოლიო ის ხალხი, ვინც შენთან ყოფნას იმსახურებს და ისინიც, ვისაც სურვილი აქვს და ამას ცდილობს ყო-ველგვარი გასამრჯელოს გარეშე.

18012. ხალხია, რომელიც ქვეყნის ისტორიას სუფთა ხელებით წერს, დაღვინებულ ტრადიციებს უფრთხილდება და არა ის, ვინც ბრბოსთვის ლეგენდებს, ანეგდოტებს ქმნის და ვიღაცას სხვისგან გადამღერებული აფორიზმებით ჭკუას და პატივისცემას ედავება.

18013. ხალხს ერთ მუშტად კრავს ნდობა და ეროვნული იდეა, შლის სიმდიდრე და გულუბრყვილობა, ხოლო სპობს-გადააგვარებს გულგრილობა და შური.

18014. დანაშაული, ქურდობა, იმიტომ ხდება, რომ ხალხს ყველაფერი ფეხებზე ჰკიდია თუ მას არ ეხება, ხოლო ხელისუფლება ვერ „ახერხებს“ ხალხის მობილიზაციას მასთან საბრძოლველად.

18015. ბრბო მთვრობას ან პატივს უნდა სცემდეს ან აკრიტიკებდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ცხოვრება მდორედ მიზოზინებს და ფუფუნების ჭაობში აღმოჩნდება.

18016. როდესაც ბრბო სიბრიყვეს გემოს გაუგებს და გაითავისებს, მას უკვე აღარ აინტერესებს შედეგად რა მოყვება, რადგან დღეს ამითაც კმაყოფილნი არიან.

18017. ზოგჯერ ქალაქიც კარგია და მასში მცხოვრები ხალხიც, მაგრამ მას მაინც შემთხვევითი ადამიანები მართავენ. ეს არც ერთ კანონზომიერებას არ ემორჩილება, მაგრამ, თუ ერთმანეთს ხელს არ შეუშლიან, ცხოვრება შესაძლებელია.

18018. ძალოვნები იმ „სამართლიანობის პურს“ ვერასოდეს შეჭამენ, რასაც იმსახურებენ, ხოლო ხალხი ამას ვერც მიხვდება და არც თავს შეიწუხებს.

18019. სისტემაზე უარყოფითი აზრის დამთხვევა ხანდახან მატერიალურია, მაგრამ მისი იმდენად გაბახება, ქვეყანა გადააყოლო, ხალხის ღალატია.

18020. ძალაუფლება, წყობა, მმართველობა, იცვლება, მაგრამ ხალხის ზნე იგივე რჩება და ეს არის სამყაროს სასწაული.

18021. სამართალი შეიძლება მოისყიდო, მიითვისო, მაგრამ ხალხის ირონიას და ჭორს გვერდს ვერ აუქცევ.

18022. არის ხალხი, არის მის კულტურა, რომელსაც კისრის მოტეხვის უფლება ულაპარკოდ უნდა მისცე, რადგან იგი ამისათვის დაბადებიდან მზად არის.

18023. სამწუხაროდ, ხალხის უმრავლესობას მე ბრბოდ ვთვლი, რომელსაც სხვის ჭუჭყიან საცვლებში ცხვირის ჩაყოფა და სიბინძურის ყნოსვა უფრო აინტერესებს, ვიდრე შემოქმედი და მისი ხელოვნება.

18024. „რევოლუციას პატრიოტები ახდენენ, შედეგით ნაძირალები სარგებლობენ“, რადგან ბრბოს სანახაობა და გაუცნობიერებული იმედი უფრო მოსწონს, ვიდრე საქმის კეთება პასუხისმგებლობით.

18025. ნიჭი – ინტელექტი, ტალანტი – კულტურა, სტუმართმოყვარეობა – მასპინძლობა, კაცობაზე თავის დადება – ვაჟკაცობა, სურვილები – სიკეთის კეთება, ერისშვილობა – მოქალაქეობა, ქვეყანა – სახელმწიფო. ასე და ამრიგად, ამ სინონიმებიდან პირველი თავზესაყრელად გვაქვს, მეორე იშვიათობაა და ეს ჩვენი გენის მიერ მონიჭებული კოდის დამსახურებაა, თუ განგების დაცინვა, ხალხი აქამდე ვერ გარკვეულა.

18026. დროებით იდიოტად ქცევა ნიჭიერი ხალხის ხვედრია, თუ მან სისულელის მორგების და გართობის ყადრი იცის.

18027. ძნელია იმ ხალხის პატივისცემა, რომელშიც შენი ერი გინდა დაინახო, ხოლო მათ ის ბრიყული ყოფნა ურჩევნიათ, რომელიც უსაქმურობას და თავისი ჭკუა-გონების შესაფერ ყოფას ახერხებს.

18028. მასის კრედოს ამოწურვა შეუძლებელია, თუ საქმე პირად კეთილდღეობაზე ხელის გამოკვრას ეხება.

18029. რევოლუცია როგორი საწებლითაც უნდა შეაზავოთ, უგუნურებაა, რადგან ბრბოს საბაბი მიეცა დროებით თავი აეშვა და ქვეყანა ქაოსს მოეცვა.

18030. ხალხიც და ბრბოც იმას აფეტიშებს, ვინც სარკაზმული ყბედობის დიდოსტატია. სულით გამყიდველია და ეჩოსავით ყოველივეს თავისკენ მოთლის.

18031. ხალხი იჯერებს იმას, რის დაჯერებაც სურს, სიამოვნებს და იმ წარმოუდგენელსაც უმატებს, რისი საღი გონებით განსჯა შეუძლებელია.

18032. ხალხს რაც უნდა კარგი გაუკეთო, სიცოცხლეში სათანადოდ ვერ შეგაფასებს, რადგან აწმყოს შურსაც აქვს ოპონირების უფლება, მიუხედავად იმისა, გონიერების ქურაში აზრი გადახარშული აქვს თუ არა.

18033. ადვილია პატრიოტი იყო მთავრობის ხელში, მაგრამ ძნელია მოქალაქედ დარჩენა, როდესაც ის ცდება და ხალხი ყოველივეს გულგრილად უყურებს.

18034. ხშირად დაურიდებლობით, სიტყვების ომახიანი ,,ფარფატით'' ცივილიზაციით დაწიხლული ხალხი გვევლინება, რომლებმაც ცხოვრების გამოცდილების ალიყური რამდენჯერმე იგემეს და კარიერის მისაღწევი კალოს უმეტესი ნაწილი გალეწილი აქვთ.

18035. ხალხის გულის მოსაგებად და ქვეყნისთვის სასიკეთოდ მას დაბეგვრა – დასაქმება და ,,შენ ხარ ვენახის'' ძახილი არ უნდა მოაკლო.

18036. შენდამი ხალხის სიფარული უდიდესი სიმდიდრეა, მაგრამ გაკოტრებაც იცის, ხოლო შენთვის გადანახული ოქრო-ვერცხლი, საბანკო წიგნაკი, საიმედო სიმდიდრეა, რომელიც არავითარ მიმდინარეობაში და დროის ყივილში არ გაგცვლის.

18037. ამბობენ, პატიოსანი ადამიანი ყოველთვის თავის ხალხთან უნდა იყოსო, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, თუ ხალხი წინ მაცქერალია და არა – ბრბო და თანაც შრომის, მოთმინების, დროის შერჩევის უნარიც შესწევს.

18038. ხალხს ხშირ-ხშირად უნდა გაულაწუნოთ, ტექნიკური პროგ-რესით იქნება ეს, თუ კანონების გამკაცრებით, რათა ის საზოგადოების წევრად იქცეს.

18039. არის უმძიმესი დანაშაული ერის, ქვეყნის, წინაშე, რომელზეც ხალხი არ რეაგირებს, რაც მათ უკულტურობასა და ყველაფრისადმი გულგრილობაზე მიუთითებს. მაგ. ფალსიფიცირება ბორჯომის, ღვინის, ჩაის, რაც ეროვნულ ,,ბრენდს'' ჭიას უჩენს.

18040. ხალხზე ბრიყვი მე სხვა არ შემხვედრია, გარდა ერთეულ პიროვნებათა ბედნიერი გამონაკლისისა.

18041. ძნელია იმ ქვეყანაში ცხოვრება, სადაც ხალხი გინდა დაინახო და ხელში ,,ტ-აკები'' შემოგრჩება.

18042. პატივს თავს ხელისუფლებაც უნდა სცემდეს და ხალხიც, რათა პირველი ისე არ მოიქცეს, მეორემ რომ აიგდოს, ხოლო ამ უკანასკნელს სიბრიყვე არ დაბრალდეს – ეს ვინ აგირჩევიათო ხალხის მსახურად.

18043. დანაშაული ჩადენილია, დამნაშავე დასჯილია, მაგრამ საქმე ბოლომდე მაინც არ არის მიყვანილი, რადგან ხალხია დაუსჯელი თავისი გულგრილობისათვის, რაც რეციდივის საშუალებას იძლევა.

18044. ბრმა რწმენა, ერთგულება, მინდობა, უნებისყოფო, უგნური ხალხის ხვედრია, რომელსაც ვიგინდარები თავის სასარგებლოდ იყენე-ბენ.

18045. სინამდვილეში არც ბრძენი იცნობს თავისი ხალხის უცნაუ-რობას და არც თავის ხალხზე შეყვარებული დანდობილი ბრიყვი.

18046. საქმიანი შეკითხვები, ფუჭ შეკითხვებთან შედარებით, ყო-ველთვის უმნიშვნელოა, რადგან ხალხს ყბედობა და სხვისთვის ჭკუის სწავლება უფრო მოსწონს, ვიდრე განსჯა და საქმისთვის თავის გადა-დება.

18047. ამბიციების მქონე ხალხს სამოქალაქო სიკვდილი უფრო აფრთხობს, ვიდრე ფიზიკური, რადგან სახელი თავზე მეტად უფართ.

18048. ხალხი არ გპატიობს სიმართლის თქმას მათ კერპზე და არც იმ დროზე, რომლის რატომღაც ყველა უკმაყოფილოა.

18049. ხალხი, მოსახლეობა, ბრბო, მასა, სხვადასხვა რამაა, მაგრამ დაღვინება, დროით გამოცდა, ყველას სჭირდება, რათა საზოგადოებაში თავისი ადგილი აღიქვან, ჩამოყალიბდნენ და ქვეყნის სამსახურში ჩად-გნენ.

18050. წინა დროის ღირსების ეტალონი მომდევნო პერიოდისთვის ყოველთვის მისაღები არ არის, რადგან აქ ცივილიზაციის, საზოგადო-ების, ინტერესები იცვლება და ქვეყანასაც სხვა შეგნების ხალხი სჭირდება.

18051. ბრბოსთვის კანონი არ არსებობს, რადგან კანონებს თავად იღებს და მათსავე აღსრულებას თავადვე ეწირება.

18052. ზოგჯერ გონებით ქერქეტა, მაგრამ ხასიათგახსნილი მეტ სიმპათიებს იმკის, ვიდრე გონებადამჯდარი და პირქუში, რადგან ხალხი უპირატესობას გართობა-სანახაობას ანიჭებს და არა – მონდომებით საქმის კეთებას.

18053. მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ყველაფრის წინააღმდეგია, რადგან ვერ ერკვევა რა სწყინს, რა უხარია, რა მოსწონს და რა ეზარება.

18054. უგვანო ქვეყანაში ხალხს ერთად აქუჩებს პროტესტი და არა – ურთიერთგაგება.

18055. პრეზიდენტი შემართებით, მცდელობით, უნდა განასახიერებდეს თავისი ხალხის ყველა ნაკლს, კარგი სურვილებით თუ უნდა ხალხისთვის მისაღები იყოს.

18056. ხალხთან მუშაობა ადვილია, მათი პრეტენზიების აღმოფხვრაა ძნელი.

18057. ხშირად უმრავლესობა ბრბოს წარმოადგენს, უმცირესობა – ხელმძღვანელ მასას და ქვეყნის ავ-კარგიც მათ უგერგილობაზეა დამყარებული.

18058. ხალხს იმაზე მეტი არ უნდა მოსთხოვო, რისი აღმქმელიც ამჟამადაა და მათ დღევანდელ უგნურებაზე გული არ უნდა დაგწყდეს, რადგან დრომ და განგებამ დღეს ასე ინება.

18059. ხალხს ყველაზე უკეთ მახსოვრობის დაკარგვა და ბრბოდ გადაქცევა ეხალისება, რადგან თავზე წარმოდგენა გადამეტებული აქვს და საშუალება ეძლევა თავის ფუჭ აზრების გაჭენებისა, ხელეწიფება ჯირითი თუ არა.

18060. ძალაუფლებამ, წყობის ერთფეროვნებამ გადაღლა იცის, რაც ქვეყანას საყრდენს უთხრის და ხალხს ძვირად უჯდება.

18061. ქვეყნის მმართველად, დიქტატორად, უნდა დაიბადო, რათა გრძნობდე, რა უნდა ხალხს, რათა შენი გარჯისათვის, მცდელობისათვის, თავი გადადოს და ყველა შენი სურვილი უსიტყვოდ აღასრულოს.

18062. მოწოდებით ხალხის მსახური გაძღომას არ უნდა დავაჩვიოთ, მაგრამ მოფერება, გამორჩევა და აღიარება არ უნდა მოვაკლოთ.

18063. ბრბოს შემოქმედებით ფოლკლორს მოფრთხილება სჭირდება, რადგან არავინ უწყის რა და როდის გახდება პოპულარული და მასის სალოცავი.

18064. დრო და დრო ყველა ხალხს ახასიათებს ეროვნული შეშლილობა, რომელიც განსატვირთად და დაგროვილი უკმაყოფილების სტრესის მოსახსნელად სჭირდება.

18065. მოსახლეობის უმეტესობას სხვისი პასუხისმგებლობით ცხოვრება მოსწონს, თავიანთი სურვილების დასაკმაყოფილებლად.

18066. ნახევრად შერეკილები ხალხს უყვარს, მათით ზეიმობს, ხარობს, ამაყობს.

18067. ხალხი არ იცვლება, მაგრამ ბრბოდ და მასად ქცევის შემთხვევაში, ნურას უკაცრავად!

18068. ხალხის ნდობა არც გამარჯვებამდე შეიძლება და არც დამარცხების შემდეგ, რადგან ის მოვლენათა ანალიზში ვერ ერკვევა და ძირითადად შედეგზე რეაგირებს.

18069. ხალხს ხშირად უჩნდება მთავრობისთვის იმ „ლიცენზიის" ჩამორთმევის სურვილი, რომელიც თავის გულგრილობით, წამხედურობით, გასცა.

18070. ყოველთვის ძნელია იმ ხალხთან საქმის დაჭერა, რაიმეს მტკიცება, რომელსაც სხვისი არაფერი სჭირდება და არც არაფრის კეთება უნდა.

18071. ნიჭიერი ხალხი ყოველთვის რისკის ჯგუფს განეკუთვნება ზოგჯერ რეალობისთვის გაუგებარი ქმედებით.

18072. ხალხს, ხუმრობის და ტაშის დამკვრელთა გარეშე, რაიმე ახლის შექმნა ძალზე გაუჭირდებოდა.

18073. არის ხალხის კატეგორია, რომელიც იშვიათად ცდება, სხვას შეცდომისთვის ნიშნს უგებს, არ სჯის, მაგრამ საქმეს როგორ რგებს ამგვარი მიდგომა, ეს სხვა საკითხია და სადაოა.

18074. გარკვეული დროის გასვლის შემდგომ, ხალხს სიწყნარე, სიმშვიდე ბეზრდება და ეს სიმწრით მოპოვებული სტაბილურობა მზადაა გადაითელოს, წარსულის კარგად გასახსენებელი ნიშნებიც ზედ მიაყოლოს.

18075. ხალხის აზრი ბრბოსას არ უნდა შევადაროთ, მაგრამ გაუგებარ, არეულ, გარემოში მათი განსხვავება შეუძლებელია.

18076. ხშირად ხალხი თავის ახირებას ტარდიციად აქცევს და მისი მონა ხდება. პორტუგალიელები გამხმარ ვირთევზას აღმერთებენ და მის იმპორტს ეწევიან, მაშინ როდესაც უამრავი ახალი თევზი აქვთ, ხოლო ესპანელები კორიდას ვერ ეშვებიან და ცხოველის და ტორეადორების ვაჟკაცურ სიკვდილზე ლეგენდებს თხზავენ, მაშინ როდესაც ერთი გონიერი ხელისუფალის ძალისხმევა ამ ტრადიციებს რაღაც 20–30 წლის წინათ მოისროდა და ახალ თაობას სხვა უფრო ჰუმანურ გასართობს შესთავაზებდა და ტრადიციად აქცევდა.

18077. საკუთარი სურვილების შეზღუდვის უნარი არისტოკრატიული სისხლის და აზროვნების მქონე ხალხის ხვედრია.

18078. ხალხის აზროვნება ნულის თაობაზე ნათელია: ან არაფერი, ან ნულების არმია რომელიმე სხვა ციფრის მთავარსარდლობით.

18079. ძალა არგუმენტი არ არის, მაგრამ ყველაფერია, თუ ხალხმა მის წინააღმდეგ დარაზმვა ვერ მოახერხა.

18080. ხალხი მაშინ აფასებს პიროვნების ღვაწლს, როდესაც თავადაც არ ელის, ან იმქვეყნად კარგა ხანს გადაბარგებულია.

18081. „ცოცხალი ლეგენდა“ „ერის სიამაყე“ და სხვა შემკობანი დროებითი და წარმავალი ჯილდოა, რადგან მათი მინიჭება ხალხად წოდებულ ბრბოს ხელშია.

18082. რადგან ხალხი ჭეშმარიტებას ცუდად ეგუება, ჯობს იდეოლოგიის მოშველიებით მისი გონება თანამედროვე კერპებზე დავამყოთ – უფრო ამართლებს.

18083. ხალხში უნდა იყოს „ჩვენი“ და „მე“ ყოველგვარი ანტაგონიზმის გარეშე.

18084. არის ქვეყანა, არის კრიმინალური სახელმწიფო და ამის გაცნობიერებამ ბრბოს გამოფხიზლება და მათი ხალხად ქცევა უნდა გამოიწვიოს.

18085. თუ პიროვნებას არ აქვს იმედი, რომ ისინი გავლენას მოახდენენ საზოგადოებაზე და ქვეყნის ავ-კარგზე, იმ ხალხის საქმე წასულია.

18086. კოლექტივის, ბრბოს, მასის, გუნდის, ფარის, შეგროვება შეიძლება, მაგრამ მათი გაგება, ხარისხის დადგენა და მიზნის გაგება ძნელია.

18087. ცოდვა ისეთი უნდა ჩაიდინო, რომ სიამაყეს გმატებდეს გარკვეული რჯულის და შეხედულების ხალხში.

18088. ხალხის საშენი მასალა ბრბო და მასაა, რომელიც გადარჩევას მოითხოვს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ერთის პერსპექტივა გარყვნილებაა, მეორისა – გადაგვარება.

18089. დიალოგი ხელისუფლებასა და ხალხსა შორის აუცილებელია, მაგრამ არა – გადამლაშებული, უსაგნო და ურთიერთპრეტენზიული.

18090. ხალხი იყოფა ცხვრებად და მგლებად, მაგრამ სტატუსი ხშირად იცვლება გარემოებათა ოხუნჯობის და დროთა გათავხედების შედეგად.

18091. ტოტალიტარული წყობა, ტელეტოტალიზმით შეიცვალა, რომელიც ფულს გამოკიდებულ, ტელევიზიით დამუნათებულ ახალგაზრდობას, წმინდა გრძნობებს უუფასურებს და ღირსეულ ადამიანთა ნაცვლად უგერგილო რეკლამის ანკესზე წამოგებულ უხიაგ ხალხს ვიღებთ.

18092. ბრბოს ახალისებს უტოპიური სურვილები, განუხორციელებელი ფანტაზიები და აუხდენელი ეჭვები.

18093. რეფორმატორს ხალხი უნდა თანაურგძნობდეს, მხარში ედგას, მაგრამ კრიტიკის თვალით უნდა უყურებდეს, რადგან გადამლაშების შემთხვევაში ეს ქვეყნისთვის სავალალოა.

18094. ხალხი უფრო ძალის გამოვლენას სცემს პატივს, ვიდრე კანონის მორჩილებას, რადგან ეს უკანასკნელი მეორადი ჰგონია და ფიქრობს, რომ საძრომიალოს მასში ყოველთვის ნახავს.

18095. ის რწმენა, სახელმწიფო წყობაა, მისაღები, რომელიც ხალხს შემოქმედებით ფუფუნებაში აზრიანად და განსჯით აცხოვრებს.

18096. ხალხზე არ უნდა იფიქრო ის, რასაც შენს მიმართ ისინი მოიმოქმედებდნენ, ამის მიზეზი რომ მისცემოდათ.

18097. რეპუტაციას მანამ შეინარჩუნებ, სანამ ბრბომ იცის რომ მისთვის საინტერესო საკითხს ამზადებ და გარემოებათა გამო, ჯერჯერობით ვერ ამხელ.

18098. ხალხი ყოველთვის ახალი ცხოვრებისთვი ემზადება, იმის ნაცვლად, რომ აწმყოთი დაკმაყოფილდეს და სიამე განიცადოს.

18099. ხალხს ფიქრი არ უყვარს, მასთან უფრო ახლოა კლოუნადა და გაპანღურება.

18100. ბრბოს მორალი არ გააჩნია და თუ რაიმე შემორჩა, ისიც ზადით.

18101. ხალხი ისე სწრაფად იქცევა ბრბოდ და პირიქით, თავისი მანკიერების გამოვლინებით, თითქოს არაფერი მომხდარა და თავსაც არ საყვედურობს.

18102. ბუნტით ხალხს ვერაფერს ვასწავლით, რადგან მათ ბრბოდ გადაქცევის სურვილი და საყოველთაო ეიფორია ბუნებაში უდევთ.

18103. არის უნიათო ხალხის კატეგორია, რომელზეც სახელმწიფომ უნდა იფიქროს, რათა ისინი თაღლითების იოლი ნანადირევი არ გახდეს და მათზე ზრუნვა სახელმწიფო ბიუჯეტს არ დაეკისროს.

18104. ისე როგორც ხალხი, ადამიანი ცდება ისე სხვა არცერთი სულიერი არ ცდება, ამიტომაცაა რომ ყველა შეცდომის ფასს თავად იხდის კვადრატში.

18105. წუწუნი, რომ ხალხი ვერ გაიგებს, მოწმობს ხალხის ბუნების უცოდინრობას, როცა თავად არ გინდა მას გაუგო და ისეთები გინდა იყნენ, როგორიც შენ წარმოგიდგენია.

18106. ხალხი გვიყვარს, ერს ვეთაყვანებით, მაგრამ მათგან წარმოშობილ ბრბოს, რომელიც ჟინით აზროვნებს, სარგებელს იტაცებს, პატივს არ ვცემთ, რადგან ამ ნაჯვარს დაფიქრების უნარი არ გააჩნია.

18107. ზოგჯერ ხალხის გაჯიუტება, ბრბოდ გადაქცევა, ფეხის წატეხვა, გარანტიაა, რომ ისინი ამ სამყაროს შემორჩნენ.

18108. უმეცრება ყოველთვის აგრესიულია ე.ი. „ხალხის მტერია".

18109. ხალხის წარმომადგენლებს თუ შეუძლიათ ქვეყნის ინტერესებისათვის თავის დადება, იმ სახელმწიფოს სიცოცხლისუნარიანობა და ძლიერება ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

18110. ხალხი რჯნის ხელისუფლებას და არა – პირიქით, რადგან პირველს მეორე ბრიყულად თავზე არ უნდა წამოესვა.

18111. ხალხის ცნობა-არცნობა, დროზე, გარემოზე, შემთხვევაზე, სურვილზეა, დამოკიდებული და არა – მცდელობაზე, რომელიც დავიწყებას ეძლევა.

18112. ლიდერმა ხალხი კი არ უნდა დაიმონოს, არამედ ის პარტია, დაჯგუფება, ვისი დახმარებითაც ეს ბრბო უნდა მართოს.

18113. დიდ ადამიანს ხალხი სიღარიბის და მთავრობასთან დაპირისპირების გარეშე ვერ იწამებს, ან თავად უნდა შექმნას ლეგენდა.

18114. ხალხმა რომ გაგითავისოს – საქმის გონივრული კეთება არ უნდა მოსთხოვო თავიდან თავი უნდა გაუყადრო, შეაფარო ზურგზე თავად უნდა შემოგისვას და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ამ ხალხის მათრახით და სასუსნავით მართვა და სწორ გზაზე დაყენება.

18115. ხალხის გონების მპყრობელი ხარ მანამ, სანამ შენი სხეული შენს წინააღმდეგ არ აღდგება და ყველანაირი ძალაუფლება ხელში არ შემოგადნება.

18116. ქვეყანაში, სადაც კანონი არ კანონობს, ხალხი ცხოვრობს ბუნების კანონით – როგორც გაუმართლებს.

18117. უფრო ბედნიერი ალბათ სტანდარტული ცხოვრებისთვის განკუთვნილი ხალხია, რომელსაც განგების ვერაგობის და კატაკლიზმების გამოცდა არ უწევთ, ვიდრე ნიჭით დაჯილდოებულნი, რადგან პირველნი თავისი სიამტკბილობისთვის ცხოვრობენ, მეორენი ცდილობენ თავის სიამის მგზნებარება სხვასაც აგემონ და გაგებინონ.

18118. არა მგონია, ჩემზე უკეთ ვინმემ იცოდეს ხალხს რა ალიყური უნდა აჭამო ათოხარიკებული სიბრიყვისთვის, მაგრამ მათ შორის ხომ ჩვენი ახლობლები, ჩვენი სისხლი და ხორცია.

18119. იყო დრო, როდესაც ცუდი ხალხის კარგისგან გამორჩევა არ გვჭირდა მაგრამ ფულის შოვნის სურვილმა ყველა წინასწარ დაწყობილი გონიერების კრედიტი გააკოტრა.

18120. ზედაპირული შეცდომების გამოსწორება ქვეყანაში ხელისუფლის საქმეა, ხოლო მისი კრიზისიდან გამოყვანა მეცნიერების და

ბიზნესმენის ხელშია, თუ ხალხად ქცეული ბრბო მათ მხარს ისევ დაუ-ჭერს.

18121. ხალხმა მთავრობა უნდა აიძულოს, რომ მათზე იზრუნოს და არა – ემსახუროს, წინააღმდეგ შემთხვევაში ძალაუფლება უნიჭო-დილეტანტის ხელში აღმოჩნდება, რადგან გონიერი კაცისათვის კაიფი სხვაზე თავის გაგებით ბრუნვაშია და არა მოთხოვნით მომსახურებაში.

18122. ხალხმა კარგად რომ იცხოვროს, საკმარისია ერთმა გონი-ერმა იფიქროს მათზე და სხვებმა ხელი არ შეუშალონ. სწორედ ასეთ თავდადებული ადამიანი ავიწყდებათ და პატივს არ მიაგებენ.

18123. ცივილიზაციით გარყვნილ ხალხთან ცხოვრება ადვილია, საქ-მის დაჭერა – ძნელი. ისინი ყოველივე მიწიერს ზერელედ უყურებენ, რადგან ბიზნესში და საქმიანობაში უნიათოები არიან.

18124. ცინიზმს, რომელიც კომიკურ სახეს იღებს, ხალხი უფრო ურიგდება და ითავისებს, ვიდრე ისტორიული გამოცდილებით მოპო-ვებულ აქსიომას.

18125. არსებობს ჭაობი და ჭაობიდან ამოსაყვანი ხალხი, რომელ-თაც მათთვის გასაგები ევოლუცია და რეალურ ყოფასთან დაძალებით მიახლოება სჭირდებათ.

18126. ხალხის სიბრიყვეს საზღვარი არ უჩანს, რადგან ამდენი დამცირება-წვალებით არჩეული ხელისუფლება, რატომღაც ჰგონია უმ-წიკვლოდ მოემსახურება და ავიწყდება, რომ ისინიც ადამიანები არიან თავიანთი ამბიციებით, ცოდვებით, პრეტენზიებით და იმდენის საკეთე-ბელით, რაც მათ აჰკიდეს.

18127. ხალხი იყოფა ავტორიტეტებად, ჭკვიანებად და ,,ისე-რად''. პირველს, როგორც ნომენკლატურას, ოპონირების გარეშე ვცნობთ, მეორეს ვეპაექრებით ჩვენთვის გასაგები ჭეშმარიტების დასადგენად, მე-სამეს ველაზღანდარებით მასთან საქმის დაჭერის და ქვენა გრძნობების წარმოჩენის გარეშე. ჯერ-ჯერობით, ამნაირ ხალხთან ჩემებურ მიდგომას არ უღალატნია.

18128. ხშირად ძალაუფლებისათვის ქვეყნის მართვის პროცესის შენარჩუნება უფრო მთავარია, ვიდრე შედეგი და ამიტომაცაა დედამი-წაზე ამდენი ღარიბი ქვეყანა და უნიათო ხალხი,, რომელსაც თავის მოფხანა და პასუხისგება არაფერზე არ უნდა.

18129. ადამიანი თავიდანვე უნდა ემზადებოდეს ინდივიდუალური წარმატებისთვის, მაგრამ მან ეს ხალხის ინტერესებს უნდა შეუხამოს და საზოგადოების ყოფას უნდა მოარგოს.

18130. შენ კი არ უნდა გჭირდებოდეს ხალხის უფროსობა, ისინი უნდა გახდნენ შენი ძალაუფლების ღირსნი, რადგან თუ მათზე ერთი

თავით მაღლა არ დგეხარ, რა სინდისით გინდა მათ წინ დგომა და თავზე წამოჯდომა.

18131. ორმაგი-სამმაგი ცხოვრება ძალზე მოხერხებული, ენერგიული და შემოქმედი ხალხის ხვედრია მისდამი სიმპატია ანტიპატიის მიუხედავად.

18132. ხალხს საქმე უნდა აკეთებინო და არა ჭკუა დაარიგო და ნიშანი მიუგო, რადგან მას რომ თავის განძრევა შესძლებოდა, ის ბრბოდ არ იქცეოდა და ათასი რჯულის ვიგინდარას არ აყვებოდა.

18133. გარემოებათა გამო დგება დრო, როდესაც ხალხისთვის სულერთი ხდება ვინ ამოსცხებს ჭიტლაყს, ანგარიშიანი გონიერება თუ ანგარებიანი ვიგინდარობა. ეს ცივილიზაციის დაუკითხავად შემოჭრის შედეგია, თვითმყოფადი კულტურის და ინსტიტუტების ხარჯზე.

18134. ხალხს არ სჭირდება პოსტულატები, ტრაფარეტები, დოგმები, უმჯობესია, რწმენა ჩაუსახოთ და გონიერების მათრახი შიგადაშიგ გადაუჭიროთ, რათა შრომის, კვლავწარმოების, გართობის სურვილი არ დაიკარგოს და თავი ბედნიერად იგრძნოს.

18135. გრძნობებმოდუნებულ ხალხს აქვს უნარი ჩვენზე იბატონოს და თავის ჭკუაზე გვაცეკვოს.

18136. უნაკლო და ნიჭიერი ხალხის უნდა გვეშინოდეს, რადგან გამოცდილების გამო ექსტრემალურ სიტუაციაში რას იკადრებს და მოიმოქმედებს, თავადაც არ უწყის.

18137. ბრბოს არ უნდა ავყვეთ, მაგრამ მათი ბზიკი უნდა დავინახოთ და გამოვარჩიოთ.

18138. გულის აყოლას და გადარევას ჯობს დროებით ბრბოს ფეხი ავუწყოთ, ხელი მოვითბოთ, დანარჩენს კი თავად დრო განსჯის, ყველას თავის ადგილს მიუჩენს და უგვანოები ყოფის სანაგვეში აღმოჩნდებიან.

18139. თუ გვინდა ქვეყანას ვემსახუროთ, პირველ რიგში, თანამდებობის სამსახური უნდა შევძლოთ და შემდგომ ხალხისა რომლის გაგება ხშირად ჭირს.

18140. მასას – უბრალო ხალხსთავისთვის მოგონილი ლეგენდები სჭირდება ოცნების მხარდასაჭერად.

18141. იყო მომაჯადოვებელი ჯადოქარი, ესეც ხალხის თავისებური უმწიკვლო სამსახურია.

18142. ხარისხის ნიშნით დაბადებული ხალხი საუკუნის საკუთრებაა, მიუხედავად იმისა, აქტიურად მონაწილეობდნენ ქვეყნის შენებაში თუ არა.

18143. თეორიულად ძალაუფლება მეორადია, რადგან ის ხალხის მსხურია, მაგრამ პრაქტიკულად მხოლოდ ძლიერ და მოხერხებულ ხელს შეუძლია ბრბოს ხალხად ქცევა, რათა მას ქვეყნისთვის სასიკეთო საქმენი აკეთებინოს.

18144. ბრბოს ძალიან უფარს ბრძოლა სამართლიანობისთვის, სადაც თავად მაყურებლის როლით კმაყოფილდება და გართობის წინააღმდეგი არ არის.

18145. ხალხს ის უფრო უფარს, ვინც ტკბილი სიტყვებით მუქთად „ხმაობს", ვიდრე ის, ვინც ასაქმებს და გასამრჯელს აძლევს.

18146. ხალხი ისეთია, როგორაც გაწვრთნი და არა ისეთი როგორიც ხელს გვაძლევს.

18147. ხალხმა თუ არ იცის რა უნდა და რა აკეთოს, ის უკვე ბრბოა, ოღონდ არ უმხელენ.

18148. რაც უფრო ვეცნობი ბრბოდქცეული ხალხის უგნურებას, მით უფრო გული მერევა მაგრამ არის კეთილი გამონათება, რომელიც ამ ზიზღს დროებით უკან მოისვრის, რათა გარკვეული დროის გასვლის შემდგომ იგივე მდგომარეობა დამეუფლოს.

18149. თეორიულად ხალხის ნებას, შემართებას, ვერც ერთი თანამედროვე შეიარაღება წინ ვერ აღუდგება, მაგრამ საბოლოოდ საკითხის გადასაწყვეტად არ გამოდგება.

18150. ბრბოს ყოველთვის საქმის გარეგნული მხარე, ყბედობის უფლება და შედეგი ხიბლავს.

18151. ხალხი ყოველთვის იმ თავისუფლებისკენ მიილტვის, რომელსაც სათანადოდ ვერ იყენებს, ხოლო ხელისუფლება ამ თავისუფლების მიცემით ერთობა მბრძანებლობით და გუნდრუკის ფრქვევით.

18152. ხალხს სიკეთის მათრახი ხშირ-ხშირად უნდა გადაუჭირო და სანაცვლოდ არაფერი მოსთხოვო, თუ გინდა სიკეთით დაგიმახსოვროს და მათრახი ცუდად არ გაგიხსენოს.

18153. უდარდელი, ტაშ-ფანდურა, ხალხისთვის ყველი დღე შაბათია, ხოლო კვირა – დღესასწაულია.

18154. ბრბო მაშინ იწყებს გადარევას, აბობოქრებას, როდესაც თავზე ვის წამოისვამს მისთვის სულერთია, რათა თავისი ამბიციური იმედი დაიკმაყოფილოს, ხოლო რამდენად რეალურია მისი მცდელობა, ამის გაგების არც სურვილი აქვს და ვერც იცლის.

18155. ხალხს მადლიერების გრძნობა, ურთიერთპატივისცემის უნარი უნდა ჰქონდეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი მონაპოვარი მუდამ საფრთხეში იქნება.

18156. მაწანწალა ძაღლების, უპატრონო ბავშვების, მათხოვრების მომრავლება უსულო, უჭკუო, უგულო, ხალხის და მათ მიერ არჩეული მთავრობის დამსახურებაა.

18157. შენ უტვინოები უძახე და ისინი ყველა დროში, წყობაში, ქვეყანაში, ყავიან, რადგან თავად ხალხის მართვა უტიფრობაა.

18158. პატრული ქვეყნის სიმშვიდესაც სჭირდება და მოძრაობის წესების დამრღვევ მძღოლსაც, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხალხის აჭრა და ბრბოდ გადაქცევაც არ დააყოვნებს.

18159. ნადირობა, თევზაობა, ბუნებით თავქარიანი ხალხის ხვედრია, რომლებსაც აგრესია არ ახასიათებთ, მაგრამ ამ სახით გართობისთვის დროს ყოველთვის ნახულობენ.

18160. სხვა ხალხის შრომისხმევით მიღწეული შედეგებით მიგრანტების მიერ სარგებლობა, მათ დაუკითხავად, ქურდობის ტოლფასია.

18161. ყველა ხელისუფლების მიერ დაშვებული შეცდომები ხალხმა უნდა ზღოს და განიცადოს.

18162. ხალხი ვერასდროს დააფასებს, რაც აქვს, რადგან ყოველთვის მეტზე აქვს პრეტენზია, იმის მიუხედავად, იმსახურებს თუ არა

18163. სამწუხაროა, როდესაც ასაკში შენს საფარელ ხალხზე აზრი გეცვლება და ხვდები, რომ შენც მათსავით ბრბოს წარმომადგენელი ხარ.

18164. ხალხი განგებას იმასაც აბრალებს, რაც თავისი უჭკუობით, გამოუცდელობის შედეგად მოსდის.

18165. ხელისუფლებას ხალხის ჭკუაზე მოსაყვანად წლები სჭირდება, ხოლო გასატუტუცებლად ერთი დღეც საკმარისია.

18166. სიძუნწე თუ ხელმომჭირნეობა – ძნელი ამოსახსნელი ალგორითმია, განსაკუთრებით მასისთვის, ბრბოსთვის.

18167. მოსაწყენი ადამიანები სამყაროს განვითარებას ანელებენ და ხალხის გაზარმაცებას ხელს უწყობენ.

18168. ჩვენ მოგვწონს ის ხალხი, რომლებსაც ჩვენზე ჭკვიანებად ვთვლით და არა ისინი, რომლებიც თავს ჩვენზე ჭკვიანებად თვლიან.

18169. ხალხი არც ერთ მთავრობას არ ენდობა, მაგრამ ემორჩილება.

18170. ხალხი შეიძლება გააბრიყონ, მაგრამ თავის წილს ხელიდან არ გაუშვებს.

18171. ბრბოს ამბიციების გარდა არც თავი გააჩნია, არც ტვინი, მასას – თავი აქვს, მაგრამ ტვინი არ უჭრის, ხალხს – თავიც ადგილზე აქვს და ტვინიც, მაგრამ გონიერებაზე, წარსულის ანალიზის უნარზეა, მწყრალად.

18172. ვისაც ჩვენ ვიცნობთ, რომლითაც ვამაყობთ, ყველა კარგია, მაგრამ დაუახლოვდები და აღმოჩნდება, მასაც მასის და ბრბოს ფესვები აქვს.

18173. გამოუდეგარი ხალხისაგან დროულად თავის დაღწევაც ერთგვარი ნიჭია.

18174. სიბრძნე, მოხერხება, საქმისადმი სიფარული, უკმაყოფილებას, საჩივრებს, ამცირებს და ხალხს სასიკეთოდ განაწყობს.

18175. ბრბოს პიროვნების ბიოგრაფია უფრო აინტერესებს, ვიდრე მისი ნაღვაწი, რადგან პირველისაგან განსხვავებით მეორეს დაფიქრება სჭირდება.

18176. ხშირად რეპუტაციას, ავტორიტეტს ის ხალხი ქმნის, ვისაც არ დაუმსახურებია და თავიანთი მონაცემებით არც უნდა დაემსახურებინა.

18177. ხალხი – ძალაუფლება, ძალაუფლება – დემოკრატია, დემოკრატია – პასუხისმგებლობა, პასუხისმგებლობა – სიკეთე, სიკეთე – მოვალეობა, მოვალეობა – თანადგომა, თანადგომა – ერთგულება, ერთგულება – სიფარული, სიფარული – დიპლომატია, დიპლომატია – ზრუნვა, ზრუნვა – წესრიგი, წესრიგი – სამართლიანობა, ხოლო სამართლიანობა – ხალხის ნება და ასე თავიდან.

18178. ტექნიკურ პროგრესამდე სახელმწიფო უნდა ამაღლდეს, რათა მისი აზრიანი გამოყენებისთვის ხალხი მოამწიფოს.

18179. მაღალ იდეალებს დიდი დაფინანსებაც სჭირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხალხი არ დაგიჯერებს და არ გამოგვყვება.

18180. საოცარია ხალხის ბედი – ყურმოჭრილი ყმასავით, დაუფიქრებლად, ემსახურება, ეთაყვანება, იმ პირს, ვისიც შინაგანად სწამს და სჯერა და თუ რატომ, ამას დალაგებულად და გასაგებად ვერ აგიხსნის.

18181. საყოველთაო ეპიდემია ხალხის შეგნებაში იწყება და მას ზარალის მეტი არაფერი მოაქვს.

18182. ხალხს დიდ სიამოვნებას ყბედობით ონანიზმით დასაქმება ანიჭებს, პიროვნებას – საქმის უხმაურო კეთება.

18183. ხალხს და მთავრობას ყოველთვის ყოფდა შემოსავალი, სხვადასხვა ინტერესი, უპასუხისმგებლობა და უგნურება.

18184. ხალხი არასოდესაა ღირსი ის მთავრობა ჰყავდეს, რა წარმოდგენაც თავზე აქვს.

18185. არის საქმიანობა, არის ყოყოჩობა, მაგრამ ბრბოს ეს უკანასკნელი უფრო მოსწონს, რადგან დაკვირვება და ცოდნა მის ამოცნობას არ სჭირდება – ბრმად ნდობა სხვაზე პასუხისმგებლობის გადაბერების საშუალებას იძლევა.

18186. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, სახელმწიფო ყოველთვის ხალხი არ არის, როგორც მას ჩასჩიჩინებენ და ზოგიერთს სჯერა.

18187. ყველა ახალ წელს რომ მომდევნო წლის ყველა სიკეთე აეღო, ხალხის ბედს ძაღლი არ დაყეფდა.

18188. ხალხის „ხელში აყვანა" ხელოვნებაა და აქ ინფორმაცია, განათლება და წარსულის გამოცდილება ვერაფერს ხდება.

18189. ფსევდოდემოკრატიას – ადამიანის ნებად ნათლავენ, საქმიან და მომთხოვნ ხელისუფალს – დიქტატორად, თავის ნებაზე მიუშვებ – „უძრაობაში" დაგადანაშაულებენ, მიუხედავად ამ საყვედურებისა, უკეთესი ცხოვრება და სხვაზე ჯობნა ყველას უნდა.

18190. ხალხს მოსწონს თავის მოტყუება, ილუზიით ცხოვრება, სხვაზე ჭორაობა და ოცნებათა ჩოჩქოლი – ამ თანდაყოლილი ადამიანურ სენს ვერც საუკუნეთა გამოცდილება კურნავს და ვერც დროის გადასახედიდან მოხვედრილი მუშტი.

18191. ის ტყუილი, რომელიც ხალხის თვალში აგამაღლებს ცოდვა არ არის, მითუმეტეს თუ ხალხი ამისათვის შინაგანად მზადაა.

18192. ხალხს ჭკუა კი არ უნდა დაარიგო, უნდა შესთავაზო, საქმე კი არ უნდა დააძალო, შედეგი აჩვენო. თანდათანობით შენ მეობას უნდა აზიარო, „მოთარგმნო" რათა გიწამოს და გაგაღმერთოს.

18193. ადამიანებს არც ჭკუა უნდა დაარიგო და არც ასწავლო – ცუდად გაგიხსენებენ, ჯობს დააინტერესო და ცოდნის გაზიარებას თავადვე გთხოვენ.

18194. ხალხი უკეთეს შემთხვევაში მასად იქცევა, უარესში – ბრბოდ, მიუხედავად ამისა, ორივე მხარეს უნდა მივცეთ შანსი, რომ კვლავ ადამიანებად იქცნენ.

18195. ბრბოს ზნეობის არც საფუძველი აინტერესებს და არც საწყისი და არც ის, უზნეობას რა მოჰყვება.

18196. უგნურება არ ყოფილიყო, ამდენ „ვაი-ჭკუისაგან" გონიერ ხალხში ეს ქვეყანა დაიქცეოდა, რადგან მათ შემოთავაზებულზე ხალხი არ რეაგირებს, სანამ სასურველი დრო და საჭიროება არ დაუდგება.

18197. ხალხმა თავად არ იცის სად, როდის, როგორ იქცევა ბრბოდ თუ მასად.

18198. ბრბოსა და ხალხს შორის სხვაობა თეორიულად დიდია, პრაქტიკულად – ცოტა და ხშირად არაფერი.

18199. ხალხი მოუმწიფებელ ხილს ჰგავს, რაც უნდა ეცადო, სანამ არ მომწიფდება, ვერც ხელს გაანძრევინებ და ვერც აიბუნტებ. ასე, რომ ხალხის ეიფორიას და ბრბოდ გადაქცევას დრო წყვეტს და არა – პოლიტიკოსთა მცდელობა.

18200. ხალხს ვერც შურს დავავიწყებთ და ვერც კინკლაობას, მაგრამ სამყაროს გლობალიზაციის სიკეთეში ეჭვი არ მეპარება.

18201. ხალხის სიკეთისათვის თავგადადებული ბრძოლა თავისებური „დონკიხოტობა“, მით უმეტეს, რომ კეთილ სურვილებს გაგება და დაფასება არ უწერია.

18202. უბედურება პოლიტიკიდან ადრე წასვლა და არჩევნებში დამარცხება კი არ არის, არამედ ხალხი რომ მოგიძულებს და შენი დანახვა არ უნდა.

18203. ხალხის გამოთაყვანების ხელოვნების ცოდნა აუცილებელია, რადგან უმისოდ არც ფულს გაიღებს და არც ნიჭის ნახელავ-ნახლა-ფორთალს დააფასებს, რომლის გარეშეც ხელოვნების, სპორტის, მწერლობის და სხვა ამგვარი ფუფუნების მსახურთ არსებობაც გაუჭირდებათ და განვითარებაც.

18204. არ არის საჭირო ხალხმა დაგიმადლოს, მთავარია, შენი ნამოქმედარით თავად იყო კმაყოფილი და სხვასაც არაფერი დაამადლო.

18205. ქვეყნის ბედი სახელმწიფო მოხელეთ ბოლომდე არ უნდა ვანდოთ, რადგან უმეტესობა გამამაძღლებულია, მათ სამსახურს არავინ აფასებს და ხალხს ისინი მსახურად კი არა თავიანთ მოსამსახურედ მიაჩნია.

18206. ბრბოს წინ უსინათლო წაუძღვება თუ უგნურება, მისთვის სულერთია, მაინც იღუპება.

18207. ხალხი იყოფა: მოქალაქეებად, პიროვნებებად, მსახურებად და ყველა თავის თავსატეხს ეძებს, რადგან თეორიული მსჯელობა – ყბედობისაგან განსხვავებით, პრაქტიკულად ვინ-ვის სჯობია, მრავალმხრივი განსჯის მიუხედავად, დღემდე გაურკვეველია, რადგან ყველა ერთმანეთის უკმაყოფილოა, რაღაცის შეცვლას ცდილობს და კვლავ ყველაფერი თავიდან მეორდება.

18208. ხალხს ყური არ უნდა უგდო, მთავარია, წაემლიქვნელო და იმედი ჩაუსახო, თუ გინდა შენს მხარეს დადგეს და დაგიჯეროს. ასეთია მისი ბუნება: მუდამ შექებისათვის და არა – სასაყვედუროდ გამზადებული.

18209. ხალხს ზღაპარში ნაცარქექიების, უნიათების, ზარმაცების მოუხერხებლობა და მათთვის მოულოდნელად ბედის გაღიმება იმიტომაც ახარებთ, რომ უმრავლესობა ბრიყვია და ისიც იციან, რომ ჭკვიანებად ვერასოდეს გადაიქცევიან, თუ არა ნანატრი ბედისწერა და მასზე დამყარებული იმედის გაცისკროვნება.

18210. ხალხი ბრძენია და მუდამ მართალია, ოღონდ უკანა რიცხვით და დროის დახურდავებით.

18211. დღეს ცივილიზაცია ხალხის ცნობიერების გადაჯგუფებას ახდენს, მაგრამ მტერი მაინც მტრად რჩება და დაპირისპირება კონკურენტად, ერთმანეთს რაც უნდა ვემლიქვნელოთ და საკმეველი ვუკმიოთ.

18212. ელიტას, სიმდიდრეს, დიდი ხნის მშვიდი ცხოვრება არ უწერია, თუ თავის ხალხს პატივს არ სცემს და ანგარიშს არ უწევს.

18213. არც ხალხი უქნია ღმერთს და არც მისი არჩეული მთავრობა, რადგან პირველი ცდილობს ბიუჯეტს სამი თითის კომბინაცია უჩვენოს, ხოლო მეორე ხალხს მუშტს უჩვენებს და იმ მესამე თითსაც, რომლის უკულტურო გაცნობიერებასთან პირველის შედარებაც არ შეიძლება.

18214. ბევრი რეალური რეფორმა პოპულარული არ არის, მაგრამ საჭირო და ზოგჯერ აუცილებელია, რათა ქვეყანამ თავის შესაძლებლობებს აჯობოს და ხალხი მოქალაქეებად აქციოს.

18215. რადგანაც ხალხი სხვადასხვა გუნება-განწყობილებისაა, სურვილი და იმედი იმისა, რომ უკეთესი გახდება, ფანტაზიაა, ყოველ შემთხვევაში, აქამდე ასე იყო.

18216. ხალხს სიკეთე უნდა გაუკეთოთ მცირე ზომებით, თავის შეხსენების არდავიწყებით, რადგან საბოლოოდ რომ დაგიმახსოვრებენ შანსი ცოტაა, მაგრამ საჭიროებისამებრ რომ გაგიხსენებენ, ამის იმედი გქონდეს.

18217. ხალხთან საერთო ენის გამონახვა თავის მოწონებაა, მოხიბვლის ხელოვნებაა, ხოლო ურთიერთობა, შედეგის მიუხედავად, მოკვდავთა უმეტესობისათვის ხელმისაწვდომია, თუ სათანადო განათლება თან ახლავს.

18218. კარგი ხალხი ცუდთან შედარებით გაცილებით მეტია, მაგრამ ცუდები პირველ ხანებში უკეთ ერთიანდებიან.

18219. ხალხი სანამ ცუდად იხსენებს თავის წარსულს და აფერხებს ისტორიას, ვერასოდეს სახეირო ქვეყანას ვერ ააშენებს.

18220. მთავარი დამსახურება კი არ არის, არამედ როგორ დარაზმავ ხალხს შენს ასაღიარებლად, სადიდებლად.

18221. სამწუხაროდ, მსხვერპლის მონახვაც ადვილია და ჯალათისაც, იმისდამიხედვით, როგორი პროპაგანდით ვწამლავთ ხალხს და ვინ ეუფლება ადამიანთა გულს, გონებას.

18222. რადგან პიროვნებად კოლექტივი, ბრბო, წარმოგაჩენს, შენც იძულებული ხარ მათ თავი მოუყარო და შენი უნიკალობა ამცნო.

18223. როდესაც ბევრი აკრძალვებია, ხალხი მატერიალურად ღარიბდება, მაგრამ სულიერად მდიდრდება, ხოლო როდესაც ყველაფერი ნებადართულია, ყოველივე საწინააღმდეგოდ ხდება.

18224. ხალხთან ურთიერთობა ადვილია, მათი ხუშტურების გაგება და დაკმაყოფილებაა ძნელი.

18225. ყველაზე უკეთ სხვა ხალხის ბუნებას მაშინ ეცნობი, თუ გაერკვევი მათს არანორმატულ ლექსიკაში.

18226. ხალხს ყოველთვის სამი თითის კომბინაცია რჩება, თუ „ღმერთს თავისი მიეძღვნა და კეისარს – კეისრისა".

18227. თაღლითობას ხელს უწყობს უვარგისი ხელისუფლება, ცუდი კანონები და ყველაფრის მიმართ ხალხის გულგრილობა.

18228. სიკვდილზე უმთავრესად ის ხალხი ფიქრობს, ვინც საქმით დაკავებული არ არის და არც გართობის შნო აქვს.

18229. ხალხი ბრძენია, ავ ქალს აფთარქალს ეძახის, ხოლო უცოლშვილოს – ბერბიჭას, ცარიელს, „ჭკუის კოლოფს", რადგან პირველი დედობაზე თანახმაა, ხოლო მეორეს დრო გაჰყავს და უცოლშვილოდ ეგება.

18230. ზოგი იძულებულია საკუთარი სიცოცხლე გაიღოს მეორისათვის, რათა გამარჯვება იმქვეყნად იზეიმოს თავისი ხალხისთვის.

18231. იშვიათად გვიხდება იმ ხალხთან ყოფნა, როდესაც გრძნობ, რომ ადამიანი ხარ და არა – ბრბოს წარმომადგენელი.

18232. არის კატეგორია ხალხისა, რომლებიც ისეთ საბუთს წარმოგიდგენენ ფულის „შეზელვით", თავზე რომ „დაგაქაქონ", ხმა არ გინდა გასცე.

18233. ქვეყანაში არეულობის დროს ბრბოს ნაძირალების და შემთხვევითი ხალხის მეტი იმედი აქვს, ვიდრე გამოცდილების მქონეებს.

18234. წინათ ხალხის გონების ამრევებს ატამანებს, მეკობრეებს, ხელმწიფეს, უწოდებდნენ. დღეს ამ როლს პოლიტიკოსები, დეპუტატები, ქვეყნის პრეზიდენტები ასრულებენ.

18235. ზოგიერთი ხელისუფლება ხალხს მომხდარი ფაქტის წინაშე იმიტომ აყენებს, რომ ეს ხალხი მისი მომავლის განსჯის ღირსი არ არის, რადგან მას არ ენდობიან და მის გონიერებასა და წინდახედულებაში მათ მიერ არჩეულ ზემდგომს ეჭვი ეპარება.

18236. ხელისუფლების დანიშნულებაა ხალხი აიძულოს ყველაფერი თავადვე აკეთოს, რადგან ხალხი თავის შეცდომებს მთლიანად მას ვერ აჰკიდებს.

18237. როდესაც ხალხი თავის მწერლებს, პოეტებს, მხატვრებს, მეცნიერებს სათანადოდ არ აფასებს, ეს ნიშნავს, რომ მათ ფულის შოვნას გემო გაუგეს და სულიერი სიამოვნებისათვის ვერ იცლიან.

18238. ადამიანიც ბრბოს, მასის, წარმომადგენელია – გააჩნია, რა დროში უხდება არსებობა, საქმიანობა.

18239. ბრბო მრავალხმოვანია, მაგრამ სოლისტის გარეშე ისიც უძლურია.

18240. ხალხს სძულს ის უღირსი, ვისაც ყოველივე მუქთად და შთამომავლობით ერგო, ხოლო გამართლებით და ნიჭით მოპოვებულს თანდათანობით ეგუება.

18241. თეორიულად ძალზე ბევრია სასიამოვნო ხალხი, მაგრამ პრაქტიკულად ძლიერ შეზღუდული ოცნებით, რადგან ერთმანეთზე ხასიათის და ინტერესების მორგება გვიჭირს.

18242. ხალხი ძუკნა ძაღლივითაა, ხელისუფლება რაც უფრო კარგად „ხმარობს" და სასუსნავის მიგდებასთან ერთად მკაცრად ეპყრობა, მით უფრო მადლიერია და მთავრობის გათავხედებით ამაყობს და თავიც მოაქვს.

18243. თუ გნებავთ ხალხის აპლოდისმენტები დაიმსახუროთ, მათ გონების გადასახედიდან კი არ უნდა დაუფავოთ, არამედ იმ ინსტინქტებით, რომელიც ხალხთან ახლოა და მათ სულს მალამოდ ეცხება.

18244. ფარადქცეულ ხალხს მწყემსიც სჭირდება და ქოფაკი ძაღლებიც, რათა იქით არ შეტრიალდეს, სადაც დაზარალდება, მაგრამ რა ვუყოთ 0,01% აზროვნებისთვის დაბადებული ნაღდი ხალხის თავისუფლებისკენ მისწრაფებას, რომელსაც იმსახურებენ და აუცილებელიცაა. აქ უმრავლესობის ჯობნის კანონი არ გამოდგება – საზოგადოება დამყაყდება და გადაგვარდება.

18245. ფელა არამზადა აღზევებას მაშინ იწყებს, როდესაც ჭკუის სწავლებას დაგიწყებს და ხელების დაკაპიწებას და საქმის კეთებას ყბედობა ურჩევნია.

18246. ხალხის ინტელექტს ელექტორატისთვის წარდგენილი იუმორის დონე განსაზღვრავს, ხოლო გონიერებას – როგორ განსჯის და შეითვისებს ამ დროის ყივილს.

18247. მარადიული ავტორიტეტები ხალხის ცნობიერებაში პაექრობას იწვევს, რადგან მათ შორის ბევრი ვიგინდარა აღმოჩნდა დღევანდელობის გადასახედიდან.

18248. ხალხთან „ბაზარი" მათ სურვილებზე მორგებას, მათივე ნააზრევის გადახარშვა-გახმოვანებას, მარჯვე იმპროვიზაციას მოითხოვს და არა – ჭეშმარიტებისთვის მებრძოლ გონიერებას.

18249. საზოგადოება გონიერ ადამიანთა გაერთიანებაა, მოქალაქეობა – კაცობაზე თავის დადება, ხოლო ხალხი ჭკუის სწავლებას ერთიდანაც იტანს და მეორისგანაც.

18250. როცა ხალხს ხელისუფლება უხეშად ეპყრობა, „მასმედიაში“ მათზე გინებას ვეტო აქვს დადებული და ასეთ მასას თავი რაღაცის შემძლედ მიაჩნია.

18251. უგნურ ხალხში ყოფნა, თუ დროულად არ გაეცლები, ან ფერს გაცვლევინებს, ან ზნეს და შენს მენტალიტეტსაც ზედ მიაყოლებს.

18252. ყველაზე ძნელია იმ ხალხის მართვა, რომელსაც საერთო მიზანი არ აქვს და მცირედი წარმატებების იმედით მაინც არ არის „დაბმული“.

18253. ხალხი მაინც ბრბოა, ვინაიდან სიკვდილის შემდეგ იმასაც აცოცხლებს, ვისაც ისტორიამ დღევანდელი გადასახედიდან დავიწყების განაჩენი გამოუტანა.

18254. ადამიანური სიკეთე, ცივილიზაციის განვითარებასთან ერთად, სადღაც იკარგება და შედეგად დღეს გაავებულ, ყველაფრით უკმაყოფილო, გულგრილობის სიმპტომით დაავადებულ ხალხს ვიღებთ.

18255. მასა პატივს სცემს ძალას და არა – კანონს. ხალხს კანონი მოსწონს, მაგრამ არა – თავისთვის, ხოლო ბრბოსთვის სულერთია ოღონდ მას თუ თავის დროებით მოგიჟიანებაში ხელს არ შეუშლიან.

18256. მასა რაც უფრო ახლოა ძალაუფლებასთან, მით ნაკლებად ენდობა მას, მაგრამ მაინც მას ირჩევს, რადგან ჰგონია, რომ მის მხარდაჭერას შეამჩნევენ, დააფასებენ და თავადაც რაიმეს გამოკრავენ ხელს.

18257. ხალხის მართვის საინტერესო ტაქტიკა არსებობს თუ ქანჩს მოუჭერ საპოხით, ყველა წყობა მისაღებია, თუ მოუშვებ უმუხრუჭოდ, სად გადაიჩეხებიან და რას მოიმოქმედებენ, არავინ უწყის.

18258. ხალხი ჭრელია, მაგრამ ყველა საჭიროა, რადგან ქვეყანას მრავალმხრივი განვითარება და სხვადასხვა ჰანგებზე ჭკუის ჭყლეტა სჭირდება, ხოლო გემოვნებაზე არ დავობენ.

18259. ლიბერალიზმი ანარქიამდეა დაფანილი, ყველა სახის დიქტატურაზე უარესია, რადგან მასას სასიკეთო საქმეს პროპაგანდა, მოთხოვნა, შიში აკეთებინებს და არა აღზრდა შთაგონება, მოვალეობა.

18260. ყველა საზოგადოებას თავისი ნაყარ-ნუყარი ნაძირალები ჰყავს, რომელზეც ბრბოს გული შესტკივა და ვიშვიშობს, ოღონდ სხვის ხარჯზე.

18261. ხალხი ფიქრობს, რომ ძალოვნები სიცოცხლის ბოლომდე მოვალენი არიან მათ უსაფრთხოებაზე იზრუნონ და სამართლიანობაზე იფიქრონ. ეს რომ რეალობაში აისახოს, პოლიციელებს საკმაოდ უნდა გადაუხადონ და სიბერე დაუფასონ.

18262. გაბრაზებისას ხალხი ზოგჯერ ტუალეტის ქაღალდს მოგვაგონებს, ვისაც როგორ გაუხარდება ისე ჭმუჭნის და მოიხმარს.

18263. ზოგჯერ ხალხის შერეულ მასას დაუსაქმებლობის გამო არეულობასთან მეგობრობის და ბრბოდ ქცევის სურვილი უჩნდება.

18264. არის ხალხი, რომელსაც საკუთარი საიდუმლოც არ უნდა ანდო, იმდენად ყბედია და თავის წარმოჩენის მსურველი.

18265. რადგან ხალხის ბრბოდ გადაქცევა დიდ ძალისხმევას არ მოითხოვს, ე.ი. ისტორიას არ ქმნის, ის უბრალოდ მასში მონაწილეობს.

18266. ყველა მმართველობის პროცესი ხალხის ცნობიერებაზე მოქმედებს, ბრბოზეც და ელიტაზეც.

18267. ხალხის აჭრა და ბრბოდ გადაქცევა ადვილია, მათთვის ადამიანის სახის დაბრუნება და მისაღები ცხოვრების პირობების შექმნაა ძნელი.

18268. არის ხალხი რომელიც ცხოვრებას გვიხალისებს, სიცოცხლეს პეწს მატებს, აზრებს გვილამაზებს. ასევე არიან უპრეტენზიო-უბრალონი, რომლებიც რაც აქვთ იმით კამყოფილდებიან და ისინი არიან სამყაროს მომავალი მოქალაქენი.

18269. ხალხის როლი რაც უნდა გავაფეტიშოთ, სახელმწიფოებრიობის ბედს მაინც ერთი ავანტიურისტის ტალანტი წყვეტს, რომელიც რაღაც მანქანებით ქვეყნის სათავეში მოდის.

18270. ხალხის მოტყუება, თავის მოტყუებისაგან განსხვავებით, ყოველთვის შესაძლებელია, მაგრამ შედეგი ორივესთვის სავალალოა.

18271. ,,ხალხი საქონელია", ხალხსა და საქონლად წოდებულ ხალხს – ბრბოს შორის ის სხვაობაა, რომ ერთს გენიოსი, პიროვნების ნაღვაწი, დანატოვარი, აინტერესებს, მეორეს – მისი ბიოგრაფიის პარამეტრები (წარმოშობა, სიმაღლე, სექსუალური ორიენტაცია) დროის და გენის გაუთვალისწინებლად.

18272. ხალხს ხელისუფლება არასოდეს არ უყვარს, მაგრამ სტაბილურობის დროს ამას არ იმჩნევს.

18273. არის კრიმინალისთვის და თავგადასავლებისათვის დაბადებული ხალხი, პირველს მარწუხები უნდა მოვუჭიროთ, მეორენი ზედამხედველობის ქვეშ ვიყოლიოთ, რადგან ეს უკანასკნელნი, მათდაუნებლიედ, ხალხისთვის ზოგჯერ სახეიროს გამოთხრიან.

18274. სინდის-ნამუსი მიყურადების და ,,რას იტყვის ხალხის" სინონიმი და საფარია.

18275. ხალხს და მთავრობას სხვადასხვა მისწრაფება, ეჭვი, ინტერესები, აქვს მაგრამ მომხვეჭელობის სული და შემართება ერთია.

18276. ჩვენი ხალხის დაუმარცხებელი ოპტიმიზმი და სასწაულების იმედი, ხელის გაუნძრევლად, ყოველგვარი განვითარების კანონების საწინააღმდეგოდ, მისი გადარჩენის საწყისიცაა და ბაზისიც. ყოველ შემთხვევაში, დღემდე ასე იყო.

18277. უნამუსობას მრავალი სახე აქვს და ხშირად დაუსჯელიც რჩება, მაგრამ ზოგჯერ ეს აუცილებელიცაა, რადგან ბრბოდ ქცეული ხალხი მის გარეშე ხშირად არ იმართება.

18278. ზოგ ქვეყანაში მანამ გრძელდება დროებითი სიძნელეები, სანამ მას სხვისიც არ მიეტმასნება და მისი პოლიტ-ეკონომია არ დაჩაჩანაკდება. ხალხი როგორც ყოველთვის „მე არ ამირჩევიას" ძახილით კმაყოფილდება გარკვეულ დრომდე, სანამ მას ახლად გამომცხვარი ვიგინდარა პატრიოტი არ აიყოლებს.

18279. უნიათ ხალხს რობინ-გუდად და არსენა მარაბდელად გამოჰყავს და აფეტიშებს იმ მოძალადეს, რომელიც როგორაც არ უნდა შევფუთოთ და შევალამაზოთ, მაინც ნაძირალა ჰქვია.

18280. არის ხალხი, ათი ინსტიტუტის განათლება რომ მიიღოს, მისი ყოფიერების, გემოვნების, მსოფლმხედველობის, მარგი ქმედების კოეფიციენტი არ იცვლება.

18281. შენი საფარელი ქალი და ხალხი ის არის, ვისთანაც გიმართლებს და არაფერს გაფჭედრის.

18282. ერთი შეხედვით მასას მისი უგნურების გამო უბოდიშოდ უნდა მოეპყრო, მაგრამ ისიც უნდა გაითვალისწინო, რომ მათში ხანდახან პიროვნებებიც იბადებიან და გათავხედებას ხალხის სახელით არ გაპატიებენ, მიუხედავად იმისა, რომ გამარჯვებულნიც იგივეს – ხალხს ბრბოდ ქცევას მოინდომებენ.

18283. ხალხის რაობის 100 განზომილება 21-65 წლამდე, რომლის 0,000001% – გენიოსია, 0,000005% – წინასწარმეტყველია, 0,00005% – ქალღმერთია, 0,00001% – პოეტია, 0,00003% – მეცენატია, 0,0001% – პიროვნებაა, 0,0005% მწერალია, 0,0006% – მოაზროვნეა, 0,001% – გამომგონებელია, 0,003% – კლეპტომანია, 0,005% – გონიერია, 0,01% – ანალიტიკოსია, 0,02% – მანიაკია, 0,05% – პედოფილია, 0,06% – ფანატიკოსია, 0,08% – მარგენალია, 0,09% – ნარკომანია, 0,1% – ხელცივია, 0,2% – ამაყია, 0,3% – ლიტერატორია, 0,4% – თაღლითია, 0,5% – მეცნიერია, 0,06% – პატიმარია, 0,7% – ძუნწია, 0,8% – პროფესიონალია, 0,9% – ანალიტიკოსია, 1,0% – ჯარისკაცია, 1,1% – პროფესიონალია, 1,2% – დამოუკიდებელია, 1,3% – შეურაცხადია, 1,4% – შარიანია, 1,5% – სუტინიორია, 1,6% – ნასამართლევია, 1,7% – უცოდინარია, 1,8% – კრიმინალია, 2,0% – მომხიბვლელია, 2,2% –

ლოთია, 2,8% – ავანტიურისტია, 3,0% – თავხედია, 3,5% – გურმანია, 3,6% – გმირია, 3,7% – ურწმუნოა, 3,8% – მიმზიდველია, 3,9% – სპორტსმენია, 4,0% – შეფარებისუნარიანია, 4,1% – ქომაგია, 4,2% – კოსმოპოლიტია, 4,3% – ამაყია, 4,4% – უმადურია,4,5% – სწავლა-მოწადინებულია, 4,7% – დიპლომატია, 4,8% – კეთილია, 4,9% მლიქვნელია, 5,0% – მატყუარაა, 5,2% – მელომანია, 5,3% – ცინიკოსია, 5,4% – ქომაგია, 5,5% – მოსიფარულია, 5,6% – მჭერმეტყველია, 6,0% – მექალთანეა, 6,5 – ეჭვიანია, 6,7% – შურიანია, 7,0% – ,,ორთქმავალია", 7,5% – დედიკოს ბიჭია, 8,0% – ხარბია, 8,5% – უინიციატივოა, 9,0% – ზარმაცია, 9,5% – მუსიკალურია, 10,0% – ნუდისტია, 10,5% მასწავლებელია, 11,5% – ინვალიდია, 12,0 – ტკბილმოუბარია, 12,5% – დროსმატარებელია, 13,0% – კარიერისტია, 15,5 – ათეისტია, 16,0 – თავის დამფასებელია, 17,5 – არჩევის უუნაროა, 18% – მშვიდია, 18,5% – მშიშარა, 19,0% – პოპმუსიკის ფანატია, 19,5% – უბედოა, 20,0% – ტურისტია, 20,1% – სამართლიანია, 20,3% – პოლემიკოსია, 21,0% – უნდოა, 22,0% – ბეჯითია, 22,5% – ზრდილობიანია, 23,0 – თავმდაბალია, 24,0% – მობილიზებადუნარიანია, 24,5% – ცრუმორწმუნეა, 25,0% – მოდისტია, 26,5% – ტრადიციონალისტია, 27,0 – პოტენციური მექრთამეა, 27,5% – მერყევია, 28,0% – ცივილიზებულია, 52,0% – ხელმომწირნეა, 93,0% – ,,ვაგონია".

18284. ჩვენი ხალხის ხელში, საკუთარი თავი კი არა, ხანდახან ღმერთიც მეცოდება, იმდენად ჯიუტები, ამბიციურები, თავქარიანები არიან საკუთარი შეცდომების მიფუჩეჩებით და სხვათა გადაცდენის გაბუქებით.

18285. ამქვეყნად სიცოცხლის შესაცნობად ვართ მოვლენილი და არა დღეების სათვლელად, ამ ყოფის ალგორითმს ვერც ბრბოს წარმომადგენელი გაიგებს, ვერც მასის, რადგან ბუნებით უნიათონი არიან და იმათ აეკიდებიან, ვინც აიკიდებს.

18286. ინფორმაციის გადამღერება და აკვიატებული აზრების სხვადასხვა ხარისხში ფრქვევა, ხალხის გამოსათაყვანებლად გამოიყენება, რომელსაც შესანიშნავად ფლობს ,,მასმედია" ძალაუფლებასთან ერთად.

18287. ჩვენ ყველანი საკუთარი ნიჭის წინაშე ვიხდით ვალს და არა ქვეყნის და ხალხის, რომელთაც ხშირად თავის წარმოსაჩენად თუ არ დასჭირდათ, თითსაც არ გაანძრევენ და არც შეგამჩნევენ.

18288. ჩვენი ხალხის გაგება კი არ არის ძნელი, არამედ მათი ბუნების, გუნების, ამბიციების, დაუნახაობის და შურის შეცნობა, სტუმართმოყვარეობის გაფეტიშებით.

18289. ბევრი ხალხი, ერები, თაობები დაიღუპა თავიანთი უგნურებით თავის ,,მეობის" გაუაზრებლად.

ჯანმრთელობა

18290. რა სჯობს: დათვრე და იჩოჩიალო, თუ ანაშა მოსწიო და იფრინო? ალბათ არც ერთი, მაგრამ ეს უკანასკნელი უზრუნველ სიცოცხლეს ადრე გვართმევს.

18291. აზარტული თამაში, სიგარეტი, სასმელი, ყველა ერთი ოხერია და სხვადასხვა დაავადებებს გვთავაზობს, რომლებსაც თავისებური პროფილაქტიკა და მკურნალობა სჭირდება, რათა ქრონიკულ უცნაურობაში არ გადაიზარდოს.

18292. ბოლო დროს დაავადებები თანამედროვე მედიცინის დახმარებით იღებენ ჯანმრთელ ფორმებს და სიცოცხლეს იხანგრძლივებენ.

18293. არავის შეუძლია სრულიად თავისუფლად და ჯანმრთელად იგრძნოს თავი, სანამ არსებობს ფსიქიკურად დაავადებულთა საავადმყოფო.

18294. ქირურგი მედიცინის ხელოსანია, მაგრამ ხანდახან თერაპიის ოსტატების მცდელობაზე მეტად ფასობს, რადგან უდანო მკურნალობა ხელოვნებად ვერ აქცია.

18295. ყველა ჩვენგანი თავისი თავის ფსიქოთერაპევტია, წინააღმდეგ შემთხვევაში, განწირულნი ვართ ფსევდოექიმებში სახეტიალოდ.

18296. სკლეროზს მადლიანი კახური შესატყვისი აქვს „გამოლევებული“, რაც რეალურად გამოხატავს ამ დაავადების ბუნებას.

18297. გონიერების და სულის რევმატიზმი ძნელი ასატანია, თორემ ასაკით მორთმეულ სხვა დაავადებებს კიდევ რაღაც ეშველება და შემოევლება.

18298. ტკივილის შეგრძნება დაავადების ინტერვიუა, რომელსაც ავადმყოფიდან ექიმი იღებს.

18299. ექიმობა არც ისე ძნელია, თუ მოთაფლული ენა გაქვს და ზომიერი ტყუილის თქმა შეგიძლია. დანარჩენი მაინც დაავადების მრავალფეროვნების, ღმერთის წყალობის და პაციენტის ჯანმრთელი გენის ხელშია.

18300. ექიმსაც სჭირდება რეკლამა და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება მის მიერ გამოგონილ და გაბუქებულ დაავადებათა ხარჯზე.

18301. ზოგისთვის დაავადებათა თაიგული სატრაბახოცაა, დივიდენდიც და გარკვეულ პატივისცემასაც მოითხოვს.

18302. სარფა-მოგების, ყველაზე დიდი ეკონომიური გამორჩენა ჯანმრთელობა და უშფოთველი ყოფიერებაა, ამას ადამიანი მანამ არ მოტვინავს, სანამ სიცოცხლე საფრთხის წინაშე არ დადგება.

18303. ეროტიკა და პორნოგრაფია გრძნობების ჭიდილია, ინსტიქტების ქაოსის გამოვლენაა და ის წელქვეშა იუმორია, რომელიც აღგვაზნებს, თავს არ გვაკარგვინებს, მაგრამ, ჩვენდა შეუმჩნევლად, ფსიქიურად დროებით გვაავადებს.

18304. ყველა დაავადების წამალი სასურველი სამუშაო და სიყვარულია, შემდეგ მოდის წამლობა და ღვთის წყალობით გადმოხედვა.

18305. შეხვედრას, დაშორებას და იმქვეყნად გადაბარგებას სუფრით ავღნიშნავთ, ხოლო რატომ ვთვრებით და ხარკს ვის ვუხდით, ჯანმრთელობის დევალვირების ხარჯზე, დღემდე ვერ გაგვიგია.

18306. ჯანმრთელი ხალხი არ არსებობს, არიან გამოუკვლეველნი, უყურადღებონი და უპრეტენზიონი, რომლებიც თავისთვის ვერ იცლიან.

18307. ნარკომანიაზე, ლოთობაზე, დასვირინგებაზე, თამბაქოს წევის მოდაზე, არც ცივილიზაცია მოქმედებს და არც ცხოვრების გამოცდილება, სანამ ასაკს იდეოლოგიის მუშტი არ დაუპირისპირდება და ჯანმრთელობას თავში არ წამოარტყამს.

18308. დრო მკურნალია, ასაკს სკლეროზის ჭია უჩნდება და საბოლოოდ ვერ გარკვეულხარ, ამქვეყნად კვლავწარმოებისათვის მოხვედი თუ ცხოვრების კაპრიზის შესაცნობად.

18309. სიკვდილისაგანაც შეიძლება გარკვეული დროით თავის დაზღვევა, მაგრამ შემთხვევისაგან და ავადმყოფობისაგან გამორიცხულია.

18310. ადამიანის ჯანმრთელობისათვის სულის პროფილაქტიკაა მთავარი და არა სხეულის სხვადასხვა ნაწილების მოვლა-პრივატიზაცია.

18311. ადამიანის მიზანია ფუფუნებისკენ სწრაფვა, მისკენ გზების გამართვით და საკუთარი მესთვის ადგილის მიჩენით, მაგრამ არა – ჯანმრთელობის გაუარესების ხარჯზე.

18312. თავისუფალი ფილოსოფიური კომენტარებით, იუმორთან გაპაექრებული ჯანმრთელობა ხშირად გრძნობათა კუნძულის სამოთხეა მხიარულების გადასახედიდან.

18313. მიკრობებიც ერთმანეთში ჭორაობენ, ინფორმაციას ცვლიან და ასე ვნებენ ადამიანთა მოდგმას და ჯანმრთელობას.

18314. განუკურნებელი დაავადების უბედურება ის არის, რომ ყველამ იცის როგორ მოარჩინოს სხვაზე დაკვირვების ხარჯზე.

18315. ,,თვალის ყვარჯენი'', რომელსაც ადამიანი ატარებს, ძირითადად კარგი და მოხერხებულია, რადგან რის დანახვაც შეეძლო, იმან ჭირი მოგვჭამა, ხოლო რის დანახვაც ამჯერად სურთ, საკუთარი ჯანმრთელობაა, რომელსაც ნიადაგ ელოლიავება.

18316. კონკისტატორებმა ვირუსების გავრცელებით აბორიგენების მთელი ტომები მოსპეს. დღეს კი ამ დამყრობლების შთამომავლი წინაპართა დათესილს იმკის და სახეშეცვლილი სახით იბრუნებს იმ ვირუსებს, რომელსაც წინაპართაგან გამოყოლილი იმუნიტეტი ვეღარ შველის.

18317. პათოლოგია და ბუნებრიობა სხვადასხვა ცნებაა, მაგრამ ერთმანეთშია გადაზრდილი, რადგან ბუნებრივი პათოლოგია ბევრად საინტერესოა, ვიდრე შეძენილი, მაგრამ ბევრი არასასიამოვნო ფაქტის წინაშე გვაყენებს.

18318. ინტელექტუალური ,,პახმელია'' ადამიანის ფიზიოლოგიის რევიზიაა და მის სამკურნალოდ სასმელი ყოველთვის არ გამოდგება.

18319. არის უწესოდ გაზრდილი და გენებგადაგვარებული ადამიანთა კატეგორია, რომელთა დასჯა და ჭკუას სწავლება უნაყოფოა, იმდენად არის მათი ტვინი ფანატიზმისგან დაავადებულ-დანაგვიანებული: მაზოხისტს ცემა სიამოვნებს, ხოლო ,,შახიდი'' თვითაფეთქებით სამოთხეში უვიზოდ, რწმენით მიდის და აქ მათი ჯანმრთელობის კვლევა უადგილოა.

18320. სამედიცინო ცინიზმია, როდესაც უიმედო ავადმყოფს წამლების მთას უშენებენ, ხოლო ცინიკოსია ის, ვინც ზრდილობის გულისთვის ნეიტრალურ წამლებს უწერს და ამაში ფულს დასცინცლავს.

18321. მარხვა – სულის ვარჯიშია, დიეტა – სხეულის, ხოლო ორთავე ადამიანის ჩამოყალიბებას, გაჯანმრთელებას, ემსახურება.

18322. ავადმყოფის გამოჯამრთელების უდიდესი ნაწილი განგების ხელშია, მიუხედავად ექიმის ცოდნა-გარჯისა, ტვინის უჯრედების საჭირო ცოდნა-ფანტაზიის, შევსება-გადავსებისა.

18323. სიცილი, ემოციები, შთაბეჭდილებები და სულის ამით, დატვირთვა სხეულის მკურნალობის ბაზისია.

18324. ყოფიერების ხარისხი დამოკიდებულია ჯანმრთელობის ვერტიკალზე და არა სულის და სხეულის ჰარმონიაზე.

18325. ექიმს თუ სიცოცხლის შენარჩუნება ავადმყოფისთვის არ შეუძლია, დაავადების გახანგრძლივება მაინც უნდა შესძლოს, რათა მას თავისი ,,სიტყვამზეობა'' არ მოაკლოს და ოჯახი გამოკვებოს.

18326. ექიმის ცოლს, სხვა პროფესიის მქონე მეუღლეებთან შედარებით, ცხოვრებაში სხვა ვალი, მადლი, პეწი აქვს, რადგან ქმარს

ყოველდღე ბრძოლის ველიდან დაბრუნებულივით ხვდება და მის თვალებში კითხულობს, დღეს ავადმყოფის გამოჯანმრთელებისთვის ბრძოლაში იმარჯვა თუ ბედმა უმუხთლა.

18327. ფსიქოლოგიის პირამიდონს და ნერვების დამამშვიდებელ ყოვლისშემძლე „ლუგელას“ ყველანი ვეძებთ, მაგრამ განკურნებისა ბოლომდე მაინც არ გვჯერა.

18328. მარტოხელა სულის ადამიანი ექიმის ადრეული პაციენტია, ხასიათის ცვალებადობის და დეპრესიის მომძლავრებით.

18329. გამარჯვება-დამარცხების შეცნობის გარეშე ადამიანს არც ღირსების დაცვა შეუძლია და არც ჯანმრთელი თაობის კვლავწარმოება.

18330. ყველა ჩვენგანში ჩადებულია პატარ-პატარა იავარყოფა, რომელიც საზოგადოების წევრების აღზრდამ არ უნდა დაუშვას, რათა ის დაავადებად არ მოგვევლინოს.

18331. ფსიქიატრი პაციენტს ზურგშექცეული უყურებს და ყოველივეს თავის შეხედულება-გამოცდილებით განსჯის, ისე, რომ თავისთავში ეჭვიც კი არ ეპარება.

18332. ჯანმრთელ და მომხიბვლელ ქალებს მამაკაცები იპყრობენ, ხოლო ფრიგიდული და ვაგინიზმის მქონე ქალები ალფონსობისკენ მიდრეკილ მამაკაცებს სარფიანი დაქორწინებით ყიდულობენ. ამრიგად, ბუნებაში ყველაფერი დაბალანსირებულია და თაობათა კვლავწარმოების განგების მიერ დადგენილი გეგმა ასე თუ ისე სრულდება.

18333. უმკურნალო და გამოაჯანმრთელო სხვადასხვა ცნებაა, რადგან პირველი მცდელობაა, მეორე – შედეგი.

18334. ვინც ცივ წყალსაც სულს უბერავს, ის ჯანმრთელობას უფრთხილდება, მაგრამ გრიპის ბაცილას მაინც მასზე თვალი უჭირავს.

18335. შთაბეჭდილების მოსახდენად ხშირად ნაოცნებარს ვყვებით და მასში გარკვევას „კლინიკით“ ვცდილობთ. აქ საცოდავად მამაკაცები გამოიყურებიან, სასაცილოდ კი – ქალები.

18336. ხელოსნობა და სიფარული „კლინიკას“ ვერ იტანს და ვერ ეგუება.

18337. ბანალური ისტორიაა, როდესაც სხვასაც იგივე შეეყრება, რაც შენ კარგა ხანია გაწუხებს, ამ დაავადებას შეეჩვიე და სხვა განზომილებით უყურებ.

18338. პირველ რიგში სულელები გრძნობენ კოლეგების ოდენობის ზრდას, რადგან კლინიკაში თავი მათზე ჭკვიანად მოაქვთ.

18339. თუ ავადმყოფის ბედს სიცოცხლე უნდა, ვერც ექიმი და ვერც შემთხვევა წინ ვერ აღუდგება.

18340. ავადმყოფისთვის ექიმის დაპირება თერაპიაა, ხოლო გამო-ჯამრთელების იმედის მიცემა – ქირურგია, რადგან ეს უკანასკნელი რადიკალური ღონისძიებაა ე.ი. უფრო დამაჯერებელი და საიმედოა.

18341. გულის „მოფხანა“ გულის „გაბოროტებას“ არ ნიშნავს, ეს უფრო ნერვების მკურნალობაა წამლობის გარეშე.

18342. მეზობლებს, სოფლებს, ქალაქებს, სახელმწიფოებს, შორის შეჯიბრი უნდა იმართებოდეს არა, ვინ უკეთ ცხოვრობს და ფული რამდენი აქვს, არამედ ვინ ვისზე დიდხანს და ჯანმრთელად ცოცხლობს.

18343. დღევანდელობა, რომელმაც „გამოჯანმრთელების“ ამდენი რეფორმა გადაიტანა, სიცოცხლისთვის არის „განწირული“ და მთავ-რობა, ეშმაკი, ვერაფერს დააკლებს.

18344. მედიცინა ანატომიური თეატრია, სადაც მსახიობის როლს, თავისი დაავადებებით, ავადმყოფი ასრულებს, ხოლო რეჟისორისას – ექიმი, პროფესიონალიზმით და ფანტაზიით.

18345. ჯანმრთელობასაც გამოცდა, ანტიკრიზისი, სჭირდება, რათა ყოფის აზრი, სიცოცხლის არსი, ახლობლების ფასი, შეიცნო, გადაა-მოწმო, გაითავისო.

18346. „ელექტრონული ცხვირი“ მომავალი მედიცინის იმედია, რო-დესაც ვირუსს სუნზე რეაგირებით აღმოვაჩენთ, მაგრამ ეს არ ნიშნავს ძაღლის ყნოსვაზე უარის თქმას, რადგან მას იმდენი სასარგებლო თვი-სება აქვს, რომ მისი ადამიანთან მეგობრობა დაუფასებელია.

18347. წრეგადაუსვლელი მადა, ვირეშმაკობის უნარი, სიფარული ტრფობასთან შეხამებით – ეს არის ჯანმრთელობის მოფრთხილების საწყისიც და ბოლოც.

18348. ხშირად ჩვენი დაავადება ექიმთან კონსულტაციის შემდეგ ფრთებს ისხამს და მრავალფეროვანი ხდება, ამიტომაც ნაღდ მკურ-ნალს უნდა მივმართოთ და არა – რეგალიებს.

18349. ადამიანის სული სხეულთან იმდენად ჰარმონიულად უნდა იყოს შერწყმული, რომ თუ ერთმა ალკოჰოლი მიიღო, მეორემ დესერ-ტად ნიკოტინი უნდა დააყოლოს და ჯანმრთელობამ სასაფვედურო ვერაფერი თქვას.

18350. მედიცინა ერთ-ერთი დარგია, რომელსაც უამრავი ექსპერი-მენტის ჩატარება შეუძლია მუქთად და დასვენების გარეშე.

18351. დიაგნოსტიკის ხელოვნება ის არის, რომ ჯანმრთელ ადა-მიანს მოსალოდნელი დაავადება აღმოუჩინოს და პროფილაქტიკა ჩაუ-ტაროს.

18352. მთავარია, ადამიანი არ გარდაიცვალოს, თორემ ექიმი იმ-ქვეყნად გადაბარგების მიზეზს ყოველთვის მონახავს.

18353. ის, რაც ჩვენ მოგვწონს და გვსიამოვნებს, მაწყენარია, ექიმის დანიშნული დიეტა დროებითი სასჯელია, ხოლო ცხოვრება მათ შორის განზომილების მონახვაა.

18354. მელანქოლია ყველაზე საშიში ავადმყოფობაა, ქრონიკულ დაავადებათა შემდეგ.

18355. ქურდსა და კლეპტომანს შორის ის სხვაობაა, რომ პირველს ციხე ვერ ასწორებს, მეორეს მკურნალობა და თანაც გაკვირვებულ ღიმილსა და შენდობას იწვევს.

18356. ოპტიმისტურ ტყუილს, ყველაზე მეტად, ექიმები და პოლი-ტიკოსები იყენებენ და მათ თაღლითებად რატომღაც არავინ თვლის.

18357. ექიმსა და მშენებელს შორის ის სხვაობაა, რომ ამ უკანას-კნელს, პირველისგან განსხვავებით, შეცდომის დამალვა და დამარხვა არ შეუძლია.

18358. სიბერე თავადვეა ავადმყოფობა, რომელშიც მრავალი ქრო-ნიკული დაავადება და სენია თავმოყრილი.

18359. მომაბეზრებელ დაავადებათა მოძალება, სიკვდილის ტოლ-ფასია, ოღონდ დროის გაჭიმვით, გაჭიანურებით.

18360. საავადმყოფო სასაფლაოსთან თუ არ მეგობრობს, იძულე-ბულია ითანამშრომლოს, რადგან მისი შეცდომა ამ უკანასკნელმა უნდა დაფაროს.

18361. ექიმი ხშირად იძულებულია დაივიწყოს ჰიპოკრატეს ფიცი, რადგან ყოფის ალგორითმს ფიცი-მტკიცი არ სჭირდება, უბრალოდ, ცხოვრება უნდა.

18362. რადგან ჯანმრთელობის ყიდვა შეუძლებელია, ის უნდა გაი-კაჟო და მოუფრთხილდე.

18363. ნერვებს გვიშლის უაზრო შელაპარაკება – ქირურგია, გვიმ-შვიდებს გულიანი შეკურთხება – თერაპია, რას ვიზამთ, – ესეც დღე-ვანდელი საზოგადოების დაავადების მკურნალობის არაორდინალური ხერხია.

18364. ყველა ჩვენგანს თავისებური ურთიერთობა აქვს განგებასთან, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ჯანმრთელობა მოიკოჭლებს და იძუ-ლებული ხარ, ამაოებაზე იფიქრო.

18365. ფსიქოთერაპევტის რეცეპტია: დღეში სამჯერ, ორ-ორი საა-თი არ გაეკაროთ პოლიტიკას ტელევიზორში.

18366. კლასიკური ალტერნატივა: სიფარული და ღალატი ყოველ-თვის განსხვავებულად მოქმედებს ადამიანის ფსიქიკაზე.

18367. ტყე არა მარტო ფლორის და ფაუნის თავშესაფარია და ხეს მასალაა, არამედ სულის საფარიცა და ჯამრთელობის სასუნთქიც.

18368. ნერვების დაზაფრას გულისხმიერება იწვევს და არა – გულ-გრილობა.

18369. ჯანმრთელობა არსებობს სულიერი, კომფორტული, შერყე-ული, მაგრამ მთავარია, დროის რომელ მონაკვეთში გვიხდება მისი გამომზეურება-გამოყენება.

18370. ჯანმრთელობას და პოლიტიკას ერთი საერთო აქვს, თუ დაავადება დროულად აღმოაჩინეს, მკურნალობას ემორჩილება, თუ არა და ქვეყნის ძლიერებამ ჭირი მოგჭამა, რადგან მკურნალობა დაგ-ვიანებულია.

18371. ასაკისთვის სიფარული ფსიქოთერაპიაა, სექსი – მიკროქი-რურგია, ხოლო ჯამი – ჯანმრთელობისათვის ზრუნვა და არა – გარ-ყვნილება.

18372. სკლეროზის დათრგუნვა და მეხსიერების შენარჩუნება ასაკზე საბოლოო გამარჯვებაა, კუბში.

18373. ხანდაზმული ცნობიერებისთვის მთავარია მეხსიერება, რად-გან მის გარეშე არც თავს სჭირდები და არც – სხვას.

18374. ჯანმრთელობას ვნებს, თავის შეცოდება და ასაკობრივი შეღავათი.

18375. მხოლოდ ჯანმრთელ ადამიანს შეუძლია სიცოცხლის გახან-გრძლივებით საღად შეაფასოს სიცოცხლე და მისით გამოწვეული სას-წაული.

18376. ასაკსა და ხნოვანებას შორის უნდა იყოს ჯანმრთელი კონ-კურენცია და არა – ქალისა და კაცის გრძნობებით ვაჭრობა.

18377. ბავშვობაში ექიმის გვეშინია, შუა ასაკში – პატივს ვცემთ, ხოლო სიბერეში მათთან ურთიერთობის გარეშე სიცოცხლის შენარ-ჩუნება თეორიულად გვიჭირს.

18378. მკურნალობის დანიშნულებაა, უპირველესად, ავადმყოფის ნდობა მოიპოვოს, რწმენა შემატოს საერთო მტრის დასამარცხებლად რის შემდეგაც დადებითად იმოქმედებს ექიმის სკალპელი და მედიკამენ-ტები.

18379. საკუთარი წლების სხვისთვის გასაფლანგად გადაცემა კეთილი მიზნებით, როდესაც უიმედო სენით დაავადებულ ახლობელს უვლი გამოუსწორებელი დანაშაულია საკუთარი მესა და შთამომავალთა წინაშე.

18380. მკურნალობის მეთოდი ბევრია, მაგრამ ავადმყოფის გამოჯანმრთელებას ერთი მათგანი ემსახურება, რომელსაც თანამედროვე მედიცინა არ ფლობს.

18381. ზრუნვა და მკურნალობა სხვადასხვაა, რადგან პირველი პროფილაქტიკაა, მეორე – მომხდარი ფაქტის წინაშე თავის მოქაჩლება.

18382. ექიმობა გამოცდილების, გამბედაობის და ეჭვის კოქტეილია, რომელიც კარგ ანაზღაურებას მოითხოვს.

18383. სრულყოფილ ფსიქოთერაპევტად ის უნდა ჩაითვალოს, ვისაც ნერვების დალაგების გარდა, ვნების დამშვიდება შეუძლია.

18384. მედიცინა იმ ასაკამდე მიგვაღწევინებს, რომელიც მამაზეციერს ჩვენთვის აქვს გამეტებული.

18385. „პროფესიონალურ“ ავადმყოფს, ექიმისაგან განსხვავებით, მედიცინის არ სწამს, მაგრამ მძიმე დაავადების შემთხვევაში იძულებულია მიაკითხოს.

18386. ავადმყოფობა დაავადების და წამლობის შერკინებაა, ექიმის რეჟისორობით და ავადმყოფის შესრულებით.

18387. ექიმის გამოცდილება ყოველთვის შედეგიანი მკურნალობის გარანტი არ არის, რადგან დაავადებებიც სახეს იცვლის და დაუსრულებელ კვლევას მოითხოვს.

18388. უიმედო და საჭოჭმანო დაავადებას ისევ გახაზირებელი საფლავი სჯობს, შენც მოისვენებ და არც სხვა შეწუხდება.

18389. ინფარქტსა და გულის შუილებს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი უკვე მომხდარი ფაქტია, მეორე – პერსპექტივაა და დროულად ექიმთან დამეგობრებას მოითხოვს.

18390. ჯანმრთელობასა და ავადმყოფობას შორის ის სხვაობაა, რომ ერთი ბედის წყალობაა, მეორე – შემთხვევის გაგულისების.

18391. სურვილის და ცენზის მიუხედავად ყველა ცნობილ ექიმს სახელობითი სასაფლაო აქვს ამოვსებული, ხოლო ნაკლებად ცნობილებს საფლავები.

18392. ნერვების დასაწყნარებელია ალკოჰოლი, ჭორაობა, სანახაობები, რომელიც ხშირად გაცილებით ძვირი ჯდება, ვიდრე მკურნალობა და მისი რეციდივის მორჩენა.

18393. ჯანმრთელი სხეულის ნაღდ სიმდიდრეს ადამიანი ვერასოდეს შეიცნობს, რადგან ის მუქთად მიიღო.

18394. რევმატიზმი, ნეკრისის ქარი ადრე თუ გვიან დაგვეწევა, თავს გაგვახსენებს, დაგვიმეგობრდება, შეიძლება გვიშველოს კიდეც და რჩენაც იკისროს.

18395. თავმოყვარეობას ასაკი არ აქვს, ის არავის ეპუება, გარდა ჯანმრთელობის ვერაგობისა.

18396. ბუნებით სკლეროზით დაავადებულს ფული არც უნდა აჩუქო და არც ასესხო, რადგან ვერც გამოიყენებს და არც მადლიერი დაგრჩება.

18397. ადამიანის ყველაზე დიდი მტერი მარტოობაა, შესაბამისი ასაკობრივი დაავადებებით.

18398. ქირურგსა და ყასაბს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი სხეულის რაღაც ნაწილს ამოჭრის, აგდებს და ფულს ამაში უხდიან, ხოლო მეორე ხორცს ჭრის, ახარისხებს და ფულს ამაში უხდიან.

18399. ადამიანი იმიტომ ცოცხლობს, რომ ზოგჯერ იავადმყოფოს, ექიმის საჭიროება დაგვანახოს და არჩინოს კიდეც.

18400. პროტექციით ექიმთან მისვლას, ისევ უცნობ პროფესიონალთან მისვლა ჯობს, რათა გადამეტებული ყურადღებით შენც და შენს დავადებასაც თავი არ მოგაბეზროთ და მკურნალობის დამთავრებაზე ხელი არ აგაღებინოთ.

18401. ფიზიკოს ლ. ლანდაუსეული „პირადი ბედნიერების თეორია“ მისმა ცოლმა იმდენად კარგად „აითვისა“, რომ ავადმყოფი მეუღლის წამლების შეძენაზე ეკონომიას აკეთებდა, იშვიათად ნახულობდა, რათა ნერვები არ აშლოდა და თავი ცუდად არ ეგრძნო.

18402. სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის ზღვარი თითქმის წაშლილია, რადგან არავის შეუძლია დაბეჯითებით თქვას, საავადმყოფოდან ფეხებით წინ გამოგიტანენ თუ შენი გადადგმული ნაბიჯებით გამოხვალ.

18403. ზოგი იმდენად ირთულებს საქმიანობას, რომ მოგვაგონებს ქირურგს, რომელიც გლანდების ოპერაციის გაკეთებას სწორი ნაწლავიდან ცდილობს.

18404. ადამიანის ძირითადი მიზანი ჯანმრთელობაზე ზრუნვა და ბედნიერად ყოფნა უნდა იყოს, რომელზეც მანამ არ ფიქრობს, სანამ ასაკი და გაჭირვება კარზე არ მიუკაკუნებს.

18405. პათანატომის მუშაობას რომ ჩაუკვირდები და მათ პროფესიულ მიდგომას რომ გაეცნობი, კიდევ ერთხელ დარწმუნდები, რომ ადამიანი არარაობა და ამ სამყაროს მტვერია.

18406. კარდიოგრამის – „გულის შპარგალკის“ გაშიფრვა-გამოყენება ადრე თუ გვიან ყველას ხვედრია.

18407. ნარკოტიკების, ლოთების, ქურდების, ყოლა სახელმწიფოდ არშედგომის, ხელისუფლების უსუსურობის, დემოკრატიაზე უკანონობის უშნოდ ამოფარების შედეგია, რადგან ყველა მათგანის იზოლი-

რებულნი უნდა იქნენ კომუნებში, სადაც სამუშაო დღის ხანგრძლივობა 18 საათი იქნება. აქ მთავარია არა ყბადაღებული შრომის კანონის დაცვა, არამედ სისულელისაგან განთავისუფლება და ის, რომ მოქალაქე ჯანმრთელი და ცოცხალი იქნება.

18408. არსებობს ისეთი შეუცნობი შემოპარული დაავადება, რომელიც გარკვეული დროის შემდეგ იწყებს ქმედებას და მას ნერვები ჰქვია.

18409. ფულის შოვნა და სტრესით დაავადებათა შეძენა, ამას ჩვენ ვგრძნობთ თუ არა, ერთდროულად იწყება, რადგან ნერვებს თავისი შრომის წილი ყოველთვის დაუკითხავად მიაქვს.

18410. ქალის კაპრიზს მამაკაცი ინფაქტამდე მიჰყავს, შემდგომ ვაივიშით კარდიოლოგიას გადაულოცავენ და ამით ინანიებენ თავიანთ მზაკვრობას გარკვეულ დრომდე.

18411. ნერვებზე ეკონომიის კეთება ყველაზე უგნური ფულის ფლანგვაა, რადგან მომჭირნეობა, საკუთარ ჯანმრთელობის ხარჯზე, დანაშაულია.

18412. ჯანმრთელობის მოფრთხილება და წარმატების მიღწევას, რომელიც წარმავალია, ბევრი მცდელობა სჭირდება, მაგრამ საზოგადოებას რომ დავამახსოვრდეთ, ისეთი ცხოვრებაც უნდა მოვასწროთ.

18413. ქირურგობა თავისებური ხელოვნებაა, მაგრამ ძალზე ბევრია მასში ხელოსნობის და გამოცდილების წილი.

18414. ტყუპებსა და მარჩბივს შორის ის სხვაობაა, რომ პირველ შემთხვევაში ერთმანეთის მიყოლებით იბადებიან, ხოლო მეორე შემთხვევაში 15-20 წუთის დაგვიანებით. დროის ეს მცირე მონაკვეთი საკმარისია, რომ ისინი ერთმანეთისაგან ტყუპებზე მეტად განსხვავდებოდნენ.

18415. ცინიზმი ექიმის პროფესიის ნაწილია და მისი ოპონირება დილენტანტიზმია, რადგან ამ ირონიული ფილოსოფიის გარეშე მისგან ხეირიან ექიმს ვერ მივიღებთ.

18416. იმპოტენციის წინააღმდეგ რა მკურნალობაც უნდა ჩაატარო, არაფერი გიშველის თუ ქალი არ გამოცვალე და თავს არ შეუძახე.

18417. სერიალები, ჭორები, პოლიტიკანობა, იაფფასიანი ვიტამინებია მასების სულის შესაცნობად და სამკურნალოდ.

18418. ჯანმრთელი კვება გემოვნების ადაპტირების დათრგუნვას მოითხოვს, რომელსაც სასა, ენა და ყნოსვა არ ეთანხმება, თორემ კუჭისთვის სულ ერთია, რა გემოვნების და ღირებულების საკვებს მიუგდებ გადასამუშავებლად.

18419. ექიმს პირველ რიგში გამოცდილება, ინტუიცია და ახლის შეცნობის სურვილი უნდა ჰქონდეს, შემდეგ მოდის მგრძნობიარე გული, შეფუთული სული და ნაზი ხელები.

18420. ზომიერება ჯანმრთელობის გარანტი და არა უზომო-უაზრო გართობაა, რომელსაც სიამოვნება მოაქვს, ოღონდ ენერგიის მარგი ქმედების კოეფიციენტის გაუთვალისწინებლად.

18421. ცივილიზაციის დაცინვაა, როდესაც იძულებული ხარ იშიმშილო, რათა დავადებანი არ აიკიდო და ზოგიერთ მათგანს ხელიდან დაუძვრე.

18422. ბუასილმა და დერმოიდულმა „კისტამ" ვაჟკაცობა არ იცის, უკანალს ისე აგათამაშებინებს როგორც გაუხარდება.

18423. წონის დაკლება და რეგულირება ყველას სურს, მაგრამ მისი მოწესრიგება და სურვილის რანგში მოყვანა ერთეულ ბედნიერთა ხვედრია.

18424. დღეს შიმშილობა ნებით იქნება, თუ უნებლიედ, თავისებურად გამაჯანსაღებელი საშუალებაა, რადგან სხეულს ამსუბუქებს, ახალისებს, გონებას კი ავარჯიშებს და აფხიზლებს.

18425. ავადმყოფისთვის ყველაზე ძვირფასი ის მკურნალია, რომლის ხელშიც გაუვლია და შემდგომ აღარ დასჭირებია.

18426. ზოგს ზურგის ტვინი აწუხებს, ზოგსაც – თავში მოკალათებული და ორივე თავს უდროოდ გვახსენებს, იმის მიუხედავად, ზრუნავენ ისინი ჩვენს ჯანმრთელობაზე თუ არა.

18427. სხვისი ცოდვების აღმოჩენა, საკუთართან შედარებით, ადვილიცაა და სიამის მომგვრელიც ჩვენს ჯანმრთელობაში დარწმუნებისთვის.

18428. დასტაქარი ვალდებულია, უპირველესად, მკურნალობის სწორ გზაზე იფიქროს და არა – შედეგზე, რადგან ამ უკანასკნელში განგების ნებაცაა გასათვალისწინებელი.

18429. ქილერობა სულის ფილოსოფიის ნაწილია, რომელიც ავადმყოფს სტრესით, შთაგონებით, არჩენს, რომელიც გარკვეულ მანიპულაციებსაა ამოფარებული.

18430. ავადმყოფს ექიმი ეხმარება, ბუნება არჩენს, განგება სიცოცხლეს უხანგრძლივებს.

18431. „შრომითი თერაპია", გვაიძულებს დავივიწყოთ შეჯარების ღირებულებანი ე.ი. განცდებს ბოლო ეღება და ვიკურნებით.

18432. ყველა მომდევნო ავადმყოფი ექიმს კვალიფიკაციის ამაღლების და უკეთ დაკვალიანების საშუალებას აძლევს და ამისათვის ჰონორარსაც იღებს.

18433. ექიმი მაინც და მაინც არ უყვართ, მაგრამ მის პროფესიას პატივს სცემენ და იმედი აქვთ.

18434. მარტივ და უდრტვინველ სიამოვნებას ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად, დასასვენებლად არაფერი ჯობს.

18435. ექიმების პროფესიაც ყაჩაღობის კატეგორიას მიეკუთვნება, რადგანაც მათ დაავადებულნი და დავრდომილნი ინახავენ.

18436. გადამეტებული სასმელი ადამიანს სახის ფერს უცვლის და მისი მომავალი ჯანმრთელობის ბარომეტრია.

18437. როდესაც ექიმი გკარნახობს, რომ წესრიგში მოიყვანო საკუთარი საქმეები, ეს ნიშნავს, რომ სიცოცხლესთან ვაჭრობის დუქანი გაკოტრებულია.

18438. ავადმყოფთან წამლიქვნელებაც შეიძლება, თუ რადიკულიტის დიაგნოზს „სტუდენტური რადიკულიტით“ შეუცვლით.

18439. ტემპერამენტი და ფსიქიკური მდგომარეობა ადამიანებს ყოფს ასთენიკებად და ატლეტებად, რომლებსაც კავშირი აქვთ სხეულთან, სულთან და ეს დამოკიდებულია იმაზე თუ რამდენადაა ის ბუნებით საგვინიკი, ფლეგმა, ქოლერიკი და მელანქოლიკი.

18440. უსინდისოდ ძვირი მედიცინა დაუშვებელია და მას ვერავითარი საბაზრო ეკონომიკა ვერ გაამართლებს, რადგან საქმე ადამიანის ჯანმრთელობას ეხება.

18441. სისულელე შეიძლება შეგვეყაროს ქრონიკული ან მორჩენას დაქვემდებარებული, მაგრამ გამონათება, ასე თუ ისე, ყოველთვის ხერხდება და ეს შემთხვევა ხელიდან არ უნდა დაგვისხლტეს.

18442. დაავადებისთვის მთავარი წამალი არ არის, უმთავრესია ნდობა და თავმოყვარეობის შეცნობა, რათა სენს შევერკინოთ და ვაჯობოთ.

18443. ადამიანი ჯანმრთელობას ხარჯვისთვისაა განწირული და არა – შეძენისთვის.

18444. ინფარქტი გულის ინტრიგანობის და ჯანმრთელობის დევალვირების შედეგია.

18445. გულახდილობა თავისებური ქრონიკული დაავადებაა და მის განკურნებაზე ზრუნვა უაზრობაა.

18446. რწმენის მონუმენტი დაუფედრებლად სახის ძვლებზე კეთდება პლასტიკური ოპერაციის სახით.

18447. მოხერხებული ექიმი ერთიდაიგივე დაავადების მქონე ავადმყოფებს სხვადასხვა სახეობად ყოფს ცენზის და შესაძლებლობების გათვალისწინებით და მათ გამოჯანმრთელებას ერთნაირი მონდომებით კიდებს ხელს.

18448. დიეტის დაცვას, სურვილთან ერთად, შთაგონება, სულიერება, ნებისყოფა და სიყვარული სჭირდება.

18449. თვითმფრინავში მგზავრობის ფულს წონის მიხედვით უნდა უხდიდნენ, ეს შეიძლება საუკეთესო პროფილაქტიკური წამალი გამოდგეს სიმსუქნის საწინააღმდეგოდ საბრძოლველად.

18450. სიბერის დაავადებანიც იღებენ ჯანმრთელ ფორმას, თუ სიცოცხლე 100 წელზე ზევით გრძელდება.

18451. სიბერეს ბევრი პატარ-პატარა დაავადებები აწუხებს, მათ შორის ყველაზე სერიოზული-სიკვდილის მოახლოება.

18452. მტვერი ათას დაავადებას ავრცელებს, რადგან მასში აუარებელი მიკროორგანიზმებია, რომლებსაც რის უნარი შესწევთ არავინ უწყით.

18453. არაყი, კონიაკი, ჯინი, ექიმის რჩევით დანიშნული, დასალევად „უვარგისია".

18454. მექალთანე არც თავად ეწინააღმდეგება ქალს და არც ქალები ეწინააღმდეგებიან მას, მაგრამ ეს ჰარმონია ხშირად ძვირად უჯდება მისი ჯანმრთელობის მ.ქ.კ.-ს (მარგი ქმედების კოეფიციენტს).

18455. მედიცინას ყოველთვის ეყოლება ოპონენტები, რადგან ის უკვდავებას ვერავის ვერასდროს ვერ აღუთქვამს.

18456. ექიმი, რომელიც „ევთანაზიის" მოშველიებით წამებისგან იხსნის ავადმყოფს, „მკვლელია", ხოლო რომელიც მოურჩენელ ავადმყოფობს სიცოცხლეს უნარჩუნებს, „ჯალათი".

18457. ასაკის შემოპარებასა და სიბერეს შორის ის სხვაობაა, რომ პირველ შემთხვევაში რაღაც მიზეზის გამო ტკივილი გეწყება, მეორე შემთხვევაში ყველაფერი უმიზეზოდ გტკივდება.

18458. რევმატიზმი ღირსეულად გარდამავალი წლების მეგზურია.

18459. მოძღვარს სულს ანდობენ, ქირურგს – სხეულსაც.

18460. ფარმაკოლოგია ემსახურება ექიმის ნებას და მეტ-ნაკლებად მათი კონტროლის ხელშია.

18461. ჯანმრთელობის საწინდარია, ზომიერების შეგრძნება, ვნების მოთოკვა ყოფის შეცნობით.

18462. საიდუმლოს შენახვის უნარი თავისებური ჯანმრთელი ნიჭია, რომელიც ღმერთს ყველასთვის არ უბოძებია.

18463. სუსტი ნერვები არავისთვის სიკეთის მომტანი არ არის, რაც უნდა მის მოთოკვას ილეთებს ვფლობდეთ, ვიცოდეთ.

18464. ამბობენ ყველა ექიმს თავისი პრივატიზებული სასაფლაო აქვსო, მაგრამ დასტაქარი ყველაფერს აკეთებს, რათა პაციენტი იქ არ გაუშვას, რადგან ეს მის იმიჯს და ჯიბეს ვნებს.

18465. ჯანმრთელობა და სიფარული კეთილდღეობის თავისებური სინონიმია.

18466. დღეგრძელობის ელექსირი, ძირითადად, გარემოზე, შემთხვევაზე, გენზეა დამოკიდებული და არა იმ მცდელობაზე, რომელსაც ჯანმრთელი ცხოვრების წესი ჰქვია.

18467. ჯანმრთელობის სამინისტრო გაფრთხილებთ: ყბედობა და თამბაქოს მოწევა თანაბრად საზიანოა ჯანმრთელობისთვის.

18468. სანამ ადამიანი ცოცხალია, ტვინისაგან განსხვავებით, გული, ავად თუ კარგად, ყოველთვის მუშაობს ე.ი. ეს უკანასკნელია სიცოცხლის საწყისი და საბოლოო წერტილის დამსმელიც.

18469. შენს ავადმყოფობას ფელაზე მეტად ის განიცდის, ვისთანაც სიკეთის, სიფარულის და სულიერების მარაგი ფელაზე მეტი დაგროვდა.

18470. სასმელი წყალი, დღეში სამჯერ ჭამამდე მისაღებად, თუკი ექიმის მიერაა დანიშნული ძნელად აღსასრულებელია.

18471. ჩვენი სხეული ნაწილ-ნაწილ მოიწყენს, იკურნება, ავადდება, კვდება და ეს არის ამქვეყნურად ყოფნის ანიც და ბანიც.

18472. ორ გადატანილ ავადმყოფობას შორის დარჩენილი დრო ჯანმრთელობა, რომელსაც, გამოცდილების მიუხედავად, რატომღაც სერიოზულად არ ვუფრთხილდებით.

18473. ყოფის ბატალიებში ნერვებს ფელაზე მეტად ქალები იშლიან, მაგრამ გულ-სისხლძარღვთა კლინიკის ძირითადი კლიენტები მაინც მამაკაცები არიან.

18474. გენეალოგია და გინეკოლოგია ერთიდაიგივე არ არის, მაგრამ სინონიმებად რომ იქცნენ, ამისათვის „ჩალიჩს“ არ თაკილობენ.

18475. ექიმი სიკეთეს აკეთებს მკაცრი გულით, ულმობელი ცინიზმით, სათუთი ხელებით და საღი გონებით, მაგრამ ფელას გაჭირვების გულთან მიუტანლად, რადგან სხვანაირად ის ავადმყოფს ვერ უმკურნალებს.

18476. ექიმთა კოლეგიალობა იგივე მაფიური კლანია, რომელსაც დამოუკიდებელი, სამართლიანი ექსპერტიზის ჩატარება არ შეუძლია თუ ექიმები სამეცნიერო სკოლებით არ არიან დაპირისპირებულნი.

18477. ფსიქიატრსა და ფსიქიურად დავადებულს შორის დიდი სხვაობის მოძებნა ძნელია, ამიტომაც პირველს სამუშაო სტაჟი უნდა გაუორმაგოთ მეორის მკურნალობის ხარჯზე.

ჰე, ღმერთო, ერთო

18478. რწმენა იგივე სარწმუნოებაა, ოღონდ რეალური ღმერთებით, დამფინანსებლებით და ავტორიტეტებით.

18479. ბიბლია გვასწავლის მტრებს შეუნდეთო, მაგრამ რა უნდა ვუყოთ იმ ვირეშმაკა ახლობლებს, რომლებიც მტერზე მეტ ზარალს გვაყენებენ – არაფერს „უბნობს".

18480. ცოდვილზე უნდა ვიზრუნოთ, მაგრამ არა იმდენად, რომ ის ანგელოზის მანტიით მოგვევლინოს.

18481. სამოთხეში მოხვედრა ადვილია, თუ ცხოვრებაზე ხელს აიღებ, ლოცვაში გაატარებ და რეალურ მოვალეობებს ფეხებზე დაიკიდებ.

18482. სამოთხეში ალბათ შემთხვევით ხვდებიან, რადგან ადამიანის ცხოვრების შეფასება და მისთვის კუთვნილი ნიშნის დაწერა შეუძლებელია.

18483. ყველას თავისი რწმენა უნდა ჰქონდეს და ღმერთი უნდა სწამდეს, თორემ რელიგიის არჩევას რა უნდა!

18484. ვისაც ღმერთი არ სწამს, ხშირად ღმერთს სწამს მისი და ამიტომაცაა, რომ ის კი არ არსებობს, არამედ ცხოვრობს.

18485. თუ უქნარა ხარ და ღმერთსაც ისტორიაში შესაყვანად არ ემეტები, მაშინ შენი ამბიციების დასაკმაყოფილებლად უნდა გახდე ტანჯული მოწმე და ღვთის მსახური.

18486. ღმერთს რომ ყველა მლოცველის თხოვნა აღესრულებინა, ის მლოცველთა გარეშე დარჩებოდა.

18487. სარწმუნოება ცხოვრების დაზღვევაა ამქვეყნად, რათა იმქვეყნად იმედიანად ვიყოთ.

18488. თუ ეს ცხოვრება ცირკია და ჩვენ მისი შტატიანი კლოუნები ვართ, რაღას ვერჩით მამაზეციერს – ეს სამყარო სწორად მოუწყია.

18489. ლოზუნგი: „თავისუფლება მამაზეციერს!" სარწმუნოებას მიკედლებული ამდენი უგვანო მთხოვნელებისაგან მომავალში პერსპექტიული იქნება.

18490. მსოფლიოს ვალია სხვადასხვა ცივილიზაციების და რელიგიების შერწყმა, ერთ თარგზე მოჭრა და ახლის გამოკერვა მომდევნო ათასწლეულისათვის.

18491. განგება ეტყობა განზრახ უწყობს ხელს ტექნიკური პროგრესის განვითარებას, რადგან თუ დასჭირდა, თავისივე ცოდნითვე დაანგრევინებს ნამოღვაწარს და ყველაფერს თავიდან დააწყებინებს.

18492. ხანდახან ისეთ რამეში გაგვიმართლებს, რაშიც წესით ხელი არ უნდა მოგვმართვოდა, ეტყობა მამაზეციერსაც რისკიანი და თავნება ხალხი უყვარს და ამიტომაა მათ რომ ეხმარება.

18493. თავის გადადება რწმენისთვის ადვილია, თავის დაცვა და რეალობის შეცნობაა ძნელი.

18494. ყველა ეკლესიის დანახვაზე პირჯვარის გადაწერა თავისებური კომედია, ფარსი, რობოტიზაციაა, რომელიც რეალური რწმენისაგან შორს დგას.

18495. ღმერთს შეეძლო ისეთი ხალხის შექმნა, რომელიც არც მიიცვლებოდა და მარად მისი ერთგული დარჩებოდა, მაგრამ, ეტყობა, მასაც ეზარება ერთიდაიგივე სიფათის ცქერა.

18496. ბიბლიას აფორიზმების სქელტანიანი წიგნი ვერ გადაწონის და ეს გვაფიქრებინებს, რომ მის შექმნაში მამაზეციერის ხელი ურევია.

18497. ანგელოზსა და ღმერთს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი ყველაფერში ცდილობს დაგეხმაროს, ხოლო მეორე, თუ საჭიროდ ჩათვლის, დასჯასაც არ გაკმარებს.

18498. ღმერთს ძალზე მოუმრავლდა თვითმარქვია ხულიგანი მიმ-დევრები, სხვადასხვა სექტების და წეს-ჩვეულების შესრულების სახით და ესეც მისი ნებაა.

18499. განა ადამიანებს ჭიანჭველების გაჭირვების და დალხინებისა ესმით? რატომ ვთხოვთ მამაზეციერს, რომ შეგვამჩნიოს, ყური დაგვიგ-დოს და დაგვიფავოს?

18500. მორწმუნეთა თვალში ღმერთსაც კი თავისი ალიბი აქვს.

18501. რწმენა იმქვეყნად სიცოცხლის გაგრძელების ,,სიაფანდი'' სი-ნონიმია.

18502. ამქვეყნად შეუძლებელი არაფერია, თუ მამაზეციერს კიდევ ახსოვხარ და შენს მხარეზეა.

18503. სალოცავი სახლი თავისებური თეატრია, სადაც რეჟისორის და მსახიობის როლს კულტის მსახური ითავებს, მაგრამ ეს მცდელობა მრევლ-მაყურებელს არ ზრდის თუ ეს უკანასკნელი, თავისი საქმის ვარსკვლავად არ აღიარეს.

18504. საწყალი ღმერთი, სულიერი მლიქვნელობის სანაცვლოდ ის ყველასთან ვალშია.

18505. ღმერთს ალბათ, გასართობიც სჭირდება, რადგან ხანდახან ისეთ რაიმეს იკისრებს, რომ მისმა შექმნილმა ადამიანმა არ იცის, შერცხვეს თუ იამაყოს. (მაგ. ჰომოსექსუალურები, ლილიპუტები, ,,ღვთის-შვილები'' და ა.შ.).

18506. გადამეტებული რელიგიურობა საზიანოა ქვეყნისთვის, პო-ლიტიკისათვის, მეცნიერებისათვის და თვით კულტურისთვის, რადგან დოგმების დაგმობის და შეფასების გარეშე რწმენაც არ განვითარება.

18507. რელიგიაც თავისებური ძალადობაა, როდესაც ქრისტიანის შვილი ისევ ქრისტეს სამსახურში დგება ისე, რომ სარწმუნოების დოგ-

მებს მას წინასწარ არავინ უხსნის და არჩევანის უფლებაც წართმეული აქვს.

18508. რელიგიას ან დიდი რწმენის გამო იცვლიან, ან უსახსროდ დარჩენის შიშისა და მცირე სარგებლის გამო.

18509. რელიგია დოგმებთან კომპრომისების გარეშე ვერ განვითარდება და მას ყოველთვის ეყოლება ზურგის შემქცევი.

18510. თუ მოხდება სასწაული და ყველა რასა, სარწმუნოება ერთი ღმერთის სიყვარულის გარშემო გაერთიანდება, მაინც გამოტყვრება სიძულვილი, რომელსაც ეს არ მოეწონება.

18511. ცოდვების მონანიების უფლების გარეშე ვერცერთი რწმენა ვერ იარსებებდა და მამაზეციერი უმრევლოდ დარჩებოდა, რადგან ცოდვები ადამიანს თანდაყოლილიც აქვს, შეძენილიც და ძალად აკიდებულიც.

18512. ცოდვების პრივატიზაციაც შესაძლებელია, თუ ძალიან მოინდომებთ და გაამაყდებით.

18513. საღვთო წიგნების დამწერთ, ეტყობათ, ცოლები ჰყავდათ უხიაგი და ავები, თორემ ქალის და კაცის ურთიერთობა მრუშობად და ცოდვად რატომ უნდა მოენათლათ.

18514. გარდაცვალების შემდეგ მავანმა შეიძლება ისეთი ცოდვა აგკიდოს, რომელზეც არც გიფიქრია, მაგრამ ქვევიდან რაღას გახდები, ზევით თუ შენი თანამდგომი არ დაგიტოვებია.

18515. სახელმწიფოს უამრავი კანონები აქვს და მცირე შესაძლებლობები, მამაზეციერს კი – პირიქით, მაგრამ ადამიანი მაინც პირველის უნიათობის მსხვერპლი ხდება.

18516. „სტუმარი ღვთისაა“, მაგრამ მისი მიღება და გამასპინძლება რატომღაც ჩვენ გვევალება.

18517. ზოგჯერ ჯოჯოხეთშიც ჩასატარებელია წმენდა, რათა სამოთხე მოსახლეობის გარეშე არ დაგვრჩეს.

18518. ღმერთს წარსულის გაქრობა შეუძლია, მაგრამ არა – შეცვლა.

18519. გავა დრო და იმდენი კანონიზებული წმინდანი ეყოლება ეკლესიას, რომ მათკენ გახედვაც არ მოგინდება.

18520. წმინდანი საკუთარი გონებისა და სინდისის წინაშე უნდა ვიყოთ და არა – მოძღვრის.

18521. მრუშობის და ცოდვების გარეშე ცხოვრებას ბოლომდე ვერ შეიცნობ და არც მამაზეციერი გაგახსენდება, ხოლო განგების მცდელობათა დავიწყება სამყაროს არარაობის შეცნობის ტოლფასია.

18522. მოვკვდე იმისთვის, რის გარეშეც ცხოვრება არ ღირს, სისულელეა, რადგან ამ ღირებულებების დადგენა მამაზეციერსაც უჭირს და ადამიანს რა უფლება აქვს თავად განსაჯოს.

18523. ეშმაკი და ტარტაროზი ბერებად ვერ აღიკვეცებიან – მორწმუნენი მათ ვერ გაუგებენ, რადგან ერთს შობს მღვდლის ცოლი ფოფოდია, ხოლო მეორე დაცემული ანგელოზის ნაშიერია.

18524. გწამს თუ არა გწამს, ღმერთის საქმეს უნდა ემსახურო, რადგან ეს საკუთარი თავის სამსახურია.

18525. რელიგია პირველ რიგში ნაციონალურ და სახელმწიფო ინტერესებს უნდა იცავდეს, შემდეგ მოდის ღმერთისადმი რწმენა და სარწმუნოების გარჩევა.

18526. რელიგიაში ყველაფერი მიწიერი და რეალობასთან ახლოა, მაგრამ მისი აღქმა და დაჯერება გონებისთვის ჭირს.

18527. ზოგი იმისთვის ევლინება სამყაროს, რომ დაბადებიდან სიკვდილამდე ცხოვრება გაათრიოს და გაჩალიჩოს. თუ რატომ, ამაზე მამაზეციერს პასუხის გაცემაც არ უნდა.

18528. ღმერთი ადამიანის წყალწაღებული ოცნების და უსუსურობის ნაყოფია.

18529. შემთხვევით დაწინაურება და ხელმძღვანელობა ყველგან შესაძლებელი უნდა იყოს, გარდა პარტიის ლიდერობისა და ღვთისმსახურებისა.

18530. მორწმუნე დამღმერთებელი (ღვთის მგმობი) რომ არ გახდეს, კამათში არ უნდა აგყვეს, თორემ არის საშიშროება ათეისტად იქცეს, იმდენად მცირეა სარწმუნოების სამეცნიერო საწყისი, ადამიანის რწმენის მოთხოვნილებისგან განსხვავებით.

18531. დედამიწაზე ჩვენი ყოფნა ჭიანჭველების ბუდეს მოგვაგონებს, სადაც ყველა თავისი განრიგით საქმიანობს. აქ ერთმა ჭიანჭველამ რომ გთხოვოთ დახმარება, ვერც შეამჩნევთ და არც ძებნას დაუწყებთ, სწორედ ამ დღეშია ჩვენს მიმართ მამაზეციერი.

18532. რწმენა ინტიმურია, ის სწამთ სულის მოსაოხებლად თავის დასაწყნარებლად, იმედის მისაღებად და არა იმისათვის, რომ რეკლამა გაუწიონ სარწმუნოებას პირჯვარი გადაიწერონ და ილოცონ.

18533. ყველა რწმენას ახასიათებს გარკვეული უზნეობა, მაგრამ ამას მორწმუნეთათვის ხელი არ შეუშლია.

18534. თუ გვინდა ამქვეყნად ჩვენი ყოფნის მამაზეციერის მიერ მომადლებული დრო მხიარულად განვვლოთ, იმაზე არ უნდა ვიფიქროთ, რაც ყველამ ვიცით – ამქვეყნად ყველას და ყოველივეს წერტილი ესმება.

18535. სარწმუნოება, რომელიც ღმობიერია და დღესასწაულებიც საკმაოდ გააჩნია, ყველა ნორმალურად მოაზროვნისათვის მისაღებია.

18536. მუქთად ნაშოვნი ფული, კარიერა, ძალაუფლება, ქვეყნის აჭრის საწინდარია. წლობით შეძენილი ღირებულებები, ღირსება, ურ-თიერთპატივისცემა – სტაბილურობის გარანტია. ფუფუნება, უსაქმურობა, მეძავეობისკენ ლტოლვა კი გადაგვარებისაკენ გვიბიძგებს. ასე და ამრიგად, ისევ მამაზეციერის გამათრახების და ყურის ახევის ცდაში ვართ.

18537. განვლილ ცხოვრებაში ღმერთის არსებობა უდაოა, რადგან ბევრი რამის ახსნა, რომელსაც შემთხვევა ჰქვია, გაჭირდებოდა.

18538. მიქელ-გაბრიელს სანამ თავნად ჩავბარდებოდეთ, კრედიტს ფრჩხილების, თმების, კბილების, გლანდების, ბრმანაწლავის სახით და-ბადებიდანვე თანდათანობით ვანაღდებთ.

18539. შეიძლება ცოდვილად თავს არ გრძნობდე, მაგრამ ეკლესიის გვერდზე ჩავლისას მონანიების სურვილი უნდა დაგებადოს.

18540. ღმერთთან დამოკიდებულება მიცვალებულიდან ორგანოე-ბის გადანერგვისთვის ნებართვის მიცემაა, რადგან შენ ამით მის წინაშე უკომპრომისო მორჩილება გამოხატე.

18541. სიკვდილსაც თავის მორალი და კანონ-სასჯელი აქვს: გეყო-ფა, ახლა სხვასაც უნდა ამქვეყნად მოსვლა და ცხოვრებაო და ამბორით მიგაცუნცულებს იმქვეყნად.

18542. უდიდესი მითი რწმენის დასამაგრებლად მკვდრეთით აღ-დგომა და სამოთხე-ჯოჯოხეთის იგავია, რადგან ადამიანთა მოდგმა მითების, სულიერების ტანჯვის, გონის ჭყლეტის ხარჯზე აღიარებსებს იმ სარწმუნოებას, რომელიც იმქვეყნად ცხოვრების იმედს ებღაუჭება.

18543. ხშირად სულზე მეტად სხეულს სჭირდება სარწმუნოება, რათა ეს უკანასკნელი არ გაღორდეს და გადაგვარდეს.

18544. გენიალობა და ნიჭი მამაზეციერის წყალობაა და მას ვერა-ვითარი ადამიანთა შეჯვარება და დაპროგრამირება ვერ შეცვლის, რადგან მხოლოდ განგებისთვისაა ცნობილი მისი საიდუმლოება.

18545. იმქვეყნად გადაბარგებამდე უნდა ვეცადოთ ჩვენზე აკიდებუ-ლი მოვალეობის ტვირთი ვინმეს გადავაკისროთ ან მისგან გავთავი-სუფლდეთ.

18546. მოგზაურობისას, ავადმყოფობისას და მონანიებისას რწმენის დოგმების დარღვევა ნებადართულია, რადგან ადამიანის შემოქმედი ბუნების მორწმუნედ გახდომა, მამაზეციერის ამ ნაჩუქარი გამონაკლის საძრომიალოს გარეშე, გაჭირდებოდა.

18547. ჭეშმარიტების დადგენა მიუწვდომელი ოცნებაა, რომელიც ზოგჯერ თვით მამაზეციერიც არ ძალუძს.

18548. სატანა ძალად სინდის-ნამუსდაკარგული ანგელოზია, რომელიც განგების ნებით განტევების ვაცის როლს სიამოვნებით ასრულებს.

18549. ღმერთს, რწმენას, სარწმუნოებას, ძალაუფლება ქმნის, რომელ მისიას, ქადაგებას, მიმდინარეობას, დაასპონსორებს ძალით და ფულით, ხალხის უმრავლესობა იმას აირჩევს, იწამებს.

18550. არის რაღაცა, რომლის შენდობას ღმერთი ახერხებს, კაცი – არა, მიუხედავად იმისა, რომ მამაზეციერი ყველას თავისას მიაგებს და მიუგდებს.

18551. თუ მამაზეციერი ჩვენს მხარესაა ხელის გამოღება ორმაგად გვმართებს, რათა მის ავტორიტეტს ჩრდილი არ მიადგეს და არ თქვან ამის გონებამ ტენდერის ღვთიურ მარათონში როგორ გაიმარჯვაო.

18552. ადამიანს თუ არც ღმერთი მფარველობს და არც მთავრობა, მის თვალში ორივე ავტორიტეტს ჰკარგავს, მაგრამ მაინც პირველის იმედი ასულდგმულებს.

18553. სხვაზე უკეთ თავის წარმოჩენის უფლებას განგება გვაძლევს და არა – ჩვენი ურწმუნო თავი და ბუნება.

18554. დროის სიმბოლოებს გაგება უნდა, ხოლო მისი სიმბოლოდ ყოფნა ღმერთის წყალობაა და არა – ყისმათის.

18555. ჩვენ მაინც ჩვენი ბედის, რწმენის, წინამორბედები ვართ, მამაზეციერს მოსწონს ეს თუ არა.

18556. ეტყობა, განგების ხელის წარმოტყმის გარეშე ჩვენთვის მისაღები ცხოვრება არ გამოდის.

18557. ადამიანმა მძიმედ არ უნდა განიცადოს გადაცდენა, ის უბრალოდ უნდა ცდილობდეს რეციდივი არ დაუშვას, თუ მანამდე ცოდვების გამოსწორება მოახერხა.

18558. სიკვდილი, ადრე თუ გვიან, ყველას მოგვწვდება და ღიმილით ჩაგვიხუტებს. ამ რეალობას იმდენად შეჩვეულნი ვართ, რომ არავითარ სტრესს აღარ განვიცდით.

18559. სიცოცხლე თავისებური სიზმარია, გააჩნია როდის მოგვადგება მოქელგაბრიელი და რა ვალმოხდილი წავალთ ამ სამყაროდან.

18560. განგება ზოგს ხალისით წაეშველება, ზოგსაც უხალისოდ და დანანებით, მაგრამ სიკეთის კეთების სურვილი ყველას მიმართ ერთნაირი აქვს, ხოლო შედეგს ყველა თავის მოქაჩლების მიხედვით იმკის.

18561. სარწმუნოება ცირკს არ უნდა დაემსგავსოს და მორწმუნე – კლოუნს, რადგან თუ მოწამე ხარ, კეთილი ინებე და კვირაში ერთხელ 2-3 საათი გამოყავი ეკლესიაში სალოცავად და არა სატინგიცოდ, როდესაც ყველა ეკლესიის, საყდრის, დანახვაზე პირჯვარს ფეთიანივით იწერენ.

18562. სარწმუნოების ძალა ბრბოს უვიცობაში, შიშია, რადგან რწმენის უმეცრები ერთმანეთს იმას ასწავლიან, რაც გაუგიათ, ვერ გარკვეულან, რადგან სხვაზე ამაღლება ამ უკეთურებაში მათ სიამოვნებას იწვევს.

18563. რწმენის გამოცვლა სულის ღალატია, რომელსაც სხეული ხშირად ვერ ეგუება და უგებს. მიუხედავად ამისა, სარწმუნოების გამოცვლით მხოლოდ წეს-ჩვეულებას ვიცვლით და არა ღმერთს, რწმენას.

18564. რწმენა ცხოვრების აზრია და მნიშვნელობა არ აქვს ქრისტიანი იქნები, მუსულმანი თუ ათეისტი, მთავარია, ვიღაც გიფარდეს და შეგეძლოს რაიმეს შენდობა.

18565. სიცოცხლე ფელას უნდა, მაგრამ ფელა, ალბათ, არ იმსახურებს. ამ რებუსის ამოხსნა განგებას უნდა მივანდოთ, თუ ბუნების უძღებ შვილს, სადავო საკითხია, რადგან პირველი შეცდომის გამოსწორების უფლებას იტოვებს, ხოლო მეორეს, არავინ უწყის.

18566. სიკვდილის გაცუცურაკება ძნელია, მაგრამ რა გინდა რომ ქნა, ზოგი ბედის რჩეული ვიგინდარა მიქელას უყურადღებობით სარგებლობს.

18567. ეტყობა მამაზეციერსაც ესაჭიროება თავის ოპონენტი, დამკვირვებელი თავგასული ადამიანის სახით, რათა გარემოს მართვაში, ამ თავის შექმნილ სამყაროში რაიმე არ შეეშალოს.

18568. ასაკში ირკვევა, რომ მეზობლებსაც განგება გვირჩევს, დედმამიშვილთან და საცოლესთან ერთად.

18569. ამქვეყნად შეიძლება მწირმაც და გადამთიელმაც იმასწავლებლოს, მაგრამ იმქვეყნად მოსწავლეობას უნდა დავჯერდეთ, რადგან იქ უთვალავი განათლებულის წასული და მათ იმქვეყნიური სამყაროს გაგებაში ვერ გავეჯიბრებით.

18570. დღეს კულტის მსახურნი, თავზე იმაზე მეტს იღებენ, რაც თალმუდში წერია და ბიბლიაში, ყურანში, თორაშიც აკრძალულია, ცდილობენ ცივილიზაციის გამოძახილს მოერგონ და ფუფუნება-განცხრომის ზოგიერთი ნაწილი თავის სასარგებლოდ მოთარგმნონ.

18571. იმქვეყნური ცხოვრების იმედის მიუხედავად, მორწმუნენი ამ ქვეყნიდან გადაბარგებას არ ჩქარობენ და თავის ყოველდღიურობით არსებობენ, წვალობენ.

18572. მიქელგაბრიელიც თავისებურად კაიფობს, იქ გამოგიჭერს, სადაც არ ელი.

18573. როდესაც სამყაროს საოცრებებს ჩაწვდები, ეჭვი გეპარება: მის შექმნას ერთი პიროვნების გაქანება ვერ აუვიდოდა.

18574. სიკვდილს შეიძლება ფეხზე ადგომით, პატივისცემით შეხვდე, მაგრამ მაინც დანანებით და უკან მიხედვით, ამდენად ძნელია ამქვეყნური ყოფის დატოვება და ნაშიერთან განშორება.

18575. მორწმუნესა და ათეისტს შორის ის სხვაობაა, რომ ერთი სამყაროს საოცრებათა გარკვევით თავს არ იწუხებს, მარტივად ცხოვრობს და ყოველივე ღვთის რწმენას და განგებას აჰკიდა, მეორე ცხოვრებას ირთულებს, ბუნების კანონზომიერების დასადგენად ყველგან ცხვირს ჰყოფს. მიუხედავად იმის ცოდნისა, რომ სამყარო ბოლომდე შეუცნობელია, ყველგან მატერიალიზმის მოშველიებას ცდილობს.

18576. ცოდვა ადამიანის ცნობიერების ნაყოფია, სარწმუნოების დოგმებით და კულტის მსახურთა მხარდაჭერით.

18577. ქვეყანას ჰყოფს მთავრობის და ხალხის დუმილი, ეტყობა, დროის ამ მონაკვეთის დამუნათება განგებამ ასე ინება.

18578. ეკონომიკის დამუნათება, ფუფუნებისგან დახსნა, ხალხის გადაგვარებიდან ხსნა, იყო მიზეზი პირამიდების მშენებლობისა და იმ რწმენის გაფეტიშებისა, რომლის არსიც ხეირიანად არავის ესმოდა.

18579. ზოგჯერ რაღაც წაგიბიძგებს სიმყუდროვეში სულთან მარტო დარჩენას, ნაფიქრალ-ნაცნებარის საკუთარ თავთან გაზიარებას, გონიერების ნაცოხნარის ანალიზის გაკეთებას – შედეგად შეიძლება ღმერთიც იწამო და მორწმუნეც გახდე.

18580. ღმერთს უადგილო ადგილას ნაუცბათევი, ვალისმომხდელი პირჯვარის გარდასახვით კი არ უნდა ეტინგიცებოდე, არამედ უნდა იწამო, მისდამი და რწმენისადმი შენი დამოკიდებულება სხვის თვალში მოწონებას და პატივისცემას უნდა იწვევდეს.

18581. დედამიწაზე დინოზავრების არსებობა განგების შეცდომა იყო, რომელიც მან ადამიანის შექმნით გამოასწორა.

18582. სასწაული მოულოდნელი მეტამორფოზაა, რომელსაც სახელად განგება ჰქვია.

18583. არსებობს ღარიბი და მდიდარი ქვეყანა, ძლიერი და სუსტი ძალაუფლება, განათლებული და გაუნათლებელი ხალხი, მაგრამ ბრბოს გასულელება და გადარევა ყველგან ერთნაირი წარმატებითაა შესაძლებელი და აქ შეუძლებელია განგების ნება არ ერიოს.

18584. დაჟინება, სიჯიუტე შეუპოვრობის ნაყოფს იმკის, ფეხბედნიერად თუ უიმისოდ ამას განგება განსჯის.

18585. ეშმაკი დროსსატარებელ ადგილებს აშენებს, ანგელოზი – სამკურნალოს, მაგრამ ურთიერთშეცნობის გარეშე ორივე ფასს კარგავს.

18586. ეშმაკი მოწოდებულია ცხოვრების ყადრი შევიგრძნოთ, სხეული გავალაღოთ, ანგელოზი ცდილობს რწმენით ვიარსებოთ და სუ-

ლის მარადიულობაზე ვიფიქროთ, მაგრამ რომელი რომელს სჯობნის, დღესაც უცნობია.

18587. ყველაზე დიდი რეკეტი მიწისძვრა, წყალდიდობა, ქარიშხალია, რომელსაც არც ქრთამის გაღება შველის, ვერც ვერაფერს უბედავ, რადგან ეს ბუნების ჭირვეულობა და განგების ნებაა.

18588. ემოციების გამომზეურება თავისებური ბანქოს თამაშია და აქ ვინ რას იგებს და აგებს, მამაზეციერსითვისაც უცნობია.

18589. ადამიანი უნდა ეცადოს რწმენით ცხოვრებას, მით უმეტეს, არის ,,სასიამოვნო'' გამონაკლისი: მაგ. მარხვის დღეების დარღვევის ალიბი.

18590. ამქვეყნად მოსვლისთვის გაცემული კრედიტის გადაუხდელობა და იმქვეყნად უაზროდ, უდროოდ გადაბარგება, – თვითმკვლელობის, უბედური შემთხვევის და თვითმკვლელობის გზით დანაშაულია, როგორც ახლობლების, ასევე განგების წინაშე.

18591. ხანდახან ექსტრემალურ პირობებში იმიტომ გვიმართლებს, რომ ანგელოზი თან გვახლავს, შეფობას გვიწევს და ეუხერხულება ჩვენი გაწირვა, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად მის მფარველობას არ ვიმსახურებთ.

18592. რაც ცხოვრებაში სასიამოვნო, სახალისოა არაკანონიერი და ამორალურია, მაგრამ არა – ღმერთის და ხელისუფლების რჩეულთათვის.

18593. ასაკს ყოველთვის უნდა აინტერესებდეს შინაგანად როდის არის მზად მამაზეციერთან შესახვედრად.

18594. საკმარისი არ არის დროულად იმქვეყნად წასვლა, მთავარია, ვალის მოხდით, ლამაზად და გულის დაწყვეტით.

18595. ბრმა რწმენისგან განსხვავებით, ღმერთი ჯენტელმენია – წინასწარ შეტყობინების გარეშე სხვის სულში არ დაისადგურებს.

18596. ადამიანის გამოძერწვა ჩვენს ხელშია და არა – ღმერთისა, რომელსაც გვინდა ყველაფერი ავკიდოთ.

18597. ლოცვა და სალოცავებში სიარული თავისებური ალიბია თავის წინაშე, რადგან ჩაფიქრებული თუ არ გამოგდის, თავის დასამშვიდებელიც გაქვს და წილში გასაყანი მამაზეციერიც, რომელმაც შენი თხოვნა-ვედრება არ შეისმინა.

18598. ჩვენი სულიერი მდგომარეობის და აზროვნების შესატყვისად, ნებაყოფლობით დავდივართ ექსტრასენსებთან, ხირომანტებთან, ფსიქოთერაპევტთან, რაც შეეხება ფსიქიატრს, მასთან შინაურებს მივყავართ.

18599. ყველა სარწმუნოებამ ამოწურა თავის მარგი ქმედების კოეფიციენტი, რადგან მათი განვითარება არ ხდება, ხოლო რაც არ ვითარდება, კვდება, ამიტომ დროა ახალი სარწმუნოება შეიქმნას არსებულ სარწმუნოებასთან ანალიზის ხარჯზე.

18600. რელიგიური სექტები იგივე „ტუსოვკაა", ოღონდ სხვადასხვა მიმდინარეობის დარეხვილებისთვის, რომლებიც ცხოვრების რეალობაში ვერ ერკვევიან, სული დამუნათებული აქვთ და თავი მაგიის ხახაში გაყვეს.

18601. ბუნების კანონი სასტიკია, გარდაუვალია, ხოლო საზოგადოების სამართლიანობასაა მიტმასნილი, სარგებლობის და შემოვლის გათვალისწინებით. მაგრამ ვინ იცის ადამიანის ყოფისთვის რომელი კანონის ამოქმედება ჯობს, მით უმეტეს, თუ განგების ნებას წინ ვერ აღუდგები.

18602. ღმერთს არ ევაჭრებიან, უბრალოდ, მასთან მოლაპარაკებას ცდილობენ თხოვნით, ლოცვით და სანთლების ანთებით.

18603. რწმენას თავისი ქრთამის გაღება უხდება: სულის უკვდავების, მონანიების უფლებით და სხვადასხვა გამონაკლისი შეღავათების დაწესებით, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის მრევლის გარეშე დარჩებოდა, რადგან ამ ქვეყნის გავლა სარწმუნოების დოგმებით და სიმართლისათვის ყოველთვის თვალის გასწორებით, ადამიანს არ შეუძლია.

18604. რწმენა უგნურების, გაუგებრობის, სახელის დაგდების თუ სიყვარულის შედეგია, დღემდე გაუგებარია.

18605. ამა სოფლის შვილთა აყვავება, ნაყოფად ქცევა, მიწაზე დავარდნა თესლის დამარხვით, განგების ნებაა და არა – ჩვენი სურვილი.

18606. ბიბლია, ყურანი, თორა, თალმუდი და რწმენის კოდექსების სხვა ამგვარი წიგნი, საზოგადოებრივი კანონებით არ არის რეგულირებული და დაკონკრეტებული, მაგრამ მას სარწმუნოების მსახურნი თავის ჭკუაზე მოთარგმნიან და თანამედროვეობას მიუსადაგებენ იმის მიხედვით, თუ ცხოვრების რა დონეზეა მათი ქვეყანა.

18607. თუ ღმერთის რჩეული ხარ, უბედობაც გაიტრუნება, შემთხვევაც წაგიმლიქვნელებს და ეშმაკი სპონსორად მოგევლინება.

18608. ყველანი ჩვენი სულის შესატყვის ღმერთს ვეთაყვანებით, ამიტომაც ამ ინტიმის შესანარჩუნებლად სახალხოდ გრძნობების ფრქვევას უნდა მოვერიდოთ და სულის მოფერება სასარგებლო საქმის კეთებით დავაგვირგვინოთ.

18609. ღმერთის კი არ უნდა გვეშინოდეს, რომელიც ყველაფერს შეგვინდობს, არამედ მისი გაჩენილი ადამიანის, რომელსაც არც არაფერი ავიწყდება და არც არაფერს გვპატიობს.

18610. პრეზერვატივის გამოყენება, სარწმუნოების დოგმების მიხედვით ცოდვაა, მაგრამ დღეს რომ ,,შიდსი'' ბობოქრობს და მისი აკიდება რომ უფრო მეტი ცოდვაა, სარწმუნოების ზოგიერთ წარმომადგენელს ამის გაგონებაც არ უნდა.

18611. სექტანტობა კოსმოსის მონად გახდომის მცდელობაა, რომელიც ემორჩილება საკუთარი წარმოდგენით დაჰიპნოზებულ სამყაროს.

18612. დროის მათრახს ყველა დონის ცივილიზაციის და სარწმუნოების მიმდევარი იმსახურებს.

18613. რწმენა და ცოდნა ერთმანეთს ვერ ეთვისება, მაგრამ ერთმანეთს პატივს სცემენ და თანამშრომლობენ.

18614. რელიგია ხშირად არის ცივილიზაციასთან კონფლიქტში, სამართლიანად თუ უსამართლოდ, რადგან მისი იდეალი რწმენის, ტრადიციების, მენტალიტეტის, კონსერვატიზმია.

18615. მასობრივად ხალხი არასოდეს დაძმობილდება, რადგან რწმენის და განგების საჭიროებამ ,,ჭირი მოგვჭამა''.

18616. თუ ღმერთი არ გწამს, მაშინ თავადვე უნდა გვაწამებინოს, რათა გაკადნიერებით ყოფის პოსტულატს არ ავცდეთ.

18617. ღმერთი სიყვარულია ზოგჯერ გადაცდენაში არეული, რადგან სხვანაირად ვერც განგების მადლს შევიცნობთ და ვერც ტრფობისას.

18618. ღმერთს სათნოება და სიყვარული გააჩნია, რაც შეეხება რელიგიას და მის მსახურს – მოხვეჭის და წარმოჩენის სურვილი.

18619. ღმერთისთვის ძნელია უმადური მთხოვნელისგან თავის დახსნა და ალიბის მოძიება.

18620. ადამიანის იმედი და მოთხოვნები განგების მიმართ უსასრულოა და დაუკმაყოფილებელი.

18621. ჯოჯოხეთში როგორ მოვხვდებით, ცნობილია, მაგრამ სამოთხეში მოხვედრის სახელმძღვანელო და ქადაგება საეჭვოა.

18622. გაჭირვების ჟამს ყველა ერი თავის უნიათობისგან, უსუსურობისგან თავის დაღწევას, დაცვას, სარწმუნოებას ავალდებულებს, თავად კი ხელის განძრევაც არ უნდა.

18623. მიქელ-გაბრიელი ადამიანს იმქვეყნად სიკვდილის ცელით ისტუმრებს, ადამიანი კი – ბუზს დაკეცილი გაზეთის დარტყმით და ამ სამართალის გაპროტესტების სურვილს არც ერთი არ იჩენს.

18624. ცივილიზაციის მიღწევებმა, განსაკუთრებით, ინტელექტუალურ საინფორმაციო სფეროში, ლამის დამარწმუნოს, რომ განგების მსგავსი რაღაც არსებობს და სული უკვდავია.

18625. სამოთხე ცოდვის ჩადენაში დაურწმუნებელი ანგელოზის გულია.

18626. შობა და ახალი წელი ღვიძლ მართლმადიდებლებთანაც მეგობრობს, ბიძაშვილ კათოლიკეებთანაც, დეიდაშვილ პროტესტანტებთანაც და მეზობელ გრიგორიანელებთან, რადგან ყველანი შინაგანად ქრისტიანები არიან.

18627. მიწისძვრა, ვულკანის ამოფრქვევა, ქარიშხალი, განგების რისხვაა და მას დასვენების დღე არ გააჩნია.

18628. ეს სამყარო, ეტყობა, ისეა მოწყობილი, რომ განგების გარეშე არც არაფრის გამოსწორება შეიძლება და არც რამის შეცვლა, მიუხედავად ჩვენი ხელების დაკაპიწებისა და მცდელობისა.

18629. ადრე თუ გვიან სამოთხეში ყველანი მოვხდებით, რადგან ადამიანმა სადღაც მოსვენებულად და უდარდელად ხომ უნდა იცხოვროს.

18630. არის ადგილები, სადაც ზედმეტად თავს არავინ გრძნობს. ეს სალოცავია, სადაც ყველა თავის საწესჩვეულებო რიტუალით არის დაკავებული.

18631. თუ ადამიანი აზროვნებს და მოურჩენელი დაავადების გარდა სხვა მძიმე ცოდვის ტვირთი არ აწევს, ის ეგოიზმს, ადამიანურ სისუსტეს, არ უნდა აჰყვეს და იმქვეყნად გადაბარგება საკუთარი ინიციატივით არ უნდა დააჩქაროს.

18632. გოლგოთა მუდმივი აქტია, მან არც შეღავათი იცის და არც დროის ცვალებადობას ემორჩილება.

18633. არის ღმერთის, არის კანონის, არის შემთხვევის, სამართალი და ვისი რა სამართლით დასჯას მოითხოვს განგება, არავინ უწყის.

18634. მიწა სხეულის სატუსაღოა, ხოლო ცა – სულის ,,კონცლაგერი''.

18635. დაბადებას, განათლებას, ფულის შოვნას, ოჯახის შექმნას, ნაშიერების ყოლას, სიკვდილს, ერთი ფასი აქვთ ცოდვის ჩადენის დროს.

18636. ,,თუ ერთ ლოყაში გაგარტყეს, მეორე უნდა შეუშვირო'' – ამის დარიგება არაა საჭირო, წაკითხვა საკმარისია შემწყარებლობის გამოსაჩენად.

18637. არის რაღაცა, რომელიც ცრემლის და ვალიდოლის გარეშე არ შეგვიძლია გავიხსენოთ, მოვისმინოთ, ვუყუროთ, რადგან განგებამ უაზრო, გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა.

18638. ღმერთის რწმენა ან ათეიზმი, ყველას ხვედრი არ არის, რადგან ზოგს გაუზვიადებელი ცხოვრება მოსწონს.

18639. მთავარია დედამიწა ჯოჯოხეთად არ ვაქციოთ, სამოთხედ ვაქცევთ თუ არა ეს მესამე-მეოთხე საკითხია.

18640. წამებულებს საყდარში ასაფლავებენ, მათ მწვალებლებს – საყდრის მახლობელ სასაფლაოზე.

18641. ზოგჯერ მუსიკის ძალა გვაიძულებს ღმერთი ვიწამოთ და მოფასი შევიფაროთ.

18642. რწმენა ვალდებულია ხმა სასიამოვნოდ შეფუთოს, რათა მორწმუნეთა სულებში სიმშვიდემ დაისადგუროს.

18643. სარწმუნოება წამებულებს წმინდანებად შერაცხავს, ხოლო მათი სამშობლოსადმი სიყვარულის რწმენას ამდიდრებს.

18644. ღმერთის ჩვენთან საუბარი ან შიზოფრენიაა ან შთაგონება.

18645. ღმერთს თავი არ უნდა მოაბეზრო, უბრალოდ, უნდა აიძულო, რომ შენზე იფიქროს.

18646. სხვის მაგივრად ლოცვაც მექრთამეობის ერთ-ერთი სახეა.

18647. ღმერთმა თუ ყველა ცოდვა შეგვინდო, მაშინ ის არც მასწავლებლად გამოდგება და არც ჩვენს სპონსორად.

18648. ლოცვის მიზანია ღმერთმა შეგვამჩნიოს, ხოლო რომ არ დაგვივიწყოს, სანთლის ანთებაა საჭირო.

18649. ყოფიერების ძეგლები მითოლოგიის ნახელავია.

18650. მითოლოგია რწმენის და ფოლკლორის ნაჯვარია, ოცნების და სურვილების ხარჯზე.

18651. მითოლოგია ყველა ხალხს საკუთარი აქვს და ჰგონიათ ეს საშუალებას აძლევთ სხვას ნიშნი მიუგოს.

18652. სამყარო ის ადგილია, სადაც განგებამ დედამიწა შექმნა და აითესა.

18653. მესაფლავე ჩვენი წინაპრების მეგობარია, აწმყოს უსამართლობის ამხანაგი და ჩვენი იმქვეყნიური მომავლის ნათელმხილველი.

18654. ისეთი სახელით და დიდებით უნდა მიიცვალო, რომ კრიტიკა კი, მაგრამ დაცინვა ვერავინ გაბედოს.

18655. წმინდანად ყოფნა თავისებური ჯვრისმტვირთველობაა, რომელიც სულს ამდიდრებს და ყოფას აღარიბებს.

18656. სიკვდილი არც მდიდარს ინდობს და არც – ღარიბს, მაგრამ ამ უკანასკნელს ქვეყნის უსუსურობის მყრალი სუნი ასდის.

18657. სირცხვილის გრძნობა შეიძლება გაგვაჩნდეს, მაგრამ განგების წინაშე თავი დამნაშავედ არ ვიგრძნოთ, რადგან ჩვენს გაჩენაში, აღზრდასა და გზაზე დაფენებაში შემოქმედის ხელიც ურევია.

18658. უბედურება ისაა, როდესაც ღმერთიც შენს გასაჭირს უთანაგრძნობს და გულმავიწყობისა რცხვენია.

18659. გვინდა თუ არ გვინდა, დასაკარგი მაინც გვაქვს, თუნდაც ის იღბალი, რომელიც განგებამ ჩვენთვის დროულად ვერ გაიმეტა.

18660. თუ ადამიანი არ დახარბდა, სხვისი არ შურს, არ ამპარტავნობს და სულის წრთობასაა გადაყოლილი, მაშინ ქვეყნის და ისტორიაში წარმოსაჩენი საქმე ვინ უნდა აკეთოს, ამას სარწმუნოება ქადაგებს, მაგრამ კამათში არ მონაწილეობს.

18661. თეორიულად ცოდვილნი მართალ გზაზე უნდა დავაყენოთ ჭეშმარიტების სიფაქიზით, მაგრამ პრაქტიკულად ეს იშვიათად გამოგვდის.

18662. ამქვეყნიური სიმდიდრისკენ ლტოლვა ბრმა წინამძღოლია, უგნური მრჩეველია, მაგრამ მის გარეშე იმქვეყნად სახელით გადასახლებისთვის ბევრს სხვა ღირსება არ გააჩნია.

18663. იმქვეყნად წასვლა გარანტირებულია, მაგრამ თავმობეზრებულნი წავალთ თუ თავმოუბეზრებლად, ესეც გამართლებაზეა დამოკიდებული.

18664. ეშმაკის ეშმაკი სატანაა, ხოლო პირიქით – სატანის სატანა.

18665. რკინიგზით მგზავრობა, თვითმფინავთან შედარებით, უსაფრთხო გვეჩვენება, მაგრამ ბედს და განგებას არაფერს ვეკითხებით?!

18666. განგების შენდამი კეთილგანწყობის სადღესასწაულოდ აღნიშვნა მისდამი შენი დამოკიდებულების ბოროტად გამოყენებაა.

18667. მიუხედავად იმის ცოდნისა, რომ ღმერთი ერთია, სარწმუნოებებს შორის იმდენად დიდი კონკურენციაა მრევლის მითვისებაზე, რომ მათი შერიგება, დამოყრება, შეუძლებელია თუ მატერიალიზმს არ დაიხმარენ.

18668. წმინდანები და მათთან შერკინება ყველაზე ნაკლებად ათეისტებს სჭირდებათ, რადგან თანამედროვე პირობებში ღმერთი ან სწამთ ან არ სწამთ და თუ სწამთ, ზრდილობის გულისთვის მოიხსენიებენ, ხოლო ურწმუნოებს ტყუილუბრალოდ გონების ჭყლეტა შერჩებათ.

18669. სიკვდილი ყველას დროულად ინელებს და აქ გარეშე ძალის, კანონის და ძალაუფლების ჩარევა დანაშაულია.

18670. ხშირად ბედნიერება იქ უნდა ეძიო, სადაც არ ელი და არავინ გელის, რადგან განგებას სურვილი აქვს გაგაკვირვოს და ჩვენი ბედის ვარსკვლავი ამ გზით გაგვინათოს.

18671. მონანიება ყველას ხვედრი არ არის, ამას გვაიძულებს ასაკი, ჯერ კიდევ გაურყნელი გენი და სარწმუნოებაზე ფიქრი.

18672. რწმენა სუროგატია, სულის გაფლეფაა, თრიაქია, მაგრამ არის შებრალებაც, იმედიც, რომლის გარეშე ადამიანს ცხოვრება ვერ წარმოუდგენია.

18673. ხალხს სარწმუნოება კი არ თოკავს, არამედ ყოფა და მისი ეკონომიკა.

18674. სარწმუნოება მოწოდებულია გვასწავლოს მორჩილება და არა განსჯა, რადგან ეს უკანასკნელი პრობლემებს ქმნის.

18675. რწმენა, სამყარო, ღმერთი ერთია, ხოლო სარწმუნოებაა აზროვნებისთვის აბურდულ-დაბურდული და გაუმართლებლად მრავალი.

18676. ყველა სარწმუნოებას თავისი ფერ-უმარილი, სანელებლები, დაყოვნებული ფანტაზია და მრავლის მოსაზიდი საძრომიალო აქვს.

18677. ყველა წმინდანს მისაბაძი წარსული აქვს, ყველა ცოდვილს – პერსპექტივაში მისაღები მომავალი.

18678. სახელმწიფოში არის წმინდანებიც და ცოდვილნიც, პირველს მფარველობს ღმერთი, მეორეს – მთავრობა, ხოლო ვინ როგორ ცხოვრობს, სხვა საქმეა.

18679. წმინდანების ადგილი ზეცაშია, მეცნიერთა მიწაზე, რათა ქვეყნისთვის წმინდანებად აქვე იქცნენ.

18680. სარწმუნოება საზოგადოებას ჰყოფს წმინდანებად და ცოდვილებად, ხოლო ჩვეულებრივ მოკვდავთ რჩევა-დარიგებას არ აკლებს.

18681. ჩუმად ყველანი ვეტრფით, იმედს ვამყარებთ ცრუ რწმენაზე, რიტუალის შესრულებაზე, მიუხედავად იმისა, რეალურად შედეგი გვაქვს თუ არა.

18682. სოლიდურ ასაკთან ერთად, სიბერის ნაღველი თანდათან ქრება და განგებას ყოველი დამატებითი დღისთვის მადლობას ვწირავთ.

18683. მიცვალებული ყოველთვის გზას უჩვენებს ცოცხლებს, თუ დაუჯერეს და ტვინის განძრევა არ დაიზარეს.

18684. სამწუხაროდ, უნიკალური დაწესებულებებია, სამოთხე და ჯოჯოხეთი, სადაც შტატების ზრდა განუსაზღვრელი რაოდენობით მიმდინარეობს.

18685. ფანატიზმი და რწმენა სინონიმებია, რადგან ორთავე თავს ღმერთს უტოლებს.

18686. ღმერთი ჩვენი სულის მეგობარია, მპყრობელია და არა – სხეულისა, რომლის გალაღებაზე თავადვე უნდა ვიზრუნოთ.

18687. რწმენა თავის დაზღვევის სერთიფიკატია, მაგრამ გამოდგება იმქვეყნად თუ არა, არავინ უწყის.

18688. ზოგი მორწმუნესთვის სულერთია კისერზე ნახევარმთვარეს ჩამოიკიდებს, ჯვარს, თუ ვარსკვლავს. მთავარია, ოქროს და ბრილიანტის თვლებით იყოს მოჭედილი.

18689. ძირითადია ექვსი რელიგია, მეშვიდე – გართობა და დროის ტარებაა, რომელზეც, მეტ-ნაკლებად, არც ერთი რელიგია უარს არ ამბობს, რათა მრევლი მიიზიდოს.

18690. სარწმუნოება საინტერესო ზღაპრებისაგან შემდგარი ენციკ-ლოპედიაა, რომელიც ავტორებმა საკუთარი ფანტაზიის გადასახედიდან მონათლეს.

18691. რწმენის სურვილია სასწაული და არა პირიქით.

18692. განვითარებულ საზოგადოებაშიც კი ამინდის ჭირვეულობის გამო სალოცავში ხალხი კლებულობს, ხოლო საეკლესიო დღეები კან-ტი-კუნტად ახსოვთ თუ წინასწარ რეკლამირებულ სასწაულის მოხდე-ნას არ პირდებიან.

18693. გაურკვეველ სიტუაციაში ცდის, ლოდინის გადატანა ყველას გვაწყობს, მაგრამ ბევრი რამ განგების ნებაზე დასაკითხია.

18694. განგება ყველას თავის ადგილს უჩენს: ზოგს ნიჭით აჯილდო-ვებს, ზოგსაც ყოფნის უნარით.

18695. ზოგმა ღმერთისთვის თხოვნა და მოტევება პროფესიად გაიხადა.

18696. ვინც ცრურწმენისგან თავისუფალია, მას ცხოვრება უჭირს, რადგან სულის კუნჭულში დასაყრდენი გამოცლილი აქვს.

18697. ქრისტეს წელთაღრიცხვიდან მოკიდებული, ყველა ჩვენი წი-ნაპარი მკვდრეთით რომ აღმდგარიყო, უამრავ უხერხულობას შეუქმნი-და დღევანდელობას, ამიტომაა, რომ ისინი ოცნებებში, სიზმრებში, გველანდებიან და რეალობაში თავს არ გვაბეზრებენ.

18698. რელიგია ყველა დროის ცივილიზაციას უკან მისდევს, ოღონდ ერთი ნაბიჯის დაგვიანებით და გაშლილ კარტებში თამაშით.

18699. საღვთო წიგნები რომ ყველა თაობისათვის მისაღები და გამოსაყენებელი იყოს, ყველამ აწმყოს გადასახედიდან უნდა წაიკითხოს.

18700. რწმენა ცხოვრების სტილი და მძიმე შრომაა, რომლის გარეშე სხვა ყველაფერი მისთვის ფასს კარგავს.

18701. რწმენაც მატერიალურია, ხალხი იმ სარწმუნოებას ეყრდნო-ბა, რომელიც ტრადიციულია, მოსწონს და მისგან რაღაცას მოელის.

18702. სიკვდილი სიცოცხლის მათხოვარია, რადგან იგი ამქვეყნად კვალის დატოვებას ამაოდ ცდილობს, თორემ მიცვალებულისთვის სუ-ლერთია სად დაასაფლავებენ, თუ მახლობლების სურვილს და თავგა-მოდებას ანგარიშს არ გაუწევთ.

18703. ადამიანის სხეულს დედამიწა მიიღებს, სულს ცაში – მაღალი ღმერთი და მისი იმედიანად გაქრობის კოორდინატები ამ სახით გვევ-ლინება.

18704. ღმერთი მომპოვებელთ ეხმარება და არა – რომანტიკოსებს, რომლებსაც სიკეთის კეთება გულით უნდათ, ოღონდ ხელ-ფეხის გაუნ-ძრევლად.

18705. მომხიბვლელ ქალს, თვით პეტრე მოციქულიც განგებისეულ დასახარისხებელ პუნქტში ცოდვილს თავის საწოლ-სახლის გასაღებს აძლევს და სამოთხეში უშვებს.

18706. განგებამ გამოძერწა ადამიანის სხეული, ჩაუმონტაჟა გონება, აუწყო გული, ფეხები გადაადგილების საშუალებებით აღჭურვა, მაგრამ მთავარი, რომელსაც ბედი ჰქვია, მართვის პულტით თავადვე დაიტოვა.

18707. მხოლოდ ღმერთის აღიარება შეიძლება უკომპრომისოდ, რადგან სხვა შემთხვევაში გონებას კითხვები უჩნდება.

18708. გონიერება, მოთმინება, შემართება, თანდაყოლილი ნიჭია და განგებისაგან დამოძღვრას მოითხოვს.

18709. სამყარო იმდენად უნაკლოდაა შექმნილი, რომ გონებას საბაბი არ რჩება, მასში ეჭვი შეეპაროს, ამიტომაც უსუსურობის დასაფარავად ადამიანმა გამოიგონა ღმერთი, სარწმუნოება, ყველა მისთვის შეუცნობელი საკითხის ახსნა მათ დაავალა და თავიც დაისაქმა.

18710. ყველა სარწმუნოება, რწმენა, გარკვეული თავშეკავების შემდგომ, მრევლის, თანამოაზრეთა ხარჯზე, საკუთარი ჯიბის გასასქელებლად ყველაფერზე თანახმაა.

18711. ფუნდამენტალიზმის ძირითადი უბედურება მოუთმენლობაში და ევოლუციის პროცესების უპატივცემულობაშია.

18712. სარწმუნოებასა და რწმენას შორის დიდი სხვაობაა, რადგან ეს უკანასკნელი თანამედროვე ცივილიზაციის მონაპოვარს ყურად იღებს.

18713. საეკლესიო ზარი ის მოლაპარაკე ხატია, რომელიც სამრეკლოდან გვეხმაურება და თავისებურ პატივს მიაგებს როგორც მორწმუნეს, ასევე – ათეისტსაც.

18714. დამარცხებული ბოროტების და სამართლიანობის ტრიუმფი სტანდარტული ვითარება ჩვენი ცნობიერების, მაგრამ ყოველთვის ასე არ სწირავს ღმერთი, რათა ამქვეყნად მოსვლა არ გაუფასურდეს.

18715. რწმენა გარდაუვალი სიკვდილის შიშის და სულის უკვდავების იმედის შედეგია.

18716. ღმერთი ხშირად არ არის სამართლიანი, მაგრამ ზოგჯერ მის მიერ დაშვებული შეცდომების გამოსწორებას მაინც თავის ჭკუაზე ფიქრობს.

18717. რადგან საბოლოოდ ჩვენი სული და მისი დივიდენდები მამაზეციერის ხელშია, ყველაფერი სიამით და თავისთვის უნდა ვაკეთოთ, რადგან იმქვეყნად ჩვენს განსჯას და გასამართლებას არ დაიწყებს. ამისთვის მას არც დრო ექნება და არც სურვილი – ყოველ შემთხვევაში, მე ასე მჯერა.

18718. მთავარია ღმერთის ამბორით იყო დამოძღვრილი, ხოლო რაც შეეხება წარმატებას, რასაც ხელი არ უნდა მოჰკიდო, გარანტირებულია.

18719. სარწმუნოება, რწმენა, მაშინ არის სასარგებლო და მისაღები, თუ ის სამყაროს ინტერესებს მასში მცხოვრებთა კეთილდღეობას უთანხმოებს, აწონასწორებს, კვლავწარმოების უნარს ემსახურება და არა რომელიმე ხელისუფალის გაბღენძილ, წარმავალ ამბიციებს.

18720. რადგან სულის შეთბობასაც ენერგიის ხარჯვა სჭირდება, რწმენაც მატერიალურია, რადგან დაფინანსების გარეშე ვერ იარსებებს.

18721. სხეულს – სულის სიმშვიდე ალამაზებს, გონიერებას – მოყვასი ხასიათი. რომელია ყოფიერების რაობის წარმოსაჩენად უპირველესი, სულის სიწმინდე თუ გულის სიკეთე, ეს ადამიანის ასარჩევი არ არის, აქ განგების ხელი უნდა ჩაერიოს.

18722. მაინც ამაყად და შეჭირვებით ცხოვრება სჯობს, ვიდრე პირიქით, რადგან ღმერთსაც თამამი ხალხი უყვარს და ხანდახან რომ არ გაიხსენოს და ხელი არ „წამოარტყას", შეუძლებელია.

18723. ყველაზე აუცილებელი და სამართლიან სიკვდილში რიგის დაცვაა, მაგრამ განგებას თავის კორექტივები შეაქვს და მიქელგაბრიელი სიცოცხლეს ისე თიბავს როგორც მოეპრიანება.

18724. რწმენაც და სარწმუნოებაც ადამიანისათვის კომფორტული უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის სამართლიანობის ძებნას და საზოგადოების ყოფის განსჯას დაიწყებს.

18725. ადამიანის სამოთხეში მოხვედრა ზედმეტია ჩვეულებრივი მოკვდავისათვის, რადგან ამქვეყნიური სიცოცხლის პეწის და მადლის შეცნობაზე ხელი უნდა აიღოს.

18726. იმქვეყნად გადაბარგებასაც თავისი განზომილება აქვს: ახლადშობილი – მოგვიკვდა, მოზრდილი – დაგვეღუპა, შუა ასაკში ოჯახი დაგვექცა, დაისის დასაწყისში – გარდაიცვალა, ასაკოვანმა დაისვენა და ეს უკანასკნელი ყველაზე მისაღებია, როდესაც შენს ქვეყნად გადაბარგების ასაკს შურით შენატრიან.

18727. იმქვეყნად გადაბარგებასაც ბედი და ოპტიმალური გარემო სჭირდება, რათა შენმა ყველა ჭირისუფალმა მაღალი თანრიგით გაგაცილოს დაუყვედრებლად.

18728. რადგან ბედნიერების გარანტი მამაზეციერია, პასუხისმგებლობაც მას უნდა ავკიდოთ, რათა ჩვენი უნიათობა მას გადავაბრალოთ და უუნარობის ალიბი ხელთ ვიპყროთ.

18729. ადამიანმა სიყვარული – აგაპო მოყვასის უნდა ისწავლოს, შემდგომ მისი ცოდვების შეწყარება და მონანიებაც შეიძლება.

18730. სიკვდილის მაშინ აქვს პეწი და არ გეშინია, როდესაც შენთვის განკუთვნილი ყელა ვარსკლავი მოწყეტილი გაქვს და ყელა სხვა დიდების კომეტის გადაადგილება ფეხებზე გკიდია.

18731. ღირსების დაკარგვა და ხალხის გულგრილობა ქვეყანაში არეულობის ბრალია და მის გამოსწორებას დრო და განგების ნება სჭირდება.

18732. ალაჰი თავის მლოცველებს ხაჯის დროს რატომ უწყობს კატასტროფებს, გაუგებარია. რელიგიური ვერსია ასეთია „ვინც ხარჯის დროს გარდაიცვლება, ყოველგვარი ვიზის გარეშე მამაზეციერთან მიდის“ და წმინდანი ხდება. სარწმუნოების ცინიზმს ზოგჯერ ზღვარი არ აქვს.

18733. დღევანდელი მართლმადიდებელი ეკლესია მეცნიერების მიერ გამოთვლილ დედამიწის ბრუნვის ცდომილებას არაფრად აგდებს და საეკლესიო დღესასწაულებს ისევ ძველი სტილით აღნიშნავს, მაგრამ მეცნიერების და ცივილიზაციის მიღწევებს სიამოვნებით იყენებს. ჩემთვის გაუგებარია, ეს გამიზნული სიჯიუტეა თუ დოგმის დიქტატი, რადგან ამ ქმედებას რწმენასთან არავითარი კავშირი არ აქვს.

18734. სახის ქირურგია არა მარტო ადამიანის ცნობიერებას აცდუნებს, არამედ ადამიანის ბედსაც ცვლის, რადგან მისი ნეგატივი განგებას არ მოეპოვება და არის ასე უპატრონოდ თავის ჭკუაზე მიშვებული.

18735. ცოდვის, სიავის, ჩადენა მაშინ შეიძლება, თუ ის ასჯერ მეტ ცოდვას აგვაცილებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სინდისის ქენჯნა და გარეშეთა რისხვა გარანტირებულია.

18736. თვითმკვლელობას სჩადიან წყალწაღებული ეგოისტები, ნებისყოფიანი ალტრუისტები, ანიმისტური ზიზღით შეპყრობილნი და თავზე ზედმეტად შეყვარებული ესთეტები, რომელთათვის უმთავრესია მიცვალებული როგორ გამოიყურება, რა ხარისხის კუბოში წევს, სად და როგორ დაასაფლავებენ, მასზე რას იტყვიან და ყოველივე ამით წინასწარ კაიფობს.

18737. მუსულმანმა ქრისტიანი იმიტომ აწამა და თავი მოჰკვეთა, რომ მან თავის ნებით ჯვარი არ შეიხსნა და ჩემთვის ეს გაუგებარი სიბრიყვე ხალხმა მას გმირობად ჩაუთვალა, ასე რომ მოქცეულიყო ყელა ჩვენი წინაპარი დღეს საქართველოს ხსენებაც არ იქნებოდა, რადგან გმირობა ჩემთვის დროსთან მისადაგება და არა – უაზროდ თავის გაწირვა.

18738. რწმენას მაშინ აქვს ფასი, როცა შენს შესაძლებლობებს ეხმაურება.

18739. ხშირად ჭორზე, სურვილზე, მცდელობაზე, ჩვენთვის სასურ-ველი თესლი აღმოცენდება, აყვავდება, ნაყოფს გამოიღებს და ესეც განგების ნებაა.

18740. შენდობის უნარი, ცოდნა, ბნელისგან ნათელის, თალხიდან ღია ფერის, ავიდან კარგის გამორჩევის ნიჭია და ესეც განგების ნებაა.

18741. ოპტიმისტია ის, ვინც სასაფლაოზე ჯვრების მაგივრად პლი-უსს ხედავს და სიცოცხლის მარადისობაში ეჭვიც კი არ ეპარება.

18742. ღმერთის წინაშეც ქულებია დასაგროვებელი, რომ არ შე-ეშალოს და თავი ჯოჯოხეთში არ ამოგაყოფინოს.

18743. სიკვდილისთვის ადამიანი უნდა მომწიფდეს და არ გადამ-წიფდეს, რათა ამქვეყნად დარჩენილებს და იმქვეყნად მის მიმღებებს პრობლემები არ გაუჩინოს.

18744. სამყაროს შეცნობის ცდისას არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ პასუხისმგებლები ვართ მისი საოცრების და განგების ნების წინაშე.

18745. წმინდანი შეიძლება ცოდვილიც იყოს და ანგელოზიც, გააჩ-ნია, რომელი მხრიდან და ვისი ინტერესებიდან შევხედავთ.

18746. რელიგია ხელს უნდა უწყობდეს წესრიგს, ერთიანობას, სიქველეს, განვითარებას, სირცხვილ-ნამუსის აღძვრას, მხოლოდ ამის შემდგომ მოდის სულიერება, ბიბლია, ღვთის მორჩილება და რწმენით დამუნათება

18747. სარწმუნოება ხშირად იყენებს აკრძალულ ილეთებს: აღსას-რულის მოახლოებას, მეორედ მოსვლას მორწმუნეთა სულის აღსაზე-ვებლად, გულის მოსაგებად და გონების დასამუნათებლად.

18748. ლოცვას სიმდიდრე, საკმარისი დრო და სიმშვიდე უხდება, რათა განგებას თხოვნით თავს არ მოაბეზრო მის მსახურთა შესანახ თანხებიც გაიღო, ნერვები დაიწყნარო და გარჯის უნარი შეინარჩუნო.

18749. განგება უმსგავსობას არ სპობს და ყოველივეს თავიდან არ იწყებს, რადგან იცის, რომ შედეგი იგივე იქნება.

18750. სიცოცხლე მორწმუნესთვის ღმერთის ზურგზე სიარულის მცდელობა, რომელიც თავისებურად თავის წარმოჩენის სურვილიცაა.

18751. რელიგია თავისებური აკვიატებული ნევროზია და მორწმუ-ნენი რატომ იავადებენ თავს ამ სინდრომით, თავადაც ვერ გარკვეუ-ლან.

18752. ზოგი ყასიდად, სხვის გასაგონად, უფალს საყვედურობს, რომ სიკვდილს გადაარჩინა და დღეს ცოცხალია.

18753. რელიგია ცივილიზაციას მეტ-ნაკლებად თუ არ მოერგო, ის სექტებს შორის რეგვენთ ომის საწინდარია.

18754. ბევრი მოძღვარი ფლიდია, ამის შესახებ მრევლმაც იცის და ღმერთმაც, მაგრამ რადგან ოჯახს და ეკლესიას შენახვა სჭირდება, სულს შეღავათები, ყველა გატრუნულია.

18755. სარწმუნოება, კერპთაყვანისმცემლობის და ძეგლთაყვანისმცემლობის გარეშე, ვერ იარსებებს, ღვთის სახლმა რა სახით შეფუთული უნდა შემოგთავაზოს.

18756. ავკაცობაზე, შურზე, მამაძაღლობაზე დროებით უარის თქმა, ეს გამოსწორების გზაზე დადგომის საწინდარია. ასეთსავე როლს თამაშობს დროებითი მარხვის დაცვა მორწმუნეებზე.

18757. ათეისტებს არ სჯერათ იმ მარადიულობის, რაც მორწმუნეთათვის აქსიომაა, რადგან ეს უკანასკნელნი განსჯისთვის თავს არ იწუხებენ.

18758. ათი მცნებიდან, ხუთის თუ მაინც ასრულებ თავისუფლად შეიძლება თავი მორწმუნეთ ჩათვალოთ.

18759. ზოგი მოძღვარი ისეა გართული სხვათა ცოდვების მონანიებით, რომ თავისი დავიწყებული აქვს და თავი უცოდველი ჰგონია.

18760. მადლს მირონი ყოველთვის სცხია, მაგრამ არის გამონაკლისი: მირონი იბნევა და უმადურზე შეფობას იღებს.

18761. სქესების აღრევა განგების უყურადღებობაა, რომლის გამოსწორება საზოგადოებას უჭირს.

18762. სიკვდილს სულთამხუთავი კი არა სულთმფუთავი უნდა ერქვას, თუ იმ ქვეყანას რაიმე არსებობს.

18763. ვისთვის ღმერთის რისხვა წყალობაა და ვისთვის წყალობის გაღება დანაშაული.

18764. მზეზე დიდი ამაგდარი დედამიწას არ ჰყავს, თუ მამაღმერთის წყალობას არ ჩავთვლით.

18765. სასწაულს სატანაც გვთავაზობს და ქრისტე ღმერთიც, მაგრამ ერთი ეშმაკისეულია, მეორე – განგებისეული, ხოლო არჩევანი ჩვენს გუნებაზე, ბუნებაზე და დროზეა დამოკიდებული.

18766. მოძღვარი იმას გსაყვედურობს, რისკენაც ყველანი მივილტვით, ეს სულიერი იქნება თუ მატერიალური, რადგან ორივეს სიმდიდრე ჰქვია.

18767. ყველა სარწმუნოება თავისი იდეალების კანტანტას გვთავაზობს მოსასმენად და ჩვენ ვალდებულნი ვართ მათში გავერკვეთ.

18768. განგება ყველას სიყვარულს უნერგავს, მაგრამ ზოგჯერ მრევლის მოძღვარი გაეპარება უსულო, უგულო, უსიყვარულო.

18769. ქრისტეს პირველი აღდგომა ბლეფი იყო, ხოლო მეორემდე არაფერი გვეტკინოს.

18770. მადლიერებას თვით ქრისტე ღმერთიც მოითხოვს და ამ ცდუნებას ადამიანმა რომ ვერ გაუძლოს, განა ეს გასაკვირია.

18771. ყოველი შემთხვევისთვის ვეცადოთ მოძღვართან ურთიერ-თობა არ გავიფუჭოთ, ვინც იცის, მის სარეკომენდაციო წესის აგება იმქვეყნად როგორ გამოგვადგება.

18772. განგება ხშირად უსამართლოა, მაგრამ დროებით, რადგან როდესაც დროს გამონახავს, იმათთვისაც იცლის, რომელთათვისაც უბრალოდ, სიხარულის გაცემა დააავიწყდა.

18773. ცოდვა ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებათა გამოყენება კი არ არის, არამედ აბორტი. ეს პასტულატი ყველა სარწმუნოებამ უნდა გაითავისოს, რადგან დემოგრაფიული აფეთქება და სხვის ხარჯზე ცხოვ-რება არავის ეპატიება.

18774. ღმერთთან საქმით მაიხლოებაა მთავარი და არა – სიტყვე-ბის ქაცა-ქუცით ლტოლვა.

18775. რწმენა და სარწმუნოება ხალხმა ასე თუ ისე გაყო, მაგრამ განგების გაყოფა არ ხერხდება, რადგან ღმერთი ერთია.

18776. რელიგია და ღმერთი ზოგჯერ ადამიანის უვიცობის, უსუსუ-რობის, ხელმოსაკიდი ალიბია.

18777. ამქვეყნად უვიცობის, უსაქმურობის, უგვანობის ლიმიტის დაშვება განგების ნაჩალიჩარია და ამიტომაცაა, რომ ლიმიტი არ იწურება.

18778. ღმერთს რეალურად რა სურს ყველა ჩვენგანისგან ძალზე ბუნდოვანია და ხშირად გაუგებარიც, მიუხედავად ადამიანის მცდელო-ბისა.

18779. ხორციელისკენ, სიამოვნებისკენ ლტოლვა, სარწმუნოების აზრით, ხორცსაც დაღუპავს და სულსაც, თუმცა ამ აქსიომის გადამოწ-მება დღემდე არ ხერხდება.

18780. უვიცობას, უმწეობას, გაჭირვებას, წარმომავლობას, მოდას და ამაოების შეცნობას და იმის შეგრძნებას, რომ ჩვენ უვიცები ვართ მივყავართ ღმერთთან.

18781. იძულებულნი ვართ სარწმუნოებაზე, განგებაზე, ამაოებაზე ამდენი ვწეროთ და მოვიშველიოთ ჩვენი უმეცრების დასაფარავად, რადგან ამდენი მლიქვნელური ფანატიზმია ჩვენს ირგვლივ.

18782. ჩვენ განგებას ხომ არ ვთხოვთ, რომ მის მიერ დამოძღვრი-ლი ადამიანებიდან ყველა უცოდველი და წესიერი იყოს, მაგრამ მრევ-ლის მსახური ყველა მოძღვარი პატიოსანი რომ უნდა იყოს, საკამათო არ არის.

18783. უკვდავების სახელით ყველა იმქვეყნად ვერ გადაბარგდება, მათ შორის, ბევრი ჩვენთვის საყვარელი ადამიანი, რომელთა სახელი

თანდათან გაქრება, გადაშენდება, რაც ამქვეყნიური ამაოების უდიდესი უსამართლობაა.

18784. მარხვის დაცვა მახსოვრობის თავისებური ვარჯიში და საკუთარი თავისადმი გაკვეთილის ჩატარებაა.

18785. ადამიანთა უმრავლესობა თავისი ბუნებით ყბედია და ვითომც საქმიანი, ამიტომაა, რომ რელიგიას ეტანება, რათა თანამორწმუნეებთან სავიშვიშო და რჩევა-დარიგებების მიღება-გაცემის საშუალება ჰქონდეს.

18786. ბაზისი, საწყისი, სარწმუნოების ფელა მიმდინარეობას ერთი აქვს, მაგრამ დასკვნითი ნაწილი აქვთ სხვადასხვა და შეცდომებით, რადგან ჭეშმარიტების მარცვლის მოპოვება მხოლოდ სარწმუნოებათა გაერთიანების შემდგომ არის შესაძლებელი.

18787. რელიგიაზე, რწმენაზე, კამათი სიბრიყვეა, რადგან ფელას თავისი „უტყუარი" ალიბი აქვს.

18788. ათეიზმს ფელაზე მეტად ადამიანის უგნურება აწუხებს, რომელიც მოხერხებული წინაპრების მიერ შექმნილი ღმერთის რწმენას, სასწაულმოქმედების აფიორას, ებღაუჭება.

18789. ზოგს მცირე ცოდნითაც შეუძლია თავის გამოჩენა, რაც აგრეთვე ღვთის ნებაა, ნიჭია.

18790. განგების ნების ქარიშხალს, მიწისძვრას, ვულკანის ამოფრქვევას, არავინ უჩივის, ხოლო ლოთებს, ნარკომანებს, უგნურთ, ფელა საფედურობს, რადგან ეს დანაშაული მათივე ხელისშეწყობითაა ჩადენილი და სტიქიურ უბედურებებზე გაცილებით მეტ ხალხს იწირავს და გვაზარალებს.

18791. ჩვენი ცხოვრება ერთი მშვენიერი ტრაგედიაა, რომელიც ბოლო თაიგულის მორთმევით მთავრდება.

18792. განგებას არ ჰყავს მეორეხარისხოვანი ადამიანები, უბრალოდ მათ გაპირველხარისხოვნებაზე ნაკლებად ზრუნავს.

18793. ღმერთი ხშირად იმ ეშმაკით გვაშინებს, რომელიც თავად გაამრავლა.

18794. სამოთხესაც შემჩნევა და შერჩევა უნდა, ის სამყაროს სხვადასხვა კუთხეშია მიმოფანტული.

18795. შემთხვევა განგების ფსევდონიმია, ბედი ფაქსიმილეა და საჭიროების ჟამს განგება ამით სარგებლობს.

18796. ღმერთს არავის ალიბი არ სჭირდება, რადგან თუ საჭიროა თავადვე დაარიგებს.

18797. შენდაუკითხავად სამოთხეში გასახლებაც ძალადობაა.

18798. სამყაროა პირველი და არა – ღმერთი, რადგან ამ უკანასკნელის გამოგონება–მოვლენა სამყაროს ცნობიერებას ბრალდება.

18799. იყო ბრძენი და გიჟარდეს სიბრძნე სხვადასხვა რამაა, რადგან პირველი განგებასთან სასაუბროდაა განწყობილი, ხოლო მეორე – ფილოსოფოსთან.

18800. ზოგიერთი ფილოსოფოსი ღმერთს ექილიკება, ეღადავება, აკრიტიკებს, რადგან სხვა უკეთესი ობიექტი თავის აზრებს შესაჯერებლად ვერ მოიძია.

18801. განგება ყველა ერს, გონიერი ხალხის ლიმიტს უწესებს ყველა საუკუნეში, ხოლო ამას როგორ გამოიყენებენ, თავად მათზე და სახელმწიფოებრიობის შენებაზეა დამოკიდებული.

18802. წმინდანი რწმენის გარეშეც შეიძლება იყო

18803. ეშმაკი და ალქაჯი განგების უნებლიე წუნია.

18804. ღმერთთან მისასვლელ გზასაც მოკირწყლა სჭირდება, ხოლო თხოვნას ცოდვების მონანიება.

18805. ღმერთის და გარემოს აღქმა–გაცნობიერება უფრო მეტად გვაფრთხილებს, ვიდრე გვაშინებს.

18806. არც ერთი ჩვენგანი განგების წყალობას და შეცნობას არ იმსახურებს, მაგრამ საბედნიეროდ, ამის შესახებ, ეტყობა, მანაც არ იცის.

18807. მოგებიდან, წარმატებიდან, ღვთის ნებით, ყველამ ხეირი უნდა ნახოს, ხოლო წაგების შემთხვევაში მისი შედეგების გადანაწილებაზე წინასწარმეტყველი არაფერს ამბობს.

18808. ბუნებრივ ძალების არსებობაზე, ღმერთის არსებობისაგან განსხვავებით, უარი არავის უკადრებია, ეჭვი არავის შეპარვია.

18809. ღმერთი იმათ სწამთ, ვისაც ტექნიკური პროგრესის დღევანდელი სასწაული არც აკვირვებთ და არც აინტერესებთ, ხოლო სამყაროს საოცრებაა – ვინც სიახლის ალგორითმში ერკვევა, თავს უვიცად თვლის და გაკვირვებულია.

18810. შიში და გაუცნობიერებლობა ის ბაზისია, რომლის გარეშე ვერც ერთი სარწმუნოება ვერ იბარტყებდა და ვერც ფეხს გაიდგამდა.

18811. ყველა იდეოლოგია, სარწმუნოება, ღმერთი, კარგია რომელიც ადამიანის უგნურებას მოთოკავს, სახელმწიფოებრიობას გააძლიერებს და ხვავის და ბარაქის დაგროვებას მოემსახურება ფუფუნების გარეშე.

18812. ღმერთისადმი რწმენა შიშია სიცოცხლის წინაშე, საკუთარი უსუსურობის შეცნობაა, მცდელობაა, არ დაიჯერო ამ ქვეყნიდან სამუდამოდ გადაბარგება და ჩაებღაუჭო სულის შეუმოწმებელ უკვდავებას.

18813. რწმენამ გონების ყოფითი ჭუჭყი შეიძლება სისუფთავის, სიმდიდრის და გონიერების ეტალონად აღიქვას და აქციოს.

18814. რწმენა უნდა გვაფრთხილებდეს, აღზრდას უნდა ცდილობ-დეს და არ უნდა განგვიკითხოს.

18815. განგებას იმიტომაც უყვარს სულელები, რომ მის გარდა მათ მშველელი და დამცველი არავინ ჰყავს. თანაც ისინი არც გამოცდილე-ბას სცნობენ და არც ყოფის მიღებულ კანონებს ემორჩილებიან.

18816. ჭკუა ღმერთის ნაჩუქარია, სიბრძნე შეძენილია, ხოლო მათი ხარჯვის ოდენობა შემთხვევაზე, დროზეა, დამოკიდებული.

18817. ღმერთი ზედმეტად არ ცდის ადამიანებს, თუ რაღაც არ აერია.

18818. სანამ ჭეშმარიტებას ვეზიარებით, შინაგანად წინასწარ ღმერთს უნდა გავესაუბროთ და რაღაც უნდა ვიწამოთ.

18819. ყველა მოძრაობა, რომელიც გვაახლოებს ჭეშმარიტებასთან, წმინდანად ყოფნის ცდა და სამართლიანობისაკენ ლტოლვაა.

18820. მორწმუნემ ღმერთის ქმედება არ უნდა განსაჯოს, ის უბრა-ლოდ უნდა სწამდეს, მაგრამ ღმერთის სტატუსის დაუდგენლობა და სარწმუნოებათა სიმრავლე გონიერებას ამის საშუალებას უსპობს.

18821. ცივილიზაცია ორთოდოქსულ ქვეყნებშიც კი, პატარა ღმერ-თის ფულის დახმარებით, თანდათან გზას იკვლევს და ბევრ დოგმაზე წაყრუებით და ალიბის გამოთხრით არ რეაგირებს.

18822. რაღაცის რწმენისაკენ გამოუსწორებელი ლტოლვა ადამია-ნის გაცუცურაკების და ფულის კეთების კარგ შესაძლებლობას იძლევა.

18823. ღმერთმა ნუ ქნას, რომ ,,დონ-ჟუანმა", ხვადისგან განსხვავე-ბით, ვინმე შეიყვაროს, რადგან პირველი თავის დანიშნულებას კარგავს, მეორეს ყავლი არ გასდის და ბევრი კვლავ იმედის თვალით უყურებს.

18824. ღმერთის შეცვლას მეცნიერება ცდილობს, ეშმაკისას – ადა-მიანი და ამ მცდელობიდან სახეირო რა გამოვა, არავინ უწყის.

18825. სატანის და ეშმაკის შეცდენა ცოდვაა, რადგან მათი პროფე-სიონალიზმი ეჭვის ქვეშ დგება, მაგრამ ძალზე საინტერესოა.

18826. აღსარება, რომელიც მოძღვარის მხრიდან ,,შურს" იმსახუ-რებს, ცოდვად არ ჩაითვლება.

18827. ჩვენს ,,უკვდავ აზრებში" განგების ხელი ურევია – ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ასე გვწამს.

18828. რწმენაც შეღავათებს ითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას ცოტა მორწმუნე ეყოლება.

18829. დღეს რწმენასაც, ღმერთსაც, ადამიანსაც, თავიდან მოძიება სჭირდება, ცივილიზაციამ იმდენად აგვირია ჭკუა-გონება.

18830. ღმერთს ალიბი თავისი ქმედებისთვის არ სჭირდება, რადგან ჩვენ მისი ქვეშევრდომები ვართ და რასაც მოისურვებს, დაუსჯელად დაგვმართებს.

18831. ადამიანს ზოგჯერ აწუხებს ის შეკითხვები, რომლის პასუხი განგებიდან ვერ მიიღო და ვერც მიიღებს.

18832. ღმერთმა ყველაფერი იცის, ყველაფერი შეუძლია და ამიტომაც ყოველივე მას უნდა დაბრალდეს, იმისდამიუხედავად, კარგები ვართ თუ ცუდები.

18833. ღმერთს „ბაზარი" არ უყვარს, მას ერთი-ერთზე ჩვენს სულთან საუბარი ეხალისება.

18834. ღმერთმა ექვს დღეში შექმნა სამყარო, მაგრამ მომავალში არც მის გადაკეთებაზე უფიქრია და არც მის შეკეთებაზე.

18835. რატომღაც ღარიბები წმინდანობას აფარებენ თავს, იმისდამიუხედავად, დაიმსახურეს ეს სტატუსი თუ არა.

18836. რწმენის დაკარგვას ფილოსოფიამდე მივყავართ, ხოლო ფილოსოფიის უგულებელყოფას ღმერთამდე.

18837. ძალაუფალი ზოგიერთ ქვეყანაში პატარა ღმერთია, რომელსაც ხშირად ავიწყდება, რომ ზემოთ დიდი და სამართლიანი დამსჯელი არსებობს.

18838. დღეს განგებას იმდენი უნდა ვთხოვოთ, რომ ჩვენი დანიშნულება ამქვეყნად არ დავკარგოთ.

18839. ლოცვა თავისებური ფსიქოთერაპია, შთაგონებაა, რომელიც ნერვებს გვიწყნარებს, სულს გვიმშვიდებს, რწმენას გვმატებს.

18840. სარწმუნოებამ ისეთი დოგმები უნდა შექმნას, რომ კომპრომისი არ სჭირდებოდეს.

18841. განგებამ შექმნა სამყარო და „აითესა", როგორც ამას ზოგიერთი მამრი აკეთებს ქალის დაორკეცების გაგების შემდეგ. ერთმა ყველაფერი ადამიანს გადააბარა, მეორემ – ბავშვის დედას.

18842. მეცნიერება, განათლება, მუდმივია, რწმენა და სარწმუნოება – დროებითი.

18843. ცრურწმენა ბრიყვის ცნობიერების რელიგიაა და ახლის შესარჩევად დღევანდელი ცივილიზაციის საყრდენი.

18844. ტრადიციები, წესები, დადგენილებები, კანონი, ყოფის დებულებები ისეთი უნდა შეიქმნას, რომ მას გამონაკლისის დაშვება არ უნდა სჭირდებოდეს.

18845. რელიგია თავისებურად მიმზიდველი სუროგატია, რომელშიც ზოგი იმედს ხედავს, ზოგიც თავდავიწყების უებარ საშუალებას.

18846. სიკვდილ-სიცოცხლის ბაზარი ვაჭრობას არასოდეს არ წყვეტს, მიუხედავად იმისა, რომ გასაყიდი არაფერი არ არის, რადგან ყოველივეს გაგების ნება განაგებს.

18847. წმინდანსა და ცოდვილს შორის სხვაობა არაა, თუ ისინი განგების სამსახურში არ დგანან.

18848. ტაძარს ქმნის ტრადიციები, დრო, რწმენა და შემთხვევა.

18849. ეკლესია თავისებური საავადმყოფოა ნერვებაშლილი, გაუბედავი და სხვაზე განაწყენებული ხალხისთვის.

18850. პასუხი ჩვენი მოვალეობის და ღმერთის წინაშე ყველა ჩვენგანის ვალია.

18851. სამყაროს ამდენ ამოუხსნელ საოცრებას რომ აანალიზებ და ხალხის უმწეო აზროვნებას რომ უყურებ – „რა ღმერთი რის ღმერთი", უბრალოდ არსებობს ადამიანისთვის მარად გაუგებარი ბუნების უცხო ძალები. ამას ხალხი გრძნობს, მაგრამ მათი უმწეობა რაღაც იმედის ბინდს და უვიცობის ვარიანტს ებღაუჭება, რადგან რწმენის, იმედის, რაღაცის თაყვანისცემის გარეშე მას არსებობა უჭირს.

18852. ყველა რელიგია მოწოდებულია, ჰარმონია მოიძიოს ადამიანის სულში და ხელი არ უფათუროს მის ცნობიერებას.

18853. საოცარია, მაგრამ ღვთის მსახურნი, მეცნიერების მსახურნიც იყვნენ და ხანდახან ისეთ გამოგონებაზე წაუცდებოდაო ხელი, რაც მათი სტატუსისათვის შეუფერებელი იყო (მაგ., სიმინდისგან ვისკის მიღება).

18854. ვეცადოთ ამქვეყნიდან სულით ამაღლებულნი და თავაწეულნი წავიდეთ, რათა იმქვეყნად ვიღაცას გამოვადგეთ.

18855. ღმერთთან შეხვედრა იმედის სინონიმია და თავის დამშვიდების უებარი საშუალებაც.

18856. იმქვეყნად გასამგზავრებლად დედამიწაზე წლობით ვემზადებით.

18857. სხვისი ლოცვა-კურთხევა დამაჯერებლობას გმატებს ღმერთთან ურთიერთობაში.

18858. ხალხის და ღმერთის წინაშე ჩადენილი ცოდვა იდენტურია, რადგან ჩვენ ყველანი მის ხელში ვართ.

18859. ღმერთმა კი არ უნდა დაგვიჭიროს მხარი, არამედ პირიქით – ჩვენმა ცოდნამ, მონდომებამ, გამბედაობამ, შედეგად ორთავენი კმაყოფილი დავრჩებით.

18860. ყველა ლოცვა თავის დამამშვიდებელი საშუალებაა წამლის გარეშე და შინაგანი იმედით.

18861. სალოცავ სახლში, პირველ რიგში, მდიდრებმა, დროის მქონე და ღირსეულმა ხალხმა უნდა იაროს, რადგან ღარიბს არაფერი აქვს დასაკარგავი იმედის გარდა, რომელიც მაინც მატერიალიზებასაა მიბმული.

18862. მთავარია ამქვეყნიდან გადაბარგება იმქვეყნად ნაშურად არ ჩაგვითვალონ.

18863. მილიონობით მსმენელიდან სიბრძნე შეიძლება ერთმა აღიქვას სიკეთის საკეთებლად, მაშინაც თუ განგება გვერდზე დაუდგა.

18864. განგება ჩვენი მენეჯერია და არა ჩვენი საქმის მკეთებელი, როგორც ეს ზოგ მორწმუნეს ჰგონია, როცა ცდილობს თავისი საკეთებელი ღმერთს აჰკიდოს.

18865. ალბათ ღმერთი აწუხებს ადამიანს და არა – პირიქით, წინააღმდეგ შემთხვევაში, ღმერთს მოწყალებას არ სთხოვდა.

18866. სხვები სულელები არ არიან, მაგრამ ჩვენ მაინც მათზედ ჭკვიანები ვართ და ამ ჭიდილიდან, მხარეთა მცდელობის მიუხედავად, შედეგი მაინც შემთხვევაზე და ღმერთის გადმოხედვაზეა დამოკიდებული.

18867. ზოგს განგება იმიტომ ამგზავრებს ზეცაში, რომ ეს სამყარო მისთვის უღირსია.

18868. ღმერთთან ჭუკ-ჭუკი იმედს გვიტოვებს, რომ თავს შევახსენებთ, რაღაცას შთაგვაგონებს და ჩვენზე იფიქრებს. საწყალი ღმერთი ჯალა მას გამორჩენისთვის ემლიქვნელება.

18869. ღმერთი ჯელასთანაა თუკი სამოთხეზე და მასში მოხვედრაზე იქადაგებ.

18870. ჩვენ ცოდვილები უფრო მოგვწონს ვიდრე წმინდანები, მაგრამ თავს რატომღაც ჯელა წმინდანობაზე ვდებთ.

18871. ღმერთს ჯელა ასაკის ადამიანი უხმოდ ევაჭრება სიცოცხლის გახანგრძლივებაზე, მაგრამ განგება მათ ყურს როგორ უგდებს, ეს სხვა საქმეა.

18872. წინათგრძნობა, მისდაუნებურად, ღმერთანაა კავშირში, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ვერ გაგვიფრთხილდებოდა

18873. უცოდველებს არც ბუნება იცნობს და ალბათ არც განგება, მაგრამ ჯელა ისე ცხოვრობს როგორც შეუძლია და ამის უფლებას ზევიდან აძლევს.

18874. უღმერთოდ ყოფნაც ძნელია და მისი იმედითაც, რადგან ამ ცხოვრებას ვარამს და ბედის მუხანათობას ხედავ და სინამდვილეს შენი ალიბით აღიქვამ.

18875. არის მარადიული კითხვა ღმერთმა შექმნა ადამიანი თუ ადამიანმა თავის უვიცობა ღმერთად წარმოაჩინა, მაგრამ ფაქტი ერთია: მათ ერთმანეთის გარეშე არსებობა უჭირთ.

18876. რწმენამ, სარწმუნოებამ, თავისი იდეოლოგიის პოსტულატები ისე უნდა განახორციელოს, რომ მასში გამონაკლისის დაშვება არ

უხდებოდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ადამიანს აცდუნებს. მაგ., ქრისტიანობას მარხვის დროს რძის და კვერცხის ნაწარმის მოხმარება რომ დაეშვა, მას არც მთელი ტომების რჯულზე მოქცევა გაუჭირდებოდა და არც ავადმყოფებს და მოგზაურთა მიმართ გამონაკლისის დაშვება.

18877. განადგურება ცოდვაა, მაგრამ ებრძვის მოყირჭებას და საზოგადოების განვითარება მის გარეშე არ ხდება. მაგ., როდესაც კერპთაყვანისმცემლები ებრძოდნენ ქრისტიანებს, ეს უკანასკნელნი ნადგურდებოდნენ, ხოლო როდესაც ქრისტიანებმა გამარჯვება იზეიმეს კერპთაყვანისმცემლებზე, ამ უკანასკნელებმა ჭირი მოგვჭამეს. ე.ი. განვითარების შედეგი აშკარაა. მომდევნო საუკუნეებში კერპთაყვანისმცემლების ბედი ელის ქრისტიანებს, მუსულმანობას და სხვა სარწმუნოებებს, რადგან ღმერთი ერთია, ხოლო დღევანდელობის, ადამიანების ცნობიერება ბილიკებზე სიარულს ვერ ატანს. ახალ ღმერთთან და საერთო რწმენასთან მისვლას გონიერების საერთო გზის მშენებლობა დასჭირდება.

18878. ზოგს ღმერთი რამდენჯერმე კოცნის, განზრახ თუ შემთხვევით, უცნობია, მაგრამ შედეგი – გენიოსი რეალურია.

18879. ყველა ადამიანი თავისი ჯოჯოხეთით ცხოვრობს, დროის გათრევით და სამოთხეში მოხვედრის იმედით.

18880. სამოთხეში განრიგის მიხედვით კი არ ხვდებიან, არამედ – განაწილებით და ისიც, ხშირად, შემთხვევის წყალობით.

18881. სამოთხეშიც სასიამოვნოა ცხოვრება და ჯოჯოხეთშიც, გაჩნია, რას საქმიანობ და რა თანამდებობას გთავაზობენ.

18882. მართლმსაჯულებისგან განსხვავებით, მამაზეციერი ბევრს გვპატიობს ყოველგვარი ქვენა გრძნობების და ძღვენის გარეშე.

18883. სარწმუნოების ფუნდამენტალიზმი და ნაციონალიზმი მორწმუნეებს აიძულებს სხვისი ჭკუის ნასუფრალით იარსებოს.

18884. უძლურობის ალიბი ლოცვაა, წამალი – ქადაგად გადაგება.

18885. სატანასა და ანგელოზს შორის არჩევანს, გარემოებათა გამო, ხშირად ჩვენ არავინ გვეკითხება.

18886. მკვდრეთით ,,აღდგომას'' ყველა არ იმსახურებს, აქაც კონკურსის ჩატარება და ხელის წაბიძგებაა საჭირო.

18887. ყოველთვის უნდა ვეცადოთ უკეთესნი ვიყოთ ვიდრე ვართ, მაგრამ ამას რამდენად დაგვანებებს ჩვენი ბუნება, ნიჭი, შემთხვევა, განგების სურვილზეცაა დამოკიდებული.

18888. ათეიზმი ცხოვრების დაუკმაყოფილებლობის და წყობის რევიზიის შედეგია, რადგან განტევების ვაცად მამაზეციერია მიჩნეული.

18889. სარწმუნოებამ ხალხის გვერდზე დგომა, დოგმების დროსთან მიახლოება, სურვილების გათავისებით და წარმართვით უნდა ისწავლოს.

18890. ჩვენ სატანურ სულიერების ხანაში ვცხოვრობთ, როდესაც რწმენა გამოწვეულია ადამიანის მანკიერების, მოთხოვნების, უგონობის დასაფარავად და გალაღებული სულისთვის ალიბის მოსაპოვებლად, თავისი შეცდომებით და გონის დაღვინებით.

18891. საყოველთაო ასი მცნება: არ მოკლა; არ დაამცირო; არ იზარმაცო; არ იყბედო; არ ივიშვიშო; არ იმრუშო; არ იჩხუბო; არ განსაჯო; არ იბილწსიტყვაო; არ იეჭვიანო; მოყვასს არ უღალატო; ცოლი არ აუფროსო; ფუფნებაში არ იცხოვრო; შური არ გაიკარო; ცოდვა არ დაიდო; პროგრესს არ ჩამორჩე; კომპრომისზე არ წამოეგო; ჭეშმარიტებას არ უგანო; ვალი არ დაიდო; სულიერებით არ ივაჭრო; ფული არ გაასესხო – დაეხმარე; დემაგოგიას არ აჰყვე – ჭეშმარიტებასთან იმეგობრე; სექსს არ გადაყვე – ასაკისთვის გადაინახე; გარემო არ დააბინძური – შთამომავლობა შეიცოდე; გონება არ გადატვირთო – დასვენება ისწავლე; გემოვნებაზე არ იდაო – საკუთარს გაუფრთხილდი; უფროსს არ ედაო – ურჩიე; ბავშვება არ აწყენინო – დაუყავე; სტუმარს არ გადაყვე – პატივი მიაგე; სიძესთან არ იცხოვრო – იმეზობლე; ახლობლები საქმეში არ გაიკარო; მტერი ეცადეთ არ შეიძინო; სხვის საქმეში არ ჩაერიო; ასაკის მოახლოებას არ შეეპუო; იუმორის გრძნობა არ დაკარგო; სხვადასხვა ღმერთი არ იწამო; მშობლები უყურადღებოდ არ დატოვო; ღირსშესანიშნავი თარიღი არ დაივიწყო; ხელმოცარულნი, ამბიციურნი არ გაიკარო; სიდედრ-დედამთილს არ ეკამათო; ეცადე თავკერძა არ იყო; ფეხის ხმას არ აყვე; შიში გულში არ გაივლო; სასიყვარულო ისტორიები არ გაატირაჟო; ეცადე უსამართლო არ იყო; ეცადე დილეტანტად არ გამოიყურებოდე; თავის ყველას არ გაუყადრო; არარეალური არავის არ დაპირდე; ეცადე ძველმოდური არ იყო; ვაჟიშვილის გარეშე არ გადაეგო; ძალზე ძუნწი ნუ იქნები – იყავი ხელმომჭირნე; ეგოისტი, უკეთური ნუ იქნები, იყავი გულმოწყალე; განუსჯელი ნუ იქნები – იყავი სამართლიანი; ადამიანები დაიხმარე, ნუ დაივალებ – იყავით მადლიერი; ღირსების გრძნობას ნუ შეურაცხყოფ – იყავი თავაზიანი; გულგრილი ნუ იქნები – იყავი ყურადღებიანი; გრძნობების აღზნებას ნუ აყვები – იყავით მომთმენი; კერპს ხატად ნუ აქცევთ – იყავით გონიერი; ხალხს ნუ განსჯით – იყავით შემნდობი; უაზროდ დროს ნუ გაფლანგავთ – იყავით შემომქმედი; ხელაღებით თავსაც ნუ ენდობით; ყველასთან გულახდილი ნუ იქნებით; სხვის აზრს ნუ გააქიაქებთ; გადაადგილების წესებს ნუ დაარღვევთ; ცდუნების ვარიანტებს ნუ აყვებით; სხვის ცოლს ნუ გაუარშიყდებით; ზემდგომთან გაშინაურებას ნუ ეცდებით; სიყმაწვილეში ოჯახს ნუ მოეკიდებით; სხვის დაჩაგვრას ნუ მოინდომებ; მადლობის გადახდა ნუ დაგავიწყდება; ისწავლე ანგარიში-გადანაწილება-შევაჭრება; ისწავლე მოსმენა – პატივისცემა –

სიწყნარის ფასი; ისწავლე მიტევება–შენდობა–შეცნობა; ისწავლე შერკინება–კამათი–დამარცხების შეუმჩნევლობა; ისწავლეთ უარის თქმა ,,არ ვიცი'' – ,,არ მაქვს'' – ,,არ შემიძლია''; ისწავლეთ ულირსის შექება იმდაგვარად – თავის ბუნება არ გაამყღავნოს; ისწავლეთ კომპრომისების–დაფვავების–ნიშნისგების ხელოვნება ცხოვრების გაურთულებლად; ისწავლეთ დასვენების–მოგზაურობის–გართობის ხელოვნება ძალდაუტანებლად; ისწავლე – მჭერმეტყველება – ორატორობა და არა მარტო სიტყვების ფრქვევა; ისწავლეთ სხვა ერების ენა–კულტურა–მენტალიტეტი მათზე მორგებით. შეიცანით საკუთარი ქვეყნის მოქალაქეობის–პატივისცემის–შენდობის მადლი. განსაზღვრეთ საკუთარი კვების რაციონი – მადის მოთოკვა – ფიზიკური დატვირთვა. იქონიეთ საკუთარი გემოვნება – თანამედროვეობის გათავისებით – გარეშეთა მოწონებით; გამოცდილება სხვათა შეცდომებზე შეიძინეთ – შეიცანით – უფრო იაფი დაგიჯდებათ; ზომიერი ასკეტიზმი–დესპოტიზმი საკუთარ თავსაც არ აწყენს; საკუთარი ღირსება–თავმოყვარეობა–რწმენა არ შეურაცხყო; საკუთარი ნიჭი წარმოაჩინეთ – სხვის წარმოჩენას აშკარად ხელი არ შეუშალოთ; საკუთარი ქცევის ნორმების თავზე მოხვევას ნუ შეეცდებით – დრო საჭიროებსამებრ თავად გაითავისებს. საკუთარ გრძნობებს გაუფრთხილდით რა ოდენობითაც, მადლითაც, მცდელობითაც არ უნდა მოგადგეს; საკუთარ ინტუიციას ყური მიუგდე, არ უღალატო, არ გიღალატებს; ეცადეთ მთელი ცხოვრება ჭეშმარიტებით – დამოძღვრილი გზით იაროთ; ეცადე იყო საკუთარი საქმის პროფესიონალი – შემომქმედი – პროპაგანდისტი; საკუთარი აზრის ქონა აუცილებელია, ის დროის – სულის – შემთხვევის საჯილდაოა; იქონიეთ საკუთარი ,,ბზიკი'' ზომიერების ფარგლებში – სხვებმა ანგარიში რომ გაგიწიონ; იცხოვრეთ საკუთარი შეხედულებებით – იმედით – მცდელობით და არა ილუზიებით; ეცადე გამოირჩეოდე თავაზიანობით – გონებაგახსნილობით – მომხიბვლელობით; გაითავისე ორიგინალური სადღეგრძელოები და სუფრის წარმართვის საკუთარი ხედვა; საკუთარი ინიციატივა იქ არ გამოიჩინო, სადაც არ გიცნობენ, ვერ გაგიგებენ; ყველგან იყოლიეთ თქვენი ხალხი – არც თავს, არც საქმეს არ ავნებს; იქონიეთ საკუთარი ჰობი – გატაცება სტრესის მოსახსნელად; იქონიეთ საკუთარი პოსტულატი: საცხოვრებელი – განათლება – გადაადგილების საშუალება მიეცი შვილს; რათა დანარჩენი თავად მოიპოვოს და ხელი გაანძრიოს.

18892. და ბოლოს, ღმერთი ისე მარტივად როგორც სხვებს სწამთ, მე არ შემიძლია ვიწამო, ხოლო ისე რთულად, როგორც მე წარმომიდგენია ჩემი გონიერება ვერ სწვდება, ისე კი, სამყაროს ამდენი აუხსნელი საოცრების მომსწრე და ჩემი მეგობაიტის ადამიანმა რაღაც რომ არ იწამოს, შეუძლებელია.

წიგნის აწყობის შემდგომ დამატებული შეგონებანი

18893. ქალები თავისი გენეტიკით დაობენ და არა ჭირვეულობით.

18894. ყველა ჩვენგანი საკუთარ თავს ეწინააღმდეგება, მაგრამ საქმეს ისე ვწყვეტთ, როგორც ხელთგვეწიფება და „ბედის კოჭი“ დაჯდება.

18895. ბრიყვისთვის ცოდვის ჩადენა თავისებური კაიფია, რადგან სიკეთის ჩასადენად მზად არ არის.

18896. ადამიანებს განათლება ანსხვავებს, გენი აცალკევებს, ხოლო ბედი რას მოიმოქმედებს, თავადაც არ უწყის.

18897. ჭკუა და უყურადღებობა ზოგჯერ სინონიმებია, რადგან არ უპასუხო, არ განიცადო ის, რაც არ მოგწონს, დიდი ნიჭია.

18898. პატარა ქვეყანას ხშირად არ შეუძლია იმ სახელის და სახრავის ბოძება, რაც ჩვენ ნიჭს შეეფერება, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს გენის სახესხვაობა მისი ნაბოძვარია.

18899. განსჯის უნარი, ხასიათის სინონიმია მიზნის დასახვით, იმედის გამოჭედვით.

18900. გვინდა არ გვინდა, ყველა თაობამ დროს კოჭი უნდა უგოროთ, ჩვენს შესაძლებლობის სინდისთან მორიგებით.

18901. ყველა კვერის დამკვრელი შედეგის მიუხედავად ჩვენი მეგობარია.

18902. შური და ბედნიერება შეუთავსებელია, ისინი სიყვარულის განტოლებას ვერ ადგენენ.

18903. ქალები არ მეგობრობენ, უბრალოდ თანამშრომლობენ, როგორც კონკურენტებს შეეფერებათ.

18904. ფული ის პატარა ღმერთია, რომელიც ზოგჯერ გვაიძულებს უღმერთობას წავეთამაშოთ.

18905. ბედის გაცუცურაკებას ასე თუ ისე, ყველა ვცდილობთ, მიუხედავად ცოდნისა, რომ ეს ცოდვების აკიდებას და ეშმაკის ფორტუნასთან დაძმაკაცებას მოითხოვს.

18906. ისტორია, უაზრო მოქმედებათა თავხედობის ჭიტლაყსაც იტანს და აფიქსირებს.

18907. წარსულის განადგურება მისი სავალალო შედეგების მიუხედავად არცერთ ერს არ ეპატიება – გახსენება იცის.

18908. პოლიტიკა როგორც კი კულტურას და ტრადიციებს აჯობებს, იმ ქვეყნის საქმე წასულია, ერი დაჩმორებულია.

18909. საქმოსნობა და საქმის გაკეთება იმით განსხვავდება, რომ ამ უკანასკნელს პროტექცია არ სჭირდება.

18910. რეფორმატორს დიქტატურის გარეშე მასა უფლებას არ აძლევს ხალხმა უკეთ იცხოვროს და იაზროვნოს.

18911. მთავარია სიცოცხლის ფასის შეცნობა და არა ცხოვრების ფასის, რადგან ეს უკანასკნელი გამართლების კატეგორიას მიეკუთვნება.

18912. შეცდომის შეცდომა, არაფრის კეთებაა კუბში.

18913. მიზანს და მიზეზსაც ცოდნა-გამოცდილება სჭირდება, რათა თავს შეუძახო და არ ავნო.

18914. ,,სწორად'' ცხოვრება ყოველთვის არ ამართლებს, მთავარია ყოფის არსი შევიცნოთ.

18915. ასაკში წარსულ დღეთა გახსენება, თავისთვის სიყვარულის გამჟღავნებაა კუბში.

18916. აღუზრდელობა და სიღარიბე სინონიმებია, რადგან უყურადღებობასთან გვაქვს საქმე.

18917. ჭეშმარიტება გენიალობის მიუხედავად მარტივია და მისაღებიც თუ მას გონიერება წარმოაჩენს.

18918. ჭკვიანი ადამიანი ზოგს ნერვებს უშლის, მაგრამ მას მაინც შეინდობენ და აფასებენ.

18919. ჭკუას ლესვა ესაჭიროება, ცოდნას გარანდვა, ხოლო გამოყენება შემთხვევის და ნიჭის საზრუნავია.

18920. დემოკრატიის უმთავრესი მოვალეობა, უმცირესობის მოსმენა, შერჩევა, მიუღებელის გაცხრილვით.

18921. წარსულის ბედნიერება აწმყოს ათბობს, მაგრამ ვერ აპურებს.

18922. დრო უსამართლობის კოქტეილია, ამიტომაც მისი შესმა დაგემოვნების ცოდნით უნდა შევძლოთ.

18923. არავინ უწყის ხვალ რა გველის და დღევანდელ დღეს როგორ გადავაგორებთ, მაგრამ ეს ჩვენი ყოფით ბედნიერებას ხელს არ უნდა უშლიდეს.

18924. ცოდვის მონანიება არ არის ძნელი, მისი ჩადენისაგან თავის აცილებაა ძნელი.

18925. სიბრიყვე თავისებური ,,ბედნიერებაა'', ამდენს მიჰქარავ და თავს დამნაშავედ არ გრძნობ.

18926. ქალი, რომლის სილამაზის ახსნა, ბუნების გაგება და მოთვინიერება შესაძლებელია, ის ქალი არ არის.

18927. გამოსავალი ყოველთვის მოინახება თუ გაგვიმართლა.

18928. მეამბოხე სული ჭეშმარიტებას ძნელად ეგუება, რადგან ეს მორჩილება ჰგონია.

18929. სიმართლეს, რომელსაც სათანადო ბაზისი არ აქვს, დემაგოგიაა.

18930. ჭკუა და სინდისი კანონმდებელისათვის სინონიმია.

18931. კრედიტი ფულის ხარჯვის ბაირამი არ არის, ის ძალისხმევას, წინხედვას, ბედს ითხოვს.

18932. ნებაყოფლობით ფული არც ჭკუასთან მიდის, არც ძალასთან, არც თანამდებობასთან თუ ხელს არ გამოიღებ და საკუთარ მეს არ აჩვენებ.

18933. ცოდნა-არცოდნას თავისი ფასი ადევს, მაგრამ ბედი ყოველთვის თავის ჭკუაზე ანგარიშობს.

18934. გულწრფელობა თვითდაჯერების და ანალიზის შედეგია.

18935. ხასიათი ხშირად უგნურების ჩადენის სურვილს ვერ აკავებს, მაგრამ გაფიქრების დროს გვიტოვებს.

18936. მორჩილებაზე ნავარჯიშები ხალხი, მისდაუნებლიედ ახალ დამპყრობელს ეძებს, ოღონდ თავისი ჩასწორებებით.

18937. დაოჯახებამდე ქალში ათას ნაოცნებარ ,,სისულელეს'' ვეძებთ, ცოლად მოყვანის შემდეგ ერთს – სიმშვიდეს.

18938. თავისუფლებით ვაჭრობა და დაოჯახება სინონიმებია.

18939. ღირსება-ულირსობა არ განისჯება, გააჩნია რა დროში ცხოვრობ, როგორ იყენებ, ვის ჭირდები.

18940. ბედისთვის შენდაუნებლიეთ გვერდის ავლაც კი, დანაშაულია შთამომავლობის წინაშე.

18941. შთაგონება განგებასთან საუბარია ანონიმის დახმარებით.

18942. ჩვევები, ტრადიციები, წინაპართა დანატოვარი, სიცოცხლის ბოლომდე ტვირთად გვაქვს აკიდებული.

18943. ცოდნა სარგებლის მიღების გარეშე უცოდინარობის ტოლფასია.

18944. ცხოვრებასთან ვაჭრობისგან განსხვავებით, სიცოცხლე სულიერების შენაძენია.

18945. ნაგვის ფულად ქცევა არ არის ძნელი, ნაგვის შეგროვება-დახარისხების სწავლაა ჯერ-ჯერობით შეუძლებელი.

18946. სიყვარულია, როდესაც ერთმანეთის გარეშე ვერ სძლებთ და ამის გასამართლებლად, ყოველგვარ ხრიკებს ალიბად მოშველიება სირცხვილად არ მიგაჩნიათ.

18947. რასაც ვხედავთ ყველაფერი დასაჯერებელი არ არის, მაგრამ ფაქტების უგულვებელყოფაა ძნელი.

18948. ის, რაც მათანალიზის გარეშე დემონსტრირდება, წარმოაჩენენ, დემაგოგიაა, ეს პოლიტიკაა, ეკონომიკაა, ისტორიაა თუ პოეზია.

18949. გაუგებარი ხელისუფლება, პოლიტიკა, ეკონომიკა, ზოგჯერ ქალაქს დიდ სოფლად აქცევს.

18950. სიტყვით ღარიბ-ღატაკის შეცოდებას ყველა ახერხებს, მაგრამ მათ გონზე მოყვანას და დასაქმებას ჭკუის მათრახით, ყველა გაურბის და გულგრილია.

18951. ყოფის ჭირნახულს არა მარტო მოწევა, არამედ საიმედო დაბინავება, გაფრთხილება სჭირდება.

18952. წარსულის ისტორიის პოლიტიკური მყნობის ხელოვნებას არავინ ეუფლება და არც აინტერესებთ.

18953. ქვეყნის ჩონგურივით აწყობაა ძნელი და არა ფანდურზე დაკვრა.

18954. უჯიგროს, ჯიგრის მადლს ვერ ასწავლი.

18955. სიყვარულის დასადუღებელი ჭურჭელი გულია.

18956. გენიოსი თავისი დროის მეხრეა, თუ გამოიყენეს და სასიკეთო საქმის კეთება ანდეს.

18957. შედეგსაც კარგი მწყემსი და შემფასებელ-დამფასებელი სჭირდება.

18958. მალთუსის ჭარბმოსახლეობის თეორია, შეიძლება ვულგარულია, მაგრამ ყურადსაღები, განსაკუთრებით გლობალიზაციის დროს.

18959. სულის უკვდავების ნავარდია, რომ სიცოცხლის ძალას გვმატებს და ცხოვრებას გვიხალისებს.

18960. ,,ძუძუმწოვარა'' სახელმწიფო აპარატი, მოსპობას არ ექვემდებარება.

18961. თეორიულად მადლი უცვეთელია, პრაქტიკულად საეჭვო.

18962. ბუნება კია ბრძენი, მაგრამ ადამიანი ყავს, ერთიდაიგივე შეცდომებზე ფეხის წამტეხი.

18963. ,,მამა ღმერთი'', ,,დედა მზე'', ხოლო სხვა ცათა ცთომილებანი ჩვენი ნათესავები და მოყვრებია.

18964. ზოგჯერ ტანსაცმელს აღარ შვენის ადამიანი და ეს არის დრო-ჟამის ჭირვეულობა.

18965. ცუდი არ შეიძლება კარგად აღვიქვათ, რა მხრიდანაც არ უნდა ვეცადოთ, გავამართლოთ, შევხედოთ.

18966. დაფასება ფეხებსაც სჭირდება, რაც არ უნდა თავი მაღლა ავწიოთ და წარმოვჩნდეთ.

18967. მამაკაცს ეტყობა მაინც ქალი აცდენს, წინააღმდეგ შემთხვევაში ამ წამოწყებიდან სახეირო არაფერი გამოდნებოდა.

18968. ბავშვს თავი სიყვარულით უნდა გაუყადრო და არა ცხოვრების გამოცდილებით.

18969. ნაკლს თავის გამოყოფის საშუალება არ უნდა მივცეთ, იქვე უნდა ჩავკლათ, დავამინათოთ.

18970. „წერა-კითხვის უცოდინარი საზოგადოების“ მსგავსად დღეს აზროვნების გამავრცელებელი საზოგადოებაა ჩამოსაყალიბებელი.

18971. ქვეყნის მართვის აპარატი მარად დაძველება-გაახალგაზრდავებას მოითხოვს გადახალისება-გადაადგილებით.

18972. ყველა აწმყო წარსულში იბორიალებს, თუ განტევების ვაცის როლის შემსრულებელი დასჭირდათ.

18973. სამყაროს მშვიდობის მტრედად, აზროვნება გვევლინება, მაგრამ რატომ არ ვიფენებთ – გაუგებარია.

18974. ყურით მოთრეული იდეალების სახელით სიცოცხლეს სხვადასხვა წესით და ილეთით ვეჭიდავებით.

18975. ხშირად გულადობას ფულადობა აქცევს და თუ დასჭირდა გამოისყიდის.

18976. ქვეყნის კონსტიტუცია ის საბუდარია, საიდანაც დიქტატორი მამლებიც იჩეკებიან და დემოკრატი დედლებიც.

18977. ხშირად უმრავლესობას და უმცირესობას ჭკუას ერთი კაცის გონიერება და გამოცდილება სჯობნის.

18978. ქართველს არც მკლავჭიდში, არც გონმჭიდში ხშირად ბადალი არ ყავს, მაგრამ პირველს ამჩნევენ, მეორეს არ ამჩნევენ და კრიზისიც ჩვენთანაა.

18979. მსმენელის დამჭერი ქამანდი, დროულად ნასროლი სიტყვაა.

18980. ჭორი საფუარით დადუღებული სიმართლისმაგვარია.

18981. დაჩინჩვლის უფლება ჩვენთვის არავის ჩამოურთმევის, მაგრამ მაინც ვერ მრავლდებით.

18982. დღეს ნამუსის ქუდის ტარება მოდაში არ არის. არარენტაბელური და ძველმოდურია.

18983. განვითარებულმა სოციალიზმმა ვერაფერი ავნო განვითარება დამთავრებულ კაპიტალიზმს, რადგან ყველგან და ყველაფერში არარენტაბელურად ჩქარობდა.

18984. ისტორიის ჩარხი ისე არ ტრიალებს, როგორც ჩვენ გვინდა და არც ისე, როგორც ჩვენს მტრებს უნდათ.

18985. პოეზია გრძნობების, ოცნებების, მისწრაფებების სამარადისო გამარადისებაა.

18986. საქართველოში დაბადება, ყოველთვის ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებას არ ნიშნავს, რადგან ცხოვრების ვარსკვლავი ხშირად სხვაგან უნდა მოიძიო.

18987. უკვდავება გონიერების სასიკეთო გაჭენების სინონიმია.

18988. სიკეთეს ითვისებენ, მის მქმნელს აგინებენ და ესეც სიკეთის კეთებისკენ მისწრაფების მქონე გენის ბრალია.

18989. მენაგვე ყველა დროში, წყობაში, ფორმაციაში აუცილებელია – პროფესია უკვდავი.

18990. სულს ხორციელება აღებინებს ხმას და არა პირიქით.

18991. უკვდავება ერთეულთა ხვედრია, ისიც საუკუნეთა გადასახედიდან და შიგადაშიდ.

18992. საწყალი ვარსკვლავი, ვისაც რამდენი ქიმი მოეპრიანება იმდენს ახატავს და მისი რაობა არავის აინტერესებს.

18993. სიცოცხლისგან განსხვავებით ცხოვრება მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმია.

18994. წყალწაღებული ხავსს ეჭიდება, აზრწაღებული უიმედო იმედს.

18995. დედა ყველა ჩვენგანის წარმატების წილში ზის, ხოლო მამა, ყველა ჩვენი წარუმატებლობის ოპონენტია.

18996. ადამიანი თავის ოცნებების მონაა და არა სურვილების.

18997. აზრის დაღვინებას კოეფიციენტის ფორმულა ყველა ჩვენგანმა თავად უნდა გამოთვალოს.

18998. უსახელო სიცოცხლეს, შეუმჩნეველი ყოფა თავის მეობის შეცნობით სჯობნის.

18999. ჭკუა, ფული და ამბიციები დიდხანს ერთად ვერ ძოვენ.

19000. ტექნიკურ პროგრესს ბევრი უგნურებაც მოაქვს, მაგრამ საჭირო – ადამიანის გამოსაცდელად.

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი 3
ადამიანი 5
აზრები 63
არჩევნები, პარლამენტი 93
ახალგაზრდობა, ჯველობა, ასაკი 103
აფორიზმები, ანეგდოტები, ირონია 120
ბავშვები, მშობლები, მასწავლებლები 134
ბედი, ფორტუნა, ბედნიერება, ყისმათი 145
გენიოსი, ტალანტი, ნიჭი 173
გენი 195
გონიერებასთან ახლოს 204
დემოკრატია — დიქტატურა 234
დრო 250
ებრაელები 263
ეკონომიკა, ბიზნესი 265
ეჭვი 287
ვექილი 295
ზრდილობიანი სალამ-ქალამი, ჭეშმარიტება 298
თავისუფლება, მორალი 330
იმედი, ოცნება 341
ისტორია 353
კანონი-კანონგანმსჯელობა 379
კერპი — კაიფი 401
კულტურა — ხელოვნება 408
ლიტერატურა — მწერლობა 434
მამაკაცი 452
„მასმედია“ 479
მეობა 491
მეცნიერებასთან ახლოს 510
მოდა 525
ნაუცბათევი აზრები 529
ომობანა 556
ოჯახი, წყვილი 568
პოლიტიკა 615

ჟიურის აზრები 654
რედაქტორისგან განსჯილი აზრები 680
რევოლუცია 705
რეკლამა 710
საზოგადოებათმცოდნეობა 717
სამშობლო, ერი, ტრადიციები 754
საქართველო, ქართველები 775
სახელმწიფო, ძალაუფლება, ხელისუფლება 801
სექსი და ლამაზმანი 834
სიდედრი, დედამთილი 852
სიკეთე — სიამაყეა 856
სიმართლე, სინდისი, ღირსება, პატიოსნება 863
სილამაზე, მომხიბვლელობა, სიცოცხლე 876
სპორტი 890
სული 896
სუფრის ფილოსოფია 920
ტრფობა — სიყვარული 932
უიმედობა, ღალატი, ცინიზმი, ბოროტება 978
ფიქრები 998
ფული 1002
ქალი 1019
ქიციც და ქიცმაცურიც 1078
ღიღინ-ღიღინით 1092
ყოფნა-არყოფნა 1101
შეგონება 1122
შური, შიში 1138
ჩუმად-ჩუმად, არვინ გაგვიგოს 1152
ცხოვრების ფილოსოფია 1168
ძრომიალა აზრები 1205
წალმა-უკულმა 1235
წუთისოფელი 1256
ჭუკ-ჭუკი 1268
ხალხი, ბრბო, მასა 1282
ჯანმრთელობა 1311
ჰე, ღმერთო, ერთო 1325
წიგნის აწყობის შემდგომ დამატებული შეგონებანი 1356

მხატვრული რედაქტორი: პროფ. **ლერი ჩანტლაძე**
ტექნიკური რედაქტორი: პროფ. **დავით თაქთაქიშვილი**
მხატვარი: **პაატა ყუფარაძე**

კორექტორები: **მერი შავლუხაშვილი,**
ნანული ყუფარაძე,
ეთერ ყუფარაძე

კომპიუტერული
უზრუნველყოფა: **პაატა ქორქია**

ლიტერატურულ-მხატვრული გამოცემა

გიორგი ყუფარაძე

„სიტყვამზეობა“

დროის შესატყვისი თანამედროვე სიბრძნე და მახვილგონიერება

Современные Мудрость и Остроумие Соответствуюшие Эпохи

Contemporary Wisdom and Thinking Corresponding to time

ხელმოწერილია დასაბეჭდად 03.09.08
ფორმატი საბეჭდი ქაღალდი: 60x90 1/16
ბეჭდვა ოფსეტური: პირობითი ნაბეჭდი თაბახი 71,96
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 56,6

შეკვეთა 98 ტირაჟი 1000 ც.

გამომცემლობა „დავითი“, ფიზიკის ინსტიტუტი
თბილისი, თამარაშვილის ქ. 6.

1364